


იპეა ჯეოსიური



ტოგები



ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის მთავარი
სარედაქციო კოლეგია:

დ. ჩხიკვიშვილი (მთავარი რედაქტორი),
ა. ბარამიძე, ვ. ბერიძე, ვ. გაბაშვილი,
თ. გამყრელიძე, პ. გუგუშვილი,
ი. დოლიძე, მ. დუმბაძე, ქ. ლომთათი-
ძე, მ. ლორთქიფანიძე, გ. მელიქი-
შვილი, ე. მეტრეველი, ა. სურგულა-
ძე, ს. ყაუხჩიშვილი, ა. შანიძე, ა. რი-
ქობავა, გ. ჩიტაია, შ. ძიძიგური,
ა. ჯავახიშვილი, გ. ჯიბლაძე

მთავარი სარედაქციო კოლეგიის

მდივანი მ. ინახაძე

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12 ტომეულის წი-
ნამდებარე მეხუთე ტომი შეიცავს „საქართველოს ეკონომიური ისტო-
რიის“ II წიგნს, რაც იბეჭდება ახლად დაწერილი გამოცემის (1934 წ.)
მიხედვით.

მასში დამატებად არის შეტანილი 1964 წელს გამოცემული „მა-
სალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის“, წიგნი 1. იგი
შეიცავს მეღვინეობისა და მეხილეობის მიმოხილვას, რაც ავტორს გან-
ზრახული ჰქონდა შეეტანა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის
II წიგნში“.

ტომის რედაქტორები: პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე.

რ ე ლ ა ჭ ტ ო რ ე ბ ი ს ა გ ა ნ

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა 12-ტომეულის წინამდებარე მეხუთე ტომი შეიცავს „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ II წიგნს, რომელიც იბეჭდება მეორე, ახლად დაწერილი გამოცემის (1934 წ.) მიხედვით.

პირველ წიგნში ავტორისეული კლასიფიკაციის შესაბამისად განხილულია სოფლის მეურნეობის, სახელდობრ მიწათმოქმედების, საველე მეურნეობის, მემინდვრეობის, მიწათმოქმედების ტექნიკის, საერთოდ მემცენარეობისა და, კერძოდ, მარცვლეულის კულტურების, მათი მეურნეობრივი მნიშვნელობისა და სხვა პრობლემები.

მეორე წიგნში გრძელდება და მთავრდება მემინდვრეობის, სახელდობრ პარკოსან მარცვლეულთა კულტურების მიმოხილვა. გაშუქებულია მარცვლეულის მოსავლის აღებისა და დაუნჯების საკითხები.

შემდეგ მოდის მემტილეობის, მეხილეობისა და მევენახეობის ჯერ ზოგადი და მერე მათი ცალ-ცალკე კონკრეტული, დეტალური, ვრცელი დახასიათება.

უნდა აღინიშნოს, რომ აქ მათგან გამოტოვებულია ერთი ნაწილი, სახელდობრ მეხილეობა (მებაღეობა), რომელიც ავტორს დაუმთავრებელი დარჩა. იგი მხოლოდ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნდა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალების“ სახით¹.

ეს ნაწილი ჩვენ თხზულებათა ამ მეხუთე ტომში შევიტანეთ დამატების სახით, რათა მკითხველს ერთგვარი მთლიანი წარმოდგენა ჰქონდეს იმ დიდ მუშაობაზე, რაც ივ. ჯავახიშვილს საქართველოს სოფლის მეურნეობის ისტორიის შესასწავლად გაუწევია.

რაც შეეხება მემტილეობის ანუ მებოსტნეობისა და მევენახეობის განვითარების საკითხებს, მათ უჭირავთ წიგნის უდიდესი ნაწილი და ისინი როგორც აგროეკონომიკური, ისე ბოტანიკური და ენათმეცნიერული, ტერმინოლოგიური თვალსაზრისით იმდენად ღრმად და გულმოდგინებით არის შესწავლილი, რომ სრულ საფუძველს იძლევა ამ მხრივაც უაღრესი მოკრძალებითა და პატივისცემით მოვიხსენიოთ მისი ავტორის ფრიად ფართო და მრავალმხრივი ერუდიცია.

აქ უხვადაა გამოყენებული როგორც ქართული და რუსული, აგრეთვე უცხოური — გერმანული, ლათინური, სომხური, არაბული, სპარსული, თურქული, ასურული ლიტერატურა და წყაროები, ამასთანავე ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური მასალები.

შესწავლილია მემინდვრეობის (მიწათმოქმედების) საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გავრცელებული აბორიგენული კულტურები, მათი ცალკეული

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, 1964, თბ., გვ. 87—137.

სახეები და ქვესახეები, ქართული კაცის დაუცხრომელი მეცადინეობის შედეგად ველური მცენარეების კულტურულ მცენარეებად და, მაშასადამე, მეურნეობრივი საქმიანობის ობიექტებად გადაქცევის პროცესი; მათი მოვლა-პატრონობის, მოყვანის, დაუნჯების ხერხები და მეთოდები, გავრცელების არეალი. დაწვრილებითაა შესწავლილი როგორც ნიადაგთმცოდნეობის, ასევე შორეული თუ ახლობელი უცხო ქვეყნებიდან შემოსული მემცენარეობის სახეები; მათი ადგილი და მნიშვნელობა როგორც სოფლის მეურნეობის, ისე საერთოდ ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების ასპექტში.

მაგრამ არა მხოლოდ ღრმამეცნიერული გამოწვლილვითა და გულმოდგინებით, არამედ დიდი სიყვარულით სწავლობს ივანე ჯავახიშვილი ქართული მეურნეობრივი თაოსნობის ჰემმარიტად შესანიშნავ დარგს, როგორცაა მევენახეობა. იგი თავის სიყვარულს და სიხარულს ვერ მალავს და აშკარად ჩანს, რომ არც სურს ეს დამალოს, როდესაც აღწერს და ღრმა ისტორიულ-ლინგვისტიკური ანალიზის საშუალებით იკვლევს და აღმოჩენებს აკეთებს იმ დიდი წარმატებებისა, რომელთათვისაც კერძოდ ამ დარგშიც მიუღწევია ქართველი კაცის გონებასა და ხელს, ნამდვილად შემოქმედებით შრომას.

შეუნელებელი ინტერესით იკითხება ადგილობრივი ველური ჯიშებისგან ვაზის ქართული კულტურული ჯიშების გამოყვანა-გახარების, მოვლა-პატრონობის, მათი ნაყოფის — ყურძნის — ფერადოვნების, გემოიანობის, ყუათიანობის, სიტკბოსა და სიამის და, ენათმეცნიერული მეთოდის მომარჯვებით, თვით ვაზის (ყურძნის) ამა თუ იმ ჯიშის კულტურული მევენახეობის ობიექტად გადაქცევის დროისა და ადგილის (თემის) დადგენის შესახებ დაწერილი სტრიქონები და ეს მაშინ როდესაც ქართველი ენის ისტორიული გრამატიკა და არც განმარტებითი ლექსიკონი ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი.

მხოლოდ ერთი მაგალითი: „ჩ ი ნ უ რ ი-ს ჯიშის ხნიერების საკითხის გამორკვევასაც თვით მისი სახელი გვიადვილებს. ფერის აღმნიშვნელი ეს სიტყვა ქართულის ძველისძველი ფენის კუთვნილებას შეადგენს. იგი დაბადების გადმოთარგმნის ხანას, როგორც ჩანს, არ სცილდება. დაბადების გარდა არსადა ჩანს, ჯერჯერობით მაინც. ეს გარემოება ცხადპყფს, რომ შემდეგში მაინცდამაინც იშვიათ სიტყვად ყოფილა ქცეული. ამისდა მიხედვით, უფლება გვაქვს ჩ ი ნ უ რ ი-ს ყურძნის ჯიშიც ქართული მევენახეობის უძველესი ხანისად მივიჩნიოთ. ამასვე ამ ყურძნის სინაზე და მაღალი ღირსებაც ადასტურებს, რათგან, ცხადია, მისი ესოდენ დიდი ღირსება ხანგრძლივი კულტურის შედეგი უნდა იყოს“².

მაგრამ ამპელოგრაფიის საკითხები აქ გაშუქებულია არა მხოლოდ საკუთრად საქართველოს, არამედ მთელი კავკასიისა და ნაწილობრივ კიდევ მსოფლიო ამპელოგრაფიის ასპექტშიაც; მაშასადამე, ისიც გამოკვლეულია, თუ ვაზის რა ჯიშებია აბორიგენული, რომელია სხვა ქვეყნებიდან შემოსული და — საქართველოდან სხვა ქვეყნებში გავრცელებული.

როგორც სხვა, ისე ამ საკითხთა გაშუქებაში განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ავტორის ჰემმარიტად ფენომენური ლინგვისტური ერუდიცია და ისტორიული განათლების უაღრესად ფართო დიაპაზონი.

² ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი მეორე, 1934, გვ. 539.

ივ. ჯავახიშვილი ქართული მევენახეობის (ამპელოგრაფიის) ნამდვილი პინდარი იყო.

ამავე ტომში „მევენახეობის“ დამატების სახით შევიტანეთ ივ. ჯავახიშვილის გარდაცვალების შემდეგ (1964 წ.) გამოქვეყნებული ნარკვევი „მელვინეობა“ და, როგორც ზემოთ აღინიშნა, კიდევ „მეხილეობა“. მართალია, თუ ზუსტად ვიმსჯელებთ, მელვინეობა არა სოფლისმეურნეობრივი წარმოების, არამედ მრეწველობის დარგია, მაგრამ ეპოქაში, რომელსაც ივ. ჯავახიშვილი იხილავს, საოჯახო მრეწველობა ჯერ კიდევ არ იყო, ანდა, შინამრეწველობად გადაქცევის საფეხურებზედაც, ნაკლებად იყო მიწათმოქმედებისგან გამოყოფილი. ამიტომაც უპრიანია „მელვინეობაც“ ამ წიგნში მოთავსდეს. მით უფრო, რომ საერთოდ მრეწველობის განვითარების შესწავლა ივ. ჯავახიშვილმა ვერ მოასწრო.

პ. გუგუშვილი, ვ. ჩანტლაძე
1985. ოქტომბერი

საქართველოს ეკონომიკური ისტორია

წიგნი მეორე

პირველი ბამონების წინასიტყვაობა

სამი წლის განმავლობაში ზეჰდვის შემდგომ, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ წინამდებარე მეორე წიგნი, როგორც იქმნა, დამთავრდა. ამ წიგნში წინასწარი ვარაუდით უნდა მიწისმოქმედების მიმოხილვა დამთავრებულიყო, მაგრამ მევენახეობის მიმოხილვას იმოდენი ადგილი დასჭირდა, რომ არამც თუ მეხილეობის, თვით მეღვინეობის მეორე წიგნში მოთავსებაც კი შეუძლებელი შეიქმნა: წიგნი 600 გვერდს გადასცილდა და, გამომცემლობისაგან განსაზღვრული სიდიდის გამო, მეღვინეობის მიმოხილვა მესამე წიგნისთვის უნდა გადამედ-ვა.

ამ წიგნის მოჭარბებული სიდიდე იმ გარემოებით არის გამოწვეული, რომ ძველი საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის დასახასიათებლად აუცილებლად საჭირო წინასწარი გამოკვლევები თითქმის არ არსებობს. არც ბოტანიკურად და არც აგრონომიის ისტორიის თვალსაზრისით ჩვენი სასოფლო მეურნეობის წარსული მარაგი შესწავლილი არ ყოფილა. უამისოდ კი სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაზე მსჯელობა დაუსაბუთებელ დებულებათა ცარიელი გროვა გამოვიდოდა. ამიტომ, ან უნდა ძველი საქართველოს ეკონომიკაზე მსჯელობისათვის თავი დამენებებინა, ანდა ბოტანიკური და აგრონომიული საკითხების შეძლებისდა გვარად გარკვევა მეცადნა. ხელის სრულიადს აღებას ამ ჩემთვის ფრიად სამძიმოსი და ზედმეტი მუშაობის გაწევა ვირჩიე. ამისთვის სათანადო სპეციალური მწერლობისა და წყაროების შესწავლა დამჭირდა, იძულებული ვიყავი აუარებელი დრო და ენერგია შემეღია ისეთი საკითხების გამორკვევისათვის, რომელიც ბოტანიკოს-აგრონომების მოვალეობას შეადგენს. ამიტომაც არის, რომ ამ წიგნში ბევრი რამეა, რაც უფრო აგრონომიის ისტორიას შეჰშვენის, ვიდრე წმინდა ეკონომიურ ისტორიას. მაგრამ, რაკი ჩვენში სასოფლო მეურნეობის ისტორიის მკვლევარი არსადა ჩანს და ამისთვის აუცილებელი წყაროების ენათა ცოდნაც ჯერ არავის გააჩნია, ასეთი ზედმეტი ტვირთის თავითგან აცილება არ შეიძლებოდა. რა თქმა უნდა, ყველა ამ საკითხის გარკვევის დროს ბოტანიკურ-აგრონომიული ცნობები მხოლოდ იმდენად არის განხილული, რამდენადაც ეს ძველი საქართველოს სასოფლო მეურნეობის რაობისა და ეკონომიკის ვითარების შესაფასებლად იყო აუცილებლად საჭირო. ვითარ-ცა ენისა და ისტორიის მკვლევარი, ყველგან, ენათმეცნიერული და ისტორიული მეთოდების გამოყენებით, ვცდილობდი ისეთი საკითხები გამომეჩვენა, რომელთა სხვა საშუალებით გამორკვევა შეუძლებელი იყო. უადგილობამ მაიძულა ზოგი რამე გამომეტოვებინა, რაც ამათუიმ საკითხის უფრო მეტს გაშუქებას ხელს შეუწყობდა. კერძოდ მევენახეობის დარგში სპარსეთისა და არაბეთის მევენახეობის მიმოხილვის გამოტოვება მომიხდა, თუმცა ამისთვის სპარსული წყაროებითგან საგულისხმო ცნობები მქონდა ამოკრეფილი. მწყინს, რომ მეღვი-

ნების ამავე წიგნში მოთავსებაც ვერ მოხერხდა და ამის გამო ძველი საქართველოს მევენახეობა-მელენეობის სრული სურათის გადაშლა და ვითარების დახასიათება შეუძლებელი შეიქმნა.

სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის ისტორია ველური მცენარეებისა და პირუტყვების გაშინაურებისა და თანდათან გაუმჯობესებისათვის მუშაობასაც გვისურათებს. ამიტომ ყოველი ამის შესახები გამოკვლევა ადამიანის კულტურის ისტორიასაც აფართოებს და აღრმავებს. რაკი კვლევა-ძიების ეს სფერო ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია, ამიტომაც მის შესწავლას ყველგან ჯეროვანი ყურადღება ჰქონდა და აქვს ეხლაც მიქცეული და ამ დარგში გაცხოველებული მუშაობა წარმოებს: ისტორიკოსებსაც, არქეოლოგებსაც და ბოტანიკოს-ზოოლოგებსაც თავთავიანთი წვლილი აქვთ შეტანილი. ჩვენში კი არც ისტორიკოსებსა და არქეოლოგებს, არც ბუნებისმეტყველებს, გინდა აგრონომებს, ასეთი საკითხების შესწავლისათვის ხელი არ მიუყვიათ. მეტის თქმაც შეიძლება: ძველი სამარხების გათხრის დროს სასოფლო მეურნეობის კულტურის ნაშთებს თითქმის არავითარი ყურადღება არ ექცეოდა, ამის გამო მომავალ მკვლევართათვისაც კი თითქმის არაფერია დაცული. აუცილებლად საჭიროა, რომ ამ საკითხს ამიერიდან მინც ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და განათხარში გადარჩენილი სასოფლო მეურნეობის ყოველგვარი ნაშთები მზრუნველობით შეგროვებული, დაცული და შესწავლილი იყოს. სხვათაშორის ამითაც ვხელმძღვანელობდი, როდესაც ამ წიგნში ყველგან სასოფლო მეურნეობის მცენარეთა ისტორიის მოკლე მიმოხილვა მაქვს მოყვანილი: ამ ზოგადი ცნობების გადაკითხვაც ადამიანს დაარწმუნებს, რომ ყოველს ცალკეულ, წვრილმან მცენარესაც მეურნეობისა და კულტურის ისტორიაში თავისი მნიშვნელობა აქვს და ყურადღების ღირსია.

ვინც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ამ წიგნს გულდასმით გადაიკითხავს, ის დაარწმუნდება, რომ ქართველი ერის მოღვაწეობა მარტო პოლიტიკური, სოციალური და კულტურული ასპარეზით არ განისაზღვრებოდა, არამედ მეურნეობაშიც მას დაუცხრომელი მუშაობა უწარმოებია და იმ ხანაში, რომელსაც ეს წიგნი ეხება, მისი საქმიანობა ამ დარგში საკმაოდ ნაყოფიერი ყოფილა. თუ აქამდის ჩვენ უცხოელებთან უმთავრესად ბრძოლის ამბები ვიცოდით, ეხლა უკვე ვარწმუნდებით, რომ ამას გარდა მეურნეობის სფეროში მათთან ურთიერთობაც ყოფილა და, პოლიტიკური ბრძოლისდა მიუხედავად, მარტო მეზობელთა კი არა, არამედ მოწინააღმდეგეთა ქვეყნებითგანაც მეურნეობის სფეროში გამოსადეგი მონაპოვარი და მნიშვნელოვანი გამოცდილებაც გამოუყენებია ისევე, როგორც ქართულ სასოფლო მეურნეობასაც სხვათა მეურნეობაში თავისი წვლილი შეუტანია.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ამ მეორე წიგნის წერის დროს ტფილისში სპეციალური სამეცნიერო მწერლობის უქონლობაცა და წინათ შეკრებილი ცნობების სიმცირეც მეტად საგრძნობი შეიქმნა და ამის გამო სხვადასხვა პირების, რომელთაც თავიანთი სპეციალობის დარგში ჩემთვის საჭირო წიგნები ჰქონდათ და ჩემთვის საჭირო ცნობების შევსება შეეძლოთ, არაერთხელ მომიხდა შეწუხება. ამიტომ ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ყველა იმ პირთ აქაც გულითადი მადლობა მოვახსენო, უპირველესად პროფ. სოლ. ჩოლაყაშვილს, რომლის მდიდარი წიგნთსაცავით სარგებლობამ დიდად

გამიადვილა მუშაობა, პროფ. იულიონ ლომოურს, პროფ. ს. ყაუხჩი-შვილს, პროფ. ლ. მელიქსეთ ბეგს, დოც. ვლ. მენაბდეს, დოც. ალ. მაყაშვილს, საქართველოს მუზეუმის პალეოგრაფიული განყოფილების გამგეს პავლე ინგოროყვას, მცხოვან აგრონომებს ერმილე ნაკაშვიძესა და ვასილ ბიბილაშვილს, საქართველოს მუზეუმის წიგნთსაცავის თანამშრომელს ქრისტინე შარაშვიძეს, საქართველოს მუზეუმის ძველი ნაკერების განყოფილების გამგეს იროდიონ სონღულაშვილს, მგოსნებს ი. გრიშაშვილსა და ი. მჭედლიშვილს, საქართველოს მუზეუმის თანამშრომლებს გ. ბოჭორიძესა და სტ. მენტეშაშვილს და სხვებსაც, რომელნიც ამ წიგნში სათანადო ადგილას მოხსენებული მყავს. კორექტურის გასწორებით დავალებული ვარ გ. ბოჭორიძისა (გვ. 1—128) და სტ. მენტეშაშვილისაგან, რომელთაც აგრეთვე მადლობას მოვახსენებ. ტექნიკურ დაბრკოლებათა გამო ბეჭდვის მრავალგზის შეწყვეტა-განახლება და სტამბაში ყველა საჭირო შრიფტის უქონლობამ ამ წიგნს თავისი დადიც დაასვა და კორექტურული შეცდომებიც დატვირთა. ამ წიგნს დართული აქვს I და II წიგნების საძიებლები, რომელთაგან I წიგნისათვის დოც. ნ. ბერძენიშვილის, ხოლო II-ისა სტ. მენტეშაშვილის შედგენილია. ორივეს ამ მძიმე ტვირთის შემსუბუქებისათვის გულითადს მადლობას მოვახსენებ. აგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნი გამომცემლობა „ფედერაციას“ ამ წიგნის დაბეჭდვის გამო.

ივ. ჯავახიშვილი

ტფილისს
1934 წ. 19 ივლისს

შემოკლებული და ქარაგმინანი სიტყვებისა და სათაურების
განმარტება

- ათ. აღ.—ათონის ქართული მონასტრის აღაპები.
არხ. მოგზ.—ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი, I, 1907 წ.
Arm. Gr.—Armenische Grammatik.
Арх. экс.—Е. Такаишвили, Археологические экскурсии, разыскания и заметки.
გერტა—გეოგრაფია.
Вг—Виноградарство.
Вд—Виноделие.
დასტ., ან დასტურ.—დასტურლამალი მეფე ვახტანგ VI-ის, პ. უმიკაშვილის გამოცემა.
დ. კარიჭ.—დ. კარიჭაშვილის გამოცემა.
ДРК—Дикорастущие растения Кавказа.
F. O.—Flora Orientalis.
ისტრნი და აზმნი—ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, იხ. მარიამ დედოფ. ქცა, ე. თაყაიშვილის გამოცემა.
ისტ. საბ.—ისტორიული საბუთები გამოცემული ს. კაკაბაძის მიერ.
ИАН—Известия Российской Академии Наук.
Keimena—Monumenta Hagiographica Georgica, Pars prima Keimena. Tom... I...editio Prof. Kornelius Kekelidze, Tiflis, 1918.
Kpf. und Ht—Kulturpflanzen und Haustiere 8. Auflage, 1911.
ლათიშევ, ან ლ. SC—Латышев, Scythica et Caucasia.
მ. გ.—მეგრული გრამატიკა პროფ. იოს. ყიფშიძისა.
მქცა ქა—მოქცევაჲ ქართლისაჲ.
Мак—Материалы по ампелографии Кавказа.
Мгхзлак. Вост. Грузии—Материалы по изучению географии хлебных злаков Восточной Грузии в связи с их зональностью. В. Менабде.
МИЭБГКЗК—Материалы по изучению экономического быта госуд. крестьян Закавказского края.
Опис.—Описание рукописей „Общества распространения грамотности среди грузинского населения“, შედგენილი ე. თაყაიშვილის მიერ.
Reisen—D. Johan Anton Guldenstädt, Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge, 1787 და 1791 წ. გამოცემა.
R.—E.—Paulys Real—Encyclopädie.
P.-с. сл.—Русско-сванский словарь.
საქ. სამ.—საქართველოს სამოთხე, მ. საბინინის გამოცემა.

სქს სძვლნი—საქართველოს სიძველენი, ე. თაყაიშვილის რედაქტორთბით გამოცემული.

СбСвВгВдК—Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе.

СбСвК—Сборник сведений о Кавказе.

СМОМПК—Сборник Материалов для описания местностей и племен Кавказа.

ТР—Тексты и разыскания по Армяно-груз. филологии.

ТрКОбсх—Труды Кавказ. общ. сельского хозяйства.

ჭკბი—ქრონიკები, გამოცემული თ. უთრდანიას მიერ.

ჭკსა—ქორონიკონსა.

ჭტა—ქართლის ცხოვრება.

ჭცის გაგრძელ.—ქართლის ცხოვრების გაგრძელება.

შიმმლ. საბ.—შიომღვიმის მონასტ. ისტორიული საბუთები, გამოცემული თ. უთრდანიას მიერ.

ცა მფსა ვბტნგსი, ან ვბტნგ გრგრსლსა—ჯუანშერი, ცხარება მეფისა ვბტნგ გორგასლისა, იხ. მარიაშ დედოფ. ქცა, ე. თაყაიშვილის გამოცემა.

ცა გი მთწმლსა—ცხარებაა ვითრგი მთაწმიდელისა, იხ. ათონის კრებული, საეკლესიო მუზეუმის გამოცემა.

ცა გგლ ხანძთლსა—ცხარებაა გრიგალ ხანძთელისა, ნ. მარტიას გამოცემა.

ცა დთ გრჯლსა—ცხარება დავით გარეჯელისა.

ცა იე ზელაზნ.—ცხარება იოანე ზელაზნელისა.

ცა იესი და ეფთმსი—ცხარებაა იოანესი და ეფთემისი, იხ. ათონის კრებული.

ცა მეფეთა—ლეონტი მროველი, ცხარება მეფეთა, იხ. მარიაშ დედოფ. ქცა.

ცა მეფსა დტსი—ცხარება მეფეთ მეფისა დავითისი, იხ. მარიაშ დედოფ. ქცა.

ცა სბპნ ზრზმლსა—ცხარება სერაპიონ ზარზმელისა, მ. ჯანაშვილის გამოცემა.

Voyage—Voyage au Mont Caucase et en Géorgie par M. Jules Klaproth. Paris, 1823 წ. გამოცემა.

Ф. К.—Флора Кавказа.

ჰ. გ.—ქანური გრამატიკა, ნ. მარტიას.

ბიციხის წინ დასმული ■ ხელნაწერის გვერდს აღნიშნავს.

მ ე მ ი ნ დ ვ რ ე ო ბ ა

შ ე ს ა ვ ა ლ ი

პარკოსანი მარცვლეულობის კულტურაზე საპარტიველოში ზოგადად

პურეული მარცვლეულობის გარდა, ადამიანისა და პირუტყვის კვებისათვის დიდი მნიშვნელობა პარკოსან მარცვლეულობას აქვს. თუ პურეული თავისი ქიმიური შედგენილობის უდიდეს ნაწილს, საშუალოდ 78,64 %-ს, ნახშირწყლიან ნივთიერებას (სახამებელს, შაქარს, დექსტრინს) შეიცავს და აზოტოვანი (ცილოვანი) ნივთიერება პურეულს შედარებით ნაკლებ გააჩნია (საშუალოდ ცილოვანი ნივთიერება 17% არ აღემატება), სამაგიეროდ ცერცვნიარი მარცვლეული სწორედ აზოტოვანი (ცილოვანი) ნივთიერებით არის მდიდარი, ისე, რომ მისი მინიმუმი 22% ნაკლები არას დროს არ არის, ხოლო ზოგიერთის, მაგ. ხანჭკვალას, შედგენილობის აზოტოვანი ნაწილი მაქსიმუმს აღწევს და 35,4 %-მდეც კი აღის. პურეულთან შედარებით პარკოსანთა ზოგიერთი მარცვლეული, მაგ. ლობიო, ბარდა და მეტადრე ხანჭკვალა, ცხიმოვანი ნივთიერებითაც უფრო უხვად არის შემკული. ამგვარად ცერცვნიარი მცენარეულობის ნაყოფს ადამიანისათვის პურეულზე სულ ცოტა ორჯერ და თვით სამჯერ მეტიც კი აზოტოვანი ნივთიერების მიცემა შეუძლია ისე, რომ თითქმის ხორცეულის მაგიერობასაც კი გაუწევს.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნული თანამედროვე ქიმიური ანალიზის წყალობით მოპოვებულ დასკვნაზე არ ყოფილა დამყარებული ის განსაკუთრებული ყურადღება, რომელიც პარკოსანი მარცვლეულობის მოყვანას სასოფლო მეურნეობაში მიპყრობილი ჰქონდა. ხანგრძლივმა გამოცდილებამ ადამიანს დაუნახა, თუ რაოდენი სინოყივრე ჰქონდა ამ მარცვლეულობას და რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ადამიანის ჯანმრთელობისათვის. ამ მხრივ შესაძლებელია ითქვას, რომ ადამიანის საღი მომწელებელი ორგანოები საკუთარი ქიმიკოსის მოვალეობას წინათაც პირნათლად ასრულებდენ და მათ პატრონს მიღებული საქმლის შედარებითს ღირსებას საუცხოვოდ აგრძნობინებდნენ ხოლმე. სწორედ ამიტომაა, რომ პურეულის შემდგომ მემინდვრეობაში პარკოსან მარცვლეულ კულტურას მთავარი ადგილი ჰქონდა დათმობილი. ნაწილობრივ ამ მარცვლეულობის მოყვანა მებოსტნეობა-მებაღეობის დარგშიც კი იყო შეჭრილი.

საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვისაც პარკოსან მარცვლეულობას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს გარემოება ეხლაც მით უფრო ცხადი შეიქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ ძველად ადამიანის ყოველდღიურ კვებაში ხორცეულის ჭამას ისე არ მისდევდენ, როგორც ეხლაა მიღებული. ამიტომ ხორცეული ცილოვანი ნივთიერების ნაკლებობას ადამიანის კვებაში მაშინ

პარკოსან მარცვლეულთა აზოტოვანი ნივთიერება ავსებდა. გასაკვირველიც არაფერია, თუ წინათ სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაში ამ დარგს ეხლანდელზე გაცილებით უფრო მეტი ღირებულება ჰქონდა.

ეს გარემოება საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარსაც ავალებს გამოარკვიოს ძველ საქართველოში გავრცელებულ პარკოსანთა კულტურის შედგენილობაცა და მისი მნიშვნელობაც ქართველთა ეკონომიკაში.

ყველა ამგვარი მარცვლეული ბოტანიკურად პარკოსანთა Leguminosae-ს ქვე-ოჯახს შეადგენს. ზოგი მათგანი ბალახ-მცენარეა, ზოგი ბუჩქები და ხეებიც კია. სასოფლო მეურნეობისა და ადამიანის კვებისათვის სწორედ პირველ ჯგუფს აქვს მნიშვნელობა. ამ ქვე-ოჯახის სასოფლო ეკონომიკისათვის საყურადღებო ჯგუფს ეკუთვნის: ცერცივი და ცერცველა, ბარდა, ლობიო, სამყურა, იონჯა და ბებრი სხვაც (იხ. ზ. ყ ა ნ ჩ ა ვ ე ლ ი, ბოტანიკა, II, 316—317).

თავი I. წყაროებში დაცული ზოგადი ცნობები ძველ და თანამედროვე საქართველოში გავრცელებულ პარკოსან მარცვლეულთა შესახებ

პარკოსან მარცვლეულთა სახელები და ზოგჯერ მათი მნიშვნელობის განმარტებაც, რასაკვირველია, საბა ორბელიანს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. მაგრამ ყველა ეს, ვითარცა სალექსიკონო მასალა, მთელ წიგნშია გაბნეული. მარცვლეულთა ამ ოჯახის შესახებ მთლიანი, ზოგადი ცნობა მას არ ჩაურთავს.

სამაგიეროდ, საბა ორბელიანს თავის ლექსიკონში ძველი ძეგლებითგანაც აქვს ამოკრებილი ცნობები, თავის-დროინდელი ვითარებაც აქვს აღბეჭდილი. ამიტომ მას საქართველოში ოდესმე არსებულ პარკოსანთა სახელების შემცველი, რა თქმა უნდა, ყველაზე მეტი ლექსიკური მასალაც უნდა ჰქონდეს. მართლაც მისი ნაშრომითგან რომ ამგვარ საკვებთა ყველა სახელი ამოვწეროთ, ფვალწინ საკმაოდ მრავალრიცხოვანი მწკრივი წარმოგვიდგება: ოსპი, ცერცვი, კნდური, ღორის კნდური, საყახაროს, მუხუდო, ხანჭკუალა, ლობინარი, თერმუზი ანუ თერმია, ერეინდი, ლობიო, მაშა, ცეცქაჲ, ბაკლა, საყადრისა, უკადრისა, ცულისპირა, ძაძა, ცერცველა, ანუ ცუდცერცვა, უგრეხელი, ანუ ქვიშნა.

იმისდა მიუხედავად, რომ საბას 22 მარცვლეულის სახელი მოეპოვება, მაინც მისი ცნობაც ვერ ჩაითვლება მთლად სრულად. მაგ., იქ შეტანილი არ არის გ. მთაწმიდელის საისტორიო თხზულებაში დასახელებული „საწუნე“ (ც^ე ა^ნ ე^ს ი და ე^ფ თ^მ ს^ი, 48), რომელიც წენიანის მოსამზადებლად განკუთვნილი რომელიღაც მარცვლეულის სახელი უნდა იყოს. უეჭველია, ს. ორბელიანს სრულად არც XVII ს-ში არსებულ ყველა ამგვარი მარცვლეულის სახელი უნდა ჰქონდეს დაცული თავის ლექსიკონში, მაგრამ ასეთი სახელების ამანე უხვი კრებული სხვა მაინც არ მოგვეპოვება.

მცირეოდენი ცნობები ფ. გორგიჯანიძესაც აქვს, სახელდობრ თავის ქართულ-არაბულ-სპარსულ პატარა ლექსიკონში. ფ. გორგიჯანიძეს პარკოსანთაგან შემდეგი აქვს ჩამოთვლილი: მუხუდო, მსხვილი ცერცვი, ოსპი და მაში (მ. ჯანაშვილის გამ., გვ. 45 და 46). იქვე მას ამ მარცვლეულის არაბული და სპარსული სახელებიც აქვს დართული:

„მუხუდო	არაბ. ჰამს	სპარს. ნუხუდ
მსხვილი ცერცვი	„ ფულ	„ ბაულა
ოსპი	„ დანჩა	„ ადას
მაში	„ მჟ	„ მაშ“.

ფ. გორგიჯანიძის ამ ოთხ ცნობას იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ აქ ქართული სახელის არაბული და სპარსული შესატყვისობა მოგვეპოვება, რაც მათი განსაზღვრის დროს მკვლევარს გამოადგება და საქმეს გაუადვილებს.

უეჭველია, ამ დარგშიც პირველი დალაგებული ცნობა ვახუშტის ნაშრომში უნდა ეძიოს კაცმა. მართლაც პარკოსან მარცვლეულთაგან ვახუშტს საქართველოში დასახელებული აქვს: „მუხუდო, ლობიო, ოსპი, ცერცვ, საკადრისი, ძაძა, მაშა, უგრეხელი“ (გგრ^აფა, 56). ამ წინადადების ბოლოში ავტორისაგან დართული „და სხვანიცა“ ცხად ჰყოფს, რომ ვახუშტს ყველა მის დროს საქართველოში არსებული ამგვარი მარცვლეული არ ჩამოუთვლია. მამასადამე, არც ეს შეიძლება სრულ ცნობად იქმნეს მიჩნეული. საფიქრებელია, რომ ვახუშტს ზემომოყვანილ ცნობაში მაშინდელ საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებული მარცვლეულის სახელები უნდა ჰქონდეს ჩამოთვლილი.

ზოგიერთი ცნობა უცხოელ მოგზაურ-დამკვირვებელთა და დესპანების აღწერილობებშიც გვხვდება. ამ მხრივ საყურადღებოა იტალიელი მისიონერის არქ. ლამბერტისა, რუსი ელჩებისა და აკად. გიულდენშტედტის მონათხრობი.

რუსი დესპანების თავადი მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის კახეთის 1640—3 წ. აღწერილობაში ნათქვამია, რომ აღმოსავლეთ საქართველოში იმ დროს ხორბლულსა და ქერს გარდა მინდვრად „ოსპსა და ცერცვსა“ სთესდენ („печевичу, нон“: პროფ. მ. პოლიევქტოვის გამ., გვ. 160). მათივე სიტყვით, თეიმურაზ მეფეს მარხვაში დესპანებისათვის საკმელად ცერცვი გაუგზავნია („в постные дни присыла.т нон“: იჭვე, 161).

არქანჯელო ლამბერტი კი ამტკიცებს, რომ მის დროს სამეგრელოში ბოსტნეულობითგან სხვებზე უფრო ლობიოს ეტანებოდენ: „ბოსტნებში ყველა მცენარეზე მეტად მოჰყავთ ოსმალური ლობიო, ესაა ერთადერთი მათი სამარხო საკმელი. მათში ხომ მარხვა ხშირია და გრძელი. დროს შესაფერისად მარხვაში ან ახალ ლობიოს სჭამენ, ან ძველსა“—ო (იხ. „სამეგრელოს აღწერა“, აღ. ჭყონიას თარგმანის გვ. 59).

რუსი დესპანების ტოლოჩანოვისა და იევლევის 1650—2 წ. იმერეთის აღწერილობაში ნათქვამია, რომ იქ ჯნდურს, ანუ ბარდას და ცერცვს სთესდენ „горох, нон“: პროფ. მ. პოლიევქტოვის გამ., გვ. 111), ხოლო ბოსტნეულში დასახელებულია: „სტამბოლური ცერცვი“ და „ქართული ბარდა“ „нон иарградской, горох грузинской“: იჭვე, 112).

აკად. გიულდენშტედტს პარკოსანთა შეზღვევი ქართული სახელები აქვს თავის 1772 წ. ჩანაწერში: „Bohnen Schyli tsertsii“, ე. ი. მსხვილი ცერცვი, — „Linsen—Aspi“ (sic). ე. ი. ოსპი, — „Türkische Bohnen—lobio“ ლობიო. „Grosse Erbsen—Tetri lobio“ თეთრი ლობიო, „Kleine Erbsen Tetri barda“ თეთრი ბარდა (Reisen. I, 343).

ამაირად, გიულდენშტედტსაც ლობიო გერმანული სახელის „თურქული ცერცვის“ ქართულ შეატყვისობად აქვს ზოყენილ. მაგრამ ამასთანავე Grosse Erbsen-

-ის ქართულ სახელადაც „თეთრი ლობიო“ აქვს დასახელებული იმ დროს, როდესაც Kleine Erlsen-ის სახელად თეთრი ბარდა არის ჩაწერილი. რაკი გერმ. Erlsen წარმოადგენს Pisum-ის შესატყვისობას, აზიტომ ისე გამოდის, თითქოს ისხვილ და წვრილ Pisum-ს ქართულად სულ სხვადასხვა („ლობიო და ბარდა“) სახელი პრქმეოდეთ. თანამედროვე ცნობების იხედვით: ისხვილ, კულტურულსაც და ველურსაც, Pisum sativum-საც და Pisum arvense-საც, ერთიდაიგივე სახელი „ბარდა“ აქვს (იხ. ლ. დეკაპრელევიჩის Mat. по изуч. бобовых Грузии, 136—137).

მართალია, ამას რ. ერისთავის ჩანაწერი ეწინააღმდეგება, რომლის მიხედვით Pisum sativum-ს გურიაში „ოქროს ცერცვა“ ეწოდება (ლექსიკ., გვ. 45, §654). მაშასადამე, ხალხი Pisum-საც თითქმის ცერცვად, ან უკეთ რომ ითქვას, ცერცვის მაგვარ პარცელეულად სთვლის.

როგორც ზოგადად პარკოსანთა, ისევე მეტადრე ლობიოს სხვადასხვა ქართული სახელები და მათი ბოტანიკური რაობა ლათინურად და რუსულად რ. ერისთავსა აქვს შეტანილი თავის საბუნებისმეტყველო პატარა ლექსიკონში. ამ ნაშრომის განსაკუთრებულ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ იქ საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებულ მცენარეთა სახელებიც არის მოყვანილი.

საქართველოს პარკოსან მარცვლეულთა პირველი შემსწავლელი მეცნიერი პროფ. ლ. დეკაპრელევიჩია, რომელსაც ორი მონოგრაფია აქვს ამ დარგში გამოქვეყნებული. ერთი მათგანი მათს ზოგად მიმოხილვას წარმოადგენს. 1926 წელს გამოქვეყნდა და სათაურად ეწოდება: „Материалы по изучению зерновых бобовых Грузии“ (იხ. ტფ. ბოტან. ბალის მეცნ.-გამოყენ. განყოფ. ნაწერები, ნაწ. V, გვ. 129—148).

ლ. დეკაპრელევიჩის მეორე ნაშრომი სპეციალური ხასიათისაა და საქართველოში გავრცელებულ ლობიოს სხვადასხვა ჯიშსა და სახეობას ეხება და ეწოდება: „Сорта фасоли (Phaseolus vulgaris savi), возделываемые в Грузии“ (იხ. ტფ. ბოტან. ბალის მეცნ.-გამოყენ. განყოფ. ნაწერები, ნაწ. IV, ტფილისი, 1925 წ., გვ. 149—218).

დასასრულ ლ. დეკაპრელევიჩის და ვლ. მენაბდეს საერთო ნაშრომში „К изучению полевых культур Западной Грузии. Рача“ (იხ. ტფილ. ბოტან. ბალის სამეც.-გამოყენ. განყოფ. ნაწერები, ნაწილი VI, გვ. 221—254, მეტადრე გვ. 240—246) პარკოსანთა შესახებაც არის ზოგჯერ უფრო ვრცელი ცნობებიც კი. ეს ნაწარმოები ვრცელ და საგულისხმო გამოკვლევას წარმოადგენს. ორივე თხზულების საქებურ თვისებას ისიც შეადგენს, რომ იქ მცენარეთა ქართული სახელებიც არის მოყვანილი. მეორე ნაშრომში არსებული ღარიბი მწერლობაც არის ნაწილობრივ მოხსენებული, გამოტოვებულია და განუხილველად არის დატოვებული მარტო რ. ერისთავის ლექსიკონში თავმოყრილი სახელები. ეს გარემოება მით უფროა სამწუხარო, რომ ლ. დეკაპრელევიჩის განსაზღვრა და სახელები არა-ერთხელ რ. ერისთავისას არ უდგება.

ლობიოს შესახებ სპეციალური მონოგრაფია ნათლად ამტკიცებს, თუ რაოდენი საგულისხმო ცნობები გროვდება ხოლმე ასეთი მუშაობის დროს, რომელთა გულდასმითი შესწავლა მკვლევარს არა-ერთი საგულისხმო დასკვნის გამოტანის საშუალებას აძლევს. მით უფრო სამწუხაროა, რომ პარკოსანთა ის ჯგუფი, რომელიც ლობიოზე მრავალი საუკუნით უწინარეს, ზოგიერთი უხსოვარი

დროითგან მოყოლებულიც კი, იყო ხალხში გავრცელებული, მონოგრაფიულად ჯერ სრულებით შესწავლილი არ არის. ამაზე მეტის თქმაც კი შეიძლება, ამ ჯგუფის მარცვლეულთა ყველა სახელიც კი შეგროვებული და ჩაწერილი არ ყოფილა: რ. ერისთავსაც ამ დარგისათვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია.

სისტემური, წესიერი კვლევა-ძიების დროს საქმე პირველად სწორედ ამ მარცვლეულთა შესწავლით უნდა დაწყებულიყო. ცხადია, რომ რაკი ოსპის, ცერცვის, ვნდურის და სხვათა თესვა-მოყვანას ქართველი მიწისმოქმედი უუძველესი დროითგან მისდევდა, იმ დაკვირვება-გამოცდილებას, რომელიც მას საუკუნეთა განმავლობაში მოპოვებული ჰქონდა, შემდეგში შემოსული ლობიოს კულტურის დროსაც გამოიყენებდა. ამიტომ ლობიოს მონოგრაფიულ შესწავლას პარკოსან მარცვლეულთა სწორედ უძველესი ჯგუფის მონოგრაფიული შესწავლა უნდა უძღოდეს. მაშინ ბევრი რამე უფრო გასაგებიც გახდებოდა და უფრო სწორედაც იქმნებოდა შეფასებული.

ეხლა კი, პარკოსანთა ამ უძველესი წარმომადგენლების მონოგრაფიულად შეუსწავლელობის გამო, ჩვენც კვლევის დროს უნებლიეთ იძულებული ვართ, ზოგიერთი საკითხის შესწავლისას, არსებულ ცნობებს დავემყაროთ და ზოგადი საკითხების გამოსარკვევად გამოსადეგი ცნობები სწორედ იქ ვეძიოთ.

ქართული ძველი წერილობითი წყაროებითგან ამოღებული ცნობა-განმარტებანი და მარცვლეულთა თანამედროვე ხალხური სახელები, როგორც თითოეული მათგანის ცალკეული განხილვის დროს დავრწმუნდებით, პარკოსან მარცვლეულთა გარკვეული დანაწილებისა და სისტემის არსებობას ჰვულისხმობს. სახელდობრ, ამათუიმ მარცვლეულის განმარტებითგან ცხადი ხდება, რომ მარცვლეულნი სამ-ოთხ მთავარ ჯგუფისადმი არიან ხოლმე მიკუთვნილნი: ზოგის შესახებ ნათქვამია, რომ ცერცვიაო, ზოგი ვნდურად, ან ბარდად არის მიჩნეული, ზოგზე ამბობენ ოსპია, ზოგზე კიდევ — ლობიაო. უეჭველია, ეს სამ-ოთხ ჯგუფად დანაწილების სისტემა მცენარეთა მსგავსებაზე არ არის დამყარებული, რათგან ორი განსხვავებული მორფოლოგიური თვისების მცენარე ერთსა და იმავე ჯგუფშია დასახელებული. ჯგუფისადმი მიკუთვნილობა, როგორც ეტყობა, მარცვლის მოყვანილობაზეა დამყარებული. მარცვლის მოყვანილობის მსგავსებას მთლად არც ეხლა დაუკარგავს თავისი საკლასიფიკაციო მნიშვნელობა. მაგ., არსებობს მოყვითანო შუათანამარცვლიანი მუხუდოს ჯიში მრგვალი მოყვანილობის, რომელიც გარეგნულად ისე მიაგავს ბარდას, ანუ ვნდურს, რომ ერთმანეთში არეულ ამ ორ მარცვლეულს ადამიანი, ერთი შეხედვით, ვერც კი გაარჩევს, რომელია მათგანი მუხუდო და რომელი ბარდა. მხოლოდ მუხუდოს ოდნავ წაწვეტილი ნაწილი ამჟღავნებს ამათუიმ მარცვლის მუხუდობას. ამის გამო მუხუდოს ამ ჯიშს „ბარდანაირი მუხუდო“ ეწოდება (К. Прозорова, Нут: Изд. Всесоюз. Инст. Прикл. Ботаники и Новых Культур, Ленинград, 1927, 14—15).

ქვემომოყვანილ მიმოხილვაში პარკოსან მარცვლეულთა ცალკეული განხილვა სწორედ იმ პრინციპის მიხედვით არის დალაგებული, რომელიც ძველად საქართველოში მიღებული ყოფილა. ამასთანავე ამ მარცვლეულთა გაჩენის ისტორიული თანდათანობის გარემოებაც არის გათვალისწინებული და ძველი კულტურის შესახებ ცნობები მერმინდელსა და შედარებით ახალს წინ უსწრებენ ხოლმე.

ყოველი მარცვლეულის ცალკეულ მიმოხილვაში შეძლებისდაგვარად გამოკვეთილია თვითთავი მათგანის ყველა არსებული სახელი და შესახები ცნობა უძველესი დროითგან, ბოტანიკური რაობა, გავრცელების ინტენსივობა ძველად და თანამედროვე არე ისევე, როგორც მნიშვნელობა ეკონომიკისათვის.

თავი II. ცერცვი და ცერცვანიანი

I. ცერცვი

§ 1. ცერცვის რაობა

„ცერც“ დაბადების ქართულ თარგმანშივე გვხვდება (იხ. მაგ. 2 მეფეთა 17^{გვ.}, ფეიქელის. 4^{გვ.} და სხ.) ბერძნულად ῥαυχια-ისა, ლათინ. faba-ს და სომხურ „ლიონ“-ს შესატყვისად, გერმან. Röhne-ს, ფრანგ. pois chiche-სა და რუს. ნინ-ს უღრის.

§ 2. ცერცვის მნიშვნელობა ძველად და მისი კულტურის მაშინდელი ინტენსივობა

რაკი „ცერცვი“ საკმელად განკუთვნილი მარცვლეული იყო, ამიტომ მის შესახებ ძველ გადარჩენილ წყაროებში, უმთავრესად ისტორიულსა და იურიდიულ საბუთებში, ცნობები არ გვხვდება. მაგრამ ცერცვს რომ ძველ საქართველოში განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ დანარჩენი მონათესავე მარცვლეულების დასახასიათებლად სწორედ ცერცვის სახელია ხოლმე გამოყენებული.

ამასთანავე, მარხვის დროს საკმელად, სანამ ლობიო შემოვიდოდა და ფართოდ გავრცელდებოდა საქართველოში, ხალხი უმთავრესად ცერცვსა ჰმარობდა. როგორც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ V წიგნში მოყვანილი ცნობებითგან დავრწმუნდებით, თვით XVI ს-შიც „სამარხო ცერც“-ს მოყვანა და გამოღება დასაველეთ საქართველოშიც მიღებული ყოფილა. ამგვარად, მარხვა ქართველს უცერცვოდ ვერ წარმოედგინა და მის მოყვანაზე, ან მის მარაგად შექმნაზე ძველად ყოველ ქართველს უნდა ეზრუნა.

XVII ს. რუსი დესპანებმა შემომოყვანილ ცნობებითგანაც ჩანს (იხ. აქვე, გვ. 18), რომ ცერცვი მაშინაც მემინდვრობისა და მებოსტნეობის ერთ-ერთი საგანთაგანი იყო და სამარხო საკმელის აუცილებელ კუთვნილებას წარმოადგენდა საქართველოში. ლობიოზე საუბრის დროს დავრწმუნდებით, რომ XVIII ს. დამდეგსაც კი სამეფო კარზეც სამარხო საკმელი ცერცვისაგან უკეთებიათ. დასასრულ, საქართველოში ამავე საუკუნის შუა წლებში გავრცელებულ მარცვლეულთა შორის ცერცვს ვახუშტიც ასახელებს (აქვე, გვ. 18).

რამდენადაც ცერცვი ძველად, როგორც დავრწმუნდებით, უმთავრესი სამარხო საკმელი იყო, იმდენად მაშინ საქართველოს სასოფლო მეურნეობაში შესაფერისად ფართოდ ადგილი უნდა ჰქონოდა დაპყრობილი. მაგრამ შემდეგში, როდესაც ლობიომ მოიპოვა ასპარეზი და ხალხის როგორც სამარხო, ისე სახ-

სწილო საკმელად იქცა, ცერცვის გავრცელების არე თანდათანობით შესაფერისად უნდა შემცირებულიყო. ამიტომ ცხადია, რომ ამ მარცვლეულის ასპარეზი თანამედროვე საქართველოში მისი ოდინდელი გავრცელების სიდიდის გასათვალისწინებლად ვერ გამოგვადგება.

§ 3. ცერცვის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში

ცერცი საქართველოში ამჟამად უფრო მალეობ თემებშია გავრცელებული, მაგრამ მის მოყვანას ლიხთ-იმერეთშიც და ამერეთშიც მისდევენ. გავრცელებულია წვრილი ცერციცა და მსხვილიც, მაგრამ წვრილის ნათესები უფრო სპარბობს. დასავლეთ საქართველოს დაბლობ ადგილებში მსხვილი ცერცვის შემოდგომის ნათესებიც არსებობს. მაგრამ საერთოდ ცერცვს ეხლა საქართველოში ნაკლებად მისდევენ და უფრო ბოსტნებსა და სახლკარის მიდამოებში მოჰყავთ. ლ. დეკაპრელევიჩი მაინც ფიქრობს, რომ წინათ უფრო მეტად უნდა ყოფილიყო გავრცელებული (Мат. по изуч. бобовых Грузии, 138). მკითხველი ზემომოყვანილი მოსაზრებებითგან დარწმუნდებოდა, რომ ეს სრულ ჰემმარიტებს წარმოადგენს.

§ 4. ცერცვის ჯიშ-სახეობანი

ფ. გორგიჯანიძეს ამ მარცვლეულის სახელად ნახმარი აქვს „მსხვილი ცერცი“, რომლის სპარსულ შესატყვისობად სპარსული „ბაყლა“ აქვს დასახელებული და არაბული „ფულ“ (იხ. აქვე, გვ. 18). ეს გამონათქვამი რომ ფ. გორგიჯანიძის მოგონილი არ არის სპარსული და არაბული სიტყვის განსამარტავად, ამას გერმანელი მეცნიერის ცნობაც ამჟღავნებს.

გიულდენშტედტის ზემომოყვანილი (იხ. გვ. 18) ჩანაწერი სწორედ იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მას გერმანული Bohnen-ის შესატყვისად ქართულ სახელად „მსხვილი ცერცი“ აქვს მოყვანილი.

როგორც თავის ადგილას გამორკვეული გვაქვს, „ბაყლა“ არაბულ-სპარსულად მართლაც ცერცვა ჰქვინავდა, გერმანულ Bohne-საც იგივე მნიშვნელობა აქვს.

ამ ორი ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ცნობითგან ჩანს, რომ ძველად საქართველოში ცერცვს მარცვლის სიდიდის მიხედვითაც არჩევდენ და ერთს, უფრო მომსხო მარცვლიანს, „მსხვილი ცერცი“ სწოდებია.

ასეთი სახელის არსებობა, თავისდათავად, ან ჩვეულებრივი, ან წვრილი ცერცვის არსებობასაც გვაგულისხმებინებს. მართლაც, ეს სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო, რათგან, თანამედროვე აგრონომიული ცნობების თანახმადაც, საქართველოში ორნაირი ჯიშის, მსხვილმარცვლიანი და წვრილმარცვლიანი, ცერცვია გავრცელებული (Л. Декапрелевич, Мат. по изуч. бобовых Грузии, 138).

თავისდათავად ცხადია, რომ წვრილმარცვლიანა ცერცვის ჯიში უძველესი უნდა იყოს, მსხვილმარცვლიანა ჯიში კი დროთა განმავლობაში იქმნება მოპოვებული.

§ 5. ცერცვის გავრცელების ასპარეზი ძველ და თანამედროვე მსოფლიოში

ცერცი, რომელსაც *Vicia faba* L. ეწოდება, გერმ. *Pferdbohne*-ს, ანდა *Saubohne*-ს, ფრანგ. *pois chiche*-ს, ხოლო რუს. *конские бобы*-ს ეძახიან,—ძველ ეგვიპტეში ნაკლებად ყოფილა გავრცელებული, უკადრისადაც კი ყოფილა მიჩნეული. XII დინასტიის აფლავებში ცერცვის 2 მარცვალა ნაპოვნია, ისეთივე წვრილი, როგორსაც ეგვიპტეში ეხლაც სთვსენ. შლიმანმა ტროას ნაქალაქეში ცერცი ბლომად იპოვა. იტალიაში ნეოლითის ხანის განათხარშიც აღმოჩნდა ისევე. როგორც ესპანეთსა და უნგრეთშიაც. ხშირია ცერცი შვეიცარიის ღირფან ნაშენობებში და ბრინჯაოს ხანის იპავე ქვეყნის, საფრანგეთის, ესპანეთის, იტალიისა და საბერძნეთის ნაშთებში, და ასრულ, გერმანულ და იტალიის რკინის ხანის განათხარშიც. იმდროინდელი ცერცი ეხლანდელზე უფრო წვრილი ყოფილა (იხ. V. Hehn-ის *Kpf. u. Hl.*, გვ. 219. A. Engler-ის ზოგადი ცნობა).

ამჟამად ცერცი სამხრეთ ევროპაში და ხმელთაშუა ზღვის აუზის არეში ფართოდ არის საკმელად გავრცელებული.

ჯერჯერობით გარეული ცერცი არსად აღმოჩენილი არ არის (იქვე, გვ. 219) და ეს გარემოება კულტურული ცერცვის წინაპრისა და პირვანდელი სამშობლოს გამოკვევას აძნელებს.

II. ცერცველა

§ 1. ცერცველას რაობა

კულტურულ, შინაურ ცერცს გარდა გარეული ანუ ველურიც არსებობს, რომელსაც ზოგიერთ ქვეყანაში აგრეთვე სამეურნეო მნიშვნელობა ჰქონდა. ამ მარცვლელს ქართველი მიწისმოქმედი „ცერცველა“-ს ეძახდა და ეძახის ეხლაც.

საბას განმარტებით „ცერცველა“ იგივე „ცულცერცვა“ ყოფილა (ლექსიკ.). რ. ერისთავს იგი *Orobus vernus* L. და რუსული *Сочевница*-ს შესატყვისად მიუჩნევია (ლექსიკ., გვ. 73, §1015), ლ. დეკაპრელევიჩი კი *Vicia sativa* L.-დ სთვლის (*Mat. по изуч. бобовых Грузии*, 137—138).

§ 2. ცერცველას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში

„ცერცველა“ უმთავრესად აღმოსავლეთ საქართველოშია ამჟამად გავრცელებული: ჯავახეთში, ტფილისის სანახებში და ქიზიყში, ხოლო ქსანისა და არაგვის ისევე, როგორც ლიახვის ხეობაში იშვიათია. 1923 წ. აღწერის ცნობით საქართველოში ცერცველას ნათესი სულ 268 დღიური იყო.

რაცაში თურქე ოსპის შენარევედ ცერცველას თეთრმარცვლიანი სახეობაა, V. *Leucospernum* Alf., რომელსაც ადამიანთა საკმელად ხმარობენ (იხ. Л. Декапрелевич и В. Менабде, *К изуч. полевых культ. Зап. Грузии*, I, *Рача*, 246).

მაგრამ გაბეული, ანუ ველური ცერცველაც ადსებობს. საქართველოში გავრცელებული ცერცველა მრავალსახეობიანია და *Vicia sativa*-სა და *Vicia angustifolia*-ს შორის გარდამავალ სახეობათა მთელი რიგი მოიპოვება (ლ. დეკაბრელევიჩი, *Mat. по изуч. диких Грузии*, 137—138).

III. ხანჭკუალა, თერმუზი და ლობინარი

§ 1. ცნობები ხანჭკუალასა, თერმუზსა და ლობინარზე

თანამედროვე საქართველოში, უმთავრესად ლიხთიმერეთის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთის თემში, მოჰყავთ მაძცვლეული, რომელსაც ხალხი „ხანჭკოლა“-ს უწოდებს (ლ. დეკაბრელევიჩი, *Mat. по изуч. диких Грузии*, 138).

ამ მარცვლეულის სახელი ს. ორბელიანსაც აქვს ლექსიკონში შეტანილი „ხანჭკვალა“-ს სახით და, მისი განმარტებით, იგივე „ლობინარი, თერმია, ცერცვია“. ხოლო თვით „ლობინარი“-ს ასახსნელად ნათქვამი აქვს, რომ „ხანჭკუალა ცერცვ“ არის. დასასრულ, „თერმია“-ს გარდა, ამავე მცენარის სახელად საბას „თერმუზი“-ც აქვს მოყვანილი და პირველი ფორმის განმარტებაში უწერია: „ლობინარი (+ ხანჭკვალა, ცერცვი B)“, ხოლო მეორისაში: „თერმუზი თერმია“ არისო.

რ. ერისთავს „თერმია, თერმუზა, თორმუზა, ლობინარი“ ამ მარცვლეულის ქართლ-კახეთში გავრცელებულ სახელად აქვს აღნიშნული, „ხანჭკოლა“-ს, ანუ ხანჭკვალას კი იმერეთ-გურია-სამეგრელოში გავრცელებულ სახელად სთვლის.

§ 2. ხანჭკვალას რაობა

ხანჭკვალა რ. ერისთავს ლათ. *Lupinus alba* L.-დ მიაჩნია და რუს. дикий-ს შესატყვისობად (ლექსიკ.). ლ. დეკაბრელევიჩიც ეტყობა ამ ლათინურ ბოტანიკურ განსაზღვრას ეთანხმება: მასაც „ხანჭკოლა“ *Lupinus albus* var. *albiflora* Bat-დ მიაჩნია (*Mat. по изуч. диких Грузии*, 138). „ხანჭკოლა“-ს სახელი სამეგრელოშიც ყოფილა დაცული (იხ. „კრებული“, 1899 წ., № VII, განყ. II, 35; იოს. ყიფშიძის მ. გ., 397).

აქ ორი საყურადღებო გარემოება გასარჩევი: პირველი ამ ცერცვნარის სახელების სიმრავლეს ეხება. რატომ არის, რომ მას სამი სახელი გააჩნია?

მართალია, რ. ერისთავს ეგონა, რომ „ხანჭკვალა“ დასავლეთ საქართველოში გავრცელებული სახელია, ლობინარი და თერმია კი ამერეთშია მიღებული. ამგვარად აქ თითქოს გეოგრაფიულ მიზეზთან უნდა გვექონდეს საქმე. მართლაც „ხანჭკოლა“-ს სახით ამ მარცვლეულის სახელი სამეგრელოშიც ყოფილა დაცული (იხ. „კრებული“, 1899 წ., № VII, განყ. II, 35; იოს. ყიფშიძის მ. გ., 397). მაგრამ ეს არ კმარა, რათგან ამ შემთხვევაშიც ამ მოვლენის ნამდვილი მიზეზი მაინც გამოსარკვევი გვექნებოდა. ამასთანავე, ხანჭკვალაც რომ გამოგვეკლოთ, მაინც აღმოსავლეთ საქართველოში ამ მარცვლეულის ორი სახელი, ლობინარი და თერმია, გვექმნებოდა. უმთავრესი კი ის არის, რომ სამივე სახელი, როგორც საბას ლექსიკონითგანაც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოშიც

ყოფილა ცნობილი. მაშასადამე, გეოგრაფიული ფაქტორი აქ არაფერ შუაში უნდა იყოს.

ამ ცერცვანიარის სამი სახელისაგან „ხანჭკულა“, ან ხანჭკვალა, რომელიც „ხანჭკოლა“-დაც ითქმის, ამ მარცვლეულის ქართული სახელი უნდა იყოს: ეს ამ სიტყვის ბგერითი შედგენილობითგანაც ჩანს და იმ გარემოებითაც მტკიცდება, რომ საქართველოში მისგან ნაწარმოები არა ერთი გეოგრაფიული სახელიც არსებობს. მაგ., ოდიშში მდინარეს „ხანჭკულა“ ეწოდება და მდ. ხანჯიკოლა, რაჭაშიც არის ს. „ხვანჭკარა“.

§ 8. ლობინარის სადაურობა

ამ სამ სახელთაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი „ლოპინარი“-ა, რათგან ის გასაოცრად მიაგავს ამ მარცვლეულის ლათინურ სახელის „ლუპინუს“-ს. რაკი ეს სიტყვა ნამდვილი ლათინურია, „მგლის“ (ცერცვს) ჰნიშნავს და ხალხური სახელია, ქართულად კი მას ეტიმოლოგია და თვისტომნი არ მოეპოვება, ამიტომ ეს ლათინური სახელი ქართულში შეთვისებული უნდა იყოს.

Lupinum ან და lupinus, გერ. Wolfsbohne, die Lupine, die Feigebohne, ფრანგ. lupin მგლის ცერცვა ითარგმნება. ამ სახელწოდების ორი ეტიმოლოგია არსებობს: უმრავლესობა ფიქრობს, რომ იგი ლათინ. lupus „ლუპუს“-ისაგან არის ნაწარმოები და „მგლისას“ ჰნიშნავს. მაგრამ კელერი (Keller) ამტკიცებს, რომ ამ სიტყვის ზემომოყვანილი ვაგება ხალხურ ეტიმოლოგიას წარმოადგენს, ნამდვილად კი ბერძნულ Λοπίς-თან უნდა იყოს დაკავშირებული. „ლოპოს“ ბერძნულად პარკს, „ლოპიმოს“ ადვილად გამოსატყვევს, გასაფტქენელს ჰნიშნავს (იხ. Al. Walde, Lateinisches etim. Wörterbuch, 2 Aufl., 1910 წ.).

აღსანიშნავია, რომ შეუძლებელია ამ მარცვლეულის ქართული სახელი „ლოპინარი“ მისი ლათინური სახელწოდებისაგან „ლუპინუს“-ისაგან იყოს წარმომდგარი. ლათინურად არსებობდა სიტყვა lupinarius „ლუპინარიუს“-ი, რომელიც მელუპინეს, ცერცვანიარი მარცვლეულის შეკაპადის მოვაჭრესა, ჰნიშნავდა (იხ. H. Blümmner, Die römische Privataltertümer, 1911 წ., გვ. 196, შენ. 1 და Al. Walde, Lateinisches etim. Wörterb. 2 Aufl.). ამგვარად, ამ მარცვლეულის მოვაჭრის სახელი ქართველებს თვით მცენარისა და მარცვლის სახელად უქცევიათ. ეს გარემოება, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ლობინარი მწიგნობრული გზით კი არა, არამედ ხალხისაგან უშუალოდ ზეპირად უნდა იყოს ქართულში შეთვისებული.

პლინიუს მცირეს ცნობით, „ლოპინარი“ იტალიაში ყველაზე უფრო გავრცელებული პარკოსანი მარცვლეული ყოფილა. მას ადამიანიც ჰხმარობდა თავისთვის საკმელად, პირუტყვისაც აჭმევდა, უმთავრესად ქაჩაჩიანს. მისი მოყვანა ძალიან ადვილი ყოფილა: მისთვის მიწის დამუშავება მეურნეს საგანგებოდ არ სჭირდებოდა. მისი მოყვანისათვის თითქმის არავითარი შრომა მიწისმოქმედს არ ეხარჯებოდა, ამისდა მიუხედავად ყველაზე უწინარეს ითესება და ყველაზე გვიან, უკანასკნელად იკრიბება. ამასთანავე, ლობინარი ნიადაგსაც ანოყიერებსო (Naturalis hist. lib., XVIII, 35).

რაკი ლობინარი ასეთი იაფი და ფართოდ გავრცელებული პარკოსანი მარცვლეული ყოფილა, ამიტომ შესაძლებელია, რომ მისი სახელი საქართველოში I—IV სს-ში იყოს შემოსული, როდესაც ჩვენ ქვეყანაში რომელიღაც ლეგიონები იღვნენ.

§ 4. თერმუზისა და თერმიას სადაურობა

„ლობინარი“-ს მსგავსად, არც ხანჭკვალას მესამე სახელი „თერმია“ ახდენს ქართული ტერმინის შთაბეჭდილებას. ს. ორბელიანს, როგორც დავრწმუნდით, ამ სიტყვის მეორე ფორმაც, „თერმუზი“-ც აქვს მოყვანილი. ხოლო რ. ერისთავს ქართლ-კახეთში არსებულ სახელად „თერმუზა“ და „თორმუზა“ ჩაუწერია (იხ. აქვე, გვ. 24).

ამ ფორმათაგან უფრო სწორედ უნდა „თერმუზი“ იქნეს მიჩნეული. ეს სიტყვა ამ მარცვლეულის ბერძნულ სახელს წარმოადგენს. ბერძნები *Lupinus hirsutus*-სა და *augustifolius* L-ს ὀμυρμυζ-ს „თერმოს“-ს უწოდებენ. ამ სახელის სადაურობა ბერძნულში გამორკვეული არ არის (Em. Boisacq, Dictionnaire etym. de la langue grecque, 1916 წ. გვ. და V. Hehn-ის Kpf. u. Ht., გვ. 416). საფიქრებელია, რომ ლობინარის ეს ბერძნული სახელი, ან იმავე ხანში, ანდა ცოტა შემდგომ უნდა იყოს საქართველოში შემოსული.

ხანჭკვალას სამი სახელის განხილვამ, მაშასადამე, დაგვარწმუნა, რომ თუ თვით „ხანჭკვალა“ ქართულია, დანარჩენი ორი უცხო სახელებია: ერთი მათგანი, „ლობინარი“, ამ ცერცვნაირის გაქართულებული ლათინური სახელი ყოფილა, მეორე კი, „თერმუზი“ და „თერმია“, ბერძნული. ეს გარემოება საყურადღებოა და ამის მიზეზის შესახებ სათანადო ადგილას გვექნება საუბარი.

§ 5. ხანჭკვალას მავნე თვისება

ვ. მენაბდეს სიტყვიერი ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, ხანჭკვალას, ღირსებასთან ერთად, მავნე თვისებაც აქვს. მისი ჰამა არ შეიძლება, თუ ეს მარცვლეული წინასწარ საგანგებოდ შემზადებული არ იქმნა: მას ალბობენ და გამდინარე წყალში რეცხენ, რომ მარცვლეულს მავნეობა გამოეცალოს. მის მცენარესაც კი საქონელი არც სჭამს და არც ეკარება, უეჭველია, ხანჭკვალას მავნე თვისების გამო.

§ 6. ხანჭკვალას გავრცელების არე

ხანჭკვალას შესახებ ცნობები ძველ საბუთებში ჯერ არსადა ჩანს, მაგრამ ს. ორბელიანს ეს სახელწოდება, ეტყობა, წერილობითი ძეგლითგან უნდა ჰქონდეს ამოღებული და შესაძლებელია ასეთი წყაროები ოდესმე კიდევაც აღმოჩნდეს. გურიის ერისთავის ქალის მონაზონი თეკლას XVIII ს. შუა წლების გურიის უდაბნოსადმი მიცემულ შეწირულების წიგნში, რომლის გადმონაწერის გადმოცემისათვის გ. ბოჭორიძეს დიდ მადლობას მოვახსენებ, ნათქვამია, რომ შეწირული გლეხი ჟღენტის შვილი დავითელა ვალდებული იყო ძღვნად სხვათა შორის „მწვანილი ხანჭკვალა და პწნილი“ (sic) მიერთმია. ხანჭკვალას

ძველად გავრცელების არეს გამორკვევა ჯერ შეუძლებელია. მხოლოდ ზემომოყვანილი გეოგრაფიული სახელებითაა ჩანს, რომ გურიის გარდა წინათ ეს მარცვლული სამეგრელოსა და რაჭაშიც უთესიათ.

ხანჭკვალას მოყვანას ამჟამად დასავლეთ საქართველოში და იწაც უმთავრესად გურიის დაბლობებში მისდევენ. მაშასადამე, წინანდელთან შედარებით ამ მარცვლულის გავრცელების ასპარეზი საგრძობლად შემცირებულია. თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ მცენარეს ძველ საქართველოში სამი სახელი ჰქონია, რომ მის ამერეთშიც არსებობას საბას ლექსიკონი გვაგულისხმებინებს, მაშინ ცხადი გახდება, რომ ხანჭკვალას ძველად არც ფართო უნდა სჭეროდა და მნიშვნელობაც ვაცილებით მეტი ჰქონოდა.

გურიაში ჩვეულებრივ ხანჭკვალას შემოდგომას სთესენ, ენკენისთვის დამდეგს და მისის დამლევის, ან და იენისის დამდეგს ეს მარცვლული უკვე შემოსულია ხოლმე. ხანჭკვალას უმთავრესად საჭმელად ჰხმარობენ (ლ. დეკაპრელიეჩი, *Mat. по изуч. диких Гruzии*, 138).

თ ა ვ ი III. ო ს პ ი

§ 1. ცნობები ოსპის შესახებ და მისი რაობა

„ოსპი-ც“ დაბადების ქართულ თარგმანშივე გვხვდება. მაგ., შესაქმეთა, 25₃₀ და 32-ში სწერია: „პრქუა ესაე იაკობს, ვიგემოთ გბოლვილიააგან ოსპნისა ამის... ხოლო იაკობ მისცა ესაე პური დაგბოლვილი ოსპნისა“-ო. ბერძნულ ტექსტში „დაგბოლვილი ოსპნისა“-ს შესატყვისად არის ჳξჳჳα φαζαჳ, ლათინურში *lentis edulio*, სომხურში *ქან იაყნსა*.

ეს სიტყვა ნახმარია კიდევ 2 მეუეთა, 17₃₃, 23₁₁-ში, ეზეკიელის 4₉-ში და სხვაგანაც. აქაც „ოსპნი“, ანუ „ოსპი“ ბერძნულის *ὁ φαζαჳ*-ს, ლათინურს *lens*-ს და სომხურს *იაყნ*-ს უდრის, ფრანგულს *lentille*-ს, გერმანულს *Linse*-სა და რუს. *чечевица*-ს.

§ 2. ოსპის გავრცელებულობის ინტენსივობა ძველად

თუ რამდენად გავრცელებული იყო ოსპი საქართველოში, უძველეს ხანისათვის ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ XVII ს. რუს დესპანებს აქვთ აღნიშნული, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, ცერცვს გარდა, ოსპსაც სთესდენ (იხ. აქვე, გვ. 18). ლიხთ-იმერეთის აღწერილობაში კი ოსპის თესვა-მოყვანაზე არაფერია ნათქვამი. ოსპის კულტურის საქართველოში XVII ს-შიც არსებობას ფ. გორგიჯანიძისა და აკად. ვიულდენშტედტის პატარა ლექსიკონებიც ამჟღავნებენ: პირველი მათგანი ოსპი სპარსული „ადას“-ისა და არაბული „დანჩა“-ს შესატყვისად ასახელებს. უეჭველია, „ადას“ იგივე ოსპის ებრაული სახელი „ადაშ იმ“ უნდა იყოს, რომელსაც არაბებიც ეხლაც ჰხმარობენ და მათგან სპარსელებსაც აქვთ ნახესხები (V. Hehn. *Kpf. u. Ht.*, 214). მეორე ავტორს ოსპი გერმანული *Linse*-ს შესატყვისად აღუნიშნავს. მისი არსებობის გარემოება ვახუშტსაც აქვს თავის საქართველოს გეოგრაფიაში დადასტურებული.

არსებობდა თუ არა ოსპის სხვადასხვა ჯიში ძველ საქართველოში, ამის შესახებ ჯერ არაერთი ცნობები არა ჩანს. ამის გამორკვევა შესაძლებელი იქმნებოდა, მსხვილმარცვლიანა და წვრილმარცვლიანა ოსპის თანამედროვე სახელები და არსებული ჯიშების შესახებ ცნობები რომ შეკრებილი იყოს, მაგრამ სამწუხაროთ ჯერ არც ეს გაგვიჩნია.

ლობიოს კულტურის საქართველოში შემოტანა-გავრცელებას, რა თქმა უნდა, ცერცვზე მეტად ოსპის გავრცელების არე უნდა შეეზღუდა, მაგრამ მაინც ლობიოს ვერც ოსპის მოსპობა შესძლებია. მის მოყვანას ქართველი მიწისმომემდი დღევანდლამდის მისდევს.

§ 3. ოსპის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში

თანამედროვე საქართველოში ოსპს თიანეთის თემში, არაგვისა და ქსნის ხეობაში, შიდა ქართლში და ჭავჭავთვში სთესენ, უფრო მაღლობ ადგილებში. საქართველოში უმთავრესად ოსპის წვრილმარცვლიანი ჯიშია (*ssp. microsperma*) გავრცელებული, რომლის მარცვლის დიამეტრი 3—5 მილიმეტრია (ლ. დეკარელევიჩი, *Мат. по изуч. новых Грзуин*, 137).

ოსპის მსხვილმარცვლიანი ჯიში (*ssp. macrosperma* Baum. Baroucl.) მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში, თიანეთის თემში, მოიპოვება (იხ. ლ. დეკარელევიჩი და ვ. მენაბდე, *К изуч. полевых культ. Зап. Грузин*, 1. Рача, 246, прим. 3).

რაქაში უფრო ერთფეროვანი ოსპია გავრცელებულია: პირისფერ-მარცვლიანი (*gilvus*). კონულ-პირისფერ-მარცვლიანი (*humid-gilvus*) და ნივლიანფერი (*avellaneus*). მკვრამ ქრელმარცვლიანი ჯიშების 2 სახეობაც მოიპოვება: აყურისფერი შავ-წინწკლიანი და ღია აყურისფერი (*светло умбровым цветом*) შავწინწკლიანი (ლ. დეკარელევიჩი და ვ. მენაბდე, *К изуч. полев. культур Зап. Грузин*, 1. Рача, 246).

ელ. ბარულიანას აღნიშნული აქვს, რომ თანამედროვე საქართველოში, ოსპის ნათესავის სიმცირისდა მიუხედავად, მისი ჯიშებრივი შედგენილობის მრავალფეროვანება უნებლიეთ დამკვირვებლის ყურადღებას იპყრობს. მისი სიტყვითაც უნეტეს ნაწილად წვრილმარცვლიანი ქვესახეობა (*subsp. microsperma*). საბუნებრივ აზიური ჯგუფი (*asiaticae*) სქარბობს. მაკვრამ, ვგონებ, ევროპული ჯიშებაც მოიპოვებათ (იხ. *Чечелуца СССР и других стран*, 185).

ანავე ავტორის ცნობით, იმ მასალების მიხედვით, რომელიც მას ზეჯთა ჰქვანია. საქართველოში ოსპის შემდეგი 7 ჯიში მოიპოვება: *violascens*, *persika*, *punctata*, *viridula*, იშვიათად *var. transcaucasica* და *brunnea* (თიანეთის თემში) და მსხვილმარცვლიან ჯიშთაგან შედარებით იშვიათად და უფრო წინარევის სახითაა *var. nummularia* (იქვე, 185). როგორც ზემოთყვანილი ცნობებითგან ჩანს, ოსპის მსხვილმარცვლიანი ჯიში თიანეთის თემშია გავრცელებული.

სხვა მარცვლეულთა მაგალითის მიხედვით, ძნელი დასაჯერებელია, რომ ოსპის ზემოდასახელებულ, თუ ყველა 7 ჯიშს არა, მათგან ყველაზე უფრო გავრცელებულ ჯიშებს მაინც ქართულად თავ-თავისი სახელი არა ჰქონოდათ. ამიტომ ხალხში შერჩენილი მათი თანამედროვე სახელების შეგროვება და ჩაწერა მორიგ საკითხად უნდა იქნეს მიჩნეული. ეს ცნობები რომ გვექონოდა, შესაძლებელია ზოგი რამე საგულისხმო აღმოჩენილიყო ოსპის ისტორიის შესასწავლად საქართველოში.

§ 4. თეთრი ოსპი

რაჭაში ოსპის ყველა ნათესში თურმე ცერცველა ყოფილა შეგებული. ცერცველას წმინდა, ცალკეული ნათესები იქ თურმე იშვიათად თუ შესვდება ადამიანს. რაჭაში უქთავრესად მსხვილმარცვლიანი თეთრი ცერცველა ყოფილა გავრცელებული, რომელსაც ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბლე *leucosperma* Ser-ის სახეობად სთვლიან. აღსანიშნავია, რომ რაჭველი მიწისმოქმედნი ამ თეთრმარცვლიან ცერცველას თურმე სრულებით ცერცველად არ სცნობენ. ამ მსხვილმარცვლულის ადგილობრივ სახელად თეთრი ოსპი იხმარება. ხალხი მას ადამიანის საქმელად ჰხმარობს. ჩვეულებრივ ცერცველას კი ღორებს აკმევენ (А. Декапрелевич и В. Менабле, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, 1. Раа, 3-16).

§ 5. ოსპის თანამედროვე კლასიფიკაცია და გავრცელების არე მსოფლიოში

ოსპი, მისი მარცვლულის სიდიდისდა მიხედვით, ორ მთავარ ჯგუფად იყოფა: ერთს მსხვილი მარცვალი (6—9 მმ დიამეტრი) აქვს და ანის გამო მსხვილმარცვლიანი ქვესახეობა, *Subspec macrosperma* Baumg. ეწოდება, — მეორე ჯგუფს კიდევ წვრილი (3—6 მმ დიამეტრი) მარცვლები აქვს და წვრილმარცვლიანი ქვესახეობა, *Ssp. microsperma* Baumg. ჰქვია. არსებობს საშუალო ქვესახეობაც, რომელსაც ელ. ბაბულინა შუალედს *intermediae*-ს უწოდებს (Чежевица СССР и других стран, 124—127).

ამჟამად მსხვილმარცვლიანი ოსპის გავრცელების არეს ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნები, ესპანეთი, პორტუგალია, იტალია თავისი კუნძულებით, საბერძნეთი, ევროპის ჩრდილო ნაწილი, ნაწილობრივ კავკასიაც და ჩრდილო აფრიკის სანაპირო, მაროკო, ალჟირი და ტუნისი შეადგენს (იქვე, გვ. 124—6 და 225). ხოლო წვრილმარცვლიანი ჯიშის ოსპი გავრცელებულია ინდოეთსა, ავღანისტანსა, ქიშმირში, სპარსეთში, კავკასიასა, აზაშეთსა და ერეთრეაში (იქვე, გვ. 126 და 225). კავკასიაში მსხვილმარცვლიანზე გაცილებით მეტად სწორედ წვრილმარცვლიანი ჯიშები მოიპოვება, წვრილმარცვლიანა სჭარბობს.

§ 6. ოსპის გავრცელების არე ძველად

ოსპი, *Lens esculenta* Moench, ეგვიპტეში XII დინასტიის მიცვალებულთათვის სამარხებში თან ჩატანებულ საქმელემა შორის აღმოჩნდა. ეს ოსპი ისეთსავე წვრილმარცვლიან ჯიშს ეკუთვნის, როგორსაც ეგვიპტეში ეხლაც სთქვენ. შლიმანმა ოსპი პოსარდიკის მხორე ქალაქის განათხარში იპოვა. ნეოლითის დანიასვე დიორივან ნაშენობებში და სხვაგან უნგრეთში, გერმანიასა, შვეიცარიასა და იტალიაში ნაპოვნია ოსპიც. ეს მარცვლულები ბევრჯან სხვა ადგილებშიც არის აღმოჩენილი. ყველა განათხარში ნაპოვნი ოსპის მარცვლები ამავე მცენარის თანამედროვე ჯიშების მარცვლებზე იმდენად მომცრთა, რომ ძველი ოსპი განსაკუთრებულ წვრილმარცვლიან (*var. microspermum*) სახეობად იქნა მიჩნეული (об. В. Hehn-ის Kpf. u. Ht., 220: ა. ცნგლევის აზრი).

§ 7. მეცნიერთა მოსაზრებანი ოსპის თავდაპირველი სამშობლოს შესახებ

A. Engler-ს აზრით, რაკი ევლური ოსპი გავრცელებულია ავღანისტანიდან ზოოლოგიური მცირე აზიამდე და თვით მცირე აზიაშიც მოიპოვება, ამიტომ კულტურული ოსპის პირვანდელი სამშობლოც იქვეა საგულისხმებელი: სწორედ იქ უნდა იყოს წარმოშობილი (იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Ht., 220).

ელ. ბარულინას ოსპის პირვანდელი სამშობლოს პრობლემა უხედად შეგროვილი მრავალფეროვანი მასალის მიხედვით ხელახლად აქვს განხილული. წვრილმარცვლიანი ოსპის *Lens esculenta*-ს პირველად ჯიშოვან ცენტრად და კულტურული ოსპის პირველ წარმომშობელად მას სამხრეთ-დასავლეთი აზია, სახელობრ, ჰინდიყუშსა და ჰიმალაებს შორის მდებარე მთიანეთი, მიაჩნია. მსხვილმარცვლიანას შესახებ ვერაფერი დაუსკვნია და ფიქრობს, რომ შესაძლებელია აქ ხელოვნურად ჰიბრიდაციით მიღებულ ჯიშებთან გვექონდეს საქმე (იხ. Чечевича, 227—228).

ამასთანავე, ოსპის ჯიშოვანი მრავალფეროვანობისა და ადგილობრივ სახეობათა არსებობის გამო იგივე მკვლევარი ამიერკავკასიას ისევე, როგორც მცირე აზიას, ასურეთსა, პალესტინას და ესპანეთს ოსპის კულტურის მეორად ცენტრად სთვლის (იხ. Чечевича, 230—232).

§ 8. ოსპის სამშობლოს პრობლემის გამორკვევის სიძნელე ისტორიული ცნობების გაუთვალისწინებლივ

პლინიუს სეკუნდუსს აღნიშნული აქვს, რომ მის დროს ეგვიპტეში ორგვარი ოსპი არსებობდა: ერთი ჩვეულებრივი იყო, მეორე კი უფრო მრგვალმარცვლიანი და უფრო მოშავო ყოფილა („*Lens...duo genera ejus in Aegypto, alterum rotundius nigriusque, alterum sua figura*“: *Natur. Hist., lib. XVIII, cap. 31*). ეგვიპტური ოსპი საუკეთესოდ ითვლებოდა და რომში ამ ჯიშის ოსპი იქითგან შეჰქონდათ ხოლმე. მაგრამ ვირგილიუსის ცნობით მის მოყვანას ნაწილობრივ თვით იტალიაშიც მისდევდნენ (იხ. Hugo Blümner, *Die Römische Privataltertümer*, 1911, 165).

დამახასიათებელია, რომ თანამედროვე ეგვიპტეში, ელ. ბარულინას სიტყვით, პირიქით ოსპის კულტურას ერთგვარობა ემჩნევა: იქ წვრილმარცვლიანი ჯიშის მოიხსრო სახეობა, *microsperma var. violascens*-ი არის თურმე გაბატონებული, ხოლო დაწინწკლული, *V. punctata* (*Minia*), სახეობა იშვიათია (იხ. Чечевича СССР и др. стран, 208). პლინიუსის ზემოთხსენილი ცნობითგან კი ირკვევა, რომ განთქმული ეგვიპტური ოსპი ან *grisea*, ან და უფრო *brunnea*, ან *nigra*-ს სახეობისა უნდა ყოფილიყო, რომელთაგან მეორე ამიერკავკასიასა და დასავლეთ ევროპაში, მესამე კი აბაშეთში, ავღანისტანსა და ინდოეთშია უფრო გავრცელებული (იხ. ელ. ბარულინა, Чечевича, 83).

ეს გარემოება ცხადად ამტკიცებს, რომ დროთა განმავლობაში ოსპის კულტურაში დიდი ცვლილება მომხდარა და წინანდელი, ძველი ჯიშების მაგიერ სრულებით სხვა ჯიშის ოსპის მოყვანა დაუწყიათ. უეჭველია, ეს იმ ისტორიულ ფაქტთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომ ეგვიპტეში არაბთა ბატონობის დროს მოსახლეობას ახალი ეროვნების, არაბების საგრძნობი ნაწილი შეერია,

რომელმაც ეგვიპტის კულტურული ვითარება სრულებით გარდაქმნა. ეს ერთი იმ გამაფრთხილებელი შემთხვევათაგანია, რომელიც ცხადყოფს, თუ რამდენად სახიფათოა მართო თანამედროვე ვითარებისა და ცნობების მიხედვით, ისტორიული ცნობების გაუთვალისწინებლივ, კულტურული და ეკონომიური ისტორიის საკითხებზე მსჯელობა და რამდენად ძნელია მართო ამ გზით წარსულის უტყუარი სურათის აღდგენა.

§ 9. ზოგადი მოსაზრება საქართველოში არსებული ოსპის ჭიშების შედარებითს ხნიერებაზე

როგორც განათხარი ნაშთებითგან ჩანს, უძველეს ხანაში სამხრეთ ევროპაშიც ოსპის წვრილმარცვლიანი ჭიში იყო გავრცელებული. როდის გაჩნდა ეს მსხვილმარცვლიანი ჭიში, არა ჩანს. თანამედროვე საქართველოში თუმცა მსხვილმარცვლიანი ჭიშის ოსპიც მოიპოვება, მაგრამ უმთავრესად წვრილმარცვლიანი ჭიშები სჭარბობენ, რომელნიც, უეჭველია, უძველესი კულტურის ნაშთად უნდა იყვნენ მიჩნეული. მსხვილმარცვლიანი ჭიში კი პირიქით შედარებით ახალს. მერმინდელ მონაპოვარს უნდა წარმოადგენდეს, რა თქმა უნდა, დასავლეთითგან შემოტანილს.

თავი IV. კნდური და კნდურანიანი

I. კნდური

§ 1. ძეგლებში დაცული ცნობები კნდურის შესახებ

„კნდური“-ს შესახებ, ს. ორბელიანის გარდა, არავის არაფერი მოეპოვება. ამ მარცვლელს თავისდროინდელ საქართველოში არც ვახუშტი იხსენიებს.

საბას კი თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს „კნდური“, რომელიც 2 მეფეთა 1718-ის დამოწმებით, მისი აზრით, „მსხვილი ცერცვი“-ს აღმნიშვნელი იყო. მაგრამ ამ ადვილას ამ სიტყვის მსგავსი არაფერია და დაბადებს ტექსტის შინაარსის მიხედვით არც შეიძლება რომ ყოფილიყო. საკმარისია აღამიანმა 2 მეფეთა 1728, რომელიც ზოგს თარგმანში სამუელისად ითვლება. ვადაიკოთხოს, რომ მისთვის ცხადი შეიქმნეს, რომ საბას ლექსიკონში სწორედ ეს უნდა ყოფილიყო დასახელებული და ზემომოყვანილ დამოწმებაში § 18-ის მაგიერ 28 ეწერებოდა.

მართალია, ბერძნულ თარგმანში სწერია მხოლოდ *καλαμινος* და *καλαμινος*. რის შესატყვისადაც ბაქარის გამოცემაშიც დაბეჭდილია „ცერცვი და ოსპი“, სომხურადაც ამგვარადვე მართო იგივე ორი ჰყენარეა დასახელებული, „*კალინს და იოსკან*“, მაგრამ ლათინურ თარგმანში ნათქვამია „*calbam et lentem et frixum cicer*“. ამგვარად, ამ მუხლში, ბერძნულ-ქართულ-სომხური გამოცემული ტექსტის ორის მაგიერად, სამი პარკოსანი მარცვლელია მოხსენებული. *frixum* დახილსა ჰნიშნავს, ხოლო *cicer* თვით იმ მარცვლელის სახელია, რომელიც ბაქარისეულ ხელთნაწერში ან და მის გამოცემაში გამოტოვებულია. იმ ხელთნაწერში კი, რომელიც ს. თრ-

ბელაიანს ჰგონია ხელთ, ეს მარცვლეული ქართული თარგმანის ამ მუხლშიც ყოფილა დასახელებული და, როგორც საბას ლექსიკონში დაცული ცნობითგან ჩანს, „წნდღური“ წერებულა.

მაგრამ ამ მარცვლეულის ამჟამად თითქოს უკვალოდ გამქრალი სახელი ვნდური მარტო დაბადების თარგმანში არ გვხვდება, არამედ შემდეგ საუკუნეებშიც ცოცხალი და XI ს-იც ყველასათვის გასაგები სიტყვა ყოფილა. იგი გ. მთაწმიდელის დად სენაქსარშია ორგან ნახმარი იმ დებულებებში, რომელსაც სათაურად წარწერილი აქვს „საქმელისათვის და სასმელთა ვითარობისა და რავდენობისა და სატრაპეზოხისა წესიერებისა“¹. დიდმარხვის შესახებ იქ ასეა განსაზღვრული: „ორშაბათსა და ოთხშაბათსა და პარასკევსა ჭამდენ ვნდურისა სირსულსა და მხალსა უმგებარსა და მწნილსა, თუ დახუდეს, და ცერცუსა დამბალსა. ხოლო სამშაბათსა და ხუთშაბათსა ცერცუსა, გინა მხალსა ნიგუშითა ზაგებულსა“. შემდეგ ნათქვამია: „დიდსა ვნებისა შვიდეულსა ორშაბათსა, სამშაბათსა და ოთხშაბათსა პურსა და ვნდურისა სირსულსა ჭამდიან. ხოლო დიდსა ხუთშაბათსა ზეთითა ზაგებულსა ორსა საქმელსა“-ო.

გ. მთაწმიდელის ამ დებულებითგან ჩანს, XI ს. ცერცვი და ვნდური ქართველ მონაზონთა მთავარი სამარხო საქმელი ყოფილა. ამ უკანასკნელი მარცვლეულისაგან, ეტყობა, უმთავრესად „სირსული“ უკეთებით.

§ 2. ვნდურის რაობა

არც რ. ერისთავს თავის საბუნებისმეტყველო ლექსიკონში, არც ლ. დეკაპრელევიჩს თავის მონოგრაფიაში „Материалы по изучению зерновых бобовых Грузии“ და არც ზ. ყანჩაველს თავის „ბოტანიკა“-ში ვნდურის ხსენებაც კი არ მოეპოვებათ. ერისთავსა და ყანჩაველს არც cicer-ის ქართული შესატყვისობა აქვთ მოყვანილი ლ. დეკაპრელევიჩს კი მხოლოდ *Cicer arietinum* L. აქვს მოხსენებული. რომლის ქართულ შესატყვისობად „მუხუღო“ არის დასახელებული (იხ. ტფ. ბოტან. ბალის მეცნ.-გამოყ. განყ. ნაწერები, V, 136).

მაგრამ დაბადების ქალ თარგმანში ნახმარი „ვნდური“ cicer, რასაკვირველია, შეუქლებელია რომ მუხუღო ყოფილიყო. ს. ორბელიანსაც „ვნდური“ მსხვილ ცერცვად აქვს განმარტებული, რაც მუხუღოს სრულებით არ უდგება. რ. ერისთავსაც მუხუღოს ერთ სახელთაგანად „ბარდა-ცერცვი“ აქვს აღნიშნული (იხ. გვ. 40, § 590). მუხუღოს, ბარდა-ცერცვისა და ერევიანდის ლათინურ ბოტანიკურ შესატყვისობად რ. ერისთავს აღუნიშნავს *Lathyrus sativus* L., ხოლო რუსულად горох немецкий (იხ. ლექს., გვ. 40, § 590).

ლ. დეკაპრელევიჩი კი „მუხუღო“-ს *Cicer arietinum* L.-დ სთვლის, ხოლო *Lathyrus sativus* L.-ს ქართულ შესატყვისობად „ცულის პირა“-ს ასახელებს (იხ. Mat. по изуч. зерновых бобовых Грузии, ტფ. ბოტან. ბალის მეცნ.-განყ. ნაწერები, V, 135 და 137), რაც სრულ ჭეშმარიტებას წარმოადგენს.

ამგვარად, cicer-ის ძველი ქართული შესატყვისობა აქამომდე ცნობილი არ არის. უკვე დაბადების ქართული თარგმანის ზემოდასახელებული ადგილითგან გა-

¹ გ. მთაწმიდელის ამ საგულისხმო ნაშრომის გარდმონაწერი პ. ინგოროყვამ გადმოძვა ჩემთვის საჭირო ცნობების ამოსაკრებად, რისთვისაც გულითად მადლობას მოვახსენებ.

მდიორობა, როგორც დაერწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 32), რომ „ჰნდური“ ძველ ქართულში ლათინური *cicer*-ის შესატყვისობა ყოფილა.

ხოლო V. Hehn-ის განმარტებით ლათინური *cicer* უდრის იტალიანურ *cece*-ს, გერმ. *Kicher*-სა და ფრანგ. *chiche*-ს (Kpf. u. Ht., 215). რუსები *cicer*-ის აღსანიშნავად *овечий горох*-ს ჰხმარობენ. ამისდა მიხედვით რუს.: XVII საუკუნის დეკანოზის აღწერილობაში დასახელებული *горох* ჰნდურად უნდა ვიგულისხმოდ და ვთარგმნოდ.

II. ბარდა და ნეცინ ლეღარ

§ 1. ცნობები ბარდაზე და მის რაობაზე

გარკვეული ხანითგან, რომლის დროის განსაზღვრისათვის ჯერ კიდევ დაწვრილობითი კვლევა-ძიება საჭიროა, „ჰნდური“, ვითარცა მცენარეულობის სახელი, ქრება. ამიტომ მის მაგიერ სხვა ზოგადი სახელი უნდა გაჩენილიყო. მართლაც, აკად. გიულდენშტედტის ჩანაწერებითგან ჩანს, რომ წერილი *Pisum*-ის, ანუ, როგორც მას გერმანულად აღნიშნული აქვს, „*Kleine Erbsen*“-ის ქართულ სახელად, XVIII ს. დამლევს მაინც „თეთრი ბარდა“ ყოფილა მიუღებელი (იხ. აქვე, გვ. 19). ამასვე ადასტურებს იოანე ბატონიშვილისაგან შედგენილი რუსულ-ქართული ლექსიკონი, რომელშიც რუსული *горох*-ის გვერდით ჯერ სწერია „მრგვალი მუხუდა (*sic!*) რუსული“, შემდეგ ეს სიტყვები გადახაზულია და სწერია „ბარდა“ (იხ. საქ. მუხეუმის ხელთნ. № 3328). ლ. დეკაპრელევიჩის თანამედროვე ცნობაც ამავე შესატყვისობას გვაძლევს, რომლის მიხედვითაც *Pisum*-ის ორივე სახეობა, შინაურიცა და ველურიც, „ბარდა“-დ იწოდება.

უცნაურია, რომ არც ს. ორბელიანს და არც ფ. გორგიჯანიძეს სიტყვა „ბარდა“ არ მოეპოვებათ.

მაგრამ „ბარდა“-ს რაობის ზემომოყვანილ განსაზღვრას ნაწილობრივ თითქოს აკად. გიულდენშტედტის ჩანაწერის ერთი ცნობა ეწინააღმდეგება, რათგან მას მსხვილი *Pisum*-ის „*Grosse Erbsen*“-ის იმდროინდელ ქართულ სახელად „თეთრი ლობიო“ აქვს აღნიშნული (აქვე, გვ. 18), ისევე როგორც რ. ერისთავის ცნობაც, რომლის ლექსიკონის მიხედვით *Pisum sativum* L., რუსულ *горох*-ს, ქართულად, სახელდობრ გურიაში, თურქე „ოქროს ცერცვა“ ეწოდება (იხ. გვ. 45, § 654).

საგულისხმოა, რომ ამავე ავტორს მუხუდას ერთ-ერთ სახელად „ბარდა-ცერცვა“ აქვს ჩაწერილი (გვ. 40, § 590). ისე გამოდის, თითქოს ქართულში *Vicia faba*-სა და *Pisum*-ისათვის ერთი სახელი ყოფილიყოს, ანდა *Pisum*-ს, ანუ ჰნდურს, თუ ბარდას ხალხი ცერცვისაგან ვერ არჩევდეს.

ეს ერთი შეხედვით უცნაური გარემოება იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ როდესაც *Cicer*-ისა და *Pisum*-ისათვის არსებული ძველი ზოგადი სახელი „ჰნდური“ გაქრა, ქართულს ჰარკვეულთა ამ გვუფისათვის ზოგადი სახელი აღარ გააჩნდა, სანამ „ბარდა“ არ განმტკიცდა. ამის შემდგომაც მართა „ბარდა“ ხალხს, როგორც ეტყობა, საკმაოდ მკაფიო სახელად არ მიაჩნდა. ამიტომ განსასხვავებლად ცერცვს უმატებს და ჰხმარობს „ბარდა-ცერცვა“-ს, ანდა „ოქროს ცერცვა“-ს, რომ ამ მარცვლეულის ფერის აღმნიშვნელი „ოქროს“ დართვით ცხადჰყოს, რომ ის ნამდვილი ცერცვი არ არის, რომ ის ბარდაა.

როგორც ვიულდენშტედტის ჩანაწერებითგან, ისევე იოანე ბატონიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონითგან ჩანს, რომ XVIII ს. მეორე ნახევრითგან მაინც ვნდურის მაგიერ ზოგად სახელად ბარდა ქცეულა.

§ 2. სვანური ნეცინ ლედარ-ის რაობა

მაგრამ, თუ *Pisum arvense* L.-ს ქართულ სახელად ლ. დეკაპრელევიჩს „ბარდა“ აქვს აღნიშნული, სვანურ სახელად „ნეცინხედარ“-ი („Нечинхедар“) უწერია. ნამდვილად კი ეს სვანური სახელი ორ ცალკეულ სიტყვად უნდა დაიწეროს, რათაგან აქ ორი სიტყვაა: „ნეცინ“, რომელიც წვრილსა ვნიშნავს, და „ლედარ“, რომელიც ეხლა სვანურად ცერცვისაცა და ბარდას აღსანიშნავდაც იხმარება. ამგვარად „ნეცინ-ლედარ“ სვანურად თითქოს „წვრილ ცერცვს“ უნდა ვნიშნავდეს. მაგრამ საფიქრებელია, როგორც თავის ადგილას აღნიშნული იქმნება, რომ „ლედარ“ თავდაპირველად იგივე „ვნდური“ უნდა ყოფილიყო.

ასეთი მნიშვნელობა ამ სიტყვას, ივ. ნიჟარაძის ლექსიკონის მიხედვით, თანამედროვე სვანურშიც ჰქონია დაცული: მას რუსული город-ის შესატყვისადაც სწორედ „ლედარ“-ი აქვს აღნიშნული. ამგვარად, სვანური „ნეცინ-ლედარ“ იმასვე ვნიშნავს, რასაც ქართული სახელი, „წვრილ ბარდა“-ს ანუ ვნდურს.

§ 3. „ბარდა“-ს სადაურობა და ძირითადი მნიშვნელობა

გამოსარკვევია, თუ სადაურია სახელი „ბარდა“, ან რას უნდა ვნიშნავდეს? „ბარდა“ ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს, მაგრამ მნიშვნელობის სიტყვიერად განუმარტავად. ამის მაგიერ მას გვერდით ხის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი დაუსვამს. შემდეგ ზემოდასახელებულ სიტყვას მისდევს მისგანვე ნაწარმოები „ბარდნალი“, რომლის განსამარტავად უწერია „ბარდებზირი“-ო. დასასრულ, საბას მოეპოვება „შებარდული“, რომელიც „ბარდით შეფარული“ ყოფილა (ლექსიკ.).

მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ ს. ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტება იმდენად მკაფიო არ არის, რომ ბარდის ძირითადი მნიშვნელობის ზედმიწევნით გამორკვევა შეიძლებოდეს. მაგრამ ხალხში ეს სიტყვა ეხლაც იხმარება და ბარდი ტყესა და ბუჩქნარში წვრილ მხვიარა და განრთხმულ-გადახლართულ ბუჩქ-ხესა ვნიშნავს.

ეს სიტყვა მეგრულსა და ჰანურშიც არსებობს: მეგრულად „ბარდი“, „ბარდივი“, ანდა „ბარდონი“ კვრინჩხის ბუჩქსა და ხშირს, გაუვალ ტყესა ვნიშნავს (მ. გ.), ხოლო ჰანურად ზვინს, სასუქად განკუთვნილ გვიმრის ზვინსა ვნიშნავს (ვ. გ.).

ამგვარად, ზემომოყვანილის მიხედვით „ბარდი“ მცენარის მიწაზე და გვერდებზე გართხმა-გადახლართულობის აღმნიშვნელი ყოფილა.

„ბარდა“-ც, *Pisum*, სწორედ ასეთივე თვისების მცენარეა: იგი პატარა, მაგრამ ყოველმხრივ განრთხმულ-გადახლართულ ბუჩქს წარმოადგენს. სწორედ ამიტომვე უნდა იყოს, რომ ქართველ მიწისმოქმედს ამ პარკოსანისათვის ასეთი სახელი დაურქმევია. მაშასადამე, „ბარდა“ ამ მარცვლეულის *Pisum*-ის ქართული სახელია, ამ მცენარის მორფოლოგიური თვისებურების გამომხატველი.

§ 4. ბარდას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში

„ბარდა“ კულტურული, *Pisum sativum* L., საქართველოში შიდა ქართლში, ჭავჭავთში, წალკასა და ქსნისა და არაგვის ხეობაშია გავრცელებული და მეზინდერობის კულტურად თითქმის განსაკუთრებით მთიანეთის ზოლში გვხვდება 3500—4000 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონითგან. დაბლობ ადგილებში მხოლოდ ცოტა-ცოტა მოჰყავთ ბაღ-ბოსტნებში. დასავლეთ საქართველოში ბარდას ადრეულ გაზაფხულზე მწვანე მარცვლეულის მოსაყვანად შემოდგომის ნათესებსაც მისდევენ.

წვრილი, ანუ ველური ბარდა, *Pisum arvense* L.-ეც უმთავრესად მაღალი ზოლის მცენარეა. გავრცელებულია თრიალეთში, ჭავჭავთში. დასავლეთ საქართველოშიც, მაგრამ იქ სიზინდთან ერთად ითესება ხოლმე. ასეთ წესს ნეტადრე რაქაში მისდევენ. ყველაზე უხვად ეს მცენარე ჭავჭავთში გვხვდება, სადაც მიაი ბევრი სხვადასხვა სახეობა მოიპოვება. ამასთანავე აქ იგი ველურადაც არის გავრცელებული.

გარეულ ბარდას საქართველოში უფრო საქონლის საკვებად ჰმზადებენ, მაგრამ აქა-იქ აღამიანის საჰმელადაც არის მიღებული (ლ. დეკაპრელევიჩი. *Мат. по изуч. бобовых Грузии*, გვ. 136—137).

§ 5. ბარდას გავრცელების არე ძველსა და თანამედროვე მსოფლიოში

Pisum sativum-ის მრგვალმარცვლიანი ჯიშის თესლი შვეიცარიისა და საფრანგეთის ქვისა და ბრინჯაოს ხანის დიროვან ნაშენობებშია ნაპოვნი, უნგრეთშიც. მხოლოდ მაშინ ამ მცენარის მარცვლი ეხლანდელზე უფრო წვრილი ყოფილა და წვრილმარცვლიანი ჯიში რომაელების ხანამდე შერჩენილა, გერმანიაში სლავთა დრომდისაც კი. შლიმანმა და ვირხოვმა ეს მარცვლეული ტროას განათხარშიც აღმოაჩინეს (ენგლერი, *об. V. Hehn-ის Kpf. u. Ht.*, 219—220).

გარეული, ანუ წვრილი ბარდა, *Pisum arvense* L., დამელსაც კუთხვანის და დარეჩინისფერი და მუქი მწვანე მარცვლები აქვს, არც დიროვან ნაშენობებსა და ანც სამარხებში აღმოჩენილი არ არის. Unger-ს თითქოს V დინასტიის ეგვიპტის ერთ-ერთ ნაშთში უნდა ჰქონდეს ნაპოვნი. ამჟამად მის მოყვანას აღმოსავლეთშიაც და ევროპაშიაც მისდევენ (იქვე, გვ. 220).

გარეული, წვრილი ბარდა ველურად ჩრდილოეთ და შიდა იტალიის მთა ადგილებში მოიპოვება, საბერძნეთსა და ასურეთში კი, თუ კულტურული არ არის, გაველურებულია ხოლმე. პლინიუსს აღწერილი აქვს (18, 123 და შემდ.) გარეული ბარდას მარცვლის კუთხვანი და უსწორმასწორო მოყვანილობა და ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ გარეული ბარდას მოყვანას რომაელებიც მისდევდნ.

რაკი არქეოლოგიური ნაშთების მიხედვით Buschan-მა გამთარკვია, რამ ამ მცენარის მარცვლი, თავდაპირველად პატარა, შემდეგ თანდათან დიდდება, ამიტომ ენგლერი ფიქრობს, რომ კულტურული ბარდა ალბათ ველუფრისაგან უნდა იყოს წარმომდგარი (იქვე, 220).

III. მუხულო და ერეინდი

§ 1. ცნობები მუხულოზე

პირველად ამ მარცვლეულის სახელი „სააქიმო წიგნის“ ხოჯაყოფილის XIII ს. დამდგვის ქართული თარგმანში მოიპოვება, სადაც მას „მუხულო“ ეწოდება (ხელთნ., გვ. 79, 124, 141). შემდგომ-დროინდელ ძეგლებში უკვე „მუხულო“ ჩნდება. ამ სახით „მუხულო“, მაგ., XIV ს. პირველი ნახევრის ძეგლში „ქელმწიფის კარის გარიგება“-ში გვხვდება (გვ. 5, § 13, სტრ. 98). მაგრამ აქ იგი დასახელებულია როგორც ჩვეულებრივი მარცვლეული. იქ სახელდობრ ნათქვამია, „მეჯამეთ-უხუცესისა კელისა არის: ნიგოზი, ზეთი, საწებელი, მუხულო, წველა, მეკირე, კმელი თევზი, ტყემალი, მუხულო“ და სხვადა. ცხადია, რომ „მუხულო“ საქართველოში XIII ს-ზე უწინარეს ხანაში უნდა იყოს გაჩენილი.

§ 2. მუხულოს სადაურობა და რაობა

საბამაც იცოდა, რომ მუხულო უცხო სიტყვა და სახელი იყო: „მუხულო ქართული არ არის, ერეინდი ჰქვიან“ ქართულად, ნათქვამია აქვს მას თავის ლექსიკონში. სამწუხაროდ არა ჩანს, თუ რა წყაროზე აქვს ორბელიანს ეს თავისი დებულება დაყარებული, წერილობითზე, თუ ზეპირზე? მაგრამ, უეჭველია, ამ მარცვლეულის კულტურა შედარებით გვიან უნდა იყოს ჩვენში შემოსული და თვით სახელი მართლაც ქართული არ არის, არამედ სპარსული „ნუხუდ“-ისაგან არის წარმომდგარი თავკიდური „ნ“-ს „მ“-დ შენაცვლების წყალობით. სპარსულად „ნუხუდ“, ან მუჰუდ იმ მარცვლეულის სახელი არის, რომელსაც ფრანგულად Pois chiche, გერმ. Kichererbse ეწოდება (იხ. Zenker-ის თურქულ-არაბულ-სპარსული ლექსიკონი). ამ მარცვლეულის რუსული სახელი Hyt სპარსული სახელისგანვე უნდა იყოს წარმომდგარი.

რ. ერისთავის ცნობით „მუხულო“ იმიერ-ამიერ საქართველოს ყველა თემშია სახელად მიღებული, მაგრამ ამასთანავე აღმოსავლეთ საქართველოში ამ მარცვლეულის სახელად „ბარდა-ცერცივი“ და „ერეინდი“-ც აქვს დასახელებული (იხ. ლექსიკ., გვ. 40, § 590).

§ 3. ერეინდის სადაურობა და რაობა

ტერმინი „ერეინდი“ რ. ერისთავს, რასაკვირველია, საბას ლექსიკონითგან აქვს ამოღებული, სადაც ნათქვამია: „ერეინდი (ერეინდი A) მუხულო“ არის². სახელოვან ლექსიკოგრაფს მუხულოს ქართულ სახელად სწორედ „ერეინდი“ მიუჩნევია (იხ. მუხულოს ქვეშე, სადაც „ერეინდი“-ა დაბეჭდილი). მაგრამ ისევე, როგორც „მუხულო ქართული არ არის“, არც „ერეინდი“-ა ქართული.

² ბრლუ. ე. ვიფშიძისა და ბრლუ. აკ. შანშიძის გამოცემაში უპირატესობა „ერეინდი“-ს წანაიფის აქვს მინიჭებული, მაგრამ „ერეინდი“-ა სწორე.

„ერეინდი“, უეჰველია, ბერძნულ $\xi\rho\acute{\alpha}\nu\iota\omicron\mu\iota\varsigma$; „ერებინთოს“-ი, ანუ საშუალო სიუჟენების ბიზანტიური და ახალი ბერძნული გამოთქმით „ერეინთი“-ა.

ეს მარცვლელი უკვე ჰომიროსს მოეპოვება თავის თხზულებაში, მაგრამ ამ სახელის რეალური მნიშვნელობის განსაზღვრა მისი ცნობის მიხედვით შეუძლებელია. თეოფრასტეს ერთი დახასიათების თანახმად კი ვიქტორ ჰენი ფიქრობდა, რომ „ერებინთოს“-ად უეჰველად Kichererbse უნდა იგულისხმებოდეს (Kpf. u. Ht., 215). ო. შრადერ-ს კი ერებინთოსა და Cicer arietinum-ის. ანუ მუხულოს იგივეობის საკითხი ჯერ მთლად გამორკვეულად არ მიაჩნია (იქვე, გვ. 222). თუ ვ. ჰენი არ სცდება, მაშინ, მაშასადამე, „ერეინდი“- ლათინურ cicer-ის შესატყვისობა ყოფილა. ხოლო რაკი დაბადების ქლი თარგმანის თანახმად ლათინური cicer-ი ქართულ „ნდურ“-ს უდრიდა, თავის წხრით „მუხულო“-ც, როგორც დავრწმუნდით, იგივე Kichererbse არის, ირკვევა, რომ ს. ორბელიანი მართალი ყოფილა, როდესაც მუხულო და ერეინდი სინონიმებად მიუჩნევია.

ს. ორბელიანი მხოლოდ იმ მხრივ სცდებოდა, რომ ერეინდი ქართული სახელი ეგონა: როგორც დავრწმუნდით, ეს სახელწოდება ბერძნულია.

დანამდვილებით შესაძლებელია ითქვას, რომ „ერეინდი“ ძველი შენაძენი არ უნდა იყოს ქართულში, არამედ VIII ს. შემდგომ იქმნება შეთვისებული. ეს სახელი რომ ამაზე უფინარეს შემოსულიყო, მაშინ უეჰველია „ერებინთი“ გვექნებოდა (ბერძნული „ბეტა“-ს ქართულ შესატყვისობათა „ბ“ და „ვ“-ს ქრონოლოგიური განსაზღვრა იხ. პროფ. ს. ყაუხჩიშვილის გამოკვლევაში „გიორგი ამარტოლის ქართული თარგმანი“, გვ. 73).

თვით $\xi\rho\acute{\alpha}\nu\iota\omicron\mu\iota\varsigma$; „ერებინთოს“-ი, რომელთანაც დაკავშირებულია ლათინ. *er-vom*, ძველი გერმ. *arawiz araweiz*, ახალი გერმ. *Erbse* და სხ., ბერძნულ სიტყვად არ ითვლება. მასაც ის „ნთოს“ ბოლოსართი ახლავს, რომელიც მცენარეულადაც არა ერთ სახელს, როგორც მაგ. „აფსინთონ“-ს, აბზინდას, ლებინთოს, ოდლონ-თოს, ტერებინთოს, ჰვაკინთოს-სა და სხვასაც აქვს. ხოლო Kretschmer-მა და სხვებმაც გამოარკვიეს, რომ ეს ბოლოსართი და ასეთი ბოლოსართიანი სიტყვები ბერძნული არ არის, არამედ ბერძნულს მცირე აზიაში, პონტოს ზღვის არემი მცხოვრებ რომელიღაც ერის ენითგან უნდა ჰქონდეს შეთვისებული ამიტომ თვით ბერძნულის „ერებინთოს“-ი სწორედ საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნითგან აქვს ნასესხები და უკვე V. Hehn ამტკიცებდა, რომ ამ მარცვლელის სამშობლო უნდა შავი ზღვის სანაპიროებზე ვეჩიოთ (იხ. Kpf. u. Ht., 215—216, რ. შრადერის აზრი იქვე, გვ. 221, Em. Boisacq, Dictionnaire étym. de la langue grecque, 273).

ყველა ამ გარემოების გამო, შესაძლებელია ადამიანს „ერეინდის“ ქართულში ნასესხობაზე ეკვი შეჰპარვოდა მით უმეტეს, რომ ს. ორბელიანსაც ეს სიტყვა ქართულად მიუჩნევია. ეგების ერეინდი ამ პარკოსანის მართლაც ადგილობრივი, ძველი ქართული სახელი იყო? უნდა ითქვას, რომ „ნთო“ ბოლოსართიანი სახელების სამშობლოს საკითხი საყურადღებო პრობლემაა, მაგრამ ამას განსაკუთრებული განხილვა სჭირდება. კერძოდ, ამ მარცვლელის სახელი რომ „ერებინთი“ ყოფილიყო ქართულშიც და მისთვის რაიმე დამაჯერებელი ეტიმოლოგია გვექონოდა, რა თქმა უნდა, მის ნასესხობაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაგრამ ამის მაგიერ „ერეინდი“ გვაქვს, ე. ი. „ბ“-ს „ვ“-ად შენა-

ცვლებული ფორმა, რომელიც ასე დამახასიათებელია ძველი და საშუალო საუკუნეების ბერძნული ენისათვის. რაკი ამასთანავე „ერევინი“-სათვის არავითარი ქართული ეტიმოლოგიური განმარტების წამოყენება არ შეგვიძლია, ამის გამო ეს სიტყვა საშუალო ბერძნულითგან ნასესხებად უნდა ვიცნათ.

§ 4. „ერევინი“-სა და „მუხუდო“-ს სახელების ქართულში შეთვისებულობის შესაძლებელი მიზეზი

„ვნდური“-ს მნიშვნელობის გამორკვევის დროს ცხადი შეიქმნა, რომ cicer-ის ქართული ზოგადი სახელი უძველეს ხანაში სწორედ ეს სახელწოდება ყოფილა. ეხლა კიდევ დავრწმუნდით, რომ cicer-ის, ანუ ვნდურის ერთი ჯიშთაგანი, cicer arietinum ჯერ ბერძნულითგან შეთვისებულ ერევინდად იწოდებოდა, ხოლო შემდეგ სპარსეთითგან შეთვისებულ „მუხუდო“-დ. ამ მარცვლეულის ახალი სახელის შემოხიზნვა გვაფიქრებინებს, რომ სახელთან ერთად შესაძლებელია ამ მცენარის რომელიმე ახალი სახეობა იყოს საქართველოში შემოტანილი.

§ 5. მუხუდოს ძველ საქართველოში გავრცელების ინტენსივობა

„მუხუდო“ საქართველოში სამარხო საჭმელების ერთი მარცვლეული მასალათაგანი ყოფილა და „ხელმწიფის კარის გარიგება“-ში, უეჭველია, ამავე დანიშნულებით უნდა იყოს მოხსენებული. ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ“-ში ხომ ეს პირდაპირ ნათქვამია კიდევაც (91, § რეე).

ვახუშტი კი საქართველოში მის დროს გავრცელებულ მარცვლეულთა სიის თავში სწორედ მუხუდოს ასახელებს. ეს გარემოება, შესაძლებელია, მისი მაშინდელი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამომჟღავნებელი იყოს.

დასასრულ, ეგების რუსი დესპანის ტოლოჩანოვის იმერეთის 1660—62 წ. აღწერილობაში მოხსენებული „горох грузинский“, „ქართული ვნდური“, რომელიც ბოსტნებში უთესიათ, აგრეთვე მუხუდოს ჰგულისხმობდეს? თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ აქ მუხუდოს კულტურის XVII ს. ლიხთიმერეთში არსებობის დამადასტურებელი პირველი გარკვეული ცნობა გვექმნებოდა.

§ 6. მუხუდოს გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში

მუხუდოს თანამედროვე საქართველოშიც, როგორც აღმოსავლეთში, ისევე დასავლეთშიც სთესენ, მაგრამ მისი ნათესების არე მაინც ამერეთში სჭარბობს. ხოლო ყველაზე მეტად მუხუდო ბორჩალოსა და ყარაიაში მოჰყავთ.

მუხუდოს გავრცელების ასწვრივი საზღვარი ლობიოსას უდგება. ვ. მენაბდის დაკვირვებით, მუხუდოს კულტურის უუმალეს არედ ერწოს ველი უნდა იქმნეს მიჩნეული, რომელიც 3200 ფუტის სიმაღლეზეა ზღვის დონითგან (ლ. დეკარელევიჩი, Мат. по изуч. ботаных Грузии, 136).

იმიერ საქართველოს ყველა თემზე მეტად ამჟამად მუხუდოს მოყვანას რაჟა მისდევს, სადაც ამ მარცვლეულს პარკოსანთა კულტურაში სამეურნეო მნიშვნელობით მეორე ადგილი უკავია. აქ მუხუდოს მოყვანას მხოლოდ 800—

850 მეტრის სიმაღლემდე მისდევნ ზღვის დონითგან, რათგან ამაზე უფრო მაღლა მარტო ხანგრძლივ და ცხელ ზაფხულიან წლებში ასწრებს ხოლმე დამწიფებას. რაჭაში უმთავრესად მუხუდოს შუათანამარცვლიანი ჯიშებია გავრცელებული, მსხვილმარცვლიანა და წვრილმარცვლიანა ჯიშები კი მეტად იშვიათია (იხ. ლ. დეკარელევიჩი და ვ. მენაბდე, К изуч. пол. культ. Зап. Грузии, I. Рача, 242).

§ 7. მუხუდოს ჯიშები საქართველოში

ლ. დეკარელევიჩის სიტყვით, საქართველოში უფრო ხშირად თეთრყვავილიანი და ყვითელმარცვლიანი ხუთკუთხედიანი მოყვანილობის (*V. album* Alef.) მუხუდო მთკყავთ (Mat. по изуч. дншových Грузии, 136). რაჭაშიც მუხუდოს თეთრმარცვლიანი, ყველგან საუკეთესოდ მიჩნეული. ჯიშები სქარპობენ: აქ არსებულ 24 ჯიშისაგან 8 ჯიში სწორედ ამ ფერისაა, მათგან ორი *ochroleucus* (*V. album* Al. და *ochroleucus* *V. globosum* Al.) ყველაზე უფროა გავრცელებული—3 წაბლისფერმარცვლიანი ჯიშია, 4 აგურისფერი ჯიშია, 3 შავმარცვლიანი ჯიშია, 1 წითელღვინისფერმარცვლიანია, ხოლო დანარჩენი ჯიშები კრელებია (ლ. დეკარელევიჩი და მენაბდე, К изуч. пол. культ. Западной Грузии, I, Рача, 242—243).

რ. ერისთავის ლექსიკონში მოქცეული ცნობითგან კი ირკვევა, რომ საქართველოში მუხუდოს სამი ჯიში ყოფილა, რომლებსათვისაც ქართველ მიწისმოქმედს განსაკუთრებული ყურადღება მიუქცევია და რომელთათვის განკუთვნილი საკუთარი სახელებიც კი შეუქმნია, ორი მათგანი ფერით განირჩევა და ამის გამო ერთს „თეთრი მუხუდო“ ეწოდება, მეორეს „წითელი მუხუდო“ ჰქვია. მესამე ჯიში, როგორც ეტყობა, თავისი მოყვანილობით განსხვავდება და ამიტომვე „გოგრა მუხუდო“ უნდა ეწოდებოდეს (ეს სახელები იხ. რ. ერისთავის ლექსიკ., გვ. 41, § 590).

სამწუხაროდ, არც ლ. დეკარელევიჩისა და ვლ. მენაბდეს მიუქცევიათ მუხუდოს სხვადასხვა ჯიშათვის არსებული ქართული სახელებისათვის ყურადღება და რ. ერისთავის ლექსიკონშიც არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, თუ რომელი ამ სამი ჯიშთაგანი რომელ ბოტანიკურ სახეობას წარმოადგენს, სად და რამდენად არის გავრცელებული, რომ ამისდა მიხედვით და სხვა გარემოებათა გათვალისწინებით შესაძლებელი გამხდარიყო მათი შედარებითი ხნიერებისა და სადაურობის საკითხის წამოყენება და გამოკვლევა.

რაქის მუხუდოს ჯიშების მიხედვით საუიქრებელი ხდება მხოლოდ, რომ „თეთრი მუხუდო“ უნდა ყველაზე გავრცელებულს *V. album* Al. უდრიდეს, „წითელი მუხუდო“ *V. vinosus*-ის სახელს თუ წარმოადგენს. ხოლო რომელი იმ 7 რაჭაში ცნობილ მრგვალმარცვლიანა ჯიშთაგანი იწოდება „გოგრა მუხუდო“-დ, ამის გამოკვლევა მხოლოდ ადგილობრივ შეიძლება.

§ 8. მუხუდოს თეთრი და ფერადი ჯიშების ქიმიური შედგენილობის განსხვავება

აღსანიშნავია, რომ თეთრი მუხუდოსა და ფერადი მუხუდოების ჯიშები, სახელდობრ წითელი და შავი მუხუდო, ერთმანეთისაგან თავიანთი ქიმიური შედგენილობითაც განსხვავდებიან. თეთრ მუხუდოს წითელსა და შავ მუხუდო-

ზე მეტი ცხიმოვანი ნივთიერება აქვს და, თუ მსხვილმარცვლიან თეთრ მუხუდოს ცხიმი 5,1 გააჩნია და შუათანამარცვლიანს 4,9, წითელ და შავ მუხუდოს ცხიმი მხოლოდ 3,9 მოეპოვება. სამაგიეროდ თეთრ მუხუდოს ცილოვანი ნივთიერება ფერად მუხუდოებზე ნაკლები აქვს: მსხვილმარცვლიანს თეთრ მუხუდოს 24,4,— ხოლო შუათანამარცვლიანს 24,6,— წითელ მუხუდოს კი ცილოვანი ნივთიერება 25,1 აქვს და შავს 25,0 (К. Прозорова, Нут., 18).

§ 9. მუხუდოს გავრცელების არე ძველ მსოფლიოში

კ. პროზოროვას სპეციალურ მონოგრაფიაში მუხუდოს შესახებ ნათქვამი აქვს, რომ ეს მარცვლეული უუძველეს ხანაშივე იყო ცნობილი, მის მოყვანას ძველი არიელებიც მისდევდნენ, რომელთაც მისი სახელი კულტურასთან ერთად ინდოეთში შეიტანესო, რომ მუხუდოს ძველ საბერძნეთშიც სთესდნენ, რომ რომაელები ამ მარცვლეულს ღვთაება ვენერის თაყვანისსაცემელ სარწმუნოებრივ მღვდელმსახურების დროსაც ჰხმარობდნენ, რომ ეგვიპტელებს მუხუდოს 15 ჯიში ჰქონდათ, აღმოსავლეთ აზიითგან სპარსეთისა და საბერძნეთის გზით აფრიკაში შეტანილი (იხ. К. Г. Прозорова, Нут. Изд. Всесоюз. Инст. Прикл. Ботаники и Новых Культур. Ленинград, 1927г., с. 3—4). ავტორს არავითარი, ამ ცნობების დამადასტურებელი, წყაროები, ან ერთი წყარო მაინც დასახელებული არა აქვს. ამიტომ ზემომოყვანილი ვრცელი მონათხრობის სისწორის შემოწმება შეუძლებელია.

ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერისა და ენის პალეონტოლოგიის მკვლევარის Otto Schrader-ის ქვემომოყვანილი გარკვეული დებულება კ. პროზოროვას ცნობას სრულებით საეჭვოდა ჰხდის.

O. Schrader-ის სიტყვით, *cicer arietinum*-ი, ანუ მუხუდო უუძველეს განათხარის ნაშთებში არა ჩანს. პირველი სრულებით, გარკვეული ცნობა ამ მარცვლეულზე *Columella*-ს მოეპოვებაო (იხ. Kpf. u. Ht., 222). მართლაც მას ნათქვამი აქვს „*cicer quod arietinum vocatur*“, „ვნდური, რომელიც არიეტინუმად (ე. ი. ცხვრისად) იწოდება და პუნური (ე. ი. კართაგენური) ვნდური უნდა ნოყიერ მიწაში მარტში, ავღრიან დარში დაითესოს. ეს პარკოსანი მცენარე ნიადაგს ძალიან ღლის ისე, რომ ზოგიერთი გამოცდილი მეურნე მის მოყვანას არ ურჩევს მიწისმოქმედსაო“ (იხ. L. Junii Moderati Columellae. De Re rustica, lib. II, cap. IX, Les agronomes latins, Nisard-ის გამოც., გვ. 208).

ამ პარკოსან მარცვლეულს პლინიუს მცირეც იხსენიებს თავის 80 ქ. შ. წ. დამთავრებულ ნაშრომში „ბუნების ისტორია“-ში. მას ნათქვამი აქვს: ვნდური მრავალგვარი არსებობს, რომელნიც ერთმანეთისაგან სიდიდით, მოყვანილობით, ფერი-თა და გემოთი განსხვავდებიან. ერთი ჯიშთაგანი ცხვრის თავს მიაგავს (*arietino capite simile*) და ამის გამო ასევე (ე. ი. *cicer arietinum*, ანუ ცხვრისებრი ვნდური) ეწოდებაო. ამ მარცვლეულის თეთრი და შავი სახეობა არსებობს. მტრედის ვნდურიც არის, რომელსაც აფროდიტეს ვნდურსაც უძახიანო. ის თეთრია, მრგვალი, მსუბუქი და მუხუდოზე უფრო მომცროო (*Hist. natur, lib. XVIII, cap. 32*). ამნაირად, აქ მუხუდოს მარცვლის გარეგნული მოყვანილობაც არის აღწერილი და ორი, ფერით განსხვავებული, შავი და თეთრი ჯიშის იტალიაში არსებობის დამადასტურებელი ცნობაცა გვაქვს დაცული.

კოლუმელას ზემომოყვანილი ცნობითგან მაინც ჩანს, რომ მის დროს მუხუდოს კულტურის შესახებ უკვე საკმაო გამოცდილება ჰქონიათ: შეგნებულ მეურნეთა შორის ამ მცენარისადმი უარყოფითს დამოკიდებულებას უჩენიათ. ამიტომ საფიქრებელია, რომ მუხუდოს კულტურის დასაწყისი იტალიაში I ს-ზე უწინარეს უნდა ვიგულისხმოთ.

§ 10. მუხუდოს გავრცელების არე თანამედროვე მსოფლიოში

ამჟამად მუხუდოს მოყვანას სამხრეთ ევროპაში, აფრიკის ჩრდილო ნაწილში, სახელდობრ, მაროკოს, ალჟირსა, ტუნისსა, ეგვიპტესა და აბაშეთში, ოსმალეთში, სპარსეთსა და ინდოეთში მისდევენ ისევე, როგორც თურქისტანსა, კავკასიაში, უკრაინასა, ყირიმში, სამხრეთ რუსეთშიც, რომელშიც მუხუდოს გავრცელების ჩრდილოეთის საზღვრად ჩრდილოეთის სიგანედის 51° 40' უნდა იქნეს მიჩნეული (იხ. კ. პროზოროვა, *Нут*, გვ. 4 და 18—19).

XVIII ს. დამლევს მუხუდო, როგორც ჩანს, რუსეთში ჯერ გავრცელებული არ ყოფილა. პირველად სწორედ ამ დროს ეს მცენარე ს. გმელინს უნახავს დარუბანდში, მისი სურათი დაუხატავს და თვით მარცვლეულიც აუწერია, კ. პროზოროვა ფიქრობს, რომ მუხუდო რუსეთში კავკასიითგან უნდა იყოს შეტანილი (იქვე, გვ. 4).

§ 11. მუხუდოს გავრცელების მიმართულება და კულტურის სადაურობა საქართველოში

საქართველოში მუხუდო, როგორც სახელითგანაც ჩანს, სპარსეთითგან უნდა იყოს შემოსული. ამ გარემოებას მისი გავრცელების ინტენსივობის მიმართულებაც ამჟღავნებს: თუმცა მუხუდო დასავლეთ საქართველოშიც არის გავრცელებული, მაგრამ ამერეთში ამ მარცვლეულის მოყვანას გაცილებით უფრო მეტად მისდევენ. ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს სხვა თემთა შორის ყველაზე მეტად მუხუდოს ქვემო ქართლსა და ჰერეთში, ბორჩალოსა და ყარაიაში სთესენ. ამგვარად, მუხუდოს კულტურის ინტენსივობა სამხრეთ-აღმოსავლეთითგან იწყება და დასავლეთის მიმართულებით მცირდება.

§ 12. ერევიდისა და მუხუდოს საქართველოში გაჩენის ხანა და პირველი შემთვისებელი თემი

ეხლა „ერევიდისა“ და „მუხუდოს“ ქართულში და საქართველოში შემოსულობის ხანა უნდა იქმნეს შეძლებისდაგვარად განსაზღვრული. რაკი „ერევიდი“ შეუძლებელია VIII ს-ზე უწინარეს იყოს ქართულში შეთვისებული, ამიტომ უფრო კუუსთან ახლო იქმნება, თუ ვიფიქრებთ, რომ ეს სახელი იმ ხანაში უნდა იყოს შემოსული, როდესაც საქართველოში ბიზანტიის გავლენა უფრო ძლიერი იყო, და პირველად იმ თემში, რომელშიც მისი ჰეგმონია სუფევდა. ამ ორი მოსაზრების მიხედვით საფიქრებელია, რომ „ერევიდი“ IX—XI სს., მესხეთში, ანდა უკიდურეს შემთხვევაში ლიხთიმერეთში იქმნება პირველად შეთვისებული.

უკვე გამოჩვეული გვაქვს, რომ „მუხუდო“ XIII ს-ზე უწინარეს, XII ს-ში მაინც უნდა ყოფილიყო საქართველოში. საკმარისია გავიხსენოთ, რომ „ნუხუდ“ ახალი სპარსულის სიტყვათა საგანძურს ეკუთვნის, რომ ცხადი შეიქმნეს ამ სახელის ქართულში შემოსულობის ხანის შესაძლებელი უადრესი საზღვარიც: X ს-ზე უწინარეს „მუხუდო“ ქართულში ვერ შემოვიდოდა. მაშასადამე, „მუხუდო“ პირველად XI—XII სს. მანძილზე უნდა ვიგულისხმოთ შეთვისებულად, ცხადია, აღმოსავლეთ საქართველოში.

საფიქრებელია და მაინცდამაინც შესაძლებელია, რომ ახალი სახელის შეთვისებასთან ამ მარცვლეულის ახალი ჯიში, ანდა სახეობა იყოს საქართველოში მოტანილი. ამიტომ თანამედროვე საქართველოში ხალხში არსებული, თუ სადმე შერჩენილი, სახელების მიხედვით უნდა გამოირკვეს, როგორც უძველესი ცნდურის, ისევე მერმინდელი ერეკინდისა და მუხუდოს პირვანდელი ბოტანიკური რაობა. ეს ჩვენი ბოტანიკოსებისა და აგრონომების მოვალეობას შეადგენს. როდესაც ეს საკითხიც შესწავლილი იქმნება, მაშინ თვითოეული მათგანის ღირებულების შეფასებაც საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის ძნელი არ იქმნება.

IV. „საკადრისა“ და „უკადრისა“, „ცულისპირა“

§ 1. ცნობები საკადრისაზე

საქართველოში გავრცელებულ მარცვლეულთა შორის ვახუშტს, როგორც დავრწმუნდით, „საკადრისი“-ც აქვს დასახელებული (იხ. აქვე, გვ. 18). უკვე ორბელიანს მოეპოვება ეს სიტყვა, მაგრამ, თუმცა საბას ტერმინი „საკადრისა“ თავის ლექსიკონში შეუტანია, გვერდით მხოლოდ მცენარეულობის პირობითი ნიშანი დაუსვამს, არავითარი სიტყვიერი განმარტება კი თან არ დაურთავს (იხ. ლექსიკ. რ. ერისთავის გამ., ახალ გამოცემაში ეს სიტყვა გამოტოვებულია).

თვით რ. ერისთავს „საკადრისა“ მარცვლეულისა კი არა, არამედ ბალახეულის სახელად მიუჩნევია და თავის საბუნებისმეტყველო ლექსიკონში ნათქვამი აქვს კიდევაც „საკადრისა (ბალახთავანი)“ არისო (გვ. 49, § 706). მაგრამ ვახუშტს „საკადრისი“ პარკოსან მცენარეთა ჯგუფში აქვს მოთავსებული და ეს გარემოება ცხადყოფს, რომ „საკადრისი“ ამგვარი მარცვლეულის ერთი ჯიშთავანის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

§ 2. საკადრისას რაობა

ვახუშტისაგან დასახელებული „საკადრისი“-ს ბოტანიკური რაობა ლ. დეკაპრელევიჩს ვერ ვაუხაზღვრავს და ფიქრობს, რომ უფრო *Pisum sativum* ანუ „ბარდა“-ს უნდა უღრიდეს (იხ. *Мат. по изуч. зерновыхحبовых Грузии*, ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-გამოყ. განყ. ნაწერები, V, 138, შენ. 1).

„უკადრისა“-ს მსგავსად, რომელიც, როგორც ჭკემოთ დავრწმუნდებით, „ცულისპირა“-ს მეორე, ზედმეტი, თვისების დამახასიათებელი, სახელი იყო, „საკადრისი“-ც, უეჭველია, აგრეთვე ცერცენაირის თვისებისავე დამახასიათე-

ბელი ზედმეტივე სახელი უნდა ყოფილიყო. როგორც სახელიც ამჟღავნებს, ეს მარცვლელი შედარებით კარგი ღირსებისად ყოფილა მიჩნეული.

საკადრისას ნამდვილი სახელის გამოსარკვევად პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო მხოლოდ ორიოდ მოსაზრების გამოთქმა შეიძლება. რაკი პარკოსანი მარცვლელი უმთავრესად სამარხო საკმელად იხმარებოდა, ამიტომ სწორედ იქ არის საკადრისის სინონიმი საძებნელი. ხოლო სათანადო ადგილას ძეგლებითგან მოყვანილი ცნობების მიხედვით აღნიშნული გეკონდა, რომ საუკეთესო სამარხო საკმელად ძველად ცერცვი და ვნდური ითვლებოდა, ხოლო შემდეგში, მაგ., XVIII ს. დამდეგს ცერცვი და მუხუდო ყოფილა მიჩნეული. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ საკადრისად ერთი ამ მარცვლელთაგანი გვეგულისხმა.

საკმარისია ადამიანმა ვახუშტის თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 18) მოყვანილი ცნობა გადაიკითხოს, რომ ცხადი შეიქმნეს, რომ არც მუხუდო, არც ლობიო, არც ცერცვი, გინდა ოსპი, თუ ძაძა და მაშა არ შეიძლება საკადრისა ყოფილიყო: ვახუშტს ყველა ეს მარცვლელიც აქვს ჩამოთვლილი და ამით გარდა „საკადრისი“-ც არის დასახელებული. მაშასადამე, უეჭველია, „საკადრის“-ად მას არც ერთი ზემომოყვანილი მარცვლელთაგანი არ შეეძლო ეგულისხმა.

რა თქმა უნდა, რომ საკადრისად ვერც ბაკლა იქმნებოდა სახელდებული: ამ მარცვლელის მეორე სახელი, „ვირგლა“-ც კმარა ამის დამაჯერებელ საბუთად.

მაშასადამე, გვრჩება მხოლოდღა ვნდური, ხანკეულა და ბარდა. ამათგან ხანკეულას საკადრისობას საეჭვოდ მისი მავნე თვისება ჰხდის, რომლის გამო მას „საკმელად შემზადებისათვის განსაკუთრებული წინასწარი დამუშავება სჭირდება.

ძველად, როგორც გ. მთაწმიდელის ნაშრომითგან ჩანს (იხ. აქვე, გვ. 32), ცერცვთან ერთად ჩვეულებრივ საკმელად სწორედ ვნდური ყოფილა. ამიტომ თუ „ვნდურა“ XVII—XVIII ს-შიც საქართველოში კვლავინდებურად იყო, საფიქრებელია, რომ „საკადრისა“-დ, ან ვნდური უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, ან არა და, როგორც ლ. დეკაპრელევიჩიც ფიქრობს, „ბარდა“. აღსანიშნავია, რომ არც ერთი ამ ორთაგანი ვახუშტს თავის სიაში დასახელებული არა აქვს. თუ ეს სახელი ამ დროს აღარ არსებობდა, მაშინ, ცხადია, „საკადრისა“ მხოლოდ „ბარდალა“ შეიძლება ყოფილიყო.

§ 3. უკადრისა და ცულისპირა

„ცულისპირა“-ს შესახებ ცნობა საბასაც მოეპოვება. მისი განმარტებით, „ცულისპირა ცერცვია მრუდე“ (ლექსიკ.). ამ მცენარეს საქართველოში მეორე სახელიც ჰქონია და იმავე ლექსიკოგრაფის სიტყვით, „უკადრისა ცულისპირა“-ს სწორედ მეორე სახელი ყოფილა (იხ. ს. ორბელიანის ლექსიკ. რ. ერისთავის გამოცემა, ახალ გამოცემაში ეს სტრიქონი და განმარტება გამოტოვებულია).

§ 4. ცულისპირას ბოტანიკური რაობა

„ცულისპირა“-ს ბოტანიკური რაობა რ. ერისთავს განმარტებული არა აქვს, ლ. დეკარელევიჩის სამართლიანი სიტყვით კი არის *Lathyrus sativus* L. (Mat. по изуч. Собиных Грузии, 137), რომლის ქართულ შესატყვისობად რ. ერისთავს „მუხუღო“ მიაჩნდა (ლექსიკ., გვ. 40, § 590).

ს. ორბელიანს ლექსიკონში შეტანილი აქვს „თერო“, რომელსაც მცენარის აღმნიშვნელი პირობითი ნიშნის გარდა არა ახლავს რა (ლექსიკ.). რ. ერისთავს კი ნათქვამი აქვს, რომ „თერო“ არის *Lathyrus tuberosus*“, რუს. „Чина шишечнокоренная“ (ბოტ. ლ., გვ. 21, § 323), მაგრამ რამდენად სწორეა განსაზღვრა, არ ვიცი. საფიქრებელია მხოლოდ, რომ სახელი „თერო“ ბერძნულითგან შეთვისებულ „თერმუზ“-თან უნდა იყოს დაკავშირებული, მისი ბოლო შეკვეცილი და ფონეტიკურად ოდნავ შეცვლილი სახე იყოს. რაკი თერმუზი „ლუპინუსი“ იყო, ამიტომ „თერო“-ს ნამდვილი ბოტანიკური რაობაც გამოსარკვევია.

§ 5. ცულისპირას გავრცელების ინტენსივობა ძველ საქართველოში

ცულისპირას მეორე სახელი „უკადრისა“-ც საკმაოდ ამჟღავნებს, რომ ამ მარცვლეულს საქართველოში მაინცდამაინც არაფრად აფასებდენ: მისგან გაკეთებულ საქმელს, როგორც ეტყობა, მასპინძელი სტუმარს მარხვაშიც კი ვერ აკადრებდა. ეს გარემოება თავისდათავად უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ცულისპირას გავრცელების არე XVII ს. მცირე უნდა ყოფილიყო. იმ საკითხის გადასაწყვეტად, თუ როდის შემოვიდა პირველად ცულისპირას კულტურა საქართველოში, არავითარი ცნობები ჭერჭერობით არ მოგვეპოვება. ცხადია, რომ XVII ს-ზე კარგა ხნით უწინარეს უნდა იყოს შემოტანილი, თუ მას ხალხმა თავისი საკუთარი, მარცვლეულის მოყვანილობის მიხედვით მოგონილი („ცულის პირა“) სახელი შეუქმნა.

§ 6. მცდარი ცნობები ცულისპირას მავნე თვისებაზე და ცულისპირას უკადრისად სახელდების შესაძლებელი მიზეზი

სამკურნალო მეცნიერებაში ცნობილია ცულისპირას ჭამის შედეგად მიჩნეული სიღამბლე, რომელიც „ლათირიზმუს“-ად იწოდება. ისე ფიქრობდენ, რომ სიღამბლეს ცულისპირაში ვითომც არსებული შხამიანი ნივთიერება იწვევდა (იხ. Ф. Залкинд, Чина, 10).

შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ძველ საქართველოში ცულისპირა სწორედ ასეთი მავნე თვისების გამო ყოფილიყოს „უკადრისად“-დ მიჩნეული და სახელდებული.

მაგრამ ინდოეთის მეცნიერთა ცულისპირას ქიმიურმა ანალიზმა და ექსპერიმენტულმა გამოკვლევამაც ცხადჰყო, რომ თვით ცულისპირაში არავითარი შხამი, მცირეოდენი რაოდენობითაც კი, არ მოიპოვება. გამოირკვა, რომ დაავადებისა და სიღამბლის მიზეზი ცულისპირას ნათესებში შენარევის სახით მყოფი ველური წვრილფოთლიანა ცერცველა, *Vicia angustifolia* Roth., ყოფი-

ლა. ამგვარად, თვით ცულისპირას ამ მხრივ ვერავითარი ბრალი ვერ დაედება (Ф. Залкин, Чина, 10—11).

საქართველოშიც, მაგ. რაჭაში, სადაც ეს მარცვლეული ყველა სხვა თემზე მეტად არის გავრცელებული, ცულისპირას მაგნე თვისებებს არავინ უჩივის (იხ. Л. Декапрелевич и В. Менабде, К изуч. пол. культ. Зап. Грузии, I. Рача, 224). ამგვარად, უეჭველია, ცულისპირას უკადრისად სახელდება შეუძლებელია ამ ამრცვლეულის მაგნე თვისებას, არ-არსებულს, გამოეწვიოს.

უნდა ითქვას, რომ თავისი ქიმიური შედგენილობითაც ცულისპირა დანარჩენ პარკოსან მცენარეებს არამცთუ არ ჩამოუვარდება, ზოგიერთში პირიქით სჯობნის კიდევაც. ინგლისელი მკვლევარის ჩერჩ-ის (A. Church) ქიმიური ანალიზის მიხედვით, ცულისპირაში ცილოვანი ნივთიერება 31,9 შეადგენს და ამ მხრივ ყველა სხვა პარკოსან მარცვლეულს, სოიას გარდა, რომელიც საქართველოში მხოლოდ წარსული საუკუნის დამლევს არის შემოტანილი, სჯობნის. ამ თავისი თვისებით მუხუდოსა და ლობიოზე გაცილებით მაღლა დგას, თვით ოსპსა და ბარდასაც კი მასთან ამ მხრივ მეტოქეობის გაწევა არ შეუძლიათ.

ცხიმოვანი ნივთიერებაც ცულისპირას ყველა პარკოსან მარცვლეულზე, სოიასა და ცერცეს გარდა, მეტი აქვს. ამ მხრივ ცულისპირა, რომელსაც ცხიმის 9 ერთეული გააჩნია, მუხუდოზე ერთიორად უფრო მსუქანია. ოსპსაც ცხიმში მხოლოდ 1,3, — ბარდას 1,5 და თვით ლობიოსაც კი, რომლის ცხიმი 2,3 არ აღემატება, ცულისპირასთან მეტოქეობის გაწევა არ შეუძლიათ (ჩერჩის ქიმიური ანალიზის ცხრილი, იხ. Ф. Залкин, Чина, 6).

მაშასადამე, ცულისპირას „უკადრისა“-დ ქცევა საქართველოში არც ამ მარცვლეულის სინოყივრის ნაკლებობის გამო შეეძლოთ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ის გემოვნებითი თვისებების გამო იქმნებოდა წუნდებული.

§ 7. ცულისპირას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში და ჯიშები

ცულისპირას ქართველი მიწისმოქმედი, როგორც ეტყობა, არც ეხლა ეტანება. მას შიდა ქართლში, ქსნისა და არაგვის ხეობაში, და რაჭაში სთესენ, მაგრამ ცოტას. ეს მარცვლეული უმთავრესად მაღლობ ზოლებში გვხვდება და საკმელად იხმარება. ცულისპირას საქართველოში ორი სახეობა მოიპოვება: თეთრყვავილიანი (Var. alba Alf.) და ლურჯყვავილიანი (Var. coerulea Alf.: ლ. დეკაპრელევიჩის Mat. по изуч. бобовых Грузии, 137).

ლ. დეკაპრელევიჩისა და ვ. მენაბდეს კი რაჭაში, სადაც ცულისპირა სიმინდთან ერთად კი არა, არამედ ცალკეულ ნათესებად მოჰყავთ, ბლომად აღმოუჩინიათ. აქაც უმეტესად წვრილმარცვლიანი ჯიში მოიპოვება, მაგრამ შენარევის სახით მსხვილმარცვლიანიც ჰხვდება ადამიანს, აქამდე იქ ამ მარცვლეულის 30 ჯიშია განსაზღვრული, რომელთაგან მსხვილმარცვლიანის (f. major) მხოლოდ 2 ჯიშია, წვრილმარცვლიანისა კი 28 ჯიშია, ამათგან 1 თეთრმარცვლიანია (Var. alba), 3 Var. colorata შეფარდებული და 24 ჯიში Var. coerulea Alb. ლურჯი ფერისა (К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I, Рача. ტფ. ბოტან. ბალის სამეც.-გამოყ. განყ. წერილები, 1929 წ., VI, 244—245).

§ 8. ცულისპირას თავდაპირველი ჯიში ჩვენში

ცხადია, რომ საქართველოში პირველად ცულისპირას სწორედ წვრილმარცვლიანი ჯიშები უნდა იყოს შემოსული. ამასვე ამ მარცვლეულის ქართული სახელი „ც უ ლ ი ს პ ი რ ა“—ც ამჟღავნებს. ცნობილია, რომ სოლებრივი მოყვანილობის მარცვლეული ამ მცენარის სწორედ წვრილმარცვლიან ჯიშებს გააჩნიათ (იხ. Ф. Залкинд, Чина: Изд. Всесоюз. инст. прикл. ботан. и нов. культур. Ленинград, 1929, 18).

§ 9. ცულისპირას გავრცელების არე ძველ მსოფლიოში

ცულისპირას შესახები სპეციალური მონოგრაფიის ავტორს ფ. ზალკინდს თუ დავუჯერებთ, ცულისპირა უნგრეთის უკვე ქვის ხანის ნაშთებშია აღმოჩენილი. ამ მცენარის წვრილმარცვლიანი ჯიში ეგვიპტის სამარხებში არის ნაპოვნი, ვითარცა მიცვალებულთათვის თან ჩატანებული ერთი საჭმელთაგანი. ცულისპირა ტროას ნანგრევებშიც აღმოჩნდა. რომაელი აგრონომი კოლუმელლაც იხსენიებს ამ მცენარესაო. ესპანეთში ცულისპირა უკვე XVI ს. ყოფილა ცნობილი და იქითგან მისი კულტურა XVII ს. საფრანგეთშიც გადასულა. აქა-იქ. ეს მარცვლეული XVI ს. გერმანიაშიც ყოფილა და მხოლოდ შემდეგში გვიან გავრცელდაო იგი იქ ფართოდ (Ф. Залкинд, Чина, 3—4).

ფ. ზალკინდს თავისი ამ ისტორიული ცნობების არც ერთი წყარო დასახელებული არა აქვს, რომ ზემოთხსენებულ დებულებათა საფუძვლიანობის გათვალისწინება შესაძლებელი ყოფილიყო. არც ვ. ჰენს და არც მისი ნაშრომის შემავსებელი F. Pax-სა, ა. ენგლერ-სა და ო. შრადერ-ს ლათინურ-ის, ანუ ცულისპირას შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი, ამიტომ ზალკინდის ყველა ცნობის სისწორის შემოწმების საშუალება არა მაქვს.

მხოლოდ რომაელი აგრონომის კოლუმელლას ნაშრომის გადასინჯვამ დამარწმუნა, რომ ზალკინდისა და მისი წყაროს ცნობებს ადამიანი სიფრთხილით უნდა მოეპყროს.

ცულისპირას შესახები ცნობების არსებობა რომაულ საბუნებისმეტყველო და აგრონომიულ მწერლობაში უცილობელ ფაქტად ვერ ჩაითვლება. კოლუმელლაზე მეტად ამ მარცვლეულის იტალიაში არსებობის დასამოწმებლად პლინიუსის დასახელება წეიძლებოდა. მართლაც, თითქოს პლინიუს მცირეს ცულისპირას შესახებაც ზოგადად ცნობა. ამ რომაელ მეცნიერს ეს მარცვლეული ჯნდურთა ჯგუფში აქვს მოქცეული და მუხუდოს ჯიშების აღწერილობის შემდგომ ამ მარცვლეულზეც ლაპარაკობს. ცულისპირას პლინიუსი *cicercula*-ს უწოდებს, ხოლო Ém. Littré ამ ლათინურ სიტყვას *lathyrus sativus* L.-დ სთარგმნის, ე. ი. ცულისპირას შესატყვისობად სთვლის. პლინიუსის დახასიათებით *cicercula*-ც პატარა ჯნდური იყო, უსწორმასწორო და კუთხოვანი (Natur. hist., lib. XVIII, cap. 32; იხ. Histoire naturelle de Pline par. M. É. Littré, I, გვ. 671—672).

ამ მარცვლეულის უსწორმასწორობა და კუთხოვანი მოყვანილობა ცულისპირას მოყვანილობას ასე თუ ისე მიაგავს, ამიტომ Ém. Littré-ს მიერ დასახელებული *cicercula*-ს ბოტანიკური შესატყვისობა *lathyrus sativus* L. თითქოს სწორე მოჩანს.

კოლუმელა-საც ნათქვამი აქვს, რომ „ციცერკულა ჳნდურს, ანუ ბარდას მიაგავს“ („*cicercula... piso est similis*“. De re rustica, II, cap. 10, ob. Les agronomes latins... publiée sous la direction de M. Nisard, გვ. 208).

ყველა ლექსიკონშიც *cicercula* ბერძნული *β λ α μ ψ ο ρ ο ς*-ის და *Lathyrus sativus* L.-ს შესატყვისობად არის აღნიშნული. Olck-საც ასევე აქვს ამ მარცვლეულის მნიშვნელობა განსაზღვრული (ob. Pauly's, R—E, VI. B., გვ. 394, Erbse).

მაგრამ საქმე ის არის, რომ პლინიუსის ჳემომოყვანილ *cicercula*-ს დახასიათებას ამავე მარცვლეულის *Palladius*-ის დახასიათება სრულებით არ უდგება. ამ უკანასკნელი აგრონომის სიტყვით, *cicercula cicer*-ისაგან, ე. ო. ჳნდურისაგან მარტო მარცვლის ფერით განიჩევა, რათგან პირველი მათგანი თურმე მუქი ფერისა და უფრო მოზავო ყოფილა („*cicera seritur, quae distat a cicercula solo colore, quo sordet, et nigrior est*“: De re rustica, lib. IV, cap. 6. Les agronomes latins Caton, Varron, Columelle, Palladius publiée sous la direction de M. Nisard, გვ. 579).

ცნობილია, რომ ცულისპირას მარცვალი სხვადასხვა ფერისა არსებობს: თეთრი ცულისპირას ჳიშიც მოიპოვება. მაგრამ არის თეთრიც, რომელსაც მარცვლის ჳიპთან მუქი ფერის წრე აქვს შემოვლებული, ნაცრისფერი, დარეჩინისფერი და ჳრელ-მარცვლიანი ჳიშებიც გვხვდება (ob. Ф. Залкинд, Чина, с. 14—15). ამ მხრივაც, თუ რომ პალლადიუსისაგან დასახელებული *cicercula* ნაცრისფერად, ან დარეჩინისფერად არ მივიჩნიეთ, ცულისპირას არ უდგება, რათგან მისი მოშვო მარცვლიანი ჳიში, როგორც თვით ჳალკინდის ჳემომოყვანილი დახასიათებითგანაც ჩანს, არ არსებობს.

მაგრამ ყველაზე მეტად პალლადიუსის *cicercula*-ს მოყვანილობაა დამაფიქრებელი: ჳნდურისაგან ის თურმე მხოლოდ ფერით განსხვავდებოდა. ცულისპირა კი, როგორც ცნობილია, უპირველესად თავისი მარცვლის მოყვანილობით განსხვავდება: ის ჩვეულებრივ, ან სოლებრივი, ან ცულებრივი მოყვანილობითაა ხოლმე. ამიტომაც არის, რომ მას ქართველებმა ცულისპირა უწოდეს, რუსებმა ჳოგან „კბილა“ (Зубок, конский зуб), ჳოგან „სოლებრივი ბარდა“ („*клиноватый горох, „горох угластый*“) და სხ. (ob. Ф. Залкинд, Чина, с. 14).

ყველა ამ გარემოების გამო ეჭვი იბადება, მართალია თუ არა, რომ პალლადიუსის *cicercula* ცულისპირა იყო? ამის გამოვე ჳერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რამდენად სწორია ე. ლიტტრე-სა და სხვა ავტორებისაგან *cicercula*-ს *Lathyrus sativus* L.-დ მიჩნევა.

§ 10. ცულისპირას გავრცელების თანამედროვე არე მსოფლიოში

ამჟამად ცულისპირას მოყვანა უფრო ფართოდ უმთავრესად აზიისა და ამერიკის განცალკევებულ მთიანეთის თემებშია გავრცელებული, ვიდრე დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ აფრიკაში. ცულისპირას გავრცელების თანამედროვე არეს საფრანგეთი, გერმანია, უნგრეთი, უკრაინა, ესპანეთი, იტალია, ბალკანეთის ნახევარკუნძული, ინგლისი, ალჟირი, ეგვიპტე, აბაშეთი, ერეთრეა, კვიპროსი, სარდინია და სიცილია, პალესტინა, სპარსეთი, ავღანისტანი, თურქისტანი და კავკასია შეადგენს (Ф. Залкинд, Чина, 7—8).

§ 11. საქართველოში გავრცელებული ჯიშის მიკუთვნილობა და ხნიერება

რაკი ცულისპირას წვრილმარცვლიანი ჯიშები უმთავრესად აღმოსავლეთში, სპარსეთში, ინდოეთსა, ავღანისტანს, ბუხარასა და თურქისტანშია გავრცელებული, მსხვილმარცვლიანი ჯიშები კი ხმელთაშუა ზღვის სანაპიროზე მდებარე და მეზობელ ქვეყნებში, ესპანეთსა, პორტუგალიასა, საფრანგეთსა, იტალიასა, სარდინიას, სიცილიასა და ჩრდილო-დასავლეთ აფრიკაში მოიპოვება (Ф. Залкинд, Чина, 18—19), ცხადია, რომ საქართველოს ცულისპირას წვრილმარცვლიანი ჯიშები უნდა სამხრეთ-აღმოსავლეთთან იყვნენ დაკავშირებული. ვითარცა საქართველოში უკადრისად მიჩნეულ-წოდებულ მარცვლეულს, საექვოა, რომ მას მინცდამინც დიდი წარსული ჰქონდეს საქართველოში: ასე რომ ყოფილიყო, საფიქრებელია, რომ ცულისპირა კარგა ხანია ქართული სასოფლო მეურნეობის ასპარეზითგან განდევნილ იქმნებოდა. ამიტომ, სანამ რაიმე ამის დამაჯერებელი ცნობები არ აღმოჩნდება, ლ. დეკაპრელევიჩის აზრი, თითქოს ცულისპირა საქართველოს უუძველეს, თითქმის ადგილობრივ, მარცვლეულთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს (იხ. Мат. по изуч. шибовых Грузии, 139), სათუოდ უნდა იქმნეს მიჩნეული.

თ ა ვ ი V. ძაძა

§ 1. ცნობები ძაძას შესახებ

საქართველოში გავრცელებულ მარცვლეულთაგან ვახუშტს „ძაძა“-ც აქვს დასახელებული. ამაზე აღრინდელი, XVII ს. დამლევის ცნობაც მოგვეპოვება ძაძის შესახებ: მას საბაც იცნობს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ძაძა ლობიო არის წვრილი“ (ლექსიკ. რ. ერისთავის გამ., ახალ გამოცემაში ეს სიტყვა გამოტოვებულია). რ. ერისთავს „ძაძა“-ს ბოტანიკური რაობა განმარტებული არა აქვს, მხოლოდ მისი სხვა ქართული სახელებიც დაურთავს: „ძაღლ-ნიორა“ და „გველერწო“. უკანასკნელი სახელი რაქაში ყოფილა გავრცელებული. რაკი ბოტანიკურად არც ეს სახელებია განმარტებული, ამიტომ ამ პარალელური ცნობების გამოყენება ძაძას მნიშვნელობის გამოსარკვევად შეუძლებელი ხდება. ხოლო „ძაღლ-ნიორა“ გვაფიქრებინებს, რომ ამ შემთხვევაში, როგორც ჩანს, მარცვლიან მცენარის სახელი არც კი უნდა იყოს. მაშასადამე, ეს „ძაძა“ სულ სხვა მცენარე ყოფილა და ს. ორბელიანისაგან დასახელებულს, წვრილი ლობიოს აღმნიშვნელს, „ძაძა“-ს სრულებით არ უდგება.

§ 2. ძაძას ბოტანიკური რაობა

ქართველი ლექსიკოგრაფის განმარტება საკმაოდ ნათელია: ძაძა მას ლობიოს ერთ-ერთ, სახელდობრ წვრილმარცვლიან, ჯიშად ჰქონია მიჩნეული.

ლ. დეკაპრელევიჩს თავის საქართველოს ცერცვაირ მარცვლეულობის ზოგად მიმოხილვაში ძაძა ორი სხვადასხვა მარცვლეულის ქართულ სახელად აქვს აღნიშნუ-

ლი. ერთგან ნათქვამია, რომ სოია, რომელსაც აგრეთვე „დაბონის ლობიო“ და „ჭეა-ლობიო“-ც ეწოდება, „ძაძა“-ს სახელითაც ყოფილა ჩვენში ცნობილი (იხ. Mat. თო изуч. бобовых Грузии, 132). მეორეგან სწერია, რომ *Vigna sinensis* Stic-
kman-Endlicher-ს აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ხშირად „მაში“ ანუ „მაშა“
ეწოდება, ლიხთ-იმერეთში კი „ძაძა“-ს ეძახიანო (იქვე, გვ. 135).

რაკი „სოია“ წარსული საუკუნის მხოლოდ სამოცდაათიან წლებშია საქარ-
თველოში შემოტანილი (იხ. იქვე, გვ. 133), ამიტომ ცხადია, რომ ს. ორბელია-
ნისაგან დასახელებული „ძაძა“ შეუძლებელია სოია ყოფილიყო. მაშასადამე,
იაპონური ლობიო რომ ჩვენში შემოსულა, ხალხს ზოგან წინათ სხვა მარცვლე-
ულისათვის არსებული სახელი გამოუყენებია. აღრევის თავითგან ასაცილებ-
ლად, ქართულ სპეციალურ მწერლობაში „ძაძა“, ვითარცა სოიას სახელი, უნდა
ამოიკვეთოს და მოისპოს.

მაგრამ *Vigna sinensis*-ს, რომელსაც ჩრდილოეთ ამერიკაში „ძროხის ცერცვს“
უწოდებენ, დეკარელევიჩის ზემომოყვანილი ცნობის თანახმად, ამერეთში თურმე
უფრო „მაშა“-ს ეძახიან³, დასავლეთ საქართველოში კი „ძაძა“-ს. გამოსარკვევია
ეხლა, თუ რომელი ამ ორ სახელთაგანი უნდა იყოს *Vigna sinensis* ძველი ქარ-
თული სახელი?

თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 66) აღნიშნული გვაქვს, რომ „მაშა-ცერცვი“,
ანუ „მაშა-ლობიო“ *Phaseolus aureus*-ის სახელადაც იხმარება საქართველოში და
რომ ეს ამ მარცვლეულის სწორედ ნამდვილი, საქართველოში უკვე XVII ს. არსე-
ბული, სახელი ყოფილა. ეს გარემოება თავისდათავად სწყვეტს იმ საკითხსაც, თუ
Vigna sinensis-ის ნამდვილ ქართულ სახელად რომელი ორთაგანი, ძაძა თუ მაში
უნდა იყოს ცნობილი? რაკი „მაში“ *Phaseolus aureus*-ის აღმნიშვნელი ყოფილა,
ცხადია, რომ *Vigna sinensis* სახელი „ძაძა“ ყოფილა. ამიტომ ქართულ თანამე-
დროვე სამეცნიერო მწერლობაშიც თვითული ამ ორი ტერმინთაგანი თავისი ნამ-
დვილი მნიშვნელობით უნდა იყოს ნახმარი.

§ 3. ძაძის კულტურის ინტენსივობაზე ძველი ქართული ცნობების უქონლობა

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად მისდევდნ ძველ საქართველოში „ძა-
ძა“-ს მოყვანას, ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. XVII ს.-ისათვის,
ს. ორბელიანის ლექსიკონის გარდა, სხვა არავითარი დასაყრდნობიც კი არ არ-
სებობს. მაგრამ იქაც, სახელის განმარტების გარდა, ხომ სხვა არაფერია. XVIII
ს.-ში მის კულტურას საქართველოში ვახუშტი ადასტურებს. ამაზე მეტის თქმა
ჯერჯერობით შეუძლებელია.

§ 4. ძაძის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში

ამჟამად „ძაძა“ საქართველოში ნაკლებად ითესება. მის მოყვანას უფრო
დაბლობ ადგილებში მისდევენ. აღმოსავლეთ საქართველოში მინდვრადაც სთე-
სენ და ბოსტნებშიც. ორსავე შემთხვევაში ძაძას ჩვეულებრივ ნათესის ერთ-
ერთი ზოლთაგანი აქვს ხოლმე დათმობილი. ამერეთის სხვა თემებზე უფრო

³ მ. თუ მანიანსაც *Vigna sinensis*-ის სომხურ სახელად მსაუ „მაშ“-ი აქვს მოყვანი-
ლი (იხ. მისი „კულტ. მცენარეთა ასწერივი ზოლები სომხეთში“, სომხურად, გვ. 99).

ხშირად ამ მარცვლეულის მოყვანას ბორჩალოში და ყარაიაში მისდევენ. დასავლეთ საქართველოში ძაძას სიმინდთან ერთად სთესენ ზოლმე. ძაძის გავრცელების ასწვრივი ზაზი 2500 ფუტს არ სცილდება ზღვის დონითგან.

ამერეთში ერთფერიანი ძაძის ჯიშია გავრცელებული, ლიხთიმერეთში კი კრძალა: მარცვლის ჩალისფერ არეზე კიბთან შავი ლაქიანი ჯიშია. მაგრამ მოიპოვება *V. cylindrica* Piper-ის სახეობაც, მეტადრე აღმოსავლეთ საქართველოში.

§ 5. ძაძის კულტურის ხნიერების საკითხი საქართველოში

ლ. დეკაბრეღევიჩი ფიქრობს, რომ „ძაძა“ საქართველოთს უუძველესი მარცვლეულთაგანი უნდა იყოს, მაგრამ რა საფუძველზე, ანდა რა მოსაზრებაზეა ეს რწმენა დამყარებული, ნათქვამი არა აქვს (*Mat. по изуч. бобовых Грузии*, 135).

„ძაძა“-ს აფრიკაში თურმე Kunde ეწოდება, ინდოეთში „ლუბია“, რომში *phaseolus*-ი ერქვა და იტალიაში *fagiolo*-ს ეძახიან (ლ. დეკაბრეღევიჩის *Mat. по изуч. бобовых Грузии*, 145), არც ერთი ამათგანი ამ მცენარის ქართულ სახელს არ უდგება.

„ძაძა“-ს ძველ ქართულში სამგლოვიარო ტანისამოსის მნიშვნელობა ჰქონდა, მაგ.: 3 მეფეთა 21²⁷-ში ნათქვამია: „ოღეს ესმა აქაბს სიტყვაჲ ესე, შეიღმო პირისაგან ო² და ვიდოდა და ტიროდა და დაიპო სამოსელი თჳსი და მოირტყა ძაძა გვამსა თჳსსა...და იყო შემოსილი ძაძითა მიერ დღითგან რ²სა შინა მოკლა ნაბთთე“. „ძაძა“-ს შესატყვისად ბერძნულში *σάκκος*-ია, ლათინურში *cilicium* და *saccus* და სომხურად *քուրց*. ბერძნული და მეორე ლათინური სიტყვა ისევე, როგორც სომხური, პარკსა ჰნიშნავს, პირველი ლათინური შესატყვისობა კი მატყლის ნაბადს. ამიტომაც არის, რომ ს. ორბელიანს სწორედ ამ ადგილის მიხედვით „ძაძა ლაზლის შალი“ ჰგონია (ლექსიკ.). რაკი მისივე განმარტებით, „ლაზლა“ იყო „მატყლის მკედი სხული“ (იქვე), ამიტომ ძაძა მატყლის მსხვილი ძაფისაგან შემზადებული ნაქსოვი ყოფილა.

§ 6. „ძაძა“-ს სახელის მნიშვნელობის განმარტება

რა შეიძლება საერთო ჰქონდეს ამ მატყლის უხეშ ნაქსოვს ძაძას მარცვლეულ მცენარესთან, რომელსაც აგრეთვე „ძაძა“ ეწოდება? ეგების მათ საერთო არაფერი ჰქონდეთ და აქ ორი სულ სხვადასხვა წარმოშობილობის სიტყვა იყოს?

პროფ. იულ. ლომოურმა საუბრის დროს შემდეგი საგულისხმო მოსაზრება გამოსთქვა: არსებობს მცენარე „ძაძის“ შეემარცვლიანი ჯიში, რომელსაც თავისი სიშავის გამო შესაძლებელია სამგლოვიარო, აგრეთვე შავი ფერის, ტანისამოსის სახელი დაჰრქმეოდა.

ეს, უეჭველია, ორიგინალური მოსაზრებაა, მაგრამ ზაქმე ისაა, რომ საქართველოში „ძაძის“ შეემარცვლიანი ჯიში ამჟამად ყველაზე ნაკლებ არის გავრცელებული. ჩვეულებრივ ჩვენში წითელმარცვლიანი ჯიშია, რომელიც სამგლოვიაროს სრულებით არ შეეფერება.

მაინც ეს მოსაზრება იმდენად ორიგინალურია და თანაც ისე კარგად გვიხსნის სამგლოვიარო ტანისამოსისა და ამ პარკოსანი მარცვლეულის სრულ იგივეობას, რომ სიმართლეს მიაგავს. ამიტომ, თუ ეს ჰიპოთეზი მცდარი არ არის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოში პირველად შავმარცვლიანი ჯიში უნდა ყოფილიყო შემოსული და წითელმარცვლიანი მხოლოდ შემდეგში შემოტანილი ჯიში იქმნებოდა.

§ 7. ძაძის სამშობლო და გავრცელების არე ძველად

„ძაძის“ სამშობლოდ ტროპიკული აფრიკა ითვლება. რათგან ველუძად ეს მცენარე სწორედ იქ მოიპოვება (A. Engler: V. Hehn-ის Kpf. u. Ht., 219 და ლ. დეკაბრელევიჩის Mat. по изуч. бобовых Фрузии, 146). მაგრამ ამ მარცვლის მთავრანას ძველი დროითგანვე ბევრ ქვეყანაში მისდევდნენ, როგორც აფრიკასა და აზიაში, ისევე ევროპაშიც. ვიტტმაკეს და კოტტნიკეს გამოტყვეული აქვთ, რომ ძველი ბერძენებისა და რომაელების Phaseolus-იც სწორედ „ძაძა“ იყო და არა ლამბო (ა. ენგლერი: V. Hehn-ის Kpf. u. Ht., 219).

თავი VI. ლობიოს შესახებ არსებული ლიტერატურა

§ 1. უძველეს ქართულ წყაროებში ლობიოს შესახებ ცნობების უქონლობა

არც დაბადების ქართულ თარგმანში, არც სხვა უძველეს ძეგლებში „ლობიო“ არ გვხვდება. არსად ჩანს ეს სიტყვა IX—XIII სს. თხზულებებშია თუ საბუთებში, ან სხვა რომელსავე წყაროში. არ მოიპოვება იგი XIV ს. ძეგლში, „ხელმწიფის კარის გარიგების“ იმ ზემომოყვანილ (იხ. აქვე, გვ. 36) ნაწყვეტშიც, რომელშიც მუხუდო იხსენიება. აღსანიშნავია, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დავთარშიც, რომელშიც გამოსაღებელთა შორის ცერცვი დასახელებულია, ლობიოს ხსენება არ მოიპოვება.

§ 2. უძველესი და შემდეგ-დროინდელი ცნობები ლობიოზე საქართველოში

პირველი მკაფიო ცნობა ლობიოს საქართველოში არსებობაზე XVII ს. ჩნდება. წყაროებითგან ამოღებული ცნობების ზოგად მიმოხილვაში (იხ. აქვე, გვ. 18) უკვე მოყვანილი გვქონდა არქ. ლამბერტის მოთხრობა, რომ იმდროინდელ სამეგრელოში ბოსტნებში სხვა ყველა მცენარეზე მეტად „ოსმალურ ლობიოს“ სთესდნენ, რომელიც იქაური მოსახლეობის თითქოს „ერთადერთი საპარსო საჭმელი“-ც კი ყოფილიყოს.

ამავე ხანის რუსი დესპანი ტოლოჩანოვის იმერეთის აღწერილობაშიც ბოსტნეულობის შორის თითქოს ხაზგასმით არის დასახელებული „სტამბოლური ცერცვი“-ც (იხ. აქვე, გვ. 18).

ზემთმთყვანაილითგან ცხადია, რომ XVII ს. რუსები ცერცვისაგან ლამბიოს ახევე არჩევდნენ, როგორც არქ. ლამბერტი, რომელიც ამ მარცვლეულს „ოსმალურს“ უწოდებდა. რუსებიც ხომ ლობიოს აღსანიშნავად ამ მარცვლეულის სახელად „სტამბოლურ ცერცვს“ ჰხმარობდნენ. გერმანელები² ამ მარცვლეულს „Türkische Boh-

nen“-ს, ე. ი. „თურქულ ცერცეს“ უწოდებდნენ და აკად. გიულდენშტედტიც ხომ ამის ქართულ შესატყვისობად სწორედ „ლობიო“-ს ასახელებს (იხ. აქვე, გვ. 18). რუსი დესპანების ცნობაში ის გარემოებაა საყურადღებო, რომ ლობიოს ისინი „სტამბოლურ“ და არა ქართულ მარცვლეულად სთვლიდნენ იმ დროს, როდესაც მათ იქვე, თითქოს განზრახ დასაპირისპირებლად, დასახელებული აქვთ მეორე ცერცენაირი, რომელსაც ისინი ქართულს უწოდებდნენ (горох грузинский). საფიქრებელია, რომ ეს ცერცენაირი თვით საქართველოშიც ადგილობრივ მარცვლეულად მაინცდამაინც, ლობიოს ქართულობას კი არავინ ჩემულობდა.

არქ. ლამბერტის სიტყვით, „რათგან სინოტიეს გამო მიწაზე გაშვებული ლობიო დალპებოდა, საკმაო მაღალ ჭიგოებს დასმენ ხოლმე და მათზე აუშვებენ ლობიოს. ლობიო აქ იძლევა ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში ისე, რომ ივლისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოსა სჭამენ; შემდეგ კი გაახმოებენ და საზამთროდ შეინახავენო“-ო (იხ. სამეგრელოს აღწერა, ალ. ჭყონიას თარგმანის გვ. 59).

ლამბერტის ცნობა, თითქოს ლობიო ერთადერთი სამარხო საქმელი ყოფილიყოს, რა თქმა უნდა, სწორე არ არის, მაგრამ მისი სიტყვებითგან ჩანს, რომ XVII ს-ში, თუ დასავლეთ საქართველოში მთლად არა, სამეგრელოში მაინც, ლობიოს დანარჩენ ყველა ცერცენაირთან შედარებით უკვე უცილობელი უპირატესობა ჰქონდა მოპოვებულად.

აღსანიშნავია, რომ ლობიოს იმერეთში ამ დროს რუსი ელჩებიც იხსენიებენ. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ თუ კახეთში ათი წლით უწინარეს ნამყოფი ზემოდასახელებული რუსი დესპანები მხოლოდ „ოსპსა და ცერცვზე“ („ნიონ“) ლაპარაკობენ, ათი წლის შემდგომ იმერეთში მისულ რუს დესპანებს, როგორც ზემომოყვანილითგან დავრწმუნდით, „სტამბოლური ცერცვი“ („ნიონ царградский“) ანუ ლობიო აქვთ დასახელებული.

საგულისხმოა, რომ ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ“-ში სამარხო საქმლის მასალად მოხსენებულია მხოლოდ: „ცერცვი და მუხუდო თითოს ყაბზედ ლიტრა ერთ-ნახევარი, შექამადად ბაღიაზედ ლიტრა ერთ-ნახევარი“ (გვ. 91, § რეე). დამახასიათებელია, რომ აქაც სამარხო საქმლის ლობიოსგან მომზადება გათვალისწინებული არ არის. რა თქმა უნდა, ეს გარემოება სრულებით იმის საბუთად არ გამოდგება, თითქოს XVIII ს. დამდეგს ქართლში ლობიო არ ყოფილიყოს. ვახუშტის ცნობა ამ საკითხს უცილობლად სწყვეტს, მაგრამ ზემომოყვანილი ამონაწერი იმის გამომჟღავნებელი მაინც უნდა იყოს, რომ ქართლის სამეფო კარზე სამეფო საქმელი ამ დროს, როგორც ეტყობა, ლობიოსაგან კი არა, არამედ უმთავრესად ცერცვისა და მუხუდოსაგან უკეთებიათ.

XVIII ს. მეორე ნახევარში ლობიოს მოყვანა მთელ საქართველოში უფრო გავრცელებულია. ეს გარემოება აკად. გიულდენშტედტის აღწერილობითგანაც ჩანს. მას ღონიშნულიც აქვს, რომ ლობიოს მოყვანას მაშინ ყველგან გულმოდგინედ მისდევდნენ („türkische Bohnen und Erbsen baut man hier häufig: Reisen, I, 291). გიულდენშტედტი ამბობს, რომ ზონის სანახებში ლობიო („türkische Bohnen“) ბაღებშიც მოჰყავდათ (Reisen, I, 305). ამგვარადვე იმავე ავტორს ნათქვამი აქვს, რომ წესში და უწერის მიღაშობებში სიმინდსა, ლობიოს და ბარდას ბლომად სთესდნენ (Reisen, I, 283, 291), ხოლო ქვემო რაჭის ზვრებში და ვენახებში ვაზის გვერდით ლობიო იყო, რომელიც ვაზზე აწვებული ყოფილა (Reisen, I, 297).

§ 3. დასავლეთ საქართველოში XVII—XVIII სს. ლობიოს გავრცელებული ჯიშები

როგორც არქ. ლამბერტის ზემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, სამეგრელოში იმ დროსვე განსაკუთრებით სარის ლობიო ყოფილა გავრცელებული. ამ ჯიშის უპირატესობას იქაური ნოტიო ჰავა და ნიადაგი უფრო ცხადჰყოფდა. მაგრამ გიულდენშტედტის სიტყვებითგან ჩანს, რომ სარის ლობიოს ჯიშის გავრცელებულობა მარტო იტალიელი მისიონერისაგან დასახელებული მიზეზით არ უნდა აიხსნებოდეს, რათგან ქვემო რაჭის ჰავა-ნიადაგს ნოტიობა მოჰარბებელი არ ახლავს, ამისდა მიუხედავად, იქაც თურმე იმავე ჯიშის ლობიო ყოფილა.

§ 4. ლობიოს კულტურის ინტენსივობა და გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში

ცნობილია, რომ თანამედროვე საქართველოში პურეულის შემდგომ მარცვლულთა შორის უპირველესი ადგილი სწორედ ლობიოს უკავია. მას მინდვრადაც სთესენ სიმინდთან ერთად, ბალ-ბოსტნებსა და ვენახებშიც კი. 1923 წ. აღწერის მიხედვით მთელ საქართველოში ლობიოს მარტო მთლიან ნათესებს 1090 დღიური ეკავათ. ხოლო სიმინდთან ერთად 62900 ფუთი სათესლე ლობიო ყოფილა დათესილი. ამის კვალობაზე ლობიოს წლიურ მოსავალს 1 200 000 ფუთამდე ანგარიშობენ. ხოლო, რაკი სტატისტიკური ცნობები ზედმიწევნითი არ არის და ნათესებისა და სათესლე მასალის რაოდენობაც, რა თქმა უნდა, სინამდვილეზე გაცილებით ნაკლები უნდა იყოს, ამიტომ ფიქრობენ, რომ ლობიოს წლიური მოსავალი 2 000 000 ფუთზე ნაკლები არ იქმნება (ლ. დეკაპრელევიჩის Mat. по изуч. бобовых Грузии, 131).

ლობიო საქართველოს ყოველ თემში მოჰყავთ. ხოლო ლობიოს გავრცელების უუმაღლეს ადგილებად ქართლში, ვ. მენაბდეს დაკვირვებით, უნდა სს. ჩიტისთბელი (1500 მ), შიტარბო (1475 მ), მზეთამზე (1400 მ), კახეთში კი ზემოთიანეთი (1090 მ) იქმნეს მიჩნეული. ამ სოფლებშიც ლობიო ყოველწლივ არ მოდის, მხოლოდ ნაწილობრივ მწიფდება. ამის გამო ლ. დეკაპრელევიჩს ლობიოს გავრცელების ასწვრივ უმაღლეს საზღვრად 3500—4000 ფუტი მიაჩნია (Mat. по изуч. бобовых Грузии, 131, прим. 4).

§ 5. არსებული ცნობები საქართველოში გავრცელებული ლობიოს ჯიშ-სახეობათა და მათი სახელების შესახებ

ლობიოთა სახელების აღნუსხვა პირველად რ. ერისთავმა სცადა თავის ბოტანიკურ ლექსიკონში. იქ შემდეგი სახელებია მოყვანილ-განმარტებული: 1. ლობიო ზღვისპირა *Phaseolus multiflorus* Willd. 2. ლობიო თეთრი *Ph. praecox*. 3. ლობიო-კუტი *Ph. nanus* L., *Ph. compressus* DC. 4. ლობიო მაშა (ქართ.), ანუ მამა-კალია (იმერ.). 5. ლობიო მიწნა (გურ.). 6. ლობიო რუსული. 7. ლობიო სარისა *Ph. multiflorus* Lam. 8. ლობიო ტკიპა *Dolichos monachalis* Brot. 9. ლობიო-ქონა (გურ.). 10. ლობიო-ყვითელი. 11. ლობიო-შროშანა. 12. ლობიო-ჩენჩა (გურ.). 13. ლობიო წითელი. 14. ლობიო-ჭრელი *Ph. rubrovariegatus*, *gonospermus* Savi (იხ. მოკლე ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი, 1884 წ., გვ. 33, §§ 482—495).

ამგვარად, სულ 14 სახელია აღნუსხული. არა ჩანს მხოლოდ, თუ რაზეა მათი ბოტანიკური რაობის განსაზღვრა დამყარებული.

ლ. დეკაპრელევიჩის სულ 79 სახეობა აქვს საქართველოში აღნუსხული, მაგრამ ამათგან მხოლოდ მცირედი ნაწილია ცოტად თუ ბევრად გავრცელებული: დანარჩენი სახეობანი მარტო, ან იშვიათი, ან შემთხვევითი შენარევის სახით გვხვდება. ზემოდასახელებული მკვლევარი ფიქრობს, რომ საქართველოს ადგილობრივ ჯიშად შესაძლებელია მხოლოდ 10—15 იქნეს მიჩნეული (გვ. 211—212).

უცხოეთითგან შემოსულ ყოველ მცენარესაც, ხანგრძლივი კულტურის შემდგომ, ხშირად ადგილობრივი სახელი უჩნდება ხოლმე და, რამდენადაც ამ მცენარის მოყვანას ხალხი ინტენსიურად მისდევს, იმდენად უფრო მეტი შერჩევა წარმოებს. დროთა განმავლობაში ახალ-ახალი სახეობა ჩნდება და სპეციალური სახელებიც შემოდის. ასეთი სახელების შინაარსს და სიმრავლეს ამ კულტურის სადაურობისა და ვითარების გამოსარკვევად, უეჭველია, დიდი მნიშვნელობა აქვს და მკვლევარნი უნდა ცდილიყვნენ ამ მარცვლეულის სხვადასხვა ჯიშ-სახეების ყველა ადგილობრივი სახელი, ბოტანიკურად განსაზღვრული, აღნუსხათ. სამწუხაროდ, ეს საკითხიც ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის.

ლ. დეკაპრელევიჩს თავის ვრცელ მონოგრაფიაში ლობიოს ქართული სახელები მოყვანილი აქვს, მაგრამ სამწუხაროდ ყველგან არა: ზოგ საქართველოში საკმაოდ გავრცელებულ ჯიშ-სახეობათა სახელებიც კი აღნუსხული არ არის, თუმცა, უეჭველია, მათ თავიანთი სახელი უნდა ჰქონდეთ.

თავი VII. ლობიოს კლასიფიკაცია და მისი ჯიშ-სახეობათა ქართული ხალხური სახელები

§ 1. ლობიოს კლასიფიკაციის პრინციპები

ლობიოს ჯიშებად დაყოფის დროს ამ მცენარისა და მარცვლეულის სხვადასხვა ნიშანდობლივი თვისებებია მხედველობაში მიღებული. ამ თვისებათაგან უპირველესად ორი უმთავრესი ნიშანია აღსანიშნავი: ერთ ჯგუფს ლობიოს მხვიარა ჯიშები ეკუთვნიან, მეორე ჯგუფს დაბალბუჩქიანი ჯიშები შეადგენენ (ლ. დეკაპრელევიჩი, *Сорта фасоли в Грузии*, 160—162).

სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისით ამ ორ ჯგუფს განსხვავებული ღირებულება აქვს: უკვე არქ. ლამბერტის ჰქონდა აღნიშნული სარის ლობიოს განსაკუთრებული და ხანგრძლივი ნაყოფიერება (იხ. აქვე, გვ. 52). ეს გარემოება თანამედროვე დაკვირვებითაც მტკიცდება. ბუჩქნაირ ჯიშებს, მხვიარა ჯიშებთან შედარებით, გაცილებით უფრო ხანმოკლე ნაყოფიერება აქვთ. თუ ბუჩქნაირი ლობიოს ჯიშების სავეგეტაციო ხანა 80—100 დღემდე გასტანს ხოლმე, მხვიარა ჯიშების ზრდამ ხელშემწყობ პირობებში შესაძლებელია პირველ რთვილამდეც კი გასტანოს (ლ. დეკაპრელევიჩის *Сорта фасоли в Грузии*, 170—171).

შემდეგ ლობიოს ჯიშები ბევრი სხვა ნიშნით განირჩევიან, მათ შორის ყვავილის და მარცვლის ფერით და თვით მარცვლის მოყვანილობა-აგებულებითაც (იქვე, 160—169).

§ 2. ლობიოს ქართული ხალხური სახელები და მათი ბოტანიკური რაობა

ლ. დეკაპრელევიჩის ლობიოს შემდეგი ქართული სახელები მოეპოვება:

A ჯგუფი: Ph. vulgaris savi volublis m. (მხვიარა ჯიშები)

I ქვეჯგუფი: Ph. v. sphaericus (Mart.) m. მრგვალმარცვლიანა ჯიშები:

1. Ph. sphaericus albus (Mart.) თეთრი მარცვლის მქონებული. საქართველოში მაინცდამაინც გავრცელებული არ არის. უფრო იმერეთს, გურიაში და აბხაზეთში გვხვდება და „თეთრი გურული“ ანდა „ბომბა“ ეწოდებოდა (გვ. 184—185).

2. Ph. sphaer. vinosus წითელ-ღვინისფერი ცოტა გვიანი, მაგრამ მოსავლიანი სახეობაა. ევროპაში და ამერიკაში ერთი ძველთაგანი და გავრცელებულთაგანია. მაგრამ საქართველოს და მის მეზობელ რესპუბლიკებში მის მოყვანას შედარებით ნაკლებ მისდევენ. სახელად „წითელი ქონა ლობიო“ (цитли-кона лобнио) ეწოდება (იქვე, გვ. 185—186).

3. Ph. sphaer. niger შემარცვლიანი წინათ უცნობი ყოფილა და Martens-ის სიტყვით 1834 წ. არის ჩინეთითგან ევროპაში შეტანილი, ინგლისში 1837 წ. ჩნდება, ამერიკაში კი მხოლოდ 1857 წ. ახლო ხანებში. საქართველოსა და საზოგადოდ კავკასიაში ნაკლებ არის გავრცელებული, მაგრამ ქართულად „შავი გურული“ ლობიო ჰქვია (იქვე, 186).

4. Ph. sphaer. ochraceus purpureo-punctatus მუქი ყვითელი წითლად დაწინწკლული მეტად ნაყოფიერი და მაღალი ღირსების ლობიოა. გამძლე ჯიშია. ევროპაში XVIII ს. შუა წლებში გაჩნდა და სწრაფად გავრცელდა იქ ყველგან ისევე, როგორც აზიაშიც. ჩრდილოეთ ამერიკაში ინგლისითგან შეიტანეს 1858 წ. ახლო ხანებში. საქართველოშიც ერთი ყველაზე უფრო გავრცელებულ ჯიშთაგანია ყველგან და „გურული ლობიო“-ს, ანდა „ჩიტის-კვერცხა“-ს სახელით არის ცნობილი (იქვე, 187—188).

5. Ph. sphaer. ochroleucus purpureo-punctatus მკრთალი მოყვითანო წითლად დაწინწკლული კარგი და ნაყოფიერი ჯიშია, მეტადრე მუხრანის ველზეა გავრცელებული და „ცანაოს ლობიო“ („Цанавис лобнио“) სახელით არის ცნობილი. მაგრამ ტფილისში ვაჭრობაში მასაც „გურულ ლობიო“-ს ეძახიან (იქვე, 189).

6. Ph. sphaer. gilvus vinoso-punctatus მომწვანო წითელღვინისფერად დაწინწკლული მაღალი ღირსებისა და ნაყოფიერი, თუმცა გვიანი ჯიშია. სხვაგან თითქოს არა ჩანს. საქართველოშიც „გურულ“, ანუ „ჩიტისკვერცხა ლობიო“-ზე ნაკლებ არის გავრცელებული, მაგრამ მაინც ყველგან მოჰყავთ, მეტადრე დასავლეთ საქართველოსა და უფრო კი გურიაში. ეწოდება „გურული“, ანდა „უბეწო-გურული ლობიო“ („Убецо гурული“, 189—190).

II ქვეჯგუფი Ph. oblongus (savi) m. მოგრძომარცვლიანი ჯიშები:

7. Ps. oblong. ochroleucus badio-variegatus მოყვითანო წაბლისფერაქიანი ყველგან გავრცელებული, ნაყოფიერ მაღალ ღირსების მქონებულ და გამძლე,

მაგრამ შედარებით გვიანა ჯიშს წარმოადგენს. საქართველოში ზოგან. (სახელდობრ სად, აღნიშნული არ არის) საკმაოდ გავრცელებული ყოფილა. ტფილისში ვაჭართა შორის „ბორჩალოს“ („Борчалинский“) ლობიოს სახელით არის ცნობილი (იქვე, 195).

8. Ph. Oblong. gilvus vinoso-fasciatus მომწვანო წითელღვინისფერაზოლიანი ნაყოფიერი და შედარებით მაღალხარისხოვანი ლობიოა. საქართველოში იგი თუმცა ნაკლებად არის გავრცელებული, მაგრამ მაინც თავისი სახელი ჰქონია: „კახულა ქონა ლობიო“ („кахула кона лобнιο“). სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის, სად ეძახიან ამ სახელს (იქვე, 196).

III ქვეჯგუფი Ph. v. compressus (Dc.) m. მარცვალ-შეტკეცილი ჯიშები:

9. Ph. compr. luteus კვერცხის გულის ფერის მარცვლიანი ლობიო, Martens-ის სიტყვით, წარსულ საუკუნეში ეს ჯიში ძალიან ყოფილა ევროპაში გავრცელებული. საქართველოში აქა-იქ სთესენ, უფრო კი გურიაშია გავრცელებული, ყოფილა აზერბაიჯანშიც. საქართველოში მას „ყვითელი ლობიო“ ეწოდება (იქვე-197).

IV ქვეჯგუფი. Ph. v. subcompressus (Al.) m. მარცვალმომეტკეცილო ჯიშები:

10. Ph. subcompressus albus ნაყოფიერი და გამძლე ჯიშია. საქართველოში იგი საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული და „თეთრი ლობიო“, ანდა „თეთრი ლაბაშა ლობიო“ ეწოდება (იქვე, 198).

11. Ph. subcompr. vinosus საკმაოდ ნაყოფიერი და გამძლე, მაგრამ გვიანო ჯიშია Hendry-ს აზრით, ეს ლობიო შედარებით ახალია და მექსიკის წითელკანიანი ტომებისაგან უნდა იყოს შეთვისებული და კალიფორნიასა, კოლორადოსა და დასავლეთ არიზონში ფართოდ არის გავრცელებული. ევროპაშიც, მეტადრე სამხრეთ ნაწილში და საფრანგეთშიც დიდხანსა, რაც ძალიან არის გავრცელებული. საქართველოშიც მის მოყვანას საკმაოდ მისდევენ. ქართულად მას „წითელი ლობიო“, ანდა „სიმინდის ლობიო“ ეწოდება (იქვე, 200—201), რათგან ხშირად სიმინდთან ერთად ითესება ხოლმე.

12. Ph. subcompr. badius წაბლისფერმარცვლიანია და გამძლე ჯიშიც არის. საქართველოში ხშირად სიმინდთან ერთად მოჰყავთ და ამის გამო „სიმინდის ლობიო“-ს ეძახიან (იქვე, 201).

13. Ph. subcompr. atroseus nigro-fasciatus მუქი ვარდისფერი შავზოლიანი მარცვლის მქონებელი, ნაყოფიერი და გავრცელებული ჯიშია. საქართველოში აქა-იქ გვხვდება და სხვა ფერაზოლიან ლობიოს ჯიშებსავეთ გურიაში მკითხაობისათვის ხმარობენ და სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ „სათარგმავი ლობიო“ ეწოდება (იქვე, 203).

B ჯგუფი. Phaseolus vulgaris Savi nanus m. კუტი ჯიშები:

V ქვეჯგუფი. Ph. v. sphaericus (Mart.) m. მრგვალმარცვლოვანი ჯიში:

14. Ph. sphaer. cremeus purpureo-punctatus წითლად დაწინწყლული კაეისფერი მარცვლიანი ლობიო, ძველი და ყველა ქვეყანაში ფართოდ გავრცელებული

ჯიშია. თუმცა საქართველოში ნაკლებად მოჰყავთ და უმთავრესად მუხრანის ველზე სთესენ, მაგრამ მაინც სახელად „გურული ლობიო“ ანდა „ჩიტის-კვერცხა“ ეწოდება ისევე, როგორც №4-საც (იხ. იქვე, 206 და 188).

VI ქვეჯგუფი. Ph. v. ellipticus (Mart.) m. ელიფსოიდურ-მარცვლიანი ჯიში:

15. Ph. ellipt. ochraceus badio-variegatus მუქი ყვითელი წაბლისფერად დაწინწკლული მარცვლიანი ლობიო, თუმცა საქართველოში იგი შედარებით იშვიათად მოჰყავთ, მაგრამ მაინც თავისი სახელი მოეპოვება და „ქრელი ლობიო“ ჰქვია (იქვე, 207—208).

VII ქვეჯგუფი. Ph. v. oblongus (Savi) m. მოგრძომარცვლიანი ჯიში:

16. Ph. oblong. albus nigro-maculosus თეთრი ნაწიბურთან შავლაქიანი მარცვლიანი აქეს. საქართველოში თითქოს იშვიათი უნდა იყოს. მაგრამ საკუთარი სახელი აქვს და „კაკაქა-ლობიო“ ეწოდება (იქვე, 210).

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ჩანს, რომ ლ. დეკაპრელევიჩის ლობიოს სულ 16 ქართული სახელი მოეპოვება, თვითოეული მათგანის ბოტანიკური თვისებები და რაობა აღნიშნულია. სამწუხაროდ, რ. ერისთავისაგან ჩაწერილი სახელები და მათი ბოტანიკური შესატყვისობა არსად განხილული არ არის იმისდა მიუხედავად, რომ ლ. დეკაპრელევიჩის ცნობა რ. ერისთავისას ზოგჯერ ეწინააღმდეგება და ამ ქართველ ლექსიკოგრაფს ისეთი სახელებიც აქვს ჩაწერილი, რომელიც თვით დეკაპრელევიჩის სრულებით არ მოეპოვება. ამიტომ რ. ერისთავისა და ლ. დეკაპრელევიჩის ზემომოყვანილი ცნობების გამოყენება არ შეიძლება, სანამ, მათი კრიტიკული განხილვისა და შემოწმების შემდგომ, თვითოეული ამ სახელთაგანის ღირსება და ნამდვილი მნიშვნელობა გამორკვეული არ გვექნება. ქვემომოყვანილი ანალიზი დაგვარწმუნებს, რომ ორსავე ავტორს ზოგადი და ცალკეული სახელები ერთად მოუქცევიათ და არა ერთხელ ზოგადი ტერმინი ცალკეული სახეობის სახელად მიუჩნევიათ.

თავი VIII. ლობიოს საქართველოში არსებული სახელების ანალიზი და ნამდვილი მნიშვნელობა

რ. ერისთავისა და ლ. დეკაპრელევიჩისაგან ჩაწერილ სახელთაგან პირველად ისეთების განხილვას შევუდგებით, რომელთაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ და რომელნიც ცალკეული სახეობის სახელად კი არა, არამედ ჯიშთა ზოგად-ტერმინად არიან განკუთვნილი.

§ 1. ლობიოს მორფოლოგიური თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: კუტი ლობიო, ბარდიანი და უბარდო ლობიო, სარის და სიმინდის ლობიო

რ. ერისთავს დასახელებული აქვს „კუტი ლობიო“, რომლის ხსენებაც კი არ მოეპოვება დეკაპრელევიჩს. ხალხი „კუტი ლობიოს“ ისეთ ჯიშთა ჯგუფს უწოდებს, რომელიც მხვიარა არ არის და პატარა ბუჩქის მსგავსად იზრდება. ამიტომ უეჭველია, რ. ერისთავი მართალი იყო, როდესაც მას გვერდით მოუწერა ლათინური

ბოტანიკური ტერმინი *Phaseolus nanus*, რომელიც „ჭუჭა ლობიოს“ მნიშნავს. ხოლო შემდეგ დართული შესატყვისობა *Ph. v compressus* (Dc.), მარცვალშეტკეცილო სახეობა შეცდომას წარმოადგენს.

საფიქრებელია, რომ გურიაში გავრცელებული ტერმინი „მიწის ლობიო“-ც მნიშვნელობით აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული „კუტი ლობიო“-ს შესატყვისობა უნდა იყოს და ამგვარად ისიც მიწაზე განთრხმულ, არამხვიარა ლობიოთა ჯიშთა ჯგუფის ზოგადი სახელი გამოდის.

რ. ერისთავს „სარის ლობიო“ ლათინური *Phaseolus multiflorus* Lam.-ს, შესატყვისობად აქვს აღნიშნული. ლ. დეკაპრელევიჩის სიტყვით ლობიოთა ამ არაჩვეულებრივ ჯიშს. სახელდობრ, *Ph. multiflorus* Willd.-ს, მრავალფერა, ანუ ცეცხლებრივ ლობიოსაც სთესენ, მაგრამ ცოტას და მას სხვა ჯიშებზე უფრო დაბალხარისხვნადაც სთვლიან (იხ. გვ. 151). ამიტომ ძნელი დასაჯერებელია, რომ მხოლოდ ამ საქართველოში იშვიათი სახეობისათვის განსაკუთრებული ტერმინი შეექმნათ. მრავალფერა ლობიო *Ph. multiflorus* „სარის ლობიო“-დ მხოლოდ იმდენად შესაძლებელია წოდებული იქმნეს, რამდენადაც ეს მცენარეც მხვიარა ლობიოთა ჯგუფს ეკუთვნის.

ნამდვილად კი, უეჭველია, რომ „კუტი-ლობიოს“ მსგავსად, სარის ლობიო-ც ზოგად ტერმინად უნდა იქმნეს ცნობილი და ისეთი ჯიშების აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომელნიც მალა მიიწევენ და სარს ეხვევიან.

ასეთივე ზოგადი ტერმინი უნდა იყოს აგრეთვე ლ. დეკაპრელევიჩისაგან აღნუსხული „სიმინდის ლობიო“-ც, რომელიც მას *Ph. subcompr. vinosus*-ის, ანუ შოშტკეცილო ღვინისფერა ლობიოსი და *Ph. subcompr. badius*-ის, ანუ შოშტკეცილო წაბლისფერა ლობიოს სახელებად აქვს აღნიშნული. ეს ცნობა მხოლოდ იმდენადაა სწორე, რამდენადაც ორივე ზემოდასახელებული ლობიო მართლაც მხვიარა ჯიშებს ეკუთვნიან. მაგრამ, რაკი მათ „სიმინდის ლობიო“ მარტო იმეტომ ეწოდებათ, რომ სიმინდთან ერთად ითესება და სიმინდს, სარის მსგავსად, გარს ეხვევა, ცხადია, რომ სიმინდი ამ შემთხვევაში სარს უდრის. ამისდა გვარად, „სიმინდის ლობიო“ მნიშვნელობით თითქმის „სარის ლობიო“-ს უდრის და ორთავე მხვიარა ლობიოთა ჯგუფის აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად უნდა მივიჩნიოთ. მაშასადამე, „სარის ლობიო“ და ნაწილობრივ აგრეთვე „სიმინდის ლობიო“-ც ლათინური *volubilis*-ის შესატყვისობა ყოფილა.

ზემო იმერეთში ხმარობენ აგრეთვე გამონათქვამებს „ბარდიანი ლობიო“ და „უბარლო ლობიო“. შ. ჭუმბურიძემ, რომელმაც ეს ცნობა გადმომცა და რომელსაც ამისთვის გულითად მადლობას მოვახსენებ, ამ ტერმინების მნიშვნელობა ასე განმარტა: „ბარდიანი ლობიო ეწოდება ისეთს, რომელიც იკეთებს ბარდს და ეხვევა ხარდანს (ე. ი. სარს), ან სიმინდს, — უბარლო ლობიო ეწოდება ისეთს, რომელიც ბარდს არ იკეთებს და არის დაბალი“⁴.

შ. ჭუმბურიძის ცნობითგან ჩანს, რომ „ბარდი“ ლობიოს მცენარის სწორედ იმ ნაწილის აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომლითაც ხესა, თუ სარს, გინდ სიმინდს ეხვევა. ამისდა მიხედვით, „ბარდიანი ლობიო“ მნიშვნელობით „სარის ლობიოს“ და ნაწილობრივ „სიმინდის ლობიოს“ უდრის, ხოლო „უბარლო ლობიო“ კუტი ლობიოს, ანუ მიწის ლობიოს.

⁴ ასე ემით ს. ჯვარიჭყვარი, რომელიც კაცხის თემში, კიათურის რაიონში მდებარეობს.

ქართლში კი ბარდიანის მნიშვნელობა სხვანაირად ესმით: ყოველი „ბარდიანი ლობიო“ მხვიარა, სარის, ან სიმინდის ლობიო არ არის. ლობიოს მცენარის იმ ნაწილს, რომლითაც ის სარს ეხვევა, ქართლში „კავი“ ეწოდება. რაკი „ბარდი“, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 34), განრთხმულ-გადახლართულ წვრილ ხესა და ბუჩქსა ჰნიშნავს, „ბარდიანი ლობიო“-ც არსებითად მიწაზე განრთხმულ-დახლართულ ლობიოს ჯიშს უნდა ეწოდებოდეს. ამგვარად, ირკვევა, რომ „სარის ლობიო“ სხვაა, „ბარდიანი ლობიო“ კიდევ სხვაა: პირველი ნამდვილი მხვიარა ჯიშის სახელია, მეორე პირიქით განრთხმულ-გახლართული ჯიშის აღმნიშვნელია „კუტი ლობიო“ ხომ, როგორც დავრწმუნდით, ამ მცენარის ბუჩქებრივი უბარდო ჯიშის სახელია.

ტერმინს „სარის ლობიო“-ს, ვითარცა მხვიარა ჯიშთა თვისების ზოგადად უკეთესად გამომხატველს, „სიმინდის ლობიო“-ს წინაშე უნდა უპირატესობა მიენიჭოს. ამიტომ თანამედროვე ბოტანიკურ-აგრონომიულ მწერლობაშიც მხვიარა ლობიოთა ჯგუფის ზოგად აღმნიშვნელ ტერმინად „სარის ლობიო“-ს ხმარება ემჯობინება.

§ 2. ლობიოს პარკისა და მარცვლის ქსოვილის თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: ქონა, უბეწვო და ჩენჩა ლობიო

რ. ერისთავს „ქონა ლობიო“ განუმარტველად აქვს დატოვებული. ლ. დეკაპრელევიჩის კი, როგორც დავრწმუნდით, ლობიოს ორი ჯიშ-სახეობის სახელში აქვს მხოლოდ აღბეჭდილი, თვით „ქონა“-ს მნიშვნელობის განუმარტვადვე. ეს სახელი საგულისხმოა და, უეჭველია, იგიც ზოგადი ტერმინი უნდა იყოს. ამ უკანასკნელი გარემოების ცხად-საყოფელად ისიც საკმარისია, თუ გავიხსენებთ, რომ ლ. დეკაპრელევიჩის ნაშრომის მიხედვით არსებობს „წითელი ქონა ლობიო“, რომელიც მისი განმარტებით არის *Ph. Sphaer vinosus*, და „კახუჯა ქონა ლობიო“-ც, რომელიც ამავე ავტორის სიტყვით არის *Ps. oblong. gilvus vinoso-fasciatus*. რაკი ორი სხვადასხვა ჯიშის ლობიოს სახელებში „ქონა“ შედის, უეჭველია, რომ „ქონა“ ამ ორი-სამ სხვადასხვა მოყვანილობისა და ფერის ლობიოს რომელიღაც საერთო თვისების ზოგადი გამომხატველი უნდა იყოს. შ. ჰუმბოლდტის ზეპირი ცნობით, რომლისთვის დიდ მადლობას მოვანსენებ, ზემო იმერეთში „ჭრელ ლობიო“-საც „ქონა ლობიო“ ეწოდება. ლ. დეკაპრელევიჩის ზემოდასახელებული გამოკვლევის მიხედვით კი „ჭრელი ლობიო“ *Ph. ellipt. ochraceus badio-variegatus*-ს უდრის (იხ. აქვე, გვ. 57).

„ქონა“ მანტო ლობიოს დასახასიათებლად კი არა, არამედ სხვა, მხალთა ჯგუფის, მცენარის სახელადაც ხმარება: დანდურს ანუ *Portulaca oleracea* L.-ს, მაგ., „ქონა-ქონა“-ც ეწოდება. როგორც ჩანს, აქაც ამ მხალის გარკვეული თვისების დამახასიათებელი სახელი უნდა გვქონდეს. ამ მცენარის არსებული მესამე სახელი „მსუქანა“ (იხ. ერისთავის ლექსიკ., გვ. 14, § 205) ცხადპყოფს, რომ „ქონა-ქონა“-ც სიმსუქნის თვისების გამომხატველი უნდა იყოს, და, მაშასადამე, „ქონა“ ამ მხალისათვის ხალხს ქონის მსგავსი თვისების გამო დაურქმევია.

ესლა გამოსარკვევია, თუ ლობიოს სახელობა რომელი თვისების გამომხატველი უნდა იყოს ტერმინი „ქონა“? ცნობილია, რომ ცერცენაირი მარცვლები სამ ჯგუფად

ყოფიან; ერთი ჯგუფის პარკს, რომლისათვისაც ფრანგებს სახელად აქვთ „haricots à parchemin ou à écosser“, შიგნით „ეტრატინი“, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, ეტრატის მსგავსი კანი აბადიათ, რომელიც მაგრდება და გახვევდება ხოლმე. ამის გამო მათი ნელლად ჰამა არ შეიძლება.

მეორე ჯგუფს ფრანგები „სანახევროდ ეტრატინს“ „demi—parchemin“-ს უწოდებენ. მათი პარკის შიგნითი კანი უფრო გვიან მაგრდება.

დასასრულ, მესამე ჯგუფს პარკის შიგნითი კანი არც უხვევდება და არც უმაგრდება. ამიტომ ფრანგები მას sans parchemin-ს, „უეტრატოს“ უწოდებენ. იგი სატატურებრივ, ანუ შაქრიან ჯიშად არის მიჩნეული (ლ. დეკაპრელევიჩი, 165).

საკმარისია გავიხსენოთ, რომ „წითელი ქონა ლობიო“ მოჰყავთ უმთავრესად, ვითარცა სატატურებრივი, ანუ შაქრიანი ჯიში (იხ. იქვე, 186) და „კახულა ქონა ლობიო“-ც ე. წ. „უეტრატო“ ლობიოთა ჯგუფს ეკუთვნის (იქვე, 196), და მაშინ ადვილად დავრწმუნდებით, რომ „ქონა“ ქართველ ხალხსა და სოფლის მეურნეს ნაზი ე. წ. „უეტრატო“, ანუ „სატატურებრივი“, თუ „შაქრიანი“ ჯიშის ლობიოთა აღმნიშვნელ ზოგად ტერმინად უქცევია. შ. ჭუმბურიძის ზეპირად გადმოცემული ცნობითაც „ქონა ლობიო“-ს ისეთ ლობიოებს უწოდებენ, რომელთა „პარკიანად ჰამა შეიძლება“.

ლ. დეკაპრელევიჩის მოუპოვება სახელი „უბეწო გურული ლობიო“, რომელიც მისივე სიტყვით ბოტანიკურად Ph. sphaer. gilvus vinoso-punctatus, ე. ი. მომწვანო წითელ-ღვინისფერად დაწინწკლული ლობიოს აღმნიშვნელია (იხ. აქვე, გვ. 55). თუმცა ეს სახელი რ. ერისთავს თავის ლექსიკონში არ მოუპოვება, მაგრამ, როგორც გაუოკითხვამ დამარწმუნა, ასეთი გაღონათქვაში „უბეწო ლობიო“ მართლაც არსებობს.

თავის მხრივ რ. ერისთავს შეტანილი აქვს „ჩენჩა ლობიო“, რომელიც ლ. დეკაპრელევიჩის არ მოუპოვება. არც ერთი ამ ორი გამონათქვამთაგანის განმარტება ზემოაღნიშნულ ავტორებს არა აქვთ, ამიტომ ამის გამორკვევა საჭირო.

„უბეწო ლობიო“-ს მნიშვნელობის გაგება ძნელი არ არის: მისი ნამდვილი მართლწერა, რასაკვირველია, „უბეწო ლობიო“ უნდა იყოს. ასეთი სახელი იმ ლობიოს ეწოდება, რომელსაც „ბეწვი“ არა აქვს. ლობიოს ბეწვს კი ამ მცენარის მწვანე პარკის ორთავე მხარეზე მყოფს იმ ძაფისმაგვარ ქსოვილს უწოდებენ, რომელსაც, ვითარცა გახვევებულ, მოუნელებელ ნაწილს, ამ პარკის თავისა და ბოლოს კიდურების მომტკრევისთანავე ჩამოაცილიან ხოლმე. ასეთი „ბეწვი“ მხოლოდ რბილი, ნაზი პარკის მქონებელ ლობიოს არ გააჩნია და ამის გამო „უბეწო ლობიო“ იმავე დროს რბილ-პარკიანი, ნაზი ქსოვილის მქონებელი ლობიოს აღმნიშვნელია.

ლ. დეკაპრელევიჩის ცნობისდა მიუხედავად, ეს სახელი ლობიოს მართლ ერთი, ზემოაღნიშნული, სახეობის კუთვნილება არ უნდა იყოს, არამედ ზოგად ტერმინს წარმოადგენს.

„ჩენჩა ლობიო“-ს მნიშვნელობა რ. ერისთავს განმარტებული არა აქვს, ლ. დეკაპრელევიჩის ასეთი სახელი არც კი მოუპოვება. რაკი „ჩენჩა“ ისევე, როგორც „ნაჩენჩი“, ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „მარცვალთ შემონაძრომი კილი“-ა (ლექსიკ.), უფრო სწორედ რომ ითქვას კი, მარცვლის გარეკანი და პარკის გახვევებული ქსოვილია, ამიტომ ცხადია, რომ „ჩენჩა ლო-

ბიო“ ისეთი ჯიშის ლობიოების სახელი უნდა იყოს, რომელთაც ამგვარი თვისებების პარკ-გარეკანი გააჩნიათ. შესაძლებელია ეს ქართული ტერმინი ფრანგულ *haricots à parchemin*-ს, ანუ ე. წ. „ეტრატინს“ უდრიდეს.

§ 3. ლობიოს მარცვლის მორფოლოგიური თვისების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: ლაბაშა და ტკიპა ლობიო

დანამდვილებით ძნელი სათქმელია, თუ რას უნდა ნიშნავდეს „ლაბაშა ლობიო“, დამელსაც ან „თეთრი ლაბაშა ლობიო“ ეწოდება, ანდა მარტივად „თეთრი ლობიო“, ცხადია მხოლოდ, რომ „ლაბაშა“ შეუქლებელია ფერის აღმნიშვნელი იყოს. ლ. დეკაპრელევიჩის ცნობით, „თეთრი ლაბაშა ლობიო“ *Ph. subcompressus albus*-ს, ე. ი. თეთრ მოშეტკეცილო ლობიოს ეწოდება, რომელსაც შემჭიდროებული მოყვანილობა აქვს. ამიტომ იბადება აზრი, „ლაბაშა“ ხომ „ლავაშა“-ს დიალექტური ფორმა ან არის და ლობიოს სწორედ ამ შეტკეცილობის აღმნიშვნელი და, მაშასადამე, ლათინური *compressus*-ის ანდა *subcompressus*-ის შესატყვისობას ხომ არ წარმოადგენს?

ყურადღების ღირსია ტერმინიც „ტკიპა-ლობიო“, რომელიც რ. ერისთავის აზრით თითქოს უნდა იყოს *Dolichos monachalis* Brot., რომელიც Savi-ს ლობიოსაგან განსხვავებულ მცენარედ აქვს მიჩნეული (დეკაპრელევიჩი, დასახ. ნაშ., 173).

ქართული ტერმინი კი ამ მარცვლელს ლობიოდ სთვლის, ამიტომ გამოსარკვევია, თუ რამდენად სწორე უნდა იყოს ქართველი ლექსიკოგრაფის ზემომოყვანილი ლათინური შესატყვისობა.

ასეთი სახელი მართლაც არსებობს, იმისდა მიუხედავად რომ ლ. დეკაპრელევიჩის თავის არც ერთ ნაშრომში შეტანილი არა აქვს: „ტკიპა ლობიო“ ლიხთიმერეთშიც მოიპოვება და ამერეთშიაც. იგი, შ. ჭუმბურიძის გადმოცემით, პატარა, მრგვალი შეტკეპილი მოყვანილობის, მუქი ფერის მარცვლელს წარმოადგენს. ს. ლამისყანის მცხოვრები სიღონია მაყიშვილის სიტყვით, ქართლში მას „ზეთის ლობიო“-საც უწოდებენ ჭარბი ცხიმოვანობის გამო.

„ტკიპა ლობიო“-ს სახელი ამ მარცვლელის ტკიპთან დამსგავსებით არის წარმომდგარი, რათგან ამ მცენარის მარცვალი თავისი მოყვანილობით საქონლის კანის ამ პარაზიტს, ტკიპს მიაგავსო.

§ 4. ლობიოს შეფერადების დამახასიათებელი ტერმინები

ლობიოს სხვადასხვა ჯიშ სახეობათა ნიშანდობლივ, საკუთარ სახელწოდებებში, როგორც რ. ერისთავისა და ლ. დეკაპრელევიჩისაგან შეგროვილი ცნობებითგან ჩანს, ლობიოს მარცვლის ფერის სახელიც არის ხოლმე ჩართული. ამიტომაცაა, რომ არსებობს ასეთი სახელები, როგორცაა, მაგ., „თეთრი გურული ლობიო“ და „თეთრი ლაბაშა ლობიო“, — „წითელი ლობიო“, „წითელი სიმინდის ლობიო“ და „წითელი ქონა ლობიო“, — „ყვითელი ლობიო“ — „ჩიტისკვერცხა გურული ლობიო“ 2 ჯიშ-სახეობის სახელია, — „კაჭკაჭა ლობიო“, — „შავი გურული ლობიო“ და „შროშანა ლობიო“.

უკანასკნელი სახელი მარტო რ. ერისთავს მოეპოვება, მაგრამ მისი ბოტანიკური შესატყვისობის აღსანიშნავად ლ. დეკაპრელევიჩის ცნობებში „შროშანა ლობიო“ არსადა ჩანს. ამიტომ გაუგებარია, თუ რა ფერის მარცვალი იგულისხმება? „შროშანა“ ზამბახის ძველი ქართული სახელია (იხ. საბას ლექსიკ.), ხოლო „შროშანი... არს ყვავილი მრავალფერი და სუნნელიო“-ო (იქვე). ლუკას 1227-ის მიხედვით უდრის ბერძნულს τὸ κρίσιον-ს, ლათინურს liliium-ს ე. ი. იგივე ზამბახი, ანუ შროშანა გამოდის. რაკი შროშანას ძირითადი ფერი იასამნისაა, ამიტომ „შროშანა ლობიო“ ალბათ მოიასამნო ფერის მარცვლიანი ლობიო უნდა იყოს. ასეთი ლობიოს ჯიშში არსებობს კიდევაც (იხ. ლ. დეკაპრელევიჩი, *Сорта фасоли в Грузии*, 167), მაგრამ თვით დეკაპრელევიჩს საქართველოში გავრცელებულ ლობიოს ჯიშ-სახეობათა შორის შროშანას ფერი, ან შროშანა-ლობიო დასახელებული არა აქვს.

ზემომოყვანილითგან ირკვევა, რომ მარცვლის შეფერადების დახასიათების დროს ქართველ მიწისმოქმედს 5 ძირითადი ფერის სახელი გამოუყენებია (თეთრი, წითელი, ყვითელი, შროშანა, ანუ იასამნისფერი და შავი). ორ შემთხვევაში შეფერადების დასახასიათებლად „კაკაკაჟა“ და „ჩიტისკვერცხა“ გამონათქვამებია ნახმარი. „კაკაკაჟა“, როგორც დავრწმუნდით, თეთრს შავლაქიანს მარცვლის შეფერადებას ჰგულისხმობს (იხ. აქვე, გვ. 57), ხოლო „ჩიტისკვერცხა“ ერთ შემთხვევაში (იხ. აქვე, გვ. 55, № 4) წითლად დაწინწყლულ მუქ ყვითელ შეფერადებას უდრის, მეორე შემთხვევაში კიდევ წითლად დაწინწყლულ კაჟის ფერად შეღებილობას წარმოადგენს (იხ. აქვე, გვ. 56—57, № 14). რაკი ჩიტისკვერცხი მართლაც წითლად დაწინწყლული კაჟისფერისა არის, ამიტომ სწორედ მარცვლის ასეთი შეფერადება უნდა იქმნეს „ჩიტისკვერცხა“-ს ძირითად მნიშვნელობად ცნობილი.

ამგვარად, ფერნარევი შეფერადების გამოსახატავად ფრინველთა სამეფოდან აღებული შედარება გამოყენებული.

§ 5. ლობიოს ჯიშების სადაურობის აღმნიშვნელი სახელები

ლობიოს ჯიშ-სახეობათა და სახელების გასარჩევად და შესაქმნელად ხალხს თვითთავი მათგანის სადაურობის საკითხიც გაუთვალისწინებია და გამოუყენებია. მაგ. ერთ მათგანს „ზღვისპირის ლობიო“ ეწოდება. თვით რ. ერისთავი *Ph. multiflorus Willd*-ის ქართულ შესატყვისობად „ზღვისპირის ლობიო“-ს სახელი მიაჩნია, ლ. დეკაპრელევიჩს კი *Ph. multiflorus Willd*-ის ქართულ სახელად აღნიშნული აქვს „ვირგლა“ და „ბაკლა ლობიო“ (*Мат. по изуч. бобовых Грузии*, 131). ზემოდასახელებულ მკვლევარს კი თვით „ზღვისპირის ლობიო“-ს სახელის ხსენებაც კი არსად ჩანს. საითგან წარმოსდგა ეს „ზღვისპირის“, ანუ „ზღვისპირული ლობიო“-ს სახელი, ამჟამად ძნელი სათქმელია, მაგრამ ეს ტერმინი, როგორც პირადი გამოკითხვის დროს დავრწმუნდი, ხალხში, მაგ. ქართლში, მართლაც არსებობს. ამ ტერმინის შინაარსი ამ ჯიშის სადაურობას ამჟღავნებს: უეჭველია, ამერეთში მიანც, იგი დასავლეთითგან, შავი ზღვის სანაპიროთგან უნდა იყოს მოსული. ამნაირად, აქ ერთი იმ სახელთაგანი გვაქვს, რომელშიც ლობიოს სადაურობა არის აღბეჭდილი.

საკმარისია ადამიანმა რ. ერისთავისა და ლ. დეკაბრელები ლობიოს სახელების ზემომოყვანილი სიები გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად ხშირია ასეთი მოვლენა. არსებობს ლობიო: თეთრი გურული, შავი გურული, ჩიტისკვერცხა გურული, ცანაო გურული, უბეწო გურული და ჩიტისკვერცხა გურული მეორე ჯიშისა. აგრეთვე კახულა ქონა ლობიო და ბორჩალოსი. მაშასადამე, სულ ლობიოს 9 სახელია, რომელთა სადაურობაც თვით მათ სახელწოდებაშივეა აღნიშნული.

§ 6. ლობიოს სახელების ანალიზით მოპოვებული შედეგი

ლობიოს ცალკეულ სახეობათა სახელებისა და ყველა არსებული ცნობის კრიტიკულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ცალკეულ სახელებად ხშირად ჯიშების ზოგადი სახელები ყოფილა შეცდომით მიჩნეული. გათვალისწინებული არ ყოფილა ლობიოს ამათუიმ სახეობის რთული სახელწოდების თვითოეული ნაწილის ნამდვილი მნიშვნელობა (ჯიშის, მოყვანილობის, ფერის, სადაურობის) და ამის გამო ლობიოს ქართული ხალხური კლასიფიკაციისა და ტერმინოლოგიის პრინციპი მკვლევართათვის სრულებით გაუგებარი დარჩენილა.

რაც ეხლა ეს საკითხი უკვე საკმაოდ არის გამოკვლეული, ლობიოს ქართული სახელების ზემომოყვანილი ანალიზი დაარწმუნებდა ადამიანს, რომ უკვე მოპოვებული შედეგების გამო, ლობიოს ცალკეულ ნომენკლატურას ხელახალი შესწავლა სჭირდება: ყველა სახელი ადგილობრივ სხვადასხვა თემში უნდა იყოს ჩაწერილი, ჩანაწერის სადაურობის აღნიშვნით. ამის შემდგომ ზოგადი ტერმინებისა და ცალკეული სახელების განცალკევებითა და მერმე თვითულ კერძო შემთხვევაში სათანადოდ გამოყენებით ამ დარგშიც გარკვეული, მტკიცე ტერმინოლოგიის შემუშავება ძნელი არ იქმნება.

თავი IX. ლობიოს სადაურობის პროზლევა ზოგადად საქართველოში

§ 1. საკითხი ლობიოს სადაურობაზე ზოგადად

ლობიოს სადაურობის შესახებ მეცნიერთა შორის თანხმობა არ სუფევს. უმეტესი მათგანი ამ მარცვლეულს ამერიკულ მეცნარედ სთვლის და ევროპასა და სხვა ქვეყნებში იგი იქითგან შეტანილად მიაჩნით.

ამ აზრის მოწინააღმდეგეთა საუკეთესო წარმომადგენელი, უპირველესად O. Comes, თავის გამოკვლევაში *Del fagiulo comune (Phaseolus vulgaris L.)*, რომელიც 1909 წ. ნეაპოლში გამოქვეყნდა, იმ გარემოებას ეყარება, რომ ამერიკის ილმონენის მომდევნო უახლესი ხანის იტალიელი მკვლევარი Mattioli 1544 წ. თავის ნაშრომში ლობიოს იტალიის ძველ მარცვლეულად აღიარებდა. მას აღნიშნული აქვს, რომ ლობიო მის დროსვე იტალიაში ყველგან გავრცელებული ყოფილა და რაგორც ჭინდრად, ისევე ბოსტნებშიც ბლომაღ სთესდენ. უკვე მაშინვე ლობიოს თეთრი, ყვითელი და ჭრელი ჯიშები არსებულა. ამასთანავე მას ნათქვამი აქვს მე მგონია, რომ ლობიო ძველადაც ცნობილი მცენარე იყო და იტალიაში სრულებით ახალი შემოტანილი არ არის, რაგორც ფიქრობენო.

თავისი დებულების დასამტკიცებლად Comes-ს არაბთა მწერლების ცნობებიც აქვს დამოწმებული, რომელთაც ესპანეთში XII ს. გავრცელებული ლობიოს აღწერილობა მოეპოვებათ. ამაზე უფრო შორსაც მიდის იტალიელი მეცნიერი და Fiorelli-ს მიერ პომპეიში ჭურჭელში ნაპოვნი მარცვლეულიც ლობიოდ მიაჩნია. ამიტომ კომეს-ი ლობიოს ამერიკულად კი არა, არამედ სუბტროპიკული აზიითგან შემოსულ მცენარედ სთვლის.

ამერიკელ მეცნიერ Tracy-ს გამორკვეული აქვს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში ლობიოს 185 ჯიშთაგან მხოლოდ 15 აღმოჩენილა ისეთი ჯიში, რომელთაც 80 წლის წინათაც სთესდენ, დანარჩენი ჯიშების უმეტესი ნაწილი თურმე ევროპითგან ყოფილა ამერიკაში შეტანილი. ამგვარად, ეს გარემოებაც იმ აზრს, რომ ლობიოც ამერიკული მარცვლეულია, საეჭვოდ ჰხდის.

ამ ექვს მეორე ამერიკელი მეცნიერის G. Freeman-ის ცნობაც აძლიერებს, რომლითგანაც ირკვევა, რომ ჩრდილოეთ ამერიკის სონორისა და ორიზონის შტატის ველური ინდოელი ტომები ლობიოს ყველა იმ 18 ჯიშს, რომელსაც იხინი სთესენ, „თეთრების ცერცვს“ უწოდებენ, ე. ი. თეთრკანიანების მარცვლეულობად მიაჩნიათ. მაგრამ ამას გარდა ამ ტომს მოჰყავს თურმე *Phaseolus acutifolius* Asa Gray var. *latifolius*, რომლისაც 52 ჯიში მოეპოვებათ. ინდოელებს სწორედ ეს მცენარე მიაჩნიათ „თავის“ ცერცვნიარ მარცვლეულად და ასევე ეძახიან ამ მცენარეს ეს ტომები. ამ გარემოების გამო Freeman-იც ფიქრობს, რომ ლობიოს სამშობლოდ ჩრდილოეთი ამერიკა არ უნდა ყოფილიყო, არამედ რომ ეს მცენარე იქ სამხრეთ ამერიკითგან არის უკვე ევროპელებისაგან შეტანილი.

გერმანელ ბოტანიკოსს ა. ენგლერ-ს ლობიოს სადაურობის საკითხი არქეოლოგიური ფაქტების გათვალისწინებით აქვს განხილული. არც უძველეს საფლავებში, არც დიროვან ნაშენობებში არსად ლობიო არ აღმოჩენილა. ამასთანავე ზნელთაშუა ზღვის აუზის არეშიც ლობიოს ახლო მონათესავე ველური მცენარეც არსად მოიპოვება.

ხოლო Wittmack-სა და Koernicke-ს გამორკვეული აქვთ, რომ კლასიკურა მწერლების თხზულებებში მოხსენებული *Phaseolus*-ი ლობიო კი არა, არამედ *Vigna sinensis*, ანუ მცენარის ეხლანდელი, ხალხში მიღებული, სახელი რომ ვიხნაროთ, „ძაპა“ ყოფილა *Nachrichten aus dem Klub der Landwirte zu Berlin* № 115, 20. Juli 1881 წ., გვ. 782 და *Verhandl. d. naturhist. Ver. d. preuss. Rheinlandes u. Westfalens* 1855, *Korresp.—Blatt.* გვ. 136). თუმცა ეს მცენარე ტროპიკული აფრიკის ადგილობრივ მცენარედ ითვლება, მაგრამ ენგლერი ფიქრობს, რომ, ტროპიკული აფრიკის სხვა ადგილობრივი მცენარეების მსგავსად, ძაპაც ეგვიპტეში ინდოეთითგანაა გადასული. ამგვარად, ლობიო ევროპისა და აზიის ძველა ერებისათვის უცნობი მცენარე და მარცვლეული ყოფილა.

პირიქით, სამხრეთ ამერიკაში, პერუს ძველ სამარხავებში, ანკონში, ლიმას მახლობლად სხვა ნაშენილ ამერიკულ მარცვლეულობასთან ერთად ლობიოც მოიპოვება. ამასთანავე, რაკი სამხრეთ ამერიკაში მსხვილი ლობიოს ყველა ჯიში ადგილობრივი მცენარეებია, ამიტომ ენგლერი ფიქრობს, რომ ლობიო სამხრეთ-ამერიკელი პარკოსანი მარცვლეულია და ამერიკის აღმოჩენის შემდგომ არის ევროპისა, აზიისა და სხვა ქვეყნებში გავრცელებული (ლობიოს სადაურობის

შესახებ იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Ht., გვ. 218—219 და ლ. დეკაპრელევიჩის Сорта фасоли (Phaseolus vulgaris Savi), возделываемые в Грузии, ტფ. ბოტან. ბაღის მეცნ.-გაპოყ. განყოფილებათა ნაწერები, 1925 წ., ნაწ. IV, გვ. 155—158).

§ 2. ლობიოს სადაურობა საქართველოში

საკუთრივ საქართველოს მეურნეობაში ლობიოს კულტურის გაჩენის საკითხს რომ შევეხოთ, ლობიოს არსებობა დანამდვილებით ჯერჯერობით მხოლოდ XVII ს. შუა წლებშია დადასტურებული სამეგრელოსა და იმერეთში. მაგრამ სამეგრელოში ამ დროს ეს მარცვლეული ძალიან გავრცელებული ყოფილა, ამიტომ ცხადია, რომ ეს მცენარე ამაზე გაცილებით უფრო ადრე უნდა იყოს საქართველოს ამ თემში გაჩენილი. იმ ხანის გამორკვევის დროს, როდესაც ლობიო ჩვენში პირველად უნდა გაჩენილიყო, უნდა იმ გარემოებასაც გაეწიოს ანგარიში, რომ ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დავთარში ლობიოს ხსენება არ არის. ეს იმის მომასწავებელია მაინც, რომ ლობიო ამ დროს იქ, თუნდაც რომ ყოფილიყო უკვე გაჩენილი, მაინც სასოფლო მეურნეობაში ფართო ასპარეზი და მნიშვნელობა მოპოვებული არ ჰქონია. ამიტომ საფიქრებელია, რომ ლობიო საქართველოში დაახლოვებით XVI ს. მეორე ნახევარს, ანდა დამლევი უნდა იყოს გაჩენილი.

მაგრამ საითგან? ამ საკითხის გამორკვევასა და გადაწყვეტას ორი გარემოება გვშეველის: ამ მცენარის სახელის სადაურობა და გავრცელების თანდათან გზა და მიმართულება.

საკმარისია ადამიანმა გადაიკითხოს ის ადგილი, სადაც ლობიოს ქართულ სახელებში აღბეჭდილ ამ მცენარის ჯიშ-სახეობათა სადაურობის ცნობებზე გვექონდა საუბარი, იმის დასარწმუნებლად, რომ 6 მათგანს გურული ლობიოს სახელი აქვს. თუ ამას „ზღვისპირულსა“ და „სათარგმავ ლობიო“-საც მივუმატებთ, რომელთაგან უკანასკნელი წმინდა გურული სახელიც კია, მაშინ უეჭველი შეიქმნება, რომ ლობიო საქართველოში დასავლეთითგან აღმოსავლეთისაკენ ვრცელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ორი თემის, კახეთისა და ბორჩალოს, სახელია ლობიოს სახელებში აღბეჭდილი. ეს გარემოებაც სრული სიცხადით ამტკიცებს, რომ ლობიოს კულტურის შემოტანა-გავრცელებაში მნიშვნელობა ლიხთიმერეთის უკიდურეს დასავლურ თემებს, უმთავრესად კი გურიას, ჰქონია:

თუ ეს გარემოება გათვალისწინებული გვექმნება, მხოლოდ ამ მცენარის ქართული სახელი-დაა გასახსენებელი, რომ საბოლოოდ გადაწყდეს საკითხიც, თუ რა გზით უნდა იყოს სამხრეთ ამერიკითგან ევროპაში შეტანილი ეს მარცვლეული დასავლეთ საქართველოში შემოსული. უფრო ბუნებრივი იყო, რომ ეს მცენარე ზღვით იტალიითგან შემოეტანათ, მაგრამ ამას ამ მარცვლეულის საქართველოში მიღებული სახელი არ ადასტურებს. ასე რომ ყოფილიყო, მაშინ ლობიოს მაგიერ ფაჯილოს მსგავსი სახელი იქნებოდა ქართულშიც. ამასთანავე, იტალიასთან საქართველოს უშუალო კავშირი, ოსმალეთის წყალობით, არც ჰქონდა. ქართული სახელი „ლობიო“ მართალია სპარსულ „ლუბია“-ს უდგება, მაგრამ ეს მარცვლეული რომ სპარსეთითგან ყოფილიყო საქართველოში შემოტანილი, მაშინ პირველად ამერეთში უნდა გაჩენილიყო და მის კულტურის

ცენტრალად ქართლ-კახეთი იქმნებოდა და არა გურია. როგორც დავრწმუნდით, პირიქით სწორედ შავი ზღვის სანაპირო ზოლი, განსაკუთრებით კი გურია, ყოფილა ლობიოს კულტურის მეთაური და გამავრცელებელი. ეს გარემოება უნებლიეთ გვაფიქრებინებს, რომ დასავლეთითგან საქართველოში ლობიო უნდა ოსმალეთის გზით იყოს შემოსული.

თავი I. მავა-ცერცი, მავა-ლოზიო

§ 1. ცნობები მავას შესახებ და მისი რაობა

წყაროებში, ლექსიკონებს გარდა, ამ მარცვლეულის სახელი ჯერჯერობით პირველად „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის XIII ს. დამდეგის ქართულ-თარგმანში (ხელთ., გვ. 147, 157) გვხვდება იქ ნათქვამია: ავადმყოფს ქერქმე-მოცილილი „მაშაი... ერგების“-ო. შემდეგ მოხსენებულია იგი მხოლოდ ვახუშტის მარცვლეულთა სიაში (იხ. აქვე, გვ. 18).

„მაშა“, ვითარცა ერთი ცერცვაგანის სახელი, საბასაც შეუტანია თავის ლექსიკონში. მას ნათქვამი აქვს: „მაშა ცეცხლის ასაღებელი, გინა თოფისა, თურქთა ენაა, ქართულად ტკეცი ეწოდების, ხოლო მაშა ცერცუსა — ცეცქაა“-ო. ამ უკანასკნელი სიტყვის განმარტებაში კი სწერია: „ცეცქა ცერცუ, ჰინდოთ საქმელი“ არისო.

ს. ორბელიანის „მაშა“-ს ზემომოყვანილი განმარტებითგან ისე გამოდის, რომ არც ცეცხლის ასაღებელი იარაღის აღმნიშვნელი „მაშა“, არც „მაშა-ცერცი“ ქართული არ უნდა იყოს. მართალია, ცეცხლის ასაღები იარაღის სახელი ქართული არ არის, მაგრამ თურქული კი არა, სპარსული „მაშაჰ“-ა, რომელსაც სპარსულად სწორედ ასეთივე მნიშვნელობა აქვს. არც ცერცვანიის სახელია ქართული. ამ მარცვლეულის ქართულ სახელად საბას „ცეცქაა“ მიაჩნდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სახელი სხვაგან არსადა ჩანს და გამოურკვეველია, თუ საითგან აქვს ეს ცნობა ამოღებული.

აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანი ამ მარცვლეულს „მაშა-ცერცეს“ უწოდებს და არა „მაშა-ლოზიოს“, ე. ი. ლობიოდ კი არა, არამედ ცერცვად მიაჩნდა.

„მაში“ ფ. გორგიჯანიძესაც შეუტანია თავის პატარა ლექსიკონში და მის არაბულ შესატყვისობად „მჟ“, ხოლო სპარსულად „მაშ“-ი აქვს დასახელებული. არაბულად მართლაც „მაჟჟ“ იხმარება, სპარსულად კი „მაშაჰ“, ე. ი. ისევე, როგორც ქართულშია. „მაშ“ ამ მცენარეს თურქულად ეწოდება. ცენკერის განმარტებით „მაშა“ მუქი მწვანე წვრილი, ცერცვზე მომცრო, ლობიოს სახელი ყოფილა (იხ. მისი არაბ.-სპარ.-თურქ. ლექსიკონი). ლ. დეკაპრელევიჩის სიტყვით, „მაშა-ლოზიო“, ანუ „წი-ლოზიო“ ბოტანიკურად Phaseolus aureus (Roxbg.) Piper-ს წარმოადგენს (იხ. Mat. по изуч. бобовых Грузии, с. 132).

რ. ერისთავს „მაშა-ლოზიო“-ს დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სახელად მოყვანილი აქვს „მამაკალია“ (ლექსიკ., გვ. 36, § 533).

§ 2. მაშას, ანუ ცეცქაის ხალაურობა

ს. ორბელიანის განმარტებითგან ჩანს, რომ „მაშა“, ანუ „ცეცქაი“ საქართველოში ჰინდოთა ცერცენაირ მარცვლეულად ყოფილა ცნობილი. მართლაც ეს მცენარე ინდოეთშიც არის გავრცელებული. მაგრამ მისი კულტურა რომ საქართველოში უშუალოდ ინდოეთითგან არ შეიძლება შემოსული იყოს, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „მაშა“-ს ინდოეთში „mung“-ი ეწოდება (იხ. ლ. დეკაპრელევიჩი, *Mat. по изуч. новых Грyзии*, с. 142). ამ სახელთან უნდა იყოს ამ ცერცენაირის ფ. გორგიჯანიძისა და ცენკერისაგან მოყვანილი ზემოაღნიშნული არაბული სახელი.

XIII ს. პირველი ნახევრის არაბთა ბოტანიკოსს იბნ ბატარ-ს (იხ. Cl. Huart, *Littérature Arabe*, 1902 წ. Paris, გვ. 313) თუ დავუჯერებთ, „მაშა“ აქმენის ადგილობრივი მცენარე იყო თავდაპირველად და თითქმის იქითგან უნდა იყოს სხვა ქვეყნებში შეტანილი (იხ. Alf. von Kremer. *Culturgeschichte des Orients unter den Chalifen II*, B., 323). მაგრამ შესაძლებელია არაბეთშიც ინდოეთითგან იყოს მიტანილი.

საქართველოში მიღებული ამ მარცვლეულის სახელი კი სპარსეთითგან არის შეთვისებული. ამგვარად, თუ მაშა „ჰინდოთა საქმელი“ იყო, ქართველებს იგი სპარსეთის გზით უნდა ჰქონოდათ გაცნობილი.

მაგრამ ამ მცენარეს ქართული სახელიც ჰქონია და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ მისი საქართველოში პირველი გაჩენა შესაძლებელია მაშა-ცერცის სახელის სპარსეთითგან შემოტანასთან არც იყოს დაკავშირებული. ამიტომ, თუმცა „მაშა“ ძველი შენაძენის შთაბეჭდილებას არ ახდენს, მაგრამ ახალი, უფრო გარკვეული ცნობების აღმოჩენამდე, ცეცქაის, ანუ მაშას კულტურის საქართველოში გაჩენის ზედმიწევნითი დათარიღება შეუძლებელია.

ჯერჯერობით მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ ამ მარცვლეულის სახელის მართლწერა „ცეცქაი“ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს სახელწოდება „მაშა“-ზე საუკუნეებით უფრო ადრინდელი უნდა იყოს და ის სახეობაც, რომელიც წინათ ცეცქად იწოდებოდა, შედარებით ძველი ხანის შენაძენი უნდა ყოფილიყო. ხოლო რაკი მაშაი XIII ს. დამდეგს უკვე ყოფილა, შესაძლებელია X—XII სს. იყოს საქართველოში შემოსული.

§ 3. ამ მარცვლეულის გავრცელების თანამედროვე არე და სახეობანი

ეს მარცვლეული, ინდოეთს გარდა, შუა აზიაში, იაპონიაში და აფრიკაშიც არის გავრცელებული (ლ. დეკაპრელევიჩის დასახ. ნაშრ., 142).

საქართველოში „ცეცქაი“-ს, ანდა „მაშა-ცერცვი“-ს, ანუ „მაშა-ლობიო“-ს თესვა-მოყვანას ნაკლებ მისდევენ, მაგრამ მისი პატარა ნათესავი ამჟამად იმიერსაცა და ამიერ საქართველოშიც გვხვდება (ლ. დეკაპრელევიჩის დასახ. ნაშრ., 132).

ამ მცენარის მარცვალი თავისი ფერთაც განსხვავდებოდა და არსებობს ყვითელი, მწვანე, დარეჩინის ფერი, მოშავო და ჭრელი ფერიანი მაშას ჯიშები. საქართველოში უმათავრესად შემდეგი ხუთი ჯიშის „მაშა“ *Phaseolus aureus*-ი მთიანეთებია: 1. *umbrinus nigrovariegatus* დარეჩინისფერი შავად მარმარილოს მსგავსად შე-

ფერადებული, 2. *melinus nigrovariegatus* ქარვისფერი მარმარილოსნაირად შავად შეფერადებული, 3. *olivaceus* ზეთისხილის ფერის მარცვლიანი, 4. *chlorinus* ყვითელ-მომწვანო ფერისა და 5. *ochraceus* მონარინჯისფერო (ლ. დეკაპრელევიჩი, დასახ. ნაშრ., გვ. 144).

თავი XI. ბაკლა, ანუ ვირგლას

§ 1. ბაკლას, ანუ ვირგლას რაობა

„ვირგლა“ არც ლექსიკონებშია და არც საბას, ფ. გორგიჯანიძეს და ვა-ხუშტის მოეპოვებათ. ხალხი ამ სიტყვას ადამიანის სააუგო სიტყვადაც ხმა-რობს.

„ბაკილაი“ კი და „ბაკლა“ „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის XIII ს. დამდეგის ქართულ თარგმანშია ნახმარი (ხელთნ., გვ. 122, 124, და 136).

ლ. დეკაპრელევიჩს „ბაკლა ლობიო“, ანუ „ვირგლა“, *Phaseolus multiflorus* Willd. ქართულ სახელად აქვს აღნიშნული, მაგრამ ს. ორბელიანის სიტყვით „ბაკლა, ბოკელი (ბალ.) სომხურია, ქართულად ცნდური ჰქვიან“-ო (ლექსიკ.), ხოლო თუ ფ. გორგიჯანიძეს დავუჯერებთ, „ბაკლა“ სპარსული სახელია „მსხვილი ცერცვი“-ს აღსანიშნავად (იხ. აქვე, გვ. 18). მართლაც ეს სიტყვა არაბულითგან სპარსულშია შეთვისებული და „ბაკლაჰ“ (რომლის მრ. რ. „ბუკულ“=საბას „ბო-კულ“-ს) ცერცვიან მცენარესა ჰნიშნავს საზოგადოდ, ხოლო „ბაკილა“, „ბაკლა“ ცერცვისა ჰნიშნავს, „აჯი ბაკლაჰ“ (ე. ი. ცხარე ბაკლა) კიდევ *lupinus*-ის, ანუ ქართული „ხანჭკოლა“-ს შესატყვისი ტერმინია (იხ. ცენკერის არაბ.-სპარს.-თურქ. ლექსიკონი).

მაშასადამე, „ბაკლა“ სომხური კი არა, არაბულ-სპარსული ყოფილა და სპარსეთში მას მსხვილი ცერცვის მნიშვნელობა ჰქონია. იქითგან ეს სიტყვა საქართველოშიც შემოსულა. „სააქიმო წიგნში“ მოთავსებული ცნობითგან ჩანს, რომ XII ს. დამდეგში იგი უკვე შეთვისებული ჰქონიათ ქართველებს. ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს არაბული სახელი არაბთა ბატონობაში უნდა ყოფილიყო ჩვენში შემოსული⁵.

§ 2. ბაკლას გავრცელების არე და სახეობანი

ერთი გარემოებაა უცნაური: საბას ბაკლა ცნდურად მიუჩნევია, რაც მარ-თალი არ არის, ფ. გორგიჯანიძე კი „მსხვილ ცერცვად“ სთვლიდა, რასაც ამ სიტყვის სპარსული მნიშვნელობაც ადასტურებს. მაშასადამე, საბას „ბაკლა“-ს ნამდვილი მნიშვნელობა არ სცოდნია. დროთა განმავლობაში ბაკლას მნიშვნე-ლობაც გამოსცვლია და ბაკლა ლობიოდ ქცეულა. ეს გარემოება, ალბათ, იმის მომასწავებელია, რომ „ბაკლა“ მაშინ საქართველოსთვის იშვიათი და უცხო

⁵ მ. თუშანიანს სომხურად բակլას ბაკლა *Vicia Faba* L.-ის შესატყვისად აქვს აღნიშნული და მისი სიტყვით მისი მეტიოდენი ნათესები მხოლოდ ლორეშია (კულტ. მცენარეთა ასწრაფი ზოლები სომხეთში, სომხურად იხ. სომხ. სახ. უნივერ. 1929 წ. მოამბის № 5, გვ. 99). *Faba*-ს ძველი სომხ. სახელი, როგორც დავრწმუნდით, ილინი „ოლორნი“-ი იყო და არა ბაკლა.

მარცვლელი იყო. ამერიკული პარკოსანის სახელად ქცეული (იხ. ლ. დეკაპრელევიჩის *Mat. по изуч. бондовых Грузии*, 139), ეს მარცვლელი საქართველოში XVII ს. დამდეგზე უწინარეს არც უნდა იყოს შემოსული და ს. ორბელიანის დროს ვერც იქმნებოდა ფართოდ გავრცელებული. ეხლაც ქართველი მიწისმოქმედი ცერცვად კი არა, არამედ ლობიოდ სთვლის, მაგრამ იგი ეხლაც იშვიათია ჩვენში.

Phaseolus multiflorus Willd. ანუ „ბაკლა ლობიო“ ამჟამად თუმცა მთელ საქართველოში მოჰყავთ, მაგრამ ცოტა: უმთავრესად ბალ-ბოსტნებში სთესენ, მისი გავრცელების უმაღლესი საზღვარი ჩვეულებრივ ლობიოსას უდგება.

საქართველოში ეხლა ბაკლას ორი სახეობა გვხვდება: თეთრ-ყვავილმარცვლიანი, *Pl. multiflorus albus Martens* და წითელ-ყვავილიანი, მაგრამ ქრელმარცვლიანი *Ph. multiflorus coccineus Lam.*, რომელთაგან უკანასკნელი სახეობა საქართველოში უფრო გავრცელებულია.

ლ. დეკაპრელევიჩის სიტყვით თავისი ღირსებით ბაკლა ჩვეულებრივ ლობიოს საგრძნობლად ჩამოუფარდება (*Mat. по изуч. бондовых Грузии*, 131—132).

მისი მეორე სახელი „ვირგლა“ ჰმოწმობს, რომ ქართველი მიწისმოქმედიც მას მაინცდამაინც დიდად არ აფასებს, ტლანქად მიაჩნია. ალბათ ამ გარემოებით აიხსნება, რომ მას საქართველოში ასე ნაკლებად ეტანებიან.

თავი XII. უგრეხელი

§ 1. ცნობების სიმცირე უგრეხელზე და მისი რაობა

„უგრეხელი“ ს. ორბელიანის სიტყვით „ქვიშა“-სა და „ქვშა“-ს სახელითაც ყოფილა ცნობილი ძველადაც (იხ. ლექსიკ.) და ეხლაც ჯავახეთში ასევე იწოდება (იხ. გ. აბესაძე, უგრეხელის *Erviium-Ervilia L.* შესასწავლად საქართველოში: ტფ. ბოტან. ბალ. მეცნ.-გამოყ. განყ. ნაწერები, VI, 53). ამ მცენარეს ვახუშტიც ასახელებს (იხ. აქვე, გვ. 18) და უგრეხელის საქართველოში ძველად არსებობაზე ამის გარდა, ჯერჯერობით მაინც, სხვა არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება.

რ. ერისთავს უგრეხელი *Vicia Tourm.*-ად მიაჩნდა (იხ. 56, § 794), ლ. დეკაპრელევიჩი *Erviium Ervilia L.*-დ სთვლის (*Mat. по изуч. бондовых Грузии*, 137).

§ 2. უგრეხელის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში და სხვაგან

ამჟამად უგრეხელი თითქმის განსაკუთრებით აღმოსავლეთ საქართველოში მოჰყავთ, სახელდობრ: ჯავახეთში, სამცხეში, ქართლში, ქსნისა და არაგვის ხეობასა და ქიზიყში. დასავლეთ საქართველოში, რაჭას გარდა, არსად უგრეხელს არ სთესენ. რაჭაშიც, აგრ. გ. ცაგარელის ცნობით, ახალი შეტანილი ჩანს (იხ. გ. აბესაძე, „უგრეხელი“, გვ. 54).

უგრეხელის კულტურის თანამედროვე ცენტრად შიდა ქართლი უნდა ჩაითვალოს, რათგან უგრეხელის ნათესების 3/4 სწორედ აქ მოიპოვება (იხ. გ. აბესაძის „უგრეხელი“, გვ. 54—55), აღსანიშნავია, რომ უგრეხელი არ ყოფილა

ბორჩალოს, ტფილისის, თელავის, სიღნაღისა (?), ლეჩხუმისა, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებში იმგვარადვე, როგორც აფხაზეთშიც (იქვე, 56).

თუმცა უგრეხელი ორგანიზმი არსებობს, — კულტურული და სარეველი (*Gr. culta m.*) და გარეული, ანუ ველური (*Gr. spontanea m.*), მაგრამ პირველთა შორის არსებითი განსხვავება არ მოიპოვება. ამიტომ, ან კულტურული უგრეხელი სარეველისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, ან ორივეს საერთო წინაპარი უნდა ჰყოლოდათ (გ. აბესაძე, „უგრეხელი“, 61).

პირიქით ველური უგრეხელი კულტურული და სარეველი უგრეხელისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება. გარეული უგრეხელი საქართველოს ფარგლებში ბევრგან არის ტფილისის მიდამოებში მთის ფერდობებსა და კლდეებზე იმგვარადვე, როგორც მცხეთის მიდამოებსა და ბორჯომის ხეობაში. ხოლო საქართველოს მეზობლად გოქჩისა და ლეჩქორანის სანახებში. კავკასიის გარეშე უგრეხელი მცირე აზიაში, ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნებში, სპარსეთში, ავღანისტანში და თურქისტანშიც მოიპოვება (გ. აბესაძე, „უგრეხელი“, 61).

§ 3. უგრეხელის გავრცელების არე ძველად

Vicia Ervillia L. Willd. უგრეხელი უძველესი დროითგან იყო გავრცელებული. ბერძენები ამ მცენარეს ძველადაც *σπιθις*, „ორიბო“-ს უწოდებდნენ და თანამედროვე საბერძენეთში, სადაც მას საქონლის საკვებად ჰხმარობენ, „ორივი“ ან „როვი“, ანდა „როვიდია“ ეწოდება. შლიმანმა მისი მარცვლები ტროას განათხარში აღმოაჩინა და ვიტამინები მისი ბოტანიკური რაობა გამოარკვია. ეს მარცვლეული ერთს ნეოლითის ხანის განათხარში წყრივითაა ნაპოვნი, ხოლო *Pax*-მა პერმანენტადტან ამოთხრილ ერთს რომაელების ხანის თიხის ჭურჭელშიც მონახა. ძველად ეს მარცვლეული, როგორც ჩანს, მხოლოდ ხმელთაშუა ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთის სანახებში უნდა ყოფილიყო ადგილობრივ მცენარედ (*A. Engler, in Hehn-ის Kpf. u. Ht., 220—221*).

§ 4. უგრეხელის ღირსება და ნაკლი

უგრეხელის საკვებურ თვისებას მისი მარცვლის სინოციერე, მცენარის გვალვისადმი დიდი გამძლეობა და, მის ფესვებზე არსებულ კოჭრებში აზოტის შემთვისებელი ბაქტერიების წყალობით, ნიადაგის აზოტით განოციერების უნარიანობა შეადგენს (გ. აბესაძე, „უგრეხელი“, გვ. 58). მაგრამ ამ მარცვლეულს ის დიდი ნაკლიც აქვს, რომ მისი მონელება საქონლისათვისაც კი ძნელია. ზოგს პირუტყვზე, მაგ. ღორებზე, საწამლავის მსგავსად მოქმედებს. ამიტომ ქართველი მიწისმოქმედი ამ მარცვლეულს საქონლის საკვებად დიდი სიფრთხილით ხმარობს და უმთავრესად კამეჩებს და ნაწილობრივ აგრეთვე სხვა მსხვილფეხა რქოსან საქონელსაც აკმევს. კამეჩებსაც კი, რომელიც უგრეხელს შედარებით კარგად ინელებს, 4 გირვანქა დაროშილ ამ მარცვლეულზე მეტს არ აძლევენ ხოლმე (გ. აბესაძე, „უგრეხელი“, გვ. 57—58). ამით ახსნება, რომ უგრეხელის მოყვანას საქართველოში ასე ნაკლებად მისდევენ.

§ 5. უგრეხელის კულტურის ხნიერება საქართველოში

ლ. დეკაბრელები ფიქრობს, რომ უგრეხელი საქართველოსა და ამიერკავკასიის უძველეს ადგილობრივ მცენარეულობასა და მარცვლეულს უნდა წარმოადგენდეს და გ. აბესაძეც, როგორც ეტყობა, ამავე აზრს ემხრობა (იხ. *Mat. по изуч. нобовых Грузии*, გვ. 137 და „უგრეხელი“, გვ. 52—53). მაგრამ არავითარი ამის დამაჯერებელი საბუთი მათ დასახელებული არა აქვთ და არც არსებობს, იმის გარდა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ თემში, მაგ. ჭავჭავაძისა და ტფილისის მიდამოებში, ველური უგრეხელი მოიპოვება.

უგრეხელის ძველ კულტურად მიჩნევა საქართველოში იმიტომ არის ძნელი, რომ ეს მცენარე დასავლეთ საქართველოში სრულებით გავრცელებული არ ყოფილა და აღმოსავლეთ საქართველოშიც ძალიან ნაკლებ არის გავრცელებული. ამაზე უფრო დამაფიქრებელი, ერთი მხრით, ის გარემოებაა, რომ სწორედ იქ, სადაც ეს მცენარე ველურად იზრდება, მაგ., ტფილისის მიდამოებში, უგრეხელს სრულებით არ სთესენ, მეორე მხრით, რომ ქართველი მეურნე იქაც, სადაც ეს მარცვლეული მოჰყავთ, დიდი სიფრთხილით ხმარობს საქონლის საკვებად. უგრეხელისადმი ამგვარი განწყობილების გამო დაუჭერებელია, რომ ამ მცენარეს საქართველოში ოდესმე ფართო ასპარეზი ჰქონოდა დათმობილი.

სახელიც ამ მარცვლეულს უცნაური აქვს: „უგრეხელი“ ისე მიაგავს ქართულ სიტყვას, მაგრამ იმავე დროს ისეთი უაზრო გამოდის ეს სახელწოდება „უგრეხელი“ ამ მცენარისათვის, რომ უნებლიეთ იბადება ეჭვი, — აქ ხომ დამახინჯებულ-გაქართულებულ უცხო სიტყვასთან არა გვაქვს საქმე, რომელიც ზალხისათვის გაუგებარი იყო და იმიტომ მისი გააზრიალებისათვის აგებულებით ქართულს დაამსგავსეს.

თავი XIII. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ზოგადი საკითხები ძველ საქართველოში

§ 1. უძველეს პარკოსან მარცვლეულთა სახელების ანალიზის აუცილებლობა მეურნეობის ამ დარგის გასაშუქებლად

პარკოსან მარცვლეულთა ცალკეულმა განხილვამ საშუალება მოგვცა გამოგვეჩვენა თვითოეული მათგანის ბოტანიკური რაობა, გაგვეთვალისწინებინა ყველა არსებული ცნობა და მათი გავრცელების ინტენსივობა ძველად ისევე, როგორც თანამედროვე არე, მათი პირვანდელი სამშობლო და სადაურობა.

უკანასკნელი საკითხის გამორკვევას თვითოეული ამ მარცვლეულთაგანისათვის საქართველოში ოდესმე მიღებული სახელის წარმოშობილობის გათვალისწინება გვშველიდა. მაგრამ ზოგიერთი მარცვლეულის სახელის ანალიზის ცალკეულ განხილვაში მოქცევა სირთულის გამო შეუძლებელი იყო. ამის წყალობით გამოურკვეველი დაგვრჩა ამ პარკოსანთა ყველაზე უფრო ძველი და თანაც ისეთ უმნიშვნელოვანეს მარცვლეულთა სახელები, როგორცაა ცერცკ, ოსპი და ცნდური. არაფერია ნათქვამი ხანჭკუალასა, ანუ ხანჯკოალასა და სეანურ ლედნარზე ისევე, როგორც მეგრულ-ქანურ ხაჯნეც.

ეს საკითხები განზრახ ამ უკანასკნელი თავისათვის გვექონდა გადადებული, რათგან მათი ანალოზი არსებითად ამ მარცვლეულის კულტურის დასაწყისი ხანის პრობლემასთან არის ძველ საქართველოში დაკავშირებული. ამიტომ, სანამ ამ ზოგად საკითხებზე საუბარს შევუდგებოდეთ, ჯერ ზემოდასახელებული სახელების აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევა უნდა ვცადოთ.

§ 2. ცერცვა და „როგვ“-ის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა

ქართული სახელი „ცერცვ“ ამავე მარცვლეულის სხვა ენებში არსებული სახელებისაგან, ბერძნ. „კვამოს“-ისა, ლათინ. faba-სა, სომხ. „ოლორან“-სა და ებრაულ-არაბულ „ფულ“-ისაგან სრულებით განსხვავდება. სამაგიეროდ ვნდურისა და ბარდას ლათინური სახელის cicer-ის მერმინდელ გამოთქმას მიაგავს. მაგრამ მათ დაკავშირებას ამ ლათინური სიტყვის ძველი გამოთქმა აძნელებს: VI საუკუნემდე „ც“ „კ“-დ გამოითქმოდა და მხოლოდ შემდეგ იგი „ც“ ბგერად იქცა. „ცერცვ“ კი დაბადების ქართულ თარგმანშია ნახმარი, ვითარცა ამ მარცვლეულის ჩვეულებრივი სახელი.

რაკი ქართულში ორივე ბგერა, „კ“-ცა და „ც“-ც არსებობდა, ამ მარცვლეულის სახელი რომ ლათინურიდან ყოფილიყო ნასესხები, „კიკერ“-ი გვექნებოდა, ანდა, უკანასკნელ თანხმოვანთა ადგილმონაცვლებაც რომ წარმოვიდგინოთ, „კირეკ“-ი უნდა გვექონოდა, „ცერცვ“-ს მაგიერ. ჭერმანელებსაც ეს სიტყვა ძველად kekers-ის სახით შეუთვისებიათ (ძველ პროისულად Licut-kekers და kekers; Erbsen-ის მნიშვნელობით). ძველ ზემო-გერმანულში (ahd)—chichira-დ. [ძველ ბერძნულშიც მის ფონეტიკურ შესატყვისობად ბარდას აღმნიშვნელი αραίν „კრიოს“-ი ითვლება, რომელიც „კეკრიოს“-ისაგან წარმომდგარად მიაჩნიათ. ინდოევროპეისტი ენათმეცნიერთა აზრით „კიკერ“-ი გაორკეცებულ ძირს წარმოადგენს, მკვრივი სხეულის გამოწნატვებს (იხ. V. Hehn-ის Kpf. u. Hl., 217—218, შეად. იქვე O. Schrader-ის აზრს გვ. 221—2 და Al. Walde-ს Lateinisches Etymologisches Wörterbuch, 2 Aufl.).

ამასთანავე „ცერცვს“ ქართულში კიდევ ერთი სხვა მცენარის გასაოცრად მიმსგავსებული სახელიც მოეპოვება, რომელსაც უნდა სათანადო ყურადღება მიექცეს.

ცერცვის ეტიმოლოგიის ძიების დროს უნდა სწორედ ის გარემოებაც გვექონდეს გათვალისწინებული, რომ ძველად არსებობდა ერთი მარცვლეული მცენარის სახელი, რომელიც ცერცენაირ მცენარეთა ჯგუფს არც კი ეკუთვნის, არამედ ქოლგოსანთა Umbelliferae ოჯახის წევრია. მათეს 23_{ვე}-ში ბერძნული τὸ ἀνηθίζου-ის, ლათინ. anethum-ისა და სომხ. *anethum*-ის⁶, ე. ი ანისულის შესატყვისად

⁶ მ. თ უ მ ა ნ ი ა ნ ს Vicia Faba-ს, ცერცვის სომხურ სახელად *բակլա* „ბაკლა“ აქვს აღნიშვნა, *վիզի* „ვოლორ“-ი კი Pisum sativum-ის, ანუ ბარდას სახელად არის მოხვანილი (იხ. Մ. Քուսմանյանի *Վոլուրիական բույսերի բարձրության գիտիչները Հայաստանում*: სომხ. უნევერ. მოაზბე, 1925 წ. № 5, გვ. 99) მაგრამ ძველად ისე იყო, როგორც ჩვენ გვაქვს მოუვანილი.

⁷ მ. თ უ მ ა ნ ი ა ნ ი *anethum graveolens* L.-დ და რუს. *Укроп*-ად აქვს ნათარგმნი იხ. *სულტ. მცენ. ასწერები ზოლები სომხეთში*, სომხურად, გვ. 103). მათეს 23_{ვე}-ითგან კი ჩანს, რომ სომხური *anethum* ანი-ულს, *anethum*-ს უდრის.

ქართულად ნახმარია „ცერეცოა“. ასისტენტების ვალ. სუპატაშვილისა, ვ. მენაბ-ლისა და გ. აბესაძის სიტყვიერი ცნობით, რომლისათვისაც ყველას დიდად ვმად-ლობ, ეს ტერმინი დასავლეთ საქართველოში, მაგ. იმერეთსა და რაჭაში, ეხლაც იმავე ძველი მნიშვნელობით, ანისულის სახელად იხმარება.

ეს სახელი რომ მწიგნობრული და შეთხზული არ არის, არამედ ანისულის ნამდვილი საერთო ქართული ძველი სახელწოდება უნდა იყოს, ამას ის გარე-მოებაც ამტკიცებს, რომ იგი ფონეტიკურად ოდნავ სახეშეცვლილი აქამომდე აქვს მეგრულს დაცული, რომელსაც ანისულის აღსანიშნავად ეხლაც „ცორო-ცე“ (მ. გ.) მოეპოვება. ქსენია ცხაკაია-აბესაძის ცნობით, ამ ფორმას გარდა „ცე-როცე“-ც არსებობს⁸.

რა საერთო თვისება შეიძლება ჰქონდეს ცერცესა და ანისულის აღმნი-შენელს „ცერეცო“-ს, რომ ქართველმა მიწისმოქმედმა მას მსგავსი სახელები დაარქვა, რის აღმნიშვნელი უნდა იყოს ორივე სახელი? საერთო მათ არც მო-ყვანილობის მხრივ, არც ფერით, არა აქვთ რა იმას გარდა, რომ ერთი და მეორეც მცენარის თესლსა და მარცვალს წარმოადგენენ. ეს გარემოება ამ სიტყვების ეტიმოლოგიის ძიების დროს მკვლევარს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს.

„ცერცვის“ დიალექტური ლექსიკური სახელები ქართულ სამწერლობო ენაში ამ გაბატონებულ სიტყვას სრულებით არ უდგება, გარეგნულად მაინც. სრულებით სხვა ძირისა უნდა იყოს მეგრულსა და ჰანურში ამ მარცვლულ-თათვის განკუთვნილი სახელი.

ცერცვს მეგრულად „ხაჯი“ ეწოდება (ი. ყიფშიძის მ.გ. და რ. ერისთავის ლექსიკ., გვ. 73, § 1016). ჰანურად კი „ხაჯი“, პროფ. ნ. მარარის ცნობით, თითქოს ლობიოს უნდა ჰქონდეს, მაგრამ პროფ. იოს. ყიფშიძეს ადგილობრივ ჰანეთში შემოწმების დროს ნ. მარარის ლექსიკონში ამ სიტყვის გასწვრივ მარცხენა კიდეზე ფანქრით მიუწერია „ცერცვი“-ო. მაშასადამე, ჰანურშიც ამ სიტყვას მეგრულის მსგავსი მნიშვნელობა ჰქონია.

სვანურად ცერცვის აღსანიშნავად, დოც. ვარლ. თოფურის ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვანხნებ, ჰხმარობენ „როგუ“-ს. ივ. ნიყარაძეს კი თავის რუს.-სვან. ლექსიკონში რუსული ნინ-ის შესატყვისობად „ლობიო“ და „ლედერ“-ი უწერია, ხოლო რუს. *горох*-ს, ე. ი. კნდურს, ანუ ბარდას სვანურად „ლედერ“-ად და „როგვ“-ად სთარგმნის.

ისე გამოდის, თითქოს სვანურში ცერცესა და ბარდას ერთი და იგივე სახელი „ლედერ“-ი ჰქონდეს. ძნელი დასაჯერებელია, რომ სვანი მიწისმოქმედი ცერცესა და ბარდას ერთმანეთისაგან ვერ არჩევდეს. ნ. კეცხოველს *Pisum sativum* L.-ს, ქართ. ბარდას, შესატყვისად სვანურად „ლედერი“-ი აქვს აღნიშნული (იხ. მასალები კულტ. მცენ. ზონალ., გვ. 61), ხოლო *faba*-ს, ცერცვის სვანურ სახელად უწერია „როგ“-ი (იქვე, 62). უეჭველია ნ. კეცხოველის ცნობები სწორია, ივ. ნიყარაძე კი სცდება.

რაკი მეგრულ-ჰანურ „ხაჯი“-ს „ცერცვ“-თან ფონეტიკურად საერთო არა-ფერი აქვს და, უეჭველია, სხვა ძირის სიტყვა უნდა იყოს, ამიტომ მას „ცერცვ“-ს ეტიმოლოგიის გამორკვევის დროს უნდა თავი დავანებოთ: „ხაჯი“-ს ეტიმოლოგია ცალკე უნდა იყოს განხილული.

⁸ ამ ცნობების გადმოცემისათვის ასისტ. გ. აბესაძეს დიდად ვმადლობ.

ამგვარად, გვაქვს მთელი მწკრივი: „ცერც“, „ცერეცოა“, „ცეროცე“, „ცოროცე“ და „როგუ“.

ცერცვის სვანური სახელის „როგუ“-ის ცერცვთან ფონეტიკურად დაკავშირება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ სვანურ სახელს თავიიდური მარცვალი „ცე“, თუ მისი სხვა ფონეტიკური შესატყვისობა, დროთა განმავლობაში ჩამოცილებული აქვს და მის პირველად სრულ ფორმად „ცეროცე“-ს ვიგულისხმებთ.

ქართულსა და ქართველურ დიალექტებში „ც“-ს „კ“ და „ქ“ ბგერით შენაცვლება იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. მაგ.: „ცრემლი“ სვანურადაა „ქიმ“ (←ქრიმ-[ლ]ისგან), „ფურცელი“ ჰანურადაა „ფურკი“, ანდა „ფურქი“, „კურკლი“-ს პარალელურ ფორმად „ცურცლი“-ც არსებობს, „ბოკვერ“-ს იმერკილოში — „ბოცორი“ და სხ.

ამის გამო ზემოაღნიშნული ფონეტიკური შენაცვლებისა და შესატყვისობის ძალით სვან. „როგუ“ შესაძლებელია „როცე“-ს ბგერით ეკვივალენტად ჩავთვალოთ.

ხოლო, თუ ცერცვის სვანური სახელი ზემოდასახელებული გზით „ცეროცე“-საგან არ არის წარმომდგარი, მაშინ შესაძლებელია „როგუ“ დაკავშირებული იყოს „რეგუა“ სახელზმნის მეგრულში დაცული „რაგვა-ფა“-სთან, სახელდობრ, მის ო-ხმოვნიან ფორმა „როგვა“-სთან. ამ ძირს ურის, მიმოყრის და მიმობნევის მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ძირისაგან არაერთი ტერმინი და სიტყვაა ნაწარმოები და „როგვ“ ძველი მიმღობის ნაშთი იქმნებოდა, რომელსაც ამონაყრის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. აქ ჩვენ ისეთსავე მოვლენასთან გვექმნებოდა საქმე, როგორც „ნაყრ“-შია. „ამონაყარი“-საგან წარმომდგარი „ნაყრი“ ს. ორბელიანის განმარტებით თითქოს მხოლოდ „ხუარბალთ და ცერცუთ ჩასახვა“-ს, ანუ გამობუტყვას, გამობმას ჰნიშნავს (ლექსიკ.), ნამდვილად კი უფრო ზოგადი მნიშვნელობითაც იხმარება და მცენარის ამონახეთქს, ნორჩ ამონაყარსაც ეწოდება. „როგუ“-ც შესაძლებელია ასეთი მნიშვნელობის სიტყვა იყოს და საბას თქმისა არ იყოს ნაყრის მსგავსად, თავდაპირველად „ცერცუთ ჩასახვის“, ანუ ამონაყარის აზრის მქონებელი ყოფილიყო.

ეხლა „ცერცე“-სა და „ცერეცო“-ს, „ცეროცე“-სა და „ცოროცე“-ს ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევაა საჭირო. უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ცერცვისა და ანისულის სახელების იგივეობა მხოლოდ იმ მსგავსებაზე უნდა იყოს დამყარებული, რომ ერთიცა და მეორეც მცენარის თესლსა და მარცვალს წარმოადგენდა. ამის გამო იბადება საკითხი, „ცერცე“, „ცერეცოა“ და „ცოროცე“ თავდაპირველად მართლაც თესლს, ანდა მარცვალს ხომ არ ჰნიშნავდა?

„თესლს“ ფონეტიკურად ცერცვთან, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს, მაგრამ თვით „მარცვალი“-ა ამ მხრივ საყურადღებო. „მარცვალ“-ში „მა“ თავსართოვანი ფორმანტია, „ალ“ კიდეც ზოლოსართია. ამგვარად, ამ სიტყვის ძირს „რცე“ კომპლექსი წარმოადგენს. მრავალი მსგავსი მაგალითისდა მიხედვით, „რცე“ ძირსაც ხმოვანი, უეჭველია, დაკარგული უნდა ჰქონდეს.

თუ ადამიანი „ცერცვსა“ და „ცერეცოს“ „მარცვალს“ შეადარებს, ადვილად შეამჩნევს, რომ მათ ერთნაირი ბგერითი კომპლექსის შემცველი საერთო ნაწილი აქვთ: „მა-რცე-ალი“-ს ძირი, „რცე“, მეორე სიტყვის, „ცერცე“-ს,

„რც“ კომპლექსის სრულ იგივეობას წარმოადგენს. რაკი ამ ორი სიტყვის მნიშვნელობაც, როგორც ნათქვამი გვექონდა, ერთიმეორისას მიაგავს, ამიტომ ბუნებრივად იზადება საკითხი, „ცერც“-ს თავკიდური მარცვალი „ცე“ ისევე ფორმანტი ხომ არ არის, როგორც „მარცვალ“-ში „მა“ ფორმანტი?

ეს კითხვა უმალ დამაჯერებელ მოსაზრებად გვეჩვენება, თუ ერთსაც მაინც, ცერცს მსგავსსავე თავკიდური მარცვლის მქონებელ სიტყვას გავიხსენებთ. სამწერლობო და თანამედროვე ქართულში გვაქვს „ცეცხლი“; რომელსაც მეგრულსა და ჭანურში უდრის „დაჩხირი“. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ „და“ აქ ისეთივე თვისების ფორმანტია, როგორც მეგრულსა და ჭანურში ეხლაც დაცული „დო“ თავსართია, რომელიც, სამწერლო ქართულის „სა“ თავსართის მსგავსად, დანიშნულების აღმნიშვნელი ფორმანტია.

ისევე, როგორც „დაჩხირი“-ს შესატყვისის „ცეცხლ“-ში „ცე“ მარცვალი „და“-ს ფონეტიკურად სახენაცვალს ეკვივალენტურ ფორმანტს წარმოადგენს, იმგვარადვე „ცერც“-ს თავკიდური „ცე“ მარცვალი ფორმანტსავე უნდა წარმოადგენდეს და „რც“ კომპლექსი იმავე ძირს, რომელიც „მარცვალ“-შიც გვევლინება.

ზემომოყვანილ მოსაზრებათა და მაგალითების შემდგომ, ვგონებ, უფლებად უნდა გვექონდეს დავასკვნათ, რომ „ცერც“ თავდაპირველად მართლაც მარცვლის აღმნიშვნელი ძველი წარმოების სიტყვა უნდა ყოფილიყო.

§ 3. ხანჭკუალა-ხანჯკოლასი და „ხაჯი“-ს ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

ცერცვის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭანური სახელი თითქოს განმარტოებულა და არც სამწერლობო ქართულ „ცერცს“, არც სვანურ „როგ“-ს სრულებით არ ადგება. მაგრამ, თუ ადამიანი ცერცნაირ მარცვლელთა ყველა ცნობილ სახელს გადაშინჯავს, დარწმუნდება, რომ „ხაჯი“ ცერცნაირ მარცვლელთა სახელთა კრებულის არც თუ სრულებით უთვისტომო წევრი უნდა იყოს.

თავის ალაგას უკვე გვექონდა ყველა ცნობა მოყვანილი ერთ ცერცნაირზე, რომელსაც ძველად „ხანჭკუალა“ ეწოდებოდა და „ხანჯკოლა“ ეწოდება ამჟამად. ს. ორბელიანს, როგორც დავრწმუნდით, ეს მარცვლელი ცერცვად ჰქონდა მიჩნეული.

საკმარისია ადამიანმა ამ მცენარის სახელს ცერცვის მეგრულ-ჭანური სახელი „ხაჯი“ შეადაროს, რომ უმალ თავში ამ ორი სიტყვის მონათესავეობის აზრმა გაუელვოს: „ხანჭკუალა“-ს პირველი ნაწილის „ხანჯ“-ისა და ცერცვის აღმნიშვნელი მეგრულ-ჭანური „ხაჯი“-ს იგივეობის შესაძლებლობის უარყოფა ძნელია. მაგრამ ამ მოსაზრების სრული დამაჯერებლობისათვის ჩვენთვის საგულისხმოდ სიტყვის მეორე ნაწილის, „კუალა“-ს, ანდა „კოლა“-ს მნიშვნელობის გამორკვევა საჭირო.

ხანჭკუალასა, თუ ხანჯკოლას მეორე ნაწილს „კუალა“-სა, ან „კოლა“-ს მნიშვნელობის ძიების დროს შესაძლებელია ამ მარცვლელის ერთ მავნე თვისებასაც ჰქონდეს მნიშვნელობა, რომელზედაც სათანადო ადგილას (იხ. აქვე,

გვ. 26) უკვე გვეჩინდა საუბარი. ეგების ამ მცენარის სახელის მეორე ნაწილში სწორედ ეს გარემოება იყოს აღბეჭდილი.

მართლაც, მეგრულში არსებობს ზედსართავი სახელი „კოლო“, რომელთანაც „ხანჯკოლას“ მეორე ნაწილის შესაძლებელ კავშირზე დოც. არნოლდ ჩიქობავამ მიაქცია ჩემი ყურადღება, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. მეგრულად „კოლო“ მწარესა ჰნიშნავს და ზოგიერთი მცენარის სახელებშიც შემადგენელ ნაწილად შედის. მაგ., მწარე კვახს „კოლოჭურა“ ეწოდება, ძიმწარეს „კოლინჯი“ (←კოლო+ჯინჯი). სოფლის სახელი „კოლობანი“-ც არსებობს (პროფ. იოს. ყიფშიძის მ. გ., 260).

მწარეს აღმნიშვნელი „კოლო“ მართო მეგრულს არა აქვს დაცული, არამედ ჰანურშიც მოიპოვება (იხ. პროფ. ნ. მარის ჯ. გ., 156). მაგრამ ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა „კოლომანი“-ს სახით სამწერლობო ქართულშიც ყოფილა. ს. ორბელიანის განმარტებით, „კოლომანი“ თურმე არის „მწარე დიდად“ (ლექსიკ.). ამავე მეცნიერს „მწარეს“-ს ქვეშე ამ სიტყვის მნიშვნელობა უფრო ზედმიწევნით აქვს ახსნილი და იქ უფრო ნიშანდობლივი ცნობაც მოეპოვება. საბას ნათქვამი აქვს „კოლომანი არს მწარე, ვითარცა ხახვი, ნიორი და მისთანანი“-ო (ლექსიკ.). მაშასადამე, კოლომანი, რომელიც კოლოვანისაგან იქმნება წარმომდგარი, მცენარეულობის სიმწარისა და სიცხარის აღმნიშვნელი ყოფილა.

რაკი „ხაჯი“ ცერცვსა ჰნიშნავს, „ხანჯკოლა“-ში „ნ“ თითქოს მერმინდელი შენაზრდი უნდა იყოს, მთელი სიტყვა კი მწარე, ანუ ცხარე ცერცვის აღმნიშვნელი ყოფილა. ამ მარცვლულის ზემოაღნიშნული მავნე თვისების გამო, ასეთი სახელი მას შეკმევის კიდევაც. ამ შემთხვევაში, მაშასადამე, ისეთივე წარმოება გვეჩინა, როგორცაა ძირმწარე, ძირტკბილა და მეტადრე ბალამწარა და სხვაც.

მაგრამ, ყურადღების ღირსია, რომ ჰანურად „ხანჭელი“ საერთოდ მკვახე დაუმწიფებელ ნაყოფს, მაგ. ვაშლს, მსხალსა და სხვასაც, ჰნიშნავს (იხ. პროფ. მარის ჯ. გ., 229). უნებლიეთ იბადება აზრი, რომ აქ იგივე, მაგრამ ფონეტიკურად სახეცვლილი „ხანჯკოლი“ უნდა გვეჩინდეს, რომელიც სამწერლობო ქართულში „ხანჭკალი“-ს სახით არის დაცული. „ხანჭელ“-ში არსებითად მხოლოდ ის ბგერითი ცვლილებაა მომხდარი, რომ „კ“ იქ გამქრალია. საფიქრებელია, რომ მის სრულ გაქრობას „კ“-ს გაასპირანტება უძლოდა წინა და ჯერ „ხანჭკვალ“-ად, ანდა „ხანჭქოლ“-ად იქცეოდა, შემდეგ კი სრულიად მოისპობოდა. აქ ისეთივე ფონეტიკური მოვლენა გვაქვს, როგორც „ფრცქვნა“ ზმნაშია, რომელსაც ჰანურში „ო-ფორცუ“ და „ოფრცუ“ მეგრულში „ფორჩუნვა“ უღრის.

ხოლო თუ ის მოსაზრება, რომ მკვახე ნაყოფის აღმნიშვნელი ჰანური სიტყვა „ხანჭელი“ ხანჭკვალის, ანდა ხანჭკოლის ბგერითი სახენაცვალია, მცდარი არ არის, მაშინ, რაკი „კოლო“, როგორც დავრწმუნდით, მწარეს, ანუ ცხარეს ჰნიშნავს, ცხადი ხდება, რომ ამ რთული, ორნაწილადი სიტყვის პირველი ნაწილი „ხანჭი“ ნაყოფის აღმნიშვნელი უნდა იყოს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში იქმნებოდა შესაძლებელი, რომ „ხანჭელი“ ვაშლისაც, მსხლისაც და სხვა ყოველნაირი ხილის დაუმწიფებლობის ცნების გამომხატველად ქცეულიყო.

ზემომოყვანილ დასკვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა ცერცვის მეგრულ-ჰანური სახელის „ხაჯი“-სა და სამწერლობო ქართულ „ხანჭკვალა“-ში დაცულ

„ხანჭი“-ს პირველადი აღმნიშვნელობის გამოსარკვევადაც აქვს. ზემოვამოთქმულ მოსაზრებათა ძალით ცხადი ხდება, რომ ცერცვის სახელი „ხაჯი“ ანუ „ხანჭი“ თავდაპირველად ნაყოფის აღმნიშვნელი ყოფილა.

§ 4. ოსპისა და სვანური „ქირც“-ის, ანუ „ქირს“-ის სადაურობა და მნიშვნელობა

დაბადების ქართულ თარგმანში ნახმარი „ოსპნი“ ისევე, როგორც სომხური *ոսպն* „ოსპნ“, ნასესხები სიტყვა უნდა იყოს. ქართულში მას თვისტომნი არ გააჩნია, არც მეგრულსა და არც ჭანურში ამ ძირის სიტყვა არა ჩანს.

უეჭველია, „ოსპნი“ ბერძნული *ὄσπριον* ოსპრიონ-ისაგან არის წარმომდგარი. ბერძნულად ეს სიტყვა ჩვეულებრივ მრავლობითად იხმარებოდა ხოლმე. ჰელინისტენათმეცნიერთა აზრით ეს სახელი „O-sprii-საგან არის წარმომდგარი და „პარკიანს“ ჰნიშნავს, რათგან „სპეარონ“ პარკსა ჰქვიან (იხ. Émile Boisacq, Dict. étymologique de la langue grecque, 1916 წ., გვ. 721). *τὸ ὄσπριον* „ტა ოსპრია“ ბერძნულად პარკოსანი მცენარეულობის აღმნიშვნელი ზოგადი სახელია.

რაკი „ოსპი“ ნასესხები სახელი გამოდგა, ამიტომ, ან უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველებმა და სომხებმა ოსპის კულტურა პირველად ბერძნებისაგან ისწავლეს, ანდა უნდა დავასკვნათ, რომ რალაც გარემოების გამო ბერძნულითგან შეთვისებულ სახელს ამ პარკოსანის წინანდელი სახელწოდება ისე განუღებენია, რომ ხალხს დაჰვიწყებია კიდევაც.

პირველი აზრი, სხვასაც ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, იმიტომაცაა ძნელი დასაჯერებელი, რომ „ოსპრია“ ბერძნულში კერძოდ ოსპის აღხანიშნავად არც იხმარება, არამედ თითონ ბერძნები ოსპს „ჭაკოს“-ს უწოდებდნენ. ხოლო „ოსპრია“-ს ისინი მხოლოდ ზოგადად პარკოსან მცენარეთა სახელად ჰხმარობდნენ. ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ მარცვლეულის ქართველთა შორის მიღებული წინანდელი სახელი უნდა იყოს მხოლოდ ოსპისაგან განდევნილი.

რაკი ეს ტერმინი დაბადების თარგმანში ამ მარცვლეულის ჩვეულებრივ სახელად არის ნახმარი, ამიტომ ის V ს-ზე დიდი ხნით უწინარეს უნდა იყოს შეთვისებული.

ხოლო, რათგან ოსპი კაცობრიობის ერთი უძველეს პარკოსან მარცვლეულთაგანია, ამიტომაც დაუჯერებელია, რომ მანამდე ქართველებს ოსპისათვის რაიმე სახელი არ ჰქონოდათ. ამის გამო ამ მარცვლეულის ძველი გადარჩენილი სახელი უნდა ქართველურ დიალექტებში ვეძებოთ.

სამწუხაროდ, არსებული ლექსიკური მასალების მიხედვით, ამ შემთხვევაში ვერც მეგრული და ვერც ჭანური ვერავითარ სამსახურს ვერ გვიწივენ, ამიტომ, სვანურის გარდა, სხვა გამოსადეგი ცნობის აღმოჩენის იმედი არ მოგვეპოვება, ჯერჯერობით მაინც.

სვანურმა „ოსპი“, ვითარცა პარკოსანი მარცვლეულის სახელი, არ იცის. მის მაგიერ იქ სულ სხვა სიტყვა იხმარება და ოსპს სვანურად ეწოდება „ქირს“ (დოც. ვარ.თოფურიას ჩანაწერი და ივ. ნიჟარაძის p.-c. სლ.: чечевница). ნ. კეცხოველს კი, ამ ფორმის გარდა, „ქირც“-იც აქვს ჩაწერილი (იხ. მასალები

კულტ. მცენ. ზონალობის, გვ. 61). ოსპის ამ სევანურ სახელს „ოსპ“-თან, რასაკვირველია, საერთო არაფერი აქვს.

„ქირს“-ი და „ქირც“-ი უნდა დაკავშირებული იყოს „ქიცვ“-ის მეგრულ-შიც დაცულ სახელს „ქირცა“, ანუ „ქერცა“-სთან, რომელიც „ქერცა“-ს სახითაც იხმარება (მ. გ., 344). სევანურადაც ქიცვს „ქარც“-ი ეწოდება (ივ. ნიჟარაძის, p.-c. ალ.: чешуя).

საკუთრივ „ქირს“-ის დაკავშირება „მქისი“-სა და „მქისე“-სთანაც შეიძლება. ს. ორბელიანის განმარტებით ხომ „მქისი დამუხვილი (დამშხალული B), გინა ხორკლიანი“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.). ამავე ავტორის სიტყვით „დამუხვილი“ იგივე „დახეთქილი“ ყოფილა, ხოლო 1 მეფეთა 249-ს დამრწმებით ნათქვამია, რომ „დამშხალული ჳშირად დაბზარული“ არის (იქვე). ხის ქერქის თვისების დახასიათების დროსაც ქართველ ლექსიკოგრაფს „მქისე“ აქვს ნახმაზი: „მუხად ითქმის, რასაც ქერქი მქისე და დამშხალული აქვს“-ო (ლექსიკ.).

საფიქრებელია, რომ „ქირსი“-სავე პარალელური ფორმა უნდა იყოს რაკაში არსებული გამონათქვამი „ქირში“, რომელიც კეჟერა ქერის, ქეპრელ ქერთან შედარებით, საქმელად დაბალი ღირსების გამომხატველია (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., 1², 354).

იბადება საკითხი, თუ რა მიზეზი უნდა იყოს და რა თვისების გამომხატველია ოსპისათვის სევანურში დაცული სახელი „ქირც“, ანუ „ქირს“-ი? არსებობს თუ არა რაიმე საფუძველი, რომ ოსპისათვის სახელად ასეთი ხორკლიანობისა, თუ უხეშობის აღმნიშვნელი სიტყვა დაერქვათ?

მარცვლეულის უხეშობა, რასაკვირველია, მისი ქსოვილის ადამიანისა და პირუტყვისათვის მონელებადობის სიძნელით გამოიხატება. ექსპერიმენტულად ამ თვისების გამორკვევა იმისდა მიხედვით შეიძლება, თუ რამდენად დიდი დროა ამათუიმ მარცვლეულის მოსახარშავად საჭირო.

ელენე ბარულინას სიტყვით, ვ. ფედოროვის გამოკვლევით თურმე გამოტკეულია, რომ ოსპიწყველა სხვა პარკოსან მარცვლეულზე უფრო სწრაფად იხარშება; ვერც საუკეთესო ბარდა, ვერც ცერცველა, ვერც მუხუღა, ცულისპიტა და ვერც ლობიო ამ თვისებით თურმე ოსპს ვერ შეედრებიან (იხ. Е. Барулина, Чечевица СССР и других стран, ботанико-агрономическая монография: Приложение 40-е к трудам по прикл. ботанике, генетике и селекции, Ленинград, 1930 წ., გვ. 38). ამასთანავე წვრილმარცვლიანი მსხვილი უფრო სწრაფად იხარშება ვიდრე მსხვილმარცვლიანი ჯიში (იქვე, 38), რაც ბუნებრივია კიდევაც მოხარშვის სისწრაფე ამას ვარდა ოსპის კანის სისქეზეა დამოკიდებული: თხელკანიანი სქელკანიანზე ადრე იხარშება (იქვე, 38), რაც ისედაც მისალოდნელი იყო.

ვ. ფედოროვის გამოკვლევითგან ჩანს, რომ თუ ოსპის წვრილმარცვლიანი ჯიშების 10 მარცვლეულს 16—38 წამი სჭირდება (იხ. იქვე, 36, ცხრილი 15), ხოლო მსხვილმარცვლიანი ჯიშებისას 44—90 წამი (იქვე), ბარდას უკვე — 80 და ცერცველას 119—155 (იქვე, გვ. 37).

რაკი საქართველოში ოსპის წვრილმარცვლიანი ჯიშია უმთავრესად გაბატონებული (იხ. აქვე, გვ. 28), ცხადია, რომ „ქირც“-ი, ანუ „ქირს“-ი ოსპს შეუძლებელია მისი მარცვლის ძნელი მოსახარშავობის გამო სწოდებოდა. ამიტომ რაიმე სხვა მიზეზია საძიებელი.

ოსპის მარცვალს ხშირად დაღმეჭილი ზედაპირი აქვს ხოლმე. ასეთი ხორკლიანი ოსპის მარცვლეული მრავლად არის მცირე აზიასა, პალესტინაში, სპარსეთში, ადერბეიჯანში, ესპანეთსა, იტალიასა, მაროკოში, ერეთრიასა და მექსიკაში (E. Барулина. Чечевича და სხვა, 79—80).

ასეთი გარეგნული თვისების ოსპის მარცვლეს, მათი ზედაპირის დაღმეჭილობის გამო, რასაკვირველია, შეჰშვენის კიდევაც „ქირსის“ სახელი. ოსპის სვანეთში დაცული ამ სახელის მიხედვით საფიქრელი ხდება, რომ შესაძლებელია თავდაპირველად ჩვენში ოსპის ასეთი ჯიშის ყოფილიყო და მისი მარცვლის ზედაპირის ხორკლიანობის გამო დაერქვა ასეთი დამახასიათებელი სახელწოდება⁹.

დასასრულ, ყველაზე მარტივი იქმნებოდა გვეფიქრა, რომ „ქირც“-ი ოსპს იმ გარეგნული მოყვანილობის გამო ეწოდა, რომელიც ამ მრგვალსა და ბრტყელ მარცვლეს მართლაც თევზის ქიცვის მსგავსად ხდის.

ოსპის შესახები ყველა ცნობის განხილვის დროს (იხ. აქვე, გვ. 28—31) აღნიშნული გვექონდა, რომ საქართველოში ამჟამად გავრცელებული მსხვილმარცვლიანა და წვრილმარცვლიანა ჯიშთაგან უკანასკნელი სამხრეთ-აღმოსავლეთთან დაკავშირებული საქართველოს უძველესი კულტურის ნაშთს უნდა წარმოადგენდენ, ხოლო მსხვილმარცვლიანი ჯიშის შემდეგში დასავლეთითგან შემოტანილი ჯიშის უნდა იყოს.

ოსპის საქართველოში დაცული სახელების ოსპისა და ქირცის, ანუ ქირსის განხილვამ დაგვარწმუნა, რომ უკანასკნელი ადგილობრივი სახელია, ოსპი კი ბერძნულითგან ნასესხებ სახელწოდებას წარმოადგენს. მომავალი კვლევადიების ამოცანად უნდა იქმნეს მიჩნეული იმ საკითხის გამორკვევა, ამ ბერძნული სიტყვის შეთვისება საქართველოში იმავე დროს სამხრეთ-დასავლეთითგან ოსპის მსხვილმარცვლიანი ჯიშის შემოტანასთან ხომ არ არის დაკავშირებული?

§ 5. კნდურისა და ლედნარის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

Cicer-ის უძველესი ქართული სახელი, როგორც დავრწმუნდით, „კნდური“ ყოფილა. სხვა მრავალი შემთხვევის მსგავსად, ამ სიტყვაშიც თავში სამი თანხმოვნის შეჯგუფება, უეჭველია, მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს და თავდაპირველად მათ შუა უნდა ერთ-ერთი ხმოვანთაგანი ყოფილიყო.

„კნდურ“-ს მეგრულსა და ქანურში მონათესავენი არ უჩანს, ჯერჯერობით არსებული ლექსიკური მასალის მიხედვით მაინც.

სვანურში ამავე მარცვლეულის აღსანიშნავად „ლედნარ“-ი იხმარება. უკვე აღნიშნული გვექონდა (იხ. აქვე, გვ. 34), რომ ზოგიერთ ავტორს ამ სიტყვის მნიშვნელობა არეული აქვს და ცერცვისაცა და ბარდას მნიშვნელობითაც აქვს ნახმარი. მის ნამდვილ მნიშვნელობას თანამედროვე ქართული ბარდას, ე. ი. Pisum-ის, შესატყვისობა შეადგენს.

⁹ ე. ბარულიანას აქვს გამოთქმული ექვი, აქ ხომ პათოლოგიურ მოვლენასთან არა გვექვს საქმეო, მაგრამ ჯერ ამ საკითხს შესწავლა სჭირდებაო (იქვე, გვ. 80—81).

თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 31—32) გამორკვეული გვექონდა, რომ Cicer-ისა და Pisum-ის ზოგად უქველეს ქართულ სახელად „ქნდური“ ყოფილა მიღებული. თანამედროვე სვანურში Pisum arvense-ს, ანუ ველური ბარდას სახელად „ნეცინ ლედარ“-ი ჰქვია. ეს სახელი სვანურად „წვირლ ლედარ“-ს ჰქვია, ხოლო ამ მარცვლეულის ძველი ქართული სახელწოდება რომ ვინმართ, „წვირლ ჰნდურ“-ს უდრის.

ჰნდურისა და ლედარის რეალური მნიშვნელობის იგივეობის გამო იბადება საკითხი ამ სახელების ბგერითი იგივეობის შესახებაც: სახელდობრ „ლედარ“-ი ხომ სამწერლობო ქართული „ჰნდური“-ს სვანურ შესატყვისობას არ წარმოადგენს?

„ჰნდური“ და ლედარ ერთმანეთისაგან ბგერითი შედგენილობით ერთის მხრით იმით განსხვავდებიან, რომ ქართული ტერმინი თავში უხმოვნო კომპლექსს წარმოადგენს, სვანურს კი პირველ ორ თანხმოვანს შუა „ე“ ხმოვანი აქვს. მაგრამ „ჰნდური“-ს უხმოვნობა, როგორც ნათქვამი გვექონდა, უეჭველია, მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს, ამიტომ ეს გარემოება არსებით განსხვავებად ვერ ჩათვლება.

მეორე მხრით, „ჰნდურს“, სვანურ ეკვივალენტ „ლედარ“-თან შედარებით, ზედმეტი „ნ“ გააჩნია. ესეც არსებითი ხასიათის განსხვავებას არ წარმოადგენს, რათგან ქართულსა და ქართველურში შენაზრდი „ნ“ იშვიათი მოვლენა არ არის. ამის მაგალითი აქვე, „ხანჯკოლა“-სა და „ხაჯი“-ს ეტიმოლოგიისა და ძირითადი მნიშვნელობის განხილვის დროსაც, გვექონდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც შესაძლებელია „ნ“ შენაზრდი ბგერა იყოს პირველად „ჰნდური“-ს მაგიერ.

მესამე განსხვავება უფრო მნიშვნელოვანია: სამწერლობო ქართულში მარცვლეულის ამ სახელს „კ“ თანხმოვანი აქვს, სვანურში „ლ“ და სწორედ ბგერათა ასეთი შენაცვლება-შესატყვისობის კანონზომიერების საკითხზე არსებითად დამოკიდებული საკითხიც „ჰნდურისა“ და „ლედარის“ ბგერითი იგივეობის შესახებ.

ქართულსა და ქართველურში „კ“-ს და „ხ“-ს „ლ“-დ შენაცვლება იშვიათ მოვლენას არ წარმოადგენს. ჯუეზა=ღვეზილს, ღვეძელს, — ახალი=ადანს (ჰან.), —ხვალენა=ღვლარჰნას, „ო-ღველიკუ“-ს (ჰან.), მჯიღს=მჯიხი (ჰან.) და სხ. ასეთი ბგერითი შენაცვლება „კ“-სი „ლ“-დ შესაძლებელია თვით სვანურის ნიადაგზეც მომხდარიყო. ამნაირი შენაცვლების მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იყოს ციკანის სვანური სახელი, რომელიც ბალსქვემოურში „ნეწმტ“-ად ითქმის, ხოლო ლაშხურში და ლენტეხურში არის „ნეღმტ“, ბალსხემოურში „ნეღმტ“.

ზემომოყვანილი ბგერითი შესატყვისობითგან ჩანს, რომ ორი სიტყვის „კ“-სა და „ლ“ თანხმოვნებით-განსხვავება მათი იგივეობის საწინააღმდეგო გარემოებად მისაჩნევი არ არის და „ჰნდური“-ს ოდინდელი ხმოვნიანი ფორმა შესაძლებელია სვანურს „ლედარ“-ის სახით ჰქონოდა.

პროფ. აკ. შანიძისაგან სვანურისათვის დადგენილი უმლაუტის კანონის თანახმად („უმლაუტი სვანურში“, იხ. „არილი“, გვ. 171—231), „ლედარ“ უნდა „ლედარი“-საგან იყოს წარმომდგარი. თავის მხრით ბოლოკიდური „ი“-ს დაკარ-

გვის გამო შერბილებულ ა-ს უკუქცევითი ასიმილაციის წყალობით ამ სიტყვის პირველ ხმოვანზე გავლენა მოეხდინა.

საქართველოში ისევე, როგორც სხვა ქვეყნებშიც, არა ერთი გეოგრაფიული სახელია, რომელიც ადგილობრივ გავრცელებული ხისა, თუ მცენარეულის სახელისაგან არის ნაწარმოები. საგულისხმო იყო ამ მხრივ გამორკვეულიყო, არსებობს თუ არა საქართველოში რომელიმე ადგილი, რომელიც „კნდურ“-თან ან მის წინამორბედ ფორმასთან არის დაკავშირებული? კნდური, 5-ვერსიანი რუკის სარჩევის მიხედვით, არა ჩანს, მაგრამ არსებობს „კადურიანთ-კარი“ ქართლში, რომელსაც საცხენეთიც ეწოდება, ხოლო ბლომად არის ადგილი, რომელსაც „კანდო“ და „კადო“, ან კადა ეწოდება. მაგ., კანდო: ჯავახეთში, ქართლში, ბორჩალოში, ხანდისი ქართლშივე, კადო თიანეთის თემში. დასასრულ, ცნობილია, რომ არაგვის საერისთავოში მთელ თემსაც კი „კადა“ და „კადა-ცხაოტი“ ეწოდებოდა და ეწოდება ეხლაც (იხ. ვახუშტის გგ-რფა).

შესაძლებელია, რომ ყველა ამ ადგილის სახელი სწორედ იმ მარცვლეულის პირვანდელ ხმოვნიან სახელთან იყოს დაკავშირებული, რომელიც შემდეგში, ისტორიულ ხანაში უკვე უხმოვნოდ „კნდურ“-ად იხმარებოდა.

სანამ „კნდური“-სა და „ლედარ“-ის ეტიმოლოგია გამორკვეული არა გვაქვს, ძნელი სათქმელია, რომელი რომლისაგან არის წარმომდგარი? „კნდური“ ბოლოში სადაურობის აღმნიშვნელი ფორმანტის მქონებელია და შესაძლებელია გვეფიქრა. რომ „კნდური“ იმ მარცვლეულს ჰნიშნავს, რომელიც „კადა“-სა და „კანდო“-ს უხვად და საუკეთესოდ იზრდებოდა და საითგანაც მარცვლეულის ეს ჯიში შემდეგში გავრცელდა? თვით ლობიოს ჯიშების განხილვის დროსაც დავრწმუნდით, რომ გ უ რ უ ლ ი და ო დ ი შ უ რ ი ლ ო ბ ი ო ს სახელწოდებაშიც სწორედ ასეთი წარმოება გვაქვს.

მაგრამ ასეთ მოსაზრებას ძნელ დასაჯერებლად ის გარემოება ჰხდის, რომ „კანდო“ და „კადა“ საქართველოს მარტო ერთი თემისა და ალაგის სახელი კი არ არის, არამედ ისეთ ერთმანეთისაგან დაშორებულ თემებშია გაბნეული, როგორც არაგვის ხეობა და ჯავახეთი, ანდა ბორჩალო და ქართლია. ასეთ შემთხვევებში ჩვეულებრივ სწორედ მცენარეულობისა. თუ ხე-ხეხილის სახელებისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელებია ხოლმე. ამიტომ ჯადასა და კანდოს შედარებითი სიმრავლე და საქართველოს სხვადასხვა თემში არსებობა გვაფიქრებინებს, რომ აქ შესაძლებელია კნდურისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები იყოს. ყველა ეს კადა-კანდო მალწობ ადგილებში მდებარეობენ, სადაც ამ მარცვლეულს მართლაც მისთვის შესაფერისი ჰავანიდაგი მოეპოვება.

ეხლა თვით სიტყვა „კნდური“-სა, ანდა „კდური“-ს პირველადი მნიშვნელობა-ღა გვაქვს გამოსარკვევი. „კდური“ „კდა“ ზმნისაგან ნაწარმოებს ენების მიმღეობას უნდა წარმოადგენდეს. „კდა“ და „გამოკდა“ გამოღებას, გამოყოფას ჰნიშნავს. ამავე ზმნისაგან არის ნაწარმოები, როგორც „ქართველი ერის ისტორიის“ შესავალ წიგნშია გამორკვეული, „მკდალი“, რომელიც მოქმედებით მიმღეობას წარმოადგენს და ამასთანავე ძველ ქართულში დედალი საქონლის აღმნიშვნელია. თავდაპირველად ეს სიტყვა მშობელსა ჰნიშნავდა, დედალს. იგი „კრდალი“-ს სახითაც გვხვდება. შემდეგში ამ ტერმინს, ღიაცის მსგავსად,

ჯაბანისა და მშიშარას მნიშვნელობაც მიენიჭა და ამჟამად ამ სიტყვას უმათავრესად ასეთი მნიშვნელობა დასჩემდა.

„ჯღღური“ ისეთივე ნაწარმოებია, როგორცაა „თქმა“ ზმნისაგან წარმომდგარი ვნებითი მიმღეობა „თქმული“. ამ „თქმა“ ზმნისა და „თქმულ“ მიმღეობასთან „ჯღღა“ ზმნისა და „ჯღღური“-ს ის მსგავსებაცაა აქვს, რომ მათაც ბგერითი შეკუმშვილობა ახასიათებთ, რათგან ძველად „თქუმა“ და „თქუმული“ იყო. ამგვარად „ჯღღური“ თავდაპირველად გამონადებს, გამონაყოფს, ანუ იმავე ნაყოფს ჰნიშნავდა. რაკი სრულზმონიანად ეს ზმნა „ჯღღა“-დ არის საგულისხმებელი, ამიტომ მიმღეობის პირველად ფორმიდაც „ჯღღური“-ა საფიქრებელი.

§ 6. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ისტორიის მთავარი პერიოდები და მნიშვნელოვანი თვისებები

პარკოსან მარცვლეულთა შესახები ყველა არსებული ცნობის განხილვამა და მათი სახელების ლინგვისტიკურმა ანალიზმა ცხადჰყო, რომ მარცვლეულთა სახელებითგან ძველი და ნამდვილი ქართულია: ცერცუ, ცერცველა, ხაჯი, ხანკკუალა, ან ხანჯკოლა და ჯნღური ისევე, როგორც სვანური „როგუ“ და „ღეღა“-ი. ამ სახელებს აგებულებაცაა და პირველადი მნიშვნელობაც მათი უაღრესი ხნიერების გარემოებას ამჟღავნებენ: ყველაფრითგან ჩანს, რომ ეს ტერმინები ქართულში უხსოვარი დროითგან უნდა არსებულიყო.

ეგების ასეთი ხნიერი არ იყოს, მაგრამ მაინც ძველ ხანასვე მიეკუთნება „ძაძა“-ც, ისევე როგორც სახელი „ცეცქაჲ“.

შედარებით მერმინდელი ჩანს ჯნღურის მონაცვლედ ქცეული „ბარდა“. ქართულია „ცულისპირა“-ს სახელიც, მაგრამ ჯერჯერობით არა ჩანს, თუ XVII ს-ზე რამდენად უწინარეს ხანაში უნდა იყოს ეს მარცვლეული საქართველოში გაჩენილი.

ამ პარკოსან მარცვლეულთა საგანძურს შემდეგ დასავლეთითგან შეძენილი ჯიშები და სახეობანი მიჰმატებია. სახელდობრ: ოსპი ძველი საბერძნეთითგან, ლოპინარი რომითგან I—IV ს-ში, ისევე როგორც საბერძნეთითგან თერმუზი და ბიზანტიითგან, VIII ს., შემდგომ, ერევინდი, სულ 4 მარცვლეულის სახელწოდება.

მერმე არაბეთითგან და სპარსეთითგან შემოსულა მუხუდო, მაშა-ცერცუ, და ბაკლა-ცერცუ, სულ 3 სახელი. ამათგან მუხუდო XIII ს-მდე, ალბათ XI—XII სს-ში უნდა იყოს შემოტანილი. მაშას და ბაკლას ხანის განსაზღვრა კი ზედმიწევნით ჯერ შეუძლებელია, მაინცდამაინც XIII ს. დამდეგზე უწინარეს უნდა იყოს შემოსული. ხოლო მაშა-ლობიოს და ბაკლა-ლობიოს სახელი შეუძლებელია XVII ს. დამდეგზე ადრე იყოს გაჩენილი.

დასასრულ, დასავლეთ ევროპითგან, იტალიითგან, მაგრამ ოსმალეთის გზით, შემოტანილია XVI ს. მეორე ნახევარს, ანდა დამლეეს ლობიოც.

ამგვარად, უძველეს დროსვე არსებულ პარკოსანთა მარცვლეულობას, რომელიც ქართველთა ტომებს სამხრეთითგან კავკასიაში გადმოსახლების დროს უნდა თან მოეტანათ, ჯერ სამხრეთ-დასავლეთითგან (საბერძნეთ-რომ-ბიზანტიითგან), შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთითგან (არაბეთ-სპარსეთითგან) შეთვი-

სებული ჯიშები მოჰმატებია. ბლოს, XVII ს-ში, როგორც ბუნებრივიც იყო, ამერიკითგან ევროპაში შემოტანილი ახალი კულტურების წყალობით, უპირატესობა კვლავ დასავლეთის გზას მოუპოვებია.

უძველეს ხანაში ქართველ მიწისმოქმედს პარკოსანთა სამივე მთავარი ჯგუფის, ცერცვნიართა, ოსპისა და ჯნდურების მარცვლეული ჰქონია. მერმინდელ ქართველ მეურნეთა ყურადღება უმთავრესად ხნდურნიართა ჯგუფისა და ნაწილობრივ აგრეთვე ცერცვნიართა ჯიშების გამრავლებისაკენ ყოფილა მიპყრობილი. შემდეგშიც, არაბეთ-ბიზანტიასთან კულტურული ურთიერთობის ხანაშიც, ქართული მიწისმოქმედების მთავარ საზრუნავად იგივე მიზანი ყოფილა: ცერცვნიართა და ხნდურნიართა გამრავლება. მაგრამ პარკოსან მარცვლეულთა კულტურის განვითარებას ეს გეზი მხოლოდ XVI ს. მეორე ნახევრამდე ემჩნევა. ამ დროითგან მოყოლებული კი ცერცვნიართა, ოსპისა და ხნდურნიართა მოყვანა თანდათან მცირდება და ამ მარცვლეულთა ასპარეზის უუდიდეს ნაწილს დასავლეთითგან შემოტანილი ლობიო იპყრობს.

პარკოსან მარცვლეულთა მეურნეობაში, მაშასადამე, ორი მთავარი ხანის გარჩევაა საჭირო. პირველი, უძველეს განძეულზე და დროთა განმავლობაში შენაძენზე დამყარებული, ხანა ცერცვ-ოსპ-ხნდურის მეურნეობას წარმოადგენდა.

მეორე ხანა კი, რომელიც XVI ს. დამლევითგან და XVII ს. დამდევითგან იწყება, უკვე სულ ახალი, მინცდამინც ძველისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული, მარცვლეულის გაბატონებაზე დამყარებული მეურნეობის ხანას წარმოადგენს, ამ ხანას შესაძლებელია ლობიოს კულტურის ხანა ეწოდოს.

§ 7. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის მნიშვნელობა ძველი საქართველოს ეკონომიკისათვის

XVI ს. დამლევამდე პარკოსანთა მოყვანის მთავარ საგანს ცერცვნიარნი, ხნდურნიარნი და ოსპი შეადგენდნენ. ეს მარტო მათი მაღალი კვებითი ღირსებით არ აიხსნება.

თანამედროვე ადამიანმა რომ სრული სისწორით გაითვალისწინოს ცერცვნიართა, ხნდურნიართა და ოსპის უაღრესი მნიშვნელობა საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის, მან უნდა ორი გარემოება გაიხსენოს. პირველი გარემოება ზოგადი თვისებისაა.

როგორც უკვე ამ წიგნის დასაწყისშიც ნათქვამი გვქონდა (იხ. აქვე, გვ. 16—17), ძველად ხალხი ხორცეულის ყოველდღიურ ჭამას ეხლანდელივით მიჩვეული არ იყო. თანამედროვე საქართველოშიც კი სოფლის მოსახლეობა ხორცეულ საჭმელს მხოლოდ ღღესასწაულებისა და მძიმე სამეურნეო მუშაობის, ანდა წვეულების დროს აკეთებს ხოლმე. ჩვეულებრივ ღღეებში ქართველი წველის ნაწარმოებითა და მცენარეულ-მარცვლეულით იკვებებოდა. ამის გამო პარკოსანი მარცვლეულნი ძველად, რა თქმა უნდა, ეხლანდელზე გაცილებით მეტი სჭირდებოდა ადამიანს.

ამას უნდა მეორე გარემოება დაერთოს. თუ პირველი გარემოება ნებაყოფლობითი იყო და ყოველ დიასახლის-მამასახლისს თავის სურვილისამებრ

შეეძლო შეეცვალა, მეორე გარემოება ყველასთვის კანონივით სავალდებულო იყო და მისი დარღვევა არავის ფიქრად არ მოუვიდოდა.

ქრისტიანობასთან ერთად რომ მარხვისა და ხსნილის მოძღვრება განმტკიცდა და საბოლოოდ ჩამოყალიბდა, ყველამ იცოდა, რომ ოთხშაბათ-პარასკევობით, მცირე გამონაკლისის გარდა, მთელი წლის განმავლობაში უნდა მარხვა შეენახა და მხოლოდ სამარხო საქმლით დაკმაყოფილებულიყო. თუ ამას დიდ-მარხვისა და სხვა უფრო ხანმოკლე მარხვებსაც დავუმატებთ, გადაუჭარბებლივ შესაძლებელია ითქვას, რომ ძველი საქართველოს მთელი მოსახლეობა ყოველწლიურად დღეთა საერთო რიცხვის ერთ მესამედზე მეტს სამარხო საქმელს სჰამდა. როგორც დავრწმუნდით, თავის დროს უკვე არქ. ლამბერტის ჰქონდა აღნიშნული მარხვის სიმრავლე და ხანგრძლივობა საქართველოში (იხ. აქვე, გვ. 18). ეს მეორე გარემოებაა, რომელსაც სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაში პარკოსან მარცვლეულთა ძველად მნიშვნელობის გათვალისწინების დროს ეხლაც უნდა აუცილებლად ანგარიში გაეწიოს, რათგან სამარხო მთავარ საქმელ მარცვლეულად, როგორც თავის ადგილას მოყვანილი ცნობებითგან ჩანს (იხ. აქვე, გვ. 32), სწორედ ცერცვნიარნი და ხნდურნიარნი იყვნენ მიჩნეულნი.

კვების ნორმებისა და მოსახლეობის რაოდენობის ცოდნა მკვლევარს საშუალებას აძლევს გამოსაკვებად ყოველწლიურად საჭირო პარკოსან მარცვლეულთა ოდენობა დაახლოვებით გამოარკვიოს. მაგრამ ასეთ გამოანგარიშებასაც რომ ამჟამად თავი დავანებოთ, შესაძლებელია დანამდვილებით ითქვას, რომ ცერცვნიართა და ხნდურნიართა მოსავლის ყოველწლიური ოდენობა გაცილებით იმაზე მეტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ამჟამად საქართველოში ლობიო მოჰყავთ (იხ. აქვე, გვ. 53), რათგან პარკოსან მარცვლეულთადმი მოთხოვნილებაც იმ დროს, ზემოდასახელებული ორი გარემოების გამო, ეხლანდელზე ბევრად მეტი იყო.

§ 8. პარკოსან მარცვლეულთა ხანგრძლივი კულტურისა და დაკვირვება-შერჩევის კვალი

იმისდა მიუხედავად, რომ არც ცერცვნიარნი, არც ოსპი და ოსპნიარნი და არც ხნდურნიარნი საქართველოში სპეციალურად, მონოგრაფიულად ჯერ არავის შეუსწავლია, მათმა ზოგადმა განხილვამაც კი მკვლევარნი დაარწმუნა, რომ ჩვენ ქვეყანაში ამ მარცვლეულთა ჯიშების სიმრავლეა. მათი თესვა-მოყვანისა და გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში, ლობიოსა და სხვა მიზეზების წყალობით, ძალზეა შემცირებული, მით უმეტეს იპყრობს დამკვირვებელის ყურადღებას ეს აქამომდე შერჩენილი ჯიშობრივი მრავალფეროვანება. უეჭველია, ეს გარემოება იმ ხანგრძლივი შერჩევისა და ინტენსიური მუშაობის შედეგი უნდა იყოს, რომელიც ქართველ მეურნეს ამ დარგში ძველად გაუწევია. მხოლოდ ასეთი გამოცდილების საფუძველზე იყო შესაძლებელი, რომ, ისეთი ზოგადი და ცალკეული თვისებების მსგავსება-განსხვავებაზე დამყარებული, ტერმინოლოგია გაჩენილიყო, როგორიც საქართველოში ლობიოს ჯიშსახეობათათვის ჩამოყალიბებულა.

§ 9. ლობიოს კულტურის ქართულ მეურნეობაში გაბატონების მიზეზების ძიება

ლობიოს კულტურის საქართველოში გაჩენისთანავე ამ მარცვლეულს ქართველი მიწისმოქმედი სწრაფად შესჩვევია: მეურნეს ახალი მცენარის ღირსება კარგა შეუნიშნავს. უკვე XVII ს. პირველ ნახევარში ლობიო სამეგრელოში პარკოსან მარცვლეულთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული ყოფილა. XVIII ს. პირველი ნახევრისათვის ლობიოს უკვე მთელ საქართველოში ჰქონია მეურნეობაში მნიშვნელოვანი ადგილი მოპოვებული და პარკოსანთა ძველი წარმომადგენლების გავრცელების არე ამ დროითგან მოყოლებული სულ უფრო და უფრო მცირდება.

ცხადია, რომ ლობიოს სხვა პარკოსან მარცვლეულებთან შედარებით რაიმე განსაკუთრებული ღირსება უნდა ჰქონოდა, თუ ქართველმა სოფლის მეურნემ ის ყველას ამჯობინა და მის მოყვანას განსაკუთრებული გატაცებით მიჰყო ხელი. ლობიოს შესახები ცნობებისა და ტერმინოლოგიის ზემომოყვანილი განხილვა დაანახებდა ადამიანს, თუ რაოდენი ცდა, ენერგია და დაკვირვება გამოუჩენია გურულ მიწისმოქმედს, ლობიოს კულტურის ამ მეთაურს საქართველოში, ამ მარცვლეულის ჩვენი მეურნეობისათვის ყველაზე უკეთესი ჯიშების შერჩევა-შექმნისათვის.

ბუნებრივია, რომ საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარმა ამ გარემოებებს ყურადღება მიაქციოს. მისი მოვალეობაა გამოარკვიოს, თუ სახელდობრ რა თვისებამ მოუპოვა ლობიოს კულტურას საქართველოს მეურნეობაში ის ეკონომიური უპირატესობა, რომლის გამოც მიწისმოქმედმა ეს მცენარე, პურეულის შემდგომ, ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მარცვლეულად მიიჩნია.

§ 10. პარკოსან მარცვლეულთა ზოგადი საზრდოობითი მნიშვნელობა და თვითეული მათგანის შედარებითი კვებითი ღირებულება

რაკი ლობიო საკვები მარცვლეულია, შესაძლებელია ბუნებრივად დაიბადოს აზრი, რომ ამ მარცვლეულის გამარჯვება ქართულ მეურნეობაში მისი სხვებთან შედარებით უფრო მაღალი კვებითი და გემოვნებითი თვისებით აიხსნებოდეს.

ამ საკითხის გადასაწყვეტად უნდა ადამიანს საკვების შემადგენელი ნაწილების სხვადასხვა დანიშნულება ჰქონდეს გათვალისწინებული.

ადამიანისა და პირუტყვის საჭმელის ქიმიურ შემადგენელ ნივთიერებას კვების პროცესში სხვადასხვა დანიშნულება აქვს მიკუთვნებული: აზოტოვანიცილოვანი. ნივთიერება სხეულის ნივთიერების დაცვა-შენახვისათვის არის საჭირო, ცხიმოვანი ნივთიერება სხეულს სითბოსა და მუშაობის ენერჯისათვის ესაჭიროება, ხოლო არა-აზოტოვანი, ნახშირწყლიანი ნივთიერება ზრდისათვის.

ადამიანისა და ცხოველის ნორმალური არსებობისა და მოღვაწეობა-მუშაობისათვის კვების ამ სამსავე აუცილებელ ელემენტს, ვიტამინებთან ერთად, უმთავრესი მნიშვნელობა აქვს. თვითთელს მათი სათანადო ოდენობა სჭირდება, ურომლისოდაც სხეული დაავადდება. კვების ჰიგიენის მკვლევართა აზრით ადამიანის ნორმალურ საკვებში ცხოველური ცილის ოდენობა საჭმლის

1/3-ითგან 50 %-დის უნდა აღწევდეს. ცხიმოვანი ნაწილი კი რაკი პურეული და ქრთილეული ნახშირწყლების (სახამებელი, შაქარი, დექსტრინი) ისე უხვადაა შემცველი, რომ საშუალოდ მათი მშრალი ნივთიერების 78,64 %-ს სწორედ ნახშირწყლები შეადგენენ, ამიტომ ცხოველის სხეულს, პურეულისა და ქრთილეულის სახით მიღებულ საკმელს გარდა, აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების ოდენობის ნაკლებობის შესავსებლად სხვა საკვებიც სჭირდება. ასეთ საკმელად მხოლოდ აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების უხვად შემცველი საგნებია გამოსადეგი. აზოტოვან-ცილოვანი ელემენტები ყველაზე მეტად, რასაკვირველია, ხორცეულს გააჩნია, მაგრამ მცენარეთა მთელი ჯგუფიც მოიპოვება, რომლის ქიმიური შედგენილობის მნიშვნელოვან ნაწილს სწორედ აზოტოვან-ცილოვანი ელემენტები წარმოადგენენ. ასეთ მცენარეთა ჯგუფს სწორედ პარკოსანი მარცვლეული შეადგენენ.

მაშასადამე, პარკოსან მარცვლეულობას ადამიანისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ამ მარცვლეულთა საზრდოობითი ღირებულება ყველასი ერთნაირი არ არის, რათგან მათი ქიმიური შედგენილობაც ძალზე განირჩევა. რაკი პარკოსანი მარცვლეულების მთავარ ღირებულებას აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების ჭარბი ოდენობა შეადგენს, ნახშირწყლების მარაგის მიღება კი ადამიანს დიდი ოდენობით ისედაც, მეტადრე პურეულის სახითაც, შეუძლია, ამიტომ პარკოსან მარცვლეულთა შედარებითი ღირებულების გასათვალისწინებლად აქვე მათი ქიმიური შედგენილობის ცხრილსაც დაეურთავთ, რომელშიც ცნობები მარცვლეულთა აზოტოვანი ნივთიერების სიჭარბისდა მიხედვით გვაქვს დალაგებული.

	აზოტოვ. ნივთ.	ციმი	ნახშირწყ.	ცილულ.
ხანჭკუალა	35,4	5,3	29,2	13,8
ცერცველა	27,5	2,3	47,2	6,7
უგრებელი	27,31	0,65	56,46	3,46
ცულსპირა	25,6	1,9	50,0	5,4
ცერცი	25,0	1,6	46,7	9,4
ოსპი	23,8	2,1	53,9	4,9
ლობი	23,1	2,8	50,0	3,8
მუხულო	22,85	1,79	52,36	5,43
ბარდა	22,4	3,0	52,6	6,4

ზემომოყვანილი ცხრილითგან ჩანს, რომ აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერებით ყველაზე მდიდარი ხანჭკუალა ყოფილა, რომელსაც ამასთანავე ის დიდი ღირსებაც აქვს, რომ ცხიმოვანი ნივთიერების ყველაზე მეტი მარაგიც (5,3) გააჩნია. ამის გამო პარკოსანთა შორის ამ მარცვლეულს ტოლი არ ეყოლებოდა, რომ მას ორი ნაკლი არ ჰქონდეს: მავნე თვისება, რომელიც მის განსაკუთრებულ შემზადებას თხოულობს, და მოუწელებელი ქსოვილის, ცელულოზას, სიჭარბე (13,8). ამ უკანასკნელი თვისებით ხანჭკუალა ყველაზე დაბლა დგას.

ამავე ცნობების გადათვალთვრება ადამიანს დაარწმუნებს, რომ ლობიოს აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების მარაგით მხოლოდ მეშვიდე ადგილი უკავია და მარტო მუხულოსა და ბარდას სჯობნის. ცერცველასა, უგრებელსა, ცულსპირასა და ცერცვთან მას შედარებაც არ შეუძლია. ოსპიც კი 0,7-ით მას სჯობნის.

ზემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ ლობიოს კულტურის სრული გამარჯვება საქართველოში შეუძლებელია ამ მარცვლეულის აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების სიჭარბითა და განსაკუთრებული კვებითი თვისებით ყოფილიყო გამოწვეული.

§ 11. მარცვლეულთა მოხახარშავობის შედარებითი ღირებულება

ოსპის თვისების განხილვის დროსაც გამოიკვეა, რომ ვერც ის ითქმის, თითქოს ლობიო სხვა პარკოსანზე უფრო ადვილი მოსახარში მარცვლის მქონებული ყოფილიყოს და ამიტომ მის მომზადებას ნაკლები დროცა და საწვავი მასალა სჭირდებოდეს. პირიქით, ექსპერიმენტულმა შედარებითმა გამოკვლევამ ცხადპყო, რომ ლობიოს მოსახარშად ოსპზე მეტი დრო და ენერჯიაა საჭირო (იხ. აქვე, გვ. 78). მაშასადამე, ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ლობიოს კულტურის ქართულ მეურნეობაში გაბატონების მიზეზი მაინცდამაინც დროისა და საწვავის ეკონომია არ შეიძლება ყოფილიყო. ამგვარად, ამ მოვლენის მიზეზი კვლავ სხვა რომელსამე სფეროში, ამ მცენარის რომელსამე სხვა თვისებაში უნდა ვეძიოთ.

§ 12. ლობიოს გაბატონების მთავარი მიზეზი: მხვიარა ჭიშის უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერება

ლობიო, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 52 და 65—66), პირველად დასავლეთ საქართველოში ოსმალეთითგან შემოუტანიათ. საფიქრებელი ხდება, რომ პირველი საქართველოში გავრცელებული ლობიოს ჭიში სარის ლობიო უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება არქ. ლამბერტის ცნობითგან ჩანს, რომელსაც ამის მიზეზიც კი აქვს დასახელებული: სამეგრელოს ნესტიან ნიადაგზე კუტი ლობიო დალპებოდა და ამიტომ ამ მცენარეს მალალ სარზე უშეებენო.

იმავე გარემოების დამტკიცება, რომ ოსმალეთითგან გურიასა და სამეგრელოში შემოტანილი ლობიო სწორედ სარის ლობიოს ჭიში უნდა ყოფილიყო, იოანე ბატონიშვილის რუსულ-ქართული ლექსიკონითაც შეიძლება: რუსული ტერმინი турецкий, ანუ თურქული ცერცვის, ლობიოს, ქართულ შესატყვისობად მას ჯერ დაუწერია „კოტი ლობიო, ანუ მამაკალია“, მაგრამ შემდეგ ეს ცნობა, ვითარცა მცდარი, გადაუხაზავს, წაუშლია და ამის მაგიერ „სარის ლობიო“ დაუწერა. ეს, ცხადია, იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენში „ოსმალური ლობიო“ სწორედ მხვიარა ჭიშად ჰქონიათ მიჩნეული.

უკვე არქ. ლამბერტის ჰქონდა აღნიშნული, რომ სამეგრელოში მის დროს გავრცელებული სარის ლობიო ნაყოფს უხვად და დიდი ხნის განმავლობაში ისხამდა. მისი სიტყვით, ოდიშში „ივლისიდან დაწყებული სექტემბრამდის ახალ ლობიოს“ სჭამდენ. ხოლო, რასაც ეს მცენარე ამის შემდგომ ისხამდა, იმას ახმობდენ და საზამთროდ ინახავდენ-ო“ („სამეგრელოს აღწერა“, აღ. ჰყონიას თარგმ., გვ. 59).

XVII ს. იტალიელი ავტორის ზემომოყვანილი ცნობა სარის ლობიოს ჭიშის უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერების შესახებ თანამედროვე მკვლევართა

დაკვირვებითაც მტკიცდება. ლ. დეკაპრელევიჩის ცნობითაც, თუ კუტი ლობოს ჯიშების ვეგეტაციის ხანა 80—100 დღეს არ სცილდება, სარის ლობოს ჯიშები, მართალია, აყვავებას კუტ ჯიშებზე უფრო გვიან, დათესვითგან მე-40—60 დღეზე, იწყებენ, მაგრამ საშავიეროდ მათი ნაყოფიერება ხელშემწყობ პირობებში პირველ რთვილამდისაც კი გრძელდება ხოლმე (იხ. Сорта фасоли в Грузии, გვ. 170—171). მაშასადამე, ლობოს მთავარ ღირსებას მისი ხანგრძლივი და უხვი ნაყოფიერება წარმოადგენს. რაკი ჩვენში პირველად ლობოს ჯიშთაგან ყველაზე ნაყოფიერი, სარის ლობოს, ჯიში შემოსულა, ქართველ მიწისმოქმედს უნდა მაშინვე ეგრძნო ამ მცენარის ეს დიდი უპირატესობა: ლობოს უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერება ამ მცენარეს სხვა პარკოსნებთან შედარებით ეკონომიურად ყველაზე უფრო ხელსაყრელ და მოგებიან მარცვლელად ჰხდოდა. სწორედ ეს ეკონომიური მიზეზი უნდა იყოს, რომ ლობოს კულტურა ქართველმა სოფლის მეურნემ ყველა სხვას ანაცვალა და თითქმის მთელი თავისი ყურადღება მას მიაპყრა.

§ 13. ლობოს მავნებელთაღმი გამძლეობის მნიშვნელობა მისი საქართველოში გაბატონებისათვის

სასოფლო მეურნეობაში ამა თუ იმ მცენარის კულტურის განმტკიცება მის გამძლეობაზეც არის დამოკიდებული, სახელდობრ, უძლებს თუ ვერა იმ მავნებლებს, რომელნიც ყოველ მათგანს გააჩნია. ლობო ამ მხრივ ბევრ პარკოსანზე უფრო გამძლეა (იხ. ლ. დეკაპრელევიჩის Сорта фасоли, 171, შენ. 3) და ამ მხრივაც მისი მოყვანა სხვებზე უფრო ხელსაყრელია. მაგალითად შესაძლებელია ბარდა იყოს დასახელებული.

„ბარდა“-ს, რომელსაც რაჭაში „ბარდა-ცერცვი“ ეწოდება ხალხში, სასოფლო მეურნეობაში წინათ თურმე შედარებით ფართო ადგილი ჰქონია დაკავებული, მაგრამ მისი ნათესები ამჟამად ძალიან ცოტა-ლა მოიპოვება. ბარდას კულტურის ასეთი შემცირების მთავარ მიზეზად რაჭველი სოფლის მეურნეი თურმე იმ გარემოებას ასახელებენ, რომ ბარდას მარცვალს ძალზე აფუჭებს ჭია (Bruchus). ამის გამო ბარდას მაგიერ ლობოს მოყვანა ფართოვდება (ლ. დეკაპრელევიჩი და ვ. მენაბდე, К изуч. полев. культ. Зап. Грузии, I. Рача, 245).

§ 14. ლობოს ქიმიური შედგენილობის კეთილშეზავებულობის მნიშვნელობა

ლობოსთვის უპირატესობის მიმანიჭებელ ამ ორ მიზეზს გარდა უნდა შემდეგი მოსაზრებაც დაერთოს ზედ. თუმცა, როგორც. დავრწმუნდით, ლობო აზოტოვან-ცილოვანი ნივთიერების ოდენობით ბევრ სხვა მარცვლელს ჩამოუვარდება, მაგრამ ეს ნივთიერება მას მაინც სრულებით საკმაო რაოდენობით (23,1) გააჩნია. ხოლო მის ღირსებად ის გარემოება უნდა იქმნეს მიჩნეული, რომ მას ცხიმებიც, ხანჭუალას შემდგომ, ყველაზე მეტი აქვს (2,8), ნახშირწყლების დიდი მარაგიც (50,0) მოეპოვება და თანაც მოუნელებადი ქსოვილების, ცელულოზის, სიმცირის გამო (3,8) ადამიანის სხეულს შეთვისების პროცესს არ უძ-

ნელგებს. ამ უკანასკნელი თვისებით ლობიო ყველა პარკოსანს სჯობია. ამგვარად, ქიმიური შედგენილობის ზემოაღნიშნული გარემოების წყალობით, ლობიო, ვითარცა ცილოვანი, ნახშირწყლოვანი და ცხიმოვანი ნივთიერების საკმაოდ დიდობის ერთად შემცველი მარცვლეული, კეთილშეზავებულსა და სხვებზე უფრო ადვილად მოსანელებელ საკვებს წარმოადგენს.

§ 15. პარკოსან მარცვლეულთა გავრცელების ასწვრივი ზოლები და ამ გარემოების მნიშვნელობა ცერცენაირთა, ხნდურნაირთა და ოსპისაგან მაღალ არეებში ლობიოსთვის მეტოქეობის ასახსნელად

ლობიოს ზემოაღნიშნული უპირატესი თვისებებისდა მიუხედავად, საქართველოს სასოფლო მეურნეობაში მიწისმოქმედს დანარჩენ პარკოსანთა მოყვანისათვის მთლად თავი არ დაუნებებია: მათი გავრცელების არეა მხოლოდ ძალზე შემცირებული. მომეტებულ მათგანს ამ უკანასკნელი გარემოების გამო ეკონომიკაში უკვე მცირე ადგილია უკავია. მაგრამ ეს მხოლოდ ბარზე ითქმის. მთაში ამ მხრივ არსებითად განსხვავებული ვითარებაა, რომელიც დანარჩენ მარცვლეულთა კულტურის გარკვეულ სამეურნეო პირობებში შერჩენის მიზეზის გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს.

საქმე ის არის, რომ პარკოსან მარცვლეულთა ასწვრივი გავრცელების არე სხვადასხვა წარმომადგენელთათვის სხვადასხვანაირია. ხანჭკუალას, ძაძასი და მაშა-ლობიოს გავრცელების არე ზღვის დონითგან 2000—2500 ფუტზე მაღლა ვერ აღის, მუხუდო მარტო 3000 ფუტამდე ხარობს, ლობიო და ბაკლა 3500—4000 ფუტამდე აღწევს და ცერცვი, ცერცველა, ოსპი და ხნდურნი, ანუ კულტურული და გარეული ბარდა, უგრეხელი და, ვგონებ, ცულისპირაც 5000—6000 ფუტამდე გვხვდება (ლ. დეკაპრელევიჩის *Мат. по изуч. бобовых Гр.-зии*, 139 და 137).

ამ გარემოებითგან ჩანს, რომ საქართველოს მაღლობი თემების მცხოვრებთათვის პარკოსანთა უძველესი ჯგუფი, ცერცვი, ცერცველა, ოსპი და ხნდური და ხნდურნაირნი იმავე დროს უცილობლად ყველაზე გამძლე და ერთგულ საკვებად გამოდგარან, რათგან 3500—4000 ფუტს ზევით ადამიანს ლობიოც ჰალატობს: მას რომ ცერცვი, ოსპი და ხნდურნაირნი არ ჰქონოდა, მცენარეული ცილოვანი ნივთიერების საკვებიც არ ექმნებოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ მათი მოყვანა ფართოდაა მაღლობ ადგილებში გავრცელებული და ლობიოს მათთვის არავითარი მეტოქეობის გაწევა არ შეუძლია.

მოსავლის აღება და დაუნჯება

თავი I. მოსავლის აღება

§ 1. მკა და თიბვა

თესლ-მარცვალ-მომავრებულსა და დასრულებულ მცენარეს „წარმოდგომილი“ ეწოდებოდა, ე. ი. იმას, რაც თანამედროვე ქართულში „შემოსულს“ უძახიან. ძველად ეს უკანასკნელი ტერმინი არ გვხვდება, არამედ „წარმოდგო-

მილი“, რომელიც საღმრთო წერილის ქართულ თარგმანშივეა ნახმარი. დაბადებაში აღნიშნულია, რომ სეტყვისაგან „სელი და ქრთილი იგუემა“, ე. ი. დაი-სეტყვა, „რამეთუ ქრთილი წარმოდგომილ იყო და სელი თესლოოდა“-ო (გამოსლუათა 9₃₁₋₃₂). ბერძნულად ამას; უდრის ἢ ὑὸν ἀριμὴν παρθεταχαια, ლათინურად hordeum esset virens და სომხურად դարին լոն կայր. „წარმოდგომილი“ მნიშვნელობით მოსალოგინებლად გამზადებული ფენმძიმე დედაკაცის გამომზატველ ძველ ტერმინს „მიდგომილ“-ს ენათესავენ.

როდესაც მცენარის მარცვლეული დასრულებულ-მომწიფებული იყო, მაშინ უნდა მცენარეთა მოკრეფა დაწყებულიყო. ამ მოქმედებას ძველადაც ეწოდებოდა „მკაჲ“: „წარვიდა რუბენ დღესა ზაფხულსა მკისასა“ (შესაქმეთაჲ, 30₁₄), „უამსა მკისა იფქლისასა“ (მსაჯულთაჲ 15₁), „იფქლი მწიფე უამსა შინა მკისასა“ (იობისი, 5₂₆), „იყოჲ წწრ მკისა, ოდეს... მოიხუნეს ხევენები მცირენი მანგლითა და რტონი მიუხუნეს და აღმოკრნეს“ (ესაიაჲსი, 18₅). ყველა ამ ადგილის შესატყვისად ბერძნულად ბ ზერსემბს და ზერსენა „თერისმოს“ და „თერიძო“, ხოლო ლათინურად messis და სომხურად հունձք—„ჰუნძქ“-ი უდრის.

თუ იმ დროის აღნიშვნა ჰსურდათ, როცა მოსავლის შეკრეფა იცოდენ, მაშინ იხმარებოდა „უამი მკისაჲ“.

საქართველოს ეკონომიური ისტორიის პირველ წიგნში უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ „ქართულში თიბვისაცა და პურეულ-ქრთილეულის მკის დროც აღბეჭდილია თვეების სახელების სახით და, ს. ორბელიანის სიტყვით, ივლისის თიბათვეს უწოდებდენ, ხოლო აგვისტოს — მკათათვეს“ (იხ. 1², 290). მაშასადამე, ძველად პურეულის მკა სწორედ აგვისტოში იყო ხოლმე.

რათვან ქერი უფრო ადრე მწიფდებოდა და მოდოდა, ამიტომ „მკაჲ პირველი“ და „დასაბამი მკისაჲ“, მკის დასაწყისი, სწორედ ქერის მომკით იწყებოდა ხოლმე. „მოსწყვდნეს დღესა შინა მკისასა პირველსა დასაბამსა ქერისა მკისასა“-ო (2 მეფეთა, 21₉). ბერძნულად აქ ნათქვამია ζν ἡμέρας ζερσμοσν ζν πρῶτοις, ζν ἀρχῆ Ἐερσμοσν ἀριμῶν, ლათინურად in diebus messis primis, incipiente messione hordei და სომხურად լաւուրս հնժոց լառաջաւոր'ի սկիզբան հնժոց դարեաց.

საბა ორბელიანს მცენარეულობის შეგროვებასთან დაკავშირებული მუშაობის აღსანიშნავად ორი ტერმინი მოეპოვება: მკა და თიბვა. მისი განმარტებით „მკა ყანის მონამგლვა“ არის და ამის საბუთად ქართველ ლექსიკოგრაფს სამართლიანად ესაიას ზემომოყვანილი ადგილი აქვს დასახელებული. ხოლო საბასივე სიტყვით „თიბვა მოცეღვა“-ა (ლექსიკ.). ამ შემთხვევაში კი მას თავისი განმარტების სისწორისათვის დაბადების, ან სხვა რაიმე ძეგლის რომელიმე ადგილი არ დაუმოწმებია. ამგვარად, მკა ნამგლით მუშაობას და მცენარის მოკრას ვნიშნავს, თიბვა კიდევ ცელითა.

§ 2. პურეულ-ქრთილეულის მოკრების მიზნის სხვადასხვაობა დროთა

განმავლობაში

თავდაპირველად ადამიანს პურეულის მოკრების დროს მხოლოდ მისი თავის შეგროვება აინტერესებდა. პურეულის ჩალა მას არ სჭირდებოდა, რათგან საქონლის საკვები ბალახი ისედაც ბევრი იყო. მხოლოდ შემდეგში, მოსა-

ხლეობის გამრავლებასა და მკვიდრი ბინადრობის მოკიდებასთან ერთად, პურეულის ჩალის გამოყენებაც აუცილებელი შეიქმნა.

ამგვარად, მოსავლის მოკრების დროს თავდაპირველად მუშაობა უფრო მარტივი იყო და არსებითად თავთავების მოწყვეტას წარმოადგენდა, შემდეგ ხანაში კი საქმე შედარებით უფრო გართულდა და თავთავთან ერთად ღეროც უნდა ყოფილიყო შეგროვებული.

როგორც ვიცით, პურეულის მცენარე ფესვ-ძირისა, ღეროსა, ანუ „წუელი“-სა და თავთავის, ანუ „კუვილი“-საგან შესდგებოდა (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., 1², 277—280). წუელი ერთადერთი ტერმინი იყო ძველ სამწერლობო ქართულში პურეული მცენარის ღეროს აღსანიშნავად. მაგრამ ეს სიტყვა მარტო სამწერლობო ქართულის კუთვნილება არ ყოფილა.

ქანურში ეხლაც პურეულის ღეროს, თვით სიმინდისაც კი, „წუ“ ეწოდება (ვიწ., რიზ.: ჭ. გ., 222). აქ რომ „წუელი“-ს ბოლოშეკვეცილი ფორმაა, ეს სრული უეჭველობით საბძელის აღმნიშვნელი ქანური სიტყვით „ოწუალე“-თი მტკიცდება, რომელიც სა-წუელ-ეს (ო-წუალ-ე) უდრის და ჰნიშნავს. აქ, მაშასადამე, ეს ტერმინი სრულად არის დაცული „წუალი“-ს სახით, ცალკე სიტყვად ხმარების დროს კი მას ბოლოკიდური „ალი“ ჩამოსცლია და მხოლოდღა „წუ“ დარჩენილა.

ამნაირად, თავდაპირველად ადამიანი საკვები მცენარეების „კუვილის“ მოკრეფაზე ზრუნავდა. მხოლოდ შემდეგში „წუელი“-ს შეგროვებასაც შესდგომა და ხან თავთავთან ერთად, ხან ცალ-ცალკე ღეროსაც და თავთავსაც მიეზიდებოდა საყანურითგან.

§ 3. საკვები მცენარეების მოკრების წესები სხვადასხვა ხანაში

საკვები მცენარეების მოკრების წესიც სხვადასხვანაირი იყო უძველეს ხანაში და შემდეგში. პირველად ადამიანი ხელით ჰგლეჯდა თავთავებს და დაფშენეტის შემდგომ მარცვლებს სჭამდა დაუმუშავებლივ. შემდეგშიც, განსაკუთრებულ შემთხვევაში, მაგ. დამშეული ადამიანი, ასევე მარტივი საშუალებით იკმაყოფილებდა თავის მოთხოვნილებას. ერთი ასეთი შემთხვევა მათესაც აქვს 12¹-ში აღწერილი. მისი ცნობით, ერთხელ „წარვიდოდა იესუ დღესა შაბათსა ყანობირსა მათსა, ხოლო მოწაფეთა მისთა შეემშია და იწყეს მუსრვად თავსა კუვილისასა და ჭამად“-ო.

თავთავის მოწყვეტას და მარცვლების გამოფშენეტას აქ, მაშასადამე, „მუსრვა“ ეწოდება, რომელიც ტეხვასა და სრესას ჰნიშნავს.

შემდეგში, დროთა განმავლობაში თავთავის ხელით მოწყვეტის მაგიერ, თითების დაუზიანებლივ დასაცავად, მაკრატლის მსგავსად გამართული ხის ხელსაწყო შემოუღლიათ, რომლითაც ღეროს თავთავებს მოამტკრევდნ ხოლმე და კალათებში აწყობდნ.

ასეთი ხის ხელსაწყო, „შნაკვი“-ს სახელით ცნობილი, ეხლაც კია რაჭაში დაცული და ასლის ზანდურის ჯიშის მოსავლის მოსაყრებად იხმარება. მისი აღწერილობა „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“, 12, 345-ზე გვქონდა მოყვანილი და აქ ამაზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქმნებოდა. ამ წესის სიძველეს თვით ხელსაწყოს პრიმიტიულობა, ხის ორი ჯონისაგან თოკით გადამზადებული მაკრატლის მსგავსი იარაღიც, საკმაო სიცხადით ამჟღავნებს.

როდესაც აღამიანის მეურნეობაში წუელსაც, მცენარის ღეროსაც, მნიშვნელობა მიენიჭა, ვითარცა სახლებისა და ქოხების დასახურავად გამოსადეგ მასალას, ანდა ვითარცა საქონლისათვის კარგ საკვებს, პურეულ-ქრთილეულის მთლიანად გამოყენება დაიწყო. მაშინ მოსავლის მოგლეჯა შემოვიდა წესად და მცენარის „მოთხრა“-ც, ანდა მოჭრაც დაიწყო.

მოგლეჯის წესი XIX ს-შიც იყო საქართველოში აქა-იქ დაცული და ეხლაც არსებობს ზოგან. ბარად მოსავალს მხოლოდ იმ შემთხვევაშიღა ჰგლეჯდენ და ჰგლეჯენ, თუ ყანა დაბალტანიანი გამოდგება ხოლმე. მთაში კი, მაგ. თუშეთში-ხევსურეთსა და მთიულეთში მოსავლის მოგლეჯა ხშირია (იხ. МИЭБГКЗК, V, ნაწ. I, გვ. 447 და Свод МИЭБГКЗК, IV, გვ. 324—325).

სულ ბოლოს ხორბლეულ-ქრთილეულის ის მოსაჭრელი იარაღი ნამგალიც იყო გამოვონილი, რომელიც ეხლაც არსებობს.

§ 4. მცენარეულის მოსაჭრელი იარაღის ისტორია: ნამგალი და ცელი

ებრაელებს სასოფლო მეურნეობაში ცელი არ ჰქონიათ და პურეულისა და ბალახის მოსაჭრელად მხოლოდ ნამგალსა იხმარებდენ (Socin. „Sense: Guthe Bibelwört.“). ამიტომ არც მოსალოდნელია, რომ „ცელი“ დაბადების ქართულ თარგმანში ნახმარი იყოს. ლკტერს 1 სამუელის, ანუ მეფეთა 13²⁰-ის თარგმანში ნახმარი აქვს Sense, ე. ი. ცელი, მაგრამ Socin-ს აღნიშნული აქვს, რომ ებრაელად იქ სახენელი: აღმნიშვნელი სიტყვა მოიპოვება (იქვე).

ძველ საბერძნეთშიც მკა მხოლოდ მოხრილი ნამგლით იცოდენ, რომელსაც ბერძნული ეწოდებოდა ცელი იქ არ არსებობდა (Dr. Jwan von Müller, Die griechische Privat—und Kriegsaltertümer, 1893 წ. München: HKAU. IV, 12, გვ. 237).

Orth-ის სიტყვით რომაელები ნამგლით (der Sichel, falx). მკიდენ, ხოლო ცელს (Die Sense, falx foenaria, veruculata) ბალახის გასათიბად ხმარობდენ. ამასთანავე ორნაირი ნამგალი ჰქონდათ: ერთი ძალზე მოხრილი იყო და პატარა ტარი ჰქონდა. ასეთ ნამგალს falx stramentaria-ს, ან messoria-ს, ე. ი. „სამკალ ნამგალს“ ეძახდენ. მეორე ნამგალს ხერხივით დაკბილული პირი ჰქონდა და ამის გამო falx denticulata „დაკბილული ნამგალი“ ეწოდებოდა (Orth, Getreide: Paulys RE VII, 1348—1349), რომელიც, როგორც საბას ლექსიკონითგან ჩანს, ძველ საქართველოში უნდა ყოფილიყო და რომელსაც დღელი სწოდებია.

H. Blümner-საც აღნიშნული აქვს, რომ ხმარობდენ თუ არა რომაელები ცელს პურეულის მოსაჭრელად, ცნობები არ მთავრდება. ასეთი იარაღისათვის რომაელებს განსაკუთრებული სახელი არც გააჩნდათ. მაგრამ თვით ცელის არსებობას იმდროინდელი რკინის ცელის აღმოჩენილი ნაწილები ადასტუებენ.

ბენო. ისიც ფიქრობს, რომ მისი სახელი უნდა ყოფილიყო *falx foenaria* (Die römische Privataltertümer, 569 და შენ. 1), ე. ი. სათივე ნაშვალი. ეს სახელი სწორედ Orth-ის მოსაზრებას ადასტურებს და ცხადყოფს, რომ იგი ბალახის მოსაპყრელად ყოფილა მართლაც განკუთვნილი. ამასთანავე ხეილისა და ვაჭის გასასწლავ იარაღსაც *falx putatoria*, ე. ი. გასასწლავი ნამგალი ეწოდებოდა (H. Blümner, Die römische Privataltertümer, 568, შენ. 3).

დაბადების ქართული თარგმანის ტერმინოლოგია გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად და, ვგონებ, იმ ხანაშიაც, როდესაც ძველი და ახალი აღთქმა ქართულად ითარგმნებოდა, როგორც მარცვლოვანი საკვები მცენარეულობისა. ისევე საქონლის საკმელი ბალახის მოსაპყრებად მკა ყოფილა მიღებული. ეტყობა, იმ დროს საქართველოშიაც მხოლოდ ნამგლით მუშაობდნენ, მაგ. „რამ უამს იწყო მანგლისა საქმე მკათა“ (მეორე შუაულისა, 169) = *ἀρχαῖστου σπυ βρέπανον ἐπ' ἀγρῶν ἀρξῆ*, ab ea die, qua falcem in segetem miseris და 'ქ ასიანსიცი მანყაიქ ქიქ ციბ—„მოსპეთ თესლი ბაბილონისაგან მპყრობელი მანგალისა, უამს მკისა“ (იერემიასი, 51₁₆). მკა ნამგლით წარმოებდა.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ თივის შესახებაც იგივე ტერმინია ნახმარი: „მოიმკე თივა და შეკრიბე თივა მალნარისანი“ (იგავნი სოლომონისანი, 27₂₃). ბერძნულადაც ნათქვამია *ἀρῶντες τὰς αὐτὰς τῶν αὐτῶν χόρταιν ἁρῶντες*, ლათინურად სხვათაირადაა *collecta sunt foena de montibus*, სომხურად კი ასევეა *հնձխսկս դխით ხւ ժողովքս դխით գալար*. ქართული „თივა“ ძველად, როგორც ვიცით (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., 1², 270—281), ნელ ბალახს ჰნიშნავდა და მოთიბულ, ხმელ ბალახს (*foenum*, ან *fenum*) ალბათ ისევე, როგორც თანამედროვე მეგრულსა და ჭანურშია, ხმელი თივა ერქმეოდა.

(*Ὁ ἀγρῶν* პო ამეტოს და *ἀμάα* „ამაო“ სამკალს, ნამკალსა და მკასა ჰნიშნავს, ხოლო *ἀειρά* კეირო და *հնձկ* ჰნძელ-იც მომკას და მოჭრას ეწოდებოდა.

სოლომონის იგავთაგან მოყვანილი უკანასკნელი მაგალითი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ „თივა“-ს, ანუ, ძველი ქართული მნიშვნელობით, ბალახს ეხება და აქ, მერმინდელი და თანამედროვე თვალსაზრისით, სწორედ ტერმინი თივა იყო მოსალოდნელი. ამ ზმნის მაგიერ კი დაბადების ქართველ მთარგმნელს ტერმინი „მკა“ უხმარია. ამ გარემოებისდა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ მაშინ ტერმინი „თივა“ ჯერ მიღებული არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ისიც არის გასათვალისწინებელი, რომ დაბადების დედანსა და ბერძნულ ტექსტში ზმნად „მკა“-ა ნახმარი და ქართველ მთარგმნელს ამ ადგილების გადმოცემის დროს რომ სიტყვა-სიტყვითი თარგმნის წესი ემჭობინა, უნდა სწორედ „მკა“ ეხმარა. მაგრამ საქმე ის არის, რომ სხვა შემთხვევებში ქართველ მთარგმნელს დედნის შინაარსი თავისუფლად, საქართველოში მიღებული ტერმინებით, აქვს ხოლმე გადმოცემული. ამიტომ საფიქრებელია, რომ აქაც, მაშინ ეს სიტყვა რომ ყოფილიყო, მკის მაგიერ თივას იხმარა.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ჭანურსაც „ცელვა“-ს ფონეტიკური შესატყვისობა არ გააჩნია და ამ ცნების გამოსახატავად „ჭრა“ ზმნა იხმარება. მაგ. ბალახს ვთიბავ ჭანურად იქმნება „თიფი ბჭკირუფ“ (ჭ. გ.), რაც არსებითად ჰნიშნავს ბალახს (თივას) ვჭკრო.

სვანურადაც სახელზმნა „ცელვა“-ს აღსანიშნავად სულ სხვა ძირის სიტყვებია: „ხეაჯცე“, „ხეაჯჯი“, „ხეასგრბე“, „ხეეკმე“, „ხეამგრჩილი“ იხმარება (ივ. ნიყარაძე, P.-ს. სლ.: серп, жатва, коса, косить).

§ 5. სამკალზე მუშაობა

მარცვლეული მცენარეულობა რომ დასრულდებოდა, მოვიდოდა და აკრეფის მეტი არა აკლდა რა, ასეთ ყანას „სამკალი“ ერქვა: ცეცხლმა „მოწვას კალო, ანუ ყანა სამკალი“, ნათქვამია გამოსლვათა 226-ში, — ან კიდეც „არა მოასრულოთ სამკალი იგი თქუენი ქუეყნისა თქუენისა მომკად და რომელი დაცოდეს სამკალისა თქუენისა, არა შეკრებოთ“-ო (ლევიტელთაჲ, 199—11). ბერძნულსა და სომხურს აქ ქართულსავით განსაკუთრებული ტერმინი კი არა აქვს, არამედ იგივე ὁ μεισιμῶς „პო თერისმოს“ და ἄμυξον „პუნძქ“, რომელიც მკასა ჰნიშნავს. ამ მხრივ დაბადების ქართველ მთარგმნელს სამეურნეო ტერმინოლოგიაში უფრო მეტი გამოსაღვეი მასალა უპოვია და ისეთი ტერმინი უჩნარია, რომელიც მისი სამშობლოს სასოფლო მეურნეობის კულტურამ ამ ცნების გამოსახატავად შექმნა. ლათინურადაც ნახმარია seges, რომელიც სწორედ მოუმკალ ყანას, „სამკალ“-ს უდრის და ჰნიშნავს.

ნათესის მომკრელს „მომკალი“ ერქვა და ღირსებისდა მიხედვით კარგ მმკელს „კეთილად-მომკალი“ ეწოდებოდა.

გ. მერჩულს ერთი მაშინდელი გახურებული მკის სურათი აქვს აწერილი: ეპიფანე ბერი დიდ აბულასანთან მისულა „უამსა მკისასა“ და ხანძთის მონასტრისათვის ქონებრივი დახმარება უთხოვია. აბულასანს ნება მიუცია მონასტრისათვის წაეღო, რასაც ძმანი ერთი დღის განმავლობაში მომკას შესძლებდენ. აბულასანს რომ ეს განკარგულება თავისი ცოლისათვის დაუტოვებია, თითონ საქმეების გამო სხვაგან გამგზავრებულა. „ხოლო ეპიფანე შეკრიბნა ძმანი თჳსნი კეთილად-მომკალნი და მიიწინეს გუნათლეს სიტყუსაებრ პირველ-თქუმულისა და იწყეს მკად კეთილსა ყანასა ვიდრე განზოგებადმდე დღისა მის (ე. ი. შუადღემდე) ფრიადითა გულსმოდგინებითა. ხოლო კაცთა ვიეთ[თა]მე უკეთურთა აუწყეს დედუფალსა თჳსსა, ვითარმედ სრულიად მოჰმკიან ვიდრე მწუხრადმდე იფქლსა მას ფრიად კეთილსა. ხოლო შეიურვა და მიავლინა კაცი, რამთა არღარა მკიდენ. და ეპიფანე ძმათა მათ ეშორა და მივლინებულსა მას არ უსმინეს. ხოლო მან რისხვით სხუანი კაცი მიავლინნა და მძლავრებით განასხნეს ყანისა მისგან“-ო (ც^ი გ^ლ ხნძ^{ელსა}, გვ. ნა).

აბულასანი რომ ერთი დღის სამკალის მონასტრისათვის მიცემას შეჰპირებია, მას ჩვეულებრივი მომკალნი უგულისხმია. მაგრამ ზერს ეს შეპირება თავის სავანის სასარგებლოდ გაუგია, თუ გამოუყენებია და ისეთი მარჯვე და სწრაფად მომუშავე მომკალი მონაზონები მიუსხამს, რომ შუა დღემდის მათ იმდენის მომკა მოუსწრიათ, რასაც ჩვეულებრივი მომკალი მთელ დღეს მოუნდებოდა.

თავი II. ნამკალის ერთეულები

§ 1. ზვინი

მომკილ მცენარეს ან უბრალოდ შეუკრავად აგროვებდენ, ან, მეტადრე როდესაც ადამიანის საკვები იყო, ჰკრავდენ. ასეთი შეკრული ნამკალის ერთეულები, რასაკვირველია, შემდეგში, დროთა განმავლობაში გაჩნდა. როდესაც ადამიანმა საკვები ნათესი მასალის ფასი და მისი გაფრთხილების აუცილებლობა შეიგნო. თავდაპირველად ნამკალი უეჭველია შეუკვრელი იყო ხოლმე.

შეუკრავად შეგროვებულ მომკილს, თუ მოჭრილ მცენარეს „ზვინი“ ეწოდებოდა. „ზვინი ყანის ბრჯა“ არისო, ნათქვამი აქვს ს. ორბელიანს და თავისი განმარტების სისწორის დასამტკიცებლად გამოსლვათა მ₁₄ აქვს დასახელებული, ხოლო ბრჯაზე ამბობს, რომ „ერთბაშად ძნეული მდგარი“ არისო (ლექს.).

ს. ორბელიანისაგან დამოწმებულ ადგილას დაბადებაში მართალია „ზვნი“ სიტყვა ნახმარია, მაგრამ იქ სრულებით ყანის ზვინზე არ არის საუბარი, არამედ ზვნი დახოცილი ბაყაყების გროვის აღსანიშნავად არის გამოყენებული: „მოსწყდა მყუარა (ე. ი. ბაყაყი)... და შეკრიბეს ზვნად-ზვნად“-ო. ბერძნულადაც ნახმარია $\mu\kappa\alpha\upsilon\alpha$; ლათინ. *aggrer* და სომხ. *կուკ*, რაც მართლაც გროვას, დანაყარს, დაყარის ჰნიშნავს.

ამგვარად, ირკვევა, რომ „ზვნი“ ზოგადად გროვას, შენაგროვების აღმნიშვნელი ყოფილა, რისგანაც არ უნდა ყოფილიყო იგი შემდგარი. მართლაც „ზვნი“ მართო მომკილი ყანის გროვის აღსანიშნავად კი არ გვხვდება შემდეგდროინდელ ძეგლებში, არამედ თივის „ზვინი“-ც ხშირად არის ხოლმე მოხსენებული. ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის დავთარში ზვინი ჩვეულებრივ თივისა დასახელებული.

§ 2. მჭელეული

პურეულის დიდი მნიშვნელობის გამო ადამიანის კვებისათვის ხორბლეულს მოჭრისთანავე ჰკრავდენ ხოლმე, გარკვეული ხანითგან მაინც.

ნამკალის უმცირეს ერთეულს ძველ ქართულ მწერლობაში „მჭელეული“ ეწოდებოდა: სამსონმა კული-კულზე გადაბმულ და ლამპარ-დამაგრებულ მელიებს ფილისტიმელთა მტრობით „აღუდვა ცეცხლი ლამპარებსა მას და განუტევა იგინი შორის მჭელეულებსა მას ფილისტიმელთა და მოწვა ჯუვილი ზვნთაგან“-ო (მსაჯულთაჲ, 15ს), — „რაჲ უამს... მომკოთ სამკალი მის ქუეყნისა და მოართვათ მჭელეული პირველისა ყანისა თქუენისა“ (ლევიტელთაჲ, 23ს). პირველ შემთხვევაში მჭელეულის შესატყვისად ბერძნულად $\eta \chi\lambda\alpha\upsilon$, სომხურად *ჩა-ია*, მეორე შემთხვევაში კილევ $\tau\beta \delta\rho\acute{\alpha}\chi\mu\alpha$ „ტო ღრაგმა“, ლათინ. *manipulus spicarium*, სომხურად *მრჱკ*, რაც ერთი ხელის მოხვევას, იმას, რაც ერთ ხელში მოიკლდება და დაიჭირება და მცენარეულობის ამღენსავე მღენობას უღრას.

ამ მხრივ საბა ორბელიანი მართალია, როდესაც დაბადების დამოწმებით ამბობს, რომ „მჭელეული“ არის „ჭელეული ყანისა“-ო (ლექსიკ.).

რომ ნამკალი არ დაფანტულიყო, მკელეულებს ჰკრავდნენ. ამისთვის განსაკუთრებული მომუშავენი იყვნენ ხოლმე მიჩენილნი, რომელთაც ეწოდებოდათ „შემკურველი მკელეულთა“: იოსები ეუბნებოდა თავის ძმებს, — „გმონებდ შემკურველად მკელეულთა თქუენ ველსა შინა“ (შესაქმეთაჲ, 377). აღსანიშნავია, რომ ბერძნულსა და სომხურ ტექსტებს აქ განსაკუთრებული ტერმინი ამისთვის არა აქვთ და აზრი ზმნით არის გადმოცემული.

§ 3. ძნა და ძნეული

მომკილი ყანის მკელეულზე მოზრდილ ერთეულს „ძნა“ ეწოდებოდა.

„ძნა“ ესაიას 17⁵-შია ნახმარი: „უკუეთუ ვინ შეკრბენ ძნასა მღებარესა მკლავსა ზედა თვსსა“-ო. ბერძნულად და ლათინურად ეს ადგილი სხვანაირად არის გადათარგმნილი და თავთავის აღმნიშვნელი სიტყვებია ნახმარი, სომხურად კი მკელეულის შესატყვისობა მოიპოვება.

ხოლო „ძნეული“ ისუ ნავეს 2⁶-ში ბერძნ. ἡ ἀκλῆμη-ს, ლათინ. stipula-ს და სომხ. *խուրძն*-ის შესატყვისადაა. პირველი ორი წუელს, ანუ ჩალას ჰნიშნავს, მესამე კი შეეკრას. საბასაც ძნა ასე აქვს განმარტებული: „ძნა ყანის კონა“ არისო (ლექსიკ.), ძნეული კი სრულებით არ მოეპოვება. რაკი „ძნეულ“-ს ფორმანტად განყენებული და შემკრებლობითი მნიშვნელობის მიმნიჭებელი „ეულ“ ბოლოსართი ახლავს, ამიტომ საფიქრებელია, რომ „ძნეული“ უნდა ძნების კრებულს ჰნიშნავდეს, ეხლა რომ ძნის ფეხს უწოდებენ ხოლმე ხალხში.

მომკილი ყანის ჩაპნეული მცენარის მონაკრეთსაც თავისი სახელი ჰქონია და „წერეული“ ჰქმევიან. საბას ამ ტერმინის განსამარტავად რუთის 3⁷ აქვს დასახელებული და თანაც ნათქვამი აქვს, რომ „წერეული ყანის ნაკრეთი შეკონილი“ არისო (ლექსიკ.). ბაქარის გამოცემაში ეს ტერმინი არ მოიპოვება, მაგრამ შინაარსის მიხედვით შესაძლებელია ყოფილიყო და იმ რედაქციაში, რომელიც ორბელიანს ხელთ ჰქონია, ყოფილა კიდევაც.

მკის გათავებას „მოსრულებათ“ ერქვა. ებრაელებს საღმრთო სჯული ავალებდათ, რომ ყანის მკა ისე ეწარმოებინათ, რომ რაც „დაცვოდეს“, დაიპნეს, ის არ „შეეკრიბათ“: „რომელთა მომკონ სამკალი იგი ქუეყანისა მის თქუენისაჲ, არა მოასრულოთ სამკალი იგი თქუენი ქუეყანისა თქუენისა მომკად და რომელი დაცვოდეს სამკალისა თქუენისა, არა შეკრიბოთ“-ო (ლევიტელთაჲ, 19⁵⁻¹⁰). ეს ბრძანება ლევიტელთა წიგნში ზნეობრივი მოსაზრებითა და ქველმოქმედების სურვილით არის დასაბუთებული და ნათქვამია, რომ დაცვიენული „გლანაკათა და მწირთა დაუტეო“-ო (იქვე, 19¹¹). ამგვარი ჩვეულება საქართველოშიც არაჲ შენახული და შესაძლებელია ქრისტიანობასთან ერთად იყოს შემოსული. მაგრამ შესაძლებელია ამგვარი დარიგება იმაზე იყო დამყარებული, რომ ჩაცვიენული თავთავების ამოკრეთა იმაზე მეტ შრომას მოითხოვდა, ვიდრე ამით შენაძენი ღირდა.

მომკილ ყანას და მიწას, ისევე როგორც სიმინდ-მოჭრილს ადგილს, ჰანურად „მოდული“ (რიზ.-ხოფ.) და „მუნდული“ (ათინ.) ეწოდება (ჭ. გ.. 168).

თავი III. კალოზა

§ 1. მარცვლეულის გამოცალკევების სხვადასხვა საშუალება

თავთავისა თუ თაველისა, ანდა პარკისაგან მარცვლის გამოსაცალკევებლად სხვადასხვა საშუალება არსებობდა. ზოგიერთი ამ საშუალებათაგანი აღწერილია ესაიას 2827-ში და მისი ქართული თარგმანი მაშინდელი ტერმინოლოგიის გათვალისწინების საშუალებასაც გვაძლევს. იქ ნათქვამია: „არა სიფიცხითა განიბერტყების სონიჯი, არცა თვალი ურმისა მოვალს ძირაკსა ზედა, არამედ კუერთხითა განიბერტყების სონიჯი“-ო.

ქართული თარგმანი, ისევე როგორც სომხური, აქ ბერძნული თარგმანის მსგავსად არის გადმოცემული, ლათინური კი განსხვავდება. ბერძნულსა და მასთან ერთად სომხურსა და ქართულ თარგმანებში ებრაული დაბადების ამ ადგილის შინაარსი მთლად სწორედ არ არის გადმოცემული, არამედ მეტადრე წინადადების პირველი ნაწილია დამახინჯებული. იქ ნათქვამია, რომ სონიჯს კეერის კბილებით, ანუ კოხებით არ ლეწენ, არც სალეწი თვლით ლეწენ ძირაკს, არამედ სონიჯს ჯოხით ჰბერტყენო და სხვა. ამ ადგილითგან ირკვევა, რომ მარცვლეულის თავის ბუდითგან გამოყვანას „განბერტყვა“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი, რა თქმა უნდა, უფრო პარკოსანი მცენარეებისათვის არის დამახასიათებელი, ვიდრე ხორბლეულ-ქრთილეულისათვის.

დაბადების ზემომოყვანილი ამონაწერითგან ცხადი ხდება, რომ მარცვლეულის ბუდითგან გამოსაყვანად „კუერთხითა განბერტყვა“, ანუ ჯოხით ბეგვა და „ურმის თვალით“ ძნის ლეწვა ყოფილა მიღებული. მაგრამ ამის გარდა სხვა საშუალებაც არსებობდა, რომელზედაც უფრო ვრცლად ქვემოთ გვექმნება საუბარი.

§ 2. კალო

მარცვლეულის თავთავითგან გამოსაყვანად პურეული და ქრთილეული ერთ ადგილას მიჰქონდათ, რომელსაც მაშინაც ეწოდებოდა „კალოჲ“. იერემიას 5132-ში ნათქვამია: „სახლნი ბაბილონისანი ვითარცა კალოჲ“. ხოლო რუთის 33-ში სწერია: „შეკრებს ქრთილსა კალოსა თქსსა“-ო. იოველის 224-ში აღნიშნულია, რომ „აღივსნეს კალონი იფქლითა“-ო.

„კალო“ უღრის ბერძნ. *κλῆμα* „პალონ“-ს, ლათინ. *area*-სა და სომხ. *կալ*-ს.

კალოს ჭანურადაცა და მეგრულადაც „კალო“ ეწოდება (ჭ. გ. და მ. გ.). სვანურად კალოს „კალვ“-ს ეძახიან (ივ. ნიჟარაძე, *რ.-ც. სლ.: გუმხო*).

კალოზე მომუშავე ადამიანსაც და პირუტყვსაც „მეკალოე“ ერქვა, მაგ „ჯარო მეკალოე“ ნახმარია 2 შჯულთა 254-ში (= *βίης ἀγίας*-ს, *bos terens*-ს).

§ 3. მოსავლის ლეწვა

„განლეწაჲ“ ბერძნ. *κλῆμα*-ს, ლათ. *tritura*-სა და სომხ. *կասկ*-ს უღრის. „ლეწვა“ ზმნის ძირითადი მნიშვნელობა მსხერევა და მტვრევა, ფშვნაა (შეად. *მუნდ ეხლანდელ გამონათქვამსაც* „შუშების, კბილების ჩალეწა“-ს, ქურჭლის დალეწვა-ს)

და ეს თვით ამ მუშაობის მიზანსაც კარგად შეეფერება, რამდენადაც თავთავი და წველი, ანუ ღერო უნდა დაფშვნილიყო და მარცვალი თავთუნ-ბუღეებითგან გამოსულიყო.

მარცვლის ბუღითგან გამოყვანა, როგორც ვიცით, ჯონების დარტყმითაც იცოდნენ და იციან ეხლაც, როდესაც პარკოსანი მცენარეების ნაყოფის დაუნჯება ჰსურთ. ამას ძველად „კუერთხითა განბერტყა“ ჰრქმევია (ესაიას 28²⁷ — ბძმძფ *ἐκτινάζουσ*-ს, in virga excutio-სა და *დასადგონას ქმარხლ*-ს).

ჰანურს ლეწვის აღსანიშნავად სახელზმნად „ონჯახუ“ გააჩნია, რომელიც იმავე დროს ბეგვასა და ცემასაც ჰნიშნავს (ჰ. გ., 236). ეს სიტყვა „ჯავუნ“-თან და „ჯავა-ჯუჰ“-თან არის, უეჭველია, დაკავშირებული და ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ჰანეთში პურეულის ლეწვა უფრო ჯონებით დაბეგვით უნდა სცოდნოდათ.

საკალოო სამეურნეო მუშაობის გამკეთებელს „მლეწველი“ ეწოდებოდა, როგორც სულიერს, ისევე უსულდგმულოს, მაგ. იარაღსაც: „თუალნი ურმისა-ნი მლეწველნი“-ო (ესაია, 41¹⁵).

§ 4. ჩხვერვა

ფეტვის, ღომისა და საზოგადოდ პურეულის მარცვალს ჰანურად „ჩხვა-რი“ (ათინ., ხოფ.), ანდა „მჩხვარი“ ეწოდება (ჰ. გ., 212—213). მეგრულად ამავე ცნების აღსანიშნავად „ჩხვერი“ (მ. გ., 367) იხმარება, მაგრამ წინათ მეგრულსაც რომ ჰანურის მსგავსი ფორმა უნდა ჰქონოდა, ამას ღომის დაბეგვის აღმნიშვნელი სახელზმნა „ჩხარუა“-ც ამჟღავნებს (მ. გ., 367). არსებითად ეს მეგრული ზმნა დამარცვლის აღმნიშვნელი ყოფილა.

§ 5. ცეხვა

ზოგ მარცვლეულს კილი ისე მაგრა აქვს შეზრდილი, რომ ლეწვითა და ბეგვით მისი გაცლა შეუძლებელია. ამისთვის მარცვალს განსაკუთრებული დამუშავება სჭირდება, რომლის საშუალებითაც მარცვალს ჰერქს, ანუ კილს შემოაცლიან ხოლმე. ასეთ სამუშაოსთვის შესაფერისი იარაღიც არსებობდა და თვით მოქმედებასაც სათანადო სახელიც ჰქონდა: ამ მუშაობას „ცეხვა“ ეწოდება.

ს. ორბელიანის განმარტებით, „ცეხვა ცემით მარცვლის ჰერქის შემოძრობა“-ს ჰნიშნავს (ლექსიკ.). თვით ეს სახელზმნა დაბადების თარგმანში თითქოს არ უნდა იყოს, მაგრამ სამაგიეროდ მის იმ დროსაც არსებობას ამავე ძეგლში ნახმარი ტერმინი „საცეხველი“ ამტკიცებს, რომელიც საბას იგავთა 23³¹-ის დამოწმებით განმარტებული აქვს, როგორც „მარცვალთ საქეგვი“ (ლექსიკ.).

დაბადების ებრაული ტექსტის ეს ადგილი ბერძენ მთარგმნელს ვერ გაუგია და მისგან დამოკიდებულ სხვა თარგმანებშიც ებრაული დედნის აზრი! დამახინჯებულია. ამათ ჯგუფს ქართული და სომხური თარგმანიც ეკუთვნის. აქ ნახმარი ქართული „საცეხველი“ ბერძნულს τὸ μαρμαί-ს უდრის, რომელიც როდინის საბეგველ ჯონსა

და საერთოდ საბეგველსაც ჰნიშნავს. სომხურად *սանդատი*-ი სწერია. ქართველ მთარგმნელს საქართველოში არსებული იარაღის სახელი გამოუყენებია.

საცხეველს მარცვლის დასაცხევადად ხის ურო ჰქონდა და აქვს ეხლაც, რომელსაც მეგრულად „კაკუტი“, ანუ „კარკუნტი“ ეწოდება (მ. გ.).

თავი IV. მკისა და ლეწვის ტაქნიკური საშუალებანი და იარაღები

§ 1. „მანგალი“, ნამგალი და მისი სახელის თავდაპირველი მნიშვნელობა

მცენარის მომჭრელ იარაღს ძველ ქართულში, ეხლანდელი ნამგლის მაგიერ, „მანგალი“ ეწოდებოდა და ასე იხმარება დაბადების ქართულ თარგმანში (2 შჯულ. 169, იერემ., 50¹⁰), ბერძნ. τὸ βράχαιον-ის (ჩვეულებრივ ἢ βραχάιη იხმარებოდა), ლათინ. falx-ისა და სომხ. *մանդաղ*-ის შესატყვისად, და შემდეგშიც, XV ს. ძველებში, სიგელ-გუჯრებშიც კი. ამ სიტყვითგან არის ნაწარმოები ქ. მანგლისის სახელი, რაც, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ეს ძველი ქართული ქალაქი საქართველოში თავისი საუკეთესო ღირსების ნამგლების წარმოებით განთქმული ცენტრი ყოფილა. ეს სიტყვა სომხურშიც აზგვარადვე გამოითქმოდა და იხმარებოდა *մանդաղ* „მანგალ“, ან „მანკალ“ და ფარსის ენაშიც. ასურულად ნამგალს ეწოდება „მაგგელა“, ებრაულად „მაგგალ“ და არაბულად „ნინჯალ“. უკანასკნელი სიტყვა Fraenkel-ს ასურულითგან ნასესხებად მიაჩნია (Die aramäischen Fremdwörter im arabischen, Leiden, 1886 წ., 133). ხოლო სომხურს „მანგალ“-ს ჰვბჰმანი ასურულითგან ნასესხებად სთვლიდა (AG. I, 311).

ქანურად ნამგალს ძველი ქართულის მსგავსად „მანგალი“ ეწოდება (მ. გ.), მეგრულად კი „მაგანა“-ს ჰხმარობენ სახელად (მ. გ.).

სვანურად ნამგალს „ნაშდჷქ“-ი ჰქვია, ხოლო მკას „ლეთიელ“ და „ლეთი“ ეწოდება, ცელს კი „ლუსდიგვ“ და „მერჩილ“, ხოლო მცელავს „მეკმე“-ს ეძახიან.

აღსანიშნავია, რომ ძველ სომხურად *մանդաղ* „მანგალ“ ჰნიშნავს ნამგალსაც და ცელსაც. ამგვარად, მცენარეთა მოსაჭრელი იარაღის ისეთ ხანას გვისურათებს, როდესაც ჯერ კიდევ ერთი იარაღი არსებობდა და ცნებაც ჯერ გარებული არ იყო.

ზემომოყვანილითგან, სადაც სომხური „მანგალ“-ის სადაურობის შესახები ცნობებია თავმოყრილი, ჩანს, რომ ნამგლის სახელის სადაურობა ქართულშიც თითქოს ნასესხებად უნდა გვეგულისხმება, ან იმავე ასურულითგან უშუალოდ ან სომხურის საშუალებით. მაგრამ, თუ სომხურში „მანგალ“, ან „მანკალ“, მართლაც, უთვისტომოსა და უცხო სტუმარის მსგავსად, განმარტოებულ სიტყვას წარმოადგენს, ქართული „მანგალი“-ს შესახებ ამის თქმა შეუძლებელია. უკვე ქალაქი მანგლისის სახელი ცხად ჰყოფს, რომ ამ სიტყვას საქართველოში ფესვები ჰქონია გადგმული.

„მანგალი“ ისეთივე მიმღობის ფორმის შთაბეჭდილებას ახდენს, როგორცაა „მანკული“, რომელიც, ს. ორბელიანის განმარტებით, „ჩასაყარი ლურსმანი“-ს ძველი ქართული სახელი იყო და „კუალა“ ზმნისაგან არის ნაწარმოები, — როგორცაა „მარწუხი“ გაზი, რომელიც „წუხვა“ ზმნისაგან ნაწარ-

მოები მიმღობაა, — როგორცაა „მაკრატელი“ სახელზმნებ „კრატუნ“-სა, „კრატუნ“-სა და „კრეჟა“-სთან დაკავშირებული.

ამისდა მიხედვით „მანგალი“-ც უნდა „ნგლა“, ანუ „ნგალა“ ზმნისაგან ნაწარმოები¹⁰ მიმღობა იყოს.

სახელზმნა „გლა“, „დაგლა“ და „მოგლა“ (თავისა) ძველ ქართულშიც არსებობდა და ნაწილობრივ ახალშიც არის დაცული.

ს. ორბელიანის განმარტებით, „გლა მცირედ განაყვა“-ს, „დაგლა—დანაყვა“-ს, „მოგლა“-ც იმავე „დანაყვა“-ს ჰნიშნავსო (ლექსიკ.).

რიცხვთა 11₈-ში ნახმარია „მოგლა“ და სხვა თარგმანებთან შედარება ცხად-მყფის, რომ იგი ბერძნულს τριψα-ს, ლათინ. tereo-სა და სომხურს լեսում-ს უღრძს. მაშასადამე, გასრესის, დაფშხნისა და გაფხვიერების აღმნიშვნელი ყოფილა.

უძმათაღმწერელსაც აქვს ზმნა „დაგალვა“ ნახმარი. XIII ს. საქართველო-ში მომხდარი საშინელი მიწისძვრის აღწერილობაში მას სხვათა შორის ისიც აქვს აღნიშნული, რომ მაშინ მესხეთში „კლდენი სახედ მტვერისა დაიგალნეს“-ო (880, გვ. 724).

„სააქიმო წიგნის“ ქართულ თარგმანში ხოჯა-ყოფილს ზმნა „გაგლა“ ბევრ-გან მოეპოვება, მაგ.: „მუში და ქაფური ქვათა ზედა გაგალონ“-ო, „ტბაშირი გაგლილი“-ო (ხელთ., გვ. 161, 80 და სხვ.).

ცხადია, რომ ზემომოყვანილი მოგლა, დაგლა, გაგლაც ფშვნეტას, დაფხვნას, დაფშვნეტასა და გაფხვიერებას ჰნიშნავს.

მაგრამ ამ ზმნის მნიშვნელობა მარტო ამით არ ამოიწყვებოდა. ძველ ქართულშიც არსებობდა და ეხლაც არის დაცული სიტყვა „გალა“, რომელიც, საბას განმარტებით, არის „მხალი დაწნული გასახმობლად“-ო (ლექსიკ.).

„გალა“ მეწინავე საღროშოს ძღვენისა და სამასპინძლოს გარიგების წიგნ-ში გვხვდება სამარხოს გამოსაღებთა შორის. იქ სწერია: ამა-და-ამ მეკომურმა „ნიუკა“¹¹ გალა“ ორმოცი, სამოცი, ოთხმოცი, ანდა სხვა რაოდენობა უნდა მოიტანოსო (იხ. „საქართველოს ეკონ. ისტორია“, 1², 52—54).

ცხადია, რომ „გალა“, ვითარცა სტაფილოს, ხახვის, ანდა სხვა მხალის დანაწნავის აღმნიშვნელი, შეუძლებელია „გლა“-ს, ან სრულხმონიან „გალვა“-ს იმ მნიშვნელობასთან იყოს დაკავშირებული, რომელიც ს. ორბელიანის ზემომოყვანილ განმარტებაშიც მოიპოვება. ვერც ფშვნა და ვერც სრესა „გალა“-ს იმ მნიშვნელობას ვერ მიაინიჭებდა, რომელიც მას ჰქონდა და აქვს ეხლაც. საფიქრებელია, „გალა“ უნდა თავკვეთილი ვნებით მიმღობის ფორმის „ნაგალავი“-საგან იყოს წარმომდგარი. ეს ტერმინი, ვითარცა მიწითგან ამოგლეჯილი დანაწნავის აღმნიშვნელი, გვაფიქრებინებს, რომ „გალვა“ ოდესღაც ამოგლეჯისა და მოწყვეტის აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო.

„მანგალი“ კი თავის მხრით, ვითარცა მოქმედებითი მიმღობის ფორმა „მანკუალი“-ს მსგავსად, იმ იარაღის აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომლითაც პურეულ ქრთილელს სწყვეტდენ, ჰგლეჯდენ.

¹⁰ თავკიდურა „ნ“ ბგერის ბუნება განსაკუთრებით არის გამოსარკვევი ისევე, როგორც „მა-წყული“-სა და „რა“-ს ბუნება „მარ-რუხა“-ში.

¹¹ „ნიუკა“-ს რაობის განმარტება იხილეთ აქვე, მემტილობის დარგში.

საფიქრებელია, ამავე „ნგლა“, თუ „გლა“ ზმნასთან არის დაკავშირებული, სახელდობრ მის ფონეტიკურ სახენაცვალს უნდა წარმოადგენდეს, სახელზმნა „მკა“ და პურეულის მომძოვი მწერის სახელი „მკალი“-აც. ამ ზმნისაგანვეა ნაწარმოები „ნამჯა“, რომელიც მომკილი ყანის ნაშთის აღმნიშვნელია და ვნები-თის მიმღეობასა და ნამკალის ფონეტიკურად შეცვლილ სახეობას წარმოადგენს. ამნაირად შესაძლებელია „მანგალს“ ქართულში ეტიმოლოგიაცა და თვისტომნიც საკმაოდ მოეძებნოს ისევე, როგორც მნიშვნელობის განმარტებაც.

„გლა“, როგორც დავრწმუნდით, ფშვნეტას და სრესასაც ჰნიშნავდა და ამასთან უნდა იყოს ალბათ დაკავშირებული მარცვლეულის გასალეწად განკუთვნილი ადგილის სახელი „კალო“-ც, რომელშიც „კ“ წინანდელ „გ“-ს მაგიერ უნდა იყოს შემდეგში გაჩენილი. ამიტომ „კალო“ შეკვეცილი და შენაცვლებული სახე უნდა იყოს ძველი ფორმისა, რომელსაც, „გალ“ ძირის გარდა, ადგილის აღმნიშვნელი რომელიმე ფორმანტიც უნდა ჰქონოდა. ამნაირად, თავდაპირველად კალო უნდა ისეთი ადგილის აღმნიშვნელი ყოფილიყო, სადაც მარცვლეულის თავთავისა და წველის „გაგალვა“, გამოფშვნეტა, „ლეწვა“ სწარმოებდა.

§ 2. ცელის შემოღების ხანა

„ცელი“, როგორც დავრწმუნდით, თავდაპირველად არ იხმარებოდა. დაბადების ქართულ თარგმანში თიბვის მაგიერაც მკაა ნახმარი. გამოსარკვევია ამიტომ ცელის საქართველოში გაჩენის ხანა და სადაურობა.

რაკი თიბვის მაგიერ დაბადების ქართულ თარგმანში მკაა ნახმარი, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ იქ არც „ცელი“ უნდა ყოფილიყო. მაგრამ ს. ორბელიანი თავის განმარტებაში, რომ „ცელი ბუნ-გრძელი სათიბელი“ არის, საბუთად შეფეთა I წიგნის 13²⁰ ასახელებს. მართლაც, ბაქარის გამოცემაში ნათქვამია: „ვიდოდეს ყოველნი ძენი ისრაელისანი უცხოთესლთადმდე მჭედლობად თვთეული თვისისა მანგლისა და ჭურისა მათისა და კაცად-კაცადი ცულისა თვისისა და ცელისა თვისისა. და მომსთულელნი ყოველნი ჭურჭელსა მოისწრებდენ მკისასა ცულნი და ცელნი“ (I მეფეთა 13²⁰⁻²¹). მაგრამ დაბადების ბერძნულ და სომხურ ტექსტებთან შედარებით ირკვევა, რომ ამ ადგილას მხოლოდ τὸ δρέπανον, მანგალი [და ἡ ἀξίση „ჰე აქსინე“, ლათინურადაც vomer სახნისი, ligo—წერაქვი, securis—ცული, sarculum—თონი და tridens სამთითა. სომხურად *ძაქონათი, ლაგჩხ* „ფაეტპატ“, „კაცინ“, ე. ი. ცული. ამიტომ საფიქრებელია, რომ ცელი ქართულ ტექსტში მერმინდელი ჩანართი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ქართულად სიმბოლურ ნახატებსა და შედარებებშიაც ცელის მაგიერადაც, როგორც ჩვეულებრივ სიკვდილი არის ხოლმე წარმოდგენილი, „მანგალი სასიკუდინე“ იხმარებოდა. მაგ. ბარათა ქაჩიბაისძის 1447—1459 წ. შეწირულების წიგნის კრულობითს მოწმობაში ნათქვამია: ვინც ამ შეწირულების წიგნს დაარღვევს, „მას ზედაცა მოიწვევის მანგალი იგი სასიკუდი-ნე“-ო (ისტ. საბ., III, 373³³⁻³⁴). რაკი ცელი თავდაპირველად არც ძველ საბერძნეთში და არც საქართველოში არ ჰქონიათ, თავისდა-თავად იბადება საკი-

თხი, თუ როდის და საითგან უნდა იყოს „ცელი“ ჩვენში შემოსული? ამ საკითხზე ზედმიწევნით პასუხის ამჟამად მოცემა შეუძლებელია, რათგან ძველი VII—IX სს. ძეგლები ცოტაა გადარჩენილი და, თითო-ოროლას გარდა, არც გამოცემულია. მხოლოდ გ. მერჩულის თხზულებითგან მაინც ჩანს, რომ IX ს. თიბვა უკვე ჩვეულებრივი ტერმინია. ამიტომ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ცელი ამაზე უწინარეს უნდა იყოს შემოსული. მას ნათქვამი აქვს, რომ შავშეთ-კლარჯეთის მონასტრების მიდამოებში „სათესავი ყანაჲ და სათიბელი. ქუეყანაჲ რაჲთურთით არა არს“ (ც^ა გ^ლ ხნძთ^ლსჲ, გვ. ი^ზ), „მათ შინა არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საჯნავი“ (იქვე, გვ. კ^დ), სხვაგან კი სათიბელი აღგილები ყოფილა.

„ცელა“: რასაკვირველია, ნასახელარი ზმნაჲ, ამიტომ „ცელის“ ეტიმოლოგიისათვის მისი გამოყენება არ შეიძლება. ცელს ქართულ სამწერლობო ენაში თვისტომნი არ უჩანან, ჯერჯერობით მაინც.

ჭანურად ცელს „ონჩალუ“-ც (ხოფ.: ჭ. გ., 209) ეწოდება და „ონცალუ“-ც (ათინ.: იქვე, 214). ამავე ცნებისათვის გვხვდება მესამე სახელზმნაც „ოქკორუ“ (ვიწ.), ანდა „ოქკირუ“-ც (ხოფ.), რომელიც კრეჭასაც ჰნიშნავს (იქვე, 226), არსებითად კი ჭრას უდრის.

მეგრულად ცელს „ცალი“ ჰქვია, ცელვას კი „ცალუა“ ეწოდება (მ. გ., 369—370).

ამავე დროს „ჩალა“ ჭანურად სიმინდის ხმელ დერს, ფუჩჩესა და თივასაც ჰნიშნავს. „ონჩალუ“ (ვიწ.) სათივეს, ზედმიწევნით რომ გადმოიცეს, „საჩალუ“ ჰქვია. მაგრამ ამისვე აღსანიშნავად „ოწულუ“-ც იხმარება (ჭ. გ., 222), რომელიც პირველზე უფრო ძველი ტერმინია.

„ჩალა“ საბას განმარტებით „ყანის ნაწველარი“-ა (ლექსიკ.: ლელწამი), ე. ი. რაც პურეულ-ქრთილეულის წუელი, ანუ დერო იყო და მოჭრილი თავთავ-მოცილებულია. ამგვარად ირკვევა, რომ ამ სიტყვის ჭანური მნიშვნელობა ძველ ქართულისას უდგება, მხოლოდ, ჭანეთში სიმინდის შეტანისა და გავრცელების შემდგომ; პურეულის გამხმარი დეროს აღმნიშვნელი სიტყვა სიმინდის დეროს აღსანიშნავადაც გამოუყენებიათ.

ესლა იბადება საკითხი „ონჩალუ“-სა და „ონცალუ“-ს პირველადობის შესახებ. უკანასკნელი შესაძლებელია ცელვას უდრიდეს და, მეგრული „ცალუა“-ს მსგავსად, ცელისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა იყოს. მაშინ ამ ზმნასაც ცელის ეტიმოლოგიისათვის არავითარი ფასი არა აქვს. შესაძლებელია „ონჩალუ“ იმავე „ონცალუ“-ს ფონეტიკური სახენაცვალი იყოს, მაშინ მასზეც იგივე უნდა ითქვას, რაც „ონცალუ“-ზე.

მაგრამ შესაძლებელია „ონჩალუ“ „ჩალა“-საგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნა იყოს და არსებითად აჩალებას ჰნიშნავდეს. ხოლო, თუნდაც რომ „ონცალუ“ „ონჩალუ“-ს მერმინდელ სახენაცვალად მივიჩნიოთ, მაინც „ცელი“-ს ეტიმოლოგიას ამით ვერა ეშველება რა.

ამნაირად, ცხადი ხდება, რომ თუ „მანგალს“ ქართულში თვისტომნი მოეძებნება, „ცელი“ პირიქით მარტოდ-მარტოა და მონათესავე არ გააჩნია. ჯერჯერობით არც სხვა ენებში ჩანს. შესაძლებელია მხოლოდ, რომ ქართული ცელი ცოტად მაინც სომხურ ზმნას *ցիკხმ* „ცელემ“-ს ენათესავებოდეს, რომელიც ხეჩას, ლეჩას, გაწყვეტას, მოშორებას ჰნიშნავდა. ამ ზმნის ფესვს ზოგი ინ-

დოევრობული ენების ფესვს „სკჰელ“, „სკელ“-ს უკავშირებენ (ჰუბშმან, AG, I, 499). მაგრამ საქმე ისაა, რომ სომხურში აქეთგან ნაწარმოები სათიბავი იარაღის სახელი არ მოიპოვება და იქაც ეს ზმნა ობლად არის. პირიქით „ცელემ“ უფრო ნასახელარი ზმნის შთაბეჭდილებას ახდენს და იგიც ცელის ეტიმოლოგიის გამორკვევას ვერ გვიშველის. მაშასადამე, „ცელის“ სადაურობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

§ 3. ცელის შემოღების მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისით

ნამგალთან შედარებით, ცელს ის უპირატესობა აქვს, რომ მისი რკინა ნამგალივით მოკაუჭებულ-მოხრილი კი არ არის, არამედ განივად განზიდულს, თავში ოდნავ მოხრილს, პირმჭრელ დიდ დანას წარმოადგენს და თანაც გრძელ ტარზეა წამოცმული. ნამგალი კი, როგორც ცნობილია, მოკლეთარიანი სამეურნეო იარაღია.

თუ ნამგალი, მოკლე-ტარიანობისა და დიდი მოხრილობის გამო, თავისი ძალის მხოლოდ იმ პატარა მანძილზე გამოყენების საშუალებას აძლევდა, რამდენზეც კაცის პერიოდულად გაშლილ-მოზიდული მკლავი გასწვდებოდა, ცელის გრძელტარიანობამ, განივად განზიდულმა მჭრელმა დანამ და ორივე ხელით მუშაობამ მას წინანდელზე ერთიორად, თუ მეტად არა, უფრო გრძელი რადიუსითა და მთელი სხეულის ღონიერი რხევით თავის მიდამო ნახევარი წრის მანძილზე მცენარეულობის მოჭრა შეაძლებინა. ამის წყალობით მომკელს გაცილებით უფრო სწრაფადაც და ადვილადაც შეეძლო საქმე გაეკეთებინა.

დროის დიდი ეკონომიის გარდა, წინანდელი დამქანცველი წაკუზული მუშაობის მაგიერ, წელგამართული სხეულის თავისუფალი მოძრაობა მთიბავს საშუალებას აძლევდა საქმის გასაკეთებლად გაცილებით ნაკლები ღონე შეეღია. ნამგლის მაგიერ ცელის შემოღებამ მიწისმოქმედს საკუთარი ძალის გამოზოგვის საშუალებაც მისცა, მაშასადამე, დროის ეკონომიის ენერჯის დიდ ეკონომიაც ზედ ერთგოდა. ზემონათქვამის შემდგომ თავისდათავად ცხადი იქმნება, თუ რაოდენი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავის დროზე სასოფლო მეურნეობისათვის ცელის შემოღებას.

მართალია, ცელის მოქმედება იმავე დინამიკურ კანონზეა დამყარებული, რომელზედაც ნამგალია დამყარებული, ახალი, არსებითი ტექნიკური ცვლილებაც არაფერი ყოფილა შეტანილი: დაგრძელებული იყო ძალის მოქმედების რადიუსი, ანუ ტექნიკურად იარაღის ტარი, და, მოკაუჭებული დანის მაგიერ, განხრილი დანა იქმნა გამოყენებული, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ცელის გამოგონების მნიშვნელობა ნათლად წარმოგვიდგება, თუ გავიხსენებთ, რომ კაცობრიობა მრავალი საუკუნის განმავლობაში უცელოდ მუშაობდა და მუშაობას აუარებელ ზედმეტ ენერჯიასა და დროს აძლევდა.

§ 4. კევრი და მისი გაჩენის ხანა

მარცვალის თავთავ-თავთუნისა და პარკისაგან განსათავისუფლებლად გარკვეული ხანითგან „განლეწაჲ“ იყო მიღებული (ესაია, 41:15), როდესაც საამისოდ განსაკუთრებულ იარაღსა ჰხმარობდენ. ქართულად ამ იარაღს „კევრი“

ეწოდებოდა. ეს ტერმინი, ზემოდასახელებული ადგილის ბერძნულში მცდარად გაგების გამო, მისგან დამოკიდებულ ქართულშიც არ გვხვდება. მაგრამ, რაკი თვით ასეთი იარაღი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, კავკასიაში უძველესი დროის განათხარებშია ნაპოვნი, ამიტომ მისი სახელიც უნდა არსებულებოდა. საბას ნათქვამი აქვს, „კევრი სალევწელი ფიცარი“ არისო (ლექსიკ.), მაგრამ უნდა დაემატოს, წვეტიანი ტალის გოხებით, კბილების მსგავსად, ფიცრის ქვედა პირის მთელ სივრცეზე მოჭედული.

თანამედროვე სოფლის მეურნეს, რომელსაც სალევწი მანქანები გააჩნია, კევრი, რა თქმა უნდა, სრულებით პირველყოფილი მიწისმოქმედების ნაშთად ეჩვენება. მაგრამ სანამ ევროპული აგრონომია მექანიკურ მლევწავ მანქანას გაიჩენდა, კევრს ადამიანი ასე მედიდურად ვერ უკუ-აგდებდა. იყო დრო, როდესაც კევრის შემოღება სასოფლო მეურნეობაში დიდ ტექნიკურ გაუმჯობესებას წარმოადგენდა.

საკმარისია გავითვალისწინოთ, რომ სალევწი მანქანა (batteuse) პირველად მხოლოდ 1786 წ. იყო შემოღებული შოტლანდიაში Andrew Meikle-ს მიერ და რომ მანამდე ეს მძიმე მუშაობა უამ-მანქანოდ სწარმოებდა, რომ ნათელი გახლეს, თუ რამდენად ნელი ნაბიჯით მიდიოდა ტექნიკური წარმატება სასოფლო მეურნეობაში.

თუმცა სალევწი მანქანა XIX ს. დამდეგს შოტლანდიიდან შვეიცარია და პოლონეთშიც გაჩნდა, მაგრამ ამის შემდგომაც სხვაგან დიდხანს კიდევ უმანქანოდ მიდიოდნენ იოლას. თვით ამერიკაშიც კი იგი 1815 წ. ჯერ ნაკლებად იყო ცნობილი, ხოლო საფრანგეთში სალევწი მანქანა მარტო 1855 წ. მსოფლიო გამოფენის შემდგომ გავრცელდა. რუსეთში და საქართველოში მხოლოდ XIX ს. დამდეგს და XX ს. დამდეგითგან და ეხლა შემოდის. ამიტომ კევრით ლევწის წესის ძველ საქართველოში ხანგრძლივობა გასაოცარი არ არის.

უფრო საგულისხმოა კევრის ძველ საქართველოში გაჩენის ხანა გვეცოდნოდა. ეს საკითხი მით უფროა საყურადღებო, რომ ბევრ ხალხს ასეთი მოწყობილება პურეულ-ქრთილეულის გასალევწად ძველადაც არ გააჩნდა. მაგ., საბერძნეთსა და იტალიაში წინათ ხორბლეულის ლევწვა კალოზე, ან ჯოხებით დაბეგვით, ან საქონლის ფეხქვეშ თელვით იცოდნენ მხოლოდ. ელინისტურ ხანაში აღმოსავლეთითგან შევიდა და გავრცელდა კევრით ლევწის წესი. კევრს τριβύλα, tribulum, tribula ეწოდებოდა (Orth, Getreide: Paulys R—E, VII, 1349). „დაბადებ“-ითგან ჩანს, რომ კევრი გარკვეული ხანითგან ებრაელებსაც ჰქონიათ.

წერილობითი წყაროების დახმარებით ასეთი საკითხის გამორკვევის იმედი, რასაკვირველია, არ შეიძლება ადამიანს ჰქონდეს. სამაგიეროდ ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ნაშთები ეკონომისტ-ისტორიკოსს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ. „ქართველი ერის ისტორიის“ I³, გვ. 11-ზე აღნიშნული მაქვს, რომ ფრანგმა არქეოლოგოსმა დე-მორგანმა ერთ-ერთ საფლავში ჩატანებული კევრი აღმოაჩინა გოხებიანად (იხ. იქვე, გვ. 12-ზე, ნახატი 8). ეს საფლავი ბრინჯაოს ხანას ეკუთვნის, რომლის ხნიერებაც დე-მორგანის მსგავსადაც ისეთ შორეულ წარსულშიც რომ არ ვიგულისხმობთ და გინდ ძვ. წ. X-სად მივიჩნიოთ, მაინც კევრის არსებობის ხნიერება მეტად დიდი გამოდის. ამიტომ ცხა-

დი ხდება, რომ კევრი უხსოვარი დროითგანვე ყოფილა შემოღებული საქართველოში.

თანამედროვე მაღალი ტექნიკური განვითარება ადამიანს საშუალებას აძლევს მთელი სიცხადით წარმოიდგინოს ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც კევრის გამოგონებასა და გამოყენებას სასოფლო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებისა და ეკონომიის თვალსაზრისით უნდა ჰქონოდა.

აწინდელი შეხედულებით ამ პრიმიტიულ მოწყობილობას კი თავის დროს სოფლის მეურნისათვის უუდიდესი სამსახური უნდა გაეწია, რათგან არსებითად კევრით მუშაობა მექანიკური ლეწვის ჩანასახსა და პირველ ნაბიჯს წარმოადგენს.

კევრის მკრელი გოხების სიმრავლე და მისი მოქმედებისათვის პირუტყვის ძალის გამოყენება მიწისმოქმედს საშუალებას აძლევდა ძნა კალოზე ბევრიჩაეშალა და ყანაც წინანდელ წესთან შედარებით წარმოუდგენელი სისწრაფით გაეღწა.

კევრის მოქმედების დროს მუშა-ხელის რაოდენობაც მინიმუმამდე მცირდება, წინათ კი მცენარის გაღწევის მთელი შესაძლებლობა სწორედ ამ მუშა-ხელის რაოდენობასა და მათი მუშაობის ხანგრძლივობაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ კევრის გამოგონებას თავის დროზე დაახლოვებით იმდენადვე დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის, რა მნიშვნელობაც მიენიჭა XVIII ს. დამლევს გამოგონილ საღებუ მანქანას.

უბედურება ის იყო, რომ იმ დროს, როდესაც ძნის საღებუ პირველი მექანიკური იარაღი, კევრი, ქართველ ერს, როგორც დავრწმუნდით, უხსოვარი დროითგან ჰქონია, საღებუ მანქანის გავრცელება ჩვენში ასე დაგვიანებით დაიწყო და მიწისმოქმედი უკვე დრომოკმული იარაღით მუშაობას განაგრძობდა და განაგრძობს ნაწილობრივ ეხლაც.

თავი V. მარცვლეულის მოსავლის გამოყოფვა და დაუნჯება

§ 1. განალეწითგან მარცვლეულის გამოცალკეების საშუალება და იარაღები

გალეწილი ყანისაგან მარცვლეულის საბოლოო გამოცალკეებისათვის განალეწის განიავება იყო საჭირო, როდესაც „მტურერი განბნეული კალოსაგან“ (ოსესი, 13ვ) ქარს გაჰყვებოდა, ხოლო ბზე და დაგროვილი მარცვლეული ერთი მეორისაგან მოშორებით კალოზე დალაგდებოდა.

განალეწის განიავებისათვის განსაკუთრებული ორი იარაღი არსებობდა, რომელთაგან ძველადაც ერთს „ნიჩაბი“, მეორეს კიდევ „ფიწალი“ ეწოდებოდა.

მათეს 3₁₂-ში ნათქვამია: ეპყრას „ნიჩაბი ჴელთა მისთა, განწმინდოს კალოა თჳსი და შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თჳსსა, ხოლო ბზჳ დაწუას“-ო. ქართული „ნიჩაბი“ ბერძნულ ზბ ςυθου-ს, ლათინ. ventilabrum-სა და სომხ. հեծանոց-ს უდრის. სამივე სიტყვა სანიავებელს მნიშნავს ისე, რომ უფრო ფიწალს უდგება, ვიდრე ნიჩაბს, მაგრამ ქართველ მთარგმნელს აქ ნიჩაბი უმჯობინებია.

ს. ორბელიანს დანიელის 2₄₁-ზე დამყარებით განმარტებული აქვს, რომ „ფიწალი თითებიანი ნიჩაბი“ არის (ლექსიკ.), მაგრამ დასახელებულ ადგილას ფიწალი არ არის. დაბადების ებრაული ტექსტის მიხედვით „ფიწალი“ იერემიას 15₇-ში უნდა ყოფილიყო ნახმარი. ლათინურ თარგმანში ამ ადგილას ventilabrum-ი სწერა კიდეც, მაგრამ ქართულში აქ „განთესვა“-ა ნახმარი, ისევე როგორც ბერძნულადაც *ἐμπαισιε* არის.

ფიწლის იმ ხანაშიც არსებობას დაბადების თარგმანში ნახმარი სახელწმინა „განფიწლვა“ და მიმღეობა „განფიწლული“ ამტკიცებს. „განვლევო... და განფიწლნე და ქარმან აღიხუნის იგინი და ნიავმან განაბნინეს იგინი“-ო, ნათქვამია ესაიას 41₁₆-ში. ხოლო იმავე წინასწარმეტყველის 30₂₄-ში სწერია: „ქურონი თქუენი და ვარნი, მოქმედნი ქუეყანისანი, ჳამდენ ბზესა, აღქმნილსა ქრთილითა განფიწლულითა“-ო. „განფიწლვა“—*Λιχμάδα*-ს, რომელიც ფიწლით განიავებს ჰნიშნავს, ლათინ. ventilis-სა და *hincis*-ს. ხოლო „განფიწლული“ = *Δελιχμημύσις*-ს, ventilatus-სა და *hincis*-ს. ამნაირად „ფიწალი“ ბერძნ. τὸ πτύον-ისა და ლათინ. ventilabrum-ის შესატყვისობას წარმოადგენდა.

„ფიწალი“ მარტო სამწერლობო ქართულის კუთვნილებას არ შეადგენს, არამედ იგი თანამედროვე მეგრულშიც არის დაცული, სადაც „ფირწალი“ და „ფირწაი“ იხმარება. მაგრამ ოდიში ამის გარდა ფიწლის აღსანიშნავად „როკა“-ც და „ქუროპოტი“-ც იხმარება (მ. გ., 337).

გალეწილი ძნის გასანიავებლად ბერძნები და რომაელებიც ფიწალის მსგავს სამ, ან ოთხ-კბილა სანიავებელს ხმარობდნენ (Orth, Getreide: Paulys R—E, VII, 1350).

გალეწილი ძნის განიავების შედეგად მარცვლეული და ყანის დაფშენეტილ-დაქრილი ღერო კალოზე ცალცალკე გამოიყოფებოდა ხოლმე. მარცვლის გროვას „ხვავი“ ეწოდებოდა ძველადაც ისევე, როგორც გალეწილ მცენარეულს „ბზე“.

§ 2. ხვავი და ბზე

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს „ხვავი“, რომლის შესახებაც ნათქვამია 2 ნეშტ. 31₈-ის დამოწმებით. რომ „შეგროვილი მარცვალი“-აო (ლექსიკ.), რაც სრულ სიმართლეს წარმოადგენს კიდეც. მაგრამ ბაქარის გამოცემაში ამ ადგილას დაბეჭდილია; „ხორეულად მრჯა“-ო. ბერძნულში ὁ σαρρός-ია, ლათინურში *acervus*-ი და სომხ. *չսղ*, რაც მართლაც ხროვას, ხვავსა ჰნიშნავს. ამიტომ ცხადია, რომ ს. ორბელიანის ხელნაწერის წინაკითხის სწორება, ბაქარის გამოცემაში კი შეცდომა უნდა იყოს. მაშასადამე, „ხვავი“ ბერძნ. ὁ σαρρός-სა და ლათინ. *acervus*-ს უდრდა.

მარცვლეულის ჩალა რომ გაილეწებოდა, „ბზე“ (მათე, 3₁₂) დადგებოდა ხოლმე, რომელსაც საქონელს აჰმევენდნენ, ან ცარიელს, ანდა „ბზესა, აღქმნილსა ქრთილითა განფიწლულითა“ (ესაია, 30₂₄). „ბზე“ უდრის τὸ βῆμα-ს, *migma*-სა და *palea*-ს, სომხ. *խარ*-ს.

ბზეს საქონლის საკვებად ბევრი ძველი ხალხი ხმარობდა, მათ შორის ებრაელებიც, როგორც დაბადების ზემომოყვანილი ადგილითგანაც ჩანს, და ძველი ბერძნებიც (იხ. Orth, Getreide: Paulys R—E, VII, 1350).

§ 3. მარცვლეულის დაუნჯების წესები და შესანახი მოწყობილობა

ხორბლეულისა და ქრთილეულის ხევს და მოსავალს შენახვა სჭირდებოდა. ამისთვის ყველაზე მარტივი საშუალება, რა თქმა უნდა, ორმოები იყო. მიწაში ამოთხრილ ორმოს სინოტივისაგან დასაცავად ჩალით და ბზით მოჭფენდნ ხოლმე და შემდეგ შიგ მარცვლეულს ჰყრიდნ და ზემოთგან ჰხურავდნ. ასე ინახავდნ ხორბლეულს თვით იტალიასა და რომშიც. ამ ორმოებს რომაელები *crobes*-ს და *speluncae*-ს უწოდებდნ. ასეთ ორმოებში მარცვლეულს დაუზიანებლივ თურქე ათეული წლის განმავლობაშიც კი ინახებოდა (Orth, Getreide: Paulys R—E, VII, 1351).

ხორბლეულს ორმოებში საქართველოშიც ინახავდნ, თვით XIX და XX სს-შიც კი და, უძველესა, ჩვენშიც ეს ძველის-ძველი წესი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ძველი წერილობითი ცნობები ამაზე ჯერ არსად მოგვეპოვება.

ამის გარდა განსაკუთრებული შენობაც იყო, რომელშიც მოსავალს ინახავდნ ხოლმე. ასეთ შენობას ქართულად „საუნჯე“-ც ეწოდებოდა და „ბელელი“-ც. როგორც უკვე დავრწმუნდით, მათეს 3¹²-ში აღნიშნულია, რომ მეურნემ კალოზე გაღწილი და განიავებული „შეკრიბოს იფქლი საუნჯესა თჳსსა“-თ. ქართული „საუნჯე“ უდრის ბერძნ. ἡ ἀσπιθήκη „აპოთეკე“-ს, ლათინ. *horreum*-ს და სომხ. *չսխարան*-ს.

რომაელები, ზემოდანახვლებული ტერმინის გარდა, *granarium*-საც ხმარობდნ ბელის აღსანიშნავად. ამასთანავე, ნოტიო ადგილას იანინ ბოძებზე დადგმულ ნაშენობასაც აკეთებდნ ხოლმე მარცვლეულის შესანახავად, რომელსაც *pensilia* ეწოდებოდა (Orth, Getreide: Paulys R—E, VII, 1350).

ასეთი ნაგებობა, როგორც ცნობილია, საქართველოში იყო და არის ეხლაც გავრცელებული, მაგრამ ძველ ძეგლებში მისი ხსენება ჯერ არ ჩანს, რაც, რასაკვირველია, სრულებით შემთხვევითი მოვლენით აიხსნება. სამაგიეროდ „ბელელი“ ძველ წყაროებშივე გვხვდება.

„ბელელი“ 2 ნეშტა 32²⁹-ში მოგვეპოვება. ბერძნულსა და სომხურ თარგმანებში (32²⁹) ამის შესატყვისი სიტყვა არ მოიპოვება. მაგრამ ლათინურ თარგმანს კი მართლაც აქ *apotheca* აქვს, რომელიც საწყობს, მარცვლეულის საწყობსა ჰნიშნავს. ეს ტერმინი ლათინური კი არა, ბერძნულითგან შეთვისებულია. დაბადების ამ ადგილის ებრაულ დედანსაც აქ სწორედ ბელელზე აქვს საუბარი და ამგვარად ქართულსა და ლათინურს სწორე თარგმანი ჰქონიათ დაცული.

ს. ორბელიანის განმარტებით „ბელელი ფქვლისა და ხუარბლის დასამარხავი“, ანუ შესანახია. ხოლო ბელელზე ნათქვამი აქვს, „უმცროს ეწოდება ხალამბარი და მის უმცროს ჯიროლა“-ო (ლექსიკ.).

ბელელთანავე უნდა იყოს წარმოშობილობით „ბელო“-ც დაკავშირებული, რომელიც საბას სიტყვით „საძნე სახლი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა (ლექსიკ.).

„ხალამბარი“ ორნაწილედ სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენს. რომლის მეორე ნაწილად „ამბარი“ უნდა იყოს. პირველი ნაწილი ალბათ „ლალა“-ს უნდა წარმოადგენდეს.

„ლალა“ არაბულად მარცვლეულის, ბოსტნეულის და სხვანაირ მოსავალს ჰნიშნავს. ეს სიტყვა სპარსულშიც არის შეთვისებული და ქართულშიც, მაგ-

რამ ქართულად მას მნიშვნელობა ოდნავ შეეცვალა. „ანბარ“, „ამბარ“ საწყობის, შესანახის, საკუჭნაოს სახელია. ამგვარად „ხალამბარი“ სპარსულ-არაბული სიტყვა უნდა იყოს, რომელიც, სპარსულ-არაბული „ღალადან“-ის მსგავსად, მარცვლეულის შესანახის აღმნიშვნელი იქმნებოდა.

ბზისა და სხვა პირუტყვთათვის განკუთვნილი საკვების შესანახად მოწყობილ ხის ნაგებობას ქანურად „ბაგენი“ ეწოდება (ჭ. გ.). ეს სიტყვა, უძველესია, სამწერლო ქართულში ცნობილი სიტყვის „ბაგა“-ს მონათესავე უნდა იყოს. საბას განმარტებითაც ხომ „ბაგად ითქმის პირუტყვთ საზრდელისა და საღებელი (c: ჩასაყრელი) ადგილი (c: + ნაგები იყოს, თუ ძელთაგანი)“-ო.



სურ. 1. ქალწულის ზოდიაქოსა და აგვისტოს მოსაველიანობის სიმბოლო (ამოღებულია საქართველოს მუზეუმის 1188 წ. ხელნაწერთაგან № A-65)

ზემოაღნიშნულ ტერმინთაგან „საუნჯე“ ზოგადი მნიშვნელობის მქონებელი სიტყვა იყო და ყოველნაირ შესანახს ჰგულისხმობდა, მარცვლეულისათვის განკუთვნილს კი სწორედ ბელელს ეძახდნენ.

ნიკორწმინდელის ცნობებითაგან ირკვევა, რომ მაშინ ორნაირი ბელელი სცოდნიათ: იყო „ბელელი სადაგი“ და „ბელელი ხერხული“. მათ შორის, უეჭველია, ნაშენობის ტექნიკური თვისებებს მხრით უნდა ყოფილიყო განსხვავება. ორივე ტერმინი ნიკორწმინდის სიგელში გვხვდება. იქ მაგ. ნათქვამია: „ზნაკუას შევქმენ... ქვიტირი ბოსელი და ზედა ხერხული ბელელი“ :ა: (ნიკორწ. XI ს. სიგ.: ქკ.-ბი, II, 46). „ზოტვეს... დავდგი ბელელი სადაგი :ა: და ზედა შველი ხერხული :ა:“ (იქვე, II, 47). „შევქმენ საწირეს... მარანი მუხისა... და დავდგი ზედა ბელელი ხერხული :ბ:“ (იქვე, II, 48). „შევქმენ მუხურას ქვიტირი ბოსელი :ა: და ზედა სახლი :ა: და ხერხული ბელელი :ა:“ (იქვე, II, 48—49).

„სადაგი“ სპარსული სიტყვა „სადაპ“-ი, „სადაგი“ უნდა იყოს, რომელიც მარტივს, უბრალოს, სადას ჰნიშნავს. „ხერხული“ კი, როგორც ჩანს, უფრო

რთული აგებულების ბელელი ყოფილა. ტექნიკურად რით განსხვავდებოდა „ხერხული“ სადაგისაგან, ეს, რასაკვირველია, ხუროთმოძღვრების საკითხია და ამიტომ აქ ამაზე მსჯელობა უადგილო იქმნებოდა. აღსანიშნავია მხოლოდ, რომ თუ „სადაგი ბელელი“ ქვედა სართულს წარმოადგენდა, რომელსაც ზედ „შველი ხერხული“ ედგა, „ხერხული ბელელი“ პირიქით ყოველთვის მეორე სართულის ნაშენობად იხსენიება და ან ქვითკირის ბოსელზე, ან მარანზე ყოფილა მოთავსებული.

აღსანიშნავია, რომ საწირეს მარანზე დადგმული ხერხული ბელელი რიცხვად ორია დასახელებული. ეს გარემოება, ალბათ, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ თვითეულს მათგანს თავისი დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

მემტილეობის, მეხილეობისა და მევენახეობის კულტურის ზოგადი საკითხები

თავი I. ბოსტნისა, ბაღისა და ვენახის სახელეგი დროთა
განმავლობაში

§ 1. მტილის მნიშვნელობა

უძველეს ხანაში ცხოვრებამა და მწერლობამ საქართველოში მხოლოდ ორი ზოგადი ტერმინი იცოდა ბოსტნეულისა და ხეხილის შემცველი ნაჭერი მიწის სასოფლო-სამეურნეო ერთეულის აღსანიშნავად: „მტილი“ და „სამოთხე“. ეს სიტყვებივე აქვს ნახმარი დაბადების ქართველ მთარგმნელსაც: ეგვიპტელები „რაჰემს დასთესიან თესლი და მორწყიან, ფერჯითა მათითა განქმნიან ყუჭრბი მტილისა“ (მეორე შჯულისაჲ, 11₁₁). „განამრავლენით მტილნი თქუენნი“-ო (ამოსისი, 4₉) და სხვაც ბევრი ამის მსგავსი.

ბერძნულ ტექსტში „მტილის“ შესატყვისად სწერია ὁ κήπος „ჰო კეპოს“, ლათინურში hortus-ი, ხოლო სომხურში պարտიყ „პარტეზ“, რაც ბაღს და ბოსტანს ჰნიშნავს.

გ. მერჩულიც მხოლოდ ამ სიტყვასა ჰხმარობს. მისი ცნობით კლარჯეთის უდაბნოთა მამულში „არა არს... ყანაჲ საცნავი... და მცირედ ვენაჯნი ჭირითა და ურჯითა დაუნერგვიან და ეგრძეთვე მტილები“ (ც^ა გგ^ლ ხნძთ^ლსჲ, გვ. კდ.), ზაღები ცოტა იყო და ისიც დიდი ვაივაგლახით ყოფილა გაშენებულიო.

იოანე საბანისძეს მტილი თავის საისტორიო ნაშრომში ხეხილის ზაღის მნიშვნელობით აქვს ნახმარი. აბო ტფილელს ის ასე მიჰმართავდა: „შენ ველური იგი ზეთისხილი მოგიღო... და მტილსა მასა შინა თესსა... დაგნერგა“-ო (იხ. პ. ინგვროყვას ძველი ქართული სას. პოეზია, 1913 წ., გვ. 3).

ბოსტნის აღსანიშნავადაც „მტილი“ იხმარებოდა. დაბადების თარგმანში სწოტედ ეს სიტყვაა ამ ცნების გამოსახატავად გამოყენებული და „მტილი მწუანილისაჲ“ ოქ უდრის ბერძნულს κήπος λαχάσων, ლათინ. hortus olerum-ს (3 მეფეთა, 21₉).

Λάχανον „ლახანონ“ ბერძნულად საერთოდ მხალსა ჰნიშნავდა და ძველად ეს სიტყვა სახარების ტექსტშიც ნათარგმნი (იხ. მათე, 13₃₂, მარკოზ, 4₃₂ და ლუკა, 11₄₂). ამ ბერძნულ სიტყვას „მწუანილი“-ს მნიშვნელობაც ჰქონდა და 3 მეფეთა 21₉-ის „მტილად მწუანილთა“ ბერძნულს εις κήπον λαχάσων, ლათინურს hortus olerum-ს უდრის. ამგვარად, ოთხთავის ტექსტში ბერძნული „ლახანა“ კომბოსტოს

კი არა, არამედ მწვანისა და მხალსა ჰნიშნავს (იხ. Socin-ის აზრი Guthe-ს Bi-belwört.: Kohl).

მამსასადამე, ლათინური hortus-ისა და ბერძნული „კეპოს“-ის მსგავსად, მტილი ბალსაც ჰნიშნავდა და ბოსტანსაც.

§ 2. მტილის შესატყვისობა ქართულ დიალექტებში

„მტილი“ ზოგადი ქართული ტერმინი ყოფილა და ყველა ქართველ ტომს მისი ბგერითი შესატყვისობა დღევანდლამდეც კი დაცული აქვთ. მაგ., მეგრულად „ორტინი“, „ორტილი“ ანდა „ორტვიი“ ბოსტანსა ჰნიშნავს. პატარა ბოსტანს კი „ორტინია“ ეწოდება. ბოსტნეულობას „ორტილურობა“, ანდა „ორტინულობა“ ჰქვია, მებოსტნეს „მეორტინე“-ს ეძახიან. უკვე პროფ. იოს. ყიფშიძეს ამ სიტყვების ძველ ქართულ „მტილ“-თან კავშირი ნაგულისხმევი ჰქონდა (მ. გ., 328).

ჰანურს ბოსტნის აღმნიშვნელ ტერმინად „გეთასულე“ აქვს გამოყენებული (ჰ. გ.), რომელიც სიტყვა-სიტყვით ჩათესულსა ჰნიშნავს, მაგრამ ამასთანავე იქ „ონტულე“-ც არსებობს, რომელიც ერკერტით ბალსაც და ბოსტანსაც ჰნიშნავს (ჰ. გ., 174). მაგრამ ხოფური კილოკავის სარფულ თქმაში ბოსტნის მნიშვნელობით იხმარება. იქვე ბოსტნეულის სახელად „ონტულეშენი“ ყოფილა (იხ. არნ. ჩიქობავას ჰანური ტექსტები, 139¹⁵ და 16).

თანამედროვე სვანურს „მტილი“-ს და „ორტილი“-ს შესატყვისობა ბოსტნის, ანდა ბალის აღსანიშნავად, არსებული ცნობების მიხედვით, თითქოს დაცული არ უნდა ჰქონდეს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს ძირი უნდა იყოს მწვანის აღმნიშვნელ ერთ-ერთ სვანურ სიტყვაში, „ლუ-რტამ“-ში (იხ. ივ. ნიქარაძე, p.-c. წა., 117: зелень). სვანურ „ლუ-რტამ“-ს რომ სვანური თავსართი „ლუ“ ჩამოვაცილოთ, დაგვრჩება „რტამ“, რომელიც „რტამი“-საგან არის წარმომდგარი. რაკი „ლუ“ უდრის „სა“-ს, ამიტომ „ლერტამ“ სარტამოს, არსებითად კი სამტილეს ჰნიშნავს. ამგვარად, სვანური სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორც მეგრული „ორტილ-ურობა“. თავის თავკიდური „რ“-თი ის მეგრულ ფორმას უდგება, ბოლოკიდური „მ“-თაც ის მეგრულ „ორტინ“-ს უახლოვდება და ქართულ-ჰანურისაგან განირჩევა.

ზემოხატკვამითგან ირკვევა, რომ ბოსტან-ბალის აღმნიშვნელი სახელი ქართველ ტომებს საერთო ჰქონიათ.

§ 3. მტილის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა

შესაძლებელია ადამიანს, რომელმაც ლათინური იცის, ეფიქრა, რომ მეგრ. „ორტინი“ ლათინ. hortus „ჰორტუს“-თან არის დაკავშირებული, რათგან ეს სიტყვაც ხომ ბალსა და ბოსტანს ჰნიშნავს. მაგრამ „ჰორტუს“-ის პირველი მარცვალი ძირეულია, თვით სიტყვაც ლათინურად შემოღობილ ადგილსა ჰნიშნავს და ბერძნულს „ჰორტოს“-ს, ე. ი. საძოვარს, და გერმანულ Garten „გარტენ“-ს, ბალს ენათესავება (იხ. Alois Walde, Lateinisches etymologisches Wörterbuch, 2 Aufl.: hortus და cohors).

პირიქით, მეგრ. „ორტვინ“-ის თავკიდური „ო“ ძირეული კი არაა, არამედ თავსართია. ამ ხმოვნის ასეთი ბუნება სვანური „ლერტამ“-ითაც მტკიცდება, რომელშიც მეგრული „ო“-ს მაგიერ სვანური სათანადო თავსართი „ლე“ გვევლინება.

ამას გარდა, მტილის აღსანიშნავად მეგრულად მარტო „ორტვინი“ არ იხმარება, არამედ „ორტვილი“-ც, რომელსაც ჰანური „ონტულე“-ც კარგად უდგება და ამის გამოც უფრო უძველეს ფორმადაა საფიქრებელი, მით უმეტეს, რომ სამწერლობო ქართულის „მტილ“-საც უახლოვდება. მეორე მხრით ჰანური „ონტულე“-ს ფუძე „ნტული“ მტილისაგან მხოლოდ ოდნავ-ღა განსხვავდება.

შესაძლებელია და საფიქრებელიც, რომ მეგრულ „ორტვინ“-სა და „ორტვილ“-ს, ისევე როგორც ჰანურ „ონტულე“-სა და სვანურ „ლერტამ“-ს „ო“ და „ლე“ თავსართებით თავისი პირვანდელი აგებულება სამწერლობო ქართულის „მტილ“-ის თავკიდურ ნაწილზე უკეთესად ჰქონდეთ დაცული. ამ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ „მტილ“-საც ოდესღაც თავსართი უნდა ჰქონოდა და „სამტილე“-ს მსგავსი სახე ექმნებოდა. ასეთი წარმოების სიტყვები ძველ ქართულში იშვიათაა და განსაკუთრებულს რომ არას წარმოადგენს, ამის საბუთად შესაძლებელია „სავენავე“, „საცხოვარი“ და სხ. იქმნეს დასახელებული ვენახისა, ცხვრის და სხ. მნიშვნელობით. „სავენავე“ არსენი იყალთოელსაც აქვს გ. მონოზანის ხრონოლოგიის თარგმანში (გვ. 197²⁵) ბერძნული „ამპელონ“-ის, ანუ ვენახოვანის შესატყვისად.

თუ ეს მოსაზრება მცდარი არ გამოდგა, მაშინ ეგების ჰანური „ონტულე“ დაკავშირებული იყოს „მდელო“-ს მეგრულ-ჰანურ შესატყვისობა „ნდოლო“-სთან (იხ. საქართველოს ეკონ. ისტ., 1², 272). ამნაირად, მტილი და ონტულე თავდაპირველად იმ ადგილის აღმნიშვნელი იქმნებოდა, სადაც სოფლის მეურნეს მდელო მოჰყავდა, რომელიც სამდელო კულტურისათვის იყო განკუთვნილი. თუ ეს ეტიმოლოგია გამართლდა, მაშინ უფლება გვექმნება დავასკვნათ, რომ ქართული ინტენსიური მეზოსტნეობა თავდაპირველად მდელოთა მოყვანა-მოშენების მოთხოვნილებას წარმოუშვია.

§ 4. სამოთხე და მისი მნიშვნელობა

მტილს გარდა, როგორც აღნიშნული გვექონდა, ტერმინად „სამოთხე“-ც იხმარებოდა. წა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში საქართველოს განმანათლებელს ნათქვამი აქვს: მცხეთაში მოსვლისას „მივიმართე სამოთხესა მას მეფისასა“-ო (Оп-иц., II, 756), ე. ი. მეფის ბალისაყენ გავემართეო. „ვმისა შენისა მესმა მავალისა შორის სამოთხესა“-ო (შესაქმეთაჲ, 3₁₀). ბერძნულად ამ ადგილას ნახმარია ἡ παραδεισος, „პარადეისოს“, ლათინურადაც ეს სიტყვაა, რომელიც სანსკრიტულ paradīśa-ს უდრის და მშვენიერ მხარეს ჰნიშნავს, ბერძნულად კი ცხოველთა ბაღს, პარკს, ხოლო ქრისტიანულ მწერლობაში სანეტარო ადგილს ეწოდებოდა. სამხურ თარგმანში აქ ἡρασιον „დრახტ“-ია, რაც იმასვე, ბაღს, სამოთხეს და პარკს ეწოდებოდა.

ქართული ტერმინი „სამოთხე“ ბერძნულ-ლათინურ-ებრაულ-სპარსულ-სომხური ტერმინებისაგან დამოუკიდებელივ არის შექმნილი და აგებულებით სასიამოვნო ადგილს ჰნიშნავს.

წა ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორივ მხოლოდ „სამოთხე“-სა ხმარობს, ბალი მის ნაშრომში არსად გვხვდება. მცხეთაში ქართლის მეფეს ბალი, ანუ „სამოთხეა“ ჰქონია. წა ნინოს თავის თავგადასავალში აღნიშნული აქვს: მცხეთაში მოსულმა „მივიმართე სამოთხესა მას მეფისასა“-ო (Опис., II, 756).

„სამოთხე“-ს გარდა „სამოთხველი“-ც არსებობდა. ს. ორბელიანს ლექსიკონში იობის 41²³-ის დამოწმებით ნათქვამი აქვს: „სამოთხველი სასეირნო“-სა ჰნიშნავსო (ლექსიკ.). ბაქარის გამოცემაში ამ წ-ში ასეთი სიტყვა არ არის. ამის მაგიერ იქ ნახმარია „სავალთა შინა“-ო. თუმცა ებრაულ დედანში აქ სულ სხვა რამეა ნათქვამი, მაგრამ ბერძნულად გადამთარგმნელს ეს წ-ი სწორედ ვერ გაუგია და დაუწერია εἰς περίπατον. ბერძნულად περιπατος სიარულს, სეირნობასა და სასეირნო ადგილსა ჰნიშნავდა. ქართველ მთარგმნელსაც ამნაირადვე გადმოუთარგმნია და იმ ხელთნაწერში, რომელიც ს. ორბელიანს ჰქონია ხელთ, ნახმარი ყოფილა „სამოთხველი“. ბაქარის ხელთ მყოფ რედაქციაში კი წერებულა „სავალნი“.

„მოთხეა“ ძველ ქართულში სეირნობას, დროს გატარებას ჰნიშნავდა, ხოლო „სამოთხველი“ და „სამოთხე“ სასეირნო და დროს გასატარებელ ადგილს ეწოდებოდა.

იპოლიტ¹ს უერთ-ერთ თარგმანებათა ქართულ ნათარგმნ ტექსტშიც ნახმარია „სამოთხე“ ფუფუნებისაჲ“ სომხური *դրախտ փոփկություն*-ის შესატყვისად (იხ. ნ. მარტი, Ипполит, Толкование Песни Песней, ТР., III წიგნი, გვ. LIX).

§ 5. წალკოტი

სავარდისა, საყვავილესა და ბალის აღსანიშნავად ძველ ქართულ მწერლობაში „წალკოტი“-ც იხმარებოდა. ჯერ გამოსარკვევია, თუ რამდენად გავრცელებული იყო ეს ტერმინი. დაბადების თარგმანში თითქოს არ უნდა იყოს. არც სხვა უძველესი ხანის ძეგლებში ჩანს. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა და მომავალში იქაც აღმოჩნდება.

ვისრამიანში ჩვეულებრივ „წალკოტი“ იხმარება (იხ. 1884 წ. გამ., გვ. 5, 55, 58, 68, 70, 113, 117 და სხვ.). ამ ძეგლის ავტორს წალკოტი მარტო სავარდელა და საყვავილედ კი არა აქვს ნაგულისხმევი, არამედ ბაღადაც, ვენახადაც. იქ მაგ., ჯერ ნათქვამია, რომ რამინი „ზოგჯერ შაჰან-შას ბაღსა შევიდის, ...ყოველნი ხენი მოწამედ დაიყენის და ეგრე უთხრის: „ჰე, ყოველნო ხენო! მოწამენი იყავით ჩემი, ასრე მოტირალი მნახეთ“-ო (გვ. 69). შემდეგ სწერია: „თუ ათასფერი წალკოტი და სიმხიარულე გაქუს, მე გულსა ზედა ათასფერი დალი მაქუს“-ო (გვ. 70). მერმე ავტორი ასე მოგვითხრობს: „ესე-გუარსა რასმე ეუბნებოდის და იარებოდის მას ვენაქსა შიგან“-ო. ჩვეულებრივ „გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მის უტურფე იყო“-ო (გვ. 70).

ამნაირად წალკოტს ბაღადაცა და ვენახადაც ჰგულისხმობდა ქართული ვის-რამიანის ავტორი.

ს. ორბელიანსაც ეს ტერმინი მხოლოდ ბაღად ესმის: „წალკოტი ხილის ალაგი, ბაღი“ არისო (ლექსიკ.). ფ. გორგიჯანიძესაც ქართული წალკოტის შესატყვისად სპარსული „ბაღ“-ი აქვს დასახელებული (ქართ.-არაბ.-სპარს. ლექსიკ.). ვახუშტსაც, როგორც დავრწმუნდით (იხ. საქართველოს ეკონ. ისტ. I², 285—286), ხეხილი სწორედ წალკოტებში ეგულებოდა.

„წალკოტი“, უეჭველია, „წალიკა“-საგან ნაწარმოები ტერმინია. „წალიკა“ კი მცენარის სახელია, ესლაც იმიერ-ამიერ საქართველოში გავრცელებული. ს. ორბელიანსაც შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში. დასავლეთ საქართველოში ამისგან ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელი, მთა „საწალიკე“, რომელიც შორაპნის და რაჭის თემში მდებარეობს.

უკვე აკად. გიულდენშტედტს ჰქონდა აღნიშნული, რომ ქართული „წალიკა“ („Zalika“) *Anemone Pulsatilla*-ს სახელს წარმოადგენს (Reisen, I, 429). რ. ერისთავის აზრით კი თითქოს *Polygonum aviculare* L.-ს სახელი უნდა იყოს იმერეთ-გურიაში (ბოტან. ლექსიკ., 78, § 1089). ქართლ-კახეთში მას წყლის-ინა ეწოდებო. მაგრამ წალიკა ყვავილის ამერეთშიც ცნობილი სახელია, მეტადრე მთა-ადგილებში.

„წალიკა“ ქართულში განმარტოებული სიტყვა არ არის, არამედ მას თვისტომნი მოეპოვება, მისი ეტიმოლოგიის წამოყენებაც შეიძლება, მაგრამ ეს შორს წავიყვანდა. „წალიკ“ ძაღლი ძველ სომხურშიც ყვავილსა პნიშნავდა, ხოლო ძაღლიც „წალკოც“ საყვავილეს.

§ 6. ხილისა და ვაზის ბაღების აღმნიშვნელი სახელები

სასოფლო მეურნეობის ინტენსიური წარმოების დროს მეხილეობისა და თვითოეული სხვა დარგისათვის განსაკუთრებული ნაჭერი მიწა ჰქონდათ ხოლმე მიკუთვნებული. ამის გამო გაჩნდა ვაშლის, ბალის, მსხლის და სხვა ხეხილის ბაღები ისევე, როგორც ვაზით დარგულიც. თვითოეულ მათგანს თავისი სახელი ჰქონდა.

ვაზით დარგულ ბაღს ეხლა ვენახი ეწოდება და უკვე ძველადვე, გარკვეული ხანითგან მოყოლებული, „ვენაჯი“ სწორედ ამ მნიშვნელობით იხმარებოდა. ათონის აღაპებში მაგ. სწერია: „იყიდა ვენაჯი ათისა მოღისაჲ“ (გვ. 244, § 112), „ღდავასხმევინეთ ვენაჯი კე(25) მოღისაჲ“-ო (გვ. 255, § 145). ასეთი მაგალითების მოყვანა ადვილია, მაგრამ ესეც კმარა.

როგორც მეხილეობისა და მევენახეობის დარგის განხილვის დროს ძეგლებითგან ამოკრებილი ამონაწერების დახმარებით დავრწმუნდებით, „ვენაჯი“ თავდაპირველად ძველ ქართულში ვაზის ერთ ძირსა ჰნიშნავდა. ვაზებით დარგული ბაღის მნიშვნელობა ამ სიტყვას შემდეგში, გარკვეული ხანითგან, მიენიჭა. იმ ხანაშიც, როდესაც ვენაჯი ვაზის მხოლოდ ერთი ძირის აღმნიშვნელი იყო, მაშინაც ვაზებით დარგული ბაღისათვის განსაკუთრებული ტერმინი არსებობდა.

ეხლა რომ ხეხილის ბაღებზეც გადავიდეთ, V—VI სს. ძეგლებში, დაბადების ქართულ თარგმანში ლეღვის ბაღს „ლეღოვანი“, ზეთისხილისას „ზეთისხილოვანი“ და ვაზის ბაღს „ვენაჯოვანი“ ეწოდება. სამიოდე მაგალითიც საკმარი-

სია ამის დასამტკიცებლად: „განამრავლენით მტილნი თქუენნი, ვენაჯოვანი თქუენნი, ლელოანნი თქუენნი“ (ამოსისი, 49). „ეგრევე ჰყო ვენაჯოვანი შენი და ზეთისხილოვანი შენი“ (გამოსლვათაჲ, 23₁₂). „ვენაჯნი მისნი და ლელოვანი მისნი“ (ოსესი, 2₁₂).

შესატყვის ადგილებში „ვენაჯოვანი“ ბერძნულს *ὄ αμπελαν*, „ჰო ამპელონ“-ს, ლათინ. *vinea*-ს და სომხურს *սյգի* „აჲგი“-ს უდრის, რაც ვენახის ბაღს ჰნიშნავს, — „ლელოანი“ *ὄ თახა* „ჰო სჯონ“-ს, *ficetum*-სა და *ჭყხნქ* „თხენი“-ს ეთანასწორება, ხოლო „ზეთისხილოვანი“ *ὄ ოლავა* „ჰო ელაჲონ“-ის, *olivatum*-ისა და *ბიქხნქ* „ძითენი“-ს შესატყვისობას წარმოადგენს.

ამგვარად, ირკვევა, რომ ბოლოსართი „ოვანი“ შემკრებელობითი მნიშვნელობის მიმნიჭებელია, სახელდობრ, რომ ალაგი რომელიმე მცენარით, თუ ხით მრავლად არის მოსილი.

ჰაგრამ საგულისხმოა, რომ ჰანურადაც ვაზის ბაღს „ბინეხონა“ და „ბინეხეფუნა“ ეწოდება. ცხადია, რომ ორივე ეს ჰანური სიტყვა ქართულ სამწერლობო ვენახოვანს უდრის.

ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ ჰანურში ასეთივე წარმოების სხვა ტერმინებიც არსებობს. მაგ. ბალიან ადგილს „ბულონა“ ეწოდება, ხოლო „თხირონა“, ანდა „თხირეფუნა“ — თხილოვანისა, თხილნარის აღსანიშნავად იხმარება.

მეგრულადაც ამბობენ „ჰუბურონა“ წაბლოვანის, „გვიმარონა“ გვიმარნარისა და „ჰოროთონა“ ახლად-აყრილი წვრილი ხეებით მოცული ადგილის, ტყის მნიშვნელობით (იხ. ა. ჩიქობავა, ონ სუფიქსი მეგრულში, ტფ. უნ. მოამბე, № VI, 306—307).

თუმცა ქართულ სამწერლობო ენაში ამ „ონ“ სუფიქსს „იან-ი“, „იერ-ი“ და „ოვან-ი“ უდრის (იქვე, 305), მაგრამ ხეხილთა ადგილების აღმნიშვნელ სახელებში ჰანურ-მეგრული „ონ“ ბოლოსართი „ოვან“-ისაგან უფრო უნდა იყოს წარმომდგარი. მეგრულში „ოვან-ი“, როგორც დოც. ა. ჩიქობავასაც აქვს აღნიშნული, „უან“-ად არის ქცეული (მაგ., გემუანი, იქვე, 306). ამ სუფიქსის „ა“ ხმოვანის, „უ“-ს ზეგავლენით, ო და უ-დ დამსგავსების წყალობით შეიძლება წარმომდგარი იყოს „ოვან“-ის ჰანურ-მეგრული შესატყვისობა „ონ“-ი. მართლაც. ჰანურში „ბინეხონა“-ს გვერდით „ბინეხეფუნა“-ც არსებობს, რომელიც წინანდელი „ბინეხოფუნა“-სგან უნდა იყოს წარმომდგარი. მაშასადამე, ჰანურშიც სუფიქსად „ონ“-ის მაგიერ „ოფუნა“ ყოფილა.

„ოვანი“-ს ასეთი, ან მსგავსი ფონეტიკური ცვლილება რომ მართო ჰანურ-მეგრულის განსაკუთრებულ თვისებას არ უნდა წარმოადგენდეს, ამას ქართლში მდებარე ველის „ტირიფონის ველი“-ს სახელიც ამტკიცებს, რომელსაც, უეჭველია, წინათ ჯერ ტირიფოვანის, შემდეგ ტირიფოვნის ველი ერქმეოდა და რომელიც „ვ“-ს გაქრობის შემდგომ „ტირიფონა“-დ იქცა და თითქოს „ონ“ სუფიქსით ნაწარმოებად გახდა¹.

¹ არ. ჩიქობავას მოსაზრებით, ეს სახელი „ნაწარმოება ამ ჰანურ-ონ სუფიქსით“ (იქვე, 306). ეს რომ მართლა ჰანური სუფიქსი ყოფილიყო, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ან ქართლში ტირიფონაში ჰანები ცხოვრობდნენ, რის დამტკიცებაც შეუძლებელია, ან რომ „ოვან“-ი „ონ“-ად უკვე უუძველეს ხანაში იქცა, რის დამადასტურებელი საბუთები არ მოგვეპოვება, ჯერჯერობით მაინც, ამიტომ უფრო ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ „ონ“ სუფიქსი ზემოაღნიშნული გზით უნდა იყოს წარმომდგარი როგორც ქართლურს, ისევე მეგრულ-ჰანურ აგრონომიულსა და გეოგრაფიულ ასხელებში.

§ 7. ბალი, ბალჩა და ბოსტანი, მათი სადაურობა და შემოსულობის ხანა

ბალი, ბალჩა და ბოსტანი, ის სიტყვები, ურომლოდაც თანამედროვე ქართველს მეხილეობასა და მებოსტნეობაზე მსჯელობა ვერც კი წარმოუდგენია, უძველეს ქართულ მწერლობაში სრულებით უცნობი იყო. მტილი, სამოთხე და წალკოტი ისევე, როგორც „ვენაჯოვანი“ და დანარჩენი ამის მსგავსადვე ნაწარმოები ტერმინები ადამიანს სრულ საშუალებას აძლევდენ სასოფლო მეურნეობის ამ დარგებზე ემსჯელა.

ბალი სპარსული სიტყვაა ისევე, როგორც ბალჩა-ც, რომელიც პირველის მხოლოდ კნინობითს ფორმას წარმოადგენს და პატარა ბალსა ჰნიშნავს.

ბოსტანი-ც სპარსულითგანვე შეთვისებული ტერმინია, რომელიც არაბულშიც არის შესული. სპარსულად „ბოსტან“ ანუ „ბუსტან“ ბალს, უმთავრესად მწვანის ბალს ჰნიშნავდა და ჰნიშნავს ეხლაც.

ბალისა და ბოსტანის ქართულ მწერლობაში შემოხიზნვის დროის განსაზღვრისათვის უნდა ის გარემოება გვქონდეს გათვალისწინებული, რომ X ს. ჯერეთ ცნობილ ძეგლებში ეს ტერმინები არ მოიპოვება. მაგრამ გ. მთაწმიდელს ბოსტანი უკვე ნახმარი აქვს თავის საისტორიო ნაშრომში იქ, სადაც აღნიშნულია, რომ „აპოთიკი“ და „ბოსტანი“ ათონის მონასტერში ეფთჳმე მთაწმიდელისავე დროს „კელარისა საურავნი იყვნეს“ (ც^ა ი^ე და ეფ^ტმსი, 50).

ბალი XII ს. მხატვრულ ძეგლებში ჩვეულებრივი სიტყვაა (იხ. ვისრამიანი, 69, 70 და სხვ.). ვეფხისტყაოსანშიც ნათქვამია: „ამად ტირს, ბალი ვარდისა ცრემლითა აივსებოდა“, ანდა „შეღამდა, წაველ, ბალისა მე კარი შევიარეო“ (აბულ., §5 16ჯ და 349ჯ). ამნაირად, აქ „ბალი ვარდისა“ წალკოტის, ანუ სავარდის მნიშვნელობით არის ნახმარი.

„ბალჩა“ იოანე შავთელს მოეპოვება „აბდულუმესია“-ში: „აქვს ზარდახჩანი მას, ხე-ბახჩანი“ (TP., IV წიგნი, 434).

რაკი ბოსტანი XI საუკ. პირველ ნახევარში, ხოლო ბალი და ბახჩა XII ს. ქართულ მწერლობაში ჩვეულებრივი სიტყვები ყოფილა, ამიტომ, ცხადია, მათი შემოხიზნვის ხანად X—XI სს. უნდა მივიჩნიოთ.

XII ს-ში აქეთგან ნაწარმოები ისეთი ტერმინებიც არსებობდა, როგორც მაგ. „საბოსტნე“-ა. თამარ მეფის დროინდელი მონასტრის ტიპიკონის ერთ ნაწილში ნათქვამია: „ივანე მკარგრძელმანცა მსახურთუხუცესმა... მონასტრისა... საბოსტნე და სავენაჯე... უყიდა უფროსითა საფასოდა“-ო (წერ. და მას., I, 73).

ამ ცნობითგან ჩანს, რომ, ვითარცა ბოსტნეულობის მოსაყვანად განკუთვნილ ადგილს, საბოსტნეს, რომელსაც წყლით მორწყვა სჭირდებოდა, ნიადაგის შესაფერისი თვისებებში და სარწყავი რუ უნდა ჰქონოდა. ყველგან ბოსტანს ვერ გააშენებდა ადამიანი, რათგან ინტენსიური სასოფლო მეურნეობა მიწის-მოქმედისაგან სათანადო დასპეციალებას მოითხოვდა.

თავი II. მებაღეობის კულტურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა უსსრკ-ში

§ 1. მებაღეობა ძველ ეგვიპტესა და აღმოსავლეთში

ბაღის კულტურის დასაწყისიც აღმოსავლეთსა და დასავლეთ-სამხრეთის აზიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში უნდა ეძიოს ადამიანმა. უძველესი ცნობები ბაღებზე და თვით ბაღების სურათიც სწორედ ამ ქვეყნებშია დაცული.

ძველი ეგვიპტელები ამ დარგშიც ძალიან დახელოვნებული ყოფილან. ისეთ ცხელ ქვეყანაში, როგორც ეგვიპტეა, ბუნებრივია, რომ ადამიანს ჩრდილისა და სიგრილის მოთხოვნილება ჰქონდა, რომ ცდილიყო თავისთვის ისეთი რამე გაეკეთებინა, რაც მის თვალსაც და გემოვნებასაც აამებდა და პაპანაქებისაგანაც თავის დაცვის საშუალებას მისცემდა.

ჩვენამდის მოაღწია უძველესი სამარხავის ეგვიპტურმა კედლის მხატვრობამ, რომელშიც სქემატურად ეგვიპტური ბაღის სურათია წარმოდგენილი. ამ სურათითგან ჩანს, რომ ეგვიპტეში ბაღები ოთხკუთხედის მოყვანილობისა უკეთებიან. ყოველ მხრით მას ზღუდე ჰქონია და ბაღის მთელი არე ოთხკუთხედადვე ჰქონიან დაგეგმილ-დაყოფილი. მთელი ბაღი ოთხ ერთმანეთში ჩასმულ მომცრო ოთხკუთხედოვან არედ ყოფილა დანაწილებული. თვითეული ოთხკუთხედის ხაზზე გასაოცარი სისწორით სხვადასხვა ხეები, ხეხილები და ყვავილ-მცენარეები ყოფილა დარგული.

ბაღის შუაგულის ოთხკუთხედი წყლის უშველებელ აუზ-საგუბარს წარმოადგენდა. იგი იმდენად დიდი ყოფილა, რომ ოთხი ადამიანისათვის განკუთვნილ ნავს შიგ მოძრაობა შეეძლო ზემოთ და ქვემოთკენ. ნიჩბებისა და ხოფების საშუალებით ამოძრავების მაგიერ ამ ნავს, როგორც სურათითგან ჩანს, საგუბრის ორთავე ნაპირზე მდგომი სამ-სამი კაცი გრძელი თოკებით მიაცურებდა.

პირველი ოთხკუთხედის თავში და ბოლოში ეგვიპტური კარიბჭე ყოფილა აგებული. ამ ეგვიპტური ბაღის დამახასიათებელ თვისებას მისი სწორხაზოვანი და ოთხკუთხედოვანი დაგეგმვა და გასაოცარი სიმეტრიულობა შეადგენს: ცხადი ხდება, რომ მებაღეობის კულტურა იქ უაღრესად განვითარებული და დაწინაურებული ყოფილა (იხ. C. Ranck. Geschichte der Gartenkunst: Aus Natur und Geisteswelt, 274, B., 1909წ., გვ. 4—5).

მებაღეობის კულტურა მაღალ დონეზე მდგარა ძველ ასურეთშიც. ბერძენთა და რომაელ ისტორიკოსთა გარდმოცემით ნაბუქოდონოსორს აუგია ხელოვნურ ტერასებად გამართული ბაღი, რომელიც შორითგან თურმე ჰაერში დაკიდებულის შთაბეჭდილებას ახდენდა. ამიტომ მას „დაკიდებული სამოთხე“ ეწოდებოდა.

ცნობა ამ არაჩვეულებრივი ბაღის შესახებ, ძველი ბერძნული წყაროებითგან ამოღებული, ვიორგი ამარტოლსაც ჰქონდა თავის ხრონოლოგიაში შეტანილი, რომელიც არსენი იყალთოელის თარგმანის წყალობითაც ჩვენ წინაპრებს კარგად უნდა სცოდნოდათ. იქ ნათქვამია: ნაბუქოდონოსორმა „შეკმზა და სხუადაცა საქმე განსაკურვებელი, რამეთუ აღმართნა ნაშენებნი ქვათანი მაღალნი ფრიად და თითოსახენი ნაყოფიერნი ხენი დაჰნერგნა ზედა კერძო მათ-

სა, ვიღრე მალნაროანთა მათათა ემსგავსებოდეს იგინი და დაკიდებულად სამო-
თხედ სახელ-სდვა მას, რომელსა ზედა ვიღოდის ცოლი მისი და ყოველსა მას
გარემოსა ქუეყანასა ჰხედვიდის და განცხრებოდის არც ერთის ვისგან ხილუ-
ლი“-ო (იხ. სიმ. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 130გ-13).

მებაღეობა ფართოდ იყო განვითარებული ძველ სპარსეთში, რომლის მე-
ფეებს „პარდეს“-ად წოდებული უშველებელი ტევრებიც კი ჰქონდათ იშვია-
თი მცენარეებითურთ.

ძველი ებრაელების ბალი კი უმთავრესად ხეხილის ბაღს წარმოადგენდა.
პალესტინის მშრალი ჰავის გამო, ბაღები ისეთ ადგილებში კეთდებოდა, რო-
მელთაც მოსარწყავი წყალი ჰქონდათ, ან მიუღებოდათ. ხეხილს ქვეშ მარ-
ცვლეულსა და სხვა მცენარეებსა სთესდენ, ანდა საჩრდილობელი, ან დასასვენ-
ებელი ადგილი იყო მოწყობილი, სადაც მათი პატრონები დროს ატარებდენ
ხოლმე (Socin: Guthes Bibelwört., 193—194).

§ 2. მებაღეობის კულტურა საბერძნეთსა და იტალიაში

ძველ საბერძნეთში, ალექსანდრე მაკედონელის აღმოსავლეთში გალაშქრე-
ბამდე, მხოლოდ ისეთი ბოსტან-ბაღები იყო, რომელთაც პრაქტიკული დანი-
შნულება ჰქონდათ. მებაღეობისა და წალკოტ-სავარდების ხელოვნება ჯერ არ
არსებობდა. მარტო აღმოსავლეთში მდებარე ბერძენთა ახალშენებს უნდა ჰქო-
ნოდათ მეზობელთა მებაღეობის მაღალი კულტურა ნაწილობრივ მაინც შეთ-
ვისებული. სპარსეთსა და სხვა ქვეყნებში ნანახმა ბერძნებზე დიდი შთაბეჭდი-
ლება მოახდინა და სხვასთან ერთად საბერძნეთში თანდათანობით მებაღეობის
ხელოვნებამაც მოიკიდა ფეხი: არა-ერთი წინათ სრულებით უცნობი ხე და ხე-
ხილი გადმონერგულ და გადმოტანილ იქმნა. გაჩნდენ ბერძენი აგრონომებიც,
რომელთაც თავიანთი სამშობლოს მიწისმოქმედებას თავიანთი დაკვირვება და
ცოდნა თანამემძლეებს წერილობითაც დაუტოვეს.

ბერძნებისაგან მებაღეობის კულტურა რომაელებმაც შეითვისეს, რომელ-
თაც მანამდე ამ დარგში ბევრი არაფერი ჰქონიათ. სამხრეთ იტალიაში, ბერძენ-
თა ახალშენებში, რომაელებს სასოფლო მეურნეობის ამ დარგის მაშინდელი
მონაპოვარის ნახვა და დაფასება შეეძლოთ. რომაელთა აგრონომიასა და მცე-
ნარეთმცოდნეობაში უამრავი ბერძნული ტერმინებისა და სახელების არსებო-
ბა იმ უდიდესი გავლენის დამამტკიცებელია, რომელიც საბერძნეთს ამ დარ-
გშიც იტალიასა და რომაელებზე ჰქონია.

მაგრამ რომაელები მარტო ბერძენთა მონაპოვართ არ დაკმაყოფილებუ-
ლან. მსოფლიო ბატონობის ხელში ჩაგდებასთან ერთად, მათი ცოდნაც ფარ-
თოვდებოდა და ღრმავდებოდა. ბუნებისმეტყველნი და აგრონომები აკვირდე-
ბოდენ ყველაფერს, რაც მათი სამშობლოსთვის გამოსადეგი იყო, და არაფერს
ზოგავდენ მათი იტალიაში გადასანერგავად.

თანდათანობით იტალიის მცენარეთა და ხეების სამფლობელო ძალზე შეი-
ცვალა და გამდიდრდა: ადამიანს ზოგან თავი უკვე აღმოსავლეთსა და აფრიკა-
ში ეგონებოდა. აღმოსავლეთში ნამყოფმა შეძლებულმა რომაელმა პოლიტი-
კურმა მოღვაწეებმა თავიანთ ქვეყანაში აღმოსავლეთის მსგავსად დიდი და
მშვენიერი ბაღ-წალკოტების გაშენება დაიწყეს. პლინიუსის, კატონის, ვარრო-

ნის, კოლუმელლას, პალლადიუსისა და სხვათა წყალობით გაჩნდა მდიდარი აგრონომიული ლათინური მწერლობაც. წერილობითი ცნობებითგანაც და პომპეის განათხარის წყალობითაც კარგად ჩანს, თუ რამდენად მაღალხარისხოვან დონეზე აუყვანიათ რომაელებს მებაღეობის ხელოვნება (საბერძნეთ-იტალიის მებაღეობაზე იხ. C. Ranck, *Geschichte der Gartenkunst*, გვ. 7—13 და H. Blümner-ის *Die römischen Privataltertümer*, გვ. 83—89).

§ 3. მებაღეობის კულტურა ძველ ასურეთსა და არაბთა სახალიფოში

ასურნი ძველადვე თავიანთი მებოსტნეობა-მებაღეობით იყვნენ განთქმულნი. უკვე პლინიუს მცირეს ჰქონდა აღნიშნული, რომ ასურეთი მებაღეობაში ყველაზე უფრო დახელოვნებული იყო ისე, რომ ბერძნებს ანდაზაც კი ჰქონიათ: ასურელთ ბევრი ბოსტნეული აქეთო („*multa Syrorum olera*“: *Natur. hist.*, lib. XX, 16). ეს გარემოება იმითაც მტკიცდება, რომ საბერძნეთსა და რომში ბოსტნეულის არა ერთი საუკეთესო ჯიში სწორედ ასურულად ითვლებოდა. მაგრამ ასურნი მართო მებოსტნეობაში არ ყოფილან დახელოვნებულნი, არამედ მებილეობაც ძალიან მაღალ დონეზე ჰქონიათ დაყენებული. შემდეგში, მებოსტნეობისა და მებაღეობის დარგში ამ ორივე გარემოების გამომჟღავნებელი არა ერთი ცნობა შეგვხვდება.

გამაჰმადიანებული არაბები რომ VII ს-ითგან ასურეთ-შუამდინარეთში დამკვიდრდენ და სასანიანთა სპარსეთის მიწა-წყალსაც დაეპატრონენ, ასურთა თანდათანმა გამაჰმადიანებამა და გაარაბებამ არაბებს მაღალხარისხოვანი სასოფლო-სამეურნეო ცოდნა და კულტურაც შესძინა. არაბებმაც საუცხოვო დიდი, მშვენიერი, ფერად-ფერადი ვარდ-ყვავილებითა და სხვადასხვაგვარი ხეხილით უხვად შემკული ბაღ-წაღკოტები გაიჩინეს. ადგილობრივ ხე-მცენარეებს უცხო ქვეყნითგან მოტანილი ჯიშები და თვით სრულებით ახალი, მანამდე უცნობი ხეხილი მიუმატეს.

ბაღებში შეძლებულეებს სარწყავი წყლის რუები და ჩანჩქერები ისევე, როგორც აუზები და შადრევნები, ჰქონდათ გამართული. გეომეტრიული დაგეგმულობა აქაც მებაღეობის ძირითად კანონად იყო მიჩნეული.

მებაღეობის ესოდენ მაღალ კულტურასთანავე არაბებმა ბოტანიკურ-აგრონომიული მწერლობის შექმნაც შესძლეს, რომლის საუკეთესო წარმომადგენლებადაც XIII ს. არაბთა განთქმული მეცნიერები იბნ ალ-ავვამ-ი და იბნ ბაათარი იყვნენ.

ყველგან, სადაც კი არაბები დამკვიდრდენ, თან მებაღეობის ეს მაღალხარისხოვანი კულტურა გაავრცელეს, მათ შორის ესპანეთშიც. სადაც ესპანურ-არაბულმა სამოქალაქო ცხოვრებამ დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქრისტიან ხალხთა წარმომადგენლებს საშუალება მისცა მიწისმოქმედების ამ დარგის იმ დროისათვის მაღალხარისხოვანი მეურნეობა თავიანთი თვალთ ენახათ. ევროპელ ხალხთა კულტურული აღორძინებისათვისაც ამას ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ბევრი რამე მათ სასოფლო მეურნეობასაც XII—XVI ს-ში იქითგან ჰქონდა შეთვისებული (*Alfred von Kremer, Culturgeschichte des Orients unter den Chalifen*, II, 327—340).

§ 4. მებალეობა იტალიაში

აღმოსავლეთითგან ჯერ საბერძნეთმა და რომმა, შემდეგ ესპანეთმა და იტალიამაც ბაღის გეომეტრიული და სწორხაზოვანი მოყვანილობა და დაგეგმულობა შეითვისეს. საუკუნეთა განმავლობაში იტალიასა და დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებშიც XVIII ს-მდე მებალეობის ხელოვნებამ ეს ძირითადი დებულება შეინარჩუნა.

ისევე, როგორც მეცნიერებასა და ხელოვნებაში, მებალეობის კულტურაშიც იტალიამ, აღორძინების ხანითგან მოყოლებული, გასაოცარი შემოქმედებითი და მომგონებლობის ნიჭი გამოიჩინა. მან ხუროთმოძღვრების, ქანდაკების, ბუნების მშვენიერებისა და მებალეობის ხელობის სწორედ რომ იშვიათი მაგალითი უჩვენა ევროპის იმდროინდელ დანარჩენ ქვეყნებს, რომელთათვის იგი დიდხანს მისაბადი შეიქმნა (C. Ranck, Geschichte der Gartenkunst, გვ. 15—35). იტალიის ბუნებისა და მებალეობის ხელოვნების ანარეკლი ქართველ მკითხველს შეუძლია საბა ორბელიანის ევროპაში მოგზაურობის აღწერილობაშიც ამოიკითხოს.

თავი III. საკართველოს მებალეობის კულტურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

§ 1. რას წარმოადგენდა სამოთხე ძველად და მისი მოწყობილობა

წყაროთა სიმცირისა და ცნობათა სიმოკლისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია ზოგადად ისიც გამოარკვიოს ადამიანმა, თუ რა მოჰყავდათ ძველად ჩვენ წინაპრებს თავიანთ მტილ-სამოთხეებსა და ბაღ-წალკოტებში და როგორ ჰქონდათ სასოფლო მეურნეობის ეს დარგი მოწყობილი.

უკვე ასურული ლურსმული წარწერებისა და წყაროებითგან ჩანს, რომ მუსკებს და ტაბალებს მვეენახეობა ჰქონიათ (იხ. ქართველი ერის ისტ., I³, 18—19). ამიტომ, ცხადია, რომ მიწისმოქმედების სხვა დარგებიც, მათ შორის მებალეობა, მეხილეობაც იქმნებოდა გავრცელებული. შემდეგშიც ქანებს შავი ზღვის სანაპიროზე და იბერ-მესხ-კოლხებს ამიერკავკასიაში, ქსენოფონტესა და სტრაბონის ცნობებით, თავიანთ სამშობლოში ყველაფერი ჰქონიათ. საქართველო მათ ყოველგვარი სიკეთით შემკულ, ყოველნაირი ხეხილითა და ნაყოფით საესე ქვეყანად აქვთ დახასიათებული (იხ. ქართველი ერის ისტ., I³, 22, 26—27 და საქართველოს ეკონ. ისტ., I², 142, 146—147 და სხვ.). მეხილეობის ასეთი მრავალფეროვანება, უუკველია, იმის მომასწავებელია, რომ მებალეობა საქართველოში ძალიან განვითარებული უნდა ყოფილიყო, მაგრამ, რაკი ბერძენთა ზემოდასახელებულ მწერლებს კონკრეტული ცნობები მოყვანილი არა აქვთ, ამიტომ მაშინდელი მებალეობის შესახებ რეალურად არაფრის თქმა არ შეიძლება.

ერთი გარემოებაა მხოლოდ ცხადი, რომ, ვითარცა შუამდინარეთითგანა და მცირე აზიითგან გამოსულთ და ასურელთა მეზობლებს, ქართველ ტომებს მებალეობის კულტურა დაახლოვებით ისეთივე უნდა ჰქონოდათ, როგორც მაშინ

აღმოსავლეთში სუფევდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბალის სწორხაზოვანი და გეომეტრიული დაგეგმულობა უეჭველ კანონად იქმნებოდა მიჩნეული.

ამავე წესებზე იყო დამყარებული, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, არაბთა სახალიფოს მებაღეობაც, რომლის გავლენაც, აღმოსავლეთ საქართველოში არაბთა VII—X სს-ში ბატონობის ხანაში, ბაღების წინანდელ გეომეტრიულ დაგეგმულობასა და აღმოსავლეთის მებაღეობის ხელოვნების ძირითად გეზს კვლავ განამტკიცებდა. ყველა ამ გარემოებათა გამო, ქართული მებაღეობის კულტურა აღმოსავლეთის მებაღეობის ერთ დარგთაგანად უნდა ვიგულისხმოთ.

ჯერჯერობით მხოლოდ VI ს-ითგან მოყოლებული მოგვეპოვება ძეგლები, რომლებშიც მტილ-სამოთხეთა ვითარების გასათვალისწინებლად კონკრეტული ცნობებია დაცული. ერთ მათგანში IV ს. იბერთა მეფის მცხეთის „სამოთხეა“ მოკლედ აღწერილი. თუმცა დასახელებული წყაროს ამ ადგილის მაშინდელი სინამდვილის სრულებით სწორე ანარეკლად მიჩნევა, რა თქმა უნდა, არ შეიძლება, მაგრამ მის ავტორს მაინც ქართული მტილ-სამოთხის თავისდროინდელი ვითარებითა და ნაწილობრივ ძველი გარდმოცემითაც უნდა ეხელმძღვანელა. ამიტომ ამ ცნობასაც ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს და ძველი ქართული სამოთხის ზოგადი სურათის გასათვალისწინებლად ამ წყაროზე დამყარებაც არის შესაძლებელი. აი იქ სახელდობრ რა სწერია.

შატბერდისეული ცხორების ცნობით, მირიან მეფემ წა ნინოს უთხრა: „მიყუარან მაყუალნი ეგე შენნი... არამედ არა ვპრიდო სამოთხესა მას სამეფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა“-ო (ცა ნინოსი, Опис., II, 775). ამავე ძეგლში ნათქვამია: მეფის „სამოთხესა... ნაძუთა ქუეშეა ბაბილოთა ადგილი არს მცირეა, საყუავილედ შემზადებული“-ო (იქვე, II, 757).

სიდონიას სიტყვით, წა ნინო „ბრინჯთა მათ ქუეშეა ბრატმან მეფისა საგრილთა და [და]სასუენებელთა ჯდა“ (იქვე, II, 767).

ამ ამონაწერებიდანაც საკმაოდ ირკვევა, რომ „სამოთხეა სამეფოა“, სამეფო ბაღი, მეურნეობის მარტო ერთი დარგისა და მხოლოდ ერთი დანიშნულებისათვის არ ყოფილა განკუთვნილი. როგორც მოსალოდნელიც იყო, იქ სხვადასხვა ხეებმდგარა, მაგ., მაღალი ნაძვისა და ბრინჯისა და, რა თქმა უნდა, ბევრი სხვა ჯიშის ხეები, რომელნიც ადამიანის თვალის საამებლად ისევე, როგორც სხეულის დასასვენებლად და სიცხის დროს ჩრდილში გასაგრილებლად ჰქონიათ დარგული.

ამავე მიზნით იქ ყოფილა აგრეთვე „საგრილნი და დასასუენებელნი“ გამართული, რომელთა ქვეშეც ამ „სამოთხის“ პატრონი და მისი სტუმრები, როდესაც ვინმე დაპატიჟებული ჰყავდა, იჯდა და დროს ატარებდა ხოლმე.

ამავე ესთეტიკური მიზნით და ყნოსვის საამებლად სამოთხეში განსაკუთრებული ადგილიც ყოფილა, რომელიც „საყუავილედ შემზადებული“ ჰქონიათ. ამ საყუავილეში სხვადასხვა ვარდ-ყუავილები მაგ. წითელი, „ვარდ მეწამულ“-ად წოდებული, ვარდი ყოფილა (Опис., II, 747). ფერად-ფერადი მცენარეებით შემკულ ამ წაღკოტში მყოფთ „ყუავილთა მათ სულნელება“ ასია-მოკნებდათ.

მაგრამ ამ სამოთხეში ხეხილიც მდგარა, მათ შორის ვაზიც საკმაოდ ყოფილა დარგული, „ბაბილო“-თა სახით, ისე რომ ზაფხულის დამლევსა და შემოდგომას ვარდ-ყვავილთა სანახაობას იქ მყოფის თვალს „ბაბილოთა მათ ნაყოფიერება“-ც ახარებდა.

ერთი სიტყვით, ქართული წყაროს ცნობითგან ირკვევა, რომ მაშინდელ სამოთხეში ქართველ მეურნეს თავმოყრილი ჰქონია სხვადასხვა ხეები და ყვავილ-მცენარეები. ზოგი მათგანი, ნიკოლოზ გულაბერიძის გამონათქვამებით რომ დავახასიათოთ, „საგემებელად და დამატებობელად სასათა, ხოლო რომელნიმე სასურნებელად და სურნელმყოფელად საყნოსელთა“ ყოფილა განკუთვნილი.

წყლის პირას მყოფ მეფის „სამოთხე“-ში მხიარული უჩიამული მდგარა: „მფრინველნი ცისანი... მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა მას მოისთულეზნიან და ყუავილსა მას ძოვდიან... გარემომადგიან ელავილით და გმობელ“ და „მრავალფერად და შუენიერად იყო ხილვაჲ იგი მათი“-ო (შატბერდ. წა ნინოს ცა, Опис., II, 757—758).

§ 2. ცნობები მემტილოებისა და მებაღეობის ინტენსიური კულტურის შესახებ საქართველოში V—X სს-ში

მტილისა და ვენახის, ისევე როგორც სამოთხის შინაარსი, რა თქმა უნდა, ბუნებრივი პირობებისა და პატრონის ცოდნისა და შემძლებელობისა მიხედვით განსხვავდებოდა. იყო პატარა ბაღ-ბოსტნებიცა და ვენახებიც მეურნის უმთავრესად პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ უმტილ-ვენახოდ ქართველ მიწისმოქმედს ცხოვრება იმდენად არ მოსწონდა, რომ მათი გაშენებისათვის არც თავის ძალ-ღონესა და არც ქონებრივ სახსარს არ ზოგავდა, შრომას მაშინაც არ ერიდებოდა, როდესაც თვით ბუნებრივი პირობები მებოსტნეობას, მებაღეობასა და მევენახეობას ხელს არ უწყობდენ, ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ, თუმცა გრ. ხანძთელის ცნობით, შავშეთ-კლარჯეთის მეტისმეტი მთავგორიანობის გამო, არამცთუ საბოსტნე და საბაღ-ვენახე, თვით სახნავი ადგილებიც კი მეტისმეტად ცოტა მოიპოვებოდა, მაინც ამ ორ თემში დამკვიდრებულ ბერებსაც კი ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად „მცირედ ვენაჯნი ჭირითა და ურვითა დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები“ (გ. მერჩული, ცი გგლ ხნძთლსა, კდ).

ქართველი მიწისმოქმედისა და სოფლის მეურნის ეს დამახასიათებელი თვისება, შრომის მოყვარეობა და მებაღეობა-მეხილეობით გატაცება უკვე VI ს. ბიზანტიელ ისტორიკოსს პროკოპი კესარიელს შეუნიშნავს და თავის საისტორიო ნაშრომში აღუბეჭდია. მისი სიტყვით, მესხეთში, ამ თემის მთავგორიანობისა მიუხედავად, იქაურ მკვიდრთ თავიანთი შრომითა და ცოდნით ვითარცა დახელოვნებულ მიწისმოქმედთ (οἱ Μῆαχοι ἤεσσοι δῆξιοι), ხეხილიცა და ვენახებიც გაუშენებიათ და ხილ-ნაყოფიც საკმაოდ ჰქონიათ (De bello Gothico, IV, cap. 2, § 25—26).

მებაღეობა-მევენახეობის დიდი კულტურისა და ამ დარგით გატაცების შესახებ ცნობები საქართველოს სხვადასხვა თემთა მცხოვრებლების შესახებაც

მერმინდელი ხანის ისტორიკოს-გეოგრაფთა ნაწერებშიც მოგვეპოვება, მაგ. ისტაჰრი-საც (930 წ. ახ. ხ.) ჰქონდა აღნიშნული, რომ ტვილისი მეტად აყვავებული ქალაქი იყო, ხილ-ბოსტნეულისა და ნათესების უხვად მქონებელი (Bibliotheca geographorum arabicorum. Lugd. Batav., 1870 წ., de Goeje-ს გამ., გვ. 185—187 და Н. В. Караулов, Свед. араб. писателей о Кавказе: СМОМПК, вып. XXIX, 10—13).

§ 8. მტილ-სამოთხენი და წალკოტი XII საუკუნეში

შემდეგში, როდესაც საქართველო გაერთიანდა, მებაღეობისა და შეენახეობის კულტურა, რასაკვირველია, უფრო უნდა დაწინაურებულიყო. მაგრამ გადარჩენილი და გამოქვეყნებული ძეგლების სიმცირე ამ საკითხის სათანადოდ გაშუქების საშუალებას არ აძლევს ადამიანს. ამიტომ მხოლოდ ზოგიერთი საკითხის ასეთისე გამოკრევეა შეიძლება.

შავთელს საქართველოს მეფის სასახლე და ბაღი XII ს-ში ასე აქვს აღწერილი: „თუ უქო სრანი მე მასა, რანი? გალავანისა შემკულობანი, მტილ-სამოთხენი, თვალთ სამოთ ხენი, ზედ ავაზანთა შექმნულობანი“-ო, „ქართა სტოვანი... იპოდრომისა განხმულობანი“-ო (შავთელი, კვ-კზ, 39).

სამეფო სასახლეს გარშემო გალავანი ჰქონია შემოვლებული. მარტო თვით სასახლე კი არა, არამედ ეს გალავანიც ხუროთმოძღვრებითი ხელოვნების იმდენად საყურადღებო ძეგლი ყოფილა, რომ მგოსანს საჭიროდ დაუნახავს ამ „გალავანისა შემკულობანი“ საგანგებოდ აღენიშნა.

ამ სასახლეს ამას გარდა „მტილ-სამოთხენი“-ც ეკრა, რომელშიც მნახველის „თვალთ სამოთ ხენი“ მდგარა. მამასადამე, ეს ბაღები იმდენად სამეურნეო დანიშნულებით არ ყოფილა გაშენებული, რამდენადაც ადამიანის დასასვენებლად და თვალ-ყნოსვის საამებლად, უეჭველია, დროს სიამოვნებით გასატარებლადაც. ამ მტილ-სამოთხეებს, დასასრულ, ავაზანებიც, ე. ი. წყლის აუზებიც ჰქონიათ.

რამდენადაც სამოთხისა და მებაღეობის კულტურის მეთაურად ძველად და საშუალო საუკუნეებში აღმოსავლეთი იყო, იმდენად ქართულ მემტილეობა-მესამოთხეობასა და წალკოტის კულტურასაც, უეჭველია, აღმოსავლეთის, სპარსეთისა და შუამდინარეთ-ასურეთის მებაღეობა-მებოსტნეობასთან კავშირი უნდა ჰქონოდა. ამიტომ საქმის ვითარების გასათვალისწინებლად უადგილო არ იქმნებოდა, რომ სპარსეთის მაშინდელი წალკოტისათვისაც თვალი ვადაგვევლო. ამის საშუალებას „ვისრამიანი“ აძლევს ადამიანს. ამ თხზულების სათანადოდ აღვიღების გადაკითხვა კაცს ფუფუნებას მიჩვეული სპარსეთის მაღალი წრის ბაღ-წალკოტებში ჩაახედვიანებს.

იქ ადამიანმა „წალკოტსა შიგან წითელი ვარდი ჰპოვის“ ისევე, როგორც სხვაფერი ვარდ-ყვავილებიც, მათ შორის აუცილებლად მრავლად იაც. წალკოტის პატრონსა და მნახველს „ცისკრისა ჟამსა“ ნიავე „იისა და ვარდის სულს“, სურნელებას, აყნოსვინებდა. თუ მოისურვებდა, „ყოველთა დილათა ია ჰკრეფის“. რათგან წალკოტში იმოდენა ია იყო ხოლმე, რომ ადამიანს შეეძლო არაერთი „იის კონა“ ჰქონოდა (ვისრამიანი, 68, 293 და 117). მაგრამ, რასაკვირვე-

ლია, „სუმბულთა“ სურნელოვანი ფშვისა და ფერადოვნობის გარეშე ეს წალკოტი წარმოუდგენელი იყო. ამას გარდა იქ „ვაზი“-ც იყო (იქვე, გვ. 70).

ბაღებიც ვარდ-ყვავილების სამკაულს მოკლებული არ ყოფილა, მეტადრე შეძლებულ პირთა და ქალაქისაში. ქალაქის გარეუბნები ჩვეულებრივ ბაღებს ეკავა.

შოთა რუსთაველსაც ხომ ნათქვამი აქვს:

„ნახეს ქალაქი, მოცული გარე ბაღისა ტევრითა,
გვარად უცხონი ყვავილნი, ფერთა ბევრის-ბევრითა“-ო.
(ვეფხისტყაოსანი, ი. აბულაძე, § 992).

თვით ხეხილის ბაღი და ვენახიც კი მარტო ბოსტნეულ-ხეხილის მოსაყვანად არ იყო განკუთვნილი, არამედ დროს გასატარებლადაც ჰქონდათ. როდესაც მხიარულება ჰსურდათ, თავიანთ სტუმარ-მასპინძლებსაც წვეულობასა და მასპინძლობას სწორედ ბაღში უმართავდნენ ხოლმე: „ბაღსა შიგან თამაშობად სა-



სურ. 2. მევენახეობის დარგვა. (სურათი ფერადებით არის დახატული, გადმოღებულია საქართველოს მუზეუმის XII ან XII—XIII სს. № A-109 ხელნაწერთაგან, რომელიც ეფრემ მციროსაგან კომენტარებით შემკულს გრიგოლ ნაზიანზელის თხზულებათა კრებულს წარმოადგენს)

ღამოსა გვეე ჟამსა“, სადაც დაპატიუებულების „ქმევა ჩემგან ჯამსა, — მამყვებოლის მომღერალნი, იტყოდინ ტკბილსა ჯმასა“-ო (ვეფხისტყ., § 1056). ბაღის მწვანე მოლი, ვარდ-ყვავილების სურნელება და ხეხილის საამო ხილევა, ჯამა-სმასა და სიმღერა-საკრავების ტკბილ ხმასთან ერთად, ადამიანის გულს ახარებდა და ყოველდღიური ცხოვრების მძიმე ტვირთს ავიწყებდა ხოლმე.

§ 4. მებაღეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში XVI—XVIII ს-ში

პოლიტიკურ-კულტურული დაქვეითების ხანაშიც მებაღეობის ტექნიკა მაინც საკმაოდ მაღლა მდგარა. ამის დამადასტურებელი XVI ს. კახეთის შესახებ ცნობა ქვევით გვექნება მოყვანილი, მაგრამ უფრო დაწვრილებითი ცნობები XVII ს. შესახებ მოგვეპოვება.

შარდენის სიტყვითაც, XVII ს-შიც საქართველო უაღრესად ნაყოფიერი ქვეყანა იყო, რომელშიც ყოველნაირი მარცვლეული, ბოსტნეული და ხილეული უხვად მოდიოდა, მეტადრე სარწყავ ადგილებში. პური ისევე კარგი ყოფილა, როგორც სხვაგან დედამიწის ზურგზე იყო. ხილეულიც საქართველოში ყოველგვარი და საუცხოვო ჰქონიათ² (*Voyages de Mr. Le chevalier Chardin en Perse et autres lieux de l'orient, Paris, 1723 წ. გამ., t. II, 127*).

XVII ს-შიც, შაჰაბაზისაგან საქართველოს აოხრების შემდგომაც, ტფილისში, შარდენის მოწმობით, დროს გასატარებელი ადგილები და მშვენიერი ბაღები ყოფილა. საუკეთესო და უდიდესი ბაღი, რა თქმა უნდა, მეფესა ჰქონია, რომელშიც იმდენად ხეხილის ხეები არ ყოფილა დარგული, რამდენადაც თვალის მოსახიბლავად და ბაღის გასამშვენიერებლად, დამაჩრდილებელი და გამაგრილებელი ხეებით ჰქონიათ სავსე. იქვე მრავალი ყოველგვარი ფრინველით სავსე საფრინველე ჰქონიათ³ (*Voyages en Perse, t. II, 160*).

XVII ს. დამლევსაც ტფილისისა და მისი მიდამოების ბაღებს ფრანგთა ცნობილ მეცნიერ ბოტანიკოს აკად. ტურნეფორ-ზე კარგი შთაბეჭდილება მოუხდენია. მისი სიტყვითაც ქართლის მეფის სასახლის ბაღი და საფრინველე იმად ღირდა, რომ აღამიანს ენახა და დაეთვალეობინა. კარგი ყოფილა გარეთუბნის ბაღებიც. საერთოდ, მისი მოწმობით, ბაღები საქართველოში გაცილებით უფრო უკეთესად ყოფილა გაშენებულ-მოვლილი, ვიდრე ოსმალეთში, რომელიც მაშინ უდიდეს და უუმდიდრეს სახელმწიფოდ ითვლებოდა (*Relation d'un voyage du Levant, Lyon, 1717 წ. გამ., t. III, 171*).

საქართველოს ნაყოფიერებისა და ყვავილ-მცენარეულობით შემკულობის ზოგადი დახასიათების გარდა, ვახუშტს XVIII ს. პირველ ნახევარში აღნიშნული აქვს, რომ, ისევე როგორც სხვაგანაც, მეტადრე ტფილისში „გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოვლისა ხილითა და ყვავილითა სავსე“ იყო (გ. გრფა, 192).

ქ. გორშიც როსტომ მეფისაგან აგებული სასახლე ყოფილა „წალკოტ-სავარდითა, დიდი, ავაზანნი წყლიანნი დიდ-დიდნი მშვენიერნი“. ხოლო ქალაქს „გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი“-ო (იქვე, 246).

ტფილისის ზემო და ქვემო გარეთუბნები, დირსიჭალა, ორთაჭალა, კრწანისი, სეითაბადი და ვერე მთლად ბაღებით იყო მოფენილი XVIII ს. დამლევსაც კი (იხ. ტფილ. ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნი: ს. ქს სძვ. ლნი, II, 526—527).

სხვადასხვა ავტორთა და წყაროებითგან ზემომოყვანილი ცნობები დაარწმუნებდნენ აღამიანს, რომ პოლიტიკური და კულტურული დაქვეითების ხანაშიც მებოსტნეობა-მებაღეობა საქართველოში საკმაოდ მაღალ დონეზე ყოფი-

² ...„Les terres... arrosées... produisent abondamment toute sorte de grains, de legumes et de fruits. La Géorgie est un pais fertile autant qu'il se peut. . Le pain y est aussi bon qu'en lieu du monde. Les fruits y sont excellens, il y en a de toutes sortes“.

³ „Les dehors de Tiflis sont ornez de plusieurs maisons de plaisance et de plusieurs beaux jardins. Les plus grand est celui du Prince, il a peu d'arbres fruitiers; mais il est rempli de ceux qui servent à l'embellissement des jardins et à y conserver l'ombre, et la fraicheur“ (*Voyages en Perse, t. II, 160*).

ლა. ადვილი წარმოსადგენელია, თუ რამდენად დაწინაურებული უნდა ყოფილიყო სასოფლო მეურნეობის ეს დარგი წინათ, როდესაც გაერთიანებული საქართველო ძლიერი იყო და მახლობელი აღმოსავლეთის ჰეგემონია ხელთ ჰქონდა მართო პოლიტიკურად კი არა, არამედ კულტურულადაც.

უძველესი და მერმინდელი დროის საუკეთესო ხელთნაწერების დროთა განმავლობაში დაღუპვის გამო, საქართველოს კულტურული ძლიერების ხანის მტილ-სამოთხის დამსურათებელი ნახატის დასახელება არ შემოიძლიან, ქილილა და დამანას XVIII ს. დამდეგის ქართულ ხელთნაწერში კი ბაღების ექვსი ერთად მოთავსებული, ფერადებით დახატული მშვენიერი სურათია დაცული.

§ 5. მებაღეობის დონე დასავლეთ საქართველოში XVII—XVIII სს-ში

პოლიტიკური და კულტურული დაკნინების ხანაში მებოსტნეობა-მეხილეობის ხელოვნება დასავლეთ საქართველოში პირიქით საგრძნობლად დაქვეითებული მოჩანს. თუმცა ხალხი მეხილეობასა და მევენახეობას იქაც ხალისიანად მისდევდა, მაგრამ შედარებით მცირე ოდენობით და პატარა სარბიელით.

რუსთა დესპანების ცნობით, XVII ს. ქუთაისში მეფის სასახლის პალატიდან კარი პირდაპირ ეზოში გადიოდა, სადაც უშველებელი ჭანდარი მდგარა. ამ ჭანდრის ქვეშ თლილი ქვის გრძელი და განიერი დასაჯდომი ყოფილა, რომელსაც თურმე ოთხ ხის საყრდნობზე დამყარებული ფანჩატური ჰფარავდა (იხ. სტოლ. ტოლოჩანოვისა და დიაკი იევლევის ელჩობა იმერეთში, 1650—52 წ., გვ. 73).

სასახლის წინ მდებარე ხეებიანი ეზოს გარდა, ქალაქის გალავანს იქით მეფის ბაღი ყოფილა, რომელშიც ყოველგვარი ხეხილი მდგარა⁴ (იქვე, გვ. 144), მაგრამ სავარდე არ არის მოხსენებული.

სოფლის მოსახლეობა წყაროების მახლობლად იყო შორიშორს დამკვიდრებული: ორ-ორი, სამ-სამი, ათი, ოცი და მეტი კომლი ერთად. მაგრამ ყოველ მეკომურს თავის სახლთანვე კარმიდამო და ეზო ჰქონდა (იქვე, გვ. 187).

დასავლეთ საქართველოს მებაღეობის გასათვალისწინებლად ქართველ გეოგრაფს შემდეგი საგულისხმო დაკვირება მოეპოვება. ვახუშტი ამბობს: იმერეთში „წალკოტნი არა არიან, არამედ ვენახის კიდურთა ზედა ხილნი მრავალნი“ აქვთ დარგულიო. წალკოტთა უქონლობის მიზეზად იმ გარემოებას ასახელებს, რომ იქ ხეხილნი „ტყეთა შინა მრავლობს ყოველნი“-ო (გვ. 340).

რუს ელჩებსაც, ტოლოჩანოვსა და იევლევს, აღნიშნული აქვთ, რომ იმერეთში ყოველი მოსახლის ეზოსა და კარმიდამოს ირგვლივ და გარეშემო ხეხილი და ვაზი იყო ხოლმე დარგული ისე, რომ ხეხილის სისშირისაგან სახლები არ ჩანდა თურმე („ელჩობა იმერეთში“, 1650—2 წ., გვ. 187)⁵. ამნაირად, ცალკე ბაღ-ვენახი კი არ ჰქონდათ, არამედ სახლის კარმიდამო და ეზო იმავე

⁴ «За городовую стеною сад Александра царя, а в саду всякие овощные деревья».

⁵ «Около у всякого двора обсаживано овощным деревьем всяким и виноградом. И стоят что в лесу: не видно» (იქვე).

დროს ჩვეულებრივ ხეხილისა და ვაზის მოსაყვანადაც ყოფილა გამოყენებული. ასეთ პირობებში მებაღეობა-მუხუნახობის ოდნავად მაინც ინტენსიური კულტურის წარმოება, რა თქმა უნდა, სრულებით შეუძლებელი იყო.

ისევე, როგორც მთელ დასავლეთ საქართველოში, სამეგრელოშიც მოსახლეობის წესი თავისებური იყო და ამიტომ, ნაწილობრივ ამასთან დაკავშირებით, მებაღეობისათვისაც განსხვავებული პირობები არსებობდა. არქ. ლამბერტი ამბობს: „ყოველ მეგრულს ისეთი დიდი ეზო აქვს, რომ მიწდორს წარმოადგენს. ეზოში იზრდება მხოლოდ კარგი ბალახი და იქ ბალახ-ბულახს ვერ ნახავთ, ყოველ მოსახლეს თავი მოსწონს ეზოს სისუფთავით. ეზოს არტყია გარეშემო თხრილი და ღობე. ყოველი მოსახლე ცდილობს, რომ, რაც შეიძლება, მშვენიერი ღობე გააქეთოს“, რომელიც წნელით დამაგრებული მაგარი სარებისაგან კეთდება. შესავალთან ბქისკარი იყო, რომელზედაც „გამოქანდაკებულია სხვადასხვა სახე პირუტყვებისა, ან სხვის რისამე. თუმცა ყოველივე ეს ტლანქად არის გაკეთებული, მაგრამ რაღაც სოფლის სილამაზე მაინც აძლევს ნაწარმოებს“-ო (სამეგრ. აღწერა, 39—40).

ამ დიდ ეზოებში ჩრდილის გულისათვის სხვადასხვა ხეები ყოფილა დარგული. ამ ხეებს სხვადასხვანაირად რგავენ: ზოგიერთს სიგრძეზე მწკრივად გააყოლებენ, რომ დღის განმავლობაში კაცს შეეძლოს, როცა მოისურვებს, ჩრდილის ქვეშ გაისეირნოს. — „ზოგიერთებს კი ირგვლივ, წრესავით რგავენ, რომ მრავალს კაცს ერთად შეეძლოს ჩრდილს ქვეშ მოთავსდეს და პური ჭამოს, ან მოისვენოს, თუ მოისურვებს“-ო (სამეგრ. აღწერა, 40).

არქ. ლამბერტის მოწმობით, სამეგრელოში პატარა ბაღებსაც აკეთებდენ, მაგრამ მოვლა-დამუშავებით ბაღები კარგი ჰქონიათ: გლეხებიც, ვინც მებაღეობის კეთილგანწყობილებას მოკლებული არ არიან, „მშვენიერ ბაღებს აკეთებენ“-ო (სამეგრ. აღწ., 59).

თავი IV. მტილ-სამოთხისა და ხალ-წალკობის მოვლა-პატრონობის ორგანიზაცია

§ 1. მომვლელის სახელი და მოვალეობა

ცხადია, რომ კარგად მოწყობილსა და ინტენსიურ მეურნეობაში მტილ-სამოთხისა და შემდეგ ხალ-წალკოტ-ვენახისათვის სათანადოდ მომზადებული პირები უნდა ჰყოლოდათ, რომელნიც ამ რთულ საქმეს პირნათლად გაუძღვებოდნენ. რა თქმა უნდა. ამას გარდა შესაფერისი მოწყობილობა და მუშაობის გეგმა და წესრიგიც ექმნებოდათ. ამიტომ საგულისხმოც იქმნებოდა და საჭიროც, რომ ძველ საქართველოში მებოსტნეობა-მებაღეობის ტექნიკური ორგანიზაციის გათვალისწინება შეგვეძლებოდა. მართალია, ამის შესახებ ბევრი არაფერი მოგვეპოვება, მაგრამ იმ ორიოდვე ცნობის მიხედვითაც, რომელმაც ჩვენამდის მოაღწია, ზოგი რამის გამორკვევა მაინც შეიძლება.

მტილის მომვლელს ძველ საქართველოში „მემტილე“-ს ეძახდნენ. ეს სიტყვა იოანეს 20¹⁵-შია ნახმარი და უდრის ბერძნულს ἡ κηραιοπρόξ-ს, „კეპუროს“-ს, ლათინურს hortulanus-სა და სომხურს պարտիգպան-ს, სამივე მებაღესა ჰნიშნავს.

შატბერდისეული წა ნინოს ცხორების ავტორის მოთხრობითგან ჩანს, რომ IV ს-ში მეფის სასახლესთან მდებარე ბაღსაც, რომელსაც მაშინდელი ქართული ტერმინოლოგიით სამოთხე ეწოდებოდა, გალავანი თუ არა, ღობე მაინც უნდა ჰქონოდა. მას ჰქონია „კარი სამოთხისაჲ“ და განსაკუთრებული მცველიც ჰყოლია, რომელსაც „სამოთხისა მცველი“ ეწოდება. საცხოვრებელად მას იქვე კართან „სახლაკი მცირეჲ“ სდგმია. წა ნინოს ნათქვამი აქვს: „მი-რამ-ვედ კარსა ზედა სამოთხისასა იყო სახლაკი მცირეჲ სამოთხის მცველისაჲ“-ო (Опис., II, 756).



სურ. 3. ბაღის ბარჯა და მებაღე. გადმოღებულია XVII ს. პირველი ნახევრის ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთიდან (საქ-ოს მუზეუმის № H-2074, გვ. 185 A)

„მეწალკოტე“, ცხადია, წალკოტის გამშენებელი, ან მომვლელი იყო. როდესაც წალკოტად საყვავილე იგულისხმებოდა, მაშინ მის მოვალეობას ვარდყვავილების რგვა-პატრონობა შეადგენდა: „მე იგი მეწალკოტე ვარ ვარდისა მწერგავი“-ო (ვისრამიანი, 129). მეწალკოტის დიდი შრომა და მოთმინებით აღსავსე მუშაობა ვისრამიანის ავტორს მშვენიერად აქვს დასურათებული: „მეწალკოტესა... მას ჰხედავ თუ, რა დარგოს, რაზომსა ჳირსა ნახავს მოკრეფამდინ: ღლე და ღამე ჳირსა და კაზმასა შიგან არის, კელსა ეკალი ესობის ამისითა იმედითა, თუ ვარდი ოდესმე გამოისხმისო“ (გვ. 299). ასეთივე და უფრო მეტიც შრომა, ყოველდღიური თვალყურის დევნება და მოთმინება სჭირდებოდა სამოთხის მცველს, მებაღეს და მევენახესაც.

§ 2. ვენახ-ბაღის დაცვის საშუალებანი

სამოთხეს, ვენახსა და მტილს დაცვა სჭირდებოდა. ამისთვის კეთდებოდა „ღობე“ და „ზღუდე“. ესააჲს 5-ში სწერია: „აწ უკუეჲ მიგიტხრა თქუენ, თუ რამა უყო მე ვენახსა ჩემსა: მოვძარცო ღობე მისი და იყოს დასატაცებელ, და

დავარდვით ზღუდე მისი და იყოს დასათრგუნველ“-ო. მაშასადამე, უზღუდოთ ვენახ-მტილი დაითრგუნებოდა და განადგურდებოდა, უღობოდაც შიგ მყოფ ხილ-მტილელს დაიტაცებდნ.

„ღობე“ ბერძნ. ὁ φαρμακός-ს ეთანასწორება, ხოლო ლათინ. *sepes*-ს და სომხ. *ყახი*-ს. „ზღუდე“ კიდევ უღრის ბერძნ. τὸ εἶχμα-ს, ლათინ. *maceria*-სა და სომხ. *ყარჩიყ*-ს. ბერძნული, ლათინური და ქართული სიტყვების მნიშვნელობა ერთმანერისას ზედმიწევნით უღებება, სომხური კი კედელსა ჰნიშნავს.

მტილსა და სამოთხეს ისევე, როგორც წალკოტსა და შემდეგში ბალ-ბოსტანსაც, როგორც დავრწმუნდით, თავისი მომვლელ-დამმუშავებელი გააჩნდათ. ბოსტნეულსაც და ბალ-ვენახებს, ისევე როგორც წალკოტებსაც, თავ-თავისი მტრები და მავნებლები ჰყავდა, რაზედაც სათანადო ადგილს გვექმნება საუბარი. წა ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორსაც მოთხრობილი აქვს, რომ მეფის სასახლის სამოთხეში „მფრინველნი ცისანი... მოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა (იგულისხმება ბაბილოს ყურძნის მტევნები) მას მოისთულებდიან და ყუაველსა მას ძოვდიან“-ო (Опис., II, 757—758).

ხილეულისა და საერთოდ მტილ-სამოთხის ფრინველებისაგან დასაცავად ძველადვე მათი დაშინება იყო მიღებული. ამიტომ ფრინველების შესაშინებლად და ხეხილის დასაცავად მტილში „საფრთხოლი“ კეთდებოდა. მაგრამ ხშირად ესეც ვერაფერს ჰრგებდა ხოლმე. ბარუქის 66-ის ქართულ თარგმანში მაგ. ნათქვამია: „ვითარცა მტილსა შინა საფრთხოლმან ვერა რა დაიცვის“-ო „საფრთხოლი“ ბერძნ. *φοβησθησεν*-ს (ფერემის ეპისტ., 69), ლათინ. *formido*-ს უღრის.

§ 8. წალკოტ-ბალების დაგეგმულობა და დანაწილება

მემტილეობა და მებაღეობა ისევე, როგორც შევენახეობა მიწისმოქმედი-საგან გეგმიან მუშაობას თხოულობდა: ბოსტნეული და ხეები ისევე, როგორც ვაზი, უნდა სათანადოდ და გარკვეულ რიგზე ყოფილიყო დარგულ-დათესილი. სამოთხესა და წალკოტში, ბალშიც გზები უნდა ყოფილიყო და საჩრდილობელი და დასასვენებელი ადგილები გაეკეთებინათ და მოეწყათ. გარკვეული გეგმის გარეშე, რა თქმა უნდა, ამის განხორციელება არ შეიძლებოდა.

მეწალკოტეობა და მებაღეობა იმდენად მჭიდროდ იყო ასეთ გეგმიან მუშაობასთან დაკავშირებული, რომ ამის წყალობით განსაკუთრებული ტერმინიც კი შექმნილა. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ „დაწალიკება“, ს. ორბელიანის განმარტებით, თურმე „წკრივად წასლვა“-ს აღმნიშვნელად (ლექსიკ.) ქცეულა. რაკი „და“ თანდებულია და „ება“ ფორმანტია, ამიტომ უნდა დაეასკვნათ. რომ „წკრივადობის“ აზრის მიმცემი თვით „წალიკ“-ი უნდა იყოს. მაგრამ რაკი „წალიკა“ ბალახ-ყვავილსა ჰნიშნავდა და შემდეგ წალკოტში ყვავილ-ხეხილის ბალსაც, საფიქრებელი ხდება, რომ „დაწალიკება“-ს გამწკრივების მნიშვნელობა მხოლოდ იმიტომ შესაძლებელი იყო მისცემოდა, რომ ბოსტანსა, საყვავილესა და ხეხილის ბალში ხეებს მწკრივად რგავდნ ხოლმე. ამგვარად, ბალი გარკვეული გეგმაზე და სისტემით ყოფილა გაშენებული. მართლაც, საკმარისია აღამიანმა თვალი გადაავლოს ქართულ ხელთნაწერითგან მოყვანილ წალკოტ-ბალების სურათებს, რომ დარწმუნდეს, თუ როგორი სიმკაც-

რით დაცული ყოფილა მაშინ ნაძვ-კვიბაროზების მწკრივადობა და როგორი სისწორით გაყვანილი ყოფილა იქ გზები.

მტილი, ანუ ბოსტანი, ამას გარდა, ფართობის დაკვალვასაც მოითხოვდა და ბოსტნის კვლებისათვის სათანადო ტერმინიც არსებულა, „ყუერბი“. ეს სიტყვა 2 შჯულთა 1111-ში არის ნახმარი: „რაჟჟამს დასთესიან თესლი და მორწყიან, ფერკითა მათითა განქმნიან ყუერბი მტილისა“-ო. ქართული „ყუერბი მტილისა“-ს სრული შესატყვისობა სხვა თარგმანებში არა ჩანს: ბერძნულად ნათქვამია „ἄνευ κήπου λαχαινεύς“, ლათინურად „in hortorum morem“, სომხურად კი „ჩիրის დჟიორისიჲ მონჯარიჲ თუ „მტილი“ κήπος-ს, hortus-ს და ყარითხ-ს უდრის, ე. ი. ყველგან მართლაც ბაღი, ანუ მტილი სწერია, ბერძნული Λαχαινεύς ბაღას, ბოსტნულს ჰნიშნავს, სომხური მონჯარიჲ-ც იმავე ცნების გამომხატველია, ლათინურ კი hortus წესსა ჰნიშნავს, ბაღის წესისაებრთ.

ამგვარად, ქართველ მთარგმნელს ეს ადგილი თავისებურად გაუგია: „ფერკითა განქმნა“ ფეხით გასწორებას ჰნიშნავს. დაბადების ეს ტექსტი, რაკი წინ თესლის დათესაზეა საუბარი, ქართველ მთარგმნელს ისე გაუგია, რომ დათესის შემდგომ მტილის სათანადო ადგილი ფეხით იყო გასწორებული. ქართული თარგმანის ამ წინადადებაში აზრის მიმდინარეობით „ყუერბი მტილისა“ შესაძლებელია მართლაც მხოლოდ ბაღის კვალს ჰნიშნავდეს. საგულისხმოა, რომ ს. ორბელიანსაც „ყუერბი“ ასევე აქვს განმარტებული: „ესე არს საცეცხლე კერის ადგილი, გინა ბოსტნისა მარგი“ (ლექსიკ.), ანუ კვალიო.

თავი V. ნიადაგთმცოდნეობის საბანძური და დონე ძველ საქართველოში

თავ-თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ძველ ქართულში ისეთი ტერმინებიც არსებობდა, რომელნიც მიწის ამათუიმ სამეურნეო დანიშნულებისათვის განკუთვნილობას გამოჰხატავდენ: საჯნავი, საყანური, სავენაჯე, სათიბი, საძოვარი და ბეგრი სხვა. ასეთი სიტყვების არსებობა ცხადჰყოფს, რომ მემინდვრობისათვის, თუ ბაღისა, ანუ ვენახის გასაშენებლად განზრახულ მიწას მაშინდელი შეხედულებითაც გარკვეული თვისება უნდა ჰქონოდა.

დაკვირვებასა და მწარე გამოცდილებას ქართველი მიწისმოქმედი დაურწმუნებია, რომ ვაზი ყველგან არ იხარებდა და, თუნდაც რომ ეხარნა, ყველგან კარგ მოსავალს არ მისცემდა მეურნეს. მისი ძალღონე უქმად რომ არ დახარჯულიყო და მისი შრომა დაჯილდოვებულიყო, გაწეული ხარჯებიც აჰნაზღაურებოდა და სარგებლობაც ენახა, ყანა იქმნებოდა თუ ბოსტანი, ბაღი თუ ვენახი, უპირველესად შესაფერის მიწაზე უნდა გაეშენებინა.

მიწის შესაფერისობა, რასაკვირველია, უმეტესად ნიადაგის გარკვეულ თვისებაზე იყო და არის ეხლაც დამოკიდებული. ზემომოყვანილი ტერმინების არსებობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ პრაქტიკული დაკვირვება-გამოცდილებით მოპოვებული ნიადაგთმცოდნეობის გარკვეული დონე ძველ საქართველოში ყოფილა. ამ ცოდნის მთელი ოდენობის გამორკვევა ამჟამად აღარ შეიძლება, მაგრამ ნიადაგის სხვადასხვა თვისების აღსანიშნავად ძველ საქარ-

თველოში განკუთვნილი სიტყვების ანალიზი, ხალხში გადმოცემით დაცული დაკვირვების შესწავლასთან ერთად, ამ ცოდნის ნაწილობრივ მაინც გათვალისწინების საშუალებას მოგვცემს.

სამწუხაროდ, ნიადაგის თვისების დამახასიათებელი ძველ ქართულში არსებული ტერმინების შესწავლა არავის ფიქრად არ მოსვლია. XIX ს. დამლევეს კი საქართველოს სხვადასხვა თემში ხალხში გავრცელებული ზოგიერთი ასეთი სიტყვა მევენახეობის იმდროინდელი მდგომარეობის შემსწავლელთა ნაშრომებში მოიპოვება. მაგრამ ყველა ავტორი თავის მოვალეობას ერთნაირად არ მოჰპყრობია, ამიტომ საქართველოს მხოლოდ ზოგიერთი თემის შესახებაა ცნობები ცოტად თუ ბევრად დამაკმაყოფილებელი.

არც ერთი ამ შემკრებელთაგანი შეგროვილ მასალაში გარკვევას არ ცდილა. პირიქით, მომეტებული მათგანი ჩიოდა, რომ სხვადასხვა შედგენილობათვისების ნიადაგს ხალხში ერთი და იგივე სახელი ეწოდება, ანდა რომ ერთი და იმავე თვისების ნიადაგს სხვადასხვა სოფელში სხვადასხვა სახელს ეძახიან, რომ სახელებს რევენო (СѢСВѢГВѢДК, III, 8, 37). ეს აზრი მეტად გაზვიადებულია და, როგორც დავრწმუნდებით, უმთავრესად საკითხის სათანადოდ შეუსწავლელობის შედეგს წარმოადგენს.

ნიადაგის თვისების აღმნიშვნელი სახელები წყაროებში მაინც ბლომად მოგვეპოვება: შავი მიწა, წითელი მიწა, ყვითელი მიწა, უჩა-ღიხა, დიხაშხო, ტრედისფერი მიწა, მიწალები, ჭინჭიბური, დობერა, ანუ დობირა, დიხაჭუბერი, ხირხატი, ხინჭყონა, ლისი მიწა, სახრო, ოროკი, ეწერი და სხვაც არა ერთი. არც ერთ შემგროვებელ-დამმუშავებელთაგანს არ უცდია ამ სახელებს ჩაჰკვირვებოდა და მათი მნიშვნელობა გაეგო, უამისოდ კი მთელი ეს მასალა მართლაც თავბრუდამსხმელ შთაბეჭდილებას ატანს. ასეთ პარობებში რაიმე ზოგადი აზრის გარკვევა, რა თქმა უნდა, სრულებით შეუძლებელი იყო.

რამდენადაც მებაღეობა-მევენახეობის დონის გათვალისწინებისათვის ეს საჭიროა და ნიადაგთმცოდნეობის მაშინდელი მინიმუმის გასაგებად გამოდგება, ნიადაგის დამახასიათებელი ტერმინების, მნიშვნელობისა და ტერმინოლოგიის სისტემის ცოდნა საჭიროა.

ნიადაგის თვისების აღმნიშვნელი ტერმინოლოგიის შესწავლამ დამარწმუნა, რომ ყველა არსებული სახელი შესაძლებელია და უნდა კიდევაც რამდენიმე მთავარ ჯგუფად დაიყოს. ტერმინების ერთი ჯგუფი ნიადაგს მისი ფერისდა მიხედვით გვიხასიათებს, ტერმინების სხვა ჯგუფი მიწის ნიადაგის ფიზიკური შედგენილობის მთავარი ნაწილის აღმნიშვნელია. არსებობს სახელების ისეთი ჯგუფიც, რომელიც მიწის ჰიდროგრაფიული მდგომარეობისა, ან ტოპოგრაფიული თვისების გამოხატველია. დასასრულ, ტერმინთა ერთი ჯგუფი ნიადაგის სამეურნეო ღირებულების შეფასებას წარმოადგენს.

სწორედ ამნაირ ჯგუფებად დალაგებული და განხილული გვაქვს ყველა ის საკმარის მრავალრიცხოვანი სახელი, რომელიც ნიადაგის თვისებებს დასახასიათებლად ძველად იხმარებოდა და, ვითარცა წარსულისაგან ნაანდერძევი კულტურული განძი, XIX ს-შიც იყო ხალხში შერჩენილი.

§ 1. ნიადაგის ფერის მხრივ დამახასიათებელი ტერმინები

შავი მიწა კახეთში პირველხარისხოვან ნიადაგად ითვლება. ასეთი სახელი ნო-შომპალათი გაპოხიერებულ (оногашенная до некоторой степени перегноем) თიხნარ-კირიან მიწას ეწოდება (ა. ფირალოვი და ს. შვეერდოვი, ОчВгВд Кახети: СбСвВгВдК, VII, 18), რომელსაც შავი ფერი აქვს და რომელიც ღონიერი და მოსავლიანია. ნიადაგის უაღრესი თვისების აღსანიშნავად შავი მიწა საქართველოს სხვა თემებშიც იხმარება, მაგ. ქართლსა, რაჭაში და ლეჩხუმში (იხ. ე. დანდეროვი, ВгВд Рачин. у: СбСвВгВдК, III, 37.—ა. იაკოვლევის ВгВд в Лечхум. у. იქვე, III, 74).

ასეთივე სახელი ეწოდება ამნაირი თვისების ნიადაგს მეგრულადაც, სადაც ამ ცნების გამოსახატავად უჩა-დიხა-ს, ე. ი. შავ-მიწას ჰხმარობენ. გურიაში კი ამის შესატყვისად დიხაშხო-ა ტერმინად მიღებული (ერმ. ნაკაშიძე, ОчВгВдГ и Мг.: СбСвВгВдК, IV, 62).

დიხაშხო-დ და უჩა-დიხა-დ, ანუ შავ-მიწად გურიასა და სამეგრელოში ხალხი ისეთ თიხნარს, ანუ ქვიშნარს ნიადაგს უწოდებს, რომელიც საკმაო სიღრმეზე შავი მიწის, ანუ ნოშომპალას (перегноя) შემცველია. დიხაშხო, ანუ უჩა-დიხა, შავი მიწა, მეტად მოსავლიანია და როგორც პურეულის მოსაყვანად არის გამოსადეგი, ისევე ვაზის გასაშენებლადაც (ერმ. ნაკაშიძე, ОчВгВдГ и Мг.: СбСвВгВдК, IV, 62).

დიხაშხო იმერულსა და რაჭულ თქმაშიც მოიპოვება, სადაც ასეთი სახელი „კარგი, მოსავლიანი მიწი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა (იხ. ვ. ბერიძის სიტყვისკონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 1912 წ., გვ. 11).

დიხაშხო იმერეთში გეოგრაფიულ სახელადაც კია ქცეული: ქუთაისის სანახებში ერთი სოფელია, რომელსაც დიხაშხო ეწოდება (რუს. 5-ვერსიან რუკაზე Дихашход-დ არის აღნიშნული) და რიონის სამხრეთის შემდინარის სულორის ხეობაში, სალხინოს სამხრეთით მდებარეობს.

ამაზე უფრო საგულისხმო გარემოებაა, რომ ტერმინი დიხაშხო წინათ აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა ცნობილი. დიხაშხო ძველად ქართულ სამწერლობო ენაშიც არსებობდა. ეს ს. ორბელიანის ლექსიკონითგანაც ჩანს, სადაც ეს სიტყვა შეტანილია. საბას განმარტებით, „დიხაშხო“ არის „მიწა დახეთქილი და ავად გამოგვალული“. საითგან აქვს იგი საბას ამოღებული და რამდენად სწორეა ეს განმარტება, ანდა, თუ სწორეა, რატომ მიენიჭა ამ ტერმინს ასეთი მნიშვნელობა, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

იმისდა მიუხედავად, რომ ასეთი სიტყვა თანამედროვე მეგრულს, არსებული ლექსიკონებისა და მიხედვით, არ მოეპოვება და მხოლოდ გურულსა, იმერულსა და სამწერლობო ქართულს აქვს დაცული, დიხაშხო-ც, უჩა-დიხასავით, მეგრულია. ეს ტერმინი დიხაშხო-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. მისი პირველი ნაწილი იგივე დიხა-ა, მიწის აღსანიშნავად რომ იხმარება. შხუ მეგრულად მსხვილი-ს შესატყვისობას წარმოადგენს და მსხვილსავე და მსუქანსაც ჰნიშნავს. ამნაირად, ცხადი ხდება, რომ თავდაპირველად დიხაშხო მსუქანი, პოხიერი მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ისევე, როგორც ეხლაც, შავ-მიწაზე, მოსავლიან და კარგ მიწაზე ამბობენ „მსუქანი მიწა“-აო, ასევე იქმნებოდა მეგრულშიც: „უჩა-დიხა“-ს შავი-მიწას პარალელურ სახელად დიხაშხო-ც, ე. ი. მსუქანი მიწა-ც იქმნებოდა და დიხაშხო-ა: სახით თანამედროვე გურულს,

იმერულს თქმებსა და ზოგად ქართულსაც სწორედ ეს ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილი ტერმინი აქვს დაცული.

ამნაირად ირკვევა, რომ დიხაშხო მეგრული უჩა-დიხას, ანუ შავი მიწის სრულ შესატყვისობას არ წარმოადგენს: უჩა-დიხა და შავი-მიწა ნიადაგის ფერის დამახასიათებელ ტერმინთა ჯგუფს ეკუთვნის, დიხაშხო კი ნიადაგის ღირსების გამომხატველ ტერმინთა ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს. მაშასადამე, უჩა-დიხა და დიხაშხო ერთი და იმავე და მსგავსი თვისების ნიადაგის ორი სხვადასხვა თვალსაზრისით დამახასიათებელი სახელები ყოფილა.

ქართველი მიწისმომქმედი კირნარევი-თიხნარ ნიადაგს კახეთში ყვითელ მიწა-ს უწოდებს (ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი, ОчВгВд Кахетин: СсСвВгВдК, VII, 18).

წითელი მიწა ნიადაგის სახელად ვახუშტს აქვს თავის გეოგრაფიაში ნახმარი. მისი განმარტებით, ყვირილის შემდინარემ, წყალწითელამ, მიიღო, „მოიგო სახელი წითლის მიწისაგან, რამეთუ მას ზედა დინებითა წითლდების“-ო (გვ. 356).

წითელი მიწა-ს სახელს კახეთში რკინა-ნარევი თიხნარ ნიადაგს უწოდებენ (ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი, ОчВгВд Кахетин: СсСвВгВдК, VII, 18). ასეთ სახელს ნიადაგის თვისების დასახასიათებლად აღმოსავლეთ საქართველოს მარტო ამ თემში კი არ ხმარობენ, არამედ ეს და ამის მსგავსი ტერმინი დასავლეთ საქართველოშიც არის გავრცელებული. მაგ. რაჭაშიც ნიადაგის გარკვეული თვისების დასახასიათებლად წითელ მიწა-ს ხმარობენ (ე. დანდუროვი, ВгВд в Рачин. у: СсСвВгВдК, III, 37). სამწუხაროდ, ამ ცნობის ჩამწერს წითელი მიწის თვისებები აღნიშნული არა აქვს. დასასრულს, ნიადაგის დამახასიათებელი ასეთი სახელი საქართველოს უკიდურეს დასავლეთ თემშიც, სამეგრელოშიცაა, სადაც კითა დიხა-ს ეძახიან. ეს სახელი „წითელ მიწა“-ს ჰნიშნავს.

ერმ. ნაკაშიძის ცნობით, „კითა დიხა თითქოს თიხიან, მწიბე, ღია ფერად შელებილ და ნუშომპალას ნაკლები ოდენობის შემცველი (с меньшим содержанием пергноя) თიხიანი ქვენიადგის მჭონებელი ადგილის აღმნიშვნელი იყო (ОчВгВдГ и Мг: СсСвВгВдК, IV, 61). მაგრამ თვით სახელი მეგრულად წითელ მიწას ჰნიშნავს და უეჭველია ასეთი ფერის ნიადაგის აღმნიშვნელი უნდა იყოს კიდევაც.

ერმ. ნაკაშიძისავე სიტყვით მეგრული კითა დიხა-ს შესატყვისად გურიაში „კინკიბური“-ა („Чинкибури“) გავრცელებული (იქვე: СсСвВгВдК, IV, 61).

კინკიბური არც საბასა და არც თანამედროვე ლექსიკოგრაფებს არ მოეპოვებათ. ეს, ან ამის მსგავსი სიტყვა არც მეგრულსა და ქანურში ჩანს, ამიტომაც, მისი თავდაპირველი მნიშვნელობის გამოსარკვევად, ამ ტერმინის ეტიმოლოგიის ცოდნაა საჭირო, მაგრამ ჯერჯერობით მისი გზა და კვალი არ ჩანს⁶.

⁶ კინკიბორი, გრ. ქანის ვილის ცნობით, რომელიც მოსან ოს. გრ იშ აშ ვ ი - დ ი ს ხელით მივიღე და რომლისთვისაც ორთავეს დიდ მადლობას მოვახსენებ, „აგურისფერი, მოყვითალო მიწა, ნაკლებ ნოყიერი. წებოსავითაა, თიხიანი, ზემო აპკი ვაფხვიერებული აქვს. წაგავს ეწეროვან ნიადაგს. გლეხები ამბობენ: „წელი მომწყდა კინკიბორის მუშაობაზე“-ო, ერთ-ორ ბარს რომ დაჰკრავენ, მერმე ბარი ვერ ჩაჰყავთ, თუ წყალში არ დაასველეს. მაგარი სამუშაოა. უნაყოფო მიწა იყო: წინეთ გეძრა იზრდებოდა და მალღარი, ნახევრად ველური, ვენახიც ხარობდა, ახლა კი დამყნულ ვახსაც აშენებენ, თუ ჩრდილოვანი ადგილია ქაობს აჩენს“-ო.

სამეგრელოში ნიადაგის ერთ-ერთ სახელად დინა-კუბერი-ც არსებობს. ეს სიტყვა, პროფ. იოს. ყიფშიძის ცნობით, ეწოდება „თეთრ მიწას, რომელსაც საბნის მაგიერ თავის დასაბანად ჰხმარობენ“-ო (მეგრ. გრ. ლექსიკ., 227). თავის-დათავად „დინა კუბერი“ თეთრ მიწას არ ჰნიშნავს. ამ ტერმინის მეორე ნაწილი კუბერი ალბათ კუბური-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, კუბური კი წაბლის ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. ჰანურად წაბლს სწორედ კუბერი ეწოდება, მაგრამ კუბური-ც იხმარება (ჰ. გ.). ამნაირად, საფიქრებელია, რომ დინა-კუბერი თავდაპირველად მიწა-წაბლის, ე. ი. წაბლისფერი მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. თუ ჩვენი მოსაზრება მცდარი არ არის, ამიტომ თავის საბანი მიწა თეთრი კი არა, მკრთალი წაბლისფერი მაინც უნდა იყოს.

კახეთში ნიადაგის თვისების დასახასიათებლად მიწისმოქმედნი „ტრედის-ფერ-მიწა“-საც ხმარობენ. ასეთი სახელი ეწოდება ნიადაგს, რომლის მნიშვნელოვან შენარევსაც კირი შეადგენს და კირის ფიქლების ნამსხვრევს შეიცავს („обломков известковых сланцев“: ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი, Очерк ВгВд Кахетини: СбСвВгВдК, VII, 18).

მიწის თვისების ერთ-ერთ სახელად მიწალები-ც იხმარებოდა. ს. ორბელიანის განმარტებით, ეს სახელი არჯასპის სინონიმი: მაგრამ, მისი აზრით, „არჯასპი სომხურია, ქართულად მიწალები ჰქვიან, შესაღებავია“-ო. ამავე ავტორის ნაშრომის მეორე, B, რედაქციაში დამატებულია: „შავი საღებავი მიწა“-ო. ხოლო ამავე რედაქციის მიწალები-ს დანართ განმარტებაში სწერია: „მიწის საპონი“ არისო (ლექსიკ.).

მიწალები ძველი ქართული ტერმინია და ორი ნაწილისა, მიწ-ისა და ლე-ბი-საგან, შესდგება, რომელთაგან მეორე ლურჯსა ჰნიშნავდა. მაშასადამე, მიწალები თავდაპირველად და ძველ ხანაში შავისა კი არა, არამედ ლურჯი მიწის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

§ 2. ნიადაგის შედგენილობის მთავარი ნაწილის აღმნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ნიადაგის თვისების დამახასიათებელ ტერმინთა ერთ ჯგუფს მიწის შედგენილობის მთავარი ნაწილის სახელი აქვს აღბეჭდილი. ცნობილია, რომ ნიადაგი ბევრგან ცოტად თუ ბევრად წვრილი, თუ მსხვილი ქვანარევი არის ხოლმე. ამიტომ ბუნებრივია, რომ მიწის ასეთი თვისებისათვის სოფლის მეურნეს ყურადღება მიექცია და დამახასიათებელ გარემოებად მიაჩნია. ასეც მომხდარა და არა ერთი ტერმინი სწორედ ასეთი ცნების გამომხატველია. მაგრამ მათი თავდაპირველი მნიშვნელობის გასაგებად წინასწარ სხვადასხვა თვისებისა და ოდენობის ქვის ძველი ქართული სახელების ცოდნაა საჭირო. ეს საბა ორბელიანის ნაშრომში მისთვის ჩვეულებრივი სისრულით არის მოყვანილი და განმარტებული.

საბას სიტყვით: „სილა არს ქვა ვითარცა გაცრილი, — ქვიშა ხვარბალთა ოდენი, — კენჭი ცერკუთა ტოლი და უდიდესი, — ღორღი არს ნამტურევი და კენჭთ უდიდესი ვიეთნი, კოჭყს უქმობენ, — ხუნჭა (ც: ღვინჭა) არს კენჭი წყალთა შინა, რიყე არს ქვა-ქვიშა წყლის კიდურისა, კაჭარი არს უწყლოს ადგილის რიყის მსგავსი ქვა“-ო (ლექსიკ.: ქვა). დასასრულ, საბა ამბობს, რომ „თირი არს კლდე ლბილი და ადვილ სათლელი“ (ლექსიკ.).

მაგრამ უკანასკნელი განმარტება იმდენად მკაფიო არ არის, რომ აღდამიანმა თირის ბუნება გაითვალისწინოს. აქ თირის მხოლოდ ორი თვისებაა აღბეჭდილი: ერთი ის, რომ თირი თავისი სიმკვრივით უფრო კლდესა და ქვას მიაგავს, ვიდრე მიწას,—მეორეც ის, რომ, თავისი სიმკვრივისა და მიუხედავად, თირის დამახასიათებელ თვისებას სწორედ სირბილე შეადგენს. ს. ორბელიანს აღნიშნული აქვს, რომ თირი იმდენად რბილია, რომ ადვილი სათლელიც კი არის. რ. ერისთავი თირს რუსულად туг-ად სთარგმნის (მინერ. ლ.) და უეჭველია, სწორედ ასეთი თვისების ნიადაგის აღმნიშვნელია კიდევაც თირი-მიწა.

თირი რომ ქართველ ხალხს კლდედ არ მიაჩნია, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ რაჭაში ნიადაგის თვისების დასახასიათებლად თირი-მიწა-ც იხმარება (ე. დანდუროვი, ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 37). სამწუხაროდ, ამ ცნობის ჩამწერს განმარტებული არა აქვს, თუ რა თვისების ნიადაგს უწოდებს ქართველი მიწისმოქმედი ასეთ სახელს. მისი სიტყვით, სავენახედ გლეხები უფრო თირ-მიწასა და შავ-მიწას ეტანებიან, ვითარცა უფრო ფხვიერ-საო (იქვე).

თირი იმერეთში ეგების ისეთ გეოგრაფიულ სახელში იყოს აღბეჭდილი, როგორცაა მაგ. ქვიტირი, რომელიც წინათ ქუტირა-დ იწოდებოდა და იქნებ ქვათირისაგან უკუქცევითი ასიმილაციის წყალობით არის ქვიტირად შეცვლილი.

სილა-სთან დაკავშირებული ნიადაგის დამახასიათებელი ტერმინი იმერეთშია გავრცელებული, სადაც სილისაგან წარმომდგარ ნიადაგს სილა-მიწა ეწოდება (ერმ. ნაკაშიძე, Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК, III, 8). მაგრამ ეს სიტყვა საქართველოს სხვა კუთხეებშიც არის გავრცელებული. მაგ. გურიანში ამ სიტყვისაგან გეოგრაფიული სახელიც კია ნაწარმოები: იქ არსებობს ერთი ადგილი, რომელსაც სილაური ეწოდება.

სილა-ს გარდა, გაცრილის მსგავსი ქვიშის აღსანიშნავად ლისა-ც იხმარება. ეს სიტყვა რაჭაში ეხლაც არის დაცული (იხ. ვ. ბერიძის სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 27): „ლისა — სილა, წვრილი ქვიშა“-აო. მაგრამ რაჭაში ლისი-მიწა ნიადაგის თვისების აღმნიშვნელ სახელადაც არის მოღებულ (ე. დანდუროვი, ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 37).

თუმცა ს. ორბელიანს ეს სიტყვა არ მოეპოვება, მაგრამ რომ ოდესღაც იგი აღმოსავლეთ საქართველოშიც ყოფილა, ამას ქვემოთმოყვანილი გეოგრაფიული სახელებიც ცხადპყოფენ. მაგ., შიდა ქართლში არსებობს ლისა. ტფილისის მიდამოებშიც არის ადგილი, რომელსაც ლისი ეწოდება, და ლისის ტბა-ც ზომ ტფილისში ყოველ მცხოვრებს ექმნება გაგონილი.

ქვიშიანი-მიწა ნიადაგის აღმნიშვნელ სახელად რაჭაშიცა და, რა თქმა უნდა, სხვაგანაც საქართველოში იხმარება (ე. დანდუროვი, ВгВд в Рачин. у.: СбСв ВгВдК, III, 37), სამეგრელოშიც, დოც. ვარ. თოფურიას სიტყვიერი ცნობით, ქვიშა-ღიხა-ს ხმარობენ.

ეს სიტყვა არა ერთ გეოგრაფიულ სახელშიც არის აღბეჭდილი, მაგ.: ცნობილია ტაშისკარის მახლობლად მდებარე ადგილი, რომელსაც ქვიშხეთის მინდორი ეწოდებოდა. უამთაღმწერელს ნათქვამი აქვს: „დადგეს ტაშისკარს ქვიშხეთის მინდორსა“-ო (*902, გვ. 743). ეხლაც არსებობს სოფელი და აგარაკი, რომელსაც ქვიშხეთი ეწოდება. ღუშეთის სანახებშიც არის ქვიშეთი. სამეგრე-

ლოშიც გვხვდება ამნაირი გეოგრაფიული სახელები. მაგ. შესაძლებელია დასახელებულ იქმნეს ქვიშან-ჭალა სენაკის სანახებში და ქვიშონა.

ქვიანი-მიწა ნიადაგის თვისების დასახასიათებლად რაჭაშია გავრცელებული (ე. დანდუროვი, ВгВд Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 37), მაგრამ ამას გარდა ყველგან სხვაგანაც საქართველოში. ამის მოწმეა მრავალი გეოგრაფიული სახელი, როგორც მაგ., ქვაზვინეთი შორაპნის სანახებში, ქვაყრილი ტფილისის სანახებში, ქვალთი და ქვალიშორი იმერეთში, ქვალონი⁷ სამეგრელოში, ქვაშხიეთი რაჭაში და სხვაც ბევრი.

ხორხი-მიწა ნიადაგის თვისების დამახასიათებელ ტერმინად რაჭაში იხმარება (ე. დანდუროვი, ВгВд Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 37), მაგრამ წინათ ბევრგან სხვაგანაც ყოფილა საქართველოში, ამას არა ერთი გეოგრაფიული სახელიც ცხადყოფს, რომელიც ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში მოიპოვება. მაგ. შესაძლებელია დასახელებულ იქმნეს ხორხეთი კახეთში, ზემო და ქვემო ხორხი, ხორხელა და ხორხისუბანი დღუშეთის ყ. მაზრაში.

ხორხი, უეჭველია, ღორღი-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს და რაკი „ღორღი ქვათ ნალეწი“-ა, ე. ი. ნამსხვრევი ქვაა, ამიტომ ხორხიანი მიწა ღორღიანი ნიადაგის სახელად უნდა ვიგულისხმოთ.

ს. ორბელიანის სიტყვით, „ხირატი ქვავნარი სახნავი მიწა იყო“ (ლექსიკ.). კახეთში კი სახნავ-სავენახე მიწას, რომლის ნიადაგსაც ქვა-ქვიშა ბლომად აქვს შერეული, ხირხატი ეწოდება (ა. ფირალოვი და ს. შავეროვი, Оч. ВгВд Кахетин: СбСвВгВдК, VII, 18). უეჭველია, აქ ერთსადაიმავე სიტყვასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ეს ტერმინი ძეგლებში ღირღატი-ს სახითაც გვხვდება. არჩილ მეფესაც აქვს იგი თავის „არჩილიან“-ში ნახმარი, რომელშიც ნათქვამია: „კლდოვან, ღირღატთა ადგილთა ვის შეუძლიან ბაღება“-ო (პლატ. იოსელიანის გამ., 679). მართალია, არჩილს ღირღატში ბაღის გაშენება შეუძლებლად ჰქონია მიჩნეული, ხირხატი კი კახეთში სახნავად და სავენახედ გამოსადეგ მიწად ითვლება, მაგრამ არც იქ არის იგი საუკეთესო ნიადაგად მიჩნეული.

საქართველოში ნიადაგის გარკვეული თვისების აღსანიშნავად ძველადაც იხმარებოდა აყალო და ეხლაც ხმარობენ, რაჭაში მაინც, აყალო მიწა-ს სახით (ე. დანდუროვი, Виноград. в Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 37). ამ ტერმინის თანამედროვე რეალურ მნიშვნელობაზე, სამწუხაროდ, არავითარი ცნობა არ მოიპოვება, მისი ძველი განმარტება კი ხელთა გვაქვს. საბას სიტყვით, „აყალო... არს მიწა საპონთ მსგავსი, მწიკულთა გამრეცხელი“ (ლექსიკ.). ცხადია მხოლოდ, რომ ნიადაგის ამ მიწას შენარევის საკმაო ოდენობის სახით ტუტე უნდა ჰქონდეს, თუ მას დასარეცხადაც ჰხმარობდენ.

§ 3. წყლიანი და წყლის მოქმედებით შექმნილი ნიადაგის აღმნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი

ძველ საქართველოში ქვეყნისა და ნიადაგის ჰიდროგრაფიული თვისებების დამახასიათებელი ტერმინებიც არსებობდა. „საქართველოს ეკონომიური ისტო-

⁷ ქვალონის ეტიმოლოგია იხ. დოც. არნ. ჩიქობავას გამოკვლევაში „ონ სუფიქსიჭეგრულში“ (ტფილისის უნივ. მოამბე, VI, გვ. 306).

რისი "I²-ში (იხ. გვ. 141) უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ამ თვალსაზრისით, სარწყავსა და ურწყავს გარდა, იყო ტერმინიც „ქუთუყანა ურწყული“, რომელიც ბუნებით უწყლო ადგილის აღმნიშვნელი იყო. იქვე ნათქვამია, რომ ურწყავი ურწყული-საგან იმით განსხვავდებოდა, რომ შესაძლებელი იყო იგი ხელოვნურად სარწყავადაც ქცეულიყო, ურწყული კი ბუნებრივი პირობების გამო სამუდამოდ ურწყავად რჩებოდა.

მოსარწყავად გამოსადეგი მიწის დახასიათებისათვის განკუთვნილ ტერმინს გარდა, მოჭარბებული წყლის მქონებელი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვებიც არსებობდა. ასეთ ადგილს ძველ საქართველოში მწყურნები ჰქვამდნენ. ესაიას 357-ის დამოწმებით საბას განმარტებული აქვს, რომ ეს ტერმინი „წყალმრავალს“-ა პნიშნავდა (ლექსიკ.).

აბუსერიძე ტბელის ცნობით, მთავარ-მოდვაწემ ერთ მამუნებელს „თვთ აუწყა ადგილსა ზედა მწყურნებსა და მიწასა ზედა ლბილსა ველყოფაჲ ამის აღშენებისაჲ“ (ქ-კბი, II, 116). ამის მომდევნო მოთხრობითგან ირკვევა, რომ ასეთ ნიადაგს დიდ სიღრმეზე რბილი და სველი მიწა ჰქონია და ამიტომ შენობის ასაგებად შესაფერისი არ ყოფილა.

თუ მწყურნები წყალჭარბი ქვეყნის აღმნიშვნელი იყო, ამავე თვისების უფრო მომცრო ადგილის სახელად ჰანჭრობი იხმარებოდა. საბასაც ნათქვამი აქვს, რომ ჰანჭრობი იყო „კორდი წყლიანი ნოტიო“ (ლექსიკ.). ამ სიტყვას ბოლოსართად ობ ფორმანტი აქვს ისევე, როგორც ფერდობს, გვერდობს, ველობს და სხვა ამგვარ ტერმინებს. ეს გარემოება ამ სიტყვას განყენებულ, ანდა ზოგადი ცნების გამომხატველად ჰხდის. მის ფუძედ, ფორმანტის ჩამოცილების შემდგომ, ჰანჭრი დაგვრჩება, რომელიც, საფიქრებელია, ჰანჭყარ-თან უნდა იყოს დაკავშირებული და, როგორც ჩანს, ჰანჭყრობი-საგან იქმნება წარმომდგარი და ისეთი ნიადაგის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, სადაც წყალის სიჭარბის გამო წყაპა-წყუპი გაჰქონდა.

შესაძლებელია, ლიას („топкое место“) აღმნიშვნელი ჰანური სახელი ჰოჭყოფი-ც (ჰ. გ., 227) ჰანჭრობი-ს სწორედ ამ პირველადი ფორმის, ჰანჭყრობის, ოდნავ სახეცვლილი ფონეტიკური შესატყვისობა იყოს.

ნოტიო ნიადაგის აღმნიშვნელია ლაგაზიც. საბას ნათქვამი აქვს, რომ „ლაგაზი“ არის „ტალახი ძნელად გამოსარეცხელი“. ხოლო ტალახი ქართველ ლექსიკოგრაფს ისე კი არ ესმოდა, როგორც ეხლა ყოველ ქართველს ესმის. მისი განმარტებით, „ტალახი თიჯა“-ა და „თიჯა ტალახი“-ა. უკანასკნელი განმარტებისათვის იოანეს 9⁶ აქვს დამოწმებული (ლექსიკ.).

ლაგაზი მიწის თვისების აღმნიშვნელ და დამახასიათებელ სიტყვად გურიაში ეხლაც ცოცხალია. იქ ლაგაზა ისეთ ეწეროვან ნიადაგს ეწოდება, რომელიც ჯერ კიდევ გამოუფიტავი თიხოვანი და თიხა-კიროვანი ფიქალის თხელ ქვენიდაგზეა დაფუძნებული⁸. იგი მწირსა და იმდენად მცირემოსავლიან მიწას წარმოადგენს, რომ იქ გვიმრაც კი ხეირიანად ვერ ხარობს, თუმცა იელი საკმაოდ კარგად იზრდებოდა (ერმ. ნაკაშიძე, Оч. ВрВдГ и Мг.: СбСвВрВдК, IV, 62).

⁸ «Лежащие на еще невыветрившейся подпочве из глинистаго и глинисто-известкового сланца».

გურული ლაგაზას შესატყვისად მეგრულში მელქვირი („მელჩვირი“) იხმარება. იოს. ყიფშიძეს ასეთი სიტყვა არ მოეპოვება, მაგრამ მელქვილი-ს სახით ეხლაც არსებობს.

წყალმრავალი ადგილის აღსანიშნავად ღია და ნოყა-ც იხმარებოდა. საბას ნათქვამი აქვს: „ღია საფლობი ტალახი“-აო, ხოლო „ნოყა ღია“-აო (ლექსიკ.).

ღია ეგნატაშვილი ბერის ნაშრომში გვხვდება იმ ადგილას, სადაც სვიმონ მეფის ურუმთა ხელში ჩავარდნის ამბავია აღწერილი. იქ მოთხრობილია, რომ სვიმონს, ოსმალთა ჯარის წინასწარი დაზვერვის შემდგომ, უკან გამობრუნებულსა და ფარცხისზე „მამავლსა დახუდა ღია და დაეფლა ცხენი ღიაშიგან“ და ამის წყალობით ოსმალებმა ღიაში ცხენჩაფლული სვიმონი შეიპყრესო (ხელთნ., გვ. კ' ივ, 4). ამ ცნობითგან ჩანს, რომ ღია მართლაც საფლობი ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა.

სამეგრელოში ზუგდიდის ყ. მაზრაში ღია სოფლის სახელადაც კია ქცეული (იხ. იოს. ყიფშიძის მ. გ., 273).

ღიას გარდა, ლიამპალი-ც არსებობდა, ამასთანავე უყიანი ლიამპალი-ს სახელიც იხმარებოდა. მონღოლთა-დროინდელი ჟამთააღმწერელის ცნობით, ბასილი მონაზონი დიმიტრი II-ს მხილების დროს ურჩევდა „მდინარეთა თანა წვირიანთა და უყიანთა ლიამპალთა⁹ არა შერთვა“-ს (*888, გვ. 730).

საფლობი-ს ქვეშე საბას განმარტებული აქვს, რომ „საფლობი არს ღრმა ტალახი, რომელსა შინა დაეფლვის ცხენი, რა შევიდეს“-ო, „ხოლო ლერწმანთა საფლობთა ეწოდებიან ღია, და წყალთა და ზღვათა საფლობსა — უყე, და ტევრთა შინა და მინდორთასა ეწოდება ნოყა“ო (ლექსიკ.).

ძველებითგან ზემომოყვანილი ცნობები ცხადყოფენ, რომ ს. ორბელიანის ლიის მნიშვნელობის ზემომოყვანილი განმარტება მთლად სწორე არ არის. ირკვევა, რომ ღია ორნაირი ყოფილა: ერთი, როგორც ეტყობა, უმცენარეო საფლობს წარმოადგენდა, და მარტივად ღია-დ იწოდებოდა, მეორე კიდეც ისეთ საფლობს, რომელშიც ზოგიერთი მცენარეულობა, ალბათ, საბას თქმისა არ იყოს, ლერწამიც, იზრდებოდა. ასეთ ადგილში წყალმრავლობისაგან მცენარეულობა, რასაკვირველია, ლპებოდა და, საფიქრებელია, რომ სწორედ ამნაირ საფლობს უნდა ჰქმეოდა ლიამპალი.

სამეგრელოში უცი ისეთ მიწას ეწოდება, „რომელიც რამდენიმე წელიწადს გაშვებულია დაუთესავად. ასეთ მიწას კიდეც კაბეტი, უგუტახუ-ც ეწოდება“ (დოც. ვ. თოფურიას ცნობა). მაგრამ ჟამთააღმწერელის ზემომოყვანილი მოთხრობითგან ჩანს, რომ უცი ძველად მიტოვებული სახნავის აღმნიშვნელი არ ყოფილა.

ძველ ქართულს ტერმინთა მთელი ისეთი ჯგუფიც ჰქონდა, რომელნიც წყლის დენითა და მოქმედებით წარმომდგარი ნიადაგის დამახასიათებელი და აღმნიშვნელი იყვნენ. ერთი ასეთი სიტყვათაგანი იყო და არის ლამი.

ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ „ლამი შავი ღია“-ა (ლექსიკ.). ეს განმარტება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ღიას იმ სხვადასხვაობას ამოწმებს, რომელზედაც ძველების მიხედვით ზევით უკვე გვქონდა საუბარი. რაკი საბას

⁹ ასეა ქცის თემურაზისეულ ხელნაწერში, მარამ დედოფლისეულისაში კი ამის მაგივრად წერია „ულუყანთ ლუშპართა“.

ლამი შავ ლიად აქვს დახასიათებული, ეს იმის მომასწავებელია, რომ შავი ლია-ც არსებობდა და ჩვეულებრივიც, რომელიც შავი არ ყოფილა, არამედ სხვა ფერისა. ცხადია, რომ შავი ლია სწორედ ლიამპალის შესაფერისია და საფიქრებელია, რომ ეს ორი ტერმინი სინონიმები უნდა იყვნენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ პირველი საფლობს ფერის მხრივ ახასიათებს, ლიამპალი კი მის შედგენილობის თვისების მხრივ.

თავისდათავად ლამი-ს საბას ზემომოყვანილი განმარტებაც ზედმიწევნითი არ არის. ლამი სრულებით ლია არ არის, არამედ მდინარე წყლისაგან გამორიყული დალეკილი სილაა. ასეთი მნიშვნელობა აქვს სიტყვას ეხლაც (იხ. ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი, Очерк ВгВд Кахетии: СбСвВгВдК, VII, 18).

იმისდა მიუხედავად, რომ ლამი ნიადაგის თვისების აღმნიშვნელ ტერმინად მარტო კახეთში და ქართლში (СбСвВгВдК, VIII, 10) აქვთ აგრონომებს დასახელებული, იგი საქართველოს სხვა თემებშიც იყო და არის ეხლაც გავრცელებული. ამ გარემოების დასადასტურებლად ისიც საკმარისი იქმნება, თუ გავიხსენებთ, რომ ლამი გეოგრაფიულ სახელადაც კია ქცეული და ასე სახელდებული სოფელი ყ. დუშეთის მაზრაშიც არის და ლეჩხუმშიც. არსებობს ქართლში, ტფილისის სანახებში ლამისკევი-ც და, რაც უფრო საყურადღებოა, ქსნის ხეობაში ს. ლამისყანა-ც, რომელიც მართლაც ქსნისაგან მოლამულ ნიადაგს წარმოადგენს.

წყლის პირას მდებარე ლამიანი ნიადაგი და ადგილი, ანუ ს. ორბელიანის განმარტება რომ ვიხმართ, „წყლის-პირი ნაყოფიერი“ ძველ ქართულში ჰალადაც იწოდებოდა (ლექსიკ.). მაგრამ ამავე ცნების აღსანიშნავად მერე-ც იხმარებოდა.

ჰალა ბევრგან გეოგრაფიულ სახელადაც კი იყო ქცეული ძველადაც და ეხლაც საქართველოს მრავალ ადგილს ჰალა ეწოდება. ძველი ამნაირი სახელთაგანი რამდენიმე „ქართველი ერის ისტორიის“ II წიგნში, გეოგრაფიულ მიმოხილვაში, მაქვს აღნიშნული. თანამედროვე საქართველოში დაცული ასეთი საგეოგრაფიო სახელები იმდენად ბევრია, რომ მათი ჩამოთვლა და მდებარეობის აღნიშვნა ძალიან შორს წაგვიყვანდა. მარტო მარტივად ჰალა საქართველოს ყოველ თემში 12 მოიპოვება. ამას უნდა დაერთოს მრავალი ისეთი გეოგრაფიული სახელიც, რომლის ერთ ნაწილს ეს ტერმინივე შეადგენს, როგორც მაგ. ჰალოვანი, ჰალადიდი, ჰალისთავი, ჰალისუბანი და სხვაც ამგვარი.

მერე, ს. ორბელიანის ერთი განმარტებით, თითქოს მოედანის აღმნიშვნელი ქართული სიტყვა უნდა იყოს. მას ნათქვამი აქვს: „მეედანი, მეედანი სხვათა ენაა, (ე. ი. უცხო ენის სიტყვაა), ქართულად მერე, მინდორი და ფორი (ფორე) ჰქვან“-ო. თვით მერე-ს განმარტებაში კი სწერია: „მერე მეედანი, სწორი ვაკე“ არისო (ლექსიკ.). უკანასკნელი ცნობა, რასაკვირველია, უფრო სწორეა და თანაც იმასაც გვიხსნის, თუ რა მნიშვნელობით ჰქონდა საბას ამ შემთხვევაში მეედანი ნახმარი. ამნაირად, მერე სწორე ვაკე ადგილის აღმნიშვნელი ყოფილა. მაგრამ ყოველ ვაკე ადგილს მერე არ ეწოდებოდა, არამედ მხოლოდ წყლის სანაპიროზე მდებარეს.

ეს სიტყვა თანამედროვე მეგრულშიც არის დაცული, მაგრამ იქ მერე ტბა-სა ჰნიშნავს (მ. გ., 279). საფიქრებელია, რომ თავდაპირველად უფრო მდინარის მოტბორებული სანაპიროს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ მეგრულში, მერე-ს გარდა, მერეხი და მელეხი-ც არსებობს, რომელიც ნიადაგს და თითქოს ოკეანესაც კი უნდა ჰნიშნავდეს (მ. გ., 279). უკანასკნელი მნიშვნელობა, უეჭველია, ახალი და ხელოვნურად შექმნილი უნდა იყოს, პირველი კი საყურადღებო და გადამწყვეტია ამ ტერმინის ეტიმოლოგიის გამოსარკვევად, მაგრამ ამაზე საუბარი შორს წაგვიყვანდა მით უმეტეს, რომ ამ წიგნის მსჯელობის ფარგლებსაც სცილდება.

ირკვევა, რომ ეს ტერმინი მთელ საქართველოში გავრცელებული იყო. ამიტომევა, რომ მერე საქართველოში ბევრგან გეოგრაფიულ სახელად გვხვდება: მარტო 5-ვერსიან რუკაზე თერთმეტი ადგილი მოიპოვება: მერე არტანში და კახეთში თელავის მაზრაში, მერევი შორაპნის მაზრაში, მერეთი ქართლში და ორგან ბათუმის ოლქში, მერისი იქვე, მერია ართვინის ოლქში, თიანეთში და ქართლშიც. ამას მერე, გარდა აწ უკვე მელე-დ და მელა-დ ქცეული, ლინთიმერეთში არა ერთი მდინარის, უფრო სწორედ რომ ითქვას, ხეობის სახელის მეორე ნაწილად არის დაცული, მაგ. ჩხერიმელა, რომელსაც 1550—70 წ. საბუთებში ჩხერისმელე ეწოდება (დას. საქართველოს საბ., I, 22 და 23), ვახუშტი ჩხერიმელა-ს უწოდებდა (გვრ-ფა, 366). შორაპნის ყ. მაზრაშიც არის ერთი მდინარე, რომელსაც ბურგმელა („Бургмела“) ეწოდება და რომელიც ძირულას შემდინარეა, — აგრეთვე ბორემილა, იმავე წყლის შემდინარე.

რაკი მერე-ს მეგრულში მნიშვნელობა შეეცვალა, ამავე ცნების გამოსახატავად სხვა სიტყვა იქმნა გამოყენებული. ამიტომაც არის, რომ მდინარეებისა და წყლის ხეობებში და წყლის პირას მდებარე ლამიანი და ლამა-თიხნარი, ან ლამ-ქვიშნარი ნიადაგი, გურიაში მერე-დ სახელდებული, თანამედროვე სამეგრელოში ჰალე-დ იწოდება (ერმ. ნაკაშიძე, Оч. ВгВдГ и Мг.: СсСвВгВдК, IV, 62).

ხეობებითა და ხევის წყლებით დაღარულ საქართველოში სრულებით ბუნებრივია, რომ წყლის სანაპიროს ნიადაგის სხვადასხვა თვისების დამახასიათებელი კიდევ ბევრი სხვა ტერმინი ყოფილიყო. როგორც საბას ზემომოყვანილმა განმარტებამაც დაგვარწმუნა, წყალში და წყლის ნაპირებზე გაბნეულ კენჭებს ხვნჭა ეწოდებოდა. უეჭველია, ამასთანავე უნდა იყოს დაკავშირებული კახეთში, თელავის სანახებში და თიანეთში მდებარე ადგილებისა და გორას სახელი ხინჭები.

მაგრამ ეს ტერმინი დასავლეთ საქართველოშიც, თვით სამეგრელოშიაც ყოფილა წინათ გავრცელებული. ეს იმითაც მტკიცდება, რომ სწორედ ამ ძველ ქართულ სიტყვასთან იქმნება დაკავშირებული კენჭ-ქვიშა-ნარევი თიხნარი ნიადაგის აღმნიშვნელი თანამედროვე მეგრულში დაცული სიტყვა ხინჭყონა (ერმ. ნაკაშიძე, Оч. ВгВдГ. и Мг.: СсСвВгВдК, IV, 61).

ხინჭყონა ხინჭი-სა და ყონა-საგან არის შემდგარი, რომელთაგან მეორე ყონა-ს უდრის და ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. ეს ტერმინი ისევეა ნაწარმოები, როგორც ლამისყანა, რომელიც ლამისა და ყანისაგან არის შედგენილი და ლამიანი ნიადაგის აღმნიშვნელია.

საფიქრებელია, რომ ნიადაგის გარკვეული თვისების აღმნიშვნელი ხინჭყონა-ს მსგავსი ტერმინი მარტო სამეგრელოში კი არ იყო, არამედ საქართველოს სხვა თემებშიც. ამის საბუთად შესაძლებელია ის გარემოება იქმნეს დასახელებული, რომ ბათუმის ყ. ოლქში ეხლაც არსებობს ადგილი, რომელსაც

ხინწყანა ეწოდება. რა თქმა უნდა, რომ ეს გეოგრაფიული სახელი ხინწყანა-საგან უნდა იყოს დროთა განმავლობაში წარმომდგარი.

ხინჰნარ-თიხნარი ნიადაგის აღსანიშნავად გურიაში სახრო-ს ხმარობენ (ერმ. ნაკაშიძე, *Оч. ВгВдГ и Мг: СбСвВгВдК, IV, 61*), რომელსაც არც თვის-ტომნი და არც გზა და კვალი არ უჩანს, ჯერჯერობით მაინც.

თავის ადგილას უკვე მოყვანილი გვექონდა საბას ცნობა, რომ „უწყლოს ალაგს რიყის მსგავსი ქვა“ კაქარ-ად იწოდება (იხ. აქვე, გვ. 134). სწორედ ამ ტერმინისაგან არის ნაწარმოები კახეთში მდებარე სოფლის სახელი კაქრეთი.

§ 4. ნიადაგის ტოპოგრაფიული თვისების გამომხატველი ტერმინები

ნიადაგის დამახასიათებელ ტერმინთაგან ორიოდე ტოპოგრაფიული თვისების გამომხატველია. ერთია ზეგანი. ს. ორბელიანის განმარტებით, „ზეგანი მთაბარობის საშუალო“ ადგილმდებარეობის აღმნიშვნელი იყო (ლექსიკ.). ე. ი. საშუალო ზოლის, ანუ არც სახელი ყოფილა. ეს სიტყვა იმერეთში ეხლაც იხმარება. ერმ. ნაკაშიძის სიტყვით, მთის ფერღობზე მდებარე ჰარბ ნოშომპალიან („*Богатые перегноем*“) თიხიან ნოყიერ ნიადაგს იქ სწორედ ზეგანი ეწოდება. ასეთი მიწა ნაყოფიერია და სავენახედაც არის გამოსადეგი და სიმინდის მოსაყვანადაც (*Виноград. в Имеретии: СбСвВгВдК, III, 7—8*). თუმცა ზეგანი ნიადაგთმცოდნეობის ტერმინად ჯერჯერობით მხოლოდ გურიაშია მოხსენებული, მაგრამ ეს სიტყვა რომ საქართველოს დანარჩენ თემებშიც ყოფილა ძველად გავრცელებული, ამას გეოგრაფიული სახელებიც ამჟღავნებს. გეოგრაფიულ სახელად ქცეული ზეგანი კახეთშიც არის, ყ. თელავის მაზრაში, — იმერეთშიც, ქუთაისის სანახებშიც მოიპოვება და ლეჩხუმშიც.

ნიადაგის თვისების დამახასიათებელ ერთ-ერთ სახელად გურიაში მალნარი-ც იხმარება. ერმ. ნაკაშიძის ცნობით, მალნარად ნოშომპალას ჰარბად შემცველი თიხანარეჟ-ქვენარი ნიადაგი იწოდება („*суглинисто-каменистые почвы, богатая содерданием перегноя*“). ასეთი ნიადაგი როგორც მთის გვერდობებსა და კალთებზე, ისევე დაბლობებში მოიპოვებაო (*Очерк ВгВд в Гурии и Мингретии: Сб СвВгВдК, IV, 61*).

მალნარი ახალი სიტყვა არ არის, არამედ მწერლობის უძველეს ძეგლებშიც გვხვდება. თუმცა ს. ორბელიანს, დაბადების ტექსტის დამოწმებით, ნათქვამი აქვს, რომ „მალნარი არს მთათა შინა ტევრნალი შამბიანი“-ო (ლექსიკ.), მაგრამ, როგორც უკვე გამორკვეული მაქვს, მალნარი მთაზე აღმოცენებულ მუხის ხშირ ტყესა ჰნიშნავდა. ამის გამო საფიქრებელია, რომ გურიაშიც მალნარად თავდაპირველად ისეთი ნიადაგი უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი, რომელიც წინათ მუხის ტყეს წარმოადგენდა, ნამუხნარი იყო.

ნიადაგის აღმნიშვნელ სახელად ეწერი-ც გვხვდება. უკვე ვახუშტს ჰქონდა აღნიშნული იმერეთის ვაკის აღწერილობაში, რომ იქ „არიან... ხილნი მრავალნი ტყეთა შინა, ტყენი აყრილნი და უწოდებენ ეწერს“-აო. აქვე დამატებულია: „ეწერნი არიან არგვეთს, საჩხიძოს და საჩიჯავაძოსა შინაცა“-ო (გგრ-ფა, 390).

მეგრულში, იოს. ყიფშიძის სიტყვით, ეწერი ანუ ეწერი პატარა და დაბალ ტყესა და თანაც ქვიშარასაც ჰნიშნავს (მ. გ., 231). უკანასკნელი ცნობა კარგად

უდგება ვახუშტის ზემომოყვანილ განმარტებას, მაგრამ სამაგიეროდ თვალსა-
ჩინოდ განსხვავდება. ერმ. ნაკაშიძის ცნობისაგან. მისი სიტყვით ეწერი ნიადა-
გის აღსანიშნავად იმერეთსა და გურიაში იხმარება. გურიასა და სამეგრელოში
ერმ. ნაკაშიძის ცნობით ეწერი თიხნარი და თიხანარევი (суглинистыя), მძიმე
და ძალიან ღრმა, წითელი, ანდა ყვითელ-მონაცრისფერო ნიადაგი იწოდება.
ნოშომპალას იგი ნაკლებ შეიცავს („небогатыя перегибом“). ეწერზე უმთავრესად
გვიმრა (*Pteris aquilina*) და იელი (*Azalea pontica*) იზრდებაო (Очерк гВд в Гурин
и Мингрелии: СсСвВгВдК, IV, 61—62). ცხადია, რომ ეწერი ვაზის გასა-
შენებლად ნაკლებ არის გამოსადევი და იქ, XIX ს-ში შემოტანილ იზაბელას
გარდა, ვაზს არ რგავდენო (იქვე, გვ. 62).

იმერეთში კი ეწერი მონაცრისფერო-ყვითელი ფხვიერი თიხნარია (суглинок
мучнистаго строения), გარეგნულადაც და ფიზიკური თვისებებიც ნაცარა მიწის
(подзол) მაგვარია. ერმ. ნაკაშიძის სიტყვით, ეწერი იმერეთში ბორცვებისა და
მთების კალთებზე გვხვდება ყვირილის ხეობის მარცხენა სანაპიროს სოფლებში, სა-
დაც იმერეთის მეღვინეობის მთავარი არეა. აქ, ს. სვირსა, როდინაულსა, ცხენტა-
როსა და სხვაგან ვენახები მომეტებულად სწორედ ეწერის ნიადაგზე ყოფილა გაშე-
ნებული (Виноградарство в Имеретии: СсСвВгВдК, III, 8).

დასასრულ, ნ. აბდუშელიშვილს სრულებით სხვანაირად აქვს ეწერის მნი-
შენელობა განმარტებული, მისი სიტყვით, „ეწერი მაღალი მთის ბალახი“-ა,
რომელსაც „სახლების სახურავად ხმარობენ“-ო (იხ. ილ. ჭყონიას სიტყვის
კონა). მაშასადამე, ეწერი ისლის, ანდა ისლის მაგვარი ბალახის სახელი გამო-
დის.

ცნობათა ამ სხვადასხვაობაში გასარკვევად ყველაზე მეტი ნდობა და უპი-
რატესობა უძველესს, ვახუშტის, ცნობას უნდა მიენიჭოს მით უმეტეს, რომ მის
განმარტებას ეწერის მეგრულში დაცული მნიშვნელობაც ადასტურებს. ძვე-
ლად ეწერი ნორჩი ტყით მოფენილი ადგილ-ნიადაგის აღმნიშვნელი ყოფილა.
ცხადია, რომ საქართველოს სხვადასხვა თემში ასეთი ეწერების ნიადაგის თვი-
სება ერთნაირი არ იქნებოდა. თანდათან ტყეების გაჩენისა და მიწისმოქმედე-
ბისათვის გამოყენების დროსაც ამ ადგილებს წინანდელი სახელი შერჩენიათ
და, რაკი მათი ნიადაგის ფიზიკური თვისება სხვადასხვა ადგილას განსხვავდე-
ბოდა, ამიტომ ეწერის ნიადაგის მნიშვნელობაც სხვადასხვა ადგილას სხვადა-
სხვანაირად ესმით. მისი სამეურნეო მნიშვნელობაც ამის გამო, რა თქმა უნდა,
შეუძლებელია ერთნაირი იყოს. ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ეწერი
არსებითად იმდენად ნიადაგის ფიზიკური დამახასიათებელი ტერმინი არ არის,
რამდენადაც ნატყევეარი ადგილის.

ეწერი ბევრგან ჩვენში გეოგრაფიულ სახელადაც კი არის ქცეული და და-
საუღეთ საქართველოში, მარტო 5-ვერს. რუკის მიხედვითაც, ეწერად წოდე-
ბული 10 სოფელი მოიპოვება: სამი იმერეთში, ერთი ლეჩხუმში, ოთხი სამე-
გრელოში და ორიც გურიაში. არსებობს ამას გარდა შორაპნის ყ. მაზრაში
ს. დიდი-ეწერი და ზუგდიდისაში ზედა-ეწერი. საგულისხმო და საყურადღებო
გარემოებაა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში არც ტერმინი ეწერი, არც ეწე-
რად სახელდებული გეოგრაფიული ადგილი არა ჩანს¹⁰.

¹⁰ ჭართლის ს. კავთისხევი მიწის აღმნიშვნელ სიტყვად, დოც. მოვ. აღმ. ნ. ბერძენი -
ცილიის ცნობით, რომლის გადმოცემისათვის მადლობას მოვასხენებ, გეწერი გაუგონა, აგრაძე

ნიადაგის თვისების დამახასიათებელ სიტყვად გურიაში დობირა-ც იხმარება. სამეგრელოში კი ასეთსავე ნიადაგს დობერა-ს ეძახიან. ერმ. ნაკაშიძის მოწმობით, დობირა, ანუ დობერა ნოშომპალას ნაშთით შეფერადებულ მუქ მოწაბლისფერო თიხნარის თხელ ნიადაგს წარმოადგენს („окрашенная остатками перегнойя в темнобурый цвет“, Очерк ВгВд в Гурии и Мингрелии, СбСвВг ВдК, IV, 61). დობირა გურიასა და სამეგრელოში ვაზის გასაშენებლად კარგ ნიადაგად იყო მიჩნეული (იქვე, გვ. 62).

დოც. ვარ. თოფურიასაგან შეკრებილი ცნობების მიხედვითაც, რომელთა მოწოდებისათვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, „დობირა არის სამოსახლო და მასთან ახლო მდებარე ადგილები. ის განცალკევებულია ჰალისაგან, რომელიც საყანე ადგილად ითვლება. მოხუცებულთა თქმით, დობირაში ძველად ყანა არ ითესებოდა, უმთავრესად ხეებზე იყო მირგული ვენახი (ე. ი. ვაზები). ხეებს იშვიათად სჭრიდენ“-ო.

როგორც ზემოთხსენილი განმარტებიდან ჩანს, დობირა, ანუ დობერა სამეგრელოშიც ვაზის გასაშენებლად განკუთვნილ, ანდა, უფრო სწორედ რომ ითქვას, ვაზებით დარგული ადგილის სახელი ყოფილა. ეს გარემოება ვათვალისწინებული უნდა გვექონდეს და მაშინ ამ სიტყვის აგებულებისა და პირვანდელი მნიშვნელობის გაგება უფრო გაგვიადვილდება.

უნებლიედ გვაგონდება დობილო, რომელიც, როგორც მევენახეობის განხილვის დროს დავრწმუნდებით, მადლარი ვაზის ერთი სახელთაგანი იყო. ძნელი დასაჯერებელია, რომ მადლარი ვაზით გაშენებული მიწის ნაპრის აღმნიშვნელ სიტყვას დობირა-სა და მადლარივე ვაზის სახელს დობილო-ს საერთო არა ჰქონდეთ რა. პირიქით ბუნებრივად იბადება აზრი ამ ორი ტერმინის იგივეობის შესახებ: მათ პირველი მარცვალი დო ერთნაირი აქვთ, დანარჩენი კი ბირა და ბილო ოდნავ განსხვავებულია, მაგრამ საფიქრებელია, რომ მათ შორისაც მხოლოდ ბგერითი განსხვავება უნდა არსებობდეს, წარმოშობილობით კი ორივე ერთნი უნდა იყვნენ. ამიტომ რაკი ორივე ვაზის გაშენებასთან დაკავშირებული ტერმინებია, იბადება კითხვა, თუ რა საერთო თვისების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად ეს ორი სიტყვა.

დობირა-სა და დობილო-ს პირველი, საერთო, მარცვალი დო-ა, რომელიც, როგორც ცნობილია, მეგრულსა და ქანურში რისთვისმე განკუთვნილობის, ანუ დანიშნულების გამომხატველი ფორმანტია.

გამოსარკვევია მხოლოდ ამ ორი ტერმინის მეორე, ოდნავ განსხვავებული, ნაწილის, ბირა-სა და ბილო-ს მნიშვნელობა. შესაძლებელია ორივე ვაზის, ანუ, ძველი ქართული ტერმინი რომ ვიხმაროთ, ვენახის-ს მეგრულ-ქანურში დაცულ სახელ ბინეხ-თან იყოს დაკავშირებული და მთლად დობირა და დობილო პირვანდელი დობინეხი-საგან იყოს წარმომდგარი.

დობინეხი სავენახის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და ასეთი ტერმინის სამეგრელოში ოდესღაც არსებობის დამადასტურებელია ენლანდელა ოზინეხე. რომელიც სავენახეს, ვენახს და ვაზების ბაღსა ჰნიშნავს და რომელსაც, ცხადია, მხოლოდ თავკიდური დ აქვს დაკარგული. დობირა-სა და დობილო-ს თავსართი

ამ სახელის მნიშვნელობა ჭრ გამოსარკვევია, ამიტომ ძნელი სათქმელია, აქვს რაღე კავშირი ამ გუერს ეწერთან, თუ აქ სულ სხვა სიტყვასთან გვაქვს საქმე.

კარგად აქვთ დაცული, ბოლო მარცვალი კი, ხი, დაუკარგავთ. შემდეგ ნ-ს ერთი მხრით ლ-დ, მეორეს მხრით ლ-ს რ-დ შენაცვლებით, უნდა იყოს დობირა და დობილო წარმომდგარი. ამნაირად, საფიქრებელია, რომ თავდაპირველად დობირა, ანუ დობერა სავენახე მიწას კნიშნავდა. მაშასადამე, ამ შემთხვევაშიც იმდენად ნიადაგის თვისების დამახასიათებელი ტერმინი არ არის, რამდენადაც და უფრო სამეურნეო განკუთვნილობის გამომხატველი სიტყვაა.

§ 5. ნიადაგის ღირსების გამომხატველ ტერმინთა ჯგუფი

ტერმინთა უკანასკნელ ჯგუფად უნდა ნიადაგის ისეთი დამახასიათებელი სახელები გამოვყოთ, რომლებში ნიადაგის ღირსებაა შეფასებული. ზოგი მათგანი ნიადაგის ღონისა და პოხიერების, თუ სისუსტისა და სიმჟლევის მაუწყებელია, ზოგი კიდევ შედარებითი ნაყოფიერების დამახასიათებელია.

უძველეს ქართულ ძეგლებში, როგორც დავრწმუნდით (იხ. საქართველოს ეკონ. ისტ., I², 140), მსუქანი და ნაყოფიერი ნიადაგის აღსანიშნავად იხმარება ქუეყანა, ანდა ადგილი პოხიერი, ქუეყანაა ნაყოფიერი, ხოლო უღონო ნიადაგს ქუეყანაა მჟლეა ერქვა, დასასრულ უნაყოფო ნიადაგს ზიცი ეწოდებოდა.

ზემოთ უკვე აღნიშნული გეკონდა (იხ. აქვე, გვ. 132), რომ გურიაში შერჩენილი ტერმინი დიხაშო-ც, რომელიც წინათ მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული, თავდაპირველად პოხიერი, მსუქანი ნიადაგის დამახასიათებელი ყოფილა.

იმერეთში აგრეთვე ხმარობენ მძიმე-მიწა-სა და მჩატე-მიწა-ს. მძიმე-მიწა თიხიან, მეტად ღრმა, მძიმე, ღია ფერის ნიადაგს ეწოდება, რომელიც როგორც მთის ფერლობებსა და კალთებზე, ისევე ველობზეც გვხვდება. მძიმე-მიწაზე უფრო სიმინდსა სთესენ (ერმ. ნაკაშიძე, Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК, III, 7).

მჩატე-მიწა ქვიან-ქვიშიანი ნიადაგის აღსანიშნავად იხმარება იმერეთში (ერმ. ნაკაშიძე, Виноградарство в Имеретии: СбСвВгВдК, III, 8).

მძიმე-მიწა და მჩატე-მიწა-ც, ცხადია, ნიადაგის მოსახნავად შედარებითი ღირსების შემფასებელი ტერმინებია.

ნიადაგის თვისების აღსანიშნავად მწირე-მიწა („мцире-мица“) იმერეთშიც და რაჭაშიც არის მიღებული. იმერეთში ეს სახელი მჩატე, თხელი თიხანარევის („легкий неглысокий суглинок“), თიხოვან-კიროვანი გორახნაირი ქვენიადგის მქონებელ მიწას ეწოდება, რომლის გორახებიც ხელში ადვილად იფშვნება (ერმ. ნაკაშიძე, Виноград. в Имеретии: СбСвВгВдК, III, 8). რაჭაში კი მწირე-მიწა-დ თიხნარი ნიადაგი იგულისხმებაო (ე. დანდუროვი, ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 37).

§ 6. სხვადასხვა ნიადაგის დანიშნულება-გამოსადეგობა

ნიადაგის ზემომოყვანილი სახელებითგან ჩანს, რომ მიწისმოქმედი საკმაოდ კარგად დაკვირვებია ამ მისთვის უაღრესად მნიშვნელოვან საკითხს. ცნობილია ის მაღალი ღირსება, რომელიც შეამიწას აქვს, მაგრამ ისიც ყოველი დარ-

გისათვის საუკეთესო არ არის, არამედ მეურნეობის ყოველ დარგს და ზოგჯერ ამა თუ იმ მცენარეს გარკვეული თვისების ნიადაგი უხდება. ამიტომ დასასრულ სხვადასხვა ნიადაგის გამოსადევობა-დანისწულების საკითხიც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული იმდენად, რამდენადაც ქართველ მიწისმოქმედს საუკუნეთა განმავლობაში მოპოვებული გამოცდილება დაცული აქვს.

ხანგრძლივმა დაკვირვებამ კახეთის მევენახე დაარწმუნა, რომ მევენახეობისათვის საუკეთესო ნიადაგად უნდა ყვითელი და წითელი მიწები, ხირხატი და ტრედისფერი მიწა იყოს მიჩნეული: საუკეთესო ღვინო სწორედ ასეთ ნიადაგზე გაშენებული ვახისაგან დგება. მაგრამ ყურძნის მოსავლის სიუხვით, რა თქმა უნდა, შავი მიწის ნიადაგი სჯობია. ამასთანავე აქ გაშენებული ვენახის მოსავლიანობაც უფრო ერთნაირია, ხირხატზე გაშენებულისა კი ცვალებადი და მეტ-ნაკლები დარისდა მიხედვით (ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი, *Очерк ВрВд Кахетии: СбСвВрВдК, VII, 18—19*).

აღსანიშნავია, რომ ღირღატ-ის ღირსებაზე სულ სხვა აზრისა ყოფილა არჩილიანის ავტორი. მას ვადაქრით აქვს ნათქვამი: „კლდოვან, ღირღატთა ადგილთა ვის შეუძლიან ბაღება“-ო (პლატ. იოსელიანის გამ., 679). აქეთვან ჩანს, რომ ღირღატზე ბაღის გაშენება არჩილს სრულებით წარმოუდგენელ საქმედ ჰქონია მიჩნეული.

ვენახებისათვის ადგილმდებარეობის შერჩევა კახეთსა და ქართლში უკვე აკად. გიულდენშტედტს აქვს 1772 წ. აღნიშნული. მას ნათქვამი აქვს სახელდობრ: „კახეთში ქართლზე უფრო მისდევენ ვაზების გაშენებას სამხრეთისაკენ მდებარე ზეგანებზე“-ო¹¹ (*Reisen, I, 370*).

კახეთის მევენახის აზრით, რომელიც მრავალსაუკუნოვან დაკვირვება-გამოცდილებაზეა დამყარებული, სავენახე ადგილად ფერდობი, ოდნავ, 10—20°, დაქანებული და მზვარე ადგილი, ე. ი. ისეთი, რომელსაც მზე უხვად ანათებს, სჯობია. ამიტომ სამხრეთისა და აღმოსავლეთ-სამხრეთის მხარეზე მდებარე ფერდობი დასავლეთისა, ჩრდილო-დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფერდობზე უფრო უკეთესად იყო და არის ეხლაც სავენახე მიწად მიჩნეული. ქართლში კი, რომელშიც უფრო მშრალი ჰავაა, სავენახედ მზვარე ადგილსავე რჩებოდენ, მაგრამ ვაჟი ადგილსაც არ გაუბრბოდენ იმევე, როგორც ფერდობსაც (*СбСвВрВдК, VIII, 51*).

იმერეთშიც საუკეთესო სავენახე მიწად ზეგანი-ს ნიადაგია მიჩნეული უხვი მოსავლიანობის მხრივ. მაგრამ მაღალღირსებიანი ღვინის მომცემად ეწერი-სა, მჩატე-მიწისა და მწირე-მიწის ნიადაგი ითვლება. აქაც მევენახე სავენახე ადგილად მზვარე ნაკვეთებს რჩებობს (ერმ. ნაკაშიძე, *Виноградарство в Имеретии: СбСвВрВдК, III, 8*).

რაქაში, სახმარი მიწის მეტისმეტი სიმცირის გამო, მევენახე სავენახე ადგილისათვის უმთავრესად მიწის ნაკვეთის ოდნავ გვერდობასა და მზვარეობას დაეძებს, უფრო ფხვიერს, ანდა ადვილად გასაფხვიერებელ ნიადაგს ეტანება, ვიდრე ქვიანს. მიწის მოქარბებულ ქვიანობას ერიდება. ადგილობრივი მევენახის დაკვირვებით რაქაში საუკეთესო ღვინო თირსა და შავ-მიწაზე გაშენებული

¹¹ „In Kacheti mehr, als in Karteli pflanzt man die Reben an der südseite der Höhen“.

ვაზისაგან დგება (ე. დანდუროვი, ВгВд в Рачин. у.: СбСвВгВдК, III, 41 და 37), ლეჩხუმში კი საუკეთესო სავენახე ნაკვეთად შავი-მიწის ნიადაგი ითვლებოდა (ა. იაკოვლევი, ВгВд в Лечхум. у.: СбСвВгВдК, III, 74).

გურიაში საუკეთესო ნიადაგად მალნარი, სახრო და დობირა ითვლება, ხოლო სამეგრელოში მალნარი, ხინჭყონა და დობერა. სწორედ ასეთ მიწაზე გაშენებული ვაზისაგან დგებოდა კარგი ღვინო. მღებარეობის მხრივ საუკეთესო სავენახე ნაკვეთად მზვარე ადგილი იყო მიჩნეული. მაგრამ, როცა მიწის სიმცირე მევენახეს ამბს საშუალებას არ აძლევდა, მაშინ მაინცდამაინც სავენახედ ზეგანს, ე. ი. მალლობსა და ბორცვიან ადგილს ირჩევდა ხოლმე (ერმ. ნაკაშიძე, Очерк ВгВд в Гурии и Мингрелии: СбСвВгВдК, III, 62—63).

თავი VI. საქართველოს მებაღეობის კვალი კულტურის

ინტენსივობის მაუწყებელი ზოგადი ცნობები

თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ სტრაბონის აღწერილობითგანაც ჩანს მაშინდელი საქართველოს დაწინაურება მებაღეობის დარგში (იხ. აქვე, გვ. 120). ამასვე ადასტურებს ძველი ქართული აგრონომიული ტერმინოლოგიაც და ის გარემოებაც, რომ მეხილეობისა და მევენახეობის დასაპეციალებლისა და ინტენსივობის გამომხატველი ისეთი სახელების არსებობა, როგორცაა ნესოვანი, ლეღოვანი, ვაშლოვანი, ვენახოვანი და სხვაც ამის მსგავსი.

მაგრამ მეურნეობის ინტენსივობა მართო ამით არ გამოიხატება. თავისი სასოფლო ეკონომიკის გასაძლიერებლად და დასაწინაურებლად ყოველი ერი ცდილობდა ერთი მხრით ფართობი გაედიდებინა და გაეგრცელებინა, მეორე მხრით სამეურნეო კულტურის შედგენილობა გაემდიდრებინა, მანამდე უცნობიცა და ახალ-ახალი, საუკეთესო და სხვადასხვა მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი ჯიშ-სახეობანიც მოეპოვა და გამოეყენებინა. ამ საგულისხმო საკითხების გამაშუქებელი ცალკეული ცნობები, როგორც მებოსტნეობისა, ისევე მეხილეობისა და მევენახეობის დარგის განხილვის დროს, მრავალი გვექმნება და თვითოეული ამ დარგთაგანის მიმოხილვის ბოლოში მკითხველის თვალწინ საერთო სურათი გადაიშლება, აქ-კი ამ გარემოების დამადასტურებელი მხოლოდ სამი ზოგადი მოვლენის აღნიშვნით უნდა დაგვკმაყოფილდეთ.

§ 1. მემტილეობა-მევენახეობის ფართობის გავრცელების საშუალებანი

ცნობილია, რომ საქართველოს უდიდესი ნაწილი უაღრესად მთაგორიანი და ვიწრო, გვერდობიანი ხეობებით დაღარული. ამის წყალობით ჩვენ სამშობლოში არა ერთი ადგილი იყო და არის ეხლაც, სადაც გრ. ხანძთელისა და გ. მერჩულის სამართლიანი დახასიათებით „არა არს სათიბელი ქუეყანაჲ, არცა ყანაჲ საქნავი“, სადაც „სათესავი ყანაჲ“ არც არის და „არცა იქმნების ღირღლოვანთა მათ ფიცხელთა მწუერვალთა“ (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., I², 145). ასეთ ადგილებში ადამიანი შეხვდებოდა უმთავრესად „ტყესა... კლდინსა

და ზედათ მცირისა მიწისა მქონებელსა“, რომელზედაც „მოშენებულ იყო ტყე“ (ყამთააღმ. *858, გვ. 703). ასეთ თხელ, მჩატე ნიადაგზე იყო ხოლმე „აღმოცენებული ქვშათა მათ შინა ურიცხვ მადნარნი“ (ცა გვლ ხნძთლსა, გვ. კდ), რომელნიც ნიადაგის სითხელისა და ადგილის დაქანებულობისა გამო მოზვავებული მეწყერის წყალობით. ზოგჯერ უფსკრულში ჩაიჩხებოდა ხოლმე.

ასეთ პირობებში ადამიანს ან უნდა ისეთ სამეურნეო დარგებზე, როგორიც მემტილეობა და მევენახეობაა, ხელი აეღო, ანდა რაიმე ეღონა, რომ ბუნებრივი პირობების წყალობით შექმნილი დაბრკოლება გადაელახა და დაეძლია. ქართულ საისტორიო ძეგლებითგანაც და უცხო-ქვეყნელი ავტორების ნაწერებითგანაც ირკვევა, რომ ქართველი მიწისმომქმედი სიძნელესა და დიდ შრომას არ შეჰშინებია მემტილეობა-მევენახეობის ფართობის გასაღიდებლად. მისი შრომა მაინც გამარჯვებით დამთავრებულა და იქაც კი, სადაც ბუნებრივი დაბრკოლების წყალობით მუშაობა ჩვეულებრივი წესით შეუძლებელი იყო, „ვენახნი კირითა და ურვით დაუნერგვიან და ეგრეთვე მტილები“.

საგულისხმოა ვიცოდეთ, თუ რა გზითა და საშუალებით მოახერხა ეს ქართველმა მიწისმომქმედმა? უპირველესად ამ დაქანებულ ფერდობებზე ხელოვნური ნიადაგის შექმნით: ქვაყორისაგან პატარ-პატარა მანძილის ამოშენებითა და მიწის ბაქან-ბაქანად შიგ ჩაყრით, ბალ-ვენახისათვის ამ ნაირად ხარისხებრ მოვაკებული ადგილი კეთდებოდა, რომელსაც შემდეგ ხეხილისა და ვაზის ძირგამდგარი ფესვები ამაგრებდნენ ხოლმე. ხელოვნურად ამოშენებულ-შექმნილი ასეთი ბაქან-ნიადაგების ძველი ნაშთი ეხლაც არის აქა-იქ შავშეთ-კლარჯეთსა და საქართველოს სხვა თემშიაც გადარჩენილი.

უეჭველია ამ ხელოვნური ნიადაგისთვის ძველ ქართულში უნდა რაიმე განსაკუთრებული ტერმინი ყოფილიყო. ყოფილა კიდევაც და ეს სიტყვა საბასაც აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. ს. ორბელიანის განმარტებით, როცა „მიწა ბაქან-ბაქანად მოვაკებული“ იყო, როდესაც „წალკოტა და საყანურთა ხარისხნი მოვაკებულად“ გამართული იყო, ამას ოროკი ეწოდებოდა (ლექსიკ.). მაშასადამე, აქ ხელოვნურად გაკეთებული, ტერასებიანი ნიადაგის სწორედ ძველი ქართული ტერმინი გვაქვს დაცული.

ამჟამად ეს სიტყვა გურიასა და გარდაჩენილი, მაგრამ გურიაში ოროკი და ცარე („царе“) თითქოს თიხნარი ნიადაგის აღმნიშვნელ ტერმინებად არიან ქცეული. ამ ორ სიტყვას შორის ის განსხვავება ყოფილა, რომ ოროკი მშრალ თიხნარს ეწოდება, ცარე („царе“) კი უფრო ნოტიოა და ხშირად ხავს-მოფენილია კიდევაც (ერმ. ნაკაშიძე, ОзВгВдГ и Мг: С6СвЕгВдК. IV, 62). თუ ამ ცნობაში ოროკის მნიშვნელობა სრულად არის აღბეჭდილი, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ დროთა განმავლობაში, ინტენსიური კულტურის თანდათან დაქვეითებისა და გაქრობის წყალობით, ოროკის მნიშვნელობაც გურიაში სრულებით შეცვლილა.

შავშეთ-კლარჯეთში ბუნებრივი პირობები, უაღრესი მთავორიანობა და სახმარი მიწის საარაკო სიმცირე, მევენახეობას საქართველოს ამ ორ თემში მეტად მცირე არეს უტოვებდა. ბოლო დრომდე მევენახეობა აქ წინანდებურად უმთავრესად ხელოვნურად ბაქან-ბაქანად მოვაკებულ ნიადაგზე, რომელსაც ძველად საქართველოში ოროკი ეწოდებოდა, იყო შესაძლებელი. რაკი ნიადაგი ხელოვნური იყო, ამიტომ მეურნე უმთავრესად სამტილე და სავენახე ადგილის

მდებარეობაზე ზრუნავდა და ცდილობდა, რომ მზვარე ნაკვეთი აერჩია (ს. ტი-
მოფევი, Очерк Вг в Батум. и Артвин. округах: СбСвВгВдК, IV, 182), რაც
მზის სიუხვის წყალობით აქ შედარებით უფრო ადვილიც იყო.

თუ ხელოვნური ნიადაგის გაკეთებას მევენახეობისათვის შავშეთ-კლარ-
ჯეთში მისდევდნენ XIX ს-შიც, როდესაც, ამ თემის ქართველების გამაჰმადიანე-
ბა-გათურქების გამო, მევენახეობა-მელვინეობა უკვე კარგა ხანია ჩამკვდარი
იყო და მხოლოდ წარსული ქართულად სასოფლო მეურნეობის ნაშთსა წარ-
მოადგენდა, ადვილი მისახვედრია, თუ რამდენად ფართოდ უნდა ყოფილიყო
ორიკის კეთება ძველად, როდესაც ქართველს უყურძენ-ვაზოდ შნოიანი ყოფა-
ცხოვრება ვერც კი წარმოედგინა.

§ 2. ყვავილ-ხეების ჯიშებისათვის მუშაობა ძველ საქართველოში

ინტენსიური მემტილეობისა და მევენახეობის მიმდევარი მარტო ჩვეუ-
ლებრივი მოვლა-პატრონობით, რომელიც მათი ნიადაგის ბარვით და სხვა სა-
მუშაოთი გამოიხატებოდა (იხ. ბარვისა და მცენარეთა დარგვის ძველი სურათე-
ბი აქვე, სურ. 2 და 3), არ დაკმაყოფილდებოდა, არამედ ყოველი შეგნებული
მეურნე ცდილობდა კარგი სხვაგნებურიც ესწავლა და შეეთვისებინა, უცხო მტი-
ლეული, ხეხილი თუ ვაზის ჯიშში გადმთენერგა და გაეშინაურებინა.

ასეთი მუშაობა რომ ქართველ სოფლის მეურნესაც უწარმოებია, ამის და-
მამტკიცებელ ფაქტებს თავ-თავის ადგილას ბევრს ვნახავთ, აქ კი ამის დამა-
დასტურებელი ორიოდ წერილობითი ცნობა მინდა მოვიყვანო.

თვით ისეთ ხანაშიც, როდესაც პოლიტიკური მთლიანობის დარღვევისა და
მეზობელი დიდი სახელმწიფოების მძლავრობის წყალობით, ჩვენი ქვეყანა, წი-
ნანდელთან შედარებით, ძალზე დაკნინებული და დაქვეითებული იყო, წალ-
კოტისა და ბაღის პატრონები საქართველოში ცდილობდნენ თავიანთი სავარდუ
და ბაღები უცხო ქვეყნებითგან მოტანილი ყვავილ-ხეხილითაც შეემკოთ. მაგ.,
არჩილ მეფის სიტყვითაც:

„გრემს იყო ბევრის ქუეყნის უცხოები იქ მოსული.

ბაღებშიგან კვაროსი ალვისხითა ამოსული.

ფშოდა სუნი სუნნელისა, ყვავილთაგან ამოსული.

მისი ნახთ გაყრმდებოდა სიკაშუკის ძალ-წასული.

ერთი ბაღი და სასახლე გრემს იღვა ლევან მეფისა...

ყოველი ყვავილ-ხეხილი გარს მოჰუფ იყო სეფისა.

განცუფრდებოდა მნახავი, იქმნი სიბრძნისა მკრეფისა“.

(პლატ. იოსელიანის 1853 წ. გამოც., გვ. 33, §§ 133 და 134).

გრემის სასახლის ამ ბაღ-წალკოტს თვით საქართველოს დაუძინებელი
მტრისა და გამანადგურებელი შაჰაბაზის კარის ისტორიკოსი ისკანდერ მუნ-
ში-ც დიდი ქებით იხსენიებდა. ეს წალკოტი და ბაღი მას ჯერ კიდევ იმ დროს
ექმნებოდა ნანახი, სანამ მისი მბრძანებელი ამ საუცხოვო სასახლეს გაანადგუ-
რებინებდა. სპარსელი ისტორიკოსის მოწმობითაც, გრემის სასახლე სასიამოვნო
დროს გასატარებელი და სამაგალითო ადგილი იყო თავისი სამოთხისებრი წალ-
კოტის წყალობით (საქართველოს მუზ. სპარ. ხელთ., გვ. 787), რომელიც ამ ქვე-
ყნური მშენიერების განსახიერებას წარმოადგენდა თურმე.

§ 8. ველური ყვავილმცენარეების გაშინაურების ცდები საქართველოში

საქართველოს ბუნებას ზევრგან იმდენად უხვად აქვს თავის წყალობის კალთა დაბერტყილი, რომ ველ-მინდორიკ კი თავისით წალკოტს მიაგავდა და მიაგავს ესლაც, მეტადრე გაზაფხულზე: მთელი არეები ყვავილების ხალს მო-აგონებს ხოლმე ადამიანს. ფ. გორგიჯანიძესაც მაგ. აღნიშნული აქვს: კახეთში „ალონშიგ და მის გარემოს მრავალნი სხვადასხვა ყვავილნი, იანი და ყაყაჩონი გაშლილიყვენენ“-ო (ზ. ჭიჭინაძის გამ., გვ. 321).

თუ ქართველი მეურნე ცდილობდა შორეული, უცხო ქვეყნითგან მოტანი-ლი ხეებითა და მცენარეებით შეემკო და გაემდიდრებინა თავისი ბალ-წალკო-ტი, რა თქმა უნდა, თავისი სამშობლოს თვალწარმტაცი ბუნების სიმშვენიერე-სა და ყვავილ-ხეების მრავალფეროვან სიუხვესაც გამოიყენებდა.

ამის დამადასტურებელი ერთი საგულისხმო ცნობა ვახუშტსაც აქვს თა-ვის საქართველოს გეოგრაფიაში დაცული. მისი სიტყვით დბანის ხეობაში, კე-ჩუთ-ბოლოლის მთებში „არს ყვავილი სუმბული ფერით სპეტაკი, მსგავსი ნა-რისა, და მიწასა ზედა განართხმული, სურნელი, ვითარცა ამბრი, და უმეტეს ფშოსანი და ეკლოვანი“. ეს ველური ყვავილი თურმე ისე მოსწონებიათ, რომ „მეფემან ვახტანგ მოიღო საეარდესა შინა, არამედ არა ჰყო ნაყოფი“-ო (მ. ბროსეს გამ., 150).

სახელოვანი ქართველი მეცნიერის ეს ცნობა იმ მხრივ არის განსაკუთრე-ბით საყურადღებო, რომ თვალწინ გვიშლის ყვავილ-მცენარეთა და ხეხაღის შერჩევისა და ველურის გაშინაურების ცდის იმ ფრიალ მნიშვნელოვან მუშაო-ბას, რომელსაც ძველ საქართველოში აწარმოებდენ. ვახუშტისგან ამ მოთხრო-ბილ შემთხვევაში ცდა უნაყოფო გამომდგარა, მაგრამ, უეჭველა. არა ერთხელ ასეთი ცდა სრულებით ნაყოფიერი გამოდგებოდა და ქართულ სასოფლო მე-ურნეობასა და მტილ-სამოთხეების ისევე, როგორც სავარდებობის საწეფოს, მო-შინაურებული ანალი სტუმარი და წევრი გაუჩინდებოდა.

თავი VII. მტილუულ-ხილის მოყვანის ორგვარი დანიშნულება და დროის მიხედვით შუადარბითი ღირებულება

§ 1. თავისი საკმელ-საყოფი და გასასყიდელი ხილ-ბოსტნეული

იმ ხანშიც კი, როდესაც პოლიტიკური და ეკონომიური დაქვეითებისა და მოსახლეობის შემცირების წყალობით, საქართველოს მეურნეობა, კერძოდ მი-წისმოქმედებაც, დაბალ დონეზე იდგა, მაშინაც სასოფლო მეურნეობა მარტო მიწისმოქმედისა თუ მემამულის პირადი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას არ სჯერდებოდა, არამედ არაერთი ისეთი მეურნეობაც არსებობდა, უმთავრესად ქალაქების მახლობლად მდებარე, რომელსაც თავისი ჭირნახული და ბოს-ტნეულ-ხილეული გასასყიდად ჰქონდა ხოლმე განკუთვნილი. ამ დებულების შეუმცდარობის დასამტკიცებლად შორს რომ არ წავიდეთ, შესაძლებელია ვახ-ტანგის „დასტურლამალი“-ს შემდეგი ცნობაც იყოს მოყვანილი. ამ საკანონ-მდებლო ძეგლში ნათქვამია, რომ ვისაც გაღმა-ჰალის ბაღებში, ან კრწანისის ბოლოს მდებარე ბაღებში დაწესებულ „ხარჯში გამორევა არ უნდოდეს, გა-

სასყიდელს მწუანილს ნუ დასთესავს... თუ დასთესოს ნესვი, საზამთრო, კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, თავი-ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი, — ამ-რიგი რამე დასთესოს. თავისი საკმელი და საყოფი მწუანილიც დასთესოს, თორემ სხუას ნუ დასთესავს“-ო (დასტურ., გვ. 104).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ XVIII ს. დამდეგსაც მებაღეებს და ბაღის პატრონებს, ან მარტო „თავისი საკმელი და საყოფი მწუანილი“, თუ სხვაგვარი ბოსტნეულ-ხილი მოჰყავდათ ხოლმე, ან ამას გარდა აგრეთვე „გასაყიდელი მწუანილი“ და ბოსტან-ხილეული. ცხადია, რომ სრულიადი საქართველოს არსებობის ხანაში, როდესაც ქალაქები ბლომად იყო და მოსახლეობაც იქ მაშინ მერმინდელზე გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა, მებაღეობა-მე-ბოსტნეობას მიზნად გასაყიდად განკუთვნილი ბოსტნეულისა და ხილეულის მოყვანა ფართოდ უნდა ჰქონოდა დასახული.

§ 2. მტილეულ-ხილის ახლობა, ანუ ახალ-ბალობა და ყურძნობა და მათი ვაჭრული მნიშვნელობა

გასაყიდელი მტილეულ-ხილ-ხმილის პატრონმა კარგად იცოდა, რომ ყოველ მათგანს თავის დროსა და გარკვეულ, ხელსაყრელ პირობებში ჰქონდა სათანადო ღირებულება და ღირდი ფასი. ყველას ესმოდა, რომ როდესაც „იყო ეამი გაზაფხულისაჲ“, საერთოდ ყველანი „უხუებით პოიან ნუგეშინის-საცემელი კორცთაჲ“, გარეული „მწუანილ-მდელოც ბლომად მოიპოვებოდა საკმელად. ამიტომ რამდენადაც თვითოეული მათგანი უფრო ახალი იყო და ან ძნელი საშოვარი, მით უფრო მეტი ფასი ჰქონდა.

ეხლაც ხომ ბოსტნეულს, ხილსაც და ხმილსაც უფრო მეტი ფასი და ღირებულება, რა თქმა უნდა, იმ დროს აქვს, როდესაც ის ჭერ კიდევ ძნელი საშოვნელია, ე. ი. როდესაც, ან პირველად არის შემოსული, ან როდესაც უკვე მოლეულია. რაც უფრო ადრეული იყო იგი, მით უფრო მეტად ეტანებოდა მაშინაც მყიდველი. ამისათვის შესაფერისი სახელები არსებობდა.

იმ ხანას, როდესაც ბოსტნეული და ხილ-ხმილი პირველად შემოდოდა, „ახლობა“ ერქვა, ხოლო, იმ ხანას, როდესაც გამოლევის გამო ძნელი საშოვნელი იყო, „ყურძნობა“-ს ეძახდნენ.

ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნში ასეთი მუხლი გვხვდება: მოურავს ქალაქის ბაღებითგან „ყოველივე უნდა მოერთვას: ერთი ახლობას... რაც იმ დროს ხილი იქმნება... ერთი ყურძნობას..., რაც იმ დროს არის ყოვლის ნივთისაგან დაუკლებლად უნდა მოერთვას ყოვლის ბაღებიდამ: ღირსიჭალიდამ, ორთაჭალიდამ, კრწანისილიდამ, სეიდაბათილიდამ, გარეთუბნის ბაღებიდამ და ვერიდამ და სხვა ყოვლის ბაღებიდამ“-ო (სქს სძვლნი, II, 526—527).

ისევე, როგორც ხილობის გვიან ხანას „ყურძნობა“ ეწოდებოდა, „ახლობის“ მაგიერაც სახელად „ახალ-ბალობა“-საც ხმარობდნენ. იმავე ზემოდანახელებულ ძეგლში დებულება „ახლობის“ შესახებ ამნაირადაც არის გამოთქმული: მოურავს „მოერთვას ერთი ახალ-ბალობას, რაც იმ დროს ხილი იქნება“-ო (სქს სძვლნი, II, 527).

თავი VIII. მცენარეობის რიცხოზრივი ერთეულების სახელები

ყოველ სოფლის მეურნეს, თავისთვის საკუთრივ, თუ სხვისთვის მისაცემად, თუ გასაყიდად მოჰყავდა მტილეული, თუ ხეხილი, გინდ ხმილი, ანგარიში უნდა ეწარმოებინა, თავის ჭირნახულ-ნაამაგარი აღრიცხული უნდა ჰქონოდა, ამიტომ მცენარეულობისა და საკუთრივ ხეების ერთეულების აღმნიშვნელი სიტყვებიც არსებობდა, რომელთა ცოდნა ისტორიკოს-ეკონომისტსაც სჭირდება.

მცენარისა, თუ ხის თვითოეულ ცალს „ძირი“ ეწოდებოდა. ათონის ქართველთა მონასტრის აღაპებში მაგ. ასეთი ცნობა მოიპოვება: „თუესა დეკენბერსა: თ: (9-სა) დაუწესეთ პანაშუდი იოანე ბანცუასა, რამეთუ სიყრმითგან ნამუშაები მისი ოთხმოცდაათი ძირი ზეთისხილი შემოსწირა“ მონასტერსაო (ათონ. კრ., გვ. 219, § 14).

მცენარეთა ერთ შეკვრას „კონა“ ერქვა.

„კონა“, ვითარცა ერთი შეკვრის აღმნიშვნელი ტერმინი, დაბადების თარგმანშივეა ნახმარი (გამოსლვ., 12₂₂) ბერძნულ ἡ ὄνισμα-ს, ლათინ. fasciculus-ისა და სომხური *մախիկ*-ის შესატყვისად. საბასაც ამ სიტყვის მნიშვნელობა ასევე აქვს განმარტებული. „კონა ყვაილნი, ანუ მწუანილნი, ანუ წკეპლნი და ეგვიეთარნი წყობით შეჰკრა, მას უწოდენ მცირეთა“-ო (ლექსიკ.), ე. ი. მწვანის, ან ყვაილის პატარა შეკვრას კონა ეწოდებოდა.

ზოგიერთ ბოსტნეულს სახმარებლად, თუ გასახმობად შენახვისათვის კონებად კი არ ჰკრავდენ, არამედ ნაწნავის მსგავსად სწნავდენ ხოლმე, რომ ჩამოკიდება და გახმობა უფრო ადვილი ყოფილიყო. როგორც სათანადო ადგილას აღნიშნული გვაქვს, მცენარეულის, მხალისა და მდელოს, ასეთს, შესანახავად, თუ გასახმობად განკუთვნილ, ნაწნავს „გალა“ ეწოდებოდა.

რაკი „კონა“ და „გალა“ გასაყიდი ბოსტნეულის ერთეულიც იყო, ამიტომ, უეჭველია, მათ გარკვეული ოდენობითი სიდიდე უნდა ჰქონოდათ და ყოველ გამყიდველსაცა და მყიდველსაც კონისა და გალას სიდიდე კარგად ეცოდინებოდათ კიდევაც, მაგრამ თანამედროვე ქართველ მკითხველთათვის ეს საკითხი ჭერ კიდევ გამოსარკვევია.

ღ ა რ გ ი მ ე ო რ ი ე

მემტილეობა ანუ მეზოსტნეობა

თავი I. ზოსტნეოლოგის მნიშვნელობა ძველ საქართველოში

მემტილეობის, ანუ მეზოსტნეობის მიზანს მწვანისა და სანელებლის ისევე, როგორც მხალის, მდელითა, ანუ ძირხვენეულისა და ხმილის მოყვანა შეადგენდა. თვითოეულ მათგანს ადამიანის კვებაში სათანადო ადგილი ჰქონდა დაკავებული. ძველ საქართველოში ადამიანი მცენარეულ საჭმელს ძალიან ეტანებოდა. ეხლაც ქართველი სოფლელი მწვანის, მხალს, მდელისა და ხმის ხალისიანად სჭამს და ეტანება, უმწვანილოდ მას პურისჭამა თითქოს არც კი შეუძლიან.

ძველადც ქართველს გემრიელი და შნოიანი პურისჭამა უმწვანილოდ ვერ წარმოედგინა და მწვანილი სუფრის აუცილებელ კუთვნილებასა და მშვენებას შეადგენდა. ეს გარემოება ნაბახტევის ეკლესიის XV ს. პირველი ნახევრის კედლის მხატვრობითაც საუცხოვოდ მტკიცდება: სერობის სურათის ჩვეულებრივი კომპოზიციის მაგიერ, როდესაც სუფრაზე პური, თევზი და ღვინო იყო ხოლმე დახატული, იქ მწვანილიც, ბოლოკი და ხახვიც, ჰხატია (იხ. სურ. 4). ეგნატაშვილს ბერს ქართლის ცხოვრების გაგრძელებაში ერთი ამ გარემოების დამადასტურებელი იშვიათი ამბავიც აქვს გარდმოცემის სახით ჩაწერილი.

სვიმონ მეფე რომ გორიჯვარში მდგარა და ოსმალთაგან დაპყრობილი გორის წინააღმდეგ საბრძოლველად ემზადებოდა, იქ მდგომმა თურმე „გახედა გორისაკენ და ნახა რომე ახალი მწვანილი ამოსულიყო და გაზაფხულის პირიც იყო“. აფიონით გამხიარულებულს თავის თანამყოლთათვის უთქვამს: „როგორ გეკადრებათ“ თქვენ, რომ „მე მწვანილი მინდა და თქუენ გორიდან მწვანის არ მომიტანთო“. ამ საყვედურმა ამაღაზე ისე იმოქმედა, რომ მაშინვე „ჩავიდენ გორის ბოსტნებში და დაგლიჯეს მწვანილი“. მაგრამ გორის ციხეში მდგომ ოსმალოებს ეს არ გამოჰპარვიათ და თოფის სროლა აუტეხიათ. სვიმონ მეფის ამ უგუნურ საქციელს არა ერთი ადამიანის სიცოცხლე უმსხვერპლია: ამის გამო ბატონიშვილი გოჩა და „სხვანიცა მრავალნი თავადნი ამოსწყუიდნეს“-ო. ისტორიკოსის ცნობით, ყველამ „დაგმეს მეფე სვიმონ უპკუობაზედ, რომ მწვანი-

ლისათვის ამდენი კარგი კაცი ამოსწყუიტეს“-ო (ქცის გავრძ.). მაინც, თუ სვიმონის ამაღამ, მოსალოდნელი განსაცდელისდა მიუხედავად, ახალი მწვენილის მოტანა თავის ვალად მიიჩნია, იმიტომ, რომ სვიმონის საყვედური გულში მოჰხვედრიათ, რათგან ჩვეულებრივ პირობებში უმწვენილოდ პურისჭამას მათი



სურ. 4. ს. ნაბახტევის ულუმბოს ეკლესიის XV ს. კედლის მხატვრობის „სერობის“ კომპოზიციის გადარჩენილი ნაწილი

შეხედულებითაც შნო არ ჰქონდა. მაგრამ ომიანობის დროს და იმ განსაკუთრებულ პირობებში, რომელშიც მაშინ საქართველო იმყოფებოდა, სვიმონის ზემოაღნიშნული ახირებული სურვილი უგუნური საქციელი იყო.

თავი II. წყაროთა ზოგადი ცნობები ძველი საქართველოს მეგოსტნეობის შესახებ

§ 1. ქართული წყაროების ცნობები

ბოსტნეულობაზე საისტორიო ძეგლებში ისევე, როგორც მხატვრულ ნაწარმოებებში და საბუთებში, ცხადია, ბევრი არაფერია მოსალოდნელი. ამიტომაცაა, რომ უძველესი ხანისათვის მეურნეობის ამ დარგის შესასწავლად ასე ცოტა ცნობები მოგვეპოვება. ამ შემთხვევაშიც, დაბადების ქართული თარგმანი მათი იმდროინდელი ქართული სახელებისა და ბერძნულ-ლათინურ-სომხურ შესატყვისობათა გამორკვევის საშუალებას გვაძლევს, რასაც, რა თქმა უნდა, დიდი მნიშვნელობა აქვს.

ყველაზე უხვი სამკალი, რასაკვირველია, ეკონომიური ისტორიის საბუთებსა და სამკურნალო წიგნებშია მოსალოდნელი. ამ დარგის ძეგლებში, ავადმყოფების კვებასთან დაკავშირებით, არა ერთი ბოსტნეული არის დასახელებული. ქართული სააქიმო წიგნები რომ გამოქვეყნებული გვექნოდა, მაშინ, უეჭველია, ბევრი რამე გვეცოდინებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი მათგანი ჯერ გამოცემული არ არის. მხოლოდ ხოჯა-ყოფილის თარგმანის წინასიტყვაობა და იქ ნახმარი ტერმინების მარტივი ლექსიკონი არის ექ. თაყაიშვილის მიერ გამოქვეყნებული და იქითგანაც ჩანს, თუ რაოდენად მნიშვნელოვანი წყარო გვექმნებოდა ხელთ, ქართული კარაბადინები რომ სრულად გამოცემული, ანდა ტერმინების მხრივ სათანადოდ შესწავლილი ყოფილიყო.

ეკონომიური ისტორიის XVIII ს-ზე უწინარესი ძეგლების დროთა განმავლობაში დღეუბისა და სააქიმო წიგნების გამოუქვეყნებლობის გამო, მკვლევარი იძულებულია ზემოაღნიშნულ წყაროებს შემდგომ უმთავრესად XVII—XVIII სს. ქართულ და უცხოეთის წყაროებს დაემყაროს. ქართულ წყაროთაგან ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესი, რა თქმა უნდა, ვახუშტისა და ს. ორბელიანის ნაშრომებია, მაგრამ „დასტურლამალ“-შიც მკვლევარს საყურადღებო ცნობების ამოკითხვა შეუძლიან.

ვახტანგ VI-ს „დასტურლამალ“-ში განსაზღვრული აქვს: გაღმა ქალის ბაღებში, „ბატონის ყმის, ან გაცემულისა, ნასყიდი, თუ უსყიდი ბაღის“ მებაღემ „დათესოს ნესვი, საჯამთრო, კიტრი, ლობიო, ბადრიჯანი, ნიორი, თავი-ხახვი, კომბოსტო, ჭარხალი. თავისი საჭმელი და საყოფი მწუხანილიც დასათესოს“, ხოლო „გასასყიდელს მწუხანის ნუ დასთესავს“-ო. ვისაც გასასყიდი მწუხანის მოყვანა ჰსურდეთ, ისინი გადასახადად „ჩვენს ქარხანაში ყოველს წელიწადს თერამეტს კონას ყოვლის ფერისაგან მისის ბოლოკით მოსცემდენ“-ო (დასტ., გვ. 103 და 104).

ვახუშტის სიტყვით კი საქართველოში „ტყეთა და ველთა არიან მრავალნი სურნელნი საჯამთროთ საჯმარნი ბალახნი, მხალად წოდებულნი, და თესლნი, ვითარცა სატაცური, ასპანახი და სხვანი, და ვითარცა კვლიაკი და ტყუირა და მისთანანი მრავალნი“-ო (გგრ^აფა, 58).

XVIII ს. საქართველოში გავრცელებულ ბოსტნეულთაგან ვახუშტს ჩამოთვლილი აქვს: „ბადრიჯანი, ქინძი, კამა, ცერეცო, ტარხუნა, ნიახური, ქონდარი, ხახვ, პრასა, ბოლოკი, პეტრუშკა (17), სტაფილო, ქინძი-ჯორა, ოხრახუში, მაკედონი, კომბოსთო, ლახანა, ყრდელი და სხვანიცა“-ო (გგრ^აფა, 56).

ამას გარდა, ვახუშტის სიტყვით, ბერდუჯის ხეობაში „ნესვი, მელსაპეპონი, კიტრი, ბადრიჯანი და პუმპულა მოდიოდა“ (გვრ.ფა, 136).

ამავე ავტორის ცნობით, იმერეთში „მტილოვანნი ყოველნივე“ მრავლად მოდიოდა, ხოლო „მელსაპეპონი და პუმპულა უმუშაყოლ ნაყოფიერებენ“-ო (იქვე, 340).

ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი ცნობები, რა თქმა უნდა, საბა ორბელიანს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი. მაგრამ იქ მოთავსებული სახელი ხშირად განმარტებული არ არის და ეს გარემოება მკვლევარს საქმეს უძნელებს. მაინც მისი ცნობები ბევრჯერ ერთადერთ წერილობით მოწმობას წარმოადგენს ხოლმე და უიმიოდ აღამიანი სრულებით უმწეო მდგომარეობაში იქმნებოდა.

ფ. გორგიჯანიძეს თავის ლექსიკონში შემდეგი ბოსტნეულის ქართული სახელი მოეპოვება თავის არაბულ-სპარსული შესატყვისობითურთ:

	არაბ.	სპარს.
„ნიორი	ყომ	სირ (გვ. 45)
ქინძი	ჯლჯლონ	გიშნის „
კამა	ბადიონ	რაზიანა (გვ. 46)
კაპარი	აზხარ	ფარიზ „
მწვანილი-ბოსტანი	როვჯა	მარლუზ (გვ. 47)
ბოლოკი	ფაჯლ	თურფ (გვ. 51)
ხახვი	ბსლ	ფიაზ (გვ. 52)
თაღამი	ლვთ	შალლამ (გვ. 54)
პრასა	ბაყლ	თარა „
კიტრი	ბადრანგ	ხიარ (გვ. 61)
კუახი	დბა	ქუდუ „
ქარხალი	სალყ	ჩულუნდურ „
სტაფილო	ჯაზარ	გაზარ „
პიტნა	ნანა	ფუნდა „
ნესვი	ბთიყ	ხარბუზ (გვ. 64)
მხალი	ჰუმაყ	ხულფა“ (გვ. 67)

§ 2. უცხოელთა ცნობები

რუსი დესპანების ცნობით, 1640—43 წ. კახეთში ბოსტნეულითგან მათ უნახავთ: ნესვი, საჯამთრო, კიტრი, ბოლოკი, სტაფილო, თაღამი, კომბოსტო, ხახვი და ნიორი (იხ. მიშეცკისა და დიაკი კლუჩარევის ელჩობა კახეთში, მ. პოლიევკტოვის გამ., გვ. 160—161).

ხოლო ტოლოჩანოვისა და იველევის ცნობით, XVII ს. იმერეთში შემდეგი ბოსტნეულობა ყოფილა: ნესვი, საჯამთრო, კიტრი რუსული, კიტრი ყირიმული

¹ Огородные овощи: дыни, арбузы, русские огурцы, огурцы крымские большие, тыквы русские, тыквы кзылбаские, что пьют, — боб царградской, горох грузинской, лук, чеснок, капуста, только не как русская, — ретка, анис, а с немецким не сойдетца» («ელჩობა იმერეთში», გვ. 112).

დიდი, კვახი რუსული, კვახი ყიზილბაშური, რომლითაც სვამენო, სტამბოლური ცერცვი (ე. ო. ლობიო), ბარდა ქართული, ხახვი, ნიორი, კომბოსტო, მაგრამ რუსულს არ მიაგავსო, თაღგამი, ანისული, მხოლოდ გერმანულისაგან განსხვავებულიაო („ელჩობა იმერეთში“, გვ. 112).

აქად. გიულდენშტედტს ზოგადი ცნობებიც ბლომად მოეპოვემა და ბოსტნეულობის შემდეგი ქართული და გერმანული სახელებიც ჩაუწერია:

Rüben	Talakmi (sic!)	თაღგამი,
Rettig	Poloki (sic!)	ბოლოკი,
Spinath	Jspanach (sic!)	ისპანახი,
Kohl	Kombosto	კომბოსტო,
Beten	Tschawi (sic!)	ჭავი,
Gurken	Kitri	კიტრი,
Salat	Salata	სალათა,
Zwiebeln	Prosa (sic!)	პრასა
Lauch	Gareuli Prosa (sic!)	გარეული პრასა,
	auch Nion (sic!)	აგრეთვე ნიორი
Senf	Togy (sic!)	მლოგვი,
Pfeffer	Zizaka	წიწაკა

(Reisen, I, 343—344).

ახალგორის მიდამოების აღწერილობაში მასვე აღნიშნული აქვს: აქ ძვევ, როგორც მთელ საქართველოში *Tragopogon pratense*, სატაცუბი და მკაუნა ხშირია და ყველგან ხალისიანად სჭამენო. ნარწყვიც სრულებით ჩვეულებრივიაო (Reisen, I, 249)².

ანაჟე ნეცნიეჭის სიტყვით, კახეთში გავრცელებული ყოფილა ჯონჯოლი და კაპარი, რომელსაც წწილად ჩადებულს სიამოვნებით მიირთმევენო (Reisen, I, 245)³.

რანში გიულდენშტედტს ბოსტნეულთაგან კიტრი, ნესვი, საზამთრო, კვახი, აყირო, სარისა და კუტი ლობიო, მხალ-თაღგამა, ბოლოკი, თეთრი კომბოსტო, ხახვი და ქარხალი უნახავს (Reisen, I, 400)⁴. ამას გარდა საღებავად აღისარჩულსა და ხელსაღებავს ანუ ინას სთესდენ თურმე (იქვე)⁵.

ბონში ბაღებში ამავე გერმანელ მეცნიერს უნახავს ლობიო, თამბაქო, ბოლოკი, კიტრი, კვახი, ჭიაფერა ღვინის საფერავად, აღისარჩული აბრეშუმის შე-

² „*Tragopogon pratense*, *Asparagus officinalis* und *Rumex Acetosa* sind hier (ახალგორში) so wie in ganz Georgien häufig und werden überall gern gegessen. Auch *Fragaria vesca* ist ganz allgemein“ (Reisen, I, 249).

³ „*Staphylea pinnata*, im dicken Gebüsch, deren uneröffnete Blumenknospen, völlig wie die Kaperknospen, mit Essig eingemacht und genusst werden“ (იქვე, I, 245).

⁴ „Die Küchenreviere erhalten Gurken, Melonen, Arbusen, Kürbisse, Flaschenkurbisse, Wincende und stehende türsche Bohnen, Erbsen, Moorrüben, Rettig, Weisskohl, Zwiebeln und Beter.“ (Reisen, I, 400).

⁵ „Für die Färberey säen sie Sallor und Balsaminen und des Zwirns wegen etwas Hanf“ (Reisen, I, 400).

საღებავად და ხელსაღებავი, ანუ ინა ხელების შესაფერადებლად (Reisen, I, 305)*.

ხოლო ტყეში ხონითგან მოყოლებული სანავარდომდე გიულდენშტედტს სტატილო (Daucus Carota) უნახავს (იქვე, I, 310).

თავი III. ქართველ მთიელთა შორის გავრცელებული მწვანულ-მხალი

ბოსტნეულის შესახებ ისტორიული წყაროების ზოგადი ცნობების თვალს გადავლებს შემდგომ, უნდა ისიც გვქონდეს გათვალისწინებული, თუ რით იკვებება ქართველი ხალხი მთაში ამჟამად. მთიელთა საერთოდ ყოფა-ცხოვრების ძველი ნაშთი ყველგან უფრო ხანგრძლივ აქვთ ხოლმე დაცული და ეს გარემოება საშუალებას აძლევს მკვლევარს ისტორიულ წყაროებში გაფანტული ცნობების შინაარსი უფრო ზედმიწევნითა და რეალურად გაიგოს.

სამწუხაროდ, აქამდე ამ საკითხისათვის სპეციალურად არავის მიუქცევია ყურადღება და მხოლოდ ეთნოგრაფიული შინაარსის ნაშრომებში ნახავს ადამიანი მოკლე ცნობებს იმ მწვანულ-მხალების შესახებაც, რომლითაც თანამედროვე ქართველი მთიელი იკვებება ხოლმე. ამ ცნობათა სიმოკლისდა მიუხედავად, იქ მაინც არაერთ საგულისხმო განმარტებას ამოიკითხავს ადამიანი. სამწუხაროდ, არც ერთს ავტორს არ შეუწუხებია თავი მცენარეთა ბოტანიკური რაობა გაეგო, ან გამოერკვია. ჩვეულებრივ იქ მხოლოდ ქართული სახელია ხოლმე მოყვანილი.

§ 1. ფშაველთა მხალ-მწვანულიეული

საქონლის მაძოვებელი ქალები „ხანდახან მთელი დღე ერთგვარ ბალახსა სჭამენ, რომელიც ხილის მაგიერობას სწევს მთელ ფშავ-ხევსურეთში, ხშირად სახლშიაც მოაქვთ მთელი კონები, აწობენ ხაჭოიან რძის შრატში და ისე შეექცევიან. ამ შეზავებით ეს მცენარე საკმაო გემოს იძლევა და თავის გემოთი ძლიერ წაავავს ჩვენებურ ოხრაბუშს. ამ მცენარეს სახელად ეძახიან ხიფხოლას“. ნორჩობისას „მას უშრატოდაც სიამოვნებით სჭამენ“. აყვავებულს „მას უწოდებენ ხიფლის ყივას (ხიფხოლას ყივას)“.

ამას გარდა, საკმელ მხალად გავრცელებულია „კენკეშა“, რომელიც მოტკბილია, — „შუბყა“, რომელიც ლულისებრივი მოყვანილობისა ყოფილა და გარეგნულად დუცს წაავავს და ტკბილია, — „მჟავანა“, რომელსაც მჟავე გემო აქვს, — „დუცი, რომელიც ლულისებრივი მოყვანილობისაა“, ფართო ფოთლიანია და მწარე გემო აქვს (ეჭ. გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევსურეთში, გვ. 29—30).

* „Man bauet auch In den Gärten türksche Bohnen, Hanf, Tabak, Rettige, Gurken, Flaubenkürbisse. Ferner Phuyto lacca zum Weißfärben Carthamus tinctorius zum Seidenfärben, Impatiens Balsamiza zum Färben der Hände“ (Reisen, I, 305).

§ 2. ხევისურთა სხვადასხვა მწვანილ-მხალი და ხმილი

ხევისურეთში „ხილისა და ბოსტნეულის მაგიერობას გარეული ყოლი, მთ-
ცივი და სხვა მრავალგვარი ტყის მცენარეულობა“ სწევს. ამათგანი 1. „დუცი“, 2.
„დიყი“, 3. „შუპყა“ და 4. „ხიფხოლა“, რომლის ზემო ნაწილს „ჭიმა“ ჰქვიათ,
ძირს კი „ხიფხოლა“, — ისევე როგორც 5. „კვლია“ ყველა ტყბილია. კვლიას
თურმე მუცლის გვერდის დროსაც ადამიანისათვისა და საქონლისათვის წამლად
ჰხმარობენ.

6. „წერთხლა“ და „მეჯია“ მეჯეებია.

ხოლო 7. „შიბუ“ და 8. „ხოხნუტა“ მწარეა. შიბუს წნილადაც სდებენ. და-
სასრულ, 9. „ძირხვენა“, რომელიც გულის ამრევი ყოფილა (გ. თედორაძე, ხუ-
თი წელი ფშავ-ხევისურეთში, 57).

§ 3. ზემო რაჭის საჭმელი მცენარეულობა

ზემო რაჭაში „ხალხი ეტანება სხვადასხვა ბალახეულს“. ამათგან ზოგს ნედ-
ლსა და მოუხარშავს სჭამენ, ზოგს მოხარშულს. „უმად სჭამენ: მეჯეე დეალოს,
ტყის ან მთის ნიორს, შვლის-თივას, მელის-ძვალას, მუყუდოს, მდიყს, ღოფის-
თავს, მაწარას, ყარდიმელას, მელისკუდას და სხვას“. ხოლო მოხარშულს სჭამენ:
„ქალაკუდას, თიორშს, დილხამს, ცერცეს და სხვა“-ს (ს. მაკალათია, მთის რაჭა,
30—31).

თავი IV. ბოსტნეულის ჯგუფები

ძველად მტილსა და შემდეგ ბოსტანში სხვადასხვა მცენარე მოჰყავდათ.
სიმრავლისდა მიუხედავად, მათ წინათაც ჯგუფებად ჰყოფდენ და ეხლაც რამ-
დენიმე ჯგუფად დაყოფა შეიძლება. წინანდელი კლასიფიკაციის საფუძველი
ეხლანდელს, ბოტანიკურს, მთლად არ უდგება; მაგრამ გამოყენებადობის თვალ-
საზრისით მტილეულის ჯგუფებად დაყოფის აწინდელი პრინციპი უწინდელი-
საგან დიდად არ განსხვავდება.

„საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I² წიგნში უკვე განმარტებული
გვქონდა, რომ არსებობდა „მწუანილი“, „მხალი“, „მდელო“ და „ხმილი“.

§ 1. მწუანილი და სანელებელი

მწუანილად ისეთი მცენარე იგულისხმებოდა, რომლის მიწისზევით ამარ-
თულ ფოთოლ-ღეროებს ჩვეულებრივ მოუხარშავად სჭამენ ხოლმე.

ამას გარდა ნედლი, თუ გამხმარი მწვანილი საჭმლისათვის გემოს მისა-
ცემლად იხმარებოდა. ასეთ მწვანილს საჭმელში სდებდენ, ან ხარშვის დროს-
ვე, ან უკვე მოხარშულს უშვრებოდენ. ასეთ მწვანილთა ჯგუფს საერთო სახე-
ლად „სანელებელი“ ეწოდებოდა (ხელმწიფის კარის გარიგება, გვ. 9, § 17,

სტრ. 179). ს. ორბელიანსაც ამ ტერმინის მნიშვნელობა ასევე ესმოდა: „სანელებელი ესე არს, რააცა სუნნელი საჭმელს შეანელებს“-ო (ლექსიკ.).

ზოგი მცენარეთაგანი მწვანილადაც იჭმევა და სანელებლადაც იხმარება, ზოგი კიდევ მხოლოდ შესანელებლად არის განკუთვნილი. ამის გამო ეს მტილელული მცენარეები ორ ჯგუფად, საკუთრივ მწუანილად და სანელებლად, უნდა დაიყოს.

სანელებელი სხვადასხვა თვისებისაა და, როდესაც საჭმელში სანელებელს ხმარობდენ, ამისდა მიხედვით მას სხვადასხვა მიზნით უშვრებოდენ ხოლმე. ზოგს მათგანს საჭმლისთვის უნდა სურნელება, ზოგს გემო მიენიჭებიან, ზოგს კიდევ შემზადებული საკვები ცხარე და ენის მხუზავი გაეხადა. ასეთ ცხარე, მწვავე გემოს მიმცემს ჩასართავ მცენარეულს „მკურვალის სანელებელი“ ეწოდებოდა. „სააქიმო წიგნ“-ში აღნიშნულია, რომ ზოგი ავადმყოფობის დროს სნეულისათვის დამზადებულ საჭმელს „მკურვალის სანელებელი ერთოს, ვითა ფაჩარი (= სუმბულს) და ყარამფილი (ე. ი. მიხაკი) და კილაპონი“-ო (ნელთნ., გვ. 162,78).

მწვანილი ორგვარი იყო და არის ეხლაც: არსებობდენ „მწუანილნი ველისანი“, ველური მწვანილეული და შინაურიც, ბაღ-ბოსტნებში, ანუ მტილში მოყვანილი.

რა თქმა უნდა, მაშინაც ესმოდათ, რომ „მწუანილნი ველისანი“ ნამდვილად „საზრდელად პირუტყვთა ველისათა და ცხოველთა თეს მინიჭებულ არიან, ხოლო ჩუენ... სიტყურნი და სიტყვთა პატივეცემულნი“, ადამიანები, „უმტიკეცისითა და კაცთათეს შემსგავსებულთა საზრდელთა გუზარდნის მზრდელმან ყოველთამან“-ო (ც^ა დ^თ გ^რჯ^ლ: საქ. სამ., 272). მაგრამ ყველანი ველურ მწვანილს, ვითარცა მუქთს, ანდა უფრო იათს, მაინც სჭამდენ ისევე, როგორც თანამედროვე საქართველოშიც, მეტადრე მთაში, ხალხი ველური მწვანილეულის ჭამას ძალიან ეტანება.

§ 2. მხალი

„მხალი“-ც საჭმელი მცენარის მიწის-ზედა ნაწილს ეწოდებოდა, მაგრამ რომელსაც ჩვეულებრივ მოხარშულს ჰხმარობენ ხოლმე. მხალს ზაფხულშიც სჭამდენ და ზამთარშიც. „საზამთროდ სახმარი“ მხალი, რა თქმა უნდა, წინასწარ სათანადოდ გახმობილი იყო ხოლმე, მაგრამ ზოგნი განსაკუთრებული მიზნით (მაგ., მარხვაში, მონაზონნი და სხვ.) მხალს მოუხარშავადაც, ანუ როგორც მაშინ ამბობდენ, „უმგბარს“-აც შეექცეოდენ ხოლმე.

გ. მთაწმიდელსაც ნათქვამი აქვს, რომ დიდმარხვას მონასტრის ძმათათვის „დაეგოს... პური და ჩირისა წუენი და მწნილი, ანუ სხუად რაიმე ესევითარი“-ო („საჭმელისათეს და სასმელთა“). მაგრამ „ორშაბათსა და ოთხშაბათსა და პარასკევსა ჭამდენ ჳნდურისა სირსუალსა და მხალსა უმგბარსა და მწნილსა, თუ დახუდეს, და ცერცუსა დამბალსა“-ო (იქვე). ხოლო „დიდსა პარასკევსა პური და მხალი უმგბარი, გინა თუ უმგბარი“ ჰქონდეთო (იქვე).

ამგვარად, ჩვეულებრივ მხალი „უმგბარი“, ანუ მოხარშული იხმარებოდა, მაგრამ გამონაკლისის სახით „უმგბარი“-ც.

მხალიც სადაურობისა და თვისებისდა მიხედვით ორნაირი იყო და არის: ველური, ანუ მხალი ველისაჲ და შინაური. ადამიანი უფრო უკანასკნელს ეტანებოდა, მაგრამ არც ველურს იწუნებდა და იწუნებს ესლაც. გ. მერჩულის სიტყვით, კლარჯეთის უდაბნოების მამულში „მხალთა ველისათაჲ არს სიმრავლეს ურიცხვ“ (ცი გგლ ხნძთლსა, კდ) და სწორედ ველურ მხალთა ამ სიუხვეს უმაღლოდა გრ. ხანძთელი და კლარჯეთის მეუდაბნოენი, ვითარცა მუქის საკვებს.

§ 3. მდელია, ანუ ძირხვენეული

„მდელია“ პირიქით ისეთ მცენარეთა ზოგად სახელს წარმოადგენდა, რომელთა მხოლოდ ძირს სჭამდენ (საქართველოს ეკონომიური ისტ., I², 272—273). ეს განმარტება, როგორც დავრწმუნდებით, ბოტანიკურად მთლად სწორე არ არის, რათგან ბოტანიკის თანამედროვე მოძღვრების თანახმად ზოგიერთ მცენარეს ღერო ძირს მიუგავს და ძირად იყო შველად მიჩნეული.

მცენარეების ძირისა და ღეროს სხვადასხვა მოყვანილობის გამო, ამ ნაწილებისთვის სხვადასხვა სახელი არსებობდა. ზოგი ამათგანი დღევანდელამდეა შერჩენილი, ზოგი უკვე დავიწყებულია, მაგრამ ბოტანიკურ და აგრონომიულ სამეცნიერო მწერლობაში კვლავ უნდა იქმნეს ტერმინად განახლებული.

ს. ორბელიანს აღნიშნული აქვს, რომ „ხახუსა და ნივრის ძირსავეით რომ ყვავილსა, თუ ბალახს ძირი ჰქონდეს“, ამას ქართულად „ბოლქვი“ ეწოდებოდა (ლექსიკ.). თანამედროვე ბოტანიკა ხახვისა და ნივრის ბოლქვს სწორედ ძირად არ სთვლის.

უნდა ვიცოდეთ, რომ ქართულად „ქარხალთა, ბოლოკთა და მისთანათა ღერო“-საც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა და „კავლი“ ეწოდებოდა (ს. ორბელიანის ლექსიკ.). ქართველი ლექსიკოგრაფის სიტყვით, „კავლი ქარხალთა, ბოლოკთა და მისთანათა ღერო“-სა ჰნიშნავს (ლექსიკ.). ამისგან ზმნაც ყოფილა „კავლება“. საბას განმარტებით, „კავლება“ ესე „არს ხახუთა, ქარხალთა, ბოლოკთა ძირთა ღეროს ამოღივება“-ო. ხელთნაწერთა C ჯგუფში „აჭეჭლება და კავლის ამოსლვა“ სწერია (ლექსიკ.).

მართალია, ბოლოკისა და ხახვნიართა ბოლქვი სულ სხვადასხვა წარმოშობილობისა და აგებულებისა და თანამედროვე ბოტანიკა ბოლოკის, ისევე როგორც სტაფილოსა, ჰარხლის და ჰლაკვის იმ ნაწილს, რომელიც საჭმელად იხმარება, მასაზრდოებელ ფესვად სთვლის (იხ. ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, I, 99), ხოლო ხახვის, ნივრისა და სხვა ამგვარივე მტილეულის ძირები, რომელთაც ადამიანი სჭამს, ფესვად კი არა, არამედ ღეროს ნაწილად, სახელდობრ, სახე-შეცვლილ ყლორტად მიაჩნია (იქვე, I, 122—123). მაგრამ ამის გარჩევა და აგებულების განსხვავების არსებითი თვისების შემჩნევა მხოლოდ თანამედროვე მცენარეთამცოდნეობას შეეძლო. ძველად ადამიანს ასეთი ზედმიწევნითი დაკვირვებისა და დასკვნის საშუალება და უნარი არ ჰქონდა, რათგან გარეგნულად მას ხახვისა და ნივრის ძირიც ისევე, როგორც ბოლოკისაც, მოყვანილობის მსგავსების გამო, ფესვად ეჩვენებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ბოლოკი და ბოლქვი ერთიდაიმავე ძირის თითქმის ერთიდაიგივე, მხოლოდ ფონეტიკურად შეცვლილი, სიტყვები უნდა იყოს.

მდელოს გარდა, ამავე ცნების აღსანიშნავად ქართულში სხვა სიტყვაც არსებობდა. ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ „ყოველთა მხალთა და მოლთა ძირები, რომელნიც კაცთაგან იკმების“, ზოგადად „ძირხვენა“-დ იწოდებოდნენ (ლექსიკ.). ამ სახელის გარდა, „დელხვინა“-ც ყოფილა. საბა ამბობს „დელხვინა ძირხვენა“-აო და თან მცენარის პირობითი ნიშანი აქვს დართული. მაგრამ გ. თედორაძის ცნობითგან ჩანს, რომ ხევსურეთში „ძირხვენა“-ს კერძო მნიშვნელობით ჰხმარობენ, რათგან მას აღნიშნული აქვს, ძირხვენა გულის ამრევიანო (აქვე, გვ. 158). რ. ერისთავის განსაზღვრითაც ძირხვენა, დელხვინი, ბარდანა *Arctium lappa L.*, *Lappa tomentosa Lam.*, რუს. Лопух, Лопушник-ია (ბოტ. ლექსიკ., 76, § 1056).

მაგრამ ს. ორბელიანის ზემომოყვანილი ცნობა იმდენად მკაფიოა, რომ შეუძლებელია ქართველ ლექსიკოგრაფს აქ რაიმე შეცდომა ჰქონდეს. თვით ტერმინის შინაარსიც მის განმარტებას ადასტურებს.

მართლაც, ტერმინი „ძირხვენა“-ს პირველი ნაწილი, თავისდათავად ცხადია, „ძირ“-ს წარმოადგენს, გამოსარკვევია მხოლოდ მეორე ნაწილის „ხვენი“-ს მნიშვნელობა. საფიქრებელია, რომ აქ იგივე სიტყვა უნდა გვექონდეს, რომელიც „სხვენი“-სა და „სხუენი“-ს სახით ეხლაც არის დაცული. ს. ორბელიანის განმარტებით ხომ „სხუენი“ იყო „სართულში შესანახი რისამე“. ამავე მეცნიერს ეს ტერმინი 2გ ისოს თარგმანითგან „საჯუენი“-ს სახითაც აქვს მოყვანილი (ლექსიკ.). ამნაირად, სხვენი შესანახის აღმნიშვნელი ყოფილა. ამიტომ იბადება აზრი „ძირხვენა“ ხომ ძირსხვენა-საგან არ არის წარმომდგარი და თავდაპირველად ხომ ისეთ მცენარეს არ ჰნიშნავდა, რომელსაც ფოჩები და ღერი კი არა, როგორც მწვანისს, არამედ სწორედ ძირი ჰქონდა შესანახი და გამოსადეგი?

რაკი ხალხში, მაგ. ხევსურეთში, ძირხვენა კერძო მნიშვნელობით იხმარება, ამით თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში, ცნებათა აღრევის თავითგან ასაცილებლად, ემჯობინება, რომ მდელოს შესატყვის მეორე ტერმინად ძირხვენას მაგიერ ძირხვენული ვიხმაროთ. ვითარცა ზოგადი ცნების გამომხატველი ფორმანტის მქონებელს, ამ სიტყვას, ძირხვენასთან შედარებით, უპირატესობაც აქვს.

მემტილეობის, ანუ მებოსტნეობის ასპარეზი საქართველოშიც ბევრ მცენარეულობას შეიცავდა. მათი განხილვა ზოგ ავტორს ევროპაში ანბანის რიგზე აქვს დალაგებული, ზოგს კიდეც ბოტანიკური კლასიფიკაციის მიხედვით. მაგრამ პირველი წესი ნაშრომს ლექსიკონის თვისებას ანიჭებს, მეორე კიდეც უმთავრესად წმინდა ბოტანიკურ ნაშრომებშია გამოსადეგი.

რაკი ჩვენ მიზანს საქართველოს ეკონომიური ისტორია, სახელდობრ, ამ შემთხვევაში სასოფლო მეურნეობის ეკონომიკა შეადგენს, ამიტომ ძველ საქართველოში გავრცელებული მტილეულობა იმ მთავარ ჯგუფებად დაყვავით, რომელთა არსებობის შესახებ უკვე გვექონდა საუბარი. ბოსტნეულობის პრაქტიკული გამოყენებადობის მიხედვით ამ მცენარეთა დალაგება მკითხველს უფრო ადვილად გაუთვალისწინებს იმ მნიშვნელობას, რომელიც თვითოეულ

მათგანს ქართველი ხალხის ეკონომიურ ყოფაცხოვრებაში ჰქონდა. დასასრულ, უნდა აღვნიშნო, რომ მემტილეობის, ანუ მებოსტნეობის ამ დარგში მართო იმ მცენარეებზე კი არ გვექნება საუბარი, რომელნიც ჩვენში მტილში და ბაღში მოჰყავდათ, არამედ რაც ჩვენში ველურადაც იზრდებოდა და ველური მხალისა, მწვანილისა, თუ მდელოს სახით იხმარებოდა. რამდენადაც ჩვენი მიზანი ეკონომიური ისტორიაა, იმდენად აუცილებლად საჭიროა, რომ ყველაფერი, რასაც კი ძველი საქართველოს მეურნეობისათვის ღირებულება და მნიშვნელობა ჰქონდა, აქ განხილული ყოფილიყო.

მეფიციკონის I ჯგუფი: მხალი

თავი I. მჟაუნა, ღვალო და მათი ჯიფები საქართველოში

§ 1. ცნობები მჟაუნასა და ღვალოზე

„მჟაუნა“ ს. ორბელიანს ლექსიკონში კი მოეპოვება, მაგრამ უგანმარტებოდ და მარტო მცენარის პირობითი ნიშნის დართვით (ლექსიკ.). ასევე ამავე ძეგლში შეტანილი „ღვალო“ და „ღვალოშმაგა“-ც (იქვე). რუს ელჩებსაც საქართველოში გავრცელებული მხალეულის ჩამოთვლისას მჟაუნაზე არაფერი აქვთ ნათქვამი. არც ვახუშტს და არც ფ. გორგიჯანიძეს ეს ორი სიტყვა თავიანთ ნაშრომებში არა აქვთ. მხოლოდ გიულდენშტედტს არ დაპვიწყებია აღენიშნა, რომ მჟაუნა (*Rumex acetosa*) მთელ საქართველოში ბლომად მოიპოვებოდა და ყველგან მას სიამოვნებით სჭამდენ (აქვე, გვ. 156).

რ. ერისთავის ლექსიკონის მიხედვით, ამ მხალის სახელად, „მჟაუნა“-ს გარდა, „მჟაველა“-ც იხმარება. ამერეთ-იმერეთში, მეტადრე მთიულეთში, „კრავის ყურა“-ც სწოდებია (ბოტანიკური ლექსიკ., 39, § 576). ფშავ-ხევსურეთში „მჟაენა“-ს და „მჟაველას“-ს ეძახიან (იხ. აქვე, გვ. 157). ზემო რაჭაში ამ მცენარის ზოგად სახელად, როგორც ჩანს, „ღვალო“ იხმარება და კერძოდ მჟაუნას, ეტყობა, „მჟავე ღვალო“ ჰრქმევია სახელად (აქვე, გვ. 158).

ბოტანიკურად ყველა ეს სახელი *Rumex acetosa* L.-ს, ტუს. щавель-ს უღრისთ (ბოტ. ლექსიკ., 39, § 576).

არსებობდა „კოკომჟაეა“-ც, რომელიც, ს. ორბელიანის განმატებებით, „პატარა მჟაუნა“¹ არის (ლექსიკ.), ხოლო რ. ერისთავის განსაზღვრით *Rumex acetosella* L.-ს, რუს. сорочий щавель-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., 29, § 425).

რ. ერისთავის ცნობით, „კურდღლის-მჟაუნა“-ც არსებობს, რომელიც მისი აზრით ბოტანიკურად *Oxalis acetosella* L.-ს, რუს. щавель заячий-ს უნდა უღრდიდეს (ბოტ. ლექსიკ., 39, § 577). ასევე აქვს ად. როლლოვსაც (ДРК, გვ. 348), მაგრამ არა ჩანს, რ. ერისთავის ცნობას ეყარება, თუ ადგილობრივ აქვს შემოწმებული. აკად. გიულდენშტედტს კი *Oxalis acetosella*-ს ქართულ სახელად საქართველოში „ჯანკა“ („Dschanka“) გაუგონია და ჩაუწერია (Reisen, I, 426).

¹ „კოკო“ პატარაობის ცნების გამომხატველი ყოფილა ძველ ქართულში: ყათბაი გაუწეოდ ყვაილს კნიშნავდა, კოკონა პატარა იხეს, კოკორინა უფრო პატარა იხეს“ (ბ. თბეულაიანის ლექსიკ.).

§ 2. ღვალო, ღოლო, ოღვალო, ღვალუ, ფურთხვალე, წართხალი და წერთხლა

ს. ორბელიანისაგან აღბეჭდილი „ღვალო“-ს მაგიერ, ქართლ-კახეთში, რ. ერისთავის ცნობით, ესლა „ღოლო“ იხმარება, „ღვალო“ კი იმერეთსა და გურიაში ყოფილა დაცული (ბოტ. ლექსიკ., 65, § 925), რაჭაშიც „მჟავე ღვალოს“ სახითაა (აქვე, გვ. 158).

სამეგრელოში ამ მცენარეს თურმე „ოდვალო“ ეწოდება (ბოტ. ლექსიკ., 65, § 925). ეს სახელი ქანურშიც ყოფილა შენახული. ნ. მარას ჩაწერილი აქვს „ღვალუ“ (ვიწ. და ხოფ.), რომელსაც განმარტებად დართული აქვს მხოლოდ, რომ ბალახის სახელიაო, მაგრამ სახელდობრ რომლის, აღნიშნული არაა (კ. გ.). უეჭველია, აქ ამავე ღოლოს სახელი უნდა იყოს.

სვანები მჟაუნას „ფურთხვალე“-ს ეძახიან (ივ. ნიქარაძის p.-c. სლ.: шавель). ხევსურეთში, მჟაუნას გარდა, „წერთხლა“-საც სვამენ, რომელსაც აგრეთვე მჟავე გემო აქვს (აქვე, გვ. 158). არც ს. ორბელიანს, არც რ. ერისთავს და არც ად. როლოვს ამ მცენარის სახელი არ მოეპოვებათ, ხევსურთა „წერთხლა“, უეჭველია, იგივე „წართხალი“ უნდა იყოს, რომელიც, ზ. ყანჩაველის განსაზღვრით, იმავე Polygonaceae, მათიტელანაირთა ბოტანიკურ ოჯახს ეკუთვნის, მჟაუნა და ღლღლ რამ ეკუთვნიან. თვით „წართხალი“ Polygonum alpinum-იაო (იხ. ბოტანიკა, I, 293). ად. როლოვს Polygonum alpinum All. და Rumex alpinum L.-ს შესახები ცნობები მოეპოვება, მაგრამ მათი ქართული სახელი ჩაწერილი არა აქვს. მოყვანილია მათ ოსურ სახელად პირველის „ჟაკაია-კოლო“ („жакая-коло“, ДРК, 384), და მეორის „კოლო“ (იქვე, 439), მაგრამ კოლო ქართული სახელია, ღამელიც ოსურშიც ყოფილა შეთვისებული.

ყურადღების ღირსია მჟაუნას სვანური სახელის „ფურთხვალე“-სა და ქართლურ-ხევსურულ „წართხალი“-ს მსგავსება: ერთმანეთისაგან მათ მხოლოდ თავიკიდური მარცვლები „ფუ“ და „წარ“ ასხვავებენ. გამოსარკვევია „წართხალი“-ს ისევე, როგორც „ფურთხვალე“-ს მეორე ნაწილის „ხალი“, ანუ მხალი წარმოადგენს, თუ პირიქით სვანურ სახელს თავისი მეორე ნაწილის „ხვალე“-ს პირვანდელი სახე ქართლურ-ხევსურულ სახელზე უკეთ აქვს დაცული და „ღვალო“-ს ფონეტიკური მონაცვლეა?

თუ უკანასკნელი მოსაზრება გამოდგა სწორე, მაშინ ამ სახელების პირველ ნაწილად უნდა „წართ“ და „ფურთ“-ი მივიჩნიოთ. ამ შემთხვევაში რაჭაში მიღებული „მჟავე-ღვალო“-ს მსგავსი წარმოება უნდა იყოს და „წართ“ და „ფურთ“ თვით ღვალოს თვისების განმსაზღვრელი სიტყვა იქნება. მართლაც „წათხ“ სამწერლობო ქართულში თუმცა მლაშესა ჰნიშნავს (საბას ლექსიკ.), მაგრამ სვანურად მჟავეს აღმნიშვნელია (ივ. ნიქარაძის p.-c. სლ.: кислый).

რაკი „წართხალი“ მნიშვნელობით რაჭაში მიღებული მჟავე ღვალოს შესატყვისი სახელი გამოდის, იბადება საკითხი, სვანური „ფურთხვალე“-ც ხომ ფურთღვალოს აღმნიშვნელი არ არის ისევე, როგორც ბერძნულად „ჰიპპოლაპათონ“-ი, ანუ ცხენის მჟაუნას სახელი არსებობდა? თვით ბერძნებსაც ჰქონდათ ამავე ჯიშის მცენარე „ბულაპათონ“-ი, რომელიც ბერძნულად ზროხის მჟაუნასა ჰნიშნავს. იქმნებ სვანური „ფურთხვალე“ წარმომდგარია „ფურთ+ხვალე“-საგან და მნიშვნელობით სწორედ „ბულაპათონ“-ს, ხოლო ბოტანიკულად Rumex scutatus-ს უღრის? მაგრამ „ფურთხვალე“-ს ბოტანიკური რათბის დანა-

მდვილებით გამოკრევეა ბოტანიკოსების საქმესა და მოვალეობას შეადგენს. ჩემ მხრივ აღვნიშნავ მხოლოდ, რომ *Rumex scutatus* L. დვალურად, ად. როლოლოვის ცნობით, თითქოს „ხურხაგ“-ი („хурхар“) უნდა ერქვას (ДРК, 441). იბაღება საკითხი აქ ხომ დამახინჯებული „ფურთხვალე“ არ არის ოსურში, სადაც *rumex*-ს უმთავრესად ქართული სახელი კოლო, კოლო სახელები აქვს (იხ. ДРК, გვ. 438—441).

თანამედროვე ქართულში „ლოლო“ ანუ „ღვლო“ იმ მხრივ განსხვავდება მყაუნისაგან, რომ ის გარეული მხალის სახელია და ბოტანიკურად *Rumex obtusifolius* L.-ს, რუს. дикий щавель-ს წარმოადგენს (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 65, § 925). ზ. ყანჩაველის განსაზღვრით კი „მყაუნა“ არის *Rumex tuberosus*. ხოლო „ლოლო“ *Rumex crispus* (ბოტანიკა, II, 293).

ს. ორბელიანისაგან ჩაწერილი „ღვლო-შმაგა“, ეხლა უკვე „ლოლო-შმაგა“-დ ქცეული, ბოტანიკურად არ არის *Rumex hydrolapathum* L., რუს. конский щавель (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 65, § 926). მისი ქართული სახელის მეორე ნაწილი, შმაგა, ცხადპყფვს, რომ ხალხი მას ადამიანისათვის მავნებლად სთვლიდა.

ზემომოყვანილითგან ირკვევა, რომ მყაუნა, ანუ მყაველა *Rumex acetosa*-ა, კოკო-მყაეა, რომელიც პატარა მყაუნას ჰნიშნავს, და მყაუნა *Rumex acetosella*-ა,—ხოლო დვლო და კოლო *Rumex crispus*-ია,—ლოლო, დვლო და მყაუნა *Rumex obtusifolius*-ია,—წართხალი *Polygonum alpinum*-ია და ეგების *Rumex Alpinus*-ი. დასასრულ ფურთხვალე თითქოს *Rumex scutatus*-ი უნდა იყოს. ამგვარად, ხალხში და ძველად მიღებული მნიშვნელობის მიხედვით, ვერ ითქმის, რომ მყაუნა ამ მხალის მარტო შინაური და დვლო, ანუ ლოლო კი გარეული ჯიშების აღმნიშვნელი იყოს, თუმცა მყაუნა ეხლა მაინც უმთავრესად შინაურის სახელია, დვლო და მისი ფონეტიკური სახენაცვლები კი მომეტებულად გარეული ჯიშების სახელია.

არსებითად ორივე ეს სახელი თითქმის ერთსადაიმავეს ჰნიშნავს. მათ შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ერთი მათგანი უფრო ძველი ქართული სიტყვაა, მეორე კი მერმინდელია. ამაზევეა მათგან შინაურისა და გარეული ჯიშების აღმნიშვნელობაც დაკავშირებული. რაკი ამ დებულების დასამტკიცებლად ზოგიერთი ზოგადი მნიშვნელობის ისეთი საკითხების განხილვა იქმნებოდა საჭირო, რომელთაც ეკონომიურ ისტორიასთან მჭიდრო კავშირი არა აქვთ, აქ ამ საგანზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქმნებოდა მით უმეტეს, რომ ეს პრობლემა „ქართველი ერის ისტორიის შესავალ წიგნ“-შია განხილული, რომლის გამოქვეყნებასაც ვაპირებ.

§ 3. მყაუნისა და დვლოს კულტურა უცხოეთში

მყაუნა და დვლო ევროპაშიც ადგილობრივ მცენარედ ითვლება: *Rumex alpinus* L., ანუ წართხალი ალპების, ვოგეზებისა და შვარცვალდის მთებშია გავრცელებული,—*Rumex patientia* L. ქვემო ავსტრიასა, კობლენცთანა და ელზას-შია ადგილობრივ ველურ მცენარედ,—*Rumex acetosa* L. მყაუნა მთელ გერმანიაში ყველგან მოიპოვება,—*Rumex scutatus* L. რაინის მთელ სანახებში გვხვდება,—*Rumex arifolius* გერმანიის მთებში არის გავრცელებული.

ძველად მკურნალს წამლად ჰხმარობდნენ და მწვანეხედილი სკამდენ კიდევიც. მკურნა მეტადრე საფრანგეთში ითვლება საყვარელ საკმელად, გერმანიაში კი უფრო ნაკლებად არის გავრცელებული (იხ. I. Becker, Gemüsebau, გვ. 221 და Vilmorin-Andrieux, Les plante Potagères, გვ. 492).

ფრანგები მკურნალს oseille-ს, გერმანელები Ampfer-ს უწოდებდნენ. ამასთანავე საკუთრივ მკურნალს Sauerampfer-ი, ხოლო Rumex patientia-ს Gartenampfer-ი, ანუ Englischer spinat-ს ეძახიან. რუსები მკურნალსათვის „შჩაველ“-ს ჰხმარობდნენ.

რომაელი ბუნებისმეტყველის პლინიუს მცირის ცნობით სოლონმა ლაპათუმთა ჯგუფს bulapathon „ბულაპათონ“-იც მიუმატა, რომლის ძირი ღვინითურთ სისხის, ანუ დისენტერიის, წინააღმდეგ კარგი საშუალებაა (Nat. hist., XX, 86). ე. ლიტტრე „ბულაპათონ“-ს Rumex scutatus-ად სთარგმნის (II, 35).

მკურნა Rumex დაწვრილებით პლინიუს მცირეს აქვს აწერილი. მისი ნაშრომითგან ჩანს, რომ რომაელები საკმელადაც და წამლადაც ამ მცენარის ორს, ველურ სახეობასაც ხმარობდნენ და კულტურულ სახეობასაც. ამ რომაელი მეცნიერის სიტყვით, თუმცა საერთოდ კულტურული შინაური მცენარე გარეულსა და ველურს სიდიდითა და ღირსებით სჯობია, მაგრამ ამ მხრივ მკურნა გამონაკლისს წარმოადგენს. ველური, ტყის მკურნა, რომელსაც ის ლაპათუმს (lapathum silvestre) ეძახის, შინაურს, კულტურულს, რომელიც rumex-ად იწოდება, სჯობია ფურცელთა სიდიდითაც და სიძლიერითაც (Natur. hist., XIX, 60).

პლინიუსს ამ მკურნალსა და Rumex patientia-ს ხუთი სხვადასხვა ჯიშისახეობა აქვს ჩამოთვლილი: 1. არსებობს გარეული ლაპათუმ-ი (lapathum silvestre), რომელიც შინაურს მიაგავს და რომელსაც ზღვნი oxalis-ის (ე. ი. მკურნალს) უწოდებდნენ. მის აღსანიშნავად რომაელები rumex „რუმექს“-ს ჰხმარობდნენ, სხვები კი lapathum cantherinum-ს ეძახიან. 2. არის oxylapathon-იც, რომელიც აგრეთვე შინაურს მიაგავს და ნოტიო ნიადაგში იზრდება.

E. Littré ოქსლაპათუმ-ს Rumex crispus L.-დ სთარგმნის. 3. არსებობს აგრეთვე hydrolapathon „ჰიდროლაპათონ“-ი, ანუ წყლის მკურნა, რომელიც წყალში იზრდება. ლიტტრე Rumex maritimus L.-დ სთარგმნის. 4. დასასრულს hippolapathon ჰიპოლაპათონ-იც (ე. ი. ცხენის მკურნა) მოიპოვება, რომელსაც ლიტტრე Rumex aquaticus L.-დ სთარგმნის (Natur. hist., XX, 85). 5. Rumex sativum შინაური მკურნა ზემოაღნიშნულ ფრანგ მეცნიერს Rumex patientia L.-დ მიაჩნდა (იხ. Histoire naturelle de Pline... par. E. Littré, II, 35).

მკურნალს საკმელადაც ხმარობდნენ და მის ძირს, გამანახარშსა და თესლს სხვადასხვა ავადმყოფობის დროს წამლადაც აკეთებდნენ (პლინიუს მცირე, Nat. hist. XIX, 60 და XX, 85 და 86).

რამდენადაც რომაელები და თვით პლინიუს მცირეც გარეული და შინაური მკურნალსათვის, rumex-ის გარდა, lapathum ლაპათუმს, ან ლაპათონსაც ჰხმარობდნენ, რომელიც ამ მცენარის ბერძნულ სახელს წარმოადგენს, იმდენად საფიქრებელია, რომ მკურნალის შინაური, კულტურული სახეობა და თვით კულტურაც რომში უნდა საბერძნეთთან იყოს დაკავშირებული და საბერძნეთითგან მემდინარეობდეს, სადაც, როგორც პლინიუსის ცნობითგანაც ჩანს, მკურნალს, ანუ ღვინოს კულტურა სკლონიის ხანაშივე და უწინარესაც კი არსებულა.

აღსანიშნავია, რომ დასავლეთ ევროპაში მკურნალის მოყვანის შესახებ ისტორიული ცნობები X ს. დამლევამდე არ მოიპოვება. კარლოს დიდის Capitulare de-

villis-სა და Breviarium rerum fiscalium-ში მოსაყვან მწვანელოთა და მცენარეებს შორის დასახელებული არ არის. მხოლოდ Macer Floridus-ი თავის 1000 წ. ახლო ხანში დაწერილ ნაშრომში Paratella-ს იხსენიებს, რომელიც, ესპანური paradella-ს მსგავსადაც, ღვალოს ხალხურ სახელად არის მიჩნეული. 1099 წ. დაბად. Hildegardis de Pinguis-ს მკაუნას შესახებ მთელი თავი აქვს დაწერილი. Rumex alpinus L. XVI ს. ლოზანში ჩვეულებრივი საბოსტნე მხალი ყოფილა (I. Becker, Gemüsebau, 221).

§ 4. მკაუნისა და ღვალოს ძველ საქართველოში გავრცელებულობა

ს. ორბელიანისა და გიულდენშტედტის მოწმობით განაცა და თანამედროვე ცნობით განაცა უცილობლად მტკიცდება, რომ სხვადასხვა სახეობათა მკაუნა ძველ საქართველოში საკვებ მცენარედ ძალიან გავრცელებული ყოფილა.

თუმცა ყველა ეს ცნობა XVII ს. არ სცილდება, მაგრამ ამ მწვანის, ღვალოს ძველადვე საქართველოში არსებობის მოწმედ შესაძლებელია ისეთი გეოგრაფიული სახელების წამოყენება, როგორცაა ს. ღვალოვანი ქვემო ქართლში, ტფილისის სანახებში და ღუშეთის სანახებში, რომელსაც ბოკოწინიც ეწოდება, და სხვაც.

მკაუნა, ღვალო და წართხალი საქართველოში ეხლაც „ძალიან გავრცელებული მცენარე“-ა (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 293). მთაში და ბარადაც იგი ჩვენში ველურად იზრდება. ფშავ-ხევსურეთში, ისევე როგორც ხევში, მთიულეთში და რაჭაში ხალხი სწორედ ველურ მკაუნას სკამდა და სკამს ეხლაც. ეს არც გასაკვირველია, რათგან მკაუნა *R. acetosa*, კოკო-მკაუნა *R. acetosella*, ღვალო *R. crispus* და ფურთხალე *R. scutatus* მთელ კავკასიაშია გავრცელებული (ად. როლოვი, ДРК, 438—441) და მუქოს, იაფ საკმელს წარმოადგენს. ღვალოს და ფურთხალეს ისპანახის მკაუნადაც კი ჰხმარობენ, რათგან მისგან გვირიელი და ნოყიერი მხალი და შეკმაძიკეთდება (ДРК, 439—441). ამავე და სხვა ჯიშები მკაუნა-ღვალო-ღვალოს წამლად და საღებავადაც ხმარობენ (იხ. ДРК, 438—440).

თავი II. ისპანახი, ანუ ისპანახი

§ 1. ცნობები ისპანახსა, ახფანახსა და სპანძელზე ძველ საქართველოში

„ისპანახი“ საბას აზრით უცხო სიტყვაა, „სხუთა ენა, ქართულად „სპანძელი“ ჰქვიანო (ლექსიკ.). ისპანახს საქართველოში გავრცელებულ მხალთა შორის ვახუშტიც იხსენიებს (აქვე, გვ. 154) ისევე, როგორც გიულდენშტედტიც, რომელსაც ამასთანავე აღნიშნული აქვს, რომ გერმანულ Spinath-ს ქართულად „Isphanach“ (sic!) ისპანახი ეწოდება (აქვე, გვ. 156).

რ. ერისთავს ისპანახი აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში მიღებულ სახელად აქვს აღნიშნული. გურიასა და სამეგრელოში რას ეძახიან, ნათქვამი არ არის. ამ მხალის ბოტანიკური რაობა *Rumex patientia* L., რუს. шпинат-ი არისო (ბოტ. ლექსიკ., 24, § 365), რაც მცდარი აზრია. ზ. ყანჩაველს სამართლიანად

აქვს აღნიშნული, რომ ისპანახი *Spinacea oleracea* არის. მისი აზრით ისპანახი საქართველოში „აღმოსავლეთიდან არის მოტანილი“ (ბოტანიკა, II, 294).

ხოჯა-ყოფილის კარაბადინში, რომელსაც „წიგნი სააქიმო“ ეწოდება, ნათქვამია: ავადმყოფი „ნედლსა და გრილსა საჭამადსა ივმარებდეს, ვითა აყიროი და ასფანახი და ქაშქი“-ო (გვ. 137). ამნაირად, ირკვევა, რომ XIII ს. დამდეგს ისპანახის მაგიერ ამ მხალის სახელად საქართველოში თურმე „ასფანახი“ უხმარიათ.

„სააქიმო წიგნი“ ხოჯა-ყოფილს „სპანძელი“-ც მოეპოვება: „სპანძელის თესლი“ (ხელთნ., გვ. 131), „სპანძელის წყალი“ (იქვე, გვ. 126). ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „ისპანახი სხუთა ენაა, ქართულად სპანძელი“ ჰქვიანო (ლექსიკ.). მაშასადამე, საბა ფიქრობდა, რომ სპანძელი იგივე ისპანახი იყო, მხოლოდ პირველი ამ მხალის ქართული სახელია, მეორე კიდე უცხო. რ. ერისთავიც საბას განმარტებას იმეორებს (ბოტ. ლექსიკ., გვ. 24, § 365).

მაგრამ სპანძელისა და ისპანახის იგივეობის აზრს ხოჯა-ყოფილის ნაშრომში არღვევს, რათგან მას ორივე ეს სახელი, როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, ცალ-ცალკე აქვს ნახმარი. „სააქიმო წიგნის“ ტერმინების განმმარტებელს, ვგონებ, გერმანე არქიმანდრიტსაც, ეს ორი სიტყვა სხვადასხვა მცენარის სახელად ჰქონდა მიჩნეული და მისით „ასფანახი — მხალია“, ხოლო „სპანძელი — მარიამ-საკმეველა“-ა (იხ. ე. თაყაიშვილი, *Опис.*, I, 679 და 683).

ამ მცენარის სახელი ს. ორბელიანსაც მოეპოვება, მაგრამ განუმარტავდ და ოღნავ შემოკლებული ფორმით: „მარიამ საკმელა“ და თან მცენარის პირობით ნიშანი აქვს დართული (ლექსიკ.). რ. ერისთავს მარიამ-საკმელა *Ruta graveolens* L., რუს. *рута*-დ მიაჩნია (ბოტ. ლექსიკ., 35, § 526), რომელიც სულ სხვა ოჯახს, სახელობრ *Rutaceae*-ებს, ეკუთვნის (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 320), ვიდრე ისპანახი.

§ 2. ცნობები ისპანახზე უცხოეთში

ისპანახის შესახები უძველესი ცნობა იბნ ალავეამ-ს და იბნ ბაფთარ-ს მოეპოვებათ ნაბატვეელთა ქვეყნის აღწერილობაში (I, Becker, *Gemüsebau*, 258). მაშასადამე, XIII ს-ში ეს მხალი ჩრდილოეთ არაბეთში ყოფილა გავრცელებული. ორივე ზემოდასახელებული არაბი ბოტანიკოსი ამ მცენარეს „ისქანაგ“-ს უწოდებს (I. Becker, *Gemüsebau*, 258).

ოსმალურად ამ მცენარეს *ispanak*-ს ეძახიან, თითქმის ყველა დანარჩენი ერობავე სახელს ხმარობს, მაგრამ უთავკიდურხმოვნოდ (*spinaci*—იტალ., *spanach* ინგლ., *Spinat* გერმ., *шпинат* რუს.). მხოლოდ ესპანურში *espinaca*, პორტუგალურს *espinacio* და ფრანგულად *l'épinard* ამ მხალის სახელს თავში „ე“ ხმოვანი მოეპოვება.

ძველი ქართული „ისპანახი“ ამავე თვისების მქონებელია. „ისპანახი“, ამ მცენარის „ი“-ხმოვნიანი ფორმა, ქართულში მერმინდელი, XIII ს. შემდგომი, ხანის სახელად მოჩანს.

ძველ საბერძნეთსა და რომში ისპანახი არ იყო. პლინიუს მცირეს მისი ხსენებაც არ მოეპოვება. შეძღვენიც იგი არა ჩანს. H. Blümner-ს რომში გავრცე-

ლებულ საკვებ მცენარეთა შორის ისპანახი დასახელებული არა აქვს (იხ. Die römischen Privataltertümer, 165—167).

I. Becker-ის სიტყვით, ისპანახი საშუალო საუკუნეების გერმანელი მწერლების თხზულებებშიც არსად გვხვდება. მხოლოდ XVI ს-ითგან მოყოლებული ჩნდება პირველად ეს მხალი დასავლეთ ევროპაში და შემდეგ თანდათან სულ უფრო-დაუფრო ვრცელდება.

მეთექვსმეტე საუკუნის მწერლები თურმე ერთმანეთს ეკამათებოდნენ, ამ მცენარის სახელი ესპანეთის მხალსა კნიშნაჯდა, თუ ეკლის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა spina-საგან არის ნაწარმოებო? ამ გარემოებათა მიხედვით ფიქრობენ, რომ, რაკი Herrera-ს თავის ნაშრომში ესპანეთის მიწისმოქმედების შესახებ ისპანახზე არაფერი აქვს ნათქვამი, ეს მხალი ესპანეთში პირველად XV ს-ში უნდა იყოს არაბთაგან შეტანილი (I. Becker, Gemüsebau, 258—269).

§ 3. ისპანახის სადაურობის საკითხი

ისპანახის, *Spinacia oleracea* L.-ს, სამშობლოდ მეცნიერნი კავკასიასა სთვლიან, მაგრამ კულტურული ისპანახის მთლად მსგავსი ველური მცენარე ჯერ მაინც აღმოჩენილი არ არის. ჯერჯერობით მის წინაპრად *Spinatia tetrandia* Roxb. არის მიჩნეული, რომელიც სამხრეთ კავკასიასა, სპარსეთში, თურქესტანსა და ავღანისტანში ველურად იზრდება. მაგრამ შინაური ისპანახისაგან ეს მცენარე თვალსაჩინოდ განსხვავდება (I. Becker, Gemüsebau, 258).

ისპანახის კულტურის სადაურობის გამოსარკვევად საგულისხმო გარემოებაა, რომ ჩინელები მას სახელად „სპარსეთის ბალახ“-ს ეძახიან (I. Becker, იქვე). ცხადი ხდება, რომ შორეულ აღმოსავლეთში ისპანახის მოყვანა-მოხმარება დასავლეთითგან, სპარსეთითგან, შეუსწავლიათ. სპარსელები ამ მხალს „ისპანა“, „ისპანაჲ“-ს ეძახიან.

რაკი „ასფანახი“ უკვე XIII ს. დამდეგს ნათარგმნ თხზულებაში განუმარტავად გვხვდება, ცხადია, რომ ეს მხალი, თუ ამაზე უწინარეს არა, XII ს-ში მაინც უნდა ყოფილიყო საქართველოში. შემდეგში ამ მცენარის სახელი ბგერითად შეცვლილა და „ისპანახ“-ად ქცეულა. ეს ფორმა არაბულში და თურქულში მიღებულ სახელს უდგება. I. Becker-ს ამ მხალის სახელი სპარსულ სიტყვად მიაჩნია (Gemüsebau, 259), მაგრამ, სანამ მისი ეტიმოლოგია გამორკვეული არ არის და ძველი ქართული „ასფანახი“-ს არსებობასაც ანგარიში გაწეული არა აქვს, საკითხი ჯერ საბოლოოდ გადაწყვეტილად ვერ ჩაითვლება.

თავი III. ჯიჯლაყა, ანუ თვითმავალა

§ 1. ჯიჯლაყა, ანუ თვითმავალას შესახები ცნობები

„ჯიჯლაყა“ ს. ორბელიანს განუმარტავად აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი, მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნითურთ. რ. ერისთავს კი „ჯიჯლაყა“ იმერულ და გურულ სახელად მიაჩნია. მის შესატყვისად აღმოსავლეთ საქარ-

თველოში „მხალი-საქმელი“, „თვითმავალა“ და „თვთმავალა“ აქვს დასახელებული. მეგრულად მას „ჯუმენე“ ეწოდებაო. ბოტანიკურად ეს მხალი *Amarantus blitum* L.-ს, რუსულ *ширица*-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., გვ. 42, § 603). ად. როლოვს ყველა მხალი, ჭიჭლაყა და ჯუმენე აქვს მოყვანილი რუს. *ширица*-ს შესატყვისად, ხოლო ბოტანიკურად *Albersia blitum* Kuth.-ად აქვს განსაზღვრული (ДПК, 21).

„თვთმავალა“ საბასაც მოეპოვება, მაგრამ მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნის დართვით.

ჭიჭლაყა, როგორც აღნიშნული გვექონდა, ად. როლოვსაც აქვს შეტანილი თავის ნაშრომში (ДПК, 21—22). მისი სიტყვით, ეს მცენარე ერთწლიანია და ამიერკავკასიაში იზრდება. მთელ ამიერკავკასიაში, თუ მის რომელსამე ნაწილში და სახელდობრ სად, ნათქვამი არ არის. ამ მცენარის დართული ადგილობრივი სახელები კი მასაც ყველა ქართული აქვს. ამის მიხედვით საფიქრებელია, რომ ეს მხალი უმთავრესად საქართველოში უნდა იყოს გავრცელებული, ანდა უმთავრესად ჩვენი ხალხი ჰხმარობს მხალად. მაგრამ ეს საკითხი ჭერ კიდევ გამოსარკვევია. ად. როლოვს ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ ადგილობრივი მკვიდრნი („туземцы“) ჭიჭლაყას ფოთლებს მწვანილად სჭამენ, თესლს კი შეჭამადადაც აკეთებენ და შინაურ ფრინველსაც საკენკად აძლევენო (ДПК, 32). ამ ცნობას ფასი ეკარგება, რათგან დასახელებული არ არის, თუ ვინ და სადაური არიან ეს ადგილობრივი მკვიდრნი.

პირადად ჭიჭლაყაზე შემდეგი ცნობების შეკრება შევძელ:

როგორც ისტორიული დარგის III კურსის სტუდენტ მიხეილ გოგსაძის წერილობით გადმოცემული ცნობითგან ჩანს (რომლისათვისაც დიდად ვმადლობ), იმერეთში ამ მხალს „ჭიჭლაყა“ ჰრქმევიან, გურიაში კი თურმე „ჭიჭლაყა“-ს ეძახიან. სამეგრელოში საკმაოდ ყოფილა ეს მცენარე გავრცელებული. სახელად იქ თურმე „ჭიჭლეი“ ეწოდება.

„იმერეთში მინდვრის მხალი ჭიჭლაყა ძლიერ გავრცელებულია. ის საკმაოდ მალალი იზრდება (თითქმის 1/2 მეტრი), ფოთლებს საკმაოდ შორს მანძილზე შლის. მაგრამ როდესაც ამხელა გაიზრდება, საქმელად უკვე აღარ იხმარება, რადგან დაბერებულად ითვლება. ამ დროსვე ის ისხამს უამრავ თესლს. თესლი ფეტვის მარცვალზე უფრო წვრილია და წითელი, საკმაოდ მიმზიდველი ფერის. ჭიჭლაყას ფოთოლსა სჭამენ ისევე, როგორც სხვა დანარჩენ მხალს. უფრო ხშირად სხვა მხალში ურევენ, რადგან მარტო შემზადებული ცოტა მომწარო გემოსია ხოლმე და ამიტომვე ბევრი ნიგვზის მიმატებას საჭიროებს“-ო (მ. გოგსაძის წერილობითი ცნობა).

§ 2. ჭიჭლაყას სახელის პირველადი მნიშვნელობა

სახელი „ჭიჭლაყა“, ანუ „ჭიჭლაყა“ უნდა ორი სიტყვისაგან „ჭიჭი“-სა და „ლაყა“-საგან იყოს შემდგარი. „ჭიჭი“ ჰქნებოდეს ძირსა ჰნიშნავს, რომელიც მეგრულშიც „ჩინჩი“-ს სახით არის დაცული. „ლაყა“ არც ჰქნებოდეს, არც მეგრულში არა ჩანს და გაუგებარია, თუ რომ არ წარმოვიდგინეთ, რომ აქ შესაძლებელია იგივე სიტყვა გვექონდეს, რომელიც „ლაყი“-სა და „ლაყ-ლაყი“-ს სახით თანამედროვე ქართულშიც ცოცხალი სიტყვაა.

ს. ორბელიანის განმარტებით, ლაყი თითქოს „წამყდარი“ კვერცხის აღმნიშვნელი უნდა იყოს (ლექსიკ.), მაგრამ ეს სიტყვა რომ მარტო კვერცხთან არ არის დაკავშირებული, იქითგანაც ჩანს, რომ წამყდარ კვერცხს „ლაყე კვერცხი“ ეწოდება. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა „ლაყლაყ“-ს უნდა ჰქონდეს დაცული, რომელიც თავისუფლად რყევას, მოძრაობას და სიმტკიცეს მოკლებულობას ჰნიშნავს. ლაყე კვერცხიც ისეთს ეწოდება, რომელშიც ცილას და გულს ლაყლაყი გააქვს. ლაყეს ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს ლალი-ც, რომელიც თავისუფალი მოძრაობის, განუკრძალველი ქცევის მიმდევარსა და შემდეგ კადნიერსაც ჰნიშნავდა. ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა დაცულია ცნობილს, ზღაპრებთან დაკავშირებულ, ხალხურ ლექსში „ზღაპარ-იყოს“-ს იმ ტაეპში, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩიტი „დიდ ქვაბში არ ეტეოდა, პატარაში ლაღე იყო“. „ლაღე“ აქ მოლაყლაყეს, ე. ი. თავისუფლად მოძრავესა ჰნიშნავს.

ამგვარად, საფიქრებელია, რომ „ჯიჯლაყა“, ანუ „ჯიჯილაყა“ ლაყე, ანუ ლაღე ძირის მქონებელ მცენარეს უნდა ჰნიშნავდეს. მხალის ამ სახელის ასეთ მნიშვნელობას მისი აღმოსავლეთ საქართველოში დაცული და უკვე ს. ორბელიანისაგან აღბეჭდილი სახელი „თთმოდრავა“-ც კარგად უდგება და ადასტურებს. ამ სახელს ხალხი ეხლაც ჰხმარობს, მაგ, კახეთში, სადაც ამავე მხალს გარეთ და შიგნით კახეთში, კახელ სტუდენტთა ცნობით, რომელთაც ამის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ, „თათრული მხალი“-ც ეწოდება. გამოდის, რომ ამ მცენარეს მყარად ჩამყდარის მაგიერ ლალი ძირი უნდა ჰქონდეს და მ. გოგსაძისა და სხვების ცნობითაც ჯიჯლაყას მართლაც წვრილი ფესვები ჰქონია.

§ 3. ჯიჯლაყა უცხოეთში და მისი ღირებულება

Amarantus blitum L. გერმანიაშიც ველური მხალია და *Der Melden-Amarant* ანუ *Fuchsschwanz*-ი ეწოდება. მას ისპანახის მსგავსად სჭამენ და მუქი წითელი ფერის თესლი აქვს. ამას გარდა, ჯიჯლაყას ჩინეთითგან მოტანილი გაშინაურებული ჯიშიც არის ევროპაში გავრცელებული, რომელსაც *Amarantus oleraceus*-ი ეწოდება. გერმანელები მას *der Ostindische* ანდა *Gemüseamarant*-ს, აგრეთვე *Chinesischer Spinat*-ს, ე. ი. ჩინურ ისპანახს ეძახიან, ფრანგებიც ასევე *Amarante de Chine*-ს უწოდებენ. არსებობს კიდევ აღმოსავლეთ ინდოეთითგან მოტანილი ჯიშე *Amarantus Mirza* და ჩინეთითგან *Amaranthus hantsi Shangai*-ს ჯიშიც.

ბოტანიკოს-აგრონომების საქმეა გამოარკვიონ, ჯიჯილაყა, ანუ თვითმავალა და შიგნით-გარე კახეთში მიღებული სახელი „თათრული მხალი“ სრული სინონიმებია, თუ უკანასკნელი სახელი ამ მცენარის განსაკუთრებული სახეობაა. ეგების მანდოლ-თათრების დროს ჩინეთით შემოტანილი *Amarantus oleraceus*-ია, ანდა ინდოეთის მსგავსი ჯიშია, *Amarantus Mirza*-ს რომ ეძახიან.

Vilmorin-Andrieux ამ მხალს ძალიან აქვებს და ისპანახის მსგავსი ღირებულების საკმელად მიაჩნია, ფიქრობს, რომ მის კულტურას ყურადღება უნდა მიექცეს მით უმეტეს, რომ მისი მოყვანა ძალიან ადვილიაო (*I. Becker, Gemüsebau, 278* და *Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 5*).

თავი IV. მოლოქი, ბალბა, ბოდერია

§ 1. ცნობები მათ შესახებ და ბოტანიკური რაობა

„მოლოქი“ დაბადების ქართულ თარგმანში გვხვდება (იობისი, 24₂₄): „დაქნა ვითარცა მოლოქი სიტყესა შინა“-ო ს. ორბელიანს „მოლოქი“-ც აქვს მოყვანილი და თანაც განმარტებული აქვს: „მოლოქი ბალბა“ არის, „მოლოქი, კორკოტანა“-აო (ლექსიკ.). „კორკოტანა ბალბა“-აო (იქვე). თარგმანების მიხედვით „მოლოქი“ = ἡ μολοχῆ-ს ბერძ. „პე მოლოქე“-ს, და სომხ. „ბანჯარ“-ს *բանջար*-ს.

„ბალბა“ „საქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის ქართულ თარგმანში გვხვდება. იქ იხსენიება „ბალბაისა წყალი“ (ხელთნ., გვ. 124).

უკვე აკად. გიულენშტედტს აღნიშნული ჰქონდა, რომ ქართული „ბალბა“ („Balb“ sicil) ლათინ. *Malva erecta*-ს უდრის (Reisen, I, 423).

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ „მოლოქი“ ქართულში შედარებით გვიანი, დაბადების თარგმანის წყალობით, შემოსული, ამასთანავე მხოლოდ მწიგნობრული სიტყვა იყოს. მაგრამ ამ აზრს საეჭვოდ ის გარემოება ჰხდის, რომ ეს სიტყვა „მოლოქი“ ქანურშიც იხმარება (ქ. გ.: проскурняк).

რ. ერისთავს ს. ორბელიანის ზემომოყვანილი ცნობა მთლიანად გამეორებული აქვს და თანაც დამატებულია, რომ „მოლოქი“ იმერეთსა და გურიაში ეხლაც დაცული ყოფილა. რაკი მოლოქი დასავლეთ საქართველოში ეხლაც ცნობილი სიტყვაა და თანამედროვე ქანურსაც დაცული ჰქონია, ცხადი ხდება, რომ ეს სახელი მწიგნობრული სიტყვა არ არის, არამედ ძველ დროსაც გავრცელებული უნდა ყოფილიყო.

მეგრულში ამ მცენარის სახელად რ. ერისთავს „ბოდერია“ აქვს დასახელებული.

ბალბა, კორკოტანა, მოლოქი და ბოდერია რ. ერისთავსაც ბოტანიკურად *Malva rotundifolia* L.-დ, რუს. проскурняк-ად მიაჩნია (ბოტ. ლექსიკ., გვ. 6, § 84). იოს. ყიფშიძეს ბოდერიას გარდა მეგრულ სახელად „ბოდორია“-ც აქვს აღნიშნული (მ. გ.). მოლოქისა და ბალბას გარდა, ად. როლოვს „ჩიტის პურის“ და „ტუხტი“-ც აქვს ამ მცენარის ქართულ სახელად მოყვანილი, რომელთაგან უკანასკნელი იმერეთში იხმარებო (ДРК, 307). რ. ერისთავს კი ტუხტი *Althea officinalis* L.-დ აქვს განსაზღვრული, ხოლო ჩიტის-პურა *Malva borealis* Wal.-იად (ბოტ. ლექსიკ., 72, § 1004).

§ 2. მოლოქისა და ბალბის ეტიმოლოგია და სადაურობის საკითხი

ბერძნული „მოლოქე“ და ჩვეულებრივი „მალაქე“ და „მოლაქე“-ს ისევე, რთვორც ლათინური *malva*-ს ეტიმოლოგია და სადაურობის საკითხი საბოლოოდ გამორკვეული არ არის. ფიქრობენ, რომ ამ მცენარის ბერძნულ სახელს უნდა ბერძნული ჩვილისა და ნაზის აღმნიშვნელ *μαλαχιδ*-თან ჰქონდეს კავშირი, ამ მხალის ნაზი თვისების გამო. ლათინურ *malva*-ს მონათესავე ორიოდ სიტყვასაც ასახელებენ. მაგრამ Emile Boisacq ფიქრობს, რომ შესაძლებელია მალაქე ბერძნული სიტყვა არც იყოს, არამედ ხმელთაშუა ზღვის ბერძენთ-უწინარესი

მოსახლეობის ენითგან ნასესხებ სახელთან გვექონდეს საქმე, რომლის ანარეკლი ებრაულშიც კი მოიპოვებაო (იობ., 30₄: *malluah*). ამავე ავტორს Solmsen-ისგან აღნიშნული ამავე მცენარის ბერძნული სახელი *μαλμαξ* ანუ *μαλμαξων* „მალბაქს“, ანუ „მალბაკონ“ მეტად საეჭვოდ მიაჩნია (იხ. *Diction. étym. de la langue grecque*, 604 და *Alois. Walde-ს Lateinisches etymol. Wörterbuch*, 2. Aufl., 458).

თუ ქართული „მოლოქი“ და ს. ორბელიანისაგან რომელიღაც წყაროთაგან ამოღებული „მოლოქი“ ბერძნულში დაცულს ამ მცენარის სახელებს იმდენად გასაოცრად მიაგვანან, რომ მწიგნობრული გზით, დაბადების თარგმანის წყალობით, შეთვისებული სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენენ, „მოლოქი“-ს ჰანურშიც აქამდე არსებობა ამ შთაბეჭდილებას, როგორც აღნიშნული გვექონდა, აქარწყლებს და მის მწიგნობრულობის მოსაზრებასაც საეჭვოდ ჰხდის მით უმეტეს, რომ თანამედროვე საქართველოშიც „მოლოქი“ ამერეთში კი არა, როგორც ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო, არამედ სწორედ ლიხთ-იმერეთში, იმერულსა და გურულშია დაცული.

ანგარიში იმ საგულისხმო გარემოებასაც უნდა გაეწიოს, რომ ამ სიტყვას ქართულშიც ისეთი თვისტომნი გააჩნია, როგორცაა მაგ. „მოლი“, რომელიც „ახალი ბალახი“-ს, ე. ი. ნაზი მცენარეულობის აღმნიშვნელია (საბა, ლექსიკ.) და ასე გასაოცრად მიაგავს რბილისა და დრეკადის აღმნიშვნელს ლათინურ *mollis* „მოლის“-ს, ინდოევროპულ ენებში მშრავალრიცხოვანი მონათესავეობით დაკავშირებულს (*Al. Walde, Latein. etym. Wörterb.*, 490).

მეორე მხრით საგულისხმოა, რომ ამავე მხლის მეორე სახელი „ბალბა“ ლათინურ *malva*-ს, „მალვა“-საც მიაგავს და უფრო მეტად კი *Boicasq*-ისაგან საეჭვოდ მიჩნეულ ბერძნულ „მალბაქს“-სა და „მალბაკონ“-ს, მეტადრე, თუ გავიხსენებთ, რომ ბალბას გარდა „ბალბალუკა“-ც იხმარება (ს. ორბელიანი, ლექსიკ. და ბ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ., გვ. 6, § 85).

ქართული „ბალბა“-ს, ბერძნ. „მალბაქს“-ისა და ლათინ. „მალვა“-ს ნათესაობის უარყოფა ძნელია, მაგრამ სანამ ამ სიტყვის დამაკმაყოფილებელი ეტიმოლოგია არ არსებობს, მათ სადაურობაზე მსჯელობა ნაადრევი იქნებოდა. ამიტომ მცენარეთა კულტურის ამ საინტერესო საკითხის საბოლოო დასკვნა მომავლისათვის უნდა გადაიდოს.

§ 3. ამ მხალის შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უცხოეთისა და საქართველოსთვის

მოლოქისა და ბალბის შესახებ ცნობები მეტისმეტად ცოტაა. პლინიუს მცირესაც ამ მხალზე ბევრი არაფერი აქვს ნათქვამი. მაინც მის სიტყვებითგან ირკვევა, რომ საბერძნეთსაცა და იტალიაშიც ორნაირი ბალბა, ანუ მოლოქი ყოფილა: შინაური და გარეული (*malva... sativa et silvestris*). ბერძნები თურმე დიდფოთლიან ბალბას „მალოპე“-ს (*malopen vocant*), მეორე ჯიშს კი „მალაქეს“-ს უწოდებდნენ (*Natur. hist.*, XX, 84).

რომაელი ბუნებისმეტყველი თავის მკითხველს ბალბისა და მოლოქის მხოლოდ მრავალგვარ სამკურნალო თვისებებზე მოუთხრობს. მართალია, მას ზოგადად ნათქვამი აქვს, რომ ბალბას ძალიან აქებენო, მაგრამ არსად შემდეგში მისი კვებითი ღირებულება გამომქლავნებული არა აქვს. პირიქით, მას გაკვრით მოყვანილი აქვს ერთი ავტორის აზრი, რომელიც უარყოფითი ყოფილა. Sextius Niger-ი თურმე ბალბასაცა და მოლოქსაც სტომაქსისთვის ურგებ საკმელად სთვლიდა („stomacho inutiles Sextius Niger dicit“. Natur. hist., XX, § 4). ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ მხალს საბერძნეთსა და იტალიაში უმთავრესად მკურნალობაში ხმარობდენ.

საქართველოში ბალბას თუმცა სკამდენ და სკამენ ეხლაც, მაგრამ მხოლოდ ველურს, მის მოყვანას კი არავინ მისდევს. ამითვე აინსნება, რომ ბალბაზე და მოლოქზე ასე ცოტაა ცნობები.

აღ. როლლოვსაც ბევრი არაფერი აქვს. მისი სიტყვით *Malva L.* და *Malva Aegyptia* ბალბა თითქოს მხოლოდ ამიერკავკასიის აღმოსავლეთი ნაწილის ველური მცენარე იყოს. მის ღეროებისგან ვითომც ქერელს (ВОЛОКНО). აკეთებდენ, ფოთოლს კი სკამენო (ДРК, 308).

Malva borealis Wallm., ანუ ჩიტის-პურა კავკასიაში მინდვრად აქა-იქ 5000 ფ-მდე გვხვდება. ვითომ მის ღეროსგანაც ქერელს ამზადებენ. მის ნახარშს იმერეთში ყელის ავადმყოფობის დროს ხმარობენო (იქვე).

ხოლო *Malva neglecta* Wallr. მთელ კავკასიაში 6000-მდეა გავრცელებული. ადგილობრივი მკვიდრნი (სადაურნი?) მის თესლს სკამენო. *Malva silvestris* L. ტყის ბალბა იმიერ-ამიერ კავკასიაშია გავრცელებული. ადგილობრივი მკვიდრნი (სადაურნი?) ბალბის რძითა და ფქვილით შემზადებულ ფაფას აკეთებენ მუცლის გვრემის დროს მუცელზე შემოსადებად. ნორჩ ფოთლებს კი სკამენო (იქვე, 308—309).

დასასრულ, ბალბის, ანუ მოლოქის მეგრულში დაცული სახელის „ბოდერია“-ს, ანუ „ბოდორია“-ზეც. თუ ამ მცენარის პირველი ორი სახელის უცხოურობის საკითხი, როგორც დავრწმუნდით, ყოველთვის შესაძლებელია წამოყენებული და დასაბუთებული იქმნეს, ბოდერია და ბოდორია უფრო ადგილობრივად მოეჩვენება ადამიანს. ამასთანავე, საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა წინათ ამერეთშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამას გეოგრაფიული სახელი „ბოდორია“ გვაფიქრებინებს, რომელიც შესაძლებელია ამავე მცენარის სახელისაგან იყოს წარმომდგარი.

თავი V. კატაბოღი, მსუქანა, დანდური, უკვდავა

§ 1. ცნობები ამ მხალის შესახებ და მისი რაობა

აღსანიშნავია, რომ ს. ორბელიანს „დანდური“ ლექსიკონში არ მოეპოვება, სამაგიეროდ შეტანილი აქვს „მსუქანა“, მაგრამ მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნითურთ, განუმარტავად. არც „ქონა-ქონა“ აქვს შეტანილი, რომელიც რ. ერისთავის ცნობით დანდურისა და მსუქანას სინონიმს წარმოადგენს.

სდუმან დანდურზე სხვებიც, მათ შორის ვახუშტიცა და გიულდენშტედტიც, რომელთაც ჩვეულებრივ სხვებზე მეტი ცნობები აქვთ ხოლმე დაცული.

ხოჯა-ყოფილს კი „სააქიმო წიგნის“ თარგმანში არა ერთხელ აქვს დასახელებული „კატკატო“ (იხ. ხელთნ., გვ. 119, 120, 121 და 145). „მწვანითათანა ხავარტი და კატკატო“ ჰამოსო (გვ. 145). ს. ორბელიანს განმარტებული აქვს: „კატკატო შინაური მსუქანა“ არისო (ლექსიკ.), ხოლო გ. ბოჭორიძის ცნობით, რომელსაც ამის მოწოდებისათვის მადლობას მოვასხენებ, „კატკატო თუშეთში ეხლაც იხმარება და ბალახს ეწოდება, რომელსაც მხალად ხმარობენ“-ო.

„სააქიმო წიგნის“ ტერმინთა განმარტებაში ნათქვამია, რომ „კატკატო უკვლავა“ არის (იხ. Опис., I, 682). მსუქანა, დანდური და კატკატო Portulacaceae-ის დანდურნაირთა ოჯახს ეკუთვნის, რომელიც ხორციან-ფოთლებიანი ბალახბურქებისაგან შედგება (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 295).

§ 2. ამ მხალის სხვადასხვა სახელის სადაურობა და აღმნიშვნელობა

ამგვარად, უკვე ძველ ქართულ მწერლობაში ამ მხალის შემდეგი სახელები მოგვეპოვება: კატკატო და მსუქანა, შემდეგ ემატება უკვდავა. საგულისხმოა, რომ დანდური არც საბასა აქვს, არც სააქიმო წიგნის ტერმინების განმარტებაშია ნახმარი. ამიტომ იბადება საკითხი, დანდური უცხო სიტყვა ხომ არ არის.

„დანდური“ სომხურშიც იხმარება, მაგრამ მხოლოდ ახალში. *ქანაღინიქ* „დანდრნიკ“, რომელიც შუშის დიალექტში ერთი ველური საქმელი ბალახის სახელიად და *ქანაღინიქ ძაღიქ* „დანდრნიკ წალიკ“, რომელიც ერევნის დიალექტებში მოიპოვება და ბაღის ერთი ყვავილის სახელიად (პ. *Անათხან. ჯ. գաღაი. բათარან.* გვ. 266). ამნაირად, დანდურს სომხურში უფრო ხანმოკლე წარსული უჩანს და ამ სიტყვის სადაურობის გამოსარკვევად მხოლოდ იმ მხრივ შესაძლებელია გამოყენებული იყოს, რამდენადაც დანდურის სახელი შუშის დიალექტშიც არსებობას ამჟღავნებს.

არ უდგება „დანდური“ ამ მხალის არც სპარსულ სახელს „ხოლდა“-ს, ჰინდუსტანურ „ხურდა“-ს და არაბულ „კურდა“-საც (იხ. I. Becker-ის *Gemüsebau*, 279). ამნაირად, დანდურს თვისტომნი არც ქართველთა მახლობელი და შორეული მეზობლების ენაში მოეპოვება, ამიტომ ამ სახელის სადაურობის საკითხი ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება.

რ. ერისთავის ცნობით, დანდური, კატანო, კატკატო და მსუქანა ამ მხალის აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული სახელებია, — იმერეთში მის სახელადვე კერეტა-ა გავრცელებული, ხოლო „ქონა-ქონა“-სა და „უკვდავა“-ს გურიაში ეძახიანო. ყველა ზემოჩამოთვლილი სახელი მასაც *Portulaca oleracea* L.-სა და რუს. *портулак*-ის შესატყვისად მიაჩნია (ბოტ. ლექსიკ., 14, § 205).

ად. როლოვს, რ. ერისთავისაგან მოყვანილ სახელებს გარდა, დანდურის სახელად კაპოეტო-ც აქვს აღნიშნული, ხოლო მეგრულ სახელად კერეტა-სთან ერთად „კარეტა“-ც სწერია (ДРК, 392). რ. ერისთავის განსაზღვრით კი კერეტა, კაპოეტი, ანუ კაპუეტი უნდა *Agropyrum repens* Gertn. Sin. *triticum repens* L. *Gramen* იყოს (ბოტ. ლექსიკ., 26—27, § 398).

ს. ორბელიანის იმ განმარტებითგან, რომ „კატკატოა“ მხოლოდ „შინაუ-რი მსუქანა“-ს აღმნიშვნელი სახელია, ცხადი ხდება, რომ „მსუქანა“ ამ მხალის ზოგადი სახელწოდება ყოფილა და რომ ამ მცენარის როგორც გარეული, ანუ ველური სახეობა ყოფილა, ისევე შინაურიც, რომელსაც განსაკუთრებული სახელიც კი, „კატკატოა“ ჰქმევიან ქართულად.

საქართველოში, ეტყობა, მხალად შინაურ მსუქანასაც და გარეულს, ანუ ველურსაც ხმარობდნენ. რაკი „კატკატოა“ შინაური მსუქანა, ანუ დანდური ყოფილა, მაშასადამე, რ. ერისთავის ზემომოყვანილი ბოტანიკური განსაზღვრა, რომლის მიხედვითაც ეს სახელი თითქოს *Portulaca oleracea*-ს სინონიმი უნდა იყოს, მცდარია: „კატკატოა“ *Portulaca sativa* Haworth ყოფილა.

იმ მრავალრიცხოვან სახელთაგან, რომელნიც ამ მხალს გააჩნია ამჟამად და ნაწილობრივ წინათაც ჰქონდა, „მსუქანა“ ამ მცენარის ხორციანი ფოთოლ-ღეროს დამახასიათებელი სახელია: ასეთივე თვისების აღმნიშვნელია, რასაკვირველია, „ქონა-ქონა“-ც.

მეტად საგულისხმოა მსუქანას სახელი „უკვდავა“, რომელიც ამ მცენარის სიცოცხლისუნარიანობის არაჩვეულებრივი ხანგრძლივობის დამახასიათებელი უნდა იყოს. რაკი თვით მცენარეს ასეთი თვისება არ ემჩნევა, ეგების „უკვდავა“-ს სახელი მისი თესლის იმ გასაოცარი გამძლეობის გამო ეწოდა, რომელიც მსუქანას ჰქონია? W. Darlington-ის დაკვირვებით მსუქანას თესლის 2%-ს 40 წლის შემდგომაც ვალიეების უნარიანობა შენარჩუნებული ჰქონია (I. Becker, Gemüsebau, 281). ად. როლლოვს დანდურის ერთ-ერთ სომხურ სახელადაც „ანმერუკ“-ი აქვს აღნიშნული (ДПК, 392), რომელიც სომხურად უკვდავასავე ჰნიშნავს. სამწუხაროდ, წყარო, საითგანაც ამოღებულია ეს სახელი, დასახელებული არ არის. ამიტომ გამოურკვეველია, თუ რომელ სომხურ დიალექტში მოიპოვება ეს სიტყვა? არც ამატუნისა და არც აჭარის ანმერუკ-ი თავიანთ სომხურ დიალექტურ ლექსიკონებში არა აქვთ შეტანილი.

§ 3. მსუქანას, ანუ დანდურის სამშობლო და კულტურა უცხოეთში.

ბოტანიკოს-აგრონომები ფიქრობენ, რომ მსუქანას, ანუ დანდურის სამშობლოდ უნდა ინდოეთითგან მოყოლებული სამხრეთ რუსეთამდე და თვით საბერძნეთამდისაც გადაჭიმული არე იქმნეს ცნობილიო (I. Becker, Gemüsebau, 279). Vilmorin-ს ამ მხალის სამშობლოდ ინდოეთი მიაჩნდა, სხვაგან მას მერმინდელ შენაქენად სთვლიდა (*Les plantes potagères 4-ième éd.*, გვ. 615). ად. როლლოვის სიტყვით მსუქანა, ანუ დანდური მთელ კავკასიაშიცაა ველურ მცენარედ გავრცელებული (ДПК, 392).

ინდოეთში ეს მცენარე ჰიმალიას მთებში 5000 ფუტის სიმაღლემდე ველურად იზრდება.

ფიქრობენ, რომ მსუქანას მხალად უკვე ძველ ეგვიპტეშივე ხმარობდნენ, სადაც მას სახელად *makhmakhai* ჰქმევიან.

მსუქანა, ანუ დანდური ნაბატეველთა ქვეყანაშიც ყოფილა მხალად და იზნ ალავეამ-სა და იზნ ბაბათარ-საც თავიანთ ნაშრომში ეს მცენარე დასახელებული აქვთ (I. Becker, Gemüsebau, 279).

პირიქით, დასავლეთ ევროპაში დანდური შედარებით გვიან ჩნდება. პლინუს მცირეს ამ მცენარის ხსენება არ მოეპოვება. შემდეგშიც მსუქანას კულტურაზე არც კარლოს დიდსა და არც Hildegardis-ს არაფერი აქვთ ნათქვამი. პირველად როდის იწყება ამ მხალის მოყვანა დასავლეთ ევროპაში, I. Becker-ს არა აქვს აღნიშნული (Gemüsebau, 279).

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ადამიანი დარწმუნდება, რომ მსუქანას, ანუ დანდურის შესახებ ცნობები იმდენად მცირეა, რომ მისი კულტურის შესახებ როგორც საქართველოში, ისევე სხვა ქვეყნებშიც ბევრი არაფრის თქმა არ შეიძლება. ად. როლლოვის სიტყვით, ადგილობრივი მკვიდრნი („у туземцев“, სადაურნი?) დანდურს წამლადაც ჰხმარობენ თურმე (ДРК, 392).

თავი VI. სატაცური

§ 1. ცნობები მის შესახებ და მისი რაობა

„სატაცური“ ვახუშტს საქართველოში გავრცელებულ საკვებ მხალთა სიაში ჩართული აქვს (აქვე, გვ. 154), საბას კი ეს სიტყვა თავის ლექსიკონში განუმარტავად შეუტანია და მცენარის პირობითი ნიშნის დართვით დაკმაყოფილებულა. აკად. ან. გიულდენშტედტიც ადასტურებს სატაცურის გავრცელების გარემოებას და თანაც აღნიშნული აქვს, რომ სატაცური (*Asparagus officinalis*) მთელ საქართველოში იყო გავრცელებული და ქართველი ხალხი მის ჭამას ძალიან ხალისიანად ეტანებოდა (აქვე, გვ. 156). ამავე გერმანელ მეცნიერს აქვს პირველად განსაზღვრული, რომ ქართული „სატაცური“ („Satasuri“) ბოტანიკურად *Asparagus officinalis*-ია (Reisen, I, 429).

არქ. ლამბერტი ამბობს: სამეგრელოში „სატაცური ისე ბლომად იზრდება, რომ ზოგან ზღვის პირი სულ იმითაა დაფარული. მეგრელებს თუმცა სატაცური საკმელად მოსწონთ, მაგრამ სიზარმაცის გამო ზღვის პირად იმის მოსაკრეფად ცოტანი მიდიან, მხოლოდ ისინი, ვისაც ამისათვის ბატონი აიძულებსო“-ო (სამეგრ. აღწ., 213). ცხადია, რომ იტალიელი ავტორის ამ ცნობაში ზღვისპირულ სატაცურზე *Asparagus maritimus* Pall.-ზეა საუბარი. კავკასიაში, ად. როლლოვის სიტყვით, სატაცურის ეს ჯიში მართლაც მოიპოვება (ДРК, 58).

საქართველოში, სატაცურის ჩვეულებრივი ჯიშის გარდა, თეთრი სატაცურიც ყოფილა, რომელსაც თავისი განსაკუთრებული, ამასთანავე ორი, სახელიც კი ჰქონია. მართლაც, ს. ორბელიანი ამბობს „ყლარტა თეთრი სატაცური“-ს სახელიაო (ლექსიკ.). ამავე მეცნიერის ცნობით ამ ჯიშს მეორე ქართულ სახელად „წინაბეგა“ ჰქონია. საბა ამბობს: „წინაბეგა თეთრი სატაცურიაო“-ო (იქვე). რ. ერისთავი ორბელიანის სიტყვებს იმეორებს და თანაც უმატებს *Asparagus L.*-ს, რუს. спарожа беляя-ს უდრისო (ბოტ. ლექსიკ., 67, § 958).

§ 2. სატაცურის კულტურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა

სატაცური ველურად ბევრ ქვეყანაში იზრდება: ევროპული ქვეყნებითგან შესაძლებელია მაგ. საფრანგეთი რა გერმანია იყოს დასახლებული (იხ. Vilmorin-

Andrieux, Les plantes potagères 4-ième ed., 1925 წ., გვ. 19 და I. Becker, Gemüsebau, 1013). სატაცური მთელ კავკასიაშიც ველურად ყველგან იზრდება (ДПК, 57).

დანამდვილებით გამორკვეული არ არის, იყო თუ არა ძველ ეგვიპტეში სატაცური, ამგვარადვე გამოურკვეველია ეს საკითხი ძველი ებრაელების შესახებაც. ძველ ბერძნებსაც ნამდვილი სატაცური არ ჰქონიათ. მაგრამ გეოპონიკებმა უკვე კარგად იცოდნენ, რაც იყო სატაცური (I. Becker, Gemüsebau, 1013).

რომში ამ მხალის კულტურას საკმაოდ მისდევდნენ. პლინიუს მცირის აზრით, შინაური სატაცური ველურისაგან არის წარმომდგარი (Natur. hist., I, XVI, 67). ამავე მეცნიერის ცნობით შინაურ სატაცურს დიდი მოვლა სჭირდებოდა. სატაცური სხვადასხვა ქვეყნებში მოიპოვება მთებშიც. მეტადრე ზემო გერმანიის მინდვრებია სატაცურით მოფენილი. საუკეთესოდ მაინც თურმე კამპანიაში კუნძულ ნე-ზუსის (რომელსაც ამჟამად ნიზიდა ეწოდება) ველური სატაცური ითვლებოდა. პლინიუსის სიტყვით, შინაური სატაცურისათვის საუკეთესოდ რავენის ბაღების ნიადაგი იყო მიჩნეული. ტყის სატაცურის ჯიშიც არსებობდა, რომელსაც ლათინურად *coruda* ეწოდებოდა, ბერძნულად კი „ორმენოსი“-ი ანუ „მუკანთოს“-ი ერქვა. Em. Littré მას *Asparagus acutifolius* L.-დ სთვლიდა (იხ. Natur. hist., XIX, 43,—ლიტერეს გამოც. I, 733—734).

სატაცურის ლათინ. სახელი *asparagus*-ი ბერძნულ სიტყვას წარმოადგენს. ბერძნულად *ἀσπαραγός* ნორჩ ამონაყარსა და ამონახეთქ მცენარეს ჰნიშნავს და ამავე ბოსტნეულის სახელადაც იხმარება (იხ. Em. Boisacq, Dict. étym de la langue grecque, 89 და 891). ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სატაცურის კულტურა რომში საბერძნეთითგან უნდა შესულიყო.

საგულისხმო გარემოებაა, რომ ბიზანტიელ მწერალს XI ს. დამლევს ნათქვამი აქვს, რომ ეს მხალი ბიზანტიაში უცნობი ყოფილა და, მწარე სატაცურს გარდა, რომელსაც „ელეფო დაფნაჲ“ ერქვა, სხვა არაფერი იყო. ჩვენ დროს კი სატაცური გაზაფხულზე ბევრია და მისი რაობაც ყველამ კარგად იცისო. Becker-ს აღნიშნული აქვს, რომ შინაური სატაცური თანამედროვე საბერძნეთში ნაკლებად მოჰყავთ, მაგრამ სამაგიეროდ ველურ სატაცურს, *Asparagus acutifolius* L.-ს გულმოდგინედ ჰკრეფენ და ძვირადაც ფასობსო (Gemüsebau, 1013).

არაბ ბოტანიკოსს იბნ ალ-აჯვამ-ს მოეპოვება სატაცურის სახელი „hiljaun“, რომელსაც ასურულ-არაბულში ესლაც ხმარობენ ამავე მხლის სახელად (იქვე, 1016).

ევროპაში სატაცურის კულტურა, I. Becker-ის ცნობით, შედარებით უფრო გვიან ჩნდება. ამიტომ აქაურ ძველ წყაროებში ამ მხალზე არაფერია ნათქვამი. სამწუხაროდ, გერმანელ მეცნიერს აღნიშნული არა აქვს, სახელდობრ, როდის დაიწყეს დასავლეთ ევროპის სასოფლო მეურნეობაში სატაცურის მოყვანა (Gemüsebau, 1013—1016).

ცნობები საქართველოში სატაცურის შესახებ ჯერჯერობით XVII ს-ზე აღინდელი არ მოგვეპოვება. მაგრამ ეს გარემოება, რასაკვირველია, შემთხვევითია. რაკი ჩვენში სატაცურს თითქმის განსაკუთრებით ველურს სჭამდნენ და სჭამენ ესლაც, ამიტომ ამ მხალზე ძველ წერილობით წყაროებში ცნობების პოვნის იმედი არც მომავალში შეიძლება რომ გვქონდეს.

ამ მცენარის ქართული სახელი, რომელიც არც ევროპულს (განსაკუთრებით ბერძ.-ლათინ. სახელითგან წარმომდგარს, მაგ. იტალ. asparago, spargio, ფრანგ. l'asperge, გერმ. Spargel-ს) სახელებს, არც აღმოსავლურს, მათ შორის არც სომხურს, — რომელშიც სატაცურის სახელად „წნებეკ“, „წნებეკ“, ანდა „წნებუკ“ — იხმარება, — და არც თურქულ-თათრულს, სადაც „გულანჩარ“ ეწოდება (აღ. როლლოვ, ДРК, 57), არ უდგება, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სატაცურის მხალად გამოყენება საქართველოში ძველისძველი ხალხური ჩვეულება უნდა იყოს. ამ მცენარის ველური სახეობის სიმრავლეს ჩვენში და მის მაღალ ღირსებას სატაცურის გაშინაურებისათვის ხელი არ შეუწყვია.

თავი VII. სვინტრი და მისი რამზა

„სვინტრი“ ს. ორბელიანს მცენარის პირობითი ნიშნით უგანმარტებოდ აქვს შეტანილი ლექსიკონში. არც ვახუშტს და არც ფ. გორგიჯანიძეს ისევე, როგორც რუს დესპანებს, სვინტრზე არაფერი მოეპოვებათ. მხოლოდ აკად. გიულდენშტედტ-ის ნაშრომშია აღნიშნული, რომ ქართული „სვინტრი“ („Svityry“ sic!) ბოტანიკურად Convallaria Polygonatum-ს წარმოადგენს (Reisen, I, 428). რ. ერისთავიც ამავე განსაზღვრას ემხრობა: Polygonatum officinale All. Convallaria Polygonatum L., რუს. купена არისო (ბოტ. ლექსიკ., 51, § 744) და ზ. ყანჩაველიც ადასტურებს (ბოტანიკა, II, 389). ად. როლლოვს კი სვინტრის ბოტანიკურ სახელწოდებად Polygonatum multiflorum All. აქვს მოყვანილი (ДРК, 383).

რ. ერისთავის ცნობით, სვინტრი აღმოსავლეთ საქართველოშიც და იმერეთ-გურიაშიც მიღებული სახელია (იქვე).

ეს სიტყვა ახალ სომხურშიც არსებობს, სახელდობრ ყაზახის თემში „სინდრიკ“ *սինդրիկ*-ი იხმარება და ჰრ. აკარიანის განმარტებით ერთი გარეული საკმეული მცენარის სახელია (*ქაქუჩი იღუბი ქიიქი ს: ჯაქერსნ ფაღარასიან რაიარან*, 965). მაგრამ ჩვეულებრივ სვინტრს თანამედროვე სომხურში „სანტრუკ“ — *սանտրուկ* ეწოდება (იხ. საპაკ. ამატუნის-ს *ჯაქიფ რაი იღ რან* და ჰრ. აკარიანის *ჯაქერსნ ფაღარასიან რაიარან*).

ეს სახელი რუსულშიც კი сывдрик-ის სახით ამავე მცენარის ჩვეულებრივი სახელწოდების купена-ს პარალელურად იხმარება (იხ. ნ. მარჩის ჭ. გ. 185: „სვინტრი... купена сывдрик“).

სვინტრი მცენარეთა იმავე Liliflorae შროშანაყვავილიანთა ოჯახს ეკუთვნის, რომელშიც სატაცურიც შედის. ზ. ყანჩაველიც მას Polygonatum-ის ქართულ სახელად სთვლის (ბოტანიკა, II, 380). ერთისა და იმავე ოჯახის მიკუთვნილობით უნდა აიხსნებოდეს, რომ Polygonatum verticilatum All-ს, ად. როლლოვის ცნობით, ხალხი ქართულად შროშანას უწოდებს (ДРК, 383).

სვინტრი მთელ კავკასიაში ველურად იზრდება (იქვე).

სვინტრს ისევე სჭამენ, როგორც სატაცურს: ორივე მხალია, მაგრამ სვინტრი სატაცურზე ნაკლებ არის გავრცელებული. ამას გარდა სვინტრს სამკურნალო მიზნითაც ხმარობენ.

რაკი ქართულად ამ სიტყვას თვისტომნი არ უჩანს, სომხური და რუსული სახელების სინდრიკ-ისა და სენდრიკ-ის მსგავსება და ბოლოკიდური „იკ“ გვაფიქრებინებს, რომ აქ უცხო სიტყვა უნდა იყოს, ხოლო თურქულად *sindirnek* *سندرك مندرجى* *sindirigi* სინდირიჯი მონელების საშუალებას ჰნიშნავს. საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ძირთან უნდა იყოს რუს. *сындрик*, სომხ. სინდრიკ-ი და ქართული სვინტრი დაკავშირებული.

თავი VIII. არჯაპელი

§ 1. ცნობები არჯაკელზე

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეუტანია „არჯაკელი“-ც, რომლის განსამარტავადაც მიწერილი აქვს „ორჯოიკი“-ო, მცენარის პირობითი ნიშნის დართვითურთ. თვით „ორჯოიკი“-ს განსამარტავადაც იგივე არჯაკელია მოყვანილი. მაგრამ ხელთნაწერთა B ჯგუფში დამატებულია აგრეთვე „ზერჩო“-ც, რაც თვით საბას განმარტებითგანვეა ამოღებული. ლექსიკონში ნათქვამია: „ზერჩო არჯაკელი“-აო.

რ. ერისთავს ყველა ზემომოყვანილი სახელი მოეპოვება. „არჯაკელი“, არჯოკა, ორჯოიკი, ზერჩო“ და ოთხივე ამიერ საქართველოში გავრცელებულ სახელებად აქვს მიჩნეული. ამ მცენარის დანიშნულებაზე ნათქვამია მხოლოდ, რომ „მხალად იჰმევა“. ბოტანიკურად არჯაკელი მას *Tetragonalobus purpureus Moench.*, რუს. *спаржевый горох*-ი ეგონა (ბოტან. ლექსიკ., გვ. 4, § 55).

გასაოცარია, რომ არსად სხვაგან არჯაკელზე არაფერი არ მოიპოვება იმისა და მიუხედავად, რომ ეს მხალი ეხლაც ქართველი ხალხის საყვარელი საჭმელი ყოფილა.

სტუდ. ნიკ. ჩახვაშვილის ცნობით, რომლის გადმოცემისათვის დიდად ვმადლობ, „არჯაკელი სატაცურის მსგავსი მცენარეა. მოდის ვახუფხულობით, მთის ფერდობზე, მყუდრო ადგილას. არჯაკელი ძალიან წააგავს სატაცურს: ისიც მასავით მიწიდან ყლორტებად ამოდის, მეტადრე წვიმის შემდეგ, — ისიც სატაცურსავით ყვავის. არჯაკელმაც იცის დაბერება. არჯაკელი კახეთში და ქიზიყში გავრცელებულია ცივ-გომბორის კალთებზედ, ყოფილი სიღნაღისა და თელავის მახრებში. მოსახლეობა მას ძალიან ეტანება, როგორც სატაცურსა და ჰინჭარს, ისე ამზადებენ ქონში და ძალიან ტკბილი საჭმელიც არის“-ო.

ქართლელთა გამოკითხვამ დამარწმუნა, რომ არჯაკელი ქართლშიც ყველგან ყოფილა გავრცელებული. სანამ არჯაკელი დაბერდება, ეს ველური მხალი სატაცურზე უფრო გემრიელ საჭმელად არის მიჩნეული. ქართლ-კახეთში ანდნაზადაც კი ყოფილა: „არჯაკელი ჯაგდებოდა, ქალსა გული უკვდებოდაო“, ე. ი. რათგან ამის შემდგომ მისი ჰემა აღარ შეიძლებაო.

§ 2. არჯაკელის ბოტანიკური რაობა და გამოყენება

რამდენად სწორეა არჯაკელის ბოტანიკური განსაზღვრა, ჯერ გამოსარკვევია თუ რ. ერისთავი მართალია, რაც მოსალოდნელია, მაშინ უნდა ითქვას, რომ ეს მხალი უცნობი ყოფილა პლინიუს მცირისათვის. თუმცა მას თავის ნაშრომის

ტამდენსამე ადგილას აქვს „loton“, „lotus“-ზე საუბარი და *Tetragalobus purpureus* Moench-ს მეორე სახელად სწორედ *Lotus tetragalobus* L. ეწოდება, მაგრამ არასდ *tetragalobus*-ზე არ არის საუბარი, თვით XIII, 32-შიც კი, ტამელიც ყველაზე ვრცელ ცნობებს შეიცავს.

Vilmorin-Andrieux-ს ნაშრომითგან ჩანს, რომ *Tetragalobus purpureus* Moench, ანუ *Lotus tetragalobus* L. დასავლეთ და სამხრეთ ევროპაშიც ცნობილი მცენარე ყოფილა. ის თუმცა სულ სხვა, სახელდობრ პარკოსანთა, *Leguminosae*-თა ოჯახს ეკუთვნის, მაგრამ დამახასიათებელია, რომ ევროპელნიც მას სატატურს უკავშირებენ. მაგ. ინგლისელები მას *Asparagus or winged pea*-ს, ე. ი. სატატურს უწოდებენ. გერმანელები *Spargel-Erbse* ანუ სატატურ-ბარდას, ფრანგებიც *Pois Asperge*, *Pois café*, *Pois sucré*-ს ეძახიან (იხ. Vilmorin-Andrieux, *Les plantes potagères*, 403).

ეს მცენარე წლიურია და სამხრეთ ევროპაში იზრდება. ღერო ჯერ მიწაზე გართხმული, შემდეგ 30 მმ სიმაღლეზე ასწვრივ ამართული აქვს, მომწვანო-მონაცრისფერო ფერი გადაჰკრავს. ისხამს პარკს, რომელშიც მოყვითანო, თითქმის სფერული, ანდა ოდნავ გაბრტყელებული მარცვლები სხედან. საფრანგეთში და ევროპის სხვა ქვეყნებში ამ მცენარის ნორჩსა და ნაზ პარკებსა სჭამენ ისევე, როგორც ბარდას, ხოლო მარცვლებს ხალავენ და საკმაოდ კარგი ყავა გამოდისო (იქვე, გვ. 403).

გერმანიაში, როგორც ეტყობა, *Spargel-Erbse*-ს მცირე ასპარეჯი უნდა ჰქონდეს, რადგან I. Becker-ს თავის *Gemüsebau*-ში ამ მხალის ხსენებაც კი არ მოეპოვება.

საქართველოში არჩაკელი მხალს წარმოადგენს და მის პარკს კი არა, არამედ ნაზ ღეროებს სჭამდენ და სჭამენ ეხლაც სატატურის მსგავსად.

ად. როლლოვის ცნობით, *Tetragalobus purpureus* Moench. ყარაბაღში იზრდება ველურად. მისი სიტყვით, ამ მცენარის პარკებს სჭამენ, როგორც ნაზ მწვანილს. ნათქვამი არ არის მხოლოდ, ვინა სჭამს, ყარაბაღელები, თუ სხვა ქვეყნებში? ამავე ავტორს თავის ნაშრომში შეტანილი აქვს *Tetragalobus siliquosus* Roth., რომელიც დასავლეთ აზიურკავკასიაში იზრდებაო. მისი თესლი იჭმევა, ხალთა თვით მცენარე საღსა და ნოყიერ საკვებს წარმოადგენს ნელლადაც და თივის სახითაცაო. არც ერთის ამ ორ *Tetragalobus*-თაგანის ადგილობრივი სახელი მთყვანელი არ არის (ДРК, 501 და 502). უკანასკნელი, როგორც ჩანს, როლლოვს საქონლის საკვებად მიაჩნია. საქმის ნამდვილი ვითარება, როგორც დავრწმუნდით, სხვანაირია და რაკი მისი ქართული სახელიცა და დანიშნულებაც უკვე ვიცით, ამიტომ მეტი სათქმელი აქ აღარაფერია.

თავი IX. კომპოსტო

§ 1. ცნობები კომპოსტოს კულტურაზე ძველ საქართველოში

რაკი დაბადებაში კომპოსტო არ იხსენიება, ამიტომ ჯერჯერობით გამოურკვეველი რჩება, თუ რა სახელს ხმარობდენ ამ მხალისათვის იმ დროს, როდესაც ებრაელთა ეს ძველი ქართულად ითარგმნებოდა. მხოლოდ გ. მერჩულის

თხზულებაში მოგვეპოვება ერთი მოთხრობა, რომლითგანაც ირკვევა, რომ VIII—IX ს. და უეჭველია უფრო ადრეც საქართველოში ისეთი განსაკუთრებული ჯიშის კომპოსტოც კი ყოფილა, როგორც კალნაბია.

გ. მერჩულს თავის საისტორიო თხზულებაში სახელდობრ „კალნაბი“ აქვს მოხსენებული. მისი ცნობებით, გრიგოლ ხანძთელი დიდმარხვაში ჩვეულებრივ სწორედ კალნაბით იკვებებოდა, რომელსაც თურმე მოუხარშავს სკამდა ხოლმე. „ნეტარმან მამამან გრიგოლ თავადნი დიდნი მარხვანი გარდავლნის მცირედითა კალნაბითა უმბგვრითა, ხოლო მრჩობლად საზრდელად მისა იყო ყოველთა დღეთა მისთა პური ნაკლულევანებით, დღესა შინა ერთ ჭამის“-ო (ც^ა გ^ალ^ა ხ^აძ^ათ^ალ^ა, გვ. კა-კბ, § 18, სტრ. 11—15).

შემდეგშიც კალნაბი ჩვეულებრივი, მწერლობაშიც აღბეჭდილი, სიტყვა ჩანს, იგი რამდენჯერმეა „საქიმო წიგნ“-ში დასახელებული ავადმყოფთათვის განკუთვნილსა, თუ აკრძალულ საკმელებს შორის. ხოჯა-ყოფილს, მაგ., ნათქვამი აქვს: „მას დღესაც კალნაბსა არ უნდა ჭამა“-ო (ხელთნაწ., გვ. 75), — „უქამოს ნარსაქი და კალნაბი და ბადანჯანი“-ო (იქვე, გვ. 151). ამ სამკურნალო წიგნის ტერმინოლოგიის გამმართველისათვის ეს სახელი უკვე გაუგებარი ყოფილა: „კალნაბი თუღარი“ არისო (იხ. ე. თაყაიშვილი, *Опис.*, I, 682).

არც ს. ორბელიანსა და არც რ. ერისთავს „თუღარი“ არ მოეპოვებათ, რომ გამოკვეულიყო, თუ რას გულისხმობდა კალნაბად ზემომოყვანილი განმარტების ავტორი, მაგრამ მას რომ კალნაბის ნამდვილი მნიშვნელობა სცოდნოდა, ისევე ახსნიდა, როგორც საბა.

ვახუშტი საქართველოს მტილელთა შორის „კომბოსთო“-სა (sic!) და „ლახანა“-ს ასახელებს (იხ. აქვე, გვ. 154). მოკლე ცნობები ამ მხალის ჯიშების შესახებ და მათი სახელები ს. ორბელიანს მოეპოვება ლექსიკონში. მისი ცნობებითგან ირკვევა, რომ კომბოსტოს კულტურა საქაოლ მრავალფეროვანი ყოფილა.

რუსი დესპანების აღწერილობითგან ჩანს, რომ კომბოსტო აღმოსავლეთ საქართველოშიც და დასავლეთშიც იყო ბოსტნეულის სახით გავრცელებული. ტოლოჩანოვსა და ივლევის აღნიშნული აქვთ, რომ მაშინდელი ქართული კომბოსტო რუსული კომბოსტოსაგან განირჩეოდა („капуста, только не как русская“, აქვე, გვ. 155). ეს იმას ჰნიშნავს, რომ ქართული კომბოსტო რუსეთში იმ დროს ცნობილ კომბოსტოს ჯიშს არ მიაგავდა.

XVII ს. სამეგრელოში ბოსტნებში, ლობიოს შემდგომ, ყველაზე მეტად „ფხალი“-ს მოყვანას ეტანებოდნენ. ეს მხალი „ყოველ ადგილას უხვად მოდის“-ო. სამეგრელოში „ფხალი მარტო ერთი გვარისა იცინა“. ამის მიზეზი, არქ. ლამბერტის სიტყვით, ის არის, რომ „რაც უნდა მოიტანოთ სხვა ქვეყნიდან სხვაგვარი ფხალის თესლი, მაგალითად, ან კომბოსტო ფხალის, ან ყვავილოვანის ფხალისა, პირველ წელიწადს რასაკვირველია ამოვა იმავე გვარის ფხალი, მაგრამ თანდათან გადაგვარდება და რამდენიმე წლის უკან სრულებით ადგილობრივ ფხალს დაემსგავსება“-ო (სამეგრ. აღწ., 59).

ამ სამეგრელოში გაბატონებული ბოსტნეულის „ღერი“, იტალიელი მისიონერის ცნობით, „მეტად დიდი“ ყოფილა, ისე რომ „იწონის ათს, თუ თორმეტს გირვანქას ჩვენებურსა“-ო (იქვე).

სამწუხაროდ, არქ. ლამბერტის თხზულების მთარგმნელს ალ. ჭყონიას მოყვანილი არა აქვს ის იტალიური სიტყვა, რომელსაც ქართულ „ფხალ“-ად სთარგმნის. ეს გარემოება ზემომოყვანილი ცნობების ზედმიწევნით განმარტებას აძნელებს. მაგრამ მოთხრობის მთელი ამ ნაწყვეტითგან ჩანს, რომ კომბოსტოს სამეგრელოში გავრცელებულ ჯიშზეა საუბარი. სამეგრელოში მისი მხოლოდ ერთი ჯიში ყოფილა, ვითომც იმიტომ, თითქოს სხვა ჯიშისა რომც მოეტანათ, მაგ. „ყვავილიანი ფხალი“, ე. ი. კალნაბი, ერთი წლის შემდგომ გადაგვარდება და მერმე ადგილობრივ ჯიშად იქცევაო.

XVII ს. სამეგრელოში გაბატონებულ ჯიშზე იტალიელ ავტორს მხოლოდ ისა აქვს ნათქვამი, რომ დიდი ღერო ჰქონია და 10—12 იტალიურს გირვანქას იწონიდა. მაგრამ მართო ამ თვისების მიხედვით ჯიშის რაობის გამოკვლევა ძნელია, თითქმის შეუძლებელიც კი.

გიულდენშტედტი კომბოსტოს („Kombosto“) გერმ. Kohl-ის შესატყვისად სთვლიდა (აქვე, გვ. 156). ხონის ბალებში მას თეთრი კომბოსტო (Weisskohl) უწახავს (აქვე, გვ. 156).

§ 2. ძველ საქართველოში გავრცელებული კომბოსტოს ჯიშები და მათი სახელები

საქართველოში ძველად გავრცელებული კომბოსტოს ჯიშების გამოსარკვევად ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში, თუმცა მოკლე, მაგრამ მაინც იმდენად საგულისხმო და მნიშვნელოვანი ცნობები მოეპოვება, რომ უმათოდ მკვლევარს არაფრის გაკეთება არ შეეძლო.

ს. ორბელიანის განმარტებით, „კომბოსტო“ ყოფილა „ყოველთა კომბოსტოთა სახელი და უფროსად თავდახუეულთა“. ამ საერთო და ჯიშის ზოგადი სახელის გარდა, კომბოსტოთა ცალკეული სახეობის აღმნიშვნელი სახელებიც არსებობდა, მაგ.: „კალნაბი კომბოსტო ყვავილიანი, მსგავსი ჯონჯოლა სოკოსი, და კეყერა ბუნებით თავდახუეველი, — ხვითიანი სხვა არს და სხუა-სხუა რიგნი (ხუტი თავსა იქს, ვითარცა ჭარხლის ძირი და ზედა სამი-ოთხი ფოთელი B)“. სპეციალურად ამ უკანასკნელი ტერმინის განმარტებაში საბას ნათქვამი აქვს: „ხვითი თავკერივი კომბოსტო“ არისო (ლექსიკ.).

ვახუშტს ბოსტნეულობის სიაში „კომბოსტო“ და „ლახანა“ ცალ-ცალკე აქვს დასახელებული (აქვე, გვ. 154). საბას პირველი, როგორც დავრწმუნდით, მოეპოვება, მეორისა კი არავითარი კვალი არ უჩანს. სამაგიეროდ ამ ცნობის სისწორის დამამტკიცებელია ის გარემოება, რომ „ლახანა“-ს სახელი თანამედროვე საქართველოშიც არის დაცული.

კომბოსტოს ჯიშებზე მსჯელობის დროს, უნდა გათვალისწინებული გვეყონდეს, რომ ამ მხალს აქვს ფესვ-ძირი, ღერო და თავი. კომბოსტოს ერთ-ერთ ამ ნაწილთაგანს ქართულში თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა და აქვს ეხლაც. სახელდობრ, საბას განმარტებით, „მურკი კომბოსტოთ ძირთ ხუტი“-ს აღსანიშნავად იხმარებოდა (ლექსიკ.). თანამედროვე გაგებით მურკი იმდენად კომბოსტოს ძირს არ ეწოდება, რამდენადაც ღეროს იმ ნაწილს, რომელიც კომბოსტოს თავამდეა. ღეროს ამ ნაწილს გარეკან-შემოცლილს სკამენ ხოლმე.

ს. ორბელიანის ზემომოყვანილი ცნობებითგან ირკვევა, რომ ძველ საქართველოში ერთი მხრით კომბოსტოთა „თავდახვეული“ და „თავდაუხვეველი“ ჯიშების გარჩევა სცოდნიათ, მეორე მხრით ცალკე სახელი ჰქონიათ კომბოსტოს იმ ჯიშისათვის, რომელსაც თავი ყვავილის სახით ჰქონდა ჩამონაკვთილი და რომელიც ამნაირად „ყვავილიანი კომბოსტო“-ა. დასასრულ, მეოთხე ჯიშიც ყოფილა, რომელსაც „თავმკვრივი კომბოსტო“ იყო მიჩნეული.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ „თავდახვეული და თავმკვრივი“ კომბოსტოს ერთისადიმავე სახესხვაობის დამახასიათებელი არ იყო. თავდახვეული თავის მსგავსად მრგვალად დახვეული, ცალკეული, ფოთლების გროვისაგან შესდგებოდა. „მკვრივი კომბოსტო“ კი „თავსა იქს, ვითარცა ჭარხლის ძირი და ზედ სამო-ოთხი ფოთელი“ ასხია. ამ აღწერილობითგან ჩანს, რომ ამ სახესხვაობის დამახასიათებელ თვისებას ორი თავისებურება შეადგენდა: პირველი ის იყო, რომ მას სწორედ ფოთლები თითქმის არ ჰქონდა, სამიოდეს გარდა. კომბოსტოს თავდახვეულისა და თავდაუხვეველი ჯიშების მთავარ დამახასიათებელ და თანაც საკმელ ნაწილს კი სწორედ ფოთოლ-მრავლიანი თავი შეადგენდა. ამ სახესხვაობის მეორე თავისებურებად საქართველოში მისი თავმკვრივობა ყოფილა მიჩნეული.

„თავმკვრივი კომბოსტოს“ მეორე დახასიათებითგან ცხადი ხდება, რომ ეს სახესხვაობა „თავს“ იკეთებდა ვითარცა ჭარხლის ძირი. ხოლო, როგორც „ჭარხლის ძირი“ ამ მცენარის თავი არ იყო, ისევე კომბოსტოს ამ ჯიშის მკვრივი ნაწილიც, რომელსაც ზედ 3—4 ფოთოლი ასხია, თავი არ არის, არამედ ღერო, ანუ გამსხვილებულ-დამრგვალებული მურკია.

ძველ საქართველოში გავრცელებული კომბოსტოს თვითოეულ სახესხვაობას თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა: თავდახვეულთა სახესხვაობას „კომბოსტო“ ეწოდებოდა, თავდაუხვეველს კი „კეჟერა კომბოსტო“ ერქვა, ყვავილიანს კიდევ „კალნაბი“ და „თავმკვრივი“ სახესხვაობას „ხუტი“ ანუ „ხვიტიანი კომბოსტო“ აქვს სახელად.

ამ მხალის ყოველნაირი სახესხვაობის ზოგად სახელად, საბას სიტყვით, კომბოსტო ყოფილა საქართველოში მიღებული, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს შემდეგში მომხდარა, წინათ კი კომბოსტო-ც მხოლოდ ერთი სახესხვაობის, სწორედ თავდახვეულთა სახელი ყოფილა. ამ მოსაზრების სისწორის დასამოწმებლად შესაძლებელია ის გარემოება იყოს დასახელებული, რომ თვით XVII ს-შიც კი კომბოსტო „უფროსად თავდახვეულთა“ აღმნიშვნელი იყო.

რ. ერისთავს „კომბოსტო“ აღმოსავლეთ საქართველოში მიღებულ სახელად აქვს აღნიშნული, „ლახანა“-ს კიდევ მის მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სახელად სთვლის. მისი ცნობით მეგრულშიც „ლახანა“ იხმარება (ბოტ. ლექსიკ., გვ. 29, § 428). იოს. ყიფშიძე კი ლახანას ქართულ სიტყვად სთვლიდა (მ. გ.) და თავდახვეული კომბოსტოს ჯიშის სახელად მიაჩნდა „кочанная капуста“).

ჰანები შინაურ კომბოსტოს „ლუყუ“-სა და „ლუ“-ს ეძახიან, ხოლო ტყის ერთ მრავალფურცლიან მცენარეს „თუთიშ ლუყუ“-სა და „ბურღი“-ს სახელს უწოდებენ (პ. გ., 132 და 164 და არნ. ჩიქობავას ჰანური ტექსტები, I, 139). პირველი ამ სახელთაგანი დათვის კომბოსტოს ჰნიშნავს.

რ. ერისთავის განსაზღვრით კომბოსტო და ლახანა ბოტანიკურად Brassica oleracea L., რუს. капуста არის (ბოტ. ლექსიკ., გვ. 29, § 428).

„კალნაბი“ ბოტანიკურად *Brassica oleracea Borgytis v. Pompejana L. Caulifolia*-ს, რუს. *цветная капуста*-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., გვ. 25, § 375). დასასრულ, „ხეიტი“-ს *Brassica oleracea capitata L.*-ს, რუს. *кочанная капуста*-ს სახელად სივლის (იქვე, გვ. 83, § 1165).

მაგრამ უკანასკნელი განსაზღვრა სრულებით მცდარია, დანარჩენებისაც ნაწილობრივ შესასწორებელია. „კომბოსტო“ მხოლოდ ზოგადი მნიშვნელობით ნახმარი არის *Brassica oleracea, chou cultivé, Gartenkohl*, საკუთრივი და ვიწრო მნიშვნელობით კი, ვითარცა თავდახვეული სახესხვაობის სახელი „თავდახვეული კომბოსტო“ უდრის *Brassica oleracea var. capitata*-ს, *chou capu, Ch. en. lête, Ch. pommé, Cabus*-ს,—*Kopikohl, Koppus, Kraut*-ს, რუს. კოჩანნაა კაპუსტა-ს.

თავდაუხვეველი, ანუ კეყერა კომბოსტოს პარალელურ ქართულ სახელად რ. ერისთავს ჩაწერილი აქვს „კანაფო“ (ბოტ. ლექსიკ., § 379), მაგრამ აღნიშნული არ არის საქართველოს რომელ თემში ხმარობენ ასეთ სახელს. როგორც გ. ბერიშვილმა გადმოცა, „კანაფო“-ს და „კანა-ფხალი“-ს სახელი მთელ დასავლეთ საქართველოში ყველგან, მეტადრე კი ქვემო იმერეთშია მიღებული კეყერა კომბოსტოს აღსანიშნავად².

ბოტანიკურად კეყერა, ანუ კანაფო კომბოსტო რ. ერისთავს *Brassica oleracea viridis L.*-ს, რუს. *лиственная капуста*-ს შესატყვისობად მიაჩნია (იქვე).

უფრო ზედმიწევნითი იქნებოდა, რომ „თავდაუხვეველი კომბოსტო“ *Brassica oleracea L. var. acephala, Chou non-pommés ou chou verts, Blätterkohl Grünkohl*-ს შესატყვისობად გვეცნო, ხოლო „კეყერა და კანაფო კომბოსტო“ საფიქრებელია, რომ ფრანგ. *Chou frisè*-ს გერმ. *Krauskohl*-ის მაგვარ სახეობას უნდა უდრიდეს.

„კალნაბი“-ს თვისება ს. ორბელიანს ერთი შედარებით აქვს დახასიათებული: არის „მსგავსი ჯონჯოლა სოკოსა“-ო. კალნაბის გარეგნული მოყვანილობის წარმოსადგენად ამ შედარების გამოყენება იყო შესაძლებელი, თვით ჯონჯოლა სოკოს რაობა რომ გვეცოდნოდა. საბას კი ნათქვამი აქვს: „ჯონჯოლა, ირმის ნიჩვრა, სოკოა ერთი“-ო (ლექსიკ.). „ირმის ნიჩვრა“ კი ცალკე მას შეტანილი არა აქვს. რაკი „ნიჩვრა“ ცხვირსა ჰნიშნავდა, ამიტომ „ირმის ნიჩვრა“ ირმის ცხვირა გამოდის. მაგრამ საბას არც ასეთი სახელი მოეპოვება. ამის მაგიერ „ირმის ბაწარა“ აქვს, რომელიც თურმე იგივე „ჯონჯოლა სოკო“ ყოფილა (ლექსიკ.). სამწუხაროდ, არც რ. ერისთავს აქვს სოკოს ამ სახელების ბოტანიკური რაობა განსაზღვრული, რომ ამით კალნაბის გარეგნულობის გათვალისწინება გაადვილებულიყო. ამიტომ ამ მხრივ საკითხის გაშუქება მხოლოდ მომავალში იქმნება შესაძლებელი, როდესაც ჯონჯოლა-სოკოს ბოტანიკური რაობა გამოკვეთული იქმნება.

მანამდე და ამჟამად ისევ საბას იმ განმარტებას უნდა დავემყაროთ, რომ კალნაბი ყვავილიანი კომბოსტოს სახელი იყო საქართველოში. ამისდა მიხედვით მისი ბოტანიკური რაობა ძნელი გამოსარკვევი არ არის და რ. ერისთავი არ შემცდარა, როდესაც იგი *Brassica oleracea var. cauliflora*-დ მიიჩნია. მაშასადამე, „კალნაბი“ *Cavolo fiore*-სა, *Chou-fleur*-სა და *Blumenkohl*-ს უდრის.

² ამ ცნობის მოწოდებისათვის მადლობას მოვახსენებ.

დასასრულ „ხვტი“-ს, ანუ „ხვტიანი კომბოსტო“-ს ბოტანიკურ რაობა-ზეც. საკმარისია კომბოსტოს ამ ჯიშის დახასიათება გავიხსენოთ, სახელდობრ, რომ ის „თავსა იქმს, ვითარცა ქარხლის ძირი“ და თანაც მას „ზედა სამი-ოთხი ფოთელი“ აქვს, და ხვტის ბოტანიკური რაობის განსაზღვრა ამისდა მიხედვით ძნელი აღარ იქმნება.

ქარხლის ძირის მაგვარი ღერო და ზედ სამი-ოთხი ფოთოლი კომბოსტოებში მხოლოდ ორ ჯიშს გააჩნია: ერთს ფრანგები chou-rave-ს, ანუ კომბოსტო-თაღვამს უწოდებენ, მეორეს კიდეც, რომელსაც უფრო მსხვილი ბოლქვი აქვს, chou navet-ს ეძახიან, კომბოსტო მხალ-თაღვამაა. აქეთგან ცხადი ხდება, რომ რ. ერისთავის ბოტანიკური განსაზღვრა, თითქმის „ხვტი“ *Brassica oleracea capitata* L., რუს. *кочанная капуста* იყოს, სრულებით მცდარად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ნამდვილად ხვტი, ანუ ხვტიანი-კომბოსტო *Brassica oleracea* L., var. *gongyloides* L., ანუ *Brassica oleracea* L. var. *caulorapa* DC., ფრანგ. *le chou-rave*, გერმ. *Kohlrabi*, იტალ. *cavolo-rapa* არის.

§ 3. კომბოსტოს კულტურის ზოგადი მიმოხილვა უცხოეთში

კომბოსტო ველურად სხვადასხვა ქვეყანაში უმთავრესად დასავლეთ და სამხრეთ ევროპაში ეხლაც კი იზრდება: *Brassica silvestris* L., ტყის კომბოსტო საფრანგეთსა და ინგლისში გვხვდება,—*Brassica montana* Pourret syn. *Br. Robertiana* Gay., ანუ ტყის კომბოსტო სამხრეთ საფრანგეთსა, იტალიასა და ესპანეთში,—*Br. rupestris* Raf., კლდის კომბოსტო სიცილიაში და *Br. cretica* Lam., კრიტისული კომბოსტო ეგეის ზღვის სანაპირო არეებში გვხვდება (I. Becker, *Gemüsebau*, 294—295).

კავკასიასა და ამიერკავკასიაში, კერძოდ თვით საქართველოში, ველურად იზრდება კომბოსტოს, როგორც *Brassica* (Tourn.) L.—, ისევე *Crambe* (Tourn.) L.-ს სხვადასხვა ჯიშში. ნ. ბუშს „*Flora caucasica critica*“-ში აღნიშნული აქვს, რომ მსოფლიოში ცნობილ კომბოსტოს *Brassica*-ს 50 სახესხვაობათაგან კავკასიაში ველურად მხოლოდ 7 სახეობა გვხვდება. ამათგან ამიერ კავკასიაში ფართოდ *Brassica elongata* Ehrh არის გავრცელებული. მაგრამ უფრო აღმოსავლეთ ნაწილში. იგი საქართველოშიც, კახეთში, სოფ. ხაშმის მიდამოებში არის ნაპოვნი (*Flora caucasica critica*, გვ. 267 და 277).

საკუთრივ საქართველოში, ყველაზე მეტად *Eubrassica* L.-ს ჯგუფის ორი სახე მოიპოვება: *Brassica campestris* L. და *Brassica napus* L. ე. ი. ხვტი კომბოსტოს ჯიშები, კომბოსტო-თაღვამა და კომბოსტო-მხალ-თაღვამა (იქვე, გვ. 267). ორივე აღმოჩენილია ხევსურეთს, ფშავში, არაგვის ხეობაში, ზემო თიანეთში, ვიშის ხეობაში, ტფილისსა და მის მიდამოებში, ქვემო ქართლის სომხეთის თემში და წალკაში, შავი ზღვის სანაპიროზეც სოხუმის მახლობლად და სვანეთს, ლატფარის გადასავალზე (იქვე, გვ. 275—277).

მეცნიერებაში ცნობილი *Crambe*-თა 20 სახეობისაგან ყირიმისა და კავკასიის არეში 10 სახეობა გვხვდება. ამ ათი სახეობითგან საქართველოში გავრცელებულია: 1. *Crambe juncea* MB, რომელიც უმთავრესად ჩვენი ქვეყნის მშრალ ადგილებში მოიპოვება, ხევსურეთში, ტფილისის მიდამოებში, ყარაიაში და ქვემო ქართლის

სომხთის თემში. 2. *Crambe orientalis* L., რომელიც შავი ზღვის აუზის ართვინის სანახებში გვხვდება, მაგ. ს. წრასა და ორკოხს შუა მდებარე ადგილებში, არტანუჯის ციხის ქვიან ნანგრევებზე და სხ. (ნ. ბუში, *Flora caucasica critica*, გვ. 295—296 და 298—300).

V. Hehn-ს თავის დროზე აღნიშნული ჰქონდა, რომ კომბოსტოს კულტურა ევროპაში იტალიიდან არის შესული. ამ მოსაზრების სისწორეს კომბოსტოს ევროპაში გავრცელებული სახელებიც ცხადყოფენ (*Krf. u. Ht.*, 523). I. Becker-ი კი იმ აზრს ემხრობა, რომ კომბოსტოს კულტურის მეთაური თითქოს კელტები ყოფილიყვნენ, მაგრამ თვით მცენარე კელტების ევროპაში დასახლებამდე ევროპის თავდაპირველ მოსახლეობაში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამის საბუთა მას ის გარემოება მიაჩნია, რომ ბასკებს კომბოსტოსთვის თავიანთი საკუთარი სახელი აქვთ. ხოლო კომბოსტოს კულტურის სამშობლოდ ამავე გერმანელ მეცნიერს ატლანტის ოკეანეს ევროპული სანაპიროები, საფრანგეთი, დასავლეთ გერმანია, ინგლისი, ესპანეთი და იტალია მიაჩნია (*Gemüsebau*, 294).

პლინიუს მცირის სიტყვით ბერძნებს კომბოსტო მინცდამინც არ ჰყვარებიათ. მათ თურმე კომბოსტოს სამი ჯიში გააჩნდათ: პირველი ჯიშის კომბოსტოს დიდი ღერი და ფართო ფოთლები ჰქონია, — მეორე ჯიშს, რომელსაც აპიურსაც უწოდებდნენ (*apianam vocant*), გრუზა ფოთლები ჰქონია, — მესამე ჯიშს პატარა ღერი ჰქონია და ნაზი ყოფილა, მაგრამ ის თურმე ნაკლებად მოჰყავდათ (*Natur. hist.*, XIX, 41). უკვე თეოფრასტეს დროსვე, ე. ი. სამი საუკუნით უწინარეს, საბერძნეთში კომბოსტოს სამი ჯიში არსებულა (I. Becker, *Gemüsebau*, 295). რაკი ასეთი ხანგრძლივი დროის განმავლობაში კომბოსტოს ჯიშების გამრავლებაზე ბერძნებს არ უზრუნიათ, ეს გარემოება პლინიუსის შემოთოყვანილ ცნობას, რომ ბერძნებს კომბოსტო მინცდამინც არ მოსწონდათ, საუცხოვოდ ადასტურებს.

პირიქით, რომაელებს პლინიუსის ხანაში კომბოსტო უპირველეს ბოსტნეულთაგანად მიაჩნდათ (*principatus hortorum*). ჰამა-სმის მოყვარული ხალხი მას თურმე ძალიან აფასებდა (*Natur. hist.*, XIX, 41, § 1 და 3). რომაელები კომბოსტოს ჩვეულებრივ *Brassica* „ბრასიკა“-ს და *Caulis*-ს „კაულის“ ეძახდნენ, რომელიც ღერსა ჰნიშნავდა, მაგრამ კომბოსტოს აღსანიშნავადაც იხმარებოდა.

პლინიუს მცირეს იტალიაში კომბოსტოს მის დროს გავრცელებული და ცნობილი 8 გვარი აქვს ჩამოთვლილი: 1. ტრიტიანუმად წოდებული ჯიში (*Tritianum hoc genus vocatur*), რომელიც თავისი სიდიდითა და გემოთი ყოფილა განთქმული; 2. კუმანური კომბოსტო (*Cumanum*), რომელსაც ფოთოლი *seissliis*-ს მიუგავდა, თავი კი კეჟერა ჰქონდა (*capite patulum*); 3. არიციული კომბოსტო (*Aricinum*), რომელიც თუმცა დაბალი იყო, მაგრამ ფურცელ-მრავალი და ნაზი. ეს ჯიში ყველაზე უფრო ფასობდა თურმე; 4. პომპეიური კომბოსტო (*Pompejanum*) უფრო მაღალი იყო. მისი ღერი ძირითად მოყოლებული ფოთლებისაკენ მსხვილდებოდა. ეს ჯიში ნაზი იყო, მაგრამ სიცივეს ვერ იტანდა; 5. პირიქით ბრუციუმის კომბოსტო სიცივეს კარგად უძლებდა. მას ღერი წვრილი ჰქონდა, ფოთლები დიდრდნი, გემოთი კი ცხარე ყოფილა; 6. საბინურ კომბოსტოს გასაოცარი გრუზა ფოთლები ჰქონდა, რომელთა სისქე ღეროსას აღემატებოდა, მაგრამ უუტკბილეს ჯიშად იყო მიჩნეული; 7. არიციული (*Aricina*) კომბოსტო პლინიუსის დროს ახლად შემოსული ჯიში ყოფილა. ამ კომბოსტოს ძალიან დიდი, მაგრამ ტრიტიანულზე მაინც მომცრო თავი ჰქონია და ფურცელ-მრავალი ყოფილა, ზოგი თავდა-

ხეული, ზოგი კეყერა; 8. დასასრულ, პლინიუსს აღნიშნული აქვს, რომ „ჰალმი-რიდია“-დ წოდებულ (*halmiridia*) კომბოსტოსაც აქებდენ, რომელიც მხოლოდ ზღვის სანაპიროებზე ხარობდა და დიდხანს მწვანედ ინახებოდა (*Natur. hist.*, XIX, 41, §§ 3—7). *Em. Littré*-ს ეს სახეობა სამართლიანად *Crambe maritima* L.-დ აქვს მიჩნეული (*t. I*, გვ. 733).

ფიქრობენ, რომ პლინიუსის და რომაელებისაგან კუმანურად (*cumanis*) წოდებული კომბოსტო უნდა ფრანგებისაგან მილანური კომბოსტოს (*chou de Milan*, *chou cabus frisé*, *chou cloqué*) გერმანელებისაგან საფოაურად და ვირსინგად (*Savoyerkohle*, *Wirsing*, *Börsekohl*) წოდებული სახესხვაობის წინაპარი იყოს პომპეაური კომბოსტო კოლრაბის, კომბოსტო-თაღამას, წინაპრად ითვლება, არიციული *Brassica oleracea* L. var. *gemmifera* DC წინაპრად მიაჩნიათ, რომელსაც გერმ. *Sprossenkohl*-ი, ფრანგ. *chou de Bruxelles* ბრუსელის კომბოსტო ეწოდება. დასასრულ, საბინური (*Sabellicus*) გერმ. *Federkohl*-ად, ფრანგ. *chou plumé*-დ, ფურცლოვან კომბოსტოდ წოდებული სახესხვაობის წინამორბედად მიაჩნიათ (*ეს Fischer-Benkon*-ის მოსაზრება იხ. *I. Becker*-ის *Gemüsebau*, 295 შენ. 1).

არაბთა ტომს, ნაბატეველებს, III ს. ქ. შ., *Meyer*-ის ცნობით (*Geschichte der Botanik*), ჰქონიათ ველურიცა და შინაური კომბოსტოც ისევე, როგორც „ხუზი“-ს სახელითაც ცნობილი ჯიშიც, რომელიც იმავე მეცნიერის აზრით ხუზისტანით მომავალი კომბოსტოს ჯიშის ე. ი. ხუზისტანურის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო (*I. Becker*, *Gemüsebau*, 295).

კარლოს დიდის *Capitulare*-ში დასახელებულია კომბოსტოს ორი სახესხვაობა: *cauli*, რომელიც *Brassica oleracea*-ს, ბალის კომბოსტოს შესატყვისობად არის მიჩნეული, და *ravacauli*, რომელსაც კოლრაბად სთვლიან (*I. Becker*, *Gemüsebau*, 295). მაშასადამე, VIII ს-ში ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში უმთავრესად კომბოსტოს ეს ორი სახესხვაობა უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ასევე ორი სახესხვაობა, მაგრამ უკვე *Wendelkohl* და *Fraschia* არის XII ს. პირველი ნახევრის მოლოზნის *Hildegardis de Pinguia*-ს ნაშრომშიც აღნიშნული. ამათგან პირველი საფიის კომბოსტოს სახელად არის მიჩნეული, მეორის მნიშვნელობა კი გამოურკვეველია (იქვე, 295). მართალია, XI ს. ავტორს *Gariopontus*-ს კომბოსტოს 5 სახელი (*Cumanus*, *Pompejanus*, *Aricinus*, *Sabellicus* და *Brutius*) აქვს ჩამოთვლილი (იქვე), მაგრამ ცხადია, რომ ეს მხოლოდ პლინიუსის ზემომოყვანილი ცნობის გადმონაწერს უნდა წარმოადგენდეს.

1235 წ. დაბადებულს ბოლონიის მოქალაქეს *Petrus de Crescentiis* თავის VI წიგნში *Gabusii* განმარტებული აქვს, რომ *Pollini*-ს ცნობით ბოსტნეულს *capucio*-ს ვერონაში *capuzzo*, ხოლო მილანში *gambus*-ი ეწოდებოდა (*I. Becker*, *Gemüsebau*, 295).

E. König-ის ნაწარმოებთაგან (*Regnum vegetabile*, 1688 წ. და *Georgica*, 1706 წ.) ჩანს, რომ იმ დროს შვეიცარიაში კეყერა კომბოსტო (*Krauskohl*), წითელი კომბოსტო, ხვითი კომბოსტო (*Rübenkohl*) და კალნაბი მოჰყავდათ. ბრუსელის კომბოსტო (*Rosenkohl*) პირველად 1785 წ. იხსენიება (*I. Becker*, *Gemüsebau*, 295).

კალნაბის, ყვავილოვანი კომბოსტოს, სამშობლოდ კრეტა და კვპროსი ითვლება იმიტომ, რომ იგი ენათესავება *Brassica cretica* Lam., ველურ კრიტოსულ

კომბოსტოს. კრიტოსითგან ეს მცენარე შემდეგ კვპროსზე გადაუტანიათ და ერთ დროს ყვავილოვან კომბოსტოს *Brassica cypria* „კვპარული კომბოსტო“ ეწოდებოდა. ი. ბუკერი ფიქრობს, რომ მისი კულტურის გავრცელებაში თითქოს მცირე აზიასა და ოსმალეთს უნდა მიეღოს მონაწილეობა, რასაც ამ ბოსტნეულის თურქული სახელები *karnabit*, *konopida* და *kononpida* ამჟღავნებს (Gemüsebau, 297).

დასავლეთ ევროპაში ეს ბოსტნეული იტალიითგან უნდა იყოს შესული, რასაც კალნაბის იტალიური სახელი *cavolo fiore*, *cavolfiore* ყვავილოვანი კომბოსტო ამტკიცებს, რომელიც ევროპის თითქმის ყველა ერს აქვს კალნაბის ჯიშის სახელად გამოყენებული (Gemüsebau, 293 და 297).

აღსანიშნავია, რომ კალნაბი, ყვავილოვანი კომბოსტო, XVI-ს უწინარეს ევროპაში არა ჩანს (იქვე, 297).

§ 4. კომბოსტოს კულტურის სადაურობა და გავრცელების გზები ძველ

საქართველოში ამ მხალის სახელისა და მიხედვით: კომბოსტო, ლახანა და ხუტი

რაკი წერილობითს წყაროებში კომბოსტოს კულტურის სადაურობაზე ცნობები ამჟამად არ მოგვეპოვება და მომავალშიც ძნელი მოსალოდნელია, რომ ასეთი სპეციალური საკითხისათვის ძეგლებში ბევრი რამე აღმოჩნდეს, ამიტომ ამ პრობლემის ცოტად და ზოგადად მაინც გასაშუქებლად უნდა კომბოსტოს სხვადასხვა ჯიშებისათვის განკუთვნილი სახელების ანალიზით მოპოვებული შედეგი გამოვიყენოთ. ეს საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, თუ რამდენად ძლიერი იყო ამ შემთხვევაში უცხოეთის გავლენა, ანდა რა ჯიში იყო შემოტანილი და სახელდობრ საითგან.

უპირველესად, რასაკვირველია, ამ მხალის ზოგად სახელზე უნდა გვეჩინდეს საუბარი. ქართული „კომბოსტო“ სახელი შესაძლებელია რუსულ капуста-სთან, რომელიც თვით *caputium*-ისა და *capuccio*-საგან ითვლება წარმომდგარად (V. Hehn, Kpf. u. Ht., 523), დაეკავშირებინა ადამიანს.

მაგრამ ასეთ მოსაზრებას საეჭვოდ და დაუჯერებლად ორი გარემოება ჰქნის: 1. „კომბოსტო“ სახელი ამ ბოსტნეულის ზოგადი სახელწოდება ყოფილა, თუ ამაზე უწინარეს არა, უკვე XVII ს-ში მაინც. მაშასადამე, ის, ვითარცა ცალკეული ჯიშის სახელი, საქართველოში ამაზე გაცილებით ადრე უნდა იყოს შემოსული, XVI ს-ში მაინც. ამ დროს კი, არამცთუ XVI-ში, XVII ს-შიც კი რუსეთს ჯერ საქართველოზე უშუალო გავლენის მოხდენა არ შეეძლო და არც კქონია.

2. ზემონათქვამზე გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ამ საკითხის არსებითს მხარესა აქვს. XVII ს. რუსი ელჩების ზემომოყვანილი ცნობით უცილობლად მტკიცდება, რომ მაშინდელ საქართველოში არსებული კომბოსტო რუსეთში გავრცელებული ჯიშისაგან სრულებით განსხვავდებოდა. „კომბოსტო“ რომ ამ მცენარის რუსულ სახელთან ყოფილიყო დაკავშირებული, მაშინ საქართველოში კომბოსტოს იგივე ჯიში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. როგორც რუსეთში იყო. ხოლო, თუ ჯიშები სხვადასხვა ყოფილა, ეს გარემოება იმის მაჩვენებელია, რომ კომბოსტოს კულტურა საქართველოსა და რუსეთში სულ სხვადასხვა გზით ყოფილა შესული.

რაკი დავრწმუნდით, რომ „კომბოსტო“ სახელი საქართველოში შეუძღლე-ბელია რუსეთითგან და რუსულ „კაპუსტა“-საგან მომდინარეობდეს, ამიტომ გამოსარკვევია ამ ბოსტნეულის ქართული სახელის სადაურობა.

XIII ს. ერთი იტალიელი ავტორის განმარტებითგან ირკვევა, რომ მილანელი იტალიელები კომბოსტოს „გამბუს“-ს უწოდებდნენ (იხ. აქვე, გვ. 188). აქ მოგვეპოვება ქართულ „კომბოსტო“-ში წარმოდგენილი ის დამახასიათებელი „მბ“ კომპლექსი, რომელიც ამ ბოსტნეულის ქართულ სახელს დანარჩენ ერთა სახელისაგან ასე ასხვავებს.

მეორე მხრით ქართულ ტერმინს ო-ხმოვნიაწობა თავში და ბოლოკიდური „ტო“ მარცვალი ახასიათებს. მაგრამ გერმანიაში კომბოსტოს სახელად ეხლაც დაცული Komst (იხ. I. Becker, Gemüsebau, 291) ცხადპოფს, რომ ო-ხმოვნიაწობა მარტო ქართულ სახელს არ ახასიათებს. ამასთანავე, ამ გერმანულ სახელს „კომსტ“-ს არსებითად თანხმოვანთაგან მხოლოდ „ბ“ ბგერა აკლია, რომ ქართულ „კომბოსტო“-ს ისეთ შესატყვისობად მივიჩნით, რომელსაც მხოლოდ სიტყვის მეორე ნაწილში ხმოვნები გამჭრალი აქვს.

ამავე ბოსტნეულის სერბული და კროატული სახელი „კუპუს“ (kupus, glavati kupus, kupus: I. Becker, Gemüsebau, 292) აგრეთვე ქართულის მსგავსად არის თავში ახმოვანებული, ხოლო მეორე მარცვალშიც მილანურს „გამბუს“-სა და ქართულ „კომბოსტო“-ს უდგება.

ყველა ზემომოყვანილი მოსაზრების გამო საფიქრებელია, რომ ზოგიერთი ფონეტიკური სხვაობა, რომელიც ქართულ „კომბოსტო“-ს ემჩნევა, მარტო ქართული სახელის თავისებურებას არ წარმოადგენს და, მაშასადამე, შესაძლებელია საერთო წყაროთგანაც მომდინარეობდეს. ასეთ საერთო წყაროდ, ყოველ ეჭვს გარეშეა, იტალია უნდა იქმნეს მიჩნეული.

იმ გარემოების მიხედვით, რომ კომბოსტო თავდაპირველად საქართველოში მხოლოდ თავდახვეული სახესხვაობის სახელი იყო, უფლება გვაქვს დავასვენათ, რომ ეს სახელი სწორედ თავდახვეული კომბოსტოს უცხოეთითგან ჩვენში შემოტანისთანავე უნდა შემოხიზნულიყო. მართლაც, cabus და ამისგან ნაწარმოები ყველა სახელი, მათ შორის ქართულ სახელთან უფრო ახლო მდგომი XIII ს. მილანური სახელი „გამბუს“-ი და გერმანული „კომსტ“-იც, სწორედ თავდახვეული Brassica oleracea var. capitata L.-ს სახელია მთელ დასავლეთ ევროპაში (მაგ., ფრანგ. Chou capu, გერმ. Kappus, იტალ. cavolo cappuccio და სხვა).

კომბოსტოს ეს სახესხვაობა და მისი სახელი, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინცდამაინც შესაძლებელია XIII—XV სს. იყოს საქართველოში იტალიითგან შემოტანილი იტალიის რესპუბლიკების წყალობით.

თუ თანამედროვე საქართველოში „ლახანა“ კომბოსტოს სახელად მხოლოდ ლიხის მთის იქითა არის დაცული, ვახუშტის თხზულებითგან ჩანს, რომ წინათ ეს ტერმინი ამერეთშიც ყოფილა ცნობილი.

იოს. ყიფშიძეს „ლახანა“ მეგრულში ქართულითგან შეთვისებულად მიაჩნდა, მაგრამ, ცხადია, ეს სიტყვა ამ ბოსტნეულის ქართული სახელი არ არის. „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ I² წიგნში (იხ. გვ. 273) უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ქართული „მხალი“ ზერძულ „ლახანა“-ს უდრის. მაგ-

რამ ბერძნულში τὰ λαχνα „ტა ლახანა“ მარტო ბოსტნეულს, მწვანილს კი არ ჰნიშნავს; არამედ კომპოსტოსაც. კომპოსტოს გარკვეული სახეობის აღმნიშვნელი ქართული სახელი „ლახანა“-ც, რომელიც ამჟამად თითქმის ლიხთიმერეთშია ყოფილა დაცული, ბერძნული სიტყვა და სახელწოდებაა.

შესაძლებელია გვეფიქრა, რომ „ლახანა“ ქართულში უშუალოდ ბერძნულითგან კი არ არის შეთვისებული, არამედ ოსმალურის საშუალებით, რომელსაც Iahana ياحانا ‘احانا ‘احانا ‘احانا კომპოსტოს სახელად ბერძნულითგან ნასესხები აქვს (იხ. ცენკერის ლექსიკ.). მაგრამ ეს მოსაზრება რომ სწორე ყოფილიყო, მაშინ „ლახანა“ უპირველესად ჰანურში უნდა ყოფილიყო. იქ კი ამის მაგიერ „ლუყუ“ იხმარება, მეგრულსა და იმერულ-გურულში კი „ლახანა“-ა. ამიტომ საფიქრებელია, რომ „ლახანა“ ოსმალურზე ძველი შენაძენი უნდა იყოს უშუალოდ ბერძნულითგან.

ეხლა მხოლოდ ისღაა გადასაწყვეტი, თუ კომპოსტოს რომელი სახესხვაობის სახელი უნდა ყოფილიყო ბერძნულითგან შეთვისებული „ლახანა“? ამის გამოსარკვევად შესაძლებელია ის გარემოება იქმნეს გამოყენებული, თუ რომელი სახესხვაობის სახელად იხმარება ეს სიტყვა თანამედროვე ბერძნულში. ახალ ბერძნულში „ტა ლახანა“ უკვე იშვიათად იხმარება, მაგრამ, როცა ხმარობენ, თავდახვეულის სახელად (I. Becker, Gemüsbau, 392). ამიტომ საფიქრებელია თავდაპირველად ქართულშიც ლახანა თავდახვეული კომპოსტოს ერთ-ერთი სახესხვაობის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

„ხვტი“, ანუ „ხვითი“-ს ანარეკლი მეგრულ საგვარეულო სახელს „ხვითი“-ში უნდა გვქონდეს და გეოგრაფიულ სახელს „ხვით“-ში, რომელიც ზემო ქართლში მდებარე სოფლის სახელია. ამ სიტყვის ეტიმოლოგია ძნელი გასარკვევია. შესაძლებელია იგი „ხუტვა“ და „ხუთვა“ ზმნასთან იყოს დაკავშირებული, რომელიც მოხვევას, შეკვრას, შეკუმშვას ჰნიშნავს და ამნაირად „ხვითი“ მიმღობის შეკვეცილ ფორმას წარმოადგენდეს და მოხვეულის, შეკუმშულის აღმნიშვნელი იყოს³.

§ 5. კალნაბის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა

საითგან აქვს ამოდებული ს. ორბელიანს სიტყვა „კალნაბი“ და რა ძეგლზეა დამყარებული მისი მნიშვნელობის განმარტება, არა ჩანს. საეჭვოა, რომ გ. მერჩულის თხზულება ქართველ ლექსიკოგრაფს ხელთ ჰქონოდა, მაგრამ ასეც რომ ყოფილიყო, აქ მაინც კალნაბის განმარტებას ვერ ამოიკითხავდა. ეგების კომპოსტოს ეს სახესხვაობა საქართველოში XVII ს-შიც არსებობდა და კალნაბის ყვავილიანი კომპოსტოს აღმნიშვნელობაც თვით საბასვე რეალური ცოდნის ნაყოფი იყოს?

³ მაგრამ ეგების ნასესხები სიტყვა იყოს და ბერძნულ ჰუთის „ხვტოს“-თან რაიმე კავშირი ჰქონდეს? სათუთა, რათგან ეს სიტყვა ბერძნულად ჩამოსხმულს და დამდნარს ჰნიშნავს, წყაროსა და ბორცვსაც, რაც ქართულ მნიშვნელობას არ უღებდა. თავმკერივე კომპოსტოს სახელი ხ ვ ტ ო რომ ბერძნული, „ხვტოს“-ისაგან იყოს წარმოდგარი, იმიტომაც უნდა იქმნეს სრულებით დაუკრებელ მოსაზრებად მიჩნეული, რომ ბერძნებმა თავმკერივე კომპოსტოს ასეთ სახელს არც უწოდებენ, არამედ როგორც I. Becker-ის ცნობითგან ჩანს, ტა გუგვლა-ს ეახან (Gemüsbau, 293).

პროფ. ნ. მარს გ. მერჩულის ნაშრომის გამოცემაში კალნაბი რუსულად კომბოსტოდ („капуста“) აქვს ვადათარგმნილი. ხოლო იქვე ფრჩხილებში განუ-მარტავად სომხური *կაღამი* „კალამბ-ი“ მოუთავსებია (TP, წიგნი VII, გვ. LXV).

სომხური კომბოსტოს აღმნიშვნელი „კალამბ“, რომელიც ვალენის ნაშრომის XIII—XV სს. სომხურ თარგმანში და წხითარის ივავარაკებში გვხვდება და *კაღ-ამაჟაჟანაი* „კალამბავაჟარ“, ე. ი. კალნაბის, კომბოსტოს ვაჟარი, გამყიდველი, რომელიც ფაუსტოს ბიზანტიელს მოეპოვება, პროფ. Hübschmann-ს სპარსულ-ლითგან ნასესხებ სიტყვად მიაჩნდა. ახალ სპარსულად ამ ბოსტნეულს „კალამ“, „კარან“ და „კარანბ“—ეწოდება,—ასურულად „კვრანბა“, ან და „კვრანბე“ ჰქვია, ბერძნულად კი *καράμπε* „კარამბე“ (Arm. Gr., I, 162).

ცხადია, რომ ქართული „კალნაბი“ ვერასგზით კომბოსტოს ვერც სომხური, ვერც ასურული თუ სპარსული, გინდა ბერძნული ზემომოყვანილი სახელისაგან ვერ წარმოსდგება. მისი სადაურობის გზები სხვაგან და სხვა ხანაში უნდა ვეძიოთ, რათგან ქართული „კალნაბი“, თავისი პირვანდელი აგებულების დაცვის მხრით, ამ ბოსტნეულის სომხურ-სპარსულ-არაბულ-ბერძნულ სახელზე გაცილებით უფრო ადრინდელია.

Hübschmann-ი სრულებით მართალი იყო, როდესაც სომხური *კაღამი* „კალამბ“ ზემომოყვანილ სპარსულ-ასურულ-ბერძნულ სიტყვებს შეადარა. რაკი ბერძნულად კომბოსტოს „კარამბე“ ეწოდება, სპარსელები კი „კალანბ“-ს, „კარან“-ს და „კალამ“-ს უწოდებენ, ამიტომ სომხური „კარამბ“ უფრო სპარსულ „კარანბ“-თან უნდა იყოს დაკავშირებული, ვიდრე ბერძნულ სახელთან.

ამას გარდა, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბერძნული „კარამბე“, როგორც ცნობილია, ყვავილიან კომბოსტოს კი არა, არამედ თავდახვეულ კომბოსტოს ჰნიშნავდა და ჰნიშნავს ეხლაც. ყვავილიან კომბოსტოს ბერძნულად სულ სხვა სახელი, „ტო კონუბიდა“, ანდა სმირნაში „ტო კარანამპიკი“ ეწოდება. ბერძნული „ჰე კარამბე“ კი ძირეულად მოხრილსა ჰნიშნავს (იხ. Emile Boisacq, Dictionaire étymol. de la langue grecque, 507), მაშასადამე, იმთავითვე კომბოსტოს თავდახვეული ჯიშის დამახასიათებელი და გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

ამნაირადვე სამივე ზემოხსენებული სპარსული სიტყვა კომბოსტოს ზოგადი სახელი იყო და არის ეხლაც. ყვავილიან კომბოსტოს სპარსელები *كوسه گل* „კელემ-ი-რუმი“, ანუ უფრო სწორე გამოთქმით „ქელემ-ი-რუმი“, ე. ი. რუმის კომბოსტოს უწოდებენ (იხ. ი. ცენკერ-ის ლექსიკ.).

დასასრულ, სომხური „კალამბ“-იც ხომ ძბოლოდ კომბოსტოს ჰნიშნავს⁴.

ამგვარად, არც მნიშვნელობითა და, როგორც დავრწმუნდებით, არც ჯიშებრივად ქართულ კალნაბსა და სომხურს კალამბ-ს, გარეგნული მსგავსებისდა მიუხედავად, საერთო არაფერი აქვთ.

⁴ I. Becker-ს გამოთქმული აქვს მოსაზრება, თითქოს ბერძნული *კარამბე* აღმოსავლეთითგან შეთვისებული სიტყვა ყოფილიყოს და ეგების სპარსულ-არაბულ-სომხურ-სანსკრიტულ სახელთან იყოს დაკავშირებული (Gemisebau, 460). ეს მოსაზრება მცდარია, რათგან ბერძნულ *კარამბე*-ს თავისი ეტიმოლოგია აქვს, სპარსულ-არაბულ-სომხურს კი არაფერი მოეპოვება.

„კალნაბი“ კომბოსტოს ამ ჯიშის ქართული სახელი არ არის, არამედ ორნაწილედ სიტყვას წარმოადგენს. მისი პირველი ნაწილი „კალ“-ია, მეორე „ნაბი“.

ამ ტერმინის პირველი ნაწილის უფრო ადრინდელი ფორმაც არის ქართულში დაცული. თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ჭარხლისა და ბოლქვენაირთა ღეროს ძველ ქართულში „კავლი“ ეწოდებოდა (იხ. აქვე, გვ. 160). ამ სიტყვაზე ფიქრის ღროს, ლათინურის მცოდნეს შესაძლებელია გაახსენდეს, რომ რომაელებიც სწორედ *caulis*-ს „კაულის“-ს ეძახდნენ საზოგადოდ ღეროს, მეტადრე კი კომბოსტოს ღეროსა და თვით დიდ ღეროიან კომბოსტოსაც კი (*caules, cauliculi*).

უეჭველია, ქართული „კავლი“ და „კავლები“ ამ ლათინური ტერმინისაგან არის წარმომდგარი. „კალნაბ“-ის პირველი ნაწილის „კალ“-იც, ცხადია, იმავე „კავლ“-თან არის დაკავშირებული. ლათინურში *caulis*-ის პარალელური ფორმაც არსებობს *colis* (იხ. Al. Waide, Lateinisches etymol. Wörterb.),

ცნობილია, რომ ამავე ლათინური სიტყვისაგან არის წარმომდგარი კომბოსტოს გერმანული სახელი *Kohl* „კოლ“ და ფრანგული *chou* „შუ“-ც, ხოლო დანიურში კომბოსტოს „*Kaal*“ და ისლანდიურში „*Kal*“-ი ეწოდება (I. Becker, *Gemüsebau*, 291), ე. ი. სწორედ ისევე, როგორი სახითაც ეს ლათინური სიტყვა კალნაბში გვევლინება.

„კალნაბის“ მეორე ნახევარი „ნაბი“-ც ლათინური სიტყვა *napus* „ნაპუს“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. „ნაპუს“ ლათინურად მხალ-თაღამას ჰნიშნავს (გერმ. *die Steckrübe*, ფრანგ. *navet*).

ამგვარად „კალნაბი“ სიტყვისიტყვით რომ გადმოითარგმნოს, კომბოსტომხალ-თაღამას ჰნიშნავს. მართლაც კომბოსტოს ასეთი ორი სახესხვაობაც არსებობს, რომელთა ღერო თაღამს და ბოლოც მიაგავს, ხოლო ზედ რამოდენიმე ფოთოლი აბია. თვით ღეროს სიდიდის მხრივ ორი ჯიში მოიპოვება, რომელთაგან ერთს, უფრო მომსხო ღეროიანს, ფრანგულად ეხლაც სწორედ *choy-navet* ეწოდება.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ლათინური ასეთი სახელი *caulinapus*, ან ამის მაგვარი სიტყვა ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ეს გარემოება „კალნაბი“-ს ზემოდასახელებული ეტიმოლოგიისათვის ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენს. ამის გადასალახავად უნდა ითქვას, რომ *Kohlrabi*-ის სახელსაც, რომელიც ამგვარადვე თითქმის ყველა ევროპულ ენაშიც, მაგ., იტალ. *Cavolo-rapa*, ფრანგ. *le chou-rave*, ესპან. *colinaba* და სხვ. ეწოდება, სრული შესატყვისობის მქონებული ლათინური წინაპარი არ მოეპოვება: კარლოს დიდის *Capitulare de villis et hortis imperialibus*-ში „*Ravacauli*“ იხსენიება (I. Becker, *Gemüsebau*, 295), ე. ი. ამ ორნაწილედ სახელის სიტყვები *kohlrabi*-სთან შედარებით წინაუქმოა დალაგებული. *Kohlrabi* და ევროპულ ენებში დაცული სხვა ამის მსგავსივე წარმოების ზემომოყვანილი სახელები ცხადყოფენ, რომ ამ კომბოსტოს სახელი ლათინურად, კარლოს დიდის საბუთში ნახპარი სახის გარდა, *caulirava*-ს სახითაც უნდა არსებებოდა.

ქართული „კალნაბი“-ს სიტყვათა დალაგებულობაც „კოლრაბი“-სას¹ მიაგავს. კომბოსტოს ამ სახესხვაობისათვის ესპანეთში მიღებული სახელია „Colinaba“ (იხ. I. Becker, Gemüsebau, 293), რომელიც ქართულ კალნაბ-ს ასე გასათვრად მიაგავს, ფრანგულ chou-navet-სთან ერთად, ამგვარადვე უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ლათინურად cauli napus-ი, ანდა მისი ფონეტიკური სახენაცვალიც უნდა ყოფილიყო.

ზემომოყვანილის შემდგომ, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს, რომ ქართველებს „კალნაბი“-ს სახელი დასავლეთითგან, იტალიითგან, უნდა ჰქონდეთ შეთვისებული.

გამოსარკვევია მხოლოდღა, თუ კომბოსტოს რომელი სახესხვაობის აღმნიშვნელია ეს სახელი. ს. ორბელიანის განმარტებით, იგი ყვავილიან კომბოსტოს საქართველოში მიღებული ძველი სახელი არის, ე. ი. Cauliflora, chou-fleur, Blumenkohl, цветная капуста, მაგრამ, რაკი გამოიჩვენა, რომ „კალნაბი“ ლათინურად კომბოსტოს სულ სხვა ჯიშის სახელი ყოფილა, ბუნებრივად ეჭვი იბადება, თუ რამდენად სწორეა და რამდენად სანდო წყაროზეა დამყარებული ქართული ლექსიკოგრაფის განმარტება: აქ ხომ საბა არ შესცდა და ნამდვილად კალნაბი ხომ chou-navet-ს კომბოსტო-მხალ-თაღვამას არ ჰნიშნავდა?

§ 6. კალნაბი, ვითარცა ყვავილიანი კომბოსტოს სახელი

ამ საკითხის გამორკვევა სხვადასხვა თვალსაზრისით შეიძლება. უპირველესად უნდა ვიცოდეთ, კალნაბს ან მის ფონეტიკურ შესატყვისობას მართოქართულად აქვს ყვავილიანი კომბოსტოს აღმნიშვნელობა, თუ სხვა ენებშიც ეს სიტყვა ამის მსგავსადვე ესმით. მეორე მხრით ისიც უნდა გვქონდეს გათვალისწინებული, თუ როდის გაჩნდა პირველად კომბოსტოს ეს სახესხვაობა და შესაძლებელია თუ არა, რომ ქართულ წყაროებში მოხსენებული კალნაბი ყვავილიანი კომბოსტო ყოფილიყო?

თავდაპირველად კალნაბი, უეჭველია, თაღვამა-კომბოსტოს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო: ამას თვით მისი „კალ“-ისა (კაულ-ის) და „ნაპ“-ისაგან (napus თაღვამა) შემდგარი სახელიც ცხადჰყოფს. ამნაირად, ცხადია, რომ „კალნაბი“-ს თავდაპირველი მნიშვნელობა შემდეგშია შეცვლილი და ყვავილიანი კომბოსტოს სახელად გამოუყენებიათ. აქ მხოლოდ ის არის კიდევ გამოსარკვევი, ს. ორბელიანმა აურია და კალნაბის მნიშვნელობა მცდარად გაიგო, თუ მნიშვნელობის ამნაირი ცვლილება თვით ხალხშივე მოხდა და საბას თავის ლექსიკონში მხოლოდ კალნაბის მანამდე არსებული და განმტკიცებული მნიშვნელობა აქვს შეტანილი?

კალნაბის თავდაპირველი მნიშვნელობის შეცვლა და ყვავილოვან² კომბოსტოდ მიჩნევა რომ ს. ორბელიანს ვერ დაჰბრაღდება, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ოსმალურშიც karnabit قرنيبت ، قرنيبت ، قرنيبت „კარნაბიტ“ სწორედ ყვავილიან კომბოსტოს ჰნიშნავს. ასეა მიღებული საერთოდ, Zenker-საც ასევე აქვს თავის ლექსიკონში აღნიშნული.

ცენკერ-ის განმარტებით, ეს სახელი ოსმალურს თითქოს ბერძნული $\kappa\rho\alpha\mu\beta\eta$ „კრამბე“-საგან უნდა ჰქონდეს ნასესხები. მაგრამ ეს აზრი მცდარია, რათგან ოსმალურს ბერძნულითგან მხოლოდ „კრამვი“-ს სახით შეეძლო შეეთვისებინა. ამიტომ გაუგებარია, „კრამვი“ ოსმალებს „კარნაბიტ“-ად როგორ უნდა ექციათ და კომბოსტოს ამ სახელის ბერძნულზე გაცილებით უფრო ძველი სახეობა როგორ შეეძლოთ აღედგინათ?

ამას გარდა, თვით თანამედროვე ბერძნულში ყვავილიან კომბოსტოს *konoupidia* „კონუპიდა“ და „კარნამპიკი“ ეწოდება, „კრამბე“ კი კომბოსტოს თავდახვეული ჯიშის აღსანიშნავად იხმარება (I. Becker, Gemüsbau, 293 და 292). ამიტომ უფრო დასაჯერებელი იქმნებოდა, რომ ოსმალური „კარნაბიტ“-ი შესაძლებელია სმირნულ-ბერძნულ „კარნამპიკი“-საგან გვევულისხმა წარმომდგარად, რომ თვით ამ უკანასკნელის ბერძნულობა მეტად საეჭვო არ იყოს. მართლაც, „კარნამპიკი“-ს მართლწერა, სახელდობრ მისი „მპ“ კომპლექსი, მის უცხოობას ამჟღავნებს, რათგან ბიზანტიურსა და ახალ ბერძნულში უკვე გამჭრალი „ბ“ ბგერის გამოსახატავად იხმარებოდა. ამიტომ თვით ბერძნული სახელი შეუძლებელია ძველი იყოს და შედარებით მერმინდელსა და უცხო ენითგან შენაძენს უნდა წარმოადგენდეს.

ყველაზე მეტად ოსმალური „კარნაბიტ“-ი IX—X სს. დადასტურებული ქართული „კალნაბი“-ს მონათესავე ჩანს და შესაძლებელია, რომ კომბოსტოს ამ ჯიშის სახელი ოსმალებს მესხეთის გზით ჰქონდეთ მცირე აზიაში გაბატონების შემდგომ შეთვისებული.

მაგრამ ამ საკითხს, ვითარცა ჩვენი კვლევა-ძიების ასპარეზს გარეშე მყოფს რომ გვერდი ავუქციოთ, მართო თვით იმ გარემოებასაც, რომ კარნაბიტ-ი ოსმალურად ყვავილიანი კომბოსტოს სახელია, იმ მხრივ აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, რამდენადაც ამით ირკვევა, რომ „კალნაბის“ ფონეტკური შესატყვისობა მართო ქართულში არ ყოფილა ყვავილიანი კომბოსტოს სახელი. ამით უცილობლად მტკიცდება, რომ ს. ორბელიანს თავის განმარტებაში კალნაბის საქართველოში მიღებული მნიშვნელობა სრული სისწორით ჰქონია აღბეჭდილი.

რაკი, როგორც დავრწმუნდით, კალნაბი თავდაპირველად კოლრაბის, ანუ კომბოსტო-მხალ-თალგამას აღმნიშვნელი იყო, ამიტომ ეხლა გამოსარკვევილია, თუ როდის და სად უნდა შესცვლოდა ამ სიტყვას თავისი პირვანდელი მნიშვნელობა და ყვავილიანი კომბოსტოს სახელად ქვეუღიყო. ამ საკითხის გადასაწყვეტად კი, რა თქმა უნდა, ყვავილიანი კომბოსტოს გაჩენის ხანის ზედმიწევნითი ცოდნაა საჭირო.

ევროპის ბოტანიკოსებისა და აგრონომების ზემომოყვანილი (იხ. აქვე, გვ. 189) ცნობებითგან ჩანს, რომ ყვავილიანი კომბოსტო რომაელებს არ ჰქონდათ და საერთოდ ევროპაში ძალიან გვიან ჩნდება.

V. Hehn-ის სიტყვით, ყვავილიანი კომბოსტო აღმოსავლეთის სახესხვაობაა და აღმოსავლეთითგან ვენეტიკისა და ანტვერპენის გზით არის ევროპაში და შემდეგ გერმანიაშიც შეტანილი ოცდაათწლიანი ომის უწინარეს (Kpf. u. Hf., 523). დაახლოვებით ასევე მსჯელობენ სხვებიც.

თუ ბოტანიკოსებისა და აგრონომების მოსაზრება, რომელსაც I. Becker-იც იზიარებს, რომ ყვავილიანი კომბოსტო კუნძულ კვიპროსითგან გამოსული სა-

ხესხვაობაა და XVI ს-ზე ადრე არ უნდა იყოს გაჩენილი (Gemüsebau, 297), მცდარი არ არის, მაშინ ცხადია, რომ გ. მერჩულის თხზულებაში მოხსენებული „კალნაბი“, რომლის ჭამაც გრ. ხანძთელს, მისი ბიოგრაფის სიტყვით, ჰყვარებია, შეუძლებელია ყვავილიანი კომბოსტო ყოფილიყო. ამ შემთხვევაში კოლნაბის ჭიშის სახელად უნდა ჰქონოდა გ. მერჩულს ნაგულისხმევი.

მაგრამ ეგებების ბოტანიკოს-აგრონომების აზრი მცდარია და კალნაბი, ყვავილიანი კომბოსტო ჩვენში უკვე გრ. ხანძთელის დროს იყო? მებოსტნეობის ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა გაადვილდებოდა, რომ წინასწარ გამორკვეული ყოფილიყო, შავშეთ-კლარჯეთში ყვავილიანი კომბოსტო, ან მისი გაველურებული, თუ მონათესავე ველური ჭიში მოიპოვება, თუ არა? თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 186) უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ საქართველოში უმთავრესად ხეიტი კომბოსტოს ველური წარმომადგენელია გავრცელებული, ყვავილიანი კომბოსტოს ველური წინაპრის საქართველოში არსებობაზე კი არავითარი ცნობები არ მოიპოვება, რაკი საქართველოს ეს ორივე თემი ამჟამად ოსმალეთის ხელშია, ამიტომ ამის ეხლა შემოწმება შეუძლებელია. ამგვარად, გარკვეული ცნობების უქონლობის გამო, იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ პირველად როდის მიენიჭა კალნაბს ყვავილიანი კომბოსტოს მნიშვნელობა, შეუძლებელია.

§ 7. სად იქცა და საითგან გავრცელდა კალნაბი ყვავილიანი კომბოსტოს სახელად?

ეხლა მხოლოდ ისღა გამოსარკვევი, თუ სად უნდა მიჰქიებოდა ყვავილიანი კომბოსტოს თავისი განსაკუთრებული სახელი? ამ საკითხის გასაშუქებლად უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ დედამიწის ზურგზე ამ სახესხვაობის სახელი ბევრი არ არსებობს, რათგან ბევრ სხვადასხვა ერს საერთო სახელი აქვთ, ანდა უფრო სწორედ რომ ითქვას, საერთო წყაროთგან მომდინარე სახელი მოებოვებათ. ამის წყალობით ყვავილიანი კომბოსტოს ყველა ცნობილი სახელი სულ ორ მთავარ ჯგუფად უნდა დაიყოს. ერთი, მრავალრიცხოვანი ჯგუფის სახელი იტალიური *cavolo fiore*-ს სახელისაგან მომდინარეობს, რომელიც ყვავილიან კომბოსტოს ჰნიშნავს, ამ ჯგუფს ეკუთვნიან კიდეც: ესპანელები (*coliflor*). ფრანგები (*chou-fleur*), ინგლისელები (*cauliflower*, *colliflower*), პოლანელები (*calafiory*, *kaulefiory*), გერმანელები (*karfiol*, *kauli*, *Blumenkohl*), უნგრელები (*karfiol*), სერბიელები და კროატელნი (*karfiol* და *ცეგეტაჩა*), ჩეხები და სლოვენები (*karfiol*, *ცეგტნი* ოპროვტ), ჰოლანდიელნი (*bloemkool*), დანიელნი (*Blomkaal*), შვედები (*blomkål*) და რუსები (*цветная капуста*)⁴.

ყვავილიანი კომბოსტოსთვის იტალიურისაგან სრულებით განსხვავებული სახელის მქონებელ ერთა მეორე ჯგუფი მცირერიცხოვანია და ვიწროდ შემოფარგლულ არეზეა დამკვიდრებული. ამ ჯგუფს უპირველესად ქართველები ეკუთვნიან, რომელთაც კომბოსტოს ამ სახესხვაობის სახელად „კალნაბი“ აქვთ, IX ს-ითგან წერილობითი ძეგლითაც დადასტურებული. შემდეგ უნდა დასახე-

⁴ სახელები მოყვანილი აქვს I. Becker-ს (Gemüsebau, 293).

ლებული იყვნენ ოსმალნი, რომელნიც ტერმინად „კარნაბიტ“-ს ჰხმარობენ, მერმე სმირნელი ბერძნების „ტო კარნამპიკი“, ბულგარელების „karnasit“, რუმინების „კონოპიდა“ და ბერძნების „კონუპილია“⁵. ამნაირად, ყვავილიანი კომპოსტოს ამ სახელის მქონებელი არე საქართველოთგან იწყება, მცირე აზიას შეიცავს და ბალკანეთის ნახევარკუნძულზე გადადის, სადაც ამ ტერმინის გავრცელების არეს ჩრდილო საზღვარი ბერძნებისა, ბულგარელებისა და რუმინელთა მოსახლეობის მიწა-წყალს არ სცილდება. სერბები და უნგრელები ისევე, როგორც ჩეხოსლოვაკები და პოლონელი უკვე იტალიური ტერმინის არეს ეკუთვნიან.

ცხადია, რომ სმირნელი ბერძნების „კარნამპიკი“, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, უცხო ენის სიტყვის ბერძნულ ტრანსკრიპციას წარმოადგენს, რათ-გან „მპ“ აქ „ბ“ თანხმოვნის გადმოსაცემად არის გამოყენებული, იმ ბგერისათ-ვის, რომელიც ბერძნებს უკვე I საუკ. ხანითგან თავიანთ ენაში აღარ ჰქონ-დათ (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გიორგი ამარტოლის ხრონოგრაფის ქართული თარ-გმანი, II, 73), ამიტომ სმირნელი ბერძნების სახელი ფონეტიკურად რომ დაი-წეროს „კარნაბიკი“-ა. უეჭველია, იგი ოსმალურ „კარნაბიტ“-თან უნდა იყოს დაკავშირებული. ბოლოკიდური „ტ“ ბგერა, რომელიც ოსმალურ სახელს გაა-ჩნია, დაცული აქვს კიდევაც ბერძნულს „კონუპილია“-სა და რუმინულ „კანოპი-და“-ს, რომელთაც სამაგიეროდ პირველი მარცვლის „რ“ თანხმოვანი აქვთ და-კარგული.

მასასადამე, რამდენადაც რუმინული და ბულგარული ბერძნულთან უნდა იყოს დაკავშირებული, ხოლო თვით ბერძნული ოსმალურისაგან მომდინა-რეობს, იმდენად შესაძლებელია ითქვას, რომ არსებითად ყვავილიანი კომპოს-ტოს ორი სახელი გვაქვს: ქართული კალნაბი და ოსმალური კარნაბიტ.

ცხადია, რომ ერთი მათგანი უნდა აღრინდელი იყოს და მეორე ამ აღრინ-დელისაგან მომდინარეობდეს. რა თქმა უნდა, აღრინდელობის საკითხი უნდა იმ ამ ორთაგანის სასარგებლოდ გადაწყდეს, რომელსაც ამ სიტყვის თავდაპირ-ველი აგებულება კარგად აქვს დაცული და თანაც რომლის უფრო აღრინდელი არსებობის დადასტურება წერილობითი ძეგლებითაა შესაძლებელი. „კალნა-ბი“-ს შესახები ქართული წყაროების განხილვის დროს უკვე დავრწმუნდით, რომ კალნაბის საქართველოში, სახელდობრ შავშეთ-კლარჯეთში, უკვე IX ს. არსებობაზე გ. მერჩულს აქვს ერთი ცნობა დაცული. XIII ს-შიც ეს სახელი ცოცხალი სიტყვაა (იხ. აქვე, გვ. 182), ხოლო თვით ტერმინი ლათინურია და თავის პირვანდელი აგებულება მას საუცხოვოდ აქვს დაცული. ვერც ქრონოლო-გიურად და ვერც თავისი აგებულების დაცვით, ოსმალური „კარნაბიტ“ ქარ-თულ კალნაბს ვერ შეეცილება. ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ოსმალური სა-ხელი უფრო ქართულითგან უნდა მომდინარეობდეს, ცხადია, საქართველოს სამხრეთ-დასავლეთის თემის შავშეთ-კლარჯეთის მეზობლად მდებარე სანა-პირო ქვეყნის საშუალებით.

ასეთ შუამავლ, გარდამცემ ქვეყანად უნდა რუმი მივიჩნიოთ, რუმში რომ კალნაბი ყვავილიანი კომპოსტო ყოფილა, ამას კომპოსტოს ამ ჭიშის სპარსული სახელიც ცხადპყფს. სპარსელები ხომ ყვავილიან კომპოსტოს რუმის კომპოს-

⁵ კალნაბის ეს ტერმინები იხ. I. Becker-ის Gemüsebau, 293 გვ-ზე.

ტოს უწოდებენ (იხ. აქვე, გვ. 192). ეს გარემოება ამტკიცებს, რომ კომბოსტოს ეს სახესხვაობა სპარსელებს დასავლეთითგან, სახელდობრ, რუმითგან აქვთ შეთვისებული. მართლაც, კარნუ-ქალაქითგან XIII ს. დამდეგს ჩამოტანილსა და ზოჯა-ყოფილისაგან გადმოქართულებულ კარაბადინში კალნაბი, როგორც დავრწმუნდით, იხსენიება. არც გასაკვირველია, რომ იქ XII—XIII ს. კალნაბი ყოფილიყო, რაკი შავშეთ-კლარჯეთში კომბოსტოს ეს სახელი უკვე IX ს. ადამიანის საკმელი მხალის აღმნიშვნელი ყოფილა.

ეხლა გამოსაკვევილაა, თუ როგორ და რატომ იყო შესაძლებელი, რომ კალნაბი, რომელიც თავდაპირველად და ლათინურად *Brassica oleracea L. var. napus*, ანდა *rapifera*, მხალ-თალგამა-კომბოსტოს აღმნიშვნელი იყო, საქართველოში ყვავილიანი კომბოსტოს სახელად ქცეულიყო. თავისდათავად ცხადია, რომ ასეთ საკითხზე, ზოგიერთი მოსაზრების გარდა, დანამდვილებით ჭერ არაფრის თქმა არ შეიძლება. ერთი მიზეზთაგანი ის უნდა ყოფილიყო, რომ თალგამა-კომბოსტოს სახესხვაობისათვის საქართველოში განსაკუთრებული სახელი „ხვტი“ არსებობდა. როგორც დავრწმუნდით, *Brassica napus* ხვტი კომბოსტო საქართველოში ველურად იზრდება და ფართოდ არის გავრცელებული (იხ. აქვე, გვ. 186): ამიტომაცაა, რომ მას, ვითარცა ადგილობრივ ველურ მხალს, ქართული სახელი ჰქონდა. მისი რომაული სახელი კალნაბუს ზედმეტ სახელად უნდა ქცეულიყო. მეორე და უმთავრეს მიზეზად შესაძლებელია მოყვანილობის მხრივ ის გარეგნული მსგავსებაც ყოფილიყო, რომელიც ყვავილიანი კომბოსტოს მაგარი სახეობის თავისა და თეთრი თალგამა-კომბოსტოს ჯიშის თავს შორის ნაწილობრივ მაინც არსებობს. ნაკვის ასეთი გარეგნული მსგავსების გამო შესაძლებელია ყვავილიანი კომბოსტოს კალნაბი სწოდებოდა, ამ ჯიშის საკუთარ სახელად ქცეულიყო და საბოლოოდ შეპრჩენოდა მით უმეტეს, რომ თალგამა-კომბოსტოს თავისი ქართული სახელი, ხვტი, ჰქონდა.

§ 8. ზოგადი დასკვნა კომბოსტოს კულტურის შესახებ საქართველოში

ყველა ცნობისა და საკითხის განხილვის შემდგომ რომ ცალ-ცალკე მონაპოვარს ერთად თავი მოვუყაროთ, შესაძლებელია შემდეგი დავასკვნათ. ხვიტს გარდა, კომბოსტოს კულტურა საქართველოში უცხოეთით, დასავლეთითგან ყოფილა შემოტანილი. ამ გარემოებას ამჟღავნებენ მისი ზოგადი და ჯიშებრივი სახელები, ლახანა, რომელიც ბერძნულია, კალნაბი, რომელიც ლათინურია, და კომბოსტო, რომელიც იტალიითგან მოტანილი ჩანს. ამნაირად, ხვტისა და კეჟერას გარდა, ყველა უცხოა. ამასთანავე კეჟერა მართო კომბოსტოსათვის განკუთვნილი სახელი არ არის, ხვტი კი, კომბოსტო-მხალ-თალგამა საქართველოში ველურად იზრდებოდა და ის ადგილობრივი უნდა იყოს.

სახესხვაობის მხრივ საქართველოში ამ ბოსტნეულის თავდახვეული, თავდაუხვეველი და კეჟერა, თავმკვრივი, ანუ ხვტი და ყვავილიანი, ანუ კალნაბი იყო ცნობილი და გავრცელებული. კალნაბისა და ხვტის მოყვანა XVII—XVIII სს-ში საქართველოში ძალზე შემცირებული ჩანს, ძველად კი კალნაბი შავშეთ-კლარჯეთში და ეტყობა სხვაგანაც ფართოდ გავრცელებული ყოფილა.

უკვე V. Hehn-ს თავის დროზე სამართლიანად ჰქონდა აღნიშნული, რომ კომბოსტოს კულტურა ევროპაში იტალიითგან იყო შესული და გავრცელებული (Kpf. u. Ht., 523). კომბოსტოს სპარსული, ასურული და სომხური სახელები ცხადყოფენ, რომ მახლობელ აღმოსავლეთშიც ამ ბოსტნეულის კულტურა საბერძნეთთან ყოფილა დაკავშირებული.

ამავე გარემოებას კომბოსტოს დასავლეთ საქართველოში მიღებული სახელი ლახანაც ადასტურებს, მაგრამ ამ მხალის კულტურა ჩვენში მაინც უმთავრესად რომითგან და იტალიითგან მომდინარეობდა.

დეტალური განხილვისდა მიუხედავად, მაინც არაერთი საკითხი გადაუწყვეტელი დარჩა და ზოგიერთი დამაფიქრებელი გარემოებაც არის. სახელობრ, რა მიზეზია, რომ კომბოსტო, რომელიც იტალიითგან არის შემოსული, ამ მხალის სახელად აღმოსავლეთ საქართველოშია გაბატონებული, დასავლეთ საქართველოში კი არ არის? რაკი ის იტალიითგან მომდინარეობდა, როგორღა მოხდა, რომ კომბოსტოს სახელმა ლიხთ-იმერეთში ნიადაგი ვერ მოიპოვა, ამერეთში კი დამკვიდრდა და შემდეგ ზოგად სახელადაც იქცა? ამნაირადვე, რა მიზეზი უნდა იყოს, რომ კომბოსტოს სახელად ლახანა ამიერ საქართველოში ამ უამად ხალხში თითქმის სრულებით არ იხმარება და წინადაც, მაგ. XVII—XVIII სს., მარტო ვახუშტს მოეპოვება, ს. ორბელიანს კი მისი შეტანა თავის ლექსიკონში დაჰვიწყებია? ეს უკანასკნელი გარემოება იმის გამომყდავებელი მაინც უნდა იყოს, რომ ლახანა აღმოსავლეთ საქართველოში წინათაც, XVII—XVIII სს., ნაკლებ გავრცელებული სახელი ყოფილა.

დასასრულ, როგორც დავრწმუნდით, კომბოსტოც ამ მხალის თავდახვეული სახესხვაობის სახელია და ლახანაც. რა მიზეზია, რომ ამ ბოსტნეულის ერთი და იგივე სახესხვაობისათვის სახელების ასეთი სიუხვეა?

ამ უკანასკნელი საკითხის ახსნა შედარებით უფრო ადვილია: საფიქრებელია, რომ, თუმცა ლახანაც და კომბოსტოც ერთსა და იმავე თავდახვეულ, მაგრამ მაინც ერთმანეთისაგან განსხვავებულ სახეობას წარმოადგენდნენ.

წინა საკითხების განმარტებას კი, რა თქმა უნდა, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს იმ იმედით, რომ მომავალში შესაძლებელია წყაროებში რაიმე ახალი ცნობები აღმოჩნდეს ლახანას და კომბოსტოს სახელებისა და თვით მხალის შემოსულობის დროისა და გზების გამოსარკვევად. მანამდე კი საქმის ვითარება შეიძლება ადამიანს ასე წარმოედგინა:

ლახანას სახელით კომბოსტოს კულტურა საბერძნეთითგან პირველად დასავლეთ საქართველოში იქნებოდა შემოსული. რასაკვირველია, ეს მხალი უმთავრესად ჭერ ლიხთ-იმერეთში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. ამერეთში მერმე გადმოსულა. მის კულტურას, როგორც ჩანს, აქ შემდეგშიც ნაკლები ასპარეზი ჰქონია დაკავებული.

როდესაც იტალიითგან ამ მხალის თავდახვეული სახესხვაობის კომბოსტოდ წოდებული ახალი სახეობა შემოვიდა, ის აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელდა, სადაც მისი სახელი დამკვიდრდებოდა კიდევაც, დასავლეთ საქართველოში კი ლახანას სახელი ისე იყო ამ მხალის სახელად განმტკიცებული, რომ

კომბოსტოს სახელმა ვერა დააკლო რა და ლახანა წინანდებულად ამ ბოსტნეულის ზოგად სახელად დარჩა.

კომბოსტოს კულტურის სახესხვაობითი და ჭიშებრივი შედგენილობის მხრივაც საქართველო დასავლეთისაგან ყოფილა დამოკიდებული და საფიქრებელია, რომ საქართველოს მხოლოდ ხვითი და ყვავილიანი კომბოსტოს, კალნაბის, ჯიშის შექმნაში ჰქონდეს თავისი წვლილი შეტანილი.

გეგმილობის II ჯგუფი: ძირხვენეული ანუ მღელო

თავი I. სტაფილო

§ 1. ცნობები სტაფილოს, ნიუკას, ქინძიჯორას, ანუ ქინჯილოჯას და ქალაკოდას შესახებ და მათი რაობა

ს. ორბელიანს ლექსიკონში მხოლოდ „სტაფილი“ უწერია. არავითარი განმარტება ამ სიტყვას, მცენარის პირობითი ნიშნის გარდა, არა აქვს დართული (ლექსიკ.). ფ. გორგიჯანიძეს კი ამ ბოსტნეულის ჩვეულებრივი ფორმა „სტაფილო“ აქვს ნახმარი. ამ ავტორს სტაფილო არაბ. „გაზარ“-ისა და სპარს. „გაზარ“-ის შესატყვისობად მიაჩნდა (აქვე, გვ. 155).

ვახუშტს საქართველოში გავრცელებული ბოსტნეულის სიაში სტაფილოც მოეპოვება (აქვე, გვ. 154). რუსი დესპანებიც ისევე, როგორც გიულდენშტედტიც, ამასვე ადასტურებენ (აქვე, გვ. 155).

რ. ერისთავის ცნობით, „სტაფილო“ სახელი ამერეთსა და იმერეთ-გურიაშია გავრცელებული (ბოტ. ლექსიკ., 54, § 761). სვანეთშიც ეს სიტყვავე იხმარება (ივ. ნიჟარაძის p.-c. ალ.: марковс).

ბოტანიკურად „სტაფილო“ *Daucus carota L.*, რუს. марковс-ი არის (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 54, § 761).

სომხები სტაფილოს *გაგარ* „გაზარ“-ს უწოდებენ (იხ. *Մ. Քումանյան կուլտուրական բიւլანხի բარბოլժյան գոտինხիլ Հայաստանում*, გვ. 103). ფ. გორგიჯანიძის ზემომოყვანილი ცნობა (იხ. აქვე, გვ. 155) ადამიანს დაარწმუნებს, რომ სტაფილოს სომხური სახელი სპარსულითგან არის ნასესხები.

სტაფილოს გარდა, ამ მდელსთვის ძველ საქართველოში კიდევ არა ერთი სახელი არსებობდა. საბუთებში ყველაზე უფრო მეტად „ნიუკა“ არის აღბეჭდილი. ეს სახელი არც სახელოვან ლექსიკოგრაფს გამოჰჩინია აღუწესხველი. სახელდობრ, — საბას ნათქვამი აქვს, რომ „ნიუკი ქალაკოდა“ არის და „ქალაკოდი ნიუკი“-აო (ლექსიკ.). მისი რაობა მცენარის პირობითი ნიშნიდან მხოლოდ ზოგადად ჩანს.

რ. ერისთავის სიტყვით, „გარეული სტაფილო“ და „ნიუკა“ ამ მცენარის აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული სახელებია, „ქალაკოდა“ კი თითქოს.

მხოლოდ იმერული და „ქინჯილოჯა“ გურული, ხოლო „ქვინჯილოჯე“ მეგრული სახელი უნდა იყოს.

ნიუკა და ყველა დანარჩენი გარეულ სტაფილოს წარმოდგენსო, *Laserpitium pruthenicum* L.-ა, რუს. морковь-дикий (ბოტ. ლექსიკ., 60, § 851).

აღ. როლდოვს, ნიუკას გარდა, რომლის კვალიც მის ნაშრომში არა ჩანს, სტაფილო გარეული, ქინჯილოჯა (გურულ სახელად), ქალაკოდა (იმერულად) და ქვინჯილოჯე (მეგრ.) მოეპოვება და *Laserpitium hispidum* MB-ის შესატყვისობად მიაჩნია (ДПК, 278). ვ. ლიპსკის კი კავკასიაში *Laserpitium dunciforme* აქვს დასახელებული (Флора Кавказа, 329).

იოს. ყიფშიძე მეგრულშიც „ქინჯილოჯა“-ს ასახელებს (მ. გ., 344). გურულ-მეგრულად მიჩნეული „ქინჯილოჯა“ ს. ორბელიანსაც მოეპოვება იმგვარადვე, როგორც იმერულად მონათლული „ქალაკოდა“-ც. საგულისხმოა, რომ ზემო რაქაში ეხლაც სქამენ „ქალაკუდა“-ს, მაგრამ მოხარშულს (იხ. აქვე, გვ. 158), რომელიც, როგორც ირკვევა, იგივე ნიუკა, ე. ი. გარეული სტაფილო ყოფილა.

სამწუხაროდ, ს. ორბელიანს ქინჯილოჯის განმარტებით თავი არ შეუწყუხებია და მცენარის პირობითი ნიშნის დასმით დაკმაყოფილებულა. ამიტომ ეს ცნობა ბევრს არაფერს გვშველის. ამ სიტყვის თანამედროვე მნიშვნელობა საშუალებას გვაძლევს მისი მნიშვნელობა ძველადაც გავითვალისწინოთ.

საფიქრებელია, რომ „ქინჯილოჯა“ უნდა ქინძილოჯა-სგან იყოს წარმომდგარი და თანაც ვახუშტისაგან საქართველოში გავრცელებული ბოსტნეულის სიაში დასახელებული „ქინძიჯორა“-ს ფონეტიკურ შესატყვისობას უნდა წარმოადგენდეს. ამ მოსაზრებას. ის გარემოებაც ადასტურებს, რომ „ქინჯილოჯა“ გარეული სტაფილოს სახელია და ვახუშტიც ქინძიჯორას უშუალოდ სტაფილოს შემდგომ ასახელებს. ისევე, როგორც წყვილად მოხსენებული „ოხრაბუში, მაკიდონი“ და „კომბოსტო, ლახანა“ (იხ. აქვე, გვ. 184—185) ერთიდაიმავე ბოსტნეულის მხოლოდ ორ სხვადასხვა სახელს წარმოადგენს, ასევე ერთიმეორის შემდგომ მოხსენებული „სტაფილი, ქინძიჯორა“-ც ერთი და იმავე მცენარის, სტაფილოს სახელსვე წარმოადგენს, მხოლოდ პირველი მათგანი კულტურული სტაფილოს სახელია, მეორე ეხლაც დაცული „ქინჯილოჯა“-ს ფონეტიკური შესატყვისობა, „ქინძიჯორა“, გარეული სტაფილოს სახელი ყოფილა.

§ 2. სტაფილოს კულტურა უცხოეთში

სტაფილო ძველისძველ მცენარედ ითვლება, რათგან მისი კვალი ბერნის კანტონში ქ. წ. 2000—1000 წ. ხანის უწინარესი ღიროვანი ნაშენობების განათხარშიც კი აღმოჩნდა.

ბასკებს ამ მდელსოთვის სახელად *Zanahoria* ჰქონიათ და აქვთ, რომელიც ესპანელებსაც შეუთვისებიათ (I. Becker, Gemüsebau, 768).

სტაფილოს ლათინური, ფრანგულ-იტალიურ-გერმანული სახელი კი კელტურ სიტყვად არის მიჩნეული (იქვე, 768).

პლინიუს მცირეს აღნიშნული აქვს, რომ პეტრონიუს ტოდოტუსი სტაფილოს (daucus) ოთხ ჯიშად ჰყოფდა, მაგრამ თვით პლინიუსი ამ აზრს არ იზიარებდა და მისი შეხედულებით მარტო ორი ჯიში არსებობდა. უეიდურეს შემთხვევაში ის თანახმა იყო მხოლოდ მესამე ჯიშის სტაფილოს არსებობაც ეცნო.

სტაფილოთა შორის ყველაზე განთქმული კრიტოსისა და შემდეგ აქაისა და მშრალი ადგილებისა ითვლება, რომელიც გარეგნობით კამას მიაგავს (foeniculi similitudine), მაგრამ ფოთლები უფრო მოთეთრო და მომცრო აქვს. მეორე ჯიშის სტაფილოს ფოთლები უფრო ქინძისას მიუგავს (foliis coriandri). მესამე ჯიში „სტაფილინოს“-საო („est simile staphylino“), რომელსაც გარეულ პასტინაკას უწოდებენ („quod pastinacam erraticam appellant“) და ტკბილი ძირი აქვს (Plinii secundi, Naturalis historiae, Lib. XXV, cap. 64).

E. Littré-ს თავის ფრანგულ თარგმანში staphylinos-ი *Daucus carotta sibth.*-დ აქვს მიჩნეული (იხ. *Histoire naturelle de Pline... par M. E. Littré, t. II, 184*). ე. ი. თანამედროვე ქართული სტაფილოს შესატყვისობა ყოფილა. ამგვარად, პლინიუს მცირეს daucus-ის (სტაფილოს) ლათინურად დახასიათების დროს „სტაფილინოს“-ი აქვს ნახმარი.

ასურეთში თურმე მოჰყავდათ ერთი მცენარე, რომელიც სტაფილონოსს ძალიან მიაგავდა. ზოგიერთნი მას „გინგიდიონ“-ს (gingidion) უწოდებენ. ის სტაფილოზე უფრო მომცრო ყოფილა და უფრო მომწაროც, მაგრამ მაინც ისეთივე მარგებელი თვისებები აქვს: მოხარშული, თუ უმი (coctum crudumque) იგი მეტადრე სტომაქსა ჰრეგებსო (Natur. hist., XX, 16).

დასასარულ, რომელ მეცნიერს აღნიშნული აქვს, რომ სტაფილოს არც ზამთარსა და არც ზაფხულში არც ერთი ოთხფეხი არ ეკარება და არა სჭამს (იქვე, lib., XXV, 64).

აღსანიშნავია, რომ პლინიუს მცირე სტაფილოს იმდენად კვებითს თვისებებზე არ ლაპარაკობს, რამდენადაც მის იმ სამკურნალო ღირსებაზე, რომელიც ამ ბოსტნეულის წვენი და ნახარშს სხვადასხვა ავადმყოფობის დროს საუკეთესო საშუალებად ჰხდოდა. მას სხვათა შორის ნათქვამი აქვს, რომ სტაფილო თითქოს გველისა და სხვა შხამიანი ქვეწარმავლისა და მწერის ნაკბენსაც კი არჩენდა და ამის გამო ასეთ შემთხვევაში როგორც ადამიანისათვის, ისე პირუტყვებზეც გამოუყენებიათ (Natur. hist., lib. XX, cap. 15 და lib. XXV, 64).

არაბთა ბოტანიკოსებს იბნ ალ-ავეამ-სა და იბნ ბაფთარს დასახელებული აქვთ მცენარე „ჯაზარ“, რომელსაც ან ყვითელი, ანდა წითელი ძირი ჰქონია (I. Becker, *Gemüsebau*, 768). ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონითგან ამოღებული ცნობითგან დავრწმუნდით, რომ „ჯაზარ“ და „გაზარ“ არაბულად და სპარსულად სწორედ სტაფილოს ჰნიშნავდა. მაშასადამე, ორსავე ზემოდასახელებულ ავტორსაც სტაფილოზე ჰქონია საუბარი და არაბეთში XII—XIII სს-ში სტაფილოს ორი, ყვითელი და წითელი, ჯიში ყოფილა.

სტაფილოს დასავეთ ვერობის დანარჩენ ქვეყნებში, მაგ. საფრანგეთსა და გერმანიაში, გავრცელების შესახებ გარკვეული ცნობები არ მოიპოვება. ფიქრობენ, რომ კარლოს დიდის ბრძანებაში Capitulare-ში ნახმარი *carvitae* შესაძლებელია სტაფილოს ჰნიშნავდეს, მაგრამ დანამდვილებით ეს გადაწყვეტილი არ არის. Petrus de Crescentiis-ი სტაფილოს „წითელ პასტინაკ“-ს („*Pastinaca rubea*“)

უწოდებს (I. Becker, Gemüsebau, 768 და 874). XVI—XVII სს-მდე დასავლეთ ევროპაში უმთავრესად გრძელი, ყვითელი სტაფილოს ჯიში ყოფილა გავრცელებული (იქვე, გვ. 768—769).

§ 3. სტაფილოს ქართული სახელების ანალიზი ამ მდელის საქართველოში კულტურის გზების გამოსარკვევად

ყველა სახელთაგან ფართოდ და ზოგადად „სტაფილო“-ა საქართველოში მიღებული. ამიტომ ბუნებრივია, რომ პირველად სწორედ მისი სადაურობა იქმნეს გამორკვეული.

ამ ბოსტნეულის ქართული სახელი „სტაფილო“, მისი იმიერ-ამიერ საქართველოში გავრცელებისდა მიუხედავად, ქართული სიტყვის შთაბეჭდილებას არ სტოვებს. არ უდგება იგი ამ მცენარის არც არაბულ-სპარსულ-სომხურ სახელსაც. ჩვეულებრივი ლათინურისაგანაც ძირითადად განსხვავდება.

როგორც უკვე დავრწმუნდებით, რომაელებს, სტაფილოს ჩვეულებრივი სახელის კაროტა-ს გარდა, ერთი განსაკუთრებული ჯიშისათვის საგანგებო სახელი „სტაფვილინოს“-ი ჰქონდათ (იხ. აქვე, გვ. 203). საფიქრებელია, რომ სწორედ აქეთგანვე უნდა იყოს ქართული სახელი „სტაფილი“, როგორც ს. ორბელიანსა აქვს ჩაწერილი, და ჩვეულებრივი „სტაფილო“-ც წარმომდგარი.

დანარჩენ სახელებზე მსჯელობის ნაყოფიერებისათვის, რასაკვირველია, წინასწარ ზედმიწევნით უნდა გამორკვეული ყოფილიყო ნიუკას, ქინძიჯორას, ანუ ქინჯილოჯას და ქალაკოდას ბოტანიკური რაობაცა და თანამედროვე საქართველოში გავრცელების არეებიც, მაგრამ ეს ბოტანიკოსებისა და აგრონომების საქმეა. ხოლო სანამ ეს საკითხები შესწავლილი იქნება, ქინძიჯორისა, თუ ქინჯილოჯასა და ქალაკოდას შესახებ ორიოდ მოსაზრების გამოთქმა მაინც შეიძლება.

ქინძიჯორას და ქინჯილოჯას სახელის პირველი ნაწილი საერთოა და მისი უძველესი და უსწორესი სახე, უეჭველია, „ქინძი“ უნდა იყოს. ამ სახელის მეორე ნაწილი „ჯორა“ და „ლოჯა“-ც, ცხადია, ერთი და იგივე სიტყვა უნდა იყოს, მხოლოდ ბგერითი ცვლილების გამო ერთი მეორისაგან განსხვავებული.

რაკი, პლინიუსის ცნობით, სტაფილოს ორი ჯიში არსებობდა, რომელთაგან ერთს ფოთლები კამას მიუგავდა, მეორე ჯიშს კი ქინძისას (folis coriandri), იბადება საკითხი, ქინძიჯორა ხომ სტაფილოს სწორედ იმ ჯიშის სახელი არ არის, რომლის ფოთლებიც ქინძისას მიაგავს? ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნებოდა შესაძლებელი, ბოტანიკურად რომ გამორკვეული ყოფილიყო, ქინძიჯორა, ანუ ქინჯილოჯა მართლაც სტაფილოს სწორედ ქინძ-ნაირი ჯიშის სახელია ეხლაც, თუ არა? თუ ეს გარემოება დადასტურდა, მაშინ სტაფილოს ამ სახელის მეორე ნაწილის „ჯორა“-სი, თუ „ლოჯა“-ს პირველადობა და მნიშვნელობადა იქმნება გამოსარკვევი.

მეორე მხრით, თავისდათავადაც, მეტადრე კი თუ ზემოდასახელებული გარემოება არ დადასტურდა, იბადება აზრი, „ქინძიჯორა“ სტაფილოს იმ ჯიშის სახელის ანარეკლს, თუ სრულ შესატყვისობას ხომ არ წარმოადგენს, რომელიც ასურეთში ყოფილა გავრცელებული და რომელსაც ზოგიერთნი თურმე „გინგილიონ“-ს ეძახდნენ (იხ. აქვე, გვ. 203). ეს სახელი ბერძნულს მიაგავს და ბერ-

ძნებისაგან უნდა ჰქონდეს პლინიუსსა და მის თანამემამულეებსაც გაგონილი. „ქინძიჯორა“-ხომ „გინგიდიონ“-ის ფონეტიკურ სახელნაცვალს არ წარმოადგენს, ანდა, რაკი აქ სტაფილოს მაგვარი უცხო, ასურეთში გავრცელებული, ჭიშის სახელი გვაქვს, პირიქით ბერძნებს ხომ არა აქვთ „გინძიდიონ“ დროთა განმავლობაში გინგიდიონად ქცეული? ამ საკითხის გამოკვლევა მომავალი კვლევა-ძიების საქმეა.

„ნიუკა“-ს არსად მონათესავენი არ გააჩნია და მისი ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის შესახებაც ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება.

„ქალაკოდა“-ს ეტიმოლოგიის გამოსარკვევად უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ „ქალაკულა“-საც ხმარობენ: რაკაში მაგ. სწორედ ასე ეძახიან. საფიქრებელია, რომ აქ ორნაწილედ სახელთან უნდა გვქონდეს საქმე და „ქალა“ და „კოდა“-ს, ანუ „კულა“-საგან უნდა იყოს შემდგარი. „კულა“ მცენარეთა არა ერთ ქართულ სახელში გვხვდება. მაგ. მელისკულა, ყვავისკულა, დანაკის-კული და სხვ. ამგვარად სტაფილოს ეს სახელიც ქართულია და ამ მდელის მოყვანილობის ქალის კულზე, ანუ ნაწნავზე დამსგავსებით არის წარმოშობილი.

§ 4. სტაფილოს კულტურაზე საქართველოში ზოგადად

საქართველოში არსებული სტაფილოს ყველა სახელისა და მათი ეტიმოლოგიის განხილვა ცხადჰყოფს, რომ ქართველი ხალხი მარტო შინაურ სტაფილოს კი არ ხმარობდა, არამედ გარეულსაც. გარეული სტაფილო და ნიუკა ანუ ქინძიჯორა (*Daucus carota* L. და *Laserpitium Dauciforme*) მთელ საქართველოში ყველგან და კავკასიაშიც გვხვდება (იხ. В. Липский, Флора Кавказа, გვ. 330, §1843, გვ. 329, § 1836). ველური სტაფილოს ქართული სახელების სიმრავლე ამტკიცებს, რომ ცხოვრებაში მას კულტურულ სტაფილოზე, თუ მეტი არა, ნაკლები მნიშვნელობა მაინც არ უნდა ჰქონოდა. ამასთანავე ამ ველურ ჭიშთა ქართულობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ველური სტაფილო ხალხს საჭმელად უფრო ადრე უნდა ჰქონოდა გამოყენებული, ვიდრე კულტურული ჭიშის ამ მდელის უცხოეთითგან საქართველოში შემოიტანდნენ.

სტაფილო ამ მცენარის ბერძნულ-რომაული სახელი, თანაც სრულებით გარკვეული ჭიშის აღმნიშვნელი, უეჭველია, საქართველოშიც საბერძნეთ-რომითგან შემოტანილი ჭიში უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ მისი ჩვენში შემოტანის დრო იმ ხანას უნდა მიეკუთვნოს, როდესაც ჩვენ სამშობლოს ბერძნებთან და რომაელებთან პოლიტიკური და ეკონომიურ-კულტურული დამოკიდებულება ჰქონდა.

საბერძნეთ-იტალიითგან შემოტანილ „სტაფილო“-ს, ამ ჭიშის დიდი ღირსების გამო, თანდათანობით ადგილობრივ საქართველოში არსებულ ჭიშებზე ისე გაუმარჯვია, რომ ამ ბოსტნეულის ზოგად ქართულ სახელადაც კი ქცეულა. მაგრამ სტაფილოს საქართველოში წინანდელი ჭიშები მაინც ვერ მოუხსპია: თვით ვახუშტსაც, როგორც დავრწმუნდით, სტაფილოს გვერდით „ქინძიჯორა“-ც აქვს დასახელებული, რომელიც საბას „ქინჯილოჯა“-ს უდრის. ამას გარდა სახელოვან ლექსიკოგრაფს „ქალაკოდა“-ცა და „ნიუკა“-ც მოეპოვება.

თუ გავიხსენებთ, რომ სახელი „სტაფილო“ აღმოსავლეთ საქართველოსა და ლიხთიმერეთის მხლოდ იმერეთსა და გურიაშია გავრცელებული, სამეგრელოში კი უცნობია, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სტაფილოს კულტურა ჩვენში დასავლეთის, ზღვის გზით კი არა, არამედ სამხრეთ-დასავლეთითგან, მესხეთის გზით, პირველად აღმოსავლეთ საქართველოში უნდა იყოს შემოტანილი.

ს. ორბელიანისა და ვახუშტის ცნობებით მტკიცდება, რომ ძველად ქალაქოდა, თუ ქალაქუდა ისევე, როგორც ქინძიჯორა, ანუ ქინჯილოჯა ამერეთშიც უცნობი არა ყოფილა იმისდა მიუხედავად, რომ ამჟამად, როგორც ეტყობა, ლიხთიმერეთშია უმთავრესად შერჩენილი. საქართველოს ეკონომიური ისტორიის ძეგლები სათანადოდ შესწავლილ-გამოქვეყნებული რომ ყოფილიყო, შესაძლებელია თვითეული მათგანის გავრცელების არეც გვეცოდნოდა და ინტენსივობაზეც რაიმე დასაყრდნობი ცნობები გვქონოდა. ამ იმედის საფუძველს ნიუკის მაგალითი გვაძლევს.

„ნიუკა“-ზე მეწინავე სადროშოს ძღვნისა და სამასპინძლოს გარიგების წიგნში (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ. I², 52—54) შემდეგი საგულისხმო ცნობები მოგვეპოვება: შეწერილი აქვთ: „ჯანშაშვილებს... ნიუკა სამარხო გალა ოცი“, — ს. „ვარძაგარას... ნიუკა სამარხო გალა ოთხმოცი“, — ს. „ქვაბეგანს... სამარხო ცერცივი ლიტრა ოთხი, ოსპი ლიტრა სამი, ნიუკა გალა ორმოცი“, — ს. „ხულს... ნიუკა (sic!) გალა ასი“, — ს. „დარბაზს... სამარხო ცერცივი ლიტრა ორი, ოსპი ლიტრა ორი, ნიუკა გალა ორმოცი“, — ს. „სუგეჩანს... სამარხო ცერცივი სტილი ათი, ოსპი სტილი ათი, ნიუკა გალა ოცი“ — ს. „ჩარგაშენს... სამარხო ცერცივი სტილი ათი, ოსპი სტილი ათი, ნიუკა გალა ოცი“, — ს. „ილღუზს... სამარხო ცერცივი ლიტრა სამი, ოსპი ლიტრა სამი, ნიუკა გალა სამოცი“ — ს. „ყამიშს... სამარხო ცერცივი ლიტრა ორი, ოსპი ლიტრა ორი, ნიუკა გალა ორმოცი“, — ს. „გელასოფელს... სამარხო ცერცივი ლიტრა ერთი, ოსპი ლიტრა ერთი, ნიუკა გალა ორმოცი“, — ს. „აღყუმრუს... სამარხო ცერცივი ლიტრა ერთი, ოსპი ლიტრა ერთი, ნიუკა გალა ოცი“, — ს. „წაკაგეცის... სამარხო ცერცივი ლიტრა ერთი, ოსპი ლიტრა ერთი, ნიუკა გალა სამოცი“. ამდენივეა ს. ნადარბაზევზე, აზმა-სოფელს კი „ნიუკა გალა ორმოცი“ სდებია.

მაშასადამე, მეწინავე სადროშოს მარტო 13 სოფელს სამარხოს გამოსაღებლის სახით ყოველწლიურად უნდა 580 გალა ნიუკა გამოეღო. ცხადია, რომ საქართველოს ამ კუთხეში ნიუკა ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, თუ რომ მარტო სამარხო გამოსაღების სახით 580 გალა ჰქონიათ შეწერილი.

თავი II. ჰარხალი

§ 1. ჰარხლის საქართველოში მიღებული სახელები: ჰაკუნტელი, ჰარხალი, წითელი ფხალი და სოტელია

დაბადების ქართულ თარგმანში ჰარხლის სახელად: „ჰაკუნტელი“ გვხვდება. ჟაიას 51²⁰-ში იხსენიება „ჰაკუნტელი მგბარი“, ე. ი. მოხარშული. „ჰაკუნტელი“ უღრის ბერძნულს *σενι.τον*-ს „სეგეტლიონ“-ს, ლათინ. *oryx*-სა და სომხურს *დასქონიქსი* ჰაკუნდელ-ს

ქარხლის ეს სახელი შემდეგშიც დიდხანს ყოფილა საქართველოში მიღებული. მაგ. ამ მცენარის სახელი ხოჯა-ყოფილის „სააქიმო წიგნის“ ქართულ თარგმანშიც გვხვდება, სადაც „ქაკუნტლის ფურცელი“ და „შემგბარი ქაკუნტლის წყალი“ იხსენიება (ხელთნ., გვ. 131, 125, 163 და სხვ.).

საბას განმარტებითგან ჩანს, რომ თუმცა ქაკუნტელიც ქარხალი იყო, მაგრამ თვითეულ ამ სახელთაგანს მაინც თავისი ცალკეული განსხვავებული მნიშვნელობაც ჰქონდა. „ქაკუნტელი ტკბილი ქარხალი“ არისო, ნათქვამი აქვს ორბელიანს (ლექსიკ.), ქარხალი კი, როგორც ჩანს, ისეთ ტკბილ ჯიშს არ წარმოადგენდა.

რამდენადაც გ. შარაშიძის გურული სალექსიკონო მასალებითგან ჩანს, ბოსტნეულის სახელად ქაკუნტელი ამჟამად მხოლოდ გურიშია ყოფილა შერჩენილი: ეს სიტყვა მის მასალებში შეტანილი აღმოჩნდა და, მისი განმარტებით, „ქაკუნტელი“ „ბოსტნის წითელი მხალი“ არის. რაკი იმერეთსა და გურიაში „წითელი ფხალი“ ქარხალს ჰქვიან, ამიტომ, ზემომოყვანილი განმარტებისა და მიხედვით, ქაკუნტელი კულტურული („ბოსტნის“) ქარხლის სახელი ყოფილა. ძველი ქაკუნტელის ბოტანიკურ-ჯიშებრივი რაობის გამორკვევის გასაადვილებლად, სასურველია, რომ ქართველმა აგრონომებმა გურიაში შერჩენილი ქაკუნტელი ბოტანიკურად გამოიკვლიონ და მისი ჯიშებრივი რაობა და ღირსება განსაზღვრონ.

რაკი ქაკუნტელი და ქარხალი ამ მდელოს სხვადასხვა ჯიშის სახელი ყოფილა, ამიტომ შესაძლებელია ორივე სახელი ძველად ერთსადაიმევე დროს ყოფილიყო, მაგრამ შესაძლებელია ერთი ამ ჯიშთაგანი უფრო ადრინდელი იყოს, მეორე კი შემდეგში გაჩენილიყო. თუ ქაკუნტელი ქართული მწერლობის უძველესი ხანის ძეგლებშივე გვხვდება, ქარხალი იმ ხანაში არა ჩანს; ჭერ-ჭერობით მაინც. საერთოდ ჭერ კიდევ გამოსარკვევია, თუ რომელი და რა ხანის ძეგლია, სადაც ცნობილ და გამოქვეყნებულთა შორის პირველად ქარხლის სახელი გვხვდება.

რა თქმა უნდა, მართო იმ გარემოებაზე დამყარება, რომ XIII ს. დამდეგს ქართულად გადმოთარგმნილსა, თუ გადმოკეთებულ „სააქიმო წიგნ“-ში ხოჯა-ყოფილმა ქარხლის მაგიერ ქაკუნტელი იხმარა, იმის დასამტკიცებლად, თითქოს ქარხალი მაშინ არ არსებულებოდა, არ შეიძლება, რათგან შესაძლებელია „სააქიმო წიგნ“-ში სწორედ ტკბილი ჯიშის სახელი იყო მოხსენებული. მაგრამ ამ გარემოებას მაინც ყურადღება უნდა მიექცეს და „ქარხლის“ წყაროებში მოხსენებულობის უადრესი ხანის განსაზღვრის დროს ესეც გაუთვალისწინებელი არ უნდა დარჩეს.

საგულისხმოა, რომ ქარხალს (*Beta vulgaris*) იმერეთსა და გურიაში „წითელი ფხალი“ ეწოდება (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 78, § 1101). ხოლო ველურ თალგამს *Brassica rapa communis* L., რუს. *полевая репа*-ს, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოში „ბოლოკას“-ს უწოდებენ (იქვე, გვ. 9, § 129), იმერეთსა და სამეგრელოში „ქარხალ“-ს ეძახიან.

თუმცა მეგრულში „ქარხალი“-ც იხმარება, მაგრამ ამ ბოსტნეულისათვის იქ განსაკუთრებული სახელიც არსებობს, „სოტელია“ (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 78, § 1101 და იოს. ყიფშიძე, მ. გ., 319), ხმარობენ „სოტელია“-საც (მ. გ.,

319). ქანები, ხოფური კილოკაის სარფულ თქმაში მაინც, ამავე ბოსტნეულს „სოტოლია“-ს უწოდებენ (არნ. ჩიქობავა, ქანური ტექსტები, გვ. 139, § 213, სტრ. 16).

ქარხლის ბგერითი ანარეკლი თანამედროვე მეგრულში „ქარხალი“-ს სახელითაც არის (იხ. მ. გ. 386), მაგრამ რაკი რ. ერისთავის ბოტანიკურ ლექსიკონში არ მოიპოვება, შესაძლებელია მეგრულში ახალი შენაძენი იყოს.

სვანურშიც ამ ბოსტნეულს „ქარხალ“-ს ეძახიან (ივ. ნიყარაძის p.-c. c.h.: свекла, бураки), მაგრამ მოჰყავთ და მოჰყავდათ იგი წინათაც, თუ ეს სიტყვა სვანურში ახალ ხიზანს წარმოადგენს, ეს საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

გიულდენშტედტს გერმ. Beten-ის, ანუ ქარხლის ქართულ სახელად Tschawi „ჭავი“ აქვს აღნიშნული (იხ. აქვე, გვ. 156), რომლის მსგავსი არც ს. ორბელიანს და არც რ. ერისთავს არაფერი მოეპოვებათ.

§ 2. ჰაკუნტელისა, სოტელიას, ჰავის და ქარხლის სახელების სადაურობა და ეტიმოლოგია

ზემომოყვანილი შედარებითგანაც ირკვევა, რომ ქართული „ჰაკუნტელი“ ამავე მხალის სომხურ სახელთან არის დაკავშირებული. Hübschmann-ი ფიქრობდა, რომ სომხური სახელი უნდა ფაპლაურის „ჩაკუნდარ“-ისაგან იყოს წარმომდგარი, რათგან ახალ სპარსულშიც ქარხალს „ჩუგუნდარ“-ი და ავღანურადაც „ჩუყუნდარ“-ი ეწოდება (Arm. Gr., I, 186).

ფ. გორგიჯანიძეს ქარხლის არაბულ შესატყვისობად „სალყ“ და სპარსულად „ჩუღუნდურ“-ი აქვს აღნიშნული. მაგრამ უკანასკნელი ძველი სპარსული „ჩაკუნდურ“-ი უნდა იყოს, ოღონდ ფონეტიკურად შეცვლილი. თანამედროვე სპარსულშიც ჭარის დაცული ქარხლის ანუ ჰაკუნტელის სახელად چاندز ჩუკუნდურ, چو کو چو ჩუკუნდურ (იხ. Zenker-ის ლექსიკ.), რომელიც ფ. გორგიჯანიძის ჩანაწერისაგან მხოლოდ თავისი მეორე თანხმოვნის გადმოცემით განსხვავდება. Zenker-ის „ჩუკუნდურ“-ი betterave-ად, Runkelrübe-დ მიაჩნია (იხ. ლექსიკ.), ე. ი. Beta vulgaris rapa-ს შესატყვისობა გამოდის.

ზემოაღნიშნულის გარდა, ქარხლისათვის სახელად სპარსულში ساق „ფაზი“-ც იხმარება, რომელიც თურქებსა და სომხებსაც აქვთ შეთვისებული. Zenker-ის განმარტებით, ეს სახელი ფრანგ. bette-ს და poirée-ს, ხოლო გერმ. Bete-ს, Beiskohl-სა და Mangold-ს უდრის (იხ. ლექსიკ.), ე. ი. ბოტანიკურად წარმოადგენს Beta vulgaris cicla L.-ს, Mangold-ს.

არაბულად ქარხლის სახელი ფ. გორგიჯანიძეს „სალყ“-ად აქვს აღნიშნული. თანამედროვე არაბულში მართლაც არსებობს سلق, მაგრამ „სილყ“-ად გამოითქმის, საგულისხმოა, რომ უკვე იბნ ალ-ავეამ-ს აქვს ქარხლის ეს არაბული სახელის სწორედ ამნაირივე ი-ხმოვნისანი გამოთქმა აღბეჭდილი. იბნ ბაჰთარიც ამავე ხმოვნისანი გამოთქმას იცავს, მაგრამ ბოლოკიდური თანხმოვნის შეცვლით, „სილყ“-ს (I. Becker, Gemüsebau, 226).

თურქები, სახელდობრ Beta vulgaris rapa-ს ჯიშის ქარხალს چاغچا „ფანჯარ“-ს ეძახიან.

ამგვარად „ჭაკუნტელი“ ჭარხლის სპარსული სახელია და ჭართულში იქითგან უნდა იყოს შეთვისებული.

ჭარხლის მეგრული სახელის „სოტელია“-სი და ჭანურის „სოტოლია“-სი სადაურობა ადვილი გამოსარკვევია, თუ გავიხსენებთ, რომ დაბადების ჭართულ თარგმანში ნახმარი ჭარხლის სახელი „ჭაკუნტელი“ ბერძნულ „სეუტლიონ“-ს უდრის. ცხადია, რომ ჭანური „სოტოლია“ და მეგრული „სოტელია“ იგივე ბერძნული „სეუტლიონ“-ი უნდა იყოს, მხოლოდ ფონეტიკურად სახეცვლილი. ცვლილება მხოლოდ ხმოვნებს დასტყობიათ.

გიულდენშტედტისაგან ჭარხლის ჭართულ სახელად ჩაწერილი ჭავი რომ არც რაიმე შეცდომის და არც გაუგებრობის ნაყოფი არ უნდა იყოს, იქითგანაც ჩანს, რომ ეს სიტყვა *დას* ჭავ და *დასიქ* ჭავიკ სომხურის შირაკისა და აპარანის დიალექტებში უხლაც იხმარება, მაგრამ ჭარხლის ფოთლების სახელად. ამავე ცნების, ჭარხლის ფოთლების, აღსანიშნავად ახალი სომხურისავე არარატის დიალექტში *გაჩქარსი* „ბაზკათერ“-იც იხმარება. საპაკ ამატუნის-ს განმარტებით ორივე სიტყვა ამ დიალექტებში ჭარხლის ფოთლებს აღნიშნავს (*„დასიქნისიქი ასიქი“, ჯაკიფი დია ილ დანს*, 80). ხოლო *დასიქ* ჭავიკ ჭაკუნტელის, ანუ ჭარხლის დეროს ჭნიშნავს (*დასიქნისიქი კამ გაჩიქი შიხირი*: იქვე). ამგვარად, ორივე სიტყვა ჭარხლის ზედა და შუა ნაწილების აღმნიშვნელი ყოფილა.

ამის შემდგომ, უეჭველია, გერმანელი მეცნიერის ცნობა აღარ გვეუცხოვება. მისი ზემომოყვანილი ჩანაწერთგან ირკვევა, რომ XVIII ს. დამლევის ჭავი საქართველოში უხმარიათ, მაგრამ მარტო ფოთლებისა კი არა, ატამედ თითქოს თვით ჭარხლის აღსანიშნავად. ჭართულსა და სომხურში ამ სახელის გაჩენის ხანისა, ეტიმოლოგიისა და სადაურობის გამორკვევა მომავლის საქმეა.

უნდა ჭარხალი-ს სახელის ეტიმოლოგია და სადაურობაა გამოსარკვევი. ეს სიტყვა უცხო სტუმრის შთაბეჭდილებას არ სტოვებს: მისი ბერითი შედგენილობა ჭართულ-სას მიაგავს. სხვა ენებშიც ამის მსგავსი სახელი არ არსებობს. მართალია, ად. როლლოვს ჭარხლის თანამედროვე სომხურ სახელთა შორის პირველად სწორედ „*чархалъ*“-ი აქვს მოყვანილი, შემდეგ მისდევს „*кармир-дог. նազკატინ*“ (ДРК, 73). ცხადია, პირველი ჭარხალია, მაგრამ ამ მცენარის ასეთი სახელი არც ძველ სომხურში ყოფილა და არც ს. ამატუნისა და აპარანის ახალსომხურის დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში მოიპოვება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ასეთი სახელი საქართველოში, ან მის მეზობლად მცხოვრებ სომეხთა შორის იქმნება ჩაწერილი და ჭართულითგან შესული სიტყვა უნდა იყოს.

არც როლლოვისაგან დასახელებული ჭარხლის აღმნიშვნელი მეორე სიტყვა „*კარმირდოლ*“-ი მოიპოვება ძველ სომხურში. მისი კვალი არც ამატუნისა და აპარანის დიალექტოლოგიურ ლექსიკონებში ჩანს. ამისდა მიუხედავად ჭარხლის ეს სომეხური სახელი მეტად საგულისხმოა.

„*კარმირდოლ*“, უეჭველია, ორი სიტყვისაგან შედგენილი სახელია: პირველ ნაწილსა და სიტყვას, ცხადია, შეადგენს კარმირ *კარმიჩი*, რომელიც ჩვეულებრივი სომეხური სიტყვაა წითელი ფერის აღსანიშნავად. მეორე ნაწილად, მამასადამე, შესაძლებელია იყოს მხოლოდ დოდ *დიი*. ძველ სომხურში ეს სიტყვა ცახცახს, კანკალსა ჭნიშნავდა, რომელიც ამ შემთხვევაში გამოუსადეგია. ს. ამატუნის-ს ახალ

სომხურის დიალექტებში აქვს დღე *դի* (გვ. 173), მაგრამ ჰარხლის ზემომოყვანილ სახელთან არც ამ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს რაიმე კავშირი.

რაკი ჰარხლის ამ სახელის „კარმირდოლ“-ის პირველი ნაწილის მნიშვნელობა უცილობლად არის გამორკვეული და დანამდვილებით წითელს ჰნიშნავს, ცხადია, რომ იგი მხოლოდ ჰარხლის დასავლეთ საქართველოში მიღებული სახელის „წითელი ფხალი“-ს მსგავსი აგებულებისა და შინაარსის ტერმინი შეიძლება იყოს. ამიტომ სომხური სახელის მეორე ნაწილი დღე უეჭველად მცენარეს, ან მხალს, ან ამის ნაირს რამეს უნდა ჰნიშნავდეს. სომხურში ასეთი სიტყვა არ არსებობს, სამაგიეროდ ქართულში მოიპოვება მდელი, რომელიც მგერულში ნდოლო-ს სახით არის წარმოდგენილი (იხ. საქართველოს ეკონომიურისტი, I², 272). ჰარხალი ხომ მართლაც მდელია და მდელითა ჯგუფს ეკუთვნის, ისე რომ „წითელი მდელი“-ს სახელი სწორედ მისი შესაფერისია და ჰარხლის ნამდვილ რაობას „წითელ ფხალ“-ზე უკეთესად გამოხატავს. ამიტომ წითელი მდელის სახელის არსებობა ქართულში მოსალოდნელიც იყო.

როგორც ცნობილია, ძველ სომხურში მაგარი „ლ“, გარკვეულ ხანამდე, 4 ასოთი იწერებოდა, რომელიც შემდეგში უკვე „ლ“-ად გამოითქმოდა. წითელი მდელი, ანუ ნდოლო თავკიდურ თანხმომავან ჩამოცილებული რომ ძველად დაწერილიყო, სწორედ *դაღი* იქმნებოდა, რომელიც შემდეგში დოლო-დ იქცეოდა. ჰარხლის სახელის წითელი მდელის, ანუ ნდოლის პირველი ნაწილის მნიშვნელობა იმდენად ცხადი იყო, რომ სომხებს ის სომხურადვე წითლად, კარმირ-ად, უთარგმნიათ, ხოლო ნდოლო თვით მცენარის სახელად მიუჩნევიათ და ისევე შეუთვისებიათ.

ამნაირად, საფიქრებელია, რომ კარმირდოლი სომხურში ძველი დიალექტური შენაძენი უნდა იყოს მეგრულ-ჰანურითგან. პროფ. ნ. მარამა ამ გზით სომხურში შექმნილი არა ერთი სიტყვა აღნიშნა (იხ. Яфетические элементы в языках Арменин) და ეს სახელიც ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

ესლა რომ ჰარხლის-ს ეტიმოლოგიასა და თავდაპირველი მნიშვნელობის საკითხს დავუბრუნდეთ, საკმარისია ადამიანმა გაიხსენოს, რომ დასავლეთ საქართველოში ამ ბოსტნეულისათვის სახელად „წითელი ფხალი“-ა მიღებული, და მათი, ე. ი. ჰარხლისა და წითელი ფხალის, სახელები ერთმანეთს შეადაროს, რომ შემდეგი კითხვა წამოეჭრას. რაკი წითელი ფხალი ამ ბოსტნეულს მხალს უწოდებს და მის დამახასიათებელ, ნიშანდობლივ თვისებად ამ მდელის წითელი ფერი აქვს მიჩნეული, ჰარხალი-ც ხომ ორი სიტყვისაგან არ არის შემდგარი და ჰარ-ისა და მხალ-ისაგან შერწყმულ სახელს ხომ არ წარმოადგენს? ამ ორნაწილედად საგულეებელი სიტყვის მეორე ნახევარის ხალი-ს მხალად მიჩნევა ადვილი დასაჭერებელია, მაგრამ არსებობს თუ არა რაიმე საბუთი, რომ ჰარი-ც ცალკეულ სიტყვად ჩავთვალოთ. მოიპოვება თუ არა ასეთი ამ მცენარესთან დაკავშირებული სახელი? შესაძლებელია ითქვას, რომ არსებობს, ამასთანავე არა ერთი.

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ მოკის-ერთ სომხურ სოფელში, რომელსაც კენკანცი-ი (*კანკანჯ*) ეწოდება, ჰაკუნტელის, ანუ ჰარხლის ფოთლებს თურმე „ჰარარ“-ს (*რარ*) ეძახიან (იხ. ს. ამატუნის-ს *Հայոց լեզու ու բան*, გვ. 80, „*բოღკაქსი*“-ის ჭეშე). სომხურში, როგორც ჩანს, ეს ჰარ-ი ძალიან იშვიათი სიტყვა და სახელი ყოფილა. ამიტომ, უეჭველად, იგი თანამედროვე სომხური დიალექტების უცხად

ხიზანი უნდა იყოს. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, თვით ეს გარემოება იმით არის ჩვენთვის ძვირფასი, რომ აქ ჭარხალი-ს პირველი ნაწილი ჭარ-ი ცალკეულ სიტყვად გვევლინება და იმავე დროს მას ჭარხლის ფოთლების, ე. ი. სწორედ მხალის მნიშვნელობა აქვს.

ჭარ-ის ცალკეულ სიტყვად არსებობა უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჭარხალი-ს ორ ნაწილად, ჭარ-ად და ხალ-ად გაყოფა უსაფუძვლო მოსაზრება არ უნდა იყოს.

ეს ზემომოყვანილი ცნობა მაინც ვერ სწყვეტს ჭარ-ის ძირითადი, პირველადი მნიშვნელობის საკითხს, რათგან სომხური ერთი სოფლის ენაში ეს დაცული სიტყვა შესაძლებელია იმავე ჭარხალი-ს, რომელიც სომხურში მთლიანადაც შეთვისებულია, მხოლოდ პირველი შერჩენილი ნაწილი იყოს.

ცხადია, რომ, წითელი ფხალი-ს და წითელი მღელის („კარმირდოდ“-ის) მსგავსად, ჭარხლის სახელის პირველი ნაწილი, ან ამ მღელის ფერის, ანდა სადაურობის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ვითარცა ჯიშობრივი თვისების გამომხატველი.

თუმცა ძველ ქართულში არსებობდა სიტყვა ჭარმაგი, რომელიც „თეთრ-ზედ შავით დაწინწყლულს“ ჰნიშნავდა (საბას ლექსიკ.) და აქეთგან არის გეოგრაფიული სახელი „ნა-ჭარმაგ-ევი“, სადაც გიორგი III-ს სასახლეც ჰქონდა. არსებობს ჭარმადი-ც, რომელიც ჭადარას ჰნიშნავს და ჭროლა აჭრელებულს. მაგრამ ეს სიტყვა სპარსულ $چراغ$ „ჩარმაჰ“, ანუ „ჭარმაჰ“-ის ანარეკლად ითვლება (იხ. იუსტ. აბულაძის გამ. ვეფხისტყაოსანის ლექსიკონის „ნასესხები და იშვიათი სიტყვები“). სპარსულად თეთრ-მოშავო ფერის ცხენის სახელია.

შესაძლებელია ამიტომ გვეფიქრა, რომ ჭარხალი ჭარმაგი მხალის შერწყმისაგან იყოს წარმომდგარი და ამნაირად „წითელი ფხალი“-საგან განსხვავებული, მოთეთრო-მოყვითანო ჭარხლის ჯიშის სახელი გამოვიდოდა. იმერეთსა და სამეგრელოში ხომ ჭარხალი მართლაც გარეული თალგამის მაგვარი მღელის, *Beta vulgaris rapa*-ს აღმნიშვნელია.

მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ჭარმაგის უცხოურობის დებულება მაინც დამაფიქრებელია და „ჭარმაგი მხალი“-საგან შერწყმულობით ჭარხალი-ს წარმოშობილობის ძნელი დასაჯერებლობისა, მეტადრე კი იმ გარემოების გამო, რომ ჭარმაგი უმთავრესად თმისა და ბალნის შეფერადების დამახასიათებელი სიტყვა იყო და არის ეხლაც. მცენარეულობის ფერის აღსანიშნავად კი არც ქართულში და არც სპარსულში არ გვხვდება, იმ მოსაზრებას, რომ ჭარი ჭარხალში შეფერადების აღმნიშვნელი იყოს, უნდა თავი დავანებოთ.

გვრჩება, ამნაირად, მეორე შესაძლებლობა, რომ ჭარი უნდა ამ მხალ-მღელის სადაურობის აღმნიშვნელი იყოს. უფრო ბუნებრივი იყო გვეფიქრა, რომ ჭარი ჭარხალში ჰერეთის ცნობილ თემს ჭარს ჰნიშნავს და ჭარხალი ჭარის მხალად იწოდებოდა. თვით ინგილოურშიც არსებობს თხილის განსაკუთრებული, მსხვილი ჯიში, რომელსაც ქარული ეწოდება (იხ. მ. ჯანაშვილის საინგილო: ძველი საქართველო, 1911—1913 წ., ტ. II, გვ. 101). მაგრამ ჭარხალი რომ საინგილოში ველურად იყოს, ანდა მისი კულტურა რითმე ყოფილიყოს შესანიშნავი, ამაზე არავითარი ცნობები არა ჩანს. თვით მოსე ჯანაშვილს თავის მონოგრაფიაში „საინგილო“ ჭარხლის ხსენებაც კი არ მოეპოვება.

სამაგიეროდ ქარი ზოგადი ხასიათის გეოგრაფიული ტერმინია. რაჭულ კილოში ქარი დაბალ, ნოტიო ადგილსა ჰნიშნავს (იხ. ვ. ბერიძე „სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა“, გვ. 65). ამასთანავე უნდა იყოს დაკავშირებული ლევიტელთა 1115-ში მოხსენებული ფრინველის სახელი ქარი, ანუ ქარო, რომელიც ბერძნულს „კორაქს“-ს და ლათინურს *corvus*-ს, ე. ი. ყვავს უდრის, მაგრამ რომელიც ს. ორბელიანის განმარტებით „ქორსა ჰვავს, ხეზედ ჯდების, წყლით თევზს ამოიტაცებს და სჰამს“ (ლექსიკ.).

ამგვარად ქარი, ვითარცა დაბლობი, წყლიანი ადგილის აღმნიშვნელი სიტყვა. ძველ ქართულშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო. ხოლო აქვე თავის ადგილას უკვე ნათქვამი გვექონდა, რომ კავკასიაში ქარხალი ველურად სწორედ შავისა და კასპიის ზღვების სანაპიროზე იზრდება, ე. ი. სწორედ დაბლობ და ნოტიო ადგილებში. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ ამ ველურ მცენარეს სახელად დასაველეთ საქართველოში „ქარის მხალი“ სწოდებოდა, რომელიც დროთა განმავლობაში ქარხალად ქცეულა.

§ 3. ქარხლის კულტურის ზოგადი მიმოხილვა უცხოეთში

ქარხლის ველურ წინაპრად, ბოტანიკოსთა აზრით, უნდა *Beta maritima L.* ზღვისპირული ქარხალი იქმნეს მიჩნეული, რომელიც ხმელთაშუა ზღვის აუზის ვეროპსა, აზიისა და აფრიკის სანაპიროებში ველურ მცენარედ ეხლაც იზრდება.

ძველი ეგვიპტის სამარხებში დაცულ მხატვრობაში მეცნიერნი ქარხლის მსგავსს მდგლოსაც სცნობენ, ამიტომ ფიქრობენ, რომ ამ ბოსტნეულის კულტურა უკვე ძველ ეგვიპტეში იყო. გამოჩენილი ბოტანიკოსი De Candolle კი დარწმუნებული იყო, რომ ქარხლის კულტურა 600 წ. ქ. წ. უწინარეს არ არსებობდა (I. Becker, Gemüsebau, 226).

ზღანიუს მცირის სიტყვით, ბერძნებს ქარხლის ორი ჯიში ჰქონდათ: შავი და მოთეთრო (*nigrum et candidus*), რომელიც საუკეთესოდ ითვლებოდა (Natur. hist., XIX, 40). უეჭველია, აქ ნამდვილად წითელი და მოყვითანო ფერის ქარხალი უნდა იგულისხმებოდეს. მოთეთრო ქარხალს თურმე სიცილიურს უწოდებდენ (იქვე).

რომაელები ქარხლის ჯიშებს, თესვის დროისდა მიხედვით, შემოდგომისა და გაზაფხულის ჯიშებად ჰყოფდენ (*vernum et autumnale*). ამასთანავე განიერი ძირის მჭრელებელი უფრო ფასობდა და უკეთესად ითვლებოდა. რომაელი ბუნებისმეტყველის ცნობით ზოგი ქარხალი ორი ტერფის ოდენაც კი იყო. ყველაზე მობრძოლ ქარხლად თურმე ცირცეული ითვლებოდა (*in circeiensi agro*).

ზღანიუსის სიტყვით, ქარხალი ყველაზე ადვილი მოსაშენებელი ბოსტნეულია. მაგრამ რომაელ მკურნალებს ქარხალი თურმე კომპოსტოზე უფრო მავნებლად მიუჩნევიათ. ზოგიერთი რომაელი ქარხლის ჰამას ერიდებოდა, რათგან ეს ბოსტნეული მაგარი აგებულების ადამიანის საჭმელად ითვლებოდა (Natur. hist., XIX, 40). აქეთგან ჩანს, რომ ქარხალი იტალიაში მაინცადამაინც ფართოდ გავრცელებული და საყვარელი არ უნდა ყოფილიყო და H. Blümmersაც აღნიშნული აქვს, რომ ქარხალს, *beta*-ს, რომაელები არც თუ ძალიან აფასებდენ (Die römische Privataltertümer, 167).

კარლოს დიდის სამეურნეო განკარგულებებში Beta, ჭარხალი იხსენიება. XI ს. გერმანელი მოლოზნის Hildegardis de Pinguia-ს ნაწერებში დასახელებულია *cicula*, რომელიც *beta cicla*-დ უნდა იგულისხმებოდეს. მასვე დასახელებული აქვს „რომის მხალი“ (Roemesgrasz), რომელიც Mangold-ს უნდა ჰქონდებოდეს, რათგან ჭარხლის ამ ჯიშს ზოგან ეხლაც ასეთსავე სახელს უწოდებენ (I. Becker, Gemü-sebau, 226).

§ 4. ჭარხლის კულტურის ზოგადი საკითხები საქართველოში

გარეული, ე. წ. ზღვისპირული ჭარხალი, *Beta vulgaris L. maritima* შავი-სა და კასპიის ზღვის სანაპიროებზე იზრდება (Bois. VI, 899-ის მიხედვით. იხ. В. Липецкий, Флора Кавказа, გვ. 431, § 3363).

დაბადების ქართულად გადმოთარგმნის ხანაში ჭარხლის სახელად სპარსულითგან შეთვისებული „ჭაკუნტელი“ ყოფილა და ეს გარემოება მისი კულტურის არსებობასაც გვაგულისხმებინებს. თუ ამაზე უწინარეს არა, ამ დროითგან მაინც ჭარხლის კულტურის დამამტკიცებელი საბუთი ხელთა გვაქვს.

ამ ბოსტნეულის სახელის სპარსულითგან მომდინარეობა გვაფიქრებინებს, რომ ჭარხლის ტკბილი ჯიშის კულტურას საქართველოში სპარსეთთან უნდა ჰქონოდა რაიმე კავშირი.

მეორე მხრით ჭარხლისათვის მეგრულში არსებული სახელის „სოტელია“-ს ბერძნულითგან მომდინარეობით ამ ბოსტნეულის კულტურის დასავლეთ საქართველოში საბერძნეთთან კავშირიც მქდავენდება.

ჩვენ რომ გვცოდნოდა, ბერძნული „სეტლიონ“-ი Beta-ს რომელი ჯიშის სახელი იყო თავდაპირველად, ან რომ გამორკვეული ყოფილიყო, სამეგრელოში „სოტელია“-დ, ჭანურში „სოტოლია“-დ წოდებული ეს ბოსტნეული ბოტანიკურად ჭარხლის რომელ ჯიშს წარმოადგენდა, ეგების მაშინ გაგვეგო, ამ ბერძნულ სახელს დასავლეთ საქართველოსა და ჭანეთში ამ მცენარის სახელდობრ რომელი ჯიში შემოჰყვა.

თუ ს. ორბელიანის განმარტება, რომ „ჭაკუნტელი ტკბილი ჭარხალი“-ს სახელს წარმოადგენდა, მცდარი არ არის, ცხადი ხდება, რომ „ჭაკუნტელი“-ც ჭარხლის ზოგადი კი არა, არამედ განსაკუთრებული ჯიშის სახელი ყოფილა. რაკი მის ნიშანდობლივ თვისებას სიტკბო შეადგენდა, იბადება საკითხი, ჭაკუნტელი ხომ *Beta vulgaris saccharifera* არ იყო?

ჭაკუნტელის „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის ქართულ თარგმანში არსებობა ამტკიცებს, რომ ეს სახელი და, უეჭველია, ჯიშიც მთელ საქართველოში XIII ს. დამდეგამდე მაინც უნდა წინანდებურად ყოფილიყო.

საგულისხმოა, რომ დასავლეთ საქართველოში „ჭარხალს“ სულ სხვა მნიშვნელობით ჰხმარობენ, ვიდრე აღმოსავლეთ ნაწილში: რ. ერისთავის ცნობით იქ ჭარხალი ველურ თაღამს, *Brassica rapa communis*-ს, ჰქონდა. ამ მცენარეს ამერეთში თურმე „ბოლოკა“-ს ეძახიან. მაგრამ გამოსარკვევია, ნამდვილად ხომ *Beta vulgaris rapa*-ს, გერმ. Runkelrübe-ს არ უდრის?

ჭარხლის ბოტანიკური რაობის დანამდვილებით გამორკვევა დასავლეთ საქართველოში მცენარეთმცოდნეობის საქმეა, მაგრამ, სანამ ეს საკითხი გადა-

წყდებოდეს, ესლაც სრულებით ცხადია, რომ, ს. ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტების თანახმადაც და ლიხთიმერეთში დაცული მნიშვნელობის მიხედვითაც, ჭაკუნტელი და ჭარხალი ერთი და იგივე არ ყოფილა, არამედ ორი სხვადასხვა ბოტანიკური რაობის, ანდა ერთის ორი განსხვავებული ჯიშის აღმნიშვნელი იყო. ამიტომ, თუმცა ჭარხლის ხსენება ჭერჯერობით XVI—XVII ს. უწინარეს ძეგლებში, ვგონებ, არ გვხვდება, მაგრამ, უეჭველია, ეს შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ჭარხალი არამცთუ ჭაკუნტელზე ახალი ტერმინი არაა, არამედ უწინარესიც კი უნდა იყოს.

რაკი ჭარხალი დაბლობის მხალის აღმნიშვნელია, ამიტომ ის ამ მცენარის იმ ხანის სახელად არის საგულისხმებელი, როდესაც მისი კულტურა ჭერ არ იყო და ველურს სჭამდენ. მისი სახელითგან ჩანს, რომ იმ დროს მის ძირს კი არა. არამედ ფოთლებს მხალად ხმარობდენ. ამასთანავე, როგორც ჩანს, მაშინ ჭარხალსა და ველურ თაღვამს ერთმანერთისაგან ვერ არჩევდენ და მათ საერთო სახელი ჰქონიათ, რის ანარეკლიც ჭარხლის დასავლეთ საქართველოში დღევანდლამდე დაცულ მნიშვნელობაში მოჩანს.

შემდეგ საყურადღებოა, რომ იმერეთსა და გურიაში არც ჭაკუნტელი და არც ჭარხალი ამ ბოსტნეულის ზოგად სახელად, რ. ერისთავის ჩანაწერის მიხედვით, არაა მიღებული, არამედ ამ მცენარეს თურმე „წითელი ფხალი“ ეწოდება. ამის მსგავსივე სახელია სომხურ ერთ დიალექტში დაცული ჭარხლის აღმნიშვნელი სიტყვა „კარმირდოლ“, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, „წითელ მდელი“-ს ჰნიშნავს და ქართულითგან უნდა მომდინარეობდეს. თავისი სიმარტივითა და ფერის მიხედვით დახასიათებით ეს სახელიც ძველის შთაბეჭდილებას ახდენს მით უმეტეს, რომ პირველი მათგანი ამ ბოსტნეულის მხალად მიჩნევაზეა დამყარებული.

რაკი იმერეთ-გურიაში მოსახლეობა, როგორც „ქართველი ერის ისტორია“-ში აღნიშნული გვაქვს (იხ. I², 57—58), VII—VIII სს-ში აღმოსავლეთ საქართველოთგანაც არის გადასახლებული, იბადება აზრი, რომ „წითელი ფხალი“ ამ ბოსტნეულის ძველ ქართულ სახელს წარმოადგენს.

რათგან ჭარხლის დასავლეთ საქართველოში დაცული სახელი „წითელი ფხალი“ იმერეთსა და გურიაში, როგორც აღნიშნული გვაქონდა, აღმოსავლეთ საქართველოთგან უნდა იყოს გადატანილი და ამ მცენარის ძველი ქართული სახელის შთაბეჭდილებას სტოვებს, ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ ისევე, როგორც თავდაპირველად ჭარხალს, წითელ ფხალსაც უმთავრესად მხალად ჰხმარობდენ, ე. ი. ჭარხლის ფოთლებს სჭამდენ მოხარშულსა. ამ ხანაშიც მისი სახელი მარტივი, ამ მცენარის ფერის მიხედვით დამახასიათებელი, ყოფილა და „წითელი ფხალი“ ჰრქმევია: ეტყობა ამ მდელოსთვის სხვა სახელი იმ ხანაში არ არსებობდა. ეგების ქართველმა აგრონომებმა მომავალში გამოარკვეონ, ჭარხლის სახელდობრ რომელი ჯიში იყო ეს „წითელი ფხალი“.

მაგრამ ცნობილია, რომ ჭარხალს იმდენად ფოთლები კი არა, რამდენადაც ძირი აქვს წითელი. ამიტომ, თუ ხალხმა მას წითელი ფხალი უწოდა, ეს გარემოება უკვე იმის გამომჟღავნებელია, რომ ამ ხანაში ამ მცენარის უკვე ძირსაც ჰქონდა ყურადღება მიქცეული და მის ფოთლებთან ერთად მის ძირსაც ჰხმარობდენ. ამნაირად ჭარხალი მხალიც იყო და მდელიც. წინანდელი ხანითგან მას ფხალის სახელი შეჰქრია. დროთა განმავლობაში, როდესაც უმთავრესი მნი-

შენელობა ქარხლის ძირს მიენიჭა, მისი სახელიც შეცვლილა და მას უკვე „წითელი მდელი“, ანუ „ნდოლო“ სწოდებია, რომლის ანარეკლი, როგორც დავრწმუნდით, ქართველურიდან ნასესხებსა და ნაწილობრივ გადათარგმნილ „ქარმირდოლ“-შია დაცული.

ამერეთში შერჩენილია ქარხლისაგან ნაწარმოები საგეოგრაფიო სახელიც: სამცხეში, ახალციხის თემში, ეხლაც არსებობს ნასოფლარი ქარხალეთი და ამავე სახელის მქონებული ხევი.

ქარხლის დასავლეთ საქართველოში დაცული მნიშვნელობა გვაფიქრებინებს, რომ ქარხლის ჯიში თავდაპირველად ველური თაღამის მონათესავე ჯიშისაგან უნდა ყოფილიყო გაშინაურება-შერჩევის გზით ქარხლის კულტურულ ჯიშად ქცეული. ქარხლის ეს ჯიში, ვგონებ, მოყვითანო უნდა ყოფილიყო.

პირიქით, სპარსეთითგან შემოტანილი, ჭკაუნტელად წოდებული, ქარხლის ტყბილი ჯიში იმთავითვე მდელიად ყოფილა განკუთვნილი და, როგორც ეტყობა, თავისი ძირის სიტყბოს გამო ფასობდა. საბერძნეთითგან შემოტანილი ქარხლის ბოტანიკური რაობა და თვისება ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად ინტენსიურად მისდევდნ საქართველოში ქარხლის მოყვანას, ჯერ საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება. გასაოცარია, რომ ვახუშტს, „მტილთა“ კულტურის ჩამოთვლის დროს, ქარხლის დასახელება დაჰვიწყებია. ნაწილობრივ ეს იმის მომასწავებელი მაინც უნდა იყოს, რომ ქარხალი მებოსტნეობის მდელითა შორის უმნიშვნელოვანეს ჯგუფში არ ყოფილა. ამიტომ საფიქრებელია, რომ მის მოყვანას სხვებზე ნაკლებ მისდევდნ.

ამგვარადვე დამახასიათებელია, რომ რუს დესპანებს თაღამის არსებობის აღნიშვნა არ დაჰვიწყებიათ (იხ. აქვე, გვ. 155), მაგრამ ქარხალზე არაფერს ამბობენ. ვახტანგ VI-ს კი ხაზგასმით აქვს ნათქვამი, რომ გაღმა-ქალის ყველა ბაღში და ბოსტანში სხვათა შორის ქარხალიც უნდა დაეთესათ (აქვე, გვ. 154), აკად. გიულდენშტედტის აღწერილობითგან ჩანს, რომ ქარხალი XVIII ს. რაქაშიც კი მოჰყავდათ (აქვე, გვ. 155).

ქარხალს საქართველოში ორნაირად ჰხმარობდნ: მისი ფოთლებითგან მხალს აკეთებდნ, მის ძირს კი თორანში სწვამდნ, ანდა წნილად სდებდნ და ისე სჰამდნ. ქარხლის წენიანის გაკეთება ძველად საქართველოში არ იცოდნ. თანამედროვე საქართველოშიც ხალხი სოფლად ქარხალს წინანდებურადვე ხმარობს და მხალად. ანდა შემწვარს, თუ წნილად ჩადებულსა სჰამს.

თავი III. ბოლოკი

§ 1. ცნობები ბოლოკის შესახებ ძველ საქართველოში

რაკი დაბადებაში ბოლოკის შესახებ არსად საუბარი არ არის, ამიტომ ამ სიტყვის მის ქართულ თარგმანში არსებობა არც არის მოსალოდნელი. ჯერჯერობით ცნობილ ძველთა შორის პირველად „ბოლოკი“ აბუსერიძე ტბელის თხზულებაში გვხვდება. იქითგან ჩანს, რომ ბოლოკი ადამიანის მეტასახელადაც კი ყოფილა საქართველოში, XII—XIII სს-ში მაინც. აბუსერიძე ტბელს აღნიშნული აქვს, რომ ერთ იმდროინდელ მოღვაწეს ბასილს „მახლობელნი მისნი

ბოლოკ-ბასილობით უწოდდეს“ (ქვბი, II, 113), ეს ბოსტნეული „საქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის თარგმანშიც გვხვდება, სადაც წამლად „ბოლოკის წყალი“-ც არის დასახელებული (ხელთნ., გვ. 71). ამასთანავე იქ აღნიშნულია, რომ „ბოლოკს სპარსულად ფაჯალი ჰქვია“, რაც ამ ძეგლის ტერმინების განმმარტებელსაც აქვს გამეორებული (Опис., I, 680). საბას კი ეს სიტყვა განუმარტავალ აქვს ლექსიკონში შეტანილი და მხოლოდ მცენარის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი დაუსვამს გვერდით.

საქართველოში გავრცელებულ ბოსტნეულთა შორის ვახუშტი ბოლოკსაც დასახელებს (იხ. აქვე, გვ. 154).

ბოლოკი ბოსტნისა და ბოსტნეულის აუცილებელი კუთვნილება იყო. უბოლოკოდ მწვანილი საქართველოში ვერ წარმოედგინათ. ეს იმდენად ბუნებრივ დებულებად ჰქონიათ მიჩნეული, რომ ვახტანგ VI-ს „დასტურლამალ“-ში აღნიშნული აქვს: გაღმა-ჰალის ბაღების ყოველი მებაღე, რომელიც გასაყიდად მწვანილს მოიყვანს, გადასახადად „ყოველს წელიწადს თვრამეტს კონას ყოვლის ფერისაგან (ე. ი. ყოველნაირი მწვანილისაგან) მისის ბოლოკით მოსცემდენ“-ო (იხ. აქვე, გვ. 154).

რუსი ელჩების ცნობითაც ბოლოკი (петка) იმიერ-ამიერ საქართველოში მოჰყავდათ ბოსტნებში (აქვე). ამას აკად. გიულდენშტედტიც ადასტურებს (იხ. აქვე, გვ. 156).

მეგრულად ამ ბოსტნეულს „ბულეკი“ და „ბუჟეკი“ ეწოდება, ჰანურად „ბულუკი“ (მ. გ. და ჰ. გ.). წითელ ბოლოკს „ქითა ბულეკი“ ჰქვია (იქვე), სვანები „ბოლოკ“-ს ეძახიან (ივ. ნიჟარაძე, p.-c. с.т.:редька).

აჭარანს ბოლოკის ბათუმში გაგონილ ჰანურ ერთ-ერთ სახელ „ბულეკი“-ც აქვს მოყვანილი. თუმცა ნ. მარს იგი ფონეტიკურად კანონზომიერად მიაჩნდა, მაგრამ მისი არსებობა ვერსად შეუძომწებია (ჰ. გ., 132). იოს. ყიფშიძეს ნ. მარსის ჰანური გრამატიკის ამ ადგილის გასწვრივ მარცხენა კიდეზე ფანქრით მიწერილი აქვს „А“, რაც იმის მაჩვენებელია, რომ „ბულეკი“ მას ჰანეთში ყოფნის დროს ათინას თემში გაუგონია.

ფარ. გორგიჯანიძეს ქართული „ბოლოკი“ არაბული „ფაჯლ“-ისა და სპარს. „თურფ“-ის შესატყვისობად აქვს დასახელებული (აქვე, გვ. 155). გიულდენშტედტი ბოლოკს გერმანულად Rettig-ად სთარგმნის (აქვე, გვ. 156).

რ. ერისთავს სამგვარი ბოლოკის სახელები მოეპოვება: 1. „გარეული ბოლოკი“, რომელიც = „Raphanus raphanistrum L., რუს. редька дикая“-ს. 2. „ბოლოკი“ = Raphanus sativus Niger L.-ს, რუს. редька-ს. 3. „თოვს ბოლოკი“ = Raphanus sativus radícula L.-ს, რუს. редис-ს (ბოტ. ლექსიკ., 9, § 130—132).

§ 2. ბოლოკის კულტურის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა

ფიქრობენ, რომ შინაური ბოლოკი უნდა გარეული ბოლოკისაგან Raphanus raphanistrum-ისაგან იყოს წარმომდგარი, რომლის არსებობის კვალი Unger-მა ძველი ეგვიპტის ნაშთებში აღმოაჩინა. გარეული ბოლოკი Raphanus rostratus DC. ჯიში კასპიის ზღვის სანაპიროზეც აღმოჩნდა. ხოლო ატლანტიის ოკე-

ანესა და ხმელთაშუა ზღვის დასავლეთ სანაპიროზე *Raphanus maritimus* Smith. ზღვისხიზრული ბოლოკის ჯიშიც არსებობს და ამ ორსაც ზოგიერთი მკვლევარი კულტურული ბოლოკის წინაპრად სთვლის (I. Becker, *Gemüsebau*, 441).

საქართველოში გარეულ ბოლოკათგან აღმოჩენილია *R. sativus* თუშეთში, *R. raphanistrum* სომხეთის თემში და *R. odessanus* Spreng. მთელ შავი ზღვის სანაპიროზე გელაუთითგან მოყოლებული ბათუმამდე (იხ. ნ. ბუში, *Flora caucasica critica*, 284—285—286, 287—288). საქართველოში გეოგრაფიული სახელი საბოლოო მთა-ც არსებობს, რომელიც აგრეთვე ბალთკის ჩვენში ველურად გავრცელების უცილობელი მოწმეა.

პლინიუს მცირის ცნობით, ბოლოკის მოყვანას ეგვიპტელები თურმე ფართოდ და გატაცებით მისდევდნენ. ამ ბოსტნეულის კულტურას ისინი პურეულზე უფრო ეტანებოდნენ, რაკი ეგვიპტეში ბოლოკზე ნაკლები გადასახადი ყოფილა დაწესებული, უმთავრესად კი იმიტომ, რომ ბოლოკის თესლს ბევრი ცხიმი ჰქონდა და მისი თესლითგან ზეთსა ჰხდიდნენ. ეგვიპტელების დაკვირვებით ცხიმოვნობით ბოლოკის თესლს ვერცერთი სხვა მარცვლეული ვერ შეედრებოდა (*Natur. hist.*, XIX, 26, § 1).

რომაელი ბუნებისმეტყველის ამ ცნობას ბოლოკის ეგვიპტეში ფართოდ გავრცელების შესახებ ამ ქვეყნის ადგილობრივი ისტორიული ძეგლებიც ადასტურებენ: ძველი სამარხების ნახატებში ბოლოკის მაგვარი ბოსტნეული ხშირია და სპეციალისტებს სწორედ ბოლოკადვე მიაჩნიათ (I. Becker, *Gemüsebau*, 440).

ძველადვე დაკვირვებით შეუმჩნევიათ, რომ მლაშე წყლით მორწყვა და მიწის გვარჯილით გააზიარება ბოლოკს ძალიან უხდებოდა: მაშინ ეს ბოსტნეული თურმე გაცილებით უფრო ნაზი და ტკბილი გამოდიოდა (*Natur. hist.*, XIX, 26, § 5)¹. ამიტომ უკვე ეგვიპტელები ამ მიზნით ნიადაგს გვარჯილით აპოხიერებდნენ (იქვე).

ბოლოკის მოყვანას, როგორც ჩანს, ასურელებიც ინტენსიურად მისდევდნენ. ამ გარემოების ცხადსაყოფელად ისიც კმარა, თუ გვეცოდინება, რომ იტალიაში პლინიუსის დროს ბოლოკის ორსავე საუკეთესო ჯიშს სახელად „ასურული“ სწოდებია და ასურეთითგან ყოფილა შეტანილი (იხ. აქვე, გვ. 218).

ბოლოკი ბერძნებსაც მოჰყავდათ. თოფრასტე ამ ბოსტნეულს ἡ ῥαφάνη „ჰე რაფანი“-ს უწოდებდა, რომაელებიც *raphanus*-ს ეძახდნენ. ბერძნებს, პლინიუსის სიტყვით, ბოლოკის სამი ჯიში გააჩნდათ. ჯიშებად დანაწილება ფოთლების მყვანითობაზე ყოფილა დამყარებული. ერთ ჯიშად გრუზაფოთლიანი ბოლოკი ითვლებოდა, მეორე ჯიშად ბრტყელფოთლიანი, ხოლო მესამე ჯიშად გარეული, ტყის ბოლოკი (*silvestre*) იყო მიჩნეული (*Natur. hist.*, XIX, 26, § 2). თუმცა გარეულ ბოლოკსაც ბრტყელი ფოთლები ჰქონია, მაგრამ [უფრო მორგვალეული და მოკლე, თანაც უხვად ყოფილა შეფოთლილი. ამასთანავე ცხარე წვენი ჰქონია, რომელიც კუჭის გასაწმენდად წამლადც იხმარებოდა თურმე (იქვე).

¹ „Praecipue... salsis aluntur. Itaque etiam talibus aquis irrigantur et in Aegypto nitro sparguntur“.

რამდენად აფასებდნენ და დიდ მნიშვნელობას აწერდნენ ძველი ბერძნები ბოლოკს, იქითგანაც ჩანს, რომ Moschion ბერძენს ბოლოკზე მთელი წიგნიც კი დაუწერია (იქვე).

ეს ბოსტნეული ზამთარში ძალიან სასარგებლო საკმელად ითვლებოდა, მაგრამ კბილებსათვის ყოველთვის მავნებლად იყო მიჩნეული. კბილებს სცვეთავსო ისე, რომ სპილოს ძვალსაც კი თურმე ბოლოკის წვენით ასუფთავებდნენ (Natur. hist., XIX, 26, § 6).

რომაელებს გარეულიანად ორი ჯიშის ბოლოკი ჰქონიათ, რომელთაც თურმე საღურობის მიხედვით არჩევდნენ. ერთ ჯიშს ალგიდურ ბოლოკს (Algidense) უწოდებდნენ. ეს ჯიში მოგრძო და გამჭვირვალე ნაყოფის მქონეებელი ყოფილა (Longum alque translucidum).

ბოლოკის მეორე ჯიშს ასურული ეწოდებოდა (Quod vocant Syriacum) ეს ბოლოკი თურმე ზამთარსაც კარგად უძლებდა და უფრო ტკბილიცა და ნაზიც ყოფილა. მაგრამ ბოლოკის საუკეთესო ჯიშად ახლანან ასურეთითგან შემოტანილი ბოლოკი უნდა იქნეს მიჩნეული, რომელიც მთელ ზამთარს სძლებსო (Natur. hist., XIX, 26, § 3).

დასასრულ, გარეული ბოლოკიც არსებობდა, რომელსაც ბერძნები „აგრიონ“-ს (ე. ი. ველურს) უწოდებდნენ, პონტოს მკვიდრნი „არმონ“-ს, სხვები კიდეც „ლევკე“-ს (რაც თეთრსა ჰნიშნავს ბერძნულად) და რომაელები armoracia-ს ეძახდნენ. ამ გარეულ ბოლოკს თურმე ფოთოლი უფრო უხვად ჰქონია, ძირი კი მომცრო გააჩნდა (Natur. hist., XIX, 26, § 3).

პლინიუს მცირის სიტყვებითგან ჩანს, რომ ბოლოკი რომაელებს მაინცადამაინც დიდად სახარბიელო საკმელად არ უნდა ჰქონოდათ მიჩნეული. ამ ბოსტნეულს ის გახევებულობას უჩივის. ბოლოკს რომაელი ბუნებისმეტყველი დაბალხარისხოვან, მდაბიო საკმელად (cibus illiberatis) სთვლიდა, მეტადრე, თუ შემდეგ კომპოსტოსაც იგემებდა ადამიანი. მაგრამ მწვანე ზეთისხილთან ერთად პლინიუსს ბოლოკი ისე უსიამოვნოდ არ მიაჩნდა (Natur. hist., XIX, 26, § 1).

ბოლოკის სახელად ძველ ებრაელებს fugla ჰქონიათ, რომელიც ფონეტიკურად შეცვლილი არაბულ-ასურულშიც არის დაცული (figil, fuil, figl). იბნ-ბაჯთარსა და იბნ ალ-ავეამსსაც მოეპოვებათ ცნობა ბოლოკზე, რომელსაც „ფოჯლ“-ს უწოდებდნენ (I. Becker, Gemüsebau, 440). ფ. გორაკიჯანიძის ზემოპოყვანილი ამონაწერიდანაც ვიცით, რომ არაბები ბოლოკს „ფაჯლ“-ს უწოდებდნენ, სპარსელები კი „თურფ“-ს ეძახდნენ. თანამედროვე სპარსულშიც ترف, თურბ طورف ტურფ ბოლოკსა და თალგამს ჰნიშნავს (ცენკერ-ის ლექსიკ.).

ბოლოკის კულტურა დასავლეთ ევროპაში რომითგან ჩანს გავრცელებული: ეს ამ ბოსტნეულის სახელითაც მტკიცდება, რომელიც ამ ბერძნულ-ლათინური რაფანუს-ის ძირის, ან ლათინური რადიქს-ის ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს (ესპან. rabano, ფრანგ. raifort, გერმ. Retting, Radies, რუს. რედკა).

კარლოს დიდს ბოლოკის (Radices) მოშენება სავალდებულოდ ჰქონდა მიჩნეული. IX ს. ავტორს Walafridus Strabo-ს მთელი ლექსიც კი აქვს Raphanus-ის, ბოლოკისათვის, მიძღვნილი (I. Becker, Gemüsebau, 440).

პირიქით, თვის ბოლოკი, Radischen დასავლეთ ევროპაში პირველად მხოლოდ XVI ს. ჩნდება. არაბებიც კი მას „ფიჯლ ჭრანგი“-ს, ე. ი. ევროპულ ბოლოკს უწოდებენ (I. Becker, Gemüsebau, 441). მაშასადამე, აღმოსავლეთშიც დასავლეთითგან ჩანს შეტანილი.

ბოლოკის გავრცელებისა და კულტურის ზემომოყვანილი ისტორიული მიმოხილვითგან ცხადი ხდება, რომ ამ ბოსტნეულის კულტურის დასაწყისი აღმოსავლეთში და სამხრეთ-აღმოსავლეთში უნდა ვეძიოთ და იქითგან არის იგი ჯერ საბერძნეთში, შემდეგ იქითგან რომსა და დასავლეთ ევროპაში გავრცელებული. მხოლოდ თვის ბოლოკის ჯიში შესაძლებელია ევროპითგან მომდინარე ბოსტნეული იყოს.

თუმცა ბოლოკის კულტურის უძველესი ხანის შესახებ საქართველოში ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ თვით ამ მცენარის სახელი იმის მაუწყებელია, რომ ქართველ მიწისმოქმედს ეს მდელი უხსოვარი დროითგან უნდა სტოდნოდა. შესაძლებელია, გეოგრაფიული სახელებიც, — ბოლოკო ბათუმის ყოფილ ოლქში (ერთი ადგილის სახელია, მეორე ხევისა) და კახეთში თიანეთსა და თელავის ყოფილ მაზრებში მდებარე მთის „ბოლოკუ“-ს სახელი ამავე მცენარის სახელთან იყო დაკავშირებული.

ბოლოკის სახელიც ყველა ქართველი ტომისათვის საერთო იყო და ოსებიც ბულჯ (თაგაურ.) და ბოლგა-ს სახელს უწოდებენ (იხ. ად. როლოვი, ДРК, 420), რომელიც. უეჭველია, ქართულითგან შეუთვისებიათ. ეს გარემოებაც მისი კულტურის სიძველის ნიშანი უნდა იყოს. რაკი ამ ბოსტნეულის ჯიშის სახელებში უცხო სიტყვა არ ჩანს, ამიტომ ჯერჯერობით არაფრის თქმა არ შეიძლება, თუ რა უნდა იყოს აქ უცხოეთითგან შეთვისებული, თვის ბოლოკს გარდა, რომელიც, ცხადია, ჩვენშიც დასავლეთ ევროპითგან იქმნებოდა შემოტანილი.

ბოლოკი, მართალია, პირველხარისხოვან მდელიად არ ითვლებოდა ისე, რომ სვანებს „კიტრი-ბოლოკ“ წვრილმან, უმნიშვნელო რამის გამოხატველ გამონათქვამადაც კი უქცევიათ, მაგრამ დიდმარხვაში და ზამთარში, გაზაფხულზეც ბოლოკს მინც ხალისიანად სჭამდენ. მისი ოდნავ მხურავი წვენი მოსწონდათ. ვახტანგ VI-ის დასტურლამალითგან უკვე მოყვანილი ცნობა ამტკიცებს, რომ ბოლოკი ბოსტნეულობის აუცილებელ წევრს წარმოადგენდა. ამიტომ მისი კულტურა ძველ საქართველოში საკმაოდ ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული, რაც სერობის XV ს. სურათითაც მტკიცდება.

თავი IV. ბოლოკა, თალგამი და მხალ-თალგამა

§ 1. ცნობები ამ მდელიოჯ

ქართულ ძველ წყაროებში, თალგამს გარდა, არც „ბოლოკა“ და არც „მხალი“ ან „ხული“ იმ მნიშვნელობით, როგორც რ. ერისთავსა აქვს ჩაწერილი, ჯერ არსად ჩანს.

ს. ორბელიანს „თალგამ“-ზე ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ „ბოლოკსა ჰგავს, ბრტყელია“-ო (ლექსიკ.), მაგრამ, რამდენად ძველია ეს ტერმინი და იხ-

სენიება, თუ არა სადმე ძეგლში, ამაზე სდუმს. 1600 წ. ახ. ხანის ხონის დავთარში შეტანილი თალგამის გვარი თალგამი-ს საქართველოში XVI ს. მაინც არსებობას ამჟღავნებს.

საყურადღებო გარემოებაა, რომ თალგამის ბოლოკზე დამსგავსება თურმე მარტო ს. ორბელიანის ნასიბრძნს არ წარმოადგენს, არამედ თვით ქართველი ხალხიც როგორც გარეულს, ისევე კულტურულ თალგამს „ბოლოკა“-ს ეძახის (იხ. რ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ., გვ. 9, § 130: „Raphanus raphanistrum L., რუს. редька дикая—ბოლოკი გარეული.—§ 128: Brassica rapa communis L., полевая репа—ბოლოკა. § 129: Brassica rapa oleifera L., цыпешка—ბოლოკა“). ად. როლლოვი თალგამის ბოტანიკურ შესატყვისობად Brassica campestris L.-ს ასახელებს (ДПК, 79). მხოლოდ იმერეთსა და სამეგრელოში ეწოდება თურმე თალგამს „ქარხალი“ (რ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ., 9, § 129). სწავლად კი თალგამს „ქართ“-ს ეძახიან (ივ. ნიქარაძის p.-c. სლ.: 400: репа).

გიულდენშტედტს ჩაუწერია, რომ გერმ. Rüben-ს ქართულად „თალგამი“ (დაბახინჯებით დაბეჭდილია „Talakmi“: იხ. აქვე, გვ. 156) ეწოდებოდა.

ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონით ქართულ „თალგამს“-ს უდრის არაბულად „ლვთ“ და სპარსულად „შალლამ“ (გვ. 54). მართლაც شلش „შალლამ“ სპარსულად და ოსმალურად თალგამს (Rübe, rave, navet) ჰწინააღმდეგებ.

რაკი ხალხი თალგამს სახელით ბოლოკისაგან არ არჩევს და „ბოლოკა“-ს ეწოდებს, ანდა „ქარხალს“, ალბათ ფერით დამსგავსების გამო, და ქართულში ამ ბოსტნეულისათვის მიღებული სახელი ამავე მცენარის სპარსულ-თურქული სახელისაგან მხოლოდ თავკიდური თანხმონით განსხვავდება, ამიტომ, იმისდა მიუხედავად, რომ „შ“-ს „თ“-დ შენაცვლების სხვა მაგალითი არ მოგვეპოვება, მაინც ქართული თალგამისა და სპარსულ-თურქულ „შალლამ“-ს შორის კავშირის აზრი თავისდათავად იბადება.

§ 2. თალგამისა და მხალთალგამის კულტურა უცხოეთში

თალგამისა და მისი მონათესავე ძირხვენეულის წინაპარი მცენარე ხმელთაშუა ზღვის აუზის სანაპიროებზე ველურად ეხლაც იზრდება. თავდაპირველად ადამიანის ყურადღებას ამ მცენარის ცხიმოვანი ნივთიერებით მდიდარი თესლი იპყრობდა და უმთავრესად ზეთის გამოსახდელად მოჰყავდათ. ამას ის გარემოება ადასტურებს, რომ ჩრდილოეთ გერმანიაში ისტორიის წინახანის განათხარებში თალგამის თესლი და ზეთის გამოსახდელი ქვები ბევრგან არის ერთად ნაპოვნი (I. Becker, Gemüsebau, 390).

I. Becker-ს აღნიშნული აქვს, რომ თალგამისა და მხალ-თალგამის კულტურის ისტორიის აღდგენა ძნელია, რათგან ცნობებისა და სახელების ზედმიწევნით გარჩევა შეუძლებელია. უნდა ვიფიქროთ, რომ ძველ ბერძნებსა და რომაელებს მხალ-თალგამა უნდა ჰქონოდათო (Gemüsebau, 390), მაგრამ ასეთი მსჯელობა ზედმეტია, რათგან პლინიუს მცირეს თალგამზეცა და მხალ-თალგამზეც სრულებით გარკვეული და საკმაოდ ვრცელი ცნობები მოეპოვება.

რომაელი ბუნებისმეტყველის ცნობითგან ჩანს, რომ ზერძენ ავტორებს თალგამისა და მის მონათესავე ბოსტნეულის კულტურის შესახებ თავიანთ ნაშრომებში უფრო ზედმიწევნით მსჯელობა ჰქონიათ, რომაელები კი გაკვრით ეხებოდნენ ამ საკითხს (Natur. hist., XVIII, c. 34, § 1):

ბერძნები თურმე ამ ბოსტნეულს ორ ჯიშად ჰყოფდნენ: მამალ თალგამად და დედალ თალგამად (Genera eorum Graeci duo prima fecere: masculum femininumque“). ეს განსხვავება თითქოს თესვის წესზე ყოფილიყოს დამოკიდებული. თალგამის სულ სამი სახეობა ყოფილა (species... tres): ერთი თავისი ძირის სიგანიერით განსხვავდება, მეორე ნომრგვალეებული მოყვანილობისაა და მესამეს გარეულ, ანუ ტყიურ სახეობას უწოდებენო („silvestre appellavare“). ამ სახეობის თალგამს ჩაგრძელებული ძირი ჰქონია, ბოლოკის მსგავსად, და კუთხოვანი და მწისე ფთოლებიანი ყოფილა (Natur. hist., XVIII, 34, § 3).

საერთოდ რომელი მეურნეები ფიქრობენ, რომ სიცივე ამ ბოსტნეულს ნაზად ჰხდოდა და ამსხვილებდა, ხოლო სითბო ფთოლების სიუხვეს ანიჭებდა. ყველაზე განთქმული ეს ბოსტნეული ნურსიის მინდვრისა იყო, რომლის ერთი ლიტრა ჩვეულებრივ სესტერცად, ახლობას კი ორ სესტერცად ფასობდა. შემდეგ საუკეთესოდ აღვიდური იყო მიჩნეული (Natur. hist., XVIII, 34, § 3).

ამიტერნის მხალ-თალგამა (napus) აგრეთვე გრილ ადგილზე უკეთ მოდი-სო. აგრონომების აზრით თალგამიცა და მხალ-თალგამაც გაპოხიერებულ მიწაში უნდა ყოფილიყო დათესილი, მაგრამ მხალ-თალგამა ხუთჯერ გადახვნის შემდგომ, თალგამი კი ოთხჯონისი დამუშავების მერმე. საუკეთესო უხვი მოსავალი, ღვინისა და პურეულის შემდგომ, ტრანსპადანურ იტალიაში თურმე თალგამსა სცოდნია.

თალგამი საერთოდ ნიადაგს არ ჰდლის და ყველგან ხარობს, იქაც კი, სადაც სხვა არაფრის დათესვა არ შეიძლებაო. პლინიუსი ამ ბოსტნეულის შესახებ ამბობს, რომ ზოგჯერ იმდენად დიდი თალგამი მოჰყავდათ თურმე, რომ მას პირადად 40 ლიტრიაზე მოზრდილიც კი უნახავს (Natur. hist., XVIII, c. 34, § 3, c. 35, § 1 და c. 34, § 1—2).

თალგამი კარლას დიდსაც აქვს თავის Breviare-ში მოხსენებული და ამ ბოსტნეულის კულტურა გერმანელებსაც ჰქონდათ, მაგრამ I. Becker-ს ეს საკითხი გაშუქებული არა აქვს (Gemüsebau. 390).

§ 8. თალგამი და მხალ-თალგამა ჩვენში

Brassica napus L., გერმ. Kohlrübe-ს, Kohlrabi, ფრანგ. le chou-navet, navet, იტალ. cavolo rapa, cavolo-navone, რუს. дикая репа, брюква და სხვა ენებზე არსებული სახელებითგან ნათლად ჩანს, რომ თავდაპირველად და ეხლაც კი ხალხი თალგამსა და მის მონათესავე მდელოს, რომლისათვისაც პოლონელებსა და რუსებს ცალკე სახელიც; brukiew, брюква მოეპოვებათ, ვერ არჩედა და ვერ არჩევს: ორივესთვის ერთიდაი გივე სახელი, ზოგან ოდნავ შეცვლილი, არის ხოლმე გამოყენებული. ამნაირადვე ქართულში გარკვეული დროითგან ორივე ბოსტნეულისათვის თალგამი იხმარებოდა. ხოლო „თალგამიც“-ც, როგორც აღნიშნული

გვჭონდა, ქართული არ უნდა იყოს, არამედ სპარსულ „შალამ“-თან ჩანს დაკავშირებული.

საგულისხმოა ამ მხრივ, რომ ქანურში სწორედ „შალამი“-ა თალგამის მაგიერ. ალი აბდულ-ოლის ს. სარფში გავრცელებულ ბოსტნეულთა („ონტულე“) შორის დასახელებული აქვს აგრეთვე: „ბულეკი, შალამი“ და იქვე ფრჩხილებში დამატებული აქვს: „შალამი მჭითა იყვენ“-ო (არ. ჩიქობავა, ქანური ტექსტები, I, 139), ე. ი. შალამი წითელიაო. ამ განმარტებითგან ნათლად არა ჩანს, ქანები „შალამს“ წითელ ბოლოკს უწოდებენ, თუ სწორედ თალგამის მონათესავე ბოსტნეულის მოწით-მოყვითანო ფერზეა აქ საუბარი. მაგრამ ამას რომ გვერდი აუქციოთ, ცხადია, რომ ქანებს ქართული თალგამის მაგიერ სპარსულის მსგავსად „შალამი“ აქვთ.

თუ ქართულს თალგამს, ვითარცა ნასესხებად საგონებელს, ჩამოვაცილებთ, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ ძველ ქართულს თალგამის სახელი არ ჰქონია. თანამედროვე საქართველოშიც კი ხალხი ან „ბოლოკა“-ს უწოდებს (აღმ. საქართვე.), ან „ქარხალს“ (იმერეთსა და სამეგრელოში). ხოლო *Brassica napus L. var. esculenta DC.* რუს.-პოლონ. „ბრკეკა“-ს აღმოსავლეთ საქართველოში სახელი არც კი მოეპოვება, დასავლეთ საქართველოში კი, რ. ერისთავის ცნობით, „მხალი“ ეწოდება იმერეთსა და გურიაში და „ხული“ კიდევ სამეგრელოში (იხ. ბოტ. ლექსიკ., გვ. 42, § 605). პირველი ამათგანი ზოგადი სახელია, რომელიც ბეერს სხვა ბოსტნეულსაც ჰნიშნავს, მეორე მისი მეგრული სახენაცვალაია, რომელიც ამ ბეერთი შემადგენლობით ძველ ქართულში სულ სხვასა ჰნიშნავდა. ამის გამო არც ერთი ამათგანი თანამედროვე ქართულ სამეცნიერო მწერლობაში გამოსადეგი არ არის. და მხალისა და თალგამისაგან განსარჩევად ისევ ამ ორი სიტყვის შეკრებით „მხალთალგამა“-ს თუ გამოვიყენებთ.

ზემომოყვანილი ფაქტებითგან ჩანს, რომ თალგამი და მხალთალგამა ქართული მიწისმოქმედების თავდაპირველი წევრი არ უნდა ყოფილიყო. მისი კულტურა საქართველოში დროთა განმავლობაში, ყოველ შემთხვევაში XVI ს-ზე კარგა ხნით უწინარეს უნდა იყოს შემოსული სპარსეთითგან, რათგან დასავლეთ საქართველოში ამ დროს ეს სახელი, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 220), გვარის აღსანიშნავადაც კი გამოუყენებიათ.

მეფიციკლის III ჯგუფი: მწვანელი და სანაღებელი

თავი I. ყრდელი ანუ სალათი და მისი სხვადასხვა სახეობა ძველ საქართველოში

§ 1. ცნობები ყრდელზე და მისი რაობა

უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლებში ნახმარია ყრდელი, რომელიც გარკვეული ხანითგან ქრება და თანამედროვე ენაში უკვე სრულებით უცნობ სიტყვად არის ქცეული. მისი ბოტანიკური რაობის გამორკვევა ქართული თარგმანის დედანთან შედარებით შეიძლება. ასეთი შედარებით ირკვევა, რომ „ყრდელი“ და „ველის ყრდელი“ (გამოსლვ., 12გ) ბერძნულს $\pi\alpha\rho\iota\alpha$ და $\pi\alpha\rho\iota\eta\gamma\epsilon\kappa\varsigma$ პიკრია-სა და პიკროტეს-ს უდრის, ლათინ. lactuca-ს და სომხურს ელეგნ-ს *ԵԼԵԳՆ*-ს. ს. ორბელიანის განმარტებით, „ყრდელი მხალი არს ხასი, რომელსა თუქნი ქაუს უწოდენ, ხოლო ველის-ყრდელი მას მიჰგავს და ვენაჯის ღიქასა და მწარეა“-ო. საბუთად გამოსლვათა იგივე ადგილი აქვს დასახელებული (ლექსიკ.).

ვახუშტის გეოგრაფიითგან ჩანს, რომ „ყრდელი“ XVIII ს-შიც მწიგნობრული სიტყვა კი არ იყო, არამედ მაშინდელ საქართველოში გავრცელებული მცენარის სახელს წარმოადგენდა (იხ. აქვე, გვ. 154).

რ. ერისთავს, როგორც ჩანს, ს. ორბელიანის იმ მოსაზრებაზე დამყარებით, რომ „ყრდელი“ ხასია, „ყრდელი“ ხავსის, ხავარტისა და მეგრ. „ფუთქურის“ შესატყვისად მიუჩნევია, Cladonia Ach. Cladon. Rbh. Plascum L.-დ, რუს. моx-ად აქვს დასახელებული (ბოტ. ლექსიკ., გვ. 80, § 1127). მაგრამ ეს დაბადების ზემომოყვანილი ადგილის დედაზრსაც ეწინააღმდეგება, რათგან იქ საკმელ მცენარეზეა საუბარი და საბას ცნობასაც არ უდგება, რომ ყრდელი ვენახის ღიქას მიაგავს.

თუ „ყრდელი“-ს ბოტანიკური რაობის გამოსარკვევად მის ლათინურ შესატყვისობას დავემყარებით, მაშინ Lactuca ამ საკითხის გასაშუქებლად კარგად გამოგვადგებოდა. Lactuca sativa L.—ეს ქართული სახელი სწორედ ის „ვენახის ღიქა“-ა, რომელსაც „ყრდელს“ ს. ორბელიანიც ადარებდა. მას ამას გარდა „სალათა“, „ტაბუცუნი“ და „მაროლი“-ც ჰქვია (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 49, § 710).

საბას განმარტებით, „სალათა“ ფრანგულია, ქართულად ტაბუცუნი ჰქვია“-ო. მაგრამ თვით ამ უკანასკნელი სიტყვის ახსნითგან ჩანს, რომ „ტაბუ-

ცუნი“ ყოფილა „სალათა ზეთ-ძმრიანი“ (ლექსიკ.), ე. ი. უკვე საკმელად შემზადებული მხალის აღმნიშვნელი ტერმინი იყო. რაკი „სალათა“-ც ქართული არ არის, ირკვევა, რომ *Lactuca sativa L.*-ს, სალათის ძველი ქართული სახელი სწორედ „ყრდელი“ ყოფილა¹.

§ 2. ხავარტა, ხასი და მაროლი

„ხავარტა“ „სააქიმო წიგნი“-ს ხოჯა-ყოფილის ქართულ თარგმანშია მოხსენებული. იქ ნათქვამია: ავადმყოფი „ხავარტასა ჭამდეს“-ო (ხელთნ., გვ. 150, 140—141), „მწვანილთა თანა ხავარტი და კატკატოი“ ჭამოსო (გვ. 145, 193), „ქაპოი ხავარტი არის“-ო (იქვე, 140—141).

მაშასადამე, ქართული „ხავარტი“ უცხო „ქაპოი“-ს შესატყვისი ტერმინი ყოფილა. „ქაპოი“ კი, უეჭველია, სპარსული *کاه* „გოპუ“ და თურქული *کاه* „ქოპუ“, უნდა იყოს, როგორც მართლაც ყრდელს, ანუ სალათასა ჰნიშნავს (*laitue, Lattich. eb. c. ცენკერის Türkisch-arabisch—persisches Handwörterbuch*).

როგორც ეტყობა, ხავარტის გარდა, „ხავარტი“-ც იხმარებოდა. (რასაკვირველია, თუ აქ მერმინდელი გადამწერის შეცდომასთან არა გვაქვს საქმე). ს. ორბელიანის ლექსიკონის ხელთნაწერთა B ჯგუფში „თექლეს საკითხავ“-ითგან მოყვანილია შემდეგი ამონაწერი: „მოართვა ხუთი პური, ხავარტი და წყალი“-ო. ცხადია, რომ აქ მოხსენებული „ხავარტი“, რომელიც პურთან და წყალთან ერთად მწვანილის სახით საკმელად მოუტანიათ, იგივე „ხავარტი“ უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ეს „თექლეს საკითხავი“ ძველი ნათარგმნი ძეგლი უნდა იყოს. ჩვენ რომ მისი გადმოთარგმნის ხანა დანამდვილებით გვცოდნოდა. „ხავარტა“-ისა, თუ „ხავარტი“-ს ქართულ მწერლობაში პირველი აღბეჭდილობის დათარიღება ზედმიწევნით შეგვეძლო, მაგრამ უამისოდაც ცხადი ხდება, რომ ყრდელის ეს მეორე სახელი ქართულ მწერლობაში XVII ს. დამდეგზე გაცილებით უწინარეს ყოფილა.

„ხავარტა“ ს. ორბელიანის ლექსიკონში არის შეტანილი და მას ნათქვამი აქვს: „ხავარტა (ხავატა) ხასი, ყრდელი“ არისო და იქვე მცენარის აღმნიშვნე-

¹ მხოლოდ ადგილობრივი ცნობების საგანგებოდ შეკრების შემდგომ, ანდა ბოტანიკოსს შეუძლავს განიკითხოს, ზემო რაქაში მწვანილად მიჩნეული „ყარდელი“, რომელსაც თურმე უშად სჭანენ“ (იხ. აქვე, გვ. 157), ხომ იგივე არ არის, რასაც ძველ ქართულში „ყრდელი“ ეწოდებოდა. საეურადღებოა, რომ რ. ერისთავს ქართლ-კახეთში გავიონია „ყარდელი“, რომლის ბოტანიკური განსაზღვრა არ მოუპოვება. ამის მაგერ ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ „ბალახია“-ო (ბოტ. ლექსიკ., გვ. 66, § 247). სასურველია ამ „ყარდელი“-ს ბოტანიკური რაობაც გამოიკვლიეყო, რომ გავგეგო „ყარდელი“, „ყარდელი“ და „ყარდელი“ ერთიდაიმავე მცენარის სახელებია თუ სხვადასხვის? მაშინ ევგენი ამ სახელების ეტიმოლოგიის წამოყენებაც უფრო გაადვილებულიყო. ად. როლლოვს „ყარდელი“ (кардионелла) იმ მცენარის იმერულ სახელად აქვს აღნიშნული, რომელსაც აღმ. საქართველოში ვირის-ტერფა, ჯორის-ტერფა, პირზე-ბამბა და დათვის-ბუერა ეწოდება და რომელიც ბოტანიკურად *Tussilago farfara L.*, რუს. белокопыйник, мать и мачеха არის (ДРК. 519). რ. ერისთავს ყარდინელი არ მოეპოვება, არც დათვის-ბუერა, ხოლო ვირის-ტერფასი, ჯორის-ტერფასი და პირზე-ბამბას ბოტანიკური რაობა კი იმასაც *Tussilago farfara*-დ აქვს განსაზღვრული (ბოტ. ლექსიკ. 519). ჩვენთვის აქ უმათერეაად ყრდელის, ყარდელისა და ყარდელის სახელების მსგავსება საინტერესოა.

ლი პირობითი ნიშანია დართული. ამ განმარტების სისწორეს თვით ხოჯა-ყოფილის ზემომოყვანილი ცნობაც ადასტურებს, რომ „ქაპოი ხავარტი არის“.

ს. ორბელიანისაგან ლექსიკონში შეტანილი „ხასი“, რომელიც მას ყრდელის განსამარტავად აქვს გამოყენებული (იხ. აქვე, გვ. 224), ცალკეც არის მოთავსებული: „ხასი ყრდელი“ არისო (ლექსიკ.). ეს სახელი ქართული არ არის, არამედ არაბული. არაბები სალათს ეხლაც თურმე „ჰასს“-ს, ან „ჰუსს“-ს უწოდებენ (იხ. I. Becker, Gemüsebau, 935).

იგივე უნდა ითქვას რ. ერისთავისაგან ჩაწერილი „მაროლი“-ს შესახებ, რომელიც ამ ავტორის ცნობით აღმოსავლეთ საქართველოში სალათის ერთ-ერთ სახელად იხმარება. „მაროლი“ ს. ორბელიანს შეტანილი არა აქვს. მაგრამ, უეჭველია ეს სიტყვა ორბელიანის დროსაც და გაცილებით უფრო ადრეც უნდა ყოფილიყო ქართულში. ეს სიტყვა „ტო მარულ“-ის სახით სალათის ბერძნული სახელია, რომელიც مارو „მარულ“-ის, ანუ مرو „მარულ“-ის სახით ოსმალურ-თურქულშიც იხმარება სალათის, შინაური სალათის (Lattich, Gartensalat) აღსანიშნავად (I. Zenker-ის ლექსიკ.). ამ სიტყვის მრ. ფორმა, „ტა მარულია“ ბერძნულად ე. წ. რომაული სალათის *Lactuca sativa L. s. var. Longifolia Lam., syn. romana Gras.*-ის აღსანიშნავად იხმარება, რომელსაც ფრანგები laitue romaine, leitue longue-ს, გერმანელები კი Bindsalat, Römischer Salat-ს უწოდებენ (იხ. I. Becker, Gemüsebau, 936). სალათის სახელი „მარულია“ ბერძნულში მხოლოდ ბიზანტიის ხანაში, 1000 წ. ახლო წლებში ჩნდება. ბიზანტიელს სიმონ სეთს აღნიშნული აქვს 1100 წ. ახლო ხანებში, რომ „მარულია“-ს სხვები „თრიდაკინა“-ს უწოდებდნენ. „თრიდაქს“-ი ყრდელის, ანუ სალათის ძველი ბერძნული სახელი იყო (I. Becker, Gemüsebau, 936).

ზემონათქვამის შემდგომ საფიქრებელი ხდება, რომ შესაძლებელია „მაროლი“ საქართველოშიც ყრდელის, ანუ სალათის უბრალო სინონიმი კი არ იყოს, არამედ ეგების ბიზანტიითგან ამ სახელთან ერთად თვით ყრდელის ის სახეობაც იყო შემოტანილი, რომელსაც ბიზანტიაში „მარულია“ ეწოდებოდა. ამიტომ ქართველი აგრონომების მოვალეობაა, გამოარკვიონ, იქ, სადაც საქართველოში „მაროლი“-ს სახელი შერჩენილია, ხომ გრძელფოთლიანი სალათის სახეობის *Lactuca sativa L. s. var. longifolia Lam.*-ის აღსანიშნავად არ იხმარებ?

§ 3. ველის ყრდელი

ყურადღების ღირსია, რომ ქართველ მთარგმნელს გამოსლვათა 128-ს ბერძნული პიკრიდონ *πικριδάω*, რომელიც ყრდელსა ჰნიშნავს, „ველისა ყრდელ“-ად გადმოუთარგმნია. არც ლათინურად, არც სომხურად არაფერი ამის მსგავსი არ არის. ეს გარემოება ცხადპყფს, რომ იმ დროს, როდესაც საქართველოში დაბადება ქართულად ითარგმნებოდა, სხვადასხვაგვარი ყრდელი არსებობდა და, ველურს გარდა, შინაური ყრდელიც ყოფილა: ქართველ მკითხველს გამოსლვათა ზემოდანსახელებულ მუხლში რომ ყრდელი შინაურად არ ეგულისხმა, „ველის ყრდელად“ გადმოუთარგმნია, ბერძნული „პიკრის“-ის იმავე დროს სიმწარის აღმნიშვნელობისა და დაბალი დირსების გამო.

რაკი ყრდელი ველისაჲ, ანუ ველის ყრდელი ამ მცენარის ველური ჯიშის სახელია, ამიტომ ველის-ყრდელი უნდა იყოს *Lactuca scariola* L., რომელსაც რუს. латук дикий-ს და зячячий козелец-ს უწოდებენ და რომელიც მთელ კავკასიაშია გავრცელებული (В. Липский, Флора Кавказа, 372; Ад. Роллов, ДРК, 273).

§ 4. ყრდელისა და სალათის კულტურის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა

ფიქრობენ, რომ ყრდელი, ანუ სალათი ველის ყრდელისა, *Lactuca scariola* L.-საგან არის წარმომდგარი, რომელიც დასავლეთი აზიის ზომიერი ჰავის ზოლში შუამდინარეთისა და კავკასიის არემდე, ჩრდილო ინდოეთში (ქიშმირსა და ნეფალში), შემდეგ აბაშეთსა და ალყერში, მაღიერაზე, აგრეთვე შუა და სამხრეთ ევროპაშიც არის გავრცელებული (I. Becker, Gemüosebau, 936). ველის ყრდელი, როგორც დავრწმუნდით, ველურად იგი მთელ კავკასიაშიც, მაშასადამე, საქართველოშიც იზრდება.

I. Becker-ი ამტკიცებს, რომ ძველ ებრაულსა და სანსკრიტში სალათის აღმნიშვნელი სიტყვა არ არსებობდა (Gemüosebau, 936). მაგრამ გამოსლვათა 12_გ-ში, როგორც დავრწმუნდით, აღნიშნულია, ქართულ თარგმანში „ყრდელი“, რომელიც ბერძნულ *πικρίδα*-სა და ლათინურ *lactuca*-ს უდრის. უკანასკნელი სწორედ სალათსა ჰნიშნავს, ბერძნული „პიკრია“ კი მწარე მწვანე ილს, სიმწარეს ეწოდება ჩვეულებრივ. ხოლო საქმარისია აღამიანმა პლინიუს მცირის *Naturalis historia* გადაიკითხოს, რომ დარწმუნდეს, რომ ამ სიტყვას ბერძნულადაც სალათის ერთი მწარე ჯიშის აღსანიშნავად ხმარობდენ.

რომელთა სახელოვან ბუნებისმეტყველს ნათქვამი აქვს: ბერძნები ყრდელის (*Lactucae*) სამ ჯიშს არჩევენ. ყველაზე დაბალი ღირსებისას (*pessimum... genus*) სიმწარის გამო „პიკრის“-ი (*Picrida*) ეწოდებოდა (*Natur. hist.*, XIX, 38). მაშასადამე, „პიკრის“ მართლაც სალათი ყოფილა და ქართველი მთარგმნელი, ისევე, როგორც ლათინური თარგმანის ავტორი, სწორედ მოქცეულა, რომ ეს სიტყვა ყრდელად გადმოუცია. სომეხ მთარგმნელს „ელეგან“-ად, ე. ი. ლერწამად, ან წველად უთარგმნია, რაც იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ან სომხურად ყრდელის აღსანიშნავად იმ ხანაში ჯერ სიტყვა არ არსებობდა, ან ეს ადგილი სომეხ მთარგმნელს სწორედ ვერ გაუგია.

გამოსლვათა 12_გ-ში ნათქვამია: „ჰამონ ჯორცი... მწუარი ცეცხლითა და უცოზო ველისა ყრდელსა თანა ჰამედ“. ამ ადგილითგან ჩანს, რომ აქ საუბარია ისეთ ველურ მცენარეულზე, ან მწვანე ილზე, რომელსაც სხვა რომელსამე საკმელს, ამ შემთხვევაში შემწვარ ხორცსა და ხმიადს, ატანდენ ხოლმე. როგორც ცნობილია, სალათიც სწორედ ასევე იხმარებოდა. ამნაირად, აზრი, თითქოს ძველ ებრაელებს სალათი არ სცოდნოდეთ, მთლად სამართლიანი არ არის, რათგან თუ შინაური ყრდელი არ გააჩნდათ, ველური, გარეული ყრდელის ჰამას მაინც მიჩვეული ყოფილან.

Loret (*La flore*, გვ. 31) ფიქრობს, რომ შინაური სალათი ძველ ეგვიპტურ ძეგლებშიც უნდა იხსენიებოდეს, მაგრამ დანამდვილებით გამორკვეული არ არის, არტიზოკებია იქ ნაგულისხმევი, თუ ყრდელი (I. Besker, Gemüosebau, 936).

ძველად ყრდელის შესახებ არც ჩინელებს სცოვნიათ რა. მხოლოდ 600—900 წ. ქ. შ. დასავლეთითგან სალათი ჩინეთშიც ჩნდება (იქვე).

საბერძნეთში ყრდელი ძველი დროითგანვე ცნობილი ყოფილა. თეოფრასტეს (1, 7, 4) ყრდელის სამი ჯიში აქვს დასახელებული (I. Becker, Gemüsebau, 936). პლინიუს მცირის ნაშრომითგან ჩანს, რომ ასევე ყოფილა შემდეგშიც, მისი სიტყვითაც ბერძნებს ყრდელის სამი ჯიში გააჩნდათ², რომელნიც თავიანთი სიდიდით, მოყვანილობითაცა და ფურცლების სიგრძითაც განირჩეოდნენ. ერთი ჯიში ფართო იყო და გრძელფოთლიანი, მეორე ჯიში მომრგვალებული, მესამე, რომელსაც ლაკონიკური სწოდებია, დაბალი ყოფილა (Natur. hist., XIX, 38).

სხვები ყრდელის ჯიშებს თურმე ფერისა და დათესვის დროის მიხედვით არჩევენ: მუქს იანვარში სთესდენ, თეთრს—პარტში, წითელს—აპრილში.

უფრო ზედმიწევნითი კლასიფიკაციით, იმავე პლინიუსის სიტყვით, ყრდელს შემდეგ ოთხ ჯიშად ჰყოფდენ: წითლად (purpurea), კევერად (crispa), კაბალუკიურად და ბერძნულ ჯიშებად. ამას გარდა ყრდელის შავი ჯიშიც ყოფილა. ხოლო ყველაზე დაბალხარისხიან ჯიშს ბერძნები სიმწარის გამო „პიკრის“-ს უწოდებდნენ (Natur. hist., XIX, 38).

ძველად იტალიაში ყრდელს მხოლოდ „მეკონის“-ად წოდებული ჯიში (mecnis vocatur) ყოფილაო გავრცელებულა, რომელსაც სწორედ რძიანობის გამო „ლაკტუკა“-ს (lactuca) ეძახდენ. შემდეგში გაჩენილია წითელი დიდფესვიანი ჯიში, რომელსაც თურმე (coecilanum) ცეცილიური ეწოდებოდა. იყო აგრეთვე ასტუტიდა (astytida) წოდებული, მრგვალი, მეტად პატარაფესვიანი და ფართო ფოთლებიანი ჯიშიცაო (Natur. hist., XIX, 38).

პლინიუსის დროს გაჩენილა ერთი ახალი ჯიში, რომელიც შინაურ ყრდელთა შორის მეტად განთქმულ და მოწონებულ ჯიშად ყოფილა მიჩნეული. მას კაბალუკიური ყრდელის მსგავსი, მაგრამ უფრო ფართო და გრუზა ფოთლები ჰქონია. ამ ჯიშს თურმე კილიკიური ყრდელი (quae Cilicia vocatur) ეწოდებოდა (Natur. hist., XIX, 38).

რომაელი ბუნებისმეტყველის სიტყვით, ყრდელს გამაგრილებელი თვისება აქვს (refrigeratrix), პირის უგემურობის გამაქარწყლებელია და მადის მომგვრელი. ამას გარდა, წამლადაც იყო გამოსადევი და მკურნალობაშიც მიღებული ყოფილა (Natur. hist., XIX, 38).

რომითგან ყრდელის კულტურა დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაშიც გავრცელებულა. ამის საუკეთესო მოწმე თვით ამ მწვანელის სახელია, რომელიც ყველგან ლათინური „ლაკტუკა“-საგან არის წარმომდგარი. კარლოს დილსაც თავის Capitulare-ში მოხსენებული აქვს lactuca. ხოლო Hildegardis de Pinguia-ს დასახელებული აქვს ველური ყრდელი (Wilde lachdete: I. Becker, Gemüsebau, 936).

XIII ს. არაბ ბოტანიკოსს ყრდელის აღსანიშნავად ნახმარი აქვს იგივე სახელი „ხასი“, რომელიც ასურეთში ეხლაც იხმარება (I. Becker, Gemüsebau, 936).

ყრდელის ძველ საქართველოში შეიძინა სხვადასხვა სახელის არსებობა ცხადყოფს, რომ სალათს ჩვენში დიდ ყურადღებას აქცევდენ. იმას გარდა, რომ გატეული, ველის ყრდელი, Lactuca scariola, თავისით მოდიოდა საქართველოში, შე-

² Lactucae Graeci fria fecere genera (Natur. hist., XIX, 38).

ნაური ყრღელიც *Lactuca sativa*-ც ყოფილა. საგულისხმოა, რომ ადგილობრივ ჯიშებს გარდა, რომელთაც ყრღელი და ხაგარტა ეწოდებოდა, ქართულში უცხოეთის ჯიშების სახელებიც შემოიხიზნულა. სპარსულითგან ქაჰოა შემოსულა, არაბულითგან ხასი, ბიზანტიითგან მაროლი *Lactuca sativa* var. *longifolia, romana* და დასავლეთ ევროპითგან სალათა. საფიქრებელია, რომ ამ სახელებთან ერთად თვით ეს უცხო ჯიშებიც შემოვიდა ძველ საქართველოში და მთელი ეს გარემოება ყრღელის კულტურის ქართულ სასოფლო მეურნეობისათვის მნიშვნელობასაც ამჟღავნებს და იმ ინტენსიური მუშაობის მაუწყებელიც არის, რომელიც ძველად ამ დარგში ყოფილა.

თავი II. ნიორი, ხახვი, პრასა და ღანძილი

§ 1. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და ღანძილის შესახებ ცნობები და მათი ბოტანიკური რაობა

ნიორის სახელი უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლშივე გვხვდება და ამის წყალობით საშუალება გვაქვს გამოვარკვიოთ, რომ „ნიორი“ (რიცხუთა, 11_გ) უღრის ბერძნულ ტა სკოროდა-ს ἄ σκόριδα-ს, ლათინურს *allium*-ს და სომხურს ხოტორ-ს *խոտոր*-ს. ამგვარად, ნიორი *Allium sativum* L. ყოფილა.

ფ. გორგიჯანიძეს ნიორის არაბულ შესატყვისობად „ყომ“-ი და სპარსულად— „სირ“-ი აქვს მოყვანილი (აქვე, გვ. 155).

ამ მცენარეს მეგრულადაც „ნიორი“ ეწოდება (მ. გ.), ქანები სახელად „ლურე“-ს ხმარობენ (პ. გ., 182). სარფის თქმაში „ლური“-ა (არნ. ჩიქობავა, ქან. ტექსტები, 139₁₈), სვანები კიდევ „ნივრა“-ს ეძახიან (ივ. ნიჭარაძის p.-c. სლ.: *ყес-ხოკ*).

რ. ერისთავსაც „ნიორი“ *Allium sativum* L.-ს, რუს. *чеснок*-ის შესატყვისობად, ხოლო „გარეული ნიორი“ *Allium oleraceum* L.-დ, რუს. *полевой чеснок*-ად აქვს განსაზღვრული (ბოტ. ლექსიკ., 44, § 631 და 632), მაგრამ, არსებული ბოტანიკური ცნობების მიხედვით, *Allium oleraceum* კავკასიაში არ უნდა იყოს, ამიტომ გარეული ნიორი უნდა *Allium sphaerocephalum* L.-ს, რუს. *чеснок дикий*-ს უღრიდეს, რომელიც მთელ კავკასიაში მოიპოვება (იხ. В. Липский, Флора Кавказа, 466, § 3839 და Ад. Роллов, ДРК, 28).

ხახვიც უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლებშივე გვხვდება (რიცხუთა, 11_ვ) და ბერძნ. ტო კრომკონ-ს τὸ κρόμμυον-ს, ლათინ. *cepe*-სა და სომხ. სოხ-ს *սոխ*-ს ეთანასწორება. მაშასადამე, *Allium cepe* L. ყოფილა.

ფ. გორგიჯანიძეს ხახვის არაბულ შესატყვისობად „ბსლ“, ხოლო სპარსული-სად „ფიაზ“-ი აქვს დასახელებული (აქვე, გვ. 155).

ხახვი „საქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის თარგმანშიც გვხვდება (იხ. ხელთნ., გვ. 79, 124 და სხ.). იქვე წამლად თავის-ხახვი-ც იხსენიება (გვ. 138), რომელიც არც ს. ორბელიანსა და არც რ. ერისთავს თავიანთ ლექსიკონებში არ მოეპოვებათ. მისი რაობა ამიტომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ეგების *Allium Victoriali* L. •ყთს, რამელსაც *Мышинный чеснок* თავის ნიორი ეწოდება და რომელიც კავკა-

სიის შუა ნაწილში 7000 ფ-მდე ველურად იზრდება (აღ. როლლოვი, ДРК, 21). ატლლავს მისი ქართული სახელი არ მოეპოვება.

ს. ორბელიანს მხოლოდ დაბადების ზემომოყვანილი ადგილი აქვს დამოწმებული, განმარტება კი, სამწუხაროდ, არ დაურთავს. სამაგიეროდ მას ხახვის სხვა ჯიშების სახელი და ნიშანდობლივს თვისებაზე მოეპოვება ცნობა.

საქართველოში მოჰყავდათ თავი-ხახვი, რომელსაც, ვახტანგ VI-ის დასტურლამალის მიხედვით, სხვათა შორის ტფილისისა და მის მიდამოების ბაღებში სთესდენ (გვ. 104).

ხოლო ს. ორბელიანის ცნობითგან ჩანს, რომ საქართველოში „უთავო ხახვი“-ს ჯიშიც ყოფილა, რომელსაც „ქლავი“ ჰრქმევიდა სახელად (ლექსიკ.). რ. ერისთავის სიტყვით გურიამი მას „ჰკვალი“ ეწოდება. ამავე ავტორის განმარტებით იგი უთავო კი არა, არამედ „წვრილთავა და მოგრძო ხახვი“-ს ჯიშია. ბოტანიკურად *Allium ascalonicum* L., რუს. шапшот-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., 79, § 1115).

საყურადღებოა, რომ სამეგრელოში ამ ქლავს „სოხი“ ეწოდება. დ. ბაქრაძეს „სოლი“, „სოხვი“ და „მსოხვი“ აქვს მოყვანილი (იოს. ყიფშიძე, მ. გ., 320).

სევანურადაც ხახვს ორი სახელი აქვს: „ხახვ“ და „ქემზდ“ (ივ. ნიყარაძის р.-с. сл.: лук) სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის, არსებობს ამ ორ სახელს შორის ჯიშებრივი განსხვავება, თუ არა?

ქანურად ხახვს „სოლანი“ ჰქვიან (ჭ. გ. და არნ. ჩიქობავა, ჰან. ტექსტები, 139). ნ. მარრი ამ სიტყვას ოსმალურად სთვლის, სადაც صوغان „სულან“ მართლაც ხახვსა ჰნიშნავს. ამავე მცენარისათვის ქანურში მეორე სახელიც არსებობს „კრომი“ (ჭ. გ.), რომელიც ბერძნულითგან შეთვისებული სიტყვაა.

„პრასა“-ც უძველეს ნათარგმნ თხზულებებში (რიცხუთა, 11₅) ბერძნულ ტოპრასონ-ის τὸ πρᾶσιον-ის, ლათინ. porrum-ისა და სომხ. პრას-ის պրաս-ის შესატყვისობას წარმოადგენს. ფ. გორგიჯანიძეს პრასის არაბულ შესატყვისობად „ბაყლ“-ი და სპარსულად „თარა“ აქვს დასახელებული (აქვე, გვ. 155).

ეს სიტყვა ქანურშიც არის, სახელდობრ, ვიწურში სწორედ ამავე სახით, ხოფურსა და რიზეში კი „პრასკა“-ს ეძახიან, ათინაში „პროსკა“ და „პისკა“-ს უწოდებენ (ჭ. გ., 180). არნ. ჩიქობავას გამოცემულ ტექსტებში ხოფური კილოკავის სარფის თქმაში „პრასკია“ გვხვდება (ქანური ტექსტები, 139₁₇).

მეგრულად „პურასქია“ და „პურასკია“ იხმარება (მ. გ.). სევანები „პრასა“-ს ეძახიან (ივ. ნიყარაძის р.-с. сл.: лук-поррей).

რუს დესპანებს პრასაზე საქართველოში არაფერი აქვთ ნათქვამი. აკად. გიულდენშტედტი კი ორგვარს პრასას დასახელებს საქართველოში. ერთს მარტივად „პრასა“-ს („Prosa“ sic!) უწოდებს, რომელსაც გერმ. „Zwiebel“-ის შესატყვისობად სთვლის, მეორეს „გარეული პრასა“ ანუ „ნიორი“ ჰრქმევიდა, „Gareuli Prosa auch Nion“, (sic), რომელსაც გერმანულად „Lauch“-ად, ე. ო. ნიორად თარგმნის (აქვე, გვ. 156). გიულდენშტედტის ეს ცნობა რაღაც გაუგებრობას უნდა წარმოადგენდეს.

მართალია პრასა ობგვადი ანსებობს, გარეული და შინაური, მაგრამ გარეული პრასა და ნიორი ერთი და იგივე არ არის. რ. ერისთავს „პრასა“ ქართულ-კახეთ-იმერეთ-გურიაში მიღებულ სახელად აქვს აღნიშნული, სამეგრელოში კი „პუ-

რასკია ხმარებაო. ბოტანიკურად იგი *Allium Porrum L.*-ს, რუს. поррей, лук-поррею-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., 47, § 673).

აღმოსავლეთ საქართველოში მიღებული სახელის „გარეული პრასა“-ს შესატყვისობად რაჭოში „თიამულა“ (საკუთრივ „თიამულა“ არის აღნიშნული: გვ. 21, § 323 ქვეწე) და „გვესიო“-ს ხმარობენ. რ. ერისთავის განსაზღვრით, *Allium schoenoprasum L.*-ს, რუს. скорода-ს უღრის (იქვე, 46, § 672).

ღანძილი ისეთ ძეგლებში, სადაც ხახვი, ნიორი და პრასა ნაქარი ჯერ არ გვხვდება, საბას კი აქვს ლექსიკონში შეტანილი. მაგრამ ს. ორბელიანის აზრით „ღანძილი სომხურია, ქართულად ჯიშკილა“ ჰქვიან ამ მცენარესაო (ლექსიკ.). რ. ერისთავის ჩანაწერით კი „ღანძილი“ ამ მწვანლის ამერეთსა და იმერეთში გავრცელებული სახელია, „ჯიშკილა“ კი გურიასა და სამეგრელოში ეწოდებაო (ბოტ. ლექსიკ., 64, § 916).

რა საფუძველი ჰქონდა საბას ღანძილი სომხურად მიეჩნია, არა ჩანს, მაგრამ ჯიშკილას ამ მცენარის ნამდვილ ქართულ სახელად აღიარება ცხადპყოფს, რომ ეს სიტყვა მაშინ აღმოსავლეთ საქართველოშიც ცნობილი ყოფილა.

„ღანძილი“ *ჟანძილ* მართალია სომხურშიც არის ამავე მცენარის სახელად მიღებული, მაგრამ მხოლოდ ახალს, თანამედროვე სომხურში. საპაქ ამატუნის-ს თავის ლექსიკონში ამ სიტყვისათვის დასახელებული წყაროები არც ერთი XIX ს. მეორე ნახევარზე ადრინდელი არ არის. ეს სახელი არარატის, შირაკისა და ბორჩალოს სანახებში ყოფილა გავრცელებული (*Հայաց դաս ու რան*, გვ. 420). ღანძილი აჭარიანს არც თავის სომხურ ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აქვს შეტანილი. ეს გარემოება ღანძილის სომხურობისა და იქითგან ქართულში შეთვისებულობის ს. ორბელიანის აზრს საექვოდ ჰხდის. ქართულში, თუ ამ სიტყვის შემცველი ძეგლები XVII ს-ზე უწინარესი ჯერ არ მოგვეპოვება, XVII ს. დამდეგითგან „ღანძილი“-ს ქართულში არსებობა ხომ მაინც უცილობელ ფაქტად შეიძლება მიჩნეულ იქმნეს. ამ მცენარის საქართველოში არსებობის საპატიო ხნიერებას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ „ღანძილები“ გეოგრაფიულ სახელად ქცეულა და ქართლში ეხლაც არსებობს.

ღანძილი და ჯიშკილა რ. ერისთავის სამართლიანი განსაზღვრით ბოტანიკურად *Allium ursinum L.*-ს, რუს. черемуха-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., 64, § 912).

§ 2. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და ღანძილის კულტურის ზოგადი მიმოხილვა

ნიორის თავდაპირველ სამშობლოდ კომანი და ხოტანის მინდვრები ითვლება, სადაც Regel-მა ველური ნიორი აღმოაჩინა. სამხრეთ ევროპაშიც ჰხვდება ადამიანს ეს მცენარე ველურად და Vilmorin-Andrieux ნიორს სამხრეთ ევროპის ავგილობრივ მტილეულად სთვლის კიდეც (Les plantes potagères, 2), მაგრამ ბოტანიკოსების აზრით სამხრეთ ევროპაში ნიორი ველური კი არა, არამედ გაველურებული მცენარეა (იხ. Engler, Kpf. u. Ht., 206).

გარეული ნიორი კავკასიასა და კერძოდ საქართველოშიც გავრცელებულია. ამათგან ზოგს ქართული ხალხური სახელიც აქვს, მაგ. *Allium rotundum L.*, რომელსაც „გველის-ნიორი“ ეწოდება და კავკასიაში ყველგან იზრდება 8000-მდე

(ДРК, 27). გროსსკეიმ-ის³ აზრით ნამდვილად ჩვენში *Allium atroviolaceum* Boiss.-a (Флора Кавказа, I, 1927 წ.). ხალხი მას წამლად ხმარობს, სხვათა შორის გველის ნაკბენის წინააღმდეგაც. „გარეული ნიორი“-ც არსებობს, რომელიც *Allium sphaerocephalum*-ი უნდა იყოს და კავკასიაში ყველგან მოიპოვება.

ხახვი, *Allium cepa* L., ველურად ბელუჯისტანსა, ავღანისტანში, ლაპორესა, ზორასანსა და კულ, აშია აღმოჩენილი ტიანშანთან (A. Engler, Kpf. u. Ht., 206). დანარჩენ ქვეყნებში, მაშასადამე, მხოლოდ ამ ქვეყნებიდან შესაძლებელი იყო, რომ ხახვი გავრცელებულიყო. კავკასიაში *Allium cepa* ველურად არსად გვხვდება.

პრასა, *Allium porrum* L. A. Engler-ის აზრით *Allium ampeloprasum* L.-ის, რომელიც ველურად ხმელთაშუა ზღვის არეებში, მეტადრე ჩრდილო აფრიკის სანაპიროებზე ადამიანს ბევრგან ჰხვდება და სამხრეთ კავკასიაშიც მოიპოვება, გამინაურებული, კულტურული შთამომავალი უნდა იყოს (Kpf. u. Ht., 206).

Allium ampeloprasum L. ამიერკავკასიაში ველურად იზრდება. მას ნახი, ტკბილი ბოლქვი აქვს, რომელსაც სკამენ (В. Липский, Флора Кавказа. 466, § 3836 და Ад. Роллов, ДРК, 26). არც რ. ერისთავს და არც ბოლოვს მისი ქართული სახელი მოყვანილი არა აქვთ.

ამას გარდა კავკასიის ალპურ ზონში³ და კერძოდ საქართველოშიც 9000-მდე იზრდება *Allium schoenoprasum* L.-იც, რომელსაც გარეული პრასა და თიამელა ეწოდება (В. Липский, Флора Кавказа, 467, § 3357 და აქვე, გვ. 230).

ნიორი უძველესი ხანითგანვე ეგვიპტეში ყოფილა გავრცელებული. ეგვიპტითგან გამოსვლის შემდგომაც ებრაელები ნიორს, ხახვსა და პრასას იგონებდნენ, რომლის ჭამასაც ეგვიპტეში მიჩვეული ყოფილან (რიცხვთა, 115). პეროდოტეს ცნობითგან ჩანს, რომ ეგვიპტეში პირამიდების ამგებ მუშა-ხელოსნებს საჭმელად იმდენს ბოლოვს, ხახვსა და ნიორსაც აძლევდნენ, რომ ერთ-ერთის აგებაზე მარტო ამისათვის 1600 ვერცხლის ქანქარი, ბერძნულად ტალანტად წოდებული, დახარჯულა (Hehn, Kpf. u. Ht., 194).

რაკი ნიორი შუა აზიის მცენარეა, ეგვიპტეში კი უძველეს დროსვე ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ამიტომ ცხადი ხდება, რომ ნიორი უხსოვარი დროითგანვე უნდა ყოფილიყო აზიითგან აფრიკაში შეტანილ-გაშინაურებული.

პრასა Schweinfurth-მა ძველი ეგვიპტის სამარხებში აღმოაჩინა (A. Engler Kpf. u. Ht., 206).

ძველი ებრაელებიც ნიორსა და ხახვს ძალიან ეტანებოდნენ.

ორნაირი აზრია: ერთნი ფიქრობენ, რომ ძველ ეგვიპტეში ხახვს houdj-ი ეწოდებოდა, Maspéro-ს კი ჰგონია, რომ bodjar-ი უნდა ჰქმეოდა. ძველი ეგვიპტურის შთამომავალს კობტურში კი ხახვს emdjol-ს ეძახიან (I. Becker, Gemüsebau, 985).

ძველ ებრაულში ხახვს „ბეცალიმ“-ს, პრასას „ხაცირ“-სა და ნიორს „შუმ“-ს ეძახდნენ (იხ. Guthe, Bibelwört.)

ნიორის ამ ებრაული სახელის „შუმ“-ის შესატყვისად არაბულში هوج-ია, პუნურს, ანუ კართაგენულში „შუმუ“ არის (O. Schrader, Kpf. u. Ht., 206—207). ამგვარად, ნიორის სახელი ყველა სემიანთა ერებს საერთო ჰქონიათ.

³ ამ ცნობის მოწოდებისათვის დოც. ალ. მაყაშვილს მადლობას მოვახსენებ.

ფ. გორგიჯანიძეს ხახვის არაბული სახელი ბსლ უხმოვნებოდ აქვს დაწერილი. არაბები ხახვს *كباب* ბასალ-ს, ანუ ხალხური გამოთქმით ბასლ-ს უწოდებენ.

თურქებს ხახვის აღსანიშნავად *سوغان* , *سوغان* სოღან-ი ჰქონდათ და აქვთ ეხ-ლაც.

სპარსეთშიც უძველესი დროითგანვე, ახემენიანთა სამეფო კარზე ყოველდღიურად 1 ტალანტის წონის ოღენა ნიორი და ნახევარი ჭალანტის ოღენა ხახვი იხარ-ჯებოდა (Hehn, Kpf. u. Ht., 195—196).

სპარსელები ხახვისათვის ორ სიტყვას *ساق* ფიაზ-სა და *لونه*-ს ნშარობენ. *ساق* ფიაზ ხახვის რომელიღაც ჯიშის სახელი ჰგონია Zenker-ს და კითხულობს *Allium cepa* ხომ არ არისო? (ლექსიკ.). ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონითგან ჩანს, რომ XVII ს. დამლევს ფიაზ-ი სპარსულში ქართული ხახვის შესატყვისობად ჰქონიათ მიჩნე-ული. ხახვი კი სწორედ *Allium cepa* არის, მამასაღამე სპარს. ფიაზ-იც იგივე ყოფილა.

თუმცა ახალ სპარსულშიც ხახვისათვის ერთ-ერთ სახელად სოხ-ი იხმარება და ძველ სომხურშიც, როგორც დავრწმუნდით, *սխ* სოხ-ია, მაგრამ ამ სიტყვის ეტი-მოლოგია და სადაურობა გამოურკვეველია. სანსკრიტულ სუჰ-თან, რომელიც წვა-სა და ტკენას ჰნიშნავს, ან ზენდურ სუხრა-სთან, რომელიც წითელს ჰნიშნავს, და-კავშირება, როგორც ზოგიერთნი ფიქრობდენ, Hübschmann-ს შეუძლებლად მიიჩ-ნდა (Arm. Gram., I, 238).

საბერძნეთ-რომშიც უძველეს დროს ამ ორი მცენარის ჰამასა და სანელებ-ლად გამოყენებას უკვე ჰომიროსის ხანაშივე ძალიან მისდევდენ, მაგრამ შემ-დეგში, კულტურულ წარმატებასა და ცხოვრების გაკეთილშობილებასთან ერ-თად, ნიორისა და ხახვის ჰამას მაღალი წრეები ერიდებოდენ და მარტო სოფ-ლის მოსახლეობადა ეტანებოდა. ამიტომ ხახვ-ნივრის სუნი უკულტურობის და უზრდელობის ნიშნად იქცა კიდევაც (Hehn, Kpf. u. Ht., 196—197, 199—201)

პლინიუსის ცნობებითგან ჩანს, რომ საბერძნეთსა და იტალიაში ხახვის კულტურას სასოფლო მეურნეობაში თვალსაჩინო ადგილი ჰქონია დათმობილი. ამ გარემოებას ხახვის ჯიშებრივი სიმრავლეც კარგად ამჟღავნებს. საბერძნეთში მაგ. სარდული ხახვი, სამოთრაკული, ალსიდენური, სეტანიური, სხისტური, ას-კალონური და კვიპრული ჯიშები ყოფილა.

ეს შიგლი ჯიშის ხახვი იმდენად ცხარე ყოფილა, რომ ადამიანს აცრემლებდა (odor lacrymosus), მერვე, გნილური ხახვი კი ასეთი ცხარე არ იყო (Natur. hist., lib. 19, cap. 32, § 1)..

ხახვის ჯიშთაგან ყველაზე მომცროთავიანი ტუსკულანური ყოფილა. შემდეგ სეტანიური. მაგრამ სამაგიეროდ სეტანიური ტკბილი ხახვის ჯიშისა ყოფილა (*dulcis*), მამასაღამე, საკმელად ვარგოდა. ამ ხახვთა ჯიშს თურმე კრიტოსული ხახვიც ეკუთვნოდა, რომელიც დიდთავიანი იყო და სხვა თვისებით ასკალონურს მიაგავდა, მაგრამ ტკბილი („sapore tamen dulci“) ყოფილა.

ხალო სხისტური და ასკალონური, რომელთაგან უკანასკნელი ურიასტანის ქ. ასკალანის ხახვის ჯიშში იყო, სანელებლად იხმარებოდა („condiuntur“; Natur. hist., lib. 19, cap. 32, § 1 და 2).

ხახვის ჯიშები ერთმანერთისაგან, პლინიუსის ცნობით, ფერთაც განირჩეოდნენ. ყველაზე თეთრი (*candidissimae*), თურმე ისსური და სარღული ხახვის ჯიშები ყოფილა (*Natur. hist., lib. 19, cap. 32, § 2*).

რომაელები ხახვთა სხვადასხვა ჯიშებს ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფდნენ: ერთ ჯგუფად სანელებლად განკუთვნილი (*condimentariae*) ჯიშები ჰქონდათ. ამ ჯიშს ბერძნები „გეთვონ“-ს უწოდებდნენ, რომაელები კი *pallacana*-ს ეძახდნენ. მეორე ჯგუფად თავი-ხახვის (*capitatae*) ჯიშები ჰქონდათ გამოყოფილი.

სიცხარისდა მიხედვით დალაგებული ამ ჯგუფის ჯიშების სახელები პლინიუსს ასე აქვს ჩამოთვლილი: აფრიკული, გალიური, ტუსკულანური, ასკალონური და ამიტერნული ხახვები. ამათგან საუკეთესოდ თურმე ყველაზე უმრგვალესი ითვლებოდა. ამასთანავე წითელი ხახვი (*rufa*) თეთრ ხახვზე (*candida*) უფრო ცხარე იყო (*acrior*), ნელზე უფრო ცხარედ ხმელი ითვლებოდა და სხვაც ამგვარად (*Natur. hist. lib. 19, cap. 32, § 3*).

ბიზანტიის იმპერიაშიც ხახვისა და ნიორის ჰამას გულიანად ყოფილან მიჩვეულნი. ანკონის ეპისკოპოსის იტალიელი Liutprand-ის ბიზანტიის კეისართან 968 წ. დესპანობის აღწერილობითგან ირკვევა, რომ კეისარი უხახვ-ნიეროდ საჭმელს არ სჭამდა. იმისდა მიუხედავად, რომ დესპანი იტალიელი იყო და ამ ორ მწვანილ-სანელებელს მიჩვეული უნდა ყოფილიყო, კეისრის სასახლეში პურობის დროს, ეტყობა, იმდენი ნიორ-ხახვი უხმარიათ, რომ მისთვისაც კი მეტის-მეტად მოჭარბებული აღმოჩენილა (*V. Hehn, Kpf. u. Ht., 205*).

არაბთა გეოგრაფის იბნ-ჰაუკალ-ის სიტყვით, იტალიაშიც ხახვს თურმე გულიანად მიირთმევდნენ. მას გაკვირვებით აღნიშნული აქვს, რომ ქ. პალერმოში მცხოვრებნი თურმე დილა-საღამოს ყოველთვის ხახვს შეეჭეოდნენ (იქვე).

ხახვის სახელების მიხედვით, რომელიც დასავლეთ და აღმოსავლეთ ევროპის სხვადასხვა ხალხებს ამ მცენარისათვის აქვთ, ცხადად ჩანს, რომ ხახვის კულტურაც იქ იტალიითგან უნდა ყოფილიყო შეტანილი. ყველა ამ სახელის ერთი ჯგუფის ძირს ლათინური *cepe* წარმოადგენს, მაგ. იტალიური *cepolia*, ვალახური *tschapa*, პოლონური *cebula*, ჩეხური *cibule*, ფინური *sipuli*, ალბანური *kepe*, ძველი ფრანგული *cibo* და გერმანული *Zippel*, *Zipolle* და ჩვეულებრივი *die Zwiebel*.—მეორე ჯგუფი ლათინური *unio*-საგან არის ნაწარმოები (*ib. V. Hehn, Kpf. u. Ht., 204*), რომელისგანაც წარმომდგარია ფრანგული *oignon*, *ognion* და ინგლისური *onion*.

უკვე კარლოს დიდს თავის *Capitulare*-ში დასახელებული აქვს *cepa* და *pniones* (*I. Becker, Gemüsebau, 985*).

ლანძილი *Allium ursinum* L. ველურად იზრდება გერმანიას (*I. Becker, Gemüsebau, 1013*) და დასავლეთ-აღმოსავლეთ ევროპის ჩრდილთ ნაწილში და ბევრგან სხვაგანაც, მაგ., კავკასიაშიც ყველგან ფართოდ არის გავრცელებული (*B. Липский, Флора Кавказа, 468, § 3873* და *А. Роголов, ДРК, 28*). ამ მცენარეზე ერთი მოკლე ცნობა პლინიუსს მცირეს მთებოვება. მას ნათქვამი აქვს: ველური (*silvestre* ტყის) ნიორიც არსებობს, რომელსაც დათვის ნიორს, *Allium*

ursinum-ს უწოდებენო. მას უფრო ნაზი (sic!) სუნი უდის, თავი ძალიან პატარა, ფოთლები კი დიდი აქვსო (Natur. hist., lib. 19, cap. 34, § 5)*.

ამ მცენარის სახელი ჩრდილო-ევროპელ ბევრ ხალხს გააჩნია: გერმანელები მას wilder Knoblauch-ს, Allermansharnisch-ს, Siegwurz-სა და Bärlauch-ს უწოდებენ, ლიტვურად Kermusze, ირულად creamh, ანგლო-საქსონურად hramsა, ინგლისურად ramsen და ramson, სკანდინაველთა ენებში ramser, ramsei და rams, პოლონურად trzemcha, რუსულად репеша (Hehn, Kpf. u. Ht., 197 და I. Becker, Gemüsebau, 1013).

Vambery-ს თუ დავუჯერებთ, თურქ-თათართა ტომებს ხახვი და ნიორი, რომელსაც სოღან-სა და სარამსაკ-ს უწოდებდენ, უძველესი დროითგანვე საკვებ მცენარედ უნდა ჰქონოდათ (Primitive Kultur,—O. Schrader, Kpf. u. Ht., 208).

سارمساق ან سارمساق სარმსაკ, ანუ სარმსაკ ეხლაც ნიორის აღმნიშვნელი ერთადერთი სიტყვაა. ამისდა მიხედვით დანძილის რუსული და პოლონური სახელები თურქ-თათრულითგან უნდა იყოს შეთვისებული, ამიტომ თვით მისი მოხმარებაც ამავე ტომებისაგან უნდა ჰქონდეთ ნასწავლი. დანარჩენი ევროპელების სახელები, როგორც ჩანს, სხვა საერთო წყაროთგან უნდა მომდინარეობდენ.

§ 2. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და დანძილის კულტურაზე საქართველოში

დაბადების ქართულ თარგმანს გარდა, სადაც „ნიორი“ გვხვდება (რიცხვთა, 115), ამ მცენარის სახელი „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის თარგმანშიც მოიპოვება (ხელთნ., გვ. 124, 140 და სხვ.).

ს. ორბელიანს კი მცენარის პირობითი ნიშნისა და დაბადების ზემოდასახელებული ადგილის გარდა, საცა ეს სიტყვა ნიორი გვხვდება, არაფერი აქვს ნათქვამი. ვახუშტსაც ამ მცენარის დასახელება საქართველოში გავრცელებულ ბოსტნეულობაში დაჰკვიწყებია. სამაგიეროდ რუს დესპანებს აღნიშნული აქვთ, რომ ნიორს აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოშიც სთესდენ ბოსტნებში (აქვე, გვ. 156).

ხოლო ვახტანგ VI-ის დასტურლამალითგან ირკვევა, რომ ქრისტესშობის მარხვისათვის ქართლის სადედოფლო უწყებას ყოველწლიურად უნდა მოსვლოდა ტაშის-კარიდამ ნიორი ლიტრა ბ (2: დასტ., 126), ალბათ ამ კუთხის ნიორი საუკეთესოდ იყო მიჩნეული.

ნიორის საქართველოში ველურად გავრცელებულობის მაუწყებელი გარემოებაცაა დაცული ისეთი გეოგრაფიული სახელების სახით, როგორიცაა „სანიორე“ კახეთში, თელავის სანახებში და „სანიორის ქელი“ ქართლში. მაგრამ რაკი ბოტანიკოსების დასკვნით ნიორის თავდაპირველ სამშობლოდ უნდა შუა აზია იქმნეს მიჩნეული და სხვაგან ნიორი შემდეგში შეტანილად ითვლება. ამიტომ ისევე როგორც ევროპაში ველურად მყოფი ნიორი გავლურებული ნიორი ჰგონიათ, საქართველოშიც გავლურებული ნიორად უნდა იქმნეს მიჩნეული. რამდენად და სად მოიპოვება საქართველოში ველური, თუ გავლურებული ნიორი, მაინც ჯერ კიდევ ზედმიწევნით გამოსარკვევია.

* „Est et silvestre, quod (allium) ursinum, vocant, odore molli, capitae praetenui foliis grandibus“.

პირიქით, საგულისხმო გარემოებაა, რომ საქართველოში არც ერთი საგოვრათიო სახელი არ არის ცნობილი, რომ ხახვის, ანდა ქლაკვის სახელთან იყოს დაკავშირებული. ამგვარად გაველურებულიც, როგორც ეტყობა, საქართველოში არასად უნდა იყოს. ჩვენში იგი მხოლოდ კულტურული მცენარეა.

როდის ჩნდება პირველად ჩვენში ხახვი, ამის გამოსარკვევად ჭერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ ის ვიცით, რომ, ნიორისა და პრასის მსგავსად, ხახვის სახელიც უძველეს ნათარგმნ ძეგლშივე გვხვდება.

ვახუშტს „ხახვ“-ც აქვს შეტანილი იმ ბოსტნეულთა სიაში, რომელიც საქართველოში იყო გავრცელებული (აქვე, გვ. 154). რუს ელჩებს ასეთივე ცნობები მოეპოვებათ (აქვე, გვ. 157). გასაოცარია, რომ გიულდენშტედტი ხახვის აღმნიშვნელი გერმ. Zwiebel-ის ქართულ შესატყვისობად „პრასა“-ს („Prosa“, sic!) ასახელებს (აქვე, გვ. 156). ხახვის საქართველოში გავრცელებულობას კი ბოსტნეუბში ეს გერმანელი მეცნიერიც ადასტურებს (აქვე, გვ. 156).

საქართველოში ხახვს მწვანილადაც სჭამდენ და საქმელში სანელებლადაც ხმარობდენ. ნორჩი მწვანე ხახვის ჭამა გაზაფხულისა და ზაფხულის განმავლობაში პურთან და ყველთან ერთად ძალიან გავრცელებული იყო, ზოგჯერ გაჭირვების დროს ხახვი და პური ხალხის ერთადერთ საკვებს წარმოადგენდა.

რუსთა დესპანებს მიშეცვისა და კლუჩარევეს აღნიშნული აქვთ, რომ შაჰაბაზისაგან აოხრებულ კახეთში, სადაც მოსახლეობის მცირე ნაწილია ყოფილა გადარჩენილი, ისეთი გაჭირვება ყოფილა, რომ რუსეთითგან ჩამოსული ამ ელჩებისათვისაც კი საქმელად ერთხელ 80 პური, 1 ბათმანი ხახვი და მწვანელი, მეორე ჭერაც პურისა და ხახვის მეტი ვერაფერი მიუერთმევიათ. სასოფლო მეურნეობის უკიდურესი განადგურების დროს, მაშასადამე, ხახვი გაჭირვებული ხალხის მხსნელი ყოფილა: მხოლოდ ისლა იშოვებოდა თურმე (მიშეცვის ელჩობა, გვ. 124 და 127).

ს. ორბელიანის განმარტებითგან, რომ „ქლაკვი უთავო ხახვი იყო“, საქართველოში ხახვის კლასიფიკაციის ერთი ძირითადი ნიშანთაგანი ირკვევა. ცხადი ხდება, რომ ხახვთა ჯიშები ორ მთავარ ჯგუფად ყოფილა დაყოფილი: ერთ ჯგუფს „უთავო ხახვი“-ს ჯიშები ეკუთვნოდენ, მეორე ჯგუფს, რასაკვირველია, ხახვთა „თავი ხახვი“-ს სახელით ცნობილი, თავიანი ჯიშები შეადგენდენ. პირველ ჯგუფს აგრეთვე ქლაკვი ეწოდება, მეორეს „თავი ხახვი“-ს სახელი აქვს. ჰქონდა თუ არა ქლაკვის მსგავსად მას კიდევ განსაკუთრებული სახელი, არა ჩანს.

პრასაც უძველეს ნათარგმნ ძეგლებშივე გვხვდება. ს. ორბელიანს კი პრასა უგანმარტებოდ აქვს შეტანილი ლექსიკონში. სამაგიეროდ ვახუშტს პრასა საქართველოში გავრცელებული ბოსტნეულობის სიაში მოქცეული აქვს, ფ. გორგიჯანიძესაც მოეპოვება (აქვე, გვ. 155).

პრასის საქართველოში ველურადაც არსებობის დასამტკიცებლად შესაძლებელია ისეთი გეოგრაფიული სახელი იყოს დამოწმებული, როგორიცაა ქიზიყში „პრასიანი“. ეს გარემოება გასაკვირველიც არ არის, რათგან პრასა კავკასიის ველურ მცენარედაც ითვლება.

პრასას საქართველოში მხოლოდ მწვანილად სჭამდენ და სჭამენ ეხლაც, სანელებლად კი არ ხმარობდენ.

ზემომოყვანილი ცნობებითგან ცხადი გასდებოდა, რომ ამ მცენარეთა კულტურის სადაურობის განხილვის დროს საქართველოში, უპირველესად, მოსალოდნელი იყო, რომ სწორედ პრასა და ღანძილი შესაძლებელია აოვილობრივი კულტურა ყოფილიყო, რათგან პრასა და ღანძილი, როგორც დაწმუნდით, კავკასიაში ველური, მაშასადამე, ადგილობრივი მცენარე იყო. მაგრამ ამ მცენარის საქართველოში მიღებული სახელი ამ მოლოდინს სრულებით არ ამართლებს. პრასა ქართულშიც და სომხურშიც ბერძნულითგან შეთვისებული სახელია და ეს გარემოება, მეტადრე რაკი ამ მწვანისათვის სხვა, ნამდვილი ქართული სახელი არ არსებობს, ცნობილი წყაროებისდა მიხედვით მიანც, გვაფიქრებინებს, რომ პრასის კულტურა საქართველოში ადგილობრივ არ უნდა იყოს აღმოცენებული, არამედ საბერძნეთითგან იქმნება შემოტანილი.

ნიორის სახელი კი არც ერთს უცხო ენაში არსებულ სახელს არ უდგება: იგივე უნდა ითქვას ხახვზე და ჭლაკვზეც, რომელთაც აგრეთვე არც ერთ სხვა ენაში მსგავსი სახელი არ მოუპოვება. მაგრამ უკვე O. Schrader-ს აქვს აღნიშნული, რომ, ამ მცენარეთა სახელების მიხედვით, ბერძნებს არ ეტყობათ, რომ ამ დარგში უცხოეთითგან რაიმე შეთვისებინათ (იხ. Kpf. u. Ht., 207). ამისდა მიუხედავად, ზემომოყვანილი ცნობებითგან უცილობლად ჩანს, რომ ხახვის საუკეთესო ჯიშები ბერძნული კი არა, არამედ აღმოსავლეთისა ყოფილა. ეს გარემოება საქართველოზე მსჯელობის დროსაც უნდა გვახსოვდეს. საფიქრებელია. რომ ხახვ-ნიორის კულტურაში უცხოეთის კვალის აღმოჩენა გავვიადვილებოდა, საქართველოში არსებული ხახვის ჯიშებისა, მათი ბოტანიკური რაობისა და სახელების შესახებ ცნობები შეგროვებული რომ ყოფილიყო.

ხახვის კულტურის ერთ-ერთი უცხოეთთან დაკავშირებული მომდინარეობის კვლის მიგნება ეხლაც შეიძლება. ამ მხრივ მეტად საგულისხმო და საყურადღებოა, რომ ჭლაკეს, ანუ უთავო ხახვის ჯიშს მეგრულად სოხი, ანდა სოლი ეწოდება. როგორც დავრწმუნდით, სომხებს ხახვისათვის სახელად ძველითგანვე სწორედ სოხ-ი ჰქონდათ ისევე, როგორც სპარსელებიც ხახვის ერთ-ერთ სახელად სოხ-სვე ხმარობენ. ცხადია, რომ მეგრულს ამ სახელის უშუალოდ სომხურიდან შეთვისება არ შეეძლო. ამიტომ, ან ეს სახელი წინათ აღმოსავლეთ საქართველოშიც უნდა ყოფილიყო, ანდა ძველი შენაძენი უნდა იყოს. ორსავე შემთხვევაში ხახვის ამ ჯიშის შემოსულობის გზა სპარსეთისაკენ მიემართება, რაც ბუნებრივად არის, რათგან ხახვის ერთ-ერთ სამშობლოდ, როგორც ვიცით, სპარსეთიც იყო.

ღანძილის კულტურის, ანდა, უფრო სწორედ რომ ითქვას, მოხმარების სადაურობის გამოსარკვევად ორი სახელი მოგვეპოვება: ღანძილი და ჯიშვილა. ჯიშვილა საბას ქართულ სახელად მიაჩნდა, მაგრამ მისი ეტიმოლოგია არა ჩანს, ამიტომ ეს აზრი ჯერ კიდევ შესამოწმებელია.

ღანძილი საბას სომხური სიტყვა ეგონა, მაგრამ ეს აზრი, როგორც დავრწმუნდით, მცდარი გამოდგა. ორბელიანი მხოლოდ იმ მხრივ იყო მართალი, რომ ღანძილი ქართული არ არის, არამედ რომელიღაც უცხო ენითგან შეთვისებული სიტყვა უნდა იყოს.

უფრო საფიქრებელია, რამე ქართული „ღანძილი“ უნდა დაკავშირებული იყოს ამ მცენარის შევიცარიითგან სკანდინავიამდე და ინგლისიდან ლიტვამდე გავრცელებ-

ბულ სახელთან Ramser, Ramsel, Rams, რომელსაც ანგლო-საქსურად hramsen, ramson, ხლო ლიტვურად Kermusz-ი ეწოდება (იხ. აქვე, გვ. 234).

ცხადია, რომ ქართული დანძილი შეუძლებელია ევროპის ჩრდილო-დასავლეთისა და აღმოსავლეთ ქვეყნებში გავრცელებულ ზემომოყვანილ სახელებთან უშუალოდ იყოს დაკავშირებული, მაგრამ „პრამზელ“-ისა და სხვა ევროპული სახელების და „დანძილ“-ის ნათესაობის დაჭერება ძნელი არ უნდა იყოს. მოსაძებნია მხოლოდ შუალედი გადმომცემი. ამნაირად, საფიქრებელია, რომ დანძილის მოხმარების ცოდნა საქართველოში ისევე, როგორც მისი სახელიც, ჩრდილო-დასავლეთი ევროპითგან უნდა მომდინარეობდეს.

თავი III. დიჟა და ღუცი

ფშავ-ხევსურეთში ხალხი ეტანება და სჭამს ერთ მცენარეს, რომელიც გავრცელებულია მწვანელის სახით და სახელად „დიყი“ ეწოდება. უქვევლია, ამისივე რაჭული შესატყვისობა უნდა იყოს „მდიყი“ (იხ. აქვე, გვ. 158). ეს მწვანელი საქართველოში ძველადაც ცნობილი ყოფილა, რათგან „დიყა“ ს. ორზელიანსაც მოეპოვება მცენარის პირობითი ნიშნითურთ (ლექსიკ.), „ღუცი“ კი არა აქვს. რ. ერისთავს ნათქვამი აქვს, რომ „ღუცი“ ფშაური სახელია, „დიყა“ სა ჰგავს, მთაში იცის“-ო (ბოტ. ლექსიკ., 15, § 236).

„დიყა“ ანუ „ღეყა“ იმავე ავტორის სიტყვით არის *Heracleum spondyleum* L., რუს. борец (იქვე, § 223). ზ. ყანჩაველიც ამ უკანასკნელ განსაზღვრას აღსტურებს და „დიყი“ იმასაც *H. spondyleum*-ად მიაჩნია, — ხოლო „ღუცი“ *Heracleum pubescens*-ი არისო (ბოტანიკა, II, 342). ორივე ქოლგოსანთა, *Umbelliferae* ოჯახს ეკუთვნის (იქვე, 341—342). საქართველოში ეს მცენარე ყოველთვის ველური მწვანელი ყოფილა.

აღ. როლლოვს „მდიყი“ („Мдыхи“) *Heracleum* L. იმერეთში მიღებულ სახელად აქვს მოყვანილი. ამას გარდა ამ მცენარის იმერულ სახელადვე აღნიშნული აქვს: Бургвела, димела, лата, мацара (ДРК, 239). მათი ქართული სახე რომ აღვადგინოთ, შემდეგი სახელები გვექმნება: ბურღველა, დიმელა, ლატა. უკანასკნელის კვალი არც საბას, არც რ. ერისთავს და არც ვ. ბერიძეს არ უჩანთ და ამის გამო გამოურკვეველია, მაცარა-დ, თუ მაწარა-დ უნდა გამოითქვას. რალოლოვისავე ცნობით ამ *Heracleum* L.-ს აღმოსავლეთ საქართველოში ქარქვეტა-ს („Карквета“) ეწოდებენ, ხლო მეგრულად ჯიმურამი ჰქვია (იქვე). *Heracleum spondyleum* L.-ს ქართული სახელი როლლოვს მოყვანილი არა აქვს, *Heracleum villosum* Fisch.-ის სახელადაც ქარქვეტა-ა მოყვანილი (ДРК, 241).

რ. ერისთავს კი ქარქვეტა *Cachrys crispa* Pers. *Heracleum* L. *Cachrys dubia*-დ მიაჩნია და მის ქართულ სინონიმებად „ბურბურა“ და „ფირქვეტა“-ც აქვს მოყვანილი (ბოტ. ლექსიკ., 61, § 860). ხოლო „ბურღველა“ რაჭაში *Inula helenioides* L.-ს, რუს. девясила лекарственный სახელად იხმარება თურმე (იქვე, გვ. 10, § 148). ამავე ავტორის განსაზღვრით „დიმელა“ იმ მცენარის რაჭული სახელი ყოფილა, რომელსაც იმერეთში „ბორხვენა“ და „დაქრილის წამალი“ ეწოდება და რომელიც ბოტანიკურად *Petasites spurius* Rehb., რუს. поддел-ია (ბოტ. ლექსიკ., 9, § 136). რ. ერისთავის ეს ცნობა და განსაზღვრა, რომ სწორია, ეს თვით

ად. როლოვის ნაშრომითგანაც ირკვევა, რათგან თვით მასაც Petasites Tourn., რუს. белокопытник-ის ქართულ სახელებად ვირის-ტერფა (ამერეთში) და „დიმელა“ („днмела, дзмели“, sic!) ისევე, როგორც ბურღველა (бургвела) აქვს მოყვანილი (ДРК, 359). მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ დიყი-ს ანუ მდიყი-სა და ღუცი-ს გარდა დანარჩენ სახელებს ჯერ კიდევ გულდასმითი ბოტანიკური შემოწმება სჭირდება.

ღიყი *Heracleum spondylium* შუა კავკასიაში 7000—9000-მდე გავრცელებული მცენარეა, ღუცი კი *H. pubescens* მთელ კავკასიაში მოიპოვება 2000—8000 ზოლში (იხ. Н. Липский, Флора Кавказа, 327—328). ამავე მცენარის განსაკუთრებული სახესხვაობაა *H. spondylium* L. var. *Caucasicum* Somm et Lev., რომელიც სვანეთსა და ცენტრალურ კავკასიაში იზრდება (იქვე, Ф. К. До-полн., I. 56).

Heracleum spondylium L., რომელსაც გერმანულად Bärenklau ეწოდება, ველურ ბალახად საძოვრებზე, ტყეებსა და ბუჩქნარში გერმანიაშიც არის გავრცელებული. იქ ეს მცენარე იენის-შემოდგომაზე ყვავის ხოლმე. ამ მცენარეს („Die stiele und spreiten sind geniessbar und von mildem Geschmack“) გერმანიაშიც სჭამენ და გემოთი სასიამოვნოდ ითვლება (I. Becker, Gemüsebau, 879).

თავი IV. ჭყიმა, ანუ ჩალამბარა

„ჭყიმა“ ს. ორბელიანს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი და განსამარტავად „ჩალამბარი“ მიუწერია. ამ უკანასკნელ სახელს თავის ადგილას იგივე ავტორი უკვე „ჩალამბარა“-დ სწერს. საბას ლექსიკონის ერთ-ერთ შემავსებელთაგანს აქვე ასეთი განმარტება ჩაურთავს: „ჩალამბარა[ს] სტაფილოს უგავს ფოთლები, ძირი ნიახურსა. ამის ფოთოლს მხალად ხმარობენ გლეხნი“-ო (ლექსიკ.).

უეჭველია, ამავე მწვანლის სახელი უნდა იყოს ის „ჭიმა“, რომელსაც, გ. თედორაძის სიტყვით, ფშავ-ხევსურეთში ხალხი ეხლაც სჭამს. ამ მცენარის ძირს თურმე „ხიფხოლა“ ეწოდება. მას ოხრაბუშის გემო ჰქონია (იხ. აქვე, გვ. 158) და მის ფოთლებსა სჭამენ ხოლმე.

რ. ერისთავის განსაზღვრით ჭყიმა, ანუ ჩალამბარა *Angelica Archangelica* L., syn. *Archangelica officinalis* Hoffm. არის (ბოტ. ლექსიკ., 80, § 1123). ზ. ყანჩაველი კი, თუმცა აგრეთვე ქოლგოსან მცენარეთა ოჯახის წევრად მიიჩნია, მაგრამ ბოტანიკურად *Anthriscus*-ის შესატყვისობად ასახელებს (ბოტანიკა, II, 342). ად. როლოვიც ჭყიმას და ჩალამბარას (Галамбара, sic! тчкгима) *Anthriscus silvestris* Hoffm.-დ, რუს. купырь лесной-დ სთვლის (ДРК, 44). თავის მხრით რ. ერისთავს *Anthriscus silvestris* Hoffm. ანუ *Chaerophyllum silvestris* L.-ის, რუს. Бутень лесной, Купырь-ის ქართულ სახელად ყინტორა აქვს მოყვანილი (ბოტ. ლექსიკ., 67, § 957). ყინტორა ზ. ყანჩაველსაც მოეპოვება და მასაც იგი *Chaerophyllum*-ად მიიჩნია (ბოტანიკა, II, 342). ად. როლოვიც კი ასეთი ლათინური ბოტანიკური ტერმინის ქართული სახელი ყინტორა თავის ნაშრომში შეტანილი არა აქვს (ДРК, 117—118), იმისდა მიუხედავად, რომ, ნ. ლიბსკის ცნობით, *Chaerophyllum* L. ამიერკავკასიაში საკმაოდ გავრცელებული ყოფილა

და 17 სახესხვაობათაგან 8 ენდემურია. *Anthriscus silvestris* Hoff.-ს, თუმცა მთელ კავკასიაში მოიპოვება, მაგრამ იშვიათად. ნ. ლიპსკის მხოლოდ *Anthriscus Ruprechtii* მიაჩნია ცენტრალური კავკასიის ენდემურ მცენარედ (იხ. Н. Липский, ФК., 319—320). ამგვარად, ბოტანიკურად ეს საკითხი ჯერ კიდევ ზედმიწევნით გარჩეული და გადაწყვეტილი არა ჩანს. მისი გამორკვევა ბოტანიკოსების საქმეა, რომელთაც ცნობების ადგილობრივი შეკრებით შეუძლიანთ გადასწყვიტონ, ქართველი ჭყიმას *Angelica*-ს თუ *Anthriscus silvestris*-ს უწოდებს.

რაკი საკითხი ჯერ საბოლოოდ გამორკვეული არ არის, ამიტომ აქ უცხოეთში ორივეს კულტურაზე მოვიყვან ცნობებს.

Angelica ქოლგოსანთა ოჯახის, ნოტიო და ნოყიერი ნიადაგის მოყვარული, მთის ორწლიანი მცენარეა, ევროპაშიც, მაგ., ალპებსა და გერმანიაში, ველურადაც იზრდება. მისი ღერო სიმაღლით 1,25—2 მეტრამდეც კი აღწევს ხოლმე. ისევე, როგორც ჩვენი მთიელები, ევროპელნიც მის ფოთლებსა და ყლორტებს მწვანელიად სკამენ. მაგრამ იქ, ამას გარდა, მხალადაც ხარშავენ, მისგან მურაბასა და მაშარაბასაც აკეთებენ. ხოლო ამ მცენარის ძირს წამლადაც ხმარობენ, ძირითვან და თესლითვან სურნელოვან გამონაწვლილს ხარშავენ და ზეთსა ჰხდიან, რომელთაც ლიქიორების, საპნის და სხვა სურნელოვანი ნაწარმის გასაკეთებლად ხმარობენ (I. Becker, Gemüsebau, 870—871 და Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 8—9). ამგვარად, ჭყიმას ევროპაში გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა და ეკონომიური გამოყენებადობა აქვს, ვიდრე ჩვენში, სადაც ხალხი მას მხოლოდ მწვანელიად სკამს.

Anthriscus silvestris L., ისევე როგორც ჩვენში. საფრანგეთშიც ტყეში მთზარდი ველური მცენარეა. Vilmorin-Andrieux-ს მისი ღირსება შეუმჩნევია და მისი გაშინაურება-შერჩევა დაუწყია. ერთი ათეული წლის განმავლობაში ქოლგოსანთა ოჯახის ამ ორწლიანს წარმომადგენელზე მეთოდურმა მუშაობამ ფრანგ მეცნიერ აგრონომს თურმე საუცხოოვ შედეგი მისცა ისე, რომ მას ჰგონია, რომ ამ ოჯახის ველური წარმომადგენლების შერჩევა-გაშინაურება მებოსტნეობას არა ერთს ოხრაბუშის მაგვარს კარგ მწვანელს შესძენს (Les plantes potagères, 506), ქართველ მთიელებს, როგორც ვხედავთ, ეს გარემოება, ამ მწვანელის ღირსება, დიდ ხანია შეუმჩნევიათ⁵.

Chaerophyllum-თავან გერმანიაში ორი წარმომადგენელი გავრცელებული. ერთს მათგანს ლათინურად *Chaerophyllum odoratum*-ს ეძახიან, აგრეთვე და ჩვეულებრივ *Myrrhis odorata* (L.) Scopoli-ად. *Scandix odorata*, *Lindera odorata* Ascherson-ადაც არის წოდებული. გერმანულად *Grosser, spanischer, wohlriechender Kerbel*-ს, ე. ი. სურნელოვან, დიდ ესპანურს ყინტორას უწოდებენ (I. Becker, Gemüsebau, 859—860), მეორეს კი *Chaerophyllum bulbosum* L.-ს. გერმ. *die Kerbelrübe*-ს ეძახიან (იქვე).

პირველს ამათგანს იშვიათად სთესენ თურმე, მეორეს მოშენება კი სულ 75 წელიწადი იქმნება, რაც დაწყებულა პეტერბურგის ბოტანიკური ბაღითვან 1850 წელს ციმბირის ველური ყინტორის ბერნში მიტანისა და გაშინაურების

⁵ თუ ასეთი ველური მწვანელის გაშინაურება-შერჩევა საფრანგეთშია სასურველად მიჩნეული, მთ უმეტეს ურიგო არ იქმნებოდა ასეთი მუშაობა ჩვენ საქართველოს სასელექციო სადგურს ეწარმოებინა.

შემდგომ. ამ მცენარის ძირსა ხმარობენ, რომელიც 70% წმინდა ცილოვან ნივთიერებას შეიცავს და 30% ამიდს. ამნაირად, ყინტორის კვებითი ღირებულება მეტად დიდია (I. Becker, Gemüsebau, 860—861).

საფრანგეთში მხოლოდ ეს სახეობა *Chaerophyllum bulbocum* L.-ა გავრცელებული, რომელსაც *cerfeuil tubéreux*-ს ეძახიან (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 87—88).

თავი V. ძირაკი, ანუ ძირა და კვლიავი, ანუ კვლია

§ 1. ძირაკის, ზირასა და კვლიავის რაობა

„ძირაკი“ უკვე უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლებში გვხვდება. ამ მცენარისა და სანელებლის სახელების ბოტანიკური შესატყვისობის გამორკვევა სხვადასხვა თარგმანების მიხედვით ძნელი არ არის.

„ძირაკი“ (მათე. 23₂₃, ესაია, 28₂₄₋₂₅), რომელსაც ეხლა „ძირა“, ანუ „ზირა“ ეწოდება (უკვე ს. ორბელიანი ამ უკანასკნელ ფორმას ხმარობს), უდრის ბერძნულ კუმინონს *κύνιον*-ს, ლათინურს *cuminum*-სა და სომხურ ჩამანს *չաման*-ს. ამნაირად ცხადია, რომ ძირაკი, ძირა, ანუ ზირა *Cuminum cuminum* L. ყოფილა, რომელსაც ფრანგები *Cumin de Malte*-ს, გერმანელები *Mutterkrümmel*-ს, ანდა *Pfefferkümmel*-ს, რუსები კი *мальтийский тминек*-ს უწოდებენ.

ეს სანელებელი მცენარე ველურად მხოლოდ თურქისტანში, ყიზილკუნის ნაპირებზე იზრდება. ძველად კი სწორედ ეგვიპტური ძირაკი იყო განთქმული. ბოტანიკოსები ფიქრობენ, რომ ეგვიპტეში იგი ასურეთის გზით უნდა იყოს თავდაპირველი სამშობლოთგან შეტანილი (Engler, Kpf. u. Ht., 210)

მაგრამ ამ მცენარის სხვა ჯიშიც არსებობს, რომელიც ველურად ფართოდ არის გავრცელებული, სხვათა შორის საქართველოშიც ბლომად მოიპოვება.

ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში მხალთაგან „კვლიავი“-ც ყოფილა გავრცელებული. ს. ორბელიანს ასეთი სახელი არ მოეპოვება. მას მარტო „კულიავი“ აქვს, მაგრამ განუმარტავად, მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნის დართვით. ხელთნაწერთა B ჯგუფი უმატებს „ზირაკი“-აო (ლექსიკ.). შეცდომაა აქ ხელთნაწერებში და ნამდვილად „კულიავი“ უნდა წერებულებო, თუ პირიქით საბას ამ მცენარის სახელი სწორედ უწერია, ვახუშტის გამოცემაში კი გრაფიკული, ანდა კორექტურული შეცდომაა შეპარული? რ. ერისთავსაც „კვლიავის“ მაგიერ „კვლიავი, კულიავი, ზირაკი“ აქვს ბოტანიკურ ლექსიკონში (გვ. 27, § 405). თუ ეს ცნობა საბას ნაშრომითგან არ არის ამოღებული და დამოუკიდებელია, მაშინ ვახუშტის გამოცემაში შეცდომად უნდა ვიგულისხმო.

კვლიავი რ. ერისთავს ბოტანიკურად *Carum carvi* L.-დ, რუს. Анис полевой-ად აქვს განსაზღვრული (ბოტ. ლექსიკ., 27, § 405). ად. როლლოვს *Carum carvi* L.-ს ქართულ სახელად მოყვანილი აქვს ზირა, ძირაკი და კვლიავი, რომელთაგან უკანასკნელი ამ მცენარის იმერულ სახელად არის აღნიშნული. მის რუსულ შესატყვისობად დასახლებულია *тмын обыкновенный* და *анис полевой* (ДРК,

104). მაგრამ ძირაკი და ზირა, როგორც დავრწმუნდით, *Carum carvi* კი არ არის, არამედ *Cuminum cyminum*-ია. ხოლო კვლიავის ლათინური სახელი სწორება, რუსულად კი უნდა *тмин полевой* იყოს. ზირაკი, ანუ ზირა უცხო მცენარის *Cuminum*-ის სახელია, კვლიავი კი ადგილობრივი მცენარის სახელია, ამიტომ ამათი სინონიმებად ხმარება სასურველი არ არის. ფრანგები ამ მცენარეს *le cumin de prés*, ე. ი. ველურ ზირაკს და *le carvi*-ს, გერმანელებიც *Feldk. mmel*-ს, *der Kümmel*-ს და *Karwe*-ს უწოდებენ.

კვლიავი, *Carum carvi* L. უზარმაზარ მანძილზეა ველურ მცენარედ გავრცელებული: ევროპიტიდან მოყოლებული ჰიმალაის მთებამდე და მთელ ციმბირში გვხვდება (*Engler, Kpf. u. Ht., 210*). საქართველოშიც ბევრია: ნ. ლიპსკის ცნობით, რომელიც *Boissier*-ზეა დამყარებული, მთელ კავკასიაშია გავრცელებული 8000-მდე (*ФК, 318, § 1675*).

გ. თედორაძე თანამედროვე ხეცურეთში გავრცელებულ ხილ-ბოსტნეულსა და მხალს შორის „კვლია“-საც ასახელებს, რომელიც, მისივე სიტყვით, ტკბილი ყოფილა. ამ მცენარეს თურმე მუცლის გვრემის დამამშვიდებელ წამლადაც ხმარობენ (იხ. აქვე, გვ. 158). უეჭველია, თანამედროვე „კვლია“ იგივე ვახუშტისა და საბასგან დასახელებული „კვლიავი“ უნდა იყოს.

§ 2. ზირას სამეურნეო მნიშვნელობის მიმოხილვა

ძირაკი, ანუ ზირა, *Cuminum cyminum* L. ძველად ძალიან საყვარელი სანელებელი ყოფილა. მისი სახელი უკვე ასირიელებს, ებრაელებს და ფინიკიელთა მონათესავე ტომს კართაგენელებს ჰქონდათ. ასირიელები ზირას „კამუნუ“-ს უწოდებდნენ, ებრაელები—„კამონ“-ს, ასურელები, ანუ არამეველნი—„კამონა“-სა და კართაგენელნი, ანუ პუნები *χαμν* „კამან“-ს (*O. Schrader, Kpf. u. Ht., 210*).

ბერძნულ მწერლობაში ზირა პირველად არისტოფანეს თხზულებაში გვხვდება. ამიტომ *O. Schrader*-ი ფიქრობს, რომ ეს სანელებელი საბერძნეთში შესაძლებელია სპარს-ბერძენთა ომის მომდევნო ხანაში იყოს შესული. ამასთანავე, სხვა მკვლევართა აზრისდა საწინააღმდეგოდ, ის დარწმუნებულია, რომ ამ მცენარის ბერძნული სახელი „კემინონ“ ზემომოყვანილი სემურის სახელისაგან უნდა იყოს ხმოვნის შენაცვლებით წარმომდგარი (იქვე).

ძველად ზირას საუკეთესო ჯიშად ეთიოპური ზირა ითვლებოდა, რომელსაც ჰიპოკრატე თურმე „მეფურ ზირა“-ს (*ἀμύιον βασιλικόν*) უწოდებდა. ახემენიანთა მეფეების სასახლეშიც თურმე აგრეთვე ეთიოპურ ზირას ხმარობდნენ, ყოველდღიურად 6 სპარსულ საწყაოს (*χαρῆταις*, რომელიც ატიკურ *χίτων*-ს უდრიდა). ეთიოპურის შემდგომ საუკეთესოდ ეგვიპტური ზირა იყო მიჩნეული. შემდეგ, დიოსკორიდეს ცნობით, ზირა მცირე აზიაშიც, სახელდობრ, გალატასა და კილიკიაშიც მოდიოდა. მერმე ტარენტშიც ყოფილა გადატანილი (*Hehn, Kpf. u. Ht., 208—209*).

პლინიუსის სიტყვით, რომის სახელმწიფოს საზღვრებში საუკეთესოდ ესპანიაში მდებარე კარპეტანიის ზირა ითვლებოდა, ისე კი პირველხარისხოვანად ეთიოპური და ეგვიპტური ზირა იყო მიჩნეული (*Natur. hist., XIX, 161,—Hehn, Kpf. u. Ht., 209*).

Stephanos Magnetos-ს აღნიშნული აქვს, რომ ეთიოპურ ზირას სახელად Carnabadin „კარნაბადინ“-ი ჰრქმევიან. ამავე სახელს ხმარობს ზირასათვის ბიზანტიელი ავტორი სიმეონ სეთი-ც.

არაბთა ბოტანიკოსს იბნ-ბათარსაც მოხსენებული აქვს მცენარე „Quaranbod“, რომელიც I. Becker-ს ზირას სახელადვე მიაჩნია (Gemüsebau, 844).

კარლოს დიდს თავის განკარგულებაში ზირა დასახელებული არა აქვს. მხოლოდ Gozbert მამასახლისის (816—837) მონასტრის გეგმაში მკურნალთა სახლის (domus medicorum) გვერდით აღნიშნული, აქვს სამკურნალო მცენარეთა ბაღიც (Herbularius), რომელშიც 15 სხვადასხვა მცენარეს შორის რომელიღაც ზირაც უნდა მოეყვანათ (I. Becker, Gemüsebau, 844).

სანამ პილპილის ხმარებას დაიწყებდნენ, ზირას საერთოდ დიდი გასავალი ჰქონდა და ფართოდ ხმარობდნენ, შემდეგ კი მას წინანდებურად მნიშვნელობა აღარ ჰქონდა. ბოლო დროს ჩვენში ზირას უმთავრესად შილაფლავს უშვებობდნენ. ამჟამად მას საქმელში სანელებლად ხმარობენ და მისი ეთეროვანი ზეთისგან ლიქიორებაც აკეთებენ ხოლმე (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 241).

§ 8. კვლიავის სამეურნეო მნიშვნელობა

კვლიავი, *Carvum carvi* L., ვითარცა ფართო არეებზე ველურ მცენარედ გავრცელებული, უძველესი დროითგან ყოფილა ცნობილი. უკვე ქვის ხანის დიროვან ნაშენობათა განათხარს შორის Robenhause-თან კვლიავის თესლი იყო ნაპოვნი. მაგრამ რაკი თესლი დაუფშვნეტავი აღმოჩნდა, ზოგიერთი მკვლევარი ფიქრობს, რომ კვლიავი იმ ადგილას შემთხვევით უნდა იყოს დაგროვილი (I. Becker, Gemüsebau, 837).

კარლს დიდის Capitulare-შიც ეს სანელებელი *careium*-ის სახელით მოხსენებული არის. XIII ს. მეორე ნახევრის ავტორს Henrik Harpestreng-საც *carvi*-ზე ცნობა მოეპოვება.

ამჟამად ეს მცენარე უკვე კულტურულად არის ქცეული და მის მოყვანას გერმანიაში ჰალლე, ერფურტ და ნურენბერგ ქალაქთა მიდამოებში, პოლანდიასა და გალიციაში ფართოდ მისდევენ, აგრეთვე შვეციასა და ნორვეგიაშიც მოჰყავთ. საუკეთესო კვლიავად სწორედ შვედური და ნორვეგიული ითვლება, რათგან ცხიმოვანი ნივთიერების ოდენობა იქაურ თესლში 4—6%-მდე აღწევს, გერმანულსა და პოლონურში კი 4%-მდეც არ არის (I. Becker, Gemüsebau, 837).

დასავლეთ ევროპაში, მაგ. საფრანგეთში, კვლიავის ძირსაც სჰამენ და ნორჩ ფოთოლ-ყლორტებსაც. მის თესლს გერმანიასა და ზოგიერთ სხვა ჩრდილო ევროპის ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც, პურს ურევენ ხოლმე. პოლანდიელები კი მის თესლს ყველის ზოგიერთ ჯიშს უშვებდნენ. დასასრულ, თესლის ეთეროვან ზეთს ლიქიორების გასაკეთებლადაც ხმარობენ (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 74).

თუმცა კვლიავის შესახებ საქართველოში ჯერჯერობით XVII ს-ზე უწინარესი ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ ეს გარემოება მხოლოდ იმით აიხსნება,

რომ თვით მცენარე ჩვენში კულტურული კი არა, არამედ ველურია. უეჭველია, ხალხი მის ჭამას უძველესი დროითგანვე უნდა იყოს საქართველოში მიჩვეული. კვლიავს ხევისურეთში სკამენ კიდევ, ცხადია ფოთოლ-ყლორტებს, და წამლადაც ხმარობენ მუცლის ტკივილის დროს (გ. თედორაძე, ხუთი წელი ფშავ-ხევისურეთში, 57). სამწუხაროდ, არა ჩანს, წამლად ფოთლების ნახარშს ხმარობენ, თუ ძირისას, ან თესლისას.

არსებული ცნობის მიხედვით მაინც ირკვევა, რომ საქართველოში კვლიავის გამოყენებას ისე ფართოდ და მრავალმხრივ არ მისდევენ, როგორც ევროპელები. მაგრამ საბოლოო მსჯელობა ამაზე ჭერ ნაადრევია, რათგან ჩვენში ამ საკითხზე, გ. თედორაძის გარდა, არავის არაფერი დაუწერია და მომავალში. როდესაც ცნობები ხევისურეთზეც უფრო ზედმიწევნითაც იქმნება ამის შესახებ შეკრებილი და საქართველოს სხვა თემებში ამ მცენარის არსებობა-გამოყენებადობაზეც დაკვირვება თავმოყრილი იქმნება, ქართველთა მთის მოსახლეობის მეურნეობაში კვლიავის მნიშვნელობაც დანამდვილებით გამოირკვევა.

თავი VI. ცერეცო და ანისული

§ 1. ცნობები ცერეცოზე და მისი რაობა

ამავე წიგნში (იხ. II, გვ. 72—73) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ოთხთავის ქართულ თარგმანში ბერძნული ტო ანეთონ-ის τὸ ἀνεθόν-ისა და ლათინური Anethum-ის შესატყვისად ქართულად ნახმარია „ცერეცო“.

იმერეთსა და გურიაში *Anethum graveolens* L.-ს, ანუ *Peucedanum graveolens* Benth. et Hook-ის ეს ძველისძველი ქართული სახელი დღევანდლამდე დაცული. აღმოსავლეთ საქართველოში კი „ანისული“ იხმარებაო, მაგრამ ნამდვილად ცერეცო და ანისული ერთიდაიგივე მცენარე არ არის.

მეგრულშიც „ცეროცე“ და „ცოროცე“ თუმცა ძველებურად შერჩენილია (იხ. აქვე, გვ. 73), მაგრამ, რ. ერისთავის ცნობით, ამ მცენარის სახელად თურმე „ძერა“-ც იხმარება (ბოტ. ლექსიკ., 3, § 42). უეჭველია, ეს უკანასკნელი „ძერაის“ მეგრულ შესატყვისობას უნდა წარმოადგენდეს.

რ. ერისთავს ანისული, ცერეცო და ძერა სინონიმებად მიაჩნდა იმ განსხვავებით, რომ ანისული ამერეთის სახელიაო, ცერეცო იმერ-გურული და ძერა მეგრული არისო. სამივეს *Pimpinella Anisum* L.-ს, რუს. Анис-ის შესატყვისობად სთვლიდა (ბოტ. ლექსიკ., 3, § 42). ცერეცო, სტ. მენტეშაშვილის სიტყვით, ქიზიყშიც სცოდნიათ.

აღ. როლლოქს კიდევ ცერეცო-ს გარდა კამა და ჭამა-ც აქვს დასახელებული („кама, хама“, sic!), რომელნიც *Anethum graveolens* L.-დ, რუს. укроп-ად მიაჩნია (ДПК, 41).

როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, ანისული და ცერეცო ერთიდაიგივე მცენარე არ არის, მით უმეტეს ცერეცო და კამა სინონიმებად ვერ ჩაითვლება.

§ 2. ცერეცოს კულტურა და მნიშვნელობა

ქოლგოსანთა ოჯახის მცენარის ცერეცოს, *Anethum graveolens* L.-ს, სამშობლოდ სამხრეთ ევროპა ითვლება, მაგრამ ძველად აზიასა და აფრიკაშიც ფართოდ იყო გავრცელებული. *Anethum graveolens* L., კავკასიაშიც ყველგან არის გავრცელებული (Boissier-ის FO, II, 1026-ის თანახმად: Н. Липский, ФК, 327). თუმცა ძველ ეგვიპტეში მოჰყავდათ და იეროგლიფურ ძეგლებში სახელად *ammisi* ეწოდება. მაგრამ ეგვიპტის სამარხებში ცერეცოს ნაშთი ჯერ არსად ნაპოვნი არ არის. ცერეცო ძველ ებრაელთა ქრისტეს ხანის მებაღეობის ერთ-ერთ წევრად ხდება, რაც ოთხთავის ზემოდასახელებული ადგილითაც მტკიცდება (I. Becker, Gemüsebau, 872).

ცერეცო ძველ საბერძნეთსა და იტალიაშიც იყო. ნადიმის დროს ბერძნები და რომაელები ცერეცოსაგან დაწნული გვირგვინით იმშვენებდნენ ხოლმე თავს.

ჩრდილო-დასავლეთ ევროპაშიც ეს მცენარე მოჰყავდათ: კარლოს დიდის *Capitulare*-ში ჩვეულებრივ ლათინური სახელით იხსენიება (იქვე). გერმანელები მას *der Dill*-ს უწოდებენ ისევე, როგორც შვედები, ჰოლანდიელები და ინგლისელებიც, ფრანგები სახელად *anet*-ს, *anet odorant*-ს ხმარობენ, იტალიელებიც *aneto*-ს.

ევროპაში სანელებლად და კიტრის წნილად ჩადების დროს ხმარობენ, ჩრდილოეთში ზამთრის კონსერვებს ჩაურთავენ ხოლმე და მისი სურნელოვანი ზეთის გამოყენება ლიქიორების დასამზადებლადაც იციან ხოლმე (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 8).

§ 3. ანისულის რაობა და გამოყენება

თუმცა ეხლა „ანისული“ ამერეთში ხალხში იხმარება, მაგრამ ს. ორბელიანს არ მოეპოვება და, როდის შემოდის ჩვენში ეს სახელი, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. შესაძლებელია ანისული სამკურნალო მცენარის სახით სააქიმო წიგნების საშუალებით იყოს შემოსული.

ამ ქოლგოსანთა ერთწლიანი მცენარის *Pimpinella anisum* L.-ს ქართლში მიღებული სახელი „ანისული“ უფრო ლათინური *anisum*-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი, თუმცა არაბებსაც „ანისონ“ სახელი აქვთ შეთვისებული (I. Becker, Gemüsebau, 853) და შესაძლებელია არაბული კარაბადინის საშუალებითაც იყოს შემოსული.

ანისულის სამშობლოდ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროები ითვლება: ეგვიპტეში. დასავლეთ აზიაში, კუნძულებზე, კვიპროსსა, ქიოსზე და თვით ბერტიაშიც კი ველურად იზრდება. Boissier-ის (II, 868) ცნობით *Pimpinella* L., მათ შორის *aromatica*-ც მთელ ამიერ-კავკასიაშია გავრცელებული (Н. Липский, ФК, 317).

ფიქრობენ, რომ ძველ ეგვიპტეში ანისულის კულტურა მე-18 დინასტიის ხანიდან უნდა იყოს გაჩენილი. დიოსკორიდესა და პლინიუსის ცნობებით საუკეთესო ანისული კრიტოსითგან, ანდა ეგვიპტიდან გამოჰქონდათ.

დასავლეთ ევროპის ადრინდელ წყაროებში, მაგ. კარლოს დიდის *Capitulare*-ში, Hildegardis de Pinguia-სა და Walafriidus Strabus-ის ნაწერებში ანისუ-

ლის ხსენება არ არის. მხოლოდ XIII ს. მეორე ნახევრის ავტორს Henrik Harpestreng-ს აქვს Anisum-ზე ცნობა (I. Becker, 852).

თითქმის ყველა ევროპულ ენაში ამ მცენარის ლათინური სახელია გამოყენებული: ფრანგ. Anis vert-ს, გერმან. Anis-ს, რუს. ანის-ს უწოდებენ. ბერძნები კი „ტო გლუკანიონ“-ს ეძახიან, სპარსელები „რაზიანა რუმი“-ს (I. Becker, Gemisebau, 852), ე. ი. რუმის კამას.

ამ მცენარესაც დასავლეთ ევროპაში უმთავრესად ლიქიორების დასამზადებლად ხმარობენ (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 9), მაგრამ წამლადაც არის მკურნალობაში მიღებული. რამდენად ჰქონდა და აქვს ანისულს ჩვენ მეურნეობაში მნიშვნელობა, ჯერ ცნობები არ მოგვეპოვება და გამოსარკვევია კიდეც.

თავი VII. კამა

§ 1. ცნობები კამაზე და მისი ბოტანიკური რაობა

უეჭველია, სრულებით შემთხვევითი მოვლენაა, რომ უძველესი ხანის ძეგლებში კამა ჯერ არა ჩანს. ამ მცენარის სახელი, როგორც ქვემოთ დაერწმუნდებით, ამ მწვანილისა და სანელებელის ძველადვე არსებობას გვაგულისხმებინებს.

„კამა“ ს. ორბელიანს ლექსიკონში განუმარტავად, მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნით, აქვს შეტანილი. ვახუშტი კი მას საქართველოში გავრცელებულ მწვანილეულთა შორის ასახელებს (აქვე, გვ. 154). ფ. გორგიჯანიძე კამას არაბ. „ბადიონ“-ისა და სპარს. „რაზიანა“-ს შესატყვისად სთვლიდა (აქვე, გვ. 155). „სააქიმო წიგნის“ ტერმინების ამხსნელის სიტყვით კი „რაზიანი“ ინდაური კამა არის (Ориц., I, 683). მართლაც სპარსულად fenuil , რაზიანაჰ ჰნიშნავს fenouil -ს, Fenchel-ს (Zenker-ის ლექსიკ.).

რ. ერისთავს „კამა“ ამერეთისა და იმერეთ-გურიის სახელად აქვს აღნიშნული და ბოტანიკურად *Anethum graveolens* L., რუს. укроп-ად სთვლის (ბოტ. ლექსიკ., გვ. 25, § 376), ამასვე იმეორებს ად. როლოვიც (ДРК, 41), ნამდვილად კი, როგორც ზემომოყვანილი სპარსული შესატყვისობითგან ცხადი ხდება, *Foeniculum officinale* All., ანუ *Anethum Foeniculum* L. არის. უცნაურია, რომ რ. ერისთავს *Foeniculum*-ის ქართულ სახელებად მოყვანილი აქვს რაზიანა. ე. ი. სპარსული სახელი, შვითი და დიდი-კამა (ბოტ. ლექსიკ., 47, § 625), ად. როლოვიც ქართული სახელი სრულებით არ შეუტანია (ДРК, 206).

საქართველოში კამა ძალიან გავრცელებული მცენარეა: იმას ვარდა. რომ მას მწვანილად სჭამენ, თითქმის ყოველნიერ საქმელში, შექამაღია თუ წვნიანი, ახალი თევზია თუ ცხერის ხორცის წვნიანი, კამას სანელებლად ხმარობდნ და ხმარობენ ეხლაც.

§ 2. კამის კულტურის ზოგადი მიმოხილვა

კამა, *Foeniculum*, ჭოღოვსანთა ოჯახს ეკუთვნის და ორწლიური მცენარეა. მის სამშობლოდ ხმელთაშუა ზღვის სანაპიროები და აუზი ითვლება ისევე, როგორც აზიის დასავლეთი ნაწილიც. ჩვენშიც შავი ზღვის სანაპიროზე იზრდება (Boissier, FO, II, 975-ის მიხედვით: Н. Липский, ФК, 324).

კამას აღმოსავლეთში დიდი ხანია ხმარობენ. ბერძნებსა და რომაელებს ეს მცენარე იქითგანვე უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. მაგრამ ერთმანეთისაგან დამთუკიდებლივ, რათა ბერძნებს კამის სახელად „მარათრონ“-ი აქეთ, რომაელებს კი *feniculusum*-ი. იტალიაში კამის ჭამას ისევე არიან მიჩვეულნი, როგორც საქართველოში: ყველგან საჭმლის შემდგომ კამას შეეჭევიან, ნეპოლის სანახებში კი ყოველნაირ საჭმელში ხმარობენ (I. Becker, *Gemüsebau*, 865—866).

დასავლეთ ევროპაშიც კამის კულტურა ადრე შესულა და გავრცელებულა ისე, რომ როგორც კარლოს დიდის *Capitulare*-ში, ისევე სხვა ავტორთა ნაწერებში *Feniculum*-ი იხსენიება (I. Becker, *Gemüsebau*, 866).

კამის სახელი ევროპის თითქმის ყველა ენაში ამ მცენარის ლათინური სახელისაგან არის წარმომდგარი: იტალიელები *finocchio*-ს უწოდებენ, ფრანგები *fenouil*-ს, გერმანელები *der Fenchel*-ს, ანდა *Fönchl*-ს და სხვ. მხოლოდ ჩეხები და პოლონელები *kopr*-ს, რუსები *укроп*-ს ეძახიან. მაგრამ რუმინელები და ბულგარელები კამის სახელად *anason*-ს ხმარობენ (I. Becker, *Gemüsebau*, 865). ე. ი. იმასვე, რაც ანისულსა ჰნიშნავს.

დასასრულ, არაბთა ბოტანიკოსი იბნ-ალავამ კამას „რაზიანავ“-ს უწოდებს (იქვე, 866), რაც, როგორც ფ. გორგიჯანიძის ზემომოყვანილ ცნობითგან ჩანს, ნამდვილად ამ მცენარის სპარსული სახელია, არაბულად კი XVII ს „ბადიონ“-ი ჰრქმევიან (იხ. აქვე, გვ. 155).

§ 8. კამის ქართული სახელის სადაურობა და მისი კულტურის ხნიერება

ამ მცენარის ქართული სახელი, როგორც მკითხველი თვითონაც დარწმუნდებოდა, არც ერთს ენაზე არსებულ სახელს არ უდგება. ამნაირად „კამა“ თითქოს სრულებით განმარტოებულია და დამოუკიდებელ სახელს წარმოადგენს. ამაზე გარკვეული დასკვნის დამყარება შეიძლებოდა, რომ კამის სახელის განმარტოებულობის პირველი შთაბეჭდილება სწორე იყოს, მაგრამ ნამდვილად საქმე ასე არ არის.

ვინც სხვადასხვა ერთა ზირასთვის განკუთვნილ სახელებს გადაიკითხავს, ადვილად დარწმუნდება, რომ კამას ქართული სახელი ზირას ასსირიულს, ებრაულსა და მეტადრე კართაგენულ სახელს უდგება. თუ ასსირიულად „კამუნუ“ და ებრაულად „კამონ“-ი, ასურულად კი „კამონა“ იყო, კართაგენულად, რომელიც ფინიკიურის დიალექტი იყო, „კამან“-ი ყოფილა, რომელსაც ქართულ კამა-სთან შედარებით ბოლოში მარტო ზედმეტი „ნ“ თანხმოვანი გააჩნია. ამას გარდა კართაგენულს თავკიდური თანხმოვანი გაასპირატებული აქვს და „ქ“-დ შეუწინაცვლებია. მაგრამ ამ მხრივ კართაგენული მარტო ქართულისაგან კი არა, არამედ მონათესავე ასსირიულისა, ასურულისა და ებრაულისაგანაც გაბირჩევა, რომელთაც ყველას ქართულის მსგავსად „კ“ აქვთ „ქ“-ს მაგიერ.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ *Foeniculum*-ის ქართული სახელი კამა სრულებით განმარტოებული და უთვისტომო არ ყოფილა, არამედ აღმოსავლეთის უძველეს ენებში ზირასათვის განკუთვნილ სახელთან უმჭიდროესად ყოფილა დაკავშირებული. ეს გარემოება კამის სახელის ქართულში უაღრეს ხნიერებას ადასტურებს.

რა თქმა უნდა, ქართული და ასირიულ-ასურულ-ებრაულ-კართაგენული სახელების აღმნიშვნელობის განსხვავება, რომ პირველი ძველადაც და ეხლაც *Foeniculum*-სა და მეორენი *Anethum graveolens* L., ანუ ცერეცოს ჰნიშნავდენ ამ სახელების იგივეობის ვერაფრითარ საწინააღმდეგო საბუთად ვერ გამოდგება. რათგან ქართველურშიც და სხვა ენებშიც ასეთივე მოვლენა გვაქვს, მაგ.: მეგრულად ერეცოს, ანუ *Anethum graveolens*-ს ეხლა „ძერა“, ე. ი. ზირას სახელივე ჰქვია. რუმინელებსა და ბულგარელებსაც ანისულისა და კამისათვის ერთიდაიგივე სახელი აქვთ.

შესაძლებელია ითქვას, რომ არც ერთი მწვანილი და სანელებელი საქართველოში არ ყოფილა და არ არის ეხლაც ისე გავრცელებული, როგორც კამა: მას ხმარობდენ ყოველნაირი საკმლის შესანელებლად. რაკი კამას *Foeniculum*-ს კუჭ-ნაწლავების დაავადების დროს დამამშვიდებელი და დუღილის პროცესის დამაცხრობელი გავლენა აქვს, ამიტომვე უნდა იყოს, რომ ჩვენში მუავე და მეტად ცხარე, თანაც მცენარეული საკმელების მოკარბებულად ხმარების გამო, ხალხი ბუნებრივი ალღოს წყალობითაც და შეგნებულადაც კამის უხვად ხმარებას ეტანებოდა და ეტანება ეხლაც. გემრიელს, მაგრამ კუჭ-ნაწლავების გამაღიზიანებელ საკვებს თან დამამშვიდებელსა და დამაცხრობელ საშუალებას ატანდენ ხოლმე.

თავი VIII. სონიჯი

§ 1. სონიჯის რაობა

სანელებელთა ჯგუფს სონიჯი-ც ეკუთვნოდა, რომელიც ძველადაც გავრცელებული ყოფილა და ეხლაც არსებობს და ზოგან მთლად მნიშვნელობა დაკარგული არა აქვს. ამ მცენარის სახელი ქართული მწერლობის უძველეს ძეგლებშივე მოგვეპოვება.

„სონიჯი“ ესაიას 28₂₅-ში წგვხვდება და უდრის ბერძნულს ტო მელანთინონს-ს τὸ μελαγχρισόν-ს, ლათინურს *gith*-სა და სომხურს არ:ნდელ-ს *արჯნդი*-ს. ამ მცენარის სახელი „სონიჯი“ „სააქიპო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის თარგმანშიც არის ნახმარი (ხელთნ., გვ. 134, 138).

საგულისხმოა, რომ ს. ორბელიანს ზემომოყვანილი სახელის განსამარტავად „სოლინჯი“ აქვს დასახელებული და სონიჯის სინონიმად „გოლისარეველი“-ც მიაჩნია: „გოლისარეველი — სონიჯი“-აო (ლექსიკ.).

რ. ერისთავს, საბასაგან დასახელებულ სონიჯსა და სოლინჯს გარდა. „სოლინჯი“-ც მოუპოვება და ბოტანიკურად *Cirum Bullocastium Koch*-ისა და რუს. *Мышки*-ს შესატყვისად მიაჩნდა (გვ. 52, § 750). „გოლისარეველი“ კი სრულებით შეტანილი არა აქვს.

სონიჯის ნამდვილი ბოტანიკური რაობის გამორკვევა დაბადების ტექსტის დედნის დახმარებით შეიძლება. ამ ადგილას ნახმარი მცენარის სახელი, რომელიც ბერძნულად „მელანთინონ“-ად და ლათინურად *gith*-ად. არის აღნიშნული, გერმ. *Schwarzkümmel*-ის შესატყვისობას წარმოადგენს (იხ. H. Guthe, *Bibelwörterbuch: Pflanzen*).

მაშასადამე, სონიჯი *Nigella sativa* L. ყოფილა, რომელსაც ფრანგები *Nigelle aromatique*-ს, ანდა მარტივად *Nigelle*-ს, აგრეთვე *Cumin noir*-ს ეძახიან, გერმანელები კი *Schwarzkümmel*-ს. ანდა *Köhm*-ს, რუსები „ჩერნუშკა“-ს უწოდებენ (*Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 468*).

სონიჯი რომ ბოტანიკურად მართლაც *Carum Bulbocastanum*-ი კი არ არის, არამედ *Nigella sativa*-ა, ეს თვით რ. ერისთავის ნაშრომითგანაც ჩანს. თვით მასვე *Nigella sativa*-ს ქართულ სახელად სურია აქვს მოყვანილი (ბოტ. ლექსიკ., 55, § 769).

ამას გარდა *Nigella sativa*-ს მეორე ქართულ სახელად შაკეკალა-ც არის მოყვანილი, რომელიც იმერეთსა და გურიაში ყოფილა გავრცელებული (ბოტ. ლექსიკ., 69, § 967).

ად. როლლოვს *Nigella sativa*-ს ქართულ სახელად, „სურია“-სა და „შაკეკალა“-ს გარდა, „ჩიტლი“-ც (ამერეთ.) აქვს მოყვანილი. ამასთანავე სონიჯის სომხურ სახელად მას ჩაწერილი აქვს „სეესონიკ“, „სეევნდიკ“ და „არჯნდელ“. დასასრულ, თათრულ, ე. ი. თურქულ სახელად სიაპ-დანა და სურინჯანი-მისრი სწერია (*ДРК, 331*).

არც ჩიტლა, არც შაკეკალა ს. ორბელიანს არ მოეპოვება. რ. ერისთავს მხოლოდ „ჩიტვალა“ აქვს, მაგრამ სრულებით განუმარტავად (ბოტ. ლექსიკ., 72, § 1000).

სომხური სევ-სონიკ შავ სონიჯსა ჰნიშნავს, ხოლო სევ-გნდიკ ისევე, როგორც თურქული სიაპ-დანა — შავ-მარცვალს, სომხური არჯნდელ-ი, როგორც ზემომოყვანილითგანაც ჩანს (იხ. აქვე ამ გვერდზევე) სონიჯის ძველი სომხური სახელია და დათვის საწამლავს, თუ წამალს ჰნიშნავს.

თურქულ-თათრული სურინჯანი-მისრი, მისრის, ანუ ეგვიპტის სურინჯანს ჰნიშნავს.

საყურადღებო გარემოებაა, რომ დაბადების სომხურ თარგმანში ქართული სონიჯის, ბერძნ. მელანთინონ-ისა და ლათინ. *Nigella*-ს შესატყვისად ამ მცენარის ხლაც შერჩენილი სახელი არჯნდელ-ია ნახმარი. მაგრამ გეორგ ვარდაპეტის ესაიას წინასწარმეტყველების თარგმანებაში, რომელიც 1292 წ. არის შედგენილი, არჯნდელ-ის განსამარტავად უკვე სონიკ-ია „*შინჩ*“ ნახმარი: „*ახრმანის არჯნდელი, ირ ხ აინჩ*“ *Исаианова и Шати аинч*“ (იხ. მხითარიანთ *ჯაყ. მ.* დიდი ლექსიკონი).

უკანასკნელი წინადადება იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ ესაიას 28²⁷-ის ტექსტს წარმოადგენს, სადაც დაბადების სომხურ თარგმანში არჯნდელ-ია (*არჯნდელი*) ნახმარი, გეორგ ვარდაპეტს კი *აინჩ* სონიკ-ი აქვს ისევე, როგორც ქართულ თარგმანშია. სამწუხაროდ, მხითარიანთ დიდ ლექსიკონში არა ჩანს, მოყვანილი ამონაწერი გ. ვარდაპეტის განმარტებაა, თუ ამ ადგილას ესაიას ტექსტშია მოყვანილი, რომელშიც ჩვეულებრივი თარგმანისაგან განსხვავებული რედაქციაა დაცული? ამის გამო გამოურკვეველი რჩება, იხმარებოდა თუ არა სონიკ-ი სომხურ მწერლობაში დაბადების გადათარგმნის დროს, თუ ის მერმინდელი XII—XIII ს. შენაძენია ძველი არჯნდელ-ის მაგიერ?

სონიჯი-ს სახელის სადაურობის საკითხიც ნაწილობრივ ზემოაღნიშნულ საკითხზეცაა დაკავშირებული.

ქართულში არსებულ „სურია“-სა და საშუალო საუკუნეების სომხურში მიღებული სურინჯან-ის (*սուրինճան*) სახელის იგივეობა ცხადია. Hubschmann-ის აზრით კი სომხური არაბული „სურინჯან“-ისაგან მომდინარეობს. მაგრამ მისი განსაზღვრით, იქ ეს სახელი თითქოს *Colchicum autumnale*-ს, *Herbstzeitlose*-ს ჰნიშნავდა (Arm. Gr. I, 277), რომელსაც ქართულად ენძელა და ხლებუზა ჰქვიან (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 16, § 243).

სონიჯი ბაიზანიარ მცენარეთა *Ranunculaceae*-თა ოჯახს ეკუთვნის, ერთწლიანია და თავისი თესლით არის საყურადღებო. ამ თესლს სურნელოვანება აქვს და ამის გამო მას ისევე ხმარობენ, როგორც ზირას. ამიტომ ზოგ ქვეყანაში სონიჯის მოყვანას ეხლაც ფართოდ მისდევენ იმავე მიზნით, რომლისათვისაც ზირას სთევენ (იხ. I. Becker, *Gemüsebau*, 290—291 და *Vilmorin-Andrieux*, *Les plantes potagères*, 468).

Nigella sativa L. Boissier-ს FO-ის ცნობით (I, 68) ჯერჯერობით იმიერკავკასიის სტავროპოლის ყ. გუბერნიაშია ნაპოვნი. კახეთში და სომხეთში *Nigella Armena* Stev. არის, ხოლო *N. Arvensis* და *N. Orientalis* იმიერკავკასიაშია (Boissier, FO, I, 65 და 69-ის მიხედვით: Н. Липский, ФК, 201).

სონიჯი ძველ ებრაელებს ჰყვარებდათ ისევე, როგორც მათმეზობლებსაც. გავრცელებული ყოფილა კართაგენშიც, საითგანაც Hehn-ის აზრით სონიჯის სახელი *gith* ანუ *git* რომაელებსაც უნდა ჰქონდეთ შეთვისებული (*Kpf. u. Ht.*, 209—210).

თუ რამდენად ფართოდ იყო სონიჯი ძველ-საქართველოში გავრცელებული, ანდა სად და რამდენად არის ეს მცენარე თანამედროვე საქართველოში, ამაზე ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება.

ამ მცენარის ძველი სახელის სონიჯის შერჩენა და დანარჩენი ზემომოყვანილი სახელების არსებობა მაინც იმის მომასწავებელია, რომ ეს მცენარე მართლაც ძველად კი არა, არამედ შემდეგშიც ყოფილა საქართველოში გავრცელებული.

თავი IX. ქინძი

„ქინძი“ უძველეს ქართულ ნათარგმნ ძეგლშივე გვხვდება და ეს საშუალებას გვაძლევს მისი ბერძნულ-ლათინური შესატყვისობა გამოვარკვიოთ და ბოტანიკური რაობა გავიგოთ.

„ქინძი“ დაბადების ქართულ თარგმანში გვხვდება გამოსლ., 16₁₄-ში („წული-ლი ვითარცა ქინძის თესლი“) და რიცხუთა, 11₇-ში („მანანა იგი იყო, ვითარცა ქინძის თესლი და სპეტაკ“) ბერძნ. კორიონ-ის *κόριον*-ის, ლათინ. *coriandrum*-ისა და სომხ. *հինձ*-ის „გინძ“-ის შესატყვისად. ებრაულად ამ მცენარეს ეწოდებოდა „გად“. ხოლო ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონის მიხედვით ქინძი არაბულს „ჯლჯლონ“-სა და სპარსულ „გიშის“-ს უღრის (აქვე, გვ. 155).

რაკი ქინძი ლათინური *coriandrum*-ის შესატყვისობა ყოფილა, მაშასადამე, ბოტანიკურად *Coriandrum sativum* L.-ს ქართულ სახელად უნდა მივიჩნიოთ. ასევე აქვს მისი რაობა რ. ერისთავსაც ლათინურად განსაზღვრული, რუსულ შესატყვისობად *кишнец*-ი აქვს დასახელებული (ბოტ. ლექსიკ., 62, § 881).

ქინძი მარტო დაბადების თარგმანში არ არის ნახმარი, არამედ შემდეგი საუკუნეების ძეგლებშიც. მაგ., ქინძი „სააქიმო წიგნი“-ს ხოჯა-ყოფილის ქართულ თარგმანშიც გვხვდება (იხ. ხელთნ., გვ. 119). იქვე „ულბო“-ც არის მოხსენებული, რომელიც, ამ ძეგლის ტერმინოლოგიის განმმარტებელის ცნობით, „გარეული ქინძი“-ს სახელი ყოფილა (Опис., I, 684). პლინიუს მცირე ამტკიცებდა, რომ გარეული ქინძი არ არსებობს („Coriandrum inter silvestria non invenitur“: Natur. hist., lib. 20, cap. 82, § 1). რასაკვირველია, ეს მხოლოდ იმას ჰნიშნავს, რომ რომელიც ბუნებისმეტყველს გაჩეული ქინძის ადსებობა არ სტოდნია.

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში ქინძი-ცა და ულბო-ც შეტანილი აქვს, მაგრამ მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნით, განუმარტავად.

ქინძი. *Coriandrum sativum* L. ქოლგოსანთა ოჯახს ეკუთვნის. მის სამშობლოდ Schweinfurth-ს ასურეთი მიაჩნია. Boissier-ს (FO, II, 920) მიხედვით, ქინძი *Coriandrum sativum* L. ამიერკავკასიაშიც გვხვდება ველურად (Н. Липский, ФК, 321). უკვე ძველ ეგვიპტელებს უხმარათ ქინძი მსხვერპლშემწირველობისა და მიცვალებულთან ჩაატანებელი საკმლისათვის. იეროგლიფურ დამწერლობაში ქინძს სახელად *ounshavu* (*Wenshivu*) ჰქმევია, მის თესლს კი თურმე *ounshi* ეწოდებოდა (I. Pecker, *Gemüsebau*, 856). ებრაულად, როგორც დავრწმუნდით, ქინძს გად-ს ეახდენ.

პლინიუს მცირეს ქინძი, როგორც აღნიშნული გვექონდა, მხოლოდ შინაური ეგულებოდა, გარეული არ არსებობსო. კულტურულ ქინძთაგან საუკეთესოდ თურმე ეგვიპტური ქინძი ითვლებოდა. საგულისხმოა, რომ ამ რომელიც მეცნიერს ქინძის მხოლოდ სამკურნალო და საღებუნებელი თვისებებზე აქვს საუბარი და ეს მწვანელი რომ სახელგადაც ნახმარი ყოფილიყოს საკმელში, ამაზე პლინიუსს ერთი სიტყვაც კი არსად მოეპოვება. მისი ცნობით ნედლი ქინძი გამაგრილებელია: „*vis magna ad refrigerandos adores viridi*“ (იხ. Natur. hist., lib. 20, cap. 82, § 1).

უეჭველია, ქინძის კულტურა რომელიც ბერძნებისაგან უნდა ჰქონოდათ შეთვისებული. ამას ის გარემოებაც ამყარებს, რომ ქინძის ლათინური სახელი *coriandrum* ბერძნულია. ხოლო ბერძნულად „კორის“ ბაღლინჯოს, მცენარის ბაღლინჯოს ჰნიშნავს. „კორიანდრონი“-ი კი მამალ ბაღლინჯოს ჰნიშნავს. ფიქრობენ, რომ ამ მწვანის ასეთი სახელი ბერძნებმა იმიტომ უწოდეს, რომ ნედლ ქინძს მართლაც მცენარეული ბაღლინჯოს სუნი გადაჰკრავს (E. Boisacq, *Dict. étym. de la Langue grecque* 439, —I. Becker, *Gemüsebau*, 856 და *Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères*, 208). ასეთი სახელწოდება ცხადყოფს, რომ ბერძნებსა და რომელიც ქინძი ვერაფრად მოსწონებიათ. იმიტომ არც გასაკვირველია, თუ პლინიუსი ქინძის საკმელში ხმარებაზე არას ამბობს.

ქინძის კულტურა დასავლეთ ევროპაში იტალიითგან უნდა იყოს შესული, რასაც ამ მწვანის-სახელების იქაური სახელებიც ამყარებენ: ყველას ლათინური კორიანდრომისაგან ნაწარმოები სახელი აქვთ (*la coriandre, der Koriander, coriandro* და სხვ.). მხოლოდ რუსებსა აქვთ *кишнец*, რომელიც ოსმალეთის გზით, სადაც „*kisnis*“ იხმარება, სპარსულითგან მომდინარეობს.

სპარსელები, ფ. გორგიჯანიძის ცნობით. ქინძს XVII ს. „გიშის“-ს ეძახდენ. ეხლა კი ამავე მწვანილის სახელად სპარსულში کَشَبِج , گَشَبز کَشَبِز , کَشَبش کَشَبِيز , ქიშნიშ, ქიშნიზ, ქიშნიჯ-ს (Zenker-ის ლექსიკ.) ხმარობენ.

ქინძის კულტურის არსებობას დასაველეთ ევროპაში კარლოს დიდის Capitulare ამტკიცებს, სადაც Coriandrum მოხსენებული არის (I. Becker. Gemüsebau, 856).

დასაველეთ ევროპაში ქინძის თესლს დიდი მნიშვნელობა აქვს: მას სანელებლადაც ხმარობენ და სურნელოვანი ლიქიორების დასამზადებლადაც. Vil-morin-Andrieux ამბობს: ზოგიერთ ავტორს ნელლი ქინძის ფოთლების სანელებლად ხმარებაზეც აქვს ცნობები; მაგრამ მას ასეთი რამ გასაოცრად მიაჩნია, რათგან ნელს ქინძს მცენარეული ბალნიჯოს ძლიერი სუნი აქვს (Les plantes potagères, 208).

ფრანგი აგრონომის სამართლიანი გაოცებისდა მიუხედავად, საქართველოში, სომხეთში და საერთოდ მთელ მახლობელ აღმოსავლეთში სანელებლად სწორედ ნელს ქინძს ხმარობდენ და ხმარობენ ეხლაც. მაგრამ საქართველოში მას შედარებით ნაკლებ უშვრებიან და ბავშვებს არიდებენ, რათგან ქინძი გულისყურს უფუჭებსო.

ამ მწვანილის ქართული სახელი, რომელიც ბერძნულ-ლათინურისაგან სრულეებით განსხვავდება, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ქინძის კულტურა საქართველოში დასაველეთთან არ ყოფილა დაკავშირებული.

ყველაზე მეტად ქართული ქინძი და სომხური გინძი-ი უახლოვდება ერთმანერთს. უეჭველია იმავე წყაროთგან, საითგანაცაა ქართული და სომხური სახელები, სპარსული „გიშის“ და ქიშნიზ-ი და დანარჩენი მათი სახენაცვლებიც უნდა მომდინარეობდენ. ქართულ-სომხურთან შედარებით სპარსულს მხოლოდ შუა თანხმოვანთა „შნ“ ადგილმონაცვლება ახასიათებს „ნძ“-ს, ან მოსალოდნელი „ნშ“-ს მაგიერ. ცხადია, რომ ქართულ-სომხური „ქინძი“-სა და „გინძ“-ის წარმომშობი სპარსული გიშის-ი ან ქიშნიზ-ი ვერ იქმნებოდა. მათ მხოლოდ საერთო ძველი წყარო უნდა ჰქონოდათ, რათგან სამივეს თავკიდური „გ“, ან „ქ“ თანხმოვანი ანათესავენ.

თუ ცნობა, რომ ძველ ეგვიპტურში ქინძს „ვენზპივე“, თუ ვენშივე ეწოდებოდა, მცდარი არ არის, მაშინ შესაძლებელია, რომ ქართული ქინძი და სომხური გინძ ამ ეგვიპტურ სახელთან იყოს დაკავშირებული. ქინძის თესლის სახელს ბოლოკიდური მარცვალი ვუ ჩამოცილებული აქვს (იხ. აქვე, გვ. 250), მაშასადამე, ის ძირეული არ უნდა იყოს. ამგვარად გვრჩება „ვენზპი“. თუ გავიხსენებთ, რომ ძველ ქართულში თავკიდური „ვ“ ხშირად „გვ“-სა და „გ“-დ იქცევა ხოლმე (მაგ., ვასპურაკანი — გვასპურაკანი), მაშინ ცხადი გახდება, რომ ვენზპი შესაძლებელია ქართულად გვენზპი და გენზი-დ ქცეულიყო, რომელიც რეგრესიული ასიმილაციის წყალობით შემდეგ გინზ-ად, რომელიც სომხურშია დაცული, და მერმე თავკიდური თანხმოვნის გაასპირატების გზით ქინზ-ად ქცეულიყო ისევე, როგორც ქართულ ქინძ-ში გვაქვს.

თუ ზემომოყვანილი მოსაზრება გამართლდა, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ ქინძის კულტურა ქართულ სასოფლო მეურნეობაში ძველის-ძველი უნდა იყოს, ეგების იმ ხანისაც კი, როდესაც ჩვენი წინაპრები ჯერ კიდევ კავკასიაში საბოლოოდ გადმოსახლებულნი არ იყვნენ.

თავი X. ოხრახუში

§ 1. ცნობები ოხრახუშისა და მაკიდონზე, მათი ბოტანიკური რაობა

საქართველოში გავრცელებულ მტილელთა შორის ვახუშტს ოხრახუში-ც აქვს დასახელებული (იხ. აქვე, გვ. 154). შეტანილი აქვს ამ მწვანლის სახელი ქართველ ლექსიკოგრაფსაც.

ს. ორბელიანის განმარტებით „ოხრახუში“ და „მაკიდონი“ ერთიდაიმავე მცენარის სახელია: „მაკიდონი ოხრახუში“-ა და „ოხრახუში მაკიდონი“-აო, ნათქვამი აქვს ლექსიკონში. მაგრამ ვახუშტს „ოხრახუში“ და „მაკედონი“ (sic!) ცალ-ცალკე აქვს საქართველოში გავრცელებულ ბოსტნეულობის სიაში მოყვანილი. ეს გარემოება ამ ორი სახელის სრულ იგივეობას საეჭვოდ ჰხდის.

ამას ისიც უნდა დაერთოს, რომ ვახუშტს „პეტრუშკა“-ც კი აქვს დასახელებული (იხ. აქვე, გვ. 154). უკანასკნელი სიტყვა ამ მწვანლის რუსულ სახელს წარმოადგენს და საფიქრებელია, რომ იგი რუსეთში ყოფნის დროს უნდა ჰქონდეს ვახუშტს შეთვისებული, ამიტომ შემთხვევითი ჩანართის მსგავსად უნდა მივიჩნიოთ.

რ. ერისთავს ამ მწვანლის თანამედროვე 4 სახელი აქვს მოყვანილი. ამათგან ოხრახუში აღმოსავლეთ საქართველოში და იმერეთ-გურიაში მიღებულად აქვს აღნიშნული, „მალდანოზი“ მარტო ამერეთისა, ხოლო „მაკიდონი“ და „მაკინდოლი“ მთელ დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ სახელად (ბოტ. ლექსიკ., გვ. 45, § 659). იოს. ყიფშიძეს მაკინდოლის გარდა „მაკინდოლი“-ც აქვს დიალექტური ფორმის სახით აღბეჭდილი (მ. გ.).

ჭანები ოხრახუშს სულ სხვა სახელებს უწოდებენ. იქ ამ მწვანლის სამი-ოთხი სახელი ჰქონია: „მეროგა“ (ათინ.) და „მერგა“ (ვიწ.), — „ლარამწო“ (ვიწეს სოფლებში), რომელიც „ლარამსო“-დაც გამოითქმის იოს. ყიფშიძის ჩანაწერის თანახმად (იხ. ნ. მარტის ჯ. გ., გვ. 200-ზე ფანქრით მინაწერი), — „კიკამი“ (ხოფ.) და იოს. ყიფშიძის ცნობით „მაკიდონელი“-ც (იხ. იქვე, გვ. 225, ფანქრით მინაწერი).

სვანები ამ მწვანლის „ოხრახვიშ“-ს უწოდებენ (ივ. ნიქარაძის p.-c. სლ.: петрушка).

ოხრახუში, მალდანოზი და მაკინდოლი, რ. ერისთავის განსაზღვრით, ბოტანიკურად წარმოადგენს *Apium Petroselinum L.*-ს. რუს. петрушка-ს (ბოტ. ლექსიკ., 45, § 659).

ად. როლლოვს ოხრახუში იმერულ სახელად, ნიახური და მაკიდონი ამერულად, მალდანოზი გურულად, მაკინდოლი მეგრულად და სონა აბნახურად აქვს აღნიშნული. ყველა ეს სახელი ერთიდაიმავე მწვანლის, მისი აზრით, სახელდობრ *Apium graveolens L.*-ს, რუს. сельдерей-ს აღზნიშნულად მიაჩნია (ДРК, 45). საითგან აქვს ამოღებული როლლოვს ცნობა თითქოს ნიახური და ოხრახუში ერთიდაიმავე მცენარის სახელი იყოს ქართულში, არა ჩანს. რ. ერისთავს, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, სულ სხვა აზრი აქვს გამოთქმული და მართალიც ის უნდა იყოს.

ქოლგოსანთა ოჯახის მცენარე ოხრახუში, *Petroselinum sativum Hoffm.*, აგრეთვე *Apium Petroselinum L.*-დ და *Carum Petroselinum Beuth. et Hook.*-დ

წოდებული ველურად ხმელთაშუა ზღვის აუზის არეებში იზრდება ესპანეთიდან მოყოლებული საბერძნეთამდე, თესალიასა და მაკედონიაში ისევე, როგორც ალ-ჟირშიც. ამ მწვანელს წყაროსთან მდებარე ქვიანი ადგილები უყვარს (I. Becker, Gemüsebau, 844).

§ 2. ოხრახუმის კულტურა უცხოეთში

ოხრახუმში ორწლიური მცენარეა, რომელმაც აყვავება და თესლობა ორ წელიწადში ერთხელ იცის. ამ მცენარეს ჩვენში მწვანელადაც სკამენ და საწვებლადაც ხმარობენ სხვადასხვა საკმელში ისევე, როგორც წნილის ჩადების დროს. ასევეა სხვა ქვეყნებშიც (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 503).

I. Becker-ის სიტყვით დიოსკორიდეს ოხრახუმზე, petroselinon-ზე, მოეპოვება ცნობა¹. პლინიუს მცირე ამ მწვანელზე ცოტას ლაპარაკობს, დახასიათებული აქვს მისი, apium sativum-ის, ფოთლების და ღეროს ისევე, როგორც ძირის ნიშან-დობლივი თვისებები (Natur. hist., lib. 19, cap. 37).

ამ მწვანელის სახელი ბერძნულია და რომაელებს ბერძნებისაგან შეუთვისებიათ, ამათგან კი მთელ დასავლეთ ევროპას, რომლის ხალხთა უმრავლესობას ამ მცენარისათვის განკუთვნილი სახელი petroselinum-ისაგან აქვთ ნაწარმოები. იტალიელნი petroselino, petroseolo, petrosillo-ს, მაგრამ ვენეციელნი petrosimbolo-ს ეძახიან, გერმანელები მას die Petersilie-ს უწოდებენ, ფრანგები persil-ს, რუს. პეტრუმკას და სხვ. (I. Becker, Gemüsebau, 844).

ამ ბერძნულ-ლათინური სახელისაგან სრულებით დამოუკიდებელი სახელი აქვს ოხრახუმს ახალ ბერძნულში და ოსმალურსა და არაბულში. თანამედროვე ბერძნები ამ მწვანელს: „ჰო მაინტანოს“-ს (ho Maintanós), ანდა პელაზგურად „მაიდანო“-ს (Maïdanó) უწოდებენ (I. Becker, Gemüsebau, 844).

ოსმალელებსაც ოხრახუმისათვის სახელად აქვთ مغذوس „მაღდანოს“. „მაღდანოს“-საც Ma'denos ماذنوس , ماذنوس , ماذنوس ეძახიან (იხ. Zenker-ის ლექსიკ.). ამავე სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული თანამედროვე არაბეთ-ასურეთში ოხრახუმისათვის მიღებული სახელი „bakdunis“-იც (იხ. I. Becker, Gemüsebau, 844).

§ 3. ოხრახუმის კულტურის სადაურობა საქართველოში ამ მწვანელის ქართული სახელების სადაურობის მიხედვით

საკმარისია გავიხსენოთ, რომ ოხრახუმს აღმოსავლეთ საქართველოში მაღდანოზიც ეწოდება, რომ ამ სახელსა და ოსმალეთ-საბერძნეთში ამ მწვანელის სახელის იგივეობა ცხადი შეიქმნეს. საფიქრებელია, რომ ქართული უფრო ოს-

¹ I. Becker-ს დასაბუთებული აქვს mat. med. 1. 3, c. 70 (Gemüsebau, 844), მაგრამ ამ დამოწმების სისწორე შესამოწმებელია, რათგან პლინიუსის მისმა დამოწმებამ „hist. nat. 1. 20, c. 12“ (იხ. Gemüsebau, 844) დამარწმუნა, რომ ციტატებში შეცდომები ჰქონია შეპარული, რაც სხვა შემთხვევებშიც ემჩნევა.

მალურითგან უნდა მომდინარეობდეს, ვიდრე წინაუქმო. ამასთანავე, რაკი მალდანოზი დასავლეთ საქართველოში არ იხმარება, არამედ ამერთშია მხოლოდ გავრცელებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს სახელწოდება უნდა მესხეთის გზით იყოს შემოსული.

მალდანოზი არც ს. ორბელიანს და არც ვახუშტს არ მოეპოვებათ და ეს გარემოება შესაძლებელია ამ სიტყვის გვიანი შემოსულობის მომასწავებელი იყოს.

სამაგიეროდ, როგორც დავრწმუნდით, ს. ორბელიანს მაკიდონი, ვახუშტს კი მაკედონი აქვთ. ოხრახუმის ეს სახელი ეხლაც არის მთელ დასავლეთ საქართველოში დაცული „მაკიდოლი“-სა, „მაკიდოი“-სა და „მაკიდო“-ს სახით. საყურადღებოა, რომ მისი უფრო მკაფიო კვალი ჭანურშიც კია შენახული, სადაც ოხრახუმს „მაკიდონელი“-ც ეწოდება.

უეჭველია, ჭანურს მწვანილის ამ სახელწოდების პირვანდელი სახე ყველანაღ უკეთესად დაუცავს: მას „მაკიდონელი“ ჰქმევია. საბასა და ვახუშტისაგან ამ სიტყვის აღბეჭდილი სახე უკვე ბოლომოკვეცილია: მაკიდონი, მაკედონი. ამასვე უდგება თანამედროვე მაკედოლი, რომლის კვლავ, ან ბოლოკიდურ მარცვალ-ჩამოცილებულ, ან „ლ“-ს გაჭრობით წარმომდგარ სახედ მაკიდო უნდა იქმნეს მიჩნეული.

ამნაირად ირკვევა, რომ ოხრახუმის საქართველოში მიღებული მეორე სახელი ამ მწვანილის სადაურობის აღმნიშვნელი ყოფილა: მას მაკედონელი და მაკიდონელი ჰქმევია. უეჭველია, პირველი ამათგანი უფრო ძველია, მეორე მერმინდელი.

რაკი ოხრახუში, როგორც აღნიშნული იყო (აქვე), მაკედონიაში ეხლაც ველური მცენარეა და ამნაირად ამ მწვანილის ერთ სამშობლოთაგანად სწორედ ეს ქვეყანაც უნდა იქმნეს მიჩნეული, ამიტომვე უნდა იყოს, რომ ოხრახუმს მაკედონელი მწვანილის სახელი დაჰქმევია.

ოსმალური მალდანოს და მაგდენოს, საფიქრებელია, ბერძნულ μαχιδονς „მაკედნოს“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ეს სიტყვა ძველ ბერძნულში მაღალსა და აღერებულსა ჰნიშნავს და მაკედონელთა სახელთანაც არის დაკავშირებული. ოხრახუმის ბერძნული თანამედროვე სახელი ისევე, როგორც არაბულიც იმავე ბერძნულის ანარეკლს წარმოადგენს, მაგრამ, საფიქრებელია, უკვე ოსმალურის საშუალებით მიღებულს. ლიხთ-ამერთში გავრცელებული სახელი მალდანოზი, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, იმავე ოსმალურთან არის დაკავშირებული.

ქართულ ოხრახუმს თვისტომნი არსად უჩანს, არც რაიმე ეტიმოლოგიის წამოყენებაა შესაძლებელი. ამიტომ, ქართულია ეს სახელი, წარმოადგენს თუ არა უცხო სტუმარს, ეს ჯერ კიდევ გამოსარკვევია. რაკი ოხრახუში, აღმოსავლეთ საქართველოს გარდა, იმერთსა, გურიასა და სვანეთშიც არის გავრცელებული, ამიტომ ეს სიტყვა ქართულში საკმაოდ ძველი უნდა იყოს, საფიქრებელია, მაკედონზე აღრინდელი მაინც იქმნება. მაგრამ მისი კვალი არც მეგრულსა და არც ჭანურს უჩანს, ამიტომ ოხრახუში, ალბათ, იმ მწვანილთა ჯგუფს არ უნდა ეკუთვნოდეს, რომელიც ყველა ქართველ ტომს უძველესი დროითგანვე ჰქონდათ.

ამ მწვანელის ორი-სამი სახელის არსებობა, რომელთაგან ერთი სადაურობის გამომხატველია, გვაფიქრებინებს; რომ ოხრაახუშის კულტურის ერთი ნაკადი ჩვენში დასავლეთითგან, სახელდობრ ჯერ მაკედონიითგან, შემდეგ ოსმალეთითგან მომდინარეობდა. ამასთანავე შესაძლებელია, რომ ახალ სახელთან ერთად ამ მწვანელის ახალი ჯიში, ან სახეობა იქმნა შემოტანილი საქართველოში, რასაც ჯერ შემოწმება და გამორკვევა სჭირდება.

საგანგებოდ უნდა შესწავლილი იყოს ქანურ მეროგა-ს და ღრამწო-ს, ანუ ღრამსო-ს სადაურობა და რეალური, ბოტანიკური რაობა.

თავი XI. ნიახური

§ 1. ნიახურის შესახები ცნობები და მისი რაობა

ნიახური ქოლგოსან მცენარეთა ოჯახს ეკუთვნის, ორწლიურია და ფართოდ არის გავრცელებული. ეხლანდელი კულტურული ნიახურის წინაპრად ველური ნიახური *Apium graveolens L., var. silvestre Alef.* ითვლება. ეს ველური ნიახური ხმელთაშუა ზღვის აუზის მთელ არეში და ჩრდილო ევროპაშიც ხაშურებზე იზრდება. ამნაირად შვეციითგან მოყოლებული ალჟირ-ეგვიპტე-აბაშეთამდე და კავკასიითგან დაწყებული ბელუჯისტანამდე გარეულ ნიახურს ადამიანი ყველგან შეჰხვდება (I. Becker, Gemüsebau, 806).

ნიახური ძველ საქართველოშიც იყო. ჯერჯერობით პირველად „ნიახური“ „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის ქართულ თარგმანში გვხვდება. „ნიახურის წყალი“ წამლად არის იქ გამოყენებული (ხელთნ., გვ. 155—156). ხოლო საბას ეს სიტყვა მარტო მცენარის პირობითი ნიშნით შეუმკია უგანმარტებოდ. (ლექსიკ.). ვახუშტის თხზულებითგან კი ჩანს, რომ ეს მწვანელი საქართველოში გავრცელებული ყოფილა (აქვე, გვ. 154).

რ. ერისთავს „ნიახური“ ამ მწვანელის აღმოსავლეთ საქართველოში და იმერეთ-გურიაში მიღებულ სახელად აქვს აღნიშნული, სამეგრელოში მას თურმე „სონა“-ს უწოდებენ (ბოტ. ლექსიკ., 43, § 630). იოს. ყიფშიძეც ამას ადასტურებს (მ. გ., 319).

ნიახური და სონა ბოტანიკურად *Apium graveolens L.*-ს, რუს. сельдерей-ს წარმოადგენს (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 43, § 630).

§ 2. ნიახურის კულტურის მიმოხილვა უცხოეთში

ნიახური უკვე ძველ ეგვიპტეში იყო ცნობილი და ფართოდაც ყოფილა იქ გავრცელებული. Schweinfurth-მა ერთ სამარხში მუშის ყელზე მცენარეებისაგან გაკეთებულ ყელსაბამში გარეული აყვავებული ნიახურის ყლორტ-ფოთლებიც აღმოაჩინა.

საბერძნეთში ნიახური, „სელინონ“, უკვე ჰომეროსის ოდისეაში იხსენიება. ეს მწვანელი თეოფრასტეს ბუნებისმეტყველებაშიც არის ნახსენები. დიოსკორიდე უკვე ამ მცენარის ორს, გარეულსა და შინაურ სახეობას, არჩევს.

პლანიუს მცირესაც აღნიშნული აქვს გარეული ნიახური, რომელიც ნოტიო ადგილებში თავისით იზრდება და რომელსაც ის *helioselinum*-ს ჰელიოსელინუმს უწოდებს (*Natur. hist.*, lib. 19, cap. 37)⁷—მას *Apium graveolens* L.-ს შესატყვისობად სთვლიან, — და *petroselinon*-ი, შინაური *Apium sativum*, რომელზეც უკვე გვქონდა ოხრახუშზე მსჯელობის დროს საუბარი. ამნაირად, პლანიუსი ნიახურს ველურ მცენარედ, ოხრახუშს კი შინაურ სახეობად სთვლიდა.

I. Becker-ი და სხვები ფიქრობენ, რომ ძველ ეგვიპტეს, საბერძნეთსა და რომში ნიახურს უმთავრესად მიცვალებულის გვამის შესამკობად და სურნელების მისანიჭებლად ხმარობდნენ (*Gemüsebau*, 806).

ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში ნიახური, როგორც ეტყობა, უძველეს ხანაში უცნობი მცენარე უნდა ყოფილიყო: დიროვან ნაშენობათა განათხარში ამ მწვანილისა ჯერჯერობით არავითარი კვალი არ არის აღმოჩენილი. საფიქრებელია, რომ მისი კულტურა იქაურ ხალხებს რომაელებისაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. ამას ევროპაში გავრცელებული სახელებიც ადასტურებენ, რომელნიც უმეტესად, ან *apium*-ის, ან ბერძნულის ანარეკლს წარმოადგენენ. ბერძნები ნიახურს „ტო სელინონ“⁸-ს უწოდებენ, იტალიელნი *sedano*, *sellino* და *apio*-ს, ფრანგები *céléri*-ს და *api*-საც (სამხრეთ საფრანგეთში), გერმანელები *der* ანდა *die Sellerie*, *Aepich*, *Eppe*-ს, ჰოლანდიელები *selderie*, რუს. *сельдерей* „სელდერეი“ და სხვ. (I. Becker, *Gemüsebau*, 805—806 და *Vilmorin-Andrieux*, *Les plantes potagères*. 74).

უკვე კარლოს დიდის *Capitulare*-ში გვხვდება *Apium* ნიახური დი შემდეგ-დროინდელ ძეგლებშიც მოიპოვება (I. Becker, *Gemüsebau*, 806).

სულ სხვა ძირის სიტყვაა არაბულში ნიახურის სახელად გამოყენებული. არაბები ნიახურს „ქერეფს“ *كرفس* უწოდებენ, რომელიც ხალხში „ქერეფიზ“-ადაც გამოითქმის (Zenker-ის ლექსიკ.). უკვე არაბთა XIII ს. ბოტანიკოსს იბნ ალავემს მოეპოვება ნიახურზე ცნობა და თვით ეს არაბული სახელიც (I. Becker, *Gemüsebau*, 806).

§ 8. ნიახურისა და სონას კულტურის სადაურობა საქართველოში

ამ მწვანილის ზოგადი ქართული სახელი ნიახური, როგორც ზემომოყვანილითგანაც ცხადი იქმნებოდა, არც ერთს სხვა ენაში არსებულ სახელს, მათ შორის არაბულსაც, არ მიაგავს. ამის გამო საფიქრებელია, რომ მისი კულტურა საქართველოში არც საბერძნეთ-რომთან და არც არაბებთან დაკავშირებული არ უნდა ყოფილიყო.

ერთი შეხედვით ასევე განმარტოებული და უთვისტომო სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენს სამეგრელოში ნიახურისათვის მიღებული სახელი სონა. მაგრამ, თუ ადამიანი მას ამ მწვანილის ბერძნულ სახელს შეადარებს, შესაძლებელია აზრი წამოიჭრას, მეგრული სიტყვა ბერძნულის შორეულ გამოძახილს

⁷ I. Becker-ის *Gemüsebau*-ში დასახელებულია *Natur. hist.*, lib. 19, c. 7, რაც კორექტურული შეცდომა უნდა იყოს.

ხომ არ წარმოადგენს? რაკი ბერძნები ნიახურს „სელინონ“-ს უწოდებდენ და უწოდებენ ეხლაც, პელაზგურად კი სელინე ჰქვიან, იქნებ მეგრული სონა ამავე ბერძნული სახელისაგან არის წარმომდგარი ფონეტიკურ ცვლილებათა წყალობით? ეს მოსაზრება რომ გამართლდეს, მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ ეს სახელი თუ უფრო ადრე არა, ლაზიკაში ბიზანტიის ჰეგემონიის ხანაში მაინც უნდა იყოს შემოსული.

თავი XII. ტეგანი და ტარხუნა

§ 1. ტეგანი

ქართული წყაროებითგან არა ჩანს, თუ რამდენად გავრცელებული იყო ძველ საქართველოში ტეგანი. ვახუშტს ეს მწვანელი ჩვენში გავრცელებულ მტილეულთა სიაში არა აქვს შეტანილი. ს. ორბელიანის ქვემომოყვანილი ჩივილი ცხადპყფს, რომ XVII ს-ში ისეთმა განათლებულმა პირებმაც, როგორც თვით საბა იყო, ტეგანის რაობა არ იცოდენ. ამის გამოსარკვევად მას ხალხში ცნობების შეკრებაც, როგორც ჩანს, არ შეეძლო და იძულებული იყო ეს საკითხი წერილობითი, ნათარგმნი ძეგლების დახმარებით გამოერკვია.

„ტეგანი“ ოთხთავის თარგმანში გვხვდება (ლუკა, 11₄₂-შ-მ და სხვ.) და უდრის ბერძნულს ტო პეგანონ-ს τὸ πηγανόν-ს, ლათინურს ruta-ს და სომხურს ფეგანან-ს *փեգանան*-ს. ლეტერს Răute აქვს ნახმარი.

ს. ორბელიანი ფიქრობდა, რომ „ტეგანი“ იგივე „ტარხუნა“ არის, მაგრამ ამასთანავე ჩივის, რომ შედარებითმა შესწავლამ ვერა უშველა რა, რათგან „ბერძნულში სხვა მხალი სწერია და ლათინურში სხვა და სომხურში სხვა“-ო (ლექსიკ.), რაც სწორე არ არის.

დამახასიათებელია, რომ საბას აზრით „ტარხუნა“ სხვათა ენაა, ქართულად ტეგანი ჰქვან“-ო (ლექსიკ.). მაგრამ უეჭველია „ტეგანი“-ც ქართული არ არის, არამედ ამავე მცენარის დამახინჯებული ბერძნული სახელი „კეგანონ“-ია. სადაურ სიტყვად მიაჩნდა „ტარხუნა“, ს. ორბელიანს ნათქვამი არა აქვს.

რ. ერისთავსაც ტარხუნა და ტეგანი სინონიმები ეგონა, მხოლოდ, დასახელებულ ფორმებს გარდა, „ტალხუნა“-ც აქვს მოყვანილი, რომელიც ქართლ-კახეთსა და იმერეთ-გურიაშიაო გავრცელებული. მაგრამ უცნაური ეს არის, რომ ერთი მხრით ნათქვამი აქვს, ტარხუნა და ტეგანი ბოტანიკურად *Artemisia dracunculus* L., რუს. эстрагон-ი არისო, მეორე მხრით სწერია, რომ ტეგანი არის *Ruta angustifolia* Pers., რუს. пиран (ბოტ. ლექსიკ., გვ. 55, § 774 და 776).

ად. როლლოვი რ. ერისთავის პირველ განსაზღვრას ემხრობა (ДРК, 52).

ნამდვილად კი, როგორც ოთხთავის ზემომოყვანილი ადგილითგან ჩანს, ტეგანი სწორედ *Ruta* არის, ამასთანავე *Ruta graveolens* L., რომელსაც ფრანგები *rue officinale*-ს, გერმანელები *die Weinraute*-ს უწოდებენ.

ტეგანი მცენარეთა ტეგანნაირთა, Rutaceae-თა ოჯახს ეკუთვნის, სამხრეთ ევროპაში გადმონერგილ-გაშინაურებულია და ქვიან ბორცვებზე და ძველ ნასახლარ ადგილებში ხარობს, მზვარე და ღონიერი მიწა უყვარს. ტეგანის ფოთლებში უხვად მოიპოვება ეთეროვანი ზეთი, თვით ფოთლებს კი ცხარე გემო აქვთ და მომწაროა (I. Becker, Gemüsebau, 764—765).

§ 2. ტეგანის კულტურა უცხოეთში და ჩვენში

ტეგანი, როგორც დავრწმუნდით, უკვე ოთხთავშივე მოხსენებული კულტურული ბოსტნეულია, საბერძნეთ-იტალიაშიც ცნობილი იყო. დასავლეთ ევროპაშიც ყოფილა გავრცელებული. კარლოს დიდსაც აქვს მოხსენებული Ruta ისევე, როგორც Walafrius Strabus-საც. მოკყავდათ ტეგანი IX ს. სამონასტრო სამკურნალო მცენარეების წალკოტშიც (I. Becker, Gemüsebau, 765).

არაბთა ბოტანიკოსს იბნ ალ-ავეამ-საც „ჭიგან“-ის სახელით ტეგანი მოხსენებული აქვს, იბნ ბაიათარი კი მას „საბზსაბ“-ს უწოდებს (იქვე, 765).

დამახასიათებელია, რომ პლინიუს მცირეს ტეგანზე, Ruta-ზე ბევრი აქვს დაწერილი, მაგრამ ის ამ მცენარის თითქმის მხოლოდ სამკურნალო თვისებებზე ლაპარაკობს, რომელი მცენარის სიტყვით, ტეგანს მზვარე, მშრალი ნიადაგი უყვარდა, ნოტიობისა და სიცივისაგან კი ზიანდებოდა (Natur. hist., lib. 19, cap. 45).

იტალიაში გავრცელებული ყოფილა რატომღაც რწმენა, ვითომც მოპარული ტეგანი უფრო უკეთესადაც ხარობდეს და უფრო ნაყოფიერიც იყოს (იქვე, lib. 19, cap. 37)¹.

პლინიუსის დროს ტეგანის ორი, გარეული და შინაური (ruta sativa, r. silvestris) ჯიში ყოფილა, რომელთაგან გარეული უფრო ძლიერ და ცხარე თვისებისად ითვლებოდა. თავისი სიძლიერით სხვებზე მეტად მაკლონური და მდ. ალიაკ-მონის სანაპიროების ტეგანი ყოფილა ცნობილი. პკთავორასის სიტყვით ტეგანი დედალიცა და მამალიც არსებობდა (Natur. hist., lib. 20, cap. 51, § 1 და 3).

რომაელთა ბუნებისმეტყველის ცნობითგან ჩანს, რომ ტეგანს პურს ატანდენ ხოლმე. მაგ., მოქანდაკენი და მხატვრები, — მაგრამ პკთავორასს თურმე ეს მწვანელი თვალებისათვის მავნებლად მიაჩნდა. საერთოდ მისი ბლომად ჰამა არ შეიძლებოდა, რათგან თურმე საწამლაის მსგავსად მოქმედებდა. მას უმთავრესად სამკურნალო თვისებები ჰქონია და ყოველგვარი შხამიანი ცხოველ-მწერების ნაკბენის მოსარჩენად კარგ და გამოსადეგ საშუალებად ყოფილა მიჩნეული. სხვადასხვა ავადმყოფობის დროსაც ხმარობდენ თურმე. მაგრამ მისი გამოყენება მორიდებით და სიფრთხილით იყო საჭირო (Natur. hist., lib. 20, cap. 51, § 1—10).

ამჟამად ტეგანს ნაკლებ ხმარობენ, უფრო გერმანიაშია მიღებული ბუტერბროდისათვის ცხარე წასაყრულად, წვნიანისა და თევზეულისათვისაც სანელებლად (I. Becker, Gemüsebau, 765). საფრანგეთში ტეგანს უმთავრესად წამლების დასამზადებლად ხმარობენ (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 647).

ზემომოყვანილითგან ცხადი უნდა იყოს, რომ საქართველოსთვის ეს მწვანელი უცხო მტილეულად უნდა იქმნეს მიჩნეული, რომლის მოყვანას ჩვენში ძველად მაინც მისდევდენ თუ არა, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

¹ „Rutam furtivam tantum provenire fertilius putant“. ასეთი რწმენა საქართველოში ტარხუნას შესახებაა გავრცელებული.

§ 8. ტარხუნა

როდის ჩნდება საქართველოში ტარხუნა, ჯერ დანამდვილებით არ ვიცით. არც ის ვიცით, თუ სად იხსენიება იგი პირველად. რაკი საბას ეს სახელი თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს, უეჭველია, კარგა ხნით XVII ს-ზე უწინარეს უნდა იყოს შემოტანილი. ვახუშტსაც საქართველოში გავრცელებულ მტილელულთა შორის ტარხუნაც აქვს დასახელებული (აქვე, გვ. 154).

ტარხუნას *Artemisia dracunculus* L.-ს სამშობლოდ ციმბირი ითვლება. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, თუ რომ პლინიუს მცირეს მისი ხსენებაც კი არ მოეპოვება.

ტარხუნას გერმანელები *Dragun*-ს ანდა *der Estragon*-ს ეძახიან,—ფრანგებიც *Dragonne*-ს, მაგრამ ჩვეულებრივ უფრო *Estragon*-ს ხმარობენ,—იტალიელები *Targone*-ს, *Dragone*-ს და *Dragoncello*-ს უწოდებენ. უნგრელები მის სახელად *tárkony-üröm*-ს ხმარობენ (I. Becker, *Gemüsebau*, 912 და *Vilmorin-Andrieux*, *Les plantes potagères*, 250):

უკვე კარლოს დიდის *Capitulare*-შია *Dragontea*-ზე, ტარხუნაზე საუბარი (I. Becker, *Gemüsebau*, 912).

როდის და საითგან არის საქართველოში ტარხუნის კულტურა და სახელი შემოსული, ჯერჯერობით ძნელი გამოსარკვევია. ეს სახელი „ტარხუნა“ კარგად უდგება იტალიურს *targone*-სა და უნგრულს *tárkony*-ს და, რაკი თვით მწვანელი ციმბირის მცენარეა, შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ეგების ქართველებს უნგრელებისაგან ჰქონდეთ ეს სახელი შეთვისებული იმ ხანაში, როდესაც ეს ხალხი, მაშინ თორქებად ცნობილი, ჩვენი წინაპრებისათვის საქართველოს ჩრდილოელი მეზობელი იყო.

მაგრამ ამ მწვანელს სპარსულადაც იგივე სახელი *زنجرف* „ტარხუნ“-ი ეწოდება (Zenker-ის ლექსიკ.), რომელიც ქართულად არის მიღებული, რომ გვცოდნოდა, თუ როდის გაჩნდა საქართველოში და სპარსეთში ეს მწვანელი და დარწმუნებული რომ ვყოფილიყავით, რომ სპარსეთში ტარხუნა უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე საქართველოში, მაშინ ეგების ჩრდილოეთითგან შემოსულობის მოსაზრება არც კი ყოფილიყო საჭირო იმისდა მიუხედავად, რომ ეს მწვანელი ჩრდილოეთის მცენარეა. ამნაირად, საჭირო ცნობების უქონლობის გამო, ტარხუნას კულტურის სადაურობისა და გაჩენის თარიღის საკითხი ჯერჯერობით გადაუწყვეტელი უნდა დარჩეს.

ტარხუნას საქართველოში ისევე უმთავრესად მწვანილად და სანელებლად ხმარობდნენ, როგორც ეხლა. დასავლეთ ევროპაში კი ტარხუნას წნილშიც სდებდნენ, გერმანიაში შემწვართანაც ატანდნენ ხოლმე ისევე, როგორც ბუტერბროდსაც, ტარხუნისას ძმარსაც და მღოვჯასაც კი აკეთებენ (I. Becker, *Gemüsebau*, 913 და *Vilmorin-Andrieux*, *Les plantes potagères*, 251).

თავი XIII. ქონდარი

ქონდარს საქართველოში მწვანილად და სანელებლად ხმარობდნენ ისევე, როგორც ეხლაც. მას ჩვენში ყველა სხვაზე დაბალ მცენარედ სთვლიდნენ ისე, რომ ტანდაბალ ადამიანს ქართველი „ქონდარის კაცი“-ს სახელს უწოდებდა.

„ქონდარი“ „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის ქართულ თარგმანში გვხვდება (ხელთ., გვ. 121—122). ამას გარდა ს. ორბელიანსაც მოეპოვება, მაგრამ მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნის დართვით (ლექსიკ.). ვახუშტი საქართველოში გავრცელებულ ბოსტნეულთა შორის ამ მწვანლისაც ასახელებს (აქვე, გვ. 154). სხვა ცნობები ჯერ არ ჩანს.

რ. ერისთავის ლექსიკონის თანახმად „ქონდარი“ ამ მცენარის მთელ საქართველოში მიღებული სახელია და ბოტანიკურად *Satureja hortensis* L.-ს, რუს. *защеп*-ს წარმოადგენს (პოტ. ლექსიკ., 63, § 889).

ქონდარი, *Satureja hortensis* L., ტუჩოსან, Labiales, მცენარეთა ოჯახს გუთუნის და ეთეროვან ცხიმს უხვად შეიცავს (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 353). მის სამშობლოდ I. Becker-ი სამხრეთ ევროპას ასახელებს (*Gemüsebau*, 887). *Vilmorin-Andrieux*-იც საფრანგეთის ადგილობრივ მცენარედ სთვლის (*Les plantes potagères*, 650). *Boissier* FO (IV, 562)-ს ცნობით *Satureja hortensis* L. ამიერკავკასიაშიც ველურად იზრდება (Н. Липский, ФК, 417).

აღსანიშნავია, რომ პლინიუსს ქონდრის ხსენება არ მოეპოვება. კარლოს დიდს კი თავის *Capitulare*-ში *Satureja*-ს მოყვანა საგაღებულოდ აქვს დაწესებული. მეცხრე საუკუნის სამკურნალო მცენარეების სამონასტრო წალკოტშიც ქონდარსაც ჰქონდა ადგილი დათმობილი (I. Becker, *Gemüsebau*, 887).

ქონდარს იტალიელები *Santoregia*-სა და *Segrigiola*-ს ეძახიან,—ფრანგები—*sarriette*-ს, *sadrée*-ს და *savourée*-ს,—გერმანელები—*Bonnenkraut*-ს, *Pfefferkraut*-ს და *Kölle*-ს, ხმარობენ *Saturei*-საც,—ბერძნები—„თრუმპი“-ს, ალბანელები—„თრუმბ“-ს,—უნგრელები *borstü*-ს,—პოლონელები *Czabr*-სა და რუსებიც *защеп*-ს (I. Becker, *Gemüsebau*, 886 და *Vilmorin-Andrieux*, 650). არც ერთი ამ სახელთაგანი ქართულ ქონდარს, რომელსაც, *ლილიუს* კორდჯნ-ს გარდა, ამავე მცენარის სახელად სომხებიც ხმარობენ (ДПК, 456 და დღ. ბაშინის სომხ.-რუს. ლექსიკ.), ოდნავადაც არ მიაგავს. მხოლოდ შვედებს აქვთ ამ მწვანლისათვის ისეთი სახელი, რომელიც ჩვენთვის საყურადღებოა. კულტურულ ქონდარს შვედები უწოდებენ „*sommar kyndel*“-ს, მთის ქონდარს, *Satureja montana* L.-ს კი „*Vinter-kyndel*“-ს (*Les plantes potagères*, 650). რაკი ამ ორი ჯიშთაგანის პირველის სახელის პირველი სიტყვა „ზაფხულისას“, ხოლო მეორისა „ზამთრისას“ ჰნიშნავს, ამიტომ ქონდარს ზოგადად შვედურად „*Kyndel*“ „კვანდელ“-ი ეწოდება. ცხადია, რომ ეს სახელი ქართულ „ქონდარ“-ს იმდენად მიაგავს, რომ ეს მსგავსება შემთხვევითი არ უნდა იყოს. მაგრამ, რაკი შვედები არას დროს ქართველთა მეზობლად არ ყოფილან, ამიტომ სანამ ამ საგულისხმო გარემოებას დამაჯერებელი განმარტება არ მოენახება, მანამდე მისი გამოყენება შეუძლებელია. ამისთვის უნდა წინასწარ გამოირკვეს, უნგრო-ფინურ ტომებს ქონდარის შვედურის მაგვარი სახელი ხომ არ მოეპოვებათ, ანდა ხომ არ მოეპოვებოდათ წინათ? თუ მისი არსებობა იქ დადასტურდა, მაშინ საკითხის გადაჭრა გაადვილდება და კულტურული და ეკონომიური ისტორიისათვისაც ამ გარემოებას მნიშვნელობა ექმნებოდა.

თავი XIV. პიტნაკი

§ 1. პიტნის სხვადასხვა სახეობათა შესახები ცნობები საქართველოში და მათი ბოტანიკური რაობა: პიტნაკი, ტენცო, კატაპიტნა, ომბალო და ყვალმინთა

იმისდა მიუხედავად, რომ ვახუშტს პიტნა, ანუ პიტნაკი, როგორც ამ მცენარეს უძველეს ხანაში საქართველოში ეწოდებოდა, ჩვენში გავრცელებული ბოსტნეულობის სიაში შეტანილი არა აქვს, ეს მწვანელი და სანელებელი მაინც უძველეს დროითგან უნდა იყოს ცნობილი. მისი სახელი ოთხთავის ქართულ თარგმანში გვხვდება, სადაც „პიტნაკი“ (ლუკა, 11⁴² და სხვ.) ბერძნ. ტო ჰელდლამენ-ს რბ ობანაჟი-ს, ლათინ. mentha-სა და სომხ. *მანანოქი*-ს ანანუხ-ს ეთანასწორება.

ს. ორბელიანს ოთხთავითგან ეს სახელი სხვა ადგილით, მათეს 23²³ აქვს დამოწმებული და თანაც განმარტებულია, რომ „პიტნაკი პიტნა“-ს სახელივეა (ლექსიკ.).

ფ. გორგიჯანიძის ლექსიკონით პიტნა არაბულ „ნინა“-ს და სპარსულ „ფუნდა“-ს ეთანასწორება (იხ. გვ. 61).

ს. ორბელიანს პიტნაკის გარდა თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს „ტენცო“, რომელიც, ამავე ავტორის განმარტებით, „წყლის პიტნა“-ს სახელი იყო (ლექსიკ.), ხოლო „კატა-პიტნა“ და „ომბალო“ ორივე უგანმარტებოდ, მხოლოდ მცენარის პირობითი ნიშნითურთ, არის დასახელებული.

რ. ერისთავს ტენცო აქვს და მისი სამართლიანი განსაზღვრით წყლის პიტნის მსგავსად *Mentha aquatica* L. არის (ბოტ. ლექსიკ., 55, § 777). ხოლო კატაპიტნა, თუ მასვე დავუჯერებთ, *Calamintha Clinopodium* Menth., რუს. *Копажья мята* არის,—ხოლო ომბალო *Mentha crisper* L.-ს, რუს. *мята луговая*-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., 26, § 391 და 44, § 645). მაგრამ უკვე აკად. გიულდენშტედტს ჰქონდა თავის დროზე აღნიშნული, რომ ომბალო („*Imeret. Umbulosis*“) საქართველოში *Mentha Pulegium*-ის სახელად იხმარებოდა (Reisen, I, 311), ი. ო. ფრანგულ *Menthe Pouliot*-სა და გერმანულ *Poleiminze*-ს უდრის. ად. რადლფს *Mentha Pulegium*-ის სომხური სახელი მოეპოვება, ქართული კი არა აქვს (ДРК, 316). ალ. მაყაშვილს კი ომბალოს ბოტანიკური რაობა სწორედ და ისევე აქვს განსაზღვრული, როგორც გიულდენშტედტს („მასალები საქართველოს კულტურულ მცენარეთა შესასწავლად“: „ექსპერიმ. აგრონ. მოამბე“, II, 50).

ამგვარადვე, კატა-პიტნა ბოტანიკურად *Nepeta Cataria* L.-ს წარმოადგენს, რამელსაც ყველა ენაზე კატის პიტნის სახელი აქვს. მაგ., იტალიელები *Menta dei Catti*-ს, ფრანგები *Menthe de chat*-ს, გერმანელებიც *die Katzenminze*-ს უწოდებენ, მას დამახასიათებელი, ნაზი თურინჯის, ანუ ლიმონის, სუნი უდის (I. Becker, *Gemüsebau*, 897).

რ. ერისთავს *Mentha Pulegium*-ი და *Nepeta Cataria* თავის ბოტანიკურ ლექსიკონში სრულებით შეტანილი არა აქვს, ად. როლლოვს კი პირველის ქართული სახელი, როგორც აღნიშნული გვქონდა, არ მოეპოვება, ხოლო მეორის კვადრი არც მის ნაშრომში ჩანს.

რ. ერისთავის ცნობით, ომბალო იმერეთსა და გურიაში ამჟამადაც არის შეჩენილი (ბოტ. ლექსიკ., 44, § 645). ს. ორბელიანის ლექსიკონითგან კი ცხა-

დი ხდება, რომ ეს სახელი წინათ ამერეთშიც ყოფილა ცნობილი. ამას გარდა, „ომბალე“-სა და „ონბალე“-ს სახით, ეს სიტყვა მეგრულშიც არის დაცული (მ. გ., გვ. 293).

დასარწმუნოებელი, ალ. მაყაშვილის ცნობით, *Mentha silvestris* L., ე. ი. ტყის პიტნასამეგრელოში „ყვალმინთას“-ს უწოდებენ („მასალები საქართველოში კულტურულ მცენარეთა შესასწავლად“; „ექსპერიმენტალ აგრონომიის ინსტიტუტის მოამბე“, წიგნი მე-2, გვ. 49). ასეთი სახელი არც საბას მოეპოვება, არც რ. ერისთავს, არც იოს. ყიფშიძის მეგრულ ლექსიკონშია, ად. როლლოვს ამ *Mentha silvestris*, ტყის პიტნის ქართულ სახელად „ბადის პიტნა“ აქვს მოყვანილი (ДРК, 317), რაც სრულ შეცდომას წარმოადგენს და გარეული მცენარისათვის სრულებით შეუფერებელია. მაგრამ მასვე ამ მცენარის სამურზაყანოში მიღებულ სახელად მოყვანილი აქვს „АКУ-АХМЕТА“ (იქვე), რომელიც, რა თქმა უნდა, იგივე „ა-ყულმინთა“ უნდა იყოს, რომელშიც თავიკიდური „ა“ ჩვეულებრივი, აფხაზური ართრონია. ამგვარად ნამდვილ სახელად აქაც „ყულმინთა“ გამოდის.

ყვალმინთა-ს მეორე ნაწილი მინთა-ც შესაძლებელია საკმარისად მიეჩინა ადამიანს იმის დასარწმუნებლად, რომ ეს სახელი ჩვენი სიტყვა არ უნდა იყოს. მინთა, ანუ მინტი, როგორც ცნობილია, პიტნის ბერძნული სახელია. ამიტომ თავისთავად იბადება აზრი, რომ მთელი სახელიც შესაძლებელია ქართული არ იყოს. მართლაც ბერძნულად არსებობს ἡ χαλαμινθη „ჰე კალამინთე“, რომელიც მცენარის სახელია. ფრანგებიც calament-ს უწოდებენ მას (Ém. Boisacq. Dict. étymol. de la langue grecque, 397). იგი Melissa-ს ერთ სახესხვაობას, E. Littré-ს განსაზღვრით, *Melissa calamintha* L.-ს (იხ. Dict. de la langue française) წარმოადგენს და თავისი ძლიერი სურნელოვანებით არის ცნობილი. რაკი ქართულად *Melissa officinalis* L.-ს ბარამბო ეწოდება, რომელიც ს. ორბელიანის განმარტებითაც „ფუტკართ მოლი“ არის (ლექსიკ. და რ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ., 6, § 93), ამიტომ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ყვალმინთა იგივე კალამინთეს *Melissa calamintha*-ს შესატყვისობა იყოს და, მაშასადამე, უფრო საფიქრებელია, რომ ბარამბოს ის სახესხვაობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც ბოტანიკაში *Melissa calamintha* L. ჰქვია.

E. Littré ფიქრობდა, რომ *calamintha* წარმომდგარია ბერძნული კალოს-საგან, რომელიც კარგსა ჰნიშნავს, და პიტნის სახელ მინთე-საგან (Dict. de la langue française), მაგრამ Ém. Boisacq-ის აზრით თითქოს კალამოს-ისა (ლერწამს ჰნიშნავს) და მინთე-საგან (Dict. étym. de la langue grecque). ასეა თუ ისე, რაკი არც ერთი წემთხვევა არ არსებობს, რომ პიტნას ქართულად მინთა ეწოდებოდეს და სამაგიეროდ ეს სიტყვა ბერძნულსა და ლათინურში ამ მცენარისათვის მიღებული ჩვეულებრივი სახელია, ამიტომ შესაძლებელია დაგვესკვნა, რომ ყვალმინთა ბერძნულ კალამინთა-ს დამახინჯებულსა და ნაწილობრივ გააზრიანებულ ანარეკლს წარმოადგენს. თავდაპირველად ის *Melissa calamintha*-ს სახელი უნდა ყოფილიყო. ესაა თურმე *Mentha silvestris* L.-ს სახელად არის ქცეული. გამოსარკვევია, ყვალმინთა-ს თავისი პირვანდელი მნიშვნელობაც ხომ შენარჩუნებული არა აქვს.

მაგრამ ეს საკითხი შესაძლებელია სულ სხვანაირად გაშუქდეს. თუ გავითვალისწინებთ, რომ ყვალმინთა-ს სამეგრელოში მოსახლეობა ყველის გასურნელოვანებისთვისა ხმარობს (იხ. ა. მაყაშვილის „მასალები საქართველოს

კულტ. მცენარეთა შესასწავლად: „ექსპერიმ. აგრონ. ინსტ. მოამბე“, წიგნი 2, გვ. 49), თანაც გავიხსენებთ, რომ ჰანურად ყველს სწორედ ყუალი, ანუ ყვალი ეწოდება (ჰ. გ., 204), მეგრულადაც ყვალი ჰქვია (მ. გ., 418), მაშინ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ ყვალმინთა მისი გამოყენებადობისა და სამეურნეო დანიშნულებისა მიხედვით ყველის პიტნას პნიშნავს. რაკი თვით ბერძნულშიც კალამინთა-ს პირველი ნაწილის საკითხი სათუთა და ზოგი კალა-ს, კარგს, ჰგულისხმობს, ზოგი კალამოს-ს, ლერწამს, *É. Boisacq*-ით, ლინგვისტური თვალსაზრისით, მთლად უზადო ეტიმოლოგიას არ წარმოადგენს და რაც არსებითად ამ მცენარის სახელს სრულებით შეუფერებელ შინაარსს ანიჭებს, ამიტომ კალამინთა-ს ბერძნული ეტიმოლოგიაც სათუთოდ მოჩანს. ასეთ პირობებში ისიც შეიძლება მოვიგონოთ, რომ თვით მინთა ფრანგ ენათმეცნიერს *Meillet*-ს სამხრეთ ევროპის ენითგან ნასესხებ სიტყვად მიაჩნია, რასაც ბუასაკი იზიარებს (*Ém. Boisacq, Dict. étym. de la langue grecque, 639*). მართალია, მინთა-სთვის არც ქართულში მოიძებნება რაიმე ეტიმოლოგია, ჯერჯერობით მაინც, მაგრამ სამაგიეროდ ყვალმინთა, ვითარცა ყველის პიტნა, უფრო გასაგებია, ვიდრე ლერწამ-პიტნა, როგორც ბერძნულში მისი შინაარსის გაგება ჰსურთ.

ზემონათქვამითგან ცხადი შეიქმნებოდა, რომ ყვალმინთა-ს და *calaminta*-ს ეტიმოლოგიისა და სადაურობის საკითხი ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

§ 2. პიტნის კულტურის შესახებ ძველად

პიტნა უძველესი დროითგან იყო ძველ აღმოსავლეთში გავრცელებული ეგვიპტეში მე-20—26 დინასტიის სამარხებში, რომელნიც ქ. წ. 1200—600 წ. მიეკუთვნებიან. პიტნა აღმოჩნდა. ფიქრობენ, რომ ამ მწვანელის ჰიეროგლიფურ სახელად *agai*, ანდა *nakpata*-ც უნდა ყოფილიყო, თუმცა *Loret* ამ უკანასკნელ სიტყვას უფრო *Rosmarinus officinalis*-ის სახელად თვლის (*I. Becker, Gemüsebau, 892*).

პიტნა ტუჩოსან, *Labiatae*. მცენარეთა ოჯახს ეკუთვნის და თავისი ეთეროვანი პიტნის ზეთით არის განთქმული. სამხრეთ ევროპაში ის ველური მცენარეა. ჩვენშიც გარეული პიტნა, ომბალო იშვიათი არ არის და მწვანელადაც იზარება (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 353), *Boissier*-ის ცნობით (*FO, IV, 543—545*) *Mentha silvestris*, *M. aquatica*, *M. arvensis* მთელ კავკასიაში მოიპოვება, *M. Pulegium*-ი კი ამიერკავკასიაშია გავრცელებული (*Н. Липский, ФК, 416*).

ეგვიპტეში ველური პიტნა არსად არ მოიპოვება. ამიტომ ფიქრობენ, რომ პიტნა ძველ ეგვიპტეში ევროპითგან უნდა იყოს შეტანილი (*I. Becker, Gemüsebau, 892*).

როგორც ოთხთავის ზემოდასახელებული ადგილებითგან ჩანს, პიტნაკი პალესტინაშიც ფართოდ გავრცელებული მწვანელი და სანელებელი ყოფილა.

პლინიუს მცირის სიტყვით თავისით, დაუთესავედ და უმუშაკოდ, მოდიოდა პიტნა, ველური პიტნა (*mentastrum*), კატაპიტნა (*nepeta*) და ომბალო (*pulegium*: *Natur. hist., lib. 19, cap. 37*). რომაელი ბუნებისმეტყველის დაკვირვებით, პიტნას ნოტიობა ნაკლებ უყვარს, ზაფხულში მწვანეა, ზამთარში ყვითლდება. პიტნას სასიამოვნო სუნს აქვს და ამიტომევე, რომ მას ბერძნებმა „ჰედესიმოს“-ი უწოდე-

სო. ამას გარდა ბერძნულად მას მინთა-საც ეძახიან და ჩვენმა წინაპრებმა იმათგან შეითვისესო (Natur. hist., lib. 19, cap. 47).

თვით ბერძნული მინთა სამხრეთ ევროპის ერთ-ერთი უცნობი ენითგან ნა-სესებ სიტყვად არის მიჩნეული (E. Boisacq, Dict. étim. de la langue grecque, 639).

პიტნას და ომბალოს ისევე, როგორც კატაპიტნას, ხმარება იტალიელი სოფ-ლელის საკმელს სასიამოვნო სურნელებას ანიჭებდა თურმე (Natur. hist., lib. 19, cap. 47, § 1). ამ მცენარეს მწვანილადაც ხმარობდნენ, მაგრამ უფრო სანელებ-ლად. განსაკუთრებით ფართო გასავალი ჰქონია მას, ვითარცა სამკურნალო საშუ-ალებას, მრავალი სხვადასხვაგვარი ავადმყოფობის დროს (იქვე, lib. 20, cap. 53—56).

დასავლეთ ევროპაშიც მისდევდნენ პიტნის სხვადასხვა ჯიშის მოყვანას. კარლოს დიდის Capitulare-ში იხსენიება menta პიტნა, mentastrum გარეული პიტნა და ომბალო pulegium. IX ს. მონასტრის სამკურნალო მცენარეების წალკოტშიც ჰქონიათ პიტნა, ხოლო Walafridus Strabus-ს პიტნისა და ომბალოსთვის ქე-ბაც კი უძღვნია (I. Becker, Gemüsebau, 892).

200—300 წ. ქ. შ. შეთხზული ნაშრომის „ნაბატეველთა მიწისმოქმედების“ XIII ს. არაბ. მთარგმნელებს, ბოტანიკოსებს იბნ ალ-ავეამ-სა და იბნ ბაჯთარ-ს პიტნის სამი სახესხვაობისა თუ ჯიშის შესახებ ცნობა და სახელი აქვთ მოყვანილი, რომელთაგან ერთს Dhaumaiian-ი, მეორეს „ჭუდანი“ და მესამეს „ნანა“ ჰრქმე-ვია (I. Becker, Gemüsebau, 892). უკანასკნელი სიტყვა, როგორც ფ. გორგიჯა-ნიძის ზემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, XVII ს-შიც პიტნის არაბულ სახელად ყოფილა, ჭუდანი კი, როგორც იმავე ავტორის მოწმობითგან ირკვევა, პიტნის სპარსული სახელის ფუდნა-ს წინამორბედი ყოფილა.

§ 8. პიტნის ქართული სახელების სადაურობა და ამ სახელებლის მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეურნეობაში

ამ მწვანილ-სანელებელის ქართული სახელი პიტნაკი თუმცა ნაბატეველთა და სპარსელების სახელს ჭუდანი-სა და ფუდნა-ს ენათესავება, მაგრამ ქართუ-ლი სახელი უფრო ძველი ჩანს, ორ უკანასკნელს ბოლო მოკვეცილი აქვს. თუ ეგვიპტოლოგების მოსაზრება, რომ პიტნას ეგვიპტურად ნაკპატა ეწოდებოდა, მცდარ წინაყითხს არ წარმოადგენს, მაშინ ისე გამოდის, რომ ქართულში ამ სი-ტყვის ორი ნაწილი ნაკ-პატა ადგილმონაცვლებულია და ძველი ქართული პიტ-ნაკი პატა-ნაკ-ისაგან უნდა ვიგულისხმოთ წარმომდგარად, ანდა წინაუკმო. ამ-ნაირად, პიტნაკის სახელი ძველი უნდა იყოს.

ქართულად, ზემოდასახელებულთ გარდა, „პიტნარა“-ც არსებობდა, რო-მელიც, ს. ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთი შემავსებელის განმარტებით, თურმე „ცუდი პიტნა“ ყოფილა, „ერთ ღეროზედ ავა, წითელი ყვავილი აქუს“ (ლექსიკ.). რაკი წითელი, ანდა თეთრი ყვავილი კატაპიტნას, ანუ Nepeta Cataria-ს აქვს (იხ. I. Becker-ის Gemüsebau, 897), ამიტომ იბადება საკითხი, პიტნარა კატაპიტნას პარალელური სახელი ხომ არ არის?

ყვალმინთა-ს სახელის სადაურობა ჯერ გამოსარკვევია და, როგორც დავრ-
წმუნდით, ან საბერძნეთითგან უნდა იყოს შეთვისებული, ან წინაუქმო.

ომბალო-სა და ტენცო-ს თვისტომნი არც უცხოეთში უჩანს, არც საქარ-
თველოში. მათი სადაურობის საკითხი ჯერ შესასწავლია.

ქართველსაც პიტნა განსაკუთრებით სასიამოვნო მწვანილად სჩვენებია. თა-
ვისი ასეთი გრძობა მას ერთ ისეთ გამონათქვამში აქვს აღბეჭდილი, როგო-
რიცაა „მეპიტნაეება“ და „ეპიტნაეება“. როდესაც ქართველს უნდა თქვას, რომ
ვისმე ესა თუ ის პირი, ან საქმე არ მოეწონა, ის ამბობს ხოლმე „ვერაფრად
ეპიტნაეაო“.

პიტნას ჩვენში სხვადასხვა შეკვამლში სანელებლად და სურნელებისათვის ხმარობ-
დენ, ხოლო აკად. გიულდენშტედტის ცნობით დასავლეთ საქართველოში ომბალო
თევზის სანელებლად უხმარიათ („man isset sie an Fischen“: Reisen, I, 311).

ყვალმინთა-ს სამეგრელოში ყველის გასურნელოვანებისათვის ხმარობენ
(ა. მ ა ყ ა შ ვ ი ლ ი, მასალები საქართველოს კულტურულ მცენარეთა შესას-
წავლად: „ექსპერიმ. აგრონ. ინსტ. მოამბე“, წიგნი 2, გვ. 49).

თავი XV. მლოგვი

„მლოგვი“ ოთხთავის თარგმანშივეა ნახმარი (მათე, 13₃₁ და სხვაგან) ბერძნუ-
ლი სინაპის-ის *σινάπις*-ს, ლათინური *sinapis*-ისა და სომხური მანანეხ-ის *մանանիխ*-
ის, ანუ მანანის-ის *մանանիխ*-ის შესატყვისად.

ეს სახელი აღმოსავლეთსაცა და დასავლეთ საქართველოშიც არის ცნობილი.
მეგრულად „დონგვი“ და „დონგი“ ეწოდება (რ. ერისთავი, ბოტ. ლ., 15, § 230
და მ. გ., 228). იმერეთში ამ მცენარის სახელად „ხარდალი“-ც არის გავრცელებუ-
ლი (რ. ერისთავი, ბოტ. ლ., § 229).

ხარდალი ქართული სიტყვა არ არის, არამედ არაბულ-სპარსული *داخ* ანდა
داخ არის. ხარდალი „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის თარგმანშია უკვე ნახ-
მარი. მაგრამ ამ სახელის მნიშვნელობა საქართველოში შემდღეშიც ყველასათვის
გასაგები არ ყოფილა, თუკი ამ ძეგლის ტერმინების ანხსნელმა ხარდალის განმარ-
ტების შეტანა მაინც საჭიროდ მიიჩნია. მას ნათქვამი აქვს: „ხარდალი-მლოგვი“
არისო (Опис., I, 686). ეტყობა ამ დროსაც მლოგვი ყოველი ქართველისათვის
უფრო გასაგები ყოფილა, ვიდრე ხარდალი. დამახასიათებელია, რომ ხარდალი ს.
ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი არც კი აქვს.

ძველ ეგვიპტეში ველური მლოგვი ყოფილა გავრცელებული, რომლისგანაც
თურმე კარგ ზეთსა ჰხდიდნენ (I. Becker, Gemüsebau, 418). ებრაელებს კი, რო-
გორც ოთხთავის ზემოდასახლებული და სხვა მისი შესატყვისი ადგილებითგან
ჩანს, ეს მცენარე მტილში მოჰყავდათ და ამნაირად, გარეულ მლოგვს ვარდა, ში-
ნაური მლოგვიც ყოფილა. პალესტინაში ეს სანელებელი დიდ მცენარედ და ბუჩქა-
დაც კი იზრდებოდა და იზრდება ეხლაც (იხ. Socin Sent: Guthe-ს, Bibelwört).

მლოგვი ძველ საბერძნეთშიც იყო გავრცელებული. ატიკაში მას „ნაპკ“ ეწო-
დებოდა, ჰელლენურად კი „სანაპკ“-ს, ანდა „სინაპი“-ს ეძახდნენ, რომელიც რომა-
ელებმაც *sinapi*-ს, ან *sinapis*-ის სახით შეითვისეს. ატიკური სახელი თალგამის

ლათინურ სახელს *napus*-ს გასაოცრად მიაგავს (V. Hehn, Kpf. u. Ht., 211). ამ სახელების სადასტურობა გამოუჩინებელია: Benfey ფიქრობდა, რომ სანსკრიტული უნდა იყოს, იქითგან ჯერ სპარსულში, ხოლო შემდეგ ბერძნულში გადასულ-დაპაზანებული, V. Hehn-ს კი უფრო ეგვიპტურითგან მომდინარე სიტყვად ეგუ-ლებოდა (იქვე, 211—212).

პლინიუსს მცირეს მლოგვის ბერძნულ სახელებზე ზემომოყვანილისაგან განსხვავებული ცნობა მოეპოვება. რომელ ბუნებისმეტყველის სიტყვით, ათენელნი ამ მცენარეს ნაპუსს (*napy*) უწოდებდნენ, სხვები კი თასპი-სა და საკრიონ-ს („*At-henienses napy appellaverunt, alli thaspi, alli saurion*“: *Natur. hist., lib. 19, cap. 54*).

პლინიუსს მცირის ცნობით მის დროს სამგვარი მლოგვი ყოფილა. ერთი მათგანი წერწყელი ყოფილა (*gracile*), მეორეს თაღამის მგვარი ფოთლები ჰქონდა (*simele rapi foliis*), მესამე—გარეული მლოგვის მგავსია (*erucae*). საუკეთესოდ თურქე ეგვიპტური მლოგვი ითვლებოდა (*Natur. hist., lib. 19, cap. 54*).

პეტაგორას მლოგვი ერთ საუკეთესო და ძლიერ ბოსტნეულთაგანად მიაჩნდა. საბერძნეთსა და რომში მას ცხარე სანელებლად და წამლად ხმარობდნენ სხვადასხვა ავადმყოფობის წინააღმდეგ (*Natur. hist., lib. 20, cap. 87* და *Columella, lib. 12, cap. 57*).

დასავლეთ ევროპის დანარჩენ ქვეყნებში მლოგვის კულტურა იტალიითგან უნდა იყოს შესული, რასაც ამ სანელებლისათვის იქ მიღებული სახელებიც ცხადად ამჟღავნებენ. უკვე კარლოს დიდს აქვს მლოგვი, *sinape*, თავის *Capitulare*-ში შეტანილი (I. Becker, *Gemüsebau*, 418).

ეს მცენარე ხარდალ-ის სახელით არაბი ბოტანიკოსის იბნ-ალ-ავვამის ნაშრომშიც იხსენიება (იქვე).

მლოგვი კავკასიასა და საქართველოში ველურად ყველგან იზრდება 5000-მდე (ДПК, 475). ბარად იგი ხშირად ყანებს ჰენებს და აფუჭებს. რამდენად გავრცელებული იყო ძველად ჩვენში სანელებლად, ჯერ კიდევ გამოსარკვევია. ვახუშტს და სხვა ავტორებს მლოგვზე არაფერი აქვთ ნათქვამი. თანამედროვე საქართველოში, დოც. კ. მენაბდის ცნობით, რომლისთვისაც მადლობას მოვასხენებ, მლოგვს გურიაში საკმელში ხმარობენ სანელებლად მწვანის სახით. სხვა ცხარე სანელებელთა სიმრავლის გამო საქართველოში მლოგვს, როგორც ეტყობა, მაინც ნაკლები მნიშვნელობა ჰქონია.

მემტილეობის IV ჯგუფი: ხმილი

თავი I. კიტრი

§ 1. კიტრის შესახებ ცნობები საქართველოში

კიტრი „სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის თარგმანში გვხვდება: იქ სახელდობრ, „კიტრის გული“-ა წამლად დასახელებული (ხელთნ., გვ. 193). აქეთგან ცხადი ხდება, რომ XII ს-ში კიტრი საქართველოში ჩვეულებრივი სიტყვა ყოფილა. საფიქრებელია, რომ ამაზე გაცილებით ადრეც უნდა ყოფილიყო კიტრი ჩვენში ცნობილი, მაგრამ ისეთი ძეგლები, სადაც იგი დასახელებული იყოს, ზემოაღნიშნულზე უძველესი ჯერ არ მოგვეპოვება.

„კიტრი“ ს. ორბელიანს განუმარტავად აქვს შეტანილი მცენარის მხოლოდ პირობითი ნიშნის დართვით. მაგრამ სამაგიეროდ მას ამ ბოსტნეულის ერთი სახესხვაობის კიდევ სხვა სახელიც მოეპოვება, „მიტრი“. ქართველი ლექსიკოგრაფის სიტყვით, „მიტრი მოხრილი, გრძელი კიტრი“-ს სახელი ყოფილა (ლექსიკ.).

ს. ორბელიანის განმარტებითგან ჩანს, რომ საქართველოში სხვადასხვა ჯიშის „კიტრი“ ყოფილა გავრცელებული, რომელთაგან ერთი „მოხრილი“ და „გრძელი“ იყო. კიტრის დიდი ჯიშის არსებობა საქართველოში რუსი დესპანების ქვემომოყვანილი მოწიობითაც მტკიცდება. „სააქიმო წიგნის“ ტერმინების განმარტებელს ამ ძეგლში ნახპარი სიტყვის „ბადრანგი“-ს შესახებ ნათქვამი აქვს, რომ „გრძელი კიტრი“-ს სახელიაო (Опис., I, 680).

ამავე ავტორს განმარტებული აქვს, რომ „მოკუტვილი კიტრი“-ს ჯიშიც ყოფილა, რომელიც „სააქიმო წიგნში“ „შამბალიდი“-ს სახელით ყოფილა აღნიშნული (იქვე, I, 685).

გასაოცარია. რომ ვახუშტს საქართველოში გავრცელებულ ბოსტნეულთა სახელებში კიტრი გაზორჩენია. რუსი დესპანების და გიულდენშტედტის ცნობით კიტრი აღმოსავლეთ საქართველოშიც მოჰყავდათ ბოსტნებში და დასავლეთშიც (იხ. აქვე, გვ. 155—156). ტოლოჩანოვს და იველევს იმერეთში ორგვარი კიტრი უნახავთ: ერთ მათგანს რუსულ კიტრს („русские огурцы“) უწოდებს, მეორე ჯიშს კი ბრძამულ დიდ კიტრს („огурцы крымские большие“) ეძახის. ეს იმას ჰნიშნავს, რომ ერთი ჯიში რუსეთში იმ დროს გავრცელებულს მიაგავდა და, როგორც ჩანს, კიტრის ზოდერო, წვრილ ჯიშს წარმოადგენდა, მეორე ჯიშის კიტრი ყირიმულს მიაგავდა და მსხვილი ყოფილა. სამწუხაროდ, მათი იმდროინდელი ქართული სახელები არ არის ჩაწერილი. ამის გამო გამოურკვეველი გვრჩება, ტოლოჩანოვისაგან დასახე-

ლებული ყირიმული დიდი კიტრი ს. ორბელიანისაგან მოხსენებული ის „მოხრილი, გრძელი კიტრი“ იყო, რომელსაც „მიტრი“ ეწოდებოდა, თუ რუსი სხვა ჯიშის შესახებ ლაპარაკობდა?

ფ. გორგიჯანიძეს კიტრი არაბ. „ბადრანგ“-ისა და სპარს. „ხიარ“-ის შესატყვისად მოჰყავს, რაც სრულ სიმართლეს წარმოადგენს კიდევაც. გიულდენ-შტედტს კი ჩაწერილი აქვს, რომ Gurken ქართულად Kitri „კიტრი“-ა (იხ. აქვე, გვ. 156).

ქანურად კიტრს „სუკა“ და „შუკა“ (ათინ.: ი. ყიფშიძის შემოწმებით) ეწოდება ერთი მხრით, მეორე მხრით პატარა, ქორფა კიტრს „ხიპირი“ და „ხიტები“ ეწოდება. კიტრს ისხამს, იბამსო ქანურად იქმნება „იხიტპამს“ (ქ. გ., 232 და 207). მეგრულად „კინტრი“ და „კენტერი“ იხმარება (მ. გ.), სვანურადც „კინტრი“ ჰქვიან.

საკულისხმოა, რომ ქანურად „კიტრი“ ეწოდება ერთგვარ ხის (slcl) კვახს. („вид древесной тыквы: ნ. მარის ქ. გ.“), რომელიც ფერით ძალიან მიაგავს ფორთოხალს, სიდიდით კი გაცილებით უფრო მომსხოაო (იქვე).

§ 2. კიტრის სახელების ეტიმოლოგია და სადაურობა

ქორფა კიტრის ორი ქანური სახელი „ხიტები“ და „ხიპირი“ გარეგნულად ქართული სამწერლობო „კიტრი“-სა და მეგრული „კინტირი“-საგან განსხვავდება. სამურზაყანოში „კენტერი“ იხმარება (მ. გ., 258).

სამწერლობო ქართულის „კიტრი“-ს შესატყვისად მეგრულში „კინტირი“ გვაქვს. ცხადია, რომ მათ შორის მჭიდრო ნათესაური კავშირი არსებობს. თუ მეგრულ „კინტირი“-ს შენაზარდ „ნ“-ს ჩამოვაცლით, კიტრის სრულხმოვნიაწი სახე „კიტირი“ დაგვჩნდება. დაუჯერებელია, რომ ორივე კიტრის აღმნიშვნელი „კიტრი“ და ქანური „ხიტები“ ერთმანეთის მონათესავე სიტყვები არ იყოს.

ამ სიტყვების პირველი ორი მარცვლის კიტი-ს და ხიტი-ს თითქმის სრული იგივეობა უკანასკნელ, განსხვავებულ მარცვალს, რი-სა და პი-ს, ფორმანტებად გვაგულისხმებინებს. ამიტომ შესაძლებელია ითქვას, რომ ყველა ქართველ ტომს ოდესღაც კიტრისთვის საერთო სახელი ჰქონიათ. გამოსარკვევია მხოლოდ ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობა, რაც მომავლისათვის უნდა გადაიდოს. ზოგადად შესაძლებელია ეხლაც ითქვას მხოლოდ, რომ ამ სიტყვის ორი განსხვავებული ფორმანტის (რი და პი) არსებობა მის ოდინდელ მიმდევობას, ანდა ზედსართავობას ამჟღავნებს.

ხოლო ქანური „სუკა“ და „შუკა“ იგივე სახელი უნდა იყოს, რომელიც ბერძნულშიც ძიჰჰ-სა და ძიჰჰჰ „სიკუა და სიკუს“-ის სახით კიტრისა და გოგრა-კვახის აღსანიშნავად იხმარებოდა. ბერძნულში ეს სიტყვა თრაკოფრიგიულის ან სხვა უცნობი ენითგან შეთვისებულად ითვლება. მასთანვეა დაკავშირებული გოგრა-კვახისათვის სლავურ ენებში არსებული სახელი tyky, რუს. тыква „ტუკვა“-ც (V. Hehn და O. Schrader, Kpf. u. Ht., 101 და É. Boisacq, Dict. étym. de la langue grecque, 864).

ფ. გორგიჯანიძის პატარა ლექსიკონითგან ჩანს, რომ „ბადრანგი“ XVII ს-ში კიტრის არაბული სახელი ყოფილა (იხ. აქვე, გვ. 155). ხოლო „შამბალიდი“ ისე-

ვეა ნაწარმოები, როგორც „შამ-ერიგი“ شام ارگی ე. ი. შამის, ანუ ასურეთის ქლიავი, დამასხი „შამ-ალაჯი“ شام اءاجى, რომელიც სიტყვისიტყვით შამის, ანუ ასურეთის ხესა ჰნიშნავს, ისე კი ფიქვის სახელად იხმარება. თვით „შამბალიდი“-ც ორნაწილად, „შამ-ბალიდეგი“-საგან წარმოდგარს, ხიტყვა უნდა იყოს. „ბალიდეგი“ بالءى სპარსულად მცენარეულს ჰნიშნავს. ამნაირად, მთლად ეს სიტყვა უნდა „შამის“, ანუ ასურეთის მცენარეა ჰნიშნავდეს და, როგორც ეტყობა, კიტრის ასურეთის ჯიშის აღმნიშვნელია.

თუ ზემომოყვანილი მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ საფიქრებელი ზღდება, რომ კიტრის გრძელი ჯიში არაბეთში გავრცელებული ჯიში ყოფილა, ზოლო კიტრის მოკუტევილი ჯიში ასურეთითგან, ანუ შამითგან უნდა მომდინარეობდეს.

რა თქმა უნდა, კიტრთან, ხიტობთან და სუქა, ან შუქასთან შედარებით, ბაღრანგი და შამბალიდი ძველი საქართველოსთვის მერმინდელი შენაძენია.

§ 3. კიტრის კულტურასა და ეკონომიურ მნიშვნელობაზე

კიტრის თავდაპირველ სამშობლოდ აღმოსავლეთ ინდოეთი ითვლება. De Candolle ფიქრობდა, რომ ამ ბოსტნეულის ველურ წინაპრად შესაძლებელია Cucumis Hardwickii Royale ყოფილიყო, რომელიც ეხლაც ჰიმალაის მთების ძირის მიდამოებში ველურად იზრდება (I. Becker, Gemüseebau, 620).

კიტრის კულტურის ისტორიის სრული ზედმიწევნითობით აღდგენას ის გარემოება აძნელებს, რომ ძველად დიდხანს კიტრს, კვახსა და ნესეს ერთსადიამავე სახელს უწოდებდენ და, ამის გამო, წყაროებში გაფანტული ცნობების გამოყენების დროს ძნელი გადასაწყვეტია, თუ სახელდობრ რომელი ამ სამთაგანი იგულისხმება ხოლმე თვითთველ კერძო შემთხვევაში. ამ სამი ბოსტნეულის სახელის იგივეობა მათი მოყვანილობის გარეგნულ მსგავსებაზეა დამყარებული. ხოლო მათგან ნესევი უკვე უძველეს ხანაში იყო სამხრეთის ქვეყნებში ცნობილი და ამიტომ მისი სახელი, რასაკვირველია, ძველი დროითგანვე იხსენიება კიდევაც ძეგლებში. სახელის იგივეობის გამო, ხშირად ძნელი გამოსარკვევია ნესევი, კვახი თუ კიტრია ხოლმე გამოსაყენებელ ცნობაში ნაგულისხმევი (I. Becker, Gemüseebau, 620).

ეგვიპტის ძველი სამარხების მხატვრობაში კიტრის-მაგვარი ნახატები მოიპოვება, მაგრამ დანამდვილებათ გამორკვეული არ არის, სწორედ კიტრია დახატული, თუ ნესეის ერთი ჯიშის (Cucumis chate) სურათია. კიტრის კოპტურის სახელი shoohe ანუ shobe Loret-ის აზრით ძველი ეგვიპტურ shoupi-ს მიაგავს და შესაძლებელია კიტრის აღმნიშვნელი ყოფილიყო. ამის გამო ფიქრობენ, რომ ეგვიპტის კიტრი ძველ ეგვიპტეშიც სცოდნოდათო (I. Becker, Gemüseebau, 620).

ბერძნები ძველად კიტრს „სიკოს“-ს, „სიკს“-სა და „სიკონ“-ს ეძახდენ. თეოფრასტუსა (372—288 წ. ქ. წ.) და სხვა ავტორებს სწორედ ეს სახელი აქვთ ნახმარებ. პირველად Suidas-ს აქვს „ტა ტეტრაგურა“ ნახმარი. მიხელოვან-ს უკვე არჩევს „აგურია“-ს „ტეტრაგურია“-საგან, ხოლო სეთ-ი კიტრს „აგურ-დიას“-ს უწოდებს, „კოლოკნთა“-ს კვახსა და „პეპონ“-ს ნესესა და გოგრას. თანა-

მედროვე საბერძნეთში კიტრის სახელად ჩვეულებრივ „აგგურია“-სა ხმარობენ (I. Becker, Gemüsebau, 620). პლინიუსის ცნობი გან ჩანს, რომ ძველ საბერძნეთში ამ ბოსტნეულის მოყვანას ყურადღებას აქცევდნენ. როგორც ეტყობა, მათ დაკვირვება უწარმოებიათ და დარწმუნებულან, რომ მოტკბილო კიტრის (dulciores) მისაღებად თითქოს თესლი უნდა წინასწარ, თესვამდე, ორი დღის განმავლობაში თავლიან რძეში (lacte milso) ყოფილიყო დამბალი. ეს მოძღვრება ბერძენთა ძველ ავტორებს თავიანთ ნაწერებშიც კი შეუტანიათ (Natur. hist., XIX, 23).

რომაელი ბუნებისმეტყველის სიტყვით, ბერძნებს კიტრის სამი ჯიში ჰქონიათ: ერთს ლაკონური ჰრქმევიდა სახელად, მეორეს სკატალული, ხოლო მესამეს ბეოტიური (Natur. hist., XIX, 23)¹.

კიტრი იტალიაშიც იყო გავრცელებული. Columella-ს კიტრის (cucumis) თესვა-მოყვანის შესახებ თავის ნაშრომში დაწერილებითი დარიგება ჩაურთავს (იხ. De re rustica, lib. XI, cap. III; Nisard-ის გამოცემის „Les agronomes Latins“, გვ. 447—448). პლინიუსის სიტყვით, იტალიაში და მის პროვინციებში სხვადასხვა ჯიშის კიტრი ყოფილა გავრცელებული: თვით იტალიაში მეტად პატარა და მწვანე (virides et quam minimi) ჯიში იყო გაბატონებული, პროვინციაში კი პირიქით: ძალიან დიდი (quam maximi) და ცვილისფერი (cerini), ან და მუქი (nigri). რომაელებს თურმე უფრო აფრიკისა და მიზიის ჯიშები მოსწონდათ, რომელთაგან პირველი თავისი ნაყოფიერებით იყო განთქმული, მეორე კიდეც თავისი სიდიდით (Natur. hist., XIX, 23).

პლინიუს მცირეს აღნიშნული აქვს, რომ კიტრს ადამიანის სტომაქი ძნელად ინელებდა. მაგრამ მას მიანც მაგნე თვისება არ ჰქონდა (Natur. hist., XIX, 23). ტიბერიუს კეისარს თურმე ძალიან ჰყვარებია და ყოველ დღე აუცილებლად ჰქონია (იქვე).

ღირვან ნაშენობათა და სხვა ძველ განათხართა შორის გერმანიაში კიტრის არავითარი კვალი არ არის აღმოჩენილი. ამიტომ კიტრი დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიც რომითგან და იტალიითგან უნდა იყოს გავრცელებული, რაც ამ ბოსტნეულის სახელითაც მტკიცდება.

კარლოს დიდის Capitulare-ში კიტრი (cucumeres) იხსენიება, მაგრამ, როგორც ჩანს, ნესვ-კვახისაგან მაშინ მკაფიოდ ვერ არჩევენ. მხოლოდ 1543 წ. ლეონარდ ფუხსის Historia Plantarum-ში არის ეს სამი ბოსტნეული ერთმანეთისაგან გარკვევით განარჩეულ-განსხვავებული. მას კიტრის სამი ჯიში აქვს დასახელებული (I. Becker, Gemüsebau, 620).

იბნ ალ-ავვამ-სა და იბნ ბადაარს ნაბატეველთა მიწისმოქმედების აღწერილობაში ნახმარი აქვთ ბოსტნეულის სახელად „ხიჲარ“, სიტყვა, რომელიც არაბულსა და სპარსულში ეხლაც კიტრის აღსანიშნავად იხმარება (I. Becker, Gemüsebau, 620). როგორც უკვე დავრწმუნდით, არაბულში კიტრის სახელად „ბადრანგი“-ც იხმარებოდა XII—XVII სს-ში და კიტრის გრძელი ჯიშის აღმნიშვნელი ყოფილა, და „შამბალიდი“-ც, რომელიც მოკუტვილი ჯიშის სახელი იყო და რომლის სამშობლოდ თუ კულტურის განთქმულ კერად შამი, ანუ ასურეთი ყოფილა (აქვე, გვ. 269).

¹ «Cucumerum Graeci tria genera fecere: Laconicum, Scytalicum, Boeoticum».

ძველ საქართველოში კიტრის ერთადერთ ღირსებად გამაგრებულნი თვისება იყო მიჩნეული. ისე კი მას ბევრ წუნსა და ბრალს სდებდენ, რაც გარს. ჩოლაყაშვილის „ხილთა ქება“-შიც არის აღბეჭდილი:

„კიტრმან თქუა: „რალა ვიკადრო საქმე ჩემისა თავისა?
ტკბილი და მუავე არა ვარ, კაცი რად მემოყვრებისა?
გრილი ვარ კაცსა გავბერავ, თავი მე არ მექებისა,
ვინცა ჩემითა გაძღება, ციება შეეყვრებისა“ (მე-9 ტაეპი).

ამნაირად, ისევე, როგორც რომაელებს, ქართველებსაც კიტრი ძნელ მოსანელებელ და გამბერავ ხმილად ჰქონიათ მიჩნეული. ხოლო ამასთანავე კიტრს რატომღაც ციების შემყრელადაც სთვლიდენ. ეს შეხედულება ხალხში ეხლაც არის გავრცელებული. რაკი მას არც გემოვნებითი ღირსება გააჩნდა, არც ტკბილია და არც მუავე, ამიტომ მას მხოლოდ ის ღირსება ჰქონდა, რომ სიცხეში და წყურვილის დროს ადამიანს გააგრილებდა.

თავი II. ნესვი

§ 1. ცნობები ამ ხმილზე

„ნესვი“ დაბადების ქართულ თარგმანშია ნახმარი. უცნაურია, რომ ვახუშტს საქართველოს ბოსტნეულობისა და ხმილთა ზოგად დახასიათებაში ნესვისა და ნესვის სხვადასხვა ჯიშის სახელების ჩამოთვლა თითქოს დაჰვიწყებია და მხოლოდ ბერდუჯის ხეობის აღწერილობაშია აღნიშნული, რომ იქ „ნესვი, მელსაპეპონი“ და „პუმპულა“ მოდიოდა. ამას გარდა იმერეთის შესახებაც აქვს სათანადო ადგილას ნათქვამი, რომ იქ მელსაპეპონი და პუმპულა მოუძველდაც კი, „უმუშაკოდ“-აც, მოდიოდა (იხ. აქვე, გვ. 155). სამაგიეროდ რუს ელჩებს მიშეცკისა, ტოლოჩანოვსა და იევლევს აღნიშნული აქეთ, რომ კახეთში და იმერეთში ნესვი და საზამთროც (Дыни, арбузы) მოჰყავდათ (აქვე, გვ. 155).

ნესვსა და საზამთროს ტფილისისა და მისი მიდამოების ბაღებშიც სთესდენ, როგორც ეს ვახტანგ VI-ის დასტურლამალითგან ჩანს (გვ. 104), მაგრამ ტფილისის ბაზარში ნესვი მომეტებულად საქართველოს სხვა თემებითგანა და მეზობელი ქვეყნებითგანაც შემოჰქონდათ (იხ. იქვე, გვ. 105). საქართველოში ნესვი კლიმატური პირობების გამო უმთავრესად ქვემო ქართლში ხარობდა, ქცია-დებედას დაბლობ ადგილებში, მტკვრისა, ალაზნისა და ივრის ასეთსავე მიწა-წყალზე, უმთავრესად ჰერეთში, სადაც საინგილოში ეხლაც საუცხოვო ნესვი იცის (იხ. მ. ჯანაშვილი, საინგილო, ძველი საქართველო, II, 104).

დასავლეთ საქართველოში უფრო შავი ზღვის სანაპირო თემებში მოჰყავდათ. თვით არქ. ლამბერტის აღნიშნული აქვს, რომ სამეგრელოში ბაღებში ადამიანი ნახავდა „ისეთ დიდ ნესვებს, რომ სამ მტკაველზე მეტი“ იქმნებოდაო (სამეგრ. აღწ., 59).

აკად. გიულდენშტედტსაც საქართველოს სხვადასხვა თემში, თვით რაჭაშიც, კი ნესვი (Melonen), საამთრო (Arbusen) [და] გოგრა-კეახი (Kürbisse) უნახავს (Reisen, I, 400, 305 და სხვ.).

რიცხვითა 115-ის დამოწმებით, ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ „ნესვი“ არის „ხმილი მოლთა“ (ლექსიკ.), ე. ი. ბალახზე გამოზმული ხილია (იხ. იქვე „ხიჩატელი“-ს ქვეშე და საქართველოს ეკონომიური ისტ. I², გვ. 286).

„ნესკ“ (რიცხვითა, 115, ესაია, 18) ბერძნულს სიკვა-ს σικῶα-ს, ლათინურ cucumis-სა და სომხურს სელხ-ს սիխ/ս-ს უდრის.

მეგრულად ნესეს „შინკა“ ეწოდება (მ. გ., 357 და რ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ., გვ. 43, § 627).

ფ. გორგიჯანიძეს ნესვი არაბული „ბთიყ“-ისა და სპარსული „ხარბუზ“-ის შესატყვისად აქვს აღნიშნული (იხ. აქვე, გვ. 155). თანამედროვე არაბულად ნესეს „საჭრა“-ს ეძახიან, ეგვიპტეში კი „ჭაყუს“-ს (I. Becker, Gemüsebau, 668), ხოლო „ბათიხ“, ანუ „ბათიჰა“ ეხლა არაბულად საზამთროსა ჰნიშნავს (იქვე, გვ. 693).

სპარსული „ხარბუზ“-იც თანამედროვე ოსმალურში „კარბუზ“-ის სახით საზამთროსვე ჰნიშნავს, საითგანაც ამავე მნიშვნელობით რუსულშიც არის შეთვისებული („არბუზ“), ისევე როგორც ლიხთ-იმერეთში „ხარბუზაკი“-ც (რ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ., 49, § 703).

დაბადების თარგმანში ესაიას 18-ში გვხვდება ტერმინი „ნესოვანი“-ც, რომელიც, ს. ორბელიანის სიტყვით, „ნესვის ბოსტანი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა (ლექსიკ.).

ორიოდე ცნობა საქართველოში ძველად არსებული ნესვის სახესხვაობათა შესახებაც მოგვეპოვება. ს. ორბელიანს, ნესეს გარდა, დასტამბოს და პუმპუ-ლას სახელებიც აქვს.

საბას სიტყვით, „დასტამბო სპარსულია, ქართულად პუმპულა ჰქვან“-ო (ლექსიკ.). ხოლო თვით ამ უკანასკნელის განმარტებაში ნათქვამია, რომ „პუმპულა პაწა ნესვი, ჭრელი“-ც ყოფილა (იქვე). ამას გარდა ქართველ ლექსიკოგრაფს „ნესვპუმპულა“-ც მოეპოვება, მაგრამ უგანმარტებოდ.

თანამედროვე საქართველოში, რ. ერისთავის ცნობით, ნესვის შემდეგი სახესხვაობა-ჯიშების სახელებია: გოგრა-ნესვი, გული-შამამა, დასტამბო, დუთმა, თურაჯი და მუხა. ამ ექვსი ჯიშის სახელს აღმოსავლეთ საქართველოში ხმარობენო. პუმპულა კი მას ნესვის იმერეთში გავრცელებულ სახელად აქვს მოყვანილი (ბოტ. ლექსიკ., 43, § 627).

§ 2. ნესვის კულტურის მიმოხილვა უცხოეთში

ნესვი. Cucumis Melo L., იმავე გოგრანაირ, Cucurbitaceae-თა ოჯახს ეკუთვნის. რომლის წვერებადაც კიტრი, გოგრა-კეახი და საზამთროა (ზ. ყანჩაველი, ბოტანიკა, II, 363). მის მორფოლოგიურ თავისებურებას ერთსქესიანი და ორსახლიანი ყვავილები წარმოადგენენ, ე. ი. ერთსა და იმავე მცენარეს ცალცალკე დედალი და მამალი ყვავილები ასხია. ნესვისა და მის მონათესავე ზემოაღნიშნული ხმილების ყვავილების ხარბად მწუწვნელ მწერებს მამალი ყვავილების გამანაყო-

ფიერებელი მტვერი დედალ ყვავილებში გადააქვთ და ამნაირად მათი განაყოფიერება ხდება. ნაყოფს, რა თქმა უნდა, დედალი ყვავილი ისხამს, მაშალი კი სცვივა (Vilmorin-Andrieux, Les plantes potagères, 416 და ზ. ყანაველი, ბოტანიკა, II, 270).

ნესვის, *Cucumis melo* L.-ს თავდაპირველ საშობლოდ ტროპიკული აფრიკისა და აღმოსავლეთ ინდოეთის მშრალი ადგილებია მიჩნეული. სახელდობრ, *Cucumis melo* var. *Chate* Forsk., რომელიც ქვემო ეგვიპტეში, ნუბიის ნილოსის ხეობაში ყველგან ველურად იზრდება, ნესვის წინაპრად ითვლება. უკვე ძველ ეგვიპტელებს ნესვის არა ურთი ჯიში გააჩნდათ. უქველესი დროის სამარხავეებში ამ ხმილის მკაფიო ნახატი მოიპოვება.

ეგვიპტიდან ნესვი სხვა ქვეყნებშიც გავრცელებულა. რიცხვთა, 115-შიც არის აღნიშნული, რომ ძველი ებრაელები ნესვის ჭამას ეგვიპტეში შესჩვევიან. უდაბნოში გახიზნულთ „მოვიკსენეთ ჩუენ თევზი იგი, რომელსა ვუჭამდით ჩუენ ეგვიპტესა... და ხილსა ნესუსა და მელაპეპონსა“-ო.

ებრაულად ნესვს „კიშშუ-იმ“, ხოლო მელაპეპონს „აბათთიხ-იმ“-ი ეწოდებოდა. ასე ჰქონდათ ეს სიტყვები თავის დროზე დაბადების ბერძნულად მთარგმნელებს გაგებულნი და იქითგან მოყოლებული სხვა მთარგმნელებსაც, მაგრამ Socini-ი ფიქრობს, რომ ნესვის მაგიერ „კიშშუიმ“ კიტრს უნდა ჰქონდადეს (იხ. „Guthe, Bibelwörterbuch: „Gurken“).

ევროპის ღირიოვან ნაშენობათა და სხვა ძველ განათხარათა შორის ნესვის არავითარი კვალი არ არის: ჯერჯერობით აღმოჩენილი (I. Becker, Gemüsebau, 669)

ძველ საბერძნეთში კი ნესვი თუმცა ცნობილი ხმილი იყო, მაგრამ მის მოყვანას იქ ფართოდ არ მისდევდენ. ჰიპპოკრატე და თეოფრასტე მას: „სიკვა“-ს უწოდებდენ. დიოსკორიდე კი „პეპონ“-ს. ცნობების სიმოკლის გამო თვით ხმილის ნამდვილი რაობის შესახებ მსჯელობა ძნელია. XI ს. დამლევის ბიზანტიელი ავტორი სიმონ სეთიც „პეპონ“-ს უწოდებს (I. Becker, Gemüsebau, 669).

ნესვის ლათინური სახელებითგან ჩანს, რომ ამ ხმილის კულტურა რომაელებს ბერძენებისაგან უსწავლიათ. პლინიუს მცირეს კიტრი და ნესვი ერთმანერთისაგან მკაფიოდ ვერ გაურჩევია. კიტრზე (*cucumis*) საუბრის დროს მას ნათქვამი აქვს მაგალითად, რომ როდესაც ეს ხმილი თავისი სიდიდით გამოირჩევა, მას „პეპონ“-ს უწოდებენო („quum magnitudine excessere pepones vocantur“).

რომაელი ბუნებისმეტყველის ცნობითგან ირკვევა, რომ მის დროს კამპანიის სანახებში ახალი ჯიში გამოუყვანიათ, რომელსაც „მელოპეპონ“-ს უწოდებდენ (*melopeponas* vocant). ამ ჯიშის გასაოცარ თვისებას, კომშის მაგვარი მოყვანილობის გარდა (*mali cotonei effigie*), მისი ფერი და სურნალებაც შეადგენდა. ამასთანავე, იმისდა მიუხედავად, რომ ხმილი კი არ ეკიდა, არამედ მიწაზე იდგა, დამწიფებისას მინც ყუნწს თვითონ სწყდებოდა (Plini Secundi. Natur. hist., XIX, 23).

Galenus, გალენუსის სიტყვით „მელოპეპონ“-ს სჭამდენ, „პეპონ“-ს კი არაო (De alimentis, 1, 2, cap. 5). ავგვარად ნესვის საკმელი სახესხვაობის ნამდვილ სახელად პირველი სიტყვა გამოიწია. პერკულანუსის განათხარაში ნახევრად გაჭრილ ნესვის მშვენიერი სურათი აღმოჩნდა და ეს გარემოება უცილობლად ამტკიცებს, რომ რომაელებს ნესვი ჰქონიათ (I. Becker, Gemüsebau, 669)

კარლოს დიდი თავის Breviarium-ში კიტრს (cucumeres), კვახსა (cucurbitae) და pepones-საც იხსენიებს, რომელთაც ნესვისა და კვახის ზოგად სახელად ხმარობდნენ. რაჯხენაუს მონასტრის მამასახლისის Walafridus Strabus-ის პოეტური თხზულებითგან ირკვევა, რომ კვახი და ნესვი გერმანიაში IX ს-ში სამონასტრო ბაღის ბოსტნის მცენარე ყოფილა (I. Becker, Gemüsebau, 669).

იბნ ალ-ავევამ-ს მცირე აზიაში ხმილი „კვარა“ აქვს მოხსენებული, რომელიც ნესვის სახელად მიიჩნიათ (I. Becker, Gemüsebau, 669). პალესტინაში დიდ ხანს ეპისკოპოსად ნამყოფს Jacobus de Vitriaco-ს (+ 1244 წ.) კი აღნიშნული აქვს, რომ იქ საუცხოვო კიტრი, ნესვი და კვახი სცოდნიათ (იქვე, 669).

იბნ ჰაუკალ-ს (976 წ. ახლო ხ.) აღნიშნული აქვს, რომ ძველი ანტიოქიის ნაქალაქევეს შალანში ნესვის საუცხოვო ჩირს აკეთებდნენ, რომელიც თურმე ყველგან გაჰქონდათ გასაყიდად (I. Becker, Gemüsebau, 669).

XIII ს-ში, მარკო პოლოს სიტყვით, სპარსეთში ქ. სოპურგანსა და მის სანახებში, რომელიც მაჰმადიანებით იყო დასახლებული, საუცხოვო ხილეულობა სცოდნია და ეს კუთხე მეტადრე ნესვებითა და საზამთროებით ყოფილა განთქმული. ნესვს თურმე ნაპერ-ნაპერ სჭრიდნენ, ახმობდნენ და ჩირად გამხმარს მახლობელ ქვეყნებში ჰყიდდნენ. ნესვის ამ ჩირს თურმე მათი მეზობლები ძალიან ხალისიანად ყიდულობდნენ, რათგან ის თურმე თავლივით ტკბილი ყოფილა² (იხ. Relation des pays orientaux de Marc-Paul Venitien, liv. 1, chap. XXX. P. Bergeron-ის გამოცემის „Voyages faits principalement en Asie dans les XII, XIII, XIV et XV siècles, t. I, 1735 წ. გამ., გვ. 26).

მარკო პოლოსაგან დასახლებული ქ. Sopurgam ან Sopurga, უეკველია, ბალხსა და მერვერუდს შუა მდებარე ქ. შაპურგან-ი უნდა იყოს, რომელსაც თავისი სახელი ეხლაც შენარჩუნებული ჰქონია (იხ. В. Бартольд-ის Туркестан в эпоху Монгольского нашествия, II, 81). იტალიელი ავტორის აღწერილობაშიც ცნობა „სოპურგამ“-ის შესახებ სწორედ ბალხის აღწერილობას მისდევს³.

§ 3. ნესვის სახელებისა და კულტურის სადაურობა და სამეურნეო მნიშვნელობა საქართველოში

წინა §-ითგან ჩანს, რომ ქართული ნესვი ამ ხმილის არც ერთი, არც დასავლეთისა და არც აღმოსავლეთის ცნობილი ენის სახელს არ უდგება. ეს გარემოება იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ ნესვის კულტურის სიძველის მაუწყებელი უნდა იყოს. ჩვენ რომ ამ ხმილის ძველი სამხრეთის, ეგვიპტურისა და აღმოსავლეთის, შუმერულ-ხეთური სახელები დანამდვილებით გვცოდნოდა,

² „On vient à une ville, nommée Sopurga, où l'on trouve de tout en abondance, principalement des melons et citrouilles qu'ils coupent par tranches, et les vont vendre, quand ils sont secs, aux lieux voisins, où ils sont fort recherchés, à cause qu'ils sont doux, comme miel“.

³ I. Becker-ს (Gemüsebau, 669) მოუვანილი აქვს მარკო პოლოს მთარგმნელის Bürk-ის (ოსაზრება, თოქოს იტალიელი ავტორის „სოპურგან“-ი იბნ ჰაუკალის შალანს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ეს მოსაზრება მცდარია, რათგან ამ ორ ადგილს შუა დიდი მანძილია, ამასთანავე ერთ ბალხს შალობლად იყო, მეორე კიდე ანტიოქიაში.

ეგების ქართული სახელის მათთან რაიმე კავშირის გამორკვევა შესაძლებელი ყოფილიყო, მაგრამ უამისოდ ნესვი ამ ხმილის სახელთა შორის განმარტოებულის და დამოუკიდებელის შთაბეჭდილებას სტოვებს.

საგულისხმო გარემოებაა, რომ ნესვი ამ ხმილის სახელად აღმოსავლეთ საქართველოში და იმერულსა და გურულში იხმარება (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 43, § 627). სამეგრელოში ამის მაგიერ შინკა-ა მიღებული (იქვე).

უეჭველია, ნესვის მეგრული სახელი შინკა ერთი მხრით ქანურში არსებული კიტრის სახელ „შუკა-სთან უნდა იყოს დაკავშირებული, მეორე მხრით ბერძნულად ნესვს, როგორც ზემომოყვანილი შედარებითგან ჩანს, ძველად სიკვია ეწოდებოდა, ხოლო კიტრს — „სიკვოს“, ან სიკვს. ცხადია, რომ მეგრული ნესვის სახელი შინკა და ქანური კიტრის სახელი „შუკა“ ძველ ბერძნულში დაცული, ზემომოყვანილი სახელების უახლოესი მონათესავე სიტყვები უნდა იყოს. ამნაირად, ცხადი ხდება, რომ როგორც ძველ ბერძნულში კიტრისა და ნესვისათვის თავდაპირველად თითქმის ერთი და იგივე სიტყვა იყო, ასევეა ქანურ-მეგრულშიც.

მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებო გარემოების გამორკვევა შეიძლება. ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ქანურად „კიტრი“ ხეზედ მოზარდი გოგრა-კვახის სახელად არის გამოყენებული (პ. გ., 156). მაშასადამე, კიტრს, ნესვსა და გოგრას, ისევე როგორც ინდოევროპულ ენებში ყოფილა ძველად, ქართველურშიც თავდაპირველად საერთო სახელი ჰქონია.

ნესვისა და კიტრისათვის უძველეს ხანაში და ბერძნულ-ლათინურ ძველ მწერლობაში ერთი და იმავე სახელის არსებობა მარტო მათი ნაყოფის გარეგნული მსგავსებით არ უნდა აიხსნებოდეს. ს. ზელინსკის ცნობით ნესვის ორი მთავარი ჯგუფი არსებობს: ერთ ჯგუფს ისეთი ნესვთა ჯიშები ეკუთვნიან, რომელთა დაუმწიფებლევ ჰამა არ შეიძლება, რათგან მათი მკვახევ ნაყოფი მწარეა. ნესვთა მეორე ჯგუფის ნაყოფი კი მკვახევ მწარე არ არის და კიტრის მსგავსად იკმევა. ნესვის ასეთ ჯიშს თურმე „ღუთმა“ ეწოდება (იხ. Свод МИЭБГКЗК, IV, გვ. 131). ბუნებრივია, რომ ასეთი ჯიშების ნესვსა და კიტრს ერთი და იგივე სახელი დაჰქმეოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ძველ საბერძნეთსა და საქართველოში თავდაპირველად ასეთი ღუთმის მავარი ჯიშები უნდა ყოფილიყო.

აღმოსავლეთ საქართველოსა, იმერეთსა და გურიაში ამ ხმილისათვის სახელად ნესვის, მეგრულში კი შინკას არსებობა ცხადპყოფს, რომ ან ნესვის კულტურა იმიერსა და ამიერ საქართველოში სხვადასხვა გზით უნდა იყოს შემოსული, ან ერთ მათგანში შემდეგ შეთვისებულ სახელს, ანდა ახლად გაბატონებულ სახესხვაობას წინანდელი სახელი განუდევნია.

ნესვს გარდა, როგორც დავრწმუნდით, ამ ხმილის აღსანიშნავად არა ერთი სხვა სახელიც არსებობდა ძველად და ეხლაც იხმარება. ამიტომ თვითოეული ამ სახელთაგანის ბოტანიკური რაობის გამორკვევა აუცილებლადაა საჭირო.

ს. ორბელიანის თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 272) უკვე მოყვანილი განმარტების წყალობით ვიცით, რომ დასტამბო და პუმპულა ძველად სინონიმები ყოფილან, მაშასადამე, ორივე ერთი და იმავე სახესხვაობის აღმნიშვნელად უნდა ვიგულისხმოთ. მას მოყვანილი აქვს მოსაზრებაც, რომელიც ერთი და იმავე სახეობისათვის ორი სხვადასხვა სახელის არსებობის მიზეზს გვაგებინებს.

საბას განმარტებით ხომ დასტამბო სპარსული სახელია, ქართულად კი მას პუმპულა ეწოდება. პირველი ცნობა სრული ჰემოპროტეზაა, მეორე კი მცდარი უნდა იყოს. რათგან თვით სახელი პუმპულა ქართული არ უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ პუმპულა უნდა პუმპულა-საგან იყოს წარმომდგარი, რომელიც თავის მხრით ნესვის იტალიურ სახელს *Porone*-სთან უნდა იყოს დაკავშირებული. ბიზანტიელებიც ხომ ნესვის XI ს. მოყოლებული პეპონ-ს ეძახდნენ და თანამედროვე ბერძნებიც „ტა პეპონია“-ს უწოდებენ. ამ მოსაზრებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ პუმპულა ნესვის სახელად დასავლეთ საქართველოში იხმარება.

პუმპულას და დასტამბოს ბოტანიკური რაობის გამოსარკვევად ერთი ძველი ცნობის გამოყენება შეიძლება. სახელდობრ, გალენუსის ზემომოყვანილი ცნობითგან (იხ. აქვე, გვ. 273) ირკვევა, რომ „პეპონ“-ი ნესვის ისეთი სახესხვაობა ყოფილა, რომელსაც არა სჭამდნენ. ასეთივე ცნობა გვაქვს დასტამბოს დანიშნულებაზე თანამედროვე საქართველოშიც. საინგილოში „დასტამბუა“ ეხლაც მოჰყავთ და იქ, მ. ჯანაშვილის ცნობით, „დასტამბოები ფრიად სულნელოვანი მოდის ზოლზე და ყმაწვილების გასართობად იკრიბება თურმე“ („საინგილო“: ძვ. საქართველო, II, 104).

მასთანამდე, ისევე, როგორც პეპონ-ი, ანუ პუმპულა არ იქმნოდა, დასტამბოც საკმელად კი არა, არამედ ბავშვების გასართობად და სურნელებისათვის უთესიათ.

ნესვის ასეთსავე სახესხვაობას წარმოადგენს რ. ერისთავისაგან ჩაწერილი გულიშამამი-ც, რომელიც, უეჭველია, ორი სიტყვისაგან უნდა იყოს. შემდგარი: გული + შამამი-საგან. შამამი არაბული სახელია, არაბულად *شامام* „შამამ-მეკ“ ზატარა სურნელოვან ნესვსა ჰნიშნავს (Zenker-ის ლექსიკ.). ს. ზელინსკი-ს სიტყვით, შამამი-დ წოდებული ნესვი ამიერკავკასიაში XIX ს-შიც მოჰყავდათ. ამ სახესხვაობის ნესვი თურმე ფორთოხალზე ცოტა მოზრდილი ყოფილა, რიგრიგობით მომდევნო ყვითელი და ნარინჯისფერი ზოლები ჰქონია და უაღრესად სურნელოვანია, მაგრამ ტკბილი არ ყოფილა. ამიტომ შამამი საკმელად კი არ მოჰყავდათ თურმე, არამედ შესამკობად და სურნელებისათვის (იხ. ს. ზელინსკის *Садоводство в Закавказском крае: Свод МИЭБГКЗК, IV, ნაწ. II, 133*).

გულიშამამი-ს პირველი ნაწილის გული უნდა ან სპარსული გული-ი იყოს, რომელიც ვარდსა ჰნიშნავს და მაშინ მთელი სახელი „გული-ი-შამამი“ ვარდის სურნელოვანი ნესვის აღმნიშვნელი გამოვიდოდა, ანდა თურქული *دگر* გულე, რომელიც ბირთვსა ჰნიშნავს, და ამ შემთხვევაში ამ ხმილის სახელს ბირთვ-სურნელოვანი ნესვის მნიშვნელობა ექმნებოდა. სპარს.-არაბ.-თურქ. ლექსიკონებში გულიშამამი არც ნესვის სახელად და არც ისე ჩანს. საფიქრებელია, რომ გულიშამამი ბოტანიკურად უნდა *Cucumis melo L. f. Dudain Naud, syn. Cucumis dudain L., Cucumis odorantissimus* იყოს, რომელსაც არაბები სწორედ „შემამ“-ს უწოდებენ (I. Becker, *Gemüsebau*, 670), ფრანგები და გერმანელები კი სპარსეთის ნესვს *Cocombre de Perse*-ს, *persische Melone*-ს, ანუ *Apfelmelone*-ს ეძახიან.

შამამ სომხურ მწერლობაშიც არსებობს და მხითარის იგავებში ზოიპოვება *ჯამამ*. ამ სიტყვის არაბული წარმოშობილობის გამორკვევისას H. bschmann ს ოყვანილი აქვს Achundow-ის „Die pharmakologischen Grundsätze des Abu Mansur Muwaffak“-ითგან არაბ. შამამ-ის რაობის შემდეგი განსაზღვრა: ნესვის პატარა სახესხვაობაა, პუმპულას მსგავსი (colocynthisidis instar), სურნელოვანი, მწვანე, ყვითელ-წითელ ზოლებიანი, რომელსაც სპარსელები „დასტამბოა“-ს უწოდებენ (დასახ. ნაშრომი, გვ. 209; Hübschmann-ის Arg. gr., I, 272—273).

ამგვარად ირკვევა, რომ დასტამბო მართლაც ნესვის გარკვეული სახესხვაობის სპარსული სახელი ყოფილა, შამამი ანუ გულიშამამი — არაბული და პუმპულა გაქართულებული ბერძნული-იტალიური. სამივე მართლაც, როგორც ს. ორბელიანსაც ჰქონდა პუმპულაზე ნათქვამი, „პაწა“ და „კრელი“ ნესვის. თანაც მეტად სურნელოვანი, მაგრამ უჭმელი სახესხვაობის აღმნიშვნელი ყოფილა. ბოტანიკურად იგი *Cucumis odorantissimus*-ია⁴.

მუხა-ნესვი ამ ჯიშს ფერისა და კანის დამუხვილობის გამო ეწოდება. ის უნდა ნესვთა იმ ჯგუფს ეკუთვნოდეს, რომელსაც გერმანულად Netz-Melonen-ს უწოდებენ.

თურაჯი მუხა-ნესვზე უფრო იშვიათი ჯიშის სახელი უნდა იყოს. მისი სახელი ფრინველის *چراغ*-ის თურქულ სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ალბათ ნესვის ამ ჯიშს ამ ფრინველის ფერი გადაჰკრავს. ზელინსკის ცნობით, ამიერ-კავკასიაში გავრცელებული ნესვის სახესხვაობა-ჯიშთა შორის ებლაც არსებობს თურაჯად წოდებულიც (იხ. „Садоводство в Закавказском Крае“; Свод МИЭБГКЗК, IV, ნაწ. II, 133).

დასასრულ, ღუთმის შესახებაც. ასეთი სახელი ნესვის გარკვეული ჯიშისათვის მარტო ქართულში არ გვხვდება. ღუთმა სომხურშიც იხმარება ნესვის ნაზი და ტკბილი ჯიშის სახელად (საპ. ამატუნის, *հ. բան ու բառ, դიւղմայ*) და თურქებშიც ამავე სახელს ხმარობენ (იხ. ს. ზელინსკის Садовод. в Закав. Крае: Свод МИЭБГКЗК, IV, ნაწ. II, 131—133): თვით სახელი სწორედ თურქულია. მაგრამ მისი კვალი არც ს. ორბელიანის ლექსიკონში ჩანს. არც ვახუშტის გეოგრაფიაში მოიპოვება.

იგივე უნდა ითქვას მუხა-ნესვსა და თურაჯზეც.

რაკი დასტამბოს, პუმპულას და გულიშამამის ბოტანიკური რაობა უკვე გამორკვეული გვაქვს და დავრწმუნდით, რომ სამივე ერთი და იმავე სახესხვაობის აღმნიშვნელია, რომელიც საჭმელი კი არა, არამედ სურნელებისა და თვალის საამებლად მოჰყავდათ, უნდა გამოირკვეს, თუ რომელი სახესხვაობა იყო ძველ საქართველოში საჭმელ ჯიშად გავრცელებული. რაკი ასეთი ჯიშებისათვის სახელად ძველ ქართულში ნესვი-ს გარდა ჯერჯერობით სხვა არაფერი ჩანს, ამიტომ არსებითად გამოსარკვევია, თუ ნესვი ამ ხმლის რომელი სახესხვაობაა აღმნიშვნელად იგულისხმებოდა. ამის საშუალებას ქვემოდასახელებული ქართველი მგოსნის ერთი ლექსი გვაძლევს.

⁴ პროფ. სოლ. ჩოლოყაშვილი და საქართველოს მედიკნობის ინსტიტუორი გ. ბერძენილიც იღასტურებენ, რომ დასტამბო აღმ. საქართველოში, მეტადრე კახეთში იხმარება, ხოლო პუმპულა დას. საქართველოში, ზორჩალოში კი ამის შესატყვისად შამამ-ს ხმარობენ. ორთავეს ამ ცნობისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ.

ნესვი ძველ საქართველოში ძალიან საქებურ ხმილად ითვლებოდა და მის ჭმას ყველანი ეტანებოდნენ, მაგრამ ის მაინც მაწყინარად იყო მიჩნეული. ეს გაოს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“-ში არის აღნიშნული:

„ნესვმან თქუა: „ესჩივი ამისთუის, მიწასა მამაყრიანო,
რა გავისდები, საქმელად ყველანი მინატრიანო.
მოვლენ, მეძებენ, მპოებენ, ხორცსა დანითა მჭრიანო,
ციებას, მერმე ცხელებას, ჭირს ჩემგან შეიყრიანო“ (მე-10 ტაეპი).

გარს. ჩოლოყაშვილის ცნობა; რომ ნესვი ჩივის „მიწასა მამაყრიანო“ იმ მხრივ არის საგულისხმო, რომ აქ დატული გვაქვს ამ ხმილის გარკვეული ჯიშის კულტურის ნაშანდობლივი თვისება. ს. ზელინსკის სიტყვით, ნესვის ყველა სხვა ჯიშზე ძნელი მოსაყვან-მოსავლელი თურმე დუთმა ყოფილა. იმ რთული და მუღმივი მუშაობითგან, რომლის აღწერილობაც მას დაწვრილებით აქვს მოყვანილი, ჩვენთვის შემდეგია საყურადღებო. იმ დროითგან მოყოლებული, როცა ნესვის ულორტებზე ბუტკოიანი დედალი ყვავილები გაჩნდება, ნაყოფს მიწას წააყრიან ხოლმე ჯერ ფრთხილად, ხოლო როდესაც ნესვი მტრედის კვერცხის ოდენა გახდება, მაშინ მას მახლობელ ფოთოლს გადაათარებენ და მიწას წააყრიან თითქმის მთლიანად და მარტო პატარა ადგილს სტოვებენ, რომ ჰაერმა იპუშაოს. მ-წა-წყარილი ნაყოფი სწრაფად იზრდება და გადიდებასთან ერთად მიწის ხელახალი წაყრათ ხოლმე საჭირო ყოველ დღე, ზოგჯერ დღეში ორჯერაც კი. მიწის წაუყრელად დუთმას თურმე ჭია უჩნდება და ფუქდება. როდესაც ნესვის ზრდა დასრულდება და გაყვითლებას დაიწყებს, მაშინ უკვე მისი დამწიფების ხანა დგება და მსოლოდ ამ დროითგან მოყოლებული მას წაყრილ მიწას აშორებენ და მზეზე სტოვებენ დასამწიფებლად, სანამ მოსაწყვეტი შეიქმნება (Садовод. в Закавказье. Крае: Свод МИЭБГКЗК, IV, ნაწ. II, 131—133).

ამნაირად, გარს. ჩოლოყაშვილის ზემომოყვანილი ლექსითგან ჩანს, რომ ძველ საქართველოში ნესვად სწორედ უნაზესი და უტკბილესი, დუთმად წოდებული, ჯიში ყოფილა ნაგულისხმევი.

როგორც ქართველი მგოსნის ლექსითგანაც ირკვევა, ნესვი თუმცა ძალიან გემრიელ. მაგრამ იმავე დროს მავნებელ ხმილად ითვლებოდა. ჩვეულებრივ მას ეხლაც კუჭ-ნაწლავების მოშლას აბრალებენ (იხ. იქვე, 133), მაგრამ ნესვის ჩვეულებრივ ჯიშებს, დუთმას გარდა, რომელიც ს. ზელინსკის სიტყვით თითქოს სრულებით უვნებელი უნდა იყოს (იქვე), ძველ საქართველოში კი, როგორც ირკვევა, ნესვს საერთოდ ციებ-ციხელების ამშლელად სთვლიდნენ.

ამისდა მიუხედავად ნესვს საქართველოში ხალხი მაინც ეტანებოდა: საყვარელ საქმელად და ხმილად ითვლებოდა. ამიტომ საქართველოს დედაქალაქში ისევე, როგორც სხვაგანაც, ურმობლივ და საპალნეებით შემოპქონდათ გასაყიდად. ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნში მაგ. განსაზღვრულია, რომ ტფილისში „საპალნე ნესვზედ, ნახევარი ნესვი მოურავისა არის და ურემზედ ორი გამორჩეული ნესვი უნდა მოერთვას“-ო (სქს სძვლნი, II, 526).

თავი III. მელსაპეპონი ანუ საზამთრო

§ 1. ცნობები მელსაპეპონზე და საზამთროზე და მათი რაობა

დამახასიათებელია, რომ ვახუშტს არც საქართველოში გავრცელებულ ხმილთა ზოგადს დახასიათებაში და არც ცალკეული თემის აღწერილობაში საზამთრო მოხსენებული არა აქვს. ამისდა მიხედვით შესაძლებელია აღამიანს დაეცვნა კიდევაც, რომ საქართველოში XVIII ს. დამდეგს ჯერ საზამთრო არ იყო. მაგრამ საკმარისია აღამიანმა თუნდაც რუსი დესპანების მოხსენებანი გადაფურცლოს, რომ დარწმუნდეს, თუ რაოდენად მცდარი იქმნებოდა ზემოხსენებული დასკვნა.

მართლაც კლუჩარევ-მიშეცკისა და ტოლოჩანოვ-იველევის აღწერილობათაგან ირკვევა, რომ კახეთსაცა და იმერეთში XVII ს-ში საზამთრო უთესიათ (იხ. აქვე, გვ. 155). ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ“-შიც აღნიშნულია, რომ გაღმა-ჰალის ბაღებში სხვა ბოსტნეულობასა და ხმილთან ერთად საზამთროც უნდა მოეყვანათ (აქვე, გვ. 154).

ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: საზამთრო XIII ს. დამდეგს ხოჯა-ყოფილისაგან ნათარგმნ „სააქიმო წიგნ“-შიც არის ნახმარი: „საზამთროსა. რომელსა ჰქვიან ხარბუხაი ჰინლოი“-ო (იხ. ხელთნ., გვ. 75).

ამ გარემოების გათვალისწინების შემდგომ ძნელი დასაჯერებელია, რომ ვახუშტს ამ ხმილის კულტურის საქართველოში არსებობა სრულებით დაჰკვიწყებოდეს.

ეს უცნაურობა უმალ გასაგები გახდება ყველასათვის, ვინც კი საზამთრო-ს ქვეშე მოთავსებულს ს. ორბელიანის განმარტებას წაიკითხავს: იქ ნათქვამია: „საზამთრო ესე არს, რაჲცა ზამთრისათჳს შეინახება. ხოლო მას ხილსა, რომელი ნესვთან მოვა, მელსაპეპონი ეწოდების“-ო. აქ ხელნაწერთა B ჯგუფში დამატებულია: „მას არა ჰქვიან საზამთრო“-ო (ლექსიკ.). ამ ცნობითგან ირკვევა, რომ „საზამთრო“, ვითარცა ხმილის სახელი, თუმცა საბას დროსაც არსებობდა, მაგრამ მისი ასეთი მნიშვნელობა ქართველ ლექსიკოგრაფს და სხვასაც მცდარად მიაჩნდა. ამ ხმილის ნამდვილ სახელად ორბელიანი და სხვები „მელსაპეპონ“-სა სთვლიდენ. საბას პირდაპირ ნათქვამი აქვს კიდევაც, რომ „მელსაპეპონი საზამთრო“ არისო და იქვე მცენარის პირობითი ნიშანი აქვს დართული და თავისი ამ განმარტების სისწორის საბუთად რიცხვთა 11ჲ აქვს დასახელებული (ლექსიკ.).

როგორც ჩანს, საბას აზრს ვახუშტიც იზიარებდა და ამიტომაცაა, რომ მის ნაშრომში არსად საზამთრო მოხსენებული არ არის, სამაგიეროდ აღნიშნული აქვს, რომ ბერდუჯის ხეობაში „მელსაპეპონი“ მოჰყავდათ და რომ იმერეთში „მელსაპეპონი“ მოუვლელადაც კი ხარობდა (აქვე, გვ. 155). ესეც ცხადია, რომ ვახუშტი ორსავე შემთხვევაში საზამთროს ჰეულისხმობდა.

უნდა ითქვას, რომ, თუმცა „საზამთრო“, როგორც „სააქიმო წიგნ“-ითგანა და ს. ორბელიანის ლექსიკონითგან ჩანს, საქართველოში XII—XVII ს-ში უკვე ყოფილა, მაგრამ მართლაც ამის მსგავსი სრულებით შეუფერებელი სახელი, როგორც საზამთროა ამ ხმილისათვის, იშვიათია. მისი შენახვა არამცთუ საზამთროდ, საზოგადოდ დიდ ხანს ძნელია და სწორედ გაუგებარია, თუ რატო-

მაა, რომ მას და არა ნესვს ეწოდა ასეთი სახელი, როდესაც სწორედ ნესვს ინახავდენ ხოლმე უფრო ხანგრძლივ და არა საზამთროს.

„მელსაპეპონი“ (რიცხვთა, 11₅) ბერძნული პეპონეს-ს $\pi\acute{\epsilon}\pi\omicron\nu\epsilon\varsigma$ -ს. ლათინ. $pepones$ და სომხურს $մեղოსպուი$ -ს უდრის დაბადების თარგმანის თანახმად. მაგრამ არსებითად ქართული „მელაპეპონი“ ბერძნულს მელიოპეპონ-ს $\mu\eta\lambda\iota\sigma\pi\acute{\epsilon}\pi\alpha\upsilon$ -სა და ლათინურ melopepo-ს წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ს. ორბელიანს „მელსაპეპონი“ აქვს და. რიცხვთა ამავე ადგილის დანოწმებით, საზამთროდ აქვს განმარტებული (ლექსიკ.).

ჩვეულებრივ melopepo ნესვის სახელად ითვლება. É. Littré-ც პლინიუსის Natur. hist., lib. XIX, 23-ში ეს სიტყვა ფრანგულად melon-ად, ხოლო ბოტანიკურად Cucumis melo Lin-დ აქვს განსაზღვრული (იხ. Histoire Naturelle de Pline avec la traduction en français par M. É. Littré, I, გვ. 721). მაგრამ I. Becker-ი ამტკიცებს, რომ რაკი ებრაულში „ბათთიხიმ“ ეხლაც საზამთროსა ჰნიშნავს (იხ. Gemi sebau, 693), ამიტომ რიცხვთა 11₅-შიც ამ ადგილას ნახმარი abattichim-იც უნდა საზამთროსევე ჰნიშნავდეს (იქვე, 669). ამ ადგილისა და სიტყვის ასეთს გაგებულობას. ს. ორბელიანის ზემოთყვანილი განმარტება კარგად უდგება.

ამნაირად, ირკვევა, რომ ძველად, უკვე დაბადების ქართულად გადმოთარგმნის დროს, საზამთროს „მელსაპეპონი“ ჰქმევედა და ასეთი სახელი შენარჩუნებული ჰქონია მას XVIII ს-შიც კი. მაგრამ, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინც-დამაინც უკვე XII—XVII ს-ში ამ ხმილის სახელად „საზამთრო“ შემოსულა, რომლის შინაარსიც ასე არ უდგება ამ სწორედ საზაფხულოდ განკუთვნილ მცენარესა და ნაყოფს.

ვახუშტის გეოგრაფიითგან ირკვევა, რომ საზამთრო (მელსაპეპონი) აღმოსავლეთ საქართველოში მეტადრე ბერძნულის ხეობაში ყოფილა გავრცელებული და, რა თქმა უნდა, კახეთ-ჰერეთში. დასავლეთ საქართველოში ზოგან ეს ხმილი „უნუშაკოდ“, ე. ი. მოუვლელადაც კი მოდიოდა.

აკად. გიულდენშტედტის ცნობით საზამთრო XVIII ს. დამლევს თვით რაკაშიც კი მოჰყავდათ თურმე (იხ. აქვე, გვ. 156). მით უმეტეს უნდა ყოფილიყო გავრცელებული ეს ხმილი დანარჩენ საქართველოშიც ყველგან, სადაც კი ჰავა და მიწა-წყლის პირობები ადამიანს მისი მოყვანის საშუალებას აძლევდა.

რ. ერისთავს თუ დავუჯერებთ, საზამთროს სახელად მელსაპეპონი თითქოს ეხლაც უნდა იყოს ამერეთში სადღაც დაცული, იმერეთსა და გურიაში კი ოსმალურითგან შეთვისებული „ხარბუზაკი“-ა დამკვიდრებული, რომელიც მეგრულში „ხაბრუზაკ“-ადაც კი ქცეულა (ბოტ. ლექსიკ., 49, § 703).

§ 2. საზამთროს კულტურის მიმოხილვა უცხოეთსა და საქართველოში

საზამთროს სამშობლოდ აფრიკის ჩრდილო და სამხრეთის შშრალი ტროპიკული არეები ითვლება. ველურად ეს მცენარე უფრო სამხრეთ აფრიკაშია გავრცელებული, მაგრამ, რაკი იქ კულტურისანი მოსახლეობა არ იყო, ამიტომ მისი გაშინაურება ჩრდილო აფრიკის ისეთი მაღალი კულტურის მქონებელი ხალხის ღვაწლი უნდა იყოს, როგორიც ძველი ეგვიპტელები იყვნენ. ველური ხმილი და ნაყოფი ყოველთვის სიდიდით შინაურს საგრძნობლად ჩამოუვარ-

დება ხოლმე და ასეთი, თითქმის მუშტის ოდენა, საზამთროს ჯიში ეგვიპტეში ეხლაც კი მოიპოვება (I. Becker, Gemüsebau, 693).

ეგვიპტეში საზამთროს სხვადასხვა ჯიშია გავრცელებული. პატარა, მრგვალი საზამთრო ნუბიის ნილოსის ხეობაში მოპყავთ უმთავრესად და ნუბიელნი მას სახელად *gurma*-ს უწოდებენ. მაგრამ მცხოვრებნი თვით ამ ხმილს კი არ სჯამენ, არამედ მის თესლს დახლილს შეექცევიან თურმე ისევე, როგორც ზოგან მზეუჭვრიტას სჯამენ ხოლმე (იქვე, 693).

ძველ ეგვიპტეში ეს ჯიში ძალიან გავრცელებული ყოფილა: მისი თესლი და ფოთლები ძველ სამარხავებში ბლოჰად არის აღმოჩენილი პროფ. G. Schweinfurth-მა ამ ჯიშს, რომელიც ველურ საზამთროს ასე უახლოვდება, ბოტანიკურ სახელად უწოდა *Cucumis citrullus L., var. colocythoides* (იქვე, 693).

დიდი საზამთრო, რომელსაც არაბებიცა და ებრაელებიც „ბათიხ“-ს უწოდებენ და რომელიც დაბადებაში „აბათიხიმ“-ად არის სახელდებული, პროფ. G. Schweinfurth-ის აზრით, შედარებით უფრო გვიან, დაახლოვებით 1200 წ. ქ. წ. უნდა იყოს გაჩენილი. ამ ჯიშის საზამთროს სურათი ძველი ეგვიპტის ძეგლებში ძალიან ხშირია. მას სახელად იეროგლიფურ ეგვიპტურ მწერლობაში „boutuouka“ პრქმევია, რაც ამავე ხმილის კობტურს *bettuke*-ს და არაბულ-ებრაულ სახელს მიაგავს (იქვე, 693).

I. Becker-ი ფიქრობს, რომ იბნ ალ-ავეამ-ის მიერ დასახელებული ხმილი „ბათუჰ“-იც საზამთრო უნდა იყოს (იქვე, 693).

ჯერ გამორკვეული არ არის, თუ როდის გაჩნდა საზამთრო საბერძნეთსა და იტალიაში. ამის გამორკვევას ის გარემოება აძნელებს, რომ ამ ხმილის ბერძნული და ლათინური სახელი დანამდვილებით ცნობილი არ არის. I. Becker-ი ფიქრობს, რომ საზამთროს ბერძნულ სახელად „პეპონ“-ი უნდა ყოფილიყო, რათგან ბიზანტიელ ავტორს სიმეონ სეტს ნათქვამი აქვს, რომ სარკინოზულმა პეპონ-მა ციება იცისო (*Gemüsebau*, 693—694). მაგრამ აღმოსავლეთსა და ჩვენში არავის ფიქრად არ მოუვა საზამთრო ციებიანად ჩათვალოს, პირიქით ნესვი კი და კიტრი, როგორც გარს. ჩოლაყაშვილის ზემომოყვანილი ლექსითგანაც ჩანს და ეხლაც ხალხსა სწამს, სწორედ ციების გამომწვევე ხმილად ითვლება. ამას გარდა, გალენუსის თავის ადგილას უკვე მოყვანილი ცნობის მიხედვით დავრწმუნდით (აქვე, გვ. 273), რომ „პეპონს“ არ სჯამდენ და ნესვის იმ სახესხვაობის სახელი იყო, რომელსაც პუმპულა, ანუ დასტამბო ეწოდება. ამიტომ ს. სეთსაც „პეპონ“-ად ნესვ-პუმპულა უნდა ჰქონდეს ნაგულისხმევი.

ჩრდილო-დასავლეთი ევროპის ქვეყნებში საზამთრო გვიან არის გაჩენილი. მაგრამ ვაინენის დრო I. Becker-ს აღნიშნული არა აქვს (გვ. 693) და დანამდვილებით ეტყობა გამორკვეული არც უნდა იყოს. ფრანგები და გერმანელები მას წყლის, ანუ წყლიან ნესვს *melon-d'eau*, *die Wassermelone* და *la pastèque*-ს, *pasteke*-ს უწოდებენ. გერმანელები *Artuse*-საც ხმარობენ, ისევე როგორც აღმოსავლეთ ევროპის ბევრი სხვა ვრიც.

საქართველოში ამ ხმილისათვის ორი სახელი იყო ძველად, მელსაპეპონი. რომელიც ბერძნულ-ლათინურიდან ნასესხები სიტყვაა, და საზამთრო.

ქართული საზამთრო-ს მსგავსი სახელი ამ ხმილისთვის კიდევ მხოლოდ სომხებს აქვთ, რომელნიც აგრეთვე *ბაზნიკ* ძმერუკ-ს (ანუ ახალი გამოთქმით წმერუკ-ს)

უწოდებდნენ და უწოდებენ ეხლაც. რაკი ძმერნ ზამთარს ჰნიშნავდა და ჰნიშნავს ახალ სომხურშიც, ამიტომ ძმერუჯ-ი ზამთრულას ჰნიშნავს და ზედმიწევნით საზამთროს უდრის. ამ ხმლის სახელი სომხურ მწერლობაში მხითარ გოშის იგავ-არაკებშია ნახპარი (იხ. *Հայկազ. Բ.*).

ხოჯა-ყოფილის „სააქიმო წიგნის“ განმარტებაში ნათქვამია, რომ „საზამთროსა, რომელსა ჰქვიან ხარბუზაი ჰინდოი“ (ხელთნ., გვ. 75). ამხსნელი ორი სიტყვა სპარსულია და ინდოეთის ხარბუზაკს, ანუ საზამთროს ჰნიშნავს. ამ განმარტებითგან ისე გამოდის, თითქოს საზამთრო იმ დროს ამ ხმლის ინდოეთის ჯიშის სახელად უნდა ყოფილიყო. მაგრამ ამის დანამდვილებით თქმა მაშინ შეიძლებოდა, „სააქიმო წიგნი“-ს დედანი რომ გვექონოდა ხელთ. ისე საზამთრო-ს ამ ხმლისათვის სახელად დარქმევა, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, თვით ს. ორბელიანსაც უცნაურად მიუჩნევია და ასევე უმსჯელიათ მერმინდელ ქართველ მეცნიერთ, მათ შორის ვახუშტსაც. მაგრამ, რაკი ასეთი სახელი XII საუჯ-იკ კი ყოფილა, ამიტომ, უეჭველია, რაიმე საფუძველი უნდა ჰქონოდათ, როდესაც ქართველებს ამ ხმლისათვის ასეთი სახელი დაურქმევიათ. საზამთროს სახელი შესაძლებელია დამახინჯებული იყოს და ხალხური ეტიმოლოგიის წყალობით გააზრიანებულია, ანდა, თუ სახელი სისწორით არის დაცული, მისი დედაზრის გაებაა საჭირო. ამის ძიების დროს კი შესაძლებელია ამ კარაბადინში მხოლოდ ინდოეთის ხარბუზაკი იყოს მოხსენებული. თუ მის შესატყვისად ქართულად ხოჯა-ყოფილმა მარტივად საზამთრო იხმარა, მაშინ ეს სიტყვა ამ ხმლის ზოგადი სახელი ყოფილა უკვე ამ ხანაშივე, მაგრამ ეებაის საზამთრო და ძმერუჯ-ი სპარსულად და ინდოურად არსებული სახელის ზედმიწევნით თარგმანი იყოს.

თავის აღგილას უკვე გვექონდა მოყვანილი ცნობები, რაც კი მოგვეპოვება ძველ საქართველოში საზამთროს შესახებ. ყველგან სადაც ნესვი მოდიოდა, საზამთროც იქვე მოჰყავდათ. ბერდუჯისა და ქციის, მტკვრისა, ალაზნისა და ივრის ხეობათა ქვედა ნაწილებს გარდა, საზამთროსთვის ყველაზე ხელსაყრელი პირობები დასავლეთ საქართველოში აღმოჩენილა, სადაც ზოგან „უმუშაკოდ“-აც კი მოდიოდა თურმე.

საზამთრო საქართველოში საუცხოო ხმილად ითვლებოდა, რომელსაც, გემრიელი და გამაგრილებელი თვისების გარდა, ავადმყოფობის დროს მარგებელობასაც მიაწერდნენ. აი რა ათქმევინა ამ ხმილს თავის „ხილთა ქება“-ში გარს. ჩოლაყაშვილმა:

„საზამთრო იტყვის: „ნუ უბნობთ, მე არ ვის დაგიცილებო, თავსა ნუ იქებთ ჩემთანა, ყოველთა შეგარცხენებო შეწუხებულსა სიციხითა კაცის გულს მოვაგრილებო, ვარ ჯალინოზი აქიმი, სხეულსაც მოვალხინებო“ (მე-12 ტაეპი).

საზამთროს მთავარ ღირსებად სიცხეში ადამიანისათვის გამაგრილებელი თვისება ყოფილა მიჩნეული. სიცხესთან ერთად თავისდათავად წყურვილიც იგულსხმება და სწორედ ასეთ მდგომარეობაში საზამთრო ადამიანისათვის ტკბილი, წყლიანი, გამაგრილებელი და თანაც სიტკბოს გამო ნოყიერი ხმილია. სპარსელი მდაბიო ხალხი და ხელოსნები ხშირად საზამთროთი და პურით იკვებებიან ხოლმე.

საზამთროს სამკურნალო თვისების შესახებ შემომოყვანილი ცნობა უმთავრესად მისი ქერქის მწვანე შრეს უნდა ჰგულისხმობდეს, რომლის ნახარშიც საქართველოში სიცხის წინააღმდეგ უებარ წამლად ითვლებოდა და ითვლება ეხლაც.

თავი IV. კვანძი

§ 1. ცნობები ამ ხმელზე საქართველოში

„სააქიმო წიგნის“ ხოჯა-ყოფილის თარგმანში არა ერთხელ არის „აყირო“ ნახმარი, „აყიროს გულის ზეთი“-ც არის დასახელებული წამლად (ხელთნ., გვ. 44, 114—115, 157, 164 და 193).

ს. ორბელიანს ამ ხმილის ოთხი სახელი მოეპოვება: აყირო, გოგრა და ხაპი. მეოთხე კუახი პირველის სინონიმად ეგულებოდა. ამათგან აყირო და ხაპი ისეთი სახესხვაობის აღმნიშვნელად მიაჩნია, რომელიც ჭურჭლად და სასმისად იხმარებოდა. ამ ხმილის იმ სახესხვაობას, რომელიც საკმელად იყო განკუთვნილი, გოგრა ეწოდებოდა (ლექსიკ.: აყირო).

ფ. გორგიჯანიძეს „აყირო“ არა აქვს და მხოლოდ „კუახი“ მოეპოვება, რომელიც საბას განმარტებით იგივე აყირო ყოფილა. გორგიჯანიძე კუახს არაბ. „დბა“-ს და სპარს. „ქედუ“-ს შესატყვისობად ასახელებს. თანამედროვე სპარსულში *کدو* ქედუ-დ გამოითქმის და ზოგადი მნიშვნელობა აქვს (Zenker-ის ლექსიკ.).

თურქულად გოგრა-კვანძს ყაბაყ-ი *قاپق کاندک* ეწოდება, რომელიც ზოგადი სახელია და უმთავრესად საკმელად განკუთვნილი სახესხვაობის ჯიშების აღმნიშვნელია. სასმისად განკუთვნილ სახესხვაობას „სუ ყაბაყ“-ს (Zenker-ის ლექსიკ.), ე. ი. წყლის კვანძს, წყლის გოგრას ეძახიან.

ქანურად „კაიში“ და „კასტანე“ ეწოდება თეთრ კვანძს (ჭ. გ., 150 და 153).

ხოლო „ხაპერაში“ (ხოფ. ჭ. გ., 229) შავ გოგრას და „ყოყორე“ (ხოფ), „ოფორე“ (ათინ.) და „ორე“ (ვიწ., რიზე-ხოფ., ათინ.: ჭ. გ., 204) კვან-გოგრას. მეგრულად კი „კოპეშია“-ს ეძახიან (მ. გ.). სვანებს გოგრასთვის სახელად „კვან-ნესგ“-ი და „აყარ“-ი აქვთ, რომელთაგან პირველი კვანძს უდრის, მეორე აყიროს (ივ. ნიქარაძის p.-c. სლ.: ТЫКВА).

რუსი ელჩები დასავლეთ საქართველოში ნანახ ბოსტნეულობაში კვანძის ორნაირ ჯიშს ასახელებენ: ერთს ისინი რუსულ კვანძს („тыквы русские“) უწოდებენ, მეორეს კადეე ყიზილბაშურ კვანძს („тыквы кызылбашские, что пьют“) ეძახიან. რაკი ეს ჯიში სასმისად ჰქონიათ ქართველებს გამოყენებული, ამიტომ, საბას ტერმინოლოგიით, ეს მეორე ჯიში „ხაპი“ ყოფილა. გიულდენშტედტის აღწერილობითგან ჩანს, რომ დასავლეთ საქართველოშიც ეს სასმისად გამოყენებული ჯიში ხაპი (Flaschenkürbisse) ძალიან გავრცელებული ყოფილა (იხ. აქვე. გვ. 156).

რ. ერისთავისავე ცნობით „გოგრა“ ამერეთში მიღებული სახელია, რომლის შესატყვისად იპერეთში „კვანძი“ იხმარება, გურიაში „ხაპი“, ხოლო სამეგრელოში

„კობეშია“. ბოტანიკურად იგი *Cucurbita maxima* Duch. *Melopepo* L.-ს, რუს. тыква-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., 12, § 180). I. Becker-ის ცნობითგან, რამე *Cucurbita maxima* Duch. და *Cucurbita melopepo* L. სულ სხვადასხვა წარმონაზობისაა (იხ. აქვე), ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია რ. ერისთავის ზემთმოყვანილი ბოტანიკური განსაზღვრა სწორე იყოს, არამედ ერთი მათგანის შესატყვისად უნდა იქმნეს მიჩნეული.

რ. ერისთავს „ხორკლიანი“ ანუ „მეჭექიანი გოგრა“-ც აქვს ლექსიკონში შეტანილი და მისი აზრით ეს ჯიში წარმოადგენს *Cucurbita verrucosa* Duch.-ს, რუს. тыква бородавчатая-ს (გვ. 12, § 181).

§ 2. კვახის კულტურისა და სამეურნეო მნიშვნელობის მიმოხილვა უცხოეთში

გოგრა-კვახის, *Cucurbita maxima* Duch.-ს, სამშობლოდ სამხრეთ აზია ითვლება.

ხოლო *Cucurbita pepo* L. კი ისევე, როგორც *Cucurbita melopepo* L. ამერიკული ხმილია და ადგილობრივ ზეენარედ მექსიკოსა და ტეხასშია. იქითგან ეს ხმილი პორტუგალიელებს ევროპასა და დასავლეთ აფრიკაში შეუტანიათ. უკვე Leonard Fuchs-მა იცოდა 1543 წ. *Cucurbita*-ს ამ ჯიშის ამერიკული წარმონაზობის გარემოება.

ამგვარად, გოგრა-კვახის ორი განსხვავებული ჯიშია: ერთი აზიითგან მომდინარეობს და იქითგან ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ ამერიკაშიც გავრცელდა, — მეორე პირიქით ამერიკითგან ევროპაში და აფრიკაში, მერმე კი აზიაშიც იქმნა შეტანილი (I. Becker, Gemüseebau).

ამ ხმილის სახელის გაურკვეველობა და ნესვ-კიტრთან არევა გოგრა-კვახის კულტურის ისტორიის გამორკვევას საბერძნეთსა და რომში აძნელებს.

პლინიუსს მცირეს ამ ხმილის ორი მთავარი ჯიშის არსებობა აქვს იტალიაში აღნიშნული. ერთი მხვიარა ჯიში ყოფილა, რომელიც სახლის სახურავამდისაც კი აღიოდა ხოლმე და რომლის ნაყოფი ჰაერში ეკიდა, და მეორე ჩვეულებრივი მდებარე ჯიში, რომელიც მიწაზე იყო განთხმულ-გაბანდული („duo prima genera: camerarium et plebeium, quod humi repit“. Natur. hist., XIX, 24).

რომაელები გოგრა-კვახს ბევრნაირად ხმარობდნენ: საჭმელადაც და ჭურჭლადაც ჰქონდათ გამოყენებული („cucurbitarum numerosior usus“). იგი ტკბილ და სასიამოვნო საჭმელად ითვლებოდა, თუმცა ძნელ მოსანელებლად, მაგრამ მაინც უვნებლად იყო მიჩნეული (Natur. hist., XIX, 24). გოგრას მოხარშულსაც სჭამდნენ, ნეწწვარსაც და ჩადებულსაც ხმარობდნენ (H. Blümner, Die römischen Privataltertümer, 167).

რომაელ ბუნებისმეტყველს აღნიშნული აქვს, რომ იტალიაში გამოუგონიათ საშუალება გოგრისა დიდი ხნის განმავლობაში, თვით მეორე მოსავლამდე შესანახად ისე, რომ საჭმელადაც გამოსადეგი ყოფილიყო. ზოგიერთნი ამ ხმარებას მწვანე ფერსაც კი უნარჩუნებდნენ (Natur. hist., XIX, 24).

გახმობილ კვახს იტალიაში, პლინიუსის ცნობით, ჭურჭლად ხმარობდნენ აბანოში, ღვინისთვისაც, თესლ-მარცვლეულის შესანახავადაც. ღვინის ჭურ-

ქლად და აბანოში სახმარებლად გამოყენება რომაელებს პლინიუსის დროს დაუწყიათ (Natur. hist., XIX, 24).

ჭურჭლად ჭვანჭუთენილ კვახს *Lagenaria* ეწოდება. იგი აფრიკითგან მომდინარეობს. უკვე ძველ ეგვიპტეში ხმარობდნენ ამ ჭიშის ჭურჭლის მაგიერ (I. Becker, Gemüsebau, 699). რომაელებს იქითგანვე ექმნებოდათ კვახის ამგვარი დანიშნულებისათვის გამოყენებადობა ნასწავლი.

კარლოს დიდს მოხსენებული აქვს *cucurbitae*, რომელიც ალბათ საკმელ გოგრა-კვახს უნდა ჰგულისხმობდეს. მაგრამ ამ ხმილის ზოგანას ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში წინათ ნაკლებად მისდევდნენ და მხოლოდ XIX ს-ითგან მოყოლებული ძლიერდება იქ მისი კულტურაც (I. Becker, Gemüsebau, 699).

§ 8. ამ ხმილის კულტურასა და სამეურნეო მნიშვნელობაზე ძველ საქართველოში

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში აღნიშნული აქვს, რომ გოგრა-კვახი „მრავალრიგნი არიან“. ასეთ მრავალრიგობისას მათი რამდენიმე ჯგუფად დაყოფა აუცილებელი იყო. ძველ საქართველოშიც ამ ხმილს რამოდენიმე მთავარ ჯგუფად, ანუ სახესხვაობად ჰყოფდნენ და ამისთვის ზოგადი სახელებიც ჰქონიათ. იმდროინდელი კლასიფიკაციის გასათვალისწინებლად საყურადღებო ცნობებია დაცული, რომელთა ცოდნაა საჭირო.

„აყირო“-ს განმარტებაში ს. ორბელიანი ამბობს: „ესეცა სამგუარნი არიან: აყირო, გოგრა და ხაპი. აყირო არს ქერქ-ზრქელი, მსგავსი საწდისა, ვიეთნი კვახად სახელსდებენ; გოგრა არს ქერქ-თხელი და მხალად საკმელი; ხაპი არს აყიროს მსგავსი და უყელო, გლენი სასმისად იხმენ, რომელ არს კოში: ესენიცა მრავალ-რიგნი არიან (4,6 ითან.)“-ო (ლექსიკ.).

სახელოვანი ლექსიკოგრაფის ეს განმარტება მთლად სწორე არ არის. მისი ახსნით ამ ხმილის საკმელ ჭიშებს მხოლოდ გოგრა ეწოდებოდა, კუახი კი თითქოს უკმელი და მარტო ჭურჭლად განკუთვნილი ჭიშების სახელი უნდა ყოფილიყო. საკმარისია აღამიანმა ფ. გორგიჯანიძის ქართულ-არაბულ-სპარსული პატარა ლექსიკონითგან ზემომოყვანილი ცნობა (იხ. აქვე, გვ. 155) გადაიკითხოს იმის დასარწმუნებლად, რომ კუახი ამ ხმილის ზოგადი ჭიშების სახელი იყო. თანამედროვე საქართველოშიც ასევეა და კვახი იმერეთში საკმელი გოგრის ჩვეულებრივი სახელია (რ. ერისთავის ბოტ. ლექსიკ., გვ. 12, § 180).

ამნარად, ცხადია, რომ ამ ხმილს ზოგად სახელად გოგრას, ანდა კუახს ეძახდნენ წინათაც და ეხლაც ასევე უწოდებენ. პირველი ამ ხმილის გარეგან მოყვანილობას ახასიათებს, მის სიმრგვალეს გამოჰხატავს. საგულისხმოა, რომ ქართული გოგრა-ს მსგავსად გერმანელებიც ამ ხმილს ერთ-ერთ სახელად *Türkenköpfe*-ს, ე. ი. თურქთა თავის, თურქის გოგრის სახელსაც ეძახიან (იხ. I. Becker, Gemüsebau, 698).

კვახი-ს სახელი უფრო საყურადღებოა. მისი პირველადი მნიშვნელობის გაგებას გოგრის სვანური სახელები გვშველის.

გოგრა-კვახს სვანები „კვახ-ნესგ“-ს უწოდებენ. ერთი შეხედვითაც ცხადი შეიქმნება აღამიანისათვის, რომ აქ თვალწინ ორნაწილელი სიტყვა გვაქვს,

კვახ + ნესგ-ისგან შემდგარი. პირველი მათგანი „კვახ“-ს წარმოადგენს, რომელიც გოგრის აღსანიშნავად ამიერ-იმიერ საქართველოშიც არის გავრცელებული. მეორე ნაწილი. „ნესგ“, საფიქრებელია უფრო ადრინდელი „ნესგ“-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი და „ნესგ“-ის ფონეტიკურად კანონზომიერი შესატყვისობა უნდა იყოს.

მაშასადამე, თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, საფიქრებელია, რომ გოგრის ეს სახელი ნესვის სახელთან უნდა იყოს დაკავშირებული. ხოლო თუ გვიხსენებთ, რომ „კვახი“, უეჭველია, „მკვახე“-ს ცნებასთან უნდა იყოს დაკავშირებული და თავდაპირველად იმავე თვისების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც მკვახე აღნიშნავს ხოლმე, მაშინ გოგრისათვის გამოყენებული სახელის თავდაპირველი დედააზრიც ნათელი შეიქმნება. გოგრა ქართველს მკვახე ნესვად მოუნათლავს. ამგვარი სახელი ერთი მხრით გოგრისა და ნესვის მსგავსებაზეა დამყარებული, მეორე მხრით იმ არსებითი განსხვავების გამომხატველიც არის, რომ ნესვის ჰამისათვის არც მოხარშვა და არც შეწვა საჭირო არ არის, გოგრის ჰამა კი უმად არ შეიძლება, არამედ წინასწარ უნდა ან შეიწვას, ანდა მოიხარშოს. სწორედ ამიტომ უნდა იყოს, რომ გოგრისათვის ქართველს მკვახე ნესვის სახელი უწოდებია.

მაგრამ ცნობილია და ძეგლებითგან შემომოყვანილი ამონაწერითგანაც ჩანს, რომ გოგრას იმერ-ამერეთშიც კვახი ეწოდება. რაკი „კუახი“ აქაც უეჭველია „მკვახე“-სთან არის დაკავშირებული, ამიტომ საფიქრებელი ხდება, რომ სვანურს უნდა სრულად ჰქონდეს დაცული ის ტერმინი, რომელიც ამ ხმის საქართველოში გაჩენისთანავე თავდაპირველად სახელად დარჰქმევია და მხოლოდ შემდეგში თანდათანობით ამ ორნაწილადი ტერმინის „მკუახე ნესვის“ მეორე სიტყვა ჩამოსცლია და ამ ხმის სახელად მხოლოდ კუახილა დარჩენილა.

ამ ხმისათვის კუახ სახელის შინაარსის შეუსაბამობა ძველადაც უგრძენიათ და, როგორც საბას ცნობითგანაც ჩანს, მის დამოუკიდებელ სიტყვად არსებობის გააზრიანება უცდიათ. ორბელიანი ამბობს, რომ ამ ხმის ქერქსქელი სახესხვაობის ყელიან ჯიშს, რომელსაც აყირო ჰრქმევია, „ვიეთნი კუახად სახელსდებენ“-ო, ხოლო ქერქთხელ და საქმელ სახესხვაობათა აღსანიშნავად გოგრა უხმარიათ. ამგვარად უქმელი სახესხვაობისათვის კუახი გამოუყენებიათ სახელად. რაკი ამ ჯიშების ჰამა არ შეიძლებოდა, მათ კუახეს სახელი შეჰშვენოდათ კიდევაც. მაგრამ ეს რომ ამ ტერმინის მერმინდელი გააზრიანების მცდელობაა, ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ასეთი მნიშვნელობით კუახს მხოლოდ „ვიეთნი“, ე. ი. ზოგიერთნი ხმარობდენ. სხვები კი ჩვეულებრივ, როგორც დავრწმუნდით, კუახს და გოგრას სინონიმებად სთვლიდენ და საქმელ სახესხვაობასაც კუახს უწოდებდენ ისევე, როგორც ამავე მნიშვნელობით ხმარობენ ეხლაც.

ყველა შემონათქვამის შემდგომ, ვგონებ, უფლება უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ სამ ხმილთაგან ყველაზე ადრე საქართველოში ნესვის კულტურა უნდა იყოს გაჩენილი. შემდეგ გოგრის კულტურაც შემოსულა და სულ ბოლოს საზამთროს კულტურაც შემოუტანიათ.

ამ ხმის ზოგადი სახელების, კვახისა და გოგრის განხილვის შემდგომ, უნდა მის სახეობებსაც და ჯიშებსაც შევეხოთ.

საბას განმარტებითგან ჩანს, რომ ძველად საქართველოში ამ ხმილს ამა თუ იმ თვისებისდა მიხედვით ჯგუფებად ჰყოფდნენ. კლასიფიკაციის ერთ ძირითად განმასხვავებელად მისი ქერქის თვისება ყოფილა მიჩნეული. ამისდა გვარად ორი ჯგუფი არსებობდა: ერთ ჯგუფს, ანუ სახესხვაობას „ქერქ-ზრქელი“ ჯიშები ეკუთვნოდნენ, მეორე სახესხვაობას „ქერქ-თხელი“ ჯიშები შეადგენდნენ.

გამოყენებადობის თვალსაზრისით ორი ჯგუფი არსებობდა და ქერქ-თხელნი ამავე დროს „მხალად საქმელი“ ჯიშები იყო, ე. ი. რომელთა მოხარშულის, ანდა თორნეში შემწვრის ჭამა შეიძლებოდა, ხოლო ქერქ-ზრქელნი „მზგავსი საწლისა“, ე. ი. საღვინის მაგვარი იყვნენ, რომელთაც სხვადასხვა ჭურჭლის მაგერ, მაგ., სასმისად ხმარობდნენ.

ამ ხმილის კლასიფიკაციისა და ზოგადი სახელის შემდგომ უნდა სახესხვაობათა და ჯიშების სახელების განხილვასაც შევეუდგეთ. უნდა აღინიშნოს, რომ სამწერლობო ქართულის აყირო-ს უღრის სვანური აყარ, რომელიც აყარი-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. უეკველია, ამისვე შესატყვისობას უნდა წარმოადგენდნენ ჭანური ყოყორე, რომელიც ხოფურში იხმარება, და ათინური ოაორე ისევე, როგორც ვიწე-რიზე-ხოფური ორე-ც. უკანასკნელი თავიკიდურ „ოა“ — ჩამოცილებულ იმავე „ოაორე“-ს წარმოადგენს. ხოლო თვით ოაორე სრული ყოყორე-ს ფონეტიკური სახენაცვალია: თავკიდური „ყ“ გამქრალია, რაც ჭანურში, მეტადრე ათინურ-ვიწურში, ჩვეულებრივი მოვლენაა. მეორე, შუაში მყოფი, „ყ“ უკვე „ა“-დ ქცეულა ისევე, როგორც ხოფურ ოყაზე-ს. რომელიც თლასა ჰნიშნავს, ათინურში ოააზე უღრის (ორივე იხ. ჭ. გ., 202). ამნაირად, ოაორე უფრო ადრინდელი ყოყორე-საგან არის წარმომდგარი.

ისევე, როგორც ოაორე უნდა ყოყორე-საგან იყოს წარმომდგარი, საფიქრებელია, რომ სამწერლობო ქართული აყირო და სვანური აყარი-ც ამნაირადვე წინანდელი უფრო სრული ფორმითგან არის წარმომდგარი, მართლაც ძველ ქართულში არსებობდა სიტყვა „ყარყარა“, რომელიც, ს. ორბელიანის განმარტებით, არის „სარწყული სმაში ჯმის-მიმცემელი“, ე. ი. სითხის სასმისი, რომელმაც რაკრაკი იცის. საბას განმარტებითაც ხომ აყირო იყო „მზგავსი საწლისა“, საღვინის მაგვარი. ამნაირად, ბგერითს მსგავსებასთან ერთად, აღმნიშვნელობათა მსგავსებაცაა. ზემონათქვამის შემდგომ, ვგონებ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ, სამწერლობო ქართულის ყარყარა-ს მსგავსად, ჭანური ყოყორე-ც უნდა თავდაპირველ ყოყორე-საგან იყოს წარმომდგარი. სვანური აყარ და წინანდელი აყარი სამწერლობო ქართულ ყარყარა-სთან არის დაკავშირებული. ხოლო აყირო ორი უკანასკნელი მარცვლის ხმოვანთა ადგილმონაცვლების წყალობით არის გაჩენილი.

ზემომოყვანილს ჩვენს მოსაზრებას აყიროს ყარყარასაგან წარმოშობილობაზე შემდეგი გარემოებაც ადასტურებს: რ. ერისთავის ცნობით, იმერეთში აყიროს სინონიმად „ყარყარა-კუახი“ და „მწარე კუახი“ იხმარება, გურიაში მას მწარე ხაპი, სამეგრელოში კი „კოლოჭურა“ ეწოდება (ბოტ. ლექსიკ., გვ. 5, § 67). იმერულს ყარყარა-კუახი-თ აყიროს სწორედ პირვანდელი სახე აქვს და-

⁵ ამის საბუთად შესაძლებელია ისეთი მაგალითები იყოს დასახელებული, როგორცაა ყაროფა — სიყვარული, ყვარება, ყურძენი და ყუჭი - (ყური) ა, რომელიც ათინურ-ვიწურში ოროფა-დ, ურძენ-ად და უჯ-ად გამოითქმის.

კული. ხოლო უკანასკნელი სახელი კოლოქურა მეგრულადაც მწარე ჭურჭელსა ჰქვია. რ. ერისთავის განსაზღვრით ეს ჯიში ბოტანიკურად წარმოადგენს *Lagenaria vulgaris* Ser., რუს. *кундышкн*-ს (იქვე).

ახლა „ხაპი“-ს შესახებაც. საბას ზემომოყვანილი განმარტებით, ხაპიც აყიროს მიაგავდა იმ მხრივ, რომ „გლეხნი სასმისად იხმენ“, ხმარობენო. მაგრამ ისევე, როგორც სასმისი ყველა ერთნაირი არ იყო, ხაპიც აყიროსაგან განსხვავდებოდა, სასმისები ზოგი ყელიანი იყო, ზოგი უყელი. აყირო სწორედ ყელიანს ჭურჭელს მიაგავდა და გოგრა-კვახის ყელიან ჯიშს წარმოადგენდა. ხაპი კი პირიქით უყელი იყო და უყელი სასმისს მიემსგავსებოდა, სწორედ სასმისად ჰხმარობდნენ კიდევაც, მაშასადამე, ხაპიც ამ ხმილის იმ სახესხვაობას ეკუთვნოდა, რომელსაც კი არ სკამდენ, არამედ ჭურჭლად გამოიყენებდნენ ხოლმე.

სამწერლობო ქართულში ხაპი-ს მონათესავე უნდა იყოს შავი გოგრა-კვახის ჰანური სახელი ხაპერაში ისევე, როგორც მეგრული სახელი კოპეშია და თეთრი გოგრა-კვახის ჰანური სახელი კაიში⁶. „კოპეშია“ საფიქრებელია წინასწარი ბგერათა ადგილმონაცვლეობის წყალობით „კაპერშია“-სგან უნდა იყოს „რ“-ს „შ“-ის წინ გაქრობის გზით წარმომდგარი.

აღსანიშნავია, რომ როგორც ხაპერაში-საგან უნდა შუაშეკუმშული კაიში იყოს წარმომდგარი, ისევე კოში-ც არსებობდა, რომელიც, საბას განმარტებით, „ხრსა და გოგრის-თასი“-ს სახელი იყო (ლექსიკ.). ეგების ეს სიტყვაც მსგავსივე გზით კოპეშია-სგან იყოს წარმომდგარი?

გოგრა-კვახის სახესხვაობათა და ჯიშების გამორკვევის შემდგომ რომ ზოგადი მსჯელობა გეჰონდეს, შესაძლებელია ითქვას, რომ ამ ხმილის სახელების სიმრავლე ძველ ქართულში მის დიდ ეკონომიურ მნიშვნელობას ამჟღავნებს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკისათვის. ვითარცა მხალად საჭმელი, იგი ტკბილსა და ნოყიერ საკვებს წარმოადგენდა, მეტადრე ზოგიერთი ჯიში. ამასთანავე ეს ხმილი მარგებელია ღვიძლისა და თირკმელების დაავადების დროსაც. გოგრის თესლს კი მარილიანად დახლილს, ვითარცა ორთაშუა რიცხვით 34—38% ცხიმოვანი ნივთიერების შემცველს; სკამდენ და, სინოყიერის გარდა, კუჭ-ნაწლავების პარაზიტული ქიებით დაავადების დროს კარგ წამლადაც იყო მიჩნეული.

ოუმცა გოგრა-კვახის ქერქ-სქელ სახესხვაობას, აყიროსა და ხაპს, არავინ სკამდა, მაგრამ სამაგიეროდ მათ ჭურჭლად ჰხმარობდნენ, როგორც მარცვლეულისა და ფხვიერი ნივთიერების შესანახავად, ისევე სითხეების ამოსაღებად და სასმარებლად. შუშეული ჭურჭლის სიმცირე-სიძვირისა და იმ ჩვეულებრივი ნაკლის გამო, რომ ადვილად ტყდებოდა, აყიროსა და ხაპისაგან გაკეთებულ ჭურჭელს მეურნეობაში საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. მათ მთავარ ღირსებას სრესუბუქეც შეადგენდა. ამ მხრივ მათ თიხის ჭურჭლეული, რასაკვირველია, ვერას გზით ვერ შეედრებოდა. თანაც მისი გატეხა შემთხვევითი მირტყმისა. ანუ დაჯახების გამო ისე ადვილად არ შეიძლებოდა, როგორც შუშა-თიხისა. სწორედ ამიტომაც, რომ აკად. ვიულენშტედტის ცნობით, აყირო და ხაპი საქართველოში ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

⁶ „ხე“-ს „ქ“-დ შენაცვლების მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იყოს „დახამხამება დაქამქამება“, ანდა ჰანური „ხოტორე“ და „თომა უხოტორამ, ვუხოკორაჲ“, თმის ვუკრეკევილი, სხ., შედ. „კოტორა“-ს მთლად თმა გაკრევილი თავის სახელსაც.

თახი V. მარწყვი

§ 1. წერილობითი ცნობები მარწყვზე საქართველოში

თუ არ ვცდები, გამოქვეყნებულ უძველეს ძეგლებში ცნობები მარწყვზე არ გვხვდება. გასაოცარი ის არის, რომ ამ შემთხვევაში ვახუშტიც კი გვალაბტობს, რათგან ვახუშტს მთის ხმილთაგან საქართველოში მხოლოდ უელი აქვს დასახელებული (გგრფ., 56), რომელიც საბას განმარტებით „მოგრძე მარწყვი“-ა და რ. ერისთავის ცნობით ძუძუ-მარწყვადაც იწოდება. თვით მარწყვის დასახელება სახელოვან გეოგრაფს დაპვიწყებია ისევე, როგორც მარწყვის დაწარჩენ ჭიშ-სახესხვაობათა ჩამოთვლაც, თუ რომ ეს სახელებიც თავის უკანასკნელ სიტყვებში „და სხვანიცა მრავალნი“ ნაგულისხმევი არ ჰქონდა.

სამაგიეროდ აქაც მკვლევარს საკმაო მასალასა და ცნობებს ქართველი ლექსიკოგრაფი აწვდის, რომელსაც მარწყვის რამოდენიმე ჭიშ-სახესხვაობის სახელი აქვს თავის უკვდავ ნაშრომში შეტანილი.

თვით მარწყვი-ს შესახებ საბას ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ „ხმილი“ არის (ლექსიკ.). ეს იმას ჰნიშნავს, რომ მას უნდოდა მკითხველისათვის განემარტა, რომ მარწყვი უმერქნო მცენარის ნაყოფია. რ. ერისთავს, როგორც ჩანს, ეს გარემოება არ გაუთვალისწინებია და თავის ბოტანიკურ ლექსიკონში „ხმილი“ მარწყვის სახელად მიუჩნევია (ბოტ. ლექსიკ., 35, § 528).

ს. ორბელიანს ამ ხმილის მეორე ჭიშის სახელიც მოეპოვება, რომელსაც „მელის-კაკალა“ ჰრქმევია და თურმე „წურილი მარწყვი“-ს ჭიშის აღნიშვნელი ყოფილა (იქვე).

ამას გარდა, ძველ საქართველოში მარწყვის მესამე ჭიშიც ყოფილა, რომელსაც თურმე „უელი“ ეწოდებოდა. ს. ორბელიანის განმარტებით „უელი მოგრძე მარწყვი“-ს ჭიშის სახელი ყოფილა (ლექსიკ.). რ. ერისთავს უელის პარალელურ სახელად „ძუძუ-მარწყვა“ აქვს აღნიშნული (ბოტ. ლექსიკ., 57, § 797).

ს. ორბელიანს მარწყვის კიდევ ერთი ჭიშის სახელიც აქვს ჩაწერილი, რომლის დამახასიათებელ თვისებასაც სიმსხო წარმოადგენდა. ამ ჭიშს ხენდრო ჰრქმევია. საბა ამტკიცებს, რომ „ხენდრო დიდი მარწყვი“-ს სახელი იყო (ლექსიკ.).

საგულისხმოა ის, რაც არქ. ლამბერტის აქვს აღნიშნული: „სამეგრელოში მარწყვი ისე ბლომად არის მინდვრებში, რომ თითქოს წითელი ხალი დაუგიათო. მაგრამ არავინ არც ჰკრეფს და არც სჭამს მას, რადგან ძლიერ ეზიზღებათ იგი. მეგრელებს სწამთ, რომ მარწყვის გველები სჭამენ და სუნავენო. მე კი ხშირად მიჭამია იგი და ჩემთვის არამც თუ ვნება არ მოუტანია, არამედ დიდი სარგებლობაც მიგრძენია“-ო (სამეგ. აღწერ., 213).

მარწყვის მეგრულ-ჭანური სახელების სიმრავლე, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ცხადჰყოფს, რომ სამეგრელოშიც მარწყვი არცთუ ისე უყურადღებოდ მიტოვებული ხმილი უნდა ყოფილიყო, როგორც არქანჯელო ლამბერტი ამბობს, მაგრამ მისი ცნობითგან მაინც ჩანს, რომ მარწყვის მაშინდელ სამეგრელოში ერთგვარი კრძალვით სჭამდენ, რათგან შხამიან ქვეწარმავალთა და

მწერთაგან „დასუნთქვილობისა“ ეშინოდათ. ასეთ შიშს აღმოსავლეთ საქართველოშიც გაიგონებდა ადამიანი და პატარაობისას მეც გამიგონია, მაგრამ ამისდა მიუხედავად მარწყვის მაინც გულიანად სჭამენ. საფიქრებელია, რომ ასევე იქნებოდა მაშინდელ სამეგრელოშიც.

XVII ს. საქართველოში ნამყოფ რუს დესპანებს თუმცა აღნიშნული აქვთ, რომ ჩვენს ქვეყანაში ყოველგვარი ხეხილი და ხმილი ბევრი იყო, მაგრამ არც ერთს მათგანს მარწყვი დასახელებული არა აქვთ. მხოლოდ ტოლოჩანოვი იხსენიებს რუსეთში გავრცელებულ მარწყვის მაგვარ ველურ ხმელს каманикаსაც, ყოლოსა, მოცხარსა და მაცვალთან ერთად (სტოლ. ტოლოჩანოვისა და დიაკი იველევის ელჩობა იმერეთში 1650—1652 წ. მ. პოლიევქტოვის გამოც., გვ. 187)?.

ძველი ქართველი მგოსნის გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“-ში შეტანილი ტაეპი მარწყვზე ამტკიცებს, რომ მარწყვის ღირსება და ნაკლიც მაშინ კარგად სცოდნიათ. მისი მთავარი ღირსება შემოსულობის პირველობა იყო, რომ ყველა სხვა ხილ-ხმილზე აღრე შემოდოდა. მოსწონდათ აგრეთვე მისი ლალისფერობა და სიტკბო.

მარტო ის გარემოებაც, რომ გარს. ჩოლოყაშვილმა „ხილთა ქება“-ში ლექსი მარწყვსაც უძღვნა, ცხადყოფს, რომ ქართული მეურნეობისათვის ეს ხმილი უმნიშვნელო არ ყოფილა.

დასასრულ, აკად. გიულდენშტედტსაც აღნიშნული აქვს, რომ ქართლში, ახალგორის სანახებში, მარწყვი ფართოდ ყოფილა გავრცელებული, ჩვეულებრივი ხმილიაო (იხ. აქვე, გვ. 156).

§ 2. მარწყვის ჭიშ-სახესხვაობანი და მათი სახელები თანამედროვე ცნობებისდა მიხედვით

რ. ერისთავს მარწყვის ყველა ის სახელი აქვს, რომელიც საბას მოეპოვება, მხოლოდ ხმილი სახელად მიუჩნევია (ბოტ. ლექსიკ., 35, § 528).

რ. ერისთავის ცნობით სახელი მარწყვი მარტო აღმოსავლეთ საქართველოში კი არა, არამედ იმერეთსა და გურიაშიცაა მიღებული. მაგრამ იმერეთში ამას გარდა „ღარდალა“-ს და „წიამბოლე“-საც ხმარობენო (ბოტ. ლექსიკ., 35, § 528).

მეგრულად მარწყვს „ციმევა“ ანდა „ცემევა“ ეწოდება (მ. გ., 370).

რ. ერისთავის განსაზღვრით მარწყვი და მისი დასავლეთ საქართველოში დაცული სახელები *Fragaria vesca* L.-ს, რუს. земляника-ს უდრის (ბოტ. ლექსიკ., 35, § 528). ხოლო მელის-კაკალა *Fragaria elatior* Ehrh.-ის, რუს. земляника позубнища-ს, су ица-ს შესატყვისობად მიაჩნია (იქვე, 37, § 547).

რ. ერისთავს დასახელებული ჩაქვს აგრეთვე მანერუხი, პურისცომა (აღმ. საქართ.) და ხენდრო და გოდორა (იმერ.), ხვიზინია-ც (მცკრ.) *Fragaria collina*-ს, რუს. клубника-ს ქართულ შესატყვისობად (ბოტ. ლექსიკ., 35, § 515).

დასასრულ, ამავე ავტორის აზრით, უელი ანუ ძუძუ-მარწყვა არის *Fragaria Tothn.*, земляника с длинными ягодами (იქვე, 57, § 197).

? «Всякой земляной ягоды, малины, и смородины, и каманики, и ежевики много же».

ად. როლოვს *Fragaria Vesca*-ს ქართულ სახელწოდებად იგივე აქვს გამეორებული, რაც რ. ერისთავის ლექსიკონშია, *Fragaria elatior*-ის, რუს. клубника-ს სახელწოდებად აღნიშნულია პურისცომა, მანერუხი (აღმ. საქ.) და ხენდრო (დასავლ. საქართ.). დასასრულ, *Fragaria collina*-ს, რუს. шпанская земляника სახელწოდებად იგივე მარწყვი, პურისცომა, მანერუხი და გულა-მარწყვი აქვს მთავანილი (ДПК, 207—209). ჰინდური მარწყვის *Fragaria indica*-ს არც ქართული სახელი, არც სხვა რომელსამე ენაზე როლოვს ჩაწერილი არა აქვს.

მარწყვის ჰანურ სახელად ნ. მარის „კანდლუ“ აქვს აღნიშნული (ქ. გ., 152), მაგრამ იოს. ყიფშიძის ჰანეთში ყოფნის დროს მარის ნაშრომის თავის წიგნში ამ ადგილას კიდევ ფრჩხილებ შუა ფანქრით მიუწერია „მაყვალა“-აო. ხოლო ზემო კიდევ მარჯვნივ ფანქრითვე მარწყვის (земляника) ჰანურ სახელად ჩაწერილი აქვს „მკითა კანდლუ“. მაშასადამე, მარწყვის წითელი მაყვალა სწოდებოდა. ჰანებს ამას გარდა მარწყვის ორი ჰიშის სახელიც ჰქონიათ: „ძოხიძარე კანდლუ — მსხვილი მარწყვი“-ს აღსანიშნავად და „მტკორი კანდლუ — ტყის მარწყვის“-ათვის (იხ. იოს. ყიფშიძის კიდურწერილობა, ქ. გ., გვ. 152).

აჭარის ცნობით ბათუმში ჰანებს მარწყვის სახელად „მურლი“ დაუსახელებიათ, ნ. მარის სიტყვით კი არც ათინურსა და ვიურში, არც რიზე-ხოფურში ასეთ სახელს არ ხმარობენ (ქ. გ., 171).

სენებს მარწყვისათვის ორი სიტყვა აქვთ: „ცინყა“ და „ბწყ“ (ივ. ნიყარაძის p.-c. სლ.: земляника).

§ 8. მარწყვის გავრცელების შესახებ მსოფლიოში და მისი კულტურის დახაწვისზე

მარწყვი *Fragaria*, მაყვალთან და ჟოლოსთან ერთად, *Rosoideae* ვარდნაიანთა გუფს ეკუთვნის: მარწყვი მრავალწლიანი, ტანდაბალი მცენარეა. *Fragaria indica*-დ, ე. ი. ჰინდურ მარწყვად წოდებული ჩინურ მარწყვს გარდა, რომელმაც ყვითელი ყვავილი იცის, მარწყვის ყველა დანარჩენი ჰიშ-სახესხვაობა თეთრად ყვავის. მარწყვის „ყვავილსაჯდომი ყვავილის ზევით არის ბურთივით ამბერილი“. ხალხებს, დაც ნაყოფად არის ცნობილი, ნამდვილად „წინანი ყვავილსაჯდომია, შიგ მჯდომი წვრილი კურკები კი ნაყოფს—კაკლებს წარმოადგენს“ (ზ. ყანჩაველი, ბატანიკა, 11¹, 310 და Becker-ის Gemüsbau, 467).

მარწყვი დედამიწის ზურგზე ველურად ბევრგან იზრდება. ევროპულ ტყის მარწყვი *Fragaria silvestris* Duchesne, syn. *Fragaria vesca* L. მაგ. ევროპაში ლაპლანდიითგან მოყოლებული მდებარეობს, ესპანეთსა, სცილიასა და საბერძნეთამდე გვხვდება. აზიაში ჩრდილო სირიასა და წინანდელ სამხეთში ტავტამდე. შემდეგ მთელ კავკასიაშიც ყველგან მოიპოვება: *Fragaria collina* Ehrh., *Fragaria elatior* Ehrh. და *Fragaria vesca* L. 7000 მ სიმაღლემდე ფართოდ არის გავრცელებული. შავი ზღვის სანაპიროზე აფხაზეთში, სამეგრელოსა და იმედიეთშიც *Fragaria indica* ჰინდური მარწყვიც იზრდება (I. Becker, Gemüsbau, 467 და ად. როლოვის ДПК, 207—209). ჩრდილოეთ ამერიკაშიც ტყის მარწყვი ჩრდილო სანაპიროთგან მოყოლებული კალიფორნიის Siera Nevada-მდე მოიპოვება (I. Becker, Gemüsbau, 467).

ველური მარწყვის ჯამას ადამიანი უხსოვარი დროითგან ყოფილა მიჩვეული. ამ გარემოებას რომენპაუზენ-თან, Pfäffiker See-ს ტბასთან, დიროვან ნაშენობებში ჯვის ხანის განათხარში ნაპოვნი ტყის მარწყვის თესლი ამტკიცებს (იხ. I. Becker-ის Gemüosebau-ს გვ. 465, O. Heer-ის, Die Pflanzen der Phahlbauten-ზე დამყარებული ცნობა). ამისდა მიუხედავად I. Becker-ი ფიქრობს, რომ XVII ს-მდე ქ. შ. დასავლეთ ევროპაში მარწყვის კულტურას არ მისდევდენ და ყველგან ტყის მარწყვის შეექცეოდნენ.

მარწყვის ხელოვნური მოშენება პირველად ინგლისში დაიწყო, სადაც Ehrhardt-მა 1629 წ. *Fragaria virginiana* ბაღებში შემოიღო, შემდეგ 1715 წ. Frezier-მა საფრანგეთში სამხრეთ ამერიკული *Fragaria chiloensis*-ი მოაშენა. XIX ს-ში ამერიკული და ადგილობრივი მარწყვის ჯიშების განაყოფიერების გზით ინგლისელმა და ფრანგმა აგრონომებმა კულტურული მარწყვის ახალ-ახალი სახესხვაობა შექმნეს და ამ ხმლის ფართო მოყვანა დაიწყეს (I. Becker, Gemüosebau, 465).

§ 4. მარწყვის ძველი ქართული კლასიფიკაცია და ჯიშ-სახეობანი

ს. ორბელიანის განმარტებითგან ჩანს, რომ ძველს საქართველოში სულ ცოტა მარწყვის 4 ჯიშ-სახესხვაობა ყოფილა. განსხვავების ნიშნად თვით ხმილის ნაყოფის სიდიდე და მოყვანილობა ყოფილა მიღებული. სახელოვანი ლექსიკოგრაფის ცნობით მის დროს საქართველოში არსებობდა:

1. წურილი მარწყვი, რომლის ჩვეულებრივი სახელი, ცხადია, მისი მარცვლის სწორედ სიწვრილის გამო, მელის-კაკალა ყოფილა.

2. „დიდი მარწყვი“, ე. ი. მსხვილი მარწყვი, რომელსაც ხენდრო ჰრქმევია.

3. წვრილი და დიდი მარწყვის გარჩევის არსებობა ამ ხმილის ჩვეულებრივ სიდიდესაც ჰგულისხმობს. რაკი მსხვილს ხენდრო და წვრილს მელის-კაკალა ჰრქმევია, საფიქრებელია, რომ სწორედ ამ ჩვეულებრივი სიდიდის ხმილის სახელი უნდა ყოფილიყო მარწყვი.

მე-4 ჯიშ-სახესხვაობას „მოგრძე-მარწყვ“ წარმოადგენდა, რომელსაც ნაყოფი მოგრძო ჰქონია და, საბას თქმით, უელი ჰრქმევია. რ. ერისთავს ამ სახეობის მეორე სახელად ძუძუ-მარწყვა აქვს მოყვანილი, რომელიც მისი ნაყოფის სწორედ ძუძუს მსგავსი მოყვანილობისა და ძუძუს მავგარად მოგრძობის გამომხატველი უნდა იყოს.

საგულისხმოა, რომ ჰანებიც მარწყვის ორ ჯიშ-სახესხვაობას, მსხვილსა და ტყის ე. წ. წვრილს არჩევენ ერთმანერთისაგან.

მსხვილი მარწყვის ჯიშის საბასგან დასახელებული ხენდრო რ. ერისთავს იმერულ სახელად აქვს აღნიშნული და *Fragaria collina* Ehrh.-ის, რუს. клубника-ს უდრისო. ამავე ავტორის ცნობით, მარწყვის ამ ჯიშ-სახესხვაობას „გოდორა“-საც ეძახიან. ქართლ-კახეთში მას მანერუხი და ჭურისცომა ეწოდება, სამეგრელოში კი ხეხვინიაო (ბოტ. ლექსიკ., 35, § 515).

ად. როლლოვს, როგორც დავრწმუნდით, ყველა ეს სახელი, გოდორასა და ხეხვინიას გარდა, მოეპოვება და ზედმეტად აღმოსავლეთ საქართველოში გულდამარწყვის სახელიც აქვს აღნიშნული. მაგრამ საქმეს ის გარემოება ართულებს, რომ

ად. როლოვს პურისცომა, მანერუხი და ხენდრო, როგორც *Fragaria collina*-ს, ისევე *Fragaria elatior*-ის აღმნიშვნელებად აქვს დასახელებული (ДПК, გვ. 207). ამის გამო ისე გამოდის, თითქოს *Fragaria elatior*-ს რუს. клубника-ს თავისი განსაკუთრებული სახელი არ ჰქონდეს, *Fragaria collina*-ს, шанская земляника-ს ერთადერთ განსხვავებულ სახელად კი გულა-მარწყვი რჩება.

რ. ერისთავს *Fragaria elatior*-ის, земляника-ს მელის-კაკალა აქვს მხოლოდ დასახელებული. მაგრამ *Fragaria elatior*-ს, რომელსაც აგრეთვე *Fragaria sativa* A. და *Fragaria moschata* Duchesne-იც ჰქვია, I. Becker-ის დახასიათებით, ტყის მარწყვზე *Fragaria vesca*-ს ანუ *silvestris*-ზე უფრო მოზრდილი ნაყოფი აქვს (Gemüsebau, 468), ად. როლოვის სიტყვითაც, ეს ჯიშ-სახესხვაობა მსხვილმარცვალაა („крупные съедобные плоды“: ДПК, 207). ამიტომ გამოსარკვევია, თუ რამდენად სწორია რ. ერისთავის ბოტანიკური განსაზღვრა, რათგან მელის-კაკალა-ს სახელი უფრო წვრილმარცვლიანას, ვიდრე მსხვილმარცვლიანა მარწყვის შექმნის და ამ მხრივ ად. როლოვის ჩაწერილი გულა-მარწყვი თითქოს მსხვილმარცვლიანობას უკეთესად უნდა გამოჰსახავდეს. ზემონათქვამი ადამიანს დაარწმუნებს, რომ მარწყვის ქართული სახელებისა და ბოტანიკური განსაზღვრისათვის ჯერ კიდევ საკმაო მუშაობაა საჭირო. მაგრამ ეს, რასაკვირველია, აგრონომების საქმეა. ჩემი მიზანი იყო მხოლოდ ყველა ცნობილი მასალის კრიტიკული განხილვით ამ განსაზღვრისა და ტერმინოლოგიის ერთგვარობის დასამყარებლად ცოტად მაინც ხელი შემეწყო.

ხელახალი განსაზღვრის დროს თანამედროვე ყველა ქართული სახელიც უნდა იყოს ზედმიწევნით ბოტანიკური განსაზღვრითურთ გამოყენებული და ბოტანიკური ნომენკლატურის ერთგვარობის დასამყარებლად ძველი ქართული სახელები და კლასიფიკაციაც უნდა იქმნეს გათვალისწინებული. ეს საშუალებას მისცემს მკვლევარს „დიდი მარწყვი“-ს სახელს, ხენდრო-საც და უელ-ს ანუ ძუძუმარწყვსა და სხვებსაც ბოტანიკური შესატყვისის სახელიც უცდომლად მოუძებნოს.

§ 5. მარწყვის ქართული სახელების ანალიზი

მარწყვის ქართული სახელები ყურადღების ღირსია. ყველა მათგანს ერთნაირი მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ თითოეული მათგანი საშუალებას მისცემს მკვლევარს, თუ ჩაუკვირდება, მიაგნოს იმ შინაარსს, რომელიც ქართველ მიწის-მოქმედს ამა თუ იმ ჯიშ-სახესხვაობისათვის დამახასიათებლად მიუჩნევია. იმ სახელთაგან, რომელიც კი სხვადასხვა ერს მარწყვისთვის უწოდებია, არცერთი ამ ხმლის ქართულ სახელს არ უდგება, მხოლოდ ფინურ-ესტონური სახელებია ამ მხრივ საყურადღებო. ფინურად მარწყვს mansicka, ესტონურად კი masikad, masica marjad,—ლორპატში masico marja ეწოდება (I. Becker, Gemüsebau, 465). ეს სახელები ქართულ მარწყვს მიაგვანან, მეტადრე დიდი მსგავსება მარწყვის ფინურ სახელთან, თუ უხმოვნოდ ავიღებთ(მანსიკა—მანსკა) და სვანურ სახელ ბსსყ-სა და ესტონურ მასიკა და მასიკო-ს ემჩნევა.

შემდეგ, როგორც პროფ. იოს. ყიფშიძის ჩანაწერთგან ჩანს, ჰანურს მაცვალისა და მარწყვისათვის ერთიდაიგივე სახელი კანდლუ ჰქონია, რომელიც

არსებითად მაცვალის აღმნიშვნელი ყოფილა. მარწყვის სახელი კი მხოლოდ ფერის სიწითლის გამომხატველია და წითელ მაცვალს (მჭითა კანდლუ) ჰნიშნავს.

ამავე თვალსაზრისით მარწყვის მეგრული სახელებიც ციმცვა და ცვმცვა არის საყურადღებო. თუ გავიხსენებთ, რომ მაცვალს მეგრულად მუეგი, ანდა მუეე ჰქვია, მაცვლის ბუჩქს კი ღურღენი (მ. გ.), მაშინ ამ ორი ხმილის და ხილის მეგრული სახელების მსგავსების აზრი მკითხველს არ უნდა ეუცხოვოს. მართლაც, საფიქრებელია, რომ მარწყვის მეგრული სახელი ციმცვა-ც უნდა ორი სიტყვისა ცი და მცვა-საგან იყოს წარმომდგარი. თვით მცვა მაცვლის იმავე მეგრული სახელების მუეგი-სა ანუ მუეე-ს ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს. მუეე-ცა და მცვა-ც მაცვალის მეგრული შესატყვისობაა. ორივე უფრო ადრინდელი მუეევა-საგან უნდა იყოს წარმომდგარი იმ განსხვავებული განვითარებით, რომ მაცვლის სახელს სიტყვის პირველი მარცვლი უცვლელად დაუცავს, მეორე კი შესცვლია, — პირიქით მარწყვის სახელს მცვა-ს სწორედ პირველი მარცვლი შესცვლია იმ მხრივ, რომ უ — ხმოვანი გაჰქრობია, სამაგიეროდ მეორე მარცვლი გვა უცვლელად დაუცავს.

ამნაირად ირკვევა, რომ, ჰანურის მსგავსად, მეგრულსაც მაცვლისა და მარწყვისათვის ერთიდაიგივე სახელი ჰქონია. მარწყვის სახელს მაცვლის სახელისაგან აქაც მხოლოდ პირველი ნაწილი ცი ასხვავებს. ჰანურის ანალოგიით, ამ შემთხვევაშიც ბუნებრივად იბადება აზრი, ჰანური ჰითა კანდლუ-ს. წითელი მარწყვი-ს მსგავსად, საფიქრებელია, რომ მარწყვის მეგრული სახელის ციმცვა-ს პირველ მარცვლად ქვეული ცი წითელსვე ჰნიშნავდეს და წი-ს ფონეტიკური სახენაცვალი იყოს.

მარწყვისა და მაცვლის სახელების ზემოაღნიშნული იგივეობა ჰანურ-მეგრულში გასაკვირველი არც არის, რათგან ბოტანიკურად ორივე Rosaceae და Rosoideae გარდნაერთა ოჯახს ეკუთვნიან (იხ. ზ. ყანჩაველის ბოტანიკა II¹, 3(9—310).

მარწყვის ორი სვანური სახელისგან ცინყა, რა თქმა უნდა. მეგრული ციმცვა-ს სახენაცვალია, მეორე სახელი ბსყ ეგების მარწყვის ბგერიით შესატყვისობა იყოს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ სვანურშიც ამ ხმილის ერთი სახელი მაცვალის სახელთან ყოფილა დაკავშირებული, მეორე მარწყვის უდრის.

საგულისხმოა მსხვილი მარწყვის ძველი ქართული სახელი ხენდროც, რომელიც ასე გასაოცრად მიაგავს წითელი საღებავი მცენარისა და ფერის ქართულ სახელ ენდრო-ს. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ ხენდრო-ს ენდრო სახელის ქართული ენის იმ უძველესი ხანის სახე ჰქონდეს დატული. რომელსაც ხანმეტობა ეწოდებოდა. შესაძლებელია ხენდრო, მარწყვის ჰანური სახელის მჭითა კანდლუ-ს „წითელი მაცვალის“ მსგავსად, ამ ხმილის ოდინდელი სახელის მხოლოდ პირველი შერჩენილი ნაწილი იყოს.

დასასრულ ძუძუ-მარწყვა-ზეც. ეს სახელიც ძველია, რათგან ნაყოფის მოგრობა მოყვანილობის დამახასიათებელ სახელად ძუძუსთან შედარება ქართველ მიწისმოქმედს ძველად ჰყვარებია. ამ გარემოებას ხილისა და ხმილის არა ერთი ძველი ქართული, დღევანდლამდე შერჩენილი, სახელი ცხადჰყოფს. ძუძუ-მარწყვას გარდა შესაძლებელია მაგ. დასახელებულ იყოს ძუძუ-მაცვალა, ზ. ყან-

ჩაველის განსაზღვრით *Rubus Caesius*, რ. ერისთავით *Rubus chamaemorus* L.—ძუძუ-ვაშლა, ვაშლის ერთი ჯიშის აღმნიშვნელი (ზ. ყანჩაველის ბოტანიკა II¹, 310 და რ. ერისთავის ბოტან. ლექსიკ., 76, § 1065 და 1066). მევენახეობის დარგის სათანადო აღგილას ყურაჩის მოგრძო-მარცვლიანი ჯიშის ცხენს-ძუძუ-სახელიც შეგვხვდება. არსებობს მცენარეც, რომელსაც კატის-ძუძუ ეწოდებოდა (საბას ლექსიკონი) და რომელიც რ. ერისთავის ჯერ კიდევ შესამოწმებელი განსაზღვრით თითქოს *Sedum Telephium* L. იყოს (ბოტ. ლექს., 26, § 394).

§ 6. ზოგადი დასკვნა

ყველა ზემონათქვამი ადამიანს დაარწმუნებს, რომ მაცვლისა და მარწყვის ქართული სახელები ძველისძველია და ეს გარემოებაც თავისთავად მარწყვის გამოყენების საპატიო ხნიერების გამომჟღავნებელია.

ძველი ქართული წერილობითი ცნობების უქონლობა მარწყვის შესახებ საქართველოში და მერმინდელი სიმცირეც იმავე მიზეზის ბრალი უნდა იყოს, რომლის გამო სხვა ქვეყნებშიც ცნობები მარწყვზე ძალიან ცოტა და გვიანია: საქართველოშიც იგი, თუ განსაკუთრებით არა, უმთავრესად, მაინც გარეული ხმილი უნდა ყოფილიყო და მომეტებულად, როგორც ეტყობა, გარეულ მარწყვსა სჭამდენ.

მარწყვის ჯიშ-სახესხვაობათა ქართული სახელების შედარებითი სიმრავლე ცხადყოფს, რომ ქართველი მეურნე მას, ვითარცა საკვებ ხმილს, საკმაოდ აფასებდა. მაგრამ თავის აღგილას მოყვანილი არქანჯ. ლამბერტის მონათხრობი გვაფიქრებინებს, რომ სამეგრელოში მარწყვს მაინც ისე არ ეტანებოდნენ, როგორც მისი სიუხვისა და მისაწვდომობის გამო შესაძლებელი და მოსალოდნელიც იყო. როგორ მსჯელობდნენ მარწყვის ღირსება-ნაკლის შესახებ, ამის ვალისწინებას ადამიანს ძველი მგოსნის გარსევან ჩოლაყაშვილის თხზულება შეაძლებინებს, რომელსაც თავის „ხილთა-ქება“-ში მარწყვის ღირსება ასე აქვს დახასიათებული:

„მარწყვმა სთქვა: „მოვალ პირველად, მე ვერა მისწრობს ხილიცა, ფერად მსგავსი ვარ ლალისა, მერე საკმელად ტკბილიცა, წინ რასა მისწრობს, ტყემალი, მუავე არის და გრილიცა“.

მაგრამ ამ თავისთავის ქებას ტყემალი უქარწყლებს, რომელსაც მგოსანი შემდეგ წუნს ადებინებს:

„ტყემალმა უთხრა: „შეგარცხვენს, მარწყვო ეგ საუბარია, უარესი ხარ ყოველთა, არა ხარ ხილთა გვარია, თავსა მოგჭამენ ჭიანი, ძირი გაქვს მეტად მწარია“-ო

(იხ. ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ანთოლოგია, II, 64).

თავი VI. ბადრიჯანი

§ 1. ამ ხმილის შესახები ცნობები, პირვანდელი სახელი და მისი რაობა

ბადრიჯანი XIII ს. დამდეგს ხოჯა-ყოფილისაგან ნათარგმნ კარაბადინში იხსენიება „ბადანჯანი“-ს სახელით. იქ აღნიშნულია, რომ ავადმყოფს „ეკამოს

ნარსაქი და კალნაბი და ბადანჯანი“-ო (ხელნ., გვ. 151, იხ. აგრეთვე გვ. 75 და 148). იქვე ნათქვამია, რომ „სევდაჲ“ შესაძლებელია „ბადანჯანის ფერი იყოს“-ო (იხ. ე. თაყაიშვილი, Опис., I, 668).

XVI ს. მეორე ნახევარში დავედ-ხანის მიერ თურქულითგან გადმოთარგმნილსა და გადმოკეთებულ კარაბადინში კი ამ ბოსტნეულის სახელად უკვე ჩვეულებრივი „ბადრიჯანი“ არის ნახმარი. იქ აღნიშნულია, რომ ცხენის „სისხლი ბადრიჯანის წვეწვში არეული“ ტყირპის ავადმყოფობას პრეგებსო (ეჭ. თაყაიშვილი, Опис., I, 634).

ს. ორბელიანს „ბადრიჯანი“ განუმარტავად აქვს დატოვებული: გვერდით მხოლოდ მცენარის აღმნიშვნელი პირობითი ნიშანი დაურთავს. მაგრამ ხელნაწერთა B გვფუფში დამატებულია: „არ ვიცი ვისი ენაა“-ო (ლექსიკ.).

ვახტანგ VI-ის „დასტურლამალ“-ში ნაბრძანებია, რომ ვაღმა-ჰალის სხვა ბოსტნეულთა შორის ბადრიჯანიც უნდა ეთესათ (იხ. აქვე, გვ. 154). ხოლო ვახუშტს საქართველოში გავრცელებული ბოსტნეულობის დახასიათებაში პირველად სწორედ ბადრიჯანი აქვს დასახელებული (აქვე, გვ. 155). მისი გეოგრაფიითგან ჩანს, რომ ბადრიჯანის კულტურით იმდროინდელ საქართველოში ბერძენების ხეობა ყოფილა ცნობილი.

რ. ერისთავს, ჩვეულებრივი „ბადრიჯანი“-ს გარდა, „ბადლიჯანი“-ც აქვს ჩაწერილი. მისი ცნობით ეს სახელი მთელს იმიერ-ამიერ საქართველოშია გავრცელებული (მეგრულშიც) და ბოტანიკურად *Solanum Melongena* L.-ს, რუს. под-ложный-ს წარმოადგენს (ბოტ. ლექსიკ., 5, § 77).

ჭანურად, სახელდობრ ხოფური კილოკავის სარფის თქმაში, ამ მცენარეს „ფატიჯანი“ ეწოდება. ორნაირი ბადრიჯანი არსებულა იქ: ერთს თურმე „მტკუი ფატიჯანი“, ანუ ტყის, ე. ი. გარეული ბადრიჯანი ჰქვიათ, მეორეს კი „შინაური ფატიჯანი“ (არ. ჩიქობავა, ჭანური ტექსტ., I, 139₁₆₋₁₇), შინაური ბადრიჯანი სწოდებია, სამწუხაროდ, არ ჩანს, რომელი მათგანი რას წარმოადგენს ბოტანიკურად.

ამ მცენარის ქართულში მიღებული სახელი „ბადრიჯანი“ და „ბადლიჯანი“ სპარსული უნდა იყოს. სპარსულად *انجور* „ბადლიჯან“ ან *انجور* „ბადნიჯან“ სწორედ ამავე ბოსტნეულსა *Melogenia*-ს ჰნიშნავს (იხ. Zenker-ის ლექსიკ.).

§ 2. ბადრიჯანის კულტურაზე ზოგადად

ბადრიჯანის სამშობლოდ ტროპიკული აღმოსავლეთ ინდოეთი ითვლება. ძველ საბერძნეთსა და რომში ეს ხმილი არ ყოფილა. იბნ-ბადთარ-ს „ბადინჯან“-ი აქვს დასახელებული, რომელიც, უეჭველია, ბადრიჯანი უნდა იყოს (I. Becker, Gemüsebau, 755). ამნაირად, არაბებს ეს ხმილი XIII ს. უნდა სცოდნოდათ. მაგრამ რაკი ხოჯა-ყოფილისაგან გადმოთარგმნილ „სააქიმო წიგნ“-ში უკვე გვხვდება „ბადრიჯანი“ (იხ. აქვე, 295 გვ.), ამიტომ ცხადი ხდება, რომ ბადრიჯანი სპარსეთსა და არაბეთში, თუ ამაზე უწინარეს არა, XII ს-ში მაინც ყოფილა.

დასავლეთ ევროპაში ბადრიჯანი XVI ს-მდე უცნობი მცენარე იყო: შაინცდამაინც *Rauwolf*-ს ჰალაბის (ალეპოს) ბაღებში XVI ს. დამლევს უნა-

ხავს ხმილი, რომელსაც *melanzana* და *bendengiana*-ს უწოდებს (*Flora orient. Avig. Gröningen*, გვ. 26; I. Becker, *Gemüsebau*, 755), რაკი ამ ხმილს იტალიაში სწორედ *melanzana*, გერმანულად *Melanzanapfel*-ი ეწოდება, ხოლო ასურეთში „ბაღინგან“-ს ეძახიან, ამიტომ ცხადია, რომ *Rauwolf*-ის ცნობა სწორედ ბადრიჯანს გულისხმობს.

რათგან არც ერთს დასავლეთ ევროპელ ავტორს XVIII ს-მდე ბადრიჯანის ხსენება არ მოეპოვება, ამიტომ, უეჭველია. ეს ხმილი იქ პირველად XVII ს-ში უნდა იყოს გამოჩენილი აღმოსავლეთითგან (I. Becker, *Gemüsebau*, 775).

საქართველოში იგი უკვე XII—XIII ს. ყოფილა, მაგრამ მისი კულტურის დასაწყისის თარიღი ჯერ გამოსარკვევია.

ქართული მემტილეობის ზოგადი ვითარება ზემოხსენებული ცნობების მიხედვით

მემტილეობის ცალცალკეულმა განხილვამ არა ერთი საკითხის გამოარკვევა შეგვაძლებინა და ესლა ყველა ამ მონაპოვარის თავმოყრა ქართული მემტილეობის ზოგადი ვითარების დახასიათების საშუალებასაც მოგვცემს.

ძველ საქართველოში სულ 9 მხალეული ყოფილა; 1. ღვალო და მჟაუნა, 2. ისპანახი, 3. ჭიჯლაყა, 4. ბალბა, 5. დანდური, 6. სატაცური, 7. სვინტრი, 8. არჯაკელი და 9. კომბოსტო.

მაგრამ ზოგი მხილთაგანის რამდენიმე სახესხვაობა იყო, მაგ. ღვალო, ანუ ღოლო ველურია, მჟაუნა კულტურული, — ბალბას გარდა მოლოქიც არსებობდა, — ხოლო დანდურის კიდევ სხვა სახეებიც იყო: მსუქანა, ანუ ქონა-ქონა, კატკატო და უკვდავა. თუ ამათგან პირველ ორს სინონიმებად და უკვდავა-ს ზოგად დამახასიათებლად მივიჩნევთ, მაშინაც დანდურისათვის 3 ცალკეული სახელი გვექნება. სატაცურისაც 3 სახესხვაობა, — ზღვისპირული, ყლორტა — თეთრი სატაცური და წინაბეგა, — არსებობდა.

დასასრულ, კომბოსტოს სულ ცოტა 4 სახესხვაობის, — კალნაბისა, ხვტის, ლახანასა და კეყერა კომბოსტოს შესახებ გვაქვს ცნობები.

მაშასადამე, 9 მხალეულის 18 ჯიშ-სახესხვაობა ყოფილა.

ამ 18 ჯიშ-სახესხვაობიანი ცხრა მხალეულითგან ამიერ-კავკასიისა და საქართველოში ველურად იზრდება და ამის გამო ადგილობრივ მცენარედ უნდა იქნეს მიჩნეული: ღვალო, ისპანახი, ჭიჯლაყა, ბალბა, დანდური, სატაცური, სვინტრი, არჯაკელი და კომბოსტოს ჯიშთაგან ხვტი, ე. ი. ცხრა ჯიშ-სახესხვაობა.

მაგრამ მცენარის ადგილობრივობა და მისი მხალად გამოყენებადობის ადგილობრივობა ერთი და იგივე არ არის. შესაძლებელია და ხშირია, რომ ესა თუ ის მცენარე ველურად ბევრგან იზრდება, მაგრამ მას ყველგან არ სჭამენ, არამედ ზოგან ძალიან მოსწონთ და ეტანებიან, ზოგან კი მისი ჭამა ფიქრადაც არ მოსდით. არა ერთი ადგილობრივი მცენარეა, რომლის საკმელად გამოყენებადობა სხვა ერის მაგალითით და წამბაძველობით არის ხოლმე შეთვისებული.

იგივე უნდა ითქვას საქართველოზედაც. მაგ. სვინტრი ჩვენშიც ველური მცენარეა, მაგრამ მისი სახელი ქართული არ არის, არამედ ოსმალური და ამის

გამო საფიქრებელია, რომ იქითგანვე უნდა იყოს შეთვისებული. ამნაირადვე თუმცა კომბოსტოს გარკვეული ჯიშები, ხეტი და Crambe, საქართველოშიც ველურად იზრდება, მაგრამ მემტილეობის ამ დარგშიც უცხოეთითგან შემოტანილი ჯიშ-სახესხვაობანი სჭარბობდნენ, სახელდობრ: თავდახვეული ლახანა საბერძნეთითგან შემოსული და იტალიითგან კომბოსტო. თვით ყვავილიანი კომბოსტოსთვისაც კი, რომლის ჯიშობის შექმნაში, როგორც დავრწმუნდით, საქართველოს თავისი წვლილი უნდა ჰქონდეს შეტანილი, კომბოსტოს ერთი ჯიშის ლათინური სახელი ყოფილა გამოყენებული. ეს გარემოებაც, ნაწილობრივ მაინც, კომბოსტოს კულტურაში დასავლეთის გავლენას ამჟღავნებს. შესაძლებელია, ბალბის სახესხვაობა მოლოქიც უცხო იყოს.

მემტილეობის ცალკეულმა განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ამ 18 ჯიშ-სახესხვაობიანი 9 მხალეულითგან ყველა ერთდროული არ ყოფილა. მათგან უდავოდ ძველია 3: ღვალო, კატაქომა და მოლოქი. ძველად არის აგრეთვე 4 საფიქრებელი: ჯიქლაყა, სტაფილო, არჯაელი და ხუტი. ხოლო 6 შედარებით მერმინდელია. მერმინდელ მტილეულთა ჯგუფს მჟაუნა, ლახანა, კალნაბი, ისპანახი, კომბოსტო და სვინტრი შეადგენენ.

ძველ საქართველოს, როგორც დავრწმუნდით, სულ 5 ძირხვენეული, ანუ მდელი ჰქონია: სტაფილო, ჭარხალი, ბოლოკი, თალგამი და მხალ-თალგამი.

მაგრამ ამათგან სტაფილოს 4 სახესხვაობა არსებობდა: სტაფილო, ნიუჟა, ქალაკოდა და ქინძიჯორა.

ჭარხალის 5 სახელი იყო და არის: წითელი მხალი, წითელი მდელი, ჭარხალი, ჭაკუნტელი, სოტელია და ჭავი.

ბოლოკის 3 ჯიშ-სახესხვაობა მოიპოვებოდა: შავი, თეთრი და წითელი, ანუ თვის ბოლოკი.

თალგამისა და მხალთალგამის თითო სახელის მეტი არა ჩანს. მაშასადამე, 5 ძირხვენეულის სულ 12 ჯიშ-სახესხვაობა ყოფილა.

უკვე თვითოეული ძირხვენეულის ჯიშ-სახესხვაობათა და სახელების რიცხვითგან ცხადია, რომ 5 ძირხვენეულისგან საქართველოს მეურნეობისათვის მხოლოდ 3-ს: სტაფილოს, ჭარხალსა და ბოლოკსა ჰქონდა მნიშვნელობა. ნაწილობრივ ეს იმ გარემოებასთანაც არის დაკავშირებული, რომ სამივე, სტაფილოც, ჭარხალიცა და ბოლოკიც, საქართველოში ველურადაც იზრდება და ამიტომ ადგილობრივი ძირხვენეულია. ხოლო თალგამი და მხალ-თალგამი საქართველოსათვის უცხო სტუმრად იყო.

მაგრამ, რა თქმა უნდა, სტაფილოს, ჭარხალისა და ბოლოკის ჯიშ-სახესხვაობათა შედარებითი სიუხვე მაინც უმთავრესად იმის გამომჟღავნებელია, რომ ჩვენი წინაპრების გემოვნებითსა და კვებითს მოთხოვნილებას უფრო ეს ძირხვენეულები მოსწონებია. ამიტომაც არის, რომ ველური ჯიშებისათვის ქართველ მეურნეს კულტურულიც და ადგილობრივისათვის უცხოც მიუმატებია. მაგალითად ნიუჟა გარეულია ისევე, როგორც ქალაკოდაც, სტაფილო კი კულტურულია. ჭარხალიც ჩვენში ველურადაც იზრდება და კულტურულადაც. ჭაკუნტელი და სოტელია საქართველოს ჭარხლის მხოლოდ კულტურული სახესხვაობა იყო. ბოლოკიც ველურადაც გვხვდება და კულტურულადაც მის მოყვანას ფართოდ მისდევდნენ.

მეორე მხრით ნიუჯა და ქალაქოდა უეჭველია ადგილობრივია, ხოლო სტაფილო და შესაძლებელია ქინძიჯორაც უცხოა. ამნიირადვე წითელი ფხალი, წითელი მდელი და ქარხალი ქართულია, ჰაკუნტელი და სოტელია კი უცხოა. ბოლოკთაგან წითელი, ანუ თვის ბოლოკიც უცილობლად უცხოა.

ძირხვეწეულთაგან ორი, სტაფილო და სოტელია, საქართველოში საბერძნეთითგანაა შემოტანილი. სპარსეთითგანაც ორია: ჰაკუნტელი და თალგამი. შესაძლებელია ქინძიჯორა-ც ასურეთითგან იყოს შემოსული. დასასრულ, წითელი, ანუ თვის ბოლოკი, რა თქმა უნდა, დასავლეთ ევროპითგანაა შემოტანილი.

მტილეულის მწვანილისა და სანელებელთა ჯგუფის არაერთი წარმომადგენელი ერთსა და იმავე დროს მწვანილადაც და სანელებლადაც იხმარება. ამ ორმაგი დანიშნულების მტილეულთა ქვეჯგუფს ხახვი, ნიორი, კამა, ოხრაბუში, ნიახური, ტარხუნა და ქონდარი, სულ 7 მცენარე, ეკუთვნის.

მხოლოდ მწვანილად 5 არის განკუთვნილი: სალათი, პრასა, დიყი, ჰყიმა, ანუ ჩალამბარა, და ღანძილი, რომელსაც უფრო მხალად ხმარობდნენ.

დასასრულ, მარტო სანელებლად 9 მცენარე ჰქონდათ გამოყენებული, სახელდობრ: ძირაკი, კვლიავი, ცერეცოა, ანისული, სონიჯი, ქინძი, პიტნაკი, ტეგანი და მდოგვი.

ამნიირად მწვანილისა და სანელებელთა საერთო რიცხვი 21 აღწევს. მაგრამ მწვანილის ქვეჯგუფს ისევე, როგორც მწვანილ-სანელებელთა ქვეჯგუფსაც არა ერთი ჯიშ-სახესხვაობა მოეპოვება. მაგ. მარტო ყრდელი-ს, ანუ სალათი-სა, 7 სახელწოდება არსებობდა: ველის ყრდელი — გარეული, შინაური ყრდელი, ხავარტი, ხასი, ქაპოი, მაროლი და სალათი.

ხახვის 2 მთავარი სახესხვაობა ჩანს: თავი ხახვი და ქლაკვი, ე. ი. უთავო, ანუ წვრილ-თავა ხახვი.

ნიორის 3 ჯიშ-სახესხვაობა მოიპოვებოდა: გარეული, გველის ნიორად წოდებული, და შინაური.

პრასის 3 ჯიშ-სახესხვაობა არის საქართველოში ცნობილი, რომელთაგან ორი, თიამელა და გვერსიო გარეული ჯიშ-სახესხვაობანია, ხოლო პრასა შინაურია.

ოხრაბუშ-საც მაკიდონითა და მადდანოზიანად 3 სახელი აქვს.

ნიახურს 2 სახელი ჰქონდა, რომელთაგან მეორედ სონა-ა.

ქინძისაც ორი ჯიშ-სახესხვაობაა, რომელთაგან ულბო გარეული ქინძის სახელია.

პიტნაკის, ანუ პიტნის სულ 5 ჯიშ-სახესხვაობაზე მოგვეპოვება ცნობები, რომელთაგან ომბალო, ტენცო, კატა-პიტნა და ყვალმინთა გარეული პიტნის სახელებია.

სონიჯსაც კიდევ ორი სახელი, შავკაკალა და ჩიტთვალა-ც აქვს.

მაშასადამე, მემტილეობის 21 მცენარისაგან შემდგარი მწვანილისა და სანელებელთა ჯგუფი სულ 30—31 ჯიშ-სახესხვაობას შეიცავს.

ამ 30—31 ჯიშ-სახესხვაობათაგან: 8 — ღვანძილი, დიყი, დუცი, ჰყიმა, ანუ ჩალამბარა, ყინტორა, კვლიავი, შავკაკალა ანუ ჩიტთვალა — მხოლოდ ველურია და ველურს ხმარობდნენ. 15 ჯიშ-სახესხვაობიანი 5 მცენარის, — ყრდელის, — სალათის, ნიორის, პრასის, ქინძის და პიტნის საქართველოში გარეუ-

ლიცა და შინაური სახესხვაობაც არსებობდა. ხოლო მ მტილეული მწვანილ-სანელებლად საქართველოში მხოლოდ შინაური მოიპოვებოდა. ამ მხოლოდ კულტურულ მწვანილ-სანელებელთა ქვეჯგუფს ხახვი, ოხრახუში, ნიახური, ტარხუნა, ქონდარი, ძირაკი, სონიჯი (თუ საქართველოში მოჰყავდათ?) და კამა შეადგენდა.

მწვანილისა და სანელებელთა მტილეულის ჯგუფითგან ნახევარი საქართველოს ადგილობრივი მცენარეებია, ან და ველურად იზრდება. ამ ქვეჯგუფს მიეკუთვნება ყრდელი, ხვარტი, ნიორი, დიყი, დუცი, ჭყიმა, ყვალმინთაც, ნიახური, ომბალო, ცერეცოა, მდოგვი, ტენცო, შესაძლებელია ყვალმინთაც. ყველა დანარჩენი უცხო მტილეულია.

უცხოეთითგან შემოტანილი მწვანილისა და სანელებელთაგან საბერძნეთითგან შეთვისებულია 4: პრასა, მაკიდონი, სონა, მაროლი და იქნებ ყვალმინთაც.

დასავლეთ ევროპითგანაა: ანისული და სალათი.

არაბთაგან — ხასი და სპარსეთითგან ქაჰოა.

ჩრდილოეთ ევროპითგან: ტარხუნა, ქონდარი და დანძილი და ოსმალეთითგან მადდანოზი.

რა თქმა უნდა, ქართულ მეურნეობას ყველა ზემოჩამოთვლილი არ შეეძლო ერთდროულად შეეძინა, არამედ სხვადასხვა დროს და თანდათანობით არის გაჩენილი.

უცილობლად ძველია: ყრდელი, ხვარტი, ნიორი, ხახვი, პრასა, პიტნაკი, ძირაკი, კამა, ცერეცოა, მდოგვი და სონიჯიც, თუ საქართველოში მოჰყავდათ.

ძველად საგულისხმებელია აგრეთვე: თიამელა, დიყი, დუცი, ჭყიმა, ყინტორა, ქინძი, ოხრახუში, ნიახური, ომბალო, ტენცო, ყვალმინთა, კვლიავი და ჩიტთვალა ანუ შავკაკალა.

მერმინდელია: მაკიდონი, სონა, ანისული, მაროლი, ხასი, ქაჰოა, ტარხუნა, ქონდარი და დანძილი.

შედარებით ყველაზე ახალი სალათი და მადდანოზი უნდა იყოს.

მემტილეობის ხმილთა ჯგუფი 6 ერთეულისაგან შესდგებოდა და კიტრს, ბადრიჯანს, ნესეს, მელსაპეონს ანუ საზამთროს, კვანსა და მარწყვს შეიცავდა.

ორი ტუბილი მცენარის შუბყა-სა და კენკეშა-ზე ჯერჯერობით არაფრის თქმა დანაშვლებით არ შეიძლება. ვიცით მხოლოდ, რომ „შუბყა“, რომელიც გ. თედორაძის სიტყვით ფშავსა და ხევსურეთში მწვანილად არის გავრცელებული, ტუბილია (აქვე, გვ. 158). საბას არ მოეპოვება. რ. ერისთავს კი „შუბყა“ ფშაურ სახელად აქვს ჩაწერილი და მისი სიტყვით „დიყასა ჰგავს, მთაში იცის“-ო. მისი ბოტანიკური რაობა განსაზღვრული არა აქვს (ბოტ. ლექსიკ., 71, § 989). გ. თედორაძის ცნობით, შუბყა გარეგნულად დუცს მიაგავს, რომელიც თითონ დიყას წააგავს. ამგვარად რ. ერისთავისა და გ. თედორაძის დახასიათება ერთმანერთს უდგება.

სამწუხაროდ, არც „შუბყა“ და არც „შუბყა“ არცაღ. როლლოვს და არც ზ. ყანჩაველს არ მოეპოვება, რომ მისი ბოტანიკური რაობის გამორკვევა შესაძლებელი ყოფილიყო. მხოლოდ იმის თქმა შეიძლება, რომ, რაკი შუბყა დიყს და დუცსა ჰგვანებია გარეგნულად, მაშასადამე, ისიც ქოლგოსანთა ოჯახის მცენარე ყოფილა. მაგრამ, გარეგნულ მსგავსებას გარდა, მას ზემოდასახელებულ

მცენარეებთან შორეული კავშირი უნდა ჰქონდეს, რათგან შუბყა ტკბილი ყოფილა.

მოტკბილო მწვანილის კენკეშა-ს შესახებაც ცნობები, გ. თედორაძეს გარდა, არავის მოეპოვება. მაგრამ მასაც ამ მცენარის არც ბოტანიკური აღწერილობა და არც განსაზღვრა არა აქვს, კენკეშა-ს რაობა გამოურკვეველია. ისიც კი ნამდვილად არ ვიცით, თუ სიტკბოს გემო სახელდობრ რას, მწვანილსა თუ ნაყოფს აქვს. ამის გამო ძნელი სათქმელია, მწვანილთა ან სანელებელთა ჯგუფს, თუ ხმილთა ჯგუფს ეკუთვნის.

6 ხმილისაგან კიტრის 3 ჯიშ-სახესხვაობა, — მოხრილი მიტრი, გრძელი ბადრანგი და მოკუტვილი შამბალიდი, — არსებობდა.

ნესვისაც 3 ჯიშ-სახესხვაობა იყო: ნესვი — ღუთმა, მუხა-ნესვი და პუმპულა ანუ გილიშამამი და დასტამბო. კვახის 2 მთავარი ჯიშის შესახებ მოგვეპოვება ცნობები, მარწყვისა სულ ცოტა 4 ჯიშ-სახესხვაობა ყოფილა. ხოლო საფიქრებელია, მელსაპეონის, ანუ საზამთროს 2 ჯიშ-სახესხვაობა მაინც უნდა ყოფილიყო. ბადრიჯანის ჯიშ-სახესხვაობაზე კი არავითარი ცნობები არა ჩანს.

მაშასადამე, ძველ საქართველოში 6 ხმილისა სულ ცოტა 15 ჯიშ-სახესხვაობის არსებობაა საგულისხმებელი.

საქართველოში გავრცელებული 6 ხმილისაგან მხოლოდ მარწყვი იყო ადგილობრივი, დანარჩენი ხუთივე კი უცხოეთითგან იყო შეთვისებული.

ამასთანავე მარწყვი, კიტრი, ნესვი, მელსაპეონი და კვახი ქართული მემტილეობისა და მეურნეობის ძველი კუთვნილებაა, საზამთრო და ბადრიჯანი კი შედარებით მერმინდელი შენაძენი ჩანს.

ზოგადად აღსანიშნავია მემტილეობისა და მხალ-ძირხვენეულ-მწვანილ-სანელებლის მეურნეობაში გარეული მცენარეულის გამოყენების სიუხვე. მეტადრე მხალეულისა და მწვანილ-სანელებელთა ჯგუფებში იყო ეს საგრძნობი, რომელთაგან პირველს 18 ჯიშ-სახესხვაობის საერთო რიცხვითგან 7, მესამე ჯგუფს კი 30-ითგან 13 გარეული ჯიშ-სახესხვაობა ჰქონდა. საქართველოს ნაყოფიერი ნიადაგი და ჰავის კეთილშეზავებულება ქართველ მეურნეს მემტილეობის ამ ორ დარგში შრომას საგრძნობლად უმსუბუქებდა. ძირხვენეულისა და ხმილის მეურნეობაში კი გარეულ ჯიშ-სახესხვაობას მცირედი მნიშვნელობა ჰქონდა.

დამახასიათებელია აგრეთვე სანელებელთა სიმრავლე, რომელთა მთელი შემადგენლობა ჩვენ მთლიანად არც კი გვაქვს განხილული, რათგან ზოგიერთი მათგანი, როგორც, მაგ., წიწკა, მხოლოდ შემთხვევით არ გვხვდება წყაროებში. თავის ადგილას არაფერია ნათქვამი მწარე მცენარეების შიბუ-სა და ხონხუტა-ზეც, რომელთაც ფშავ-ხევსურეთში ხმარობენ (იხ. აქვე, გვ. 158), შიბუ-ზე ვერც ეხლა ვიტყვით რამეს, რათგან მისი ბოტანიკური განსაზღვრა ვერსად ვნახეთ, ხონხუტა ანუ კოჯნუტა კი პროფ. აკ. შანიძის სიტყვიერი ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ, ხრენი-ს აღმნიშვნელი ყოფილა, მაშასადამე, *Cochlearia armoracia* L. ყოფილა, რომლის ქართულ სახელად რ. ერისთავს მხოლოდ პირშუშხა აქვს მოყვანილი (ბოტ. ლექს., 84, § 1175).

სანელებელთა სიმრავლე ქართულ მეურნეობაში, რა თქმა უნდა, სამხრეთელთათვის დამახასიათებელია და გემრიელი და ცხარე სურნელოვანი საჭმელის სიყვარულის გამომყვანებელია.

მხალსა თუ ძირხვეწეულს, ან მწვანილ-სანელებელსა და ხმილს, რასაკვირველია, ერთნაირი კვებითი ღირებულება არა აქვს. ბოსტნეულისა, თუ ხმილის სამეურნეო მნიშვნელობა, რა თქმა უნდა, მისი კვებითი და გემოვნებითი ღირსებით განისაზღვრება. მაგ., ისპანახი ძვირფასია რკინის შემცველობით, რომლის ოდენობა მშრალი 100 გ-ში 0,03% უდრის (I. Becker, Gemüsebau, 263). დანდურს 100 გ-ში 2,16% ცხიმოვანი ნივთიერება აქვს (იქვე, 280). სტაფილო ძვირფასია შაქრის დიდი რაოდენობით, რათგან 3,74% ლერწმის შაქარს, 3,64% ხილეულის შაქარსა და 4,94% შაქარს შეიცავს (იქვე, 777). ამნაირადვე შაქრის დიდი მარაგით არის შესანიშნავი ჭარხალი-ც, რომელსაც ცილოვანი ნივთიერება ცოტა აქვს, უფრო მეტს ჭარხლის ფოთოლი (25%-მდე) შეიცავს, მაგრამ სამაგიეროდ ბლომად აქვს შაქარი. მისი უაზოტო ნივთიერებათა ოდენობა 4,0—12%-მდე აღწევს (იქვე, 235). თალგამ-საც უაზოტო ნივთიერების 7,34% აქვს (იქვე, 394). ხახვს აზოტოვანი ნივთიერება 8,34%, პრასას 6,09% აქვს (იქვე, 989 და 1009); ტარხუნა 51,6% ცილოვან ნივთიერებას და 9,5% აზოტოვან ნივთიერებას შეიცავს (იქვე, 912) და სხვა. ხმილთაგან თავისი ცხიმოვანი ნივთიერებითა და შაქრით ძვირფასია ნესვი და მარწყვი (იქვე, 676), კვახიც უმნიშვნელო არ არის.

საკვების სინოციერე მისი სითბოსუნარიანობით, ე. წ. კალორიებით, განიზომება. ამ მხრივ კიტრი, ყრდელი, ანუ სალათი, და სატაცური-ც კი ნოციერი არ არის, უფრო ნოციერია ხახვი, რომლის 1 კგ 196 კალორიას შეიცავს (I. Becker, იქვე, 989), ბოლოკი—440—387 კალორიამდე (იქვე, 225 და 447), შემდეგ მისდევს ისპანახი 1482 კალორიით (იქვე, 777) და სტაფილო 9262—11665 კალორიით (იქვე). თუ ზემოაღნიშნულ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ გასაგები გახდება ისიც, რომ ხალხი უკიდურესი გაჭირვების დროს ხახვით იკლავდა შიმშილს (იხ. აქვე, 235) ისევე, როგორც სტაფილოს ჭიშების ის სიმრავლეც, რომელიც ძველ საქართველოში ყოფილა.

ღ ა რ ბ ი მ ე ს ა მ ე

მევენახეობა

შესავალი

მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობა საქართველოსთვის

ქველი საქართველოს ეკონომიკაში, მეტადრე სასოფლო მეურნეობაში, მევენახეობა-მეღვინეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამ დარგის უაღრესობა ქართველი ერის ყოფაცხოვრებისა და ქონებრივი კეთილდღეობისათვის იმ საგულისხმო გარემოებითგანაც ჩანს, რომ მიწა-წყლის ორ მთავარ გეოგრაფიულ და ბოტანიკურ-აგრონომიულ ნაწილად, მთად და ბარად, გაყოფა, როგორც დაერწმუნდით (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., I², 293—294), სწორედ მევენახეობის გავრცელების თვალსაზრისზე იყო დამყარებული: სადამდისაც მევენახეობა შესაძლებელი იყო, იქამდის ქვეყანა ბარად ითვლებოდა, საითგანაც ვაზის მოყვანა უკვე შეუძლებელი იყო, იმ ხაზითგან მოყოლებული უკვე მთად იყო მიჩნეული. მევენახეობას ქართველი ერის სოციალური წესწყობილებისთვისაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, მაგრამ ამაზე მსჯელობა სათანადო ადგილას გვექმნება.

ამას გარდა, მევენახეობა-მეღვინეობას ქველი საქართველოს საგარეო ვაჭრობაშიც ფრიალ მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა: ქართული ღვინო უძველეს დროითგანვე საექსპორტო საგანს შეადგენდა. ეს გარემოება საქართველოს მეზობლებმა და მტრებმაც კარგად იცოდნენ და, როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვექმნება, საქართველოსთან ბრძოლის დროს, ქართველი ერის თავგანწირული წინააღმდეგობისა და ქედმოუხრელობითი სულისკვეთების დასაძლევად, მათ არა ერთხელ სწორედ ამ სამეურნეო დარგის განადგურებისათვის მიუყვიათ ხელი.

ცნობილია, რომ მევენახეობა-მეღვინეობა სასოფლო მეურნეობის უმაღლესი დარგია. მისი წესიერი და ნაყოფიერი წარმოებისათვის განსაკუთრებული ცოდნაც არის საჭირო და დიდი დაკვირვებისა და შორსგამჭვრეტელობის ნიჭიც უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ ამ რთული საქმის პირნათლად გაძლოლა შეეძლოს.

მევენახეობა-მელვინეობას, ქართველი ხალხის ეკონომიკაში ესოდენი მნიშვნელობის გამო, საქართველოს ეკონომიური ისტორიის ამ ნაწილშიც განსაკუთრებული ყურადღება უნდა ჰქონდეს მიპყრობილი. ამიტომ, მებოსტნეობისა და მებაღეობის ზოგადი საკითხების შემდგომ, ჯერ მევენახეობა-მელვინეობის განხილვას უნდა შევუდგეთ და მხოლოდ ამის მერმე მეხილეობასაც შევეხოთ.

თავი I. ვაზის ქართული ზოგადი სახელები საშუაუნეთა განმავლობაში

§ 1. ვენაჯი, მისი ძველი და მერმინდელი მნიშვნელობა

ყურძნის მომსხმელ ხეს თანამედროვე ქართულშიც და გარკვეული ხანითგან ძველაც ვაზი ეწოდება. მაგრამ ქართული სამწერლობო ენის ისეთ უძველეს ძეგლში, როგორც დაბადების თარგმანია, ვაზის აღსანიშნავად ვენაჯი არის ნახმარი. ეზეკიელის 17^ე-ში, მაგ., ნათქვამია: „აღმოცენდა და იქმნა ვენაჯად უძღურად და კინიად სილილითა და სახედავად მისისა“-ო. ამ ცნობის შინაარსითგანაც ნათლად მოჩანს, რომ ვენაჯი აქ ვაზის ერთი ძირის მნიშვნელობით არის ნახმარი. მაგრამ ამ გარემოების ცხად-საყოფელად მაინც ბერძნულ-ლათინურ-სომხურ შესატყვისობათა მოყვანა ემჯობინება. ლევიტელთა 25^ა-4-ში ნათქვამია: „ექუს წელს განსხლათ ვენაჯი თქუენი... ხოლო წელსა მეშუდესა... ვენაჯი შენი არაგანსხლა“-ო. ქართული ვენაჯი უდრის ბერძნულს *ἄμπελος* „ჰე ამპელოს“-ს, ლათინურ *vinea*-სა და სომხურს *սյգի* „ააგი“-ს. სამივე ყურძნის ხეს, ვაზსა ჰნიშნავს.

სიტყვა ვენაჯს ქართულში ვაზის მნიშვნელობა დიდხანს შერჩა¹. ეკონომიური ისტორიის თვალსაზრისითაც და კულტურული ისტორიისთვისაც აუცილებლად საჭიროა ზედმიწევნით ვიცოდეთ ხანა, როდესაც ვენაჯს თავდაპირველი მნიშვნელობა შეეცვალა და, ერთი ძირი ვაზის მაგიერ, ვაზებით დარგული ბაღის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა. მერვე და მეცხრე საუკუნის მწერლებსაც რომ თავი დავანებოთ, იოანე მტბევეარსაც კი ვაზის აღსანიშნავად ვენაჯი აქვს ნახმარი: „რტოდ ვენაჯისა საღმრთოჲსა გამოშჩნდი შენ, ბასილი“-ო (პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული სასულ. პოეზია, I, გვ. რა). გიორგი მონაზონის ხრონოლოგის არსენი ბერის ქართულ თარგმანში ვაზის აღსანიშნავად წინანდებურად ვენაჯი-ა ნახმარი. იქ ნათქვამია: საული „ვითარცა მუხამ რამმე, რტო ნაყოფსა სიმწარისასა, საზრდელსა ღორთასა, მომღებელ იყო, ხოლო მეორე იგი (ე. ი. დავით), ვითარცა ვენაჯი კეთილად განსხლული და ნაყოფიერი, თითოსახეთა სათნოებათა ღვნოსა, მახარებელსა გულთასა, დამომადინებელ იყო“-ო (სიმ. ყაუხჩიშვილის გამ., გვ. 75^ა-30). ქართული თარგმანის ვენაჯი ბერძნულ დედანში იმავე ამპელოს-ს, ე. ი. ვაზს უდრის (*de Boor*-ის გამ., I, 169).

მაგრამ ზოგან ამავე ხრონოლოგის ქართულ თარგმანში ვენაჯი ვაზებით დარგული ბაღის მნიშვნელობითაც არის ნახმარი. მაგ., იქ ნათქვამია: აქაბის ცოლმა იაზაბელ, „მოკლა რამ ნაბოთე.., ესრეთ დაიპყრა ვენაჯი მისი“-ო (გვ.

¹ დასავლეთ საქართველოში ხშირად ვენახი ახლაც ვაზსა ჰნიშნავს.

12227-28). ამგვარადვე, — „დავასხენ ჩემლად ვენაჯნი და ვყვენ ჩემთს მტილნი და სამოთხენი“ (გვ. 9310-11). აქ ვენაჯნი ბერძნული სიტყვის ამპელონ-სა და მის მრავლობითი რიცხვის ფორმას „ამპელონას“-ს უდრის (I, 203 და 258). ამ ორი შესატყვისობითგან ჩანს, რომ ვენაჯი ვაზის ბაღის მნიშვნელობითაც არის გიორგი ამარტოლის ხრონოლოგის არსენი ბერის თარგმანში ნახმარი.

ამასთანავე, ამ ძეგლის იმ ადგილის თარგმანში, სადაც ესაიას ერთი მუხლია დამოწმებული. ნათქვამია: „რამ უყო სავენაჯესა ჩემსა“-ო (გვ. 19724-25). აქ ნახმარი სავენაჯე-ც უდრის ბერძნული დედნის „ამპელონ“-ს, ე. ი. ვაზის ბაღის აღსანიშნავად „ვენაჯი“ კი არა, არამედ სავენაჯე-ა გამოყენებული. ეს გარემოებაც ვენაჯის პირვანდელი მნიშვნელობის უკვე შეცვლილობის დამადასტურებელია.

დამახასიათებელია, რომ ვისრამიანის ავტორს ვენაჯი უკვე ძველი მნიშვნელობით კი არ ესმოდა და ვაზად კი არა აქვს ნაგულისხმევი, არამედ ბაღად. მაგ., მას ვისზე ნათქვამი აქვს: „ვენაჯსა ჰგუანდა ვისისა პირი, მაგრა ვენაჯისა კარი მაგრა ხშულაყო“-ო (1884 წ. გამ., გვ. 56). თუმცა ვენაჯისა კარი თავისდათავადაც ცხადჰყოფს, რომ ვენახად აქ მხოლოდ ბაღი, ან ზვარი შეიძლება იგულისხმებოდეს, მაგრამ მეტი დამაჯერებლობისათვის შესაძლებელია აღნიშნული იყოს, რომ სპარსულ „ვისისა და რამინის მესნევი“-შიც ამ ადგილს ორსავე შემთხვევაში სწორედ გ.ს. ბაღ-ია ნახმარი (გვ. 9).

ამგვარად. ძეგლებითგან ჩანს, რომ ვენაჯს XI—XII სს-ში პირვანდელი მნიშვნელობა უკვე შეცვლილი აქვს და ერთი ძირი ვაზის მაგიერ ეს სიტყვა უკვე ვაზებით დარგული ბაღის აღმნიშვნელი გამხდარა. სამწერლობო ენაში ასეთი ცვლილების შემდგომაც, საქართველოს ზოგიერთი თემის, მეტადრე ლიხთ-იმერეთში, ხალხის სასაუბრო ენას ვენაჯისთვის წინანდელი მნიშვნელობა შეუენარჩუნებია და ამ გარემოების ანარეკლი შესაძლებელია XI—XII სს. შემდგომი ხანის ძეგლებშიც აღმოჩნდეს.

მეორე მხრით, ჯერ კიდევ ქართული მწერლობის ესოდენ ძველ ძეგლში, როგორც დაბადების თარგმანია, ზოგან ვენაჯი ვაზის ერთ ძირს კი არა, არამედ ვაზების ბაღსაც ჰნიშნავს. ამიტომ იბადება კითხვა, ვენაჯის პირვანდელი მნიშვნელობის შეცვლის პროცესი ხომ უკვე ასეთ შორეულ ხანაში არ დაიწყო, როდესაც ეს ძეგლი გადმოუქართულებიათ? ამეამად, როცა არც დაბადებისა და უქველესი ხანის არც სხვა ძეგლების მეცნიერული, კრიტიკული გამოცემა არ მოგვეპოვება, ამ საკითხის დანამდვილებით გადაწყვეტა ძნელია. საქმეს ის გარემოებაც აძნელებს, რომ ვაზებით დარგული ადგილისა და ბაღის აღსანიშნავად უქველესი ხანის ძეგლებში ვენაჯოვანი იხმარებოდა (იხ. აქვე, გვ. 306). რაკი მაშინ სიტყვათა ქარაგმიანი დაწერილობა ჩვეულებრივ მოკლენას წარმოადგენდა. ამიტომ ქარაგმით დაწერილი ეს სიტყვაც ვენაჯი მერმინდელ გადამწერს, რომელიც ვენაჯი-ს ახალ მნიშვნელობას იყო მიჩვეული, ქარაგმის გახსნის დროს, ვენაჯოვან-ად წაკითხვის მაგიერ, ადვილად შეეძლო „ვენაჯნი“ წაეკითხა, ვაზები ბაღებად ეგულისხმა და შემდეგ ან მასვე, ან მომდევნო გადამწერს მრავ. რიც. ფორმა მხოლ. რიც. ფორმად ვენაჯ-ად გადაეკეთებინა და ექცია. ასეთ შესაძლებლობას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ უძველეს ხანაში ვაზებით მრავლად დარგული ადგილისა და ბაღის აღსანიშნავად სათანადო ტერმინი. ვენაჯოვანი, არსებობდა, ამიტომ ვენაჯი-ს მნიშვნელობის შეცვლისათ-

ვის ჯერ ხელშემწყობი მიზეზი არ არსებობდა. ამისგამო საფიქრებელია, რომ ვენაჟი-ს ორმაგი მნიშვნელობა უფრო ამ სიტყვის ქარაგმიანი დაწერილობის მერმინდელი მცთარი წანაკითხის შედეგი უნდა იყოს.

ვაზის ბალის მნიშვნელობით საყურძნე-ც იხმარებოდა. მეორე შჯულისამს 24₂₁-ში სწერია: „მო-თუ-სთულებდე საყურძნესა შენსა და დაგიშთეს მისგანი, ნუ უკუეა იქცევი მოკუფხულად მისა“-ო.

იოანე მტბევეარსაც ბასილი ნეოკესარიელისადმი მიძღვნილ საგალობელში ნათქვამი აქვს: „იხილენ რაჲ მკეცინი მძვნეარენი, განმრყუნელნი შრომით და-ნერგულთა მათ საყურძნეთა, ნეტარო ბასილი, განემზადე ბრძოლად“-ო (პ. ინგოროყვას გამ., ძველ-ქართული სას. პოეზია, I, გვ. 26). დაბადების თარგმანის ზემომოყვანილ ნაწყვეტში საყურძნე ბერძნული „პო ამპელონ“-ისა და ლათინურ vinea-ს შესატყვისობას წარმოადგენს. მაშასადამე, მართლაც ვაზებით ღარგულ ბალსა ჰნიშნავს.

§ 2. ვაზი

მეტად საყურადღებოა, რომ ვაზი-ს არსებობა დაბადების ტექსტით არც ს. ორბელიანსა აქვს დამოწმებული და არც თვით დაბადების თარგმანში ჩანს. საერთოდ სხვა ძველ ძეგლებშიც ვენაჟი გვხვდება, ვაზი კი არ არის. ამიტომ შესაძლებელია აღამიანმა იფიქროს კიდეცაც, თითქოს ვაზი ამ მცენარის შედარებით ახალი სახელი იყოს. ეს საგულისხმო გარემოება მკვლევარს ვაზის ქართული მწერლობის ძეგლებში გაჩენის ხანის გამორკვევას ავალებს.

უძველესი ქართული ძეგლების შეუსწავლელობისა და გამოუცემლობის გამო, ამ საკითხის გამორკვევა ეხლა მხოლოდ დაახლოებით შეიძლება.

ვაზი გვხვდება იპოლიტემას თარგმანების ქართულ ტექსტში, რომელიც, ამ ძეგლის გამომცემლის აზრით, IX ს-ზე უგვიანესი არ უნდა იყოს (იხ. ნ. მარბის, TP, III, გვ. XVII—XVIII), ენის ზოგიერთი ნიშნისდა მიხედვით კი ამ ხანაზე შესაძლებელია გაცილებით უფრო უძველესიც აღმოჩნდეს. ამ თარგმანში ნათქვამია: „მრავალ სახედ გამოხატულ იქნეს, რამეთუ იყო მათ თანა ლომი და ვაზი ვენაჟი და კაცი და ორბი იგი... და იყო ვაზი იგი ვითარცა ვენაჟი მღდელთმოდურისა ლუკაისგან ქადაგებულ“ (იქვე, გვ. ლ, 880—81 და 87—88)². ჩვეულებრივ იპოლიტემას ძეგლის ამ თარგმანში სხვაგან ყველგან ვაზის მნიშვნელობით ვენაჟი-ა, ხოლო ვაზების ბალის მნიშვნელობით ვენაჯოვანი-ა ნახმარი (იხ. იქვე, გვ. კვ, 610, 21, — გვ. ლდ, 1310, 23, — ლე, 1333, — გვ. მბ-მგ, 202—2, 10 და გვ. 2160—62), ამიტომ შესაძლებელია ზემოაღნიშნულ ადგილას ვაზი თავდაპირველი დედნის ვენაჟი-ს ერთგვარ მერმინდელ ჩანართ განმარტებას წარმოადგენდეს. მაგრამ შატბერდისეული. ხელთნაწერი, რომელშიც ეს ძეგლი მოიპოვება, X საუკუნისაა, ამიტომ ცხადია, რომ, თუნდაც ვაზი აქ მერ-

² პროფ. ნ. მარბა აღნიშნა ვაზისა და ვენაჟის ერთად ხმარების უცნაურობა, რათგან ორვე ძველად ერთსა და იმავეს ჰნიშნავდა. ამასთანავე მისი აზრით ვაზი აქ გაუგებრობის, ანუ შეცდომის შედეგი უნდა იყოს სომხური დედნის „ეე ეზნ“-ის მაგიერ, რომელიც „და ხარ-სა“ ჰნიშნავს (TP, III, გვ. LVI—LVII). თუნდაც რომ ეს მოსაზრება სწორე იყოს, მაინც ორი ერთი და იმავე მნიშვნეულობის სიტყვის ხმარების უცნაურობას ამით არავითარი განმარტება არ შეეძინება.

მინდელი ჩანართი იყოს, X ს. პირველ ნახევარზე მერმინდელი ეს ჩანართი მაინც ვერ იქმნება. ამნაირად, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ვაზი ძველ ხანაში ქართულ მწერლობაში გაბატონებული ვენაგი-ს გვერდითა და პარალელურად, თუ ამაზე ადრე არა, მაინცდამაინც IX ს. დამლევს, სამწერლობო ენაში უკვე შესული ყოფილა.

ვაზი „ვისრამიან“-შიც გვხვდება. „რამინისაგან ვისის მოგონება“-ში იქ „არაკა“-დ ნათქვამია: „ვახსა რა შტოსა მოჰკუთდენ, ატირდების“-ო (1884 წ. გამ., გვ. 326). ეს ადგილი სპარსულ ვისისა და რამინის მესნევი-შიც მოიპოვება *بىرى شاشى* *بىرى شاشى* (იხ. Wis o Ramin, edited by Capitain W. N. Lees, LLD. and Mynshi Ahmed All, Calcutta. 1865 წ., გვ. 3. 3.). ამნაირად, ქართული ვაზი სპარსულ *رز* რეზ-ს უდრის (რომლის მრავლ. რ. *رزان* რეზან-ია). ეს სიტყვა სპარსულად ვახსაცა და ვაზებით დარგულ ზალსაც ჰნიშნავს, მაგრამ აზრისდა მიხედვით ამ შემთხვევაში ვაზად არის ნაგულისხმევი.

ვაზს გარდა, ვისრამიანშივე მუშავაზი-ც გვხვდება, სადაც ეს გამონათქვამი რამინის სილამაზის შემდეგს აღწერილობაში მოიპოვება: „გაზაფხულ წალკოტი თუცა კეკლუცია, რამინის პირი ათასჯერ მის უტურფე იყო, ყურისა ძირნი წმიდასა ვეცხლსა უგუანდეს, სუმბულთ ჯერეთ შავი არ ჩაეცვა და მუშავაზნი მუშეის ყუანჯად შეჰქნოდა“-ო (1884 წ. გამოც., გვ. 70).

სპარსულ „ვისისა და რამინის მესნევი“-ში ქართული ვისრამიანის ზემომოყვანილი უქანასკნელი სტრიქონის შესატყვისად შემდეგი ლექსია³ (გვ. 5) *زادو زلفش برو مشكين دو جو گان* რაც ქართულად, სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი ჰნიშნავს: „მისი ორი წინამო (კულუღი) სახეზე მუშეის ორ ჩოვან“-ად მოჩანდაო. ქართულისა და სპარსულის შედარების შესატყვისობათა სისწორის გასაგებად, უნდა გვახსოვდეს, რომ ყუანჯი, ანუ ყვანჯი ქართულად ჩოვანსა ჰნიშნავდა. ეს თვით ვისრამიანის სხვა ადგილითგანაც ჩანს (იხ. მაგ., გვ. 63, 74) და ს. ორბელიანსაც, ამავე ძეგლის დამოწმებით, განმარტებული აქვს, რომ „ყვანჯი საბურთალი ჩოვანი“ არის (ლექსიკ.). ამიტომ ვისრამიანის ზემომოყვანილი სტრიქონის შინაარსი ისე უნდა გავიგოთ, რომ რამინს „მუშავაზნი მუშეის ჩოვანად შეჰქნოდა“. ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ქართული მუშავაზნი სპარსულის ორ წინამოს, ანუ კულულს უდრის. რა თქმა უნდა, რომ აქ თარგმანთან არა გვაქვს საქმე, არამედ ცხადია, რომ მუშავაზი წინამოს რაიმე თვისების გამომხატველი უნდა იყოს.

ამის გამორკვევას ვისრამიანის მეორე ადგილი გვშველის, რომელიც ამ ძეგლში ყოფილა. ეს ადგილი ს. ორბელიანის ლექსიკონის უძველესს, C რედაქციაშია მუშავაზი-ს მნიშვნელობის განმარტების სისწორის დასამტკიცებლად მოყვანილი. ამ ადგილას ნათქვამი ყოფილა: „შენ რომე მუშავაზი-სა ფერსა თმას იგლეჯ“-ო (ლექსიკ.). სიტყვა-სიტყვით ეს წინადადება ვისრამიანის 1884 წ. გამოცემაში არ მოიპოვება, მაგრამ, უეჭველია, ეს ის ადგილი უნდა იყოს, სადაც რამინისაგან ვისისათვის გამწირაობის წერილის ვაგზავნის ამბავია მოთხრობილი. იქ სხვათა შორის აღნიშნულია, რომ საზოგადოებრივი ვისის და-

³ ამ სტრიქონის შესატყვისობის მაძებნისათვის დედ. აღ. ბარამიძეს დიდ მადლობას მთავსებენ.

საწმიდედებლად „ეგრე თქუა: „შენ რომელ მუშკის ფერთა თმათა იგლეჯ“—ო (გვ. 273). ქართლს ამ „მუშკის ფერთა თმათა“—ს სპარსულად *كجاش و یو* უდრის (გვ. 242), რაც მუშკის თმასაც, მუშკისფერს თმასაც და შავს თმასაც ჰნიშნავს. სებას ზეპომოყვანილი, ვისრამიანის ხელთნაწერითგან ამოღებული, ამონაწერი ცხადყოფს, რომ ამ ძველის ისეთი რედაქცია ყოფილა, რომელშიც „მუშკის ფერთა თმათა“—ს მაგიერ „მუშავაზისა ფერსა თმასა“ წერებულა⁴.

ვისრამიანის ამ ადგილის ორი რედაქციის შედარება ამტკიცებს, რომ მუშავაზის ფერა ჰნიშნავს მუშკის ფერს. მუშკის ფერი კი სპარსულში, როგორც უკვე მოხსენებული გვექონდა, შავსა ჰნიშნავს. ამიტომ მუშავაზის ფერიც შავის, ანუ ზომავო ფერის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ყველა ზემონათქვამი ადამიანს დაარწმუნებს, რომ ს. ორბელიანი მართალი იყო, როდესაც ამ სიტყვის მნიშვნელობას თავის ლექსიკონში ასე განმარტავდა: „მუშავაზი ძველი ვაზის ფერი. ამბრის ფერია“—ო (ვისრამიანში). ხოლო ვისრამიანის 1884 წ. გამოცემაში დართულ პატარა ლექსიკონში ნათქვამია: „მუშავაზი ძველი ვაზი, რომელსაც ხალხი შავს უწოდებს“—ო (გვ. 467).

მაშასადამე, მუშავაზი ძველი ვაზის, ე. ი. ვაზის ლერწის იმ ქვედა ნაწილის აღმნიშვნელი ყოფილა, რომელიც თვითონ ყურძენს არ ისხამს, არამედ რომელსაც რქები გამოაქვს და მთელი ვაზის კვებისათვის მუშაობს. რაკი ძველ ვაზს ყოველთვის მუქი ფერი აქვს, ამიტომ საქართველოში, სადაც ვაზსა და მევენახეობას მეურნეობასა და ყოფა-კვხოვრებაში ფრიად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, შავი და მუქი ფერისათვის ხალხს მუშავაზის ფერი უწოდებია.

წ 3. ველური, ანუ გარეული ვაზი და მისი ქართული სახელები

ცნობილია, რომ მთელ საქართველოში ვაზი ველურად იზრდება. მისი ზრდისათვის საუკეთესო ნიადაგი და ჰავა შავი ზღვის სანაპიროსა და კახეთშია. ამიტომ ბუნებრივია, რომ გარეული ყურძნისათვის ქართულში არა ერთი სახელი არსებულებოდა ძველადაც და ასეთი სახელების სიუხვე იყოს თანამედროვე საქართველოშიც. უფრო ძველი ხანის ძეგლებითგან რომ ცნობების მოყვანას ამჟამად თავი დავანებოთ, ეს გარემოება შესაძლებელია მარტო სახელოვანი ქართველი ლექსიკოგრაფის ნაშრომითაც დამტკიცდეს.

საბას განმარტებითგან ირკვევა, რომ გარეულ ვაზს ქართულად უსურვაზი ეწოდებოდა: „უსურვაზი კრიკინა ვაზი“ არისო (ლექსიკ.). ხოლო კრიკინაზე ნათქვამი აქვს: „კრიკინა ველური ყურძენი“ არისო (იქვე). უსურვაზსა და კრი-

⁴ რაკი ასეთი ცვლილება შეუძლებელია გადაწერის დაპბრალდეს, ამიტომ იბადება საკითხი, აქ ხომ ორ განსხვავებულ რედაქციასთან არა გვაქვს საქმე, რომელთაგან ერთი სპარსულ ტექსტს უფრო უახლოედება, მეორე კი აზრის თავისუფლად გამოთქმას რჩეობს და ქართულ გამონათქვამებს ხმარობს? ამ საკუარდლებო საკითხს გულდასმითი შესწავლა სჭირდება და, თუ ამნაირი გარემოება სხვა შემთხვევებშიც გამოჩედა, მაშინ შესაძლებელია, რომ აქ ვისრამიანის ორ რედაქციასთან გვექონდეს საქმე, რომელთაგან მეორე რედაქცია შესაძლებელია ამ თხზულების ან თვით პირველივე რედაქციის ავტორსვე ეკუთვნოდეს და ვისრამიანის გაორიგინალურების მიზნით იყოს გაკეთებული, ან და ეგების პირვანდელი თარგმანის იბავე მიზნით გადამუშავების პროცესს გვისურათებდეს.

კინას გარდა ველური ვაზის სახელად „ძლუამლი“-ც იხმარებოდა: „ძლუამლი კრიკინა“-აო, ნათქვამი აქვს იმავე მეცნიერს (იქვე).

ეს სახელი, ოდნავ შეცვლილი, ეხლაც არსებობს რაჭაში, სადაც გარეულ ყურძენს დღევანდლამდე ზღვაშბლი ეწოდება (იხ. აქვე, რაჭაში შერჩენილი ყურძნის ჭიშების აღწერილობა).

უსურვაზი, უეკველია, ორნაწილელი სიტყვა უნდა იყოს. მისი მეორე ნაწილი, ცხადია, ვაზი-ა. პირველ ნაწილად, მამასადამე, უსური რჩება. თუმცა ასეთი სიტყვა არ არსებობს, მაგრამ სამაგიეროდ უსუარი არის, რომელიც უპასაყო ბავშვსა ჰნიშნავს, ხუთი წლითგან ათ წლამდე (საბას ლექსიკ.: კატი). არსებობს ზედშესრული უსუსური-ც, რომელიც საბას, 722 ივლითის დამოწმებით, სუსტად აქვს განმარტებული (იქვე).

მამასადამე, უსურვაზი უსრულ ვაზსა ჰნიშნავს, ამ სახელში ქართველ მიწისმოქმედსა და მევენახეს გარეული ვაზ-ყურძნის დაბალი ღირსება გამოუმჟღავნებია.

მაგრამ პროფ. ზ. ყანჩაველს უსურვაზი და კატაბარდა სინონიმებად მიაჩნდა და ორივეს გარეული ყურძნისა კი არა, არამედ Clematis-ის ქართულ სახელად სთვლიდა (იხ. ბოტანიკა, I, 117 და 118 და II, 299):

რ. ერისთავსაც, ს. ორბელიანის მსგავსად, უსურვაზი გარეული ყურძნის სახელად აქვს აღნიშნული. მისი ცნობითა და განსაზღვრით, „ბაბილო, გრძელვამლი, კრიკინა, უსურვაზი“ ამერეთში გავრცელებული სახელებია, ხოლო „ძღვლამი“ ანუ „რძღვლამი“ იმერეთში ეწოდება, სამეგრელოში შხურიჩი-ს, გურიაში კი „მორცხულა“-ს ეძახიანო. ყველა ეს სახელი Vitis L.-ს გარეული ვაზ-ყურძნისა და რუს. дикий виноград-ის ქართულ შესატყვისობად მიაჩნდა (ბოტან. ლექსიკ., 5, § 71).

რ. ერისთავისაგან ჩაწერილ, ზემომოყვანილ შხურიჩის გარდა, გარეული ყურძნის სახელად სამეგრელოში ბურეხი-ც იხმარება (იოს. ყიფშიძე, მ. გ. 209).

Clematis-ის ქართულ სახელებად რ. ერისთავს აღნიშნული აქვს „კატაბარდა, უსურვაზი (თეთრი), ციცაბარდა“ ქართლ-კახეთსა და იმერეთ-რაჭაში, „შხურიჩი“ სამეგრელოსა და რაჭაში „თეთრი ბარდა“ (იქვე. 25—26. § 389).

ამნაირად, ირკვევა, რომ მხოლოდ თეთრი უსურვაზი-ა Clematis-ის ერთერთ ქართულ შესატყვისობად მიღებული, თვით უსურვაზი კი გარეული ყურძნის სახელი ყოფილა. რ. ერისთავის ამ ცნობის სისწორეს ს. ორბელიან-ს ზემომოყვანილი განმარტებაც ამტკიცებს. Clematis-ის ჩვეულებრივი ქართული სახელი ციცაბარდა, ანუ კატაბარდა უნდა იყოს. რომელთაგან უკანასკნელი საბასაც აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი.

ეხლა რომ კვლავ გარეულ ვაზს დავუბრუნდეთ, მისი ქართული სახელების სიუხვე უნებლიეთ ყურადღებას იპყრობს. კრიკინა, უსურვაზი, ძლუამლი, ბურძლუმი (პერეთში, საინგილოში), მორცხულა (გურიაში), ბურეხი და შხურიჩი (სამეგრელოში), სულ შვიდი სახელია. ამათგან ყველაზე გავრცელებულია ძლუამლი, რომელიც ძველ ქართულშიც იყო და თანამედროვეშიცაა შერჩენილი: ქართლში მას გრძელვამლი ეწოდება, იმერეთში ძღვლამი-სა, ანუ რძღვლამი-სა, ხოლო რაჭაში ძღვამბლი-ს სახით გვხვდება.

კრიკინა, როგორც საბას ზემომოყვანილი განმარტებითგანაც ჩანს, გარეული ვაზისა კი არა, არამედ გარეული, „ველური ყურძენი“-ს სახელი იყო და არის ესლაც.

მეგრული შხურიჩი, როგორც ეტყობა, სრულად არ უნდა იყოს დატული, არამედ ამ სახელის მართო პირველი ნაწილია არის შერჩენილი. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად ვარეული ყურძენის ეს სახელი სრულად უნდა შხურიში ბინეხი, ე. ი. „ცხვრის ვენახი, ანუ ვაზი“ ყოფილიყო. დროთა განმავლობაში ბინეხი ჩამოსცილებია და შხურიშ-შიც შ- ბგერა ჩ-დ შენაცვლებულა და შხურიჩი გამხდარა. ამნაირად, ვარეული ყურძენი ცხვრის ყურძნად ყოფილა სახელდებული.

ვარეული ვაზის გურული სახელი მორცხულა კი, როგორც ჩანს, უნდა მოცხარი-ს სახელთან იყოს დაკავშირებული. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მოცხრულა იქმნებოდა, ე. ი. ვარეული ვაზის ყურძენის წვრილმარცვლიანობით მოცხართან მსგავსების გამომხატველი სახელი უნდა ყოფილიყო. შემდეგ ცხრ თანმოვანთა კომპლექსის ადგილმონაცვლებით მოცხრულა დროთა განმავლობაში მორცხულა-დ ქცეულა.

დასასრულ, ვარეული ყურძენის სამეგრელოში გავრცელებული მეორე სახელი ბურეხი ისე გასაოცრად მიაგავს „ქერ-ფეტვთა და სხვათაგან“, მათ შორის ზოლასაგანაც, დამზადებული სასმელის სახელს ბურახს-ს (იხ. საბას ლექსიკ.), რომ თავისთავად იბადება საკითხი, ბურეხი-ც ვარეული ყურძენის, ან და მიაგან დამზადებული სასმელის სახელი ხომ არ არის?

თუ უსურვაზი, როგორც დავრწმუნდით, ვარეული ყურძენის სახელია, თეთრი უსურვაზი Clematis-ის აღმნიშვნელია. აქ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ ორი სხვადასხვა ოჯახის მცენარისათვის ერთი და იგივე, მხოლოდ ფერის მათყუყებელი ზედსართავით განსხვავებული, სახელია გამოყენებული. ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ჭანურშიც ამის მსგავსი მოვლენავეა: ვაზს იქ ბინეხი ჰქვიან, სვიას კი ბადი ბინეხი ეწოდება (ჭ. გ., 131), ე. ი. „ცუდი ვენახი“, ანუ ცუდი ვაზი.

აღსანიშნავია, რომ ზემოდასახელებულის მსგავსი მოვლენა ლათინურშიც იყო. ძველი რომაელებიც, Raymond Billiard-ის სიტყვით (იხ. La vigne dans l'antiquité, გვ. 306), სელმაქს, ანუ სელშავს, რუს. брусника-ს, Vitis idaea-ს, ე. ი. იღუურ, ტრთადურ ვაზს, ეძახდნენ,—თეთრ უსურვაზს, Clematis-ს,— Vitis alba-ს, ან და Vitis cana-ს, ე. ი. თეთრს, ან და რუხ ვაზს უწოდებდნენ. დასასრულ, Vitis nigra, ანუ შავი ვაზი, ერქვა ერთ კიტრნაირთა ოჯახის მცენარეს, რომელსაც ფრანგები la bruyone-ს, რუსები—переступень-ს ეძახიან.

ზემოდასახელებული ავტორი ამ გარემოებისდა მიხედვით დაასკვნის, რომ რომაელებს ვაზის მეცნიერული ცოდნა არ ჰქონიათ (იხ. იქვე), მაგრამ ეს საკითხი შესაძლებელია სხვანაირადაც იყოს გადაკირილი. რომს რომ თავი დავანებოთ და კერძოდ საქართველოს დავუბრუნდეთ, შემდეგ დასკვნას უნდა დავადგეთ. თუ ქართულსა და ქართველურში ვაზს, თეთრ უსურვაზსა და სვიას ერთი და იგივე სახელი აქვთ, ამ ერთი შეხედვით უცნაური გარემოების მიზეზის გამოსარკვევად უნდა ისიც იყოს გათვალისწინებული, თუ რა საერთო თვისება აქვთ ვაზს, უსურვაზსა და სვიას, რომ ქართველმა მიწისმოქმედმა მათ ერთი სახელი უწოლა? ბოტანიკურად მათ ის საერთო თვისება აქვთ, რომ

სეიაც (*Humulus lupulus*), ვაზიც (*Vitis L.*) და უსურვაზიც (*Clematis*) მხვიარა და ბარდიან მცენარეთა ჯგუფს ეკუთვნიან (იხ. პროფ. ზ. ყანჩაველის ბოტანიკა, I, 117 და 118). ამის გამო იზადება აზრი, რომ სიტყვა ვაზი შესაძლებელია სწორედ მხვიარობის ცნების გამომხატველი იყოს. თუ ამ ქართული ტერმინის პირველადი მნიშვნელობა ჯერ გამოსარკვევია, ლათინური *Vitis*-ის შესახებ ხომ ეს საკითხი უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია და ცნობილია, რომ ეს სიტყვა სწორედ მხვიარასა ჰნიშნავს (*Alois Walde, Lat. elim. Wörterb.*).

თავი II. ვაზთამცოდნეობის ძველი ქართული ტერმინოლოგია

სასოფლო მეურნეობის ყველა სხვა დარგისაგან მევენახეობა იმით განსხვავდება, რომ მის საგანს და მთელ საზრუნავს ერთადერთი მცენარე, ვაზი, შეადგენს. ეს გარემოება ვაზის კულტურის დიდი ეკონომიური მნიშვნელობითა და მისი სირთულით აიხსნება.

ვაზს დიდი მოვლა სჭირდება, რათგან მოუვლელად იგი სწრაფად გაველურდება და ნაყოფიერებასაც მოიკლებს. თუმცა, ხანგრძლივი დაკვირვების წყალობით, ვაზის მოვლის წესი შემუშავდა, მაგრამ მევენახეს, ამ წესის ცოდნასთან ერთად, თვითონაც დაკვირვების უნარი უნდა ჰქონოდა.

ვაზის წესიერი მოვლისა და მევენახეობის მცოდნეობის თანდათან შემუშავების პროცესში გამოირკვა, რომ ვაზის ყოველ ნაწილს თანაბარი მნიშვნელობა არა აქვს, არამედ რომ ბუნებისაგან ზოგ მათგანს მთავარი, ზოგს კიდევ მეორეხარისხოვანი, ან და დამხმარე მნიშვნელობა ჰქონია მიკუთვნებული. ამ ნაწილების ერთმანეთისაგან გასარჩევად ვაზის ლერწის ყოველ მნიშვნელოვან ნაწილს თავისი სახელი დაერქვა.

რამდენადაც ეს სასოფლო მეურნეობის მაშინდელი დონის გათვალისწინების საშუალებას გვაძლევს და რამდენადაც შემდეგში, როდესაც სოფლის მეურნეობაში შრომის პირობებზე და მომუშავეთა ხელფასზე გვექმნება საუბარი, მევენახეთა მოვალეობისა და შრომის ტვირთის ცოდნა დაგვიკირდება, აქ, საქართველოს ეკონომიურ ისტორიაშიც, ვაზის მოვლისა და მევენახეობის ძველი წესების მთავარი საკითხების შესახებ მსჯელობა მოგვიხდება. ცხადია, რომ უპირველესად ვაზის ნაწილების ძველი ქართული ტერმინოლოგიის ცოდნა საჭირო.

§ 1. ვაზის ძირისა და ზროს სახელები საუკუნეთა განმავლობაში

ვენაქს, ანუ ვაზს ჰქონდა ძირნი, რომელნიც „ქუეშუა კერძო მისსა იყუნეს“, ნიადაგში დანერგილი (ეზეკ., 17გ). ძველად რომ ამბობდნენ ძირნი-ო, მაშინ, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა (საქართველოს ეკონომიური ისტ., I², 276), ფესვებსაც ჰგულისხმობდნენ ხოლმე.

ვენაჯი-სა და ვაზი-ს თავდაპირველ მნიშვნელობაზე მსჯელობის დროს უკვე დაერწმუნდით, რომ ვაზის იმ ქვედა, მსხვილ ნაწილს, რომელიც ზროდ არის ქცეული, ძველ ქართულში მუშა-ვაზი სწოდებია (იხ. აქვე, გვ. 307—308).

ხალხს ამ სახელით ლერწის ამ ნაწილის დანიშნულება მარჯვედ გამოუხატავს: მას აღუნიშნავს, რომ ეს ნაწილი დანარჩენი, ნაყოფის გამომღებელი, ზედანაწილისათვის მუშაობს.

უკვე ს. ორბელიანის განმარტებითგან ირკვევა, რომ მუშავაზს, თუ ამაზე ადრე არა, მის დროს მაინც. ძველი ვაზი-ც ჰრქმევია. ამავე სახელს ხმარობენ ეხლაც (იხ. ვ. ბიბილაშვილი. ვაზის გასხვლა, გვ. 6 და სურ. 2). ხოლო ვისრამიანის გამომცემლების, ილ. ჭავჭავაძის, პ. უმიკაშვილისა და ალ. სარაჯიშვილისაგან დართული ლექსიკონითგან ცხადი ხდება, რომ ეხლა ამ ძველ ვაზს ხალხი შავს. თუ შავვავსაც უწოდებს (იხ. აქვე, გვ. 308). სამწუხაროდ, ამ ცნობაში აღნიშნული არ არის, მთელ საქართველოშია ეს სახელი გავრცელებული, თუ მხოლოდ ამერეთში.

ვაზის ზროს მთლიანდაც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა და აქვს ეხლაც. ს. ორბელიანსაც აღნიშნული აქვს, რომ „ლერწი ვენაჯის რქა“-ს ეწოდება (ლექსიკ.), ე. ი. ვაზის რქას. მაგრამ ამ განმარტებაში ქართველ ლექსიკოგრაფს რქა იმ მნიშვნელობით აქვს ნახმარი, როგორც უძველეს ქართულ მწერლობაში იხმარებოდა. 79₁₂ ფსალმუნის დამოწმებით მას ნათქვამი აქვს კიდევაც „რქა ეწოდების ვენახის ლერწსა“-ო (ლექსიკ.). იქ კი ნათქვამია: „ვენაჯი ევგპტით სკვალუ... და დაასხ იგი... დანერგენ ძირნი მისნი და აღავსო ქუეყანა და დაფარნა მთანი ჩრდილმან მისმან და ბაბილოთა მისთა ნაჰუნი... მისწუდნა რქანი მისნი ზღუადმდე და მდინარედმდე მწვერვალნი მისნი“-ო (§ 8—12).

აქ რქანი უდრის ბერძნულს τὰ κλήματα „ტა კლემატა“-ს, ლათინურს palmi-tes-სა და სომხურს ուրჩ ვორთ-ს. ბერძნული და ლათინური სიტყვები ვაზის ახალგამოტანილ ტოტს, სანაყოფო ტოტსა ჰნიშნავდა.

მსაჯულთა 9₈₋₁₁-ში ნახმარია რქავენაჯი, რომელიც უდრის ბერძნულს ἡ ἄμπελος „ჰე ამპელოს“-ს, ლათინურს vitis-სა და სომხურ ուრჩ „ვორთ“-ს, ე. ი. ვაზს⁵.

საფიქრებელია, რომ ზემოდასახელებულ ტექსტში თავდაპირველად ეწერებოდა რქა-ვენაჯისაი ისევე, როგორც მსაჯულთა 49₁₁-შია: „გამომბმელი ვენაჯისა და კიცუსა მისსა და რქასა ვენაჯისსა კიცუსა ვირისა მისისასა“-ო. ბერძნულ თარგმანში რქა-ვენაჯისაჲ შესატყვისად ერთი სიტყვაა ἡ ἄμπελος „ჰე ამპელოს“, ლათინურშიც ერთი სიტყვაა vitis, სომხურში ուრჩ „გენტაკ“.

ბერძნული და სომხური სიტყვა ხვეულსა და რქალს ჰნიშნავს. ლათინურად მთარგმნელს ეს სიტყვა ვაზად გაუგია და ამიტომ vitis-ად გადმოუთარგმნია. რაკი ქართულში რქას სხვა მნიშვნელობაც აქვს, ამიტომ მას დაუმატებია „ვე-

⁵ გვხვდება რქაჲ ესაიას 5₂-ის თარგმანშიც: „ვენაქ[ოვანი] ექმნა შეეყარებულსა რქისა მიერ... და დაუნერგე ვენაჯი სორეკა“. ბერძნულ თარგმანშიც აქ ჰბ ჩერას „ტო კერას“-ია ნახმარი, ლათინურშიც cornu-ა, რომელიც რქასვე ჰნიშნავს, მაგრამ ებრაულ დედანში ამ სიტყვის ადგილას მალ-ლობ ადგილზეა საუბარი და ნათქვამია, რომ ვენაჯოვანი მალლობზე იყო გაშენებულიო. მალლობის ცნების გამოსახატვად ბერძნული და ლათინური თარგმანების ავტორებს რქის აღმნიშვნელი სიტყვა უხმარათ. ქართველ მთარგმნელს „რქა“ ისე გაუგია, როგორც მისი მნიშვნელობა ვაზზე და ვენახზე მსჯელობის დროს ესმოდათ, ე. ი. ლერწის აღმნიშვნელად მიუჩნევია. ამიტომ მას უთარგმნია „ვენაჯოვანი ექმნა შეეყარებულსა რქისა მიერ“, ე. ი. რომ ვაზების ბალი ვაზის ლერწის დანერგვით (რქისა მიერ) გაუშენებია. თარგმანი დედნის ტექსტთან შედარებით ზედმწევენითი არ არის, არამედ მხოლოდ ვენახის გაშენების წესი წარმოდგენილი.

ნაცისაა“ და ორი სიტყვით უთარგმნია: რქა ვენაცისაა. ორი უკანასკნელი ამონაწერი ცხადპყოფს, რომ რქა დაბადების გადმოთარგმნის ხანაში ვაზის ლერწის აღმნიშვნელ ტერმინადაც ყოფილა მიღებული.

რქა ეხლა და უკვე დიდი ხანია ვაზის ტოტების აღმნიშვნელ სიტყვად არის ქცეული. ხოლო ვაზის ზროს მუშავაზი და ლერწი ეწოდებოდა. ამ უკანასკნელი სიტყვის ასეთი მნიშვნელობა უკვე ს. ორბელიანს აქვს აღბეჭდილი. მაგრამ გაცილებით ამაზე უწინარესაც უნდა იყოს ლერწი ვაზის ზროს აღსანიშნავად წინანდელი რქის მაგიერ შემოღებული.

რქა, ვაზის ლერწის მნიშვნელობით რომ მარტო მთარგმნელთაგან შექმნილი, ხელოვნური სიტყვა არ იყო, არამედ ნამდვილი ხალხური ტერმინია, ამას ქართული განთქმული ყურძნის ჯიშის რქა-წითელი-ს სახელიც სრული უეჭველობით ამტკიცებს.

ვაზის ზროს აღმნიშვნელი ლერწი იმერეთში ეხლაც იწმარება (იხ. ერმ. ნაკაშიძე, ССВВГВДК, III, 41) და ეს გარემოება ცხადპყოფს, რომ ლერწი წინათ იმიერსა და ამიერ საქართველოში ყოფილა გავრცელებული.

მაგრამ ვაზის ლერწს მარტო მუშავაზი, რქა და ლერწი არ ეწოდებოდა. იყო დრო, როდესაც ვაზის სხეულს ხესაც ეძახდნენ და თვით ვაზიც ხედ ითვლებოდა. ეზეკიელის 15²-ვ-ში ნათქვამია: „რამცა ეყო ხესა ვენაცისასა (ე. ი. ვაზისა) ყოველთაგან ნერგთა მყოფთა ხეთა შორის მალნარისათა, უკუეთუ მოიღონ მისგან ძელი შესაქმედ საქმარისა“-ო. მსაჭულთა 9⁸, 11-შიც იგავად მოთხრობილია, რომ „წარვიდეს ხენი მალნარისანი ცხებად თავისა თვისა მეფედ“ და სხვათა შორის ხეთა მეფობა ვაზსაც შესთავაზეს: „პრქუეს ხეთა მათ რქა-ვენაცსა „მოვედ და იყავ ჩუენ ზედა მეფედ“-ო.

ეზეკიელის ზემომოყვანილი ადგილის ქართული თარგმანი იმ ნიბრივ არის საყურადღებო, რომ ვაზის სხეულის აღსანიშნავად ხე-ა ნახმარი. მაგრამ ეს ორი ცნობა ქართული არ არის და მთარგმნელს აქ, რასაკვირველია, დედნის შინაარსი უნდა დაეცვა. ბერძნულადაც აქ *ζῆλον* *ἄξ* *ἔμπεδον* ტო ქსულონ ტეს ამბელუ-ა, ლათინ. *lignum vitis* და სომხ. *փայտ սրժուն* ფაატ ვორთუნ, ე. ი. ვაზის ხეა ნახმარი. ამიტომ ეს ამონაწერები იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ ვაზის ლერწს საქართველოში ოდესღაც ხეს ეძახდნენ, ვერ გამოდგება. სამაგიეროდ ამ გარემოებას უცილობლად ცხადპყოფს საქართველოში გავრცელებული ზოგიერთი ვაზის ჯიშის სახელი. რაკი ამაზე ქვემოთ საგანგებოდ გვექმნება საუბარი, ამიტომ აქ ერთი მაგალითის დასახელებაც საკმარისი იქნება. საქართველოში არსებობს ვაზის ჯიში, რომელსაც ხე-ვარდული. ჰქვია.

ხეს გარდა, ლერწის აღსანიშნავად, როგორც ვაზის ჯიშების ქართული სახელების განხილვის დროს დავრწმუნდებით, ოდესღაც ძელი-ც უხმარიათ.

§ 2. ვაზის ტოტების სხვადასხვანაირი დანიშნულება და მათი სათანადო სახელები

მევენახის მიზანს, რა თქმა უნდა, ვაზისაგან შეძლებისამებრ უხვი მოსავლის, ბევრი და კარგი ყურძნის, მოსვლა შეადგენს. რაკი დაკვირვებამ აღამიანი დაარწმუნა, რომ ყურძენს ვაზის ყოველი ტოტი არ ისხამს, ამიტომ, ვაზის-

მოსავლიანობის გასაძლიერებლად და გასამრავლებლად, მევენახეს უნდა ნაყოფის გამოშვები ტოტების ზრდისათვის შეეწყოს ხელი. ხოლო „შემჩნეულია, რომ ვაზი ნაყოფს იმ კვირებიდან იძლევა, რომელნიც ერთწლიან რქაზე იმყოფებიან და ამასთანავე ეს რქა გამოსულია წარსული წლის ტოტზე და არა ამაზედ ხნიერზე“ (ვასო ბიბილაშვილი, ვაზის გასხვლა, ტფილისი, 1925 წ., გვ. 5).

უკვე ეს დაკვირვება ერთწლიანი და ორწლიანი, ანდა უფრო ხნიერი რქის ვაზის ნაყოფიერი და უნაყოფო ტოტების ერთმანერთისაგან გარჩევასა და მათთვის სათითაოდ შესაფერისი სახელის შერჩევას აუცილებლად საჭიროდ ჰხდოდა. წესიერი მევენახეობის წარმოებისა და მისი ცოდნის გავრცელება-შეთვისებისათვის ეს სავალდებულო შეიქმნა და ამიტომ ვაზის ტოტების ხნიერება-თვისებისდა მიხედვით განსხვავებული სახელები გაჩნდა კიდევაც.

ვაზის ზროს ჰქონდა ტოტები, რომელთაც ზოგადად რტონი ერქვა: „აღმოსცენდა“... რტონი მისნი მას (ე. ი. ვენაცსა) ზედა“ (ეზეკ., 17გ). მაგრამ ვაზის ტოტებისათვის განსაკუთრებული სახელიც არსებობდა, ამასთანავე არა ერთი. სახელდობრ, ვაზის ტოტს რქა ერქვა, რომელსაც, თუ ერთწლიანი იყო, ახალი რქა, თუ ორწლიანი — ძველი რქა ეწოდებოდა. როდესაც ერთწლიანი ტოტი თავისი ძველი, ორწლიანი ტოტითურთ არის მოჭრილი, მაშინ ამას ძველიანი რქა ჰქვია. კახეთსა და ქართლში სწორედ ასეთი ძველიანი რქა (= რუს. ყუნყი с пятой), ე. ი. ერთწლიანი რქა თავისი საფუძვლის ნაჭრითურთ, ახალგასამენებელი ვენახის ნერგად იხმარებოდა (ლ. ე. ჯორჯაძე, მევენახეობა და ღვინის დაყენება, ტფილისი, 1876 წ., გვ. 52, 56; — ა. ფირალოვი და შავერდოვი: ССВВГВДК, VII, 45 და ზ. ყანდურალოვი: იქვე, VIII, 52). ასპ. სტ. მენტეშაშვილის ცნობით, ძველიან რქას ქიზიყში დედა-საც ეძახიან.

ვაზის ტოტის სახელად ქიზიყში ეხლა ჩხა-საც ხმარობენ. სტ. მენტეშაშვილის წერილობითი ცნობით, თუ დაკავებულმა ვაზმა „გამოიტანა რქა და მოისხა ყურძენი და ტოტი თავისი ძველიანი და ახლიანი რქითა და ყურძნით ასჭრეს, მას ჩხა ეწოდება“-ო. ეს თანამედროვე ქიზიყური ჩხა უეჭველია ძველი გრჯღა-ს ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს, რომელიც ს. ორბელიანსაც მოეპოვება და, მისი განმარტებით, „დიდთა ხეთასა სხვლნი რტონი განეყოფიან, მას ეწოდებიან გრჯღა“-ო (ლექსიკ.). ჯერ კიდევ XVII ს. ამ სიტყვას ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია, ეხლა კი ქიზიყში უკვე ვაზის მსხვილი ტოტის სახელად ყოფილა შერჩენილი.

ვაზის რქები კიდურებით ბოლოვდება, რომელთაც ძველ ქართულში მწუერვალნი ჰრქმევია: „რქანი მისნი ზღუადმდე და მდინარემდე მწუერვალნი მისნი“-ო, ნათქვამია ეგვიპტითგან გადმონერგული ვაზის ზრდაზე 79₁₂ ფსალმუნში. მწუერვალნი ბერძნულ *παρφαδς* პარაფჯას-ს, ლათინ. *propago*-სა და სომხ. *չարաւեղք* მარაველქ-ს უდრის.

ვაზის ერთ ნაწილთაგანს ძველ ქართულში მასკნე ჰრქმევია. იპოლიტემს ნაშრომის „კურთხევათა მათთვის იაკობისთა“-ს ქართულ თარგმანში სწერია: გამოაბას ვენაცსა კარაული თვისი და მასკნესა ვენაცისასა კიცკ კარაულისაჲ“ (იხ.

* ამ ცნობისათვის სტ. მენტეშაშვილს ვმადლობ.

ნ. მარრის TP, III წიგნი, გვ. LI). პროფ. ნ. მარრი ფიქრობს, რომ მასკნე ზემო-მოყვანილ ნაწყვეტში ვაზს უნდა ჰქონდეს (იქვე, გვ. XLVI). მაგრამ ამ წინადადების ასე გაგება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ რომ აქ ნახმარი ვენაჯი მერმინდელი მნიშვნელობით, ვაზებით დარგულ ბაღად, ვიგულისხმეთ. ნამდვილად კი აქ ვენაჯი ჰნიშნავს ვაზს, ამიტომ სრულებით ცხადია, რომ მასკნე ვენაჯისაა უნდა ვაზის რომელიღაც ნაწილის აღმნიშვნელი იყოს. გამოსარკვევი მხოლოდ ისაა, თუ სახელდობრ ვაზის რომელი ნაწილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო მასკნე.

ამ სიტყვის არსებობა ს. ორბელიანსაც აქვს დადასტურებული, რომელსაც ეს ტერმინი, თუმცა სულ სხვა ძეგლით, ეზეკიელის 17, 10, აქვს დამოწმებული, მაგრამ თითქოს ცოცხალი, სასაუბრო ენის საუნჯის წყალობითაც სცოდნია. ამას მისივე განმარტება ამჟღავნებს, რომელიც მისგან დამოწმებული ტექსტის ცნობაზე უფრო ვრცელი და შინაარსიანია.

საბას სიტყვით „მასკნე“... არს ვაზთა და აყროთა და მისთანათა ძაფივით რომ აქუს ხეზე შესახვეველად“-ო (ლექსიკ.). ეზეკიელის 17-ში კი ნათქვამია: „აჰა ვენაჯი იგი გარემოხუეული მისდამი და ძირნი მისნი მისსა მიმართ და რტონი მისნი გამოუვლინნა მას მორწყუად იგი მასკუნესა თანა“, ხოლო 17₁₀-ში სწერია: „აჰა განპოხნების, ნუ სადა წარიმართოს, არა მობერვასა თანა ქარისა ცხელისა განკმესა საკმილითა მასკუნესა თანა აღმოსავლისა მისი და ნერბობაი მისი განკმეს“-ო.

ქართული თარგმანის მასკნეა ბერძნული თარგმანის ὀ βῆλις; ჰო ბოლოს-ს უდრის, რომელიც მიწის ბელტა ჰნიშნავს,—ლათინურის *areola germinis*-ს (17₇) და *area germinis*-ს (17₁₀), რომელიც ამონაყარის არეს, აღმოცენების ადგილს ეწოდება,—და სომხურის *բուլս տնկոյ* ბუის ტნკო-ს და *բուլს* „ბუეს“-ს ეთანასწორება, ე. ი. ნერგის ამონაყარსა ჰნიშნავს. ებრაულ ტექსტში აქ იმ კვალზეა საუბარი, სადაც ვაზია ამოსული. ამნაირად, დაბადების თარგმანისდა მიხედვით, მასკნე თვით ვაზს კი არ ჰნიშნავს. არამედ იმ ადგილს, სადაც ვაზია დანერგული.

მასკნე, ცხადია, სკუნა სახელზმნისაგან ნაწარმოები მიმღობაა. ამ ძირისაგანაა და-სკუნა, რომელიც, საბას განმარტებით, „სიტყუს დამტკიცება“-ს, დასრულებას და საბოლოო გადაწყვეტილებას ჰნიშნავს, — და ნასკვი და სიკუნე, რომელნიც შეკრული კვანძის აღმნიშვნელია. ამიტომ თვით მასკნე აქტიური მიმღობის თავისი მა ფორმანტით თავდაპირველად უნდა შემკვანძელის, შემკვრელის აღმნიშვნელი ყოფილიყო.

ეზეკიელის ზემომოყვანილი ადგილის თარგმანშიც მასკნე-დ ნიადაგის ის არე უნდა იგულისხმებოდეს, სადაც ვაზის ძირ-ფესვები გამდგარი და გამაგრებულია ხოლმე. იოანე საბანისძეს ნათქვამი აქვს, რომ დათესილი მარცვალის უნდა „ურნატსა (ე. ი. კვალში) დაენერგოს და ღრმად ძირნი დაიბნეს“ (წამებაა ჰაბომისი, 13). ამნაირად, მცენარის არსებობა და ზრდა ძირთა დაბმაზე, ანუ ფესვების გაბმაზე იყო დამოკიდებული. საფიქრებელია, რომ მასკნე მცენარისა და ნიადაგის სწორედ იმ ნაწილს ჰნიშნავდა, რომლითაც მცენარე და მიწა არიან ერთმანერთან „დასკენილ“-დაკავშირებული.

მაგრამ, თუ ეზეკიელის ზემომოყვანილი ადგილის ებრაულ დედანში უმოავრესად ვაზის დანერგულობის ნიადაგი იგულისხმება, იპოლიტეს ნაშრომის ზემოაღნიშნულ ქართულ ნაწყვეტში შესაძლებელია მხოლოდ ვაზის ქვედა,

მიწაში ძირთა დამბმელი ნაწილი იყოს ნაგულისხმევი. ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს. რომ იქ ვირის კვიცის „მასკნესა ვენაჯისასა“, ე. ი. ვაზის მასკნეზე დაბმის შესახებ არის საუბარი.

მასკნე-ს მნიშვნელობის ისეთი გავება, რომელიც საბას ზემომოყვანილ განმარტებაში მოეპოვება, სახელდობრ, რომ ეს სიტყვა ვაზისა, ვოგრა-კვანისა და სხვა მცენარეების ძაფის მსგავსი ხეზე, ან სხვა რაიმე საგანზე შესახვეველად განკუთვნილი ნაწილის აღმნიშვნელია, ქართული ლექსიკოგრაფის საკუთარ ნასიბრძნს, ან და რომელიმე ძველი ტექსტის მცთარ განაგებს კი არ წარმოადგენს, არამედ აქ მას ხალხში ძველითგანვე გავრცელებული მნიშვნელობის ანარეკლი უნდა ჰქონდეს დაცული. ამის დაჰდასტურებელ საბუთად შესაძლებელია მცხუკავეთა სომხური წამების ძველი, IX—X სს., ქართული ლარგმანი იყოს დასახელებული, რომელშიც მასკნეა (იხ. აღ. ხანანაშვილის გამოც.: *Mat. po gruz. ; agiologii po rukopisam*, XB, 17) ნახმარია სომხური დედნის *გაქან* „გალან“-ის შესატყვისად (იხ. *სოხრეპ ჰაქაქანურ*, XIX წ., 46). ეს სომხური სიტყვა *Cuscuta*-ს ჰნიშნავს, ე. ი. იმ მცენარეს, რომელსაც, რ. ერისთავის ბოტანიკური ლექსიკონის თანახმად, ანკამად, აღმოსავლეთ საქართველოში აბრეშუმას, იმერეთში კი გველის-ლობეს უწოდებენ, „ანწლს რომ ძაფივით შემოხვევა“-ო. მის რუს. შესატყვისობად ანავე ავტორს *Бузиновая повиллица* აქვს დასახელებული (იხ. ბოტანიკ. ლექსიკ., გვ. 1, § 6).

თუ გავიხსენებთ, რომ მასკნეა შემკვანძელს, შემცველს ჰნიშნავს, მაშინ მხვიარა მცენარეთა იმ ნაწილისათვის, რომლითაც ისინი სხვა მცენარეს, ან და საგანს ეხვევიან და რომელსაც ქიზიყში (სტ. მენთეშაშვილის ცნობით) პწკალ-ს, კახეთსა და ქართლში კი კავანა-ს და მასკანა-ს (დოც. ნ. ჩახნაშვილის ცნობით) უწოდებენ, ამ სიტყვის სახელად გამოყენება არ გავგავკვირვებს: მცენარე გარეშე სხეულს სწორედ ამ ნაწილით ესკვნება. ყველა ზემოაღნიშნული გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად მასკნეა მიმღეობა უნდა ყოფილიყო, რომელსაც გარკვეული ტერმინის მნიშვნელობა მხოლოდ სხვა სიტყვებთან დაკავშირების დროს ენიჭებოდა. იმ სიტყვისდა მიხედვით, რომელთანაც ის დაკავშირებული იქმნებოდა, მისი აღმნიშვნელობაც განსხვავებული იქმნებოდა. დროთა განმავლობაში ის სიტყვები, რომელთანაც მასკნეა დაკავშირებული იყო, ჩამოსცილებია, მაგრამ ამ სიტყვას ამის შემდგომაც შიინც სხვადასხვა მნიშვნელობა შეუნარჩუნებია.

ვაზი ფოთლებით არის შემოსილი, რომელთაც ძველად ეწოდებოდა „ფურცელნი ვენაჯისანი“. ესაიას 34-ში სწერია: „მოცვენ ვითარცა ფურცელნი ვენაჯისაგან და ვითარცა დაცვიან ფურცელნი ლედუსაკან“. ამ სიტყვის ბერძნულ-ლათინურ-სომხური შესატყვისობა „საქართველოს ეკონომიური ისტ.“ I, 279 გვერდზეა მოყვანილი.

§ 3. ვაზის ნაყოფისა და მისი ნაწილების სახელები

ვაზის ნაყოფს მაშინაც ყურძენი ეწოდებოდა. უძველეს ნათარგმნ ძეგლებშიც ეს ტერმინივეა ნახმარი ბერძნ. *ή σαρπική* ჰე სტაფვილე-ს, ლათინ. *uva*-სა და სომხ. *საყოი* ხალოლ-ის შესატყვისად (იხ. რიციხუათაძე, 13₂). ეს სიტყვა ქართული

ენის ძველისძველი განძეულობის საერთო კუთვნილებას უნდა წარმოადგენდეს, რათგან ვაზის ნაყოფს მეგრულადაც „ყურძენი“-ვე და „ცრქენი“ ეწოდება, ჰანურადაც „ყურძენი“ (ხოფ.) და „ურძენი“ (ათინ.-ვიწ.) ჰქვიან, სვანურადაც „ყურძენ“-ს ეძახიან.

ვაზის ნაყოფი, ყურძენი, როგორც ცნობილია, მრავალი ცალკეული, მაგრამ ერთად შეკავშირებული ნაწილისაგან შედგება. ამ ნაყოფს მთლიანად განსაკუთრებული სახელი, ტევანი, ჰქონდა და აქვს ეხლაც. რიცხუთა 13₂₄-ში ნათქვამია: „მოჰყუეტეს მიერ რქა და ტევანი ყურძენსა მას ზედა ერთი და წარიღეს იგი მჭრითა აღებითა“-ო. აქ და შესაქმეთა 40₁₀-სა, ისევე როგორც მსაჯულთა 8₂-ში ეს სიტყვა ბერძნ. *βίρα* ბოტრუს-ს და *ἐπιφύλαξις* ეპიფულის-ს, ლათინ. *uva*-ს და *racemus*-ს და სომხურ *ողկույ* ვოლკუიზ-ს უდრის. ს. ორბელიანსაც ამ სიტყვის მნიშვნელობა ასევე ესმოდა და მისი განმარტებითაც „ტევანი მთელი ყურძენი“-ს აღმნიშვნელია.

ყურძნის მტევნის ნაწილების აღსანიშნავადაც თავთავისი სახელები არსებობდა, მაგ. „ყურძნის ღერო“-ს „კლერტი“ ან და „ბურძღენი“ ეწოდებოდა. საბას ნათქვამია აქვს: „ბურძღენი ყურძნის კლერტი“-ა და „კლერტი ყურძნის ღერო“-აო (ლექსიკ.). უფრო სწორე იქმნებოდა, რომ ასე გაგვევო: ყურძნის მტევნის ნათავარ ღეროს კლერტი, მის ტოტებს კი ბურძღენი ჰქვიან. ბურძღალი-ს სახით, ეს სიტყვა დღევანდლამდე ყოფილა გურიაში შერჩენილი, სადაც ბურძღალი, ჯოც. ნ. ბერძენიშვილის სიტყვიერი ცნობით, რომლისთვისაც მადლობას მოვახსენებ, ეხლაც ყურძნის კლერტსა ჰნიშნავს. მისი კვალი, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, საქართველოს სხვა თემშიც ყურძნის ჯიშის სახელში მოჩანს.

ქიზიყში კი მტევნის შტოედის ნაწილებს კიწი ეწოდება (სტ. მენთეშაშვილის ცნობა).

დასასრულმტევანს მარცვალი ასხია. ლევიტელთა 19₁₀-ში სწერია: „ვენაქსა თქუენსა არა მიექცეთ მეორედ მოხილვად და არცა მარცვალი ვენაქსა შენსა აღკრიბო, გლახკთა და მწირთა დაუტეო-იგი“-ო. ეს სიტყვა ბერძნ. *ἡ βίρα* ჰე რაქს-ს?, ლათინ. *gratum*-სა და სომხურ *պտուկ* პტულ-ს უდრის, რომელთაგან უკანასკნელი ნაყოფსა ჰნიშნავს.

მტევანს ბურძღენებზე ორ-ორი, ზოგჯერ სამი მარცვალი ასხია ხოლმე, ასეთ რამდენიმე მარცვლის შემცველ ბურძღენსაც თავისი სახელი ჰქონდა და კუფხალი ეწოდებოდა და ეწოდება ახლაც. ს. ორბელიანსაც ამ სიტყვის მნიშვნელობა ასევე აქვს განმარტებული: „კუფხალი ტევნის რტო“ არისო (ლექსიკ.):

დაბადების თარგმანიდან ირკვევა, რომ ძველად ეს ტერმინი მარტო ყურძნის მტევნის რამდენიმე მარცვლიანი რტოს, ანუ ბურძღენის აღსანიშნავად კი არ იხმარებოდა, არამედ ზეთისხილისთვისაც ამავე ტერმინს ხმარობდენ. მაგ., ესაიას 17₆-ში სწერია: „ვითარცა კუფხალნი მომსთულებელისა ზეთისხილისანი ორნი, ანუ სამნი მწუერვალსა ზედა ზენა კიდესა, ანუ ოთხნი, ანუ ხუთნი რტოთა ზედა მისთა დაშთომილნი ზენა კიდეთა“-ო. ამ წინადადებითგანაც ჩანს, რომ

⁷ ბერძნულ დაბადებაში რაქს-ია ნახმარი, მაგრამ ჩვეულებრივ რაქს-ია.

კუფხალი აქ ყურძნის მტევანის კი არა, არამედ ზეთისხილის კუთვნილებასა ჰნიშნავს. „კუფხალი“ აქ ბერძნ. *ῥῖψος*-ს როგეს-ს. ლათინ. *excussio*-ს და სომხურ-*պսուղ* პტულ-ს ეთანასწორება. ბერძნული სიტყვა მარცვალს, სომხური ნაყოფსა ჰნიშნავს. ამნაირად ცხადი ხდება, რომ არც ერთი ამათგანი ქართულ კუფხალს არ უდგება. ბერძნულ-სომხურში ნახმარი სიტყვების მაგიერ, ქართველ მთარგმნელს ეტყობა აქ ღედნის შინაარსის თავისუფლად გადმოცემა უცდია და ნამდვილი ქართული ტერმინი უხმარია.

კუფხალისაგან ძველ ქართულში ნასახელარი ზმნაც მოკუფხულვა-ც ყოფილა ნაწარმოები. მეორე შჯულისა 24₂₁-ში ნათქვამია: „მო-თუ-სთულეებდე საყურძნესა შე-ნსა და დაგიშთეს მისგანი, ნუ უკუეა იქცევი მოკუფხულად მისა, არამედ მწირმან, თბოლმან და ქურიემან ყოს“-ო. ბერძნულად ამ ადგილას *ἐπαυαρεσυσ* ეპანატრე-გათა ნახმარი, რომელიც ხელმეორე მოსთვლას, დაკრეფას ჰნიშნავს. ლათინ. სწე-რაა *colligere remanentes racemos*, რაც დარჩენილი მტევნების შეგროვებას ჰნიშნავს. ხოლო სომხურად *պսուղ* *առնել*, ნაყოფის მოკრეფად არის ნათარ-გმნი. ქართველ მთარგმნელს ამ შემთხვევაშიც ღედნის აზრის თავისუფალი გარდ-მოცემა და ნამდვილი ქართული ტერმინის, მოკუფხულა-ს ხმარება უმჯობინებია.

ს. ორბელიანის ლექსიკონითგან ჩანს, რომ ამავე ძირისაგან ნაწარმოები კიდევ ერთი ტერმინი, ნაკუფხალი-ც ყოფილა, რომელიც, როგორც ამავე ავ-ტორის სამართლიანად განმარტებული აქვს, „კუფხლის ანაგლეჯ“-ს ჰნიშნავს. (ლექსიკ.).

ყურძნის მარცვალი კანისა, ხორცისა და თესლისაგან შესდგება, რომელიც კურკას მიაგავს.

სტ. მენტეშაშვილის ცნობით, ქიზიყში ყურძნის მარცვლის კანს ქერქი, ხორცს კი ლეშკი ჰქვია. ს. ორბელიანს „ყურძნისა და რაჲც გამოიწურვიან“ იმის ქერქის სახელად ჰაჰა აქვს აღნიშნული (ლ.: ქერქი), ხოლო, ამავე ავტორის სიტყვით, „ლეშკი ცუდი ჯორცი“-ს სახელი იყო (ლ.).

რაჰაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების, სახელდობრ, მცვივანის თვისე-ბის აღწერილობითგან ჩანს (იხ. აქვე), რომ ყურძნის ხორცს რაჰაში ღვიძლი ჰრქმევიან.

ცნობილია, რომ ყურძნის მარცვალს, ქიშმიშის ჯიშებს გარდა, რამდენიმე კურკა მოეპოვება. ამ კურკას თავისი განსაკუთრებული მოყვანილობა და შედ-გენილობა აქვს. ამიტომ უნდა იყოს, რომ ქართველ სოფლის მეურნესაც ყურ-ძნის მარცვლის კურკისათვის განსაკუთრებული სახელი, „ხუნწყალი“, დაურ-ქმევიან. საბას ნათქვამი აქვს: „ხუნწყალი ყურძნისა და მისთანათა გურკა“-აო. (ლექსიკ.).

ამავე სიტყვის, ხუნწყალი-ს, შუა შერჩენილ ნაწილს უნდა წარმოადგენდეს ხილის თესლისა და კურკისათვის თანამედროვე მეგრულში დაცული სახელი წკა (მ. გ., 380), რომელსაც თავში ხუნ და ბოლოში ლი უჩანს ჩამოცილებული.

საფიქრებელია, რომ ხუნწყალი-სავე, მაგრამ პირველ მარცვალ-ჩამოცილე-ბულს შესატყვისობას უნდა წარმოადგენდეს ჰანური ჰკემი, რომელიც თესლსა ჰნიშნავს.

კახეთში ყურძნის თესლს, ანუ კურკას, წიპწა-ს ეძახიან. თუმცა ს. ორბელიანს ეს სიტყვა არ მოეპოვება, მაგრამ საქართველოს მევენახეობის ამ საუკეთესო თემში წიპწა ჩვეულებრივი სიტყვაა. ლ. ჭორჯაძესაც თავის „მევენახეობა“-ში ნათქვამი აქვს: „ვაზის მოყვანა ყურძნის თესლით, ესე იგი წიპწით“-აო (გვ. 55). ქიზიყში კურკა-სა ხმარობენ (სტ. მენტეშაშვილის ცნობა).

§ 4. ვაზ-ყურძნის ჯიშების დამახასიათებელ თვისებათა შესწავლის მნიშვნელობა

როგორც ცნობილია და თავის ადგილას ამაზე საუბარიც გვექმნება, ძველად სხვადასხვა ქვეყნებში ვაზისა და ყურძნის მრავალი სხვადასხვა ჯიში არსებობდა: ზოგან მეტი, ზოგან ნაკლები. ყოველ ჯიშს თავისი თვისება ჰქონდა და ღირსება-ნაკლი გააჩნდა, სამეურნეო თვალთსაზრისითაც სხვადასხვა მნიშვნელობა და ფასი მიეკუთვნებოდა. ყოველ მევენახეს მათი გარჩევა უნდა სცოდნოდა, რომ თავის ვენახში ნიადაგისა და ჰავისათვის შესაფერისი ვაზ-ყურძნის ჯიში გაეშენებინა. ამის წყალობით თანდათანობით ვაზ-ყურძნის დახასიათება-აღწერის წესი შემუშავდა, რომელიც მეცხრამეტე საუკუნეში ამპელოგრაფიად, ანუ ვაზთაღწერლობად წოდებულ, ცალკეულ სამეცნიერო დარგად იქცა. რამდენადაც ვაზ-ყურძნის ჯიშების გარჩევა წესიერი მევენახეობისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა, იმდენად ძველადაც, დროთა განმავლობაში შექმნილი, ვაზისა და ყურძნის ჯიშების გარჩევისათვის გამოსადეგ ნიშნებს მიაგნეს. ასე იყო ძველ საქართველოშიც, სადაც, როგორც დავრწმუნდებით, ვაზ-ყურძნის ბევრი ჯიში არსებობდა.

მევენახეობის ინტენსივობის ერთ-ერთ გამომჟღავნებელ გარემოებათაგანად, ცხადია, ყურძნის ჯიშების სიმრავლეც უნდა იქმნეს მიჩნეული, რასაკვირველია, რამდენადაც ამით ახალი, წინანდელზე უმჯობესი, ან და რომელიმე მანამდე უცნობი თვისების მქონებელი ჯიშების ძიებისა და შექმნის ფაქტი უცილობლად მტკიცდება. ამიტომ ძველი საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის მკვლევარიც, მევენახეობის ინტენსივობის გასათვალისწინებლად, ვალდებულია გამოარკვიოს, თუ რაღარა ჯიშისა და რა თვისება-ღირსების ვაზ-ყურძენი იყო საქართველოში გავრცელებული. ამისთვის კი მათი ამპელოგრაფიული დახასიათებაა საჭირო. ხოლო, რომ ქვემომოყვანილი ვაზ-ყურძენთაღწერლობითი დახასიათება ყველასათვის გასაგები იყოს, წინასწარ უნდა ასეთი დახასიათებისათვის განკუთვნილი ტერმინები არსებობდეს.

ამპელოგრაფია ქართულად ჯერ არავის გამოუქვეყნებია და ამის გამო ასეთი ტერმინოლოგია მთლიანად ჯერ არც მოგვეპოვება, მაგრამ სანამ ვაზ-ყურძნის აღწერლობის სრული ქართული ტერმინოლოგია შემუშავდებოდეს, საქართველოში შერჩენილი ჯიშების ქვემომოყვანილი აღწერილობის გასაგებად მკითხველმა ვაზ-ყურძნის ძირითადი განმასხვავებელი ნიშნების გამომხატველ სიტყვათა მნიშვნელობა მაინც უნდა იცოდეს. ამიტომ აქვე ქართული ძველი ამპელოგრაფიული ტერმინოლოგია მომყავს იმ იმედით, რომ იგი ახალი, სრული ამპელოგრაფიული ტერმინოლოგიის შექმნას გაადვილებს.

§ 5. ჯიშების დამახასიათებელი ვაჟთაღმწერლობითი, ანუ ამპელოგრაფიული ძველი ქართული ტერმინოლოგია

ვაზი შესაძლებელია ღონიერი გამომდგარიყო და დიდი ტანი აეყარა, შესაძლებელია სუსტიც აღმოჩენილიყო და პატარა ტანის ბუჩქად დამდგარიყო. უღონო. სუსტ ვაზს ეწოდებოდა ვენაჯი უძლური, ტან-დაბალ ვაზს — ვენაჯი კნანი სრდიდ-თა და სახედავად, ღონიერს — ვენაჯი ძლიერი. ეს ტერმინები ეზეკიელის 17-ში გვხვდება, სადაც მოთხრობილია, რომ ჩაყრილი ვაზი „აღმოცენდა და იქმნა ვენაჯად უძლურად და კნინად სიდიდითა და სახედავად მისსა“ (=ბერძნ. „ამპელონ ასთენუზან კად მიკრან“, ლათინ. „in vineam latiore[m] humili statura“).

რაკი ვაზის ლერწის სხვადასხვა ნაწილების სახელები უკვე გამორკვეული ვვაქვს, ამიტომ აქ უმთავრესად ყურძნის განმასხვავებელი თვისების გამომხატველი სიტყვების მოძებნა-დასახელება დაგვეჭირდება. ასეთი ტერმინები, რა თქმა უნდა, ძველ აგრონომიულ თხზულებებში უნდა ეძებოს ადამიანმა. მაგრამ აშნაირი ძველები თითქმის არ გავაჩნია. მხოლოდ რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სახლი მუზეუმის ხელთმყოფს თეიმურაზ ბატონიშვილისეულ წიგნთსაცავში წამოკითხავს ერთი პატარა ტანის ხელთნაწერი, ან XVIII ს. დამღევს, ან უფრო XIX ს. დამღევს შედგენილი ქართული ნაშრომი, რომელშიც საქართველოს მევენახეობის აღწერილობა მოიპოვება. ზოგი რამე გამოსადეგი, უეჭველია, იმ ძეგლშიც იქმნება, მაგრამ რუსეთითგან დაბრუნებულ ხელთნაწერთა შორის ის არ აღმოჩნდა და ამიტომ ამ ჩემი წიგნის წერის დროს ამ წყაროს გამოყენება არ შემძლიან. ამ დანაკლისის ანაზღაურება და საერთოდ ძველი ქართული ამპელოგრაფიული ტერმინოლოგიის გამორკვევა ყურძნის ჯიშების იმ რამოდენავე დახასიათების მიხედვით შეიძლება, რომელიც ს. ორბელიანის ლექსიკონში მოიპოვება, მთავარ წყაროდ კი მკვლევარმა უნდა ყურძნის ჯიშების თვით სახელებში აღბეჭდილი უხვი მასალა გამოიყენოს. ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხზე ქვემოთ, თავის ადგილას, დაწვრილებით გვექმნება საუბარი, აქ კი საკმარისი იქმნება ისეთი სიტყვების დასახელება, რომელნიც ყურძნის ამპელოგრაფიული აღწერილობისათვის არის აუცილებელი.

ვაზ-ყურძნის ჯიშები, ლერწს გარდა, თავიანთი მტევნის მოყვანილობა-სიდიდითაც განსხვავდებიან. არსებობენ ისეთი ჯიშები, რომელთაც დიდი მტევანი აქვთ, რომელნიც დიდტევნიანი, ან და მტევანდიდია, ისევე, როგორც, რასაკვირველია, პატარა მტევნიანიც მოიპოვება. მაგრამ ჯიშები მტევნის სიგრძითაც განირჩევიან ხოლმე და ზოგი გრძელტევნიანია, ზოგს მოკლე, ან საშუალო მტევანი აქვს.

მტევანს მთავარ კლერტზე აქეთ-იქით ბურძღენები აქვს. ამათგან პირველს, დასაწყისის ბურძღენებს ქართველი მევენახე, როგორც ირკვევა, მხრებს უწოდებდა. ზოგ ჯიშს მტევნის მხრები მოკლე აქვს. ზოგს გრძელი. ამიტომაც არის, რომ ყურძნის ერთი ჯიშისათვის, რომელსაც პირველი ბურძღენები ჩვეულებრივზე მოზრდილი გააჩნია, ქართველმა მევენახემ მხარგრძელი უწოდა.

ყურძნის ჯიშებრივი განსხვავება მტევნის აგებულებასაც ემჩნევა: ზოგს ბურძღენები შორი-შორსა აქვს და ამის გამო მტევანიც გაფარჩხულის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთი მტევნის მქონებელი ჯიშისათვის ქართველ მიწისმოქ-

მედს ფარჩხატი და თხელი (ქიზიყში: სტ. მენტეშაშვილი) უწოდებია. პირიქით ზოგს ბურძღენებიცა და მარცვლებიც მჭიდროდ ასხია ისე, რომ მარცვალი ზედმიჯრულის შთაბეჭდილებას ახდენს. ასეთი მტევნისათვის ხალხს კუმსი, კუმში, კუმუშა და ჯუმუტა უწოდებია. რაკი კუმშვას თანამედროვე ქართულში უკვე სხვანაირი მნიშვნელობა მიენიჭა, ამიტომ მტევნის შემჭიდროებული აგებულების აღსანიშნავად ისევ კუმსი-ს ხმარება სჯობდა.

ყურძნის ჯიშები მარცვლის მოყვანილობითაც განირჩევიან ერთმანერთისაგან. ს. ორბელიანსაც ჰქონდა აღნიშნული, რომ „ბუდეშური ყურძენი მოგრძე მარცვალი“-ანი იყო, ხოლო მისი ლექსიკონის ერთ შემავსებელთაგანს ჩაურთავს: „კრკო ყურძენია მარცვალ-მოგრძე და მრგვალი, მოწითანოდ-მოშაო და საჰმელად გემრიელი“-ო.

უკვე ამ ორ განმარტებითგან ჩანს, რომ ძველად ყურძნის მარცვლის რგვალსა და მოგრძო მოყვანილობას არჩევდენ, მაშასადამე, მარცვალმოგრძო და მრგვალმარცვლიანი ჯიშები იყო. მრგვალმარცვლიანი ქართველ მევენახეს, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, თვალისათვის დაუმსგავსებია, ხოლო მარცვალმოგრძო — თითისა („თითა“) და ძუძუსთვის („ცხენის-ძუძუ“).

თავისდათავად ცხადია, რომ ყურძნის ჯიშების გარჩევის დროს მარცვლის სიმსხოსაც აქცევდენ ყურადღებას.

დასასრულ, მარცვლის კანის თვისებაც ზოგიერთი ჯიშის განმასხვავებელ ნიშნად ითვლებოდა და ითვლება ეხლაც. ძველად ამ გარემოების გამომჟღავნებელია თხლად-სა და კაკნატელა-ს ჯიშების სახელები, რომელთაგან პირველი თხელკანიანობისა და მეორე სქელკანიანობის გამომხატველი იყო.

თავისდათავად ცხადია, რომ ყურძნის ფერი ჯიშის განმასხვავებელ ერთ უმთავრეს ნიშნთაგანად იყო და არის ეხლაც მიჩნეული.

თავი III. ვაზის დაყენება-გაშვების სხვადასხვა წესი და ამის ძველი ქართული ტერიმინოლოგია

§ 1. დაბლარი, ანუ ხელნაშენი

მას შემდგომ, რაც ველური ვაზი ადამიანმა ჯერ გაიშინაურა, ხოლო შემდეგ მისი კულტურის გაინტენსიფიკების საშუალებას მიაგნო, მევენახეობა სასოფლო მეურნეობის ურთულეს დარგად იქცა.

ვაზს განსაკუთრებული მოვლა და ხელის შეწყობა სჭირდებოდა. ამიტომ დროთა განმავლობაში მევენახეობის წესები შემუშავდა. თავისი ბუნებით ვაზი მხვიარა მცენარეა, სხვა ხეებს ეხვევა და მაღლაც აღის, იქ კი სადაც ასეთი შესაძლებლობა არ არის, ის დაბალ, მიწაზე გართხმულ, ბარდიან ბუჩქად იზრდება ხოლმე. მაგრამ, ამ მცენარის ბუნებისა და ზოგიერთი თვისების შესწავლის შემდგომ, ადამიანი დარწმუნდა, რომ მისი საშუალო ტანის ბუჩქად დაყენება ეკონომიურად, მოსავლიანობის თვალთსაზრისით, სჯობდა. ამიტომ დაბლარი ვაზის კულტურაც გაჩნდა. ვაზის ამათუიმ წესით დაყენება-გაშვებულობას თავისი სახელი ჰქონდა, რომლის ცოდნაა საჭირო.

დაბალ ტანისად გაზრდილ ვაზს დაბლარი, ვენაჯი დაბლარი ეწოდებოდა. ვახუშტს, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ არგვეთში გაერცელებული იყო „ვენაჯი დაბლარი“ (გგრ^აფა, 386), რომ დასავლეთ საქართველოს ვაკეშიც „ვენაჯნი დაბლარნი“ არიან მრავლად“-ო (იქვე, 390).

მაგრამ დასავლეთ საქართველოში, უმთავრესად იმერეთის თემში, დაბლარის სინონიმად, ხელნაშენი-ც იხმარება. ასეთ სახელს დაბალს, 8 გოჯითგან ალაბამდე სიმაღლის მქონებელ ვაზს უწოდებენ (ერმ. ნაკაშიძე, Вд в Имеретии: СбСвВгВдК, III, 14).

§ 2. მალლარი, დობილო და ბაბილო

ხეზე გაშვებულს დიდი ტანის მხვიარა მცენარედ გაზრდილ ვაზს მალლარი, ვენაჯი მალლარი ერქვა. სახელოვან ქართველ გეოგრაფს აღნიშნული აქვს, რომ სვირს ზეით, ლომსიათ ჰევეს მრავლად იყო ვაზები „ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მალლარსა“-ო (გგრ^აფა, 386). რომ ოკრიბაშიც იყო „ვენაჯი მალლარი“ (იქვე, გვ. 390) ისევე, როგორც გურჯაასა და ოდიშშიც (იქვე, გვ. 402 და 418).

ვაზის გაშენების წესთან არის დაკავშირებული ტერმინი ბაბილოც, რომელიც უძველესი ძეგლებითგან მოყოლებული XVIII ს. ძეგლებამდე ბევრგან გვხვდება და საქართველოს ზოგს თემში ღღევანდლამდისაც ცოცხალი სიტყვაა. ს. ორბელიანს თუ ჰკითხავთ, მისი განმარტებით, „ბაბილო მალალი ვაზი“-ა. მისი ნაშრომის უძველესს, პირვანდელს, C რედაქციაში ეს სიტყვა ასეა ახსნილი: ბაბილო „ხის ვენაჯი, გინა გრძელი ვაზი, დობილო“ არისო და ფსალმუნის 17¹¹ არის დამოწმებული (ლექსიკ.). ამნაირად, საბას განმარტებით ბაბილო ხეზე გაშვებული ვაზის აღმნიშვნელი ყოფილა, რომელსაც დობილო-ც ჰქმევია სახელად.

ბაბილოს მნიშვნელობა ვახუშტსაც ასევე ესმოდა. მას ნათქვამი აქვს, რომ საჩხეიძეო-სალომინაოში „ხეთა ზედა ასულნი“ ვაზები ჰქონდათ, „რომელსა უწოდებენ მალლარსა, ანუ ბაბილოსა“-ო (გგრ^აფა, 386).

ბაბილონი დაბადების ქართულ თარგმანშიც არის ნახმარი და ეს ადამიანს ამ სიტყვის იმდროინდელი მნიშვნელობის გამორკვევის საშუალებას აძლევს. ეზეკიელის 17⁶-ში, მაგ., ნათქვამია: ჩაყრილი ვაზი „იქმნა ვენაჯად და ყვნა წიღნენი და განავრცნა ბაბილონი მისნი“. ამავე ავტორის 31⁵-ში ლიბანის ნაძვზე სწერია: „განავრცნეს რტონი მისნი და ამაღლდეს ბაბილონნი მისნი წყალსა ზედა მრავალსა, ბაბილოთა შორის მისთა დაიბუდეს ყოველთა მფრინველთა ცისათა... და პიტუნი არა მსგავს იყუნეს ბაბილოთა მისთა“-ო. ფსალმუნთა 79⁹⁻¹¹-შიც აღნიშნულია, რომ ეგვიპტით გადმონერგილმა ვაზმა ისე იხარა, რომ „დაფარნა მთანი ჩრდილმან მისმან და ბაბილოთა მისთა ნაძუნი“-ო.

რა თქმა უნდა, თუ ადამიანი ზემომოყვანილი ამონაწერების შინაარსს ჩაუკვირდება, ცხადი შეიქმნება, თუ რამდენად არ უდგება ბაბილოს ს. ორბელიანისა და ვახუშტისაგან დასახელებული მნიშვნელობა. სამსავე ადგილას ბაბილო მალლარს ვაზს კი არა მთლიანად, არამედ ვაზის რომელიღაც ნაწილს უნდა ვხე-

შნავდეს. ხოლო ეზეკიელის 315-9-ში საუბარი ვაზზე არც კია, არამედ ლიბანის ნაძვზე. აქ ბაბილონი (§ 5) ტოტებს და § 8-ში ფოთლებს ჰნიშნავს.

მაგრამ, ამავე ძეგლების შესატყვისის ბერძნულ თარგმანში ნახმარია *αυξήνερος* „ანადენდრადეს“ (ეზეკ., 17, და ფსალ., 79 (80), § 11). ლათინურში *arbuta* და ორივე ტერმინი, ბერძნულიცა და ლათინურიც, მართლაც ს. ორბელიანის განმარტებისა არ იყოს, ხეზე აშვებულ ვაზსა ჰნიშნავდა. ბერძნ. ანადენდრადეს, რომელიც არისტოფანეს, ქსენოფონტეს და გეოპონიკებს მოეპოვებათ, ისევე. როგორც *δευδρίαιδες ἄμπελοι* დენდრიტიდეს ამპელოა და ლათინ. *vites in arbusto*, *vites arbustivae* თავისთავად შესაძლებელია მართო ხეზე გაშვებული ვაზების, მაღლარის, აღმნიშვნელი იყოს (იხ. Raymond Billiard, *La vigne dans l'antiquité*, Lyon, 1913 წ., გვ. 366). მაშასადამე, ბაბილო V—VI ს-შიც მაღლარის აღმნიშვნელი ყოფილა.

მაღლარის მეორე, პარალელური სახელი დობილო ეხლაც არსებობს. მეზობელ ხეზე მხვიარა ხედ გაშვებულ ვაზს XIX ს. დამლევა-ც იმერეთში მაღლარი, ანუ დობილო ეწოდებოდა. ის თითქმის იმ სიმაღლეზე აღიოდა, რამდენადაც მას ტანის აყრა შეეძლო (ერმ. ნაკაშიძე, Вд. в Имеретин: СССвВгВдК, III, 14). ქიზიყში კი, ასპ. სტ. მენტეშაშვილის ცნობით, მაღლარს „შაშობილი“, ე. ი. შეშვებული ეწოდება.

§ 3. ოლიხნარი და ხარდნის ვენახი

დაბალ ბუჩქად, ან მაღალ მხვიარა ხედ გაშვების გარდა, დასავლეთ საქართველოში ოლიხნარი ანუ ხარდნის ვენახიც არსებობდა. ასეთი სახელი ეწოდებოდა ვაზს, რომელსაც ალაბ-ნახევრითგან 3 ალაბამდე სიმაღლეზე უშვებდენ (ერმ. ნაკაშიძე, Вд. в Имеретин: СССвВгВдК, III, 14).

ამ ორ ტერმინს შორის ის განსხვავებაა, რომ ოლიხნარად გაშენებული ვაზი მწკრივად იყო ხოლმე ჩაყრილი, ხარდნის ვენახში კი მწკრივი დაცული არ იყო. საყრდნობად ოლიხნარისა, ანუ ხარდნის ვენახისათვის, ან 4—5 არშ. სარებს, ან დაბალ ცოცხალს, ანდა გამხმარ ხეებს გამოიყენებდენ ხოლმე (ერმ. ნაკაშიძე, იქვე, III, 17—18).

ოლიხნარი მეგრული წარმოების სიტყვა უნდა იყოს, თუმცა არც იოს. ყიფშიძის მეგრულ ლექსიკონში და არც ნ. მარარის ჰანურ ლექსიკონში ასეთი, ან და ამის მსგავსი მეგრული, ვინდა ჰანური სიტყვა არა ჩანს. ეს ტერმინი უნდა ო+ლიხნარ+ი-საგან იყოს წარმომდგარი. თავის მხრივ ლიხნარი „ლიხ“ და „ნარი“-საგან იქმნება შემდგარი და მცენარეულობით მოსილი ადგილის აღმნიშვნელ ჩვეულებრივ ქართულ სიტყვას უნდა წარმოადგენდეს. ლიხნარი, ან მისი მსგავსი სიტყვა, რომ მართლაც ქართულში და მის დიალექტებში ოდესღაც ყოფილა, ამის პირუთენელი მოწმე ისეთი გეოგრაფიული სახელია, როგორიც ლიხნე-ა აფხაზეთში.

გამოსარკვევია მხოლოდმა „ლიხის“ მნიშვნელობა, რომ თვით ლიხნარი-ს პირვანდელი დედააზრი გასაგები გახდეს. ს. ორბელიანის ცნობით კი, „ლიხი

ფრიად მაღალი შამბი“-ს სახელი იყო (ლექსიკ.). მაშასადამე, ლიხნარი ფრიად მაღალი შამბნარის აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ, ოლიხნარი-ს პირველადი მნიშვნელობის გამოკვეთვა გაგვიადვილდება. ეს ტერმინი დაახლოვებით ისეთივე წარმოების სიტყვაა. როგორც ოჯალეში-ა. ოჯალეში კი, როგორც სათანადო ადგილას გამოვსახული მაქვს, თავდაპირველად ხეზე („ჯა“) გასაშვები ვაზის ჭიშების ზოგადი სახელი იყო (ო-ჯალეში). ამნაირადვე, ოლიხნარი ლიხნარზე, ანუ მაღალ ბუჩქნარზე გასაშვები ვაზის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

§ 4. ტალავარი, ანუ ხეივანი

მალარსა და დაბლარს გარდა, დასავლეთ საქართველოში, უცნობი ავტორის სიტყვით, ტარაველი-ც არსებობდა. ასე ეძახდნენ ხეივანად გაშენებულ ვაზებს, რომელთა ქვეშ ღვინის ჭურ-ქვევრები ყოფილა მიწაში ჩაღებულნი (Очерк виноделия Кавказа: ССВВК, III, 207 და ერმ. ნაკაშიძე, Вд. в Имеретии: ССВВВВДК, III, 17)⁸. ცხადია, რომ ტარაველი რ და ლ თანხმოვნების ადგილმონაცვლებით უნდა იყოს ტალავერი-სა და ძველ ქართულში გავრცელებულ ტალავარი-საგან წარმომდგარი.

ლუკას 9³³-ის დამოწმებით, საბას ტალავარი საჩრდილობელად აქვს განმარტებული (ლექსიკ.). ბერძნულად ამ ადგილას ჯ *σχημα* ჰე სკენე-ა ნახმარი, ლათინურად *tabernaculum*-ია, სომხურად *თაბარაკ* „ტალავარ“-ივე სწერია.

არც ქართულში და არც სომხურში ამ სიტყვას თვისტომნი არ გააჩნია, ამიტომ შესაძლებელია ნასესხები სიტყვა იყოს. მაგრამ სადაურიც არ უნდა აღმოჩნდეს ტალავარი. მისი ხეივანის მნიშვნელობით ლიხთ-იმერეთში ხმარება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ იგი მწიგნობრული სიტყვა არ ყოფილა, არამედ მდაბიო ხალხშიც ფართოდ გავრცელებულ სიტყვად მოჩანს.

რაკი შემდეგში ასე გაშენებული ვაზების აღსანიშნავად ჩვეულებრივ ხეივანი იხმარებოდა, და უკვე საბასაც შეტანილი აქვს „ხეივანი“ „ხეთ რიგით დგომა“-ს მნიშვნელობით (ლექსიკ.), ამიტომ ტალავარი, რომლის არსებობა უკვე V—VI სს. ძეგლებით არის დადასტურებული, ძველი ქართული მევენახეობის ტერმინად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ძველი ტალავარის ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს, ასპირანტ სტ. მენთე-შაშვილის ცნობით, ქიზიყში დაცული „თალარი ვაზი, რომელიც მაღლად არის დაყენებული და ხეივანივით გამართულია“⁹.

თუ ამაზე უწინარეს არა, XVII ს-ში მაინც, როგორც ეს ს. ორბელიანის ლექსიკონითგან ჩანს, ძველი ტალავარის მაგიერ აღმოსავლეთ საქართველოში ხეივანი ჩნდება.

ხეივანი, ანუ, საბას ჩანაწერით, ხეივანი გასაოცრად მიაგავს სპარსულ *خاں* „ხიბანი“-ს, რომელიც სპარსულად ბალის გზას, სასეირნო გზას, ხეივანს ჰნიშნავს, შაჰაბაზისაგან სპარსეთში ბევრგან გაყვანილი შარაგზების სახე-

⁸ „Таравели — закрытые аллеи из винограда“ (გვ. 207).

⁹ ამ ცნობის გაღმოცემისათვის დიდად ვმადლობ.

ლადაც ხმარობენ. ხიაბან-ი სპარსულ სიტყვად ითვლება. (იხ. Zenker-ისა და მირზა აბდულა ბენ-აბდალ ლაფფარის ლექსიკონებში) თუმცა მას იქ თვის-ტომნი არ უჩანს. რაკი ხეივანი, ანუ ხეივანი ძველ ქართულში ჯერ არსად გვხვდებ-ბა, შესაძლებელია იგი სპარსულითგან იყოს შეთვისებული.

§ 5. განროხმული ვაზი

თანამედროვე საქართველოში ვაზი, ან დაბლარად არის დაყენებული და ასარულია, ან და მალარად, ხეზეა გაშვებული. ასევე ყოფილა ძველადაც: რათ-გან, ჩვენი სამშობლოს ჰავის პირობების გამო, მევენახეობის მხოლოდ ასეთი წესია შესაძლებელი. სულ სხვანაირი მევენახეობაა სომხეთში, მაგ., ერევნის სა-ნახებში: იქ არც მალარი მოიპოვება, არც ასარული ვაზი, ანუ დაბლარი, არა-მედ ვაზები უსარ-უსაყრდნობო დაბალ ბუჩქად აქვთ გაშვებული, რის გამო ვაზის მტეენიანი ტოტები მიწაზეა დახრილი და განროხმული. ეს გარემოება ყველა ავტორს ერთნმევ აქვთ აღნიშნული (იხ. უცნობი ავტორის, Очерк вино-делия Кавказа: Сбор. свед. о Кавказе, т. III, 1875, с. 261.—В. Геевский и Ф. Шарпер, Краткий очерк садоводства Закавказья: ТрКОБСХ, 1886, № 12, с. 850 და ივ. ანდრონიკაშვილი, Очерк виноград. и виноделия в Эриван. губер.: СбСвВгВдК, 1896, V вып., с. 49)¹⁰.

სტრაბონმაც კი იცოდა, რომ წინათ იბერიას, ანუ აღმოსავლეთ საქარ-თველოს მტკვარსა და არაქს შუა მდებარე მთელი მიწა-წყალიც ეკუთვნოდა. ცხადია, რომ იმ ხანაში ქართულ მევენახეობას მიწაზე განროხმული ვაზის გა-შენების წესიც უნდა ჰქონოდა, რათგან, ბუნებრივი პირობების წყალობით, იმ ადგილას უმთავრესად ასეთი მევენახეობაა შესაძლებელი. ამის გამო იმ დროს ქართულში ამის შესაფერისი ტერმინიც უნდა ყოფილიყო, რომელიც ამჟამად დავიწყებულია და ჯერჯერობით არც ძველ ძეგლებში ჩანს.

თავი IV. ვაზისა და ვენახის გაშენება

§ 1. ვენახის დასხმა, ანუ დანერგვა

ვაზის გაშენების აღსანიშნავად ძველ ქართულში სხვადასხვა ტერმინსა ხმარობდენ. მაგ., დაბადებაში, შესაქმეთა 920-ში ნათქვამია, რომ ნოემ „დაასხა ვენაგი“, რაც ბერძულს „ექეტევეზენ ამპელონა“-ს, ლათინურ „plantavit

¹⁰ უცნობი ავტორი: «Виноградные лозы имеют здесь (ე. ი. ერევნის გუბერნიაში) характер кустарниковых растений и не требуют ни кольев, ни жердей» (გვ. 261).

გვესკი და შარპერი: ერევნის გუბ-ში «устройство виноградных садов двойного рода. В Ордубадском участке виноградные лозы развязываются на горизонтальных рейках, поддерживаемых подставками, а в других местностях губернии лозы держатся в лежачем положении на земляных гребнях, между коими периодически пропускается оросительная вода» (გვ. 850).

ივ. ანდრონიკაშვილი: «Во всем районе лозы содержатся на земляных валах, так называемых «тумбах», в виде лежащих кустов... кусты располагаются на середине тумб — сверху, причем побеги лоз стелятся вниз по обе стороны тумб» (გვ. 49).

vineam“-ს უდრის, ე. ი. ვაზების ბალის, ვენახოვანის გაშენებაზეა საუბარი. ამიტომაც არის, რომ მთარგმნელს აქ მრავალობითობის გამომხატველი ზმნა „დასხმა“ უხმარია, რომელშიც ხ თანხმოვანი სწორედ დანერგილი ვაზის სიმრავლის მაუწყებელია. მაგრამ, დაბადების თარგმანშივე ამავე მოქმედების აღსანიშნავად. დასხმა-ს გარდა, დანერგვა-ც გვხვდება. მაგ., მეორე შჯულისას 611-ში სწერია: „ვენაჯ[ოვნ]ებისა მის და ზეთისხილ[ოვნ]ებისა, რომელ არა შენ დანერგდ“. გ. მერჩულსაც აღნიშნული აქვს, რომ, გრ. ხანძელის ცნობით, კლარჯეთის უდაბნოთა არეში მოსახლეობას შესაფერისი ადგილის მეტისმეტი სიმცირის გამო, „მცირედ ვენაჯნი ჭირითა და ურვითა დაუნერგვიან“-ო (ც^ი გ^ლ ხნძ^ლმ, კლ).

ახალ გაშენებულ ვაზსაც ამის გამო „ახალ-ნერგი ვენაჯი“ ეწოდებოდა. გ. მთაწმიდელს ნათქვამი აქვს, რომ ათონის ქართველთა მონასტრის ზვრებში ძმობას მუშაობა დიდხანს უხდებოდა, „ვინაფთვან ახალ-ნერგ იყუნეს ვენაჯნი“-ო (ც^ი ი^ე და ე^ფთმსი, 47).

დაბადების ზემოდასახელებულ ადგილას ქართულ დანერგვა-ს შესატყვისად ბერძნულად, ლათინურად და სომხურად იგივე ზმნაა,—კატეჰტევეან, plantare, *տնկել* ტნკელ,—რომელიც შესაქმეთა 920-ში ქართულად დასხმა-დ არის გადმოთარგმნილი.

ამგვარად, ირკვევა, რომ ძველ ქართულში ვაზის გაშენების აღსანიშნავად ორი განსხვავებული ტერმინი ყოფილა, რომელთაგან თვითოეული შესაძლებელია გაშენების წესის განსხვავებულობის გამომხატველი ყოფილიყო. მაგრამ დასხმისა და დანერგვის რეალური რაობის გამორკვევა მომავალის ამოცანას წარმოადგენს. საგულისხმოა, რომ ამ შემთხვევაშიც დაბადების ქართველი მთარგმნელისათვის ადგილობრივი მევენახეობის ტერმინოლოგიას საშუალება მიუცია ორი სხვადასხვა სიტყვა გამოეყენებინა.

ცნობილია, რომ ვაზის გაშენება სამნაირი საშუალებით შეიძლება: ან ყურძნის თესლის, ხუნწყალის, ანუ წიბწის დათესით, ან ვაზის მოჭრილი ლერწის მიწაში დანერგვით, ან და ვაზის ტოტის გადაწვევით.

ძველ ქართულ ძეგლებში ჯერ არსადა ჩანს ცნობა, რომლის მიხედვითაც ირკვეოდეს, თუ რა საშუალებით ახერხებდენ ხოლმე ვენახის გაშენებას. მაგრამ ამის გამორკვევა იმ ტერმინების მიხედვითაც შეიძლება, რომელსაც ვაზის გაშენების აღსანიშნავად ძველ ქართულში ხმარობდენ ხოლმე. მართლაც, საკმარისია აღამიანმა გაიხსენოს, რომ ვაზის გაშენების გამოსახატავად დასხმა და დარგვა უხმარიათ, რომ ცხადი შეიქმნეს, რომ ვაზის გაშენება ძველ საქართველოში უმთავრესად ლერწის ნერგის ჩაყრით უნდა სცოდნოდათ, ვაზის ყურძნის თესლით გაშენება-გამრავლება კი, როგორც ჩანს, იშვიათი მოვლენა უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება იმ ცნობებითაც მტკიცდება, რომელიც ქართული მევენახეობის შესახებ XIX ს-ში იყო შეკრებილი.

ქართლ-კახეთში თუ ეხლა ვაზების ბალის ჩაყრა-მოწყობას ვენახის გაშენებას უწოდებენ, იმერეთში გაშენებას გარდა ვენახის დარგვა-საც ეძახიან (აგრონ. ხოჯაევის ცნობა. ОчВДК, С6СВК, III, 207), რომელიც, ცხადია, ძველ ტერმინ დანერგვასთან არის დაკავშირებული. ახალ გაშენებულ ვენახს, ვაზების ბალს, ახალ-ნერგი, ანუ ზაგა ერქვა.

საბასაც აქვს აღნიშნული, „რომ ბაგად ითქმის ახალშენი ვენაჯი“, თანაც უპირველესად განმარტებულია, რომ „ბაგად ითქმის პირუტყვთ საზრდელისა დასადებელი“, ან და „ჩასაყრელი ადგილი“, რანაირიც არ უნდა ყოფილიყო, „ნაგები იყოს, თუ ძელთაგანი“. ამას გარდა „ბაგა ეწოდების სახლთა შინა მოდაბლო საკმელთა რა გინდა რათა შესადებლთა“-ო. თავისი ყველა ამ განმარტების სისწორის დასამოწმებლად ორბელიანს ესაიას 13 აქვს დასახელებული, სადაც ნათქვამია: „იცნა ჯარმან მომგებელი და ვირმან ბაგა უფლისა თვისისა“-ო. როგორც ამ წინადადების შინაარსითგანაც ცხადია, ბაგა აქ პირუტყვთა საკვების ჩასადებ ადგილად არის ნაგულისხმევი. ამასვე ებრაული დედნისა და ბერძნულ-ლათინურ-სომხური თარგმანების შესატყვისობაც ადასტურებს (ჩე ფაქურე ჰე ჭანტე, praesepe და *ჭანტე* მსურ).

რა შეიძლება ჰქონდეს საერთო პირუტყვთა საზრდელის ჩასაყრელ ადგილსა და ნაგებობას ახალშენ ვენახთან, რომ მათ საერთო სახელი დაპრქმევია? თუ გავიხსენებთ, რომ არსებობდა და არის ეხლაც ბაგე, რომელიც პირსა და ნაპირსა ჰნიშნავს, მობაგული ისევე, როგორც ბაკი და მობაკული, რომელიც მოზღუდვილს, შემოლობილსა ჰნიშნავდა, ცხადი შეიქმნება, რომ ბაგა თავდაპირველადაც შემოზღუდული, შემოლობილი ადგილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

§ 2. წილნე, ვენახის გადაწინდვა, ანუ დამაგინება, ბინეხში დოკარშუა

თხლად გაშენებული ვენახის შესავსებად, ან დაბერებული ვახების განახლებისათვის, ვახის გადაწენა იყო მიღებული, რომელსაც წილნა, ან და გადაწინდა ეწოდებოდა. ს. ორბელიანსაც ნათქვამი აქვს, რომ „წილნა ვენაჯის გარდაფლვა“-ს ჰნიშნავს (ლექსიკ.).

წილნე ძველი ტერმინია: იგი უკვე დაბადების თარგმანშიც გვხვდება. მაგ., ებრაელების 17^ე-ში სწერია: ვაზმა „ყენა წილნეი და განავრცნა ბაბილონი მისნი“-ო. აქ წილნე ბერძნულ *ἀναρῶ* აპორჯეს-ს, ლათინ. palma-სა და სომხ. *ողკილ* ოლკუშ-ს უდრის. ამნაირად წილნე ვახის ახალ გამოტანილ ტოტსა ჰნიშნავს. ჭართველ მთარგმნელს ეს ტერმინი სრული შესატყვისობით არ უხმარია, რათვან ვახის ტოტის დაწვენით ვახის გამრავლებას რომაელები propagatio-ს უწოდებდნენ (Columella, De Re rustica, I, III, 13 და Raymond Billiard, La vigne dans l'antiquité, 271—272).

„ქართული სამართლის ისტორია“-ში გამოთქმული მჭონდა მოსაზრება, რომ წილნა უნდა წინდი-საგან იყოს წარმომდგარი, რომელიც თვით წინდებულს-ს ბოლოშეკვეცილ ფორმას უნდა წარმოადგენდეს (იხ. წიგნი II. ნაკვეთი მეორე, გვ. 462—463). ამ მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად შესაძლებელია ის გარემოებაც იყოს დასახელებული, რომ დასავლეთ საქართველოში ვახის გადაწვენით გამრავლებას „ვენახის გადაწინდვა“ ეწოდება (იხ. ვ. ბერიძის სიტყვის-კონა: „მაგინი“-ს განმარტება). ცხადია, რომ გადაწინდვა, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს გადაწინდას უდრის, წინდი-საგან არის ნაწარმოები. ამნაირად, ვალის გადახდის უზრუნველსაყოფად მოცემულის აღმნიშვნელი ტერმინისა და მევენახეობის ტერმინის სრული იგივეობა ირკვევა, რომელ-

თავან პირველი საფიქრებელია, რომ მართლაც წინდებული-საგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ვაზის ტოტის გადაწვევით ანუ გადაწინით გამრავლება ასე იცოდენ: იმ ადგილის მახლობლად, სადაც ახალი ვაზის გაჩენა ჰსურდათ, რომელსამე კარგ, საღსა და ღონიერ ვაზს ირჩევდენ. მის მახლობლად, იმ ადგილას, სადაც ახალი ვაზის გაჩენა უნდოდათ, მიწას ნახევარი ადლის სიღრმეზე ამოსთბრიდენ და შემდეგ მახლობელი შერჩეული ვაზის ერთი წლის გამოტანილ რქას ფრთხილად, რომ რქა არ გატეხილიყო, მიწაში გაკეთებული თხრილის დონემდე დაჰხრიდენ და შიგ ჩააწვენდენ, ისე კი, რომ ჩაწვენილი რქის თავი კვლავ ზევითკენ ყოფილიყო ახრილი. ამ თხრილში ჩაწვენილი რქის შუა ნაწილს ოდნავ დასერილს მიწაში ზოგჯერ ხის კავითაც ამაგრებდენ, შემდეგ თხრილს მიწით ავსებდენ და ნიადაგს ზემოთ მხოლოდ გადაწვენილი რქის ზვევითკენ ამართულ თავსა სტოვებდენ იქ, სადაც ახალი ვაზი უნდა ამოსულიყო.

იმ ვაზს, რომლის რქასაც გადააწვენდენ, დედა-ვაზი ეწოდებოდა, გადაწვენილს კი წიღნე (იხ. ილ. წინამძღვრიშვილი, ვაზის მოშენება. ტფილისი, 1889 წ., გვ. 64—67). როდესაც დაწინდული ვაზი ნიადაგში ფესვებს გაიდგამდა, მაშინ მას დედა-ვაზს ამორებდენ და ამნაირად ერთის მაგიერ კიდევ ახალი ვაზის ძირი ჩნდებოდა და ამ საშუალებით ვენახის თავისუფალ ადგილს ვაზებით ავსებდენ.

დაბლარად დაყენებულ ვენახში თხლად დარგულ ვაზთა შორის ახალი ვაზების გადაწვევით გამრავლებას იმერეთში, გადაწინდვას გარდა, დამაგინება, ან და გადაშვებაც ეწოდებოდა (ხოჯაევის ცნობა: ОчВдК-ში: С6СвК, III, 208).

თხლად გაშენებული ვენახის ვაზების გასამრავლებლად ვაზის გადაწვევსა გურიასა და სამეგრელოშიც იცოდენ, გურიაშიც მას ვენახის დამაგინება ეწოდებოდა, სამეგრელოში კი დოგარშუა ბინეხიში („докаршва бинехиши“) ერქვა (ერმ. ნაკაშიძე, Очерк ВгВд Гурии и Мингрелии: С6СвВгВдК, IV, 78—79).

დამაგინება არც საბას მოეპოვება, არც სხვა ლექსიკონებშია. მხოლოდ ვ. ბერიძეს ს. ჟორჯოლიანის ზეპირი ცნობის დამოწმებით მაგინის-ს ქვეშე მოყვანილი აქვს დამაგინება, როგორც გურიაში გავრცელებული სახელზმნა, და განმარტებაში ნათქვამი აქვს, რომ „ვენახის გადაწინდვა“-ს ჰნიშნავს (იხ. სიტყვის-კონა იმერულ და რაჭულ თქმათა). თვით მაგინი რას ჰნიშნავს, ან და რის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, თუ ასეთი ცალკეული სიტყვა აღარ არსებობს, ვ. ბერიძეს ნათქვამი არა აქვს.

როგორც ხოჯაევისა და ერმ. ნაკაშიძის შემომოყვანილი ცნობებითგან ირკვევა, დამაგინება მარტო გურიაში გავრცელებული ტერმინი არ არის.

დამაგინება, უეჭველია, ნასახელარ ზმნას უნდა წარმოადგენდეს. ამ ტერმინის დანაწილება, და-მაგინ-ება, ამ ზმნის ფუძედ მაგინის-ს გვაგულისხმებინებს, რომელშიც ბოლოკიდური მარცვალი ინის ბუნება გამოსარკვევია.

მაგინი კი, ვგონებ, უნდა იგივე სიტყვა იყოს, რომელიც გუნა. გვენა, გვანება ზმნისაგან წარმომდგარი, მანგის-ს სახით მეგრულშია დაცული და თანასწორს, ტოლს, სწორეს და მსგავსსა ჰნიშნავს. ჰანური მანგური, რომელიც ბაგაზე ძროხის დასაბმელსა ჰნიშნავს (იხ. ჰ. გ., 165) და კრვა ზმნისაგან ნაწარმოები ამავე მნიშვნელობის ტერმინის დო-კირუ-ს სინონიმს წარმოადგენს, იმავე

ძირის სიტყვა უნდა იყოს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ჰანურ მანგურ-ში და მეგრულ მანგ-ში ნე კომპლექსი ადგილმონაცვლებული უნდა იყოს და ხმოვანიც უნდა დაკარგული ჰქონდეს. მანგური და მანგი ამიტომ წინანდელი მაგინური-სა და მაგინი-საგან უნდა იყოს წარმომდგარი.

მაგინი-ს ბოლო-მოკვეცილი ფორმა უნდა იყოს ის მაგი-ც, რომელიც ამაჟამად მხოლოდლა ორ-მაგ-ში გვაქვს დაცული. ს. ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთ შემავსებელთაგანის განმარტებით, თითქოს „ორმაგი ორწევრად სქლად ნაქსოვი რამე“ იყოს, მაგრამ ნამდვილად ამ სიტყვას მართო ქსოვილის დასახასიათებლად არ ვხმარობთ, არამედ საერთოდ ორკეცის, ორი ოდენობის, ორი შეერთებული ტოლის აღსანიშნავადაც.

ამნაირად, ყველა ზემომოყვანილი მოსაზრების შემდგომ, დამაგინება თავდაპირველად გადაბმა-დაკავშირებისა და გაორმაგების, გამრავლების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

დოყარშუა არც იოს. ყიფშიძის ლექსიკონში მოიპოვება და არც სხვას ვისმეს გაუგონია. დოც. ვარ. თოფურიაშვილს სამეგრელოში ცნობის შეკრების დროს გამოარკვია, რომ გადაწინანს ხალხი დოყარშუა-ს ეძახის¹¹. მეგრულად ეს ტოტსა ჰნიშნავს, ჰანურში კი ტოტს ყა ეწოდება, მაგრამ მისი მრ. რ. ფორმა ყალეფე ცხადჰყოფს, რომ წინათ ტოტს ყალი ჰქმევია, ე. ი. იგივე რაც ყელის აღსანიშნავად იხმარება. დოყარშუა და დოყარშუა უნდა სწორედ ტოტის ამ სახელისაგან იყოს ნაწარმოები და ამის გამო თავდაპირველად დატოტვის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ ზონის თემში, ვუკ. ბერიძის სიტყვიერი ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, გადაწინანს გადაყვლება ჰქმევია. აქ, მაშასადამე, მეგრულ-ჰანური დოყარშუა, ანუ დოყარშუა-ს მსგავსი ტერმინი გვაქვს, რომელშიც ყარი, ანუ ყალ ტოტადაც და ყელადაც არის ნაგულისხმევი.

წინათ ვენახის შეესება-გაშენება დანერგვაზე გაცილებით უფრო იაფი ჯდებოდა და ამიტომაც ეკონომიურად გაცილებით უფრო ხელსაყრელიც იყო. პლინიუსს მცირეს თუ დავუჯერებთ, ვაზის წინათ გამრავლების საშუალება ადამიანს ბუნებისგანვე უსწავლია (Natur. hist.) და ეს მოსაზრება ადვილი დასაჯერებელიც არის, რათგან ვაზის გრძელი რქები ველურად მიწაზე ადვილად დაიხრებოდა და ამის წყალობით მიწაში ფესვების გაბმაც შეეძლო.

თავი V. დაბლარი ვაზის საყრდნოები და მისი სხვადასხვა სახელების მნიშვნელობა

თუ განრთხმული და მადლარი ვაზი თავისი ზრდის გზას თვითონაც ადვილად გაიკვლევდა, პირველს ვანივი მიმართულება ჰქონდა და ამის გამო მის ზრდის ძალა არ ადგებოდა, მეორეს კი მახლობელი ხის სახით ბუნებრივი საყრდნობი გააჩნდა, დაბლარად გაშენებულ ვაზს ხელოვნური საყრდნობი აუცილებლად სჭირდებოდა. ასეთ საყრდნობად შესაძლებელია დაბალი ტანის ხეც, ბუ-

¹¹ ამ ცნობისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ.

ჩქიკ ყოფილიყო გამოყენებული, უფრო ხშირად და ჩვეულებრივ კი საგანგებოდ ამისათვის მოჭრილ-გასხეპილი ხის საკმაოდ სხვილ ტოტს შეუღდამდენ ხოლმე. თვითოეულ ასეთ საყრდნობთაგანს თავ-თავისი სახელი ჰქონდა. რაკი ეს ვაზის მოვლის სხვადასხვა წესის მაუწყებელია, ამიტომ მათი ცოდნა საჭირო.

ვაზისათვის ხელოვნურად დამზადებული საყრდნობის აღსანიშნავად ქართულში სამი სახელი მოიპოვება: სარი, ჭიგო და ხარდანი. ს. ორბელიანის განმარტებით, „სარი ვაზის მანა“-ა, ე. ი. პალო, ანუ მიწაში ჩასარტობი საყრდნობი. „ჭიგო დიდი სარი“ არისო, ხოლო „ხარდანი სარიანი ვენაცი“-აო (ლექსიკ.).

§ 1. სარი და ჭიგო

XIX ს-ში საქართველოს სხვადასხვა თემში ამ ტერმინებს იმ მნიშვნელობით არ ჰხმარობდენ, როგორც საბას განმარტებაშია აღნიშნული. მაგ., საბას სიტყვით, ჭიგო დიდი სარია, მაშასადამე, სარი ჭიგოზე პატარა, მომცრო უნდა ყოფილიყო. კახეთში კი ამ ორ ტერმინს სწორედ ამის წინაუქმო მნიშვნელობით ხმარობდენ: ჭიგო პატარად, სარი კი დიდ საყრდნობად ითვლება. ლ. ჯორჯაძესაც ნათქვამი აქვს: „პატარა ნაბარ ვენახსა ჭიგო უნდა შეედგას (sic) და დიდ ვაზსა სარი, ამისთვის რომ სარი რადგან არის ხმელი ხე და სხვილი..., პატარა ვაზის ძირს სჩაგრამს“-ო (მევენახეობა, გვ. 69).

ჭიგო, ქართლ-კახეთს გარდა, იმერეთშიც არის ვაზის საყრდნობის სახელად მიღებული (იხ. ქვემოთ, § 2).

§ 2. ხარდანი

ს. ორბელიანის ზემომოყვანილი განმარტებით, ხარდანი თითქოს სარიანი ვენახის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. აღმოსავლეთ საქართველოში ეს ტერმინი არც XI—XVIII სს. საბუთებსა და ძეგლებში ჩანს სადმე, არც XIX ს. სასაუბრო ენაში. სამაგიეროდ ეს სიტყვა დასავლეთ საქართველოში ძველ საბუთებშიც არის დაცული და თანამედროვე ქართულშიც იქ ჩვეულებრივი და დაბლარი ვაზის დიდი საყრდნობის ერთადერთი სახელია. სარს იქ, რაჭასა და გურიას გარდა, ამ მნიშვნელობით არ ხმარობდენ.

უკვე უცნობი ავტორის, ავრ. ხოჯაევის ნაშრომზე დამყარებული, კომპილაციანია აღნიშნული, რომ დაბლარი ვაზის საყრდნობს იმერეთში ჭიგო და ხარდანი ეწოდებოდა (Очерк Вд. Кавказа: СбСвК, III, 208).

ამაზე მეტო ცნობები ავრ. ერ. ნაკაშიძესა აქვს. მისი სიტყვით, ვაზის საყრდნობად დაბლარსა და ოლიხნარში, ან და ხარდნის ვენახისათვის იმერეთში ხარდანი, ჭიგო და ჩხირი იხმარებოდა. მაგრამ ამათგან ხარდანი ყველაზე სქელი (2—4 გოჯიანი) და გრძელი საყრდნობი იყო. ჭიგო 1—2 გოჯის სისხო საყრდნობის სახელი იყო და ჩხირი, რომლის სისქე 1 გოჯზე ნაკლები იყო, ნორჩი, ახალნერგი ვაზის საყრდნობს წარმოადგენდა (ერმ. ნაკაშიძე, Виногр. в Имеретии: СбСвВгВдК, III, 25—26).

ამ ცნობითგან ირკვევა, რომ დასავლეთ საქართველოშიც ჭიგო ვაზის დიდ საყრდნობს კი არა, არამედ პირიქით მომცროს ჰნიშნავდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ ს. ორბელიანს ჭიგოს განმარტებაში შეცდომა უნდა ჰქონდეს შეპარული. ამას გარდა, ხარდანი, საბას განმარტებისა არ იყოს, მართლაც სარის სინონიმი გამოდის.

ლეჩხუმშიც ვაზის საყრდნობს ხარდანი ეწოდებოდა, რომელსაც რთხმელისა და კობიტისა, ანუ იფნისაგან აკეთებდენ (ა. იაკოვლევი, ВГВД в Ляхум. у.: С6СвВГВДК, III, 84).

საგულისხმოა, რომ აგრ. ა. გამყრელიძის ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, ვაზის საყრდნობის სახელად ქვემო რაჭაში თურმე ხარდანს, ზემო რაჭაში კი სარსა ხმარობდენ.

ხარდანი სპარსული სიტყვა უნდა იყოს, ხარ-ისა და დან-ისაგან შემდგარი. ამათგან خار ხარ სპარსულად ეკალს, ეკლიან ბუჩქსა და კვრიჩხს ჰნიშნავს. دان -დან მქონებლობის, შემცველობის აღმნიშვნელი სპარსული სუფიქსია, რომელიც ქართულშიც არის ჩაიდან-ისა, ყავადან-ისა და სხვა სიტყვების წყალობით შემოსული. მაგრამ სპარსულში სიტყვა „ხარდან“-ი არა ჩანს, ლექსიკონებში მაინც არ არის შეტანილი. იქ მოიპოვება خاردار ხარდარ, მაგრამ ეს სიტყვა ზედსართავია და ეკლიანს ჰნიშნავს. ამასთანავე სპარსულითგან რომ ყოფილიყო ეს ტერმინი ქართულში შეთვისებული, უპირველესად და უმთავრესად ლიხთ-ამერეთში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, ნამდვილად კი ხარდანი აქ უცნობია და მხოლოდ დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული. ამიტომ იბადება საკითხი, ოსმალეთითგან ხომ არ არის ეს სიტყვა იმერეთში შესული. ვითარცა ახალ-სპარსული და ოსმალეთის გზით შეთვისებული ტერმინი, ხარდანი ძველი შენაძენი არ იქმნება და შესაძლებელია XV—XVI ს-ში იყოს შემოსული.

ხარდნის რეალური მნიშვნელობა დასავლეთ საქართველოში და მისი ეტიმოლოგია ცხადჰყოფს, რომ ეს სიტყვა სარიანი ვაზის აღმნიშვნელი კი არ უნდა ყოფილიყო, როგორც საბას ზემომოყვანილ განმარტებაშია ნათქვამი, არამედ სარის სინონიმი უნდა იყოს და არის ეხლაც. ქართველი ლექსიკოგრაფის განმარტება სწორე მხოლოდ იმ შემთხვევაში გამოვა, თუ რომ იგი ასე შესწორდება: ხარდნის ვენაჯი სარიანი ვენაჯი არის.

§ 3. სასარე და მანეული და მათი რაობა

რაკი ვენახსა და ზვარს სარი ბლომად სჭირდებოდა, ამიტომ მეტყვევობის განსაკუთრებული დარგი შექმნილა, რომელსაც მიზნად სწორედ დაბლარი ვაზის შესადგმელად სარის საჭირო მოთხოვნების დაკმაყოფილება ჰქონია დაკისრებული. ასეთ პატარა ტყეს, რომლითგანაც სარებს სჭირდენ და აკეთებდენ, სასარე ეწოდებოდა. „ქაჩიბასტეთა სახლშიგა დაბერებულმან დედაბერმან ნონო“-მ, მაგ., ქვათახევის მონასტერს 1477 წ. შესწირა „ვენაჯი ჭალისა ტყლაპაურა მისითა სასარითა და ჭალისა სალობავითა“ (ისტ. საბ., II, 21). სვიმონ მეფის 1588 წ. წყალობის წიგნშიც ნათქვამია: სააკაძეს მერაბსა და

სიაუს „გიბოძეთ... ოძისი სამართლიანის მისის ველითა, ვენახითა, წყლითა, წისქილითა, კალითა, სასარიტა, სათიბითა და სახნავითა“-ო (სქს სძვლნი, II, 47).

ზურაბ სახლთუხუცესის 1590 წ. ნასყიდობის წიგნში სწერია: როინ ჯავახი-შვილს შვილებმა მასურ და ბეჟანმა „მოგყიდეთ ჩვენი მკვიდრი მამული... ზემო და ქვემო ცხირეთი და მისი გარეშემო და ხუცუბანი და ოძისის ხეც გამოღმა და ზემო ნასოფლარები ცხავერი, მეტათ-უბანი, სამებანი, ჯვარნი და მადლნი მათითა კალითა, სახნავ სათიბრითა... საძოვრითა, სასარიტა“-ო (სქს სძვლნი, II, 48). ეს ტერმინი 1505 წ. ერთ საბუთშიც გვხვდება, სადაც ნათქვამია: „გიბოძეთ სოფელი ხატის-წობენა მისითა... კალითა, სათიბითა, სასარიტა, ველითა, ვენახითა-ო (სქს სძვლნი, I, 246).

ქართლში ზოგან ვენახების ღობეების გასწვრივ ტირიფის ნერგებს (*Salix angustifolia* Wild) ჰრგავდენ, რომელთაც, რტოთა შესაფერისი შეჭრის წყალობით, სასარედ გამოსადეგი ბევრი გრძელი და სწორე ტოტები გამოჰქონდათ ხოლმე. სარების დასამზადებლად განკუთვნილ ამნაირად მოვლილ ტირიფსა და ვერხვს ქართლში მანუელი ეწოდებოდა (იხ. პ. ყანდურალოვი, Очерк ВрВд в Карталинии: С6СвВрВдК, VIII, 59). რაკი, როგორც ს. ორბელიანის განმარტებითგან ჩანს, სარი ვაზის მანად იყო მიჩნეული, და ტირიფ-ვერხვი სასარედ განკუთვნილი ხე იყო, საფიქრებელია, რომ სწორედ ამიტომაც დაჰრქმეოდა მანისაგან ნაწარმოები შემკრებლობითი ფორმანტის მქონებელი და ასეთივე ცნების გამომხატველი სახელი მანუელი.

§ 4. სახარდნის რაობა

იმერეთში სარის მაგიერ ხარდანსა ხმარობდენ, ამიტომ დასავლეთ საქართველოს საბუთებში სასარის მაგიერ სახარდნე გვხვდება. მაგ., ბაგრატ იმერთა მეფის გელათისადმი ბოძებულ შეწირულების წიგნში იხსენიება: „გელათს გლეხი... საბას მოძღვრისეული სენაკი მისითა ჭურ-მარნითა, ვენახითა, სახარდნითა, საბოსტნითა“-ო (სქს სძვლნი, I, 20 და ქკბ, II, 336).

რაჭაში ვაზისათვის სარს, ანუ ხარდანს იფნისა და კოპიტისაგან აკეთებდენ. მევენახეს რომ თავის ვაზებისათვის ხარდნის დასამზადებლად საჭირო ხის მასალა ახლო და საკმაო რაოდენობით ჰქონოდა, ყოველი ვენახის ღობის გასწვრივ, ან და ღობის მაგიერადაც კი იფანსა და კოპიტსა ჰრგავდენ (ე. დანდუროვი, ВрВд. в Рачин. у.: С6СвВрВдК, III, 33).

ლექსეშიც მევენახე ასევე იქცეოდა და იმის მაგიერ, რომ ხარდნის მოსაპრელად და გასაკეთებლად ტყეში წასულიყო, ვისაც მიწა ამის საშუალებას აძლევდა, ვენახის ღობის გასწვრივ, ან და ღობის მაგიერ რთხმელასა და კოპიტს, ანუ იფანსა ჰრგავდა ხოლმე (ა. იაკოვლევი, ВрВд в Лечхум. у.: С6СвВрВдК, III, 85—86). სწორედ ამის სახელი უნდა იყოს ძველი საბუთების სახარდნე-ც.

§ 5. ვაზის საყრდნობის აღმნიშვნელი ტერმინების სადაურობა

ვაზის საყრდნობის აღსანიშნავად, როგორც დავრწმუნდით, დროთა განმავლობაში და სხვადასხვა თემში საქართველოში შემდეგ ტერმინებს ხმარობდნენ: მიღებული იყო მანაა, სარი, ჭიგო, ხარდანი და ჩხირი.

ამათგან მანაა ძველ ქართულში ყოფილა და მისი ანარეკლი საბას იმ განმარტებაშიც მოიპოვება, რომ „სარი ვაზის მანა“-ა და ქართლში დაცულ მანულ-შიც მოჩანს.

სარი იმიერ-ამიერ საქართველოში იყო და არის ეხლაც გავრცელებული, იმერეთს გარდა, სადაც ვაზის მოზრდილ საყრდნობს, როგორც დავრწმუნდით, ხარდანს უწოდებდნენ უკვე XVI ს-ითგან მოყოლებული მაინც. მაგრამ ზემო რაჭაში ხარდნის მაგიერ სარს უწოდებენ.

ტერმინ ჭიგო-ს გავრცელების არე თითქმის სარისას უდრის და მხოლოდ გურიაში არა ჩანს.

ხარდანი ამჟამად დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ იმერეთში და ქვემო რაჭაში, შერჩენილი ტერმინია. ძველადაც ის მხოლოდ იქაურ ძეგლებშივე გვხვდება, ჭერჭერობით მაინც. მაგრამ მისი საბას ლექსიკონში შეტანილობა ცხადპყოფს, რომ ეს ტერმინი აღმოსავლეთ საქართველოშიც, ნაწილობრივ მაინც, უნდა ყოფილიყო ცნობილი.

ჩხირი საყოველთაოდაა გავრცელებული, მაგრამ ვაზის საყრდნობის სახელად მარტო იმერეთშია მიღებული.

საგულისხმო იყო ვაზის საყრდნობის ამ ტერმინების სადაურობა გამორკვეულიყო, რომ მათი ანალიზით მოპოვებული შედეგის წყალობით მკვლევარს საშუალება მისცემოდა, საქართველოს დაბლარი ვაზის მევენახეობაში უცხოეთის მევენახეობის გავლენის ანარეკლი განეჭვრიტა. ამიტომ უნდა მათი სადაურობის გამორკვევას ვეცადოთ, რომ გავიგოთ, რომელია მათგანი ქართული, რომელი კი უცხო და, სახელდობრ, სადაური.

წინა §-ში უკვე დავრწმუნდით, რომ ხარდანი, მაგ., ქართული არ არის. რაკი ძველად იგი არსადა ჩანს და შემდეგშიც ამ სიტყვის გავრცელების არე იმერეთს თითქმის არ სცილდება, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ტერმინი XVI ს-ში იქმნება შემოხიზნული ეგების მესხეთის გზით.

დანარჩენი ტერმინების სადაურობა უფრო ძნელი გამოსარკვევია. ამიტომ ამ საკითხის გასაადვილებლად ურიგო არ იქმნებოდა გვეცოდნოდა, თუ საქართველოს მეზობელთა შორის ვაზის საყრდნობის აღსანიშნავად რა და რა სახელები არსებობდა. ამისდა მიხედვით საყრდნობის ქართული სახელების არეც გვექმნებოდა გამორკვეული და ისიც გვეცოდინებოდა, თუ რამდენად მიაგავდა იგი სხვაგან გაბატონებულ ტერმინოლოგიას. მაგრამ საქართველოს სამხრეთით ყველგან დაბლარი მევენახეობა არ ყოფილა და საყრდნობის სახელიც ყველგან არ არის მოსალოდნელი.

სომხეთში, მაგ., ერევნის სანახებში, არც მალლარი და არც დაბლარი მევენახეობა არ იყო, არამედ ვაზი მიწაზე განრთხმული ჰქონდათ, ამიტომ იქაურ მევენახეებს ვაზისათვის სარის მსგავსი საყრდნობი არც სჭირდებოდათ (იხ. Очерк Вд. Кавказа: СбСвК, III, 261).

მევენახეობის ასეთივე წესი იყო ეჩმიადინის სანახებშიც (იქვე, III, 266).

აზნარადვე ნახკავნის სანახებშიც მიწაზე განროხმული მევენახეობა არსებობდა და უსარო ვაზები ჰქონდათ (იქვე, III, 270).

განჯის მთელ სანახებში კი დაბლარი მევენახეობა იყო. საყრდნობად იქორ ვაზს შუა სამკუთხედად დადებულ ლერწამს ხმარობდნენ (Очерк Вд. Кавказа: ССВК, III, 275).

შემახის სანახებში მალლარიცა და დაბლარი მევენახეობაც არის. დაბლარს საყრდნობად სარები აქვს, რომელსაც სომხები *მამ* მაჰ, თურქები კი „ს. ფაა“-ს ეძახდნენ (იქვე, III, 299). დაბლარს თურქებიცა და ადგილობრივი სომხებიც კელასარ-ს, თუ ქელასარ-ს უწოდებდნენ (იქვე, III, 297 და ССВВВВВВ, V, 28 და 30).

მაშასადამე, საქართველოს მეზობელთა შორის საყრდნობის ქართული სახელების მსგავსი ტერმინები არ ყოფილა.

ამ წინასწარი მიმოხილვის შემდგომ რომ საყრდნობის საქართველოში მიღებული სახელების სადაურობის საკითხს დავუბრუნდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოჩამოთვლილ ტერმინთაგან უძველეს ძეგლებში მხოლოდ მანა გვხვდება.

მანა უკვე დაბლების თარგმანში მოიპოვება: სახელდობრ, ეზეკიელის 15₁₋₃-ში გარეული ვაზის ხეზე ნათქვამია. რომ „რამცა უყო ხესა ვენაჯისასა... უკუეთუ მოიღონ მისგან ძელი შესაქმედ საქმარისა, მოიღონ მისგან მანა დაკიდებად ყრი კურქელი მას ზედა“. ქართული მანა ბერძნული თარგმანის *ε πασσαλιος* ჰო პასსალოს-ს, ლათინურის *paxillus*-სა და სომხურის *քիլ* ციც-ს უდრის. ასევეა მსაჯულთა 4₂₁-ის თარგმანში, სადაც კარვის მიწაში დასამაგრებელ პალოზზე საუბარია.

ბერძნულსა და სომხურ თარგმანებში მანის შესატყვისად აქ ზემოდსახელებული სიტყვებიცაა ნახმარი, ლათინურში კი *clavus*-ია, რაც სამკვალს, ჩასარკობს ჰნიშნავს. ბერძნულს პასსალონ-საც ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა, სარკობსა და პატარა სარსა ჰნიშნავდა, სომხური კი ჩვეულებრივი სარის აღმნიშვნელია.

ეტიმოლოგიურად ბერძნული პასსალოს-ის სრულ ლათინურ შესატყვისობას *palus*-ი წარმოადგენს (იხ. Em. Boisacq, Dict. étym. de la langue grecque გვ. 749), რომლის კნინობითი ფორმა სწორედ ზემომოყვანილი *paxillus*-ი ხოლო, საქმარისა ადამიანმა რომელიც აგრონომების თხზულებები გადაიკითხოს იმის დასარწმუნებლად, რომ, *radicae*-სა და *pedamina*-ს გარდა, ლათინურში ვაზის სარის აღსანიშნავად *palus*-იც იხმარებოდა ხოლმე (იხ. მაგ., Cato-ს *De re rustica*, XXXVII და კოლუმელას თხზულების I, IV, გვ. 20 და შემდ.).

ცხადია, რომ სწორედ ამ ლათინური სიტყვა პალუს-ისაგან უნდა იყოს ქართული პალო-ც წარმომდგარი, რომელიც, საბას განმარტებით, „მცირე მანა“ არის, ე. ი. პატარა მანის სახელი ყოფილა. თანამედროვე ქართულშიც წაწვეტილი ხის მომცრო სარკობის მნიშვნელობა აქვს. სახელოვანმა ქართველმა ლექსიკოგრაფმა იცოდა, რომ პალო უცხო, ნასესხები სიტყვაა. მაგრამ მას ეგონა, რომ „პალო ფრანგულია“ (ლექსიკ.), ნამდვილად კი სარს ფრანგულად თუმცა ამავე ლათინური სიტყვისაგან წარმომდგარი სახელი აქვს, მაგრამ უკვე

სახეცვლილი *pieu* ეწოდება. რაკი *palus* პალუს-ი ნამდვილი ლათინური სიტყვაა, რომელსაც ინდოევროპულ ენებში თვისტომნი გააჩნია (იხ. Em. Boisacq-ის ბერძნული ეტიმ. ლექსიკ., გვ. 749 და Al. Walde-ს ლათინ. ეტიმ. ლექსიკ.: *palus*), ქართულში კი პალოს მონათესავე არ უჩანს, ამიტომ, ცხადია. რომ პალო ქართულში ლათინურითგან არის შეთვისებული და პალუს-ისაგანაა წარმომდგარი.

საგულისხმოა, რომ პალოს ქართულში ვაზის საყრდნობის მნიშვნელობა არცა აქვს და არცა ჰქონია, არამედ, როგორც დავრწმუნდით, მცირე, პატარა მანის, ანუ ხის სარკობის სახელად ქცეულა. ეს გარემოება, უეჭველია, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ პალო ძველ ქართულში მევენახეობის კულტურასთან დაკავშირებით არ არის ლათინურითგან შემოსული.

თუმცა დაბადების თარგმანში მანაჲ, როგორც დავრწმუნდით, პატარა სარისა და სარკობის მნიშვნელობით არის ნახმარი, მაგრამ, ს. ორბელიანის განმარტებით, მანას „მომცრო მარგილი“-ს მნიშვნელობა ჰქონია. სარიც ხომ მასვე „ვაზის მანა“-დ აქვს ახსნილი. ამას გარდა, დანამდვილებით შესაძლებელია ითქვას, რომ ძველად მანა სწორედ სარის აღმნიშვნელი ყოფილა. ამის დასამტკიცებლად შესაძლებელია ის გარემოება იქმნეს დასახელებული, რომ ქართულში იმ ხის ნარგავენს, რომლისაგანაც ვენახის სარებს სჭრიდენ და აკეთებდენ, როგორც დავრწმუნდით, მანეული ეწოდებოდა (იხ. აქვე).

მანაჲ-ს ქართულში ხნიერებისდა მიუხედავად, მაინც გამოსარკვევია, ქართულია თუ არა ეს სიტყვა და, თუ უცხოა, სადაური? სხვა ენებში, სომხურს გარდა, ასეთი ბგერითი შედგენილობისა და ამნაირი მნიშვნელობის სიტყვა არა ჩანს. ძველ სომხურშიც მანა უცნობია, ახალ სამწერლობო ენაშიც არა ხმარობდენ და მხოლოდ არარატის დიალექტში არსებობს *მან* მან, რომელიც არშინიანი სიგარძის ორ მსხვილ ხეს წარმოადგენს, ურმის ჰაპანის დასაგრეხად რომ არჭობენ ხოლმე.

ამ ჯოხებისათვის მან სახელი მხოლოდ არარატის დიალექტში ყოფილა მიღებული, ხოლო ეჩმიადინის სანახების სოფ. ლურდულულისში და ქ. ვანში თურმე *მანჩქ* მანიჩ-ს და მანიჩქ-ს ეძახიან (საპაკ ამბატუნის-ს ჯ. *გაო ი. მან*, გვ. 124). აჭარიანს ეს სიტყვა არ მოეპოვება.

რაკი სომხური დიალექტური მან ძველსა და ახალ სამწერლობო სომხურში უცნობი იყო, ამიტომ ცხადია, რომ იგი ნასესხები უნდა იყოს. მისი სომხურში სადაურობის საკითხის გადაწყვეტა დანამდვილებით ძნელია, მაგრამ, რათგან სომხეთის მეზობლად არსად, საქართველოს გარდა, მან სარკობის სახელად არა ჩანს, ამიტომ უფრო ბუნებრივია გვეფიქრა, რომ იგი ქართულ მანა-სთან უნდა იყოს დაკავშირებული.

მაგრამ თვით მანა ქართული კია? ქართულში მას ისეთი სიტყვები, რომელთანაც ნათესაობა სრულებით ცხადი იყო, თითქოს არ უჩანს. ამიტომ მისი კვალის წინასწარ ისევე უცხოეთში ძებნაა საჭირო. მხოლოდ იქაც ვერაფრის მიგნება ვერ ხერხდება.

მაინცადამაინც, თუ მანა უცხო ენითგან შემოხიზნული სიტყვაა, ეგების მას რაიმე კავშირი ჰქონდეს სანსკრიტულ *manak* მანაკთან, რომელიც ცოტასა და პატარას ჰნიშნავდა და რომლის მონათესავეა ბავშვის აღმნიშვნელი სომხური სიტყვა *მანოკ* მანუკ და ბერძნული და სხვა ენების სიტყვები (Em. Boisacq, ბერძნუ-

ლი ეტიმ. ლექსიკ., გვ. 608). ამ შემთხვევაში მანა პატარა სარის, სარკობის აღმნიშვნელი გამოვიდოდა.

მაგრამ, რა გზით უნდა შემოსულიყო სანსკრიტული მანაკ-ი ქართულში, როდესაც არც სპარსულში და არც სომხურში სარკობის აღმნიშვნელი ასეთი სიტყვა არ ყოფილა, თვით სანსკრიტშიც ამ ცნების გამოსახატავად არ იყო მიღებული და საქართველოს სამხრეთისა და აღმოსავლეთის მეზობლებსაც, არანაშინებლებს სარის სახელად სპარსული ფაა (ჰნიშნავს ფეხს, საყრდნობს) ჰქონდათ და აქვთ ეხლაც, სომხებს კი მაქ? ყველა ეს გარემოება ზემომოყვანილ მოსახრებას მეტად საეჭვოდ ხდის. ამიტომ მანა ისევ ქართულ ტერმინად არის საგულეებელი და მისი ეტიმოლოგიაც აქვეა საძიებელი.

ამ გზით მუშაობის დროს უნდა გათვალისწინებული გვექონდეს ის გარემოება, რომ შესაძლებელია მანა თავის წინაპრის უკვე სრული წარმომადგენელი არ იყოს და ეს მისი ეტიმოლოგიის გამორკვევას გვიძნელებდეს.

თუ გავიხსენებთ, რომ მანა საბას განმარტებით იგივე პალო, მომცრო მარგილი იყო, მაშინ განსაკუთრებული მნიშვნელობა მიენიჭება იმ გარემოებას, რომ რაქვაში პალოს მანქო ეწოდება (იხ. ვ. ბერიძის სიტყვის-კონა იმერულ და რაქულ თქმათა, გვ. 28). უეჭველია, იგი სარკობისა და ლურსმნის აღმნიშვნელი ძველი ქართული მანჭუალი-ს ბოლოშეკვეცილი ფორმა უნდა იყოს.

ამავე საკითხის გასაშუქებლად საგულისხმო გარემოებაა, რომ თანამედროვე სომხურ დიალექტებში, როგორც დაერწმუნდით, ვაზის საყრდნობს, სარს, ეწოდება მაქ (იხ. აქვე, გვ. 334), რომელიც ძველ სომხურშიც გვხვდება, მაგრამ ხელნას მნიშვნელობით. უკვე „საქართველოს ეკონომიური ისტ.“, I, 207—208-ზე აღნიშნული მქონდა, რომ ეს სომხური ტერმინი ქართულითგან ნასესხებია და მანჭუალი-ს ბოლოშეკვეცილ ფორმას წარმოადგენს. ამჟამად ჩვენთვის ის არის საყურადღებო, რომ სარკობისა და პალოს აღმნიშვნელი სიტყვა ვაზის საყრდნობის სახელადაც არის სომხურში გამოყენებული. იგი მანჭო-სთან შედარებით უფრო ბოლო-შეკვეცილია, რათგან მას უკანასკნელი ხმოვანიც ჩამოსცილებია¹².

იბადება საკითხი ქართული მანა და სომხური მან ხომ ამავე გზით არ არის მანჭუალი-საგან და მანჭო-საგან წარმომდგარი? ამის შესაძლებლობის აზრს ის

¹² აპარიან-ს თავის სომხური ენის ძირთა ლექსიკონში სომხური ძამა მაქ სპარსული ამაჟისაგან წარმომდგარად მიაჩნია, ხოლო ქართულ მაქ-სა, მანჭ-ს, მემპე-ს, მანკანკალ-ს სომხური-თგან ნასესხებ სიტყვებად სთვლის (იხ. ლაქიხიანი არქაოლოგიური მათარაჟი, IV, გვ. 776—777). მას ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ბევრგან სხვაგანაც, თავის ამ დიდი ცოდნით და გასაოცარი შრომისმოყვარეობით დაწერილ ნაშრომში სიტყვის არც ვაერცლების არც, ხნიერებისა და მონათესავე სიტყვათა არსებობისა, თუ პირიქით განმარტებულობის გარემოება არა აქვს გათვალისწინებული, ამიტომ ხშირად მის დასკვნას დამაჯერებელი შთაბეჭდილების მოხდენა არ შეუძლიან და არა ერთხელ სრულებით მეთარაჟი არის. მაგ., კერძოდ მაქ-ისა და მანჭ-ის შესახებ მსჯელობის დროს, როგორ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმ გარემოებას, რომ მაქ-ს ძველსაცა და ახალ სომხურშიც თვისტომნი არ გააჩნია და, რაც კია, ყველა ამ მაქ-ისაგანვეა ნაწარმოები, ქართულში კი უკვე ძველდვე მას თვისტომნიც ჰყავდა და ძირიც მოეპოვებოდა, მაგ.: მანჭუალი. სამჭუალი, მჭუალი, ბრჭუალი და ძირი კულა, რომელიც ჩხვლეტასა და რქობას ჰნიშნავდა და რომელსაც აგრეთვე თვისტომნი გააჩნია. ამ უცილობელი გარემოების გამო მაქ-ი და მანჭ-ი სომხურში, სადაც მას ძირი არ უჩანს, ქართულითგან შეთვისებულად უნდა ვიცნოთ და არა წინაუქმო, როგორც აპარიანი ფიქრობს. მხოლოდ მანკანკალი, ვა თარცა კალ სომხური ბოლოსართის მქონებული სიტყვა, ახალი სომხური-თგან ნასესხები სიტყვაა, თვით მაქ კი ქართულია.

გარემოებაც აძლიერებს, რომ სომხურ სხვა დიალექტებში მან-ის შესატყვი-სობად მანჩი-ი და მანჩი-ი იხმარება, ე. ი. ჩნდება ის ბოლოკიდური თანხმოვანი (ოდნავ შენაცვლებული), რომლის ჩამოცილების წყალობითაც გაჩენილია მანა და მან. ამგვარად, საფიქრებელი ხდება, რომ რაჭულს პალოსი და მანას სახე-ლის უფრო ძველი ფორმა უნდა ჰქონდეს დაცული, ვიდრე ძველ სამწერლო-ბო ქართულს და რომ მანა მანჭუალისაგან არის დროთა განმავლობაში წარ-მომდგარი, რომელიც ოდესღაც ვაზის საყრდნობი სამჭუალის სახელადაც ყო-ფილა მიღებული და რომლის ანარეკლი სომხურ დიალექტებშიც არის აღბე-ქდილი.

როდეს ჩნდება ქართულ სამწერლობო ენაში სარი, ჯერ არ ვიცით. მაგრამ XI ს-ში, როგორც გ. მთაწმიდელის თხზულებითგან ჩანს, სარი და ასარეა ჩვეულებრივი სიტყვები ყოფილა, ხოლო, თუ რა დროითგან ჩნდება ეს სი-ტყვა და უძველეს ძეგლებში გვხვდება თუ არა სარი, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

საქართველოში ეს ტერმინი ფართოდ იყო და არის ეხლაც გავრცელებუ-ლი, მაგრამ ძველად, საქართველოს გარეშე, სარი საყრდნობის აღმნიშვნელ სი-ტყვად სხვაგან არსადა ჩანს, თვით ქართველთა მეზობლებშიც კი.

სარ სახელის გავრცელების არის საზოგადოების თვალსაზრისით საგლისხმოა, რომ სარი ვაზის საყრდნობის სახელად, მაგ., ძველ სომხურში არ გვხვდება, ახალში კი მოიპოვება *սարի* სარი-ს სახით (იხ. დაღბაშიანის სრული სომხ.-რუს. ლექსიკ.). მაგ რამ, როგორც აქარიანის სომხური დიალექტოლოგიური ლექსიკონითგან ჩანს, ეს სიტყვა ახალშიც მხოლოდ ყარაბაღში, შამქორისა და ყარაქლისის დიალექტებში ყოფილა ცნობილი (იხ. *Պատկանական բառարան*, გვ. 958). იქ სარი ვაზისა და ლობიოს საყრდნობის აღმნიშვნელი არის. საპ. ამატუნის ლექსიკონითგან კი ირკ-ვევა, რომ *սարու* სარუ-ს სახით ეს ტერმინი არარატის სანახებშიც არსებობს, მხოლოდ იქ ლობიოსა და სწვა მხვიარა ყვავილების საყრდნობის სახელად ყოფი-ლა მიღებული (*Հ. բառ ու բան*, გვ. 585).

რაკი სარი ძველ სომხურში არ იყო და ახალ სომხურშიც საქართველოს მოსახლერე დიალექტებშია, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს სიტყვა იქ ქარ-თულითგან უნდა იყოს შეხიზნული ვაზისა და სარის ლობიოს კულტურასთან დაკავშირებით.

მაგრამ თვით ქართული სარი მართლაც ქართულია, თუ უცხო?

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ ეგების სარს ან სპარსულ *سار* სარ-თან ჰქონდეს კავშირი, რომელიც თავსა და ერთ ცალს ჰნიშნავს, ან და არაბულ *سارى* სარი, სარ-თან, რომელიც ამართულსა და მაღალსა ჰნიშნავს? მაგ-რამ ეს ძნელი დასაჯერებელია, რათგან არც სპარსულში და არც არაბულში ამ სიტყვას ქართული სარის მსგავსი მნიშვნელობა არ უჩანს. ამ ეჭვს ის გარემო-ებაც აძლიერებს, რომ სარი ვაზის საყრდნობის სახელად არანსა და შირვანშიც არ გვხვდება, არაბული ან სპარსული სიტყვა კი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, უპარველესად იქ იქნებოდა გავრცელებული. როგორც დავრწმუნდით, იქ სარის აღსანიშნავად მართლაც სპარსული ტერმინია გაბატონებული, მაგრამ სულ სხვა, ფაჰა (იხ. აქვე).

საქართველოს მეზობელ ერთა ენაში ძველად და ეხლაც საყრდნობის აღ-მნიშვნელი სარისა, ანუ მისი მსგავსი სიტყვის უქონლობის გამო, ამ ტერმინის თვისტომნი ისევ ქართულშივე უნდა ვეძიოთ.

ქანურს დაცული აქვს სვარ ძირი, რომელიც ჩამწკრივებას, მწკრივად დაწყობას ან და ჩარქობასა ჰნიშნავს. მაგ., ათინურ-ვიწურში ფსვარუმ ვამწკრივებ-სა, მწკრივად ვაწყობ-სა ჰნიშნავს, დოფსვარი — დავამწკრივე-ს, დავაწყვე-ს. გამისვარი ჰნიშნავს გამაგებინე (ე. ი. იგულისხმება: საქმის ვითარება გამიმწკრივე, გადმომილაგეო). მესვარაფუ ათინურ-ვიწურად ყერო-ს ან და მესერა, ე. ი. მიწაში მიჯრით მწკრივად ჩარქობილი მსხვილი ან და წვრილი მარგილისაგან შემოვლებულ, ან გაკეთებულ ღობეს ჰნიშნავს. ამავე ტერმინს სახლის სახურავის მწკრივად ჩაწყობილი კოჭების აღსანიშნავადაც ჰხმარობენ (ნ. მარრის ჰ. გ., 184). იოს. ყიფშიძის ჩანაწერით „დოსვარერი ქვა“ იქვე „დაწყობილ ქვა“-სა ჰნიშნავს, ალბათ ქვაფენილს, ანუ მოკირწყულს.

შემონათქვამითგან ცხადი ხდება, რომ სვარ ძირი ქანურში მწკრივად ჩაწყობისა და ჩარქობის ცნების გამომხატველია.

როგორც მესერის სახელი მესვარაფუ ქანურში სვარ ძირისაგან არის ნაწარმოები, ისევე ძველ სამწერლობო ქართულშიც მასარი, რომელიც ეხლა მესერად არის ქცეული, უნდა სარ-თან იყოს დაკავშირებული. ს. ორბელიანის განმარტებით ხომ მასარი „არს წურილის ძელით ყეროს მსგავსად (ე. ი. „აღმა დასობით“) შემოვლებული“ ზღუდე, ანუ ღობე (ლექსიკ.).

მესვარაფუ ალბათ მასვარაფული-საგან უნდა იყოს ბოლომოკვეცილობით წარმომდგარი და მარგილი-ს მსგავსად არის ნაწარმოები.

სარისავე მონათესავე სიტყვა უნდა იყოს ისარი-ც, რომელიც დაბადებისა და სხვა უძველესი ძეგლებითგან მოყოლებული დღევანდლამდე ჩვეულებრივი ტერმინია. იგი ამავე და სრვა ძირისაგანაა ნაწარმოები და თავდაპირველად შერქობისა და ხოცვისათვის განკუთვნილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

სვარ ძირის ზედმიწევნით ანარეკლად უნდა იქნეს მიჩნეული იმერულ კილოში დაცული ტერმინი ფსვალი, რომელიც, ვ. ბერიძის ცნობით, წულის კალაპოტის დასამატებელი სოლის სახელია (იხ. სიტყვის-კონა, 38). რასაკვირველია, ფსვალი იგივე სოლი-ა, რომლისათვისაც საბას მხოლოდ „ხის გასაპობი“ ჩასარქობის მნიშვნელობა აქვს მოყვანილი, მაგარმ რომლის მნიშვნელობაც ამაზე გაცილებით უფრო ფართოა, საკმარისია თუნდაც ურმის, ან ეტლის თვლის სოლიც გავიხსენოთ ამის ცხადსაყოფელად. მაშასადამე, სოლი მარტო ისეთი პატარა ჩასარქობის სახელი არ ყოფილა, როგორც წულის კალაპოტისათვის არის საჭირო, არამედ მოზრდილისაც.

საგულისხმოა, რომ მეგრულად სოლს (ხის გასაპობსაცა და ურმ-ეტლის თვლისასაც) ხალი, ხაი (ბანძა-მარტილში) და ფსალი (სამურზაყანოში) ეწოდება (მ. გ., 315). უკანასკნელი ფორმა იმერულ ფსვალი-საგან მხოლოდ ვ თანხმოვანის უქონლობით განიარჩევა. მაგრამ თვით ფსვალი კი კარგად უდგება ქანურში დაცულ იმ ძირს სვარ-ს, რომლისგანაც მხოლოდ რ და ლ შენაცვლებით განსხვავდება.

ამნაირად ირკვევა, რომ სარი უნდა სვარ და სრვა ძირებთან ისევე, როგორც ისარ-თან, მასარ-თან, მესერ-თან, ფსვალ-თან, სალ-თან და სოლ-თან იყოს დაკავშირებული და თავდაპირველად უნდა სარქობის, მწკრივად ჩაყრილი მარგილის, ანუ საყრდნობის აღმნიშვნელი ყოფილიყო. არსებითად მას შემ-

დედაც ასეთივე მნიშვნელობა შეჰქრია, რამდენადაც ასარული ვენახი ჩვეულებრივ მწკრივზე იყო ხოლმე გაშენებული.

მაგრამ ქართულ სვარ ძირსა და სარსა, ფსვარსა, ფსალსა. სალსა და სოლს შორის, ერთის მხრით, და ჰინდურს svaru-ი-ს, რომელიც სამსხვერპლო სვეტსა და გრძელ ძელს ჰნიშნავდა,—ლათინურ surus-სა, რომელიც ტოტისა და მარგილის სახელი იყო,—და მარგილების აღმნიშვნელ ძველ-ზემო-გერმანულ swiron-სა,—შვეიცარიულ Schwiren-სა, რომელიც მარგილს ეწოდება,—და სვეტის აღმნიშვნელი ანგლოსაქსურ swer, sweor და swyr-ს¹³ შორის, მეორე მხრით, ბგერითი შემადგენლობითაცა და მნიშვნელობის მხრივაც იმდენად თვალსაჩინო მსგავსება ემჩნევა, რომ ამ გარემოების უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ხოლო, რაკი არც ერთ ამ ენათაგანში ზემომოყვანილი სიტყვები, ქართული სარი-ს მსგავსად, ვაზის საყრდნობის სახელად არ იშმარება და უშუალოდ მით ერთმანეთისაგან შეთვისება არ შეეძლოთ, შუამავალი კი არავინ ჩანს, ამიტომ ამ მსგავსების ბუნებისა და თვისების საკითხი აქ განსაზღვრელი არ არის, არამედ, მარგილის (ლათინურ სახელ sudis-სა და ქართული სუეტ-ის ურთიერთობის საკითხთან ერთად, ცალკე უნდა იქმნეს გარჩეული.



სურ. 5. ვენახის მოვლა-ბარვა და მუნობა. ქრუჱის XII ს. ოთხთავი (საქ-ოს მუზ. № H 1667 მხატვრობა)

ჭიგო აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში თუ ვაზის საყრდნობის სახელია, ჭიღვა, ან და ჭიღვემ დასავლეთ საქართველოში ხარდნის ირგვლივ ვა-

¹³ Surus-ისა და მის მონათესავე ზემომოყვანილ სიტყვებზე იხ. Alois Walde-ს ლათონ. ეტმ. ლექსიკონი.

ზის დასაკავებლად შემოვლებული წნელის აღმნიშვნელია (იხ. ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა, 66). სხვა მონათესავე კიგოს ქართულში არ უჩანს, ჯერჯერობით მაინც.

იქნება კიგო და მეტადრე კიღვა ძველსა და ახალს სომხურში შტოს, ზროსა და ტოტის აღმნიშვნელ სიტყვას *ჩიღ* კივლ-ს ენათესაებოდეს, რომელიც ძველში კივლ-ად, ხოლო საშუალოსა და ახალში კვლ-ად გამოითქმოდა და გამოითქმის ეხლაც. მაგრამ ეს სიტყვა ვაზის საყრდნობის სახელად სომხურში არც ძველად იხმარებოდა და არც ეხლა იხმარება. ამიტომ როგორც ქართული და ისევე სომხური ამ ტერმინების ეტიმოლოგია ჯერ გამოსარკვევია¹⁴.

დასასრულ, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე მეგრულში ვაზის საყრდნობს ჯგუნჯგი ეწოდება და ამისგანვეა ნაწარმოები სასარესი და სახარდნეს სახელი ოჯგუნჯე-ც. რომელიც საჯგუნჯგეს ჰნიშნავს (იხ. იოს. ყიფშიძის მ. გ., 412).

უკანასკნელი ტერმინი გვაფიქრებინებს, რომ ჯგუნჯგ-ში გ-ბგერა შესაძლებელია შენაზარდი იყოს. ერთი მხრით, ეგების, იგი ჭანური სიტყვის ჯუნჯული-ს მონათესავე იყოს, რომელიც მოგლეჯილსა და დასახიჩრებულსა ჰნიშნავს (კუჩხე-ჯუნჯული ფეხ-მოგლეჯილი, ფეხ-დასახიჩრებული, ხეჯუნჯური ფეხ-მოგლეჯილი, ფეხ-დასახიჩრებული), მეორე მხრით ძველი ქართული ჯგვერი-ს მონათესავე იყოს, რომელიც „ხის სადგისი“-სა, „გინა ჯოხის წვერი“-ს (საბას ლექსიკ.), ალბათ უფრო წვეტიანი ჯოხის აღმნიშვნელი ყოფილა. ეგების მასთან რაიმე კავშირი ჰქონდეს იმერულში „ხეზე მრავლად ამოყრილი შტო“-ს აღმნიშვნელ ჯორჯლებ-საც (ეს სიტყვა იხ. ვ. ბერიძის სიტყვის-კონაში).

ვაზის საყრდნობის სახელების ზემომოყვანილი ანალიზი ადამიანს დაარწმუნებდა, რომ, პალოსა და ხარდანს გარდა, რომელთაგან პირველი ვაზის საყრდნობის აღსანიშნავად ქართულში არც იხმარებოდა, ყველა ქართულია. ხარდნის გავრცელების არეც ერთი თემის საზღვრებს არ სცილდება. ამ დაკვრებითგან შესაფერისი დასკვნის გამოყვანა შეიძლება.

თავი VI. ვაზის მოვლა

§ 1. ვაზის ლერწის განსაკუთრებული თვისება და გასხვლის მნიშვნელობა

ვაზს ყველა სხვა ნაყოფიერ ხეზე, ხეხილზე მეტი მოვლა და მზრუნველობა სჭირდება. ეს გარემოება ძველ ქართულ საისტორიო თხზულებებშიც კია აღნიშნული. თუ გრ. ხანძთელის ცნობა, რომ კლარჯეთში მოსახლეობას „ვენაჯნი ჰირითა და ურკითა დაუნერგვიან“ (ცა გვლ ხნძთლსა, კდ) უმთავრესად საქართველოს ამ თემის ნიადაგის მევენახეობა-მებაღეობისათვის შეუფერებლობის ცხადსაყოფელად არის მოყვანილი, გ. მთაწმიდელს ხომ პირდაპირ აქვს აღნიშნული, რომ ახალ-გაშენებულ ვენახს დიდი და ხანგრძლივი დამუშავება და მოვლა სჭირდებოდა. მას ნათქვამი აქვს, რომ ათონის ქართველთა სავანის

¹⁴ სომხური ბიღ-ს შესახებ უცნობები და ეტიმოლოგიები იხ. აქარანის სომხური ენის ძირითა ლექსიკონი, IV, 656—658-ზე.

ძმები, „ვინააფთვან ახალ-ნერგ იყვნეს წუთლა ვენაჯნი“, ამიტომ „უფროდსნი დღენი ვენაჯთა შრომასა შინა დაჰყენიან“-ო (ც^ა ი^ე და ეფთმ^სნი, 74).

იმ მრავალნაირ სამუშაოთაგან, რომელსაც მევენახენი ეწეოდენ, გ. მთაწმიდელს მხოლოდ სამიოდე აქვს დასახელებული. მას აღნიშნული აქვს, რომ ვაზებს „ყოველთა სართთა განგებაჲ უნდა“, რომ „ვენაჯთა ასარგვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულებასა“ ზედა უნდა ეზრუნათ (იქვე, 47).

რა თქმა უნდა, გ. მთაწმიდელს ზემომოყვანილ ცნობაში უკლებლივ ყველა სავენახე სამუშაო არა აქვს ჩამოთვლილი. ასეთი მიზანი მას დასახული არც ჰქონია. ამიტომაც არის, რომ მას ზოგიერთი, წესიერი მევენახეობისათვის ფრიად მნიშვნელოვანი, სამუშაო არ დაუსახელებია.

ვენახსა და ზვარს ყოველ წლივ „შემუშავება“ სჭირდებოდა. ამ დამუშავების გარკვეული, ყველასგან, ვინც კი წესიერ მევენახეობას მისდევდა, ცნობილი წესი და რიგი არსებობდა. ამას ეწოდებოდა ვენახის, ან და „ზურის მუშაობა ყოველისფერით“ (ვახტანგ VI, დასტურლამალი, გვ. 26, § ნბ). ვენახის ყველაფრით დამუშავება — ბარვას, სასუქით გაპოხიერებას, დაწინდვას, გასხლვას, ასარვას და სხ. ჰკულისხმობდა (იქვე, გვ. 8, 9, 17, 45, 75—76, 97—98).

უკვე თეოფრასტემ, კოლუმელამა და პლინიუსმა იცოდენ, რომ ვაზისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი და მარგებელი გასხლვა იყო. უკანასკნელს აღნიშნული აქვს ის ფრიად დამახასიათებელი თვისება. რომელიც ვაზსა ჰქონდა და გასხლვის დროს ემჩნეოდა, სახელობრ, რომ რამდენადაც მას ლერწს ჩამოაცილიდენ, იმდენად მისი ნაყოფიერება მატულობდა (Natur. hist., XVII, 35, 16)¹⁵.

ვაზისათვის გასხვლის უაღრესი მნიშვნელობა იმდენად ღრმად ჰქონდათ საბერძნეთში შეგნებული, რომ იქ გასხვლის დღესასწაულიც კი იყო დაწესებული, რომელსაც ყოველ წლივ იხდიდენ ხოლმე (R. Billiard, La vigne, გვ. 346). თანამედროვე აგრონომიული მეცნიერებაც ძველი აგრონომების ზემოაღნიშნული დაკვირვების სიმართლეს ადასტურებს. გასხლვა-შეკრეჭა ყველა ხეხილზე ერთნაირად არ მოქმედებს: ზოგს იგი ძალზე ვნებს, ზოგს კი პირიქით ჰრგებს. ყველაზე მეტად გასხლვა ვაზისათვის არის მარგებელი, რომელსაც ამის წყალობით ნაყოფიერების უნარი უძლიერდება და მეტ ყურძენს ისხამს (იქვე, გვ. 346).

მაგრამ ვაზის გასხლვა ადვილი საქმე არ არის: მას განსაკუთრებული ცოდნაცა და გამოცდილებაც სჭირდებოდა. მევენახეს უნდა სცოდნოდა ვაზის რომელი რქები და სად, ან რა დროს უნდა მოეჭრა, რათგან უვიც გამსხვლელს შესაძლებელია ვაზისათვის ისეთი ვნება მიეყენებინა, რომ ის გამხმარიყო. უპირველესად გამსხვლელს ამისათვის შესაფერისი დრო უნდა შეერჩია.

ვაზი გარკვეულ დროს უნდა გაისხლას. ამაზე ქება-ქებათაჲს 2₁₂-ში მხატვრულად არის ნათქვამი: „ყვავილნი გამოჩნდეს ქუეყანასა ზედა, ჟამი სხულისა მოიწია, კმაჲ გურიტისა ისმაჲ ქუეყანასა შინა ჩუენსაო“-ო. „სხულაჲ“ ბერძნ. ἡ τρυφή-ს ჰეტომეს, ლათ. putatio-სა და მოს. *посоуха*-ს უდრის.

თუმცა გასხვლის აღსანიშნავად ბერძნულად მართლაც აპოტემენინსა და ჰეტომეს. ლათინურად putatio-ს ჰხმარობენ, მაგრამ ბერძნულად ამისათვის უფრო ჩვეულებრივად კლადეჯის-ი, კლაზის-ი, კლადეია იყო მიღებული ისევე, როგორც

¹⁵ Quidquid materiae adimitur, fructui accedit.

ლათინურში, პლტაციო-ს გარდა, resectio-ც იხმარებოდა (R. Billiard, La vigne, 345).

როგორც ზემომოყვანილი ამონაწერითგან ჩანს, ვახის დროს ძველად უკვე სხულისაჲ პრქმევია, ხოლო ვახის დროის დადგომას თურქე მოწვეა-ს (მოწვეა სხულის უამისაჲ) ეძახდენ.

ქება-ქებათაჲს ავტორის ნათქვამითგან ირკვევა, რომ ვახის ვახსვლა პალესტინაში ვახაფხულზე სცოდნიათ. იმ დროს, როდესაც მცენარეულობა აუვავებას დაიწყებდა ხოლმე. მაგრამ ყველგან არ იქცეოდენ ასე: უკვე რომში და იტალიაში ეს საკითხი საკამათოდ იყო ქცეული, რათგან ზოგი მევენახე და აგრონომი შემოდგომის ვახსვლას რჩებოდა, ზოგი კი პირიქით ვახაფხულის სვლას უკეთესად სთვლიდა. კოლუმელსაჲ და პლინიუსაჲ ეს ორი მოპირდაპირე მიმართულება შეათანხმეს და სრულებით სამართლიანად შემდეგი დებულება წამოაყენეს: თბილ ქვეყანაში ვახი სჯობია შემოდგომაზე ვახსვლას. ცივში კი — ვახაფხულზეო (R. Billiard, La vigne, გვ. 347—348).

როგორც წესს მისდევდენ ძველად საქართველოში, ამის შესახებ ძეგლებში ჯერ არსად ცნობები არა ჩანს, XIX ს-ში კი კახეთში ვახს, დარისდა მიხედვით, შემოდგომასაც ჰსწავდენ და ვახაფხულზეც (СНДБВРВДК, VII, 53). ასევე იქცეოდენ ქართლშიც, მაგრამ აქ უმეტესად ვახაფხულის სხლვას პრჩებოდენ (იქვე, VIII, 54—55). იმერეთშიც ვახსვლას უმთავრესად ვახაფხულზე მისდევდენ, მაგრამ შემოდგომაზეც იცოდენ (იქვე, III, 24). ლეჩხუმში მხოლოდ ვახაფხულზე სწავდენ (იქვე, III, 84—85). გურიასა და სამეგრელოშიც უფრო ხშირად ვახაფხულის სვლასა პრჩებოდენ, მაგრამ ზოგჯერ შემოდგომაზეც ჰსწავდენ ხოლმე (იქვე, IV, 78).

საბა, რასაკვირველია, მართალი იყო, როდესაც ამბობდა, რომ „სხლვა რტოთ მოკუეთა“-აო (ლექსიკ.). თავდაპირველად ამ ვახს სწორედ ასეთი ფართო მნიშვნელობა ჰქონდა. მაგრამ შემდეგში განსაკუთრებით ვახის რტოთა მოჭრის აღსანიშნავად იხმარებოდა და ესლაც იგივე მნიშვნელობა აქვს მას შენარჩუნებული.

ამ ზმნისაგან ნაწარმოები ტერმინი ნასხლევი-ც არსებობდა. რომელიც დანიელის 3⁴⁶-შია ნახმარი: „არ დასცხრებოდეს... მგზებლნი საქმილისა ნავთისა და ფისსა და ნაძენძსა და ნასხლეგსა“. ბერძნულ თარგმანში „ნასხლევი“-ს ἡ ἀκρυμασία ჰეკლემატი-ს უდრის, ლათინ. mallowis-ი და სომხ. *ჩქ* ვორთ-ი, რომელნიც ვახის მოჭრილ ტოტსა ჰნიშნავენ.

ვახის მოჭრილ რქას ქართულად მეორე სახელიც ჰქონდა და აქვს ესლაც. თანამედროვე ქართულშიც ძველებურად ამისთვის წალამი იხმარება. ს. ორბელიანსაც ნათქვამი აქვს: „წალამი ვახის ნასხლევი“-აო (ლექსიკონი).

§ 2. ვახის რქების სხვადასხვა დანიშნულება და ვახსვლის წესი

ამპელოგრაფიის ქართული ტერმინოლოგიის განხილვის დროს (იხ. აქვე, გვ. 314) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ დაკვირვებამ აღამიანს ვახის ნაყოფიერი და უნაყოფო რქების გარჩევა შეასწავლა. ამ გარემოების წყალობით ვახის რქათა მართლ ხნიერებისა კი არა, არამედ დანიშნულებისა მიხედვით განსხვავებული სახელებიც შეიქმნა. რაკი ვახსვლის მიზანი ვახის ნაყოფიერ-

ბის გაძლიერება იყო, ამიტომ გამსხვლელს, რა თქმა უნდა, უპირველესად ის უნდა სცოდნოდა, თუ რომელ რქას რა დანიშნულება აქვს.

რათგან ვაზის რქების ხნიერებისდა მიხედვით განმასხვავებელი ტერმინები უკვე განხილული გვაქვს, აქ უნდა ვაზის ტოტების იმ სახელებზელა გვქონდეს საუბარი, რომელნიც მათი დანიშნულების აღმნიშვნელია. ისეთი ძველი ძეგლები, სადაც ამნაირი ტერმინები იყოს, ჯერ არ მოგვეპოვება. ამიტომ დროებით ამ საკითხის გასაშუქებლად ხალხში წარსულითგან XX-მდე შერჩენილი ამ დარგის ტერმინოლოგია უნდა გამოვიყენოთ.

ვაზის წესიერ გასხლვაზე ლ. ჯორჯაძეს ნათქვამი აქვს: „რაც უნდა დიდი და ღონიერი ვაზი იყოს, ორი რქა უნდა შეარჩინოთ გრძლათ და მესამე მოკლეთ ორ კვირტზედ, რომელსაც ეძახიან ნეკსა“ (იხ. მევენახეობა, 1876 წ., ტფილისი, გვ. 67). ზემომოყვანილითგან ირკვევა, რომ ნეკი მოკლედ, ორ-სამ კვირტზე გასხლილ რქას ეწოდებოდა.

სამამულე რქა-ც ლ. ჯორჯაძის წიგნშია აღბეჭდილი, მაგრამ მისი მნიშვნელობა განმარტებული არა აქვს. ვენახის გასხლვაზე საუბრის დროს ლ. ჯორჯაძე ამბობდა: ვაზის გასხლვა საერთოდ შემოდგომაზე სჯობია, მაგრამ სადაც ცივი და ყინვიანი ზამთარი იცის. იქ გაზაფხულზე უნდა გაიხსლას, რათგან შემოდგომაზე გასხლილი რქა რომ ზამთრის ყინვამ გააზმოს, მაშინ „სხვა აღარ შერჩება ვაზსა სამამულე რქა“-ო (იქვე. გვ. 66, იხ. აგრეთვე გვ. 72).

სამამულე რქის რაობა აგრონომ ვ. ბიბილაშვილის ნაშრომშია განმარტებული. მისი სიტყვით „ვაზზედ დატოვებულს მოკლე ორ-სამ-კვირტიან რქას სამამულეს ანუ ნეკს და გრძელს კი სანაყოფოს, ან და ზოგან საკავებელს, ზოგან გაბმულას“ ეძახიანო. ამავე ავტორს განმარტებული აქვს, რომ „ძველ ვაზზე გამოსული ტოტი უნაყოფოა და ნაყოფიანებია მხოლოდ“ ის „ტოტები“, რომელნიც „გამოსულია შარშანდელ ვაზის ტოტიდან“-აო¹⁶. ძველ ვაზზე გამოსული „რქის სანაყოფოდ დატოვება. მოჭრა გრძლად, ხელსაყრელი არ არის. საჭიროა „მხოლოდ მისი გასხვლა სამამულედ, ანუ დანეკვა ორ კვირტზე. მომავალ წელს შესაძლებელი გახდება მასზედ სანაყოფო რქის გამოყვანა“-ო (იხ. „ვაზის გასხვლა“, 1925 წ., გვ. 5).

1910 წ. ს. ხოვლეში ლექსა ჯანანაშვილისაგან გაგონილი და ჩაწერილი მაქვს ტერმინი ტყუილი რქა. მისი განმარტებით, „რომელი რქაც ყურძენს არ ისხამს, იმას ტყუილი რქა ჰქვიან“.

ზემომოყვანილი ცნობების ერთმანეთთან შედარების შემდგომ, შემდეგი დასკვნის გამოყვანა შეიძლება: რაკი ტყუილი რქა ისეთი რქის სახელი ყოფილა, რომელიც ყურძენს არ ისხამს, ხოლო, ჩვეულებრივ, ვაზის უნაყოფო ტოტად მუშა-ვაზზე გამოსული ტოტი გამოდგება ხოლმე, ამიტომ საფიქრებელია, რომ ტყუილი რქა სწორედ ასეთი, მუშა-ვაზზე გამოსული, უნაყოფო რქის სახელი უნდა იყოს.

ნეკი-ს რეალური რაობა ვიცით: ის ორ-სამ კვირტზე გასხლილ რქას წარმოადგენს. მას ასეთი, ყველაზე უმოკლესი თითის, სახელი იმიტომ სწოდებია, რომ ვაზის ტოტთა შორის ყველაზე უმოკლესია, ორ-სამ კვირტზე გასხლილობის გამო, იმ დროს, როდესაც დანარჩენი ტოტები ოთხკვირტიანზე მოკლე არ

¹⁶ ნამდვილად უნდა ნათქვამი იყოს: „ვაზის შარშანდელი ტოტიდან“.

არის, უფრო ხშირად კი, ექვსი და მეტკვირტიანები იყო. ამნაირად ნეკი ვაზის რქის სიგრძე-სიშორის თვალსაზრისით დამახასიათებელი სახელი ყოფილა.

როგორც ვ. ბიბილაშვილის ზემომოყვანილი ცნობითგან ირკვევა, ვაზის მოკლედ, 2—3 კვირტზე გასხლვას დანეკვა ეწოდება.

ეს ტერმინი ნეკვა, მონეკვა და გადანეკვა-ს სახით იმერეთსა და რაჭაშიც იყო გავრცელებული: ვ. ბერიძის განმარტებით, ეს ტერმინები „ვაზის კვირტზე გადაჭრა“-სა ჰნიშნავდა „გაზაფხულზე“ („სიტყვის კონა“, გვ. 32), მაგრამ ეს განმარტება სრული არ არის.

ერთი წლის ახალ-ნერგ ვაზს შემოდგომაზე რომ გასხლავდნ და მხოლოდ ერთს, ღონიერს, ჩვეულებრივ ქვედა რქას სტოვებდნ, რომელსაც ორ კვირტზე სხლავდნ, ე. ი. დაჰნეკავდნ ხოლმე, ამას კახეთში დატონკა-ს ეძახდნ. ბევრი მევენახე დატონკას შემდეგი წლის გაზაფხულზე ჰრჩეობდა (ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი: С6СвВгВдК, VII, 47).

ეს ტერმინი დასავლეთ საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ოდნავ შეცვლილია და მეხილეობაშია გავრცელებული. აგრ. გ. ამბროლაძის ცნობით, სამტრედიის სანახებში, მაგ. ს. ბაშში, „თუთის ხის მოკლედ დაბელვას (ე. ი. შეკვეცას), ანუ გაახალგაზრდავებას დატოკვა ჰრქმევიან“.

იმერეთშიც დაბლარად დაყენებულ ვაზზე გასხლვისას სტოვებენ ხოლმე ერთს, ან და ორს, მოკლედ, 2—3 კვირტზე გასხლილ რქას, რომელსაც ნეკი ეწოდება. მაგრამ იქ, მაგ. ქუთაისის სანახებში, ასეთ მოკლედ მოჭრილ ტოტს, ნეკს გარდა, საწინაო-საც ეძახდნ (ერმ. ნაკაშიძე, Виноградство в Имерети: С6СвВгВдК, III, 24 და 25).

თუმცა ნეკს იმერეთში მუშა-ვაზზედაც სტოვებენ, მაგრამ მომეტებულად და ჩვეულებრივ ნეკი ძველ რქაზე, ე. ი. ორწლიან ტოტზე იყო ხოლმე დატოვებული. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ყურძენს ნეკიც ისხამს ისე, რომ აქ დანიშნულებითი განსხვავება საყურძნე რქასა და ნეკს შორის უკვე არ არსებობს.

სამამულე რქის სახელის პირველადი მნიშვნელობის გაგება გაგვიადვილდება, თუ ამ სიტყვაში „მამულის“-ს მნიშვნელობა გათვალისწინებული გვექნება. მამული, ვითარცა მამულისაგან წარმომდგარი, სავარაუდოს, მამისაგან მიღებულს, მემკვიდრეობითს საკუთრებას ჰნიშნავდა (იხ. ჩემი „ქართული სამართლის ისტ.“, II, ნაკვ. 2, გვ. 388—89). გურიაში, იმერულსა და რაჭულ თქმაში მამული ვენახსა და ზვარსაც ჰნიშნავს (ვ. ბერიძის სიტყვის-კონა). ამისდა მიხედვით სამამულე რქა სამემკვიდრეო ტოტის, ე. ი. ვაზის ისეთი ტოტის აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომელიც ვენახის არსებობის გაგრძელებისათვის არის განკუთვნილი. ამნაირად ირკვევა, რომ თვით ტერმინი სამამულე რქა ამ ტოტს ყურძნის მომსხმელად არ გულისხმობს. სამაგიეროდ მისი შინაარსი კარგად უდგება ნეკის დანიშნულებას, რათგან ის სწორედ ახალი, საყურძნე ტოტების გამოსატანად არის განკუთვნილი. მაშასადამე, სამამულე რქა, მართლაც, ნეკი-ს სინონიმი უნდა იყოს იმ განსხვავებით, რომ ნეკი ვაზის ტოტის სიგრძის დამახასიათებელი სახელია, სამამულე რქა კი მისი დანიშნულების გამომხატველია.

ამ განმარტების სისწორეს შემდეგი ცნობაც ადასტურებს. რაჭაში, აგრ. ა. გამყრელიძის სიტყვით, რომლისთვისაც დიდად ვმადლობთ, ერთწლიან ვაზზე მოკლედ გასხლილ რქას თურმე საწინდარი ეწოდება.

ტოტს, რომელიც ყურძენს ისხამს, საყურძნე რქა, ანუ სანაყოფო რქა ჰრქმევიან. ადვილი მისახვედრია, რომ საყურძნე რქა უნდა გრძლად გასხლილ ტოტს წარმოადგენდეს.

ზემომოყვანილი ერთი ცნობის თანახმად, საყურძნე ანუ სანაყოფო რქას ზოგან საკავებელს, ზოგან კი გაბმულას ეძახიან. ვითარცა გრძლად გასხლილ ტოტს, სანაყოფო რქას, რასაკვირველია, სარზე, ან ხეზე დაკავება და მიბმა სჭირდება, ამიტომ სრულებით ბუნებრივია, რომ მას საკავებელიც ერქვას. თუ საყურძნე, ანუ სანაყოფო რქა ვაზის გრძლად გასხლილი ტოტის, მისი განკუთვნილობის მიუწყებელი არის, საკავებელი რქის მდებარეობას, დასაკავებადობას გამოჰხატავს.

საექვოა მხოლოდ, რომ გაბმულა ყოველი საყურძნე რქის აღმნიშვნელი და სინონიმი იყოს. ერმ. ნაკაშიძის ცნობით, ქუთაისის სანახებში ვაზის გასხლისას სამითგან ხუთამდე რქას 8—9 კვირტზე გასხლილს სტოვებენ თურმე საყურძნედ. ერთს ამ სანაყოფო რქათაგანს დანარჩენებზე უფრო გრძლად, 10 და მეტ კვირტზეც კი სჭრიდენ და მას მახლობლად მდგომი ვაზის სარზე მიამდენ ხოლმე. როგორც ჩანს, ასეთ რქას გასაბამი ჰრქმევიან (იხ. Виноградстве и Иммеретии: ССВВГВДК, III, 25). საფიქრებელია, რომ გაბმულა-ც სწორედ ასეთივე, უგრძელესი, მეზობელი ვაზის სარზე გადაბმული, საყურძნე რქის სახელი უნდა იყოს.

§ 3. სასხლავი იარაღი

ვაზის გასასხლავად საქართველოში განსაკუთრებულ მკრელ იარაღსა ხმარობდენ, რომელსაც საქართველოს სხვადასხვა თემში სხვადასხვა სახელს უწოდებდენ. მაგ., ვაზის გასასხლავად კახეთში ნამგლის მაგვარი დანა იყო გავრცელებული, რომელსაც სავაზე ეწოდებოდა (ა. ფირალოვი და ს. შავერლოვი, ОчВГВД Кახетии: ССВВГВДК, VII, 54).

ა. ფირალოვსა და ს. შავერლოვს ნათქვამი აქვთ, რომ სპეც. მწერლობაში ხშირად რევენ და სავაზეს წალდს უწოდებდნო, რაც დიდი შეცდომააო (იქვე, VII, 58, შენ. 1). მაგრამ ამ ავტორებს დაჰვიწყებიათ, რომ თუ კახეთში სავაზე და წალდი სხვადასხვა დანიშნულების იარაღი იყო, ზოგიერთ თემში მევენახე ვაზს წალდითა სხლავდა. მაგ., ქართლში. არაგვის ხეობის დასავლეთის სანაპირო თემში, ვაზის გასასხლავად სწორედ წალდსა ხმარობდენ (Очерк ВДК: ССВВГВДК, III, 250) ასევე იყო, როგორც დავრწმუნდებით, გურიაშიც.

იმერეთშიც ვაზის გასასხლავად ნამგლის მსგავსს იარაღსა ხმარობდენ, მაგრამ მას სასხლავი ეწოდებოდა (ერმ. ნაკაშიძე, Виноград. в Имеретии: ССВВГВДК, III, 25). ასეთსავე სახელს, სასხლავს-ს ჰხმარობდენ ამ იარაღისათვის რაქაშიც (ილ. ბახტაძე: МИЭБГКЗК, II, *51).

გურიაში კი ვაზის გასასხლავად მევენახეს ერთადერთ იარაღად წალდს ჰქონდა. ამასვე ხმარობდენ სამეგრელოშიც, სადაც წალდს ბურჭული ეწოდებოდა (ერმ. ნაკაშიძე, ОчВГВД Гური и Мингрелии: ССВВГВДК, IV, 79). კანუარადაც წალდს ეს სახელივე ჰქვიან (ჭ. გ.).

ამნაირად, ვაზის გასასხლავად განკუთვნილი იარაღის სახელად საქართველოში სულ ოთხი სიტყვა არსებობდა: სავაზე, სასხლავი, წალდი და ბურჭული. ამასთანავე უკანასკნელი ამჟამად მხოლოდ მეგრულსა და ქანურშია დაცული, მაგრამ სავარაუდოდ სახელი ბურჭულაძე ცხადპყფს, რომ ეს ტერმინი წინათ ლიხთ-იმერეთის სხვა თემებშიც უნდა ყოფილიყო.

ს. ორბელიანისათვის „წალდი ფიჩხის საკაფი“ იარაღი იყო მხოლოდ (ლექსიკ.) და ჩვეულებრივ ამ სიტყვის მნიშვნელობა კახეთსა და ქართლში ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ თემში, ეხლაც ასევე ესმით. ამგვარად, წალდი მარტო ვაზის გასასხლავი იარაღისათვის განკუთვნილი სახელი არ არის.

მაშასადამე, ვაზის მოსაპრელი იარაღის სახელად განკუთვნილ ტერმინებად შესაძლებელია მხოლოდ ორი სიტყვის, სავაზისა და სასხლავის მიჩნევა, ხოლო, თუ გავიხსენებთ, რომ სხლვა თავდაპირველად ზოგადად „რტოთა მოკნეთის“ აღმნიშვნელი იყო და, როგორც დაერწმუნდით, ლათინურ putatio-ს უდრიდა, ცხადი შეიქმნება, რომ სასხლავი ძველი რომაელების falx pupatoria-ს, ე. ი. „სასხლავ ნამგალს“ უდრის. ამნაირად ეს სიტყვა რტოთა მოსაპრელად განკუთვნილი იარაღის ძველი ქართული ზოგადი სახელი ყოფილა.

ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ვაზის ტოტების მოსაპრელად განკუთვნილი იარაღის სპეციალურ სახელად შესაძლებელია მხოლოდ სავაზე იქმნეს მიჩნეული. მაგრამ ეს ტერმინი საქართველოს მარტო ერთ თემში, კახეთშია გავრცელებული და სხვაგან არსადა ჩანს. ხოლო, რაკი ტოტების მოპრის აღსანიშნავად ძველ ქართულში სხვლა იყო მიღებული, რომელიც ეხლაც არის მთელ საქართველოში მიღებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ იარაღისათვის უძველეს ტერმინად უნდა სასხლავი ვიცნათ, სავაზე კი შემდეგში უნდა იყოს კახეთში გაჩენილი, იმ თემში, რომლის სასოფლო მეურნეობისა და არსებობის მთავარ წყაროს სწორედ მევენახეობა შეადგენდა და ამ თემის უაღრესი დასაუციალების შედეგს უნდა წარმოადგენდეს ამ დარგში.

თავი VII. დაბლარი ვაზის ასარვა, ანუ შემსარვა და დაკავება: შემოწმისა და შეხელვის რაობა

დაბლარი ვაზისათვის ხელოვნური საყრდნობის შედგმას ძველ ქართულში „ვენაჯთა ასარვა“ ეწოდებოდა, ან და „სართა განგება“. გ. მთაწმიდელს აქვს აღნიშნული, რომ ათონის ქართველთა სავანის ბერები „უფროსნი დღენი ვენაჯთა შრომასა შინა დაკვენიან“, რათგან ვენახები ახალნერგი იყო და „ყოველთა სართა განგება უნდა“-ო, თითქმის მთელ თავიანთ დროს ამ ხანაში „ვენაჯთა ასარვას“ ანლომებდენო (ც^ა ი^ე და ეფთმ^სი, 47).

თანამედროვე ქართულში ორი ზემომოყვანილი ტერმინის მაგიერ შესარვა, ან და სარის, ან ჭიგოს შედგმა იხმარება. ლ. ჯორჯაძეს, მაგ., ნათქვამი აქვს: „შესარვა ვენახისა... პატარა... ვენახსა ჭიგო უნდა შეადგას და დიდ ვაზსა სარი“ — „შესარვაში... უნდა ღრმათ ჩაერჭოს სარი ანუ ჭიგო“-ო (მევენახეობა, 69).

სარსა და ჭიგოს ისევე, როგორც ხარდანს, მოჭრას გარდა, ვაზისათვის შედგამდნენ წინასწარ დაჩეკა სჭირდება. ეს ტერმინი ლ. ჯორჯაძის ნაშრომშია შეტანილი (მევენახეობა, 69). იგი ჩეკა-სთან უნდა იყოს დაკავშირებული, რომელიც ბოლოში წაწვეტალებს გრძელ სარს წარმოადგენს.

ამ ჯოხს სახვენელზე მოხვნის დროს მიკრული მიწის ჩამოსაშორებლად და ზოგჯერ ბელტის დასათმუნებლადც ხმარობენ. ს. ორბელიანსაც მოეპოვება და ნათქვამი აქვს: „ჩეკი¹⁷ გუთნისდედის საწმენდი ჯოხი“-ათ (ლექსიკ.). მართლაც, ჩეკა ეხლაც გუთნისდედის უჭირავს ხელში. ამნაირად დაჩეკა სარ-ხარდან-ჭიგოს დასხვევისა და მეტადრე წაწვეტიანების აღმნიშვნელი უნდა იყოს, რომ მიწაში მათი დამაგრება გაადვილდეს.

ვაზის დამაგრებას ან მიკვრას დაკავება, ანუ ვენახის შეკონვა ეწოდება, შეყვლევა-საც, ანუ, როგორც ხალხი ამერეთში ჰხმარობს, შეყვლევა-საც ეძახიან. ლ. ჯორჯაძის ნაშრომითგან ირკვევა, რომ „ვენახის შეკონვა“ არის „ვაზის მიკვრა... ჭიგოზედ, ანუ სარზედ“. „შეკონვა უნდა სიფრთხილით“, ამიტომ „ვაზი და მისი რქა ისე უნდა მიეკრას ჭიგოს, რომ ძალიან მოჭირებული არ იყოს“-ო (მევენახეობა, 70—71).

ს. ორბელიანს კონება, დაკონვა და საკონე მოეპოვება. მისი განმარტებით კონება „შეხუენვა“-ს ჰნიშნავდა, დაკონება კიდეც დაკვრას ეწოდებოდა (იხ. ლექსიკ. „დააკონე“), ხოლო ერთ-ერთი ჩამრთველის სიტყვით „საკონი“ „შესაკონები“-ს, „შესაყრდნობელი“-სა და „შესახვევი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა (ლექსიკ.).

1875 წ. გამოქვეყნებულ კომპილაციაში, რომელიც გ. შარტერის ცნობებზეა დამყარებული, აღნიშნულია, რომ კახეთში გასხლილ სანაყოფო რქას, როდესაც კი გამოტანლი კვირტები ორი ანდა ოთხი გოჯის სიგრძეზე წამოზრდებოდა, მრგვლად სდრეკდენ და სარზე ისე ამაგრებდენ. ადგილობრივი მევენახენი ამტკიცებენო, რომ თუ ვაზის რქა კვირტების განვითარებამდე ან წამოზრდამდე იქმნა მოდრეკილ-დაკავებული, მაშინ კვირტების თანასწორი ზრდა ფერხდებაო (Очерк ВлК:СбСвВгВлК. III, 228). თუმცა ამ სამუშაოს ქართული სახელი აღნიშნული არ არის, მაგრამ ცხადია, რომ აქ ვაზის შეყვლევაზეა საუბარი.

ვაზის დაკავების აღმნიშვნელ ერთ ტერმინთაგანად სწორედ შეყვლევა-ს ჰხმარობენ, რომელიც ქართლ-კახეთში გავრცელებული უკუქცევით ასიმბლიაციის წყალობით ხალხში შეყვლევა-დ გამოითქმის.

ვაზის შეყვლევა ვაზის გასხვლას მისდევდა. კახეთში შეყვლევას ჩვეულებრივ აპრილის მეორე ნახევრიდან იწყებდენ და ზოგჯერ ვაზის აყვავებამდე გასტანდა ხოლმე. ჯერ გასხლილი ვაზის მუშა-ვაზს ჭიგოსა ანდა სარზე ორგან, ან ორ ალაგას ამაგრებდენ, ხოლო შემდეგ გრძლად გასხლილს სანაყოფო რქას, ანუ საკავებელს ფრთხილად რკალსავით მოჰხრიდენ და ამ სახით სარსა, ანუ ჭიგოზე ამაგრებდენ ორგან, ან სამგან. როდესაც საკავებელი ორ ადგილას იყო სარ-ჭიგოზე მიმაგრებული, მაშინ რკალად მოხრილი რქის დასაწყისში და დასასრულში იყო ხოლმე საყრდნობზე მიბმული, ხოლო როდესაც სამგან, მაშინ რკალის შუა, ზემო ნაწილსაც ამაგრებდენ სარზე (ა. ფირალოვი და ს. შავერ-ლოვი, Очерк ВгВд Кахетини; СбСвВгВлК, VII, 59).

¹⁷ დაბეჭდილია ჩიკი, მაგრამ შეტომა უნდა იყოს.

შეყელვის ზემომოყვანილი აღწერილობის ავტორები ამ ქართული ტერმინის შესატყვისად რუსულად ხმარობენ „сухая подвязка лоз“ (იქვე, 59), ე. ი. „ვაზთა ხმელ მიბმა“-ს. თუმცა პ. ყანდურალოვის ნაშრომშიც ქართლის მევენახეობა-მელვინეობის შესახებ არის აღნიშნული, რომ ქართლშიც დაბარვისა და შესარვის შემდგომ გასხლილი ვაზის ნექს თავისუფლად სტოვებდენ, ზემოთს, გრძლად გასხლილ სანაყოფო რქას კი ფრთხილად მორკალების შემდგომ სარზე ამაგრებდენ, მაგრამ ის კი, თუ რა ეწოდებოდა ამას, ნათქვამი არ არის (СБСВВгВдК, VIII, 58). ხოლო შემდეგითგან ირკვევა, რომ ყანდურალოვი „შაყელვა“-ს ზედმეტი და უნაყოფო ტოტების, ანუ რქების შემომტკრევის ქართულ ტერმინად სთვლიდა („выламывание излишних и бесплодных побегов шакелва“: იქვე, VIII, 61). ერთი სიტყვით, როგორც დავრწმუნდებით, შეყელვა ძველი აჯოვისა და გაფურჩქენის სინონიმი გამოდის.

უეჭველია, რომ ყანდურალოვს აქ შეცთომა შეჰპარვია: ილ. წინამძღვრი-შვილსაც შეყელვა გასხვლა-შესარვასთან აქვს დაკავშირებული და ნათქვამი აქვს, რომ გასხვლის „შემდეგ ჰიგოს უდგემენ და ჰყელავენ“-ო (იხ. „ვაზის მოშენება“, გვ. 121). აგრონ. ვასო ბიბილაშვილის ნაშრომითგანაც, რომელშიც გასხლილი და შეყელილი ვაზის სურათიც კია მოყვანილი, სრულებით ცხადი ხდება, რომ შეყელვა სწორედ ვაზის გრძლად გასხლილი რკალეზრ მონხრილი სანაყოფო რქის სარზე დამაგრებას ეწოდებოდა და ეწოდება ეხლაც (იხ. მისი „ვაზის გასხვლა“, ტფილისი, 1925, გვ. 12 და 15-ზე სურ. 11).

იმისდა მიუხედავად, რომ გარკვეული ცნობები სხვადასხვა ავტორთა ნაშრომებში არ მოგვეპოვება და შეკონვა თითქმის შეყელვის სინონიმი გამოდის, მაინც საკმარისია ამ ორი ტერმინის შინაარსს ჩაუვკირდეს ადამიანი, რომ მათი მნიშვნელობის იგივეობის შესახებ ეჭვი შეეპაროს. მართლაც, შეკონვა, უეჭველია, ვაზის რქების კონას მსგავსად შეკვრის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, თავდაპირველად მაინც, როცა ეს ტერმინი შემოღებული იქმნებოდა. კონად შეკრა კი გვაგულისხმებინებს, რომ ვაზის ახლად გამოტანილი რქები სარზე ასწვრივად, კონის მსგავსად, უნდა ყოფილიყო მიმაგრებული.

უკვე თვით სახელი შეყელვა კი, რომელიც ყელისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაა, ცხადპყოფს, რომ დასაკავებელი სანაყოფო რქა სარზე სწორედ ყელის მსგავსად მოხრილ-დამრგვალებული უნდა ყოფილიყო. მართლაც შეყელილი და სარზე დაკავებული სანაყოფო რქა ხომ სწორედ ყელის გარეშე მოხაზულობას მიაგავს.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ არამცთუ შეკონვა და შეყელვა თავდაპირველად სინონიმები არ უნდა ყოფილიყო, არამედ თვითეული მათგანი სანაყოფო რქის დაკავების სულ სხვადასხვა წესის აღმნიშვნელია.

თავი VIII. მევენახეობის გაბატონებული წესი და ინტენსივობა. ძველ საქართველოში

§ 1. მაღლარისა და დაბლარი მევენახეობის შედარებითი კულტურული და ეკონომიური ღირებულება

მევენახეობის-მცოდნეობის ტექნიკისა და მისი ძველი ქართული ტერმინოლოგიის განხილვის შემდგომ მევენახეობის წესებისა და დონის გამოირკვე-

ვაც შედარებით უფრო გაგვიადვილდება. უპირველესად, რასაკვირველია, უნდა ვიცოდეთ, თუ ვაზის დაყენების რომელი წესი იყო საქართველოში გაბატონებული, მაღლარი თუ დაბლარი. ამის გამორკვევა ძველი საქართველოს მევენახეობის დონის სიმალლესაც ზოგადად გაგვითვალისწინებს.

თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 322) აღნიშნული გვექონდა, რომ დაბლარის სინონიმად დასავლეთ საქართველოში ხელნაშენიც არის გავრცელებული. ეს უკანასკნელი სახელი მარჯვედ გამოჰხატავს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც დაბლარისა და მაღლარი ვაზის მოვლა-პატრონობას ახასიათებდა. მაღლარი თითქმის თავისთვის მიტოვებული იყო, დაბლარს კი ხელის შეწყობა და დიდი მოვლა სჭირდებოდა.

მეორე მხრით დამახასიათებელია, რომ ბაბილო, ე. ი. მაღლარი, აღმოსავლეთ საქართველოში, როგორც რ. ერისთავის ზემომოყვანილი ცნობითგანაც ჩანს (იხ. აქვე, გვ. 309), გარეული ვაზის, კრიკინას სახელად არის ქცეული. ეს გარემოება, რასაკვირველია, იმ მცირე მოვლა-პატრონობით აიხსნება, რომელიც მაღლარს სჭირდება. ბაბილოს მნიშვნელობის ასეთი ცვლილება ამერეთის მევენახის შეხედულებას ნათლად გვიძლავნებს: დაბლართან შედარებით მაღლარს იმდენად მცირეოდენი მოვლა სჭირდება, რომ მაღლარი, ბაბილო, ველური ვაზის სინონიმად მიუჩნევია.

ამგვარად ირკვევა, რომ თვით ქართველი მიწისმოქმედისავე შეფასებით დაბლარი მევენახეობის ინტენსიური კულტურაა, მაღლარი კი ექსტენსიური, თითქმის ველურის შესადარა. მართალია, საქართველოს და სხვა ქვეყნების ზოგიერთ თემში დაბლარი მევენახეობა, ან სრულებით შეუძლებელია, ან ხელსაყრელი არ იყო, ამიტომ იქ უნებლიეთ მაღლარი მევენახეობა უნდა ყოფილიყო გაბატონებული, მაგრამ ეს გარემოება დაბლარ-მაღლარის შედარებითი ეკონომიური ღირებულების შეფასებას ვერ შესცვლის. დაბლარ-მაღლარის შედარებითი ღირებულების ცოდნა ძველი საქართველოს მევენახეობის კულტურის დონისა და ეკონომიურა ღირებულების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს.

§. 2. მევენახეობის როგორი კულტურა იყო ძველ საქართველოში გაბატონებული?

პირდაპირი ცნობები ვაზის დაყენების წესის შესახებ ძველ საქართველოში ჭერჯერობით მხოლოდ XVII და XVIII ს-ითგან მოგვეპოვება. სხვებზე ვრცლად ამ საგანზე, რასაკვირველია, ვახუშტსა აქვს თავის საქართველოს გეოგრაფიაში საუბარი. ამიტომ ბუნებრივია, რომ მკვლევარმა მის ცნობებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს.

აღმოსავლეთ საქართველოს აღწერილობაში ვახუშტი არსად ვაზის დაყენების წესზე არაფერს ამბობს, უეჭველია იმიტომ, რომ ამერეთში ყველგან დაბლარი მევენახეობა იყო გაბატონებული და ის ჰგულისხმობდა, რომ ყოველმა მისმა მკითხველმა ეს გარემოება თითონაც კარგად იცოდა. ვაზის დაყენების წესზე ვახუშტს ცნობები მხოლოდ დასავლეთ საქართველოს აღწერილობაში აქვს ჩართული, რასაკვირველია, იმის გამო, რომ ლიხთ-იმერეთში ამ მხრით, როგორც დავრწმუნდებით, სხვადასხვაობა ყოფილა.

ვახუშტის თხზულებითგან ირკვევა, რომ არგვეთში სცოდნიათ „ვენახი დაბლარი“ (გგ^რაფია, 386), ხოლო საჩხეიძეო-სალომინაოში ვაზები „ხეთა ზედა ასულნი“ ჰქონიათ და აქაური მცხოვრებნი მევენახეობის ასეთ წესს „უწოდებენ მალლარსა, ანუ ბაბილოსა“-ო (იხ. გვ. 386).

„სვირს ზეით“ მდებარე აღმოსავლეთის ნაწილებიც, რომელსაც „უწოდებენ აწ ლომსიათ-ვევ“-ს, ვაზები ყოფილა „ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მალლარსა, ანუ ბაბილოსა“-ო (იქვე, 386).

ოკრიბა ხილითა და ვაზით ნაყოფიერი თემი იყო, მაგრამ იქაც „ვენახი მალლარი“ სცოდნიათ (ვახუშტი, გგ^რაფია, 390). სამაგიეროდ ვაკეში დაბლარი კულტურა ყოფილა: ამ თემში „ვენაჯნი დაბლარნი არიან მრავლად“-ო (იქვე, 390).

ოდიშში პირიქით „ვენაჯნი მალლარნი“ ჰქონიათ (ვახუშტი, გგ^რაფია, 402), მაგრამ საჭილაოსა და სამიქელაოს „ვენაჯნი დაბლარნი არიან მრავლად“-ო (იქვე, 390).

დასასრულ, გურიაში თურმე „ვენაჯნი მალლარნი“ სცოდნიათ (იქვე, 418).

ამნაირად ირკვევა, რომ დაბლარი მევენახეობა არგვეთში, ვაკეში და საჭილაო-სამიქელაოში ყოფილა გაბატონებული, ხოლო საჩხეიძეო-სალომინაოსა, სვირს-ზეით ლომსიათ-ხევში, ოკრიბასა, ოდიშის უმეტეს ნაწილსა და გურიაში ისევე, როგორც დასავლეთ საქართველოს დანარჩენ ადგილებში, მალლარი მევენახეობა სუფევდა.

შარდენ-საც აქვს აღნიშნული. რომ „კოლხეთში და სამეგრელოში ვაზი მალლარი იყო: „ვაზი იქ ხეებზე გაშვებული იზრდება და იმ სიმაღლეზე აღის ხოლმე, რომ იქამდის ასვლა ნაყოფის მოსაკრებლად ხშირად შეუძლებელია“-ო (Voyages en Perse ets. Paris, 1723 წ. გამ., t. II, 93)¹⁸. მაგრამ ამავე ფრანგ მოგზაურს ნათქვამი აქვს, თითქოს აღმოსავლეთ საქართველოშიც ვაზები ისევე ხეებზე მალლარად ყოფილიყოს გაშვებული, როგორც კოლხეთში (იქვე, გვ. 128)¹⁹.

ამნაირ ცნობას საქართველოს მაშინდელი მევენახეობის წესზე შარდენ-ი საკუთრივ სპარსეთის აღწერილობაშიც იმეორებს: „პარიზითგან ისპაჰანამდის ჩემი მოგზაურობის მოთხრობაში აღვნიშნე, რომ საქართველოსა და აღმოსავლეთ გურგანში ვაზს სრულებით არ უვლიან, ის იზრდება უმაღლეს ხეებზე გაშვებული და ამისდა მიუხედავად ყურძენსაც ყვილაზე საუცხოვოს ისხამს და ღვინოც მისგან საუკეთესო დგება ისე, რომ იმაზე უმჯობესს ადამიანი ვერას დაღეეს“-ო (Voyages en Perse ets., t. IV, Amsterdam, 1771 წ. გამ., გვ. 226)²⁰.

აკად. პ. ტურნეფორ-იც ამასვე მოგვითხრობს და მასაც ნათქვამი აქვს, რომ აღმოსავლეთ საქართველოში (დასავლეთი საქართველო მას არ უნახავს) ვაზები ხეებზე იყო გაშენებული და დიდ სიმაღლეზე იყო ხოლმე ასული ისევე,

¹⁸ „La vigne y croit autour des arbres et s'éleve si haut que l'on n'en peusouvent aller cueillir le fruit“.

¹⁹ „Les vignes croissent autour des arbres comme en Colchide“.

²⁰ „J'ai observé... q'en Géorgie et dans l'Hyrcanie Orientale, on ne cultive point la Vigne. Elle croit autour des arbres de haute futaye, et porte cependant le plus excellent raisin, et dont on fait le mieuilleur vin qui se boit“.

როგორც პიემონტსა და კატალონიის ზოგიერთ ადგილშიაო (Pitton de Tournefort, Relation d'un voyage du Levant, Lyon, 1717 წ. გამ., t. III-ième. გვ. 168)²¹.

საკმარისია აღამიანმა ფრანგ მოგზაურთა ეს ცნობები ვახუშტისას შეადაროს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად ფრთხილად უნდა მოეპყრას მკვლევარი მასალებს. დასავლეთ საქართველოშიც, როგორც დავრწმუნდით. ყველგან არ იყო მალლარი მევენახეობა გაბატონებული. არამედ არგვეთსა, ვაკეში და საჭილაო-სამიქელაოში და, საფიქრებელია, სამოქალაქოშიც სწორედ დაბლარი ყოფილიყო. მაშასადამე, შარდენისა და ტურნეფორის ცნობები მთლად სწორე არ არის და მაინცდამაინც ზედმიწევნითად ვერ ჩაითვლება. მხოლოდ ზოგადი დახასიათების თვალსაზრისით, რამდენადაც ლიხთ-იმერეთში მაინც მალლარი მევენახეობა სჭარბობს დაბლარს, შესაძლებელია ფრანგი მოგზაურების ცნობა სამართლიანად იქნეს მიჩნეული. მათი ცნობა კი აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ, ვითომც აქაც მხოლოდდამხოლოდ მალლარი მევენახეობა ყოფილიყო გაბატონებული, უეჭველია, მცთარია და მაინცდამაინც უაღრესად გადაჭარბებული, განზოგადოებული უნდა იყოს. ამ გარემოების დამტკიცება არაერთი, როგორც ქართული, ისევე უცხო უცილობელი მოწმობით შეიძლება. მაგრამ ეგების უცხო მოგზაურთა მოწმობის შესარყევად ვინმემ მარტო ქართული წყაროების ცნობები საკმარისად არ მიიჩნიოს, ამიტომაც და თავისდათავადაც სჯობია უცხოელის ცნობას უცხოელისავე ცნობა დაუპირისპირდეს. ამის გამო შარდენ-ტურნეფორის აღწერილობის სისწორის გამოსარკვევად უკეთესია გიულდენშტედტისა და კლაპროტის ცნობებსაც შევადაროთ. ამ გერმანელ მეცნიერს, აკად. გიულდენშტედტს კი 1772 წ. აღნიშნული აქვს, რომ კახეთში ვაზს ყოველწლივ სხლავდენ და სარზე ამაგრებდენ²² (Reisen, I, 370). ასეთივე ცნობა ქართლის მევენახეობის წესზე კლაპროტსაც მოეპოვება (იხ. Voyage, II, 33—34). ასარგა და ყოველწლიური ვასხვლა კი, როგორც ვიცით, მხოლოდ დაბლარი მევენახეობის დროს არის საქირო. მაშასადამე, აღმოსავლეთ საქართველოში მალლარი კი არა, არამედ პირიქით სწორედ დაბლარი ყოფილა გაბატონებული.

მაგრამ, რაკი ცხადია, რომ შარდენსა და ტურნეფორს არავითარი საფუძველი არ უნდა ჰქონოდათ თავიანთი ცნობა შეეპიზათ, ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ ქართლში (რათგან არც ერთი მათგანი კახეთში არ ყოფილა), მალლარი ვაზი მათ ნანახი ექმნებოდათ. ამის გამო საფიქრებელია, რომ აქა-იქ XVII—XVIII სს-ში მალლარი ამერეთშიც ყოფილა. ვითარცა კერძო და არა ზოგადი მოვლენა, რომელსაც აღმოსავლეთ საქართველოს მევენახეობისა და ეკონომიკისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა, ეს გარემოება არც ვახუშტსა და არც გიულდენშტედტს და კლაპროტს არ აღუნიშნავთ, შარდენსა და ტურნეფორს კი კერძო მოვლენა პირიქით განუზოგადოებიათ. ამნაირად, თუ ამ უკანასკნელთა ცნობა აღმოსავლეთ საქართველოს შესახებ არსებითად მცთარად უნდა იქმნეს მიჩნეული,

²¹ „Les vignes naissent en ce pays là autour des arbres, et grimpent audessus comme en Piémont et en plusieurs endroits du Catalogne“.

²² „Man... beschneidet sie (d. h. die Reben) aber nach der Weinlese... und da der neue Trieb nicht stark ist, bindet man die Reben an Stöcke“.

პირველთა, ვახუშტისა, გიულდენშტედტისა. და კლაპროთის ცნობებიც სრული და მთლად ზედმიწევნითი არ ყოფილა და პატარა შესწორება სჭირდება.

ეხლა უკვე საკმაოდ კარგად ვიცით, თუ საქართველოს რომელ თემში XVII—XVIII სს-ში მევენახეობის რომელი წესი არსებობდა. მაგრამ სანამ სხვა საკითხების განხილვას შეუდგებოდეთ, უნდა კიდევ ერთ ცნობასაც შევეხეთ.

ფ. დიუბუას (Frederic Dubois de Moutpéreux) თავის 1834 წ. მოგზაურობის აღწერილობაში აღნიშნული აქვს, რომ კახეთში მის დროსაც მალლარი ვაზი ყოფილა. მისი სიტყვით, თუმცა საქართველოს ამ თემში დაბლარი, ისევე კარგად როგორც საფრანგეთში მოვლილი ვენახები („soignés comme en France“) ბევრი ყოფილა, მაგრამ კახეთის ზოგიერთ ნაწილში ვაზზე იმაზე მეტად არა ზრუნავენ, ვიდრე იმერეთშიო, ე. ი. ვაზს ხეებზე უშვებენ, რომელთაც იგი ლიანებივით ეხვევაო. კახეთის ტყეები საცა ვაზის ასეთი გრებილებითაო (Voyage autour du Caucase, Paris, 1840 წ. გამ., t. IV, 210—211)²³.

ვისაც ქართული წყაროები და რუსი ელჩების აღწერილობა გადაკითხული აქვს, ის, რასაკვირველია, ადვილად მიხვდება, რომ კახეთის ტყეებში მალლარი ვაზის სიმრავლე ბევრგან შაჰაბაზისაგან აოხრებულ-გაუკაცრიელებული ნასოფლარების წყალობით არის გაჩენილი: უპატრონობისა და მოუვლელობის გამო დაბლარი ვაზები გაველურებულ-გაგარეულებულა, მაგრამ დიუბუას მალლარი მევენახეობა კახეთის ზოგიერთ ნაწილში ტყეებს გარეშეც, როგორც ჩანს, სოფლებშიც უნახავს და ეს გარემოებაც ადასტურებს მალლარის აღმოსავლეთ საქართველოშიც არსებობას²⁴.

მაგრამ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ეს წიგნი ხომ უძველეს ხანას ეხება, უძველესი დროითგან მოყოლებული XIII ს-მდე, ამიტომაც, რა თქმა უნდა, აქ უპირველესად მევენახეობის სწორედ იმდროინდელი წესები უნდა იყოს გამორკვეული, სახელდობრ, უძველეს ხანაში ისეთივე ვითარება იყო, როგორც XVII—XVIII სს-ში, თუ საუკუნეთა განმავლობაში ვაზის დამუშავების წესი ჩვენს ქვეყანაში შეცვლილა? სამწუხაროდ, ძველი ხანის ვითარების გასათვალისწინებლად ჯერჯერობით მეტად მცირე მასალა მოგვეპოვება, მაგრამ ზოგი რამის გაგება მაინც შესაძლებელია. გ. მთაწმიდელის ერთი საგულისხმო ცნობა და ტერმინ ბაბილოს რეალური მნიშვნელობის ცოდნა მევენახეობის იმდროინდელი წესების შესახებ მაინც არაერთი საგულისხმო გარემოების გამორკვევას შეგვაძლებინებს.

გ. მთაწმიდელს თავისი საისტორიო თხზულების ერთ ადგილას მოკლედ აქვს აღწერილი ის დიდი სამუშაო, რომელიც ათონის ქართველთა მონასტრის 300 კაცისაგან შემდგარ ძმობას სამონასტრო ვენახებში გასაკეთებელი ჰქონდა. რაკი სავანის ვენახები ახალი გაშენებული იყო, ამიტომ „ყოველთა სარითა განგებაა უნდა“ და საერთოდ „ვენახთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა“ ხან-

²³ „Dans quelques parties du Cakheti on ne lui donne pas plus de soin qu'en Imereth, c'est-à-dire qu'on dirige les ceps sur les arbres qu'ils enlacent comme des lianes. Les forêts du Caktheth sont toutes ainsi entrelacées de guirlandes de vigne. Mais il est aussi beaucoup de vignobles plantés et soignés comme en France“.

²⁴ აგრონ. ე. ბიბილაშვილმა მიაჩნა, რომ მალლარი ვაზები შიდა ქართლის ზოგ სოფელში ყმა-წვილობაში მასაც უნახავს. ამ ცნობისათვის დიდ მადლობას მოვასხენებ.

გრძლივი და გულმოდგინე მუშაობა სჭირდებოდათ (ც^ა ი^ე და ეფთ^მსი, 47). ცნობილია, და იმაზე უკვე საუბარი გვექონდა კიდევაც, რომ ასარვა, ანუ სარის შედგმა და აჯოჯვა, ანუ ახვევა და გაფურჩქვნა მხოლოდ დაბლარ ვაზსა სჭირდება. ამისდა მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ათონის ქართველთა სავანის ვენახებში, რომელშიც საქართველოს ყველა თემის შვილნი იყვნენ თავმოყრილნი, დაბლარი მევენახეობა ყოფილა გაბატონებული. ამის გამოვე უნდა ვიფიქროთ, რომ X—XI სს-ში თვით საქართველოშიც ასევე უნდა ყოფილიყო და ყველგან, სადაც კი ნიადაგისა და ჰავის წყალობით შესაძლებელი იყო, წესიერი მევენახეობის მეურნეობა სწორედ დაბლარად უნდა ყოფილიყო დამუშავებული და დაბლარი იქმნებოდა კიდევაც გაბატონებული.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველგან საქართველოში დაბლარი არ იქმნებოდა, თვით მის აღმოსავლეთ ნაწილში, ლიხთ-ამერეთშიც კი. ამ თეორიული მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად, ცხადია, მაინც ძეგლებზე დამყარებული საბუთებია საჭირო. სამიოდე ასეთი საბუთი კიდევაც მოგვეპოვება.

ამ მნიშვნელოვანი საკითხის გამოსარკვევად წ^ა ნინოს შატბერდისეულ ცხორებაში შემდეგი საგულისხმო ცნობაა დაცული. ქართველთა განმანათლებელს მოთხრობილი აქვს: მომეჩვენა კაცი, რომელმაც მითხრა, „სამოთხესა შევედ; ნაძუთა ქვეშეა ბაბილოთა ადგილი არის მცირეა, საყუავილედ²⁵ შემზადებული“-ო (Опис., II, 757). რაკი ბაბილო, როგორც დაერწმუნდით, V—VI სს-ში [ხეზე] გაშვებულ ვაზსა ჰნიშნავდა, ამიტომ ზემომოყვანილი ამონაწერიტგან ჩანს, რომ მცხეთაში მეფის სამოთხეში, ანუ ბაღში მალლარი ვაზი მდგარა. სწორედ ამიტომაც არის, რომ ამ ძეგლში ნათქვამია: „ნაძუთა ქვეშეა ბაბილოთა ადგილი“ არისო.

ამ ჩვენი განმარტების სისწორესა და იმასაც, რომ ბაბილო ამ ცნობაში ნაძვის ხის რომელიმე ნაწილის სახელი კი არ არის, არამედ მხოლოდ ვაზს ახასიათებს, წ^ა ნინოს ცხორების მეორე ადგილიც სრული უეჭველობით ადასტურებს. იქ სწერია, რომ მეფემ თქვა: პირველი ტაძრის ასაგებად „არა ვპირილო სამოთხესა მას სამეუფოსა და ნაძუთა სიმაღლესა და ბაბილოთა მათ ნაყოფიერებასა და ყუავილთა მათ სულნელებასა“-ო (Опис., II, 775). ამ სიტყვიტგან ჩანს, რომ „ნაძუი“ და „ბაბილო“ ერთიდაიგივე არ არის, რომ ბაბილო ნაყოფიერი ხე იყო, ე. ი. ხეხილთა ჯგუფს ეკუთვნოდა. მაშასადამე, ამ ცნობებითაც უფრო ცხადი ხდება, რომ მცხეთის მეფის „სამოთხეში“ ბაბილო, ანუ მალლარი ვაზი ნაძვის მალალ ხეებზე ყოფილა გაშვებული.

შესაძლებელია ზემომოყვანილი ცნობის სისწორე ვინმემ საეჭვოდ მიიჩნიოს იმ მოსაზრების გამო, რომ იქ ბაბილო ვაზი ნაძვზე აშვებული გამოდის, რაც ეგების ვისმეს დაუჯერებლად ეჩვენოს. მაგრამ უნდა გათვალისწინებული გვექონდეს. რომ ძველ ქართულში ნაძვს ეხლანდელზე უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონდა: მაგ., ლიბანის კედროს (Pinus Cedrus L., Cedrus Libani Bois.) დაბადების თარგმანში ყველგან ლიბანის ნაძვი ეწოდება. ხოლო, უეჭველია, ამაზე უფრო საგულისხმოა ის გარემოება, რომ თვით იტალიაშიც კი მალლარი ვაზის ასაშვებად კვიპაროზის გამოყენება, როგორც ეს R. Billiard-ს, კოლუმელლას, პლინიუსისა და პა-

²⁵ ტექსტი აქ აღგენილია კელიმური ხელნაწერის მიხედვით. შატბერდულში „დამახინჯებულია და სწერია „საყუარელად“.

ლადიუსის ცნობების მიხედვით გამორკვეული აქვს (La Vigne, 366), იშვიათი შემთხვევა არ ყოფილა. მაშასადამე, წა ნინოს შატბერდისეული ცხორების ზემომოყვანილი ცნობის სისწორეს მართო ის გარემოება, რომ იქ ბაბილო ნაძვზე იგულისხმება აშვებულად, საეჭვოდ ვერ გახდის.

ამნაირად ირკვევა, რომ უძველეს ხანაში მევენახეობის მალღარის წესი მართო დასავლეთ საქართველოში კი არ ყოფილა, არამედ ზოგან შიდა ქართლშიც, მის ისეთ ცენტროშიც კი, როგორც მაშინ დედაქალაქი მცხეთა იყო, ხოლო წა ნინოს ცხორების ავტორს იგი თვით მეფის საკუთარ ბაღშიც კი ეგულებოდა.

ორიოდე სხვა ცნობა საშუალებას აძლევს მკვლევარს, საქართველოს კიდევ ორი სხვა თემის მაშინდელი მევენახეობის წესი გაითვალისწინოს. სახელდობრ, გ. მერჩულის საისტორიო თხზულებაში შეტანილი ერთი მოთხრობა უკვე ზემოქართლში, მესხეთში, IX—X ს-ში მევენახეობის გავრცელებული წესის გამორკვევის საშუალებას გვაძლევს. იქ მოთხრობილია, რომ მღვდელთმთავარი „ზაქარია სთულისა ეამთა ჯდა ოდესმე ტბას თვსთა ბაბილოთა²⁶ მწიფეთა ქუეშე, რომელთა მრავალგზის შაშუ ჰამდა“-ო (გ. მერჩული, 196 გგლ ხნძ თლსა, 49). უკვე ის გარემოებაც, რომ ზაქარია „ბაბილოთა ქუეშე“ მჯდარა, ცხადჰყოფს, რომ მისი ვაზები მალღა ყოფილა დაყენებული, ამიტომ ეს ვაზები, ან ხეივანად, ანდა მალღარად უნდა ვიგულისხმოთ. ხოლო ბაბილოს უკვე გამორკვეული მნიშვნელობა უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ზაქარია თავისი მალღარად გაშენებულ, მწიფე ყურძნით დატვირთული, ვაზების ქვეშა მჯდარა. შავშეთკლარჯეთშიც მევენახეობის მალღარი წესი ყოფილა.

დასასრულ, ბოლნისის მიდამოებში მდებარე ერთი მონასტრის ტიბიკონის ნაწყვეტითგანა ჩანს, რომ, დაბლარს გარდა, ბაბილო, ანუ მალღარი ვაზი ქვემო ქართლშიც უნდა ყოფილიყო. ქართული მეღვინეობის მიმოხილვაში დავრწმუნდებით, რომ იქ სამონასტრო მეურნეობაში ბაბილოსაგან დაყენებულ ღვინოს ცალკე ჰურჰელში, „საბაბილო ჰურ“-ში, ინახავდენ.

თავისდათავად ცხადია, რომ ის ცნობები და მასალები, რომელიც ძველი ხანის მევენახეობის წესის გასათვალისწინებლად ხელთა გვაქვს, მეტად მცირეა და მართო ამით საქართველოს მაშინდელი მევენახეობის ზოგადი, მთლიანი სურათის აღდგენა შეუძლებელია. მაგრამ ზოგიერთი, აქამდე უცნობი, გარემოება მაინც გამოირკვა და ესეც, რასაკვირველია, ჩვენთვის ამ დარგის ცოდნაში უკვე მნიშვნელოვანი შენაძენია. წინათ, ვახუშტის ნაშრომისდა მიხედვით, გვეგონა, რომ მალღარი მევენახეობა მართო დასავლეთ საქართველოს კუთვნილებასა და თავისებურებას წარმოადგენდა, ეხლა კი უკვე ვიცით, რომ მალღარი ზოგან ამერეთშიც ყოფილა, ისეთ ადგილებშიც კი, სადაც მოსალოდნელი არ იყო. ბუნებრივი პირობების გამო, საფიქრებელია, რომ ძველ ხანაშიც დასავლეთ საქართველოში უმეტესად მალღარი უნდა ყოფილიყო გაბატონებული და დაბლარი შედარებით ნაკლებად იქმნებოდა გავრცელებული. აღმოსავლეთ საქართველოში პირიქით დაბლარ მევენახეობას ექნებოდა მთავარი ასპარეზი დათმობილი და მალღარს მხოლოდ მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

²⁶ პრაფ. ნ. მარტი ბაბილოს რუსულად «виноградника»-ად სთარგმნის. იხ. გვ. 136.

§ 3. დაბლარი ვენახისა და ზერის დანარგავის სიხშირის ნორმების გამორკვევის ცდა

სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის ისტორიაში, რასაკვირველია, ვენახისა და ზერის ვაზების სიხშირის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს, რათგან ამის ცოდნა მაშინდელი მევენახეობის ინტენსივობასაც გავითვალისწინებს, ვენახ-ზერის გაშენებისა და მოვლისათვის საჭირო სამუშაოს ტვირთვის სიმძიმესაც გაგვაგებინებს და ყოველწლივ გასაწევი ხარჯების ოდენობის გამოანგარიშების საშუალებასაც მოგვცემს.

ერთ დღიურიან მაშინდელ ვენახში დარგული ვაზების რაოდენობაზე, წყაროებში პირდაპირი ცნობების უქონლობის გამო, ამ საყურადღებო საკითხის გამორკვევა დაბლარი ვენახისათვის სარების რაოდენობისდა მიხედვით უნდა ვცადოთ, რათგან ცნობილია, რომ ყოველი ვაზის ძირს თითო სარი სჭირდება. ამიტომ, ამა თუ იმ ვენახ-ზერისათვის საჭირო სარის რაოდენობა იქ დარგული ვაზების რიცხვსაც გაგვაგებინებს.

მაგრამ სამწუხაროდ, სიგელ-გუჯრების შეუსწავლელობისა და გამოუქვეყნებლობის გამო, ჭერჯერობით XVII—XVIII ს-ზე უწინარესი ცნობა იმაზე, თუ რამდენი სარი სჭირდებოდა ყოველ წლივ ვენახს ან ზვარს, არ მოგვეპოვება. მხოლოდ ვახტანგ VI-ის დასტურლამალი გვაძლევს ამის გამორკვევის საშუალებას. რა თქმა უნდა, ყოველწლივ საჭირო სარის რაოდენობა ვენახისა და ზვარის სიდიდეზეა დამოკიდებული. ამიტომ ცნობაც ამისდა მიხედვით განსხვავდება. მაგ., მეფის კავთისხევის ზვარს წელიწადში 69 კონა სარი სდომებია (დასტურლ., გვ. 45), მეფისავე ბოლნისის ზერისათვის 100 კონა სარი ყოფილა საჭირო (იქვე, გვ. 75—76). კიდევ ერთი ცნობაც მოგვეპოვება, მაგრამ, სამწუხაროდ, ოდნავ დაზიანებული. „დასტურლამალ“-ში ნათქვამია, რომ მეფის გორის ზერისათვის 60 საკომლოს უნდა „საკომლოზედ სარი კონა“ გამოეღო, მაგრამ კონის რაოდენობა აღნიშნული არ არის (დასტურ., გვ. 85), ალბათ გამოტოვებული უნდა იყოს. თუ გავიხსენებთ, რომ კავთისხევის „საბატონო გამოსაღები“-ს ვარიებებში განსაზღვრულია, რომ ყოველწლივ „კომლოზედ კონა სარი, გ“, ე. ი. სამი უნდა გამოეღოთ (იქვე, გვ. 45), უფლება გვაქვს „3 კონა“ სარი კომლობრივი გამოსაღების ნორმად მივიჩნიოთ და ამისდა მიხედვით შემომოყვანილი ცნობის ბოლოც შევაჯსოთ. მაშასადამე, გორის სამეფო ზვარს ყოველწლიურად 180 კონა სარი სდომებია.

ეს ცნობები რომ გამოიყენოს ადამიანმა, წინასწარ შემოდასახელებული ზვრებისა და სარის კონის სიდიდე უნდა იცოდეს. ჭერჯერობით კი იმდროინდელ წყაროებში არსადა ჩანს, თუ მაშინდელი კონა რამდენ სარს შეიცავდა, არც კავთისხევისა, ბოლნისისა და გორის მეფის ზვრების სიდიდე ვიცით. ასეთ პირობებში, სანამ ძველი ცნობები აღმოჩნდებოდეს, მკვლევარს საქართველოს მევენახეობაში XIX ს-ში არსებული ნორმების გამოყენების გარდა სხვა არავითარი საშუალება არ გააჩნია. სამწუხაროდ, ამ საგულისხმოდ საკითხზე არც XIX ს. შესახებ არის საკმაოდ სისრულით ცნობები შეკრებილი.

რამდენ სარს შეიცავდა კონა და რამდენი კონა სარი სჭირდებოდა გარკვეული სიდიდის ვენახს, ამაზე ცნობა აგრ. ერმ. ნაკაშიძეს მოეპოვება იმერეთის მევენახეობა-მეღვინეობის მიმოხილვაში, ხოლო უცნობ კომპილატორს დუშეთის ყ. მაზრის შესახებ კავკასიის მეღვინეობის მიმოხილვაში.

ირკვევა, რომ არაგვის ხეობაში ერთი კონა სარი 1870-იან წლებში ორმოც სარს შეიცავდა (იხ. Очерк ВдК: ССВВК, III, 250). ქართლში და სხვაგანაც საერთოდ კონა სარი 40 ცალად ითვლებოდა. იმერეთში კი ერთ კონა სარში XIX ს. დაწლებს 50—60 ცალამდის იყო ხოლმე (Вг в Имеретии: ССВВгВдК, III, 30).

ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი ძირი ვაზი იყო ხოლმე გარკვეული სიღიდის ვენახში, საქართველოში მხოლოდ XIX ს-ისა მოგვეპოვება. ლ. ჭორჯაძე ორი დღიურის მკვიდროდ გაშენებულ ვენახში 21891 ძირს ანგარიშობდა, ხოლო ფართოდ გაშენებულში 9801 ძირ ვაზს (იხ. შევენახეობა, გვ. 190), მაშასადამე. ერთ დღიურზე მკვიდროდ გაშენებულ ვენახში 10945 ძირი ვაზი, ხოლო ფართოდ გაშენებულში 4900 ძირი მოდიოდა. უცნობი კომპილტორი კახეთში XIX ს. მეორე ნახევრის პირველ ათეულებში 2 დღიურ ვენახში 7000 სარს ვარაუდობდა (Очерк ВдК: ССВВК, III, 231), ე. ი. დღიურზე 3500 ძირს ვაზს ანგარიშობდა. იმავე ავტორის სიტყვით, დუშეთის მაზრაში 2 დღიურის ვენახზე წლიურად 40 კონა სარი იყო საჭირო. რაკი კონა 40 ცალ სარს შეიცავდა (იქვე, III, 250), მაშასადამე, 2 დღიურზე 1600 სარი გამოდის წელიწადში, ანუ დღიურზე 800 სარი. თუ გავიხსენებთ, რომ ჩვეულებრივ სარს საშუალო ანგარიშით სამ წელიწადში ერთხელ უხდება გამოცვლა, ცხადი შეიქმნება, რომ დღიურ ვენახს ქსნისა და არაგვის ხეობაში 2400 სარი მოუნდებოდა, რათგან ვარაუდით ამდენივე ძირი ვაზი უნდა ყოფილიყო იქ გაშენებული. ნიკიფოროვის ანგარიშით დუშეთის მაზრის 2 დღიურ ვენახში წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში თითქოს 1500 ძირ ვაზზე მეტი არც კი უნდა ყოფილიყო (МИЭВГКЗК, т. V, в. 2, გვ. 54) და СВ. МИЭВГКЗК, т. IV, в. 2, გვ. 40). გამოდის, რომ დღიურზე თითქოს მხოლოდ 750 ძირი ვაზი მდგარა, ასეთი თხელი ვენახი ძნელი დასაჯერებელია. ნიკიფოროვი ხეხილისა და ვაზის შერეული ბაღებზე მიხედვით ანგარიშობდა, რაც დამკვირვებელს ვაზების ჩვეულებრივ რიცხვს ვერ მისცემდა.

სახელმწიფო გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შემსწავლელთა ცნობებით, წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში კახეთში ორდღიურ ვენახზე 9600 ძირი ვაზი მოდიოდა (МИЭВГКЗК, IV, 2, გვ. 41), ე. ი. დღიურზე 4800 ძირი, — შორაპნის მაზრაში დღიურზე 2650 ძირი, ქუთაისის მაზრაში 3666 ძირი, რაჭაში 3000 ძირი. ხოლო ნოსოვიჩის ცნობით, ყველაზე სქლად ლეჩხუმის ვენახები ყოფილა გაშენებული, სადაც დღიურზე 6000 ძირი ვაზიც კი მოდიოდა (იხ. იქვე, IV, 2, გვ. 40—41).

წარსული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში ფირალოვი და შავერდოვი კახეთში დღიურ ვენახზე საშუალო რიცხვით 4000 ძირ ვაზს ანგარიშობდნენ. ხოლო რაკი სარი სამ წელიწადში ერთხელ იყო გამოსაცვლელი, ამიტომ ერთ დღიურს ყოველწლიურად 1333 ცალი სარი სჭირდებოდა (СВВгВдК, VII, 71). ქართლში ყანდურალოვი დღიურზე საშუალოდ 5000 ძირს ვარაუდობდა და, ამისდა მიხედვით, სარის სამ წელიწადში ერთხელ განახლებას გამო, ყოველ წლივ საჭირო იყო 1666 ცალი სარი (იქვე, VIII, 72).

იმერეთში, ერმ. ნაკაშიძის სიტყვით, დღიურ ვენახს სულ 125 კონა სარი სჭირდებოდა. ხარდნის განახლების აუცილებლობის გამო, ყოველწლიურად დღიურ ვენახს 41 1/4 კონა ხარდანი უნდებოდა (იქვე, III, 29—30). რაკი იქაური კონა 50—60 ცალ ხარდანს შეიცავდა, ირკვევა, რომ ერმ. ნაკაშიძეს დღიურ

ვენახზე იმერეთში 6250—7500 ძირი ვაზი და ხარდანი აქვს ნავარაუდები და ყოველწლიურად 2083—2450 ცალი ხარდანი. ეს რიცხვი წარსული საუკუნის ოთხმოციანი წლების შემომოყვანილი ცნობების ოდენობისაგან ძალიან განსხვავდება.

რაკი ეხლა კონა სარის ოდენობაც გამორკვეულია და დღიური ვენახის ვაზ-ძირის XIX ს-ში მიღებული რაოდენობაც ვიციტ, შესაძლებელია ვახტანგ VI-ის „დასტურ-ის“ შემომოყვანილ ცნობებსაც დაუბრუნდეთ. სამივე ცნობა ქართლს ეხება, ამიტომ კონა სარი აქ 40 ცალი სარის შემცველად უნდა ვიგულისხმოთ.

თუ მეფის ბოლნისის ზვარს ყოველწლივ 100 კონა სარი სჭირდებოდა, მაშასადამე, 400 ცალი უნდა ვივარაუდოთ. ხოლო, რაკი სამი წლის შემდგომ სარი უნდა გამოცვლილიყო, ამიტომ ერთობლივ ამ ზვარში 12000 სარი უფილა და, რა თქმა უნდა, ამდენივე ძირი ვაზი მდგარა. დღიურზე 4000—5000 ძირი ვაზი რომ ვივარაუდოთ, ბოლნისის მეფის ზვარი დაახლოვებით ან 2.4, ანდა 3 დღიურზე უნდა ყოფილიყო.

მეფის კავთისხევის ზვარს წელიწადში 69 კონა ანუ 2760 ცალი სარი სდომებია. ზემოაღნიშნული მოსაზრებისდა მიხედვით, ამ ზვარში სულ 8280 ძირი ვაზი და ამდენივე სარი უნდა მდგარიყო, ე. ი. დაახლოვებით ან 1.656 დღიური, ანდა 2,07 დღიური იქმნებოდა.

დასასრულ, რაკი გორის ზვარს ყოველწლივ 180 კონა სარი სჭირდებოდა, მაშასადამე, ერთდროულად 540 კონა სარი სდომებია. რაც 21600 შეადგენს. გორის ზვარში სულ სწორედ 21600 ძირი ვაზი მდგარა. ამისდა მიხედვით. ეს ზვარი სიდიდით 4,32—5.4 დღიურამდე უნდა ვივულისხმოთ.

შემომოყვანილითგან ჩანს, რომ ზედმიწევნით ჩვენ მხოლოდ ამ სამი ზვარს ვაზთა რაოდენობის გამორკვევა შეგვიძლიან, ნარგავობის სიხშირის გასაგებად ამ ზვარების ზომის სწორი ცნობა გვაქლია, ამიტომ უნებლიედ დაახლოვებითი გამოანგარიშებით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ვაზის ნარგავობის სიხშირის მიზანშეწონილობის საკითხი ძველ საბერძნეთსა და იტალიაშიც იყო განსაზღვრული, მაგრამ პირველი ქვეყნის ნორმებზე არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, იტალიაში კი, პლინიუს მცირის სიტყვით, ღრმა და ნაყოფიერ ნიადაგზე ვაზსა და ვაზს შუა 4 ტერფის, ე. ი. 1.18 მეტრის მანძილის დატოვება იყო საჭირო. საშუალო ღირსების ნიადაგზე ვაზები 5 ტერფის, ანუ 1,47 მეტრის მანძილზე უნდა ყოფილიყო ერთმანეთზე დაშორებული, ხოლო მდარე ნიადაგზე 8 ტერფის (=2.36 მეტრს) მანძილი უნდა დაეტოვებინათ (Natur. hist., XVII, 35 და 15: R. Billiard. La Vigne. გვ. 301, შენ. 1 და 292—298).

დიგესტებში ნათქვამია. რომ ატტიკასა და იტალიაში ყოველწლივი ხეხილის ნარგავობაში, ლედვსა და ზეთისხილს გარდა, ხეხილებს შორის 5 ტერფის, ანუ 1,48 მეტრის, მანძილს სტოვებდნენ. ხოლო, ლედვისა და ზეთისხილის უარყოფესკვადგმულობის გამო, ლედოვანსა და ზეთის ხილოვანში ხეხილებს შორის 9 ტერფის, ანუ 2,66 მეტრის, მანძილი იყო ხოლმე დატოვებული (იქვე. გვ. 301).

პლინიუსის ნორმებისდა მიხედვით R. Billiard-ს გამოანგარიშებული აქვს, რომ ძველ იტალიაში კარგ მიწაზე გაშენებულ 1 ჰექტარ ვენახში 7194 ძირი ვაზი უნდა მდგარიყო, ამავე ზომის საშუალო ღირსების ნიადაგზე გაშე-

ნებულ ვენახში — 4629 ძირი და მკლე და მდარე მიწაზე მხოლოდ 1795 ძირი ვაზი (La vigne, გვ. 301).

თუ გავიხსენებთ, რომ 1 ჰექტარი დაახლოვებით 2 დღიურს უდრიდა, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ რომელი ბუნებისმეტყველის ნორმები XIX ს. საქართველოში მიღებულზე საგრძნობლად ნაკლებია. მაგრამ იტალიაშიც ამ ნორმებს ყველა არ მისდევდა და მევენახენი, რომელთა მთავარ მიზანს მოსავლისა და ღვინის სიუხვე შეადგენდა, ვაზებს პლინიუსისაგან საუკეთესოდ მიჩნეულზე გაცილებით უფრო მკიდროდ რგავდენ.

თავი IX. მევენახეობის ტექნიკის დონე ძველ საქართველოში: ვაზის გასხვლისა და მოვლის პრინციპები

§ 1. გასხლვა, ვითარცა მევენახეობის დონის საზომი

გასხლვასთან დაკავშირებული მთელი ტერმინოლოგია უკვე განხილული და გამოკვეთული გვაქვს (იხ. აქვე, გვ. 340—345), ეხლა უნდა გავიგოთ, თუ რანაირად სხლავდენ ვაზს ძველ საქართველოში.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, გასხლვა ვაზის ნაყოფიერების გამდიდრებელ და ღირსების გამაუმჯობესებელ საშუალებათაგან ერთი უმნიშვნელოვანესი ტექნიკური ღონეობაა. ინტენსიური მეურნეობის წარმოება მევენახეობაში არსებითად ვაზის დაბლარი კულტურისა და გასხლვის შემოღების შემდგომ შეიქმნა შესაძლებელი. ამიტომ ორივე გარემოება ამათუიჩ ქვეყნის მევენახეობის დაწინაურებისა და ინტენსივობის ყველაზე უფრო საიმედო საზომს წარმოადგენს. რანაირი მევენახეობა იყო ძველ საქართველოში და მის სხვადასხვა ნაწილში. მაღლარი თუ დაბლარი, ეს უკვე ვიცით, ეხლა ვაზის გასხლვის წესები უნდა განვიხილოთ. რათგან გასხლვაც სხვადასხვანაირი არსებობდა.

„მაშინვე ნახი თოით ეს ვენახი კეთილგანსხლული. სორექთ მომართმელი“-ო (შავთელი, გვ. 50, 88). ნათქვამი აქვს შავთელს თავის აბდულმესიანში და ეს გაჰონათქვამი კეთილ-განსხლული ცხადჰყოფს, რომ მაშინაც ვაზის წესიერი და კარგი გასხლვის სრულებით გარკვეული მოძღვრება არსებულა. ვინც ამისადა მზედვით გასხლავდა ვაზს, მას მაშინდელი შეხედულებით კეთილ-განსხლული ვენახი ჰქონდა, ვინც ამ წესებს არ მისდევდა, უეჭველია, იმას ასეთ გასხლვას არავინ მოუწონებდა.

§ 2. ვაზის გასხლვის სხვადასხვა ვადები

ვაზს ყველა ქვეყანაში და ყოველთვის ერთნაირად და ერთიდაიმავე წესით არ სხლავდენ. სხვა შორეულ ქვეყნებსაც რომ თავი დავანებოთ, საქმარისი იქმნებოდა თუნდაც ჩვენი სამშობლოს მოსაზღვრე ქვეყნის, ალბანეთის, მაგალითის დასახელებაც. სტრაბონს ნათქვამი აქვს, რომ იქ ვენახები სრულებით დაუბარავი იყო და ვაზებსაც მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ სხლავდენ (Strabo, Geographica, I, XI, c. 4, § 3)²⁷.

²⁷ „მოთაჲოი ბ'ა! ომაჲიოი მესოთაი ბიძ ძესჲს, თჳსოთჲთაი ბძ ბიძ პეროთჲრბოც“.

სამწუხაროდ, იგივე ბერძენთა გამოჩენილი გეოგრაფი საქართველოში არსებულ მაშინდელ გასხლვის წესზე არას ამბობს და XVIII ს-მდე არც სხვა მერმინდელ ავტორებს მოეპოვებათ ამ საგანზე რაიმე ცნობა. მხოლოდ აკად. გიულდენშტედტს აქვს აღნიშნული, რომ კახეთსა და ქართლში შემოდგომას, რთველის შემდგომ, ვაზს ოთხითგან ექვსამდე კვირტზე სხლავდენ და მერმე, როდესაც ახალი ყლორტები გაეზრდებოდა, სარტზე აკავებდენ (Reisen, I, 370)²⁸.

კლავროთს თავის მხრივ ქართლში, სახელდობრ, ღუშეთის მიდამოებში, გავრცელებული ვაზის გასხლვის წესი აქვს აღწერილი. მისი სიტყვით, ეს კუთხე მეტად მაღლობი და ცივ-ზამთროვანია და ამიტომ ვენახები იქ ცოტა იყო იმისდა მიუხედავად, რომ ველური ვაზი აქაც ყოფილა. რთველი თურმე ოქტომბრის დამდეგს იწყებოდა, ხოლო ოქტომბრის დამლევს ვაზის გასხლვას შეუდგებოდნენ ხოლმე. გასხლვისას ვაზს რქას იერზე სამზე ან ოთხ კვირტზე მეტს არ სტოვებდენ²⁹. შემდეგ უკვე ვაზს ზამთრის განმავლობაში მიწაში მარხავდენ, რომ ვაზი ყინვის არ დაეზიანებინა (Voyage, II, 33—34). კახეთში კი, გიულდენშტედტის სიტყვით, ზამთარში ვაზს მიწაში არ მარხავდენ („In Kacheti... Man bringt die Reben des Herbstes nicht unter die Erde“. Reisen, I, 370).

მაშასადამე, აღბანეთში ვაზს ხეც წელიწადში ერთხელ, საქართველოში კი ყოველწლივ სხლავდენ.

რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ის დიდი ქრონოლოგიური განსხვავებაც არის გასათვალისწინებელი, რომელიც ცნობებს ამ ორი ქვეყნის შესახებ ერთმანეთს აშორებს. მაგრამ ამასაც რომ ამყამდ ვვერდი აუქციოთ, მარტო ეს ვადის გარემოებაც ნათლად ცხადჰყოფს იმ დიდ განსხვავებას, რომელიც ამ ორი ქვეყნის მევენახეობას შორის არსებობდა, როგორც ტექნიკური დაწინაურების დონის მხრით, ისევე მეურნეობის ამ დარგის ინტენსივობის თვალსაზრისით. თვით სტრაბონსაც აღბანეთის შესახებ ი შემომოყვანილი ცნობა სწორედ ამ ქვეყნის დაბალი კულტურის ერთ-ერთ საბუთთაგანად აქვს მოყვანილი.

მაგრამ ასეთი განსხვავება ვაზის გასხლვის ვადის მხრივ მარტო სხვად სხვა ქვეყნებს შორის კი არა, არამედ შესაძლებელია ერთილიადაც ქვეყნის სხვადასხვა თემის კუთხის მევენახეობაშიც არსებობდეს.

ამ დებულების სისწორის დასამტკიცებლადაც შორეულ ქვეყნებში წასვლა საჭირო არ არის, რათგან თვით საქართველოს მაგალითთაც ამის დადასტურება შეიძლება.

თუ ქართლ-კახეთსა და იმერეთში, სადაც დაბლარი მევენახეობა იყო და არის, ვაზის ყოველწლიური გასხლვა იყო მიღებული, გურიაში, სადაც, როგორც ვახუშტსაც ჰქონდა აღნიშნული, მაღლარი მევენახეობა არსებობდა, ვაზს საჯავახოს არეში მხოლოდ ორს, ან სამს, ანდა ოთხს წელიწადში ერთხელ სხლავდენ. გურიის დანარჩენ ადგილებში კი ვაზი ხუთს, ანდა რვა და მეტ წელიწადში ერთხელ ისხლებოდა ხოლმე (იხ. აქვე, გვ. 363).

²⁸ „In Kacheti... in Karteli... Man bringt die Reben des Herbstes nicht unter die Erde, beschneidet sie aber nach der Weinlese, so dass sie nur 4 bis 6 Augen, behalten und da der neue Trieb nicht stark ist, bindet man die Reben an Stöcke“.

²⁹ On taille les ceps ver la fin d'octobre, en n'y laissant que trois à quatre yeux“.

გასხლვის ვადის ასეთი განსხვავება, ყოველწლიური ერთი მხრით და ხუთ, ან რვა-ათ-წლიური მეორე მხრით, უეჭველია, მევენახეობის თვით წესის განსხვავებაზეც იყოს დამოკიდებული: ქართლ-კახეთში, სადაც ყოველწლიური გასხლვა იყო მიღებული, დაბლარი მევენახეობა არსებობდა, ხოლო გურიაში, რომელშიც ვაზს 5—8 წელიწადში ერთხელ ჰსხლავდენ, მაღლარი მევენახეობა იყო გაბატონებული. ამისდა მიხედვით, საფიქრებელია, რომ ალბანეთშიც, სადაც სტრაბონის დროს ვაზის გასხლვა ხუთ წელიწადში ერთხელ ყოფილა მიღებული, მაღლარი მევენახეობა იქნებოდა. ამ დასკვნების სისწორეს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ვენახებს იქ თურმე არ ჰბარავდენ და არ თოხნიდენ, რაც მაღლარ მევენახეობაში ჩვეულებრივ მოვლენას წარმოადგენს.

§ 3. გასხლვის ტექნიკა საქართველოში

ვაზის გასხლვის, ვითარცა მევენახეობის დონისა და ინტენსივობის საზომის, შესაფასებლად, რა თქმა უნდა, მარტო ვაზის გასასხლველობის ვადის ცოდნა არა კმარა. არამედ ადამიანმა ამათუიმ ქვეყანაში მიღებული ამ ღონის ტექნიკის რაობაც უნდა იცოდეს.

ხოლო რათგან ძველ საქართველოშიც, როგორც დავრწმუნდით, ზოგან მაღლარი, ზოგან კი დაბლარი მევენახეობა იყო. ამიტომ მაშინაც ამისდა გვირად სათანადო პირობებში და თემებში ან ყოველწლიური, ან და დროგამოშვებითი გასხლვა უნდა ვიგულისხმოთ.

როგორ სხლავდენ ვაზს საქართველოში მევენახეობის იმ უძველეს ხანაში, რომლის საზღვრად ამ წიგნში ქ. შ. XIII ს. გვაქვს დადებული? ამ მნიშვნელოვანი საკითხის გამოსარკვევად ძველ წყაროებში ჭერჭერობით არავეითარი პირდაპირი ცნობები არ მოგვეპოვება არც საქართველოზე და არც ალბანეთსა, ან სომხეთზე. ამიტომ, სანამ ასეთი ცნობები აღმოჩნდებოდეს, მკვლევარს ჭერჭერობით სხვა არავეითარი საშუალება არ დარჩენია იმას გარდა, რომ მერმინდელი ცნობების მიხედვით უფრო აღრინდელი ვითარების განკვერტა სცადოს. ცნობილია, რომ ქვეყნის სხვადასხვა ტომისა და თემის ყოფა-ცხოვრებასა და მეურნეობას, ისევე როგორც სასაუბრო ენას, ისეთი თვისება აქვს, რომ ზოგიერთი მათგანი ცენტრის წარმატებასა და განვითარებას კვალდაკვალ არ მიისდევს. არამედ ცხოვრებისა თუ მეურნეობის, ან ენის ზოგი ძველი წესებისა და ავლადიდების ზოგიერთ განძს, ამათუიმ ხანის სიტყვებსა და ფორმებს, ან უცვლელად. ან საკმაოდ კარგად იცავს ხოლმე. ამის წყალობით დაკვირვებულ მკვლევარს შეუძლია აქ შორეული წარსულის ასეთი ანარეკლი იხილოს. რომელსაც ამ ქვეყნის წერილობითს ძეგლებში უკვე ვეღარ იპოვრს. წერილობითი წყაროების ნაკლებობის გამო, მკვლევარს უფლება არა აქვს ასეთ მასალას გვერდი აუქციოს, პირიქით ის ვალდებულია ჭეროვანი წინდახედულობითა და სიფრთხილით ასეთი მასალაც შეისწავლოს და, მკაცრი კრიტიკული გაცხრილვის შემდგომ, მოპოვებული შედეგი გამოიყენოს. ჩვენც ვაზის გასხლვის ტექნიკის განვითარების საფეხურების გამორკვევაც ამ გზითვე უნდა ვცადოთ.

ცხადია, რომ ამ მიზნით გამოსაყენებელი ცნობები ისეთ ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც ქართულ მევენახეობაზე დასავლეთ ევროპული მევენახეობის წესებს ჭერ გავლენა არ ჰქონდა მოხდენილი.

საბედნიეროდ, ორი ასეთი ხანისა და ამნაირი თვისების ცნობა მოგვეპოვე-
ბა, რომელთაგან პირველი XVIII ს-საა და აკად. გიულდენშტედტს ეკუთვნის,
მეორე კი კლაპროთისა XIX ს. დამდეგისაა. ამ დროს დასავლეთ ევროპის მე-
ვენახეობაზე საქართველოში ჯერ არა იცოდნენ რა.

რაკი ორივე ცნობა წინა წ-ში უკვე მოყვანილი გვექონდა (იხ. აქვე, გვ. 359),
ამიტომ მათი აქ გამეორება საჭირო აღარ არის.

აკად. გიულდენშტედტის სიტყვით, ვაზის ყოველწლიური გასტლვის დროს
კახეთში რქებს ისე სჭრიდენ თურმე, რომ თვითეულზე მარტო ოთხს, ან და 6
კვირტს სტოვებდენ. კლაპროთი კი ამბობს, რომ არაგვის ხეობაში, დუშეთის
სანახებში, გასხლილ ვაზის რქაზე სამზე, ან და ოთხ კვირტზე მეტს არ სტო-
ვებდენ.

უკანასკნელი ცნობა მოკლედ გასხლული რქის სიგრძეს პირველზე უფრო
ზედმიწევნით უნდა ჰსაზღვრავდეს, სამაგიეროდ კლაპროთს გრძლად გასხლუ-
ლი რქის სიდიდის აღნიშვნა დაპიწყებია, გიულდენშტედტს დასახელებული
აქვს: ექვს კვირტზე გრძლად მას თურმე არ სხლავდენ.

ზემომოყვანილი ორი ცნობითგან ირკვევა, რომ აღმოსავლეთ საქართვე-
ლოში, ევროპული მევენახეობის გავლენამდე, ვაზის ორნაირი გასხლვა სცოდ-
ნათ 3 კვირტზე და ექვს კვირტზე, მამსადადამე ვაზის რქის მოკლედ და გრძლად
გასხლვა ყოფილა.

ამ დასკვნის დიდი მნიშვნელობისდა მიუხედავად, ძველ საქართველოში
არსებული ტექნიკის სრული ვითარების გასათვალისწინებლად მაინც არაერთი
ცნობა გვაკლია. ამათგან თავიდათავი მისი ტერმინოლოგიის ცოდნაა, რათგან
ეგების მისმა ანალიზმა საშუალება მოგვცეს გასხლვის ტექნიკის დაახლოვები-
თი ხნიერებაც გავიგოთ და უცხოეთის შესაძლებელი გავლენის კვლიც შევნი-
შნოთ.

რაკი საქართველოში გავრცელებული გასხლვის ტექნიკის ტერმინოლოგია
უკვე განხილული და განმარტებული გვაქვს, ამიტომ აქ თვით სხლვის ტექნი-
კაზელა უნდა გვექონდეს საუბარი ტერმინოლოგიასთან დაკავშირებით. რა თქმა
უნდა, ჩვენი მიზნისათვის ძველი ხანის ტექნიკას აქვს მნიშვნელობა, მაგრამ
რაც გიულდენშტედტისა და კლაპროთის ზემომოყვანილ ცნობებში გვაკლია.
იმის აღსადგენად, სხვა წყაროებს უქონლობის გამო, უნდა წარსულითგან
ხალხში შერჩენილი ცოდნით ვისარგებლოთ.

ქვემომოყვანილი ცნობები საქართველოს მევენახეობის იმ ხანას ეკუთ-
ვნის. როდესაც ევროპული მევენახეობის გავლენა ჩვენ სოფელში ჯერ საგრ-
ძნობი არ იყო, ცნობილია. რომ მხოლოდ XIX ს. დამლევეს. ფილოქსერის
წინააღმდეგ საბრძოლველად შემოღებულ ამერიკულ ვაზზე მყნობასთან დაკავ-
შირებით, XIX ს. დამლევეთგან მოყოლებული ჩვენში ევროპული მევენახეო-
ბის გავლენა თანდათანობით ჩნდება და ცოტ-ცოტა ფეხს იკიდებს.

თუმცა დიუბუა-საც მოეპოვება თავისი 1834 წ. მოგზაურობის აღწერილო-
ბაში ცნობა გასხლვის წესზე კახეთში, მაგრამ ის, უეჭველია, მისი პირადი და-
კვირების ნაყოფს არ წარმოადგენს და დამოუკიდებელი ღირებულება არა აქვს.
მის ნაშრომში ნათქვამია: კახეთში ზამთარში ვაზს მიწაში არ ჰმარხავენ.
წელიწადის სწორედ ამ ხანას ვაზის გასხლვას ანდომებენ, როდესაც გასხლუ-
ლ ვაზის რქაზე 4—6 კვირტს სტოვებენ. გაზაფხულზე, როდესაც ვაზი ყლორტ-

ბის გამოტანას იწყებს, მას სარზე აკაეებენო (Voyage autour du Caucase, t. IV, 211).³⁰ საქარისია, აღამიანმა ეს ცნობა აკად. გიულდენშტედტის ზემომოყვანილ ცნობას შეადაროს (იხ. აქვე, გვ. 351) იმის დასარწმუნებლად, რომ დიუბუა აქ თითონ კი არ მოგვითხრობს, არამედ მხოლოდ გერმანელი მეცნიერის სიტყვები აქვს³¹ გამეორებული.

გ. შარრერის ცნობებზე დამყარებულ 1875 წ. გამოქვეყნებულს კომპილაციის უცნობი ავტორის აღწერილობით, ქართლ-კახეთში ვაზს ასე სხლავდენ ხოლმე³¹: გასხლვის დროს აქ ვაზის ლერწზე სანაყოფო რქის ახლოს 2—3 კვირტზე გასხლილ ნეკსა სტოვებენ შემდეგი წლების სანაყოფო რქების გამოტანის გასაადვილებლად.

შიდა ქართლშიც გასხლვისას ვაზს მხოლოდ ორ რქას უტოვებდენ და მარტო ღონიერ ვაზზე იყო სამი რქის დატოვება მიღებული (Очерк Вд. К: СбСвК, III, 2, 54).

კახეთში XIX ს. დამლევსაც ვაზს გასხლვის დროს ერთს მოკლედ, 2—3 კვირტზე, მოჭრილ რქას უტოვებდენ, რომელსაც ნეკი ეწოდებოდა, და ერთს კიდევ გრძლად, 9—12 კვირტზე, გასხლილ რქას. ზოგი მევენახე ორ საყურძნე რქას სტოვებდა ვაზზე, მაგრამ ეს ვაზისათვის საზიანოდ ითვლებოდა (ა. ფირალოვი და ს. შავერდოვი, Оч. ВдВд Кахетии: СбСвВдК, VII, 53).

1875 წ. ცნობით, იმერეთში დაბლარი ვაზის გასხლვა ყოველწლივ იცოდენ, მაღლარს კი სამ-ოთხ წელიწადში ერთხელ სხლავდენ ხოლმე. ამასთანავე დაბლარს გასხლვისას 2-ს, ან 3 რქაზე მეტს უტოვებდენ, თუ ვაზი ღონიერი იყო, ხოლო სუსტზე მარტო ერთ რქასა სტოვებდენ (ხოჯაევის ცნობა: Оч. ВК-ში: СбСвК, III, 209). ერმ. ნაკაშიძეს ამავე საუკუნის დამლევს ამაზე უფრო ზედმიწევნითი ცნობები მოეპოვება.

გასხლვის დროს დაბლარს ვაზს უტოვებდენ ერთს, ან ორს მოკლედ, 2—3 კვირტზე მოჭრილ რქას, რომელსაც ნეკი, ანუ საწინაო ეწოდებოდა, და ერთს კიდევ სანაყოფოდ, ყურძნის მოსასხმელად, სტოვებდენ, რომელსაც გრძლად, უკვე 6—7 კვირტზე, სხლავდენ ხოლმე.

ძირულის ხეობაში კი ვაზზე ოთხს 2—4 კვირტზე გასხლილს რქასა სტოვებდენ, რომელთაგან ორს ნეკს ძველ რქაზე ანარჩუნებდენ ხოლმე და ამის წყალობით ორივე ყურძნის ისხამდა, ხოლო ორს მუშავაზზე, რის გამო ორივე უნაყოფო რქად რჩებოდა.

ქუთაისის სანახებში, სამოქალაქოში, ვაზზე 8—9 კვირტზე გასხლილს 3—5 სანაყოფოს, საყურძნეს რქას სტოვებდენ. ერთს მათგანს 10 კვირტზე და

³⁰ „On n'enterre pas les cepes pendant l'hiver; on profite de cette saison pour les tailler on ne leur laissant que 4 à 6 yeux, et quand la pousse a eu lieu, au printemps on lie les sarments à des echalas“.

³¹ «При обрезке весной оставляют здесь щип в 2—3 глазка на головном конце лозы, аazole плодоносного побега, для облегчения отращивания назначенных для следующих годов плодоносных побегов. Слабую лозу обрезают только на побеге безголовки, сильную же лозу — на один побег к головку, а совершенно слабую лозу — на головку без побега, отказываясь в последнем случае от урожая текущего года, чтобы не лишиться лозы силы (Очерк Вд. К., СбСвК, III, 239).

უფრო გრძელად სხლავდნენ, რომელსაც გასაბამი ეწოდებოდა და მეზობელი ვაზის რქაზე ამაგრებდნენ, აბამდნენ. ამ კუთხეში ნეკს, ანუ საწინაოს მხოლოდ უღონო ვაზზე სტოვებდნენ ხოლმე. თლიხნარის გასხლვისას ღონიერ ვაზზე 10—15 რქამდე სტოვებდნენ ხოლმე (ერმ. ნაკაშიძე, *Виноград. в Имеретии: С6СвВгВдК, III, 25*).

თუმცა რაქაში დაბლარი ვაზია გავრცელებული, მაგრამ წესიერად მხოლოდ ხვანჭკარის საზოგადოებაში ალექსანდროულის ჯიშის ვაზს სხლავდნენ, 2—3 კვირტზე გასხლილსა 1—2 ნეკს სტოვებდნენ და კიდევ 2 საყურძნე რქასაც, რომელსაც 5—6 კვირტზე სხლავდნენ ხოლმე. სხვაგან რაქაში ვაზზე 2—3 კვირტზე გასხლილს 1—3 ნეკს ანარჩუნებდნენ და 1—5-მდე საყურძნე რქას 7—15 კვირტზე გასხლილს (ე. დანდუროვის *Вг. и Вд. в Рачин. у.: С6СвВгВдК, III, 46—47*).

გურიაში მაღლარი ვაზი იყო და მის ზეგანის სოფლებში, უმთავრესად საჯავახოს არეში, ვაზს 2—3-ს, ანდა 3—4 წელიწადში ერთხელ სხლავდნენ, გურიის დანარჩენ ადგილებში კი, თუ რომ ვაზებით დარგული მიწის ნაკვეთი სასიმიინდელად უნდოდათ, მაშინ 5—8 წელიწადში ერთხელ სხლავდნენ, ხოლო თუ მის პატრონს ის ადგილი საყანედ არ სჭირდებოდა. მაშინ ვაზს ათი წლის განმავლობაში და ხანგრძლივად გაუსხლავს სტოვებდნენ. ასევე იყო სამეგრელოშიც. ასეთ პირობებში ვაზის გასხლვა ხმელი ტოტებისა და ზედმეტი რქების ჩამოცლას წარმოადგენდა. ამიტომაც ამ სამუშაოს ვენახის გაწმენდა, ე. ი. ვაზის გაწმენდა, მეგრულად კი გოწმინდუა ბინეხიში ეწოდება (ერმ. ნაკაშიძე, *Оч. Вг. и Вд. в Гурии и Мингрелии: С6СвВгВдК. IV, 78.—С6СвК, III, 221*).

XVIII—XIX სს. ზემომოყვანილი ცნობების შეფასების დროს, უპირველესად განსახილველია საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენად ძველია დანეკვის წესი საქართველოში, ადგილობრივია 3 კვირტზე გასხლვის ღონეობა, თუ უცხოეთითგან შენათვისებად უნდა იქმნეს მიჩნეული. ამ საკითხების გადასაწყვეტად წინასწარ ვაზის გასხლვის ზოგადი ისტორიის გათვალისწინებაც არის საჭირო. ამიტომ სანამ ზემომოყვანილი საკითხის გადაწყვეტას შეუდგებოდეთ, წინასწარ სხლვის ტექნიკის ისტორიასაც უნდა გადავავლოთ თვალი, უმთავრესად ძველ ხანაში.

§ 4. გასხლვის ტექნიკა ძველ საბერძნეთსა და იტალიაში

ვაზის გასხლვა ძველ საბერძნეთსა და იტალიაში თითქოს უხსოვარი დროითგან უნდა არსებულიყო, რომში XII ტაბულების კანონებში (სახელდობრ მე-6-ში) ვაზის გასხლვა უკვე მოხსენებულია. საბერძნეთში კლადეკტერიებად წოდებული გასხლვის ყოველწლიური დღესასწაულიც კი იყო დაწესებული, იტალიაში კი გასხლვა სარწმუნოებრივ ვალდებულებად აქციეს ისე, რომ ტაძარში ღვინის შეწირვა მხოლოდ გასხლილი ვაზისაგან დაყენებულსა შეიძლებოდა (*R. Billiard. La Vigne, 345—346*).

ბერძენთა და რომაელთა მოძღვრების თანახმად, ვაზისათვის გასხლვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ადამიანს თითქოს ერთმა სრულებით შემთხვევითმა მოვლენამ შეაგნებინა. ბერძნული თეორია პავზანიასს აქვს ჩაწერილი

და, მისი ცნობით, რქების ჩამოცლის მარგებლობა პირველად ნაუპლიელთა მოსვლით ფიქრად. ასეთი აზრი მათ ვითომც შემდეგი შემთხვევითი დაკვირვების წყალობით დაჰბადვიათ: ერთხელ ვირს ვაზის რქები და ყლორტები მოუკამია და, როდესაც ნაუპლიელთ დაუნახავთ, რომ ამას არამც თუ ვაზისათვის არ უენია, არამედ პირიქით ამის შემდგომ ვაზს მეტი მოუსხამს, იმათაც ვაზის გასხლვა დაუწყიათ. რომაული გარდმოცემა ოდნავაა მხოლოდ შეცვლილი და მარტო ვაზის პირველ დამაზიანებელ ცხოველად, ვირის მაგიერ, თხაა დასახელებული. ეს გარდმოცემა ოვიდიუსს აქვს თავის თხზულებაში ალბექილი (R. Billiard, იქვე, 345).

მაგრამ სხლვაც არის და სხლვაც. XII ტაბულების კანონებში მოხსენებული გასხლვა, უეკველია, კოლუმელლას-დროინდელ გასხლვასთან შედარებით, მარტივი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ თანდათანობით შეეძლო ადამიანს ვაზის გასხლვის სრულებით მიზანშეწონილი წესი და საუკეთესო ტექნიკა შეემუშაებინა. იმისდა მიუხედავად, რომ ამ საკითხის შესწავლას მევენახეობა-მელვინეობის ეკონომიკის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს და რომელი აგრონომების თხზულებებიც საკმაოდ არის შენახული, მაინც ზოგიერთი ცნობის უქონლობა აქაც საგრძნობია და ამის გამო არაერთი გარემოების გამოკვევა შეუძლებელი ხდება. ალბათ ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ R. Billiard-ს თავის საუცხოვო, ვრცელს გამოკვლევაში ამ საკითხის გაშუქებისთვის გვერდი აუქციეცია.

საგულისხმოა, რომ კატონს (*234 წ. ქ. წ.) უკვე ნახმარი აქვს ვაზის რქების აღმნიშვნელი ის ორი ტერმინი, რომელთაგან ერთი შემდეგშიც იხმარებოდა. მეურნეს ის ურჩევდა: კარგად დაკავებულ ასწვრივ აშვებულ ვაზზე საღვინე და მცველები წესიერად დასტოვეთ (M. Porcius Cato. De re rustica, XXXIII)³². „მცველნი“ Custodes, როგორც კოლუმელლას ქვემომოყვანილი ამონაწერიდან ცხადი შეიქმნება, ქართულს სამამულე რქას უდრის. Vinarius-ი კი საღვინეს და მელვინეს პნიშნავს და სხვა ავტორებს ამ სიტყვის მაგიერ palmes ან და palma აქვთ ნახმარი. უეკველია. ვინარის-ი: ანუ საღვინე რქა, საყურძნე, ანუ სანაყოფო რქის აღმნიშვნელია.

ვაზის გასხლვა-აჯოჯავს მ. ტერენტიუს ვარრონიც (116—27 წ. ქ. წ.) ხეობა თავის ნაშრომში მიწისმოქმედების შესახებ (Rerum rusticarum de agricultura). მისი განმარტებით. აჯოჯავ³³ (pampinare) ეწოდება ვაზზე ყველა რქათაგან მხოლოდ ერთის. ან ორის, ზოგიერ სამის, უდონიერესად მიჩნეული, რქის დატოვებას და ყველა დანარჩენის ჩამოცლას იმ მოსახრებით, რომ ვაზი ყველა რქის გამოკვებას ვერ შესძლებსო. ამავე მიზეზის გამო ახლად ამოსული ვაზის პირველი ამონაყარის ტოტები ყველა უნდა მოიჭრას, რომ მიწითგან ღონიერ ლერწად აღმოცნდეს და რომ შემდეგ გამოტანილ რქებს უფრო მეტი ძალა ჰქონდეთ, რათგან როდესაც ლერწას სიმაგრე აქლია, იგი ბიცია და ვაზს ნაყოფიერი რქის გამოტანა არ ძალუძს.

³² „Viten bene enodatam deligato recte... vinarios, custodesque recte reliquito“. M. Nisard-ი ასე თარგმნის: „...reservez d'espace en espace des branches à fruit et de réserve“ (Les agronomes latins, publiés sous la direction de M. Nisard, Paris, 1864 წ., გვ. 15).

³³ ამ ტერმინის მნიშვნელობის განმარტება იხ. აქვე.

ასეთ უძლურ რქას ფლაგელუმს (*flagellum*), ხოლო მსხვილს, რომელიც ყურძენს ისხამს, პალმა-ს უწოდებენ (*palma: de agricultura, t. I, 31*)³⁴.

ზემომოყვანილი ამონაწერითგან ცხადი გახდება, რომ თუმცა ვარრონი ვაზზე მხოლოდ ერთი, ან ორი, ანდა სამი ულონიერუსი რქის დატოვებას, ხოლო დანარჩენის მთლიანად ჩამოცლას ურჩევდა თავის თანამემამულეებს, მაგრამ ამას იგი გასხლვას კი არა, არამედ აჯოჯვას უწოდებდა (*pampinare*). ამასთანავე, ამ ავტორს თავის ნაშრომში არცერთი გასხლვის აღმნიშვნელი ლათინური ტერმინი (*putatio, resectio, tondere, sarpere*) ნახმარი არ აქვს, თუმცა აჯოჯვა, მისი რჩევის თანახმად, ადრე გაზაფხულზე უნდა დაეწყოთ, როდესაც ჩვეულებრივ აჯოჯვა კი არა, არამედ სწორედ გასხლვა წარმოებდა. ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ვარრონი გასხლვასა და აჯოჯვას ერთმანეთისაგან ვერ არჩევდეს.

ამ ავტორის აგრონომიულ თხზულებაში კიდევ ერთი საყურადღებო გარემოებაა აღსანიშნავი. მას დასახელებული აქვს ვაზის სანაყოფო რქის ლათინური ტერმინი *palma* პალმა, რომელსაც მერმინდელი აგრონომები და ავტორებიც ხმარობდნენ, მაგრამ სამამულე რქის, ანუ ნეკის არამცთუ სახელი არ მოეპოვება, არამედ ამაზე მას არსად არაფერი ნათქვამიც კი არა აქვს. სანაყოფო რქას ვარრონი სამამულე რქას კი არ უპირისპირებდა, როგორც შემდეგში კოლუმელლა და პლინიუსი იქცეოდნენ და ჩვეულებრივ არის მიღებული, არამედ წვრილ, უძლურს, უნაყოფო რქას, რომლის ტერმინადაც მას *flagellum*, ე. ი. შოლტის, წნელისა და ლერწის აღმნიშვნელი სიტყვა აქვს დასახელებული.

ვარრონს არა აქვს ნათქვამი, თუ რა სიჭრძე უნდა ჰქონოდა ვაზის იმ სამიოდე ღონიერ რქას, რომლის სანაყოფოდ დატოვებასაც თავის მკითხველს ურჩევდა, საჭირო იყო თუ არა მათი გასხლვა. რაკი მას გასხლვის აღმნიშვნელი ცნებისა და ტერმინის კვალიც კი არ უჩანს და, მისი აზრით, სამიოდე უძლიერეს რქას გარდა, ყველა სუსტი, ვითარცა უნაყოფოდ საგულეებელი, უნდა ჩამომეტვრიათ, ექვი იბადება, რომ ვარრონი სანაყოფო რქების ტოლმეტად გასხლვას საჭიროდ არ სთვლიდა. სხვანაირად ძნელი ასახსნელია ის დუმილი და უცნაური გულმავიწყობა, რომელიც ვაზის გასხლვის შესახებ ემჩნევა.

ვარრონის მომდევნო ავტორს, კოლუმელლას, აღნიშნული აქვს, რომ ასარულ ვაზს საჯანგებო მოვლა სჭირდებოდა: მევენახეს ვაზის ზროსთვის ასწვრივი მიმართულება უნდა მიეცა, ხოლო როდესაც ლერწი სარის მწვერვალს (*ad summum palum*) მიაღწევდა, ვაზი სარზე უნდა მიემაგრებინათ, რომ მტენების სამძიმეს იგი არ დაუძლურებინა და არ მოეხარაო (*De re rustica, I, IV, 20*).

კოლუმელლას ნაშრომითგან ჩანს, რომ იტალიაში დაბლარი ვაზის ზროს. მუშავაზს ზევით, ოთხი მხრით წარმართულ ტოტად უშვებდნენ: ვაზს ოთხმხრივი განტოტება ჰქონია. ხუთი წლის ვაზი ისე უნდა გაიხსლას, რომ მისი ზროს მწვერვალის სარზე თითქმის ერთი ტერფით უფრო დაბალი იყოს, თვით

³⁴ „Pampinare est ex sarmento coles qui nati sunt, de iis, qui plurimum valent, primum ac secundum, nonnum quam etiam tertium relinquere, reliquos decerpere... Ejuscidem enim sarmentum propter infirmitatem sterile, neque ex se potest ejicere, vitem. Quam vocant minorem flagellum, majorem etiam, unde uvae nascuntur, palman“.

ზრო კი უნდა ოთხ ტოტად, რომელთაც ზოგიერთნი დურამენტა-ს (duramenta) უწოდებენ, და იმდენ ნაწილადვე დაიყოსო (De re rustica, I, IV, 21)³⁵.

ამის გადასაწყვეტად კი გამსხველელს უნდა სცოდნოდა, თუ როგორ გაერჩია, ვაზის რომელი რქათაგანი უფრო მეტს ყურძენს მოისხამდა. უამისოდ შესაძლებელია სხვლას, რგების მაგიერ, დიდი ზიანი მოეტანა. ამ ხანაში რომაელ აგრონომებს ამ საკითხის გადასაწყვეტად უკვე საკმაო დაკვირვება და გამოცდილება ჰქონიათ.

კოლუმელამ მაინც უკვე იცოდა, რომ ყურძენს ის რქა ისხამს, რომელიც წარსული წლის რქაზეა ამოსული. ამასთანავე, მისი სიტყვით, ასეთ რქას ნაყოფი თითქოს მხოლოდ 5 ან 6 კვირტის მანძილზე გამოაქვს (De re rustica, I, III, 18)³⁶. ასეთს, ყურძნის მომსხმელსა და მოსასხმელად გაშვებულ-დატოვებულ რქებს კოლუმელმა fructuaria-ს, ე. ი. სანაყოფოს უწოდებდა. თავის დარიგებაში გასხლვის შესახებ ნათქვამი აქვს: გრძელი, ძველი, ცუდ ალაგას ამოსული, დაგრებილი და დაღმა მოხრილი რქები უნდა მოიჭრას, ხოლო ნორჩი (ახალი) და სანაყოფო (fructuaria) უნდა დატოვებული იქნასო (De re rustica, I, IV, 24).

მაგრამ კოლუმელლას კარგად ესმოდა, რომ მევენახე მარტო სანაყოფო რქების მოვლითა და სიმრავლით არ უნდა ყოფილიყო გატაცებული, არამედ ვაზის მომავალზეც უნდა ეზრუნა და მისთვის ძალღონის მუდამ შენარჩუნებისათვის ხელი შეეწყო. ეს კი უპირველესად ვაზის გასხლვის დროს სამამულე რქის დატოვებით შეიძლებოდა.

რამდენად ნათლად ჰქონდა კოლუმელლას გასხლვის დროს შემდეგი წლისათვის გამოსადეგი ვაზის რქის შერჩევის უალრესი მნიშვნელობა შეგნებული, ამას ისიც ამტკიცებს, რომ ამ რომაელ აგრონომს ეს მოთხოვნილება თავის იმ სამ მცნებაში აქვს ჩართული, რომელიც მისი აზრით მევენახეს ვაზის გასხლვის დროს უნდა დაეცვა. კოლუმელმა ამბობს: გასხლვის საქმის შესრულების დროს მევენახემ უმთავრესად სამი რამე უნდა დაიცვას: პირველი, რომ გასხლილი ვაზი რაც შეიძლება მეტ ნაყოფს უქადდეს ადამიანს, მერმე, რომ მომდევნო წლისათვის სწორე, საუკეთესო ლერწები შეარჩიოს და შემდეგ ვაზს, რამდენადაც შესაძლებელია, ხანგრძლივი არსებობა შეუნარჩუნოსო (De re rustica, I, II, 24)³⁷.

თუ კოლუმელლას ზემომოყვანილი სამი მცნებითგან არა ჩანს, რომ მომდევნო წლისათვის შესარჩევი ლერწები დანეკილი უნდა ყოფილიყო, ის გარემოება ხომ მაინც ცხადია, რომ შემდეგი წლისათვის შერჩეული რქების, ე. ი. სამამულე რქის ვაზზე დატოვება კარგი მევენახის მოვალეობად მიაჩნდა.

კოლუმელლას ვაზის გასხლვაზე თავის ნაშრომში შემდეგი დარიგება მოეპოვება. ხუთ წლამდე, სანამ ვაზი ნორჩი იყო და მანამ გამაგრდებოდა, ოთხად დატო-

³⁵ „Quinquennis vineae non alia est putatio, quam... ut caput trunci pedali fere spatio sit inferius jugo, quaternisque brachiis, quae duramenta quidam vocant, dividatur in totidem partes“.

³⁶ „...colligebam fere intra quintam vel sextam gemmam, quae sint praximae“ veteri sarmente, fructum edi“.

³⁷ „Quandaque igitur venitor hoe opus obibit, tria praecepue custodiat: Primum ut quam maxime fructui consulat, deinde ut in annum sequentem quam laetissimas jam] hinc eligat materias, tum etiam, ut quam longissimam perennitatem stirpi acquirat“.

ტვილ (*quaternisque brachiis*) ვაზის თვითეულ ტოტზე ერთი სანაყოფო რქის მეტი არ უნდა ყოფილიყო დატოვებული³⁸. რამდენიმე წლის შემდეგ კი, როცა ვაზი მომაგრდებოდა და წამოიზრდებოდა, ვაზზე შესანარჩუნებელი სანაყოფო რქების რიცხვი უკვე განსაზღვრული არ არის და ყველაფერი პირობებზე, ნიადაგის სიღრმეებზეა დამოკიდებული. კოლუმელლას აზრით, მაინც ერთ ძირ ვაზზე რვა სანაყოფო რქაზე მეტის დატოვება არ ღირდა, რათგან მაშინ ასეთი ვაზები უფრო ხეივანს (*pergulae*) დამსგავსება, ვიდრე ვენახსაო (*De re rustica*, I, IV, 21).

ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ირკვევა, რომ ოთხ-განტოტებიანი დაბლარი ვაზის გასხლვის დროს, კოლუმელლას რჩევით, თითო განტოტებაზე თითო, ან და სულ ბევრი ორ-ორი რქა (*bina flagella*) უნდა ყოფილიყო დატოვებული, ყველა დანარჩენი, მამასადამე, უნდა მოეკრათ.

მაგრამ თანდათანობით ოთხი განტოტება შესაძლებელია ისე გამსხვილებულიყო, რომ ზროზე უფრო დიდი გამხდარიყო. კოლუმელლა ამბობდა: იქამდის არ უნდა მივიყვანოთ, რომ განტოტება ვაზის ზროზე უფრო გამსხვილდეს, არამედ როდესაც კი განტოტებათა გვერდით სანაყოფო რქების გამოზრდა იყო შესაძლებელი, მათ ზევით მდებარე განტოტება უნდა გულმოდგინედ მოკრილიყო და ვაზი ყოველთვის ნორჩი სანაყოფო რქით განახლებულიყო (*De re rustica*, I, IV, 21)³⁹.

კოლუმელლას ნაშრომითგან ჩანს, რომ იტალიაში ყველგან და ყველა ოთხ-განტოტებიანი ვაზის მოყვანას არ მისდევდა, რომელ აგრონომს ნათქვამი აქვს: თუ ზოგიერთი ვაზთაგანი, ან წამტვრეულია (*prae fracta*), ან საკმაოდ ტანმალალი⁴⁰ არის, თანაც შესაფერი ადგილიც გააჩნია, რომელთაგანაც მომდევნო წელს ვაზი უნდა განახლდეს, მაშინ უნდა ცერად გაისხლას (*in pollicem tondeatur*), რომელსაც ზოგნი *custos* კუსტოს-ს (მცველს), ზოგნი კიდევ *resex*-ს (ნახსლავს), სხვები კი *praesidiarius*-ს (დამცველს) უწოდებენ. ე. ი. ლერწი ორს, ანდა სამ კვირტზე გაისხლასო. მას შემდგომ, რაც ის სანაყოფო რქებს გამოიტანს, ყველაფერი, რაც კი ძველი ტოტის ზევით არის, უნდა მოიჭრას და ამნაირად ვაზი ნორჩი სანაყოფო რქის წყალობით აიყრის ტანსაო. კოლუმელლას აზრით, ეს კარგა ნოვლილი ვენახების წესია, რომლის დაცვაც ყოველთვის საჭიროაო (*De re rustica*, I, IV, 21)⁴⁰.

რაკი, კოლუმელლასივე განმარტებით, ცერად გასხლვა, *in pollicem tondere*, ვაზის რქის ორს, ან და სამ კვირტზე მოჭრას ეწოდებოდა, ცხადი ხდება, რომ ეს რომელი ტერმინები, ცერი *pollex*, ცერად გასხლვა *in pollicem tondere* ქართულ ნექს, ანუ სამამულე რქას და დანეკვას უდრის.

³⁸ „Haec brachia sat erit interim singulis palmitibus in fructum submitti“.

³⁹ „Nec debemus committere, ut brachia pleniora frunco sint: verum assidue, cum modo e lateribus eorum flagella licuerit submittere, amputanda erunt superiora duramenta... Sed novellis palmis semper vitis renovetur“.

⁴⁰ „Sin aliqua earum vel prae fracta, vel parum procera fuerit, locumque idoneum obtinebit, unde vilis anno sequenti renovari debeat, in pollicem tondeatur, quem quidam custodem, alii resecem, nonnulli praesidiarium appellant, id est sarmentum gemmarum duarum vel trium, ex quo cum processere frugiferae materiae, quicquid est supra vetusti brachii, amputatur et ita ex novello palmite vitis pullulascit. Atque haec ratio bene institutarum vinearum in perpetuum custodienda erit“.

იტალიაშიც დანეკვას და ნეკს მარტო ერთი სახელი არ ჰქონია და ყველანი თურმე მას ცერად გასხლავსა და ცერს არ ეძახდენ, არამედ კიდევე სამი სხვა სახელიც ჰქონიათ. ზოგი კუსტოს-ს უწოდებდა, იმ სახელს, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, უკვე კატონს ჰქონდა ნახმარი, — ზოგი პრეზიდიარუს-ს. ორსავე ამ ტერმინს ერთიდაიგივე შინაარსი აქვს, რათგან კუსტოს-ი თუ მცველს ჰნიშნავს, პრეზიდიარუს-ი დასაცავად განკუთვნილს, დასაცველს ჰნიშნავდა. ამ ორ ტერმინში რომაელ მევენახეს ნეკის ანუ, როგორც იტალიაში ხმარობდენ, ცერის დანიშნულება გამოუხატავს, რომ ის ვაზის მომავალი ზრდის დასაცავად იყო განკუთვნილი. მაშასადამე, რომაული ტერმინები კუსტოს-ი და პრეზიდიარუს-ი მნიშვნელობის არსებითი შინაარსით ქართულ ტერმინს სამამულე რქას მიემსგავსება.

კოლუმელლას ცნობით, ზოგიერთი მევენახე სილამაზის გულისთვის, სამამულე რქა (custos—მცველი) რომ უფრო მოკლე გამოსულიყო და ცერს დაჰმსგავსებოდა (similis pollicis), ლერწს კვირტის (articulum) მახლობლად სჭრიდენ. მაგრამ რომაელ აგრონომს ასეთი ჩვეულება მაგნედ მიაჩნდა: კვირტებს შუა მდებარე ნაწილში უნდა მოიჭრასო (De re rustica, I, IV, 24).

ნეკის აღსანიშნავად ზოგთაგან იტალიაში მიღებული სახელი resex კი სამამულე რქის მოკლედ მოსაქრელობის გამოხატველია.

დასასრულ, კოლუმელლას ნეკისა, ანუ სამამულე რქისათვის სახელად Subsidiarius-ი, ანუ სამარაგო-ც აქვს ნახმარი: subsidiarius idemque custos სამარაგო (სუბსიდიარუს) იგივე მცველი (კუსტოს) ნეკად არ უნდა გაიხსნას, თუ რომ სანაყოფო რქები, რომელთაგან უახლოეს მომავალში ნაყოფია მოსალოდნელი, შესაფერის ადგილასაა, რათგან მათ ნიადაგისკენ დაჰხრი და დააკავენ თუ არა, მაშინვე, დამაგრებულ ადგილს ქვემოთ, ლერწის ზრდას გამოიწვევს, მაგრამ თუ ვაზის რქები მეურნეობის წესით ნებადართულზე უფრო გრძელდება და იმდენად უხვი განტოტება აქვს, რომ მახლობელი ვაზების სარებსაც კი სწვდება, მაშინ რამდენადაც შესაძლებელია მუშავაზსა, ანუ ზროსთან უფრო ახლო ორ, ანდა სამ კვირტზე გასხლიდ მცველს (ე. ი. სამამულე რქას) ვტოვებთ, რომლისგანაც, ცერებრ გასხლილი რქისაგან, მომავალ წელს გამოტანილი ლერწი ტოტად იქცევა, რომ ასე გასხლილი და განახლებული ვაზი თავის სარის არეში მოთავსდესო (De re rustica, I, IV, 24)⁴¹.

უკანასკნელი ამონაწერი დაარწმუნებს ადამიანს, რომ კოლუმელლას თითქოს თვით თავისივე წინა დებულება აქვს დარღვეული. ზემომოყვანილ ადგილას მას ნათქვამი აქვს, რომ დაბლარი ვაზის დანეკვას მევენახე კარგად მოვლილ ვენახში უნდა ყოველთვის მისდევდესო. უკანასკნელი ცნობითგან კი ირკვევა, რომ გარკვეულ პირობებში დანეკვა არც კი ყოფილა სასურველი და ისე გამოდის, თითქოს დანეკვა განტოტების, ლერწის გასხვილებისა და რქათა უხვი და წაგრძელებული ზრდის თავითგან ასაცილებლად ყოფილიყოს საჭირო. მართალია კოლუმელლას აღნიშნული აქვს, რომ ვენახის ნიადაგის გა-

⁴¹ „At si longius, quam ritus agrorum permittit, a capite vitis emicuerit et brachiis in aliena jugoram compluvia perreperit, custodem validum ex quam maximum juxta truncum duorum articularum, vel trium relinquimus, et quo quasi pollice proximo anno citata materia formetur in brachium, ut sic recisa vitis ac renovata intra jugum contineatur“.

ფხვიერების შემდგომ ვაზის სხლეა იწყება, როდესაც ძველი ავტორების დარიგებით ვაზი ისე უნდა გასხლილიყო, რომ კვლავ ნიადაგითგან ორი კვირტის სიმაღლეზე შეევეცილ პატარა ზროაკად ქცეულიყო (De re rustica, I, IV, 9)⁴², მაგრამ მისგანვე ნახმარი გამონათქვამი ზროაკი, პატარა ნორჩი ზოთ (virgula), ცხადყოფს, რომ აქ ახალნერგ, 1—3 წლის ვაზის გასხლეაზე ჰქონდა საუბარი.

კოლუმელლას მსჯელობით, ვაზის გასხლეის წესი ვენახის მდებარეობისა და მიხედვითაც უნდა განსხვავებულიყო, მაგ., ჩრდილოეთისაკენ მდებარე ვენახში ასარულ ვაზზე გასხლეის დროს მხოლოდ ორი რქა უნდა ყოფილიყო დატოვებული, ერთი — სარზე დასაკავებელი ადგილის ახლოს და ერთი კიდევ იმის ქვეით მცველად, ვაზის მომდევნო წელს განახლებისათვისაო („una tantum mado materia jugo proxima et unus infra eam custos erit submittendus, cui vitem mox in annum renovet“: I, IV, 24). პირიქით სამხრეთისაკენ მდებარე ვენახში ვაზზე ბევრ სანაყოფო რქას სტოვებენო (იქვე).

კოლუმელლას ნახმარი აქვს ტერმინი „angusta putatio (De re rustica, I, III, 21, § IV, 10: „angusta putatione“, — „angusta putandum“, I, IV, 24) მოკლე გასხლეა. R. Billiard-ი ამბობს, რომ გასხლეა გრძელი და მოკლე არსებობდა (la taille longue, la taille courte): როდესაც ლერწს სამ კვირტზე გრძლად სჭრიდენ, ეს გრძელი გასხლეა იყო, ხოლო როცა სამ კვირტზე, ანდა ნაკლებზე იჭრებოდა, ეს უკვე მოკლე გასხლეა იყო (La vigne, 353). ამგვარად, მოკლე გასხლეა ქართულ დანეკვას უდრის, გრძელი კი სანაყოფოდ, ან საკავებლად დაყენებას. მაგრამ კოლუმელლას გამონათქვამი angusta putatio მოკლე გასხლეა ასეთი მნიშვნელობით არ ჰქონია ნახმარი: სადაც მას მოკლე გასხლეაზე აქვს საუბარი, ყველგან საკითხი სანაყოფო რქის სიგრძეს ეხება. მაგ., III წიგნის 21-ე თავში მას ნათქვამი აქვს: ფრიად მნიშვნელოვანია შეიქნას გასხლეის დროს თვითიულ ამ ვიზისდა მიხედვით ვაზზე ბევრსა, თუ ცოტა ლერწს დასტოვებს. ვაზის ზრდას გრძელი სანაყოფო რქების დატოვებით გააძლიერებს, თუ პირიქით მოკლე გასხლეით შეზღუდვას. IV წიგნის 24-ე თავშიც კოლუმელლას განმარტებული აქვს, რომ ძნელი განსასაზღვრელია, თუ რა სიგრძისად უნდა გაიხსლას ვაზი (longitudini modum difficile est imponere). თუმცა უმრავლესობა ვაზის რქას იმდენ სიგრძეს უტოვებს, რომ მისი სარზე დამაგრება, შეზღვევ მეორე მხრით მისი მოხრა შესაძლებელი იყოს ისე კი, რომ მიწას არ აღწევდესო. ჩემი აზრით კი, გასხლეის დროს რქის სათანადო სიგრძის გადასაწყვეტად სხვადასხვა ვარემოების გათვალისწინებაა საჭირო: უპირველესად ვაზის ჯიშის ბუნებას (primum vitis habitum), მის ძალას, ანდა სისუსტეს, შემდეგ ნიადაგის თვისებასაც უნდა გაეწიოს ანგარიში, საერთოდ კი სანაყოფო რქის სათანადო სიგრძე მისი კვირტების რიცხვზე უნდა იყოს დამოკიდებული, რათგან თუ მას ბევრი კვირტი ასხია, მისი დამოკლება სჯობია, რომ მეტისმეტი ნაყოფისაგან ვაზი არ დაუძლურდეს. თუ ცოტა, უფრო გრძლად. წარსული წლის მოსავლის სიდიდის გათვალისწინებაც არის საჭირო, რათგან წარსული წლის უხვი მოსავლის შემდგომ ვაზებს გაფრთხილება სჭირდება და, მაშასადამე, უნდა მოკლედ გაიხსლას, მცირე მოსავლის შემდგომ კი მინებება შეიძლება (De

⁴² „...putatio, ut ex praecepto veterum auctorum vitis ad unam virgylam revocetur, duabus gemmis juxta terram relictis“.

re rustica, I, IV, 24)⁴³. ცხადია, რომ აქ რომაელ აგრონომს ნეკზე და სანაყოფო რქად გაშვებაზე კი არა, არამედ სანაყოფო რქის გრძლად და მოკლედ გასხლაზე აქვს საუბარი.

საყურადღებოა კოლუმელლას ცნობა ვაზის სარზე დაკავების წესის შესახებაც. მისი სიტყვით, ვაზს იმ ადგილის ახლო, სადაც იგი სარზე იყო მიმაგრებული და განტოტება იწყებოდა, ზემო სანაყოფო რქებს ქვემოთკენ მოჰხრიდნენ ხოლმე და ასე მიამაგრებდნენ სარზე (De re rustica, I, IV, 20 და 24)⁴⁴. ამნაირად დაკავებულ დამაგრებულ სანაყოფო რქას მოხრილობა (curvatura) ახასიათებდა.

კოლუმელლას ნაშრომითგან ჩანს, რომ თუმცა მას დანეკვის მნიშვნელობა ესმოდა და გასხლვის დროს დანეკვის მომხრე იყო, მაგრამ მხოლოდ ვარკვეულ დროსა და პირობებში. მისივე მოწმობით ირკვევა, რომ რომაულ მევენახეობაში დანეკვას მარტო კარგად დაყენებულ მეურნეობაში მისდევდნენ.

კოლუმელლას მომდევნო პლინიუსს თავის 80 წ. ქ. შ. დამთავრებულს ბუნებისმეტყველების ისტორიაში (Naturalis historia) აღწერილი აქვს ვაზის გაზრდა-ვაშენების სხვადასხვა მაშინ ცნობილი წესი: მაღლარი, ხეივანი, დაბლარი, ბუჩქად ნაზარდი, მიწაზე განრთხმულ-გაბანდული, რომელთაც თვითთველს ვაზის თავთავისი ჯიში და მოვლა სჭირდებოდა (Natur. hist., I, XIV, 3, § 1—5).

განთქმულ რომაელ ბუნებისმეტყველს ხაზგასმით თავშივე აქვს აღნიშნული, რომ ვაზებს ყოველწლიური გასხლვით შეჰკვეცდნენ ხოლმე და ამ საშუალებით მათში რქების გამოტანის ძალას გამოიწვევდნენ, ან წინას შეაღვეინებდნენ (Natur. hist., I, XIV, 3, § 1)⁴⁵.

როგორც მეცნიერ ბუნებისმეტყველს შეეფერება, პლინიუსს ვაზის რქების თვისებათა და დანიშნულებისდა მიხედვით ზოგადი დახასიათება და კლასიფიკაციაც მოეპოვება. მისი სიტყვით, ვაზის ორნაირი რქები არსებობს: ერთს, რომელიც ვაზის მაგარ ნაწილზე გამოვა ხოლმე და იმავე წელს ლერწმა ჰქმნის, pampinarius პამპინარიუს-ი (ე. ი. საფოთლე = ქართულ ტყუილ რქას) ეწოდებოდა, მაგრამ თუ ეს რქა ნაწიბურს ზემოთ (supra catricem) არის ამოსული, სანაყოფო (fructuarium) ეწოდება. მეორენაირი, ერთწლიან ლერწმზე ამოსული რქა კი (alterum ex anniculo palmita) ყოველთვის ნაყოფიერია (semperque fructuarium). სტოვებენ აგრეთვე რქას საყრდნობის ქვედა ნაწილის არეში (sub jugo), რომელსაც კუსტოს-ი (custos. ე. ი. მცველი) ჰქვია. იგი ახალი, სამ კვირტზე არაუგრძელესი, რქაა, რომელმაც უნდა მახლობელ წელს რქა გამოიტანოს, თუ რომ ვაზი ნაყოფიერების ნამეტნაობით გამოიფიტა, ამის (ე. ი. მცველად წოდებული რქის, ანუ ნეკის) მახლობლად მორჯეს, მეჰკვის ოდენა, კვირტსაც სტოვებენ. რომელსაც furunculus ჭურუნკულუს-ს ეძახიან, თუ მცველზე დამყარებული იმედი გაცრუდება (Natur. hist., I, XVII, I, 34, § 23)⁴⁶.

⁴³ „Post largos fructus parcendum est vitibus et ideo anguste putandum“.

⁴⁴ „...palmae... superpositae deorsum versus curvantur vinculo“ (c. 20)... „ubi ligaveris eas et in terram spectantes deflexeris“.

⁴⁵ „Hae vites tonsuro annua coercentur“.

⁴⁶ „Sie duo genera palmitum: quod e duro edit, materiamque in proximum annum promittit, pampinarius vocatur, at ubi supra cicatricem est, fructuarium. Alterum ex anniculo pal-“

ამ მცველად სახელდებული რქის, ქართული ნეკის, ანუ სამამულე რქის, მღებარეობაზე პლინიუსს ნათქვამი აქვს, რომ ის მუშავაზის ახლობელი რქაა („custodem relinqui... is proximis viti esse debet“: I, XVII, 34, § 24).

ამნაირად პლინიუსს შემდეგი ზოგადი დებულება აქვს გამოთქმული: 1. ვაზის ძველ ნაწილზე, მუშავაზზე ამოსული რქა ჩვეულებრივ უნაყოფოა, ის მხოლოდ შეფურცლილია ხოლმე. 2. ერთწლიან რქაზე ანუ, ქართული ტერმინოლოგია რომ ვიზმართ, ძველ რქაზე ამოსული რქა ყოველთვის სანაყოფოა. 3. სამამულე რქა, იტალიაში მცველად წოდებული, მუშავაზთან ახლო მდებარე, სამი კვირტის სიგრძეზე გასხლილი, სამარაგოდ დატოვებული რქაა.

იბადება ეხლა საკითხი, საჭიროდ მიაჩნდა თუ არა პლინიუსს ვაზის გასხვლა და დანეკვა ყოველწლიურად? დაბლარი ვაზის გასხვლის ყოველწლიურობა რომაელ ბუნებისმეტყველს, როგორც ზემომოყვანილი ამონაწერებითგანაც ცხადი ხდება, უცილობელ დებულებად ჰქონია მიჩნეული, დანეკვის შესახებ კი ამის თქმა არ შეიძლება. ამ მნიშვნელოვანი საკითხის გასაშუქებლად პლინიუსის თხზულებაში შემდეგი საგულისხმო მსჯელობა გვხვდება. პლინიუსის სიტყვით ნაყოფის გამომღები ვაზი დანერგვითგან დაწყებული მეშვიდე წელზე უწინარეს თითქოს ასრულებდეს თავის არსებობას, კილივით ხდება და კვდება. ძველი რქები აღარც გრძლადღა ეზრდება მეოთხე სარამდე (ad quartum usque pedamentum)⁴⁷, რომელსაც ზოგი გველუშაპებს, ზოგი კიდევ ბაწრებს (junculas) უწოდებს და რომელსაც მამალა (ვაზად) წოდებულის გამოსაყვანად ხმარობენო. ვაზი რომ გამკვრივდება, აღარც ვადასაწინადავდა ვარგა. ხუთი წლის ვაზს რქებს გადაუგრებდენ და ამის შემდგომ მუშავაზზე ახლო მდებარე რქებითგან ცალცალკე რქებს გამოატანინებენ, იმაზე უწინარეს რქებს კი სჭრიანო. ყოველთვის სამამულე რქის (მცველის) დატოვება სჯობია, მაგრამ იგი მუშავაზზე ახლო უნდა იყოს და 3 კვირტზე გრძლად არ გაისხლას და, თუ ვაზი რქებს უხვად გამოიტანს, ვადაიგრიხოს, რომ ასარულმა ვაზმა ოთხ ან ორ რქაზე მეტი არ გამოიტანოსო (Natur. hist., I, XVII, 35, § 24).

პლინიუსის ამ მსჯელობითგან ირკვევა, რომ იტალიაში მის დროსაც ვაზის დიდი გასხვლა მისი განახლების მიზნით ჩვეულებრივ ხუთ წელიწადში ერთხელ უწარმოებიათ. ამასთანავე, როგორც ეტყობა ასეთი სხვლის დროსაც დანეკვა მიღებული არ ყოფილა. პირადად თვით პლინიუსს, გაბატონებული წესის მაგიერ, ვაზის ყოველთვის დანეკვა მიაჩნდა უმჯობესად. რომაელი ბუნებისმეტყველის ნათქვამი მთლად მკაფიო არ არის და არა ჩანს, დანეკვას ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ მიღებული გასხვლის წესისათვის სთვლიდა საჭიროდ, თუ ყოველ წლივ? ვგონებ პლინიუსი ყოველწლიურ დანეკვას ჰგულისხმობდა, მაგრამ, ასეა თუ ისე, მაინც ცხადია, რომ დანეკვა პლინიუსის დროს იტალიის მევენახეობაში ჯერ საყოველთაოდ გაბატონებული წესი არ ყოფილა.

mite, semperque fructuarium. Relinquitur sub jugo et qui vocatur custos. Hic est novellus palmes, non longior tribus gemmis, proximo anno materiam daturus, si vitis luxuria se consumserit. Et alius juxta eum, verrucae magnitudine, qui furunculus appellatur, si forte custos fallat“.

⁴⁷ Blumner-ით, „die geraden Rebpfähle, pedamenta, oder sudes (Die Römische Privataltertümer, 577).

ზემოაღნიშნული გარემოება გასაკვირველი არც არის, რათგან, როგორც IV ს. ქვემოდასახელებული რომაელი აგრონომის თხზულებითგან ჩანს, ამ საუკუნის დამლევსაც ასეთივე ვითარება ყოფილა. პალლადიუსს აღნიშნული აქვს, რომ სხვადასხვა თემში სხვადასხვაგვარი მევენახეობა იყო, მაგრამ საუკეთესოდ დაბალტანიანი ხის მსგავსად გაზრდილი ზროიანი უსაყრდნობო ვაზები მიაჩნდა. ასეთსა და მალლარს გარდა, ის საყრდნობიან და მიწაზე განრთხმულ მევენახეობასაც იხსენიებს. მისი აღწერილობით, საყრდნობიან მევენახეობაში ვაზის გარშემო ბევრ ლერწამს არკობდენ და მათზე რკალებბრძობრილ ვაზის ლერწებს ამაგრებდენო (*vitis per cannas sarmentis ligalis in orbiculos flectitur*). მიწაზე განრთხმული ვაზის წესს პალლადიუსი უკიდურეს მევენახეობად სთვლიდა (*De re rustica*, I, III, 11).

ვაზის გასხლვის შესახებ პალლადიუსი ამბობს: გასხლვის დროს ყოველთვის ვცდილობთ, რომ ვაზის ქვედა ნაწილი გაღონიერდეს და უძლურ ვაზზე ორ განტოტებაზე მეტი არ დავტოვოთ. ჩამოსაცლელია ვაზის გრძელი დაკლაკნილი, უღონო, ცუდ ადგილას გამოტანილი რქები⁴⁸. ამასთანავე ორ განტოტებას შუა გამობმული რქაც უნდა მოიჭრას. ორი რქითგან უღონიერესი და უმაგრესი უნდა დატოვებულ იქმნეს და უფრო სუსტი მოიკვეთოს. საუკეთესო გამსხლეღმა მაინც ვაზის განახლების მიზნით კარგ ადგილას გამოტანილი ქვედა რქა უნდა ყოველთვის დაიცვას და ერთს, ანდა ორ კვირტზე გასხლილი დასტოვოს. თბილპაიანი ადგილებში შესაძლებელია ვაზის მალა ტანის აყრის მინებება. მსუქან ნიადაგზეც თვითოეულ განტოტებაზე მხოლოდ ორი სანაყოფო რქა დასტოვეო. მაგრამ ბრძენმა გამსხლეღმა უნდა ვაზის ძალ-ღონე ასწონ-დასწონოს. რათგან მალა გაშენებულსა და ნაყოფიერ ვაზებსაც რვა სანაყოფო რქაზე მეტი არ უნდა ჰქონდეს ისე კი, რომ ვაზის ქვედა ნაწილში ყოველთვის მცველსაც (სამამულე რქას) ვტოვებთო (*De re rustica*, I, III, 12)⁴⁹.

ვინც პალლადიუსის ზემომოყვანილ მსჯელობას გულდასმით გადაიკითხავს და ჩვენგან ხაზგასმულ ადგილებს ჩაუკვირდება, ის უეჭველია, დარწმუნდება, რომ IV ს-შიც ქ. შ. მევენახეობაში ვაზის გასხლვა ჩვეულებრივ დაუნეკავად სტოდნიათ. მხოლოდ საუკეთესო და ბრძენ გამსხლეღს ჰქონია ვაზის დანეკვის უადრესი მნიშვნელობა შეგნებული და ეტყობა, რომ დანეკვას იტალიაში ყოველთვის მხოლოდ ასეთი პირები მისდევდენ.

§ 5. გასხლვის ტექნიკის თანდათანო წარმატების საფეხურები და დანეკვის შემოღების შედარებითი ხნიერება საქართველოში

ლათინური წყაროების ზემომოყვანილი ცნობების გადაკითხვა ადამიანს უფრო ნათლად აგრძნობინებს იმ სიძნელეს, რომელიც, უძველესი წყაროების უქონლობის გამო, საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის მკვლევარს ელოდება წინ.

⁴⁸ ეს დებულება კოლუმელსას ზემომოყვანილი (იხ. აქვე) დარიგების გამოვრებაა.

⁴⁹ «Erit tamen optimi pulatoris inferius sarmentum, quod bono loco natum fuerit, reparandae vitis causa semper tueri et ad unam vel duas gemmas relinquere. In locis laetis et clementioribus altius vitem licebit expandere... Locis pingulibus singulis brachiis vitium bina fla-

ამ ორი ქვეყნის ცნობათა შორის ისეთი დიდი ქრონოლოგიური განსხვავებაა, რომ მათი უშუალოდ შედარებაც კი ძნელი გასაბედია. ამიტომ ასეთ პირობებში მხოლოდ ზოგი რამის გამორკვევის ცდაა შესაძლებელი.

მაგრამ აქაც მაინცდამაინც მტკიცე შედეგის მოპოვების მოლოდინი არ უნდა გვექონდეს.

იგივე სტრაბონი, რომელსაც ალბანეთში ხუთ წელიწადში ერთხელ ვაზის გასხლვის გაბატონებული წესის არსებობა, ვითარცა იქაური სამეურნეო კულტურის ჩამორჩენილობის გამომყვლადნებული ერთი საბუთთაგანი, აქვს აღნიშნული, საქართველოს შესახებ არაფერს ამის მსგავსს არ ამბობს, პირიქით იბერია და კოლხეთი მას დაწინაურებული მოქალაქეობის მქონებელ ქვეყნებად აქვს დასურათებული. ამ გარემოებისდა მიხედვით, ვგონებ, უფლება უნდა გვექონდეს ვიფიქროთ, რომ I ს. ქ. წ., სადაც კი საქართველოში დაბლარი მევენახეობა იყო, ვაზის ყოველწლიური გასხლვის წესი უნდა ყოფილიყო მიღებული. მაღლარის გასხლვის ვადები ისეთივე იქმნებოდა, როგორც ალბანეთში აქვს სტრაბონს დასახელებული და როგორც იმერეთსა, გურიასა და სამეგრელოში იყო, ჯერ კიდევ წარსულ საუკუნეში მიღებული, სამ, ოთხ და ხუთ წელიწადში ერთხელ და ზოგან უფრო იშვიათადაც.

ვაზის რქების მოკრასთან დაკავშირებული სიტყვების განსაკუთრებულ ტერმინებად ჩამოყალიბება, — სხლვა, ნახსლვევი, რომელნიც ქართული მწერლობის უკვე უძველეს ძეგლებში მხოლოდ ამ მნიშვნელობით გვხვდება, და გასხლვა, მართო ამ ცნებათა გამოსახატავად განკუთვნილი, და ამ სამივე ეხლაც დაცული სიტყვის არსებობა გვაფიქრებინებს, რომ ვაზის გასხლვის ტექნიკის დასპეციალებას ძველ საქართველოში თავისი დიდი ხნის წარსული უნდა ჰქონოდა.

იტალიაში მიღებული გასხლვის პრინციპებისა და ტექნიკის ისტორიის მიმოხილვა დაარწმუნებდა ადამიანს, რომ ვაზის დანეკვა, ვითარცა გასხლვის ტექნიკის უმაღლესი მიღწეულობა, არც ერთბაშად გაჩენილა და არც ისეთი სისწრაფით გავრცელებულა და საყოველთაოდ გაბატონებულა, როგორც მოსალოდნელი იყო. რა ვითარება უნდა ყოფილიყო საქართველოში: როდის როგორი გასხლვის წესი იყო?

მასალების სიმცირისა და ნაგვიანეობის წყალობით, ჯერჯერობით დანამდვილებით მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლიან, რომ ვაზის რქების დანეკვა სამამულედ და საყურძნედ დატოვება საქართველოში ევროპული მევენახეობის გავლენამდე სცოდნიათ.

მაგრამ გასხლვასაცა და დანეკვას საქართველოშიც ხომ თავისი ხანგრძლივი ისტორია ექმნებოდა. ამ ისტორიის ამჟამად მთლიანად აღდგენა, ძველ წყაროთა ცნობების უქონლობის გამო, რასაკვირველია არ შეიძლება, მაგრამ აქ უნდა მოვიშველიოთ საქართველოს სხვადასხვა თემში წარსულითგან შერჩენილი გასხლვის წესები და ამ ცნობებში გასხლვის ტექნიკის წარმატების სხვადასხვა დროისა და საფეხურების ანარეკლის განჭვრეტა ვცადოთ.

საქართველოს რომელ თემში უნდა იყოს მევენახეობის ამ ღონეობის უფრო უძველესი სახე დაცული?

თუ საკითხს სწორედ ამ თვალსაზრისით მივედგებით, საფიქრებელია, რომ გასხლვის უძველესი წესი დასავლეთ საქართველოში უნდა იყოს დაცული, სახელდობრ, ქუთაისის სანახებში, სადაც სამითგან ხუთამდე საყურძნე რქას სტოვებენ და ნეკის, ანუ სამამულე რქის, იქ საწინაოდ წოდებულის, დატოვება მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში, ვაზის უღონოობის დროს, იყო მიღებული. ამ წესის სიძველეს მისი პრიმიტიულობა ამჟღავნებს: გასხლვის დროს მხოლოდ საყურძნე რქების, თანაც ასე უხვად, დატოვებაც ცხადპყოფს. დანეკა აქ, უეჭველია, მერმინდელი დანართი უნდა იყოს, თავდაპირველად გასხლვის ამ წესს სამამულე რქის დატოვება არ უნდა სცოდნოდა.

გასხლვის ტექნიკის განვითარების მომდევნო საფეხური, საფიქრებელია, ძირულის ხეობაში უნდა იყოს დაცული, სადაც ვაზზე ორითგან ოთხამდე კვირტზე გასხლილ 4 რქას სტოვებდნენ, მაგრამ რომელთაგან ორი, ვითარცა მუშავაზზე დატოვებული, უნაყოფო იყო, ორი ძველ რქაზე დატოვებული კი ყურძენს ისხამდა. გასხლვის ამ წესის სიძველისა და ტექნიკის განვითარების მეორე საფეხურობას ის საგულისხმო გარემოება ამჟღავნებს, რომ მან სანაყოფო და სამამულე რქებს შორის გასხლვის მხრით არავითარი განსხვავება არ იცის და რქათა ეს ორივე კატეგორია დანეკილია და ყველა სამამულე რქაცა და საყურძნეც, ნეკად გამოდის. ამგვარად, ამ წესში ნეკი რქის მხოლოდ მოკლედ გასხლილობის გამომხატველია.

თუ სამამულე რქის დანეკვა, ე. ი. მოკლედ გასხლვა, მიზანშეწონილი იყო, სანაყოფე რქის ესოდენივე დამოკლება ეკონომიურად ხელსაყრელი არ არის. როგორც დავრწმუნდით, უკვე კოლუმელლას მოეპოვებოდა დაკვირვება, რომ ვაზის რქა ყურძენს უმთავრესად ხუთი ან ექვსი კვირტის მანძილზე ისხამს. ამიტომ მევენახე საქართველოშიც დროთა განმავლობაში უნდა დარწმუნებულიყო, რომ სანაყოფო რქებს სხვანაირი მოვლა სჭირდებოდა და უნაყოფო რქაზე გრძლად უნდა გასხლილიყო, რომ ვაზს მეტი ყურძენიც მოესხა და არც დაუძლურებულყო. ამ შეგნების წყალობით ასე უნდა იყოს გაჩენილი რქების ორგვარი განსხვავებული, — მოკლე და გრძელი, — გასხლვა, სამამულე რქის ნეკად, მოკლედ მოჭრა და საყურძნე რქების გრძლად და საკავებლად დატოვება. რაკი ამ ხანითგან მოყოლებული ნეკად მხოლოდ სამამულე რქადა ითვლებოდა, ამის წყალობით ნეკი და სამამულე რქა სინონიმად იქცა. წინათ კი სამამულე რქა და ნეკი ერთიდაიგივე არ იყო, რათგან სამამულე რქაცა გრძლად ისხლვებოდა. ეს ვაზის გასხლვის ტექნიკის განვითარების უმაღლესი საფეხურია, რომელზე უკეთესისათვის არსებითად ვერც თანამედროვე მეცნიერულ მევენახეობას მიუგნია. მევენახეობის დაწინაურების ეს საფეხური აღმოსავლეთ საქართველოში, ქართლ-კახეთსა, და დასავლეთ საქართველოთგან იმერეთში, უმთავრესად არგვეთის თემში, იყო დაცული.

საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, მევენახეობის კულტურისა და ეკონომიკის შესწავლის დროს ვაზის გასხლვის ტექნიკის განვითარებაში, ცხადია, უმთავრესი მნიშვნელობა იმ ორ საკითხსა აქვს, თუ როდის მიაღწია ქართულმა მევენახეობამ ტექნიკური დაწინაურების ამ უმაღლეს საფეხურს და სახელდობრ რა გზით მოიპოვა მევენახეობის ეკონომიკისათვის ეს უაღრე-

სად მნიშვნელოვანი ცოდნა, საკუთარი, დამოუკიდებელი განვითარების გზით თუ უცხოეთის მონაპოვარის შეთვისებითა და გამოყენებით?

ძველ წყაროებში ცნობების უქონლობის გამო, გასსლვის ტექნიკის განვითარების საფეხურების დათარიღება აქამაღ თითქმის გადაულახავ სიძნელეს წარმოადგენს. შედარებით უფრო ადვილია მისი სადაურობის საკითხზე მსჯელობა, რათგან ამისათვის სხლის ტერმინოლოგიის ანალიზით მოპოვებულ შედეგის მოშველება და გამოყენება შეიძლება.

გასსლვის ტექნიკის ცოდნის სადაურობის საკითხის განხილვის დროს თუ იმ ლექსიკურ მასალას დავეყარებით, რომელიც ამ ღონეობას ეხება, შესაძლებელია ითქვას, რომ უცხოეთის გავლენის არავითარი კვალი ამ დარგს არ ემჩნევა. არც ერთი ტერმინი, რომელიც სხლვასთან არის დაკავშირებული, უცხო ენიდან შეთვისებული არ არის. როგორც თვით სხლვა, ისევე მოსაპრელი იარაღისა და რქების სახელები, სახსლავა, წაღდი, სავაზე, სამამულე, ანუ საწინაო რქა, საკავებელი, საყურძნე რქა და გაბმულა, დასასრულ თვით ნეკიც ყველა ნამდვილი ქართული სიტყვებია.

მაგრამ ამ გარემოების დიდი მნიშვნელობისდა მიუხედავად, ტერმინთა მხოლოდ ნივთიერი ნაწილის ადგილობრივობა მოვლენის დამოუკიდებლობის დასამტკიცებლად მთლად საკმარისი არ არის, რათგან შესაძლებელია, ან იმთავითვე, ან დროთა განმავლობაში უცხო ენის ტერმინები გადმოთარგმნილი ყოფილიყო. ამიტომ დასკვნის უფრო მეტი სისწორისათვის ტერმინთა იდეური მხარე, მათი აღმნიშვნელობაც უნდა იყოს გათვალისწინებული: არის თუ არა ამ მხრივ მათ შორის რაიმე მსგავსება?

თუ ზემოჩამოთვლილ ქართულ ტერმინებს ამ თვალსაზრისითაც მივუდევით, ამ შემთხვევაშიც გადაჭრით შესაძლებელია ითქვას, რომ, ერთ სახელს გარდა, მსგავსება არა ჩანს. მხოლოდ მოკლე გასხლილობის ქართულსა და ლათინურ სახელებს შორის შეამჩნევს, თუ ადამიანი ამ საკითხს კარგად ჩაუყვირდება, ცხად მსგავსებას: ქართველ მევენახეს მისთვის ნეკი დაურქმევია, რომაელს კი pollex პოლლექსი-ი, ე. ი. ცერი უწოდებია.

ნეკი უნდა ნაკთან იყოს დაკავშირებული. ნაკი კი, ს. ორბელიანის განმარტებით, „ნაკლებსა ჰქვან“. ეს სიტყვა წელთაღრიცხვაშიც არის ტერმინად მიღებული⁵⁰. საბას განმარტებით ასეთი სახელი ამ წელიწადს იმიტომ უნდა დარქმეოდეს, რომ „ამა ექუსა ჟამთა მრთელსა ჟამობასა (ე. ი. მთელ საათს) 16 წუთი აკლია“-ო (ლექსიკ.). ნეკი-ც, როგორც ცნობილია, სხვებზე მოკლე თითია და ამ თითის სახელიც მის სიმოკლესთან უნდა იყოს დაკავშირებული.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ნეკი სამ კვირტზე და ნაკლებზე გასხლილ სამამულე რქასა ჰნიშნავს. რომელიც მევენახე ამას პოლლექსს უწოდებდა, რომელიც ცერსა ჰნიშნავდა. ამნაირად მასაც ასე გასხლილი ვაზის რქისათვის ხელის, თუმცა სხვა, მაგრამ მაინც მომცრო თითისავე სახელი დაურქმევია. უეჭველია, რომ ქართულ და ლათინურ ტერმინოლოგიას ცხადი იდეური მსგავ-

⁵⁰ ოთხ წელიწადში ერთხელ რომ წელიწადში 366 დღე ითვლება, 365-ის შავიერ, ერთ ზედმეტ დღე ოთხი წლის ბოლოს იმ ექვს-ექვსი საათის ჯამს წარმოადგენს, რომელიც თვითთველ 365-დღიან წელიწადს აღურიცხველი ჰჩნება ხოლმე (იხ. თანე შავთელმს აბუსერიძის კაკლოს, ბროსეს გამოცემა, გვ. 29 და ს. ორბელიანის ლექსიკონი).

სება ემჩნევა. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მსგავსება მხოლოდ შემთხვევითი იყოს და მათ შორის არავითარი დამოკიდებულება არ არსებობდეს.

საქართველოში ვაზის რქის მოკლედ გასხლვის დროს რქას სამ კვირტზე სჭრიდენ, ორ კვირტზე გასხლვა შემდეგშია შემოღებული. ამ გარემოებას მოკლედ გასხლილი რქის ქართული სახელი ნეკი-ც ამჟღავნებს, რათგან, როგორც ცნობილია, ეს პატარა თითიც სწორედ სამნაწევრიანია. ასევე უნდა ყოფილიყო იტალიაშიც. იქაც გრძლად გასხლვა მოკლეზე უძველესია და 1 ან 2 კვირტზე დანეკვა ბოლო დროს უნდა იყოს შემოღებული. თუ გავიხსენებთ, რომ ძველად მოკლედ გასხლილი რქისათვის pollex პოლლექს-ი, ე. ი. ცერი, არა ჩანს და custos კუსტოს-ი, ანუ „მცველი“ იხმარება, ეს გარემოებაც ზემომოყვანილ მოსახრებას დადასტურებს, ხოლო ცნობილია, რომ ცერი კერტის მოკლე თით-თაგან ორნაწევრიანი თითია. რაკი რომაელ მევენახეს სამამულე რქისათვის ბოლოსდაბოლოს პოლლექს-ი, ანუ ცერი უწოდებია, ეს იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ეს ტერმინი მაშინ იქმნება შემოღებული, როდესაც სამამულე რქის გასხლვა ორ კვირტზე დაწესდა. რამდენადაც ვაზის რქის სამ კვირტზე მოჭრა ორ კვირტზე გასხლვაზე უძველესია, იმდენად საფიქრებელია, რომ ქართული ნეკი და დანეკვა ლათინურ პოლლექს-ზე, ანუ ცერზე ვაზის მოკლედ გასხლვის ტექნიკის უფრო ადრინდელი, უძველესი საფეხურის გამომხატველ ტერმინად უნდა იქმნეს მიჩნეული.

რადგან პოლლექს-ი, ცერი, სამამულე რქის აღმნიშვნელ სინონიმად კოლუმელლაზე უწინარეს ავტორებს არ უჩანთ, ამიტომ ქართული ნეკი ამ ხანაზე უწინარესი ხანის ტერმინი გამოდის.

§ 6. ვაზ-ვენახის აჯოჯვა და გაფურჩქვნა

ვაზის მოვლა მარტო ასარკით, გასხლვითა და დაკავებით, ანდა შეყვლივით, გინდა შეკონვით არ თავდებოდა, შემდეგშიც მას მზრუნველობა ესაჭიროებოდა, რომ ყურძნის მარცვლები მსხვილი გამოსულიყო და კარგად დამწიფებულიყო.

იმ გადაუღებელ და სასწრაფო სამუშაოთა შორის, რომელიც მევენახეობაში უნდა გაკეთებულიყო, გ. მთაწმიდელი აჯოჯვა-საც ასახელებს. თავ-თავის დროს „ვენაჯთა ასარვასა, გინა თუ აჯოჯვასა, გინა თუ სთულბასა“ ათონის ქართველი ბერები გულმოდგინე და საჩქარო მუშაობას ანდომებდნო (ც'ი ი'ე და ეფთ'მსი, გვ. 47).

აჯოჯვა ს. ორბელიანს არ მოეპოვება, ჯოჯვა კი ლექსიკონში შეტანილიცა და განმარტებულიცა აქვს: „ჯოჯვა ვენაჯის შტოს მოტეხა“-სა ჰნიშნავსო. იმის-და მიუხედავად, რომ ასეთი ტერმინი ჭერჯერობით არსადა ჩანს, თვით მისი განმარტება იმდენად ნიშანდობლივია, რომ მისი ჩვეულებრივი მერმინდელი შესატყვისობის გამორკვევა ძნელი არ არის.

მევენახეობაში საბასავან აღწერილი სამუშაო მართლაც არსებობდა და ვაზს ზედმეტ ტოტებს მართლაც აცლიდენ, მოსტეხდენ ხოლმე. მაგრამ ამას ფურჩქნა-ს, ანდა ვაზის, ვენახის გაფურჩქვნას უწოდებდენ და ეხლაც უწოდებენ, აღმოსავლეთ საქართველოში მაინც. ილ. წინამძღვრიშვილს ნათქვამი აქვს:

კახეთსა და ქართლში „შეყელვის შემდეგ ვაზს ჰფურჩქნავენ, ე. ი. უმტვრევენ ნაგერალ წვრილ შტოებს, რომელიც ვაზს ილიაში გამოაქვს და ტყუილბურალოთ იმას სარჩო-საკეებს უღევს. ვაზს ფოთოლსაც აცლიან, თუ ის ხშირი ფოთლით არის შემოსილი“, რომ ყურძნის მტევანი ფოთლებისაგან ძალიან დაჩრდილული არ იყოს. ამ ავტორის განმარტებით გაფურჩქვნა რუს. ПАСИНКОВАНИЕ-ს უდრის (იხ. „ვაზის მოშენება“, გვ. 121).

ვაზის გაფურჩქვნაზე უფრო ვრცელი ცნობები ლ. ჯორჯაძესა აქვს. მისი განმარტებით, „ვენახის გაფურჩქვნა“ იმიტომაც საჭირო, რომ „გრძელი შტოები ეზრდება ვაზსა, რომლისა გამო უფრო ძალიან დაიბურება ვაზი და მით ყურძენს ჩრდილი მიადგება“ (იხ. „მევენახეობა“, გვ. 71). ამ სამუშაოს ამსრულებელს უნდა კარგად სცოდნოდა, თუ რომელი ტოტები უნდა მოეშორებინა ვაზისათვის და სახელდობრ როდის.

ლ. ჯორჯაძის სიტყვით, „გაფურჩქვნაში მოსაშორებელი ტოტები უფრო ისინი არის, რომელიც ამოეზრდება ხოლმე ახალ ნორჩ რქას სხვა უსარგებლო შტოების კუთხეში, ე. ი. ფოთლის ყუნწის ძირშია საყურძნე რქაზედა, რომელიც არის... უსარგებლო და მხოლოდ ძალას ართმევს სამამულე ვაზის რქასა. ამგვარი ტოტები წინათაც რომ მოაშოროთ, სანამ ყურძენში თვალი შევა, კარგია, ამისთვის რომ სამამულე რქა უფრო თამამი გაიზრდება“—ო (იქვე; გვ. 72).

ფირალოვისა და შავერდოვის სიტყვით, კახეთში ვაზის ნაგერალი და ზედმეტი ტოტების მომტვრევა ორჯერ იცოდენ: ივნისისა და ივლისის დამდეგს. ამ დროს სანაყოფო რქებს ხელს არ შეახებენ ხოლმე. რას უწოდებდენ ამას კახეთში, ზემოდასახელებულ ავტორებს აღნიშნული არა აქვთ. ვაზის ზედმეტი ტოტების ჩამოცლასთან ერთად, იმავე პირების ცნობით, უფრო ზედმიწევნით და სწორედ კი რომ ითქვას, ამის უმალ ახლად გამოტანილ რქებს, შეკონვის მსგავსად, სარზე ამაგრებდენ, რასაც ახვევა ეწოდებოდა (იხ. С6СвВгВдК, VII, 60). ასევე იყო მიღებული ქართლშიც (იხ. ყანდურალოვის ნაშრომი: С6СвВгВдК, VIII, 61)⁵¹.

ავგისტოში კახეთში სანაყოფო რქებსაც ამოკლებდენ და ამავე დროს ვაზს მტევნის მახლობელ ზედმეტ ფოთლებსაც აცლიდენ, რომ ყურძენი მზის სხივებით უკეთ ყოფილიყო გაშუქებული და ჰაერის მოძრაობაც თავისუფალი ყოფილიყო. ფირალოვისა და შავერდოვის ცნობით, ვაზისაგან ფოთლების ასეთ ჩამოცლას გაფურჩქნა ეწოდებოდა (С6СвВгВдК, VII, 60).

ზემომოყვანილითგან ცხადია, რომ გაფურჩქვნის მნიშვნელობა ყველა ავტორს ერთნაირად არა აქვსთ განმარტებული: ლ. ჯორჯაძეს და ილ. წინამძღვარიშვილს გაფურჩქვნა ნაგერალი და ზედმეტი ტოტებისა და ფოთლების ჩამოცლის აღნიშვნელ ტერმინად აქვთ ნახმარი, ფირალოვისა და ყანდურალოვის კი ნაგერალ-ზედმეტი რქების მომტვრევის სამუშაოს სახელი აღნიშნული არა აქვთ, გაფურჩქვნა კი ზედმეტი ფოთლების ჩამოცლის სამუშაოს სახელად მიაჩნიათ. ერმ. ნაკაშიძის ცნობით, ასეთი სამუშაო მევენახეობაში იმერეთშიც არსებობდა, მაგრამ მისი იქაური ქართული სახელის მოყვანა დაჰვიწყებია (იხ. С6СвВгВдК, III, 29).

⁵¹ თავის ამ ცნობაში ყანდურალოვს, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ზედმეტი, ნაგერალი რქების ჩამოცლას ტერმინად შაყედვა აქვს დასახელებული.

რაკი გაფურჩქვნა ჩვეულებრივ ვარდის, ანდა ყვავილის კოკრის პირის გახლეჩასა და მათი ფურცლების გადაშლასა კნიშნავს, ამიტომ ის ცნობა, რომ გაფურჩქვნა ვაზის რქისა და მტევნებისაგან ფოთლების ჩამოცლასა კნიშნავს, სწორე უნდა იყოს, რათგან ეს სამუშაო ყურძნის ერთგვარ გადაშლას წარმოადგენს. ტოტების ჩამომტკრევას კი სახელად გაფურჩქვნა არ შეეფერება. როგორც გ. მთაწმიდელის თხზულებითგან და საბა ორბელიანის ლექსიკონში მოყვანილი განმარტებითგან ირკვევა, ძველად ვაზის შტოების მოტესა-ჩამოცლას გაფურჩქვნა არც პრქმევია, არაჲდ თავისი საკუთარი სახელი ჰქონია კიდევაც: ამას თურმე აჯოჯვა, ანუ ჯოჯვა ეწოდებოდა. ამიტომ საფიქრებელია, რომ გაფურჩქვნის პირვანდელი მნიშვნელობის შეცვლა-აღრევა, ანუ გაფართოება მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს, როდესაც ძველი ტერმინი აჯოჯვა საბოლოოდ დავიწყებულ იქმნა.

ვაზის ნავერალი და ზედმეტი რქების ჩამოცლა, აჯოჯვა, ძველი საბერძნეთისა და იტალიის მევენახეობაშიც იცოდენ. ბერძნები მას $\beta\lambda\alpha\sigma\tau\iota\sigma\gamma\iota\alpha$ ბლასტოლოგია-ს ეძახდენ, რომელეები კიდევ *pampinatio* პამპინაციო-ს უწოდებდენ. კატონსაც, ვარონსაც ისევე, როგორც კოლუმელსაც, პლინიუსსა და პალლადიუსსაც აქვსთ მევენახეობის ამ სამუშაოზე საუბარი. ვენახის აჯოჯვა ძველ აგრონომებს ფრიად მნიშვნელოვან ღონეობად მიაჩნდათ, რომელიც მათი აზრითაც ვაზს ზედმეტი რქების ჩამოცლის წყალობით სანაყოფო რქის გამოსაკვებად ძალღონეს უკრებდა და ხელს უწყობდა. აჯოჯვის ესოდენი მნიშვნელობის გამო, ეს სამუშაო შესაძლებელია მხოლოდ კარგ, გამოცდილ მევენახეს მიჰნდობოდა, რომელმაც აჯოჯვის დროც იცოდა და რომელსაც ესმოდა, თუ რაღარა რქები უნდა ჩამომეტკრია ვაზისათვის.

თუმცა ზოგიერთ რომაელ აგრონომს აჯოჯვის დრო განსაზღვრული აქვს და გეოპონიკებს, მაგ., მარტი მიაჩნდათ, პლინიუსსა და პალლადიუსს კი მაისი აქვთ დასახელებული, მაგრამ ყველაფერი დარზე და იმ ქვეყნის მდებარეობაზე იყო დამოკიდებული, სადაც ვენახი ასაჯოჯი იყო: ზოგ წელსა და ზოგ თემში ვაზი უფრო ადრე იწყებს ხოლმე აყვავებას და ნაყოფის გამოტანას, ზოგ წელსა და ქვეყანაში უფრო გვიან, ამიტომ აჯოჯვის დროც სხვადასხვა უნდა ყოფილიყო. დროის განსაზღვრისათვის ორ გარემოებას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა: აჯოჯვა მხოლოდ მაშინ იყო შესაძლებელი და საჭირო, როდესაც ვაზის ნაყოფიერი და უნაყოფო რქების გარჩევა ძნელი არ იყო, ამასთანავე, სანამ მოსაცილებელი რქა იმდენად ნორჩი იყო, რომ მისი ჩამოცილება უბრალო ფრჩხილითაც შეიძლებოდა. რომაელი აგრონომები ფიქრობდენ, რომ აჯოჯვა სასხლავით არ ვარგოდა, რათგან მაშინ ვაზს ბევრი წვენი დაეკარგებოდა, ამიტომ უფრო ნაზსა და მარტივ საშუალებას, ნორჩი ტოტის ფრჩხილის დაჭერით დახშვა-ჩამოცილებას, უმჯობესად სთვლიდენ (იხ. R. Billiard, *La vigne*, 368—370).

აჯოჯვას გარდა, საბერძნეთისა და რომის მევენახეობამ ვენახის გაფურჩქვნაც იცოდა. ამ ღონეობას ბერძნულად ეწოდებოდა $\beta\varphi\alpha\rho\epsilon\iota\varsigma$ $\tau\alpha\nu$ $\varphi\alpha\lambda\lambda\alpha\nu$ აჭაბრესის ტონ ჭკულონი, ე. ი. ფოთლების ჩამოცლა, ანდა $\beta\iota\sigma\iota\lambda\alpha\sigma\iota\varsigma$ $\tau\alpha\nu$ $\beta\mu\alpha\gamma\lambda\alpha\sigma\nu$ $\chi\alpha\iota$ $\beta\iota\sigma\chi\upsilon\sigma\iota\varsigma$ $\tau\alpha\nu$ $\sigma\iota\chi\alpha\sigma\upsilon$ აპოფსილოზის ტონ ამპელონ კაბ აპოქნისის ტონ ოანარონ, ე. ი. ვაზთა გაშისვლევა და რქების ჩამოგლეჯა. მაგრამ თვით მთქმელების აღმნიშვნელ

ზმნად „ფოთლის ჩამოცლა“-ს (აჭაიარენ ტა ძკვლა) და „ჩამოფურცლა“-ს (ძკვლიძიენ) გარდა იმავე ზმნასაც ხმარობდენ, რომელიც აჯოჯვას ჰნიშნავდა (ბლასტოლოგენ), რაც გასაკვირველი არც არის, რათგან ეს ტერმინი თავისი პირველადი შინაარსით ტოტებს კი არა, არამედ სწორედ ფოთლებს ეხება. რომაელებიც აგრეთვე გაფურჩქენისათვის აჯოჯვის აღმნიშვნელ ტერმინსა, pampinatio-სვე ხმარობდენ, მაგრამ ამასთანავე folia decerpere, ანდა detrahere, foliis nudare-ს, ე. ი. ფოთლების ჩამოგლეჯას, ანდა ჩამოცლას, ფოთლებისაგან მოშიშვლებასაც უწოდებდენ (R. Billiard, La vigne, გვ. 370).

საბერძნეთსა და იტალიაში ვენახის გაფურჩქენას იმავე მიზნით მისდევენ, რომლითაც საქართველოში. იქაური მოძღვრებით, გაფურჩქენა ვაზს ნესტიან ქვეყნებში და ავდრიანი შემოდგომის დროს უფრო სჭირდებოდა, ვიდრე ძალიან ცხელ ქვეყნებში, სადაც პირიქით ყურძენს ხშირად ვაზის პაპანაქებისაგან დაცვა კიდევაც უხდებოდა. ვაზის შეფურჩქენისათვის საუკეთესო ხანად ყურძნის მომწიფების დასაწყისი ითვლებოდა, ანუ ქართული ტერმინოლოგია და გამონათქვამი რომ ვიხმაროთ, „როდესაც ყურძენში თვალი შევა“ (ლ. ჯორჯაძე, მევენახეობა, 71 და 72), — პალლადიუსის განსაზღვრით, რთველზე ერთი თვით უწინარეს, დაახლოებით აგვისტოში, ადრეული ყურძნის ჭიშებისათვის კი, გეოპონიკების აზრით, ივნისში. დასასრულ, ძველი აგრონომების მოძღვრებით ვაზის გაფურჩქენის დროს უნდა ძველი, ურგები ფოთლები ყოფილიყო ჩამოცლილი, რქის მწვერვალების ნორჩი ფოთლების ხელის ხლება კი არ შეიძლებოდა (R. Billiard, La vigne, 370—371).

საბერძნეთისა და იტალიის შესახები ზემომოყვანილი ცნობებითგან ირკვევა, რომ იქაც აჯოჯვისა და გაფურჩქენისათვის ერთიდაიგივე ტერმინი (ბლასტოლოგია, ბლასტოლოგენ და პამპინაციო) ყოფილა. ეტყობა ამ ორ სამუშაოს ერთმანერთისაგან მკაფიოდ ვერ არჩევდენ. მაგრამ საგულისხმოა, რომ აჯოჯვის ბერძნული ტერმინი (ნაწილობრივ ლათინურიც) არსებითად ფოთლების ჩამოცლას ჰნიშნავს და ეს გარემოება იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ პირველად გაფურჩქენა უნდა ყოფილიყო შემოღებული და შემდეგ აჯოჯვა, რომლისთვისაც პირველის სახელი გამოუყენებიათ.

ქართულში აჯოჯვა-ც ძველი ტერმინია, რომელიც შემდეგში ქრება, და გაფურჩქენა-ც. იმისდა მიუხედავად, რომ უკანასკნელი სიტყვა ამ მნიშვნელობით ძველ ძეგლებში ჯერ არა ჩანს, მის სიძველეს მისივე მნიშვნელობა ამჟღავნებს. როდის გაქრა საბოლოოდ ტერმინი აჯოჯვა ჯერ კიდევ გამოსარკვევია. დანამდვილებით არც ის ჩანს, ცოცხალი სიტყვა იყო იგი ს. ორბელიანის დროს, თუ უკვე მწიგნობრულად იყო ქცეული და მისი მნიშვნელობა მხოლოდ ნაკითხმა ხალხმა-ლა იცოდა.

§ 7. ვენახის დანარჩენი სამუშაო

ზვარ-ვენახზე ზრუნვა და დამუშავება ყველა ზემოგანხილულითაც არ ამოიწურებოდა. მევენახეს არაერთი სხვა სამუშაო და საზრუნავი ჰქონდა, რომელთა ცოდნა სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის მკვლევარისათვისაც საჭიროა.

ვენახს თავის დროზე „მოსხლა“-ს გარდა „მოთხნა“-ც სჭირდებოდა (ესაი, 56). ეს ქართული ტერმინი ბერძნულ *αχάρα*-ს, ლათინ. *fadio*-სა და სომხ. *pphid*-ს უდრის. სამივე თხრასა და თხნას ჰნიშნავს.

მოთხნის რა წესი არსებობდა ძველ საქართველოში, წყაროებიდან ჯერ არა ჩანს, XIX ს-ში კი სხვადასხვა თემში სხვადასხვა წესს მისდევდნენ. მაგ., კახეთში კარდანახსა და ახაშენში ორ წელიწადს ზედიზედ ვენახს ჰბარავდნენ და სთონნიდნენ. თხნა წელიწადში ორჯერ იცოდნენ: აპრილის დამლევსა და აგვისტოს მეორე ნახევარში. გურჯაანში 3 წელიწადს ზედიზედ ჰბარავდნენ და სთონნიდნენ, შემდეგ წლებში კი მარტო სთონნიდნენ. გურჯაანსა, ახაშენსა და მუკუზანში 3—4 წლის განმავლობაში ვენახის ამნაირი დამუშავების შემდგომ ნიადაგის 2—7 წლამდე მინებება იცოდნენ და არ სთონნიდნენ. ახაშენში 2—6 წლამდეც კი სტოვებდნენ მოუთხნავს. ამას ნიადაგის დაყამირება-ს ეძახდნენ (ა. ფირალოვი და ს. შავეროვი: *СбСвВгВдК*, VII, 56—57).

ქართლში ვენახის დაბარვა 2—3 წელიწადში იცოდნენ და მხოლოდ სურამის სანახების სოფლებში მისდევდნენ ყოველწლიურ ბარვას. ვენახს ამას გარდა აპრილის დამდეგს, ანდა უფრო გვიან სთონნიდნენ კიდევ. ხოლო კარგად მოვლილ ვენახს ორჯერ, მაისის დამდეგსა და ივნისის დამდეგს, სთონნიდნენ ხოლმე (პ. ყანდურალოვი: *СбСвВгВдК*, VIII, 56—57 და 59—60).

იმერეთში ვენახს წელიწადში სამჯერ სთონნიდნენ: პირველად მარტის დამდეგს, მეორედ მაისში და მესამედ ივლისში. ხოლო 4—5 წელიწადში ერთხელ ჰბარავდნენ ხოლმე (ერმ. ნაკაშიძე, *Виноград. в Имеретии: СбСвВгВдК*, III, 22—23).

ვენახსა და ზვარს გაბოხიერებაც სჭირდებოდა, რასაკვირველია, გარკვეულ პირობებსა და გარკვეულ დროს. რომაელ აგრონომებს ამის შესახებ მთელი მოძღვრება ჰქონდათ შემუშავებული და გაბოხიერებისათვის საჭირო სასუქის რაოდენობაც იქ გამოკვლეული იყო. კარგად ჰქონდათ შესწავლილი და დაყენებული ეს საქმე მებოსტნეობისა და მებაღეობისათვის სპარსეთშიც.

იმ ხანისათვის, რომელიც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ამ წიგნის ასპარეზს შეადგენს, ქართულ მევენახეობაში დაწესებული სასუქის ოდენობის ნორმების გამოსარკვევად ჯერ არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. მხოლოდ XVII ს. დამლევისა და მომდევნო საუკუნის დამდეგისათვის ამის გაგების საშუალებას ვახტანგ VI-ის „დასტურლამალი“ გვაძლევს. ამ ძეგლითგან ჩანს, რომ მეფის კავთისხევის ზვარს ყოველწლიურად 69 ჯინი ნეხვი სჭირდებოდა (იხ. გვ. 45). ამ სოფლის თვითეული 23 სახასო გლეხთაგანი 3 ჯინს ნეხვს იხდიდა.

ამ ცნობითგან რამდენიმე დასკვნის გამოყვანა შეიძლება. ჯერ ერთი ირკვევა, რომ კარგად მოვლილ ვენახს გარკვეული ოდენობის სასუქით აპოხიერებდნენ, რაც შესაძლებელია ამავე ძეგლის სხვა ადგილებითაც დადასტურდეს (იხ. მაგ., 9, § კბ, გვ. 45, § პა). ამ დასკვნის სისწორეს აკად. გიულდენშტედტის ცნობაც ამტკიცებს.

კახეთის მევენახეობის დახასიათების დროს მას ნათქვამი აქვს: რაკი იქ მევენახეს ვენახის მორწყვა (მდებარეობის გამო) არ შეუძლიან, ამიტომ გაზა-

ფხულზე ყოველი ვაზის ძირს ცოტა პატივს გარეშემოუღებენ ხოლმეო (Reisen, I, 370)⁸².

სასუქის იმ ოდენობის გამოსაკვევად, რომელიც ძველ საქართველოში არსებული მოძღვრებით ვენახს სჭირდებოდა და უნდა მისცემოდა, „დასტურ-ლამალი“-ს ზემომოყვანილ ცნობაში დასახელებული საზიდის ჭინი-ს სილიღე და წონითი შემცველობა და თვით ვენახის სივრცე უნდა ვიცოდეთ.

ვენახში დარგული ვაზების სიხშირის საკითხის გამორკვევის დროს უკვე ნათქვამი გვექონდა, რომ კავთისხევის სამეფო ზვარი დაახლოვებით 1,656 დლიური ანდა 2,07 დლიური უნდა ყოფილიყო (იხ. აქვე, გვ. 357).

ჭინი საბას განმარტებით „გოდორ-მარხილი“ იყო (ლექსიკ.), მაშასადამე გოდორივით დაწნული და მარხილზე დამაგრებული ყოფილა. ჭინი წარსული საუკუნის მეორე ნახევარში თიანეთის სანახებში ჯერ კიდევ დაცული ყოფი-ლა: მართლაც წნელისაგან დაწნულ ჭინს 2 არშინი სიგრძე, არშინი სიგანე და 1/2 არშინი სიღრმე ჰქონია და მარხილზე ყოფილა ხოლმე დამაგრებული (МИЭБГКЗК, V, 4, 1, 443). ამისდა მიხედვით, შესაძლებელია აღდამიანმა ჭი-ნის წონითი ოდენობა დაახლოვებით მაინც წარმოადგინოს. საფიქრებელია, რომ ჭინი მთის პატარა ურემზე თუ უფრო მომცრო არა, იმაზე მოზრდილი მაინც არ იქნებოდა. მთის ურემი კი ხევში 10—15 ფუთამდე ტვირთს იტევ-და (Свод МИЭБГКЗК, IV, ნაწ. 2, გვ. 297). მართლაც, აგრ. გამყრელიძის ცნობით, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვასხენებ, „რაჭაში ჭინი, ანუ ძარი დაახლოვებით 10—15 ფუთამდის იტევს“.

თუ ეს მოსაზრება ჭინისა და მთის ურემის ტვირთის ოდენობის დაახლო-ვებითს იგივეობაზე მცდარი არ არის და ჭინს 10 ფუთიან საზომ ერთეულად ვაგულისხმებთ, მაშინ კავთისხევის ზვარისათვის, რომელიც 2 ან 1,6 დლიური უნდა ყოფილიყო, დაახლოვებით 690 ფუთი პატივი უნდა მარიათ. დღევანდელ 345 ფუთამდე პატივი გამოდის.

კახეთში წარსული საუკუნის დამლევეს ვენახს 3, ან 4, ანდა 6 წელიწადში ერთხელ აყრიდენ პატივს. ბაკურციხის თემში კი სასუქის დაყრას ვენახში ერი-დებოდენ, რადგან ამის გამო ღვინო უფრო მდარე გამოდისო (СбСвВгВдК, VII, 61).

ქართლში თითქოს 10 წელიწადში ერთხელ სცოდნოდეთ დაპატივება. რო-დესაც 2 დლიურზე 300 ურემამდე პატივს აყრიან ხოლმე (СбСвВгВдК, VI: I, 71—72). დღევანდელ მაშასადამე 150 ურემი პატივი ყოფილა ნავარაუდევო. რაკ აქ უკვე ბარის დიდი ურემია ნაგულისხმევი, ამიტომ დღევანდელ 10 წელიწად-ში ერთხელ დაახლოვებით 2500—3000 ფუთამდე გამოდის.

ხევში სახნავ მიწას დღევანდელ 10—15 ფუთიან 100—150 ურემ პატივს ანდომებდენ ანუ 1000—1500=2250 ფუთს. ჯავახეთსა და სამცხეში 125 ათ-ფუთიან ურემსა, ე. ი. 1250 ფუთ პატივს და რაჭაში 800—1067 ფუთს (Свод МИЭБГКЗК, IV, I, 296—297).

⁸² „In Kachell... pflanzt man die Reben an der Südseite der Höhen und weil man sie nicht wässern kann, so umgiebt man jede Rebe im Frühling mit etwas Mist“.

§ 8. ვაზ-ვენახის დაცვის საშუალებანი

ვაზის ნაყოფი იმდენად ძვირფასი იყო, რომ მას განსაკუთრებული დაცვა-სპირდებოდა. ამიტომაც არის, რომ ახალ-ნერგ ვენახს ქართველმა ხალხმა სახელად ბაგა უწოდა, რომელიც თავდაპირველად, როგორც საფიქრებელია, მისი შემოღობილობის გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

ვენახიც შემოღობილი იყო. შემოღობვა წარმოდგენილია, როგორც „მოზღუდვა ვენახისა ნაყოფთა“ დასაცავად. ლობისათვის, როგორც ჩანს, ეკალი, ანუ, როგორც მაშინ ამბობდენ, „ეკლოვნება“-ც უხმარიათ. ასე მოზღუდულ ვენახს შუაგულში, რომელსაც იმ დროს „უშინაგანესი ვენახისაი“ ეწოდებოდა, ეტყობა საუკეთესო ვაზები ყოფილა დარგული. ეფრემ მცირეს „გარდამოცემის“ თარგმანსა და თარგმანებაში ალევგორიულად ნათქვამი აქვს, რომ იოანე დამასკელს „კელოვნებითა მოუზღუდავს ვენახისა ამის თვისისა ნაყოფთა შუენერებაჲ. ხოლო უშინაგანეს რაჲ ვენახისა შევიდოდეთ და ტევნებისა მადლთასა განხილვაჲ გუწადოდის“, შემდეგ ვნახავთ (ქქბი, I, 216).

მთელ დასავლეთ საქართველოში ვენახებისა და ვაზის ძლიერი ქარისაგან დაცვასაც განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდენ. ამისთვის იქ, სადაც ტყე იყო, სტოვებდენ 15 ნაბიჯისა და უფრო მეტს სიგანეზე ხეების ხელუხლებელ ზოლს, — ხოლო სადაც ტყე არ იყო, ამავე მიზნით რგავდენ ხეებს, რომელთა მხოლოდ ზევითი ტოტების მოჭრა შეიძლებოდა, რომ ხეს დაბლა უფრო მეტი ტოტები გამოეტანა და უფრო მეტი არე დაეცვა. ვაზ-ვენახების ასეთი დამცველი ტყის, ანდა ხეების ზოლს საქარე ეწოდებოდა. საქარეში ხის მოჭრა სასტიკად იყო აკრძალული და, ვინც ამას გაბედავდა, მთელი სოფლისაგან მკაცრად ისჯებოდა ხოლმე (Оч. ВдК: С5СвК, III, 211—212;— ერმ. ნაქაშიძე, Оч. Вд. в Имерети: С6СвВрВдК, III, 28).

თავი X A.

მევენახეობის წინაპარის. ველური ვაზის გავრცელება უძველეს ხანაში და თანამედროვე მსოფლიოში

§ 1. ველური ვაზის გავრცელების არე ისტორიის უწინარეს ხანაში

ველური ვაზი ერთი უძველესი მერქნიანი მცენარეთაგანია დედამიწაზე. მისი არსებობა პალეონტოლოგიურ ბოტანიკას მრავალი ფაქტით აქვს დადასტურებული. უკვე შუა მესამეულის ხანაში წაბლისფერი ქვანახშირის წარმოშობის დროს (in der mittleren Tertiärperiode, zur Zeit der Braunkohlenbildung) გერმანიაში ალპებამდის, უნგრეთსა, საფრანგეთსა, ინგლისსა, ისლანდიასა, გრიონლანდში, ჩრდილოეთ ამერიკასა და იაპონიაში ველური ვაზი ყოფილა. მაგრამ ირკვევა, რომ მაშინდელი ველური ვაზი *Vitis teutonica* A. Braun-ისა, *V. islandica* Heer და *V. arctica* Heer-ისა უფრო ჩრდილოეთ ამერიკაში და იაპონიაში გავრცელებულ ველურ ვაზს, *Vitis cordifolia* Michx.-ს, მიაგავს, ვიდრე ისტორიული ხანითგან ევროპაში გავრცელებულ ვაზს *Vitis vinifera* L.-ს.

ამ *V. vinifera* L.-ს მონათესავე ველური ვაზი მესამეულ (im Tertiär) ხანაში კარპატების სამხრეთით მდებარე ზოლში (*Vitis tokaensis* Stur.) და საფრან-

გეთში მონპელიეს დილუვიუმის თირში (in diluvialen Tuffen), Meyrargues და Castelnau-ს თირშია ნაპოვნი ლეოვთან (*Ficus carica* L.), *Cotinus*-თან, *Acer obtusatum* subsp. *neapolitanum*-თან და კანარულ დაფნასთან ერთად. შემდეგ იტალიის რამდენსავე ადგილასაც, მაგ. ტოსკანასა და მდ. ტიბრის ნაპირას, რომისაგან დაახლოებით 35 კილომეტრის სიშორეზე, და პეიერინაში Via Flaminia-ში. რომისაგან 6 კილომეტრის სიშორეზე თირშია აღმოჩენილი ურთხელსა (*Taxus*), ბუსა (*Buxus*), სუროს (*Hadera*), თელამუშა, ანუ თელადუმსთან (*Ulmus campestris* L.) და ლეიასთან (*Juniperus communis* L.) ერთად.

საფრანგეთის თირი, რომელშიც *V. vinifera*-ს მონათესავე ველური ვაზია ნაპოვნი, იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც აფრიკის სპილოს მონათესავე *Elephas antiquus* ჯერ კიდევ სამხრეთ ევროპაში იყო და როცა *Rhinozeros Merckii* და *Bos primigenius* და ქვაბთა დათვი (der Hölnbär) ადამიანს ჯერ კიდევ განდევნილი არ ჰყავდა.

ბრინჯაოს ხანის დიროვან ნაშენობათა ნაშთშიც არის აღმოჩენილი პარმასთან მდებარე Castione-ში და ვარეზეს ტბაში ველური ვაზის ხუნწკალები. რაკი დიროვან ნაშენობებში ნაპოვნი ყურძნის ხუნწკალები ველური ყურძნისას მიაგავს, ამიტომ A. Engler-ი ფიქრობს, ამისდა მიხედვით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ველური ყურძენი, კრიკინა. უკვე დიროვან ნაშენობათა მცხოვრებლებს უჭამიათ. მხოლოდ პარმაში, კასტიონეს Terramare-ში და ზემო იტალიის Cogozzo-ში აღმოჩენილი ყურძნის ხუნწკალები ველური ყურძნისაზე ოდნავ მოზრდილია.

ისტორიის უწინარესი ხანის ბოტანიკის ამ და მრავალი სხვა ფაქტის მიხედვით ეხლა უკვე იმ აზრისა არიან, რომ გარეული ვაზი უძველესი დროითგან ყოფილა გავრცელებული და მისი ნაყოფი ადამიანს უჭამია კიდევაც. ველური ვაზის ფართო არეზე გავრცელებისათვის ფრინველებს უნდა შეეწყობო ხელი, რომელთაც ნაჰამი ყურძნის ხუნწკალები გადაფრენისას ახალ-ახალ მანძილზე გადაჰქონდათ (A. Engler, Kpf. u. Ht., 85—87).

§ 2. გარეული ვაზის გავრცელების თანამედროვე არე

თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული ველური ვაზის ნამდვილი ველურობა ხშირად ძნელი გამოსარკვევია, რათგან ბიერგან ასეთ შემთხვევებში ველურის მაგიერ დროთა განმავლობაში გაველურებული ვაზია ხოლმე.

ყველაზე უხვად ველური ვაზი ამიერკავკასიის შავი ზღვის სანაპიროზე, მთელ საქართველოში მოიპოვება. დასავლეთ საქართველოს ნოტიო და ნაყოფიერ ნიადაგზე, თბილ და რბილ ჰავაში ველური ვაზი იმდენად მსხვილ და მაღალ მხვიარა ხეებად იზრდება, რომ მისი მერქნის სისქე 1—1 1/2 ფუტს უდრის ხოლმე და უმაღლესი ხეების კენწერომდის აღს. ამიტომაც, რომ ამიერკავკასია ვაზის უსაკუთრეს სამშობლოდ ითვლებოდა (მედვედევის DKK, 42).

საქართველოს გარდა ამიერკავკასიაში ველური ყურძენი სომხეთშიც არის, თალიშშიც მოიპოვება, შემდეგ სპარსეთში გილანშიც არის და იქითგან მოყოლებული ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით თურქისტანამდის აღწევს. ავღანისტანსა და ჰიმალაას ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში ველურად

გავრცელებული ვაზი მართლაც ველურია, თუ გაველურებული, ჯერ კიდევ გამოსარკვევია (A. Engler, Kpf. u. Ht., 88).

საქართველოს სამხრეთ-დასავლეთით ველური ვაზი მცირე აზიის ანატოლიაშიც მოიპოვება; პალესტინაშიც გვხვდება, მაგრამ არაბეთსა და ეგვიპტეში მისი კვალი არა ჩანს იმისდა მიუხედავად, რომ ძველ ეგვიპტეში ყურძნის კულტურის არსებობის დამამტკიცებელი ნაშთები IV დინასტიის სამარხავეებში აქვს Schweinfurth-ს აღმოჩენილი (A. Engler, Kpf. u. Ht., 90, შდრ. გვ. 92).

ა. ენგლერის აზრით, ტუნისიდან მოყოლებული ალჟირ-მაროკომდე გარეული ვაზი ალბათ ველური უნდა იყოს (Kpf. u. Ht., 90).

საქართველოს ჩრდილო-დასავლეთით გარეული ვაზი ყირიმის მთების ორსავე ფერდობზე ველურად იზრდება და მსხვილმერქნიან ხეებადაც ჰხვდება ადამიანს. შემდეგ ალბათ ველურივე უნდა იყოს ვაზი, რომელიც დნეპრის მარჯვენა სანაპიროზე მოიპოვება ალექსანდროვსკიდან მოყოლებული ხერსონამდე, პოდოლიაშიც დნესტრის მარცხენა სანაპიროზე Wyschatencz და იაგირლიკს შუა ბესარაბიაში, დნესტრისა, პრუთისა და დონის სანაპიროებზე. ამნაირადვე კარპატების სამხრეთის კალთებზეც ვაზი ველურია და მაღალ მხვიარა ხეებად გვევლინება. უნგრეთის დაბლობებშიც ველური ვაზი უხვად არის გავრცელებული. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე დობრუჯაში, კონსტანტინეპოლის მახლობლად მდებარე ბუჟუკდერეს ტყეშიც, ისევე როგორც თრაკიის მდინარებში, კუნძულ თაზოსზე, დალმაციასა და ალბანეთშიც მოიპოვება ველური ვაზი (A. Engler, Kpf. u. Ht., 88—89).

იტალიელი ბოტანიკოსი Parlato ფიქრობს, რომ სამხრეთ იტალიაში, სიცილიასა, კორსიკასა და სარდინიაში გარეული ვაზი ადგილობრივი და ველური უნდა იყოს. სამაგიეროდ იტალიის შუა და ჩრდილო ნაწილში, სადაც გარეული ვაზი ისე ხშირი და ღონიერი არ არის, გაველურებულად მიაჩნია. A. Engler-ის აზრით კი, რაკი ამ ადგილებში ველური ვაზის ისტორიის უწინარესი ხანის ნაშთია აღმოჩენილი, გარეული ვაზი აქაც ველური უნდა იყოს (Kpf. u. Ht., 89).

შვეიცარიაში გავრცელებულ გარეულ ვაზს იქაური ბოტანიკოსები გაველურებულად სთვლიან (იქვე, 89).

სამხრეთ, შუა და აღმოსავლეთ საფრანგეთში ველური ვაზი ბევრგან არის ნაპოვნი, მაგ., Bellu-სა, St.-Aman-თან, Montpellier-სთან და სხვაგანაც. პრესტორიულ ხანაში საფრანგეთის ტერიტორიაზე ველური ვაზის არსებობის გამო ეს გარემოება გასაკვირველიც არ არის (A. Engler, Kpf. u. Ht., 89—90).

გერმანიაში გარეული ვაზი ბადენში არსებობს და რაინის მარჯვენა სანაპიროზე რასტატტსა და მანნჰაიმს შუა ცხრა ადგილას, ხოლო მარცხენა სანაპიროზე სტრასბურგსა და შპაიერს შუა ორგან არის გარეული ვაზი აღმოჩენილი. მაგრამ A. Engler-ი ფიქრობს, რომ რაინის სანაპიროების ვაზი შესაძლებელია გაველურებული იყოს (Kpf. u. Ht., 90).

დასასრულ, ველური ვაზი ესპანეთსა და პორტუგალიაშიც არის სხვადასხვა ადგილას, მაგ., ალმერიას სანახებში, ახალ-კასტილიაში, ჩრდილოეთ ესპანეთში ბილბაოშიც კი (A. Engler, Kpf. u. Ht., 89).

თავი X B. კულტურული ვაზი უცხოეთში და იქაური მევენახეობის მოკლე მიმოხილვა

მევენახეობის საქართველოში გავრცელებული წესებისა და ველური ვაზის გავრცელების საკითხის განხილვის შემდგომ, უნდა უცხოეთის მევენახეობასაც გადავავლოთ თვალი. ამ მიმოხილვაში უმთავრესი ყურადღება ყურადნის ჯიშებს ექმნება მიქცეული.

§ 1. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ ეგვიპტეში

იმისდა მიუხედავად, რომ ეგვიპტეში ველური ვაზი არ მოიპოვება, და ამის გამო მევენახეობა უცხოეთითგან გადმონერგულ სასოფლო მეურნეობის დარგად უნდა იქმნეს მიჩნეული, მაინც პროფ. Schweinfurth-ისა და Wilkinson-ისაგან ძველი ეგვიპტური სამარხავეების შესწავლამ ცხადჰყო, რომ უკვე IV დინასტიითგან მოყოლებული ყურძენი ეგვიპტეში ყოფილა (A. Engler, Kpf. u. Ht., 90 და 92).

ბუნების პირობების გამო, ეგვიპტეში მევენახეობა ყველგან არ იყო შეესაძლებელი. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: ჰეროდოტეს აღნიშნული აქვს, რომ ეგვიპტელები ქერისაგან გამოხდილ ღვინოსა სვამდნენ, რათგან ვაზი მათ არ მოეპოვებათო (II, 77). ჰეროდოტეს ეს ცნობა რომ ქვემოდასახელებულ უტყუარ ფაქტებს და სხვა წყაროების ცნობებსაც სრულებით არ ეწინააღმდეგებოდეს, მისი დაჯერება შეიძლებოდა, მაგრამ ებრაელებსაც კი, დაბადებაში დაცული ცნობის მიხედვით, ეგვიპტითგან გამოსლვის შემდგომ, იქ უხვად მყოფი ყურძენი ხშირად აგონდებოთ. მაინც ჰეროდოტეს ნათქვამი, R. Billiard-ის სამართლიანი განმარტებით, სწორე უნდა იყოს, მხოლოდ მარტო ზემო ეგვიპტეს უნდა ეხებოდეს, სადაც ვაზი მართლაც არა ხარობს ისევე, როგორც მის სამხრეთით მდებარე ეთიოპელთა ქვეყანაშიც, სადაც, სტრაბონის მოწმობით (II, 3, § 4), ვაზი და ღვინოც კი სრულებით უცნობი ყოფილა (R. Billiard, Op. cit., 62—63).

თუმცა ეგვიპტელებს ცალკეული ვენახებიც ჰქონდათ ხოლმე, მაგრამ უფრო ხშირად ვენახი ხეხილის ბაღის შუაგულში იყო ხოლმე მოთავსებული. ჩვენამდის მოაღწია ერთმა ეგვიპტურმა მხატვრობამ, რომელშიც სქემატურად სწორედ ასეთი ხეხილის ბაღის სურათია წარმოდგენილი. ეს სურათი Wilkin-son-მა დაბეჭდა და R. Billiard-ს თავის ნაშრომში აქვს გადამბეჭდილი (იხ. La vigne, 59). ეგვიპტური ბალ-ვენახი ოთხკუთხი მოხაზულობისა ყოფილა, გარეთგან სქელი გალავანი ჰქონია შემოვლებული. ოთხკუთხი მოხაზულობის შუაგული ვაზებით დარგულ ვენახს ეკავა. ვენახი 7 ზოლად ყოფილა დაყოფილი, ზოლებს შორის გზებია დატოვებული. ამ ვენახს გარშემო ხეხილის ბაღი არტყია, მის მარჯვნივ და მარცხნივ კი შენობებიც ყოფილა. ამ ბალ-ვენახს მარჯვენა მხრით წყლის ფართო არხი ჩამოუდის და შიგაც წყლისათვის აუზები ჰქონია. ვაზები ეგვიპტეში, ან ხეივნის მსგავსად, ანდა ასარული სცოდნიათ, მაღლარი კი არა ჩანს. უსაყრდნობო, ბუჩქ-ხედ გაზრდილი ვაზებიც ყოფილა (R. Billiard, La vigne, 59—60).

ეგვიპტელთა ძველ სამარხავებში ყურძნის მარცვლებიც კი აღმოჩნდა ისევე, როგორც ყურძნის ხურწყალები. აღსანიშნავია, რომ ყველა მარცვალი შავი ყურძნის ჯიშებისაა. Kunth-ი ეგვიპტური ყურძნის ყველა ამ გადარჩენილ მარცვალს ერთ ჯიშად *Vitis vinifera L., var. monopyrena*, ე. ი. ერთხუნწყალიან სახესხვაობად სთვლიდა. მაგრამ Schweinfurth-მა, Braun-მა, Ascherson-მა და Loret-მა გამოარკვეეს და დაამტკიცეს, რომ ძველ ეგვიპტეში სამ და ოთხხუნწყალიანი ყურძნის ჯიშებიც ჰქონიათ (R. Billiard, *La vigne*, 57—58).

ყურძნის შერჩენილ მარცვალთა გამოკვლევამ ცხადჰყო, რომ ეგვიპტეში შავი, მსხვილმარცვლიანი, მოლურჯო აპსკა-გადაკრული ჯიშიც ყოფილა, მსხვილკანიანი 3—4 ხუნწყალიანი წოწოლა სახესხვაობაც, რომელთა მარცვლების სიგრძე 7 მილიმეტრს, სიგანე 4-სა და სისქე 3 მილიმეტრს უდრის. ამ მარცვლებში ყურძნის შაქარი საუცხოვოდ ყოფილა დაცული (იქვე, 58).

სამარხავებში გადარჩენილი ეგვიპტური ვაზის მცირერიცხოვანი ფოთლების შესწავლამ Shweinfurth-ი დაარწმუნა, რომ ისინი ეგვიპტეში ამჟამადაც გავრცელებული ჯიშების ფოთლებისაგან არ განსხვავდებიან, მაგრამ მათი ქვედაპირი თეთრბუსუსიანი ყოფილა. ანტინოეს სამარხავის ვაზის ფოთლების ყურები კი უფრო ღრმად არის ჩაჭრილი და დაკბილული, ვიდრე ევროპაში გავრცელებულ ჯიშებშია, და ამ ორი თვისებით ველური ვაზის ზოგიერთ ჯიშს მიაგავს (იქვე, 58).

ძველი ეგვიპტელები ვაზს „არურ-იტ“-ს უწოდებდენ, ყურძენს „არური“-ს, რომელიც თანამედროვე კობტურსაც აქვს „ალოლე“-ს სახით დაცული. ჩამიჩს „შუბ“-ს ეძახდენ და ღვინოს „არპ“-ს, რომელიც კობტურში „ერპ“-ის სახით გვევლინება. უკვე ბერძნებს ჰქონდათ აღნიშნული, რომ ეგვიპტელნი ღვინოს „ჰერპის“-ს ეძახდენ (I. Roy-Chevrier, *Ampélographie rétrospective*, 1900 წ., გვ. 55 და O. Schrader: *Kpf. u. Ht.*, 92).

ბენი ჰასანში მეორე პირამიდის აღმოსავლეთით მენოთეფის სამარხში დაცულია ერთი ფრიად საგულისხმო მხატვრობა, რომელიც ეგვიპტურ რთველს გვიხსრათებს. Rosellini-ის ნაშრომითგან ამოღებული ეს სურათი R. Billiard-ის წიგნში არის მოყვანილი (*La vigne*, 60). ამ სურათზე ოთხი მერთველე ყურძენსა ჰკრეფს, თვითოეულ მათგანს ორი მომცრო კალათი უჭირავს ხელში ყურძნისათვის. ამის გვერდით ყურძნის დაწურვაა დახატული. ეჭვსი კაცი წვივებამდის ყურძნით სავსე საწინახელში დგას და ფეხებით ყურძენსა სჭყლეტს. ყოველ მათგანს წონასწორობის დასაცავად ზემოთგან გაჭიმულ თოკზე, ანდა გადებულ ლატანზე უკიდია ორივე ხელი. ამ სურათის ქვედა ზოლში ყურძნის საბოლოო გამოწურვაა დახატული განსაკუთრებული საწინახის საშუალებით. რომელიც, როგორც ჩანს, მიწაში ჩარჭობილ ორ მარგილს შუა გაბმულს და რუმბის მსგავსად გაკეთებულ ქსოვილს წარმოადგენს. ქვევითგან მას გამოწნეხილი ყურძნის წვენიისათვის ფართოპირიანი ჰურჭელი უდგას. ამ საწინეხში ჩაყრილი მარცვლების დასაწურავად 5 ადამიანი მუშაობს. ამის გვერდით ორი კაცია დახატული, რომელნიც ყურძნის წვენს სწყავენ და ჰურჭელში ასხამენ. იქვე ზის მწერალი თავის საწერელ-კალმითურთ და აწყული ტკბილის რაოდენობას თვალყურს ადევნებს დავთარში ჩასაწერად.

ეგვიპტელთა სამარხებში დაცულია სხვათა შორის მიცვალებულთათვის მიძღვნილი ღვინის სიაც, რომლითგანაც ირკვევა, რომ IV დინასტიის დროს ეგვიპტეში ცნობილი ყოფილა: თეთრი ღვინო, არაჰ ჰუტ, — ზემო ეგვიპტის ღვინო, არაჰ მეჰ, — სამხრეთის ღვინო არაჰ რას, — და ცოდვილთა ღვინო, არაჰ ჰემ (R. Billiard, La vigne, 56).

VI დინასტიის ხანაშიც ხუთივე სხვადასხვა ყურძნის ჯიშის ღვინო სცოდნიათ, რომელთა ყველა სახელი ზემომოყვანილს არ უდგება. ამ ხუთითგან ერთს დელტის ღვინო ჰრქმევია სახელად, მეორეს თეთრი ღვინო, მესამეს პელუზის ღვინო, მეოთხეს წითელი ღვინო და მეხუთეს ლატაოლისის ღვინო (იქვე, 56 და I. Roy-Chevrier. Ampélogr. retrospect., 55).

ეგვიპტური ღვინოების ეს სახელები VI დინასტიის მეოთხე წარმოშობადგენელს მეფე პეპი II-ის პირაპიდაზა აწიკრილი. პეპის ეგვიპტოლოგების აზრით, მეფისში უმეფნია ქ. წ. მე-20, ან 40 საუკუნეს. მაგრამ ცნობილი თრანგი მეცნიერი Loret თავის ნაშრომში Flore Pharaonique ფიქრობს, რომ შესაძლებელია ღვინოების ზემომოყვანილი სია აღრინდელიც იყოს და მეფეთა პირველის, ანდა მეორე დინასტიას ეკუთვნოდეს (Ampélogr. retrospect., 56).

Loret-ს ჰიეროგლიფურ ტექსტებში შემდეგი ათი სხვადასხვა ღვინის სახელი ამოუკითხავს: 1. თეთრი ღვინო, 2. წითელი ღვინო, 3. უპირველესი ღვინო, 4. მეორეხარისხოვანი ღვინო, 5. სვენური ღვინო, 6. ჩრდილოეთის ღვინო, 7. შუაგულის ღვინო, 8. ტენის ღვინო, 9. ნეჰას ღვინო და 10. სენის ღვინო (R. Billiard, op. cit., 62).

ვაზის გავრცელების სიძვერის გამო, ძველ ეგვიპტელებს ღვინო თავიანთთვისაც არ ჰყოფნიდათ და სხვაქვეყნითგანაც უხდებოდათ მისი შემოტანა. მაგრამ მათმა განთქმულმა შრომისმოყვარეობამ ისევე, როგორც სამეურნეო ნიჭმა, იძლევი შესაძლო, რომ რამდენიმე უცხოეთშიც ფართოდ ცნობილი ღვინოების დაყენებაც კი მოუხერხებიათ. ამათგან საბერძნეთსა და იტალიაშიც განთქმული ყოფილა: 1. სებენური ღვინო ნილოსის შესართავის მიდამოებითგან, რომელსაც თურმე მეტად ტკბილი თაზიური, ათაღესა და პევეკის ჯიშის ყურძნისაგან აყენებდენ, — 2. საუცხოვო თეთრი მარეთტული ალექსანდრიის მახლობლად მდებარე, ასევე სახელდებული ტბის სანაპიროებითგან, რომელსაც ჰიეროგლიფურ წარწერებში უტ-ი ეწოდება, — 3. ტენიას ღვინო, თეთრი, მშვენიერი სურნელების მქონებელი და კარგი, — და სხვაც (R. Billiard, op. cit., 61—62).

§ 2. მევენახეობა-მეღვინეობა პალესტინაში

ძველი ებრაელების მწერლობაში აღბეჭდილი ვადმოცემით, მევენახეობის პირველი დასაწყისი მათ ამიერკავკასიაში, არარატის მთის კალთებზე, ეგულებოდათ. თავიანთი მამამთავარი აბრაამი კი ებრაელებს მესაქონლეობის მიმდევარად ეხატებოდათ. მეურნეობის სხვა, უფრო მაღალი, დარგი რომ ეწარმოებინოს აბრაამს, ამაზე ებრაელთა გარდმოცემაში არაფერია ნათქვამი.

ებრაელების გარდმოცემითაც მევენახეობის დასაწყისი პირველად ამიერკავკასიაში, არარატის სანახებში, ჩასახულა. შესაქმეთა 920-21-ში სწერია: „იწყო

ნოე კაცმან საქმედ ქუეყანისა და დაასხა ვენაჯი და სვა ღვნისაგან და დაითრო“-ო.

ეგვიპტოვან პალესტინაში გადასახლების დროს, ებრაელებს ქანაანში კარგად განვითარებული მევენახეობა დაჰხვედრიათ. ებრაული გარდმოცემით, მევენახეობა პალესტინაში მათ წინაპრებს სწორედ ქანაანიდან გადმოუწერიათ: თავიანთ ქვეყანაში ვაზის უხვად მსხმოიარე იქაური ჯიში მოუტანიათ (2 შჯული, 611 და რიცხ., 1324). ამისდა მიუხედავად, ვაზი ნაყოფითა და ღვინით ყოველი ებრაელის არსებობისათვის იმდენად აუცილებელ კუთვნილებად ქცეულა, რომ პურისჭამის, მეტადრე მასპინძლობის, დროს ღვინოც ყოველთვის იყო ხოლმე. თვით გამასპინძლების აღმნიშვნელი ებრაული ტერმინი სმის აღმნიშვნელი ზმნისაგან იყო ნაწარმოები. ამის გამო ღვინო და მარცვლეული ებრაელებისათვის უმნიშვნელოვანესი საკვები, სასმელ-საჭმელი იყო.

პალესტინის მომეტებული ნაწილი მევენახეობისათვის გამოსადეგი იყო, მაგრამ საუკეთესოდ მისი სამხრეთი ნაწილი, იეჰუდას ტომის თემი ითვლებოდა. ჰებრონის მახლობლად, ესკოლში ეხლაც საუცხოო ღვინო სცოდნია. თავისი სიმაგრით მეტადრე ღიზანის ღვინო ყოფილა განთქმული. ვაზის გასაშენებლად ებრაელები წინასწარ სავენახე ადგილს სწმენდდენ და ქვებისაგან ასუფთავებდენ, შემდეგ ზღუდეს გარშემოაველებდენ და შუაში სადარაჯო გოდოლს ააგებდენ, ანდა კარავს დასდგამდენ ხოლმე. ვაზის დანერგვასთანვე სასაწინებლესაც აკეთებდენ (ესაიაჲ, 52 და 18).

დაბლარ ვაზს გარდა, ებრაელებმა მალლარიც იცოდენ, გარკვეული ხანითგან მაინც. ებრაელები ვაზის ყოველწლიურ გასხლას მისდევდენ. ლევიტელთა წიგნისდა მიხედვით, ექვსი წლის განმავლობაში ყოველი ებრაელი მევენახე მოვალე იყო ვაზი გაესხლა, მეშვიდე წელს კი უნდა დაესვენებინა და არც ვაზი გაესხლა და არც ყურძენი დაეკრიფა (255-3).

ვაზის კულტურის სიწმინდის დაცვა ებრაელისათვის სარწმუნოებრივ ვალდებულებად იყო გამოცხადებული. მეორე შჯულში ნაბრძანებია: „ნუ დაასხამ ვენაჯსა შინა შენსა ყანასა, ნუ სთესავ და ნუცა ორ ჰასაქსაჲ ჰყოფ მას“-აო (299).

გასხლვას გარდა, ებრაელებმა თოხნაც იცოდენ, რათგან გამოცდილებამ დაარწმუნა, რომ უამისოდ ვენახში აღმოსცენდებოდენ, „ვითარცა კორდსა შინა, ეკალნი“ (ესაიაჲ, 56).

ვაზის გამოუღებარ ლერწს ებრაელები სწვაავდენ (ეზეკიელის 152 და მომღვენო).

ებრაელებიც ჯერ კიდევ მოუმწიფარს ყურძენსვე ხმარობდენ: კაწახის, ანუ ისრიმის ჰემა იცოდენ, მაგრამ „კაწახის მჰამელისანი მოლხუნენ კბილნი მისნი“-ო (იერემიამსი, 3129-30 და ესაიაჲ, 185). მოუმწიფარი ყურძენის-მჰეავას მავნებლობა კბილებისათვის კარგად ჰქონიათ შეგნებული, ამიტომ მევენახეობისათვის უმთავრესი მნიშვნელობა სთველსა ჰქონდა, როდესაც ყურძენი საჭმელად და საღვინედ იკრიფებოდა ხოლმე.

რა თქმა უნდა, რომ სთვლის დრო ვენახის მდებარეობაზე იყო დამოკიდებული: ზღვის სანაპიროსა და თბილ დაბლობ ადგილას გაშენებული ვაზის ყურძენი ივლისში უკვე მწიფე იყო, მალლარ ადგილას კი სთველი ენკენისთვესა და ოქტომბერში იცოდენ ხოლმე.

ყურძენი, ვითარცა ტკბილი და ნოყიერი ხილი, ებრაელთა საყვარელი საქმელი იყო, რომელსაც შემოდგომასა და ზამთარში ხალხი ხალისით შეექცეოდა ხოლმე. არსებობდა „ყურძენი ახალი“ და გახმობილიც, ჩამიჩი, რომელსაც ძველად ქართულად საიჭი ეწოდებოდა (რიცხუთა, 64).

ძველ პალესტინაში გავრცელებულ ვაზ-ყურძნის ჯიშებზე თითქმის არავითარი ცნობები არ არის გადაჩენილი. „დაბადების“ წიგნებიდან ჩანს მხოლოდ, რომ საუკეთესო ჯიშად სორექ-ად, ანდა სორექა-დ სახელდებული ყურძენი ყოფილა მიჩნეული (ესაიასი, 52, ერემიასი, 231 და შესაქმე, 4911). ფიქრობენ, რომ სორექ-ი უნდა წითელი ფერის აღმნიშვნელ სურგ-თან იყოს დაკავშირებული და ამიტომ სორექ-ი, ანუ სორექა წითელი ყურძნის ჯიშის სახელი ჰგონიათ.

ებრაელთა საღმრთო სჯული ყველას უფლებას აძლევდა ვენახში შესულიყო და ყურძენი იქვე ეჭამა, მაგრამ ყურძნის შინ წაღება არავის შეეძლო (მეორე შჯული, 2324). ამგვარადვე სთვლის დროს ვენახი უნდა ერთხელ დაკრეფილიყო, ხოლო რაც ვაზზე ყურძენი დარჩებოდა, მისი ხელმეორედ მოკუფხლვა დ. შეგროვება საღმრთო სჯულით აკრძალული იყო: რაც სთვლის დროს ყურძნის მკრეფელთ გამოპრჩებოდათ, ის ქვრივ-ობლებსა და ღარიბებისათვის უნდა ყოფილიყო დატოვებული (ლევიტ., 1910 და მეორე შჯულის 2421).

მოკრეფილი ყურძენი სასაწინებლეში მიჰქონდათ, სადაც მას საწინებელში ფეხებით სქყლეტდნენ. ამას გარდა ძველ ებრაელებს ყურძნის საწინები მანქანის მსგავსიც ჰქონიათ, რომელშიც ჰაჭა მძიმე ქვების დადებითა და სხვაგვარადაც იწინებოდა.

ებრაელები ყურძნის ახალ წვენსაც სვამდნენ, ხოლო უფრო ვუღიანად ღვინოს შეექცეოდნენ. ღვინისათვის ნამდვილი სემური სახელი ხრემერ ძველ ებრაულშიც არსებობდა (ესაიასი, 273). მაგრამ მას საერთოდ მაგარი სასამელის მხიშვნელობა მიჰნიჭებია, ღვინის სახელად კი ჩვეულებრივ მაინ-ი იხმარებოდა, რომელიც ზოგიერთ მკვლევარს, მათ შორის რენანსაც, ნასესხებ სიტყვად მიაჩნდათ და მიაჩნიათ ენლაც.

ყურძნის ახალდაწურულ წვენს ჭურბებში და რუმბებში ასხამდნენ დასადუღებლად. ამაზეა დამყარებული იობის შედარებაც: „მუცელი ჩემი ვითარცა თხიერი ტკბილისა მდუღარისა შეკრული“-ო (3219).

იმის გარდა, რომ ღვინოს ებრაელები ძველ ხანაში წმინდას, უწყლოდ სვამდნენ და წყალ-ნარევი ღვინის სმა მერმინდელი, ბერძნებისაგან შეთვისებული, ჩვეულება იყო, რომელიც 2 მაკაბელთა 1540-ში იხსენიება. ებრაელები სხვადასხვა სურნელოვანი სანელებლით განზავებულ-შემზადებული ღვინის სმასაც ეტანებოდნენ (ქება-ქებათაჲ, 82), ჩამიჩისაგანაც აკეთებდნენ ღვინოს (რიცხუთა, 64) და თხლის სმასაც არ ერიდებოდნენ (ესაიას, 256). ვაზი და მევენახეობა-მეღვინეობა ებრაელებისათვის კეთილდღეობის სიმბოლოსა და მზიარულების საწინდრად იყო მიჩნეული (იხ. Socin-ის, Wein, Weinbau, Weinberg და Kelter: Guthe, Bibelwörterbuch).

დასასრულ, ღვინისაგან ისევე, როგორც თაფლისაგან, ძმარსაც აკეთებდნენ. რიცხუთა 63-ში ნათქვამია მხოლოდ, რომ აღთქმის დამდებმა „მოითმინოს ღვინისაგან და თაფლუჭისა, ძმარი ღვინისაგან და ძმარი თაფლუჭისა არა სევან“-ო.

§ 8. მევენახეობა-მელვინეობა ძველ საბერძნეთში

ვიქტორ ჰეპნ-ს გამორკვეული აქვს, რომ უკვე ჰომეროსის ხანის საბერძნეთში ღვინო ბერძენთა შორის საყოველთაოდ გავრცელებული ყოფილა და მათი ქალაქები და ქვეყნები მრავალყურძნიანად (პოლუსტაქვლონ) იწოდება. საბერძნეთის გეოგრაფიულ სახელებშიც ბევრია მელვინეობასთან დაკავშირებული, მაგ.: ეგინაში ოინონე, აკარნანიაში ოინიადაე, ატიკაში და მეგარაში ოინონე, მესსინიაშიც ღვინის კუნძულად წოდებული ოინუსსაი იყო (Kpf. u. Ht., 65—66).

ეს გარემოება ბერძენთა სამეურნეო ყოფაცხოვრებასა და ეკონომიკაში მევენახეობა-მელვინეობის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სრული უეჭველობით ამტკიცებს.

ამასვე მრავალი თქმულება და ზღაპარი ერთვის ზედ, რომლებშიც საბერძნეთის ამა თუ იმ თემში ვაზის წარმოშობის სასწაულებრივი ამბავია მოთხრობილი. ერთი, ჰეკათაიოს მილეტელისაგან დაცული, გარდმოცემით, ვაზის თავდაპირველი სამშობლო თითქოს სამხრეთი ეტოლია უნდა იყოს, სადაც დეკალიონის შვილის ორესთეუსის ძაღლმა (სირიუსმა, ე. ი. ცხელმა დრომ) ლერწი წარმოშვა, რომელიც ორესთეუსმა მიწაში დაანერგინა, საითგანაც უხვყურძნიანი ვაზი აღმოსცენდაო. ამის გამო მან თავის შვილს სახელად ფვტიოს-ი. ე. ი. (აღმოცენებული) დაარქვა, ამ უკანასკნელის შვილს კი ოინეუს-ი. ე. ი. ღვინისა ეწოდაო (Kpf. u. Ht., 67).

სწორედ ასეთი თქმულება ყოფილა ლოკრელთა შორისაც გავრცელებული, რომელნიც ღვინის თავდაპირველ სამშობლოდ სწორედ თავიანთ ქვეყანას ჩემულობდნენ. ამ ლოკრელებს Ozolae ოზოლე ეწოდებოდა მეტსახელად, რომელიც ვაზის ამ პირველი ამონაყარის სახელისაგან იყო ნაწარმოებით (Kpf. u. Ht., 67). ამ თქმულებათა საპატიო ხნიერებას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ეტოლიელი ოინეუსი უკვე ილიადაში მევენახედ ჩანს (იქვე).

ატიკის იკარიაში გავრცელებული თქმულებით, ვაზი დიონისმა შექმნა და ერიგონეს (ე. ი. გაზაფხულზე ნაშობის) მამას იკარიოსს, მაირა ძაღლის უფალს, უწყალობა (Kpf. u. Ht., 67).

ყველა ზემოაღნიშნულისდა მიუხედავად, ვ. ჰეპნი ფიქრობდა, რომ მევენახეობა-მელვინეობა ძველ საბერძნეთში სასოფლო მეურნეობის ადგილობრივი კი არა, არამედ უცხოეთითგან შეთვისებული დარგი იყო. საბერძნეთის მევენახეობის უძველეს ცენტრად მას თრაკია მიაჩნდა, რომელიც ფინიკიელთა საახალშენო და აღებმრცემობის ასპარეზად იყო ძველი დროითგანვე ქცეული. ფინიკიელებმა სხვათაშორის კუნძული თაზოსიც დაიპყრეს, რომელიც თავისი მევენახეობა-მელვინეობით განთქმული იყო. ფინიკიელთა საახალშენო და სავაჭრო მელვინეობის მთავარ დასაყრდნობს კუნძული კრეტა წარმოადგენდა, საითგანაც მათი გაცხოველებული მუშაობის გზა და გეზი ნაქსოსზე და ქიოსზე მიდოდა. Fr. Osann-მა, რომელსაც ვ. ჰეპნი ამ საკითხში ემყარება, თავის ნაშრომში „Oenopion und seine Sippschaft, oder einige Andeutungen über die älteste Weinkultur in Griechenland“ (დაბეჭდილია „Rheinisches Museum“-ის 1835 წ. III, გვ. 241 და შემდ.) გამოარკვია, რომ ძველ ბერძნულ გარდმოცემათა მი-

ხელვით მევენახეობა-მეღვინეობა საბერძნეთის სხვადასხვა ადგილას შემოდებულია კრიტოსითგან გადმოსული ერთი საგვარეულოს წევრთაგან, რომელთა ზოლვაწობის გზა იქითგან ნაქსოსსა და ქიოსზე მიიმართება, საითგანაც სულ ახალი და ახალი ახალშენები არსდება და ყველა ამ ადგილში ვაზის კულტურაც ვრცელდებაო (Kpif. u. Ht., 69—70). ვ. ჰეჰნს თავის მხრით აღნიშნული აქვს, რომ ოდესეში მოხსენებული თრაკიელი მარონი, უკვე ჰენოდისაგან აღბეჭდილი გარდმოცემისდა თანახმად, ონიობიონის შვილი, ან შვილიშვილი იყო, და ანაიჩრად, თრაკიული თქმულებაც იმავე კრიტოსის კულტურულ გზასთან ყოვილა დაკავშირებული (იქვე, 70).

პლინიუს მცირეს თუ დაუუჭერებთ, ვაზის მრავალნაირი ჯიშების რიცხვის ცოდნის შესაძლებლობა პირველად დემოკრიტეს შეუგნია და საბერძნეთის ყველა ყურძნის ჯიში შეუსწავლია კიდევაც (Natur. histor., I, 14, c. 4, § 1).

დემოკრიტეს თავის თხზულებაში საბერძნეთში გავრცელებული ყველა, როგორც ის დარწმუნებული ყოფილა, ჯიშის სახელები აღნუსხული ჰქონია. ეს ძველი რომ დაცული ყოფილიყო, მაშინ საბერძნეთის მევენახეობის მთავარი ასპარეზებისა და ვაზის ყველა ჯიშის გამორკვევა ადვილი იქნებოდა, მაგრამ მისი დაკარგულობის გამო ამ დანაკლისის შესავსებლად სხვა რაიმე წყაროების მოძებნა საჭიროა.

საბერძნეთის ყურძნისა და ღვინოების ჯიშებზე პლინიუს მცირეს ბლომა ცნობები მოეპოვება. მაგრამ ამ რომაელი ბუნებისმეტყველის ხანა ბერძნული მევენახეობა-მეღვინეობის შედარებით გვიანი ხანის დასახასიათებლად გამოდგება. ამაზე უწინარესი დროის ყურძნის ბერძნული ჯიშების სახელებს მკვლევარი პლინიუსის წინამორბედი რომაელი აგრონომების თხზულებებში ამოიკითხავს, სადაც ბერძნული ჯიშების გამოცნობა, ან სადაურობის აღმნიშვნელი სახელების წყალობით, ანდა თვით ჯიშების სახელების ბერძნულობით შეიძლება.

პლინიუს მცირეს აღნიშნული აქვს, რომ უძველეს განთქმულ ბერძნულ ღვინოდ უნდა 1. მარონეულა (Maronea) იქმნეს მიჩნეული, რომელსაც უკვე ჰომეროსი იხსენიებს და რომელიც თრაკიის ზღვის სანაპიროს ყურძნის ჯიშის ღვინო ყოფილა (in Thraciae maritima parte genito). მეკანუსს, პლინიუსის წინამორბედ ერთ ავტორთაგანს, მარონეულას შესახებ ნათქვამი ჰქონია, რომ მისგან შავი, სურნელოვანი ღვინო დგებოდა, რომელიც დახნიერებისას თურმე სქელდებოდა, („esse... colore nigrum. odoratum, vetustate pinguescere“: Natur. hist., I, 14, c. 6, § 1—2).

ჰომეროსსვე დასახელებული ჰქონდა 2. პრამნიული, რომელსაც ის ძალიან აქებდა და რომელიც პლინიუსის ხანაშიც განთქმულ, ყველაზე საუკეთესო, ღვინოდ ითვლებოდა თურმე. ვაზის ეს ჯიში სმირნის სანახებში, ღვინოებათა დედის ტაძრის მიდამოებში, ხარობდაო (იქვე, I, 14, c. 6, § 2).

პლინიუსის დროს ამ ყურძნის ჯიშების თითქმის ორასი წლის ღვინოები ყოფილა შენახული („durantiae adhuc vina ducentis fere annis“), რომელთაც ხნიერების გამო მწარე თავულის გემო ჰქონია. რომაელი ბუნებისმეტყველის სიტყვით, ძველ ღვინოებს ჩვეულებრივ ასეთი თვისება აქვთ და სიმწარის გამო მათი უწყლოდ სმა არ შეიძლებოდა. სამაგიეროდ ამ ძველი ღვინოების მცირე რაოდენ-

ნობის შერევა საკმარისია სხვა ღვინოების გასაუმჯობესებლად (იქვე, I, 14, c. 6, § 3).

კატონისა, ვარრონისა, ვირგილიუსისა და კოლუმელლას ნაშრომებიდან ცხადი ხდება, რომ თესვალის ყურძნის ჯიში 3. ამინეური, 4. ლესბოსური, 5. თაზოსური, 6. მარეოიტური, 7. ფსითია, 8. ლაგოსი, 9. არგოსული, 10. ლუბიური, 11. ბაზილიკა, 12. ამეთუსტონ-ი, 13. დრაკონტიონ-ი, 14. კერაუნე, 15. სტეფანიტი, 16. მარცვალმაგარა — დურაციინე (Duracinae), 17. ბუმასტუს-ი, ანუ ძროხის-ძუძუ, 18. დაკტული, ანუ თითები, 19. ალოპექსი, ანუ მეღისაი, და 20. კვლონიტი, ანუ კომშა საბერძნეთს გარეშეც, სხვა ქვეყნებშიც, მაგ., იტალიაშიც ყოფილა გავრცელებული (იხ. Cato, De re rustica, VI და VII;— Varro, Rerum rusticarum, I, 1, c. 58,—Virgilius, Georgicon, lib. II;—Columella De re rustica, l. III, c. 2).

წინამორბედ რომაელ აგრონომთაგან დასახლებულ ლესბოსისა და თაზოსის ჯიშებს გარდა, რომელთაგან პირველის ღვინოს, პლინიუსის სიტყვით, ბუნებრივი თვისების გამო, ზღვის წყლის გემო გაჰკრავდა თურმე („Lesbium sponte naturae suae mare apit“), ამ რომაელ ბუნებისმეტყველს კიდევ შემდეგი ღვინის ჯიშების სახელები მოეპოვება: 21. ქიოსის ღვინო, რომელსაც რომაელები თურმე არვიზიუმ-ს უწოდებდნენ, 22. კლაზომენური ყველაზე უმჯობესად მიჩნეული, თუ რომ ზღვის წყალი ნაკლებად აქვს ჩართული, 23. ტმოლიტის, ე. ი. ტმოლური, რომელიც იმდენად სასმელად არ ყოფილა კარგი, რამდენადაც სხვა ჯიშის ღვინოების ნაკლის გამოსასწორებლად და სინაზის მისანიჭებლად იხმარებოდა თურმე. მისი სხვა ღვინოში ჩარევა ძველი ღვინის თვისებას ანიჭებდაო, 24. სიკონური, 25. კვპრული, 26. ტელმესიური, 27. ტრიპოლური, 28. ბეირუტული, 29. ტუროსული და 30. განთქმული სებენჯტური, რომელსაც ეგვიპტური ყურძნისაგან აყენებდნენ. ამ ჯიშის სამი სახესხვაობა ყოფილა: თაზიური (Thasia), აითალე და პეუკე. შემდეგ აფასებდნენ⁵³ 31. ჰიპპოდამაციურს, 32. მისტიურს, 33. კანთარიტეს, 34. ვინდურს, 35. ცატაკეკაუმენიტეს-ს, 36. პეტარიტეს-ს და 37. მუკონიურს, 38. მეზოგიტეს და 39. ეფეზური ღვინოებისაგან კი თავის ტკივილი ემართებოდათ (capitis dolores facere compertum est).

უკანასკნელი თურმე ბუნებრივი ღვინო არც კი ყოფილა, არამედ ზღვის წყლისა და ნადუღი ღვინის შენარევსაც შეიცავდა. 40. აპამეური კარგი ყოფილა აგრეთვე შენარევი ღვინის დასაყენებლად, 41. პროტაგიონი, რომლის ღვინოსაც ასკლეპიდის სკოლის მიმდევარნი (Asclepiadis scholae) იტალიის ღვინოების წსავსად სთვლიდნენ, პლინიუსის დროს უკვე მივიწყებული ყოფილა. აპოლოლოდორ მკურნალი თავის ნაშრომში პტოლემეაოს მეფეს შემდეგი ღვინოების სმას ურჩევდა: 42. ნასპერკენიტეს-ს, შემდეგ 43. ორეტიკუმს-ს, 44. ოინეატეს-ს, 45. ლეუკალიუმს-ს, 46. ამბროკიოტეს-ს, ხოლო საუკეთესოდ 47. პეპარეთიუმს-სა სთვლიდა იმისდა მიუხედავად რომ ეს ღვინო ისე განთქმული არ ყოფილა, რათა მისი მხოლოდ ექვსი წლის ღვინო იყო კარგი და მოსაწონიო (quoniam ante sex annos non placeret: Natur. hist., l. 14, c. 9, § 1—2).

⁵³ „Post haec auctoritas Hippodamatio, Mustico, Cantharitae, Protropo Gnidio, Calacaemeritae Petriitae, Myconio“.

ზემოდასახელბეჯელს გარდა საბერძნეთში კიდევ ბევრი სხვა ღვინო ყოფილა და პლინიუსს ზოგიერთი მათგანის შესახებაც მოეპოვება ცნობები (იხ. I. 14, c. 10, § 11—12), მაგრამ ეს ღვინოები ხელოვნური და სხვადასხვანაირი ჩანართის მქონებული ყოფილა, ამიტომ ამ ცნობების მიხედვით ყურძნის ჯიშების გამორკვევა შეუძლებელია.

ამ 47 ყურძნისა და ღვინის ბერძნული ჯიშების სახელებისდა მიხედვით მკვლევარს საბერძნეთის მევენახეობის უმთავრესი ეკონომიური ცენტრის გამორკვევა შეუძლიან.

Caspar Bauhin-ს (1560—1624) თავის ნაშრომში, „Pinax Theatri Botanici“ ნათქვამი აქვს, მსხვილ ჩამიჩს, *Uva passa major* ბერძნები *Boumastos*-ს, ე. ი. „ძროხის-ძუძუ“-ს უწოდებდნენ (იხ. I. Roy-Chevrier, *Ampélogr. rétrosp.*, 221). ეს ცნობა მთლად სწორე არ არის, რათგან ბუმასტოს ყურძნის ჯიშის ბერძნული სახელი იყო მხოლოდ და, თუ Bauhin-ს ეს სახელწოდება ჩამიჩის აღმნიშვნელად მიუჩნევია, ეს გარემოება მარტო იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ბერძნებს ბუმასტოსის ყურძნის ჯიშისაგან უმთავრესად ჩამიჩი უკეთვბათა.

§ 4. მევენახეობა-მეღვინეობა ძველ იტალიაში

ვ. ჰეპნ-მა აღნიშნა, რომ რომაელთა უძველესი სარწმუნოებრივი წესით, რომელიც პლინიუსის ცნობით (*Natur. hist.*, I. 14, c. 14, § 1) თვით რომულის დადებულად იყო მიჩნეული, ღმერთებისადმი მსხვერპლშემწირველობის დროს აუცილებლად რძე უნდა ყოფილიყო ნახმარი, ღვინო კი აკრძალული იყო (*Kpif. u. Hl.*, 72). უკვე თვით რომაელ მეცნიერს პლინიუსს ყურადღება ჰქონდა ამ წესისათვის მიქცეული. მასვე მოყვანილი აქვს ცნობა, რომ ნუმა მეფის კანონით კოკონის ღვინით სხურება არ შეიძლებოდა, და თან დასკვნილი აქვს: უეჭველია, რომ ეს კანონი მან ღვინის იშვიათობის გამო დააწესაო (*Natur. hist.*, I. 14, c. 14, § 1). ამნაირად ირკვევა, რომ თვით რომაელი მეცნიერიც თავის დროზე მიმხვდარა, რომ სანამ ხალხი ღვინის დაყენებას ისწავლიდა და მის საყოველთაო ხმარებას შეეჩვეოდა, მისი წინაპრებისათვის ღვინო დიდხანს ჯერ უცნობი, ხოლო შემდეგ იშვიათი სასმელი ყოფილა.

პლინიუსმა მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის მთავარი საფეხურებიც გაუთვალისწინა თავის მკითხველს. მის დამკვირვებლობას არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ კატონ უფროს-საც კი (233—149 წ. ქ. წ.), რომელიც თხვიისი სამშობლოს მეურნეობის კარგი მცოდნეც იყო, ყურძნის მაშინდელი ჯიშების მხოლოდ მცირე რაოდენობის დასახელება შეეძლო თავის ნაწარმოებში („*pauca attigit vitium genera*“: *Natur. hist.*, I. 14, c. 5, § 1).

მართლაც კატონ-ს თავის-დროინდელი ყურძნის მხოლოდ შემდეგი 8 ჯიშის სახელი აქვს მოყვანილი: 1. ამინეური მსხვილი და წვრილი, *Amineum majus*, *Amineae minusculae*, 2. ევგენიე ორმაგი, *Eugeniae* (ე. ი. კეთილ-გვარიანი), 3. ჰელვოლე წვრილი *Helvolae minusculae*, ნაცრისფერი, 4. მურგენტული, *Murgentinae*, 5. აპიცეური, *Apiciae*, 6. ლუკანიური, *Lucaniae*, 7. მისცელლე, *Miscellae*, ე. ი. შერეული და 8. დურაცინე, *Duracinae*, ე. ი. ზეგარმარცვლიანი, სქელკანიანი (იხ. M. P. Cato, *De re rustica*, VI და VII).

ყურძნის ამ 8 ჯიშის სახელითგან ჰელვოლე ფერის აღმნიშვნელია, ღურა-ცინე ამ ჯიშის მარცვლის სქელკანიანობის, ხოლო ევეგენიე ყურძნის ჯიშის სიკეთის გამომხატველია. დანარჩენი 4 ჯიშის სახელები მათი სადაურობის გამომჟღავნებელია: ამინეური თესალიური ჯიში ჩანს (იხ. Hehn. Kpt. u. Ht., 583, შენ. 30), მურგენტული სიცილიური ჯიშია, ლუკანური ლუკანიითგან, რომელიც სამხრეთ იტალიაში, ტორენტოს ყურესა და ტურენის ზღვას შუა, მდებარეობდა.

რომაელი ბუნებისმეტყველი დარწმუნებული იყო, რომ მევენახეობა-მეღვინეობას იტალიაში იმ დრომდე, როდესაც თვითონ მოღვაწეობდა, ხანგრძლივი წარსული არ ჰქონია. სასოფლო მეურნეობის ამ უმაღლესი დარგის დასაწყისად პლინიუსს კატონ უფროსის ხანა მიაჩნდა. მას საგანგებოდ მოყვანილი აქვს ამ ავტორის ცნობა და დარიგება მისდროინდელ ვაზის ჯიშებზე და ბოლოში ამბობს: ლათინურად ამაზე უძველესი დარიგება არ მოიპოვება, აი რამდენად ჯერ კიდევ ახლო ვართ ამ საქმის დასაწყის ხანასთან (Natur. hist., l. 14, c. 5, § 2)⁵⁴.

რომაული მევენახეობა-მეღვინეობის დასაწყისითგან მოყოლებული თავის დრომდე პლინიუსი სულ 230 წელიწადს ანგარიშობდა. მას ნათქვამი აქვს: კატონის დარიგება ვაზის მამინდელ ჯიშებზე უნდა მოლიანად (loto tractatu) იყოს მოყვანილი ჯიშის გასაგებად ქალაქის (ე. ი. რომის) დაარსებითგან 600 წელს, კართაგენისა და კორინთის ალების ახლო ხანაში, იმ დროს, როდესაც თვით კატონი გარდაიცვალა, რომელიც ვაზის ჯიშები იყო ყველაზე უგანთქმულესი, და იმის დასარწმუნებლად, თუ რამდენად დაწინაურდა მას შემდგომ 230 წლის განმავლობაში ცხოვრება ამ დარგში (Natur. hist., l. 14, c. 5, § 1—2)⁵⁵.

ვარრონს (118—29 წ. ქ. წ.) თავის წინამორბედ კატონთან შედარებით მხოლოდ სამი ახალი სახელი მოეპოვება. მას იგივე ჯიშები აქვს ჩამოთვლილი, რომელიც კატონს ჰქონდა დასახელებული (იხ. M. Terentii Varronis, Rerum rusticarum de Agricultura, I, 1, c. 25) და ამას გარდა დასახელებულია Praecox პრეკოქსი, რაც ადრეულაა ჰნიშნავს, ვარრონის ცნობითგან ამას გარდა ირკვევა, რომ ადრეულა ყურძნის ჯიშებს miscella მისცელა, „შერეული“-ც ეკუთვნოდა, რომელსაც თურმე nigra ნიგრა-საც, ე. ი. შავსაც უწოდებდნენ (I, 1, c. 54). შემდეგ სქელკანიანი ყურძნის ერთი ახალი ჯიშის Lucarina ლუკარინა-სი და ამინეური-ს სახესხვაობის Aminea scantiana სკანტიანური ამინეური (იქვე, I, 1, c. 58).

ვარრონს აღნიშნული აქვს, რომ სთველი დაკვირვებითა და შერჩევით უნდა ეწარმოებინათ. ყურძენს ის ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფდა: ad bibendum დასალევად, ე. ი. ქართული შესატყვისი ტერმინი რომ ვიხმართო, საღვინე ყურძნად და ad edendum საჭმელად (De Agricultura, I, 1, c. 54).

ვარრონის ნაშრომითგან ჩანს, რომ რომაელი მევენახე ვაზის რქისათვის ორ სახელს ხმარობდნენ იმისდა მიხედვით, ნაყოფიერი იყო, თუ უნაყოფო. უნაყოფოს (Sterile) flagellum ჭლაგელლუმ-ს ეძახდნენ. ნაყოფიერს კი (unde uvae nascuntur) თურმე palma პალმა ეწოდებოდა. მასვე მოეპოვება capreoli კაპრეოლი, ვა-

⁵⁴ „Non sunt velustiora de illa re latinae linguae praecepta: tam prope ob origine rerum sumus“.

⁵⁵ „quantum postea CCXXX annis vita profecerit“.

ზის კევანა, რომლითაც ის გველივით ეხვევა ყველაფერს, რაც მის მახლობლად იზრდება (De Agricultura, I, 1, c. 31). ამ ცნობითგანცხადი ხდება, რომ ფლაგელუმში ქართულ ტყუილ რქას უდრის, პალმა—სამამულე რქას და კაპრეოლი კიდე კევანს.

მგოსან ვირგილიუს-ის (70—19 წ. ქ. წ.) პოეტურ ნაწარმოებში „გეორგიკონ“-ში (წიგნი II) წინანდელ ავტორთაგან მოხსენებული ყურძნის ჯიშებითგან მხოლოდ ორია დასახელებული: 1. თავისი უმაგრესი ღვინით (*firmissima vina*) განთქმული ამინეე, ანუ ამინეური და 2. *praecie* პრეციე, რომელიც I. Roy-Chevrier-ს აზრით თითქოს *Praecoces* მაგიერ უნდა იყოს ნახმარი და *Praecox*-ს პრეკოქს-ს, ე. ი. ადრეულად წოდებულ ვაზის ჯიშს, უნდა ჰგულისხმობდეს (იხ. *Ampélogr. retr.*, 69).

ვირგილიუსი ყურძნის ჯიშების ამ ორ სახელს უმატებს თავის მხრით: 3. ლესბოსის ვაზს, 4. თაზიეს-ს *Thasiae vites* თაზოსის ვაზისას, 5. *Mareoitides albae* თეთრ მარეოიტურს-ს, 6. *Psithia* ფსითია-ს, 7. *Lageos* ლაგეოს-ს „კურდღელს“-ს, რომელსაც ეს ბერძნული სახელი, ზოგიერთების აზრით, ამ ყურძნის ფერის გამო აქვს დარქმეული, წა ისიდორეს სევილელის განმარტებით იმიტომ, რომ ეს ჯიში მეტად ადრე მწიფდებოდა, უარესად ადრეული იყო და კურდღლის სისწრაფით სიმწიფისაკენ მიეშურებოდა (I. Roy-Chevrier, *Ampélogr. retr.*, 68), 8. *Purpureae* პურპურეეს-ს წითელს, 9. *Rhetica* რეტიკა-ს რეტიულს, 10. *Falernis* ფალერნულს-ს, 11. *Argitis* არგიტის-ს არგოსულს, 12. *Rhodia* როდია-ს როდოსულს, 13. *Bumastus* ბუმასტუს-ს. რომლის ეს ბერძნული სახელი ძროხის ძეჯუს ჰნიშნავს.

დაბლარსა და მადლარს გარდა, რომელიც ჩვეულებრივ მიღებული იყო, კოლუმელლას პროვინციაში კიდევ ბევრი სხვანაირი ვაზებიც უნახავს, რომელთაგან ზოგიერთი აღწერილი აქვს. არსებობს ვაზის ჯიში, რომელიც ბუჩქივით იზრდება, მოკლეფეხიანია და უსაყრდნობოდ, თავისთავადაა ამართული (*velut arbusculae brevi crure sine adminiculo se stantes*). შემდეგ ვაზები საყრდნობზე დამყარებულია და თვითონული ცალკეულ უღელზვა მიმაგრებული (*singulis jugis imponuntur*). ამას მიწისმოქმედი *canteriatæ* კანტერიატეს-ს უწოდებენო. ისეც არის ხოლმე, რომ ვაზები საყრდნობად მიწაში ჩარჭობილ ლერწებით არიან შექკულნი, ვაზების ლერწი კი ამ საყრდნობებზე წრის მსგავსად მწმორგვალეებით არის დამაგრებული (*materiis ligatis in orbiculos*). ამას ზოგნი *Characatae* ხარაკატეს ეძახიანო (De re rustica, lib. V, cap. 4).

კოლუმელლას აზრით. მიწაზე განრთხმული ვაზის ჯიშები (*prostratae vineae*) მხოლოდ უარესად ქარიან ქვეყანაშია მიზანშეწონილი, სადაც ამართული ვაზის ყურძნის შენარჩუნება შეუძლებელი იყო. ამნაირად განრთხმული ვაზის კულტურა რომაელ აგრონომს უკიდურეს პირობებში მიაჩნდა სასურველად. მისი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულება იმ გარემოებით აიხსნებოდა, რომ განრთხმული ვაზის მოვლა მიწისმოქმედებისაგან მძიმე შრომასაც მოითხოვდა და გვარიანი ღვინოც მისგან არას დროს არ დგებოდაო (De re rustica, lib. V, cap. 5).

თუმცა კოლუმელლას ცალკალკე ჯიშების დახასიათების დროს ყურძნის ზოგჯერ ფოთლის, მტევნისა და მარცვლის აღწერილობა მოეპოვება (იხ. აქვე). მაგრამ ყურძნის ჯიშების თავისი კლასიფიკაცია ამაზე არა აქვს დამყარებული. ის წმინდა პრაქტიკული თვალსაზრისით ხელმძღვანელობდა.

კოლუმელლას (2 წ. ქ. წ. — 65 წ. ქ. წ.) მევენახეობა-მელღონეობაზე გაცილებით უფრო ვრცელი და საგულისხმო ცნობები გააჩნია. ამ ავტორს მევენახეობა წმინდა ეკონომიური, კომერციული თვალსაზრისით აქვს განხილული. ამათომ ვაზის ჯიშებს ის ორ დიდ ჯგუფად ჰყოფს. მისი სიტყვით, ვაზი ან საჰმელად, ანდა დასაწურავად, საღვინედ ირგეება (*vitis... vel ad escam, vel ad defusionem deponitur*). მაგრამ საჰმელი ყურძნის ჯიშების დარგვა მხოლოდ იმ შემთხვევაშია ხელსაყრელი, თუ სავენახე ადგილი ქალაქის მახლობლად მდებარეობს, სამოქალაქოა (*suburbanus*), რომ მისი შენახვა საჭირო არ იყოს და იქ ხილეულის მსგავსად ვაჭრებისათვის მიყიდვა შესაძლებელი იყოს. ასეთ შემთხვევაში უნდა უმთავრესად ადრეული და კანმაგარი (*maxime praecoques et duracinae*) ყურძნის ჯიშები გაშენდეს. ასეთ ადრეულ და შესანახად გამძლე ჯიშებად კოლუმელლას დასახელებული აქვს; 1. *Purpureae* პურპურეე წითელი,—2. *Bumasti* ბუმასტი ძროხის-ძუძუ,—3. *Dactyli* დაქტკლი თითები.—4. *Rhodiae* როდიე, როდოსული, 5. *Libycae* ლიბიეე ლიბიური და 6. *Cerauniae* კერაუნეე კერაუნული (*luni Moderati Columellae, De re rustica, lib. III, cap.2*).

საჰმელად ვასაღებისათვის განკუთვნილ ყურძნის ჯიშებს ამავე რომელი აგრონომის აზრით მარტო სასიამოვნო გემო კი არ უნდა ჰქონოდა, არამედ გარეგნულობითაც მოსაწონი უნდა ყოფილიყო (*Speciae commendari possint*), როგორც, მაგ., 7. *Stephanitae* სტეფანიეე გვირგვინური,—8. *Tripedanae* ტრიპედანეე სამტერეა.—9. *Unciariae* უნციარიეე უნკიას-ოდენა, მისხალა და 10. *Cydonitae* კედონიეე კომშა (იქვე, lib. III, cap. 2).

ამავე დანიშნულების ვენახში კოლუმელლა სოფლის მეურნეს ზამთარში შესანახად გამოსადეგი და გამძლე ყურძნის ჯიშების (*uvae temporibus hiemis durabiles*) გაშენებას ურჩევდა, რომელთა შენახვა შეიძლებოდა ქილებში, როგორც, მაგ., 11. *Venuculae* ვენუკულეე და 12. ნუმიზიანეე ნუმილიური (იქვე, lib. II, c. 2).

საღვინედ განკუთვნილი ვაზის ჯიშების შერჩევაზე კოლუმელლას მთელი მოძღვრება მოეპოვება, რომელიც ვაზის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგს წარმოადგენს. მისი რჩევით, საღვინე ჯიშად მევენახემ უნდა ღონიერი ვაზი აირჩიოს, როგორც ლერწით *materia*, ისევე ნაყოფიერებითაც, რათგან ლერწის ღონიერება მეურნეს ხანგრძლივ გამძლე ვაზს შესძენს, ხოლო უხვი ნაყოფიერება დამმუშავებელს შემოსავალს მისცემს. მაგრამ ამასთანავე უმთავრესი ის არის, რომ ვაზი სწრაფად არ შეიფოთლოს, დროზე დაყვავილება იცოდეს და გვიან არ მწიფდებოდეს, ნისლს, ყინვასა და დასიცხვას (*carbunculum*) ადვილად იტანდეს, თანაც არც ავდრიანობა და არც გვალვა არ აზიანებდეს (იქვე, l. III, c. 2).

კოლუმელლას გონიერული დაკვირვებით, ყოველ მევენახეს უნდა სცოდნოდა, რომ საწოგადოდ უეჭველია, რომ ზოგიერთი ვაზის ჯიშების ყურძნის თვისება სავენახის მდებარეობისა და მიხედვით (*pro locorum silu*) იცვლებოდა და განსხვავდებოდა ღვინის ღირსებითაც (*bonitate vini*). საერთოდ ბარის (*campestris*) ვაზი ღვინოს უფრო უხვად იძლეოდა (*largius vinum*), ვიდრე მაღლობებისა, მაგრამ მაღლობის ღვინო საშაგვიროდ უფრო სასიამოვნოა (*jucundius*). ამას გარდა ზოგიერთ ჰავაში ჩრდილოეთისაკენ მდებარე ვენახი უფრო უხვ მოსავალს იძლეოდა.

ხოლო სამხრეთის მხარეზე გაშენებული ვენახის ღვინო უფრო უკეთესი იყო (იქვე, I. III, c. 2).

საღვინე ყურძნის ჯიშთაგან საუკეთესოდ კოლუმელლას 1. Amineae ამინეე, ამინეური აქვს დასახელებული, რომელიც ყველა დანარჩენზე გამძლეობითაც და ნაყოფიერებითაც, ყოველნაირი ნიადაგისათვის გამოსადეგობითაც, თანაც ციხის საუკეთესო ჯიშებით იყო ცნობილი. ამ რომელიც აგრონომის დროს ამინეურის რამდენიმე სახესხვაობა ყოფილა: ერთი წვრილი ყოფილა (minor), მეორე მსხვილი (major),—ამინეური წყვილა Amineae geminae, რომელსაც ასეთი სახელი იმიტომ დაჰკრძევიდა, რომ მტევნებს წყვილ-წყვილად ისხამდა (duplices uvas)—Aminea lanata ამინეა ლანატა, ბუსუსიანი ამინეური, რომელსაც მისი ფოთლების უაღრესი ბუსუსიანობის გამო სწოდებია ამნაირი სახელი (იქვე, I. III, c. 2). ამინეური მაღლარი ჯიში იყო.

ამინეურის შემდეგ საუკეთესოდ 2. ნომენტანე Nomentanae ითვლებოდა, რომელიც თუმც ღვინის ღირსებით (vini nobilitate) ამინეურს ოდნავ ჩამოუფარდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ თავისი ნაყოფიერებით სჯობნიდა კიდევაც. კოლუმელლას ნაპრომიოთგან საფიქრებელი ხდება, რომ ნომენტურის ორი სახესხვაობა არსებობდა: ერთი წვრილი იყო (minor), რომელიც მეორე მსხვილ (majoris) სახესხვაობაზე უფრო ნაყოფიერიც ყოფილა და რომლის ფოთოლიც უფრო ნაკლებ ყოფილა დაკბილული და ლერწი მსხვილი სახესხვაობის ლერწზე ნაკლებ ყოფილა წითელი⁶⁸. ამ წითელფერიანობის გამო მათ, ე. ი. ნომენტურის ორსავე სახესხვაობას, rubellianae რუბელლიანე დაჰკრძევიდა სახელად. ამავე ყურძნის ჯიშს foecinae ფიოცინე-ც ეწოდება, რათგან მის ღვინოს სხვა ჯიშებზე მეტად აქვს ნალექი. ეს ჯიში დაბლარადაც (in jugo) კარგი იყო და მაღლარადაც (in arbore), მაგრამ მაღლარად უმჯობესი ყოფილა (იქვე, I, III, 2), 3. Eugeniae ევგენიე ყოველნაირ ნიადაგსა

⁶⁸ „Nomentianae vini nobilitate subsequuntur Amineas... Sed earum quoque feratior est minor, cujus et folium parcius scinditur, et materia non ita rubet ut majoris, a qua colore rubellianae nuncupantur“ (I. III, c. 2).

M. Nisard-ის გამოცემის ფრანგულ თარგმანში „carum...minor“ „ამათგან წვრილი“ ისე გაგებული, თითქოს კოლუმელლას ნომენტანეს ჰგულისხმობდეს, major-ად, ანუ მსხვილად კი ამინეურს ამიტომ მასწიქ, სადაც ვახის ლერწის შეფერადებაა დახასიათებული, აქვს ნათარგმნი: „son bois moins rouge que dans les Aminees“ (იხ. Les agronomes latins Caton, Varron, Columelle, Palladius... publie sous la rédaction de M. Nisard, Paris, გვ. 226) „მისი ლერწი ამინეურის ლერწზე ნაკლებ არის წითელი“—ე. ეს თარგმანი გამოკრებული აქვს I. Roy-Chevrier-საც თავის Ampelographie rétrospective-ში (იხ. გვ. 73). ისე გამოდის, თითქოს ამინეურსაც წითელი ლერწი ჰქონდეს, ამასთანავე ნომენტურზე უფრო წითელიც კი. მაგრამ კოლუმელლას ლერწის შეფერადების დროს ამინეური დასახელებული არა აქვს, ეს ფრანგული თარგმანის ავტორის, უეკველია, მცდარს ჩანართს წარმოადგენს. ეს თარგმანი რომ სწორე ყოფილიყო, მაშინ ისე გამოვიდოდა, თითქოს რუბელლიანე ამინეურსაც ეწოდებოდა და ნომენტანესაც. ეს კი მართალი არ არის და პლინიუს მცირეც რუბელლიანეს სახელს ნომენტურს მიაკუთვნებს. ხოლო წითელის მეტი სახელი ნომენტანეს რატომ დაერქმევოდა, თუ რომ მისი ლერწი ამინეურზე ნაკლებ იყო წითელი, როდესაც ამინეური ვითომც ნომენტანეზე უფრო წითელლერწიანი იყო. ცხადია, რომ კოლუმელლას ნომენტანეს ორი სახესხვაობას გულისხმობდა და ერთს წვრილს (minor) უწოდებდა, მეორეს კიდევ მსხვილს (major), ამ სახესხვაობას ლერწი წითელი ჰქონია, მაგრამ მსხვილი უფრო წითელი ლერწის მქონეებელი ყოფილა, ვიდრე წვრილი. ლერწის წითელი შეფერადების გამო ორსავე რუბელლიანე-ც ჰკრძევიდა მეტსახელად. ისე უნდა იყოს, ვგონებ, გაგებული კოლუმელლას ზემოთყვანილი ცნობა და ასევე გააკვს ჩვენც აღნიშნული.

და ჰავაში ხარობდა. 4. *Allobrogicae* ალოზროგული, რომელიც სხვა ნიადაგზე გაცილებით უფრო დაბალხარისხოვან ღვინოს იძლეოდა. 5. *Apianae* აპიანე-ს სამი სახესხვაობა არსებობდა, რომელნიც ნაყოფიერ და გემრიელ ყურძნის ჯიშად ითვლებოდნენ და მარლარადაც და დაბლარადაც კარგი იყო. ერთი ამ სამ სახესხვაობათაგანი, რომლის ფოთოლიც ნაკლებ იყო ბუსუსიანი, დანარჩენ ორზე უკეთესად ითვლებოდა, აპიანე-ს ჯიშში აღრეული იყო, რის გამო ის ცივი ადგილებისათვის შესაფერისი იყო (*praecoquis fructus, ideoque frigidis locis aptissimae*). მისგან სასიამოვნო ღვინო დგებოდა, მაგრამ თავისა და ნერვებისათვის ვერ იყო კარგი (*capiti nervisque non aptae*). დამწიფდებოდა თუ არა, უნდა უმაღლ დაკრეფილი ყოფილიყო, რათგან მას წვიმაცა და ქარიც ისევე, როგორც ფუტკრები ძალზე აფუჭებდნენ. სწორედ ამის გამო ფუტკრისაგან, რომელსაც ლათინურად *apes* აპეს-ი ეწოდება, დაერქვა ამ ჯიშს აპიანე-ს, ე. ი. ფუტკრულის, ან საფუტკრის სახელი (იქვე, I. III, c. 2).

დანარჩენი ყურძნის ჯიშები კოლუმელლას მეორეხარისხოვანად აქვს მიჩნეული. ამ ჩგუფს მიეკუთვნება: 6. *Biturica* ბიტურიკა, ბიტურული, 7. *Basilica* ბაზილიკა, ე. ი. მეფური, რომლის ორი სახესხვაობა ყოფილა. პირველ მათგანს ესპანელნი *cocolubis* კოკოლუბის-ს უწოდებენო. 8. *Visula* ვიზულა და 9. *Minor Argitis* წვრილი არგოსული, რომელნიც დაბლარად უკეთესად ხარობდნენ. ვიზულას ფართო ფოთლები ჰქონდა, რომელნიც მტევნებს იცავდნენ მანვე გავლენისაგან. ამისდა მიუხედავად მისი ყურძენი გამძლე არ იყო, ნოტიოთბისაგანაც ზიანდებოდა და თანაც, თუ დამწიფებისას უმაღლ არ მოსთვლიდნენ, მთლად მიწაზე ჩამოცვივდებოდა ხოლმე. 10. *Helvolae* ჰელვოლე, რომელსაც ზოგიერთნი *Variae* ვარიე-საც უწოდებდნენ, რომელიც ფერით სხვადასხვა სახესხვაობისა ყოფილა, საერთოდ კი მისი ფერი არც მთლად წითელია (*purpurae*) და არც შავიაო (*nigrae*). ღვინის მოსავლიანობის გამო, უკეთესად, მოშავო ითვლებოდა, მაგრამ გენოთი უფრო მოწითანო ფასობდა. ორთავე სახესხვაობის ყურძნისაგან მაინც თეთრი ღვინო (*candidi musti*) დგებოდა, რომელიც ორ წელიწადს სძლებდა. კოლუმელლა ანბობს, თუ არ ვცდები, ამ ყურძნის ჯიშს ჰელვოლე უნდა ჩაღვინოებისაგან ჰქონდეს სახელად დარქმეულიო. ჰელვოლე მალლარად უკეთესად იზრდებოდა, თუმცა დაბლარადაც არა უჭირდა რა. 11. *Pretiae minor et major* წვრილი და მსხვილი პრეტეიე-ც ურიგო არ იყო, ღვინის ღირსებით ჰელვოლეს სჯობდა კიდევაც. თანაც პრეტეიე სწრაფად (*cito*) მწიფდებოდა. 12. *Aluelis* ალბუელის-მა ყურძნის მოსხმა უხვად იცოდა, მარლობზე უკეთესი იყო, ვიდრე დაბლობზე, მალლარი სჯობდა დაბლარს და, რაც უფრო მაღალ ხეზე იყო გაშვებული, მით უფრო კარგი იყო (იქვე, I. III, c. 2).

კოლუმელლას სიტყვით, ყურძნის ბერძნული ჯიშები (*Graeculae Vites*), როგორც, მაგ., 13. *Mareolicae* მარეოტური, 14. *Trasiae* თაზოსური, 16. *Sophoritia* სოფორიტიული თუმცა გემრიელებია, მაგრამ ჩვენ ქვეყანაში, ე. ი. იტალიაში, ყურძენსაც ცოტას ისხამენ და ღვინოც მათგან ცოტა დგებაო. მაგრამ 17. ინერტიკულა *Inerticula nigra*, რომელსაც ზოგი ბერძნები ამეთუსტონ-ს უწოდებენო, თავისი ღვინის ღირსებისა და უვნებლობის გამო, რაკი ნერვებზე ცუდად არ მოქმედობს. შესაძლებელია ყურძნის მეორეხარისხოვან ჩგუფშიც კი იქმნეს მოთავსებული. სწორედ მისი უვნებლობის წყალობით ეწოდა ამ ყურძნის ჯიშს ინერტიკულა, ინერტული-ს სახელი (იქვე, I. III, c. 2).

კოლუმელლას ცნობით, Celsus ცელსუსი-ი მესამეხარისხოვან ვაზთა ჯგუფად ისეი. ჯიშებს სთვლიდა, რომელიც მხოლოდ უხვი ნაყოფიერებით იყენებ ცნობილნი, როგორც, მაგ., 18. Helvenaceae ჰელვენაცეე-თა სამი სახესხვაობა. ორი მათგანი თანაბარი იყო, ერთი კი უფრო წვრილი (minima), თავისი ფოთლის ურგავალესი მოყვანილობით (rotundissimum omnium) განიჩჩოდა. ეს წვრილი სახესხვაობა გვალვასაც მშვენიერად იტანდა, უავდროდ, ხმელ სიცივესაც, მეტადრე კი იმ თვისებით ყოფილა ძვირფასი, რომ მწირ ნიადაგზეც ნაყოფიერი ყოფილა. დასასრულ, მისი ღვინოც თურმე ზოგან სიბერემდე სცლებდა (vinum ejus in vetustatem diffunditur). მსხვილ ჰელვენაციეათგან ერთს, რომელსაც გალიის მცხოვრებნი Emarcum ემარკუმ-ს უწოდებდენ, დაბალხარისხოვანი ღვინო (mediccris vini) ჰქონდა, მეორემ კი, რომელსაც გრძელას (longem) და ბუნწასაც (avaram) უწოდებდენ, იმდენი ღვინო არ იცოდა, რამდენიც მისი მტევნების სიუხვისდა მიხედვით მოსალოდნელი იყო. 19. Spionia სპიონია თავისი მტევნების სიდიდითა და ღვინის სიუხვით ყოფილა ცნობილი (იქვე, I. III, c. 2).

ასეთივე თვისების ჯიშებს წარმოადგენდენ: 20. Oleagina ოლეაგინა, 21. Murgentina მურგენტული, რომელსაც Pompejana პომპეჯანა-ს პომპეჯურსაც უწოდებდენ, 22. Numisiana ნუმისიანა, ნუმიდიური, 23. Venucula ვენუკულა, რომელიც იგივე Scripula სკრიპულა, ანუ Stipula სტიპულა-აო, 24. Nigra Fregellana ნიგრა ფრეგელანა, შავი ფრეგელური, 25. Merica მერიკა, ყველაზე მოსავლიანი, 26. Rhaetica რეტეიკა და 27. Arcelaca major მსხვილი არცელაკა, რომელიც ბერს შეტდომით Argitis-ად, არგოსულად მიაჩნათო (იქვე, I. III, c. 2).

შემდეგ კოლუმელლას უკვე ყურძნის ჯიშების მხოლოდ სახელებიდა აქვს ჩამოთვლილი, რათგან ეს ჯიშები. როგორც, მაგ., 28. Pergulana პერგულანა, 29. Irtiola ირტიოლა, 30. Fereola ჭერეოლა, ახალი შემოღებული ყოფილა. თუმცა ვიცით, რომ ეს ჯიშები ნაყოფიერია, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაო დაკვირვება არ მომეპოვება, რომ მათი ღვინის ავკარგიანობაზე მსჯელობა შემეძლოს. ამიტომაც ვერ გადამიწყვეტია, თუ ყურძნის ჯიშთა რომელ ხარისხს უნდა მივაკუთვნოთ ისინიო. დასასრულ, კიდევ ერთი, აქამდე ჯერეთ უცნობი, ყურძნის ჯიში აღმოვაჩინეთო, რომელსაც ბერძნები 31. Dracontion დრაკონტიონ-ს უწოდებენ და რომელიც თავისი ნაყოფიერებითა და გემოვნებით არცელაკას-ს, ბაზილიკას-ს და ბეტურიკას-ს, ხოლო ღვინის ღირსებით კი ამინეურსაც კი შეედრებაო. ყურძნის ჯიშების თავის მიმოხილვის ბოლოში კოლუმელლას აღნიშნული აქვს, რომ, მისგან ჩამოთვლილ-დახასიათებულ ჯიშებს გარდა, მრავალი სხვაც არსებობდა, მაგრამ მათი არც სახელების დასახელება და არც რიცხვის განსაზღვრა არ შეგვიძლიანო (იქვე I. III, c. 2).

ამნაირად კოლუმელლას სულ საჭმელი ყურძნის 12 ჯიშისა და 31 საღვინე ყურძნის ჯიშის სახელები აქვს ჩამოთვლილი. მათსადაამე, საერთოდ 43 სახელწოდების სხვადასხვა ყურძენი ყოფილა მის დროს ცნობილი.

ჯერ კიდევ პლინიუს მცირეს ჰქონდა აღნიშნული ის განსაკუთრებული ეკონომიური მნიშვნელობა, რომელიც ქვეყნის მეურნეობაში მევენახეობა-მეღვინეობას აქვს. მეხილეობის მიმოხილვა მას ვაზით აქვს დაწყებული და თავისი მოთხრობის ამ წესრიგს რომაელი მეცნიერი ბუნებისმეტყველი შემდეგი დებულებით ამართლებს: ვაზი იტალიას ისეთ ქონებრივ უპირატესობას ანი-

ქებს, რომ მარტო ამითაც ის ყველა ერის მცენარეულ სიმდიდრეს, სურნელოვანთ გარდა, აღემატება. თვით ვაზის სურნელობასაც კი, აყვავების დროს, სხვა არა სურნელება არ სჯობიაო (Natur. hist., lib. 14, cap. 2, § 1).

პლინიუს მცირის სიტყვით, ძველებს ვაზი თავისი სიდიდით სამართლიანად ჰქონდათ ხელ მიჩნეულიო (Natur. hist., l. 14, c. 2, § 2)⁵⁷. ამ ავტორისაგან თავისი ამ ცნობის დასამტკიცებლად მოყვანილი მაგალითები ცხადპყოფენ, რომ ძველებად ის მარტო თავის წინაპარ რომაელებს კი არ ჰგულისხმობდა, არამედ ძველ ბერძნებსაც.

ვაზი ხელ არა მარტო გარეგნული სიდიდით და მხოლოდ თეორიულად ჰქონდათ მიჩნეული, არამედ ვაზის ზროსა და მერქანს სააღმშენებლო და სხვაგვარი დანიშნულების მასალადაც ხმარობდნენ. პლინიუს მცირეს ამ გარემოების დამამტკიცებელი რამდენიმე საგულისხმო ცნობა მოეპოვება, რომელთა მოყვანა უმნიშვნელო არ იქნებოდა. მაგ., მეტაპონში იუნონის ტაძარი ვაზის ხის სვეტებზე ყოფილა დაყრდნობილი (vitigineis columnis stetit). ეხლაც კი, ამბობს პლინიუსი, ეფესოს დიანის ტაძრის სახურავზე კვპროსის ვაზის მთლიანი ხისგან (una e vite Cupria) გამოკვეთილი კიბით აღიან ხოლმე, რათგან კვპროსზე ვაზის ხეს განსაკუთრებული სიმსხო აქვსო. ქ. პოპულონიუმში ვაზის ერთი ხისგან (ex una) გამოკვეთილი იუპიტერის ქანდაკების ნახვა შეიძლება, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში დაუზიანებელიაო. რომაელი ბუნებისმეტყველის აზრით, ვაზის დიდ ღირსებას ისიც შეადგენს, რომ საერთოდ არც ერთ სხვა ხეს ვაზივით სამარადისო გამძლეობა არა აქვსო („Nec est ligno ulii aeternior natura“: Natur. hist., l. 14, c. 2, § 2), მაგრამ ის მაინც ფიქრობდა, რომ ყველა ზემოაღნიშნული, მთლიანი ვაზის ხისგან გაკეთებულ-გამოჭრილი, საგანი გარეული ვაზისაგან იყო გაკეთებული („ex silvestribus facta crediderim“: იქვე).

პლინიუს მცირის სიტყვით ვაზის გასხლკა (tonsurā) ყოველ წლივ წარმოებდა და ამ საშუალებით მისი ძალა (vis) ან რქების გამოტანით გამომჟღავნდებოდა ხოლმე (evocatur in palmites) ანდა წიდანებში შთანთქმებოდა (deprimitur in propagines). ყველა ამის მიზანს ვაზის ნაყოფი შეადგენდა, რომლის ხელის შესაწყობად მისი მოვლის მრავალი წესი არსებობს ჰაეისა და ნიადაგის თვისებისდა მიხედვითაო.

მაგ., კამპანიის სანახებში ვაზს ვერხვზე, ანუ ალვისხეზე (populus) უშვებდნენ, რომელსაც ეხვეოდა და რომლის კენწერომდის აღიოდა იმ სიმალემდე, რომ მსოფლებელი, თუ ჩამოვარდებოდა, ცოცხალი ვერ გადარჩებოდაო (Natur. hist., l. 14, c. 3, § 1).

შედევ ზოგან ერთი ვაზის მრავალი რქა და ტოტები სოფლის სახლებსა და სასახლეებზე (villas et domos) იყო ხოლმე გაშვებული, რომელთაც გარს ეხვევოდნენ ხოლმე (იქვე).

მერმე, რომში in Liviae porticibus ვაზი ხეივანად არის ქცეული, რომლის ჩრდოლს ქვეშ ხალხი დასეირნობსო. მარტო ეს ვაზი მის პატრონს ყოველწლიურად თურმე 12 ამფორა ღვინოს (ე. ი. 233 ლიტრს, ე. ლიტრრეს გამომანგარიშებით) აძლევდა (იქვე, l. 14, c. 3, § 2).

⁵⁷ „Vites jure apud priscos magnitudine quoque inter arbores numerabantur“.

ზოგან ვაზებს ადამიანის სიმაღლეზე (*hominis altitudine*) უშვებენ სარიანად და ამნაირად ვენახს აკეთებენო (*vineamque faciunt*, იქვე, I. 14, c. 3, § 3). ასეთ დაბლარს, სასარე ვაზებს რომაელები *adminiculatae*-ს უწოდებდნენ (იქვე).

სხვები კიდევ ცდილობდნენ ვაზს ფართო სივრცე დაეკავებინა ისე, რომ მას მთელი ეზოც კი ჰქონია დაკავებული (*Natur. hist.*, I. 14, c. 3, § 3).

ვაზის ასეთი წესები ყოფილა თვით იტალიაში, ზოგს პროვინციაში კი ვაზი უსაყრდნობოდ თვითონ დვას (*stat... per se vitis sine ullo pedamento*) ხის მსგავსად განმსხვილებულიო. ასეთი ვაზი მოიპოვება, მაგ., აფრიკაში და გალიის ნარბონის სანახევში, საერთოდ, სადაც ძლიერი ქარი ვაზის სხვაწაირ მოვლას აფერხებსო. ბალახების მსგავსად (*herbarum modo*) მიწაზე განრთხმულ ვაზს მტევნებიც მიწაზე აქვს და შუაგულ აფრიკაში ასეთი ვაზის მტევანი სიდიდით ჩვილ ყრმებზეც კი მოზრდილიაო (*magnitudinem infantium puerorum... exuperant*). თავისდათავად ცხადია, რომ განრთხმული ყურძნის ჯიშად შესაძლებელია მხოლოდ სქელკანიანი გამოდგარიყო და პლინიუსსაც აღნიშნული აქვს, რომ არც ერთი სხვა ყურძნის ჯიშში თავისი სიმაგრით ისე სასიამოვნო არ ყოფილა, როგორც იქაური. რომაელი ბუნებისმეტყველი ფიქრობს, რომ შესაძლებელია ღურაცინა-ს (სქელმარცვალს) სახელიც იქვე იყოს პირველად შემოდებულიო („*inde possit invenisse nomen duracina*“: *Natur. hist.*, I. 14, c. 3, 4—5).

ყურძნის ჯიშების დანიშნულებისა და მიხედვით განსხვავებული ზოგადი სახელები რომაელ აგრონომებს მოეპოვებოდათ, მაგრამ საკმელ ყურძენს ვარრონი *ad edendum*-ს, საკმელი-ს სახელს უწოდებდა (*de Agricultura*, I. 1, c. 54), კოლუმელსა—*vitis ad escam*-ს ეძახდა, პლინიუს მცირე *escariae appellatae* (*Natur. hist.*, I. 14, c. 4, § 18) და *cibaria*-ს (იქვე, I. 14, c. 4, § 13—14), ხოლო პალლადიუსს *uva ad mensam* უვა აღ მენჯამ სასუფრე ყურძენის სახელი აქვს ნახმარი (*De re rustica*, I. 3, c. 9).

საღვინე ყურძნის ჯიშების აღმნიშვნელ ზოგად სახელად ვარრონს ნახმარი აქვს *ad bibendum* აღ ბიბენდუმ, ე. ი. სასმელი.—კოლუმელსა *vitis ad defusionem* ვიტის აღ დეფუზიონემ, რომელიც ჩვენს საწურს მიაგავს.

ყურძნის ჯიშების დანიშნულების მიხედვით განსხვავებული სახელების არსებობისა და მიუხედავად, კერძო ცხოვრებაში, როგორც ეტყობა, ხშირად მათ განურჩევლადაც ხმარობდნენ. ამით აიხსნება, რომ პალლადიუსს IV ს-შიც ქ. შ. საჭიროდ მიუჩნევია, რომ ყურძნის ჯიშები მხოლოდ მათი თვისებისა და მიხედვით გამოეყენებინათ. ამ რომაელ აგრონომს ნათქვამი აქვს: ყურძნის ჯიშების ჩამოთვლა საჭირო არ არის, მაგრამ ცნობილია, რომ მოზრდილი ყურძენი, შესახედავად ლამაზი, მარცვალმაგარი და სუფრისათვის არის განკუთვნილიო⁵⁸. ხოლო უნაყოფიერესი და თხელკანიანი, გემოთი კეთილშობილი, მტკადრე რომელთაც უფრო მალე იციან დაყვავილება, უნდა სთვლისათვის იყოს გამოყენებულიო (*De re rustica*, I. 3, c. 9).

თავის წინამორბედზე ნაკლებ, მაგრამ აქა-იქ, პლინიუს მცირესაც აქვს თავის თხზულებაში ყურძნის ჯიშის დაწვრილებითი ამპელოგრაფიული აღწე-

⁵⁸ „*Vitium genera numerare non atti. et. Sed notum est, majores uvae pulchrae speciei, grani callosi et siccoris, ad mensam; feracissimas vero et cutis tenerioris, et spore nobiles, et maxime quae citius deflorescunt, vindemilis esse servandas*“.

რილობა. მაგ., ალექსანდრინა-დ წოდებული ტროადაში მდებარე ფალაკრას მახლობლად გავრცელებული ვაზი⁵⁹, ისევე როგორც ზღვისპირული ალპების რეტიკა-დ წოდებული ვაზის თვისებაც⁶⁰ აქვს დახასიათებული.

ვაზის ფოთლის თვისების იშვიათ მაგალითებში პლინიუსს მოხსენებული აქვს: მორგვალო ფოთლიანი (folio circinato: Natur. hist., I. 14, c. 4, § 10), პატარა და მრგვალფოთლიანი (folio parvo et rotundo: იქვე, I. 14, c. 4, § 19), ჩაჭრილფოთლიანი (folio scissa minus: იქვე, I. 14, c. 4, § 3).

პლინიუსი მარცვლის ორნაირ მოყვანილობას იხსენიებს. კოკოლობის ყურძნის ჯიშის დახასიათების დროს მას აღნიშნული აქვს, რომ ესპანელთ ამ ყურძნის ორი სახესხვაობა აქვთ: ერთი მოგრძომარცვლიანი (oblongo acino), მეორე კიდეც მრგვალმარცვლიანიაო (rotundo: Natur. hist., I. 14, c. 4, § 8).

პლინიუსს აღნიშნული აქვს ბუსუსიანი ჯიშების შემოსილობა: „genus lanatae... languo eam vestit“ (Natur. hist., I. 14, c. 4, § 2).

მაგრამ ასეთი ამპელოგრაფიული დახასიათება პლინიუსს იშვიათად მოეპოვება და ამ თვისებებისათვის საზოგადოდ მას თითქმის არაერთი ყურადღება არ მიუქცევია. ჯიშების დახასიათების დროს ის მათ გამძლეობასა და ნიადაგ-პავის სხვადასხვაობისა და ცვალებადობის ამტანობაზე, ღვინის აკვარგობასა და ხანგამძლეობაზე მსჯელობს; ხოლო უმთავრესად. მაინცდამაინც ყურძნის ჯიშების ის კლასიფიკაცია, რომელიც მას მოეპოვება, სრულებით ამაზე არ არის დამყარებული. ის არც კოლუმელლასაგან გამოყენებულ პრინციპს მისდევდა.

დემოკრიტეს რწმენასაც, რომ, ყურძნის ჯიშების სიმრავლისდა მიუხედავად, მათი აღრიცხვა და შეცნობა მაინც შესაძლებელია, სხვები თურმე არ იზიარებდნენ. ისინი პირიქით ფიქრობდნენ, რომ ვაზის ჯიშები ურიცხვია და დაუსრულებელი (innumera atque infinita). ამას პლინიუს ზეიერ მოგვითხრობს, რომელიც ამ აზრს თვითონაც იზიარებდა: ამის სიმართლე ღვინოთა სახელებითგანაც ჩანსო (Natur. hist., I. 14, c. 4, § 1).

რა თქმა უნდა, მან კარგად იცოდა, რომ ყურძნის ჯიშები თავისი თვისებით ერთმანერთისაგან განსხვავდებოდნენ. ერთს წითელი მარცვალი ჰქონდა, მეორეს ვარდისფერი, ზოგს მომწვანო, თეთრი და შავი ხომ ჩვეულებრივიაო. ბუმასტუსს ძუძუს-მაგვარი მოყვანილობა აქვს, დაკტული თავისი მოგრძო მარცვლით განირჩევა (praelongis dactyli porriguntur acinis), ზოგ უდიდეს ვაზს ბუნებამ პატარა, ტკბილი და გემრიელი ყურძენი მიანიჭაო და სხვადასხვა. ერთი სიტყვით, პლინიუსს კარგად ესმოდა, რომ ყურძნის ჯიშები ერთმანერთისაგან სიდიდით, ფერით, გემოთი და მარცვლით განირჩეოდნენ, მაგრამ ის ფიქრობდა, რომ ასეთი თვისებები აურაცხელი არსებობდა და ამას მათგან გამოსულ ღვინოებს

⁵⁹ „Alexandrina vilis... brevis, ramis cubitalibus, acino nigro, fabae magnitudine, nucleo molli et minimo, obliquis racemis praeduribus, folio parvo et rotundo sine divisuris“ (Natur. hist., I. 14, c. 4, § 19).

⁶⁰ „Rhética in maritimis Alpihus appellata... Brevis, conferta acino, degener vino, sed cute omnium tenuissima, nucleo, quem Chium vocant, uno ac minimo, acinum praegrandum unum alterumve habens“ (Natur. hist., I. 14, c. 4, § 17).

თვისებათა უთვალავი სხვადასხვაობაც ერთვოდა და საკითხს ართულებდა (Naturhist., I. 14. c. 3, § 5—6)⁹¹.

ყურძნის ჯიშების ნიშანდობლივი თვისებების ამ სიმრავლეს იმდენად თავბრუდამსხმელი შთაბეჭდილება დაუტოვებია, რომ პლინიუსს ვერავითარი ზოგადი ნიშნის შემჩნევა ვერ მოუხერხებია და კლასიფიკაციის არამცთუ ხსენება არ მოეპოვება, არამედ თვით აღრიცხვაც კი შეუძლებლად მოსჩვენებია.

პირადად პლინიუსი ისეთ უცილურესობამდის და უარეს გადაჭარბებამდისაც კი მისულა, რომ ამტკიცებდა, თითქოს ყურძნის ჯიშები თითქმის იმდენივე ყოფილიყოს, რამდენიც აგარაა („quae totidem paene sunt, quod agri“). ამიტომ მას მხოლოდ განსაკუთრებით შესანიშნავი, უსახელოვანესი და არაჩვეულებრივი თვისებისაა ვაზის ჯიშების (maxime insignia... celeberrima vitium aut... aliqua proprietate miraculum) მოხსენება მიაჩნდა შესაძლებლად (Natur. hist., I. 14, c. 4, § 1).

შემდეგ, რომაელ ბუნებისმეტყველს ხანმოკლე დახასიათებით, არაერთხელ უამისოდაც, მის დროს ცნობილი ყურძნის ჯიშები აქვს ჩამოთვლილი. მისი ცნობები, რამდენადაც იტალიისა და რომის პროვინციების ყურძნის ჯიშებზეა საუბარი, კოლუმელლას ნაშრომითგანაა ამოღებული, ხოლო საბერძნეთის ყურძნის ჯიშების დახასიათება, უეჭველია, დემოკრიტეს თხზულებაზე უნდა ჰქონდეს დამყარებული, მაგრამ მანამდე ცნობილი ჯიშებისათვის ახლად შემოღებული, თუ ახლად აღმოჩენილი ჯიშების სახელებიც დაურთავს. ეს ნაწილი თვით პლინიუსისაგან შეკრებილ მასალებს უნდა წარმოადგენდეს.

ყურძნის ჯიშების დახასიათების სიმოკლისა და ხშირად თითქმის სრულებით დაუხასიათებელი სახელების მოყვანილობის გამო, პლინიუსის ნაშრომის ეს ნაწილი, კოლუმელლას ნაწარმოების შესატყვის ადგილთან შედარებით, როგორც I. Roy-Chevrier-საც აქვს აღნიშნული (იხ. Ampélogr. rétrosp., გვ. 82), ზერელე შთაბეჭდილებას ახდენს და უფრო კატალოგს მიაგავს, ვიდრე ამპელოგრაფიას. მაგრამ ეს გარემოება ამ რომაელი მეცნიერის ზემოაღნიშნული შეხედულების ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა.

მაინც უნდა ითქვას, რომ შეცდომა იქმნებოდა, თუ აღამიანი იფიქრებს, თითქოს პლინიუსს ყურძნის ჯიშების ჩამოთვლის არავითარი სისტემა და პრინციპი არ ჰქონოდა. ვინც მისი ნაწარმოების ამ ნაწილს გულდასმით გადაიკითხავს, ის, უეჭველია, დარწმუნდება, რომ მას საკუთარი შეხედულება და სახელმძღვანელო აზრი ჰქონია.

პლინიუსს მცირე! ვაზ-ყურძნის ჯიშების კლასიფიკაციის ახალი, სახელდობრ, გავრცელების არეს პრინციპი აქვს წამოყენებული, რაც მისგან, ვითარცა გეოგრაფისგან, მოსალოდნელიც იყო. რომაელი მეცნიერი ყურძნის ყველა ჯიშს ორ მთავარ ჯგუფად ჰყოფდა: 1. ყურძნის ზოგად ჯიშებად, რომელთაც ის publica genera-ს უწოდებდა, 2. თემ-ადგილების ჯიშებად, რომელთაც genera regi onum locorumque-ს ეძახდა. მე-14 წიგნის მე-4 თავის მე-13 წ-ის დასაწყისში ეს გარემოება თვით პლინიუსს ასე აქვს აღნიშნული: აქამდის ყურძნის ზოგად ჯიშებზე

⁹¹ „genera magnitudine, colore, saporibus, acinis innumera, etiamnum multiplicatur vino“ (Natur. hist., I. 14, c. 3, § 5).

იყო საუბარი. შემდეგი კი თემებისა და სხვადასხვა ადგილების ჭიშებს ეხებაო⁶² (Natur. hist., l. 14. c. 4, § 13). მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჭიშების ასეთი დანაწილება თვით ავტორს თავის ნაშრომის ამ ნაწილში სათანადოდ დაცული არ აქვს.

პლინიუს მცირეს ყურძნის ზოგად ჭიშებად დასახელებული აქვს: 1. ამინური 5 სახესხვაობიანი, 2. ნომენტური, 3. აპიანე 2 სახესხვაობიანი, 4. გრეკული (ბერძნული), 5. ვეგენიე ტავრომენიული, 6. რეტიული, 7. ალლობროგული, 8. ბიტურია, 9. ვიზულა, 10. ჰელვოლე 2 სახესხვაობიანი, ვარიანეს სახელითაც ცნობილი, 11. პრეციეს 2 სახესხვ., 12. ბაზილიკა დერაქიუმული, ესპანეთში კოკოლობის-ად წოდებული, 13. ალბუელის-ი, 14. ინერტიკული, 15. ჰელვენაცე 2 სახესხვაობიანი, რომელთაგან ერთს ემარკუმი ეწოდებოდა, 16. სპიონია, 17. ვენიკული, 18. ნუმინიანა, 19. მურგენტინა, პომპეიანა-დაც წოდებული, 20. ჰორკონია, საკმელი ჭიში კამპანიაში გავრცელებული, 21. მიორია (Natur. hist., l. 14, c. 4, § 2—12).

თემ-ადგილების ჭიშთაგან რომაელ მეცნიერს ჩამოთვლილი აქვს: 1. ტუდერნის ტოსკანაში (Tuscis), 2. ტალპანა, 3. ეტესიაკა და 4. კოსემენია სამივე არეციუმში, 5. ირტიოლა უმბრიასა, მევენატსა და პიენუმში, 6. პუმულა და 7. პანანია ამიტერნში, 8. პომპეიურა (uva Pompeii) კლუზინში, 9. ტიბურტისა და 10. ოლფაგინა ტიბურში, 11. ვინაციოლა საბინთა და ლავრენტთა შორის, 12. გაურანა, რომელიც ფალერნითგან შემოტანილი ჭიში იყო და ამიტომ ფალერნულ-ადაც იწოდებოდა, 13. ტარენტული, 14. კანია, 15. ბუკონიატის და 16. ტარაუპია თურინოში, 17. ფარია (Pharia) პიზაში, 18. პრუსიანა მუტინაში, რომელიც მზის სრბოლისდა მიხედვით ბრუნავს და ამიტომ სტრეპტოს-ადაც იწოდებოდა, 19. პიცენა ალპების პირიქითს გალიაში, 20. თაზია, 21. მარეოტული და 22. ლაგეა, რომელთაც ვირგილიუსი ასახელებს, მაგრამ რომელიც იტალიაში არ მოიპოვებოდა, 23. ამბროზიაკა, 24. დურაციინა, რომლის ყურძნის ვაზზე დატოვება შეიძლება შესანახად, 25. ორთამპელოს-ი, თვითმდგომი ვაზის ჭიში, 26. დაკტლიდეს თითის ოდენაო, 27. კოლუმბინე, ე. ი. მტრედა, რომლის ერთ სახეობას კოლუმბინე პურპურე ეწოდებოდა, 28. ბიამპიე, ე. ი. ორ-ქუძუიანი, ორად გაყოფილი მტეენის მქონებელი, 29. ტრიპედანე, ე. ი. სამ-ტერფა, ასე მტეენის სიგრძის გამო სახელდებული, 30. სკრიპულა (passo acino), 31. ზღვისპირული რეტიული, 32. შავი ამინური, ნიგრა ამინეა, რომელსაც Syriaca სურიაკა-ც, ე. ი. ასურულიც ეწოდებოდა და 33. პისპანია, ესპანური (იქვე, l. 14, c. 4, § 13—17).

საკმელი ყურძნის ჭიშთაგან (escariae) პლინიუსს ჩამოთვლილი აქვს: 1. დურაციინე, რომელიც თემ-ადგილების ჭიშთა სიაშიც აქვს ამ ავტორს შეტანილი (იხ. 24) და რომლის თეორიკა და შავი სახესხვაობაც ყოფილა (albae nigrae), 2. ბუმასტუს, ანუ ძროხის-ქუძუ ამავე ორი ფერის სახესხვაობით (totidem coloribus), 3. ვგია ეგიური, 4. როდია, ე. ი. როდოსული, 5. უსციალიის, ე. ი. უნკიის ოდენა, 6. პიცინა, რომელსაც ყველაზე უშავესი (omnium nigerima) ყურძენი ჰქონია, 7. სტეფანიტის, ე. ი. ხოირ-მაგვარი, რომელსაც ჩორენზისსაც ე. ი. საბაზროსაც ეახიანო, 8. ცინერეა, 9. რაბუსკულა „ქარხალა“ და 10. აზინუსკა, ე. ი. ვირისა

⁶² „et hactenus publica genera, caetera regionum locorumque“.

ფერა, რომელნიც სამივენი გარეგნობითაც დაწუნებულნი ყოფილან (*contra dominantur etium visu*), 11. ალოპეცის, ე. ი. მელიისა, რომელიც მელიის კუდს მიემსგავსება (*caudas vulpium imitata alopecis*), უფრო ნაკლებ (*minus lamen*) ყოფილა წუნდებული, 12. ალექსანდრინა, ე. ი. ალექსანდრიული და 13. ნარბონიკა, ე. ი. ნარბონის სანახების ალბა პელეიაში ახლად აღმოჩენილი (იქვე, I. 14, c. 4, § 18—19).

ამნაირად, პლინიუსს 21 სახელწოდების ყურძნის ზოგადი, 32 თემ-ადგილების ჯიში და 13 ყურძნის საკმელი ჯიში, სულ კი 66 სახელწოდების ყურძენი მოეპოვება. ყურძნის ზოგად ჯიშთაგან პლინიუსს მხოლოდ ერთი, ჰორკონია, რომელიც მისივე ცნობით კამპანიის სანახების ჯიში ყოფილა, აქვს ახალი, დანარჩენი კოლუმელლასაც მოეპოვება. სამაგიეროდ თემ-ადგილების ყურძნის ჯიშთა სიაში პლინიუსს ბევრი ახალი სახელი შეუტანია. მისი 33 სახელწოდებითგან მანამდე მარტო 10 იყო ცნობილი, 21 ჯიშის სახელი პირველად პლინიუსს შეუტარებია. 13 ყურძნის საკმელი ჯიშისგან კოლუმელლას მარტო 4 მოეპოვება, დანარჩენი ახალია.

სამაგიეროდ პლინიუსს მ-ს წინამორბედ რომაელ ავტორთაგან ზოგიერთი დასახელებული ყურძნის ჯიში არ უჩანს, მაგ., ბერძნული ჯიშები ფსითიე და სოფორიტიე, შავი ფრეგელანა, არცელაკა, პერგულანა, დრაკონტიონი და სხვაც. პლინიუსს აღნიშნული აქვს საზოგადოდ, რომ ზოგიერთი მისი წინამორბედი აგრონომისა და ავტორისაგან, მაგ., კატონისა და ვირგილიუსისაგან, დასახელებული ყურძნის ჯიშები მის დროს უკვე მივიწყებული ყოფილა. (*ex iis jam etiam nominibus abolitis: Natur. hist., I. 14, c. 5, § 1*). ხოლო ამავე რომაელ ბუნებისმეტყველს ნათქვამი აქვს, რომ ვირგილიუსის მიერ დასახელებული თაზიე, მარვოტული, ლაგა და ბევრი სხვაც ყურძნის უცხო ჯიშები მის დროს იტალიაში არ მოიპოვებოდნო (*Natur. hist., lib. 14, c. 4, § 15*)⁶³. ზოგი მათგანი შესაძლებელია უკვე იმდენად გაშინაურდა, რომ უცხო სახელი ადგილობრივით შეიცვალა.

რომაული მევენახეობა მაღლარობას მისდევდა და ხეხილსა და თელაზე იყო გაშვებული. მეხილეობა-მევენახეობის მეურნეობის განვითარებასთან ერთად რომ მემინდვრეობას წინანდელი მნიშვნელობა დაეკარგა, მიწისმოქმედნი სახნავებშიც ხეხილისა და ვაზის გასაშვებად თელის დარგვას მიჰყვენენ ისე, რომ, ვარრო-ს სიტყვით, მთელი იტალია ბაღს მიაგავდა (*Orth, Landwirtschaft: Paulys R—E, 23, Halb-Band, 1924 წ., 648*).

მევენახეობა-მეღვინეობამ რომ იტალიაში, მეტადრე რესპუბლიკის უკანასკნელი ხანიდან მოყოლებული, სასოფლო მეურნეობაში მტკიცედ ფეხი მოიკიდა, მეტად ხელსაყრელ და მომგებიან დარგად იქცა. თუ საველე მეურნეობა, მემინდვრეობა, მიწისმოქმედს 6 პროცენტზე მეტს შემოსავალს ვერ აძლევდა, მევენახეობისგან პატრონს 18 პროცენტამდე ჰქონდა მოგება (*Orth, Landwirtschaft: Paulys R—E, 23, Halb-Band, 1924 წ., 643*).

ამგვარადვე რესპუბლიკის დამლევნი ხანიდან მოყოლებული მებაღეობამ, მებოსტნეობამ და მეტადრე მეხილეობამ მემინდვრეობის წინანდელი განსა-

⁶³ „Dixit Virgilius Thasias et Mareotidas et Lageas, compluresque externas, quatenon reperiuntur in Italia“.

კუთრებული მნიშვნელობა დაჩრდილა. ეს ცვლილება მებაღეობის მეტი მომგებიანობით იყო გამოწვეული, რათგან მეხილეობა, რომელსაც ამ დროს ნაზი ჭიშის ვაშლები, მსხლები, ბროწეულები, ალუბალი, ქლიავეები და ლეღვები გააჩნდა, სოფლის მეურნეს მემინდვრეობაზე გაცილებით მეტ შემოსავალს აძლევდა (Orth, Landwirtschaft: Paulys R—E, 23, Halb-Band., 648).

რომის რესპუბლიკის დამლევიტგან მოყოლებული სოფლის მეურნეობაში დიდის მაგიერ პატარა, დასპეციალებული მეურნეობა ჩნდება. ისეც იყო, რომ ესათუის მეურნე მებოსტნეობის მხოლოდ ერთ-ერთი ხმილთაგანის მოყვანას მისდევდა ხოლმე. ზოგი მართო კომბოსტოს, ზოგი კიტრს, ზოგი კიდევ ხახვს, ანდა ნესვსა სთესდა და ჰყიდდა (Orth, Landwirtschaft: Paulys R—E, 23, Halb-Band., 649).

შემოსავლიანობით რომის სასოფლო მეურნეობაში კეისრობის ხანითგან მოყოლებული ყველაზე უფრო მომგებიანად მევენახეობა-მეღვინეობა ითვლებოდა. შემდეგ მისდევდა 2. მებაღეობა-მებოსტნეობა, 3. საძოვრები (Weidenbusch), 4. ზეთისხილოვანი, 5. მეველეობა, 6. მემინდვრეობა, 7. მეტყვევობა და 8. მალნარები (Olck, Ackerbau: Paulys R—E, I, 277).

მევენახეობისა და მეხილეობა-მებოსტნეობის დიდმა შემოსავლიანობამ მემინდვრეობას ნიადაგი გამოაცალა რეალურადაც და კულტურულად დააქვეითა იტალიაში ისე, რომ კეისრების ხანაში ქვეყანას თავისი საკუთარი ზორბლუული ძალიან ცოტა ჰქონდა და ეგვიპტითგან და სარდინიისა და სიცილიითგან შემოჰქონდათ (Olck, Ackerbau: Paulys R—E, I, 275—277).

რომაელთა სასოფლო მეურნეობაში მევენახეობამ მთავარი ადგილი დაიკავა, რათგან მეღვინეობა ვაჭრობა-შემოსავლიანობის თვალსაზრისით ყველა სხვა დარგზე შეუდარებლივ უფრო ხელსაყრელი იყო. პლინიუს მცირეს აღნიშნული აქვს, რომ დედამიწის ზურგზე მის დროს სულ 80 სხვადასხვა ღვინო არსებობდა და ამათგან ორი წილი იტალიისაა და მას სხვა ყველა ქვეყანაში თავისი ღვინო შეაქვსო (Natur. hist., I, 14, c. 13)⁶⁴. აქეთგან ცხადი ხდება, რომ რომის სახელმწიფო და უპირველესად იტალია უცხოეთში ღვინის მთავარი გამტანი იყო, რომ ღვინო მისი საგარეო ვაჭრობის მთავარ საგანს შეადგენდა.

მაგრამ თანდათან მევენახეობა-მეღვინეობის ცოდნა იტალიითგან უფრო ჩრდილოეთით მდებარე ქვეყნებშიც, უმთავრესად გალლიაში, გავრცელდა. საფრანგეთის ნიადაგი სასოფლო მეურნეობის ამ დარგისათვის საუკეთესო აღმოჩნდა ისე, რომ იქაური ღვინოები თვით რომაელებსაც კი მოსწონებიათ (ვ. ჰეჰნის Krft. u. Ht., 76—77) და იქაური ღვინოების თვით იტალიაში შეტანაც კი დ.უწყიათ.

გალლიასა და სხვა ქვეყნებში მევენახეობა-მეღვინეობის განვითარება რომაელებს, რომელნიც ღვინის საგარეო ვაჭრობის ბატონ-პატრონებად იყვნენ ქცეულნი, თავიანთი ეკონომიური ინტერესებისათვის საზიანო გარემოებად

⁶⁴ „Verum inter haec subit mentem, quam sint genera nobilia, quae proprie vini intelligi possint LXXX fere in toto orbe, duas partes ex hoc numero Italiae esse, longe propterea ante cunctas terras“.

მიუჩნევიათ. აღებმიცემობის ამ დარგში გალიისა და რომის მეტოქეობის შესაძლებლობის მოსასპობად, რომის სახელმწიფოს ხელისუფლებამ, ციკერონის ცნობით, ალპების იმიერ მდებარე ტომებს საზავო ხელშეკრულებაში შეატანინა დებულება, რომ ისინი ვაზისა და ზეთისხილის გაშენებას აღარ აწარმოებდენ, რათგან, რომაელების გულახდილი განცხადებით, ჩვენ თვითონაც ზეთისხილოვანი და ვენახოვანი ბევრი გვაქვსო (იქვე, 77).

მეღვინეობა რომელი მიწისმოქმედისათვის იმდენად მომგებიანი დარგი იყო, რომ გამორჩენის სიხარბემ სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების, მეტადრე მემინდვრეობის, წარმოების ხალისი სრულებით დაუკარგა. ამის წყალობით პურეულის მოსავალი იტალიაში ძალზე შემცირდა ისე, რომ საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება მას მართო სხვა ქვეყნებითგან შემოზიდული ხორბლეულ-ჭრთილეულის მოშველიებითდა შეეძლო. ასეთი ვითარება დომიციანე კეისარმა რომის სახელმწიფოს ეკონომიკის წონასწორობისათვის იმდენად საზიფათოდ მიიჩნია, რომ ბრძანება გასცა იტალიის გარეშე მყოფი ვენახების ნახევარზე მეტი ამოეგდოთ (ვ. ჰეჰნი, Kpf. u. Ht., 79). რამდენადაც ეს ბრძანება იტალიის გარეშე მევენახეობის არეს ამცირებდა, იმდენად იგი რომული მეღვინეობის მეტოქეებს განვითარების საშუალებას უზღუდავდა. მაშასადამე, ეს განკარგულება იმავე მიზნის განხორციელებასაც უწყობდა ხელს, რომლისთვისაც თავის დროზე იმიერ-ალპელებს მევენახეობა-მეზეთისხილეობაზე ხელის აღება ზავის პირობის სავალდებულო მუხლად მიაღებინეს. ეს ბრძანება იმდენად შეუსაბამო იყო, რომ მისი განხორციელება მაინც შეუძლებელი გამხდარა (ვ. ჰეჰნი, Kpf. u. Hf., 79).

თავი XI. კავკასიისა და საქართველოს ამაღლოგრაფიის ანიშნელობა

გამოჩენილი გერმანელი ბოტანიკოსი პროფ. A. Engler-ი ასე ათავებს ვაზის კულტურის ისტორიის თავის მიმოხილვას, რომლის უკანასკნელ ნაწილშიც ეგვიპტეში ძველადვე, თვით პიეროგლიფების ტექსტებშიც კი, ყურძნის უკვე რვა ჯიშის არსებობის გარემოება აღნიშნული: რა ყურძნის ჯიშები, ან მოდგმა იყო გავრცელებული შავსა და კასპიის ზღვებს შორის მდებარე ქვეყანაში, რომელიც კულტურული მევენახეობის სამშობლოდ სხვებზე უფრო არის ხოლმე მიჩნეული, ამის გადაწყვეტა ჯერ-ჯერობით შეუძლებელიაო (იხ. V. Hehn-ის Kpf u. Ht., 90—91). მან არ იცოდა, რომ არამც თუ ისეთი შორეული ეპოქის შესახებ, როგორც ეგვიპტის პიეროგლიფული დამწერლობის ხანა, არამედ აქამომდე ასეთ კითხვაზე პასუხის გამცემი ნაშრომი, სამწუხაროდ, არც ჩვენი დროის შესახებ მოგვეპოვებოდა. ამიერკავკასიის მევენახეობაზე, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, არაერთი ზოგადი მიმოხილვა იყო გამოქვეყნებული და ცალკეული აღწერილობაც, მაგრამ არც ერთს ამ ნაშრომთაგანში ყველა მანამდე არსებული ცნობაც კი გამოყენებული არ არის. თავისდათავად ცხადია, რომ ასეთ პირობებში კავკასიისა და კერძოდ სხვებზე უკეთესად შესწავლილი საქართველოს სრულ ამპელოგრაფიულ აღწერილობაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება. ამ მხრივ უკანასკნელი მიმოხილვაც, რომელიც მიხეილ ბა-

ლლასის მიერ იყო 1897 წ. გამოქვეყნებული (იხ. Виноделие в России, историко-статистический очерк, Михаил Баллас, часть III, Восточное Закавказье, СПб., изд. Департамента Земледелия, 78—86) და საუკეთესოდ ითვლება, მხოლოდ სრულებით უსრულოსა და სამარცხვინო შეცდომებით სავსე უბრალო კომპილაციას წარმოადგენს. ამგვარად, აქამომდე არამც თუ იმის თქმა, თუ რა და რა ყურძნის ჯიშები იყო უძველეს ხანაში კავკასიაში გავრცელებული, შეუძლებელი იყო, არამედ ისიც კი, რაც საუკუნეთა განმავლობაში წარსულმა საქართველოს თანამედროვე მევენახეობას უანდერძა, სათანადო სისრულით აღნუსხულ-შესწავლილი არ ყოფილა.

პროფ. A. Engler-ის ნაშრომისა და ზემომოყვანილი ამონაწერითგანაც ჩანს, რომ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს, ვითარცა კულტურული მევენახეობის სამშობლოდ საგულგებელი ქვეყნის, ამპელოგრაფიას ვახის კულტურის ისტორიისთვის ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ცხადია, რომ მხოლოდ იმისდა მიხედვით, თუ რამდენად დაწინაურებული იყო აქ მევენახეობა და რამდენად მდიდარი იყო ეს ქვეყანა კარგი ჯიშებით, შესაძლებელია მევენახეობის კულტურის ისტორიაში მას გარკვეული ადგილი მიეკუთვნოს. ამიტომ სანამ ზემოდასახელებული გერმანელი მეცნიერისაგან წამოყვანილი კითხვა კავკასიის შესახებ ცოტადთუბევრად გამორკვეული არ იქმნება, მანამდე მევენახეობის პირველადი სამშობლოს საკითხი გადაუწყვეტელი დარჩება. ეს გარემოება საქართველოს წარსული კულტურის შემსწავლელთ მსოფლიო მეცნიერების წინაშე დიდ მოვალეობას აკისრებს.

მაგრამ ამ ზოგადმნიშვნელოვან პრობლემასაც რომ თავი დავანებოთ და მსჯელობის ასპარეზი ვიწროდ, მხოლოდ საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკისათვის საჭიროების ფარგლებითაც რომ შემოვზღუდოთ, მაშინაც ძველ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების გამორკვევის აუცილებლობას გვერდს ვერ ავუქცევთ. სასოფლო მეურნეობის ასეთი მნიშვნელოვანი დარგის დახასიათების დროს, რომ მკვლევარი მარტო მევენახეობის არსებობის ფაქტის აღნიშვნით დაკმაყოფილდეს ისევე, როგორც ზოგიერთი ავტორი აქამომდე იქცევა, ეს ხომ თითქმის უშინაარსო ცნობის მოთავსებით პასუხსაგები მოვალეობის თავითგან მოშორებას უდრის, რათგან მევენახეობაც არის და მევენახეობაც: კრიკინაც ყურძენია და რქაწითელიც, მალღარიცა და დაბლარიც მევენახეობას წარმოადგენს, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის, ყოველი შეგნებული ადამიანისათვის ცხადია. მევენახეობის განვითარების მრავალი საფეხური არსებობდა და არსებობს ეხლაც და ყოველ ამ საფეხურთაგანს ხალხის ეკონომიკაში ერთნაირი მნიშვნელობა არ ჰქონია და ისტორიკოსი-ეკონომისტი მოვალეა თავის მკითხველს გაუთვალისწინოს ის მნიშვნელობა, რომელიც მევენახეობას ამათუიმ ერის მეურნეობაში ჰქონდა.

ამნაირადვე საქართველოს მევენახეობის ეკონომიკის შემსწავლელის მოვალეობას შეადგენს გამორკვევის განვითარების ის დონე, რომელზედაც მეურნეობის ეს დარგი იქ ძველად იმყოფებოდა და ის მნიშვნელობაც, რომელიც მას სხვადასხვა დროს ქართველი ხალხის ეკონომიური კეთილდღეობისათვის ჰქონდა. ამის გათვალისწინება კი სხვათაშორის ყურძნის იმ ჯიშების ღირებულების მიხედვითაც შეიძლება, რომელიც საქართველოში იყო გავრცელებული. ამიტომაც, მევენახეობის კულტურის ისტორიის ზემოაღნიშნული ზოგადი

პრობლემის გარეშეც, საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარმა უნდა ძველ საქართველოში არსებული ყურძნის ჭიშების შედგენილობაც იცოდეს.

რა თქმა უნდა, ასეთი საკითხის შესწავლა და გამორკვევა უმთავრესად აგრონომიის ისტორიკოსის საქმეა, ისტორიკოსი-ეკონომისტი კი მწაბზარეული მასალით ისარგებლებდა და შედეგებს თავისი მიზნისათვის გამოიყენებდა, მაგრამ რაკი ასეთი საქართველოში ჯერ არ მოიპოვება და ახლო მომავალშიც არაინა ჩანს, ამ საკითხის გამორკვევა უნებლიედ უნდა გვეცაღა. თუ რა გზით და რა საშუალებით არის ეს შესაძლებელი, ამაზე ქვემოთ, თავის ადგილას, გვექმნება საუბარი. აქ კი შესაძლებელია იმის აღნიშვნითაც დავკმაყოფილდეთ, რომ ამ მიზნის მიღწევისათვის ერთ აუცილებელ პირობათაგანს წარსულისაგან ნაანდერძევი ჭიშების ცოდნა შეადგენს.

თავი XII. კავკასიისა და საქართველოს ამპელოგრაფიული მხარლოვის ზოგადი მიმოხილვა და შეფასება

საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჭიშებზე ცნობები, მრავალი ნაკლისა და მიუხედავად, ბლომად არის სხვადასხვა წყაროებში გაფანტული. საქართველოს მევენახეობის შესწავლას ქართველნიც მისდევდენ და რუსეთის ბატონობის დამყარების შემდგომ მთავრობის სათანადო დაწესებულებათა თანამშრომლებიც. თეიმურაზ ბატონიშვილისეულ წიგნთსაცავში, რომელიც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის სააზიო მუზეუმში იყო დაცული, ერთი XVII ს. დამლევის, ან და XIX ს. დამლევის პატარა ზომის ხელთნაწერი რეული მინახავს და წამიკითხავს, რომელშიც საქართველოს მევენახეობის წესებია აღწერილი. სამწუხაროდ, თავის დროზე იქითგან ჩემთვის საჭირო ცნობები არ ამომიწერია, ამჟამად კი ამ ხელთნაწერით სარგებლობის საშუალება არა მაქვს.

არა ერთი საგულისხმო ცნობა უნდა მოიპოვებოდეს მთავრობის დაწესებულებათა არქივებში. ბევრი იმათგანი თავის დროსაც ან სრულებით გამოყენებული არ ყოფილა, ანდა მარტო ოფიციალური მოხსენებისათვის მასალად აქცეეს და მკვლევართათვის სრულებით მიუწვდომელი დარჩა. მაგრამ გამოქვეყნებული და სხვადასხვა გამოცემული გაფანტული წყაროებიც სათანადოდ გამოყენებული არ ყოფილა, რათგან, სამწუხაროდ, არავის თავი არ შეუწუხებია, რომ ეს უხვი მასალა ერთად მოეყარა, შეედარებინა, შეემოწმებინა და აღწერილობათა დანაკლისი შეეცხო.

კავკასიის ამპელოგრაფიას XIX ს-ში თავისი, თუმცა მოკლე, მაგრამ მაინც საგულისხმო თავგადასავალი ჰქონია. როგორც დოც. იასე ცინცაძისაგან მოწოდებული ცნობითგან ჩანს, რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ, საქართველოს ცენტრარქივში ამ საკითხის შესასწავლად არაერთი საყურადღებო მასალა უნდა მოიპოვებოდეს.

იასე ცინცაძემ გამოარკვია, რომ მეფის ნაცვლის კანცლარიის არქივში დაცულია საქმე № 1752, რომელიც 1847 წ. ყოფილა დაწერილი და ასეთი სათაური ჰქონია: „О командировании садовника Ивана Фрика и ученика Стефана Федорова для собирання семян и растений в Имеретии, Мингрелии и Грузии“. მათ დავალებული ჰქონიათ, აკად. კლაპროთისა და კოხის ნაშრომებს მიხედ-

ვით შედგენილი გზისმაჩვენებლის თანახმად, ადგილობრივი მცენარეებისა და ხეხილების ნიმუშები აღწერილობითურთ შეეგროვებინათ. სსვათა შორის მათ უნდა აქაური ყურძნის ჯიშებიც აეწერათ, მტევნის მოყვანილობა დაეხსიათებინათ და მათი სახელებიც აღენუსხათ. ეს საქმე ნიკიტსკის ბალისაგან ჰქონია დავალებული.

როგორც არქივში დაცული ცნობითგან ჩანს, ზემოდსახელებული პირები 1847 წ. 14 ნოემბერს იალტაში 5 დიდ ყუთში ჩალაგებული შეგროვებული მასალით დაბრუნებულან. შესაძლებელია, რომ ნიკიტსკის ბალის არქივში ამ წარმოვლენილი პირების ვრცელი მოხსენება დაცული იყოს და, თუ ეს მოლოდინი გამართლდა, მაშინ დასავლეთ საქართველოს ამპელოგრაფიისათვის ეგების უხვი და საგულისხმო ცნობები შეგვეძინოს.

ასეთი საარქივო მასალების მიხედვით მიმოხილვის შედეგა აგრონომ-ამპელოგრაფების მოვალეობაა და მომავლის საქმეა. ამჟამად მე მხოლოდ მთავარი გამოქვეყნებული წყაროებით სარგებლობა შემეძლო და, სანამ საქართველოში დაცული ყურძნის ჯიშების აღწერა-განხილვას შევეუდგებოდეთ, აქ სწორეთ ამ წყაროების ზოგადი დახასიათებაა საჭირო.

საფრანგეთის გამოჩენილმა ამპელოგრაფმა V. Pulliat-მა ქუთაისში დამკვიდრებული მემბაჟლის Baron de Longueuil-ის დახმარებით ამიერკავკასიისა და საქართველოს, მცტადრე ლიხთ-იმერეთის, ყურძნის ჯიშების შესწავლა და აღწერა დაიწყო. თავის ორ ნაშრომში „Mille variétés de vignes description et synonymies“ (1 გამოც. 1873 წ. დაიბეჭდა ლიონში, მესამე 1888 წ. პარიზში) და „Le Vignoble, ou Histoire, Culture et Description avec planches coloriées des vignes à raisins de Table et à raisins de cuve“ (1874 და 1875 წ., პარიზი) მას 13 ქართული ყურძნის ჯიში აქვს აღწერილი⁶⁵. ჩვეულებრივ მას საკმაოდ ვრცელი ამპელოგრაფიული აღწერილობა მოეპოვება, მაგრამ ქართული სახელები, სამწუხაროდ, დამახინჯებული აქვს. მისი ნაშრომითგან ეს სახელები ასე დამახინჯებული ყველგან გავრცელდა და განმტკიცდა. ამ ფრანგი მეცნიერის ღვაწლს შესწავლის თაოსნობა შეადგენს. ზოგიერთი ჯიშის აღწერილობა ეხლაც კი მხოლოდ მის ნაშრომში მოიპოვება.

რაც შეეხება ჩვენ ქვეყანას, ადგილობრივი ჯიშების ამპელოგრაფიული შესწავლის ცალკეულ, წერილ წერილებს რომ თავი დავანებოთ და ზოგადი ხასიათის ნაშრომებს შევეხთ, უნდა აღინიშნოს, რომ ამ დარგში თაოსნობა კავკასიის სწავლულმა მებძალე შარერ-მა გამოიჩინა, რომელმაც 1874 წ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას ყოველწლიურად თორმეტი თუმანი გადაადებინა კავკასიაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების მტევნების ფერადი სურათების დასამზადებლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ფული მხოლოდ ორი წლის განმავლობაში იყო გამოღებული და ამის გამო ამ სახსრით მარტო 28 ჯიშის მტევნის ფერადი სურათის დახატვა მოხერხდა.

შარერ-ის წინადადება საერთაშორისო ამპელოგრაფიული კონგრესისათვის საჭირო მასალის შესაგროვებლად უნდა ყოფილიყო ნაკარნახევი.

⁶⁵ შანთი, ღონდლაბი „Dodrelabi“, ცოლიკოური „Dzolikoori“, კამური, კუნძა მწვანე „Koumsa“, ოკტაური, ოჭალუმი „Orjelechi“, „Zekroula Kabistoni“, კაბისტონი, ადანასური, დიდი და პატარა „Anadasaouri“, „Didi Andasaouli“, საფერავი და თავ-წითლა.

1875 წელს კოლმარ-ში, საფრანგეთში, შეკრებილი საერთაშორისო ამპელოგრაფიული ყრილობისათვის მას შეეძლო ამიერკავკასიაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების უკვე 21 ნიმუშის სრული აღწერილობა წარედგინა. ს. ზელინსკის სიტყვით, ყურძნის ჯიშების მტევნების ფერადი სურათები ზემოდასახელებული საზოგადოების მუზეუმში ინახებოდა.

დასასრულ, ამავე საზოგადოების ვიცე-პრეზიდენტის ასტაფიევის თაოსნობით ტფილისის სააკლიმატიზაციო ბაღში მოწყობილი იყო საწერგე, სადაც ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხის ვაზის ჯიშები იყო ჩაყრილი (ს. ზელინსკი, Садоводство в Закавказ. крае: Свод МИЭЛГКЗК, IV, 52—53).

საერთაშორისო ამპელოგრაფიულ კონგრესზე, საქართველოთგან ჩასულ შარტრს გარდა, ამიერკავკასიის ყურძნის ჯიშების უმცოდნედ საფრანგეთის ზემოდასახელებული ამპელოგრაფი იყო. ამ ყრილობას კავკასიის ამპელოგრაფიისთვის უშედეგოდ არ ჩაუვლია, არამედ, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, საერთაშორისო ამპელოგრაფიული კომიტეტის დავლებით შედგენილ ამპელოგრაფიულ ლექსიკონში ჩვენებური ყურძნის ჯიშების აღწერილობაც იქმნა შეტანილი. მაგრამ 1875 წ. საქართველოში კიდევ ორი ნაშრომი გამოქვეყნდა — ერთში, რომელიც რ. ერისთავმა დაბეჭდა, დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობა იყო განხილული, და ეწოდებოდა: „Очерк Имеретин в сельскохозяйственном отношении“ — „იმერეთი სასოფლო მეურნეობის მხრით“ (იხ. Зап. Кав. Общ. сельс. хоз... 1875, № 3). მეორე ნაშრომი ზოგადი ხასიათისაა და მეღვინეობას ეხება მთელ კავკასიაში — „Очерк виноделия Кавказа“. იგი განოცემული იყო 1875 წ. კავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მიერ. ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობის დახასიათება აგრონომ ს. ხოჯაევის გამოკვლევაზე იყო დაყრდნობილი.

ამ უცნობი პირისაგან შედგენილს კომპილაციაში ბევრი საგულისხმო ცნობებია, რომელთაგან მერმინდელ მკვლევართ ზოგიერთი გამოყენებული არა აქვთ. მაგრამ ამ ნაშრომის ნაკლს ის შეადგენს, რომ იქ მოყვანილი ცნობების წყარო ყოველთვის გარკვევით არ არის დასახელებული, რომ სისწორის შემოწმება შესაძლებელი იყოს, ჯიშების სახელებიც მხოლოდ რუსულად არის დაბეჭდილი.

1876 წ. ტფილისში გამოვიდა ლ. ე. ჯორჯაძის ნაშრომი, რომელსაც ეწოდება „მევენახეობა და ღვინის დაყენება, კეთება და გაუმჯობესება ზელთმძღვანელობისათვის კახური ღვინის მყენებლებისა“. კახეთის მევენახეობაზე იქ არაერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. ამ სახელმძღვანელოს ავტორს წმინდა პრაქტიკული მიზანი ჰქონდა დასახული: მას კახეთში ძველი, მამაპაპეული მევენახეობა-მეღვინეობის წესების მაგიერ ახალი, გაუმჯობესებული მეურნეობის დამყარება ჰსურდა. მაგრამ მას შეუძინებია, რომ საქართველოსთვის უცხოეთის მევენახეობის ყველა წესი არ გამოდგებოდა, რათგან ნიადაგისა, ჰავისა და თვით ყურძნის ჯიშების განსხვავების გამო მევენახეობის წესების სათანადოდ შეცვლა-შეგუება იყო საჭირო.

1865 წლითგან მოყოლებული 1873 წლამდე მუშაობამ და უცხოეთის მევენახეობა-მეღვინეობის სახელმძღვანელოების შესწავლამ, ადგილობრივი პირობებისა და მეურნეობის ცოდნასთან ერთად, ავტორს საშუალება მისცა კახეთის მევენახეობა-მეღვინეობისათვის გამოსადეგი სახელმძღვანელო შეედგინა.

ნა. „რაც კი გამოცვალე ნამდვილათ და ანუ ზოგიერთი სტატიები ევროპიის ავტორებისა ეთანხმებოდა კახეთის მევენახეობას, არ დარჩა შეუდგენელი და დაუწერავი“-ო (გვ. VII).

ჩვენთვის ამჟამად ლ. ჯორჯაძის წიგნს იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც იქ მისი გამოცდილებაა აღბეჭდილი და ადგილობრივი მევენახეობა-მეღვინეობის ძველი წესების შესახებ ცნობები მოიპოვება. არაერთი ისეთი საგულისხმოდ ცნობა გვაქვს იქ დაცული, რომლის მსგავსი შემდეგ აღარსად გვხვდება. ყურძნის ჯიშების დახასიათებისათვისაც აღამიანი იქ ზოგიერთს საყოლადებოდ ცნობას იპოვის. სამწუხაროა, რომ მერმინდელ ავტორებს ამ ნაშრომით არ უსარგებლიათ. ლ. ჯორჯაძეს, ვითარცა გაუმჯობესებული მევენახეობა-მეღვინეობის სახელმძღვანელოს ავტორს, კახეთის ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფია ვიწროდ აქვს შემოფარგლული. მას მხოლოდ ის ჯიშები აქვს დახასიათებული, რომელთა გაშენებაც „კახეთის ვენახებისათვისა კარგი ღვინის მოსაცემათა არის საჭირო“ (მევენახეობა, 31). ამის გამო მას წითელ ჯიშთაგან მხოლოდ საფერავი ვაზი აქვს აღწერილი (გვ. 31) და თეთრ ჯიშთაგან მარტო ხუთი (რჭა-წითელი, მწვანე, მცვივანი, ბუღეშური და ქიშიში: გვ. 32—34).

ამ ექვსი ყურძნის ჯიშის დახასიათების შემდგომ, ლ. ჯორჯაძეს ნათქვამი აქვს: „ამ ზემორე აღწერილ ვაზების ჯიშებს გარდა, კიდევ თუმცა მრავალგვარი ჯიშის ვაზები არის კახეთის ვენახებში, მაგრამ იგინი ხოლოთ იძლევიან დიდ მოსავალსა და ღვინოს კი კარგს არ აყენებენ“-ო (გვ. 34).

ლ. ჯორჯაძე კახეთის მევენახეობის ისეთი კარგი და ღრმა მცოდნე მოჩანს, ამ ექვსი ჯიშის აღწერილობაში მას იმდენი საყოლადებოდ დაკვირვება და ცნობა მოეპოვება, რომლის მსგავსი არავის სხვას არა აქვს, ამიტომ ფრიად სამწუხაროა, რომ ქართულ ამპელოგრაფიას, დანარჩენი ჯიშების მისგან დაუხასიათებლობის გამო, უგეჰვლია, არაერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება და ცნობა სამუდამოდ დაკარგული აქვს.

საერთაშორისო კონგრესს და ფრანგ ამპელოგრაფის ცნობებს უნდა ევროპელი ამპელოგრაფები ამიერკავკასიისა და საქართველოს ყურძნის ჯიშებით დაეინტერესებინა. ასეც მომხდარა, უკვე 1876 წ. საერთაშორისო ამპელოგრაფიული კომისიის დავალებით Hermann Goethe-ს მიერ შედგენილ „ამპელოგრაფიულ ლექსიკონ“-ში („Ampelographisches Wörterbuch“) 23 ქართული ყურძნის ჯიშია აღწერილი⁶⁶. ამ მეცნიერის ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც ჩვენი სამშობლოს ყურძნის ჯიშებს ეხება, მთლად, ან შარერერ-ის, ანდა ფრანგი ამპელოგრაფის V. Pulliat-ის ნაშრომებზე, ან ცნობებზეა დამყარებული. ამიტომ მათი შეცდომები (უმთავრესად ქართული სახელების დამახინჯების მხრივ) პ. გიოთე-ს ლექსიკონშიც არის შეპარული.

წარსული საუკუნის მეოთხედიდან დაათე წლებში მევენახეობის შესწავლას ჩვენში კვლავ ვაცხოველებთ ეტყობა. 1883 წ. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ ამიერკავკასიის მებღეობის შესახები საუკეთესო თხზულების

⁶⁶ Anadasauri=აღანასურს, Andreuli=ადრეულს, Chanti=შანთს, Charistwali=ხარისთვალას, Didi Andasaouli=დიდ აღანასურს, Digmuri=დიღმურს, Dodrelabi=დოდრელაბს, Dzolicoori=ძოლიკორს, Goris toilé=ღორის თვალას, Goruli, Kamaouri=კამურს, Mschrija=მჭრიას, Mzvaani=მწვანეს, Oktaouri, Ocjelechi=ოქალეშს, Rkatziteli, Sapperavi, Takweri=თაკვერს, Tav-Tsitela=თავწითელას, Tita, Tschinuri, Zekraula, Khabistoni=კახისტონს.

დასაჯილდოვებლად 150 მ. გადასდო და ერთი წლის შემდგომ დაჯილდოვებულ იქმნა ნაშრომი „Краткий очерк садоводства Закавказья“—„ამიერკავკასიის მებაღეობის მოკლე აღწერილობა“, რომელიც 1885 წ. დაიბეჭდა კიდეც (იხ. Труды Кавказ. Общ. Сельского Хозяйства, год Тридцатый, 1885, № 8—9, 536—576; № 12, 795—860). ამ მონარდული ნაშრომის ავტორებს ვ. გვეცკი-სა და გ. შარერ-ს მევენახეობა-მეღვინეობაზეც საკმაოდ ბევრი ცნობა აქვთ თავმოყრილი. მათ თვითეული თემის ყურძნის ჭიშების სახელები აქვთ მოყვანილი და თან ყოველი მათგანის ნიშანდობლივი თვისებების მოკლე აღწერილობაც არის დართული. ნაშრომის ამ საგულისხმო ნაწილის ნაკლად ის გარემოება უნდა იქმნეს მიჩნეული, რომ ყურძნის ჭიშების ადგილობრივი სახელები რუსული ასოებით არის მხოლოდ მოყვანილი. როგორც ცნობილია, რუსულს ბევრი ისეთი ბგერა, რომელიც ქართული, სომხური და კავკასიის სხვა ერთა ენებისათვის დამახასიათებელია, არ გააჩნია. ამიტომ ავტორებს სხვადასხვა ბგერები ერთიდაიმავე რუსული ასოთი აქვთ გადმოაცემული. ამას წყალობით ყურძნის ჭიშების ნამდვილი ადგილობრივი სახელების აღდგენა ადამიანს გაუძნელდება. უამისოდ კი ამ სახელების მნიშვნელობის გამორკვევა შეუძლებელია.

ამავე ათეულში სახელმწიფო გლეხების ეკონომიური მდგომარეობის გამოკვლევას, რომელსაც სათანადო ორგანოების დავალებით მიჰყევს ხელი, მევენახეობის შესწავლაც უნდა დაეწინაურებინა. მაგრამ ამ საქმის მონაწილეთაგან მარტო ილ. ბახტაძეს აქვს რაჭული ყურძნის ჭიშები ჩამოთვლილი. სხვები ამ საკითხს თითქმის არ შეჰხებია.

გლეხთა მდგომარეობის გამოკვლეველთა ცალკეულ ნაშრომებს გარდა, ზოგადი მიმოხილვაც დაიწერა და გამოქვეყნდა. ასეთ ზოგად მიმოხილვაში ამიერკავკასიაში გავრცელებული ყურძნის ჭიშების 1888 წლამდე შეგროვილი და გამოქვეყნებული სახელები ს. ზელინსკის აქვს თავის ნაშრომში „Садоводство в Закавказском крае“ (იხ. Свод МИЭБГКЗК, IV) თავმოყრილი. მას აღნიშნული აქვს, რომ ცნობები ამიერკავკასიის ყველა კუთხეში არ არის შეგროვილი და სადაც ჩაწერილია, იქაც ყველა ჭიშის სახელები კი არ არის, არამედ უმთავრესი ჭიშებია მხოლოდ დასახელებული (იქვე, IV, 54). ცნობათა სიჭრელე ასეთ პირობებში აუცილებელი იყო, მაგრამ ამ ნაკლს ზელინსკიმ თავისი საკუთარი მსხვილი და სრულებით შეუწყნარებელი შეცდომებიც მიუმატა. წყაროებითგან ამოკრებილი ცნობებისათვის თავისი საკუთარიც დაურთავს, მაგრამ ისე კი, რომ ზოგჯერ ცნობათა სადაურობის გარჩევა შეუძლებელია. ამას გარდა, მას ყურძნის ჭიშების მხოლოდ სახელები აქვს მოყვანილი, ამპელოგრაფიული აღწერილობა კი გამოუტოვებია, რითაც მის ნაშრომს ყოველივე ღირსება დაეკარგა.

ამას უნდა დაერთოს ზელინსკის გამაცვიფრებელი უვიცობა. რომელიც იმდენად დიდი იყო, რომ მას ყურძნის ჭიშების სახელები თუმცა ქართულადაც აქვს მოყვანილი. მაგრამ ვაი ამ მოყვანას: ქართული სახელები ქართული ასოებით, მაგრამ რუსული ტრანსკრიპციით არის დაბეჭდილი. ამ დაუჯერებელი ამბის წყალობით მთავრობის ოფიციალურ სპეციალურ ორგანოში ყურძნის ქართული ჭიშების სახელები ისეა დამახინჯებული, რომ ადამიანს საოხუნჯო

ყურანლისათვის განზრახ შეთხზული ეგონება⁶⁷. ავტორს დიდი შრომა გაუწევია. მაგრამ დასახული მიზნის განხორციელებისათვის მას შესაფერისი არც ცოდნა და არც ძალა არ აღმოსჩენია. მან წინამორბედთა შრომებში აღნუსხული ცნობების სათანადოდ გამოყენებაც კი ვერ შესძლო, ამიტომ მისი ნაშრომი საქმეში ჩაუხდავი მკითხველისათვის უფრო საზიფათოა, ვიდრე მარგებელი.

შემდეგში ყურძნის ჯიშების აღნუსხვასა და მევენახეობა-მელვინეობის აღწერას ამიერკავკასიაში ფილოქსერის გაჩენის გამო მევენახეობისათვის მოსალოდნელმა დიდმა საფრთხემ შეუწყო ხელი. ამის წყალობით, ქართული ანდაზის მსგავსად. ეს კირიცი იმ მხრივ აღმოჩნდა მარგებელი, რომ სხვადასხვა აგრონომს ამიერკავკასიის სხვადასხვა კუთხეში მევენახეობა-მელვინეობის შესწავლა მიენდო და შეგროვებული მასალა გამოქვეყნდა. ამ გამოცემას ეწოდება „ცნობათა კრებული მევენახეობასა და მეღვინეობაზე კავკასიაში“, „Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе“ (Издание Кавказского Филоксерного комитета, ტფილისი, 1895 წ.). ამ კრებულის III წიგნი (выпуск III) ქუთაისის გუბერნიის ქუთაისის, შორაპნისა, რაქისა და ლეჩხუმის მაზრებს ეხება და ოთხ ნაშრომს შეიცავს. IV წიგნი ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის, სენაკისა და ზუგდიდის მაზრებს და სოხუმისა, ბათუმისა და ართვინის ოლქებს ეხება და სულ სამი ავტორის ნაშრომს შეიცავს. VII და VIII წიგნები აღმოსავლეთ საქართველოს გვისურათებენ. VII წიგნში თელავისა, სიღნაღისა და თიანეთის მაზრების აღწერილობაა, VIII წიგნი კი გორისა და დუშეთის მაზრებისა. V წიგნში ბაქოს გუბერნიის შემახისა და გოგჩის მაზრების მევენახეობა-მელვინეობაა აღწერილი, VI-ში კი ერევნის გუბერნიისაა.

საქართველოს მევენახეობა-მელვინეობა აღწერილი აქვთ შემდეგ პირებს: ერმ. ნაკაშიძეს ორ ნაშრომში—„Виноградарство в Имеретии“—„მევენახეობა იმერეთში“ (იხ. III წიგნის გვ. 1—32) და „Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии“—„გურიისა და სამეგრელოს მევენახეობისა და მელვინეობის ზოგადი აღწერილობა“ (IV წიგნის გვ. 45—146).

ე. ი. ვაჭაძეს აღწერილი აქვს „მელვინეობა იმერეთში“—„Виноделие в Имеретии“ (III წიგნის გვ. 111—129).

ე. დანდუროვს დაწერილი აქვს „მევენახეობა და მელვინეობა რაჭაში“—„Виноградарство и виноделие в Рачинском уезде“ (იქვე, გვ. 33—68) და ა. იაკოვლევის „მევენახეობა და მელვინეობა ლეჩხუმში“—„Виноградарство и виноделие в Лечхумском уезде“ (იქვე, გვ. 69—110).

აფხაზეთის მევენახეობა-მელვინეობა ს. ტიმოფეევს აუწერია (იქვე, წიგნი IV, გვ. 1—44). აქარა-შავეშეთ-კლარჯეთის მევენახეობა-მელვინეობის აღწერილობაც ამავე ავტორს ეკუთვნის (იქვე, IV, გვ. 147—190: „Очерк виноградарства в Батумском и Артвинском округах“).

„კახეთის მევენახეობა-მელვინეობის ზოგადი აღწერილობა“—„Очерк виноградарства и виноделия Кахетии“ ა. ფირალოვსა და ს. შავერდოვს შეუდგენიათ (იქვე, VII წიგნი მთლიანად 120 გვერდია), ხოლო პ. ყანდლურალოვის ნაშრომი „ქართ-

⁶⁷ მაგ. „ღობენური“ „ღუზუანი“, „ბრეზუ“, „პერალი“ და სხვა.

ლის მევენახეობა-მეოეინობის ზოგადი აღწერილობა“—„Очерк виноградарства и виноделия в Карталиннии“ VIII წიგნი⁸⁸ა მოთავსებული (176 გვერდი).

ამავე ფილოქსერის წყალობით 1893 წ. დაიბეჭდა პირველი წმინდა ამპელოგრაფიული ნაშრომიც ვ. ა. სტაროსელსკი-ს „Закавказские сорта винограда. Шорапанский и Кутгисский уезды Кутанской губернии“, რომელიც ზოგადი სათაურით „Материалы для Ампелографии Кавказа, вып. I“ კავკასიის ფილოქსერის კომიტეტისაგან იყო გამოცემული. ამ საუცხოვო წიგნში იმერეთის 12 ყურძნის ჯიშის⁸⁸ სრული ამპელოგრაფიული აღწერილობა და მშენიერად შესრულებული მათი ნახატებიც არის მოთავსებული.

ამ ნაშრომის ნაკლს მხოლოდ ის გარემოება შეადგენს, რომ მის ავტორს არც ერთი მანამდე გამოქვეყნებული წყარო არც დასახელებული და არც გამოყენებული არა აქვს. უცოდინარ და საქმეში ჩაუხედავ ადამიანზე ეს ისეთ შთაბეჭდილებას მოახდენს, თითქოს მანამდე არაფერი ამ დარგში გაკეთებული არ ყოფილიყოს. წყაროებისადმი ასეთი სრული უყურადღებობა მით უფროა სამწუხარო, რომ იქ არა ერთი ისეთი ცნობაა, რომელიც ან გამოყენებული უნდა ყოფილიყო, ან უარყოფილი, რათგან წინანდელი და სტაროსელსკი-ს აღწერილობა ზოგჯერ ერთმანეთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება.

ამ პირველი ნაკვეთის წინასიტყვაობაში ვ. სტაროსელსკი მკითხველს თავისი ნაშრომის დანარჩენი ნაწილებს გამოქვეყნებასაც ჰპირდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, გაგრძელება აღარ დაბეჭდილა. „კავკასიის ამპელოგრაფიის მასალები“-ს მეორე ნაკვეთი თუმცა 1901 წ. გამოვიდა, მაგრამ ის უკვე ერევნის გუბერნიის ყურძნის ჯიშების აღწერილობას შეიცავს და ად. როლლოვის შედგენილია („Закавказские сорта винограда. Эриванская губерния, составил А. Роллов“).

1911 წ. დაიბეჭდა პროფ. ნ. მარჩი-ს შავშეთ-კლარჯეთში მოგზაურობის დღიური, რომელშიც სხვათა შორის მოკლედ იქაური მევენახეობაც არის დახარისხებული და ადგილობრივი ყურძნის ჯიშებიც აქვს ჩამოთვლილი (იხ. Тексты и розыскания по Армяно-грузинской филологии, кн. VII, 165—166).

სამწუხაროდ, პროფ. მარჩს არ სცოდნია, რომ შავშეთ-კლარჯეთის მევენახეობაზე და ყურძნის ჯიშებზე უკვე 1895 წელს ჰქონდა ს. ტიმოფეევს მისგან შეგროვილ-მოთავსებულზე უფრო ვრცელიცა და უფრო ზედმიწევნითი აღწერილობა გამოქვეყნებული. ნ. მარჩის ცნობა მხოლოდ ერთ ახალ სახელწოდებას გვაწვდის, რომელიც ს. ტიმოფეევისაგან ჩაწერილი ბოლოდროინდელი თურქული სახელის მაგიერ ძველ ქართულ სახელს წარმოადგენს.

დასასრულ, საინგილოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების სახელები მოკლე დახასიათებითურთ მ. ჯანაშვილს მოეპოვება თავის „საინგილო“ მონოგრაფიაში, რომელიც საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ორგანოს „ძველი საქართველო“-ს II ტომშია დაბეჭდილი (იხ. გვ. 99).

წყაროების ზემომოყვანილი მამოხილვაც დაარწმუნებდა ადამიანს. რომ სისტემური ამპელოგრაფიული შესწავლის მაგიერ, შემთხვევითი გარემოებით გამოწვეულ ნაშრომებში იყო ეს დარგი თავშეფარებული, რომ, ზელინსკის

⁸⁸ ადნასურ პატარა და დიდი, კაური შავი და თეთრი, ციქა, კაპისტანი, რკო, ცოლიკაური, ოცხანური საფერე, არგეთული საფერე, კახუნა და კუნძა.

და ბალლასის უვარგის ნაშრომს გარდა, კავკასიისა და კერძოდ საქართველოს ყურძნის ჯიშების სრული ამპელოგრაფია ჯერ არც კი არსებობს. უამისოდ კი იმ მიზნის მიღწევა, რომელიც ჩვენთვის საჭიროა, შეუძლებელია. ამიტომ ასეთი მიმოხილვის შედგენა აუცილებელ ამოცანად იქცა და სწორედ ამ გარემოებით არის გამოწვეული ის მძიმე სამუშაო, რომლის გაწევაც მოგვიხდა.

თავი XIII. საქართველოს სხვადასხვა თემში შარჩენილი ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფია

§ 1. დასახული მიზნის ფარგლები

მთავარი წყაროების შესწავლის დროს გამოირკვა, რომ არსებული ცნობების შემოწმება და შევსება აუცილებლად საჭირო იყო. ამისთვის სხვადასხვა პირების დახმარებით დამატებითი ცნობების შეგროვება მომიხდა და, ამ დროს, ქართულ ამპელოგრაფიას არა ერთი ყურძნის ჯიშის ახალი, აქამდე აღუწესვლელი სახელი შეეძინა, მაგრამ ამასთანავე ხშირად ირკვეოდა, რომ ჯიში უკვე გადაშენებული იყო და წინანდელი ცნობის არც შევსებისა და არც შემოწმების აღარავითარი საშუალება აღარ არსებობდა. ეს გარემოება სპეციალისტების მიერ დაწერილი სრული ქართული ამპელოგრაფიის შედგენას ყველაზე გადაუდებელ და სასწრაფო ამოცანად ჰხდის.

ჩემი მიზანი ვიწროდ იყო შემოფარგლული, რათგან ყურძნის ჯიშების აღწერილობა მხოლოდ იმდენად უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ეს ძველ საქართველოში გავრცელებული ჯიშებისა და მევენახეობის კულტურის გამოსარკვევად არის საჭირო. რაკი წყაროებში დაცულ აღწერილობას ერთგვარობა არა აქვს და მათი შეკრება უმეტეს შემთხვევაში უკვე შეუძლებელი იყო, ამიტომ ქვემოთმოყვანილ ჩემ მიმოხილვაშიც ერთგვარობის დაცვა შეუძლებელი შეიქმნა.

საქართველოში წინათ გავრცელებული ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფიის ქვემოთმოყვანილი მიმოხილვა თემობრივად არის დალაგებული და აღმოსავლეთითგან იწყება და დასავლეთისაკენ მიიმართება და თეთრი და შავ-წითელი ჯიშები ცალ-ცალკეა დახასიათებული. მაგრამ ზოგან ყურძნის ჯიშის ფერზე ცნობები არ მოაპოვება და ამიტომ ამ პრინციპის ყველგან დაცვა შეუძლებელი შეიქმნა.

§ 2. ზერეთში, ეხლანდელ საინგილოში, დაცული ყურძნის ჯიშები

1. ბურძღუმი, „რომელიც გარეულ ყურძნად ითვლება, რათგან ტყესა და ველს ხარობს და ჰბურავს ლემბასა, ბრულს (დაბურულ ბარდანს) და სხვა ხეებსა და ბუჩქებს“ (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძველი საქართველო, II, 99).

2. მელაჟუდაი, რომელიც, მ. ჯანაშვილის დახასიათებით, თითქოს „კახური რქა-წითელი“-ს მსგავსი ვაზი უნდა იყოს. „მისი მარცვალი მელის კუდივით მოყვანილია, უმთავრეს ჯურის ყურძნად ითვლება და უკეთესს ყურძენს იძლევა“-ო (იქვე).

3. ღვეის-თვლაი-ს „დიდრონი მტევნები აქვს, მრგვალი მარცვლები. ღვი-ნოდ არ ვარგა“-ო (იქვე).
4. ქეჩი-ემუაგი, მ. ჯანაშვილის სიტყვით, იგივე თითაა (იქვე).
5. თხლაფაი, მ. ჯანაშვილის დახასიათებით, იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ მას „თხელ-კანიანი მომრგვალო მარცვალი აქვს“ და „სიმწიფისას მეტად ტკბილია“ (საინგილო: ძველი საქართველო, II, 99).
6. „საფერავი შავად მწიფდება, შავს ღვინოს იძლევა, თეთრი ღვინოს სა-ფერავად იხმარება“ (იქვე).
7. „საკმელაი — სურნელოვანი გემოს ყურძენია, ნაზი, მწყაზარი“ (იქვე).
8. გენუური, მ. ჯანაშვილის სიტყვით, იგივე თითა, ანუ ქეჩი-ემუაგია (იქვე).
9. მერანდოი „მოწითურ-მოშავოდ მწიფდება, მაგარი კანი აქვს, მსხვილი მარცვალი, დიდრონი მტევნები, ღვინოდ არ ვარგა, საკმელად იხმარება“-ო (იქვე).

§ 3. კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშები

A. შავი და წითელი ყურძენი

კახეთში ყურძნის მრავალი ჯიში იყო გავრცელებული, მაგრამ, სამწუხაროდ, აგრონომებს ყველა ამ ჯიშის სახელების აღნუსხვა ზედმეტად მიუჩნე-ვიათ და მხოლოდ ფართოდ გავრცელებული ჯიშების სახელები და მოკლე აღ-წერილობა აქვთ გამოქვეყნებული (ლ. ჯორჯაძე, მევენახეობა, 31—34; გევესკი და შარერ, $\text{TrKO}6\text{CX}$, 1886 წ., № 12, გვ. 83 და $\text{C}6\text{C}6\text{B}7\text{B}4\text{K}$, VII, 37).

გარე-კახეთის ყურძნის ჯიშების სახელები და მათი მოკლე აღწერილობა-დახასიათება თითოეულის ლერწმისა და ფოთლის ნიმუშითურთ პოეტმა იოს. მკედლიშვილმა ჩამომიტანა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. დასას-რულ, როდესაც ეს ნაშრომი უკვე დამთავრებული მქონდა, პროფ. სოლ. ჩო-ლოყაშვილისაგან მივიღე მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტის მიერ ახლად შეგროვებული ცნობებისა და მიხედვით შედგენილი კახეთის ყურძნის ჯიშების 69 სახელწოდების შემცველი სია, რომელშიც ბევრი ახალი, წინათ აღუნუსხე-ლი, სახელები აღმოჩნდა. სამწუხაროდ, ამ სიაში ჯიშის ფერი ყველგან არ არის აღნიშნული. პროფ. სოლ. ჩოლოყაშვილს ამ სიის გადმოცემისათვის უდიდეს მადლობას მოვახსენებ.

1. რქაწითელი, როგორც ცნობილია, ყურძნის თეთრ ჯიშთა ჯგუფს ეკუ-თვნის, მაგრამ, მევენ.-მელვ. ინსტიტუტის ცნობით, კახეთში, თითქოს, წითე-ლი რქაწითელი-ც ყოფილა. სამწუხაროდ, მისი არც აღწერილობა მოიპოვება, არც გავრცელების არეზეა რაიმე ნათქვამი.

2. მზარგრძელი შავიცა და თეთრიც არსებობს ისევე, როგორც ყვითელიც არის. შავი ს. ზეგანში ყოფილა გავრცელებული (მევ.-მელვ. ინსტ. ცნობა):

3. ხარისთვალა, გევესკისა და შარერის ცნობით, შავიცა და თეთრიც არ-სებობს, ძალიან დიდი და შემჭიდროებული მტევანი აქვს. მარცვალი მრგვალი, მსხვილი და ხორციანი ასხია. ადრე მწიფდება: შუა აგვისტოთგან მოყოლებუ-ლი ენკენისთვის დამლევამდე, მაგრამ მაინცა და მაინც ნაყოფიერი ჯიში არ

არის და ადვილად ლეება (Очерк Виноделия Кавказа: СбСвК, III, 228; გევესკი-შარერერ, ТрКОбСХ, 1886 წ., № 12, გვ. 827 და ფირალოვ-შავერლოვი, СбСвВгВдК, VII, 41).

4. ჩიტისთვალა შავი „თავკვერისებური“-აო (მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობა).

5. თითა კახეთში შავიც ყოფილა და ყველგან არის კიდევაც თურმე გავრცელებული (იმავე დაწეს. ცნობა).

6. თავკვერი შავი ყურძნის ჯიშია. ვაზის ერთი წლის რქას მტრედის ფერი ზოლები აქვს. დიდი იზრდება. ფოთოლი მსხვილი, მუქი მწვანე ასხია. მტევანი დიდი, წოწოლა, ძალზე შემკვიდრობული აქვს, მრგვალი და საკმაოდ მსხვილ-მარცვლიანია. საღებავი მარტო მარცვლის კანშია. მოსავლიანია და ნაცრისაგან ნაკლებ ზიანდება. კახეთში ამ ჯიშს დიდად არ აფასებენ, რათგან იქ მისგან მდარე ღირსების ღვინო დგება, სამაგიეროდ ქართლში კარგ ყურძნად არის მიჩნეული (გევესკი-შარერერი, ТрКОбСХ, 1886 წ., № 12, გვ. 824—825 და ფირალოვ-შავერლოვი, СбСвВгВдК, VII, 39). იოს. მკედლიშვილის ცნობით, გარე-კახეთში „ყველა ჯიშზე ადრე იწევა, საქმელად ტკბილია, ღვინოს კი არ იძლევა კარგს, ამიტომ „მხოლოდ საქმელად ხმარობენ მოწევის ჟამსვე“-ო.

7. საფერავი შავი ყურძნის საუკეთესო ჯიშად ითვლება. გევესკისა და შარერერის სიტყვით, მისი ვაზი წითელია, ფირალოვისა და შავერლოვის დახასიათებით კი მისი ერთი წლის რქაა მუქი წითელი, თითქმის ყვითელ-მოწითანო, ფოთოლი კი მქრთალი მწვანეა, ქვევითგან ოდნავ ბუსუსიანია, ზაფხულის დამლევისათვის მოყვითანო ხდება. მტევანი საკმაოდ დიდი აქვს, ბურძღენიანი („кисть... ветвистая или крылатая“). მარცვლი მუქი ფერისა, საშუალოზე მომცრო, ზოგი მრგვალი, ზოგი კიდევ კვერცხებრივი, თხელკანიანი და ნაზი აქვს. ამასთანავე წვენიანი და ტკბილია, ოდნავ შეფერადებულია. მარცვლის კანი ძალიან ბევრ წითელ საღებავს შეიცავს, რომელსაც სხვა ყურძნის შესაფერადებლად ხმარობენ, მათ შორის თეთრი ჯიშებისაც. ამ ყურძნის წვენი ოდნავ კუჭის მოშლილობას იწვევს და ამიტომ საფერავი საქმელად არ იხმარება, არამედ განსაკუთრებით საღვინე ჯიშია.

ლ. ჯორჯაძის ცნობით „საფერავის ვაზი... არის ორგვარი ჯიშისა: ამათში ის არის კარგი, რომელმაც მტევნის ღეროები წითელი იცის, და მეორე ჯიშისამ მტევნის ღეროები თეთრი. ეს მეორე არის მდარე და არც ღვინოსა ღებამს კარგათა“ (მევენახეობა, 31).

მევენახეობა-მელვინეობის ინსტიტუტის ცნობით, საფერავს სახელიც ორი ჰქონია: არსებობს 1. დიდი საფერავი და 2. პატარა საფერავი. გამოსარკვევია, თუ რომელს ამ ორთაგანს აქვს მტევნის წითელი ღეროები და რომელს თეთრი. რაკი საფერავს სიდიდის მხრით (საფიქრებელია მტევნების) განსხვავებას გარდა, ღეროების, ანუ კლერტის შეფერადების მხრივაც განსხვავება ჰქონია, ცხადი ხდება, რომ აქ შესაძლებელია ყურძნის განსხვავებული ჯიშები გვქონდეს.

ლ. ჯორჯაძის სიტყვით, საფერავის ვაზი „ფრიად ნაზი ხე“-ა. ნიადაგის მხრით საფერავის „ვაზსა უყვარს ქვიშიანი სუქანი ადგილი. თიხა-მიწის ქვიშანარევი ნიადაგის საფერავი უფრო კარგათა ღებამს ღვინოსა, ვიდრე კირიანი ანუ ცარციანი მოთეთრო ნიადაგი. უქვიშო თიხა-მიწა კი უფრო ბევრს საღებავს აძლევს“-ო (ჯორჯაძე, მევენახეობა, 31).

საფერავი საკმაოდ ნაყოფიერია და ყურძნის ძვირფასი ჯიშიც არის, როგორც შაქრის დიდი შემადგენლობის გამო, რომელიც ცაბელით 29%-მდე აღწევს, ისევე საღებავი ნივთიერების სიუხვით, აგრეთვე კარგი მოსავლიანობითაც. საფერავისაგან საუკეთესო წითელი კახური ღვინო დგება, განთქმული თავისი სურნელებით, სიმაგრითა და ფერით. მისი ღირსება იმდენად დიდი და ცნობილია, რომ სხვა, უფრო ნაკლები თვისების ღვინოების გასაუმჯობესებლად და შეფერადებისათვისაც ხმარობენ.

მაგრამ, ვითარცა ყურძნის უაღრესად კულტურული ჯიში, საფერავი მეტად ნაზია და მას დიდი მოვლა-მზრუნველობა სჭირდება. იგი რთელისა და ყინვისაგან ისევე, როგორც ნაცარისაგან სხვებზე უფრო ადვილად ზიანდება. დამწიფებულ საფერავს წვიმაც ვნებს, რათგან მარცვლის ლობობა ეწყობა ხოლმე. ამიტომ შემოსული საფერავის მოუკრეფავის დატოვება დიდხანს არ შეიძლება (გეევსკი და შარერეი, ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 823—824 და ფირალოვი და შავერდოვი, С6СвВгВдК, VII, 38—39).

8. **განჯური საფერავი**, მევენ.-მელვ. ინსტიტუტის ცნობით, ს. თოხლიაური ყოფილა გავრცელებული.

9. **ხეივანის ყურძენი** შავი გარე-კახეთში მოიპოვება. იოს. მჭედლიშვილის ცნობით, რომელიც ს. კაკაბეთშია ჩაწერილი, ამ ყურძნის ჯიშის ფოთოლი მოყვანილობით საფერავისას მიაგავს, ოღონდ ცოტა უფრო მომცროა. მტევანი დიდი იცის. მარცვალი თხილისოდენა, ხორციანი და წყლიანი ასხია. ღვინოდ არ ვარგა და მხოლოდ საჭმელად ხმარობენ და გემრიელიც არისო.

10. **სააბის ყურძენი** ორნაირია: შავიც არის და თეთრიც. ამ ვაზს მტევანი დიდი აქვს. მარცვალსაც მსხვილს, კვერცხებრივს და სქელკანიანსა და ხორციანს ისხამს. ენკენისთვის დამლევს მწიფდება. უმთავრესად საწნილედ ხმარობენ. გეევსკისა და შარერეს სამართლიანად სპარსულ ჯიშად აქვთ მიჩნეული (ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 827 და С6СвВгВдК, VII, 41).

11. **ჟღრია** („Мжгрия“: გეევსკი-შარერეი). ჟღია (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., ფირალოვ-შავერდოვისა და იოს. მჭედლიშვილის ჩანაწერით), რ. ერისთავის ცნობით, მოვარდისფერო ყურძენია (ბოტან. ლექსიკ.). ვაზი საშუალო ტანისაა. იოს. მჭედლიშვილისაგან ჩამოტანილი ნიმუშის მიხედვით, ჟღიას რქა მოწითალო ფერისაა, მტევანიც პატარა აქვს და მარცვალიც. გარე-კახეთში შეკრებილი ცნობის მიხედვით კი, იოს. მჭედლიშვილის სიტყვით, „ჟღიამ კუმში და დიდი მტევნები იცის“. გეევსკი-შარერეის სიტყვით, მოსავლიანი ჯიშია, ფირალოვ-შავერდოვის დახასიათებით კი მაინც და მაინც დიდად ნაყოფიერი არ არის, მაგრამ ნაცრისაგან არ ზიანდება. მისი წვენი შეფერილი არ არის, ღვინო მისგან მდარე დგება (ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 824 და С6СвВгВдК, VII, 39).

იოს. მჭედლიშვილისაგან შეკრებილი ცნობითაც „ჟღია ღვინოდ არ ვარგა“, ხმარობენ ჩამიჩად, ისე კი არ ინახება.

მევენახეობა-მეღვინეობის ინსტიტუტისაგან შეკრებილი ცნობით, ჟღია სამგვარი ყოფილა: ერთი, როგორც ჩანს, ჩვეულებრივი ჟღია-ა, მეორედ შავი ჟღია უნდა იქმნეს მიჩნეული, და მესამედ საგვიანო ჟღია, რომლის თვისება

მის სახელშივეა გამომქლავებული. მათი ჯიშებრივი იგივეობის საკითხი ჯერ გამოსარკვევია.

12. შავი ყურძენი ჰრქმევი, მევ.-მელვ. ინსტიტუტის ცნობით, კახეთში გავრცელებულ ერთ ჯიშს, რომლის არც აღწერილობა-დახასიათება და არც გავრცელების არე სამწუხაროდ აღნიშნული არ არის.

13. შავი ბუღეშური დიდ ვაზად იზრდება, მტევანი მომცრო აქვს და მარცვლი საშუალოზე პატარა, კვერცხებრივი ასხია. ეს ყურძენი უფრო საკმელ ჯიშად ითვლება და ფასობს, ვიდრე საღვინედ (გევესკი-შარარეი, ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 824), ფირალოვ-შავერდოს შავი ბუღეშური არ მოეპოვებათ.

14. განახარული, იოს. მკედლიშვილისაგან გარე-კახეთში ჩაწერილი ცნობით. „შავი ყურძენია. მას რუხი ფერის რქა აქვს, ფოთოლი სამყურა იცის. მარცვლი ცოტა მომცრო აქვს. ყურძნის ეს ჯიში ღვინოდ არ ვარგა და მას შოლოდ საკმელად ხმარობენ, მაგრამ რაკი ვერ ინახება, ამიტომ მოწვევიათა-ნავე სკამენ“-ო.

15. შავი-კაპიტო, ანუ შავ-კაპიტო („Шавкапито“ (sic!): გევესკი-შარარეი. „Шав-капито“: ფირალოვ-შავერდოვი), როგორც თვით სახელითანაც ჩანს, ყურძნის შავი ჯიშია. ვაზი დიდი იზრდება, მტევანიც დიდი აქვს. მარცვლიც მსხვილი, მრგვალი. მაგარი და ხორციანი ასხია. წვენი შეფერადებული არა აქვს. შავ-კაპიტოსაგან მაგარი და გამძლე ღვინო დგება (Очерк виноделия Кавказа: СбСВК, III, 227: გევესკი-შარარეი, ТрКСБСХ, 1886 წ., № 12 და ფირალოვ-შავერდოვი, СбСВВгВдК, VII, 39).

16. ძალლი არა ჭამა. ასეთი უცნაური სახელის მქონებული ყურძნის ჯიში აქვთ ფირალოვსა და შავერდოს მოხსენებული კახეთში. ამ ყურძნის არავითარი ამპელოგრაფიული დახასიათება ამ აგრონომებს არ მოეპოვებათ. მათი სიტყვით, თუმცა ეს ვაზი ნაყოფიერია, მაგრამ ამ ყურძნითგან წყალ-წყალა და სუსტი ღვინო დგება (СбСВВгВдК, VII, 41). გევესკისა და შარარეს მისი კვალიც კი არ მოეპოვებათ. რ. ერისთავს ძალლი არ ჭამა შეტანილი აქვს თავის ლექსიკონში, ვითარცა თეთრი ყურძნის ჯიში (ბოტ. ლექსიკ., 67—69).

იოს. მკედლიშვილისაგან გარე-კახეთში შეკრებილი ცნობით, ძალლი არ ჭამა-დ წოდებული ყურძნის ჯიში თურმე ეხლაც არსებობს. მან კუმშა და დიდი მტევანი იცის, მხარგრძელის მსგავსად. დამწიფებისას წითლად იწევა, მაგრამ ისე კი. რომ კაცს მკვახე ეგონება. ამიტომ ძალლი ვერ იგებს მის მოწევას და არა სკამს, რისთვისაც ჰქვიან „ძალლი არ ჭამა“-ო. სახელდობრ რისთვის არის ეს ყურძენი გამოსადეგი, ვერ გავიგე“-ო.

მევენ.-მელვ. ინსტიტუტის ცნობით, ს. იყალთოში ყოფილა ძალლიარჭამა შავა-დ წოდებული სახესხვაობაც.

17. იისფერი-ს სახელის მქონებული ყურძნის ჯიშიც ყოფილა კახეთში, მაგრამ არც მისი გავრცელების არე, ანდა ცენტრი და არც ნიშანდობლივი თვისებები მევენ.-მელვ. ინსტიტუტის ცნობაში აღნიშნული არ არის.

В. კახეთში გავრცელებული ყურძნის თეთრი ჯიშები

1. რქაწითელი თეთრი ყურძნის საუკეთესო ჯიშია. ვაზის ზრო წითელია, რაც ამ ჯიშის ნიშანდობლივ თვისებად მიუჩნევიან ქართველ მიწისმოქმედს და

ეს გარემოება მის სახელშიც აღუბეჭდია. საშუალო ტანის ვაზად იზრდება. ფოთოლი საშუალო სიდიდისა აქვს, ნაკლებ დაკბილული („мало вырезанный“). მტევანი მოგრძო, საშუალოდაა შემკვიდროებული და მაინც ბურძღენიანი არ არის. მისი მარცვალი საშუალოზე მოზრდილია, კვერცხებრივი და წვენიანი. დამწიფების ხანაში მარცვლის გარეკანი მქრთალი ვარდისფრის აფსკით (налетом) იფინება, რომელიც გვერდითგანა და ზემოთგან, საითგანაც მზე ადგება, უფრო მუქდება. წვენიანი და ტკბილი მარცვალი აქვს. ძალიან ნაყოფიერი და გამძლე ვაზია: გაზაფხულის ყინვასაც და რთვილსაც ისევე. როგორც ნოტიობასა და გვალვას კარგად იტანს. რქაწითელისაგან საუცხოვო, სურნელოვანი და მაგარი ღვინო დგება. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, რომ ეს ჯიში კახეთში ყველაზე უფროა გავრცელებული (გეევსკი-შარერეი, ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 826 და ფირალოვ-შავერდოვი, СбСрВГВДК, VII, 40).

გეევსკისა და შარერეის ცნობით, რქაწითელის ორნაირი სახესხვაობა არსებობს: ერთს მარცვალი ოდნავ კვერცხებრივი აქვს, მეორეს კიდევ მოგრძო ასხია. ამავე აგრონომების სიტყვით, რქაწითელს ძველად თითქოს კუკურა პრქიი... რაც საინგილოს სოფლის კახი-საგან წარმომდგარად მიაჩნათო (ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 826). ფირალოვსა და შავერდოვს არც რქაწითელის ორი სახესხვაობისა და არც ძველი სახელის შესახებ არაფერი აქვთ ნათქვამი.

რქაწითელის ფრიად საყურადღებო დახასიათება აქვს ლ. ჯორჯაძეს, რომელიც სხვა ყველა ავტორს გამოჰპარვია: მისი სიტყვით, რქაწითელის „ვაზი არის ორ-გვარი ჯიშისა: პირველსა ჰქვია მამალი რქა-წითელი. რომელმაც იცის თხელი მტევანი და წვრილი მარცვალი. ეს ყურძენი წვენს თუმცა ნაკლებს იძლევა, მაგრამ ღვინოს კარგს აყენებს“-ო. „მეორე ჯიშის ვაზსა ჰქვია დედალი რქა-წითელი. ამან იცის დიდი მტევანი და მსხვილი მარცვალი, წვენს ბევრს იძლევა და ღვინო საშუალო თვისებისა იცის“-ო (მევენახეობა, 32).

ლ. ჯორჯაძის დაკვირვებით, „რქა-წითელს უყვარს ქვიშიანი ადგილი“, ამას გარდა, მისი გაშენება „სჯობია ცხელი ადგილის ვენახებში“-ო (იქვე, 32).

მევენ.-მელვინ. ინსტიტუტის ცნობით, დედალი რქა-წითელი-ცა და მამალი რქა-წითელი-ც კახეთის ყველა სოფელში ყოფილა გავრცელებული. ამასთანავე, ჩვეულებრივი მწვანე რქა-წითელი-ს გარდა, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, თითქოს წითელი რქაწითელი-ც ყოფილა. მათი ჯიშებრივი იგივეობის საკითხი ჯერ გამოსარკვევია, რათგან იგივეობა მეტად სათუთა.

2. რქა-ხელია ყურძნის ჯიშის სახელად გარე-კახეთში გვხვდება. იოს. მკედლიშვილის ცნობით „თეთრი ყურძენია. ხშირი, თამამი რქა აქვს წითელი ფერისა. მისი რქა ხშირად ძირზე უფრო მსხვილია ხოლმე და თვისებით ბუერას ჰგავს. ყურძენს თხლად ისხამს. მრგვალი, მსხვილი, უწიბწო მარცვალი აქვს. ამ ყურძნისაგან მურაბას აკეთებენ“-ო.

3. ბუერა-ვაზი (გეევსკისა და შარერეს შეცდომით „ბურავაზი“ „нурвази“ აქვთ დაბეჭდილი და ეს შეცდომა ზელინსკისაც აქვს გამეორებული (Свод МИЭБГКЗК, IV, 54), როგორც ფირალოვსა და შავერდოვს სწორედ აქვთ ჩაწერილი, ამაველგრაფიულად სრულებით აღწერილი არ არის. ზემოდასახლებულ ავტორებს ნათქვამი აქვთ მხოლოდ, რომ თუმცა თვით ვაზი ნაყოფიერია, მაგრამ ყურძენი საუფინოდ

არ ვარგა. რათგან მისგან სუსტი, წყალ-წყალა და უსურნელო ღვინო დგებოა (ТрКОНСХ, 1336 წ., № 12, გვ. 826 და С6СвВгВдК, VII, 41).

სამწუხაროა, რომ ამ ჯიშისათვის ზემოაღნიშნულ აგრონომებს არავითარი ყურადღება არ მიუქცევიათ იმისდა მიუხედავად, რომ ამ ჯიშის სახელი უნებლიედ ყურადღებას იპყრობს.

ბუერა-ვაზს გარდა ამ ყურძნის ჯიშის სახელად, იოს. მკედლიშვილის ცნობით. მარტივად ბუერა-საც ხმარობენ, მაგ., გარე-კახეთში ს. კაკაბეთში. იგი თურმე „გაბუერული ბუჩქივით იზრდება. მისი ლერწი ღია ფერისაა, ფოთოლი მხარგრძელის ოდენა, მაგრამ მრგვალი აქვს. მისი მტევანიც მხარგრძელისას წააგავს, მხოლოდ ხშირად კუმში მტევანი იცის. მარცვალი მრგვალი, მსხვილი და ხორციანი აქვს. ბუერა სამნაირია: თეთრი, ყვითელი და მწვანე. ყვითელი თითქმის რქაწითელისთანა ღვინოს იძლევა. ბუერას ყურძენი საკმელად უგემურია. თეთრი და მწვანე სახესხვაობა ღვინოსაც მდარეს იძლევა. საერთოდ ბუერას ღვინო არ ინახება, ამიტომ ყურძენს საწნილედ ხმარობენ, ან და მის ტკბილს ჩურჩხელისათვის ხმარობენო“. იოს. მკედლიშვილის განმარტებით, „ბუერას სახელი წარმოსდგა იქიდან, რომ გაბუერული ბუჩქი იცის ბუსავით, მარცვალის და მტევანის სწორედ ბუს მიუგავსო“.

4. ხიხვი თეთრი ყურძნის ჯიში იყო, კახეთში სხვებზე უფრო ადრეულად და ძალიან ნაყოფიერ ვაზად ითვლებოდა, ტკბილი მარცვალი ჰქონდა. ხიხვისაგან უადრესად ნაზი და წმინდა ღვინო დგებოდა. გევესკისა და შარარეს 1886 წ. აღნიშნული აქვთ, რომ ხიხვის ჯიში კახეთში ნაცრისაგან უკვე მოსპობილი იყო. ფირალოვსა და შავერდოვს ამ ჯიშის სახელის მეტი არაფერი მოუპოვებათ (ТрКОНСХ, 1886 წ., № 12, გვ. 825—826 და С6СвВгВдК, VII, 41). მით უფრო სამწუხაროა, რომ ამ აგრონომებმა იმდენად თავი არ შეიფუხეს, რომ ხიხვის სრული ამპელოგრაფიული აღწერილობა მაინც შეედგინათ.

როდესაც ყურძნის ჯიშების ქართული სახელების შესწავლამ და ანალიზით მოპოვებულმა შედეგმა დამარწმუნა, რომ ხიხვი და ხემხო და ხემხო ერთიდაიგივე და ერთიდაიმავე ვაზის ჯიშის სახელები უნდა იყოს, ოღონდ დროთა განმავლობაში ფონეტიკურ ცვლილებათა გამო ერთმანერთისაგან განსხვავებული, მაშინ ხიხვისა და ხემხო-ს ამპელოგრაფიული აღწერილობა ჩემთვის აუცილებლად საჭირო შეიქმნა. ამ სახელების ანალიზმა დამარწმუნა, რომ ამ ვაზის ჯიშის სახელწოდება მისი ლერწის ფერის აღმნიშვნელია. ამ დასკვნის სისწორის შემოწმება, რა თქმა უნდა, მხოლოდ ხიხვისა და ხემხო-ხემხუს ამპელოგრაფიული აღწერილობის საშუალებით შეიძლებოდა. ამიტომ ხიხვის თვისებათა შესახებ ყველა ცნობის გაგება რომ ტფილისში შეუძლებელი შეიქმნა, მივმართე აგრონომ გ. ოვჩარენკოს, რომლისგანაც თელავითგან ხიხვის სრული ამპელოგრაფიული აღწერილობა მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

გ. ოვჩარენკოს აღწერილობა აქვე სიტყვა-სიტყვით მომყავს ისევე. როგორც თვით მასვე ქართულად მოწერილ ცნობაში აქვს: „ხიხვის ლერწი ნაცრის ფერისაა, ფოთოლი თითქმის გამოუჭრელია, ოდნავ მოგრძო და ხუთყურბიანია. ფოთოლი დიდია, ქვევიდან ბუსუსიანია. ახალ ფოთოლს ბუსუსები აჩნია ზევიდანაც. მტევანი პატარაა და თხელი, მომრგვალო და მოკლე. მარცვალი საშუალო, თხელკანიანი აქვს. მარცვლის ფერი მომწვანოა, მწვანეზედ ოდნავ

ბაცი, ერთ მხარეზედ ნაცრისფერი ლაქა ემჩნევა, მარცვალი მკვივანია. ადრე ყვავის და ადრეც მწიფდება. პიულას კლასიფიკაციით, ეკუთვნის მეორე პერიოდს. ავადმყოფობს რქაწითელზედ უფრო მეტად, მისი ნაყოფიერება საშუალოზედ დაბალია, დაახლოვებით 300 ფუთია. საუკეთესო ჯიშია მაგარი ღვინოებისათვის: კახური ტიპის ღვინო კარგი დგება, როგორც წმინდა, ისე ნარევი სხვა ჯიშის ღვინოებთან. შერჩენილია კარდანახში, ბაკურციხეში, სადაც გვხვდება მცირე რაოდენობით. კარდანახის სახელმწიფო მამულში გაშენებულია ორი ჰექტარი ხიხვის ჯიში, რომელიც ნამყენია 4 წლის“ (1931 წ. 30. X).

5. მხარგრძელი-ს ყურძნის ჯიშის სახელი, როგორც შეგნის, ისევე გარე-კახეთშიც არის გავრცელებული. იოს. მკედლიშვილისაგან გარე-კახეთში შეგროვილი ცნობითგან ირკვევა, რომ მხარგრძელის ვაზის „რქა რუხი ფერისაა, საფერავისაზე ოდნავ მომცრო, ხუთყურიანი ფოთოლი აქვს. დიდი და ხშირად კუმში მტევანი იცის და, როგორც მისი სახელითგანაც ჩანს, მტევანს გრძელი მხრები აქვს. მარცვალი თეთრი, მსხვილი და ხორციანი ასხია. გემოთი მაინც-დამაინც ძალიან ტკბილი არ არის. მისი შენახვა სრულებით შეუძლებელია. ხმარობენ საკმელადაც და საჩურჩხლე-ჩამიჩადაც აშრობენ თონეში“-ო.

მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით, ზემოხსენებული შავი მხარგრძელის გარდა, კიდევ ორი, თეთრი და ყვითელი მხარგრძელი-ც ყოფილა: თეთრი ს. გურჯაანში, ყვითელი ს. ნანიანში. ამას გარდა, ამავე დაწესებულების სიაში სოფ. კაქრეთში მხარგრძელისეული-ც არის ყურძნის ჯიშის სახელად მოხსენებული.

6. კუმსი („кумси“: გევესკი-შარრერი; „кумсы“: ფირალოვ-შავერდოვი) აგრონომებს ამპელოგრაფიულად აღწერილი არა აქვსთ. ნათქვამია მხოლოდ, რომ ეს ყურძენი თუმცა ნაყოფიერთაგანია, მაგრამ იმ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაგანაც წყალწყალა, სუსტი და უსურნელო ღვინო დგებაო (ТрКОНСХ, 1886 წ., № 12, გვ. 826 და СбСвВгВдК, VII, 41).

კუმსი-ს მოკლე დახასიათება ერთ უსახელო ნაშრომში მოიპოვება. მისი სიტყვიტ კუმსის ვაზი ძლიერად იზრდება, მტევანი დიდი და შეკუმშულია. თვით ეს ყურძნის ჯიში ძალიან ნაყოფიერია, მეტადრე ს. ყვარელსა და მის მიდამო სოფლებშიო (Очерк Виноделия Кавказа: СбСвК, III, 228).

იოს. მკედლიშვილის ცნობით, გარე-კახეთში ამ ყურძნის ჯიშს კუმშა ეწოდება. „მისი რქა სადა და წითელი ფერისაა, ფოთოლი ბუდეშურისას მიუგავს. თეთრი ყურძენია და მეტისმეტად კუმშა მტევნები იცის, მარცვალი პარტალისას მიუგავს. კუმშა არც საკმელად ვარგა, არც ღვინოდ. ამყამად ძალიან იშვიათად და ცოტადა მოიპოვება“-ო.

7. მოკლე-მტევანა, მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით, კახეთში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთაგანია, მაგრამ მისი არც აღწერილობა და არც გავრცელების არე აღნიშნული არ არის.

8. მცვივანი (ასე აქვსთ ლ. ჯორჯაძეს მევენახეობაში, გვ. 33, და რ. ერისთავს ბოტ. ლექსიკ., 67—69. გევესკისა და შარრერს შეცდომით მცვივანე „Мицвиване“ აქვთ დაბეჭდილი) ყურძნის თეთრი ჯიშია. ვაზის ერთწლიან რქას მონაცრისფერო, მწვანეს მსგავსი, ფერი აქვს. ფოთოლი ღრმად დაკბილული. სუსტად იზრდება. მტევანი, თავკვერის მსგავსად, დიდი, წოწოლა და ძალიან

კუმსი (очень плотная) აქვს. მარცვალი მრგვალი, წვრილად დაწინწკლული ასხია, რომელიც დამწიფებისას იმდენად გამჭვირვალე ხდება, რომ შიგ მყოფი ხუნწკალები მოჩანან. „თხელი ჩენჩო“, ანუ კანი აქვს. მარცვალს ბევრი წვენი აქვს, რომელიც მწკლატე, ოდნავ მომყავთა. ამ ჯიშის ყურძნისაგან ნაზი და ძალიან კარგი ღვინო დგება. დამწიფდება თუ არა ყურძენი, მარცვალი მტევანს ადვილად სცივდება, ამიტომ მისი ადრე დაკრეფაა საჭირო (ლ. ჯორჯაძე, მევენახეობა, 33 და ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 826).

მცვივანზე ფრიალ საყურადღებო ცნობები ლ. ჯორჯაძეს მოეპოვება. სამწუხაროდ, არც ერთს მერმინდელ ავტორს ამ საგულისხმოდ ცნობებით არ უსარგებლა. ლ. ჯორჯაძის სიტყვით, მცვივანი „არის ორგვარი ჯიშისა: პირველსა ჰქვიან მამალი მცვივანი, ამან იცის თხელი მტევანი და წვრილი მარცვალი, და მეორე ჯიშსა ჰქვიან დედალი მცვივანი, ამან იცის უფრო ხშირი და მსხვილი მარცვალი და დიდი მტევანი და წვენსაც ბევრს იძლევა, მაგრამ პირველმა ჯიშმა უფრო კარგი ღვინო იცის და მეორემ მდარე, თავღვინოს კი არც ერთი არ დააყენებს. ხოლო ყველა ყურძნის ჯიშზედ მცვივანმა უფრო ბევრი წვენი იცის“-ო (მევენახეობა, 33).

ნიადაგისადმი დამოკიდებულების მხრივ „მცვივანის ვაზსა უყვარს მსუქანი შავი მიწა, ხოლო თიხა-მიწის ნიადაგზედ უფრო კარგი ღვინო იცის“-ო. მაგრამ „რათგან ამისმა ყურძენმა ადრე იცის მოწვევა, ამისათვის სჯობია ამ ვაზის გაჩენა გრილი ადგილების ვენახებშია, სადაც გვიან მოიწვევა ხოლმე ყურძენი“-ო (იქვე, 33) და მარცვალი ისე არ დასცივია.

გასაოცარია, რომ ფირალოვსა და შავერდოვს მცვივანზე არაფერი აქვთ ნათქვამი. ასეთი მღუმარება რომ ამ ყურძნის ჯიშის სრულიადი გაქრობით არ აიხსნება, ამას იოს. მკედლიშვილისაგან მოწოდებული ცნობაც ამტკიცებს. მისი სიტყვით გარე-კახეთის ს. კაკაბეთში მცვივანი ეხლაც მოიპოვება.

9. თეთრი თავჯვერი გარე-კახეთში მოიპოვება. იოს. მკედლიშვილისაგან ჩამოტანილი ნიმუშის მიხედვით, მას ფოთოლი ხუთყურძიანი აქვს. თეთრი თავჯვერი „ღვინოსათვის არ ვარგა, ხმარობენ საკმელად და საჩურჩხლედ“-ო.

10. ცხენის-ძუძუ გარე-კახეთში, იოს. მკედლიშვილის ცნობით, ამჟამად ძალიან ცოტადა მოიპოვება. მას თითქოს უბაყლური-ც ეწოდება. ამ ყურძნის ჯიშის რქა ღია ფერისაა, ფოთოლი მწვანისას მიუგავს. საშუალო სიდიდის, ან დიდ მტევანს იხსამს. მარცვალი ცხენის-ძუძუს მიუგავს და თეთრი ყურძენია და ერთი წიბწა აქვს მარცვალში. საკმელად ტკბილია, მაგრამ ღვინოდ არ დააყენებენ. კარგია ჩამიჩად და ჩურჩხელადაო.

მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით კი უბაყლური და ცხენის-ძუძუ სხვადასხვა ყურძნის ჯიშია. ხოლო ცხენის-ძუძუ ორნაირი ყოფილა: არსებობს მწვანე და ყვითელი ცხენის-ძუძუ.

11. თითას ვაზი ძლიერად იზრდება. მტევანი ჩამოგრძელებული და საშუალოდ მოზრდილი აქვს. მარცვალი მსხვილი და თითის მსგავსად მოგრძო ასხია, დამწიფებისას ყვითელ-მომწვანო ხდება, ხორციანია და ძალიან ტკბილი. საუკეთესო საკმელ ყურძნად ითვლება, ამასთანავე ადრე მწიფდება ისე. რომ შუა აგვისტოთგან მოყოლებული ენკენისთვის დამლევამდე უკვე მწიფეა ხოლმე (გვეესკი-შარბერი, ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 827 და ფირალოვ-შავერ-

ლოვი, С6СвВгВдК, VII, 41). იოს. მკედლიშვილისაგან შეკრებილი ცნობით გარე-კახეთში თითას ჯიში ამჟამად ნაკლებად არის გავრცელებული.

მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით კი კახეთში ყველა სოფელში მოიპოვება თითა — თეთრი-ცა და ყვითელი-ც, რომელთა გავრცელების არე აღნიშნული არ არის. ამას გარდა, ს. ხაშში თურმე თითა ბუდეშური-ც ყოფილა.

12. ხარისთვალა, შავ სახესხვაობას გარდა, თეთრიც არსებობს და ყველა იმ თვისების მქონებელია, რომელიც შავი ხარისთვალას შესახებ გვქონდა უკვე ნათქვამი (იხ. აქვე, გვ. 417—418).

13. ნაბადა მწვანე, მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით, ს. თოღლაურში ყოფილა გავრცელებული.

14. ჭრელ-ყურძენა, იმავე დაწესებულების ცნობით, ს. იყალთოში ყოფილა.

15. მწვანე ყურძნის თეთრ ჯიშთაგანს ეკუთვნის. ვაზის ერთი წლის რქას ნაცრის ფერი („СИЗНИ“) აქვს. თვით ვაზი ტანს ვერ იყრის და მხოლოდ კარგ ნიადაგზე და განსაკუთრებული მოვლის წყალობით იზრდება, საფერავის მსგავსად. ფოთოლი ფართო, მომრგვალო, ოდნავ დაკბილული და ქვევითგან ბუსუსიანი აქვს. მტევანი საშუალო სიდიდის, ბურძღენიანი და მეჩხარი იცის. მარცვალს საშუალოდ მომცროს, კვერცხებრივს ისხამს, მაგრამ მწვანეს ერთი, მკენარად წოდებული, სახესხვაობაც არსებობს, რომელსაც მრგვალი მარცვალი აქვს. დამწიფებისას მარცვალს კანი მომწვანო უხდება, ყურძნის წვენი ბლომადაა, თანაც ტკბილი და სურნელოვანია. მწვანე საკმაოდ მოსაველიანი ჯიშია, მაგრამ მეტად ნაზია და გვალვისა და სიცივისაგან ისევე, როგორც ნაცრისაგან ადვილად ზიანდება.

მწვანესაგან საუცხოვო, მაგარი და სურნელოვანი ღვინო დგება. მისი ღირსება იმდენად დიდია, რომ სხვა ჯიშების. ტკბილის გასაუმჯობესებლად იხმარება და მისი ღვინო ყველაზე უფრო ძვირად ფასობს (გვევსკი-შარარერი, ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 825 და ფირალოვ-შავერდოვი, С6СвВгВдК, VII, 39—40).

მწვანეს შესახებაც ლ. ჯორჯაძეს რამოდენიმე საყურადღებო ცნობა მოეპოვება, რომელიც სხვებს არა აქვთ. მისი სიტყვით მწვანეს „ზოგნი უწოდებენ მკენარასა და ზოგნი საფენასა. მისი ვაზი არის ფრიად ნაზი, როგორათაც საფერავის ვაზი“. მწვანემ „ყურძნის მარცვალი იცის მოგრძო და თხელი ჩენიონიანი“—ო. ამ ავტორსაც აქვს აღნიშნული, რომ იმას გარდა, რომ მწვანესაგან საუცხოვო ნაზი და სურნელოვანი ღვინო დგება, „თეთრი ღვინის დასაყენებლათ, თუნდა სხვა ჯიშის ყურძნის წვენი იყოს, მწვანე ყურძნის ჭაჭა ფრიად უხდება და კარგს ღვინოსაც აყენებს“—ო (მევენახეობა, 32—33).

ლ. ჯორჯაძის დაკვირვებით, „მწვანე ყურძნის ვაზსა უყვარს ცხელი და თიხა-მიწიანი ნიადაგი, ქვიშიან ნიადაგში კარგად არ გვარობს. ამასთან, ამ ვაზისა კარგი ყურძენი გამოდის, როგორათაც ცხელ ადგილებში, ეგრეთვე გრილში, და ღვინოსაც კარგს აყენებს. ცხელს ადგილებში კი უფრო თავღვინოს აყენებს“—ო (იქვე, 32—33).

მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით, ჩვეულებრივ მწვანეს გარდა, ს. იყალთოში თურმე ყვითელი მწვანე-ც არსებობს, ხოლო ს. თოღლაურში წობენური მწვანეც ყოფილა.

16. თეთრი ყურძენი ეწოდება ერთ ჯიშს, რომელიც, მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით, თურმე ს. გურჯაანში მოიპოვება.

17. ღრუბელა ს. მანავში ყოფილა გავრცელებული (მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობა).

18. ოქროს-ყურძენი ჰქვიან კახეთში ერთ ჯიშს, რომლის არც აღწერილობა და გავრცელების არე მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობაში აღნიშნული არ არის.

19. უცნობ ავტორის კახეთში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშებს შორის ძუვანი („Дзувани“) და

20. ძობენური-ც აქვს დასახელებული („Дзобенური“). ძუვანზე ნათქვამია, რომ მისი ვაზი ძლიერად იზრდებოდა. მარცვლები თითქმის უხუნწკალო ჰქონდა და მეტადრე ყვარელში და მის მიდამო სოფლებში იყო გავრცელებული (Очерк виноделия Кавказа: СбСвК, III, 228).

ამავე ავტორის სიტყვით, ძობენური-ს ვაზი ძლიერად იზრდებოდა და კარდანახსა და მის მიდამო სოფლებში იყო გავრცელებული. ამ ყურძნის ჯიშისაგან მდარე ღვინო დგებოდა თურმე (იქვე, გვ. 228).

გევესკისა და შარრერს ძობენური არ მოეპოვებათ ისევე, როგორც არც ფირალოვისა და შავერდოვის ნაშრომში ჩანს, აქვთ მათ მხოლოდ ძუვალი („Дзували“: ТрК(ССХ, 1886 წ., № 12, გვ. 826) და ძუვანი („Дзувани“: СбСвВгВдК, VII, 41), რ. ერისთავს თავის ბოტანიკურ ლექსიკონში არც ძუვალის, არც ძუვანის სახელი არ მოეპოვება. სამაგიეროდ მას ძობენური აქვს შეტანილი ამ ჯიშის სადაურობის აღუნიშნავად (ბოტ. ლექსიკ., 67—69)⁸⁹.

ადგილობრივ შემოწმებულ ჩანაწერს წარმოადგენს რ. ერისთავისაგან მოყვანილი სახელი, თუ სხვა წყაროებში რუსულად მოყვანილი სახელის მხოლოდ ქართული ტრანსკრიპციაა, არა ჩანს.

გარე-კახეთში, იოს. მკედლიშვილის მიერ ს. კაკაბეთში შეკრებილი ცნობით, ძობენური კი არა, წობანური ეწოდება ერთ ყურძნის ჯიშს, რომელმაც „მწვანის ყაიდის მტევნები იცის და წვრილ, თეთრ მარცვალს ისხამს. საკმელად ძალიან ტკბილია. თავკვერის შემდეგ იწევა და იძლევა კარგ ღვინოს“—აო.

წობენური მწვანე, მევენ.-მელვინ. ინსტიტ. ცნობით, თოლლაურში ყოფილა.

21. ბუდეშური მძლავრად იზრდება, ვაზის ერთი წლის რქას მოწითანონაცრისფერი აქვს. მისი ფოთოლი მსხვილი, საკმაოდ დაკბილული და ქვევითგან გლუვია. მტევანი, გევესკისა და შარრერის დახასიათებით, საშუალო სიდიდისა აქვს. ფირალოვ-შავერდოვის სიტყვით კი დიდმტევნიანია. მარცვალი საკმაოდ წვრილი და კვერცხებრივი ასხია. ბუდეშური ძალიან მოსავლიანი და კახეთში ყველაზე ადრეული ყურძნის ჯიშია: გაზაფხულზე რვა დღით სხვებზე ადრე გამოაქვს ხოლმე კვირტი. ბუდეშურისაგან მეტად სურნელოვანი და ძალიან გემრიელი მოტკბილო ღვინო დგება, მაგრამ გამძლე არ არის. იოს. მკედ-

⁸⁹ ზელინსკის თავის კომპილაციურ ნაშრომში Сборник сведений о Кавказе-ს III წიგნის (გვ. 228) დამოწმებით კახეთის ყურძნის ჯიშთა შორის ძობენური («дзобенური ღობენური» sic!!!) და ძუვანი-ც „дзувани ღზუვანი“, sic!!! აქვს დასახელებული (იხ. Свод МИЭБГКЗК, IV, 54). რაკი მის წყაროში მხოლოდ რუსულად არის სახელები მოყვანილი, ამიტომ ზემოთყვანილი ამ ყურძნის ჯიშების ქართულად უოვლად უეცად დაწერილი სახელები თვით ზელინსკის ნასიბრძნი ყოფილა.

ლიშვილის ცნობით კი, ბუდეშური, თუმცა უფრო მდარე ღვინოს იძლევა, მაგრამ „საჰმელად მწვანეს სჯობია, შესანახავადაც კარგია, და ინახვენ კიდევაც“-აო.

ნიადაგის პირობებისდა მიხედვით, ბუდეშურის თვისება იმდენად იცვლება, რომ ლონიერსა და დამუშავებულ მიწაზე დიდმტევნიანი და იმდენად მსხვილმარცვლიანი ხდება, რომ თითაჲსაგან ძნელი გასარჩევია ხოლმეო (გეევსკი-შარერ, ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 826 და ფირალოვ-შავერლოვი, С6СВВгВдК, VII, 40).

ლ. ჯორჯაძის დახასიათებით, „ბუდეშურის ყურძენი მიემგზავსება მწვანე ყურძენსა და ვაზიცი იმისთანა არის ნაზი, ხოლო ამან უფრო მომეტებული წვენი იცის და სიტკბო მწვანე ყურძენზედაც ნაკლები“ აქვს (მევენახეობა, 33).

ამავე ავტორის დაკვირვებით, ბუდეშურს „ნიადაგი უყვარს შავი სუქანი ქვიშა-ნარევი, ხოლოთ თიხა-მიწის ნიადაგისა უფრო კარგს ღვინოს აყენებს“-ო (იქვე, 33).

22. ქიშური ჯიშის ვაზის დამახასიათებელ თვისებაზე გეევსკისა და შარერს ორიოდ სიტყვა აქვთ ნათქვამი, ფირალოვსა და შავერლოვს ქიშურის ხსენებაც კი არ მოეპოვებათ. ქიშური ყურძენის მტევანი მოგრძო და ძალზე შემკიდრობებულია. მარცვალი საშუალო სიდიდისა და მოგრძო, თეთრი, ხორციანი და ძალიან ტკბილი ჰქონია (ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 827).

იოს. მკედლიშვილის ცნობით, გარე-კახეთში ქიშურა-ს ეძახიან. იგი „თეთრი ყურძენია, დიდი, კუმში მტევანი იცის. როცა მწიფდება, მარცვალს ნახევარი გვერდი უწითლდება. მსხვილი მარცვალი აქვს, ბუერას მსგავსი. ვარგა ჩურჩხელად და ჩამიჩად“-ო.

23. ოქიური თეთრი, გეევსკი-მელვინ. ინსტ. ცნობით, ს. იყალთოში ყოფილა გავრცელებული.

24. უბაკლური ყოფილა, გეევსკი-მელვინ. ინსტ. ცნობით, ჩვეულებრივიცა და ყვითელიც, მაგრამ გავრცელების არე აღნიშნული არ არის.

25. გააზურა, იმავე დაწესებულების ცნობით, კახეთში ყურძენის ჯიშის სახელად იხმარება, მაგრამ არც ფერი და არც გავრცელების არე აღნიშნული არ არის.

26. შირაზული: ჰ. გიოთე-ს თავის ამპელოგრაფიის სახელმძღვანელოში (H. Goethe, Handbuch der Ampelographie, 2. Aufl., Berlin, 124) და პროფ. V. Pulliat-ს თავის „Mille variétés de vignes description et synonymies“-ში (Paris, 3-jème édition, 1886 წ., 344) თეთრი ყურძენის ჯიშის ერთი სახელი Schiradzuli „შირაზული“ და მისი აღწერილობა აქვთ მოყვანილი. ამ წყაროებთგან ამოღებული ცნობა მოთავსებულია H. Goethe-ს საკმელი ყურძენის მომწინებლობის სახელმძღვანელოშიც „Handbuch der Tafeltraubenkultur“ (1894 წ., Berlin, 79).

ზემოდასახელებული ავტორების სიტყვით, ამ ყურძენის ჯიშის ფოთოლი დიდი და ორთავე მხარეზე გლუვია (glabre sur les faces), საყურიანი და ვიწროდ დაკბილულია. მტევანი დიდი ანდა საშუალო სიდიდისა იცის, ცილინდრულ-კონუსებრივი მოყვანილობის, ზოგჯერ ოდნავ ბურძღენიანი, ოდნავ კუმსია (peu serrée). მარცვალი მსხვილი, გრძელი, უსწორო, ელიფსისებრივი (de forme ellepsoide irrégulière), ანდა რკოსმაგვარი (eichenförmig), სქელკანიანი ასხა. მარცვალი თეთრი ფერისაა, მზისაკენ მიპყრობილი გვერდი ქარვის ფერად ხდება ხოლმე.

ხორცი საკმაოდ ნაზი, ტკბილი და გემრიელია. ყურძენი გვიან მწიფდებაო (V. Pulliat, Mille variétés de vignes, 344 და H. Goethe, Handbuch der Tafeltraubenkultur, 79).

ზემოაღნიშნულ ავტორებს ეს ყურძნის ჯიში სპარსულად მიაჩნიათ (Pulliat: „Perse“, H. Goethe: „Wunderschöne persische Tafeltraube“ „საუცხოვო სპარსული საკმელი ყურძენი“-აო). გერმანულად მას Schirastraube-ს, ე. ი. შირაზის ყურძენს უწოდებენ (იქვე), შირაზი კი სპარსეთს ეკუთვნის. ამ თვალსაზრისით ეს ყურძნის ჯიში თავისი თავდაპირველი წარმოშობილებით, რა თქმა უნდა, სპარსეთის ყურძნის ჯიშადაა მისაჩნვეი. მაგრამ, შეუძლებელია, რომ შირაზული, თუ შირაძული ამ ჯიშის სპარსული სახელი ყოფილიყო, ან იყოს ესლაც. სპარსულად შირაზულს შირაზი شیرازი ეწოდება და ამ ყურძნის ჯიშის სახელი რომ მართლაც სპარსული ყოფილიყო, მაშინ მას აუცილებლად შირაზი ერქმეოდა. სადაურობის აღსანიშნავადაც და ისედაც ული სუფიქსი სპარსულს არ გააჩნია და ამიტომ ეს სახელი არც შეიძლება, რომ ამ ყურძნის ჯიშის სპარსული სახელი იყოს. ცნობილია, რომ ური და ული ქართულშია სადაურობის აღმნიშვნელ სუფიქსად, რომელშიც ამ ცნების გამოსახატავად სხვა სუფიქსი არ მოიპოვება. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ შირაზული მართლაც შირაზული ყურძნის ჯიშს ჰქონდა, მაგრამ სპარსულად კი არა, არამედ ქართულად. ყურძნის ჯიშის ეს სახელი რომ მართლაც ამიერკავკასიასა და საქართველოსთან არის დაკავშირებული იქითგანაც ხდება საფიქრებელი, რომ ამ ჯიშის სინონიმად თეთრი განჯური-ც ყოფილა („Blanc de Gandja var. Schiradzouli“: V. Pulliat, Mille variétés de vignes, 35). როგორც ჩანს, განჯური-ც შირაზული ყურძნის ჯიში ყოფილა.

შირაზული-ს სახელის ქართულობა ცხადყოფს, რომ ეს ყურძნის ჯიში ოდესღაც საქართველოში შემოუტანიათ და აქ გაუადგილობრივებიათ. XIX—XX ს. არსებულ წყაროებში შირაზული ყურძნის ჯიშის სახელად საქართველოში არსად მოხსენებული არ არის. გამოსარკვევია, შერჩენილია სადმე თუ არა ესლა, თუ ამჟამად აღარსად არის და XIX ს-შიც აღარ არსებობდა. თუ Comte Odart-საც, რომელსაც პროფ. V. Pulliat-სთვის შირაზული-ს ყურძნის ჯიშის სახელი და აღწერილობა მიუწოდებია, ეს ყურძენი მისი სახელწოდებითურთ მართლაც სპარსეთში უნახავს და გაუგონია, მაშინ ამ სახელის ქართულობის ძალით უნდა დავასკვნათ, რომ ძველად შირაზითგან საქართველოში გადმონერგილ-გაადგილობრივებული დროთა განმავლობაში იმდენად შეცვლილა, რომ განსხვავებულ ჯიშად, თუ სახესხვაობად ქცეულა და მერმე თავისი ქართული სახელითურთ ეს ყურძენი ესლა უკვე საქართველოთგან კვლავ სპარსეთში ყოფილა შეტანილი.

27. არაგვისპირული-ც ყურძნის ამ ჯიშის სადაურობის გამომჟღავნებელი სახელის მქონებელია. უეჭველია გარკვეულ ჯიშად პირველად იგი არაგვის პირას უნდა იყოს ჩამონაკეთილი და იქითგან იქმნება შემდეგ სხვაგანაც გავრცელებული.

არაგვისპირული ამპელოგრაფიულად აღწერილი არ არის. გევესკისა და შარრერს ნათქვამი აქვთ მხოლოდ, რომ იგი წყალ-წყალა, სუსტი და უსურნელო ღვინის მომცემ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის და ამასვე იმეორებენ ფირალოვ-შავერდოვი, რომელთა ნაშრომშიც ეს სახელი შეცდომით არის და-

ბეკლილი (ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 826. Счерк виноделия Кавказа-ში: „Аракес-пирули“ С6СвК, III, 228 და С6СвВгВдК, VII, 41: „аракис-пирули“).

28. პარტალა კახეთში არც ერთ ავტორს აღნიშნული არა აქვს, მაგრამ ქართლში მისმა არსებობამ და თავისებურმა სახელმა დამაინტერესა. ამიტომ ამ ჭიშის გავრცელების არეს შემოწმებას შევეუდექი, რისთვისაც სხვადასხვა პირების დახმარებით ჩემთვის საჭირო ცნობები შევეგროვე. ამ გზით გამოირკვა, რომ პარტალა-დ წოდებული ყურძნის ჭიში კახეთშიც, სახელდობრ გარე-კახეთის ს. კაკბეთშიც ყოფილა. იოს. მჭედლიშვილის ცნობით, „პარტალა თეთრი ყურძენია. ერთი წლის რქა სიგრძეზე, წვრილად დაღარულია, თანაც აქა-იქ მუქად უსწოროდ დაწინწკლულია. ფოთოლი ბუდეშურისას მიუგავს, მწვანე, სამყურიანი და დაკბილულია. ხშირად, ჭორფლიანი მარცვალი აქვს, საფანტის მსგავსი, მრგვალი. მტევანი არ იცის კუმში: ჩვეულებრივ გაფარჩხულია და მხოლოდ იშვიათადაა კუმში. დიდი და გრძელი მტევანი იცის. ამ ჭიშის ყურძენი საკმელადაც არ ვარგა და არც ღვინოს იძლევა კარგს“-აო.

29. მკვარტალა ყურძნის ჭიშის სახელად გარე-კახეთში არის შერჩენილი. იოს. მჭედლიშვილის ცნობით, „მკვარტალა პარტალას ჭიშის ყურძენივით და პარტალასაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ჭორფლიანი, ან მკვარტლიანი მარცვალი აქვს“-ო.

30. ადრეული კახეთშიც და ტფილისისა და ქართლის სანახებშიც იყო გავრცელებული. მისმა ვაშმა საკმაოდ ძლიერი ზრდა იცის, მტევანი დიდია, მაგრამ მაინცდამაინც კუმში არა აქვს, მარცვალი ქარვის ფერისაა, მრგვალი და საკმაოდ მსხვილია. საკმელი ჭიშია და აგვისტოს დამდეგისათვის უკვე მწიფდება (გევესკი და შარაერი, ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 827). ფირალოვსა და შავერდოვს არ მოეპოვებათ.

31. სააბი თეთრი, რაკი ამ ყურძნის სპარსული ჭიშის შავი სახესხვაობაც არსებობს, ამიტომ ამ ყურძნის ზოგად თვისებათა დახასიათება ყურძნის შავსა და წითელ ჭიშებში უკვე მოთავსებული იყო (იხ. აქვე, გვ. 419).

32. ჭიშიში-ს რამდენიმე სახესხვაობა არსებობდა კახეთსა და ქვემო ქართლში, მაგრამ მათ საერთო თვისებას უხუნწკალობა, უწიპწობა, უკურკობა წარმოადგენს. მარცვალი წვრილი, კვერცხებრივი, ქარვისფერი, ანდა მოვარდისფრო აქვს. ძალიან ტკბილი და ადრეული ჭიშია. გევესკისა და შარაერის სამართლიანი დასკვნით, სპარსული ჭიშია, რასაც ფირალოვი და შავერდოვიც იმეორებენ (ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 827 და С6СвВгВдК, VII, 41).

33. შაბია ეწოდება გარე-კახეთში ერთ ყურძნის ჭიშს, რომელმაც, იოს. მჭედლიშვილის ცნობით, „კუმში მტევნები იცის და მწვანეზე უფრო წვრილი მარცვალი აქვს. საკმელად პირსა კლერტამს, მაგრამ ღვინოს კარგს იძლევა“-ო მევენ.-მელვ. ინსტ. ცნობით, ს. ჩაილურში ყოფილა.

34. კნაწუნა ყურძენი თეთრი, რომლის არც თვისებისა და არც გავრცელების არეს შესახებ მევენ.-მელვინ. ინსტ. ცნობაში არაფერია ნათქვამი.

35. ლამაზა თეთრია (იმავე დაწესებ. ცნობა).

36. სულიანი-ყურძენი თეთრიცა და შავიც არსებობს (იმავე დაწესებ. ცნობა).

37. უსახელო თეთრი, ს. კონდოლში მოიპოვება.

ამას გარდა მევენ.-მელდინ. ინსტიტუტის სიაში დასახელებულია კიდევ შემდეგი 13 ყურძნის ჯიშის სახელი, რომელთა ფერი აღნიშნული არ არის.

1. სხვილთავა ს. პატარძელში
2. წვრილმარცვალა.
3. რვალ-ყურძენა ს. იყალთოში.
4. მოსავლიანი.
5. საჩურჩხლე ს. კაკაბეთში.
6. უსახელო ს. კონდოლში.
7. ასანბეგური ს. თოღლაურში.
8. დამპალა ს. ხოდაშენში.
9. სამადაშვილისეული.
10. მენჯიანთეული.
11. სიმონასეული.
12. ჩაკმაშურა.
13. ბეჟანაურა და სხვ.

§ 4. ქვემო-ქართლის, მერმინდელი ბორჩალოს, ყურძნის ჯიშები

საქართველოს ამ თემის მოსახლეობა, როგორც ცნობილია, XVIII ს. ომიანობის გამო ან ამოწყდა, ანდა აიყარა და სხვაგან გადასახლდა. მათ მაგიერ XIX ს. ერეენისა და სხვა სახანოებითგან სომხები და სხვები გადმოსახლდნენ. წინანდელი ქართულის მოსახლეობითგან აქ მცირე ნაწილი დაარჩა. ამ შერჩენილ მოსახლეობაშიც ცნობები მევენახეობაზე საგანგებოდ არავის შეუგროვებია. ამიტომ ვიცით მხოლოდ, რომ იქ საფერავი მოიპოვება. ამას გარდა საყურადღებოა სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი *ახანჯხუჩ* „კანანჩენი“, რომელიც მწვანესა ჰნიშნავს (Отчет по борьбе с филлоксерою на Кавказе в 1885 г., 132—133: Свод МИЭБГКЗК, IV, 55) და ყურძნის ცნობილი ქართული ჯიშის სახელს გვაგონებს.

§ 5. შიდა ქართლში შერჩენილი ყურძნის ჯიშები

A. ქართლში გავრცელებული ყურძნის შავი და წითელი ჯიშები

1. ძელ-შავი, „ძველ-შავი“-ს სახელწოდებით ცნობილი ყურძნის ჯიშის შესახებ, პ. ყანდურალოვს გარდა, არც ერთ აგრონომს და არც რ. ერისთავს ხსენებაც კი არ მოეპოვებათ. პ. ყანდურალოვის აღწერილობით, მისი ვაზი ძლიერ იზრდება. ერთი წლის რქა მოწითანო-მიხაკის, ანუ დარეჩინის ფერია, მუშავაზი ღია მიხაკის ფერია. ტოტები გრძელი და მსხვილი აქვს. ფოთოლი ღიდი, მომრგვალო, ხუთყურა, წვრილად და წვეტიანად დაკბილული ჰმოსია, მუჭი მწვანე ფერისაა, ზედაპირი ოდნავ, ქვედა კი ძალზე ბუსუსიანი აქვს. მტევანი საშუალო სიდიდისა და წაგრძელებული აქვს, უმეტესად ბურძღენიანი, მაგრამ ძალიან მეჩხარი არ არის, მარცვალი შავი აქვს, მსხვილი, ოდნავ

წავრძელებული და თხელკანიანი. მარცვალი ხორციანი, წვენიანი და საკმაოდ ტკბილია. წვენი მოყვითალო-მწვანე ფერისაა. თვითოეულ მარცვალში 1—2 მსხვილი, ამოზნექილი ხუნწყალია. შუა ენკენისთვეში მწიფდება. ვაზი ძალზე ნაყოფიერია, მაგრამ ყინვისა და სოკოვანი ავადმყოფობისაგან ზიანდება, ამ ყურძნისაგან მალახარისხოვანი ღვინო არ დგებაო. ეს ჯიში მხოლოდ აბანოსწყალისა და ატოცისწყლის ხეობებში ყოფილა გავრცელებული (პ. ყანდურალოვი, С6СвВгВдК, VIII, 42—43).

პ. ყანდურალოვი ამტკიცებს, რომ „ძველ-შავ“-ად წოდებული ეს ყურძნის ჯიში, ზემოდასახელებულ ადგილებს გარდა, თითქმის უცნობიაო. ამავე აგრონომის აზრით, ძველ-შავის და ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული რკოსა და თავკვერის ზოგიერთი მსგავსების გამო, შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ძველ-შავი ზემოდასახელებული ორი ჯიშის ადგილობრივი პირობების ზეგავლენით გამოწვეული გადაგვარების შედეგს უნდა წარმოადგენდესო (С6СвВгВдК, VIII, 49).

საფიქრებელია, რომ პ. ყანდურალოვის მოსაზრება ყურძნის ამ ჯიშის სახელის, ძველ-შავი-ს, გავლენით უნდა იყოს წარმოშობილი, რათგან ეს ჯიში, სახელისდა მიხედვით, შავი ყურძნის ძველ ჯიშად ეჩვენება ადამიანს. ნამდვილად კი, უეჭველია, ამ ყურძნის ჯიშის სახელი ძველ-შავი დროთა განმავლობაში დამახინჯებული უნდა იყოს. ამ ყურძნის სახელის პირველი ნაწილი რომ ზედსართავი კი არა, არამედ არსებითი სახელი უნდა იყოს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ იგი ბოლომოკვეცილია („ძველ“), წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელი იყო „ძველი-შავი“ და არა „ძველ-შავი“, როგორც მიღებულია. ყურძნის ჯიშების მრავალ ქართულ სახელში ერთი მაგალითიც არ მოგვეპოვება, რომ ჯიშის სახელის განმასხვავებელ თვისებად სიძველის ცნება იყოს გამოყენებული.

ამ ჯიშის თავდაპირველი სახელი ძელ-შავი იქმნებოდა, ძველ ქართულში ძელი, როგორც ცნობილია, ხესა ჰნიშნავდა. მისი ფონეტიკური შესატყვისობის სრული ფორმა თანამედროვე მეგრულისა და ჭანურის ხის აღმნიშვნელი სიტყვის ჯა-ს მრ. რ. ფორმას ჯალ-ეფ-სა ჯალ-ეფე-სა აქვთ დაცული ჯალი-ს სახით.

ამნაირად, ძელ-შავი ძველ ქართულში ხე-შავსა ჰნიშნავდა. ასეთი სახელი ყურძნის ამ ჯიშს იმიტომ უნდა დაჰკრძმეოდა, რომ მის მუშავაზს, როგორც დავრწმუნდით, მიხაკის ანუ დარეჩინის ფერი აქვს და ამის გამო მუქია. მამსასა-დამე, ყურძნის ამ ჯიშის სახელი ისევე ყოფილა ნაწარმოები როგორც რქაწი-თელია, სადაც განმასხვავებელ თვისებად აგრეთვე ვაზის ფერია მიჩნეული.

შემდეგში, როდესაც სამწერლობო ქართულში „ძელი“ ჯერ მოჰკრილი ხის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა, შემდეგ კი სასაუბრო ენაში სრულებით გაქრა და მხოლოდ მწიგნობრულ წრეებსღა შეჰრჩიათ, ხალხისათვის ეს სახელი სრულებით გაუგებარი გახდებოდა და, როგორც სჩვევია, მას ყურძნის ჯიშის ეს სახელი გაუაზრიანებია და „ძველ-შავ“-ად⁷⁰ უქცევია.

⁷⁰ „ძველ-შავი“-ს სახელი რომ მართლაც ძელ-შავი-საგან უნდა იყოს გაუგებრად ქცეული სიტყვის ხალხური გააზრანების წყალობით წარმომდგარი, ამის დასამტკიცებლად შემდეგი საბუთის დასახელება შემიძლიან. დაახლოებით ამ ოცი წლის წინათ ა. ი. ორბელიანმა ქსნის ხეობაში-

2. მტრედის-ფეხა ქართლში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა შორის ყანდურალოვს თუმცა დასახელებული აქვს, მაგრამ მისი ამპელოგრაფიული აღწერილობა არ დაურთავს (СбСвВгВдК, VIII, 48). სხვებს, აღრინდლებსაც, ქართლში მტრედის-ფეხას ხსენებაც კი არ მოეპოვებათ.

3. ცხენის-ძუძუ ქართლშიც მოიპოვება. სახელდობრ, ს. დილომში არსებობს ამ ცხენის-ძუძუს ჯიშის შავი სახესხვაობა. იროდ. სონდულაშვილის ცნობით, მას დიდი მტევანი აქვს და მოგრძო და მომცრო მარცვალი ასხია. უმთავრესად ჩამიჩად აკეთებენ.

4. შავი-თითა უცნობ ავტორსა და გევესკისა და შარრერს რატომღაც ქართლში თეთრ ყურძენთა ჯგუფში აქვთ მოთავსებული. მათ მხოლოდ ის აქვთ ნათქვამი, რომ შავი თითა დიდმტევნიანი, მოგრძომარცვლიანი და ყვითელ-მოვარდისფერია. ეს ჯიში თურმე ზამთარში კარგად ინახება, ღვინო კი მისგან სუსტი დგებაო (Счерк виноделия Кавказа: СбСвК, III, 250 და 253; ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843). პ. ყანდურალოვს შავი თითა არ მოეპოვება.

5. ხარისთვალას მუშავაზი ნაცრისფერ-მომიხაკისფერო, ანუ მოდარეჩინისფეროა, ერთი წლის რქა კი წითელ-მომიხაკისფეროა. მაგრამ ვარდისფერი გადაჰკრავსო. ტოტები გრძელი და მსხვილი აქვს. ფოთოლი მომეტებულად მსხვილი, ხუთყურა და წვრილად დაკბილული ჰმოსია, მომრგვალოა, ტლანქი და ღია მწვანე. ზედაპირი გლუვი აქვს, ზურგი ბუსუსიანი. მტევანი მოზრდილი, გრძელი, წოწოლა, ბურძღენიანი, ამასთანავე არც თუ კუმსი არის. მარცვალი მეტად მსხვილი, მრგვალი, სქელკანიანი და მუქი წითელი ასხია. კანს ხრაში-ხრუში გააქვს. თვითოეულ მარცვალში 2—3 მსხვილი ხუნწკალია. მარცვალი ხორციანია, მაგრამ ნაკლებაა წვენიანი. წვენი ყვითელია, მაინცდამაინც ტკბილი არ არის და მომჟავო გემო აქვს. ენკენისთვეში მწიფდება, საკმაოდ ნაყოფიერი ვაზია. მოსავალი საშუალო იცის. ყინვას კარგად ვერ იტანს, სოკოვან ავადმყოფობას კი კარგად უძლებს. ხარისთვალასაგან მდარე ღვინო დგება, რომელიც ადვილად მჟავდება კიდევ. გავრცელებულია უმთავრესად მტკვრის მარცხენა სანაპიროს სოფლებში, რუისში, ბებნისში და ურბნისში, ისევე, რო-

არსებული ძველი დღეობების აღწერის დროს სხვათა შორის მითხრა: „გამოასვენეს ძველი-პატოსანი და მთელმა ხალხმა ქულები მოიხადეს“-ო. მე მაშინვე? მივხედი, რომ ჩემი მოსაუბრე ძველ ქართულ მწერლობაში ყოველი ნაკითხისათვის კარგად ცნობილი ძელი პატოსანი-ს შესახებ მომითხრობდა. მაგრამ, რომ დავრწმუნებულეიყავ, რომ მცხოვან მოამბეს შემთხვევითი შეცდომა ეს არ მოუვლიდა, არამედ აქ ძველი, უკვე გაუგებრად ქცეული, სიტყვის ხალხური გააზრანების ერთი საგულისხმო მაგალითთაგანი იყო, შევეკითხე, რა გამოასვენეს მეთქი. მან კვლავ მომიგო: „გამოასვენეს ძველი-პატოსანი“-ო და თანაც განმიმარტა, დიდი სალიტანიე ჯვარიო. მაშინ ჩემი მოსაუბრეს მოვახსენე, რომ ძველ ქართულში ამას „ძველი-პატოსანი“ კი არა, ძელი-პატოსანი ეწოდებოდა, რომ ძელი იმ დროს ხესა ჰნიშნავდა და „ძელი პატოსანი“ „პატოსან ხე“-სა ჰნიშნავდა. რუსებაც ამას ძველად «честное древо»-ს უწოდებდნენ მეთქი. ა. ორბელიანმა მიპასუხა, მე უფროსებისაგან ასე გამოვივინა და მაშინ ყველა ასე ვეძახილიოო. მისი განმარტების სისწორე, ე. ი. „ძელი“- „ძველად“ ქცევა, რომ მისი პირადი შეცდომა კი არ იყო, არამედ, რომ თვით ხალხი უკვე ასე ხმარობდა, ჩასაკვირველია, ყოველ ექვის გარეშეა. ამნაირად ირკვევა, რომ ძელი რთულ სიტყვებში ხალხს, გააზრანების გზით, „ძველ“-ად უქცევა, რამაშასადამე, ამ ყურძნის ჯიშის სახელი მისი მარცვლის ფერის მიხედვით კი არ ჰქმევეია, არამედ თვით ვაზის „ძელის“ მუქი ფერის გამო. რაკი ასეა, ანიჭომ ამ ყურძნის ჯიშის ნამდვილი და პირვანდელი სახელი სისწორით უნდა იქმნეს აღდგენილი და ამიერაზან „ძველ-შავის“ მაგიერ უნდა „ძელშავი“ ეწოდოს.

გორც ქსნის ხეობაშიც (Очерк Виоделния Кавказа, СбСвК, III, 353.—ყანდურალოვი, СбСвВгВдК, VIII, 45—46) იყო გავრცელებული, მაგრამ ხარისთვალას ღვინის სიმდარის გამო მის ვაზს სჩებნ და თანდათან სხვა ჯიშის ვაზსა პრგავენო (პ. ყანდურალოვი, СбСвВгВдК, VIII, 45, 46, 49 და გვეესკი-შარრერი, ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843), სადაც ხარისთვალას მხოლოდ სახელია მოთავსებული, ამასთანავე თეთრი ყურძნის ჯიშებში.

6. ფერადი წითელი და შავი ყურძნის ჯიშია, დიდმტეენიანია, მარცვალი მრგვალი და მსხვილი ასხია და მოყვითან-მოშავო ფერი გადაჰკრავს. ფერადისაგან კარგი და მაგარი ღვინო ღებოდა (Очерк виоделния Кавказа, СбСвК III, 249). ფერადმა ს. დილოში, ირ. სონდულაშვილის სიტყვით, მრავალი მარცვალი იცის, რომელსაც შეთვალეებისთანავე ისეთი წითელი ფერი დაჰკრავს ხოლმე, რომ აღამიანს მწიფედ მოეჩვენება.

7. ჟღია-ს ქართლში, გვეესკისა და შარრერის სიტყვით, მტეენი პატარა აქვს, მარცვალიც, თეთრ-წითელი, წვრილი ასხია, ყურძენი გმრიელი არ არის, არც საკმელად ვარჯაო, ყველაზე მდარე ჯიშია, ღვინოც მისგან ცუდი ღებოდა. ერთადერთი მისი ღირსებაა, რომ Oidium-ით არ ავადდება (СбСвК, III, 249; ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843). პ. ყანდურალოვს აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ ჟღია ქართლში მცირე, უმნიშვნელო რაოდენობით ყოფილა გავრცელებული (СбСвВгВдК, VIII, 48).

8. საფერავი-ს ვაზი ძლიერად იზრდება, ერთი წლის რქა წითელი აქვს, გრძელი და მსხვილი. მისი ფოთოლი ღია მწვანეა, კენწეროს ფოთლები უბუსუსთა („без войлока“), დანარჩენი კი მსხვილი, შოგრო, რბილი, ზემოთგან გლუვი, ქვევითგან ბუსუსიანია. ამასთანავე ფოთოლს საში ური (лопастн) აქვს და ძალზე მსხვილად დაკბილულია. მისი მტეენი საშუალო სიდიდისაა, წოწოლა, მრავალ, პატარა ბურძღენიანი და ძალზე მეჩხარია. მარცვალი შავი, საშუალო სიდიდისა, ოდნავ კვერცხებრივი და სქელკანიანი ასხია. ხუნწკალი 1 ან 2, მომრგვალო და არც თუ მსხვილი აქვს. მარცვალი ხორციანი და წვენიანია. წვენი მოვარდისფეროა, სქელი და ძალზე ტკბილია. საფერავის შაქრიანობა 24% უდრის, სიმჟავე 7,8% შეადგენს, ისე რომ ეს ჯიში შაქრიანობით ყველა სხვა ჯიშს სჯობნის. ამასთანავე საფერავმა უხვი მოსავლიანობა და ღვინო იცის, და ყინვას კარგად იტანს. მხოლოდ ჭრაქით, ანუ ობით (мильديو) ადვილად ავადდება. შუა ოქტომბერში მწიფდება. საფერავი ქართლში ყველგან არის გავრცელებული. მეტადრე კი ამ თემის აღმოსავლეთ ნაწილში. ქართლში მას სახელად „კახური საფერავი“ ეწოდება, რაც იმის მომასწავებელია, რომ ყურძნის ამ ჯიშის სამშობლოდ კახეთია მიჩნეული და რომ ქართლში იქითგან არის გავრცელებული. ქართლში გავრცელებული კახური საფერავი-ს სახელი მეორე წითელი ყურძნის ჯიშის, თავკვერისაგან გასარჩევად იხმარება, რომელიც აგრეთვე ღვინის შესაფერადებლადაც არის განკუთვნილი (СбСвК, III, 249.—პ. ყანდურალოვი, СбСвВгВдК, VIII, 43—44, 48 და გვეესკი-შარრერი, რომელთაც მხოლოდ სახელი აქვთ: ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843).

9. თავკვერის ვაზი ძლიერად იზრდება, რქა გრძელი და მსხვილი აქვს. ფურცელი საშუალო სიდიდისა ჰმოსია, ოთხკუთხიანი მოყვანილობისა, ხუთყურიანი და მუქი მწვანეა. მტეენი მეტად დიდი, კონუსებრივი და ძალზე კუმ-

სი აქვს. მარცვალი მრგვალი, საშუალო სიდიდისა, შავი ნაცრისფერაფსკიანი და სქელკანიანი ასხია. ამასთანავე მარცვალი წვენიანი და ძალზე ტკბილია. მისი შაქრიანობა 19,2% უდრის, სიმჟავე 7,5% შეადგენს. მოსავლიანი ჯიშია, ოქტომბერში მწიფდება, საფერავის შემდგომ საუკეთესო საღვინე ყურძნის ჯიშად ითვლება და ამ თემში ძალიან არის ყველგან, მეტადრე კი ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში გავრცელებული (С6СвК, III, 249.—პ. ყანდურალოვი, С6СвВгВдК, VIII, 42, 48 და გევესკი-შარერის, ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843, სადაც მხოლოდ სახელია).

10. სააბი („Сабии“ sic!) უცნობ ავტორს ქართლში შავი ყურძნის სახელად აქვს მოყვანილი. მისი სიტყვით, სააბი-ს მტევანი მსხვილი აქვს, მრგვალი, მსხვილივე შავი მარცვალი ასხია. გემრიელი, სასიამოვნო საკმელი ყურძენია, რომელსაც წნილადც სდებენო (С6СвК, III, 249). გევესკისა და შარერის ამ ჯიშის მხოლოდ სახელი აქვთ მოყვანილი (ТрК6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843).

11. გაღმამხრული ქართლის წითელ და შავ ყურძნის ჯიშთა შორის უცნობ ავტორსა და გევესკისა და შარერის აქვთ დასახელებული. მათ ამ ჯიშის მხოლოდ მოკლე და ნაწილობრივი დახასიათება მოეპოვებათ. მტევანი დიდი აქვს, მარცვალიც ძალზე მსხვილი და შავი ასხია. მისგან მაგარი და კარგი ღვინო დგება და სხვა ღვინოების შესაფერადებლადც იხმარებაო (С6СвК, III, 249.—ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843). პ. ყანდურალოვს გაღმამხრულის ხსენება არ მოეპოვება. სამაგიეროდ მას დანახარული აქვს, რომლის კვალი გევესკისა და შარერის ნაშრომში არა ჩანს.

12. დანახარული და განახარული უცნობ ავტორს თეთრი ყურძნის ჯიშებში აქვს მოთავსებული. მისი სიტყვით პირველს მტევან-მარცვალი საშუალო აქვს და სუსტი ღვინო უდგება, მეორემ კი დიდი მტევანი, მარცვალი საშუალო სიდიდის, ყვითელ-მოვარდისფერო, ღვინო კი მაგარი, სურნელოვანი და ძალიან სასიამოვნო იცის (С6СвК, III, 250). პ. ყანდურალოვის სიტყვით, დანახარული ძლიერი ვაზია. მისი მუშავაზი ყვითელ-მოწითანო ფერისაა, ერთი წლის რქა კი ღია მიხაკის, ანუ დარეჩინის ფერია, მაგრამ ნაცრისფერი გაჰკრავს. დანახარულს ფოთოლი ხუთყურიანი ჰმოსია, უმეტესად მსხვილი, მსხვილად დაკბილული, ყვითელ-მომწვანო, ზევითგან გლუვი, ქვევითგან ბუსუსიანია. მტევანი მოზრდილი, წოწოლა და მეჩხარი აქვს. მარცვალი მსხვილი, მრგვალი, წითელი და სქელკანიანი ასხია, მარცვალში 2—3 მსხვილი ხუნწკალია, ხორცი წვენიანია, მაგრამ წყალწყალაა და მაინცდამაინც ძალიან ტკბილი არ არის. ეს ვაზი სიცივეს კარგად იტანს, სამაგიეროდ სოკოვანი ავადმყოფობისაგან მეტად ზიანდება. შუა ოქტომბერში მწიფდება, მაგრამ დანახარულისაგან მდარე ღვინო დგება. ეს ჯიში ს. ხოვლესა და მის მახლობლად მდებარე სოფლებში ისევე, როგორც მუხრანშიც არის გავრცელებულიო (С6СвВгВдК, VIII, 44—45).

13. დიდმური ანუ საბატონო მოკლედ აქვთ გევესკისა და შარერის დახასიათებული. უცნობი ავტორის სიტყვით, თეთრიცა და შავიც არსებობს: დიდი მტევანი იცის, გრძელი და წოწოლა, მისგან კარგი და საკმაოდ მაგარი ღვინო დგებაო (С6СвК, III, 249). პ. ყანდურალოვს აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ მცირე რაოდენობით დიდმურიც არის ქართლში გავრცელებული (С6СвВгВдК, VIII, 48). პირველთა ცნობით კი, დიდმურს მტევანი დიდი, გრძელი და წოწოლა აქვს. მარცვალი მსხვილი, კვერცხებრივი, თეთრი, ან შავი ასხია. დიდმური-

საგან კარგი და საკმაოდ მაგარი ღვინო დგებაო (ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843). გვეესკისა და შარერს დიდმური მხოლოდ წითელ და შავ ყურძნის ჯიშთა ჯგუფში აქვთ მოთავსებული, მაგრამ უცნობი ავტორისა და მათივე ზემომოყვანილი ცნობითგან ჩანს, რომ თეთრი დიდმურიც უნდა არსებობდეს. უცნობი ავტორის სიტყვით, დიდმურს, საბატონოს გარდა, სხვილმარცვალაც ეწოდება (С6СвК, III, 249).

14. ადრიანი ქართლში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა შორის უცნობ ავტორსა და გვეესკისა და შარერს აქვს მოკლე დახასიათებითურთ დასახელებული. მათი სიტყვით, ადრიანს მტევანი დიდი და გრძელი აქვს, მაგრამ კუმსი არ არის. მარცვალი წითელი, მრგვალი, მოგრძო ასხია. მისგან მდარე ღვინო დგებაო. უცნობი ავტორის ცნობით ეს სახელი ყოფ. დუშეთის მაზრაში ყოფილა გავრცელებული (С6СвК, III, 249; ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843). პ. ყანდურალოვს ადრიანი არ მოეპოვება, ამის მაგიერ მას ანდრეული აქვს. უცნობ ავტორს კი ანდრეული შიდა ქართლში გავრცელებულ სახელად აქვს მოყვანილი (С6СвК, III, 253).

ანდრეული-ს ვაზი, ყანდურალოვის დახასიათებით, მძლავრად არ იზრდება, მისი მუშავაზი ნაცრისფერ-მომიხაკისფეროა. ერთი წლის რქა მუქი მიხაკისფერია. ფოთოლი საშუალო სიდიდისა, მომრგვალო, ხუთყურიანია, მკვეთრად არის დაკბილული, მუქი მწვანეა. ამასთანავე ფურცლის ზურგი ძალზე ბუსუსიანი აქვს. მტევანი მოზრდილი, წოწოლა და კუმსი არის. მარცვალი მსხვილი, ბირთვმაგარი და შავი ასხია. მარცვალში 1—3 ხუნწყალია, ხორცი მაგარია და საკმაოდ წვენიანი არ არის. წვენი მოყვითანო-მწვანეა და ნაკლებ არის ტკბილი. სიცივისა და ნაცრისაგან ზიანდება. ნაყოფიერი ვაზია და ენკენისთვის დამლევს მწიფდება, მაგრამ დამახასიათებელია, რომ მისი მარცვლები ერთდროულად არ მწიფდება. უმთავრესად ფრონისა და ყორნისის ხეობებშია გავრცელებული, მაგრამ, რაკი მისგან არგამძლე, იაფფასიანი ღვინო დგება, ამიტომ თანდათან ამ ჯიშის მაგიერ სხვა ჯიშებს პრეავენო (С6СвВrВdК, VIII, 44, 49). გვეესკისა და შარერს ანდრეული ქართლში არა აქვთ დასახელებული.

15. რკოს ვაზი შედარებით უფრო სუსტად იზრდება. მისი მუშავაზი მონაცრისფერო-მომიხაკისფეროა, ოდნავ მოვარდისფერო ელფერი გადაჰკრავს. ტოტები 1 ალაბის სიგრძეა, მსხვილი არ არის. ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო, ხუთყურიანი, ძალზე დაკბილული და მუქი მწვანეა, ზედაპირი გლუვი აქვს, ზურგი კი უხვად არის ბუსუსიანი, მტევანი მომცრო აქვს, მოგრძო და ძალზე კუმსია. მარცვალი შავი, წვრილი, ოდნავ კვერცხებრივი, სქელკანიანი ასხია. მარცვალს 1—3 ხუნწყალი აქვს, რომელიც მსხვილი არ არის. ხორცი წვენიანი, მჭრთალი მწვანე. მოტკბილო, უფრო კი მომჟავო არის. წვენი ყვითელ-მომწვანოა. ერთნაირად არ მწიფდება. უხვი მოსავალი იცის, სიცივესაც კარგად იტანს, მაგრამ სოკოვანი ავადმყოფობით ძალიან ზიანდება. რკოსაგან მაგარი ღვინო არ დგება, პირიქით მისი ღვინო მომჟავო და დაბალხარისხოვანია. ყურძნის ეს ჯიში, რკო, განსაკუთრებით ქართლის უკიდურეს დასავლეთ ნაწილში, იმერეთის მეზობლად მდებარე ზოლშია გავრცელებული. პ. ყანდურალოვის აზრით რკო ყურძნის იმერული ჯიშია და ქართლში სწორედ

იქითგან არის შემოსულიო (С6СвВгВдК, VIII, 41—42. გეევსკისა და შარერის არ მოეპოვებათ).

16. პარტკალა („парткала“) უცნობი ავტორის ცნობით არაგვისა, ნარეკვავისა, კასპისა და ქსნის ხეობაში იყო გავრცელებული. შავიცა და თეთრიც არსებობსო. საშუალო სიდიდის მტევანი იცის, მსხვილი მარცვალი ასხია და მოწითანო ფერი აქვსო. მისი წითელიცა და თეთრი ღვინოც ძალიან მღარე გამოდისო (С6СвК, III, 249); გეევსკისა და შარერის კი პარტკალა ქართლში გავრცელებული ყურძნის შავ-წითელ ჯიშთა ჯგუფში აქვთ შეტანილი, ხოლო პ. ყანდურალოვს მისი ხსენება არ მოეპოვება. პირველთა ცნობაც მეტად მოკლეა: მარცვალი მსხვილი, მრგვალი, შავ-მოწითანო, ანდა თეთრი აქვსო. ამ ჯიშისაგან სუსტი ღვინო დგებაო (ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843). ამ მოკლე დახასიათებითგან ირკვევა, რომ შავ პარტკალას გარდა თეთრიც ყოფილა.

17. შავ-კაპიტო ქართლის ყურძნის ჯიშთა სიაში ყანდურალოვს აქვს მხოლოდ დასახელებული, მაგრამ მასაც სახელის მეტი არაფერი მოეპოვება (С6СвВгВдК, VIII, 48).

В. ქართლში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჯიშები

1. რქა-წითელი ძლიერი ვაზია, რქა გრძელი და მოწითანო აქვს, ფოთოლი საშუალო სიდიდისა, მომრგვალო ხუთყურაა (пятилопастные) და ნაკლებ არის დაკბილული. ფოთლის ზურგი ოდნავ ბუხუსიანი არის. მტევანი საშუალო სიდიდის, ცილინდრული და კუმსი აქვს. მარცვალიც საშუალო სიდიდის, ოდნავ მოგრძო და ყვითელი ფერისა ასხია, რომელსაც 1—3 ხუნწკალი აქვს ხოლმე. მარცვალს სრული სიმწიფის დროს მოვარდისფერო ელფერი და აფსკი გადაჰკრავს ხოლმე. ამ დროს მარცვალი წვენიანი და სურნელოვანი, თანაც მეტად ტკბილი ხდება. რქაწითელის შაქრიანობა 17%, მჟავიანობა 7,8% შეადგენს.

რქაწითელი ქართლშიც ძალიან მოსავლიანი ვაზია და კარგ საღვინე ყურძნად ითვლება. პ. ყანდურალოვის ცნობით (გეევსკისა და შარერის ქართლის ყურძნის ჯიშები, რომელიც კახეთშია გავრცელებული და უკვე აღწერილი ჰქონდათ, ქართლის მევენახეობის დახასიათების დროს მხოლოდ დასახელებული აქვთ), რქაწითელი თითქმის განსაკუთრებით ს. მუნხრანში, დამპალასა და დუშეთის მაზრის იმ სოფლებში ყოფილა გავრცელებული, სადაც ცოტად თუ ბევრად კარგ ღვინოს აყენებდენ (С6СвК, III, 249; С6СвВгВдК, VIII, 38 და ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843).

2. თითა-ს მარცვალი მოგრძო აქვს და თხელკანიანია, ამასთანავე ტკბილი და გემრიელიც არის. საუკეთესო საკმელ ყურძნად ითვლება, მას ეტანებიან და ხალისიანადაც სჭამენ, მაგრამ კანის მეტისმეტი სინაზის გამო დიდხანს ძნელი შესანახია და გზაშიც გამძლე არ არის (პ. ყანდურალოვი, С6СвВгВдК, VIII, 48; Очерк виноделия Кавказа: С6СвК, III, 250 და გეევსკი-შარერის, ТрКО6СХ, 1886 წ., № 12, გვ. 843).

3. ხარისთვალა უცნობ ავტორს არაგვ-ნარეკავისა, ქსანისა და კასპის ხეობების თეთრი ყურძნის ჯიშებში აქვს დასახელებული. მისი აღწერილობით ამ ვაზმა დიდი მტევნები იცის და მარცვალად მსხვილი აქვს. მისგან კარგი და მაგარი ღვინო დგებაო, მაგრამ ხარისთვალას წნილადაც სდებენ და ნაწილობრივ ზამთარში საკმელადაც ინახავენო (Очерк виноделия Кавказа: СбСвК, III, 250).

4. ბუზის ყურძენი, ანუ საბუზე ძლიერი ვაზია. მისი მუშავაზი ღია მიხაკისფერია, ერთი წლის რქა ნაცრისფერ-მოყვითანოა. ტოტები გრძელი იცის. ფოთოლი მომეტებულად წვრილი, მომრგვალო, ხუთყურიანია, წვრილად და მკვეთრად დაკბილული, მუქი მწვანეა. ფოთლის ზედაპირი გლუვია, ქვედა ბუსუსიანი. მტევანი საშუალო სიდიდისაა, ოდნავ წოწოლა, ბურძღენიანი, დასაწყისში კუმსია, წვერისაკენ კი მეჩხარი ხდება. მარცვალი წვრილი, მრგვალი, შავია, მუქი იასამანის ფერი გადაჰკრავს და თხელკანიანია. თვითოეულ მარცვალს 1—3 წვრილი ზუნწკალი აქვს. ხორციანი და წვენიანი მარცვალი იცის. წვენი ყვითელი და ძალზე ტკბილი აქვს. ეს ყურძნის ჯიში ენკენისთვის დამდეგს მწიფდება. უხვი ნაყოფიერება იცის. დამწიფებისას მარცვალს კანი უსკდება და ტკბილი წვენი სდის, რომელსაც აუარებელი ბუზი ეხვევა, რის გამოც სახელად ბუზის-ყურძენი, ანუ საბუზე ეწოდა. აღრეული ჯიშია, სიცივი-სა, მეტადრე კი სოკოვანი ავადმყოფობისაგან ზიანდება. ამ ყურძნისაგან მდარე ღვინო დგება. ქართლის აღმოსავლეთ ნაწილში თუმცა ყველგან არის გავრცელებული, მაგრამ მცირე რაოდენობით (პ. ყანდურალოვი. СбСвВгВдК, VIII, გვ. 46—47. სხვას არავის მოეპოვება).

5. ვირა-ყურძენის ჯიშის სახელი ქართლში, სახელდობრ ს. დილომშია ჩაწერილი. ირ. სონდულაშვილის ცნობით, ვირა-ყურძენს დიდი მტევანი აქვს, მსხვილი, ხარისთვალისებური, სქელკანიანი მარცვალი ასხია, რომელსაც სიტკბო აკლია. ვირა-ყურძენი თეთრი ჯიშია.

6. კაკნატელა ყურძნის ჯიშის სახელად ს. დილომში იხმარება. ირ. სონდულაშვილის სიტყვით „კაკნატელა თეთრი ყურძნის ჯიშის სახელია, მტევანი გრძელი და თხელი იცის, ქიშურს მიაგავს ისე, რომ ზოგი ქიშურსაც ეძახის. ოდნავ მოგრძო და მომცრო სქელკანიანი და ხორციანი მარცვალი ასხია. ჭამის დროს, კბილის მოხვედრისას მარცვალს კნატუნე გააქვს“. ამიტომვე უნდა იყოს ეს ყურძნის ჯიში კაკნატელად სახელდებული.

7. მწვანე-ს ვაზი სუსტად იზრდება. რქა საშუალო სიგრძისა აქვს, მწვანე-მოყვითანო. მას ფოთოლი მსხვილი, მომრგვალო, ხუთყურიანი (пятилопастные) და ძალზე დაკბილული, მუქი მწვანე ასხია. მტევანი მოკლე, წოწოლა და კუმსი აქვს, მარცვალი მრგვალი, საშუალო სიდიდისა, თხელკანიანი, მქრთალი მწვანე ფერისა და წვენიანი გააჩნია. მარცვალში 1—3 ზუნწკალია. ყურძენი ძალზე ტკბილია. მისი შაქრიანობა 21% უდრის, სიმჟავე — 8,4%. შუა ოქტომბერში მწიფდება. ქართლში ყველგან ფართოდ არის გავრცელებული და ყველა სხვა ჯიშს სჭარბობს. მწვანესგან საუკეთესო მაგარი ღვინო დგება (Очерк виноделия Кавказа: СбСвК, III, 249.—პ. ყანდურალოვი, СбСвВгВдК, VIII, 39 და 48 და გვეესკი-შარბერი, ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843).

8. ღრუბელა-დ სახელდებული ყურძნის ჯიში ს. დილომშიც არის დაცული. ირ. სონდულაშვილის მიერ შეკრებილი ცნობით „მტევანი შეკრული“, ე. ი. კუმის აქვს, „მომსხო, მრგვალი, ღრუბელივით ამღვრეული ფერის მარცვალი“ ასხია.

უცნობ ავტორს აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ თავისი ღირსებით ღრუბელა საყურადღებოა, მაგრამ აღწერილი არა აქვს და წითელი ყურძნის ჯიშებში აქვს მოთავსებული, რასაც ამ ჯიშის სახელი-საეჭვოდ ჰხდის (Очерк виноделия Кавказа: СбСвК. III, 253)

9. თეთრ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ქართლში ეკუთვნოდა მოყვითანო „სამთელა“, გევესკისა და შარრერის ცნობით, და 10. „საკმეველა“, პ. ყანდურალოვის ცნობით. არც ერთ ამ ავტორთაგანს ეს ჯიშები დახასიათებული არა აქვთ. უკანასკნელი ამბობს, რომ საკმეველა ძალიან მცირე რაოდენობით გვხვდება ქართლში (ТрКОбСХ, 1886 წ., № 12, გვ. 343 და СбСвВГВдК, VIII, 48). უცნობი ავტორი კი ამბობს, რომ სამთელას მარცვალი სიდიდით მწვანისას მიაგავს, მხოლოდ ფერი უფრო მოყვითანო აქვს (Очерк виноделия Кавказа: СбСвК, III, 253).

11. შაბა-ს ვაზი გარეგნულად მწვანეს მიაგავს, საშუალო სიდიდისა იზრდება. მისი ერთი წლის რქა წითელ-მოყვითანოა, მუშავაზი კი ყვითელი-მონაცრისფერო არის. რქა გრძელია, მაგრამ მსხვილი არ არის. ფოთოლი საშუალო სიდიდისა, მომრგვალო, ხუთყურიანი, ძალზე დაკბილული ჰმოსია. ფოთოლი ზევითგან მუქი მწვანე და ოდნავ ბუსუსიანია, ზურგითგან მონაცრისფერო და ძალზე ბუსუსიანია. მტევანი პატარა, მომრგვალო და ჩამოგრძელებული, თანაც კუმისი აქვს. მარცვალი მომეტებულად წვრილი, მრგვალი, მოყვითანო ნაცრისფერაფსკიანი ასხია. სქელკანიანია, კანს ხრამახრამში გააქვს. მარცვალში 1—3 ხუნწყალია. მისი ხორცი ნაკლებაა წვენიანი, მაგრამ ძალზე ტკბილი და მწკლატაა. შუა ოქტომბერში მწიფდება. შაბა უხვად ისხამს, მაგრამ დაწურვის დროს ტკბილი ცოტა დგება. ღვინო სასიამოვნო იცის, მაგრამ გამძლე არ არის. ეს ჯიში ყინვისაგან ძალიან არ ზიანდება, სოკოვანი ავადმყოფობაც ნაკლებ სჯაბნის. იყო უმთავრესად ქსნისა და რეხულას ხეობაში გავრცელებული. იქაურ მევენახეთა აზრით ყურძნის ამ ჯიშს შაბას სახელი მისი მოქარბებული სიმწკლატის გამო ეწოდა (პ. ყანდურალოვი, СбСвВГВдК, VIII, 40—41). არც რ. ერისთავსა და არც გევესკი-შარრერს შაბას ხსენება არ მოეპოვებათ.

12. ბუდეშურის ვაზი სუსტად იზრდება, რქა საშუალო სიგრძისა და წვრილი, ამასთანავე ღია-მწვანე ფერს აქვს. ასეთივე ფერის, ხუთყურიანი (Пятилопастные), ნაზი და წვრილი, ქვევითგან ოდნავ ბუსუსიანი ფურცელით არის შემოსილი. მისი მტევანი საშუალო სიდიდისაა, ზევით ძალზე განიერი, წოწოლა და კუმისი არის. მარცვალი საშუალო სიდიდისა ასხია, კვერცხებრივ-წაგრძელებული და მეტად ნაზკანიანი. მარცვალი ხორციანიცა და წვენიანიც არის, თანაც ყვითელ-მომწვანოა, ძალზე ტკბილი და სურნელოვანი არის. ბუდეშურის შაქრიანობა 18,5% უდრის, სიმჟავე 5,7%-ს. ადრეული ყურძენია, ერთდროულად მწიფდება და საჭმელადაც კარგ ჯიშად არის მიჩნეული და ღვინოც მისგან საუცხოოდ დგება. ამიტომაც ბუდეშური ქართლში ყველგან არის

გავრცელებული, მეტადრე კი მის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში, სადაც ბუდეშურის ადრეულობა განსაკუთრებით ძვირფასია, ბლომად არის ბუდეშური ატენის ხეობაშიც. მაგრამ ეს ყურძენი მეტად ნაზია: სიცივე მას ვნებს ისევე, როგორც ნაცარიც (Очерк виноделия Кавказа, სადაც მოკლე დახასიათებაა: ССВК, III, 250 და 253.—პ. ყანდურალოვი, ССВВГВДК, VIII, 40, 48, 49, და გევესკი და შარარერი, რომელთაც ТрКОБСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843-ზე მართო ამ ჯიშის სახელი აწვთ).

13. ქიშური თეთრი ყურძნის ჯიშია და ქართლშიც, მაგ., დილომშიც მოიპოვება. მტევანი, ირ. სონდულაშვილის ცნობით, გრძელი და თხელი აქვს. მოგრძო, საშუალო, ასე ბუდეშურისა და თითას შორისი, სიდიდის მარცვალი ასხია, რომელიც თხელკანიანია.

14. გორული-ს ან გორულა-ს (ასე აქვს პ. ყანდურალოვს, გევესკისა და შარარერს — „გორული“) ვაზი სუსტად იზრდება. რქა გრძელი და წვრილი, მწვანე-მონაცრისფერო აქვს. ფოთოლი მომრგვალო, საშუალო სიდიდისა, ხუთყურიანი, მსხვილკბილებიანი ასხია. ფოთოლი მუქი მწვანე, ტყავის მაგვარი და ტლანქი ჰმოსია გრძელ სოსან-მოწითანო კლერტზე (на длинных красновато-фиолетовых черешках). მტევანი საშუალო სიდიდისა, ცილინდრული, ბურძლენიანი და კუმსი აქვს. მარცვალი მსხვილი, ოდნავ კვერცხებრივი, მქრთალ-მოქარვისფერო, სქელკანიანი, ერთ ან ორ ხუნწყალიანი და ხორციანია. ხორცი მოსქელო და მწკლატე აქვს. მისი შაქრიანობა, ბაბოს შაქრის საზომით, 20% უდრის, სიმჟავე 9,2%-ს შეადგენს. მოსავლიანობა საშუალო აქვს. შუა ოქტომბერში მწიფდება და ყველაზე გამძლეა ისე, რომ ზამთარშიც აპრილამდეც კარგად ინახება. კარგ საჭმელ ყურძნად ითვლება. წნილადაც სდებენ და ღვინოც მისგან კარგი დგებაო. მეჯვრისხევისა, ხიდისთავსა და რკინიგზის მახლობლად მდებარე სოფლებშია გავრცელებული (Очерк виноделия Кавказа: ССВК, III, 250 და 253.—პ. ყანდურალოვი, ССВВГВДК, VIII, 38—39). გევესკი და შარარერის სიტყვითაც, ტფილისის სანახებში გორულას საშუალო სიდიდის მარცვალი აქვს და ენკენისთვის დაწლევს მწიფდება (ТрКОБСХ, 1886 წ., № 12 გვ. 827 და 843, სადაც სახელის მეტი არაფერია).

15. ჩინური-ს ვაზის ზრდა საშუალოა, რქა საშუალო სიგრძისა, წვრილი და მწვანე აქვს. ფოთოლი საშუალო სიდიდის, მომრგვალო, ხუთყურიანია, მომრგვალებით დაკბილული, ღია მწვანე ფერისა ჰმოსია. მტევანი გრძელი, ოდნავ წოწოლა, მაგრამ ძალიან კუმსი არ არის. მარცვალი საშუალო სიდიდისა, მომრგვალო, თხელკანიანი, მომწვანო-ქარვის ფერი ასხია და ძალიან წვენიანი და ტკბილია. მისი შაქრიანობა 20,2%. სიმჟავე კი 7,8% უდრის. ოქტომბრის დამდეგს მწიფდება. მეტად მოსავლიანი და ავადმყოფობისადმი გამძლე ყურძნის ჯიშია და საუკეთესო საღვინე ყურძნად ითვლება. მეტადრე ს. ატენში, ხიდისთავსა და მეჯვრისხევიზია გავრცელებული (Очерк виноделия Кавказа, ССВК, III, 252.—პ. ყანდურალოვი, ССВВГВДК, VIII, 39—40, 49. გევესკისა და შარარერს არ მოეპოვებათ).

16. კასპური ამპელოგრაფიულად აღწერილი არ არის. კარგ საღვინე ყურძნის ჯიშად ითვლება. უმთავრესად ს. კასპსა და მის მიდამოებშია გავრცელებული (პ. ყანდურალოვი, ССВВГВДК, VIII, 48. გევესკისა და შარარერს არ მოეპოვებათ).

17. არაგვისპირულა, როგორც პ. ყანდურალოვს აქვს ჩაწერილი, ანუ არაგვისპირული, როგორც უცნობ ავტორსა და გეევსკისა და შარრერს უწერიათ, უმთავრესად არაგვის ხეობისა და მის მეზობლად მდებარე ქართლის სოფლებშია გავრცელებული. ორთავე წყაროში მთლად ერთნაირი დახასიათება არ მოიპოვება იმ მოკლე აღწერილობაშიც, რომელიც მის ავტორებს ყურძნის ამ ჯიშისათვის გამოუმეტნიათ. უცნობ ავტორსა და გეევსკისა და შარრერის ცნობით, არაგვისპირულას მტევანი საშუალო სიდიდისა აქვს, პ. ყანდურალოვის სიტყვით კი, მოკლე მტევნიანია. ამგვარადვე, პირველთ ნათქვამი აქვთ, რომ მარცვალი მოგრძო და ღია წითელი ასხია; მეორე ავტორი კი ამბობს, რომ არაგვისპირულა თეთრმარცვლიანი ყურძენია. გასაოცარია, რომ პ. ყანდურალოვს, როგორც მერმინდელ მკვლევარს, თავის მოვალეობად არ მიუჩნევია, ცნობათა ასეთი განსხვავების მიზეზი დაესახელებინა, ან განემარტა. უცნობი ავტორი და გეევსკი და შარრერი ამბობენ, რომ არაგვისპირულასაგან ქართლში ტკბილი და სასიამოვნო ღვინო დგებოდა (СГСВК, III, 258.—ТрКОСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843 და СГСВГВдК. VIII, 48)

18. კატური ქართლში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა სიაში მხოლოდ უცნობ ავტორსა და გეევსკისა და შარრერს აქვთ შეტანილი, პ. ყანდურალოვს არ მოეპოვება. პირველთაც ამ კატურზე ნათქვამი აქვთ მხოლოდ, რომ მტევანი ამ ჯიშს დიდი და ბირთვანი აქვს და მისგან, თუმცა მსუბუქი, მაგრამ გემრიელი და სურნელოვანი ღვინო დგება. რაკი თეთრი ყურძნის ჯგუფშია მოთავსებული, ამიტომ კატური თეთრი ყურძენი უნდა იყოს (Очерк виноделия Кавказа, СГСВК, III, 249—250.—ТрКОСХ, 1886 წ., № 12, გვ. 843).

19. პარტკალა („Парткала“) დასახელებული აქვს უცნობ ავტორს მხოლოდ დუშეთის მაზრაში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა შორის და თანაც მოკლე აღწერილობაც მოჰპოვება. მისი სიტყვით პარტკალას თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არსებობდა. საშუალო სიდიდის მტევანი ჰქონია. მარცვალი მრგვალი და მსხვილი სცოდნია, მოწითანო ფერი გადაჰკრავსო. პარტკალასგან თეთრიცა და წითელი ღვინოც თურმე ძალიან მდარე ღირსებისა დგებოდა (Очерк виноделия Кавказа: СГСВК, III, 249).

ს. ზელინსკი თავის კომპილაციაში „Садоводство в Закавказском крае“ დუშეთის მაზრისავე ჯიშებში რუსულად დასახელებული აქვს იგივე „парткала“, რომელიც ზემომოყვანილ ავტორს მოეპოვება. მაგრამ ამას მისდევს ფრჩხილებში მოქცეული ამ ყურძნის ქართული ასოებით დაბეჭდილი სახელი და მისი რუსული განმარტება: „პარტყალი“ (sic!) „Водянистый“ (Свод МИЭБГКЗК, IV, 55). უკანასკნელი ორი სიტყვა ზელინსკის საკუთარ დანართს წარმოადგენს.

20. ჰყარტალა ანუ, როგორც უფრო ხშირად უწოდებენ, ჰყარტანა ყურძნის თეთრი ჯიშის სახელია. ირ. სონდულაშვილის სიტყვით, ს. დილოშიც არსებობდა. მტევანი თხელი ჰქონია, მრგვალი, მოყვითალო, „წყლიანი“ მარცვალი იცოდა. საღვინე ჯიშად ითვლება.

§ 6. ზემო ქართლში, ანუ მესხეთში, გავრცელებული ყურძნის ჯიშების შესახებ ცნობები

მესხეთში ძველად მევენახეობა ყველგან იყო, სადაც ბუნების პირობები სასოფლო მეურნეობის ამ დარგის არსებობას შესაძლებლად ხდიდა. Dubois de Montpéreux-ს 1833 წ. ჯავახეთის ვარძიის ნავენახარში გაველურებული ვაზი უნახავს, რომელსაც ყურძენი ჰსხმია (Voyage autour du Caucase, t. II, 1839 წ. გამ., გვ. 314—315). ხერთვისის ზევით მდებარე ქართულ სოფელ გოგაშენშიც ლ. ზაგურსკისათვის ზღვის დონიდან 4000 სიმაღლეზე ვაზის რქა მიურთმევიათ. სამცხეშიაც ძველი ოძრხის, აწ აბასთუმნად წოდებული, 7 ვერსით დაბლა ს. უნწაში ჯერ კიდევ წარსულ საუკუნის სამოცდაათიან წლებში ვაზები ყურძენს ისხამდნენ. ქართველ მაჰმადიანთ მესხეთიდან აყრამა და ოსმალეთში გადასახლებამ მევენახეობა აქ ზოგადად სრულებით მოსპო, ზოგან ძალზე შეამცირა. ძველი მესხეთის მიმკვდარებული მევენახეობის აჩრდილი-დასავლეთი ნაწილი ს. საროსა და ხიზაბავრაში (Очерк виноделия Кавказа: СССК, III, 287). სანწუხაროდ, იქ შერჩენილი ყურძნის ჯიშები და მათი სახელები არც თავის დროზე, არც შემდეგში შესწავლილი და შეგროვებული არ ყოფილა.

მესხეთში, ს. ს. საროსა და ხიზაბავრაში უცნობ ავტორს მხოლოდ ხუთი წითელი და თეთრი ყურძნის ჯიშის სახელია აქვს აღნიშნული: 1. ცხენისძუძუ, რომელსაც შავი მოგრძო მარცვალი აქვსო და საქმელი ყურძენიაო. 2. თითაყურძენი (რუს. შეცდომით „Тита гурдчени“—ა დაბეჭდილი) თეთრი, თითივით მოგრძო მარცვლიანი. 3. ხარისთვალა თეთრი, მრგვალი და ტკბილმარცვლიანი, 4. საღვინე (შეცდომით რუს. „сагине“—ა დაბეჭდილი) შავი ყურძენია, რომლისგანაც წითელ ღვინოს აყენებენ და 5. ბუღეშური წითელი, მეტად ტკბილი და სურნელოვანი საქმელი ყურძნის ჯიში (Очерк виноделия Кавказа: СССК, III, 257).

§ 7. იმერეთში შერჩენილი ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფია

იმერეთის მევენახეობის შესახებ, რომლის ასპარეზს არგვეთი, ანუ შორაპნის ყ. მაზრა, ყვირილის ხეობა და სამოქალაქო, ანუ ყ. ქუთაისის მაზრა შეადგენს, ცნობები უკვე V. Pulliat-სა და 1885 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „Очерк виноделия Кавказа“-ში მოიპოვება. მაგრამ უკანასკნელში უმთავრესად ვაზ-ყურძნის სახელებია, ამპელოგრაფიული აღწერილობა კი მოყვანილი არ არის. აქა-იქ ღვინის თვისებაცაა აღნიშნული.

სახაზინო გლეხების ეკონომიური ყოფა-ცხოვრების აღმწერელთა ნაშრომშიც ასეთი თვისების ცნობებია.

არგვეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფიული აღწერილობა არც ერმ. ნაკაშიძის 1896 წ. დაბეჭდილ ნაშრომშია „Виноградарство в Имеретии“ (ССВВГВДК, III, 1—32), მაგრამ იქ ზოგიერთი ცნობაა ამ ჯიშების გავრცელების არეზე და შაქრიანობა-სიმჟავის ოდენობაც არის გამოჩვენებული. მხოლოდ ყურძნის ჯიშების სია, რომელიც ერმ. ნაკაშიძეს მოეპოვება, სრული არ არის. ეს გარემოება თვით მისგანვე მოყვანილი ყურძნის ტკბილის ანალიზების

შემცველი ცხრილითაც მტკიცდება. იქ 6 ისეთი ყურძნის ჯიშის სახელი მოიპოვება, რომლის ხსენება მის სიაში არა ჩანს. ამიტომ ერმ. ნაკაშიძის სიას ამ ცხრილისა და სტაროსელსკისა და სხვა შეკრებილი ცნობებით ვაკვებთ.

. ყურძნის წითელი და შავი ჯიშები

1. ძელშავი. საქართველოს გზატკეცილების სამმართველოს მე-4 უბნის მეზღლის (ბორჯომში) პაულე ბაქაძის, ხორაგაულელის, სიტყვიერი ცნობით, „ძველშავი“-ს ყურძნის ჯიში ზესტაფონს ზევით არგვეთში ყველგან არას დაბლარად. მისი ლერწი წაბლისფერია, ფოთოლი სამყურაა, მუქი მწვანე, ქვემოთგან ბუსუსიანი, მტევანი მოგრძო, ბურძღენიანი და მეჩხარი იცის. მარცვალი მსხვილი, თხელკანიანი, მრგვალი ასხია. ყურძენი ტკბილია.

2. აკიდო ყურძნის ჯიშის სახელად იმერეთში უცნობ ავტორს აქვს მოხსენებული, რომლის სიტყვითაც ეს ჯიში იმერეთის სამხრეთ ნაწილში და ცხენის წყალზე მდებარე ს. ხონსა და მის მიდამოებში ყოფილა გავრცელებული. აკიდოს წითელი, საკმაოდ მაგარი ღვინო სკოდნია (СГСВК, III, 209, ერმ. ნაკაშიძის მარტო სახელი აქვს მოყვანილი: СГСВГВДК, III, 10).

3. დონდღლაბი ამპელოგრაფიულად მხოლოდ პროფ. V. Pulliat-ს აქვს პირველად აღწერილი ქუთაისითგან Baron de Longueuil-ის მიერ მიწოდებული მასალისა და ცნობის მიხედვით. მისი დანახიათებით, დონდღლაბის (შეცდომით მას ფრანგულად „Dodrelabi“ აქვს დაბეჭდილი) კვირტი საკმაოდ ბუსუსიანია, მოთეთრო-მოვარდისფერო. ფოთოლი ძალიან დიდი, უფრო ფართო, ვიდრე გრძელი და მსხვილად დაკბილული აქვს. მისი ზედაპირი გლუვი, ქვედა ბუსუსიანია. მტევანი მსხვილი, ზოგჯერ ძალიან დიდი, ჩანოგრძელებულ-წოწოლა, ბურძღენიანი და ოდნავ მეჩხარია. მარცვალი ძალიან მსხვილი, მომრგვალო, ოდნავ სქელკანიანი და შავ-მოწითანო ასხია. ყურძენს სიტკბო აკლიაო (Mille variétés de vignes, 101). ერმ. ნაკაშიძის ცნობით კი დონდღლაბი („Донд-глаби“) ს. ს. სვირსა და ღვანკითშია გავრცელებული და მისი შექრიანობა 1890 და 1891 წლებში 20,4—21% უდრიდა, სიმკვლე კი 5,63—11,55% (sic!)-მდე აღიოლა (СГСВГВДК, III, 12).

სამწუხაროდ, ერმ. ნაკაშიძის დონდღლაბის არც აღწერილობა მოეპოვება და მისი ფერიც კი აღნიშნული არა აქვს. ეს გარემოება მით უფრო სამწუხაროა, რომ დომ. ჩიხლაძისაგან მოწოდებულ ცნობაში ნათქვამია: „დონდღლაბი მსხვილლერწიანია და თეთრი, მსხვილი, მოგრძო, წყლიანი მარცვალი ასხია“. ამნაირად დონდღლაბის ფერი Pulliat-ს შავ-მოწითანო აქვს აღნიშნული, დომ. ჩიხლაძეს კი თეთრი. ცნობათა წინააღმდეგობასა და რაიმე შეცდომასთან გვაქვს საქმე, თუ დონდღლაბი შავიცა და თეთრიც არსებობს, ან არსებობდა საქართველოში, ეს ჯერ გამოსარკვევია.

პ.ო.ო. V. Pulliat-ის სიტყვით, რომელიც იმავე Baron de Longueuil-ის ცნობაზე იქმნება დაყარებული, დონდღლაბი იგივე ხარისთვლა, საკუქალა („Sakoudrchala“) და მაქანაური („Madchanaouri“). ამასთანავე ავსტრიაში დონდღლაბის ყურძნის ჯიშს Ochsenauge blauer, ე. ი. „ხარისთვალა ლურჯი“ და Eichku-

gel-Traube ანუ „რკოს-მტევანი“ ეწოდება, უნგრეთში Okorszem kek Borjuszem-ი და შტრიაში Volovka და Volovjak-ი ჰქვიათ (Mille variétés de vignes, 101—102). ორი უკანასკნელიც ცხადია „ვოლოვჟოკო“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, რაც სლავურად „ხარისთვალა“-ს ჰნიშნავს. მაშასადამე, ავსტრიაში გავრცელებულ „ოქსენაუფე“-ს, რომელიც, როგორც ნათქვამი გვეონდა, სწორედ ხარისთვალას ჰნიშნავს, უღრის, ამიტომ ერთი მათგანი მეორის თარგმანი უნდა იყოს.

პროფ. V. Pulliat-ს სიტყვით ღონღლაბის ჯიშის ყურძენი, შვეცლმით „Gros Colman“-ად სახელდებული, მრავლად არის გაშენებული ინგლისის საყურძნეებში, მეტადრე Jersey-ში და ბელგიაში, სადაც Mareau Robert-ის გაშენებულია (Mille variétés de vignes, გვ. 101)⁷¹.

4. მელის-კუდი იმერეთის ყურძნის ჯიშთა შორის მარტო ილ. ბახტაძეს აქვს დასახელებული შორაპნის ყ. მაზრაში. მაგრამ არც მისი აღწერილობა და არც გავრცელების არე და ინტენსივობა აღნიშნული არა აქვს (Эконом. быт госуд. крест. Шорпан. у.: МИЭБГКЗК. II, 1, 212).

5. ტრედის-ფეხი, როგორც ილ. ბახტაძის ნაშრომითგან ჩანს, შორაპნის ყ. მაზრის ყურძნის ჯიშთა შორისაც ყოფილა გავრცელებული. მაგრამ არც მისი აღწერილობა და არც გავრცელების ასპარეზი და ფართობი ამ ავტორს აღნიშნული არა აქვს (Эконом. быт госуд. крест. Шорпан. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 212).

6. თითა ყვირილისა და მის შემდინარეების აუზში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა სიაში მხოლოდ ილ. ბახტაძეს აქვს მოხსენებული, მაგრამ სახელის მეტი ამ შემთხვევაშიც არაფერი აქვს. ამიტომ მისი ფერიც კი არ არის აღნიშნული (Эконом. быт госуд. крест. Шорпан. у.: МИЭБГКЗК II, 1, 212).

7. რკო-დ წოდებულ ყურძნის ჯიშზე დაწვრილებითი ცნობები მარტო ვ. სტაროსელსკის მოეპოვება. მასვე აქვს მისი ტოტ-ფოთოლ-მტევნის სურათიც. რკოს ვაზი სუსტად იზრდება, რქა მოწითანო ფერისაა. ფოთოლი მომცრო, ხუთყურბანი აქვს, ქვემოთგან თხლად მოთეთრო ბუსუსი ასხია. მტევანი დიდი, წოწოლა და კუმსი იცის. მარცვალი ოდნავ მოგრძო, მუქი იისფერი, ხორციანი და ძალიან წვენიანი ასხია. წვენი მოვარდისფერია და სიტკბო აქლია. სტაროსელსკის რკო ადგილობრივ ჯიშად მიაჩნია. ეს ვაზი ძალიან ნაყოფიერია, მაგრამ მისგან ღვინო სუსტი და მდარე ღირსებისა დგება. მის ღირსებას სოკოვანი დაავადებისა და გარეშე პირობებისაღმი შედარებითი გამძლეობა შეადგენს. მწიფდება ენკენისთვის მეორე ნახევარში. რკოს ვაზს დაბლარად აშენებენ ხოლმე (სტაროსელსკი, МАК, 1, 4 და სურ. VII).

რკო უმთავრესად საჩხერეს სანახებსა და ყვირილის ზეობის ზემო ნაწილში, საერთოდ არგვეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ ზოლშია გავრცელებული (Очерк ВдК: СнСвК, III, 209; ერმ. ნაკაშიაე, СнСвВгВдК, III, 10; ვ. სტაროსელსკი, МАК, I, 4).

8. მუღია იმერეთის ყურძნის ჯიშთა სიაში არც ერთ ავტორს დასახელებული არა აქვს. დომ. ჩიხლაძისაგან ჩემთვის მოწოდებულ ცნობითგან კი ირ-

⁷¹ „Le Dodrelabi (sic!) se cultive beaucoup dans les grapperies anglaises et surtout à Jersey et en Belgique, sous le nom erroné de Gros Colman prétendu semis de M. Moreau-Robert“

კვევა, რომ ზემო-იმერეთში, მაგ., ს. შროშაში ბუღია გავრცელებული ყოფილა. მას „მარცვალა წვრილი და ვარდისფერი, ორანჟის დაგვარი“ ჰქონია და „საადრია“ ყურძნის ჯიში ყოფილა.

2. უცნობ ავტორს თავის ნაშრომში „მელდინეობის შესახებ კავკასიაში“ იმერეთში გავრცელებულ შავ და წითელ ყურძნის ჯიშთა შორის დასახელებული აქვს საფერე ანუ საფერავი („Сапери или саперави“: СССВК, II, 209). მაგრამ ამ ორი სახელის სრული ჯიშებრივი ოჯივეობა ძალიან სათუთა და საფიქრებელია, რომ საფერავი და საფერე ერთი და იგივე არ უნდა იყოს.

საფერავი იმერეთში არც ერთ ავტორს ცალკეულ ჯიშად მოხსენებული არა აქვს და მხოლოდ პროფ. V. Pulliat-სთვის Baron de Longueuil-ისაგან ქუთაისითგან გაგზავნილი ცნობითგან ჩანს, რომ საფერავი, აგრეთვე დიდი საფერავის სახელითაც ცნობილი, იმერეთშიც უნდა იყოს, Pulliat-ს აღწერილობით, იქაურ საფერავს საშუალო სიდიდის ფოთოლი აქვს, ზედაპირზე გლუვი, ქვემოთგან საკმაოდ სქელბუსუსიანი, თუმცა ნაკლები ჩაღრმავებით, მაგრამ მაინც მოკლედ დაკბილულია. მტევანი საშუალო სიდიდისა, ანდა ოდნავ ამაზე მომცრო, ცილინდრულ-წოწოლა მოყვანილობისა, ნაკლებ შეკუმშული აქვს. მარცვალა თხელკანიანი შავი ასხია, ხორცი ძალიან მაგარი და საკმაოდ ტკბილი აქვს (Mille variétés de vignes, 101 და 340—341).

10. ოცხანური საფერე-ს ამპელოგრაფიული აღწერილობა მხოლოდ ვ. სტაროსელსკის მოეპოვება, მასვე აქვს ამ ყურძნის ჯიშის ტოტ-ფოთოლ-მტევნის სურათიც. მისი დახასიათებით, ოცხანური საფერეს ვაზი ძლიერად იზრდება, მუშავაზი მსხვილი აქვს და მუქი წაბლისფერია (темно-бурого), რქა ღია ყავისფერია. გრძელი და მსხვილი ტოტები იცის. ფოთოლი საშუალო სიდიდისა, სამყურიანი ჰმოსია, რომლის ზედაპირი მუქი მწვანეა, ქვედა უფრო ღია ფერისაა და მოკლე ბუსუსით არის მოფენილი. მტევანი მომცრო, ბურძღენიანი, ჩამოგრძელებული, მაგრამ ძალიან კუმის აქვს. მარცვალა ბირთვებრივი, სხვადასხვა სიდიდის, მაგრამ წვრილი და ძალზე შავი ასხია. კანი აფსკიანი, სქელი და მაგარი აქვს და ძალიან ბევრ საღებავ პიგმენტებს შეიცავს. ხორცი წვენიანია, ყვითელი ფერისაა, წვენი კი მოვარდისფერია. ოცხანური საფერე, სტაროსელსკის დახასიათებით, მოსავლიანი ჯიშია, ერმ. ნაკაშიძე კი მცირე მოსავლიანად სთვლის. ღვინო მისგან სუსტი და მდარე დგება, სამაგიეროდ მისი წვენი და ჭაჭა სხვა ჯიშების ღვინის შესაფერადებლად და გასაუმჯობესებლად იხმარება. ამის გამო ოცხანური საფერე ძვირად ფასობს, რათგან ღვინოს, შეფერადების გარდა, სასიამოვნო სურნელოვანებას ანიჭებს ხოლმე (ვ. სტაროსელსკი, Материалы для ампелографии Кавказа, I, 5—6).

ოცხანური საფერეს შაქრიანობა 1891 წელს 18—22,5%-მდე აღიოდა, სიმკვავე 9,6—16,27%-მდე (ერმ. ნაკაშიძე, СССВВГВДК, III, 1—13).

ამ ყურძნის ჯიშს კვირტის გაფუჩქვანა სხვებზე უფრო ადრე ეწყობა, მაისის დამდეგს ყვავის და შუა ოქტომბერში მწიფდება. სოკოვანი ავადმყოფობითაც სხვებზე ნაკლებ სნეულდება (სტაროსელსკი, МАК, I, 6).

ოცხანური საფერე არგვეთში ყველგან და ნაწილობრივ ოკრიბაშიც არის გავრცელებული, ყვირილის ხეობის მარჯვენა სანაპირო და ჩხერიმელის ხეო-

ბის შუა ნაწილში მოიპოვება, თუმცა კი მას დიდი რაოდენობით არ აშენებენ (იქვე და ერმ. ნაკაშიძე, СССВВВДК, III, 9—10).

11. არგვეთული საფერე-ც ამპელოგრაფიულად ვ. სტაროსელსკის აქვს აღწერილი. ამ ჯიშის რქა-ფოთოლ-მტევნის სურათიც მასვე მოეპოვება. არგვეთულ საფერეს აგრეთვე კობახიძის საფერე-საც და მარტივად შავ-საც უწოდებენ. მისი ვაზი ზომიერად იზრდება, ზროს საშუალო სისქე აქვს. მუშავაზის ქერქი მუქი დარეჩინის ფერია, მონაცრისფერო ელფერი გადაჰკრავს, ან და მონაცრისფერო წაბლისფერია (серовато-бурая), რქა მონაცრისფერო-ყვითელია. ფოთოლი: ნორჩი, თითქმის მრგვალი და დაკბილულია, ქვემოთგან თეთრბუსუსიანი, ხოლო ხნიერი ფოთოლი მუქი-მწვანეა, ხუთყურიანი, უსწორმასწოროდ დაკბილულია და ქვემოთგან მონაცრისფერო-ყვითელი ხშირი ბუსუსი ასხია. მტევანი საშუალო სიდიდისაა, ბურძღენიანი და მეჩხარია. მარცვალი ან ზირთვებრივი, ანდა ოდნავ მოგრძო, წვრილი, ცვილოვანი აფსკით დაფენილი ასხია. სქელ-კანიანია, ხორცი წვენიანი, მწვანე აქვს; წვენი კი ღია მოვარდისფეროა. შუა მაისში ყვავის, ოქტომბრის პირველ ნახევარში მწიფდება (МАК, I, 6).

არგვეთული საფერეს შაქრიანობა, 1890 და 1891 წლების ანალიზის მიხედვით, 17,4—20% შეადგენდა, ხოლო სიმჟავე 6,38—13,95%-ს (ერმ. ნაკაშიძე, СССВВВДК, III, 12—13).

ამ ჯიშის ყურძენი და ვაზი ჰრაქით (мильديو) საკმაოდ ძლიერად ავადდება. ღვინო მისგან საშუალო დდება, მაგრამ მისი მარცვლის კანშიც, თუმცა ოცხანურ საფერისაზე გაცილებით ნაკლები, მაგრამ მაინც საკმაოდ საღებავი მოიპოვება, რომელსაც სხვა ღვინოების შესაფერადებლად და გასაუმჯობესებლად ჰხმარობენ (ვ. სტაროსელსკი, МАК, I, 6 და ერმ. ნაკაშიძე, СССВВВДК, III, 9—10).

არგვეთული საფერე, ვ. სტაროსელსკის 1893 წ. ცნობით, შორაპნის სანახების ს. არგვეთში შედარებით დიდი ხნის გავრცელებული არ ყოფილა, მაგრამ მისი გაჩენის ისტორია ვამოუტკვეველიაო. მისი გავრცელების არეს წარსული საუკუნის დამლევს შორაპნის ყ. მაზრის დასავლეთი ნაწილი და ქუთაისის ყ. მაზრის აღმოსავლეთი ნაწილი შეადგენდა (МАК, I, 6).

12. შავი ბუდეშური იმერეთის ყურძნის ჯიშთა სიაში მხოლოდ ილ. ბახტაძეს აქვს დასახელებული, მაგრამ მისი არც აღწერილობა მოეპოვება და არც გავრცელების არე და ინტენსივობა არის აღნიშნული (Эконом. быт госуд. крест. Шорап. у.: МИЭБГКЭК. II, 1, გვ. 212).

13. ადანასური იმერეთის წითელი და შავი ყურძნის ჯიშების სიაში ერმ. ნაკაშიძეს აქვს დასახელებული, მაგრამ აღწერილობა არ დაურთავს. ნათქვამია მხოლოდ, რომ ადანასურს მალღარად აშენებენო (СССВВВДК, III, 10 და 15).

ადანასურის ამპელოგრაფიული აღწერილობა პირველად პროფ. V. Pulliat-მ გამოაქვეყნა Baron de Longueuil-ის მიერ ქუთაისითგან მოწოდებული მასალის მიხედვით. მაგრამ ცნობის მიმცემს, თუ თვით ფრანგ მეცნიერს ჯიშის ამ სახელში შეცდომა შეჰპარვია და ადანასურის მაგიერ ერთგან ანადასური, მეორეგან კიდეც ანდასაული დაუბეჭდია, რათგან მას ორი სახესხვაობის ადანა-

სური აქვს აღწერილი: „Anadasauri“ და „Didi Andasaouli“ „დიდი ანდასაული“ (Mille variétés de vignes, 9—10 და 100—101). ადანასური მართლაც პატარა მტევნაიანი და დაღმტევნიანიც არსებობს. ორივე ადანასურის სრული აღწერილობა მათი სურათებითურთ ვ. სტაროსელსკიმ გამოაქვეყნა (MAK, I, გვ. 1—2 და სურ. I და II).

ადანასური, რომელსაც მაღლარიც ეწოდება, სტაროსელსკის დახასიათებით ძლიერი ვაზია. მას ზრო სქელი აქვს, მუშავაზი მუქი წაბლისფერი (темно-красн), ერთი წლის რქა უფრო ღია ფერისაა. ნორჩი ფოთოლაკები ხუთყურბიანი, საშუალოდ დაკბილული იცის. ზედაპირზე თხელი მონაცრისფერო ბუსუსი აქვს, ქვედას ხშირი ბუსუსი ასხია. ფოთოლი გრძელყუნწიანი, ხუთყურიანი, სქელი, მუქი მწვანე ჰმოსია. ზედაპირი ოდნავ უსწორმასწორო აქვს, ქვედა ბუსუსიანი, მწვანე-მოვერცხლისფეროა. მტევანი ან საშუალო და თხელი, თუ მაღლარად არის დაყენებული, ან პირიქით დიდი და კუმსი იცის, თუ დაბლარია. მარცვლი მუქი იისფერისა ასხია. მსხვილი, მრგვალი, მონაცრისფერო აფსკიანია. მარცვალს კანი სქელი, მაგრამ ელასტიკური აქვს. ხორცი მწვანე და წვნიანი იცის. წვენი ყვითელ-მოვარდისფეროა. ღვინო ადანასური ყურძნისაგან თუმცა მომკავო, მაგრამ სასიამოვნო სურნელოვანი და გემრიელი, მოვარდისფერო დგება. კვირტი ადრე ეშლება. მაისის დაშლევს ყვავის და ოქტომბრის მეორე ნახევარში მწიფდება. ადანასური ნაყოფიერი ჯიშის ვაზია და ძალიან არის გავრცელებული. ამ ვაზს მაღლარადაც, ოლიხნარადაცა და დაბლარადაც აყენებენ. მის ნაკლს მხოლოდ ის შეადგენს, რომ ნაცრისაგან ძალზე ზიანდება. მისი გავრცელების მთავარ არეს ყვირილის მარცხენა სანაპირო, ჩხერიმელას ხეობა და ძირულის ხეობის ქვემო ნაწილი შეადგენს, ხოლო გაბატონებულია ქუთაისის ყ. მაზრის ს. დიშა და შორაპნის ყ. მაზრის ს. ხორითსა და მოსაზღვრე სოფლებში (იხ. MAK, I, გვ. 1, სურ. I და II).

აღსანიშნავია, რომ პროფ. V. Pulliat-ს ადანასური ერთხელ Anadasauri-ს მცდარი სახელით, მეორეჯერ Didi Andasaouli დიდი ანდასაული-ს სახელით და მესამეჯერ Patara Andasaouli პატარა ანდასაულის სახელით აქვს თავის ნაშრომში მოყვანილი. მისი ცნობა ამ შემთხვევაშიც ქუთაისითგან Baron de Longueuil-ის მიერ მოწოდებულ მასალაზე დამყარებული (იხ. Mille variétés de vignes, 9—10; 100—101 და 275).

ამნაირად, ისე გამოდის, რომ ადანასურის სამი სახესხვაობა არსებულა: ადანასური ჩვეულებრივი, დიდი ადანასური და პატარა ადანასური. მაგრამ თვით ფრანგ მეცნიერს ამპელოგრაფიულად მარტო პირველი ორი სახესხვაობა აქვს დახასიათებული. ამასთანავე ნათქვამია, რომ დიდ ადანასურს ოხტაურიც (Ochtaouri) ეწოდებოდა (იქვე, 101). პატარა ადანასაულისა კი მხოლოდ სახელი აქვს მოყვანილი. დიდი და პატარა ადანასური რომ ერთიდაიმავე ჯიშის სახესხვაობად ჰქონდა V. Pulliat-ს მიჩნეული, ეს იმ გარემოებითგანაა ჩანს, რომ პატარა „ანდასაული“ („Patara Andasaouli“) სახელთან მას ნათქვამი აქვს: იხილეთ დიდი „ანდასაული“-ო. მაგრამ თვით ჩვეულებრივი ადანასურის სახელი მის ნაშრომში ისეა დამახინჯებული („Anadasauri“), რომ მის დიდ და პატარა ადანასურთან კავშირის აზრი ფრანგ მეცნიერს არ დაჰბადებია.

„Anadasaouri“—სა და „Didi Andasaouli“—ის ამპელოგრაფიული დახასიათებაც, რომელიც პროფ. Pulliat-ს აქვს მოყვანილი, სტაროსელსკისას მთლად არ უდგება. მეტადრე ის გარემოებაა აღსანიშნავი, რომ „Anadasaouri“ ნუჯანუ-მოყვითანო მარცვლიან ყურძნად აქვს დასახელებული (გვ. 10).

ყველა ზემოთქმულითგან ცხადი შეიქმნებოდა, რომ ადანასურის ამპელოგრაფიას ჯერ კიდევ განმეორებითი შესწავლა სჭირდება მ-თ უმეტეს, რომ სახელები დიდი ადანასური და პატარა ადანასური ფრანგი მეცნიერის მოგონილი არ შეიძლება იყოს და, უეჭველია, საქართველოთგან მიღებული ცნობითგან იქმნება ამოღებული. სტაროსელსკის აღწერილობითგანაც ჩანს, როგორც დავრწმუნდით, რომ მართლაც დიდმტევნიანია და პატარამტევნიანი ადანასურიც არსებობს. ამ მკვლევარს ეგონა, რომ მტევნის სიდიდის განსხვავება ვაზის მაღლარად, თუ დაბლარად დაყენება-მოვლაზეა დამოკიდებული. ეგების განსხვავების თავდაპირველ მიზეზს ეს გარემოებაც შეადგენდა, მაგრამ, რაკი ქართველ მევენახეს რაი ცალკეული სახელი, დიდი ადანასური და პატარა ადანასური, შეუქმნია და დაურქმევია, ამიტომ გამოსარკვევია, მაღლარსა და დაბლარი ადანასურის მტევნების განსხვავება დროებითი, თუ უკვე სამარადისოდ ჩამონაკვთილი და ამის გამო განსაკუთრებულ სახესხვაობად შექმნილი თვისებაა. ეგების როგორც ადანასური დაბლარი, ოლიხნარი და მაღლარი არსებობს, ამიტომვე ჩვეულებრივი, დიდი და პატარა ადანასური არსებობდეს?

14. ქველოური ილ. ბახტაქესა აქვს შორაპნის ყოფილ მაზრაში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა შორის დასახელებული. მაგრამ არც მისი აღწერილობა და არც ფერიც კი აღნიშნული არა აქვს (Эконом. быт госуд. крестьян Шорпан. у. Кут. губ.: МИЭБГКЗК, II, 1, 212). არც ერთ სხვა ავტორს ამ ჯიშის არც აღწერილობა და არც ხსენება ამ მოეპოვება.

ქველოურის მოკლე აღწერილობა მივიღე დ. ჩიხლაძისაგან ზემო იმერეთის ს. შრომაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების მოკლე დახასიათებასთან ერთად, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ. ქველოური შავი ყურძნის ჯიში ყოფილა. მტევანი შეკრული ჰქონია, მარცვალი მრგვალი, თხელკანიანი და ტკბილი სტოდნია.

15. მაჰანაური არგვეთის ყურძნის ჯიშთა შორის მარტო ილ. ბახტაქესა აქვს დასახელებული, მაგრამ მისი აღწერილობა არ მოეპოვება (Эконом. быт госуд. крест. Шорпан. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 212). ზემო იმერეთში, ს. შრომაში, გავრცელებული ყურძნის ჯიშების დომ. ჩიხლაძისაგან ჩემთვის მოწოდებულ აღწერილობაში კი ამ ყურძნის სახელად „მაჩანაური“ სწერია. მისი ცნობით, „მაჩანაური შავი ყურძნის ჯიშია, მტევანი დიდი იცის, მარცვალიც მსხვილი ასხია“.

16. არაბოული იმერეთში გავრცელებულ ჯიშთა შორის არავის ჰქონია აქამდის მოხსენებული, არაბული-ს სახელით ეს ყურძნის ჯიში, როგორც დავრწმუნდებით, ილ. ბახტაქეს აქვს რაჯის სახელმწიფო გლეხთა ეკონომიურ აღწერილობაში აღნიშნული. დომ. ჩიხლაძისაგან მოწოდებული ცნობა ცხადპყოფს, რომ არაბოული ზემო იმერეთშიც, მაგ. ს. შრომაში, ყოფილა. მისი სიტყვით, „არაბოული შავი ყურძნის ჯიშია, მტევანი ძალიან დიდი აქვს, მარცვალიც მსხვილი იცის“.

17. რცხილათუბანი იმერეთის შავი და წითელი ყურძნის ჯიშების სიაში მარტო უცნობ ავტორს მოეპოვება, რომლის სიტყვითაც იგი იმერეთის სამხრეთ ნაწილსა და ცხენის წყალზე მდებარე ს. ხონსა და მის მიდამოებში იყო გავრცელებული და რომ მისგან საკმაოდ მაგარი ღვინო დგებოდა, რომელსაც შეფერადება არ სჭირდებოდა (С6СВК, III, 209). ერმ. ნაკაშიძეს ამ ყურძნის ჯიშის სახელად ცხრილათობანი აქვს დაბეჭდილი, მაგრამ სახელის მეტი არაფერი მოეპოვება (С6СВВГВДК, III, 10).

18. ჩხავერი, უცნობი ავტორისა და ერმ. ნაკაშიძის ცნობით, ქვემო იმერეთში, გურიის მეზობლად მდებარე ზოლში ყოფილა გავრცელებული, უმთავრესად მალარად გაშენებული. იქ მისგან თურმე ფრიალ კარგი ღვინო დგებოდა. ჩხავერი შავისა და წითელი ყურძნის ჯგუფშია მოთავსებული (С6СВК, III, 209 და С6СВВГВДК, III, 10).

19. შავი კამური ილ. ბახტაძეს აქვს შორაპნის ყ. მაზრის ყურძნის ჯიშთა სიაში, მაგრამ სახელის მეტი არა მოეპოვება რა (Эконом. быт госуд. крест Шорапан. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 212). ამ ჯიშის სრული ამპელოგრაფიული აღწერილობა პირველად პროფ. V. Pulliat-მ დაბეჭდა თავის ნაშრომში „Mille variétés de vignes“ (გვ. 170—171), ხოლო შემდეგ სურათითურთ ვ. სტაროსელსკის აქვს გამოქვეყნებული (МАК, I, 2 და სურ. III). კამურის ვაზი საშუალო ტანისაა, მისი მუშავაზი წითელ-მოწაბლისფეროა, ფოთლი მუქი მწვანე, მსხვილი აქვს, ხუთყურიანი და უსწორმასწოროდ დაკბილულია, კბილები ღრმა არა აქვს ფოთლის ზურგი მოკლე თეთრი ბუსუსით არის თხლად მოფენილი. მტევანი გრძელ კლერტზე ჰკიდია. ფრანგი მეცნიერის დახასიათებით, საშუალოზე ოდნავ მომცროა, ხოლო ვ. სტაროსელსკით დიდი, წოწოლა, დასაწყისში ბურძღენიანი არის. მარცვალი საკმაოდ მოზრდილი და ოდნავ მოგრძო, შავი და კან-მაგარი იცის. ნაცრისფერი თხელათესიანი და ხორციანია. ხორცი თეთრი აქვს, წვენი კი ღია ვარდისფერია. შავი კამური მისში ყვავის, ხოლო ენკენისთვის დამლევს მწიფდება. ამ ჯიშის ვაზის ნაყოფიერება ცვალებადია. შავ კამურს მალარად აშენებენ. მისგან მაგარი, საშუალო ღირსების ღვინო დგება. კამური გავრცელებულია, მაგრამ იშვიათია, რომ დიდი რაოდენობით იყოს სადმე გაშენებული (Mille variétés de vignes.—МАК, I, 2 და სურ. III).

20. ჯანი ოსურგეთის მოსაზღვრე იმერეთის ზოლში ყოფილა გავრცელებული და ძალიან კარგი ღვინოც სცოდნია. მაგრამ ჯანზე, უცნობ ავტორს გარდა, იმერეთში არავის მოეპოვება ცნობები. მას ეს ყურძნის ჯიში შავი და წითელი ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს მოთავსებული (С6СВК, III, 209).

В. იმერეთში შერჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები

1. კუნძა იმერეთის ყურძნის ჯიშთა სიაში უცნობ ავტორს აქვს მოხსენებული, მაგრამ სახელის მეტი მის ნაშრომში ამ ჯიშზე თითქმის არაფერია ნათქვამი იმას გარდა, რომ ვიწროდ შემოფარგლულ არეზეა გავრცელებული (С6СВК, III, 210). ილ. ბახტაძესაც მარტო კუნძას სახელი მოეპოვება, მაგრამ ჭარბულად დაბეჭდილი (Эконом. быт госуд. крест. Шорапан. у.: МИЭБГКЗК,

II, 1, 212). მისი სრული ამპელოგრაფიული აღწერილობა ისევე, როგორც სურათი, მხოლოდ ვ. სტაროსელსკის აქვს გამოქვეყნებული.

ამ ავტორის დახასიათებით, კუნძას ვაზი დიდი ტანისაა, ზრო მსხვილი აქვს. მუშავაზი მოწითანო-მოყავისფერია. ფოთოლი მომრგვალო, დიდი, სამყურიანი იცის. ქვედა მხარეზე ფოთოლს თხლად მოკლე მოთეთრო ბუსუსი ასხია. მტევანი წოწოლა და კუმსი აქვს, მარცვალი მრგვალი, მსხვილი, ქარვი-საებრ ყვითელი და ზორციანი იცის, სქელკანიანია, წვენი თეთრია (MAK, I, 7—8).

კუნძას წვენის შაქრიანობა, 1890 და 1891 წ. მოსავლის ანალიზისდა მიხედვით, 19—21%-მდე აღწევს, ხოლო სიმუყავე 5,86—18,53 (sic!) %-მდე აღიოდა (ერმ. ნაკაშიძე, С6СвВгВдК, III, 12). ღვინო ამ ყურძნის ჯიშისაგან თუმცა მაგარი ღვება, მაგრამ მცირე ღირებულება აქვს (MAK, I, 8).

კუნძას დაბლარად აშენებენ. შუა ენკენისთვეში მწიფდება. ვ. სტაროსელსკის კუნძა ადგილობრივ ჯიშად მიაჩნდა. ყვირილისა და ძირულის ხეობებში იგი გავრცელებული, მეტადრე ს. ს. ღვანკითსა, ფუთსა და კიკნაველეთში (MAK, I, 8 და С6СвВгВдК, III, 12).

პროფ. V. Pulliat-ს, ქუთაისითგან Baron de Longueuil-ისაგან მიღებულ ცნობით, დასახელებული აქვს ყურძნის ჯიში „Koumsa Msouané“ „კუმსა მშუანე“, რომლის ამპელოგრაფიული აღწერილობა კუნძისას უდგება. მარცვლის ფერადაც სიმწიფის დროს ყვითელია აღნიშნული (Mille variétés de vignes, 176). ამიტომ იზადება საკითხი, ფრანგულად დაბეჭდილი „Koumsa“ კორექტურულ შეცდომას წარმოადგენს Koumsa-ს „კუნზა“-ს, ე. ი. „კუნძა“-ს მაგიერ, თუ აქ მართლაც მშუანე „კუმსი“-ს სახესხვაობა იგულისხმება?

2. კვირისტავა ანუ, როგორც ილ. ბახტაძესა აქვს დაბეჭდილი, კვირისთავა დასახელებული კი არის შორაპნის ყ. მაზრის ყურძნის ჯიშთა შორის, მაგრამ სხვა არავითარი ცნობა მის შესახებ არც იქ და არც სხვაგან სადმე არ მოიპოვება (МИЭБГКЗК, II, 1, 212 და Свод МИЭБГКЗК, IV, 55).

3. ზარისთვალა, თუმცა იმერეთშიც მოიპოვება და მაგარი, მსხვილი, თეთრი მარცვალი აქვს, მაგრამ, დომ. ჩიხლაძის სიტყვით, ესლა იშვიათადლა შეხედება მას ადამიანი.

4. უცნობ ავტორს იმერეთის ყურძნის ნაკლებ გავრცელებულ ჯიშთა სიაში ყურ-წითელა („Курцнццтла“) აქვს მოხსენებული (С6СвК, III, 210), რომლის კვალიც არსად სხვაგან და არც ერთი სხვა ავტორის ნაშრომში არა ჩანს.

5. პროფ. V. Pulliat-ს, ქუთაისითგან Baron de Longueuil-ისაგან მიწოდებული მასალის მიხედვით, დასახელებული აქვს ერთი ყურძნის ჯიში თავწითელა („Tav-Isitela, Tête rouge“), რომლის ამპელოგრაფიული აღწერილობა მოყვანილია კიდეც.

Pulliat-ის დახასიათებით, თავწითელამ დაკვირტება ბუსუსიანი თეთრი-მოყვითანო იცის, ვარდისფრად შეფერადებული ფოთოლაკთა არეზე. ძალიან ადრიან ყვავის. ფოთოლი საშუალო აქვს, ზედაპირზე გლუვია, ქვედაზე ბუსუსიანი. მტევანი საშუალოა, მოგრძო, ცილინდრულ-წოწოლა, ოდნავ კუმსია. მტევნის კლერტი საკმაოდ გრძელი და ოდნავ მაგარია. მარცვალი საშუალო,

ელიფსოიდური, სქელკანიანი, მწვანე-მოყვითანო ასხია. ხორცი ოდნავ მაგარი, მაგრამ წვენიანი აქვსო (Mille variétés de vignes, 362—363).

ამ ჯიშის ქართული სახელი, თავ-წითელა, ცხადჰყოფს, რომ ამ ყურძნის ჯიშის რომელიღაც ნაწილის თავი წითელი უნდა იყოს, ან ყოფილიყო, მაგრამ იმის გამოსარკვევად, თუ სახელდობრ რა ჰქონდა ამ ყურძენს წითელი, Pulliat-ს ზემომოყვანილ აღწერილობაში არაფერი მოიპოვება.

6. მწვანე ქუთაისის სანახებსა და სამოქალაქოში ძალიან იყო გავრცელებული, ისე, რომ ბალდადისა და სიმონეთის დასავლეთით ყველგან, სადაც კი დაბლარია, მწვანეს ყურძნის ჯიშია გაბატონებული. მაგრამ აქ მწვანესაგან მდარე ღვინო დგება, რაც გასაკვირველიც არ არის, რათგან აქაური მწვანის შაქრიანობა, ს. სვირში 1891 წ. გაკეთებული ანალიზისა და მიხედვით, 18—21,5% შეადგენდა, სიმეავე კი 11—17,1% უდრიდა. სამაგიეროდ მწვანე სოკოვანი და სხვა სნეულებით ნაკლებად ავადდება (С6СвК, III, 210 და С6СвВгВдК, III, 10 და 12).

7. ნაცარა-ზე ცნობა მარტო ერმ. ნაკაშიძის ნაშრომში მოიპოვება. იგი არგვეთის სანახების ს. ღვანკითში ყოფილა გავრცელებული. 1891 წ. ანალიზისა და მიხედვით, მისი შაქრიანობა 23,5% შეადგენდა, სიმეავე კი 9,30% უდრიდა (С6СвВгВдК, III, 12).

8. შანთი იმერეთის ყურძნის ჯიშთა კუთვნილებად ილ. ბახტაძეს აქვს აღნიშნული (Экон. быт. госуд. крест. Шорпан. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 212). შანთის ამპელოგრაფიული აღწერილობა პროფ. V. Pulliat-ს აქვს მოთავსებული Baron de Longueuil-ის მიერ ქუთაისითგან მიწოდებული მასალის მიხედვით. მისი დახასიათებით, შანთმა დაკვირტება ღია მწვანე იცის, ფოთოლაკების ზედაპირზე კი მწვანე-მოყვითანო. ფოთოლი მოზრდილი აქვს, ზედაპირი გლუვი, ქვედა ბუსუსიანია, სამყურიანი და ფართოდ დაკბილული არის. მტევანი მომცრო იცის, საკმაოდ გრძელი და მაგარყუნწიანი. მარცვალი მომცრო ასხია, ოდნავ მსხვილკანიანი, რომელიც დამწიფებისას ყვითელ-მომწვანო ფერი ხდება. ხორცი ოდნავ რბილი, წვენიანი და საკმაოდ ტკბილი აქვს და მესამე ხანაში მწიფდება (Mille variétés de vignes, 67—68).

9. სადადეგო იმერეთის ყურძნის ჯიშთა შორის მხოლოდ უცნობ ავტორს აქვს დასახელებული. მასაც მარტო ის აქვს აღნიშნული, რომ ადრეული ყურძნის ჯიშია და რომ მისგან ღვინოს კი არ აყენებენ, არამედ მაჭარს და მაჭარდვე სვამენო (С6СвК, III, 210).

10. ერმ. ნაკაშიძის ნაშრომში თუმცა სადადეგოს ხსენებაც კი არ მოიპოვება, მაგრამ სამაგიეროდ მას სამაჭრედ წოდებული ყურძნის ჯიშის სახელი აქვს მოთავსებული ყურძნის სხვადასხვა ჯიშის შაქრიანობა-სიმეავეის პროცენტული ოდენობის შესახები ცნობების შემცველ ცხრილში. ამ ცხრილითგან ირკვევა, რომ სამაჭრედ წოდებული ყურძნის ჯიშის წვენი საანალიზოდ არგვეთის სანახების ს. ს. ალისუბნისა და ღვანკითითგან ყოფილა აღებული და 1890 და 1891 წლების მოსავალს 16,8—17,8% შაქარი და 7,65% სიმეავე აღმოსჩენია (С6СвВгВдК, III, 11).

რა თქმა უნდა, სამაჭრედ განკუთვნილი ყურძენი მარტო სადადეგო არ იქმ-

ნებოდა და არც იყო, მაგრამ, რაკი სადადეგო თურმე მაქრად იხმარებოდა, ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი, სამაჰრე ხომ სადადეგოს სინონიმი, მეორე სახელი, არ არის?

11. სამჰაჰა („самшара“) იმერეთის ვიწრო არეზე გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს უცნობ ავტორს მოქცეული. მასაც სახელის მეტი არაფერი მოეპოვება (СбСвВгВдК, III, 210). დანარჩენ ავტორებს იმერეთში მოხსენებული არა აქვთ.

12. სათიბა ქუთაისის სანახების ს. კიკნაველეთში ყოფილა გავრცელებული, 1891 წ. მისი შაქრიანობა 18% უდრიდა, სიმეავე კი 22,13 (sic!) %-ს შეადგენდა (СбСвВгВдК, III, 13).

13. მალლარი ს. თბაში იყო გავრცელებული. მისი შაქრიანობა 1890 წ. 19,5% შეადგენდა, სიმეავე 9,3%-ს (СбСвВгВдК, III, 12).

14. კაპისტონი, ვ. სტაროსელსკის აღწერილობით, საშუალო ტანის ვახს წარმოადგენს. ზროც საშუალო სისქისა აქვს. მისი მუშავაზი მუქი ნაცრისფერია, რქა მუქი ყავისფერისაა (буро-коричного). ფოთლი ხუთყურბანია, სხვადასხვა სიდიდის, მაგრამ საერთოდ მომცრო ჰმოსია, მწვანე-მოყვითანო ზედაპირი აქვს, ქვედაც დაახლოვებით ისეთივეა, მხოლოდ ოდნავ მოკლე ბუსუსით არის მოფენილი. მტევანი პატარა, ბურძღენიანი და საშუალოდ კუმსი იცის. მარცვალი ქარვისებრ ყვითელი ასხია, ოდნავ ცვილოვანი აფსკი აქვს გადაკრული, თხელი და ნაზი კანიანია, წვენიანი და ძალიან ტკბილი არისო (МАК, I, 3—4), მაგრამ ს. კიკნაველეთის 1891 წ. მოსავლის კაპისტონს, ერმ. ნაკაშიძის ცნობით, მხოლოდ 16% შაქარი ჰქონია და 16,17% სიმეავე!! (СбСвВгВдК, III, 13).

ვ. სტაროსელსკის სიტყვით, კაპისტონი მაისის დამდეგს ყვავის და ენკენისთვის დამდეგს მწიფდება. ზემოდასახელებული ავტორი კაპისტონს ადგილობრივ ყურძნის ჯიშად სთვლის. მისივე მოწმობით კაპისტონისაგან რიგიანი თეთრი ღვინო დგება (МАК, I, 4). რაც მის ზემომოყვანილ ჭიმიურ შედგენილობას, თუ იქ შეცდომა არ არის შეპარული, ნაკლებ შეეფერება.

კაპისტონი დაბლარადაც და მალლარადაც არის გაშენებულიო, მაგრამ ხანგრძლივ ვერ სძლებსო. შორაპნის ყ. მაზრის ს. ს. კინოთსა, ტვრინსა, იგორეთსა, ლაშესა, ხორაგაულსა, სარგვეშში, საჩინოსა და საჭავახოს მიდამოებში ყოფილა გავრცელებული თიხიან და ცარციან ნიადაგში (МАК, 1,4 და სურ. VI.—СбСвВгВдК, III, 13).

პროფ. V. Pulliat-ს, ქუთაისითგან მიღებული Baron de Longueuil-ის ცნობით, ამ ყურძნის სახელად ზეკრულა კაპისტონი („Zekroula Khabistoni“) აქვს მოყვანილი (იხ. Mille variétés de vignes, 405—406).

გამოსარკვევია ამ ცნობის სისწორე, მართლა ზეკრულა, თუ შეკრულა კაპისტონი ეწოდება, და ასეთი სახელი ჩვეულებრივ კაპისტონს ეწოდება, თუ აქ კაპისტონის განსხვავებული სახესხვაობის სახელია აღბეჭდილი.

15. თეთრი ბუდეშური იმერეთის ყურძნის ჯიშთა შორის, ილ. ბახტაძის გარდა, არავის დასახელებული არა აქვს. სამწუხაროდ, მას ამ ყურძნის არც აღწერილობა მოეპოვება, არც ის აქვს აღნიშნული, თუ სად და რამდენად არის

გავრცელებული (Эконом. быт госуд. крест. Шорапан. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 212).

16. უცნობ ავტორსა და ვ. სტაროსელსკის ცოლიკაური-სა, ხოლო პროფ. V. Pulliat-სა, ილ. ბახტაძეს და დომ. ჩინლაძეს ცოლიკაური-ს („Dzolikoori“) სახით მოხსენებული ყურძნის ჯიში ამპელოგრაფიულად პირველად პროფ. Pulliat-მ აღწერა: Baron de Longueuil-ისაგან ქუთაისითგან მიწოდებული ცნობის მიხედვით. სრული აღწერილობა და სურათი კი ვ. სტაროსელსკისა აქვს გამოქვეყნებული.

ცოლიკაურს ანუ ცოლიკაურს ვაზი ღონიერი აქვს, ზრო მსხვილი. მუშავაზის ქერქი მონაცრისფერო-მოყავისფეროა, რქა მოფორთოხლისფერო-მოყავისფეროა. ფოთოლი სხვადასხვა სიდიდისა, საერთოდ კი საშუალო, სამყურია-ნი ასხია. ზედაპირი გლუვი და მუქი მწვანე აქვს, ქვედა კი მონაცრისფერო-მწვანე და ოდნავ ბუსუსიანია. მტევანი მომცრო და თხელი იცის, მარცვალი საშუალო, მრგვალი, ქარვისფერ-მომწვანო, შავად დაწინწკლული ასხია. წვენიანია. წვენი უფერული, ტკბილი და სასიამოვნოა. კანი სქელი და ძალიან მაგარია. ცოლიკაური შუა მასში ყვავის, ხოლო ენკენისთვის დამლევეს, ან და ოქტომბრის დამდეგს მწიფდება. მისგან საუცხოვო, მაგარი თეთრი ღვინო დგება. მოსავალი საშუალო იცის. უმთავრესად დაბლარად აშენებენ, მაგრამ მაღლარადაც მოიპოვება. ვაზი სნეულებას ძალიან კარგად უძლებს. ცოლიკაური შორაპნის ყ. მაზრის სოფ. ბაზალეთსა, ლაშესა, თეთრა-წყაროსა და სხვა სოფლებშიც და ქუთაისის ყ. მაზრის ს. ობჩაში ცარციან ნიადაგზეა გავრცელებული. უკანასკნელ ადგილას ცოლიკაურს ობჩურა-ს უწოდებენო. ვ. სტაროსელსკი ცოლიკაურს ადგილობრივ ყურძნის ჯიშად სთვლიდა (СбСвК, III, 210; Pulliat, Mille variétés de vignes, 107; ვ. სტაროსელსკი, МАК, I, 4—5, სურ. VIII; МИЭБГКЗК, II, 1, 212).

17. იმერეთის თეთრი ყურძნის ჯიშთა სიაში უცნობ ავტორს ციციკო-ც („цицко“) აქვს შეტანილი, რომელზეც ნათქვამია მხოლოდ, რომ ს. ჩხარისა, არგვეთისა და ოკრიბის მიდამოებშია გავრცელებული და რომ ავადმყოფობისაგან ძალზე ზიანდებაო (СбСвК, III, 210). ვ. სტაროსელსკის, რომელმაც ეს ყურძნის ჯიში ამპელოგრაფიულად აღწერა და მისი სურათიც დაურთო, ამ ყურძნის ჯიშის სახელად ციციკა (цицка) აქვს მოყვანილი. ასევეა ერმ. ნაკაშიძის ნაშრომშიც. სტაროსელსკის დახასიათებით, ციციკას ვაზი საშუალო ტანისაა, ზროც საშუალო სიმსხოსი იცის. მუშავაზის ქერქი მოტალახისფერო-მონაცრისფერო აქვს, რქა კი ღია დარეჩინისფერია და გლუვი. ფოთოლს 12 სანტ. სიგრძე და 15 სანტიმ. სიგანე აქვს, ხუთყურიანია და მკვეთრად დაკბილული. ზედაპირი გლუვია და ღია მწვანე ფერი, ქვეითგან კი თხელი, მონაცრისფერო ბუსუსი ასხია. მტევანი საშუალო სიდიდისა იცის, ჩამოგრძელებული და კუმსია, მხოლოდ მტევნის ყუნწთან ოდნავ ბურძღენიანია. მარცვალი საშუალო სიმსხოსი, მრგვალი ან და ოდნავ მოგრძო, ქარვისებრ-ყვითელი, ნაზკანიანი და ოდნავ ცვლაფსკიანი ასხია. ხორცი გლუვი და წვენიანი აქვს, წვენი თეთრია (ვ. სტაროსელსკი, МАК, I, 3). მისი წვენის შაქრიანობა, 1890 წ. ანალიზისდა მიხედვით, 19—22% უდრის, სიმჟავე 6,6—12%-ს (ერმ. ნაკაშიძე, СбСвВрВдК, III, 11). ციციკასაგან საუკეთესო, მაგარი თეთრი ღვი-

ნო ღებდა. ვაზი შუა მაისში ყვავის და ენკენისთვის დამლევეს მწიფდება. ჩვეულებრივ დაბლარად აშენებენ და მხოლოდ იშვიათად მაღლარადაც გვხვდება. ციკქა მოსავლიანი და ხანგრძლივი ჯიშია. ამიტომაც ფართოდ იყო გავრცელებული, უმთავრესად კი ყვირილის ხეობის სანაპიროებზე და ძირულის ხეობის ქვემო ნაწილში მოიპოვება, მაგ. ს. ჩხარის, სახანოს, ბოსლევისა და ფუთის მიდამოებში, თიხიან და კირთიხიან ნიადაგში (МАК, 1, 3 და С6СвВгВдК, III, 10).

18. კრახუნა საშუალო ტანის ვაზია, ზროც საშუალო აქვს. მუშავაზის ქერქი მუქი ნაცრისფერია, რქას ყავის ფერი აქვს. ფოთოლი საშუალო, ხუთყურიანი კმოსია, ზედაპირი მუქი მწვანეა, ქვედა მქრთალი და ბუსუსიანი. მტევანი მომცრო, ბურძღენიანი და შედარებით თხელი იცის (ვ. სტაროსელსკის დახასიათებით, — დომ. ჩიხლაძეს კი პირიქით ნათქვამი აქვს, რომ „კრახუნას მკიდრო, მაგარი მტევანი“ აქვს). მარცვალი ღია ყვითელი ფერისა, საშუალო, სრულებით მრგვალი, ხორციანი, თხელკანიანი და ნაზი ასხია (МАК, I, 7). კრახუნას წვენი, ს. სვირში 1890 წ. გაკეთებული ანალიზის თანახმად, 21,5—24% შაქარსა და 4,13—4,95% სიმკვავეს შეიცავს (С6СвВгВдК, III, 11).

კრახუნა შუა მაისში ყვავის და შუა ენკენისთვის მწიფდება. მისგან საუკეთესო ღვინო ს. სვირში ღებდა, მაგარია და მადერის მაგვარი გემო აქვს, სხვა ღვინოებზე უფრო ძვირად ფასობს, მაგრამ სურნელოვანი არ არის და ზაფხულშიც კარგად ვერ ინახება. კრახუნა შორაპნის ყ. მაზრის დასავლეთის ნაწილისა და ქუთაისის ყ. მაზრის აღმოსავლეთის ნაწილის სოფლებშია გავრცელებული, მაგრამ მცირე რაოდენობით, რათგან თიხიანსა და თიხა-კირიან ნიადაგზე მოსავალიც ნაკლები იცის და ღვინოც მდარე ღებდა. კრახუნას ყოველთვის დაბლარად აშენებენ. ვ. სტაროსელსკის სიტყვით, კრახუნა თითქოს პირველად სამოცდაათიან წლებში ყოფილა კახეთითგან ერთი გლეხის მიერ ს. სვირში მიტანილი. ეს ვაზი ვერც სოკოვან დაავადებას უძლებს და ვერც ფილოქსერას, რომლისგანაც სხვებზე აღრე ისობა (МАК, I, 7; С6СвВгВдК, III, 10—11).

19. კამური თეთრი ანუ თეთრა კამური ილ. ბახტაძეს მოეპოვება შორაპნის ყ. მაზრის ყურძნის ჯიშთა სიაში (Эконом. быт. госуд. крест. Шорапан. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 212). მისი ამპლოგრაფიული აღწერილობა ვ. სტაროსელსკიმ შეიტანა თანდართული სურათითურთ თავის МАК I-ში (გვ. 2—3, სურ. IV).

თეთრი კამურის ვაზი ძლიერად იზრდება. ზრო საშუალო სისქისა აქვს. მისი მუშავაზი მოწითანო-მოწაბლისფეროა, რქაც ასეთივეა, მაგრამ ოდნავ უფრო ღია ფერია. ფოთოლი საშუალო, სამყურიანი, ხერხისებრ დაკბილული აქვს. ფოთოლი ღია მწვანეა, მაგრამ ქვედა მხარე უფრო ბაცია და ოდნავ ბუსუსით არის თხლად შემოსილი. მტევანი დიდი, ბურძღენიანი, თხელი და ნაზი იცის. მარცვალი მსხვილი, ოდნავ მოგრძო, თხელკანიანი, შავად დაწინწკლული ასხია. ხორცი და წვენი ღია მწვანე ფერისა იცის. ენკენისთვის დამლევეს მწიფდება. თეთრი კამურის ვაზს მაღლარად აყენებდენ. თეთრი კამურისაგან ტკბილი შუშხუნა ღვინო ღებოდა, რომელიც დიდხანს სძლებდა და ძვირად ფასობდა. სოკოვანი ავადმყოფობისაგან გადაშენდა და იშვიათილა (МАК, I, 2—3 და ერმ. ნაკაშიძე, С6СвВгВдК, III, 10).

20. განჯის ყურძენი, უცნობი ავტორის სიტყვით, იმერეთში მცირე არეზე ყოფილა გავრცელებული (СбСвК, III, 210). ზელინსკის ამ ყურძნის შესახებ ცნობა ამავე წყაროთგან აქვს ამოღებული (Свод МИЭБГКЗК, IV, 55). სხვებს არავის მოეპოვება.

21. წინწყვა-ს ხსენება იმერეთის ყურძნის ჯიშთა შორის პირველად უცნობ ავტორს მოეპოვება, რომელსაც („цицква“) რუსულად აქვს დაბეჭდილი. ამის გამო მისი ნამდვილი იმდროინდელი ქართული გამოთქმა და დაწერილობა გამოურკვეველი რჩება. ამ ავტორის სიტყვით, ამ ყურძნისაგან ღვინოს კი არა, არამედ მაკარს აკეთებენ (СбСвК, III, 210), ე. ი. სამაჭრე ჯიში ყოფილა. ზელინსკის ამ ყურძნის სახელი ქართულადაც და რუსულადაც აქვს დაბეჭდილი: „цицква წინკვა“ (Свод МИЭБГКЗК, IV, 55). რაკი ილ. ბახტაძეს ყურძნის ჯიშის ასეთი სახელი იმერეთში მოხსენებული არა აქვს (იხ. МИЭБГКЗК, II, 1, 212), გევესკისა და შარერსაც მისი კვალი არ უჩანთ, ამიტომ გამოურკვეველი რჩება, თუ საითგან აქვს ამოღებული წინკვა ზელინსკის, რომელსაც უცნობი ავტორის ნაშრომის „Очерк виноделия Кавказа“-ს გარდა სხვა არავითარი წყარო არ გააჩნდა, როდესაც იქ „цицква“-ა.

22. მაისა იმერეთის ყურძნის ჯიშად მხოლოდ ილ. ბახტაძეს აქვს დასახელებული. მისი დახასიათებით, მაისა-ს წვრილი მარცვალი ჰქონია და სიცხისა და მშრალი ქარისაგან ფუჭდებოდა. მისგან თურმე თეთრი ღვინო დგებოდა, მაგრამ სუსტი (Эконом. быт госуд. крест. Шорап. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 212).

23. ქართულა შორაპნის ყ. მაზრის ყურძნის ჯიშთა შორის, ილ. ბახტაძეს გარდა, არავის აქვს დასახელებული. მასაც სახელის მეტი არაფერი მოეპოვება (МИЭБГКЗК, II, 1, 212), ამიტომ არც მისი ფერისა, არც დანიშნულებისა და არც გავრცელების არეზე არა ვიცით რა.

§ 8. რაჭაში შერჩენილი ყურძნის ჯიშები

რაჭაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების მხოლოდ სახელების სია არსებობს, მათი აღწერილობა კი არავის შეუდგენია. უცნობ ავტორს 1874 წ. მარტო 5 წითელი და ორი თეთრი ყურძნის ჯიშის სახელი აქვს რუსულად მოყვანილი. 1888 წ. ილ. ბახტაძეს 25 სახელწოდება მოეპოვება რუსულთან ერთად ქართულადაც დაბეჭდილი, რაც მკვლევარს მათი ნამდვილი სახელის გამორკვევის საშუალებას აძლევს. სამაგიეროდ ილ. ბახტაძის ვრცელ სიას ის დიდი ნაკლი ახლავს თან, რომ იქ ყურძნის ჯიშების ფერიც კი აღნიშნული არ არის. ზელინსკი ჩვეულებისამებრ აქაც კომპილატორია: ისიც კი ვერ მოუხერხებია, რომ ქართულად დაბეჭდილი სახელები დაუმახინჯებლად გადაეხედდა. ამიტომ მის ცნობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და მკვლევარს მხოლოდ შეაცდენს.

1895 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „Виноградарство и виноделие в Рачинском уезде“ (СбСвВгВдК, III, 33—68) ე. დანდურავს აღნიშნული აქვს რაჭაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების დიდი სიმრავლე, მაგრამ მასაც არამც თუ ყველა ამათი აღწერა საჭიროდ არ მიუჩნევია, არამედ უმთავრესი

ჯიშების დახასიათებაც კი არ უცდია. დანდუროვიც მხოლოდ მათი სახელების ჩამოთვლითა და ფერის აღნიშვნით დაკმაყოფილებულა.

რაჭის ყურძნის ჯიშთა მოკლე აღწერილობისაც-კი უქონლობა საქმეს იმდენად აძნელებდა, რომ თითქმის მარტო სახელების ჩამოთვლით უნდა დაეკმაყოფილებულიყავით, რომ მგოსან ი. გრიშაშვილს დახმარება არ გაეწია. მან თავის რაჭველ ნაცნობთა შორის შეაგროვა ცნობები და ჩანაწერი გადმომცა. ამის წყალობით ნაწილობრივ ის ნაკლიც შეივსო, რომელიც ასე საგრძნობი იყო, და ზოგიერთი ახალი ცნობაც შეემატა. ამ გულუხვი დახმარებისათვის ი. გრიშაშვილს უდიდეს მადლობას მოვასხენებ. თვითოეული მის მიერ ჩაწერილი ცნობის მომთხრობელი ჩანაწერში დასახელებულია და მეც ყველგან მათი გვარები მოყვანილი მაქვს. ი. გრიშაშვილს მოსაუბრედ შემდეგი პირები ჰყოლია: სამსონ თომაძე, ალექსი ტომარაძე, მიხ. ომიძე, ალექ. შარაბიძე, ევ. ისაკაძე, სერგო კახეთელიძე, ამბაკო ჭელიძე, ვლად. ფოფხაძე, ევ. დვალი, ნუცა გიორგობიანი და ფატმან ჯაფარიძე. რაჭის ყურძნის ჯიშების ქვემოთმოყვანილ აღწერილობაში ყოველთვის, როდესაც რომელიმე მათგანია დასახელებული, მკითხველმა უნდა იგულისხმოს, რომ ცნობა მგოსან ი. გრიშაშვილისაგან მაქვს მიღებული.

რაჭაში გარეულ ყურძენს, ევ. დვალისა და სხვათა ცნობით, ძღვამბლი ეწოდება. იგი „ხეებზე შედის ყველგან ხარობს ტყეშიცა და ბარშიც. წვრილი კაკლები (ე. ი. მარცვლები) ასხია, გემო ტკბილი აქვს“-ო.

A. ყურძნის შავი და წითელი ჯიშები რაჭაში

1. „ძველშავი“-ს სახელით ცნობილი ვაზი ძელშავი, ს. თომაძისა და ნუცა გიორგობიანის სიტყვით, რაჭაშიც ყოფილა: „შავი ყურძენია, ძალიან ბევრი ღვინო დგება, მარცვალი წვენიანი აქვს“-ო⁷².

2. ყორნის-თვალი შავია (ილ. ბახტაძე, МИЭБГКЗК, II, 1, 63; ვ. ყანდურალოვი, С6СВГРВДК, III, 40).

3. რკო შავი ყურძნის ჯიშია (ყანდურალოვი, С6СВГРВДК, III, 40). მ. ომიძისა და ვლ. ფოფხაძის სიტყვით კი „თეთრი ფერისაა“, რკომ „მსხვილი მტევანი იცის“ და გვიან მწიფდება“-ო. ამჟამად ეს ჯიში რაჭაში გადაშენებულიაო.

4. ფეროვანი, ანუ ფერუანი შავია (ილ. ბახტაძე, МИЭБГКЗК, II, 1, 63; ვ. ყანდურალოვი, С6СВГРВДК, III, 40).

5. ალუში, ვ. ყანდურალოვის ცნობით, ერთი ყურძნის ჯიშის სახელია, რომელიც ვარდისფერი ყოფილა (С6СВГРВДК, III, 40). ვლ. ფოფხაძისა, ა. ჭელიძისა და სერგო კახეთელიძის სიტყვით კი „ალუშს უწოდებენ საზოგადოდ იმისთანა ვაზს, რომელიც ბევრს ნაყოფს იძლევა, მაგრამ საღვინედ მდარე ხარისხისაა“-ო. მაგ., მათი დახასიათებით „არაბოული ალუში ვაზია, დონდლაბიც ალუშა ვაზია, ღვინოდ არ ვარგაო“. თეთრ ყურძნის ჯიშთაგან, „მოქათური ალუში ყურძენია“ (ე. ისაკაძის სიტყვით).

⁷² სამწუხაროდ, ს. თომაძის ტფილისიდან გამგზავრების გამო, ი. გრიშაშვილმა ლერწის ფერისა და სხვა ნიშნების გამოკითხვა ველარ შესძლო.

6. საფერავი (ე. ყანდურალოვი, იქვე).

7. საფერი (უცნობი ავტორი, С6СВК, III, 216). ამბ. ჰელიძე და ს. თომამე საფერეს უწოდებენ. მათი სიტყვით, რაჭაში არსებობს საფერე, მუქი წითელი, ადგილობრივად მიჩნეული, რომელსაც „საქმელად არ ხმარობენ“, არამედ „ღვინოში შესარევად“. არის კახური საფერეც, რომელსაც „სპეციალურად ღვინის შესალეზავად ხმარობენ, კარგი ფერის მისაცემად“-ო.

8. შავი კაპისტონი ანუ შავი კაბისტონი გრძელმარცვლიანი შავი ყურძნის ჯიშია, რომელიც რაჭაში ყველგან იყო გავრცელებული. რაჭაში ცნობილი ბუგეულის ღვინო („бугеульское“) თურმე სწორედ შავი კაბისტონის ჯიშის ყურძნისაგან ყოფილა დაყენებული (უცნობი ავტორი, С6СВК, III, 216 და 217). ილ. ბახტაძის სიტყვით, კაბისტონს აგრეთვე ალექსანდროულიც ეწოდებოდა. ალექსანდროული კი იმიტომ დაარქვეს, რომ პირველად ყურძნის ეს ჯიში იმერეთის ბატონიშვილმა ალექსანდრემ შემოიტანაო (Эконом. быт. госуд. крест. Рачин. у.: МИЭБГКЗК, II, 1, 63). ვლ. ფოფხაძისა და ს. თომამის დახასიათებით, შავკაბისტონი-ს ვაზმა „მრგვალი ბიბილო იცის“. ბიბილო, ანუ ბიბილი რაჭაში ყურძნის მარცვალსა ჰნიშნავს. ეს ჯიში „ღვინოდაც კარგია და ყურძნადაც, მაგრამ მის მოშენებას აღარ მისდევენ“-ო.

9. ალექსანდროული უცნობ ავტორსაცა და ყანდურალოვსაც შავი კაბისტონისაგან განსხვავებულ ჯიშად აქვთ დასახელებული. ამ აგრონომებს შავი კაბისტონის და ალექსანდროულის სახელები ცალ-ცალკე აქვთ მოყვანილი. ალექსანდროული, ანუ, როგორც მას დაბეჭდილი აქვს, ალექსანდრეული („Александрейли“), უცნობი ავტორის სიტყვით, ხვანჭკარასა, ტოლასა და მდ. რიონის ხეობაში მდებარე მახლობელ სოფლებში ყოფილა გავრცელებული (С6СВК, III, 216), სადაც ამ ყურძნისაგან განთქმულ შავსა და მაგარს, თანაც გამძლე ყიფიანთ ღვინოს აყენებდენ (იქვე, 217). ყანდურალოვის ცნობით, ალექსანდროულის მაღალი ღირსების გამო, მის გაშენებისთვის რაჭის სხვა სოფლებშიც მიუყვიათ ხელი (С6СВВГВдК, III, 40),

ს. თომამისა და ვ. ფოფხაძის დახასიათებით ალექსანდროული ანუ ალექსანდრაული რაჭაში „განთქმული ვაზია, მისი ყურძენი შავი ფერისაა, ნაყოფი ტკბილი აქვს და საშუალოზე მეტი მოსავალი იცის“.

ამავე პირთა ცნობით, თუ ალექსანდროულის ტკბილს „ჩქეფად ჩაასხამ ქვევრში, მაშინ ოქროსფერი და ძლიერ მაგარი ღვინო დგება, ხოლო, როცა ჰაქაზე დაადუღებენ, ღვინო შავი გამოდის“. ამ ცნობის სისწორით გასაგებად უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ ჩქეფი ანუ უყენები „უჰაქოდ ქვევრში ჩასხმულსა და დადუღებულ ღვინოს ეწოდება“, ხოლო „ჰაქაზე დადუღებულ ღვინოს ნაყენები ჰქვიან“. ზემოდასახელებულ პირთა სიტყვით „ჩქეფად ჩასხმული და დაყენებული ღვინო თავსა სტკენს“-ო. საერთოდ კი ალექსანდროულის „ღვინო ძველობს, ე. ი. დიდხანს ინახება, და კარგად მგზავრობს, თანაც შემრგეც არის“-ო.

დასასრულ, მათივე სიტყვით, „ალექსანდროული იგივე ყიფიანის ღვინოა და ხვანჭკარა“.

10. რცხილა უცნობი ავტორის სიტყვით ს. ხიმშისა და წესში იყო უმთავრესად გავრცელებული. ხიმშისა და წესის ღვინოები, რომელნიც ღირსებით

მარტო ალექსანდროულისას ჩამოუვარდებოდენ, სწორედ ამ რცხილად წოდებული ყურძნის ჭიშისაგან ყოფილა დაყენებული (С6СвК, III, 216 და 217). რცხილა უცნობ ავტორს წითლად, ყანდურალოვს შავად აქვს აღნიშნული (იქვე და С6СвВгВдК, III, 40). ს. თომადისა, მ. ომაძისა, ვ. ფოფხაძისა და ფატმან ჭათარაძის ცნობით, რცხილის ლერწი მოწითანოა, მტევანი თხელი და გაშლილი იცის, მარცვალი მოგრძო, შავი ფერისა აქვს. „ალექსანდროულის შემდგომ ამის ღვინოს თავ-ღვინოს უწოდებენ“-ო. „ლეჩხუმში ამ რცხილას წითელ ალექსანდრაულს ეძახიან“-ო.

ავრ. არჩ. ფარანაშვილს რცხილაზე შემდეგი ხალხური ლექსი ჩაუწერია, რომლის გადმოცემისათვის დიდ მადლობას მოვახსენებ: „რაჰველ გლენჯაკს ვინ მისცა რცხილის ღვინო სასმელათო, იფქლის პური საქმელადო და იფნის შეშა საწვავათო“.

11. ანადასტური რაჰაში ყანდურალოვს აქვს აღნიშნული, ვითარცა შავი ყურძნის ჭიში (С6СвВгВдК, III, 40).

12. არაბოული ანუ, როგორც ილ. ბახტაძეს აქვს დაბეჭდილი. არაბული შავი ყურძენია (МИЭБГКЗК, II, 1, 63 და С6СвВгВдК, III, 40).

ვლ. ფოფხაძის, ა. ჭელიძისა და სერგო კახეთელიძის დახასიათებით არაბოულს ანუ ალაბეურს მსხვილი რქა აქვს, მტევანი გაშლილი იცის, მარცვალი კი მსხვილი. „ბაქოს ყურძენს შანის ჭიშს ჩამოჰვავს“-ო. „ალეში ვაზია“-ო, ე. ი. ბევრს ისხამს, მაგრამ მდარე ღვინოს იძლევა. ყურძენიც შავია და ღვინოც, რომელიც „ძელგი“, ე. ი. არასასიამოვნო დასალევი გამოდის“-ო.

13. ნაგუთნეული შავი ყურძენია (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63 და С6СвВгВдК, III, 40). ვ. ფოფხაძის სიტყვით ეს ჭიში უკვე გადაშენებული ყოფილა.

14. ხოტევეური-ც შავი ყურძენია (С6СвВгВдК, III, 40). ალ. შარაბიძისა და ე. ისაკაძის სიტყვით, ხოტეური ღვინოდ არ ვერცა. ეს სოფელი, რომლის სახელსაც ვაზი ატარებს, ციკსა და მთიან ადგილას არის და ამისი ღვინო მარახოშია“-ო.

15. მუჟურეთული-ც შავია (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 62 და С6СвВгВдК, III, 40). ამბ. ჭელიძისა და ვლ. ფოფხაძის დახასიათებით, მუჟურეთულმა მოგრძო, თავწვეტა შავი ფერის მარცვალი იცის. ეს ვაზი საშუალოზე მეტს ისხამს. მისი ყურძენი „საქმელადაც კარვია, მაგრამ არ იმეტებენ, რათგან კარგი ღვინო იცის და ამისი ღვინო ალექსანდროულისას არ ჩამოუვარდება“-ო.

16. მოკატური ანუ მოკათური, როგორც ილ. ბახტაძესა აქვს დაბეჭდილი, შავი ყურძენია (С6СвК, III, 216; МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63 და С6СвВгВдК, III, 40). ე. ისაკაძეს ამ ყურძნის ჭიშის სახელად მოქათური აქვს ნახმარი. მისი სიტყვით, „მოქათური თეთრი ყურძენია, ალეში ჭიშია“, ე. ი. ბევრს ისხამს, მაგრამ დაბალი ხარისხის ღვინო იცის.

17. ბულღვა, რომელიც მხოლოდ ილ. ბახტაძის სიაში მოიპოვება და ამიტომ მისი ფერი ჯერ კიდევ გამოსარკვევია (МИЭБГКЗК, III, 40).

18. სამაჭრია-ს, ამბ. ჭელიძის ცნობით, ლერწი სუსტი და რქა მოკლე აქვს, „ცუდათ ისხამს, მარცვალი წერილი, ფერად შავი და ძალიან ტკბილი აქვს. სამაჭრისა ღვინოც ძალიან ტკბილია, მაგრამ უფრო მაჭრად ხმარობენ, ან და ამის ღვინოს სხვაში შეურევენ გასაუმჯობესებლად“-ო.

19. ნოზრიო-ს, ამბ. ჰელიძის სიტყვით, ლერწი მოთეთრო აქვს. მისი ვაზი ღონიერია, ბევრს ისხამს, „მსხვილი, შავი ბიბილი (sic!) იცის“-ო. ამ ყურძნის „მაჰარი მაგარია, ფერთ ბაცი“, მისგან დაყენებულ „ღვინოს მხოლოდ საშემოდგომოდ ხმარობენ“-ო.

20. ხროგი, ამბ. ჰელიძის ცნობით, შავი ყურძენია, დარუბანდის მსხვილ ყურძენსა ჰვავს, მსხვილკანიანია, წვენი ცოტა აქვს.

21. მუაველა, ამბ. ჰელიძის სიტყვით, „შავი ყურძნის ჯიშია, მსხვილი და მეტად ღამაზი მარცვალი იცის. ამ ვაზის ღვინო უსათუოდ მარახოშია და ზაფხულის სასმელია. მისი ღვინო არ ათრობდა. გული მომდის, რომ ეს ვაზი ვაქრულმა ანგარიშმა გადააშენა. გაზაფხულზე ამის დაღვევა ერთ რამედ ღირდა“-ო!

22. ბახვა-ზე ნუცა გიორგობიანს მხოლოდ ის აქვს ნათქვამი, რომ ის რაჰაში გავრცელებული ყურძნის შავი ჯიში იყო.

23. ბერბეშო-ც იმავე პირის სიტყვით შავი ყოფილა.

24. ოყურეშული, ვლ. ფოფხაძის სიტყვით, „რაჰაში ლეჩხუმიდანაა შემოტანილი, — შავი ყურძენია, — მტევანი გაშლილი აქვს, — მარცვალი მრგვალი იცის, — ღვინო საუკეთესო ხარისხისა დგება“-ო.

25. სააბი, თუმცა რაჰაშიც ყოფილა გავრცელებული, მაგრამ, ვ. ყანდურალოვის სიტყვით, შედარებით იშვიათად შეხვდება იქ ადამიანი. სამწუხაროდ, ამ ავტორს იქაური სააბის ფერის აღნიშვნა დაჰვიწყებია (СбСвВгВдК, III, 40). ვლ. ფოფხაძის ცნობით კი „სააბი შავია, — მტევანი გაშლილი და დიდი აქვს, თითო მტევანი 4—5 გირვანქაა, — მარცვალი თითაზე უფრო მსხვილი იცის, — საყურძნე ვაზია, ღვინისთვის არა ხმარობენ“-ო.

B. ყურძნის თეთრ ჯიშთაგან რაჰაში მოიპოვება

1. რქაწითელი (СбСвВгВдК, III, 40). საკმაოდ ხშირად იყო გავრცელებული. ს. თომაძისა, ამბ. ჰელიძისა და ვლ. ფოფხაძის სიტყვით, „რქაწითელი ცნობილი ვაზია, რაჰაში კახეთითგან არის შეტანილი, მაგრამ გადაჯიშდა“-ო. ამ ვაზს „რქა წითელი აქვს, მარცვალი თეთრი ფერისა და ტკბილი აქვს. მისი ღვინო თეთრია, კარგი ხარისხისა. ამ ვაზმა წლობა იცის, ე. ი. ერთს წელიწადს გასცდება“-ო. ვლ. ფოფხაძის დახასიათებით, „რქაწითელი მეწლეული-ა: ხან მეტს ისხამს, ხან ნაკლებსა“-ო.

2. ხიხვა (იქვე და МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63).

3. გრძელმტევნიანი (СбСвВгВдК, III, 40).

4. მკვივანი (ილ. ბახტაძის ნაშრომში რუს. „цвивани“-ა დაბეჭდილი, ქართულად კი რატომღაც „მწვივანი“-ა (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63), რომლის მხოლოდ სახელი აქვს ბახტაძეს მოყვანილი.

ვლ. ფოფხაძის დახასიათებით, „მკვივანი თეთრი ყურძენია, თხელმტევანა. მოსხმა საშუალო იცის, მაგრამ ცოტა ყურძენში ბევრი ღვინო გამოდის, რადგან ღვიძლი ცოტა აქვს“-ო. ღირსებით „წულუქიძის თეთრას არ ჩამოუვარდება“-ო. მკვივანის „ღვინო ზამთარში უფერულია, ან და თეთრი, გაზაფხულზე კი ყვითლდება. მისი ღვინო შემპარავია და მალე ათრობს, შამპანიურივითაა“-ო.

5. ცხენის-ძუძუ, ს. თომადისა, ამბ. ჰელიძისა და ვლ. ფოფხაძის ცნობით, რაჭაშიც ყოფილა გავრცელებული, მაგრამ „იშვიათად მოდის“-ო. ცხენის-ძუძუს „მტევანი გრძელი, მარცვალი კი მოგრძო აქვს. ბეერი წვენი იცის. განჯურს ყურძენს ჩამოუგავს, მაგრამ მისებრ ტკბილი და ამო არ არის“-ო. ცხენის-ძუძუს ყურძენს „ღვინისთვის არ ხმარობენ, საკმელად მოჰყავთ. მხოლოდ ხანდახან ღვინოში შესარევეად დაადუღებენ: აბარაქიანებს“-ო.

6. მელისკული რაჭის ყურძნის ჯიშთა სიაში მარტო ილ. ბახტაძეს აქვს შეტანილი, მაგრამ დაუხასიათებელივ (Экон. быт. госуд. крест. рачин. у.: МИЭБГКЗК. II, 1, გვ. 63).

7. თითა (იქვე და С6СВВГВдК, III, 40), რომლის ფერი არც ერთ ავტორს დასახელებული არა აქვს. ვ. ფოფხაძის ცნობით, თითა რაჭაში „თეთრი ყურძენია, მოგრძო და მსხვილი მარცვალი აქვს“, განჯურის მაგვარი. თითას ყურძნად ხმარობენ, ღვინოდ არ იყენებენ“-ო.

8. წიწილიანი, რომელიც მარტო ილ. ბახტაძეს მოეპოვება და ამის გამო ამ არაჩვეულებრივი სახელის მქონებული ყურძნის ჯიშის არც აღწერილობა გვაქვს და არც ფერი ვიცით (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63). ვლ. ფოფხაძის სიტყვით „წიწილიანის ვაზის ჯიში რაჭაში უკვე გადაშენებულია“.

9. უწყვეტი, ვლ. ფოფხაძის ცნობით, „თეთრი ყურძენი იყო“, რომელსაც „ავი მოსაგლეჯი, მოუწყვეტელი მტევანი“ ჰქონია. მისი ყურძენიცა და ღვინოც მდარე ხარისხისა“ ყოფილა. ამჟამად უწყვეტი რაჭაში თურმე გადაშენებულია.

10. ბუტკუ, ვლ. ფოფხაძის ცნობით, „რაჭაში ამჟამად უკვე გადაშენებულია, თეთრი ყურძენი ყოფილა. საშუალო მოყვანილობის, შეკრული მტევანი და წვრილი, თანაც მაგარი მარცვალი სცოდნია. ცოტა გამოსავალი და მდარე ღვინო“ ჰქონია.

11. დონდლაბი, ალ. შარაბიძისა და ვლ. ფოფხაძის ცნობით, თეთრი ყურძნის ჯიშია, „მარცვალი მომსხო და სქელკანიანი აქვს. ალეშა ვაზია: მისი ღვინო მსუბუქი გამოდის, ღვინოდ არ ვარგა, წნილად ხმარობენ“-ო.

12. მწვანე ყანდურალოვს თეთრი ყურძნის ჯიშად აქვს დასახელებული (ილ. ბახტაძე; МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63 და С6СВВГВдК, III, 40). ამბ. ჰელიძისა და ვლ. ფოფხაძის სიტყვით, „რაჭაში ორნაირი ჯიშის მწვანეა“: ერთი კახურია, მეორე ადგილობრივი, რაჭული. ადგილობრივი „მწკანე ისეთ მკვრივსა და მაგარ რქიან (sic!) მტევანს იბამს, რომ თუ არ დანით, ხელით ვერ მოსტეხ. ლონიერი რქა აქვს. მრგვალი ბიბილი (ე. ი. მარცვალი) ასხია. სქელკანიანი ტყავით. რომ სკამ, თითქოს პირში ტყავი გიძევსო. მტევანი მწვანეა და არ ყვითლდება დამწიფების დროსაც. ამ ყურძნის ღვინო თეთრი, მაგარი დგება“-ო.

13. თეთრი-კაბისტონი (С6СВК, III, 216 და С6СВВГВдК, III, 40), ანუ ვლ. ფოფხაძისა და ს. თომადის ცნობით, თეთრი-კაბისტონის ყურძენი მოყვანილობით შავ-კაბისტონს მიაგავს. „ისეთი შეკრული მტევანი იცის, რომ გადააგლო, მარცვალი არ გადმოვარდებაო“. „მისი ღვინო ღიღხანს ინახებაო“.

14. თეთრა ილ. ბახტაძესაცა და ვ. ყანდურალოვსაც რაჭული ყურძნის ცალკეული ჯიშის სახელად აქვთ მოყვანილი (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 83 და С6СВВГВдК, III, 40). ვლ. ფოფხაძის, ს. თომადის და ევ. დვალის ცნობით,

თეთრა, როგორც სახელითგანაც ჩანს, ყურძნის თეთრი ჯიშია. „მტევანი შეკრული იცის, მარცვალი კვერცხისებური მოყვანილობისა აქვს. ღვინო თეთრსაგან საშუალო დგება.“

15. წმინდა თეთრა, ამბ. ჰელიძის სიტყვით, „ნაზი ყურძენია, მტევანი თხელი იცის, მარცვალი ისეთი გამჭვირვალე აქვს, რომ კურკა ნათლად მოსჩანს. საქმელადაც კარგია და ღვინოც სათუთი დგება“-ო.

16. წულუკიძის თეთრა, ს. თომაძისა და ვლ. ფოფხაძის ცნობით, გავრცელებული ვაზია, მარცვალი ყვითელი ფერისა აქვს, ბევრს ისხამს, მისგან უმაღლესი ხარისხის, თეთრი, შამპანურის მსგავსი, ღვინო დგება“-ო.

17. ლაბილარის თეთრა მხოლოდ ვ. ყანდურალოვს აქვს რაჰის ყურძნის ჯიშთა სიაში შეტანილი (С6СвВгВдК, III, 40).

18. რაჰაში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა შორის კახური ილ. ბახტაძეს და კახურა ვ. ყანდურალოვს აქვთ მოხსენებული, მაგრამ არც ერთს მათგანს ფერის აღნიშვნაც კი არ მოჰკონებია. ქართლში კახური საფერავის სახელით არსებობს, მაგრამ რაჰაში კახური საფერავად რომ არ უნდა იგულისხმებოდეს, ამას ის გარემოებაც ცხადჰყოფს, რომ ვ. ყანდურალოვი რაჰაში კახეთითგან გავრცელებულ ყურძნის ჯიშებს შორის ერთსაცა და მეორესაც ცალ-ცალკე ასახელებს: „ამიერკავკასიის მევენახეობის სხვა არეებითგან რაჰის მაზრაში საკმაოდ ხშირად გვხვდება კახური საფერავი, რჰა წითელი და კახურა“ (С6СвВгВдК, III, 40). ამიტომ კახურას ფერი და ჯიში გამოსარკვევია. ამის გამორკვევის საშუალებას ვლ. ფოფხაძის ცნობა გვაძლევს, რომლის სიტყვითაც კახურა რაჰაში ამჟამად უკვე „გადაშენებული ჯიშია“, იგი „თეთრი ყურძენი“ ყოფილა, თხელი მტევანი ჰქონია, მარცვალი კი მომსხო და წაგრძელებული“.

19. კულურაული, ანუ კიდორაული, ყანდურალოვით, შავი ყურძნის ჯიშია (С6СвВгВдК, III, 40), ს. თომაძისა და ვლ. ფოფხაძის აღწერილობით კი თეთრია. მათი დახასიათებით, კიდორაულმა „მოგრძო, შეკრული და დიდროვანი მტევანი იცის, თითო მტევანი 1—2 კილომდე იწონის. მარცვალი მრგვალი, თეთრი ფერისა აქვს. მისი ღვინო ძალიან კარგი ხარისხისაა“-ო.

20. ჩიღვინაური აქვს ილ. ბახტაძეს რაჰის ყურძნის ჯიშთა შორის დასახელებული, ჩვეულებისამებრ განუმარტავად (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63). უცნობი ავტორი კი რაჰული თეთრი ყურძნის ორი ჯიშისაგან ერთს ჩუგუნაუ-ს ან „ჩულუნაუ“-ს („Чугунау“) უწოდებს. ამ ავტორსაც სახელის მეტი არაფერი მოეპოვება (С6СвК, III, 216). ვ. ყანდურალოვს თავის მხრივ რაჰაში ყურძნის ერთ-ერთს თეთრ ჯიშად დასახელებული აქვს ჩაკვინაური, თუ ჩაქვინაური („Чаквинаური“). სამწუხაროდ, მისი აღწერილობა არც ამ ავტორს მოეპოვება (С6СвВгВдК, III, 40).

აღექსი ტომარაძესა და მიხ. ომიაძეს კი ამ ვაზის სახელად ჩიღვინაური უთქვამთ. მათი სიტყვით, „ჩიღვინაური იმერული ვაზია, რომელიც რაჰაში ვერ ხარობს: გადაშენდა და იშვიათადლა მოჰყავთ გლეხებს. თეთრი ყურძენია, მტევანი შეკრული იცის“. ჩიღვინაურზე ლექსიც არის ხალხური:

„შენ, ღვინოვ ჩიღვინაურო,
უცეცხლოდ გადმოდულდები“-ო

21. ბერაულა, ამბ. ჰელიძის სიტყვით, „ღონიერი ვაზია, გრძელრქიანი, მტევანი კიტრით გრძელი, წოწოლა და შეკრული იცის, მარცვალი მსხვილი, თეთრი აქვს. ბევრს ისხამს. ბერაულას ღვინო ქებულია. ამჟამად ეს ვაზის ჯიში გადაშენებულია“-ო.

22. უსახელო რაჰის თეთრი ყურძნის ჯიშთა შორის მხოლოდ ვ. ყანდურალოვს მოეპოვება (С6СвВгВдК, III, 40). ცხადია, რომ ეს სახელი ბოლო ჩამოცილებულია.

23. თხმორულა-ც მარტო ყანდურალოვს აქვს რაჰის თეთრი ყურძნის ჯიშების სიაში დასახელებული (იქვე).

24. მობაზური არც ერთ ავტორს, ილ. ბახტაძეს გარდა, არც რაჰაში, არც სხვაგან სადმე საქართველოში დასახელებული არა აქვს. ბახტაძესაც სახელის მეტი არაფერი მოეპოვება (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63), ამიტომ ისიც კი გამოსარკვევია, თუ რა ფერი იყო და რამდენად იყო გავრცელებული.

25. შეგრელაური ყანდურალოვს თეთრ რაჰულ ყურძნის ჯიშად აქვს აღნიშნული (С6СвВгВдК, III, 40).

26. შევენჩხალა-ც თეთრი ყურძენი ყოფილა (იქვე).

27. არა ვიციტ რა, სახელისა გარდა, ჭროჭინა-ზეც, რომელიც მხოლოდ ილ. ბახტაძეს მოეპოვება (МИЭБГКЗК, II, 1, გვ. 63).

28. სადმელური ვლ. ფოფხაძისა და ალექ. შარაბიძის დახასიათებით „უმაღლესი ხარისხის თეთრი ყურძნის ჯიშია. მისგან ისეთი კარგი ღვინო დგება, რომელსაც ვერც ერთი თეთრი ყურძნის ღვინო ვერ შეედრება. ძლიერ მაგარია და რომის ფერი აქვს“-ო.

29. თხრუშენა, ამბ. ჰელიძის სიტყვით, „უფერული ყურძენია, ბევრი წვენი აქვს და გემოდ მჟავეა. ბავშვები რომ ამ ყურძენს ეჭამდით, გვაწყენდა“-ო. აგრ. გამყრელიძის ცნობით ამ ჯიშს თქვაფუნა ეწოდება.

30. საკმევლა, ვლ. ფოფხაძის დახასიათებით, „თეთრ-ყვითელი ყურძენია, საკმევლის სუნი აქვს ყურძენსაცა და ღვინოსაც. ღვინო ყვითელი და კარგი ხარისხისა დგებოდა. ამჟამად ეს ჯიში გადაშენებულია“-ო.

31. თბილული, ს. თომაძისა, ამბ. ჰელიძისა, ვლ. ფოფხაძისა და ს. კახეთელიძის ცნობით, „ქარვისებური ყურძენია, მტევანი პატარა იცის, მარცვალი საშუალო ზომისა და თხელკანიანი ასხია, — ცოტას ისხამს, — ღვინო კარგი დგება“-ო.

32. ციცქა, ს. თომაძისა და ვლ. ფოფხაძის სიტყვით, „ზემო-იმერული ახალი ვაზია, თეთრ-ყვითელი ფერისაა, — თხელ-მტევანა, წვრილმარცვლიანი, — გვიან შემოდის, მაგრამ, როცა დამწიფების ხანა მოუვა, ერთბაშად მწიფდება. ხშირფოთლიანი ვაზია. აგვისტოს ბოლოში ფოთლებს ვაჭრით. ამის ღვინო ძრიელ მაგარია და სასიამოვნო სასმელია“-ო.

33. ცოლიკაური, ს. თომაძისა, ვლ. ფოფხაძისა და ს. მერკვილაძის ცნობით, „იმერული ვაზია, რაჰაში მის გაშენებას ნაკლებ მისდევენ. მტევანი თხელი იცის, — მარცვალი საშუალო ზომისა, მაგარი, თეთრი ასხია, — გამოსავალი საშუალო აქვს, — მისი ღვინო ძალიან მაგარია“-ო.

34. კრახუნა, ამბ. ქელიძისა და ვლ. ფოფხაძის სიტყვით, „იმერული ვაზია, თეთრი ფერისაა, — იმის ყურძენს რომ ვჭამთ ხოლმე, პირში სკდება, კრახუნობს“-ო. მისი „ღვინო კარგი სასმელია“-ო.

§ 9. ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის ჯიშები

ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის ჯიშების შესასწავლად ყველაზე ნაკლები ცნობები მოგვეპოვება, რათგან უცნობ ავტორსაც თავის Очерк виноделия Кавказа-ში ამ თემის ყურძნის ჯიშები ცალკე განხილული არა აქვს, არამედ რაჭის ჯიშებთან ერთადაა დასახელებული. ამიტომ მათი გარჩევა შეუძლებელია.

ა. იაკოვლევს კი თავის 1895 წ. დაბეჭდილ ნაშრომში „Виноградарство и виноделне в Лечхумском уезде“ (იხ. СбСвВгВдК, III, 69—110) ლეჩხუმში გავრცელებული ყურძნის ჯიშები ამპელოგრაფიულად აღწერილი არა აქვს: ის მხოლოდ სახელების ჩამოთვლით დაკმაყოფილებულა.

რაკი სხვა წყარო არ მოგვეპოვება, ა. იაკოვლევს კი ლეჩხუმური ყურძნის ჯიშების სახელები მხოლოდ რუსულად აქვს დაბეჭდილი, ამიტომ მათი ნამდვილი სახელის გამორკვევა ძნელდება.

A. ლ ე ჩ ხ უ მ შ ი შ ე რ ჩ ე ნ ი ლ ი ყ უ რ ძ ნ ი ს შ ა ვ ი დ ა წ ი თ ე ლ ი ჯ ი შ ე ბ ი

1. ყორნისთვალა, რომელიც დერჩის თემში იყო გავრცელებული.
2. საფერავი, ანუ საფერე, რომელიც იქ კახურ ჯიშად ითვლებოდა.
3. სამაჭრე, 4. ოჯალეში, 5. აღექსანდროული, 6. შავი კაპისტონი, რომელიც ორბელსა და მის მახლობელ სოფლებში მოიპოვებოდა. 7. ადანასური, ანუ ანადასტური, რომელიც დერჩის თემში სჭარბობდა. 8. ნაკუთნეული, რომელიც უმთავრესად ლაილაშის თემში იყო გავრცელებული. 9. აბხაზური, რომელიც ს. ტვიში (ТВИШИ) და ორხევში მოიპოვებოდა ბლომად. 10. დამპალა. 11. მური. 12. მარაბაული. 13. საირმულა. 14. დაქცეული, 15. უსახელაური, რომელიც უმთავრესად ოყურეშისა და ზუბის თემში მოიპოვებოდა და 16. გორთანა? („Горотана“: СбСвВгВдК, III, 82 და 90).

B. ლ ე ჩ ხ უ მ შ ი შ ე რ ჩ ე ნ ი ლ ი ყ უ რ ძ ნ ი ს თ ე თ რ ი ჯ ი შ ე ბ ი

1. რქაწითელი, რომელიც უმთავრესად ლაილაშისა და ჭყვიშის თემში სჭარბობს. 2. ხიხვი, 3. ფაჩხატა, რომელიც უმთავრესად ს. ორბელსა და მის მიდამოებში იყო მაღლარად გავრცელებული. 4. დიდტევანა. 5. უწყვეტი⁷³. 6. ყუნწმაგარა⁷⁴. 7. თითა. 8. მწვანე ოკრიბული, რომელიც დერჩის თემში იყო გა-

⁷³ ფერი იაკოვლევს აღნიშნული არა აქვს, გამოსარკვევია.

⁷⁴ ფერი გამოსარკვევია.

ბატონებული. 9. კახურა. 10. თეთრა კაპისტონი, ანუ თეთრა. 11. ალექსანდროული თეთრა, რომელიც ყველგან იყო გავრცელებული, მეტადრე კი ს. ჩხუტელში, ქყვიშის თემში. 12. თეთრა-წმინდა. 13. ბერაულა. 14. ორხულა. 15. ღარასულა და 16. ტოკა („Тодча“).

ამას გარდა იაკოვლევს ყურძნის ჭიშის ფერის აღუნიშნავად ლეჩხუმის ზუბის საზოგადოებაში დასახელებული აქვს:

17. გაბაშა („Габаша“)
18. ცხერო („Цхеро“)
19. ცარცხია („Царцхия“)

და ალპანაში 20. ქედურა (С6СвВгВдК, III, 82 და 90).

§ 10. სამეგრელოში შერჩენილი ყურძნის ჭიშები

სამეგრელოში გავრცელებული ჭიშები უკვე უცნობი ავტორის ნაშრომშია ჩამოთვლილი, რომელშიც სულ 10 შავი და თეთრი ყურძნის ჭიშის სახელია მოყვანილი. იქ ორიოდ ცნობა მათი გავრცელების არისა და თვისების შესახებაც მოიპოვება (Очерк Виноделия Кавказа: С6СвК, III, 221—222). ორიოდ ცნობა Pulliat-საც მოეპოვება. ვრცელი ცნობებია ერმ. ნაკაშიძის 1896 წელს გამოქვეყნებულ ნაწარმოებში თავმოყრილი „Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии“ (С6СвВгВдК, IV, 69—73). ამავე ავტორს 1929 წ. გამოსულს წიგნაკში „მევენახეობა-მელვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში“ (გვ. 30—37) თითქმის იგივე მოიპოვება, რაც მას ზემოდასახელებულ ნაშრომში ჰქონდა გამოქვეყნებული.

ამას გარდა ვსარგებლობ დოც. ვარ. თოფურიასაგან გადმოცემული ცნობებითაც, რომელიც სენაკის ყ. მაზრის, აბაშის რაიონის, სოფ. ონტოფოს მცხოვრების, 79 წლის მოხუცის ბესარიონ ჯარუას ძის ნაღარეიშვილისაგან 1931 წ. 28 აგვისტოს გაუგონია და ჩაუწერია. ამ ცნობების გადმოცემისათვის დოც. ვარ. თოფურიას დიდ მადლობას მოვასხენებ.

ზემოდასახელებული ყველა წყაროს მიხედვით სამეგრელოში შავი, წითელი და თეთრი ყურძნის შემდეგი ჭიშები ყოფილა გავრცელებული.

A. სამეგრელოში შერჩენილი შავი და წითელი ყურძნის ჭიშები

1. ხარდანის-ს ვაზი ღონიერი და მოსავლიანია. ფოთოლი დიდი და თითქმის მომრგვალო, ზევითგან მუქი მწვანე და გლუვი, ოდნავ დაკბილული აქვს, ქვევითგან ღია მწვანე და ბუსუსიანი. მტევანი დიდი, წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი იცის. მარცვალი მრგვალკვერცხებრივი და თხელკანიანი ასხია, ხორცი მაგარი და ტკბილი აქვს — ერმ. ნაკაშიძის დახასიათებით, ბეს. ნაღარეიშვილის სიტყვით კი, ხარდანის მტევანი „მსხვილმარცვლიანი და მანგარი ოტკვარალი“, ე. ი. მაგარი სატკვერი, მაგარი საკვნეტი იყო, მაშასადამე, თუ აქ მარტო

ხორცის სიმაგრე არ იგულისხმება, მისი კანიც სქელი უნდა იყოს. ძალიან ადრე მწიფდება. მაკრად აყენებენ, ღვინო კი მისგან შედარებით მდარე დგება. ბესარ. ნადარეიშვილის სიტყვით კი, პირიქით, „ღვინო დგებოდა მაგარი“. ნაცარი სხვა ჯიშებზე ნაკლებ ეკიდება. მცირე რაოდენობით სამეგრელოში ყველგან იყო გავრცელებული (მევენახ., 32—33 და C6C6BrBdK, IV, 70—71). ხარდანის ჯიშის ყურძენი შავიც იყო და თეთრიც. ამიტომ პირველს მეგრულად ხარდანის უჩა (ე. ი. შავი ხარდანი), თეთრს კი ხარდანი ჩე ეწოდებოდა.

2. შონური, ანუ სვანური, რომელიც მთელ სამეგრელოში ოჯალეში-სახელით იყო ცნობილი, ღონიერ ვაზს, მაგრამ ნაკლებმოსავლიან ჯიშს წარმოადგენს. მისი ნორჩი რქის სიგრძე ხშირად 2 მეტრს უდრის ხოლმე. ფოთოლი დიდი და მრგვალი, ოდნავ დაკბილული აქვს, ორთავე მხრით გლუვია. მტევანი ცილინდრული, პატარა და კუმსი იცის. მარცვალი შავი, მრგვალი და საშუალო სიდიდისა ასხია, საკმაოდ სქელკანიანია, ხორციანია, ტკბილი და გემრიელი, ერმ. ნაკაშიძის დახასიათებით. უცნობ ავტორს კი პირიქით ნათქვამი აქვს, რომ სვანურს მტევანიცა და მარცვალიც მსხვილი ჰქონდა (C6C6K, III, 221). მაგრამ ყურძნის ეს ჯიში ძალიან გვიან მწიფდება, ზოგჯერ ნოემბრის მეორე ნახევარშიც კი. მისგან მუქი წითელი, ძალზე მაგარი და მეტად სურნელოვანი, საუტხოვო ღვინო დგებოდა, რომელსაც სამეგრელოში ოჯალეშისას უწოდებდნენ. ნაცარისაგან ეს ვაზი ძალიან ზიანდება, ჭრაქი, ანუ ობი და ანტრაქნოზი კი ნაკლებ ეკიდება.

შონური ტეხურის ხეობაში იყო ფართოდ გავრცელებული, მეტადრე სალხინოში, ჩაჩხურს, თამაკონსა, ვახას, თარგამოულსა, ტალავარსა და მათ მეზობლად მდებარე სოფლებში. ნაცრისაგან დაზიანების გამო მისი მაღლარად გავრცელების არე იმდენად შემცირდა, რომ აქა-იქლად მცირე რაოდენობით შერჩენილი, დაბლარად გაშენებული კი ბევრ ადგილასაა-ო (მევენახ., 30—31 და C6C6BrBdK, IV, 69).

ამნაირად, ოჯალეში იგივე შონური ანუ სვანური ყოფილა. წინათ მას მაღლარად აყენებდნენ, ოჯალეშისა და შონურის სინონიმობას პროფ. იოს. ყიფშიძეც ადასტურებს (მეგრ. გრამ., 355 და 411).

3. პროფ. V. Pulliat-ს, ჭუთაისითგან Baron de Longueuil-ის მიწოდებული მასალისდა თანახმად, ოჯალეში („Orjelechi“) განსაკუთრებული ყურძნის ჯიშის სახელად აქვს მიჩნეული. მისი დახასიათებით, ოჯალეშის ვაზს დაკვირვებებიან ვარდისფერი-მოთეთროდ დაფერილი და ძალზე ბუსუსიანი სკოდნია. ფოთოლი საშუალოზე მოზრდილი, თითქმის მრგვალი ჰქონია, ზედაპირი თითქმის გლუვი, ქვედა ხშირი ბურუსით მოსილია. მტევანი საშუალო, ან ოდნავ მომცრო, მოკლე, ცილინდრულ-წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი იცის. მარცვალი საშუალო, თითქმის ბირთვებრივი, ყუნწმაგარი და საკმაოდ მაგარი ასხია, სქელკანიანი და შავია. ხორცი მაგარი და წვენიანია, მაგრამ სიტკბო აკლია (Mille variétés de vignes, 263—264).

რაკი ოჯალეშის V. Pulliat-ს და ერმ. ნაკაშიძის დახასიათება ერთმანერთისაგან განსხვავდება, ამიტომ გამოსარკვევია, ფრანგ მეცნიერს სვანური, ანუ შონური ჰქონდა ხელთ, თუ სხვა ყურძნის ჯიში.

4. ვერნახი-ს თვისებებზე არა ვიცით-რა, სოფ. თეკლასა და მის მიდამო-ებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 34, § 22 და C6C6BrBdK. IV, 72, § 14). უეკველია, ვერნახი დროთა განმავლობაში დამახინჯებული ძველ ქართული ვენახი უნდა იყოს, რომელიც თავდაპირველად ვაზსა ჰნიშნავდა. რაკი აქ ვენახი თავდაპირველი მნიშვნელობით იგულისხმება, ამიტომ საფიქრებელია, რომ ვაზისა და ყურძნის ეს ჯიში საკმაოდ ძველი უნდა იყოს. უეკველია, ამ ჯიშის პირვანდელი სახელი ვერნახ-ს სრულად არ უნდა ჰქონდეს დაცული. საფიქრებელია, რომ წინათ, რქა-წითელისა, თელშავეისა, ხევარდულისა და ზემხუს მსგავსად, ამ ვაზის „ვენახის“ დამახასიათებელი ზედსართავიც უნდა ყოფილიყო. ამიტომ სასურველია, ამ ჯიშის სახელისა და თვისებების შესახებ ცნობები შეიკრიბოს, თუ უკვე დაგვიანებული არ არის და ვისმე რამე ახსოვს.

5. აკიდოს თვისებები აღწერილი არ არის. ვიცით მხოლოდ, რომ კინჩხაში, გორდს, მარტვილს, ნახუნევოს, თამაქონსა და სხვა სოფლებში იყო გავრცელებული (მევენახ., 33, § 9 და C6C6BrBdK. IV, 72, § 1).

6. გრეხიც ამპელოგრაფიულად სრულებით აღწერილი არ არის, იმისდა მიუხედავადაც, რომ „მეტად გავრცელებული ჯიში იყო მაღლობ ზეგან სოფლებში“ (მევენახ., 33, § 10 და C6C6BrBdK. IV, 72, § 2).

7. ტოროკუჩხი აღწერილი არ არის, ნათქვამია მხოლოდ, რომ მისი ყურძნითგან კარგი ღვინო დგებოდა და ს. ს. ჯვარში, საჩინოს, ლიას, ჯგალსა, ჭკაღუაში და ხიბულაში ისევე. როგორც საქუონდილოშიც ყოფილა გავრცელებული (C6C6K. III, 221; მევენახ., 33, § 5 და C6C6BrBdK. IV, 71, § 5).

ბეს. ნადარეიშვილის სიტყვით „ტოროკუჩხი ხეზე იყო“, ე. ი. მაღლარი ყოფილა. „მტევანი იცოდა მსხვილი. შავი კუფხლებიაში“. უცნობი ავტორის ცნობით კი, ტოროკუჩხი ფართოდ ყოფილა გავრცელებული და მისგან თურმე კარგი ღვინო დგებოდა (C6C6K. III, 221). ეს ჯიში ეხლაც არსებობს.

საფიქრებელია, რომ ყურძნის ამ ჯიშის ეხლანდელი სახელი ტოროკუჩხი უნდა წინანდელი ტოროკუჩხი-საგან იყოს წარმომდგარი. კუჩხა მეგრულად ფეხსა ჰნიშნავს, ხოლო ტოროჯი ჰანურად, ტორონჯი კი მეგრულად მტრედს უდრის და ეწოდება. ამნაირად საგულისხმებელია, რომ ტოროკუჩხი და აწინდელი ტოროკუჩხი მტრედისა ფეხს ჰნიშნავს. მაშასადამე, ტოროკუჩხი ზოგადი ქართულის მტრედის-ფეხას უდრის. მის მეგრულ თარგმანს წარმოადგენს და იგივე ყურძნის ჯიში უნდა იყოს, როგორც მტრედის-ფეხაა.

8. კერთოლი-ც ამპელოგრაფიულად აღწერილი არ არის. სენაკში, ნოქალაქევსა, გჯღოსა და მათ ვარსებში მევენახე სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 35, § 25 და C6C6BrBdK. IV, 73, § 17).

ყურძნის ამ ჯიშის სახელი ორნაწილელი სიტყვა უნდა იყოს და კერი-სა და თოლი-საგან უნდა იყოს შემდგარი. კერი მეგრულად ტახსა ჰნიშნავს, თოლი თვალს. ამნაირად. მთლიანად. კერთოლი ტახის თვალსა ჰნიშნავს და ამის გამო საფიქრებელია, რომ ზოგად ქართულ ღორისთვალა-ს, რომელიც გურიაში იყო შერჩენილი, უნდა უდრიდეს და ყურძნის იმავე ჯიშს უნდა წარმოადგენდეს.

9. დედოფლის კითი აღწერილი არ არის, მაგრამ რაკი კითი მეგრულად თითსა ჰნიშნავს და მთლიანად კი ყურძნის ამ ჯიშის სახელი „დედოფლის თითი“ ყოფილა, ამიტომ საფიქრებელია, რომ თითას ჯიშთა ჯგუფს უნდა ჰქუ-30. ივ. ჯავახიშვილი. ტ. V

თენებოდა. ერმ. ნაკაშიძის ცნობით, გავრცელებული ყოფილა ხორშში, ნოქალაქევს, გეჯეთს, ნაესაკოუს, გულეიკარსა და სხვა სოფლებში (მევენახ., 34, § 18 და C6C6B7BdK, IV, 72, § 10).

10. დღუღღუში-ს თვისებებზე არა ვიცით რა. აღნიშნულია მხოლოდ, რომ წინათ ეს ჯიში თუმცა მთელ სამეგრელოში ყოფილა გავრცელებული, მაგრამ მცირე რაოდენობით (მევენახ., 33, § 11 და C6C6B7BdK, IV, 72, § 3).

11. სამანჭრო შავი ამპელოგრაფიულად დახასიათებული არ არის. ნათქვამია მხოლოდ, რომ მეღვინეობის მიმდევარ სამეგრელოს ყველა სოფელში მოიპოვებოდა მცირე რაოდენობით (მევენახ., 34, § 21 და C6C6B7BdK, IV, 72, § 13).

12. სამჭაჭაც აღწერილი არ არის. აღნიშნულია, რომ საჰყონდიდლოსა და საჰილაოში იყო გავრცელებული (მევენახ., 34, § 16 და C6C6B7BdK, IV, 72, § 8).

13. ჭითაში (ასე აქვს იოსებ ყიფშიძეს: მ. გ., 355, ერმ. ნაკაშიძეს კი „ჭიტაში“, რაც მცდარ დაწერილობად უნდა იქმნეს მიჩნეული) ამპელოგრაფიულად აღწერილი არ არის. ეს გარემოება მით უფროა სამწუხარო, რომ მნიშვნელოვანი ყურძნის ჯიში ყოფილა და წინათ თურმე „ძალიან გავრცელებული იყო ვაკე სამეგრელოში, საჰყონდიდლოსა და საჰილაოში“ (მევენახ., 34, § 15 და C6C6B7BdK, IV, 72, § 7). მეგრულად ჭითაში „წითელისა“-ს ჰნიშნავს და მართლაც თვით ყურძენიც წითელია. მოხუცი ბეს. ნადარეიშვილის დახასიათებით, ჭითაში მალლარი ყოფილა და „კარგად ისხამდა ხეზე“-ო. „მსხვილმარცვლიანი, შავი და ტკბილი“ ყოფილა. მისგან „ღვინო თხელი, შედარებით მაგარი და კარგი დგებოდა“-ო.

14. ტუტაში-ს შესახებ იმას გარდა, რომ სენაკში, ნოქალაქევს, გეჯეთსა და მათ გარემო მდებარე სოფლებში იყო გავრცელებული, არა ვიცით რა (მევენახ., 35, § 27 და C6C6B7BdK, IV, 73, § 19).

15. პუმპულაში-ს, ანუ პუმპულა-ს ვაზი თუმცა ღონიერია, მაგრამ ნაკლებ მოსავლიანია. ფოთოლი საშუალო სიდიდისა, მრგვალი, ხუთყურბიანი და საკმაოდ დაკბილული აქვს. მტევანი ცილინდრული და კუმსი იცის. მარცვალი შავი, წვრილი და მრგვალი ასხია. კანი სქელი და მაგარი, თანაც მოელვარე აქვს. მისი ხორცი, თუმცა მაგარია, მაგრამ ტკბილი და გემრიელია. პუმპულაშისაგან ღვინო მჭრთალი ვარდისფერი, საკმაოდ მაგარი და სურნელოვანი იყო, სასიამოვნო სასმელიც ყოფილა. წინათ ეს ჯიში სამეგრელოს ვაკეზე ყველგან იყო გავრცელებული მდ. ცხენისწყალსა და ცივს შუა მდებარე ნაწილში, ბანძითგან მოყოლებული მთელ საჰყონდიდლოსა და საჰილაოში ისევე, როგორც მათ მომიჯნავე სოფლებშიც. შემდეგ ნაცარმა ეს ჯიში თითქმის მთლად მოსპო (მევენახ., 32, § 3 და C6C6B7BdK, IV, 70, § 3).

მოხუცს ბეს. ნადარეიშვილსაც პუმპულა ყურძნის მარცვლისა და ღვინის თვისებები ისევე აქვს დახასიათებული, როგორც ერმ. ნაკაშიძეს. მას მხოლოდ ნათქვამი აქვს, რომ პუმპულას ვაზს, „ვენახს ერქვა პუმპულა, მისგან დაყენებულ ღვინოს კი ოჯალეში“-ო, რომ „ვენახი ხეზე იყო“, ე. ი. ვაზს მალლარად უშვებდენ.

რაკი პუმპულა ძველ ქართულში, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 276), პატარა სურნელოვანი ნესვის სახელი იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ

ყურძნის ამ ჯიშის სახელი პუმპულაში-ც ამ სურნელოვანი ნესვის სახელთანვე უნდა იყოს დაკავშირებული და მისი ერთ-ერთი თვისების დამსგავსების გამოვე უნდა პქონდეს სახელი დარქმეული.

16. კოლოში-ს აღწერილობა არ მოგვეპოვება იმისდა მიუხედავად, რომ მისგან წითელი, მოვარდისფერო, მშვენიერი ღვინო დგებოდა, მაგრამ მაინც ყურძნის ამ ჯიშის გავრცელების არე მცირე ყოფილა და მდ. ინგურის ვალმა ს. პახულანითა და მისი მიდამოებით განისაზღვრებოდა (მევენახ., 33, § 8 და C6C6BΓBΔK, IV, 71, § 8).

17. პანეში, თუმცა „მეტად გავრცელებული ჯიში იყო სამეგრელოს მდლობ ზეგან სოფლებში მდ. ინგურს და ტეხურს შუა“, მაგრამ მისი ამპელოგრაფიული დახასიათება მაინც არ არსებობს. ამ ჯიშისაგან თურმე მდარე ღვინო დგებოდა (მევენახ., 33, § 6 და C6C6BΓBΔK, IV, 71, § 6). ამას უცნობი ავტორიც ადასტურებს, რომლის სიტყვითაც ეს ყურძენი საკმელი ჯიში ყოფილა (C6C6B, III, 221).

18. გოდავათური ანუ გოდაათური-ს ვაზი, თუმცა ღონიერია, მაგრამ მცირემოსავლიანი არის. ფოთოლი საშუალო სიდიდის, ხუთყურიანი აქვს, მტევანი საშუალო სიდიდის, ბურძღენიანი და მეჩხარი იცის. მარცვალი საკმაოდ მსხვილი, მოგრძო, მუქი წაბლისფერი, თხელკანიანი ასხია, ხორცი სქელი, მაგრამ ტკბილი და გემრიელი აქვს. იმდენად გვიან მწიფდება, რომ დეკემბერში და იანვარშიც კი ჰკრფდნენ ხოლმე. ღვინო მუქი წითელი იცის, მაგარი და სურნელოვან-სასიამოვნო. ღირსებით ოჯალეშისას არაფრით ჩამოუვარდებოდა. გავრცელებული იყო ტეხურსა და ხოფს შუა მდებარე სოფლებში: აბელათსა, ჟოლეგს, ფოცხოს, ლესიჭინოს, ახუთსა, უშაფათს, უფალიკარს, ხორშს, ეკსა, ნოქლაქეგს, სენაქში, შხეფსა და მათ მიდამოს სოფლებში (C6C6B, III, 221; მევენახ., 31—32 და C6C6BΓBΔK, IV, 69—70).

19. მაჭკვატური აღწერილი არ არის, გორდში, კინჩხას, აბელათს და მათ მიდამოებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 34, § 12 და C6C6BΓBΔK, IV, 72, § 4).

20. მახვატელი-ს დახასიათებაც არ მოგვეპოვება. ს. ეკში, სენაქსა, ნოქლაქეგს, ნოსირს, გეჯეთს, გულეიკარსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 35, § 23 და C6C6BΓBΔK, IV, 72, § 15).

ეს სახელი ყურძნის იმავე ჯიშის სახელი უნდა იყოს, რომელსაც გურიაში მახატური ეწოდება (იხ. აქვე, გვ. 476).

ბეს. ნადარეიშვილს დასახელებული აქვს ოხვატუ, რომელიც თითქოს სატკვერს უნდა ჰქონდავდეს. მაღლარი ვაზის ჯიში ყოფილა, კარგად ისხამდა, შავი ყურძენი სცოდნია და მისგან თხელი, შედარებით მაგარი და კარგი ღვინო გამოდიოდა თურმე.

21. კეთილური-ს გავრცელების არეა მხოლოდ აღნიშნული: თეკლათში, სენაქსა, ნოსირსა და სხვა სოფლებში ყოფილა (მევენახ., 34, § 19 და C6C6BΓBΔK, IV, 72, § 11).

22. კიკაჩას მხოლოდ გავრცელების არეა დასახელებული და ს. ზანაში, სოჯაოს, ხორშსა და მათ მეზობლად მდებარე სოფლებში ყოფილა. ღვინო კარგი სცოდნია (მევენახ., 33, § 7 და C6C6BΓBΔK, IV, 71, § 7),

23. ტოვანი ამპელოგრაფიულად, სამწუხაროდ, აღწერილი არ არის, თუმცა, თუნდაც იმიტომ, რაკი „მეტად გავრცელებული ჯიში იყო შუა და ვაკე სამეგრელოში მდ. ხოფსა და აბაშისწყალის შუა“ (მევენახ., 34, § 13 და C6C6B7B4K, IV, 72, § 5), ამ ვაზის თვისებათა დახასიათება საჭირო იყო. ამასთანავე აღწერილობა იმის გამორკვევასაც შეგვაძლებინებდა, ამ ყურძნის ჯიშის სახელი, ტოვანი, გურიაში არსებული ჯიშების სახელების სხილათობან-ის ბოლო ნაწილს წარმოადგენს, თუ პირაქით მტევანდიდი-ს პირველ ნაწილს?

24. ჩხოროკუნი-ს ვაზი ხიბულაში, თეკლათსა და მათ მახლობელ სოფლებში იყო გავრცელებული (მევენახ., 34, § 14 და C6C6B7B4K, IV, 72, § 6).

25. მაბრა-ს აღწერილობა არ მოგვეპოვება, ვიცით მხოლოდ, რომ ლეხანდრეში, ონოლიასა და მათ მახლობელ სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 34, § 17 და C6C6B7B4K, IV, 72, § 9). მაბრა გურიაში გავრცელებულ მაურ-ს მიაგავს, რომელიც მართალია ყურძნის თეთრი ჯიშია. თეთრი მაური სამეგრელოშიცაა. მაგრამ ეგების მაურის წითელი ჯიშიც იყო? ამ საკითხის გამოსარკვევად წინასწარ ცნობების შეკრებაა საჭირო.

26. ოქონა-სა და 27. კუტალა-ს აღწერილობაც არ მოგვეპოვება, მარტო ის ვიცით, რომ ორივე ყურძნის ეს ჯიში სენაკში, ნოქალაქევისა, გეჭეთსა და მათ გარეშემო მდებარე სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 35, § 24 და 26; C6C6B7B4K, IV, 73, § 16 და 18).

28. ლაბილური, უცნობი ავტორის დახასიათების თანახმად, სოფ. ხეთასა და მის მიდამოებში ყოფილა გავრცელებული და ძალიან ტკბილი ყურძენი სკოდნია, რომლისგანაც თურმე ძალიან ტკბილი და მაგარი ღვინო დგებოდა (C6C6K, III, 221).

29. ქველები („Квелеби“) მხოლოდ უცნობ ავტორს აქვს სამეგრელოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების სიაში. შეტანილი, მაგრამ მარტო ის აქვს ნათქვამი, რომ კარგი საჭმელი ყურძენი იყო (C6C6K, III, 221).

B. ყ უ რ ძ ნ ი ს თ ე თ რ ჯ ი შ თ ა გ ა ნ ს ა მ ე გ რ ე ლ ო შ ი შ ე რ ჩ ე ნ ი ღ ი ი ყ ო

1. მწვანე იმერეთისა და ლეჩხუმის მოსაზღვრე არეში იყო გავრცელებული დაბლარის სახით. ერმ. ნაკაშიძის ცნობით, ეს ყურძენი იმერული მწვანე ყოფილა და იქითგანვე არის შეთვისებული. მაღლარად მწვანეს იშვიათად შეხვდებოა ადამიანი (C6C6B7B4K, IV, 73; მევენახეობაში ეს ცნობა არ არის).

2. ზერდაგი-ს ამპელოგრაფიული აღწერილობა არ მოგვეპოვება. არც ის ვიცით, საღვინე, სამაჭრე, საჭმელი, თუ საჭაჭე ჯიშის ყურძენი იყო. აღნიშნულია მხოლოდ, რომ „ნაცრის გაჩენამდე საერთოდ გავრცელებული ჯიში იყო, შემდეგ მცირე რაოდენობით შეხვდებოდი მდ. ხოფს და ტეხურს შუა, სოფელ თამაკონიდან დაწყებული ნაესაკოვამდე“—ო (მევენახ., 36, § 32 და C6C6B7B4K, IV, 72, § 13). როგორც ვახუშტის დახასიათებითგან ჩანს, ზერდაგი XVIII ს. დამდეგს სამეგრელოს ერთი საუკეთესო საღვინე ჯიშთაგანი ყოფილა.

3. ჩეში-ს დახასიათება არ მოგვეპოვება იმისდა მიუხედავად, რომ „ეს ჯიშის ძალიან გავრცელებული იყო როგორც მაღლობ ისე ვაკე სამეგრელოში“ და ამასთანავე „კარგ ღვინოს იძლეოდა“ (მევენახ., 36, § 30 და С6СвВгВдК, IV, 72, § 11).

ჩეში, ჩე-საგან ნაწარმოები, მეგრული მხოლ. რიცხვის ნათესაობითი ბრუნვაა და ამნაირად თეთრისა-ს ჰნიშნავს.

4. ჩხუჩეში-ც „ძალიან გავრცელებული ჯიში იყო სამეგრელოს სამხრეთ-აღმოსავლეთის ნაწილში“, ზანისა, საჯიჯოს, უფალიკარისა და ბანძითგან მოყოლებული რიონის ნაპირამდე (მევენახ. 36, § 36 და С6СвВгВдК, IV, 73, § 23), მაგრამ ასეთი მნიშვნელობისდა მიუხედავად, მაინც ამპელოგრაფიულად აღწერილი არ არის.

ამ ჯიშის სახელი საშუალებას გვაძლევს მისი ზოგი თვისება გავიგოთ. ჩხუჩეში ცხადია ორი ნაწილისაგან შედგება: ჩხუ და ჩეში-საგან. ამ უკანასკნელის მნიშვნელობა უკვე ვიცით და თეთრისა-ს უდრის. ჩხუ მეგრულად ძროხას ჰნიშნავს. რაკი ყურძნის ერთი ჯიში არსებობს, რომელსაც ქართულად ხარისთვალა ეწოდება, იბადება საკითხი, ჩხუჩეში ხომ თეთრა ხარისთვალას მსგავსი მეგრული სახელის შემოკლებულ ნაშთს არ წარმოადგენს?

5. ჩეჭიბეში ამპელოგრაფიულად, სამწუხაროდ, სრულებით აღწერილი არ არის, თუმცა „მეტად გავრცელებული ჯიში იყო სამეგრელოში“ და ყველგან, სადაც მელდინეობას მისდევდენ, მოიპოვებოდა და ამიტომაც მეტა ყურადღების ღირსი იყო. ვიცით მხოლოდ, რომ „საადრისო ჯიშია, მწიფდება აგვისტოს დამლევს“ და „ღვინო კარგი უდგებოდა“ (მევენახ., 35—36, § 30 და С6СвВгВдК, IV, 72, § 10). უცნობი ავტორის ცნობით კი 15 აგვისტომდე მწიფდებოდა და მოგრძომარცვლიანი ყოფილა, ღვინოც კარგი სცოდნია (С6СвВК, III, 221).

რაკი ჩე მეგრულად თეთრსა ჰნიშნავს. „ჭიფე“ კი წვრილსა და ვიწროს, ამიტომ „ჩეჭიფეში“, როგორც იოსებ ყიფშიძესაც აქვს ნათარგმნი, მართლაც თეთრ-წვრილ ყურძენს ჰნიშნავს.

6. ჩერგვალი-ს ამპელოგრაფიული აღწერილობაც არ მოგვეპოვება. აღნიშნულია მართო, რომ სამეგრელოს მაღლობ ნაწილში იყო გავრცელებული და რომ მისგან „საუცხოვო ღვინო დგებოდა“ (მევენახ., 36, § 31 და С6СвВгВдК, IV, 72, § 12).

ამ ჯიშის თვით სახელი ზოგიერთი მისი თვისების გამორკვევის საშუალებას გვაძლევს. რაკი ჩე მეგრულად თეთრსაც ჰნიშნავს, ამიტომ ჩერგვალი თეთრი მრგვალმარცვლიანი ყურძნის ჯიშის სახელად უნდა ვიგულისხმოთ.

7. ჩეკოლოში-ს რაობაც აღწერილი არ არის. მართო ისდა ვიცით, რომ ქვალონსა, ნოჯინესა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 37, § 39 და С6СвВгВдК, IV, 73, § 26). ამ ჯიშის სახელი თეთრ-კოლოშსა ჰნიშნავს, რომლის, როგორც ვიცით, წითელი სახესხვაობაც არსებობს.

8. ჩეკში, ანუ ჩიჩეში-ს თვისებათა აღწერილობის უქონლობა ამ ყურძნის ჯიშის სახელის ეტიმოლოგიის გაგებას აძნელებს. ვიცით მხოლოდ, რომ ეს ჯიში ეკისა და სენაკის მიდამოებში იყო გავრცელებული (მევენახ., 36, § 35 და С6СвВгВдК, IV, 73, § 22).

9. ხარდანი ჩე, ე. ი. თეთრი ხარდანი იმავე თვისების ყურძნის ჯიშია, როგორსაც შავი ხარდანია.

10. ჰვიტილოური-ს (C6CBK, III, 221) ანუ ჰვიტილურის ვაზი ღონიერი და მოსავლიანია. ფოთოლი დიდი არა აქვს, ხუთყურიანი და ნაკლებდაკბილულია. ნტევანი ცილინდრული (ასეა რუსულად, ქართულში კი ნათქვამია: „მრგვალოგრძო“) და კუმსი იცის, ერმ. ნაკაშიძის დახასიათებით, ხოლო მოხუც ბეს. ნადარეიშვილის აღწერილობით, „მტევანი იცოდა მორჩილი (ე. ი. მომცრო) და ჰკვრივე ისე, რომ მარცვლებს შორის ვერაფერი შევიდოდა“-ო. მარცვალი შრგვალი, წვრალი, ვამჰვირვალე, თეთრმოყვითანო და სქელკანიანი ასხია. როდესაც მწიფდება, ქარვის ფერი ხდება. კანს ხრამა-ხრუში გააქვს. ხორცი სქელი და მაინცდამაინც გემრიელი არა აქვს. ჰვიტილური გვიან მწიფდება. ღვინო მისგან მაგარი და კარგი, თანაც სურნელოვანი დგება. ყურძნის ეს ჯიში მთელ სამეგრელოში იყო გავრცელებული და მცირე რაოდენობით ყოველ სოფელში იყო, მაგრამ კარგი ღვინო მისგან მარტო მალღობ არეში დგებოდა, ს. წალენჯიხაში, საჩინოსა, მუხურს, ჭგალსა, სალხინოსა და ამ სოფლების მიდამოებში (მევენახ., 35, § 28 და C6CBBrBdk, IV, 71, § 9).

ჰვიტილური, ბეს. ნადარეიშვილის სიტყვით, მალღარი ვაზის ჯიში ყოფილა. ამავე პირის ცნობით. ჰვიტილურს იმერეთში კუნძას უწოდებენო.

11. ცხინკილოური-ს შესახებ ნათქვამია მხოლოდ, რომ „საზოგადოდ ცნობილი ჯიში იყო საქილაოში“ (მევენახ., 36, § 37 და C6CBBrBdk, IV, 73, § 24), მაგრამ რით იყო ცნობილი, ან რა თვისებები ჰქონდა, ეს აღნიშნული არ არის.

12. ეგურძეველის აღწერილობა არ მოგვეპოვება. გავრცელებული ყოფილა შუაგულ სამეგრელოს სოფლებში: ახუთს, ხორშში და მათ მიდამოებში (მევენახ., 36, § 34 და C6CBBrBdk, IV, 73, § 21).

13. მაური გეჯეთში, სუჯუნას, გულიეკარსა და სხვა სოფლებში იყო გავრცელებული (მევენახ., 36, § 33 და C6CBBrBdk, VI, 73, § 20).

14. კვაწახური-ს ამპელოგრაფიული აღწერილობა არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ მისი გავრცელების არე: ბანძა, ლენხაინდრე, ონოლია და სხვა სოფლები (მევენახ., 36, § 38 და C6CBBrBdk, IV, 73, § 25).

ამ ჯიშის სახელი ადამიანის ყურადღებას უნებლიეთ იპყრობს და სწორედ სამწუხაროა. რომ მისი თვისებების შესახებ არავითარი ცნობა არ არის დაცული. როგორც სახელითგან ჩანს, კვაწახური მომჟავო ყურძნის ჯიში უნდა ყოფილიყო.

15. არა ვიცით რა, ოპოპი რა თვისების ვაზი და ყურძენი იყო. ისაა მხოლოდ აღნიშნული. რომ ს. ხორშის მიდამოებში იყო გავრცელებული (მევენახ., 37, § 40 და C6CBBrBdk, IV, 73, § 27).

16. ერმ. ნაკაშიძეს თავისი ნაშრომის რუსულ გამოცემაში სამეგრელოს ყურძნის თეთრ ჯიშთა შორის ციცკა-ც აქვს დასახელებული და თანდამატებულია, ალბათ ამავე სახელის მქონებული იმერული ჯიში უნდა იყოსო (C6CBBrBdk, IV, 73, § 28). ქართულ გამოცემაში („მევენახ.“) ეს ჯიში მოხსენებული არ არის.

§ 11. გურიაში შერჩენილი ყურძნის ჯიშები

ცნობები გურიის მევენახეობაზე უცნობ ავტორს აქვს თავის ნაშრომში „Очерк виноделия Кавказа“-ში, რომელიც უმთავრესად ხოჯაჯისაგან შედგენილ მასალებს ეყარება. ამ ავტორს სულ 10 ყურძნის ჯიშის სახელი და მოკლე დახასიათება მოეპოვება (СбСвК, III, 218). ვრცელი მასალა გურიის მევენახეობაზე 1896 წელს გამოქვეყნდა და ერმ. ნაკაშიძის ნაწარმოებშია „Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии“ (СбСвВГВдК, IV). იგივე ცნობები ამ ავტორს ქართულადაც აქვს 1929 წ. გამოქვეყნებული ცალკე წიგნაკად, რომელსაც ეწოდება „მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში“.

როდესაც კვლევა-ძიების დროს ცხადი შეიქმნა, რომ საქართველოს მევენახეობის ზოგიერთი მნიშვნელოვანი პრობლემის გამოსარკვევად არსებული ცნობები საკმარისი არ არის, დანაკლისი მასალების შესავსებად, სხვადასხვა პირს შევეკითხე.

ყველა ის პირი, რომელთაც ამათუიმ ცნობის მოწოდებით დამავალეს, თავის ადგილას მაღლობით მოხსენებულნი არიან, აქ კი განსაკუთრებით უნდა აღვნიშნო, რომ პატივცემული ქრისტინე შარაშიძის თავაზიანი ნებაართვით საშუალება მქონდა მისი მამის, მცხოვანი პედაგოგის გიგო შარაშიძის ორი ნაშრომით მესარგებლა: „ექვსი საუკეთესო გურული ჯიშის ამპელოგრაფია“ (ჯანი, მტევანდიდი, ჩხავერი, კუმუტა, სხილათობანი, ალადასტური: რემინქტონით დაბეჭდილი 4 დიდი გვერდია) და „გურიაში შეგროვებული სალექსიკონო მასალა“, რომელშიც ზოგიერთი ყურძნის ჯიშების აღწერილობა გამოიპოვება. ამის შემდგომაც ზოგიერთი საკითხის გასაშუქებლად კიდევ დამატებითი ცნობების შეკრება მაინც აუცილებელი გახდა და მცხოვანი პედაგოგის პირადი შეკითხვით შეწუხება მომიხდა. ქრისტინე შარაშიძის ხელით ამ შეკითხვებზეც პასუხი მივიღე. ჩემ სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია ასეთი გულუხვი დახმარებისათვის ქგგო შარაშიძესა და მის ასულს ქრისტინე შარაშიძეს უღრმესი მადლობა მოვახსენო. თვითოეული მათგან მიღებული და გამოქვეყნებული ცნობა სათანადო ადგილას მაქვს დასახელებული.

ერმ. ნაკაშიძის სიტყვით, წინათ გურიასა და სამეგრელოში 150—200⁷⁵ ყურძნის სხვადასხვა ჯიში იყო, რომელთა მომეტებული ნაწილი ნაცარისა, ჭრაქისა და ფილოქსერის გაჩენის შემდგომ მოიშპო.

ამ მანებელთაგან განადგურების გამო, არაერთი წინათ ფართოდ გავრცელებული ყურძნის ჯიშისაგან ეხლა სახელიდაა მხოლოდ გადარჩენილი. თავის დროზე, XIX ს. მეორე ნახევრამდე, სათანადო ორგანოებისა და სპეციალისტების დაუდევრობით, მათ შესახებ არაერთი ცნობები არ იყო შეკრებილი და ეხლა ამის გამო ბევრი საკითხი გამოურკვეველი უნდა დარჩეს.

⁷⁵ რუსულად დაწერილ თავის ნაშრომში «Очерк виноградарства и виноделия в Гурии и Мингрелии» (СбСвВГВдК, IV, 63) 150 ჯიში აქვს დასახელებული, ქართულად დაბეჭდილ „მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში“ (1929 წ., სახელგამი, გვ. 22) 200-მდე ჯიშია აღნიშნული.

A. გურიაში გავრცელებულ წითელ, ვარდისფერ და შავ ყურძნის ჭიშთაგან XIX ს. მეორე ნახევრამდე შემდეგი ყოფილა გადარჩენილი

1. ძელშავი⁷⁶, დოც. იასე ცინცაძისა და მისი მამის, მასწავლებლის ცინცაძის ცნობით, გურიაშიც ყოფილა მალლარად გავრცელებული. „სოფელ ბუკისციხეს ძველშავი ჰქონია კონსტანტინე ცინცაძეს, რომელსაც ეს ყურძნის ჭიში გადაერჩინა 1910—11 და 1912 წ. ამერიკულ ვაზზე დამყნით. ყურძენი გარეგნულად მიაგავდა ალადასტურს, მაგრამ ცოტა უფრო მომცრო მარცვლები ჰქონია. ფერად შავი იყო. ყურძენი დამწიფების შემდეგ დიდხანს ვერ ძლებდა, ლებობდა. ამ გარემოებას პატრონი, კ. ცინცაძეცა, და სხვებიც იმას შიაწერდენ, რომ ძველშავი მალლარი იყო და, დაბლარად ქცეული, უპაერობისა და სინესტის გამო ფუჭდებოდა. ღვინო ძალიან მაგარი იცოდა, „მჭახე“. ე. ი. მოჰყავო იყო“.

„ამჟამად ძველშავი შესაძლებელია გადარჩენილი იყოს საჯავახოსა და დაფნარ-გამის რაიონებში, ე. ი. გურია-იმერეთის საზღვარზე. დღეს კ. ცინცაძეს ვენახი აღარა აქვს, რომელიც ჰქონდა, განადგურებულია სავსებით, და ამ ადგილზე თხილი აქვს დარგული“-ო.

გიგო შარაშიძის ცნობით, ყურძნის ეს ჭიში გურიაში მოსპობილი ყოფილა და აღარ არის (წერილობითი პასუხი შეკითხვაზე).

რაკი ცინცაძეს ნათქვამი აქვს, რომ ძელშავის ყურძენი გარეგნულად ალადასტურს მიაგავდა, მაშასადამე, მტევანი საშუალო სიდიდის, ცილინდრული და მეჩხარი ჰქონია. მარცვალი მომცრო, მრგვალი და ოდნავ მოგრძო, ფერად შავი ჰქონია. რაკი მისგან მაგარი და მომჟავო ღვინო დგებოდა, მარცვალი ტკბილი და ოდნავ მომჟავო უნდა ყოფილიყო.

2. ხემხო-ს ყურძნის ჭიშზე ნათქვამია მხოლოდ, რომ ასკანაჲ. აკეთს, ნიგოთსა და გურიის სხვა სოფლებში იყო გავრცელებული (მევენახ., 27, § 24 და СССВВГВДК, IV, 68, § 14). გიგო შარაშიძის ცნობით, „ამჟამად გურიაში ხემხო აღარ იშოვება, თუმცა ძველად იყო, როგორც მეც მახსოვს, ძალიან წააგავდა ჩხავერსა“-ო, სამწუხაროდ, არ არის აღნიშნული რით (წერილობითი პასუხი შეკითხვაზე). „ხემხო“-ზე, რ. ერისთავის თანახმად, იოს. ყიფშიძეს ნათქვამი აქვს. რომ სამურზაყანოს ყურძნის ჭიშის სახელია (მ. გ., გვ. 400), მაგრამ ჩერნიავსკის, რომელსაც აბხაზეთის ყურძნის ჭიშები დაწვრილებით აქვს აღწერილი, ხემხო არ მოეპოვება.

3. აკიდოს ჭიშის თვისებაც აღწერილი არ არის. ნათქვამია მარტო, რომ ს. ანაღლებასა და საჯევახოში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 25, § 11 და СССВВГВДК, IV, 67, § 1).

4. მტევანდიდი-ს ვაზი ღონიერი და მოსავლიანია. გ. შარაშიძის დახასიათებით, მტევანდიდის „გრძელი და მსხვილი ლერწები მწვანე, ან მიხაყის ფერია“.

⁷⁶ „ძველშავ“-ად წოდებული ყურძნის ჭიშის მნიშვნელობის გამო, რაკი მისი არსებობის შესახებ სხვაგან არსად ცნობები არ იყო, პირადად შევეუდექი ამ ჭიშის გავრცელების არეს გამოკვლევას. გამოკითხვამ ერთხელ კიდე დამარწმუნა, თუ რამდენად ნაკლებად არის თანამედროვე საქართველო შესწავლილი. ტ. ს. პ. ინსტ. დოც. იასე ცინცაძესთან საუბრის დროს გამოიჩინა, რომ „ძველშავი“ გურიაშიც ყოფილა. ჩემი თხოვნით, მან ცნობა ამის შესახებ წერილობით გადმომცა. რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ვაზი „სწრაფად იზრდება“ („ექესი საუკეთესო გურული ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფია“), ფოთოლი დიდი, თითქმის მრგვალი, ღია მწვანე, ზევეთგან გლუვი, ქვევითგან კი ოდნავ ბუსუსიანი აქვს. მტევანი დიდი, ბურძღენიანი და მეჩხარი იცის, მარცვალი შავი, თხელკანიანი, საკმაოდ მრგვალი, მაგრამ ოდნავ მოგრძო ასხია. ხორცი წვენიანი, ტკბილი და საკმაოდ გემრიელი აქვს. მტევანდიდისაგან ღვინო მუქი წითელი, მაგარი, სურნელოვანი და გემრიელი ღვინოა, ძალიან გამძლეა და რაც უფრო დიდი ხნისაა, ღვინის ღირსებაც მატულობს, ამასთანავე ტიკით გადატან-გადმოტანას კარგად უძლებს. მტევანდიდეს ვაზი გურიისში წინათ ფართოდ იყო გავრცელებული და მეღვინეობის მიმდევარ ყველა სოფელში აქა-იქ ეხლაც მოიპოვება (CSCBK, III, 218; მევენახ., 24 და CSCBVBK, IV, 65).

5. ჯუმუტა-ს ვაზი სუსტი და საშუალო მოსავლიანია. გ. შარაშიძის ცნობით, ჯუმუტას „ლერწი მოწითალო ფერისაა, ზოლებიანია, ზოლები მკაფიოდ აჩნია“-ო (გურული სალექსიკ. მასალები). ფოთოლი საშუალო სიდიდის, სქელი, 3—5 ყურაა, ოდნავ დაკბილულია, ზედაპირი მუქი მწვანე და გლუვი აქვს, ზურგი ოდნავ ბუსუსიანი. მტევანი საშუალო სიდიდისაა, კუმსია (თვის „ჯუმუტა კუმსიას ჰნიშნავს“-ო)⁷⁷. მარცვალი წვრილი, მრგვალი და თხელკანიანი, თანაც ფერად შავი ასხია. გ. შარაშიძის დახასიათებით, „მტევანზე მარცვლები მკიდროდ სქედან“ (გურ. სალექსიკ. მასალები). კანი მაგარი, ხორცი კი წვენიანი და ტკბილ-მომყავო აქვს და გემრიელია. საშუალო ყურძნის ჯიშია, ზამთარშიც კარგად ინახება. ღვინო მისგან შავი და ოდნავ მწკლატე ღვინოა. მტევანდიდივით იყო გავრცელებული (CSCBK, III, 218; მევენახ., 24 და CSCBVBK, IV, 65).

6. კუმუშა ამპელოგრაფიულად, სამწუხაროდ, დახასიათებული არ არის. ამადლებში, ორაგვეს, ჩოჩხათსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 26, § 17 და CSCBVBK, IV, 68, § 7).

7. მცვივანი-ს თვისებები დახასიათებული არ არის, სწერია მხოლოდ, რომ ოცხანას, მეწიეთს, ბასილეთსა და მათ მახლობელ სოფლებში იყო გავრცელებული (მევენახ., 27, § 29 და CSCBVBK, IV, 68, § 19).

8. მცვინარა-ც ამპელოგრაფიულად აღწერილი არ არის. ჩოჩხათს. ჟურუყვეთსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 27, § 32 და CSCBVBK, IV, 68, § 22).

9. ხარისთვალა ს. ქაქუთს, ჭანიეთსა და სხვაგან მოიპოვებოდა (მევენახ., 28, § 40).

10. ღორისთვალა გურიისში ყველაზე უფრო გავრცელებული ჯიში ყოფილა. მეტადრე ს. ჯუმათში სჭარბობდა თურმე. უხვი მოსავლიანია, მაგრამ ღვინო მდარე იცის (მევენახ., 26 და CSCBVBK, IV, 68).

11. ცხენის-ძუძუ ს. ღინაურსა, ნაცხვატეესა, ჭანიეთსა, ქაქუთში და სხვაგან იყო (მევენახ., 28, § 41).

12. მტრედის-ფეხი, რომელსაც „მტევანი აქვს მკვრივი. მრგვალი მარცვლებით“, ე. ი. მრგვალმარცვლიანი და კუმსი ყოფილა. მოსავლიანი ვაზია და

⁷⁷ «Название чумута означает плотный»; ერმ. ნაკაშიძის ქართულ გამოცემაში ეს რატომღაც გამოტოვებული აქვს. მაგრამ გ. შარაშიძის თავის გურულ. სალექსიკონ მასალებში ნათქვამია აქვს: „სახელი ჯუმუტა აღნიშნავს მტევნის სიმკვრივეს“-ო.

ნაცრისაგან ნაკლებ ზიანდება. გურიაში წინათ ეს ჯიში ძალიან ყოფილა გავრცელებული (CნCხK, III, 218 და მევენახ., 25, § 9).

13. წითლიანი-ც სრულებით დახასიათებული არ არის. ამალღებასა, აკეთს, აცნასა, ნიგოითსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 27, § 26 და CნCხBრBდK, IV, 68, § 16). გ. შარაშიძის სიტყვით, „მოწითალო ფერის ყურძენი იცის, ღვინოსაც აყენებენ“ მისგანაო (გურ. სალექს. მასალები).

14. შავყურძენა აღწერილი არ ყოფილა იმისდა მიუხედავად, რომ „მეტად გავრცელებული ჯიშია“ და გურიის თითქმის ყველა სოფელში გვხვდება (მევენახ., 27, § 28 და CნCხBრBდK, IV, 68, § 18).

15. ხარდანი ამპელოგრაფიულად, სამწუხაროდ, სრულებით დახასიათებული არ არის. ნათქვამია მხოლოდ, რომ შუა და ქვემო გურიაში ძალიან გავრცელებული ჯიში ყოფილა, მაგრამ მდარე ღვინო სცოდნია (მევენახ., 27, § 25 და CნCხBრBდK, IV, 68, § 15).

16. საფერავი აღწერილი არ არის, ს. ამალღებას, აკეთსა, ძიმითში და სხვაგანაც მოიპოვებოდა (მევენახ., 27, § 23).

17. სამაჰრე გურიაში ძალიან გავრცელებული, ადრეული ყურძენის ჯიშია, მაჰრის დასაყენებლად განკუთვნილი. გურიის თითქმის ყველა სოფელში მოიპოვებოდა (მევენახ., 26, § 22 და CნCხBრBდK, IV, 68, § 12).

18. სამაჰვას თვისებებზე არაფერია ნათქვამი. ნიგოითსა, ქვიანსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 28, § 39 და CნCხBრBდK, IV-ში არ არის).

19. საკვირჩხილა-ზეც, გავრცელების არეს გარდა, არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება. ნიგოითსა, ლანჩხუთსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 27, § 30 და CნCხBრBდK, IV, 68, § 30).

20. ბადაგი-ს ჯიშიც არსად დახასიათებული არ არის. ნათქვამია მხოლოდ, რომ მაკვანეთსა და ახლომახლო სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 26, § 12 და CნCხBრBდK, IV, 67, § 2).

21. ბერძულა ს. მიქელგაბრიელში იყო გავრცელებული (მევენახ., 26, § 13 და CნCხBრBდK, IV, 68, § 3).

22. ჩხაბერძული მთელ გურიაში იყო, საჯავახოს გარდა, გავრცელებული (მევენახ., 27, § 27 და CნCხBრBდK, IV, 68, § 17). გ. შარაშიძეს ამ ყურძენის სახელად „ჩხაბერძული“ აქვს აღნიშნული. მისი დახასიათებით, „გურული ჯიშის ვაზია, საღვინეა, ჩხავერზე უფრო დიდმარცვლებიანია, სხვაფრივ ჩხავერს წაავაგვს“-ო (სალექსიკ. გურ. მასალები).

23. ჩხავერი-ს ვაზი საკმაოდ ღონიერი და მოსავლიანია. გ. შარაშიძის დახასიათებით, „ლერწები (ე. ი. რქები) წვრილი აქვს, მოწითალო ფერის, რომელსაც ზოლები და წინწკლები ძლივს აჩნია“-ო („ეჭვსი საუკეთესო გურული ყურძენის ჯიშის ამპელოგრაფია“). ფოთოლი საშუალო სიდიდისა, ან მომცრო, ხუთყურძიანი აქვს, ოდნავ დაკბილული, ღია მწვანეა. ზედაპირი გლუვია, ზურგი ბუხუსიანი. მისი მტევანი საშუალო სიდიდის, ან მომცრო, ჩვეულებრივ ცილინდრულია, „საკმაოდ შეკუმშული, იშვიათად გაფრთხილი“-ა, ე. ი. ჩვეულებრივ კუმსია, იშვიათად კი ბურქღენიანი. მარცვალი წვრილი, მრგვალი, მუქი ვარ-

დისფერი და თხელკანიანი ასხია. ხორცი წვენიანი და ტკბილი, ოდნავ მომჟავო და ძალიან გემრიელი აქვს. მისგან კარგი, მაგარი, მუქი ვარდისფერი, ტკბილი და სურნელოვანი ღვინო დგება. ჩხავერი მთელ გურიაში, საჯავახოს გარდა, ძალიან იყო გავრცელებული. XIX ს. დამლევითგან მოყოლებული ეს ჯიში გურიის სამხრეთ ნაწილში, აჭარა-გურიის მთავრეხილის კალთებისა და ზეგანის სოფლებშია გაბატონებული: ლეხაურსა, მაკვანეთსა, შემოქმედსა, ბალდადსა, ბახესა, ასკანაში და სხვაგან (С6СвК, III, 218; მევენახ., 22—23 და С6СвВгВдК, IV, 64).

24. სამჩხავერა-ს ჯიშის ყურძენი ჩხვერს მიაგავს. მაგრამ მტევანი უფრო გრძელი აქვს (С6СвК, III, 218; მევენახ., 25 და С6СвВгВдК, IV, 66).

25. ალადასტური-ს ვაზი ღონიერია და მოსავლიანი. გ. შარაშიძის დახასიათებით, მისი „ლერწები (ე. ი. რქები) მსხვილი და მოწითალო მიხაყის ფერი“-ა. ფოთოლი დიდი, სამყურიანი და დაკბილული აქვს, ზედაპირი მუქი-მწვანე და გლუვია, ქვედა ბუსუსიანი. მტევანი საშუალო, მოგრძო და მეჩხარი იცის. მარცვალი ოდნავ მოგრძო, შავი, სქელკანიანი და მაგარი აქვს. ხორცი საკმაოდ წყლიანი და ტკბილია, მაგრამ მაინცდამაინც გემრიელი არ არის. სოკოვან ავადმყოფობას კარგად იტანს, საჯავახოსა და ციხეში აშენებენ, სხვაგანაც. მისი ღვინო მუქი წითელია, მაგრამ მდარე ღირსების (მევენახ., 25, § 6. გ. შარაშიძის „ექვსი საუკეთესო გურული ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფია“).

26. ჯანის ვაზი საკმაოდ ღონიერი და მოსავლიანია. ლერწი, გ. შარაშიძის დახასიათებით, „წვრილი და მუქი წითელი ფერის“ აქვს („ექვსი საუკეთესო გურული ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფია“). ფოთოლი საშუალო სიდიდისა, თხელი, კვერცხებრივი, სამყურიანი, ოდნავ დაკბილული, ღია მწვანე აქვს. ზედაპირი გლუვია. მტევანი პატარა (ასეა რუსულად, ქართულად კი „შუათანა“-ა), მოგრძო⁷⁸, ბურძღენიანი და მეჩხარია. მარცვალი წვრილი, მრგვალი, ყუნწმაგარი, სრულიად შავი, მოელვარე ასხია. თხელკანიანია, მაგრამ კანი ძალიან მაგარი აქვს. მარცვალი ხორციანი, ტკბილი და გემრიელია, ყურძენი გამძლეა: ზამთარშიც კარგად ინახება და ხეზე დიდხანსაც კი დატოვებული არ ღებება, არამედ ჩამიჩდება. ჯანისაგან ღვინო კარგი, მაგარი, წითელი და სურნელოვანი დგება. ჯანის ღვინოც გამძლეა და მთელ გურიაში საუკეთესო ღვინოდ არის მიჩნეული. ეს ვაზი შუა გურიაში ფართოდ იყო გავრცელებული, მაგრამ სოკოვანმა ავადმყოფობამ მისი არე ძალზე შეამცირა. ამჟამად აქაიქაა ჩოხატაურის მიდამოებში შერჩენილი, ს. ს. ბუკისციხესა, იანაულსა, ერკეთში და სხვაგან (მევენახ., 23 და С6СвВгВдК, IV, 64—65).

27. სხილათობანი-ს ვაზი საკმაოდ ღონიერი და მოსავლიანია. „ამ ვაზმა ბევრი ნაყარი იცის“ („побеги отличаются обилием пасынков“. ქართულში ეს ცნობა გამოტოვებულია). გ. შარაშიძის სიტყვით, მისი „ლერწები (ე. ი. რქები) საშუალო სიმსხოსი და მოყვითალო ფერისა“-ა („ექვსი საუკეთესო გურული ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფია“). ფოთოლი პატარა, წაგრძელებული, სამყურიანი აქვს. ღია მწვანეა, მისი ზედაპირი გლუვია, ქვედა ბუსუსიანი, მტევანი სა-

⁷⁸ რუსულად «длинная» ქართულად «გრძელია“-ა, მაგრამ თუ პატარაა, ალბათ, აქ მოყვანილობაზე უნდა იყოს საუბარი, ამიტომ „მოგრძო-ს“ ხმარება სჯობს.

შუალო სიდიდის, წოწოლა და საკმაოდ კუმის აქვს. მარცვალი შავი, საშუალო სიდიდისა, მრგვალი და თხელკანიანი ასხია. კანს უხვად აქვს საღებავი ნივთიერება. მარცვალი ხორციანი, მეტად წვენიანი და ტკბილია. სხილათობანს ნაცარი ძალზე ჰქვანის. მისგან მუქი წითელი, კარგი, მაგრამ მწკლატე ღვინო დგება. აღმოს-გურიანში, საჯავახოს, იყო გავრცელებული (მევენახ., 24—25 და С6СвВгВдК, IV, 65—66).

28. კამური შავი საჯავახოს თემში და ს. ამალღებაში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 26, § 15 და С6СвВгВдК, VI, 68, § 5).

29. მახატური მაკვანეთსა, ლიხაურსა, შემოქმედს, აკეთსა და სხვა სოფლებში იყო (მევენახ., 26, § 19 და С6СвВгВдК, IV, 68, § 9).

30. მანდიკოური ასკანას, სურებს, ამალღებასა და სხვა სოფლებში იყო (მევენახ., 26, § 20: „მანდიკორი“ და С6СвВгВдК, IV, 68, § 10: „Мандикоური“).

31. ოცხანური ხვარბეთს, ჩოჩხათსა, გოგორეთსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 27, § 35 და С6СвВгВдК, IV, 68, § 25).

32. კეთილური ს. ჩოჩხათსა და მის მიდამოებში ყოფილა (მევენახ., 28, § 36 და С6СвВгВдК, IV, 68, § 26).

33. მაგანაყური გურიანთას, ჩოჩხათსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 28, § 37 და С6СвВгВдК, IV, 68, § 27).

34. ოფოურა ამალღებას, ფარცხმასა და საჯავახოს ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 26, § 21 და С6СвВгВдК, IV, 68, § 11).

35. კიკაჩაი-ის ნიშანდობლივი თვისებების აღწერილობა არ მოგვეპოვება. გავრცელებული ყოფილა ლიხაურსა, მაკვანეთსა, შემოქმედში, გურიანთას, ჩოჩხათს, ჭურუყვეთში, ჩიბათს, ნიგოითსა და სხვა სოფლებში (მევენახ., 26, § 16 და С6СвВгВдК, IV, 68, § 6).

36. ორონა-ს ჯიში მოკლედ არის დახასიათებული. ფურცელი პატარა ჰქონია. მარცვალი შავ-მორუხისფერო, წვრილი ჰსხმია. მისგან ვარდისფერი, მაგარი ღვინო დგებოდაო (С6СвК, III, 218; მევენახ., 25, § 7 და С6СвВгВдК, IV, 66).

37. ჩუპენი-ს ჯიში მხოლოდ იმ მხრივ არის დახასიათებული, რომ მცირე მოსავლიანია და მარცვლის კანში საღებავი ნივთიერებაა. ამიტომ მისი ჰაჭვა ღვინის საღებავად იხმარებო. თითო-ოროლა ცალობით გურიაში ყველგან ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 25 და С6СвВгВдК, IV, 66).

38. მაკურენჩხის თვისებები ერმ. ნაკაშიძეს აღნიშნული არა აქვს. ნათქვამია მხოლოდ, რომ ნიგოითში, ხვარბეთს, გოგორეთსა, გურიანთას, კახურსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 26, § 18 და С6СвВгВдК, IV, 68, § 8).

39. ჰოდი ლანჩხუთსა და მის მიდამოებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 27, § 31 და С6СвВгВдК, IV, 68, § 21).

40. კოლოში ჩიბათში, ორაგვეს, ჭურუყვეთსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 27, § 33 და С6СвВгВдК, IV, 68, § 23).

41. მუხიშხა ჩიბათსა, ორაგვეს, ჭურუყვეთსა და სხვა სოფლებში ყოფილა (მევენახ., 27, § 34 და С6СвВгВдК, IV, 68, § 24).

42. კორძალა მაკვანეთს, ლიხაურსა თუ მათ მიდამო სოფლებში იყო გავრცელებული (მევენახ., 28, § 38 და C6C6BrB4K, IV, 68, § 28).

ბ. გურიის გადარჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები

1. თქვლაფა საჯავახოს რაიონში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 30, § 55 და C6C6BrB4K, IV, 68, § 38).

2. დონდლო ს. გურიანთას, ლიხაურსა, მაკვანეთს, შემოქმედსა და მათ მიდამოებში იყო გავრცელებული (მევენახ., 30, § 57 და C6C6BrB4K, IV, 68, § 40).

3. თითა თეთრი გურიაში ყველგან ყოფილა გავრცელებული, სადაც კი მევენახეობა მეურნეობის მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენდა (მევენახ., 30, § 54 და C6C6BrB4K, IV, 68, § 37).

4. ღორისთვალა-ს' ამპელოგრაფიული აღწერილობა მხოლოდ პროფ. V. Pulliat-ს მოეპოვება, რომელსაც ეს სახელი Goris toilé-დ აქვს დაბეჭდილი ფრჩხილებში მოთავსებული ფრანგული სწორე თარგმანითურთ „Oeil de porc“. მასალა ქუთაისიდან ჰქონია Baron de Longueuil-ისგან მიღებული. ფრანგი მეცნიერის აღწერილობით ღორისთვალას დაკვირება ბუსუსიანი, მოთეთრო სცოდნია. ფოთოლი საკმაოდ დაკბილული, საშუალო სიდიდისა, ზედაპირი გლუვი, ქვედა ბუსუსიანი ჰქონია. მტევანი საშუალო, ოდნავ კუმსი, მოგრძო წოწოლა სცოდნია. საკმაოდ გრძელსა და წვრილ კლერტზე. მარცვალი თითქმის საშუალო, ოდნავ ელიფსოიდური ჰსხმია. ხორცი ოდნავ რბილი, წვენიანი და ოდნავ ტკბილი; ხოლო კანი ოდნავ თხელი, მაგრამ მაგარი ჰქონია. სიმწიფის ღროს, რომელიც მეოთხე პერიოდში სცოდნია, იგი თურმე მწვანე-მოყვითალო ზღებოდა (იხ. Mille variétés de vignes, 138—139). როგორც ამ აღწერილობითგან ჩანს, V. Pulliat-საგან დახასიათებული ღორისთვალა თეთრი ყურძნის ჯიში ყოფილა, ერმ. ნაკაშიძეს კი, როგორც დავრწმუნდით, წითელი ღორისთვალა აქვს მოხსენებული. მამასადამე, ღორისთვალა წითელიცა და თეთრიც ყოფილა.

5. მწვანე, რომლის ამპელოგრაფიული აღწერილობა, სამწუხაროდ, ერმ. ნაკაშიძეს არ მოეპოვება, ქაქუთს, ჭანიეთსა, ლიხაურსა და სხვა სოფლებში ყოფილა გავრცელებული (მევენახ., 30, § 58; C6C6BrB4K, IV, 68-ზე გამოტოვებულია).

6. თეთრი ყურძენი საუცხოვო საქმელი ყურძნის ჯიში იყო. გემრიელიცაა და სურნელოვანებით შემკული. უცნაურია, რომ ასეთ მაღალხარისხოვანი ჯიშის შესახებ, უცნობ ავტორს გარდა, არავის ცნობები არ მოეპოვება (C6C6K, III, 218).

7. თეთრიშა-ს ვაზი საკმაოდ ღონიერი ზა მოსავლიანია: ფოთოლი დიდი, სქელი, ხუთყურა და ოდნავ დაკბილული აქვს. მტევანი შუათანა და მოგრძო (ზოგჯერ წოწოლა), თანაც კუმსი იცის. მარცვალი შრგვალა და წვრილი, მაგრამ სხვადასხვა სიდიდის, ქარვისფერი, საკმაოდ სქელკანიანი ასხია. კანს ხრამხარუ-

ში გააქვს. მარცვალის ხორცი მაგარია, მაგრამ წვენიანი, ძალიან ტკბილი და გემრიელია. ამ ყურძნისაგან ღია ქარვისფერი, კარგი და სურნელოვანი ღვინო დგება. თეთრიშას გავრცელების არე ჩხავერისას უდგება, ე. ი. მთელ გურიაში, საჯავახოს გარდა, იყო, მეტადრე გურიის სამხრეთი ნაწილის ზეგანის სოფლებში (მევენახ., 28, § 42 და C6C6BrBdK, IV, 67, § 11).

8. საკმეველას, ანუ საკმელა-ს მარცვალი წოწოლა, წვრილი, მაგრამ სხვადასხვა სიდიდისა და ქარვის, ანუ საკმეველის ფერისა აქვს. ღვინო მისგან კარგი, მაგარი და სურნელოვანი დგება. რაკი სოკოვანი ავადმყოფობისაგან ეს ჯიში ძალზე იჩაგრება, ამიტომ მისი გავრცელების არე შესამჩნევად შემცირდა, ისე, რომ ყველგან თათო-ოროლა ცალობით მოიპოვება (C6C6K, III, 218; მევენახ., 29, § 45 და C6C6BrBdK, IV, 67, § 14).

9. სამაჰრე იმავე თვისებისაა, როგორც შავი სამაჰრეა, და გურიის ყველა სოფელში მოიპოვებოდა (მევენახ., 30, § 53 და C6C6BrBdK, IV, 68, § 36).

10. სამარხი გურიაში „ერთი საუკეთესო სუფრის ჯიშია, ყურძენი დიდხანს ინახება. თითო-ოროლა ცალობით ყველგან გვხვდება გურიის ზეგან სოფლებში“-ო (მევენახ., 30, § 52 და C6C6BrBdK, IV, 68, § 35).

11. ათინურის ჯიშს მარცვალი მსხვილი, ქარვისფერი აქვს, ძალიან ტკბილი, გემრიელი და ჩინებული საქმელი ყურძენია. სოკოვანი ავადმყოფობისაგან ძალზე ზიანდება (C6C6K, III, 218; მევენახ., 28, § 43 და C6C6BrBdK, IV, 67, § 12).

12. ჭვავათური გურიანთას, კახურსა, ლანჩხუთს და მათი მიდამოების სოფლებში იყო გავრცელებული (მევენახ., 29, § 49 და C6C6BrBdK, IV, 68, § 32).

13. კლარჯული გურიის ყველა სოფელში ძალიან გავრცელებული ჯიში იყო (მევენახ., 29, § 48 და C6C6BrBdK, IV, 68, § 31). „კლარჯული“, გ. შარაშიძის ცნობით, თითქოს იგივე „ცხენის-ძუძუ“ უნდა ყოფილიყო. გურიაში წინათ გავრცელებული ყოფილა: „საზამთროდ კარგად ინახებოდა. იმდენად გამშრალი იყო, რომ დანით დაკრილს წვენი არ გამოსდიოდა, საქმელად ხმარობენ. ფერი მოწითალო ჰქონდა, კორფლიანივით. ამბობენ აქარაში დღემდის არის შენახული ეს ჯიშიო. გურიაში მოისპო“-ო (სალექსიკ. მასალა, ხელთნ.). მაგრამ კლარჯულისა და ცხენის-ძუძუს სრული იგივეობის აზრს დაუჯერებლად ის გარემოება ხდის, რომ აქარაში, როგორც ქვევით დავრწმუნდებით, კლარჯულიც არის და ცხენის-ძუძუ-ც და იქ სხვადასხვა ყურძნის ჯიშების სახელებია. ამიტომ კლარჯული გურიაშიც ცხენის-ძუძუსაგან განსხვავებული ჯიში უნდა ყოფილიყო.

14. ზენათურის ჯიში წვრილმარცვლიანია. მარცვალი რუხი ფერისა აქვს. ამ ყურძნისაგან კარგი მაგარი ღვინო დგებოდა. გურიანთაში, ნიგოთსა, ბასილეთსა და მისი მიდამოების სოფლებში იყო გავრცელებული. სოკოვანი ავადმყოფობისაგან ძალიან იჩაგრება (მევენახ., 29, § 44 და C6C6BrBdK, IV, 67, § 13).

15. კამური თეთრი იმავე არეშია გავრცელებული, სადაც შავი კამურია, ე. ი. საჯავახოსა და ამაღლებაში (მევენახ., 29, § 47 და C6C6BrBdK, IV, 68, § 30).

16. მაური საჯავახოში და ს. ნიგოთში იყო გავრცელებული (მევენახ., 29, § 51 და С6СвВгВдК, IV, 68, § 34).

17. წიაღომინა ვაზის ჭიშის სახელად მხოლოდ გ. შარაშიძეს მოეპოვება თავის ჯერ გამოუქვეყნებელ სალექსიკონო მასალებში. მისი განმარტებით „წიაღომინა — გურული ჭიშის ვაზია, საღვინე, თეთრი ყურძენი იცის“.

18. კაპისტონი გავრცელებული ყოფილა საჯავახოს რაიონში, ამაღლებასა და სურებში (მევენახ., 29, § 50 და С6СвВгВдК, IV, 68, § 33).

19. კიკაჩაი თეთრი იმავე სოფლებში იყო გავრცელებული, სადაც შავი კიკაჩაი იყო (მევენახ., 30, § 56 და СССвВгВдК, IV, 68, § 39), ე. ი. ლიხაურში, მაკვანეთსა, შემოქმედსა, გურიანთაში, ჩოჩხატს, ჯურუყვეთსა, ჩიბათს, ნიგოთსა და სხვა სოფლებში.

§ 12. აჭარაში გადარჩენილი ყურძნის ჭიშები

ს. ტ ი მ ო ფ ე ე ვ ი ს ნაშრომი ერთადერთი წყაროა, სადაც პირველად აჭარა-შავშეთ-კლარჯეთში გავრცელებული ყურძნის ჭიშების სახელებია მოყვანილი მათი თვისებების მოკლე დახასიათებითურთ. 1895 წ. შემდგომაც ტიმოფეევის ნაშრომზე უფრო ვრცელი ცნობები არსად გამოქვეყნებულა. ერმ. ნაკაშიძესაც თავის 1929 წ. გამოცემულ საგულისხმო წიგნაკში „მევენახეობა-მეღვინეობა გურია-სამეგრელოში, აჭარაში და აფხაზეთში“ (სახელგ. გამოცემა) აჭარას მხოლოდ 3 გვერდი აქვს დათმობილი და იქაური ყურძნის ჭიშების მარტო სახელებია ჩამოთვლილი.

ამის გამო ტიმოფეევის ნაშრომი ჯერჯერობით აჭარის მევენახეობის ერთადერთ ცოტად თუ ბევრად ვრცელი აღწერილობის შემცველ წყაროდ რჩება.

აჭარაში ყურძნის ბევრი ჭიში ყოფილა გავრცელებული, რომელთაგან ტიმოფეევის, სამწუხაროდ, მხოლოდ 18 ჭიშის სახელი აქვს მოყვანილი. 12 მათგანის მოკლე დახასიათებაც მოეპოვება. ერმ. ნაკაშიძეს მარტო ყურძნის 8 აჭარული სახელი აქვს ჩამოთვლილი.

ამ წიგნის უკვე ბეჭდვის დროს საქართველოს მუზეუმის ეთნოგრაფიული განყოფილების თანამშრომლის სტ. მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ლ ი ს ა გ ა ნ 1933 წ. ზაფხულში საქართველოს მუზ. ეთნოგ. ექსპედიციის დროს აჭარაში შეგროვებული მოკლე ცნობებიც მივიღე იქაური მევენახეობისა და ყურძნის ჭიშების შესახებ, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

აჭარაში მხოლოდ მალარია. ვაზს იქ მენახი ჰქვიან, რომელიც, რა თქმა უნდა, ძველი ვენახის ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. ვაზის ზროს ლერწვი ეწოდება, ვაზის რქას კი პოწვი და ტოღი. მაგრამ პოწვი თურმე მტევნის კლერტსაც ჰნიშნავს. ხოლო თვით კლერტს ბუნძაღალი-ც ჰქვიან — ფოთოლს ფოთელი და ფვერი ეწოდება, მტევანს — ტევანი, ყუნწს — ყურწი, მარცვალს — კაკაღი. მარცვლის ტყავს ჭერჭი ჰქვიან, წიპწას, ანუ თესლს, კურკას ბურკა ეწოდება, ჭაჭას კი ჭეჭა.

ზემოდასახელებულ პირთა ცნობებით აჭარაში სხვებზე უფრო მეტად შემდეგი ჭიშები ყოფილა გავრცელებული.

A. ყურძნის შავი და წითელი ჯიშები

1. **ხარისთვალა** („Хариствалл“: ს. ტიმოფეევი, IV, 168, — „ხარისთვალა“: ერმ. ნაკაშიძე, 51) აჭარაშიც ალბათ შავი ყურძნის ჯიშის უნდა იყოს ისევე, როგორც ქართლ-კახეთშია. მართლაც სტ. მენტეშაშვილის ცნობით, აჭარაში „ხარისთვალა შავი, თხელმტევანა, მრგვალი და მსხვილმარცვლიანი“ ყურძნის ჯიშია.

2. **ცხენის-ძუძუა** (ს. ტიმოფეევი, IV, 168; ერმ. ნაკაშიძე, 51) რა ფერის ყურძენია აჭარაში, ზემოაღნიშნულ ავტორებს დასახელებული არა აქვთ: შავშეთ-კლარჯეთში, როგორც დავრწმუნდებით (იხ. აქვე), შავიცა და თეთრიც არსებობს. სტ. მენტეშაშვილის ცნობით, აჭარაში ცხენის-ძუძუა მობრეშო (ე. ი. მოწაბლანფერო), მრგვალი, მსხვილკაკლიანი ანუ მარცვლიანი ყურძნის ჯიშია.

3. **ჩხვერი** შავია, მტევანი პატარა და არც თუ კუმისი აქვს, წვრილი, მრგვალმარცვლიანი, თხელკანიანი, მჭრთალი ვარდისფერი, წვრილი მარცვლიანი აქვს და ტკბილ-მომეყავოა. ყველაზე უფრო გავრცელებულ საღვინე ჯიშთაგანია. ნოემბრის დამდეგს მწიფდება. სოკოვანი ავადმყოფობით ძალიან სნეულდება (СГСВВгВдК, IV, 167).

სტ. მენტეშაშვილის ცნობით, ჩხვერი აჭარაში „წითელი (და არა შავი) ყურძნის ჯიშია. მტევანი საესე აქვს, გრძელი, წვიტი კაკალი“ იცხ.

4. **მეკრენჩხი** ყურძნის შავი ჯიშია, დიდმტევნიანი, მსხვილმარცვლიანი, მაგრამ წვნიანი არ არის. ტკბილია და გამძლე, მაგრამ მცირემოსავლიანია, საღვინედ მთლად გამოსადეგი არ არის. სხვებზე ნაკლებად არის გავრცელებული (იქვე, IV, 167). ერმ. ნაკაშიძეს მეკრენჩხი დასახელებული არა აქვს, სტ. მენტეშაშვილის ცნობით კი ეხლაც მოიპოვება.

5. **ჩინეში** მუქი წითელი ფერის ყურძენია, მომცრო, წოწოლამტევნიანი. საკმაოდ შეტკეცილია, მარცვალი საშუალოზე მოზრდილი აქვს, ოდნავ წაგრძელებული, აორცინია და სქელკანიანი, მაგრამ წვენი და სიტკბო ნაკლები აქვს. საკმაოდ გამძლეა, საქმელად ხმარობენ (IV, 167—168). ერმ. ნაკაშიძის ნაშრომში ეს სახელი არ მოიპოვება.

6. **ჭოდი** („Чоты“) შავი ყურძენია, წვრილი და მეჩხარმტევნიანი, მრგვალი, წვრილ-მარცვლიანია, კანი სქელი აქვს, წვენიანია და მომეყავო. უფრო ზემოაჭარაშია გავრცელებული (იქვე, IV, 168). ერმ. ნაკაშიძეს არ მოეპოვება. სტ. მენტეშაშვილის ცნობით ეხლაც არსებობს და ტკბილ ჯიშად აქვს აღნიშნული.

7. **საწური** („сацури“) წითელი ყურძენია, მტევანი მოზრდილი აქვს, მაგრამ მეზნაბო, მოგრძო, საშუალო სიდიდის მარცვლიანია. ჩინეშს მიაგავსო. სოკოვანი ავადმყოფობით სხვებზე ნაკლებ ზიანდება (იქვე, IV, 168). ერმ. ნაკაშიძეს არა აქვს.

8. **ანას გარდა**, აჭარაში ყოფილა „მატანაური“ („матанаური“), 9. **მახატური**,

10. **ორონა** და 11. **მტევანდიდი**. პირველი ყურძნის ამ ჯიშთაგანი ს. ტიმოფეევს აქვს დასახელებული (IV, 168), დანარჩენი სამი ერმ. ნაკაშიძეს (გვ. 51). ამათგან მტევანდიდი, ორონა და მახატური გურიაშიც მოიპოვებოდა და არის ეხლაც აქაიქ (ერმ. ნაკაშიძის მევენახეობა-მეღვინეობა, გვ. 24, § 3; გვ. 25, § 7 და გვ. 26, § 19) და ყურძნის შავსა და წითელ ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნიან (იქვე). „მატანაური“-ს მაგიერ კი გურიაში ერმ. ნაკაშიძეს ყურძნის შავ-წითელ ჯიშთა

შორის მავანაყური აქვს დასახელებული (იქვე, გვ. 28, § 37). იბადება საკითხი, ს. ტიმოფეევის ნაშრომში კორექტურული შეცდომა ხომ არ არის შეპარული? სტ. მენთეშაშვილს აპარაში, ზემოდასახელებულს გარდა, კიდევ შემდეგი ყურძნის ჭიშების სახელები აქვს ჩაწერილი:

12. შავი ყურძენი, რომელსაც „მტევანიცა და მარცვლიც მრგვალი აქვს“.

13. შავშური, რომელიც „მეკრენჩხსა ჰგავს“-ო.

14. პოვნილი „შავია, დიდი მტევანი, მრგვალი კაკალი აქვს, წვენიანი, საწურად გვაქვსო“.

B. აპარაში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჭიშები

გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი ყოფილა აპარაში ყურძნის თეთრი ჭიშები, მაგრამ მათგან მხოლოდ ექვსია დახასიათებული.

1. ხოფათური („хопатури“), რომელიც ერმ. ნაკაშიძეს „ქვაფათური“-ს სახელით აქვს მოხსენებული (მევენახეობა-მელენეობა, 51). თეთრია, მოზრდილი, მეჩხარმტევნიანია. მარცვალი ოდნავ მოგრძო, წვენიანი აქვს, მაგრამ სიტკბო აკლია. ნაკლებმოსავლიანია და უფრო საკმელად იხმარება. სოკოვანი ავადმყოფობა მას საგრძნობლად აზიანებს (ტიმოფეევი, IV, 167). სტ. მენთეშაშვილის ცნობით, ხოფათური, ანუ ხაფათური თეთრია, „მტევანი დიდროვანი“ აქვს, „გრძელი, წვიტი კაკალი“ იცის.

2. კლარჭული თეთრი, მტევანი საკმაოდ მსხვილი, მოგრძო, შეუშკიდრობელი აქვს. მარცვალი მრგვალი, ანდა ოდნავ მოგრძო გააჩნია, მსხვილკანიანია, წვენიანი არ არის და ტკბილ-მომჟავო გემო აქვს (იქვე, IV, 167).

3. მწვანე მომწვანო, მტევანი დიდი, შეკუმშული და წოწოლა აქვს, მრგვალი, საშუალო სიდიდის, თხელკანიანი მარცვალი გააჩნია, ტკბილია, საღვინე ჭიშად ითვლება და, საფიქრებელია, ამიტომვე ნაკლებად არის გავრცელებული (იქვე, IV, 168). სტ. მენთეშაშვილის ცნობით მწვანად ანუ წვანად „თეთრია, მსხვილი მტევანი აქვს, მრგვალი კაკალი“.

4. წვიტე („Цвигте“) თეთრი ყურძენია, პატარა, გრძელი და კვერთხ მტევნიანია, — წვრილი, მრგვალი მარცვალი აქვს, წვენიანი და მომჟავოა. ეს ჭიში შედარებით იშვიათი ყოფილა (იქვე, IV, 168). ერმ. ნაკაშიძეს არ მოეპოვება.

5. ჩიჭიბე („Чичибен“) თეთრი ყურძენია, პატარა წოწოლა მტევანი აქვს, მარცვალი საშუალო სიდიდისა და თითქმის მრგვალი გააჩნია, თხელკანიანია და მოტკბილი (აქვე, IV, 168). ერმ. ნაკაშიძეს არ მოეპოვება.

6. ბალის ყურძენი, „ბალ-ჯუში“ თეთრი ყურძენია, გრძელი, თითქმის კვერამტევნიანია, მარცვლები მოგრძო, მცირეწვენიანი და ღორციანი აქვს, თხელკანიანი და საკმაოდ ტკბილია. ნაცრისაგან ძალზე ზიანდება. საკმელი ჭიშია (იქვე, IV, 168). ერმ. ნაკაშიძეს არ მოეპოვება.

7. აპარაში გავრცელებული ყოფილა ყურძნის ჭიში, რომელსაც ჩხუში („Чхуши“) ჰრქმევია სახელად (ს. ტიმოფეევი, IV, 168). ერმ. ნაკაშიძეს არ მოეპოვება, მაგრამ, უეჭველია, ცნობა სრულებით სწორე უნდა იყოს და, როგორც დაერწმუნდებით, ჭიშის ეს სახელი ჰანურიდან უნდა მომდინარეობდეს.

სტ. მენტეშაშვილის ცნობით, ჩხუში აჭარაში მართლაც ეხლაც მოიპოვება: „თეთრია, მრგვალი კაკალი აქვს და მყავეა“.

დახასიათებულს გარდა, ტიმოფეევს ყურძნის კიდევ შემდეგი ჯიშების სახელები აქვს ჩამოთვლილი:

8. ბროლა (იქვე, IV, 168) უეჭველია თეთრი, გამჭვირვალე ყურძნის ჯიშის სახელი უნდა იყოს. სტ. მენტეშაშვილის ცნობით, მართლაც „ბროლა თეთრი“ ყურძნის ჯიშია და „მრგვალი კაკალი“ ჰქონია.

9. ბუტკოი („Бутка“: იქვე, IV, 168), რომელიც, როგორც უკვე ვიცით, რაჭაში თეთრი იყო (იხ. აქვე, გვ. 459), ხოლო, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, შავშეთ-კლარჯეთში შავი ყურძნის სახელად იხმარებოდა (იხ. აქვე, გვ. 484). აჭარაშიც სტ. მენტეშაშვილის ცნობით ბუტკოი თეთრი ყურძნის ჯიშია.

10. ს. ტიმოფეევის სიტყვით, აჭარაში ყოფილა ყურძნის ჯიში, რომელსაც სახელად ბურძლა („Бурдгала“) სწოდებია (იქვე, IV, 168). ერმ. ნაკაშიძეს ასეთი სახელი არ მოეპოვება.

11. სტ. მენტეშაშვილს აჭარაში აღნიშნული აქვს თეთრი ყურძენი-ც, რომელსაც „მრგვალი მარცვალი აქვს“-ო.

და 12. ლიჯანა ყურძენი, რომელიც, სტ. მენტეშაშვილის ცნობით, აჭარელთა სიტყვით, „ახალია“-ო.

§ 13. შავშეთ-კლარჯეთში გადარჩენილი ყურძნის ჯიშები

ს. ტიმოფეევისა და ნ. მარრის ჩანაწერებისდა თანახმად, შავშეთსა და კლარჯეთში ყურძნის შემდეგი ჯიშები ყოფილა გადარჩენილი:

А. ყურძნის თეთრი ჯიშები

1. ხევარდული, რომლის ხსენებაც კი ს. ტიმოფეევს არ მოეპოვება, ნ. მარრის მოკლე დახასიათებით, მოოქროსფეროა და საკმელ ჯიშად ითვლებოდა (Дневник, TP, VII, 166). ფრიად სამწუხაროა, რომ ამ ყურძნის ჯიშისათვის არც ერთ ამ ავტორთაგანს ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია და დაწვრილებით არ აუწერია, მით უმეტეს, რომ თუნდაც მარტო მის სახელს უნდა მიეპყრო მათი ყურადღება და იმიტომაც, რომ ყურძნის ჯიშის ასეთი სახელი არსად სხვაგან საქართველოში დაცული აღარ არის.

2. ნ. მარრის სიტყვით, შავშეთ-კლარჯეთში ცხენის-ძუძუ-ს სახელის მქონე თეთრი ყურძნის საკმელი ჯიშიც არსებობდა. სამწუხაროდ, ამ ავტორს ეს ჯიში აწერილი არა აქვს (Дневник, TP, VII, 165), ს. ტიმოფეევს კი ცხენის-ძუძუს მარტო შავი ჯიშის შესახებ მოეპოვება ცნობა (იხ. აქვე, გვ. 484). ამიტომ თეთრი ცხენის-ძუძუს თვისებები გამოურკვეველია.

3. მელისკუდა („Мелискуда“: ტიმოფეევს, — მელისკული: ნ. მარრს. ამ უკანასკნელის ცნობით, ამ ყურძნის ქართული სახელი უკვე გათურქებულ ქართველ მაჰმადიანთა გამოთქმაში საკმაოდ დამახინჯებული ყოფილა და თურმე „მელუსკტ“-ად გამოითქმის) ყურძენი თეთრი, ნ. მარრის დახასიათებით, მოო-

ქროსფერო ჯიშია. სახელის მიხედვით საფიქრებელია, რომ უკანასკნელი დახასიათება უფრო ზედმიწევნითი უნდა იყოს. წვრილი, მოგრძო, სქელკანიანი, საკმაოდ წვენიანი და ტკბილი მარცვალი აქვს. შავშეთ-კლარჯეთში ყველგან ყოფილა გავრცელებული. საჭმელი ჯიშია, საღვინედ უფრო იშვიათად ხმარობდნენ (ს. ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 180 და ნ. მარის Дневник, ТР, VII, 166).

4. მწვანურა თეთრი ჯიშთაგანია. პატარა, მოგრძო და საკმაოდ შემჭიდროებული მტევანი აქვს. მისი მარცვალი წვრილი და მრგვალი, ქარვისებრ ყვითელი, თხელკანიანი და წვენიანია. გამძლე, საჭმელი ჯიშია და კარგად ინახებოდა (ს. ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 179; ნ. მარს არა აქვს).

5. ხორეჯი („Сорек“), ტიმოფეევის ცნობით, თეთრი ყურძენია. საკმაოდ მოზრდილი, შემჭიდროებული, წოწოლა მტევანი აქვს. მსხვილი, მოგრძო, ხორციანი, ნაკლებწვენიანი, კანმაგარი მარცვლები აქვს. მაინცდამაინც ტკბილი არ არის. საჭმელი ჯიშია (ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 180).

6. მარს სორეჯი არ მოეპოვება, სამაგიეროდ სუერეჯი აქვს, რომელსაც საშუალო, მრგვალი და ოდნავ წაწვეტილი მარცვალი აქვს. იმდენად გამძლე ყურძენია, რომ თითქმის მთელი წლის განმავლობაში ინახება. შავშეთ-კლარჯეთში მთავარ ჯიშად არის მიჩნეული, მაგრამ კარგად თურმე ს. გვერდსა და ჯმერკში მწიფდება (Дневн. поезд. в Шавшét. и Клардж. ТР, VII, 165—166). თითქმის უეჭველია, რომ სუერეჯი უნდა წინანდელი სორეჯი-ს თურქულ გამოთქმას წარმოადგენდეს. მათი სრული იგივეობის ცნობას მარტო ის გარემოება აფერხებს, რომ ნ. მარს სიტყვით სუერეჯი შავი ყურძნის ჯიშია, ტიმოფეევის კი სორეჯი თეთრ ყურძნად აქვს დასახელებული. საფიქრებელია, რომ ამ ჯიშის თეთრიცა და შავ-წითელი სახესხვაობაც არსებობდა და ცნობათა განსხვავება ამით აიხსნება.

6. ორჯოხული თეთრი ყურძნის ჯიშია. მტევანი დიდი, მოგრძო და შემჭიდროებული, კუმსი აქვს. საკმაოდ მსხვილი და ოდნავ მოგრძო, ქარვისებრ ყვითელი მარცვალი გააჩნია. რომელიც სქელკანიანია, ხორციანი, მაგრამ წვენიანობა აკლია და მაინცდამაინც ტკბილი არ არის. სოკოვანი ავადმყოფობით სხვებზე ნაკლებ ზიანდება. საჭმელი ჯიშია (ს. ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 179 და ნ. მარსი, Дневник. ТР, VII, 166).

7. გორგოული, ნ. მარის მოკლე აღწერილობით, მოოქროსფერო ყურძენია და შედარებით წვრილმარცვლიანი ჯიშია (Дневник, ТР, VII, 166). ტიმოფეევის არ მოეპოვება.

8. წყალთეთლი მხოლოდ ნ. მარს აქვს დასახელებული დაუხასიათებლივ. საჭმელადაც და საღვინედაც ხმარობენო (Дневник. ТР, VII, 166).

9. ალიჩელები („Аличелен“) თეთრი ყურძენია. მტევანი მოზრდილი, შემჭიდროებული აქვს, მოგრძო, სქელკანიანი, არც თუ წვენიანი, მაგრამ საკმაოდ ტკბილი მარცვალი ასხია. ნაცრით ძალზე ზიანდება. საჭმელი ჯიშია (ს. ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 179).

10. რქუზ-გაზი თურქულია, ნიშნავს ხარისთვალ-ი. თეთრი ყურძენია, დიდი და საკმაოდ შემჭიდროებულ მტევნიანი. მარცვალი მსხვილი, მოგრძო, სქელკა-

ნიანი და ხორციანი აქვს. ორჯობულზე ოდნავ უფრო ნაზია. საკმელ ჭიშად ითვლება (ს. ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 179).

11. სტამბულ-უზუმი (=სტამბოლური ყურძენი) თეთრი ყურძენია, დიდ-მტევნიანი და მსხვილი, მრგვალი, ხორციანი და საკმაოდ წვენიანი მარცვალი აქვს. ნაცარი აზიანებს ხოლმე. ყველაზე ადრეული ჭიშია ისე, რომ ივლისის დამლევა და მარიამობისთვის დამდეგს უკვე მწიფდება ხოლმე. საკმელ ჭიშად ითვლება (ს. ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 179).

12. თურფანდა (სპ.-თურქ. turfanda 'ადრეული') ს. ტიმოფეევს დაუხასიათებლივ აქვს იშვიათ საკმელ ყურძნის ჭიშთა შორის დასახელებული (ССВВГВДК, IV, 181). ნ. მარრის ცნობით კი თეთრი ყურძენია, მსხვილმარცვალი ანა და ადრეულ საკმელ ჭიშად ითვლებოდაო (Дневник, ТР, VII, 165—166).

В. შავშეთ-კლარჯეთში ყურძნის შავ და წითელ ჭიშთაგან გადარჩენილი იყო:

1. ბუტკო შავი ყურძენია, მოსავლიანი ჭიშია. მტევანი პატარა, წოწოლა და საკმაოდ კუმსი აქვს. მისი მარცვალი წვრილი, მრგვალი, თხელკანიანი და წვენიანია, საკმაოდ ტკბილიც არის. წვენი მოვარდისფერო აქვს. საღვინე ჭიშია (ს. ტიმოფეევი, ССВВГВДК, IV, 180 და ნ. მარრის Дневник, ТР, VII, 166).

2. ცხენის-ძუძუა, როგორც აღნიშნული გვექონდა, ნ. მარრის ცნობით, თეთრიცა და შავიც არსებობს. გათურქებული აქაური ქართველი მაჰმადიანები და სომხები ეხლა ჩვეულებრივ თურმე ამ ჭიშის ქართული სახელის თურქულ თარგმანს ათ-მემესი-ს ხმარობენ. ნ. მარრს მისი ძველი ქართული სახელისათვის ცხენის-ძუძუა-სთვის სრულებით შემთხვევით მოუყარავს ყური: ერთს ქართულის არამცოდნეს უხმარია იგი საუბარში. ნ. მარრს ამ ჭიშზე ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ საკმელი ჭიშაო (Дневник, ТР, VII, 165).

ცხენის-ძუძუს სახელის თურქული სახელი შავშეთ-კლარჯეთში უკვე წარსული საუკუნის დამლევისვე ყოფილა ამ ჭიშისთვის მიღებული ისე, რომ ს. ტიმოფეევს 1895 წ. დაწერილ თავის ნაშრომში მარტო ათ-მემესი მოეპოვება. მისი ძველი ქართული სახელი ამ ავტორს მოყვანილი არა აქვს. ამავე აგრონომის ცნობით ამ ჭიშს მეორე სახელსაც უწოდებდენ და ხანუმ-ბარმალ-საც („Ханум, бармагы“) ეძახდენ, რაც თურქულად „ქალბატონის თითსა“ ჰნიშნავს (ССВВГВДК-IV, 180). ნ. მარრის ცნობით კი, „ფარმას ხათუნ“-ად (რაც „ხანუმ-ბარმალი“-სვე უდრის) წოდებული მსხვილ-მარცვლიანი თეთრი და შავი ყურძნის ჭიშები ცხენის-ძუძუა-საგან განსხვავებულ ჭიშებს უნდა წარმოადგენდენ (Дневник, ТР, VII, 165—166).

ცხენის-ძუძუა, ანუ ათ-მემესი, ს. ტიმოფეევის დახასიათებით, შავი ყურძენია: მსხვილი, მოგრძო; სქელ-კანიანი მარცვალი აქვს, რომელსაც სინაზეც და წვენიც აკლია. უმთავრესად საწნილედ იხმარებოა (იქვე). ნ. მარრს კი საკმელ ჭიშად აქვს დასახელებული.

3. შიშველი, რომელიც ს. ტიმოფეევს დაუხასიათებლივ მხოლოდ დასახელებული აქვს, ვითარცა ყურძნის ნაკლებად გავრცელებული საკმელი ჯიში (С6СвВгВдК, IV, 181). ნ. მარჩის ცნობით წითელი ყურძენ ა, ს. შუალო სიდ-დის მარცვლიანი (Дневник, ТР, VII, 166).

4. ჯღე მხოლოდ ნ. მარჩს აქვს ორიოდ სიტყვით დახასიათებული: შავი საღვინე ყურძენი ყოფილა (Дневник, ТР, VII, 165). ს. ტიმოფეევს არ მოეპოვება

5. შავრობი-ც მარტო ნ. მარჩსა აქვს ყურძნის შავ ჯიშთა შორის დაუხასიათებლივ დასახელებული (იქვე, VII, 165).

6. საფერავი შავი ყურძენია, მტევანი გრძელი, ვიწრო და წოწოლა, თანაც მეჩხარი აქვს. მისი მარცვალი მრგვალი, საკმაოდ თხელკანიანი და წვენიანი. წვენი მოწითანოა, ძალიან ტკბილი არა აქვს. მარცვლის კანი და წვენი ღვინის შესაფერადებლად იხმარებოდა (ს. ტიმოფეევი, С6СвВгВдК, IV, 180 და ნ. მარჩი, Дневник, ТР, VII, 165).

7. სალიკლევი შავია. ეს სახელი მხოლოდ ს. ტიმოფეევს მოეპოვება, მაგრამ საფიქრებელია, რომ ამავე ყურძნის ჯიშის სახელი უნდა იყოს ნ. მარჩისაგან ჩაწერილი „სირკლევი“-ი, რომელიც ამ ავტორის ცნობითაც შავი, საღვინე ჯიშია (Дневник, ТР, VII, 165—166). რაკი სირკლევი-ი ქართულად არაფერს ჰნიშნავს, „სალიკლევი“ კი ნამდვილი ქართული აგებულების სახელია, ამიტომ ს. ტიმოფეევის ჩანაწერი ამ ყურძნის უფრო ძველ და უფრო სწორე სახელად უნდა იქმნეს მიჩნეული, სირკლევი-ი კი უკვე გათურქებულობის წყალობით დამახინჯებული ჩანს. სალიკლევი-ს პირველადი მნიშვნელობის გასაგებად, უნდა გათვალისწინებული გვქონდეს, რომ ეს სახელი ისევეა ნაწარმოები, როგორცაა ყურძნის ჯიშების სამაჭრე, სამარხი, სამჭაჭა და მეტადრე საფერავი. თავში მას დანიშნულების, ანუ განკუთვნილობის გამომხატველი ფორმანტი სა უზის. ისევე, როგორც საფერავი, ყურძნის ისეთი ჯიშის აღმნიშვნელია, რომელიც უმთავრესად ღვინის შესაფერავად, შესაფერადებლად იყო განკუთვნილი, სალიკლევიც თავდაპირველად ყურძნის ისეთი ჯიშის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, რომელიც „ლიკლევი“-ისათვის იქმნებოდა განკუთვნილი, მაგრამ ამ სახელის ნამდვილი მნიშვნელობის გაგებას ის გარემოება გვიძნელებს, რომ ფერვა ცალკეულად არსებობს, „ლიკლევი“ კი ცალკეულად ჯერ არსადა ჩანს.

8. ორჯოხული შავია. მტევანი გრძელი, კეფერა აქვს. მისი მარცვალი საშუალო სიდიდისაა, სქელკანიანია და წვენიანი, მაგრამ მაინცდამაინც ტკბილი არ არის. წვენი თეთრი აქვს. საკმელ ჯიშად ითვლებოდა (ს. ტიმოფეევი, С6СвВгВдК, IV, 180 და ნ. მარჩი, Дневник, ТР, VII, 165).

9. ხალთური შავი ყურძენია, ნაცრისფრად-გადაკრული. მტევანი პატარა და შეუმჭიდროებელი აქვს. მარცვალი მსხვილი და მრგვალი, კანმაგარი ასხია. ხორციანია, მაგრამ მაინცდამაინც არც წვენიანი და არც ტკბილი. წვენს ოდნავ მოწითანო ფერი გადაჰკრავს. საღვინე ჯიშია (ს. ტიმოფეევი, С6СвВгВдК, IV, 180 და ნ. მარჩი, Дневник, ТР, VII, 165).

10. ახალაკ-ი, ანუ ახალეკ-ი, ახელეკ-ი, ს. ტიმოფეევის სიტყვით, მუქი წითელია, ნ. მარჩით — მოშავო, კროლა, ყურძენია. დიდი, წოწოლა, შეუმჭიდროებული მტევანი აქვს. მსხვილმარცვლიანია, ოდნავ მოგრძოა და სქელკანიანი, ძალიან ტკბილი არ არის. საკმელადაც ხმარობენ და საღვინედაც, მაგრამ, ს. ტიმოფეევის ცნობით, გამძლე ყურძენი არ არის: ადვილად ლბება. ნ. მარჩის სი-

ტყვით, ს. ს. წყალთეთრსა და ბერდშიც ხარობს, მაგრამ საუკეთესოდ ს. გვერდისა და ჯმერკისა ითვლება თურმე (СНСВГВДК, IV, 180 და Дневник, ТР, VII, 165—166).

11. ჭინეში, რომელიც მუქი წითელი ყურძენია და რომლის თვისებების აღწერილობა გავრცელებულ ყურძნის ჭიშთა დახასიათებაშია მოქცეული (იხ. აქვე, გვ. 480), საფერავთან ერთად უმთავრესად მურღულის ხეობაშია გაბატონებული. (ს. ტიმოფევი, СНСВГВДК, IV, 181).

12. დასასრულ, ფუნდუხ-ჯუშმი-სა და „დევრიშ-ალი-ს“ შესახებაც. პირველი ნ. მარარს მოეპოვება. თურქულად ეს სახელი თხილა-ყურძენსა ჰნიშნავს. ამ ჭიშის ფერი ნ. მარარს დასახელებული არა აქვს. თვით ყურძენი წვრილი და მრგვალმარცვლიანია, ძალიან ტკბილია. ადრეულ ჭიშად ითვლება (Дневник, ТР, VII, 165—166). ს. ტიმოფევეს ამ ჭიშის ხსენება არა აქვს.

დევრიშ-ალი ალი დერვიშსა ჰნიშნავს. ნ. მარარს არ მოეპოვება. ს. ტიმოფევესაც დაუხასიათებლივ შევშეთ-კლარჯეთში იშვიათ საკმელ ყურძნის ჭიშთა შორის აქვს მხოლოდ დასახელებული (СНСВГВДК, IV, 181).

§ 14. ჭანეთის ერთი ყურძნის ჭიში

ჭანეთის ყურძნის ჭიშების არც აღწერილობა და არც სახელები, ერთის გარდა, არ მოგვეპოვება. ეს გარემოება მით უფროა საძწეხარო, რომ შესაძლებელია ამით ჩვენ არა ერთი გამოურკვეველი სახელისა და მნიშვნელოვანი ზოგადი საკითხის გაგებისა და გაშუქების ერთი საშუალებათაგანი მოგვესპო. ეს ქვემოთოყვანილითგანაც ცხადი შეიქმნება.

ჭანურში არსებობს ყურძნის მსხვილმარცვლიანი ჭიში, რომელსაც სახელად „თოლი-ჩხუ ურძენი“ (ვიწეში) და „თოლი-ჩხუშ ყურძენი“ ეწოდება ხოფურად. ნ. მარარი ამ სახელის „მჩხუ“-ს მსხვილის აღმნიშვნელად სთვლის და მსხვილთვალა ყურძნად ჰგულისხმობს (ჭ. გ., 213), მაგრამ იბადება საკითხი, აქ ხომ „მჩხუ“ იმასვე არ ჰნიშნავს, რასაც თანამედროვე მეგრულში, სადაც ჩხუ ძროხის მნიშვნელობით იხმარება. ერთი სიტყვით, აქ ხომ „ხარისთვალა ყურძენის“-ს შესატყვისი ჭანური სახელი არ არის დაცული? ამ მოსაზრებას დამაჯერებლად ის გარემოებაც ჰხდის, რომ ამ ჭიშის სახელში მჩხუ ხოფურში ნათესაობითი ბრუნვით („მჩხუშ“) არის დაცული, რაც იმის მაუწყებელია, რომ „მჩხუშ“-ი თვალის თვისებისა კი არა, არამედ მიკუთვნილების გამომხატველი უნდა იყოს და მართლაც ხარის, — ან ძროხის, — თვალს უნდა ჰნიშნავდეს. აქ სიტყვათა ისეთივე წარმოების წესი გვაქვს დაცული, როგორც „მამასახლის“-სა, „დიასახლის“-სა და სხვა მსგავს სიტყვებშია შერჩენილი.

აქარაში გავრცელებული ყურძნის ჭიშის ზემომოყვანილი სახელი „ჩხუშ“-ც (იხ. აქვე, გვ. 481), უეჭველია, იმავე ყურძნის სახელი უნდა იყოს, რომელსაც ჭანეთში „თოლი-მჩხუშ ყურძენი“ ანდა „თოლი-მჩხუ ურძენი“ ჰქვიან, რომელიც იქ მსხვილმარცვლიანი ჭიშის სახელია. აქარული სახელი თუმცა თავმოკვეცილი ჩანს და თავკიდური თოლი აკლია, მაგრამ სამაგიეროდ იმ მხრივ არის ძვირფასი, რომ ამ ჭიშის სახელის მეორე ნაწილი სრულად და სისწორით (ჩხუშ) აქვს დაცული.

თავი XIV. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვი, მათი კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები და შეგროვებული ცნობების ეკონომიური ისტორიისათვის გამოყენების შესაძლებლობის პირობები

თანამედროვე საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფიული აღწერის შემდგომ, უნდა დაგროვილი მასალის წინასწარ დასახული მიზნისათვის გამოყენებას შევუდგეთ. როგორც თავის ადგილას აღნიშნული გვექონდა (იხ. აქვე, გვ. 408). ყურძნის ჯიშების აღწერილობა ეკონომიური ისტორიისათვის გვეჭირდება, ამიტომ თავმოყრილი ცნობებისდა მიხედვით უნდა ვეცადოთ გამოვარკვიოთ: 1. ჩანს, თუ არა, ვაზ-ყურძნის დაკვირვების რაიმე უნარი, ანუ რამდენად მაღალი ყოფილა ამპელოგრაფიული, ვაზ-ყურძნის აღწერილობითი ცოდნის დონე?, 2. რამდენად ფართოდ არის და იყო თვითეული ამ ჯიშთაგანი საქართველოში გავრცელებული, რომ ამისდა მიხედვით თვითეული მათგანის საქართველოს მეურნეობისათვის შედარებითი ღირებულება ცხადი შეიქმნეს, — ამას გარდა უნდა 3. შემოქმედებითი მევენახეობის ძველი საქართველოს ცენტრების გამორკვევაც ვცადოთ და დასასრულ, 4. თვითეული ამ ჯიშთაგანის ხნიერების შეძლების გვარად განსაზღვრაც მოვახერხოთ, რომ ამის წყალობით იმ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტაც შევძლოთ, თუ რომელი ვაზ-ყურძნის ჯიშების მქონებელი ყოფილა ქართველი მევენახე უძველეს ხანაში და რადარა ჯიშები შესძენია მას ღრთა განმეალობაში, საითგან სახელდობრ და სადაური? იმ პირობებში, რომელშიც საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარი, ბევრ სხვებსავით, ასეთი საკითხების გადასაწყვეტად საჭირო ძველი წერილობითი ცნობების მეტისმეტი სიმცირისა და ხშირად უქონლობის გამოც კი იმყოფება, შესაძლებელია ადამიანს ასეთი რთული საკითხების გამორკვევის შესაძლებლობის ეჭვი დაეხადოს. რა თქმა უნდა პირდაპირი წერილობითი ცნობების უქონლობის სრული ანაზღაურება შეუძლებელია, მაგრამ გარკვეული წყაროების გამოყენებითა და შესაფერისი მეთოდების საშუალებით დანაკლისის შევსებაცა და საკმაოდ მტკიცე შედეგის მოპოვებაც შეიძლება. მართალია, ამისთვის გრძელი გზა და ბევრი მუშაობაა საჭირო, მაგრამ, მოპოვებული შედეგის ეკონომიური ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობის გამო, ასეთი ღროისა და შრომის შეწირვა მაინც ღირს.

თუ მკვლევარი ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელს ჩაუკვირდება, უეჭველია დარწმუნდება, რომ თვითეული მათგანი გარკვეული შინაარსის მქონებელია და ამის გამორკვევა არაერთი ისეთი გარემოების გათვალისწინების საშუალებას აძლევს მეცნიერს, რომელთა შესახებ ჩვეულებრივ წერილობითი წყაროები იშვიათად თუ შეიცავენ ხოლმე რაიმე ცნობებს. მართა ამიტომაც, სხვა ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, ვაზ-ყურძნის ჯიშებისა და სახესხვაობათა სახელების შესწავლა და ანალიზი აუცილებლად საჭირო არის. მაგრამ ამ სახელების შესწავლისათვის რაიმე სახელმძღვანელო აზრი უნდა ჰქონდეს ადამიანს, რომ მათ სიმრავლეში გარკვევა შესძლოს. წინა თავებში მოყვანილი აღწერილობა კი უეჭველია მკითხველს დაარწმუნებდა, რომ საქართველოში ვაზ-ყურძნის ჯიშები მართლაც მრავალია.

სახელდობრ, ზემომოყვანილ მიმოხილვათაგან ჩანს, რომ ჰერეთში სულ 8 შავი და თეთრი ჯიშია, — კახეთში 17 შავი, 36 თეთრი და 13-ის ფერის შესახებ ცნობები არ მოგვეპოვება, სულ კი 66 სახელწოდებაა. ქვემო ქართლში, ანუ ბორჩალოში 2. — შიდა ქართლში — 18 შავი და 20 თეთრია, ანუ სულ 38-ია. მესხეთში 3 შავი და 2 თეთრია, სულ 5-ია. — იმერეთში 20 შავი და 22 თეთრია, სულ 42-ია. — რაჭაში 25 შავი და 34 თეთრია, სულ 59-ია. — ლეჩხუმში 16 შავი და 20 თეთრია, სულ 36-ია. — სამეგრელოში 37 შავი და 16 თეთრია, სულ 53-ია. — გურიაში 41 შავი და 18 თეთრია, სულ 59-ია. — აჭარაში 14 შავი და 12 თეთრია, სულ 26-ია. — შავშეთ-კლარჯეთში 13 შავი და 13 თეთრია, სულ 26-ია.

ამნაირად, საქართველოს ყველა თემში საერთოდ 420 ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელწოდება ყოფილა გადარჩენილი. ამ სიმრავლეში გარკვევა რასაკვირველია ადვილი საქმე არ არის, მით უმეტეს, რომ წინათაც კი, როდესაც ზემოაღნიშნულზე ჯიშთა გაცილებით ნაკლები რიცხვი იყო ცნობილი, გარკვევას ვერც კი ბედავდნენ.

ს. ზელინსკის თავის ნაშრომში, მაგ., აღნიშნული ჰქონდა, რომ ყურძნის ჯიშები ჰავისა, ნიადაგისა და მოვლისდა მიხედვით მარტო თავისი შინაგანი თვისებით კი არა, არამედ გარეგნულადაც საკმაოდ სწრაფად იცვლებიან. ამიტომ, ამიერკავკასიაში არსებული პირობების დიდი სხვადასხვაობის წყალობით ერთიდაიგივე ვაზის ძირი სხვადასხვა კუთხეში სულ სხვადასხვა ჯიშის ყურძნის ისხამსო. ამის გამო, თვისების გამოცვლასთან ერთად, მათი სახელიც იცვლება და მრავალი სხვადასხვა სახელი ჩნდებაო (Садоводство в Закавказье: Свод МИЭБГКЗК, IV, 53—54).

ამავე აზრს იგივე ავტორი შემდეგ კვლავ უბრუნდება, სადაც ზოგიერთი მისი მოსაზრების დამადასტურებელი ცნობები აქვს დასახელებული. ს. ზელინსკის სიტყვით, ერთი რომელიმე თემის ყურძნის ჯიშის სხვაგან გადატანილი ორისამი წლის შემდგომ თავისი ნაყოფის შინაგან თვისებასაც იცვლის ხოლმე და გარეგნულობასაც, მაგ. კახეთთან ერთად ერევნის გუბერნიაში გადანერგილი საფერავი სამ-ოთხი წლის შემდგომ კახური საფერავის ყველა თვისებას ჰკარგავსო. ამნაირადვე იცვლება ერევნითგან ტფილისის გუბერნიაში გადანერგილი ქიშმიში-სა და ქეჩი-ამჭალი-ს (თურქულად „თხის ჩიქანს“ ჰნიშნავს) ჯიშები ისევე, როგორც საზღვარგარეთის ყურძნის ჯიშებიცაო (იქვე, IV, 59).

ს. ზელინსკი ამას გარდა ამტკიცებდა: ყურძნის ერთიდაიგივე სახელი სხვადასხვა ადგილას სულ სხვადასხვა ჯიშს ეწოდებაო: მაგ. ასქაარი შემახის მაზრაში მოვარდისფერო-თეთრი მსხვილკანიანი და ნაკლებ ნაყოფიერი ყურძნის ჯიშის სახელს წარმოადგენს, იგივე ასქაარი კი ერევნის გუბერნიაში თეთრი, გამჟვირვალე, გასაოცარი ნაზქანიანი და წვენიანი ყურძენია, თანაც უკუკო და ყოველთვის უხვად მსხმოიარე ჯიშიაო. ამნაირადვე სააბის ანუ სახაბის რაქასა და არაგვ-ქსნის ხეობებში ერევნის სააბთან საერთო არაფერი აქვთო, რათგან საქართველოში სააბი შავი ყურძენია, სომხეთში კი წითელი ვარდის ფერისაო (იქვე, IV, 59—60).

ყველა ზემოაღნიშნულ გარემოებათა გამო ს. ზელინსკიზე ამიერკავკასიაში გავრცელებულ მრავალ სახელს გამაბრუნებელი შთაბეჭდილება მოუხდენია და ამ რთულსა და საგულისხმო საკითხის გარკვევას არც კი ცდილა. ამ სიძნელის

წინაშე ის იმდენად დაბნეულა, რომ ჭიშების მაშინ არსებული აღწერილობისთვისაც კი აღარავითარი ყურადღება არ მიუქცევია და იმის მაგიერ, რომ სახელებთან ერთად მათი თვისებების აღწერაც დაერთო, მას აღწერილობისთვის თავი დაუნებებია და მხოლოდ სახელების ჩამოთვლით დაკმაყოფილებულა (იქვე, IV, 53), რაც თავისადათავადაც მიუტევებელ დანაშაულს წარმოადგენს და მით უმეტეს ისეთ შემთხვევაში, როდესაც მევენახეობის სპეციალისტი ფიქრობს, რომ ყურძნის ერთიდაიგივე სახელი მისი ნამდვილი რაობის გამოსარკვევად გამოსადეგი არ არის.

ვაზის ჭიშის თვისებები, რომ ნიადაგისა, ჰაერისა და მოვლის პირობების წყალობით შესაძლებელია შეიცვალოს, ეს, როგორც რომაული მევენახეობის ისტორიის მოკლე მიმოხილვის დროს დავრწმუნდით, უკვე რომაელ აგრონომებსა და ბუნებისმეტყველებს ჰქონდათ შემჩნეული. ეს გარემოება არც ჩვენ ხალხს გამოჰპარვია, რომელსაც, როგორც რაკის ყურძნის ჭიშების აღწერილობაში მოყვანილი ერთი ცნობითგან ჩანს, ამ მოვლენისათვის შესაფერისი და მარჯვე ტერმინი გადაჭიშებაც კი შეუქმნია. მაგრამ განა ვაზის ამნაირი გადაჭიშების გამო მკვლევარი უნდა სიძნელეს შეუშინდეს და ყურძნის ჭიშებისა და მათი სახელების კლასიფიკაციის მცდელობას უნდა უმწეოდ თავი დაანებოს? როდესაც ძველი რომაელი აგრონომ-ბუნებისმეტყველები იზნეოდნენ და ისეთ უკიდურესობას ჰქადაგებდნენ, თითქოს, რამდენიც დედამიწაზე ვაზი იყო, იმდენივე ჭიში ყოფილიყოს და ვითომც ამის გამო მათი აღწერა და კლასიფიკაცია გადაულახავ დაბრკოლებას წარმოადგენდეს, ასეთი უმწეობა იმ დროინდელ მკვლევართ ადვილად ეპატიებათ, მით უმეტეს, რომ, როგორც იტალიის მევენახეობის მიმოხილვითგან ცხადი შეიქმნებოდა, რომაელ აგრონომ-ბუნებისმეტყველებს ყურძნის ჭიშების აღწერის დროს, შეუგნებლივ, ერთგვარი საკლასიფიკაციო პრინციპები მაინც ემჩნევათ. მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, ასეთი უმწეობა თანამედროვე მკვლევართ ვერ ეპატივებათ, რათგან ამ ოცზე მეტი საუკუნის განმავლობაში სამეცნიერო კვლევა-ძიების ისეთი მეთოდები შეიქმნა, რომელთა გამოყენება ამ რთულსა და ბუნდოვან საკითხშიც გარკვევის საშუალებას მისცემდათ. სამწუხაროდ, არამტოუ ჩვენში, არამედ უცხოეთშიც ამ საკითხებს ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ და ამის გამო სათანადო მეთოდებით მათი გამორკვევა არავის უცდია.

ზელინსკის მტკიცება, თითქოს, ახალ ადგილას სხვაგნებური ვაზის გადაჭიშების შემდგომ, მისი სახელიც იცვლებოდეს, დაუსაბუთებელი მოსაზრებაა, რომელსაც მისგანვე მოყვანილი ფაქტები სააბისა, საფერავისა და სხვა ყურძნის ჭიშებისათვის გადაჭიშებისდა მიუხედავად იმავე თავდაპირველი სახელის შენარჩუნება ეწინააღმდეგება და არღვევს. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში, ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ვაზის გადაჭიშებისა, უფრო კი ახალი, მანამდე უცნობი, თვისების მოპოვების გამო, ახალი სახელის დარქმევის შესაძლებლობის უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ეს უფრო კერძო შემთხვევებია, საზოგადოდ კი სწორედ ძველი სახელია ხოლმე შენარჩუნებული. ამ ფაქტს ჭიშების სადაურობის გამორკვევისათვის პირველხარისხოვანი, შესაძლებელია ითქვას, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რათგან, როდესაც გადაჭიშების პროცესის შედეგად ვაზს ახალი თვისებები უჩნდება, მის სახელს გარდა, რასაკვირველია, თუ იგი

ფერისა, ანუ სიმსხოს დამახასიათებელი არ არის, ამ ჯიშის სადაურობის გამო-სარკვევად მეცნიერს სხვა არაავითარი კრიტერიუმი არ მოეპოვება.

ზემოაღნიშნული მოსაზრებითაც და არაერთი სხვა მიზნითაც მკვლევარი უპირველესად უნდა ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელებს ჩაუყვირდეს, მათი მნიშვნელობა გაიგოს. როდესაც მეცნიერს ასეთი წინასწარი სათანადო კვლევა-ძიება გაწეული ექმნება, მაშინ ამ გზით მოპოვებული ცოდნა მას გონების თვა-ლებს აუხელს, მრავალრიცხოვანი სახელების კლასიფიკაციასაც შეაძლებინებს და არაერთი, საიდუმლოებით მოცული, საკითხის გამორკვევის საშუალებასაც მისცემს.

ამათუიმ ქვეყანაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების მეცნიერული კლასი-ფიკაცია შესაძლებელია სხვადასხვა თვალთსაზრისითა და სხვადასხვა პრინცი-პისდა მიხედვით იყოს შედგენილი, მაგრამ ყოველგვარ ასეთ მუშაობას უნდა ყურძნის ჯიშ-სახეობათა სახელწოდების ანალიზი და მნიშვნელობის ცოდნა უს-წრებდეს წინ.

საქართველოსა და ამიერკავკასიაში გავრცელებული ყურძნის ჯიშების სა-ხელებისა და მათი ამპელოგრაფიული რაობის გამორკვევა, რასაკვირველია, ბო-ტანიკოს-ამპელოგრაფებისა და მევენახეობის სპეციალისტების მოვალეობაა, მაგრამ, რამდენადაც საქართველოს სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის ისტო-რიის მკვლევარსაც ძველად გავრცელებული ყურძნის ჯიშების სახელები და მათი ეკონომიური ღირებულება უნდა გამორკვეული ჰქონდეს, იმდენად ბუნე-ბრივია, რომ ამ პრობლემით უნდა ისტორიკოს-ეკონომისტიც იყოს დაინტერე-სებული.

იმისდა მიუხედავად, რომ ს. ზელინსკის ზემოდასახელებული ნაშრომის შემდგომ 43 წელიწადმა განვლო, ამ დიდი, თითქმის ნახევარსაუკუნოვანი, მან-ძილის განმავლობაშიც ეს საკითხი ისეთსავე უმწეო მდგომარეობაშია, როგორც ზელინსკის დროს იყო. უნდა კი ითქვას, რომ საქმე სრულებით ასე უიმედო არ იყო მაშინაც, როდესაც ზელინსკი თავის ნაშრომსა სწერდა. იმ მასალების მი-ხედვითაც, რომელიც თავმოყრილი იყო, მაინც არაერთი საყურადღებო და მნი-შვნელოვანი საკითხის გამორკვევა შეიძლებოდა.

მას შემდგომ ბევრი ახალი ცნობაც მოემატა, მაგრამ საკითხის შესწავლი-სათვის აქამომდე ჯერ თავი არავის შეუწუხებია. რაკი სპეციალისტებს ამის გა-შუქება არ უცდიათ, საქართველოს ეკონომიური და კულტურული ისტორიისა-თვის კი მას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ სხვა გზა არ არის, უნდა არსებუ-ლი წყაროების მიხედვით ამ საკითხის გამორკვევა შეძლებისდა გვარად ვცა-დლოთ.

ვაზ-ყურძნის ჯიშების ქართული სახელების შესწავლა მკვლევარს საშუა-ლებას აძლევს უპირველესად გამოარკვიოს, თუ რა თვისებას, ან გარემოებას აქცევდა ყურადღებას ქართველი მევენახე, როდესაც ვაზის გარკვეულ ჯიშს სახელს არქმევდა. ამის გამორკვევა კი იმ მთავარ პრინციპებსაც გაუთვალის-წინებს ადამიანს, რომლითაც ხალხი ვაზ-ყურძნის ამათუიმ ჯიშისათვის სახელის შერჩევის დროს ხელმძღვანელობდა. ამნაირი გულდასმითი შესწავლა ცხად-პყოფს, რომ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების სახელები, მათი სიმრავლისდა მიუხედავად, სრულებით შემთხვევითი არ არის, არამედ ყოველ-თვის ამათუიმ ნიშნის, ან გარემოების მაუწყებელია.

საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ზემომოყვანილი სახე-
ლების გულდასმითი განხილვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ მათ, დიდი მრავალ-
რიცხოვანობისა და სხვადასხვაობისა და მიუხედავად, ზოგიერთი საერთო თვისე-
ბებიც აქვთ, რომელთა მიხედვითაც მათი სამ მთავარ ჯგუფად დაყოფა შეიძლე-
ბა. საგულისხმოა, მაგ., რომ ბევრ სახელს ბოლოსართად ური აქვს, როგორცაა
მაგ., კასპური, დიდმური და სხვა, რომელიც, როგორც ცნობილია, სადაურობის
აღმნიშვნელი ფორმანტია. უკვე ამ ნიშნისა და მიხედვით ყურძნის ჯიშთა სახელე-
ბის საერთო რიცხვიოგან შესაძლებელია საკმაოდ მოზრდილი ჯგუფი გამოვ-
ყოთ, რომელთა სახელწოდება მათი სადაურობის მაუწყებელია.

ყურძნის ჯიშების სახელებს შორის ადამიანი ისეთებსაც შეამჩნევს, რო-
მელთაც სა თავსართი აქვთ, როგორცაა, მაგ., საფერავი, სამაჭრო და სხვაც. ამ
ფორმანტს ქართველი დანიშნულების გამოსახატავად ხმარობს და ამ ნიშნისა
მიხედვითაც შესაძლებელია საერთო რიცხვიოგან კიდევ ერთი, ყურძნის ჯიშის
დანიშნულების გამომხატველი ჯგუფი იქმნეს გამოყოფილი. ყურძნის ჯიშების
სახელებს შორის ამ ფორმანტიანი ბევრი არ არის, მაგრამ ამ ჯგუფს უნდა ისე-
თი სახელებიც მიემატოს, რომელნიც ყურძნის ჯიშის დანიშნულებას უფორმან-
ტოდაც გამოჰხატავენ.

ყურძნის ჯიშების არაერთი სახელი მისი ამათუიმ თვისების დამახასიათებე-
ლია. მაგ., შესაძლებელია დასახელებულ იქნეს ისეთი სახელები, როგორცაა
რქა-წითელი, გრძელმტევენიანი, მსხვილმარცვალა და ბევრი სხვაც. ასეთი სახე-
ლები საქართველოში ბლომად მოიპოვება და მათი ამ საერთო თვისებისა და მი-
ხედვით ცალკე ჯგუფად გამოყოფა შესაძლებელიც არის და საჭიროც. რაკი
თვითთული ამ სახელთაგანი ვაზის, ანდა ყურძნის რომელიმე ნიშნის გამომხა-
ტველი არის, ამიტომ ამ ჯგუფს ამპელოგრაფიული, ანუ ყურძენთაღმწერლობი-
თი სახელების ჯგუფი უნდა ეწოდოს. ყურძნის ჯიშების სახელებითგან ეს ჯგუ-
ფი ყველაზე მრავალრიცხოვანია.

თავის მხრით ეს დიდი ჯგუფი შესაძლებელია რამდენსამე ქვე ჯგუფად დაი-
ყოს, რათგან ზოგი სახელთაგანი ვაზის ლერწის, ზოგი ყურძნის რომელსამე
თვისებას ახასიათებს ხოლმე.

ვაზ-ყურძნის ჯიშების ქართული სახელების შესწავლა და ანალიზი სწორედ
ამ ყველაზე მრავალრიცხოვანი ჯგუფით უნდა დავიწყოთ, რათგან ამ გზით ქარ-
თველი მევენახის ყურძენთაღმწერილობითი დაკვირვების ნიჭისა და ცოდნის გა-
თვალისწინება საუკეთესოდ შეიძლება.

თავი XV. ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელების კლასიფიკაცია. ამპელოგრაფიული თვისების გამომხატველი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ქართული სახელების ჯგუფი

§ 1. ვაზის ლერწის დამახასიათებელი სახელები

მრავალრიცხოვან სახელებს შორის ყველაზე საყურადღებო და თავისებუ-
რებითაც საგულისხმო ვაზის ჯიშთა ის სახელებია, რომელთა სახელწოდებაც
ვაზის ლერწის შეფერადების, ან მორფოლოგიურად დამახასიათებელი არის.
ვაზის ჯიშების სახელთა ასეთ ჯგუფს უპირველესად რქა-წითელი ეკუთვნის.

შემდეგ შავშეთსა და კლარჯეთში დაცული ყურძნის ჯიშის სახელი ხევარდული და გურიასა და სამეგრელოში გავრცელებული ხემხო, ანუ ხემხუ, ისევე როგორც ქართლში, არგვეთსა და გურიაში შენახული ძელშავი-ც. ამავე ჯგუფს რქა-ხუილა და ბუერა-ვაზი-ც უნდა მიეკუთვნოს.

ვაზის ჯიშების ზემომოყვანილ ყველა სახელს ის საერთო თვისება აქვთ, რომ თვითიული მათგანი ორნაწილედ სიტყვას წარმოადგენს, რომლის პირველ ნაწილად რქა, ხე და ძელი-ა, ხოლო ამავე სახელების მეორე ნაწილი ლერწის ფერის, ან მორფოლოგიური თავისებურების აღმნიშვნელია: პირველ მათგანს წითელი ლერწი აქვს, მეორეს — ვარდული, ე. ი. ვარდისფერი, მესამეს მხო, ანუ მხუ, ე. ი. მკიე, ნაცრისფერი ყოფილა და მეოთხეს შავი, ანუ მოშავო ჰქონია. როგორც თავის ალაგას უკვე აღნიშნული გვქონდა, ვაზის ლერწს გარკვეულ ხანამდე ქართულად რქა და ხე ეწოდებოდა. ძელი-ც თავდაპირველად ხის მნიშვნელობითვე იხმარებოდა, მაგრამ ძელი რომ ვაზის ლერწის აღსანიშნავადაც გამოყენებული იყოს, ამის მაგალითი ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში ჯერ აღმოჩენილი არ არის და, როგორც ეტყობა, ასეთი მაგალითები უფრო უძველესი ხანის ძეგლებშია მოსაძებნი, რომლითგანაც ჯერ არაფერი შერჩენილი არა ჩანს.

საფიქრებელია, რომ კახეთში და რაჭა-ლეჩხუმში გავრცელებული ხიხვი-ს სახელიც იგივე ხემხუ უნდა იყოს და ზ-ს ვი კომპლექსად ქცევით ხემხუ-საგან ჯერ ხემხვი უნდა იყოს წარმომდგარი, შემდეგ რეგრესიული ასიმილაციის გზით ხიმხვი გაჩენილა და სულ ბოლოს აწ არსებული ხიხვი-ც.

რქა-ხუილაზე არსად, ჯერჯერობით მაინც, კახეთს გარდა, ცნობა არ მოგვეპოვება. ამ ვაზ-ყურძნის ჯიშის სახელი თავისი აგებულებით რქაწითელს მიაგავს, მაგრამ იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელი ამ ჯიშის ლერწის ფერის აღმნიშვნელია, რქა-ხუილა ვაზის ჯიშის მორფოლოგიური თვისების გამომხატველია.

ამნაირადვეა თეთრი ყურძნის ჯიშის ბუერა-ვაზი-ს კახეთშივე დაცული სახელიც შედგენილი: იგიც ამ ჯიშის ვაზის გარეგნულ თვისებას გვისურათებს. მაგრამ ეს სახელი სხვა მსგავსი სახელებისაგან იმ მხრივაც განსხვავდება, რომ რქისა, ან და ძელისა, თუ ხის მაგიერ ვაზ-ია ნახმარი, რომელსაც ამასთანავე ორნაწილედ სახელწოდებაში პირველი ადგილი კი არ უკავია, როგორც რქაწითელსა, ძელშავსა, ხემხუსა და ხევარდულშია, არამედ მეორე ადგილი აქვს დათმობილი.

ამავე თვალსაზრისით საგულისხმოა გურიაში გავრცელებული ვაზის ჯიშის სახელი მუხიშხა, რათგან შესაძლებელია იგიც ორნაწილედ, მუხიშ-ისა და ხა-საგან შემდგარი სიტყვა იყოს, რომელთაგან პირველი მუხის-ს მეგრული ნათესაობითი ბრუნვა იქმნებოდა, მეორე კიდევ ხეს-თან იქმნებოდა დაკავშირებული. მაგრამ აქ ორი დაბრკოლებაა: ერთი რომ მეგრული ნათეს. ბრუნვა ამ სახელს მეგრულად გვაგულისხმებინებს, მეგრულად კი მუხის აღსანიშნავად ძველი რკონი-ს ფონეტიკური ეკვივალენტი ჰყონი იხმარება. ხესაც ჯა ეწოდება.

მეორე დამაფიქრებელი გარემოება ის არის, რომ ვაზის ლერწის დამახასიათებელ სახელებში ხე-ს პირველი ადგილი უკავია (ხევარდული, ხემხუ, ძელშავი). აქ კი სიტყვის მეორე ნაწილს შეადგენს. მაგრამ შესაძლებელია ეს იმითაც აიხსნებოდეს, რომ მუხიშხა იმ ხანის, ანდა იმ ქართველი ტომის სახელსა და

სიტყვას არ წარმოადგენდეს, რომელშიც ხევარდული, ხემხუ და ძელშავი-ა შექმნილი, და აქაც ისეთსავე მოვლენასთან გვექონდეს საქმე, როგორც მტევნის და-მახასიათებელ სახელებშია, სადაც ერთი მხრით ლეჩხუმსა და გურიაში დიდ-მტევან-ა, მეორე მხრით აჭარაში მტევან-დიდი იხმარება, ან როგორც არსებობს ჯიში, რომელსაც ბუერავაზი ეწოდება.

ზემოდასახელებული საკითხების გამორკვევას მუხიშხა-ს ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა აფერხებს.

სამოქალაქოს, ქვემოიმერეთსა, გურიასა და აჭარაშია გავრცელებული ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც ჩხავერი ეწოდება.

გურიაშივე მოიპოვება ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც ჩხაბერძული ჰქვია. ეს სახელი ორნაწილედ სიტყვაა და ჩხა-სა და ბერძული-საგან შედგება. ამ სახელის მეორე ნაწილი ამ ყურძნის სადაურობას გვაუწყებს: ის უტხო ჯიში ყოფილა, ბერძული. საგულისხმოა, რომ გურიაში, ს. მიქელგაბრიელში ბერძნულად წოდებული ჯიშიც ყოფილა (ერმ. ნაკაშიძე, მევენახ.-მეღვინ., გვ. 26).

თუ აღამიანი ჩხავერი-სა და ჩხაბერძული-ს სახელებს ერთმანეთს შეადარებ, უეჭველია, შეამჩნევს, რომ პირველი ნაწილი ჩხა მათ საერთო აქვთ, ეს გარემოება საკმარისია, რომ ჩხავერი-ს ამავე ორნაწილედ სიტყვად მიჩნევის ეჭვი აღიძრას. მართლაც ჩხავერი-ს მეორე ნაწილი ზერი ჩხაბერძულის მეორე ნაწილის ბერძული-ს დასაწყისს ორ მარცვალს წარმოადგენს იმ განსხვავებით, რომ იქ ბ თანხმოვანი ვ-დ არის შენაცვლებული. ამნაირად, შესაძლებელია ჩხავერი ჩხაბერძულ-ს სახელის ბოლოჩამოცილებულ სახეს წარმოადგენდეს. მაშასადამე, შეგვეძლო მისი სადაურობის საკითხიც ამ გზით გამორკვეულად ჩაგვეთვალა, მაგრამ ზემომოყვანილი მოსაზრების საწინააღმდეგოდ შესაძლებელია ის გარემოება იყოს წამოყენებული, რომ ჩხავერი-ს სახელი მართო იმერეთსა და აჭარაში კი არ არის გავრცელებული, არამედ გურიაშიც. სადაც ჩხაბერძული-ს სახელიც არის დაცული. როგორ მოხდა, რომ ერთსადაიმდე თემში, საფიქრებელია, ერთიდაიმდე ყურძნის ჯიშისათვის ერთი სახელის ორი, სრული და ბოლო ჩამოცილებული სახეობაა დაცული?

ამ საკითხის გამორკვევას ბერძულას და ჩხაბერძულის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა გვიშლის. მაგრამ, ჩხაბერძულისა და ჩხავერის ყურძნის ჯიშის ბერძნულობის გამორკვევის შემდგომ მაინც ზემომოყვანილი სახელების პირველი და უმნიშვნელოვანესი ნაწილის, ჩხა-ს მნიშვნელობა გამოსარკვევი.

ჩხა კახეთში, პროფ. ს. ჩოლოყაშვილის ცნობებით, რომლისთვისაც დიდი მადლობას მოვახსენებ, რთველის დროს ვაზის ბევრმტევნებიან მოჭრელ განტოტებას ჰნიშნავს. ეს სიტყვა ძველი ქართული გრჯლა-ს ფონეტიკურ სახენაცვალს უნდა წარმოადგენდეს.

ძველ ქართულში კი ეს სიტყვა ზოგადი მნიშვნელობის მქონებული ყოფილა და, საბას განმარტებით, „დადთა ხეთა რა სხვლნი რტონი განეყოფიან, მას ეწოდებიან გრჯლა“ (ლექსიკ.). მაშასადამე, გრჯლა მსხვილი, განტოტებული ხის აღმნიშვნელი ყოფილა. რაკი, საბერძნეთსა და იტალიაში ვაზის უსაყრდნობოდ ოთხგანტოტებიან მსხვილ ხედ დაყენება იცოდენ, როგორც რომაული მევენახეობის მიმოხილვის დროს დავაწმუნდით (იხ. აქვე, 366—367), ამიტომ იბადე-

ბა საკითხი, ჩხავერი და ჩხაბერძული-ც ხომ ასეთი ვაზის ჯიშისა, თუ დაყენების წესის აღმნიშვნელი სახელი არ იყო.

ვინც მევენახეობის ზემომოყვანილ მიმოხილვას გადაიკითხავს და იქ მოთავსებულ ყურძნის ჯიშების სახელებს გულდასმით გადასინჯავს, დარწმუნდება, რომ არც ერთ ქვეყანაში და არც ერთ ენაში ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელად ლერწის შეფერადება არ გვხვდება. მტევნისა და მარცვლის თვისება, მათ შორის ფერიც, რომ ჯიშის განმასხვავებელ ნიშნად და სახელად იყოს გამოყენებული, ამას ადამიანი სხვა ენების ნომენკლატურაშიც შეხვდება, მაგრამ ლერწის თვისება რომ ვაზ-ყურძნის ჯიშის სახელად იყოს გამოყენებული, ასეთი რამე, ქართულს გარდა, არც ერთ სხვა ენას ძველ დროს არ მოეპოვებოდა.

ამისი მხოლოდ ნაწილობრივ მსგავსი ერთი მაგალითი რომაულ მევენახეობაში მოგვეპოვება, სადაც, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, 397), ნომენტთან-ად წოდებული ვაზის ჯიში არსებობდა, რომელსაც, კოლუმელლას სიტყვით, მეტსახელად რუბელლიანე-ც, ე. ი. წითურნი-ც ეწოდებოდა. პლინიუს მცირეს კი *rubella vinea* რუბელლა ვინეა, ე. ი. წითური ვაზი აქვს დასახელებული (*Natur. hist.*, I. 14, გვ. 4, § 3). ასეთი მეტისახელი, რომელსაც თურმე ზოგიერთნი (*quidam*) ხმარობდნენ, იმიტომ სწოდებია, რომ ვაზის ამ ჯიშს წითელი ლერწი (*rubente materia*) ჰქონია. შას, ამ მეტი სახელის გარდა, თურმე სხვაც, *Foecinia*-ც, ფაოცინიე-ც, ჰქონია, რომელიც მშკლატესა ნიშნავს. ასეთი სახელი მოჭარბებული ტანიანიობის გამო დაპრქმევა.

ეს წითელლერწიანი ყურძნის ჯიში ჩვეულებრივ ნომენტთან-ად, ანუ ნომენტთან-ად⁷⁹ იწოდებოდა. ამ ვაზს ასეთი სახელი თვით ჯიშის სადაურობის გამო დაპრქმევა. რომიდან ათი მილიონის სიშორეზე მდებარეობდა („*decimi lapidis ab urbe diverticulo*“: I. 14, გვ. 5, § 4) ნომენტანის მინდორი, რომელიც თავისი მევენახეობით განთქმული ყოფილა (იქვე, I. 14, გვ. 5, § 3 და 4).

ამნაირად, რუბელლიანე თავისდათავად მხოლოდ წითურის აღმნიშვნელია, ვაზის ჯიშის ლერწის სიწითლე ამ სახელში არა ჩანს. სამაგიეროდ ვაზის წითელფერობის მაუწყებელი სახელია პლინიუსისაგან აღბეჭდილი რუბელლა ვინეა „წითური ვაზი“ და ეს გარემოებაც საგულისხმოა. მაგრამ რომაულ მევენახეობაში ეს ამ ჯიშის ჩვეულებრივი სახელი არ ყოფილა, არამედ ზოგთაგან წოდებული ნართაული სახელია. რაკი იქ სხვა ამის მსგავსი მაგალითი, რომ ვაზ-ყურძნის ჯიში ვაზის ფერის მიხედვით ყოფილიყო სახელდებული, არ მოგვეპოვება, იმიტომ ეს ერთი მაგალითი რომაული ყურძნის ჯიშების სახელწოდებათა მთელ კრებულში ერთადერთ გამონაკლისს წარმოადგენს.

ყურძნის ჯიშის სახელად რომ ლერწის ფერი გვქონდეს გამოყენებული, ევროპის ახალ მევენახეობაშიც ამის მხოლოდ ორი ცალკეული შემთხვევა მოიპოვება: საფრანგეთში არსებობს საფერე ყურძნის ჯიში, რომელსაც *Teinturier a bois rouge*, ე. ი. „საფერე ხე-წითელი“, ხოლო გერმანიაშიც ერთი საწური და საკმელი ჯიშია, რომელსაც *Gelhhölzer*-ი, ე. ი. „ყვითელ-ხიანი“ ეწოდება (მათი აღწერილობა იხ. V. Pulliat, *Mille variétés*, 364—365 და H. Goëthe, *Amp. Vörterb.*).

⁷⁹ პლინიუსის ნაშრომის I. 14, გვ. 5, § 3 და 4-ში „*in Nomentano agro*“ სწერია.

სულ სხვა ვითარებაა, როგორც დავრწმუნდით, ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელწოდებათა დარგში საქართველოში, სადაც ყურძნის ჯიშების განმასხვავებელ სახელად ლერწის ფერის მაუწყებელი ორნაწილელი სიტყვის გამოყენება ჯიშთა სახელდების სრულებით შეგნებულსა და მწყობრ სისტემას წარმოადგენს.

იმას გარდა, რომ ლერწის შეფერადების ნიშნის ვაზის ჯიშის განმასხვავებელ თვისებად მიჩნევა და სახელდებისათვის გამოყენება ქართველი მიწისმოქმედის ამპელოგრაფიული დაკვირვების ნიჭის მაუწყებელია, ამ ნიშნის მიხედვით ყურძნის ჯიშების განსარჩევად შემოღებას მევენახეობაში დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც ჰქონდა. სამ-ოთხ წელიწადზე ადრე, სანამ ვაზი ყურძენს არ მოიხსამს, მისი ჯიშის გარჩევა და გამორკვევა, რასაკვირველია, ვაზის ლერწის თვისებების მიხედვით შეძლებოდა. ამას მეტადრე ახალი ვენახის გაშენების დროს ჰქონდა მნიშვნელობა, როდესაც სანერგე მასალას ვაზის ლერწი წარმოადგენდა. ცხადია, რომ ლერწის ფერისდა მიხედვით ვაზის ჯიშების გარჩევა და მათთვის ამავე თვისების მაუწყებელი სახელების დარქმევა მევენახეს ზემოაღნიშნული მუშაობის დროს საქმეს საგრძნობლად გაუადვილებდა.

§ 2. ჯიშის სქესის განმასხვავებელი სახელები

ქართული მევენახეობა მარტო ზემოაღნიშნულით არ დაკმაყოფილებულა, მას ვაზის სქესის გარჩევაც უტდია. ამ მხრივ მეტად საყურადღებო გარემოებაა, რომ კახეთში რქაწითელის და მცვივანი-სათვის ორ-ორი, სქესობრივად განმასხვავებელი, სახელი არსებობს. მამალი რქაწითელი და დედალი რქაწითელი, ისევე როგორც მამალი მცვივანი-ცა და დედალი მცვივანი-ც მოიპოვება.

ამ ყურძნის ჯიშების ასეთი სქესობრივად განმასხვავებელი სახელები რომ შემთხვევითი არ არის, არამედ რომ ქართველ მევენახეს ასეთი სახელები მათი ფიზიკური თვისების ნიშანდობლივს განსხვავებასთან დაუკავშირებია, ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს. მამალ-დედალი რქაწითელისა და მცვივანის სახელები მათი მტევენების მორფოლოგიურსა და მოსავლიანობის განსხვავებზეა დამყარებული. მამალად წოდებულ რქაწითელსა და მცვივანსაც თხელი მტევენი ჰქონია და წვრილი მარცვალი, წვენი კი დაწურვის დროს ნაკლები, მაგრამ საუკეთესო ღირსებისა სცოდნია. პირიქით, დედალ რქაწითელად და მცვივანად სახელდებულს დიდი მტევენი და მსხვილი მარცვალი ჰქონია, წვენს თუმცა ბევრს, მაგრამ თურმე საშუალო ღირსებისას იძლევა.

საგულისხმოა, რომ ძველ საქართველოში ბუნებით უნაყოფო ვაზისათვისაც განსაკუთრებული სახელწოდება ყოფილა და ს. ორბელიანის ცნობით, ავრეზი, ანუ, ხელთნაწერთა B რედაქციით, ავრეზი ჰქმნევიან სახელად. თავის ლექსიკონში მას განმარტებული აქვს: „ავრეზი (B. ავრეზი) აყვავდეს და ნაყოფი არ იყოს (A. გვარად უნაყოფო ვაზი)“-აო. დ. გურამიშვილის ლექსითგან „ვით ბოლოკი მქნა ავრეზი, ამაოყა, ამაღერა“-ო. (დავითიანი, გამ. 1911 წ., 97; აღ. ბარამიძის და ს. იორდანიშვილის 1931 წ. გამ., 137). ირკვევა, რომ ავრეზი უდროვოდ აღერებულ, უნაყოფო ბოსტნეულზე ითქმოდა. ამიტომ, თუ საბას განმარტება სწორია და ის უნაყოფო ვაზის დასახსიათებლადაც იყო მიღებუ-

ლი, მაშინ ეს სიტყვა ზოგადი მნიშვნელობის ტერმინად, ავრები კი მხოლოდ უნაყოფო ვაზის სახელად უნდა მიგვეჩნია⁸⁰.

ბუნებით უნაყოფო ვაზის სახელი ავრები ისევე უნდა იყოს ნაწარმოები, როგორც ავკაცი, ჰავჭალა, ანუ ავჭალა. თავში მას ზედსართავი ავი უზის. თუ ეს მცდარი მოსაზრება არ არის, მაშინ ამ სიტყვის მეორე მთავარი ნაწილიაა გამოსარკვევი. ავრები-ს ამნაირი აგებულების შესაძლებლობის დამაჯერებლობისათვის საკმარისია გავიხსენოთ, რომ გარეულ ვაზს ჰანურად ბადი ბინები, ე. ი. ცული, ანუ ავი ვაზი (ვენახი) ეწოდება.

ქართველი მევენახის დაკვირვების სისწორე ვაზის სქესობრივი განსხვავების შესახებ თანამედროვე ამპელოგრაფიული გამოკვლევითაც მტკიცდება. პროფ. E. Ratau-მ 1888 წ. თავის გამოკვლევაში Die Geschlechtsverhältnisse der Reben დაამტკიცა, რომ ვაზთა Vitis მთელი საესებობა თავისი ყვავილის თვისების მიხედვით სამ ჯგუფად უნდა დაიყოს. ერთ ჯგუფს ანდროდინამური-სტერილი, ანუ უნაყოფო, ბიცი, მამრობითი სქესის ვაზები შეადგენენ. ამ ჯგუფს ამერიკული ვაზების სახეთა ბევრი წარმომადგენელი მიეკუთვნება. 2. ანდროდინამურ-ფერტილი, ანუ ქართულად რომ გადმოითარგმნოს „მამრობითი-ნაყოფიერი“, ე. ი. ორბინიანი. ამ ჯგუფს ევროპული, აზიისა და ამერიკული ვაზის სახეები მიეკუთვნება. 3. გენდინამურ-ფერტილი, ანუ დედრობითი-ნაყოფიერი. ვაზის ზოგი ჯიში თავისი ყვავილის თვისებით ერთ-ერთ ზემოაღნიშნულ ჯიშთაგანს ეკუთვნის ხოლმე. მაგრამ შესაძლებელია ერთსა და იმავე ჯიშზე სამნაირი ყვავილი იყოს, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში მაინც ერთი მათგანი სქარბოზს ხოლმე. უფრო დეტალურმა კვლევა-ძიებამ ცხადჰყო, რომ ამ სამი თვისების ყვავილთა გარდა ვაზის ისეთი ჯიშებიც არის, რომელთაც გარდამავალი ადგილი უკავიათ (ს. ჩოლოყაშვილი და ნ. ჩახანაშვილი, „მასალები ქართული ვაზის შესწავლისათვის“. ექსპერ. აგრონ. მოამბე, № 3, გვ. 54).


ქართველი მევენახის დაკვირვება და ტერმინოლოგია საშუალებას გვაძლევს თანამედროვე ამპელოგრაფიული მეცნიერების ზემომოყვანილი დასკვნა ნამდვილი ქართული ტერმინებით გამოვთქვათ: ანდროდინამურ-სტერილს, ანუ უნაყოფოს, ანუ ბიცმამრობითს ქართულად, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 495), ავრები ეწოდება; ხოლო ანდროდინამურ-ფერტილი, ანუ ნაყოფიერი მამრობითი ქართულ მამალა ვაზს და გენდინამურ-ფერტილი, ანუ დედრობით-ნაყოფიერი დედალ ვაზს უდრის.

ვაზ-ყურძნის ჯიშების სქესობრივი განსხვავების გამომხატველი სახელი მართო ფრანგულ ნომენკლატურაში მოიპოვება, სადაც ორი ამნაირი სახელწოდებაა: ზემო პკრწეების Tannat noir femelle და Tannat noir mâle „ტანნა შავი დედალი“ და „ტანნა შავი მამალი“, შემდეგ Teinturier du Cher, რომელსაც აგრეთვე Teinturier femelle-ი საფერე დედალი ეწოდებოდა, და უკვე მიტოვებულ Teinturier mâle, „საფერე მამალი“, რომელსაც Teinturier à bois royge „საფერავი ხე-წითელი“-ც ჰქვია (V. Pulliat, Mille variétés, 361—362 და 364; H. Goethe, 58).

⁸⁰ „დავითანის“ 1931 წ. გამოცემის ლექსიკონში ავრები საბას განმარტების თანახმად უნაყოფო ვაზად არის მიჩნეული (გვ. 321), რაც დ. გურამიშვილის ლექსს არ უდგება.

§ 3. მტევნის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისების გამომხატველი ვაზ- ყურძნის ჭიშ-სახესხვაობათა სახელების ჭგუფი

ყურძნის ჭიშების ქართული სახელების მთელი ჭგუფი ყურძნის მტევნის სხვადასხვა თვისებების დამახასიათებელი და მაუწყებელია. მაგ., კახეთში არსებობს ჭიში, რომელსაც მოკლემტევანა ჰქვიათ, რაშია კი ერთ ჭიშს სახელად გრძელმტევნიანი ეწოდება, ხოლო ლეჩხუმსა და გურიაში გავრცელებულია ჭიში, რომელსაც დიდმტევანა-ს ეძახიან, აჭარაში კი სახელად მტევან-დიდი-ა მიღებული. ორი უკანასკნელი სახელი, საფიქრებელია, ყურძნის ერთისა და იმავე ჭიშის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ამასთანავე ეს ტერმინი და ჭიში წინათ, რასაკვირველია, საქართველოს სხვა თემებშიც იქმნებოდა, ლეჩხუმსა და გურიას შორის მდებარე თემებს ასეთი ჭიშიც და სახელიც მაინცდამაინც უეპქველად ექმნებოდათ.



სურ. 6. ყურძნიანი და ხილიანი ტოტების ქანდაკება ბანის (IX—X სს.) ტაძრის კედელზე. საყურადღებოა ყურძნის ჭიშების ხნიერების გამოსაკრეველ და ორ-ნაწილდი, აკილოს ჭიშის მაკვარი მტევანა

ამ ჭიშების აღწერილობის უქონლობის გამო შეუძლებელი ხდება გამორკვევა, გრძელმტევნიანი და დიდმტევნიანი ერთი და იმავე ჭიშის ყურძნის მხოლოდ სხვადასხვა თემობრივი სახელია, თუ სახელის განსხვავებულობამ იმავე დროს ჭიშების განსხვავებაც უნდა გვაგულისხმობინოს. ამ საკითხის გადაწყვეტა აგრონომების მოვალეობას შეადგენს და იმედია მომავალში ეს გამორკვეუ-

ლიც იქმნება. მაგრამ ამ ჯიშების ეს ორი სახელი სიტყვიერად მტევნის ორ განსხვავებულ თვისებას ახასიათებს: ერთს მისი სიგრძე აქვს განმასხვავებელ ნიშნად მიღებული, მეორეს მისი სიდიდე, რომელიც მართო და ყოველთვის სიგრძეზე არ არის დამოკიდებული.

ყურძნის ჯიშის მტევნის მოყვანილობისავე დამახასიათებელ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის მელისკუდაჲ-ც, რომელიც ეხლა საინგილოში შავი, არგვეთს თეთრი, რაჭას და შავშეთ-კლარჯეთში შავიცა და თეთრიცაა დაცული, წინათ კი მთელ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული. მელისკუდის მსგავსად ამ ყურძნის ჯიშის მტევანი ალბათ თავ-ბოლოში წვრილი, შუაში გამსხვილებული მოყვანილობისა იქმნება. ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა ამ საკითხის ზედმიწევნით გადაწყვეტასაც შეუძლებლად ჰხდის.

ყურძნის ჯიშების მტევნის დამახასიათებელ სახელთა ჯგუფსავე ეკუთვნის აჭარაში, შავშეთსა და კლარჯეთში შერჩენილი ვაზის ჯიშის სახელი ბუტკოი. რაკი ეს ძველი ქართული სახელი ხალხს ყურძნის ამ ჯიშისათვის დაურქმევია, საფიქრებელია, რომ მას მტევანი ძალზე მომცრო და ბუტკოს მსგავსად მჭიდროდ ჩასმული უნდა ჰქონოდა. მართლაც, თუმცა ამ ჯიშის სრული ამპელოგრაფიული აღწერილობისათვის თავი არავის შეუწყუბებია, მაგრამ ავტორებს ის მაინც აქვთ აღნიშნული, რომ ამ ჯიშის ვაზს პატარა, შავ-მარცვლიანი, მჭიდრო მტევანი აქვს.

ბუტკუ-ს სახით ეს სახელწოდება რაჭაშიც ყოფილა შერჩენილი, სადაც მას საშუალო სიდიდის „შეკრული მტევანი და წვრილი, მაგარი მარცვალი სცოდნია“ თეთრი ფერისა.

მტევნისავე გარეგნული მოყვანილობის გამომხატველი სახელწოდება უნდა იყოს კახეთსა და ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი თავკვერი, რომლის ქართლში შავი, კახეთში თეთრი სახესხვაობა არსებობდა. ქართლში იგი, საფერავის მსგავსად, სხვა ღვინოების შესაფერადებლადაც იხმარებოდა. შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ ეს სახელი ჯიშის სადაურობის მაუწყებელია და ლეჩხუმის თემის ძველი სახელის თავკვერი-საგანაა წარმომდგარი. მაგრამ ასეთი აზრის უსაფუძვლობას ის გარემოებაც ამჟღავნებს, რომ თავკვერი დასავლეთ საქართველოში არ მოიპოვება, ლეჩხუმური ჯიში კი რომ ყოფილიყო, რა თქმა უნდა, უპირველესად ლიხთ-იმერეთში იქმნებოდა გავრცელებული.

თავკვერი-ს სახელი მისი მტევნის გარეგნულობის ზედა ნაწილის დამახასიათებელი უნდა იყოს. მას „მტევანი მეტად დიდი, კონუსებრივი და ძალზე კუმისი“ აქვს (იხ. აქვე, გვ. 433—434) და სწორედ მტევნის ამ დიდი კონუსის საფუძვლის, რომელიც ვითარცა ზედა ნაწილი, თავად არის სახელდებული, კვერბრივი მზგავსების გამომხატველი იქმნება.

საფიქრებელია, სახელთა ამავე ჯგუფს კახური სხვილთავა-ც ეკუთვნის.

თავისი სახელის ორიგინალურობით საინტერესოა არგვეთში გავრცელებული ყურძნის ჯიში, რომელსაც კვირისტავა ეწოდება. საფიქრებელია, რომ ასეთი თავისებური სახელი ამ ვაზის ჯიშს მისი მტევნის კვირისტავის მსგავსი მოყვანილობის გამო უნდა ჰქონდეს დარქმეული, მაგრამ, სამწუხაროდ, კვირისტავა-ს აღწერილობა არსად მოიპოვება, რომ ამის თქმა დანამდვილებით შეიძლებოდა.

დასავლეთ საქართველოს თითქმის ყოველ თემში მოიპოვება ვაზ-ყურძნის ჯიში, რომელსაც აკიდო ეწოდება. არსებული ცნობებით, აღმოსავლეთ საქართველოში არსად ასეთი ჯიში არა ჩანს. ს. ორბელიანის განმარტებითაც, აკიდო იყო „ხილი ერთად შებმული“ (ლექსიკ.). ამგვარად, მართო ყურძენი კი არა, არამედ თითქოს ყოველგვარი ხილი. ცხადია, რომ ზემომოყვანილ განმარტებაში ქართველ ლექსიკოგრაფს აკიდო ყურძნის ჯიშად ნაგულისხმევი არა ჰქონია.

მაგრამ აკიდო აღმოსავლეთ საქართველოშიც გავრცელებული სიტყვაა, ამასთანავე სწორედ ყურძენთან დაკავშირებული. აკიდო ყურძნის ისეთ რქას ეწოდება, რომელსაც ერთიმეორის ახლოს მტევნები წყვილად ასხია. წყვილი მტევნის შემცველს ვაზის რქას მოსჭრიან და სასწორივით ჩამოჰკიდებენ ხოლმე. იმას კი, რასაც საბა აკიდოს უწოდებს, ერთად შებმულ ხილს, ეხლა ჯაგანი ეწოდება და ეს სიტყვა ს. ორბელიანსაც მოეპოვება იმავე მნიშვნელობით, როგორც ეხლაც ხმარობენ: „ჯაგანი წეპლი თევზთა და ხილთა საცემლი“-ო (ლექსიკ.).

მაშასადამე, აკიდო მთელ საქართველოში გავრცელებული, ყურძნის მსხმოიარობის ერთგვარ თვისებასთან დაკავშირებული, სიტყვა ყოფილა. დასავლეთ საქართველოში დაცული ამ ჯიშის ვაზ-ყურძნის აღწერილობა რომ ჰქონოდა ვისმე, მაშინ ადვილად გადაწყდებოდა საკითხი, მართლა ამ ვაზს წყვილმტევნიანობის გამო ეწოდა აკიდო-ს სახელი, თუ სხვა რაიმე თვისების მაუწყებელია. უცხოეთის მევენახეობის მიმოხილვაში მოყვანილი გვაქვს კოლუმელოს ერთი ცნობა, რომლითგანაც ჩანს, რომ იტალიაშიც არსებობდა ამინეურის ერთი სახესხვაობათაგანი, რომელსაც *Amineae geminae* ამინეე გემინე, ე. ი. „ტყუბა ამინეური“ ეწოდებოდა იმის გამო, რომ ეს ჯიში თურმე ორმაგ მტევნებს იხამდა (იხ. აქვე, გვ. 397). ამას გარდა, აკიდოს მსგავსი წყვილმტევნიანი ვაზის ნაჭერის გამოხატულება ერთრეის ფულ დრაქმაზეა აღმოტყფრული (იხ. სურათი R. Billiard-ის *La vigne*-ის გვ. 68 და სხვაგანაც).

ყურძნის მტევნის მორფოლოგიური თავისებურების დამახასიათებელია აგრეთვე კახეთში დაცული ყურძნის ჯიშის სახელი შავი, თეთრი და ყვითელი მხარგრძელი-ც, რომელსაც ზევითი ბურძღენები დანარჩენებზე ძალზე გრძელი და მხრებივით განზე განზიდული აქვს. ასეთი მხარგრძელი მტევნიანი ყურძნის ჯიში ძველ მცირე აზიაში, საბერძნეთსა და ბიზანტიაშიც ყოფილა გავრცელებული და, როგორც ჩანს, იქაურებს ეს ჯიში სამაგალითოდ ჰქონიათ მიჩნეული, რათგან ასეთი მტევნის გამოხატულება თავიანთ ფულებზეც კი აღმოუტყფრავთ სურათები იხ. R. Billiard-ის *La vigne*-ში, გვ. 54, 65, 67 და 68).

ქართველ მევენახეს ვაზის ისეთი ჯიშიც შეუძინევია, რომლის ყურძენიც, ანუ უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, რომლის მტევანიც ისე მაგრად იყო რქაზე დამაგრებული, რომ მისს მოწყვეტას ადამიანი ისე ადვილად ვერ შესძლებდა, როგორც სხვა ყურძნის ჯიშისას. სწორედ ამიტომაც, რომ რაქასა და ლეჩხუმში გავრცელებული ვაზის ჯიშისათვის ასეთი თვისების გამო ხალხს სახელად უწყვეტი დაურქმევია.

ვაზ-ყურძნის ჯიშების ერთი ჯგუფის სახელებად მტევნის აგებულების ამოთუიმ თავისებურების გამომხატველი სიტყვები აქვს შერჩეული. ამ მხრივ ყურძნის ჯიშებს ხომ საკმაო სხვადასხვაობა ემჩნევა. ქართველ მევენახეს მტევნის აგებულების სხვადასხვა თავისებურება არ გამოჰპარვია და ესეც ჯიშთა განმჯ.

სხვაეგვრად ნიშნად გამოიყენება. საქართველოში გავრცელებული არაერთი ყურძნის ჯიშის სახეობის შინაარსი ადვილი გასაგები გახდება, თუ რომ ეს გარემოება აღმოჩნდეს გათვალისწინებული ექვსნება.

მაგალითად, აქარაში ერთი ყურძნის ჯიშია, რომელსაც ზურძლალა ეწოდება. სამწუხაროდ, მისი ამპელოგრაფიული აღწერილობა არავის მოეპოვება. მაგრამ ამ ჯიშის სახელივე ცხადპყფის, რომ ამ ვაზის ჯიშის განმასხვავებელ თავისებურებას მისი მტევნის გაბურძენილობა, ზურძლენიანობა უნდა შეადგენდეს. პერეტს, ანუ ეხლანაველ საინგილოშიც გარეულ ყურძენს ბურზღუმე ეწოდება. ცნობილია, რომ გარეული ყურძნის მტევანი მართლაც გაბურძენულია და სწორედ ეს მისი თვისება ხალხს მის განმასხვავებელ ნიშნად მიუჩნევია.



სურ. 7. ბაგრატი ქუთაისის ტაძრის სვეტის თავი (XI ს. დამოგვისა). საყურადღებოა ჯიშთა ხნიერების თვალსაზრისით ზეი გამოჩინდებულნი გრძელმტევანას, ანდა დიდმტევანას ჯიშის (იხ. გვ. 497) მაგარა კვში მტევნის განო (იხ. გვ. 538)

ლენსეუმშიც მოიბოგება ერთი თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც ფარჩხატა ეწოდება. არც ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობა არსებობს, მაგრამ მისი სახელიც ამ ყურძნის მტევნის აგებულების იმ თავისებურებას ამჟღავნებს, რომელიც ხალხს ამ ჯიშის განმასხვავებელ ნიშნად დაუსახავს. ს. ორბელიანის გახმარებდათ, ფარჩხატი შორიშორ წყობილი-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.). სწორედ ასეთი თვისება უნდა ჰქონდეს ყურძნის ამ ჯიშსაც და ასეთი სახელიც მისი მტევნის ბურძენიანობისა, თუ მარცვალთა შორიშორ წყობილობის გამო დაპირქმევი.

ზემოვანხილოლი სახელების სწორედ მტევნის საწინააღმდეგო თვისების დამახასიათებელია კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშის კუმსი-სა და კუმ-შა-ს, ხილო გურიანში კუმუშა-ს და ჯუმუტა-ს სახელები. ამ სიტყვათაგან პირველი შემკიდრთებულსა და ჩასხმულს პნიშნავს და ამ ჯიშის ყურძნის მტევანს მარცვლები მართლაც ერთმანეთზე ისე ახლო-ახლო ასხია, რომ მათ შორის

თავისუფალი მანძილი არ არის და მარცვლები მტევანში მჭიდროდ ჩასხმულის შთაბეჭდილებას ასდენენ. კუმსი უნდა კუმშვა სახელმწიფის ფონეტიკური სახე-ნაცვალის იყოს, რაც გარე-კახეთში ამ ჯიშის სახელითაც მტკიცდება, ხოლო ამ უკანასკნელის სრულხმომონიანი ფორმისაგან ნაწარმოები ჩანს გურიაში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი კუმშუა. მისი ამპელოგრაფიული აღწერილობა რომ მოგვეპოვებოდეს, ამ საკითხის სრული უეჭველობით გადაწყვეტა იყო შესაძლებელი.

მტევნის მორფოლოგიური თვისების დამახასიათებელი სახელივე უნდა იყოს გურული შავი ჯუმშუტა, რომელიც, საფიქრებელია, ჯმუხას სრულხმომონიან პარალელურ ფორმას უნდა წარმოადგენდეს. საბას განმარტებით, „ჯმუჯი მოდაბლო და მენე კაცი“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.), მაგრამ, ჩვეულებრივი გაგებით, მაგარი აგებულების ჩასხმული ადამიანის დასახასიათებლად იხმარება. ერმ. ნაკაშიძის ცნობითაც, გურიაში ჯუმშუტა მკვრივს და ჩასხმულსა ჰნიშნავს და რაკი ამ შემთხვევაში ყურძნის ჯიშის სახელად არის ეს სიტყვა ნახმარი, ცხადია, მისი მტევანი დაახლოვებით იმავე თვისების გამომხატველი უნდა იყოს, როგორისაც კუმსი და კუმშუა-ა, მაგრამ გურიაში ორივეს, კუმშუა-ს და ჯუმშუტა-ს არსებობა და გამოყენება გვაფიქრებინებს, რომ ამ ორ სახელსა და ჯიშს შორის რაიმე განსხვავება მაინც უნდა იყოს. კახური კუმსისა და გურული კუმშუას ყურძნის ჯიშების იგივეობისა, თუ განსხვავებულობის საკითხის გამორკვევა ამპელოგრაფების მოვალეობას შეადგენს და მომავალის საქმეა, მაგრამ მაინც ცხადია, რომ ჯუმშუტა-ც მტევნის შემჭიდროებული აგებულების დამახასიათებელ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის.

მტევნის კუმსი აგებულების და სიმძიმის თვისებისავე გამომხატველია იმერეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი კუნძა, რომელიც მართლაც მძიმე და მჭიდროდ მარცვალჩასხმულ მტევანს იხსამს.

მეტად თავისებური სახელი აქვს იმერეთში გავრცელებულ შავი და თეთრი ვაზ-ყურძნის ერთ ჯიშს, რომელსაც დონდლაბი ეწოდება. რაჭაში თეთრი დონდლაბი-ა. ამავე ჯიშისა თუ არა, უეჭველია, ამავე სახელის ბოლოშეკვეცილი და ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილი ფორმა უნდა იყოს სამეგრელოს შავივე დღუდღუში და გურიაში არსებული თეთრი ყურძნის ჯიშის სახელწოდება დონდლო.

დოც. ნ. ბერძენიშვილს ს. ლეხაურში აღფეზ შავიშვილისაგან ამ ჯიშის სახელად დორდლო გაუგონია. ამ უკანასკნელის დახასიათებით, დორდლო თეთრი, რბილი ყურძენია და „მდარე ღვინო“ იცის. რას უნდა ჰნიშნავდეს ეს სახელი, ყურძნის სახელდობრ რა თვისების გამომხატველი უნდა იყოს? ამის გადასაწყვეტად ამ ვაზ-ყურძნის ჯიშის სრული აღწერილობაა სჯირო. მისი თვისების აღწერაზე კი არავის უზრუნვია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ დონდლაბი „ჩამოგრძელებული“ და თანაც „ბურძღენიანი და ოდნავ მეჩხარი“ ძალზე მსხვილმარცვლიანი მტევნის მქონებელი ჯიში იყო (იხ. აქვე, გვ. 442—443, 459), მაშინ შესაძლებელია აზრი დაგვებადოს. რომ დონდლაბი და დონდლო, რომელთაგან უკანასკნელი დონდლოსაგან უნდა იყოს წარმომდგარი, თონთლო-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს. თონთლო კი რბილსა და მოშვებულმერყევისა ჰნიშნავს, როდესაც კვერცხზე ამბობენ, თოხლოდ, ნახევრად მოხარშულად, ხოლო როდესაც ადამიანზე ამბობენ, სიმკვრივეს მოკლებულად, მო-

შეებულად იგულისხმება. დონდლაბიც თავისი ჩამოგრძელებული, ბურძღენიანი და მეჩხარი მტევნითა და მსხვილი, მძიმე მარცვლებით ასევე თონთლოს შთაბეჭდილებას უნდა ახდენდეს.

უნებლიედ იპყრობს მკვლევარის ყურადღებას საქართველოში ფართოდ გავრცელებული შავი ვაზ-ყურძნის ჯიშის სახელი მტრედისფეხა, რომელიც ამერეთსა და ლიხთ-იმერეთშიც მოიპოვება (იხ. აქვე, გვ. 432, 443, 473), სამეგრელოში მას ამავე მნიშვნელობის მქონებული სახელი ტოროკუჩხი ეწოდება. რატომ უნდა დაერქვია ქართველ ხალხს ვაზის ჯიშისათვის ასეთი სახელი და რა შეიძლება საერთო ჰქონდეს მტრედის ფეხსა და ვაზს?

მტრედის ფეხი მოწითანოა და საფიქრებელია, რომ ამ ვაზის ჯიშის მტევნის კლერტიც სწორედ ამნაირადვე უნდა იყოს შეფერადებული და ამიტომ უნდა ჰქონდეს ასეთი თავისებური სახელი შერჩეული.

§ 4. მარცვლის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისების მაუწყებელი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჭგუფი

ყურძნის ჯიშების მთელი ჭგუფისათვის, რომელთა განმასხვავებელ ნიშნად და სახელებად მარცვლის ესა-თუ-ის თვისებაა გამოყენებული: ზოგის მარცვლის სიდიდეა აღნიშნული, ზოგის მოყვანილობა, ზოგის კანის სისქე, არა ერთის, რასაკვირველია, ფერი, გემო, ანდა სხვა რაიმე თვისება. სახელთა ამ ჭგუფს ეკუთვნიან: ხარისთვალა, ლორისთვალა და სხვა.

ხარისთვალა-ს ყურძნის ჯიში, როგორც დავრწმუნდით (იხ. გვ. 417, 425, 432, 437, 441, 449, 473, 480), ფართოდაა გავრცელებული ქართლ-კახეთშიც მესხეთის ორ თემშიც, სამცხესა, აჭარაშიც და გურიაშიც. დასასრულ, თოლი-მჩხუმ ყურძენი-სა და ჩხუმი-სა და-ჩხუ-ჩეში-ს სახელით ქანეთს, აჭარაში და სამეგრელოშიც მოიპოვება, რაკი კახეთში ხარისთვალა-ს თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არსებობს, გურიაში ეს სახელი წითელი ყურძნის ჯიშს ეწოდება, სამეგრელოში კი, როგორც თვით სახელშიცაა აღნიშნული, თეთრი (ჩეში) ყურძნის სახელად ხმარობენ, ამიტომ ცხადი ხდება, რომ შეუძლებელია ხარისთვალა ფერის აღმნიშვნელი იყოს, არამედ მხოლოდ ყურძნის მსხვილმარცვლიანობის გამომხატველია. მართლაც, საქართველოს ყოველ თემში ხარისთვალა, ან მისი შესატყვისობა მარტო მსხვილმარცვლიანი ყურძნის ჯიშის სახელად იხმარება.

გამოსარკვევი მხოლოდ ისღაა, ხარისთვალა და თოლი-მჩხუმ ყურძენი, ანდა ჩხუმი და ჩხუ-ჩეში ერთიდიამავე ყურძნის ჯიშის სახელია, თუ არა?

საინგილოში არსებობს ჯიში. რომელსაც დევისთვალა ეწოდება.

ეს სახელი სპარსული დევ-ის სახელთან კი არ არის დაკავშირებული, არამედ თურქულ-ქართული სიტყვაა. თურქულად *دewe* „დევე“ აქლემსა ჰნიშნავს და აქ დევისთვალაა გაქართულებული „დევე გიოზი“ უნდა იყოს, რომელიც თურქულად (*دewه گوز*) „აქლემის-თვალა“-ს ჰნიშნავს და შამახის სანახებში შავი, წითელი და თეთრი მსხვილმარცვლიანი, სქელკანიანი საკმელი ყურძნის ჯიშის სახელად იხმარება (იხ. *Очерк виноделия Кавказа*, III, 303—304). უღრის, თუ არა, იგი ჯიშობრივად მაინც ხარისთვალას, ესეც ჭერ

გამოსარკვევია, მაგრამ ცხადია, რომ ნასესხებ-გაქართულებული სახელიც ყურძნის მსხვილმარცვლიანობის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

პირიქით შავი და თეთრი ღორის-თვალა, რომელიც ამჟამად გურიაშია ცნობილი, და შავი სამეგრელოში, სადაც მისი მეგრულად ნათარგმნი სახელი კერთოლი იხმარება, უეჭველია, ყურძნის წვრილმარცვლიანობის დამახასიათებელი და მაუწყებელი უნდა იყოს.

კახეთში არსებობს ჩიტის-თვალა-დ წოდებული ჯიში, ხოლო რაჭასა და ლეჩხუმში გავრცელებულია შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც ყორნისთვალა ჰქვია. რა თქმა უნდა, რომ ეს სახელიც უადრესი წვრილმარცვლიანობის აღმნიშვნელი უნდა იყოს. რაკი ღორის თვალი მოყვანილობითაც განირჩევა, ამიტომ გამოსარკვევია, ეს სახელი, წვრილმარცვლიანობას გარდა, მარცვლის მოყვანილობის თავისებურებასაც ხომ არ ჰგულისხმობს? მაგრამ, სამწუხაროდ, არც ღორისთვალასი და არც ყორნისთვალას აღწერილობა არსად მოიპოვება.

ყურძნის ჯიშის მსხვილი და წვრილმარცვლიანობის ზემომოყვანილი სახელები ყველა ცხოველთა თვალთან დამსგავსებაზეა დამყარებული.

ამათ გარდა ისეთი სახელიც არსებობს, რომელშიც მარცვლის სიმსხო პირდაპირ არის აღნიშნული. მაგ., ქართლში არსებობს შავი, დიდმურად წოდებული, ყურძნის ჯიში, რომელსაც მსხვილმარცვალა-საც ეძახიან. ხოლო კახეთში არის წვრილმარცვალა-დ სახელდებული ჯიში, სამეგრელოში კი გავრცელებულია ყურძნის ჯიში, რომელსაც ჩე-ჭიფეში ეწოდება. იქითგან ეს ჯიში და თვით სახელიც გურიაშიც არის შეტანილი, სადაც ჩუპეში ჰქვია, ხოლო გურიითგან იგი აჭარაშიც შეუთვისებიათ, სადაც სახელად ჩიჭიბე-ა მიღებული. ამ ჯიშის აქარული სახელი ცხადპყფოს, რომ წინათ გურიაშიც ამ ჯიშის სახელს თავში ჩე უნდა ჰქონოდა.

ჩეჭიფეში მეგრული სახელია და თეთრ (ჩე) წვრილისას (ჭიფე-ში) ჰნიშნავს. რა თქმა უნდა, რომ ეს სახელი ყურძნის წვრილმარცვლიანობას ჰგულისხმობს.

მარცვლის სიმსხოს გარდა, ქართველ მევენახეს ყურძნის ჯიშის განმასხვავებელ ნიშნად მარცვლის მოყვანილობაც მიუჩნევია და ეს გარემოება ყურძნის ამათუიმ ჯიშის აღსანიშნავად გამოუყენებია.

ერთი ამ სახელთაგანი ჯიშის მრგვალმარცვლიანობას ახასიათებს. სახელდობრ, კახეთში არის მრგვალყურძენა, ხოლო სამეგრელოში ყოფილა ყურძნის ჯიში, რომელსაც ჩერგვალი ჰრქმევია. ეს მეგრული სახელი თეთრ (ჩე) რგვალსა ჰნიშნავს. საფიქრებელია, რომ წინათ მრგვალი-ს სახელი ყურძნის ჯიშისათვის, კახეთსა და სამეგრელოს გარდა, საქართველოს სხვა თემებსაც ექმნებოდათ და ეგების სადმე ეხლაც იყოს დაცული.

მარცვლისავე მოყვანილობის დამახასიათებელ ყურძნის ჯიშთა სახელების ჯგუფს თითო-ც მიეკუთვნება, რომელიც საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და აღმოსავლეთ საქართველოშიც, კახეთს, ქართლში, სადაც მისი ყვითელი, თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არსებობს, სამცხეშიც მოიპოვება და ლიხთიმერეთის ოთხ თემშიც არის, არგვეთსა, რაჭასა, ლეჩხუმსა და გურიაში. ხოლო სამეგრელოში გავრცელებული სახელი დედოფლის კითი, ანუ დედოფლის თითი-ც იმავე, ანდა მსგავსი ყურძნის ჯიშის სახელი უნდა იყოს.

ცხადია, რომ თითა ყურძნის მარცვლის თითის მაგვარად გრძელი და მრგვალი მოყვანილობის აღსანიშნავად გამოყენებული სახელია.

საგულისხმოა, რომ კახეთში, მევენ.-მელვინ. ინსტ-ის ცნობით, თითა ბუდეშურის სახელიც არის, რომელიც თითა-ს თავდაპირველს მნიშვნელობასა და მარცვლის მოყვანილობის აღმნიშვნელობას მკაფიოდ ამჟღავნებს.

თითას მსგავსად, არსებობს ცხენის-ძუძუა-ც, რომელიც ყურძნის ჯიშის სახელად კახეთში და სამცხეშიც არის მიღებული და გურიასა, აჭარას, შავშეთსა და კლარჯეთშიცაა გავრცელებული. ამ ორ უკანასკნელ თემში ცხენის-ძუძუას თეთრიცა და შავი სახესხვაობაც არის. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ამ ყურძნის ჯიშის სახელი ფერის გამომხატველი არ უნდა იყოს. მაშასადამე, ისიც ყურძნის მარცვლის მოყვანილობის დამსგავსებითს სახელს უნდა წარმოადგენდეს.

საინგილოში არსებობს ყურძნის ჯიში, რომელსაც ქეჩი-ემქაგი ეწოდება, რაც თურქულად თხის ჯიქანს ჰნიშნავს. ეს სახელი საქართველოს ამ თემში, ჰერეთში, მოსახლეობის ნაწილის გამაჰმადიანება-გათურქების დროს უნდა იყოს უკანასკნელ საუკუნეებში შესული. მ. ჯანაშვილს ნათქვამი აქვს, რომ ქეჩი-ემქაგი იგივე თითა-აო (იხ. აქვე, გვ. 417), მაგრამ უფრო ზედმიწევნითი იქმნებოდა ამ თურქული სახელის ცხენის-ძუძუს მსგავს სახელად მიჩნევა. რაკი ცხენის-ძუძუ კახეთშიც არის, ამიტომ საფიქრებელია, რომ ცხენის-ძუძულ წოდებული ყურძნის ჯიში წინათ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში იქმნებოდა და რომ ჰერეთში, საინგილოში, ეს ქართული სახელი მოსახლეობის ნაწილის გამაჰმადიანება-გათურქების დროს მონათესავე თურქულ სახელად შეცვლილა.

ცხენის-ძუძუას ყურძნის ჯიშის მარცვალი მოყვანილობით თითად წოდებული ჯიშის მარცვლისაგან იმ მხრივ უნდა განსხვავდებოდეს, რომ მას, ძუძუს მსგავსად, თავმსხვილი, ბოლოსკენ დაწვრილებულ-წაგრძელებული მოყვანილობა ექნება.

ყურძნის ჯიშის არაერთი სახელი მისი მარცვლის კანის თვისების დამახასიათებელია. მაგ., საინგილოში ერთ ჯიშს, რომლის მარცვალი თხელკანიანია, **თხლაფა** ეწოდება. გურიაში გავრცელებული **თქვლაფა**-ც, უეჭველია, იგივე სახელი უნდა იყოს, თუმცა არც ამ ჯიშის აღწერილობა მოიპოვება სადმე, მაგრამ რაკი თხლაფა უნდა „თხლაჰკაჰ“-საგან იყოს წარმომდგარი, ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ამ ყურძნის დამახასიათებელ თვისებად ხალხს მისი მარცვლის თხელკანიანობა მიუჩნევიდა.

რათგან ამ ჯიშის სახელი საქართველოს ორ უკიდურეს თემში, საინგილოსა და გურიაშია დაცული, ამიტომ უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ძველად ეს ჯიშიცა და ეს სახელიც მათ შუა მდებარე საქართველოს დანარჩენ თემშიც უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

ამპელოგრაფების მოვალეობაა გამოარკვიონ, საინგილოს თხლაფა და გურიის თქვლაფა ჯიშობრივად სრულ იგივეობას წარმოადგენენ, თუ მათ შორის რაიმე განსხვავება მაინც არსებობს.

ყურძნის მარცვლის კანის სწორედ ამის საწინააღმდეგო თვისების, სქელკანიანობის, გამომხატველი სიტყვებიც გამოუყენებია ქართველ მევენახეს ყურძნის ჯიშის სახელად. ქართლში, დიღომში, დაცულია ერთი თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც **კაქნატელა** ეწოდება, ზოგი მას თურმე ქიშურსაც ეძახის. რო-

გორც უკვე დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 437), კაცნატელად წოდებულ ყურძენს „სქელკანიანი და ხორციანი მარცვალის ასხია“ ისე, რომ ჰამის დროს, კბილის მოხვედრისას მარცვალს კნატუნი გააქვს“-ო. მარცვლის სწორედ ასეთი სქელკანიანობის თვისების დამახასიათებელია ამ ჯიშის სახელი კაცნატელა.

კახეთში კი კნატუნა ყურძენის-ს სახელი არსებობს.

ყურძენის მარცვლის ხორცკანის სისქისავე გამომხატველი სახელი უნდა იყოს იმერეთსა და რაჭაში გავრცელებული თეთრი ყურძენის ჯიში, რომელსაც კრახუნა ეწოდება. ამას სიტყვა კრახუნი-ს ჩვეულებრივი მნიშვნელობა გვაფიქრებინებს. დასავლეთ საქართველოში კრახუნი, კნატა კნუტს, კნატუნს ჰნიშნავს. ვ. ბერიძის განმარტებით, „კრახუნი ტყვერა, თბილისა და მისთანა მტკრევა და ჰამაა“. ამბობენ: „თბილი ბევრი ვაკრახუნე, მარა კუჰს ვერაფერი უშველა“-ო (იხ. სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, 25).

ამ ჯიშის სახელისდა მიხედვით კრახუნა-ს სქელ-ხორც-კანიანობის ჩვენს ზემომოყვანილ მოსახრებას თითქოს ამ იმერული ჯიშის ყურძენის თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 453) მოყვანილი აღწერილობა ეწინააღმდეგება, რათგან იქ კრახუნას მარცვალი, თუმცა ხორციანად, მაგრამ თხელკანიანად და ნაზად არის მოხსენებული, მაგრამ აქ რომ რაღაც შეცდომა, ან გაუგებრობა უნდა იყოს, ამას, ამ ჯიშის სახელის მნიშვნელობის გარდა, კრახუნა-ს რაჭული დახასიათებაც ცხადჰყოფს. რაჭველთა სიტყვით (იხ. აქვე, გვ. 462) კრახუნას „ყურძენს რომ ვსჰამთ ხოლმე, პირში სკდება, კრახუნობს“-ო. ამნაირად, კრახუნა მართლაც ამ ჯიშის ყურძენის სქელ-ხორც-კანიანობის მაუწყებელი ყოფილა.

შესაძლებელია სახელთა ამავე ჯგუფს სამეგრელოში გავრცელებული შავი მახვატელი-ც ეკუთვნოდეს. 79 წ. მოხუცის ს. ონტოფოს მცხოვრების ბეს. ნადარეიშვილის ცნობაში ოხვატუ-ა დასახელებული, რომელიც მისი სიტყვით მაღლარი ჯიში ყოფილა, „კარგად ისხამდა, ყურძენს შავს ისხამდა“ და რომლისგანაც „ღვინო გამოდიოდა თხელი, კარგი და შედარებით მაგარ“. უეჭველია მახვატელი და ოხვატური ერთიდაიგივე ჯიშის სახელები უნდა იყოს ისევე, როგორც სხვა წყაროებში მოხსენებული მახვატური-ც. მეგრ. ხვატუა კენეტას, კნატუნს, ტყვერვასა ჰნიშნავს და ზემომოყვანილი სახელებიც ამ ჯიშის ყურძენის სწორედ ამ სქელკანიანობის გამომხატველებია. მათგან ოხვატუ წმინდა მეგრული წარმოების სახელია, დანარჩენს ორს კი ო-ს მაგიერ მა თავსართი აქვს.

ყურძენის ორი ჯიშის სახელწოდებად მარცვლის ყუნწზე დამაგრებულობის შედარებითი სიმტკიცის დამახასიათებელი სიტყვაა გამოყენებული. ლეჩხუმში არსებობს თეთრი ყურძენის ჯიში, რომელსაც ყუნწ-მაგარა-ს ეძახის ხალხი. ხოლო კახეთში და რაჭაში გავრცელებულია ყურძენის თეთრივე ჯიში, რომელსაც მცვივანი ჰქვია. გურიაში ერთი შავი ჯიშის სახელად მცვივანი-ც იხმარება, მაგრამ არსებობს შავივე ჯიშიც, რომელსაც მცვინარა-ს ეძახიან.

ცხადია, რომ ყუნწმაგარა-ს ყურძენს მარცვალი ყუნწზე ჩვეულებრივზე უფრო მტკიცედ ექმნება დამაგრებული. მცვივანი-სა და მცვინარა-ს ჯიშებს კი პირიქით ყუნწ-მარცვალს შორის კავშირი იმდენად სუსტი ჰქონია, რომ მარცვალი ყუნწს ადვილად ჰშორდება და მტევანს მარცვლები ადვილად სცვივა.

შესაძლებელია, შავი ჯიშის მეგრული სახელი მაჰკვატური, როგორც პროფ. არნ. ჩიქობავა ფიქრობს, ნამდვილად მაჰკვატური იყოს და მეწყვეტსა ჰნიშნავ-

დეს. მაშინ ეს სახელიც მარცვლის (ან ეგების მტევნის?) ადვილი მოსაწყვეტობის გამომხატველი, მკვივანის მსგავსი სახელწოდება გამოდგებოდა.

მარცვლის თავისებური თვისებისავე აღმნიშვნელია მწვანეს ერთი სახესხვაობის სახელად ქცეული მჭკნარა, რომელიც კახეთშია გავრცელებული. მაგრამ წყაროებში აღნიშნული არ არის მარცვლის ის თვისება, რომელმაც ქართველ მევენახეს ამნაირი სახელი დაარქმევინა.

ამპელოგრაფიული სრული აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, თუ ვაზ-ყურძნის ჯიშის რომელი თვისების დამახასიათებელი უნდა იყოს შავშეთ-კლარჯეთში გავრცელებული სახელი შიშველი. ვიცით მხოლოდ, რომ წითელი, საშუალო სიდიდის მარცვლიანი, საქმელი ყურძენია (იხ. აქვე, გვ. 485), მაგრამ არც ერთი ამ ნიშანთაგანი, ცხადია, ამ ჯიშის შიშველ-ად სახელდების ასახსნელად არ გამოდგება. შესაძლებელია, რომ აქ ან მარცვლის კანის უცვილიანობა იგულისხმებოდეს, ან ვაზის ფოთლის უბუსუსობა. პირიქით კახური სახელი ნაბადა მწვანე საფიქრებელია ამ ვაზის ფოთლის სწორედ უხვი ბუსუსიანობის გამომჟღავნებელი სახელი უნდა იყოს, ლათინური *lanata*-ს მსგავსად.

§ 5. მარცვლის ფერის მაუწყებელი ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი

საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებული იყო ყურძნის ჯიშების სახელები, რომელნიც მათი მარცვლების შეფერადების აღმნიშვნელია, მაგ. კახეთში და აჭარაში არსებობს ჯიში, რომელსაც შავი-ყურძენი ჰქვიან სახელად, ხოლო იმერეთში არგვეთულ საფერე-ს მეორე სახელად შავა-საც უწოდებენ. გურიაშიც არსებობდა ჯიში, რომელსაც შავყურძენა ერქვა. შავშეთ-კლარჯეთშიც ერთ ყურძნის ჯიშს შავრობი ჰქონია სახელად. რაკი შავი ფერი სხვადასხვა ჯიშის ყურძენს აქვს, ამიტომ გამოსარკვევია შავი ყურძენი, შავა და შავყურძენა ერთისადიამვე, თუ სხვადასხვა ჯიშის სახელად უნდა იქმნეს ცნობილი. ამასვე უნდა მეგრული უჩაც დაემატოს, მაგრამ იქ ეს სიტყვა ჯიშისა კი არა, არამედ მისი მხოლოდ ფერის (ხარდანი უჩა) განმასხვავებლად გვევლინება.

ასეთივე თვისების სახელია ქართლში ფერადი, რაჭაში ფეროვანი, ანუ ფერუანი, გურიაში წითლიანი და სამეგრელოში ჭითაში. უკანასკნელი ორის მნიშვნელობა იმდენად ცხადია, რომ ამ ყურძნის ჯიშების წითელფერიანობა უეჭველია, ფერადი-სა და ფეროვანი-სა, ანუ ფერუანი-ს ნამდვილ აღმნიშვნელობას კი განმარტება სჭირდება.

ფერი ქართულად მარტო ფერადს კი არ ჰნიშნავს, არამედ კონკრეტულად წითელ ფერადაც იგულისხმება. ეს უცილობლად იმ სიტყვით, ფერ-უმარილითაც მტკიცდება, რომელიც ქალის სახის წითლად და თეთრად შესაფერადებლად განკუთვნილ ორ საღებავს ეწოდება. უმარილი, როგორც ცნობილია, თეთრი საღებავის სახელია. ფერი კი წითლისაა, საგულისხმოა, რომ ქანურადაც ფერე ფერადსაც და პირისახის შესაფერადებლად განკუთვნილ წითელ საღებავსაც ჰნიშნავს (იხ. ნ. მარის ჭ. გ., 193).

ამნაირად. ირკვევა, რომ ფერადი, ფეროვანი და ფერუანი მნიშვნელობით წითლიანისა და ჭითაში-ს სრულ შესატყვისობას წარმოადგენს. მაგრამ, რაკი წითელი ფერი შესაძლებელია სხვადასხვა ჯიშის ყურძენსა ჰქონდეს და აქვს კიდევაც, ამიტომ ზემოდსახელდებულთა ჯიშებრივი ნამდვილი რაობა უნდა განსაკუთრებით იყოს განხილულ-გამორკვეული.

მთელ საქართველოში იყო გავრცელებული ყურძნის ერთი ჯიშის სახელი, რომელიც კახეთში მუდრიად გამოითქმოდა, ქართლში უღია-დ, იმერეთში ბუღია-დ და შავშეთ-კლარჯეთში კიდევ ჭდე-დ. ყველგან ეს ჯიში შავისა და წითელი ყურძნის ჯიშთა ჯგუფშია მოხსენებული. კახეთში მოვარდისფეროა, ქართლშიც თეთრ-წითელია. დომენიკა ჩიხლაძის ცნობით ბუღია იმერეთში მოვარდისფრო-მონარინჯისფერო ყურძენია. უეჭველია ეს სახელწოდებაც მარცვლის შეფერადების გამომხატველია. ს. ორბელიანის განმარტებით უღალი, ანუ „უალი შავ-მოწითალო“ ფერის აღმნიშვნელი ყოფილა.

მარცვლის მწვანე ფერის სახელი ყურძნის ჯიშის სახელწოდებად მთელ საქართველოში იყო და არის ეხლაც გავრცელებული. კახეთითგან მოყოლებული აჭარამდე, კახეთის განთქმული ჯიშის მწვანე-ს გარდა, ოკრიბული მწვანეს სახელიც არსებობს ლეჩხუმში და იმერული მწვანე სამეგრელოში. ხოლო აჭარაში მწვანაჲ, ანუ წვანაჲ, შავშეთ-კლარჯეთში კი მწვანურა ეწოდება.

ყურძნის არაერთი ჯიშის განმასხვავებელ სახელწოდებად ქართველ მევენახეს მარცვლის თეთრ-ფერიანობა მიუჩნევია. მაგ. გურიაში და აჭარაში არსებობდა და არის ეხლაც ჯიში, რომელსაც თეთრი ყურძენი ეწოდებოდა. რაჭა-სა და ლეჩხუმშიც იყო თეთრა-დ წოდებული ყურძნის ჯიში. ამავე ორს თემში თეთრა-წმინდა-დ სახელწოდებული ჯიში, თუ სახესხვაობაც მოიპოვება.

კახეთშიც არსებობს ერთი ჯიში, რომელსაც თეთრი-ყურძენი ეწოდება. მეორეს კიდევ იისფერი ჰქვიან, მესამეს ოქრო-ყურძენს ეძახიან.

გურიაშიც ერთ ყურძნის ჯიშს თეთრიშა ეწოდებოდა, სამეგრელოში კი ჩეში-ს სახელწოდებით ცნობილი ჯიში ყოფილა, რომლის სახელიც აგრეთვე თეთრისას ჰნიშნავს.

რაკი თეთრად ბევრი სულ სხვადასხვა ჯიშის ყურძენია შეფერადებული, ამიტომ ზემომოყვანილი სახელების მქონებელი ყურძნების ჯიშობის თუ სხვადასხვაობობის საკითხი განსაკუთრებით უნდა იქმნეს განხილული.

დასასრულ, აჭარაში დაცული ერთი თეთრი ჯიშის ნიშანდობლივ თავისებურებად მისი მარცვლების გამკვირვლობაა მიჩნეული და სწორედ ამიტომვე უნდა ბროლა სწოდებოდა.

ქართლში, ატენის მდამოებში, გავრცელებული მომწვანო-მოქარვისფერო მარცვლიანი, ჩინური-ს სახელწოდებით ცნობილი ყურძნის ჯიში, რა თქმა უნდა, სადაურობის აღმნიშვნელი არ უნდა იყოს და შორეული აღმოსავლეთის ქვეყნითგან, ჩინეთითგან, არ იქმნება მოტანილი. მისი სახელი ყურძნის ამ ჯიშის მარცვლების ფერის მაუწყებელი უნდა იყოს. ჩინე ძველ ქართულში, საბას განმარტებით, „ზეთისხი[ლი]ს ფოთლის ფერი“-ს აღმნიშვნელია. ამ ახსნის სისწორე ლექსიკოგრაფს 2 სჯულის წიგნით აქვს დამოწმებული. მაგრამ თავისა და მუხლას დასახელება დაჰვიწყებია. ჩინური ამ ქვეყნის ჯიშის სწორედ მარცვლების ფერის გამომხატველი უნდა იყოს. ჩინური ისევეა ნაწარმოები, როგორც მწითური და ზეთისხილის ფოთლის ფერსა ჰნიშნავს. მართლაც ჩი-

ნურად სახელდებული ყურძნის მარცვლებსაც ხომ მომწვანო-მოქარვისფერო ელფერი აქვს.

სამეგრელოს განთქმული ყურძნის ჯიშისა და ღვინის სახელი ზერდაგი-ც, რომელსაც ვახუშტიც იხსენიებს, აგრეთვე ფერის აღმნიშვნელ სიტყვას წარმოადგენს. ზერდაგი სპარსულითგან შეთვისებული სიტყვაა და ძველ ქართულში მოოქროსფეროს, მოყვითანოსა ჰნიშნავდა. სწორედ ასეთი ფერი ჰქონია ამ ჯიშსაც.

საფიქრებელია, რომ მარცვლის ფერის დამახასიათებელ სახელწოდებათავე ჯგუფს უნდა მიეკუთვნებოდნენ ქართლში გავრცელებული თეთრი ღრუბელა, სამთელა და ჭრელყურძენა-ც.

ყურძნის ნაწილობრივი შეფერადებაც არის ჯიშ-სახესხვაობის ნიშანდობლივ თვისებად და სახელად გამოყენებული. მაგ., იმერეთში არსებობდა ერთი ჯიში, ყურ-წითელა-დ წოდებული, და კიდევ ერთი სხვაც, რომელსაც თავ-წითელა ჰრქმევია. რაკი ორივე თეთრი ყურძნის სახელი ყოფილა, ცხადია, რომ სიწითლე მას მხოლოდ ერთს, გარკვეულ ალაგას ჰქონია, რომლისთვისაც ხალხს ერთ შემთხვევაში ყური, მეორეში კი თავი უწოდებია. სამწუხაროდ, არც ყურ-წითელა და არც თავწითელა ამპელოგრაფიულად არავის აღწერია, რომ გამოკვეთილიყო. თუ მტევნის, ანდა მარცვლის რომელი ნაწილი იგულისხმებოდა თავადა და ყურად.

§ 6. ყურძნის გემოს და სურნელოვანობის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი

რამოდენიმე სახელი ყურძნის ჯიშის გემოს გამომხატველიც არის. ცხადია, რომ ასეთი სახელი მხოლოდ ისეთ ჯიშს დაერქმეოდა, რომლის გემოც ყურძნის ჩვეულებრივი გემოსაგან განსაკუთრებით განსხვავდებოდა. ქართლში, მაგ., მოიპოვება ყურძნის ჯიში, რომელიც მეტად თხელკანიანი და უაღრესად ტკბილია. ამიტომ მისი კანი დამწიფებისას ადვილად სკდება და სიტკბოს გამო მას უარებელი ბუზი ეხვევა ხოლმე. სწორედ ამიტომ მას ხალხმა ბუზის ყურძენი უწოდა. საბუზე ყურძენ-საც უწოდებენ.

პირიქით, რაჭაში იყო შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც მუაველა ეწოდებოდა, ხოლო სამეგრელოში არსებობდა თეთრი ყურძენი, კვაწახურად სახელდებული. ცხადია, ორივე ზემოდასახელებული ყურძნის ჯიში მეტად მყავე უნდა ყოფილიყო.

არსებობს ყურძნის ერთი ჯიში, რომელსაც ქართლში შაბა-ს, კახეთში კი შაბია-ს ეძახიან. ასეთი სახელი იმიტომ ეწოდება, რომ ეს ყურძენი მეტისმეტად მწკლატეა და ტანინის დიდ რაოდენობას შეიცავს.

დასასრულ, სამეგრელოსა და გურიაში გავრცელებულია ყურძნის ჯიში, რომელსაც კოლოში ჰქვიან. იქ ჩეკოლოში-ც არსებობს. უკანასკნელი სახელი თეთრ (ჩე) კოლოშსა ჰნიშნავს, კოლო კი, როგორც პარკოსანი მცენარეებისა და მტილეულობის განხილვის დროს დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 76), მწარესა და ცხარეს ჰნიშნავს. ამიტომ, თუმცა არც კოლოშისა და არც ჩეკოლოშის თვისებების აღწერა არ მოგვეპოვება, მაგრამ სახელი ამ ჯიშის ყურძნის გემოს დამახასიათებელ თვისებას მაინც ამჟღავნებს.

ყურძნის ჯიშის თავისებური სახელია „საკმელა“. ცხადია, რომ ეს სახელი შედარებაზე უნდა იყოს დამყარებული. მაგრამ გამოსარკვევია, თუ საკმელის რომელი თვისება, ფერი თუ სურნელოვანება იგულისხმებოდა, რომ ყურძნის ამ ჯიშს საკმელას სახელი უწოდეს?

საკმელას-ს გავრცელების არე საქართველოში ჩვენი სამშობლოს უკიდურესი აღმოსავლეთი თემითგანვე, საინგილოთგანვე, იწყებოდა, იქ ეს ჯიში „სურნელოვანი გემოს ყურძენია, ნაზი, მწყაზარით“. არსებული ცნობების მიხედვით აღმოსავლეთ საქართველოს თემებში საკმელას ყურძნის ჯიში არა ჩანს. დასავლეთ საქართველოშიც მხოლოდ გურიაში მოიპოვებოდა. მაგრამ, რაკი ძნელი დასაჯერებელია, რომ ყურძნის ეს ჯიში გურიაში უშუალოდ საინგილოთგან ყოფილიყო გადატანილი, აზიტიმ საფიქრებელია, რომ საკმელას ყურძნის ჯიში წინათ და ძველად აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა თემებშიც უნდა ყოფილიყო და მხოლოდ დროთა განმავლობაში იქმნება იქ ეს ჯიში გამჭარალი ანდა იშვიათ, უმნიშვნელო ჯიშად ქცეული.

აღსანიშნავია, რომ საკმელას-ს სახელის მქონებელი ყურძნის ჯიში ამიერკავკასიის თურქთა მოსახლეობაში, არსებული ცნობების მიხედვით, თითქოს არა ჩანს, სამაგიეროდ იგი საკმაოდ ფართოდ იყო სომეხთა შორის გავრცელებული. ეს საგულისხმო გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ყურძნის ეს ჯიში უმთავრესად ქრისტიანთა შორის ყოფილა ცნობილი.

ყურძნის ჯიშის სურნელებისავე გამომხატველი სახელი უნდა იყოს მევენემელვინ. ინსტ-ის ცნობით კახეთში არსებული სულიანი-ყურძენი-ც, რომლის, სამწუხაროდ, არც ფერისა და არც სხვა თვისებებზე და არც გავრცელების არეს შესახებ არა ვიცით რა.

თავი XVI. ყურძნის ჯიშების სამეურნეო დანიშნულების მათხმეველი სახელები

3. ყანდურალოვს თავის ნაშრომში ნათქვამი აქვს, რომ ქართლში მევენახეობას განსაკუთრებით ღვინის დასაყენებლად მისდევდნ და თანაც დამატებული აქვს, რომ საღვინე და საკმელი ყურძნის ჯიშების მკაცრი კლასიფიკაცია არც არსებობსო (იხ. СГСВВГВДК, VIII, 37). სხვანაირად რომ ითქვას, ქართლში ამ ორი ჯგუფის ყურძნის ჯიშებს მოსახლეობა თითქოს თვითონაც ხეივანიანად ვერ უნდა არჩევდეს. ამნაირი აზრი საკმაოდ გავრცელებული იყო და არის ეხლაც.

ამ აზრის სრული მცდარობა ადვილი დასამტკიცებელია და ეს გარემოება ყველასათვის, ვინც კი ყურძნის ჯიშების ქართულ სახელებს ჩაუკვირდება, უმალ ცხადი შეიქმნება. ქართველ მევენახეს არამცთუ ყურძნის ჯიშთა ამ ორი მთავარი ჯგუფისათვის, არამედ სხვა სამეურნეო მიზნისათვის განკუთვნილობის აღმნიშვნელი სახელებიც კი შეუქმნია და ყურძნის მრავალრიცხოვან ჯიშთაგან ამათუიმ სამეურნეო მიზნისათვის განსაკუთრებით გამოსადეგობის მაუწყებელი სიტყვა მის სახელადაც კი უქცევიდა.

მაგ., სამცხეში არსებობდა ყურძნის ჯიში, რომელსაც ავტორთა ცნობით საღვინე ეწოდებოდა. აჭარაშიც შერჩენილია ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც ხაწური ჰქვია. საქართველოს ამ თემში, მაჰმადიანობის გავრცელების შემ-

დგომ, მეღვინეობა მოისპო და ეს სახელი, რომელიც ყურძნის ამ ჯიშის დასაწურად და ღვინის დასაყენებლად განკუთვნილობის მაუწყებელია, რა თქმა უნდა.. ძველი უნდა იყოს. ცხადია, რომ საღვინე-ც და საწური-ც თავდაპირველად ზოგადი სახელები იქმნებოდა და მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, ამ ორი ჯიშის საკუთარ სახელადაც უნდა იყოს ქცეული.

ამ ორ ტერმინს, საღვინე-სა და საწური-ს შორის აღმნიშვნელობის მაინც დიდი განსხვავებაა: საწური თავდაპირველად უფრო ფართო და ზოგადი ცნების გამოხატველი უნდა ყოფილიყო, ვიდრე საღვინე. საწური ყურძნის ყველა იმ ჯიშის ზოგადი აღმნიშვნელია, რომელნიც საჰმელად კი არა, არამედ მხოლოდ დასაწურავად იყვნენ განკუთვნილნი. დაწურვის შემდგომ ყურძნის წვეწვს მარტო ღვინის დასაყენებლად არ ხმარობდნენ, არამედ ზოგს ტკბილად შენახვას რჩეობდნენ, თათარის. ანუ ფელამუშისა და ტყლაპის გასაკეთებლად, ანდა ჩურჩხელების ჩამოსასხმელად. ზოგს ბადავად დასაღვევად, თუ სახმარებლად, ზოგს მაჭრის დასაყენებლად. სამაჭრედ გამოყენებას ამჟობინებდნენ ხოლმე. ამნაირად. საწური ყურძნის ჯიშებში შესაძლებელია საღვინე-ც ყოფილიყო, სამაჭრედ განკუთვნილიც და სატკბილოდ გამოსადეგიც. თვითოეულ ამ ქვეჯგუფთაგანსაც თავისი ზოგადი სახელი ჰქონდა. მაშასადამე, საწური ყურძნის ჯიშები შესაძლებელია მხოლოდ საჰმელ ჯიშებს დაუპირისპირდეს.

როგორც აღნიშნული გვქონდა. ყურძნის საჭარველოში მარტო ღვინის დასაყენებლად არ სწურავდნენ. ან უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას. დაწურული ყურძნის ტკბილს მარტო ღვინოდ დაყენებულს არ სვამდნენ, არამედ მაჭრადაც. ისევე როგორც ტკბილადაც ხმარობდნენ. ქართველ მევენახეს ყურძნის ჯიშთაგან გამოუყვია ვაზთა ისეთი ჯიშები, რომლისგანაც, მისი დაკვირვებით, მაჭრის დაყენება სჯობდა. ამ ჯიშისათვის მას სამაჭრე უწოდებია. მისი ორი სახესხვაობა არსებობს. — თეთრიცა და შავიც, — გურიასა და სამეგრელოში მაინც. ეს ჯიში არგვეთსა და სამოქალაქოს, ლეჩხუმში, გურიაში და სამეგრელოშიც არის გავრცელებული, რომელთაგან უკანასკნელ თემში სამაჭრო, რაქაში კი, სადაც შავი ყურძენია, სამაჭრია ეწოდება.

გურიაში ამას გარდა ერთი ყურძნის ჯიში იყო, რომელსაც ბადავი ერქვა. რაკი ბადავი ყურძნის დადუღებული ტკბილის აღმნიშვნელია, რომლისგანაც ჩურჩხელასა და ფელამუშს, ანუ თათარასაც აკეთებენ და ისედაც სვამენ, ამიტომ საფიქრებელია, რომ ყურძნის ამ ჯიშს შაქრიანობა უხვად უნდა ჰქონდეს და ამ თვისების გამო საბადავოდ გამოსადეგად მიუჩნევიათ.

ყურძნის ჯიშის ზემოაღნიშნულის მსგავსი თვისებისავე მაუწყებელია კახეთში არსებული ყურძნის სახელი საჩურჩხელე-ც.

ყურძნის ჯიშების სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყენების დასპეციალება ქართველ მევენახეს იმდენად შორს წაუშართავს, რომ საღვინედ განკუთვნილ ჯიშთაგან რამდენიმე ყურძნის ჯიშიც კი გამოუყვია სხვა ჯიშის ღვინოების გასაუმჯობესებლად და ფერის მისაცემად.

თეთრი ღვინოების ღირსების გაუმჯობესებისათვის მწვანე იხმარება, ხოლო წითელი ღვინოებისათვის ღირსება-ფერის მისანიჭებლად ერთი ყურძნის ჯიშია განკუთვნილი, რომელსაც ამის გამო ხალხმა საფერავი და საფერე უწოდა კიდევაც. საფერავი-ს სახელი საინგილოთგან მოყოლებული რაქამდნა გაბატონებული, ხოლო იმერეთში ოცხანური და არგვეთული საფერეა გავრცე-

ლებული, ლეჩხუმში საფერავსაც ხმარობენ და საფერესაც, გურიაში, შავშეთსა და კლარჯეთში ისევე საფერავი ბატონობს.

საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებული ყურძნის ჯიშების აღწერილობის გადაკითხვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ შესაფერადებლად ჩვენში რამდენიმე სხვადასხვა ჯიშის ყურძენი (ქართლში, მაგ., თავკვერიც) უსმარიათ. ამიტომ საფერავისა და საფერეების ჯიშობრივი რაობა და რიცხვი ცალკე უნდა იქმნეს გარკვეული.

საგულისხმოა, რომ მწვანეს კახეთში თურმე საფენა-საც უწოდებდნენ (იხ. აქვე, გვ. 425). ეს სახელიც დანიშნულების მათწყებელი თავსართის მქონებელია, ამიტომ საფიქრებელია, რომ საფენა-ც საფერავის. ანუ საფერეს მსგავსი ტერმინი უნდა იყოს. ეს მოსაზრება მით უფროა დასაჯერებელი, რომ მწვანეს წვენსაც თეთრი, უფრო მდარე ღირსების, ყურძნის ჯიშების წვენში განაზავებდნენ ხოლმე მათი თვისების გასაუმჯობესებლად.

ცნობილია, რომ ყურძნის მარცვლის კანიტვან, ჭაჭითვან, არაყსაც ჰხდიდნენ და ჰხდიან ეხლაც. დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთაგან ხალხს ისეთებიც გამოუჩნევია, რომელთა ჭაჭად გამოყენება, როგორც ჩანს, უფრო ხელსაყრელი იყო. ამ ვაზ-ყურძნის ჯიშისათვის სათანადო სახელიც, სამკაჟა. უწოდებია. იგი სამოქალაქოსა, სადაც თეთრია, სამეგრელოსა და გურიაშიც არის გავრცელებული, რომლებშიც ასეთი სახელი შავ ყურძენს ეწოდება. მათი ჯიშობრივი რაობაც გამოსარკვევია.

დასაწურად განკუთვნილ ყურძნის ჯიშთა გარდა, არაერთი ისეთი ყურძნის ჯიშიც იყო, რომელიც თავისი თვისებით ღვინის დასაყენებლად არ გამოდგებოდა, სამაგიეროდ საჭმელად იყო კარგი. ყურძნის ასეთი ჯიშების ნაყოფს ყოველთვის ყურძნად არ სჭამდნენ, არამედ ზოგს ჩამიჩად ახმობდნენ, ზოგს წნილად სდებდნენ. საყურძნედ განკუთვნილ ჯიშებსაც ზოგს დამწიფებისთანავე სჭამდნენ, ზოგს უფრო ხანგრძლივ გამოიზოგავდნენ ხოლმე. მაგრამ საჭმელ ყურძენსაც. თუ მეურნე ქალაქში, ან მთაში გასაყიდად არ გაიტანდა, ერთბაშად ვერ შესჭამდა, ამიტომ მეხილესაც ქალაქში და მთაში. მეტადრე კი მევენახეს სოფლად ისეთი ჯიშის ყურძენი უნდა შეენახა, რომ შემდეგში საჭირთებისამებრ გამოეყენებინა. ამის გამო გამოიზოგოთ საჭმელად და ხანგრძლივ შესანახად განკუთვნილ ყურძნის ჯიშებს გამძლეობა უნდა ჰქონოდათ, რომ გადატან-გადმოტანისა და გამოიზოგვის დროს შენახული ყურძენი ადვილად არ დაფუჭებულიყო. ამნაირად, თუმცა უცნაურობა კი გამოდის, მაგრამ ძველად (და ნაწილობრივ ეხლაც) საჭმელი ყურძნის ჯიში შესანახავად განკუთვნილი ხილის თვისების მქონებელი უნდა ყოფილიყო. ეს გარემოება მეტადრე მაშინ შეიქმნება ცხადი. როცა გავიხსენებთ, რომ საწური ყურძნის ჯიშები მოკრეფის უმაღლესობადა და ამიტომ ამ ჯიშებს არც შენახვა სჭირდებოდათ და არც ისეთი გამძლეობა, როგორც საჭმელ ჯიშებს.

ზემოთქმულის შემდგომ ძველი ქართულის მცოდნესთვის ადვილი გასაგებია, თუ რის აღმნიშვნელი უნდა იყოს რეალურად გურიაში დაცული ყურძნის ჯიში, რომელსაც უკვე საშუალო საუკუნეებისა და მით უმეტეს თანამედროვე ქართველისათვის ისეთი უცნაური სახელი ჰქვიათ, როგორიც სამარხი-ა.

ეს ყურძნის ჯიში, რომელსაც გურიაში სამარხი ეწოდება, ძველი ქართული ჯიში უნდა იყოს. ამ გარემოებას თვით მისი სახელიც ცხადად ამჟღავნებს. სა

მარხი ისევია ნაწარმოები, როგორც სამაჰრე-დ, საღვინე-დ და სამქაჟა-დ წოდებული ყურძნის ჯიშების სახელებია. ამიტომ ამ ყურძნის სახელიც უნდა მისი დანიშნულების გამომხატველი იყოს. თანამედროვე და საშუალო საუკუნეების ქართულის მცოდნეს უმაღლ მარხვა, დიდმარხვა, მოაგონდება და გაიფიქრებს. რომ ეს ჯიში დიდმარხვისათვის განკუთვნილი ყურძნის აღმნიშვნელია. მაგრამ ასეთი მოსაზრების სისწორის დაჯერება ძნელია, რათგან წარმოუდგენელია, რომ მარხვისათვის განსაკუთრებული ჯიში ყოფილიყო, რათგან ამას არავითარი აზრი არ ჰქონდა და არც ექმნებოდა.

მაგრამ მარხვა ძველ ქართულში თავდაპირველად შენახვას ჰნიშნავდა. ოთხთავისა და დაბადების ქართულად გადმოთარგმნის დროსაც ამ სახელზმნას წინანდებურად შენახვის და დაცვის მნიშვნელობა ჰქონია. აქეთგანვე იყო ნაწარმოები ტერმინი ნამარხევი, რომელიც მინაბარს, მიბარებულს, ანაბარსა ჰნიშნავდა (იხ. ჩემი — „ქართული სამართლის ისტორია“, IIb, გვ. 466—467).

ზემოთქმულითგან ცხადი ხდება. რომ სამარხი შესანახავის აღნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ე. ი. ისეთი ყურძნის ჯიშების დამახასიათებელი სახელია, რომელიც შესანახავად ყოფილა გამოსადეგი და განკუთვნილი. სამარხი-ს სახელის ჩვენი განმარტების სისწორეს ყურძნის ამ ჯიშის ნიშანდობლივი თვისებაც ამტკიცებს. ერმ. ნაკაშიძეს ნათქვამი აქვს, რომ „სამარხი ერთი საუკეთესო ხუფრის ჯიშია, ყურძენი დიდხანს ინახებაო“⁸¹. ამ თვისების გამომხატვა უპველეს ქართულში, როგორც დავრწმუნდით, მარხვა სახელზმნისაგან ნაწარმოები სიტყვით შეიძლებოდა და სამარხი-ც სწორედ დიდხანს შესანახავად განკუთვნილი და გამძლე ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელია.

რამდენადაც მევენახეობა-მეღვინეობა საქართველოს სასოფლო მეურნეობაში შემოსავლის საგრძნობ წყაროს წარმოადგენდა, იმდენად ქართველი მევენახე უნდა ცდილიყო ვაზის ჯიშთა შორის უხვი მოსავლის უნარიანობის მქონებული გამოეყო. მართლაც კახეთში, მევენ.-მეღვინ. ინსტ.-ის ცნობით, ერთი ჯიშიც კი ყოფილა, რომლის ეს თვისებაც ხალხს მის სახელადაც კი უქცევია და რომლისთვისაც მოსავლიანი უწოდებია.

სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაში საკმელად და გასაყიდად განკუთვნილ ჯიშთათვის უაღრესი მნიშვნელობა ყურძნის დამწიფების დროსა ჰქონდა და აქვს ეხლაც. ადრე თუ გვიან შემოდოდა იგი, რათგან ყურძნის ყველა ჯიში ერთსადიმავე დროს არ მწიფდება. ეს საკითხი მნიშვნელოვანი და, შესაძლებელია ითქვას, საბედისწერო იყო და არის სხვადასხვა თემისა და გეოგრაფიულ პირობებში მყოფი მევენახეობ-სათვისაც, რათგან ზოგან მხოლოდ ადრეული ჯიში იყო და არის გამოსადეგი, ზოგან პირიქით გვიანი უფრო ხელსაყრელი იყო და არის ეხლაც, ანდა ბევრგან ატმოსფერულ მოვლენათა უკუდმართობისაგან და მოსალოდნელი ეკონომიური ზარალისაგან თავის დასაცავად და კომერციული თვალსაზრისითაც სჯობდა, რომ მევენახეს ადრეულიც, ჩვეულებრივიც და გვიანი ჯიშის ყურძენიც ჰქონოდა.

ყველა ამ გარემოებამ მევენახის გულისყური ადრეული და გვიანი ჯიშების ძიებისადმი მიაპყრობინა და ამიტომვე ყველა ქვეყნის მევენახეობას ასეთი ჯიშებიც გააჩნია. საქართველოშიც არსებობს ისე, რომ ზოგიერთი ყურ-

⁸¹ ეს სიტყვები ჩვენგანაა გახაზული.

ძნის სახელადაც კი სწორედ ამ თვისების გამოქვეყნებული სიტყვა იქცა. კახეთში, მაგ., არის ჯიში, რომელსაც ადრეული ეწოდება. ასეთი სახელის მქონებული ვაზ-ყურძენი ქართლშიც მოიპოვება, სადაც ამას გარდა აღრიანი, ან ანდრიანი-ც იხმარება. ჩვეულებრივს საუბარში მევენახენი, მეტადრე დასავლეთ საქართველოში, ყურძნის ადრეულ ჯიშებს ზოგადად საადრიო-ს ეძახიან.

იმისდა მიუხედავად, რომ დასავლეთ საქართველოში ბევრა გვიანი ყურძნის ჯიში იყო, გასათვარი გარემოებაა, რომ იქ ყურძნის ჯერ არც ერთი ჯიში აღნუსხული არ არის, რომელსაც სახელად ამ თვისების მაუწყებელი სიტყვა ჰქონდეს. სწავიეროდ ასეთი სახელწოდება ამერეთშია შერჩენილი. სახელდობრ, ყურძნის იმ ჯიშებს, რომელნიც მოგვიანებით მწიფდებიან, კახეთში საგვიანო ეწოდება. იქ, მაგ., სვეულებრივს გარდა საგვიანო ჯიშად წოდებული ჯიშიც არსებობს.

ყურძნის ადრეული, ანუ საადრიო ჯიშის სახელი უნდა იყოს იმერეთსა და გურიაში შერჩენილი სადადეგო. მისი სახელი დანიშნულების მაუწყებელი სათვასართისა და დადეგი-საგან არის ნაწარმოები. უკანასკნელი სიტყვა უეჭველია წელიწადის დასაწყისს უნდა მნიშნავდეს. ამნაირად სადადეგო ყურძნის ისეთი ჯიშის აღმნიშვნელია, რომელსაც წელიწადის დამდგენსათვის უკვე მწიფე იყო ხოლმე. ცხადია, რომ აქ წელიწადის დასაწყისად იანვარი კი არა, არამედ ენკენისთვე უნდა იგულისხმებოდეს. მაშასადამე, სადადეგო ისეთი ჯიშის ყურძნის სახელი ყოფილა, რომელიც ენკენისთვისათვის უკვე საკმელად ვარგოდა, ე. ი. რომელიც ადრეული იყო.

კახეთში, სადაც ყურძნის საღვინე ჯიშები სპარბობენ, საკმელად განკუთვნილ ყურძნის ჯიშებს ა. ფირალოვისა და ს. შავერლოვის სიტყვით „სათვალო ყურძენი ეწოდებოდა (СВВГВДК. VII, 37). მაგრამ საფიქრებელია, რომ სათვალო ყურძენი ყველა საკმელ- ჯიშის ჯგუფს კი არ უნდა გულისხმობდეს, არამედ უმთავრესად ისეთ ყურძნის ჯიშებს, რომელნიც გარეგნულად, შესახედავად და თვალისთვისაც ხასიათი იყო და არის. საფიქრებელია, რომ ასეთ სათვალო ყურძნად, მაგ. ხარისთვალად, თითა, ცხენისძუძუ, მელისკუდაა და მათი მსგავსი სხვებაც იქნებოდა მიჩნეული.

დასასრულ, ყურძნის ჯიშის ხარისხებრივი და ბატონყმური დანიშნულების მაუწყებელი სახელია ქართლში გავრცელებული ჯიშის საბატონო-ს სახელწოდება, რომელსაც დიდმურიც ჰქვია, მაგრამ, როგორც შემდეგში, საქართველოში გავრცელებული ვაზ-ყურძნის ჯიშების გაჩენის ხანის განხილვის დროს დავრწმუნდებით. საბატონო შედარებით გვიანი სახელია.

ამას გარდა, საქართველოში ერთი ყურძნის ჯიშიც მოიპოვება, რომელსაც სახელად სააბი ეწოდება. იგი კახეთშია გავრცელებული, სადაც მისი თეორიკა და შავი სახესხვაობაც არსებობს, ქართლში მისი შავი სახესხვაობაა მხოლოდ აღნუსხული და რაჭაშიც შავივე გვხვდება.

როგორც თავის ადგილას აღნ-შნული მაქვს, სააბი არაბულ-სპარსული სახელია. სადაც სააბი სწორედ საბატონოსა მნიშნავს. ყურძნის ეს ჯიში შირვანსა და შაქშიც და სომხეთშიც არის გავრცელებული. ამ გზითვე უნდა იყოს ეს ჯიში საქართველოში შემოტანილი.

ვაზ-ყურძნის რამოდენიმე ჯიშის სახელი მათი დაბლარად, ანდა მაღლარად გაზრდის განკუთვნილობის გამომხატველია. მაგ., იმერეთში არსებობდა თეთ-33. ივ. ჯავახიშვილი, V

რი ყურძნის ჯიში, მალლარი-ს სახელით ცნობილი, ისევე, როგორც შავს ადანასურს მეორე სახელად მალლარი-ც ეწოდებოდა.

ამნიარადვე, ლეჩხუმში იყო შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც ოჯალეში ერქვა. მაგრამ იმერეთსა და სამეგრელოში ასეთი სახელის მქონებული ერთი კი არა, არამედ რამოდენიმე ჯიშია: მაგ. შონურს, ანუ სვანურსაც კი პუმპულასაც აგრეთვე ოჯალეშსაც უწოდებენ. ცხადია, რომ ოჯალეში ზოგადი ცნების, სახელდობრ ვაზის მალლარობის გამომხატველი მეგრული ტერმინია (იხ. აქვე, გვ. 464).

პირიქით, ხარდანი, სამეგრელოში შავი და თეთრი, გურიაში კი შავი ჯიშის სახელი და ვერნახი შავისა სამეგრელოში ამ ჯიშის ვაზების დაბლარად დაყენების განკუთვნილობის მაუწყებელი სახელებია.

ვაზის დაყენების წესის დანიშნულების გამომხატველია აგრეთვე კახეთში გავრცელებული შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც ხეივანის-ყურძენი ეწოდება. როგორც თვით მისი სახელითგანაც ჩანს, ვაზის ეს ჯიში ხეივანად გაშენებისათვის ყოფილა განკუთვნილი.

კიდევ არის რამდენიმე ყურძნის ჯიში, რომლის სახელი თითქოს აგრეთვე დანიშნულების მაუწყებელი სიტყვა უნდა იყოს, როგორც მაგ. შავშეთ-კლარჯეთში გავრცელებული შავი სალიკლევი, გურიაში — საკვირჩხილა და იმერეთში — სათიბა, მაგრამ მათ თვისებათა აღწერილობა არ მოგვეპოვება და ამის გამო მათი სახელის მნიშვნელობის გამორკვევა შეუძლებელია. ამიტომ ჯერჯერობით მათზე არაფრის თქმა არ შეიძლება.

თავი XVII. ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სადაურობის მაუწყებელი სახელების ჯგუფი

კახეთში, ქართლსა და სამცხეში გავრცელებული ყურძნის ჯიში ბუდეშური ამ ჯიშის სადაურობის მაუწყებელი სახელია და საფიქრებელია ბუდეშოთგან უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ, რამდენადაც 5-ვერსიანი რუკის ცნობების მიხედვით მსჯელობა შესაძლებელია, ასეთი გეოგრაფიული სახელი საქართველოში არა ჩანს, არის მხოლოდ ბუდას-ხევი ბათუმის ოლქში, ბუდელაური მდინარის სახელია თიანეთის ყ. მაზრაში და ბუჯა, რომელიც აგრეთვე ხევის წყლის სახელია არგვეთში. თიანეთი მევენახეობის კერად მისაჩნევი არ არის, ხოლო ბუჯა და ბუდას-ხევი ბუდეშურის. სამშობლოდ იმიტომაცაა ძნელი მისამჩნევი, რომ ეს ყურძნის ჯიში ამერეთს არ სცილდება და ლიხთ-იმერეთში არა ჩანს.

თუ ამ ყურძნის ჯიშის სადაურობას საქართველოს გარეშე დავუწყებთ ძებნას, მაშინ შესაძლებელია ბუდეშური დაღესტნის რესპუბლიკის საშხრეთის, რუტულის კანტონის ბუჯ-ის სახელთან დაგვეკავშირებინა. რუტულურად „ბუჯელხ ბუჯეშურა“ ეწოდება (ბუჯ-ისა და ბუჯელის სახელი იხ. ად. დირრი, Рутульский яз., ტფილისი, 1911, გვ. 184).

ბუჯეშურა ისე მიაგავს ბუდეშურს, რომ ამ ორი სახელის იგივეობის აზრის დაჭერება ადვილი იყო, აქ რომ ერთი გადაულახავი დაბრკოლება არ ელობებოდეს წინ. საქმე ის არის, რომ რუტულის კანტონი მთიანეთს წარმოადგენს

და, ამ ბუნებრივი პირობების გამო, იქ ალბური საძოვრებია და არცის ხის ტყეა. მოსახლეობაც იქ მესაქონლეობას მისდევს და მემინდვრეობაც კი რუტულის კანტონში ნაკლებ არის გავრცელებული. თვით ბორჯ-ის მცხოვრებნიც მეცხვარეობას მისდევენ (იხ. Mr. и Нк. Цебенко-ს „Страна здоровья Дагестан“, 1929, Датгосиздат, 232—233). თავისდათვად ცხადია, რომ ამ ადგილას მევენახეობაზე საერთოდ ლაპარაკიც კი არ შეიძლება, ამიტომ მისი შემოქმედებით მევენახეობის ცენტრად მიჩნევა სრული უაზრობა იქმნებოდა.

ზემოაღნიშნული გარემოება, სამხრეთ დაღესტანში, რუტულის კანტონში, ბუჯად წოდებული გეოგრაფიული ადგილის არსებობა, მაინც საინტერესოა და საგულისხმო. ბუჯა, როგორც დავრწმუნდით, იმერეთშიც, არგვეთშიც არსებობდა. გეოგრაფიული სახელების მიგრაციის მრავალი შემთხვევის გამო, თვით საქართველოშიც კი, უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ ასეთი სახელის მქონებელი ადგილი ოდესღაც შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოში და ძველ ალბანეთშიც ყოფილიყო ისეთ არეში, სადაც მევენახეობა ბატონობდა, მაგრამ დროთა განმავლობაში და ჩვენი ქვეყნის მტრებისგან მრავალგზისი აზიების გამო ეს ადგილიც გამქრალიყო და მევენახეობაც მოსპობილიყო. ზემონათქვამისდა მიხედვით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ ბუდეშური ამ ჯიშის სადაურობის მათუწყებელი სახელია და მისი სამშობლო ან აღმოსავლეთ საქართველოში, ანდა ალბანეთშია საგულისხმებელი. ხოლო, რაკი ყურძნის ჯიშის ასეთი სახელი არც დაღესტანში, არც ყ. ალბანეთში, შირვანსა და შაქში, და არც სომხეთში არსად მოიპოვება, ამიტომ ბუდეშური აღმოსავლეთ საქართველოს ჯიში უნდა იყოს.

წობანური თავისი ბოლოსართი ური-თ ცხადპყოფს, რომ ყურძნის ამ ჯიშის სახელი მისი სადაურობის აღმნიშვნელია. ამისდა მიხედვით უეჭველია „წობანი“ იმ ადგილის სახელი უნდა იყოს, საითგანაც ეს ჯიშია წარმოშობილი. კახეთში მართლაც არსებობდა ასეთი კი არა, არამედ ამის შავგარი სახელი: იყო თემი და სოფელი, რომელსაც წობენი ერქვა. როგორც VII—XII სს. საქართველოს საისტორიო გეოგრაფიაში მაქვს აღნიშნული, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატიანეში მოხსენებული წობენი ერწოს ჩრდილო-დასავლეთით მდებარეობდა (იხ. II¹, 300). წობენი-ს თემი, *ბიძნორ* „წობენორ“-ის სახით, ხამხურ უსახელო გეოგრაფიაშიც მოიპოვება და იქაც ერწოსა და თიანეთის გვედლით იხსენიება (იხ. Arsène Soukry-ის გამოც., სომხ. გვ. 28, შდრ. ფრანგ. დაბჭ., გვ. 39, სადაც „Zopenor“-ია დაბეჭდილი). წობანიქდა წობანის მთა 5-ვერსიან რუჯაზეც არის აღნიშნული წინ დუშეთის ვასწორივ და მარჯნივ, არაგვსა და იორს შუა. მაშასადამე, წობანური ამ კუთხის ყურძნის ჯიში ყოფილა.

კახეთშივე გავრცელებული ყოფილა ყურძნის ჯიში ქიშური. თუმცა მისი ამჟღავნებელი აღწერილობა და სხვა რაიმე ცნობები არ მოგვეპოვება, მაგრამ მისი სახელი გვაფიქრებინებს, რომ ყურძნის ეს ჯიში ძველი ჰერეთის, აწინდელი საინგილოს, კარგად ცნობილი გიშის ხეობითგან უნდა მომდინარეობდეს. მართალია, უკვე გეევსკისა და შარარერს ნათქვამი აქვთ, თითქმის ქიშური ქისტურს ჰნიშნავდეს („Кишури, т. е. кистинский“, ТрКобСХ, 1886, № 12, 827), მაგრამ ეს განმარტება მცდარია. სპარსეთშიც და ადერბეიჯანში აწუხ უიშ-უზუმ-ად წოდებული ჯიში. შესაძლებელია ვისმე ეფიქრა, რომ ქიშური ამ

სახელისაგან, რომელიც ზამთრის ყურძენსა ჰნიშნავს, წარმომდგარი იყოს. მაგრამ ეს დაუქრებელია, რათგან ასეთ შემთხვევაში ყიშური გვექნებოდა ქართულში. უფრო საფიქრებელია, როგორც აღვნიშნეთ, რომ ქიშური გიშური-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, ე. ი. ოდესღაც ჰერეთის, აწინდელი საინგილოს. თემის გიშის ხეობის ყურძნის ჯიში ყოფილა და იქითგან იქმნებოდა კახეთსა და ქვემო ქართლში შემოტანილი.

კახეთში და ქართლში არსებობდა ჯიში, რომელსაც არაგვისპირული ჰქვიათ. ამ ყურძნის სახელი მის სადაურობას საკმაოდ ამჟღავნებს და ამაზე სიტყვის გაგრძელება, ეგონებ, საჭირო აღარ იყოს.

სადაურობის მაუწყებელ სახელთა ჯგუფს ეკუთვნის ოჟიური თეთ., გუგაზურა თეთ., სამადაშვილისეული, სიმონასეული, ჩოქმაშურა, ბეჟანურა და დამპალა. პირველი ს. ოჟიოთგან, მეორე გავაზითგან, უკანასკნელი კი ქსნის ხეობის ს. დამპალს ჯიში უნდა იყოს. სამადაშვილისეული, სიმონასეული, ჩოქმაშურა და ბეჟანურა ამ სახესხვაობათა შემომტანთა მაუწყებელი სახელებია. სტ. შენთეშაშვილის ცნობით ქიზიყში ადგილის სახელი ობაყალი არსებობს, სადაც ვენახებია გაშენებული, და ობაყლური, ანუ უბაკლური იქაური იქმნება. ასანბეგური-ც ამავე ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს.

ქართლში გავრცელებული ყურძნის ჯიშთაგან სადაურობის მაუწყებელი სახელების მქონებელია: დიღმური, ანუ საბატონო, კასპური, გორულა, გლმა-მხრული და დანახარული. ამათგან გლმამხრული უნდა კახეთის გლმა მხრის თემისა იყოს და გლმა მხრითგან მომდინარეობდეს, დიღმური ს. დიღმითგან, კასპური ს. კასპითგან, გორულა გორითგან. დანახარული თითქოს დანახარითგან, ან დანახარისითგან უნდა მომდინარეობდეს, მაგრამ ასეთი გეოგრაფიული სახელი ჯერ ცნობილი არ არის, არც ძველი წყაროებისა და არც თანამედროვე ცნობებით.

არგვეთში და სამოქალაქოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთაგან შემდეგი სახელებია წარმოშობილობის მაუწყებელი: ქართულა, რომელიც ქართლითგან უნდა იყოს, ოცხანური, რომელიც სამოქალაქოსა და გურიამიც არის გავრცელებული. ოცხანითგანაა, — საათაზაგო, რომელიც სამოქალაქოშია ცნობილი და შესხეთის ყურძნის ჯიშია, — რცხილათუბანი, რომელიც ასე სამოქალაქოში იწოდება და რომლის მხოლოდ ფონეტიკური სახენაცვალი უნდა იყოს გურიაში გავრცელებული სხილათუბანი-ც. უეჭველია, იგი რცხილათუბანიდან უნდა მომდინარეობდეს. მაგრამ 5-ვერსიანი რუკის სარჩევში ასეთი სოფელი არა ჩანს: არგვეთში იქ მხოლოდ რცხილაეთი-ა აღნიშნული. თუ რცხილათუბანი სადმე ყბლაც არ არსებობს, წინათ უეჭველია უნდა ყოფილიყო.

სამოქალაქოში არის ვაზი არგვეთული საფარე, რომელიც არგვეთის ყურძნის ჯიშად მიუჩნევია ხალხს. ძველად არგვეთი ყ. შორაპნის მაზრის მთელ მიწაწყალს ჰნიშნავდა. თუ ზემომოყვანილ სახელში არგვეთული ამ ფართო, თემური მნიშვნელობით არ არის ნახმარი, მაშინ ამ ჯიშის წარმომშობელად ს. არგვეთი უნდა ვიგულისხმოთ.

არგვეთში აღნუსხული ყურძნის ჯიშის სახელი ჰველოური ამ ყურძნის სამშობლოდ ჰველო-ს გვაგულისხმინებს, მაგრამ ამნაირი გეოგრაფიული სახელი 5-ვერსიანი რუკის საძიებელში არ მოიპოვება.

ცოლიკოური-ს სახელის ასახსნელად ადგილობრივ მთელი თქმულება შენახულა⁸². მაგრამ ეს თქმულება ისტორიული გარდმოცემა კი არ არის, არამედ გაუგებარი სახელის ასახსნელად, ხალხური გულუბრყვილო ეტიმოლოგიის წყალობით წარმოშობილს, შენათხზს წარმოადგენს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ცოლიკოური-ს ყურძნის ჯიშის სახელი გეოგრაფიული სახელისაგან იყოს წარმომდგარი, ე. ი. სადაურობის მათწყებელ ყურძნის ჯიშთა სახელებს ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს. F. Duibois de Moilpèreux-ს თავის მოგზაურობაში აღნიშნული აქვს, რომ ჯრუჭის მონასტერში ყოფნის დროს მისთვის თეთრი მხუხავი ღვინო მიურთმევეით, რომელიც თურმე თავისი თვისებით შამპანურს უახლოვდებოდა. ასეთი ღვინო, თარჯიმანის დავით მაჰკავარიანისაგან მიწოდებული ცნობით, შორაპნის ზევით, ყვირილსა და ძირულს შორის მდებარე ცარცოვან ნიადაგზე გაშენებული ვაზის ყურძნისაგან დგებოდა. ამნაირი თვისების საუკეთესო ღვინოდ შორაპნითგან სურამისაკენ მიმავალ გზაზე მდებარე ლოზიათხევის სოფ. ცორიხაული-ს ღვინო ითვლებოდა⁸³ (Voyage autour du Caucase, etc. t. III, Paris, 1831, გვ. 175).

ფრანგი მოგზაურის ზემომოყვანილი ცნობითგან ირკვევა, რომ ცორიხაული XIX ს. დამდეგსაც თავისი საუკეთესო ღვინით და, მაშასადამე, ვაზის ჯიშითაც ყოფილა განთქმული. ცოლიკოური-ს სახელის ეტიმოლოგიის ძიების დროს ბუნებრივია ამ სოფლის სახელმა ჩვენი ყურადღება მიიპყროს მით უმეტეს, რომ ცოლიკოური-ს ვაზის ჯიშიც ხომ სწორედ ამავე მიწაწყლის ვაზს წარმოადგენს და არგვეთის სანახების, ანუ ყ. შორაპნის მაზრის ცარციან ნიადაგზეა გავრცელებული ს. ს. ბაზალეთსა, ლაშესა, თეთრწყაროსა და სხვა სოფლებში ისევე, როგორც ყ. ქუთაისის მაზრის ს. ოზჩაშიც (იხ. აქვე, გვ. 452).

ფრანგი მოგზაურივით გიულდენშტედტიც ამ სანახებს ლოზიეთ-ხევს (der Distrikt Losietchewi) უწოდებს. მისი ცნობით, ამ სანახებში ყოფილა ცხრაწყარო, ნაური (Nauri), ტაბაკინი, კინოთი. ვარძია. ძალაფორეთი, ხიდარი, კინცი, Gormachvili, იღეში, ბირი, წვეა, ფუთი, ჭორეთი, ტრეიმი და შორაპნის ციხე (Reisen, I, 402). ვახუშტი ამ სანახებს ლონსიათ-გევს უწოდებს (გვ. 364).

ცოლიკაური უნდა სწორედ ს. ცორიხაული-ს ჯიშის სახელისაგან იყოს წარმომდგარი რ და ლ თანხმომავნთა ჩვეულებრივი ადგილმონაცვლებისა და ხ-ს კ-დ შენაცვლების გზით⁸⁴.

ციცქა-დ წოდებული ყურძნის ჯიშის სახელიც, საფიქრებელია, სადაურობის აღმნიშვნელ სახელთა ჯგუფს უნდა ეკუთვნოდეს და გეოგრაფიული სახელისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ორი ადგილია, რომლის სახელიც ყურძნის ჯიშის სახელს გვაგონებს: ერთი ს. ციცხე-ა, რომელიც ჭყვიშსა და ჭყვიშურს შორის მდებარეობს. მეორე ციცქიური-ა, რომელიც ძირულის ხეობაში ლ-

⁸² ვითომც ვილაცას ცოლი მოეკლას და სხვ. და ამისგან იყოს ამ ჯიშის სახელი წარმომდგარი.

⁸³ L. appris là par l'interprete qu'il croissait dans les terrains crayeux qui sont au-dessus de Sarapana entre la Kvirila et la Dziroula, un vin mousseux blanc qui imitait assez bien le champagne. Le meilleur croit à Tsolikhaouli (sic!), dans le losiatkhévi, en allant de Sarapana vers Souram.

⁸⁴ ხ-ს კ-დ შენაცვლების მაგალითები: ხორბალი — ქობალი, ხჩე — ქჩე (ქან.), ხინი — ქინი (ქან.), ნახშირი — ნოშქერი (მეგრ.) და სხვ.

შეს ჩრდილოეთით მდებარეობს. ხოლო აკად. გიულდენშტედტს დასახელებული აქვს ს. ცეკი (Zezki) საწლახისხევისა და დუმალას შუა (Reisen, I, 403).

იმისდა მიუხედავად, რომ კახეთის ყურძნის ჯიშის სახელი შავ-კაპიტო და იმერეთსა, ლეჩხუმსა და გურიაში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიში კაბისტონი, ანუ, როგორც გურიაში უწოდებენ, კაპისტონი ამჟამად სადაურობის მაუწყებელ სახელთა ჯგუფს არ ეკუთვნის, მაინც სწორედ ამ თვისებისა გახლავთ. პროფ. არნ. ჩიქობავას ცნობით, აფხაზეთში, ეშერას თემში, ს. ფშალთილულში გადმოსახლებული ლაზების სიტყვით, კაპისტონა არქაბეს სანახებში მდებარე სოფელი ყოფილა⁸⁵. კაპისტონელი ჭანურად კაპისტონარი იქმნება და სწორედ ამის ბოლო-მოკვეცილ ფორმას წარმოადგენს ყურძნის ჯიშის სახელი კაპისტონი-ც, მაშასადამე, ის ჭანური ჯიში ყოფილა.

რაჭაში სადაურობის მაუწყებელი ყურძნის ჯიშების შემდეგი სახელებია გავრცელებული: არაბოული, რომელიც ლეჩხუმშიც არის, კახური, მოზაზური, მუჟურეთული, ნაგუთნეული, ჭიჭინაური, კიდორაული, ხოტევეური, ალექსანდროული, ჩაქვინაური და მეგრელაური.

ამათგან კახური-ს სადაურობა ცხადია. აღწერილობის უქონლობის გამო, გამოურკვეველი რჩება, თუ რომელი კახური ვაზის ჯიშთაგანი იგულისხმება ამ შემთხვევაში.

მუჟურეთული ალბათ მუჯირეთულისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ს. მუჯირეთი კი არგვეთშია და ეს ყურძნის ჯიშიც იქაური უნდა იყოს.

ნაგუთნეული, როგორც სახელითაგანაც ჩანს, ს. ნაგუთნი-თგან უნდა იყოს. ს. ნაგუთნი კი ამჟამად მხოლოდ ქართლშია. თუ ნაგუთნი წინათაც მარტო ქართლში იყო და საქართველოს სხვა თემში ასეთ სახელიანი სოფელი არ არსებობდა, მაშინ, ცხადია, რომ ეს ყურძნის ჯიში ქართლური უნდა იყოს. მაგრამ ს. ლეშკაშელის ცნობით, რომლისთვისაც მადლობას მოვასხენებ, ლეჩხუმის თემის ს. ორბელში ამ ჯიშს ნაკუთნოური ეწოდება. როგორც ჩანს, ამ ჯიშის ნამდვილი სახელი ჯერ გამოსარკვევია.

ხოტევეური, რასაკვირველია, ს. ხოტევეთაგანაა, მაშასადამე რაჭული ყურძნის ჯიში ყოფილა.

ალექსანდროული, რაქასა და ლეჩხუმში გავრცელებული რწმენით, თითქოს ალექსანდრე იმერთა მეფისაგან, თუ ბატონიშვილისაგან შემოღებული ყურძნის ჯიში უნდა იყოს. მაგრამ რომაელებს ჰქონდათ ყურძნის ერთი ჯიშთაგანი, რომელსაც Alexandrina ალექსანდრინა (Plin, I. 14, გვ. 4) ეწოდებოდა, იმიტომ, რომ ეგვიპტის ქ. ალექსანდრიითგან მოტანილი ჯიში იყო (იხ. აქვე, გვ. 405). ამის გამო იბადება საკითხი, თუ რამდენად საფუძვლიანია ეხლანდელი რწმენა და აქ ხომ ძველი, უცხოეთითგან შემოტანილი, ჯიშის სახელი არა გვაქვს, რაქისა და ლეჩხუმის მევენახეობისაგან შემთხვევით შერჩენილი? რაიმე საყრდნობის უქონლობის გამო, ამ საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელია.

მეგრელაური რაჭაში, რა თქმა უნდა, სამეგრელოთგან არის შესული.

რაჭული ოყურეშული, ცხადია, ლეჩხუმის სოფ. ოყურეში-თგან შეტანილი ჯიში უნდა იყოს.

⁸⁵ ამ წერილობითი ცნობის გადმოცემისათვის პროფ. არნ. ჩიქობავას დიდ მადლობას მოვასხენებ.

იქაურივე ბახვა, რა თქმა უნდა, გურული, ს. ბახვიტგან მიტანილი, ჯიში იქმნება.

ნოშროო-სა, ხროგისა და ბერბეშოს სადაურობა არა ჩანს. არც ჩიღვინაუ-რი-სა, კიდორაულის, ანუ კულდურაულის სადაურობა ირკვევა.

ლეჩხუმში გავრცელებულ ჯიშთაგან სადაურობის მაუწყებელი სახელები შემდეგს აქვსთ: ადანასურს, არაბოულს, კახურს, ნაგუთნეულს და ალექსან-დროულს, რომელთაგან უკანასკნელ სამზე უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე, გვ. 518).

ამათ გარდა მოიპოვება უსახელაური.

ლეჩხუმში გავრცელებული უსახელაური-ს ყურძნის ჯიშის სახელი, იმ უცნაური შთაბეჭდილებისდა მიუხედავად, რომელსაც ის ადამიანზე ახდენს, აგრეთვე სადაურობის გამომჟღავნებელია და ს. უსახელოს ჯიშის აღმნიშვნელი უნდა იყოს. ეს სოფელი მდ. იკვიანის ხეობაში მდებარეობს, რომელიც ძირუ-ლას შემდინარე დუმალას ერთვის ჩრდილოეთითგან. მაგრამ შესაძლებელია იგი ლეჩხუმში მდებარე ს. უსახელო-საგანაც მომდინარეობდეს.

საფიქრებელია, რომ მევენ.-მელვინ. ინსტ.-ის ცნობაში კახეთის ჯიშთა შო-რის შეტანილი უსახელო-ც იგივე უსახელაური იყოს.

საირმულა, ცხადია, ს. საირმის ყურძნის ჯიში უნდა იყოს. საირმე კი საქართველოში რამდენიმეა: ცნობილია ერთი სამცხეში, ერთი სამოქალაქოში და ერთიც თვით ლეჩხუმში. აქაც გამოსარკვევია, თუ ამ ჯიშის სამშობლოდ რომელი ამ სამთაგანი უნდა ვივულისხმოდ? უფრო ადგილობრივია საგულაისხმე-ბელი, რათგან სხვაგან საირმულა არსად ჩანს.

ორხულა უცილობლად ლეჩხუმის ადგილობრივი ყურძნის ჯიში უნდა იყოს, რათგან ს. ორხვა სწორედ ამ თემში მდებარეობს.

ქედურა, ცხადია, ს. ქედითგან იქმნება. მაგრამ ს. ქედი ბათომის სანახებ-შია, ხოლო ქედის-უბანი არგვეთშია, გეოგრაფიულად უფრო ბუნებრივია, რომ ეს ჯიში არგვეთითგან იყოს ლეჩხუმში შეტანილი, მაგრამ დანამდვილებით ამის გადაწყვეტა შეუძლებელია, რათგან სახელის მიხედვით უფრო აქარული უნდა იყოს.

ლეჩხუმში გავრცელებული ყურძნის ჯიშის აბხაზური-ს სადაურობა თავის-დათავად ცხადია. სამაგიეროდ არაფრის თქმა შეიძლება ბერაულა-სა, ღარასუ-ლა-სა და ტოჭა-ს შესახებ, რომელიც, ვგონებ, აჭარაში გავრცელებული ჯიშის კოდი-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, — ისევე როგორც გაბაშას, ცხეროსა და ცარცხიას ჯიშების სადაურობაზეც.

სამეგრელოში გავრცელებულ ჯიშთაგან შემდეგი სახელებია სადაურობის მაუწყებელი: კეთილური, რომელიც სენაკის სანახების ს. კეთილარი-თგან უნდა იყოს წარმომდგარი, შონური, ანუ სვანური, ადგილობრივ სვანურ ჯიშად მიჩ-ნეული, გოდავათური, კვიტილური, ცხინკილოური, ლავილური, ეგორძული, მაური და მაბრა, რომელთა სადაურობის გამოარკვევა შეუძლებელია, რათგან მათი მსგავსი გეოგრაფიული სახელები, არსებული საქიებლის მიხედვით, არ-სად ჩანს. მხოლოდ მაურ-ზე შესაძლებელია წამოყენებულ იქმნეს საკითხი, რომ შორაპნის სანახებში აკად. გიულდენშტედტისაგან დასახელებული ნაური-საგან ხომ არ არის მ და ნ თანხმოვანთა შენაცვლების გზით წარმომდგარი?

გურიაში არსებულ ჯიშთა შორის სადაურობის მაუწყებელ ზოგ სახელზე, მაგ., მაურზე, მახატურზე და კეთილურზე, რომელთაგან უკანასკნელი, როგორც დავრწმუნდით. მეგრული ჯიშია, უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე ზემოთ). დანარჩენთაგან შესაძლებელია დავასახელოთ: ბერძულა და ჩხაბერძული. რომელიც ორივე ბერძნული ყურძნის ჯიში ყოფილა, მანდიკოური, რომელიც სამოქალაქოს ს. მანდიკორითგან უნდა იყოს. ოფოურა, ან სამოქალაქოსავე ს. ოფეთისა. ან ჭანეთითგან. ათინური ჭანეთის ქ. ათინითგან, ქვაფათური, რომელიც აჭარაში გავრცელებული ჯიშის ხოფათური-ს ფონეტიკურ სახენაცვალი იქმნება. ძველ ქართულ წყაროებში გვხვდება ხოფათი (იხ. ქლი ერის ისტ. III, 336) ჭანეთის ქალაქის ეხლანდელი ხოფე-ს სახელი და საფიქრებელია, რომ ქვაფათური და ხოფათური-ც სწორედ ჭანური ყურძნის ჯიშების სახელია. კლარჯული თავისდათავად ამ ჯიშს კლარჯეთითგან გვაგულისხმებინებს. ზენათური-ც ზენათითგან უნდა იყოს. მაგრამ სოფლის ასეთი სახელი არ ჩანს. სამაგიეროდ არსებობს ზენითი, რომელიც სამოქალაქოს სოფლად ითვლება. მაგანაყური-ს სადაურობის გამოსარკვევად კი ჯერ არავითარი დასაყრდნობი არ მოგვეპოვება.

ჩხაბერძული-ს ბერძნული სადაურობა იმდენად მკაფიოდ აქვს თავისსავე სახელში აღბეჭდილი, რომ ამ ჯიშზე სიტყვის გაგრძელება ზედმეტი იქმნებოდა. თუ ჩხავერი-ს მეორე ნახევარი ვერი პირველი ნაწილის დამახასიათებელ სიტყვას არ წარმოადგენს და ზემომოყვანილი სრული სახელის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს, მისი ბერძნულობაც საფიქრებელია. ამპლოგრათიული აღწერილობის უჭილობა ამ საკითხის გადაწყვეტას შეუძლებლად ხდის.

გურიის ყურძნის ჯიშის სახელი წიაღომინა-ც, უეჭველია, სადაურობის მაუწყებელია. იგი წიაღომინა-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. ეს უკანასკნელი კი უნდა სოფლის სახელთან იყოს დაკავშირებული. გურიაში, ტობანურის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობს სოფ. წიაღომანი. ამ სოფლის სახელი წიაღუმბანი იმ დროს (1906 წ.) უფრო სწორედ ყოფილა დაცული, რათგან თავდაპირველად იგი მართლაც „წიაღ-უმბანი“-ს აღმნიშვნელი იქმნებოდა. ბ-ს მ-დ შენაცვლებით უკანასკნელი ორი მარცვლის ხმოვანთა ადგილმონაცვლებითა და უ-ს ო-დ ქცევით წარმომდგარია წიაღომინა. რომელიც თავდაპირველად წიაღუმბანის ვახის, ანდა ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელი იქმნებოდა.

აჭარაში ყურძნის ჯიშთა სადაურობის მაუწყებელი სამი სახელია მხოლოდ: კლარჯული, ხოფათური და მატანაური. ამათგან პირველ ორზე უკვე გვქონდა საუბარი (იხ. ზემოთ). უკანასკნელი, მატანაური მატანიითგან შეტანილი ჯიში უნდა იყოს. ს. მატანი საქართველოში, კახეთში, თიანეთის სანახებში მართლაც არსებობს. მაგრამ საეჭვოა, რომ მატანაური თავის სამშობლოდ ამ სოფელს ჰგულისხმობდეს. ამასთანავე მატანაურის ჯიშის წარმომშობელი სოფლის სახელი მატანი კი არა, არამედ მატანა ყოფილა. ამიტომ ამ ყურძნის ჯიშის ჩამდვილი სადაურობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია. აჭარის ყურძნის ჯიშის შავშური-ს თვით სახელიც ამტკიცებს, რომ იგი შავშეთითგან შემოტანილი ჯიში ყოფილა.

შავშეთ-კლარჯეთში ყურძნის ჯიშების ზემომოყვანილ სახელთაგან ზოგიერთი ცხადად თავიანთი სადაურობის მაუწყებელია. მაგ. ორჯოხული. უეჭველია, ს. ორჯოხის ჯიში უნდა იყოს. ამნაირადვე საფიქრებელია, რომ წყალთე-

თული ს. წყალთეთრის (ამ სოფლის შესახებ იხ. Дневник поездки в Шавшетино и Кларджетию, ТР, VII, 165, 168 და 180) ყურძნის ჯიშის სახელს წარმოადგენს. წინათ მას, უცქველია. წყალთეთრული ერქმეოდა. რასაც, როგორც ვტყობა, ნ. შარაიცი ფიქრობდა (იხ. იქვე, გვ. 166).

აღანასური-ს ჯიშის სადაურობა გამოურკვეველი რჩება იმისდა მიუხედავად, რომ ის საკმაოდ ფართოდ არის გავრცელებული და არგვეთს ხარდა სამოქალაქოსა და ლეჩხუმშიც მოიპოვება.

ამ სახელს შესაძლებელია რაქაში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი ანდასტური უდრიდეს, თუ აქ დ-სა და ნ-ს ადგაღმონაცვლებულად ვიკულისხმებთ. ამ უკანასკნელის ფონეტიკურ სახენაცვალს წარმოადგენს. უცქველია, სამოქალაქოში არსებული ყურძნის სახელი ალადასტური. მაგრამ არც ერთი ამათგანის მსგავსი გეოგრაფიული სახელი არა ჩანს, ამიტომ ამ ჯიშის სადაურობა ჭერჭერობით გამოურკვეველი რჩება.

იმერეთსა და გურიაში კამური მოიპოვება, რომლის პირველში თეთრად წოდებული სახესხვაობაა გავრცელებული, მეორეში კი შავიცა და თეთრი სახესხვაობაც არსებობს. ყურძნის ჯიშთა სახელებს რომელ ჯგუფს ეკუთვნის კამური, ძნელი სათქმელია. მაინცდამაინც არც ერთი ამის მსგავსი გეოგრაფიული სახელი არა ჩანს. რომ ამ ჯიშის სამშობლოდ მიჩნევა შეიძლება.

არაბოულისა, ჩიღვინაურისა, მობაზურისა, კიდორაულისა და ჭიჭინაურის სადაურობის საკითხიც გამოურკვეველი რჩება, რათგან ამის მსგავსი გეოგრაფიული სახელები საქართველოში, არსებული ცნობების მიხედვით. ამჟამად არსადა ჩანს. იქმნებ ზოგიერთი მათგანი სადაურობის მაუწყებელი არც კი იყოს. მაგალითად, ეგების ჭიჭინაური ძველ ქართულში მოღებულ აბრეშუმის სახელ ჭიჭინაურ-თან იყოს დაკავშირებული. ამ ყურძნის ჯიშის აღწერილობა რომ მოგვეპოვებოდეს და მისი თვისებები ვიცოდეთ, მაშინ ამ საკითხს გადაწყვეტა უფრო ადვილი იქმნებოდა.

თავრეთული ყურძნის ჯიშის თვით სახელი ცხადპყოფს. რომ ის ქართული არ არის, არამედ სპარსეთითგან, სახელდობრ, თავრიზითგან ყოფილა შემოტანილი.

ზემოგანხილულ სახელებს უნდა ისეთიც დაერთოს, რომელთაც თემცა სადაურობის მაუწყებელი ბოლოსართი არა აქვთ, მაგრამ რომელთა სადაურობა მათი სახელითგან მაინც ცხადი ხდება. მაგ., თვით ჯიშის სახელითგანვე ცხადია, რომ კახეთსა და ჰერეთში გავრცელებული ქიშმიში-ც უცხოა და სპარსულია.

ჯანი-ს შავი ყურძნის ჯიში, რომელიც იმერეთსა და გურიაში იყო შერჩენილი, თავისი სახელწოდებით XVI ს. პირველი ნახევრის ესპანელი მეცნიერის Alonso de Herrera-ს ნაშრომში Agricultura general-ში აღწერილი ყურძნის ჯიშის Jaén-ს ჯან-ს მიეძგავსება. თვისებით კი ქართულ ჯან-სა და ესპანურ Jaén-ს შორის დიდი განსხვავებაა. ესპანურ ჯიშს, ჰერერერა-ს დახასიათებით, მტევანი დიდი და მეტად კუმსი ჰქონია, — მარცვალის მსხვილი, მაგრამ ნახკანინი ჰსხმია. თითქოს ერთი წვეთიც საკმარისი ყოფილა, რომ მისი მარცვალის კანი გამსკდარიყო. ამიტომ ამ ჯიშის გასაშენებლად მშრალი და მზვარე, უცვრო ნიადაგი ყოფილა საჭირო. ყურძენმა თურმე სწრაფად იცოდა დამწიფება. ამის გამო მისი უმაღ, რა თქმა უნდა, ავდრებამდე, დაკრეფა და დაწურვა აუცილებელი ყოფილა. მას წვენი კარგი და გემრიელი სცოდნია, სწრაფად იწყებდა

თურმე დულილს. მაგრამ მის ღვინოს მაინც იმდენად გამძლეობა არ ჰქონია, რომ ერთ წელიწადზე ხანგრძლივ მისი შენახვა შესაძლებელი ყოფილიყო (იხ. Amp. rétrosp., 141). საკმარისია ადამიანმა ამის შემდგომ ის ცნობები, რომელიც ჯანის თვისებათა შესახებ გურიში მოგვეპოვება, კვლავ გადაიკითხოს (იხ. აქვე, გვ. 475), რომ დარწმუნდეს, თუ რა დიდი განსხვავება ყოფილა, სახელების ცხადი მსგავსებისა და მიუხედავად, ქართულ ჯან-სა და ესპანურ Jaën-ს შორის. ამიტომ ამ საკითხს განსაკუთრებული შესწავლა სჭირდება.

აჭარაში დაცული შავი ყურძნის ჯიშის ჭოდი-ს სახელი გასაოცრად მიაგავს H. Goethe-ს ნაშრომში ვინმე Schmidt-ის ცნობისა მიხედვით შეტანილი მუქი ლურჯი ყურძნის ჯიშის სახელს Tsofi წოტი-ს, რომელიც მსხვილმარცვლიანი, ადრეული საღვინე ჯიში ყოფილა საბერძნეთში (იხ. Amp. Wörterb.). თუ აქ რაიმე შეცდომა არ არის⁸⁶, ამ მსგავსებას უნდა ყურადღება მიექცეს. მაგრამ წინასწარ ქართული ჭოდი-ს ამპელოგრაფიული აღწერილობაა საჭირო. როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, რაჭაში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სახელი ტოქი უნდა ჭოდი-ს ფონეტიკური სახესხვაობა იყოს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ამ ჯიშის სადაურობა მაინც გამოურკვეველია⁸⁷.

თავი XVIII. ყურძნის ჯიშების სამართო რიცხვი და თვითმული მათგანის გავრცელების არე სამართავლოში

საქართველოს სხვადასხვა თემში ჯიშ-სახესხვაობათა ცალკეული აღწერილობის შემდგომ მიღებული საერთო რიცხვი, რა თქმა უნდა, სწორე არ არის, რათგან ერთი და იგივე ჯიში ზოგჯერ რამდენსამე თემში მოიპოვება, ანდა მისი ერთი სახესხვაობა ერთს თემში გვხვდება, მეორე კი სხვა რომელსამე, ანდა რამდენსამე თემშია ხოლმე დაცული. ამიტომ აქვე მთელ საქართველოში არსებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ანბანის რიგზე დალაგებული საერთო სია მომყავს, რომ ამ გზით მათი ერთობლივი რიცხვი ცხადი შეიქმნეს. რასაკვირველია, ქვემომოყვანილი სია მხოლოდ ვაზ-ყურძნის სახელწოდებათა რიცხვის გამორკვევის საშუალებას გვაძლევს. ხოლო, რომელი მათგანი ნამდვილად ჯიშია და რომელი მარტო სახესხვაობად უნდა იქმნეს მიჩნეული, ასეთი საკითხის გამორკვევისა და გადაწყვეტისათვის ხანგრძლივი ბოტანიკური და ამპელოგრაფიული შესწავლა და დაკვირვებაა საჭირო, რაც მომავლის ამოცანასა და ბოტანიკოს-ამპელოგრაფების მოვალეობას შეადგენს. ვითარცა ისტორიკოსსა და ამჟამად ძველი საქართველოს მევენახეობის ეკონომიკის შემსწავლელს, მსჯელობა შემეძლო მხოლოდ ყურძნის სახელწოდებათა ანალიზზე დამემყარებინა

⁸⁶ გვ. 169-ზე H. Goethe-ს, მაგ., მელრია Mchrija და მწვანე Mzwaani ოსმალეთ-სერბია-ვევიტე-სპარსეთის ჯიშებში აქვს მოთავსებული, იმისა და მიუხედავად, რომ თვით ლექსიკონში მათ სადაურობად ამირ-კავასია აქვს დასახელებული.

⁸⁷ ქართული რკო-ს, ეგების მუხიშხა-ს სახელიც იტალიაში გავრცელებული შავისა და თეთრი ყურძნის Eichtentraube-დ, ე. ი. მუხის ყურძნად, წოდებულის სახელს მიაგავს. სამწუხაროდ, H. Goethe-ს მისი იტალიური სახელწოდება აღნიშნული არა აქვს. იტალიაში მისი ორი, შავი და თეთრი, სახესხვაობა არსებობს. ორივე საქმელი ყურძენია.

და თვითოეული მათგანის აღმნიშვნელობის გამორკვევა მეცადა და გამომე-
ყენებინა. ამ გზითაც არაერთი ყურძნის სახელწოდება, რომელიც წინათ, თვით
ამპელოგრაფებსაც კი, ცალკეულ ჯიშად ჰქონდათ მიჩნეული, ნამდვილად ყურ-
ძნის სხვა თემშიც ოდნავ, ანდა საგრძნობლად შეცვლილი სახელის ფონეტი-
კური სახესხვაობა აღმოჩნდა. ამის მაგალითად შესაძლებელია დასახელებული
იყოს კახური ზიხვი და სამურზაყანული ხემხუ და გურული ხემხო, —

- ადანასური, ანადასტური და ალადასტური, —
- მჟღრია, უღრია და ჯღე, —
- დონდღლაბი, დონდღო და დუდღუში, —
- კაპისტონი და კაპიტო, —
- ღორისთვალა და კერთოლი და სხვაც არაერთი.

თუ ყურძნის ჯიშის ამათუიმ საერთო სახელწოდებისთვის რომელსამე
თემში ხალხს ფონეტიკურად კი არა, არამედ ან ამპელოგრაფიულად, ანდა სა-
დაურობის გამომჟღავნებელი დანართი სახელი მიუმატებია, ასეთი შემთხვევა
სახესხვაობის მაუწყებლად მაქვს მიჩნეული.

ზემონათქვამის შემდგომ აქვე მთელ საქართველოში გავრცელებული ყურ-
ძნის ჯიშ-სახესხვაობათა თვით სია მომყავს:

- აბხაზური შავი
- ადანასური, ანუ ანადასური,
- ანადასტური დიდი და პატარა,
- ანუ ალადასტური შავი.
- ადრეული თეთრი
- ანდრეული, ანუ ადრიანი წი-
თელი
- ათინური თეთრი
- აკიდო წითელი, შავი
- ალექსანდროული შავი და
თეთრი
- ალეში ვარდისფერი
- არაბოული შავი
- არაგვისპირული თეთრი
- ასანბეგური
- ახლაკი წითელი
- ბადაგი შავი
- ბახვა შავი
- ბეჟანურა
- ბერაულა თეთრი
- ბერბეშო შავი
- ბერძულა შავი
- ბჟღია, იხ. მჟღრია
- ბროლაა თეთრი

- ბუღეშური შავი და პირისფე-
რი, წითელი, ყვითელ-მომწვანო
და თეთრი
- ბუერა-ვაჯი თეთრი და ყვი-
თელ-მომწვანო
- ბუჯის-ყურძენი, ანუ საბუჯე-
ყურძენი შავი
- ბულღვა
- ბუტკოი, ანუ ბუტკუ თეთრი
და შავი
- ბურძღალა
- ბურძღუმი
- გაბაშა
- გავაზურა თეთრი
- განახარული შავი
- განჯის-ყურძენი, ანუ გენჟური
თეთრი, ანუ შირაზული
- გალმამხრული შავი
- გოდავათური მუქი წაბლის-
ფერი
- გორგოული ყვითელი
- გორათანა? შავი
- გორულა მოქარვისფერო
- გრეხი შავი
- გრძელტევენიათი თეთრი

დამპალა შავი
 დანახარული წითელი
 დაქცეული შავი
 დედოფლის კითი, იხ. თითა
 დევის თვალაჲ
 დიდმტევანა თეთრი
 დიდმური, ანუ საბატონო, ანუ
 სხვილმარცვალა შავი
 დონდლლაბი იგივე ხარისთვა-
 ლა, ანუ საკუჭალა, ანუ მაჭანაუ-
 რი შავი და თეთრი, დონდლლო,
 დუდლუში
 ეგორძული თეთრი
 ვერნახი შავი
 ვირა-ყურძენი თეთრი
 ზენათური თეთრი
 ზერდაგი მოოქროსფერო
 თავკვერი შავი და თეთრი
 თავწითელა მწვანე-მოყვითანო
 თბილური ქარვისფერი
 თეთრა. თეთრა კაპისტონი,
 ანუ თეთრა
 ლაბილარის თეთრა
 წმინდა-თეთრა
 წულუკიძის თეთრა
 თეთრი-ყურძენი
 ოჟიური თეთრი
 თეთრიშა
 თითა შავი და თეთრი, თითა-
 ყურძენი
 თითა ბუდეშური
 დედოფლის კითი შავი
 თოლი-ჩხუშ-ყურძენი, იხ. ხა-
 რისთვალა
 თხლაფაჲ, თქვლაფა თეთრი
 თხმორულა თეთრი
 თხრუშუნა, ანუ თქვაფუნა
 თეთრი
 იისფერი მოშავ-მოიისფერო
 კაკნატელა ანუ ქიშური თეთ-
 რი
 კამური შავი და თეთრი
 კაპისტონი, კაპიტო შავი და
 თეთრი

კასპური თეთრი
 კატური თეთრი
 კახური თეთრი
 კეთილური შავი
 კერთოლი შავი, იხ. ღორის-
 თვალა
 კვანახური თეთრი
 კვირისტავა თეთრი
 კითი, დედოფლის კითი, იხ.
 თითა
 კიკაჩა შავი და თეთრი
 კლარჭული თეთრი
 კოლოში შავი და თეთრი, ჩე-
 კოლოში
 კორძალა შავი
 - კნაწუნა-ყურძენი თეთრი
 კრახუნა თეთრი
 კუდურაული, ანუ კიდორაუ-
 ლი შავი
 კუმსი ყვითელი-მომწვანო და
 კუმუშა შავი
 კუნძა თეთრი
 კუტალა შავი
 ლაგილური შავი
 ლამაზა თეთრი
 ლიკანა-ყურძენი თეთრი
 მახრა წითელი=მაურს?
 მაგანაყური შავი
 მაისა თეთრი
 მაკურენჩხი შავი, მეკერენ-
 ჩხი შავი
 მანდიკოური შავი
 მატანაური შავი
 მაური შავი და თეთრი
 მალლარი თეთრი
 მაჭანაური, თუ მაჩანაური, იხ.
 დონდლლაბი
 მაჭყვატური თუ მაჭკვატური-
 შავი
 მახატური შავი იხ. მოკატუ-
 რი შავი, მახვატელი, ანუ ოხვა-
 ტუ შავი
 მეგრელაური თეთრი

მეკენჩხალა თეთრი
 მელიკუდი, მელიკუდაა თეთ-
 რი და შავი
 მერანდოა შავი
 მობაჭური
 მოკატური, ანუ მოქათური
 შავი
 მოკლემტევანა ყვითელი
 მოსავლიანი
 მჟაველა შავი
 მჟღრია, ჟღრია, ბჟღრია, ჭღე
 მტევანდიდი შავი
 მტრედისფეხა, ტოროკუჩხი
 წითელ-შავი
 მუნჯიანთელი
 მუჟურეთული შავი
 შუხიშხა შავი
 მცვივანი ღებლლი და მამალი,
 თეთრი და შავი, მცვინარა შავი
 მწვანე, მწვანაი მწვანე
 იმერული მწვანე
 ოკრიბული მწვანე
 მწვანურა
 მჭვარტალა თეთრი
 მხარგრძელი შავი, თეთრი და
 ყვითელი
 მხარგრძელისეული
 ნაგუთნეული შავი
 ნაცარა თეთრი
 ნოშიო შავი
 ობჩურა, იხ. ცოლიკაური
 ოპოპი თეთრა
 ოჟიური, იხ. თეთრა
 ორონა შავი
 ორხულა თეთრი
 ორჯოხულა შავი და თეთრი
 ოფოურა შავი
 ოქონა
 ოქროს-ყურძენი ყვითელი
 ოყურეშული შავი
 ოცხანური შავი
 ოჯალეში, ანუ შონური შავი
 პანეში შავი
 პარტალა (კახ.) თეთრი, პარტ-

კალა (ქართ.) შავ-მოწითანო
 და თეთრი
 პოვნილი შავი
 პუმპულაში შავი
 რკო შავი, მუქი იისფერი და
 თეთრი
 რცხილა შავი
 რცხილათუბანი შავი და წი-
 თელი, შეად. სხილათობანს
 რქაწითელი მამალი და ღებლ-
 ლი, თეთრი, მწვანე და წითელი
 რქა-ხულია თეთრი
 სააბი შავი და თეთრი
 საღადგო თეთრი
 საღმელური თეთრი
 სათიბა თეთრი
 საირმულა შავი
 საკვირჩხილა შავი
 საკმელაა, საკმეველა ყვითე-
 ლი
 სალიკლევი შავი
 სამადაშვილისეული
 სამარხი თეთრი
 სამაჭრე, სამაჭრია, სამანჭრო
 შავი და თეთრი
 სამთელა თეთრ-მოყვითანო
 სამჩხავერა შავი
 სამჭაჭა თეთრი და შავი
 საფერავი შავი
 საფერავი განჯური
 საფერე შავი
 არგვეთული საფერე, ანუ კო-
 ბანიძის საფერე
 ოცხანური საფერე
 საღვინე შავი
 საჩურჩხელე
 საწური შავი
 სიმონასეული
 სორეკი შავი და თეთრი
 სულიანი-ყურძენი შავი და
 თეთრი
 სხვილთავა
 სხილათობანი შავი, შეად.
 რცხილათობანს

ტოვანი შავი
 ტოროკუჩხი, იხ. მტრედისფე-
 ხა
 ტოჭა თეთრი, შეად. ჭოდი-ს
 ტრედისფეხი იხ. მტრედისფე-
 ხა
 ტუტაში შავი
 უბაკლური თეთრი და ყვითე-
 ლი
 უსახელაური შავი, უსახელო
 თეთრი
 უწყვეტი თეთრი
 ფარჩხატა თეთრი
 ფერადი შავი და წითელი
 ფეროვანი, ანუ ფერუანი შავი
 ქართულა
 ქედურა თეთრი
 ქეჩი-ემუაგი
 ქველები შავი
 ქველოური შავი
 ქიშმიში თეთრი
 ქიშური თეთრი
 ღარასულა თეთრი
 ღორისთვალა, კერთოლი შავი
 და თეთრი
 ღრუბელა თეთრი
 ყორნისთვალა შავი
 ყუნწმაგარა
 ყურწითელა თეთრი
 შაბია თეთრი, შაბა ყვითელი
 შავი-ყურძენი, შავ-ყურძენა
 შავი-თითა, იხ. თითა
 შავრობი შავი
 შავშური შავი
 შანთი ყვითელ-მომწვანო
 შირაზული, ანუ განჯური თე-
 თრი
 შიშველი წითელი
 შონური, ანუ ოჯალეში შავი
 ჩეგში, ანუ ჩიჩვიში თეთრი
 ჩეკოლოში თეთრი, იხ. კოლო-
 ში
 ჩერგვალი თეთრი

ჩეში თეთრი
 ჩეჭიბეში, ჩიჭიბე თეთრი
 ჩინური მომწვან-მოქარვისფე-
 რო
 ჩიტისთვალა შავი
 ჩიღვინაური თეთრი
 ჩოკმაშურა
 ჩუბეში შავი, შეად. ჩეჭიბეშს
 ჩხავერი შავი
 ჩხაბერძული შავი
 ჩხინკილოური თეთრი
 ჩხოროკუნი შავი
 ჩხუში თეთრი, შეად. ჩხუჩემს
 ჩხუჩეში თეთრი, შეად. ჩხუშს
 ცარცხია
 ციცქო თეთრი
 ცოლიკაური ქარვისფერ-მომ-
 წვანო, ობჩურა-დაც წოდებული
 ცხენის-ძუძუ თეთრ-ყვითელი,
 მწვანე და შავი
 ცხერო
 ძელშავი შავი
 ძუენი თეთრი
 ძღამბლი, გარეული ყურძენი
 წობენური თეთრი
 წობენური მწვანე
 წვიტე თეთრი
 წვრილმარცვალა
 წითლიანი წითელი
 წინწკვა თეთრი
 წიალომინა თეთრი
 წიწილიანი
 წყალთეთლი შავი
 ჭყვიტილური თეთრი
 ჭითაში წითელი
 ჭოდი შავი, შეად. ტოჭა-ს
 ჭრელ-ყურძენა თეთრი
 ჭროჭინა
 ჭყარტალა, ანუ ჭყლარტანა
 თეთრი
 ხალთური შავი
 ხარასულა თეთრი
 ხარდანი შავი და თეთრი

ხარისთვის შავი და თეთრი,
შეად. თოლი-ჩხუშ-ყურძენ-ს
ხევარდული ყვითელი
ხეივანის-ყურძენი შავი
ხემხო შავი, ხიხვი თეთრი
ხოტევეური შავი

ხოფათური თეთრი
ხროგი შავი
ჯანი შავი
ჯინეში წითელი
ჯუმუტა შავი
ჯღე, იხ. მულრია

თუ ზემომოყვანილ სიას გარეული ყურძნის სამ სახელს გამოვაკლებთ, საერთოდ საქართველოს ყველა თემში ჯერჯერობით ყურძნის 250 სახელწოდება გვექმნება აღნუსხული, ხოლო თუ თეთრსა და შავ-წითელსა და სხვა სახესხვაობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საერთო რიცხვი 287 იქმნება.

საქართველოს სხვადასხვა თემში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ცალკეული აღწერილობის გადაკითხვის დროსაც აღამიანი შეამჩნევს, რომ ამათუიმ სახელწოდების ყურძენი ერთნაირად არ ყოფილა საქართველოში გავრცელებული: ზოგს დიდი არე ჰქონია დაპყრობილი, ზოგი უფრო ვიწრო ფარგლებზე ყოფილა გავრცელებული, ზოგს და ბევრს ზემოაღწერილ ჯიშ-სახესხვაობათაგანს ერთი თემის საზღვრებს იქით ასპარეზი ვერც კი მოუპოვებია. ამისდა მიხედვით ყურძნის ჯიშების საქართველოში ცნობილი მთელი რაოდენობა შესაძლებელია 4 მთავარ ჯგუფად დაიყოს. პირველ ჯგუფად ამიერ-იმერ საქართველოში ცნობილი და მაშასადამე საერთო ჯიშები უნდა გამოვეყოთ, მეორე ჯგუფად მარტო აღმოსავლეთს, მესამედ მარტო დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ჯიშები მივიჩნიოთ და მეოთხე ჯგუფში მოვათავსოთ ყურძნის ჯიშების თუ სახესხვაობათა ის სახელები, რომელთა გავრცელების არე ერთი, ან ორი თემის ფარგლებს არ სცილდება.

ვაზ-ყურძნის ჯიშების გავრცელების არეს ამ თვალსაზრისით შესწავლა მკვლევარს შემდეგ საგულისხმო შედეგს აწვდის:

§ 1. საქართველოს ზოგადი ჯიშები

ყველაზე მეტად საქართველოში საფერავად და მწვანედ წოდებული ჯიშები ყოფილა გავრცელებული.

1. საფერავი ჰერეთში, კახეთს, ქვემო ქართლს, ანუ ბორჩალოში, შიდა ქართლსა, არგვეთში, რაჭაში, ლეჩხუმში, გურიასა და შავშეთ-კლარჯეთში იყო და არის ეხლაც გავრცელებული. ამნაირად, საფერავს მთელი საქართველოს მევენახეობის ფართობი უკავია, სამეგრელოს გარდა, სადაც იგი არა ჩანს.

2. მწვანე საფერავზე უფრო ინტენსიურად არის გავრცელებული, რათგან მას აღამიანი კახეთში, ქვემო და შიდა ქართლში, არგვეთსა, რაჭაში, ლეჩხუმს, სამოქალაქოს, გურიაში, აჭარას და შავშეთ-კლარჯეთშიც (მწვანურა) შეხვდებოდა.

3. შემდეგ მისდევს რქა-წითელი, რომელიც კახეთში, ქართლში, რაჭასა, ლეჩხუმსა და სამოქალაქოშია გავრცელებული.

4. ძელშავი წარსული საუკუნის დამლევისა და ნაწილობრივ ალბათ ეხლაც შიდა ქართლში, არგვეთსა, რაჭაში და გურიაში იყო შერჩენილი. მაგრამ უფ-

ლაბა გვაქვს ვიფიქროთ, რომ წინათ მისი გავრცელებს არე გაცილებით უფრო ფართო უნდა ყოფილიყო. მარცხდამინც არგვეთსა და გურიას შუა მდებარე სხვა თემებშიც. რა თქმა უნდა, იქმნებოდა.

5. ხიხვი კახეთშიცაა და რაჭაშიც, სადაც ხიხვა-ს უწოდებენ, და ლეჩხუმშიც. შემდეგ ამავე ჯიშის სახელი უნდა იყოს გურული ხემხო და მეგრული ხემხუ. მაშასადამე, ეს ჯიშიც ამიერ-იმიერ საქართველოს კუთვნილება ყოფილა.

6. ფართოდ არის გავრცელებული თითა, რომელიც საინგილოში, კახეთში, ქართლსა. სამცხეში, არგვეთსა. რაჭაში, ლეჩხუმში და გურიაში მოიპოვება. სამეგრელოში ცნობილი დედოფლის კათი იგივე თითაა, თუ მის მაგვარი სხვა ჯიშია, ან სახესხვაობა, ჯერ გამოსარკვევია.

7. ხარისთვალა კახეთიდან მოყოლებული ჭანეთამდის აღწევს და კახეთშიც, ქართლშიც, სამცხეში, იმერეთსა, გურიაში, აჭარაში და ჭანეთშიც არის, სადაც თოლი-მჩხუმ ყურძენი ეწოდება. პირველი სიტყვის ჩამოცილებით ამ ჯიშის სახელი ჩხუმი აჭარაში და სამეგრელოში ჩხუჩეში-ს სახით მოიპოვება, სადაც მაშასადამე თეთრი ხარისთვალა ყოფილა ისევე, როგორც ქართლში, იმერეთსა და მესხეთშიც თეთრი ხარისთვალაა, კახეთში კი შავიც არსებობს, ხოლო გურიაში მარტო შავი ხარისთვალაა ცნობილი.

8. ცხენის-ძიძუა კახეთში თეთრი, ქართლში შავი, სამცხეშიც შავივე, რაჭაში კი თეთრი, ხოლო გურიასა და აჭარაში შავი, შავშეთ-კლარჯეთში ორივე, თეთრიცა და შავი სახესხვაობაც იყო გავრცელებული.

9. მელისკუდაა ჰერეთში. საინგილოში, მელაკუდა-დ ქცეული (მელისკუდა-საგანა წარმომდგარ). გვხვდება ეხლა არგვეთშიც, სადაც შავია, — რაჭაშიც, რომელშიც თეთრი სახესხვაობაა, და შავშეთ-კლარჯეთშიც თეთრივე. მაგრამ წინათ. ცხადია, ამ თემებშია მდებარე კახეთსა, ქართლსა, სამოქალაქოსა და გურიაში ისევე, როგორც აჭარაშიც უნდა ყოფილიყო.

10. ტრედის-ფეხა ქართლში წითელი, არგვეთსა და გურიაში შავი იყო გავრცელებული. სამეგრელოში მის სახელად მეგრული თარგმანი ტოროკუჩხი იხმარება. ყველგან შავი ყურძნის ჯიშია.

11. მცვივანი კახეთში და რაჭას თეთრი ყურძნის გავრცელებული ჯიშია, ხოლო გურიაში, სადაც მას მცვიანრა-ც ეწოდება, შავი ყურძნის სახელად გვხვდება. ცხადია, წინათ მცვივანის ჯიში კახეთსა და რაჭა-გურიას შორის მდებარე თემებში, ქართლსა და იმერეთშიც მაინც უნდა ყოფილიყო.

12. დიდ ფართობზეა გავრცელებული კაპისტონი: შავი კაპიტო, როგორც ამ ჯიშს კახეთსა და ქართლში უწოდებენ, ანუ კაპისტონი, ანდა კაპისტონა, როგორც მის თეთრ სახესხვაობას არგვეთსა და სამოქალაქოს, რაჭაში კი შავსა და თეთრს. ლეჩხუმში შავსა და გურიაში თეთრს სახესხვაობას ეძახიან.

13. ბუდეშური შავიცა და თეთრიც კახეთშია, ქართლსა და სამცხეში შავი მოიპოვება, იმერეთში შავიცა და თეთრი ბუდეშურიც არსებობდა. სამეგრელოში, გურიასა, აჭარასა და შავშეთ-კლარჯეთში ბუდეშური არა ჩანს.

14. მულრია (კახ.); ანუ ჟღია (ქართლ.) გავრცელებულია კახეთსა და ქართლში და მოწითანო ყურძნის ჯიშის სახელია. ხოლო იმერეთში ბუღია მოწითანო-მონარინჯისფერო ყურძნის ჯიშის სახელია. უეჭველია, ამავე ჯიშის სახელი უნდა იყოს ჯღე-ც; რომელიც შავშეთ-კლარჯეთში წითელისავე ყურძნის სახელადვე იხმარებოდა.

15. საკმელაჲ ჰერეთშიც, საინგილოშიც, მოიპოვება და ქართლშიც, რაჭასა და გურიაშიც იყო გავრცელებული. საფიქრებელია, რომ წინათ კახეთსა და იმერეთშიც იქმნებოდა. ამნაირად, რაკი ეს ჯიში ამიერ-იმიერ საქართველოში ყოფილა, ამიტომ საერთო ჯიშად უნდა იქმნეს მიჩნეული.

16. შავი ყურძენი, როგორც მას კახეთში, და შავყურძენა, როგორც გურიასა და აჭარაში უწოდებენ, აგრეთვე ამიერ-იმიერი საქართველოს საერთო ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის.

17. დამპალა, რომელიც კახეთშიც არის და რაჭაშიც, შავი ყურძნის საერთო ჯიშების ჯგუფსვე მიეკუთვნება.

18. თხლათაჲ ჰერეთის, აწინდელი საინგილოს, მევენახეობას ჰქონდა შერჩენილი. სხვაგან არც ერთ თემში, გურიას გარდა, ასეთი სახელის მქონებული ყურძნის ჯიში არა ჩანს. გურიაში კი არსებობდა თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც თქვლაფა ეწოდებოდა. ამ ორი სახელის იგივეობა საფიქრებელია, ხოლო მათი ჯიშობრივი იგივეობა ჭერ გამოსარკვევია.

19. კახეთში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშის სახელი კუმსი-ს, ანუ კუმშა-ს მსგავსად, გურიაშიც არსებობდა კუმუშა-დ წოდებული ყურძნის ჯიში, მაგრამ კუმუშა შავი ყურძენი იყო. გამოსარკვევია, შესაძლებელია თუ არა, რომ კუმსი, კუმშა და კუმუშა ერთისადაიმავე ჯიშის ორ სახესხვაობად იქმნეს მიჩნეული.

20. ფერადი ქართლში წითელი ყურძნის ჯიშის სახელადაა ცნობილი. რაჭაში გავრცელებული ჯიში ფეროვანი, ანუ ფერუანი, რომელიც აგრეთვე წითელი ყურძნის სახელია, იმავე ჯიშს მიეკუთვნება თუ არა, ჭერ კიდევ გამოსარკვევია, მაგრამ, სახელების მსგავსების გამო, ჯიშობრივი იგივეობა მოსალოდნელია.

21. რკო ზემოქართლსა, არგვეთში, რაჭას და სამოქალაქოშია გავრცელებული. ამავე ჯიშის გავრცელების არეს შესაძლებელია მუხიშხა-ც ეკუთვნოდეს, რომელიც გურიაში მოიპოვება, თუ რომ მისი სახელის პირველ ნაწილს მუხა წარმოადგენს.

22. სააბი-ს კახეთში შავი და თეთრი სახესხვაობაა, ქართლში მარტო შავი, ისევე როგორც რაჭაშიც. ქართლში არსებობს საბატონო, რომელიც აგრეთვე შავია. რაკი სააბი არაბულ-სპარსულად საბატონოსვე ჰქვინავს, ამიტომ გამოსარკვევია, სააბი და საბატონო ყურძნის ერთიდაიმავე ჯიშის სახელია თუ არა. მაგრამ ქართლში საბატონო-ს მეორე სახელად დიდმური იხმარება, რაც მას ადგილობრივ ყურძენად გვაგულისხმებინებს.

23. განჯის-ყურძენი თეთრი, რომელიც იმერეთშიც იყო გავრცელებული, და გენეური-ს სახელით ცნობილი ჰერეთში, საინგილოშიც მოიპოვებოდა.

§ 2. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი

გაცილებით უფრო ნაკლებია იმ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა რიცხვი, რომელთა გავრცელების არე მხოლოდ ქართლ-კახეთითა და ჰერეთით არის შემოფარგლული. ამ ჯგუფს ეკუთვნიან:

1. თავკვერი, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოს არ სცილდება: აქაც

მარტო კახეთსა და ქართლში მოიპოვება, პირველში თეთრი და შავი ყურძნის ჯიშის სახელად, ქართლში კი მისი მხოლოდ შავი სახესხვაობაა ცნობილი.

ამავე ქართლ-კახეთის საერთო ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება:

2. არაგვისპირული თეთრი კახეთსა და ქართლშია მხოლოდ გავრცელებული.

3. პარტკალა, ანუ პარტალა-ც თეთრი კახეთშია შერჩენილი, ხოლო შავი ქართლში.

4. შაბია, ანუ შაბა-ც, ორივეში თეთრი, ქართლ-კახეთს არა სცილდება.

5. ქიშური თეთრი, რომელიც კახეთსაცა და ქართლშიც მოიპოვება.

6. ღრუბელა თეთრი, რომელიც კახეთშიც არის და ქართლშიც.

7. განახარული-ც, რომლის შავი ჯიში კახეთსაცა და ქართლშიც გვხვდება.

8. აღრეული კახეთშიც იყო გავრცელებული და ქართლშიც, სადაც ანდრეული და აღრიანი-ც ეწოდება. მაგრამ კახეთში აღრეული თეთრი ყურძნის ჯიშის სახელია, ქართლში კი პირიქით წითელისა. ამის გამო ქართლისა და კახეთის ამ სახელების ყურძნების ჯიშობრივობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

§ 8. აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი

საგულისხმოა, რომ აღმოსავლეთ საქართველოს მარტო ერთ თემში გავრცელებული ყურძნის ჯიშების რიცხვი საკმაოდ დიდია. აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთ თემში ცნობილ და გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

ჰერეთში, ანუ საინგილოში:

1. მერანდო შავ-წითელი
2. დევისთვალა
3. ქეჩი-ემუავი

კახეთში:

1. ხეივნის ყურძენი შავი
2. მხარგრძელი თეთრი
3. რქა-ხულიდა თეთრი
4. ბუერა-ვაზი თეთრი
5. წობანური თეთრი
6. ძუვანი თეთრი
7. ქიშური თეთრი
8. ქიშშიში
9. მჭვარტალა თეთრი
10. ოფიური თეთრი
11. ძალლი არ ჭამა შავი
12. მოკლე-მტევანა
13. ჭრელყურძენა თ.
14. ნაბადა

15. ჩიტისთვალა შ.
16. იისფერი მოშ.
17. განჯური საფერავი შ.
18. წვრილმარცვალა
19. კნაწუნა ყურძენი თ.
20. ლამაზა თ.
21. სულიანი ყურძენი შ. და თ.
22. მოსავლიანი
23. საჩურჩხლე თ.
24. ასანბეგური
25. სამადაშვილისეული
26. მუჭიანთეული
27. სიმონასეული
28. უბაკლური
29. ჩოკმაშურა
30. ბეჟანაურა
31. სხვილთვა
32. მხარგრძელისეული
33. ოქროს ყურძენი ყვითელი

ქართლში:	6. სამთელა თეთრი
1. გაღმამხრული შავი	7. გორულა თეთრი
2. დანახარული წითელი	8. ჩინური თეთრი
3. დიღმური, ანუ სსნიღმარ- ცვალა, ანუ საბატონო შავი	9. კასპური თეთრი
4. ბუჯის ანუ საბუჯე ყურძენი თეთრი	10. კატური თეთრი
5. ვირა ყურძენი თეთრი	11. ტუარტალა თეთრი
	12. კაკნატელა ანუ ქიშური თეთრი.

მესხეთის გარეშე ჯერჯერობით არსადა ჩანს ყურძნის შავი ჯიშის სახელი საღვინე, რომლის ჯიშობრივი რაობა გამოურკვეველია.

§ 4. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყურძნის საერთო ჯიშ-სახესხვაობათა ჯგუფი აღმოსავლეთ საქართველოსას გაცილებით უფრო სქარბობს. ამ ჯგუფს ეკუთვნის:

1. ბუტკოა აჭარაში თეთრი ყურძნის ჯიშის სახელად გვხვდება, ხოლო შავ-შეთ-კლარჯეთში თეთრიც და შავიც მოიპოვება. საგულისხმოა, რომ ბუტკუ-დ სახელდებული ამ ყურძნის ჯიშის თეთრი სახესხვაობა რაჭაშიც ყოფილა.

2. დონდლაბი დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული: იმერეთში იგი შავი ყურძნის ჯიშის სახელია, რომელსაც ხარისთვალაც, საკუჭალაც, ანდა მაქანაურიც ეწოდებოდა, რაჭაში კი დონდლაბი თეთრ ყურძენსა ჰქვია. გურიაში ეს სახელი ფონეტიკურად შეცვლილი და ბოლომოკვეცილი გვევლინება: იქ დონდლო-ს ეძახიან ყურძნის ერთ თეთრ ჯიშს. საფიქრებელია, რომ ამავე სახელის შესატყვისობა უნდა იყოს სამეგრელოში არსებული შავი ყურძნის სახელი დღუდღუში, რომელშიც ში ნათესაობითი ბრუნვის დაბოლოებაა და დღუდღუ ფუძეა.

3. სამჭაჭე მარტო დასავლეთ საქართველოშია გავრცელებული: თეთრია იმერეთში, შავი ყურძნის სახელია ლეჩხუმში. სამეგრელოში, სადაც სამანკრო-ს ეძახიან, აგრეთვე შავისაა, მაგრამ ვგონებ თეთრიც უნდა იყოს. ხოლო გურიაში თეთრისაცა და შავი ყურძნის აღმნიშვნელადაც გვევლინება. ამ სახელის მქონებელი თეთრი და შავი ყურძნის ჯიშობრივი იგივეობის საკითხი გამოსარკვევია.

4. სამჭაჭა იმერეთსა, სამეგრელოსა და გურიაშია გავრცელებული, მაგრამ იმერეთში თეთრი ყურძნის სახელია, სამეგრელოსა და გურიაში კი წინაუქმო, შავისაა. ამ შემთხვევაშიც თეთრი და შავი სამჭაჭას ჯიშობრივი იგივეობა უნდა გამოვსავსებულ იქნას.

5. დიდ-მტევანა ლეჩხუმში თეთრი ყურძნის ჯიშის სახელია, ხოლო გურიაში მტევან-დიდი მოიპოვება, მაგრამ წითელია. საფიქრებელია, ამავე ყურძნის ჯიშის სახესხვაობის სახელი უნდა იყოს აჭარაში გავრცელებული მტევან-დიდი, მაგრამ იქ ეს ყურძენი თეთრია.

6. აკიდო-ც დასავლეთ საქართველოს არ სცილდება: არგვეთში, იმერეთის სამოქალაქოში, სამეგრელოსა და გურიაში და სამსავე ამ თემში შავ-წითელი ყურძნის ჯიშის სახელად იხმარება.

7. ადანასური დასავლეთ საქართველოს სამ თემშია გავრცელებული: იმერეთში მას მალლარი-ც ეწოდება, რაჭაში ამ ყურძნის ჯიშის სახელად ანადასური-ა იხევე, როგორც ლეჩხუმშიც. სამსავე თემში ანადასური, ანუ ადანასური შავი ყურძნის ჯიშის სახელია. საფიქრებელია, რომ გურიაში გავრცელებული შავი ყურძნის სახელი ალადასტური-ც ამავე ჯიშის ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილ სახელწოდებასვე წარმოადგენდეს.

როგორც ადანასურის აღწერილობაში აღნიშნული გვექონდა, დიდი და მცირე, ანუ პატარა ადანასური არსებობდა. დიდ ადანასურს მეორე სახელად ოხტური-ც ერქვა. რომელსაც ანადასურის, ანუ ადანასურის მსგავსად სათანადო ბოლოსართის წყალობით სადაურობის მაუწყებელი სახელის გარეგნობა აქვს.

8. არაბოული შავი იმერეთსა, რაჭაში და ლეჩხუმში იყო გავრცელებული.

9. ამნაირადვე დასავლეთ საქართველოს სამ თემში იყო რცხილათუბანი შავი: იმერეთში და გურიაში, სადაც მას სხილათობანი, ანუ რცხილათობანი ეწოდებოდა. უეჭველია, ამავე ყურძნის სახელის ბოლომოკვეცილი ფორმა უნდა იყოს რაჭაში არსებული რცხილა-ც, რომელიც აგრეთვე შავია.

10. ციცქა, ანუ ციცქო თეთრი იმერეთშია, რაჭასა და სამეგრელოში, ე. ი. დასავლეთ საქართველოს ზემო ზოლში იყო გავრცელებული.

11. რაჭაში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშის სახელი მეკენჩხალა იგივე სახელი უნდა იყოს, როგორც გურიაში გავრცელებული ყურძენი მაკურენჩხი-ა იმ განსხვავებით, რომ იქ შავი ყურძნის სახელად იხმარება. მეკენჩხალა-სა და მაკურენჩხი-ს სახელების იგივეობის აზრს ის გარემოებაც აძლიერებს, რომ აჭარაში არსებობდა შავი ყურძნის ჯიში, რომელსაც მეკურენჩხი ეწოდებოდა. რაკი გურული მაკურენჩხი-სა და აჭარული მეკურენჩხის იგივეობა ცხადია და რაჭული მეკენჩხალა-ც ამავე სახელებთან უნდა იყოს დაკავშირებული, ამიტომ ვგონებ უფლება უნდა გვექონდეს დავასკვნათ, რომ ამ ყურძნის ჯიშის შავი და თეთრი სახესხვაობა დასავლეთ საქართველოს სამ თემში, რაჭასა, გურიასა და აჭარაში ყოფილა გავრცელებული.

ამავე სახელების ძირთან უნდა იყოს გურიაში გავრცელებული შავი ყურძნის ჯიშის სახელწოდება საკვირჩხალა, მაგრამ რაკი იმავე გურიაში მაკურენჩხი-ც არსებობდა, ცხადია, რომ საკვირჩხალა და მაკურენჩხი უნდა, ან ჯიშობრივად განსხვავებული იყვნენ, ან სხვადასხვა სახესხვაობას უნდა წარმოადგენდნენ. საფიქრებელია, რომ სამივე, ოთხივეც კი, კურინჩხისაგან ნაწარმოები გეოგრაფიული სახელისაგან (საკურინჩხე-საგან) უნდა იყოს წარმომდგარი, მაგრამ 5-ვერსიანი რუკის საძიებელში ასეთი სახელი არა ჩანს.

12. მახვატელი, ანუ მახატური, ოხვატუ, შავი, სამეგრელოსა და გურიაში მოიპოვება, აჭარაში კი მახატური თეთრია. მათი ჯიშობრივობა გამოსარკვევია.

13. მაური ლეჩხუმში შავი ყურძნის ჯიშის სახელია, სამეგრელოსა და გურიაში კი თეთრი სახესხვაობაა.

14. ჩხვერი შავი იმერეთშიც იყო და გურიასა და აჭარაშიც გავრცელებული.

15. სამეგრელოში გავრცელებული იყო ჩეჭიბეში, რომელიც თეთრ წვრილისა-ს ჰნიშნავს. უეჭველია ამავე ყურძნის ჯიშის სახელია აჭარის თეთრი ყურძნის სახელი ჩეჭიბე. საფიქრებელია, რომ ამავე ჯიშის სახესხვაობას წარმოადგენს შავი ჩუბეში, რომელიც გურიაში იყო. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ჰნიბეში-ს, წვრილას ორი, თეთრი და შავი, სახესხვაობის არსებობა უნდა ვიგულისხმოთ.

16. ჩეში, თეთრისაი, სამეგრელოში გავრცელებული, უდრის თუ არა ჯიშობრივად ლეჩხუმის თეთრა-სა და გურულს თეთრიშა-ს ან თეთრ-ყურძენს, ეს ჯერ გამოსარკვევია, იმისდა მიუხედავად, რომ სახელი ერთსადაიმევე ფერსა ჰნიშნავს, რათგან თეთრი ყურძენი სხვადასხვა ჯიშისა არსებობს. ისიც კი დანამდვილებით ძნელი სათქმელია, სამეგრელოს ჩხუჩეში, რომელიც მსხვილ თეთრისა-ს ჰნიშნავს, ამავე ჩეში-ს სახესხვაობას წარმოადგენს თუ არა.

§ 5. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ორ-ორ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი

დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოშიც იმ ყურძნის ჯიშთა რიცხვი, რომელთა გავრცელების არე ორ თემს არ სცილდება, საერთო ჯიშებზე საგრძნობლად უფრო დიდია. ამ ჯგუფს ეკუთვნის:

1. ღორისთვალა. მისი შავიცა და თეთრი სახესხვაობაც გურიაში იყო. სამეგრელოში მისი შავი სახესხვაობაა ცნობილი, რომელსაც კერთოლი ეწოდება, რაც ღორის თვალსავე ჰნიშნავს.

2. ყორნისთვალა შავი რაჭაში და ლეჩხუმში იყო მხოლოდ ცნობილი: სხვა თემში არსად არის დასახელებული.

3. კრახუნა იმერეთში ყურძნის თეთრი ჯიშის სახელია, ისევე როგორც რაჭაშიც. ამნაირად ეს ჯიში დასავლეთ საქართველოს ამ ორი მოსაზღვრე თემის ფარგლებს არა სცილდება.

4. კამური შავიცა და თეთრი სახესხვაობაც არსებობდა და იმერეთში და გურიაში იყო გავრცელებული.

5. ცოლიკაური, ანუ ცოლიკოური თეთრი იმერეთშიც არის, სადაც მას ობჩურა-ც ეწოდება, და რაჭაშიც. რომელშიც ეს ყურძნის ჯიში იმერულად ითვლება.

6. აღექსანდროული შავი რაჭაშია გავრცელებული. ხოლო ლეჩხუმში შავიცა და თეთრი სახესხვაობაც არსებობს.

7. ნაგუთნეული შავი ორ მოსაზღვრე თემშია: რაჭასა და ლეჩხუმში.

8. უწყვეტი-ც თეთრი ამავე ორ თემშია გავრცელებული.

9. ბერაულა თეთრიც რაჭაში და ლეჩხუმში იყო მხოლოდ.

10. უსახელაური შავი ლეჩხუმშია, რაჭაში კი უსახელო თეთრი ყურძნის ჯიშს ეწოდება. საფიქრებელია, რომ ორივე ერთი ჯიშის ორი სახესხვაობაა.

11. კახური, ანუ კახურა თეთრი რაჭასა და ლეჩხუმში მოიპოვება, რაჭაში შავი კახური-ც არსებობდა. მათი ჯიშობრიობა გამოსარკვევია.

12. თეთრა-წმინდა აგრეთვე რაჭასა და ლეჩხუმშია გავრცელებული.
13. ოჭალეში შავი ლეჩხუმსა და სამეგრელოში გვხვდება.
14. ხარდანი თეთრი და შავი (უჩა და ჩე) სამეგრელოში მოიპოვება, ხოლო გურიაში ხარდანის შავი სახესხვაობაა.
15. ჭითაში, რომელიც წითელის-ას ჰნიშნავს, სამეგრელოშია გავრცელებული, ხოლო გურიაში წითლიანი არსებობს. თუმცა მათი ჭიშობრივი იგივეობა საფიქრებელია, მაგრამ საკითხი მაინც ჭერ გამოსარკვევია.
16. კოლოში შავი და თეთრი, ჩე-კოლოში სამეგრელოსა და გურიაშია გავრცელებული, მაგრამ უკანასკნელში მარტო შავი ჩანს.
17. კეთილური შავი გურიასა და სამეგრელოში მოიპოვება.
18. კიკაჩა შავი სამეგრელოშია, ხოლო გურიაში შავიცა და თეთრი კიკაჩაიც არსებობს.
19. ჩხუჩეში, ე. ი. მსხვილი თეთრისაი, სამეგრელოში გავრცელებული ჭიში, ვგონებ, უნდა აქარაშიც ვიგულისხმოთ, სადაც თეთრივე, ჩხუში-ს სახელწოდებით ცნობილი, ყურძნის ჭიში არსებობს.
20. ჯანი შავი იმერეთსა და გურიაში მოიპოვება.
21. გურული ოცხანური შავი ალბათ იგივე ოცხანური საფერე უნდა იყოს, რომელიც იმერეთშიც იყო გავრცელებული.
22. ორონა შავი გურიაში იყო, ხოლო თეთრი ორონა აქარაშია (ერმ. ნაკა-შიძე, მევენ., გვ. 51) გავრცელებული.
23. კლარჭული თეთრი გურიასა და აქარაში მოიპოვებოდა.
24. ჭინეში შავი ცნობილი და გავრცელებული იყო შავშეთ-კლარჯეთსა და აქარაში.
25. ჭოდი შავი მხოლოდ გურიასა და აქარაში ჩანს. გამოსარკვევია, ლეჩხუმური თეთრი ტოჭა-ს სახელი თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობით ხომ არ არის ჭოდი-საგან, ან წინაუქმო, წარმომდგარი და ხომ აქ ერთისადიამვე ჭიშის ორ სახესხვაობასთან არა გვაქვს საქმე.
26. ჩხაბერძული გურიაში შავია, ხოლო აქარაში წითელია.
27. მაგანაყური, რომლისაც გურიაში შავი სახესხვაობაა გავრცელებული, აქარაში კი თეთრი.
28. თეთრი ყურძენი, რომელიც გურიაშიცა და აქარაშიც არის.
29. საფიქრებელია, რომ იმერული შავი ქველოური-ს ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს სამეგრელოს აგრეთვე შავი ქველები-ც.

§ 6. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჭიშთა ჯგუფი

ყველაზე მრავალრიცხოვანია აქაც თითო თემში გავრცელებულ ყურძნის ჭიშ-სახესხვაობათა ჯგუფი, რომელსაც სახელდობრ შემდეგი მიეკუთვნება: მხოლოდ იმერეთში გავრცელებულ ყურძნის ჭიშთა ჯგუფს ეკუთვნოდა:

- | | |
|------------------------------|--------------------|
| 1. მაღლარი თეთრი | 4. ყურწითელა თეთრი |
| 2. კუნძა, კუნძა მწვანე თეთრი | 5. თავწითელა თეთრი |
| 3. კვირისტავა თეთრი | 6. შანთი თეთრი |

7. სადადეგო თეთრი
8. ნაცარა თეთრი
9. სათიბა თეთრი

10. მაისა თეთრი
11. ქართულა თეთრი

მხოლოდ რაჭაში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. აღეში შავი, რომელიც, როგორც უკვე დავრწმუნდით, ნამდვილად ზოგადი სახელიც ყოფილა.

2. ხოტევეური შავი

3. მუყურეთული

4. ბულღვა შავი

5. ნოშრიო შავი

6. ხროგი შავი

7. მუაველა შავი

8. ბახვა შავი

9. ბერბეშო შავი

10. ოყურეშული შავი

11. წიწილიანი თეთრი

12. წულუკიძის თეთრა

13. ლაბილარის თეთრა

14. კიდორაული, კუდურაული თეთრი

15. ჩიღვინაური თეთრი

16. თხმორულა თეთრი

17. მობაზური თეთრი

18. მეგრელაური თეთრი

19. ჭროჭინა თეთრი

20. სადმელური თეთრი

21. თქვაფუნა, ანუ თხრუშუნა თეთრი

22. თბილული თეთრი

23. გრძელ-მტევნიანი

24. მოკატური (თუ მოქათური?) შავი

25. საგანგებოდ გამოსარკვევია, რაქული თეთრა ჯიშობრივად გურიისა და აქარაში გავრცელებულ თეთრ ყურძენს უდრის თუ არა, ანდა გურიის თეთრიზა-სთან ჯიშობრივად რაიმე კავშირი აქვს თუ არა.

მხოლოდ ლეჩხუმში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს შეადგენენ:

1. საირმულა შავი

2. აბხაზური შავი

3. დაქეული შავი

4. გოროთანა შავი

5. ორხულა თეთრი

6. ღარასულა თეთრი

7. ფაჩხატა თეთრი

8. ტოჭა (ТОДЧА)

9. გაბაშა (Габаша)

10. ქედურა თეთრი

11. ცხერო თეთრი

12. ცარცხია თეთრი

13. ყუნწმაგარა თეთრივე

მხოლოდ სამეგრელოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. სვანური, ანუ შონური შავი

2. ვერნახი შავი

3. პუმპულაში წითელი

4. გრეხი შავი

5. ტუტაში შავი

6. პანეში შავი

7. გოდავათური შავი

8. მაქყვატური შავი

9. ტოვანი შავი, თუ ეს სახელი სრულად არის დაცული და მტევანდიდისა, ან რცხილათობანის ნაწილი არ არის.

10. ჩხოროკული შავი

11. მაბრა შავი, თუ მას მაურთან არა აქვს კავშირი.

12. ოქონა შავი

13. კუტალა შავი

14. ლაგილური შავი

15. ქველები შავი, თუ იმერული ქველოური-ს წესატყვისობას არ წარმოადგენს.

16. ზერდაგი თეთრი

17. ჩე-რგვალი, ე. ი. თეთრი რგვალი

18. ჩეჩიში, ანუ ჩეკში, თეთრი ჩვილი.

19. კვიტილოური, თუ რომის ჯიშობრივად მართლაც კუნძას არ უდრის.

20. ცხინკილოური თეთრი

21. ეგურძული თეთრი

22. კვაწახური თეთრი

23. ოპოპი თეთრი

24. დედოფლის კითი შავი

25. ჩეში უდრის თუ არა ჯიშობრივად თეთრ ყურძენს, ანუ თეთრას, ეს ჯერ გამოსარკვევია.

მხოლოდ გურიისში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. ჯუმუტა შავი

2. ბადაგი შავი

3. ბერძულა შავი

4. სამჩხავერა შავი

5. მანდიკოური შავი

6. საკვირჩხილა შავი

7. ოფოურა შავი

8. მუხიშხა შავი

9. კორძალა შავი

10. სამარხი თეთრი

11. ათინური თეთრი

12. ზენათური თეთრი

18. წიაღომინა თეთრი

14. თეთრიშა თეთრი

მხოლოდ აჭარაში გავრცელებული იყო:

1. საწური შავი

2. წვიტე (цвигте) თეთრი

3. ხოფათური

4. მატანაური თეთრი

5. მაგანაყური (?) თეთრი

6. შავშურა შავი

7. ბროლა თეთრი

8. ლიკანა ყურძენი თეთრი

9. პოვნილი შავი

მხოლოდ შავშეთ-კლარჯეთში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის:

1. ორჯოხული თეთრი და შავი

2. სორეჟი თეთრი

3. ხევარდული თეთრი

4. გორგოული თეთრი

5. წყალთეთული თეთრი

6. თურვანდა თეთრი

7. ხალთური შავი

8. სალიკლევი შავი

9. შიშველი შავი

10. ახალეკი შავი

11. შავროპი

თავი XIX. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების ხნიერების განსაზღვრა

თავისდათავად ცხადია, რომ ყველა ზემოგანხილული ყურძნის ჯიშში ერთ-სადაიმავე დროს არ შეიძლება საქართველოში გაჩენილი იყოს: თანდათანობით, სხვადასხვა გზითა და საშუალებით იქმნება მათი რიცხვი გამრავლებული. საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარი ვალდებულია, შეძლებისდაგვარად, გამოარკვიოს, თუ რა ჯიშის პატრონი იყო ქართველი მიწისმოქმედი ძველად და რომელი და რა ღირებულების ახალი ჯიშები შეეძინა მის მეურნეობას დროთა განმავლობაში და სახელდობრ საითგან.

ასეთი საკითხის შესწავლა ადვილი არ არის იქაც კი, სადაც ძველი და შემდეგდროინდელი აგრონომიული თხზულებები და ეკონომიური ისტორიის ძეგლები გადარჩენილია. საქართველოს მკვლევარი, სამწუხაროდ, იმ ბედნიერი ერების წარსულის შემსწავლელთა ჯგუფს არ ეკუთვნის, რომელთა წინაპრების

მრავალსაუკუნოვანი კულტურული მონაპოვარი დაცულია მთლიანად. ისიც კი დანამდვილებით არ ვიცით, ჰყავდა, თუ არა ძველ საქართველოსაც თავისი აგრონომი მწერლები. სამეურნეო ისტორიის ძეგლთაგან ხომ XIII ს-ზე უწინარესი არც ერთი გადარჩენილი არ არის. ასეთ პირობებში ადვილად შესაძლებელია ყურძნის ჯიშების ხნიერებისა და სადაურობის პრობლემის გამორკვევის განზრახვა და მცდელობა ადამიანს სრულებით უნიადაგო და უიმედო საქმედ ეჩვენოს. მაგრამ, დიდი სიძნელისდა მიუხედავად, ვფიქრობთ, რომ ამ უმნიშვნელოვანესი საკითხის, თუ მთელი სისრულითა და სასურველი ზედმიწევნითა არა, ნაწილობრივ და დაახლოებით მაინც გამორკვევა შესაძლებელია.

§ 1. ვაზ-ყურძნის ჯიშების ხნიერების საკითხის გამოსარკვევად გამოსადეგი წყაროები და მეთოდები


ყურძნის ჯიშებზე რამოდენიმე ცნობა XVII—XVIII სს. წყაროებში მოგვეპოვება. ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ X ს-ითგან მოყოლებული ძველ



სურ. 8. მცხეთის სვეტიცხოვლის ხის ძველი კანკელის ქანდაკება. მოკლე-მტევანას ჯიშის მაგვარი წვრილმარცვლიანი წოწოლა მტევნითურთ.

ქართულ მხატვრობასა და ქანდაკებებში ვაზ-ყურძნის სხვადასხვა ჯიშის ფოთლისა და მტევნის გამოხატულება ხშირია. რამოდენიმე ძეგლის ამნაირი სურათი აქვე მომყავს. მცოდნე და ჯიშების გარჩევაში დახელოვნებულმა პირმა ეგე-

ბის ასეთი გამოხატულების მიხედვით არაერთი საგულისხმო საკითხის გამოკვევა შესძლოს, მაგრამ ამას ფრთხილი და განსაკუთრებული შესწავლა სჭირდება და, რა თქმა უნდა, აგრონომების საქმეა.



სურ. 9. მცხეთის სვეტიცხოვლის ქვის ძველი კანკელის ქანდაკება, რომელიც ჭიშების ხეობის განსაზღვრისათვისაც არის საყურადღებო (იხ. აქვე) და მოკლემბტვეანას ჭიშის მაგვარი (იხ. გვ. 502) შერილმარცვლიანი და წოწოლა მტევნითაც

ამას გარდა, უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ჩვენამდის მოაღწია ვაზის ლერწისაგან გაკეთებულად მიჩნეულმა კარმა და სხვა საგნებმა, მათ შორის წაწინოსად მიჩნეულმა ჯვარმაც. მათი მერქნის ჰისტოლოგიური აგებულების სურათის თანამედროვე საქართველოში გავრცელებული ჭიშების მერქნის ჰისტოლოგიურ სურათთან შედარება ამპელოგრაფს საშუალებას მისცემს გამოარკვიოს, თუ რომელი ვაზის ჭიშის ლერწისაგან ყოფილა ეს საგნები გაკეთებული.

ამნაირად ზოგიერთი ჯიშის ხნიერების გასაგებად სრულებით სანდო და მტკიცე დასაყრდნობი შეეძინებოდა მეცნიერებას. მხოლოდ ასეთი კვლევა-ძიებაც მომავლისა და, ცხადია, მეცნარეთა ანატომიის სპეციალისტების საქმეა.

მაგრამ უეჭველია, მომავალშიც ყველა ზემოდასახელებული გზითა და ღონეობით საქართველოში გავრცელებული ჯიშების ხნიერების გამოსარკვევად მოპოვებული შედეგი შეუძლებელია იმდენად დიდი იყოს, რომ ადამიანი ამ მონაპოვართი დაკმაყოფილდეს და იმისდა მიხედვით ზოგადი დასკვნის გამოყვანა მოახერხოს, ამიტომაც ამ პრობლემის შესასწავლად აუცილებლად საჭიროა კიდევ სხვა რაიმე საშუალების გამოძებნა.

ასეთ უმთავრეს და უპირველეს საშუალებად უნდა გამოყენებულ იქნეს ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელების ლინგვისტიკურ-ფილოლოგიური ანალიზი. მართალია, ჯიშების ხნიერების საკითხი სხვა ქვეყნებშიც ჯერ სათანადოდ შესწავლილი არ არის, მით უმეტეს ასეთი მეთოდით ამ პრობლემის გამორკვევა არსად არავის უცდია, მაგრამ ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ ამ საკითხებზე ჩვეულებრივ ამპელოგრაფები მსჯელობდნენ, რომელთაც ფილოლოგიური მეთოდის გამოყენება არც უფიქრიათ და არც შეეძლოთ.



სურ. 10. ანანურის საყდრის გარეთი აღმოსავლეთი კედლის ქანდაკება მსხვილ და წერილმარცვლიანი მტევნებითურთ

ცნობილია, რომ ყოველ ენას თავისი ისტორია აქვს: დროთა განმავლობაში მისი აგებულებაც იცვლება და სიტყვათა საუნჯეც. ძველი სიტყვა ისპობა და მის მაგიერ სხვა სიტყვა ჩნდება, ანდა სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა იცვლება და ძველის მაგიერ უკვე ახალი მნიშვნელობით იხმარება ხოლმე. მკვლევარს სწორედ ენის აგებულებისა და სიტყვათა საგანძურისა, ისევე როგორც მნიშვნელობის ცვლილებათა ქრონოლოგიის ცოდნა შეუძლიან ვაზ-ყურძნის

ჯიშების სახელების გაჩენის დაახლოვებითი დათარიღებისათვის გამოიყენოს და ამ გზით თვით ამ ჯიშების ხნიერების განსაზღვრაც მოახერხოს.

მეორე საშუალებად შესაძლებელია გამოყენებულ იქმნეს საქართველოს იმ რამოდენიმე თემის ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელები, სადაც მაკმადიანობა გაბატონდა და ამის გამო უკვე რამოდენიმე საუკუნის წინათ მევენახეობა-მელღინეობის განვითარება შეჩერდა, ანდა ყურძნის სპარსულ-თურქული სახელები შევიდა. საქართველოს ასეთ გამაკმადიანებულ-გათურქებულ რომელსავე თემში გავრცელებული ვაზ-ყურძნის ჯიშის ქართული სახელი ძველი მევენახეობა-მელღინეობის ნაშთს წარმოადგენს და ეს გარემოებაც ადამიანს შეუძლიან ჯიშების ხნიერების დაახლოვებითი დათარიღებისათვის გამოიყენოს. სწორედ ამის გამო ძველი ჰერეთის, საინგილოს, სამცხის, აჭარისა, შავშეთისა და კლარჯეთის ჯიშის ქართულ სახელებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

წერილობითი წყაროების ცნობათა გამოყენებითა და ამ ორი საშუალებით არაერთი ჯიშ-სახესხვაობის ხნიერების საკითხის გამორკვევა ზოგიერთ შემთხვევაში საკმაოდ დაახლოვებით, ზოგჯერ კი მხოლოდ ხანის განსაზღვრით ხერხდება.

§ 2. ვაზ-ყურძნის ჯიშების ხნიერება საქართველოში

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, წარსულ საუკუნეში ყველა ცნობილი ჯიში ძველი არ არის, პირიქით ზოგი მათგანი სრულებით ახალი შემოტანილია. მაგალითად, შესაძლებელია დასახელებული იყოს ფილოქსერის გაჩენის შემდეგ დასავლეთ საქართველოში ფართოდ გავრცელებული იზაბელა, ანუ ადესა, ზოგიერთი ევროპული ჯიშ, რომელთა სახელებიც ამის გამო ჩვენს ზემო-მოყვანილ ამპელოგრაფიულ მიმოხილვაში არ შეგვიტანია.

ადგილობრივ ჯიშთა შორისაც არაერთია ახალი. მაგალითად, არგვეთული საფერე-ს ამპელოგრაფიულ აღწერილობაში უკვე მოყვანილი გვექონდა ვ. სტაროსელსკის 1893 წ. ცნობა, რომ ეს ყურძნის ჯიში ს. არგვეთში დიდი ხნის გავრცელებული არ იყო, მაგრამ რომ მისი გაჩენის ისტორია გამორკვეული არ არის, უცნობიაო (იხ. აქვე, გვ. 445).

არგვეთული საფერის ჯიშობრივი წარმოშობილობის საკითხის გამორკვევა, რა თქმა უნდა, აგრონომ-ამპელოგრაფების საქმეა, მაგრამ, თუ ამ ყურძნის ჯიშის მეორე სახელს, კობახიძის საფერე-ს, მივაქცევთ ყურადღებას, მაშინ ამ ვაზის ისტორიის ორი მნიშვნელოვანი გარემოების გამორკვევას მაინც შევძლებთ. ამ სახელის მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ არგვეთული საფერე ს. არგვეთში პირველად რომელიღაც კობახიძის წყალობით გაჩენილა. სწორედ ამიტომაც, რომ ხალხს მისთვის „კობახიძის საფერე“-ს სახელი უწოდებია.

რაკი XIX ს. დამლევს ამ ყურძნის ჯიშის სახელს მისი პირველი შემომღების გვარის შესახები ცნობა შენარჩუნებული ჰქონია, ეს გარემოებაც ცხადყოფს, რომ არგვეთული საფერე მართლაც შედარებით ახლად მოტანილი, თუ გაჩენილი ყურძნის ჯიშია. საფიქრებელია, რომ XIX ს.-ზე აღრინდელი არ უნდა იყოს, რათგან წინააღმდეგ შემთხვევაში მისი შემომტანის გვარი დავიწყებული

იქმნებოდა და მისი სადაურობის მაუწყებელი სახელი, არგვეთული საფერე, რომელიც ეხლა უკვე საყოველთაოდ არის მიღებული, ამ ყურძნის პირველი შემომტანის გამომჟღავნებელ სახელს, კობახიძის საფერე-ს, დასჩრდილადა და ხალხს სრულებით დაავიწყებდა კიდევაც. ეხლა საჭიროა კიდევ მხოლოდ გამოირკვეს, თუ ყურძნის ჯიშთა რომელ ჯგუფს ეკუთვნის იგი ჯიშობრივად, რომ მისი ბოტანიკური წარმოშობილობისა და თავდაპირველი სადაურობის საკითხიც გაშუქდეს.

იგივე უნდა ითქვას მევენ-მედვ. ინსტიტუტის თანამშრომელთაგან კახეთში აღნიშნული ისეთი ჯიშებისა, თუ სახესხვაობათა შესახებაც, როგორცაა სამადაშვილისა და მისთანანი.

წერილობითს ძეგლებში ხსენებისდა მიხედვით, ოთხი ჯიშის არაუგვიანესობის ხანის განსაზღვრა შეიძლება, მაგ., ბუდეშური ს. ორბელიანს აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი, სადაც ნათქვამია: „ბუდეშური ყურძენი მოგრძე მარცვალი“ არისო (ლექსიკ.). უკვე ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ ბუდეშური XVII ს-ში კარგად ცნობილი ყურძნის ჯიში ყოფილა. ამასვე მეორე გარემოებაც ადასტურებს: ბუდეშური მესხეთშიც არის გავრცელებული, ე. ი. სამაჰმადიანო საქართველოშიც, რაც ამ ჯიშს XVII ს-ზე ადრინდელად გვაგულისხმებინებს. ხოლო ყურძნის ჯიშთა სადაურობის მაუწყებელი სახელების განხილვის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ბუდეშურის სახელი უნდა ოდესღაც საქართველოში არსებული გეოგრაფიული სახელისაგან იყოს წარმომდგარი. მისი კვალის წარხოცილობის გარემოებაც ამ ყურძნის ჯიშის საპატიო ხნიერების გამომჟღავნებელია.

ამნაირადვე ს. ორბელიანის ცნობითგან, რომ „კამური ყურძენია ერთი რიგი“ (ლექსიკ.), ცხადი ხდება, რომ კამური, თუ ამაზე უწინარეს არა, მაინც დამაინც უკვე XVII ს-ში აღმოსავლეთ საქართველოშიც ცნობილი ჯიში ყოფილა. ამჟამად, როგორც დავრწმუნდით, მისი გავრცელების არე იმერეთთა და გურიით არის შემოფარგლული.

ს. ორბელიანს კიჩიო-ც აქვს მოხსენებული, და მისი განმარტებით, „კიჩირი ყურძენია ერთი რიგი“ (ლექსიკ.). არც თანამედროვე და არც XIX ს. წყაროებში უკვე აღარავითარი ცნობები არ მოგვეპოვება ამ XVII ს. არსებული ყურძნის ჯიშის შესახებ. ეს გარემოება ცხადჰყოფს, რომ დროთა განმავლობაში არაერთი წინათ არსებული და შესაძლებელია საკმაოდ გავრცელებული ყურძნის ჯიში ეგების ისე იყოს გამქრალი, რომ მისი კვალიც კი არსად გვექონდეს შერჩენილი.

ს. ორბელიანის ლექსიკონის ერთ-ერთ შემავსებელთაგანს ქველოურის ყურძნის ჯიშის მოკლე დახასიათება შეუტანია. მას ამ ჯიშის სახელად ქველაური აქვს და მისი სიტყვით „ქველაური ყურძენია მომგრგლო და მოგძე“ (ლექსიკ.).

საფერავი ვახტანგ VI-ის დასტურლამალში გვხვდება ატენის ზერების შესახებ დებულებაში, მაგრამ სახელს გარდა არაფერი მოიპოვება (დასტურლ., გვ. 123, § ლ). ეს ცნობაც საფერავს XVII ს-ზე უწინარეს ჯიშად გვაგულისხმებინებს. საუკუნეებით მის ადრინდელ ხნიერებას შავშეთ-კლარჯეთშიც, ამ გამაჰმადიანებულ ქართულ ორ თემშიც, არსებობის გარემოებაც ადასტურებს.

ვინც ვახუშტის საქართველოს გეოგრაფიას გარდაიკითხავს, ის დარწმუნდება, რომ XIX ს. წყაროებში სამეგრელოში დასახელებული ზერდაგი-ს ყურძნის ჯიში XVIII ს. დამდეგსაც განთქმული და საუკეთესოდ მიჩნეული ჯიში ყოფილა, რომელსაც თავისი სახელი ღვინის ფერის გამო დაპრქმევია. ვახუშტს ნათქვამი აქვს: ს. ოდიშში იყო „ღვინო ზერდაგი ფერისათვის ეგრეთ წოდებული“, რომელიც მისივე დახასიათებით ყოფილა „ქებული ყოველთა შინა“ (გგ^რფა, 402—404). ამისდა მიხედვით ცხადია, რომ ეს ჯიში მაინცდამაინც XVII ს-ზე უგვიანესი არ შეიძლება იყოს. მისი უწინარესობის საზღვრის გამორკვევის საშუალებას თვით ამ ჯიშის სახელი გვაძლევს. ზერდაგი ახალი სპარსულითგან შეთვისებული სიტყვაა. რაკი ახალი სპარსული X ს-ითგან იწყება, ამიტომ ამაზე უწინარესაც ზერდაგი არ შეიძლება ქართულს შეეთვისებინა. ხოლო თამარ მეფის ისტორიკოსს ზერდაგი ცხენის ფერის აღსანიშნავად აქვს უკვე ნახმარი. ეს გარემოება ამ სიტყვის ქართულში უკვე XI—XII სს. შეთვისებულად გვაგულისხმებინებს. რაკი ეს სიტყვა XVII—XVIII სს-ში იშვიათი სიტყვაა, საბასაც კი მისი მნიშვნელობა მთლად სწორედ არა აქვს განმარტებული, თანაც ასეთი სახელის არსებობა ოდიშში ვაზ-ყურძენ-ღვინის ფერის აღსანიშნავად უფრო საქართველოს მთლიანობის ხანაშია მოსალოდნელი, ამიტომ უფრო საფიქრებელია, რომ ზერდაგი-ს ჯიშის სახელი XII—XV სს-ში უნდა იყოს გაჩენილი.

პუმპულაში-ს სახელწოდებით ცნობილი, სამეგრელოში გავრცელებული ყურძნის ჯიში სხვა რომელსამე საქართველოს თემში არსადა ჩანს. როგორც თავის ალაგას (იხ. აქვე, გვ. 466—467) ნათქვამი გვქონდა, მისი სახელი უნდა უაღრესად სურნელოვანი და ლამაზი პატარა ნესვის ჯიშის პუმპულა-ს სახელთან იყოს დაკავშირებული. როგორც დავრწმუნდით, ნესვის ეს ჯიში ძველ საქართველოშიც ყოფილა გავრცელებული (იხ. აქვე, გვ. 272). საფიქრებელია, რომ პუმპულაშის ყურძნის ჯიში ნესვის ამ ჯიშს სურნელებით, ან ფერით თუ დაუკავშირეს, რათგან ძნელი დასაჯერებელია, რომ პუმპულა, ვითარცა არასაქმე-ლი ჯიში, ყურძნის გემოს დასახასიათებლად გამოეყენებინათ.

პუმპულაში-ს მსგავსი სახელი ძველად და საშუალო საუკუნეებში არც უცხოეთში ჩანს სადმე. მხოლოდ Jean Bauhin-ს (1540—1613) თავის ნაშრომში „Historia plantarum universalis“ ყურძნის ჯიშების აღწერილობაში შეტანილი აქვს „Uvae albae dictae «Melons» „თეთრი ყურძენი „ნესვისა“-დ წოდებული“ ჯიშის სახელიც. მისი აღწერილობით ამ ვაზის ჯიშს ფოთოლი მრგვალი, ნაკლებად ჩაღრმავებული, დაკბილული და ქვევითგან ბუსუსიანი ჰქონია, მარცვლი დიდი არ სცოდნია, მაგრამ ტკბილი და სასიამოვნო ყოფილა. მხოლოდ მისგან ღვინო თურმე გამძლე არ გამომდგარა. ამ ჯიშის გერმანული სახელი Bauhin-ს ვერ გავუგია, ალბათ არც არსებობდა. Montebéliard-ის გრაფს ეს ყურძნის ჯიში თავის მამულში გაუშენებია (I. Roy-Chevrier, Amp. rétrosp., 211—212).

I. Roy-Chevrier-ის ცნობით, ზემოდასახელებული გრაფისაგან Granges-la-Ville-ს მახლობლად მდებარე Franche-comté-ში ამ ყურძნის ჯიშის გაშენება პარლამენტის დადგენილებით სასტიკად აუკრძალავთ, რათგან Melon-ის ყურძნისაგან ჯანმრთელობისათვის მავნებელი ღვინო დგებოდაო. მაგრამ ამავე ავტორის სიტყვით, ეს ჯიში ეხლაც არსებობს და Gamay blanc feuille ronde-

ეწოდება (იქვე, გვ. 216). მისი ამპლოგრაფიული აღწერილობა V. Pulliat-საღ მთებოვება (იხ. Mille variétés, 127—130).

ზემონათქვამის მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ პუმპულაში-ს მსგავსი ყურძნის ჯიში საფრანგეთსა და გერმანიაში XVI ს-ში გაჩენილა და, ალბათ, აღმოსავლეთითგან იქმნება იქ შეტანილი. ამისდა გვარად საფიქრებელია, რომ საქართველოშიც აღმოსავლეთითგანვე იქმნება შემოტანილი, ცხადია, XVI ს-ზე გაცილებით უფრო ადრე.

ჯანი-ც შესაძლებელია, თავის ადგილას მოყვანილი (იხ. აქვე, გვ. 591—522) XVI ს. ესპანელი მეცნიერის ცნობისდა მიხედვით, სამხრეთ-დასავლეთითგან შემოტანილ უცხო ჯიშად ვიგულისხმობთ, დაახლოვებით XVI—XVII სს.

პარტალად წოდებული ყურძნის ჯიშის უკვე სახელის ნამდვილი გამოთქმაა გამოსაძიებელი. 1875 წ., როგორც დავრწმუნდით, რუსულად გამოქვეყნებულ ნაშრომში ამ ყურძნის ჯიშის სახელი „პარტკალა“-დ არის აღნიშნული („Парткала“), ს. ზელინსკის ქართულად პარტყალი აქვს დაბეჭდილი და თანაც ამ სახელს „წყალწყალა“-დ (водянистый) სთარგმნის, რუსულად კი ისევ „парткала“-ა (იხ. აქვე, გვ. 440). ზელინსკის ქართული ასოებით მოყვანილი ყურძნის ჯიშების სხვა სახელები ისე დაუმახინჯებია, რომ ამ შემთხვევაშიც ადამიანი მას ვერ ენდობა. საკითხს ის გარემოებაც ართულებს, რომ ამჟამად გარე-კახეთშიცა და ქართლშიც ამ ყურძნის ჯიშს პარტალას ეძახიან, ე. ი. ტ-ს შემდგომ კ ანდა ყ არ ისმის.

რომელი ზემომოყვანილთაგანია ყურძნის ამ ჯიშის ნამდვილი სახელი და რას უნდა ჰქონდებოდეს? ამ სახელის მნიშვნელობა რომ სისწორით გვეცოდნოდა, მისი მართლმეტყველების საკითხის გადაწყვეტაც გაადვილდებოდა. მაგრამ საითგან აქვს ამოღებული, ან ვისგან და რომელ თემში აქვს ზელინსკის გაგონილი, რომ პარტყალი წყალწყალას ჰქონდა ქართულად, ნათქვამი არ არის.

ბაპარის სპარსული ლექსიკონითგან ირკვევა, რომ ასეთი სახელი სპარსეთშიც ყოფილა ოდესღაც გავრცელებული. ამ ავტორის ნაშრომში შეტანილია *ساز شراب* „შირაბ-ი ფართქალი“, ე. ი. „ფართქალის ღვინო“ და მის განსამარტავად ბაპარს ნათქვამი აქვს *ساز شرابى* „ღვინოა, რომელსაც ფართქალში აკეთებენო“ Vullers-საც. რომელსაც ბაპარის სპარსული ლექსიკონითგან ამოღებული ეს ცნობა მოეპოვება, თავის მხრით ეს განმარტება ლათინურადაც აქვს განმარტებული: „*Vinum in ساز شراب confectum*“ (იხ. Jon. Aug. Vullers, *Lexicon Persico-latinum*, I. 137). რაკი იმ ადგილის სახელი, სადაც ამნაირი სახელწოდებით ცნობილი ღვინო ყოფილა, ვულლერს-ს ლათინურ თარგმანშიც სპარსულადვე აქვს მოყვანილი, ცხადი ხდება. რომ ამ გეოგრაფიული სახელის თანამედროვე შესატყვისობა და ედებარეობა ვერ გამოიურკვევია. მართლაც ასეთი გეოგრაფიული სახელი არა ჩანს. ჰანდლაკ ყაზვინი-ს დიარბეჟირისა და რაბივაკ-ის სანახებში დასახელებული აქვს *ساز شراب* ბარტალის, ანუ ბარტალას სანახები (იხ. G. Le Strange-ის გამოც. *Nuzhat-al-Qulub*, სპარს. ტექსტის გვ. 12 = ინგლ. თარგ., გვ. 103). ეს სახელი საქართველოში ეჭლა გავრცელებულ პარტალას ძალიან მიაგავს, მაგრამ ზემოაღნიშნულ სპარსულ გეოგრაფს აღნიშნული არა აქვს, რომ ამ სანახების სასოფლო მეურნეობაში მევენახეობასაც რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

ამნიარად ცხადი ხდება, რომ პარტალა-სა თუ პარტალა-ს სახელი თუ საქართველოში ყურძნის ჯიშის აღმნიშვნელია, სპარსეთში ღვინის სახელი ყოფილა. ეს სახელი სპარსელ ძველ ლექსიკოგრაფს სადაურობის მაუწყებლად ჰქონია მიჩნეული, მაგრამ ამ საკითხს ჯერ კიდევ გამორკვევა სჭირდება. ამიტომ პარტალას თუ პარტალას ხნიერების გამორკვევა ამჟამად დაახლოებითაც კი შეუძლებელია.

ვაზის ჯიშთა სახელებს შორის, როგორც დავრწმუნდით, ყველაზე თავისებური ვაზის ლერწის ფერის დამახასიათებელი სახელებია: რქა-წითელი, ხევარდული, ხიხვი და ხემხუ, ძელშავი და ორიოდ სხვა: რქა-ხულია და ბუერა-ვაზი. ამ სახელების თავისებურება ამ ჯიშების ხნიერებას უფრო საგულისხმო და მნიშვნელოვან საკითხად ხდის.

ამ ვაზის ჯიშების ხნიერების გამორკვევა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მათი სახელების მიხედვით შეიძლება, რათგან მათი ხსენება ძეგლებში ჯერჯერობით არსადა ჩანს.

ამ სახელების საერთო დამახასიათებელ თვისებას მათი ორ-ნაწილეობა შეადგენს. წარმოების მხრივაც მათ საერთო თვისება აქვთ: პირველ ნაწილად ყველგან ვაზის ლერწის სახელია (რქა, ხე, ძელი), მეორედ ფერის აღმნიშვნელი ზედსართავია (წითელი, ვარდული, მხიე, შავი). ვაზის ნივთიერების სახელი საქართველოში დროთა განმავლობაში არაერთხელ შეცვლილა. უკვე დიდი ხანია (მით უმეტეს ეხლა) არავინ ვაზის სხეულს, ზროს, ხეს ანდა ძელს არ უწოდებს, რქასაც არავინ დაარქმევს, რათგან რქა ვაზის ერთი წლის ტოტსა პნიშნავს, ზროს კი XVII ს. და უწინარეს საუკუნეებშიც ლერწი ეწოდებოდა. ამიტომ სწორედ ვაზის ლერწის აღმნიშვნელი სიტყვები უნდა იყოს ვაზის ჯიშების ამ სახელების ხნიერების განსაზღვრისათვის გამოყენებული. მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნება შესაძლებელი, თუ რომ წინასწარ თვით ლერწის აღმნიშვნელი სიტყვების შენაცვლების რიგობითი თანამიმდევრობა და დაახლოებითი, ანდა შედარებითი ქრონოლოგია გვეცოდინება. სამწუხაროდ, საქმეს ქართული ენის ისტორიული გრამატიკისა და ლექსიკონის უქონლობა გვიჩნელებს. ამიტომ ამჟამად ზედმიწევნით ამ საკითხის გამორკვევა შეუძლებელია და შედარებითი ხნიერების განსაზღვრით უნდა დავკმაყოფილდეთ.

ვაზის ზროსა და სხეულის აღმნიშვნელი სამი-ოთხი სიტყვიდან, რომელი უფრო ძველია, ლერწი, რქა, ხე, თუ ძელი და რომელია მერმინდელი? ყველაზე მერმინდელი, როგორც დავრწმუნდით, ლერწი-ა, ხოლო დანარჩენთაგან პირველად, რომ უკანასკნელ ორს შეეხვით, უნდა ითქვას, რომ ამისათვის იეზე-კიელის 152-ისა, I კორინთელთა 312-ისა და სხვა ადგილების ქართული თარგმანი, რომელიც უკვე მოყვანილი გვქონდა (იხ. აქვე, გვ. 312—313), ჩვენთვის ფრად საყურადღებოა. იქ ხე-ც არის ნახმარი და ძელი-ც, მაგრამ ხე ჯერეთ მოუქრელი მერქნიანი მცენარის აღსანიშნავად არის გამოყენებული, ძელი კიდევ მოქრილი ხის მასალის აღმნიშვნელია. არაფერი ამის მსგავსი არც ბერძნული, არც ლათინური და არც სომხური თარგმანების ავტორებს ამ ადგილას არ მოეპოვებათ და მათ ერთიდაიგივე სიტყვა (ქსკლონ, ლიგნუმ, ფაატ) აქვთ ორსავე შემთხვევაში ნახმარი. ქართველი მთარგმნელისათვის მის დედაენას საშუალება მიუცია, ორი განსხვავებული ცნების გამოსახატავად ორი სხვადასხვა სიტყვა ეხმარა.

თუ გავიხსენებთ, რომ დაბადების ქართული თარგმანი უკვე ხანმეტობის ხანაში, VI ს-ში, არსებობდა, შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ ამ დროს ხე სწორედ მერქნიანი მოუჭრელი მცენარის აღმნიშვნელი ყოფილა, ძელი კი მხოლოდ მოჭრილი ხის სახელად უხმარიათ.

ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ამ ორ სიტყვას შემდეგ საუკუნეებშიც. მაგ., წა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში ნათქვამია: „უბრძანა მირიან მეფემან ძელი საჯუარედ, წარვიდეს ხურონი და მოკუეთეს ხეა ერთი... და უბრძანა მეფემან შესაქმედ ჟუარი“-ო (Опис., II, 793). „მოიღეს ძელი და იწყეს შენებად“ (იქვე, II, 776). მაშასადამე, ძელი რომ ყოფილიყო, ჯერ უნდა ხე მოეკვეთათ, ანუ მოეჭრათ, სადურგლო მუშაობისათვის სახმარებელ მასალას, მოჭრილ ხეს, VII—IX სს-შიც ძელი ჰრქმევია.

ძელი რომ ძველ ქართულში მოჭრილ ხესა ჰნიშნავდა, ს. ორბელიანმაც იცოდა, რომელსაც ეს გარემოება, 1 კორინთელთა, 3₁₂-ზე დაყრდნობით, თავის ლექსიკონში მოხსენებული აქვს კიდევაც: „ძელი ხე მოკვეთილი“-ს აღმნიშვნელიაო.

მაგრამ ვაზი ხედ დაბადების ქართული თარგმანის მხოლოდ იმ ადგილას იწოდება, სადაც თვით დედანსა და ბერძნულ თარგმანშიც სწორედ ეს სიტყვაა ნახმარი, სხვაგან კ, სადაც ქართველი მთარგმნელი დაბადების ტექსტისაგან შეზღუდვილი არ იყო, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 313), რქა უხმარია.

ზემოაღნიშნულ დაკვირვებათა მიხედვით, შემდეგი დასკვნის გამოყვანა შეგვიძლიან: V—VII სს-ში ვაზის ლერწმს რქა სწოდებია, ხე კი, თუმცა ამ ხანაში მერქნიანი მცენარეების ზოგადი სახელი ყოფილა, მაგრამ ვაზის ლერწმის აღსანიშნავად არ იხმარებოდა. დასასრულ, ძელი ამ დროს მხოლოდ მოჭრილი ხის აღმნიშვნელი სიტყვადა ყოფილა.

იმისდა მიუხედავად, რომ ძელშავის შესახებ ძველი ცნობები ჯერ არსად მოგვეპოვება, მაინც ყურძნის თვით ეს სახელიც ამ ჯიშის სიახლე-სიძველის საკითხის გამორკვევს საშუალებას გვაძლევს: უკვე იმ ხანაში, როდესაც ოთხთავი და დაბადება ქართულად ითარგმნებოდა, ძელი, როგორც დავრწმუნდით, მოკვეთილ, მოჭრილ ხესა ჰნიშნავდა, მოუჭრელს კი ხე ეწოდებოდა.

ძელქვა კი, როველც ძელი-სა და ქვი-საგან არის შემდგარი და ქვის მსგავსად მაგარ ხესა ჰნიშნავს და ხის ამ ჯიშის განსაკუთრებული სიმაგრისა და გამძლეობის გამომხატველია. ისევე, როგორც ძელი-ს მეგრულ-ქანური შესატყვისობა. წინანდელი ჯალი-საგან წარმომდგარი, ეხლანდელი ჯა. რომელიც მოუჭრელი ხესა ჰნიშნავს. სრული უტყველობით ცხადჰყოფენ. რომ თავდაპირველად ძელი მოჭრილისა კი არა, არამედ სწორედ ნელი, მდგომი ხის აღმნიშვნელი ყოფილა. რაკი ქართული მწერლობის ჯერეთ ცნობილ უუძველეს ძეგლებში, როგორც დავრწმუნდით, ძელი უკვე მოკვეთილი ხის აღმნიშვნელია, მაშასადამე, ძელის პირვანდელი მნიშვნელობა ამაზე გაცილებით უწინარეს ხანას უნდა მიეკუთვნოს.

ესლა რომ ვაზის ჯიშების ზემომოყვანილი სახელების ხნიერების განსაზღვრას შეეუდგეთ, უპირველესად უნდა აღნიშნული იყოს, რომ ვაზის ჯიშის არც ერთი სახელი არ მოგვეპოვება, რომელშიც ვაზის ზროს აღსანიშნავად ლერწი იყოს გამოყენებული. უკვე ეს გარემოებაც რქაწითელისა, ხევარდულისა,

ხიხვი-ხემხუსა და ძელშავის და საერთოდ ვაზის ფერის მათუწყებელი სახელების საპატიო ხნიერებას ამტკიცებს.

ხოლო აქამდე მოპოვებული დასკვნებითგან ცხადი ხდება, რომ ვაზის ჯიშთა ზემოაღნიშნულ სახელთაგან სხვებთან შედარებით რქა-წითელი უფრო მერმინდელი უნდა იყოს. ამაზე უფრო ძველად ხევარდულისა, ხიხვი-სა და ხემხუ-ს ვაზის ჯიშების სახელები უნდა იქმნეს მიჩნეული. ხოლო ყველაზე ძველად, რა თქმა უნდა, ძელშავი-ა საგულისხმებელი. ისტორიულ ხანაში, ან უფრო სწორედ რომ ითქვას, ქართული მწერლობის ჯერეთ ცნობილ უძველეს ძეგლებში, ძელი, როგორც დავრწმუნდით, მხოლოდ მოჭრილ ხესა ჰნიშნავს, ძელშავი-ს სახელში კი ძელი, ცხადია, მოუჭრელად იგულისხმება. ამიტომ ეს ჯიში იმ უუძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, როდესაც მერქნიანი მცენარეების სახელად ჯერ კიდევ ხეს არ ხმარობდნენ, არამედ ძელსა.

ამნაირად, მათი ხნიერება რომ დაახლოვებით განისაზღვროს, რქა-წითელი შესაძლებელია ქ. შ. პირველი ხუთი და მომდევნო საუკუნეების ფარგლებში ვივარაუდოთ, ხევარდული და ხიხვი-ხემხუ ამაზე უწინარესად უნდა იქმნეს მიჩნეული. ძელშავი კი იმდენად ძველი ჯიში ჩანს, რომ ამაჟამად მისი დროის განსაზღვრა დაახლოვებითაც კი შეუძლებელია. ის ისეთ ხანას ეკუთვნის, რომლითგანაც მერქნიან მცენარეთა სახელებს შორის ისტორიულად ცნობილ ხანაში მარტო ძელქვადა იყო გადაჩენილი.

რქაწითელი-ს ვაზის ჯიშის დიდი ხნიერების გარემოება პროფ. ს. ჩოლოყაშვილსა და დოც. ნ. ჩახნაშვილს ამ ჯიშის ერთი ფიზიოლოგიური თვისებითაც აქვთ თავიანთ ერთს გამოკვლევაში აღნიშნული. „ყვავილობის პერიოდში დაკვირვებამ ცხადჰყო“, რომ რქა-წითელსა და ჰყაპას, საფერავსა და მწვანე გორულს, რომელთაც „ტიპიური ანდროდინამურ-ფერტილი ყვავილი“ აქვთ, ხუთმეტრიანა ყვავილებს გარდა, „საკმაო რაოდენობა ყვავილებისა ერთსადაც იმავე თანაყვავილში 6—7—8-მეტრიან ნორმალურად განვითარებულ ყვავილებს“ ისხამენ. მაგრამ ამ ჯიშებს ერთმანეთს შორის მცირედი განსხვავება ამ მხრივ მაინც ემიჩნევა, რათგან „6 და 7-მეტრიანიანი ყვავილი ჯიშ საფერავზე გაცილებით უფრო იშვიათია, ვიდრე რქა-წითელზე და ჰყაპაზე“ (იქვე, გვ. 54—55).

ხოლო ჩვეულებრივ ვაზის კულტურული ჯიშები ნაყოფიერი მამალი ყვავილის მქონებელია ხოლმე, დედალი ყვავილის მქონებელი კი უფრო იშვიათია. ნაყოფიერ ყვავილებს მომეტებულად 5 მტრიანა აქვთ ხოლმე, აგრესის ყვავილებში მტრიანათა რიცხვი ამაზე გაცილებით მეტია, ზომიერად 12-მდეც კი არის ხოლმე. ამას გარდა, გარეული ვაზების ყვავილსაც საერთოდ მტრიანები გაცილებით უფრო მეტი აქვს, ვიდრე კულტურული ვაზის ყვავილს გააჩნია (ს. ჩოლოყაშვილი და ნ. ჩახნაშვილი, მასალები ქართული ვაზის შესწავლისათვის, იქვე, გვ. 54 და 55).

ზემოდასახელებული ქართული ყურძნის ჯიშების მტრიანათა რიცხვობრივი რაოდენობის შესახებ დაკვირვება პროფ. ს. ჩოლოყაშვილსა და ნ. ჩახნაშვილს ამ ჯიშების ხნიერების განსაზღვრისათვისაც აქვთ გამოყენებული. „თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ კულტურულ ჯიშებს ახასიათებს უმეტეს შემთხვევაში ხუთი მტრიანა, ხოლო გარეულებს კი მტრიანების რიცხვი გაცილებით მეტი აქვთ, მაშინ მოხსენებული ჯიშების ყვავილების აგებულება გვა-

ძლევს ერთგვარ საბუთს ვიფიქროთ, რომ ისინი შეიძლება წარმოადგენდნ პროტოტიპს იმ ჯიშებისას, რომელნიც გარდამავალ საფეხურზე დგანან გარეულ და კულტურულ ჯიშთა შორის და ამისდა მიხედვით ერთი უძველეს ჯიშთაგანი არიან“-ო (იქვე, გვ. 54—55).

რქაწითელის ხნიერება, როგორც დავრწმუნდით, ამ ჯიშის სახელითაც მტკიცდება. ეს გარემოება რქაწითელს ძველ კულტურულ ვაზის ჯიშად ხდის. მაგრამ ასეთ დასკვნას თითქოს ის დაკვირვება უნდა ეწინააღმდეგებოდეს, რომ რქაწითლის მტკრიანათა რიცხვი კულტურული ჯიშის ნორმად მიჩნეულს აღემატება. მაშასადამე, ამ თვისებით იგი და სხვა ზემოდასახელებული ჯიშები უფრო გარეულ ვაზს უახლოვდება. ამ ლინგვისტიკურ ფაქტზე და ამპელოგრაფიულ დაკვირვებაზე დამყარებულ ორ მოწინააღმდეგე დასკვნას შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი განმარტება მოეძებნოს.

რქაწითელის ჯიშის დიდი ხნიერება მისი სახელითა მტკიცდება. ამის გამო მას, ვითარცა ძველ კულტურულ ჯიშს, შესაფერისი მორფოლოგიური თვისებები, კერძოდ მტკრიანათა სათანადო რიცხვი უნდა ჰქონოდა. თუ ეს მოლოდინი მთლად არა მართლდება, ეს ცხადყოფს, რომ რაღაც გარემოება ამ ვაზის ჯიშების კულტურულობის გამომჟღავნებელ მორფოლოგიურ თვისებას სცვლიდა და გარეულს უახლოვებდა. ასეთ გარემოებად კი შესაძლებელია მხოლოდ ამ ვაზის ჯიშების გარეულ ვაზზე მრავალგზისი მყნობა ყოფილიყო.

თუმცა ქართულ წერილობითს წყაროებში ვაზის მყნობაზე ჯერჯერობით ცნობები არსად ჩანს, მაგრამ ვაზის მყნობის არსებობა ძველ საქართველოში ხელოვნების ძეგლებით მტკიცდება. ჯრუჭის ოთხთავში ვაზის ბარვა ჰხატია და ვაზს იქ თეთრი და წითელი მტევნები ასხია, რაც, რა თქმა უნდა, შესაძლებელია მხოლოდ მყნობის შედეგი იყოს. ქართული ქანდაკების ძეგლებშიც გვხვდება ვაზების არაერთი გამონახტულება, რომელთაც ერთსადაიმაცე ძირზე სხვადასხვა სიდიდისა და მოყვანილობის მტევნები და მარცვლები ასხია, რაც აგრეთვე მხოლოდ სხვადასხვა ჯიშის მყნობის წყალობით იყო შესაძლებელი. ამგვარად საქართველოში რომ ძველად ვაზის მყნობას მისდევდნ, ამის ნივთიერი კვალი არის აღბუქდილი და ჩვენი ზემოგამოთქმული მოსაზრება ქართული მევენახეობის ნამდვილ ვითარებასაც არ ეწინააღმდეგება.

ყურძნის ჯიშის სახელი ბუტკოი აგრეთვე ძველი უნდა იყოს. უკვე ის გარემოებაც, რომ ასეთი სახელი ამჟამად საქართველოს არც ერთ თემში, რაქასა, აქარასა და შავშეთ-კლარჯეთს გარდა, არ მოიპოვება, ცხადყოფს, რომ ჩვენი ქვეყნის სამს გამაჰმადიანებულ ნაწილს ასეთი ნამდვილი ქართული სახელი ქართული მევენახეობის ძველი საგანძურითგან უნდა ჰქონდეს შერჩენილი.

ამას გარდა და უმეტესად ამ ჯიშის სახელის ხნიერებას თვით სიტყვა ბუტკოი-ც ამტკიცებს (იხ. საქართველოს ეკონ. ისტორიის I¹, 283—284).

ბუტკოი დაბადების თარგმანში ყოფილა ნახმარი. ათონურ ხელნაწერში დატულია გამობუტკვა, შავთელს კი გამომბუტკვარი მოეპოვება. ეს სიტყვა ძველია და იშვიათი: არც სარგის თმოგველს ვისრამიანში და არც შოთა რუსთაველს ვეფხისტყაოსანში არ მოეპოვებათ. ამისდა მიხედვით უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ბუტკოი-ს ყურძნის ჯიში და მისი სახელი ძველი უნდა იყოს, მაინცდამაინც XII ს-ზე უწინარესს ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

ყურძნის ჭიშების სახელების კლასიფიკაციის დროს უკვე დავრწმუნდით, რომ სახელების ერთი ჯგუფი ყურძნის მოყვანილობის დამახასიათებელი არის. ამასთანავე მოყვანილობის დახასიათება უმეტესად მარცვლის ნაკეთის დამსგავსებას წარმოადგენს. ყურძნის ჭიშების სახელთა ასეთ ჯგუფს თითა, მელისკუ-დაა, ცხენის-ძუძუჲ, ხარისთვალა, ღორისთვალა და ყორნის-თვალა ეკუთვნის.

არც ერთი ამ სახელთაგანი თავისდათავად არაფერს ისეთს არ შეიცავს, რომ დასათარიღებლად, ანდა ხნიერების გამოსარკვევად გამოსადეგი იყოს. მაგრამ თითას მსგავსი სახელი ყურძნის ჭიშისათვის მარტო საქართველოში არ არის, არამედ ზოგიერთ სხვა ქვეყნებშიც არსებობდა, ეს გარემოება კი შესაძლებელია ამ ჭიშის დაახლოვებითი დათარიღებისათვის იყოს გამოყენებული.

ბერძნული და რომაული მევენახეობის მიმოხილვაში უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ, კოლუმელლას და პლინიუსის ცნობით, იტალიაში ყოფილა ერთი ყურძნის ჭიში, რომელსაც დაკტული სწოდებია. ეს სახელი ლათინური არ არის, არამედ ბერძნული, რომელშიც ეს სიტყვა თითებს პნიშნავს. ამ ჭიშის ბერძნული სახელი ცხადპყოფს, რომ თვით ამ ყურძნის ჭიში იტალიაში საბერძნეთით-ვან უნდა ყოფილიყო შეტანილი.

შემდგომიც, როგორც რომაელი ავტორების ზემომოყვანილი ცნობებით-ვან ჩანს, იტალიაში ყურძნის სქელკანიან ჭიშებს წუნს სდებდენ, რათგან სა-ღვინედ გამოსადეგი არ იყო, ამის გამო ეს ჭიშები იქ ფართოდ არც იქმნებოდა ვავრცელებული, მაგრამ იტალიის მევენახეობას ყურძნის ეს ჭიში მაინც შეუ-ნარჩუნებია. XVI ს. ნეაპოლელ მეცნიერს J.-B. Porta-ს თავის 1584 წ. ნეაპოლში გამოქვეყნებულ ნაშრომში, „Villae libri XII“, აღნიშნული აქვს, რომ კო-ლუმელლას და პლინიუსისგან დასახლებული ყურძნის ჭიში დაკტული მის დროს ნეაპოლში უკვე *Uva digitella*-დ ყოფილა სახელდებული (I. Roy-Chevrier, Ampélog. rétrosp., 171). მაშასადამე, მისი ბერძნული სახელი ლათინურად გადაუ-თარგმნიათ და თითა ყურძენი უწოდებიათ. ცხადია, ამ ყურძნის ჭიშის ბერძნული სახელი ისიდორე სევილიელის (570—636 წ.) შემდგომ უნდა ყოფილიყო ლათინურად გადათარგმნილი, რათგან ეს განთქმული სწავლული, რომელსაც ტოლედოს 653 წ. საეკლესიო კრება თავისი დროის საუკეთესო მეცნიერს უწოდებდა, ამ ყურძნის ჭიშის სახელად წინანდებურად ბერძნულს დაკტული-ს (*Dactyli*) ხმარობს (იხ. იქვე, გვ. 101—102).

Porta-ს განმარტებული აქვს, რომ ამ ჭიშს *Uva digitella* იმიტომ ერქვა, რომ მისი ყურძნის მარცვლები მოყვანილობით თითებს მიაგავდა. მისი შავიცა და თეთრი სახესხვაობაც ყოფილა (იქვე, გვ. 171).

თითას მსგავსი სახელი, როგორც იბნ-ბაათარ-ისაგან მოყვანილი ყურძნის ჭიშების არაბული სახელებითგან ჩანს, არაბებსაც ჰქონიათ: მაგრამ მათი სახე-ლები დამსგავსებითი განმარტებით არის გართულებული. არაბებს, იბნ-ბაათარ-ის ცნობით, სამი სახელი ჰქონიათ: ქალწულის თითები („Assabéa-el-adari“ და „Ma-la-ressa“) და ზეინაბის თითები.

ჩვენს მეზობელთაგან სომხებს თითას-ნაირი სომხური სახელი ყურძნის ჭიშისა-თვის არ გააჩნიათ და არც შეიძლება რომ ჰქონდეთ, რათგან თითი „მატ“ *mat* სომხურად ვაზის სულ სხვა ნაწილის სახელია და ვაზის იმ ნორჩ რქასა პნიშნავს, რომელსაც გასხლავენ ხოლმე (იხ. ამატუნის ლ. რაიო მ. რაიან, გვ. 462—463 და დაღბაშიანის ლექსიკ.: „Чубук, отросток виноградной лозы“).

ჩვენებური, აზერბაიჯანის, თურქები თითას ჯიშის ყურძენს „ხათუნ-ბარ-მალი“-ს ეძახიან, რაც „ქალბატონის თითას“ ჰნიშნავს (იხ. აქვე, ქვევით, თ. XX).

უკვე ის გარემოება, რომ თითა არამცთუ კახეთითგან მოყოლებული გურიამდე და გურიითურთ მთელ საქართველოშია გავრცელებული, არამედ სამაჰმადიანო საქართველოშიც, სამცხის თემშიც, არის დაცული, ამ ყურძნის ჯიშს ქართული მევენახეობის ძველ კუთვნილებად გვაგულისხმებინებს.

თვით ამ ჯიშის ქართული სახელიც ძველია. არაბულ-თურქული სახელები ქალწულის თითები, ზეინაბის თითები და ქალბატონის თითები, რასაკვირველია, ყველა რაინდობისა და პატრონყმობის ხანის სულისკვეთებისა და აზროვნობის ანარეკლს წარმოადგენენ და ამიტომ მათ საშუალო საუკუნეებზე უწინარეს ხანისად ვერც მივიჩნევთ. საქართველოს ერთ თემშიც, სამეგრელოში, მოიპოვება ყურძნის ჯიშის ამავე თვისების სახელი „დედოფლის კითა“, რომელიც, ამავე მიზეზის გამო, იმავე პოლიტიკურ-სოციალური გარემოსი და იმავე ხანის შენათხზი უნდა იყოს.

სულ სხვაა თითა-ს სახელი, რომელიც ყურძნის ამ ჯიშის მარცვლის მოყვანილობის ზოგადად ადამიანის თითზე დამსგავსების გამომხატველია, არც დედოფალისა, ანუ ქალბატონის წინაშე პატრონყმურ-ბატონყმური და არც ქალწულისადმი რაინდული სულისკვეთების ბეჭედი მას არ აზის. ეს გარემოება ამ ქართული სახელის საპატიო ხნიერებას ამჟღავნებს. ამ თვისებით თითა შესაძლებელია მხოლოდ ბერძნულს ამნაირსავე სახელს დაკტული-ს შეეღაროს, რომელსაც ქართული სახელი არც ხნიერებით უნდა ჩამოუვარდებოდეს.

თუ რომაელებს ამ ჯიშის ბერძნული სახელის შენარჩუნებით მეცნიერებისათვის თითას იტალიაში საბერძნეთითგან შეთვისებულობის დამამტკიცებელი გარემოება დაუცავთ, არც ბერძნულ დაკტული-ს და არც ქართულ თითა-ს სახელებს ყურძნის ამ ჯიშის საბერძნეთისა და საქართველოს მევენახეობისთვის უცხოობის არავითარი კვალი არ ატყვია. მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ ერთისადიმავე ყურძნის ჯიშისათვის ორ სხვადასხვა ქვეყანაში ერთმანეთისაგან სრულებით დამოუკიდებლივ მთლად ერთნაირი სახელი ეწოდებინათ, მაგრამ ეს სახელი შესაძლებელია ან იმთავითვე, ანდა მერმინდელი ნათარგმნი იყოს ისევე. როგორც იტალიაში ძველად მიღებული ბერძნული დაკტული-ს მაგიერ, როგორც დავრწმუნდით, გარკვეული ხანითგან ამ სახელის ლათინური თარგმანი უვა დიგიტელა შემოუღიათ. ამნაირადვე ამ ჯიშის სახელის ბერძნულობა და ქართულობა საბერძნეთსა და საქართველოში შესაძლებელია მხოლოდ მისი საპატიო ხნიერების შედეგი იყოს.

თითას ჯიშის თავდაპირველი სადაურობის საკითხის გამორკვევას ის გარემოება გვიძინელებს, რომ ეგვიპტისა და ასურეთის ყურძნის ჯიშების სახელები, ან მეტად ცოტა, ან სრულებით არ ვიცით (ძველი ასურული მაგ.). უკვე რომაელ ავტორებსაც შეუმჩნევიათ, რომ ყურძნის სქელკანიანი ჯიშები სამხრეთის ცხელი ქვეყნების განრთხმული ვაზის ჯიშთაგანებს უნდა წარმოადგენდნ და ეს აზრი, — დაკვირვებაა იგი, თუ ძველი გარდმოცემის ანარეკლია, — არსებითად სწორე უნდა იყოს.

ბერძნებსაც და ქართველებსაც თითას ყურძნის ჯიში შესაძლებელია დამოუკიდებლივ ერთიადიმავე ქვეყნითგან ჰქონდეთ შეთვისებული. მაგრამ ამ საგულისხმოდ საკითხის გამოსარკვევად საჭირო ცნობები არ მოგვეპოვება: არ

ვიცი, ჰქონდათ თუ არა ასურელებს ძველად ყურძნის ჯიშის აღსანიშნავად თითას მსგავსი სახელი. ეგვიპტე ყურძნის ახალი ჯიშის პირვანდელ სამშობლოდ ძნელი მისაჩნევია, რათგან ვაზი გარეულად, იქ, როგორც დავრწმუნდით, არსად ხარობს, მაგრამ ასეთი ჯიშის ყურძენი, პლინიუს მცირის მოწმობით, აფრიკაშიც გავრცელებული ყოფილა და დიდი მტევნების მოსხმაც სკოდნია. რომაელი ბუნებისმეტყველი ფიქრობდა კიდევაც, რომ სქელკანიანი ყურძნის ჯიშის სახელი ღურაცინე პირველად შესაძლებელია სწორედ აფრიკაში გაჩენილიყო.

თუ გამოიკვია, რომ თითა-ს შესატყვისი ყურძნის ჯიშის სახელი ძველად სხვაგან, საბერძნეთსა და საქართველოს გარდა, არსად იყო, მაშინ ეს საკითხი იმ ქვეყნის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, სადაც მიწაზე განთხმული, სქელკანიანი ჯიშ-ს ვაზ-ყურძენი ეხლაც შერჩენილია.

მელისკუდაჲ-ს ყურძნის ჯიში, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 528), მთელ საქართველოში იყო გავრცელებული. თვით სამაჰმადიანო საქართველოს ისეთ თემშიც კია ეს ქართული სახელი დაცული, როგორც შავშეთ-კლარჯეთია. სადაც თურქულმა ქართული უკვე დაჯაბნა. ეს გარემოება მელისკუდას ჯიშს ძველი ქართული მევენახეობის კუთვნილებად გვაგულისხმებინებს.

საქართველოს გარეშე მელისკუდაჲ-ს მსგავსი ყურძნის ჯიშის სახელი ძველ საბერძნეთში მოიპოვებოდა, სადაც, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 392), პლინიუსის ცნობით „ალოპეცის“-ად წოდებულ ყურძნის ჯიში ყოფილა. იგი საბერძნეთითგან იტალიაშიც გავრცელებულა, სადაც მაინცდამაინც საუკეთესო ყურძნის ჯიშთა ჯგუფში არ ირიცხებოდა, არამედ პირიქით წუნდებულ ჯიშებს ეკუთვნოდა, თუმცა მაინც სხვაზე ნაკლებ (აქვე, გვ. 405).

ამ ყურძნის ჯიშის სახელი ალოპეცის, რომელსაც რომაელები ხმარობდნენ, ბერძნული სიტყვაა, მაგრამ ნათესაობითი ბრუნვის ლათინური დაბოლოების შქონებელი. ბერძნულად ἡ ἀλωπεξή ჰე ალოპექს მელიასა ჰნიშნავს. ამ სიტყვითგან ნაწარმოები ნათ. ბრუნვა „ალოპეკოს“-ი იქმნება და ლათინური ალოპეცის-იც გვაფიქრებინებს, რომ საბერძნეთშიც ამ ყურძნის ჯიშის სახელად სწორედ ასეთი ფორმა, მელიის სახელისაგან ნაწარმოები, ნათესაობითი ბრუნვა, ყოფილა მიღებული. მასასადამე, ამ ჯიშის ბერძნულ-ლათინური სახელი მელიისა-ს ჰნიშნავს.

პლინიუს მცირეს სკოდნია და აღნიშნულიც აქვს, რომ ყურძნის ამ ჯიშს ასეთი სახელი იმიტომ სწოდებია, რაკი მისი მოყვანილობა მელიის კუდს მიემსგავსება (იხ. აქვე, გვ. 405), „caudas vulpium imitata“. მაგრამ არც ბერძნებსა და არც მათი ამ სახელის შემთვისებელ რომაელებს მიმსგავსების სწორედ ეს გარემოება ამ ჯიშისათვის განკუთვნილ სახელში აღნიშნული არა აქვთ. საფიქრებელია, რომ ეს აღნიშნული იქმნებოდა ამ ჯიშის იმ ერის ნომენკლატურაში, რომლისაგანაც თვით ბერძნებს ეს ყურძნის ჯიში სახელთან ერთად შეთვისებული უნდა ჰქონდეთ.

დროთა განმავლობაში საბერძნეთითგან იტალიაში შეტანილი, ალოპეცის, ანუ მელიისაჲ-ს სახელით ცნობილი ყურძნის ჯიში იტალიის მევენახეობას შეუნარჩუნებია და ჩისი სახელიც იტალიურად უთარგმნიათ. XVI ს. იტალიის მეცნიერს J.-B. Porta-ს თავის ნაწრომის „Villae libri XII“-ს მეშვიდე წიგნის მეხუთე თავში ნათქვამი აქვს: მელიის კუდზე დამსგავსების გამო პლინიუსისაგან ალოპეცის-ად სახელ-

დებულ ყურძნის ჯიშს თავისი სახელი ჩვენ დრომდე აქვს შენარჩუნებული და *Coda volpe* ეწოდებაო (იხ. I. Roy-Chevrier, *Ampélogr. rétrosp.*, 172). ეს სახელი იტალიურად მართლაც მელიის კულდა ჰნიშნავს.

საქართველოს გარეშე ყურძნის ჯიშისათვის ასეთი სახელი კიდევ ორგან მოიპოვება. ზანგეზურის მაზრის სომეხთა მოსახლეობა ყურძნის ერთ ჯიშს *მელინსკოს* მგლინკუტს უწოდებს („*Млинкут мелинскос*“. ს. ზელინსკი, „*Садовод. в Закавказк. крае*“, Свод. МИЭБГКЗК, IV, 58). სომეხთა სხვა თემებში ამნაირი სახელი, არსებული წყაროების მიხედვით, არა ჩანს. არც დაღბაშიანსა და არც ამატუნისა და არც აკარიანს ეს სახელი თავიანთ ლექსიკონებში შეტანილი არა აქვთ.

ისევე, როგორც შავშეთ-კლარჯეთში გათურქებულმა ქართველმა მაჰმადიანებმა მგლუსკუტად აქციეს, ისევე საფიქრებელია, რომ სომეხთა მგლისკუტ, ანუ მგლისკუდ იმავე ქართული მელისკუდი-ს ჯიშის სახელის დამახინჯებულ ანარეკლს უნდა წარმოადგენდეს.

შამახიის ყ. მაზრაში, 1875 წ., თუმცა ძალიან იშვიათად და მცირე რაოდენობით, მადლარად მოიპოვებოდა ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც თვლქი ყუიროული ეწოდება, რაც თურქულად „მელის კულდა“ ჰნიშნავს (იხ. აქვე, თ. XX). სხვაგან არსად კავკასიაში ეს ჯიში ამ ავტორის დასახელებული არა აქვს. პ. ყანდურალოვს თავის 1896 წ. გამოქვეყნებულ ნაშრომში „*Очерк виноградарства и виноделия в Шемахинском и Геокчайском уездах Бакинской губернии*“ იქაური ყურძნის ჯიშთა შორის თვლქი-ყუიროული არა აქვს მოხსენებული იხ. СГСВВГВДК, V, 18—27).

ივ. ანდრონიკაშვილს კი 1896 წ. დაბეჭდილ მიმოხილვაში „*Очерк виноградарства и виноделия в Эриванской губернии*“ აღნიშნული აქვს, რომ, თუმცა თვლქი-ყუიროული, ანუ „მელიის კულდა“ აღწოდებული ყურძნის ჯიში ერევნისა, ეჩმიადინისა და სურმალის მაზრებში მოიპოვებოდა, მაგრამ მცირე რაოდენობით და უმთავრესად საღვინედ იხმარებოდა (იხ. აქვე, თ. XX).

არც ამიერ-კავკასიაში და არც სხვაგან სადმე თურქთა მოსახლეობაში მელიის კულდად წოდებული ყურძნის ჯიში არა ჩანს (იხ. აქვე). მართალია, ოსმალეთშიც არსებობს „მელიის ყურძენი“-ს სახელით *اولکی اوزا* დვლქი-ჯუჯუ, მაგრამ იქ ეს სიტყვა ძალის ყურძენ-ს *solanum*-ს ჰნიშნავს და *اولکی اوزا* ცხენის ყურძენადაც იწოდება. Zenker-ი თურქულ-ოსმალურ ამ სახელებს ფრანგული *morelle*-ისა და გერმანული *Nachtschatten*-ის შესატყვისობად სთვლის (ლექსიკ.).

ამნაირადვე სპარსულად „მელიის ყურძენი“ ანგურ ი რუბ *اولکی اوزا* *solanum*-სვე, ე. ი. ძალ-ყურძენას ჰნიშნავს (A. Vullers-ის *Lexicon Persicolatinum*, I, 137). მელის-კულდას მსგავსი სახელი სპარსულადაც არსადა ჩანს.

სამაგიეროდ ასეთი სახელი ოსმალეთში მოიპოვება. მაგრამ *اولکی قویروغی* დვლქი-ყუიროული *delki* ან *dilki kujruđi*, რომელიც თურქულად „მელის კულდა“ ჰნიშნავს, იქ მცენარის სახელად იხმარება. Zenker-ს გერმანულად *Fuchsschwanz*-ად აქვს გადმოთარგმნილი, ე. ი. *alopecurus*-ი, ანუ თავის-ყანაა. ამავე ლექსიკონ-გრაფის განმარტებით ეს თურქული სახელი არაბულ *الغالب زبز* უდრის (იხ. ლექსიკ., 434). აკად. გიულდენშტედტი გერმანული *Fuchsschwanz*-ის ქართულ

შესატყვისობად ღომა სოვლიდა („Fuchsschwanz kartulisch Gomi“: Reisen, II, 500).

რაკი ყურძნის ჯიშის სახელად მელისკუდაჲს მსგავსი არც ოსმალეთსა და სხვაგან სადმე თურქთა მოსახლეობაში, არც სპარსეთში არსად მოგვეპოვება, ამიერ-კავკასიაშიც თვლქი-ყუირული მხოლოდ რამდენსამე აღგილას, თანაც მეტად მცირე რაოდენობით იყო გავრცელებული, საქართველოში კი მელისკუდაჲ უკიდურესი აღმოსავლეთი თემითგან მოყოლებული უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთის თემამდე იყო გაბატონებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ თვლქი-ყუირული-ს ყურძნის ჯიში საქართველოთგან უნდა იყოს ამიერკავკასიის თურქთა შორისაც გავრცელებული და თვით სახელიც ქართული მელისკუდაჲს თურქულ თარგმანს უნდა წარმოადგენდეს.

ყველა ზემომოყვანილის შემდგომ ცხადი უნდა იყოს, რომ მელისკუდაჲ-ს ყურძნის ჯიში და მისი სახელი შეუძლებელია საქართველოს მახლობელ მეზობელთაგან ყოფილიყო შეთვისებული. ყველაზე ახლო ეს ქართული სახელი იმ განმარტებას უდგება, რომელიც ამ ჯიშის ბერძნულ-ლათინური სახელწოდების ალოპეცის-ის მკითხველისათვის გასააზრებლად თავის დროზე პლინიუს მცირემ თავის ნაშრომში შეიტანა (cauda vulpis) და რომელიც შემდეგში, XVI ს., ამ ჯიშის იტალიურ სახელადაც კი იქცა.

რაკი საქართველოს იტალიასთან ამ ხანაში არც მეზობლობა და, ოსმალეთის გამო, არც უშუალო კავშირი ჰქონია, ამიტომ სრულებით დაუჭერებელია, რომ ქართული მელისკუდაჲ იმდროინდელი შენაძენი იყოს და იტალიური cauda vulpes თარგმანს წარმოადგენდეს. ასეთ მოსაზრებას საექვოლ ის გარემოებაც ხდის, რომ იტალიაში ეს ყურძნის ჯიში მაინცდამაინც კარგ ჯიშად არ ითვლებოდა და ამის გამო მისი გავრცელების არცე შეზღუდვილი უნდა ყოფილიყო. ამასთანავე, ეს ყურძნის ჯიში რომ საქართველოში იტალიითგან ყოფილიყო შემოტანილი, მაშინ ასეთი სახელი ოსმალეთში ზ'აინც უნდა ყოფილიყო, იქ კი ასეთი სახელწოდების ყურძენი არ მოიპოვება.

საქართველოში პირიქით მელისკუდაჲ იმერ-ამერეთში იყო გავრცელებული თითქმის ისევე, როგორც თითა.

ამას გარდა, როგორც დავრწმუნდით, ამ ჯიშის თვით ქართული სახელი ქართველთა მეზობლებში, მაგ., სომეხებსა და გათურქებულ კლარჯელთა შორისაც გავრცელებულია. ყველა ამ გარემოებათა გამო მელისკუდაჲ უნდა ქართული მევენახეობის ძველ კუთვნილებად მივიჩნიოთ. მისი ხნიერება ბერძნულ-ლათინური ალოპეცისისას, თუ არ აღემატება, მაინცდამაინც არ უნდა ჩამოუვარდებოდეს.

ცხენის-ძუძუ-დ წოდებული ყურძნის ჯიში, როგორც დავრწმუნდით, ამეჩეთის სამ თემში, კახეთში, ქართლში და სამცხის ქართველთა შორის მოიპოვება, ხოლო ლიხთ-იმერეთში გურიაშია და ამას გარდა აჭარასა, შავშეთსა და კლარჯეთში იყო კიდევ დაცული. ამ უკანასკნელ თემში ამ ყურძნის ძველ ქართულ სახელს გამაჰმადიანებულ მოსახლეობაში წარსული საუკუნის დამლევის მისი უკვე თურქულად ნათარგმნი სახელი ათ-მემესი სჩაგრადა. შესაძლებელია იქაურ გათურქებულ ქართველ მაჰმადიანებში წინანდელი ქართული სახელი ეხლა მხოლოდ მოხუცებულებსდა ახსოვდეთ.

ქართველთა მეზობლებს შორის ცხენის-ძუძუს შესატყვისი სახელი, როგორც სათანადო ადგილას მოყვანილი მიმოხილვის გაშინჯვით ადამიანი ადვილად დარწმუნდება (იხ. აქვე, თ. XX), არც სომხებსა და არც თურქებს ყურძნისათვის არ მოეპოვებათ.

მხოლოდ განჯისა და შამახის მახრების თურქ მცხოვრებთა შორის არსებობდა ყურძნის ჯიში, რომელსაც *آت او زوی* ათ-ჯუზ-ი ეწოდება. თურქულად ეს სახელი „ცხენის-ყურძენსა“ ჰნიშნავს (იხ. იქვე). მაგრამ არსად, არც კავკასიაში და არც სხვაგან თურქთა შორის, არც ოსმალოებს ყურძნის რომელიმე ჯიშისათვის ათ-ჯუზ-ის, ანუ „ცხენის ყურძნის“ სახელი არ მოეპოვება. თურქები და ოსმალონი ით-ჯუზ-ის (*آت او زوی* *it üzümü*) ხმარობდნენ, მაგრამ ეს სახელი თურქულად ძალის ყურძენს ჰნიშნავს და ქართულ ძალ-ყურძენას-ვე, ლათინ. *solanum nigrum*-ს უდრის (იხ. Zenker-ისა და I. W. Redhouse-ს ლექსიკონები). მაშასადამე, ნამდვილად ყურძნის სახელი არც ყოფილა. ეს გარემოება სრულ უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ შამახისა და განჯის მახრებში გავრცელებული ათ-ჯუზ-ის, ანუ „ცხენის ყურძნის“ სახელი ყურძნის ჯიშის თურქული სახელწოდება არ უნდა იყოს, არამედ მეზობელ ქართველთაგან შეთვისებული ცხენის-ძუძუს თურქული სრული თარგმანის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. ისევე, როგორც შეშეთ-კლარჯეთის გამაჰმადიანებულ-გათურქებულმა მოსახლეობამ ყურძნის ჯიშის ქართული სახელი ცხენის-ძუძუ, როგორც აღნიშნული გვქონდა, მისი თურქული თარგმანით ათ-მემესი-თ შეცვალა, ასევე უნდა მომხდარიყო ქართველთა მეზობლად მობინადრე შამახისა და განჯის მახრების თურქ მევენახეთა შორისაც.

ცხენის-ძუძუ-ს მსგავსი სახელი ყურძნის ჯიშისათვის არც რომაელებსა და არც ბერძნებს ჰქონიათ. მართალია, ბერძენთა გრამატიკოსს ათენეს (275 წ. ქ. შ.) დასახელებული აქვს ერთი შესანახი და გამძლე ყურძნის ჯიში, რომელიც როდოსის კუნძულზე ყოფილა გავრცელებული და ჰიპპონიონ-ად იწოდებოდა. ჰიპპოს-ი კი ბერძნულად ცხენსა ჰნიშნავდა, ამიტომ ეგების ადამიანს ეფიქრა, რომ ამ სახელს შესაძლებელია ცხენის-ძუძუს-თან რაიმე კავშირი ჰქონოდა. მაგრამ ჰიპპონიონ-ი სადაურობის მაუწყებელი სახელია. ჰიპპონიონ-ი გეოგრაფიული სახელი იყო, „ჰიპპონ“-ისაგან (*ἵππων*-ისაგან) ნაწარმოები. უკანასკნელი სიტყვა ბერძნულად ცხენების თავლასა და საფოსტო სადგურსა ჰნიშნავდა. ჰიპპონიონ-ად წოდებული სანავთსადგურო ქალაქიც კი არსებობდა სამხრეთ იტალიაში, ბრუციუმში. როგორც ეტყობა, ასევე სახელწოდებული ქალაქი კუნძულ როდოსზე ყოფილა. ერთი სიტყვით, ჰიპპონიონ-ის ბერძნული ყურძნის ჯიშის სახელს ცხენის-ძუძუს სახელთან არავითარი კავშირი არა აქვს.

საერთოდ შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ ცხენის-ძუძუს შესატყვისი ყურძნის ჯიშის სახელად ბერძნულში არც არის მოსალოდნელი, რათგან იქ ამისთვის სხვანაირი სახელი არსებობს. ამ თვალსაზრისით მეტად საგულისხმოა, რომ ამ ჯიშის ყურძენი სხვადასხვა ერს სხვადასხვა ცხოველის ძუძუსთვის მიუშვავსებია. სახელდობრ, ბერძნებს გააჩნდათ ერთი ყურძნის ჯიში, რომელსაც ბუმასტოს-ს უწოდებდნენ. რომაელებს ეს ჯიში იტალიაში შეუტანიათ და მისი სახელის მართო ბერძნული დაბოლოება შეუცვლიათ ლათინური დაბოლოებით და სახელად ბუმასტუს-ი დაუტოვებიათ (იხ. აქვე, გვ. 392 და

395). ბერძნულად ბუმასტოს-ს ძროხის („ბუს“, ნათ. ბრ. „ბოოს“) ძუძუს („მასტოს“) ჰნიშნავს.

იტალიაშიც არის შერჩენილი ძროხის-ძუძუ-დ წოდებული ეს ჯიში. *Mennavacca* ეწოდება მას ნეაპოლსა, ბორლეტა-სა და ტრანი-სში, ხოლო *Minna di vacca* სიცილიაში (იხ. *Herm. Goethe, Amp. Wörterb.* და *V. Pulliat, Mille variétés*).

თავის მხრით სომხებს „თხის-ძუძუ“-დ (იწაბტუქ, აფწი წიწ) და „კამბეჩის-ძუძუ“-დ (გომეში-მამა) წოდებული ყურძნის ჯიშების სახელები ჰქონდათ (იხ. აქვე, თ. XX).

ამიერკავკასიაში მცხოვრებ თურქებსაც მოეპოვებათ ყურძნის ჯიში, რომელსაც *كبيجی امجاكي* ქეჩი ეწავი-ს, ანუ „თხის ჯიქანს“, ძუძუს ეძახიან (იხ. აქვე, თ. XX).

მანსაღამე, ბერძნებს ამ ჯიშის ყურძენი ძროხის ძუძუსთვის დაუმსგავსებიათ, სომხებსა და თურქებს თხისა და კამბეჩის ძუძუს მსგავსად მიუჩნევიათ, ქართველებს კი ცხენის ძუძუდ მოუნათლავთ. ცხადია, რომ ყოველ ამ ერთგანს შესაძარბლად თავისი მესაქონლეობის მნიშვნელოვანი ცხოველი აურჩევია. თუ გავიხსენებთ, რომ უძველესი დროითგანვე ქართველთა ტომები, ტაბალები, და შემდეგში მთელი საქართველო თავისი საუკეთესო ცხენებით იყო განთქმული (იხ. ჩემი „ქლი ერის ისტორია“ I³, 19 და „საქართველოს ეკონომიური ისტორიის III წიგნი“⁸⁸, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ შემთხვევითი მოვლენა არ არის, რომ ცხენის-ძუძუდ საქართველოში ყურძნის ჯიშის სახელად არის გამოყენებული. ხოლო ხილისა და ხმელის ძუძუსთან შედარება ქართველ მიწისმოქმედს, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა (იხ. აქვე, გვ. 294), საერთოდ ძალიან ჰყვარებია.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ, ვგონებ, უფლება უნდა გვექონდეს დავასკვნათ, რომ ცხენის-ძუძუდ ყურძნის ჯიშის ძველისძველი ქართული სახელი უნდა იყოს.

ყურძნის ჯიშების იმ სახელთაგან, რომელნიც მარცვლის სიდიდის დამახალბელნი არიან, ყველაზე საყურადღებო ხარისთვალაა. ეს ჯიში ფართოდ იყო მთელ საქართველოში გავრცელებული და ჰანეთშიც კია თოლი-მჩხუმ ყურძენი-ს სახელით ცნობილი.

თავის ალაგას (იხ. აქვე) მოყვანილი მიმოხილვის გადაკითხვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ არც ამიერკავკასიაში და არც ოსმალეთში მცხოვრებ თურქთა შორის ხარისთვალა-ს შესატყვისი ყურძნის ჯიშის სახელი არ მოიპოვება. ჩვენ მეზობელ შამახის მაზრის თურქებს გააჩნიათ მხოლოდ ამის მსგავსი სახელი დავა-გრზი, რაც „აქლემის თვალსა“ ჰნიშნავს (იხ. აქვე, თ. XX).

სომეხთა შორისაც ხარისთვალა-ს შესატყვისი სომხური სახელი ეზან-აჩქ *ხღან-საქ* მარტო ერთგან, სახელდობრ, ერევნის სანახებში მოიპოვება. იქვე ამავე ყურძნის ჯიშისათვის მეორე ამის მსგავსსავე სახელსაც ეზანდარი-ს *ხღანდარქ* ხმარობენ (იხ. აქვე, თ. XX).

⁸⁸ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ III წიგნის დაწერა ავტორმა ვერ მოასწრო — რედაქტორი.

საქართველოში და ძველ ქართულში კი ხარისა და ძროხის მაშინდელი სახელი, როგორც დასაბეჭდად დამზადებულ ქართველი ერის ისტორიის შესავალ წიგნში მაქვს გამორკვეული, სწორედ სიმსხოს გამომხატველი იყო. ამიტომ ხარისთვალა ყურძნის ჯიშის ძველ ქართულ სახელად უნდა იქმნეს მიჩნეული.

რაკი გამოირკვა, რომ ხარისთვალა საქართველოში ფართოდ იყო გავრცელებული და ჭანეთშიც მოიპოვებოდა, თანაც ძველი ქართული სახელია, თურქთა შორის კი ყურძნის ჯიშის ასეთი სახელი სრულებით არ მოიპოვებოდა, სომეხთა მოსახლეობაშიც მას შედარებით ნაკლები არე ჰქონდა, ამიტომ საფიქრებელია, რომ ეს ჯიში სომეხთა შორის საქართველოთგან უნდა იყოს შეტანილი.

ჩინური-ს ჯიშის ხნიერების საკითხის გამორკვევასაც თვით მისი სახელი გვიადვილებს. ფერის აღმნიშვნელი ეს სიტყვა ქართულის ძველისძველი ფენის კუთვნილებას შეადგენს. იგი დაბადების გადმოთარგმნის ხანას, როგორც ჩანს, არ სცილდება. დაბადების გარდა არსადა ჩანს, ჯერჯერობით მაინც. ეს გარემოება ცხადპყფის, რომ შემდეგში მაინცდამაინც იშვიათ სიტყვად ყოფილა ქცეული. ამისდა მიხედვით, უფლება გვაქვს ჩინური-ს ყურძნის ჯიშზე ქართული მევენახეობის უძველესი ხანისად მივიჩნიოთ. ამასვე ამ ყურძნის სინაზე და მაღალი ღრრსებაც ადასტურებს, რათგან, ცხადია, მისი ესოდენ დიდი ღრრსება ხანგრძლივი კულტურის შედეგი უნდა იყოს. მხოლოდ ჩინურის უაღრესი სინაზით უნდა აიხსნებოდეს ის გარემოება, რომ იგი მარტო ერთ დიდ თემში, ქართლშია, შერჩენილი. საფიქრებელია, რომ წინათ იგი უფრო ფართოდ იქმნებოდა გავრცელებული.

მულრია-ც ყურძნის ძველი ჯიში უნდა იყოს. ამას მისი შავშეთ-კლარჯეთში, სამაჰმადიანო საქართველოში, ჯღე-ს სახელწოდებით, არსებობაც ამტკიცებს, მაგრამ ამას გარდა თვით მისი სახელიც ამასვე ადასტურებს, რათგან ფერის აღმნიშვნელი ეს სიტყვა ქართულში დიდი ხანია უკვე აღარ იხმარება, თანამედროვეთათვის იგი სრულებით უცნობია და ს. ორბელიანის დროსაც, როგორც ეტყობა. მისი წამდელი მნიშვნელობა ხეირიანად აღარ იცოდენ.

ტრელის-ფეხა-ს სახელი იტალიაშიც არსებობს, სადაც Ravello-სა, Salerno-სა და Avelino-ში მოიპოვება და Piede di colombo-დ, ანუ Piede di palumbo-დ, ე. ი. მტრედის ფეხ-დ-ვე იწოდება. საწური, მოლურჯო, ლერწი მოკლემუხლებიანი (engknötig), თხალი აქვს, ფოთოლი ფართო, ხუთყურიანი, ბუსუსიანი და ნაკლებ დაკბილული იცის; ფოთლის ყენწი მოწითანოდ არის შეფერადებული. მტევანი სამუშალო, ცილიდრული, ზოგჯერ ბურქენიანი ასხია,—მარცვალი ოდნავ მოგრძო, სამუშალო, მოლურჯო, სურწლოვანი, სქელკანიანი, ხორციანი, ტკბილი და ოდნავ ცხარე იცის (Herm. Goethe, Amp. Wörterb.).

იტალიაშივე არსებობს, როგორც სახელითაც ეტყობა, ამ ჯიშის ერთი სახესხვაობა, რომელსაც Palombo ეწოდება, ე. ი. დამახინჯებული colombo, მტრედისაი. ლერწი მას მქრთალი წაბლისფერი, მოკლემუხლებიანი (engknötig) აქვს.—ფოთოლი დიდი, ხუთყურიანი, ღრმად ჩაჭრილი, ქვევითგან ბუსუსიანი და გრძელი, მოწითანო ყუნწიანი იცის. მტევანი დიდი, მარცვალიც მოწითანო, კვერცხებრივი მოყვანილობისა, ყვითელ-მომწვანო, თხელკანიანი და წყლიანი აქვს (H. Goethe, Amp. Wörterb.).

სათრანგეთში გავრცელებულია Côt ანდა Malbeck-ად, აგრეთვე Côt à queue rouge და Côt à queue verte-ად, ზოგან Pied de perdix-ად „მწერის ფეხად“ წოდებული ყურძნის ჯიში, რომელსაც აგრეთვე მოწითანო გრძელი ფოთლის ყუნწი აქვს, ხოლო Côt à queue rouge-ს მტევნის ყუნწიც მოწითანოდ აქვს შეფერადებული (H. Goethe, Amp. Wörterb. და V. Pulliat, Mille variétés, 92—93).

აღსანიშნავია, რომ XVI ს. იტალიელი მეცნიერის I. V. Soderini-ს (1526—1596) ერთი ცნობა, რომელიც მას თავის თხზულებაში „Trattato della coltivazione delle viti“ აქვს შეტანილი. მას ნათქვამი აქვს, რომ Palombina პალომბინა-დ სახელდებული ყურძნის ჯიში შავიც და თეთრიც არსებობდა. შავ სახესხვაობას ხშირად თურმე Ibero იბერო-ს უწოდებდნენ (I. Roy-Chevrier, Amp. rétrosp., 186).

უკანასკნელი ცნობა საყურადღებოა და, თუ აქ ესპანიის იბერები არ იგულისხმებოდნენ, რისთვისაც უნდა წინასწარ ესპანიაში ასეთი ჯიშისა და სახელის არსებობის გარემოება ყოფილიყო დამოწმებული, მაშინ უფლება გვექმნებოდა დაგვესკვნა, რომ ძველი ქართული ჯიში ტრედის-ფეხა იტალიაში საქართველო-თან ყოფილა შეტანილი.

სამარხი-ს ყურძნის ჯიშის ქრონოლოგიურ განსაზღვრას ის გარემოება გვშეველის, რომ მარხვა სახელზმნას შენახვის მნიშვნელობა მხოლოდ გარკვეულ ხანამდე ჰქონდა. სამარხი კი სწორედ შესანახსა ჰნიშნავდა, თვით ეს ყურძნის ჯიშიც, როგორც სათანადო ადგილას აღნიშნული გვაქვს, სწორედ საკმელად განკუთვნილი შესანახი ყურძნის ჯიში იყო.

მარხვა და დამარხვა ძველ ქართულში შენახვას ჰნიშნავდა. დაბადების ქართულ თარგმანში ეს სახელზმნები სწორედ ამ მნიშვნელობითაა ნახმარი (იხ., მაგ., შესაქმეთა 3711, ეზრას IV, 68 და სხვაგანაც ბევრგან). შენახვა ცნებასთანავე დაკავშირებული „მარხვა“-ს, ვითარცა ხორცეულისა და სხვა ნოყიერი საკმელების უკმელობის ცნების გამომხატველი ტერმინის აღმნიშვნელობაც, რომელიც თავდაპირველად სარწმუნოებისა და სჯულის წესის შენახვად იგულისხმებოდა. ასეთი მეორადი მნიშვნელობა ამ სიტყვას უკვე დაბადების გაღმთარგმნის ხანაშივე ჰქონდა, როგორც ეს ესაიას 111-ითგანაც ჩანს.

მარხვა და დამარხვა ძველი მნიშვნელობით შემდეგი საუკუნეების ძეგლებში მოიპოვება: ქართულ საისტორიო თხზულებებში X და XI ს. ს.-შიც გვხვდება. მაგ., გ. მერჩულის სიტყვით გრ. ხანძთელს სიკვდილის წინ ხანძთელი ბერებისათვის უთქვამს: „შვილნო, რომელი მცნებაჲ პირველ-ოთგან გესმა თქვენ ჩემგან, სულისა თქუენისა საცხორებელად დაიმარხეთ“-ო (TP. VII, გვ. 108, § 10). გ. ხუცესმონაზონსაც მოთხრობილი აქვს, რომ გიორგი მთაწმიდელს ღვინის ძალზე მოყვარული ერთი მონაზონისათვის ურჩევია, რომ განკურნებისათვის ღვინის სმისათვის თავი უნდა დაენებებინა. ამ მონაზონს მიუვია, რომ ვითარცა დასავლეთ საქართველოს მკვიდრს, სადაც მავნე ჰავა იყო, უღვიწოდ მას დასნეულებისა ეშინოდა. ამაზე გიორგი მთაწმიდელს უპასუხია: „უკეთუ შენ მცნებაჲ ჩემი დაიმარხო, არა შეგემთხვიოს სულიერი, გინა ჳორციელი სნეულებაჲ“-ო (ც-ე გ-ი მთწმ-დლსაჲ, 323).

1125 წ. ახლო ხანს დაწერილს დავით აღმაშენებლის ისტორიაში ავტორს ცნება შენახვის აღსანიშნავად ისევ დამარხვა აქვს ნახმარი. მას მოთხრობილი აქვს, რომ დავით აღმაშენებელს ყოველდღიური ქველმოქმედების მისაცემად

პატარა ქისა, კისაკი, ჰქონია, მაგრამ ზოგჯერ, ან იმდენი მთხოვნელი არ შე-
 ჰხვედრია, რომ წაღებული ფული დაერიგებინა, ზოგჯერ მთხოვნელი არავინ
 უნახავს და სავსე ქისით შინ დაბრუნებულა: „ოღესმე ნახევარი წარავის მისი
 და ოღესმე არავინ ეპოვნის და ეგრეთ სავსე მისცის დამარხუად ზვალისა“-ო
 (*554, გვ. 322). სავსე ქისას თავისიანებს ზვალამდის შესანახად მისცემდაო⁸⁹.

მაგრამ არც ს. თმოგველსა და არც შოთას თავიანთ თხზულებებში მარხვა
 და დამარხვა უკვე არ მოეპოვებათ. ჩახრუხაძეს მხოლოდ ნამარხევი აქვს ნახ-
 მარი, რომელიც იურიდიულ ტერმინადაც იყო ძველითგანვე ქცეული (იხ. ჩემი,
 „ქართული სამართლის ისტ.“ II, ნაკვეთი 2, გვ. 467), „ლომთა თავადად თქმუ-
 ლი ავადად სხვაცა ვინმე ჩანს: ხართ ნამარხევად“-ო (TP, IV, ევ, § 32).

იმ ხანის გამოსარკვევად, როდესაც მარხვა-ს მაგიერ მწერლობაში შენა-
 ხვა-ს ხმარება დაიწყეს, შესაძლებელია სარგის თმოგველის „ვისრამიანი“-ს გა-
 მოყენება. თუ გ. მერჩულის და დავით აღმაშენებლის ისტორიკოსის თხზუ-
 ლებებში, როგორც დავრწმუნდით, ამ ცნების გამოსახატავად წინანდებურად
 დამარხვა იხმარება, „ვისრამიან“-ში ეს სახელზმნა უკვე აღარა ჩანს. იქ, სადაც
 რამინისაგან ბეგოს დასაჩუქრების ამბავი და მიზეზია მოთხრობილი, ნათქვა-
 მია: რამინმა „რე[ა] ქალაქი ბეგოს უბოძა აღრინდელი მოყუარე იყო მისი.
 თუით რამინ და ვისი, ოღეს გარდაიხვეწნეს მოაბალისაგან... შიშითა, მაშინ
 მისსა მივიდეს რე ქალაქს და მან კარგა უმასპინძლა და ზვაშიადიცა კარგად
 შეუნახა“ და სწორედ იმის სამაგიეროდ ქალაქი რეი უწყალობაო (ვისრამიანი,
 გვ. 449—450). ამნაირად, საიდუმლოების დაცვას ამ ხანაში უკვე ზვაშიადის
 შენახვა პრქმევიანა. საფიქრებელია, რომ დავით აღმაშენებელის ისტორიკო-
 სის ხანაშიც დამარხვა უკვე მწიგნობრული სიტყვა უნდა ყოფილიყო.

ზემომოყვანილი ძეგლებისდა მიხედვით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ
 მარხვა-სა და დამარხვა-ს შენახვის მნიშვნელობა XI ს-მდე ჰქონია და XI—
 XII სს-ში ამ სახელზმნის მაგიერ უკვე შენახვა შემოსულა.

XI—XII სს-ის ზემომოყვანილ ძეგლებში მარხვა და დამარხვა, ისევე რო-
 გორც ნამარხევი უკვე მწიგნობრული ენის სიტყვების შთაბეჭდილებას ახდე-
 ნენ. ამიტომ ამ დროისათვის და უფრო ადრეც მათ მაგიერ უკვე დაცვა უნდა
 ყოფილიყო გავრცელებული. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ სამარხი,
 ვითარცა ყურძნის შესანახი ჯიშის ზოგადი სახელი, ძალიან ძველი უნდა იყოს.
 მაინცდამაინც X ს-ზე მერმინდელად მისი მიჩნევა არ შეიძლება იმიტომაც,
 რომ გურიისში ეს ტერმინი VIII—IX სს-ში ქართლ-მესხეთითგან გადახიზნული
 მოსახლეობისაგან უნდა იყოს შეტანილი.

სადადეგო-ს ყურძნის ჯიშის სახელი, როგორც უკვე აღნიშნული გვექონ-
 და (იხ. აქვე, გვ. 513), წელიწადის დამდეგს, დასაწყისს, გულისხმობს და პირ-
 ველ თვედ, უეჭველია, აქ ენკენისთვე უნდა იყოს მიჩნეული. ცნობილია, რომ
 წელიწადის-თავი სხვადასხვა ქვეყანასა და სხვადასხვა ხანაში სხვადასხვა ღროს
 იცოდენ. ეს გარემოება საშუალებას მოგვცემს სადადეგოს სახელის ხნიერება
 გამოვარკვიოთ. რა თქმა უნდა, თუ წინასწარ ის ხანა, როდესაც წელიწადის-
 თავად ენკენისთვე იყო დაწესებული, დაახლოებით მაინც გვეცოდინება. სამ-
 წუხაროდ, ეს საკითხი ჯერ შესწავლილი არ არის.

⁸⁹ აღსანიშნავია, რომ ჰალაშვილისეული ქცის გადაამწერს ეს ძველი ზმნა შეუცვლად და და-
 უწერია შესანახად-ო.

წა ნინოს შატბერდისეული ცხორებითგან ირკვევა, რომ იმ ხანაში, როდესაც ამ ძეგლის, თავდაპირველი თუ არა VII—VIII ს. რედაქცია მაინც იყო დაწერილი, წელიწადის თავად, ანუ პირველ თვედ მარტი ყოფილა. ამ ძეგლში სხვათა შორის აღნიშნულია, რომ რიფსიმე, გაიანე და მათი ამხანაგები „მოკლნეს მუნ (სომხეთში) თუესა პირველსა, ოცდაათსა, დღესა პარასკევსა“, როდესაც „ვარდი და ნუში ყუავოდა“-ო (Опис., II, 746—7). ამავე ძეგლში წა ნინოს ნათქვამი აქვს „თუესა მეოთხესა წარვედ მათა ზედა ჯავახეთისათა“-ო (იქვე, II, 748). ლეონტი მროველს კი ეს ორი უკანასკნელი ცნობა ასე აქვს განმარტებული: „წა ნინო... მოიწია... საზღვართვე სომხითისათა და თუესა მეოთხესა მარტითგან, რომელ არს ივნისი, წარმოემართა მათა ჯავახეთისათა“-ო (*211, გვ. 67).

ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, რომ წელიწადის თავად და პირველ თვედ მაშინ მარტი ითვლებოდა, ის დრო, როდესაც გაზაფხულის პირი იყო.

გინცელს გამორკვეული აქვს, რომ წელიწადის თავად მარტის თვის მიჩნევა ქრისტიანებს ებრაელთაგან ჰქონდათ შეთვისებული. III—IV ს-ითგან მოყოლებული აღმოსავლეთში და შემდეგ დასავლეთშიც VIII ს-მდე პირველ თვედ სწორედ მარტი ითვლებოდა: ვენეტიკის რესპუბლიკამ ეს წესი თავისი არსებობის უკანასკნელ წლამდეც კი შეინარჩუნა, თუმცა სამოქალაქო წელიწადი იქ პირველ იანვარს იცოდენ (F. Ginzel, Handbuch der mathematischen und technischen chronologie, III. B., Leipzig, 1914, 159—160).

იოანე-ზოსიმეს X ს. ქართული კალენდართგან ირკვევა, რომ იმ დროს წელიწადის თავად და პირველ თვედ იანვარი ყოფილა, ეკლესიაში მაინც. პირველ სექტემბერს წელიწადის თავი ბიზანტიური წელთაღრიცხვის წესს ჰქონდა. ეს წესი ეგვიპტითგან მომდინარეობდა, სადაც საფინანსო წელიწადი სწორედ 1 თოთ-ის თვეს, ანუ 1 სექტემბერს იწყებოდა ხოლმე. VII ს-ის შემდგომ VIII ს-ში ბიზანტიური წელთაღრიცხვის ეს წესი აღმოსავლეთშიც გავრცელდა და ამისდაგვარად ათარიღებდენ ხოლმე ბიზანტიის კეისრები და კერძო პირებიც თავიანთ საბუთებს. შემდეგში ბიზანტიელი ისტორიკოსებიც ჩვეულებრივ ამ წელთაღრიცხვის წესს მისდევდენ. XIV ს. და ნაწილობრივ XV ს. დამდეგის ბერძნულსა და ლათინურს საბუთებში სექტემბრის წელიწადის თავობაზე იყო დათარიღება დამყარებული, მაგრამ ბიზანტიის დამხობასთან ერთად იგი თანდათან გაქრა და ე. წ. ქრისტიანული ერა გაბატონდა. XVI ს. დამლევი საბერძნეთის ეკლესიას უკვე ეს წესი ჰქონდა მიღებული (Ginzel-ის დასახ. ნაშრომის III, 150, 292—293).

ზემონათქვამის შემდგომ ცხადი გახდებოდა, რომ ენკენისთვის წელიწადის თავად, ანუ დამდეგად მიმჩნევი სადადეგო-ს ყურძნის ჯიშის სახელი შეუძლებელია VIII ს-ზე აღრიხდელი იყოს. საფიქრებელია, რომ იგი ბიზანტიის გავლენის ხანაში უნდა იყოს გაჩენილი. ამითვე აიხსნება, რომ ჯიშის ეს სახელწოდება სწორედ დასავლეთ საქართველოს უკიდურეს დასავლეთ თემს, გურიას, აქვს დაცული. მაინცდამაინც საეჭვოა, რომ ეს სახელი XV ს-ზე მერმინდელი იყოს, რათგან ამ დროს ბიზანტიური ერა საბერძნეთშიც უკვე ქრება.

საკმარისია საბატონო-დ წოდებული ჯიშის სახელი ავილოთ, რომ მისი გაჩენის შესაძლებელი უადრესი ხანის განსაზღვრა სრულებით ადვილი შეიქმნეს.

ბატონი დროთაგანმავლობაში არის ბატონისაგან გაჩენილი (იხ. ჩემი, „ქლი სამართლის ისტ.“ II, ნაკვეთი პირველი, გვ. 102). XVI ს-ზე ადრე ტერმინი ბატონი არა ჩანს, რათგან არც არსებობდა (იხ. ჩემი, „ქლი სამართლის ისტ.“, სათანადო წიგნი). ამ გარემოების ცოდნა საბატონო-დ წოდებული ყურძნის ჯიშის სახელის ხნიერების გამოსარკვევად სრულებით საქმარისია. თუ ტერმინი ბატონი მხოლოდ XVI ს-ში ჩნდება, ცხადია, რომ საბატონო-დ წოდებული ყურძნის ჯიშის სახელიც XVI ს-ზე აღრინდელი ვერ იქმნება. შესაძლებელია ამაზე გაცილებით უფრო გვიანიც იყოს.

აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშის სააბის სახელიც მისი ხნიერების განსაზღვრის საშუალებას გვაძლევს. სააბი არაბულითგან ნასესხები გასპარსებული სიტყვაა. არაბულად *صاحب* „საპაბი“ მეგობარს, მფლობელს, ბატონსა და ბატონსა ჰნიშნავს. სპარსელებმა ამ არაბულ სიტყვას შეთვისებისას მეორე ხმოვანი გამოუცვალეს, „საპაბ“-ად აქციეს. აქეთგან აქეთ სპარსელებს კუთვნილების აღმნიშვნელი ზედსართავი სიტყვა *صاحب* „საპაბი“, რომელიც ბატონისას ჰნიშნავს, ე. ი. ქართულ საბატონოს უდრის. მაგრამ ამასთანავე ეს სიტყვა სპარსეთში წითელმსხვილმარცვლიანი ჯიშის სახელადაც არის ქცეული და იხმარება (იხ. მირზა აბდულლა ბენ-აბდალ ლაფფარის *Персид.-рус. словарь*, II, 1927, მოსკოვი, 521).

ვითარცა ახალი სპარსული ენის სიტყვა, საპაბი, რომლისგანაც ქართული სააბი-ა წარმომდგარი, ვერას გზით X ს-ზე უწინარესი ვერ იქმნება, შესაძლებელია ამაზე გაცილებით უფრო მერმინდელიც იყოს.

თავისი სახელწოდებით საყურადღებოა ქართლში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჯიში, რომელსაც ბუზის ყურძენი, ანუ საბუზე ყურძენი ჰქვია. მისი მარცვლები ტკბილია და თხელკანიანი. დამწიფებისას კანი სკდება და მარცვლებს ტკბილი წვენი სდის, რომელსაც ბუზები და ფუტკრები ეხვევიან. სწორედ ამის გამო ყურძნის ამ ჯიშს ბუზის, ანუ საბუზე ყურძნის სახელი დაერქვა.

იმისდა მიუხედავად, რომ საქართველოს სხვა თემში, ქართლს გარდა, ბუზის ყურძენი არა ჩანს, ჯერჯერობით მაინც ცნობილი არ არის, საქართველოს გარეშე ასეთი სახელწოდების მქონებული ყურძნის ჯიში მოიპოვებოდა. ეხლაც ბლომად არის და მუსკატი ეწოდებოდა.

ვირა-ყურძენი, რომელიც დიღომში იყო გადაჩენილი, თუმცა უცნაური და ყურძნისათვის თითქოს სრულებით შეუფერებელი სახელია და ქართლს გარდა საქართველოს სხვა თემში, არსებული წყაროებისდა მიხედვით, არა ჩანს, მაგრამ უცხოეთში, სახელდობრ, ძველი რომისა და იტალიის მევენახეობაში, მის სახელს შესატყვისობა მოეპოვება, აზინუსკა-ს სახით.

ყურძნის ჯიშის სახელწოდება შანთი უცნაურია, რათგან ძველ ქართულში ეს სიტყვა გახურებულ რკინასა ჰნიშნავდა. ერთადერთ განმარტებად, რომელიც შესაძლებელია ყურძნის ჯიშის ამ სახელს მოეძებნოს, მისი ღვინის სიცხარეა, მაგრამ ამის შესახებ წყაროებში არაფერია ნათქვამი. მისი გავრცელების საზღვრები საქართველოშიც იმერეთს არ სცილდება, უცხოეთში კი ასეთი სახელი არა ჩანს. მაგრამ XVI ს. მეცნიერს Iean Bauhin-ს თავის „მცენარეთა ზოგადის ისტორია“-ში შეტანილი აქვს ყურძნის ერთი ჯიშის სახელი „*Uvae albae «Raisins brulants» dictae*“ „თეთრი ყურძენი მგზნებარ ყურძენად

სახელდებული“-ო. მისი აღწერილობით, ამ ჯიშს ფოთოლი ხუთყურბანი, ქვევითგან ბუსუსიანი ჰქონდა. ძალიან ნაყოფიერი ყოფილა და ბევრს ისხამდა, მაგრამ გამძლე ვაზი არ იყო: დასიცხვას ვერ იტანდა და ადვილად ხმებოდა. ალბათ, ამიტომ იყო, რომ ფრანგი და მათი მეზობელი მევენახეები ამ ჯიშის ვაზს სპობდენ თურმე, მეტადრე თუ უკეთესს ჯიშს იშოვიდნენ (Amp. rétrosp., 210).

თავი XX. მევენახეობის მოკლე მიმოხილვა სომხეთსა და ალბანეთში, ისევე როგორც არან-შირვან-შაჰში

§ 1. სომხეთისა და ალბანეთის პოლიტიკური და დემოგრაფიული თავდადასავალის მნიშვნელობა იქაური მევენახეობის ბედობისა და ვითარების გასათვალისწინებლად

საქართველოს მევენახეობისა და ვაზის ჯიშების დაწვრილებითი შესწავლის შემდგომ, საბოლოო მსჯელობისათვის, ჩვენი ქვეყნის მეზობლების მევენახეობის ვითარების გათვალისწინება არის საჭირო. უპირველესად რასაკვირველია სომხეთისა და ალბანეთის მევენახეობის ცოდნას აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, შემდეგ სპარსეთ-არაბეთისასაც.

თავდაპირველად სომხეთსაცა და ალბანეთსაც თავთავიანთი მევენახეობა ჰქონდათ, რომელიც ვაზის დაყენების წესითაც ძალზე განსხვავდებოდა, რათგან ალბანეთში მაღლარი მევენახეობა იყო გაბატონებული, სომხეთში კი, ბუნებრივი პირობების წყალობით, უმთავრესად განრთხმული ვაზი იყო. მაგრამ არაბთა შემოსევის შემდგომ გამაჰმადიანებულ თურქთა ტომების ალბანეთსა და სომხეთში ჩასახლება და გაბატონებამ ამ ორი ქვეყნის წინანდელი ვითარება ძალიან შეცვალა. უცხო ტომთა ჩასახლებას და ბატონობას შედეგად ადგილობრივი მოსახლეობის მთლიანი გათურქება ალბანეთსა და ნაწილობრივ სომხეთშიც მოჰყვა.

შესაძლებელია ითქვას, რომ ალბანეთის მერმინდელი მემკვიდრეობის, არანის, ყარაბაღის, შაქისა და შირვანის, აწინდელი აზერბეიჯანის, მოსახლეობა იმდენათ თურქული არ არის, რამდენადაც გათურქებული ალბანელების შთამომავლობას წარმოადგენს. ჯერ კიდევ X ს-მდე იქ ალბანური ენა იყო გავრცელებული და ქრისტიანობა წინანდებურად არსებობდა. ამ დროითგან მოყოლებული ალბანური თანდათანობით ასპარეზს თურქულს უთმობს და ქრისტიანობასთან ერთად, ამ ქვეყანაში მაჰმადიანობის გამარჯვებისთანავე, ქრება. მისი ოდინდელი არსებობის უკვე ღონემიხდილს, უკანასკნელ ნაშთს მხოლოდ უღურბოდა წარმოადგენს, რომელსაც სულ რამოდენიმე ათასი კაციღა ლაპარაკობს.

ალბანური მწერლობის თითქმის სრულიად მოსპობამ, არამცთუ იქაური მევენახეობის, თვით ენის აგებულებისა და ლექსიკური საგანძურის შესწავლის შესაძლებლობაც მოგვისპო. თუმცა არაბთა გეოგრაფებს არჩანად წოდებული ალბანეთის აღწერილობაში აღნიშნული აქვთ, რომ იქ ვაზ-ყურძნის მოშენებას და მგზილეობას მისდევდენ, მაგრამ ამ ავტორებს უმთავრესად იქაური ხილეულის ჯიშები აქვთ შექებული. არც მევენახეობის წესებზე და არც ყურძნის ჯიშებზე არაბ და სპარსელ გეოგრაფებს არაფერი აქვთ ნათქვამი, არც ალბანე-

თის არსებობის ხანაში, არც შემდეგში, როდესაც ეს ქვეყანა გამაჰმადიანებულ იქმნა და თანდათან გათურქდა.

ყველა ზემოთქმულის შემდგომ, ამ ქვეყნის მევენახეობის დონის გასათვალისწინებლად, XIX ს. გამოქვეყნებულსა და თავმოყრილ ცნობებს გარდა, რომელიც კავკასიას ეხება და რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე, გვ. 409—416), თითქმის არაფერი მოგვეპოვება.

თუმცა სომხებმა IV ს. დამდეგს მოსპობილი თავიანთი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა IX ს. შესძლეს და IX ს-ითგან XI ს-მდე შეინარჩუნეს, მაგრამ მანამდე მაჰმადიან არაბ, სპარსელ და თურქთა სომხეთში ჩასახლებას ვერც ისინი გადაურჩნენ. XI ს-ითგან სომხეთის დამოუკიდებლობის კვლავ მოსპობამა და ისევ სპარს-თურქ მაჰმადიანთა გაბატონებამ სომხეთში ჩათესლლებული თურქების მოსახლეობაც წინანდელზე მეტად გააძლიერა და ადგილობრივი სომხური ფენის გათურქებასაც ძალზე შეუწყო ხელი. მართალია, დავით აღმაშენებლის დროითგან მოყოლებული სომხეთის მაჰმადიანთა დამონებისაგან თანდათანმა განთავისუფლებამა და საქართველოს სახელმწიფოებრივობის არეში მოქცევამ სომხთა მოსახლეობის გამაჰმადიანება-გათურქების პროცესი შეაჩერა, მაგრამ XIII ს-ში მონღოლთა შემოსევა-გაბატონებამა, საქართველოს პოლიტიკურმა დასუსტებამ და მერმინდელმა დაკნინებამ სომხეთის ბედიც კვლავ უკულმა დაატრიალა: ქვეყნის აოხრებას სომხთა აყრა და გადასახლება დაერთო ზედ. დაცარიელებულ ადგილს თურქთა ახალ-ახალი ტაღლები იპყრობდენ. სომხეთის პოლიტიკური ბედის ამ უკულმართობამ ამ ქვეყნის მოსახლეობა ააჭრელა: ადგილობრივ მკვიდრთა გვერდით საკმაოდ მრავალრიცხოვანი თურქული მოსახლეობაც შეიქმნა.

რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ გარემოებას მევენახეობა-მეღვინეობაზე შეუძლებელია ძლიერი გავლენა არ მოეხდინა, თუნდაც იმიტომ, რომ მაჰმადიანობა კეთილმორწმუნეს ღვინის სმას უკრძალავდა და ამის გამო, მაჰმადიანობის გავლენასთან ერთად, უნდა მეღვინეობის მეურნეობაც საგრძნობლად შემცირებულიყო.

სპარსთა და თურქთა ბატონობამ მევენახეობასაც სომხეთში თავისი კვალი დააჩნია: სომხურ მევენახეობას ვაზ-ყურძნის არაერთი უცხო სახელი შეერია. ძველი ჯიშების შესახებ სომხეთში ცნობების უქონლობა იმ საკითხის გადაწყვეტას, არაბულ-სპარსულ-თურქულ სახელებთან ერთად თვით ეს ჯიშ-სახესხვაობაც ახლად იყო შეთვისებული, თუ წინათვე არსებულ ჯიშსახესხვაობას მხოლოდ სახელი გამოეცვალა, მეტად აძნელებს. მაგრამ ქსენოფონტეს ცნობა სომხეთში უკვე IV ს. ქ. წ. მევენახეობა-მეღვინეობის არსებობის შესახებ გვაფიქრებინებს, რომ სომხურ მევენახეობას არაერთი ძველი ჯიშის დროთა განმავლობაში დაკარგული, ან და სახელშეცვლილი უნდა ჰქონდეს.

სომხეთის მევენახეობისა და მეღვინეობის ისტორია ჯერ შესწავლილი არ არის. ძველ სომხურ წყაროებში, საისტორიო თხზულებებსა და წარწერებში, ამ საკითხის გასაშუქებლად თუმცა ბევრი არა, მაგრამ მაინც არაერთი საგულისხმო ცნობა მოიპოვება. მხოლოდ ამისთვის უნდა განსაკუთრებული მონოგრაფია დაწერილიყო, რაც, ცხადია, შეუძლებელია ამ წიგნში ყოფილიყო მოთავსებული. თუ „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ ამ წიგნში მევენახეობაზე მსჯელობის დროს სხვა, უმთავრესად ძველ საქართველოსთან დაკავ-

შირებული, ქვეყნების მევენახეობის გახსენებაც მოგვიხდა, ამის მიზეზსა და მიზანს ჩვენი მევენახეობა-მეღვინეობის შედარებითი შეფასება შეადგენს. სასოფლო მეურნეობის ამ დარგის დონისა და შენაძენის გასათვალისწინებლად ჩვენთვის უმთავრესად მისი ტექნიკური და ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა შედგენილობისა და აკვარგიალობის ისევე, როგორც სადაურობის ცოდნაა საჭირო. რაკი პირველი ამთავანი, სომხური მევენახეობა-მეღვინეობის ისტორიის შეუსწავლელობის გამო, ჯერჯერობით მიუღწეველია, ამიტომ აქ უნდა უმეტესად ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა საკითხით დაგვამყოფილებულიყავით.

სამწუხაროდ, აქაც საქმეს წინასწარი ნაკვლეგების უქონლობა აძნელებს. მართალია ცნობილ სომეხთა მკვლევარს ალიშანს თავის მონოგრაფიაში „Հայկուսակ կամ հայկական բուսաբանութիւն“ (ვენეტიკი, 1885 წ.), სომხურ ბოტანიკურ ლექსიკონში, 230—231 გვერდზე ყურძენზე მსჯელობის დროს 23 ჯიშის სახელი აქვს მოყვანილი, მაგრამ ამ ცნობების არც ერთი წყარო დასახელებული არა აქვს, და ორიოდეს გარდა, სახელზე მეტს არაფერს შეიცავს: არც ამბელოგრაფიული დახასიათება, არც ფერი და გავრცელების არეც კი აღნიშნული არ არის. ცხადია, რომ ასეთ წყაროზე დამყარება არ შემეძლო.

საუბედუროდ ტფილისში ვერ ვიშოვე ვერც პ. ათანასიანცის 1881 წ. ერევანში დაბეჭდილი ნაშრომი „სიკსასნი ზაზანაჟი ბოსასკანობი“—„ერევნის სახეების მკენარეულობა“ და ვერც კ. მელიქ-შაჰნაზარიანცის 1885 წ. ტფილისში გამოქვეყნებული „მღეხეიუ ფიძნასკან ფისიფიბობიხან“ „პრაქტიკული მეურნეობის სახელმძღვანელო“, რომლებშიც ყურძნის ჯიშებიც არის დახასიათებული. ამის გამო იძულებული ვიყავ საპ. ამატუნისა და პ. აჭარიანის დიალექტ. ლექსიკონებში ამავე წყაროებითგან ამოღებული ცნობებით მესარგებლა, ამას გარდა XIX ს-ში გამოქვეყნებულს, იმავე ოფიციალურ გამოცემებს ვემყარებოდი, რომელშიც კავკასიის მებაღეობისა და მევენახეობის ზოგადი, თუ ცალკეული დახასიათება მოიპოვება და რომელთა ღირსებასა და ნაკლზე თავის ალაგას უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე, გვ. 409—416).

თუმცა სომხეთსა და ალბანეთში, შემდეგდროინდელ არანსა და ყარაბაღ-შირვან-შაქში, მევენახეობის სხვადასხვა წესები იყო გაბატონებული, მაგრამ, მსგავსი ისტორიული ფაქტორებისა და თურქთა ჩასახლებისა და მათთან ერთად ბინადრობის წყალობით, ვაზ-ყურძნის ბევრი ჯიში ორსავე ქვეყანასა და ორსავე ერს საერთო ჰქონდა. ამას ზედ ის გარემოებაც ერთვის, რომ XIX ს. ავტორების ნაშრომებშიც მევენახეობა, ჩვეულებრივ, ადმინისტრაციულ-გეოგრაფიული პრინციპის მიხედვით არის აღწერილი და ამის გამო ხშირად მკაფიოდ არა ჩანს, თუ რომელი ჯიში სახელდობრ რომელი ეროვნების კუთვნილებას შეადგენდა. ყველა ამ მიზეზის გამო ქვემოთ ჯერ ორივე ქვეყნისა და ერის მევენახეობის მოკლე მიმოხილვა იქმნება ცალ-ცალკე წარმოდგენილი, შემდეგ აქაც და იქაც გავრცელებული ყურძნის ჯიშსახესხვაობათა საერთო აღწერილობა გვექმნება მოთავსებული, ხოლო სულ ბოლოს ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სომხური და თურქული სახელების ცალ-ცალკე ანალიზიც დაერთვის.

§ 2. სომხეთის მევენახეობის მოკლე დახასიათება

ვაზთამცოდნეობის ძველი ქართული ტერმინების მნიშვნელობის განმარტების დროს უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ვაზს ძველ სომხურში იყრ ვორთ-ი ეწოდებოდა. მაშინ ეს ერთადერთი სიტყვა იყო ამ ცნების გამოსახატავად.

XIII ს. სომხეთში განთქმული მოღვაწისა და მქადაგებლის ვარდანის იგავარაკთა კრებულში იმ იგავში, რომელსაც *საგ.ჰასანჯერ ს ხრქერ რაიოქსან* „აღუქსანდრე და მადლიანი ქვეყანა“—ეწოდება, უკვე ნახმარია *ქაყ* ვაზ. იქ სწერია: „*ჿორხე ყსაყოიჭხ ქაყღნ*“ (ნ. მარრის გამოც.: Сборник притч Вардана, тексты, 207) „მოსჭრა ყურძნის ვაზი“—ო. ამ ადგილისა და მიხედვით შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ თუ სიტყვა ვაზ ძველ სომხურში XIII ს-მდე არა ჩანს, XIII ს-ში უკვე მისი არსებობის დამამტკიცებელი ვარდანის იგავარაკთა კრებულის ეს ადგილია. მაგრამ ასეთი დასკვნა სრულებით მცდარი იქმნებოდა, რათგან ვარდანის კრებული შემდეგში არაერთხელ შეუვსიათ და ყველაფერი, რაც იქ მოიპოვება, ვარდანს არ ეკუთვნის. პროფ. ნ. მარრის გამოკვლევითგან ჩანს, რომ კერძოდ ეს იგავარაკიც, რომელშიც ზემომოყვანილი წინადადება გვხვდება, ვარდანისა არ არის (იხ. მისი გამოკ., გვ. 119, 263 და 279). მაშასადამე, სიტყვა ვაზ სომხურს XIII ს-შიც არა ჰქონია და ამის შემდგომ საუკუნეებში უნდა ჰქონდეს შეთვისებული. სამწუხაროდ, ვარდანის იგავარაკთა ამ დანართი ნაწილის ხანა გამორკვეული არ არის, რომ ამისდა მიხედვით ვაზ სიტყვის სომხურში გაჩენის დროის განსაზღვრა შესაძლებელი ყოფილიყო.

ახალ სომხურშიც თუმცა *ქაყ* ვაზ იხმარება, მაგრამ, როგორც დაღბაშიანს აღნიშნული აქვს, მხოლოდ მდაბიო ხალხში. ამასთანავე მდაბიო ხალხშიც ეს ტერმინი სომეხთა ყველა ტომს შორის არ არის ცნობილი, არამედ მხოლოდ ტფილისის, შულავერისა, ყაზახისა და ერევნის სანახების ეჩმიადინის თემის სოფლებში ამტარაკსა, ოშაკანსა და ფარაშია გავრცელებული (იხ. აჭარიანის ჯ. *გაღაი. რაიორან*, გვ. 990 და საპ. ამატუნის ჯ. *რაიოქსან*, გვ. 602).

ეჩმიადინის ს. ლზილთამირსა, იგდირსა და როჯში კი ვაზს *მიყრავიღ* მოვრამუქს უწოდებენ, ხოლო არქეშსა, ვალაშეკერტის ს. ბათოცში, ვანსა და მოკში ამავე ცნების გამოსახატავად *აყოი* აღომს-ს ხმარობდენ (საპ. ამატუნის-ს ჯ. *რაიოქსან*, 602).

ვაზისა და ყურძნის ნაწილების ისევე, როგორც ვაზ-ვენახის გაშენებასთან დაკავშირებული ტერმინები უკვე გვექონდა ქართულ ტერმინებთან ერთად თავთავის ადგილას მოყვანილი (იხ. აქვე, გვ. 304, 312, 314, 315—318, 326, 327, 334—336, 341—342), ამიტომ აქ მათი კვლავ განმეორება საჭირო აღარ არის. სამაგიეროდ აქ უნდა ისეთი სომხური ტერმინები იყოს დასახელებული, რომელთა ან კვალი არა ჩანს ძველად, ან არადა, რომელნიც ახალ სომხურში საგრძნობლად არიან შეცვლილნი.

თუ ძველ სომხურში წილნას ვოლკუიზი-ი ეწოდებოდა (იხ. აქვე, 327), თანამედროვე სომხურში წილნას უკვე *ვიოი* შურს-ს ეძახიან, რაც გადაბრუნებას, გადაწვენას ჰნიშნავს. ვაზის გადაწინდვას *ქაყიქ ვიოი თაჿ* ვაზი შურ ტალ, ე. ი. ვაზის გადაწვენა ჰქვია.

ვაზის ზედმეტ რქას სომხურად ერევის სანახებში, ეჩმიადინში *სოჟ* სულს ეძახიან (აჭარიანის *გასაოქ რაი.*, 979), აჯოჯვას კი *სოჯა თაჟ* სულა ტალს, ანდა *რხჯან თაჟ* ბეჩან ტალს უწოდებენ (იხ. ს. ზელინსკის Садоводство в Закавказье: Свод МИЭБГКЗК, IV, 2 ნაწ., 45).

აგრ. ენოქ ნაზარიანის სიტყვიერი ცნობით, რომლისთვისაც მადლობას მოვასხენებ, თანამედროვე სომხურში მოკლედ გასხლილ, დანეკილ ტოტს, ნეკს *რჩო* ბიტ-ი ეწოდება, ხოლო გრძლად გასხლილ *ჩოქი* ჰორი-ს ეძახიან. ეს ტერმინები, როგორც ჩანს, ახალი შემოღებული უნდა იყოს, რათგან არც დაღბაშიანისა და არც ამატუნის, ანდა აჭარიანის ლექსიკონებში შეტანილი არ არის. ბიტ ჩვეულებრივ დეზს, მამლის დეზსა ჰნიშნავს და ასე აქვს ამ სიტყვის მნიშვნელობა დაღბაშიანსაც განმარტებული. ჰორი უეჭველია *ჩოქ* ჰოარ-ის ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, რომელიც მსხვილსა ჰნიშნავს, ანდა ტირიფის, *Salix angustifolia*-ს აღმნიშვნელ სომხურ სახელ ჰორი-სთან უნდა იყოს დაკავშირებული (იხ. ამ სახელის შესახებ ყანდურალოვის ცნობა, СГСВВГВДК, V, 30).

ერევისა, ეჩმიადინისა, სურმალისა, შარურ-დარალაგიოზისა და ნახჭავანის სანახებში ყველგან, ორდუბათს გარდა, სადაც ხეივნის მევენახეობაა გაბატონებული, მიწაზე განრთხმული ვაზის მოშენებას მისდევდენ. ვაზის ლერწი ამალელებული მიწის კვლების ან ქედზე, ანდა გვერდებზე იყო და არის განრთხმული. ამ ამალეებულ კვლებს *ქოქა* თუმბ-ს ეძახიან, რაც სომხურად ბორცვსა ჰნიშნავს.

ვენახები იქ ტახტაკ-ებად, ანუ ოთხკუთხ ზოლებად არის დაყოფილი. თვითოეული ტახტაკი 30-მდე ასეთ თუმბს შეიცავდა. ვაზებს მარტში სხლავდენ სასხლავით, რომელსაც მდაბიო ხალხი *სოიგ* ეტოც-ს უწოდებს. თვით გასხლვას კი *ხახი* ეტელ-ს, ანდა *ხა ანხი* ეტ-ანელ-ს ეძახიან.

ძველ სომხურში გასხლვას, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 341), *ქათანხი* ატანელ-ი ეწოდებოდა. თავისდათავად ეს ზმნა ჳრის ცნების ზოგადი გამოზნატველი იყო, ახალ სომხურში იგი უკვე *ჩოიხი* ჰოტელ-ად არის ქცეული. დანასაც *ჩოიგ* ჰოტოცი-ი და მდაბიურად არარატის სანახებსა და ერევის სანახებში *სოიგ* ეტოცი-ი სასხლავს, ხოლო სხლვას *ხა* ეტ-ი ეწოდება (იხ. Очерк ВдК: СГСВК, III, 261 და საპ. ამატუნის ჯ. *რაი ი რან*, 195). სასხლავს სახელად ქ. ერევის მიდამოებში თურმე ეტულარი-ც („*этуларн*“) იხმარებოდა (Очерк ВдК, იქვე), რომლის კვალი არც დაღბაშიანსა და არც ამატუნის, გინდ აჭარიანს არ უჩანთ.

როგორც აჭარიანის ლექსიკონითგან ჩანს, ერევის სანახებში ვაზის გამსხვლელს სახელიც გაჩენილა და *სოიი* ეტგორ-ი დაპრქმევეია (ჯ. *გასაოქ რაი.*, 332).

რაკი სომხეთი მაღალი ზოლის მთიანეთია და იქ დიდი და მკაცრი ყინვები იცის, ამიტომ ზამთარში ვაზის უპატრონოდ მიტოვება არ შეიძლება: ყინვა ვაზს უმალ მოსპობს. უკვე IV ს. ქ. წ. ქსენოფონტეს აღნიშნული ჰქონდა, რომ მცირე სომხეთის სოფლებში იქ, სადაც მევენახეობა-მეღვინეობა იყო, ვაზს ზამთრობით მიწაში მარხავდენ, რომ ზამთრის სუსხს ვაზი არ გაეხმო და არ მოესპო. ერევის სანახებსა და სომხეთის დანარჩენ მაღლობ ადგილებში იმავე ბუნებრივი პირობებისა და მიზეზის გამო შემდეგშიც, XIX ს-შიც, განრთხმულ ვაზებს ზამთრობით წინანდებურად მიწაში ჰმარხავდენ (გეევსკი და შარარერი, 849—851).

დამარხულ ვაზებს ვაზაფხულზე მიწას გადააყრიდენ, ხოლო შემდეგ მათ გასხლვას შეუდგებოდენ ხოლმე. თეთრი ყურძნის ვაზის რქებს 4—5 კვირტზე სჭრიდენ, შავი ვაზისა კი 2—3 კვირტზე იცოდენ გასხლვა. გასხლვის შემდგომ ზედმეტ ტოტებს 3-ჯერ ჩამოაცილდენ და გაფურჩქნავდენ ხოლმე (გვეესკი და შარერეი, 849—851).

შამახელი სომხები კი, XIX ს. ცნობებით, დაბლარ მევენახეობას მისდევენ. ვაზებს ლერწის ნერგებით აშენებდენ, ერთიმეორეზე ვაზები 1 ადლის მანძილზე ჰქონდათ დაშორებული. 4 წლის ვაზს სარს შეუდგამდენ ხოლმე. გასხვლა მარტში, გათონა აპრილში, აჯოჯვა მაისსა, ხოლო სთველი ოქტომბრის დამდეგს იცოდენ. იქაური სომხები უმთავრესად საღვინე ყურძნის ჯიშების გაშენებას მისდევენ (გვევ. და შარ., 816—817).

მიწაზე განრთხმული ვაზებისთვისაც საყრდნობი, მეტადრე ყურძნის მოწვევის ხანაში მარცვლები რომ ნიადაგისაგან არ დაზიანდეს, მაინც საჭიროა, მაგრამ ერევნის მთელ სანახებში ისევე, როგორც სხვაგანაც, სადაც კი განრთხმული ვაზის მევენახეობა იყო, ასეთ საყრდნობად მიწაში ჩარჭობილს მოკლე (ნახევარ-არშინიანი) ორკაპიან ჯოხს ხმარობდენ, რომელსაც ვაზის განვიად განრთხმულ რქებს, სადაც კი სჭირდებოდათ, შეუდგამდენ ხოლმე. ასეთი ორკაპიანი საყრდნობი ვაზს სულ ცოტა იმდენი ესაჭიროებოდა, რამდენიც მას რქა დატოვებული ჰქონდა. თუ ვაზს ყურძენი უხვად ესხა და რქებს ამძიმებდა, საყრდნობი ამაზე გაცილებით მეტიც უნდებოდა ხოლმე (იხ. Очерк ВдК: СбСвК, III, 266, 270; ს. ზელინსკი, Садоводство в Закавказье, Свод. МИЭБГКЗК, IV, 2, გვ. 45 და ივ. ანდრონიკაშვილი, Очерк Вд в Эриван. г.: СбСвВгВдК, VI, 59—60). მხოლოდ უღარიბესი მევენახეები სტოვებენ ხოლმე ვაზებს მიწაზე სრულებით უსაყრდნობოდ.

ასეთ ორკაპიან საყრდნობს ყარაბაღელი სომხები *ჩიხჯაყ* ხეჩაკ-ს, განჯელები *სხეჩაყ* ხეჩმაჯრ-ს, ერევნელები კილევ *ჩეჩაყ* ხეჩმარ-ს უწოდებდენ და უწოდებენ ეხლაც (ს. ზელინსკი, Садовод. в Закавказье, Свод. МИЭБГКЗК, IV, 2, გვ. 45; საპ. ამატუნის ჯ. *მათი ი. რან*, 274 და აქარიანის ჯ. *ყაღათი რათ.*, 464).

§ 3. ალბანეთისა და მერმინდელი არან-შირვან-შაქის მევენახეობის მოკლე დახასიათება

ალბანეთის მევენახეობის უძველესი ცნობილი ხანის შესახებ უკვე გვქონდა საუბარი (იხ. აქვე, გვ. 358—360) და იქ აღნიშნულია, რომ ალბანეთში მალევე მევენახეობას მისდევენ, ვენახები დაუბარავი ჰქონდათ და ვაზებს მხოლოდ ხუთ წელიწადში ერთხელ სხლავდენ ხოლმე.

ამ ქვეყნის მევენახეობის მერმინდელი მდგომარეობის შესახებ არავითარი გარკვეული ცნობები არ მოგვეპოვება. ცხადია, მხოლოდ, რომ, ალბანეთის ქრისტიანი მოსახლეობის გამაჰმადიანებასა და გათურქებასთან ერთად, თანდათანობით იქაური მევენახეობის გეზიც უნდა შეცვლილიყო. მაჰმადიანთათვის ღვინის სმის აკრძალულობის გამო, ამ ქვეყანაში მეღვინეობა უნდა მიმკვდარებული ყოფილიყო. ამავე მიზეზის გამო, იქ საღვინე ყურძნის ჯიშების მა-

გიერ საჰმელი, შესანახი და საწნილე ჯიშებისათვის უნდა დაეთმოთ ასპარეზი. რამდენადაც მევენახეობისათვის უმთავრესი ეკონომიური მნიშვნელობა მელვინეობას ჰქონდა, იმდენად მელვინეობის მოსპობას მევენახეობის ინტენსივობა და ზრდა უეჭველია უნდა შეეჩერებინა. თუ გავიხსენებთ, რომ ძველ ალბანეთშიც მევენახეობა ინტენსიური არ ყოფილა, ცხადი გახდება, რომ მევენახეობის მერმინდელი დონის ამაღლება ზემოაღნიშნული გარემოების გამო საფიქრებელი არ არის.

ამიერკავკასიაში ჩასახლებული თურქები, რა თქმა უნდა, მევენახეობის კულტურის მომტანნი არა ყოფილან. ამიტომ ეს დარგი მათ ან სპარსელებისაგან, ანდა უფრო ადგილობრივ მოსახლეობისაგან უნდა შეესწავლათ. ამ გარემოების გათვალისწინება ადამიანს მიახვედრებს, რომ არანის, ყარაბაღის, შირვანისა და შაჰის ისევე როგორც სომხეთის, თურქ და გათურქებული მოსახლეობის მევენახეობაში, როგორც ძველი ალბანური და სომხური, ისევე სპარსეთ-არაბეთითგან შეთვისებული ელემენტები უნდა ყოფილიყო. ყურძნის ჯიშის არაერთი სახელი შესაძლებელია ძველი ადგილობრივი სახელის მხოლოდ თურქულ თარგმანს წარმოადგენდეს.

მევენახეობის ექსტენსივობის გამო, ამ დარგის თურქული ტერმინოლოგიაც მანცდამანც მდიდარი არ არის. სახელდობრ ვაზს (die Weinrebe) თურქულად ზუზმ ასმასე ეწოდება, ვაზის ლერწს (der Weinstock)—ზუზმ ჩუბღღ, ყურძენს—ზუზმ, ან რუზმ, ყურძნის მტევანს (die Weintraube)—ზუზმ სალკემე, ყურძნის მარცვალს (die Weinbeere)—ზუზმ დანსი, ყურძნის ხუნწკალს (die Körner der Weinbeeren)—ზუზმ ჩაქირდუმი, ვენახს (der Weingarten)—ზუზმ ბახჩასე, ყურძნის წვეწმ (die Rebensaft)—ზუზმ შირასი, ჩამიჩს (die Rosinen)—კურუ ზუზმ, ქიშმიშს—ქიშმიშ ზუზმე (იხ. Dr. Radloff, Versuch eines Wörterbuches der Türk-dialecte, I, B., გვ. 1899).

შამახის სანახების მაჰმადიანი მიწისმოქმედნი მალღარ მევენახეობას მისდევენ. ვაზები იფნის ხეზე, თელადუმაზე და ქანდარზე, ანდა მუხაზე ჰქონდათ ხოლმე გაშვებული. ვაზის გარშემო ყოველწლივ ჰბარავდენ და რწყავდენ, ხოლო ოთხ წელიწადში ერთხელ მსხვილფეხა საქონლის პატივით მიწას აპოხიერებდენ. სხვაფრივ ვაზს არ უვლიდენ. ხუთი წლის ვაზი უკვე ყურძნის მოსხმას იწყებდა და მისი ნაყოფიერება 18 წლის განმავლობაში იმდენად დიდი იყო, რომ ყოველწლიურად 4 ფუთამდე ყურძენს ისხამდა. როდესაც ვაზის ნაყოფიერება მცირედებოდა, მაშინ ვაზის ზროს პირველი განტოტების ადგილთან სჭრიდენ და ამის შემდგომ ვაზი ახალ-ახალ რქებს გამოიტანდა. ამის წყალობით მისი ნაყოფიერება კვლავ განახლებული ძალით კიდევ 10—15 წლით იმატებდა ხოლმე. ამ საშუალებით ვაზი 150 წლამდე სძლებდა და ყურძენს ისხამდა (გეევ. და შარ., გვ. 817). შამახელი მაჰმადიანნი საჰმელი ყურძნის ჯიშების გაშენებას მისდევენ (იქვე).

ნუხისა, გოგჩისა და არეშის სანახებში მხოლოდ მალღარი მევენახეობა იყო ისევე, როგორც ლენქორანში, აქ თურმე ვაზებს არა სხლავდენ (გეევ. და შარ., 818—819). ყანდურალოვის ცნობით, ხეებზე გაშვებული ვაზებით დარგულს ასეთ მალღარ ვენახს თურმე ხიოვან-ს უწოდებდენ (СБСВГВДК, V, 34—37).

შამახა-გოგჩის სანახებში, შირვანში, ზემოაღნიშნული მალღარის მსგავსად თუმცა სომხებზე უფრო ნაკლებად, მაგრამ იქაურ მაჰმადიანებსაც ჰქონ-

დათ დაბლარი, სარებზე დამაგრებული, ვაზებიც. ასეთ დაბლარს, ყანდურალოვის ცნობით, ქელლსარ-ი ეწოდებოდა (СНСВГВ; К, V, 28), ზელინსკის ცნობით კი, ვითომც „ქელსარ“, რომელიც, ამ ავტორის მტკიცებით, ვითომც სპარსული სიტყვა უნდა იყოს (Свод МИЭБГКЗК, IV, 26)⁹⁰. ასეთი სპარსული არა ჩანს და თანხმობან ბევრათა თავში ამნაირად შეგუფილობის მქონებული სიტყვის არსებობა სპარსულში ძნელი დასაჯერებელიც არის. უფრო საფიქრებელია, რომ დაბლარის აღნიშნული ზემომოყვანილი თურქული ტერმინი ბერკეტის, ანუ ოწინარის აღმნიშვნელ თურქულ სიტყვა ქოსლუз kös:lü كوسلو-სთან იყოს დაკავშირებული და მისგან ნაწარმოებს ტერმინს წარმოადგენს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ქელსარ-ი უნდა შუა თანხმობანთა ადგილმონაცვლეობით იყოს ქოსლარ-ისაგან წარმომდგარი.

დაბლარ ვაზზე, მარტში მისი გასხლვის დროს, 2-ს, ან 3-ს სანაყოფო რქასა სტოვებდენ, რომელთაც ყველას 10 კვირტზე სხლავდენ. მხოლოდ უფრო ხნირ ვაზს ზოგჯერ ორ კვირტზე გასხლილ სამარაგოდ განკუთვნილ რქასაც უტოვებდნენ ხოლმე, შემდეგ ნიადაგს ჰბარავდენ, ხოლო მაისში ვაზის ზედმეტი ტოტების ჩამოცლა, გაფურჩქნა იცოდენ, რომელსაც გწალ-ს უწოდებდენ (ყანდურალოვი, V, 28—33).

განჯის სანახებშიც დაბლარ მევენახეობას მისდევდენ, მხოლოდ იქ ვაზის შესადგმელად სარის მაგიერ ლერწამს, ანუ ჩალამკალამს, *Arundo Donax*-ს ხმარობდენ (გეევ. და შარ., 846). ერევნის მთელ სანახებში მაჰმადიანებსაც განრთხმული ვაზის მევენახეობა აქვთ და მხოლოდ ორდუბათის უბანშია ვაზები ხეივნებად გაშენებული, რომელთაც ხეივან-ი ეწოდება (ანდრონიკაშვილი, VI, 61).

§ 4. სომეხთა და თურქთა შორის გავრცელებული ყურძნის ჭიშ-სახესხვაობანი

ყურძნის ჭიშ-სახესხვაობათა ქვემომოყვანილი აღწერილობა თავის ალაგას უკვე დასახელებულ წყაროებზეა დამყარებული. რაკი უმეტეს შემთხვევაში მეტად მცირე ცნობები იყო და ხშირად მარტო სახელი მოიპოვებოდა, ამიტომ მეც იძულებული ვიყავი მტევნის და მარცვლის დახასიათებით დავკმაყოფილებულიყავ და თვითთველის სამეურნეო დანიშნულება და ღირსება მომეხსენებინა. სამწუხაროდ, ცნობების უქონლობა ხშირად ამის ნებასაც არ მაძლევდა და, სახელის აღნიშვნას გარდა, არაფრის თქმა არ შემეძლო. ყურძნის ჭიშ-სახესხვაობათა ქვემომოყვანილი დახასიათება სარგებლობის გასაადვილებლად ანბანის რიგზეა დალაგებული.

1. აგრი, ანუ დანადაშაგ, იხ. დანადაშაგ.

2. ალა-კორა, ზელინსკით თურქულად *ارقا لا* იწერება (IV, 58), მაგრამ არც მისი აღწერილობაა და არც ამ სახელის განმარტება აქვს. ზანგეზურის ყ. მაზარ. მეგრის სოფლებში იყო.

⁹⁰ „Называется персидским словом квясар (کیلسر)“ — sic!..

3. ალახსუჭ (ზელინსკით), ალ-აღსუჭ (ბალლასით). რქა ღია ნაცრისფერია, ხოლო მარცვალი შავი, მსხვილი, მრგვალი იცის. ფოთოლი საშუალო სიდიდის, ღრმად ჩაჭრილი აქვს. განჯის სანახებშია გავრცელებული (ბალლას, 182, № 11).

4. აღდარი, ანუ ტაიფი, ანუ რაზგი, იხ. ტაიფი.

სევ-ალდარა *اسل ادرار*, ე. ი. შავი აღდარული (ზელინსკი, IV, 57 და ანდრონიკაშვილი, VI, 44).

5. აღვანი (ზელინსკის თურქულად უწერია *عوان* ცალვან), შამახის ყ. მაზრაში იყო, მწყაზარი, თეთრ-წითელი, შესანახი ყურძნის ჯიში იყო, ზამთარში სძლებდა (გეევსკი და შარერეი, 818). ყანდურალოვით წითელია და საჭმელად იყო უმთავრესად ს. ს. სალიანსა და მათრასში (*Салиан, Матрасы*) გავრცელებული (V, 26).

6. ამბარი (ზელინსკის სომხ. *ამბარი*, ალიშანს, ამატუნისა და აკარიანს არა აქვს) თეთრი, საჭმელი ჯიშია, ერევნის, ერმაიძინისა და სურმალის ყ. მაზრებში იყო გავრცელებული (ანდრონიკაშვილი, VI, 42).

7. ამრი *ამრი* გავრცელებული იყო შამახის სანახებში,—მარცვალი მსხვილი ჰქონია (გეევსკი და შარერეი, 818 და ზელინსკი, IV, 58).

8. არაზბერი ანუ არაზბარი *არაზბარი* (ზელინსკით) გავრცელებული იყო ერევნის ყ. გ. უმთავრესად ორდუბათის უბანში, მარცვალი წითელი ჰქონდა (ანდრონ., VI, 43 და ზელინ., IV, 57).

9. ასქარი მოვარდისფერო-თეთრი, — შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული (გეევ. და შარ., 818).

მაგრამ ასქარი-ს მწვანე-მოყვითალო სახესხვაობაც არსებობდა, რომელსაც მარცვალი ლამაზი, კვერცხებრივი, საკმაოდ მსხვილი, მოტკბილ-მომყავო ჰქონდა. საუკეთესო საჭმელ ჯიშად ითვლებოდა (გეევ. და შარ., 852) და ერევნის ყ. გუბ. ყველგან ყოფილა გავრცელებული (ანდრონ., VI, 40).

10. ათ-ჯუჯ *آت آرزو*, ე. ი. ცხენის ყურძენი გავრცელებული იყო განჯის ყ. გუბ. ისევე, როგორც შამახისა და გოგჩის სანახებშიც. მტევანი ძალიან დიდი, პირამიდებრივი, ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა,—მარცვალი მსხვილი, კვერცხებრივი, სქელკანიანი და სქელხორციანი, მოვარდისფერო-წითელი იცოდა, ტკბილ-მომყავო, საჭმელ-შესანახი, მოსავლიანი ჯიში იყო. ოქტომბერში მწიფდებოდა (ყანდურ., V, 21 და ზელინ., IV, 57).

11. აღა-დაჟ *اغا دا*, ე. ი. აღა-დედის ძმა, აღა-ბატონი, რომლის შესახებ, სახელს გარდა, სხვა არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ყუბის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ., IV, 58).

12. აღ-ჯუჯმ, ანუ ჯუჯმ, *اغا جوم*, ე. ი. თეთრი ყურძენი, უმთავრესად შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული და თეთრი თხელკანიანი ჯიში იყო (გეევ. და შარ., 818).

13. აღ-ალაჰკი, ე. ი. თეთრი აღაჰკი, ანუ აღ-სააბი, ე. ი. თეთრი სააბი გავრცელებული იყო ერევნის ყ. გუბ. მცირე რაოდენობით, თეთრის გარდა მისი ვარდისფერი სახესხვაობაც არსებობდა. საჭმელი ჯიშია და გამძლე (ანდრონ., VI, 41).

14. აღ-ზადი, ე. ი. თეთრი ბალის ყურძენი ერევნის ყ. გუბ. იყო გავრცელებული. მარცვალი საშუალო, კვერცხებრივი, მოყვითანო და ტკბილი ჰქონდა (გვევ. და შარ., 852).

აღსაბაჰ, ე. ი. თეთრი სააბი, იხ. აღ-ალაჰკი და სააბი.

15. აღ-შირაჰ *أشیر اغ* თურქულ-სპარსული სახელია, თეთრი ყურძნის ტკბილსა ჰქონდა. ეს ჯიში განჯისა, შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო, გრძელი, წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა, — მარცვალი საშუალო, ოდნავ კვერცხებრივი, თხელკანიანი, მომწვანო-თეთრი, წვენიანი, ტკბილი და ოდნავ სურნელოვანი ჰქონდა. საადრიოა: ენკენისთვის დამდეგს მწიფდება. საშუალო მოსავალი იცის. თურქები საკმელად ხმარობდენ, მაგრამ შესანახად გამოსადეგი არ არის, — სომხები კი საღვინედ სთვლიდენ და კარგ საღვინე ჯიშად იყო მიჩნეული (ყანდურ., V, 23).

16. აღა-გორამაჰ, როგორც მას თურქები განჯის სანახებსა და ერევნის ყ. გუბ. ნახჭევანის ყ. მაზრ. ორღუბათის უბანში უწოდებდენ და რაც ჰქონდა „აღა ვერ დაინახავს“-ო, ან როგორც ქაბარლუში, ერევნის ყ. გუბ. არარატის სანახების სომხები უწოდებენ ეზანდარი-ს *ხეანყარქი*, ანუ დიზმარი, ივ. ანდრონიკაშვილის ცნობით, თეთრი, საადრიო, საკმელი ყურძნის ჯიშია და ორღუბათშიც ყოფილა გავრცელებული (VI, 41 და 42). მაგრამ, ჰოვჰანეს ათანასიანის ნაშრომის *ჩრქაანქ ხარაჟი რიასიქანსიქიან* „ერევნის სანახების მცენარეულობა“ და კ. მელიქ-შაჰნაზარიანის ნაწარმოების *სღეხეიყე ვიდზასიან ჟინსიღიბიქსიან* „პრაქტიკული მეღვინეობის გზის მაჩვენებელი“-ს დამოწმებით, საპ. ამატუნი-ს აღნიშნული აქვს, რომ ეზანდარი „ფერად შავი, მრგვალი და მსხვილ-მარცვლიანი, კანმაგარი, ტკბილი საკმელი ყურძენი“ იყო (ზ. *გაი ი. გან*, 173—174).

17. აღა-ყარა *اچا قارا*, ე. ი. თეთრ-შავი შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული, მარცვალი წითელი ჰქონდა. ეს ჯიში შამახის ჩრდილო ნაწილის თურქთა შორის იყო გავრცელებული და სანახევროდ უკვე გავლურებული ყოფილა (ყანდურ., V, 26).

18. აჩაბაჰ, ანუ ხაჩაბაჰ, რომლის მართლწერა თურქულად ზელინსკით *აჰა-აჰა*, რაც „ორთავიანად“ (*двухтавыи*) აქვს გადმოთარგმნილი, ერევნის სანახების ეჩმიადინისა და სურმალის ყ. მაზრებში იყო გავრცელებული, მაგრამ მცირე რაოდენობით, თეთრი, საკმელი, ჯიში ყოფილა (ანდრონ., VI, 41 და ზელინს. IV, 56). ბალასის ცნობით მოგრძო მარცვლიანი იყო, მქრთალი მოლურჯო ფერი ჰქონდა და კარგად ინახებოდა (გვ. 253, № 56).

19. აჭანდი-ჯუჯში *اچاندى جوجشى*, ე. ი. ბატონის ყურძენი, განჯის სანახებში იყო გავრცელებული. მარცვალი კვერცხებრივი, მუქი მწვანე, ლაქებიანი ჰქონდა (ზელინს., IV, 57 და ბალასი, 182, № 24).

20. ბაღაგანი შამახისა და გოგჩის სანახებში თურქთა შორის იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო, მოგრძო და ბურძღენიანი ჰქონდა, — მარცვალი მოგრძოვე, საშუალო, თხელკანიანი, წითელი, ხორციანი და ტკბილ-მომეყო იყო. კარგ საკმელ, გამძლე ჯიშად ითვლებოდა, სექტემბრის დამლეგს მწიფდებოდა (ყანდურ., V, 21—22).

21. ბანდი თეთრი ყურძენი, ნახჭავენის უბანსა და შარტურში იყო გავრცელებული (ანდრონ., VI, 42).
22. ბანდენი *ბანდისი* კი შუშისა და ჯებრაილის ყ. მაზრებში მოიპოვებოდა (ზელინს., IV, 58).
23. ბარაში *ბარაში* გავრცელებული იყო ორღუბათის უბანში (ზელინს., IV, 57 და ანდრონ., VI, 44).
24. გაანჯი *გაანჯი*, ე. ი. განჯური, ნახჭავენის სანახების ორღუბათისავე უბანში (ზელინს., IV, 57 და ანდრონ., VI, 44).
25. გარან-ტმაკ *გარან-ტმაკ*, ე. ი. კრავის ღუმა მცირე რაოდენობით არარატის სანახებში, სახელდობრ ერევნისა, ეჩმიადინისა და სურმალის ყ. მაზრებში იყო გავრცელებული. ათანასიანცხე დაყრდნობით, საპ. ამატუნის აღნიშნული აქვს, რომ მას მრგვალი მარცვალი ჰქონია, ფერად თეთრი და თხელკანიანი საღვინე ყურძნის ჯიში ყოფილა. ივ. ანდრონიკაშვილის სიტყვით კი საკმელი ჯიში იყო (ანდრონ., VI, 43 და საპ. ამატუნი, ჯ. *რათ ი. რან*, 125).
26. გარგარი *გარგარი* ნახჭავენის სანახების ორღუბათის უბანში (ზელინს., IV, 57 და ანდრონ., VI, 44).
27. გარნი შირასი *گر نی شیراسی*, ე. ი. გარნისის ყურძნის ტკბილი, ანუ მარტივად გარნი, ერევნის ყ. გუბ. მოიპოვებოდა, მაგრამ სიმეივის გამო ნაკლებ იყო გავრცელებული (ზელინს., IV, 56 და ანდრონ., VI, 43).
28. გვნი, ნახჭავენის სანახების ორღუბათის უბანში იყო გავრცელებული (ზელინს., IV, 57 და ანდრონ., VI, 44).
29. გულაში, რომელიც სპარსულად ვარდის წყალისას ჰქნიშნავს, ნახჭავანში მიღებული სახელი იყო, ხოლო ერევნის ყ. მაზრის მესამე, არდაშარის უბანში ლალიბედან-ად იწოდება, რაც ლალისფერმარცვლიანის აღმნიშვნელი უნდა იყოს. მართლაც იგი წითელი, საღვინე ყურძნის ჯიში ყოფილა. ნაკლებად იყო თურმე გავრცელებული (ანდრონ., VI, 43). ყუბის ყ. მაზრაშიც იყო გულაში (ზელინს., IV, 58).
30. ძალანჯი-გულაში, ე. ი. ყალბი გულაში-ც არსებობდა ნახჭავანში, რომელსაც მხოლოდ საჭაჭედ ხმარობდენ არყის გამოსახდელად, მაგრამ იქაც მცირე რაოდენობით მოიპოვებოდა (ანდრონ., VI, 43).
31. ქეჩი-მამასი იხ. რიშ-ბაბა.
32. გიდავრასტ *გიდავრასტ* შავი ზანგეზურის ყ. მაზრაში იყო გავრცელებული (ზელინს., IV, 58 და ბალლასი, 183).
33. გილა-ტოკან, ანუ სფთა-მეზა-შლე-კაჩან ყაზახის სანახებში გავრცელებული, თეთრი, მსხვილმარცვლიანი საკმელი ყურძნის ჯიში იყო (ბალლასი, 182, № 21).
34. გილარჩი *გილარჩი* ზანგეზურის ყ. მაზრაში შავი ყურძნის ჯიში იყო (ზელინს., IV, 58 და ბალლასი, 183, № 10).
35. გომეში-შაშ იხ. რიშ-ბაბა.
36. გომე-ჯუჯ, ზელინსკით *گومی او زوگ*, ე. ი. მწვანე-ყურძენი, ბალლასით ნაცრისფერი ყურძენი, განჯის სანახებში იყო გავრცელებული. მას უაღრესად კუმსი და ხშირმარცვალი მტევნები ჰქონდა, თეთრი იყო და საუკეთესო საღვინე ჯიში ყოფილა (ზელინს., IV, 57 და ბალლასი, 182, № 13).

37. დევე-გოზი *دو گوزی* *deve gözi*, ე. ი. აქლემისთვალა, შამახისა და გოგჩის სანახებშიცა და ყაზახის, შუშისა და ჯებრაილის სანახებშიც იყო. მტევანი მას პატარა, პირამიდებრივი, ძალზე ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა, — მარცვალი ძალზე მსხვილი და მრგვალი, თხელკანიანი, სქელწვენიანი და ტკბილ-მომჟავო იცოდა. დევე-გოზის, როგორც ყვითელ-მომწვანო, ისევე წითელი სახესხვაობაც არსებობდა. ყაზახის სანახებში ყვითელი იყო გავრცელებული. გევესკისა და შარრერის დახასიათებით დევე-გოზი მცირემოსავლიანი ჯიში იყო. საჭმელ ყურძნად ითვლებოდა. გავრცელებული სომხებსაცა და თურქებ შორისაც ყოფილა (გეევ. და შარ., 817; ზელინ., IV, 57—58 და ყანდურ. V, 24).

38. დანადაშაგ ანუ აგრი შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი დიდი და მეჩხარი იცის, ხშირად ორ მოკლე განტოლებიანია ხოლმე. მარცვალი ძალიან მსხვილი, მომწვანო-ყვითელი, კვერცხებრივი, სქელკანიანი და სქელხორციანი, მომჟავ-მოტკბილოა. შუა ენკენისთვის მწიფდება, საშუალო მოსავალი იცის, საჭმელი ჯიშია. მცირე რაოდენობით თურქებსა და სომხებს შორის იყო გავრცელებული. ყანდურალოვის თარგმანით, დანადაშაგ, ანუ აგრი ვითომც მძიმეს უნდა ჰნიშნავდეს (СГСВВГВДК, V, 24—25). ზელინსკისა და ბალლასს მის სახელად დანა-თაშალი *دناش ايس* (ზელინსკით) აქვს მოყვანილი. უკანასკნელს ფრჩხილებში ჩაწერილი აქვს „ხბოს ყვერი“ („Тельячи яйца“: IV, 58 და ბალლასი, გვ. 183). ბალლასისათვის ამ ყურძნის ჯიშის სახელი სწორედ გადაუთარგმნიათ, რათგან ეს თურქული სახელი ორი სიტყვისაგან შედგება: დანა *دنا* *dana* ხბოს ეწოდება, ხოლო ტაშაყ *تاشاق* *tašaq* ყვერს. ამნაირად დანა-ტაშაყი მნიშვნელობით ხბოს-ყვერა-ს უდრის. ეს სახელი ამ ჯიშის ყურძნის მსხვილმარცვლიანობის გამომხატველია.

სრული ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, ამ ჯიშის მეორე სახელი აგრი ცხენის ნაბდიანი საოფლის აღმნიშვნელ თურქულ იგრე *اگر* *igre*-სთან არის დაკავშირებული, თუ მოხრილისა და მრუდეს აღმნიშვნელ თურქულსავე სიტყვასთან ეგრი *اگری* *egri, igri*? თუ ამ ჯიშს ბუსუსიანი ფოთოლი აქვს, პირველი ეტიმოლოგია სრულებით შესაფერისი იქმნებოდა მისთვის.

39. დიშმარი, ანუ ეზანდარი, ანუ ალა-გორმანხ იხ. ალა-გორმანხ.

40. ტოლბანდ, ზელინსკით *толбанда*, რომელიც სპარსული *دولبان* დვლბანდ-ის, ანუ მდაბიო გამოთქმით ტვლბანდ-ის შესატყვისობა უნდა იყოს და, მამასა-დამე, დოლბანდს, სპარსეთ-არაბეთ-ოსმალეთში გავრცელებულს მამაკაცთა მრგვალ თავზე მოსახვევს ჰნიშნავდეს. ზელინსკის ცნობით, ტოლბანდი ერევნის ყ. გუბ-ში ყოფილა გავრცელებული ერევნისა, ეჩმიადინისა და სურმალის სანახებში. ანდრონიკაშვილის სიტყვით, ვალარშაპატის დოლბანდი იგივე მისხალი-ა. თეთრი ყურძენი ყოფილა, საჭმელ ჯიშად ითვლებოდა, მაგრამ საღვინედაც ხმარობდენ. იგი ყველგან ყოფილა (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 41).

41. დრუზა-გეზი („дрюза-резн“) ერევნის სანახებში იყო თეთრი, ხოლო ორდუბათში მისი წითელი სახესხვაობაც არსებობდა (ანდრონ., VI, 42 და ბალლასი, 252, № 40)

42. **დუზალი** *დიღალი* წითელი ორღუბათში იყო გავრცელებული (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 43 და 44).

43. **ეზან-აჩქ** *ხყან-აჯღ*, ე. ი. ხარისთვალა, ათანასიანცისა და შაჰნაზარიანცის ცნობებზე დაყრდნობით, საპ. ამატუნის აღნიშნული აქვს, რომ ხარისთვალას მრგვალი და მსხვილი, ფერად შავი მარცვლები ჰქონდა, თანაც სქელკანიანი და ტკბილი ყურძნის ჯიში იყო. არარატის სანახებში ყოფილა გავრცელებული. ანდრონიკაშვილის სიტყვით, საკმელი ჯიში იყო და ნაკლებ ყოფილა გავრცელებული (ზელინ., IV, 56,—ანდრონ., VI, 43 და საპ. ამატუნი, ჯ. *რათ ილ რან*, 173).

44. **ეზანდარი** ანუ დიზმარი, ანუ ალა-გორმავზ იხ. ალა-გორმავზ.

45. **ერქექ-ჟუიროული** *ار كاك قويرو غي* ანდა *ار كاك قويرو غي*, ე. ი. ნეზვის დუმა. გავრცელებული იყო ერევნისა, ეჩმიადინისა და სურმალის სანახებში (ზელინ., IV, 50 და ანდრონ. VI, 44).

46. **ვირენი** *ქიქენქი*, ე. ი. ქართული გავრცელებული იყო ყარაბაღში, შუშისა და ჯებრაილის ყ. მაზრებში. შაჰნაზარიანცის აღწერილობით, მას მარცვალი შავი, საშუალო სიდიდისა და მრგვალი ჰქონდა და თხელკანიანი ყურძენი იყო (საპ. ამატუნი, ჯ. *რათ ილ რან*, 610—ზელინსკი, IV, 58 და ბალლას, 183 სახელის მეტი არაფერი აქვთ).

47. **თავკვერი** ქართლითგან გავრცელებული განჯის სანახებში (ბალლასი, 182—183).

48. **თაბარზა** *تبرزه* (ზელინსკისა და ანდრონიკაშვილს რუს. *табарза* ტაბარზა აქვთ დაბეჭდილი) ნახჭავენის უბანში გავრცელებული თეთრი, საკმელი ყურძნის ჯიში იყო (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 42). *تبرزه* თუბარზად, ანუ *تبرزه* თაბარზაპ სპარსულად თეთრი შაქრის ყანდს, თეთრს მყინვარ შაქარსა ჰნიშნავს და ამას გარდა სპარსეთის აღდებეიჯანში გავრცელებული მეტად სქელკანიანი ყურძნის ჯიშის სახელიც არის (Zenker, Türk-arab-pers. W.). ნახჭავენური თაბარზა-ც სწორედ თეთრი ყურძენი იყო.

49. **თავრიზი** *تبریزی* ანუ თავრიზ, თავრიზენი, თავრიზი *შაღღიქი, შაღღიქი-ხხი* განჯისა, შუშისა და ჯებრაილის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო. ზელინსკის (IV, 57—58) სახელის მეტა არაფერი აქვს. მარცვალი მას თეთრი (აჭარიანით), ანუ ყვითელ-მომწვანო (ბალლასით), მსხვილი, კვერცხებრივი (*диладли* აჭარიანით), თუ ჩამოგრძელებული («*продолговатые*» ბალლასით) გააჩნია. აჭარიანი კარგ საღვინე ჯიშად სთვლის, ბალლასს კი აღნიშნული აქვს, რომ უმთავრესად საკმელ ყურძნად ფასობს ტფილისშიც და ამის გამო ძალიან ყოფილა განჯის თურქთა ვენახებში გავრცელებული. მცირე რაოდენობით ყაზახშიც მოიპოვებოდა (აჭარიანი, ჯ. *ყასლი. რაიარან*, 353; ბალლასი 182—183). მისი სახელი თურქულ-სპარსულად და სომხურად თავრიზულსა ჰნიშნავს, თეთრი მსხვილი და კვერცხებრივი მარცვლიანი, საღვინე ყურძნის ჯიში იყო (ზელინ., IV, 57 და 58 და აჭარიანი, ჯ. *ყასლი. რაიარან*, 353).

50. **თამბეცი** (ზელინსკის: *тамбехи* *تامبهي* V, 57; ანდრონიკაშვილს ერთხელ *тамбехи*, მეორეჯერ *тамбехи*: VI, 44) ნახჭავენისა და შარურ-დარალაგოზის სანახებში იყო გავრცელებული, შავი ყურძნის ჯიში ყოფილა (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44). არც ამატუნისა და აჭარიანს მოეპოვებათ. ზელინსკისაგან მოყ-

ვანილი არაბული დამწერლობით ამ ყურძნის სახელის მართლწერაც ძალზე საეკვოა. ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა მისი სახელწოდების გამორკვევას შეუძლებლად ხდის.

51. თევანი *ქხლანქ* დასახელებული აქვთ ზელინსკისა (IV, 57) და ანდრონიკაშვილს (VI, 44) ორდუბათის უბანში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა სიაში, მაგრამ, სახელს გარდა, არა მოეპოვებათ რა. *ქხლანქ* თევანი შუშის დიალექტში ფრთიანსა ჰნიშნავს (აჭარაიანის ჯ. *ყალაო. რაო.*, 361), მაგრამ, აღწერილობის უქონლობის გამო, არ ვიცით, ბურძღენიანი მტევანი ჰქონდა თუ არა, რომ ამ ჯიშის სახელის ამნაირად გააზრინება დამაჯერებელი იყოს.

52. თოფალენი *ქიქასქსქ* (ასე აქვს ზელინსკის, რომელსაც იქვე რუს. თარგმანიც *крыжливый* მრგვალი აქვს დართული) შუშა-ჯებრაილის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაშია შეტანილი (IV, 58). სამწუხაროდ, ამ ყურძნის ჯიშის შექახებ არავითარი ცნობა, სახელს გარდა, არ მოგვეპოვება. მრგვალის აღმნიშვნელი თოფალენის მსგავსი სიტყვა სომხურად არ არსებობს. *ქიქასქ* თოფალ სომხ. კოქლსა ჰნიშნავს და ესეც თურქული სიტყვაა, ყურძნისათვისაც სრულებით შეუფერებელია.

53. თჯლქი-ყურიული *غی ویر و کرفس* (თურქ. მელიის კულისას ჰნიშნავს) გავრცელებული იყო ერევნისა, ერზაიძინისა და სურმალის ისევე, როგორც შამახისა და გოჯჩის სანახებში, მაგრამ მცირე რაოდენობით. თეთრი და თანაც საღვინე ყურძენი იყო (ზელინ., IV, 56 და 58, —ანდრონ., VI, 42).

54. იწაბტუქ *ქბაყთილქ* არარატის სანახებში, ხოლო მუშში ეწუ-პტუქ-ს *ხბილ-ყთილქ*-ს უწოდებდნ. ორივე თხის ჯიქანსა ჰნიშნავს. მისი ორი, თეთრი და წითელი, სახესხვაობა არსებობდა. მარცვალი მსხვილი და მოგრძო, თხელკანიანი და ტკბილი ჰქონდა, —საქმელი ყურძნის ჯიში იყო. ათანასიანცის განმარტებით ამ ყურძენს ასეთი სახელი იმიტომ სწოდებია, რომ მისი მარცვალი მოგრძოა და მოყვანილობით თხის ჯიქანს მიაგავს. ამ ავტორის დახასიათებით საკმაოდ ტკბილი და წვენიანი ყურძენი ყოფილა. მას რიში-ბაბა-საც ეძახიან (ზელინ., IV, 56; სპ. ამატუნი, ჯ. *რაო. ილ. რან.*, 232 და ანდრონ., VI, 41). იხ. აგრეთვე რიზ-ბაბა.

55. კალიკოშა, ანდრონიკაშვილის ცნობით, ქამარლუში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიში იყო, რომლის სახელიც თხელკანიანის (тонко-кожий) აღმნიშვნელიაო (VI, 42).

ეს სახელი ერევნის სანახების ყურძნის ჯიშის ხოზაკაში-ს *ჩიიკასჯიქ*-ს სახელწოდებას მიაგავს, რომელიც სომხურად ღორისტყავა-სა ჰნიშნავს. რაკი ანდრონიკაშვილისათვის კალიკოშა-ს სახელი თხელკანიან-ად გადმოუთარგმნიათ, ცხადია, რომ ამ სახელწოდებაში კანის, ანუ ტყავის ცნების გამომხატველი კოშა უნდა იყოს. თუ აქ დამახინჯებასთან არა გვაქვს საქმე, სწორ კაში-ს მაგიერ, მაშინ ეს ეგების ამ სიტყვის დიალექტური ფორმა იყოს, თუმცა არც ამატუნისა და არც აჭარაიანს. თავიანთ ვრცელს სომხურ დიალექტურ ლექსიკონში არ მოეპოვებათ, რაც ამ მოსაზრებას საეჭვოდ ხდის.

რაკი „კალიკოშა“-ს მეორე ნაწილი ტყავის აღმნიშვნელი გამოდგა, ამიტომ თხელის აღმნიშვნელი ამ სიტყვის პირველი ნაწილი კალი უნდა იყოს. მაგრამ სომხურად ამ სიტყვას თხელის მნიშვნელობა არც სამწერლობო ენაში და არც დიალექტებში აქვს. ამიტომ იბადება აზრი, რომ აქ შესაძლებელია ისეთ სახელთანა და ტერმინთან გვეჭონდეს საქმე, როგორიცაა ხოზაკაში, რომე-

ლოც სომხურად სიტყვა-სიტყვით „ლორისტყავა“-ს ჰნიშნავს, მაგრამ არსებითად ამ ყურძნის ჯიშის სქელკანიანობის გამომხატველია. შესაძლებელია, ხოზაკაში-ს მსგავსად, კალიკოშა-ს, ანუ საგულვებელი კალიკაში-ს პირველი ნაწილი კალი აგრეთვე სიტყვა-სიტყვით ცხოველის სახელი იყოს და იმავე დროს კანის, ანუ ტყავის სითხელის გამომხატველად იყოს ნახმარი. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ამ სახელს თვისტომი მოეძებნება. ვანისა და მუშის სომხურ დიალექტებში *კაქ* კალ, ხოლო კნინობითი *კაქსკ* კალეკ არარატის, აპარანის, შირაკისა და მუშის დიალექტებში სამი წლის მამალ ხბოსა ჰნიშნავს (ს. ამატუნისა და აჭარაინის სომხური დიალექტური ლექს., 328 და 537). ამნაირად ამ ყურძნის ჯიშის სახელი სიტყვა-სიტყვით ხბოს-ტყავა იქნება, მაგრამ არსებითად თხელკანიანსა ჰნიშნავს.

56. კანაჩენი *კანაჩენი*, რომელიც სომხურად მწვანესა ჰნიშნავს, არარატის სანახებში, ვალარშაპატის მიდამოებში მიღებული სახელი იყო. იქვე მას ხარჯი-ც ეწოდებოდა, რომელიც არაბ.-სპარს. სახელი *جرج* არის და სახარჯავსა ჰნიშნავს. ნახჭევანსა, ალიაბადსა და სხვაგანაც კატუი-აჩქ-ს *კასიოქი აჯღ*-ს ეძახიანო. ანდრონიკაშვილის ცნობით, ყველგან ბლომად ყოფილა გავრცელებული და საუკეთესო საღვინე ჯიშად ითვლებოდა თურმე. მისი შავი სახესხვაობაც არსებობსო (ანდრონ., VI, 40).

თუმცა ზელინსკის ჩვეულებისამებრ სახელს გარდა არაფერი აქვს, მაგრამ კანაჩენი (sic!), ხარჯი და კატვი-აჩქ მას არამცთუ სინონიმებად არა აქვს დასახელებული, არამედ თვითთული მათგანი სულ სხვადასხვა ადგილ-სანახების ყურძნის ჯიშების სიებში აქვს მოქცეული: კანაჩენი შუშისა და ჯებრაილის სანახებისაში, ხარჯი ერევნის, ეჩმიადინისა და სურმალისაში, ხოლო კატვი-აჩქ, ანუ კატის-თვალა ნახჭევანისა და შარურ-დარალაგიოზისა, ორდუბათის უბნის და შუშა-ჯებრაილისაში, სადაც კატენი *კასიოქნი*, ე. ი. კატისა არის დასახელებული, ე. ი. ამ ყურძნის სახელწოდების მხოლოდ პირველი ნაწილია, თვალის კი გამორტოვებულია (ზელინ., IV, 56, 57 და 58). უნდა ითქვას, რომ კანაჩენი-ს ანუ მწვანე-ს ის აღწერილობაც, რომელიც შაჰნაზარიანს მოეპოვება, და თვით ანდრონიკაშვილის ცნობაც ამ ჯიშის მაღალი ღირსების შესახებ კანაჩენის (მწვანის), ხარჯისა და კატვი-აჩქ-ის, ანუ კატისთვალას იგივეობას მეტად საეჭვოდ ხდის.

შაჰნაზარიანის აღწერილობით კანაჩენი-ს, ანუ მწვანეს მარცვალი სქელი და მრგვალი, ფერად მწვანე ჰქონია და თხელკანიანი და განსაკუთრებით საღვინე ყურძნის ჯიშში ყოფილა (საპ. ამატუნი, ჯ. *გარ. ու բან*, 328 და აჭარაინი, ჯ. *გალათ. გარ.*, 546). საეჭვოა მაღალიღირსებიანი საღვინე ყურძენი სახარჯოდ ექციათ და ხარჯი ეწოდებინათ, ისევე, როგორც კატვი-აჩქ, კატისთვალა ამ ყურძნის ჯიშს წვრილმარცვლიან ყურძნად გვაგულისხმებინებს, რაც კანაჩენი-ს აღწერილობას არც შეეფერება და არც აღნიშნულია. ამის გამო ანდრონიკაშვილის ცნობას მათ იგივეობაზე შემოწმება სჭირდება.

57. კაბუტკენი *კაყოსიოქნი*-ს შესახებ, რომელიც სომხურად ლურჯსა და მოლურჯოსა ჰნიშნავს, ზელინსკისა და ანდრონიკაშვილს მხოლოდ ის აქვთ აღნიშნული, რომ ნახჭევანსა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში იყო გავრცელებული (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44). ბალასიცი ამასვე იმე-

ორებს (გვ. 253). შაჰნაზარიანცის ცნობით მას მარცვალი ლურჯი, დიდი და გრძელი, მსხვილკანიანი ჰქონდა და საღვინე ჯიში იყო (ს. ამატუნის და აჰარიანის სომხ. დიალექტ. ლექს., 331 და 552).

58. **კარჩემა**, ანდრონიკაშვილის სიტყვით, შავი ყურძენი იყო და ს. არდაშარსა და მის მიდამოებში ყოფილა გავრცელებული (VI, 44).

59. **კარმრენი** *კარმრენი*, რაც სომხურად წითელსა ჰნიშნავს, ყანდურალოვის ცნობით შამახის სანახებში ყოფილა გავრცელებული. მტევანი წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი, — მარცვალი მსხვილი, მრგვალი, თხელკანიანი, წითელი, ხორციანი, ტკბილ-მომყავო ჰქონდა. კარგი საჭმელი და შესანახი ყურძნის ჯიში ყოფილა. ნაყოფიერი იყო და ენკენისთვის დამდეგს მწიფდებოდა. ამავე ავტორის სიტყვით იქაური თურქები ამ ყურძენს ყიზილ-ჯუზმ-ს უწოდებენ (V, 20). მართლაც ყიზილ-ჯუზმ *قوزجوز* თურქულად წითელ-ყურძენს ჰნიშნავდა და ჰნიშნავს ეხლაც.

გეევსკისა და შარერის ყიზილ-ჯუზმ-ის მეორე სახელწოდებაც აქვთ მოყვანილი ყირმიზი ჯუზმ, ე. ი. ყირმიზი-ს, ანუ წითელი ყურძენი (გვ. 818), გავრცელებული იყო გოგჩის ყ. მაზრის ბარგუშეთის უბანში.

შაჰნაზარიანცის ცნობით, კარმრენი, ანუ წითელი ყარაბახში იყო გავრცელებული. მარცვალი მას მოგრძო, ანდა კვერცხებრივი, საშუალო სიდიდის, თხელკანიანი, წითელი ჰქონდა, — საჭმელიცა და საღვინე ყურძნის ჯიშიც იყო (საპ. ამატუნისა და აჰარიანის სომხ. დიალექტ. ლექსიკონები).

60. **კატვი-აჩქ** *კათიჩ აჯე*, ე. ი. კატის-თვალა გავრცელებული იყო ნახჭევანისა, შარურ-დარალაგიოზისა და ორდუბათის ისევე, როგორც ზანგეზურის სანახებში. შუშა-ჯებრაილის სანახებში ამ ყურძნის ჯიშის სახელად კატენი *კათიჩნი*, ე. ი. კატისა ანუ კატური უხმარაით (ზელინ., IV, 56, 57 და 58).

ნახჭევანში კატვი-აჩქ-ს, კატის-თვალას, თურმე მარცვალი წვრილი ჰქონია, რაც მის სახელწოდებას შეეფერება კიდევაც, კანი თხელი და მწვანე, — განსაკუთრებით საღვინე ჯიში ყოფილა (აჰარიანი, სომხ. დიალექტ. ლექს., 554).

61. **კატენი**, ანუ კატური, შაჰნაზარიანცის ცნობით, ყარაბაღში იყო გავრცელებული, — მარცვალი ნაცრისფერი, წვრილი, მრგვალი, სქელკანიანი ჰქონია და საღვინე ყურძენი ყოფილა (საპ. ამატუნი, სომხ. დიალექტ. ლექს., 333).

კატის-თვალა-ს და კატური-ს ზემომოყვანილი ორი აღწერილობა ადამიანს დაარწმუნებს, რომ შესაძლებელია აქ ერთიდაიგივე ჯიშის ყურძნები არც იყოს, არამედ ან ორი სახესხვაობა, ანდა სხვადასხვა ჯიში.

62. **კახეთუ** *კახეთი* (ასე აქვს ზელინსკის), ანუ კახეთ *კახეთი*, როგორც აჰარიანს აქვს ჩაწერილი, ნახჭევანის სანახების ორდუბათის უბანსა და განჯის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო, რომელსაც, უკანასკნელი ავტორის ცნობით, მარცვალი შავი, თხელკანიანი ჰქონდა. კახეთითგან მოტანილი საღვინე ყურძნის ჯიშიაო (აჰარიანი, სომხ. დიალექტ. ლექს., 539).

63. **კრეკ** *კრეკ* განჯის სანახებში გავრცელებული, მრგვალ-მარცვლიანი შავი ყურძნის ჯიში იყო, რომლისგანაც ღვინის საღებავს ამზადებენო (აჰარიანი, სომხ. დიალექტ. ლექს., 612).

64. კრწკენი *კრძკხნქ*. შაჰნაზარიანცის სიტყვით, განჯის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში ყოფილა. მარცვალი მას მრგვალი, სქელი და კანმაგარი, ფერად თეთრი ჰქონია. საკმელ ყურძნად ითვლებოდა (საპ. ამატუნისა და აჭარია-ნის სომხ. დიალექტ. ლექს.). საფიქრებელია, რომ ამ ყურძნის ეს სომხური სახელწოდება ხრამაზრუმის აღმნიშვნელ კრკკრჰან *კრძკრძან*-თან უნდა იყოს დაკავშირებული და ამ ყურძნის სქელ და მაგარკანიანობის გამო უნდა დაპკრქმოდა.

65. ლალიბედან, ანუ გულაბი იხ. გულაბი.

66. ლაკენი *ლაკსნქ* (ზელინსკით) განჯის სანახებში, ანუ ლკენი *ლქსნქ* (მელიქ-შაჰნაზარიანცით და ზელინსკითაც) ყარაბაღში, შუშა-ჯებრაილის სანახებში, გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო, რომელსაც მარცვალი საშუალოდ მრგვალი, თხელკანიანი, ფერად შავი ჰქონია. საღვინე ჯიში ყოფილა (ზელინსკი, IV, 57 და 58 და საპ. ამატუნის და აჭარია-ნის სომხ. დიალექტ. ლექს.). მისი სახელი, როგორც ეტყობა, დათრობის აღმნიშვნელ *ლაკსლ* ლაკელ და *ლქსლ* ლკელ ზმნასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ალბათ მისი ღვინის შემპარაობის გამო.

67. ლცკენი *ლცსნქ*, რომელიც, ზელინსკის ცნობით, განჯის სანახებში იყო გავრცელებული (IV, 57). მისი თვისებების აღწერილობის უქონლობა ამ სახელის მნიშვნელობის გამორკვევას აფერხებს, სახელდობრ დაკავშირებულია იგი მისი ღვინის სიცხარის გამო, ასანთის სახელ ლუცკი *ლუცკი*-სთან, თუ აქ მისი სხვა რომელიმე თვისებაა გამომქლავებული.

68. მალაჰი *მალსარქ* ზელინსკით ნახკაენისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში იყო გავრცელებული. არც ამატუნისა და არც აჭარია-ნის, არც სხვებს არ მოეპოვებათ. ბალლასს დასახელებული აქვს სევ-მალალი („сев-малаги“), რაც სომხ. შავ-მალალი-სა ჰნიშნავს, და მისი ცნობითაც ეს ყურძენი შავი ყოფილა. გავრცელებული იყო დარალაგიოზში, არდარში, ნახკაენში და ორდუბათში. მისგან თურმე მეტად დაბალხარისხოვანი ღვინო დგებოდა (ბალლასი, 251, № 19).

69. მარანდაჰ *მარანდაჰ* ყარაბაღში, შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მოვარდისფერია, მარცვალი მსხვილი, მრგვალი და მსხვილკანიანი აქვს. საკმელი ყურძნის ჯიშია, მაგრამ შესანახადაც კარგია, გადატანგადაზიდვასა და ზამთარსაც კარგად უძლებს (გეევ. და შარ., 818; ყანდურ., V, 21; მელიქ-შაჰნაზარიანცი: საპ. ამატუნისა და აჭარია-ნის სომხ. დიალექტ. ლექს.). ორდუბათში მას მარანდი ეწოდებოდა (ანდრონ., VI, 44) ისევე, როგორც შუშა-ჯებრაილის სანახებშიც (ზელინ., IV, 58). ბალლასს სევ-მარანდი და ბოზ-მარანდი-ც აქვს დასახელებული განჯის სანახების ყაზახის უბანში, ვითარცა მცირე რაოდენობით გავრცელებული წითელის სახესხვაობანი (გვ. 181, № 4—6). პირველი სომხურად შავ მარანდულს, მეორე თურქულად ცისფერ-მონაცრისფერო მარანდულსა ჰნიშნავს.

70. მარანტკენი, ე. ი. მარანდული, რომელსაც მარცვალი საშუალო სიდიდისა, წითელი ჰქონია და რომელიც ყაზახში ყოფილა მცირე რაოდენობით გავრცელებული (ბალლასი, 181).

71. მარმარი *მარმარქ*, ე. ი. მარმარილოებრივი, ზელინსკით ნახკაენისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში მოიპოვებოდა (IV, 57).

72. მისხალი *مسقالی* ზელინსკით ერეენისა, ნახჭავანისა, შარურ-დარალავიოზისა და ორდუბათის სანახებში იყო გავრცელებული. ანდრონიკაშვილის სიტყვით, მისი შავი სახესხვაობა მცირე რაოდენობით ერეენის ყ. მაზრაში მოიპოვებოდა. მაგრამ არსებობდა მისი თეთრი სახესხვაობაც, რომელსაც ვალარშაბატში დოლბანდი-ც ეწოდებოდაო. იგი საკმელი ყურძენი იყო, მაგრამ საღვინედაც ხმარობდენ (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 40, 41 და 44). ზელინსკის კი ტრლბანდ *молл-манд* მისხალი-საგან განსხვავებულ ყურძნის ჯიშად აქვს დასახელებული (IV, 56). ამატუნისა და აჭარიაანს არც ერთი მათგანი არ მოეპოვებათ.

73. მგლინკუტ *მღლინკის* ზელინსკის დასახელებული აქვს ზანგეზურის ყურძნის ჯიშთა სიაში. ბალლასით თეთრი ყურძენი იყო და მეღრის უბანში მოიპოვებოდა (IV, 58 და ბალ., 183, № 4).

74. მოლლა-მაჰმადი ერეენის სანახებში იყო. მარცვალი მსხვილი, გრძელი, გვერდწითელი, სურნელოვანი, ხორციანი და ძალზე ტკბილი ჰქონდა (გეევ. და შარ., 852).

75. მოლლა-ახმედი ორდუბათში გავრცელებული თეთრი ყურძნის ჯიშში ყოფილა (ანდრონ., VI, 42).

76. მორი *მორი* (ასე აქვს ზელინსკის და აჭარიაანს), მორი ხალოლ *მორი ხალოლ* (ამატუნის), ე. ი. მარწყვი, ანუ ყოლო, ყოლო ყურძენი ერეენის სანახებში, ს. ვალარშაბატში იყო გავრცელებული. ზტევანი კუმში, მარცვალი წვრილი და შავი აქვს (ასეა ანდრონიკაშვილის აღწერილობაში) და წითელი, რაც მისი სახელისა და მიხედვით მოსალოდნელია. მაგრამ სპ. ამატუნის, მეღიქ-შაჰნაზარიანცის დამოწმებით, ნათქვამი აქვს, რომ თეთრიანო („*молл-манд*“) და თხელკანიანი. საღვინე ყურძნად ითვლებოდა, ანდრონიკაშვილის მოწმობით საუკეთესო საღვინე ჯიშში იყო (ზელინ., IV, 56; ანდრონ., VI, 44 და სპ. ამატუნის და აჭარიაანის სომხ. დიალ. ლექსიკონები).

77. ნანაპ-ბუზი *ننابوزی* შამახის და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული, მარცვალი მრგვალი და შავი ჰქონდა (გეევ. და შარ., 818 და ზელინ., IV, 58).

78. ნანაპ-ზუჰმ *ننابوزم*, ე. ი. დედაჩემის ყურძენი, შუშისა და ჯებრაილის სანახებში იყო გავრცელებული (ზელინ., IV, 58).

79. ნახშაბი *نخشب*, ე. ი. ნახშაბური (ნახშაბი თურქისტანის ცნობილი გეოგრაფიული ადგილის სახელი იყო) ერეენის სანახებსა და ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული, მარცვალი მსხვილი, მრგვალი, წითელი, ხორციანი ჰქონდა, — ენკენისთვეში მწიფდებოდა, მოსავლიანი ყურძნის ჯიშში იყო (გეევ. და შარ., 851 და ანდრონ., VI, 43).

80. ნოვრასტ, ევეესკისა და შარარერის თარგმანით, ადრეულის აღმნიშვნელ *نوراست* ანუ ჰუსეინი ნახჭავანის სანახების ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული. მარცვალი საშუალო. კვერცხებრივი, თეთრი და ხორციანი ჰქონდა. შუა ივლისში მწიფდებოდა (გეევ. და შარ., 851 და ანდრონ., VI, 44).

81. ორდუცი ერეენის სანახებში, ს. ვალარშაბატში იყო გავრცელებული. მისი ორი სახესხვაობა არსებობდა: წითელი და თეთრი. წითელი ორდუცი თურმე სჭარბობდა (ანდრონ., VI, 42 და 43). ზელინსკის ორდუცი არ მოეპოვება, მაგრამ სამავგიეროდ ერეენის, ეჩმიადინის და სურმალის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში შეტანილი აქვს ურდუსი *وردي*, ჩვეულებისამებრ ფერის და

სხვა ნიშნების აღუნიშნავად (IV, 56). ხოლო ნახჭევანისა და შარურ-დარალავიოზის ჯიშთა სიაში მასვე ორდუბათი آورد او آب აქვს დასახელებული და იქვე რუსულადც ნათარგმნია ორდუბათული-ო (ордубатский: IV, 57).

ორდუბათი რომ სწორედ ორდუბათულსა ჰნიშნავს თურქულად, ეს მართალია, მაგრამ ორდუბათი საფიქრებელია ორდუბათულსვე უნდა ჰნიშნავდეს, მხოლოდ თურქულად კი არა, არამედ უკვე სომხურად. ურდუსი, თავის მხრივ, ან უკანასკნელის ფონეტიკურ სახესხვაობას, ან თურქულ-სპარსული გამოთქმით იგივე სახელი უნდა იყოს. სამწუხაროდ, ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტას აძნელებს.

82. **აღუბი** اوغوبی ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული (ზელინ. IV, 57 და ანდრონ., VI, 44).

აღანჩი-გულაბი იხ. გულაბი

83. **აეზღი** ერევნის სანახებში ყოფილა გავრცელებული. მარცვალი მსხვილი, მრგვალი, ღია ყვითელი, ხორციანი და ტკბილი ჰქონია (გეევ. და შარ., 852). ამ ყურძნის სახელი სპარსულად აეზღურსა ჰნიშნავს. იეზღი ჩრდილო სპარსეთის ცნობილი ქალაქი იყო.

84. **აეზიდი** آیدیدی ერევნის სანახების, ნახჭევანის ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული. თეთრი ყურძენი ყოფილა (ანდრონ., VI, 44 და ზელინ., IV, 57). ზელინსკის მიერ არის ეს სახელი სომხურად მოყვანილი და იქვე რუსულად ნათარგმნი აქვს აეზიდური-ს (езидский). რაკი აეზიდი-ც და აეზიდი-ც მოყვითანო, თეთრი იყო და ორივე ერევნის სანახებში იყო და აეზიდური მევენახეობის შესახებ არსად არავითარი ცნობები არ მოგვეპოვება, ამიტომ იზადება საკითხი, აეზიდი ხომ იმავე აეზიდი-ს, ან დამახინჯების, ან უკვე გაუგებარი სახელის მერმინდელი ხალხური გააზრანების შედეგი არ არის?

85. **პინდენი** پندینی ზელინსკის აქვს ფერისა და სხვა რაიმე თვისების აღუნიშნავად შუშისა და ჯებრაილის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში დასახელებული (IV, 58). პინდ پند სომხურად მაგარსა და მკვირვსა ჰნიშნავს და, როგორც ეტყობა, ამ ყურძნის ჯიშის სწორედ ასეთი თვისების გამომხატველი სომხური ზედსართავი სახელი უნდა იყოს. ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობის გამო, გამოურკვეველი გვრჩება, ყურძნის ყუნწის, კანისა თუ ხორცის სიმაგრე, ან სიმკვრივე ჰქონდა სომეხ მევენახეს ნავულისხმევი, როდესაც ამ ჯიშს ასეთ სახელს არქმევდა.

86. **რაზყი**, ანუ **რაზკი**, არაბულად რაზაკი رازک (ზელინსკის დაბეჭდილი აქვს „разги“ رازگی) ნახჭევანისა და შარურ-დარალავიოზის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს შეტანილი (IV, 57). ანდრონიკაშვილის სიტყვით, ეს ყურძენი კიდევ აღდარა-დ და ტაიფი-დაც იწოდება (VI, 42). მომწვანო-თეთრი ფერი აქვს. მისი მოკლე აღწერილობა აქვე ტაიფი-ს ქვეშე იხილე. ეევესკისა და შარურის და ზელინსკის ამ სახელის იგივეობაზე არაფერი აქვთ ნათქვამი.

რაზაკი კი არაბულად სუსტსა და შეუძლებელსაც ჰნიშნავს და მოგარძო-მარცვლიანი თეთრი ყურძნის ჯიშის სახელადც იხმარება, რომელსაც არაბულად ملاحی მალაჰი-საც უწოდებენ, თურქულად კი مرق او زومی ფარმაკ ჯზუმი-ს, ე. ი. თითაყურძენს ეძახიან (Zenker, Türk-arab.-persisches Wörterb.). საფიქრებელია, რომ

სომეხთა შორის მცირე რაოდენობით გავრცელებული ყურძნის სახელი მალაპი *მალაჩი* და სევ-მალაპი (ანდრონ. „севмалапи“), ანუ შავი მალაპი (იხ. აქვე, გვ. 576) რაზაკი-ს სწორედ ეს ზემოაღნიშნული მეორე არაბული სახელი მალაპი უნდა იყოს. ფერთა და მარცვლის მოვრძობით რაზაკი, ანუ რაზყი მართლაც ტაიფი-ს მიაგავს. საყურადღებოა აგრეთვე, რომ თურქულად მას ფარმაკ-ჯუზმი ეწოდება, რომელიც, როგორც ჩანს, ცნობილს ხათუნ-ბარმაკ-ს, ე. ი. ქალბატონის-თითს, უნდა ჰგულისხმობდეს და უღრიდეს. ანდრონიკაშვილის ცნობითაც, რაზყი-ს, ანუ რაზაკი-ს მეორე სახელად ტაიჭი ყოფილა. სახელდობრ *تاچ* ტაიჭე-ი ინას კი არაბულად ქალობას, დედათა სქესს, ქალებს ჰნიშნავს. ამნაირად თითქოს ამ მხრივაც რაზაკი-ს ზემომოყვანილი თურქული სინონიმის მნიშვნელობას უახლოვდება. მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, შესაძლებელია ტაიჭის სახელს სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდეს.

სევროსკი *ახყროსკი* ზელინსკის შეტანილი აქვს ნახჭევანის სანახების ორღუბათის უბნის ყურძნის ჯიშთა სიაში, როგორც დამოუკიდებელი ჯიში (IV, 57). ამასვე იმეორებს ბალლასიც (გვ. 253). ნამდვილად კი უეჭველია იმავე ყურძნის ჯიშის რაზაკი-ს სახელი გვაქვს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ წინ ამ ჯიშის შავი ფერის აღმნიშვნელი სომხური სიტყვა *ახყ* სევ უძღვის. მართლაც, ანდრონიკაშვილის ცნობით, სევროსკი წითელი ყურძენი ყოფილა (VI, 43). მაშასადამე, *ახყ-როსკი* სევროსკი შავს რაზაკისა ჰნიშნავს და ამის გამო იგი ჩვეულებრივი თეთრი რაზაკის მხოლოდ შავს სახესხვაობას უნდა წარმოადგენდეს.

87. რიშა-ბაბა-ს, ანუ რიში-ბაბა-ს, ანუ რიშ-ბაბა-ს მტევანი დიდი, გრძელი, ცილინდრული, ძალზე ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა, — მარცვალი ძალიან მსხვილი და გრძელი, ელიფსისებრივი, სქელკანიანი, მოთეთრო-ყვითელი, აქა-იქ ოღნავ მოვარდისფერო ესხა, — მეტად ხორციანი და წვეინაკლები, თანაც ოღნავ მოტკბილო იყო. საგვიანო ჯიშია: შუა ოქტომბერს მწიფდებოდა. საკმე-ლი და შესანახია. თურქთა და სომეხთა შორის შამახა-გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული (ყანდურ., V, 22—23).

იგივე რიშ-ბაბა ერევნის ყ. გუბ., გევესკისა და შარერის დახასიათებით, გრძელმტევნიანი იყო, — მარცვალი საშუალო სიდიდის, კვერცხებრივი, ხორციანი, მწვანე-მოყვითანო და მუქი იასამნისფერი, თანაც ძალზე ტკბილი ჰქონდა. საკმელ ჯიშად ითვლებოდა და ხანგრძლივ ინახებოდა (გევეს. და შარ., 852).

საფიქრებელია, რომ რიშ-ბაბა-ს, ანუ რიშა-ბაბა-ს სახელი არაბულ-თურქული უნდა იყოს. არაბულად *رب* რიშ, ანუ *رب* რიშა წვერსა ჰნიშნავს, ხოლო *بب* ბაბა *babba* თურქულად მამას, პაპასა და საერთოდ მოხუცებულს ეწოდება. ამნაირად რიშა-ბაბა, ანდა რიში-ბაბა, თუ რიშ-ბაბა მოხუცებულის წვერის აღმნიშვნელი გამოდის. დამსგავსება ამ ყურძნის ჯიშის, ან მწვანე-მოყვითანო ფერს უნდა ჰგულისხმობდეს, ანდა მისი ფოთლის ბუსუსიანობას, თუ ფოთლოი ბუსუსიანი ჰქონდა. მაგრამ, სამწუხაროდ, მისი ფოთლის აღწერილობა არ მოგვეპოვება.

აჯრონ. ზელინსკისა და ანდრონიკაშვილის სიტყვით რიშ-ბაბას კიდევ არაერთი სხვა სახელიც ჰქონია, სახელდობრ: მას ნახჭევანსა და შარურ-დარალავიოზში ხათუნ-ბარმალი-ც *خاتون بارماغي* ეწოდებოდა, რაც ქალბატონის თითსა ჰნიშნავს, — გომეში-მამა-ც *ჟიანსჯი მამა*, რომელიც კამეჩის ძუძუსა ჰნიშნავს, — ერევნის სანახებში სომეხები იწაბტუკ-ს *ჩხაყთიკ*-ს, ე. ი. თხის ჯიქანს ეძახდნო, თურქები იქვე ქეჩი-მშმსი-ს *كچي موش* ანდა შამახა-გოგჩის სანახებში, ქამარლუში ქეჩი-ემჯაგი-ს

ايجى اورىვე უკანასკნელი თხის ჯიქანს ჰნიშნავს (ზელინ., IV, 56—58 და ანდრონ., VI, 41). ანდრონიკაშვილის დახასიათებითაც მხოლოდ საკმელი, ამასთანავე გავრცელებული ჯიშია, მაგრამ მისი შენახვა შეუძლებელიაო (იქვე).

88. რუმსო *румса* დასახელებული აქვს ზელინსკის ზანგეზურის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში. იქვე შეტანილია შეკ-რუმსო. ზელინსკის უკანასკნელი სახელი რუსულად შეკ-რუმსო-დ („шек-руско“), სომხურადაც ასევე „*շხქ რუმსო*“-ა დაბეჭდილი. არავითარი განმარტება, ან აღწერილობა ამ ორ სახელს დართული არა აქვს (IV, 58). ასევეა გადაბეჭდილი ბალლასის ნაშრომშიც, სადაც რუმსო-ს მაგიერ შეკლომით რუმო-ა მოყვანილი (გვ. 183, № 11).

ცხადია, რომ შეკ, თუ შეკ-რუმსო იმავე რუმსო-ს სახესხვაობა უნდა იყოს. სამწუხაროდ, არც ერთი ამათგანის არავითარი კვალი არც საპ. ამატუნი-სა და არც აჰარიანის ლექსიკონში არა ჩანს. *շხქ* სომხურად ქერასა და თეთრპირის-სახიან ადამიანსა ჰნიშნავს და საფიქრებელია, რომ შეკ-რუმსო-ს პირველი სიტყვის მნიშვნელობა ზელინსკის სწორედ ასე ესმოდა, რათგან შეკ *շხქ* მას ორდუბათის ყურძნის ჯიშთა სიაშიც აქვს დასახელებული და იქ ფრჩხილებში რუსული დაბეჭდილი აქვს („русый или рыжий“: IV, 58).

ეს მოსაზრება რომ სწორე იყოს, მაშინ შეკ-რუმსო უნდა ქერა რუმსო-დ გადმოგვეთარგმნა. მაგრამ ეგების აქ შეკ-ია და შექის სანახების რუმსო იგულისხმებოდეს? ასეთი აზრი იმიტომ იბადება, რომ შუშისა და ჯებრაილის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში თვით ზელინსკისაც დასახელებული აქვს შაპ-შაქი *ჯარ ჯაქი* (IV, 58), რომელიც შაქის შაპურს, ანუ შაპ-შაქისურს ჰნიშნავს. შაქი ამ სამფლობელოს სახელის უფრო აღრინდელი გამოთქმაა, მერმე კი შექი ეწოდებოდა. შესაძლებელია სადაურობის მაუწყებელი შექი, სომხური ხალხური ეტიმოლოგიის წყალობით, ქერა-ს აღმნიშვნელ სომხურ სიტყვად შეკ-ად იქმნა მიჩნეული. ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა და მათი ფერის აღუნიშვნელობა ამ საკითხის გამორკვევას შეუძლებლად ხდის.

89. სარმა *سرمة* (ასე აქვს ზელინსკის) შამახისა და გოგჩის სანახების ყურძნის ჯიშების სიაშია (ზელინ., IV, 58). ბალლასს დაბეჭდილი აქვს სარმა (გვ. 323, № 20), მაგრამ არც ერთს მათგანს, სახელს გარდა, ამ ყურძნის შესახებ არა მოეპოვებოდათ რა, ფერიც კი აღნიშნული არ არის.

ნახჭანის სანახებში ფართოდ გავრცელებული იყო შავი საღვინე ყურძნის ჯიშის, რომელსაც ყარა სარმა ეწოდებოდა (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44). ზელინსკის მისი სახელი არაბული ასოებით *سرمة قره* აქვს დაბეჭდილი (იქვე), მაგრამ მნიშვნელობა განმარტებული არ არის. ყარა სარმა კი ცხადია თურქულად შავ *قره* სარმა-სა ჰნიშნავს, ე. ი. იმავე სარმა-ს შავი სახესხვაობა ყოფილა. აქეთგან ჩანს, რომ სარმა თვით ვაზის, ან ყურძნის დამახასიათებელი სახელი უნდა იყოს. *سارمة* სარმა *sarma* თურქულად შეხვევას და გახვევას ჰნიშნავს, ვაზის ფოთოლში გახვეულ ხარცის ნაკებს, ტოლმასაც ეწოდება. ამ ჯიშის აღწერილობის უქონლობის გამო ძნელი სათქმელია, აქვს თუ არა მის სახელს სარმა-ს ზემომოყვანილ თურქულ სიტყვასთან რაიმე კავშირი. თუ კავშირი აღმოჩნდა, შესაძლებელია იგი მტევის შეკრულობის გამომხატველი იყოს.

90. საღი (თუ საგი?; ყანდურალოვს რუს. „саги“) შამახის სანახებში იყო გავრცელებული, ს. ს. გურჯევანსა და ინგარში. ყანდურალოვის სიტყვით, შირვან-შაჰი-ს ყურძნის ჯიშს ზიავადა. მაშასადამე, მარცვლი საშუალო, ოდნავ მოგრძო, თხელკანიანი, მოლურჯო-იასამნისფერი უნდა ყოფილიყო. საღინე ჯიში იყო, რომელსაც სხვა წითელი ყურძნის ღვინოების შესაფერადებლად ხმარობდნენ (ყანდურ., V, 27 და ბალლასი, 32, IV, 3). შესაძლებელია, ამ ყურძნის სახელი საღი არაბული **قاس** საყი, ანუ საკი-სთან იყოს დაკავშირებული, რომელიც ღვინის დამსხმელ-დამღვინებელს, მეღვინესა და მწღეა ჰნიშნავს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ეს სახელი ამ ჯიშის საღვინედ განკუთვნილობის გამომხატველად უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი. მაგრამ იქნებ იგი ს. საღიანი-ს სახელთან არის დაკავშირებული და საღიანურს ჰნიშნავს?

91. საფერი, საჭირი, ანუ საფელი **սահիկի** შავი ყურძნის ჯიშია, გავრცელებული იყო ერევნის სანახებში, არდაშარის უბანში, ნახჭევანსა და ორდუბათის უბანში, ისევე როგორც ყაზახშიც მოიპოვებოდა. საღინე ჯიშია, კახური საფერავი, ანდა ქართლის თავკერია. ბალლასი არ უნდა სცდებოდეს, რადგაც საფერი-სა და საფელი-ს იგივეობას ჰგულისხმობდა. კახური საფერავი განჯის სანახებშიც იყო (ანდრონ., VI, 44; ზელინ., IV, 57 და ბალლასი, 182 და 251).

92. საპაბი-ს **ساحی** ე. ო. საბატონო (ზელინ. შეკლომით „схани“, IV, 56); მარცვლი მსხვილი, კვერცხებრივი, მუქი-იისფერი, ხორციანი და ტკბილი ჰქონდა (გეევს. და შარ.), — ანდრონიკაშვილის დახასიათებით კი ვარდისფერი წითელი იყო. ერევნის სანახებში და დარალაგოზში იყო, მაგრამ სხვებთან შედარებით ნაკლებ ყოფილა გავრცელებული. გეევსკისა და შარერის სიტყვით, საწნილედ იყო კარგი, ანდრონიკაშვილით კი საქმელადაც. ამავე ავტორის ცნობით, საპაბი-ს თურმე ალასკი-ც ეწოდებოდა (გეევს. და შარ., 852; ანდრონ., VI, 43 და ზელინ., IV, 56 და 57).

სევ-აღდარა, ე. ი. შავი აღდარული, იხ. აღდარა.

სევ-მალაპი, შავი მალაპი, იხ. მალაპი.

93. სერკველი **սերկվի** უმთავრესად ორდუბათის უბანში გავრცელებული წითელი ყურძენი იყო (ანდრონ., VI, 43).

სერკვი სერკველ სომხურად კომშს ეწოდება და სერკველი, როგორც უკვე ზელინსკისა ჰქონდა აღნიშნული, კომშურსა ჰნიშნავს (IV, 57). ამ ყურძნის ჯიშის აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, ამ ყურძნის თვისება თუ მარცვლის გემო არის კომშზე დამსგავსებული, რათგან შეუძლებელია, მისი წითელფერიანობის გამო, ეს სახელი ფერის გამომხატველი იყოს.

სევ-ხალილი, შავი ხალილი, იხ. ხალილი.

94. სევ-ხალოდ, **სიქ ქაჟიყ**, რაც სომხურად შავ ყურძენსა ჰნიშნავს, ერევნის სანახებში ყველგან იყო გავრცელებული (ანდრონ., VI, 44). საღინე ჯიში იყო.

95. სევენი **სიქხნი**, სომხ. შავი, შუშისა და ჯებრაილის სანახებში მოაპყვებოდა (ზელინ., IV, 58). ამ ორი უკანასკნელი სახელის შინაარსის იგივეობის-და მიუხედავად, მათი ამჟღავნებელი აღწერილობის უქონლობის გამო, მათი ჯიშობრივი ურთიერთობის საკითხის გამორკვევა შეუძლებელია.

96. სინორი **სინორი** ზანგეზურის სანახების მფლობელის უბანში გავრცელებული შავი ყურძნის ჯიში იყო (ზელინ., IV, 58 და ბალლასი, 183, № 12).

97. სიძაჯა-ბალოდ *ახყასაქ-ქაყოი*, ე. ი. თეთრი ყურძენი ეწოდება ზანგე-ზურის სანსებში გავრცელებულ ჯიშს (ზელინ., IV, 58). ხოლო აჭარაიანის ცნობით, *აყჩასაქსუქ* სპიტაენი, ე. ი. თეთრივე ეწოდება ყარაბაღში გავრცელებულ ერთ ოცთრ საღვინე ყურძნის ჯიშს (სონხ. დიალექტ. ლ., 982). მათი აღწერილობის უქონლობის გამო, გამოურკვეველი რჩება ამ ორი მსგავსი სომხური სახელის მჭონებელი ყურძნის ჯიშობრივი იგივეობის საკითხი.

98. სიჭთი-ღურმაზ (ასე აქვს ბალლასს, გვ. 181, № 9), ანუ სიჭთი-ჯუზმ *اوزوم سیتی* (ზელინ., IV, 57) განჯის სანახებში იყო გავრცელებული. რქა მას მუქი ნაცრისფერი, — ფოთოლი მწვანე ხუთ-ყურა, — ხოლო მარცვალი მსხვილი, თითქმის წაჯი ჰქონდა (ზელინ., IV, 57 და ბალლასი, 181, № 9). უფრო საფიქრებელია, რომ ამ ყურძნის ჯიშის სახელი არაბულ სიტყვა *هزیم* სიჭთა, ანუ სიჭთესთან იყოს დაკავშირებული, რომელიც დღის პირველი განაყიდისაგან პირველ შემოსულ ფასს პნიშნავს. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ სიჭთი-ჯუზმ შესაძლებელია ადრეულ ყურძენს პნიშნავდეს. ხოლო ამავე ყურძნის მეორე სახელის სიჭთი-ღურმაზ-ის მეორე სიტყვა იქნებ ბუჩქის აღმნიშვნელ სპარსულ *سوس* თერმუზ-თან იყოს დაკავშირებული და ორივე ერთად ადრეულ ბუჩქს. ადრეული ვაზის ჯიშს ჰგულისხმობდეს. სამწუხაროდ, დავწერილებითი აღწერილობის უქონლობის გამო, არ ვიცით დანამდვილებით, იყო თუ არა ეს ვაზის ჯიში მართლაც ადრეული.

99. სისაკ *Մխակ* (ასე აქვს მელიქ-შაჰნაზარიანცის მიხედვით სპ. ამატუნის, ზელინსკის კი დაბეჭდილი აქვს „*СНХАХ Мхак*“ სის:ხ, ხოლო გიევსკისა და შარერის *СНХАХ* სსს:ხ). შამახისა და გოგჯის სანახებში გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო. მუქი წითელი, მოსავლიანი ყოფილა და კარგ საღვინე და საჭმელ ყურძნად ითვლებოდა (გეევ. და შარ., 817; ყანდურ., V, 26 და ზელინ., IV, 58). მელიქ-შაჰნაზარიანცის დახასიათებით კი, სისაკ-ი ვარდისფერი ყურძენი ყოფილა. მარცვალი მრგვალი და მსხვილი ჰქონია, თხელკანიანი იყო და საღვინე ყურძნად ითვლებოდა (სპ. ამატუნი, ჯ. *բառ ու բան.*, 589).

ტაბარზა *Табарза* იხ. თაბარზა.

100. ტაიჭი, ანუ აღდარა *აღყარა* ს. აღდარული ანუ რაზყი ერევნის ყ. გუბ. იყო გავრცელებული. მარცვალი მომწვანო-თეთრი, საშუალოზე მოზრდილი, წოწოლა, სქელკანიანი და სქელხორციანი აქვს. საჭმელი და შესანახი ყურძნის ჯიშია: მთელ წელიწადს ინახება. უმთავრესად ნახჭევანის მაზრაში იყო გავრცელებული (გეევსკი და შარერ, 851; ანდრონიკაშვილი, VI, 42).

რაზყი-ს ქვეშე აღნიშნულია, რომ რაკი ტაიჭი რაზაკი-სა და ფარმაკ-ჯუზმის სინონიმად იყო მიღებული, ამიტომ შესაძლებელია, რომ ტაიჭი სრული ტაიჭი-ი ინას-ის, ქალობის, დედათა სქესის შემოკლებული სახელი იყოს. მაგრამ ტაიჭ ამქვეყნური სამოთხის სახელიც იყო და ტაიჭი შესაძლებელია სამოთხისას პნიშნავდეს და ამ ჯიშის ღირსების გამომხატველი იყოს.

ტოლბანდ იხ. დოლბანდ.

ურდუსი იხ. ორდუსი.

101. ურზა ერევნის სანახებში ნაკლებ გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნოდა, შავი იყო (ანდრონ., VI, 44).

102. ფაშანი *فاشانى* ნახჭევანსა და შარურ-დარალაგიოზში იყო გავრცელებული (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44). ამ ჯიშის სახელი ფაშისას ჰნიშნავს, ე. ი. საბატონოს და საპაბის აღმნიშვნელობის მსგავსია.

103. ფირ-ვზუმ *فیر ووزوم* განჯის სანახებში იყო გავრცელებული. რქა მას წითელი, — ფოთოლი მსხვილი, ქვევითგან ბუსუსიანი, — მარცვალი მსხვილი, მრგვალი, მწვანე, ნატრისფერლაქებიანი ჰქონდა (ზელინ., IV, 57 და ბალლასი, 182, № 19). ფირ-ვზუმ სპარსულ-თურქული სახელია. ფირ *فیر* სპარსულად მოხუცს, ხუცესს, აგრეთვე დერვიშთა უფროსსაც ჰნიშნავდა. ამისდა მიხედვით ეს სახელი მოხუცის ანდა ფირის ყურძენს უნდა ჰნიშნავდეს.

104. ქეჩი-ემჯაგი *کچى ايمچاگى*, ე. ი. თურქულად თზის ჯიქანი, გავრცელებული იყო ერევნის, ეჩმიადინისა და სურმალის სანახებში, ნახჭევანის ორდუბათის უზანშიც, შუშა-ჯებრაილის სანახებშიც და შამახისა და გოგჩისაშიც. მას მტევანი დიდი, მაგრამ საშუალო სიგრძის, პირამიდებრივი, ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა, — მარცვალი მსხვილი, მოგრძო, შავი და მუქი წითელი, თანაც ტკბილი იყო. ძალიან ნაყოფიერი ვაზი იყო, ენკენისთვის დამდეგს მწიფდებოდა. საკმელი და საწინლე ყურძნის ჯიშად ითვლებოდა (გეევ. და შარ., 817 და ყანდურ., V, 19, — ზელან., IV, 56, 57 და 58). ანდრონიკაშვილის სიტყვით ქეჩი-ემჯაგი იგივე ყურძენი იყო, რომელსაც სომხები იწაბტუქ-სა და გომეში-მამას-ს და სხვა სახელსაც ეძახდნენ (იხ. აქვე რიში-ბაბა და ანდრონ., VI, 41).

105. ქიშმიში *کشميشى* ქიშმიშური ერევნის, ეჩმიადინის, სურმალის, ნახჭევან-შარურ-დარალაგიოზისა, ორდუბათის უზნისა, ზანგეზურისა, გოგჩისა და ყუბის სანახებში ყველგან იყო გავრცელებული. მარცვალი წერტილი. კვერცხებრივი და ძალზე ტკბილი ჰქონდა. ავეისტოში მწიფდებოდა. ქიშმიშის სამი სახესხვაობა არსებობს: თეთრი, ყვითელი, ვარდისფერი, ანდა წითელი და მწვანე. მოყვითანო უხუნწყალოა და დანარჩენებს გემოთიცა და მოსაგლიანობითაც სჯობია.

ქიშმიში საკმელი და საჩაძიხე ყურძნის ჯიშია, მაგრამ ერევნის სანახებში საღვინედაც ხმარობდნენ (გეევ. და შარ., 851; ანდრონ., VI, 41 და ზელან., IV, 56—58).

შამახის სანახებში მას ქიშმიშ-ვზუმი-ს, ე. ი. ქიშმიშის ყურძენს უწოდებენ. მტევანი მას მოზრდილი, რამდენიმე პატარა მტევნად გაყოფილი, მეჩხარი და ბურძღენიანი აქვს, მისი მტევნის სიგრძე $1/2$ არშინამდე აღწევდა. მარცვალი წვრილი, მრგვალი. მჭრთალი, ყვითელი, ოდნავ მოვარდისფერო, თხელკანიანი, უხუნწყალო, წვენიანი და ძალზე ტკბილი ჰქონდა. იმდენად საადრიო ყურძენია, რომ იენისში უკვე მწიფეა. საუკეთესო საკმელია. ნაყოფიერია. მაგრამ გამძლე არ არის (გეევ. და შარ., 818 და ყანდურ., V, 25—26).

106. ქიარიმ-ყანდი *کياريم چاندى* რაც ქიარიმის ყანდს, ანუ მყინვარე შაქარს ჰნიშნავს, თეთრი ყურძენი იყო და ერევნის სანახებში იყო გავრცელებული, მაგრამ მცირე რაოდენობით (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 43).

107. ყარა-მარფაყ ყაზახის სანახებში იყო ძალიან გავრცელებული. მარცვალი მას მსხვილი და მრგვალი ჰქონდა (ბალლასი, 181, № 2). ამ ყურძნის

ჯიშის სახელი ორი თურქული სიტყვისაგან შედგება: *كوره* ყარა შავსა ჰნიშნავს, *فارس* მარჯაყ ფოთოლს. მაშასადამე, ამ ვაზის ჯიშის სახელი შეფოთლიანის აღმნიშვნელი ყოფილა. საფიქრებელია, რომ ძალზე მუქი მწვანე ექმნება.

108. ქრდაშტ *خرداشت* *كوره* *تاش*, ნახჭავენის და დარალაგიოზის სანახებშიც და ორდუბათშიც ამ ყურძნის ორი სახესხვაობა ყოფილა (ზელინ., IV, 57 და ბალლასი, 252).

ყარა-სარმა იხ. სარმა.

109. ყარა-ვუჰმ *قارم* *اوزوم* შავი ყურძენი ბალლასს დასახელებული აქვს შუშა-ჯებრაილის სანახების ჯიშთა შორის და მისი ცნობით წვრილმარცვლიანი შავი, საღვინე ყურძენი ყოფილა (გვ. 183, № 3). ზელინსკის კი შამახიის და გოგჩის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს მოქცეული (IV, 58).

ყარა-შანი იხ. შანი.

ყარა-შირაჰ იხ. შირაჰ.

110. ყარაჯა *قاراجا* თურქულად პატარა შავსა ჰნიშნავს, ნახჭავანსა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში გავრცელებულ ყურძნის ჯიშებს შორის აქვთ ზელინსკის (IV, 57) და ანდრონიკაშვილს (VI, 44) დასახელებული.

111. ყიზილ-ვუჰმ იხ. კარმრენი-ს ქვეშე.

112. ყიზილ-ბოზ *قز* *بوز*, რომელიც თურქულად წითელ-ნაცრისფერსა ჰნიშნავს, განჯის სანახებში და უმთავრესად ქ. განჯაში იყო გავრცელებული. ფოთოლი დიდი, ჩაღრმავებულ-ყურებიანი, ღია მწვანე ჰქონდა, — მარცვალი მსხვილი, კვერცხებრივი, იასამნისფერი ესხა (ზელინ., IV, 57 და ბალლასი, 181, № 8).

113. ყირმიზი-ვუჰმ იხ. კარმრენი-ს ქვეშე.

114. ყუშაურაგი *قوش* *يوركي* შამახიისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. ს. მატრასში და დაბლობის „თათრების“ ვენახებში მრავლად მოიპოვებოდა. მარცვალი მას გრძელი, წითელი ჰქონდა. ზამთარში კარგად ინახებოდა. ყუშაურაგი თურქულად ფრინველის გულისას ჰნიშნავს (ზელინ., IV, 58 და ყანდურ., V, 26).

115. შანი ზელინსკისა (IV, 56) და ანდრონიკაშვილის (VI, 44) ცნობებით, ერევნის, ეჩმიადინისა და სურმალის სანახების ყურძნის ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნოდა. ყარა-შანი-ც არსებობდა, რომელიც თურქულად შავს შანისა ჰნიშნავს და საღვინე ყურძენი იყო. იმავე ავტორების სიტყვით, ერევნისა, ნახჭავენისა და ყუბის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ., IV, 56, 57 და 58 და ანდრონ., VI, 44). რაკი ყარა-შანი, როგორც თვით მისი სახელითგანაც ჩანს, შანი-ს შავი სახესხვაობა იყო, ამიტომ შანი თეთრ ყურძნად არის საგულისხმებელი. მართლაც, ყუბის სანახებში იყო აღ-შანი *شان* *اغ*-ის (ზელინ., IV, 58), ანუ თეთრი-შანის სახელის მქონებული სახესხვაობაც.

ზელინსკის მისი სახელი არაბული დამწერლობითაც აქვს მოყვანილი *شان*.

ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობის გამო, ძნელი სათქმელია, თუ რას უნდა ჰნიშნავდეს მისი სახელი. მართალია აჭარიანს თავის.

სომხ. დიალექტ. ლექსიკონში შეტანილი აქვს *ჯან ქარაყ* შან ხალოდ, ე. ი. შან-ყურძენი, სიტყვა, რომელიც ბუთინიას (ნიკომიდიასა) და სებასტიაში ყოფილა გავრცელებული, მაგრამ იგი თურმე რომელიღაც წვრილნაყოფიანი გარეული მცენარის სახელი ყოფილა (ი. ყასაი რაი., 821). მაშასადამე, ეს ცნობა ყურძნის სახელის განსამართლავად ვერ გამოგვადგება. შანი-ს თვისებები და ღირსება მაინც რომ გვეცოდნოდა, მაშინ ეტიმოლოგიის მიგნება უფრო გაადვილდებოდა. შან *جان* არაბულად სხვათა შორის ღირსებასა და სახელგანთქმულობას ჰნიშნავს და, რომ გვეცოდნოდა, რომ შანი ნაქები ჯიში იყო, მაშინ მისი სახელი შესაძლებელია სწორედ ასეთი თვისების გამომხატველად მიგვეჩნია.

შესაძლებელია აგრეთვე შანი უფრო სრული ფორმის შაჰანი-ს შერწყმული სახეც იყოს. სწორედ ასეთი სახელის მქონებელი ყურძნის ჯიში კი არსებობდა და ამ სახელის მნიშვნელობა სრულებით ცხადია (იხ. ქვევით).

116. შაჰანი *ჯარანჩი*, ზელინსკის ცნობით, ორდუბათის და ზანგეზურის სანახებში ყოფილა გავრცელებული (IV, 57 და 58). სამწუხაროდ, არც ამბელოგრაფიული აღწერილობა, არც ფერი მაინც აღნიშნული არ არის. იმისდა მიუხედავად, რომ ზემოდსახელებულ ავტორს ამ ყურძნის სახელწოდება სომხურად აქვს მოყვანილი, ის მაინც სომხური კი არა, არამედ სპარსულია. სპარსულად *هاسا* შაჰანი შაჰურს ჰნიშნავს და იგულისხმება შაჰური ყურძენი. იგი მიაგავს მთელ რიგ ქვემომოყვანილ სახელებს.

117. შაჰ-ენგურ, ანუ შაჰ-ზუზმ, გევესკისა და შარრერის ცნობით, ერევნის სანახებში ყოფილა გავრცელებული. მარცვალი საშუალო, კვერცხნაირი, მოყვითანო, ხორციანი ჰქონია. საკმელია, მაგრამ მაინცდამაინც ტკბილი ყურძენი არ ყოფილა (გევესკი და შარ., 852). შაჰ-ენგურ სპარსულია და *شاهانگور* შაჰ-ყურძენს ჰნიშნავს, შაჰ-ზუზმი სპარსულ-თურქულია და იგივე მნიშვნელობა აქვს.

118. შაჰანგულ *ჯარანჩიქი*, ზელინსკისა (IV, 57) და ანდრონიკაშვილის (VI, 44) ცნობით, თეთრი, ნახჭავის, ორდუბათის უბანში ყოფილა გავრცელებული. ეს სახელიც სპარსულია *جانگول* შაჰანგულ შაჰთა ვარდსა ჰნიშნავს. მაგრამ მეორე მხრით იბადება საკითხი, ეს სახელი შაჰ-ენგურ-ის ფონეტიკური სახესწავობა ხომ არ არის? ამას ის გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ანდრონიკაშვილს იმავე ორდუბათში დასახელებული აქვს თეთრი ყურძენი შაჰანგირ („шахангир“ в Ордуате: VI, 42), რომელიც უმჯველია იგივე შაჰ-ენგურია. მართალია, ორდუბათის უბნის ყურძნის ჯიშების ბოლოში დართულ სიაში ანდრონიკაშვილს შაჰანგული („шахангюль“: VI, 44) აქვს ზოთაგებული, მაგრამ იქ მოცემული ყველა სახელი ზელინსკის ნაშრომითგან ჩანს ამოღებული.

119. შაჰტახტი *ჯასითასითი* (ასე შაჰტახტი აქვს ზელინსკის სომხურად დაბეჭდილი, თუმცა *ჯარითასითი* შაჰტახტი იყო მოსალოდნელი) ნახჭავისა და შარურ-დარალაგოზის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44). მისი სახელი სადაურობის, შაჰტახტურობის, მაუწყებელია.

120. შაჰ-შაჰი *ჯარ-ჯაჰი* შუშისა და ჯებრაილის სანახებში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა სიაში აქვს ზელინსკის ჩართული (IV, 58). მისი სახელიც სადაურობის, შაჰის შაჰების სამფლობელოთგან მომდინარეობის გამომჟღავნებელია.

121. შაჰ-შირაი, ანუ შირვან-შაჰი, გეევსკისა და შარბერის ცნობით, შამახის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო სიდიდისა, მოგრძო, ცილინდრული, ძალზე ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა, — მარცვალი საშუალო, ოდნავ მოგრძო, მოლურჯ-მონარინჯისფერო, თხელკანიანი და ძალზე ტკბილი ჰქონდა. მოსავლიანი ყურძნის ჯიში იყო. ენკენისთვეში მწიფდებოდა. საჭმელადაც და საღვინედაც კარგი იყო. ვითარცა საუკეთესო ყურძნის ჯიში, ამ სანახებში ყველგან იყო გავრცელებული (გეევ. და შარ., 817 და ყანდურ., V, 18—19). شیرا შირა სპარსული სიტყვაა და ყურძნის ტკბილსა ჰნიშნავს. ამნაირად ამ ყურძნის ჯიშის სახელი შაჰ-შირაი მთლიანად შაჰ-ყურძნის ტკბილს, ანუ შაჰურს, ე. ი. საუკეთესო ყურძნის ტკბილისას ჰნიშნავს. ასეთი სახელი ამ ჯიშს უეჭველია მისი ყურძნის უაღრესი სიტკბოს გამო აქვს დარქმეული. ხოლო ამავე ჯიშს მეორე სახელი შირვან-შაჰი شیروان შირვან შაჰური მისი საღაურობის გამომჟღავნებელია.

122. შაჰპარი შაჰპარი. ე. ი. შაჰპარიანი გავრცელებული იყო შამახისა და გოგჩის სანახებში. მტევანი დიდი, ცილინდრული, ბურძღენიანი და მეჩხარი ჰქონდა, — მარცვალი საშუალო, მრგვალი, თხელკანიანი, მწვანე, სქელწვენიანი და ძალზე ტკბილი იცოდა. საადრეო ჯიში იყო. ენკენისთვის დამდეგს მწიფდებოდა, საშუალო მოსავლიანობა სცოდნია. დაბლობში თურქთა შორის ყოფილა მცირე რაოდენობით გავრცელებული. საჭმელი ყურძნის ჯიში იყო, მაგრამ მისი შენახვა შეუძლებელი ყოფილა (ზელინ., IV, 58 და ყანდურ., V, 23—24).

123. შაჰპარ-პირა ნახჭავანის უბანში ყოფილა გავრცელებული და თურმე თეთრი, საღვინე ყურძენი იყო (ანდრონ., VI, 42). მისი სახელი სპარსული استر شاهر შაჰპარ-ბერაჰ უნდა იყოს და შაჰპარის სადარსა ჰნიშნავს.

124. შაჰპარ-ყანდი شاهر قاندي, ე. ი. მყინვარი შაჰპარი, ნახჭავანისა და შარურ-დარალაგიოზის სანახების ყურძნის ჯიშთა სიაშია მოთავსებული (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44).

125. შაჰყეი (ზელინ. არაბული დამწერლობით: شهي) ერეენის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი იმდენად დიდი ჰქონდა, რომ 10 გირვანქამდე იწონიდაო, — მარცვალი საშუალოზე მოზრდილი, წითელი, ან მოთეთრო და ძალზე ტკბილი ჰქონდა. ენკენისთვეში მწიფდებოდა, ძალიან მოსავლიანი და იმდენად გამძლე ყოფილა, რომ წლამდე შენახვა შეიძლებოდა. მისი თეთრი სახესხვაობა, ანდრონიკაშვილის სიტყვით, საჭმელი, საზამთროდ შესანახი ყოფილა, მცირე რაოდენობით თურმე შარურისა, ნახჭავანისა და ორდუბათის სანახებში იყო (გეევ. და შარ., 851 და ანდრონ., VI, 42, — ზელინ., IV, 56 და 57).

126. „შეკ ჯისი“ (ასე უწერია ზელინსკის, რომელიც რუს. „русый, рыжий“-დ სთარგმნიდა: IV, 56) ორდუბათის უბანში იყო გავრცელებული. წითელი ყურძენი ყოფილა (ანდრონ., VI, 43). ეს სახელი რომ შესაძლებელია დამახინჯებული იყოს შეჟი-ს მაგიერ ამაზე იხ. აქვე რუმსო-ს ქვეშე.

შეკ-რუმსო იხ. რუმსო.

127. შირაი შამახის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო სიგრძის, პირამიდებრივი, ბურძღენიანი და მეჩხარი, — მარცვალი საშუალო,

მრგვალი, მუქი-წითელი, ძალიან ტკბილი და სურნელოვანი ჰქონდა. საუკეთესო საღვინე ყურძენი იყო და ძალიანაც ყოფილა გავრცელებული. სომხები მას შირაი-სა და სევი-ს უწოდებდნენ, რომელთაგან უკანასკნელი სომხურად შავსა ჰნიშნავს, — ხოლო თურქები ყარა-შირაი-სა ეძახდნენ, რაც შავ-შირაი-სა ჰნიშნავს (ზელინ., IV, 58 და ყანდურ., V, 18).

ყარა-შირაი-ს გარდა, აღ-შირაი-ც, ე. ი. თეთრი შირაიც არსებობდა, რომელიც შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი საშუალო, მოგრძო, წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი, — მარცვალი საშუალო, ოდნავ კვერცხებრივი, თხელკანიანი, თეთრ-მომწვანო, წვენიანი, ტკბილი და ოდნავ სურნელოვანი ჰქონდა. სააღრიო ჯიში იყო: ენკენისთვის დამდეგს მწიფდებოდა. საშუალო მოსავლიანობა იყო. თურქთა შორის საჭმელად ითვლებოდა, მაგრამ შესანახად გამძლე არ იყო. სომხები კარგ საღვინე ყურძენს ჯიშად სთვლიდნენ (ყანდურ., V, 23).

შირაი, როგორც უკვე ნათქვამი გვეჩვენა, ყურძენს ტკბილსა ჰნიშნავდა და შირაი ამ ჯიშის სატკბილედ, ე. ი. დასაწურად განკუთვნილობასა და დანიშნულებას გამოჰხატავს. ეს სრულებით მკაფიოდ გამოთქმულია კიდევაც შუშისა და ჯებრაილის სანახების ყურძენს ჯიშთა სიაში ზელინსკის მიერ შეტანილ სახელ შირა-ჰსუშ-ში (IV, 58), რომელიც სწორედ სატკბილე ყურძენს მნიშვნელობით არის ნაგულისხმევი.

ერევნის სანახებში შირეი-ს სახელი იყო მიღებული, რომელიც საშუალო კვერცხებრივი, მუქიწითელ-მარცვლიანი, ძალზე მოსავლიანი ყურძენი იყო (გეევ. და შარ., 852). ნახჭევანისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში მოაზობებოდა (ანდრონ., VI, 44).

128. შირან-შაჰი, შირვან-შაჰური, იხ. შაჰ-შირაი.

129. შირშირა شير شيرا, ე. ი. სპარსულად რძე-ტკბილი, ერევნის, ეჩმადინისა და სურმალის სანახებში, თუმცა ყველგან, მაგრამ მხოლოდ მცირე რაოდენობით იყო გავრცელებული. თეთრი საწნილე ყურძენი ყოფილა (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 42). ანდრონიკაშვილის სიტყვით, შირშირა-ს ქაჩარლუში შირუნ-ყარა („ширун-кара“) ეწოდება (იქვე). საფიქრებელია, რომ აქ შეცდომა უნდა იყოს და უკანასკნელი სახელი შირინ-ყარა-ს მაგიერ უნდა იყოს.

130. შირინ-ყარა شيرين قار, რომელიც სპარსულ-თურქულ სახელს წარმოადგენს და ტკბილ-შავსა ჰნიშნავს. ერევნისა, ეჩმადინისა და სურმალის სანახების ყურძენის ჯიშთა სიაში აქვთ ზელინსკისა და ანდრონიკაშვილს (IV, 56 და VI, 44).

131. ჩილ-ჰსუშ შამახისა და გოგჩის სანახებში გავრცელებულ ყურძენს ჯიშთა შორის აქვს დასახელებული. მტევანი საშუალო, მოკლე, ოდნავ პირამიდებრივი და ბურძღენიანი, — მარცვალი კი კვერცხებრივი, საშუალო, სქელკანიანი, მომუქო წითელი, ხორციანი, წვენაკლები, ტკბილ-მომყავო ჰქონდა. შუა ენკენისთვის მწიფდებოდა. კარგი საჭმელი და შესანახადაც გამძლე ყურძენი იყო. მოსავლიანობა საშუალო სცოდნია. ეს ყურძენი იქურთა დაბლობის ადგილობრივს მოსახლეობას შორის ყოფილა გავრცელებული (ყანდურ., V, 21). ზელინსკის მიერ ყუბის სანახებში ყურძენის ჯიშთა შორის დასახელებული ჩილი-ც چلی (IV, 58), უეჭველია, იგივე ყურძენის ჯიში უნდა იყოს.

ამას გარდა, ორღუბათის უბანში რომ ერთი ყურძენი იყო, რომელსაც ჯილ *ჯილ*-ს უწოდებენ (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44), აგრეთვე იგივე ჩილ, ანუ ჩილი უნდა იყოს, ერთიადიმავე ჯიშის სახელის ორ ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ერევნის სანახებში, ვაღარშაპატში, იყო ერთი თეთრი საღვანე ყურძნის ჯიში, რომელსაც ჩილალ-ი, ანუ ძილალ-ი ეწოდებოდა (ანდრონ., VI, 41). შესაძლებელია ჩილალ-ის სახელიც ჩილ ყურძნის სახელის მონათესავე იყოს, მაგრამ ჩილალ-ის, ანუ ძილალის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა ამის გამორკვევის საშუალებას არ გვაძლევს.

132. ჩავუშპარი *ჯაღიჯაყარქ* ერევნის, ეჩმიაძინის და სურმალის სანახებში იყო გავრცელებული (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 44). ამ ყურძნის ჯიშის სახელი თურქულ-სპარსული უნდა იყოს. ჩავუშ *چاووش* ჩაუშის თანამდებობის, ჯარის რაზმის ნაწილის უფროსის, სახელია თურქულად და სპარსულშიც შესული სიტყვაა. პარ-ი უნდა სპარსული *پار* ბარ-ი იყოს, რომელიც ნაყოფსა ჰნიშნავს. ამნაირად ჩავუშპარი ჩაუშის ნაყოფს უნდა ჰნიშნავდეს და ჯიშის წარმოშობილობის გამომხატველი სახელი ჩანს.

საფიქრებელია, რომ ჩავუშპარი იმავე ჯიშის ყურძენია, როგორც ოსმალეთში საუკეთესო ყურძნის ჯიშად მიჩნეული ჩაუშ-ჯუჯმ-ი (ჩაუშის ყურძენი) იყო. James W. Redhouse ნათქვამი აქვს, რომ ამ ყურძნის ჯიშს მწვანე ფერი და ნაზი გემო ჰქონდა (A. Turkish and English Lexicon. 1921 წ. გამ., გვ. 251—2).

133. ჩიმიჩი *ჯაქსხი*, რაც სომხურად საჩამიჩოს ჰნიშნავს. განჯის სანახებში სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიში იყო (ზელინ., IV, 57). აჭარაიანს *ჯაქსხი* ჩიმიჩენი აქვს დაბეჭდილი და მისი ცნობით, ამ ყურძენს მარცვალი უხუნწკალო, მსხვილკანიანი, მოწითაო ჰქონდა და განსაკუთრებით საკმელი ჯიში იყო (ზ. *ფასაი. რას.*, 882), მაგრამ, რაკი სომხურად *ჯამიქ* ჩამიჩ გახმობილი ყურძნის, ჩამიჩის, სახელი იყო, უფრო სწორე იქმნებოდა, ნათქვამი ყოფილიყო საჩამიჩედ განკუთვნილი ჯიში იყო.

134. ცღნუ *ყჯილ*, ე. ი. ცღნური (ცღნუ სოფლის სახელია), ნახჭავანის ორღუბათის უბანში იყო გავრცელებული (ზელინ., IV, 57).

135. ძილალ იხ. ჩილალ, ჩილ-ჯუჯმ-ის ქვეშე.

136. წტი-ხაღოდ *ძქი ქაღიღ* ე. ი. სომხ. ჩიტის, ბელურას ყურძენი გავრცელებული იყო ნახჭავანისა და შარურ-დარალაგიოზის სანახებში (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44).

137. ხაჯანი ეწოდებოდა, გეევსკისა და შარურის ცნობით, ერევნის გუბერნიამი გავრცელებულს ყურძნის ჯიშს, რომელსაც მარცვალი საშუალო, მრგვალი, ხორციანი და ძალიან ტკბილი და აღმგზნები ჰქონდა და რომელიც უმთავრესად საღვინე ჯიში იყო (გეევ. და შარ., 851).

სამწუხაროდ, ზემომოყვანილ დახასიათებაში არც ფერია აღნიშნული და არც მარცვალის კანის თხელ თუ სქელკანიანობა. ეს მით უფროა უსიამოვნო, რომ არც ერთს სხვა წყაროში ხაჯანი-ს ყურძნის შესახებ არაფერია ნათქვამი, ანდრონიკაშვილს კი ერევნის სანახების ორღუბათის უბანში შავი ყურძნის

ერთ-ერთი ჯიშის სახელად ხოზანი აქვს მოხსენებული (VI, 44). ბუნებრივად იბადება საკითხი, ხაზანი, ხომ ხოზანი-საგან არ არის შეცდომის (იქმნებ კორექტურულისაც კი) წყალობით წარმომდგარი?

138. ხათუნ-ბარმაჯი, ანუ ხათუნ-ბარმალი *خاٹون بارماچ*, რაც თურქულად ქალბატონის თითსა ჰნიშნავს, ერევნის სანახებში, მეტადრე ორღუბათის უბანში იყო გავრცელებული. მარცვალი ძალიან გრძელი, გოჯზე უფრო მოგრძო, მწვანე-მოყვითანო და ხორციანი ჰქონდა. ენეენისთვეში მწიფდებოდა. საწინილე ჯიში იყო (გვევ. და შარ., 852). ანდრონიკაშვილის ცნობით ამ ყურძნის ჯიშს ერევნის სანახებში რიში-ბაბა-ს, იწაბტუყ-სა და გეჩი-მამასი-საც უწოდებენ (VI, 41).

ზელინსკის ორღუბათისავე უბანში ყურძნის სახელად ხათუნი *خاٹون*-ც აქვს დასახელებული (IV, 57). ეს ცნობა ანდრონიკაშვილსაც მოეპოვება (VI, 44), მაგრამ არც ერთს მათგანს ამ ყურძნის აღწერილობა არა აქვს, ფერიც კი არ დაუსახელებია. საფიქრებელია, რომ ხათუნი შესაძლებელია იმავე ხათუნ-ბარმალი-ს შემოკლებული, სომეხთა შორის მიღებული, სახელი იყოს. მისი თვისებების აღწერილობა რომ გექონოდა, ამის გადაწყვეტა ადვილი იყო.

139. ხალაჯი, ანუ ხალაჯი ერევნის, ეჩმიადინისა და სურმალის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 44).

140. ხალილი *خالیلی* *خاٹون* ერევნის სანახებში იყო გავრცელებული. მარცვალი საშუალო, კვერცხებრივი, მოყვითან-მომწვანო და წვენიანი ჰქონდა. ყველაზე ადრეული იყო ისე, რომ ივნისის დამდეგისათვის მწიფდებოდა. საკმელი ყურძენი ყოფილა. ორღუბათშიც ხალილი, ანდრონიკაშვილის ცნობით, ადრეული ყოფილა და შუა ივლისისათვის თურმე მწიფდებოდა. იქ ქარვისფერი ყოფილა (გვე. და შარ., 851; ანდრონ., VI, 41; ზელინ., IV, 56 და 57).

ნახჭავანის სანახებში ხალილის შავი სახესხვაობაც იყო, რომელსაც სომხ. სევ-ხალილი *ხალი-خاٹون*, ე. ი. შავი ხალილი ეწოდებოდა სახელად (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 44).

خالی ხალილ არაბულად გულითად მეგობარს ჰნიშნავს და საკუთარ სახელადაც იხმარება და ამასთანავე უნდა იყოს ყურძნის ზემომოყვანილი სახელი დაკავშირებული, რომელიც მისი წარმოშობილობის მათუწყებელი ჩანს.

141. ხან-ვუჯი *خان ووجی* ხანი-ყურძენი, ხანის ყურძენი, შამახისა და გოგჩის სანახებში იყო გავრცელებული. მტევანი ძალზე დიდი, პირამიდებრივი და ბურძღენიანი, — მარცვალი მეტად მსხვილი, კვერცხებრივი, მუქი წითელი, ხორციანი, წვენიანი, მაგრამ ძალიან ტკბილი არ ჰქონდა. თუმცა კარგ საკმელ და საზამთრო შესანახ ჯიშად ითვლებოდა, მაგრამ მაინცდამაინც გავრცელებული არ იყო (ყანდურ., V, 22).

142. ხარჯი *خارجی*, რომელიც არაბ.-სპარსული სიტყვაა და სახარჯავსა ჰნიშნავს, ერევნის, ეჩმიადინის და სურმალის სანახებში იყო ყველგან გავრცელებული. მისი თეთრცა და შავი სახესხვაობაც არსებობდა. თეთრი საუკეთესო ყურძნად ითვლებოდა. ანდრონიკაშვილის ცნობით, ხარჯის სომხები ვალარ-შაბატში კანანჩენი-ს, რაც მწვანესა ჰნიშნავს, უწოდებდენ, ხოლო ნახჭავანში კატვი-აჩქს, ე. ი. კატის თვალას (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 40). ცხადია,

აქ თეთრი ხარჯი უნდა იგულისხმებოდეს, მაგრამ მაინც იხ. რაც კანაჩკენი-ს ქვეშეა ნათქვამი.

143. ხატში ყუბის სანახებში ყოფილა გავრცელებული, მაგრამ ამის მეტი ზელინსკის სხვა არაფერი აქვს. ამავე ავტორს ეს სახელი არაბული დამწერლობითაც აქვს მოყვანილი და *حامي* აქვს დაბეჭდილი (IV, 58). ეს სიტყვა არაბულად ხატიმი-დ, ანდა ხატიმი-დ გამოითქმის და მებეჭდეს, ბეჭდების გამკეთებელსა ჰნიშნავს. ცხადია, რომ ასეთი მნიშვნელობის სიტყვა ყურძნის ჯიშის სახელად შეუფერებელია, თუ რომ არ ვიფიქრეთ, რომ ეს ყურძნის ჯიშის ოდესღაც რომელიმე მებეჭდის შემოღებული იყო და მისი სახელიც მხოლოდ წარმოშობილობის მაუწყებელია. მაგრამ არაბულად ხატში *حامي*, ანდა მღაბიურად *حامي* მცენარე ტუხტის (*Althea*) აღმნიშვნელია, რომელიც ფერის აღსანიშნავადაც იხმარება. რაკი ამ ყურძნის სახელი ხატმი-ა და არა ხატიმი, ამიტომ მისი სახელის მნიშვნელობის გასააზრიანებლად მცენარე ტუხტის ზემომოყვანილი არაბული სახელის გამოყენება შეიძლება. ხატმი-ს ამპელოგრაფიული აღწერილობა რომ გვქონოდა, ამ საკითხის გამორკვევა უფრო შესაძლებელი იყო, მაგრამ სამწუხაროდ მის თვისებებზე არა ვიცით რა.

ხაჩა-ბაშ, ანუ აჩა-ბაშ. იხ. აჩა-ბაშ.

144. ხოჯაქაში *խიდაყაჯი* ერევნისა, ეჩმიადინისა და სურმალის სანახებში ისევე, როგორც ყაზახშიც იყო გავრცელებული (ზელინ., IV, 56 და ანდრონ., VI, 44). მელიქ-შაჰნაზარიანის მიხედვით, ამატუნის აღნიშნული აქვს, რომ ხოჯაქაში-ს მარცვალი საშუალო და მრგვალი, ხოლო კანი მაგარი ჰქონდა. მისი თეთრისა და შავი სახესხვაობაც ყოფილა. საჯაგნე ყურძენი იყო (*Հ. բառ ու բան*, 286). აჭარიანს უკანასკნელი გარემოება უფრო მკაფიოდ აქვს გამოთქმული: მისგან ყურძნის ჯაგნებს აკეთებენ ზამთარში შესანახავადო (*Հ. գուտლი բაռ.*, 480). მაშასადამე, შესანახი საკმელი ყურძნის ჯიში ყოფილა.

ამ ყურძნის ჯიშის სახელი სომხურია და ღორის ტყავსა ჰნიშნავს. ასეთი დამსგავსება, რასაკვირველია, მისი სქელკანიანობის დასახასიათებლად არის ნახმარი.

145. ხოზორ განჯის თურქთა ბალ-ვენახებში ყოფილა გავრცელებული და გარეგნობით ყიზილ-ჯუშ-ის მსგავსი ყოფილა, მაგრამ წითელი კი არა, არამედ თეთრი საკმელი ყურძნის ჯიში იყო თურმე (ბალლასი, 182, № 17). ყიზილ-ჯუშ-თან ხოზორ-ის მსგავსება ცხადჰყოფს, რომ ის მსხვილმარცვლიანი ყურძენი იქმნებოდა. ამ ყურძნის ჯიშის სახელის სწორედ განჯის თურქთა შორის გავრცელების შესახებ რომ ცნობა არ ყოფილიყო, თავისდათავად დაგვებადებოდა საკითხი, რომ შესაძლებელია აქ შეცდომა იყოს და ხოზორ-ი ხოზორ-ის მაგიერ ეწეროს, რათგან ეს ყურძნის ჯიში მსხვილმარცვლიანი ყოფილა. ხოზორ-ი კი სომხურად და ქართულად სწორედ მომსხვილოსა ჰნიშნავს.

146. ხუნკი *خنكي* *ხუნსიქი*, ე. ი. საკმელური, საკმელა გავრცელებული იყო ერევნის, ეჩმიადინისა, სურმალისა, ორღუბათისა და შამახის სანახებში. მუქი ყვითელი, საკმელის სუნის მქონებული, მეტად ნაზი ყურძენი ყოფილა (გეევ.-შარ., 818; ყანდურ., V, 26; ანდრონ., VI, 44 და ზელინ., IV, 56—58). მელიქ-შაჰნაზარიანის თანახმად, ამატუნის ნათქვამი აქვს, რომ ხუნკი-ს მარ-

ცვალი მრგვალი, თეთრი, თხელკანიანი ჰქონდა და საკმელი და საღვინე ყურძენი იყო (ჯ. რაი ილ რან., 291).

ჯილ, ანუ ჩილ, იხ. ჩილ.

147. ჯვზნ-გოზი („ДЖЮЗ-ГЕЗИ“) უმთავრესად ორდუბათის უბანში ყოფილა გავრცელებული, წითელი ყურძენი იყო (ანდრონ., VI, 43). ამ ჯიშის სახელი თურქული ჩანს და ისევეა ნაწარმოები, როგორ დევე-გოზი. რომელიც აქლემის თვალსა ჰნიშნავს. ამისდა მიხედვით ჯვზნ გოზი-ს მეორე ნაწილიც თვალის აღმნიშვნელი უნდა იყოს. პირველი ნაწილის ნამდვილი მნიშვნელობის გამორკვევას ამ ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობის უქონლობა აძნელებს. შესაძლებელია ჯვზნ ან جوجو ჯეევა იყოს, რომელიც ტყუბსა ჰნიშნავს, ანდა جوجو ჯეევა, ჯეევა, პატარა ტანის ცხოველი და ადამიანი. პირველ შემთხვევაში ტყუბმარცვლიანობა, მეორეში წვრილმარცვლიანობა იქმნებოდა ნაგულისხმევი.

148. ჰაზარი ჯაღარჩი ყარაბაღში, შუშისა და ჯებრალის სანახებში იყო გავრცელებული. მარცვალი მას წვრილი და გრძელი, თხელკანიანი ჰქონდა. მისი ორი, თეთრი და შავი, სახესხვაობა არსებობდა. საღვინე ყურძნის ჯიში იყო (მელიქ-შაჰნაზარიანცის თანახმად: ამატუნის ჯ. რაი ილ რან., 382 და ზელინ., IV, 58).

ზელინსკის ჰაზარი რუს. „ТЫСЯЧНЫЙ“-დ აქვს ნათარგმნი, მაგრამ ყურძნის ჯიშისათვის ასეთი სახელი სრულებით უაზრო და დაუჯერებელია.

149. ჰაზარი ჯაღარჩი დასახელებული აქვს ზელინსკისა და ყანდურალოვს შამახისა და გოგჩის სანახების ყურძნის ჯიშებს შორის. მტევანი მას პატარა, მოკლე, წოწოლა, ბურძღენიანი და მეჩხარი, — მარცვალი საშუალო, მოგრძო ჰქონდა. ფერად მუქი წითელი იყო, მაგრამ შამახის თემში თეთრი სახესხვაობაც მოიპოვებოდა. ტკბილ-მომყავო იყო, ენკენისთვის დამლევეს მწიფდებოდა. საშუალო მარცვალი იცოდა. კარგი საკმელი და შესანახადაც გამძლე ყურძნის ჯიში იყო. უმთავრესად თურქებს შორის ყოფილა გავრცელებული, მაგრამ სომხებსაც ჰქონიათ (ზელინ., IV, 58 და ყანდურ., V, 19—20). უკანასკნელი გარემოება ცხადყოფს, რომ ჰაზარი სომხური სახელი არ უნდა იყოს.

150. ჰასტაკოთ ჯასთაკიშ, რომელიც სომხ. ყუნწმაგარსა ჰნიშნავს, ზანგეზურის სანახებში ყოფილა გავრცელებული (ზელინ., IV, 58). შავი ყურძნის ჯიში ყოფილა (ბალლასი, 183, № 13). სამწუხაროდ, ამ საგულისხმო სახელის მქონებელი ყურძნის ჯიშის ამპელოგრაფიული აღწერილობა არ არსებობს.

151. ჰუსეინი ნახჯაენისა და შარურ-დარალაგიოზის სანახების ყურძნის ჯიშთა შორის არის დასახელებული. თეთრი ყოფილა (ზელინ., IV, 57 და ანდრონ., VI, 42). ამ ჯიშის სახელი წარმოშობილობის მაუწყებელია და, რაკი ჰუსეინ არაბული საკუთარი სახელია, ცხადია, რომ რომელიღაც ჰუსეინის შემოღებული, ანდა მოტანილი უნდა იყოს.

152. ჯეეკაც რქსკაყ ზელინსკის ცნობით, რომელსაც „ИГЕКАЦ“ „იგეკაც“-ი აქვს ამ ყურძნის სახელად მოყვანილი (ასე აქვს ბალლასსაც გადაბეჭდილი), ნახჯაენის სანახების ორდუბათის უბანში ყოფილა გავრცელებული.

ჩვეულებსამებრ ამ ავტორის სახელს გარდა არაფერი აქვს აღნიშნული. სამ-
წუხაროდ, ეს სახელი არც ამატუნისა და აჭარიანს მოეპოვებათ (ზელინ., IV,
57 და ბალასი, 253).

**§ 5. ყურძნის ჭიშ-სახესხვაობათა სომხური და თურქული სახელების
კლასიფიკაცია**

როგორც ყურძნის ჭიშების ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ჩანს, ავტო-
რებს ყველგან აღნიშნული არა აქვთ, თუ რომელი სახელი მხოლოდ სომეხთა
შორის, რომელი მარტო თურქთა შორის იყო გავრცელებული, რომელი კი-
დეც საერთო იყო. ამის გამო ზოგჯერ ეს საკითხი გამოურქვეველი რჩება მაშინ-
ნაც კი, როცა სპარსული, ან არაბული, ანდა თურქული სახელი ჩაწერილია
სომეხთა შორის, რათგან „აზერბაიჯანელ“ თურქთა მევენახეობაში ამნაირი სა-
ხელი აღბეჭდილი არ არის ხოლმე. ძნელი სათქმელია, ასეთ შემთხვევაში,
ცნობის უსრულობაა, თუ ასეთი სახელი ამ ქვეყანაში მართლაც არ იყო გავრ-
ცელებული. ამ მიზეზების წყალობით საბოლოო მსჯელობის დროსაც ზოგ-
ჯერ ასეთი ცნობების გამოყენება ძნელდება. ქვემოთ ეს სიძნელე იმ მოსაზრე-
ბაზე დამყარებითაა დაძლეული, რომ ყოველი არათურქული და არასომხური
სახელი სხვაგნებურად არის ცნობილი, თითოეული მათგანის შეთვისების გზის
საკითხი კი იქ, სადაც სანდო დასაყრდნობი არ ჩანდა, განხილული არ არის.

**A. მხოლოდ სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჭიშ-სახესხვაობანი და
მათი სახელების კლასიფიკაცია**

ზემომოყვანილი მიმოხილვითგან ჩანს, რომ სომეხთა შორის ვაზ-ყურძნის
ჭიშ-სახესხვაობათა შემდეგი სახელები იყო წარსული საუკუნის დამლევაძღვე
გავრცელებული:

- | | |
|------------------------------|---|
| 1. აღდარა, თ. და შ. | 14. გილარჩი (ანუ დიზმარი,
ანუ ეზანდარი), შ. |
| 2. ამბარი, თ. | 15. დრღბანდ ანუ მისხალი, თ. |
| 3. ამრი | 16. დუზალი, წ. |
| 4. არაზბარი, წ. | 17. ეზან-აჩქ (ხარის თვალე-
ბი), შ. |
| 5. ბანდი, თ. | 18. ეზანდარი, შ. |
| 6. ბანდენი | 19. ვირენი (ქართული), შ. |
| 7. ბარამი | 20. თავრიზენი, ანუ თავრი-
ზი, თ. |
| 8. გარან-ტმაკ (კრავის დუმა). | 21. თევანი |
| 9. გარგარი | 22. თოფალენი |
| 10. გარნი | 23. თვლქი-ყუთირული, თ. |
| 11. გეანჭუ | 24. იწაპტუკ, ანუ ეწუ-პტუკ
(თხის ჭიქანი), თ. + წ. |
| 12. გუნი | |
| 13. გიდავრასტ, შ. | |

25. კალიკოზა, თ.
 26. კანაჩენი (მწვანე)
 27. კაპუტენი (ლურჯა)
 28. კარჩემა, შ.
 29. კარმრენი (წითელი)
 30. კატვი-აჩქ (კატის-თვალე-
 ბი), მწვ.
 31. კატვენი (კატური), ნაც-
 რისფ.
 32. კახეთუ, შ.
 33. კრეკ, შ.
 34. კრწკენი (ხრაშახრუშა), თ.
 35. ლაკენი, ანუ ლკენი (მათ-
 რობ.), შ.
 36. ლცკენი (აღმგზნები?)
 37. მალაპი, შ.
 38. მარანდა, შ.
 39. მარანდკენი (მარანდული),
 წით.
 40. მარმარი (მარმარილოებ-
 რი)
 41. მულინკუტ, თ.
 42. მორი (ქოლოებრი), შ.
 (თ. ?)
 43. მურზა, შ.
 44. { ორდუსი და
 ორდუსი, წ. + თ.
 45. მაღუბი
 46. მეზღი მოყვით.
 47. მეზილი
 48. პინდენი (მაგარი)
 49. რიშ-ბაბა (პაპის წვერი),
 ანუ იწაპტუკ, მოთეთ.-მოყვ.
 50. როსკი, სევროსკი შ.
 51. რუმსო, შეკ-რუმსო (ქე-
 რა? რუმსო)
 52. საფერი, საფირი, საფელი
 (=საფერს), წ.
 53. საძაბი
 54. სერკველი (კომშური), წ.
 55. სევ-ხალოლ (შავი ყურძ.).
 56. სევენი (შავა)
 57. სინორი
 58. სიპტაკ-ხალოლ (თეთრ-
 ყურძ.), სიპტაკენი (თეთრი)
 59. სისაკ, მუქი-წით.
 60. ფაშანი
 61. ქვრდაშტ
 62. შაპანი
 63. შაპანგულ, თ.
 64. შაპტახტი
 65. შაპ-შაქი
 66. შეკ (ქროლა), წით.
 67. შირაი, შ. + თ.
 68. შირეი, წით.
 69. ჩილალ, ანუ ძილალ. თ.
 70. ჩავუშპარი
 71. ჩმჩენი
 72. ცღნუ
 73. წტი-ხალოლ (ჩიტის ყურძ.)
 74. ხათუნი
 75. ხალილი, შ.
 76. ხარჯი
 77. ხოზანი, შ.
 78. ხოზაკაში (ღორის ტყავა),
 შ. + თ.
 79. ხუნკი (საკმელა), მუქი
 ყვით.
 80. ჭილ
 81. ჰაზარი, შ. + თ.
 ჰაზარი
 82. ჰასტაკოთ (ყუნწმაგარი), შ.
 83. ჯღეკაც

სომეხთა შორის გავრცელებულ ყურძნის ჯიშ-სახესხვაობებია ამ 83 სა-
 ხელთაგან, რა თქმა უნდა, ყველა სომხური არ არის, არამედ ზოგიერთი უცი-
 ლობლად უცხოა. მაგალითად: მალაპი, სევ-როსკი-ს ძირითადი ნაწილი როსკი,
 დობლანდ, თულქი-ყურიული. რიშ-ბაბა, საძაბი, მურზა, ფაშანი (ფაშური), შა-
 პანგულ, შირაი, ანდა შირეი. ჩავუშპარი, ხალილი, ხათუნი და ხარჯი ემეკველია
 უცხოა. აგებულებით სპარსულად არის საგულეებელი გიდავრასტ-იც, რომე-

ლიც ნოვრასტ-ის მსგავსად არის ნაწარმოები, ისევე როგორც თავრიზი თავრიზული, აეზდი და მარანდა, რომელთა თვით სახელები აეზდურსა და მარანდულსა ჰნიშნავს და სპარსეთის ცნობილი ქალაქებისა და პროვინციის სახელებთან არის დაკავშირებული.

ვირენი (ქართული) და კახეთუ (კახური) ისევე, როგორც საფერი (საფერი), ანდა საფელი, საფერავი-ც უცხო, ქართული, ჯიშების სახელებია. საფიქრებელია, რომ მვლინკუტ-ის სახელიც, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ქართულ მელისკუდას ანარეკლია.

ამას გარდა, გვანჯუს განჯურის, შაჰტახტის შაჰტახტურისა და შაჰ-შაქის შაჰ-შაქურის სადაურობა და ყარაბაღ-შირვან-შაქითგან მომდინარეობა ხომ თვით სახელებითგანაც ჩანს.

საეკვო შთაბეჭდილებას ახდენს აგრეთვე ბანდი და ბანდენი, გილარჩი, დუზალი, რუმსო, სისაკ, ჩილალ და ჰაზარი, ჰაზრიც, მაგრამ მათი სადაურობა ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების საერთო რიცხვს 83-ს რომ უდავოდ უცხო წარმოშობილობის 26 სახელწოდება გამოვაკლოთ, 57 დაგვრჩება, რომელთა შორის ზემოაღნიშნულ 8-ზე მეტიც კი სათუო სადაურობის სახელიც შედის. თუ ამ სათუო სახელებსაც გამოვაკლებთ, უდავოდ სომხური სახელების რიცხვი 49 იქნება.

ამ სახელთაგან 15, ვითარცა მორფოლოგიური თვისებების აღმნიშვნელი, წმინდა ამპელოგრაფიულია, სახელდობრ: გარან-ტმაკ (კრავის დუმა), თევანი (ფრთიანი), იწა-პტუკ, ანუ ეწუ-პტუკ (თხის ჯიქანი), სერკეელი (კომშა), ჰასტაკოთ (ყუნწ-მაგარი), ეზან-აჩქ (ხარის თვალეზი), ეზან-დარი, კატვი-აჩქ (კატის თვალეზი) და კატვენი (კატური), წტი-ხალოლ (ჩიტის ყურძენი), პინდენი (მაგარი), ხოზაკაში (ღორის ტყავი) და ხოზანი, კალიკოშა (თხელკანიანი) და კრწკენი (ხრაშა-ხრუშა).

ფერის აღმნიშვნელია: გარგარი, კანაჩკენი (მწვანე), კაპუტკენი (ლურჯი), კარმრენი (წითელი), მარმარი (მარმალილოებრივი), მორი (ყოლოსი), სევ-ხალოლ (შავი-ყურძენი), სევენი (შავი), სიპტაკ-ხალოლ (სპეტაკი, თეთრი ყურძენი), სპიტაკენი (თეთრი) და ეგების შეკ-იც, თუ იგი მართლაც ქერას, ან მწითურსა ჰნიშნავს. მასასადამე, ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელებითგან 10, ან 11 ფერის დამახასიათებელია. შესაძლებელია ამავე ჯგუფს ხუნკი საკმელაც მიეკუთვნოს, თუმცა ზოგთა აზრით ეს სახელი სურნელების გამომხატველია. ამნაირად სულ 11, ან 12 გვექმნება.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფითგან თვისება-დანიშნულების გამომხატველი სომხური სახელი მხოლოდ სამია: ჩმჩენი (საჩამჩე), ლაკენი (მათრობელი) და ლცკენი (აღმგზნები).

სადაურობის მუწყებელ სახელების ჯგუფს ეკუთვნის: ალდარა (ალდარული), გვანჯუ (განჯისა), გარნი (გარნისისა), დიზმარი (დიზმარული?), ვირენი (ქართული), თავრიზენი (თავრიზული), კახეთუ (კახეთისა), მარანდა და მარანდკენი (მარანდული), ორდუცი და ორდუსი (ორდუბათული), ქვრდამტ (ქვრდამტული), ცღნუ (ცღნური) და ვგონებ გლეკაც (გლეკაანთი), სულ 14. ამათგან გვანჯუ, ვირენი, თავრიზენი, კახეთუ, მარანდა და მარანდკენი, სულ 6, თუმცა სომხური სახელებია, მაგრამ უცხო ჯიშებისაა.

**B. მხოლოდ ამიერ-კავკასიელ თურქთა შორის გავრცელებული ურძნის
ჯიშ-სახესხვაობანი და მათი კლასიფიკაცია**

ყარაბალსა, შირვანსა და შაქში ისევე, როგორც ერევნის სანახებში მობი-
ნადრე მაჰმადიანთა შორის, ზემომოყვანილი მიმოხილვის მიხედვით, ურძნის
ჯიშ-სახესხვაობათა შემდეგი სახელები ყოფილა გავრცელებული:

1. აგრი, ანუ დანადაშაგ
2. ალა-კორა
3. ალახსუქ, შ.
4. აღღარი, ანუ ტაიჭი, ანუ
რაჯკი
5. აღვანი, მწყაზარი
6. ასქარი, მოვარდისფერო-
თეთრი და მწვანე-ყვით.
7. ათ-უჯუმი (ცხენის-ყურძე-
ნი), მოვარდისფერო
8. აღ-უჯუმი (თეთრი ყურძე-
ნი)
9. ალა-ღაი (ალა-ბატონი)
10. აღ-ალაჰკი, თ. + ვარდისფ.
11. აღ-ბალი (თეთრი ბალის
ყ.) თეთ.-მოყვით.
12. ალა-გერმანუ (ალა ვერ ნა-
ხავს), თეთ.
13. აღჯა-ყარა (თეთრ-შავი),
წით.
14. აჩაბაშ, ანუ ხაჩაბაშ (ორ-
თავიანი?), თ.
15. აჭანდი-უჯუმი (ეფენდის,
ბატონის ყურძენი)
16. ბალაგანი (ბელაქანური),
მწვანე
17. ბანდი, თ.
18. ბარამი
19. გარნი შირასი (გარნისის
ტყბილი)
20. გულაზი, ანუ ლალიბედან
წით.
21. მალანჩი გულაზი (ყალბი
გულაბი)
22. გეჩი-მამანსი (თხის ძუძუ),
ანუ რიშ-ბაბა
23. გილა ტოკან
24. გომეში-მამან (კამეჩის ძუ-
ძუ), ანუ რიშ-ბაბა
25. გრამ-უჯუმი (მწვანე-ყურძ.)
26. დევე-გრანი (აქლემის თვა-
ლი)
27. დანადაშაგ (ხბოს ყვერი),
ანუ აგრი, მომწვ.-ყვით.
28. დრღბანდ, ანუ მისხალი,
თ.
29. დრუჯა-გრანი, წით.
30. ერქემ-ყუიურული (ნეზვის
კული)
31. თავრიჯი (თავრიზული), თ.
32. თაბარჯა, თ.
33. თამბეჰი, შ.
34. თულქი-ყუიურული (მელის
კული), თ.
35. ლალიბედან (ლალისფერ-
მარცვლიანი), ანუ გულაბი
36. მარანდაჰ (მარანდული)
ბოზ-მარანდი (ნაცრისფერი მა-
რანდული)
37. მოლლა-მაჰმადი, გვერდ-
წითელი
38. მოლლა-ახმედი, თ.
39. ნანან-ბუჯი, შ.
40. ნანან-უჯუმი (დედა-ჩემის
ყურძ.)
41. ნახშაბი (ნახშაბური), წით.
42. ნოვრასტ (ადრეული), ანუ
ჰუსეინი, თ.
43. ორდუბათი (ორდუბათუ-
ლი)
44. რაჯკი, ანუ ტაიჭი, თ.
45. რიშა-, ანუ რიში-, ანდა
რიშ-ბაბა (პაპის წვერი), მოთეთ-
რო-მოყვითანო

46. სარმა (შეკრული), ყარა-
ნარმა (შავი სარმა)

47. სალი (თუ საგი?), ისამ-
ნისფერი

48. სიქთი-დურმაჰ (აღრეუ-
ლი ბუჩქი). ანუ სიქთი-უზუმ (აღ-
რეული ყურძენი), მოშავო

49. ტაიჭი, ანუ რაჯი, თეთრ-
მომწვ.

50. ფირ-უზუმ (ფირის, მოხუ-
ცის ყურძენი), მწვანე

51. ქეჩი-ემგაგი (თხის ჯიქანი),
ანუ გომეში-მაძა, შ.

52. ქიშიშის 3 სახესხვაობა:
თეთრ-ყვით., ვარდისფ. და მწვა-
ნე

53. ქიარიმ-ყანდი (ქიარიმის
ყანდი), თ.

54. ყარა-მარფაყ (შავ-ფოთო-
ლა)

55. ქვრდაშტ

56. ყარა-უზუმ (შავი ყურძენი)

57. ყარაჯა (შავა)

58. ყირმიზ-უზუმ (წითელი
ყურძ.)

59. ყიზილ-ბოზ (წითელ-ნაც-
რისფ.), ისამნისფერი

60. ყუშ-მურაბი (ფრინველის
გული), წით.

61. შანი, ყარა-შანი (შავი-შა-
ნი) და ალ-შანი (თეთრი შანი)

62. შაპ-ენგურ, ანუ შაპ-უზუმ
(შაპის ყურძენი), მოყვით.

63. შაპ-შირაი (შაპის, ანუ სა-
უყეთესო ტკბილი), მონარინჯის-
ფერო

64. შაქარი, მწვანე

65. შაქარ-ბირა (შაქარის სა-
დარი), თ.

66. შაქარ-ყანდი (შაქარ-ყან-
დი, ე. ი. ყინვარ შაქარი)

67. შაქეი, წით. და თ.

68. შირაი (ყურძნის ტკბილი),
ყარა-შირაი (შავი ტკბილი)
და ალ-შირაი (თეთრი ტკბილი)

69. შირა-უზუმ (სატკბილე
ყურძენი)

70. შირვან-შაპი (შირვან-შაპუ-
რი) ანუ შაპ-შირაი

71. შირ-შირა (რძეტკბილი) თ.

72. შირინ-ყარა (ტკბილი
შავი)

73. ჩილ-უზუმ, ჩილი, მომუქო
წით.

74. ხათუნ-ბარმაკი, ანუ ხა-
თუნ-ბარმალი (ქალბატონის თითი),
მოყვითან-მომწვანო

75. ხალაჯი, ანუ ხალაჩი

76. ხალილი (ხალილური)

77. ხან-უზუმი (ხანის ყურძე-
ნი), მუქი წით.

78. ხარჯი (სახარჯავი), თ. და
შ.

79. ხატმი (თუხტური)

80. ხოზორ (მსხვილი?)

81. ხუნკი (საქმელა), მუქი
ყვით.

82. ჯვან-გოზი, წით.

83. ჰუსენინი (ჰუსენინისა), თ.

ამნაირად ირკვევა, რომ ყარაბალ-შირვან-შაქისა და ერევნის სანახების გა-
თურქებულსა და თურქ მოსახლეობას სულ 83 ყურძნის ჯიშ-სახესხვაობის სა-
ხელი ჰქონია. რა თქმა უნდა, არაერთი მათგანი ადგილობრივი არ არის, არა-
მედ სხვა ქვეყნებითგანაა შეტანილი. ზოგი მათგანის უცხოობა თვით სახელ-
შივეა გამომჟღავნებული, ზოგის უცხოობას — მისი სახელის ეტიმოლოგია
ცხადჰყოფს.

უქველია უცხოა: გულაბი, რომლის სახელიც სპარსულია და კარდის წყალსა ჰნიშნავს, — თავრიზი (თავრიზული) — სპარსულივეა, — თაბარზა, რომელიც სპარსულად თეთრ ყანდსა ჰნიშნავს, — ისევე როგორც ლალაბედან (ლალისფერ-მარცვლიანი), — მარანდი მარანდულია (სპარს.), — ნოვრასტიც სპარსულია, — ნახაბი თურქისტანულია, — რაზკი არაბულია, — ტაიჭი იქაურივე სახელია, — ქიშმიში სპარსულია, — შაჰ-ენგურ, რომელიც სპარსულად შაჰის ყურძენს ჰნიშნავს, შესაძლებელია აგრეთვე სპარსული ჯიში იყოს, — მაშასადამე სულ 11 ჯიშ-სახესხვაობაა.

ზემოჩამოთვლილი 11 უცხო სახელის გამოკლებით 72 ჯიშ-სახესხვაობა დაგვრჩება. მაგრამ ამ რიცხვში 12 სახელიც მოიპოვება, რომელთა მნიშვნელობა გამოურკვეველია და ამის გამო მათი სადაურობის საკითხიც ძნელ გადასაჭრელია. ეს გარემოება გვაიძულებს ქვემოთმოყვანილი მსჯელობის დროს ამ 12 გამოურკვეველ სახელს გვერდი ავუქციოთ და მხოლოდ 60 სახელწოდების ანალიზს დავემყაროთ.

60 სახელითგან ათ-ჯუში (ცხენის ყურძენი), აჩაბაშ, ანუ აჩაბაშ (ორთავიანი), გომეში-მამა (კამეჩის-ძუძუ), დანა-დაშაგ (ბოს ყვერი), დობანდ (დობანდი, მრგვალი მოსახვევი), დრუზა-გაზი. ერკეძ-ყურული (ნუჯის ყუდი ანუ დუმა), თუქი-ყურიული (მელიის ყუდი), სარმა (შეკრული), ქეჩი-ქეჩაგი (თხის ჯიქანი). ყარა-მარფაყ (შავფოთლიანი), ყუშ-მურაგი (ფრინველის გული). ხათუნ-ბარმადი (ქალბატონის თითი), ხოზორ (მსხვილი?) და ჯუზა-გაზი, სულ 15 სახელწოდება წმინდა ამპელოგრაფიულია, მორფოლოგიური თვისების დამახასიათებელი.

8. ანდა 9 სახელი მარცვლის ფერის აღმნიშვნელია: აღ-ჯუში (თეთრი ყურძ.), აღ-ბალი (თეთრი ბალის ყურძ.), აღჯა-ყარა (თეთრ-შავი). გრა-ჯუში (მწვანე), ყარა-ჯუში (შავი ყურძ.), ყარაჯა (შავა), ყიზილ, ანდა ყიზილ-ჯუში (წითელი ყურძ.). ყიზილ-ბოზ (წითელ-ნაცრისფერი). ეგების რეზ-ბაბა-ც (პაპის წვერი), თუ აქ მარცვლის მოყვითან-მომწვანო ფერი იგულისხმება.

სპარსული გულაბისა და თაბარზას გარდა, ყურძნის გემოს აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი სულ 6 სახელწოდებას შეიცავს. ამ ჯგუფისაა: ქიარიმ-ყანდი, შაქარი, შაქარ-ბირა, შაქარ-ყანდი, შირ-შირა, შირინ-ყარა. ექვსივე მხოლოდ ჯიშის სიტკბოს მაუწყებელია.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა დანიშნულებისა და ხარისხის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფს ეკუთვნის ნოვრასტ (ადრეული), რომელიც სპარსული სიტყვაა, — სიქთი-დურმაზ, ანუ სიქთი-ჯუში (ადრეული ბუჩქი, ადრეული ყურძენი), — ქიშმიში (საჩამიჩე), — შირაი და შირა-ჯუში (სატკბილე ყურძენი), — ხარჯი (სახარჯავი), საპაბი, აჰანდი-ჯუში, ხან-ჯუში, შაჰ-ენგურ და ვგონებ შანი-ც, თუ იგი შაპანი-საგან არის წარმომდგარი. უკანასკნელი 5 სახელი საბატონოდ-საეფენოდ (თურქ. ბატონს), სახანოდ და საშაპოდ განკუთვნილობისა და მაღალ-ხარისხოვნობის გამომხატველია. სულ 12 სახელია.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობის სადაურობის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი ორ ქვე-ჯგუფად უნდა გაიყოს: ერთი ქვე-ჯგუფი გეოგრაფიული სადაურობის გამომჟღავნებელია, მეორე ჯიშ-სახესხვაობის შემომტანის, ანდა შემომღების მაუწყებელია. პირველ ქვე-ჯგუფს ალდარი (ალდარული), ალვანი (ალვანური),

ბწლაგანი (ბელაქანური), გარნი-შირასი (გარნისული ტკბილი), თავრიზი (თავრიზული), მარანდი (მარანდული), ნახშაბი (ნახშაბური), ორღუბათი (ორღუბათული), ქვრღაშტ და შირვან-შაჰი (შირვან-შაჰური) ეკუთვნის.

როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, თავრიზი და მარანდი სპარსულია, ნახშაბური თურქისტანული. ამნაირად გეოგრაფიული წარმოშობილობის გამომხატველი ქვე-ჯგუფი 10 სახელწოდებას შეიცავს, უმათოდ, მხოლოდ ადგილობრივი კავკასიური 7-ია.

მეორე ქვე-ჯგუფს ასქარი, ბარამი, მოლღა-მაჰმადი, მოლღა-ახმედი, ფირჯუმ, ჭიარიმ-ყანდი, ხალილი და ჰუსეინი, სულ 8 სახელწოდება მიეკუთვნება. თვითოეული მათგანი ჯიმ-სახეხსებაობის შემომტანის, ანღა შემომღების მათუწყებელია. სამწუხაროდ, მათი საღაურობის შესახებ არაფრის თქმა არ შეიძლება.

ამნაირად ორივე ქვეჯგუფში 28 სახელია, რომელთაგან 3 უთუოდ სხვაგნებურია.

საქართველოზ მევენახეობის ზოგადი საკითხები ღ მისი სავართო შეფასება

აქამღე გაწეული მთელი მუშაობა ღ კვლევა-ძიება საშუალებას გვაძლევს ბოლოს ქართული მევენახეობის ზოგადი საკითხების გადაქრა ღ ამ ღარგის სავართო შეფასებაც ვცაღოთ.

თავი I. უურძნის ჯიშების შეღარაგბითი ეკონომიური მნიშვნელოზა საქართველოზ მეურნეობისათვის

უურძნის მრავალრიცხოვან ჯიშთაგან, რასაკვირველია, ყველას ერთნაირი მნიშვნელოზა არ ჰქონია, ამიტომ უპირველესად ამ ჯიშების ეკონომიური ღირებულების გამორკვევას უნღა შევეუღგეთ, სახელღობრ, თუ რომელ მათგანს საქართველოზ სასოფლო მეურნეობის ეკონომიკაში რა მნიშვნელოზა ჰქონღა ღ აქვს ეხლაც. ამას კი ერთი მხრით ამ ჯიშების ღანიშნულების გათვალისწინება, მეორე მხრით, მათი გავრცელების არე გავგავგებინებს, რათგან ცხადია, რომ რაც უფრო ღიდ მანძილზე ღა ფართოდ არის თვითოეული მათგანი გავრცელებული, მით უფრო მეტი მნიშვნელოზა ჰქონია ქვეყნის მევენახეობა-მეღვინეობისათვის, მით უფრო მაღალი ღირსების მქონებელი ყოფიღა. გავრცელების არეს ცოღნა ჯიშების საღაურობის გამოსარკვევადაც გამოაღგება მკვლეღვარს.

§ 1. ვაზის ჯიშ-სახეხსებაობათა სიმრავლის მიზეზი

3. ყანღურაღოვს ისევე, როგორც სხვა აგრონომებსაც აღნიშნული ჰქონღათ, რომ საქართველოში აღამიანს ვენახებში გაშენებული ვაზების ჯიშის სა-

ხესხვაობათა სიმრავლე და ნაირნაირობა აკვირვებდა. ერთი მთავარი ჭიშის ვაზის გვერდით, რომელიც მრავლად მოიპოვებოდა, ყველგან ბევრი სხვა ჭიშის ვაზიც, ან საკმაო რაოდენობით, ან ცოტა მაინც უეჭველად იყო ხოლმე.

პ. ყანდურალოვი ამბობდა, რომ ეს გარემოება შემთხვევითი არ იყო. მევენახეთა გამოკითხვას ამის მიზეზი და მიზეზი გაუგებინებია. ვენახებში გაშენებული ვაზების ნაირნაირობა იმით აიხსნება, რომ მევენახეებმა ტაროსისა და ბუნებრივი პირობების ცვალებადობა და უკლდმართობისაგან მოსალოდნელი განსაცდელის შესაძლებლობა კარგად იციან და თანაც გამოცდილი აქვსთ, რომ ბუნებრივი პირობების ცვალებადობისა და მანე გავლენისაგან ვაზის ყველა ჭიში ერთნაირად არ ზიანდება. სწორედ ამიტომ იყო, რომ ქართველ მევენახეს უფრო გონივრულად მიაჩნდა, მთავარი ჭიშის გვერდით სხვა ჭიშისა და თვისების ვაზებიც დაერგო იმ რწმენით, რომ ზემოაღნიშნული განსაცდელის დროს მთელი ვენახი არ დაჰზიანებოდა და მოსალოდნელი სრული ეკონომიური ზარალი თავითგან აეცილებინა (პ. ყანდურალოვი, Очерк ВГВд в Карпалинии: ССВВГВ:К, VIII, 50).

ქართველ მევენახეთაგან მოსმენილი ეს პასუხი და ვაზის ჭიშების სიმრავლის მიზანშეწონილობის დასაბუთება იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ მევენახეობის ისტორიის მცოდნეს აქ მრავალსაუკუნოვანი წარსულის მემკვიდრეობისა და ანარეკლის განჭვრეტა შეუძლიან.

ამ თვალსაზრისით ცოდნისმოყვარე ადამიანისათვის რასაკვირველია საგულისხმო იქმნებოდა, თუ ეცოდინებოდა, რომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა სჯობდა და რა უფრო ხელსაყრელი იყო, რომ ვენახში მთლად მხოლოდ ერთი ყურძნის ჭიში ყოფილიყო დარგული, თუ მეურნეობისათვის უკეთესი იყო სხვა-სხვა ჭიშის ვაზი გაეშენებინა, უკვე რომაელ აგრონომ კოლუმელსას ჰქონდა წამოყენებული და განხილული.

ამ საკითხს რომაელი აგრონომი ასე სწყვეტდა: ბრძენი მიწისმოქმედი მხოლოდ საუკეთესოდ მიჩნეულ ვაზის ჭიშს, სხვა ჭიშებთან შეურევლად, დარგავდა. მაგრამ უფრო შორსგამჭვრეტელობა იქმნება (providentis est), რომ მეურნემ ვენახში სხვა ჭიშის ვაზებიც გააშენოს, რათგან არასდროს არ არის ხოლმე, რომ დარი და ჰავა იმდენად რბილი და ზომიერი იყოს, რომ ყურძნის რომელიმე ჭიში არ დაზიანდეს: თუ გვალვიანი წელიწადია, ნოტიობის მოყვარული ჭიში დაიჩაგრება, თუ ავდრიაანია, მშრალ ჰავას მიჩვეული ჭიში ვერ გაიხარებს და სხვაც ამგვარადვე. დარისგან ათასნაირი ზიანის ჩამოთვლას რომ თავი დაეანებოთ, ყოველთვის ისეთი რამე აღმოჩნდება, რაც ვაზს ავნებს. როდესაც ვენახში მხოლოდ ერთი ჭიში გვაქვს დარგული, მაშინ, თუ დაზიანდა, მთელი მოსავალი ხელითგან გამოგვეცლება, ხოლო როდესაც სხვადასხვა ჭიშის ვაზია გაშენებული, მაშინ რომელიმე ისეთი ჭიში უეჭველად აღმოჩნდება, რომელიც უდარობას აიტანს და მოისხამსო. მაგრამ, ამ მოსაზრების გამო, მეურნემ ყურძნის დარგული ჭიშები უკიდურესობამდე კი არ უნდა გაამრავლოს, არამედ ერთი საუკეთესო, ძირითადი ჭიში ბლომად გააშენოს და კიდევ სამი, ან ოთხი სხვა ჭიშ-თვისების კარგი ვაზებიც დარგას. ეს სრულებით საკმარისი იქნება, რომ მეურნემ თავისი ვენახის მოსავალი ჰავისა და დარის გავლენის

ყოველგვარი შესაძლებელი უკუღმართობისაგან საკმაოდ უზრუნველყოსო (De re rustica. lib. III, cap. 20).

ზემოაღნიშნულ გარემოების გარდა, საქართველოს მევენახეობაში ვაზის ჭიშ-სახესხვაობათა სიმრავლე სხვა გარემოებითაც აიხსნება. ყურძენს სხვადა-სხვა სამეურნეო დანიშნულება ჰქონდა და ამიტომაც ვაზის გაშენებისას მევენახეს ყოველთვის ერთიდაიგივე კი არა, არამედ რამდენიმე განსხვავებული მიზანი ჰქონდა დასახული. თუმცა საქართველოში ვაზს უმთავრესად ღვინის დასაყენებლად და საჭმელად აშენებდენ და აშენებენ ესლაც, მაგრამ მისი სხვანაირად მოხმარებაც იცოდენ და იციან ესლაც. სამწუხაროდ, თავიანთ აღწერილობაში ამა თუ იმ ჭიშის სამეურნეო დანიშნულება ყველას არა აქვს დასახელებული. ამიტომ ჩვენც საშუალება არა გვაქვს მკითხველს საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჭიშების სრული სამეურნეო კლასიფიკაცია წარმოვუდგინოთ. არსებული ცნობებისდა მიხედვით კი, ვაზის ნაყოფს საქართველოში ან საყურძნედ ხმარობდენ: ე. ი. საჭმელად, ან საჩამიჩედ, გინდა სამურაბედ, თუ საწნილედ, — ანდა საწურად ხმარობდენ: სამაჭრედ, ან საღვინედ, ან საბადაგედ, თუ საჩურჩხლედ, დასასრულ საჭაჭვდაც კი.

საყურძნე ჭიშ-სახესხვაობანი ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: ერთს ისეთი ჭიშ-სახესხვაობანი ეკუთვნიან, რომელთა დიდიხნით შენახვა არ შეიძლება და რომელთაც ამის გამო დამწიფებისთანავე სჭამენ, მეორე ჯგუფს კიდევ გამძლე ჭიშები ეკუთვნიან, რომელთა შენახვაც ხანგრძლივ შეიძლება და რომელთაც ამის წყალობით მთელი შემოდგომა-ზამთრის განმავლობაში, ზოგჯერ ზაფხულამდეც კი ინახავდენ ხოლმე საჭმელად.

თვითოეული ზემოჩამოთვლილი სამეურნეო მიზნის მისაღწევად მევენახეს შესაფერისი თვისების ყურძნის ჭიში უნდა შეერჩია. მაგ., საჭმელი ჭიში ტკბილი, გემრიელი და სურნელოვანი უნდა ყოფილიყო, ნაზი ხორცი და კანიც ჰქონოდა, მხოლოდ ხანგრძლივ შესანახავად განკუთვნილს ამასთანავე გამძლეობაც მოეთხოვებოდა. პირიქით საჩამიჩედ, სამურაბედ, თუ საწნილედ შერჩეული ყურძნის ჭიშ-სახესხვაობისათვის ნაზ-ხორც-კანიანობის მაგიერ, სწორედ მსხვილი და საკმაოდ მომაგრო ხორც-კანი სჭირდებოდა, მაინცდამაინც არც დიდი სიტკბო უნდა ჰქონოდა და, მით უმეტეს, არც წვენიანობა. სამაგიეროდ საბადაგო და საჩურჩხლე ყურძენი, რასაკვირველია, უაღრესად ტკბილ-წვენიანი უნდა ყოფილიყო და სხვა. ყველა თვისებას ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. საღვინე ყურძნისთვის სიტკბოც, წვენიანობაც და სურნელოვანებაც იყო საჭირო. თხელი კანი და ნაზი ხორცი უნდა ჰქონოდა. სამაგიეროდ ასეთ ყურძენს ხანგრძლივი გამძლეობის თვისება არ სჭირდებოდა. სიმჟავის ნაკლებობაც აუცილებელი პირობა იყო. სამაჭრედ განკუთვნილი ყურძნისათვის კი პირიქით ზომიერ სიტკბოსთან ერთად სწორედ სიმჟავე იყო კარგი. საწური, სამაჭრე და საღვინე ისევე, როგორც საჭმელი ჭიშისათვის, რა თქმა უნდა, ყურძნის დამწიფების ხანასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა: საჭმელად და სამაჭრედ ადრეული ჭიში უფრო მეტად ფასობდა, შედარებით მალელობსა და გრილ ადგილებშიც საღვინედ, გინდა სხვა რაიმე დანიშნულებისათვის, ცხადია, მხოლოდ ადრეული ჭიშ-სახესხვაობანი იყო გამოსადეგი. პირიქით, დაბლობისა, თბილი და ნოტიო ნიადაგისათვის საგვიანო ჭიშ-სახესხვაობანი სჯობდა, რათგან გვიან შემოდგომას ასეთ ადგილებში ჰავა უფრო მშრალია

სოლმე და ამის წყალობით ყურძენი დამწიფებისას ნოტიობისაგან არ ზიანდება. დასასრულ, მწარე გამოცდილებამ მევენახე დაარწმუნა, რომ ვაზის სხვადასხვა ჯიშის სხვადასხვა ავადმყოფობას ერთნაირად კარგად ვერ უწყევს წინააღმდეგობას: ზოგი ერთ ავადმყოფობას უძლებს, მეორისაგან საგრძნობლად ზიანდება, ზოგი კი გამძლეობით დანარჩენებს სჯობნის.

უეჭველია მევენახეს ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ვაზის გაშენების დროს უნდა გაეთვალისწინებინა, მაგრამ, რაკი ვაზის არც ერთი ისეთი ჯიში არ არსებობს, რომელსაც ყველა ზემოდასახელებული თვისება გააჩნდეს და იშვიათია, რომ ორი, მით უმეტეს სამი თვისება ერთად ჰქონდეს, ამიტომაც მევენახეს თავის სხვადასხვა მიზნის მისაღწევად სხვადასხვა სათანადო ჯიშ-სახეს-სხვაობანი უნდა შეერჩია და გაეშენებინა. უკვე ზემოაღნიშნული გარემოების შემდგომ, სწორედ ეს უნდა ყოფილიყო, რომელმაც ქართველ მევენახეს უფრო მიზანშეწონილად მიაჩნევინა თავისს ვენახსა, ანდა ზვარში, ერთი ჯიშის ვაზის დარგვის მაგიერ იმდენი და იმ ჯიშ-სახესხვაობის ვაზი გაეშენებინა, რამდენიც და რომელიც კი მისს სამეურნეო მიზნებს და ნადაგ-ჰავის თვისებებს უფრო შეეფერებოდა და ტაროსის მოსალოდნელი უკუღმართობით მიყენებულ ზიანს ნაკლებ აგრძნობინებდა.

ამის შემდეგ შესაძლებელია საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სამეურნეო-დანისშეულებითი და სხვა თვისებებისა და მიხედვით კლასიფიკაციის შედგენაც ვცადოთ. ყველა ცნობის უქონლობის გამო, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ქვემოთმოყვანილი სიები სრული არ არის, მაგრამ საფიქრებელია, რომ ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი ჯიშ-სახესხვაობა იქ მაინცდამაინც აღნუსხული უნდა იყოს.

§ 2. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა კლასიფიკაცია სამეურნეო დანიშნულებისა და გამძლეობისა მიხედვით

I. საკმელად განკუთვნილი ჯიშ-სახესხვაობანი

1. საკმელი ყურძნის ჯიშები:

ადრეული (კახ., ქართლ.)	დონდღლაბი, დონდღო, დღუ-დღუში (დას. საქ.)
ათინური, თ. (გურ.)	თავკვერი (კახ.) შავიცა და თეთრიც
ახალაკი, შ. (შავშ.-კლარჯ.)	თითა თეთრიცა და შავიცა
ბუდეშური (კახ., ქართლ. და მესხ.) ქართლში კარგია	ყველგან საუკეთესოა
ბუერა-ვაზი (გარე-კახ.)	დედოფლის კითი (სამეგრ.)
განახარული (კახ.)	თეთრი-ყურძენი (გურ.)
განჯის ყურძენი	წმინდა-თეთრა (რაჭ.)
გორულა (ქართლ.) ძალიან გამძლეა, აპრილამდე შეინახება	თხლაფაი (საინგ.)
დევის-თვალაი (საინგ.)	კლარჯული თ. (გურ., აქარ.), კარგი შესანახია

კრახუნა თეთრი (რაჭ.)
 მელისკული, მელაკული ყვი-
 თელი (საინგ., იმერ., რაჭ., შავშ.)
 კარგია
 მერანდომ წით.-მოშავო
 (საინგ.).
 მხარგრძელი შავი, თეთრ-ყვი-
 თელი (კახ.)
 მწვანურა (შავშ.-კლარჯ.)
 ორჯოხულა თეთრი და შავი
 (შავშ.-კლარჯ.)
 პანეში (სამეგრ.)
 სააბი შავი (ქართლ. და რაჭა)
 საკმელამ მოყვ. (საინგ.)
 სამარხი (გურ.) შავი. საუკე-
 თესო
 სორეჟი შავი და თეთრი
 (შავშ.-კლარჯ.) საუკეთესო და
 მთელ წელიწადს ინახება
 ქეჩი-ემჭაგი (საინგ.)
 ქველები შავი (სამეგრ.) კარ-
 გია
 ქიშმიში თეთრი (კახ.) კარგია

შავი-თითა (ქართლ.) შესანა-
 ხია
 შირაზული, ანუ განჯური თე-
 თრი
 შიშველი (შავშ.-კლარჯ.)
 ცხენის-ძუძუ შავი და თეთრი
 (მესხ., რაჭა, გურ., აჭარ., შავშ.)
 წიღომინა თ. (შავშ.-კლარჯ.)
 წობენური (კახ.)
 წყალთეთლი (შავშ.-კლარჯ.)
 ხარისთვალა შავი და თეთრი
 (კახ., ქართლ., აჭარ., გურ.), ანუ
 ღონდღლაბი (იმერ.)
 ხევარდული თ. (შავშ.-კლა-
 რჯ.)
 ხევის-ყურძენი (გარე-კახ.)
 ხოფათური თ. (აჭარ.)
 ჯანი შავი (იმერ., გურ.) ყურ-
 ძენი გამძლეა
 ჯინეში წითელი (აჭარ., შავშ.-
 კლარჯ.)
 ჯუმუტა შავი (გურ.) შესანა-
 ხია.

2. საჩამიჩე ჯიშები:

მულრია, უღია (კახ.)
 მხარგრძელი (კახ.)
 ქიშური თეთრი (კახ., ქართლ.)

ცხენის-ძუძუ ყვით.-მომწ. და
 შავი (კახ. და ქართლ.).

3. სამურაბე ჯიშები:

რქა-ხულია თ. (კახ.)

4. ყურძნის საწნილე ჯიშები:

ბუერა-ვაზი თ. (კახ.)
 გორულა თ. (ქართლ.)
 ღონდღლაბი თ. (რაჭ.)
 სააბი თეთრი და შავი (კახ.,
 ქართლ.)

ცხენის-ძუძუ თეთრი და შავი
 (შავშ.-კლარჯ.)
 ხარისთვალა თეთრი (ქართლ.)

II. დასაწურად განკუთვნილნი

1. სამაპკრე ჭიშები:

ნოშრიო შავი (რაჭ.)
 სადადეგო თეთრი (იმერ.)
 სამაპკრე თ. (იმერ.), სამაპკრია
 შავი (რაჭ., ლეჩხ.)

სამანჭრო შავი (სამეგრ. და
 გურ.) და თეთრი (გურ.)
 წინწყვა თეთრი (იმერ.)
 ხარღანი უჩა შ. (სამეგრ.)

2. ყურძნის საღვინე ჭიშები:

ადანასური
 ალადასტური
 აკილო (იმერ.)
 აღექსანდროული საუკეთესოა
 არაგვისპირული (კახ.: მდარეა,
 ქართლ.: სასიამოვნო)
 ახლაკი (შავშ.-კლარჯ.)
 ბერაულა (რაჭ.) კარგია
 ბუტკო
 განახარული (ქართლ.) კარგია
 გაღმამხრული (ქართლ.) კარ-
 გია
 გოდავათური (სამეგრ.) კარ-
 გია
 გორულა (ქართლ.)
 დანახარული (ქართლ.) მდარეა
 დიღმური, ანუ მსხვილმარცვა-
 ლა, ანუ საბატონო (ქართლ.) კარ-
 გია
 ზენათური (გურ.) კარგია
 ზერდაგი (სამეგრ.) საუკეთე-
 სოა
 თავკვერი (ქართლ.) შავი კარ-
 გია
 თბილური (რაჭ.) კარგია
 თეთრიშა (გურ.) კარგია
 თეთრა (რაჭ.)
 წმინდა-თეთრა (რაჭ., ლეჩხ.)
 ქარგია
 წულუკიძის თეთრა (რაჭ.) სა-
 უკეთესოა
 კამური შავი და თეთრი (იმერ.,
 გურ.), თეთრი კარგია, გამძლე
 ღვინო იცის

კაპისტონი, კაპიტო შავი და
 თეთრი (კახ., ქართლ., იმერ., რაჭ.,
 ლეჩხ. და გურ.) კარგია
 კასპური (ქართლ.) კარგია
 კატური (ქართლ.) სურნელო-
 ვანი ღვინო იცის
 კიკაჩა შავი (სამეგრ.) კარგია
 კრახუნა ყვით. (იმერ., რაჭ.)
 კარგია
 კუდურაული, ანუ კილორაუ-
 ლი (რაჭ.) კარგია
 კუნძა თეთრი (იმერ.) მდარეა
 ლაგილური შავი (სამეგრ.)
 კარგია
 მაისა თეთრი (იმერ.) მდარეა
 მახვატელი, ანუ ოხვატუ (სა-
 მეგრ.)
 მოკლე-მტევანა ყვითელი (კახ.)
 კარგია
 მტევანდიდი (აჭარ., გურ.),
 შავი კარგი და გამძლეა
 მტრედისფენა შავი (ქართლ.,
 გურ.), ტოროკუჩხი (სამეგრ.) კარ-
 გი მოსავლიანია (გურ.)
 მცვიფანი (კახ., რაჭ., გურ.) სა-
 უკეთესოა
 მწვანე (კახ., ქართლ., იმერ.,
 რაჭ., ლეჩხ., აჭარ.) საუცხოვოა
 ოყურეშული შავი (რაჭ.) კარ-
 გია
 პანეში შავი (სამეგრ.) მდარეა
 პარტალა თეთრი (კახ. და ქარ-
 თლ.) და შავი (ქართლ.) მდარეა

პოვნილი შავი (აჭარ.) საწურია
 პუმპულაში შავი (სამეგრ.)
 სურნელოვანია
 რკო (ქართლ., იმერ., რაჭ.)
 შავი და თეთრი (რაჭ.) მდარეა
 რცხილათობანი შავი (იმერ.)
 რცხილა (რაჭ.) შავი, კარგია
 რქაწითელი თეთრი (კახ.,
 ქართლ., რაჭ., ლეჩხ.) საუკეთესოა
 საბი შავი (რაჭ.) საუკეთესოა
 ხადმელური თეთრი (რაჭ.)
 საუკეთესოა
 საკმელა მოყვითანო (რაჭ. და
 გურ.) კარგია
 სალიკლავი შავი (შავშ.-კლა-
 რჯ.)
 საფერავი შავი (კახ., ქართლ.,
 იმერ., რაჭ., გურ. და შავშ.-კლა-
 რჯ.) საუკეთესოა
 საღვინე შავი (მესხ.)
 საწური შავი (აჭარ.)
 სხილათობანი შავი (გურ.) კარ-
 გია
 უწყვეტი თეთრი (რაჭ.) მდა-
 რეა
 ფერადი წითელი და შავი
 (ქართლ.) კარგია
 შაბია, შაბა თეთრი (კახ., ქარ-
 თლ.) მდარეა

შონური, ანუ ოჯალეში (სამე-
 გრ.) საუკეთესოა
 ჩერგვალი თეთრი (სამეგრ.)
 საუკეთესოა
 ჩეში თეთრი (სამეგრ.) კარგია
 ჩინური მოჭარვისფერო (ქარ-
 თლ.) საუკეთესოა
 ციცქა თეთრი (იმერ., რაჭ.)
 საუკეთესოა
 ცოლიკაური ქარვისფ.-მომწვ.
 (იმერ., რაჭ.) საუცხოვოა
 ძელშავი შავი (ქართლ., იმერ.,
 რაჭ., გურ.) საუცხოვოა
 წიაღომინა თეთრი (გურ.)
 წითლიანი წითელი (გურ.)
 წობენური თეთრი (კახ.) კარ-
 გია
 წყალთეთული (შავშ.-კლარჯ.)
 ჭვიტილოური თეთრი (სამეგრ.)
 ჭითაში წით. (სამეგრ.)
 ხალთური შავი (შავშ.-კლარჯ.)
 ხარდანი შავი (სამეგრ., გურ.)
 და თეთრი (სამეგრ.)
 ხარისთვალა თეთრი (ქართლ.)
 კარგია
 ხიხვი თეთრი (კახ.) საუკეთე-
 სოა
 ჯანი შავი (იმერ., გურ.) საუ-
 ცხოვო, გამძლე ღვინო იცის.
 ჯღე (შავშ.-კლარჯ.)

3. სატკბილე, ანუ საბადაგო-საჩურჩხლე ჯიშები:

ბუერა-ვაში ყვითელი (კახ.)
 თავკვერი თეთრი (კახ.)
 მხარგრძელი (კახ.)

ქიშური თეთრი (კახ., ქართლ.)
 ცხენის-ძუძუ ყვით.-მომწვ (კახ.)

4. საჭაჭე ჯიში:

სამჭაჭა (იმერ. თეთრი, გური-
 სა და სამეგრ. შავი)

III. ჭიშ-სახესხვაობათა სამეურნეო და გამძლეობის თვისებანი

1. ყურძნის აღრეული ჭიშები:

აღრეული (კახ., ქართლ.)	მოკლე-მტევანა ყვით. (კახ.)
აღრიანი (ქართლ.)	მცვივანი (კახ.)
ბულია (იმერ.)	ჭიშშიში თეთრი (კახ.)
ბუზის, ანუ საბუზე ყურძენი (ქართლ.)	ძელშავი შ. (ქართლ.)
თავკვერი შავი (კახ.)	წობენური (კახ.)
თითა (კახ.)	ხარდანი უჩა შ. (სამეგრ.)
კაპისტონი ყვით. (იმერ.)	ხარისთვალა (კახ. და ქართლ.)
	ხიხვი თეთრი (კახ.)

2. ყურძნის საგვიანო ჭიშები:

გოდავათური შ. (სამეგრ.)	ღორისთვალა თეთრი (გურ.)
რკო (რაჭ.) თეთრი და შავი	შირაზული, ანუ თეთრი განჯუ-
საგვიანო უღია (კახ.)	რი
სვანური, ანუ შონური. ანუ	ციცქა (რაჭ.) თეთრი
ოჯალეში (სამეგრ.)	კვიტილოური თეთრი (სამეგრ.)

3. ყურძნის უხვმოსავლიანი ჭიშები:

აღრიანი, ანუ ანღრეული (ქართლ.)	რკო შავი (ქართლ., იმერ., რაჭ.) ძალიან ნაყოფიერია
ალექსანდროული შ. (რაჭ.)	რქაწითელი (კახ., ქართლ., რაჭ., ლეჩხ.)
ბერაულა თ. (რაჭ.)	საფერავი შავი (კახ., ქართლ. და სხვაგან)
ბუდეშური (კახ.)	შაბა თ. (ნაყოფი ბევრი იცის, მაგრამ წვენიანი არ არის)
ბუზის, ანუ საბუზე ყურძენი (ქართლ.)	ჩინური მოქარვისფერო (ქართლ.)
თავკვერი შავი (ქართლ.)	ციცქა თეთრი (იმერ., რაჭ.)
კუმსი (კახ.)	ძელშავი (ქართლ., იმერ., რაჭ., გურ.)
მულრია (კახ.)	ხარისთვალა შავი (ქართლ.)
მტრედისფეხა შავი (გურ.)	
მცვივანი (კახ.)	
მწვანე (კახ.)	

4. გამძლე ჭიშები:

ალადასტური შ. (გურ.) სოკო-	დანახარული (ქართლ.) სიცი-
ვან ავადმყოფობისადმი	ვეს და სოკოვან ავადმყ. კარგად
ალექსანდროული	იტანს.
განახარული (კახ., ქართლ.)	თავკვერი (კახ.)

მღერია (ქართლ.) ოიდიუმის-
ვან არ ზიანდება

მტრედისფეხა (შ. გურ.) ნაც-
რისადმი

მწვანე (კახ., ქართლ.) ავად-
მყოფობისადმი

მწვანურა (შავშ.-კლარჯ.)

ორჯოხული თ. (შავშ.-კლარჯ.)

რკო შავი (ქართლში სიცივის
გამძლეა, მაგრამ სოკოვანი ავად-
მყოფობისაგან ზიანდება, იმერეთ-
ში სოკოვან ავადმყოფობასაც უძ-
ლებს).

რქაწითელი თეთრი (კახ.,
ქართლ., რაჭ., ლეჩხ.)

საფერე ოცხანური სიცივისა
და სოკოვანი ავადმყოფობისადმი

საწური შ. (აჭარ.) სოკოვანი
ავადმყოფობისადმი

სვანური, ანუ შონური (სამე-
გრ.), კრაქი და ოზი ნაკლებ ეკი-
დება.

ჩინური მოქარვისფერო (ქარ-
თლ.)

ციცქა თეთრი (იმერ., რაჭ.)
ხანგრძლივ ისხამს ნაყოფს.

ცოლიკაური ქარვისფ.-მომ-
წვანო (იმერ., რაჭ.) სნეულები-
სადმი

ხარდანი უჩა შ. (სამეგრ.)

ხარისთვალა შავი (ქართლ.)
სოკოვან ავადმყოფობისადმი

ზემომოყვანილი სიებიდან ჩანს, რომ მთელ საქართველოში 45 საკმელი
ჯიშ-სახესხვაობაა, 4 საჩამიჩე, 1 სამურაბე და 6 საწნილე ჯიშ-სახესხვაობა არის.
ხოლო დასაწურავად განკუთვნილ ჯიშ-სახესხვაობათაგან 5 სამაჭრეა, 76 საღვი-
ნე, 5 სატებილე (საბადაგო-საჩურჩხლე) და 1 საჭაჭე.

სამეურნეო და გამძლეობის თვისებათა თვალსაზრისით 15 ადრეული, 8
საგვიანო, 19 უხვმოსავლიანი და 20 გამძლე ჯიშ-სახესხვაობა არსებობს.

ეს რიცხვები ცხადყოფენ, რომ ჩვეულებრივი შეხედულება, ვითომც სა-
ქართველოში მევენახეობის მიზანს მხოლოდ მეღვინეობა შეადგენდეს, სწორე
არ არის. 45 საკმელ ჯიშ-სახესხვაობას საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა საერთო რა-
ოდენობა 76 ერთიორადაც-კი ვერ სჭარბობს. მართალია, მხოლოდ, რომ ქარ-
თველი მევენახე საკმელი ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა მოშენებას ისე ინტენ-
სიურად არ მისდევს, როგორც საწური ჯიშებისას, რათგან ყურძნის ბაზარში
გასაყიდად გატანას ის არც ეტანება და არც ხელსაყრელად სთვლის, ამიტომ
არც იმეტებს. სამაგიეროდ შინაური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად სა-
კმელი ყურძნის ჯიშები საკმაოდ გააჩნდა.

საგულისხმოა საკმელი და საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა რიცხობრივი რაო-
დენობა საქართველოს სხვადასხვა თემში.

საკმელი ჯიშ-სახესხვაობა: საინგილოში — 6-ია, კახეთში 12, ქართლში 8,
მესხეთში 3, იმერეთში 4, გურიაში 8, სამეგრელოში 4, რაჭაში 5, აჭარაში 3 და
შავშეთ-კლარჯეთში 13.

საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა რიცხვი უდრის: კახეთში 10-ს, ქართლში 20,
მესხეთში 1, იმერეთში 16, რაჭაში 24, ლეჩხუმში 3, გურიაში 13, სამეგრელო-
ში 14, აჭარაში 4 და შავშეთ-კლარჯეთში 5-ს.

ზემომოყვანილითგან ცხადი გახდება, რომ საკმელი ჯიშები იქ არის გაბატო-
ნებული და იქა სჭარბობს, რომელ თემშიც მაკმადიანობა გავრცელდა და გან-
მტკიცდა, მაგ. მესხეთის 4 ქართულ ჯიშთაგან 3 საკმელია და მხოლოდ 1-ია სა-

წური. შავშეთ-კლარჯეთშიც 13 საკმელი ჯიშია და მარტო 5-ია საწური. აპარაში კი 3 საკმელია და 4 საწური. მაგრამ ამ თემთა მევენახეობაში საწური ყურბენიც უმთავრესად სამაჰრედ უნდა ვიგულისხმოთ.

აღსანიშნავია კახეთში საკმელ ჯიშთა სიმრავლე, 12 იმ დროს, როცა საღვინე ჯიშთა რიცხვი 10-ია. პირიქით, ქართლში საკმელი ჯიშები მხოლოდ 8-ია, საღვინე ჯიშთა რაოდენობა კი 20 უდრის. მაგრამ ამ შემთხვევაში ადამიანს უნდა გათვალისწინებული ჰქონდეს, რომ კახეთი ქართლზე გაცილებით უფრო მომცრო თემია და რომ კახეთში საუკეთესო საღვინე ჯიშებია შერჩეული, რომელთა გავრცელების ფართობი საკმელი ჯიშებისას შეუდარებლად სჭარბობს.

საგულისხმოა აგრეთვე საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა გასაოცარი ოდინდელი სიმრავლე ისეთ პატარა თემში, როგორიცაა გურია, სადაც 13 იყო, და მეტადრე რაჟა, რომელიც თავისი 24 საღვინე ჯიშ-სახესხვაობით თითქოს ამპელოლოგიურს საცდელ ვენახს წარმოადგენდა. დასასრულ, სამეგრელოშიც საღვინე ჯიშ-სახესხვაობათა რიცხვი (14) საკმელ ჯიშებს (4) თითქმის ოთხჯერ აღემატება.

შესაძლებელია ითქვას, რომ იმერეთსა, რაჟასა და სამეგრელოში უმთავრესად საღვინე ჯიშ-სახესხვაობას ეტანებოდნენ.

აღრეული ჯიშების რიცხვი 15 საგვიანო ჯიშებს, 8-ს, თითქმის ერთიორად სჭარბობს. სხვა თემებზე მეტად საადრეო ჯიშები კახეთსა ჰქონდა, სადაც 9 იყო, ქართლში კი მხოლოდ 5 არსებობდა და იმერეთს 2 გააჩნდა.

სამაგიეროდ საგვიანო ჯიშები, როგორც მოსალოდნელიც იყო, უმთავრესად დასავლეთ საქართველოს მევენახეობის კუთვნილებაა და ყველაზე მეტად სამეგრელოში იყო.

ამას გარდა საგულისხმოა გამძლე ჯიშების საკმაო (20) რაოდენობაც. ეტყობა, რომ ქართველ მევენახეს ამ გარემოებისათვის დიდი ყურადღება მიუქცევია და გამძლე ჯიშ-სახესხვაობათა შექმნა-შერჩევისათვის ბანგრძლივი დაკვირვება და მუშაობა უნდა ჰქონდეს შეღებული.

თავის ადგილას (იხ. აქვე, გვ. 527) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მთელ საქართველოში სულ 250 ყურძნის ჯიშია ცნობილი. საგულისხმოა, რომ აქეთგან ამიერ-იმიერი მევენახეობის საერთო ჯიშების რაოდენობა 23-ს არ აღემატება.

მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ჯიშთა რიცხვი კი 57 უდრის, აქეთგან 8 ამერეთის საერთო ჯიშია, 3 მარტო ჰერეთისაა, 33 კახეთისაა, 12 ქართლისაა და 1-იც მესხეთისა.

მხოლოდ დასავლეთ საქართველოში ცნობილ ჯიშთა საერთო რაოდენობა 152 შეადგენს. აქეთგან 16 ლიხთ-იმერეთის ზოგადი ჯიშია, 29 ორ-ორ თემში მოიპოვება, 11 მარტო იმერეთისაა, 24 რაჭისა, 13 ლეჩხუმისა, 26 ეგრისის, 14 გურიის, 9 აპარისა და 11-იც შავშეთ-კლარჯეთისაა.

18 ჯიშის სახელი სათუთა, ან გავრცელების არეს მხრივ, ან სხვა მოსაზრებით და ამის გამო სათვალავში მისაღები არ არის. ამნაირად გავრცელების არეს თვალთსაზრისით ყურძნის ჯიშთა საქართველოს მევენახეობისათვის შედარებითი ეკონომიური ღირებულების საკითხის გამორკვევის დროს შესაძლებელია მხოლოდ 232 ჯიშის შესახები ცნობები გამოვიყენოთ.

ამ 232 ჯიშთაგან მარტო 23-ია, როგორც დავრწმუნდით, მთელი საქართველოს ზოგადი ჯიშები, 8 მხოლოდ ამერეთის საერთო ჯიშია და 16 მხოლოდ ლიხთ-

იმერეთის ასეთივე თვისების ჯიშია. დანარჩენი 185 ჯიშის გავრცელების არეორი, უფრო ხშირად თითო თემის საზღვრებს არა სცილდება. ამნიარად მთელი საქართველოს ყურძნის ზოგადი ჯიშები 9,9%-ს შეადგენს, აღმოსავლეთ საქართველოს ზოგადი ჯიშები 3,4 %-ს და დასავლეთ საქართველოს 6,8 %-ს, ხოლო ორ-თითო თემის ჯიშთა რაოდენობა 79,3% ოდნავ აღემატება.

მარტო ამ ყურძნის ჯიშებისა და სახესხვაობათა გავრცელების არეს ზემომოყვანილი ზოგადი სტატისტიკური მიმოხილვითგანაც ნათელი შეიქმნებოდა თვითოეული ამ ჯგუფთაგანის ეკონომიური მნიშვნელობა ქართველი ხალხის მეურნეობაში.

ცხადია, რომ სრულიადი საქართველოს მევენახეობის ეკონომიური კეთილდღეობისა და შემოსავლიანობის საფუძველი უპირველესად ზოგადი 23 ჯიშია, ხოლო შემდეგ ამერეთის საერთო 3 და ლიხთ-იმერეთის საერთო 16 ჯიში არის. დანარჩენის ეკონომიური მნიშვნელობა ვიწროდ არის შემოზღუდული.

§ 3. შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი საქართველოში

მევენახეობა-მეღვინეობისათვის საქართველოს ყოველი თემი და კუთხე თანასწორად გამოსადეგი და მარჯვე არ იყო. ზოგი თემის ნიადაგაცა და ჰავაც სასოფლო მეურნეობის ამ დარგისათვის საუკეთესოა და ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენი სამშობლოს ეს ადგილები მევენახეობის მთავარ არედ ქცეულიყვნენ. ამას გარდა, ქვეყნის ყოველი კუთხე ერთნაირად არ იღებდა და არ იღებს სა-მეურნეო ცხოვრების წარმატებაში მონაწილეობას: ზოგი მათგანი თაოსნობდა და ახალსა ჰქმნიდა, ანდა უცხოეთითგან შემოტანილს თავისი ქვეყნის ნიადაგა და ჰავათან შეგუებინებდა ცდილობდა, უცხოთ გაადგალობრივებას ახერხებდა. ზოგი კი ყველა ამას მზა-მზარეულად ითვისებდა ხოლმე. პირველს უნდა შემოქმედებითი მევენახეობა ეწოდოს, მეორე კი პასიურია.

საქართველოში რომელ თემი და კუთხეა მევენახეობის ცენტრი ამჟამად კარგად არის ცნობილი, მაგრამ საქართველოს ეკონომიური ისტორიის მკვლევარმაც უნდა გამოარკვიოს, თუ სად იყო შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი ძველად.

ეკონომიური და კულტურული ისტორიის ამ მნიშვნელოვანი საკითხის გამორკვევა, სიძნელისდა მიუხედავად, მაინც შესაძლებელია. ამის საშუალებას ადამიანს ერთის მხრით სადაურობის აღმნიშვნელი ყურძნის ჯიშების სახელები აძლევენ, რომელნიც საქართველოშიც ბლომად მოგვეპოვება, მეორე მხრით მათი გავრცელების ფართობის საზღვრებისა და ინტენსივობის მიმართულებას გათვალისწინება. ამ ორსავე საკითხზე უკვე გვქონდა მსჯელობა და ამის წყალობით აქ შეგვიძლიან პირდაპირ ზემოდასახელებული ამოცანის გადაჭრას შეუდგეთ.

ყურძნის ჯიშთა შემოქმედებითი ცენტრის გამორკვევის დროს გათვალისწინებული უნდა გვქონდეს, რომ ბერძულა, განჯის ყურძენი, დევისთვალაა, ზერდაგი, კატური, მერანდოა. პუმპულაში, სააბი, სორეჯი, ქეჩი-ემჟაგი, ქაშ-მიში, შანთი, შირაზული თავდაპირველი წარმოშობილობით, ჩხაბერძული, ხეივ-ნისყურძენი და ჯანი ქართული კი არა, არამედ უცხოეთის ჯიშებია. ამიტომ მათი 16 სახელი საერთო რიცხვს უნდა გამოვაკლოთ.

აგრეთვე უნდა ითქვას, რომ 67 ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელის აღმნიშვნელობა, ან გაუგებარია, ანდა სადაურობის მხრითაა სათუო⁹¹.

ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა იმ სახელებისდა მიხედვით, რომელთაც სადაურობა აღბეჭდილი აქვთ, 6 კახურია (წობენური, ვავაზურა, ობაყლური, ვალ-მამხრული, კახურა და არაგვისპირული). მაგრამ კახური ჯიშების ნამდვილი რაოდენობის გამოსარკვევად უნდა ის გარემოებაც გვექონდეს გათვალისწინებული, რომ კიდევ არაერთი სახელი არსებობს, რომელიც საქართველოს ზოგად ჯიშთა ჯგუფს ეკუთვნის, თუმცა სადაურობის აღმნიშვნელი არ არის, მაგრამ რომელთა სადაურობის ცენტრი მათი გავრცელების არესა და ინტენსივობის მიმართულებისდა მიხედვით სრულებით ცხადია. მაგ., ცნობილია, რომ საუკეთესო ზოგადი ჯიშები რქაწითელი, საფერავი, მწვანე და მცვივანი ყველაზე მაღალი ღირსებისა სწორედ კახეთშია, ყველაზე ინტენსიურადაც ესენი სწორედ ამ თემშია გავრცელებული და დასავლეთის მიმართულებით მათი გავრცელების ინტენსივობა მცირდება. ამის გამო ეს 4 ჯიშიც შესაძლებელია შეუმცდარად კახური ჯიშების ჯგუფს მივაკუთვნოთ.

დასასრულ, თავის ალაგას (იხ. აქვე, გვ. 515) უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ბუდეშურიც აღმოსავლეთ საქართველოს ჯიშად არის საგულისხმებელი და უფრო კახეთის წარმოშობილადვე არის მისაჩნვეი, სადაც იგი ყველაზე ადრეულ ჯიშად ითვლება (იხ. აქვე, გვ. 426—427).

ამნაირად კახური ჯიშების რიცხვი 11 უდრის.

უეჭველია, ძველად ჰერეთს თავისი ჯიშები ბლომად ექმნებოდა, მაგრამ ეხლა მხოლოდ 1, ქიშური-ლა, ჩანს.

ქართლურ ჯიშებად სულ 7-ია მისაჩნვეი: დიდმური, კასპური, დამპალა, გორულა, ქართულა და თბილული. ამათ გარდა თავკვერიც უეჭველია აქაური-ვეა.

სამცხის ჯიშთაგან მხოლოდ 1, საათაბაგოდ წოდებული, არის გადარჩენილი.

იმერული (არგვეთის და სამოქალაქოს) 6 ჯიშია: ოცხანური, არგვეთული, ცოლიკაური, ციცქო, რუჟურეთული, მაური.

რაჭული 2 ჯიში ჩანს: ხოტევეური და უსახელაური.

ღეჩხუმური 3 ჯიშია: ოყურეშული, საირმულა და ორხულა.

ეგრისის ჯიშთაგან სადაურობის მაუწყებელ სახელთა შორის მხოლოდ 2-ია: კეთილური და მეგრელაური. მაგრამ ამ თემის წვლილი საქართველოს მევენახეობაში გაცილებით უფრო დიდია. ამ რიცხვს, უეჭველია, არაერთი სახელიც უნდა მივათვალოთ, რომელთაც, თუმცა სადაურობის გამოქვადენებელი

⁹¹ აი ასეთი სახელების სია: ანდასური, ანდა ალადასტური, არაბოული, ასანბეგერი, ახალეკი, ბეჟანურა, ბერბე, ბულღა, გაბაშა, განახარული, გოდავათური, გორგოლი, გოროთა-ნა, გრეხი, დაქეული, ეგორძული, ზენათური, თხმორული, თქვაფუნა, კეთილური, კილორალა, კიკაჩა, კორძალა, კურტალა. ლავილური, ლიკანა-ყურძენი, მაბრა (თუ მაურს არ უდრის), მაგანა-ყური, მასია, მაკურენჩხი, მანდილოური, მობაზური, მუხიშხა, მკვარტალა, ნავთუნული (თუ ნაკუნული), მატანური, ოპოპი, ორონა, ოქონა, პანეში, პარტალა, ნუ პარტალა, პოენილი, სოთბა, საკვირჩხილა, სალიკლევი, სამადაშვილისეული, სიმონასეული, ტოვანი, ტოპა, ტუტაშვი, ქველოური, ღარასულა, ჩაქინაური, ჩოქაშურა, ჩხოროკენი, ცარტხა, ცებრო, ძუენი, წვო-ტე, წინწკა, წიწილიანი, ჭოდი, კიქინური, კროკინა, კყარტალა, ხარასულა, ხროგი და ჭინეშა.

ფორმანტები არა აქვთ, მაგრამ რომელთა უკვე თვით სახელიც თავისი შინაარსით, თუ გრამატიკული თვისებებით მათს იქაურობას უცილობლად ამტკიცებს.

ყურძნის ჯიშთა სახელების ასეთ ჯგუფს ეკუთვნის სულ 6: ოჯალეში (ლეჩხუმში), — ჩუბეში, კოლოში და თეთრიშა გურიაში და ჯინეში და ჩიჭიბე აჭარაში.

ამნაირად ეგრისის ჯიშთა საერთო რიცხვი 8-აა.

სვანური მხოლოდ 1, შონურად წოდებული, ჯიში ჩანს, ისევე როგორც აბხაზურად სახელდებულიც მარტო ერთია.

3 ჯიში გურულია: ბახვა, რცხილათობანი და წიაღომინა.

1-ია აჭარულიც: ქედური.

შავშეთ-კლარჯეთის ჯიში კი 4 ჩანს: შავშურა, კლარჯული, ორჯოხული და წყალთეთული.

დასასრულ ჭანეთითგან ჩვენს მევენახეობას 4 ჯიში აქვს შეთვისებული: კაპისტონი, ანუ კაპიტო, ოფოურა, ათინური და ქვაფათური ანუ ხოფათური.

ზემომოყვანილი რიცხობრივი ცნობები, რა თქმა უნდა, შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრის გამოსარკვევად მთლად საკმარისი არ არის, რათგან ყურძნის ჯიშთა ამპელოგრაფიული თვისების სახელწოდებათა უმეტესი ნაწილი უეჭველია ქართული ჯიშების სახელებია, ეს ჯგუფი კი ზევით სათვალავში არ ჩაგვიგდია, მაგრამ ეს იმ გარემოებით აიხსნება, რომ მათი სახელებისდა მიხედვით თვითეული მათგანის წარმოშობისა და ამა თუ იმ თემისათვის მიკუთვნილობის საკითხის გადაწყვეტა ამჟამად შეუძლებელია. ზოგი მათგანი უხსოვარი დროისა უნდა იყოს, როდესაც ტომობრივი და თემობრივი დანაწილება მერმინდელისა და ეხლანდელისაგან ძალზე განსხვავებული იყო.

ყველა ზემოდასახლებული ნაკლისდა მიუხედავად, მოპოვებული შედეგი მკვლევარს მაინც დაახლოვებითი დასკვნის გამოყვანის საშუალებას აძლევს. აშკარად გამოირკვა, რომ კახეთსა და ჰერეთს 12 ჯიში მიეკუთვნება უცილობლად, ქართლს 7, მესხეთს 1, იმერეთს 6, რაჭას 2, ლეჩხუმს 3, სვანეთს 1, ეგრისს 8, აფხაზეთს 1, გურიას 3, აჭარას 1, შავშეთ-კლარჯეთს 4 და ჭანეთს 4.

ამ რიცხობრივი ცნობების სრული სისწორით შეფასების დროს უეჭველია უნდა გვანსოდეს, რომ შემოქმედებითი ცენტრის გამოსარკვევად მარტო ჯიშთა რაოდენობას კი არა აქვს მნიშვნელობა, არამედ ამ ჯიშების გავრცელების ფართობსაც.

კახეთსა და ეგრისს დანარჩენ თემებზე მეტი ჯიშები მიეკუთვნება, უკანასკნელი რიცხობრივადაც პირველს დიდად არ ჩამოუვარდება, ქართლსაც ოდნავ ნაკლები შეუქმნია, მაგრამ იმ დროს, როდესაც კახეთის ჯიშთა უმეტესობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და ზოგად ჯიშებად იქცა, ქართლის ჯიშების უმეტესობა ქართლს არა სცილდება, იმერეთისა და ეგრისის ჯიშების არც მხოლოდ ერთი-ორი თემის ფართობით განისაზღვრება. თუ მკვლევარი ამ ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას გაითვალისწინებს, მაშინ უცილობელი შეიქმნება, რომ სრულიადი საქართველოს შემოქმედებითი მევენახეობის მთავარი ცენტრი კახეთი ყოფილა. დასავლეთ საქართველოში კი პირველი ადგილი ეგრისს, მეორე არგვეთს და მესამე ჭანეთს ეკუთვნის, რომლის წვლილი იმ მხრივაც არის საგულისხმო, რომ მთელ საქართველოში გავრცელებული კაპისტონი, ანუ კაპიტო სწორედ იქაური არის.

თავი II. ძველი საქართველოს მევენახეობის საერთო უზენაესი და საბოლოო დასკვნა

ქართული და უცხოეთის მევენახეობის ყოველმხრივი შესწავლისა და მიმოხილვის შემდგომ შესაძლებელიც არის და უნდა კიდევ ქართული მიწისმოქმედების ამ დარგის ზოგადს დახასიათებასა და საბოლოო შეფასებასაც შევუდგეთ.

მევენახეობის დარგის განხილვის დასაწყისში აღნიშნული მქონდა ის დიდი დაბრკოლება, რომელიც ქართული მევენახეობისა და ეკონომიკის ისტორიის მკვლევარს წინ ეღობება და ისედაც საძნელო საქმეს ურთულებს: ერთი მხრით პრეისტორიული და არქეოლოგიური ნაშთების ჩვენში ამ თვალსაზრისით სრული შეუსწავლელობა, მეორე მხრით იმდენად ძველი წყაროებისა და აგრონომიული მწერლობის უქონლობა, რა დროისაც ნაწილობრივ ეგვიპტელებს, ებრაელებსა და ბერძნებს, მეტადრე კი რომაელებს გააჩნდათ.

ქართული წყაროებისა და ცნობების ხნიერების შედარებით მოგვიანებულობით წარმოშობილი ამ ნაკულულოვანების შესავსებად ქართული მევენახეობის ტერმინოლოგიისა და ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ენათმეცნიერული ანალიზი მოვიშველიეთ და გამოვიყენეთ. მართალია, ამას ბევრი დრო და ენერგია შეეღობა, მაგრამ, ვინც ამ ნაშრომის სათანადო ნაწილს გულდასმით გადაიკითხავს, იმედია, დარწმუნდება, რომ ქართული მევენახეობის ოდინდელი ვითარების გამოსარკვევად ასეთი მუშაობა არამცთუ ზედმეტი და უშედეგო არ ყოფილა, არამედ აუცილებლად საჭირო იყო: უამისოდ არაერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გამოურკვეველი და სრულებით გაუშუქებელი დარჩებოდა.

ვინც კი რომაული მევენახეობის მიმოხილვას ჩაუყვირდება, იმ დიდ მუშაობასაც, რომელიც იქაურ ბუნებისმეტყველებსა და აგრონომებს ვაზის ყოველნაირი თვისებისა და გაშენება-მოვლის საუკეთესო პირობების გამოსარკვევად უწარმოებიათ, უეჭველია კარგად შეამჩნევს: ცოდნისმოყვარეობა, დაკვირვების უნარი და ბრძნული მსჯელობის ნიჭი აქ თითქოს ერთმანეთს ეჭიშპება.

უცხოეთის მევენახეობის თუნდაც ამ მოკლე მიმოხილვის გადაწყობისთვის ბუნებრივად დაებადებოდა სურვილი გავგო, იყო რაიმე ამის მსგავსი მევენახეობა-მეღვინეობის ძველადვე ცნობილს საქართველოში, თუ ჩვენში წინათ მხოლოდ პრაქტიკული მუშაობა ყოფილა გაბატონებული. ამ საინტერესო კითხვის პასუხს ადამიანი გადარჩენილ წერილობითს ძეგლებში ვერსად იპოვის, მაგრამ სამაგიეროდ ზემოაღნიშნული მეთოდით წარმოებული კვლევა-ძიების შედეგი მკვლევარს სიძნელეს ცოტად თუ ბევრად უადვილებს და პასუხის გაცემის საშუალებას ნაწილობრივ მაინც აძლევს.

უკვე ვაზისა და მისი ნაყოფის ისევე, როგორც მევენახეობის მეურნეობის დამახასიათებელი ქართული ტერმინოლოგიის ანალიზი მკითხველს დაანახებდა, თუ რაოდენი ყურადღებით მოჰპყრობია ქართველი მიწისმოქმედი ამ დარგს. ხოლო ვაზის ჯიშ-სახესხვაობათა მრავალრიცხოვანი სახელების აგებულება-აღმნიშვნელობის ანალიზი და კლასიფიკაცია იმ დიდს სიყვარულსაცა და გონება-

შახვილი დაკვირვების ნიქსაც აგრძნობინებდა, რომელიც ქართველ მევენახეს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში თაობითი-თაობამდე ამ ერთი ხეხილისათვის შეუღწევია. გადაუჭარბებლად შესაძლებელია ითქვას, რომ იშვიათად თუ მოიძებნება ვაზ-ყურძნის თვისება, რომელიც მას არ შეემჩნიოს და ამა თუ იმ ჭიშ-სახესხვაობის დამახასიათებელ სახელად არ აღებუქდოს. თუმცა ძველი ქართული აგრონომიული თხზულებები დაცული არა გვაქვს, წერილობითი, დანამდვილებითი ცნობები ასეთი დარგის თვით არსებობაზეც კი არ მოგვეპოვება, მაგრამ განა ის მდიდარი და მრავალმხრივი ტერმინოლოგია და ვაზის მრავალრიცხოვანი ჭიშ-სახესხვაობათა არსებობა. ისევე, როგორც მათთვის შექმნილი ნაირ-ნაირი სახელები, რომელთა მნიშვნელობაც უკვე საკმაოდ საფუძვლიანადა გვაქვს შესწავლილი, ვაზ-ყურძნის ყველა თვისების ხანგრძლივი და გულდასმითი დაკვირვების უცილობელი დამამტკიცებელი არ არის? ხომ ცხადი უნდა იყოს, რომ თავის ქვეყანაში ამოდენი ნაირ-ნაირი თვისებისა და სხვადასხვა ღირსების ვაზის შესაგროვებლად, შესაქმნელად და გასაშენებლად აურაცხელი ენერჯიაცა და გულმოდგინებით და მზრუნველობით აღსაესე ცოდნაც უნდა შეეღწეოს. შეგნებულად დასახულ მიზნებს გარეშე, ასეთი შედეგის მოპოვება შეუძლებელი იყო.

უეჭველია, რომ მევენახეობის დარგის ცოდნის სიტყვიერი ანარეკლი ყოველ ერს ვაზის ჭიშ-სახესხვაობათა სახელებშიც დაუტყავს. თუმცა ბოტანიკურსა და ამპელოგრაფიულ მწერლობაში ჭიშ-სახესხვაობათა სინონიმებს ხშირად უჩივიან და კვლევა-ძიების გამართულებელ მეტ ბარგად მიაჩნიათ, მაგრამ სახელებისა და სინონიმების ანალიზმა უკვე დაგვარწმუნა, რომ არამცთუ სახელწოდებათა შორის არაფერი ზედმეტი და შემთხვევითი არ არის, არამედ მეცნიერებისათვის ყოველი სინონიმი საყურადღებოც არის და საგულისხმო გარემოების გამომჟღავნებელიც.

ვაზის ჭიშ-სახესხვაობათა სახელწოდებათა შორის ყველაზე მარტივი, რა თქმა უნდა, ფერისა და სადაურობის აღმნიშვნელი ჯგუფია, რათგან ასეთი სახელების დასარქმევად მევენახეს არც რაიმე განსაკუთრებული დაკვირვება და არც ცოდნა სჭირდებოდა. პირიქით მარცვლის, მტენის და მეტადრე ვაზის მორფოლოგიური და ფიზიკური თვისებების აღმნიშვნელი სახელები მიწისმოქმედის დაკვირვების ნიჭის დამამტკიცებელია.

საქართველოში, როგორც დავრწმუნდით, 250 სახელწოდებაა, მაგრამ მათ შორის 16 უცხოა და 67-ის სახელის აღმნიშვნელობა ან სრულებით გამოურკვეველია, ან და სათუო. რაკი ამ ორსავე ჯგუფს მსჯელობის ღროს, ცხადია, ვერ გამოვიყენებთ, ამიტომ 83 სახელი საერთო რიცხვს უნდა გამოვაცლოთ და ამნაირად მსჯელობა მხოლოდ 167-ზე უნდა იქნეს დამყარებული.

ამ რაოდენობითგან, როგორც დავრწმუნდით, 7 ვაზის ლერწის თვისების დამახასიათებელია, 20 მტენის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისებისა და 28-ც მარცვლის ამავე თვისების აღმნიშვნელი სახელი გვაქვს. მაშასადამე, წმინდა ამპელოგრაფიული სახელების საერთო რიცხვი 55-ს უდრის, ე. ი. საერთო რიცხვის 1/3-ს, ანუ 32,9% შეადგენს. საბერძნეთის ყურძნის ჭიშთა 47 ცნობილი სახელწოდებიდან მხოლოდ 7, ანდა 8-ა წმინდა ამპელოგრაფიული, ე. ი. 1/6-ზე ოდნავ მეტი, ანუ 14,9%-ია.

აღსანიშნავია, რომ ყურძნის ჭიშების 49 სომხურ სახელს შორის 16 ამპელოგრაფიულია, ე. ი. 1/3, ანუ 32,6%. ხოლო აზერბაიჯანის 60 თურქული სახელითგან 15-ია ამპელოგრაფიული, ე. ი. 1/4, ანუ 25%. ამპელოგრაფიული სახელების ასეთი სიჭარბე საგულისხმოა და კავკასიის მევენახეობის ძველი კულტურის მარაგის გამომკვლავებელია.

მაგრამ ქართულსა და სომხურ-თურქულ ამპელოგრაფიულ სახელებს შორის, რიცხობრივ მსგავსებასთან ერთად, თვალსაჩინო განსხვავებაც არის.

ამპელოგრაფიულ სახელთაგან მტევნის დამახასიათებელი სომხურს მხოლოდ 4 აქვს, რაც ამპელოგრაფიული სახელების ჯგუფის მარტო 1/4-ს შეადგენს, თურქულს კი 7 და ქართულს 20 გააჩნია, რაც მათი ამპელოგრაფიული სახელების მთელი ჯგუფის 1/2-ს უდრის.

უეჭველია, ამაზე გაცილებით უფრო საყურადღებოა, რომ ამპელოგრაფიულ სახელთაგან ქართულში 7 სახელი ვაზის ლერწის დამახასიათებელია, ბერძნულს, სომხურსა და თურქულს კი არცერთი ასეთი თვისების სახელი არა აქვს. ლათინურს მარტო ერთი მოეპოვება, ისიც ნაწილობრივ. ქართულს, როგორც დავრწმუნდით, ამასთანავე ვაზის სქესის განმსაზღვრელი 4 სახელიც კი გააჩნია, რის არავითარი კვალიც კი არც ბერძნულს, არც რომაულსა, არც ხომხურში და არც თურქულში არა ჩანს.

ვგონებ უეჭველი უნდა იყოს, რომ ვაზის ლერწის დამახასიათებელი და სქესის განმსაზღვრელი სახელების მხოლოდ ქართულ მევენახეობაში არსებობა ისევე, როგორც მტევნის მორფოლოგიური და ფიზიკური თვისებების მაუწყებელი ქართულ სახელწოდებათა შედარებითი სიმრავლე და ნაირნაირობაც ამ დიდი და განსაკუთრებული ყურადღება-დაკვირვების დამამტკიცებელია, რომელიც ქართველ მიწისმოქმედს სასოფლო მეურნეობის ამ დარგისათვის მიუტყრია.

ზემოაღნიშნულ გარემოებასთან ერთად ქართული ვაზის ჭიშ-სახესხვაობათა ღირსებაც არის საყურადღებო. ვაზის ჭიშის ღირსება გარეგანი ჭიშის ნიშნის, მისი გავრცელების გეოგრაფიული ფართობისა და მიხედვით შეიძლება ადამიანმა გაითვალისწინოს, რათგან ცხადია, რომ რაც უფრო ვრცელია ვაზის გაშენებულობის არე, მით უფრო მეტი ღირსების მქონებელად უნდა ვიგულისხმოდ და საქართველოს მევენახეობის ზოგადი ჭიშებიც ხომ ამ დებულებას ადასტურებენ⁹². ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ვაზის ზოგიერთმა ქართულმა ჭიშ-სახესხვაობამ უცხოეთშიც შესძლო შეჭრა: მათი მოშენება იქაურმა მევენახეებმაც მიიჩნიეს ხელსაყრელად.

თავთავის ადგილას უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ განჯის სანახებში რქაწითელი, საფერავი და თავკვერი იყო გავრცელებული. სომხეთშიც, როგორც დავრწმუნდით, იგივე საფერავი საფერი-ს და საფელი-ს სახელით იყო ცნობილი. მაგრამ ზოგ თემში ქართული ვაზის ჭიშებს სადაურობის მაუწყებელი სახელები აქვთ მიკუთვნებული.

⁹² იზაბელა ამ შემთხვევაში მოსატანი არ არის, რათგან ის დასავლეთ საქართველოში მხოლოდ ფილოქსერის წყალობით გავრცელდა, მაგრამ მდარე ღირსებისა და მიუხედავად მასაც ფილოქსერისადმი გამძლეობამ შეუწყო ჩვენში ხელი.

საკუთრივ საქართველოს საზღვრების გარეშე გავრცელების თვალსაზრისით ასეთი სახელები უფრო საინტერესოა, რათგან მათს სადაურობას თვით მათი სახელებიც ამჟღავნებს. საქართველოს გარეშე სომხეთშიც, და შირვან-შაჰების სამფლობელოში, განჯის სანახებშიც, მოიპოვებოდა *ყახისქი* კახეთუ, ე. ი. კახეთის. ასევე სახელდებული ყურძნის ეს ჯიში ნახჭევანის მაზრის ორდუბათის უბნისა და განჯის მაზრის სომეხთა მოსახლეობაშიც იყო წარსულ საუკუნეში გავრცელებული (იხ. СВОД МИЭБГКЗК, IV, 57).

არც დაღბაშინსა და არც ს. ამატუნის ეს სახელი არ მოეპოვება, აქარიანს კი შეტანილი აქვს „*ყახისქი*“ კახეთ-ის სახით. მისი ცნობით განჯის სომხურ დიალექტში იხმარება და ყურძნის ერთ სახეობას წარმოადგენს, ფერით შავსა და თხელკანიანს („*ასი ვიწნიო ილ რაყრასი ყსილიო*“), რომლისგანაც ლეინოს აყენებენ და რომელიც ქართველთა თემითგან კანეთითგან მომდინარეობს („*ზ. ვასლი. გათარ-ახან*, 539“). ამ ცნობის წყარო დასახელებული არ არის და ზემომოყვანილი განმარტებითგანაც არა ჩანს, რომ აქარიანს ზელინსკის ნაშრომების შინაარსი, რომელიც ამ ჯიშის გეოგრაფიული გავრცელების გამოსარკვევად მკვლევარს უფრო მეტს აწვდის, სცოდნოდეს. აქარიანის განმარტებაში ახალი და საყურადღებოა თვით ამ ჯიშის თვისებათა დახასიათება, რომლის მიხედვითაც საფუქრებელია, რომ სომეხთა შორის კახეთის ყურძნის ჯიშად ცნობილი სახეობა, ვითარცა შავი და თხელკანიანი, უნდა საფერავის შთამომავალი ჯიში იყოს.

ამას გარდა განჯის ყ. გუბერნიის შუშისა და ჯებრაილის მაზრებრს ანუ ყარაბაღის სომეხთა მოსახლეობაში გავრცელებული იყო ყურძნის ერთი ჯიში, რომელსაც *ქირსნი* „ვირენი“-ს უწოდებდენ (კოსტ. მელიქ-შაჰნაზარიანცის *ილქი-ვიყვირძნასკანს ეჩსი-ვირძილქსანს*, 85—86; МИЭБГКЗК, IV, ნაწ. 1, გვ. 306 და СВОД МИЭБГКЗК, IV, 58).

რაკი სომხები ქართველს ვირქ-ს უწოდებდენ (რომელიც ივერქ-ისაგან არის წარმომდგარი), ამიტომ ვირენი სამართლიანად იბერულად, ანუ ქართულად მიაჩნიათ, ს. ზელინსკიც ამ აზრს იზიარებდა (იქვე).

ვირენი-ს ჯიშის ყურძენი შავი, საშუალოდ მრგვალმარცვლიანი და თხელკანიანია (ს. ამატუნის, *ზ. გათ. ილ. გათ.*, 610)⁸³.

ამნაირად ვირენი-ს თვით სახელივე ამ ჯიშის ქართულობას ამჟღავნებს. რაკი ის შავი ყურძენი ყოფილა, საშუალოდ მრგვალმარცვლიანი და თხელკანიანი, ეხლა ისლად გამოსარკვევი, თუ ყურძნის რომელი ქართული ჯიშის შთამომავალი უნდა ყოფილიყო ეს ვირენი-დ წოდებული ყურძენი.

სომხური მევენახეობის მიმოხილვაში უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ქართული მელისკულდასვე ანარეკლს წარმოადგენს მქლინკუტ-ის ყურძნის ჯიშის სომხური სახელიც.

ქართული მევენახეობის გავლენა ჩრდილოეთ კავკასიასაც დასტყობია. სამწუხაროდ იქაური მევენახეობის შესახებ თავის დროზე საკმაო ცნობები არ ყოფილა შეკრეფილი, მაგრამ მაინც საგულისხმოა, რომ, როგორც ჩანს, ქართული

⁸³ რომელიც მელიქ-შაჰნაზარიანცის ზემოდასახელებულ ნაშრომს ემყარება. აქარიანს უფრო მოკლე აღწერილობა აქვს და წყაროც დასახელებული არ არის. არც ამატუნი და არც აქარიანი ვირენი-ს აღმნიშვნელობაზე არას ამბობენ.

ტერმინი წიღნა იმიერ-კავკასიის მევენახეობასაც შეუთვისებია. მაგ., თერგის ოლქის ხასავ-აურტის უბანში ახლად გაშენებული ბაგის ვაზებს მესამე წლის შემდგომ გადაწიღნით ამრავლებენ, რასაც „თათრულად“ (sic!) ადგილობრივ „ზიტნა“ ეწოდება⁹⁴ (იხ. Очерк виноделия Кавказа, СССВК, III, 189). ახალი ვაზებით შევსება გადაწვევით იცოდნ ისე კი, რომ იმ ადგილას ძირი გაეკეთებინა და ამოსულიყო, რის შემდგომაც გადაწვენილი ვაზის დედა-ვაზთან კავშირს სწყვეტდნ. დედა-ვაზს იქაური მევენახენი ანავაზ-ს, ე. ი. დედას უწოდებდნ („называются анаваз, т. е. матками“), ხოლო გადაწვენილს—ზღნა-ს⁹⁵ (იქვე, III, 337). თავის ადგილას განმარტებული გვქონდა, რომ იმ ვაზს, რომლის ტოტსაც გადააწვენდნ ხოლმე, დედა-ვაზი ერქვა და ჰქვიან ეხლაც, გადაწვენილს კი წიღნა. ზემომოყვანილი ტერმინი ანავაზი-ც დედასა ჰნიშნავს. მართლაც, ჩაჩნურად ანა დედას ჰნიშნავს, ვაზ-ი კი ქართული ვაზი უნდა იყოს. მაშასადამე, ქართული ტერმინის პირველი ნაწილი გადაუთარგმნიათ, მეორე კი აღარ. ხოლო წიღნა მთლიანად არის შეთვისებული და ოდნავ მხოლოდ ფონეტიკურადაა შეცვლილი.

საყურადღებო გარემოებაა აგრეთვე, რომ საქართველოში დასახლებულ გერმანელთა ახალშენებში გერმანელებმაც ვაზის ქართული ჯიშები შეიტვისეს და ზოგიერთის ქართული სახელივე. ანდა მისი გერმანული თარგმანი შეინარჩუნეს, მაგ., 1. საფერაუ Saperau ანუ Färber; 2. მწვანე Gr. nbeeren, ანუ მწვანე-მარცვლა; 3. რქა-წითელი Rothölzer, ე. ი. წითელ-ზინი, წითელღერწიანი; 4. რქაწითელის მგავსადვე გერმანელებს შავ-კაპიტოს-თვის Blauhölzer-ი, ე. ი. ლურჯ-ღერწიანი უწოდებიათ. ასეთი სახელები ტფალისის სახნარეთით მდებარე გერმანელთა ახალშენებში ეკატერინენფელდა. ელიზავეტალში, ალექსანდრს-დორფსა, მარიენფელდას, პეტერსდორფსა და ფროდენტალში იყო გავრცელებული (Очерк виноделия Кавказа: СССВК, III, 243, 246, 247).

ვაზის ქართული ჯიშები ზემოდასახლებულ ქვეყნებზე და კავკასიის საზღვრებზე გაცილებით უფრო შორსაც მოიპოვება. თავის ალაგს (იხ. აქვე, გვ. 443) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ დონდრელაბად (Dondrelabi) დამახინებული სახელი ქართული დონდულაბი ინგლისსა და ბელგიაშია გავრცელებული, ავსტრიასა, უნგრეთსა და შტირიაშიც მოიპოვება და ხარისთვალას აღმნიშნელი ადგილობრივ ენაზე ნათარგმნი სახელით არის ცნობილი. ამ „დონდრელაბი“-ს ქართული წარმოშობილობა განთქმულ ფრანგ ამპელოგრაფებს P. Viala-სა და V. Vermolel-საც სცოდნიათ. მათ ნათქვამი აქვთ: „Dondrelabi—Charisthvali, Sakoudschala, Madchanauri (Caucas)“, თანაც განმარტებულია: „La Dondrelabi est originaire de la province de Koutais (იხ. P. Viala et V. Vermolel, Ampélographie, II,

⁹⁴ «Пространство между канавами наполняется лозами чрез деление отводков («зитна» по татарскии) от старых кустов», გვ. 189.

⁹⁵ «Отведенные-же от них (ე. ი. დედა-ვაზისაგან) и зарытые в землю... набеги называются зыдна».

ვაზის გაფურჩქნა, ე. ი. ხშირი და ზედმეტი ფოთლების ჩამოკლა იქვე, ან ივლისის დამლევს, ან მარამოზისთვის დამლევს იციან, ხოლო შეველვა გაზაფხულზე, რომელსაც ყარაბაღლუს ეძახიან, და ივლისის დამლევს, რომელსაც ჭუჭა-ბაღლუს უწოდებენ (იქვე, III, 338). უკანასკნელი ქართული აჯოკვის ანარეკლი ხომ არ არის? («весною... что туземцами называются кара-байлу и в конце июля джюдша-байлу»).

139, 1901 წ.) „ღონდრელები—ხარისთვალი, საკუჭალა, მაქანაური (კავკასიითგან)“, — „ღონდრელები წარმოშობილობით ქუთაისის სანახებიტგან არის“-ო.

ცხადია, რომ თუ ვაზის ზოგიერთი ქართული ჯიში საქართველოს გარეშეც გავრცელდა და მეზობელსა და შორეულ ქვეყნებშიც გაუტანიათ და გაუშენებიათ, ეს გარემოება ამ ჯიშების განსაკუთრებული ღირსების დამამტკიცებელია. მაგრამ მათი მაღალხარისხოვანი თვისებები მარტო პრაქტიკული მევენახეობითგან ამოდებული მათი გავრცელების არეში მხოლოდ ამ მოსაზრებით კი არ მტკიცდება, არამედ ამ გარემოებას ამპელოლოგების მეცნიერული ექსპერიმენტული დაკვირვება და დასკვნაც ადასტურებს.

ამ მხრივ ორი მეტად საგულისხმო ცნობა მოგვეპოვება. სახელდობრ, უკვე წარსული საუკუნის სამოცდაათიან წლებში ნიკიტსკის საბაღოსნო სასწავლებელში ყირიმში ნაწარმოებ დაკვირვებას საფერავის უაღრესად მაღალხარისხოვანი თვისებები გამოუმჟღავნებია. ცნობილი ამპელოლოგის გ. ცაბელის ნაშრომიტგან (Руководство по виноградарству, Одесса, 1873 წ., გვ. 165) ირკვევა, რომ საფერავი უცხო ნიადაგზეც კი საუკეთესო ფრანგული ყურძნის ჯიშებზე უფრო ნაყოფიერი ყოფილა. ნიკიტსკის ბაღში საფერავის ვაზის 1000 ძირს 1140 გირვანქა მარცვალი მოუხსამს, ფრანგულ Pinaud gris-ს კი 569 გირვანქა, ხოლო Bordeaux-ს მარტო 502 გირვანქა მარცვალი აღმოსჩენია (იხ. Очерк виноделия Кавказа, ССВК, III, 227).

საფერავის ტბილიც ყველაზე უკეთესი გამომდგარა. იმავე დაწესებულებაში გამოკვლეული წითელი ყურძნის ჯიშითგან ყველაზე ტბილი საფერავი აღმოჩნდა, რომლის შაქრიანობა გ. ცაბელის სიტყვით 29% უდრიდა. ამიტომ ეს მკვლევარი მისგან შესწავლილ წითელ ღვინოთა შორის საფერავს საუკეთესოდ სთვლიდა (იქვე).

საყურადღებოა, რომ გერმანელი მეცნიერის ზემომოყვანილ აზრს საფერავის მაღალ ღირსებებზე ინგლისელი ამპელოლოგის Hortwiss-ის დასკვნაც სრულებით ეთანხმება. უკვე პროფ. ვასილ პეტრიაშვილს თავის ცნობილს ნაშრომს „ღვინის დაყენება“-ში ჰქონდა განთქმული ფრანგი ამპელოლოგის Odart-ის თხზულებითგან ზემოდასახელებული ინგლისელი მეცნიერის მსჯავრის შემცველი ამონაწერი გადმობეჭდილი. Hortwiss-ს ფრანგი ამპელოლოგისათვის საფერავზე თავისი შემდეგი საყურადღებო აზრი უცნობეობია: „ყველაფერი უფლებას მაძლევს ვიფიქრო, რომ წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავი ყველა არსებულ ყურძნის ჯიშს სჯობია და შემძლია იგი სრულებით შეგნებულად გირჩიოთ ფართოდ საცდელადაო“ (იხ. ვ. პეტრიაშვილს ღვინის დაყენება, ტფილისი, 1895 წ., გვ. 322)⁹⁶.

ცხადია, რომ ასეთი მაღალი ღირსების ვაზ-ყურძნის ჯიშების შექმნა, როგორც საფერავი, რქაწითელი, ხიხვი, თავკვერი, კაბისტონი, მკვივანი, ჩინური და ბევრი სხვაც არის, ქართველ მევენახეს მხოლოდ ხანგრძლივი, შეგნებული, გეგმა-შეწონილი და მზრუნველობით აღსავსე მუშაობით შეეძლო. უხვი ამპე-

⁹⁶ რაკი Odart-ის ნაშრომი აქ აღარსად იშოვება, ამიტომ მომყავს ეს ამონაწერი პროფ. ვ. პეტრიაშვილის წიგნისა მიხედვით: „tout'm' autorise à croire que le Soperavy est, pour la composition du vin rouge, la meilleur raisin qui existe et je puis en bonne concience vous le recommander pour essai en grand“

ლოგრაფიული და მევენახეობის ტერმინოლოგია, ვაზ-ყურძნის ჯიშების სიმრავლე ისევე, როგორც მათი სახელების აღმნიშვნელობით გამოქვეყნებული დაკვირვების ნიჭი, ქართული ვაზ-ყურძნის ჯიშების მაღალხარისხოვან თვისებებთან ერთად სრულ უფლებას აძლევს მკვლევარს დაასკვნას, რომ ძველ საქართველოში მევენახეობა უაღრესად განვითარებული ყოფილა, მევენახეობის ცოდნისა და საქმიანობის დონეც უეჭველია მაღალი უნდა ყოფილიყო.

ცნობილია, რომ კაცობრიობის კულტურის ერთი საყურადღებო და საინტერესო საკითხთაგანი მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველი სამშობლოს საკითხია, რომელზეც ბევრი რამეა დაწერილი. დაბადებაში აღბეჭდილს ძველ ებრაულ გადმოცემას, როგორც ვიცით, მეურნეობის ამ დარგის სამშობლოდ ამიერკავკასია მიაჩნია. ამ პრობლემის გამოსარკვევად მკვლევარმა შესაძლებელია ღვინის აღმნიშვნელი სიტყვის სადაურობის გარემოებაც გამოიყენოს საფუძვლად. ამ საკითხზე მსჯელობა კი მხოლოდ მეღვინეობის დარგის განხილვის დროს უნდა გვექონოდ. რაკი ამ წიგნში, უადგილობის გამო, მეღვინეობა ვერ მოთავსდება, ამის გამო საბოლოო მსჯელობაც მევენახეობა-მეღვინეობის თავდაპირველ სამშობლოზე უნდა შემდეგი წიგნისათვის გადაიდოს. მაგრამ, თუ კაცობრიობის კულტურის ამ დარგის თავდაპირველ სამშობლოზე ჭერ მოსახრების გამოთქმა არ შეიძლება, ყველაფერი, რაც ამ წიგნში უკვე გამოიკვია, ხომ მაინც ცხადპყოფს, რომ მევენახეობის ერთ მთავარ ცენტრთაგანად უცილობლად საქართველოც უნდა იქნეს მიჩნეული.

მევენახეობის მიმოხილვაში სათანადო ადგილას ის საფეხურები, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში მიწისმოქმედების ამ ქართულ დარგს განვლილი ჰქონია, შექლებისდა გვარად უკვე აღნიშნული გვექონდა. ვაზის ჯიშთა სახელების, ლერწის ფერის მაუწყებელი ჯგუფისა და მეტადრე ჯიშ-სახესხვაობათა ხნიერების განსაზღვრის შესახებ დახატული გვექონდა ის ნიშნებიც, რომელიც მევენახეობის განვითარების ამ ოდინდელი საფეხურების გამოქვეყნებლად შესაძლებელია გამოყენებული იქმნეს. რა თქმა უნდა, რომ ძველი ვენახის-ს მაგიერ სამწერლობო ენაში და ქართულ მევენახეობაში ტერმინად ვაზის საბოლოო გაბატონებასაც თვალსაჩინო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. თავის ადგილას მოყვანილ მაგალითს გარდა (იხ. აქვე, გვ. 124, 306), ამ ტერმინის ძველად ხმაგრების უფრო მკაფიო და საყურადღებო მაგალითის მოყვანაც შეიძლება. იგი ისეთ ძეგლშიც გვხვდება, როგორცაა „კაცისა შესაქმე“, სადაც ნათქვამია: „ლელუსა და სხალსა აქუს სიტკობეაჲ და ვაზსა გამოაქუს ყურძენი“ (მ. ჭანაშვილის გამოც., „მწერლობა IX—X სს.“, გვ. 112). ამას გარდა ტერმინი ვენახოვანი და მისი უკვე მერმინდელი ვენახ-ად შენაცვლებაც ისევე, როგორც გარკვეული ხანითგან დიდი ვენახის აღსანიშნავად ზუარის-ს გაჩენაც, მევენახეობის ინტენსივობის ძველ საქართველოში თანდათან ზრდის მაუწყებელია.

მევენახეობის ისტორიის თვითოეული ამ მთავარი ხანის უფრო დაწვრილებითი შინაარსის გამორკვევა მომავალის საქმეა. ამისთვის წინასწარი კვლევა-ძიებაა საჭირო: ხელნაწერებში დაცული ანდერძ-მინაწერების გამოქვეყნება და შესწავლა, არქეოლოგიური ნაშთების ამ თვალთსაზრისით გულმოდგინედ განხილვა და იქითგან ყველა გამოსადეგი ცნობის ამოკრეფა და გამოყენება, დასასრულ, ამპელოლოგიური დაკვირვებითი და ექსპერიმენტული მუშაობაც

უნდა იქმნეს შესრულებული ამ საგულისხმო და მნიშვნელოვანი საკითხის ჯეროვანი სინარულით გასაშუქებლად. ამჟამად ჩვენთვის უკვე ისიც ურიგო მონაშთი არ უნდა იყოს, რის დასკვნის საშუალებასაც ზემომოყვანილი გულდასმითი კვლევა-ძიება გვაძლევს, სახელდობრ, რომ თანამედროვე მევენახეობის ოდინდელი მარაგითგან ჩვენ 30-ზე მეტი ძველის-ძველი ჯიში გვქონია დაცული.

ყველაფერი ცხადყოფს, რომ ქართველი მიწისმომქმედი მევენახეობას გატაცებით მისდევდა. ეს გასაგებიც არის, რათგან მევენახეობა-მეღვინეობას საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ყურძენიც თავისდათავად საქმელად, თუ ჩამიჩად, გინდა მისი ტკბილისაგან დაშხადებული თათარისა, ფელამუშისა და ჩურჩხელის სახით, მეტად ნოყიერი და სასიამოვნო საქმელი იყო. ყურძენს საუცხოვო კვებითი თვისებები აქვს და აღამიანის ჯანმრთელობისათვისაც მეტად მარგებელია.

ამ მხრივ საგულისხმოა, რომ პურის ნაკლებობის, სიძვირისა და შიმშილის დროს მდამბო ხალხი ძველ საქართველოში ყურძენითა და ხილით იკვებებოდა. აბუსარიძე ტბელს მოთხრობილი აქვს: „იყო მათ ჟამთა შინა სიყმელი დიდი და სიძვირე პურისაჲ“ და გაჭირვებაში ჩავარდნილს ერთი ტაძრის აღმაშენებელს ბოლოკებასილს გამოსაკვებად ამ დროს „ხილი მოართუს: ოდესმე ყურძენი და ოდესმე ნაყოფი მთისაჲ, რომელსა ეწოდების ჟოლი“-ო (ქტბი, II, 115).

უფრო მეტად ფასობდა, რა თქმა უნდა, ღვინო, რომელიც მარტო ადგილობრივ, მხოლოდ თვით საქართველოშიც კი არ საღებოდა, არამედ, ქართული ღვინოს ნაღალი ღირსების გამო, უცხოეთშიც გაჰქონდათ და საქართველოს საგარეო ვაჭრობის ძვირფას საქსპორტო საგანს წარმოადგენდა ისეთ ხანაშიც კი, როდესაც ჩვენი ქვეყანა კულტურულად და ეკონომიურად უკვე საგრძნობლად იყო დასუსტებული. მაგალითად, შარდენის მოწმობით, არსად იმდენსა და იმაზე უკეთეს ღვინოს არ სვამდენ, როგორც საქართველოში. ჩვენი ქვეყნიდან ღვინო თურმე XVII ს-ში სომხეთში, მიდიაში და სპარსეთის სატახტო ქალაქს ისპაჰანშიც კი სპარსეთის მეფისათვის სასმელად ყოველწლიურად ბევრი გაჰქონდათ (Voyages en Perse, II, 128)⁹⁷.

თუ ასეთი ვითარება ყოფილა შამ-აბაზისაგან განადგურებულსა და გადატაცებულ საქართველოში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რაოდენი მნიშვნელობა ექნებოდა ღვინოს ექსპორტს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში იმ დროს, როდესაც იგი პოლიტიკურადაც ძლიერი იყო და კულტურულადაც. მევენახეობა-მეღვინეობის საქართველოს ეკონომიური კეთილდღეობისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეზობლებმაცა და მეტოქეებმაც კარგად იცოდენ და სწორედ ამიტომაცა, რომ თემურ-ლენგმა XVI ს. დამლევს და შემდეგ XVII ს. დამდეგს შამ-აბაზმა საქართველოს ეკონომიურად დასაუძღურებლად თავიანთ ლაშქარს საქართველოში ვენახების გაკაფვა-ამოგდება უბრძანეს.

⁹⁷ «On peut bien assurer qu'il n'y en a point aussi où l'on boive tant de vin, ni de plus excellent... On transporte toujours de Tiflis une grande quantité de vin en Arménie, en Médie et à Ispahan, pour la bouche du Roi» (Voyages en Perse, t. II, 128).

შ ა ს ა ღ ე ბ ი

საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის

წიგნი I

ნაკვეთი IV და V; მეღვინეობა და მუხილეობა საქართველოში

რედაქციისაბან

წინამდებარე ნაშრომი, „საქართველოს ეკონომიური ისტორიის მასალად წოდებული“, თავის დროზე, ივანე ჯავახიშვილს, საქართველოს ეკონომიური ისტორიის II² წიგნში სასოფლო მეურნეობის IV და V დარგებად ჰქონდა განზრახული, მაგრამ, როგორც თვით ავტორსა აქვს აღნიშნული ზემოხსენებული შრომის წინასიტყვაობაში¹, გაუთვალისწინებელი მიზეზებით, წიგნის მოცულობის ზედმეტად გაზრდამ შეუძლებელი გახადა ამ განზრახვის სისრულეში მოყვანა. შემდეგში კი ავტორმა მისი გამოქვეყნება ველარ მოასწრო.

ამ მიზეზით ეკონომიური ისტორიის ეს ორი დარგი საბოლოოდ დამუშავებულ სახეს მოკლებულია: ზოგი საკითხი ან სულაა გამორჩენილი, ან და სათანადო სისავსე აკლია², რის გამო რედაქციამ არჩია ეს ნაკვეთები „მასალის“ სახელწოდებით გამოქვეყნებინა (როგორც, თითქმის ყველა, მისი გარდაცვალების შემდგომი გამოცემები). გარკვეული მიზეზითვე რიგი საკითხებისა მეღვინეობის ისტორიიდან ავტორს უკვე „ეკონომიური ისტორიის II²“ წიგნში აქვს განხილული, რაც თავთავის ადგილასაა მითითებული.

სათაურები, თავებისა და პარაგრაფების მიხედვით, რედაქციისეულია და, ორიოდ გამონაკლისს გარდა, ავტორს არ ეკუთვნის.

დანარჩენი მასალა, საკითხების მცირეოდენი გადაადგილების გარდა, უცვლელადაა დატოვებული.

ნაშრომში მეღვინეობა-მეხილეობის მრავალი საყურადღებო და საკვანძო საკითხია განხილული და რამდენიმე თავისებური მოსაზრებაცაა წამოყენებული ამა თუ იმ ცნების წარმოშობასთან დაკავშირებით.

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი II, გვ. 11.

² ეს უმთავრესად ეხება „მეხილეობას“. ყოველი ასეთი შემთხვევა მითითებულია (რედ.).

დაკვი მეთოთხა

მეღვინეობა

თავი I

ვაზის ნაყოფის ქართული ზოგადი სახელები საუკუნითა
განმავლობაში

§ 1. ისრიმი

ვაზის ნაყოფის გამოყენება უკვე იმ დროითგან იწყებოდა, როდესაც ყურძენი ჯერ კიდევ სრულებით უმწიფარი იყო. ცნობილია, რომ ამ ხანისა და თვისების ყურძენს ისრიმი ეწოდება. საბასაც აღნიშნული აქვს, რომ „ისრიმი უმწიფარი ყურძენი“ არის (ლექსიკ.).

ეს ტერმინი ბაქარის გამოცემის დაბადებაში იობის 15^{გვ}-ში გვხვდება. იქ ნათქვამია: „მოისთულეს, ვითარცა ისრიმი, პირველ ჟამისა“—ო. ბერძნულად აქ უ მუფაჯ ჰე ომჭაქს-ია, რომელიც სწორედ დაუმწიფებელ ყურძენს ნიშნავდა,—ლათინ. —in primiflore botrus-ია და სომხ. *խակակուլ* ხაკაკუთ-ია, რომელიც აგრეთვე მკვახე ყურძენის აღნიშვნელი იყო. მაგრამ ისრიმი ქართული სიტყვა არ არის.

§ 2. კაწახი

დაბადების ქართულ თარგმანში ისრიმის აღსანიშნავად ჩვეულებრივ კაწახია ნახმარი. მაგ., ესაიას 18^{გვ}-ში ნათქვამია: „ოდეს დასრულდეს ყუავილი და კაწახი, აღყუავნეს ყუავილი მკაწახობი“—ო. ქართული კაწახი მკაწახობი უდრის ბერძნულს მუფაჯ ბუფაჯიჯისთა ომჭაქს ომჭაკიდუხას, ლათინ. *immatuta persectio*-სა და სომხ. *აღიქ, აღიქაგხაქ* აზოხ, აზოხაცეალ-ს.

იერემიამ 31²⁹⁻³⁰-შიც სწერია: „მამათა ჳამეს კაწახი და კბილნი შვილთანი მთლხუღს... და კაწახის მჳამელისანი მოლხუღს კბილნი“—ო. ამ შემთხვევაში კაწახი იმავე ბერძნული მუფაჯის შესატყვისად არის ნახმარი, ლათინ. კი *uva acerba*-ა და სომხურად *აღიქ* აზოხ-ი.

ზემომოყვანილი ამონაწერებითგან ჩანს, რომ კაწახი უძველეს ხანაში იმავე ისრიმის სახელი ყოფილა. ს. ორბელიანს კი თავის განმარტებაში, ესაიას 18^{გვ}-ის დამოწმებით, ნათქვამი აქვს, რომ „კაწახი უმწიფარი, თუ წაკულაკი“ იყო, ხოლო „ისრიმი უმწიფარი ყურძენი“ ყოფილა (ლექსიკ.). ამნაირად, კაწახი ქართველ ლექსიკოგრაფს დაუმწიფებელი ხილეულის ზოგად სახელად მიაჩნდა, ისრიმს კი მხოლოდ უმწიფარი ყურძენის სახელად სთვლიდა. უკანასკნელი

განმარტება ქართული ენის გარკვეული ხანისათვის სრულ სიმართლეს წარმოადგენს, პირველი კი, თუმცა მისგანვე დამოწმებული ადგილით არ მტკიცდება, მაგრამ არსებითად მაინც მთლად მცდარი არ არის.

ეს ისრაიმის აღმნიშვნელი ძველი ქართული სიტყვა კაწახი მხოლოდ ჰანურსლა ჰქონია წარსული საუკუნის დამლევეს დაცული და ქაცახი, ჰრ. აჰარიანის ჩანაწერით. ისრაიმის წვენის აღმნიშვნელი ყოფილა. ნ. მარს ეს სიტყვა ჰანეთში ველარ გაუგონია და ამის გამო მას ექვი შეპარვია, რომ შესაძლებელია ეს სიტყვა ჰრ. აჰარიანს ხემშინისაგან ჰქონდეს გაგონილი, რათგან ახალ სომხურში **ჰ-ყ-ახ** ქაცახ-ი ძმარსა ნიშნავსო (ჰ. გ., 169). მაგრამ თვით ეს ახალი სომხური სიტყვა ქართულითგან უნდა იყოს ნასესხები.

საფიქრებელია, რომ ქაცახი ჰანურად წვენისა კი არა, არამედ თვით დაუმწიფებელი ყურძნის, ისრაიმის აღმნიშვნელი იქნებოდა. ამასთანავე, ქაცახს გარდა, იქ კაწახიც ყოფილა, რათგან იქ ამ სიტყვისაგან ნაწარმოები, სწორედ ისრაიმის წვენის აღმნიშვნელი სახელი კაწახური თვით ნ. მარსვე აქვს ათინაშიც და ჰანეთის სხვადასხვა ადგილას გაგონილი (ჰ. გ., 153).

§ 3. კოწამახი ან კოწმახი

თვით საქართველოში ეს ძველი ქართული სიტყვა კაწახი არაბულითგან შეთვისებულმა სიტყვამ განდევნა, მაგრამ მისი ანარეკლი მერმინდელსა და თანამედროვე კოწახურის ბუჩქისა და მეტად მყავის აღმნიშვნელი კოწამახისა და კოწმახის-ს წყალობით არის დაცული. იმერეთში კვაწარახ-ს ხმარობენ, რომელიც უმთავრესად უკანასკნელ თანხმოვანთა ადგილმონაცვლეობით განირჩევა. ცხადი ხდება, რომ ხეხილ კოწახურს ეს სახელი მისი ნაყოფის კაწახის, ანუ ისრაიმის მსგავსი სიმყავის გამო დარქმევია. ო აქ ა-ს მაგიერ რეგრესიული ასიმილაციის გზით ბოლოკიდური ური-ს გავლენით იქნება გაჩენილი.

§ 4. ნოიჭი

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ნოიჭიც, რომლის მნიშვნელობაც, 4 მეფეთა 439-ის დამოწმებით, აგრეთვე ისრიმად აქვს განმარტებული. ბაჰარის გამოცემაში ეს სიტყვა არ არის. იქ ამ ადგილას ნათქვამია: „განვიდა ერთი აგარაკსა ზედა შეკრებად მსხლისა და პოვა ვენაჯი აგარაკსა ზედა და შეკრება მას შინა ვაშლი გარეული, აღივსო სამოსელი თვისი“-ო. ბერძნულად **καλίνθη** ტოლუპეა, ლათინ. *colocynthis*, ხოლო სომხურად **აყიჰ** აზობ. ამ ნოიჭი სიტყვის ისრიმად მიჩნევა ს. ორბელიანს დაბადების სომხურ თარგმანზე უნდა ჰქონდეს დამყარებული, რათგან მხოლოდ სომხურ თარგმანში მოიპოვება ისრაიმის აღმნიშვნელი „აზობ“, ბერძნული და ლათინური თარგმანი კი სულ სხვა გარეულ მცენარესა და ნაყოფს *Citrullus colocynthis* გულისხმობდა, რომელიც მიწაზე განრთხულ ვაზს მიემსგავსება, ფოთლებიც მას ვაზისას მიუგავს, მაგრამ ნაყოფი მწარე კვანძის მაგვარი აქვს¹ (Socin: Guthe-ს Bibl-w: Koloquinten).

¹ *Citrullus colocynthis*-ი იგივე მწარე კვანძა. რედ.

დაბადების ქართული თარგმანის იმ რედაქციაში, რომელიც საბას ჰქონია ხელთ, ნოიქი წერებულა, ხოლო ბაქარის ხელთ მყოფ რედაქციაში ამ ადგილას გარეული ვაშლია. რა მნიშვნელობა ჰქონდა ნამდვილად ნოიქს ქართულად, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

§ 5. ვაზის უმწიფარი ნაყოფის გამოყენება ძველ საქართველოში

ისრიმისაგან საქართველოში შეჭამადსაც აკეთებდნენ და საწებელად, ან სხვადასხვა საკმელებში სანელებლადაც ხმარობდნენ, როდესაც სიმჟავე იყო სასურველი. ამის გამო დიდი მოთხოვნილება იყო და ბლომად ხარჯავდნენ. ამიტომაც ძეგლებში არაერთი ცნობა მოგვეპოვება, რომ ისრიმი გამოსაღებლადაც კი ყოფილა დაწესებული.

ზოგ მებატონეებს განსაზღვრულიც კი ჰქონდათ, თუ მათ ყმებს ყოველწლიურად რამდენი საპალნე ისრიმი უნდა გამოეღოთ. მაგ., ვახტანგ VI-ის დასტურლამალში აღნიშნულია, რომ კავთისხევის 23 მეფის სახასო ყმას უნდა ყოველ წელიწადს მოერთმია „ისრიმი საპალნე ერთი“ (გვ. 45, § 3ა).

შულავრისა და თეთრ-სოფლის მეფის სახასო ყმებსაც ყოველწლიურად უნდა გამოეღოთ „ისრიმი ლიტრა რმ“ (140), (დასტურლ., გვ. 98).

ცხადია, რომ გონიერი მევენახე ისრიმის მოწყვეტის დროს ხშირად მსხმოიარე ვაზების შეთხელებას ეცდებოდა, რომ მუშა ვაზს დატოვებული მტევნების კვება შემსუბუქებოდა.

თავი II

ყურძნის და ხილის კრეფასთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელეგი საუკუნეთა განმავლობაში

როგორც სხვა ხილსაც, ვაზის ნაყოფს, ყურძენსაც, ადამიანი ჩვეულებრივ დამწიფებულსა ჰამდა, როდესაც მისი მოწყვეტაც უფრო ადვილი იყო და დასრულებულ მარცვალსაც სინაზე, სურნელება და სიტკბო ჰქონდა.

§ 1. სთუელი ანუ ყამი სთულისაჲ

წელიწადის იმ ხანას, როდესაც ვაზის ნაყოფისა და ხილის დაკრეფა შეიძლებოდა, ძველად სთუელი ერქვა, რომელიც რთველად ქცეული ეხლაც დაცულია. „შთავიდეთ ვენაჲად, რომელ არს გზასა თანა ობიზისასა“, რამეთუ ყამი იყო სთულისაჲ. და შთავიდეს ორნივე ზოგად ვენაჲსა მას შმნებულსა მისსა კეთილად-ნაყოფიერსა“ (ც^ი გ^ვლ ხნძ^ლსჲ, გვ. ოდ, § ოე). ამნაირად, იმ დროს, როდესაც ხილს კრეფდნენ ხოლმე, სწოდებია ყამი სთულისაი.

§ 2. მოსთულად

მაგრამ ძველ ქართულში ხილული ნაყოფის მოკრეფის პროცესის აღსანიშნავად ორი ტერმინი არსებობდა: მოსთულა და მოწილვა. პირველი ამთავანი ძეგლებში ხშირად გვხვდება და ჩვეულებრივი სიტყვა იყო, რომლის ნაშთიც რთველი-ს სახით თანამედროვე ქართულსაც აქვს შერჩენილი. მეორე კი, პირიქით, უძველეს ძეგლებში გვხვდება ხოლმე, შემდეგ ქრება და, როგორც დავრწმუნდებით, მისი კვალი უკვე მხოლოდ ოდნავა არის გადარჩენილი.

მეორე შჯულის 24₂₁-ში ნათქვამია: „მო-თუ-სთულებდე საყურძენსა შენსა და დაგიშთეს“ რამე მოუკრეფელი, ნულა დაბრუნდები „მოკუფხულვად მისა“-ო.

მსაჯულთა 9₂₇-ში სწერია: „განვიდეს ველად და მოისთულეს ვენაჳები მათი და დაწინიხეს“-ო.

ლევიტელთა 25₃₋₅-ში ნაბრძანებია: „ექუს წელს განსხლათ. ვენაჳი თქუენი და შეკრბოთ ნაყოფი მისი, ხოლო წელსა მეშუდესა“ დაასვენეთ და „ვენაჳი შენი არა განსხლა და... ყურძენი... არა მოისთლო“-ო.

ოსეს 10₁₂-შიც ნათქვამია: „სთესეთ... სიმართლედ... მოსთულედ ნაყოფად“-ო.

ასეთი მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, მაგრამ ზემოდასახელებულიც კმარა იმის ცხად-საყოფელად, რომ ძველ ქართულში „მოსთულა“ ზოგადად ნაყოფის შეკრებასა და მოკრეფასა ნიშნავდა. ამ გარემოებას ბერძნულ-ლათინური და სომხური შესატყვისობაც ადასტურებს, რათგან ზემომოყვანილი ამონაწერების შესატყვისად ბერძნული *τρυφω*, *ἐπιανατρυφω*, *τρυφωσις* ტრჯეტო, ეპანატრჯეტო, ტრჯეტისი უდრის, — ლათინ. *collino*-სა და სომხ. *պտղաքազ սահնկ* პტლაქალ არნელსა და *կթხլ*-ს, *Հնժեկ*-საც კი უდრის.

გიორგი მონაზონის ხრონოლოგიის ქართველ მთარგმნელსაც აქვს მოსთულა ნაყოფთა ნახმარი (იხ. გვ. 94₂₀) ბერძნული დედნის *βρέχων καρπίδος*-ის (იხ. 1,205) დრეპო კარპუსის შესატყვისად, ე. ი. მოწყვეტისა, მოკრეფისავე მნიშვნელობით.

იმ დროს, როდესაც ნაყოფთა მოკრეფა-დაუნჯება იწყებოდა, როგორც უკვე ნათქვამი გვქონდა, სთუელი ეწოდებოდა. დაბადების გადმოთარგმნის ხანაშიც სწორედ ეს ტერმინივე ყოფილა. მაგ., ლევიტელთა 26₃₋₅-ში სწერია: თუ ჩემი მცნებანი აასრულოთ, „ქუეყანამან გამოსცეს ნაყოფი თუნი და ხეთა ველისათა მოსცენ ხილი მათი, და მოიწიოს სალენავი თქუენი ვიდრე სთულებადმდე, და სთუელი მოიწიოს თესვადმდე“-ო. ქართული სთუელი ბერძნულ *τρυφωσις* ტრჯეტრის-ს, ლათინ. *vindemia*-სა და სომხ. *կიւթք* კუთქ-ს უდრის.

ეფრემ მცირეც ყურძნის მოკრეფას წინანდებურად „მოსთულას“ უწოდებდა: „რომლისაცა პირისათუს გვამდეს, მალიად მოვსთლოთ სიტკობება“ მტევნებისაო (ეფრემ მცირე, ქა²ბი, I, 216).

§ 3. მომსთულებელი, მსთულებელი ანუ მესთულე

არსენი იყალთოელს გ. მონაზონის ხრონოლოგიის თარგმანში მომსთულებელი აქვს ნახმარი (გვ. 83₂₁) ბერძნული დედნის *απολαύοντες* აპოლაჳონტის შესატყვისად (I, 205).

απὸ ἀσῶν აბოლაჯო კი თავისთვის აღებას, გამოყენებას, მოხმარებასა და შირთმევას ნიშნავდა. ხილისა და მეტადრე ყურძნის მკრეფელს კი მსთულებელი და მესთულე ეწოდებოდა. ესაიას 3210-ში სწერია: „განკაფულ არს მსთულებელი, დაცხრომილ არს თესლი, არღარა მოვიდეს მერმე“-ო. ხოლო იერემიას 4832-ში ნათქვამია: „მესთულეთა შენთა ზედა დაეცა მოსასრველი“-ო.

ამოსის 913-ში მსთულებელი ლათინურ callator uvae-ს უდრის; რომელიც ყურძნის დამწურველს ნიშნავდა.

მსთულებელი-ს მაგიერ ბერძნულს, ლათინურსა და სომხურ თარგმანებში ნახმარია სთველის აღმნიშვნელი სიტყვა, ხოლო მესთულეთას შესატყვისად სწერია: τρῦχραι ტრუგეტაჲ, მოსალოდნელი კი იყო ჩვეულებრივი τρῦχρηραῖ ტრუგეტრიაჲ, რათგან ყურძნის მკრეფელს ბერძნულად τρῦχρηραῖ ტრუგეტრიაჲ-ს ეძახდნენ (იხ. R. Billiard. La Vigne dans L'antiquité. Lyon. 1913, III, გვ 153).

§ 4. სასთულებელი

იმას, რაც ჯერ კიდევ მოსაკრეფი იყო, ძველ საქართველოში სასთულებელი ერქვა. ეს ტერმინი ისევეა ნაწარმოები, როგორც მსგავსი ცნებისავე გამომხატველი სამკალი-ა. ეს სიტყვა ესაიას 169-ში გვხვდება: „სამკალსა ზედა და სასთულებელსა ზედა შენსა მწყობრი დამთრგუნველთა დაეცა“-ო.

მსაჯულთა 82-შიც სწერია: „ანუ არა უმჯობეს არს ტევანი იგი ეფრემისი, ვიდრელა სასთულებელი ღვნო აბიეზერისა“-ო.

ბერძნულს, ლათინურსა და სომხურ თარგმანებში იგივე ზემომოყვანილი სიტყვები ნახმარი (ბ ტრῦχραιჲ ჰო ტრუგეტუს, vindemia ვინდემია და *κινძ* კუთქ). ქართველი მთარგმნელისათვის მისი სამშობლოს აგრონომიულ ტერმინოლოგიას საშუალება მიუძღია სათარგმნელი ძველის ღედნის შინაარსისდა მიხედვით აქ განსხვავებული ქართული ტერმინი გამოეყენებინა.

§ 5. მოწილვაჲ ანუ მოწლაჲ

მეორე ტერმინი მოწილვაჲ, ანუ მოწლაჲ დაბადების გადმოთარგმნის ხანშიც, როგორც ეტყობა, უკვე შეძველებული სიტყვა ყოფილა. ს. ორბელიანმაც იცოდა, რომ „მოწილვა ნაყოფთ მოკრეფა“-სა ნიშნავდა (იხ. ლექსიკ.), მაგრამ ეს განმარტება დაბადებითგან დასახელებული ადგილით არა აქვს დამოწმებული: როგორც ჩანს იქ ვერ უპოვია. მაგრამ დაბადებაში ეს ტერმინი მაინც გვხვდება, თუმცა შედარებით უფრო იშვიათად. მაგ., ამოსის 913-ში ნათქვამია: „ეწიოს მღეწავი მსთულებელსა და მომწიფდეს ყურძენი თესლსა შინა და მოიწლონ მთათაჲ სიტკობება“-ო. ამ წინადადების უკანასკნელი ნაწილი „მოიწლონ მთათაჲ სიტკობება“, იოველის 318-შიც მოიპოვება.

ორსავე შემთხვევაში მოწილვა ბერძნულ ἀπιστῆλλა აპოსტელლო-ს, ლათინ. stillo-სა და სომხურ *սլսկ* ბლხელ-ს უდრის. პირველი წარმართვას, წარგზავნას, მეორე წვეთასა და მესამე ჩქეფას ნიშნავდა. არც ერთი ამათგანი ქართული

მოწილვის, ანუ მოწილვის სრული შესატყვისობა არ არის, რადგან მოწილვა მოკრეფას, გამოყოფას ნიშნავდა. ებრაულ დედანშიც ამ გამოყოფვაზეა საუბარი.

მოწილვა რომ V—VI სს-შიც მოწყვეტასა და მოკრეფასა ნიშნავდა, ეს ქრისტეფორეს მარტივობის უძველესი თარგმანიდანაც ჩანს, რომლითგან ამონაწერი პ. ინგოროყვასაგან მივიღე, რისთვისაც უდიდეს მადლობას მოვახსენებ. ამ მარტივობის მეორე ვერსია, რომელშიც ქვემომოყვანილი წინადადება მოიპოვება, პ. ინგოროყვას ცნობით, ქართულ წარმართულ საკალენდარო ტერმინოლოგიას შეიცავს და ამიტომ უუძველეს ძეგლთა ჯგუფს ეკუთვნის. საქართველოს მუზეუმის² H—341 ხელნაწერში დაცულ ამ მარტივობაში, სხვათა შორის, ჩვენთვის შემდეგი საყურადღებო წინადადება მოიპოვება: „რომელი დაჩუქულ იყო მოწილვად ვარდისა სამოთხესა მას შინა“-ო, ე. ი. წალკოტში ვარდის მოწყვეტას ანუ მოკრეფას იყო მიჩვეულიო.

წილვა ზმნის, მთელი საგანძური თუ არა, ბევრი მისგან ნაწარმოები მაინც, ქართველურ დიალექტთაგან მხოლოდ თანამედროვე ჰანურსლა აქვს დაცული. ბწილუმ ჰანურად ნიშნავს: ნაყოფს, ხილს ვწყვეტ და ვკრეფ — „ჯალეშენ მებწილი“ ხითგან ხილი მოვიწილეს, მოვკრიფეს, გამოხატავს. ვაშლების მოსაკრეფად გაკეთებულ ბადეს იქ უშუაური-უწილონი (ვიწეში), ანდა ოწილაშე (ხოფასა, რიზულ-ხოფურში) ეწოდება. ჭაბმისაგან კვერცხის დადებაზეც კი ამბობენ გამოწილუფს მარქუოლიფეს-ო (მარის ქ. გ., 219).

ისევე როგორც მოსთულვა ზმნისაგან, როგორც დავრწმუნდით, მსთულე-ბელი, მესთულე და სასთულებელი იყო ნაწარმოები, უეჭველია, თავის დროზე წილვა ზმნისაგანაც ამნაირადვე ამავე ცნებათა გამოსახატავად ნაწარმოები ტერმინები უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების სისწორეს თანამედროვე მეგრულში შერჩენილი ორი სიტყვა ამტკიცებს, თუ გურულს ყურძნის მტევნების მოწყვეტისა და შემავაროვებელის აღსანიშნავად ჩვეულებრივი ქართული სახელი, ყურძნის მკრეფელი გააჩნია, სამეგრელოში მსთულებელს — ყურძენიში მაწილარი ეწოდება, ხოლო ყურძნის ჩასაწყობი კალათის, გიდელის თოკს ოწილარი თოკი ერქვა (იხ. ერმ. ხ. კაშიძის *Од. ВгВл в Гурин и Мингрелин, СбСвВгВдК, IV, 89*). მაშასადამე, ამ ორი გამონათქვამითა და სიტყვით მაწილარი-თა და ოწილარი-თ, რომელიც საწილარს უდრის, თანამედროვე მეგრულს დაცული აქვს იმ ხნის ქართული ტერმინები, რომლის ანარეკლიც ჯერეთ ცნობილ წერილობითს უძველეს ძეგლებშიც კი აღბეჭდილი არ არის.

ამნაირად ირკვევა, რომ მოწილვა ქართულ სამწერლობო ენაში მოსთულაზე უძველესი ხანის ტერმინი ყოფილა. ეგების მომავალში ისეთი ძეგლებიც აღმოჩნდეს, რომელთა ცნობების მიხედვით შესაძლებელი გახდეს იმ საკითხის გამორკვევა, თუ რა მიზეზის გამო გაქრა თანდათანობით მოწილვა და მის მაგიერ მოსთულა შემოვიდა, ე. ი. ტერმინთა გამოცვლა თვით ტექნიკის გამოცვლის შედეგი იყო, თუ სხვა რაიმე გარემოებით არის ეს საგულისხმო მოვლენა გამოწვეული?

² აწ აკად. კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტის (რედაქცია).

ამ ორი ტერმინის არსებობა-გაბატონების ხანის განსაზღვრა სასურველი, მაგრამ, უძველესი ხანის ძეგლების უმეტესი ნაწილის გამოუცემლობის გამო, ჭრჭერობით მხოლოდ ზოგადი შთაბეჭდილების გამოთქმა შეიძლება.

რამდენადაც ამჟამად ცნობილი ძეგლების მიხედვით მსჯელობა შესაძლებელია. V—VII სს-ში მოწილვა თუმცა არსებობს, მაგრამ ამ ხანაში უკვე მოსთულა-ს ჰქონია უპირატესობა მოპოვებული. ამისდა მიხედვით მოწილვის საყოველთაო ხმარების დროდ ამაზე საუკუნეებით უწინარესი ხანა უნდა მივიჩნიოთ. VIII—IX ს-ითგან მოყოლებული მოსთულა უკვე უცილობლად არის გაბატონებული და მოწილვა მხოლოდ მწიგნობრული სიტყვადა ჩანს.

თავი III

ყურძნის კრეფის დრო საქართველოს სხვადასხვა თემებში და მასთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში

ყურძნის დაკრეფის დრო, რა თქმა უნდა, ჯიშსა და ამინდთან იყო დაკავშირებული. ამიტომ ადრეული ჯიშები ცხელ ზაფხულში ჩვეულებრივსა და გვიან ჯიშებზე უწინარეს უნდა ყოფილიყო მოსთვლილ-დაწურული. ამისდა მიხედვით სთველის სამი ხანა არსებობდა.

§ 1. კახეთში

კახეთში სთველი ყველგან ენკენ-სთვის პირველ ნახევარში იწყებოდა, რა თქმა უნდა, ადრეულ ჯიშთათვის. და 5—8 ოქტომბრამდე გასტანდა ხოლმე. საერთოდ ყურძნის გვიან მოკრეფას რჩეობდნენ, რათგან მევენახეთა რწმენით ასე უფრო უკეთესი ღვინო დგებოდა (ფირალოვი-შავერდოვი: $C6C6BrBdK$, VII, 75—76).

§ 2. ქართლში

ქართლში, არაგვის პირის ხეობასა და სურამის სანახებში ყურძნის მოკრეფას ჩვეულებრივ შუა ენკენისთვეში იწყებდნენ ხოლმე ყველგან; სხვაგან კი სთველი ოქტომბრის პირველ ნახევარში და უფრო მოგვიანებითაც კი იცოდნენ (ყანდურალოვი: $C6C6BrBdK$, VIII, 78).

§ 3. იმერეთში

იმერეთში ადრეული ჯიშების დამწიფება 20 აგვისტოთგან იწყებოდა. ასეთი, ე. ვაწადის სიტყვით, ზოგადად სამაჰრედ სახელდებული ჯიშების დაკრეფა

ავვისტოს მეორე ნახევრითგან იწყებოდა და ამ ყურძნებითგან უმთავრესად მაქარს აყენებდნენ. ყურძნის ჯიშთა მეორე ჯგუფი ენკენისთვის მეორე ნახევარში, ოქტომბრის დამდეგს მწიფდებოდა. ყურძნის ჯიშთა მესამე ჯგუფი ოქტომბერში, ზოგჯერ ნოემბერშიც კი შემოდის.

ამას გარდა უნდა ისიც იყოს გათვალისწინებული, რომ დაბლარი ვაზი საზოგადოდ მალარზე ადრე მწიფდება ხოლმე. ამისდა მიხედვით მათგან დაყენებული სასმელია ღირსებაც განსხვავდება: პირველი ჯგუფის ყურძნითგან მხოლოდ მაქარი დგება, რომელსაც უმაღვე სვამენ, მეორე ჯგუფის ყურძნითგან შინ სახმარებელ ღვინოს აყენებდნენ, რომელიც ერთ წელიწადზე მეტს არ სძლებდა, და მესამე ჯგუფის ღვინოს ხანგრძლივი შენახვა იყო შესაძლებელი, ანუ გასაყიდად იყო განკუთვნილი (Виноделие в Имеретии: СбСвВгВдК, III, 111 и ОчВгВдК, III, 212 и 218—219).

§ 4. გურია-სამეგრელოში

გურიასა და სამეგრელოში სთველი ავვისტოს დამლევს იწყებოდა და ზოგჯერ დეკემბრამდე გრძელდებოდა. ამერიკითგან და ევროპითგან ვაზის სნეულუბათა საქართველოში შემოტანამდე, ამ ორ თემში ყურძნის ვაზზე ხანგრძლივ დატოვებას რჩებოდნენ იმ რწმენით, რომ, რაც უფრო კარგად იყო ყურძენი დამწიფებული, მით უფრო უკეთესი, უფრო გემრიელი და მაგარი ღვინო დგებოდა. ამიტომ ერმ. ნაკაშიძის ცნობით, გურია-სამეგრელოში ყურძენს ზოგჯერ დეკემბრის, თვით თებერვლის დამდეგამდისაც კი სტოვებდნენ (СбСвВгВдК, IV, 87—88).

§ 5. არე სთულისაა :

ცხადია, რომ საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის უმთავრესი მნიშვნელობა ყურძნის დაკრფის, ძველ საქართველოში განკუთვნილი თვის გამორკვევასა აქვს.

სთველის დროის გამოსარკვევად ძველ საქართველოში შესაძლებელია ის გარემოება იქმნეს გამოყენებული, რომ უძველეს ხანაში სთუელი შემოდგომასაც ნიშნავდა. ამის დასამტკიცებლად არაერთი მაგალითის მოყვანა შეიძლებოდა, მაგრამ თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობის მოყვანაც საკმარისი იქნება. ერთგან მას წელიწადის დროის განსაზღვრისას ნათქვამი აქვს: „მოიწია არე სთულისაა“-ო (ისტორი და აზრნი* 711, გვ. 516). არე სთულისაა ისეთი გამონათქვამია, როგორც მისგანვე ნახმარი არე გაზაფხულისაა (*914, 924; გვ. 302,3, 312,3)³ და შემოდგომასა ნიშნავდა.

³ გვერდს ეუთითებთ ქართლის ცხოვრების II ტ. მიხედვით. რედ. ს. ყაუხჩიშვილისა, თბ., 1954 (რედ)

§ 6. სთუელის ანუ ღვინობის თვე

მაგრამ ჩვეულებრივ ყურძნის დაკრეფა და დაწურვა ძველ საქართველოში რომ ოქტომბერში ყოფილა, ამას თვით ამ თვის ძველი ორი ქართული სახელიც ცხადყოფს. ცნობილია, რომ ოქტომბერს წინათ სთუელის თვე ეწოდებოდა, და ეს გარემოება ს. ორბელიანსაც აქვს აღნიშნული (იხ. ლექსიკ., იქვე).

ამას გარდა ღვინობის თვესაც ეძახდნენ, რაც ღღევანღღამღისაც დაცუ-ლია.

ქართული „ვისრამიანის“ ავტორს სპარსული اسد და آب მაჰ, ე. ი. მეთ-თე თვე (რა თქმა უნდა, იგულისხმება მათი წელთაღრიცხვის მე-10 თვე) ქარ-თულად სთველად აქვს გადმოცემული: „შენ სთველი ხარ და ვისი გაზაფხუ-ლი“-ო (გვ. 41). თუმცა აქ სთველი შემოდგომის მნიშვნელობით აქვს ნაგულის-ხმევი, რაც გაზაფხულისადმი დაპირისპირებითგანაც ჩანს, მაგრამ ფახრ ედდინ გურგანელის თხზულებაში ამ ადგილას ნათქვამია آب اسد توای آب اسد توای (გვ. ۴۸)—„შენ მეთე თვე ხარ, ის კი გაზაფხულია“-ო. ამგვარად სთველი ამ შემ-თხვევაში ოქტომბერსაც უდრის.

განსაკუთრებულ შემთხვევაში შესაძლებელია ვენახი სთვლის ჩვეულებ-რივ ხანაზე ადრეც დაეკრიფათ და დაწურათ. წინამძღუარს მელქისედეკ ყან-ჩაელს, მაგ., 1658 წ. აღნიშნული აქვს, გივი ამილახორმა „თუერნავის ერთი ზუ-რისა ასეთი დასტური გვიბანა, რომ როცა [შიომღვიმის] წინამძღუარს უნ-დოდეს სთველს არ ელოდეს, მოაყრეფინებდეს და ამავე ქუევერს აავსებდეს“-ო (ისტ. საბ., III, 55).

თავი IV

მეღვინე-მევენახეთა საციხლისტავის არსებობის საბუთები ძველ საქართველოში და მათთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში

§ 1. მევენახე-მეზურე და მემარნე, მეღვინე

მარტო ის გარემოებაც, რომ უძველეს ქართულ ძეგლებშივე გვხვდება ყურძნის მკრეფელის აღმნიშნელი ისეთი განსაკუთრებული ტერმინები, რო-გორც მსთულებელი და მესთულე-ა, უკვე მაშინდელ საქართველოში მევენა-ხოზა-მეღვინეობის დარგში არსებულ დასპეციალებას ამჟღავნებს. ასეთივე ვითარება ყოფილა შემდგომშიც. ამ თვალსაზრისით ის საყურადღებო გარე-მოებაც არის აღსანიშნავი, რომ XVII—XVIII სს-შიც, როდესაც საქართველო პოლიტიკურადაცა და კულტურულადაც დაქვეითებული იყო, მევენახეობა-მე-ღვინეობაში მაინც დასპეციალება წინანდებურად არსებობდა: ვენახ-ზერების მოვლა ცალკე პირის, მევენახისა ანუ მეზურის მოვალეობას შეადგენდა, ყურ-ძნის დაკრეფა და სთველი კი სხვა მოხელის საქმე იყო, რომელსაც ძველებუ-რად მესთულე ეწოდებოდა. დასასრულ, ღვინის დაყენება და შენახვა კიდევ მესამე მოხელეს ებარა, რომელსაც მემარნე ეწოდებოდა. ხოლო სახმარებელი

ღვინო უკვე მეღვინის ხელთ იყო და მისი კარგად დაცვა სწორედ მის მოვალეობას შეადგენდა.

ვახტანგ VI-ის დასტურლამალში, მაგ., ნათქვამია: „ღვინის მოსავლისა ასრე არის და იქმნებოდეს: სოფელზედ, რასაც ჩვენს საჯასოს დასთულის, მოსავლის ალაგს ჩვენი მესთულე წავიდოდეს“-ო (გვ. 87). მესთელის მოვალეობას მარტო ყურძნის დაკრეფა კი არ შეადგენდა, არამედ დაწურვაც. ამავე დებულებაში სწერია: მესთელის მისვლისას „ჯერ ზურისას დასწურევდნენ და კოჟორზედ გამოგზავნიდნენ“, შემდეგ კი „მესთულე და მემარნე... რაც იმ სოფელში, ან კულუხი, ან თარხნის სათხოვარი, თუ სხვა შენაწერი ღვინო, რაც სოფელს შევარდეს“, გაანაწილონ და „სადაც კარგი ვენახი იყოს და კარგი ღვინო გვარობდეს“, სწორედ „ის ჩვენთვის დაწურონ და ჩვენთვის წაილონ-ო“ (დასტურ., 88).

ვენახებისა და ღვინის თვისების შემფასებელი მემარნე ყოფილა. ამავე ძეგლში ნათქვამია: რომელიც „მემარნემ მოიწონოს და ირჩიოს და მოინდომოს“, ის დასწურონო (იქვე, გვ. 88, შეად. გვ. 152).

თ ა ვ ი v

სთვლის ორგანიზაცია და მუშახელის რაოდენობა

რაკი ყურძნის დაკრეფა და დაწურვა სასწრაფო საქმე იყო და არის ეხლაც, ამიტომ სთველში, მეზვრესა და მესთველეს გარდა, კიდევ ბევრი სხვა მომუშავეც იყო ხოლმე ჩაბმული. ცხადია, რომ ასეთ შემთხვევაში გარეშე, საამისოდ მიწვეულ პირთა შრომაც იქნებოდა გამოყენებული.

იმის გასათვალისწინებლად, თუ რამდენად გახურებული მუშაობა წარმოებდა ხოლმე სთვლის დროს და დღეში დაახლოებით რამდენი მომუშავე იყო ხოლმე ამ საქმეში ჩაბმული, შესაძლებელია ვახტანგ VI-ის დასტურლამალის შემდეგი ცნობა იქმნეს გამოყენებული. შულავერსა და თეთრ-სოფელში მიეცეს „სასთულო პური მოურავს და მესთულეს პური დღეში რ (100); ღვინო ჩაფი იბ (12); ქერი კოდი ბ (2); ცხუარი სხნილში ა (1); ქათამი, რამდენი კაციც გამასპინძლდეს, იმდენი, მარხუაში თევზი და სამარხო მიიტანონ“-ო (დასტურ., 99).

როგორც „საქართველოს ეკონომიური ისტორიის“ სათანადო წიგნში⁴, რომელშიც მეურნეობის წარმოებისა და შემოსავალ-გასავლის წესებია განხილული. დავრწმუნდებით, ძველ საქართველოში კვების ნორმად დღეში სულზე ერთი 1705 გრამიანი პური, ანუ 4 1/4 გირვანქა პური ითვლებოდა. თუ დასტურლამალის ზემომოყვანილი დებულებითაც დიდი, 1705 გრამიანი პური იგულისხმებოდა, მაშინ ცხადი ხდება, რომ შულავერ-თეთრ-სოფლის ზერების სთველში 100-მდე მუშახელი ყოფილა ჩაბმული. ხოლო ერთი ორად მომცრო პურიც რომ იყოს ნაგულისხმევი ისე, რომ სულზე აქ დღეში 2 პური ვივარაუდოთ, მა-ნც 50 მუშახელზე ნაკლები არ შეიძლება ყოფილიყო.

⁴ იგულისხმება საქართველოს ეკონომიური ისტორიის IV წიგნი, რომელიც მასალების II წიგნადაა მოწოდებული დასაბუქად (რედ.).

თავი VI

სთვალის ტექნიკური საშუალებანი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელეზი და მათი შესატყვისოზანი საქართველოს სსზადასსზა თეიეზი

ყურძნის მოსთვლისა და მოსაკრეფად უმთავრესად მოწყვეტილი ნაყოფის ჩასაწყობი იყო საჭირო. რათგან მტეევანს ან ზელით სწყვეტდნენ, როდესაც აღვილი მოსაწყვეტი ყურძნის ჯიში იყო, ანდა დანით, ჩასაწყობი პატარაცა და დიდიც ჰქონდათ.

§ 1. საყურძნე გოდორი

ყურძნის მოკრეფის დროს მოზრდილ ჩასაწყობად გოდორს ხმარობდნენ, რომელსაც საყურძნე გოდორი ეწოდებოდა. ასეთი გოდორი გარკვეული სიდიდისა ყოფილა ისე, რომ გადასახადის ერთეულადაც კი ჰქცეულა.

ხიმშია ამირახორის მცხეთის საყდრისათვის 1405 წ. შეწირულობის წიგნში ნათქვამია: „შემოგწირეთ ჩუენი მკუიდრი გლეხი... ამა პირითა, რომე არა ეთხოებოდეს... არ კულუზი, არ მესთულეთა და მეკულუზეთა პურისა ჰმევა, არ საყურძნე გოდორი და არასთანა სხუა გამოსაღები“-ო (ისტ. საბ., III, 4).

§ 2. კალათა ანუ კალათი

გოდორში ყურძენს მხოლოდ მაშინ ალაგებდნენ, როდესაც გოდორზე მომცრო ყურძნის ჩასაწყობი უკვე გავსებული იყო. ასეთს, გოდორზე მომცრო ჩასაწყობს, კალათა ანუ კალათი ეწოდებოდა. ს. ორბელიანსაც განმარტებული აქვს, რომ „კალათა (B: კალათი) მცორე გოდორი“ იყო (ლექსიკ.).

სთველში მოწყვეტილი ან მოჭრილი ყურძნის შესაგროვებლად შემდეგშიც ამერეთში კალათა და გოდორი ჰქონდათ. პირველი პატარა და მეორე მოზრდილი წნელისაგან დაწული ჩასადებელი იყო (ფირალოვი-შავერდოვი და ყანდურალოვი: СнСнВгВдК, VII, 76 და VIII, 80). კალათა რომ აივსებოდა ყურძნით, გოდორში გადაჰქონდათ. კახეთში გოდორში 3 ფუთამდე ყურძენი ეტეოდა (იქვე).

§ 3. გიდელი

იმერეთში კი ყურძნის მოსაკრეფად ჯერ კალათი იყო, რომელშიც 5—20 გირვანქა ყურძნამდე ეტეოდა. შემდეგ კი გავსებული კალათითგან გიდელში გადააწყობდნენ ხოლმე. გიდელში 1—1 1/2 ფუთამდე ყურძენი ეტეოდა.

* სათურის ეს ნაწილი ეკუთვნისჯავტორს (რედ.).

§ 4. ძარი

თუ საწნახელი და მარანი ვენახში იყო, მაშინ ყურძენი იქ გიდელებით მიჰქონდათ ხოლმე; ხოლო თუ სხვაგან იყო, მაშინ გიდელითგან ყურძენს დიდ დაწნულ ჩასადებელში აწყობდნენ, რომელსაც ძარი ეწოდებოდა და რომელიც 20—30 ფუთამდე ყურძენს იტევდა და ურემზე იყო დამაგრებული; იმით მიჰქონდათ საწნახელში (ე. ვაწაძე, *СнСвВrB₁K*, III, 112).

§ 5. ხოკი და ჩაჭრილო

ლეჩხუმში ზუბისა და ჭყვიშის საზოგადოების სოფლებში მოსაკრეფი ყურძნის ჩასადებელს ხოკი ერქვა ყველგან, სხვაგან კი კალათი იყო მიღებული. მაღლარი ვაზის ყურძნის მოსაკრეფად გიდელი არსებობდა, რომელსაც წოწოლა ძირი ჰქონდა. მას ყურძნით სავსეს ხითგან ქვეით თოკით უშვებდნენ ხოლმე. გიდელი 1 ფუთამდე ყურძენს იტევდა. ზოგჯერ ყურძნის დიდი ოდენობის საწნახელში გადასატანად მთლიანი ხისაგან გამოთლილ ჩასადებელსაც სმარობდნენ, რომელსაც ჩაჭრილო ეწოდებოდა და რომელშიც 6 ფუთამდე ყურძენი ეტეოდა (იაკოვლევი: *СнСвВrB₁K*, III, 100).

გურიასა და სამეგრელოშიც მაღლარი ვაზის ნაყოფის დასაკრეფად აგრეთვე გიდელსა ხმარობდნენ. ოდიშშიც მას გიდელივე ეწოდება, სამურზაყანოში კი გგდელი ჰქვიან.

საყურადღებო გარემოებაა, რომ ხილისა და ყურძნის დასაკრეფად განკუთვნილი ასეთი მოყვანილობის კალათა ქანეთშიც არსებობდა, სადაც მას აგრეთვე გუდელი (ათინურ-ვიწურ-არქაბულად) და გიდელი (ხოფურად) ეწოდებოდა (ნ. მარი, *ჭ. გ.*, 136).

§ 6. ოწილარი თოკი (სახელური ბაწარი)

ამ გიდელს სახელურების მაგიერ ნახვრეტები ჰქონდა, რომელშიც ბოლო-კავიან-კვანძიან თოკს უყრიდენ ხოლმე ამ ჩასადებელის ასაწვევ-დასაშვებად. ასეთ თოკს გურიაში სახელური ბაწარი (წარმომდგარია: სახელური ბაწარისაგან), სამეგრელოში კი ოწილარი თოკი ერქვა. ხეზე ასული ყურძნის მკრეფელი, რომელსაც სამეგრელოში ყურძენიში მაწილარი ეწოდებოდა, რომ გიდელს ყურძნით აავსებდა, კავსა და თოკს გიდელის ნახვრეტებს გაუყრიდა, ყურძნით დატვირთულ ამ კალათს ქვევით ჩაუშვებდა და თანაც ჩასძახებდა: „ა გიდელი“-ო.

§ 7. მეგიდლე ანუ გიდელის მცლეელი

იქ მდგომი გიდელის-მცლეელი ანუ მეგიდლე, როგორც ოდიშში უწოდებდნენ, ყურძენს გიდლიდან გოდორში, ანუ კალათში (ამ სახელს სამეგრელოში ჰხმარობდნენ), გადააწყობდა. გიდელს რომ დასცლიდა გურული მეგიდლე-

ყურძნის მკრეფელს შესახებდა: მშვიდობით ჩამოდი—ო, მეგრელი კი მშვიდობით გიმართით, და მკრეფელმა უკვე იცოდა, რომ გიდელი დაცარიელებული იყო და კვლავ მისი აწევა შეიძლებოდა. ერთი გიდლის-მცლელი ასე 3—4 ყურძნის მკრეფელს ემსახურებოდა (ერმ. ნაკაშიძე: $CnCaBrB_{\mu}K$, IV, 89—90).

თავი VII

ყურძნის დახარისხება-დაწურვის ტექნოლოგიური პროცესები, ჰურჭული და მათი ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში

მოკრეფილი ყურძენი უპირველესად, რა თქმა უნდა, ფერისდა მიხედვით იყო ხოლმე გადარჩეული, რათგან თეთრი ან მწვანე და შავ-წითელი ყურძენი ცალ-ცალკე უნდა დაწურულიყო, რომ ღვინოს სათანადო ფერი ჰქონოდა. მაგრამ ამას გარდა, როგორც ეტყობა, მალღარი და დაბლარი ვაზის ყურძენიც ცალ-ცალკე ყოფილა დაწურულიცა და ღვინოდ დაყენებულიც. ეს გარემოება თამარ მეფის დროინდელი მსახურთ-უხუცესის ივანე მჭარგრძელის მიერ (მაშასადამე, 1191—1212 წწ-ში) დაარსებული ქვემო ქართლის ბოლნისის მახლობლად მდებარე მონასტრის ტიბიკონის ნაწყვეტიდან ირკვევა. ამ მეტად დაზიანებულ ძეგლში სავანის წესდების შემდგენელს ნათქვამი აქვს:

§ 1. საღვინე

„ბოლნისისა საღვინე დავადევით ესე, ხოლო ქარცებით ხუარბალი მოვიდოდეს და ბოლნისისა ღვინო მოიღების“. ამ მოტანილი „ღვინისაგან პირველად საბ[აბილო კური], საკვ[არაო შემომწირველთანი კურნი აღივსებოდინან და მერმე სხუანი, რავდენიც ეგებოდეს“ (ს. კაკაბაძე, წერილები და მასალები საქართველოს ისტორიისათვის, 1914, I, 72).

ამ ღვინის დახარჯვის შესახებ განსაზღვრული იყო, რომ „საბაბილო (საბ-ბილო) კური დღეობასა წაიგებოდეს, ვითა მოსაყმარებლად საკ[ა]მსო იყოს, და საკვარაო ჯუარამაღლებითგან. ვითა წესი [და] პირი საქმეთასა (პ... სქთსა) მოქცემდეს“-ო (წ. და მ., 1, 72).

§ 2. საბაბილო კური, საკვარაო, შემომწირველთა და „სხუანი კურნი“

ამ დებულებითგან ცხადი ხდება, რომ სოფელში ყურძნის დაწურვის დროს პირველად მარანში „საბაბილო კური“ უნდა აევისოთ, შემდეგ „სა-

* ს. კაკაბაძის გამოცემაში დაზიანებული ტექსტი აღუდგენილა და ასეა დაბეჭდილი: „მის ღვინისაგან პ[ირ]დ საბ... ისე... რლთნი კურნი აღივსებოდინან და მერმე სხ-ნი რავდენიცა ეგებოდეს საბ-ბილო კური დღეობასა წარეგებოდეს ვითა მოსაყმარებლისა საკ-მსო იყოს და საკვარაოჯრ-ამ-ღლებითგან ვითა წესი და პ... სქთსა მოქცემდეს“. ივ. ჯ.

კრაოა, ანუ შემომწირველთა ჭურნი“ და „მერმე სხუანი ჭურნი“, ე. ი. სულ ბოლოს არშემომწირველთა ვენახებითგან შემოსულისათვის.

საბაბილო ჭურის რაობას მისი სახელივე ამჟღავნებს: რაკი ბაბილო, როვორც უკვე გამოჩვენებული ვაჟქეს (იხ. ზემოთ, გვ. 322—323), მაღლარი ვაზის ძველი სახელი იყო, ცხადი ხდება, რომ საბაბილო ჭური ის ქვევრი უნდა ყოფილიყო, რომელშიც მაღლარი ვაზის ყურძნის დაწურული ტკბილისაგან ღვინოს აყენებდნენ და ინახავდნენ.

შემომწირველთა ჭურნი, უეჭველია, შემომწირველებისაგან, მათი დღეგრძელობისა და ცოდვათა შემსუბუქებისათვის, სავანისათვის მიძღვნილი ვენახებისაგან მიღებული ტკბილისა და ღვინის დასაცავად განკუთვნილი ქვევრები იქმნებოდა. ვითარცა სულის საოხად შეწირულ ქონებას შეეფერება, შემწირველნი ცდილობდნენ უპირობესი ღირსების ვენახები მიეძღვნათ ხოლმე და, ბუნებრივია, რომ უკეთესი თვისების ტკბილის ღვინო ცალკე ქვევრებში ჰქონოდათ.

სავანის წესდებაში ბოლოს მოხსენებული სხუანი ჭურნი, საფიქრებელია, მონასტრის საკუთარი ყმების ვენახებითგან კულუხად მიღებული ტკბილ-ღვინის ჩასახმელად იქნებოდა განკუთვნილი.

ამავე საკითხის გასაშუქებლად საგულისხმოა, რომ შიომღვიმის უდაბნოს XVII ს-ში ნასპარსევს განსაკუთრებული „სადეკანოზო მარანი“ ჰქონია, რომელშიც საუკეთესო ქვევრები ყოფილა ჩადგმული (იხ. ისტ. საბ., III, 55). ცხადია, ღვინოც აქ უკეთესი იქნებოდათ.

§ 3. ყურძნის ჯიშისა და ხარისხის მიხედვით გადარჩევა, მოკლე მიმოხილვა

დასაწური ყურძნის ღირსებისა და მიხედვით გადარჩევა, რასაკვირველია, წესიერ მეურნეობაში იქნებოდა. ამასთანავე საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ დაქვეითებასთან ერთად დაუდევრობა და ჩამოქვეითება, უეჭველია, ამ დარგსაც დაეტყობოდა. ზოგად კულტურულ-ეკონომიურ პირობათა გავლენა XIX ს-შიც ეტყობა. მაგ., წინათ, საქართველოში სოკოვანი ავადმყოფობის, მეტადრე Oidium-ის შემოტანამდე, კახეთში დაკრეფილ ყურძენს ჯიშობრივად გულმოდგინედ, ცალ-ცალკე არჩევდნენ; 1857 წ. შემდგომ კი, ვაზის ამ სნეულებათა წყალობით მიყენებულმა ზიანმა მევენახეებს ასეთი გადარჩევის ხალისი დაუკარგა და უმთავრესად თეთრისა და წითელი ყურძნის ჯიშებს არჩევდნენ ერთმანეთისაგან და რქაწითელსა და მწვანეს უფრთხილდებოდნენ და ცალ-ცალკე აგროვებდნენ (Оч. ВрК; СбСвК, III, 232). მერმინდელი დამკვირვებელნიც ამ უკანასკნელი გარემოების სისწორეს ადასტურებენ (СбСвВрВдК, VII, 76).

ქართლში ყურძნის ჯიშისა და ხარისხისა და მიხედვით გადარჩევას XIX ს. მეორე ნახევრის პირველ ათეულებში თურმე მხოლოდ შეძლებულ წრეთა ვენახებში მისდევდნენ: გადარჩევა უმთავრესად ფერისა და სიმწიფისა და მიხედვით წარმოებდა, ჯიშობრივად გადარჩევა იშვიათი მოვლენა იყო (Оч. ВрК, I; СбСвК, III, 255 и СбСвВрВдК, VIII, 80).

ამნაირად, შესაძლებელია ითქვას, რომ ყურძნის გადარჩევა ძველად მიღებული ყოფილა, მაგრამ რამდენად ფართოდ და როგორი თვალსაზრისით მისდევდნენ მას, ამის გამოსარკვევად, ზემომოყვანილის გარდა, წყაროებში ჯერ საკმაო ცნობები არ მოგვეპოვება.

თავი VIII

დაწურვისა და გამოხდის გამოხსატველი ტერმინები

§ 1. დაწურვა ანუ ჭყლეტა

ყურძნისაგან წვენი მისაღებად საჭირო მოქმედებას თანამედროვე ქართულში დაწურვა, ანუ ჭყლეტა ეწოდება. ცხიმოვანი ნაყოფისაგან ზეთის გამოყოფას გამოხდა-ს ვეძახით, ძველად კი ამ ცნების გამოსახატავად სხვა ტერმინს ხმარობდნენ.

§ 2. დაწნება, მისი რაობა

ყურძნის ჭყლეტასა და დაწურვას ძველ ქართულში დაწნება ერქვა: „არა დაწნებონ ღვინო საწნებელთა შინა“ (ესაიასი 16₁₀), — „ღვინო საწნებელთა შინა შენთა არა დაწნებეს“-ო (იერემ 48₃₃). ამ ორსავე შემთხვევაში დაწნება ბერძნულ *πατάω* პატეო-ს, ლათინ. *calco*-სა და სომხ. *կոխել* კოხელ-ს უდრის. სამივე ფეხებით შედგომას, გათელვასა და ჭყლეტას ნიშნავდა.

არს. იყალთოელს გ. მონაზონის ხრონოგრაფში ერთი ადგილი ასე აქვს ნათარგმნი: „თაფლმცენარენი“, რომელთაგან „შეიწრებით და დაწნებით წარმოეცემის ფრიადი თაფლი“-ო (გვ. 125₃₂₋₃₃). დაწნება აქ *καταπιβω*:ჭან აპოთლობო-ს უდრის (1, 258), რომელიც აგრეთვე გამოხდას, გამოწურვას, გამოღვენას ნიშნავდა.

თავი IX

წნება ზმინის შესატყვისობანი ქართულ დიალექტებში

§ 1. ჭეხნა

სამწერლობო ქართული წნება-ს შესატყვისად იმერულსა და რაჭულ თქმაში ყურძნის დაჭყლეტასა და გამოწურვას ჭეხნა ეწოდება (იხ. ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, 65), რომელიც უფრო აღრინდელი ჭეხნა-საგან უნდა იყოს წარმოდგარი. თავისი თავკიდური კ-თი იგი მეგრულ-ქანურ შესატყვისობას უდგება.

¹ სათაურში ეკუთვნის ავტორს (რედ.)

§ 2. წილახუა, ოწილახუ, მათი რაობა

მეგრულად კი ჰყლეტას, გამოჰყლეტასა და წნებას წილახუა ეწოდება (მ. გ., 379). ხოლო ჰანურად ო-წილახუ ხელების დაჰერას, ხელით გამოჰყლეტას, გამოწურვას ნიშნავს. ბწილახუფ, პწილახუმ ეწურავ-ს, ბწილახი, ანდა პწილახი გამოეწურე-ს ნიშნავს. ამბობენ: „ყურძენი იწილახენ, ოშქური ვარი ჰინახაშა ვარ იწილახენ“-ო, ე. ი. „ყურძენი ხელითაც იწნებება (გამოიწურება, გამოიჰყლიტება), ვაშლი კი თუ არ საწნებში, ვერ გამოიწინებება“-ო (ჰ. გ., 219).

იოს. ყიფშიძის ჩანაწერით, ო-წილახუ ჰანურად სარეცხის გამოწურვასაც ნიშნავს, მაგრამ, საფიქრებელია, უფრო სარეცხის გაწურვას უნდა ნიშნავდეს.

მაგრამ ჰანურს ყურძნის, ან ბროწეულის ჰყლეტისა და გამოწურვის აღსანიშნავად ოჰინახუ-ც გააჩნია. ბჰინახუ ვწნებავ-ს ნიშნავს, ბჰინახი—ვწინებ-ს. ოჰინახუ ამას გარდა ყურძნის საწნებ მანჰანასა და ნავსაც ეწოდება (ჰ. გ., 225).

მეგრულს ასეთი ზმნა არ გააჩნია და იქ ო-ჰინახგ, ო-ჰინახუ ანდა ოჰენახი მხოლოდ საწნებელსა და სალესსა ნიშნავს (მ. გ., 389).

გამოჰყლეტის, დაწურვისა და დაწნების აღმნიშვნელ სიტყვათაგან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი მეგრული წილახუა და ჰანური ო-წილახუ-ა. უკვე დავრწმუნდით, რომ ძველ ქართულში წილვა ნაყოფის მოკრეფა-გამოყენებას ნიშნავდა და რომ ეს ზმნა ჰანურში ეხლაც კია დაცული. წილახუა და ოწილახუ კი ჰყლეტასა და დაწურვას ნიშნავს. არსებითად წილვა-სა და წილახუ-ს შორის მხოლოდ ხ ბგერაა განმასხვავებელი, რომელიც, უუკველია, ძირეული არ უნდა იყოს, არამედ ისეთივე თვისების ფორმანტი ჩანს, როგორც სხმა ზმნის ხ ბგერაა. ცნობილია, რომ ხ აქ ობიექტის მრავლობის აღმნიშვნელია, რათგან ერთ აღმაინზე და-სმა ითქმის, ბევრზე და-სხმა. წილვა და ოწილახუ-ს შორისაც მნიშვნელობის მხრივ ასეთივე განსხვავებაა: წილვა ერთი ნაყოფის მოწყვეტა-მომხარებას ნიშნავდა, წილახუა და ოწილახუ კი დაწურვას ნიშნავს, რომელსაც, როგორც ცნობილია, მრავალი, ერთად თავმოყრილი მტევნის, ანდა სხვა ნაყოფისას აწარმოებენ ხოლმე.

თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, — და, ვგონებ, მცდარი არ უნდა იყოს, — მაშინ უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ წნება ზმნაშიც ხ ძირეული არ უნდა იყოს, არამედ ობიექტის მრავლობის აღმნიშვნელი ფორმანტია. წნება, როგორც ეტყობა, ხ ბგერის ადგილმონაცვლებით არის წინანდელი წენხასაგან წარმომდგარი. ამ მოსაზრების სისწორეს იმერულ-რაჭული „ჰენხა“ ამტკიცებს, რომელშიც ხნ ადგილმონაცვლებული ჩანს წინანდელი „ჰენხა“-ს მაგიერ და რომელიც თავისი თავკიდური ჰ-თი, წ-ს მაგიერ, მეგრულ-ჰანურს უდგება.

ზემონათქვამის შემდგომ ირკვევა, რომ უკვე თვით ზმნა წნება ცხადყოფს, რომ ეს ტერმინი იმ ხანაში უნდა იყოს გაჩენილი, როდესაც დაკრეფილი ყურძნის მრავლად ერთად თავმოყრილის დაჰყლეტა და დაწურვა დაიწყეს, რისთვისაც, რა თქმა უნდა, შესაფერისი ტექნიკური მოწყობილობა და საშუალება იყო საჭირო.

თავი X

**ყურძნის დაწურვისათვის განკუთვნილი ნაგებობა და
და მოწყობილობა-იარაღები.**

ყურძნის დაწურვისა და მეტადრე ღვინის დაყენებას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული, რათა ღვინოს დიდი ფასი ჰქონდა და სოფლის მეურნის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენდა. კარგი ღვინის დაყენება და შენახვა კი მარტივი საქმე არ იყო, არამედ ამისათვის შესაფერისი ცოდნაც და დიდი გამოცდილებაც იყო საჭირო. ერთ მთავარ პირობათაგანს სისუფთავის დაცვა შეადგენდა. ამიტომ ყურძნის დასაწურად განსაკუთრებული ნაგებობაც არსებობდა და ტექნიკური საშუალებანიც გააჩნდათ.

§ 1. სასაწნებლე და საწნებელი

ყურძნის დაქვლეტისათვის განკუთვნილი ადგილისა და მოწყობილობის აღსანიშნავად დაბადების ქართულ თარგმანში ორი ტერმინი გვხვდება: სასაწნებლე და საწნებელი. ესაიას 52-ში ნათქვამია: ჩემ ბაღში „დავენერგე ვენაჯი სორეჟა და აღვაშენე გოდოლი საშუალ მისსა და წინ სასაწნებლე მოვთხარე მას შინა“-ო. როგორც ამ წინადადების შინაარსითგანაც ცხადი ხდება, სასაწნებლე ვაზების ბაღში აგებული გოდლის ანუ კოშკის წინ ყოფილა ამოთხარილი. მაშასადამე, ნაგებობის ნაწილი ყოფილა. ბერძნულ თარგმანში სასაწნებლის შესატყვისად *πρωθήνιο*; პროლენიოს-ი, ლათინურში *torcular*-ი და სომხურში *Հնժան-ჰნძან*-ია. ორი უკანასკნელი საწნახელს ნიშნაჟ, ბერძნული ტერმინი კი სასაწნებლეს.

საწნებელი ხშირად გვხვდება. იერემიას 48^{გვ}-ში ნათქვამია: „ღვრე საწნებელთა შინა შენთა არა დაწნებეს“-ო. ასეთივე წინადადება ესაიას 16¹⁰-შიც მოიპოვება. მაგრამ თუ პირველ შემთხვევაში საწნებელი *ἡ ληνός* ჰე ლენოს-ს უღრის, მეორე შემთხვევაში ბერძნულად *τὸ πρωθήνιο* ტა კვპოლენია-ა ნახმარი. ლათინურად ორგანვე *torcular*-ია ისევე, როგორც სომხურად *Հնժան* ჰნძან-ია.

იოველის 224-ში სწერია: „აღივსნენ კალონი იფქლითა და ზეშთა გარდაეცნენ საწნებელნი ღვინითა და ზეთითა“-ო. ამ ცნობითგან ცხადი ხდება, საწნებელი მარტო ყურძნის დასაწურად კი არა ყოფილა განკუთვნილი, არამედ ზეთის გამოსახდელადაც.

არსენი იყალთოელსაც ბერძნული ლენოს-ის აღსანიშნავად (1,257) გ. მონაზონის ხრონოლოგიის თავის თარგმანში საწნებელი უხმარია (გვ. 1252).

საწნახელი ს. თმოგველსაც აქვს ვისრამიანში შაჰ მოაბადისა და ვიროს ომის სიმკაცრის დამახასიათებელ ერთ შედარებაში გამოყენებული: „შუბები შამფლოსა ჰუჟანდა, მშუადისა ნაცულად კაცი ეგის, — და მიწა სისხლისა მდინარეობითა საწნახელსა“-ო (ვისრამ., გვ. 32). სპარსულ ვისრამიანში ნათქვამია:

از زمین گزیده همجوستان ۴۲ کالک.

§ სათური ეკუთვნის ავტორს (რედ.).

ყურძნის დასაწურად განკუთვნილი შენობისა, მოწყობილობისა და იარაღის ქართული სახელების მნიშვნელობის გამოსარკვევად ნიკორწმინდის XI ს. სიგელი რამდენსამე საგულისხმო ცნობას შეიცავს. ამ სიგელში სახელდობრ შემდეგია ნათქვამი:

§ 2. სასაწნებლო

„მეტეხარას დავდგი სასაწნებლომ ქვითკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწნეხი ქვითკირი: ა: და შეშისა საწნეხელი :ა:“.

„ზნაკუას შევქმენ სასაწნებლომ ქვითკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწნეხი: ბ: და შეშისა საწნეხელი :ა:“ (ნიკორწ. XI ს. სიგ.: ქკ²ბი, II, 46).

„კივშს... დავდგი სასაწნებლემ ქვითკირი :ა: და შიგან ყურძნისა საწნეხი ქვითკირი :ბ: და შეშისა საწნეხელი:ა:“ (ნიკორწ. XI ს. სიგ.: ქკ²ბი, II, 48).

ამ სამივე ცნობის გამონათქვამთა სრული ერთგვარობა საყურადღებოა და იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ აქ მაშინდელ მეღვინეობასთან დაკავშირებული ტერმინოლოგიის ზედმიწევნითი ანარეკლი უნდა გვქონდეს.

ზემომოყვანილთაგან ირკვევა, რომ სასაწნებლო დაბადების ქართველი მთარგმნელებისაგან დედნის ტერმინის გადმოსაცემად ხელოვნურად შეთხზული ტერმინი კი არა, არამედ საქართველოს მეღვინეობის ტექნიკის ერთი ტერმინთაგანი ყოფილა. სახელდობრ, სასაწნებლო იმ შენობის სახელწოდება იყო, რომელშიც („შიგან“) საწნეხი და საწნეხელი მდგარა.

სამსავე სოფელში ნიკორწმინდელს „სასაწნებლომ ქვითკირი“ დაუდგამს. რაკი მას ამ გარემოების საგანგებოდ აღნიშვნა საჭიროდ დაუნახავს, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ სასაწნებლომ ყოველთვის და ყველგან ქვითკირისა არ ყოფილა, არამედ, საფიქრებელია, სხვა მასალისაგან კეთდებოდა. სასაწნებლომ, მაშასადამე, შენობის სახელია.

§ 3. საწნებლის სხვადასხვა სახეები

იხევე, როგორც სასაწნებლო საწნებლის მოსათავსებლად და დასაცავად განკუთვნილი იყო, საწნებელი-ც, როგორც ამას თვით მისივე სახელიც ამჟღავნებს, წნებისათვის განკუთვნილი სამსახურებელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

სასაწნებლოში მდგომი საწნებელი ორსავე შემთხვევაში „შეშისა“-დ იწინებდა, ცნობაში კი ჯივშის შესახებ პირდაპირ არის დასახელებული შეშისა საწნებელი-ო. მაშასადამე, სამივე საწნებელი ხისა ყოფილა. მაგრამ აქაც იგივე აზრი იბადება, რაც სასაწნებლომ შესახებ იყო ნათქვამი: თუ ნიკორწმინდელს საწნებლის ნივთიერება განსაკუთრებით აღუნიშნავს, ალბათ, ხის საწნებლის გარდა, სხვა ნივთიერებისაგან, მაგ., ქვისაგან გაკეთებული საწნებლებიც არსებობდა. ხის საწნებელი მოძრავი სამსახურებელი იყო. აკეთებდნენ თუ არა ამ დროს უძრავ საწნებელსაც, ჯერ გამოსარკვევია.

§ 4. საწნეხი — მისი რაობა

როგორც ნიკორწმინდელის ზემომოყვანილი ცნობებითგან ჩანს, სასაწნეხლოში, საწნეხელს გარდა, საწნეხიც ყოფილა. ამ უკანასკნელის სახელიც ცხადყოფს, რომ ისიც წნეხისათვის საჭირო სამსახურებელი უნდა ყოფილიყო. რაკი საწნეხელსაც ასეთივე დანიშნულება ჰქონდა, გამოსარკვევია, არსებობდა თუ არა მათ შორის რაიმე განსხვავება.

მართალია, საწნეხელისა და საწნეხი-ს სახელები გარეგნულად ოდნავ, სახელდობრ, მხოლოდ ბოლოკიდური მარცვლის ღი-თ განსხვავდებიან, რომელიც მეორეს ამ ტერმინთაგან ჩამოცილებული უჩანს, მაგრამ მათი სახელებისათვის მცირე განსხვავებაც ცხადყოფს, რომ საწნეხელი და საწნეხი არსებითადაც უნდა ერთმანეთისაგან განსხვავებული ყოფილიყო.

ამავე გარემოებას ნიკორწმინდელის ცნობაც ადასტურებს, რომელშიც ყველგან საწნეხელი და საწნეხი ცალ-ცალკეა დასახელებული, რიცობრივი ან-გარიშიც ცალ-ცალკე აქვს მოყვანილი (იხ. აქვე, გვ. 635—636).

დამახასიათებელია, რომ სამსავე ზემომოყვანილ შემთხვევაში საწნეხზე ნათქვამია ყურძნისა საწნეხიო. ასეთი გამონათქვამისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ საწნეხი მარტო ყურძნისათვის კი არა, არამედ სხვა ხილეულის ანუ ნაყოფის დასაწნეხადაც განკუთვნილი სამსახურებელის აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო. მართლაც, ცნობილია, რომ საწნეხით ზეთსაც ხდიდნენ. რაკი ზეთის გამოსახდელი უფრო მაგარი იყო, ამის გამო მათ დასაწნეხად განკუთვნილი სამსახურებელ-იარაღების აგებულებაც შესაფერისად განსხვავებული უნდა ყოფილიყო, ამიტომ უნდა იყოს, რომ ნიკორწმინდელს ჰამსავე შემთხვევაში საგანგებოდ აღუნიშნავს: „ყურძნისა საწნეხი“-ო.

ს. მეტეხარასა და კივში ნიკორწმინდელს საწნეხი ქვითკირი დაუღგამს. პირველში ერთი, მეორე სოფლის სასაწნეხლოში კი ორი, ხოლო ს. ზნაქუის სასაწნეხლოზეც ნათქვამია, რომ „შიგან“ იქაც ორი საწნეხი დაუღგამს, მაგრამ რისგან იყო ორივე გაკეთებული, აღნიშნული არა აქვს.

რაკი ყურძნის საწნეხი ქვითკირისა ყოფილა, მაშასადამე, ის ნაგები და უძრავი ყოფილა.

თავი XI

ყურძნის დაწურვის წესი საქართველოს სხვადასხვა თემებში აკად. გიულდენშტადტის ჩანაწერების მიხედვით

გერმანელი მოგზაურის გიულდენშტადტის თქმით, ქართლ-კახეთში „მწიფე ყურძენს ყრიან კირით შელესილ, აგურითა და ქვითკირით გაკეთებულ, მიწაზე დადგმულ ნებისმიერ სიდიდის ჭურჭელში, ხოლო კაცები ჭყლეტენ ან წურავენ. ამ ჭურჭელს ერთ ადგილას აქვს ხვრელი, მის წინ [მოთავსებულია] წნელებით დაწნული ბადე (ლასტი⁹). ამის საშუალებით ყურძნის წვენი ჩადის

⁹ რედაქციის დამატ.

ღარში, საიდანაც ის 4—5 ფუტი სიღრმისა და 4 ფუტი სიგანის, მთლიანად მიწაში ჩადგმულ ქვევრში ჩაისხმება. ქვევრზე ადებენ პურის ლავაშს, ამაზე კი თიხას. და ასე უცდიან დადუღებას; მიწას კი ისე ასწორებენ, რომ ვერც კი გაიგებთ დამალული განძის შესახებ. ხმარებისას ანკარა ღვინოს ამოხაფავენ ხოლმე. ამის გადაგზავნა ხდება თხის ან ხარის ტყავის ტიკით, რომელსაც შიგნით წასმული აქვს კუბრი...

საწნახელი და საცავი (მარანი) შემორტყმულია კედლით და გადახურულია მსუბუქი სახურავით. ამ მარანში ფლავენ აგრეთვე თავიანთ ხორბლისა და ხილის მარაგს.

ყურძნის წურვა მიმდინარეობს სუფთად. ღვინოს ვნებს ერთი მხრით კირი, აგრეთვე დაუღვეარი შენახვა; ჰაჰის გადაყრაც არ არის ეკონომიური და მთელი მელღინეობა მცდარად წარიმართება.

ამიტომ ეს ღვინო, რომელსაც შეეძლო ყოფილიყო უმშვენიერესი და საუკეთესო, ერთ წელზე მეტს ვერ ძლებსო¹⁰.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, კერძოდ რაჭას, გიულდენშტედტი მოგვითხრობს: „ღვინოს რიონზე უწერას ქვემოთ ხშირად აყენებენ. მას წურავენ ხის კურკელში და ინახავენ დიდ ქვევრებში, რომლებიც მიწაშია ჩადგმული.“

ვენახები ამავე დროს ხილის ბაღებიცაა“ (გელ., I, 295).

თ ა ვ ი X I I

ყურძნის დასაწურად განკუთვნილი მოწყობილობა-იარაღის საერთო და განსხვავებული სახელები საქართველოს სხვადასხვა თემში

ყურძნის დასაწურად განკუთვნილი მოწყობილობისა და იარაღის აღსანიშნავად საქართველოს სხვადასხვა თემში, საერთო სახელებს გარდა, განსხვავებული სახელებიც არის დაცული, რომელთაგანი ზოგი ძველია და საყურადღებოა.

§ 1. ქართლ-კახეთში: საწნახელი, ნავი, საწნახლის ღარი

ქართლ-კახეთში ყურძნის დასაწურ მოწყობილობას საწნახელი და ნავი ეწოდება. საწნახელი ქვიტკირისაგან გაკეთებულ მოგრძო ოთხკუთხა აუზს წარმოადგენდა. მისი სიგრძე მარნის კედლის სიგრძეს უდრიდა, თითო მეტრი სიგანე და სიმაღლე ჰქონდა. ერთი მხრით საწნახლის ფსკერი დაქანებული იყო და სულ ბოლოში დაწურული ყურძნის წვენი გამოსასვლელად ღარი ჰქონდა გაკეთებული, ამ ღარით ტბილის ნაკადს მარანში მყოფ ქვევრებში ასხამდნენ.

ამავე, ანუ უფრო მომცრო ზომის მთლიანი ცაცხვის ანუ მუხის ხისაგან გამოთლილ ყურძნის საჭყლეტს კი ნავი ერქვა. ღარი მასაც ჰქონდა (ოყ. წგნ., III, 233—253; წგნ. წგნ. VII, 76—77 და VIII, 81).

¹⁰ მოგვაქვს გ. გელაშვილის თარგმანიდან (რედ.).

§ 2. იმერეთში: მარანი, საწნახელი, ონჯარო

იმერეთშიც ყურძენს მარანში სწურავდნენ, მარანი ფიცრული იყო, ხისა. მარანში ხისავე საწნახელი ჰქონდათ, რომელიც ცაცხვის ან და წაბლის მთლიანი ხისაგან გაკეთებულ ნავს წარმოადგენდა. ამ საწნახელს ყურძნის ახლად დაწურული წვენი კურში ჩასაშვები ნახვრეტი ჰქონდა (ხოჯაევის ცნობა: Оф. ВгК; С6СвК, III, 212—213).

იმისდა მიუხედავად, რომ იმერეთში ყურძნის საკყლეტს აკეთებდნენ იმერეთის ნავის მსგავსად, მაინც იქ მას ნავი კი არა, არამედ, თუ მოზრდილი იყო, საწნახელი ერქვა, მომცროს კი ონჯაროს ეძახდნენ (С6СвВгВдК, III, 113)

§ 3. რაჭაში: საწნახელი, ჩაჭრილა ანუ ხორგო

რაჭაში ყურძნის საკყლეტს საწნახელი, ჩაჭრილა და ხორგო ერქვა. სამივე ჩვეულებრივ ცაცხვის ხისაგან კეთდებოდა ისევე, როგორც ნავი. საწნახელი დიდი ნავის სახელად იყო მიღებული, რომლის სიგრძე 3 1/2 მეტრისაგან 4 მეტრამდე, სიგანე კი 8—20 გოჯამდე იყო. 2 მეტრზე მომცრო საკყლეტს ჩაჭრილას, ანუ ხორგოს ეძახდნენ (С6СвВгВдК, III, 55).

§ 4. ლეჩხუმში: ხორგო

ლეჩხუმშიც ხორგოს უწოდებდნენ (იქვე, III, 100).

§ 5. გურია-სამეგრელოში: ოჭინახი, ჯირაქვა ანუ ჯერუკი

გურიასა და სამეგრელოშიც ნავის მსგავს ხის საკყლეტსა ხმარობდნენ, რომელსაც გურიაში საწნახელი, ოდიშში კი ოჭინახი ერქვა. მომცრო საკყლეტს გურიაში ჯირაქვა („джираквa“), სამეგრელოში ჯერუკი ეწოდებოდა. ამ საკყლეტ ხის ნავეებს ამ ორ თემში ღარი არ ჰქონდა. ჩვეულებრივ საწნახელს ცაცხვისა, ანდა წაბლის ხისას აკეთებდნენ (Оф. ВгК; С6СвК, III, 222 და ერმ. ნაკაშიძე: С6СвВгВдК, IV, 91—92).

§ 6. ჩაჭრილო, მისი რაობა

საწნახელისა და ოჭინახის აღმნიშვნელობაზე უკვე გვქონდა საუბარი. ჩაჭრილოს თვით სახელი მის ნახელავობის თვისების მაუწყებელია, სახელდობრ, რომ ის მთლიანი ხისაგან ჩაჭრილობით, ამოჭრითა და ამოთლით კეთდებოდა.

§ 7. ხორგო, მისი რაობა

ხორგო საბას არ მოეპოვება. მას მხოლოდ როგო აქვს შეტანილი, ვითარცა „ძელთაგან თლილი ჭურჭლის ერთი სახელთაგანი“. მისი განმარტებით, როგო ხისაგან გამოთლილი ფუტკრის სკის სახელი ყოფილა (იხ. ლექსიკ.: ჭურჭელი და სკა). ხორგო არც ვ. ბერიძის იმერულ და რაჭულ თქმათა სიტყვის კონაშია, არც მეგრულსა და ქანურში ჩანს ხისაგან გაკეთებული ჭურჭლის სახელი, მაგრამ, უეჭველია, იგი დაკავშირებული უნდა იყოს მეგრულში დაცულ ხორგუა ზმნასთან, რომელიც დაზვინებას, ზვინად შეგროვებას, გროვად დაყრას ნიშნავს. ეკოხორგუა ზვინად გამოირიყვას ნიშნავს. გეხორგილი დაზვინებულს, დაგროვილს ეწოდება, ხოლო ხორგი, ანდა ხურგი, ხის ან ქვის ღობეს ნიშნავს (მ. გ., 406).

ამ ძირის სიტყვები ძველ ქართულშიც არსებობდა, მაგ., ხერგი და ხერგოვანი. ს. ორბელიანის განმარტებით, ხერგი ყოფილა „ძელნი მდინარეთ მონატანნი“, ხოლო „ხერგოვანი“¹¹ კმელზედ ნაყარი ხერგი“ ყოფილა. უკანასკნელი ახსნის დასამოწმებლად მამათა ცხორების 870-ია დასახელებული (ლექსიკ.).

მაშასადამე, ხერგი წყლით გამორიყულ-დაზვინებული ხეების აღმნიშვნელი ყოფილა.

თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ საფიქრებელია, რომ „შეშის ზვინი“-ს აღმნიშვნელი სიტყვა ხორა, რომლის არსებობა-მნიშვნელობა საბას 18 სიბრძნით¹² აქვს დამოწმებული (ლექსიკ.), ამავე ძირის, მხოლოდ სრულხმოვნისაგან, მაგრამ ბოლოჩამოცილებული სიტყვა უნდა იყოს. ამ მოსაზრების სისწორეს ის გარემოებაც ადასტურებს, რომ შეხორაება შეგროვების აღმნიშვნელი ყოფილა. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „შეხორაებინა შეეგროვებინა“-ს ნიშნავსო (ლექსიკ.), ეგების ხროვა და ხრო-ც, რომელთაგან უკანასკნელი „მკვეთ ჯოგი“-ს აღმნიშვნელ სიტყვად აქვს საბას განმარტებული (იქვე), ამავე ძირის სიტყვები იყოს?

ზემონათქვამის შემდგომ, ვგონებ, უფლება უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ „ხორგო“ თავდაპირველად დასაზვინებელი ჭურჭლის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამის გამო შესაძლებელია მას წინათ სათანადო თავსართი ჰქონოდა, რომელიც დროთა განმავლობაში გაქრა.

§ 8. ონჯარო — მისი რაობა

მომცრო საწნეხლის იმერეთში გავრცელებული სახელი „ონჯარო“ მეგრულ-ქანური აგებულების სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენს და ო თავსართისა და ნ-ჯარო-საგან უნდა იყოს შედგენილი. თავსართოვან ო-სა და ჯარ ძირს შუა მყოფი „ნ“ აქაც ძირეული არ არის, არამედ, მრავალი შემთხვევის მსგავსად, შენაზარდი უნდა იყოს. მაგარმ არც მეგრულში და არც ქანურში არც ონჯარო და არც სხვა ამის მავარი სიტყვა, არსებული ლექსიკონების მიხედვით, არა ჩანს.

¹¹ დაბეჭდილია „ხერღოვანი“, რაც კორექტ. შეცდომა უნდა იყოს. ივ. ჯ.

¹² ასეა „ლექსიკონში“. ნამდვილად იფულისხმება „სიბრძნე სოლომონისი“ 18, 23 (რედ.).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ონჯარო ყურძნის საჰყლეტი სამსახურებელის სახელია, მაშინ ამ სიტყვის ძირის მიგნება უფრო გაგვიადვილდება. მართლაც „ონჯაროს“ ძირი ჯარ-ია, რომელიც ძველ ქართულში საკმაოდ კარგად გვაქვს დაცული.

ძველ ქართულში „შეჯრა—შეტყეცა“-ს ნიშნავდა (საბას ლექსიკ.). ამ ზმნას შე ზმნისწინი და ჯრა ძირი აქვს, რომელიც ცალკეულადაც არსებობდა. საბას განმარტებით „ჯრა მრავალკაცთ ვიწრო ყოფა“-ს ნიშნავდა (ლექსიკ.). მაგრამ შეჯრა-სთან შედარება ადამიანს დაარწმუნებს, რომ ქართველი ლექსიკოგრაფის ეს ახსნა მთლად ზედმიწევნითი არ არის. ჯრა ცნება უეჭველად კაცთ ვიწროდ ყოფნას არ გულისხმობდა. მისი მნიშვნელობის არსებობის თვისებას შემიძირკობების, მრავალი საგნისა თუ არსებობის ერთად ვიწროდ, შეტყეცით ყოფნის ცნების გამოხატვა წარმოადგენდა. მისი სრულხმოვანი ფორმა ჯარ-სა და ჯერ-ს აქვს დაცული.

„ჯარი — მრავალკაცნი“ არისო, განმარტებული აქვს საბას (ლექსიკ.) და ერთად მრავლად თავმოყრილ ხალხს ნიშნავდა, ხოლო, გამოსლვათა 2211-ის დამოწმებით, „ჯერი — რიგით“ ცნების გამომხატველიაო (იქვე). ჯარ ძირი, როგორც შეჯრას მნიშვნელობისაგანაც ჩანს, მრავლად ერთად მოყრასთან ჩვეულებრივ დაკავშირებული ჰყლეტის ცნების გამომხატველიც ყოფილა და „ონჯარო“ სწორედ საჰყლეტის აღმნიშვნელი სიტყვა და ტერმინი ყოფილა.

შესაძლებელია ონჯაროს პირველად აღმნიშვნელობაზე საუბარი ამით დაგვემთავრებინა, მაგრამ კ. ფოცხვერაშვილის ცნობაზე დამყარებით ვუკ. ბერიძეს „ონჯარო“-ზე ნათქვამი აქვს, რომ „საქონლის საქმლის ჩასაყარად“ განკუთვნილი „როფი“ ყოფილა (სიტყვის კონა), ე. ი. პატარა გობი. სამწუხაროდ, აღნიშნული არ არის, თუ საქართველოს რომელ თემში უწოდებენ ასეთ გობს ონჯაროს, მართლაც ასეთი მნიშვნელობით ხმარობდნენ, თუ, როგორც ზემოდასახელებულ წყაროშია დასახელებული, პატარა ხის საწნებლის აღსანიშნავადაც ხმარობდნენ.

თუ კ. ფოცხვერაშვილის ცნობა სწორია, მაშინ, რა თქმა უნდა, ონჯარო საჰყლეტისა კი არა, არამედ ჩასაყარელის აღმნიშვნელად უნდა ვიგულისხმოთ. ეგების ონჯაროს ჯარი იმ ჰანურ ჯარ-თან იყოს დაკავშირებული, რომელიც ათინურბულეფურში სხვა თემების გდარი-ს შესატყვისად იხმარება და საკვებსა ნიშნავს. ამ შემთხვევაში ონჯარო მართლაც პირუტყვის საკვების ჩასაყარელი ჰურკლის აღმნიშვნელი იქმნებოდა.

ასეა თუ ისე, ცხადია, რომ ონჯარო მეგრულ-ჰანურ სიტყვათა აგებულების მქონებული ტერმინია და იმ მხრივად არის განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ არც მეგრულსა და არც ჰანურში ასეთი სიტყვა არა ჩანს.

ყურძნის საჰყლეტი ნ ა ვ ი დიდხანს სძლებდა ისე, რომ მისი გამძლეობა კახეთში 50 წლამდის აღწევდა (ფირალოვი-შავერდოვი: С6СвВГВдК, VII, 77), ხოლო გურჯისტანსა და სამეგრელოში 1—20 წლამდის სძლებდა; თუ ადამიანი გაუფრთხილდებოდა, — მეტ ხანსაც (ერმ. ნაკაშიძე, იქვე, IV, 92).

ხის საწნახელსა და ონჯაროს იმერეთში არგვეთის თემის ს. მუხურსა, ხიდარსა და მარელისში აკეთებდნენ (ე. ვაწაძე: С6СвВГВдК, III, 113).

§ 9. საწნეხელი წალმული

მოზრდილ ვენახსა და ზვარს ხშირად თავთავისი საწნეხელი შიგვე ჰქონდა ხოლმე. მანია ზევდგინიძეს 1475 წ. თავის შეწირულობის წიგნში, მაგ., ნათქვამი აქვს: „ახატანს ვენავი ბატაური ოთხი რუ... მისითა მზღურითა, საწნეხლითა წალმულითა... შევსწირეთ საადაპედ“-ო (ისტ. საბ., III, 40).

საწნეხელი წალმული ამ ნაგებობის რაიმე თვისებებს გამომხატველი უნდა ყოფილიყო. წალმული უეჭველია წალამისაგან იქმნება ნაწარმოები, რომელიც, როგორც ცნობილია, ვაზის მოჭრილ ტოტსა ნიშნავდა და აღნიშნავს ეხლაც. ამიტომ საფიქრებელია, რომ საწნეხელი წალმული წალამით დახურულ საწნახელს უნდა გულისხმობდეს.

თ ა ვ ი X I I I

ყურძნის დაწურვის წესები, ტექნოლოგია და სამსახურებალი

ყურძნის დაწურვის დროს მეურნე ცდილობდა, რომ საწნახელიდან წმინდა ყურძნის წვენი გამოსულიყო უჩენჩოდ და უკურკოდ. ეს კი ამ წვენის გაწურვით შეიძლებოდა. ამ მიზნის მისაღწევად აღმოსავლეთ საქართველოში საწნახელში ხის მაგარი ჯიშის წნელისაგან დაწნულ ლასტსა სდებდნენ, შემდეგ ზედ ჩადუნის ანუ ჩადის ფოთლებს აფენდნენ და მხოლოდ ამის მერმე დასაწყლეტ ყურძენს აწყობდნენ.

§ 1. ტოპკირი ანუ ლასტი

ყურძნის დაწყლეტის დროს წვენი ამ ჩადუნიანი ლასტის წყალობით იწურებოდა, რათგან ჰვაჭა, ხუნწვალი და კლერტი საწნახელში რჩებოდა, სუფთა წვენი კი ლარში ჩადიოდა. ასეთ ყურძნის წვენის გასაწურავად განკუთვნილ ლასტს XIX ს. შუაწლებში კახეთში ტოპკირი ეწოდებოდა (იხ. ოყ. BrK, III, 233—234).

ეს ტერმინი ძველადაც ყოფილა, რის დამტკიცებაც ს. ორბელიანის ნაშრომითაც შეიძლება.

„ტოპკირი“, საბას სიტყვით, „საწნეხლის ლატანი“, ე. ი. „წურილი და გრძელი ძელი“, ხელთნაწერთა ძველი რედაქციის განმარტებით კი „ლასტი“ იყო (ლექსიკ.), რაც უფრო ზედმიწევნით განმარტებას წარმოადგენს.

როდესაც ყურძენს ხის ნაეში სწურავდნენ, მაშინ ჯერ ნაეში სიგანეზე კოტებს აწყობდნენ და შემდეგ ზემოაღნიშნული მიზნითვე ჩადუნის ფოთლებიან ლასტს სდებდნენ ხოლმე და ამ საცერის მსგავსი მოწყობილობით დაწყლეტლი ყურძნის წვენი იწურებოდა (ფირალოვი-შავერდოვი და ყანდურალოვი: C6C8BrB4K, §VII, 77 და VIII, 81).

ვარაუდით კახეთში ისე ანგარიშობდნენ, რომ ერთ ადამიანს მთელი სამუშაო დღის განმავლობაში 10 გოდორი ყურძნის დაჰყლეთა შეეძლო. ერთი გოდორის ანუ 3 ფუთა ყურძნისაგან კი, ორთაშუა რიცხვად, 2,5—3 კასრი (ведер) ტკბილი ღვებოდა (ფირალოვი-შავერდოვი, СнСвВгВгК, VII, 77).

§ 2. საქაჩავები: დათვისა და ჭახრაკის. მათი რაობა

XIX ს. იმერეთში ჭახრისაგან ყურძნის წვენის საბოლოოდ გამოსაწნებად ორნაირ იარაღსა ხმარობდნენ. ერთ მათგანს დათვის საქაჩავი სწოდებოდა სახელად, მეორეს კიდეც ჭახრაკის საქაჩავი. სამწუხაროდ, ე. ვაწაძეს. რომელსაც ეს ცნობა მოეპოვება, არც ერთი მათგანის აღწერილობა მოყვანილი არა აქვს.

ის ამბობს მხოლოდ, რომ დათვის საქაჩავი უფრო მარტივი აგებულების იარაღი ყოფილა, ჭახრაკის საქაჩავი კი თურმე ხრახნილიანი. ორივე საწნეხი ზოგადად პრიმიტიულ იარაღად აქვს დახასიათებული (Оч. Вг в Имеретии: СССвВгВгК, III, 115).


§ 3. რაჭული საწნეხი ანუ ჭახრაკი, წბერი

ილ. ბახტაძეს რაჭული საწნეხი აქვს აღწერილი, რომელსაც ადგილობრივ ჭახრაკი ეწოდებოდა. ჭახრაკს 5 ნაწილი ჰქონია: 1. მარანი, რომელიც კუბიკური მოყვანილობის დიდი ქვა იყო. ერთ გვერდზე ის ჩაღრმავებული და ნავის ერთი გვერდის მსგავსად განვრტოლი ყოფილა. ამასთანავე იგი ორად ყოფილა სატიხრით გაყოფილი; 2. დირე, მაგარი ხისაგან გაკეთებულ ოწინარს (рычаг) წარმოადგენდა; 3. ისარი, რომელიც დახრახნილ ღერს (стержень) წარმოადგენს; 4. ვაცა მიწაში მაგრად ჩარბობილ ზონს ეწოდება და 5. ქვა, რომელიც ღეროს ერთ კიდურზე დამაგრებული წისქვილის ქვაა („укрепляемый на одном конце стержня“). ამავე ავტორს აწერილი აქვს ამ ჭახრაკის აგებულება და გამოყენების წესი (იხ. Экономический быт госуд. крест. Рачин. у., V: МИЭБГКЗК, II, 1, 64).

ე. დანდუროვსა აქვს რაჭაში ასეთი აგებულების საწნეხი აღწერილი, მაგრამ მის სახელად სულ სხვა სიტყვა აქვს აღნიშნული, ამ იარაღის ნაწილების ზოგიერთი სახელიც ილ. ბახტაძისაგან ჩაწერილს სრულებით არ უდგება. საერთოდ არც ჩანს, რომ დანდუროვს თავის წინადროინდელი წყაროები გამოყენებული ჰქონდეს.

დანდუროვის ცნობით, რაჭულ საწნეხს წბერი ეწოდებოდა (аберн). ეს წბერი ერთი ქვის დაფისაგან შედგებოდა, რომელიც ჩაღრმავებული ყოფილა და ოთხივე მხრითგან კიდეებზე ხის ფიცრულებისაგან გაკეთებული კედლების ჩასაჭედად ჩაღრმავებულები ჰქონია. იშვიათ შემთხვევაში ასეთი დაფა ხისგანაც კეთდებოდა.


ზაფხასი




ზევიდან

ლიდი - სამაღა
სიგანე 2ა. 22 სმ
სიგანე 1ა. 3 სმ.
სიმაღლე 94 სმ.


ბოლოდან




შაქაჯაყები



1.



2.



3.

უღეს ძველი სამაროჯანი
105 x 68 x 19 სმ.

უღეს ძველი სამაროჯანი
130 x 93 სმ
იხ. სურ. 2.

უღეს ძველი სამაროჯანი
86 x 70 x 22 ზმ.
იხ. სურ. 1.

შაქაჯაყები



4.



5.



6.



7.



8.

ვიღეს ეკლ დას გზობე.
131 x 93 x 28 სმ
იხ. სურ. 3.

ურავულის მცხ. ალი ფინიის
ქარ. წინ.
150 x 90 x 36 სმ.

ლობიეთის წისქვილის ქუებით.
ახანსაყენ მიძაულ წვის ძირას
(ღატანებულა ყოიუბი ხროთი სამხნი)
110 x 90 სმ.

როკეთის წმ. გიორგის ეკლ. ეზოს
აღმ. მხარეს ყოიუნი ღატანებული
125 x 63 x 50 სმ.

მკელსუნდას მცხოვრებ
შანან-ჰამიდ-ოღლოს ეზობე
75 x 64 x 24 სმ.

§ 4. გობი

ამ ჩაღრმავებულ დაფას გობი რქმეგია. ყუთად გამართულ გობში თურმე ყურძენს სდებდნენ და ზევითგან ერთ ფიცარსა ხურავდნენ, რომელზედაც კოტები ეწყო ხოლმე. ამ კოტებს ოწინარის მსგავსად გამართული დირე აწვებოდა. ამ დირეს ერთი მხარე ან მიწაში მაგრად ჩარჭობილ, ან მახლობლად მდგომ ხეზე იყო დამაგრებული, მეორე, გრძელი და ორად განშტოებული მხარე კი ერთ ხის ხრახნილს ეხება, რომელსაც ისარი ეწოდებოდა. ამ ხრახნილიან ისარს სიმძიმისათვის წისკვილის ქვა ჰქონდა ჩამოცმული და მოსაბრუნებლად სახელური ჰქონდა გაკეთებული, სახელურით ხრახნილიანი ისრის დატრიალებით დირე ძირს ეშვება და კოტებს აწვება, რის გამო ამ გობის ხის ზემო სახე-რავი ყურძენს სკყლეტს და სწნებავს (C6C6BrBzK, III, 56).

§ 5. წბერის რაობა ვ. ბერიძის აღწერილობით

ვ. ბერიძის აღწერილობით, წბერი ანუ წვბერი, რომელსაც თურმე ხარხინი ანდა ხარიხიმიც ეწოდება, შემდეგი თერთმეტი ნაწილისაგან შედგებოდა: მას ჰქონია: „1. ისარი — ჭახრაკი, 2. დირე — ზევიდან დადებული ორბოძალა ხე, 3. ქუდი, ანუ დათვის თავი, ჭახრაკზე ჩამოცმული, 4. სამართი — დირის გასამაგრებელი, 5. ბერა-ხე, რომელშიც დირეა გაყრილი, 6. დანდლები — ბერაში გაყრილი ხეები, რომლებზედაც მერეტაფაა, 7. მერეტაფა — ქვა ყურძნის გასაწნეხი და საწურავი, 8. კვირის-თავი — ჭახრაკზე დაკიდებული ქვა, 9. კაპიწი — ჭაჭის ჩასაყრელი, 10. კაკალა — ჭაჭის ასაღები, 11. კონტილა — დირესა და კაკალას შუა შესაღები ჭირკები“ (იხ. „სიტყვის კონა“ იმერულ და რაქულ თქმათა, 68).

§ 6. ხარხენი

საწნეხი ხის მანქანა გურიასა და სამეგრელოშიც ყოფილა წინათ გავრცელებული. გურიაში ამ იარაღს ჭახრაკი ეწოდებოდა, ოდიშში კი ხარხენი, რომელიც, რა თქმა უნდა, ხრახნილისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. აგებულებით ჭახრაკი, ანუ ხარხენი იმერეთში გავრცელებული საწნეხისაგან არაფრით განსხვავდებოდა (ერმ. ნაკაშიძე: C6C6BrBzK, IV, 94—95).

§ 7. საწნეხი სამსახურებლის ანუ იარაღის ქართული სახელების ზოგადი მიმოხილვა

საწნეხი სამსახურებლის ანუ იარაღის აღსანიშნავად, როგორც ზემომოყვანილიდან ჩანს, ქართულად არაერთი სახელი ყოფილა: 1. უძველესი საწნეხი, 2. საქაჩავი ანუ საქაჯავი, თუ საქაჯველი, რომელთაც აღმოსავლეთ საქართველოსა და იმერეთში ხმარობდნენ, 3. ჭახრაკი, რო-

მელსაც რაჭასა და გურიაში ხმარობდნენ, 4. წ ბ ე რ ი, რომელიც რაჭაში შერჩენილი ტერმინია, და 5. ხ ა რ ხ ი ნ ი, ხ ა რ ხ ი მ ი და ხ ა რ ხ ე ნ ი, რომელთაგან პირველი ორი იმერეთ-რაჭაში იყო გავრცელებული, ხოლო უკანასკნელი — სამეგრელოში. თუ გავიხსენებთ, რომ საქაჩავი იმერეთში ორნაირი იყო, რომელთაგან ერთს დათვის საქაჩავი, მეორეს კიდევე ჭახრაკის საქაჩავი ეწოდებოდა, მაშინ ცხადი ვახდება, რომ რაჭაში და გურიაში საწნეხისათვის მიღებული სახელი ჭახრაკი უნდა იმერული სახელი ჭახრაკის საქაჩავის შესატყვისობად მივიჩნიოთ. საფიქრებელია, რომ დროთა განმავლობაში ამ ტერმინს მეორე ნაწილი, საქაჩავი, ჩამოსცილებია და მისი ნაწილი, ჭახრაკი და რჩენილია და ქცეულა სახელად. ამნაირადვე ხარხინი, ხარხიმი და ხარხენიც, ცხადია, ხრახნილისაგან არის წარმომდგარი, ე. ი. ხრახნილიანი საქაჩავი, ანუ საწნეხი იგულისხმება. ამიტომ ხარხინიც ამ იარაღის პირვანდელი სახელის (რომელიც მისი ერთი ტექნიკური თვისების დამახასიათებელი ყოფილა) შეკვეცილ სახელად უნდა იქნეს ცნობილი. მაშასადამე, არსებითად ამ სამსახურებლის მხოლოდ 3 ზოგადი ტერმინი გვქონია: საწნეხი, საქაჩავი და წბერი, ხოლო მათი აგებულების ნიშანდობლივი თვისებისდა მიხედვით, ზოგს დათვის საქაჩავი, ზოგს ჭახრაკის, ზოგს კიდევე ხრახნილისა წოდებია.

თვით ამ იარაღის ზოგად სახელთაგან ორი — საწნეხი და საქაჩავი — უკვე თავისი აგებულებით მისი დანიშნულების მაუწყებელია (სა-წნეხი, სა-ქაჩავი).

საქაჩავი საბას არ მოეპოვება. დ. ჩუბინაშვილს შეტანილი აქვს საქანჩავი, საქანჯავი და საქანჯელი, მაგრამ, რომელი ძეგლითგან არის ამოღებული, აღნიშნული არ არის. ს. ორბელიანს მხოლოდ ქ ა ნ ჩ ი ს შეტანა დაუნახავს საჭიროდ, რომელზედაც ნათქვამია, ხრახნილის მოსაპირებელი-აო (ლექსიკ.).

საქაჩავი დანიშნულების გამომხატველი ტერმინია და ქ ა ჩ ვ ი ს ა თ ვ ი ს განკუთვნილი იარაღის სახელია. არც ქაჩვა, არც ქანჩვა ზმნა არც ს. ორბელიანს. არც სხვას ვისმეს არ მოეპოვება: ხრახნილის მოსაპირებელის აღმნიშვნელი ქანჩი კი ცხადყოფს, რომ ოდესღაც ასეთი ზმნა უნდა ყოფილიყო: ვუქბერიძეს მოეპოვება ქანჯვა და მოქანჯვა, რომელთა შესახებ განმარტებულია, რომ გვერდზე წაფერდებასა და წაქცევას ნიშნავს, რომ მოქანჯული წაფერიფალა-ა (იხ. „სიტყვის კონა“). რაკი ამ განმარტებითგან ჩანს, რომ აქ კიდაობის ერთ-ერთი ტერმინთაგანი გვაქვს, ამიტომ ცხადია, რომ „საქაჩავი“ სახელის წარმომშობელ „ქაჩვა“-სთან ამ ორ სიტყვას შესაძლებელია მხოლოდ შორეული კავშირი ჰქონდეს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ქანჩი ხრახნილის მოსაპირებელის აღმნიშვნელი იყო, მაშინ ადვილი მისახვედრებელი იქმნება, რომ ქანჩვა თავდაპირველად მოჭერისა და დაჭირების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და რომ საქაჩავიც იმ იარაღის აღმნიშვნელი იქმნებოდა, რომელსაც მოსაჭერად და დასაჭირებლად ხმარობდნენ.

მართლაც ქაჩვა ზმნა ჭანურშია დაცული გქაჩუ-ს სახით, რომელიც დაქერასა და დაკაეებას ნიშნავს, ათინურად ვოქამ, ხოფურად ვოქაჩაფ, ვიწურად ბოკაჩამ-ვიკაჩებ, ვიკაჩი, ვოქაჩი, ბოქაჩი — დავიკავე (ჭ. გ., 196).

ქანჩუა და ქანჩაფას სახით ეს ზმნა მეგრულშიც არსებობს, სადაც იგი წევას, გამოწევას ნიშნავს (მ. გ., 342).

საგულისხმოა, რომ ახალ სომურშიც ზმნა *ჟაჟხ* ქაშელ, რომელიც წევასა და გაწევას ნიშნავს, გამოხდის აღსანიშნავადაც იხმარება. მაგ., *არაჟ ჟაჟხ* არად ქაშელ არაყის გამოხდას ნიშნავს.

თუმცა ს. ორბელიანს არც წბერი და არც მწბერი ლექსიკონში არ მოეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ მას მწბარი აქვს, რომელიც მისივე განმარტებით „ნათქლეფი“-ს აღმნიშვნელი ყოფილა. ეს სიტყვა წბა ზმნისაგან ნაწარმოები ვნებიითი მიმღეობაა. მსაჯულთა 75-ზე დაყრდნობით საბას „წბა თქლეფა“-დ ესმოდა, ისევე როგორც „წბოლა თქლება“-აო.

თქლეფა, ათქლეფა და შეთქლიფა ს. ორბელიანს განმარტებული აქვს. რომ „ძალთაგან ენით წუნის ამოქმას, წბოლა“-ს, ძაღლისაგან თუ მკეცისაგან წუნის შექმას ნიშნავსო, მაგრამ წბასა და წბოლას აღმნიშვნელობის ასე ახსნა რომ მთლად სწორედ და ზედმიწევნითი არ არის, ამას ამავე ავტორის მოწმობის განმარტებაც ცხადყოფს.

მოწბობა-ც არსებობდა, რომლის აღმნიშვნელობაც ქართველ ლექსიკოგრაფს ასე აქვს განმარტებული: „ცხოელმან რა საზრდელი ჭამოს, მისი ძალი ბუნებით თვსად მიმართ მიიწბოს და ნამეტნავი განყაროს“, ამას მოწბობას ეძახიანო (ლექსიკ.). მამასადამე, მოწბობა საქმლის ცოხნა-შეთვისების აღმნიშვნელი ყოფილა.

მაგრამ ამავე მეცნიერის შეწბა ზმნის აღმნიშვნელობის განმარტება ამჟღავნებს, რომ წბა, წბობა და მოწბობა მართო საქმელ-საზრდელისა კი არა, არამედ სასმლის შეთვისებასაც გულისხმობდა. საბას ნათქვამი აქვს, რომ „შეწბო — შეეესვა“-ს ნიშნავსო (იქვე).

წბერი უნდა მწბერი-საგან იყოს წარმომდგარი, და თუ მწბარი. როგორც დავრწმუნდით, ენებითი მიმღეობაა, მწბერი პირიქით წბა ზმნის მოქმედებითი, აქტიური მიმღეობის ფორმაა. რაკი წბა საზრდოს შეთვისებას, ე. ი. შესათვისებლად ლეჭვა-დაქყლეტას ნიშნავდა. ამიტომ მწბერი ამის მქნელი სულდგმულისა, თუ იარაღის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მართლაც წბერიც ხომ ყურძნის დაქყლეტი მანქანის სახელია, იმ იარაღისა, რომლის მოქმედებაც ყურძნის დაქყლეტას წარმოადგენდა.

ბერა საბასაც მოეპოვება და მისი განმარტებით, „შუა გასაღლელი“ ყოფილა. მისი ლექსიკონის უძველეს რედაქციაში ასეა ნათქვამი: „ორთავე მკარვთა გაჰკრვენ და საშუალ კართა რასამე უყოფენ მეწუელთა ცხოვართა გასატარებლად, გინა სხვსა რაჲსამესათჳს“-ო.

თავი XIV

ლვინისა და ხურძინის წვეინის საწყაროები ანუ საზომი ერთეულები.

§ 1. საწნეხელი, როგორც საზომი ერთეული

ლუკას 16-შიც დასახელებულია საწნეხელი ზეთისა, რომელიც ბერძნული თარგმანის *ὁ κάρσις* ჰო ბატო-ს, ლათინ. *cadus*-სა და სომხ. *մար* მარ-ს უდრის. ყველა სამივე სიტხის საწყაოს აღმნიშვნელია და ოთხთავის ამ ადგი-

ლის დედააზრით სწორედ ასეც უნდა იყოს. ამიტომ ცხადი ხდება, რომ ოთხთავის ქართულად გადმოთარგმნის დროს საწინეხელი საქართველოში მართო ყურძნისა და ზეთის დასაწინები მოწყობილობის აღმნიშვნელი კი არ ყოფილა, არამედ ისევე, როგორც შემდეგშიც, რის დამამტკიცებელი საბუთიც ქვემოთ გვექმნება მოყვანილი, საზომის ერთეულადაც ყოფილა ნაგულისხმევი. ეს გარემოება იმის მაუწყებელია, რომ ძველ საქართველოში მტკიცედ განსაზღვრული ყოფილა ყურძნის ტკბილის, ან ზეთის მთელი ის ოდენობა, რომელიც განსაზღვრული სიდიდის საწინახლითგან განსაზღვრული დროის განმავლობაში გამოდიოდა ხოლმე.

როგორც ეტყობა, საწინეხელი მხოლოდ გარკვეული სიდიდის ვენახსა ანუ ზვართან კეთდებოდა ხოლმე. ეს იმიტომ არის საფიქრებელი, რომ საწინეხელი, როგორც უკვე ჩემს „ქართულ საფას-საზომთა მცოდნეობა“-ში მქონდა აღნიშნული (გვ. 89), ყურძნის ტკბილის საგადასახადო ერთეულად ყოფილა კიდევაც მიჩნეული, რომლის მიხედვითაც მის პატრონს უნდა გარკვეული ოდენობა ტკბილი გამოეღო.

§ 2. კოკა

მაგ., დასტურლამალის დებულებით შულავრის მოურავს „საწინახელზედ თუთო კოკა ტკბილი“ ერგებოდა, ყოველწლით სარგოდ (გვ. 98), ხოლო „თარხანი საწინახელზედ ცალს ტკბილს მოსცემდეს“-ო (იქვე, 99). ამნაირადვე „რასაც აზნაურშვილს ვენახი ჰქონდეს შულავერში, საწინახელზედ ცალი მისცეს და აზნაურიშვილის ყმამ — კოკა ა“-ო (იქვე).

§ 3. ჩაფი

შულავრის ნაცვალსაც ამავე ერთეულისდა მიხედვით ერგებოდა თავისი ყოველწლიური სარგო: „საწინახელზედ ორი ჩაფი ტკბილი მოყალნემ უნდა მისცეს და ორი ჩაფი თარხანსა“, ხოლო „აზნაურშვილის ვენახი რაც შულავერში იყოს, ორი ჩაფი ტკბილი, აზნაურშვილის ყმამაც ორი ჩაფი ტკბილი მისცეს“ იმავე ნაცვალსაო (იქვე).

შულავრის მელიქსაც სარგოდ „საწინახელზედ ტკბილი ჩაფი ვ „(6)“, მესთელისა საწინახელზედ ტკბილი კოკაა“ და დასასრულ, შულავრის მამასახლისსაც ყოველწლიურად „საწინახელზედ ორი ჩაფი ტკბილი“ მისცეს“ სარგოდო (დასტურ. 99).

თ ა ვ ი

ღ ვ ი ნ ის დ ა ს ა ყ ე ნ ე ბ ლ ა დ ა ზ ე ს ა ნ ა ხ ა ლ გ ა ნ ა ყ თ ვ ნ ი ლ ი ნ ა ბ ა ზ ო ბ ა ბ ი

§ 1. მარანი

იმ ნაგებობას, სადაც ღვინის დასაყენებლად საჭირო ყოველგვარი მოწყობილობა და ქურჭელი იყო მოთავსებული, მარანი ეწოდებოდა. ნიკორწმინ-

დელს XI ს. თავის სიგელში აღნიშნული აქვს: „ნიკოლოსწმიდას შევქმენ... მარანი ქვითკირი : ა: (1) და დავფალ შიგან ჭური“ 16-ი, ამნაირადვე „შევქმენ საწირეს მარანი მუხისაჲ — ა“ (1-ო; ქქბი, II, 46 და 48).

გიორგი III-საც შიომღვიმისადმი 1170 წ. ბოძებულ ერთიან სიგელში ნათქვამი აქვს: „ოთხთა ჭურის მრეცხელთა სხალტბელთა მარანსა ჩუენსა ტყე-კორღთა მისცემდენ სამსა კუირასა“-ო (სქს სძვლნი, IV, 5).

§ 2. მარანი ანუ საღვნე სახლი

საბას განმარტებით მარანი „საღვნე სახლი“ იყო (ლექსიკ.), მაგრამ ეს განმარტება მხოლოდ იმდენად არის სწორი, რამდენადაც მარანში მართლაც ღვინოს აყენებდნენ. მაგრამ მაინც მარანი და საღვინე მელვინეობის სხვადასხვა მოთხოვნილებისათვის ყოფილა განკუთვნილი, რა თქმა უნდა, მსხვილ მეურნეობაში.

§ 3. მარნების სახესხვაობანი და ზომა

„ზნაკუას... დავფალ მარანსა შინა ჭური : გ:“ (ნიკორწმ. XI ს. სიგ., ქქბი, II, 46).

„ნიკოლოს-წმიდას შევქმენ... მარანი ქვითკირი : ა: და დავფალ შიგან ჭური ნავარძული : ივ: (იქვე).

„შევქმენ საწირეს... მარანი მუხისაჲ : ა: და დავფალ შიგან ჭური : ი: და დავდგი ზედა ბელელი ხერხული : ბ:“ (იქვე, II, 48).

ამგვარად, მარანი ხისაც, მუხისაც კეთდებოდა და ქვითკირისაც. მარნები სიდიდითაც განსხვავდებოდნენ: ერთში 3 ჭური ყოფილა, მეორეში 10, მესამეში 16 ჭურიც კი.

ნიკორწმინდელს თავის ზეობაში ორი მარანი აუგია, რომლებშიაც 26 ჭური ჩაუდგამს და ერთ წინათ აგებულ მარანში კიდევ 3 ჭური ჩაუფლავს. სულ, მამასაღამე, 29 ჭური ჩაუდგამს.

თავი XVI

საქართველოს თემებში გავრცელებული მარნებისა და სამსახურებელის სხვადასხვა სახელები

ყურძნის დასაწურად განკუთვნილი ჭურჭელ-იარაღის სახელები საქართველოს სხვადასხვა თემში საერთოდ არის, მაგრამ ზოგი განსხვავებულიც მოიპოვება. მაგ, კახეთსა და ქართლში იმ შენობას, სადაც ღვინოს ინახავენ, მარანი ეწოდება. ამავე ტერმინს ხმარობდნენ დასავლეთ საქართველოშიც (იხ. Оч. BrK; C6C6K, III, 212, 217, 219, 233; C6C6BrB4K, VII, 76—78; VIII, 81; III, 94, 101, 112; IV, 91).

§ 1. ისარნები

შესაქმეთა 24₂₀-ის დამოწმებით ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ „ისარნები ავაზანი“-ა, ხოლო C რედაქციით „წყალთ შთასასხმელია ხვასტავთ სასმელად და მისთანია“-ო (ლექსიკ.). იმერეთში კი ისარნა თიხის ღრმა ჭურჭელია. რომელსაც საწნებს, ანუ საქაჩავს შეუდგამდნენ ხოლმე იქითგან გამოქვლილი წვენი შესაგროვებლად (ე. ვაწაძე: СбСвВгВдК, III, 115).

§ 2. სარწყული

ს. ორბელიანის მიერ დამოწმებულ თხზულებაში შესაქმეთა 24₂₀-ში, ბაქარის გამოცემაში, ისარნა ანუ ისარნები არ არის, არამედ იქ სარწყულია დაბეჭდილი, რომელიც ძველ ქართულში წყლის ჭურჭელს ნიშნავდა. ბერძნულ თარგმანში აქ τὸ πῶν:αρχῆσιον ტო პოტისტერიონ, ე. ი. სასმელი ჭურჭელი; ლათინურში puteus და სომხ. սահիր საფორ-ი წერია, რომელიც კოკასა ნიშნავდა. ს. ორბელიანს დაბადების ქართული თარგმანის ისეთი რედაქცია ჰქონია ხელთ, რომელიც სარწყულის მაგიერ ისარნა ყოფილა ნახმარი.

§ 3. მერა, მერარი ანუ დორაკი

საქაჩავისაგან გამოსული ყურძნის წვენის შესაგროვებლად განკუთვნილი ხისაგან კვერცხებრივად გამოთლილი მომცრო ჭურჭლის მერა-ს სახელი (იხ. ე. ვაწაძე, Оч. Вг в Имеретии: СбСвВгВдК, III, 115) უნდა იგივე მერარი იყოს, რომელიც ს. ორბელიანის განმარტებით „დორაკი“-ს მეორე სახელი ყოფილა (ლექსიკ.).

§ 4. ჭური, მისი რაობა და ქვევრი

ჭური იგავთა 23₂₇-ში ბერძნულ πῆμι-ს პითოს-ს, ლათინ. puteus და სომხ. կարաս კარას-ს უღრის. სამივე ქვევრის, ღვინის შესანახავი ჭურჭლის აღმნიშვნელი იყო. მაგრამ ჭური ზოგადი მნიშვნელობის სიტყვაც იყო და საქმე მოციქულთაში (9₁₃) ჭური უკვე ბერძნულ σῦσις-ს სკეუოს-ს, ლათინ. vas-სა და სომხ. սնիժ-ს ანოთ-ს ეთანასწორება, ე. ი. ჭურჭელს ნიშნავს.

საგულისხმო გარემოებაა, რომ ჭური ღვინის მარტო მიწაში ჩასმული შესანახის აღმნიშვნელი კი არ ყოფილა, არამედ დასაძრავი ჭურჭლეულისაც. ჟამთააღმწერელს, მაგ., ნათქვამი აქვს, რომ მონღოლთა ნოინის ქუთაისში სტუმრობის დროს „ღვინის ამარი არა იყო, მოიღეს ურმითა და ჭურითა-ო“ (*859, გვ. 708).

უძველეს ქართულში თუ ჭური ყოფილა ღვინის ჩასასხმელ-შესანახი ჭურჭლის აღსანიშნავად მიღებული, შემდეგდროინდელ საბუთებსა და ძეგლებში, ჭურს გარდა, ქვევრი-ც ჩნდება.

§ 5. ჭურის სახესხვაობანი საბა ორბელიანის მიხედვით

ს. ორბელიანის განმარტებით ჭური თიხისაგან გაკეთებული ჭურჭლეულის ზოგადი სახელიც არის და „ჭური არს კეცთაგან ჭურჭელი: ქვევრი, ყვიბარი, ქოცო, ხალანი, დერგი, ლაგვინი, ლაგვიანარი და მისთანანი“-ო. მეორე მხრით, საქმე მოციქულთას 915-ზე დაყრდნობით, მას ნათქვამი აქვს, რომ „ჭური ქვევრია“ (იხ. ლექსიკ.: ჭურისა და ჭურჭლის ქვეშე). ქვევრის მნიშვნელობაც სწორედ ასევე აქვს განმარტებული: „ქვევრი კეცის ჭური“-აო (იქვე).

ს. ორბელიანის ამ განმარტებითგან ჩანს, რომ XVII ს-ში აღმოსავლეთ საქართველოში ჭურისა და ქვევრის განსხვავება აღარა სცოდნიათ, ჭური მხოლოდღა ზოგადი მნიშვნელობის ტერმინად ყოფილა შენარჩუნებული. ღვინის შესანახი მიწაში ჩასაფლველი დიდი ჭურჭლის სახელად, როგორც ეტყობა, ამ დროს ლიხთ-ამერეთში უკვე მხოლოდ ქვევრიღა დარჩენილა.

§ 6. ქვევრ-ჭურების დამზადების პუნქტები საქართველოში

ძველ საქართველოში მეღვინეობის ფართოდ გავრცელების გამო, ცხადია, რომ ქვევრ-ჭურების დამზადება ხელოსნობის ცალკეულ დარგად უნდა ქცეულიყო ისევე, როგორც თავისი საუკეთესო ასეთი ჭურჭლით განთქმული ადგილები სხვადასხვა თემში უნდა გაჩენილიყო.

ის გარემოება, რომ ნიკოლაოს-წმიდას, ანუ ნიკორწმინდის XI ს. საბუთში მარნის შესახებ ნათქვამია „შიგ დავფალ „ჭური ნავარძელი“ 16-ი, უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ამ კუთხეში საუკეთესო ჭურებად ნავარძეთში გაკეთებული ჭურები იყო მიჩნეული. სანამ ძველ ძეგლებში დანარჩენ ადგილებზე ცნობები აღმოჩნდებოდეს, შესაძლებელია XIX ს. ცნობები იყოს გათვალისწინებული, რათგან ცხადია, რომ თუ ყველა არა, ბევრი ამ ადგილთაგან წინა საუკუნეებშიც ამავე ხელის მიმდევარი იქმნებოდა.

კახეთში XIX ს. ქვევრებს ბევრგან აკეთებდნენ, მაგრამ საუკეთესოდ ანავის ქვევრები ითვლებოდა (ფირალოვი და შავერდოვი: СССВВГВДК, VII, 78).

ქართლშიც ქვევრებს სხვადასხვა სოფლებში აკეთებდნენ, მაგრამ საუკეთესოდ იმერული ქვევრები იყო მიჩნეული და იქითგან, სახელდობრ ზემოიმერეთის ს. ბოსლევისა, შროშისა და სხვა სოფლებითგან მოჰქონდათ ხოლმე (ყანდურალოვი: СССВВГВДК, VIII, 83).

იმერეთში ჭურ-ქვევრებს არგვეთის სოფ. საარკეშიც აკეთებდნენ, მაგრამ საუკეთესოდ ს. ჩირეულისა და ბოსლევისა, აგრეთვე ლეჩხუმის სოფ. საირმითგან იყო მიჩნეული, საითგანაც თურმე რაჭველებს ჩამოჰქონდათ გასაყიდად (ე. ვაწაძე, ე. დანდუროვი: СССВВГВДК, III, 113—114, 55).

ლეჩხუმში ამ ხელობას, ალბანას საზოგ. ს. საირმის გარდა, ოყურეშის საზოგადოების ს. ზუბსა და ოფიტარაში მისდევდნენ (იხ. ა. იაკოვლევი: СССВВГВДК, III, 103).

გურიასა და სამეგრელოში ჭურ-ქვევრებს ადგილობრივ აკეთებდნენ. გურიაში ამ ხელობას ს. აკეთი და აცანა მისდევდა, სამეგრელოში კი ძველი სენაკი, მუხური, ჭვარი, პახულანი, ჭალე, ჭკადუაში, კორცხელი და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო განთქმული ნამყოლი იყო (ერმ. ნაკაშიძე: იქვე, IV, 98—99).

§ 7. „ჭურის ჩაღმა“

XV ს-შიც ტბილისა და ლეინის შესანახ ჭურჭელს აღმოსავლეთ საქართველოშიც წინანდებურად ჭური ეწოდებოდა. მამია ზევდგინიძეს, მაგ., შიომღვიმისადმი მიცემულ 1475 წ. სიგელში ნათქვამი აქვს: ახატანს ვენახი ბატანაური თოხი რუ შემომიწირავს და „როცა იმა ვენახსა ტბილი გამოვიდეს (sic!), ორი ჭური მე მამიამან ჩავდგა“-ო (ისტ. საბ. III, 40).

ამ ამონაწერითგან ჩანს, რომ ჭურ-ქვევრის მიწაში ჩასმას მაშინაც ჭურის ჩაღმა რქმევია.

აღმოსავლეთ საქართველოში, სახელდობრ, კახეთსა და ქართლში, თანდათანობით ჭურის სახელი გაქრა და მიწაში ჩაფლული ლეინის შესანახი თიხის ჭურჭლის ერთადერთ სახელად ქვევრი იქცა.

§ 8. ქვევრი, მისი რაობა

როდესაც ძველი ჭურის მაგიერ აღმოსავლეთ საქართველოში ტერმინად ქვევრი გაბატონდა, მაშინ ჭურის ჩაღმის მაგიერაც ქვევრის ჩაღმას ხმარობდნენ. ზოგჯერ ძველი ჭურ-ქვევრი ერთი მარნითგან მეორეში გადაჰქონდათ ხოლმე. ერთი ასეთი ამბავი წინამძღუარ მელქისედეკ ყანჩაელს აქვს 1658 წ. საბუთში მოთხრობილი: „ამილახორის მარანში ერთი ქვევრი არ მამეწონა“ და მის პატრონს გივი ამილახორს ვთხოვე, რომ მისი ნებართვით და სულის საოხად ის ქვევრი შიომღვიმის „ნასპარსევს სადეკანოზოს მარანში ჩაგვედგა“-ო. მას თანხმობა განუცხადებია (ისტ. საბ., III, 55).

§ 9. ჭურ-ქვევრის ზომები საქართველოს სხვადასხვა თემებში

ქართლში ქვევრები სხვადასხვა სიდიდისა იყო და არის ეხლაც: 5 კოკიანიდან მოყოლებული 30 კოკიანამდის (ყანდურალოვი: С6СвВгВдК, VIII, 83).

კახეთში დიდია, საშუალოცა და პატარა ქვევრებიც იყო. სულ მომცრო 1 ჩაღ ლეინოს ჩაიტევდა, უდიდესი კი 106-მდე. მაგრამ, ზოგიერთი პირის ცნობით, ამაზე ერთიორად დიდი ქვევრებიც ყოფილა (ა. ფირალოვი და ს. შავერლოვი: С6СвВгВдК, VII, 78).

დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ თემში წინანდებურად ჭურის სახელი იყო და არის დარჩენილი და ქვევრს არა ხმარობენ, ზოგ თემში კი ჭურიცა და ქვევრიც იხმარება, მაგრამ მათ შორის მნიშვნელობის მხრით განსხვავებაა.

რაქსა და ლეჩხუმში, მაგ., ასეთ ჭურჭელს მარტო ჭურს უწოდებენ (იხ. *СНСВrBдK*, III, 55 და 103).

რაქული ჭურის სიმაღლე 2/3—2 მეტრამდის აღწევდა და ჭურში 100 შვიდთუნგიანი კასრი ღვინო ჩადიოდა, ხოლო ლეჩხუმში ჭურში — 5—60 ფუთამდე ტკბილი ეტეოდა (იქვე).

იმერეთსა და გურიაში კი ჭურსაცა და ქვევრსაც ხმარობდნენ, მაგრამ ერთიცა და მეორეც სხვადასხვა სიდიდის ჭურჭლის აღმნიშვნელი იყო. იმერეთში ქვევრი 40 ვედრომდე იტევდა, ჭური კი ამაზე მოზრდილი 40—160 ვედრომდე შემცველი ჭურჭლის სახელად იყო მიღებული. დიდ ჭურს ჩასასვლელიც ეწოდებოდა, რათგან ღვინის ასეთი საცავის გასარეცხად ადამიანი შიგ უნდა ჩასულიყო (ე. ვაწაძე, *СНСВrBдK*, III, 113).

§ 10. ლაგვანი, ქვიბარი ანუ ყვიბარი, ლახუტი

გურისა და სამეგრელოშიც ორ-ორი სახელი არსებობს და იქაც ორივე განსხვავებული სიდიდის ჭურჭლის აღმნიშვნელია. სახელდობრ, დიდი და საშუალო ტანის ჭურჭელს გურიაში ჭური, ოდიშიში ლაგვანი ეწოდებოდა; ხოლო მომცროს, რომელიც 5 ვედრომდე ტკბილს, ანუ ღვინოს ჩაიტევდა, გურიაში ქვიბარი, ოდიშიში ლახუტი ერქვა (ერმ. ნაკაშიძე, *СНСВrBдK*, IV, 93).

გურიაში ღვინის პატარა ჭურისათვის მიღებული სახელი ქვიბარი ერთი მხრით ქვევრს გვაგონებს, მაგრამ მეორე მხრით უფრო მეტად ყვიბარს. ს. ორბელიანის განმარტებითაც ხომ „ყვიბარი მომცრო ჭური“ იყო (ლექსიკ.)¹³.

§ 11. ღვინის საზომი ერთეულები: საწყავი, კოკა, ბათმანი, თუნგი

წინათ გურიაში იმდენად დიდი ჭურები უკეთებიათ, რომ 200—300 საწყავიანი ანუ კოკიანებიც კი ყოფილა. XIX ს-ში კი ჩვეულებრივ 20—25 საწყავიანი ანუ კოკიანი ჭურები იყო უფრო გავრცელებული. გურიაში საზომად მიღებული საწყავი და სამეგრელოში კოკა 1 1/2 იმერულ ჩაფს, ანუ 3 ბათმანს ანდა 6 თუნგს, ე. ი. 30 ღვინის ბოთლს უდრიდა (ერმ. ნაკაშიძე, იქვე, IV, 98). გურია-სამეგრელოში ჭურ-ქვევრებს იმდენად ვიწროთავიანს აკეთებდნენ, რომ ჭურის მრეცხავს შიგ ჩასვლა არ შეეძლო და უეჭველად სარცხით უნდა გაერეცხათ (იქვე).

§ 12. ჭურის სარქველების სახელები საქართველოს სხვადასხვა თემებში

ყოველ ჭურსა და ქვევრს აუცილებლად სახურავიც უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევაც, ზოგან არაერთიც კი. ამ სახურავს ყოველთვის სიპი ქვისაგან აკეთებდნენ, სახელად სარქული ეწოდებოდა. ს. ორბელიანსაც აქვს აღნი-

¹³ საბას „ყვიბაროც“ მოეპოვება, რომელზედაც ნათქვამი აქვს: „ღომის კუფხალი“-ათ. ივ. ჯ.

შნული, რომ „სარქველი ჭურის პირსაფარი“-ა (ლექსიკ.). მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ჭვევრის სახურავს ეხლა ამავე სახელს, სარქველს ეძახიან.

იმერეთში ჭურ-ჭვევრის სახურავს ხისას აკეთებდნენ. თუ ჭვევრი პატარა იყო, მაშინ სახურავი მთლიანი კეთდებოდა, უფრო მოზრდილს კი შუაზე ნახევარწრიანს, ორ ნაწილად გაყოფილ ხის ფიცარს ხურავდნენ ხოლმე. დიდი ჭურის სახურავის ამ ორ ფიცარს შუაში ოთხკუთხად იმდენად ჰქონდა ამოჭრილი, რომ ორშიმოს შიგ თავისუფლად გატარება და ჩაყოფა შესძლებოდათ. ამ ორ ფიცარს ზევიდან ამოჭრილი ნაწილის დასაფარავად მესამე ფიცარს ადებდნენ ხოლმე. ჭურ-ჭვევრის ხის ასეთ სახურავს სარქველი ეწოდებოდა (ე. ვაწაძე, СбСвВгВдК, III, 116).

გურიანშიც ჭურ-ჭვევრის სარქველად მრგვლად მოჭრილი ხის ფიცარს ხმარობდნენ, რომელსაც როგო ეწოდებოდა. სამეგრელოში არსებობდა ასევე ფიცრის სახურავი, რომელსაც ორგუს ეძახდნენ, მაგრამ ქვის სარქველიც არსებობდა, რომელსაც მარტივად ქუა ერქვა. ოდიშში ჭურ-ჭვევრს ჯერ პირზე ბალის ქერქს გადააფარებდნენ ხოლმე, რომელსაც ბულეში, ე. ი. ბალისაი ეწოდებოდა, ხოლო შემდეგ ზედ ქუა-ს ანდა ორგუს სდებდნენ ხოლმე (ერმ. ნაკაშიძე, იქვე, IV, 94).

თავი XVII

ღვინის შენახვის წესები საქართველოში, ამ საქმის მცოდნე პირები

§ 1. ჭურის აკლა და საღვინედ მომზადება

როდესაც ტბილი უკვე დაღუღებული იყო და ღვინო დადგებოდა, მაშინ საჭიროებისამებრ იმ ქუევერს ავლიდნენ; ჩვეულებრივ ქუევერის აკლა გარკვეულ ღროს იცოდნენ. წინამძღუარ მელქისედეკ ყანჩაელს, მაგ., 1658 წ. საბუთში ნათქვამი აქვს, რომ შიომღვიმის ნასპარსევის სადეკანოზო მარანში „ყველიერის ხუთშაბათს შიო[ო]ბას დღეს იმ ქუევერს ავლიდენ“-ო (ისტ. საბ., III, 55).

სანამ ჭურსა და ქვევრს მიწაში ჩასვამდნენ, წინასწარ მისი შემზადება იყო საჭირო. იმისათვის, რომ ამ ჭურჭლის კედლებს ღვინო არ შეეშრო და განეყო-ნა, ანდა ნიადაგივითგან ქვევრში ნოტიობას არ გაეკვლია გზა და ღვინო არ გაეფუჭებინა, ამ მიზნით ქართლსა და კახეთში ახლად შეძენილ ქვევრში ფიჩხს ყრიდნენ ხოლმე, რომელსაც ცეცხლს მოუკიდებდნენ, რომ ქვევრი გაცხელებულიყო. როდესაც ჭურჭელი საკმაოდ გახურდებოდა, ქვევრითგან ნამწვარ ფიჩხს სასწრაფოდ ცოცხით გამოგვიდნენ და შემდეგ შიგ საგანგებოდ შემზადებულ საცხებელს ჩაასხამდნენ ხოლმე. ეს საცხებელი ახალი ქონისა, დარიჩინისა, კომშის ფოთლებისაგან კეთდებოდა. ამ საცხებლის ქვევრში ჩასხმისთანავე ამ გახურებულ ჭურჭელს სხვადასხვა მიმართულებით აგორავებდნენ ხოლმე, რომ საცხებელი ყველგან მოხვედროდა და მთელ ქვევრს თანაბრად მოფენოდა. ამ სა-

შუალებით ქვევრის კედლები ამ ცხიმოვან სურნელოვან საცხებელს შეიშრობდა და გაიჟლინებოდა და ამის წყალობით მას ერთგვარი სურნელება მიენიჭებოდა და ღვინოსაც გაჟონის ყველა გზა დაეხშებოდა (ოფ. ვრკ: C6C6K, III, 233 და ფირალოვი-შავერდოვი და ყანდურალოვი, C6C6B7BდK, VII, 78 და VIII, 83).

იმერეთში ჭურებისა და ქვევრების მოსაცხებელად ცხიმს გარდა ცვილსაც ხმარობდნენ (ე. ვაწაძე, Виноделие в Имеретии: C6C6K, III, 116).

აღსანიშნავია, რომ იმერეთში მიწაში ჩასმული ჭურ-ქვევრების ყოველწლიური დარეცვის შემდგომ (ზოგმა კი ასეთი ყოველწლიური რეცვის თავითგან ასაცილებლად) ამ ჭურჭლების ან მოცივილა, ანდა მოკუპრვა იცოდნენ. მოსაკუპრავად ცვილისა, კუპრისა და საკმელისაგან საცხებელს აკეთებდნენ, რომელსაც ჭურ-ქვევრებს შიგნითგან უსვამდნენ (ოფ. ვრკ: C6C6B7BდK, III, 213 და ე. ვაწაძე, Виноделие в Имеретии: C6C6B7BდK, III, 117).

აღსანიშნავია, რომ გურიაში იქვე, სადაც ჭურ-ქვევრებს აკეთებდნენ, თუნითგან გამოღებისთანავე, სანამ ჭურჭელი ჯერ კიდევ ცხელი იყო, ჭურებსა და ქვევრებს მოკუპრავდნენ, ანდა იშვიათად მოსცილიავდნენ და ასე მოკუპრულს, ანდა მოცივილულს ყიდდნენ ხოლმე. სამეგრელოში კი ჭურ-ქვევრებს არაფერს უსვამდნენ (ერმ. ნაკაშიძე, იქვე, IV, 99).

რაკი მიწაში ჩასმული ჭურის ანდა ქვევრის ქვიშა-კირით მოლესვა-გამაგრებას, რომელსაც გურიაში ჭურის დაკირვას ეძახდნენ, მეგრულად ეწოდება დინოკირვა ლახუტისი (ერმ. ნაკაშიძე, იქვე, IV, 93), ე. ი. ლახუტის დაკირვა, ამიტომ ლახუტი ზოკადი სახელი გამოდის და ჭურსაც, ლაგვანსაც და ქვევრსაც გულისხმობს.

§ 2. ჭურის მიწაში ჩაფლა ანუ ჩასმა

ჩვეულებრივ ჭური და ქვევრი მარანში უნდა მიწაში ღრმად ყოფილიყო ჩაფლული, რომ ამ საშუალებით შიგ ჩასხმულ ღვინოზე სითბო-სიცივის ცვალებადობას შეძლებისამებრ ნაკლებ ემოქმედა. კახეთსა და ქართლში წესად ჰქონდათ, რომ ჭურისა და ქვევრის პირი მარნის ნიადაგზე 8 გოჯით უფრო დაბლა ყოფილიყო მიწაში ჩასმული, თუ ქვევრ-ჭური მარანში კი არა, არამედ ღია ფარდულის ქვეშ იყო მოთავსებული, მაშინ ქვევრები ნიადაგითგან 10 გოჯის სიღრმეზე იყო ხოლმე მიწაში ჩაფლული. ამასთანავე ქვევრსა და ქვევრს შუა მანძილი $3/4-1$ ალბამდე უნდა ყოფილიყო დატოვებული (ფირალოვი-შავერდოვი და ყანდურალოვი: C6C6B7BდK, VII, 78, 80 და VIII, 83).

მაგრამ ღვინის ამ საცავების ასე ღრმად ჩასმა მიწაში მხოლოდ მშრალნიადაგთან ადგილას შეიძლებოდა. იქ, სადაც ნოტიობა მოჰარბებული იყო, მეღვინე უნდა ცდილიყო, რომ მიწის ასეთ ნოტიობას ღვინო არ დაეზიანებინა. ამიტომ ამნაირ ადგილას ჭურ-ქვევრის მიწაში ჩასმულობის სიღრმე ნიადაგის თვისებაზე იყო და არის დამოკიდებული.

გურიასა და სამეგრელოში ჭურსა და ქვევრს სამნაირად ფლავდნენ მარანში. ზოგჯერ ღვინის ჭურჭელი მიწაში უფრო ღრმად იყო ხოლმე ჩასმული, 42. იე. ჯავახიშვილი, ტ. V

ზოგჯერ მის უფრო მომალლო მდგომარეობას რჩეობდნენ. ყველაფერი ადგილისა და ნიადაგის თვისებაზე იყო დამოკიდებული: მშრალ ადგილას ჭურის ღრმად ჩასმას ამჯობინებდნენ, ნოტიო ნიადაგში კი ამაღლებულობა სჯობდა. როდესაც ის ნიადაგის პირამდე იყო ჩასმული, მას თავ-დაბალი ეწოდებოდა. ხოლო ზოგჯერ ჭურ-ქვევრები მიწის ზედაპირზე 2—3 გოჯით უფრო მაღლა იყო ამოშვერილი. ასეთს თავმაღალი ერქვა. ზოგჯერ ჭურ-ქვევრი 12 გოჯის სიმაღლეზე მიწის ზევით იყო ჩასმული. ასეთ ქვევრს ბორკილიანი ერქვა (ერმ. ნაკაშიძე, IV, 93—94).

§ 3. მემარნე და მისი მოვალეობა

მემარნე, რასაკვირველია, მარნის გამგე იყო და ყველაფრისათვის, რაც მარნში იყო და ინახებოდა, პასუხისგება მას ეკითხებოდა. უპირველესად მას ჭურჭლის სისუფთავეზე უნდა ეზრუნა, რომ ქვევრები კარგად ყოფილიყო გარეცხილი და შეფერვილი. დასტურლამალში ნათქვამია: „მემარნე ქვევრს კარგად გაარეცხინებდეს, შეაფერვინებდეს“—ო (გვ. 88).

§ 4. ქვევრის მრეცხელი

მარანი სუფთად უნდა ყოფილიყო შენახული და ამიტომ „მარნის რეცხვა“ იყო მიღებული (დასტურ., 68). ამისათვის განსაკუთრებული მცოდნე პირებიც არსებობდნენ, რომელთაც ქვევრის მრეცხელი ეწოდებოდათ (დასტურ., 158).

გიორგი III შიომღვიმის 1170 წ. სიგელში ნაბრძანები აქვს: „ოთხთა ჭურის მრეცხელთა სხალტბელთა მარანსა ჩუენსა ტყე-კორათა მოსცემდენ სამსა კუირასა“—ო (სქს სძვლნი, IV, 5).

§ 5. ღვინის შენახვის მცოდნე

მაგრამ, რა თქმა უნდა, თავი და თავი ის იყო, რასაც ქვევრებში ინახავდნენ. ამიტომ „ღვინის შენახვის მცოდნე“ უნდა ყოფილიყო და მხოლოდ ასეთ პირს მიანდობდნენ ამნაირ პასუხსაგებ სამეურნეო თანამდებობას. დასტურლამალშიც ზოგადად განსაზღვრულია, რომ „ყველგან“, სადაც მეფეს საკუთარი ზვრები ჰქონდა, „ჩვენნი მოველენი ასეთს მემარნეს დააყენებდენ, წლითი-წლად რიგით, რომე... ღვინის შენახვის მცოდნე იქმნებოდეს“—ო (დასტურ., 87).

დაკვირვებასა და ხანგრძლივ გამოცდილებას მეღვინე დაურწმუნებია, რომ კარგი და გამძლე ღვინის დასაყენებლად ჭურ-ქვევრის სისუფთავესაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამიტომ ჭურებისა და ქვევრების დარეცხვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, წესიერი მეღვინეობის უპირველეს საზრუნავს შეადგენდა.

§ 6. სარცხელი ანუ სარცხი, მათი რაობა

ჭურსა და ქვევრებს, მათი სიდიდისდა მიხედვით, ორნაირი წესით რეცხდნენ. როდესაც ჭურ-ქვევრი მომცრო, ანდა საშუალო სიდიდისა იყო და მათ გასარეცხად მომუშავეს შიგ ჩასვლა არ შეეძლო, მაშინ სარცხელის საშუალებით რეცხდნენ ხოლმე.

სარცხელი საბასაც აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი, მაგრამ მისი რეალური რაობა განსაზღვრული არა აქვს, არამედ მისი მნიშვნელობის ზოგადი განმარტებით დაკმაყოფილებულა: „სარცხელი სარეცხელი“ არისო.

ამ სახელს ძველებურად XIX ს. შუა ათეულებში ქართლში, იმერეთში და რაჭა-ლეჩხუმში ხმარობდნენ. სარცხელის სახელი წარსული საუკუნის დამლევისათვის მხოლოდ ლეჩხუმშია დარჩა, უკვე XIX ს. შუა ათეულებში კახეთში, ხოლო დასაველეთ საქართველოს იმერეთისა და რაჭის თემში იმავე საუკუნის დამლევისათვის სარცხელის მაგიერ სარცხი იხმარებოდა (Ox. BrK: C6C6K, III, 213, 233¹⁴ და 251; C6C6BrBdK, VII, VIII, 84; III, 59 და 104).

ლეჩხუმში ძველ სარცხელსაც და სარცხსაც ხმარობდნენ (იქვე, III, 104). გურიაშიც ზოგან სარცხი იხმარება (იქვე, IV, 99).

სარცხელს, სარცხს გრძელი, მაგარი, სწორე სარი წარმოადგენს, რომელსაც ბოლოში ბირთვებრივი მოყვანილობის ალუბლის მრავალკეცი ქერქი აქვს წამოცმული და ორთავე მხრითგან დამაგრებული (იქვე).

§ 7. კრაზანის ცოცხი

დიდი ჭურ-ქვევრების გასარეცხად შიგ ჩასვლა იყო საჭირო. ამ შემთხვევაში ოდრიკალის მსგავსად ორპირ ცოცხს ხმარობდნენ, რომელსაც კრაზანად წოდებული მცენარისაგან (Hepeticum) აკეთებდნენ. ჭურის მრეცხველს ასეთი ცოცხი შუაში ეჭირა ხელში და მისი ორივე კიდური ჭურჭლის კედლებს რეცხავდა და ფხეკდა (Ox. BrK: C6C6K, III, 233 და C6C6BrBdK, VII, 79; VIII, 84; III, 59 და 104).

თავი XVIII

ღვინის შესანახი ჭურ-ქვევრის გასარეცხი იარაღის სახელეზი საქართველოს სსრ-ის სსრ-ის სსრ-ის

§ 1. ორჩხუმი ანუ ორჩხუმი

სამეგრელოსა და გურიაში ჭურ-ქვევრების დასარეცხად სარცხის მაგიერ ორჩხუმი (გურიაში), ანუ ორჩხუმი (ოდიშში) იხმარება, რომელიც აგრეთვე გრძელ სარს წარმოადგენს, რომელსაც ქმერხლის (*Ruscus hypophyllum L.*)

¹⁴ აქ შედგომით რუსულად «парцхи» „პარცხი“-ა დაბეჭდილი. ივ. ჯ.

ფოთლების კონა აქვს ბოლოში წამოცმული (ოა. ვრკ: C6C6K, III, 219 და ერმ. ნაკაშიძე, C6C6BrBdK, IV, 99).

გურიაში გავრცელებული ორჩხუში და სამეგრელოს ორჩხაშე, ორჩხეში და ორჩხიში სარცხის ზედმიწევნით მეგრული შესატყვისობაა და რჩხულსა (რეცხა) ზმნისაგან ნაწარმოებ ტერმინს (ორჩხუ-ში=სარცხ-ისი) წარმოადგენს (ვ. ბერიძე, სიტყვის კონა, 37; იოს. ყიფშიძე, მ. გ., 312).

რაკი ჭურ-ქვევრების სისუფთავის მნიშვნელობა ღვინის ღირსება-გამძლეობისათვის კარგად ჰქონდათ შეგნებული, ამიტომ სამი-ოთხი დღით ადრე, სანამ რთველს დაიწყებდნენ, ამ ჭურჭლეულის რეცხვას შეუდგებოდნენ ხოლმე. მომცრო და საშუალო ქვევრებს ზემოთგან სარცხლით, ხოლო დიდ ჭურებშა და ქვევრებს — კრაზანის ცოცხით ხელში შიგ ჩასული მრეცხველი რეცხავდა. მთელ საქართველოში, გურიას გარდა, ცივი წყლით რამდენჯერმე და გულმოდგინეთ რეცხავდნენ, გურიაში კი ჯერ ტუტიანისა და ატმის ფოთლების ნახარშიანი ცხელი წყლით იცოდნენ რეცხვა, ხოლო შემდეგ რამდენჯერმე ცივ წყალსაც გამოავლებდნენ ხოლმე. სანამ ჭურ-ქვევრითგან სრულებით სუფთა წყალი არ ამოვიდოდა და ღვინის ძმრის სუნიც არ გაქრებოდა, მანამდის რეცხვა არ უნდა შეეწყვიტათ.

§ 2. ხრიკა, ორკოპე ანუ ხეპარა

ნარეცხ წყალს ამ ჭურებითგან კვახისაგან გაკეთებული გრძელტარიანი ჭურჭლით იღებდნენ, რომელსაც იმერეთში ხრიკას, გურიაში ორკოპეს, ოდიშში ხეპარას ეძახდნენ (ოა. ვრკ: C6C6K, III, 213; C6C6BrBdK, VII, 79—80; VIII, 84; III, 116—117 და ერმ. ნაკაშიძე: C6C6BrBdK, IV, 100).

ორკოპე იგივე სიტყვა უნდა იყოს, როგორც ს. ორბელიანის ლექსიკონში შეტანილი კოპეა, რომელიც, მისივე განმარტებით — „საღუნე არს ათის თუხტის დამტევენლი“. ჭანეთში კი კოპა ჭაფვის მოსახდელ კოვზს, ჭაფქირსა ნიშნავს (ნ. მარი, ჭ. გ., 157).

თავი XIX

ყურძნის წვენის სხვადასხვა სახელები დაწურვის სხვადასხვა საფეხურებთან დაკავშირებით

კახეთში ვაზის დაწურვას განსაკუთრებული ყურადღება ჰქონდა მიქცეული და ამიტომ დაწურვის სხვადასხვა საფეხურისათვის იქ განსაკუთრებული ტერმინები შექმნილა კიდევაც.

§ 1. წინა-წვენი, შუა-წვენი, ბოლო-წვენი და ნაქაჯი წვენი — მათი ღირსება

ლ. ჯორჯაძის სიტყვით „დაწურვის დროს კარგათ მოწეული ყურძნის მარცვალი მაშინვე გაიკვლიტება და ამისი წვენი გავა წინ, ამას უწოდებენ „წინა-წვენსა“. ამის შემდგომ საწნახელში „იწურება მაგარი მარცვალი, რომელიც

უფრო კარგათ არ არის მოწეული და ამის გამო გვიან გამოიწურება, — ამის წვესს ჰქვიან შუა-წვენი. იმას, რაც სულ ბოლოს იქცლიტება და „გამოიწურება, ამას ჰქვიან ბოლოს-წვენი“. რაც საწნახელში ყურძნის ჭყლეტის შემდგომ რჩებოდა, ამ დანარჩენ ჭაჭას სრულებით გაატარებენ საქაჯავშია და სრულებით გამოიწურება ჭაჭიდან. ამნაირად გამოიწურულ ყურძნის წვენს „ჰქვიან ნაქაჯი-წვენი“-ო (მევენახეობა, 76).

ამავე ავტორის ცნობით, „კახეთში“ ჩვეულებათა აქვთ მიღებული და მოსწონთ „შუა-წვენი“, ანუ „ბოლოსი“-ო. ყურძნის წვენის ასეთი შეფასება, ლ. ჯორჯაძის აზრით, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნებოდა შეუმცდარი, „თუ ყურძენი სრულებით კარგად იქმნება მოწეული“ და ყველა მარცვალ თანაბრად დამწიფებული იქმნება. რასაკვირველია, „მაშინ ბოლოს-წვენი უფრო კარგი გამოვა, რადგან ჭაჭის ძალა“, ტანინი, „არომატი და სიტკბო სულ გამოჰყვება ბოლოს-წვენსა“-ო (მევენახეობა, 76—77).

წინა-წვენის, შუა-წვენისა და ბოლოს-წვენის ღირსების ზემოაღნიშნულ შეფასებაზე იყო კახეთში მიღებული ღვინის დაყენების წესი დამყარებული. რაკი დაკვირვება-გამოცდილებამ კახეთის მევენახე დაარწმუნა, რომ წინა-წვენისა და შუა-წვენისაგან უფრო სუსტი და სუბუქი ღვინო დგებოდა, ვიდრე ბოლოს-წვენითგან, ამიტომ მათ ერთმანეთში არ ურევდნენ, არამედ წინა-წვენსა და შუა-წვენს ერთად ცალკე ქვევრში ასხამდნენ, ხოლო ბოლოს-წვენს, ვითარცა უფრო უკეთესსა და მაგარს, ცალკე ქვევრში (Ор. ВгК: С6СвК, III, 234)¹⁵.

თავი XX

„მელვინეობა“ — ღვინოსთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინები და მათი შესახებვისობანი

§ 1. ტკბილი

„მუცელი ჩემი ვითარცა თხიერი ტკბილისა მდუღარისა შეკრული“ (იობისი, 32₁₉).

ბერძნულად აქ ტერმინად ნახმარია τὸ γλυκὺς ξέσθ, სომხურად *քաղցու* ქალ-ცუ, რაც მართლაც ყურძნის ტკბილ წვენს doux, mout Nost, süsser Wein, Sekt-ს ნიშნავს.

§ 2. ლოვა, ლოცა

ყურძნის ტკბილსა და საზოგადოდ ხილის, მაგ., ვაშლის, ალუბლისა და სხ. გამოიწურულ წვენს ქანურად ლოვა და ლოცა ეწოდება ვიწეში, ლოცა ხოფეში და ლომა ლათინურად (ჭ. გ., 163).

¹⁵ ცნობა, წინა-წვენისა და შუა-წვენის ბოლოს-წვენისაგან ცალ-ცალკე ჭურჭელში ჩასხმის შესახებ ამ წყაროშია, მაგრამ ამ რუსულად დაწერილ წყაროში ზემოთყვანილი ქართული ტერმინები დამახინჯებულია და იქ დაბეჭდილია: წინა-წვერი, შუა-წვერი და ბოლოს-წვერი — «прана-цверн», «шуга-цверн», «блос-цверн». ივ. ჯ.

§ 3. ნე ანუ ტკვილი :

მეგრულად ყურძნის ტკბილს ნეს ეძახიან (მ. გ., 288), მაგრამ ტკვილიც იციან (იქვე, გვ. 329).

ს. თომგველისთვისაც ტკბილი ქვევრში კი არა, არამედ წინანდებურად ჭურში ღულდა. მას შაპი მოაბადის შესახებ ნათქვამი აქვს: უსიამოვნო ამბის გამო „ტკბილისა ჭურისაებრ გული აუღულდებოდა“-ო (ვისრამიანი, 24). სპარსულ ვისა და რამინის მესნევიში წერია:

(გვ. 35) شیر در بیست و پنج شید
შირ-ს. ჭური ბიშე-ს უღრის.

§ 4. შამანი და ტკბილი და მათი რეალური მნიშვნელობა

ტკბილისა და შამანის რეალური მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ორ საბუთში საგულისხმო ცნობები მოგვეპოვება. ერთი 1475 წ. შამია ზევდგინიძისაგან შიომღვიმისადმი შეწირულობის წიგნს წარმოადგენს. იქ ნათქვამია: ჩემგან მონასტრისათვის შეწირული ვენახითგან მეზვრეს „შამნისა... მეტი მას“ არაფერი ერგება და „რაცა იმათ ნავსა ტკბილი გამოვიდეს, ორი ჭური მამიამან ჩავდგა“ და იქ ჩაასხანო (ისტ. საბ., III, 30).

მეორე საბუთი ამილახორი თაყა ზევდგინიძის 1523 წ. შეწირულობის წიგნია, რომელშიც შემდეგი სწერია: „როცა იმათ ვენავსა (...ჩემგან შეწირულსა) ტკბილი გამოვიდეს, სამად გაიყოფოდეს, მესამედი ტკბილი და შამანი“ მეზვრეს მიეცესო. ამ მეზვრეს „იმა ვენავისა მესამედი ტკბილი ერგების და შამანი სრულად“-ო (ისტ. საბ., III, 54).

ფშავურად შამანი ყურძნის უკანასკნელ გამონახადსა ნიშნავს.

რიცხვთა 64-ის დამოწმებით, ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ „ნატკევეფი (B ნატკევეცი, ნატკევი) ჭაჭის ნაწნეხი შამანი“ არის (ლექსიკ.). თვით შამანის განმარტებაშიც ხელთნაწერთა B ჯგუფში სწერია: „ნატკევეცის ღვინო“ არისო. საბასგან დასახელებულ დაბადების წიგნში ნათქვამია: „ყოველი რომელი იქმნების ვენავისაგან (ე. ი. ვახისაგან), ღვინო ნაგულდითგან, ვიდრე ნატკევეცამდე არა სუას, არცა ჭამოს“-ო. ბერძნულ თარგმანში ნაგულდღევი-ს შესატყვისად στέμφυλον-ია, ლათინ. uva passa, ე. ი. გახმობილი ყურძენი, ყურძნის ჩამიჩი, ჩამიჩის ღვინო და სომხ. ჯამჩჯ ჩამიჩ-ი; ხოლო ქართული ნატკევეცი უღრის ბერძნულს ὄψαρον ვიგარტონ-ს, ე. ი. მარცვლის ხუნწყალსა და კანს, ჭაჭას, ლათინ. acinum-ს, ე. ი. ყურძნის მარცვალს, ანუ ჩამიჩისაგან დაყენებულ ღვინოს და სომხ. թին თინ-ს, ანუ ხუნწყალს.

ნაგულდონი ყურძნისანი ოსეს 31-შია¹⁸ ნახმარი, სადაც ნათქვამია, რომ „უყუ-აბან ნაგულდონი ყურძნისანი“-ო. ნაგულდღევი ყურძნისანი უღრის ბერძნულს τὸ πύμα μετὰ σταφίδος, ე. ი. ჩამიჩის ნამცხვარს, ლათინ. vinacia uvatum და სომხ. կոսպ ჯამჯხეჯნ-ს.

¹⁸ ს. ორბელიანის ლექსიკონში შეცდომით „2,1 ოსე“-ა აღნიშნული. იქ არ არის. ივ. ჯ.

წყალნარევ ღვინოს შამანის გარდა ქართულად სხვა სახელებიც ჰქონია და აქვს ეხლაც: შუალუნო და გუმურა. ს. ორბელიანისავე განმარტებით „შუალუნო წყალნარევი ღვინო“ იყო, გუმურა კი იგივე „შუალუნო, წყლიანი“ (ღვინო) არისო (ლექსიკ.).

§ 5. ტკბილის სხვადასხვა სახელები საბა ორბელიანის მიხედვით

მედიცინობის ქართული ტექნიკისა და ტერმინოლოგიის შესასწავლად ს. ორბელიანს ფრიად საყურადღებო ცნობები მოეპოვება. მისი სიტყვით „ღვინონიცა განიყოფებიან: რამეთუ რა დაიწინა ყურძენი, ეწოდებიან ტკბილი. უკეთუ ტკბილსა აღაზავეს წყალი, უწოდენ დგვიფინას და ურწყოსა ტკბილსა — შუმსა, ვიეთნი არმუნჯსა უკმობენ: უკეთუ ნაწნი ჰაჭა წყლით დაალტვნა და გამოქანჩა, შამანსა უწოდენ. უკეთუ ტკბილსა ძლიერად არა დაედუნეს, ამბობად სახელსდებენ. ახალსა ღვინოსა მაჰარი¹⁷ ეწოდების და შემდგომად ღვინო, და გაწყალებულსა ღვინოსა უოქო ეწოდების“—ო (ლექსიკ. ღვინო).

თვით დგვიფინა ცალკე და თავისდათავად საბას უფრო ზედმიწევნით აქვს განმარტებული. აქ ამბობს, რომ „დგვიფინა წყლიანი ტკბილის ღვინო“ არის (ლექსიკ.).

§ 6. შუმი, მისი რაობა

შუმის ეტიმოლოგიის კვალს, მგონია, განსვენებულმა პროფ. იოს. ყიფშიძემ სწორედ მიაგნო. სმის აღმნიშვნელი მეგრული სახელზმნის შუმუ-ზე ლექსიკონში მსჯელობის დროს მას სხვათა შორის შემდეგი მოსაზრება აქვს გამოთქმული: „იქმნებ ამავე ძირისაგან იყოს წარმომდგარი ქართული შუმიც, წმინდა, მაგარი ღვინის [სახელი], რაც სიტყვა-სიტყვით დამათრობელის აღმნიშვნელი იქმნებოდა—“* (მეგრ. გრ. ლექსიკ., 358).

ამ მოკლე შენიშვნითგან ჩანს, რომ შუმი მას მიმღეობად შუმილისა, რომელიც მთერალსა ნიშნავს, ბოლომოკვეცილ ფორმად ეგულებოდა. ეს, რა თქმა უნდა, ფორმის მხრით ყველაზე უფრო ადვილი დასაჯერებელია. შუმი, ვითარცა უწყლო და ამის გამო მაგარი ღვინო, მირთმეული, რასაკვირველია, დამათრობელი უნდა ყოფილიყო და მნიშვნელობის მხრივაც მას დამათრობელის სახელი შეშვენოდა კიდევაც.

მაგრამ ზოგიერთი გამონათქვამი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ არსებითად თრობა — დალევა დალევივნებას, ხოლო მთერალი — დალეულს ნიშნავდა. მეგრული სუმას შესატყვისი შუმუას ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა

¹⁷ მაჰარი და მანჰარი მეგრულშიც არსებობს, ხოლო ახლად დაწურულ ღვინოს ნაფეთქასაც ეძახიან (მ. გ., 335). მაჰარელი, აჰარელი.

„ადგილსა მას სთხრიან მაჰარელი (თეიმ. აჰარელი) და ჰპოვებენ სამკაულთა“ (ყამთაღმ. • 858, გვ. 703).

* შენიშვნა ავტორის ხელით ფურცლის კიდზე, ფანქრით (რედ.).

შუმილი და ნაშუმა მხოლოდ ნასვამსა ნიშნავს. ამიტომ უფრო ბუნებრივია, რომ შუმი თავდაპირველად სასმლის აღმნიშვნელ სიტყვად გვეგულისხმება.

მართალია, ძველი ქართული სასუმელის შესატყვისად თანამედროვე მეგრულში ოშუმალა და აქეთგან შუმი უფრო ძნელი წარმოსადგენია, ვიდრე შუმილისაგან, მაგრამ საბას ცალკე არმუნჯიზეც ნათქვამი აქვს, რომ „არმუნჯი უწყლო ღვინო“-ა (ლექსიკ.).

ქვევრითგან ღვინის ამოსაღებად სხვადასხვა ჭურჭელს ხმარობდნენ: ორშომი იყო „აყირო ქვევრით ღვინის ამოსაღები“ (საბას ლექსიკ.). იმერეთში ამას ორშომოს ეძახიან: იქაც ეს სიტყვა მწარე ხაპსა ნიშნავს, რომელიც „ჭურიდან ღვინის ამოსაღებად“ იხმარება (ვ. ბერიძე, სიტყვის-კონა).

ღვინის ამოსაღებელი ჭურჭლის სახელი ორშომი შექვევლია უფრო სწორე უნდა იყოს, ვიდრე ორშომო, რომელიც იმერეთში იხმარება. თავის მხრით ორშომი უნდა შემდგარი იყოს ო თავსართისა და შომი ფუძისაგან, რ, ო-სა და შ-ს შორის, შენაზარდ ბგერას უნდა წარმოადგენდეს. შომი ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილი შუმი უნდა იყოს, რომელიც, როგორც ვიცით, უწყლო ღვინოს ნიშნავდა. მაშასადამე, ორშომი „საშუმე“-ს აღმნიშვნელი ყოფილა, ე. ი. საღვინის მსგავსი სიტყვა ყოფილა, მხოლოდ ღვინისაგან კი არა, არამედ შუმისაგან ნაწარმოები.

თავი XXI

ღვინის ტიპნოლოგიასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინები საპარტვილოს სხვადასხვა თემებში

საწინებლითგან, ანდა ნავითგან გამოსულ ტკბილს კახეთსა¹⁸ და ქართლში 12—18 საათის განმავლობაში ისე ტოვებდნენ, შემდეგ კი ტკბილის დუღილისათვის ხელის შესაწყობად ჭურ-ქვევრში ჭაჭას სდებდნენ.

§ 1. კახეთი და ქართლი: ქუდი, ქუდის დარევა; სათანადო იარაღი: სარცხი და ნიჩაბი :

რაკი ჭაჭა ჭურ-ქვევრში ატივტივებულ ტკბილს თავზე ჰქონდა მოქცეული, ამიტომ მას ქუდი ერქვა. ჭურ-ქვევრში ტკბილი ჭაჭიანად პირამდის კი არ იყო ხოლმე ჩასხმული, არამედ მისი დონე 10—12 გოჯით უფრო დაბლა უნდა ყოფილიყო. 10—15 დღის განმავლობაში დასადუღებელი ტკბილი დახურული იყო, მაგრამ ისე კი, რომ საოქველის ქვევრითგან დუღილისაგან წარმოშობილ აირებს გამოსვლისათვის გზა ჰქონოდათ. ამისთვის ქართლ-კახეთში სარქველს ქვევრთან ლერწს ამოუდებდნენ ხოლმე, რომ სახურავსა და ქვევრის პირს შუაპატარა მანძილი ყოფილიყო დარჩენილი აირების გამოსასვლელად. ხოლო იმე-

¹⁸ კახეთში 40—45 ვერო ტკბილში 4 ფუთ ჭაჭას, ქართლში — 10 ვეროზე 30 გორვანქა ჭაჭას ურთავდნენ.

რეთში და გურია-სამეგრელოში, სადაც ხის სარქველს აკეთებდნენ, სარქველში ან ლერწმის კალამს, ან უბრალო ტოტს სდებდნენ და მხოლოდ ამის შემდგომ მოუღესავდნენ ხოლმე ჭურ-ქვევრებს პირს. სარქველში დატანებული ამ კალამის ღრუთი, ანდა ტოტის ამოღების შემდგომ სარქველში დატოვებული ნახვრე-ტითვან, რომელსაც სასულე ეწოდებოდა (იმერეთსა და გურიაში, საშურო — სამეგრელოში), დაღვინების პროცესში გაჩენილ აირებს ამოსასვლელი გზა ჰქონდათ (С6СвВгВдК, VII, 89; VIII, 85; III, 119 და IV, 94).

10—15 დღის შემდგომ, ქართლ-კახეთში, სადაც ღვინოს ჰაჭაზე აყენებდნენ, ჭუღების დარევა იცოდენ, ე. ი. მღუღარე ტკბილის ზედაპირზე ამოტივტივებული ჰაჭის არევას იწყებდნენ, რომ ჰაჭა ტკბილის სიღრმეში ჩასულიყო. კახეთში ტკბილის ასარევედ სარცხსა ხმარობდნენ, ქართლში კი ამისათვის განსაკუთრებული ნიჩაბი იყო, რომელსაც ფარსახოდი ეწოდებოდა (парсаходи, იქვე, VII, 84 და VIII, 85).

§ 2. რაჭაში

რაჭაშიც ყურძენს ისევე წურავენ, როგორც საქართველოს სხვა ადგილებშიც, მაგრამ წითელი ღვინის დასაყენებლად იქ დაწურვის განსხვავებულ წესს მისდევდნენ. სახელდობრ, რაჭაში საწნახელში დაჭყლეტილ მთელ ყურძენს ერთი-ორი დღით საწნახელშივე ტოვებდნენ, ხოლო შემდეგ ახალ ყურძენს უმატებდნენ და ხელმეორედ, ზოგჯერ მესამეჯერაც, დაჭყლეტილსა და ახალ ყურძენს კვლავ სწურავენ. მერმე ტკბილს ჭურში ასხამდნენ ხოლმე. წითელი ღვინისათვის შესაფერადებლად რაჭაში საფერის ჯიშის ყურძენს წვენს ურევენ (Ов. ВгК: С6СвК, III, 217).

§ 3. გურიაში: გატეხა, მეორე ფეხი და მესამე ფეხი

ისევე, როგორც საქართველოს სხვა თემებშიც, გურიაშიც საწნახელში მყოფ ყურძენს სამჯერ ჰყლტდნენ ხოლმე სამ-სამი დღის შემდგომ. პირველ ჰყლტას გატეხა ეწოდებოდა, მეორე გზისს კი მეორე ფეხი და უკანასკნელს — მესამე ფეხი. მხოლოდ მესამე ფეხის შემდგომ ასხამდნენ ხოლმე თეთრი ყურძენის ტკბილს ჭურში. წითელი ღვინის დასაყენებლად კი ასე იქცეოდნენ: 9—14 საათის განმავლობაში დაჭყლეტილ ყურძენს საწნახელში ტოვებდნენ 3—5 დღით. შემდეგ მთელ ამ დაჭყლეტილ ყურძენს ჰაჭიანად დიდ ჰვაბში ადუღებდნენ ისე კი, რომ ჯერ 8 საათის განმავლობაში თანდათან ათბობდნენ და ცეცხლს აძლიერებდნენ, შემდეგ კი 6 საათის განმავლობაში ჰვაბს ადუღებდნენ. ასე დადუღებულ მთელ სითხეს დღენახევრით, ან ორი დღით ჰვაბშივე ტოვებდნენ, შემდეგ კი ღვინოს უკვე ჭურში ასხამდნენ (ერმ. ნაკაშიძე: С6СвВгВдК, VI, 93 და Ов. ВгК: С6СвК, III, 219).

§ 4. სამეგრელოში: ჩხრიკე, კოკა და ლაგვანი

ყურძნის დაწურვის მიღებული წესით დაქვლეტილ ყურძენს სამეგრელოში ერთი დღით საწნახელშივე ტოვებდნენ დასადუღებლად. შემდეგ მას ხელმეორედ ქვლეტდნენ და კვლავ ერთი დღითვე იმავე საწნახელში ტოვებდნენ, რომ ტკბილს დუღილი განეგრძო. მერმე უკვე მესამედ დაქვლეტდნენ და მხოლოდ ამის შემდგომ განსაკუთრებული ჭურჭლით, რომელსაც ჩხრიკე ეწოდებოდა, კოკაში, ანუ ლაგვანში ჩაასხამდნენ ხოლმე. ასე დაწურული ყურძნის ქაჭა ხის საწნახელითგან ქვის საწნახელში გადაჰქონდათ ხოლმე, სადაც უკვე საწნახით წნებდნენ, რომლის საშუალებითაც მიღებულ ყურძნის სქელ წვეწს იმ ჭურებში ასხამდნენ, სადაც დაწურული ღვინო ჰქონდათ. ამის შემდგომ ქვევრების სარქველს ხურავდნენ და მიწას წააყრიდნენ. გაზაფხულამდე ეს ღვინო ამ ქვევრებში ჰქონდათ, შემდეგ კი სხვა ქვევრებში გადაიღებდნენ ხოლმე (იქვე, III, 222).

§ 5. იმერეთში: შუმი და საუდიერო ღვინო

ღვინის დაყენება იმერეთში სამნაირად იცოდნენ. იყო შუმი ღვინო და ღვინო საუდიერო. ამათგან შუმი ღვინო წარმოადგენდა წმინდას, უწყლო ღვინოს, საუდიერო ღვინო კი, პირიქით, განსაკუთრებით დაყენებული წყალნარევი ღვინო იყო. წმინდა, უწყლო ღვინოს ორნაირად აყენებდნენ: ან უჭაჭოდ, ან ქაჭაში დადუღებულს. უჭაჭოდ ღვინის დასაყენებლად ყურძნის ტკბილს დაწურვისთანავე უმაღ ჭურში ანუ ქვევრებში ასხამდნენ, ისე კი რომ წვეწს შიგ არაფერი ჩაჰყოლოდა. თუმცა ასე დაყენებული თეთრიცა და შავ-წითელი ღვინოც წმინდა დგებოდა, მაგრამ დიდხანს ვერ ძლებდა. ღვინის ქაჭით დასაყენებლად ქაჭიან ახლად დაწურულ ტკბილს 3—4 დღით მაგრად დახურულ საწნახელში დასადუღებლად ტოვებდნენ ხოლმე, მერმე კი უჭაჭოდ ჭურში ასხამდნენ. შავი და მუქი წითელი ღვინის დასაყენებლად საფერავის, ანდა საფერეს წვეწს უმატებდნენ. ასე აყენებდნენ შუმ ღვინოს (ხოჯაევის ცნობა: Оч. BrK: C6CBK, III, 213).

თ ა ვ ი X X I I

მეორეხარისხოვანი ღვინოები და მათი ტექნოლოგია და გამოყენება საქართველოს სსრ-ის სსკ-ის ტერიტორიაში

§ 1. შუა-ღვინო და მისი დაყენების წესი საქართველოში

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოში წყალნარევი ღვინოც უკეთებიან. ასე დაყენებულ ღვინოს თავისი განსაკუთრებული ორი სახელიც კი ჰქონია: „შუა-ღვინო, — წყალნარევი ღვინო, გუმურა“, ხოლო „გუმურა — შუა-ღვინო წყლიანი“ (საბა, ლექსიკ.).

ასეთი ღვინის დაყენებას დასავლეთ საქართველოშიც მისდევდნენ. XIX ს. დამლევამდე ლეჩხუმში აკეთებდნენ ასეთ ღვინოს, რომელსაც შვა-ღვინო-ს ეძახდნენ. ამ შვა-ღვინოს ასე აყენებდნენ ხოლმე: ხორგოში ანუ ნავში ყურძნის დაწურვის შემდგომ დარჩენილ ჭაჭას ორჯერ იმაზე ნაკლებ წყალს ასხამდნენ, რამდენად ამ ყურძნის დაჭყლეთის შემდგომ ტკბილი დადგებოდა, და ამ წყალ-ნარევე ჭაჭას ისევე 3—4 დღით დახურულ ხორგაში ტოვებდნენ. შემდეგ ახლი-დნენ ხორგოს და კვლავ ჭაჭის დაწურვას შეუდგებოდნენ. ჭყლეთისაგან გამო-სულ წვეს ცალკე ჭურში ასხამდნენ და ღვინოდ აყენებდნენ. ამ შვა-ღვინოს მხოლოდ შინა სვამდნენ (ა. იაკოვლევი, Вг и Вд в Лечхуми: СбСвВгВдК, III, 106).

§ 2. საუდიერო ღვინის ტექნოლოგია და გამოყენება

საუდიერო¹⁹ ღვინოს ჭაჭისაგან ამზადებდნენ: ჭაჭას წყალს დაასხამდნენ და რამდენსამე დღეს დასადუღებლად დატოვებდნენ, შემდეგ ასე დადებულ წვეს ცოტაოდენ შუმსა და საფერავს ჩაურთავდნენ და მერმე ჭურში ჩაასხამ-დნენ. საუკეთესო საუდიეროს შორაპნის სამხრეთით მდებარე ს. ვარძიასა და მის მიდამო სოფლებში ამზადებდნენ. იმერეთის ჩრდილოსა და დასავლეთ ნაწი-ლებში საუდიერო ღვინოს არ აკეთებდნენ. ხოლო იქ, სადაც საუდიერო ღვი-ნის დაყენებას მისდევდნენ, წინათ მეპატრონეებს განსაზღვრული ჰქონდათ თა-ვიანთი ყმებისაგან რამდენი შუმი-ღვინო და რამდენი საუდიერო ღვინო მიე-ლოთ (ხოჯაევის ცნობა: Ов. ВгК: СбСвК, III, 213).

§ 3. თხლე, მისი რაობა

„უყოს ო^ნ საბაოთ... ყოველთა ზედა ნათესავთა სასუმელი ჯ^დ ნელობათა სასუმელი თხლეთა, სუმიდენ მხიარულებით“ (ესაიასი, 25გ). ბერძნულ და სომ-ხურ თარგმანებში აქ ჩვეულებრივი ტერმინი *οίνος* და *գինի*-ა, ქართულ თხლეს კი სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „თხლე ღვინის დალეკებული“ არის. ეს თავისი განმარტება 74⁹ ფსალმუნის ტექსტზე აქვს დამყარებული.

„თხლე“ ძველი ტერმინი უნდა იყოს. იგი „თხოლო“-სა და „თხოლე“-ს სახით ყურძნის წვეს ბადაგის აღსანიშნავად ჭანურშიც იხმარება (ჭ. გ., 148—149). „თხოლო“ მეგრულშიც არსებობს იმავე მნიშვნელობით, როგორც ძველ-სა და თანამედროვე ქართულში (მ. გ., 247).

¹⁹ საუდიერო, ს. ორბელიანის განმარტებით, „ბ ე გ ა რ ა ზ ე დ მ ე ტ ი ა ლ ე ბ უ ლ ი“-ს აღნიშვნელი იყო. საბას ლექსიონის ერთ შემაჯავებელთაგანს საუდიეროს შემდეგი ვრცელი გან-მარტება ჩაურთავს: „საუდიერო ბეგარას გარდა გლეხზედ პურისა, ღვინისა, სიმინდისა, ლომისა გამოართმევა. უმეტესად იმერეთს შინა უწოდდენ ამას საუდიეროს სამეფო ხარჯად“-ო (ლექსიკ.).

თავი XXIII

ღვინის მოსავლიანობის საკითხი საქართველოში

ვენახ-ზვრების მოსავლის სიდიდის გასათვალისწინებლად შესაძლებელი იყო ვახტანგ VI დასტურლამალში შეტანილი ცნობების გამოყენება, სრული რომ ყოფილიყო, მაგრამ გამოსავლის მთელი ოდენობა სამწუხაროდ აღნიშნული არ არის.

ბოლნისის მეფის ზვრითგან დამდგარი „ორმოცდაათი საპალნე ტკბილი“ კოჯორზე ბოლნისელებს უნდა აეტანათ (დასტურ., 17). მაგრამ ამ ზვრის ყოველწლიური გამოსავალი რომ 50 საპალნეზე გაცილებით მეტი ყოფილა, ეს ამავე ძეგლში მოყვანილი შემდეგი ცნობებითგანაც ჩანს. 50 საპალნის კოჯორში ატანის დებულების შემდგომ იქ ნათქვამია: ბოლნისში „რაც კულუხი და ან ზურის ტკბილი დარჩება, ზოგს ბატონი ჩამოატანინებს და ზოგი სოფელმა უნდა ჩამოიტანოს ქალაქს“-ა (დასტურ., 17). აქეთგან ცხადად ჩანს, რომ ბოლნისის ზვრის გამოსავალს, 50 საპალნე ტკბილის წამოღების შემდგომაც, კიდევ საკმაოდ გადარჩენია, თუ ნაწილი თვით მეფეს უნდა ჩამოეტანინებია, ნაწილი ისევ ამავე ბოლნისელებს წამოეღოთ.

მაგრამ ბოლნისის ზვრის ყოველწლიური მოსავალი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მისი ტკბილის ჩამოსატანად მართო ბოლნისელები საკმარისი არ აღმოჩენილან, არამედ კიდევ რამდენიმე სოფლის შორს-საზიდავი საქონლის გამოყენება დასჭირვებიათ. მაგ., დასტურლამალში წინწყაროელებზე წერია: „რაც ბოლნისის ბატონის ზუარს ტკბილი მოვიდეს, კოჯორზედ მათ მოიტანონ“-ო (გვ. 115). ამნაირადვე ს. ოფრეთსაც „ბატონთან ბოლნისის ტკბილის ზიდვა ჰქონდა დაკისრებული“ (დასტურ., 117). გომარეთელებმაც „ბოლნისიდან ტკბილი ზიდონ“-ო (იქვე, 118). ურცევნის მცხოვრებთაც „ბოლნისის ტკბილის ულაყი“ უნდა გამოეყვანათ (იქვე, 119).

ამგვარადვე რუისის მეფის ზვრის ტკბილი თუ ღვინო რუისში არ რჩებოდა, არამედ დასტურლამალში აღნიშნულია, რომ რუისელი „ურჩები რუისიდან ღვინოს ჩამოიტანენ“-ო (გვ. 120).

თავი XXIV

ღვინისა და ტკბილის გადასაზიდი ვურჯლის უძველესი და საქართველოს სხვადასხვა თემებში გავრცელებული სახელები

§ 1. კოლოტი ანუ ტიკი, კოლოტის რაობა

ტკბილის გადასატან-გადმოსატანად ძველ საქართველოში თურმე განსაკუთრებული ტყავისაგან შემზადებული სითხის-საცავი ჰქონიათ, რომელსაც

კოლოტი²⁰ რქმევია სახელად. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს „კოლოტი — სატ-
ბილე (B: „სატკბილე“) ტიკი ყოფილა „ზროხისა“ (ლექსიკ.).

ეს სიტყვა ეხლაც ცოცხალი ტერმინია საქართველოს ზოგიერთ თემში, მაგ.; რაჭაში მარანში დადღელებული და ახლად დაყენებული ღვინო სოფელში მიჰქონდათ და ქვევრებში, რომელთაც იქ ძველებურად ჭური ეწოდება, ასხამდნენ და ინახავდნენ ხოლმე. ასეთი ღვინო ხარის მთლიანი ტყავისაგან გაკეთებულ კოლოტი-თ გადაჰქონდათ ხოლმე. თავისდა-თავად ცხადია, რომ ამ ტყავს წინასწარ ბალანი გაცლილი ჰქონდა (ე. დანდუროვი: СГСВК, III, 54), უეჭველია, ტიკისა და რუმბის მსგავსად კოლოტიც შიგნით მოკუპრილი იქნებოდა.

§ 2. გულა, მისი რაობა

თუ გულა²¹ ს. ორბელიანისათვის უკვე მხოლოდ „ტყავისაგან შთასადებელი“ იყო, წინათ მას სითხის შესანახადაც, ანდა წასადებადაც ხმარობდნენ. ამ გარემოებას ტერმინი საგულაღი ცხადყოფს, რომელიც, რიცხვთა 64-ის დამოწმებით, საბას სიტყვითაც „გულაში ჩასასხმელის“ აღმნიშვნელი იყო.

ტყავისაგან გაკეთებული საცავის მნიშვნელობა გულას მეგრულსა და ჰა-
ნურშიც აქვს შენარჩუნებული, სადაც ტიკის მნიშვნელობითაც კი იხმარება. ჰანურად ტიკის მნიშვნელობით კიდევაც ღვინო გულას — ღვინის გულას ამბობენ (ჭ. გ., 136 და მ. გ., 219). ამნაირად, იქ გულას მშრალი ნივთიერების შესანახადაც და სითხისათვისაც ხმარობდნენ.

§ 3. თხიერი, მისი რაობა

თუ ს. ორბელიანს დავუჩერებთ, „ტიკი სომხურია, ქართულად თხიერი“ ეწოდებაო. თავისი განმარტების სისწორის დასამოწმებლად I მეფეთას 10,3 აქვს დასახელებული. ქართული ლექსიკოგრაფი ამით არ კმაყოფილდება და ის ამტკიცებს, ვითომც „ტიკპორა სომხურია, ქართულად თხიერაკი ჰქვან“-ო (ლექსიკ.).

²⁰ კოლოტი გვაგონებს ოთხთავის თარგმანში ნახმარ სიტყვას კოლტს. კოლტი კი იქ, სახელდობრ მათეს მ₃₁ და მ₃₂-ში ღორების ჯოგის აღმნიშვნელი ტერმინი გამოდის. ჰადშიის ოთხთავი-
ში დასახელებულ ადგილასა: „კოლტსა იმას ღორებისასა“-ო. ტბეთის ოთხთავშიც „კოლტსა იმას ღორთასა“-ა. ამნაირად, კოლტი ბერძნულ ძველ-ს-ა გელეს, ლათინ. grex-სა და სომხ. ხრამასკ ერამაკ-ს უდრის. სამოვე ჯოგსა ნიშნავს.

პროფ. ნ. მარმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ქართული კოლტი უნდა სომხურიდან ნასესხებო ბიტყვა იყოს, სადაც კოლტი ანუ კოლტი გროვასა და ჯოგს ნიშნავდა (Физиолог: TP, III, №904 წ., გვ. XXVII და 88). გრ. ლფანდანი-ც ამავე აზრისაა და კოლტი სომხურიდან ნასესხებ სიტყვად აქვს აღიარებული (Sხელქ ხისაქსა, 2, გვ. 96), რასაც პრ. აქარანიც იმე-
ძნებს (Հայեր. արամოսისქან բուսարան, III, 1321).

²¹ შენიშვნები: „კოლოტი, კოტოლი, კალათი (გოდორი), კუტალი, გულა, ხის წურწურა, ე. ო. სარწულელი (საბა), „ტყავისაგან შთასადებელი“, 4 მეფეთა მ₃₃“ (საბა). ივ. ჯ.

საბას ეს განმარტება მხოლოდ იმდენად არის სწორი, რამდენადაც დასახელებულ ადგილას, I მეფეთა 103-ში შართლაც ქართულად ნათარგმნია „თხიერი ღუნო“, სომხურად კი „*თիქ მი ღინლი*“, ე. ი. ტიკია ნახმარი, ბერძნული *ძოხბ* *οἶνος* და ლათინური *lagena vini*-ს შესატყვისად.

ღაბადებისა და ოთხთავის ქართულ თარგმანში ყოველგვარი სითხის ჩასახმელ ტყავის საცავს თხიერი ეწოდება. შესაქმეთა 2114-ში, მაგ., ნათქვამია: „მოიხუნა პურნი და თხიერი წყლითა“-ო. თხიერი წყლისა უდრის ბერძნულ *ძოხბ* *σῆμα*-ს,—ასკოს ჰვდატოს, ლათინ. *uter aquae*-სა და სომხ. *თიქ ღიი* ტიკ ჯრომ.

იობს 3219-ში ასეთი შედარება აქვს ნახმარი: „მუცელი ჩემი ვითარცა თხიერი ტბილისა მდლდარისა შეკრული“-ო. „თხიერი ტბილისა“ ბერძნ. *ძოხბ* *γλακτος*-ის—ასკოს გლეჯკუს-ისა და სომხ. *თიქ ჭაიგილი*—ტიკ ქალტუოჲ-ს შესატყვისია.

ხოლო ისუ ნავემს 94-ში სწერია: „მოიმზადეს ჰაგზალი: ... და მოიღეს თხიერები ძუელები და აღჰკიდეს [სავედრებსა] ზურგებსა მათსა და ღუნო თხიერებითა ძუელითა და დახეთქილებითა“-ო. ღუნის თხიერი (*ძოხბ* *οἶνος* ასკოს ოანუს-ს, ლათ. *uter vinatius*-სა და სომხ. *თიქ ღინლი*)—ტიკ-გინვოჲ-ს ეთასწორება.

დასასრულ მსაჯულთა 410-ში გვხვდება თხიერი სასძეური, ე. ი. რძისათვის განკუთვნილი თხიერი, ბერძნ. *ძოხბ* *τῆν γάλακτος* ასკოს ტუ გლაკტოს-ისა, ლათინ. *uter lactis* და სომხ. *თიქ კაშჩინ* ტიკ კათინ-ის შესატყვისად. ამ ადგილას ნათქვამია: „ჰრქუა მას სისარა: მასუ მე წყალი მცირედ, რამეთუ მწყურის“ და მოგსნა თხიერსა სასძეურსა და ასუა მას“-ო.

§ 4. ტბილის დაღუღების წესი როგორც აუცილებელი პირობა გადასახიდი ჭურჭლის არსებობისათვის

საყურადღებოა, რომ დაწურული ყურძნის ტბილი ღვინის დასაყენებლად ყოველთვის ადგილობრივ არ ყოფილა დატოვებული, არამედ სხვაგან, ზოგჯერ საკმაოდ მოშორებულ ალაგასაც კი წაუღიათ. ასეთ ტბილის დასაღუღებელ მთავარ ადგილად XVII—XVIII სს-ში მაინც კოჯორი ყოფილა. დასტურლამალ-ში ნაბრძანებია: ს. შულავრისა და თეთრ-სოფლის მცხოვრებთ ევალებოდა თავიანთთგან „კოჯორზედ თავისის ულაყით სამოცის საპალნის ტბილის მიტანა“ ისევე, როგორც „თავეთის კულუხის... ნახევრის ქარხანაში ჩამოტანა“ (დასტურ., 98). ამგვარადვე, ბოლნისითგანაც მეფის ზვრის მოსავალი „ორმოცდაათი საპალნე ტბილი კოჯორზედ აიტანონ“-ო (იქვე, 17).

თ ა ვ ი X X V

მელვინეობის გავრცელების არე ძველ საქართველოში

იქაც, სადაც ბუნებრივი პირობების გამო მევენახეობა შეუძლებელი იყო, რათგან ვაზი არ ხარობდა, საქართველოს ასეთ ადგილებშიც მელვინეობა მაინც შესაძლებელია ყოფილიყო და იყო კიდევაც. ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ

იმისდა მიუხედავად, რომ მთიულეთი უვენახო ზოლს ეკუთვნოდა და ვაზი იქ არ იყო, მთიულეთში „მოიღებენ ბარიდამ ტკბილსა, შთაასხმენ აქა და ლომისას, და დადგების ღვინო კეთილი, თეთრი და ტკბილი“-ო (გ'გრფა, 224).

იმისდა მიუხედავად, რომ თრიალეთი უვენახო თემი იყო, მეღვინეობა იქაც ყოფილა. ვახუშტის სიტყვით, თრიალეთის მცხოვრებნი „ტკბილს მოიტანენ ბარიდამ, ჩაასხამენ აქა“ ქვევრებში და „დადგების ღვინო“ კარგი და „კეთილ-გემოიანი“-ო (გ'გრფა, 160).

იმ დებულების დასამტკიცებლად, რომ საქართველოში მეღვინეობა ისეთ ადგილებშიც იყო, სადაც მევენახეობა სიმაღლისა და სიცივის გამო სრულე-ბით შეუძლებელი იყო, რამდენიმე მაგალითის დასახელებაც საკმარისი იქნე-ბა. ვახტანგ VI-ის დასტურლამალში ნათქვამია: ბოლნისელებმა „ორმოცდაათი საბალნე ტკბილი კოყორზედ აიტანონ“-ო (გვ. 17, § ლე). ამნაირადვე, შულავე-რისა და თეთრ-სოფლის სახასო გლეხებს ევალებოდათ „კოყორზედ თავისის ულაყით სამოცის საბალნის ტკბილის მიტანა“ (იქვე, გვ. 98).

თავი XXVI

საქართველოში არსებული ღვინის ხარისხები

§ 1. სუბუქი, საშუალო და უმჯობესი ღვინო

გიორგი მთაწმიდლის სიტყვითგან ჩანს, რომ ღვინო იმ დროს ღირსე-ბით სამ ხარისხად იყოფებოდა: იყო „სუბუქი ღვინო“, ან „საშუალო“, ან არა და საუკეთესო თვისებისა „უმჯობესი“. რათგან მონასტერში მაგარი ღვინის სმა აკრძალული იყო, ეფთჳმე მთაწმიდელს ამისდა მიხედვით ნაბრძანევი ჰქონდა მეღვინისათვის, რომ „უკეთუ სუბუქი ღვინო იყოს, ყოლა ნუ ურთავ წყალსა, და უკეთუ საშუალო იყოს, ჳერისაებრ ურთე, და უკეთუ უმჯობესი-რე იყოს, ვითარცა ჳერ-იყოს“, ისე გაურთე წყალი და ბერებს ისე მოართვი (ც'ე ი'ე და ეფ'თსა, 37).

თავი XXVII

მეღვინე-მემარნე მოხალეთა მოვალეობა ღვინის დაყენების საქმეში, მეღვინე-მემანახეთა თანამდებობათა იერარქია და მათი ძველი ქართული სახელები

მემარნე მოვალე იყო კარგი ღვინო დაეყენებინა და სათანადოდ დაეცვა, რომ რაიმე ნაკლი არ დატყობოდა და წუნი არ დასდებოდა. თუ ღვინოს რაიმე ნაკლი აღმოაჩნდებოდა, და ან ბოროტმოქმედებით იქმნებოდა გაფუჭებული და წყალ-ნარევი ან უფიცობისა, თუ დაუდევრობისა და მოუვლელობის გამო, ქვე-ვრის გემოვანი და უჯელობით წამხდარი, მემარნე პასუხისმგებელი იყო. ყვე-ლა ეს ვარემოება ღვინის ჩაბარების დროს შესაძლებელი იყო გამორკვეული-ყო. სანამ საღვინე სამსახურებელი ღვინოს არ მოითხოვდა, მანამდის მარანში

ინახებოდა და მემარნის ხელთ იყო, მაგრამ როდესაც ღვინოს მემარნეს მოს-
თხოვდნენ, მაშინ მემარნეს ღვინო უნდა მელვინესთვის ჩაებარებინა. სწორედ
ამ ღვინის ღირსებაც უნდა შეემოწმებინათ, რომ შემდეგში, თუ ღვინოს რაიმე
წუნი აღმოაჩნდებოდა, ცხადი ყოფილიყო, თუ რომელ ორთაგანს ედებოდა
ბრალი, მემარნეს, თუ მელვინეს. დასტურლამალში ნათქვამია: როცა ღვინოს
„მელვინეს მემარნე მოაბარებდეს“, მიძღებმა „ნახოს, თუ ან წყალ-ნარევი ან
ქვევრის-გემოვანი, ან უკვლობითა წამჯდარი იყოს, ის ღვინო გამოართუან და
ერთი იმთონი მემარნეს სხვა წაართვან თავისი“-ო (დასტურ., 88). ე. ი. ორმა-
გად უნდა გადაეხდინებიათ. საერთოდ შემდეგში რომ ღვინოს რაიმე ნაკლი
დაეტყობოდა, „თუ მელვინეს წაეხდინოს, იმან ზღოს, თუ მემარნეს წაეხდინოს,
იმან ზღოს“-ო (იქვე).

ვითარცა ღვინის დამყენებელი და ღვინის ღირსების პასუხისმგებელი მო-
ხელე, მემარნე მესთვლეზე უფროს თანამდებობის პირად ითვლებოდა, და რა-
საც ეტყოდა, უნდა აესრულებინათ. დასტურლამალში ნათქვამია: თუ „მესთუ-
ლემ, თუ მოხელემ ეს ჩვენი ბრძანება მემარნეს არ გაუგონა, მაშინვე მოგვახ-
სენოს“-ო, ცხადია, მსჯავრის დასაღებად (გვ. 88).

თ ა შ ი X V I I I

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო შ ი ც ნ ო ბ ი ლ ი ღ ვ ი ნ ი ს ნ ე უ ლ ე ბ ა ნ ი, მ ა თ ი ს ა ხ ე ლ ე ბ ი ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ხ ვ ა ლ ა ს ხ ვ ა თ ე მ ე ბ შ ი

ღვინის სნეულებათაგან საქართველოში XIX ს-ში ცნობილი იყო: 1. ჭუ-
რის-ხელი და ნახმელარი, როდესაც ღვინოს ჭურ-ქვევრის, ანდა მიწის გემო
მიეცემოდა. 2. მზის-ხელი, როდესაც ღვინო ამღვრივდებოდა. ეს ორი ტერმინი
იმერეთში იხმარებოდა. 3. პრკე ანუ ბრკე. უკვე ს. ორბელიანს ჰქონდა გან-
მარტებული, რომ თუ „ტენიანმან ადგილმან, ანუ საჭმელმან წანიერმან თეთ-
რი ზიძგი მოიკიდოს, მას ობი ეწოდება, ხოლო ღვინისა ბრკე“ ერქვა (ლექსიკ.).
ეს ღვინის ავადმყოფობის სახელი იმერ-ამერეთში იყო გავრცელებული. გუ-
რიაში პრკის მოკიდებას ეძახდნენ, სამეგრელოში კი „იჩკიში მუნოდვალა“-ს
უწოდებდნენ (C6CBBrBdK, VIII, 92; III, 121 და IV, 97). იოს. ყიფშიძეს
ასეთი ტერმინი და თვით სიტყვაც „იჩკი“ არ მოეპოვება. იჩკიში, შესაძლებე-
ლია, საბას ბრკეს ზემომოყვანილ განმარტებაში ნახმარი ზიძგის ფონეტიკური
სახენაცვალი იყო. მუნოდვა შემოცმას, შემოცვასა ნიშნავს. მაშასადამე, ორი-
ვე თეთრი ზიძგის შემოცვის აღმნიშვნელია.

4. ღვინის დამარება, ანდა მოძმარება (C6CBK, III, 214 და C6CBBrBdK,
III, 121), რომელსაც გურიაში ღვინის ამარებას, სამეგრელოში კი ღვინი
დაბუეება, ე. ი. ღვინის დამყავებას ეძახოდნენ (იქვე, IV, 97).

5. ღვინის გადაბრუნება ქართლსა და იმერეთში, ღვინის მონახვა გურიასა
და ღვინიში მორთალა ოდიში ღვინის ისეთ სნეულებას ეწოდებოდა, როდესაც
ღვინო მღვრიე ხდებოდა და უსიამოვნო გემო და სუნი ეძლეოდა. ერმ.
ნაკაშიძის დახასიათებით ღვინო ამ დროს ამღვრევის გარდა მჟავდება კი-

დეც და სიღამპლის გემოც ემჩნევა, შემდეგ შევლება, ანდა ლურჯდება (СССВВгВдК, VIII, 92—93; III, 121 და IV, 97). ღვინოში მორთალა, კვონებ, ღვინის აშმორებას უნდა ნიშნავდეს.

6. ღვინის მოღობა, როდესაც ღვინოს გემო ეკარგება და სქელდება, მაგრამ იმავე დროს გაწყალების ნიშანი ემჩნევა. უცნობი ავტორი, ფრანგული graiss des vins-ის, ე. ი. ღვინის გაცხიშების შესატყვისად სთვლიდა. ე. ვაწაძე რუსულად отпрение-დ თარგმნიდა: (СнСвК, III, 214 და СнСвВгВдК, VIII, 93).

თავი XXIX

უზრძენის იმპორტი საპართველოს მეზობელი კვანავიდან

XVIII ს. ყურძენი, უეკველია, ადრეული, განჯითგანაც შემოჰქონდათ. ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნში სწერია: „განჯილამ რამდენიც საპალნე ყურძენი შემოვა, ნახევარი ლიტრა საპალნეზედ მოურავს უნდა მიერთვას“-ო (სქ სძვლნი, II, 526).

თავი XXX

საუკეთესო ღვინის გავრცელების კუნძუბი საპართველოში

ვახუშტის მოწმობით ქართლის იმ ნაწილში, რომელიც მტკვრის სამხრეთით მდებარეობდა, „დამჩხერლოდამ ტფილისამდე“, მევენახეობისათვის საუკეთესო ადგილად ითვლებოდა. სწორედ აქ იყო „ღვინო უმჯობესი ყოვლისა ქართლისა და უმეტეს ატენური ყოველთა საქართველოს ღვინოთა“-ო (გვრფა, 204).

კახეთში განთქმული იყო „ღვინო მანავისა კეთილი“ (ვახუშტი, გვრფა, 290).

კისისხევში „ღვინო კონდოლისა წარჩინებული“ (ვახუშტი, გვრფა, 316).

შიგნით-კახეთში „ღვინო კეთილი და კარგი“ სცოდნია (ვახუშტი, გვრფა, 322).

ვახუშტის ზოგადი დახასიათებით კახეთ-ქიზიყის „ქვეყანა... არს ფრიად ნაყოფიერი ყოვლითა მარცვლითა, ვენახითა... უფროს ჰერეთი და უმეტესად ალანხისა და იორის კიდენი“-ო (გვრფა, 286).

არგვეთში სცოდნიათ „ვენახი დაბლარი და ღვინო კეთილი“, მაგრამ „ქართლის კერძო ადგილთა თხელი“ იყო (ვახუშტი, გვრფა, 386).

სახიხიძეო-სალომინაო — „ვენახიანი“, მაგრამ იქ ვაზები „ხეთა ზედა ასულნი“ ჰქონიათ და ასეთ მევენახეობის წესს „უწოდებენ მალარსა, ანუ ბაბილოსა“-ო (ვახუშტი, გვრფა, 386).

„სვირს ზეით აღმოსავლეთის კერძოსა უწოდებენ აწ ლომსიათ-ვეეს და არს ქვეყანა ესე... ნიგვზნარ-ხილიან-ვენაჯიანი, ხეთა ზედა ასულნი, რომელსა უწოდებენ მალლარსა ანუ ბაბილოსა“ (ვახუშტი, გ^რფა, 386).

ვაკეში დაბლარი კულტურა სცოდნიათ: იქ „ვენაჯში დაბლარნი არიან მრავლად“-ო (ვახუშტი, გ^რფა, 390).

გურიამაჲ XVIII ს. დამდეგს, ვახუშტის ცნობით, „ვენაჯნი მალლარნი“ სცოდნიათ (გ^რფა, 418).

საჩხეიძეო-სალომინაოში მევენახეობა ფართოდ ყოფილა გავრცელებული და „ღვინო მრავლად და კარგი“-ც ჰქონიათ (ვახუშტი, გ^რფა, 386).

არგვეთის სანახებში, ანუ ყ. შორაპნის მაზრაში, ვახუშტის დროს ყოფილა „ვენახი დაბლარი და ღვინო კეთილი, გარნა ქართლისა კერძო აღვილთა თხელი“ (გ^რფა, 386).

ოკრიბაში „ღვინო მსუბუქი, მხე-გემოიანი“ ღებოდა თურმე (ვახუშტი, გ^რფა, 390).

ოღიშის „ღვინო მსუბუქი და კარგი“ ყოფილა (ვახუშტი, გ^რფა, 402). ქართველი გეოგრაფის ცნობით იქ იყო „ღვინო ზერდაგი²², ფერისათვის ეგრეთ წოდებული, ფრიად კეთილი, ძალიანი და ქებული ყოველთა შინა“-ო (იქვე, 402—404).

ღვინო გურიაში „კეთილი, მსუბუქი და შემრგო, გემოიან-სუნიანი მრავლად“ ყოფილა (ვახუშტი, გ^რფა, 418).

ვახუშტის სიტყვით, საჭილაოს და სამიქელაოს „ვენაჯნი დაბლარნი არიან მრავლად“. ამავე ავტორის ცნობით ოკრიბაშიაც მოიპოვება „ვენაჯ მალლარი, ღვინო მსუბუქი, მხე-გემოიანი“ (გ^რფა, 390).

აგრონ. ხოჯაევის მოწმობით, იმისდა მიუხედავად, რომ გურიაში თითქოს განსაკუთრებით მალლარი ვაზი იყო გავრცელებული, სოკოვან ავადმყოფობათა გაჩენამდე გურიაში საუცხოვო ღვინო ღებოდა (Ор. ВрК: ССсВК, III, 218).

სამეგრელოშიც მალლარი ვაზისაგან გაცილებით უფრო უკეთესი ღვინო გამოდიოდა, ვიდრე დაბლარისაგან. ეს გარემოება ნიადაგის მეტისმეტი ნოტიობით აიხსნება. დაბლარად გაშენებული ვაზის მტევანი მოჭარბებული სინოტივისაგან და უხვი შეფოთლილობისაგან ორთქლიანი ჰაერის არეში იყო და ამის გამო ფუჭდებოდა. მალლარად დაყენებული ვაზის ყურძენი უფრო მშრალი ჰაერისა და მზის მცხუნვარების არეში კარგად მწიფდებოდა (იქვე, III, 221).

თავი XXXI

ყურძნის წვენის სხვადასხვა პროდუქტები

§ 1. ჩურჩხელა

ყურძნის წვენისა და ტკბილითგან, როგორც ცნობილია, „ჩურჩხელი კეთდებოდა და კეთდება“, რომლის მოტანაც ხელმწიფის კარის გარიგების ცნობით სხვათაშორის გარეჯის უდაბნოს სდებია ძღვნად (გვ. 15, § 29, სტრ. 343).

²² სპარსული სიტყვაა, ოქროვანს, ოქროსფერს, ე. ი. ყეთელს ნიშნავს. ივ. ჯ.

§ 2. ძმარი

XVIII ს-ში კარგი ძმრის დაყენებას ქართლში სხვა სოფლებზე უფრო ფართოდ, როგორც ჩანს, ბოლნისს, შულავერსა და დიღომში მისდევდნენ. ვახტანგ VI-ის დასტურლამალში პირდაპირ ნათქვამია კიდევაც: „ძმარი ბოლნისს დააყენონ“-ო. რაკი ეს სოფლები ძმრის დაყენების ცენტრი ყოფილა, ამიტომ მათ ძმრის გამოღება დაკისრებული ჰქონიათ და ყოველწლივ უნდა გამოეღოთ.

§ 3. ძმრის ტკბილი

„ძმარი ბოლნისს კოკა იე(15), შულავერს კოკა იე(15), დიღომს კოკა ი“, ე. ი. 10 (დასტურ., 103).

საგულისხმობა, რომ შუა-ბოლნისს გამოსადებთა შორის შეწერილი ჰქონია ყოველწლიურად „ძმრის ტკბილი“ (დასტურ., 117).

თავი XXXII

ქველ საქართველოში გავრცელებული მაგარი სასმელები

§ 1. რუსი ელჩების ცნობა საქართველოში ხმარებული მაგარი სასმელების შესახებ

ტოლოჩანოვი და იევლევი ამბობენ, რომ XVII ს. იმერეთში მხოლოდ ღვინოს სვამდნენ. არაყი ყოფილა, მაგრამ „არაყს“ არ სვამენო²³.

§ 2. ბურახი

„ბურახი ქერ-ფეტვთა და სხვათაგან სასმელი რამე (ფეტვის ბოზა და მისთანათა BC)“ (ს. ორბელიანი, ლექსიკ.).

§ 3. ლუდი, მისი ისტორია

ქერისაგან დამზადებული სასმელის კავკასიაში უკვე IV ს. ჩვ. წ. აღმდეგ არსებობა შესაძლებელია ქსენოფონტეს აღწერილობით დამტკიცდეს. სომხეთზე გავლის დროს ბერძნებს ერთ სოფელში შემდეგი სურათი უნახავთ: ლუდს დასაველეთით სომხეთის ხალიბთა მოსაზღვრე სოფლებში ჰურჰელში ინახავდნენ, რომლებშიაც დიდი და პატარა უმუხლო ლერწმის მიღები იყო ჩადე-

²³ Пьют виноград. Вино горячее из винограду есть, только его не пьют. Пива и мед не пьют. А меду патаки грянвенка менши полуденья (ელჩობა იმერეთში, 112).

ბული. ვინც სმას მოისურვებდა, უნდა ერთ-ერთი ლერწამთაგანი პირში ჩაედვა და შესრუტვა დაეწყო.

ლუდი ძალიან მაგარი ყოფილა და ქსენოფონტეს სიტყვით შეუჩვეველ ბერძნებს უწყლოდ სმა ეძნელებოდათ, მაგრამ როცა ადამიანი მიეჩვევა, მეტად სასიამოვნო სასმელი იყო (Expedicio Cytiel, V, 26—27).

ევფრატის სათავეს მიდამოების მახლობლად და ხალიბების მეზობლად მდებარე სამხრეთ-დასავლეთის სოფლებში ქსენოფონტეს დახვედრია ხორბალი, ქერი, მწვანილეულობა და კურკლებში ჩასხმული ქერის ღვინო, ე. ი. ლუდი. რომელსაც ქერის მარცვლები ზემოდან პირზე დატივტივებული მოგდებული ჰქონია (Expedicio Cytiel, IV, V, § 25). პურს აქ თურმე როგორც ხორბლისას, ისე ქერისასაც აცხობდნენ (იქვე, § 31).

უქველესი ხანის ძეგლებში ამ სასმელის ქართული სახელი ჯერ არა ჩანს. მხოლოდ ს. ორბელიანს აქვს ამაზე ცნობა და თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს ამ სასმელის თანამედროვე ქართულშიც არსებული სახელი. მისი სიტყვით „ლუდი ქერის თაფლუქი“ არის. ეს განმარტება იმ მხრივ არის მხოლოდ სწორი, რომ საბა ლუკას 115-ზე დაყრდნობით, ფიქრობდა, რომ „თაფლუქი“ არის „რაღაც სამთვრალო შეიმზადების“ (ლექსიკ.). მაგრამ ეს განმარტება მანც-დამანც ზედმიწევნითი არ არის, რათგან ძველ ქართულში თაფლუქი გარეულ თაფლს, ხოლო შემდეგ თაფლისაგან მომზადებულ სასმელსაც ნიშნავდა.

ოთხთავისა და დაბადების ქართულ თარგმანში დამატობელი სასმელის სახელად თაფლუქი-ც გვხვდება. დაბადების ოშკურ ხელთნაწერში ამ სიტყვის უფრო ძველი სახეობაა დაცული: იქ თაფრუქი სწერია.

„რამეთუ ესენი ღვინთა შეცთომილ არიან, შესცოდეს თაფრუქითა; მღდელნი და წინასწარმეტყუელნი განჰკრთეს თაფრუქისათჳს, დაინთქნეს ღვინისათჳს, შეიძრნეს მთრვალობითა თაფრუქისაჲთა, შესცოტეს (A შესცოტს)“ (ესაიაჲსი, 28,7: ოშკი).

„დაითრვენით ნუ ღვინსაგან, და შესულბით²⁴ ნუ თაფრუქისაგან, ნუცა ღვინთა აღიძრვით“ (იქვე, 29ა).

თაფრუქი ანდა თაფლუქი თაფლისაგან შემზადებულს დამატობელს სასმელს ნიშნავდა და მისი სწორედ ამ მასალისაგან შენამზადობა თვით მის სახელშიც გვაქვს აღბეჭდილი. მართლაც ეს სიტყვა ორი ნაწილისაგან შესდგება: თაფლი, ანუ თაფრ და უქი-საგან. თაფლი ხომ ცალკეულადაც არის დღევანდლამდის დაცული, თაფრი არ გვხვდება, მაგრამ ოშკის ხელნაწერთაგან ჩანს, რომ თავდაპირველად ამ სიტყვას ლ-ს მაგიერ სწორედ რ ჰქონია. ამ ძველი ფორმის ანარეკლი მეგრულ-ჭანურში თოფურის სახით გვაქვს შერჩენილი. ჰანურს თოფრი-ც მოეპოვება. ამნაირად ირკვევა, რომ თავდაპირველად ზოგად ქართულსა და მეგრულ-ჭანურს ამ სიტყვაში თანხმოვანთა სრული იგივეობა ჰქონია და იგი მხოლოდ ხმოვნებით ყოფილა განსხვავებული.

რაკი თაფრუქისა და თაფლუქის პირველი ნაწილი უდავოა, ამ სიტყვის მხოლოდ მეორე ნაწილის რაობა და მნიშვნელობა და გვაქვს გამოსარკვევი. შე-

²⁴ ივ. ჯავახიშვილთან: „შესულბით“.

ისო 10, 10: შ ე ს უ ლ ი ბ ნ ა — არივა (საბა). „შ ე ს ლ ბ ი — ავირივე, გ ი ნ ა დაეზნ-დო“ (იქვე).

საძლებელია, უკი ფორმანტად სჩვენებოდა ვისმე, მაგრამ ნამდვილად იგიც, პირველი ნაწილის მსგავსად, ცალკეული, მთლიანი სიტყვაა. ძველ ქართულში არსებობდა სიტყვა უკოი, 26-იოველის დამოწმებით ს. ორბელიანსაც კი აქვს თავის ლექსიკონში შეტანილი: იგივე რაც „პერი ვირი“-ო, ე. ი. სქელი ქაფი.

ამნაირად თაფრუკი უნდა თაფრუქო-საგან იყოს წარმომდგარი და თავდაპირველად ადუღებულის, აქაფებული თაფლის აღმნიშვნელი ყოფილა. მართლაც, ცნობილია, რომ ტკბილეულის დუღილის დროს ქაფი ჩნდება და მისი დუღილის შედეგად შაქარი ალკოჰოლად იქცევა ხოლმე. მაშასადამე, თაფლისაგან შემზადებული მათრობელი სასმელის სახელდების დროს ქართველს მთავარი ყურადღება მისი ნივთიერების დუღილის პროცესისათვის მიუქცევია.

ქართული „ლუდი“ წარმომდგარი უნდა იყოს ამავე სასმელის ჩრდილოევროპული სახელისაგან „alut“, რომლითგანაც ლიტოური „alus“ და ფინური „alut“-ა წარმომდგარი. ინდო-ევროპისტ ენათმეცნიერთა აზრით „ალუტ“ დაკავშირებულია ლათინურ alumen-თან, რომელიც შაბსა ნიშნავს, Aluta შაბით დამუშავებულ ტყავს ეწოდებოდა. ლუდის ჩრდილო-ევროპული სახელის Alut-ის ძირითადი მნიშვნელობა მწარე, ანუ მწკლატკ სახელი უნდა ყოფილიყო (იხ. O. Schröder: V. Hehn, Kpf. u. Ht., 1241 და Al. Waldes. Lateinisches etym. Wörterbuch. 2 Aufl., 1910, 29).

საფიქრებელია, რომ ხევსურეთში გავრცელებული საკუთარი სახელი „ალუდა“ ლუდის პირვანდელი სახის ნაშის უნდა შეიცავდეს ისევე, როგორც არსებობდა და ეხლაც არსებობს ადამიანის სახელი „ღვინია“ და აქედან წარმომდგარი „ღვინიაშვილი-ს“ გვარი²⁵.

თავი XXXIII

ცნობები ზვარის სიდიდისა და შემოსავლიანობის შესახებ

ზვრების სიდიდისა და შემოსავლიანობის გასათვალისწინებლად XVII ს. დამდეგს ქვემოსა და შიდა ქართლში შესაძლებელია ორბელიანთ საგვარეულოს ორი ფრიად საგულისხმოდ ანგარიში იქმნეს გამოყენებული. ერთი 1619 წ. და მეორე 1620 წ. მოსავალს ეხება. იქ როგორც ზვრის მოსავალია აღნუსხული, ისევე კულუხიც. 1619 წ. „აქვს: ტზ: ქ. ნახიდურის ზვარს ტკბილი საპალნეზ ასოცი, ნახიდურს კულუხი ტკბილი ოცდაათი.

- ქ. მუხრანას ზვარს ტკბილი საპალნე 240
კულუხი ტკბილი საპალნე 20
- ქ. ბალახურის ზვარს ტკბილი საპალნე 21
კულუხი ტკბილი საპალნე 1
- ქ. შუა-ბოლნისის ზვარს ტკბილი საპალნე 100
- ქ. წულრულაშენის ზვარს საპალნე 45

²⁵ ამის შემდეგ ახალი სტრიქონიდან იწყება: „რაკი ოსურად ლუდს“ და მერე თხრობა შეწყვეტილია (რედ.).

- ქ. ქვემო-ბოლნისის ზვარს ტკბილი საპალნე 40
და კულუხი 40
- ქ. ტანძის ზვარს საპალნე 15
კულუხი საპალნე ტკბილი 15
- ქ. ჭალის ზვარს საპალნე 12
კულუხი საპალნე ტკბილი 1
- ქ. მუსეფრიანის ზვარს საპალნე ტკბილი 5
კულუხი საპალნე [...]
- ქ. ვარდისუბნის ზვარს საპალნე 180
კულუხი საპალნე ტკბილი 10
(ქკ^ბ, II, 443).
- 1620 წ. აქვს :ქ. ნახიდურის ზვარს საპალნე 180
სოფელს კულუხი საპალნე 20
- ქ. მუხრანს ზვარს ტკბილი საპალნე 310
კულუხი ტკბილი საპალნე 30
- ქ. ბალახაურს ზვარს ტკბილი საპალნე 24
კულუხი ტკბილი საპალნე 1
- ქ. შუა-ბოლნის ზვარს ტკბილი საპალნე 140
- ქ. ქვემო-ბოლნის საპალნე ტკბილი 43
- ქ. წულრუღაშენს საპალნე ტკბილი 50
სოფელს კულუხი საპალნე 50
- ქ. ტანძის ზვარს საპალნე ტკბილი 22
სოფლის კულუხი საპალნე 16
- ქ. ტალას ზვარს საპალნე ტკბილი 13
- ქ. ჯანაზიანს ზვარს საპალნე ტკბილი 20
სოფლის კულუხი საპალნე 1
- ქ. მუსეფრიანის ზვარს საპალნე კულუხი 7
- ქ. ვარდისუბნის ზვარს საპალნე 19
სოფლის კულუხი საპალნე 12
(ქკ^ბ, II, 443).

ამნაირად ირკვევა, რომ ორბელიანთ 1619 წ. თავიანთ 10 ზვრითგან 758 საპალნე ტკბილი შემოსვლიათ, ხოლო 7 საბატონეჲმ სოფლის კულუხად 117 საპალნე ტკბილი რგებიათ.

შემდეგ წელს, 1620-ში, თავიანთ იმავე და კიდევ 10-ის, სულ 11 ზვრითგან 828 საპალნე ტკბილი მიუღიათ. ამ რიცხვითგან ახალი მეთერთმეტე, ჯანაზიანის ზვრის მოსავალი, 20 საპალნე, რომ გამოვაცლოთ, იმავე 10 ზვრის 1620 წლის მთელი მოსავალი 808 საპალნეს შეადგენს. იმავე 1620 წელს საბატონეჲმ 7 სოფლის კულუხად სულ 130 საპალნე ტკბილი რგებიათ. მაგრამ ამ რიცხვში ჯანაზიანის სოფლის კულუხიც, 1 საპალნეც, შედის, რომელიც წინა წლის ანგარიშში არ მოიპოვება, ხოლო 1620 წ. ანგარიშში ქვემო ბოლნისის კულუხი შეტანილი არ არის. სამაგიეროდ, წულრუღაშენის კულუხი იხსენიება, რომელიც 1619 წ. ანგარიშში არა ჩანს.

თაზი XXXIV.

**ყურძნის მოსავლიანობასთან დაკავშირებული სამუშაო და
მუშახელი, მათი გასამრჯელო, ღვინის ფასები**

გიორგი მთაწმიდლის სიტყვით, ათონის ქართველთა მონასტერში განსაკუთრებული თანამდებობის პირი, ბერი იყო „მუშათა უხუცესი“, რომელსაც ბერძნულად „ეპისტატი“ ერქვა და ეფთვმე მთაწმიდელს ნაბრძანები ჰქონდა: „ნუმცა რა დააკლდების ეპისტატსა, რომელ არა შეწუხდეს და ოცდაათი ანუ ორმოცი მუშაა არა მოაცთუნოს“ (ცხოვრება იე და ეფისი, 50)“.

„მუშაობაც კარგი ზნეა, ზედ მდგომობა და სარქრობა,
ბარვა, წიღნვა, ხნვა და თესვა, მკის და სთვლისა მის-მის დრობა.
კაცს შემატს და გაახარებს მოსავლის ბევრის მოსწრობა
და ვის მუშა ჰყავსთ, თვითან შვრება, ურევია არზაქრობა“
(არჩილი, საქართველოს ზნეობა, 40).

არქ. ლამბერტი ამბობს: „მიწის მუშაობას როგორც საქართველოში, ისე კოლხიდაში იმდენად ეტანებიან, რომ ყველას კეთილშობილურ საქმედ მიაჩნია თავის ყანის მუშაობა“-ო (სამეგრ. აღწ., 13).

ორღლიურიანი დაბლარი და ლიხრანის ვენახის მოვლისათვის იმერეთში გასხლვას 24 სამუშაო დღე სჭირდებოდა, პირველ თონხას — 26 დღე, მეორე თონხას — 18 დღე, მესამედ თონხას — 10 დღე, ასარვას — 25 დღე, შეყელვას 9 დღე, გაფურჩქენას 17 დღე, ჭურების გასუფთავებას, რეცხვას 8 დღე და სთველსა და ყურძნის დაწურვას — 15 დღე. სულ 152 სამუშაო დღე უნდებოდა (ერმ. ნაკაშიძე, Оч. Вг в Имеретин: СбСвК, III, 292).

მეზურესა და მემარნეს ერთნაირი ჯამაგირი ჰქონიათ, რაც მათი თანამდებობის მაშინდელი თვალსაზრისით ერთნაირი ღირებულების მაუწყებელია. დასტურლამალში შეტანილი ცნობით, ატენის „მეზურესა და მემარნეს აქვს ჯამაგირი თითოს ძროხა ა, პური კოდი ვ (6), თეთრი ჩუ (ე. ი. 1 მინალთუნი და 2 აბაზი, სულ 7 აბაზი), საფერავისა და ნეხვის სამუშაოს და მუშის ფასი „კარიდამ უნდა მიეცეს“-ო (დასტურ., 123—124).

ღვინის ფასები

პლინიუს მცირეს ღვინის ფასები აქვს მოყვანილი (იხ. Natur. hist., I. 14; ლ X, 3 და 4).

თაზი XXXV.

ტარმინი „ღვინო“, მისი რაობა და წარმოშობის ისტორია

**§ 1. ღვინის შესატყვისი ტერმინები უცხოურ ლექსიკაში და
უცხოელ მეცნიერთა კონცეფციები**

რაკი ღვინოს ბერძნულად ოანოს, ეოლიურად უოანოსი, ლათინურად ვინუმ, გუთურად ვეან, ფრანგულად vin-ი და სლავურად ვინო, სომხურად კი გინი ეწოდება, ხოლო ებრაულად მაინ-ი და ეთიოპურად ისევე, როგორც არა-

ბულად ვაონ-ი ჰქვიან, ამიტომ თავისთავად უნდა წამოჭრილიყო საკითხი, რომ ღვინის სახელი ან ინდოევროპულ ერებს უნდა ჰქონოდათ სემიანთაგან შეთვისებული, ანდა წინაუქმო, სემიანთა მოდგმის ტომებს უნდა ჰქონდეთ ინდოევროპელთაგან ნასესხები. გამოჩენილი ფრანგი მეცნიერი ერნესტ რენან-ი თავის ნაშრომში *Histoire générale des langues sémitiques*²⁶ „სემურ ენათა; ზოგად ისტორია“-ში ამტკიცებდა, რომ ღვინის სახელი სემიანთ უნდა შეეთვისებინათ ინდოევროპელთა მოდგმის არიელთა ჯგუფის ბერძენ-იტალიელთა ტომებისაგან. რენანის ეს დებულება ვიკტორ ჰეპსს, გამოჩენილ გერმანელ მკვლევარს, კულტურის ისტორიის თვალსაზრისით უაღრესად დაუჯერებლად მიაჩნდა და ამის საწინააღმდეგოდ თავის ცნობილ გამოკვლევაში „შინაური მცენარეები და ცხოველები“ ღვინის სახელის შემთვისებლად პირიქით ინდოევროპელებს სთვლიდა²⁷. მისი აზრით, ბერძნებს ღვინის თავიანთი სახელი სწორედ სემიანთა ტომისაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. ჰეპსს მევენახეობა-მელვინეობის საწმობლოდ კასპიის ზღვის სამხრეთი სანაპირო მიაჩნდა. აქ სწორედ სემიანთა მოდგმის ერთი ტომთაგანი ბინადრობდა. აქეთგან სამხრეთისაკენ და დასავლეთისაკენ გადასახლებულ სემიანთა ტომებს მევენახეობა-მელვინეობა მეზობელი მცირე-აზიელი არიელისა და გაარიელებულ ტომებისათვის უნდა შეეთვისებინათ. ბერძნებს მეურნეობის ეს უმაღლესი დარგი ორი მხრივგან, სამხრეთითგან ფინიკიელთაგან, ხოლო ბალკანეთის ჩრდილოეთითგან მცირეაზიელ არიელთა და გაარიელებულ ტომთა წყალობით უნდა ჰქონდეთ შეთვისებული (იქვე, 70—71).

ჰეპსსი ფიქრობდა, რომ ღვინო და მელვინეობა რომაელებსა და იტალიელებს პირველად ბერძნებისაგან ჰქონდათ ნაგემი და შესწავლილი. ამის საბუთად მას ღვინის აღმნიშვნელი ლათინური სიტყვა ვინუმ-ი მიაჩნდა, რომელსაც ბერძნული სახელის მხ. რ. აკუსატივისაგან ომონ-ისაგან წარმომდგარად სთვლიდა (იქვე, 71—72).

საკმარისია, ადამიანმა ვირგილიუსის მიერ მისდროინდელ იტალიაში გავრცელებული ყურძნისა და ღვინის ჯიშების სახელები გადაიკითხოს (იხ: საქართველოს ეკონომიური ისტ., II², გვ. 395), რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად ძლიერი ყოფილა მევენახეობა-მელვინეობის დარგში საბერძნეთის გავლენა. მართლაც და, ყურძნის 13 ჯიშიდან 8 ჯიში ბერძნულია, სახელდობრ: ლე ს ბ ო ს ის ა და თ ა ზ ო ს ის კუნძულებისა, მ ა რ ე ო ი ტ უ რ ი, რომელიც ეგვიპტის ქ. ალექსანდრიის მახლობლად მდებარე მარეოიტის ტბის სანაპიროს (იხ. I. Roy-Chevrier-ის *Ampélogr. retrospect.*, 68) ბერძენთა მოსახლეობისაგან შეთვისებული ჯიში უნდა იყოს, ფ ს ი თ ი ა, რომელიც კორინთულს უნდა უდრიდეს (იქვე), ლ ა გ ი ო ს ი და ბ უ მ ა ს ტ უ ს ი, რომელთა ბერძნულობა თვით მათივე ბერძნული სახელით მკვადენდება, — ა რ გ ო ს უ ლ ი, რომელიც პელოპონეზოსის ქ. არგოსის ყურძნის ჯიშს წარმოადგენდა, და რ ო დ ო ს უ ლ ი — როდოსის საკმელი ყურძნის ჯიში.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ვაზის აღსანიშნავად, ამ სიტყვის გარდა, ვენავი-ც იხმარებოდა. მისი ნაყოფის წვენიდან დაყენებულ სასმელს კი ღვინო

²⁶ ერნესტ რენან. *Histoire générale des langues sémitiques...* 1847.

²⁷ Victor Hehn. *Kulturpflanzen und Haustiere in ihrem Uebergang von Asien nach Griechenland und Italien. sowie in das übrige Europa. Historisch-linguistische Skizzen.* Berlin, 1870.

ეწოდებოდა. როგორც დავრწმუნდით, ვენაჯი უნდა ღვენახი-საგან იყოს წარმომდგარი²⁸, ე. ი. თავდაპირველად ღვინის ხის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ისევე, როგორც გერმანელები ვაზს Weinstock ვაწმტოკ-ს, ე. ი. ღვინის ხესვე ეძახიან.²⁹

მეგრულად და ქანურად ვაზს ბინეხი ეწოდება. ის გარემოება, რომ მეგრულს გარდა ქანურსაც ვაზის აღსანიშნავად ბინეხი აქვს, გვაფიქრებინებს, რომ თავკიდური ზ ამ სიტყვაში ახლად გაჩენილი კი არ არის, არამედ ძველისძველი უნდა იყოს. ძველი ქართული ღვინო-ს შესატყვისად მეგრულშია ღვინო, ხოლო ქანურში ზოფურად ღვინი, ვიწურად კი ღინი-ა. თუ ვენაჯი თავდაპირველად ღვინის ხის აღმნიშვნელი იყო, მაშინ ბინეხი მეგრულსა და ქანურში ასეთი მნიშვნელობის სიტყვად უნდა მივიჩნიოთ. თუ ეს მცდარი არ არის, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ ღვინოს ოდესღაც ბინე ან ამის მსგავსი სახელი უნდა ჰქონოდა. მეგრულ-ქანური ბინეხი-ს შესატყვისად ძველ სამწერლობო ქართულში ვენაჯი გვაქვს. თუ მეგრულ-ქანურშიც ასეთი ახმოვნების შესაძლებლობა წარმოვიდგინეთ და იქ არსებული ი და ოდინდელი ე და ა ხმოვნების შენაცვლების პროცესის შედეგად მივიჩნიოთ, მაშინ შესაძლებელია ბინეხი წინანდელი ბენახი-საგან წარმომდგარად გვეგულისხმა. ამ შემთხვევაში ღვინო-ს სახელი ბენა-დ წარმოგვიდგება, რომლისაგანაც დროთა განმავლობაში ბინე იქმნება წარმოშობილი.

ღვინოს, ღვინისა და ღინის გარდა, როგორც თავის ადგილას უკვე აღნიშნული გვქონდა, უნდა ბენა-ც ყოფილიყო ისევე, როგორც ბინე-ს სახით ეს სიტყვა თანამედროვე მეგრულ-ქანურ ბინეხ-შია დაცული.

ღვინის აღსანიშნავად რომ ამნაირი სიტყვა *ბენა ოდესღაც მართლაც ყოფილა, ამას თითქოს ჰესკიხოსის ცნობაც ცხად უნდა ჰყოფდეს [Экхуа, τὸν οἶνον. ἀρχαῖα. οἶ. δε βήλα (იხ. O. Schrader, შენიშენაში Kpf. u. Ht., 93)]. „ბენა ღვინოს ნიშნავს. კრიტელნი ზოგნი ბელა-ს უწოდებენო“. მაშასადამე, კრიტოსელნი ღვინოს ზოგნი იბენა-ს, ზოგნი კიდევ ბელა-ს უწოდებდნენ. პირველისა და მეორის საერთო ნაწილი ბენა-ა, რათგან მეორეში „ლ“ თანხმოვანი „ნ“ შენაცვლებას წარმოადგენს. იბენა-ს თავკიდური ი ძირეული არ უნდა იყოს და მისი ბუნება და დანიშნულება ჯერ გამოსარკვევია. ამნაირად, ღვინოს კრიტოსზე ბენა რქმევია.

§ 2. ბერძნული თქმულება ვაზის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით, მისი გაუგებარი აზრის გახსნა ქართული ტერმინების საშუალებით

თავის ადგილას (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., II², გვ. 390) მოყვანილი გვქონდა ბერძნული ძველი თქმულებები, რომელთა მიხედვით შინაური ვაზი უცნაურად თითქოს ძალღისაგან უნდა იყოს წარმოშობილი.

უნებლიეთ იბადება საკითხი, თუ რა კავშირი უნდა ჰქონდეს ძალღს ვაზთან; როგორ მოხდა, რომ ყურძნის მომსხმელი ვაზი ძალღისაგან წარმოშობილ-

²⁸ იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., II², 296.

²⁹ ამას მოსდევს „ღვინის ხე ვენახად ქცეამდე“ და აქ თხრობა წყდება (რედ.).

აღმოცენებულად არის დასახული. ამ უცნაური შთაბეჭდილების გასაქარ-წყლებლად და ვაზის გაჩენის შესახებ თქმულებაში ძაღლის მონაწილეობის განსამარტავად ისეა მიღებული, რომ აქ ძაღლი ვარსკვლავ სირიუსად არის ნა-გულისხმევი და ცხელ დროსა ნიშნავს. გამოდის, რომ თქმულება ვაზს წელი-წადის ცხელი დროის წარმომშობად გულისხმობდა.

მაგრამ ეს ხომ ძველი, გაუგებარი თქმულების ხელოვნური, რაციონალის-ტური გააზრიანება არ არის? ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: უკვე თვით ზე-მომოყვანილი³⁰ ბერძნული თქმულება ხომ ძველი და უკვე გაუგებარი სიტყვის ხალხური გააზრიანების ისეთსავე ნაყოფს არ წარმოადგენს, როგორმაც საშუა-ლო საუკუნეებში არაბთა „სარკინოზების“ სახელი ბერძნულივე თქმულები-საგან წარმოშვა, თითქოს არაბები სარკას ძაღლისაგან (σαρκασις ყოფილიყვნენ გაჩენილნი? σαρκα—სარა, σιν-ბე—ძაღლი?).

რაკი ძველ წარმართულ თქმულებებში მომეტებულად შორეული წარსუ-ლის ცხოვრების ანარეკლია ხოლმე ზღაპრული სამკაულით განსახიერებულ-შეფერადებული, ამიტომ საფიქრებელია, რომ ბერძნული ზემომოყვანილი თქმულებების მიზანს მევენახეობის კულტურის წარმოშობის გამომჟღავნება წეადგენს. ამ თქმულებებში ვაზის კულტურის დასაწყისია აღბეჭდილი. ხოლო ცნობილია, რომ მევენახეობა გარეული ვაზის გაშინაურების წყალობით არის გაჩენილი.

ბერძნული თქმულების მიზანსაც ვაზის ხის გაჩენის განმარტება და მო-თხრობა შეადგენდა, ძაღლისაგან მისი წარმოშობილობა ხომ თვით ვაზის ისეთი სახელისაგან არ არის წარმომდგარი, რომელშიც ბერძენ მდაბიო მიწისმოქმედს ბერძნულად ძაღლის აღმნიშვნელი სიტყვის ამოკითხვა, ანდა დამსგავსება შეე-ძლო?

ეს სახელი ან ძველი ბერძნული (უნდა) ყოფილიყო, რომელიც შემდეგში აღარ იხმარებოდა და ამის გამო გაუგებარი იყო, ან რომელიმე ისეთი უცხო ერისა და ენის სახელი, რომელთანაც საბერძნეთის მევენახეობის კულტურას ოდესღაც კავშირი ჰქონდა.

საკმარისია აღამიანმა ვაზის ბერძნული სახელები გაიხსენოს, რომ დარ-წმუნდეს, თუ რამდენად შეუძლებელია ბერძნულ სახელებში, თუნდაც ხალ-ხური გააზრიანების გზით, ძაღლის სახელი ამოეკითხათ და ამის წყალობით გა-ჩენილიყო თქმულება, თითქოს ვაზი ძაღლის წარმონაშობი ყოფილიყოს. ცნო-ბილია, რომ ბერძნულად გარეულ ვაზსა და ყურძენს *ἄπειρος ἀγρία* „ამპელოს აგრია“, ე. ი. „ყურძენი ველური“ ეწოდება. ლათინურად კი *La brusca* ერქვა, შინაურ ყურძენსა და ვაზს კი ბერძნები *ἄπειρος οἰκονομικός* ამპელოს ოინოპოროს-ს, რომაელნი *vitis vinifera*-ს, ე. ი. ღვინის მომცემ ყურძენს, ვაზს ეძახდნენ. ამ სახელებში ძაღლის ბერძნული სახელის ერთი ბგერაც კი არ მოიპოვება.

თუ აღამიანი ვაზისა და ღვინის ძველ ეგვიპტურსა და ებრაულ სახელებ-საც თვალს გადაავლებს (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., II², გვ. 385—327), იმ ორი ერისას, რომელთა მევენახეობა-მეღვინეობის ძველი საბერძნეთის მეურნეობასთან კავშირზე უცილობელი ცნობები არსებობს, დარწმუნდება,

³⁰ იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., II², გვ. 390 (რედ.).

რომ ძაღლის აღმნიშვნელ თავის დედაენის სახელის მიმსგავსებას ძველი ბერძენი ვერც იქ იპოვიდა.

სულ სხვა სურათი გადაეშლება ადამიანს, თუ მევენახეობის გაჩენის მთავარ გარემოებას სათანადო ქართული ტერმინებით წარმოსთქვაშადა: გარეულ ვაზს ქართულად კრიკინა, გაშინაურებულს კი ვენაკი ეწოდებოდა, ანდა ბინენის წინამორბედი სახელი ბენახი. ამნაირად ვაზის კულტურის წარმოშობის რეალური გარემოება რომ ქართველს მარტივად გამოეთქვა, ის თავის მესაუბრეს ეტყოდა, რომ ვენახი (ანუ გაშინაურებული ვაზი) კრიკინისაგან არის წარმომდგარი. საკმარისი იყო ბერძენს „კრიკინა“ საკუთარ სახელად მიეჩნია, რომ ხალხის ფანტაზია ამოძრავებულყო და ამ უცხო სიტყვის გააზრიანება დაეწყო. მაშინ კრიკინა ადვილად იქცეოდა კირკინა-დ და, სარკინოზ-ის მსგავსად, კრიკინა-ს მეორე ნაწილი (კინ) ძაღლის ბერძნული სახელი მოსჩვენებოდა, პირველი კი ბერძნულ „კერიოსად“, რომელიც „უფალსა“ და „პატრონს“ ნიშნავს. გარეული ვაზის სახელის კრიკინა-ს ასეთი გააზრიანების შემდგომ ხალხის ფანტაზია შექმნიდა თქმულებას, რომ შინაური ვაზი ძაღლის (კინ) პატრონისაგან (კურ) არის წარმომდგარი, ისევე როგორც მრავალი საუკუნით უფრო გვიანაც არაბ-სარკინოზთა სახელის გააზრიანებამ ბერძენი ხალხის ფანტაზიას არაბების სარჩას ძაღლისაგან წარმოშობილობის თქმულება შეათხზვევინა.

§ 3. ბერძნული ტერმინი „ოზოლე“ და მისი გააზრება ქართული ლექსიკის საშუალებით

საყურადღებოა აგრეთვე ლოკრელების მეტსახელი ოზოლე. ისინი ხომ თავიანთი თემისათვის მევენახეობის პირველი სამშობლოს სახელს ჩემულობდნენ! მათი მეტსახელი ოზოლე-ც სწორედ ვაზის იმ პირველი ამონაყარის სახელის გამო ეწოდათ, რომელიც მათ ქვეყანაში აღმოცენდაო (იხ. საქართველოს ეკონომიური ისტ., II², გვ. 390).

მართალია, ბერძნულად ჰომეროსის ხანაშივე ὄζει-ჰ—ოდოს, ანუ ოზოს, ისევე როგორც ეოლიურად ჯზღოს—ჰომეძეს, ამონაყარს ხის ტოტს ანდა ზროს ნიშნავდა, ეს სიტყვა ო-სა და სედისაგან ითვლება წარმომდგარად, რომელთაგან ო თანდებულ „თანას“ და კავშირს ნიშნავს, სედ—ჯღომას, მჯღომს, ერთად-კი თავდაპირველად „თანამჯღომს“, ფეხზე მჯღომს—Ansatz ansitzend am Stamm-ს ნიშნავდაო (Em. Boisacq. Dict. étym. de la langue grecque, 686).

ჰებშმან-ი ამ ბერძნული სიტყვის მონათესავედ სთვლდა სომხურ *ოსოს*-ს, რომლის ნათ. ბრ. ოსტოჰ-ა და რომელიც ტოტსა ნიშნავს. იგი ამ სიტყვას გუთურ *asts*-საც აღარებს, რომელიც ზროსა ნიშნავდა (Armen. Gram., I, 482).

მაგრამ საქმე ის არის, რომ არც ბერძნული ოზოს-ი და არც სომხური ოსტი-ი ვაზის ამონაყარის, ანდა ტოტის აღმნიშვნელი არ ყოფილა. ვაზის ტოტს სომხურად *ოჩ* ორთ-ი ეწოდებოდა, ბერძნულად კი *ჰჰჰჰჰჰჰჰ*-ი, ან *ჰჰჰჰ* ეწოდებოდა ამ თქმულებაში კი სწორედ ვაზზეა საუბარი, ამიტომ ოზოლე-ც ამავე ცნების გამომხატველი სიტყვისაგან ნაწარმოები ზედსართავი, ანუ მიკუთვნილობის სახელი უნდა იყოს. რაკი ყურძნის ხეს ქართულად „ვაზი“ ეწოდებოდა, იბადება საკითხი, „ოზოლე“ ხომ ქართული „ვაზი“-ს ფონეტიკურ სახესხვაობა „ოზი“-საგან არ არის ნაწარმოები და „ვაზელის“ აღმნიშვნელი ხომ არ არის?

ღ ა მ ა ტ ე ბ ა

(ზოგიერთი მოსაზრება)

§ 1. საკიჭი

„საკიჭი“ (რიცხუთა, 64), როგორც ტექსტიდანაც ჩანს, ძველი ყურძენი უნდა იყოს, რათგან რიცხუთა 63-4-ში ნათქვამია, „ყურძენი ახალი და საკიჭი არა ჰამოს“-ო. ეს ტერმინი „საკიჭი“-სა და „სკიჯი“-ს სახითაც უნდა ვკვებდებოდეს I მეფეთა 118 გ, თუ 2510 და II მეფეთა 171-ში ისევე, როგორც „შკიჭი“-ს სახითაც, თუ ს. ორბელიანს დაეუჯერეთ (ლექსიკ.). მაგრამ აქ რაიმე შეცდომა უნდა იყოს, რადგან დასახელებულ ადგილებში ეს სიტყვა არც არის და არც შეიძლება ყოფილიყო.

„საკიჭი“ უდრის ბერძნულ η σαρπίς-ს, ლათინ. uvasicca-ს და სომხურ χ ս- χ 2-ს ჩამიჩ-ს. ამიტომ არის, რომ ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „ჩამიჩი სომხურია, ვმელი ყურძენი, ქართულად სკიჭი ჰქვან“-ო (ლექსიკ.). ან „ქიშმიში სპარსთა ენაა (თურქთა), ქართულად სკიჭი (სკიჯი) ჰქვან“-ო (ლექსიკ.).

რ. ერისთავის სიტყვით კი „სკიჯა ერთნაირი ყურძენია“ ვითომც (ბოტან. ლექსიკონი, გვ. 52, § 754).

§ 2. კოკონა ჭია

კოკონა ჭია ვაზის ფოთლის მანებელი მწერის ქართული სახელი ხომ Coccus vilis-ს (რუს. виноградная кшшенияль-ს) სახელთან არ არის დაკავშირებული?

დაკვი მახუთა

მეხილეობა

თავი I

ხეხილისა და ხილის ნაწილების ძველი ქართული სახელები და მათი შესახებვისოგანი საქართველოს თემეგუნი

1. ხეხილის ნაწილთა ქართული სახელები ძველი წყაროების მიხედვით

საბა ორბელიანს დიონოსის 4,181-ის დამოწმებით ნათქვამი აქვს: „დიდთა ხეთა რა სხულნი რტონი განეყოფიან, მას ეწოდებიან გრჯლა; მას ზედეთ განყოფილთა ეწოდებიან ბორჯლი; ხოლო მას ზედეთთა რტონი; და ზერელესა — მწუერვალი; და ზედეთ წულილთა — კეწეწი; ხოლო ხის წვერთა — კუნწუხი“-ო (ლექსიკ. იხ. გ რ ჯ ლ ა).

1. რტოჲ ხისაჲ

„რტოჲ“ ხისა და მცენარის ტოტსა ნიშნავდა. ეს დაბადების ქართული თარგმანის შემდეგი ადგილითგან ჩანს; „მიუხუნეს ტვენები მცირენი მანგალთა და რტოებნი მიუხუნეს და აღმოკრნეს“ (ესაიასი, 18_გ); ბერძნულად აქ ნახმარია ἡ ἀλμυρῆ: „ტოტი“ და სომხურად ამავე მნიშვნელობის სიტყვა ძღრ-ია.

2. კვირტი ანუ კუკური

ს. ორბელიანის განმარტებით, „გურტი — კვირტი, ვაზის კუკური“-ა (ლექსიკ.), ხოლო რაკი „კუკური გაუშლელი ფოთოლი“-ა (იქვე), ირკვევა, რომ „კვირტი“, ანუ „გურტი“ გაუშლელი ყოფილა. სახელოვანი ლექსიკოგრაფის ეს განმარტება თანამედროვე ბოტანიკური მოძღვრებისაგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ეხლანდელი შეხედულებით კვირტი „ნორჩი, ჯერ სავსებით განუვითარებელი ფოთლები და ღეროა“, მაგრამ მარტო ვაზისა კი არა, არაუმედ ყოველგვარი მცენარისა (ხ. ყანჩაველი, ბოტანიკა, I, 107).

§ 2. ხილის ნაყოფისა და მისი ნაწილების ძველი ქართული სახელები და სხვადასხვა მოსაზრება ზოგიერთი სახელის ირგვლივ:

1. ღერო ანუ ყუნწი

ხილი ხის ტოტზე [ღეროთი] არის დაკავშირებული, რომელსაც „ყუნწი“ ანუ „კუნწი“ ეწოდება. ს. ორბელიანი სწორედ ამ უკანასკნელ ფორმას ხმარობს და ლექსიკონში ნათქვამი აქვს: „კუნწი ხილის ღერო“-აო.

§ 2. მერწი და კანტარი

ჭანურად ყუნწს „მერწი“ და „კანტარი“ ჰქვიან (ჭ. გ., გვ. 167), „название ветви, плети, тыквы, дыни“ (აქ ი. ყიფშიძეს ნ. მარის წიგნის ამ ადგილას ფუნქციით ჩართული აქვს „и груши и т. п., на которой растет плод“). ამ ტერმინების მსგავსი სიტყვები მეგრულში არა ჩანს, მათი ეტიმოლოგიაც ჭერ კიდევ გამოსარკვევია. ს. ორბელიანს მხოლოდ „კანტი“ და „კანტური“ მოეპოვება და მისი სიტყვით „კანტი მომცრო და მჭლე“-ს აღმნიშვნელია, ხოლო „კანტური უნებურად თავის ქნევა“-სა ნიშნავს (ლექსიკ.). ეგების ამ ორ სიტყვას ჭანურ „კანტარ“-თან რაიმე კავშირი ჰქონდეს?

§ 3. ნაჭუჭი

ს. ორბელიანის სიტყვით „ნიგოზთა, თხილთა, ნუშთა“ კაკლის მაგარ ქერქს „ნაჭუჭი“ ეწოდებოდა (იხ. ლექსიკ. ქერქი) და ასევე ეწოდება თანამედროვე ქართულშიც. ხოლო „წაბლთა, წიფელთა და მისთანათა“ მარცვლის მაგარ ქერქს, იმავე მეცნიერის ცნობით, „ხეჭბი“ ერქვა (იქვე).

„ხეჭბი“-ს ოდნავი ბგერითი სახენაცვალი თანამედროვე ჭანურშიც კია დაცული: იქაც არსებობს ტერმინი „ხეჭება“, მაგრამ ამ სიტყვას ჭანები ნაჭუჭის მნიშვნელობით ხმარობენ: ნიგვზის კაკლის მაგარ ქერქს უწოდებენ ისე, როგორც „თხირიშ ხეჭება“, რაც თხილის ნაჭუჭს ნიშნავს (ჭ. გ., 231).

ეგების აქვე ისიც იყოს გასახსენებელი, რომ „წაბლთა, წიფელთა და მისთანათა“ ქერქს „ხეჭბი“ ეწოდებოდა (ს. ორბელიანის ლექსიკ.) (შდრ. წაბლ-ს, ჭუბურ-ს, ხეჭბო-ქუჩუბ, ხე-ჯუბი — ხე-ჭუბუბ).

4. წენგო ანუ ლეჯა

იგავთა 10₂₃-ში ნათქვამია: „ვეითარცა წენგო მაწყინებელი კბილთა“-ო. ბერძნულში წენგო-ს შესატყვისად ზჰაფაჲ-ი იკითხება, ლათინურად acetum-ია ნახმარი, ხოლო სამხურში *acifia*-ი სწერია. სამივე თარგმანი კაწახს, სიმკვავეს ასახელებს და აზრის მიხედვითაც კბილების „მაწყინებელად“, რა თქმა უნდა, კაწახი უფრო ბუნებრივია, ვიდრე „წენგო“, რომელსაც არავინ ჰამს. ამ მხრივ ქართუ-

ლი თარგმანი გამონაკლისის წარმოადგენს. ამიტომ ამ ადგილას „წენგო“ საიდან და როგორ გაჩნდა, ჯერ კიდევ გამოსარკვევია.

ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით, „წენგო“ არის „ნიგუზის ლეჟა ახალი“, ე. ი. ნიგუზის კაკლის მწვანე გარსი. მასვე ნათქვამი აქვს, რომ „ლეჟა წენგოს ნაპობის ქერქი“-აო (ლექსიკ.).

5. წებალი

წებალი, „ოქონას... არს... ნიგოზი, გატეხო რა, ნებალი მისი ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი“ (ვახუშტი, გ' გრფა, ბროს., 264).

თავი II

ხილის ნაყოფთა სხვადასხვა სახელები დანიშნულებისა და მიხედვით; ხილის ჯიშები — მათი სახელები ჰართულსა და მის დიალექტებში

§ 1. კაკრა

ქართველი ხალხი არჩევს ნაყოფს და ორ ჯგუფად ჰყოფს იმისდა მიხედვით, იჭმევა იგი ადამიანისაგან, თუ არა. რასაც ადამიანი არ სჭამს, ის ხშირად ცხოველსა და ფრინველს მოსწონს ხოლმე. თვითეულ ნაყოფთა ამ ორი ჯგუფისათვის თავთავისი სახელი არსებობს ქართულში. ს. ორბელიანს აღნიშნული აქვს, რომ „რომელთა ხილი არა იჭმების კაცთაგან და ფრინველნი ჰამენ, ვითარცა სურათა, ხეშავთა და მისთანათა ეწოდებიან“ სახელად კაკრაო (ლექსიკ.).

§ 2. ადრეულა ანუ ოდრო, ორდო

მარცვალ-ხილის ადრეული ჯიშებიც არსებობდა და გვიანიც. მეურნეობაში მოსავლის სწორედ ამ ორ ჯიშს უფრო აქვს ეკონომიური მნიშვნელობა, რადგანაც უფრო ძნელი და იშვიათი საშოვარია. ძნელად შესაძენი საგანი კი, როგორც ცნობილია, უფრო მეტად ფასობს კიდევაც. ამიტომ სასოფლო მეურნეობაში ადრეულსაც მეტი ღირებულება აქვს და გვიანსაც, როდესაც დროგასულობის გამო ხილი გამოილეოდა და ძნელი საშოვნელი ხდებოდა ხოლმე.

ადრეულს ჰანურადაც „ადრე“-საგან ნაწარმოებ სიტყვას უწოდებენ. ადრეს კი ჰანები „ოდრო“-ს და უფრო ხშირად „ორდო“-ს ეძახიან. ადრეულს „ორდონიარი“ (ვიწური), „ორდონარი“ (რიზ.-ხოფ.), „ორდონალი“ (ხოფ.) და „ორდოში“ (ათინ.) ჰქვიათ. მაგ., ადრეულ ხეჭეჭურ მსხალს „ორდონიარი მცხულ ხეჭეჭული“ ეწოდება (პ. გ.).

§ 3. ღრევი და ღოსდი

სენურად აღრეს აღსანიშნავად „ღრევის“-ი და „ღოსდი“-ი იხმარება, აღრეულს კი „ღოსდაში“ და „ნაღოსდი“-ი ეწოდება (ივ. ნიჟარაძის русск.-св. слов. фант., фанний). „ღრევის“, რასაკვირველია, „აღრე“-ს, ნააღრევის უღრის, „ღოსდი“ თითქოს უფრო კანურს „ორღოში“-ს შიგავს.

§ 4. ოღოში ანუ ორღოში

საფიქრებელია, რომ ტერმინი „ოღოში“, რომელიც ს. ორბელიანის განმარტებით „ნუშთა, ნიგოზთა და ეგევითართა, ცერცუთა, სიმინდთა და ეგევითართა დაუჟამებელსა და სიმაგრენაკლებსა“ ნიშნავს (ლექსიკ.), კანური „ორღოში“-ს მსგავსად, თავდაპირველად აღრეულს, ანუ უკეთ რომ ითქვას, ნააღრევის აღმნიშვნელი უნდა იყოს და „რ“-ს გაქრობით არის წარმომდგარი. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ „ოღოში“ კანური ფენისა და ნაკადის წვლილი უნდა იყოს სამწერლობო ქართულში.

§ 5. მსიმარე ანუ მსუმარი

გვიანს მარცვლეულსა და ხილეულს კანურად „მსიმარე“, ანდა „მსუმარი“ ჰქვიან (ვ. გ., 169).

§ 6. ხილნარი, ნარი და მისი ეტიმოლოგია

მხოლოდ ხეხილით დარგულ ადგილსაც თავისი განსაკუთრებული სახელი გააჩნდა და „ხილნარი“ ეწოდებოდა. ეს ტერმინი ქება-ქებათაჲს 51-შია ნახმარი: „შჳამენ ნაყოფი ხილნართა თჳსთა... შევედ მტილსა შინა ჩემსა.. მოვისთულე მური ჩემი“-ო. „ხილნარი“ უღრის ბერძნული თარგმანის ძჳ ძჳრძმძჳ-ს, რაც მართლაც ხეხილის ხეებსა ნიშნავს. ლათინურ თარგმანში ნახმარია pomum, რაც ხილსა და ხეხილსა ნიშნავს, მოსალოდნელი კი იყო უფრო pomavium-ი, რომელიც ხეხილის ბაღს აღნიშნავდა. სომხურ თარგმანში ძჳძჳ-ი სწერია, რაც მარტივად ხესა ნიშნავს. მამასადამე, „ხილნარი“ ბერძნული ძჳ ძჳრძმძჳ-ს, ხეხილის ბაღის აღმნიშვნელის ზედმიწევნითს შესატყვისობას წარმოადგენს.

ეს ტერმინი ორნაწილედ სიტყვა და ხილისა და ნარისაგან არის შემდგარი. ს. ორბელიანის განმარტებით, „ნარი ეკლიანი ბალახი“ უნდა იყოს (ლექსიკ.) და ეხლაც ჩვეულებრივ ეს სიტყვა ამავე მნიშვნელობით იხმარება. რ. ერისთავის განსაზღვრით, ნარი ბოტანიკურად არის *Carduus crispus* L., რუს. чертополох, ხოლო „ნარცეცხლა“, რომელიც საბასაც მოეპოვება, *Cardus lanceolatus* L., რუს. дед-ი არისო; „ნარეკალა“ იგივე *Cardus crispus*-ი და *Alhagi camelorum* Fich. დასასრულ „ნარი-ლურჯი“ ანუ „ეკალ-ლურჯი“, თუ „ნარისეკალი“ *Eringium planum* L., რუს. синеголовка.

ამნიარად, „ნარი“ მართლაც ეკლიანი მცენარეების სახელების შემადგენელ ნაწილად არის გამოყენებული, მაგრამ, უეჭველია, ეს შედარებით მერმინდელი მნიშვნელობა უნდა იყოს, წინათ კი, როგორც ჩანს, მას ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია. ამ გარემოებას ისეთი გამონათქვამებიც ამჟღავნებს, როგორიცაა ფიქვნარი, ნაძვნარი, ნიგვზნარი, თხილნარი, რცხილნარი და სხვაც ბევრი.

ფერხვნარი, ვერხვნარი, იფნარი.

ყვანჩია ნარი (ლეჩხუმში), კოპიტნარი (იმერეთში), კოტნარის-სერი (ტფილისი), მუხნარი (აქეთვან, მუხრანი), ნიგვზნარა (რაჭა), პანტნარა (ქართლში), ურთხნალი, წიფნარი, ცოცხნარი და სხვაც.

ზემოჩამოთვლილი გეოგრაფიული სახელები საქართველოს სხვადასხვა თემში მდებარე ადგილებისაა და ამის გამო „ნარი“ იმერ-ამერ საქართველოს კუთვნილებად უნდა ვიცნათ, ამ სიტყვას მსხალნარ, ნიგვზნარსა და თხილნარის მსგავს სახელებში, ცხადია, არასგზით ეკლის მნიშვნელობა არ შეიძლება ჰქონდეს, არამედ თითქმის ისეთივე მნიშვნელობა და წარმოებაში იმნაირივე დანიშნულება აქვს, რანაირიც „ოვან“-ს აქვს მიკუთვნებული.

თავი III

ხეხილის მყნობა, ტერმინი „მყნობას“ ეტიმოლოგია

მეხილეობის დაწინაურებული წარმოება ეხლა მყნობის გარეშე წარმოუდგენელია. ამიტომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა ექნებოდა გამორკვეულიყო, იცოდენ თუ არა ძველად მყნობა საქართველოში. საბა ორბელიანს ეს სახელზმნა თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს, მაგრამ ეხლანდელზე უფრო ძველი ფორმით „მყნა“ და ასე აქვს განმარტებული: „მყნა — სხვა ხე სხვას ხეზედ მოაბას“-ო (ლექსიკ.). მას მეორე ამავე ზმნისაგან ნაწარმოები ტერმინი „ნამყენი“-ც მოეპოვება და მის ასახსნელად ნათქვამი აქვს: „ნამყენი — ხე ხეზედ შეძერწილი“-ო (ლექსიკ.). ორივე განმარტებითან ჩანს, რომ ამ ტერმინებს XVIII ს. დამდეგსაც ისეთივე მნიშვნელობა ჰქონია, როგორც ეხლა აქვთ. მაშასადამე, XVII—XVIII სს-ში მაინც მყნობა ქართველ სოფლის მეურნეებს უნდა სცოდნოდათ.

რაკი „ყანობირ“-ში უნდა ხნულის ნათესიანობისა და ნაყოფიერების აზრი ყოფილიყო გამოხატული, ამიტომ ეგებისა „ყანობირი“ — „მყნობა“ ზმნისაგან ნაწარმოები ვნებითი მიმღეობის ფორმა იყოს. მეგრულში „მყნობა“ სრულხმონიანობით არის წარმოდგენილი „ყონუა“-ს სახით, რომელიც პირვანდელი „ყონუა“-საგან უნდა იყოს, რასაკვირველია, წარმომდგარი. სხვა არაერთი ანალოგიური შემთხვევის მსგავსად საფიქრებელია, რომ „მ-ყნობა“-საც წინათ სრულხმონიანობა ჰქონდა, რომელიც დროთა განმავლობაში უნდა იყოს გამქრალი. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ მყნობის უფრო პირველად ფორმად უნდა „მ-ყანობა“ ვიგულისხმოთ, რომელშიაც თავიიდური „მ“-ს ბუნება განსაკუთრებით უნდა იყოს გამოკვეთილი. საფიქრებელია, რომ „ყანობირი“ ვნებითი მიმღეობის ფორმაა „[მ]ყანობა“ ზმნისაგან ნაწარმოები. ისევე თანამედროვე მეგრულში „ყონირი“ მიმღეობას წარმოადგენს და „მყნობილს“ უღრის. მყნო-

ბის აღმნიშვნელ „ცონუას“ ზმნისაგან ნაწარმოებ ისეთ ტერმინებში, როგორც „ჯიმა-ცონორი“, დაცონირი, დიდა-ცონირი და „მუმაცონირი“ არის. როგორც პროფ. იოს. ყიფშიძეს სამართლიანად აღნიშნული აქვს, ყონირი მცნობილსა ნიშნავს.

თუ ზემომოყვანილი ჩვენი ეტიმოლოგია შესაწყნარებელია და სწორე გამოდგება, მაშინ ირკვევა, რომ „ყანობირი“ თავდაპირველად ნათესით მ-ყნობილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყანობირის პირველადი მნიშვნელობის გასაგებად „მყნობის“ პირველადი მნიშვნელობის ცოდნაა საჭირო.

მყნობის პირველადი მნიშვნელობის გამოსარკვევად კი აღსანიშნავია, რომ „დამყნობა“ ძველ ქართულში „დამყარება“-ს, დამაგრებას უდრის. წა ნინოს შატბერდისეული ცნის წინადადებას: სუეტი „დადგა ხარისხსა თვსსა ზედა და დაემყარა კელთ-შეუხებელად კაცთაგან“ ჰელიოპოლისის ხელთნაწერში ეთანასწორება: „დადგა ხარისხსა ზედა თვსსა და დაემყნო კელთა შეუხებლად კაცთაგან“ (Опис., II, 781).

მეგრულში, როგორც ითქვა, ეს ტერმინი „ცონუა“-ს სახით არის წარმოდგენილი და იქაც მყნას, მყნობასა ნიშნავს, ხოლო „ცონილი“, „დოცონილი“, „გეცონილი“ და „გინაცონა“ მყნილსა, დამყნილს და ნამყენსა ნიშნავს (მეგ. გრ., 420).

მეტად საყურადღებო გარემოებაა, რომ მეგრულს ამ ძირითდანვე აქვს ასეთი ნათესავობის აღმნიშვნელი ტერმინები, როგორც არის „დაცონირი“, რაც მეგრულად ნახევარ-დას ნიშნავს, აგებულებით კი „დამყნილ დას“ გამოხატავს, ან „ჯიმაცონირი“ — ნახევარძმა (ნამდვილად — ძმად მყნობილი) და „დიდაცონირი“ — დედინაცვალი (ნამდვილად — დედა-მყნობილი) და „მუმაცონირი“ — მამინაცვალი (აგებულებით მამად მყნობილს); ეს კი „მყნობა“-ს ძველ ქართულ სიტყვად გვაგულისხმებინებს.

წარმატებოდა „ვითარცა ხე თანწარსადინელსა... წყალთა.. დანერგული და ნაყოფიერ იქმნებოდა, ვითარცა ფინიკი მსხმო“ (მარტვრი, ცნ. შიოსი, საბ. 223).

თავი IV

საქართველოში გავრცელებული ხილის ისტორია და სახელთა ეტიმოლოგია

§ 1. ვაშლი, სახელთა ეტიმოლოგია და მისი ჯიშები

„ვაშლი“ (იოველ 1₁₂, ქება-ქებათა 2₂ და სხვაგან) დაბადების თარგმანში ბერძნულ τὸ μήλον-ს, ლათინურ malum-სა და სომხურ *խնժող*-ს უდრის. არსენი იყალთოელსაც გიორგი მონაზონის ხრონოლოგის თარგმანში „ვაშლი“ (გვ. 156₁₂) ბერძნული *μήλον*-ისავე მნიშვნელობით აქვს ნახმარი (I, 310).

ქანურად ვაშლს, ვიწურად „უშქური“ ეწოდება, ათინურად „ოშქური“, ანდა „ოშქური“, ხოლო ხოფურად „უშკირი“ (ჰ. გ., 477). მეგრულად ვაშლს „უშქური“ ეწოდება, სვანურად კი „ვისვი“ (საბა — კორკიმელი (ხე); ვაშლ-ატამი (ხ), ლექსიკ.).

ვახუშტს გარეული ვაშლის სახელად მაჟაველი აქვს მოყვანილი, ს. ორბელიანს კი ამის მაგიერ მაჟალო მოეპოვება. მას ნათქვამი აქვს: „მაჟალო ტყის ვაშლი“-ა (ლექსიკ.) და აქეთგან ორივე სახელის იგივეობა ირკვევა.

მაჟაველისა და მაჟალოს თავდაპირველი მნიშვნელობის გასათვალისწინებლად ვგონებ საგულისხმო უნდა იყოს, რომ „მაჟაა“ სიტყვაც არსებობდა ძველ ქართულში, რომელიც საბას განმარტებით „წყალში დამწნილი მხლები-ს“ აღმნიშვნელი ყოფილა (ლექსიკ.).

ს. ორბელიანის განმარტებით „პანტა ტყის სხალი“-ა (ლექსიკ.). და ასევე ესმით ეს სიტყვა მთელ აღმოსავლეთ საქართველოში ამჟამადაც. მაგრამ დასავლეთ საქართველოში, სახელდობრ იმერეთსა და გურიაში, პანტა ტყის მსხალს კი არა, არამედ ტყის ვაშლს ნიშნავს, ე. ი. მაჟალოს უდრის. მეგრელები ამას ჭკუტა-უშქურ-ს უწოდებენ (რ. ერისთავი, ბოტ. ლექსიკ., 35, § 520). საბას კი ნათქვამი აქვს: „ჭკუტა წურილი სხალი გვარად“ არისო (ლექსიკ.). მაშასადამე, აქაც იგივე მოვლენაა, როგორიც ზემომოყვანილ მაგალითში გვქონდა: რაც აღმოსავლეთ საქართველოში გარეულ მსხალს ნიშნავს, იმას დასავლეთ საქართველოში ვაშლის მნიშვნელობა აქვს.

პანტისა და ჭკუტის მნიშვნელობის ასეთი ორმაგობა გვაფიქრებინებს, რომ აქ არსებით სახელთან კი არ უნდა გვქონდეს საქმე, არამედ წინანდელ ზედსართავ სახელთან, რომელიც ხილის ერთ-ერთი თვისების დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო.

„სირვაშლა“ და „ჩიტვაშლა“ ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში მხოლოდ ხის პირობითი ნიშნით აქვს შემკული, განმარტება კი არ დაურთავს.

რ. ერისთავს „ჩიტის-ვაშლა“ აქვს და „უგულმონავარდი“, რომელთაც ქართლ-კახეთში გავრცელებულ სახელად სთვლის, „სირვაშლა“ს იმერეთსა და რაჭაში ხმარობენო, „თხრინი“ და „დაწერილი“ რაჭაშივე რქმევია სახელად, ხოლო „მელიყურძენე“ სამეგრელოში.

ყველა ზემოაღნიშნული სახელები რ. ერისთავს *Helspinus pyracantha L.*, *Crataegus pyracantha Pers.*, რუსულ *шашковое дерево*-ს შესატყვისობად მიაჩნდა (ბოტ. ლექსიკ., 72, § 1001).

მედვედევს უგულმონავარდი და თხრინი არა აქვს, სამაგიეროდ მისი ცნობით ამ ხეს იმერეთში „ყვავტყემალა“ ეწოდება. ბოტანიკურად იგივე ლათინური შესატყვისობა აქვს დასახელებული, რუსულად კი **КИЗИЛЬНИК ИГЛИСТЫЙ** (Д. К. Кавказа, 114).

სირვაშლა, ანუ ჩიტვაშლა, პატარა ბუჩქად იზრდება ამიერკავკასიაში ყველგან 5000 ფ-მდე, აქა-იქ იმიერკავკასიაშიც. ამ ბუჩქს მარჯნის ფერი წვრილი, მრგვალი ნაყოფი აქვს (Д. К. Кавказа, 115).

ს. ორბელიანის ნაშრომითგან ჩანს, რომ სირვაშლა აღმოსავლეთ საქართველოშიც ცნობილი სახელი იყო. რაკი „სირი“ ჩიტის ძველი ქართული სახელი იყო, რომელიც ქართლში ეხლაც არის ისეთ გეოგრაფიულ სახელებში, როგორიც ს. სასირეთია, ამიტომ ს ი რ ვ ა შ ლ ა ამ ბუჩქის ძველი სახელი უნდა იყოს, ჩიტვაშლა კი მერმინდელი.

ამ ბუჩქის ნაყოფი ძველად სირის ვაშლად მიუჩნევიათ, იმერეთსა და გურიაში ყვავის ტყემლად, სამეგრელოში კი მელის ყურძნად.

საინგილოში 5 სხვადასხვანაირი ვაშლია, თუ გარეულსაც მივათვლით: 1. „თაფლს-ვაშლი“, რომელიც „თეთრ-მოწითანო, მრგვალი, ტკბილი და სურნელოვანი“ არის. 2. „ქვავაშლი“, რომელიც „მომრგვალო, წითელი, მაგარი, მეტად ტკბილი და გამძლო“-ა, ისე, რომ „ზაფხულამდე ინახება“. 3. „წითელ-ვაშლი“, რომელიც „მსხვილი, წითელი, მომჟავო“ არის. 4. „თეთრ-ვაშლი“ მსხვილი, სურნელოვანი“-ა და, როგორც სახელითგანაც ჩანს, თეთრიანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, მომწვანო ფერისა უნდა იყოს.

5. „ქირქიმამა-მაჟალო“, ანუ ქირ-ვაშლი გარეული ვაშლის სახელია. რომელიც გარეულ მსხალს, პანტასაც ნიშნავს (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართველო, II, 101—102).

რ. ერისთავს ვაშლის შემდეგი ჯიშები აქვს ჩამოთვლილი: „თურაშაული“, „მეაველა“, „რევაზბეგი“, „სირმა“, „ქაშა“, „ყარყარა“, „შაქარ-ვაშლი“, „ძუძუ-ვაშლი“ და „ხომანდული“. ამას გარდა გურულ-იმერულ ჯიშად „კიტრა“ აქვს დასახელებული (ლექსიკ.).

არც ერთი მათგანის ბოტანიკური რაობა განსაზღვრული არ არის, „ხომანდულ“-ს გარდა, რომელიც *Rugus vaesox*-ს, რუს. райск. яблок აქვს აღნიშნული.

შიდა ქართლში (ყ. გორისა და დუშეთის მაზრებში) ვაშლის ჯიშების შემდეგი სახელები აქვთ გვევსკისა და შარერის ჩაწერილი: თურაშაული, აბელაური (*сугма вашли*), რევაზბეგი, კიტრა-ვაშლი, ყარყარა-ვაშლი (*жаркара вашли*), ხომანდური, ხე-ვაშლი, წერტილა-ვაშლი (*зертила вашли*), სანააური-ვაშლი და ბორა-ვაშლი (*Краткий очерк садоводства Закавказья, 1886 წ., გვ. 90—91 და ს. ზელინსკის Садоводство в Закавказии: Свод МИЭБГКЗК, IV, 111*).

სამცხეში გავრცელებულ სახელთაგან მხოლოდ თურქული სახელები აქვს გვევსკის შეკრებილი. ამათგან საყურადღებოა „აჯარ-ალმა“, რომელიც აჭარულ ვაშლსა ნიშნავს (იქვე).

ტფილისის ბოტანიკური ბაღის პომოლოგიურ განყოფილებას 1915 წ. ანგარიშის მიხედვით თავის ბაღში დასავლეთ საქართველოს ვაშლების შემდეგი ჯიშები ჰქონია: 1. Ушкиრი უშქირი (*харкан-ушкир*), 2. აბელაური, 3. შავრულა, 4. ლიმონის-ვაშლი, 5. დემირ-ალმა, 6. წითელი-ვაშლი, 7. სახაზინო-ვაშლი, 9. საადრელო (*саадруль*), 10. წითელი-ვაშლი, 11. საივანობო, 12....ვაშლი (*самеро вашли*), 13. წითელი-საზაში, 14. ტრო-ვაშლი, 15. ბალის-ვაშლი, 16. ნაცარ-ვაშლი, 17. თურქული-უშქური, 18. თურაშაული, 19. ყრულა-ვაშლი, 20. სააზატ (*сазато*), 21. ხვამარდის-უშქური, 22. წითელ-გვერდა-ვაშლი, 23. საჩხერის-უშქური, 24. კიტრა-ვაშლი, 25. შაქარ-ვაშლი, 26. ბორა-ვაშლი.

იმავე დაწესებულებას შიდა ქართლის ვაშლის შემდეგი ჯიშები ჰქონია: 1. კეხურა, 2. კიტრა-ვაშლი, 3. აბელაური, 4. ბორა-ვაშლი, 5. ლიმონის-ვაშლი, 6. თურაშაული და 7. აბელაური (*sic!*).

რაკითგან ჩამოტანილი ყდფილა: 1..... (*бака*), 2. ბამბე-უშქური („*бамбе уш-кури*“) და 3. თურაშაული (*об Труды Тифлисского Ботанического сада, XIV, 92—93*).

თანამედროვე კანეთში ვაშლის შემდეგი ჯიშებია ცნობილი: 1. „მტური-ო-შქური — ტყის ვაშლი, 2. „კაპეტიმ-უშქური“ ზამთრის ვაშლია, გემრიელი

(ჭ. გ., 117). არსებითად ეს სახელი მაგარ ვაშლსა ნიშნავს, რათგან „კაპეტი“ ჰანურად მაგრის აღმნიშვნელია.

3. „ჩჩე-კაპეტიშ უშქური“ კარგი ზამთრის ვაშლის ჯიშია, კვერცხებრივი მოყვანილობისაო (ჭ. გ., 177—178). ამ ჯიშის ჰანური სახელი „თეთრ მაგარ ვაშლს“ ნიშნავს.

4. „ფოშტომ უშქური“ მეტად ტკბილი ვაშლიაო (ჭ. გ., 178).

5. „მაკუჭოი უშქური“ მსხვილი ვაშლია. გაუძლისი ჯიშია (ჭ. გ., 178).

6. „ჩუჩკუშ უშქური“ რბილი, ტკბილი და სურნელოვანი ჯიშია (ჭ. გ., 178). რაკი „ჩუჩკუ“, „ჩუჩკუ“ და „ჩოჩკუ“ ჰანურად ჩვილს, რბილსა და ნაზს ნიშნავს (ჭ. გ., 212), ამიტომ ვაშლის ამ ჯიშის ჰანური სახელიც არსებითად „ჩვილ ანუ რბილ ვაშლსა“ ნიშნავს.

7. „ბუაიშ უშქური“ ვაშლის ჯიშიაო, ნათქვამი აქვს განუსაზღვრელად ნ. მარს (ჭ. გ., 178). მისი ჰანური სახელი კი „მუავე რძისვაშლს“ ნიშნავს და საფიქრებელია, რომ მუავე ჯიში უნდა იყოს.

ვაშლი ძველ საქართველოში ყოველმხრივ საუკეთესო ხილად იყო მიჩნეული. „ხილთა ქება“-ში გარს. ჩოლოყაშვილს ვაშლის ღირსებაზე მე-13 ტაეპში ნათქვამი აქვს:

„ვამლმან უთხრა: მშვენებითა თქვენ ვერა ხართ ჩემი დარი,
ვარ ყოველთა უტურფესი ხილი ბრძენთა საქებარი,
სალხინო და სანადიმო, სუფრაზედან საღებარი,
გულის ჰირის უკუ-მყრელი, ვისაცა სწევას ცეცხლის ზარი“.

ვაშლის ხე ველურად მთელ ამიერ-იმიერ კავკასიაში ყველგან ფართოდაა გავრცელებული. მისი გავრცელების ასწვრივი არე ზღვის დონითგან 5000 ფარ აღმატება (Я. Медведев, Д. К. Кавказа, 3. გამ., გვ. 130).

ვაშლის ხის საქართველოში ფართოდ გავრცელება გეოგრაფიული სახელე-ბითაც მტკიცდება. 5-ვერსიან რუკაზეც კი ათი ადგილია აღნიშნული, რომელიც ამ ხეხილის მრავლად არსებობასთან არის დაკავშირებული. სამ მთასაც კი ვაშლიეთი (ქუთაისის თემში), ვაშლიანა (ტფილისისა და სიღნაღის ყ. მაზრებში) და ვაშლოვანი (ტფილისის მაზრაში) ეწოდება. ორი სოფელია დუშეთის თემში და აჭარაში, რომელთაც ვაშლობი ჰქვიათ. აჭარაშივე ამავე სახელის მატარებელი ნასოფლარიც არსებობს, ხოლო სამ სოფელს ქართლში, არაგვის ხეობაში და ტფილისის თემში „ვაშლოვანი“ ეწოდება. შორაპნის თემში ვაშლევაც არსებობს. წინათ ზემომოყვანილის მსგავსი სახელები გაცილებით უფრო ბევრი იყო.

ვაშლის ხე ღირვან ნაშენობათა უკვე ქვის ხანის ნაშთებში აქვს ჰეერს (Heer. Die pflanzen der Pflaubauten, 24) აღმოჩენილი და შემდეგროინდელი ნეოლითისა და ბრინჯაოს ხანის განათხარშიც იქვე ვაშლის კულტურის არსებობის დამამტკიცებელი თესლი ბევრგან არის ნაპოვნი. ალპებითგან მოყოლებული, შვეიცარიიდან ვოლფგანგსზემდე, და ზემო იტალიიდან ბონსიამდე გავრცელებული ყოფილა (A. Engler, V. Hehn, Kpf. u. Ht., 627).

კულტურული ვაშლის ხე *P. malus L.* ენგლერის სიტყვით ერთი ველური ჯიშისაგან არ არის წარმომდგარი, არამედ ვაშლის რამოდენიმე ჯიშის . . .¹ ნაყოფს წარმოადგენს. მისი აზრით, კულტურული ვაშლის ჯიშის შესაქმნელად უნდა გამოყენებული ყოფილიყო კავკასიისა და ალტაის სანახებში გავრცელებული *P. pamila Mill.*

შემდეგ აღმოსავლეთში გავრცელებულ *P. dasyphyllas Boirkh.* და ასტრახანული ვაშლის წინაპარს ციმბირის *P. prunifolia Willd.*-ის ჯიში [უნდა წარმოადგენდეს]. პირიქით შუა ევროპაში გავრცელებული ველური ვაშლის ჯიში *P. silvestris Mill.*-ი კულტურული ვაშლის ჯიშის შემუშავების დროს ნაკლებ არის გამოყენებული (*Hehn. Kpf. u. Ht., 627*)².

ებრაულად ვაშლს „ტაპტუპა“, არაბულად „ტუ აპ“ და ფ. გორგიჯანიძის ცნობით „თაფა“-ც ეწოდებოდა, ძველ ეგვიპტურად დ პ პ (*O. Schrader: Kpf. u. Ht., 628*). სპარსულში ვაშლის სახელად მიღებული იყო „სიფ“, რომელიც سيب „სიბ“-ის სახით ეხლაც იხმარება.

საგულისხმოა, რომ ასირიულად ვაშლს, თუ ბროწეულს, *hashuru* ეწოდებოდა (*O. Schrader: Hehn-ის Kpf. u. Ht., 628*). ასურულად კიდევ *hazzi ra*-ს „ხაზზურა“-ს ეძახდნენ (იქვე). სომხურად, როგორც დაგრწმუნდით, ვაშლს *խնძոր* „ხნძორ“-ი ერქვა. ჰუმბოლტი ფიქრობდა, რომ ვაშლის ასურული სახელი სომხური სახელისაგან უნდა ყოფილიყო წარმომდგარი (*Armen. Gramm., 1, 305*) და ასურული სახელის უფრო პირვანდელ სახედ „ხაზზურა“ მიაჩნია (იქვე). მაგრამ გერმანელ არმენისტს სომხური „ხნძორ“-ის ეტიმოლოგია წამოყენებული არა აქვს და არა ჩანს, თუ რა საფუძველი ჰქონდა ამ სახელის სომხურად მისაჩნევად. ამავე ასირიულადც ვაშლს, თუ ბროწეულის ნაყოფს, „ხაზზურუ“ ჰრქმევია და ასურული „ხაზზურა“ უფრო ასურულ სახელს მიაგავს, ვიდრე სომხურს, რომელიც უფრო მერმინდელის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ქართული ვაშლი, უშუქური და ვისგ ყველაზე ახლო ვაშლის ასირიულ სახელს „ხაზზურუ“-ს უდგება.

საგულისხმოა, რომ ვაშლს ინგუშები „აუ“-ს, ჩაჩნები „ოყდეჩიკ“-ს, კაპუჩურად „ეშ“-ს, ინწუხურად „იში“-ს, ლეკურად ზაქათ. „იჩ“-ს, აბხაზურად „აჩცა“ და „ატცვაცლა“-ს და სამურზაყანოში „აცა“-ს უწოდებენ (ი. მეღველივი, *Д. К. Кавказа, 129*).

§ 2. მსხალი. მისი ჯიშები და სახელთა ეტიმოლოგია

მსხალს მეგრულად „სხული“ ეწოდება, ქანურად „ცხული“ (ათინურად) და „მცხული“ (ათინ. ვიწ.), ხოლო სვანურად „იციხ“.

„პანტა“ საბას „ტყის სხალის სახელი“ ეგონა მხოლოდ (ლექსიკ.). „ჭკუტა“-ზე კი ნათქვამი აქვს, „წურილი სხალი გვარად“-ო (იქვე).

¹ შეჯვარების (?) (რედ.).

² Hehn 626 გვერდი (ფანქრითა ჩაწერილი ფურცელზე) (რედ.). *altpl. wonle—der, Apfel. altslav.—jabluk, abliko lit. alulas: ahd.—aphul*

ვაშლი, უშუქური, ოშქური, ოშკური, უშკირი, ვისგ ე. არაბ. თაფა, Boh-ს სიფ ვაშურ-ი ვამ || უშ || ოშ || ვის უშქ ოშქ ვისგ ე. ა.

ვაშლივით მსხალიც ძველ საქართველოში საუცხოვო ხილად იყო მიჩნეული, რის დასადასტურებლად გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქების“ მე-18 ტაეპის მოყვანაც შეიძლება. იქ ნათქვამია:

„სხალი იკადრებს ქებასა: „ვერ ხართ საქები ენისა,
ჩემებრივ ქვეყანაზედა ხილი ვერავინ ჰშვენისა,
უტურფესი ვარ ყოველთა, ნაქები ბრძენთა ბრძენისა,
საყუარელი ვარ საჭმელად, მერმე მკურნალი სენისა“-ო.

საინგილოში გარეულიანად სულ 9 სხვადასხვანაირი მსხალი მოიპოვება: 1. „უგულოა“, რომელიც „ყვითელი, ტკბილი, სხვილი, უყურკო არის“. 2. „კალოს-სხალი“ არის „ტკბილი, სურნელოვანი“. 3. „ზამთრულა“, რომელიც ნაგვიანეე შემოდგომას მწიფდება, „მომრგვალოა, მომწვანო, ინახება მთელ ზამთარს“. 4. „მერახულა“, არის „მსხვილი, წყლიანი, მარახოში“-ო. 5. „მაჰაბრაში“ — „სხვილი, ყელიანი, მეტად ტკბილი, სურნელოვანი“ არის. 6. „კვირიშტავი“, რომელიც არის „მოგრძო კვირისტავივით, მოყვითანო-მოწითანო, მეტად ტკბილი“. 7. „ჩიტი-სხალა — წვრილი და ტკბილია“. 8. „ნარ-არმუტი სხვილი ბროწეულა სხალი“ არის, „წონით გირვანქამდე, დიდხანს შენახული სურნელოვნად შაქრდება“ და 9. „ჭირჭიმაჰ-პანტა“, ე. ი. გარეული მსხალია (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართ., II, 102), მაგრამ უკანასკნელი სახელი, როგორც დავრწმუნდით, მაჟალოს, ე. ი. ტყის ვაშლის აღსანიშნავადაც იხმარება.

რ. ერისთავს მსხლის ჯიშების შემდეგი სახელები შეუგროვებია: 1. ბორბალა, 2. გვერდწითელი, 3. გულაბი, 4. თავრუჯული, 5. მალაჩინისა, 6. მილახური. 7. მკათათვისა, 8. პანტა, 9. ყბა-წითელი და 10. ხეჭეჭური.

ამას გარდა შემდეგი გურული სახელებიც აქვს მოყვანილი:

11. ვაზის ძირა, 12. კაცის თავა, 13. საივანობო, 14. სასელო, 15. საყვითლია და სხვა.

პანტის გურია-იმერეთში გავრცელებულ სახელად მიჩნეულია „ქკუტა“. როგორც ს. ორბელიანის ლექსიკონითგან ჩანს, ეს ტერმინი ზოგადი ქართული სახელი უნდა იყოს წვრილი მსხლისათვის. ამასვე უდგება მეგრული „ჭილუსხული“, რომელიც რ. ერისთავის განმარტებით იმავე პანტის აღმნიშვნელია (იხ. გვ. 45, § 661). მეგრული თანამედროვე „ჭიკუ“ უნდა „ჭიკუტა“-სგან იყოს წარმომდგარი, ბოლოკიდური მარცვლის ჩამოცილებით.

გევესკისა და შარაერის ზემოდასახელებულ ნაშრომში, ყ. გორისა და დუშეთის მაზრებში, ე. ი. შიდა ქართლსა და ქსნისა და არაგვის ხეობაში გავრცელებული მსხლის შემდეგი ჯიშების სახელები აქეთ რუსული ასოებით მოყვანილი: 1. ხეჭეჭური (хечачури), 2. თავრიზული, 3. მილახური, 4. შავიმსხალი, 5. ბორბალა, 6. სეფანური მსხალი („сепанаури мсхали“), 7. ერეკლე-მსხალი („Эреклис-мсхали“), 8. გულაბის ორი სახეობა, 9. თაფლა-მსხალი და 10. მთის-ხეჭეჭური („Мтис-хечачури“) (გვ. 106 და С. П. Зелинский, Садоводство в Закавказском крае: Свод МИЭБГКЗК, IV, 106).

გევესკის ახალციხის მაზრაში, ანუ მესხეთში, გავრცელებული ჯიშების ქართული, სომხური და თურქული სახელები ერთად და განურჩევლად აქვს მოთავსებული, ამიტომაც რუსულ ტრანსკრიფციასთან ერთად მათი ნამდვილი სახის აღდგენა ძნელდება. პანტას გარდა იქ მსხლის შემდეგი ჯიშების ქართული

სახელები ან დამახინჯებული, ან ნათარგმნი სახელები უნდა იყოს. მაგ., მსხლის ერთი ჯიშის სახელად სესელაა („псесела или серсела“); (Ор. сд. в Ахалцихском уезде, Сб. К. Общ. сельск. хозяйства, в. II, 14—20 и Св. МИЭБГКЗК, IV, 105), რომელიც ასე მიაგავს გურიაში გავრცელებული მსხლის ჯიშის სახელს სასელოს. გამოსარკვევია, გვესკის ხომ დამახინჯებული არა აქვს სახელი?

ამნაირადვე თავრიჯული (тавриджуль, იქვე), უეკველია, იგივე თავრეჯული მსხალი უნდა იყოს.

მსხლის ჯიშის სახელთაგან მელრიკი, ანუ არმულ (Мегрик или бал-армуд: Медовая груша гевескის: Очерк садоводства в Ахалцихск. уезде, СКОСХ, II, 14—20 და ზელინსკის Свод МИЭБГКЗК, IV, 105) პირველი სომხურად თაფლა-ს, მეორე თურქულადვე თაფლა-მსხალს ნიშნავს (ს. ბალ თურქულად თაფლს ეწოდება, არმულ — اومدا სპარსულად და თურქულად — მსხალს). რაკი მსხლისათვის ასეთი სახელია თურქულსა და სპარსულში, კავკასიაში კი მსხლის ჯიშისათვის ასეთი სახელი არა ჩანს, ხოლო შიდა ქართლში მსხლის ერთ-ერთი ჯიშისათვის სახელად სწორედ თაფლა-მსხალი არსებობს, ამიტომ საფიქრებელია, რომ სამცხეში ჩაწერილი მსხლის ჯიშის ზემომოყვანილი სომხური და თურქული სახელები ქართული სახელის თარგმანია.

ორღუბადის უბანში მსხლის ერთ ჯიშს აღრიანი (адриани) ეწოდება (ს. ზელინსკი „Садоводство в Закавказье: Свод МИЭБГКЗК“, IV, 105). იბადება საკითხი, აქ ხომ ქართული აღრიანი არ არის?

მსხლის ერთი ჯიშის ქართული სახელი „მალაჩინისა“ იგივე უნდა იყოს, რაც ორღუბადის უბანსა და ერევანში გავრცელებული მალაჩა (ს. ზელინსკის იმავე შრომაში, IV, 106).

ტფილისის ბოტანიკური ბაღის პომოლოგიური განყოფილების ხეხილის ბაღში 1915 წ. ს. მუხრანიდან მსხლის შემდეგი ჯიშები ჰქონიათ ჩამოტანილი: 1. თიბათვის-მსხალი, 2. მოკლე-ყუნწა, 3. ვირ-სხალი, 4. გულაბი ზამთრისა, 5. ლეკის-მსხალი და 6. ადგილობრივი (ე. ი. მუხრანული? „местная“) მსხალი.

ხოლო შიდა ქართლითგან იმავე დაწესებულებას ჰქონია: 1. საკალოო მსხალი-52. შავი-მსხალი, 3..... (გოკა) და 4..... („местная“ გორული?).

დასაეღეთ საქართველოთგან იქვე მსხლის შემდეგი ჯიშები ჰქონიათ თავმოყრილი: 1. სააზატო-უჩა (саазато уча), 2. ჯანგარა (джангара), 3. გერი („гери-кута“ ერთხელ, მეორეჯერ „гери-куити“-ა), 4. ჩიტა/?/ ჭითა („гуа-чута“, მეორეჯერ „гва-чига“), 5. გუმუ სხული (гуму-схули), 6..... მსხალი (...), 7. საივანობო მსხალი (макаре мсхуль), 8. ხეჭეჭური, 9. კაცის თავი, 10. თავრეჯული-მსხალი (таврежули мсхали), 11. საყვითილე-მსხალი, 12..... (გამბრო), მეორეჯერ, „გამბრო-მსხალი“-ა დაბეჭდილი, 13. ბამბა, 14..... (მაკარა, შაქარა?), 15. ბორო („боро“), 16. გულაბი ზაფხულის, 17. ყვითელი-მსხალი, 18..... ყვითელი სხული (квители-схули), 19. თათრული საივანობო („татрули саиванობო“, sic!), 20..... მსხალი (гапура-მსხალი). 21. საქარე (сакаре), 22. ღუმეთის-მსხალი, 23. საადრევეო-მსხალი, 24..... (местная), 25. ზამთრის მსხალი (зимняя), 26. მუხა-მსხალი, 27. შავ-მსხალი და 28. სასელო მსხალი (сасело мсхали). (Труды Тифлисского Бот. сада, вып. XIV, 93).

ჰანებს მსხლის ბევრი ჯიში მოეპოვებათ და მათთვის სახელებიც გააჩნიათ. ნ. მარს შემდეგი აქვს ჩაწერილი: 1. „აქარა მცხული“ — აქარული მსხალი, 2. „მცხული-ბადი“ ბებერ მსხალს ნიშნავს, კარგი საბაქმავზო ჯიშიაო, 3. „მცხულ-გვერდანი“ მუავე წვენიანი ჯიშია. რაკი „გვერდანი“ ჰანურად კვირისტავის ბოლოს (наконечник веретена) ნიშნავს, ამიტომ „მცხულ-გვერდი“ მსხლის გარეგნული მოყვანილობის დამახასიათებელი გამოდის.

4. „მცხულ-კარაბურუნ“ საშუალო სიდიდის ზამთრის ჯიშია, მისი სახელის მეორე ნაწილი თურქულია და „შავცხვირა“-ს ნიშნავს.

5. „მცხული კოჭალი“ მსხლის წვრილი ჯიშია (ჰ. გ., 216). გამოსარკვევია „კოჭალი“ ხომ „კოჭ“-თან არ არის დაკავშირებული? ჰანურადაც მას „კოჭი“ ეწოდება (ჰ. გ., 158). ამის მსგავსი სახელი მსხლის ერთ ჯიშსაც აქვს, — „მცხულ-ტუტულს“ (იხ. ქვევით).

6. „მცხული მალაღური“ ყვითელი სურნელოვანი ჯიშია (ჰ. გ., 216).

7. „მცხულ-ოკა“ მსხვილი ჯიშია. თვით სახელიც „ოკა“ მსხალს ნიშნავს (იქვე).

8. „მცხულ-ტუტული“ ზაფხულის ჯიშია (იქვე). „ტუტული“ ჰანურად ცხოველთა და ფრინველების თქმოსა ნიშნავს (ჰ. გ., 191), ხოლო იოს. ყიფშიძის ცნობით — „ნიგვზის გულ“-საც (იხ. ფანქრით მინაწერი ნ. მარის ჰ. გ., გვ. 191, ივ. ჯ.).

9. „მცხულ-ჭუმორი“ ზამთრის ჯიშის მსხალია (ჰ. გ., 216).

10. „მცხულ-ჭუმორი“ მუავე წყლიანი მსხალია, მისი ჰანური სახელი „მსხალ-ძმარი-ც“ ამ ჯიშის სიმუხავის აღმნიშვნელია (იქვე).

11. „თავრეჯული მცხული“ ზოფეში მიღებული სახელია და „თავრიზულ მსხალს“ ნიშნავს (ჰ. გ., 216).

12. „მცხულ-კალასაპი“, ანუ ვიწურად „მცხულ-კაიში“, მომწვანო ჯიშია (იქვე). ჰანურად „კაიში“ თეთრ გოგრას ნიშნავს (ჰ. გ., 150). ამიტომ „მცხულ-კაიში“-ს სახელი გოგრა მსხალს უდრის. პირველი სახელის „მცხულ-კალასაპი“-ს უკანასკნელი სიტყვა „კალასაპი“ გამოსარკვევია, „კალასის“ მონათესავე ხომ არ არის? ს. ორბელიანის განმარტებით „კალასი“ არის „მუხის ხე წყალში დებით რკინასავით გამაგრებული“ (ლექსიკ.). თუ ეს მსხალი მაგარი ჯიშისაა, მაშინ ასეთი სახელი „მაგარი მსხლის“ შესაფერისი იქნებოდა.

13. „მცხულ-კვანცა“ მსხვილი მსხლის ჯიშის სახელია (ჰ. გ., 216). ჰანურად „კვანცა“ ყურიან სურას ნიშნავს (ჰ. გ., 154). ძველ ქართულში ასეთ სასმისს „კვაჩხი“ ეწოდებოდა. მსხლის ამ ჯიშის სახელი, მაშასადამე, მსხალი-კვანჩხას ნიშნავს და, უეჭველია, ამ ხილის გარეგნული მოყვანილობის მიმსგავსებით უნდა იყოს მისი სახელიც ნაწარმოები.

14. „მცხულ-კვინჩი“ ყვითელი, მოგრძო, წყლიანი, ოქროს მსხლად წოდებულზე მომტრო ჯიშია (ჰ. გ., 216). რაკი „კვინჩი“, რომელიც „ყვინჩილი-ს“ შესატყვისობას წარმოადგენს, ჰანურად ჩიტსა ნიშნავს (ჰ. გ., 154). ამიტომ „მცხულ-კვინჩი“ ჰანურად მსხალ-ჩიტას, ანდა ჩიტის მსხალს უნდა ნიშნავდეს.

15. „მცხულ-მეტაქსი“ აბრეშუმა მსხალს ნიშნავს (ჰ. გ., 216).

16. „მცხულ-ოქრო“ ოქრო-მსხალს ნიშნავს, ყვითელია (ჰ. გ., 216) და ამიტომვე ეწოდება მას ასეთი სახელი.

17. „მცხულ-შექერი“ შაქარ-მსხალსა ნიშნავს (იქვე).

18. „მცხულ-შუკა“ ქანურად მსხალ-კიტრას ნიშნავს (იქვე).

19. „ხაჭაჭური“, „ხაჭაჭური მცხული“, „მცხულ-ხეჭეჭური“, „მცხულ-ხეჭეჭური“ ნ. მარის განმარტებით მსხლის ჭიშის სახელია (ჭ. გ., 230). ცხადია, რომ აქ მსხლის იგივე ჭიშის სახელი უნდა გვქონდეს დაცული, რომელსაც საქართველოში „ხეჭეჭური“ ეწოდება.

20. „ფურჩი-მცხული“, ანდა „ფურჩირელი მცხული“ სურნელოვანი მსხლის ჭიშის სახელია (ჭ. გ., 195), ფურცელ-მსხალს ნიშნავს.

მსხალი. *pirus* — ლათ. არაბ. ქუმსრა, სპარს. ამრუთ.

მსხლის ხე კავკასიაში ძალიან არის გავრცელებული. მას ტყეებში ადამიანი ყველგან შეხვდება ზღვის სანაპიროთგან მოყოლებული, ასწერივ 6500 ფ. სიმაღლემდის აღწევს და დიდ ხედ იზრდება. სიმაღლით 80 ფ-მდეა და სისქით მისი დიამეტრი 2 ფ-მდე აღწევს.

მსხლის ხის ხანგრძლივობაც შედარებით დიდია, ისე, რომ 200 წელზე მეტსაც კი ცოცხლობს ხოლმე (Медведев, Д. К. Кавказа, 126—127).

მსხლის კულტურის მოწმეა ასეთი გეოგრაფიული სახელები, როგორიცაა სხალთა მდინარისა და სოფლისა — ბათუმის ყ. ოლქში, ქართლში: სხალტბის ქედი და ქსნის ხეობაში სხალტბა; სხლობანი კლარჯეთში და სხვ.

შვეიცარიის ღირთვან ნაშენობათა ნაშთებში ისტორიის წინახანის მსხლის *P. Achras*-ის კვალი ვაშლზე გაცილებით ნაკლებ ხვდება ადამიანს.

ა. ენგლერ-ის აზრით მსხლის კულტურული ჭიში წარმომდგარი უნდა იყოს შუაგულ ევროპაში გავრცელებული *P. Achras Garten* მსხლის ჭიშისა, სპარსეთსა და ასურეთში არსებული *P. persica Pers.* და აღმოსავლეთში გავრცელებული ჭიშების *P. cordata Desf.* და *P. elecaprifolia Pall.* ჭიშების მონაწილეობით (იხ. Hehn-ის *Kpf. u. Ht.*, 627).

§ 3. ალუჩა და ქლიავი, მათი სახესხვაობანი. ღოღნაშო, ტყემალი და სხვა

„შუშტყემალი-ც“ არსებობს. ს. ორბელიანის განმარტებით, „შუშტყემალი შინაური ტყემალი არის, რომელსა სპარსნი ალუჩას უწოდებენ“-ო (ლექსიკ.).

„ქლიავი-ს“ გვერდით საბას მარტო ხის პირობითი ნიშანი დაუსვამს უგან-მარტებოდ (ლექსიკ.). თვით „დამასხი“-ს ცალკე შეტანა ორბელიანს დავიწყებია, მაგრამ „კაკვინარი“ მოეპოვება და სწორედ იქა სწერია, რომ „კაკვინარი — დამასხი ქლიავი“ იყო (ლექსიკ.). „კორკიმელი“-ს არსებობაც სცოდნია საბას, მაგრამ ხის პირობითი ნიშნის გარდა არა გამოუშეტებია რა (იქვე).

„ღოღნაშო“-ს ხმარობს საბა ღოღნაშოს მაგიერ და მისი განმარტებით ღოღნაშო „მრგვალი წურილი ქლიავი“-ს სახელი იყო (ლექსიკ.).

გიულდენშტედტის სიტყვით უწერაში ბევრი „ღოღნაშო“ *Kleine blaue Pflanzen. georg. Gognoscha* და *Wallnüsse*—თხილი ყოფილა (Reisen. I, 900).

საჩინო ტყეში გიულდენშტედტს უნახავს *Prunus lusitanica*, რომლის შავს, ალუბლისმაგვარ ნაყოფს მშვენიერი გემო აქვსო (იქვე, 1, 312).

საინგილოში ქლიავის 6 ჯიშია: 1. „წითელა — მოწითანო, მოგრძო, მეტად მუყავე“; 2. „ვაშლა — სხვილი, მოყვითანო“; 3. „ისფერი-ისფერი, სხვილი, ტკბილი“; 4. „ცომა — სხვილია, მრგვალი, დამწიფებისას ცომივით რბილი, ტკბილი“; 5. „ტყემალა (ტყემალი, ანუ ტყემლის მსგავსი), რომლითაც სავსეა აჭაური მინდორ-ველი“; 6. „ჩურჩა“, რომელიც „ყველაზე მეტად ფასობს. მისი ნაყოფი მოყვითალო-მოგრძოა და იჩურჩება. მას ახმობენ ჩურჩად, ანდა უჩურჩავად“ (მ. ჯანაშვილის საინგილო: ძვ. საქართველო, II, 101).

ტფილისის ბოტანიკური ბაღის პომოლოგიურ განყოფილებას 1915 წ. დასავლეთ საქართველოთგან ქლიავის შემდეგი ჯიშები ჰქონია: 1. შავი (шави), 2. ჭანჭური და 3. შავ-ქლიავი (Труды Тифлисского Бот. сада, вып. XIV, 93).

„ყომური“ (ხოფურად), „ომური“ (რიზე-ხოფ.) და „ომბრი“ (ათინ.) ეწოდება ჭანურად ქლიავს (ჭ. გ.; 203 слива).

ჭანებს ქლიავის სხვადასხვა ჯიშში მოეპოვებათ: „ყომურ-ლავა“, „მარიაშენა“, „ყომურ-ქორთული“, „ყომურ-ღეჯი“, „ყომურ-ჭაჭი“ (ჭ. გ., 204). ჯიშების ეს სახელები ნ. მარს განმარტებული არა აქვს. მხოლოდ „ყომურ-ჭაჭის“ შესახებ ნათქვამია, შეადარე ქლიავის გურულ ჯიშს ჭანჭურსაო (იქვე)³.

მაგრამ ზოგიერთი მათგანის მნიშვნელობის განსაზღვრა შეიძლება: მაგ., „ყომურ-მარიაშენა“ მარიამობისთვის ქლიავს ნიშნავს.

„ყომურ-ქორთული“—ქართულ ქლიავს: „ყომურ-ღეჯი“, უეჭველია, ქართულ „ღორ-ქლიავა“-ს უნდა უღრიდეს და ქლიავის მსხვილი ჯიშის სახელი უნდა იყოს, რადგან „ღეჯი“ ჭანურად ღორსა და ტახსა ნიშნავს.

„ქლიავი“-ს ქართული სახელი მეზობლებსაც შეუთვისებიათ, მაგ., დიგორელი ოსები კილაუ-ს ეძახიან, თაგაურელი ოსები კი ჩლაუს (იხ. ДРК, 399), რომელშიც „ჩ“ პირველად „კ“-ს ჩვეულებრივ ოსურს შენაცვლებას უნდა წარმოადგენდეს.

Prunus-ს, ტყემალს და ქლიავს თურქულად ერიქ არა ანდა არი, ხოლო ოსმალურად ვრჯქ اورა-ი ეწოდება (prune, pflaume), ტყემლის ხეს ერიქალაჯი اغا არა ჰქვიათ. გარეულ ტყემალს prunelle, wilde Pflaume. ტალ-ერიჯიან—طار كرا ან حمالر ابر كو ჩაყალერიჯი ანდა يزار كمر „აბან-ერიჯი“ (diapre, Essenerpflaume) عبن يقر ابي كى ბურდაყერიჯი, ალუჩას ანუ ქლიავს كى عبن يقر ابي (ანდა عبن ბაყან) ერიჯი, (reine claud, grüne Pflaume) და დამასხს ريحان موزد მვრდემ-ერიჯი-ს ეძახიან (Zenker-ის ლექსიკ.).

სპარსელები შუშ-ტყემალს (Prune, Pflaume) آلو ალუ-ს ეწოდებენ, ხოლო Prunus divaricata Ledე ტყემალს (petite prune, espèce de prune sauvage,

³ ქლიავი (შენიშვნები)

ჭან. ყომური, ომური, ომბრი, ყომურ-ჭაჭი

კაკვინარი — დამასხი ქლიავი

კორკიმელი

ლოლნაშო კოჰასუჟიო, კოროჟიჟი, Kumbula, Prunus institia (Hehn, 386). შდრ. ყომური-წყა სპარს. alu, გერმ. ale, Ahlbam Ahlkirschen (იქვე, 386—87). შდრ. ალუ-ბალი, ალუჩა-ილუბალ-ბალლოჯი—ნეავე ბალა (საბა). ივ. ჯ.

eine Art kleine wilde Pflaume ألوفا — ალუფა-ს, რომელიც პატარა ტყემაღს ნიშნავს (Zenker-ის ლექსიკ.).

რაკი ტყემაღსა და ქლიავს, როგორც დავრწმუნდით, ერიქ-ი ან კრუქ-ი ეწოდება თურქულად, და „გავალუ“ ამ ხილის სახელად სხვაგან არსად ჩანს, ამიერკავკასიელ თურქებს გარდა, სადაც ის, ად. როლოვოს ცნობით, ქლიავის აღსანიშნავად იხმარება (ДРК, 399), ამიტომ იბადება საკითხი, ამ „გავალუ“-ში იმავე ქართული სახელის ანარეკლი ხომ არა გვაქვს და წინანდელი „გილაუ“-საგან ხომ არ არის „ლ“-სა და „ვ“ ადგილმონაცვლებითა და „ი“-ს რეგრესიული ასიმილაციის წყალობით წარმომდგარი?

მგოსანმა გარს. ჩოლოყაშვილმა ტყემაღს „ხილთა ქება“-ში თავისი ღირსების აღსანიშნავად სხვა ვერა ათქმევინა, რომ „უჩემოდ ლხინი არ ვარგა, არც-ღა სანუკვარია“. მაგრამ მარწყვის პირით ტყემლის ის ნაკლი აქვს აღნიშნული, რომელსაც, როგორც ჩანს, მაშინაც ჩვეულებრივ ასახელებდნენ ხოლმე. მარწყვი ამბობს:

„...ტყემაღი მუავე არის და გრილიცა.

ვისგან ჩივიან ყველანი, ვკამეთ, მამკვეთა კბილიცა“-ო (ქართ. სიტყვა-კაზ. მწერ. ანთოლოგია, II, 64).

ქლიავი ძველ საქართველოში ჯიშთან ხილად ყოფილა მიჩნეული. გარს. ჩოლოყაშვილიც „ხილთა ქება“-ში ამ ხილს ასე ალაპარაკებს:

სხვა ხილეულს „ქლიავმან უთხრა“.

„...იკვებით, არა ხართ ჩემი დარია,

ყველა უგვარო შეყრილხართ, ცუდი გაქუსთ საუბარია,

უფრო უყვარვარ ყოველთა, ვარ დიდი სანუკვარია“

(მე-7 ტაეპი)

§ 4. ბალი, მისი ჯიშები

გარეულიანად სულ ოთხნაირი ბალი არსებობს საინგილოში: „თეთრი-ბალი“, „შავი-ბალი“, „უაღდა-ბალი“, რომელიც ნამყენი ბალის აღმნიშვნელი ყოფილა და „ბალღუნჭი“, რომელიც ბალღო-ს უდრის და გარეულ ბალს წარმოადგენს (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართვ., II, 102).

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია საინგილოში შერჩენილი ალუბალის სახელი დილბარ, რომელიც მ. ჯანაშვილის აზრით უნდა წარმომდგარი იყოს „მტილ-ბალი“-საგან (საინგილო: ძვ. საქართველო, II, 244). ამნაირად ალუბალი მიჩნეულია კულტურულ ბალად.

ტფილისის ბოტანიკური ბალის პომოლოგიურ ვანყოფილებას 1915 წ. ბალის დასავლეთ საქართველოთგან ჩამოტანილი შემდეგი ჯიშები მოეპოვებოდა: 1. შავი ბალი მაისისა („шави бали, маисис“ (sic!)), 2. თეთრი-ბალი, 3. ლოყა-წითელი ბალი, 4..... „кача“ და 5..... (местная) (Труды Тиф. бот. сада, XIV, 93—94).

გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“-ში ნათქვამია: დანარჩენ ხილს ბალმან უთხრა:

„ამხანაგნო, თქვენ ვერ იტყვით ჩემსა ძვირსა,

ხესა ტურფად ავაყვავებ, დავაშვენებ ჩემსა ძირსა,

თავსა ბროლად გარდაეჭევე, ლალისფერად შიგნით ჭვირსა
შაქრის მსგავსად გარდაეჭევე, რა ჩამიდებს კაცი პირსა“
(ქართ. მწერლ. ანთოლოგია, II, 64).

სპარსულად ალუბალს (cerise aigre, griotte, saure Kirschen) სწორედ
الوسلو ალუ-ბალუ ეწოდება (Zenker-ის ლექსიკ.). მაგრამ საყურადღებოა, რომ ალუ
სპარსულად ცალკეულ სიტყვადაც იხმარება და ტყემალს ნიშნავს, მაგრამ ბალუ
ცალკე არ იხმარება.

ბალს (cerise, Kirsche) სპარსელები იმავე სახელს უწოდებენ, რომელსაც ბრო-
წეულის ყვავილისათვის ხმარობენ, گنار — გულნარს (Zenker-ის ლექსიკ.). ად. რო-
დლფის ცნობით, ამიერკავკასიის თურქები კილანარს („киланар“) თითქმის ალუ-
ბალს უნდა უწოდებდნენ (ДПК, 113).

თურქები კი ბალისათვის (cerise, Kirschen) ბერძნულითგან ნასესხებ სიტყვას
ხმარობენ და قراس, كراس, كيراس, كيراس, კირასს, ქირასს ანდა ქირაზს
უწოდებენ (Zenker-ის ლექსიკ.). ად. როდლფის ცნობით ჩვენებური თურქები ამ
სახელს ფონეტიკურად ოდნავ შეცვლილს ხმარობენ და ქილასს („Киллас“) ანდა
დალი-გრაზს (дали граз) უწოდებენ (ДПК, 112). რაკი დელი თურქულად
გაძეულსა და შმაგსა ნიშნავს, ამიტომ უკანასკნელი სიტყვა, დალი-გრაზ, გარეუ-
ლმ ბალის სახელი უნდა იყოს.

§ 5. შინდი ანუ შუნდი

„ცხრატყავა“ ს. ორბელიანს განუმარტავად აქვს თავის ლექსიკონში შეტანი-
ლი ხის პირობითი ნიშნის დართვით. რ. ერისთავს მისი ბოტანიკური რაობა Coto-
neaster Nummularia (Fisch. et Mey.) რუს. Ирга-დ აქვს განსაზღვრული (ბოტ.
ლექსიკ., გვ. 74, § 1035).

მედვედევს „ცხრატყავი“ („цхраткави“) უწერია და Cotoneaster integerrima
Medik.—Mespilus cotoneaster L.-დ, რუსულად— кизильник обыкновенный
შესატყვისობად მიაჩნია. დამახასიათებელია, რომ თურქებიც მას „ზუგალ“-ს (იხ.
ДПК, 115), ე. ი. შინდს უწოდებენ.

ცხრატყავა მრგვალ წითელ ნაყოფს იხამს, პატარა ბუჩქად იზრდება და
კავკასიის მთებში ყველგანაა ასწვრივ 10000 ფ-მდე გავრცელებული (მედვედე-
ვი, ДПК, 115).

საინგილოში შინდის 6 ჯიში არსებობს: 1. „თეთრ-შუნდ“, 2. „შავ-შუნდ“,
3. „წითელა-შუნდ“, 4. „ნელა-შუნდ“, რომელიც „გვიან მწიფდება“, 5. „ადრეუ-
ლა-შუნდ“ და 6. „ტკბილ-შუნდ“.

შინდს იქაური მოსახლეობა აფასებს და „ყოველ მოსახლეს რამდენიმე
ძირი უდგას მამულში და ამას გარდა ცოტა არ არის შინდი ტყე-ღრეშიაც და
იმიტაც ხშირად სარგებლობენ“. საქმელად გამოყენების გარდა, შინდის ჩურ-
ჩასა და კერკსაც აყეობენ (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართ., II, 101).

გარს. ჩოლოყაშვილს თავის „ხილთა ქება“-ში შინდი თავის ღირსების შე-
საქებად ასე აუღაპარაყვია:

„შინდმან სთქუა: „ტურფა ხილი ვარ, არ გავერევი ლალშია,
რა დამინახვენ ქალები, მოვეწონები თვალშია,
ტანის-სამოსის კალთასა, მეტად ჩავაგდებ ძალშია,
მამწყვეტენ, უკუმიგდებენ, უკუ-მიყრიან გულშია“

(მე-17 ტაეპი).

§ 6. ატამი

„საპობი ატამი, საჩეხი ატამი“ Brignon (რ. ერისთავი, ლექსიკ.). „ატამი სახ-
რავი“ Persica lacris DC (იქვე). „ატამი გავაზული“ (იქვე).

„ვაშლ-ატამი“, რომელიც ეხლა „ვაშლატამა“-ს ფორმით იხმარება (რ. ერის-
თავი, ლექსიკ.), საბას აქვს თავისი ლექსიკონში შეტანილი ხის პირობითი ნიშ-
ნის დართვით.

ატამს საინგილოშიც ორ მთავარ ჯგუფად ყოფენ: ერთს სავეჩი ეწოდება,
მეორეს სახრავი ჰქვია (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართვე., II, 102).

ტფილისის ბოტანიკური ბაღის პომოლოგიურ განყოფილებას 1915 წ. ქართ-
ლიდან, ხიდისთავიდან ჩამოტანილი ატამის შემდეგი ჯიშები ჰქონდა: 1. წითელი
გვიანი (красный поздний), 2. მოლოზნური (молозанский), 3. ბერების ატამი,
4. ლიმონის (лимонный), 5. ატენური (атенский гигант), 6. წითელი (красный
сентябрьский), 7. საპობი („сапоби“) და 8. ხიდისთავური.

ხოლო დასავლეთ საქართველოთგან იმავე დაწესებულებაში ატამის შემდეგი 4
ჯიში ჰქონიათ: 1....., 2. წითელი ატამი, 3. თეთრი ატამი და 4. სამარიობო ატა-
მი (Труды Тифлисского ботанического сада, XIV, 94).

ატამი აყვავების დროს ადამიანის სასიამოვნო ესთეტიკური გრძნობის აღ-
მძვრელი იყო, გემრიელ ხილადაც ითვლებოდა, მაგრამ მას ზოგიერთი ავად-
მყოფობის შემყრელად სთვლიდნენ.

გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქებაში“ ატამზე ნათქვამია:

„ატამმან უთხრა: „ვიკადრო საქმე ჩემისა თავისა,
უტურფესი ვარ ყოველთა, ხე ჩემი ტურფად ყვავისა,
შეყრა უხარის ყოველთა ტურფისა სანახავისა
მე და ნესვი ვართ ნიადაგ მშლელი სენის თავისა“-ო.

(მე-11 ტაეპი)

§ 7. კომში

კომშის უმთავრეს ღირსებად ძველ საქართველოში მისი სურნელება ითვ-
ლებოდა. გარს. ჩოლოყაშვილსაც თავის „ხილთა ქება“-ში ამ ხილის ეს თვისე-
ბავე აქვს აღნიშნული. იქ სწერია:

„კომშმა სთქუა: „გკადრო მართალი ქება ჩემისა გუარისა...
თქვენ ვითა დამედარებით, სუნი მაქუს მუშკ-ამბარისა,
ჩემი მშვენება თქვენად ღირს, ესე მეც მეკმარისა“-ო

(მე-19 ტაეპი).

§ 8. ბროწეული

„ბროწეული“ ანუ „მრეწეული“ (იოველ., 12; ქება-ქებათა, 4₁₃; რიცხვთა 13₂₄) ბერძნული ზე *ρινδ-ს*, ლათინური *granalus-ისა* ანდა *malu granatus-ისა* (იოველ 1₁₂) და სომხურის *հուռն-ისად*, *հոհხნի-ს* შესატყვისობას წარმოადგენს. გიორგი მონაზონის ხრონოგრაფის თარგმანშიც არსენი იყალთაოელს ღედნის „*ნაიჲჲჲჲ*“ (1, 192) „ხენი ბროწეულისან“—ად უთარგმნია (გვ. 87₄).

ბროწეული ბლომად და კარგი ღირსებისა, როგორც ჩანს, გარეჯის უდაბნოს ჰქონია. ეს იმიტომაც არის საფიქრებელი, რომ ამ სავანეს მეფისათვის სანახავ ძღვნად მისართმევად სხვათა შორის „ალარდენი და ბროწეული“-ც ჰქონდა დაკისრებული (ხელმ. კარის გარიგება, გვ. 15, § 29).

„ალარდენი“ ხელმწიფის კარის გარიგებაში გვხვდება (გვ. 15, § 29, სტრ. 344) და „სააქიმო წიგნის“ ხოჯა ყოფილის თარგმანში (ხელმწ. კგ., გვ. 71). პირველ ძეგლში ნათქვამია, რომ გარეჯის უდაბნოს მეფისათვის სანახავ ძღვნად სხვათა შორის „ალარდენი და ბროწეული“-ც უნდა მიერთმია (იქვე).

ალარდენის მნიშვნელობა ს. ორბელიანსა აქვს განმარტებული. მისი სიტყვით, „ალარდენი ბროწეულის გერკი“ არისო და საბუთად კარაბადინი აქვს დასახელებული (ლექსიკ.). ამგვარად, ალარდენი ბროწეულის გერკი, ე. ი. გახმობილი ბროწეული უნდა იყოს.

ბროწეულს ძველ საქართველოში დიდად აფასებდნენ, როგორც მისი საუცხოვო წითელი ყვავილისათვის, რომელიც ესთეტიკურად ძალიან ამშვენებდა ბაღსა და სახლის კარმიდამოსაც, ისევე მისი საქებარი ნაყოფისათვის. „ხილთა ქება“-ში გარს. ჩოლოყაშვილს ბროწეულის ღირსება ასე აქვს მე-16 ტაეპში დახასიათებული: ბროწეულმა თქვა:

„ჩემს უტურფესი ნაყოფი არვის უნახავს თვალითა,
მე ჩემსა ხესა მოვკაზმავ, უცხოლ შევამკობ ხილითა,
სუფრას ავაკვებ ნიადაგ იაგუნდითა, ლალითა“-ო.

§ 9. ლელვ და მისი სახესხვაობანი

„ლელვ“ (რიცხვთა, 13₂₄; მსაჯულთა, 9₈₋₁₀; ოსეს 2₁₂; იოველ, 1₁₂) ბერძნ. *φειγ-ს*, ლათინ. *figus-ს*, და სომხურს *բուღ-სა* და *բყხნի-ს* უდრის.

„ლელვი“-ს ბერძნული ზე *ფეიგ* „ჰე სკვე“ და სომხური *բყხნի* „თზენი“, *der Feigenbaum-ს*, *figus-ს* აღნიშნავს.

ლელვს მეგრულად „ლული“ და „აულ“-ი ეწოდება, ქანურად „ლული“, სვანურად „ლელვ“.

რ. ერისთავს ლელვის ჯიშების შემდეგი სახელები აქვს ჩაწერილი: 1. „შავი ლელვი“, „გაზაფხულისა“, 2. „თეთრი ლელვი“, „შემოდგომისა“, 3. „ბუშტა-ლელვი“, 4. „გუდა-ლელვი“, 5. „ტყის-ლელვი“ (ლექსიკ., გვ. 32, § 472). უკანასკნელი ტერმინი ქანურადაც არსებობს და „მტური ლული“ (ჭ. გ., 164) ეწოდება.

2. მეფეთა 25 (B : 29), 18-ის თანახმად „ლელვის-კვერი“ საბას „ასხმული ჩირი“-ს აღმნიშვნელად მიაჩნია (ლექსიკ.).

წესად იყო დადებული, რომ გარეჯის უდაბნოს უნდა მეფისათვის „სანახავი ძღვენი“ მიერთმია. ასეთ ძღვენად სხვათა შორის უნდა უეჭველად ყოფილიყო აგრეთვე ლეღვი „კეოტსა ზედა დაცმული“ (ხელმწ. კარის გარიგება, 15, § 29, სტრ. 342—343).

ლეღვის კულტურის საუკეთესო მკვლევარს სოლმს ლაუბახს (Solms Laubach) თავის ორ მონოგრაფიაში, „Die Herkunft Domestication und Verbreitung des gewöhnlichen Feigenbaumes“ (Abhandl. der Königl. Ges. d. Wiss. zu Göttingen, XXVIII, 1882) და „Die Geschlechtsdifferenzierung des Feigenbaumes“ (Bot. Zeitung, 1885, № 33—36) ამ ხეხილის წარმოშობილობისა და გაშინაურების ისტორიის მთავარი საკითხები აქვს გამორკვეული. მისსა და სხვა მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით ა. ენგლერს უცილობელ ჭეშმარიტებად მიაჩნია, რომ *Ficus Carica*, რომელიც თანამედროვე სამხრეთ ევროპაში ფართოდ არის გავრცელებული და ხმელთაშუა ზღვის აუზის დასავლეთის ნაწილში უკვე in der Quartär—oder Diluvialperiod), როგორც ეს ლეღვის ამ სახესხვაობის სხვადასხვა ადგილას მრავლად აღმოჩენილი ფოთლებითა და ანაბეჭდებით მტკიცდება, არსებობდა, ისტორიის წინა ხანაში აღმოსავლეთითგან დასავლეთშია გავრცელებული ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც ლეღვი კულტურული ხეხილი არ იყო (Kpf. u. Ht., 18—99).

Ficus Carica ლეღვი ამჟამად ველურად *Ficus palmata* Forsk დასავლეთ ინდოეთის დაბალ მთებში გვხვდება ისევე, როგორც სატლემის მინდორზე 3000 მეტრის ზოლამდის აღწევს, განგის ვაკის ზემო ნაწილში, პენჯაბში, სამხრეთ ბელუჯისტანში და ავღანისტანშიც. ყველა ამ ქვეყანაში შინაური ლეღვიც არსებობს.

ამ სახესხვაობის ველური ლეღვი არაბეთს, ეგვიპტესა და აბაშეთშიც არის და ამნაირად მისი გავრცელების არე ინდოეთითგან ეგვიპტ-აბაშეთამდეა გადაჭიმული (A. Engler. Kpf. u. Ht., 8, გვ. 99).

ველური ლეღვის მეორე სახესხვაობა *Ficus serrata* Fors K. სინას მთის სანახებსა და მეწამული, ანუ წითელი, ზღვის ეგვიპტის სანაპიროების უდაბნოებში გვხვდება (იქვე, 99).

ველური ლეღვის მესამე სახესხვაობა *Ficus granii* folia Mig., რომელსაც *Ficus persica* Boiss სახელიც ეწოდება, სამხრეთ-დასავლეთ სპარსეთში ძალიან არის გავრცელებული ისევე, როგორც ბელუჯისტანშიც (იქვე, 99).

თვით *Ficus Carica* ძალიან ფართოდ არის ველურად გავრცელებული და ბევრგან გვხვდება: აღმ. ინდოეთის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილში, ბელუჯისტანში, აღმოს., სამხრ. და სამხრ.-დასავლეთ სპარსეთში, შუამდინარეთში, მთელ მცირე აზიას, კასპიის ზღვის სამხრეთის სანაპიროზე თალიშითგან მოყოლებული, მთელ ამიერკავკასიაში, სადაც თითქმის 1000 მეტრ სიმაღლემდე აღის, — ყირიმში, ბოსფორსა და ჰელესპონტში, მაკედონიისა და თრაკიის თბილ ხეობებში, მთელ საბერძნეთსა და კუნძულებზე, იტალიასა და ესპანეთში და საფრანგეთში, პროვანსის სანახებში (იქვე, 99).

ლეღვის მოშენება დანერგვის საშუალებით სწარმოებდა. იგავთა 2718-შიც ნათქვამია: „რომელმან დანერგოს ლეღვ, ჰამოს ნაყოფი მისი“—ო.

ლეღვის კულტურის ისტორიაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ე. წ. კაპრიფიკაციის აღმოჩენას ჰქონდა. არსებობს ველური ლეღვი *Caprificus* „კაპ-

რიფიკუსი:—ად წოდებული, რომელიც მამალი ლედვია. თუმცა თესლი მასაც უკეთდება, მაგრამ ძალიან ცოტა, რათგან უმეტესად მამრობითი ყვავილები გამოაქვს ხოლმე. ლედვის საჭმელი ჯიშები კი, პირიქით, დედალი ლედვია, და ამის გამო მხოლოდ დედალი ყვავილები გააჩნია, რომელთაც ნაყოფის გამოღება მარტო განაყოფიერების გზით შეუძლიათ. ამ დედალი ლედვის ყვავილების განაყოფიერება ბლასტოფაგებად წოდებული მწერების წყალობით ხდება, რომელთაც მამალი ლედვის ყვავილის გამანაყოფიერებელი მტვერი დედალი ლედვის ყვავილებში გადააქვთ. ლედვის განაყოფიერების ეს პროცესი, როგორც ფიქრობენ, პირველად ასურეთ-არაბეთის სემიტებს შეუმჩნევიათ და ეს დაკვირვება ფართოდ განაყოფიერებისათვის გამოუყენებიათ (Solms-ის ნაშრომის მიხედვით A. Engler: Kpf. u. Ht., 8, 100).

კაპრიფიკაციის აღმოჩენამ ხმელთაშუა ზღვის აუზის საბერძნეთის, ალბათ ჩრდილო აფრიკის, შემდეგ სამხრეთ ესპანეთისა და პორტუგალიისა და სიცილიის მოსახლეობას ლედვის ადგილობრივი ჯიშების განაყოფიერების საშუალება უჩვენა. სიცილიაში ლედვის კაპრიფიკაციას ეხლაც კა მისდევენ. იტალიაში კი ლედვის კაპრიფიკაციას არ მისდევენ. სოლმსის (Solms-ის) აზრით ეს გარემოება იმის მაუწყებელია, რომ თუმცა იტალიაში ლედვი არსებობდა, მაგრამ ამ ხეხილის კულტურა იქაურ მოსახლეობას აღმოსავლეთითგან უნდა ჰქონდეს შეთვისებული ისეთ ხანაში, როდესაც აღმოსავლეთში ლედვის უკვე გაუმჯობესებული სახესხვაობა შეუქმნიათ, რომელსაც განაყოფიერებისათვის კაპრიფიკაცია არ სჭირდებოდა (იქვე, 100). საგულისხმოა, რომ ლედვის კაპრიფიკაციით განაყოფიერების გარემოება და წესი პლინიუს მცირესაც აქვს თავის ნაშრომში შეტანილი (Natur. Hist. livr. 15, cap. 21).

თავის ნაშრომში „Vorgeschichtliche Botanik“—ისტორიის უწინარეს ბოტანიკაში—ბუშანს (Buschan-ს) აღნიშნული აქვს, რომ თავდაპირველად ლედვის კულტურა მხოლოდ ასურეთს, ეგვიპტესა და არაბეთში უნდა ყოფილიყო გავრცელებული, შემდეგში, და შედარებით გვიან, ჩნდება ლედვის კულტურა საბერძნეთში და უფრო გვიან გაჩენილა იტალიაში (A. Engler, Kpf. u. Ht., 8, 100).

„ლეღ მსთუადი“ ეწოდებოდა ძველ ქართულში ლედვის ადრეულ ჯიშს (Frühfeige). ოსეს 9₁₀-შის თარგმანშია ეს ტერმინი ნახმარი: „ვითარცა ყურძენი უდაბნოსა შინა ვიპოვე... და ვითარცა მსტუარი ლედუსა მსთუადი“—ო. ებრაულად აქ Bikkūrim სწერია.

ფიქრობენ, რომ ადრეულა ლედვად უნდა წვრილი, ზამთრის ლედვი ყოფილიყო მიჩნეული, რომელსაც ქება-ქებათაში (2₁₉) ებრაულად paggim—პაგგიმ-ი ეწოდება და რომელიც ზაფხულში დამწიფებას ვერ ასწრებს და მეორე გაზაფხულზე ადრე მწიფდება (Socin. Feige: Guthe-ს BW).

პალესტინაში შემოდგომის ლედვის ჯიშიც არსებობდა (იქვე).

ებრაელნი, ახალ ლედვს გარდა. განმობილ ლედვსაც ჰამდნენ. 1 მეფეთა 25₁₈-ში დასახელებულია „ორასი ლედუს ჩირი“, რომელიც საგზაოდ წაუღიათ. ლედუს ჩირი უდრის ბერძნულს η παλამი „ჰე პალათე“-ს, ლათინურს uvae passae-ს, ხოლო სომხურს აქ იგივე ბერძნული ტერმინი აქვს ნახმარი: պալատի — პალატიტ. ბერძნული პალათე „შეწნეხილ-გახმობილსა“ ნიშნავდა. ლათინურშიც ასევეა ნათარგმნი. სომხურიც თავისი ბერძნული ტერმინით ამასვე უდგება. ქართველ

მთარგმნელს კი საქართველოში მიღებული ჩირი უხმარია, რომ არას დროს შეწნეხილს ხილს არ ნიშნავდა და არ ნიშნავს ეხლაც, არამედ გახმობილსა და ასხმულ ხილს ეწოდება.

ვ. ჰეჰნი (V. Hehn)-ი ფიქრობდა, რომ ლეღვის კულტურა საბერძნეთში ჰომიროსის მომდევნო ხანაში უნდა გაჩენილიყო. მაგრამ ო. შრადერი (O. Schrader) ამ მოსაზრებას სამართლიანად სრულებით მცდარად თვლის. მართო ის გარემოებაც, რომ ძველ პულოსის ციხეში (კაკოვატოსთან) ჩვ. წ. აღ-მდე 1400 წ. ლეღვით სავსე ჭურჭელი იყო აღმოჩენილი, კრიტოსზეც, დავკინის (Davkins) ცნობით, მიკენური ხანის ლეღვია ნაპოვნი, — დასასრულ, ძუნთასაც საბერძნეთში ჭვისა და ბრინჯაოს ხანის განათხარშიც ლეღვის კვალი უნახავს, ვ. ჰეჰნის დასკვნის მცდარობას სრული უეჭველობით ამჟღავნებს, თვით ილიადის იმ ცნობებით, რომელთაც თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად ჰეჰნი ემყარებოდა.

ო. შრადერმა (O. Schragar), ჰომიროსის ხანაში კულტურული, შინაური ლეღვის არსებობის დამადასტურებელი გარემოება რომ ამოიკითხა, ამ ძეგლის უძველეს ნაწილშივე თხის ლეღვად წოდებული ველური ლეღვის სახესხვაობა შენიშნა. გარეული ლეღვის სახელი კი, ო. შრადერის სამართლიანი დაკვირვებით, უკვე შინაური ლეღვის არსებობას გვაგულისხმებინებს (Kpf. u. Ht., 8, 101). მაშასადამე, ყველა ზემომოყვანილი ფაქტივთან ირკვევა, რომ, თუ ბუშანის (Buschan) მოსაზრება, რომლითაც ლეღვის კულტურა საბერძნეთში შედარებით გვიან გაჩნდა, სწორეა, მაინც ლეღვის კულტურა იქ უკვე ჭვისა და ბრინჯაოს ხანაში და 1400 წ. ყოფილა ჩვ. წ. აღრ-მდე.

ლეღვს ძველ საქართველოში რომ ძალიან აფასებდნენ, ეს გარს. ჩოლოყაშვილისაც აქვს „ხილთა ჭების“ ოცდამეორე ტაეპში აღნიშნული:

„ლეღვი იკადრებს: „ვყოფილვარ მჯობი ყოვლისა ხისაო, წვრილად გიამბო მართალი ამბავი სამოთხისაო, ენკენისთვესა მოგართუა ხილი ყოვლისა დღისაო, ძღვენი ვყოფილვარ ყოველთვის მეფეთა დარბაზისაო“⁴.

§ 10. მაყვალი

„მაყუალი“ (გამოსლვათ, 3₂ და იობისი, 31₄₀) უდრის ბერძნულ βάραιც-ს, ლათინურ rubus-ს და სომხურს *մորხնի*-ს; ფრანგულად ronce, გერმანულად Brombeer-ი ეწოდება. რუს. ежевика.

მაყვალი საქართველოში მდარე ხილად ითვლება, რაც გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ჭების“ მე-8 ტაეპშიც არის აღნიშნული. სხვებს მაყუალმან უთხრა:

⁴ ამ პარაგრაფს უნდა უკავშირდებოდეს აეტორის ამონაწერი შემდეგი მასალა:

ლეღვი; პლინიუსის დროს (Nat. Hist, 15. 72) ლეღვის ჯიშის სიმრავლე (97).

Ficus bifera ორჯერ მომხმელ (ლეღვი, 97), მაგრამ ტიბერიუსის დროსაც საუკეთესო ლეღვი იტალიაში, ასურეთიდან შეჰქონდათ (97 aëreae და cauncae, 97).

ახალი და გამხმარი დაწნეხილი ლეღვი ასურეთიდან რომში შეჰქონდათ (97).

„არა ვარ ხილი თქვენებრ ქებული,
უარესი ვარ ყოველთა, არვისგან მოწონებული,
ზედან მასხია ეკალი, მისთვის ვარ დაწუნებული,
პირველ გლახა ვარ, ყირმიზი, მერმე პირ-გაშავებული“.

§ 11. თუთა ანუ ყოლა ან ნაყვი, ლედვსუღელი ანუ ლედვსუარი

საბას აღნიშნული აქვს, რომ „თუთა სხვათა ენაა, ქართულად ყოლა ჰქვან და ხართუთას — ტუტა“ (ლექსიკ.). „ლედვსუღელი“-ს ქვეშე ქართველ ლექსიკოგრაფს ვრცელი განმარტება მოეპოვება: „ლედვსუღელი ესე არს ყოლა, რომელსა სომხურად თუთსა უქმობენ. რამეთუ რომაულად სიკომოროს ყოლასა ჰქვან, ვითარმედ სიკო ლეღვი და მორო სულელი. ჩვენთა მთარგმნელთა ცა ამის გამო აღუწერიათ, თვარა, სადაცა ლედვსუღელი წერილ არს, ყოლას ეწოდება. ვიეთთა ლედვსუღელი და ლედვსუარი არა გაურჩევიათ (2 ნეშტ., 927)“.

თვით „ლედვსუარი“ კი სხენაირად აქვს იერემიას 29¹⁷-ის დამოწმებით განმარტებული: „ლედვსუარი ესე არს ეგვიპტური ზრქელფურცელი, რომელი ფურცელთა ზედა მოისხამს ლედუთა“-ო (ლექსიკ.). რ. ერისთავის¹ აზრით *Onintia Ficus indica*, Mill. *Ficus religiosa* L. (ბოტანიკური ლექს., გვ. 32, § 473).

„ყოლა“ დაბადების თარგმანშიც გვხვდება, 2¹ ნეშტას 9²⁷-ში, სადაც ნათქვამია: „ვითარცა ყოლა, რომელი იშვების ველთა ზედა სიმრავლე“-ო. ბერძნულ თარგმანში „ყოლა“-ს, *ῥυσαμύριος*, ლათინ. *sycomorus*-სი და სომხ. *მოსქიხნჩ*-ს უდრის.

„ნაყვი“ ს. ორბელიანის ცნობით 2 ნეშტას 9²⁷-ში ყოფილა ნახმარი. საბას განმარტებით „ნაყუ ხულია ფიჭვიით“ (ლექსიკ.), ე. ი. თითქოს ნუშისა და ფუსტულის მსგავსი, მაგრამ ფიჭვიით(?) ხილი უნდა ყოფილიყო. დაბადების ზემოდასახელებულ ადგილას ბაქარის გამოცემაში არაფერი ამ სიტყვის მსგავსი არ მოიპოვება. იქ სწერია: „კედრი ვითარცა „ყოლა“, რომელი იშვების ველთა ზედა სიმრავლე“-ო. ცხადია, რომ ორბელიანს დაბადების ქართული თარგმანის სხვა რედაქცია ჰქონია, რომელშიც „ყოლა“-ს მაგიერ ამ ადგილას „ნაყუ“ ყოფილა ნახმარი.

„ნაყუ“ რომ საბას მოგონილი არ არის და არც რაიმე გაუგებრობის ნაყოფია ეს სიტყვა, ამას ხელმწიფის კარის გარიგებაც ცხადჰყოფს. იქ ნათქვამია, რომ გარეჯის უდაბნოს სანახავ ძღვნად მეფისათვის სხვათა შორის „ნუში, ნაყვი, თუთუბო, ალარდენი და ბროწეული“ უნდა მიერთმიათ (გვ. 15, § 29, სტრ. 343—344). მასასადამე, ნაყვი უცნობი, მწიგნობრული სიტყვა კი არ ყოფილა, არამედ საქართველოში არსებული XIV ს. დამდეგამდე მიღებული ხილის სახელი ყოფილა.

რაკი „ნაყვი“-ს რეალური არსებობა და ხილობა საქართველოში უცილობელ ფაქტად უნდა იქმნეს მიჩნეული, ეხლა მხოლოდ მისი ბოტანიკური რაობის გამორკვევალაა საჭირო. ს. ორბელიანის განმარტების სრული მცდარობა ცხადი შეიქმნება ყველასათვის, ვინც თუნდაც ნეშტას ამ ადგილის ბერძნულს,

ლათინურსა და სომხურ შესატყვისობას გამოარკვევს. ბერძნულად δ συχώμιος-ია ნახმარი, ლათინურად *sycomorus*, ხოლო სომხურად *ძილაძღენი*, ებრაულად „შიკმი“, ან „შიკმოტ“-ი უდრის. ყველა ეს სახელი შავ თუთას ნიშნავს. ასევე აქვს ამ სიტყვის მნიშვნელობა გაგებულნი დაბადების თარგმანის იმ რედაქტორსაც, რომლის ნაშრომის მიხედვითაც ბაქარს თავისი გამოცემა დაუბეჭდავს: იქაც ხომ „ჟოლა“-ა ნახმარი, ე. ი. თუთის ქართული სახელი!

ზემოთქმულის შემდგომ უეჭველი ხდება, რომ „ნაჟვ-ს“ ხილთანაც არაფერი საერთო არა ჰქონია და მით უმეტეს, რასაკვირველია, ფიჭვთან. სახელოვანი ლეწისიკოგრაფი, უეჭველია, კედრს შეუცდენია და რაკი კედრზე ნათქვამია, ვითარცა ნაჟვი იყო, ამიტომ უფიქრია, რომ ნაჟვიც კედრის, ანუ ფიჭვის მაგვარი ხე უნდა ყოფილიყო. „ნაჟვი“ „ჟოლა“-სა და „თუთის“ ძველი ქართული სახელი ყოფილა, რომელიც XIV ს-შიც უხმარიათ. ამ დასკვნას კარგად უდგება ის გარემოებაც, რომ ნაჟვი გარეჯის უდაბნოს ჰქონია ძღვნად დადებული, რადგან ცნობილია, რომ კახეთი განთქმული იყო თავისი თუთის ხეების სიმრავლით.

თავის საქებურად ჟოლოს გარს. ჩოლოყაშვილი „ხილთა ქება“-ში შემდეგს ათქმევინებს:

„ჟოლო იკადრებს ქებასა: „მეც ვიტყვი, რაცა მხედებისა,
მოვლენ მრავალნი მფრინველნი, ჩემზედა შემოსხდებისა,
კაცნი მრავალნი მეძებენ, ადვილად ვერ მხედებისა.
სიყუარულითა ჩემითა მჭამენ და ვერ გაძღებისა“

(ქართ. მწერლ. ანთოლოგ., II, 64).

§ 12. ზღმარტლი

ზღმარტლს ქანეთში ან „ცქირმუნტური“ (რიზე-ხოფე) ან ცხიმუნტური (ხოფ.), ან „ცხიმუტი“ (ვიწ.), „სკილიმუნდტური“ და „სკირმუტი“ (ათინ.) ეწოდება (ქ. გ., 215).

რ. ერისთავს ზღმარტლს გარდა „ხუთგული“-ც აქვს ამ ხილის სახელად მიღებული იმერეთში (ბოტ. ლექსიკ., 19, § 291), მედვედევსაც შეტანილი აქვს ზღმარტლის ეს სახელი თავის ნაშრომში (ДРК, 118), მაგრამ არა ჩანს დამოუკიდებელი, ადგილობრივ ჩაწერილია ეს სახელი, თუ რ. ერისთავის ლექსიკონითგან არის ამოღებული.

რ. ერისთავს ზღმარტლი ბოტანიკურად *Mespilus germanica* აქვს განსაზღვრული (ბოტანიკური ლექსიკ., 19, § 291), ისევე როგორც მედვედევსაც (ДРК, 118) რუსულად: *мушмула обыкновенная*-დ.

ზღმარტლი ბუჩქად, ან და პატარა ხედ იზრდება ხოლმე. იმიერკავკასიის მთის კალთებზეც გვხვდება, და ამიერკავკასიაში კი საქართველოსა, ყაზახს, ყარაბაღში, შირვანში, შაქსა და თალიშში ყველგან მოიპოვება ასწვრივ ზღვიდან 400 ფ-მდე (მედვედევის ДРК, 119).

§ 13. თუთუბო

„თუთუბო“, როგორც ეტყობა, გარეჯის უდაბნოს მამულებში უნდა ყოფილიყო ბლომად და საუკეთესო ღირსებისა, რათგან სანახავ ძღუნად მეფისათვის მისართმევად გარეჯის უდაბნოს სხვათა შორის თუთუბოც ჰქონია დაკისრებული (ხელმწ. კარის გარიგება, გვ. 15, § 29, სტრ. 343).

§ 14. თურინჯი

„თურინჯი“ ძველ საქართველოში გარეგანი მოყვანილობითაც, ფერთაც, მშვენიერი სურნელებითაცა და გემოთიც საუკეთესო ხილად იყო მიჩნეული. ვარს. ჩოლოყაშვილსაც მისი ეს თვისებები აქვს შექმებული:

„თურინჯმან სთქუა: „სიტურფითა ვერვინ არის ჩემი დარი, ვარ ყოველთა საყუარელი ხილი ბრძენთა საქებარი, საჭკრეტელად მშვენიერი, უბეშიგან სადებარი. თავს სხვას არვის დავადარებ, მსგავსი სულთა მუშუ-ამბარი“.

(„ხილთა ქება“, 21-ე ტაეპი).

§ 15. ხურმა

გიულდენშტედტის განსაზღვრით „ხურმა“ (georg. churma) Dio-pyros Lotus-ის ქართული სახელია (Reisen, 1, 297).

ს. ორბელიანს თუ დაეუჯერეთ, „ხურმა არაბთა ენაა, ქართულად დანაკისკული ჰქვიანო“ (ლექსიკ.). მაგრამ მასვე ამ უკანასკნელი სიტყვის განმარტებაში გამოსლვათას 2527-ის დამოწმებით სამართლიანად აქვს ნათქვამი. რომ „ღანაკის-კული ფინიკი იყო“ (იქვე). ხურმა კი, როგორც ცნობილია, ფინიკი არ არის. ზემომოყვანილი მცდარი განმარტება იმის წყალობით უნდა იყოს წარმოშობილი, რომ ხალხი ფინიკს, ანუ ძველ დანაკისკულს, ეხლაც „ინდის ხურმა“-ს უწოდებს. იმ განმარტებაშიც, რომ „ინდის ხურმა“ დაეწერა საბას მარტივად „ხურმა“-ს მაგიერ, მაშინ მისი ახსნა სრულებით სწორე იქმნებოდა. თავისდათავად კი „ხურმა“ სრულებით „დანაკისკული“ არ არის.

ხურმას რომ ძველ საქართველოში კარგ ხილად სთვლიდნენ, ამას ქართული ანდაზაც ამტკიცებს: „ვირმა რა იცის, ხურმა რა ხილიაო“. მაგრამ მაინც შედარებით სხვა ხილზე უფრო მდარედ იყო მიჩნეული და ჩვეულებრივ გამხმარსა ჰქმდნენ ხოლმე. მის მთავარ ღირსებად სიტკბო ითვლებოდა. ვარს. ჩოლოყაშვილსაც ეს ხილი საკმაოდ აქვს შექმებული:

„ხურმა იკადრებს: „არა ვარ თქვენი მზრახავი ძვირისა. სხვა რალა გითხრა მის მეტრ, ქება ჩემისა ჩირისა, უტურფესი ვარ ყოველთა, ტკბილი საჭმელი პირისა. მე ბრძენთა საქებარი ვარ, საცნობელი ვარ ვირისა“

(„ხილთა ქება“, 23-ე ტაეპი).

§ 16. ფინიკი ანუ დანაკის-კული

„ფინიკი“ დაბადების ქართულ თარგმანში იოველის 1₁₂-სა და სხვაგანაც ბერძნული *φεινικ-ისა*, ლათინ. *palma*-სა და სომხ. *արմა*-ის შესატყვისად იხმარება. მაგრამ, როგორც ზემოთ ითქვა, ს. ორბელიანმაც იცოდა, რომ ფინიკი ბერძნული სიტყვა იყო და ამის მაგიერი ქართული სახელიც არსებობდა: „ქართულად დანაკის-კული და ვალანოს ჰქვან“-ო (ლექსიკ.).

თუ „დანაკის-კული“, თავისი შინაარსის უცნაურობისა და შეუფერებლობისდა მიუხედავად, გარეგნულად მაინც ქართული სიტყვის შთაბეჭდილებას ახდენს, „ვალანოს“, რასაკვირველია, ქართული არ არის, გარეგნულადაც კი. იგიც ბერძნულია: *ἡ βάλανος* -- „ბალანოს“, ძველი გამოთქმით, და „ვალანოს“ საშუალო საუკუნეებისა და ახალი გამოთქმით ბერძნულად მართლაც ფინიკსა და დანაკის-კულსა ნიშნავს. საითგან აქვს ქართველ ლექსიკოგრაფს ს. ორბელიანს ეს სიტყვა დასახელებული, აღნიშნული არა აქვს, მაგრამ, რაკი იგი „ვალანოს“-ად იწერება, ძველი „ბალანოს“-ის მაგიერ, ცხადია VIII ს. შემდგომ უნდა იყოს შეთვისებული მწიგნობრული გზით.

§ 17. წაბლი

უცნაურია, რომ გარსევან ჩოლოყაშვილს წაბლი მხოლოდ მისი ნაყოფის თავისებური აგებულობისა და სილამაზით აქვს შექებული.

„წაბლმა სთქუა: „ტურფა ხილი ვარ მეტად დიდისა მთისაო,
სახლი მაქვს შიგან საჯდომი, სხუა არა მინდა სხვისაო,
ტანსა მაცვია მრავალი, შიგნით არ ცივა თბისაო,
ნახუა სწადიან ჩემი და ყოველთა ლამაზისაო“

(ხილთა ქება, 24-ე ტაეპი).

§ 18. ნიგოზი

„ნიგოზი“ (შესაქმეთა, 30_კ) უდრის ბერძნულს *αμυγδαλ-ის*, ლათინურს *nux*-ს, ამ შემთხვევაში ლათინ. თარგმანში *amygdala-a*, (რაც ნუშსა ნიშნავს) და სომხურს *ըნსიოქ-ის*⁵.

საინგლოში სამნაირი ნიგოზის ხეებია: ერთ ჯიშს ეწოდება „თხელ-ნაჭუ-ქელაჲ“, მეორეს „მავარ-ნაჭუქელაჲ“, მესამეს „კირკიტაჲ“ (მ. ჯანაშვილი, საინგლო: ძვ. საქართ., II, 102).

ნიგოზის ხეს ძველ საქართველოში თავისი ნაყოფის, კაკლის გულისთვისაც დიდად აფასებდნენ და მის მშვენიერ ტოტმრავალსა და მაჩრდილობელ ზროსაც. დასასრულ მისი ხეც საუცხოო მასალად ითვლებოდა. გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქების“ მე-14 ტაეპში ნიგოზი თავის თავზე ამბობს:

⁵ ნიგოზი, *ընსიოქ* *ჯოჯ*.

ნეძი, ნეზი — მეგრ. ნიგოზი — *Nuss, nux.* ივ. ჯ.

„მე ხე ვარ კარგი სახმარი, სავსე ღვინითა სრულითა,
მასპინძელი ვარ ნიადგ გულითა მხიარულითა,
საკმლისა შემამკობელი, მაცხოვრებელი სულისა“-ო.

§ 19. ნუში

„ნუში“, როგორც ჩანს, გარეჯის უდაბნოს მიწებში უნდა ყოფილიყო ზღომად, რადგან ხელმწიფის კარის გარიგების მიხედვით ამ უდაბნოს ნუში უნდა მიეტანა მეფისათვის სანახავ ძღვნად (გვ. 15, § 29, სტრ. 343).

„ნუშს ორი მხრით ჰქონდა მნიშვნელობა: საკმელადაც კარგი იყო და სამკურნალო თვისებაც ჰქონდა. ძველ საქართველოში ამ გავრცელებულ აზრს გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქება“-ც ადასტურებს: ნუშმა თქვაო:

„სანატრელი ვარ მეფეთა, საკმლისა შემამკობელი,
უტურფესი ვარ ყოველთა, აქიმის⁶ სახმარებელი,
მკურნალი ყოვლის სენისა ღვიძლისა მაგრილებელი“-ო

(მე-15 ტაეპი)

§ 20. თხილი

საინგილოში სამნაირი თხილია, რომელთაგან თვითეულს თავისი სახელი აქვს: 1. „აღრეულაჲ — მოწითანო-მოწაბლისფეროა და აღრე შემოდის“. 2. „ქართული — სხვილი მოწითანო“-ა. 3. „ღვდრუან-თხილი ცნობილი ბერძნული თხილი“-ა და 4. „ტყიურაჲ“ (გარეული თხილი), რომელიც იქაურ ტყეებში ზღომად იცის“-ო (მ. ჯანაშვილი, საინგილო: ძვ. საქართველო, II, 101).

გამოსარკვევია „თხილი“ ხომ ზედსართავი სახელი არ არის, თხელის, ან წვრილის აღმნიშვნელი მსხვილი ნიგვზისაგან გასარჩევად, ისევე როგორც ზოგ ენას, მაგ., რუსულს, ეხლაც ამ ორი ხილეულის გასარჩევად განსაკუთრებული სახელები არ მოეპოვება და ამბობენ мелкий орех თხილის აღსანიშნავად და крупный орех ნიგვზისათვის.

ძველ საქართველოში არსებული შეხედულებების გასაგებად, თხილის ღირსებისა და ნაკლის შესახებ, შესაძლებელია გარს. ჩოლოყაშვილის „ხილთა ქების“ შემდეგი მე-6 ტაეპი იყოს გამოყენებული: „თხილმან თქუა:

„გადრო მართალი, ჩემი პასუხი გულისა...
სალხინოდ შესაქცევარი მე ვარ ყოვლისა რჯულისა,
ვარ მატკივნელი კბილისა, მერმე დამწველი გულისა“-ო.

⁶ ქართ. მწერლობის ანთოლოკიაში დაბეჭდილია „აქიმი“, მაგრამ უნდა „აქიმის“ ყოფილიყო. ივ. ჯ.

§ 21. ზეთის ხილი

„ზეთის ხილი“ (მსაჯულთა 9, 8; იობის 15^{ვე} და სხ.) ბერძნულ ჯ *ἐλαια*-ს, ლათინურ *oliva*-სა და და სომხურ *օլիվ*-ს უდრის რაკი „ზეთისხილი“ ჯ *ἐλαια* ჰე ელაია“-ს და *օլիվ* „ძითენი“-ს უდრის, მაშასადამე, *der Ölbaum*-ს, *olivier*-ს ნიშნავდა.

„ზეთის-ხილი მსხმოა“ (მარტური, ცა შიოსი, საქ. სამ., 221). „ვითარცა ფინიქი მსხმოა ტკბილთა... ნაყოფთაგან“ (იქვე, 223).

„ზეთის-ხილნი ნაყოფსავესენი“ (გ. მერჩული, გვ. თ. სტრ. 75).

ბაღდადთან ზეთის ხილის ხეები მდგარა, რომელნიც, გიულდენშტედტის სიტყვით, თითქოს ახალციხითგან, სადაც ზეთის ხილი ბლომად მოყავთ, თურქებისაგან უნდა იყოს გადმორგულიო (*Reisen*, I, 314).

ძველ საქართველოში ზეთის ხილი უმთავრესად სამარხო საჭმელად იხმარებოდა. ამდენად მასაც აფასებდნენ. მაგრამ საქართველოში ეს ხეხილი ნაკლებ იყო გავრცელებული. ამიტომ თავისთვის სამყოფი ჩვენ ქვეყანას ზეთის ხილი არ ჰქონდა, არამედ უცხოეთათგან შემოდოდა. ამის გამო ის შედარებით ძვირი იყო. გარს. ჩოლოყაშვილს თავის „ხილთა ქება“-ში ამ ხილზე შემდეგი აქვს ნათქვამი: „ზეთის-ხილმან სთქუა:

„ყოველთა გვარად მე გჯობვარ ძირადო,
კაცისთვის მარგებელი ვარ, ღვთისათვის შესაწირადო,
ეს უცხოდ მიკვირს, ვერა ვარ ტურჟა ტანად და პირადო
უცხოს ქუეყანის ხილი ვარ, მით ვიშოები ძვირადო“

(მე-20 ტაეპი).

§ 22. უნაბი

„უნაბი“ აკად. გიულდენშტედტს „*Rhamus Zyziphus*“-ის ქართულ სახელად არის აღნიშნული. მისი სიტყვით, ეს ხეხილი (*Scholasche*)-დან მოყოლებული თავის მთელ გადავიწყობლი სანახების ბაღებში ყოფილა (იქვე, 1, 316).

§ 23 ბრინჯის ხე

მცხეთაში და არმაზში დგა „ხმ შეენიერი ბრინჯისაჲ მალალი და რტომრავალი“ (წა ნინოს ცა, *Опшс.*, II, 755).

§ 24. ნესვი და საზამთრო

ნესვის მოყვანას XVII—XVIII სს. ქართლის სამეფოში, როგორც ჩანს, შულავერში მისდევდნენ. უეჭველია, ამიტომაც არის დასტურლამალში ნათქვამი, რომ შულავერლებმა „ერთი საპალნე ნესვი თემობით ქალაქს ჩამოიტა-

ნონ“-ო, მხოლოდ საბატონო გამოსაღებად, თუ მოურავის სარგოდ, ეს არა ჩანს (დასტურ., 99).

შულავერს გარდა თავისი ბოსტნითა და ნესვით ს. ნაციდურიც ყოფილა ცნობილი, რადგან დასტურლამალში განსაზღვრულია, რომ „ნესვი და სხვა ბოსტნეული ნაციდურის თათრებთან აკეთონ“-ო (დასტურ., 119).

მაინც, როგორც ეტყობა, ქართლში XVII—XVIII სს-ში ადგილობრივი საზამთროსა და ნესვის მოსავალი იმდენად დიდი არ ყოფილა, რომ მთელი მოთხოვნილება ამით დაეკმაყოფილებინა. უმთავრესად სხვაგნებური ნესვ-სა-ზამთროთი ყოფილა მთელი დანაკლისი შევსებული. ვახტანგ VI დასტურლამალში პირდაპირ ნათქვამია კიდევაც: „ნესვი და საზამთრო ბაჟიღამ მოვა, ის დახარჯონ“ სასახლეშიო (გვ. 105).

ნესვის XVII—XVIII სს. საშუალო ფასის ცოდნა, ქართლის სამეფოში, ორთაშუა რიცხვით, საბაჟოს გზით შემოტანილი ნესვის საპალნის ყოველწლიური რაოდენობის გამოანგარიშებას შეგვაძლებინებს. ვახტანგ VI დასტურლამალში სწერია: „ნესვის საპალნეზედ ოთხს აიღებენ. ამისგან ერთი ჩელიეჭზედ აძეს, ერთს მოურავი და მამასახლისი წაიღებენ, ორი საბატონო არის და ამისი იჯარა ექვსი თუმანი არის“-ო (გვ. 105).

თავი VI

უცხოელ მოგზაურთა და რუს დესპანთა ცნობები საქართველოში მხილეთობის გავრცელების შესახებ

§ 1. მეხილეობა საქართველოში შარდენის ცნობების მიხედვით

შარდენის ცნობით, საქართველოში XVII ს-შიც კი, როდესაც ჩვენი სამშობლო წინანდელთან შედარებით (თემურლენგისა და შემდეგ შაჰაბაზისაგან აოხრებისა და ეკონომიური განადგურების წყალობით) ძალზე ჩამოქვეითებული იყო, მეხილეობა მაინც მალალ დონეზე მდგარა. საქართველოში ყოველგვარი ხეხილი ყოფილა უზვად და საუკეთესო ღირსებისა. ევროპაში არ მოიპოვება არც ერთი ადგილი, სადაც მოჰყავდეთ მსხალი და ვაშლი, რომელნიც სილამაზითა და საუცხოვო გემოთი აქაურს სჯობდესო, ბოლო აზიაში არსად აქაურზე უკეთესი ბროწეული არ მოიძებნებაო (Voyage en Perse, etc., II, 127)⁷.

§ 2. მეხილეობა საქართველოში რუს დესპანთა ცნობების მიხედვით

რუსი დესპანის მიშეცკის აღწერილობითგან ჩანს, რომ საქართველოში, უმთავრესად კი კახეთში, შემდეგი ხეხილი და ხმილი უნახავს: ხეხილი მოღის საქართველოში: ვაშლი, მსხალი (გულაბი), არმუდი, ნარი, ყურძენი, ქიშნაში

⁷ Aucun endroit de l'Europe ne produit des poires et des pommes qui soient ni plus belles, ni de meilleur goût, ni aucun bien d'Asie de, plus excellentes grenades.

და ლეღვი, კაკალი, ალუბალი, შინდი, წიფელი, ფუსტული, მაყვალი, რუსული კაკალი (წაბლი, თხილი?), მტევნებად იზრდება დიდ ხეებზე, ნაჭუჭში, ნაჭუჭს ზემოდან ზღარბივით კანი აქვს⁸.

ტოლოჩანოვი და იევლევი ადასტურებენ, რომ XVII ს. იმერეთში ყოველგვარი ხეხილი იყო, სახელდობრ: ყურძენი, ლეღვი, ნარინჯი, ფუსტული, საზამთრო, უნაბი, ბალი, კაკალი, თხილი, თუთის ნაყოფი, ვაშლი, გულაბი, მსხალი, ქლიავი, რუსული კაკალი (წაბლი?), კარალოკის ნაყოფი, შინდი, ალუბალი, ჟოლო, მოცხარი, მარწყვი, მაყვალი⁹.

თავიანთ მეორე ცნობაში იმავე რუს ელჩებს ნათქვამი აქვს, რომ ხეხილი და ყურძენი იმერეთში აურაცხელი იყო (ელჩობა იმერეთში 1650—2 წ., გვ. 187)¹⁰.

რუს ელჩებს ამავე ცნობაში ხმილის განსაკუთრებული სიუხვე აქვთ იმერეთში აღნიშნული (ელჩობა იმერეთში, გვ. 187).

§ 3. მეხილეობა საქართველოში აკად. გიულდენშტედტის ცნობების მიხედვით

აკად. გიულდენშტედტი თავისი მოგზაურობის მრავალ ადგილას ეხება საქართველოს სხვადასხვა თემებში მეხილეობის გავრცელებას, მის დონეს და ხილის სხვადასხვა სახელები დაწვრილებით აქვს ჩამოთვლილი. მისი თქმით ქართველებისა და კახელების მთავარი საქმიანობა მელეინეობა და მეხილეობაა. მემინდვრობას, მებოსტნეობასა და მეცხოველეობას დრო და დრო და უმთავრესად საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მისდევნო (Reisen, I, 369).

თბილისში და საერთოდ საქართველოში ხეხილის ყვავილობა 4 თვე გრძელდება, სახელდობრ თებერვლის დამდეგიდან უკვე ყვავის ნუში, იენისის დამდეგს ბროწეული, უნაბი და გარგარი. ამათ შუა [დროში] ყვავიან ყველა დანარჩენები. მაისის შუა რიცხვებში უკვე მწიფეა ალუბალი, ადრეული ქლიავი (ალუჩა) და გარგარი... (254¹ გულ. იხ. 63); აგრეთვე — ხურმა, ყურძენი, ფშატი და სხვ.

ქართლ-კახეთში, გიულდენშტედტის თქმით, ბალ-ვენახები ჩვეულებრივ ერთადაა მოთავსებული და შემოღობილია ცოცხალი ყორით ან ეკლიანი ღობით (369¹). იქ ბაღებში დიდძალ ლეღვს, ბროწეულს, ვაშლს, მსხალს, ქლიავს, ალუბალს, შინდს, კომშს, ნუშს, ატამს, გარგარსა და კაკალს აშენებენ. ყველა

⁸ «Овощ родится в Грузии: яблоки, дули, армуды, нары, виноград, изюм и винные (ягоды), ореха грецкие, вишни, кизил, сливы, шептала ежевика, орехи русские кистеня, а растет на больших деревьях и скорлупе, а на скорлупе кожа, что ежевая» (იხ. თავადი მიშეტისა და დიკი კლუჩაევის ელჩობა კახეთში 1640—43 წ. გვ. 160).

«Овощ всяко родитца: виноград, винные ягоды, наринджи, шептали, армуды, урнаби, бали, орехи, кестеневые, орехи грецкие, ягоды тутовые, яблоки, дули, груши, сливы, орехи русские, корольки ягоды, кизил, вишни, малина, смородина, клубника, ежевика» (ელჩობა იმერეთში 1650—2 წ., გვ. 112).

«А овощного дерева, яблони» და სხვა «винограду бесчисленно много (187). И всякой земляной ягоды: малины и смородины и камаики и ежевики много же» იქვე (187).

ეს ხეხილი ძალიან კარგად ხარობს ამ ჰავაში, ამბობს გიულდენშტედტი. კახეთში წაბლი ადგილობრივ არსად არ იზრდება, ალაზნის აღმოსავლეთ ნაპირის გარდაო (იქვე, 371!). სამაგიეროდ კახეთში ყველგან ხარობს ვაზი, ლეღვი, ბროწეული და ძალიან ხშირად ყველაფერი ის, რაც ჩვეულებრივ გვხვდება ევროპის ხილეულში (240!).

როგორც ყვარელში, ისე შილდაში ხშირია აგრეთვე ვაზი და თუთის ხეები; საგარეჯოშიც გიულდენშტედტს დიდძალი ვაზი, ვაშლი, მსხალი, კაკალი, ნუში, კომში, გარგარი და შინდი უნახავს გაშენებული. სქარბობსო მსხალი და თეთრი ალვა. ზღმარტლი, ქლიავი, გარგარი და შინდი თებერვალში, მისი თქმით, უკვე ყვოდა, ასევე ასკილი და მყავალი, რომლებიც ხშირად გვხვდებოდაო ლობების გასწვრივ (230, 239!).

კახეთსა და ქართლში, სადაც კი მთები ხეობებსა და დაბლობებში გადადის, გიულდენშტედტის ცნობით, ეს ადგილები ჩვეულებრივ ტყით ყოფილა დაფარული, რომელშიაც იზრდება წიფელი, მუხა, გარეული ხილი, თხილი და სხვ. ისინი ირმების, ჯიხვების, ტახების, ტურების, მელიებისა და კურდღლებისათვის შესანიშნავ ადგილს წარმოადგენენ თავშესაფარად, საცხოვრებლად და გასამრავლებლად (372).

ალგეთის სანაპირო რამდენიმე საუენი სიმაღლისაა და იქ ტირიფი, შავი და თეთრი ალვის ხე, შავი და თეთრი თუთა, გარეული ზეთის ხილი და ილღუნი იზრდება, რომლებიც გიულდენშტედტის იქ ყოფნის დროს სწორედ ყვოდნენ (257!).

ფშავეთს, ბაღებში იყო ყურძენი, ბროწეული, ლეღვი და ყველა სახის ნაყოფი, რომელიც ევროპაშია გავრცელებული.

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, იქაც ვენახი იმავე დროს ხილის ბაღიკააო (400!).

ქუთაისის მახლობლად კირქვა კლდეებზე ხშირად გვხვდება მცირე ტანის ბროწეულისა და ლეღვის ხეებიო (301!).

რიონის სანაპიროებზე გიულდენშტედტის სიტყვით დიდი და წვრილი ლურჯი ქლიავისა და კაკლის ხეებია, რომლებზედაც ხშირადაა ასული ვაზი, რომელთა შორის ზოგს უკვე მწიფე ნაყოფი სხმია. აქ თითქმის ყველაფერი დაფარულია ცეცხლ-ეკალათით (311!).

სანავარდოს ირგვლივ ბევრი პატარ-პატარა ჭალებია, პარკების მსგავსად, სადაც თხილი იზრდება, რომელზედაც ასულია ვაზი, ამასთანავე თუთის, ლეღვის, ქლიავის, კომშისა და წაბლის ხეებიც. არსად არ შევხვედრივართ, დასძენს გიულდენშტედტი, ასე ბუნებრივად ნარევ ხეხილსაო (309!).

ხონის ბაღებში ძალიან ხშირია ვაზი, კაკალი, შავი და თეთრი თუთა, დანარჩენი ხილი უფრო იშვიათიაო (309!).

ასევეა ჩხერიმელასა და ხრამის ხეობაშიც; ხშირია ვაზი და კაკალი, მიგდებულ სოფლებშიაც კიო (321!).

რაჭასა და ოკრიბაში, სამხრეთსა და დაბლობ რაიონებში, ხშირად გვხვდება მსხლის ხის ზომის ხურმის ხეები. არა ნაკლებად — კაკალი, ლეღვი, ალუბალი, ქლიავი, ვაშლი, მსხალი, კომში და ატამიო. ვენახებში ვაზის ძირში იზრდება თურქული ლობიო, რომელიც ადის ვაზზე და ზედ ეხვევაო (297!). მეორე ადგილას გიულდენშტედტი ამასვე იმეორებს რაჭის შესახებ პატარა დამა-

ტებით — ქლიავი პატარა ზომისა (400!) ლურჯი აქვს დასახელებული და აღნიშნული აქვს, რომ „თუთა ნაკლებად არისო“.

აღწერითი ცნობების გარდა აკად. გიულდენშტედტს ხილეულობის შემდეგი ქართული სახელები და მათი გერმანული მნიშვნელობა აქვს ჩაწერილი.

1. Aprikosen—Tscherami
 2. Pfirsichen—Atami
 3. Zitronen—Limoni
 4. Pomeranzen—Narindschi
 5. Birnen—Pschati
 6. Hespeln—Schmardeli
 7. Pflaumen—Pista
 8. Perlen—Sadapi
 9. Mandeln—Kagas badam (sic!)
 10. Kürbis—Wasi
 11. Granatäpfeln—Brodsewli (sic!)
 12. Kirschen—Bali
 13. Aepfel—Waschi (sic!)
 14. Ingber—Unabi
 15. Mandeln—Nuschi
 16. Welsch Nüsse—Nikosi
 17. Feigen—Legawi (sic!)
- (Reisen, I, 343—344)

შემდეგ რაჭის ცალკეულ სოფლებს ეხება და ამბობს, რომ წესში, 1772 წლის 11 ივლისს ყოფნის დროს, უნახავს სოფლის მახლობლად კაკალი, თუთის ხეები, ქლიავი, ვაშლი, მსხალი და ვაზი. ქერი და ხორბალი უკვე მოემკოთ. დომი ერთი მტკაველის სიგრძისა ყოფილა, სიმინდი ყვაოდა, კიტრი და ლობიო შემოსული იყო (283!).

გურიაში XVIII ს. დამლევეს, გიულდენშტედტით, ზღვის სანაპიროზე ხშირი იყო ლიმონები, ფორთოხლები, ზეთის ხილი, რომელსაც საქართველოში, სამხრეთ თურქეთის ოლქების გარდა, სხვაგან არ იყენებდნენ (409!).

თავი VII

ქართველი ისტორიკოსების ცნობები საქართველოში მეხილეობის გავრცელების შესახებ

§ 1. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები საქართველოში მეხილეობის გავრცელების შესახებ

ვახუშტის სიტყვით, საქართველოში XVIII ს. დამლევეს მოიპოვებოდა „ხილნი წალკოტთა მრავალნი: ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ყურძენი, ატამი, ვაშლ-ატამა, ყაიხი, ქერამი, ალუჩა, ტყემალი, ნუში, უნაბი, თუთა, ხართუთა, ბუსტული, ქლიავი მრავალგვარი, ლეღ, მბალი, ალუ-

ბალი, სხალი და ვაშლი მრავალგვარი, კომში, ნიგოზი, თხილი, ზღმარტლი, ფშატი“ (გ'გრფა, 56).

XVIII ს. დამდევისათვის საქართველოში, ვახუშტის ცნობით, შემდეგი ტყის ხილი იყო: „თხილი, ტყემალი, ზღმარტლი, ფშატი, ხურმა, წაბლი, კრიკინა, ალუბალი, ბალამწარა, ბალ-ლოჯი, მაყაველი, პანტა, კუნელი, შინდი, ჯახველი, მჭნავი, მწიფელი, დათეს-სხალა, დათეს-ბაბა, დათეს-თხილა, კოწახური, მაყვალი მრავალგვარი, ნიგოზი და სხვანიცა“-ო (გ'გრფა, 56).

საქართველოში XVIII ს. გავრცელებულ მთის ხილთაგან ვახუშტს დასახელებული აქვს: „მოცხარი, კლდის-მერსენი, ეოლო, კუნელი, მოცივი და სხვანიცა მრავალნი“-ო (გ'გრფა, 56).

ვახუშტის სიტყვით, მის დროს საქართველოში მოიპოვებოდა „ქლიავი მრავალგვარი“, შემდეგ „სხალი და ვაშლი მრავალგვარი“ და ტყის ხილთა შორის „მაყვალი მრავალგვარი“. ვახუშტის თხზულების ამ ადგილის გადამოქმედელი, უეჭველია, ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ სახელოვან მეცნიერს ოთხი ხილის მრავალგვარობის გარემოების აღნიშვნა საქართველოში საჭიროდ დაუნახავს. ამათგან სამი ხილი წალკოტთა, ე. ი. შინაურ ხეხილთა ჯგუფს ეკუთვნის, ერთი კი „ტყის ხილთა“, ე. ი. ველურთა ჯგუფის წევრია.

თვით ვაშლის მრავალგვარობასთან ერთად, რომელიც ვახუშტის ხაზგასმით, მაგრამ ზოგადად აქვს საქართველოში აღნიშნული, ადამიანის ყურადღებას ის გარემოებაც იპყრობს, რომ ერთი და იმავე ხეხილის ორი და სამი სახელია ხოლმე მოყვანილი. მაგ., ატამი და ვაშლი ხომ არის დასახელებული, მაგრამ ვაშლ-ატამაც მოეპოვება. ყაისს გარდა კერამიც არის დასახელებული, ისევე როგორც ტყემალს გარდა ალუჩაც, თუთასთან ერთად ხართუთასაც იხსენიებს.

ვახუშტის ზოგად ცნობებში ყურადღებას ის გარემოებაც იპყრობს, რომ საქართველოში ბევრი შინაური ხეხილი ველურადაც იზრდებოდა, რომელნიც სახელოვან გეოგრაფს ტყის ხილთა ჯგუფში აქვს დასახელებული. მაგ., „წალკოტთა“ მრავალგვარ ვაშლს გარდა ტყეში მაყაველი იყო, მრავალგვარ შინაურ მსხალს გარდა ტყეში პანტა იზრდებოდა. ტყემალი შინაურიც იყო და გარეულიც. ამნაირადვე „მბალი“ და ალუბალი ტყეებშიც ველურად მრავლად მოიპოვებოდა, გარეული ალუბლისა და ბალამწარასა და ბალლოჯის სახით, ზღმარტლი და ფშატიც შინაურადაც და ველურიც არსებობდა. თვით ვაზიც კი იყო კრიკინას სახელით ველურად ცნობილი. დასასრულ, ცხიმოვან ნაყოფიან ხეხილთა შორისაც ნიგოზი და თხილი ხომ იყო შინაურს გარდა ველურიც. ამის მსგავსი მაგალითების გაგრძელება კიდევაც შეიძლება, მაგრამ ესეც ვგონებ საკმარისი უნდა იყოს.

ვახუშტის მსჯავრით, კახეთის „ხურმა და წაბლი იმერეთისაგანაცა უმჯობესი არს“-ო (გ'გრფა, 286). ხოლო „ხილნი ვიეთნი აქაურნი უმჯობეს არიან ქართლისადა“-ო (იქვე, 286).

გორს თავის „გარემოს აქვან ვენახნი და წალკოტნი მრავალნი... ხილნი და საზრდელნი მრავალნი, გემოიანნი“ (ვახუშტი, გ'გრფა, 246).

ვახუშტის ცნობით, იყო „ბიყრამდე მეჭუდა ვენახოვანი, ხილიანი ამიერ და იმიერ“ (ვახუშტი, გ'გრფა, 248).

ვახუშტის სიტყვით, ოკონაში იყო „ნიგოზი, გასტეხო რა ნებალი მისი არს ნახევარი ნიგოზი და ნახევარი თხილი“-ო (გ^რფა, 264).

„მერეთის ზოგადს დახასიათებაში ვახუშტს აღნიშნული აქვს, რომ იქ იყო „ხურმა, წაბლი და ვაშლ-ატამა ქართლზე მეტი“ და სხვაც მრავლად ყოფილა (გ^რფა, 340).

ვაკეში მეხილეობა იმდენად გავრცელებული ყოფილა, რომ, ვახუშტის სიტყვით, იქ „ხილნი მრავალნი ტყეთა შინაცა“ (გ^რფა, 390) ხვდებოდა მგზავრს. ლიგანის ხეობაში იყო ნარინჯი, თურინჯი, ლიმონი, ზეთისხილი, ბროწეული, ლეღვი, ვაზი და ყოველგვარი ხილეულობა. ამასთანავე ყველაფერი იქაური განთქმული ყოფილა: „ქებულნი მუნებურნი ყოველნივე“-ო (ვახუშტი, გ^რფა, 114).

ოდიშში, ვახუშტის სიტყვით, ზოგ ადგილებში „ნარინჯი, თურინჯი, ზეთისხილი“-ც მოდიოდა (გ^რფა, 402).

§ 2. ფ. გორგიჯანიძის ცნობები ქართული ხეხილის შესახებ¹¹

ფ. გორგიჯანიძეს შემდეგი ხეხილის ქართული სახელი და მათი არაბულ-სპარსული შესატყვისობა აქვს თავის პატარა ლექსიკონში შეტანილი:

ქართ.	არაბ.	სპარს.
ატამი	ხუხ	შაჯთალუ
კომში	საფარჯალ	ბეჭ
ვაშლი	თაფა	სიფ
ბროწეული	რმან	ნარ (გვ. 38)
ხურმის ხე	ნახლ	დრახტი ხურმა
თუთა	ფრსათ	თუთ (გვ. 39)
ჩამიჩი	ზაბიბ	მევიზ (გვ. 43)
ყურძენი	ანაბ	ანგურ (გვ. 44)
ლეღვი	თინ	ინჯილ (გვ. 44)
სხალი	ქუმსრა	ამრუთ (გვ. 44)
ბადავი	დბს	ლუშაბ (გვ. 45)
ლერწამი	ყასაბ	ნეი (გვ. 47)
ხილი	სამარ	მივა (გვ. 49)
ნიგვზის კაკალი	ჯოვმა	გრდქონ (გვ. 64)
ნუმი	ლოვზ	ბაღთმ (გვ. 64).

თავი VIII

ხილის იპოვების საკითხი საქართველოში ისტორიული წყაროების მიხედვით

ხილეულობა საქართველოს დედა-ქალაქში სამცხითგანაც შემოჰქონდათ, იქაური ხილი განთქმული ყოფილა. ხილეულობის უმნიშვნელოვანეს ცენტრად

¹¹ ფ. გორგიჯანიძე და მისი შრომანი, გამ. შ. ჯანაშვილისა, 1896.

აწყვერი და ახალციხე ყოფილა. მესხეთი რომ საქართველოს ჩამოცილებული ჰქონდა და ოსმალეთს ეპყრა, მაშინაც XVIII ს. დამლევსაც კი საპალნეობით შემოჰქონდათ იქითგან ხილეულობა. ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნში, მაგ., სწერია: „ახალციხილამ და აწყვერილამ ხილი რაც საპალნე შემოვიდეს, იქითგან ნიხრის დანიშენისათვის გარკვეული ოდენობა უნდა მოურავს მიართვანო“ (სქს სძველნი, II, 526).

ზეთის ხილს ძველ საქართველოში ბევრი მყიდველი ჰყავდა და XVIII ს-შიც კი ტფილისში საპალნეობით შემოდებოდა. ქალაქის მოურავის სარგოს გარიგების წიგნში ნათქვამია: ტფილისში „რამდენიც საპალნე ზეთის ხილი შემოვა, საპალნეზედ ერთი ჩარეჟი მოურავისა არის“-ო (სქს სძველნი, II, 526).

„იოანე ბანჯუას... სიყრმიტგან ნამუშაები მისი ოთხმეოც და ათი ძირი ზეთის ხილი შემოსწირა“ (ათ. აღ. 219, § 14).

„ამისვე ოქროპირისა ნაშენებში ზეთის ხილნი“ (ათ. აღ 256, § 146).

დ ა მ ა ტ ი ბ ა I

ხილის ქართული ჯიშები¹

ვაშლი

- | | |
|--------------------------------------|-----------------|
| 1. აბელაური | 10. ნაბადა |
| 2. ხომანდური | 11. წითელა |
| 3. კიტრა-ვაშლი მწვანე ² + | 12. კეხურა + |
| 4. კიტრა-ვაშლი ყვითელი + | 13. თურაშაული |
| 5. ხაკრაკა | 14. მეფის ვაშლი |
| 6. ნისკარტა + | 15. ქაშა ვაშლი |
| 7. წერტულა + | 16. ყარამფილი |
| 8. შორა | 17. ხე ვაშლი |
| 9. სირმა | |

მსხალი

- | | |
|------------------------|--|
| 1. წითელა (გვერწითელა) | 6. ბორბალა (გავრცელებულია დუშეთის მაზრაში) |
| 2. ნანახირი + | 7. გულაბი + |
| 3. ბერყენა | 8. ხეჭეჭური + |
| 4. კალოს მსხალი | 9. შავი მსხალი + |
| 5. საჩირე | 10. თათლა მსხალი + |

ბალი

- | | |
|-----------------|----------------|
| 1. გოგრა ბალი | 3. შავი ბალი |
| 2. ადრეულა ბალი | 4. გვიანა ბალი |

ატამი

- | | |
|-----------------------|--------------------------|
| 1. ხირსული სახეჩი + | 3. ხიდისთაური სახრავეი + |
| 2. ხირსული სახრავეი + | 4. მოლოზნის ატამი |

დ ა მ ა ტ ი ბ ა II

ცნობები სამცხე-ჯავახეთის მეხილეობა-მევენახეობის შესახებ

(ცნობები მეხილეობაზე მოცემულია ახალციხის ყოფ. მცხოვრების სტეფანე ბენსარიონის ძე მესხელის მიერ, ხოლო მევენახეობაზე — ხიზაბავრის მცხოვრები პავლე იაკობის ძე ხუციშვილის მიერ).

¹ ამ ჯიშებში ევროპული ჯიშის ხეხილისათვის საძირეებად ხმარობენ ვაშლებისათვის ახე-ფაურსა და ხომანდურს.

² საწარმოო ხასიათის ჯიშები აღნიშნულია +-ით.

სამცხე-ჯავახეთში ხალხი უმთავრესად მეხილეობას მისდევს (მას ნაკლები შრომა სჭირდება და დიდი შემოსავალი აქვს); მევენახეობა კი მხოლოდ ნაშთადლა არის.

აქ არის ხილი: ვაშლი, მსხალი, ქლიავი, გარგარი, კერამი, ატამი, ბალი, ალუბალი, თუთა, შვინდი და სხვა.

დავასახელებთ ზოგიერთი ხილის ჯიშებს.

ვაშლის ჯიშები

1. მ ა ხ ა რ ა. ზამთრის ხილია, გამძლე, მსხვილი, ყვითელ-მოწითალო ფერისა, მუავე.

2. შ ა ხ ა ლ მ ა (სამეფო ვაშლი). შემოდგომის ხილია, დიდი ხანი ვერაძლებს, ირჩევა სიმსხოთი, ვარდისფერი და თეთრია.

3. ყ ა რ ა ფ ი ლ ა (მიხაკიანი ვაშლი). ზამთრის ხილია, გამძლე, ყვითელი ფერისა კარგი წითელი ელფერით, გემრიელი, მხაკის გემო გაჰკრავს.

4. ი ა ლ ა ლ მ ა (ერბოიანი ვაშლი). შემოდგომის ხილია, დიდ ხანს ვერაძლებს, პატარა ზომისა, წვრილი, წითელი ფერისა.

5. ა ჭ ა რ უ ლ ა. ზამთრის ხილია, გამძლე, საშუალო ზომისა, მთლად წითელი, გემოთი მომეავეო.

6. ფ ა შ ა ა ლ მ ა (საფაშო ვაშლი). ზამთრის ხილია, გამძლე, საშუალო ზომისა, ფერად ყვითელი, კარგი, წითელი ელფერით ნახევარ გვერდზე: რუსეთსა და ევროპაში იგი საუკეთესო ვაშლად ითვლება კომპოტისათვის.

7. ყ ა თ ი რ ბ უ რ ა ნ ი (ჯორისცხვირა). ზამთრის ხილია, გამძლე, საშუალო ზომისა, მოგრძო, ფერად თეთრი, წითელი ელფერით.

8. ს უ დ ა ლ მ ა (რძიანი ვაშლი). ზამთრის ხილია, გამძლე, სილამაზით ყველა ვაშლში განირჩევა. ყვითელი და მოწითალო ხავერდისფეროვანია.

9. ხ ა ნ უ მ ა ლ მ ა (ქალბატონის ვაშლი). ზამთრის ხილია, გამძლე, წვეტიანი ბოლო აქვს, ფერად მთლად წითელია, ხან გულიც უწითლდება.

10. ს ო ბ ა ლ მ ა. შემოდგომის ხილია, მოგრძო ფორმისა, წითელი ფერისა.

11. შ ა ქ ა რ ვ ა შ ლ ა. ზაფხულის ხილია, საშუალო ზომისა, თეთრი ვარდისფერი ზოლებით.

12. კ ო პ რ უ წ უ ლ ა. შემოდგომის ხილია, მოპრუწული ფორმისა, პატარა, ფერად თეთრი.

13. უ ხ უ ნ ა ლ მ ა. ზაფხულის ხილია, საშუალო ზომისა, ფერად ყვითელი, წითელი ელფერით.

14. შ ა ქ ა რ ნ ა ბ ა ლ ა. შემოდგომის ხილია, სქელკანიანი, მრგვალი, წითელ ელფერიანი, ტკბილი.

15. ი ა ზ ა ლ მ ა (ზაფხულის ვაშლი). ზაფხულის ხილია, მოგრძო წითელი ფერისა.

16. მ ა მ უ ლ ა. ზამთრის ხილია, საშუალო ზომისა, წითელი ფერისა.

17. ა ლ ი ა ლ მ ა. ზამთრის ხილია, მოგრძო ზომისა, მოყვითალო ფერისა.

18. დ ე ვ რ ი შ ბ ე გ ი.

46. ივ. ჯავახიშვილი, ტ. V

მსხლის ჯიშები

1. ნ ა ნ ა ძ ი რ ი. შემოდგომის ხილია, მოგრძო, გემრიელი, ტკბილი, წვნიანი.
2. თ ა ვ რ ე ე უ ლ ი. ზამთრის ხილია. ქართულად მას ხეჭექური ჰქვია; იგი მაგარკანიანია, მოგრძო, ფერად ყვითელი.
3. ყ ა ბ ა ღ ა რ მ უ ტ ი (გოგრა მსხალი). შემოდგომის ხილია. ფერად ყვითელი, მოწითალო ელფერით, იგი პირველი საჩირე მსხალია.
4. კ ვ ი რ ი ს ტ ა ვ ი (თურქ. აღრიშავა). ზაფხულის ხილია, წვრილი, კარგი საჩირე.
5. ნ ე ნ ე მ ს ხ ა ლ ი (თურქ. ნანაარმუტი. ბეზიას ანუ დიდის მსხალი. საზებრო საკმელია). ზაფხულის ხილია. წინ უსწრებს ნანაძირს. ფორმით მრგვალია.
6. კ ა ც ი ს თ ა ვ ა მ. ზაფხულის ხილია. დიდია ძლიერ. გირვანქანახევარი გამოვა. ტკბილია. საჩირე.
7. წ ი თ ე ლ გ ვ ე რ დ ა მ. ზაფხულის ხილია, წითელი გვერდი აქვს, ტკბილია.
8. ბ ე გ ა რ მ უ ტ ი (ბატონმსხალა). ზამთრის ხილია, ყველა მსხალზე უკეთესია, საშუალო ზომისა არის, გემრიელი, ტკბილი, წვნიანი.
9. მ ი ხ რ ი კ ი. ზაფხულის ხილია, წვრილი, სანთლისფერი მოწითალო ზოლებით, ჭავჭის გემოიანი.
10. ი შ ი ღ მ ა ჰ მ ა დ ი (მაჰმადის სინათლე). შემოდგომის ხილია. საშუალო ზომისა, სანთლისფერი, გემრიელი, წვნიანი.
11. ს ე ს ე ლ ა. ზაფხულის ხილია, ადრეულა, ტკბილი, წვნიანი.
12. ა ჰ კ ა რ უ ლ ი ს ე ს ე ლ ა. ზაფხულის ხილია, საშუალო ზომისა, მრგვალი, ნახევარგვერდი წითელი აქვს, ტკბილია და წვნიანი.

ქლიავის ჯიშები

1. ჰ ა ნ კ უ რ ი ანუ შემოდგომის ჰანკური. საშუალო ზომის ხილია, წითელი, ტკბილი და გემრიელი. ყველა კურკიან ხილთა შორის მას პირველი ადგილი უჭირავს. მისგან ამზადებენ ფარვადას (თუ ფალვარდა), აკეთებენ ტყლაპს, ხლიან არაყს, ახმობენ ჩირად.
2. თ ე თ რ ი ჰ ა ნ კ უ რ ი. შემოდის ადრე ზაფხულში. შემოდგომის ჰანკურზე წვრილია, იგი ხელად საკმელი ტკბილი ხილია.
3. ო ტ უ რ ი ქ ლ ი ა ვ ი. წითელი მოგრძო კვერცხისებურია, ირჩევა სხვა ქლიავებიდან თავისი სიმსხოთი; იგი ხელად საკმელი ხილია.
4. ჩ ა თ ა ღ ა რ უ გ ი (ტყუპი). თეთრი წვრილი ქლიავია, ხშირად ტყუპი იცის. ცნობილია მისი მურაბა.
5. ხ ა რ მ ა ნ ა რ უ გ ი (კალოობის ქლიავი). შემოდგომის, კალოობას შემოდის. იგი საშუალო ზომისაა, თეთრი.
6. თ ა მ ა ზ ი წვრილი, მომრგვალო, მუქ-წითელი ტკბილი ჰანკურა. განსაკუთრებით მას გასახმობად ხმარობენ. გამხმარს ხმარობენ ფლავშიაც და წვნიან საკმელშიაც, სახელდობრ: ყალიაში (ყალია სამცხეში ხორციან წვნიან საკმელს ეწოდება), მას გამხმარს უშვრებიან.

7. ალიბუხარი ყვითელი, მსხვილი კვერცხისებური ქლიავია. მას ახმობენ და ავადმყოფობის დროს ხმარობენ: ალბობენ და ავადმყოფს მის წვენს ასმევენ სიცხის გასაგრილებლად, გამხმარი მომჟავო გემოსია.

თუთიდან ხლიან ბაქმაზს, აკეთებენ ტყლაპს, ჩურჩხელას; მასვე ახმობენ ხმელად საჭმელად.

ტყლაპს აკეთებენ: სხვადასხვა ქლიავისაგან, ვაშლისაგან, მსხლისაგან, თუთისაგან, შვინდისაგან, ტყემლისაგან.

ვაზი უმთავრესად შენახულია სარო-ხიზაბავრას და სხვილისს. აქ არის პატარ-პატარა ვენახები; ვენახებს ახლად კი არ აშენებენ, არამედ რაც დარჩენილია, მარტო იმას უვლიან: ყურძენსაც უმთავრესად მარტო საჭმელად ხმარობენ. სარო-ხიზაბავრას ვაზი მეტი წილი დაბლარია, არის თითო-ორი მალღარიც; სხვილისს კი მალღარი.

სარო-ხიზაბავრას არის ვაზის ხუთი ჯიში:

1. საფერავი. შავია, დიდმტევნიანი, მსხვილმარცვლიანი, მტევანი 1/2 კილო იქნება, ნაკლებს ისხამს.

2. ხარისთვალა. მოთეთროა, უფრო უკეთ — მოყვითალო. სანთლისფერი, მარცვლი კაკლისტოლა აქვს, სანახავად ლამაზია, მტევანი ერთ კილომდე იქნება. ფოთოლი განსხვავებული აქვს, იგი ლედვის ფოთოლს ემსგავსება სიდიდით. ბევრს ისხამს.

3. ცხენისძუძუ. შავია; მარცვლი გრძელი აქვს, ჭანჭურს ჰგავს; ძალიან დიდი მტევანი იცის, ერთი კილო იქნება; საფერავს ათი წყებით სჯობია; იგი ცოტა არის, თითო ვენახში 2—3 ვაზია შენახული.

4. თითაკახურის მაგვარი ჯიშია.

5. ბუდეშური კახურის მაგვარი ჯიშია.

ყურძენის დაყენება. ძველად ყურძენს ჯერ ქვიტკირის საწნახელში სწურავდნენ ფეხით; ბოლოს რაც დარჩებოდა, ქვის საწურავში ანუ საქაჯავში გადაჰქონდათ და იმაზე სწურავდნენ. საქაჯავი სხვადასხვა ფორმისა იყო (ჩემ მიერ ქვემოთ აღწერილი ქვეები საქაჯავის ძირის ქვეებია). ჩვეულებრივ, ქვას ფიცრის კილობანს დაადგამდნენ, შიგ ჰაჰას ჩაყრიდნენ, ზევიდან ფიცარს დაადებდნენ და ბაზღს (სიმძიმეს) მისცემდნენ, რომ ჰაჰას დასწოლოდა და გამოეწურა. ამ ბაზღს ბოლოზე მართული აქვს კედელში, თავზე ჰკიდია ოცფუთიანი მრგვალი ქვა (ზეთის სახდელის მაგვარი), რომელიც აწეება და სწურავს ყურძენს.

საწნახლისა და საქაჯავის ნაწური ჩადიოდა ქვევრში.

საწნახელი შენახულია: დიდ-სმადას (ქვისა) და ვარძიას (კლდეში ნაკვეთი); საქაჯავი — უდეს (იხ. ნახ. 1, 2, 3 და სურ. 1 და 2), ვალეს (ნახ. 4 და სურ. 3), ურაველს (ნახ. 5), ლობიეთს (ნახ. 6), როკეთს (ნახ. 7) და მგელ-სუნდას (ნახ. 8).

შენიშვნა: საქაჯავი ზოგ ადგილას მივიწყებულია (უდეში მას ყორას ანუ ხილის საწურავი უწოდეს, ვალეს — ყველის საწურავი), ხოლო სარო-ხიზაბავრას (სადაც მევენახეობა ჯერ კიდევ არსებობს) იგი ძალიან კარგად ახსოვთ.

საქივლები

პირთა სახელების საქივბელი

აბდულ-ოდლი ალი, იხ. ალი აბდულ-ოდლი
აბდუშელიშვილი ნ., იხ. ნ. აბდუშელიშვილი
აბუ ისბაყ ელ ფარსი ელ ისტაჰარი 123
აბულასანი 94

აბულაძე ი., იხ. იუსტინე აბულაძე
აბუსირიძე ტბელი 137, 215, 375, 618
ა. გამყრელიძე 331, 344, 381

აჟ. ღირრი 497

ალოღ რილოვი 163—165, 170, 172, 175—
177, 179, 181, 202, 209, 219, 220, 224, 229,
231, 237, 238, 240, 243, 245, 248, 257,
261, 262, 291—293, 300, 415, 700, 701

ა. ენგლერი 29, 35, 46, 51, 64, 384, 693, 694,
698, 704

ათანასიანი პ., იხ. ჰოვანეს ათანასიანი
ათენე 553

ა. იაკოვლევი 132, 146, 331, 332, 414, 462,
463, 632, 653, 667

აკაი შანიძე 36, 80, 301

ალ-ავვამ, იხ. იბნ ალ-ავვამ

ალექსანდრე ბარამიძე 307, 495

ალექსანდრე მაკედონელი 118

ა. ორბელიანი 431

ალექსანდრე სარაჯიშვილი 312

ალექ. შარაბიძე 455, 457, 459, 461

ალექსანდრე ჭყონია 18, 52, 87, 183

ალექსანდრე ხახანაშვილი 316

ალექსი იევლევი 18, 126, 155, 182, 267, 271,
279, 290, 675, 714

ალექსი ტომარაძე 455, 460

ალი აბდულ-ოდლი 222

ალიშანი 562, 568

ალ. მყაშვილი 231, 261, 262, 265

ალფეზ შაიშვილი 501

ამარტოლი გიორგი, იხ. გიორგი ამარტოლი

ამატუნი ს., იხ. სიპაყ ამატუნი

ამბაკო ქვლიძე 455—462

ამბროლაძე გ., იხ. გ. ამბროლაძე

ამილახორი გივი, იხ. გივი ამილახორი
ამირახორი ხ., იხ. ხიმშია ამირახორი
ანდრონიკაშვილი ივ., იხ. ივანე ანდრონიკაშვი-
ლი

ამოლოდორ მკურნალი 332

არისტოფანე 323

არნოლდ ჩიქობავა 76, 111, 115, 136, 184, 208,
222, 228, 229, 296, 505, 518

არსენ ივალთოელი 112, 117, 304, 624, 635,
637, 690, 703

არქანჯელო ლამბერტი 18, 51—54, 84, 87, 127,
177, 182, 183, 271, 289, 295, 679

არჩილ მეფე 136, 145, 148, 679

არჩ. ფარანაშვილი 457

ასტაფიევი 410

ა. ფირალოვი 132—134, 136, 138, 139, 145,
314, 344, 345, 356, 362, 377, 414, 418—
429, 513, 627, 631, 643—645, 654, 657

აქარიანი პრ., იხ. პრ. აქარიანი

ბაგრატ იმერთა მეფე 332

ბალლასი შიხ., იხ. შიხელ ბალლასი

ბაჯთარ იბნ, იხ. იბნ ბაჯთარი

ბარათა ქაჩიბაისძე 101

ბარამიძე ალ., იხ. ალექსანდრე ბარამიძე

ბარამიძე ევ., იხ. ევგენი ბარამიძე

ბარულინა ელ., იხ. ელენე ბარულინა

ბასილი მონაზონი 138

ბატონიშვილი ვახუშტი, იხ. ვახუშტი ბატონი-
შვილი

ბატონიშვილი იოანე, იხ. იოანე ბატონიშვილი
ბაქარი 31, 96, 113, 621—623, 707, 708

ბაქაძე პ., იხ. პავლე ბაქაძე

ბახტაძე ი., იხ. ილია ბახტაძე

ბაჰარი 543

ბერიძე ვ., იხ. ვუკოლ ბერიძე

ბერძენიშვილი ნ., იხ. ნიკო ბერძენიშვილი

ბესარიონ ჯარუას ძე ნადარეიშვილი 463—467,
470, 505

ბიბლიაშვილი ვ., იხ. ვასო ბიბლიაშვილი
ბიზანტიელი ფაუსტოს, იხ. ფაუსტოს ბიზან-
ტიელი

ბოლოკ-ბასილი 618

ბოქორიძე გ., იხ. გიორგი ბოქორიძე

ბროსსე მარი, იხ. მარი ბროსსე

ბუასაქ ემ., იხ. ემილ ბუასაქი

ბურჭულაძე 346

ბუშანი 704, 706

ბუში ნ., იხ. ნ. ბუში

გ. აბესაძე 69—71, 73

გალენუსი 192, 273, 276, 281

გ. ამბროლაძე 344

გამყრელიძე ა., იხ. ა. გამყრელიძე

გარსევან ჩოლოყაშვილი 271, 278, 281, 282,
289, 295, 693, 695, 700—703, 706, 708—
712

გ. ბერიშვილი 277

გეევსკი ვ., იხ. ვ. გეევსკი

გ. გელაშვილი 640

გეორგ ვარდაპეტი 248

გერმანე არქიმანდრიტი 168

გიგო შარაშიძე 207, 471—475, 478

გივი ამილახორი 639, 654

გინცელი 558

გიოთე პ., იხ. ჰერმან გიოთე

გიორგი ამარტოლი 37, 117, 197, 304, 305

გიორგი ბოქორიძე 26, 175

გიორგი თედორაძე 157, 161, 238, 241, 243,
300, 301

გიორგი III 211, 651, 658

გიორგი მერჩული 94, 102, 110, 122, 146, 160,
181, 182, 191, 192, 196, 197, 326, 354, 556

გიორგი მთაწმიდელი 17, 32, 43, 116, 160,
326, 337, 340, 341, 346, 352, 376, 378, 556,
671, 679

გიორგი მონაზონი 112, 304, 624, 635, 637,
690, 703

გიორგი ხუცეს-მონაზონი 556

გიორგობიანი ნუცა, იხ. ნუცა გიორგობიანი

გმელინი ს., იხ. ს. გმელინი

გოგასაძე მიხ., იხ. მიხ. გოგასაძე

გ. ოჩხაჩეკო 422

გორგიჯანიძე ფ., იხ. ფარსადან გორგიჯანიძე

გოში მ., იხ. მხითარ გოში

გრიგოლ ნაზიანზელი 124

გრ. ქანიშვილი 133

გრიგოლ ხანძთელი 122, 146, 160, 182, 196,
326, 340, 556

გრიშაშვილი ი., იხ. იოსებ გრიშაშვილი

გროსსჰეიმი 231

გიულდენშტედტი დ-რ იოჰან ანტონ, იხ. იოჰან
ანტონ გიულდენშტედტი

გრ. ლაფანციანი 669

გულაბერიძე ნ., იხ. ნიკოლოზ გულაბერიძე

გურამიშვილი დ., იხ. დავით გურამიშვილი

გ. შარატი 347, 362, 410—415, 417—429,
432—440, 454, 515, 564—568, 571, 575—
579, 581—583, 585, 586, 588—590, 692,
695

გ. ცაბელი 616

გ. ცაგარელი 69

დავით აღმაშენებელი 556, 561

დავით გურამიშვილი 495, 496

დავითულა ულენტისშვილი 26

დავით მაჭავარიანი 517

დავით ჩუბინაშვილი 648

დავიდისი 706

დავუდ ხანი 296

დანდუროვი ე., იხ. ე. დანდუროვი

დალბაშიანი 337, 548, 551, 562, 564, 614

დეკალიონი 390

დეკარტელები ლ., იხ. ლეონარდ დეკარტე-
ლები

დემოკრიტე 391, 402, 403

ფე-მორგანი 104

დვალი ევ., იხ. ევგენი დვალი

დიაკი კლუჩარევი 18, 155, 235, 279

დიმიტრი ბაქრაძე 229

დიმიტრი II 138

დიონისე 390

დიოსკორიდე 253, 255, 273

ღირრი ად., იხ. ად. ღირრი

დიუბუა ფ., იხ. ფ. დიუბუა

დომენიკა ჩიხლაძე 442, 443, 447, 449, 452,
453, 507

დომიციანე კეისარი 407

ეგნატაშვილი ბერი 138, 152

ე. დანდუროვი 132, 133, 135, 136, 144, 146,
363, 414, 454—456, 645, 653, 669

ევგენი დვალი 455, 459

ევ. ისაკაძე 455, 457

ე. ვაწაძე 414, 627, 632, 643, 645, 652, 653,
655—657

ელენე ბარულინა 28—30, 76, 79

ემილე ბუასაქ 263

ემილე ლიტტრე 47, 166, 400

ენგლერი ა., იხ. ა. ენგლერი

ენოქ ნაზარიანი 564

ეპიფანე ბერი 94

ერისთავი რ., იხ. რაფიელ ერისთავი

ერკერტი 111

- ერმილე ნაკაშიძე 132, 133, 135, 136, 140—147, 313, 322—324, 328, 330, 344, 345, 355, 356, 362, 363, 377, 380, 382, 414, 441, 442, 444, 445, 448—450, 452, 453, 463, 464, 466, 468, 470, 471, 473, 477, 479—482, 493, 501, 512, 626, 628, 632, 641, 643, 647, 654—657, 660, 665, 672, 679
- ერნსტ რენანი 389, 680
- ეფთვიძე მოაწოდელი 671, 679
- ეფრემ მცირე 382, 624
- ეჭეთიძე თაყაიშვილი 154, 168, 182, 296
- ვალენტინა სუპატაშვილი 73
- ვარდანი 563
- ვარლამ თოფურია 73, 77, 135, 138, 143, 329, 463
- ვარონი 118, 364, 365, 378, 392, 394, 401, 405
- ვასილ პეტრიაშვილი 616
- ვასო ბიბლაშვილი 312, 314, 343, 344, 348, 352
- ვაწაძე ე., იხ. ე. ვაწაძე
- ვახტანგ VI 38, 52, 149, 154, 215, 216, 219, 229, 224, 271, 279, 296, 341, 355, 357, 380, 531, 623, 620, 668, 671, 713
- ვახუშტი ბატონიშვილი 18, 21, 27, 31, 38, 42, 43, 48, 49, 52, 66, 68, 69, 81, 114, 125, 126, 133, 140—142, 149, 154, 155, 163, 167, 176, 177, 179, 182, 183, 190, 199, 201, 202, 205, 206, 215, 216, 223, 234, 235, 245, 252, 254, 255, 257, 259—261, 271, 277, 279, 280, 282, 289, 296, 322, 349—352, 354, 359, 468, 508, 517, 542, 670, 671, 673, 687, 691, 716—718
- ვ. გეგეცკი 413, 417—429, 432—440, 454, 515, 564—568, 571, 575—579, 581—583, 585, 586, 588—590, 692, 695
- ვირგელიუსი 30, 392, 395, 404, 405, 480
- ვიზოვი 35
- ვიტტმაი 51, 70
- ვიქტორ ჰეჰნი 37, 46, 390, 391, 393, 406, 407, 680, 706
- ვ. ლიპსი 202
- ვ. მედვეევი 383, 691, 694, 701, 708
- ვლადიმერ მენაბდე 19, 23, 26, 28, 29, 38, 39, 45, 53, 73, 88
- ვლადიმერ ფოფხაძე 455—462
- ვლადიმერ სტაროსელსკი 415, 441, 443—449, 451—453, 540
- ვეჟოლ ბერიძე 132, 135, 212, 237, 327—329, 338, 340, 344, 505, 635, 642, 643, 647, 660, 664
- ველურსი 543
- ვ. ფედოროვი 78
- ზაგურსკი ლ., იხ. ლ. ზაგურსკი
- ზალკინდი ფ., იხ. ფ. ზალკინდი
- ზაქარია ყანაყველი 17, 32, 160, 164, 165, 167, 168, 175, 179, 237, 238, 263, 272, 273, 291, 295, 300, 309, 311, 685
- ზაქარია 354
- ზაქარია კვიციანიძე 149
- ზევედგინიძე მ., იხ. მამია ზვედგინიძე
- ზელინსკი ს., იხ. ს. ზელინსკი
- ზურაბ სახლთუხუცესი 332
- თალგამაძე 220
- თამარ მეფე 116, 542, 628, 633
- თაყა ზვედგინიძე 662
- თაყაიშვილი ე., იხ. ეჭეთიძე თაყაიშვილი
- თედორაძე გ., იხ. გიორგი თედორაძე
- თემურაზ I 18
- თეკლა მონაზონი 26
- თემურ-ლენგი 618, 713
- თეოფრასტე 37, 187, 217, 227, 255, 269, 273, 341
- თმოგველი სარგის, იხ. სარგის თმოგველი
- თომაძე ს., იხ. სამსონ თომაძე
- თოფურია ვ., იხ. ვარლამ თოფურია
- იაკოვლევი ა., იხ. ა. იაკოვლევი
- იასე ცინცაძე 409, 472
- იბნ ალ-აეჟამ 119, 168, 176, 178, 202, 208, 218, 246, 256, 258, 264, 270, 274, 281
- იბნ ბაითარ 67, 119, 168, 176, 203, 208, 218, 242, 258, 264, 270, 296, 548
- იბნ ჰაუკალ 233, 274
- იეველევი ალ., იხ. ალექსი იეველევი
- ივანე ანდრონიკაშვილი 375, 551, 565, 567—591
- ივანე მხარგრძელი 116, 633
- ივანე ნიჟარაძე 34, 73, 77, 78, 94, 111, 164, 201, 208, 216, 220, 228, 229, 252, 283, 291
- ი. კლაპროტი 351, 352, 359, 361, 409
- ილია ბახტაძე 345, 413, 443, 447—461
- ილია წინამძღვრიშვილი 328, 348, 376, 377
- ილია ჰაეჰაეაძე 312
- ილია ჯეონია 142
- ინგოროყვა პ., იხ. პავლე ინგოროყვა
- იონანე ბანჭუა 719
- იონანე ბატონიშვილი 33, 34, 87
- იონანე დამასკელი 382
- იონანე-ზოსიმე 558
- იონანე მტბეჟარი 304, 306
- იონანე საბანის ძე 110, 315

- როანე შავთელი 116, 123, 358, 375, 547
 იორდანიშვილი ს., იხ. სოლომონ იორდანი-
 შვილი
 იოსებ გრიშაშვილი 133, 455
 იოსებ მკედლიშვილი 417—427, 429
 იოსებ ყიფშიძე 24, 36, 73, 76, 111, 134, 141,
 172, 184, 190, 202, 207, 216, 229, 252, 255,
 262, 268, 291, 293, 323, 329, 338, 464, 466,
 469, 472, 636, 660, 663, 672, 686, 690, 697
 იოსელიანი პლ., იხ. პლატონ იოსელიანი
 იოჰან ანტონ გუელდენშტედტი 18—20, 22, 27,
 33, 34, 52, 53, 114, 145, 156, 157, 163, 167,
 172, 176, 177, 179, 183, 201, 208, 209, 215,
 216, 220, 229, 235, 261, 265, 267, 272, 280,
 283, 288, 290, 351, 352, 359, 361, 362, 380,
 517—519, 551, 639, 640, 698, 712, 714—
 716
 იპოლიტე 112, 306, 314, 315
 იროდიონ სონდელაშვილი 432, 433, 437—440
 ისაყაძე ევ., იხ. ევ. ისაყაძე
 ისიდორე სევილიელი 395, 548
 ისკანდერ გენში 148
 ისტაპრი, იხ. აბუ ისნაყ ელ ფარსი ელ-ისტაპრი
 იულონ ლომოური 50
 იუსტინე აბულაძე 124, 211
 იყალთოელი ა., იხ. არსენ იყალთოელი
- კარლოს დიდი 166, 177, 188, 193, 203, 218,
 221, 227, 233, 242, 246, 251, 256, 258—260,
 264, 266, 270, 274
 კაკაბაძე ს., იხ. სარგის კაკაბაძე
 კატონი 118, 364, 378, 392, 394, 405
 კატონ უფროსი 393
 კახეთელიძე ს., იხ. სერგო კახეთელიძე
 კელერი 25
 კესარიელი პ., იხ. პროკოპი კესარიელი
 კესტოელი ნ., იხ. ნიკო კესტოელი
 კიორნაძე 51
 კლაპროთი ი., იხ. ი. კლაპროთი
 კლუჩარევი დ., იხ. დიპო კლუჩარევი
 კონსტ. მელიქ-შამნაზარიანი 562, 569, 572,
 574—577, 582, 590, 591, 614
 კოლუმელა 41, 46, 47, 119, 334, 341, 342,
 353, 364—370, 374, 378, 392, 395—399, 401,
 403, 405, 494, 499, 550, 599
 კოშესი 64
 კოხი 409
 კ. პროზოროვა 40, 41
 კ. დოცხვერაშვილი 643
- ლაშბერტი ა., იხ. არქანჯელო ლაშბერტი
 ლეონარდ დეკაპრელები 19, 22—24, 27, 28,
 32—35, 38, 39, 42—45, 48—51, 53—57, 65—
 69, 71, 88, 89
 ლეონარდ ჭუხსი 270
 ლეონტი მროველი 558
 ლექსა ჭაჭანაშვილი 343
 ლეშკაშვილი ს., იხ. იხ. ს. ლეშკაშვილი
 ლ. ზაგურსკი 441
 ლიპსკი ე., იხ. ე. ლიპსკი
 ლიპსკი ნ., იხ. ნ. ლიპსკი
 ლიტტრე ე., იხ. ე. ლიტტრე
 ლომოური ი., იხ. იულონ ლომოური
 ლეტერი 92, 257
 ლ. ჯორაძე 314, 319, 343, 346, 347, 356, 377,
 379, 411, 417, 418, 423—425, 427, 660
- მაკალათია ს., იხ. სერგი მაკალათია
 მაკედონელი ა., იხ. ალექსანდრე მაკედონელი
 მამია ზვედგინიძე 644, 654, 662
 მარი ბროსე 375, 687
 მარკო პოლო 274
 მარტი ნ., იხ. ნიკო მარტი
 მ. ყაშვილი ალ., იხ. ალ. მ. ყაშვილი
 მკაქეარიანი დ., იხ. დავით მკაქეარიანი
 მედვედევი ე., იხ. ე. მედვედევი
 მელიქ-შამნაზარიანი ე., იხ. კონსტ. მელიქ-შამ-
 ნაზარიანი
 მელიქსედე ყანაელი 629, 654, 656
 მენაბდე ელ., იხ. ელ. მენაბდე
 მენთეშაშვილი სტ., იხ. სტ. მენთეშაშვილი
 მერკვილაძე ს., იხ. ს. მერკვილაძე
 მერჩული გ., იხ. გიორგი მერჩული
 მ. თუმანიანი 49, 68, 72
 მიჩა აბდულა ბენ-აბდალ ლაფფარ 325, 359
 მიჩან მეფე 121, 545
 მიშეცი, თ-დი, ელჩი 18, 155, 235, 271, 279,
 713
 მიხეილ ფსელისი 269
 მიხეილ ბაღდასი 408, 416, 568—572, 574, 576,
 577, 579—584, 590—592
 მიხეილ გოქსაძე 170, 171
 მიხეილ იშიაძე 455, 457, 459, 460
 მიხეილ პოლივექტოვი 18, 290
 მოაბდ შაჰი 557, 662
 მოს ჭანაშვილი 17, 211, 271, 276, 415—417,
 504, 617, 692, 695, 699, 701, 702, 710, 711
 მტბეგარი ი., იხ. როანე მტბეგარი
 მროველი ლეონტი, იხ. ლეონტი მროველი
 მ. ტერენტიუს ვარრონი, იხ. ვარრონი
 ნუკანესი 391
 გენში, იხ. ისკანდერ გენში
 მკედლიშვილი ი., იხ. იოსებ მკედლიშვილი
 მხითარ გომი 192, 277, 282
 მხითარიანი 248

- ნ. აბღუშელიშვილი 142
 ნაბუქოდონოსორი 117
 ნადარეიშვილი ბ., იხ. ბესარიონ ნადარეიშვილი
 ნახარიანი ე., იხ. ეხოქ ნახარიანი
 ნაკაშიძე ერმ., იხ. ერმილე ნაკაშიძე
 ნ. ბუში 217
 ნ. ლიპსკი 241
 ნეიფლორე ტოლოჩანოვი 18, 38, 51, 126, 155, 182, 267, 271, 279, 289, 675, 714
 ნეიფლოროვი 356
 ნიკო ბერტენიშვილი 142, 317, 501
 ნიკო კეცხოველი 73, 77
 ნიკოლოზ გულაბერიძე 122
 ნიკო მარბი 73, 76, 113, 164, 179, 192, 210, 216, 229, 252, 268, 291, 306, 315, 323, 338, 354, 415, 482—486, 506, 521, 563, 622, 626, 660, 665, 686, 697—699
 ნიკორწმინდელი 108
 ნიკ. ჩახვაშვილი 180
 ნინო, წი 113, 121, 128, 353, 558
 ნიუარაძე ივ., იხ. ივანე ნიუარაძე
 ნ. ლიპსკი 238, 239
 ნოსოვიჩი 356
 ნუცა გიორგობიანი 455, 458
 ნ. ჩახნაშვილი 316, 496, 546

 ოვიდიუსი 364
 ოვჩარენკო გ., იხ. გ. ოვჩარენკო
 ოინეტს 390
 ომიძე მ., იხ. მიხეილ ომიძე
 ომიძე ს., იხ. ს. ომიძე
 ორბელიანი ს., იხ. საბა-სულხან ორბელიანი
 ორესთეუსი 390
 ოტტო შრადერი 37, 46, 706

 პავზანია 363
 პავლე ბაქაძე 442
 პავლე ინგოროყვა 32, 110, 304, 306, 626
 პავლე ხუციშვილი 720
 პალლადიუსი 47, 119, 353, 372, 378, 379, 401, 402
 პეპი II 387
 პეტრე უმიკაშვილი 312
 პეტრიაშვილი ვ., იხ. ვასილ პეტრიაშვილი
 პეტრონიუს ტიოდოტუსი 203
 პიულა 428
 პლატონ იოსელიანი 136, 145, 148
 პლინიუსი 35, 46, 47, 118, 241, 270, 280, 341, 342, 353, 706
 პლინიუს მცირე 25, 40, 46, 119, 166, 168, 173, 177, 178, 187, 188, 203—205, 212, 217, 218, 220, 221, 227, 232, 233, 250, 256, 258—260, 263, 266, 273, 284, 329, 357, 358, 365, 370, 371, 378, 391—394, 399—405, 493, 548, 550, 552, 679, 705
 პლინიუს სეკუნდუსი 30
 პოლიექტოვი მ., იხ. მიხეილ პოლიექტოვი
 პროზოროვა კ., იხ. კ. პროზოროვა
 პროკოპი კესარიელი 122
 პტოლემეაოსი 392
 უკუაგორა 258, 266
 უ. ტურნეფორი 125, 350, 351
 უ. ყანდურალოვი 314, 332, 348, 356, 377, 380, 414, 430—440, 456—461, 509, 551, 564, 566—569, 571, 575, 581—584, 586, 587, 589—591, 598, 599, 627, 631, 644, 653, 654, 657
 ეამთაალმწერელი 100, 138, 146
 ეორეოლიანი ს., იხ. ს. ეორეოლიანი
 ელენტიშვილი დ., იხ. დავითულა ელენტიშვილი

 რაფელ ერისთავი 19, 20, 23, 24, 26, 32, 33, 36, 39, 42—44, 53, 57—63, 66, 73, 114, 135, 161, 163—165, 167—169, 172—176, 179, 180, 182, 185, 186, 201, 207, 213, 214, 216, 219, 220, 222—224, 228—231, 238, 240, 243, 245, 247—249, 252, 255, 257, 260—262, 265, 272, 276, 280, 283—285, 288—293, 295, 296, 300, 301, 309, 349, 411, 419, 420, 423, 426, 430, 438, 472, 631, 632, 684, 695, 701—703, 707, 708
 რენანი ე., იხ. ერნსტ რენანი
 როინ ჭავჭავიშვილი 332
 როლლოვი ა., იხ. ადოლფ როლლოვი
 როსტომ მეფე 125
 რუსთაველი შ., იხ. შოთა რუსთაველი
 რ. შრადერი 37

 სააკაძე მერაბ 331
 სააკაძე სიაულშ 332
 საბანისძე ი., იხ. იოანე საბანისძე
 საბა-სულხან ორბელიანი 17, 23, 24, 26, 27, 31—34, 36, 37, 42—44, 48—50, 66—69, 75, 76, 78, 90, 95, 96, 98—102, 104, 106—108, 113, 114, 120, 132—141, 154, 155, 160, 161, 163—165, 167—177, 179, 180, 182—185, 191, 194, 199, 201, 202, 204—207, 212—214, 216, 219, 220, 223—225, 228—230, 234—238, 240, 245, 247, 248, 250, 252, 254, 255, 257, 259—262, 264, 265, 267, 268, 272, 276, 277, 279, 280, 282, 283, 285—289, 292, 295, 296, 306—310, 312—318, 320—324, 328—331, 333, 335, 336, 338, 342, 346, 347, 375, 376, 378—380, 493, 495, 496,

- 499—501, 507, 541, 542, 555, 621—623, 625, 629, 631, 642—644, 648, 649, 651—653, 655, 659, 660, 662—664, 666, 667, 669, 670, 672, 676, 677, 684—691, 694, 695, 697, 698, 701, 703, 707—710
- სამსონ თომამე 455—461
- სარაჯიშვილი ალ., იხ. ალექსანდრე სარაჯიშვილი
- სარგის თმოგველი 547, 557, 637, 662
- სარგის კაკაბაძე 633
- საპაქ ამატუნი 176, 179, 209, 210, 237, 277, 335, 337, 548, 551, 562—565, 568—570, 572—577, 580, 582, 590—592, 614
- ს. გმელინი 41
- სევილიელი ისიდორე, იხ. ისიდორე სევილიელი
- სეთი ს., იხ. სიმონ სეთი
- სერგი მაკალათია 158
- სერგო კახეთელიძე 455, 457, 461
- სეიმონ მეფე 138, 152, 153, 331
- ს. ზელისკი 275—278, 410, 413, 414, 421, 426, 454, 488—490, 543, 564, 565, 567—592, 614, 692, 696
- სიდონია მაყიშვილი 61
- სიმეონ სეთი 225, 242, 269, 273, 281
- სიმონ ყაუხჩიშვილი 37, 118, 197, 304, 628
- სოლმს ლაუბახი 704, 705
- სოლომონი 93
- სოლომონ იორდანიშვილი 495
- სოლომონ ჩოლოყაშვილი 277, 417, 493, 496, 546
- ს. ლეშკაშვილი 518
- ს. ოშიაძე 459
- სოლონი 166
- სონლულაშვილი ირ., იხ. იროდიონ სონლულაშვილი
- ს. ჟორჯოლიანი 328
- სტაროსელსკი ვ., იხ. ვლადიმერ სტაროსელსკი
- სტეფანე მენთეშაშვილი 243, 314, 316—319, 323, 324, 479—482, 516
- სტეფანე მესხელი 720
- ს. ტიმოფევი 414, 415, 479—486
- სტრაბონი 120, 146, 325, 358—360, 373, 385
- ს. შავერდოვი 132—134, 136, 138, 139, 145, 314, 344, 345, 356, 362, 377, 414, 418—429, 513, 627, 631, 643—645, 654, 657
- ს. ხოჯაევი 328, 330, 362, 411, 471, 641, 666, 667, 674
- ტიბერიუს კეისარი 270, 706
- ტიმოფევი ს., იხ. ს. ტიმოფევი
- ტიოდოტუსი პ., იხ. პეტრონუს ტიოდოტუსი
- ტოლოჩანოვი ნ., იხ. ნიკიფორე ტოლოჩანოვი
- ტომარაძე ა., იხ. ალექსი ტომარაძე
- ტურნეფორი პ., იხ. პ. ტურნეფორი
- უმიაშვილი პ., იხ. პეტრე უმიკაშვილი
- უენოზი კომპილატორი 356
- ფარსადან გორგიჯანიძე 17, 18, 22, 27, 33, 66—68, 114, 149, 155, 163, 179, 201, 203, 208, 216, 218, 220, 228, 229, 232, 235, 245, 246, 249, 250, 261, 264, 268, 271, 694
- ფარანაშვილი ა., იხ. არჩილ ფარანაშვილი
- ფატმან ჯაფარიძე 455, 457
- ფაუსტოს ბიზანტიელი 192
- ფ. ლიუბუა 361
- ფაზრ ედღინ გურგანელი 629
- ფედოროვი ვ., იხ. ვ. ფედოროვი
- ფ. ზალკინი 46, 47
- ფირალოვი ა., იხ. ა. ფირალოვი
- ფოფხაძე ვლ., იხ. ვლადიმერ ფოფხაძე
- ფოცხვერაშვილი კ., იხ. კ. ფოცხვერაშვილი
- ფსელოსი მიხაელ, იხ. მიხაელ ფსელოსი
- ფეტოს 390
- ქაჩიბაისძე ბ., იხ. ბარათა ქაჩიბაისძე
- ქრისტეფორე 626
- ქრისტინე შარაშიძე 471
- ქსენია ცხაკიააბესაძე 73
- ქსენოფონტე 120, 323, 561, 564, 675, 676
- ღვინიაშვილი 677
- ყაზვინი ჰამდალამ, იხ. ჰამდალამ ბენ აბუ ბეჰე
ელ-მუსტაფი ელ-ყაზვინი
- ყანდურალოვი პ., იხ. პ. ყანდურალოვი
- ყანჩაველი ზ., იხ. ზაქარია ყანჩაველი
- ყაუხჩიშვილი ს., იხ. სიმონ ყაუხჩიშვილი
- ყიფშიძე ი., იხ. ი. ყიფშიძე
- შავერდოვი ს., იხ. ს. შავერდოვი
- შავთელი ი., იხ. იოანე შავთელი
- შაყიშვილი ა., იხ. ალექს შაყიშვილი
- შალვა ჭუმბურიძე 58, 59, 61
- შანიძე ა., იხ. აკ. შანიძე
- შარაბიძე ა., იხ. ალექს. შარაბიძე
- შარაშიძე გ., იხ. გიგო შარაშიძე
- შარაშიძე ქრ., იხ. ქრისტინე შარაშიძე
- შარდენი 125, 350, 351, 618, 713
- შარტერი გ., იხ. გ. შარტერი
- შაპ-აბასი 125, 148, 235, 324, 352, 618, 713
- შლიმანი 23, 29, 35, 70
- შოთა რუსთაველი 124, 547, 557
- შრადერი ო., იხ. ოტტო შრადერი
- შრადერი რ., იხ. რ. შრადერი
- ჩაჩვაშვილი ნ., იხ. ნიკ. ჩაჩვაშვილი
- ჩახრუხაძე 557

- ჩერნივესკი 472
 ჩერი 45
 ჩიკობავა არნ., იხ. არნოლდ ჩიკობავა
 ჩიხლაძე დ., იხ. დომენია ჩიხლაძე
 ჩოლოყაშვილი გ., იხ. გარსევან ჩოლოყაშვილი
 ჩუბინაშვილი დ., იხ. დავით ჩუბინაშვილი
- ცელსუსი 399
 ცენკერი 66—68, 195, 218, 224
 ცინცაძე ი., იხ. იასე ცინცაძე
 ცინცაძე ა., იხ. იასე ცინცაძის შამა 472
 ციციერონი 407
 ცხაკია — აბესაძე ქს., იხ. ქსენია ცხაკია —
 აბესაძე
- ძენტა 706
- წინამძღვრიშვილი ილ., იხ. ილია წინამძღვრი-
 შვილი
- ქავჭავაძე ი., იხ. ილია ქავჭავაძე
 კელიძე ა., იხ. ამბაკო კელიძე
 კიკინაძე ზ., იხ. ზაქარია კიკინაძე
 კუნძურაძე შ., იხ. შალვა კუნძურაძე
 კყონია ალ., იხ. ალექსანდრე კყონია
 კყონია ილ., იხ. ილია კყონია
- ხანძთელი გრ., იხ. გრიგოლ ხანძთელი
 ხახანაშვილი ალ., იხ. ალექსანდრე ხახანაშვილი
 ხინშია ამირახორი 631
 ხოჯაევი ს., იხ. ს. ხოჯაევი
 ხოჯა-ყოფილი 36, 66, 68, 154, 168, 172, 175,
 182, 198, 207, 213, 216, 228, 234, 247, 250,
 256, 260, 265, 279, 282, 283, 295, 296, 703
 ხუციშვილი პ., იხ. პ. ხუციშვილი
- ჯაჯანიშვილი როინ, იხ. როინ ჯაჯანიშვილი
 ჯანაშვილი მ., იხ. მოსე ჯანაშვილი
 ჯაფარიძე ფ., იხ. ფატმან ჯაფარიძე
 ჯაჯანაშვილი დ., იხ. დეკა ჯაჯანაშვილი
 ჯორჯაძე დ., იხ. დ. ჯორჯაძე
- ჰამფალაჰ ბენ აბუ ბეჰრ ელ-მუსტაფი ელ-ყა-
 ზინი 543
 ჰაუკალ იბნ, იხ. იბნ ჰაუკალ
 ჰეზიოდე 391
 ჰერი 693
 ჰეკატოს მილეთელი 390
 ჰერმან გოთე 412, 427
 ჰეროდოტე 231, 385
 ჰერტერა 521
- ჰესკოხი 681
 ჰენ ვ., იხ. ვიქტორ ჰენ
 ჰიპოკრატე 241, 273
 ჰოპანეს ათანასიანი 562, 569, 570, 572, 573
 ჰომიროსი 37, 232, 255, 390, 391, 683, 706
 ჰრ. აპარიანი 176, 179, 209, 216, 230, 291,
 335—337, 340, 551, 562—565, 568, 572—577,
 580, 582, 584, 588, 590, 592, 614, 622, 669
 ჰუმბანი 99, 683, 694
- ჭუხსი ლეონარდ, იხ. ლეონარდ ჭუხსი
- Achundow 277
 Ascherson 386
- Bauhin Caspard 393
 Bauhin Jean 542, 559
 Becker I. 166—168, 171, 175—178, 181, 186,
 187, 189—193, 195—197, 202—204, 212,
 217—221, 225—227, 231, 239, 240, 242, 244
 —246, 249—251, 253, 255—261, 263—266,
 269, 270, 272—274, 276, 280, 281, 284,
 285, 291—293, 297, 304
 Beniey 266
 Bergeron P. 274
 Billiard Raymond 310, 323, 327, 341, 342,
 353, 357, 363, 364, 369, 378, 379, 385
 —388, 499, 625
 Blümner Hugo 25, 30, 92, 168, 212, 371
 Bois 213
 Boisacq Émile 26, 37, 77, 172, 173, 178,
 192, 250, 262—264, 268, 334, 335
 Boissier F. 241, 244, 245, 249, 250, 260,
 263
 Braun 386
 Buschan 35, 705
 Bürk 274
- De Candolle 212, 269
 Cato M. P. 334, 364, 392
 Caton 47
 Celsus 399
 Church 45
 Columella 40, 47, 266, 270, 327, 392
 Comes O. 63, 64
 de Crescentiis Petrus 188, 203
- Darlington W. 176
 Davkins 706
- Ehrhardt 292
 Engler A. 23, 30, 51, 70, 231, 240, 241,
 383—385, 407, 408, 693, 704, 705

- Fiorelli 64
 Fischer-Benkon 188
 Floridus Macer 167
 Fraenkel 99
 Freeman G. 64
 Frezier 292, 384
 Fuchs Leonard 284

 Galenus 273
 Gariopontus 188
 Ginzel F. 558
 Goethe Hermann 412, 427, 428, 494, 496,
 522, 554—556
 Gczbert 242
 Guthe H. 111, 231, 247, 265, 273, 389, 622

 Harpest end Henrik 242, 245
 Hehn V. 23, 26, 27, 29, 30, 33, 35, 37, 65,
 70, 72, 187, 189, 195, 199, 233, 234, 241,
 249, 266, 268, 292, 394, 407, 677, 680,
 694, 698
 Heer 693
 Hendry 56
 De Herre;a Alonso 169, 521
 Hildegardis de Pingua 167, 177, 188, 213,
 227, 244
 Hortwiss 616
 Hu art Cl. 67
 Hübschmann 192, 208, 232, 249, 277

 Keller 25
 Kleischer 37
 Keernicke Fr. 64
 König E. 188
 Kremer von Alfred 67, 119
 Kurth 386

 Laubach Solms 704
 Lees W. N. 307
 Le-Strange 543
 Littré Em. 46, 156, 178, 188, 204, 232, 280
 Liutrand 233
 De Longueuil Baron 410, 442, 444, 445,
 449—452, 464, 477
 Loret 226, 263, 269, 386, 387

 Magnetos Stephanos 242
 Marc-Paul 274
 Mareau Robert 443
 Martens 55, 56
 Maspéro 231
 Matlioli 63

 Meickle Andreus 104
 Meillet 269
 Meyer 188
 Moschion 218
 De Montpèrè;ux Frederic Dubois 352, 441,
 517
 Muller von Iwan Dr. 92
 Munshi Ahmed All. 307

 Niger Sextius 174
 Nisard M. 47, 270, 364, 397

 Odart Comte 428, 616
 Olsk 47, 406
 Orth 92, 93, 104, 106, 107, 406
 Osann Fr. 390

 Palladius 47
 Parlato:e 384
 Pax F. 46, 70
 Plinii Secundii 203
 Pollini 188
 Porcius M. 364
 Porta J.-B. 548, 550
 Pulliat V. 410, 412, 427, 428, 441—452, 463,
 464, 477, 494, 496, 543, 554, 556

 Radloff 566
 Ranck 117, 119, 120
 Ratau E. 496
 Rauwolf 236, 297
 Redhouse I. W. 553, 588
 Regel 230
 Rosellin 386
 Rou-Chevrier 385, 387, 393, 395, 397, 542,
 548, 551, 556, 680

 Savi 55
 Schmidt 522
 Schrader Otto 40, 72, 231, 234, 236, 241,
 268, 386, 677, 694
 Schweinfurth G. 231, 250, 255, 281, 384—
 386
 Soc.n A.. dr. 92, 111, 118, 265, 273, 389,
 622, 705
 Soderini I. V. 556
 Solms 705
 Solmsen 173
 Soukry Arsène 515
 Strabo 358
 Suidas 269

- De Tournefort Pitton 351
Tracy 64
- Unger 35, 216
- Vambery*234
Varrenis-M. Terentii 47, 392, 394
Vermorel V. 615
Viala P. 615
Vilmorin-Andrieux 166, 171, 176, 178, 181,
230, 240,*242, 244, 245, 249—251, 253,
256, 258—260, 273
Virgillius 392
De Vitriaco Jacobus 274
Vullers Joh. Aug. 543, 551
- Walafridus-Strabo 218, 244, 258, 264, 274
Walde Alois 25, 72, 111, 173, 311, 335, 339,
677
Wilkinson 385
Wittmack 64
- Zenker 36, 192, 194, 208, 232, 245, 251,
256, 259, 276, 283, 296, 325, 551, 553,
578, 699—701
- Баллас Михаил 408
Бартольд В. 274
Барулина Е. 78, 79
- Геевский В. 325
- Декапрелевич Л. Л. 23, 29, 45
- Залкинд Ф. Л. 44—48
Зелницкий С. П. 695
- Караулов Н. В. 123
- Липский В. 205, 213, 226, 228, 231, 233
Липский Н. 238, 239, 244, 245, 249, 250
260, 263
- Медведев Я. 693, 698
Менабде В. Л. 23, 29, 45
- Прозорова К. 20, 40
- Роллов Ад. 226, 228, 231, 233
- Цебенко Нк. 515
- Шаррер Ф. 325
- Фрик Ив. 409
Федоров Ст. 409
- Թումանյան Մ. 72, 201

ბიოგრაფიულ სახელთა საძიებელი

- აბანოსწყლის ხეობა 431
აბასთუმანი 441
აბაშა 463
აბაშეთი 29, 30, 41, 47, 226, 255, 704
აბაშისწყალი, შდ. 468
აბელათი 467, 468
ავსტრია 165, 442, 615
ელაწიხტანი 29, 30, 47, 48, 70, 169, 231, 383,
704
ავქალა 496
აზერბეიჯანი 56, 79, 515, 549, 560, 572, 613
აზია 30, 40, 51, 55, 64, 212, 244, 284, 291,
713
დასავლეთ აზია 226, 245
სამხრეთ აზია 30, 284
შუა აზია 67, 231
- აზმა-სოფელი 206
ათონა 216, 520
ათონის შთა 116, 326, 340, 346, 352, 353, 376,
679
- აკეთი 472, 474, 476, 654
ალაზანი 271, 282, 673, 715
ალბანეთი 358—360, 373, 384, 515, 560, 562,
565, 566
ალგეთი 715
ალექსანდერსდორტი 615
ალექსანდრია 387, 518, 680
ალექსანდროესკი 384
ალიაბალი 574
ალიაკომონი 258
ალისუბანი 450
ალმერია 384
ალონი 149
ალპანა 463, 653
ალპები 165, 239, 382, 404, 407, 693
ალყირი 29, 41, 47, 226, 253, 255, 384
ალტაი 694
ამალღება 472—474, 476, 478, 479

- ამერიკა 55, 63, 64, 83, 104, 284, 628
 ჩრდილო ამერიკა 49, 55, 64, 291, 382
 სამხრეთ ამერიკა 65
 ამიერკავკასია, იხ. კავკასია
 ამიტერნი 404
 ანაგა 653
 ანანური 539
 ანატოლია 384
 ანტვერპენი 135
 ანტიოქია 274
 აპარანი 574
 არაბეთი 67, 82, 83, 119, 121, 168, 203, 253,
 269, 296, 384, 566, 571, 704, 705
 არაგვის ხეობა 23, 28, 35, 45, 69, 81, 186, 345,
 355, 361, 428, 436, 437, 440, 488, 515, 627,
 693, 695
 არანი 337, 560, 562, 565, 566
 არარატის სანახები 230, 337, 387, 564, 569,
 570, 573, 574
 არაქსი 325
 არგეთი 141, 322, 350, 351, 374, 441—445,
 447, 450, 452, 492, 498, 503, 510, 514—519,
 521, 527—529, 532, 540, 609, 610, 643, 673,
 674
 არგოსი 580
 არლაშარი 570, 575, 576, 581
 არეში 566
 არეციუმი 404
 ართვინი 140, 137, 414
 არმაზი 712
 არტაანი 140
 არტანუჯი 187
 არქაბე 518
 არქეში 563
 ასკალონი 232
 ასკანა 472, 475, 476
 ასურეთი 30, 35, 117, 119, 123, 203—205, 217,
 227, 240, 250, 253, 269, 270, 299, 698,
 705, 706
 ატენი 439, 507, 541, 679
 ატენის ხეობა 439
 ატოცისწყლის ხეობა 431
 ატლანტიის ოკეანე 187, 216
 ატიკა 265, 357, 390
 აფრიკა 29, 40, 47, 48, 50, 51, 64, 67, 116,
 118, 212, 231, 244, 270, 273, 280, 284, 285,
 383, 401, 550, 705
 აფხაზეთი 55, 70, 291, 323, 414, 463, 471, 472,
 479, 518, 610
 აღმოსავლეთ კავკასია, იხ. კავკასია
 აღუშმარე 206
 აშტარაკი 563
 აცანა 474, 654
 აწყვერი 719
 აქარა 414, 463, 471, 475, 478—482, 486, 488,
 497, 502—504, 506, 507, 509, 519, 520,
 527—529, 531—536, 540, 547, 552, 601—
 604, 606, 610, 693
 ახალგორი 156
 ახატანი 644, 654
 ახალ-კასტილია 384
 ახალციხე 215, 695, 712, 719, 720
 ახუთი 467, 470
 ბაღენი 384
 ბაზალეთი 452, 517
 ბათნოცი 563
 ბათუმი 140, 216, 217, 219, 291, 414, 514, 519,
 698
 ბაქურციხე 381, 423
 ბალახური 677, 678
 ბალკანეთის ნახევარკუნძული 47, 197, 384, 680
 ბალხი 274
 ბანძა 338, 466, 469, 470
 ბარეუშეთი 575
 ბარტალი 543
 ბასილეთი 473, 478
 ბაქო 414, 457
 ბაღდადი 450, 475, 712
 ბაში 344
 ბახვი 475, 519
 ბეზინი 432
 ბელგია 443, 615
 ბელუჯისტანი 231, 255, 704
 ბენი ჰასანი 386
 ბეოტია 244
 ბერლი 486
 ბერდუჯის ხეობა 153, 271, 279, 280, 282, 296
 ბერნი 202, 239
 ბესარაბია 384
 ბიზანტია 41, 82, 83, 178, 225, 233, 257, 499,
 558
 ბილბაო 384
 ბირი 517
 ბიყრა 717
 ბოდორნა 174
 ბოკოწინი 167
 ბოლნისი 354, 355, 357, 633, 668, 670, 671,
 675, 677, 678
 ბოლოკო 219
 ბოლოკუ 219
 ბორლეტა 554
 ბორემილა 140
 ბორჩალო 38, 41, 50, 65, 70, 81, 230, 277, 430
 ბორჯი 515

- ბორჯომის სანახები 70, 442
 ბორჯომის ხეობა 70
 ბოსლევნი 453, 653
 ბოსნია 693
 ბოსფორი 704
 ბრუციუმი 553
 ბუღას ხევი 514
 ბუღელაური 514
 ბუქინციხე 472, 475
 ბუჟუკერეს ტყე 384
 ბურგმელა 140
 ბუხარა 48
 ბუჯა 514, 515
- გავაზი 516
 გალატია 241
 გალცია 242
 გალია 399, 401, 404, 406, 407
 გამი 472
 განგის ვაკე 704
 განჯა, ქ. 334, 584, 637
 განჯის მაზრა და სანახები 334, 568—570, 572, 575, 576, 581, 583, 584, 588, 590, 614
 გარეთუბანი 150
 ზემო გარეთუბანი 125.
 ქვემო გარეთუბანი 125
 გარე-კახეთი, იხ. კახეთი
 გარეჯა 674, 703, 704, 707—709, 711
 გაღმა-ქალა 149, 216, 296
 გელათი 332
 გელასოფელი 216
 გერმანია 23, 29, 35, 46, 47, 165, 166, 171, 177, 178, 181, 187, 190, 195, 203, 220, 233, 238, 239, 242, 258, 259, 270, 382, 494, 543
 გეჭეთი 465—468, 470
 გურღი 483, 486
 გლანი 383
 გიშის ხეობა 186, 515, 516
 გოგაშენი 441
 გოგორეთი 476
 გოგჩის მაზრა და სანახები 70, 414, 566—571, 573, 575—577, 579, 580, 582—584, 586, 587, 589, 591
 გომარეთი 668
 გორდი 465, 467
 გორი 125, 152, 355, 357, 414, 516, 692, 695, 717
 გორიჭყვარი 152
 გრემი 148
 გრიონლანდი 382
 გუდაუთი 217
 გულეიკარი 466, 467, 470
 გურია 24, 26, 27, 33, 55, 56, 58, 65, 66, 87, 114, 132, 135, 140—144, 147, 164, 170, 172, 175, 179, 201, 214, 222, 229, 230, 242, 245, 248, 252, 254, 255, 257, 261, 266, 275, 280, 287, 309, 322, 328, 330, 333, 342, 344, 345, 350, 359, 360, 363, 373, 414, 448, 467, 468, 471—480, 488, 492, 493, 497, 501—511, 514, 516, 518, 520—522, 527—529, 531—536, 541, 549, 552, 557, 558, 601—607, 610, 628, 632, 641, 643, 647, 648, 654—657, 659, 660, 665, 672, 674, 691, 695, 716
 გურიანთა 476—479
 გურჯაანი 380, 423, 426
 გურჯეანი 581
- დაღმაცია 384
 დამპალა 436, 516
 დამჩხერლო 673
 დარალაგიოზი 564, 572, 574—579, 581, 583—588, 591
 დარბაზი 206
 დარუბანდი 41, 458
 დასავლეთ აზია, იხ. აზია
 დასავლეთ არიზონი 56
 დასავლეთ ევროპა, იხ. ევროპა
 დასავლეთ საქართველო, იხ. საქართველო
 დაფნარი 472
 დაღესტანი 514, 515
 დებედა 271
 დერჩი 462
 დიარბექირი 543
 დიდ-სმადა 723
 დიდი ეწერი, იხ. ეწერი
 დიმი 446
 დირსიქალა 125, 150
 დილომი 432, 433, 437—440, 504, 516, 559, 675
 დინაშო 132
 დმანისის ხეობა 149
 დნეპრი 384
 დნესტრი 384
 დობრუჯა 384
 დონი 384
 დორპატი 293
 დუმალა 517, 519
 დუშეთი 135, 136, 139, 167, 355, 356, 359, 361, 414, 420, 436, 440, 515, 692, 693, 695
- ეგეის ზღვა 186
 ეგვიპტე 23, 29—31, 35, 41, 46, 47, 64, 116, 176, 178, 212, 216, 217, 231, 240, 244, 248, 255, 256, 263, 265, 269, 272, 273, 281, 285, 322, 383, 385—387, 406, 407, 522, 550, 558, 680, 704, 705

- ეგინა 290
 ეგრისი 607, 609, 610
 ევროპა 23, 29—31, 35, 47, 51, 55, 56, 63—65, 82, 83; 120, 165, 166, 169, 171, 177, 178, 181, 186—189, 195, 199, 203, 204, 212, 218, 219, 226, 227, 230, 233, 234, 237, 239, 241, 242, 244, 246, 250, 253, 255, 256, 258—260, 262, 264, 270, 273, 284, 285, 291, 292, 296, 299, 300, 361, 382, 383, 386, 628, 694, 698, 704, 713, 715
 ეფრატი 676
 ეთიოპია 370
 ეკატერინენველი 615
 ეკი 467, 469
 ელზასი 165
 ელიზავეტალი 615
 ენგური 467
 ერენის სანახები 175, 325, 334, 414, 430, 488, 551, 554, 562—565, 567—574, 577—579, 581—584, 586—590, 595, 596, 696
 ერეთრეა 29, 47, 79, 499
 ერკეთი 475
 ერდურტი 242
 ერწო 38, 515
 ერკოლი 388
 ესპანეთი 23, 29, 46—48, 64, 79, 119, 120, 169, 186, 187, 194, 241, 253, 291, 384, 404, 556, 704, 705
 ეტოლია 390
 ეფესო 400
 ენშიაძინის სანახები 334, 335, 551, 563, 564, 568—574, 577, 583, 584, 587—590
 ეშერა 518
 ეწერი
 ღიღი ეწერი 142
 ზედა ეწერი 142
 ვაკე 350, 351, 674, 718
 ვალაშკერტი 563
 ვალე 723
 ვანი 563
 ვანი, ქ. 335, 574
 ვარდიკუბანი 678
 ვარეზეს ტბა 383
 ვარძაგარა 206
 ვარძია 441, 517, 667, 723
 ვალარშაბატი 571, 574, 577, 588, 589
 ვაშლევი 693
 ვაშლიანა 693
 ვაშლიეთი 693
 ვაშლობი 693
 ვაშლოვანი 693
 ვახა 464
 ვენეტიკი 195, 558, 562
 ვერე 125, 150
 ვერონა 188
 ვოგეზების მთები 165
 ვოლფგანგსჰეე 693
 ზანა 467, 469
 ზანგეზურის მარა და სანახები 551, 567, 570, 575, 577, 580—583, 585, 591
 ზეგანი 141, 417
 ზელა ეწერი, იხ. ეწერი
 ზემო თიანეთი, იხ. თიანეთი
 ზემო იმერეთი, იხ. იმერეთი
 ზემო რაჭა, იხ. რაჭა
 ზემო ხორხი, იხ. ხორხი
 ზემო დუშეთი, იხ. დუშეთი
 ზენითი 520
 ზესტაფონი 442
 ზნაუა 108, 638, 639, 651
 ზუბი 462, 463, 632, 653
 ზუგდიდი 70, 138, 142, 414
 თავრიზი 521
 თახისი 384, 390, 680
 თაქევი 498
 თალიში 704, 708
 თამაკონი 464, 465, 468
 თარგამოული 464
 თბილისი 714
 თეთრა-წყარო 452, 517
 თეთრი სოფელი 623, 630, 670, 671
 თეკლათი 465, 467
 თელავი 70, 140, 141, 218, 234, 414, 422
 თერგი 615
 თესალია 253, 392
 თიანეთი 28, 81, 140, 186, 218, 381, 414, 514, 515, 520
 ზემო თიანეთი 53
 თოღლაური 419, 425, 426, 430
 თრაქია 384, 390, 704
 თრაქიის ზღვა 391
 თრაქიული 35, 671
 თუმბი 564
 თურინო 404
 თურქეთი 716
 თურქესტანი 41, 47, 48, 70, 169, 383, 577
 თუშეთი 92, 175, 217
 იალტა 410
 იალლუზი 206
 იანაული 475
 იაპონია 67, 382
 იბერია 325, 373

- იგლიო 563
 იგორეთი 451
 იგზლი 578
 იკუანის ხეობა 519
 ილეში 517
 იმერეთი 24, 38, 52, 55, 58, 59, 61, 65, 73, 114, 126, 132, 135, 136, 141, 142, 144, 145, 155, 164, 170, 172, 175, 179, 201, 211, 214, 222, 229, 230, 237, 243, 245, 248, 252, 254, 256, 257, 261, 265, 267, 271, 275, 279, 280, 285, 287, 291, 309, 313, 316, 322—324, 328, 330—332, 339, 342, 344, 345, 352, 355—357, 359, 362, 373, 374, 414, 435, 441—445, 447—452, 454, 468, 470, 472, 488, 493, 498, 501—502, 505—508, 510, 514, 515, 518, 521, 528, 529, 531—534, 541, 559, 602—607, 610, 627, 631, 641—643, 647, 648, 652, 653, 655—657, 659, 660, 664—667, 672, 675, 679, 689, 691, 692, 695, 708, 714
 იმერეთ-კავკასია, იხ. კავკასია
 ინგალი 581
 ინგლისი 47, 55, 58, 59, 61, 186, 187, 236, 292, 382, 443, 615
 ინგური, იხ. ენგური
 ინდოელი 29, 40, 44, 46, 50, 64, 67, 171, 176, 226, 269, 273, 282, 704
 იორი 271, 282, 515, 673
 ისლანდია 382
 ისპანია 350, 618
 იტალია 23, 25, 29, 30, 40, 41, 46—48, 50, 63, 65, 79, 82, 104, 107, 118—120, 173, 174, 186, 187, 189, 190, 194, 198, 199, 205, 212, 227, 232, 233, 245, 246, 250, 258, 266, 270, 281, 284, 298, 342, 353, 357, 358, 363, 371—373, 378, 379, 383, 384, 387, 392—407, 489, 493, 499, 522, 548—550, 552, 553, 555, 556, 559, 680, 693, 704—706
 იუდათო 420, 425, 427, 430
 კავთისხევი 142, 355, 357, 380, 381, 623
 კავკასია 29, 30, 41, 47, 55, 82, 104, 120, 167, 169, 174, 176, 177, 186, 202, 205, 212, 226, 228, 230, 231, 233, 236, 238, 239, 241, 256, 263, 266, 291, 355, 407—413, 551, 553, 554, 561, 562, 613, 615, 675, 694, 696, 698
 აზერ-კავკასია 71, 170, 174, 181, 186, 231, 238, 244, 249, 250, 263, 276, 277, 383, 387, 407, 408, 410, 428, 480, 488, 551, 552, 566, 617, 691, 693, 704
 იმერ-კავკასია 615, 691, 693, 708
 ჩრდილო კავკასია 614
 კაკაბეთი 419, 422, 424, 426, 429, 430
 კაკოვარო 706
 კალიფორნია 56, 291
 კამპანია 178, 273, 400, 404, 405
 კაპისტონა 518
 კარდანახი 380, 423, 426
 კართაგენი 249, 394
 კარნუ-ქალაქი 198
 კარპატები 382, 384
 კასპი 436, 437, 439, 516
 კასპიის ზღვა 212, 213, 216, 407, 680, 704
 კასტიონე 383
 კატალონია 351
 კაქრეთი 141, 423
 კაცხი 58
 კახეთი 24, 53, 65, 66, 124, 132—134, 136, 139—141, 145, 149, 155, 156, 164, 171, 186, 218, 224, 229, 234, 235, 249, 257, 271, 277, 279, 280, 292, 308, 314, 319, 330, 342, 344—347, 351, 352, 356, 359—362, 374, 377, 380, 381, 411, 412, 414, 417, 418, 420—423, 425—427, 429, 433, 436, 453, 455, 459, 480, 488, 492, 497—500, 502—516, 518, 520, 521, 527—530, 549, 552, 557, 575, 601—607, 609, 610, 614, 627, 631, 634, 639, 640, 642—645, 651, 653, 654, 656, 657, 660, 661, 664, 665, 673, 691, 708, 713—715, 717
 გარე-კახეთი 418—427, 429, 501, 543, 601, 602
 შიგნით-კახეთი 423, 673
 კახი 421
 კახური 476, 478
 კეთილარი 519
 კეჩუთ-ბოლოლი 149
 კიბროსი, იხ. კუპროსი
 კიენაველეთი 449, 451
 კილიკია 241
 კინოთი 451, 517
 კინჩხა 465, 467
 კინცხი 517
 კისისხევი 673
 კლარჯეთი 102, 110, 122, 147, 148, 160, 196—198, 326, 340, 354, 414, 415, 479, 482—484, 486, 488, 492, 498, 504, 506, 507, 511, 514, 520, 527, 528, 531, 534, 536, 540, 541, 547, 550—553, 555, 601, 602, 604, 606, 607, 610, 698
 კლუზინი 404
 კნეკანც 210
 კობლენცი 165
 კოლორადო 56
 კოლმარი 411
 კოლომანი 76
 კოლხიდა, იხ. კოლხეთი

- კოლხეთი 350, 373, 679
 კოპანი 230
 კონდოლი 429, 430
 კონსტანტინეპოლი 384
 კოპიტნარი 689
 კოეორი, იხ. კოჯორი
 კორინთი 394
 კორსიკა 384
 კორცხელი 654
 კონტარის სერი 689
 კოჯორი 668, 670, 671
 კრეტა 188, 189, 203, 244, 390, 391, 681, 706
 კრიტოსი, იხ. კრეტა
 კრწანისი 125, 149, 150
 კულჯა 231
 კვარისი 47, 188, 189, 195, 244, 400
- ლაზიკა 257
 ლაილაში 462
 ლაში 139
 ლამისყანა 61, 139
 ლამისკევი 139
 ლანჩხუთი 474, 476, 478
 ლაქლანდია 291
 ლატფარის გადასავალი 186
 ლაშე 451, 452, 517
 ლაპორე 237
 ლენინგრადი 78
 ლენქორანის მაზრის სანახეზი 70, 566
 ლესბოსი 680
 ლესიკინო 467
 ლიჩხუმი 70, 132, 139, 141, 142, 331, 332, 342, 356, 414, 457, 458, 462, 463, 468, 488, 492, 493, 497—500, 503, 505, 507, 510, 511, 514, 518, 519, 521, 527, 528, 531—535, 603, 604, 606, 607, 610, 632, 641, 653, 655, 659, 667, 689
 ლეხაინდრე 468, 470
 ლეხაური 475, 501
 ლია 138, 465
 ლიახვის ხეობა 23
 ლიგანის ხეობა 718
 ლიმა 64
 ლიონი 410
 ლისა 135
 ლისი 135
 ლისის ტბა 135
 ლიტვა 236
 ლიხაური 473, 476, 477, 479
 ლიხნე 323
 ლოზანი 167
 ლოზიათ-ხევი 517
- ლომიათ-ქევი 322, 350, 517, 674
 ლორე 68
- მადეირა 226, 291
 მაკედონია 253—255, 704
 მაკეანეთი 474—477, 479
 მანავი 426, 673
 მანგლისი 99
 მანდიკორი 520
 მანნაიში 384
 მარეოტი 680
 მარელოსი 643
 მარიენფელდი 615
 მაროკო 79, 384
 მარტილი 338, 465
 მატაანი 520
 მათრასი 568
 მატრასი 584
 მეგარა 390
 მეგრი, იხ. მელრი
 მგელ-სუნდა 723
 მეუანატა 404
 მეშფისი 387
 მერე 140
 მერევი 140
 მერეთი 718
 მერეერუდი 274
 მერია 140
 მერისი 140
 მესსინია 390
 მესხეთი 41, 100, 122, 195, 254, 333, 354, 441, 488, 502, 516, 528, 541, 601, 602, 606, 692, 695, 700—702, 710, 711
 მეტათუბანი 332
 მეტაპონი 400
 მეტეხარა 638, 639
 მექსიკა 56, 79
 მელრი 567, 577, 581
 მეწამული ზღვა 704
 მეწითი 473
 მეჭვრისხევი 439
 მეჭულა 717
 მზეთა-მზე 53
 მთიულეთი 92, 163, 167, 671
 მიდია 618
 მილანი 188
 მიტარბო 53
 მიქელგაბრიელი 474, 493
 მოკი 563
 მონპელიე 383
 მოსკოვი 559
 მტკვარი 271, 282, 325, 432
 მუკუზანი 380

- მურლულის ხეობა 486
 მუსეფრიანი 678
 მუტინა 404
 მუში 573, 574
 მუნხარი 689
 მუნხანი 434, 436, 677, 678, 689, 696
 მუნხანის ველი 55, 57
 მუხური 108, 470, 643, 653
 მუჯირეთი 518
 მტირე აზია 30, 37, 70, 79, 120, 189, 197, 241, 274, 384, 499, 704
 მცხეთა 113, 121, 353, 354, 537, 538, 631, 712
 მცხეთის სანახები 70

 ნაბახტევი 152, 153
 ნაგუთნი 518
 ნადარბაზევი 206
 ნაესაკოუ 466, 468
 ნავარძეთი 653
 ნამყოლი 654
 ნანიანი 423
 ნარეკვაი 436
 ნარეკვაის ხეობა 437
 ნაური 517, 519
 ნაქსოსი 390, 391
 ნაცხვატევი 473
 ნაქარმაგევი 211
 ნახიდური 677, 678, 713
 ნახუნევი 465
 ნახშაბი 577
 ნახჰენის სანახები 334, 564, 569, 570, 572, 574—589, 591, 614
 ნეაპოლი 63, 246, 548, 554
 ნეზუსი 178
 ნეფალი 226
 ნიგეზნარა 689
 ნიკოლაოსწმიდა, იხ. ნიკორწმინდა
 ნიკორწმინდა 638, 651, 653
 ნიგოთი 472, 474, 476, 478, 479
 ნიკომილია 585
 ნომენტანის მინდორი 494
 ნორვეგია 242
 ნოსირი 467
 ნოქალაქევი 465—468
 ნოჯიხევი 469
 ნვრენბერგ 242
 ნუბიის ნილოსის ხეობა 273, 281, 387
 ნუხის შაზრა და სანახები 566

 აეზლი 594
 აეშენი 67

 ობაყალი 516
 ობჩა 451, 452, 517
 ოღიში 25, 87, 322, 350, 521, 632, 641, 647, 655, 656, 659, 660, 674, 718
 ოზოლე 390
 ოზურგეთი 414
 ოინიადა 390
 ოინოე 390
 ოინონე 390
 ოინუსსაი 390
 ოკრიბა 322, 350, 444, 452, 674, 715
 ონოლია 468, 470
 ონტოფო 463, 505
 ოპიზა 623
 ოყიო 516
 ორაგეე 473, 478
 ორბელი 462, 518
 ორღუბათი 564, 567—571, 573—581, 583—586, 588—591, 614, 696
 ორთაქალა 125, 150
 ორხევი 462
 ორხვა 519
 ორჯოხი 187, 520
 ოსმალეთი 41, 65, 66, 82, 87, 125, 189, 196, 250, 253, 255, 300, 331, 522, 551, 552, 554, 571, 588, 719
 ოფეთი 520
 ოფიტარა 653
 ოფრეთი 668
 ოყურეში 462, 518, 653
 ოშაკანი 563
 ოშკი 676
 ოცხანა 473
 ოძისი 332
 ოძრხე 441
 ოქონა 718

 პალერმო 233
 პალესტინა 30, 47, 79, 118, 263, 265, 274, 342, 384, 387—389, 705
 პანტნარა 689
 პარიზი 350, 410
 პარმა 383
 პატარძელი 430
 პახულანი 467, 654
 პელეპონეზოსი 680
 პეიერინა 383
 პენჯაბი 704
 პერუ 64
 პეტერბურგი 239
 პეტერსდორფი 615
 პიემონტი 351
 პიზა 404

- პიცენუმი 404
 პოლოლია 384
 პოლონეთი 104
 პომპეი 64
 პონტოს ზღვა 37
 პორტუგალია 29, 48, 384, 705
 პოპულონიუმი 400
 პრასიანი 235
 პროვანსი 704
 პრუთი 384
 პურენეი 496
 პულოსის ციხე 706
 ულვეი 467
 რაბივაპი 543
 რავენნი 178
 რამნი 165
 რაქა 19, 23, 25, 27—29, 35, 38, 39, 45, 48, 52, 53, 69, 73, 88, 92, 114, 132, 133, 135, 136, 144, 145, 156, 164, 167, 205, 215, 224, 230, 237, 272, 280, 309, 318, 330, 336, 344, 345, 356, 363, 381, 414, 447, 454—461, 488, 489, 492, 493, 497—501, 503, 505—508, 510, 513, 518, 522, 527—529, 531—535, 547, 601—607, 610, 640, 641, 645, 648, 655, 659, 665, 669, 689, 691, 715, 716
 ზემო-რაქა 158, 163, 202, 331, 333
 ქვემო-რაქა 52, 53, 331, 333
 რეხელას ხეობა 438
 რიონი 132, 469, 640
 რიონის ხეობა 456, 715
 რომენაუზენი 292
 როდინაული 142
 როდოსის კუნძული 553, 680
 როკეთი 723
 რომი 82, 107, 119, 120, 166, 168, 178, 199, 205, 218, 219, 232, 241, 256, 266, 270, 284, 296, 310, 342, 363, 378, 383, 394, 400, 403, 405—407, 494, 559, 706
 რომა 563
 რუისი 432, 668
 რუმბი 197, 198
 რუსეთი 41, 104, 189, 235, 242, 252, 320,
 სამხრეთ რუსეთი 41, 176
 რუტულის კანტონი 514, 515
 რეხილაეთი 516
 რჰამნი 384
 საბერძნეთი 23, 29, 35, 40, 70, 82, 92, 101, 104, 118—120, 166, 168, 173, 174, 176, 178, 187, 199, 205, 213, 215, 219, 227, 232, 236, 241, 245, 253, 255, 256, 258, 265, 266, 270, 273, 275, 281, 284, 291, 296, 298—300, 341, 357, 363, 378, 379, 387, 390—393, 403, 493, 499, 522, 548—550, 558, 610, 680, 682, 704—706
 სამოლოკე მთა 217
 საგარეჯო 715
 სავოია 85
 საზანო 453
 საინგილო 211, 271, 276, 309, 415, 416, 421, 498, 500, 502, 504, 509, 510, 515, 516, 528, 529, 540, 601, 602, 606, 692, 695, 700—702, 710, 711
 საირმე 519, 653
 სალომინაო 322, 350, 673, 674
 სალზინო 132, 464, 470
 სამეზა 332
 სამეგრელო 18, 24, 27, 51—53, 65, 85, 87, 127, 132—136, 140, 142, 143, 164, 170, 177, 182, 183, 211, 222, 229, 230, 255, 256, 262, 265, 271, 275, 287, 289, 291, 292, 295, 309, 342, 345, 350, 363, 373, 414, 463, 464, 466—471, 479, 482, 492, 501—503, 505—508, 510, 511, 514, 518, 519, 527, 528, 531—535, 542, 549, 601—607, 628, 632, 641, 643, 647, 648, 654—656, 659, 660, 665, 666, 672, 674, 692
 სამიქელო 350, 351, 674
 სამოქალაქო 351, 362, 441, 450, 493, 510, 511, 516, 519—521, 527—529, 532, 609
 სამტრედია 344
 სამურზაყანო 262, 268, 338, 472, 694
 სამცხე 69, 215, 381, 441, 502—504, 509, 514, 519, 528, 540, 549, 552, 602, 692, 696, 718, 721
 სამხრეთ აზია, იხ. აზია
 სამხრეთ ბელუჯისტანი, იხ. ბელუჯისტანი
 სამხრეთ ევროპა, იხ. ევროპა
 სამხრეთ რუსეთი, იხ. რუსეთი
 სანავარდო 157, 715
 სანიორე 234
 სანიორის ქელი 234
 სარგვეში 451
 სარდინია 384, 406
 სარკე 653
 სარო 441, 723
 სარფი 222
 სასირეთი 691
 საფრანგეთი 3, 46—48, 56, 104, 165, 177, 181, 186, 187, 203, 239, 240, 242, 256, 258, 292, 382, 384, 406, 411, 494, 543, 556, 704
 საქართველო 16—28, 31, 32, 35—39, 41—46, 48—58, 62, 65—73, 78, 79, 81—85, 87—93, 96, 99—101, 104, 105, 107, 108, 110,

- 112, 114, 120, 122—127, 130—133, 135—
 157, 139—142, 144, 146—150, 152—154,
 158—163, 167—174, 176—179, 181—186,
 189—191, 194—202, 204—207, 209—217,
 219, 220, 222—225, 227—230, 234—237,
 239—243, 245, 249, 251—262, 265—267,
 269, 271, 272, 274—283, 285—290, 292, 295—
 304, 308, 310—313, 316, 317, 319, 320,
 322—327, 330—337, 339, 340, 342, 344—
 346, 348—356, 358—361, 363, 372—374,
 376, 380—385, 407—412, 414—416, 428,
 430, 446, 461, 471, 479, 482, 487, 488, 490,
 491, 494, 498—500, 502—506, 509, 511—
 513, 515, 520—522, 527—532, 536—544,
 547—552, 554—556, 558—561, 598, 600,
 601, 606—617, 622, 623, 625—631, 633, 634,
 638, 644, 659, 660, 664, 666—668, 670,
 672, 673, 675, 679, 685, 689, 695, 702,
 706—714, 716
 სალიანი 568, 581
 საჩინო 451, 465, 470
 საჩიჯავაძო 141
 საჩხეიძეო 141, 322, 350, 673, 674
 საჩხერე 443
 საცხენეთი 81
 საწალიკე 114
 საწირე 108, 651
 საწლახისხევი 518
 საპილო 350, 351, 466, 470, 674
 საქსონდიდლო 465, 466
 საჯავახო 359, 363, 451, 472, 474—479
 საჭევახო 472
 საჯიჯაო 467, 469
 სეზასტია 585
 სეიდაბადი 125, 150
 სენაკი 70, 414, 465—469
 სერბია 522
 სეანეთი 79, 186, 201, 238, 254, 610
 სეირი 142, 322, 350, 442, 450, 453, 674
 სილაური 135
 სიმონეთი 450
 სინა მთა 704
 სირია 291
 სილნალი 70, 414, 693
 სიცილია 47, 48, 186, 291, 384, 406, 554, 705
 სკანდინავია 236
 სპირნა 391
 სომხეთი 68, 249, 291, 325, 333, 335, 360,
 383, 513, 515, 558, 560—564, 566, 614, 618,
 675
 სომხთი 186, 187, 217, 558
 სოპურგანი 274
 სოსუმი 186, 414
 სპარსეთი 29, 38, 40, 41, 47, 48, 65, 67, 68, 70,
 79, 82, 118, 119, 123, 169, 213, 215, 222,
 232, 259, 274, 296, 299, 324, 350, 380, 383,
 428, 515, 521, 522, 544, 551, 566, 571, 572,
 594, 618, 698, 704
 სტავროპოლი 249
 სტრასბურგი 384
 სულორის ხეობა 132
 სურამი 380, 517, 627
 სურები 476, 479
 სურმალი 551, 564, 568—574, 577, 583, 584,
 587—590
 სუჯუნა 470
 სხალთა 698
 სხალტა 698
 სხალტის ქედი 698
 სხვილისი 723
 სხლობანი 698
 ტაბაყინი 517
 ტალა 678
 ტალავარი 464
 ტანძია 678
 ტარენტი 241
 ტაშისკარი 135, 234
 ტეხასი 284
 ტეპური 467, 468
 ტეხურის ხეობა 464
 ტეიში 462
 ტერინი 451
 ტიანშანი 231
 ტიბრი 383
 ტიბური 404
 ტირიფონის ველი 115
 ტომანიერი 520
 ტოლა 456
 ტოლედო 548
 ტორენტო 394
 ტოსკანა 383, 404
 ტრანი 554
 ტრევიზი 517
 ტროა 23, 35, 46, 70, 402
 ტუნისი 29, 41, 384
 ტფილისი და მისი სანახები 19, 23, 55, 56, 70,
 71, 123, 125, 135, 136, 139, 167, 186, 271,
 278, 328, 348, 414, 422, 429, 439, 455, 488,
 562, 563, 572, 616, 679, 689, 692, 693, 696,
 699, 700, 702, 718, 719
 ტვრენის ზღვა 394
 უბაყალი, იხ. ობაყალი
 უღე 723

- უკრაინა 41, 47
 უმბრია 404
 უნგრეთი 23, 29, 35, 46, 47, 382, 384, 443, 615
 უნწა 441
 ურაველი 723
 ურბნისი 732
 ურთხნალი 689
 ურცევენი 668
 უსახელი 519
 უფალიყარი 467, 469
 უშაფათი 467
 უწერა 52, 640, 698
- ფალაკა 402
 ფალერნი 404
 ფარა 563
 ფარცაშა 476
 ფოცხო 467
 ფრიგია 70
 ფრონეს ხეობა 435
 ფროიდენტალი 615
 ფუთი 449, 453, 517
 ფშავეთი 715
 ფშავი 92, 157, 158, 163, 167, 186, 237, 238, 243, 300, 301
 ფშალთაღული 518
- ქამარლუ 569, 573, 579, 587
 ქანანი 388
 ქართლი 24, 35, 41, 45, 53, 58, 59, 66, 69, 81, 114, 115, 125, 132, 139, 140, 142, 145, 164, 224, 229, 234, 245, 257, 292, 309, 314, 330, 332, 335, 342, 345—348, 351, 356, 357, 359, 360, 362, 374, 377, 380, 381, 414, 418, 429—440, 480, 492, 498, 502—504, 506—509, 511, 513, 514, 516, 518, 527—530, 543, 552, 555, 557, 559, 572, 601—607, 610, 627, 633, 634, 639, 640, 651, 653, 654, 656, 657, 659, 664, 665, 672—675, 689, 691, 693, 698, 702, 712—715, 717, 718
 ზემო-ქართლი 191, 354, 441, 529
 ქვემო-ქართლი 41, 167, 186, 271, 429, 430, 488, 516, 527, 677
 შიდა-ქართლი 28, 45, 69, 354, 362, 430, 435, 488, 527, 677, 692, 695, 696
- ქაქუთი 473, 477
 ქელი 519
 ქედისუბანი 519
 ქვაბევენი 206
 ქვაზვინეთი 136
 ქვათახევის მონასტერი 331
 ქვაყრილი 136
- ქვალთი 136
 ქვალთორი 136
 ქვალონი 136, 469
 ქვაშხიეთი 126
 ქვემო რაჭა, იხ. რაჭა
 ქვემო ფშავი, იხ. ფშავი
 ქვემო ქართლი, იხ. ქართლი
 ქვიანი 474
 ქვიტირი 135
 ქვიშან-კალა 136
 ქვიშეთი 135
 ქვიშონა 136
 ქვიშხეთი 135
 ქიზიყი 23, 69, 243, 314, 316—319, 321, 323, 324, 516, 673
 ქიოსი 244, 390, 391
 ქიშპირი 29, 226
 ქორეთი 517
 ქსნის ხეობა 23, 28, 35, 45, 69, 139, 356, 431, 433, 436—438, 488, 516, 695, 698
 კტია 271, 282
 კუთაისი 51, 65, 95, 126, 141, 344, 345, 356, 362, 374, 410, 414, 441, 442, 444—446, 449—453, 477, 616, 652, 693, 715
- ლანძილები 230
 ლვანეთი 442, 449, 450
 ლზილთამირი 563
 ლობიეთი 723
 ლოლოვანი 167
 ლურღულული 335
- უახახი 179, 563—572, 576, 581, 583, 590, 708
 უამიში 206
 ყარაბალი 181, 337, 560, 562, 566, 572, 575, 576, 582, 591, 594—596, 614, 708
 ყარაია 38, 41, 50, 186
 ყვანია ნარი 689
 ყვარელი 473, 426, 715
 ყვარია 133, 443, 515
 ყვირილის ხეობა 142, 441, 444, 446, 449, 453
 ყიზილკენი 240
 ყირიმი 186, 384, 616, 704
 ყუბის მარზა 568, 570, 583, 584, 587, 590
 ყორნისის ხეობა 435
- შუი ზღვა 37, 62, 120, 172, 186, 187, 212, 213, 217, 245, 291, 308, 383, 407
 შავშეთი 102, 122, 147, 148, 195, 197, 198, 271, 354, 414, 415, 479, 482—484, 486, 488, 492, 498, 504, 506, 507, 511, 514, 520, 527, 528, 531, 534, 536, 540, 541, 547, 550—553, 555, 601, 602, 604, 606, 607, 610

- შამახის მახრა და სანახები 334, 414, 488, 502, 551, 553, 554, 566, 568, 569, 571, 573, 575—577, 579—584, 586, 587, 589 — 591
- შამი, იხ. ასურეთი
- შაპურგანი 274
- შარური 564, 570, 572, 574—579, 581, 583—588, 591
- შაქი 513, 515, 560, 562, 565, 566, 594—596, 708
- შალანი 274
- შეშახია, იხ. შამახია
- შემოქმედი 475—477, 479
- შვარცვალდი 165
- შვეიცარია 23, 29, 35, 188, 236, 384, 693, 698
- შვეცია 104, 242, 255
- შოგნით-კახეთი, იხ. კახეთი
- შიდა ქართლი, იხ. ქართლი
- შილა 715
- შიომღვიმე 629, 634, 651, 654, 656, 658, 662
- შირაზი 428
- შირაქი 230
- შირვანი 337, 513, 515, 560, 562, 565, 566, 594—596, 708
- შირაპანი 114, 136, 140, 142, 356, 414, 441, 443, 445—449, 452—454, 516, 517, 519, 667, 674, 693
- შირაპნის-ციხე 517
- შოტლანდია 104
- შპაიერი 384
- შიროშა 444, 448, 653
- შტრია 443, 615
- შუა აზია, იხ. აზია
- შულავერი 563, 623, 630, 650, 670, 671, 675, 712, 713
- შუშა 570—578, 580, 581, 583—585, 587, 591, 614
- შხეთი 467
- ჩაილური 429
- ჩარგაშენი 206
- ჩახხური 464
- ჩიბათი 476, 479
- ჩინეთი 171, 227, 507
- ჩირეული 653
- ჩიტისთობელი 53
- ჩოჩხათი 473, 476, 479
- ჩოხატაური 475
- ჩრდილო ამერიკა, იხ. ამერიკა
- ჩრდილო კავკასია, იხ. კავკასია
- ჩხარი 452, 453
- ჩხერიშელა 140
- ჩხერიშელას ხეობა 140, 444, 446, 715
- ჩხერისმელე, იხ. ჩხერიშელა
- ჩხუტელი 463
- ციკქი 518
- ცივი 466
- ციმბირი 239, 241, 259, 694
- ციციქური 517
- ციცხე 517
- ციხე 475
- ციორიხაული 517
- ციოცხნარი 689
- ცილნუ 588
- ცხავერი 332
- ცხენის წყალი 442, 448, 466
- ცხენტარო 142
- ცხირეთი 332
- ცხრაწყარო 517
- ძალაფორეთი 517
- ძველი სენაკი 654
- ძიმიითი 474
- ძირულის ხეობა 140, 362, 374, 446, 449, 452, 517, 519
- წაკაგეხცი 206
- წალენჯიხა 470
- წალკა 35, 186
- წევა 517
- წესი 52, 456, 716
- წილობანი 520
- წიალუბანი 520
- წინ-ღუშეთი, იხ. ღუშეთი
- წინ-წყარო 668
- წიფნარი 689
- წობანი 515
- წობენი 515
- წობენორი 515
- წრია 187
- წულრულაშენი 677, 678
- წყალთეთრი 486, 521
- წყალწითელა 139
- ჭალა 139, 678
- ჭალადიდი 139
- ჭალისთავი 139
- ჭალისუბანი 139
- ჭალე 654
- ჭალოვანი 139
- ჭანეთი 102, 213, 216, 291, 486, 520, 528, 554, 555, 610, 622, 632, 660, 692, 708
- ჭანიეთი 473, 477
- ჭარი 211
- ჭარხალეთი 215

- კიათურა 58
 კკაღუაში 654
 კკაღუა 465
 კკევიში 462, 463, 517, 632
 კკევიშური 517
- ზანღისი 81
 ზანკკულა 25
 ზანძთა 94
 ზანჯიკოღა 25
 ზასავ-ღურტი 615
 ზატისწობენა 332
 ზაშმი 186, 425
 ზევი 167, 381
 ზეღსურეთი 92, 157, 158, 161, 163, 164, 167, 186, 237, 238, 241, 243, 300, 301, 677
 ზეთა 468
 ზერთვისი 441
 ზერსონი 384
 ზეანკკარა 25, 363, 456
 ზეარბეთი 476
 ზეთი 191
 ზიბულა 465
 ზიღარი 517, 643
 ზიღისთავი 439, 702
 ზიზაბაერა 441, 720, 723
 ზიშმი 456
 ზინკკები 140
 ზმელთაშუა ზღვა 23, 29, 44, 70, 212, 217, 220, 231, 244, 245, 253, 255, 704, 705
 ზოღაშენი 430
 ზოღულე 343, 434
 ზონი 156, 157, 220, 329, 442, 448, 715
 ზორასანი 231
 ზორითა 446
 ზორში 466, 467, 470
 ზორხეთი 136
 ზორხელა 136
 ზორხისღბანი 136
 ზორხი
 ზემო ზორხი 136
 კკემო ზორხი 136
- ზოტანი 230
 ზოტევი 108, 457, 518
 ზოფე 520
 ზოფი 467, 468
 ზრამი 715
 ზუზისტანი 188
 ზული 206
 ზუფათი 520
 ზუღღბანი 332
- კაღა 81
 კაღა-ცხოტი 81
 კაღო 81
 კაღურიანთ-კარი 81
 კანღო 81
 კიეში 638, 639
- კავახეთი 23, 28, 35, 69, 71, 81, 381, 441, 558, 721
 კანაზიანი 678
 კგალი 465, 470
 კგბრაღი 570—578, 580, 581, 583 — 585, 587, 591, 614
 კგვარი 465—654
 კგვარი-ეწერი 58
 კგვერკი 483, 486
 კგუმათი 473
 კგრუკი 517, 547
 კგრუღუღეთი 473, 476, 479
- კაღაღის (აღღოს) ბაღები 296
 კაღულე 242
 კელესპონტი 704
 კერეთი 41, 211, 271, 280, 309, 416, 488, 500, 504, 515, 516, 521, 527—530, 540, 607, 609, 610, 673
 კერმანშტაღტი 70
 კიმაღაღი 30, 241, 383
 კინღუღუღი 30
 კიპპონიონი 553
 კიხსარღიკი 29
 კოღანღია 242
- Amsterdam 350
 Avelino 555
 St. Aman 38 4
- Berlin 427, 680
- Franche-comte 542
- Granges-la-Ville 542
- Jersey 443
- Leipzig 558
 Lyon 125, 323, 351, 625
- Monte Beliard 542
 Montpellier 369
- Paris 125, 397, 427, 517
 Pfaffiker See 292

Robenhause 242
Ravello 555

Solerno 555
Spuga 274

Sopurgan 274
Siera Nevada 291

Zopenor 515

ბერმინების საძიებელი

- აბათიხიმ 273, 281; ბათიხ 272; ბათიხიმ 280; ბათიხა 272; ბათუქ 281
- აბელური 720
- აბრეშუმა 316
- აბხაზური 462, 519, 523, 535, 610
- აგგერია 269, 270
- აგელე 669
- აგრი 403, 567, 571, 595
- აგრიონ 218
- აგურიანფერი მუხუდო, იხ. მუხუდო
- აგურისფერი შავწიწყლიანი ოსპი, იხ. ოსპი
- ადანასური 363, 410, 412, 445—447, 457, 462, 471, 472, 475, 519, 521, 523, 532, 603, 605, 609
- ადანასური დიდი 412, 415, 446, 532
- ადანასური პატარა 415, 446, 532
- ადას 18, 27
- ადამ იმ 27
- ად ბიბენდუმ 401
- ადგილი პოხერეი 144
- ადგილობრივი ვაშლი 696
- ადრეულა შუნდ, იხ. შვინდი
- ადრეულა, იხ. თხილი
- ადრეული 412, 429, 435, 513, 523, 520, 601, 605
- ადრიანი 696
- აზიური ჭგუფი ოსპისა, იხ. ოსპი
- აერეზი 495
- აერეხი 495, 496, 546
- აზინესკა 404, 559
- აზოხ 621
- აზოხაყელ 621
- აზხარ 155
- ათონური 478, 520, 523, 601, 610
- ათ-მეშესი 484, 552, 553
- ათ-ჯუმ 553, 568, 595, 597
- ათალე 387, 392
- აკავლება 160, 193
- აკიდო 442, 465, 472, 499, 523, 532, 603
- ალაბეური, იხ. არაბოული
- ალადასტური, იხ. ადანასური
- ალა-კორა 567, 595
- ალარდენი, იხ. ბროწყული
- ალასკი 581
- ალახსუქ 568, 595
- ალ-ალსუქ, იხ. ალახსუქ
- ალბუელის 398, 404
- ალგიდული ბოლოკი, იხ. ბოლოკი
- ალგიდული თალგამი, იხ. თალგამი
- ალდარა 568, 578, 581, 592, 594, 595, 597
- სეკ-ალდარა 568, 581
- ალექსანდრინა 402, 405
- ალექსანდროული 456, 457, 462, 463, 518, 519, 523, 533, 603
- ალექსანდროული თეთრა 463, 533, 605
- ალეში 455, 457, 523, 535
- ალვა 719
- ალვანი 568, 595, 597
- ალიალმა 721
- ალისარხული 156
- ალიბუხარი 723
- ალიჩელები 483
- ალობროული 398, 404
- ალოლე 386
- ალოპეცის 392, 405, 550, 552
- პე ალოპექს 550
- ალსიდენური ხახვი, იხ. ხახვი
- ალუბალი 406, 700, 701, 714, 716, 717, 721
- ალუ-ბალე 701
- ალუნა 698—700, 714, 716, 717
- ამბარი '07, 108
- ამბარი ყ. ჯ. 568, 592
- ამბროზიაცა 404
- ამბროვიოტე 392
- ამეთუსტონ 392, 398
- პო ამეტოს 93
- ამინეა ლანატა 397
- ამინეა ნიგრა 404
- ამინეე 395, 397
- ამინეე გემინე 397, 499
- ამინეური 392, 394, 395, 399, 404, 499
- ამინეური მსხვილი 393
- ამინეური წვრილი 393
- ამინეური წვევილა 397
- სკატიანური ამინეური 394
- ამიტერნის თალგამი, იხ. თალგამი
- ამიტერნული ხახვი, იხ. ხახვი

- ამპელოგრაფია 319
 პო ამპელონ 115, 305, 306
 ამპელონ ასთენუზან კაი მიკრან 320
 ჰე ამპელოს 304, 312
 ამპელოს აგრია 682
 ამრი 568, 592
 ამრუთ 718
 ანაბ 718
 ანადასტური, იხ. ადანასური
 ანადასური, იხ. ადანასური
 ანაღენდრაღეს 323
 ანაუაზ, იხ. ვაზი
 ანანუხ 261
 ანბარი, იხ. ამბარი
 ანგურ 718
 ანგური რუბ 551
 ანდასაული, იხ. ადანასური
 ანდრეული, იხ. ადრეული
 ანდრიანი, იხ. ადრეული
 ანდროდინამურ-სტერილი 496
 ანდროდინამურ-ფერტილი 496, 546
 ტო ანეთონ 243
 ანიხ 245
 ანისული 156, 243—245, 299, 300
 ანმერუკ 176
 ანნისონ 244
 ანოთ 652
 აიწი წიწ 554
 აპამეური 392
 აპიანე 398, 404
 აპიური 187
 აპიციური 383
 აპოთეკე 107
 აპოთიკი 116
 აპოთლიბო 635
 აპოლაკო 625
 აპოლაკონტეს 624
 აპორკეს 327
 აპოსტელო 625
 აპოფსილოზის ტონ ამპელონ კაი აპოკნისის
 ტონ ოგნარონ 378
 არაბელი, იხ. არაბოული
 არაბოული 447, 455, 457, 518, 519, 521, 523,
 532, 609
 არაგვისპირული 428, 440, 516, 523, 530, 603,
 609
 არაზბარი, იხ. არაზბერი
 არაზბერი 568, 592
 არაყი 511, 675
 არბუზ 272
 არგვეთული საფერე, იხ. საფერე
 არგიტის 395
 არგოსული 392, 395, 399, 680
 წერილი არგოსელი 398
 არე სთელისაჲ 628
 არეიზიუმი 392
 არიციული კომბოსტო, იხ. კომბოსტო
 არმონ 218
 არმული 636, 713
 არმუნჯი 664
 არპ 386
 არპ მეკ 387
 არპ რას 387
 არპ ჰემ 387
 არპ ჰეტ 387
 არური 386
 არურ-იტ 386
 არცელაჲ 399, 405
 მსხვილი არცელაჲ 399
 არჯაკელი 180, 181, 297, 298
 არჯასპი 134
 არჯიოკა 180
 არჯნდელ 247, 248
 ასანბეგური 430, 516, 523, 530, 609
 ასარუა 337, 341, 346, 351—353, 375
 . ვენახთა ასარუა 341, 346
 ასკალონური ხახვი, იხ. ხახვი
 ასკილი 715
 ასლი 32
 ასპანახ, იხ. ისპანახი
 ასფანახი, იხ. ისპანახი
 ა. ტკტის ყრდელი, იხ. ყრდელი
 ასურული ბოლოკი, იხ. ბოლოკი
 ასქნარ 568, 595, 598
 ასქჰარი 488
 ატამი 702, 714—716, 718, 721
 ატამი სახრაჲი 702
 „ გავაზური 702
 ატენური 702
 ბერების 702
 ეაშლა-ატამა 702
 თეთრი ატამი 702
 ლიმონის 702
 მოლოზნური 702
 სამარიობო 702
 სამობი 702
 წითელი 702
 წითელი გვიანი 702
 წითელი ატამი 702
 ხილისთაუერი 702, 720
 ხირსული სახენი 720
 ხირსული სახრაჲი 720
 ატევატლა 694
 აფრიკული ხახვი, იხ. ხახვი
 აფხაზური, იხ. აფხაზურა

- აქლემის ოვალი, იხ. დევე გოზი
 ჰე აქსინე 101
 ალა-გორმან 568, 571, 572
 ალა-დაა 568, 595
 აღ-ალაპკი 568, 569, 595
 აღ-ბალი 569, 595, 597
 ალოშ 563
 აღ-სააბი, იხ. სააბი
 აღ-უზუმ 568, 595, 597
 აღ-შანი, იხ. შანი
 აღ-შირაა, იხ. შირაი
 აღჯა-ყარა 569, 595, 597
 აყალო 136
 აყალო-მიწა, იხ. მიწა
 აყარი 283, 287
 აყირო 156, 168, 283, 285—288, 664
 აყიროს გულის ზეთი 283
 ქერქზრქელი აყირო 287
 ა-ყუალმინთა, იხ. ყვალმინთა
 აჩაბაშ 569, 595, 597
 აჩეა 634
 აქარა-მცხელი 697
 აქარულა 721
 აქარული სესელა 722
 ახალაი 485, 523, 536, 601, 603, 609
 ახალ-ბალობა 150
 ახალეკი, იხ. ახალაი
 ახალი რქა, იხ. რქა
 ახალ-ნერგი 326
 ახალ-ნერგი ვენაი, იხ. ვენაი
 ახელეკი, იხ. ახალაი
 ახევეა 353, 377
 ახლიანი, იხ. რქა
 ახლობა 150
 აჯარ-ალმა 692
 აჯი-ბაკლა, იხ. ბაკლა
 აჯოჯეა 341, 348, 352, 353, 364, 365, 375, 378, 379
 აქანდი-უზუმ 595, 597
 აქაჟრენ ტა ქჯულა 379
 აქაჟრესის ტანჭკლონ 378

 ბაბილო 121, 122, 129, 309, 322, 323, 327, 349, 350, 352, 353, 354, 634
 ბაბილოთა ნაყოფიერება 353
 ბაბილოა მწიფეა 354
 ბაგა 108, 326, 327, 382
 ბაგე 327
 ბაგენი 108
 ბადაგი 474, 510, 523, 536, 718
 ბადანჯანი, იხ. ბადრიჯანი
 ბადი ბინეხი, იხ. ბინეხი
 ბადინჯან, იხ. ბადრიჯანი
 ბადიონ 155, 245, 246
 ბადლიჯანი, იხ. ბადრიჯანი
 ბადომ 718
 ბადრანგ 155, 267—269
 ბადრიჯანი 150, 154, 155, 168, 295—297, 300, 301
 ბაზათერი 209
 ბაზილიკა 392, 398, 399, 404
 ბათთიხ, იხ. აბათთიხიმ
 ბათმანი 655
 ბაი 327
 ბაკლა 17, 43, 68, 69, 82
 აჯი ბაკლამ 68
 თეთრ-ყვავილ-მარცვლიანი ბაკლა 69
 წითელ-ყვავილიანი ჭრელმარცვლიანი ბაკლა 69
 ბაკილა, იხ. ბაკლა
 ბაკლა ლობიო, იხ. ლობიო
 ბაკლა ცერცვი, იხ. ცერცვი
 ბალაგანი 569, 575, 598
 ბალამწარა 717
 ბალბა 172—174, 297, 298
 ბალბაისა წყალი 172
 ბალბაკონ 173
 ბალბალუკა 173
 ბალი 114, 700, 701, 714, 721
 ადრეულა ბალი 720
 ბალღუნჯი 700, 717
 გვიანა ბალი 720
 გოგრა " 720
 დილბარ 700
 თეთრი ბალი 700
 ლოყა-წითელა ბალი 700
 ჯალდა ბალი 700
 შაეი ბალი 700, 720
 ბალიდეგი 269
 ბალოჯი, იხ. ბალი
 ბალღუნჯი, იხ. ბალი
 ბამბა-მსხალი 696
 ბამბე-უშქური 692
 ბანდენი 570, 592, 594
 ბანდი 510, 592, 594, 595
 ბ.ნჯარ 172
 ბარამი 570, 592, 595, 598
 ბარამბო 262
 ბარდა 16—20, 33—35, 42, 43, 45, 52, 72, 73, 78, 79, 82, 86, 88, 89, 181
 გარეული ბარდა 35
 ველური ბარდა 35
 თეთრი ბარდა 18, 33, 309
 ქართული ბარდა 18, 156
 წვრილი ბარდა 35, 36
 ბარდა ცერცვი, იხ. ცერცვი

- ბარდი 35
 ბარდი 34
 ბარდიანი ლობიო, იხ. ლობიო
 ბარდიანი მუხუდო, იხ. მუხუდო
 ბარდნალი 34
 ბარდონი 34
 ბასალ 155, 228, 229, 232
 ბასლ, იხ. ბასალ
 ბასყ 291, 293, 294
 პო ბატო 649
 ბაქმაზი 723
 ბალ 305
 ბალი 110—114, 116—130, 148, 216
 ბალის ვაშლი 692
 ბალის ყურძენი 481
 ბალის პიტნა, იხ. პიტნა
 ბალ-ვზუმ 481
 ბალჩა 116
 ბაყლ 155, 229
 ბაყლა 18, 22
 ბაზეა 458, 519, 523, 535, 610
 ბეგარმუტი 722
 ბეირუტელი 392
 ბენა 681
 ბენახი 681
 ბეოჯური კიტრი, იხ. კიტრი
 ბეჟანაურა 430, 516, 523, 530, 609
 ბერაულა 461, 463, 519, 523, 533, 603, 605
 ბერბეშო 458, 519, 523, 535, 609
 ბერების ატამი, იხ. ატამი
 ბერყენა 720
 ბერძნული ყრდელი, იხ. ყრდელი
 ბერძულა 474, 493, 520, 523, 536, 608
 ბელელი 107—109
 ბელელი სადაგი 108
 ბელელი ხერხულა 108
 ბელო 107
 ბეჩან ტალ 564
 ბეცალიმ 231
 ბეწვი 60
 ბეჰ 718
 ბზა 383
 ბზე 106—108
 ბთიყ 155, 272
 ბიბილი 456, 459
 ბიმამბიე 404
 ბიმილი, იხ. ბიმილი
 ბინეხეფუნა 115
 ბინეხი 143, 210, 681, 682
 ბალი ბინეხი 210, 496
 ბინეხონა 115
 ბინეხოფუნა, იხ. ბინეხეფუნა
 ბიტ 564
 ბიტურია 398, 399, 404
 ბიცი 144
 ბიც-მამრობითი 496
 ბლასტოლოგეინ 379
 ბლასტოლოგია 378, 379
 ბლასტოფაგი 704
 ბლხელ 625
 ბოდერია 172, 174
 ბოდორია, იხ. ბოდერია
 ბოზ-მარანდი, იხ. მარანდა
 ბოლგა 219
 ბოლეყ 216
 ბოლოკა 207, 213, 219, 220, 222
 ბოლოკი 154—156, 160, 215—220, 231, 298, 302
 ალგიდური ბოლოკი 218
 ასურული ბოლოკი 217, 218
 გარეული ბოლოკი 216, 218, 220
 თეთრი ბოლოკი 298
 თვის ბოლოკი 216, 219, 298, 299
 შავი ბოლოკი 298
 წითელი ბოლოკი 298, 299
 ბოლოკის წყალი 216
 ჰე ბოლოს 315
 ბოლო-წვენი 660
 ბოლქეი 160
 ბომბა-ლობიო, იხ. ლობიო
 ბორა-ვაშლი 692
 ბორბალა 695, 720
 ბორკილიანი ქვევრი, იხ. ქვევრი
 ბორო 696
 ბორჩალოს ლობიო, იხ. ლობიო
 ბორხენა 237
 ბორჯლი 685
 ბორტუს 317
 ბოსტანი 110, 111, 116, 118, 129, 130, 158, 207, 216
 ბუაიშ-უშქური 693
 ბულია 444, 445, 507, 523, 528, 605
 ბრასიკა 187
 ბრინჯი 121
 ბრინჯის ხე 712
 ბრკე, იხ. პრკე
 ბროლა 482, 507, 523, 536
 ბროწეული 406, 694, 701, 703, 707, 714—716, 718
 ალარდენი 703, 707
 ბრკეკა 222
 ბრუციუმის კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 ბსლ, იხ. ბასალ
 ბუგეულის ღვინო 456

- ბუდეშური 321, 412, 426, 429, 439, 441, 514, 515, 523, 526, 541, 601, 605, 609, 723
 თეთრი ბუდეშური 438, 439, 451, 523, 528
 შავი ბუდეშური 420, 445, 513, 528
 ბუერა 427
 ბურა-ვაზი 421, 422, 492, 493, 523, 510, 544, 601, 602, 604
 ბუხს-ყურძენი 437, 508, 523, 510, 559, 605
 ბუკონიატის 404
 ბულაბათონ 164, 166
 ბულეკი 216
 ჭითა ბულეკი 216
 ბულეკი 216, 222
 ბულე 219
 ბულონა 115
 ბულეკი, იხ. ბულეკი
 ბულღა 457, 523, 535, 609
 ბუმსტუს 392, 393, 395, 396, 402, 404, 553, 680
 ბუნძალი 479
 ბუეკი, იხ. ბულეკი
 ბუეს 315
 ბუეს ტნკო 315
 ბურახი 309, 310, 675
 ბურბურა 237
 ბურეხი, იხ. ბურახი
 ბურზღუმი 500
 ბურკა 479
 ბურღველა 237
 ბურლი 184
 ბურძღალა 500, 523
 ბურძღალი 317
 ბურძღენი 317, 320
 ბურძღუმი 309, 416, 523
 ბურპული 345, 346
 ბუსტან 116
 ბუსტული 716
 ბუტკო 482, 498, 523, 531, 546, 603
 ბუტკო 484, 531
 ბუტკე, იხ. ბუტკო
 ბუშრა-ლეღვი, იხ. ლეღვი
 ბუჭეშურა 514
 ბწილემ 626
 გაბაშა 463, 519, 523, 535, 609
 გაბშულა 345, 375
 გად 249, 250
 გადანეკა 344
 გადაყეღვა 329
 გადაშეება 328
 გადაწიღა 327—329, 615
 გადაწინღვა 327
 ვენახის გადაწინღვა 327, 328
 გადაჯიშება 489
 გაეაზურა 427, 516, 523, 609
 გავალე 700
 გაზარ 155, 201, 203
 გალა 100, 151, 206
 გალალ 567
 გალური ხაზევი, იხ. ხაზევი
 გალან 316
 გამბუს 130
 გამობუტკეა 547
 გამომბუტკეარი 547
 განახარული 420, 434, 523, 530, 601, 603, 605, 609
 განბერტყვა 97
 კუერთხითა განბერტყვა 97, 98
 განთესვა 106
 განლენა 97, 103
 განფიწლვა 106
 განფიწლული 106
 განჯის ყურძენი 428, 454, 459, 523, 529, 601, 608
 განჯური საფერავი, იხ. საფერავი
 გარან-ტმაკე 570, 592, 594
 გარგარი 570, 592, 594, 714, 715, 721
 გარეული ბარდა, იხ. ბარდა
 გარეული ბოლოკი, იხ. ბოლოკი
 გარეული ნიახური, იხ. ნიახური
 გარეული ნიორი, იხ. ნიორი
 გარეული პრასა, იხ. პრასა
 გარეული სტაფილო, იხ. სტაფილო
 გარეული ტეგანი, იხ. ტეგანი
 გარეული ქინძი, იხ. ქინძი
 გარეული ცერცველა, იხ. ცერცველა
 გარნი 570, 592, 594
 გარნი შირასი 570, 595, 598
 გარტენ 111
 გასაბამი 345
 გასასხლავი ნამგალი, იხ. ნამგალი
 გასაყიდელი მწუანილი, იხ. მწუანილი
 გასხლვა 341, 343, 347, 351, 358—369, 373
 მოკლედ გასხლვა 343, 361, 369, 374
 ცერად გასხლვა 367, 368
 გატეხა 665
 გაურანა 404
 გაფურჩქენა 348, 353, 376, 379
 ვენახის გაფურჩქენა 376, 377
 გაღმამხრული 434, 516, 523, 531, 603, 609
 გაშმიბილი ლეღვი 705
 გეანჯე, იხ. გეანჯი
 გენჯური, იხ. განჯის ყურძენი
 გერი 696

- გეჩი-მამასი 589
 გველ-ერწო 48
 გველის-ნიორი, იხ. ნიორი
 გველის ლობე 316
 გვერდწითელა 720
 გვერსიო 230, 299
 გვიანა ბალი, იხ. ბალი
 გვიმარონა 115
 გვიმარნარი 115
 გიდავრასტ 570, 592, 593
 გილა-ტოკან 570, 595
 გიღელი 632
 გილარჩი 570, 592, 594
 გინგიდიონ 203, 205
 გინი 679
 გინძ 249, 251
 გიშნის 155, 251
 ტო გლუკანიონ 245
 ვნიღური 392
 ვნიღური ხახვი, იხ. ხახვი
 გნტაჟ 312
 გაანჭი 570, 592, 594
 გობი 647
 გოგრა 269, 275, 283—286
 გოგრა ბალი, იხ. ბალი
 გოგრა-კეახი 268, 272, 275, 283—285, 288
 მეჟეჟიანი გოგრა 284
 ქერქ-თხელი გოგრა 287
 ხორკლიანი გოგრა 284
 გოგრა-მუხულო, იხ. მუხულო
 გოგრა-ნესვი, იხ. ნესვი
 გოდავათური 467, 519, 523, 535, 603, 605, 609
 გოდორა 290, 292
 გოდორ-მარხილი 381
 გოლისარეველი 247
 გომეში-მამა 554, 570, 579, 583, 595, 597
 გომ-ჯუჟმ 570, 595, 597
 გორგოული 483, 523, 536, 609
 გოროთანა 462, 523, 535, 609
 გორულა 439, 516, 523, 531, 546, 601, 602, 603, 609
 გოწომინდლა ბინეხიში 363
 გოჰუ 224
 გრძქონ 118
 გრეჟულა 404
 გრეხი 465, 523, 535, 609
 გრძელი ბადრანგი, იხ. კიტრი
 გრძელი კიტრი, იხ. კიტრი
 გრძელტევნიანი 320, 458, 491, 497, 523, 535
 გრძელფოთლიანი ყრდელი, იხ. ყრდელი
 გრძლვამლი 309
 გრჯლა 314, 493, 685
 გუნდინამურ-ფერტილი 496
 გულაბი, იხ. გულაბი
 გუნი 570, 592
 გულა-მარწყვი, იხ. მარწყვი
 გულა 669
 ლინიშ-გულა 669
 გულა-ლელი, იხ. ლელი
 გულაბი 570, 576, 578, 595, 597, 713, 711, 720
 გულანჩა 179
 გული-შამამა 272, 276, 277
 გუმუ სხული 696
 გუმურა 663, 666
 გურული ლობიო, იხ. ლობიო
 გურტი, იხ. კვირტი
 დათვის-ბუერა 224
 დათვის ნიორი, იხ. ნიორი
 დათვის თავი 647
 დათუს-ბაბა 717
 დათუს-თხილა 717
 დათუს-სხალა 717
 დაკიდებული სამოთხე 117
 დაკონება 347
 დაკონვა 347
 დაქტელი 392, 396, 402, 548, 549
 დაქტელიდეს 404
 დალი-გრახ 701
 დამაგინება 327—329
 ვენახის დამაგინება 327
 დამარხება 556, 557
 დამახხი 268, 698
 დამპალა 430, 462, 516, 524, 529, 609
 დამუხვილი 78
 დამშხალული 78
 დანადამაგ 567, 571, 595, 597
 დანაკისქული, იხ. ფინიკი
 დანატამალ, იხ. დანადამაგ
 დანახარული 434, 516, 524, 531, 603, 605
 დანდლები 647
 დანდრნიჟი 175
 დანდრნიჟ წალიჟი 175
 დანდური 59, 174—177, 297, 302
 დანეკვა 343, 344, 367—369, 375
 დანერგვა 325, 326
 დანჩა 18, 27
 დარგვა 326
 ვენახის დარგვა 326
 დარდალა 290
 დასაბამი მქისაჟ, იხ. მქია
 დასასუნებელი 121
 დასკენა, იხ. სკენა
 დასტამბო 272, 275—277, 281, 301
 დასტამბო, იხ. ლასტამბო

- დასტამბუა, იხ. დასტამბო
 დასხმა 325, 326
 დატოკვა 344
 დატონკა 374
 დაფნა 383
 დაქცეული 462, 524, 535, 609
 დაყამირება 380
 დაჩიკა 347
 დაწალიყება 129
 დაწერილი 691
 დაწნება 695
 დაქრილის წამალი 237
 და 155, 283
 დაბს 718
 დავიფინა 663
 დედა 314
 დედა ვაზი, იხ. ვაზი
 დედალი ვაზი, იხ. ვაზი
 დედალი თალგამი, იხ. თალგამი
 დედალი მცვივანი, იხ. მცვივანი
 დედალი რქაწითელი, იხ. რქაწითელი
 დედალი საფერე, იხ. საფერე
 დედოფლის თითი, იხ. დედოფლის კითი
 დედოფლის კითი 465, 503, 524, 536, 549, 601
 დევე-გიოზი, იხ. დევე-გაზი
 დევე-გაზი 502, 554, 571, 591
 დევის-თვალაი 417, 502, 524, 530, 601, 608
 დევრიშ-ალი 486
 დევრიშ-ბეგი 721
 დელკი-ყურიული 552
 დელტის ღვინო 387
 დელხვინა 161
 დემირ-ალმა 692
 დენდრიტიდეს ამპელოა 323
 დესტამბუი, იხ. დასტამბო
 დეჟა 237
 დიდი კამა, იხ. კამა
 დიდი მარწყვი, იხ. მარწყვი
 დიდი საფერავი, იხ. საფერავი
 დიდმტევანა 320, 462, 493, 497, 524, 531
 დიდმტევანიანი, იხ. დიდმტევანა
 დიდტევანა, იხ. დიდმტევანა
 დიზმარი 569, 571, 572, 592, 594
 დილბარ, იხ. ბალი
 დილხაში 158
 დინოკირვა ლახუტიში 657
 დიმელა 237, 238
 დიდმური 412, 434, 435, 491, 503, 513, 516, 524, 529, 531, 558, 559, 603, 609
 დიჟა 237
 დიჟი 158, 237, 238, 299, 300
- დიხა 132
 უჩა დიხა 131—133
 ქეიშა დიხა 135
 დიხაშხო 131—133, 144
 ქითა დიხა 133
 დიხაქუტბერი 131, 134
 დობერა, იხ. დობირა
 დობილო 143, 144, 322, 323
 დობინენი 143
 დობირა 131, 143, 144, 146
 დტლბანდ 571, 577, 582, 592, 595, 597
 დონგვი 265
 დონგი, იხ. დონგვი
 დონდრელაბი, იხ. დონდლლაბი
 დონდლლაბი 410, 412, 442, 443, 455, 459, 466, 477, 501, 502, 523, 524, 531, 601, 602, 615, 616
 დონდლო, იხ. დონდლლაბი
 დოსდი 688
 დოსუარერი ქვა 398
 დოყარშუა 329
 დოყარშუა ბინენიში 327, 328
 დპკ 694
 ტო დრაგმა 95
 დრაკონტიონ 392, 399, 405
 დრაბტ 112, 718
 დრეპო კარპუს 624
 დრუზა-გაზი 571, 595, 597
 დრუზა-გეზი, იხ. დრუზა-გაზი
 დვდრჟან-თხილი, იხ. თხილი
 დვლქი-ვჟმ 551
 დვლქი-ყურიული 551
 დუდღუში, იხ. დონდლლაბი
 დუშალი 572, 592, 594
 დუთმა 272, 277, 278
 დუთმა-ნესვი, იხ. ნესვი
 დურამენტა 366
 დურაცინე 392, 393, 401, 404, 550
 დურღენი 294
 დუშაბ 718
 დუშეთის-მსალი 696
 დუცი 157, 158, 237, 238, 299, 300
 დღუდღუში, იხ. დონდლლაბი
- ეგია 404
 ეგორძელი 519, 524, 609
 ეგურძგეული 470
 ეგურძელი 536
 ევგენიე 393, 397, 404
 ეზან-აჩქ 554, 572, 592, 594
 ეზან-დარი 554, 569, 571, 572, 592, 594
 ეკლოენება 382
 ჰე ელია 712

- პო ელაიონ 115
 ელენე 223, 226
 ელიფსიდურ-მარცვლიანი ლობიო, იხ. ლობიო
 ემარკუმ 393—404
 ენდრო 294
 ენწერი, იხ. ეწერი
 ენძელა 249
 ეპანატრუგეო 318, 624
 ეპისტატი 679
 ეპიფელის 317
 ერაპე 669
 ერეზინოს 37
 ერეუანდი, იხ. ერევიდი
 ერევიდი 17, 32, 36—38, 41, 42, 82
 ერეკლეს მსხალი 695
 ერქემ-ყურიული 572, 595, 597
 ერპ 386
 ეტი 564
 ეტიანელ 564
 ეტიელ 564
 ეტისიკა 404
 ეტიორ 564
 ეტიოც 564
 ეტრატიანი ლობიო, იხ. ლობიო
 ეტულარი 564
 ეფეზური 392
 ეფეოს დაფნა 178
 ეწერი 131, 141—143, 145
 ეწუ-პტუი, იხ. იწუ-პტუი
 ემ 694
 ვაზ 563
 ვაზთაღმწერლობა 303
 ვაზი 52, 130, 146, 304, 306—308, 310, 311,
 337, 492, 496, 617, 715, 716, 718
 ანა-ვაზ 615
 დედა-ვაზი 328
 დედალი ვაზი 496
 ლესბოსის ვაზი 395
 მამალი ვაზი 496
 საყურძნე ვაზი 458
 შავი ვაზი 310, 312
 ჩაქრილ-ფოთლიანი ვაზი 402
 ძველი ვაზი 312, 343
 ვაზის მანა, იხ. მანა
 ვაზის ძირა 695
 ვაზი შურ ტალ 563
 ვაონი 680
 ვანუტოკ 681
 ვალანოს 710
 ვარიანე 404
 ვარიე 398
 ვაშლი 699
 ვაშლ-ატამა, იხ. ატამი
 ვაშლი 114, 406, 690—694, 713—718, 721, 723
 ვაშლოვანი 146
 ველის ყრდელი, იხ. ყრდელი
 ველური ბარდა, იხ. ბარდა
 ველური ჰიტნა, იხ. ჰიტნა
 ველური ყრდელი, იხ. ყრდელი
 ველური ყურძენი, იხ. კრკინა
 ვენახი 112, 114, 122, 128—130, 304—306,
 465, 514, 524, 535, 680, 681, 715
 ვენახი დაბლარი 322, 330, 334, 348, 350
 ვენახი მაღლარი 322, 323, 348, 350
 ახალნერგი ვენახი 326, 327, 346, 382
 " კნინი სიდიდითა და სახედავად
 320
 " უძლური 320
 " ძლიერი 320
 " ხეთა ზედა ასულნი 350
 ხარდნის ვენახი 323, 330
 ვენახის გაშენება 326
 ვენახის გაშენება 363
 ვენახის შეკონვა 347
 ვენახის გადაწინდვა, იხ. გადაწინდვა
 ვენახის გაფურჩქნა, იხ. გაფურჩქნა
 ვენახის დამაგიანება, იხ. დამაგიანება
 ვენახის დარგვა, იხ. დარგვა
 ვენახის ღიქა 223
 ვენაყი, იხ. ვენახი
 ვენახოვანი 112, 114—116, 146, 305, 306, 312,
 326, 407, 617
 ვენახიეუ 251
 ვეინ 679
 ვენუქულა 396, 399, 404
 ვერნახი, იხ. ვენახი
 ვერხვი 332
 ვიზულა 398, 404
 ვინარიუს 364
 ვინაციოლა 404
 ვინო 679
 ვინუმ 679, 680
 ვირმსხალი 696
 ვირა-ყურძენი 437, 524, 531, 559
 ვირგლა 43, 68, 69
 ვირგლა ლობიო, იხ. ლობიო
 ვირენი 572, 592, 594, 614
 ვირისტერტა 224, 238
 ვისგ 694
 ვიტის ად დიფუზიონემ 401
 ვოლკუბ 317, 563
 ვორო 312, 342, 563
 ვონოსი 679

- ზაბიბ 718
 ზამორულაჲ 695
 ზანორია მსაალი 696
 ზეგანი 141, 145, 146
 ზელის ლობიო, იხ. ლობიო
 ზეთისხილი 218, 317, 357, 507, 712, 715, 716, 718
 ზეთისხილოვანი 114, 115, 407
 ზეინაბის თითები 548, 549
 ზეკრულა კაბისტონი, იხ. კაბისტონი
 ზენათური 478, 520, 524, 536, 603, 609
 ზერღაგი 468, 508, 524, 535, 542, 603, 608, 674
 ზერაო 150
 ზვარი 355—357, 380
 ზვინი 34, 35
 ზირა 240—242, 246, 247, 249
 კარპეტანის ზირა 241
 ნედურ ზირა 241
 ზირაქი, იხ. ზირა
 ზიტნა 615
 ზენი, იხ. ზეინი
 ზუარი 617
 ზუგალ 701
 ზურის მუშაობა ყოვლისფერით 341
 ზღვამბლი 309
 ზღვისპირა ლობიო, იხ. ლობიო
 ზღვისპირული რეტიული, იხ. რეტიული
 ზღვისპირული სატატური, იხ. სატატური
 ზღმარტლი 708, 715, 717
 სკილიმუნდტური 708
 სკირმუტი 708
 ცნირმუნტური 708
 ცხომუნტური 708
 ცხომუტი 708
 ხუთგული 708
 ზღუდე 128, 129
 ზღუნა, იხ. ზიტნა

 თაბარზა 572, 595, 597
 თავის ნიორი 228
 თავის ყანა 551
 თავის ხახვი, იხ. ხახვი
 თავდაუხვეველი კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 თავდახვეული კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 თავი ხახვი, იხ. ხახვი
 თავკვერი 412, 418, 423, 426, 431, 433, 434, 498, 511, 524, 529, 572, 581, 601, 603—605, 609, 610, 616
 თეთრი თავკვერი 424
 თავმკერივი კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 თავრეული 521
 თავრეული 695, 696, 722

 თავრიზენი, იხ. თავრიზი
 თავრიზი 572, 592, 594, 595, 597, 598
 თავრიზული 695
 თავ-ღვინო 457
 თავ-წითელა 410, 412, 449, 450, 508, 524, 534
 თახია 404
 თაზიე 395, 405
 თაზიური 387, 392
 თაზოსური 392, 398
 თათრული მხალი, იხ. მხალი
 თათრული საივანობო 696
 თალგამი 155, 156, 198, 207, 211, 213—215, 218—222, 265, 298, 299, 302
 ალგიდური თალგამი 221
 ამიტერნის თალგამი 221
 დედალი თალგამი 221
 მამალი თალგამი 221
 თალარი 324
 თამაზი 722
 თამბაქო 156
 თამბუკი 572, 595
 თარა 155, 229
 თასპი 266
 თაფა 694, 718
 თაფლა-მსხალი 720
 თაფლსვამი 692
 თაფლუკი 676, 677
 თბილული 461, 524, 535, 603, 609
 თევანი 573, 592, 594
 თეთრა 459, 507, 524, 533, 535, 536, 603
 თეთრა კაბისტონი 463, 524
 ლაბილურის თეთრა 460, 468, 524, 535
 თეთრა-წმიდა 463, 507, 534, 601
 წმინდა-თეთრა 460, 524, 603
 წულუქიძის თეთრა 458, 460, 524, 535, 536
 თეთრი კამური, იხ. კამური
 თეთრების ცერცვი, იხ. ცერცვი
 თეთრეაშლა 692
 თეთრთავაჲ ზანდური, იხ. ზანდური
 თეთრკოლოში 469
 თეთრი ატამი, იხ. ატამი
 თეთრი ბალი, იხ. ბალი
 თეთრი ბარდა, იხ. ბარდა
 თეთრი ბოლოკი, იხ. ბოლოკი
 თეთრი ბუდეშური, იხ. ბუდეშური
 თეთრი განჯური, იხ. განჯის ყურძენი
 თეთრი გურული ლობიო, იხ. ლობიო
 თეთრი თავკვერი, იხ. თავკვერი
 თეთრი კაბისტონი, იხ. კაბისტონი
 თეთრი კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 თეთრი ლაბაშა ლობიო, იხ. ლობიო
 თეთრი ლეღვი, იხ. ლეღვი

- თეთრი ლობიო, იხ. ლობიო
 თეთრი მარეოტული (ღვინო) 387
 თეთრი მარეოტური, იხ. მარეოტური
 თეთრი მუხუდო, იხ. მუხუდო
 თეთრი მხარგრძელი, იხ. მხარგრძელი
 თეთრი ოსპი, იხ. ოსპი
 თეთრი რქაწითელი, იხ. რქაწითელი
 თეთრი სატაცური, იხ. სატაცური
 თეთრი უსურვაზი, იხ. უსურვაზი
 თეთრი ღვინო 387
 თეთრი ყრღელი, იხ. ყრღელი
 თეთრი ყურძენი 426, 477, 482, 507, 524, 534, 535, 601
 თეთრი ყურძენი მგზნებარ ყურძენად სახელდებული 559
 თეთრშა 477, 478, 507, 524, 533, 535, 536, 603, 610
 თეთრი ქანური 722
 თეთრი ხახვი, იხ. ხახვი
 თეთრმარცვლიანი ცერცველა, იხ. ცერცველა
 თეთრმარცვლიანი ცელისპირა, იხ. ცელისპირა
 თეთრყვავილიანი და ყვითელმარცვლიანი ხეთკუთხედიანი მუხუდო, იხ. მუხუდო
 თეთრყვავილიანი ცელისპირა, იხ. ცელისპირა
 თეთრყვავილ-მარცვლიანი ბაკლა, იხ. ბაკლა
 თეთრწუნღ, იხ. შვინდი
 თელაღემა 566
 თელა მუში 383
 ჰო თერაქოს 30, 34
 თერიძო 90
 თერშია 17, 24, 26
 თერმოს 26
 თერმუზა 17, 24, 26, 44, 82
 თერო 44
 თვითმავლა 170, 171
 თვის ბოლოკი, იხ. ბოლოკი
 თხენი 703
 თიაშელა 230, 231, 299, 300
 თიაშელა, იხ. თიაშელა
 თიბათვის მსხალი 696
 თიბვა 90, 93, 102
 თივა 93
 სმელი თივა 93
 თითა 321, 417, 418, 424, 425, 427, 436, 439, 443, 459, 462, 465, 477, 503, 504, 513, 524, 528, 548—550, 552, 601, 605, 723
 თითა-ბუდეშური 425, 504, 524
 თითა-თეთრი 425, 503, 524, 601
 თითა-ყვითელი 425, 503
 თითა-ყურძენი 441, 524
 შავი-თითა 432, 503, 524, 601, 602
 თითები, იხ. დაქტული
 თინ 662, 718
 თიორში 158
 თირი 134, 145, 383
 თირი-შიწა, იხ. შიწა
 თოლი-მჩხუშ-ყურძენი 486, 502, 528, 554
 თოლი-ჩხუშ-ყურძენი 496
 თორმუზა, იხ. თერმუზა
 თოფალენი 573, 592
 თოხი 101
 თრიდაინა 225
 თრიდაქს 225
 თრუმბ 260
 თრუმბი, იხ. თრუმბი
 თვლქი-ყუირული 551, 552, 573, 592, 593, 595, 597
 თედარი 182
 თუთ 718
 თუთა 707, 708, 714—716, 718, 721, 723
 ლეღსუარი 707
 ლეღსუელი 707
 ნაყვი 707, 708
 ყოლა 707, 708
 ხართუთა 707
 თუთიშ-ლუყუ, იხ. ლუყუ
 თუთუბო 707, 709
 თუნგი 655
 თურამული 692, 720
 თურაჯი 272, 277
 თურბ 218
 თურენდა 484, 536
 თურინჯი 261, 709, 716, 718
 თურღ 155, 216, 218
 თურქული ცერცვი, იხ. ცერცვი
 თურქულ-უშქური 692
 თქვაფენა 461, 524, 535, 609
 თქელათა 477, 504, 524, 529
 თხელი 321
 თხელნაპუქელად, იხ. ნიგოზი
 თხიერი 669
 თხილი 698, 711, 714, 715, 717, 718
 აღრეულა 711
 ღვდრვან-თხილი 711
 ტყიურა 711
 ქარული 711
 თხილნარი 115, 689
 თხილოვანი 115
 თხირეფენა 115
 თხირიშ ხეჭეპა 686
 თხირონა 115
 თხის-ძუძუ 554
 თხის-ჭიქანი 554
 თხლათა 321, 417, 504, 524, 529, 601
 თხლე 667

- თხორულა 461, 524, 535, 609
 თხრულენა 461, 524, 535
 თხოლო, იხ. თხლე
 თხრინი 691
- თაზალმა 721
 თაბონის ლობიო, იხ. ლობიო
 თალალმა 721
 თბერო 556
 თზაბელა 142, 540, 613
 თთ-უზუმ 553
 თისფერი 420, 507, 524, 530
 თლღუნი 715
 თმერული მწვანე, იხ. მწვანე
 თნა 156, 157
 წყლის თნა 114
 თნერტიკულა 398, 404
 თნეილ 718
 თონჯა 17
 თრტიოლა 399, 404
 თსარნებე 652
 თსპანაჲ 169
 თსპანახი 154, 156, 167—169, 298, 302
 თსრეში 388, 621—623
 თსსური ხახვი, იხ. ხახვი
 თსღერი-თისფერი 699
 თღანი 332, 566
 თზილ მაჰმადი 722
 თში 694
 თჩ 694
 თჩიში მუნოდვალა 672
 თჩაბტუკ 554, 573, 579, 583, 589, 592—594
- თბადლეკერი ყრღელი, იხ. ყრღელი
 თბბერი 138
 თბბისტონი, იხ. თბბისტონი
 თბბანა 316, 395
 თბბი 58
 თბბლი 160, 193
 თბბნი 283, 288
 თბბალი, იხ. ნიგოზი
 თბბენარი 698
 თბბნტელა 321, 437, 504, 505, 524, 531
 თბბრა 687
 თბბუტი 99
 თბბ 193, 194
 თბბა 263
 თბბათა 631
 თბბამ 192
 თბბამბ 192
 თბბამბა-ვაჰარ 192
 თბბამინთა 262, 263
 თბბე კალამინთე 262
- თბლამოს 262, 263
 თბლავ 97
 თბლიკოშა 573, 574, 593, 594
 თბლნაბი 182—185, 188, 189, 191—198, 296—298
 თბლნაბუხ 198
 თბლო 97, 101
 თბლოს 262
 თბლოს მსხალი 695, 720
 თბმა 154, 155, 203, 204, 243, 245—247, 299, 300
 დიდი-თბმა 245
 თბმბეჩის ტუტე 554
 თბმბონ 241
 თბმბონ 241, 246
 თბმბონა 241, 246
 თბმბუნე 241, 246
 თბმბური 410, 412, 521, 524, 533, 541, 603
 თბმბური თეთრი 415, 453, 478, 521, 603
 თბმბური შავი 415, 448, 476, 521, 603
 თბნანჩენი, იხ. თბნაჩენი
 თბნაჩენი 430, 574, 589, 590, 593, 594
 თბნა-ფხალი 185
 თბნაფო 185
 თბნაფო კომბოსტო, იხ. კომბოსტო
 თბნდლუ 291, 293
 მტკორი თბნდლუ 291
 მკითა თბნდლუ 291
 ძოზიძარე თბნდლუ 291
 თბნთარიტე 392
 თბნთაბილა 197
 თბნტარი, იხ. ყუნწი
 თბპარი 155, 156
 თბპერშია 288
 თბპეტიშ-უშქური 692
 თბპისტონი 410, 412, 415, 436, 451, 462, 479, 518, 523, 524, 528, 603, 605, 610, 616
 ზეკრულა თბპისტონი 451
 თეთრი თბპისტონი 459, 463, 528
 შავი თბპისტონი 451, 456, 459, 462, 528
 შავი თბპიტო 420, 524, 528, 603, 615
 შავ-თბპიტო 420, 436, 518, 603
- თბპიტო, იხ. თბპისტონი
 თბპიწი 647
 თბპნია 404
 თბპოეტი 175
 თბპრეოლი 394, 395
 თბპრიფიკაცია 704, 705
 თბპრიფიკუს 705
 თბპუეტი, იხ. თბპოეტი
 თბპუსტა 190
 კოჩანნაჲ თბპუსტა 185
 თბპუტკენი 574, 593, 594

- კარალოკი 714
 კარამბ 192
 კარან 192
 კარანბ 192
 კარას 652
 კარეტა 175
 კარი სამოთხისაჲ 128
 კარკუნტი 99
 კარმირდოლ 209—211, 214, 215
 კარმრენი 575, 584, 593, 594
 კარნაბადინ 242
 კარნაბიკი 197
 კარნაბიტ 194, 197
 ტო კარნაბიკი 192, 195, 197
 კაროტა 204
 კარპეტანის ზირა, იხ. ზირა
 კარპუზ 272
 კარჩემა 575, 593
 კასპური 439, 491, 516, 524, 531, 603, 609
 კასტანე 283
 კატაბარდა 309
 კატაქე კაუმენიტეს 392
 კატანო 175
 კატა-პიტნა, იხ. პიტნა
 კატეჭვტევეინ 326
 კატვენი 574, 575, 593, 594
 კატეი-აჩქ 574, 575, 589, 593, 594
 კატის-ძუძუ 295
 კატკატოჲ 174—176, 224, 297
 კატური 440, 524, 531, 603, 608
 კაულის 187, 193
 კაცისთავა 695, 696, 722
 კაწახი 388, 621, 622
 კაწახური 622
 კაჭარი 134, 141
 კაქკაქა 62
 კაქკაქა ლობიო, იხ. ლობიო
 კახთუ 575, 593, 594, 614
 კახულა ქონა ლობიო, იხ. ლობიო
 კახური 460, 463, 518, 519, 524, 533, 609
 კახური საფერავი, იხ. საფერავი
 კახური საფერე, იხ. საფერე
 კბილა 47
 კევი 103—105
 კეთილ-განსხლული 358
 კეთილური 467, 476, 519, 520, 524, 534, 609
 კეირო 93
 კეკრიოს 72
 კელასარ 334
 კელემ-ი-რუმი 192
 კენკეშა 300, 301
 კენტერი 268
 კენჭი 134
 კო კეპოს 110, 111
 კეპუროს 127
 კევერა 198
 კევერა კომბოსტო, იხ. კომბოსტო
 კევერა ყრდელი, იხ. ყრდელი
 კერაუნიე 392, 396
 კერტა 175
 კერთოლი 465, 503, 523, 524, 533
 კენუჩი 685
 კესურა 692, 720
 კეაწარახი 622
 კეაწახურა 470, 508, 524, 536
 კეახი 155, 156, 268, 269, 274, 283—288, 300—302
 მწარე კეახი 287
 მალად საჭმელი კეახი 287
 კეაი რუსული 156, 283
 ყარყარა კეახი 287
 კეახი ყიზილბაშური 156, 283
 კეანესეგ 283, 285
 კვიპრული ხახვი, იხ. ხახვი
 კვირისტაეა 449, 498, 524, 534
 კვირისტაეი 722
 კვირიშტაეი 695
 კვირტი 685
 კვლა 158, 240, 241
 კვლიაეი 154, 240—243, 299, 300
 კიდორაული 450, 518, 519, 521, 524, 535, 603, 609
 კითი 465, 524
 კიჟაჩა 467, 476, 479, 524, 534, 603, 609
 კილაუ, იხ. ქლიაეი
 კილანარ 701
 კილიყური ყრდელი, იხ. ყრდელი
 კინტირი, იხ. კიტრი
 კირეე 72
 კირკიტა, იხ. ნიგოზი
 კიტრი, იხ. კიტრი
 კიტრა-ვაშლი მწვანე 720
 კიტრა-ვაშლი ყვითელი 720
 კიტრი 150, 154—156, 267—271, 273—275, 281, 300—302, 406, 716
 ბეოტიური კიტრი 270
 გრძელი კიტრი 267, 269
 გრძელი ბადრანგი 270, 301
 ლაკონური კიტრი 270
 მოკუტეილი კიტრი 267, 269
 მოკუტეილი შამბალიდი 270, 301
 მოხრილი მიტრი 267, 301
 მუჭი კიტრი 270
 კიტრი რუსული 155, 267
 კიტრის გული 267
 სეკტალური კიტრი 270

- კიტრი ყირიპული დღი 155, 267, 268
 - ცვილსდერი კიტრი 270
 კიტრი-ბოლექ 219
 კიშშუ-იმ 273
 კიჩირი 541
 კიჩი 317
 კლადეია 341
 კლადევის 341
 კლაზის 341
 კლაზიპენური 392
 კლარჯელი 478, 481, 520, 524, 534, 601, 610
 კლდის-გერსენი 717
 ჭე კლემატის 342
 ტა კლემატა 312
 კლერტი 317
 კნატუნა ყურძენი. იხ. კნაუნა ყურძენი
 კნაუნა ყურძენი 429, 505, 524, 530
 კობახიძის სადგერე. იხ. საფერე
 კოკა 650
 კოკოლობის. იხ. კოკოლუბის
 კოკოლუბის 398, 402, 404
 კოკოპეჯა 163, 165, 167
 კოკონა-ჰია 684
 კოლ 193
 კოლინჯი 76
 კოლო 76, 164, 165, 508
 ქაქაა-კოლო 164
 კოლოცენა 269
 კოლომანი 76
 კოლოტი 669
 კოლოში 467, 469, 476, 508, 524, 534, 610
 ჩეკოლოში 534
 კოლოპურა 76, 287, 288
 კოლრაბი 188, 194, 195
 კოლუმბინე 404
 კოლუმბინე პურპურე 404
 კომბოსტო 110, 150, 154—156, 181—200, 202, 218, 297, 298, 406
 არიციული კომბოსტო 187
 ბრუციუმის კომბოსტო 187
 თავდახვეული კომბოსტო 183, 184, 190, 191, 198, 199, 298
 თავდაუხვეული კომბოსტო 184, 198
 თავმკერივი კომბოსტო 183, 184, 191, 198
 თეთრი კომბოსტო 156, 183
 კანაფო კომბოსტო 185
 კეჟერა კომბოსტო 183—185, 187, 188, 198, 297
 კვარული კომბოსტო 189
 კუმანური კომბოსტო 187, 188
 მკერივი კომბოსტო 184
 პალმირიდა კომბოსტო 187
 პომპეიური კომბოსტო 187, 188
 საბინური კომბოსტო 187, 188
 ტრიტიანული კომბოსტო 187
 ქართული კომბოსტო 182
 ყვავილიანი კომბოსტო 183—185, 192, 194—198, 200, 298
 ხვითიანი კომბოსტო 183—186, 188, 196, 198, 200, 297, 298
 კომლ-პირისფერ-მარცვლიანი ოსპი, იხ. ოსპი
 კომსტ 190
 კომშა 392, 396
 კომში 702, 714, 715, 717, 718
 კონა 151
 კონება 347
 კონოპიდა 197
 ტო კონუპიდა 192, 195, 197
 კონტილა 647
 კოპეშია 283, 284, 288
 კოპიტი 332
 კოპრუნულა 721
 კორკიმელი 690, 698
 კორკოტანა 172
 კორძალა 477, 524, 536, 609
 კოსმენია 404
 კოტები 647
 კოში 288
 კოჩინაია კაპუსტა, იხ. კაპუსტა
 კოწამახი 622
 კოწახური 622, 717
 კოხელ 635
 კრავის ყურა 163
 კრაზანას ცოცხი 659
 ჰე კრამბე 195
 კრამვი 195
 კრახუნა 415, 453, 462, 505, 524, 533, 602, 603
 კრეკ 575, 593
 კრიკინა 308—310, 349, 382, 408, 683, 717
 კრიოს 72
 კრიტოსული ხაზვი, იხ. ხაზვი
 კრკო 321
 კროში 229
 ტო კრომონ 228
 კრწკენი 576, 593, 594
 კვამოს 72
 კვლონიტე 392, 396
 კვმინონ 240, 241
 კვნდელ 260
 კვპროსული კომბოსტო, იხ. კომბოსტო
 კვპრული 392
 კუახი, იხ. კეახი
 კულურაული, იხ. კიდორაული
 კუთქ 624
 კუჟურა, იხ. რქაწითელი

- კუკერი 685
 კუმანური კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 კუმსა შწვანე 449
 კუმსი 321, 423, 500, 501, 524, 529, 635
 კუმუშა 321, 473, 500, 501, 523
 კუმშა 321, 423, 500, 529
 კუნელი 717
 კუნძა 410, 415, 448, 449, 470, 501, 524, 534,
 536, 603
 კუნძა შწვანე 410
 კუნწი 686
 კუნწესი 685
 კუპუსი 190
 კურდღლის მუაუნა, იხ. მუაუნა
 კურკა 318, 319
 კურტ-უზუმ 566
 კურტა 175
 კუსტოს 367, 368, 370, 375
 კუსტ-ლა 468, 524, 535, 609
 კუტი ლობიო, იხ. ლობიო
 კულხალი 317, 318
 კვრამბა, იხ. კვრამბე
 კვრამბე 192
- ლაბაშა 61
 ლაბაშა ლობიო, იხ. ლობიო
 ლაბილერის თეთრა, იხ. თეთრა
 ლაგაშა 137, 138
 ლაგაზი 137
 ლაგეა 404, 405
 ლაგეოს 395
 ლაგენი 655
 ლაგილური 519, 524, 535, 603, 609
 ლაგოსი 392
 ლაგოსი 680
 ლაგინი 575, 593, 594
 ლაკონური კიტრი, იხ. კიტრი
 ლაკონური ყრღელი, იხ. ყრღელი
 ლაქტუკა 227
 ლალიბედან 570, 576, 595, 597
 ლამაზა 429, 524, 530
 ლამი 138, 139
 ლამისყანა 140
 ლანატა ამინეა, იხ. ამინეა
 ლამათონი 166
 ლამათუმი 166
 გარეული ლამათუმი 166
 ლასტი, იხ. ტოპკირი
 ლატა 237
 ლატოპოლისის ლეინო 387
 ლაყლაყი 170
 ლახანა 110, 154, 182—184, 189—191, 198—
 200, 202, 297, 298
- ლახანონი 110
 ლახუტი 655, 657
 ლეზი 134
 ლეკეა 218
 ლეთი 99
 ლეთიელ 99
 ლეკის მსხალი 696
 ჰე ლენოს 637
 ლერე 228
 ლერი 228
 ლერტაშ 111, 112
 ლერწამი 718
 ლერწი 312, 313, 479, 544
 ლეზოსის ვაზი, იხ. ვაზი
 ლეზოსური 392
 ლეუკადემ 392
 ლეღვი 357, 383, 406, 617, 702—706, 714—
 716, 718
 ბეშტა-ლეღვი 703
 გუდა-ლეღვი 703
 ნაღორი ლეღვი 703
 ლეღვის ყერი 703
 ლეღვ მსოფლი 705
 მტერი ლეღვი 703
 ტყის ლეღვი 703
 შავი ლეღვი 703
 ლელის ყერი, იხ. ლეღვი
 ლელ მსოფლი, იხ. ლეღვი
 ლელესტარი, იხ. თეთრა
 ლელესტელი, იხ. თეთრა
 ლელიყანი 114, 115, 116
 ლეშკი 318
 ლეწა 97
 უჩრდის თვლით მონს ლეწეა 97
 ლეჭა 686
 ლეტი 155, 220
 ლია 137, 138
 ლიამბალი 108, 139
 უყიანი ლიამბალი 138
 შავი ლია 138, 139
 ლიბიკე 396
 ლიგნუმ 544
 ლიკანა ყურბენი 482, 524, 536, 609
 ლიწონი 716, 718
 ლიწონის ატამი, იხ. ატამი
 ლიწონის ვამლი 692
 ლისი-მიწა, იხ. მიწა
 ლიხი 323
 ლიხნარი 323, 324
 ლენი, იხ. ლაქენი
 ლობიო 16—21, 28, 38, 43, 45, 48, 51—69,
 73, 78, 81—89, 154, 156, 182, 337, 715,
 716

- ბაკა ლობიო 62, 68, 69, 82
 ბარდიანი ლობიო 57—59
 ბომბა ლობიო 55
 ბორჩალის ლობიო 56, 63
 გურული ლობიო 55, 57, 81
 დაბალბუჩქიანი ლობიო 54
 ელიფსოიდურმარცვლიანი ლობიო 57
 ეტრატის ლობიო 60, 61
 ვირგლა ლობიო 62
 ზეთის ლობიო 61
 ზღვისპირა ლობიო 53, 62, 65
 თეთრი ლობიო 18, 19, 33, 53, 56, 61
 თეთრი გურული ლობიო 55, 61, 63, 65
 თეთრი ლამაზა ლობიო 56, 61
 იაპონიის ლობიო 49
 კაქკა ლობიო 57, 61, 62
 კახულა ქონა ლობიო 56, 59, 60, 63
 კუტი ლობიო 53, 56—59, 87, 88, 156
 ლამაზა ლობიო 61
 მამა-კალია ლობიო 53, 87
 მარცვალ-შეტყეცილი ლობიო 56, 58
 მარცვალ-ლობიო 49, 53, 66, 67, 82, 89
 მიწის ლობიო 58
 მოგრძო-მარცვლიანი ლობიო 55, 57
 მოშეტყეცილო ლენისფერა ლობიო 58
 მოშეტყეცილო წაბლისფერა ლობიო 58
 მრავალფერა ანუ ცეცხლებრივი ლობიო 58
 მრავალმარცვლიანა ლობიო 55, 57
 მხვიარა ლობიო 54, 55, 58, 59
 ოსმალური ლობიო 18, 51, 87
 რუსული ლობიო 53
 სათარგმავი ლობიო 56, 65
 სანახევროდ ეტრატისანი ლობიო 60
 სარის ლობიო 53, 54, 57—59, 87, 88, 156, 337
 სატაცერებრივი ლობიო 60
 სიმინდის ლობიო 55—59
 ტაკა ლობიო 53, 61
 უმარცო ლობიო 57—59
 უბუნო ლობიო 59, 60
 უბუნო გურული ლობიო 55, 60, 63
 უეტრატო ლობიო 60
 ქვა-ლობიო 49
 ქონა-ლობიო 53, 59, 60
 ყვირელი ლობიო 53, 56, 61, 63
 შავი გურული ლობიო 55, 61, 63
 შაქრიანი ლობიო 60
 შროშანა ლობიო 53, 61, 62
 ჩენჩა ლობიო 53, 59, 60
 ჩიტისკვერცხა ლობიო 55, 57, 61, 62
 ჩიტისკვერცხა გურული ლობიო 63
 ცანაოს ლობიო 55
 ცანაოს გურული ლობიო 63
 წი-ლობიო 66
 წითელი ლობიო 53, 56, 61
 წითელი სიმინდის ლობიო 61
 წითელი ქონა ლობიო 55, 59—61
 კრელა ლობიო 53, 57, 59, 63
 ჭუჭა ლობიო 58
 ლოვა 661
 ლოვზ 718
 ლომიშოს 25
 ლომინარი 17, 24—26, 82
 ლომოს 25
 ლოყაწითელი ბალი, იხ. ბალი
 ლოცა 661
 ლუბიური 392
 ლუ, იხ. ლუყუ
 ლუდი 675—677
 ლუკანიური 393, 394
 ლუკარინა 394
 ლუმიწარიუს 25
 ლუპუს 25
 ლურჯყვავილიანი ცულისპირა, იხ. ცულისპირა
 ლუსდიგე 99
 ლული, იხ. ლელვი
 ლუყუ 184, 191
 თუთიმ ლუყუ 184
 ლცენი 576, 593, 594
 შაბრა 468, 519, 524, 609
 შაგანა 99
 შაგანაყური 476, 481, 520, 524, 534, 536, 609
 შაგარ-ნაჟუქელაჲ, იხ. ნიგოზი
 შაგვალ 99
 შაგველა 99
 შაგინი 327—329
 შაგინური 329
 შაისა 454, 524, 535, 603, 609
 შაკიდონი 202, 252, 254, 299, 300
 შაკურენჩხი 476, 524, 532, 609
 შაკუჭო-უშქერი 693
 შალაქე 172, 173
 შალაჩა 696
 შალაჩინის 695, 696
 შალაპი 576, 578, 579, 581, 593
 სევ-შალაპი 576, 579, 581
 შალ-ბაკონ 173
 შალბაქს 179
 შალვა 173
 შალოპე 173
 შამაკალია 66
 შამაკალია-ლობიო, იხ. ლობიო
 შამალი ვაზი, იხ. ვაზი
 შამალი თალგამი, იხ. თალგამი

- მამალი მცევიანი, იხ. მცევიანი
 მამალი რქაწითელი, იხ. რქაწითელი
 მამალი საფერე, იხ. საფერე
 მამრობით-ნაყოფიერი 496
 მამულა 721
 მან 335, 337
 მანაი 332, 333—337
 ვაზის მანა 332—335
 მანაკ 335
 მანგალი 99—102
 მანგალი სასიკუდინე 101
 მანგი 328, 329
 მანანებ 265
 მანანის 265
 მანგური 328, 329
 მანდიკოტური 476, 520, 524, 536, 609
 მანერუხი 290—293
 მანელი 332, 333, 335
 მანისი 335, 337
 მანიჭ 335, 337
 მანკალ 39
 მანუკ 335
 მანჩ 337
 მანჭო 336
 მანჭული 99, 336, 337
 კო მაინტანოს 253
 მაჟაველი 691
 მაჟალო 691, 695
 მარ 649
 მარაბული 462
 მარათონ 246
 მარანდაი 576, 592—595, 597, 598
 ბოზ-მარანდი 576, 595
 სევ-მარანდი 576
 მარანდენი 593, 594
 მარანი 641, 650, 651
 მარგილი 335, 336, 339
 მარეოტური 392, 398, 404, 405, 680
 თეთრი მარეოტული 387, 395
 მარიამ-საქმეველა 168
 მარიამენა 699
 მარმარი 576, 593, 594
 მაროლი 223, 225, 228, 299, 300
 ტა მარულ 225
 ტა მარულია 225
 მარონეული 391
 მარლუზ 155
 მარცვალი 74, 317
 მარცვალმაგარა 392
 მარცვალ-მოგრძო 321
 მარცვალ -მეტკეილი ლობიო, იხ. ლობიო
 მარწყვი 156, 289—295, 300—302, 700, 714
 გულა-მარწყვი 291—294
 დიდი მარწყვი 292
 მოგრძე მარწყვი 289, 292
 ტყის მარწყვი 291—293
 ძუძუ მარწყვი 289, 290, 292
 წურილი მარწყვი 289, 292
 პინდური მარწყვი 291
 მარხვა 556, 557
 მასარი 338
 მასიკა 293
 მასიკო 293
 მასკანა 316
 მასკენ 314—316
 მასკენ ვენაქისაი 314—316
 მატ 548
 მატნაური 480, 520, 524, 536, 609
 მაური 468, 470, 479, 519, 520, 524, 532, 535, 609
 მალდანოზი 252—254, 299, 300
 მალდანოს 253; მაიდანო 253; მაქედოლი 254; მაქოდნოს 254; მაქედონელი 254; მაქედონი 252, 254; მაქილო 252, 254; მაქილოი 254; მაქილონი 254; მაქილონელი 252, 254; მაქილონი 202, 252, 254; მაქილონი 252; მაქინდოლი 252, 253
 მალლარი შევენახეობა 322, 323, 342, 349, 408, 464, 465—467, 470, 472, 479, 505, 513, 514, 551, 565
 მალლარი 446, 451, 514, 524, 532, 534
 მალნარი 141, 146, 147
 მაყვალი 290, 291, 294, 295, 706, 714, 715, 717
 ძუძუ-მაყვალი 294
 მამა 17, 18, 43, 49, 66, 67, 82
 მამა-ცერცვი, იხ. ცერცვი
 მაცარა 237
 მაწარა 158, 207
 მაჭ 334, 336
 მაქანაური 442, 447, 524, 531, 616
 მაქარი 663
 მაქკატური 467, 505, 524, 535
 მაკული 336
 მახარა 721
 მახატური 467, 476, 480, 520, 524, 532
 მახვატელი 467, 505, 524, 532, 603
 მაჭჭ 66
 მაჰ-აბრაჰი 695
 მბალი 716, 717
 მდელი 112, 152, 158, 160, 161, 210, 214, 215
 წითელი მდელი 210, 211, 298, 299
 მდივი 158, 237, 238
 მდოგვი 156, 265, 266, 299, 300
 მეგრელაური 461, 518, 524, 535, 609

- მეელანი 139
 მევიზ 718
 მეზოგოტე 392
 მეზურე 629
 მეკალოე 97
 მეკენჯალა 461, 525, 532
 მეკონის 227
 მეკერეჩხი 480, 524, 532
 მელა 140
 მელაკედაი. იხ. მეღისკედა
 ტო მელანთინონ 247, 248
 მელე 140
 მელები 140
 მელაპეპონი 155, 271, 273, 279—281, 300, 301
 მეღისკე 392
 მეღისკედაი 158, 245, 416, 443, 459, 482, 498, 513, 525, 528, 548, 550—552, 594, 602, 614
 მეღის ყურძენი 551
 მეღის კაკა 289, 290, 292, 293
 მეღისქვალა 158
 მეღმეილი 158
 მეღმეობი 138
 მეშარნე 629, 658, 671
 მეშტილე 127
 მეწახი 479
 მეწიანთეული 430
 მეორეხარისხოვანი ღვინო 387
 მეორტენე 111
 მერანდლი 417, 525, 530, 602, 608
 მერა 652
 მერასულა 695
 მერგა 258
 მერე 129, 140
 მერეხი 140
 მერეკა 399
 მერეკია 252, 255
 მერჩილ 99
 მერწი, იხ. ყუნწი
 მერტი 338
 მესვარადე 338
 მესოლლე 624, 625, 629
 მეფის ვაწლი 720
 მეფური ზირა, იხ. ზირა
 მეფვიანე 620
 მეწალკოტე 128
 მეწაღეული 458
 მეწეპიანი გოგრა, იხ. გოგრა
 მთის ნიორი, იხ. ნიორი
 მთის სეპეპური 695
 მზის ხელი 672
 მზეა 718
 მილახური 695
 მიდგომილი 90
 მინთა 262—264
 მინჯალ 33
 მიორიკა 404
 მისტიური 392
 მისცელლე 393, 394
 მისხალი 396, 571, 577, 592
 მიტრი 267, 268
 მიწა
 აყალო მიწა 136
 თირი მიწა 134, 135, 145
 ლისი მიწა 131, 135
 მხატე მიწა 144, 145
 მძიმე მიწა 144
 მწირი მიწა 144, 145
 სილა მიწა 135
 ტრედისფერი მიწა 131, 134, 135
 ქვიანი მიწა 136
 ქვიშიანი მიწა 135
 ყვითელი მიწა 131, 145
 შავი მიწა 131, 132, 135, 144, 145
 წითელი მიწა 131, 132, 145
 ხორხი მიწა 136
 მიწალეზი 131, 134
 მიწის ლობიო, იხ. ლობიო
 მიხრიკი 722
 მკათათვის მსხალი 695
 მკაი 90, 91, 94, 101
 დასაბამი მკისაი 90
 უამი მკისაი 90, 94
 მკაი პირველი 90
 მკაწახობი, იხ. კაწახი
 მკვახე 286
 მკერივი კომბოსტო, იხ. კომბოსტო
 მკუახე ნესვი 286
 მლენველი 98
 მობაგული 327
 მობაზური 461, 518, 525, 535, 603
 მობაკული 327
 მოგლა 100
 მოგრძე მარწყვი, იხ. მარწყვი
 მოგრძომარცვლიანი ლობიო, იხ. ლობიო
 მოღული 96
 მოგრამუქ 563
 მოზღუღვა ვენახისა ნაყოფთა 382
 მოთონა 380
 მოთხვა 113
 მოთხრა 92
 მოკატური 455, 457, 525, 535
 მოკლე გასხვლა, იხ. გასხვლა
 მოკლე-მტევანა 423, 497, 525, 530, 603, 605

- მოკლე-ფუნჯა 696
 მოკუტვილი კიტრი, იხ. კიტრი
 მოკუტვილი შამბალიდი, იხ. კიტრი
 მოკუფაღა 318
 მოლაქე, იხ. მოლოქი
 მოლი 173
 მოლა-ახმედი 577, 598
 მოლნის 173
 მოლა-შაჰმადი 577, 598
 მოლზნური, იხ. ატამი
 მოლოქი 172—174, 297, 298
 ქე მოლოქე 172
 მოშალი 94
 კეთილად მოშალი 94
 მომრგვალებული ყრღელი, იხ. ყრღელი
 მონეკვა 344
 მორი 577, 593, 594
 მორი-ხალოლ 577
 მორტულა 209, 315
 მონაველიანი 430, 512, 525, 550
 მოსთულაჲ 624, 626
 მოსრულებია 96
 მოსხლა 380
 მოსხმა 458
 მოჭათერი, იხ. მოკატერი
 მოშეტყეცილო ღვინისფერა ღობიო, იხ. ღობიო
 მოცი 717
 მოცხარი 290, 310, 714, 717
 მოშეტყეცილო წაბლი-ფერა ღობიო, იხ. ღობიო
 მოწევა 342
 მოწევაჲ სხულის ქამისა 342
 მოწილეაჲ 624—626
 მოხრილი კიტრი, იხ. კიტრი
 მოხრილი შიტრი, იხ. შიტრი
 მუჯანა 157, 163
 მუჯელა 158, 163, 165
 მუჯელა [ვაზი] 458, 508, 525, 535
 მუჯელა ვაშლი 692
 მუჯე ღვინო, იხ. ღვინო
 მუჯია 158
 მუჯუნა 156, 163, 165—168, 297, 298
 კურდღლის მუჯუნა 163
 მუღრია 412, 419, 507, 522, 525, 528, 555, 602, 605, 606
 მრავალფერა ანუ ცეცხლებრივი ღობიო, იხ. ღობიო
 მრგვალი მუხუდო, იხ. მუხუდო
 მსთულეგელი 625
 მსიმარი 688
 მსოხვი 229
 მსუმარი 688
 მსურ 327
 მსუქანა 59, 174—177, 297
 შინაური მსუქანა 176
 მსხალი 406, 570, 617, 694—698, 714—718, 721—723
 მსხილი ცერცვი, იხ. ცერცვი
 მსხვილმარცვალა 435, 491, 503, 524, 551
 მტევანდიდი 320, 468, 471—473, 480, 492, 497, 525, 531, 535, 603
 მტოლი 112, 121—123, 127—130, 143
 მტილი მწყუნაილისა 110
 მტილ-სამოთხენი 126
 მტკორი კანდღე, იხ. კანდღე
 მტეი ფატჩანი, იხ. ფატჩანი
 მტრედისფეხა 432, 443, 473, 502, 525, 528, 555, 556, 605, 606
 მტერი ლული, იხ. ლული
 მტერი-ო-შქერი 692
 მუჯანოს 178
 მუჯინური 392
 მუნჯიათუღლი 515, 520
 მუნჯრეთული 457, 516, 525, 525, 609
 მურგენტონა 404
 მურგენტული 392, 394, 399
 მურსა 599
 მური 462
 მურქი 183, 184
 მურღი 291
 მუკატი 559
 მუსტა 91
 მუქი კიტრი, იხ. კიტრი
 მუქი ყრღელი, იხ. ყრღელი
 მუყალო 158
 მუშაეზი 307, 308, 311—313, 343, 344, 347
 მუნჯაის ფერი 206
 მუნჯა 272, 566, 715
 მუნჯ-მსალა 696
 მუნჯ-ნესვი, იხ. ნესვი
 მუნჯნა 475, 492, 493, 522, 525, 529, 531, 609
 მუნჯუღი 17, 18, 20, 32, 36—46, 51, 52, 72, 82, 86, 29, 158
 აგურისფერი მუნჯუღი 39
 ბარნარი მუნჯუღი 20
 გოგრა მუნჯუღი 39
 თეორა მუნჯუღი 39, 40
 თეთრეყვილიანი ოა ყოფენ-მარცვლიანი ჭუთუთხედიანი მუნჯუღი 39
 მრგვალი მუნჯუღი 33
 მსხვილმარცვლიანი მუნჯუღი 39, 40
 შემარცვლიანი მუნჯუღი 39, 40
 წერილმარცვლიანი მუნჯუღი 39
 წითელი მუნჯუღი 39, 40

- წითელღვინისფერმარცვლიანი მუხლო მწუანილი ველისაი 159
39 გასაყიდელი მწუანილი 150
მუხე 294 თავისი საკმელი და საყოფი მწუანილი
მუცი 294 150
მუცვა 294 მწუერვალნი 314, 685
მუვა 294 მწყერის ფეხი 556
მყნობა 547, 689 მწყურნები 137
მჭისე 78 მკელეული 95
მხატე მიწა, იხ. მიწა მკვარტალა 429, 525, 530, 609
მხზიარი 98 მკითა კანდლუ, იხ. კანდლუ
მღელნი 364 მკენარა 425, 506
მცივიანი 318, 412, 423, 458, 473, 505, 525, მკნაი 717
528, 603, 605, 609, 616 მხალად საკმელი კვახი, იხ. კვახი
მცივიანი დედალი 424, 495, 525 მხალეული 297, 298, 301
მცივიანი მამალი 424, 495, 525 მხალი 32, 110, 111, 152, 154, 157—160, 167,
მცივინარა 473, 505, 525, 528 180, 181, 191, 198, 208, 219, 222, 298
მცხელ-ბადი 697 მხალი ველისაი 160
მცხელ-გვერდანი 697 თათრული მხალი 171
მცხელი, იხ. მსხალი მხალ-თალგამა 156, 186, 193—195, 198, 220—
მცხელ-კაიში 697 222, 298
მცხელ-კალასაპი 697 რომის მხალი 213
მცხელ-კარაბურუნ 697 მხალი საზამთროდ გამხმარი 159
მცხელ-კენცა 697 მხალი საკმელი 170
მცხელ-კეიწი 697 მხალი უმგბარი 159
მცხელ-კოქალი 697 მხალი შემგბარი 159
მცხელ-მეტაქსი 697 მხალი შინაური 160
მცხელ-მოლაღური 697 წითელი მხალი 298
მცხელ-ოქა 697 მხარგრძელი 320, 417, 423, 499, 525, 530, 602,
მცხელ-ოჭრო 697 604
მცხელ-ტეტული 697 თეთრი მხარგრძელი 417, 423, 499, 525,
მცხელ-შეკერი 697 602
მცხელ-შუა 697 ყვითელი მხარგრძელი 417, 423, 499,
მცხელ-შუმორი 697 525, 602
მცხელ-ჭუმორი 697 შავი მხარგრძელი 417, 423, 499, 525,
მძინე მიწა, იხ. მიწა 602
მწიწე კვახი, იხ. კვახი მხარგრძელისეული 423, 525, 530
მწიწე ხაპი, იხ. ხაპი მხვიარა ლობიო, იხ. ლობიო
მწიწე, იხ. მწიწე მხრები 320
მწიწე 412, 425, 427, 430, 437, 438, 450, 459, მდალი 81
468, 477, 481, 506, 507, 510, 511, 522, 525, მჭურვალი სანელებელი, იხ. სანელებელი
527, 574, 603, 605, 606, 609, 615, 634 მჭ 18, 66
იმერული მწიწე 468, 507, 525 მელნიკუტ 551, 577, 594, 614
ნაბადა მწიწე 425 მელისკუტ 551, 593
ოკრიბული მწიწე 462, 507, 525 მკუმე 99
ყვითელი მწიწე 425
წობენური მწიწე 425
მწიწე რქაწითელი, იხ. რქაწითელი
მწიწე 483, 507, 525, 602, 606
მწიწე მიწა, იხ. მიწა
მწიწე 717
მწუანილი 110, 111, 150, 152, 154, 157—
159, 191, 216, 224, 225
მწუანილი — ბოსტანი 155

- ნაკეთნეული, იხ. ნაგუთნეული
 ნაკუფხალი 318
 ნამარხევი 512, 557
 ნამყენი 689
 ნამგალი 22, 33, 93, 103
 დაკბილული ნამგალი 92
 სათივე ნამგალი 93
 სამკალი ნამგალი 92
 სასხლავი ნამგალი 93, 345, 346
 ნამჭა 101
 ნანა 155, 261, 264
 ნანამ-კუზმ 577, 595
 ნანაპ-ბუზი 577, 595
 ნანაძირი 720, 722
 ნანაზირი, იხ. ნანაძირი
 ნაპვი 265
 ნაპუს 193
 ნაჟვი, იხ. თუთა
 ნარიარმუტი 695
 ნარ 718
 ნარი 688, 713
 ნარბონიკა 405
 ნარეკალა 688
 ნარიჩი 714, 716, 718
 ნარეცხლა 688
 ნასპერკენიტე 392
 ნასხლევი 342, 367, 373
 ნაყენები 456
 ნაყრი 74
 ნაშღაქ 99
 ნაჩენჩი 60
 ნაყარა 450, 525, 535
 ნაყარეაშლი 692
 ნაძვი 121, 353
 ნაძვნარი 689
 ნაჯავი წვენი 661
 ნახლ 718
 ნახმელარი 672
 ნახშაბი 577, 595, 597, 598
 ნგალა 100
 ნგლა 100
 ნდოლო 112, 210, 215
 ნეკვა 344
 ნეი 343, 344, 348, 362, 363, 367, 368, 375
 ნე, იხ. ყურძნის ტკბილი
 ნეი 718
 ნელა-შენდ, იხ. შინდი
 ნენე-მსხალი 722
 ნესვი 150, 154, 155, 269—281, 286, 300—
 302, 406, 466, 467, 702, 712, 713
 გოგრა-ნესვი 272
 ღუთმა-ნესვი 272, 275, 278, 301
 მუხა-ნესვი 272, 277, 301
 ნესკუმპულა 272, 281
 ნესოვანი 146, 272
 ნეცინ ლედარ 34, 80
 ნეცინ ზედერ, იხ. ნეცინ ლედარ
 ნეპას ლინო 387
 ნიახური 154, 252, 255—257, 299, 300
 გარეული ნიახური 255, 256
 შინაური ნიახური 255, 256
 ნიახურის წყალი 255
 ნიგეზის კაკალი 718
 ნიგეზისდერი ოსბი, იხ. ოსბი
 ნიგეზნარი 689
 ნიგოზი 36, 479, 710, 714—718
 თხელნაქუქელაი 710
 კირკიტაი 710
 მაგარნაქუქელაი 710
 ნიგრა 394
 ნიგრა ამინეა, იხ. ამინეა
 ნიგრა ფრეგელანა 399
 ნიგრა, იხ. ნიორი
 ნიეუკა, იხ. ნიუკა
 ნიკურა, იხ. ნიუკა
 ნიორი 76, 150, 154—156, 158, 160, 228—234,
 236, 299, 300
 გარეული ნიორი 228, 299
 გველის ნიორი 230, 299
 დათვის ნიორი 231
 მთის ნიორი 158
 ტუის ნიორი 158
 შინაური ნიორი 299
 ნიუკა 100, 201, 202, 204—206, 298, 299
 ნისკარტა-ვაშლი 720
 ნიჩაბი 105
 ნოვრასტ 577, 594, 595, 597
 ნოიჭი 622, 623
 ნომენტანე 397, 494
 ნომენტური 397, 404
 ნოყა 138
 ნოშრიო 458, 519, 525, 535, 603
 ნემიზიანა 399, 404
 ნემიზიანე 396
 ნემში 707, 710, 711, 714—716, 718
 ნეხულ 18, 36, 42
 ნეჰულ 36
 ნაინ 679
 ნაინ 389
 ნალანჩი-გულაზი 570, 578, 595
 ნატანელ 564
 ნალუბი 578, 593
 ნეზი 578, 593, 594
 ნეზიდი 578, 593

- ობაყლური, იხ. უბაყლური
 ობინეხე 143
 ობჩურა 452, 525, 533
 ოდიში 688
 ობილე 663
 ოზ;მ 566
 ოინეატე 392
 ოკრებელი მწვანე, იხ. მწვანე
 ოკუზ-გიროზ 483
 ოლაგინა 399, 404
 ოლიზნარი 323, 324, 330, 363
 ოლეუმ 327
 ოლორნ 72
 ოპბაღე, იხ. ოპბალო
 ოპბალო 261—265, 299, 300
 ომდაქს ომდაკიბუზა 621
 ჰე ომდაქს 621
 ონბაღე, იხ. ოპბალო
 ონტულე 111, 112
 ონტულეშეში 111
 ონჩაღე, იხ. ონჩაღე
 ონჩაღე 102
 ონჯარო 641—643
 ონჩაღე 97
 ოორბე, იხ. ყორყორე
 ოპბი თებრი 470, 525, 536, 609
 ოგურბი თებრი 427, 516, 525, 530
 ოგუჩიკი 694
 ორგუ 656
 ორღო 687
 ორღონიარი 687
 ორღოში 688
 ორღუბაბი 595, 598
 ორღუსი, იხ. ორღუსი
 ორღუსი 577, 578, 592, 594
 ორე, იხ. ყორყორე
 ორეღულემ 392
 ორთაშელოს 404
 ორნენოსი 178
 ორკოპე 660
 ორმო 107
 ორობოს 70
 ოროვი 70
 ოროვი 131, 147
 ორონა 476, 480, 525, 534, 609
 ორტვი, იხ. ორტვინი
 ორტვილი, იხ. ორტვინი
 ორტილდერობა, ორტვინელობა
 ორტვინი 111, 112
 ორტვინელობა 111
 ორჩხულე 659
 ორნიშო 656, 664
 ორშიმი, იხ. ორშიმი
 ორხულა 463, 519, 525, 535, 609
 ორჯიოვი, იხ. ორჯიოვი
 ორჯიოვი 180
 ორჯობხულა 483, 485, 520, 525, 536, 602, 606, 610
 ოსმალური ლობიო, იხ. ლობიო
 ოსპი 17, 18, 20, 27—31, 43, 45, 71, 77—79, 82, 83, 86, 87, 89, 206
 აგურისდერი შავწინწკლიანი ოსპი 28
 აზიური ჭგუფი ოსპისა 28
 დაწინწკლული ოსპი 29
 კომლა-პირისდერ-მარტვილიანი ოსპი 28
 ნიგვზისდერი ოსპი 28
 პირისდერ-მარტვილიანი ოსპი 28
 სამულო ქვესაეობა ოსპისა 29
 მსხვილმარტვილიანი ოსპი 28—31, 78, 79
 ღია აგურისდერი შავწინწკლიანი ოსპი 28
 წერილმარტვილიანი ოსპი 28—31, 78, 79
 წერილმარტვილიანი მოიხდრო ოსპი 30
 ოსპრია 77
 ოსპრიონ 77
 ოტური ქლიავი 722
 ოფოურა 476, 520, 525, 536, 610
 ოქონა 468, 525, 535, 609
 ოქრო-ყურძენი 426, 507, 525, 520
 ოქროს ცერცვა, იხ. ცერცვი
 ოქსენაუგე 443
 ოქსვლაპათუმ 166
 ოღვლო 164
 ოყურეშული 458, 518, 525, 535, 603, 609
 ოცხანური 476, 516, 525, 534
 ოცხანური საფერე, იხ. საფერე
 ოწილარი თოკი 626, 632
 ოწილახე 696
 ოწულაღე 102
 ოქინახი 641
 ოქყირუ 102
 ოხვატე 467, 505, 524, 532, 603
 ოხვატური, იხ. ოხვატე
 ოხრახეში 252
 ოხრახეში 154, 202, 238, 239, 252—256, 299, 300
 ოხტაური 446, 532
 ოჯალეში 324, 410, 412, 462, 464, 466, 467, 514, 525, 534, 604, 610
 ოჯგუნჯგე 340
 პაგგიმ 705
 ჰე პალათე 705
 პალატიტ 705
 პალმა 365, 394, 395

- პალმირიდია კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 პალო 330, 334—337, 340
 პალომბინა 556
 პალუს 324, 335
 პამპინარიესი 370
 პამპონაციო 378, 379
 პანეში 467, 525, 535, 602, 603, 609
 პანნანიკა 404
 პანტა 691, 694
 პარადეისოს 112
 პარაფჯას 314
 პარდეს 118
 პარკოსანი მარცვლეულობა 16—19, 42, 45, 71, 82—89
 პარტალა 429, 436, 440, 525, 530, 543, 544, 602, 609
 პარტეზ 110
 პარტკალა, იხ. პარტალა
 პარტყალა, იხ. პარტალა
 პო პანსალოს 334
 პატა-ნაე 264
 პატარა საღერავეი, იხ. საღერავეი
 პატეო 625
 ტო პეგანონ 257
 პელეზის ღვინო 367
 პეპარეოლეშის ღვინო 392
 პეპონ 269, 273, 276, 281
 პეპონეს 280
 ტო პეპონია 276
 პერგულანა 399, 405
 პეტრიტეს 392
 პეტრუშკა 154, 252
 პეკე 387, 392
 პითოს 652
 პიკრია 223, 226
 პიკრიდონ 225
 პიკრის 225—227
 პიკროტეს 223
 პინდენი 578, 593, 594
 პირისფერმარცვლიანი ოსპი, იხ. ოსპი
 პირშუშხა 301
 პისკია 229
 პიტნა 155, 261—265, 299
 ბალის პიტნა 262
 ველური პიტნა 263
 კატა-პიტნა 261, 263, 264, 299
 წყლის პიტნა 261
 პიტნაი 261, 263, 264, 299, 300
 პიტნარა 264
 პიტენნა 404
 პიტინნა 404
 პოვნილი 481, 525, 536, 604, 609
 პოლექს 375, 376
 პომპეიანა 399, 404
 პოლუსტაქვლონ 390
 პომპეიური 404
 პომპეიური კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 ტო პოტისტერიონ 652
 პოჭკი 479
 პრეკოქს 395
 პრამნიელი 391
 პრასა 154—156, 228—231, 299, 300, 302
 გარეული პრასა 150, 229
 პრას 229; პრასკა 229; პრასკია 229;
 პროსკია 229; პურასკია 229, 230; პუ-
 რასკია 229
 ტო პრასსონ 229
 პრეზიდიარიუსი 368
 პრეკოქსი 394, 395
 პრეციე 395, 398
 პრეციეს 404
 პრეე 672
 პრკის მოკიდება 672
 პროლენიოს 627
 პროტაგიონი 392
 პრესიანა 404
 პტლაჟალ არნელ 624
 პტულ 317, 318
 პუშულა 155, 271, 272, 275—277, 281, 301, 514, 542
 პუშულაში 466, 525, 535, 542, 543, 604, 608
 პუშულა 404
 პურასკია, იხ. პრასა
 პური 22
 პურისკომა 290—293
 პურპურეე 395, 396
 პუტაციო 341
 ტა პუპოლენ 637
 პწყალა 316
 უენ 521
 უაკაია-კოლო. იხ. კოლო
 უალა-ბალი, იხ. ბალი
 უამი მკისაი, იხ. მკაი
 უამი სთულისაი 623
 უამი სხულისაი, იხ. სხულაი
 უეერი 479
 ულალი 507
 ულია 433, 507, 523, 528, 602, 605
 სავეიანო ულია 419, 513
 შაეი ულია 419
 ჩვეულებრივი ულია 419, 513
 უღრია, იხ. ულია
 უოლო 290, 291, 714, 717

- ულა, იხ. თუთა
 უქო 663
- რაბუსკულა 404
 რაზაი, იხ. რაზი
 რაზი, იხ. რაზი
 რაზიანა 155, 245, 246
 რაზიანა რუმი 245
 რაზი 568, 578, 579, 595, 597
 ჰე რაქს 317
 რაქული საწნეხი, იხ. საწნეხი
 რევალ-ყურძენა 430, 503
 რევაზბეგი 692
 რეზ 307
 რეტიკა 395
 რეტიული 395, 399, 404
 ზღვისპირული რეტიული 402, 404
 რთველი, იხ. სთუელი
 რიყე 134
 რიშ-ბაბა 573, 579, 583, 589, 593, 595, 597
 რკო 415, 431, 435, 443, 455, 525, 529, 604—
 606
 რკონი 492
 რკოს მტევანი 443
 რმან 718
 როგ 73
 როგვი 73, 74
 როგო 642, 656
 როგუ 73—75, 82
 როლია 395, 404
 როლიე 396
 როდოსული 395, 396, 680
 როვზა 155
 როვი 70
 როვდია 70
 როკა 106
 რომის მხალი, იხ. მხალი
 როსი, იხ. სევროსი
 როცკ 74
 რტონი 314, 685
 რუბელა ვინეა 493
 რუბელიანე 397, 494
 რუბეჟს 166
 რუმსო 580, 586, 593, 594
 შეკ-რუმსო 580, 593
 რუსული კაკალი 714
 რუსული ლობიო, იხ. ლობიო
 რქა 312—314, 492, 544, 545
 ახალი რქა 314
 ახლიანი რქა 314
 სამამულე რქა 343, 344, 364, 365, 374,
 375, 395
- სამარაგო რქა 368
 სანაყოფო რქა 312, 343, 345, 347, 348,
 364, 365, 374
 საყურძენე რქა 344, 345, 374, 375
 საწინაო რქა 344, 374, 375
 ტყუილი რქა 343, 370, 395
 ძველი რქა 314
 ძველიანი რქა 314
 რქავენახი 312
 რქაი ვენახისაი 312, 313
 რქაწითელი 313, 408, 412, 417, 420, 423, 436,
 458, 460, 462, 465, 491, 492, 495, 525, 527,
 544—547, 605, 606, 609, 613, 615, 616, 634
 ღეღალი რქაწითელი 421, 495
 თეთრი რქაწითელი 436, 604
 კუკურა 421
 მაშალი რქაწითელი 421, 495
 მწვანე რქაწითელი 421
 წითელი რქაწითელი 417, 421
 რქა-ხელია 421, 492, 525, 530, 544, 602
 რცხილა 456, 457, 525, 532
 რცხილათუბანი 448, 516, 525, 532, 535, 604,
 610
 რცხილნარი 689
 რძღვლაში 309
- ხაბი 419, 429, 434, 458, 488, 489, 513, 525,
 529, 559, 569, 602, 604, 608
 საადრეო 696
 საადრეულო 692
 საადრიო 513
 საათაბაგო 516, 609
 სააზატო 692
 სააზატო-უჩა 696
 საბაბილო ჭური 354, 633
 საბატონო, იხ. დიდმური
 საბინური კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 საბოსტნე 116
 საბუზე, იხ. ბუზის ყურძენი
 საგვიანო 513
 საგვიანო უღია, იხ. უღია
 საგი, იხ. სალი
 საგრილნი 121
 საღაგი 108, 109
 საღადეგო 450, 451, 513, 525, 535, 557, 558
 საღეკანოზო მარანი 634
 საღმელური 461, 525, 535, 604
 სავაზე 345, 346, 375
 სავალნი 113
 სავარდე 116, 125, 126
 სავენახე 112, 130, 305

- საზამთრო 150, 154, 271, 272, 279—283, 286, 300, 301, 712, 713, 714
- სათარგმავი ლობიო, იხ. ლობიო
- სათვალო ყურძენი 51
- სათიბა 451, 514, 525, 535, 609
- სათიბი 130, 392
- სათივე ნამგალი, იხ. ნამგალი
- საი 338
- საივანობო 692
- საირმულა 462, 519, 525, 535, 609
- საკადრისა 17, 18, 42, 43
- საკავებელი 375
- საკალოო მსხალი 696
- საკვირჩხილა 474, 514, 525, 532, 536, 609
- საკიქი 389, 684
- საკმეველა 438, 461, 478, 525
- საკმელაი 509, 525, 529, 602, 604
- საკონე 347
- საკუპალა 442, 524, 531, 616
- სალათა 156, 223—228, 299, 300, 302
- სალათა ზეთ-ძმრიანი 224
- სალი 338
- სალიკლავი 485, 514, 525, 536, 604, 609
- სალყ 155, 208
- სამადაშვილისეული 430, 516, 525, 530, 541, 609
- სამამულე 343
- სამამულე რქა, იხ. რქა
- სამანქრო, იხ. სამაქრო
- სამარ 718
- სამარაგო რქა, იხ. რქა
- სამარიობო, იხ. ატამი
- სამარხი 478, 485, 511, 512, 525, 536, 556, 557, 602
- სამარხი ცერცი, იხ. ცერცი
- სამაქრე 450, 451, 457, 462, 466, 474, 479, 485, 491, 510, 512, 525, 531, 603
- სამთელა 438, 508, 525, 531
- სამკალი 94
- სამკალი ნამგალი, იხ. ნამგალი
- სამოთრაყული ხახვი, იხ. ხახვი
- სამოთხე 110, 112, 113, 116, 120—123, 127—129, 149
- სამოთხეი სამეფუთა 121
- სამოთხეი ფუფუნებისა 113
- სამოთხეული 113
- სამოთხისა მცველი 128
- სამპვალი 334
- სამპული 337
- სამტილე 112
- სამყურა 17
- სამჩხავერა 525, 536
- სამეკა 451, 466, 474, 485, 511, 512, 525, 531, 604
- სანაყოფო რქა, იხ. რქა
- სანახევროდ ეტრატიანი ლობიო, იხ. ლობიო
- სანელებელი 158, 159
- მზურვალი სანელებელი 159
- სანელებლად განკუთვნილი ხახვი, იხ. ხახვი
- სანტრუქ 179
- საპობი ატამი, იხ. ატამი
- სარ 337
- სარღული ხახვი, იხ. ხახვი
- სარი 320—339, 347, 355—357
- სარითა განგება 346
- სარის შედგმა 346
- სარიშსაქ 234
- სარის ლობიო, იხ. ლობიო
- სარკმელი 417
- სარმა 580, 596, 597
- ყარა-სარმა 580, 596
- სარუ 337
- სარქველი 656
- სარცხელი 659, 665
- სარცხი, იხ. სარცხელი
- სარწყავი 137
- სარწყული 651
- სასარე 331, 332
- სასელო 695, 696
- სასთულებელი 625
- სასაწებულე 389, 637
- სასმელი 401
- სასულე 665
- სასხლავა, იხ. სასხლავი
- სასხლავი 345, 346, 375
- სასხლავი ნამგალი, იხ. ნამგალი
- სატატურებრივი ლობიო, იხ. ლობიო
- სატატურ-ბარა 181
- სატატური 154, 156, 177—181, 298, 302
- ზღვისპირული სატატური 177, 297
- თეთრი სატატური 177, 297
- ყლორტა სატატური 177, 297
- წინაბეგა სატატური 177, 297
- საყრიონ 266
- საუღიერო ღვინო 666, 667
- საუნჯე 107, 108
- საფარჯალ 718
- საფენა 425, 511
- საფერავი 410, 417, 418, 430, 433, 434, 444, 456, 474, 485, 488, 489, 491, 498, 510, 511, 525, 527, 541, 546, 604, 605, 609, 613, 614, 616, 723
- განჭური საფერავი 419, 525, 530
- დიდი საფერავი 418, 444

- კახური საფერავი 433, 459, 462, 488, 581
 პატარა საფერავი 418
 საფერავი ხე-წითელი 496
 საფერავი 615
 საფერავი 444, 456, 506, 510, 511
 არცეკული საფერავი 415, 445, 506, 510, 516, 525, 540, 541, 609
 კახური საფერავი 433, 456, 462
 კობახიძის საფერავი 445, 525, 540, 541
 საფერავი დედალი 496
 საფერავი მამალი 496
 ოკხანური საფერავი 415, 444, 510, 525, 606, 609
 საფერავი ხე-წითელი 494
 საფერი 581, 593, 594
 საფლაპი 139
 საფო 652
 საქარე მსხალი 696
 საქაჩე 645, 647, 648
 ცაღის 645, 648
 კახრაქის 645, 648
 საქაჯავი 723
 საქაჯელი, იხ. საქაჩე
 საღინე 441, 509—511, 525, 604
 საღინე ყურძენი, იხ. ყურძენი
 საღი 581, 595
 საყანური 130
 საყვილი 695
 საყვილი 696
 საყვილი შინადადებული 121
 საყურძენი 306
 საყურძენი გოჯორი 631
 საყურძენი ვაზი, იხ. ვაზი
 საყურძენი რქა, იხ. რქა
 საშუალო ქვესახეობა ოსპისა, იხ. ოსპი
 საშუალო ღვინო, იხ. ღვინო
 საშურო, იხ. სასულე
 საჩირე 720
 საჩურჩალი 430, 510, 525, 530
 საჩურჩალი-ღვინო 692
 საცხენელი 96
 საცხოვარი 112
 საძოვარი 130
 საწინაო რქა, იხ. რქა
 საწინდარი 344
 საწინახელი 637, 638, 640, 647, 723
 საწინახელი, იხ. საწინახელი
 საწინახელი წალმული 644
 საწინები 639, 645—649
 რაქული საწინები 645
 საწუნე 17
 საწური 480, 509, 510, 525, 536, 604, 606
 საწყავი 655
 საკმელი ყურძენი, იხ. ყურძენი
 სახაზინო ვაშლი 692
 სახარდენი 332
 სახანავი 332
 სახრო 131, 141, 146
 სახრავი ატამი, იხ. ატამი
 საყვინი 161
 საპაბი 488, 513, 559, 581, 593, 597
 საჭირი, იხ. საფერი
 საჭრა 272
 სეგენეტური 392
 სეგენური ღვინო 387
 სევალდარა, იხ. ალდარა
 სევენდოკი 248
 სევენი 581, 593, 594
 სევი 579, 587
 სევა-მალაპი, იხ. მალაპი
 სეეროსკი 579, 593
 სეესონიკი, იხ. სონიკი
 სეტლიონი 206, 209, 213
 სევა-ხალილი, იხ. ხალილი
 სევა-ხალო 581, 593
 სელდერე 256
 სელი 30
 სელინე 256
 ტო სელინონი 255, 256
 სელბი 272
 სერკეველი 581, 593, 594
 სესელა 722
 სეტანიური ხახვი, იხ. ხახვი
 სეფანაური 695
 სეხის ღვინო 387
 სეანური, იხ. შონური
 სეარ 338, 339
 სეია 310, 311
 სეინტრი 179, 180, 297, 298
 სთუელი 623—625, 627, 629
 სთუელის თვე 629
 სიაპ-დანა 248
 სიკვა 268, 269, 272, 273, 275
 სიკვონი 269
 სიკვოს 269, 275
 სიკვონური 352, 392
 სილა 134, 135
 ლისა 135
 სილა-მიწა, იხ. მიწა
 სილკი 208
 სიმიონი 35, 52, 53, 102, 716
 სიმიონის ლობიო, იხ. ლობიო
 სიმიონასული 430, 516, 525, 530, 609

- სინაპი 265
 სინდრიკ 179, 180
 სანორი 581, 593
 სიონიჭი, იხ. სონიჭი
 სიპტაკ-ბალოლ 582, 593, 594
 სისაკ 582, 593, 594
 სირ 155, 228
 სირ-ვაშლა 691
 სირმა 720
 სირკლევი 485
 სირსული 32
 სიფ 694, 718
 სიფთი-ღურმაზ 582, 596, 597
 სიფთი-ვზუმ 582, 596, 597
 სიანტიანური ამინეური, იხ. ამინეური
 სეკელ 102
 ჰე სეენე 324
 სეეს 652
 სეილინენდტური, იხ. ზღმარტი
 სეირმდტი, იხ. ზღმარტი
 ტა სკოროდა 228
 სკპელ 102
 სკრიბულა 399, 404
 სკვტალული კიტრი, იხ. კიტრი
 სკუნა 315
 ლასკენა 315
 ნასკეი 315
 სიკენი 315
 სობალმა 721
 სოია 45, 49
 სოლი 338, 339
 სოლინგი, იხ. სონიჭი
 სონა 252, 255, 256, 259
 სონიჭი 97, 247—249, 299, 300
 სეე-სონიჭ 248
 სორეჟი 389, 483, 525, 536, 602, 608
 სოტელია 207—209, 213, 298, 299
 სოფორიტეი 405
 სოფორიტეული 398
 სოლან 229, 232, 234
 სოლი 229, 236
 სოხ 228, 229, 232, 236
 სოხვი 229
 სპანძელი. 167, 168
 სპარსეთის ბალახი 169
 სპიონია 399, 404
 სპიტაკენი 582, 594
 სრევა 338
 სტამბოლური ცერცვი, იხ. ცერცვი
 სტამბელ-ვზუმ 484
 49. ივ. ჯავახიშვილი, ტ. V
 სტაფილო 100, 154, 155, 157, 160, 201—206,
 238, 298, 299, 302
 გარეული სტაფილო 202
 ჰე სტაფულე 316
 სტაფულინოს 203, 204
 სტეფანიტე 392, 396
 სტეფნის 404
 სტიჟულა 399
 სტრეპტოს 404
 სვენური ლეინო 387
 ჰე სვეე 703
 სურიკა 404
 სუბუჟი ლეინო, იხ. ლეინო
 სულ 564
 სულამა 721
 სულაღალ 564
 სუეტი 339
 სუკა 268, 269
 სულიანი ყურძენი 429, 509, 525, 530
 სუმბული 124, 149
 სურიკა 248, 249
 სურიჩან 249
 სურიჩანი მისრი 248
 სურო 383
 სუ ყაბაყ, იხ. ყაბაყ
 სურ 232
 სუხრა 232
 სფთა-მეზა-შლე-კაჩახ, იხ. გილა-ტოკან
 სხალი, იხ. მსხალი
 სხვენი 161
 სხვილთაეა 430, 498, 525, 530
 სხვილ-მარცელიანი მუხუდო, იხ. მუხუდო
 სხილათობანი 468, 471, 475, 476, 516, 525,
 532, 604
 სხისტური ხახვი, იხ. ხახვი
 სხლეა, იხ. სხულაა
 სხულაა 341, 346, 373, 375
 ჟამი სხულისა 341, 342
 სხული, იხ. მსხალი
 ტაბარზა, იხ. თაბარზა
 ტაბულენი 223
 ტაიფი 568, 578, 579, 597
 ტალპანა 404
 ტალტუნა, იხ. ტარხუნა
 ტალაერი 324
 ტანნა შავი ღედალი 496
 ტანნა შავი მამალი 496
 ტაფი, იხ. აღდარა
 ტაჟუჟა 694
 ტარენტული 404

ტარტუპია 404
 ტარხუნა 154, 257, 259, 299, 300, 302
 ტახტაქი 564
 ტეგანი 257, 258, 299
 გარეული ტეგანი 258
 შინაური ტეგანი 258
 ტეგანაირნი 257
 ტევენი 317, 479
 ტელმესიური 392
 ტენიას ლვინო 387
 ტენცო 261, 265, 299, 300
 ტა ტეტრაგგურია 269
 ტეხის ლვინო 387
 ტიბურტისა 404
 ტუკი 669
 ტირიფი 332, 564
 ტკბილი 661
 ტკბილ-შუნდ, იხ. შვინდი
 ტკვილი, იხ. ყურძნის ტკბილი
 ტკეცი 62
 ტკიპა-ლობიო, იხ. ლობიო
 ტმოლტის 392
 ტნეელ 226
 ტჩლბანდ 571, 577
 ტოვანი 468, 526, 535, 609
 ტოლბანდ, იხ. დოლბანდ
 ტოლუპე 622
 ჰე ტომე 341
 ტოპკირი 644
 ტოროკუჩხი 465, 502, 526, 603
 ტოლი 479
 ტოპა 463, 519, 522, 526, 534, 535, 609
 ტრედისფეხა, იხ. მტრედისფეხა
 ტრიჰედანე 396
 ტრიჰედანეა 404
 ტრიპოლური 392
 ტრიტიანული კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 ტრო-ვაშლი 692
 ტრუგეზის 624
 ტრუგეტოს 624
 ტვროსული 392
 ტუ აპ 624
 ტუდერნის 404
 ტურდ 218
 ტუსკალანური ხახვი, იხ. ხახვი
 ტუტაში 466, 526, 535, 609
 ტუბტი 172
 ტყეპალი 36, 295, 698—700, 716, 717, 723
 ტყიშალა 699
 ტყის ლეღვი, იხ. ლეღვი
 ტყის მარწყვი, იხ. მარწყვი
 ტყის ნიორი, იხ. ნიორი

ტყურააი, იხ. თხილი
 ტყლაპი 723
 ტყული რქა, იხ. რქა
 ტყუირა 154
 ტკეპა 268

უხვმ 566
 უხვმ ასმასყ 566
 უხვმ ბახჩასყ 567
 უხვმ დწწასი 566
 უხვმ სალყმყ 566
 უხვმ შირასი 566
 უხვმ ჩაჭირდში 566
 უხვმ ჩყმყლყ 566

უბაკლური 424, 427, 516, 526, 530, 609
 უბარდო ლობიო, იხ. ლობიო
 უბეწო გურული ლობიო, იხ. ლობიო
 უბეწო ლობიო, იხ. ლობიო
 უგრებელი 17, 18, 69—71, 89
 უგუტახჷ 138
 უელი 289, 290, 292, 293
 უგულ-მონავარი 691
 უგული 695
 უეტრატო ლობიო, იხ. ლობიო
 უეა ად მეწხამ 401
 უეა დიგიტელა 549
 უზუნალმა 721
 უთავო ხახვი, იხ. ხახვი
 უკადრისა 17, 23, 42—45, 48
 უკვდავა 174—176, 297
 ულბო 250, 299
 უმრგვალესი ხახვი, იხ. ხახვი
 უმჭობესი ლვინო, იხ. ლვინო
 უნაბი 712, 714, 716
 უნაყოფო 496
 უნცილის 404
 უნციარიე 396
 ურდუსი, იხ. ორდუსი
 ურზა 582
 უროხელი 383
 ურძენი, იხ. ყურძენი
 ურწყავი 137
 ურწყული 137
 უსახელაური 462, 519, 526, 533, 609
 უსახელო 429, 430, 461, 519, 526, 533
 უსუარი 309
 უსურვაზი 308—311
 თეთრი უსურვაზი 309, 310
 უსუსური 309
 უყე, იხ. უყი
 უყენები 456
 უყი 138

უშინაგანესი ვენახისა 382
 უშქირ-ვაშლი 692
 უშქურ-უწილონი 626
 უჩა, იხ. ხარდანი უჩა
 უჩა დინხა, იხ. დინხა
 უწყვეტი 459, 462, 499, 526, 604

ფაზი 208
 ფაიტი 544
 ფალერნული 395, 404
 ფანჯარ 208
 ფაია 334, 336, 337
 ფაიტი კორთენი 313
 ფარია 404
 ფარიზ 155
 ფარმაკ უხუმ 578, 579, 582
 ფარმახ-ხათუნ 484
 ფარსახოლი 665
 ფარჩხატა 321, 462, 500, 526, 535
 ფატიჯანი 296
 მტკუი ფატიჯანი 296
 შინაური ფატიჯანი 296
 ფაშაალმა 721
 ფაშანი 589, 593
 ფაჩხატა, იხ. ფარჩხატა
 ფაჯლ 155, 216, 218
 ფეგანა 257
 ფერადი 433, 506, 507, 526, 529, 604
 ფეროვანი 455, 506, 507, 526, 529
 ფერუანი, იხ. ფეროვანი
 ფერხითა განქმნა 130
 ფიაზ 155, 228, 232
 ფინიკი 228, 232, 709
 დანაკის ქული 710
 ფირ- უხუმ 583, 596, 598
 ფირქვეტა 237
 ფიწალი 105
 ფიქენარი 689
 ფიჯლ ქრანგი 219
 ფოთელი, იხ. ფოთოლი
 ფოთლის ჩამოცლა 379
 ფოთოლი 479
 ფორთოხალი 716
 ფოშტომ-უშქური 693
 ფრეგელანა 405
 ფრსათ 718
 ფსალი 338, 339
 ფსვალი 338
 ფსვარუმ 338
 ფსითია 392, 395, 405, 680
 ფუდნა 155, 261, 264
 ფუთქური 223
 ფულ 18, 22, 72

ფუნდუხ-უხუმ 486
 ფურთხელე 164, 165, 167
 ფურქი მცხელი 698
 ფურქინა 376
 ვახის გაფურჩქნა 376
 ფუსტული 707, 714
 ფშატი 714, 717
 ფხალი 182
 ყვაელიანი ფხალი 182, 183
 წითელი ფხალი 207, 210, 211, 214, 215,
 298, 299
 ქალაკოლა 156, 201, 202, 204—206, 298, 299
 ქალაკულა, იხ. ქალაკოლა
 ქალბატონის თითები, იხ. ხათუნ-ბარმალი
 ქალწულის თითები, იხ. ხათუნ-ბარმალი
 ქამა 243
 ქამან 241, 246
 ქართ 220
 ქართულა 454, 516, 526, 535, 609
 ქართული ბარდა, იხ. ბარდა
 ქართული კომპოსტო, იხ. კომპოსტო
 ქარული, იხ. თხილი
 ქარქვეტა 237
 ქარც 78; ქარის 77—79; ქირში 78; ქირც 77—
 79; ქოცე 78; ქგრცა 78
 ქაშა-ვაშლი 720
 ქაცახი 622
 ქალცუ 661
 ქაპოი 224, 225, 299, 300
 ქელურა 463, 519, 526, 535, 610
 ქელუ 283
 ქელასარ 334
 ქელასარ 567
 ქელემ-ი-რუმე 192
 ქერევიზ 256
 ქერეფს, იხ. ქერევიზ
 ქერი 716
 ქერქ-ზრქელი აყირო, იხ. აყირო
 ქერქ-თხელი გოგრა, იხ. გოგრა
 ქერქი 318, 479
 ქეჩი-ემეჯავი, იხ. ქეჩი-ემეჯავი
 ქეჩი-ემეჯავი 417, 488, 504, 526, 530, 554, 596,
 597, 602, 608
 ქეჩი-მშმსი, იხ. რიშა-ბაბა
 ქეაუშლა 692
 ქვა-ლობი, იხ. ლობიო
 ქვაფათური 478, 481, 520, 610
 ქვეერი 653—655
 ბორკილიანი ქვეერი 658
 ქვეერის მრეცხელი 658
 ქველები 468, 526, 534, 535, 602
 ქველოური 446, 516, 526, 534, 535, 541, 609

- კვეყანა, იხ. კუეყანა
 კვიანი მიწა, იხ. მიწა
 კვიბარი 655
 კვიშა 134
 კვიშა-ღიზა, იხ. ღიზა
 კვიშიანი მიწა, იხ. მიწა
 კვიშნა 17, 69
 კვლასარ 567
 კიარიმ-ყანდი 583, 596—598
 კილას 701
 კიწი 154, 155, 204, 249—251, 299, 300
 გარეული კიწი 250
 კინძიჭორა 154, 201, 202, 204, 206, 298, 299
 კინძილოჯა 201, 202, 204—206
 კიოსის [ღვინო] 392
 კირს, იხ. ქარც
 კირში, იხ. ქარც
 კირც, იხ. ქარც
 კიშინი 318, 412, 429, 488, 521, 526, 530, 583, 596, 597, 602, 605, 608, 713
 კიშიმი-ჯუჯ 566, 583
 კიშინიზ 251
 კიშნიჯ 251
 კიშური 427, 437, 439, 504, 515, 516, 524, 526, 530, 531, 602, 604, 609
 კიცი, იხ. ქარც
 კლიაგი 406, 698—700, 714—717, 721, 722, 723
 კონა 59
 კონა-კონა 59, 174—176, 298
 კონა-ლობიო, იხ. ლობიო
 კონდარი 154, 259, 260, 299, 300
 კონდრის კაცი 259
 კორტოს 111
 კოსტლარ 567
 კოსვლუ 567
 კოპუ, იხ. ქაპოი
 კრთილი 50
 კსვლონ 544
 ტო ქსვლონ ტეს ამპელუ 313
 ქარდამუტ 584, 593, 594, 596, 598
 ქული 664
 ქულის დარევა 665
 ქუღუ 283
 ქუეყანა 144
 ქუეყანა მკლეა 144
 ქუეყანა ნაყოფიერი 144
 ქუეყანა პოხიერი 144
 ქუეყანა ურწყული 137
 ქუმორა 718
 ჭგრცა, იხ. ქარც
 ჭე-კაპეტემ-უჩქური 699
 ლა 107
 ლალადან 108
 ლანძილი 228, 230, 233, 234, 236, 237, 299, 300
 ლარამწო 252
 ლარასულა 463, 519, 526, 535, 609
 ლედარ 34, 71, 73, 79, 80, 82
 ლედერ, იხ. ლედარ
 ლვალო 158, 163—167, 297, 298
 მევე ლვალო 158, 163
 ლვალოშავა 163, 165
 ლვალუ, იხ. ლვალო
 ლვია 383
 ლვინის გადაბრუნება 672
 ლვინის დამარება 672
 ლვინის მოღობა 673
 ლვინის მორთალა, იხ. ლვინის გადაბრუნება
 ლვინის ხე 681
 ლვინო 671, 679
 სუბუქი ლვინო 671
 საშუალო ლვინო 671
 უმჯობესი ლვინო 671
 ლვინო ზერდაგი 674
 ლვინჯა 134
 ლვინი დაბეება, იხ. ლვინის დამარება
 ლვიძი 318
 ლია აგურისფერი შავწინწკლიანი ოსპი, იხ. ოსპი
 ლინიშ გულა, იხ. გულა
 ლინი 681
 ლირლავი 136, 146
 ლობე 128, 129, 338
 ლოლო, იხ. ლვალო
 ლომი 716
 ლორისთვალა 412, 465, 473, 477, 502, 503, 523, 526, 533, 548, 605
 ლორლი 134, 136
 ლოფის-თავი 158
 ლორქლიავა 699
 ლოდნაშო 698
 ღრამსო 252, 255
 ღრუბელა 426, 438, 526, 530
 ლული 92
 ლუენი 681
 ყაბალარმუტი 722
 ყაბაყ 283
 სუ ყაბაყ 283
 ყათირბუნე 721
 ყაისი 716, 717
 ყანობირი 689
 ყარა-მარფა 583
 ყარაბაილუ 615

- ყარა-სარმა, იხ. სარმა
 ყარა-უზუმ 584, 596, 597
 ყარაფიღა 720, 721
 ყარა-შანი, იხ. შანი
 ყარა-შირაჟ, იხ. შირაჟ
 ყარაჯა 584, 596, 597
 ყარდელი 224
 ყარდიმელა 158, 224
 ყარყარა 692
 ყარყარა კვახი, იხ. კვახი
 ყასაბ 718
 ყაზა-წითელი 695
 ყვავილიანი კომბოსტო, იხ. კომბოსტო
 ყვავილიანი ფხალი, იხ. ფხალი
 ყვავტყემალა 691
 ყვალი 263
 ყვალმინთა 261—263, 265, 299, 300
 ყვანჭი 307
 ყვიბარი 655
 ყვითელი ლობიო, იხ. ლობიო
 ყვითელი მიწა, იხ. მიწა
 ყვითელი მსხალი 696
 ყვითელი სხული 696
 ყვითელი მწვანე, იხ. მწვანე
 ყვითელი მხარგრძელი, იხ. მხარგრძელი
 ყვითელი-ხიანი 494
 ყიზილ-ბოზ 596, 597
 ყიზილ-უზუმ 575, 584, 590, 597
 ყინტორა 238—240, 299
 ყირმიზ-უზუმ 575, 596, 597
 ყიფიანთ ღვინო 456
 ყიშ-უზუმ 515
 ყლარტა 177
 ყლორტა სატატური, იხ. სატატური
 ყოშ 155
 ყომური, იხ. ქლიაეი
 ყომურ-ლავა 699
 ყომურ-ქართული 699
 ყომურ-ღეჯი 699
 ყომურ-ჰაკი 699
 ყონა 140
 ყონირი 690
 ყორნისთვალა 455, 462, 503, 526, 533, 548
 ყორყორჯ 283, 287
 ყრდელი 154, 223—228, 299, 300, 302
 ასტუტის ყრდელი 227
 ბერძნული ყრდელი 227
 გრძელფოთლიანი ყრდელი 227
 დაბალი ყრდელი 227
 ველის ყრდელი 223, 225, 226, 299
 ველური ყრდელი 227
 თეთრი ყრდელი 227
 კაბადუკიური ყრდელი 227
- კევერა ყრდელი 227
 კილიკიური ყრდელი 227
 ლაონიკური ყრდელი 227
 მომრგვალებული ყრდელი 227
 მუქი ყრდელი 227
 შავი ყრდელი 227
 შინაური ყრდელი 225, 299
 ცეცილიური ყრდელი 227
 წითელი ყრდელი 227
 წითელი დიდფესვიანი ყრდელი 227
 ყრულა-ვაშლი 692
 ყულ-მინთა, იხ. ყვალ-მინთა
 ყუანჭი, იხ. ყვანჭი
 ყუერბი 130
 ყუერბი შტილისაჲ 130
 ყუნწი 686
 ყუნწმაგარა 462, 505, 526, 535
 ყურძენი 317, 713—716, 718
 ყურძენი ახალი 389
 საბადაგო-საჩურჩხლე ყურძენი 604
 სამპურე ყურძენი 603, 628
 სამურაბე ყურძენი 602
 საღვინე ყურძენი 401, 513, 603
 საჩამიჩე ყურძენი 602
 საწილე ყურძენი 602
 საჰაჰე ყურძენი 604
 საჰმელი ყურძენი 401, 405, 513, 601
 ყურძენიში მაწილარი 626, 632
 ყურძენში თვალის შესვლა 379
 ყურძენის ადრეული ჩიშები 605
 ყურძენის ზოგადი ჩიშები 403
 ყურძენის თემ-ადგულების ჩიშები 403
 ყურძენის გამძლე ჩიშები 605
 ყურძენის უხვმოსავლიანი ჩიშები 605
 ყურძენის საგვიანო ჩიშები 605
 ყურძენის შერეული, იხ. მსთულებელ
 ყურძენის ტუბილი 662
 ყურძენის ღერო 317
 ყურძენობა 150
 ყურწი 479
 ყურ-წითელა 449, 508, 526, 534
 ყუშ-მურაჯი 584
 ყუშ-მოლოლი, იხ. ყუშ-მურაჯი
- შაბა, იხ. შაბია
 შაბია 429, 438, 508, 526, 530, 604, 605
 შავა 445, 506
 შავთალე 718
 შავი ბალი, იხ. ბალი
 შავი 699
 შავი ბოლოკი, იხ. ბოლოკი
 შავი ბუღმური, იხ. ბუღმური
 შავი გურული ლობიო, იხ. ლობიო

- წავი ვაზი, იხ. ვაზი
 წავი თითა, იხ. თითა
 წავი კაბ-სტონი, იხ. კაბისტონი
 წავი კაბიტო, იხ. კაბისტონი
 წავი კამური, იხ. კამური
 წავი ლელი, იხ. ლელი
 წავი ლია, იხ. ლია
 წავი მიწა, იხ. მიწა
 წავი მსხალი 720
 წავი მხარგრძელი, იხ. მხარგრძელი
 წავი ულია, იხ. ულია
 წავი ყრდელი, იხ. ყრდელი
 წავი ყურძენი 420, 474, 481, 506, 526, 529
 წავკაილა 248, 299
 წავკაპიტო, იხ. კაპისტონი
 წავოპი 485, 506, 526, 536
 წავრულა 692
 წავქლიავე 699
 წავყურძენა, იხ. წავი ყურძენი
 წავშური 481, 520, 526, 536, 610
 წავშენდ, იხ. შეინდი
 წაღამი 155, 220, 222
 შამამი 276, 277
 შამანი 662
 შამბალიდი 267—270
 შამშამეპ, იხ. შამამი
 შანთი 410, 412, 450, 526, 534, 559, 608
 შანი 457, 584, 596, 597
 ალ-შანი 584, 596
 ყარა-შანი 584, 596
 შან-ბალოლ 585
 შარაველქ 314
 შაქარ-ბერაპ, იხ. შაქარ-ბირა
 შაქარ-ბირა 586, 596, 597
 შაქარი 586, 596, 597
 შაქარნაბადა 721
 შაქარ-ყანდი 586, 596, 597
 შაქრიანი ლობიო, იხ. ლობიო
 შაყელვა, იხ. შეყელვა
 შაშობილი 323
 შახალმა 721
 შაპანგულ 585, 593
 შაპანი 585, 593
 შაპ-ენგურ 585, 596, 597
 შაპ-ტატი 585, 593, 594
 შაპ-უხუმ, იხ. შაპ-ენგურ
 შაპ-ყურძენი, იხ. შაპ-ენგურ
 შაპ-შაქი 580, 585, 593, 594
 შაპ-შირაი 586, 596
 შაჭვი 586, 596
 შებარდელი 34
 შეკ 586, 593, 594
 შეკონვა 347, 348, 376
 შეკ-რუმსო, იხ. რუმსო
 შემგზარი ჭაყუნტლის წყალი, იხ. ჭაყუნტელი
 შემამი, იხ. შამამი
 შემოსული 89
 შემეშაგება 341
 შენახვა 557
 ხვაშიადის შენახვა 557
 შესარვა 346
 შეყელვა 347, 348, 376
 შეითი 245
 შეინდი, იხ. შინდი
 შელის-თივა 158
 შიბუ 158, 301
 შიკმიმ 708
 შინაური მსუქანა, იხ. მსუქანა
 შინაური ნიახური, იხ. ნიახური
 შინაური ნიორი, იხ. ნიორი
 შინაური ტეგანი, იხ. ტეგანი
 შინაური ფატიჯანი, იხ. ფატიჯანი
 შინდი 701, 702, 714, 715, 717, 721, 723
 ადრეულა შუნდ 701
 თეთრ-შუნდ 701
 ნელა-შუნდ 701
 ტკბილ-შუნდ 701
 შავ-შუნდ 701
 ცხრატყავა-შუნდ 701
 წითელა-შუნდ 701
 შინკა 272, 275
 შირაბ-ი ფართალი 543
 შირაზი, იხ. შირაზული
 შირაზული 427, 428, 526, 602, 605, 608
 შირაი 586, 587, 593, 596, 597
 ალ-შირაი 569, 587, 596
 ყარა-შირაი 587, 596
 შირა-უხუმ 587, 596, 597
 შირეი, იხ. შირაი
 შირვან-შაპი 581, 586, 596, 598
 შირინ-ყარა 587, 596, 597
 შირ-შირა 587, 596, 597
 შიშველი 485, 506, 526, 536, 602
 შნაკვი 92
 შონური 179, 464, 514, 519, 526, 535, 604—
 606, 610
 შორა 720
 შრომანა ლობიო, იხ. ლობიო
 შუ 193
 შუაგულის ღვინო 387
 შუა ღვინო 663, 666, 667
 შუა წვენი 660
 შუბყა, იხ. შუპყა
 შუკა 268, 269, 275

- შუმი 663, 666, 667
 შუშუ 231
 შუბ 386
 შუბა 157, 158, 300
 შურ 563
 შუშტყემალი, იხ. ტყემალი
 შჩაველ 166
 შხუ 132
 შხურიჩ 309, 310
- ჩაუშპარი 588, 593
 ჩაღუნი 644
 ჩათარუგი 722
 ჩაქმაშურა, იხ. ჩოქმაშურა
 ჩაქუნდარ 155, 203
 ჩალა 90, 91, 96, 102
 ჩალამბარა 238, 299
 ჩალამ კალამ 567
 ჩამან 240
 ჩამიჩ 662, 684
 ჩამიჩი 389, 588, 718
 ჩამოფურცვლა 379
 ჩარმამ 211
 ჩაუშ-უზუმ 588
 ჩადი 650
 ჩაქვინაური, იხ. ჩილვინაური
 ჩაჭრილა, იხ. ხორგო
 ჩაჭრილ-ფოთლიანი ეაზი, იხ. ეაზი
 ჩაჭრილო 632
 ჩეკა 347
 ჩეკი 347
 ჩეკოლოში, იხ. კოლოში
 ჩეკში, იხ. ჩეჩქიში
 ჩენჩა ლობიო, იხ. ლობიო
 ჩენჩო 60
 ჩე-რკვეალი 469, 503, 526, 535, 604
 ჩერნუშკა 248
 ჩეში 469, 507, 526, 533, 536, 604
 ჩეჩქიში 469, 526, 536
 ჩეჭიბეში 469, 503, 526, 533
 ჩეჭიდეში, იხ. ჩეჭიბეში
 ჩეველებრივი ქლია, იხ. ქლია
 ჩილალ 588, 593, 594
 ჩილი 587, 593, 596
 ჩილ-უზუმ 587, 596
 ჩინური 439, 507, 526, 531, 555, 604—606, 616
 ჩიტა-მსხალი, იხ. მსხალი
 ჩიტვალა 248, 299
 ჩიტვალა 691
 ჩიტის ვაშლა, იხ. ჩიტვალა
 ჩიტისთვალა 418, 503, 526, 530
 ჩიტისკვერცხა 62
- ჩიტის-კვერცხა გურული ლობიო, იხ. ლობიო
 ჩიტის-კვერცხა ლობიო, იხ. ლობიო
 ჩიტის-პურა 172, 174
 ჩიტი-სხალა 695
 ჩილვინაური 460, 518, 519, 521, 526, 535, 609
 ჩიჩქიში, იხ. ჩეჩქიში
 ჩიქიბე 481, 503, 526, 610
 ჩლაუ, იხ. ქლიავი
 ჩმჩენი 588, 593, 594
 ჩოქმაშურა 430, 516, 526, 530, 609
 ჩრდილოეთის ღვინო 387
 ჩუგუნაუ, იხ. ჩილვინაური
 ჩუპეში 476, 503, 526, 533, 610
 ჩურჩაბ 699
 ჩურჩხელა 510, 674, 723
 ჩუჩქუშ-უშტყერი 693
 ჩქეფი 456
 ჩხა 314, 493
 ჩხაბერძელი 474, 493, 494, 520, 526, 534, 608
 ჩხავერი 448, 471, 472, 474, 475, 478, 480, 493, 494, 520, 526, 533
 ჩხარუა 98
 ჩხვარი 98
 ჩხვერი 98
 ჩხინკილოური 526
 ჩხირი 330, 333
 ჩხოროკელი, იხ. ჩხოროკენი
 ჩხოროკენი 526, 535, 609
 ჩხრიკე 666
 ჩხუში 481, 482, 502, 526, 534
 ჩხუჩეში 469, 502, 526, 528, 533, 534
- ცალი 102
 ცალუა 102
 ცანაო გურული ლობიო, იხ. ლობიო
 ცანაოს ლობიო, იხ. ლობიო
 ცარე 147
 ცარცხა 463, 519, 526, 535, 609
 ცელემ 102, 103
 ცელვა 92, 99, 101—103
 ცელი 92, 99, 101—103
 ცერად გასხლვა, იხ. გასხლვა
 ცერეცო 73, 74, 154, 243, 244, 247, 299, 300
 ცერი 375
 ცეროცე, იხ. ცერეცო
 ცერცველა 17, 23, 24, 29, 78, 82, 86, 89
 თეთრმარცვლიანი ცერცველა 23
 მსხვილმარცვლიანი თეთრი ცერცველა 22, 29
 წვრილფოთლიანი ცერცველა 44
 ცერცვი 17—24, 27, 28, 31—34, 43, 45, 51, 52, 68, 69, 71—77, 79, 82—84, 86, 89, 158, 159, 206

- ბავლი ეგრევი 82
 ბარდა ეგრევი 32, 33, 36, 88
 თეთრების ეგრევი 64
 თურქული ეგრევი 18, 52, 87
 მანა ეგრევი 49, 66, 67, 82
 მსხვილი ეგრევი 17, 18, 22, 31, 32, 68
 ოქროს-ეგრევი 19, 33
 სამარხო ეგრევი 21
 სტამბოლური ეგრევი 18, 51, 52, 156
 ტულდერევი 17, 23
 ძელის ეგრევი 25
 ძროხის ეგრევი 49
 წვრილი ეგრევი 22, 34
 ცეცილიური ყრღელი, იხ. ყრღელი
 ცეცქაი 17, 66, 67, 82
 ცეხვა 98
 ცვეტნი ოპროვტ 196
 ცვილისფერი კიტრი, იხ. კიტრი
 ცვაეტაჩა 196
 ციც 334
 ციცაბარდა 309
 ციმცვა 290, 294
 ცინცა 291, 294
 ცინცრა 404
 ციცქა 415, 452, 453, 461, 470, 517, 526, 532, 604—606, 609
 ციცქო, იხ. ციცქა
 ცოლიკოური 410, 412, 415, 452, 461, 517, 526, 533, 604, 606, 609
 ცომაი 699
 ცოროცე, იხ. ცერეცო
 ცულდერევი, იხ. ეგრევი
 ცულისპირა 17, 32, 42—48, 78, 82, 86, 89
 თეთრმარცვლიანი ცულისპირა 45, 47
 თეთრყვავილიანი ცულისპირა 45
 ლურჯყვავილიანი ცულისპირა 45
 მსხვილმარცვლიანი ცულისპირა 45, 48
 წვრილმარცვლიანი ცულისპირა 45, 48
 ცუნუ 588, 594
 ცხენის ყურძენი 551
 ცხენი-ძუძუ 295, 321, 424, 432, 441, 459, 473, 478, 480, 482, 484, 504, 513, 526, 528, 548, 552—554, 602, 604, 723
 ცხერო 463, 519, 526, 535, 609
 ცხინილოური 470, 519, 536
 ცხოროყენი, იხ. ჩხოროყენი
 ცხილათუბანი, იხ. რცხილათუბანი
 ცხიმუტი, იხ. ზღმარტლი
 ცხრატყაეა, იხ. შინდი
 ცქირმუნტური, იხ. ზღმარტლი
 ცხილმუნტური, იხ. ზღმარტლი
 ცხული, იხ. მსხალი
 ცგმცვა 290
 ძარი 381, 632
 ძალიარქამა 420, 530
 ძალის ყურძენი 551, 553
 ძალნიორა 48
 ძაძა 17, 18, 43, 48—51, 64, 82
 ძელის ეგრევი, იხ. ეგრევი
 ძელი 313, 431, 432, 544, 545
 ძელგი 457
 ძელქვა 545
 ძელ-შავი 430, 431, 441, 465, 472, 492, 493, 526, 527, 544—546, 604—605
 ძეგა 243, 247, 455
 ძველიანი, იხ. რქა
 ძველი ვაზი, იხ. ვაზი
 ძველი რქა, იხ. რქა
 ძველ-შავი, იხ. ძელ-შავი
 ძიოენი 115, 715
 ძილალ, იხ. ჩილალ
 ძირა 240
 ძირაკი 240, 241, 299, 300
 ძირი 151
 ძირნი 311
 ძირხვენა 158, 161
 ძირხვენული 161, 298
 ძმარი 675
 ძმერუქ 281, 282
 ძმრის ტკბილი 675
 ძნა 96
 ძმერხლი 659
 ძნეული 96
 ძობენური, იხ. წობენური
 ძროხის ეგრევი, იხ. ეგრევი
 ძროხის-ძუძუ 392, 393, 395, 396, 404, 554
 ძუენი 426, 526, 530, 609
 ძუძუვაშლა 692
 ძუძუმარწყევი, იხ. მარწყევი
 ძუძუმყავლა, იხ. მყავლა
 ძღვამბლი 309, 455, 526
 წაბლი 710, 715, 717, 718
 წაბლისფერა მარცვლიანი მუხულო, იხ. მუხულო
 წათხ 164
 წალამი 342
 წალდი 345, 346, 375
 წალიკ 114
 წალიკა 114, 129
 წალკოტი 113, 114, 116, 118, 123, 124, 126—128, 148, 149
 წალკოც 114
 წართხალი 164, 165
 წარმოდგომილი 89, 90

- წბერი 645, 647, 648
 წერაქვი 101
 წებალი 687
 წენგო 686, 687
 წერეული 96
 წერთხლა 158, 164
 წერტილა ვაშლი 692
 წერტულა ვაშლი 720
 წვანად, იხ. მწვანე
 წვითე 481, 526, 536, 609
 წვრილი არგოსული, იხ. არგოსული
 წვრილი ბარდა, იხ. ბარდა
 წვრილი ცერცივი, იხ. ცერცივი
 წვრილმარცველა 430, 503, 526, 530
 წვრილმარცველიანი მოიისფრო ოსპი, იხ. ოსპი
 წვრილმარცველიანი მუხუდო, იხ. მუხუდო
 წვრილმარცველიანი ოსპი, იხ. ოსპი
 წვრილმარცველიანი ცულსპირა, იხ. ცულსპირა
 წვრილმარცველიანი ცერცველა, იხ. ცერცველა
 წიაგბოლე 290
 წიაღომინა 479, 520, 526, 536, 602, 604, 610
 წიღნე 327—329, 615
 წითელა 720
 წითელა-შუნდ, იხ. შვინდი
 წითელგვერდა ვაშლი 692
 წითელგვერდაჲ 722
 წითელვაშლი 692
 წითელი ატამი, იხ. ატამი
 წითელი ბოლოკი, იხ. ბოლოკი
 წითელი გვიანი, იხ. ატამი
 წითელი დიდფეკიანი ყრდელი, იხ. ყრდელი
 წითელი ღობიო, იხ. ღობიო
 წითელი მდელი, იხ. მდელი
 წითელი მიწა, იხ. მიწა
 წითელი მუხუდო, იხ. მუხუდო
 წითელი მხალი, იხ. მხალი
 წითელი პასტინაკი 203
 წითელი რქაწითელი, იხ. რქაწითელი
 წითელი საზამი 692
 წითელი სიმინდის ღობიო, იხ. ღობიო
 წითელი ფხალი, იხ. ფხალი
 წითელი ქონა ღობიო, იხ. ღობიო
 წითელი ღვინო 387
 წითელი ყრდელი, იხ. ყრდელი
 წითელი ხახვი, იხ. ხახვი
 წითელი ღვინისფერა მარცველიანი მუხუდო, იხ. მუხუდო
 წითელყვავილიანი კრელმარცველიანი ბაკლა, იხ. ბაკლა
 წითლიანი 474, 506, 507, 526, 534, 604
 წილახუა 636
 წი-ღობიო, იხ. ღობიო
- წინაბეგა 177
 წინა წვენი 660
 წინდი 327
 წინწყვა 454, 526, 609
 წიპწა 318, 326
 წიღელი 714, 715
 წიწაკა 156, 301
 წიწილიანი 459, 526, 535, 609
 წკა 318
 წლობა 458
 წმერუქ, იხ. ძმერუქ
 წმინდა-თეთრა, იხ. თეთრა
 წნებეკი 179
 წობენური 426, 515, 526, 530, 602, 604, 605, 609
 წოტი 522
 წტი-ხალოდ 588, 593, 594
 წუ 91
 წუელი 91, 92, 96
 წულუკიძის თეთრა, იხ. თეთრა
 წურილი მარწყვი, იხ. მარწყვი
 წყალთეთელი 483, 521, 526, 536, 602, 604, 610
 ჭავი 155, 208, 209, 298
 ჭავიკ 209
 ჭალა 139
 ჭაყუნდელ 206
 ჭაყუნტელი 206—210, 213—215, 298, 299
 ჭაყუნტელი მგბარი 206, 207
 ჭაყუნტლის ფურცელი 207
 მგმბარი ჭაყუნტლის წყალი 207
 ჭალე 140
 ჭანდარი 566
 ჭანჭრობი 137
 ჭანჭური 692, 722
 ჭარ 210
 ჭარი 210—212
 ჭარმაგი 211
 ჭარმალი 211
 ჭარო 212
 ჭარარ 210
 ჭარხალა 404
 ჭარხალი 150, 154—156, 160, 184, 186, 193, 206—215, 220, 222, 298, 299, 302
 ჭაჭა 318, 479
 ჭახრაკი, იხ. რაქული საწნეხი
 ჭერამი 716, 717, 721
 ჭეჭა, იხ. ჭაჭა
 ჭეხნა 635
 ჭეტილოური 470, 519, 526, 536, 604, 605
 ჭიაფერა 156
 ჭიგო 330, 331, 333, 339, 340, 346—348

- ბიოს შედგმა 346
 ბიულ 340
 ბილა დიხა, იხ. დიხა
 ბილა მსხალი 696
 ბილა კანდლე, იხ. კანდლე
 ბილაში 466, 506, 507, 526, 534, 604
 ბილა 158, 238
 ბიპტიბური 131, 133
 ბიპტიმა მგალო 692
 ბიპტიმა პანტა 695
 ბილეა 339, 340
 ბილევა, იხ. ქილევა
 ბიპში 252
 ბიპინაური 518, 521, 609
 ბიპები 318
 ბიპელი 229
 ბიპეტა 691, 694, 695
 ბიპეტა-უშქური 631
 ბიპიკი 160, 229, 235, 236
 ბიპილი 476, 480, 522, 526, 534, 609
 ბიპოტონა 115
 ბიპიყოფი 137
 ბიპა 93
 ბიპელი ლობიო, იხ. ლობიო
 ბიპელ-ყურძენა 425, 508, 526, 530
 ბიპოკინა 461, 526, 535, 609
 ბიპლ 340
 ბიპბერი 134
 ბიპბურონა 115
 ბიპრი 652
 ბიპრის დაკირვა 657
 ბიპრის ხელი 672
 ბიპარტალა 440, 526, 531, 609
 ბიპმა 238, 239, 299, 300
 ბიპონი 492
 ბიპოროპორტი 106
 ბიპარტი 175, 223—225, 228, 299, 300
 ბიპარტი, იხ. ბიპარტი
 ბიპანი 588
 ბიპუნ-ბარმაკი, იხ. ბიპუნ-ბარმალი
 ბიპუნ-ბარმალი 548, 549, 579, 589, 596, 597
 ბიპუნი 589, 593
 ბიპაკეთ 621
 ბიპაკა 720
 ბიპამბარი 107, 108
 ბიპაჩი, იხ. ბილაჯი
 ბილაჯი 529, 596
 ბილთერი 485, 526, 536, 604
 ბილილი 581, 539, 593, 596, 598
 ბილე-ბილილი 581, 589
 ბილოლ 315
 ბილუმალმა 721
 ბილუმ-ბარმალი 484
 ბილუმ-ბარმალი 589, 597
 ბილუმელი 76
 ბილუმეკოლა, იხ. ბილუმეკალა
 ბილუმეკალა 16, 17, 24—27, 43, 68, 71, 75, 76, 80, 82, 86, 88, 89
 ბილუმეკოლა, იხ. ბილუმეკალა
 ბილუმეკალე 97
 ბილუმეკალაში 283, 288
 ბილუმე 283, 285, 287, 288
 ბილუმე ხაპი 287, 664
 ბილუმეკალე 395
 ბილუმეკალა 526, 609
 ბილუმეზ 155, 272
 ბილუმეზაი 272, 280, 282
 ბილუმეზაი ჰინდლი 279, 282
 ბილუმელი 265
 ბილუმელი 330—333, 340, 347, 356, 357, 463, 474, 514, 526, 534
 ბილუმელი უჩა 464, 506, 534, 604—606
 ბილუმელი ჩე 464, 470, 534, 604
 ბილუმელის კენახი, იხ. კენახი
 ბილუმეთა 707, 716
 ბილუმეთალა 412, 417, 425, 432, 433, 437, 441, 442, 449, 469, 473, 480, 502, 513, 524, 527, 528, 531, 548, 554, 555, 592, 602, 604, 605, 606, 615, 616, 723
 ბილუმეთალა ლურჯი 442
 ბილუმანარუგი 722
 ბილუმე 574, 589, 593, 596, 597
 ბილუმენი, იხ. ბილუმენი
 ბილუმე 223—225, 227, 299, 300
 ბილუმე 590, 596
 ბილუმეთური, იხ. ბილუმეთური
 ბილუმურე 694
 ბილუმე, იხ. ბილუმე
 ბილუმე 76, 100, 150, 154—156, 160, 228—236, 299, 300, 302, 406
 ბილუმეთური ხაპე 232
 ბილუმეთური ხაპე 233
 ბილუმეთური ხაპე 232, 233
 ბილუმეთური ხაპე 233
 ბილუმეთური ხაპე 233
 ბილუმეთური ხაპე 232
 ბილუმეთური ხაპე 228
 ბილუმეთური ხაპე 150, 154, 229, 233, 235, 299
 ბილუმეთური ხაპე 233
 ბილუმეთური ხაპე 233
 ბილუმეთური ხაპე 232
 ბილუმეთური ხაპე 232

- სამოთრაკული ხაზვი 232
სანელბლად განკეთენილი ხაზვი 232, 233
სარდული ხაზვი 232, 233
სეტანიური ხაზვი 232
სხისტური ხაზვი 232
ტუსკულანური ხაზვი 232, 233
უთაჲო ხაზვი 229, 235, 299
უმრგვალესი ხაზვი 233
წითელი ხაზვი 233
ზაჲი 71, 73—77, 85, 82
ზღური, იხ. ხნღურა
ზე 313, 492, 544, 545
ზევანი 324
ზევარდული 313, 465, 422, 492, 493, 527, 536, 544—546, 602
ზევაშლი 720
ზეივანი 324, 367, 370, 567
ზეიენის ყურძენი 419, 514, 527, 530, 602, 608
ზელნაშენი 321, 322, 349
ზელსაღებავი 156, 157
ზემად 229
ზემხო 422, 472, 492, 523, 527
ზემხუ 422, 465, 472, 492, 493, 523, 544, 546
ზენდრო 269—274
ზეპარა 660
ზერხული 108, 109
ზეჩაკ 565
ზეჩაკმარ 565
ზექები 686
ზექეშური 695, 696, 720, 722
ზევი 106
ზევარდის უშქური 692
ზევმერჩილი 94
ზევანკარა 456
ზევაჲკოლა. იხ. ხანკვალა
ზევსგრბე 94
ზევაშიადის შენახუა, იხ. შენახუა
ზევაწერხი 94
ზევაჲცე 94
ზევიმარდის უშქური 692
ზევითი 183—186, 189, 191, 297, 298
ზევითიანი კომბოსტო, იხ. კომბოსტო
ზევიზინია 290, 292
ზევქმე 94
ზეიბან 324, 325
ზიარ 155, 268, 270
ზიდისთაური სახრაჲი, იხ. ატამი
ზილი 718
ზილნარი 688
ზინწყანა 140
ზინჲი 140
ზინჲყონა 131, 140, 141, 146
ზიძარ, იხ. ზიარ
ზიოვანი 566
ზიპირი, 268
ზირატი, იხ. ზირხატი
ზირსული სახეჲი, იხ. ატამი
ზირსული სახრაჲი, იხ. ატამი
ზირხატი 131, 136, 145
ზიტპი 268, 269
ზიფლას ყიჲა, იხ. ზიფხოლას ყიჲა
ზიფხოლა 157, 158, 238
ზიფხოლას ყიჲა 157
ზიხეა, იხ. ზიხეი
ზიხეი 422, 423, 458, 462, 492, 523, 527, 528, 544, 546, 604, 605, 616
ზმილი 152, 158, 289, 301, 302, 554
ზნღური 17, 18, 20, 31—34, 37, 38. 40, 42, 43, 46, 47, 68, 71, 72, 73, 79—84, 89, 159
ზნღური არიეტრეუმ 40
ჲართული ზნღური 38
ლორის ზნღური 17
ზნძორ 694
ზოზაკამი 573, 574, 590, 593, 594
ზოზანი 589, 593, 594
ზოზორ 590, 596, 597
ზოჲი 632
ზოლძა 175
ზომანღური 720
ზომერ 389
ზორბალი 716
ზორბლეული 18
ზორა 642
ზორგო 641, 642
ზორხი 136
ზოტეეური 457, 518, 527, 535, 609
ზოტორ 228
ზოფათური 481, 520, 527, 536, 602, 610
ზონხეტა 158, 301
ზრდალი 81
ზრენი 301
ზრიჲა 660
ზროგი 458, 527, 535, 609
ზუნჲა 134, 140
ზუტი, იხ. ზეტი
ზუზი 188
ზუჲილი 91
ზუთგელი, იხ. ზღმარტლი
ზული 219, 222
ზულფა 155
ზუნჲი 590, 593, 594, 596
ზუნჲკალი 318, 326, 383
ზურმა 709, 714, 717, 718
ზურმის ზე 718

- ხურძა 175
 ხურხაგ 165
 ხუბ 718
 ხჩმარ 565
- ჯა 324, 431, 492, 545
 ჯაგანი 499
 ჯაზარ 155, 201, 203
 ჯალი 431
 ჯანგარა 696
 ჯანი 448, 471, 475, 521, 522, 527, 534, 543, 602, 604, 608
 ჯანკა 163
 ჯახელი 717
 ჯგუნჯგი 340
 ჯერუჯი, იხ. ჯირაქვა
 ჯილ, იხ. ჩილი
 ჯიმურამი 237
 ჯინეში 480, 486, 527, 534, 602, 609, 610
 ჯინი 381
 ჯინჯი 170
 ჯირაქვა 641
 ჯიროლა 107
 ჯიშკილა 230
 ჯიჯი 170
 ჯიჯილაყა, იხ. ჯიჯლაყა
 ჯიჯლაყა 169—171, 297, 298
 ჯიჯილეი 170
 ჯღღღონ 155, 249
 ჯოგმა 718
 ჯონჯოლი 156
 ჯორისტერუა 224
 ჯოჯვა 376, 378
 ჯუნ-გაზი 591, 597
 ჯუმენე 170
 ჯუმბუტა 321, 471, 473, 500, 501, 527, 536, 602
 ჯუჯა ლობიო, იხ. ლობიო
 ჯღე 485, 507, 517, 523, 528, 555, 604
- ჰაზარი 591, 593, 594
 ჰაზრი 591, 593, 594
 ჰალონ 97
 ჰამხ 18
- პასს 235
 პასტაკობ 591, 593, 594
 პელვენატეე 399, 404
 პელვოლე 393, 394, 398, 404
 პელიოსელინუმ 256
 პე პელიქს 312
 პერპის 386
 პინლური მარწყვი, იხ. მარწყვი
 პიპოდამაციური 392
 პიპოლაპათონ 164
 პიპონიონ 553
 პისპანია 404
 პნძან 637
 პნძელ 93
 პორი 564
 პორკონია 404, 405
 პორტუს 111
 პორტელ 564
 პორტოც 564
 პრამზელ 237
 პე პრათანის 217
 პროგეს 303
 პუმაყ 155
 პუნძქ 90, 94
 პუსეინი 577, 591, 595, 596, 598
 პუსს 225
- ფაკოს 77
 ჰე ფანტე 327
 ფაყუს 272
 ფერეოლა 399
 ფიგან 258
 ფლოცინე 397, 494
 ფლაგელუმ 365, 394, 395
 ფორენზის 404
 ფოჯლ 218
 ფულანი 264
 ფურუნჯელუს 370
- გრძენი, იხ. ყურძენი
 გლეკაც 591, 593
 გონუა 690

ազոխ 621, 622, 686

ազոխացեալ 621

ալդարա 582

աղօջ 563

ամբարի 568

ամբի 568

ալզի 115, 304

անսթ 652

անանուխ 261

արաղբարի 568

արմա 710

արջնդեղ 247, 248

բազիլաթեր 209

բանդենի 570

բանջար 130, 172

բարամի 570

բեչան տալ 564

բիտ 564

բլխի 625

բրեմ 380

բուխ 315

բուխ սնկոյ 315

գազար 201

գաղձն 316

գառան դմակ 570

գարգարի 570

գաւալրառա 98

դեանջի 570

դիդաւրաստ 570

դիլարչի 570

դինի 667

դինձ 249

դնտակ 312

դամեշի մամա 579

դրախտ 112

դրախտ փափկութեան 113

դանդոնիկ 175

դանդոնիկ ծաղիկ 175

դուզալի 572

նաղուրի 578

նգ մաճ, ոճ. մաճ

նղան-աչք 554, 572

նզսնդարի 554, 569

նզիդի 578

նղեգն 223

նտ 564

նտ անել 564

նտել 564

նտոց 564

նսուո 564

նրամակ 669

ըղեկաց 591

թաւրիղ 572

թաւրիղենի 572

թուզ 703

թին 662

թզենի 115, 703

թեվանի 573

թումբ 564

թոփալենի 573

իծապտուկ 573, 579

լալիենի 576

լկենի, ոճ. լալիենի

լեօուժ 100

լցկենի 576

խաթունի 589

խալիլի 589

խաղող 316

խակակութ 621

խեչմալր 565

խեչակ 565

- ჩუნდორ 690, 694
 ჩოგაკაჯი 573, 590
 ჩოთორ 228
 ჩონსი 590

 ძაქი 114
 ძაქი ქაღი 588
 ძაქი 114

 კახისძე 575, 614
 კალ 97, 574
 კაღამი 192
 კაღამრავანა 192
 კარას 652
 კაქი 90
 კანანჯანი 430
 კანაჯიანი 574
 კაყოთიანი 574
 კახი 97
 კათიანი 574
 კათილი აჯი 574, 575
 კარმანი 575
 კიბი 624
 კიხი 635
 კიჯი 95
 კიჯიანი 265
 კიხი 575
 კილქი 624, 625
 კითაი ჯამჯიანი 662
 კიბიანი 576

 კაჯარი 591
 კაჯარი 591
 კასთაკი 591
 კიბანი 105
 კიბანი 637
 კიბი 93, 624
 კიბი 90
 კიხი 106
 კიხი 90, 94

 კანი 688
 კიბიანი 115
 კიბიანი 281

 კანი 230
 კიხი 667

 ნაკიანი 206
 ნანი 210
 ნანი 209
 ნანი 209
 ნიქი 340

 მაქანი 576, 579
 მაბი 334
 მაქი 649
 მანი 335
 მანიანი 265
 მანიანი 99, 101
 მანიქი 335
 მანიქი 99
 მანი 548
 მარანიქი 576
 მარმარი 576
 მხიჯიანი 280
 მქიანი 551, 577
 მქიანი 151
 მორანი 706
 მიქიანი 707, 708
 მიქიანი 563
 მიქი 577
 მიქი ქაღი 577
 მიქი 327

 ქარი 106
 ქათანი 548, 564
 ქიქი 564
 ქიხი 564
 ქიხი 564

 ნიხიანი 703
 ნიხიანი 703

 ჯანიანი 585
 ჯანიანი 585
 ჯანი-ჯანი 580, 585
 ჯანიანი 585
 ჯანიანი 277
 ჯანი ქაღი 584

շարահելք 314
 շեկ-րումսօ, օձ. րումսօ
 շուռ 548, 563
 շեքք 106

ոլոռն 21, 31
 ողկոյց 317, 327
 ոճ 95
 ոսպն 27, 31, 77
 որայ 95
 որթ 312, 342, 563
 ուր 685
 ուրդուսի 577

չաման 240
 չամիչ 588, 662, 684
 չաւուշպարի 588
 չմչկենի 588

պալատրու 705
 պարտեզ 110, 129
 պարտիզպան 127
 պինդենի 578
 պտղաքող առնել 318
 պտուղ 317
 պտղաքաղ առնել 624
 պրաս 229

ջիւ 588

սամիթ 72
 սանդատոռն 99
 սանտրուկ 179
 սառի 337
 սառու 337
 սաւիելի 581
 սափոր 652
 սեղիւ 272
 սեւկենի 581
 սնվ-խաւիլի 589
 սնվ-խաղող 581

սիւրուսի 579
 սերկեւի 581
 սերկիլիլ 581
 սեւ ալդարա 568
 սինդոիկ 179
 սինորի 581
 սիպտակ խաղող 582
 սիսախ 582
 սիսակ 582
 սոնիճ 248
 սոխ 228, 232
 սուգ 564
 սուդա տալ 564
 սուրիճճան 249
 սպիտակենի 582

վազ 563
 վազի ջուռ տալ 563
 վիրենի 572, 614

տաղաւար 324
 տիօլբանդ 571, 577
 տիկ մի գինևոյ 670
 տիկ գինևոյ 670
 տիկ կաթին 670
 տիկ ջրոյ 670
 տիկ քաաղցւոյ 670
 տնկել 326

րումսօ 580

ցանդ 129
 ցղնու 588

փայտ որթուն 313
 փաշանի 583

քացախ 622
 քաղցու 661
 քիւրդաշտ 584
 քուրց 50

ات اوزومی 551, 553	تبریزی 572
آت اوزومی 568	ترب 218
ارك 659	ترخون 259
اركان قویروغی 572	تمبییحی 572
اركان قویروق. نه اركان قویروغی	توراج 277
اغا دای 568	تولکی قویروغی 573
اغ اوزوم 568	چکندر 208
اغ شانی 585	چر کوندر 208
اغ شیرای 569	چیلی 587
افندی اوزومی 569	
اقچه قاره 569	حاجه باش 569
الا قورا 567	
آلو الوبالو	خاتمی 590
انکور روباه 551	خاتن برماغی 589
اوردوبانی 578	خانون برماغی 579
اورك 699	خالیل 590
ایت اوزوم 553	خان اوزومی 589
	خرجی 574, 589
بادلیجان 296	خردال 265
بادنیجان 296	خردل 265
باغ 305	خطمی 589
بال 696	خلیلی 588
بالیدکی 269	خنکی 590
بصل 232	خیابان 324
	خیش 239, 241
پازی 208	
پاجار 208	دانه تشاغی 571
پایه 334	دلبنده 571
پرمق اوزم 578	دولکی اوزومی 551
بیاض 232	دولکی قویروغی 551
	دوه گوزی 502, 571
تیاز 232	دیرچك کوتان 238, 239, 247
پیر اوزومی 583	
تاتوق 400	رازقی 578
تبرزه 572	رازیانه 245

307	රු	568	උලාන
579	රිශ , රිශ	584	ආරුඃ
231	රුම	564	ආරු ආරුම
234	සාරසු	283	ආආ
337	සාර , සාරි	194	ආරිආ
581	සාආ	194	ආරිආ
234	සරසු	580	ආරසස
580	සරස	5	ආරු රුර
208	සල	575	ආරු ආරුම
180	සරරස	584	ආරු රුරු
180	සරරිඃ	224	ආරු
232	සරුආ	283	ආරු
582	සරිආ ආරුම	570	ආරු රිසාරි
585	සාරි	256	ආරු
585	සාරරස	583	ආරු ආරු
585	සාර රරුර	251	ආරු
585	සාරර		ආරු
543	සාර රාරරසාරි		ආරු
586	සාරි		ආරු
586	සාර රාර		ආරු
586	සාර ආරු	192	ආරු රුර
586	සාරු	584	ආරු රු
220	සලර	567	ආරු
276	සර	570	ආරු ආරුම
586	සරාර	224	ආරු
428	සරාරි	554, 580, 583	ආරු රරආරු
587	සරරර	579	ආරු රසර
586	සරරර සාරි	583	ආරු රිසරි
588	සරර රාර	191	ආරු
559	සාරර	191	ආරු
580	සාරර	191	ආරු
229, 232	සරුආ	191	ආරු
579	ආරිආ රාර	191	ආරු
218	ආරු ර		

225	მაროლ	578	ملاحی
253	მდენოს	577	نخشایی
225	მროლ	577	نم اوزومی
577	მსყალი	577	ننه بوزی
253	მდნოზ	577	نوراست
253	მედზოს		
253	მგდნოს		

ἀγέλη 669
 ἄλιον 97
 ἡ ἄλιον 95, 97
 ἡ ἄλωπεξ 350
 ἀμάω 93
 ἔ ἀμαρτος 93
 ὁ ἀμπελών 115
 ἡ ἀμπελος 304, 312
 ἀμπελος ἀγρία 682
 ἀμπελος οἴνου 682
 ἀναδομηρῶδες 373
 τό ἀναθον 72, 243
 ἡ ἀξίνη 101
 ἡ ἀποιήγη 107
 ἀποθλιψα 635
 ἀπολαύω 625
 ἀπολαύωτες 624
 ἀποστέλλω 625
 ἀποψήλωσις τῶν ἀμπέλων καί ἀπόκνισις
 τῶν οἴνων 378
 ἀπώρωξ 327
 ἀσικός οἴνου 670
 ἀσικός γλεύκος 670
 ἀσικός οἴνου 670
 ἀσκός τοῦ γάλακτος 670
 ἀσκός ὕδατος 670
 ἀσπάραχος 178
 ἀφαίρες τῶν φυλλῶν 378
 τό ἄχυρον 106

 ὁ βάτος 649, 706
 βλαστολογία 378
 βότρυς 317
 ἡ βῶλος 315

 τό γλεύκος ξέον 661
 γίγαρτον 662

 δεινῶριτιδες ἀμπέλοι 323
 ἡ δέσμη 151

 τό δρόγμα 95
 ἡ δρεπάνη 99, 101
 δρόπω καρπούς 624
 διασπορά 106

 ἡ ἐλαία 712
 ἐλαίον 115
 ἡ ἐλαξ 312
 ἐπανατρογίω 318
 ἐπανατρογίω 624
 ἐπιφυλλίς 317
 ἐρέβινθος 37

 τό ἔδυσμον 251
 ἡ συκάμνος 707, 708

 φεριζω 90
 ὁ φερισιός 90, 94
 ἔ φέρμος 26
 φιμωνία 95

 ἡ κλάμη 96
 κάρυον 710
 ἡ καλαμίνθη 262
 κείρω 93
 ὁ κῆπος 110, 130
 κῆπος λαχάνων 110
 ὁ κηκυρός 127
 ἡ κλημπίς 312, 342, 685
 κόρυον 249
 κράμβη 192, 195
 τό κρίνον 62
 κριός 72
 τό κρόμμυον 228
 ὁ κύαμος 21, 31
 κύμνον 240
 κύμνον βασιλικόν 241

 ὁ λάθυρος 47
 τὰ λάχανα 191
 λαχανία 130

- λαχανον 110
 λελι:κμημένις 106
 λι:κμάω 106
 ή λιγνός 637
 λοπίς 25

 μακιδνός 254
 μαλακός 172
 μάλβακον 172, 173
 μάλβαξ 173
 το μελάνθινον 247
 τὸ μῆλον 690
 μηλοπέπων 280
 ή μόλόχη 172

 τὸ ξύλον τῆς ἀμπέλου 313

 οἶνος 667
 ὄμφαξ 686
 ή ὄμφαξ 621
 ὄμφαξ ὀμφακίζουσα 621
 ὄροβος 70
 τὰ ὄσπρι:α 77
 ὄσπρι:ον 77

 η παλμάθη 705
 ἔ παραθήσεις 112
 παραφύας 314
 παραστεικυία 90
 πατέο 635
 ἔ πάσσαλος 334
 τὸ πέμμα μετὰ σταφίδος 662
 πέπονες 280
 περίπατος 113
 πήγανον 257
 πίθος 652
 πικρία 223, 226
 πικρίδων 225
 πικρότης 223
 τὸ ποτιστήριον 652
 τὸ πράσσον 229

 προβασκάνιον 129
 προλήγιος 637
 τὸ πτύον 105

 ράβδω ἐκτινάσσω 98
 ή ράξ 317
 ή ροιά 703
 ῥώγες 318

 σάκκος 50
 στέμφυλον 662
 σευτίλιον 206
 σίναπι 265
 σκάπτω 380
 ή σκηγή 324
 τὰ σκόροδα 228
 σκευος 652
 ή σταφίς 684
 ή σταφυλή 316
 ή συκῆ 703
 ὀ συκών 115
 ὀ σωρός 106

 ὀ τεῖχος 129
 ή τομή 341
 τολύπη 622
 τὰ τρίβολα 104
 τρίβω 100
 ὀ τρύγητος 624, 625
 τρύγησις 624

 τὰ ὑπολήνια 637
 ὑπερον 98

 φακόν 31
 ὀ φακός 27
 ή φάντη 327
 φοινίξ 710
 ὀ φραγμός 129

 χαμαῖν 241

abattichim 280
 acervus 106
 acetum 686
 acinum 662
 ad libendum 394, 401
 ad edendum 394, 401
 adminiculatae 401
 Aepich 256
 agai 263
 agger 95
 Agropyrum repens Gertn. Sin. Triticum re-
 pens L. Gramen 175
 Albersia Blitum Kuth 170
 Albuelis 398
 Alexandrina 518
 Allermansharnisch 234
 Alhagi carneorum Fich. 688
 Allium 228
 " ampeloprasum L. 231
 " ascalenicum L. 223
 " at.oxviolaceum Boiss. 231
 " cera 231, 232
 " " acrior 233
 " " candida 233
 " " candidissimal 233
 " " dulcis 232
 " " L. 228, 231
 " " palacana 233
 " " rufa 233
 " oleraceum 228
 " oleraceum L. 228
 " rotundum L. 230
 " porrum L. 230, 231
 " sativum L. 228
 " schoenaprasum L. 230, 231
 " sphaerocephalum 231
 " " L. 228
 " ursinum 234
 " " L. 230, 233
 " victorialis 228
 Allobrogicae 398
 alopekurus 551
 Althea 590
 " officinalis L. 172
 alumen 677
 alus 677
 alut 677
 Amarante de Chine 171
 Amaranthus blitum L. 170, 171
 " hantsi Shanghai 171
 " Mirza 171
 " oleraceus 171
 Amineae 397
 " geminae 397, 499
 Aminea lanata 397
 " scantiana 394
 Amineae minusculae 393
 Amineum majus 393
 ammissi 244
 Ampfer 166
 amugdala 710
 anason 246
 Anemone Pulsatilla 114
 anet 244
 anethum 72, 243
 Anethum Foeniculum L. 245
 " graveolens 247
 " " L. 243—245, 247
 aneto 244
 anet odorant 244
 Angelica 239
 " archangelica L. 238
 Augusta putatio 369
 Anis 245
 anisum 244, 245
 Anis vert 245
 Arthriscus 238
 " ruprechtii 239
 " silvestris 239
 " " Hoffm. 238
 " " L. 239
 Apimelone 276
 Apricosen—Tscherami 716
 Apianae 398
 Apiciae 393
 apio 256
 Apium 256
 " graveolens L. 252, 255, 256
 " " L., var silvestre Alef 255
 " petroselinum L. 252
 " sativum 253, 256
 apotheca 107
 arawiz araweiz 37
 Arbuse 272, 281

- arbusto 323
Arceuthobium majus 309
Archangelica officinalis Hoffm. 228
Arctium lappa L. 161
 areა 97
areola geminis 315
areola geminis 315
argitis 305
 Minor *Argitis* 398
armoracia 218
Artemisia dracunculoides L. 257—259
asparago 178, 179
Asparagus 178
 acutifolius L. 178
Asparagus L. 177
Asparagus maritimus Pall. 177
 officinalis 177
 off. Virginica pro 181
Aspi 18
Assabon-ქაღალდი 518

 Baki 172
Bakka Es 253
Bärenklau 233
Bärlauch 234
Basilica 308
Battense 194
Beiskohl 203
Benedenkool 207
Beta 210, 212
 beta 213
 maritima L. 212
 viridis 207
 beta L. 208
 beta L. *maritima* 213
 beta rapa 208, 211, 212
 beta *saccharifera* 213
Bete 185
Beten 185, 208
Bette 208
Betterave 208
ბებუკა 251
ბებრქიმ 705
Bindeklat 225
biturica 208
Blauhölzer 615
Blattkohl 185
blomkool 195
blomkool 196
blomkal 196
Blumenkohl, ob. Kohl
Bodjâr 231

Bohne 21, 22
Bohnen 18, 22
 Türkische *Bohnen* 18, 51, 52
Bonnenkraut 260
Bordeaux 616
Börsekohl, ob. Kohl
Börsfü 260
Boumastos 393
Boutouka 231
Brassica 186, 187
 aricina 187
 aricinum 187
 aricinus 188
 brutius 188
 campestris L. 186, 220
 cretica Lam 183, 183
 cumanum 188
 cumanus 188
 cupria 189
 elongata Ehrh 186
 halimifolia 188
 montana Pourret syn. *fr. Robertiana*
 Gay 186
 napus 198
 " " L. 186, 221
 " " L. var. *esculata* De. 202
 oleracea 185, 185
 " " *orgutis* v. *Pompejana* L.
 Caulifolia 185
Brassica oleracea capitata L. 185, 185
 " " L. 184, 186
 " " L. var. *acephala* 185
 " " L. var. *caulorapa* De. 186
 " " L. var. *gemmifera* De. 183
 " " L. *gongyloides* L. 185
Brassica oleracea L. var. *napus* 198
 " " var. *capitata* 185
 " " var. *capitata* L. 190
 " " var. *cauliflora* 185
 " " *viridis* L. 185
 Pompejana 187, 188
 rapa communis 213
 " " *communis* L. 207, 220
 " " *oleifera* L. 220
 rapifera 138
 rupestris Raf 186
 salsilicus 188
 silvestris L. 186
 " (Tourn.) L. 186
 Tritianum 187

Brombeer 706
brukiew 221

- Bruchus 88
 La Brusca 682
 La Bryone 310
 Bulapathon 165
 Bumasti 396
 Burnastus 395
 Buxus 383
- Cabus 187, 190
 Caelius crispus Pers. Heracleum L. Caelius
 dubia 237
 cedus 619
 calaffory 196
 calament 362
 calamentha 292
 calaminta 203
 Calamintha clinopodium Reuth 261
 calco 695
 callicator utae 625
 canteriathe 295
 cappucio 158
 capuzo 165
 capreoli 394
 capucio 180
 caputium 139
 Cardius crispus 658
 Cardius crispus L. 698
 Cardius lanceolatus 666
 careium 212
 carficus 707
 Carrabadin 242
 Carum bulbocastanum 248
 " bulbocastanum Koch 247
 " curvi L. 241
 " Petroselinum Reuth. et Hook. 252
- La carvi 241, 242
 carvitae 203
 Carvum carvi L. 240, 242
 cauda vulpis 552
 caules 193
 Cauli 158
 cauliculi 193
 Cauliflora 194, 195
 cauliflower 196
 caulinapus 193, 194
 caulirava 193
 Caulis 187, 193
 cavolfiore 189
 cavolo cappuccio 190
 Cavolo fiore 185, 189, 196
 cavolo-navone 221
 cavolo-rapa 186, 193, 221
- cebula 233
 cece 33
 céleri 256
 cepe 228, 233
 cepolla 233
 Cerauniae 396
 cerfeuil tubéreux 240
 cerise aigre 701
 Chaerophyllum 238, 239
 " bulbosum 239, 240
 " L. 238
 " odoratum 239
 " silvestris L. 238
- Characatae 395
 Charistivali 615
 chiche 33
 chichira 72
 Chinesischer spinat, ch. spinat
 chou 193
 " caru 185, 190
 " cebus irisé 158
 " cicque 188
 " cultivate 185
 " de Bruxelles 188
 " de Milan 185
 " fleur 185, 194, 196
 " frise 185
- le chou ravel 186, 193, 194, 221
 Chou non-pommés ou chou verts 185
 " plumé 188
 " rave 186, 193
 " pommé 185
 " en tête 185
- cibaria 401
 cibo 233
 cibuia 233
 cicer 31—33, 37, 47, 72, 80
 " arietinum 37, 38, 40
 " L. 32
- cicercula 46, 47
 cicula 213
 cilicium 50
 Citrullus colocynthis 622
 Cladonia Ach. Cladon. Röh. Phascum L. 223
 clavus 334
 Clematis 309—311
 coccus vitis 624
 Cochlearia armoracia L. 301
 cocolubis 398
 Cocombre de Perse 276
 Colchicum autumnale 249
 coliflor 196

- colinaba 193, 194
 colis 193
 colliflover 196
 colligere remanentes racemos 318
 colocynthis 622
 collino 624
 Colman
 Gros Colman 443
 Colombo 555
 Convalaria Polygonatum 179
 le coriandre 250
 coriandro 250
 coriandrum 249, 25 0
 " sativum L. 249, 250
 coruda 178
 Co 555
 " a queue rouge 556
 " a queue verte 556
 Cotoneaster integerrima medih 701
 Cotoneaster Nummularia (Fisch. et Mey) 701
 Crambe 186, 298
 " juncea MB 186
 " maritima L. 186
 " orientalis L. 187
 " (Tourn) L. 186
 Crataegus pyracantha Pers. 691
 creamh 234
 crobos 107
 cucumeres 270
 Cucumis 270, 272, 273
 " cerini 270
 " chate 269
 " citrulus L., var. colocynthoides 281
 " dudain L. 276
 " hardwickii Royale 269
 " Melo L. 272, 273
 " " Lin 280
 " " L. f. Dudain Naud 276
 " " var chate Forsk 273
 " nigri 270
 " odorantissimus 276, 277
 Cucurbita 284
 Cucurbitae 272, 285
 Cucurbita maxima Duch. 284
 " " Duch. Melopepo L. 284
 " melopepo L. 284
 " pepo L. 284
 " verrucosa Duch. 284
 Cumin de Malte 240
 le cumin de près 241
 Cumin noir 248
 Cuminum 240, 241
 " cuminum 241
 " " L. 240, 241
 Cuscuta 316
 Custodes 364
 Custos 367, 370
 Cydonitae 396
 Cyminum 240
 Czabr 260
 Dactyli 396, 548
 Daucus 203
 " carota 157
 " " L. 201, 205
 " " sibth 203
 Delki kujruki 551
 demi parchemin 60
 Dhauma 264
 Didi Andasaouli 446
 der Dill 244
 Dodrelabi 442, 615
 Dolichos monachalis Brot 53, 61
 doux 661
 Draconion 399
 Dragoncello 259
 Dragone 259
 Dragontea 259
 Dragun 259
 Dschanka 163
 Duracinae 392, 393
 duramenta 366
 Eichkugel-Traube 442
 Emarcum 399
 emdjo 231
 Englischer spinat, ob. spinat
 eppe 256
 Erbse 19, 37
 " kleine Erbsen 18, 19, 33
 " grosse " 18, 33
 Eringium planum L. 688
 Ervum Ervilia L. 69
 escariae appellatae 401
 espinaca 168
 espinacio 168
 Der Estragon 259
 Eubrassica 186
 Eugeniae 393, 397
 ervom 37
 exeussio 318
 faba 21, 72, 73
 fabam 31
 f. major 45

- fadio* 380
fagiolo 50
Falernis 395
falx 92, 99
 " *denticulata* 92
 " *foenaria* 92, 93
 " *putatoria* 93, 346
 " *stramentaria* 92
Färber 615
fasciculus 151
Federkohl, ობ. Kohl
 der Feigenbaum 709
 der Feigelbohne 25
Feldkümmel 241
Der Fenchel 246
Fenicolum 246
Fenouil 245, 246
Fereola 399
ficetum 115
figil 218
Ficus 703
Ficus carica 704
Ficus granii Iolia Mig 704
Ficus palmata Forsk 704
Ficus persica Boiss 704
Ficus religiosa L. 707
Ficus serrata Forsk 704
figl 218
finocchio 246
flagellum 365, 394
Flaschenkürbisse 283
foecinae 397, 494
Foeniculum 245, 246
 " *officinale* All. 245
folia decerpere 379
 " *detrudere* 379
foliis nudare 379
folio circinato 402
 " *parvo et rotundo* 402
 " *scissa minus* 402
Fönchl 246
formido 129
Fragaria 291
 " *chiloensis* 292
 " *collina* 290, 291, 293
 " " *Ehrh.* 291, 292
 " *elatior* 291, 293
 " " *Ehrh.* 290, 291
 " *indica* 291
 " *moschata* Duchesne 293
 " *Tourn.* 290
 " *vesca* 291, 293
 " " *L.* 290, 291
 " *virginiana* 292
 " *sativa* A. 293
 " *silvestris* 293
 " " *Duchesne* 291
Frascia 188
fructuaria 366
fructuarium 370
Fuchsschwanz 171, 551
fugia 218
fuil 218
furunculus 370

Gabusii 188
Gamay blanc feuille ronde 542
gambus 188
Gareuli Prosa 156, 229
Garten 111
Garten kohl, ობ. Kohl
Gartensalat 225
Gelbhölzer 494
Gemuseamarant 171
genera regionum locorumque 403
gingidion 203
git 249
gith 247, 219
gjurma 281
glavati kupus, ობ. kupus
Goris toilé 477
granarium 107
granatus 703
granum 317
grex 669
Grex culta m. 70
 " *spontanea* m. 70
Gros colman, ობ. colman
grosser Kerbel, ობ. Kerbel
Grünbeeren 615
Grünkohl, ობ. Kohl
Gurken 156, 268

Hadera 383
haricots à parchemin 61
 " " ou à écosser 66
hasnuru 694
hazzūra 694
helioselinum 256
Hellspinus pyracantha L. 691
Helvenaceae 399
Helvolae 398
 " *minusculae* 393

- Heracleum* L. 237
 " *pubescens* 237, 238
 " *spondyleum* 238
 " " L. 237, 238
 " " L. var. *Caucasicum* Somn. et
 Lev. 238
 " *villosum* Fisch 237
 Herbstzeitlose 240
 Hülun 178
 Hypopolathon 166
 Hyspanum 107
 " *stolonosus* 127
 Hüttes 110, 111, 160
 " *oleum* 110
 Hüdji 231
 Hühnerse 231
 Hühnerse 237
Humulus lupulus 311
 Hyspolathon 166

 Ibero 553
Impatiens persectio 621
Impatiens nigra 378
Impatiens iondere 367
Impatiens botrus 621
Impatiens benifium L. 237
Impatiens latifolium humili statura 320
Impatiens excelsa 58
Impatiens 369
 Ispanach 156, 167
 Ispanak 168
 Ispanak 553

 Jaen 522
 Jspanach 156

 Kadi 163
 Kadi 193
 Kabus 185, 190
 Kadiol 196
 Karnabit 189, 194
 Karnasit 197
 Karwe 241
 die Katzenmünze 261
 Kadi 163
 Kadiiflory 196
 Kepe 233
 die Kerbelrabe 239
 Kerbel
 Grosser Kerbel 239
 spanischer Kerbel 239
 wohlriechende kerbel 239

 Kermusze 234, 237
 Kicher 39
 Kichererbse 36, 37
 Kikers 72
 " " Erbsne 72
 Kisnis 250
 Kitri 156, 268
 Kirsche 701
 Kleine blaue pflaumen georg *Gognoscha* 698
 Kleine Erbsen, ob. Erbsen
 Knoblauch
 wilder Knoblauch 231
 Kohl 156, 183, 193
 Blumenkohl 185, 194, 196
 Bärskohl 188
 Federkohl 188
 Gartenkohl 185
 Grünkohl 185
 Kopfkohl 183
 Krauskohl 185, 189
 Rübenkohl 183
 Savoyerkohl 188
 Weisskohl 183
 Wendekohl 188
 Kohlrabi 186, 193, 221
 Kohlrabe 221
 Köhm 248
 Külle 260
 Kombosto 155, 183
 Komsi 190
 Kononpida 189
 Kononpida 163
 Kopfkohl, ob. Kohl
 der Koriander 250
 Kösülü 557
 Krauskohl, ob. Kohl
 Kraut 183
 der Kümmel 241
 Kunde 50
 Kupus 190
 glavati kupus 190
 Kyndel
 sommel-kyndel 260

 Labitae 260, 263
lactuca 223, 226, 227
 astyrida 227
 caecilanum 227
 crispa 227
 cilicia 227
 purpurea 227

- Lactuca* 225
 " *L.* 223
 scariola L. 225, 227
 " " var. *longifolia* Lam. 225
 sativa var. *longifolia romana* 228
 " " *L. sat.* *romana* Gras 225
 scariola 227
 " " *L.* 225
Laguncularia 205
 " *virga* Ser 288
Lagotis 370
Lagerflora 390
Lahana 191
laifre 321
 " *laifre* 325
 " *laifre* 225
la albica 10
 " *laifre* 105
 " *laifre* 105
Lappa 160
Lappa *laifre* 161
Lappa *laifre* 202
 laifre 205
 laifre 202
 laifre L. 202
Maipura 176
Lappa *laifre* L. 32, 44, 46, 47
 " " var. *alba* 45
 " " var. *alba* Alf 45
 " " var. *caerulea* Alb. 45
 " " var. *caerulea* a i 45
 " " var. *colorata* 45
 " " 44
Laifre 224, 205
Laifre 187, 220
Lappa 17
 " *laifre* 28
 " *laifre* 28
 " *laifre* 28, 30
 " *laifre* 30
 " " Moench 29
 " " Moench v. *macrosperrum* 29
 " *laifre* 90
 " *laifre-gilvas* 28
 " *laifre* 28
 " *laifre* 30
 " *laifre* 29
 " *laifre* Ser. 29
 " *laifre* v. *violascens* 30
 " *laifre* 30
 " *laifre* 28
 " *laifre* 28—30
Lens *rotundius nigrius* 30
 " *laifre* *macrosperrma* Baumg. 29
 " " *macrosperrma* Baumg. Baroul 28
 " " *microsperrma* 28
 " " *microsperrma* Baumg 29
 " " var. *nummularia* 28
 " " *transcaucasica* 28
 " *laifre* 28
 " *laifre* 8
lentem 31
lentille 27
leninard 108
Libucae 306
lignum vitis 313
likut-kekera 72
Liliiflorae 179
lilium 62
Lindera odorata Ascherson 230
Linse 27
Linsen 18
Lobio 18
loto 181
lotus 181
 " *Tetragonalobus* L. 191
Luniperu *communis* L. 205
Lucania 305
Lucarina 304
lupin 23
Lupinarius 25
die Lupine 25
Lupinum 23
Lupinus 23, 60
 " *alba* L. 24
 " *albus* var. *albiflora* Bat. 24
 " *angustifolius* L. 26
 " *hirsutus* 26
lupus 25
maceria 120
Madchanauri 442
Ma'denos 253
Maidano 253
ho Maintanos 253
makhmakhai
Ma-la-ressa 548
Malbeck 556
mallobus 342
malo granatus 700
malum 690
malope 173

- malva 172
 " Algyptia 174
 " borealis Wal 172, 174
 " erecta 172
 " L. 174
 " niglecta Wal. 174
 " rotundifolia L. 172
 " sativa 173
 " silvestris 137
 " " L. 174
 manak 335
 Mangold 208, 213
 manipulus spicarum 95
 mansicka 233
 Mareoticæ 398
 Marcotides albae 395
 marjad 233
 Maronea 391
 masica 233
 masikad 293
 masico marja 293
 maconis 227
 melanzana 237
 Melanzanapfel 297
 der Melden-Amarant 171
 Melissa 262
 " calamintha 262
 " " L. 262
 " officinalis L. 262
 Melogena 296
 melon 280
 melon-d'eau 281
 melonen 272
 persische Melone 276
 melopepo 280
 Menna-vacca 354
 Mentia dei catti 261
 Mentha 231, 234
 " aquatica 263
 " " L. 261
 " arvensis 263
 " crispa L. 261
 " Puiegium 261, 263
 " silvestris 262, 263
 " " L. 262
 menthastrum 263, 264
 Menthe de chat 261
 " Pouliot 261
 Merica 399
 messis 90
 messoria 92
 Mespilus germanica 708
 Mespilus cotoneaster L. 701
 migna 106
 Minna di vacca 554
 miscella 394
 miscelae 393
 mollis 173
 morelle 557
 mos 190
 mout Nost 661
 Murgentina 399
 Mütterkümmel 240
 Myrrhis odorata (L.) Scopoli 239
 Nachtschatten 551
 nakpata 263
 napus 221, 266
 napu 266
 navet 193, 220, 221
 Nepeta 263
 " cataria 261, 264
 " " L. 261
 Netz-Melonen 277
 Nigella 248
 " Armena stev 249
 " sativa 248
 " " L. 248, 249
 Nigelle 248
 " aromatique 248
 nigra 334
 Nigra Fregellana 339
 Nion 156
 Nomentanae 397
 Nux 710
 Oblongo acino 402
 ochsenauge blauer 442
 oeil de porc 477
 ochraceus 68
 ochroleucus V. album Al. 39
 ochroleucus V. globosum Al. 36
 ochtaouri 446
 ognon 233
 oignon 233
 Okorszem Kek Borjuszem 443
 der ölbaum 712
 oleagina 399
 oliva 712
 olivier 712
 olivetum 115
 ombulo 261
 onion 233
 orobus vernus L. 23

orux 206
 oscille 166
 der Ostindische Amarant 171
 ounshavn 250
 ounshi 250
 Onintia Ficus indica Mill. Ficus religios
 L. 707
 oxalis 166
 „ acetosella 163
 „ „ L. 163
 oxylapathon 166

 Paggin 705
 palea 106
 palacana 233
 palma 327, 364, 365, 394
 palmes 354
 palmites 312
 palus 334, 335
 Palombina 556
 Palombo 555
 pampinare 364
 pampinarius 370
 pampinatio 378, 379
 para-dêça 111
 paradella 167
 paratella 167
 pasteke 281
 La pastequé 281
 Pastinaca rubea 203
 Patara Andasaouli 446
 paxillus 334
 pedamina 334
 pensilia 107
 pepones 276, 280
 pergulana 399
 petroselino 253
 petrosecolo 253
 persil 253
 Petasilas spurius Rehb. 237
 petasites Tourn. 237
 die Petersilie 253
 petroselino 253
 petroselinon 253, 256
 petroselinum 253
 „ sativum Hoffm. 252
 petrosecolo 253
 petrosillo 253
 Peucedanum graveolens Benth et Hook. 243
 pfeffer 156
 pfefferkraut 260
 pfefferkümmel 240

pferdeBohne 23
 pfirsichen—Atami
 Pharia 404
 Phaseolus 50, 51, 64
 „ acutifolius Asa gray var. latifolius 64
 „ „ aureus 49, 67
 „ (Boxbg.) Piper 66
 „ aureus chlorinus 68
 „ „ melinus nigrovariegatus 68
 „ „ ochraceus 68
 „ „ umbinus nigrovariegatus 67
 „ compressus DC 59
 „ „ luteus 56
 „ ellipt. ochraceus badio-variegatus 57, 59
 „ gomospermus Savi 53
 „ multiflorus 53, 58
 „ „ albus Martens 69
 „ „ coccineus Lam. 69
 „ „ Lam. 53, 58
 „ „ wild. 53, 58, 62, 68, 69
 „ nanus 53, 58
 „ oblong. albus nigro-maculosus 57
 „ oblong. gilvus vinoso-fasciatus 56, 59
 „ „ ochroleucus badio variegatus 55
 „ „ (savi) m. 55
 „ praecox 53
 „ rubrovariegatus 53
 „ sphaericus Albus (Mart.) 54
 „ „ cremeus purpureopunctatus 55, 60
 „ „ niger 55
 „ „ ochroceus purpureopunctatus 55
 „ „ vinosus 55, 59
 „ subcompressus albus 56, 61
 „ „ atroroseus nigro fasciatus 56
 „ „ subcompressus badius 56, 58
 „ „ vinosus 56, 58
 „ v. compressus (DC) 58
 „ v. compressus m. 56
 „ ellipticus (Mart.) m. 57
 „ vulgaris L. 63
 „ „ oblongus (Savi) 57
 „ v. Savi nanus m. 19, 55
 „ v. Savi vumbilis m. 55
 „ v. sphaericus (Mart.) m. 54, 56
 „ v. subcompressus (Al.) m. 56
 Pierida 226
 Pied de perdix 556
 Piede de colombo 555
 „ de palumbo 556
 pieu 335

- Pimpinella anisum L. 243, 244
 " L. 244
 " L. aromatica 244
 Pinaud gris 616
 Pirus 698
 Pirus Achras 698
 " " Gärten 698
 " dasuphillas Boirrh 694
 " divaricata Ledeb 699
 " cordata Desf. 698
 " elecaprifolia Pall 698
 " lusitanica 698
 " malus L. 694
 " pamiia Mill. 694
 " persica Pers 698
 " prunifolia Willd 694
 " silvestris Mill. 694
 " vaekox 692
 Pisum 19, 33, 34, 79, 80
 " arvense 19, 80
 " " L. 34, 35
 " sativum 19, 35, 42
 " " L. 33, 35, 73
 plantare 326
 poiree 208
 pois Asperge 181
 " café 181
 " chiche 21, 23, 36
 " sucre 181
 poleimintze 261
 pollex 367, 375, 376
 Poloki 156
 Polygonaceae 164
 Polygonatum 179
 " multiflorum All. 179
 " officinale All. Convallaria Polygona-
 " tum L. 179
 " verticillatum All. 179
 " alpinum 164
 " " All 164
 " aviculare L. 114
 pomavium 688
 Pompejana 339
 ponum 688
 Popone 276
 porrum 229
 Portulacaeae 175
 Portulaca oleracea 176
 " " L. 59, 175
 " sativa Howorth 176
 praeciae 335
 Praceae 394, 395
 " praesepe 327
 " praesidiarius 367
 " Praecox 395
 " Pretial minor et major 398
 " propagatio 327
 " propago 314
 " Prosa 156, 229, 235
 " Psithia 395
 " publica genera 403
 " pulegium 263, 264
 " Purpureae 395, 396
 " putatio 341, 346, 365
 " puteus 652

 Quarantod 242

 " racemus 317
 " radicae 334
 " Radices 218
 " Radies 218
 " Radischen 219
 " raifort 218
 " rams 234, 237
 " ramsel 234, 237
 " ramson 234
 " ramser 234, 237
 " ramson 234, 237
 " Ranunculaceae 249
 " Raute 257
 " Ravacauli 188, 193
 " rava 220
 " Raphanus 217, 218
 " maritimus Smith 217
 " odessanus Spreng 217
 " " raphanistrum 216, 217
 " L. 216, 220
 " rostratus DC. 216
 " sativa 217
 " " Niger L. 216
 " radica L. 216
 " resectio 342, 365
 " resex 307, 368
 " Rettig 156, 216, 218
 " Rhaetica 335, 339
 " Rhamus Zyriphus 712
 " Rhodia 395
 " Rhodiae 396
 " Raemesgraze 213
 " Rohne 21
 " Römischer Salat, ob. Salat
 " ronca 706
 " Rosenkohl 188

- Rosmarinus officinalis 203
 Rosoideal 294
 Rothölzer 615
 rotundo 402
 rue officinale 257
 Rübe 220
 rubella vinea 494
 rubellianae 307
 Rübén 156, 220
 Rübénkohl, რ. Kohl
 Rubus caesius 295
 „ chamaemorus 235
 Rumex 164, 166
 „ acetosa 165, 167
 „ „ L. 165
 „ acetosella 165, 167
 „ „ L. 163
 „ Alpinum L. 164
 „ Alpinus 165
 „ „ L. 164, 165, 167
 „ trifolius 165
 „ aquaticus L. 166
 „ crispus 165, 166, 167
 „ „ L. 166
 „ Hydrolepathum L. 165
 „ maritimus L. 166
 „ obtusifolius 165
 „ „ L. 165
 „ patientia 165, 166
 „ „ L. 165, 166, 167
 „ sativum 165
 „ scutatus 164, 165, 166, 167
 „ „ L. 165
 „ tuberosus 165
 Runkelrübe 208, 213
 Ruscus hypophyllum L. 659
 ruta 257, 258
 „ angustifolia Pers. 257
 Rutaceae 168, 257
 Ruta graveolens 168, 257
 „ sativa 258
 „ silvestris 258

 saccus 50
 sadrée 260
 Sakoudschala 442
 Salat 156
 Römischer Salat 225
 sans perchemin 60
 Saperau 615
 sarriette 260
 Satasuri 177

 Saturei 260
 Satureja hortensis L. 260
 „ nontana L. 260
 Saubohne 23
 Sauerampfer 166
 savourée 250
 Scandix odorata 239
 Schiredzuli 427
 Schwarakümmel 247, 248
 Schwären 339
 Schyli tserts'i 18
 Scripula 399
 Sedano 256
 Sedum Telephium L. 295
 seges 94
 Segigiola 250
 sekt 661
 selderie 256
 der. die Sclerie 256
 selino 256
 Senf 156
 Sense 92
 sepes 129
 shobe 269
 shocbe 269
 shoupi 209
 der Sichel 92
 Siegwurz 234
 sinape 236
 sinapi 265, 266
 sindirisi 179
 sindirnek 179
 sipuli 233
 Solanum 551
 „ melongena L. 296
 „ nigrum 553
 Sophoritiæ 398
 Spargel 179
 Spargel—Erbse 181
 spargio 179
 speluncae 167
 spina 169
 Spinacea oleracea 168
 „ „ L. 169
 spinach 168
 spinaci 168
 Spinat 168
 Chinesischer Spinat 171
 Englischer spinat 166
 Spinath 156, 167, 168
 Spinatia-tetrande Roxb. 169
 Spionia 399

- Sprossenkoil 188
 staphylinos 203
 die Steckrübe 199
 Stephanitæ 396
 stillo 625
 stipula 95, 399
 subsidiarius 368
 sudis 339
 surus 339
 suseer wein 661
 sva-u-h 339
 sweor 339
 swer 339
 swiron 339
 swyr 339
 sycomoros 707, 708
 Syriaca 404
 Syvîtry 179

 tabernaculum 324
 Tabakmi 156, 220
 Tannat noir femelle 496
 " " mâle 496
 Targone 259
 târkony 259
 târkony-ürüm 259
 Tav-Tsitela 434
 Teinturier à bois rouge 494, 496
 " du-cher 496
 " femelle 496
 " mâle 496
 tereo 100
 Tetragonalobus 181
 " purpureus Moench 180, 181
 Tetragonalobus siliquosus Roth. 181
 Tetri barda 18
 " lobio 18
 Thasia 392
 Thasiæ 398
 " vitis 395
 Togy 155
 torcuier 637
 Tragopogon pratense 156
 tribula 104
 tribulum 104
 Tripedanae 396
 Tritianum 187
 Tritura 97
 Trzemcha 234
 tschapa 233
 Tschawi 156, 208
 Tsoti 522

 Türkenkoffe 285
 tyky 268

 Ulmus campestris L. 383
 Umbelliferae 72, 237
 umbrinus nigrovariegatus 67
 unciariae 396
 unio 233
 uniones 233
 uter aquae 670
 uter lactis 670
 uter vinatius 670
 Uva 316, 317
 " acerba 621
 " digitella 548
 " ad mensam 401
 " passae 662, 705
 " passa major 393
 " pompeii 404
 Uvasicca 684

 Variæ 398
 vas 652
 Venucula 399
 ventilabrum 105, 106
 ventilatus 106
 ventilo 106
 Venuculac 396
 Vicia angustifolia 24
 " " Roth. 44
 " faba 33
 " " L. 23, 68
 " Ervilia L. Willd 70
 " leucospermum Alf. 23
 " punctata (Minia) 30
 " sativa 24
 " sativa L. 23
 " Tourn. 69
 Vigna album Alef. 39
 " cylindrica Piper 50
 " sinensis 49, 64
 " " Stickman-Endlics 49
 " vinosus 39
 vinacia ubalum 662
 Vinarius 39
 vindemia 624, 625
 vinea 115, 306
 Vinter-kyndel 26
 virens 90
 virgula 369
 visula 398

vites arbustivae 323	volubilis 58
„ in arbusto 323	vomer 101
vitis 309—312	
„ ad defusionem 401	walnüsse 698
„ „ escam 401	die Wassermelone 281
„ alba 310	„ Weinraute 257
„ arctica Heer 382	Weinstock 681
„ cana 310	Wenschivu 250
„ idaea 310	Widle lachdete 227
„ islandica Heer 322	Wirsing 188
„ L. 309, 311	Wolfsbohne 25
„ nigra 310	
„ teutonica A. Braun 382	Zalika 114
„ vinifera 682	Zanaboria 202
„ vinifera L. 382, 383	Zipolle 233
„ „ L. var. monoppyrena 386	Zippel 233
Volovjok 443	Zwiebel 156, 229, 233, 235
volovka 443	

- Акуальмэта 262
Анис 243
Анис полевой 240
- Безкагин 209
Белокопытник 238
Боб 18, 21, 73
Боб волчий 24
Боб цареградский 18, 52
 конские бобы 23
Борец 237
Брусника 310
Брюква 221
Бузиновая повиллица, см. повиллица
Бурвази 421
Бургвела 237, 238
Бутень лесной 238
- Виноград
 дикий виноград 309
Виноградная кошениль 684
- Габаша 535
Галамбара 238
Горох 18, 33, 34, 73
 " грузинский 18, 38, 52
 " немецкий 32
 " угластый 47
 клинчатный горох 47
 овечий горох 33
 спаржевый горох 180
- Девясиль лекарственный 237
Дед 688
Джиза-гёзи 591
Дзобенури 426
Дзувани 426
Дикий виноград, см. виноград
Дикий шавель, см. шавель
Димела 237, 238
Докаршуа бинехиши 328
Дрюза-гези 571
Дыны 271
Дэмэли 237
- Ежевик 706
Жакая-коло 164
- Зайчий козелец, см. козелец
Земляника 290
 " .позубница 290
 " с длинными ягодами 290
 шпанская земляника 291, 293
Зубок 47
 конский зубок 47
- Игекац 591
Ирга 701
- Кабак 283
Кама 243
Каманика 290
Капуста 184, 189, 192
 кочанная капуста 184, 185
 лиственная капуста 185, 186
 цветная капуста 185, 194, 196
Карквета 237
Кармирдог 209
Кизильник
 Кизильник иглистый 691
 " обыкновенный 701
Кишнец 249, 250
Клинчатный горох, см. горох
Клубника 290—292
Козелец
 зайчий козелец 226
Конские бобы, см. бобы
Конский шавель, см. шавель
Корг 246
Кощачья мята, см. мята
Кубышки 283
Кумси 423
Купена 179
Купырь 238
 " лесной 238
Курцитела 449
- Лата 237
Латук дикий 226
Лопух 161
Лопушник 161
Лук-Поррей 229, 230
- Мальтийский тмин, см. тмин
Марковь 201
 " дикий 202

- Мацара 237
 Мдыхи 237
 Мелчвири 138
 Мжგრია 419
 Мох 223
 Мушмула обыкновенная 708
 Мцире-мица 144
 Мышинный чеснок, см. чеснок
 Мышки 247
 Мята луговая 261
 Кошачья мята 261

 Нецинхедер 34
 Нут 36

 Овечий горох, см. горох
 Огурцы крымские большие 267
 русские огурцы 267

 Парткала 437, 440
 Пасинкование 377
 Переступень 310
 Петрушка 252
 Пиган 257
 Повилица
 бузиновая повилица 316
 Подбель 236
 Подложаны 296
 Полевой чеснок, см. чеснок
 Поррей 230
 Портулак 175
 Проскурняк 172

 Разги 578
 Райск. яблок 692
 Редис 216
 Редька 216
 " дикая 216, 220
 Репа
 дикая репа 221
 полевая репа 207, 220
 Русские огурцы, см. огурцы
 Рута 154

 Саги 581
 Сев-малаги 576, 579
 Сельдерей 255, 256
 Синеголовка 688
 Сисах 582
 Скорода 230
 Сорочий шавель, см. шавель
 Сочевица 23
 Спарона белая 177
 Спаржевый горох, см. горох

 Сунница 290
 Суренища 220
 Сухая подвязка лоз 348
 Схаби 581
 Сындрик 179, 180

 Табарза 572, 582
 Тамбехи 572
 Тмин обыкновенный 240
 " полевой 241
 " мальтийский тмин 240
 Туф 135
 Тчгима 238
 Тыква 268, 283
 " бородавчатая 284
 Тыквы кизилбашские 283
 " русские 283
 Укроп 243, 245, 246

 Хама 243
 Хурхог 165

 Царе 147
 Цвите 536

 Чабер 260
 Чархаль 209
 Черемша 234
 Черемша 230
 Чертополох 688
 Чеснок 228
 " дикий 228
 Мышинный чеснок 228
 полевой чеснок 228
 Чечевца 18, 27
 Чина шишечно-коренная 44
 Чинчибури 133
 Чубук с пятой 314

 Шавеканго 420
 Шарлот 229
 Шахангир 535
 Шахангюл 535
 Шашковое дерево 691
 Шек-румсо 580
 Ширун-кара 587
 Шпанская земляника, см. земляника
 Шпинат 167, 168
 Щавель 163
 " заячий 163
 " дикий шавель 165
 " конский шавель 165
 " сорочий шавель 163

 Щирица 170

 Эстрагон 257
 Этулари 564

შ ი ნ ა ა რ ს ი

- რედაქტორებისაგან 5
- საქართველოს ეკონომიური ისტორია (წიგნი მეორე)
- პირველი გამოცემის წინასიტყვაობა 11
- შემოკლებული და ქარაგმიანი სიტყვებისა და სათაურების განმარტება 14
- მემინდვრეობა (დასასრული)
- შესავალი. პარკოსანი მარცვლეულობის კულტურაზე საქართველოში ზოგადად 16
- თავი I. წყაროებში დაცული ზოგადი ცნობები ძველ და თანამედროვე საქართველოში გავრცელებულ პარკოსან მარცვლეულთა შესახებ 17
- თავი II. ცერცი და ცერცვნიარნი 21
1. ცერცი — 21. § 1. ცერცის რაობა 21. § 2. ცერცის მნიშვნელობა ძველად და მისი კულტურის მაშინდელი ინტენსივობა 21. § 3. ცერცის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 22. § 4. ცერცის ჭიშ-სახეობანი 22. § 5. ცერცის გავრცელების ასპარეზი ძველსა და თანამედროვე მსოფლიოში 23. II. ცერცელა 23. § 1. ცერცელას რაობა 23. § 2. ცერცელას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 23. III. ხანკეულა, თერმუზი და ლოპინარი — 24. § 1. ცნობები ხანკეულასა, თერმუზსა და ლოპინარზე 24. § 2. ხანკეულას რაობა 24. § 3. ლოპინარის საღაურობა 25. § 4. თერმუზისა და თერმის საღაურობა 26. § 5. ხანკეულას მავნე თვისება 26. 6. ხანკეულას გავრცელების არე 26.
- თავი III. ოსპი 27
- § 1. ცნობები ოსპის შესახებ და მისი რაობა 27. § 2. ოსპის გავრცელებულობის ინტენსივობა ძველად 27. § 3. ოსპის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 28. § 4. თეთრი ოსპი 29. § 5. ოსპის თანამედროვე კლასიფიკაცია და გავრცელების არე მსოფლიოში 29. § 6. ოსპის გავრცელების არე ძველად 29. § 7. მეცნიერთა მოსაზრებანი ოსპის თავდაპირველი სამშობლოს შესახებ 30. § 8. ოსპის სამშობლოს პრობლემის გამორკვევის სიმძნელე ისტორიული ცნობების გაუთვალისწინებლივ 30. § 9. ზოგადი მოსაზრება საქართველოში არსებული ოსპის ჭიშების შედარებით სწიერებაზე 31.
- თავი IV. კნდური და კნდურნიარნი
1. კნდური 31. § 1. ძეგლებში დაცული ცნობები კნდურის შესახებ 31. § 2. კნდურის რაობა 32. II. ბიარდა და ნეცინ ლედარ 33. § 1. ცნობები ბარდაზე და მის რაობაზე 33.

§ 2. სვანური ნეცინ ღედარ-ის რაობა 34. § 3. ბარდას საღაურობა და ძირითადი მნიშვნელობა 34. § 4. ბარდას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 35. § 5. ბარდას გავრცელების არე ძველსა და თანამედროვე მსოფლიოში 35. 111. მუხულო და ერეკინდი 36. § 1. ცნობები მუხულოზე 36. § 2. მუხულოს საღაურობა და რაობა 36. § 3. ერეკინდის საღაურობა და რაობა 36. § 4. „ერეკინდი“-ს და „მუხულო“-ს სახელების ქართულში შეთვისებულობის შესაძლებელი მიზეზი 38. § 5. მუხულოს ძველ საქართველოში გავრცელების ინტენსივობა 38. § 6. მუხულოს გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 38. § 7. მუხულოს ჭიშები საქართველოში 39. § 8. მუხულოს თეთრი და ფერადი ჭიშების ჭიშიური შედგენილობის განსხვავება 39. § 9. მუხულოს გავრცელების არე ძველ მსოფლიოში 40. § 10. მუხულოს გავრცელების არე თანამედროვე მსოფლიოში 41. § 11. მუხულოს გავრცელების მიმართულება და კულტურის საღაურობა საქართველოში 41. § 12. ერეკინდისა და მუხულოს საქართველოში გაჩენის ხანა და პირველი შემთვისებელი თემი 41. IV. საკადრისა და უკადრისა, ცულისპირა 42. § 1. ცნობები საკადრისაზე 42. § 2. საკადრისა რაობა 42. § 3. უკადრისა და ცულისპირა 43. § 4. ცულისპირას ბოტანიკური რაობა 44. § 5. ცულისპირას გავრცელების ინტენსივობა ძველ საქართველოში 44. § 6. მცდარი ცნობები ცულისპირას მვენე თვისებაზე და ცულისპირას უკადროსად სახელების შესაძლებელი მიზეზი 44. § 7. ცულისპირას გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში და ჭიშები 45. § 8. ცულისპირას თავდაპირველი ჭიში ჩვენში 46. § 9. ცულისპირას გავრცელების არე ძველ მსოფლიოში 46. § 10. ცულისპირას გავრცელების თანამედროვე არე მსოფლიოში 47. § 11. საქართველოში გავრცელებული ჭიშის მიკუთვნელობა და ხნიერება 48.

თ ა ვ ი V. ძაძა

48

§ 1. ცნობები ძაძას შესახებ 48. § 2. ძაძას ბოტანიკური რაობა 48. § 3. ძაძის კულტურის ინტენსივობაზე ძველი ქართული ცნობების უქონლობა 49. § 4. ძაძის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 49. § 5. ძაძის კულტურის ხნიერების საკითხი საქართველოში 50. § 6. ძაძას სახელის მნიშვნელობის განმარტება 50. § 7. ძაძას სამშობლო და გავრცელების არე ძველად 51.

თ ა ვ ი VI. ლობიოს შესახებ არსებული ლიტერატურა

§ 1. უძველეს ქართულ წყაროებში ლობიოს შესახებ ცნობების უქონლობა 51. § 2. უძველესი და შემდეგდროინდელი ცნობები ლობიოზე საქართველოში 51. § 3. დასავლეთ საქართველოში XVII—XVIII სს. ლობიოს გავრცელებული ჭიში 53. § 4. ლობიოს კულტურის ინტენსივობა და გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში 53. § 5. არსებული ცნობები საქართველოში გავრცელებული ლობიოს ჭიშ-სახეობათა და მათი სახელების შესახებ 53.

თ ა ვ ი VII. ლობიოს კლასიფიკაცია და მისი ჭიშ-სახეობათა ქართული ხალხური სახელები.

54

§ 1. ლობიოს კლასიფიკაციის პრინციპები 54. § 2. ლობიოს ქართული ხალხური სახელები და მათი ბოტანიკური რაობა 55.

თ ა ვ ი VIII. ლობიოს საქართველოში არსებული სახელების ანალიზი და ნამდვილი მნიშვნელობა

57

§ 1. ლობიოს მორფოლოგიური თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: კუტიკოლა, ბარდიანი და უბარდო ლობიო, სარისა და სიშინდის ლობიო 57. § 2. ლობიოს პარკო-

სა და მარცვლის ქსოვილის თვისებების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: ქონა, უბეწვო და ჩენჩა ლობიო 59. § 3. ლობიოს მარცვლის მორფოლოგიური თვისების დამახასიათებელი ზოგადი ტერმინები: ლაბაშა და ტკია ლობიო 61. § 4. ლობიოს შეფერადების დამახასიათებელი ტერმინები 61. § 5. ლობიოს ჭიშების სადაურობის აღმნიშვნელი სახელები 62. § 6. ლობიოს სახელების ანალიზით მოპოვებული შედეგი 63.

თ ა ვ ი IX. ლობიოს სადაურობის პრობლემა ზოგადად საქართველოში. 63

§ 1. საკითხი ლობიოს სადაურობაზე ზოგადად 63. § 2. ლობიოს სადაურობა საქართველოში 65.

თ ა ვ ი X. მაშა-ცერცი, მაშა-ლობიო. 66

§ 1. ცნობები მაშას შესახებ და მისი რაობა 66. § 2. მაშას, ანუ ცეცქაის სადაურობა 67. § 3. ამ მარცვლულის გავრცელების თანამედროვე არე და სახეობანი 67.

თ ა ვ ი XI. ბაკლა, ანუ ვირგლა. 68

§ 1. ბაკლას, ანუ ვირგლას რაობა 68. § 2. ბაკლას გავრცელების არე და სახეობანი 68.

თ ა ვ ი XII. უგრეხელი. 69

§ 1. ცნობების სიმკირე უგრეხელზე და მისი რაობა 69. § 2. უგრეხელის გავრცელების არე თანამედროვე საქართველოში და სხვაგან 69. § 3. უგრეხელის გავრცელების არე ძველად 70. § 4. უგრეხელის ღირსება და ნაკლი 70. § 5. უგრეხელის კულტურის ხნიერება საქართველოში 71.

თ ა ვ ი XIII. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ზოგადი საკითხები ძველ საქართველოში. 71

§ 1. უძველეს პარკოსან მარცვლეულთა სახელების ანალიზის აუცილებლობა მეურნეობაში ამ დარგის გასაშუქებლად 71. § 2. ცერცვა და „როგვ“-ის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა 72. § 3. ხანკუალა-ხანჯკოლასი და „ხაჯი“-ის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 75. § 4. ოსპისა და სევანური „ჭირც“-ის ანუ „ჭირს“-ის სადაურობა და მნიშვნელობა 77. § 5. კნდურისა და ლედარის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 79. § 6. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის ისტორიის მთავარი პერიოდები და მნიშვნელოვანი თვისებები 82. § 7. პარკოსან მარცვლეულთა კულტურის მნიშვნელობა ძველი საქართველოს ეკონომიკისათვის 83. § 8. პარკოსან მარცვლეულთა ხანგრძლივი კულტურისა და დაკვირვება-შერჩევის კვალი 84. § 9. ლობიოს კულტურის ქართულ მეურნეობაში გაბატონების მიზეზების ძიება 85. § 10. პარკოსან მარცვლეულთა ზოგადი საზრდოობითი მნიშვნელობა და თვითიველი მათგანის შედარებითი კვებითი ღირებულება 85. § 11. მარცვლეულთა მოსახარშავობის შედარებითი ღირებულება 87. § 12. ლობიოს გაბატონების მთავარი მიზეზი: მხვიარა ჭიშის უხვი და ხანგრძლივი ნაყოფიერება 87. § 13. ლობიოს მავნებელთადმი გამძლეობის მნიშვნელობა მისი საქართველოში გაბატონებისათვის 88. § 14. ლობიოს ქიმიური შედგენილობის კეთილშეზავებულობის მნიშვნელობა 88. § 15. პარკოსან მარცვლეულთა გავრცელების ასწერივი ზოლები და ამ გარემოების მნიშვნელობა ცერცენაირთა, ხნდურნაირთა და ოსპისაგან მაღალ არეებში ლობიოსათვის მეტოქეობის ასახსნელად 89.

მოსავლის აღება და დაუნჯება 89

თ ა ვ ი I. მოსავლის აღება. 89

§ 1. შკა და თიბვა 89. § 2. პურელ-ქრთილულის მოკრების მიზნის სხვადასხვაობა დროთა განმავლობაში 90. § 3. საკვები მცენარეების მოკრების წესები სხვადასხვა ხანაში 91. § 4. მცენარეულის მოსაქრელი იარაღის ისტორია: ნამგალი და ცელი 92. § 5. სამკაულზე მუშაობა 94.

თ ა ვ ი II. ნამკალის ერთეულები. 95

§ 1. ზეინი 95. § 2. მკველეული 95. § 3. ძნა და ძნეული 96

თ ა ვ ი III. კალოობა. 97

§ 1. მარცვლეულის გამოცალკევების სხვადასხვა საშუალება 97. § 2. კალო 97. § 3. მოსავლის ლეწვა 97. § 4. ჩხვერვა 98. § 5. ცეხვა 98.

თ ა ვ ი IV. მკისა და ლეწვის ტექნიკური საშუალებანი და იარაღები 99

1. „მანგალი“, ნამგალი და მისი სახელის თავდაპირველი მნიშვნელობა 99. § 2. ცელის შემოღების ხანა 101. § 3. ცელის შემოღების მნიშვნელობა სასოფლო მეურნეობის ეკონომიკის თვალსაზრისით 103. § 4. კვერი და მისი გაჩენის ხანა 103.

თ ა ვ ი V. მარცვლეულის მოსავლის გამოყოფა და დაუნჯება. 105

§ 1. განალეწითგან მარცვლეულის გამოცალკევების საშუალება და იარაღები 105. § 2. ხევი და ბზე 106. § 3. მარცვლეულის დაუნჯების წესები და შესანახი მოწყობილობა 107.

მემტილეობის, მეხილეობისა და მევენახეობის კულტურის ზოგადი საკითხები 110

თ ა ვ ი I. ბოსტნისა, ბალისა და ვენახის სახელები დროთა განმავლობაში 110

§ 1. მტილის მნიშვნელობა 110. § 2. მტილის შესატყვისობა ქართულ დიალექტებში 111. § 3. მტილის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა 111. § 4. სამოთხე და მისი მნიშვნელობა 112. § 5. წალკოტი 113. § 6. ხილისა და ვაზის ბაღების აღმნიშვნელი სახელები 114. §7.ბალი, ბაღა და ბოსტანი, მათი სადაურობა და შემოსულობის ხანა. 116.

თ ა ვ ი II. მებაღეობის კულტურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა უცხოეთში. 117

§ 1. მებაღეობა ძველ ეგვიპტესა და აღმოსავლეთში 117. § 2. მებაღეობის კულტურა საბერძნეთსა და იტალიაში 118. § 3. მებაღეობის კულტურა ძველ ასურეთსა და არაბთა სახალიფოში 119, § 4. მებაღეობა იტალიაში 120.

თ ა ვ ი III. საქართველოს მებაღეობის კულტურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 120

§ 1. რას წარმოადგენდა სამოთხე ძველად და მისი მოწყობილობა 120. § 2. ცნობები მემტილეობისა და მებაღეობის ინტენსიური კულტურის შესახებ საქართველოში V—X სს-ში. § 3. მტილ-სამოთხენი და წალკოტი XII ს. 123. § 4. მებაღეობის კულტურა აღმოსავლეთ საქართველოში XVI—XVIII სს-ში 123. § 5. მებაღეობის დონე დასავლეთ საქართველოში XVII—XVIII სს-ში. 126.

თ ა ვ ი IV. მტილ-სამოთხისა და ბალ-წალკოტის მოვლა-პატრონობის ორგანიზაცია. 127

§ 1. მოშველის სახელი და მოზაღეობა 127. § 2. ვენახ-ბაღის დაცვის საშუალებანი 128. § 3. წალკოტ-ბაღების დაგეგმულობა და დანაწილება 129.

თ ა ვ ი V. ნიადაგთმცოდნეობის საგანძური და დონე ძველ საქართველოში. 130

§ 1. ნიადაგის ფერის მხრივ დამახასიათებელი ტერმინები 132. § 2. ნიადაგის შედგენილობის მთავარი ნაწილის აღმნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი 134. § 3. წყლიანი და წყლის მოქმედებით შექმნილი ნიადაგის აღნიშვნელ ტერმინთა ჯგუფი 136. § 4. ნიადაგის ტოპოგრაფიული თვისების გამომხატველი ტერმინები 141. § 5. ნიადაგის ღირსების გამომხატველ ტერმინთა ჯგუფი 144. § 6. სხვადასხვა ნიადაგის დანიშნულება-გამოსაღებობა 144.

თ ა ვ ი VI. საქართველოს მებაღეობის ძველი კულტურის ინტენსივობის მაუწყებელი ზოგადი ცნობები 146

§ 1. მემტილეობა-მევენახეობის ფართობის გავრცელების საშუალებანი 146. § 2. ყვავილხეების ჭიშებისათვის მუშაობა ძველ საქართველოში 148. § 3. ველური ყვავილ-მცენარეების გაშინაურების ცდები საქართველოში 149.

თ ა ვ ი VII. მტილეულ-ხილის მოყვანის ორგვარი დანიშნულება და დროის მიხედვით შედარებითი ღირებულება. 149

§ 1. თავისი საქმელ-საყოფი და გასასყიდელი ხილ-ბოსტნეული 149. § 2. მტილეულ-ხილის ახლობა, ანუ ახალ-ბაღობა და ყურძნობა და მათი ვაჭრული მნიშვნელობა 150.

თ ა ვ ი VIII. მცენარეების რიცხოვრივი ერთეულების სახელები. 151

ღარგი მეორე. მემტილეობა ანუ მებოსტნეობა. 152

თ ა ვ ი I. ბოსტნეულობის მნიშვნელობა ძველ საქართველოში. 152

თ ა ვ ი II. წყაროთა ზოგადი ცნობები ძველი საქართველოს მებოსტნეობის შესახებ. 154

§ 1. ქართული წყაროების ცნობები 154. § 2. უცხოელთა ცნობები 155.

- თ ა ვ ი III. ქართველ მთიელთა შორის გავრცელებული მწვანელ-მხალი. 157
- § 1. ფშაველთა მხალ-მწვანელეული 157. § 2. ხვესურთა სხედასხვა მწვანელ-მხალი და ხმილი 158. § 3. ზემო-რაკის საქმელი მცენარეულობა 158.
- თ ა ვ ი IV. ბოსტნეულის ჯგუფები. 158
- § 1. მწუანილი და სანელებელი 158. § 2. მხალი 159. § 3. მდელი ანუ ძირხვეწეული 160.
- მემტილეობის I ჯგუფი: მხალი. 163
- თ ა ვ ი I. მჟაუნა, ღვალო და მათი ჯიშები საქართველოში. 163
- § 1. ცნობები მჟაუნასა და ღვალოზე 163. § 2. ღვალო, ღოღო, ოღვალო, ღვალუ, ფურთხალე, წართხალი და წერთხლა 164. § 3. მჟაუნისა და ღვალოს კულტურა უცხოეთში 165. § 4. მჟაუნისა და ღვალოს ძველ საქართველოში გავრცელებულობა 167.
- თ ა ვ ი II. ისპანახი, ანუ ისპანახი 167
- § 1. ცნობები ისპანახსა, ასფანახსა და სპანელზე ძველ საქართველოში 167. § 2. ცნობები ისპანახზე უცხოეთში 168. § 3. ისპანახის სადაურობის საკითხი 169.
- თ ა ვ ი III. ჯიჯლაყა, ანუ თვითმავალა. 169
- § 1. ჯიჯლაყას, ანუ თვითმავალას შესახები ცნობები 169. § 2. ჯიჯლაყას სახელის პირველადი მნიშვნელობა 170. § 3. ჯიჯლაყა უცხოეთში და მისი ღირებულება 171.
- თ ა ვ ი IV. მოლოქი, ბალბა, ბოდერია. 172
- § 1. ცნობები მათ შესახებ და ბოტანიკური რაობა 172. § 2. მოლოქისა და ბალბის ეტიმოლოგია და სადაურობის საკითხი 172. § 3. ამ მხალის შედარებით ნაკლები მნიშვნელობა უცხოეთისა და საქართველოსთვის 173.
- თ ა ვ ი V. კატკატომ, მსუქანა, დანდური, უკვდავა 172
- § 1. ცნობები ამ მხალის შესახებ და მისი რაობა 174. § 2. ამ მხალის სხედასხვა სახელის სადაურობა და აღმნიშვნელობა 175. § 3. მსუქანას, ანუ დანდურის სამშობლო და კულტურა უცხოეთში 176.
- თ ა ვ ი VI. სატაცური. 177
- § 1. ცნობები მის შესახებ და მისი რაობა 177. § 2. სატაცურის კულტურის მოკლე ისტორიული მიმოხილვა 177.
- თ ა ვ ი VII. სვინტრი და მისი რაობა 179

- თ ა ვ ი VIII. არჯაკელი 180
- § 1. ცნობები არაჯაკელზე 180. § 2. არჯაკელის ბოტანიკური რაობა და გამოყენება 180.
- თ ა ვ ი IX. კომბოსტო 181
- § 1. ცნობები კომბოსტოს კულტურაზე ძველ საქართველოში 181. § 2. ძველ საქართველოში გავრცელებული კომბოსტოს ჯიშები და მათი სახელები 183. § 3. კომბოსტოს კულტურის ზოგადი მიმოხილვა უცხოეთში 186. § 4. კომბოსტოს კულტურის სადაურობა და გავრცელების გზები ძველ საქართველოში ამ მხალის სახელისდა მიხედვით: კომბოსტო, ლახანა და ხუტი 189. § 5. კალნაბის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა 191. § 6. კალნაბი, ვითარცა ყვავილიანი კომბოსტოს სახელი 194. § 7. სად იქცა და საითგან გავრცელდა კალნაბი ყვავილიანი კომბოსტოს სახელად? 196. § 8. ზოგადი დასკვნა კომბოსტოს კულტურის შესახებ საქართველოში 198.
- მემტილეობის II ჯგუფი: ძირხვენეული, ანუ მდელი 201
- თ ა ვ ი I. სტაფილო 201
- § 1. ცნობები სტაფილოს, ნიუკას, ქინძიჭორას ანუ ქინძილოჯას ქალაქოდას შესახებ და მათი რაობა 201. § 2. სტაფილოს კულტურა უცხოეთში 202. § 3. სტაფილოს ქართული სახელების ანალიზი ამ მდელის საქართველოში კულტურის გზების გამოსარკვევად 204. § 4. სტაფილოს კულტურაზე საქართველოში ზოგადად 205.
- თ ა ვ ი II. ჭარხალი 206
- § 1. ჭარხლის საქართველოში მიღებული სახელები: ჭაქუნტელი, ჭარხალი, წითელი ფხალი და სოტელია 206. § 2. ჭაქუნტელისა, სოტელიას, ჭავის და ჭარხლის სახელების სადაურობა და ეტიმოლოგია 208. § 3. ჭარხლის კულტურის ზოგადი მიმოხილვა უცხოეთში 212. § 4. ჭარხლის კულტურის ზოგადი საკითხები საქართველოში 213.
- თ ა ვ ი III. ბოლოკი 215
- § 1. ცნობები ბოლოკის შესახებ ძველ საქართველოში 215. § 2. ბოლოკის კულტურის ისტორიის ზოგადი მიმოხილვა 216.
- თ ა ვ ი IV. ბოლოკა, თალგამი და მხალ-თალგამა 219
- § 1. ცნობები ამ მდელიზე 219. § 2. თალგამისა და მხალ-თალგამის კულტურა უცხოეთში 220. § 3. თალგამი და მხალ-თალგამა ჩვენში 221.
- მემტილეობის III ჯგუფი: მწვანელი და სანელებელი 223
- თ ა ვ ი I. ყრდელი, ანუ სალათი და მისი სხვადასხვა სახეობა ძველ საქართველოში 223.

§ 1. ცნობები ყრდელზე და მისი რაობა 223. § 2. ხაერთა, ხასი და მაროლი 224. §3. ველის ყრდელი 225. § 4. ყრდელისა და სალათის კულტურის ზოგადი ისტორიული მიმოხილვა 226.

თ ა ვ ი II. ნიორი, ხახვი, პრასა და ღანძილი 228

§ 1. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და ღანძილის შესახები ცნობები და მათი ბოტანიკური რაობა 228. § 2. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და ღანძილის კულტურის ზოგადი მიმოხილვა 230. § 3. ნიორისა, ხახვისა, პრასისა და ღანძილის კულტურაზე საქართველოში 234.

თ ა ვ ი III. ღიყა და ღუცი 237

თ ა ვ ი IV. ჭყიმა, ანუ ჩალამბარა 238

თ ა ვ ი V. ძირაკი, ანუ ძირა და კვლიავი, ანუ კვლია 240

§ 1. ძირაკის, ზირასა და კვლიავის რაობა 240. § 2. ზირას სამეურნეო მნიშვნელობის მიმოხილვა 241. § 3. კვლიავის სამეურნეო მნიშვნელობა 242.

თ ა ვ ი VI. ცერეცო და ანისული 243

§ 1. ცნობები ცერეცოზე და მისი რაობა 243. § 2. ცერეცოს კულტურა და მნიშვნელობა 244. § 3. ანისულის რაობა და გამოყენება 244.

თ ა ვ ი VII. კამა 245

§ 1. ცნობები კამაზე და მისი ბოტანიკური რაობა 245. § 2. კამის კულტურის ზოგადი მიმოხილვა 245. § 3. კამის ქართული სახელის სადაურობა და მისი კულტურის ხნიერება 246.

თ ა ვ ი VIII. სონიჯი 247

§ 1. სონიჯის რაობა 247.

თ ა ვ ი IX. ქინძი 249

თ ა ვ ი X. ოხრახუში 252

§ 1. ცნობები ოხრახუშსა და მკვიდონზე, მათი ბოტანიკური რაობა 252. § 2. ოხრახუშის კულტურა უცხოეთში 253. § 3. ოხრახუშის კულტურის სადაურობა საქართველოში ამ მწეანის ქართული სახელების სადაურობის მიხედვით 253.

თ ა ვ ი XI. ნიახური 255

§ 1. ნიახურის შესახები ცნობები და მისი რაობა 255. § 2. ნიახურის კულტურის მიმოხილვა უცხოეთში 255. § 3. ნიახურისა და სონას კულტურის სადაურობა საქართველოში 256.

თ ა ვ ი XII. ტეგანი და ტარხუნა	257
§ 1. ტეგანი 257. § 2. ტეგანის კულტურა უცხოეთში და ჩვენში 258. § 3. ტარხუნა 259.	
თ ა ვ ი XIII. ქონდარი	259
თ ა ვ ი XIV. პიტნაი	261
§ 1. პიტნაის სხვადასხვა სახეობათა შესახებ ცნობები საქართველოში და მათი ბოტანიკური რაობა: პიტნაი, ტენეო, კატაპიტნა, ომბალო და ყვალმინთა 261. § 2. პიტნის კულტურის შესახებ ძველად 263. § 3. პიტნის ქართული სახელების სადაურობა და ამ სანელების მნიშვნელობა ძველი საქართველოს მეურნეობაში 264.	
თ ა ვ ი XV. მლოგვი	265
მემტილეობის IV ჯგუფი: ხმილი	267
თ ა ვ ი I. კიტრი	267
§ 1. კიტრის შესახებ ცნობები საქართველოში 267. § 2. კიტრის სახელების ეტიმოლოგია და სადაურობა 268. § 3. კიტრის კულტურასა და ეკონომიურ მნიშვნელობაზე 269.	
თ ა ვ ი II. ნესვი	271
§ 1. ცნობები ამ ხმელზე 271. § 2. ნესვის კულტურის მიმოხილვა უცხოეთში 272. § 3. ნესვის სახელებისა და კულტურის სადაურობა და სამეურნეო მნიშვნელობა საქართველოში 274.	
თ ა ვ ი III. მელსაპეპონი, ანუ საზამთრო	279
§ 1. ცნობები მელსაპეპონზე და საზამთროზე და მათი რაობა 279. § 2. საზამთროს კულტურის მიმოხილვა უცხოეთსა და საქართველოში 280.	
თ ა ვ ი IV. კვახი	283
§ 1. ცნობები ამ ხმელზე საქართველოში 283. § 2. კვახის კულტურისა და სამეურნეო მნიშვნელობის მიმოხილვა უცხოეთში 284. § 3. ამ ხმილის კულტურასა და სამეურნეო მნიშვნელობაზე ძველ საქართველოში 285.	
თ ა ვ ი V. მარწყვი	289
§ 1. წერილობითი ცნობები მარწყვზე საქართველოში 289. § 2. მარწყვის ჭიმ-სახესხვაობანი და მათი სახელები თანამედროვე ცნობებისა მიხედვით 290. § 3. მარწყვის გავრცელების შესახებ მსოფლიოში და მისი კულტურის დასაწყისზე 291. § 4. მარწყვის ძველი ქართული კლასიფიკაცია და ჭიმ-სახეობანი 291. § 5. მარწყვის ქართული სახელების ანალიზი 293. § 6. ზოგადი დასკვნა 295.	

- თ ა ვ ი VI. ბადრიჯანი 295
- § 1. ამ ხმლის შესახებ ცნობები, პირვანდელი სახელი და მისი რაობა 295. § 2. ბადრიჯნის კულტურაზე ზოგადად 296.
- ქართული მემტსლეობის ზოგადი ვითარება ზემოხსენებული ცნობების მიხედვით 297
- დარგი მესამე. მევენახეობა 303
- შ ე ს ა ვ ა ლ ი. მევენახეობა-მეღვინეობის მნიშვნელობა საქართველოსთვის 303
- თ ა ვ ი I. ვაზის ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში 304
- § 1. ვენაჟი, მისი ძველი და მერმინდელი მნიშვნელობა 304. § 2. ვაზი 306. § 3. ეულური, ანუ გარეული ვაზი და მისი ქართული სახელები 308.
- თ ა ვ ი II. ვაზთამცოდნეობის ძველი ქართული ტერმინოლოგია 311
- § 1. ვაზის ძირისა და ზროს სახელები საუკუნეთა განმავლობაში 311. § 2. ვაზის ტოტების სხვადასხვანაირი დანიშნულება და მათი სათანადო სახელები 313. § 3. ვაზის ნაყოფისა და მისი ნაწილების სახელები 316. § 4. ვაზ-ყურძნის დამახასიათებელ თვისებათა შესწავლის მნიშვნელობა 319. § 5. ჭიშების დამახასიათებელი ვაზთაღმწერლობითი, ანუ ამპელოგრაფიული ძველი ქართული ტერმინოლოგია 320.
- თ ა ვ ი III. ვაზის დაყენება-გაშვების სხვადასხვა წესი და ამის ძველი ქართული ტერმინოლოგია 321
- § 1. დაბლარი, ანუ ხელნაშენი 321. § 2. მალლარი, დობილო და ბაბილო 322. § 3. ოლიხნარი და ხარდნის ვენახი 323. § 4. ტლავარი, ანუ ხეივანი 324. § 5. გართმული ვაზი 325.
- თ ა ვ ი IV. ვაზისა და ვენახის გაშენება 325
- § 1. ვენახის დასხმა, ანუ დანერგვა 325. § 2. წიღნე, ვენახის გადაწიღნე, ანუ დამაგინება, ბინეხიში ღოკარშუა 327.
- თ ა ვ ი V. დაბლარი ვაზის საყრდნობი და მისი სხვადასხვა სახელების მნიშვნელობა 329
- § 1. სარი და ქიგო 330. § 2. ხარდანი 330. § 3. სასარე და მანუელი და მათი რაობა 331. § 4. სახარდნის რაობა 332. § 5. ვაზის საყრდნობის აღმნიშვნელი ტერმინების სადაურობა 333.
- თ ა ვ ი VI. ვაზის მოვლა 340
- § 1. ვაზის ღერწის განსაკუთრებული თვისება და გასხვლის მნიშვნელობა 340. § 2. ვაზის რქების სხვადასხვა დანიშნულება და გასხვის წესი 342. § 3. სასხლავი იარაღი 345.

თ ა ვ ი VII. დაბლარი ვაზის ასარვა, ანუ შესარვა და დაკავება, შეკონვისა და შეეცლების რაობა 348

თ ა ვ ი VIII. მევენახეობის გაბატონებული წესი და ინტენსივობა ძველ საქართველოში 348

§ 1. მალარისა და დაბლარი მევენახეობის შედარებითი კულტურული და ეკონომიური ღირებულება 348. § 2. მევენახეობის როგორი კულტურა იყო ძველ საქართველოში გაბატონებული? 349. § 3. დაბლარი ვენახისა და ზერის დანარგავის სისშირის ნორმების გამორკვევის ცდა 355.

თ ა ვ ი IX. მევენახეობის ტექნიკის დონე ძველ საქართველოში: ვაზის გასწვლისა და მოვლის პრინციპები 358

§ 1. გასხლვა, ვითარცა მევენახეობის დონის საზომი 358. § 2. ვაზის გასხლვის სხვადასხვა ეადები 358. § 3. გასხლვის ტექნიკა საქართველოში 360. § 4. გასხლვის ტექნიკა ძველ საბერძნეთსა და იტალიაში 363. § 5. გასხლვის ტექნიკის თანდათანო წარმატების საფეხურები და დანეკვის შემოღების შედარებითი ხნიერება საქართველოში 372. § 6. ვაზ-ვენახის აჯოჯვა და გაფურჩქვნა 376. § 7. ვენახის დანარჩენი სამუშაო 379. § 8. ვაზ-ვენახის დაცვის საშუალებანი 382.

თ ა ვ ი X A. მევენახეობის წინაპარის, ველური ვაზის გავრცელება უძველეს ხანაში და თანამედროვე მსოფლიოში 382

§ 1. ველური ვაზის გავრცელების არე ისტორიის უწინარეს ხანაში 382. § 2. გარეული ვაზის გავრცელების თანამედროვე არე 383.

თ ა ვ ი X B. კულტურული ვაზი უცხოეთში და იქაური მევენახეობის მოკლე მიმოხილვა 385

§ 1. მევენახეობა-მელვინეობა ძველ ეგვიპტეში 385. § 2. მევენახეობა-მელვინეობა პალესტინაში 387. § 3. მევენახეობა-მელვინეობა ძველ საბერძნეთში 390. § 4. მევენახეობა-მელვინეობა ძველ იტალიაში 393.

თ ა ვ ი XI. კავკასიისა და საქართველოს ამპელოგრაფიის მნიშვნელობა 407

თ ა ვ ი XII. კავკასიისა და საქართველოს ამპელოგრაფიული მწერლობის ზოგადი მიმოხილვა და შეფასება 409

თ ა ვ ი XIII. საქართველოს სხვადასხვა თემში შერჩენილი ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფია 416

§ 1. დასახული მიზნის ფარგლები 416. § 2. პერეთში, ეხლანდელ საინვილოში, დაცული ყურძნის ჯიშები 416. § 3. კახეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშები 417. A. შავი და წითელი ყურძენი 417. B. კახეთში გავრცელებული ყურძნის თეთრი ჯიშები 420. § 4. ქვემო-ქართლის, მერმინდელი ბორჩალოს, ყურძნის ჯიშები 430. § 5. შიდა ქართლში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 430. A. ქართლში გავრცელებული ყურძნის შავი და წითელი ჯიშები 430. B.

ქართლში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჯიშები 436. § 6. ზემო ქართლში ანუ მესხეთში გავრცელებული ყურძნის ჯიშების შესახებ ცნობები 441. § 7. იმერეთში შერჩენილი ყურძნის ჯიშების ამპელოგრაფია 441. A. ყურძნის წითელი და შავი ჯიშები 442. B. იმერეთში შერჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები 448. § 8. რაჭაში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 454. A. ყურძნის შავი და წითელი ჯიშები რაჭაში 455. B. ყურძნის თეთრ ჯიშთან რაჭაში მოიპოვება 458. § 9. ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 462. A. ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის შავი და წითელი ჯიშები 462. B. ლეჩხუმში შერჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები 462. § 10. სამეგრელოში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 463. A. სამეგრელოში შერჩენილი შავი და წითელი ყურძნის ჯიშები 463. B. ყურძნის თეთრ ჯიშთან სამეგრელოში შერჩენილი იყო 468. § 11. გურიაში შერჩენილი ყურძნის ჯიშები 471. A. გურიაში გავრცელებულ წითელ, ვარდისფერ და შავ ყურძნის ჯიშთან XIX ს. მეორე ნახევრამდე შედგევი ყოფილა გადარჩენილი 472. B. გურიაში გადარჩენილი ყურძნის თეთრი ჯიშები 477. § 12. აჭარაში გადარჩენილი ყურძნის ჯიშები 479. A. ყურძნის შავი და წითელი ჯიშები 480. B. აჭარაში შერჩენილი თეთრი ყურძნის ჯიშები 481. § 13. შავშეთ-კლარჯეთში გადარჩენილი ყურძნის ჯიშები 482. A. ყურძნის თეთრი ჯიშები 482. B. შავშეთ-კლარჯეთში ყურძნის შავ და წითელ ჯიშთან გადარჩენილი იყო 484. § 14. ჰანეთის ერთი ყურძნის ჯიშები 486.

თ ა ვ ი XIV. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვი, მათი კლასიფიკაციის ზოგადი პრინციპები და შეგროვებული ცნობების ეკონომიური ისტორიისათვის გამოყენების შესაძლებლობის პირობები 487

თ ა ვ ი XV. ვაზ-ყურძნის ჯიშების სახელების კლასიფიკაცია. ამპელოგრაფიული თვისების გამომხატველი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა ქართული სახელების ჯგუფი 491

§ 1. ვაზის ლერწის დამახასიათებელი სახელები 491. § 2. ჯიშის სქესის განმსახვავებელი სახელები 495. § 3. მტევნის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისების გამომხატველი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი 497. § 4. მარცვლის მორფოლოგიური, ანდა ფიზიკური თვისების მუწუყებელი ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი 502. § 5. მარცვლის ფერის მუწუყებელი ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სახელების ჯგუფი 506. § 6. ყურძნის გემოს და სურნელოვანობის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი 508.

თ ა ვ ი XVI. ყურძნის ჯიშების სამეურნეო დანიშნულების მუწუყებელი სახელები 509

თ ა ვ ი XVII. ვაზ-ყურძნის ჯიშ-სახესხვაობათა სადაურობის მუწუყებელი სახელების ჯგუფი 514

თ ა ვ ი XVIII. ყურძნის ჯიშების საერთო რიცხვი და თვითეული მათგანის გავრცელების არე საქართველოში 522

§ 1. საქართველოს ზოგადი ჯიშები 527. § 2. აღმოსავლეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 529. § 3. აღმოსავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 530. § 4. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 531. § 5. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ორ-ორ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 533. § 6. დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მხოლოდ ერთ თემში გავრცელებულ ყურძნის ჯიშთა ჯგუფი 534.

თ ა ვ ი XIX. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჭიშების ხნიერების განსაზღვრა 536

§ 1. ვაზ-ყურძნის ჭიშების ხნიერების საკითხის გამოსარკვევად გამოსადეგი წყაროები და მეთოდები 537. § 2. ვაზ-ყურძნის ჭიშების ხნიერება საქართველოში 540.

თ ა ვ ი XX. მევენახეობის მოკლე მიმოხილვა სომხეთსა და ალბანეთში, ისევე როგორც არან-შირვან-შაქში 560

§ 1. სომხეთისა და ალბანეთის პოლიტიკური და დემოგრაფიული თავგადასავალის მნიშვნელობა იქაური მევენახეობის ბედიღბლისა და ვითარების გასათვალისწინებლად 560. § 2. სომხეთის მევენახეობის მოკლე დახასიათება 563. § 3. ალბანეთისა და მერმინდელი არან-შირვან-შაქის მევენახეობის მოკლე დახასიათება 565. § 4. სომეხთა და თურქთა შორის გავრცელებული ყურძნის ჭიშ-სახესხვაობანი 567. § 5. ყურძნის ჭიშ-სახესხვაობათა სომხური და თურქული სახელების კლასიფიკაცია 592. A. მხოლოდ სომეხთა შორის გავრცელებული ყურძნის ჭიშ-სახესხვაობანი და მათი სახელების კლასიფიკაცია 592. B. მხოლოდ ამიერ-კავკასიელ თურქთა შორის გავრცელებული ყურძნის ჭიშ-სახესხვაობანი და მათი კლასიფიკაცია 595.

საქართველოს მევენახეობის ზოგადი საკითხები და მისი საერთო შეფასება 598

თ ა ვ ი I. ყურძნის ჭიშების შედარებითი ეკონომიური მნიშვნელობა საქართველოს მეურნეობისათვის 598

§ 1. ვაზის ჭიშ-სახესხვაობათა სიმრავლის მიზეზი 598. § 2. საქართველოში გავრცელებული ყურძნის ჭიშ-სახესხვაობათა კლასიფიკაცია სამეურნეო დანიშნულებისა და გამძლეობისდა მიხედვით 601. § 3. შემოქმედებითი მევენახეობის ცენტრი საქართველოში 608.

თ ა ვ ი II. ძველი საქართველოს მევენახეობის საერთო შეფასება და საბოლოო დასკვნა 611

მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, წიგნი I, ნაკვეთი IV და V; მეღვინეობა და მეხილეობა საქართველოში

რელაქციისაგან 620

დარგი მეოთხე. მეღვინეობა — 621

თ ა ვ ი I. ვაზის ნაყოფის ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში 621

§ 1. ისრიბი 621. § 2. კაწახი 621. § 3. კოწახი ან კოწახი 622. § 4. ნოიქი 622. § 5. ვაზის უმწიფარი ნაყოფის გამოყენება ძველ საქართველოში 623.

თ ა ვ ი II. ყურძნის და ხილის კრეფასთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში 623

§ 1. სთელი ანუ ჟამი სთელისა 623. § 2. მოსთულად 624. § 3. მომსთულეგელი, მსთულეგელი ანუ მესთულე 624. § 4. სასთულეგელი 625. § 5. მოწილეა ანუ მოწლა 625.

თ ა ვ ი III. ყურძნის კრეფის დრო საქართველოს სხვადასხვა თემებში და მასთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში 627

§ 1. კახეთში 627. § 2. ქართლში 627. § 3. იმერეთში 627. § 4. გურია-სამეგრელოში 628. § 5. არე სთულისაჲ 628. 6. სთუელის ანუ ლეინობის თვე 629.

თ ა ვ ი IV. მელვინე-მევენახეთა სპეციალისტების არსებობის საბუთები ძველ საქართველოში და მათთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში 629

§ 1. მევენახე-მეზურე და მემარნე, მელვინე 629.

თ ა ვ ი V. სთვლის ორგანიზაცია და მუშახელის რაოდენობა 630

თ ა ვ ი VI. სთველის ტექნიკური საშუალებანი საქართველოში და მასთან დაკავშირებული ქართული ზოგადი სახელები და მათი შესატყვისობანი საქართველოს სხვადასხვა თემებში 631

§ 1. საყურძნე გოდორი 631. § 2. კალათა ანუ კალათი 631. § 3. გიდელი 631. § 4. ძარი 632. § 5. ხოკი და ჩაპრილო 632. § 6. ოწილარი თოკი (სახელური ბაწარი) 632. § 7. შეგიდღუ ანუ გიდელის მცლელი 632.

თ ა ვ ი VII. ყურძნის დახარისხება-დაწურვის ტექნოლოგიური პროცესები, ჭურჭელი და მათი ქართული ზოგადი სახელები საუკუნეთა განმავლობაში 632

§ 1. საღვნე 633. § 2. საბაბილო ჭური, საკრაო, შემომწირველთა და „სხუანი ჭურნი“ 633. § 3. ყურძნის ჯიშისა და ხარისხის მიხედვით გადარჩევა, მოკლე მიმოხილვა 634.

თ ა ვ ი VIII. დაწურვისა და გამოხდის გამომხატველი ტერმინები 635

§ 1. დაწურვა ანუ ჰყლეტა 635. § 2. დაწნეხა, მისი რაობა 635.

თ ა ვ ი IX. წნეხა ზმნის შესატყვისობანი ქართულ დიალექტებში 635

§ 1. ჰენხა 635. § 2. წილახუა, ოწილახუ, მათი რაობა 636.

თ ა ვ ი X. ყურძნის დაწურვისათვის განკუთვნილი ნაგებობა და მოწყობილობა-იარაღები 637

§ 1. სასაწნეხლე და საწნეხელი 637. § 2. სასაწნეხლო 638. § 3. საწნეხლის სხვადასხვა სახეები 638. § 4. საწნეხი — მისი რაობა 639.

თ ა ვ ი XI. ყურძნის დაწურვის წესი საქართველოს სხვადასხვა თემებში აკადგიულდენშტედტის ჩანაწერების მიხედვით 639

თ ა ვ ი XII. ყურძნის დასაწურად განკუთვნილი მოწყობილობა-იარაღის საერ-
თო და განსხვავებული სახელები საქართველოს სხვადასხვა თემში 640

§ 1. ქართლ-კახეთში: საწნახელი, ნავი, საწნახლის ღარი 640. § 2. იმერეთში: მარანი, სა-
წნახელი, ონჯარო 641. § 3. რაქაში: საწნახელი, ჩაქრილა ანუ ხორგო 641. § 4. ლეჩხუმში:
ხორგო 641. § 5. გურია-სამეგრელოში: ოქინახი, ჭირაქვა ანუ ჭერუი 641. § 6. ჩაქრილო,
მიაი რაობა 641. § 7. ხორგო, მისი რაობა 642. § 8. ონჯარო — მისი რაობა 642. § 9. საწნახე-
ლი წაღებული 644.

თ ა ვ ი XIII. ყურძნის დაწურვის წესები, ტექნოლოგია და სამსახურებელი 644

§ 1. ტოპირი ანუ ლასტი 644. § 2. საქაჩაეები: დათვისა და ჭახრაყის. მათი რაობა 645.
§ 3. რაჭული საწნახე ანუ ჭახრაყი, წებერი 645. § 4. გობი 647. § 5. წებერის რაობა ვ. ბერი-
ძის აღწერილობით 647. § 6. ხარხენი 647. § 7. საწნახე სამსახურებლის ანუ იარაღის ქართუ-
ლი სახელებს ზოგადი მიმოხილვა 647.

თ ა ვ ი XIV. ღვინისა და ყურძნის წვენი საწყაოები ანუ საზომი ერთეულე-
ბი 649

§ 1. საწნახელი, როგორც საზომი ერთეული 649. § 2. კოკა 650. § 3. ჩაფი 650.

თ ა ვ ი XV. ღვინის დასაყენებლად და შესანახად განკუთვნილი ნაგებობები 650

§ 1. მარანი 650. § 2. მარანი ანუ საღვნე სახლი 651. § 3. მარნების სახესხვაობანი და
ზომა 651.

თ ა ვ ი XVI. საქართველოს თემებში გავრცელებული მარნებისა და სამსახუ-
რებელის სხვადასხვა სახელები 651

§ 1. ისარნები 652. § 2. სარწყული 652. § 3. მერა, მერარი ანუ ღორაკი 652. § 4. კური,
მისი რაობა და ქვეერი 652. § 5. კურის სახესხვაობანი საბა ორბელიანის მიხედვით 653. § 6.
ქვეერი-კურების დამზადების პუნქტები საქართველოში 653. § 7. „კურის ჩადგმა“ 654. § 8.
ქვეერი, მისი რაობა 654. § 9. კურ-ქვეერის ზომები საქართველოს სხვადასხვა თემებში 654.
§ 10. ლავანი, ქვიბარი ანუ ყვიბარი, ლახუტი 655. § 11. ღვინის საზომი ერთეულები: სა-
წყავი, კოკა, ბათმანი, თუნგი 655. § 12. კურის სარქველების სახელები საქართველოს სხვადა-
სხვა თემებში 655.

თ ა ვ ი XVII. ღვინის შენახვის წესები საქართველოში, ამ საქმის მცოდნე
პირები 656

§ 1. კურის აქლა და საღვინედ მომზადება 656. § 2. კურის მიწაში ჩაფლა ანუ ჩასმა 657.
§ 3. შემარნე და მისი მოვალეობა 658. § 4. ქვეერის მრეცხელი 658. § 5. ღვინის შენახვის
მცოდნე 658. § 6. სარცხელი ანუ სარცხი, მათი რაობა 659. § 7. კრაზანის ცოცხი 659.

თ ა ვ ი XVIII. ღვინის შესანახი კურ-ქვეერის გასარეცხი იარაღის სახელები
საქართველოს სხვადასხვა თემებში 659

§ 1. ორჩხუში ანუ ორჩხუში 659. § 2. ხრაკა, ორკოპე ანუ ხეპარა 660.

თ ა ვ ი XIX. ყურძნის წვენი სხვადასხვა სახელები დაწურვის სხვადასხვა სა-
ფეხურებთან დაკავშირებით 660

§ 1. წინა-წვენი, შუა-წვენი, ბოლო-წვენი და ნაქაჯი წვენი — მათი ღირსება 660.

თ ა ვ ი XX. „მელვინეობა“ — ღვინოსთან დაკავშირებული ძველი ქართული
ტერმინები და მათი შესატყვისობანი 661

§ 1. ტკბილი 661. § 2. ლოვა, ლოვა 661. § 3. ნე ანუ ტკვილი. 662. § 4. შამანი და
ტკბილი და მათი რეალური მნიშვნელობა 662. § 5. ტკბილის სხვადასხვა სახელები საბა ორ-
ბელანის მიხედვით 663. § 6. შუმი, მისი რაობა 663.

თ ა ვ ი XXI. ღვინის ტექნოლოგიასთან დაკავშირებული ძველი ქართული ტერ-
მინები საქართველოს სხვადასხვა თემებში 664

§ 1. კახეთი და ქართლი: ქუდი, ქუდის დარევა; სათანადო იარაღი: სარცხი და ნიჩაბი 664.
§ 2. რაქაში 665. § 3. გურიაში: გატეხა, შერეე ფეხი და შესამე ფეხი 665. § 4. სამეგრელო-
ში: ჩხრიკე, კოკა და ლაგვანი 666. § 5. იმერეთში: შუმი და საუდიერო ღვინო 665.

თ ა ვ ი XXII. მეორეხარისხოვანი ღვინოები და მათი ტექნოლოგია და გამო-
ყენება საქართველოს სხვადასხვა თემებში 666

§ 1. შუა-ღვინო და მისი დაყენების წესი საქართველოში 666. § 2. საუდიერო ღვინის
ტექნოლოგია და გამოყენება 667. § 3. თხლე, მისი რაობა 667.

თ ა ვ ი XXIII. ღვინის მოსავლიანობის საკითხი საქართველოში 668

თ ა ვ ი XXIV. ღვინისა და ტკბილის გადასაზიდი ჭურჭლის უძველესი და სა-
ქართველოს სხვადასხვა თემებში გავრცელებული სახელები 668

§ 1. კოლოტი ანუ ტიკი, კოლოტის რაობა 668. § 2. გულა, მისი რაობა 669. § 3. თხი-
რი, მისი რაობა 669. § 4. ტკბილის დაღუღების წესი როგორც აუცილებელი პირობა გადა-
საზიდი ჭურჭლის არსებობისათვის 670

თ ა ვ ი XXV. მელვინეობის გავრცელების არე ძველ საქართველოში 670

თ ა ვ ი XXVI. საქართველოში არსებული ღვინის ხარისხები 671

§ 1. სუბუქი, საშუალო და უმჯობესი ღვინო 671.

თ ა ვ ი XXVII. მელვინე-მემარნე მოხელეთა მოვალეობა ღვინის დაყენების
საქმეში, მელვინე-მევენახეთა თანამდებობათა იერარქია და მათი ძველი
ქართული სახელები 671

თ ა ვ ი XXVIII. საქართველოში ცნობილი ღვინის სნეულებანი, მათი სახელე-
ბი საქართველოს სხვადასხვა თემებში 672

- თ ა ვ ი XXIX. ყურძნის იმპორტი საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან 673
- თ ა ვ ი XXX. საუკეთესო ღვინის გავრცელების პუნქტები საქართველოში 673
- თ ა ვ ი XXXI. ყურძნის წვენის სხვადასხვა პროდუქტები 674
- § 1. ჩურჩხელა 674. § 2. ძმარი 675. § 3. ძმრის ტკბილი 675.
- თ ა ვ ი XXXII. ძველ საქართველოში გავრცელებული მაგარი სასმელები 675
- § 1. რუსი ელჩების ცნობა საქართველოში ხმარებული მაგარი სასმელების შესახებ 675.
§ 2. ბურაბი 675. § 3. ლუდი, მისი ისტორია 675.
- თ ა ვ ი XXXIII. ცნობები ზვრების სილიდისა და შემოსავლიანობის შესახებ 677
- თ ა ვ ი XXXIV. ყურძნის მოსავლიანობასთან დაკავშირებული სამუშაო და მუშახელი, მათი გასამრჯელო, ღვინის ფასები 679
- ღვინის ფასები 679.
- თ ა ვ ი XXXV. ტერმინი „ღვინო“, მისი რაობა და წარმოშობის ისტორია 679
- § 1. ღვინის შესატყვისი ტერმინები უცხოურ ლექსიკაში და უცხოელ მეცნიერთა კონცეფციები 679. § 2. ბერძნული თქმულება ვაზის წარმოშობის საკითხთან დაკავშირებით, მისი გაუგებარი აზრის გახსნა ქართული ტერმინების საშუალებით 681. § 3. ბერძნული ტერმინი „ოზოლუ“ და მისი გააზრება ქართული ლექსიკის საშუალებით 683.
- დამატება (ზოგიერთი მოსაზრება) 684
- § 1. საიკი 684. § 2. კოკონა კია 684.
- დარგი მეხუთე. მეხილეობა 686
- თ ა ვ ი I. ხეხილისა და ხილის ნაწილების ძველი ქართული სახელები და მათი შესატყვისობანი საქართველოს თემებში 685
- § 1. ხეხილის ნაწილთა ქართული სახელები ძველი წყაროების მიხედვით 685. § 2. რტოა ხისაჲ 685. 2. კვირტი ანუ კუკური 685. § 2. ხილის ნაყოფისა და მისი ნაწილების ძველი ქართული სახელები და სხვადასხვა მოსაზრება ზოგიერთი სახელის ირგვლივ 686. § 1. ღერო ანუ ყუნწი 686. § 2. მერწი და კანტარი 686. § 3. ნაკუჭი 686. § 4. წენგო ანუ ლეჭა 686. § 5. წებალი 687.
- თ ა ვ ი II. ხილის ნაყოფთა სხვადასხვა სახელები დანიშნულებისა და მიხედვით; ხილის ჯიშები — მათი სახელები ქართულსა და მის დიალექტებში 687

§ 1. კაკრა 687. § 2. აღრეულა ანუ ოღრო, ორღო 687. § 3. ღრევი და ღოსღი 688. § 4. ოღოში ანუ ორღოში 688. § 5. მსიმაჩე ანუ მსუმარი 688. § 6. ხიღნარი, ნარი და მისი ეტმოლოგია 688.

თ ა ვ ი III. ხეხილის მყნობა: ტერმინი „მყნობას“ ეტიმოლოგია 689

თ ა ვ ი IV. საქართველოში გავრცელებული ხილის ისტორია და სახელთა ეტიმოლოგია 690

§ 1. ვაშლი, სახელთა ეტიმოლოგია და მისი ჭიშები 690. § 2. მსხალი, მისი ჭიშები და სახელთა ეტიმოლოგია 694. § 3. აღუჩა და ჭლაივი, მათი სახესხვაობანი. ღოღნოშო, ტყეშალი და სხვა 698. § 4. ბალი, მისი ჭიშები 700. § 5. შინღი ანუ შუნღი 701. § 6. ატამი 702. § 7. კოშში 702. § 8. ბროწეული 703. § 9. ლეღუ და მისი სახესხვაობანი 703. § 10. მყევალი 706. § 11. თუთა ანუ ჟოლა ან ნაჟვი, ლეღესულელი ან ლეღესუარი 707. § 12. ზღმარტი 708. § 13. თუთუბო 709. § 14. თურინჯი 709. § 15. ხურმა 709. § 16. ფინიკი ანუ დანაქის-კული 710. § 17. წაბლი 710. § 18. ნიგოზი 710. § 19. ნუში 711. § 20. თხილი 711. § 21. ზეთის ხილი 712. § 22. უნაბი 712. § 23. ბრინჯის ხე 712. § 24. ნესვი და საზაშორა 712.

თ ა ვ ი VI. უცხოელ მოგზაურთა და რუს დესპანთა ცნობები საქართველოში მეხილეობის გავრცელების შესახებ 713

§ 1. მეხილეობა საქართველოში შარდენის ცნობების მიხედვით 713. § 2. მეხილეობა საქართველოში რუს დესპანთა ცნობების მიხედვით 713. § 3. მეხილეობა საქართველოში აჟად. გოულდენშტედტის ცნობების მიხედვით 714.

თ ა ვ ი VII. ქართველი ისტორიკოსების ცნობები საქართველოში მეხილეობის გავრცელების შესახებ 716

§ 1. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობები საქართველოში მეხილეობის გავრცელების შესახებ 716. § 2. ფ. გორგიჯანიძის ცნობები ქართული ხეხილის შესახებ 718.

თ ა ვ ი VIII. ხილის იმპორტის საკითხი საქართველოში ისტორიული წყაროების მიხედვით 718

დამატება I. ხილის ქართული ჭიშები 720

დამატება 2. ცნობები სამცხე-ჯავახეთის მეხილეობა-მევენახეობის შესახებ 720

საძიებლები

პირთა სახელების საძიებელი 724

გეოგრაფიულ სახელთა საძიებელი 732

ტერმინების საძიებელი 744